გიორგი ყუფარაძე

სიტყვაქველობა

გიორგი ყუფარაძე

სიტყვაქველობა

P.S. რედაქტორების მიერ მოწონებული ბრძნული აზრები „აფმაქსენი“ (აფორიზმები, მაქსიმები, სენტენციები) ავტორი მიერ აღნიშნულია სიმბოლოთი (+) სიტყვაქველობის რიგითი ნომრების წინ. ესეც წიგნის ავტორის ერთ-ერთი სარეკლამო ხერხია, რათა მკითხველი დააინტერესოს და ეს სიბრძნეთა კრებული მათი მაგიდის წიგნად იქცეს

თბილისი

2017 წ.

UDC (უაკ) 821.353.1-84
ყ-981

ამჯერად წიგნის ავტორმა კვლავ გაამდიდრა ჩვენი მსოფლმხედველობა და ამ წიგნში შემოგვთავაზა მომდევნო 24000 ბრძნული აზრი, როგორც თავად უწოდებს „აფმაქსენი“, რომელიც განსჯადი მკითხველის ცნობიერებას სიამოვნებას მიანიჭებს და მათ გულებს დაიპყრობს. მას სულ გამოცემული აქვს ოთხ წიგნად 81000 „აფმაქსენი“, რომელთა რედაქტორიც, სიამაყით უნდა განვაცხადო, რომ მე გახლავართ.

რედაქტორი:

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი, **ლერი ჩანტლაძე**

© გ. ყუფარაძე, 2017 წელი

ISBN 978-9941-0-9677-8

წინასიტყვაობის მაგიერ

ჩემი მეგობარი და კოლეგა გიორგი ყუფარაძე ნიჭსა და გამოცდილებასთან ერთად განსაცვიფრებელი სააზროვნო და პრაქტიკული აქტიურობით გამოირჩევა. მისი ენერგია, რუდუნება, ახალი გზების გამუდმებული ძიება ბევრს შეშურდება.

მკითხველის წინაშეა მისი მორიგი სქელტანიანი წიგნი დაიდო. წარმოიდგინეთ, რა შრომატევადია ათას სამას გვერდს აცილებული წიგნის რედაქტირება, დაწერაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ. აქ ისევე, როგორც მანამდელ პუბლიკაციებში, თავმოყრილია ავტორისეული აფორისტული ფრაზები, მაქსიმები და სენტენციები. ისინი მიგნებული და შექმნილია არა მარტო საწერ მაგიდასთან ჯდომისას, არამედ ძილგატეხლ ღამეებშიც.

გიორგი ყუფარაძის რეგალიებისა და მრავალჟანრული შემოქმედებითი პქოდუქციის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ეს ისედაც ცნობილია საზოგადოებისათვის. „ნიჭიერი კაცი ყველაფერში ნიჭიერიაო“, – ნათქვამია. მწერლის შემოქმედებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრე ნიჭი, ცოდნა და პროფესიონალიზმია.

არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს ავტორის ადამიანური თვისებები: იგი ზნეობირივი. პრინციპების ერთგულია, უღალატო და მხარში დამდგომი მეგობარია, რაიც ასე იშვიათია ოცდამეერთე საუკუნეში.

ახლა რაც შეეხება წინამდებარე პუბლიკაციას – უამრავი ამონარიდია, რომელიც იმ განწყობილებას შეგიქმნით, რომელიც გაიძულებთ წიგნი ხშირად ფურცლოთ და გონებისა და ზნეობის საწვრთნელი უამრავი პასაჟი აითვისოთ.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ლერი ჩანტლაძე**

გონიერება და სიბრძნე

თუ კაცი გონიერია, ბოლოს და ბოლოს, აგნებს თავის საქმეს, ადგილს, მოწოდებას. სწორედ ასე დაემართა ცნობილ მწერალ გიორგი ყუფარაძეს. მან კალამი ბევრ სფეროში სცადა, ყველგან ჯეროვან წარმატებას მიაღწია, მაგრამ, როგორცა ჩანს, მისი მოწოდება საქვეყნოდ ცნობილი მორალისტების, ლაროშფუკოსა და ლაბრიუერის კვალზე სიარული – აფორიზმებისა და მაქსიმების თხზვაა. დიახ, ბძენკაცთა ამ სავალს უკვე კარგა ხანია დაადგა ჩვენი მწერალი. ქართულ მწერლობაში დღეს არავინაა ასე აქტიური და ამდენი ბრძნული გამონათქვამის ავტორი. და, თუ ჩვენში ვინმეს ეკუთვნის გინესის წიგნში შეტანა, სწორედ მას. ძირითადად მისი აფორიზმი ნათელია, როგორც საქართველოს მზე და სუფთაა, როგორც ღვთისმშობლის ცრემლი; ალაგ-ალაგ ბუნდოვანი მაქსიმაც გამოერევა, როგორც აგვისტოს ნათელში ნისლიანი დღე, და ეგ ბუნდოვანება რთული აზრის თანამდევი ფორმაა. შინაარსი? შინაარსი ნაირფეროვანია. აგერ პატრიოტული მაქსიმა: „ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება ციცაბო კლდეზე ცოცვის ცოდნას მოითხოვსო“. უკვირდები ვითარებას და გული გწყდება: ჩვენ სწორ მოედანზე სიარულიც გვიჭირს, არათუ ციცაბო კლდეზე ცოციალი; აგერ ზეახალი შინაარსის შემცველი სიბრძნეც: „დღეს ჯიბის გასატეხი ტოტალიზატორია, ენის გასატეხი – ბანკის ვალიო“.

რა მარჯვე თქმაა!

რა საჭიროა საუკეთესოთა ძიება. თვით ჩვეულებრივი ნათქვამებიც არაჩვეულებრივად საინტერესოა: „ჭეშმარიტება კრიტიკის ველზე ჰყვავისო“, „წარსულიდან მომავლის გამოდნობა აწმყოს მოვალეობაა“, „ჭეშმარიტი ვაჟკაცისთვის მოწინააღმდეგის უკუგდება უფრო დიდი სახელია, ვიდრე მისი განადგურებაო“..

რომელი ერთი გავიხსენოთ? ან კი რა საჭიროა?

ვხედავთ: კალაპოტი გაჭრილია, საკუთარი გზა მონიშნულია, ღვთის ნიშანი გამოსახულია.

მაშ, რაღა დაგვაბრკოლებს!

აღარაფერი.

მაშინ ჩვენც მივულოცოთ მოჭირნახულე მწერალს ეს ვითარება და მომავალი წარმატებებისაკენ გზა დავულოცოთ.

შოთა რუსთაველის კონკურსის ორგზის გამარჯვებული

პროფესორი **მურმან თავდიშვილი**

ადამიანი

1. არცერთი თავშეკავებული ადამიანი პირად კომფორტზე განუსჯელად არ ზრუნავს.

2. ადამიანის ბუნება უფრო საკუთარ აკვიატებულ აზრებს ეომება, ვიდრე გარეშეთა შეგონებას, მცდელობას.

3. ადამიანები ურთიერთგანწყობის შესატყვისად ერთმანეთს ენერგიას ვართმევთ და ვუბრუნებთ. ამგვარად ვასაზრდოებთ ერთმანეთს.

4. უცოდველნი არც ვიბადებით; ვერც უცოდველნი ვტოვებთ ამ ქვეყანას, მაგრამ ადამიანად დარჩენა ყველა გარემოში აუცილებელია და შესაძლებელი.

5. ადამიანებმა უნდა ვისწავლოთ მთავარი: ერთმანეთს სათუო წარსული არ შევახსენოთ.

6. ვნება და შური ადამის ბუნებაში არსებული ყველაზე ძნელად მოსარჯულებელი სისუსტეა.

7. ადამი როგორც ქვეყნის ისტორიის, ისე საკუთარი წარსულის მუდმივი რესტავრატორია.

8. ქცევის ნორმების შეთვისება და მათი გამოყენების უნარი გვაძლევს საშუალებას, შევიცნოთ ადამიანი.

9. ღირსებადაუკარგავი ადამიანი თავისი დროის ყისმათია.

10. უმადური ადამიანი ამქვეყნად გაცილებით ცოტაა, ვიდრე მადლიერი, იმქვეყნად გადასასახლებლად გამზადებული.

11. ადამიანის გამოჯორკვა დროს და გარემოს ყოველთვის უჭირდა.

12. ადამიანს რომ საწარმოო იარაღი არ შეექმნა, ის დღესაც ცხოველის განვითარების დონეზე იქნებოდა.

13. ადამიანში ადამიანის დანახვის უნარი განგების მიერ ნაბოძვარი ნიჭია.

14. განათლება ადამიანს უნდა მივცეთ და არა ბუნებით ჰომოსაპიენსს, სათუო პიროვნებას, რადგან ეს უკანასკნელი როგორ გამოიყენებს ამ საჩუქარს, სიკეთის საკეთებლად თუ სიავისა, არვინ უწყის.

15. ადამიანი თუ ადამიანში ადამიანს ვერ ხედავს, ის ადამიანი არ არის.

16. არის ადამიანთა კატეგორია, რომელსაც სანთებელა არ უნდა ვანდოთ, იმდენად გაუწონასწორებელია.

+17. ყოფაჩასვრილი ადამიანი სკოლაში წარმატებული სწავლით თავს იწონებს და ირგვლივ ფხიზლად იყურება, ყოფილი თანაკლასელი ხომ არ უსმენს მის ტრაბახს.

18. ხშირად გონიერება ბევრ ჭკვიან ადამიანს ვერ უგებს და აფასებს, რომელთა ფასი იმ დროისათვის განუსაზღვრელია.

19. გულმოდგინება ზოგჯერ ადამის ყოფის ცრუგანზომილებებს

ფარავს, მაგრამ არა სრულად.

20. ადამიანის შეცნობა სხვისადმი მისი პრეტენზიებითაცაა შესაძლებელი.

21. იმქვეყნად კეთილ ადამიანს საგზლად ზღვა ცრემლს, დიდ სიყვარულსა და არდავიწყებას ატანენ.

22. შინაურის სტატუსს გონიერი ადამიანი ყველა თავშეყრის ადგილზე დაუძალებლად იღებს, რაც არ უნდა იყოს, ეს მისთვის ცნობილი გარემოა.

23. ადამი უნდა ეცადოს, პიროვნებად ჩამოყალიბდეს და აკეთოს ის, რაც სწორად მიაჩნია, ოღონდ უკანმოხედვით, აწმყოზე მორგებით და მომავლის წინხედვით.

24. ადამიანის შეფასების კრიტერიუმებს დრო და მოდა განსჯის ჭკუის გამოვლენითა და გონიერების მოხმობით.

+25. ადამის აღზრდის ძირითადი პარამეტრია: მზის სხივი სხვასაც არგუნოს და არ დაუჩრდილოს.

+26. ადამიანი რომ უკვდავი იყოს, მაშინ უკვდავებასაც მოუძებნიდნენ რაღაც ნაკლს, ასე რომ, ნაკლის მოძიება ყველგან და ყველაფერში შეიძლება, თუ ძალზე მოვინდომებთ.

27. ადამიანი სრულყოფილი არასოდეს იქნება, არც მის მიერ შექმნილი რობოტი, რადგან განგება და სამყარო ადამიანსა და რობოტზე უფრო რთულია.

28. შურის არმქონე ადამიანი გონიერიცაა და ყველაზე მეტად ბედნიერიც.

29. ადამიანისთვის ხშირად ემოციების გამოხატვაა უმთავრესი და არა მისი შედეგი და ხარისხი.

30. სამწუხაროდ და საბედნიეროდ, ღორს არ აქვს შანსი ადამიანად იქცეს, პირიქით კი შესაძლებელიცაა და ზოგჯერ გვინახავს კიდეც.

31. ფიქრი ზრდის ადამიანის სულიერებას, ხოლო მისწრაფება ხორცს ასხამს მას.

+32. რაც მეტად ეხსნება გონება ადამიანს, იმდენად მეტის გაკეთებას ცდილობს.

33. ბოროტების ჩადენასა და სიკეთის კეთებას ადამიანს ხშირად დროსა და გარემოსთან ერთად მისი შინაგანი ბუნება აიძულებს.

34. ადამიანი ცხოველურ ინსტინქტს იშვიათად თუ აღწევს თავს და, როცა ამას აღწევს, თავი გმირი ჰგონია.

35. ადამიანი სიყვარულის ძეგლს საყვარელი ადამიანის ხსოვნას უდგამს, რომელიც ჩვენ უნებლიეთ სულიერად გვამაღლებს.

36. თავის გარეგნობასთან კონფლიქტში მყოფ ადამიანს სხვასთან შედარება-შეჯერების უნარი გამძაფრებული აქვს.

37. ადამიანი უმთავრესად ქვენა გრძნობებით ცხოვრობს და თავ-

ისთვის იღვწის, ხოლო სხვაზე ზრუნვას მას თავსმოხვეული აღზრდა და კანონები აიძულებს.

38. ალბათ, მალე პატიოსანი ადამიანის მოძიება შეუძლებელი გახდება, იმდენად მოდიდან გადის წესიერება; ცხოვრება ძალზე მატერიალური ხდება, ხოლო სულიერება სულსა ღაფავს.

39. ადამს ყოველთვის აქვს დადებული გარიგება თავის ფანტაზიასა და სურვილთან.

40. ადამიანი ბუნების ბევრ წყალობას დაუფიქრებლად ითვისებს და, სანამდის შერჩება ეს თავხედობა, თვით განგებისთვისაც უცნობია.

41. ადამიანის ენერგიის შენარჩუნებას დიდი ჯაფა-მცდელობა სჭირდება. ამიტომაც სჯობს, მის შენახვაზე თავიდანვე ვიზრუნოთ.

42. მრავალმხრივ ნიჭიერია ადამიანი, თუ ის უგვანო თანამედროვეთათვის შეუმჩნეველი რჩება, შემდგომში შეიძლება ის „დამარხულ მზედ“ მოვიხსენიოთ.

43. სინდისისა და კანონის ანტაგონიზმი ბადებს ე.წ. „ზედმეტ ადამიანს“.

44. ადამიანს აჩმორებს მისთვის ნანატრი ქვეყნის მოქალაქეობის მიღება, თუ ამ უფლებას მოვალეობებიც არ ახლავს.

45. ყოველთვის მართალ ადამიანთან საუბარი ჭირს, რადგან თავს დამცირებულად გრძნობ. ეს სიმართლის უკმარისობის სინდრომია.

46. ადამიანები ზოგჯერ ერთმანეთს კეთილი სურვილებითაც ხელს უშლიან საქმის ბოლომდის მიყვანაში.

47. ყოველთვის ადამიანად დარჩენას განგების მიერ მომადლებული ნიჭი სჭირდება.

48. ადამიანს ზოგჯერ რა უნდა, თავადაც არ უწყის, როდესაც ის უჟმურ ხასიათზეა.

49. შეყვარებული ადამიანი მისდა უნებლიეთ თავს ბევრი რამის უფლებას აძლევს მისი გადასახედიდან.

50. განსაცდელთა გამოვლის შემდგომ ადამიანს იმდენი ჭკუა არ ემატება, რომ გამოცდილება საჭიროებისამებრ გამოიყენოს, იმდენად დიდია მისი ცნობიერების მიმართ ხელშეკრულების კვოტა.

51. ადამიანს, რომელიც თანამეინახეობას არ უწევს თქვენს შეხედულებებს, მეგობრად ნუ აღიქვამ. უკიდურეს შემთხვევაში კარგ ნაცნობად მიითვალეთ.

52. ადამიანის სურვილია არა ის, რომ იჩაგრებოდეს ბედთან ჭიდილში, არამედ ტკბებოდეს აწმყო და მომავალი ცხოვრებით.

53. ხმის ამოუღებელი და მოჩვენებითი მორჩილების მქონე ადამიანი ყველა სახელმწიფო წყობას და სისტემას ერგება, ოღონდ შედეგია სავალალო: ლეშის გადარჩენა და სულის განადგურება.

54. ადამიანი ხშირად იმაზე ლაპარაკობს, რაც არ აქვს და ყოფას

უჩივის, ხოლო, რაც აქვს, იმით თავი მოაქვს.

55. ადამიანი ბოლომდე ისე ვერასოდეს იცხოვრებს, როგორცა სურს და, ალბათ, არცაა საჭირო, რადგან მაშინ საზოგადოებაში საკუთარი თავის მონახვა გაუჭირდებოდა.

56. ის ადამიანი სამართლიანად არ მოგვწონს, ვინც ჩვენთვის მისაღებ საუბარს ყბედობით შეგვაწყვეტინებს.

57. არჩევანს ადამიანის ღირსება აკეთებს და არა თავად ადამიანი.

58. შეცდომის გულწრფელად მაღიარებელი გონიერი ადამიანის ღირსებას არაფერი აკლდება.

59. სასიამოვნო საუბარი უფრო ადგება ადამიანის ჯანმრთელობას, ვიდრე კამათი და ურთიერთოპონირება.

60. ადამიანი მარად სათნოების სასწორზე დგას და იძულებულია, სიკეთის აიწონა-დაიწონათი იხელმძღვანელოს.

61. ურთიერთსიახლოვის მცდელობის მიუხედავად, ჩვენ ერთმანეთის შესახებ ძალზე ცოტა რამ ვიცით, იმდენად რთულია ადამიანის ზნეობა, გუნება, ბუნება.

62. ეშმაკის უპირველესი დანიშნულებაა ხსოვნის წართმევა, რათა ადამიანებმა ურთიერთშეცნობის უნარი დაკარგონ.

63. ქველმოქმედება, სიყვარული, ზრდილობა, ცოდნა, ხიბლი – აი, ის, რაც ადამიანს დიად პიროვნებად წარმოაჩენს.

64. შიგადაშიგ ეროვნულობისა და „ვისი გორისა ხარ“ გახსენება ადამიანად ჩამოყალიბებას ხელს უწყობს.

65. ყველა ჩვენგანი მოწოდებით მასწავლებელიცაა და მოსწავლეც, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ადამიანად არ აღიქმება.

66. რჩევების უგულვებელმყოფი ადამიანი მარად ხელმოცარული დადის, ოღონდ უგულებელყოფა ზოგჯერ თავს ახსენებს.

67. ადამიანი წყალქვეშაც ჩავიდა, ცაში დაფრინავს, კოსმოსში გაჯირითებას ცდილობს, მაგრამ ადამიანად დარჩენა მაინც მუდამ უჭირს.

68. ადამიანმა ზღვის უშფოთველობის და მთების სიდიადის შეგრძნებით უნდა იცხოვროს, თუ უნდა თავი ამ პლანეტის შვილად იგრძნოს და არა უბრალო მოკვდავად.

69. წარსულისა და აწმყოს გამოცდილების მიუხედავად, შეცდომებს მაინც სჩავდივართ, არადა წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ადამიანად აღქმა გაჭირდებოდა.

70. ადამიანს ყოველთვის უჩნდება რაღაც სიახლის გამოცდის სურვილი, თუმცა წინდაწინვე იცის: უმეტესწილად შედეგი სათუოა.

71. მოხდება – არ მოხდება ადამიანის ცნობიერებას აწუხებს და არა მის პრაქტიკულ ქმედებას.

72. არეულობა, შფოთი, განხეთქილება უპირველეს ყოვლისა ადამიანის ვნებაზე მოქმედებს და შემდგომ – მის ყოფა-შემოქმედებაზე.

73. ჩვენ, პირველ ყოვლისა, ადამიანები ვართ და არა ფუფუნებისა და მოხვეჭის მსურველი არსებანი.

74. ადამიანი უმთავრესად თანამოაზრეს ეძებს თავის მოსაზრებათა სარეალიზაციოდ და არა რეალობას, სამართლიანობას, რადგან ეს უკანასკნელი ყველას თავისი აქვს.

75. ადამიანისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მათ შორის ისეთი რაიმეც, რომელზეც მას არასოდეს უფიქრია.

76. იცვლება დრო, გარემო, მენტალიტეტი, მაგრამ არ იცვლება ადამიანის ბუნება, რომელიც მუდამ შემართულია საკუთარი კეთილდღეობის მისაღწევად.

77. ადამიანი რომ ხარ, ის შენი წარსული ცხოვრებით უნდა დაამტკიცო, რათა ასაკში შეღავათები დაგიკანონონ.

78. ლხინში უჟმური ადამიანი არც ჭირში უქნია ღმერთს.

79. სამყაროს ცნობიერების ასტრალური და მენტალური სივრცის დაბინძურების უფლება ადამიანს არ აქვს.

80. ყველა ადამიანმა ღმერთს გულში თავის სასუფეველი უნდა მიუჩინოს, ამას ხალისით აკეთებს თუ უხალისოდ.

81. ადამიანური კარიერის ალგორითმია მიზანდასახულობა და რისკი.

82. ადამიანი კაცობის რაობას მის მიერ შექმნილი ოჯახის წევრთა რაოდენობითა და ხარისხით ზომავს.

83. ცოცხალი ადამიანი არ შეიძლება უბედური იყოს, თუ გონიერია და განჭვრეტის უნარი აქვს.

84. ეშმაკს არენაზე განგება ებრძვის, ხოლო დარბაზში მაყურებლად ადამიანები არიან.

85. მუშაობის სურვილი გვაიძულებს, პირველყოფილი ადამიანის ავანტურისტული ჩვევები დავივიწყოთ.

86. ადამიანის დანიშნულებაა, მოწინააღმდეგის სუსტი და ძლიერი მხარეების შესწავლა, რათა შერკინება არ წააგოს და არ დაიჩაგროს.

87. უშინაარსო ცხოვრება მაზოხიზმი და უდროოდ გარდაცვალების სინონიმია.

88. ადამიანი თუ გინდა გაამწარო და შეურაცხყო, ბრალი იმ საქმეში უნდა დასდო, რის წინააღმდეგაც ის გულით იბრძოდა.

89. მოულოდნელ დაბრკოლებათა გადალახვის უნარი ადამიანს პიროვნებად აყალიბებს.

90. თავის დამკვიდრებისას ადამიანი ზომაზე მეტად ამბიციური და პრეტენზიული ხდება.

91. ადამიანთა ფსიქოლოგიაა: დიდი ნიჭისა შურთ, საშუალოს ხელს არ უშლიან, პატარა ნიჭს ეხმარებიან, ხოლო, ვინც დიდ ნიჭს დროულად გაუწევს სპონსორობას, ის ქვეყნის დიდი მოქალაქედ მიაჩნიათ.

+92. მიწა რამდენჯერაც არ უნდა გადახნა, არ იღლება და ყოველთვის იძლევა მოსავალს. ასევე კაციც: რაც უნდა ქარცეცხლში მოხვდეს, მაინც შეუძლია სასიკეთო მოღვაწეობა.

93. ადამიანები არ ცდებიან, უბრალოდ, ზემოდან გამოგზავნილ ბრძანებებს არ ასრულებენ. ეს კი დიდი შეცდომაა.

+94. გონიერებას ადამიანის ცხოვრების პირველ ნახევარში ეყრება საფუძველი, შემდგომ კი გონიერების დაღვინება გამოცდილებით ხდება.

95. მადლი თავისებური ძღვენია, ადამიანური სათნოებისადმი მიძღვნილი.

96. ადამიანს ის უნდა ვაჩუქოთ, რასაც ახლა გამოიყენებს და არა ის, რაც ოდესღაც გამოადგება.

97. როდესაც ადამიანი მხოლოდ ხორციელად კმაყოფილდება, ცოდვა უნდა მოინანიოს, მაგრამ სულსაც შური ეპარება და ისიც უკმაყოფილო ხდება.

98. გული ადამიანის არსებაში შესასვლელი კარიბჭეა, რომლის მოწოდება სათნოების გამოსხივებაა.

+99. გონიერი ადამიანი იმაზე მეტია, რაც თავად ჰგონია, ხოლო ნამდვილი შემოქმედი იმაზე მეტია, სხვას რომ ჰგონია.

100. ადამიანი რომ უკეთ შეიცნო, მასთან სტუმრად მაშინ უნდა დარჩე, როდესაც ის ქრონიკულადაა დაავადებული და გამოსაჯანმრთელებლად ჩალიჩობს – მისი აზრით, მის წინაშე ყველა მოვალეა და ის ყოველთვის კეთილგონიერებას ასხივებს.

101. ადამიანებთან ურთიერთობა საინტერესოა, თუ მათთან საერთო ენის გამონახვა არ გიჭირს.

+102. ადამიანურ ღირებულებათა აღქმა სამართლიანობის რწმენაზეცაა დამოკიდებული.

103. შეზღუდული ცნობიერების ადამიანები ცრუ სიამაყით ცხოვრობენ და ზოგჯერ თავსაც გვაყვედრებენ.

104. ბუნებით პატარა ადამიანები ნაქურდალ სამართლიანობასაც სჯერდებიან, რადგან მათ არა მარტო გონის, არამედ ხელის განძრევაც ეზარებათ, პრინციპულობაზე, შემართებასა და ქვეყნის სიყვარულზე რომ არაფერი ვთქვათ.

105. ადამიანის ცხოვრებასა და ფარისევლობას ვერც ბუნების სტიქია შეედრება და ვერც პლანეტარული კატაკლიზმები.

106. ეპოქალური ადამიც განგების ხელდასხმით ჩნდება.

107. შური და შედარების უნარია, რომ ადამიანი, გარკვეული გამონაკლისის გარდა, თავს ბედნიერად არ გრძნობს.

108. ურთიერთშეხლა – შემოხლა და შეჭიდება ადამიანის მეობას, ხასიათს, მისწრაფებებს ცხადად წარმოაჩენს.

109. ღირსეულ ადამიანთა სულიერების საყრდენია რწმენა, რომელიც აიძულებს, თავი გაწიროს იმისთვის, რისთვისაც ცხოვრობდა.

110. რასაც დაპირისპირება და სისხლისღვრა არ მოჰყვება, ის დიდხანს ვერ შემორჩება ადამიანთა მახსოვრობას.

111. ადამიანის ნებასაც დროულად აღზრდა და სწავლა სჭირდება, რადგან ნების ქონა პიროვნულობის ერთ-ერთი ბურჯია.

112. ადამიანს თუ სჭირდება, თვალი შენზე უჯოკრავს.

113. იუმორის გრძნობა დადებით ენერგიას აფრქვევს და ადამიანური გრძნობების ბალანსირებას ახდენს.

114. ნაღდად ჭკვიანი ადამიანის მოძიება ძნელია, მაგრამ მასთან საერთო ენის გამონახვა უფრო ძნელია.

115. ადამიანი იმაზე ჭკვიანი ვერასოდეს ვერ იქნება, ვიდრე ეს მის დროს და მომავალს სჭირდება.

116. ძალისხმევას ყველა ადამიანზე ზრუნვა მოითხოვს, იმისდა მიუხედავად, შენი მცდელობა გაამართლებს თუ არა.

117. სამწუხაროდ, ადამიანს ყოფიერების რეალური შეფასების უნარი დაკარგული აქვს, რადგან კარგზე მეტად ნაკლს იხსენებს და იბოღმება.

118. ადამიანს ინფანტილიზმი არ აძლევს ღირსეულთა შორის ღირსეულის შერჩევის საშუალებას.

119. ადამიანს, რომელმაც ყველაფერი იცის, პატივს მიაგებენ, მაგრამ არ უყვართ – უფრთხიან.

120. ადამიანი იმისდა მიხედვით უნდა შეფასდეს, თუ როგორ ემსახურება რწმენას და საკუთარ ღირსებას.

121. სამწუხაროდ, ადამიანს დროის, ყოფისა და პერსპექტივის რეალურად შეფასება-შეჯერების უნარი დაკარგული აქვს, რადგან წარსულიდან კარგზე მეტად ნაკლის გახსენება მოსწონს.

122. მერყევი ადამიანი სანდო არ არის, რადგან მას თავისი თითქმის არაფერი აქვს.

123. ადამიანთა რაობაზე საერთო აზრის შესაქმნელად შურიანი ადამიანის ტანჯვა-წუხილი მისაღები არ არის.

124. ადამიანის კაცობა-არაკაცობა დროსა და გარემო პირობებზეა დამოკიდებული.

125. უღირსსა და ღირსეულს ადამიანი აფასებს და არა ბუნება, რადგან ამ უკანასკნელისთვის ყველა ერთია.

126. უზნეობის ლაბირინთები ადამიანის მოცულობას დიდად აღემატება.

127. ანთროპოლოგიური კატასტროფა იქნება, თუ ადამიანი მეობას ყოფიერების წვრილმანებზე დაახურდავებს.

+128. გაუზრდელ ადამიანთან შეგუება ძნელია თუნდაც მეორე

გაუზრდელისათვის.

129. ადამიანი რაც არ უნდა კარგად ცხოვრობდეს თავის დროში, ჰგონია, ადრე მოევლინა ამ სამყაროს, რაკიღა ამჟამინდელი საზოგადოებრივი დონე არ აკმაყოფილებს.

130. პოეზიის, პროზისა და ბავშვობაში მოსმენილი ზღაპრების გარეშე ადამიანის ბუნება ძალზე გაღარიბდებოდა.

131. უცნაურობანი ნიჭიერ და მდიდარ ხალხს ახასიათებს, რადგან ამის უფლებას მათ მდგომარეობა აძლევს.

132. ბუნება თავისი მშვენიერებით უფრო გვაოცებს, თუ მასში ადამიანის ხელი არ ურევია.

133. ადამიანს აუცილებელი და უკვე გადანაწილებული ხშირად არ აკმაყოფილებს და მარად ბედის გინებაშია.

134. ადამიანად თავს მაშინ გრძნობ, თუ შენი ადამიანობის პარამეტრები სხვათა ადამიანობას ზომავენ.

+135. წესით, ადამიანის ცხოვრების დონე მისმა ნიჭმა და უნარმა უნდა განაპირობოს. სინამდვილეში კი განსაზღვრავს დრო და შემთხვევა.

136. ისტორიას, დროს განგებას თავისი სამართალი აქვს, რომელსაც ადამიანის გონიერება გამართლებას ვერ მოუძებნის.

137. ადამიანი ყოველთვის ვალშია სამყაროს წინაშე, რადგან იმაზე მეტი უნდა დააბრუნოს, რაც განგებას მიუცია.

138. განათლებული ადამიანი ცხოვრების მარადიული აბიტურიენტია და მუდამ ახალი ცოდნის მიღებას ცდილობს.

139. ძალაუფლება დაცული სიმდიდრეა, რომელიც ამსხვრევს ბარიერებს და იპყრობს ადამიანთა გულებს.

140. ადამიანის საუკეთესო მკურნალია საკუთარი თავისთვის შემოძახება.

141. ადამიანი მარად უკმაყოფილოა თავისი ბედით. ეს კარგია, რადგან თვითკმაყოფილება მას ფიზიკურადაც და სულიერადაც აჩმორებს.

142. არაფერს ადამიანი ისე სწრაფად არ ეჩვევა, როგორც პროგრესის მონატანს.

143. პირველად შეხვედრილი ადამიანი უმეტეს შემთხვევაში ნდობას იმსახურებს, რომლის კოეფიციენტი შემდეგ შეიძლება დაეცეს.

144. არცერთ ადამიანს თავისი ბედისწერა არ მოსწონს და იგი მას დიდი სიამოვნებით შეასწორებდა, მაგრამ არ იცის, რომ ბედნიერად თავს მაინც ვერ იგრძნობდა.

145. ადამიანებს ურთიერთდამოკიდებულება უფრო აღელვებთ, ვიდრე ურთიერთშესაძლებლობა.

146. დღევანდელი მოდის შემხედვარეს ეჭვი არ ეპარება, რომ ჩვენ

პირველყოფილი ადამიანის მოდას დავუბრუნდებით, სადაც სხეული ფარავს ჩასაცმელს და არა პირიქით.

147. მტრობისა და სიძულვილის მოსპობა პრაქტიკულად იმ შედეგს არ მოგვცემს, რასაც თეორია ფიქრობს, რადგან ადამის მოდგმა შეუჭირვებლად ვერ იარსებებს.

148. ეშმაკიც განგების მსახურია, მანდატურია. ის აიძულებს ადამიანს, ილოცოს.

+149. ამბობენ, ადამიანი სამყაროს უძღები და უგვანო შვილია ამქვეყნად, მე ვგონებ, იმქვეყნადაც.

150. რა ქნას ადამიანმა, თუ ისიც შეცნობილი აქვს, რომ ძალა იმქვეყნადაც ხნავს და გარდაცვლილსაც თავის ჭკუაზე ატარებს.

151. სიხარულის ჰორმონები ადამიანს სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

152. ადამიანის აზრები ემოციების შემთხვევაში მატერიალური და გამოსაყენებელი ხდება.

153. სიღატაკე, უიმედობა ადამიანს ყველაზე მეტად აჩმორებს და იგი „საღათის ძილში“ გადაჰყავს.

154. ადამიანის დევიზი უნდა იყოს რეალური აზროვნების სულიერებით დამუხტვა და მისი გათავისება.

155. ადამიანის ნაკლი ის არის, რომ თავის ტყავში ვერ ეტევა და ცდილობს, ტყავი სხვას გააძროს.

156. იდეებისა და იდეალებისაგან დაცლილ ადამიანს ხშირად რეალობის აღქმა უჭირს.

157. მეტყველება ადამიანის კარგად შესაცნობი ერთ-ერთი სფეროა.

158. ადამიანის ყველაზე დიდი მონაპოვარი საკუთარი ტვინის შეცნობა და მისი იმედით დამოძღვრაა.

159. აკრძალვები ადამიანს კანონის რაობაზე „ცივ“ განწყობილებას უქმნის.

160. ადამიანს ყოველივეს ცოდნა და მოსალოდნელი ავის აღქმა არ შეუძლია, მაგრამ საამისოდ უნდა ისწრაფოდეს.

161. დაუფიქრებლად სხვისთვის ტკივილის მიმყენებელი ნახევრად ადამიანია.

162. ადამიანი მარად თავისი კეთილდღეობისთვის იბრძვის და იღვწის, თუ მის მცდელობას დრომ და ტექნიკურმა პროგრესმა წყალობის თვალით შეხედა.

163. ადამიანს რაღაც-რაღაცები რომ არა ბოჭავდეს, შესაძლებელია, ცხოველად გადაქცეულიყო.

164. ადამიანი თავისი ბედის მჭედელია, თუ გარემოს ფეხი აუბა და შემთხვევისთვის ხელის ჩავლება ისწავლა.

165. დასანახავის დაუნახაობა, გასაგონის გაუგონრობა, შესასწავლის შეუსწავლებლობა – აი, ის, რაც ადამიანს აჩმორებს.

166. ადამიანებმა არ იციან, როგორი ალგორითმებით იბადებიან ამქვეყნად და არც შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონებს არკვევენ.

167. ზოგჯერ ადამიანს არა მარტო სისულელის, არამედ ჭკვიანურის წამოროშვის გამოც იძულებენ.

168. ბოროტებასაც შეიძლება თავისი კეთილი მომავალი ჰქონდეს, გააჩნია დროსა და გარემოს. მაგ, სტალინს 1937 წლის რეპრესიები რომ არ განეხორციელებინა და „გადამღობი“ ჯარისკაცები რომ არ ჰყოლოდა მეორე მსოფლიო ომში, ის ამ ომს ვერ მოიგებდა და დღეს, შეიძლება, მსოფლიო ფაშიზმის იდეოლოგიის მონობაში ყოფილიყო.

169. ადამიანი, როგორც პიროვნება, სარწმუნოებასაც პატივს მიაგებს და დემოკრატიის ქარტიასაც, მაგრამ უგვანო ხელისუფლების ხელში ესეც ქურდბაცაცობას ემსგავსება – ადამიანის ვითომდა თავისუფლების ეგიდით.

+170. სამკურნალო მასაჟი ადამიანის სხეულის ნაწილებიდან ყველაზე მეტად თავსა სჭირდება, რადგან პრობლემების უმრავლესობა თავს სწორედ აქ იყრის.

171. ადამიანის ბუნებაზე ბატონობა ყოველთვის მოჩვენებითი იყო, სამყაროს ბატონობაზე რომ არაფერი ვთქვათ.

172. ყველა საუკუნის დიდი ადამიანის გვერდზე დასადგომად აწმყო მუდამ მზად არის.

173. ადამიანი სამყაროს შეცნობა-გაკონტროლებას უშედეგოდ ცდილობს, ოღონდ არც ეშვება, რადგან მაშინ აზროვნება და ამქვეყნად მისი მოსვლა აზრს დაკარგავდა.

174. ადამიანის დიდებას მისი ღირსებაც უნდა შეესატყვისებოდეს.

175. ზომიერება, ზომიერება, ზომიერება – აი, ადამიანის ამქვეყნად ყოფნის უმთავრესი ორიენტირი.

+176. ადამიანს უაზრო პრინციპები ღუპავს და არა პრინციპებისთვის პატივის მიგება.

177. ადამიანი ბუნებით ბიწიერი და ცუღლუტია, მაგრამ ამ ნეგატიურ თვისებებს ტარდიციები, გარემო და აღზრდა თრგუნავს.

178. ადამიანს სიტყვა ხშირად პრობლემებს უქმნის, მაგრამ არა იმას, ვისაც განჯის უნარი ჯერ კიდევ შერჩენია.

179. ადამიანს თანდაყოლილი ღირსება და სათნოება გამოარჩევს.

180. ადამიანის შექმნილია თუ ბუნების ხელთქმნილია, რატომღაც მომრავლდა კატაკლიზმები.

181. ადამიანის ყველაზე დიდი პრობლემა ყოველთვის საკუთარი თავის მორჯულება იყო და კვლავ დარჩება.

182. ადამიანის ბუნება იმდენად მრავალფეროვანია, რომ მის ბოლომდე შესაცნობად თავის გადადება არა ღირს.

183. ადამიანი ცუდის მოლოდინშია, თუმცა კი კარგსა და სასწაულზე ოცნებობს.

184. ადამიანი სურვილთა აღსრულების მცდელობამ შექმნა.

185. ადამიანს სიკეთის საკუთარი თავისთვის მოკლება უჭირს მაშინაც კი, თუ ის გულმოწყალეა.

186. გაბოროტება ცხოვრებაზე გულის აყრაა, ღალატი ადამიანის სისუსტეზე მიგვითითებს და არა მის შემართებაზე.

187. თუ შენზე ანეგდოტებს თხზავენ, ე.ი. პიროვნებად აღგიქვამენ.

188. ადამიანს იმისდა მიხედვით უნდა მივაგოთ პატივი, სასიკეთო რა დაგვიტოვა და გააკეთა, და არა იმის მიხედვით, თავად როგორ ცხოვრობდა და რა სიმდიდრესა ფლობდა.

189. ადამიანი, რომელსაც აღარაფერი უნდა ამ ცხოვრებიდან, ღმერთია.

190. სიცოცხლის გადარჩენას ზოგჯერ ბევრი სიწმინდე და ადამიანური ღირსება ეწირება.

+191. ადამიანი იმიტომაცაა ამ სამყაროში მოვლენილი, რომ სამყაროს წარმოშობაზე იფიქროს, ამ ძიებით აღფრთოვანდეს და ეს პრობლემა ვერასოდეს გადაწყვიტოს.

192. კანონების მოშველიებით ადამიანის დასჯა ადვილია, ბუნების ძალებით – შეუძლებელი.

193. რწმენისა და მოტივაციის უქონლად ადამიანი მოქალაქედ არ ყალიბდება.

194. მოთმინება-ჩასაფრება, მოხერხებულობა-წინხედვა, გონიერება-შემართება – აი, ადამიანის ბასრი იარაღები.

195. თეორიულად ადამიანებს ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს, მაგრამ პრაქტიკულად ეს ტექნიკური პროგრესის მიღწევებს ჩაკლავდა, საქმე ისაა, რომ შური და კონკურენცია წინსვლის ბერკეტებია.

196. ადამიანი თავისი პიროვნების მოქსოვას ოქროს ძაფებით უნდა ცდილობდეს.

+197. ადამიანს აქვს ორი მარჯვე ხელი, ორი მახვილი თვალი, ორი ფხიზელი ყური, ორი მარჯვე ფეხი და ერთი „სულელი“ და მარად შეუცნობელი თავი.

198. აზროვნებისა და განსჯის უნარის გარეშე დარჩენილი ადამიანი ვერასოდეს იქცევა მოქალაქედ.

199. საშიშია იმ ადამიანის გვერდზე ყოლა, რომელიც ენით ყველას გესლავს და თავისი წინადაუხედაობით გონიერებას წამლავს.

200. ადამიანი ადამიანად აღიქვი, მასში პირუტყვის დანახვას ნუ ეცდები!

201. არის ოცნება, რომელსაც ადამიანი არასოდეს აღიარებს, მაგრამ ამ ოცნებისკენ მისი ლტოლვა უცვლელია.

+202. იუმორი ადამიანის სალაღობო ყურეა, სადაც გამჭრიახობის ღუზას სიამოვნებით უშვებენ.

203. ადამიანის ცხოვრებაში იშვიათად არის ის სასიამოვნო მომენტები, რომლებიც სამუდამოდ გამახსოვრდებათ.

204. ადამიანის მისწრაფებას კარგი ცხოვრებისაკენ აღზრდა და ტრადიციებისადმი ერთგულება ვერ აფერხებს.

205. თვითდარწმუნებულ, ნიჭიერ ადამიანს, ერთი შეხედვით, არაორდინალური საქმის ჩადენისა არ ეშინია.

206. ადამიანი თავისი გენეტიკით და ცხოვრების შეცნობა-აღქმით იძულებულია, ზეციური სამყაროს შეფიც იყოს და მიწიერისაც, სხვაგვარად ამქვეყნად მოვლენის არსს ვერ აღიქვამს.

207. ადამი ყოველთვის მორჩილდება – განგებას და გაგებას.

208. შიმშილის გრძნობა ადამიანის განვითარების აუცილებელი პირობაა.

209. ადამიანის რაობის მთავარი კოზირი სიმბოლიზმია, რაც მას ცხოველისაგან განასხვავებს.

210. ადამიანმა ეს ყოფა პრაქტიკულად ცოდნით უნდა განვლოს და არა სხვადასხვა თეორიის აღქმით და მასში გარკვევით.

211. ადამიანის ყველაზე უკეთ წარმომჩენი მისი წარსულის სამომავლო ჭვრეტაა.

212. ადამიანს ყველაზე უკეთ მისი წარსული ახასიათებს.

213. ადამიანს ახასიათებს კერძო სათნოება, გამოუსწორებელი მანკიერება, ნიღბიანი თვალთმაქცობა, არასაჭირო გულთამხილველობა.

214. ყველაზე დიდი დასჯა ადამიანისა ის არის, რაცა სწამს, იმას რომ ვერ აფეტიშებს.

215. ნათელი აზრებისა და მათი ვირტუოზულად გამოხატვის უნარის მქონე ადამიანი გენიოსია.

216. ღარიბ და დაცემულ ადამიანთა ყოლა და შეცოდება ხელისუფლების და სარწმუნოების უსუსურობის შედეგია, რადგან ისინი ვერ აიძულეს და ვერ დამოძღვრეს, რომ ამ დღეში არ ჩაცვენილიყვნენ.

217. ადამიანის განწყობის აღქმა, განსჯა თავისებურ ნიჭს მოითხოვს.

218. გონიერი და კარიერაგანაღდებული ადამიანები საკუთარ თავზე ნაკლებად ლაპარაკობენ.

219. სიმართლისა და სამართლიანობის შეცნობა ადამიანს ძალას მატებს და ის ხშირად უკომპრომისო ხდება.

220. დღეს ადამიანები სახლში მისასვლელ გზებს ავტომობილის რუქებზე „ნავიგატორით“ ეძებენ, იმდენად გადაჭედილია ქუჩები.

221. შრომამ არა მარტო შექმნა ადამიანი, არამედ უსიამოვნებისა

და უბედურებისგან თავის დაღწევის საშუალებაც მისცა.

222. დაუკმაყოფილებლობა, მისწრაფებები, შემოქმედებითი ლტოლვა, მიზანი – აი, რა აყალიბებს ადამიანს სრულყოფილ არსებად.

223. ადამიანის ბუნებას მისი წინაპრების ფესვი განსაზღვრავს და არა ახლად ამოყრილი ხის ღერო, რომელსაც დრო და გარემო რას უკარნახებს, არავინ უწყის.

224. აზროვნების თავისუფლება ყბედობის უფლებას როდი იძლევა.

225. დროზე მორგება, შურის ახლოს არ გაკარება ადამიანს კარგად ამყოფებს, თუ ის უგუნურებაზე არ იფიქრებს.

226. ცივილურობის მიუხედავად, დღევანდელი ადამიანიც, პირველ ყოვლისა, გვარის გამგრძელებელზე უნდა ფიქრობდეს, რათა მან წინაპრების ამაგი დააფასოს და მათ მცდელობას ვალი გადაუხადოს. სვანეთში ძმის მოსისხლეს დამ ძმისშვილის ნაცვლად თავისი ტყუპების ცალი მოაკვლევინა, რათა გვარის გამგრძელებელი არ დაკარგულიყო.

227. მარტოოდენ სულის წრთობით რომ ყოფილიყო ადამიანი დაკავებული, გონიერების გაულაღებლად, მერწმუნეთ, დღესაც ქვის ხანაში ვიცხოვრებდით.

228. დღეს ცხოვრება ისეა მომართული, რომ, თუკი რაიმე გამოდნება, კაცი ორ ბატონსაც მოემსახურება და მეტსაც.

229. საზოგადოების, ერის წინაშე მოვალეობის შეუცნობლად ვერცერთი ადამიანი ქვეყნის მოქალაქედ ვერ გამოდგება.

230. დასტურ ჭკვიანი ადამიანი არასოდეს უსამართლოდ და უღირსად არ მოიქცევა, რაც არ უნდა დიდ გამორჩენას ელოდეს, რადგან სულიერება ღარიბდება და ბედიც ზურგს შეგვაქცევს.

231. რისკის გაწევის უუნარო ადამიანი გაუსვენებელი მკვდარია.

232. სისხლი მუდამ უაზროდ იღვრება, რადგან ადამიანს თავის განძრევა, ხელის სასიკეთოდ გამოღება და გონიერების გამოჩენა ყოველთვის ეთმობოდა, რადგან მარად გმირობასა და სხვისი ქონების მითვისებაზე ეჭირა თვალი.

233. ადამიანმა უნდა იგრძნოს, რომ ის საზოგადოების ნაწილია და ირგვლივ მყოფთ სჭირდება. ეს მას ძალას, პატიოსნებასა და რწმენას მატებს.

234. ზოგჯერ, ერთის შეხედვით, უგუნურობას გამოკიდებული ადამიანის ფინიში დიდებაა, სახელის დაგდებაა.

235. რადგან ადამიანი მიღწეულით ვერ კმაყოფილდება, მას უნდა თავისუფალი არჩევანის უფლება მოიპოვოს და არა გააზრების, რათა თავად დარწმუნდეს საკუთარ უუნარობაში და შედარების საშუალება მიეცეთ თეზისით: თუ ასე ჭკვიანი ხარ, რატომ შეგეშალა არჩევანი? შედეგად ქვეყანაში სიმშვიდეც დაისადგურებს, აზროვნებაც მოიმატებს და ბარაქა-დოვლათიც.

236. დაყვავება, კარგი მანერები, საკეთისკენ მიდრეკილება, საყვარელი საქმის კეთება ადამიანს ბავშვობიდან უნდა ვასწავლოთ, თუ გვინდა, თავსაც გამოადგეს და სხვასაც.

237. ყოველივეზე კომპეტენტური აზრის მქონე ადამიანი აუტანელი აუტისტია.

238. სიბრძნე, ბუნება, გუნება ადამიანის გონიერების სფეროს განეკუთვნება და მათ „გაკმარვის“ ნაცვლად მხრების შეშველება სჭირდება.

239. ადამიანები ერთმანეთს საკუთარი ბუნების დამთხვევის გამოისობით უგებენ და არა სურვილის მცდელობით.

240. ადამიანი ტრადიციების დაპროგრამებული მონაა და არა ჩამორჩენილობის წინააღმდეგ გონიერი მებრძოლი.

241. ადამიანად ჩამოყალიბების უცვლელი ფორმულაა: უნდა გიყვარდეს საკუთარი თავი, სახლი და მოყვასი და სხვას პატივი მიაგო დამსახურებისამებრ.

242. ადამიანი, რომელიც თავის სიტყვას ფასს ადებს, გამოუსწორებელი ყბედი ან ერთობ ჭკვიანია.

243. განათლებული ადამიანი სიბრძნის მეტყველების ტრფიალი უნდა იყოს. ეს არის სულ ცოტა, რაც მას მოეთხოვება.

244. ადამიანი თავისუფალი იბადება, მაგრამ ცხოვრება, დრო, ბედისწერა ამას როგორ შეაშნოვინებს, ეს სხვა საქმეა.

245. ზოგჯერ ნერვებისმომშლელად ჭკვიანი ადამიანიც მოსარიდებელია, რამდენადაც იმ სიმართლეს ქადაგებს, რომელსაც გული არ იღებს, ხოლო გონი მხარს უჭერს და ფაქტობრივად მის მხარესაა.

246. ადამიანს რომ 101 წლის სიცოცხლეს უსურვებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლო ერთი წელი დაგეგმარებას უნდა მოახმაროს, თუ მომდევნო ერთ წელს როგორ იცხოვროს წინა 100 წლის შეცდომების გათვალისწინებით.

247. ადამიანი თავისი მორალის გათვალისწინებით უნდა გაერკვეს, განგების მორჩილად მიიჩნევს თავის თავს თუ არა.

248. ჰომოსაპიენსზე მეტი ღირებულებისა ღმერთს არაფერი შეუქმნია, ყოველ შემთხვევაში ჩვენ, ადამიანად ქცეულთ, ასე გვწამს.

+249. მომავალში ყველაზე უღირსი ადამიანიც კი ერთხელ მაინც იწვევს იმედსა და აღფრთოვანებას: როდესაც იბადება.

250. ადამიანი, რომელიც თავის სიტყვას ფასს არ ადებს, ყბედია.

251. ეშმაკი იმიტომაც გვიგებს და „გვირწყამს“ მახეებს, რომ ადამიანი გათვითცნობიერდეს, ისწავლოს თავის დაძვრენა.

252. ადამიანის დანიშნულებაა მარად ახლის ათვისება, განახლება.

253. წუწუნა ადამიანი სხვათა ნაღვაწით ტკბება და ამას რატომღაც ვერ ხვდება.

254. სიწმინდეთა უქონლად ადამიანის დამორჩილება და სწორ

გზაზე დაყენება ძნელია.

255. მართალია, ადამიანის გონიერება პირუტყვის გონისაგან განსხვავდება, მაგრამ არა ყველგან და ყოველთვის.

256. ადამიანს ლოცვა-ვედრება ვერაფერს შესძენს, თუ მან სიკეთე და მოვალეობა გულით არ მიიღო.

257. მორჩილება და თავმდაბლობა კარგია, მაგრამ ეს სხვადასხვა პრობლემის მქონე ადამიანს არ გამოადგება.

258. რწმენამ ზოგჯერ ზედმეტად თავის ატკივება იცის, მაგრამ, ადამიანურობა რომ შეინარჩუნო, ეს აუცილებელია.

259. ყოველივეს გამომზეურება დაუშვებელია, რაღაც წმინდა ხომ უნდა დავუტოვოთ ჩვენს ქომაგებსა და საკუთარ თავსაც, რათა საბოლოოდ ადამიანებად დავრჩეთ და არა წინასწარ დაპროგრამებულ რობოტებად.

+260. ჩვენი ცხოვრება ექსპერიმენტია იმპროვიზაციის თანხლებით. სხვანაირად ნორმალურ ადამიანს ყოფნა უჭირს.

261. სამყარო ადამიანებს იმ ცოდნას უმხელს, რაც დღეს აუცილებელია მათი პროგრესული არსებობისთვის.

262. ადამიანს უნდა ჰქონდეს რაღაც ისეთი სათუო, სანუკვარი, რისთვისაც სიცოცხლეს არ დაინანებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ამქვეყნიური არსებობის მადლი საეჭვოა.

263. ადამიანმა შინაგანად უნდა იგრძნოს, რა არის კანონიდან გადაცდენა, რა არის საჭირო, რომ მან ამქვეყნად ყოფნის მადლი შეიგრძნოს.

264. ასაკი და მოვალეობის რეალური შეცნობა ქმნის საქმიანობის სიყვარულს, რაც ადამიანს აყალიბებს.

265. თუ ადამიანმა თავისი ქმედებისთვის პასუხი არ აგო, ის პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდება.

266. ძლიერი შინაგანი ბუნების უქონელი ადამიანი ვერც წარმოჩნდება და ვერც თავის ქვეყანასა და ხალხს წარმოაჩენს.

267. არის ადამიანური თვისებები, რომელთა დანახვა მიკროსკოპითაც შეუძლებელია, მაგრამ სად, როდის და როგორ წამოყოფს თავს, არავინ უწყის.

268. სამყაროს გონიერებისა და დროის სივრცის თანდათანობითი დაუფლებაა ადამიანისათვის უმთავრესი.

269. მომავალში ეკოლოგიური ცოდნა გადაარჩენს ადამიანს და არა სამყაროს შეუცნობელი მხარეების შეცნობა.

+270. დასამახსოვრებელი ადამიანი არასოდეს ჰგავს სხვას.

271. სულიერად დაჭრილი და ხორციელად დაკოდილი ის ადამიანია, რომელიც ძალზე განიცდის ირგვლივ მყოფთა გაჯეჯილებას.

272. ადამიანისათვის თანადგომაა უპირველესი და არა მისი პრობ-

ლემების გადაწყვეტა.

273. ბედნიერებაა, თუ ადამიანს აქვს მისწრაფება, ბოლომდის დაიხარჯოს. თავისი თავის მნიშვნელობას უკეთ შეიცნობს.

274. გართობის „ასობით“ სახეობა რომ არ გამოენახა ადამიანს, იგი დღემდე ვერ მოაღწევდა.

275. ზევსი ნებისყოფის ღმერთია, ათენა პალადაა – სიბრძნის, ვენერა – ვნების, ბახუსი – ღვინის. ხოლო მათი გაერთიანება და ერთი „სამმართველოს“ შექმნა ადამიანს თავადვე აქცევდა ღმერთად.

276. ზოგჯერ იმ ადამიანებსაც „ვუყეფთ“, რომლებსაც არ ვიცნობთ და, შესაძლოა, გარემოებათა შედეგად მომავალში ჩვენი მეგობრებიც კი გახდნენ.

277. სიმდიდრე გონიერ, შემოქმედ პატრიოტთა ხელში ბოროტებად არასოდეს იქცევა.

278. პიროვნების შესაფასებელი ლაკმუსის ქაღალდი მისი ჭირში გამოცდაა და არა ლხინში.

279. ადამიანი საბოლოო ცხოვრებისეული გზას გონიერებითა და ბედის გადმოხედვის შესატყვისად დაეძებს, რადგან მისთვის ხშირად სამშობლოც პირობითი აღქმაა, რადგან უკეთესი ცხოვრების ძიება სად გადაკარგავს, არავინ უწყის.

280. ადამიანისათვის დამახასიათებელია ამაღლებაც, დაცემაც და აქ არაფერი ესაქმება ფილოსოფიასა და ინტრიგებს.

281. მართალია, ადამიანს არ უნდა უძახო ყეყეჩი, უხიაგი, უსაქმური, მაგრამ არც ისე უნდა წაუყრუო, რომ ამად იქცეს, რადგან მისი გაორებულ-გაუხედნავი ბუნება საბოლოოდ გადაგვარდება, გაქრება და ფაუნაც ერთ პოტენციურად გამოსადეგ ცოცხალ არსებას დაკარგავს.

+282. გულის კანონი ხშირად არ ეთანხმება გონისას, სულიერება ხშირად მხარს არ უჭერს ხორცის ლტოლვას, ყური არ უჯერებს თვალს, სურვილი და ვნება ერთმანეთს ვერ უგებენ, შემეცნების წყარო მხოლოდ გონიერება არ არის. ასე რომ, ადამიანის კონსტრუქციაშიც ბევრი შეუსაბამობაა, რომლის აღმოფხვრას არავინ ცდილობს და, რომც ეცადოს, არა გამოუვა რა.

283. სინდისისა და განსჯის უნარის ხშირ-ხშირად კარგვა ადამიანს ადამიანობას აკარგვინებს.

284. ჩვეულებრივი მოკვდავი, რომელიც გონიერებაზე თავს არ დებს, დიდებული ადამიანია, ოღონდ ჩვეულებრივად დიდებული.

285. ადამიანს მისთვის გასაგები ყოფის ალგორითმები გონიერების სიდიადედ არ მიაჩნია.

286. მთავარია ადამიანთა შორის სხვაობის დადგენა და არა თავად ადამიანი და მისი განწყობა.

287. ოცნება და წარმოსახვა მარად იყო ადამიანის ცდუნების წყა-

რო და ასეთადვე დარჩა.

288. ადამიანის ბუნება არ იცვლება, იცვლება მისი „ფუტლიარი“, მსოფლმხედველობა და მისდამი დამოკიდებულება.

289. ადამიანმა თავი ბედნიერად უნდა იგრძნოს, მასზე განგებით დაკისრებული მოვალეობა სათანადოდ რომ აღიქვას.

290. ბევრი ცხოველიც კი არ იკადრებს ზოგიერთი ზნედაცემული ადამიანის მსგავსებას.

291. როდესაც ადამიანი რეალურ შესაძლებლობებს ხელიდან უშვებს და დასახულ მიზანს ვერ აღწევს, ის თავის კანში ვერ ეტევა და საკუთარ თავს შეკურთხებასაც არ აკლებს.

292. სანამდის ადამიანს სმის კულტურას ვასწავლიდეთ, მანამ ხარისხიანი სასმელების დამზადება და დაგემოვნება უნდა ვასწავლოთ.

+293. ადამიანი ღმერთს კი არ ეურჩება, არამედ ეჯუჯღუნება და მის წინაშე ბავშვივით ეშმაკობს.

294. ადამიანებს ერთმანეთი ანგარებისა და შურის გამო სძულთ, სხვა მხრივ საერთო ინტერესები თუ გამონახეს, შეყვარებაც შეუძლიათ, ოღონდ გარკვეულ დრომდე და შემთხვევამდე.

295. ადამიანი ბედნიერების მრწამსს ვერასოდეს შეიგნებს, რადგან აქვს გენეტიკური დაავადება – ის მარად უკმაყოფილო უნდა იყოს.

296. ადამიანისთვის რაც გაურკვეველი, შეუცნობელია და გონიერებას მისი დასაბუთების უნარი არ შესწევს, ისაა ღმერთი, სხვა ყოველივე მიმბაძველობა და ტრადიციებია.

297. ადამიანმა უნდა დაიცვას ქცევის ნორმები „ვითარცა ჯერ არს“ და იქაური ქვეყნის ქუდი დაიხუროს, რომელშიც ცხოვრობს.

298. განგებამ რაც ადამიანს დააკლო, ის ფაუნას მოჭარბებულად მისცა (ყნოსვა, გამრავლების უნარი), რათა ფაუნის წარმომადგენლებმა ერთმანეთი დააფასონ და ჩვენთვის გაუგებარი უარყოფითი ახლოს არ გაიკარონ.

299. ადამიანი არ გარდაიქმნება, მასში არაფერი იცვლება, ის, უბრალოდ, დროისა და ტექნიკური პროგრესის შესატყვისად კანს იცვლის და გარემოს ეგუება.

300. ადამიანს სიცოცხლეს აზროვნება უხანგრძლივებს და არა „ფუტლიარი“.

301. შეუძლებელია, იწოდებოდე ადამიანად, თუ რაიმე პასუხისმგებლობა არ გაკისრია.

302. გაორებულ გარემოში ადამიანს საკუთარი თავის შეცნობაც უჭირს და რა გასაკვირია, რომ თავისი დროების აღქმაც გაუჭირდეს.

303. სიყვარულსა და სიძულვილს ხშირად დანაშაულობამდე მივყავართ, რადგან მაინც გაუცნობიერებელი ბუნების არსებანი ვართ.

304. ადამიანების შეყვარებას და განგებისთვის პატივის მიგებას

აღზრდასთან ერთად ბუნება უნდა ახდენდეს.

305. ფუფუნება და არა პროგრესული ცხოვრებისკენ მისწრაფება, იწვევს იდეოლოგიის, რწმენისა და ადამიანის გადაგვარებას.

306. ადამიანი, რომელიც სიამოვნების უნარს კარგავს, ცხოველს დამსგავსებული ფართო მოხმარების ხეპრეა.

307. ადამიანები ხშირად მიზერული შედეგების მისაღწევად გარკვეულ პრობლემებს უქმნიან ერთმანეთს.

308. ადამიანმა თავისი ბუნება გარემოს უნდა მოარგოს და ამ ბუნების შემხედვარემ შესატყვისად იცხოვროს.

309. ადამიანს განსაცდელი აქცევს რწმენის მსახურად და არა მხოლოდ თანამდებობა და ფული.

310. შენი გრძნობების გამგებ ადამიანთან შეხვედრა სიცოცხლის ხალისსა გმატებს.

311. ადამიანი სამყაროში გონივრულ ცხოვრებას უნდა ეცადოს და არა მის გაგებას, რადგან ეს მაინც შეუძლებელია.

312. ყოველივე გადაჭარბებული და მოზღვავებული ადამიანს აღაფრთოვანებს და ყოფას ხიბლს ჰმატებს.

313. უღვთოდ ადამიანებს ცხოვრება უჭირთ, რადგან სამყაროს შეცნობის უნარი თავად არ შესწევთ.

314. ადამიანი, რომელიც თეორიულად სიყვარულს სიძულვილს ამჯობინებს, პრაქტიკულად პირიქით იქცევა.

315. ადამიანის ღირსების დევალვირებას, სიცოცხლის გაუფასურება იწვევს.

316. თუ სხვათა გაჭირვება-დალხინების არსი გესმის, უკვე შემდგარი ადამიანი ხარ.

317. ადამიანმა თავისი მეობით რაც არ უნდა თავი მოიწონოს, მის საზოგადოებრივ მდგომარეობას მაინც ფული და თანამდებობა წყვეტს.

318. ადამიანი, რომელიც საზოგადოების აზრს ანგარიშს არ გაუწევს, განათლებული დებილია, „ბოევიკია“.

319. სიკეთეთა კეთება ადამიანის გენზე, ბუნებასა და არსებულ ვითარებაზეა დამოკიდებული.

320. ხასიათგამოცვლილი ადამიანი მაინც ქამელეონია და მლიქვნელობის მიდრეკილება აქვს.

321. ადამიანი ყველაზე უკეთ საერთო ბიზნესის კრიზისისა და ქონების გაყოფის ჟამს შეიცნობა.

322. ადამიანის ჩაგვრას ყველა წყობაში ანაზღაურება არეგულირებდა და მასზე იყო დამოკიდებული მჩაგვრელის და ჩაგრულის დაპირისპირება და ურთიერთობა.

323. ადამიანს თავის დაძვრენა მრავალი განსაცდელისაგან უხდება და ახერხებს კიდეც, თუ ბედი და განგების ნება არ გაწირავს.

324. სოციალური მდგომარეობა, ტექნიკური პროგრესი ადამიანის განსჯას ცვლის, იმისდა მიუხედავად, მოგვწონს თუ არა.

325. ადამიანის ყოველდღიური ყოფა ტანგოს ცეკვასა ჰგავს, როცა გამოიღვიძებენ „შეგეშალა“, „გააგრძელეს“ შეძახილებით. მთავარია, არ დაიბნე და ცხოვრებამ ნიშნი არ მოგიგოს.

326. თუ ადამიანი რჩევას ვერ იყენებს, მას ჭკუის სწავლებით ნუ გადაღლით.

327. თავისი დროით „დაუთოებული“ ადამიანი მომდევნო თაობებს თავისი გადასახედიდან ნებაყოფლობით მოძღვრავს და, თუ რამდენად გამოადგებათ ახალგაზრდებს მისი ჭკუის სწავლება, ეს არ აინტერესებს.

328. ყველა ჭკვიანი და შემოქმედი ადამიანი ბუნებით დიქტატორია.

329. ცოდვების ჩადენას მონანიება, ტირილი და თავში ხელის ცემა რომ შველოდეს, „ადამიანის ბედს მაშინ ძაღლიც არ დაჰყეფდა“.

330. კარგ ადამიანთან ურთიერთობაც გსიამოვნებთ და მისი პიარის რეალიზაციაც.

+331. სურვილების კორიანტელი ადამიანის ჩასახვიდან იწყება და სიცოცხლის ბოლომდის ნამქერივით თავს დაგვტრიალებს.

332. ადამიანის ცხოვრება სპექტაკლია, რომელიც ზოგჯერ დაუგეგმავად გვეფერება.

333. დღეს ადამიანი პირუტყვის როლში გვევლინება, თუ მას დაფინანსება და ვიღაცისთვის გასაგები პიარიც თან ახლავს.

334. ადამიანი ერთბაშად არ შეფასდება, რადგან ის მრავალმხრივი, გამოუცნობი და განუსაზღვრელი ფენომენია.

335. ადამიანის ყველაზე დიდი გართობაა ოცნებით წარსულსა და აწმყოში მოგზაურობა.

336. წყალობა (და არა ქრთამი) მერყევი ადამიანის ყველაზე კარგი დასაბმელი თოკია.

337. უსაქმოდ, უპასუხისმგებლოდ დარჩენა ადამიანთა გარკვეულ ნაწილს აწამებს.

338. ადამიანის ორგანიზმის მექანიზმი ბოლომდის დღემდე შეუსწავლელია და, მიუხედავად მეცნიერების მცდელობისა, ასე დარჩება.

339. ადამიანს შინაარსიანი თავმდაბლობა ამშვენებს და არა პროვინციული სიმორცხვე.

340. ტექნიკური პროგრესი იმდენ საოცრებას გვთავაზობს, რომ ადამიანს აოგნებს, მაგრამ იგი ამ საოცრებას არც ეპუება და არც უკვირს.

341. ღმერთმა შექმნა ადამიანი თუ ეს პირიქით მოხდა, დღესაც დასადგენია, მაგრამ, ადამიანი რომ უგუნურების სალაროს მითვისებას ცდილობს, ეს აშკარაა.

342. განწმენდას ადამიანის სულიც ითხოვს, გონიერებაცა და მსოფლმხედველობაც, მაგრამ ამგვარი ფილტრის გამოგონება ჭირს.

343. საქმის მცოდნე ადამიანები ერთეულებია, ხოლო უცოდინარები – უამრავი. ამიტომაც მათ შორის ანტაგონიზმი გამართლებულია.

344. სხვათა გამხნევებით და თავისი თავისათვის შეძახებით ადამიანი გაჭირვების საწინააღმდეგო იმუნიტეტს გამოიმუშავებს.

345. ადამიანები თავიანთ წარსულს სიამოვნებისთვის თხზავენ და მომავალზე ოცნებობენ.

346. ცივილიზაცია ადამიანს გარკვეულ ღირსებებს აკარგვინებს და ზოგ სათუო ღირებულებას შეაძენინებს.

347. ადამიანმა თავისი ღირსების კოდექსი თავადვე უნდა გამოიმუშაოს და სასიკეთოდ გაითავისოს.

348. ადამიანი ვალდებულია, ააშენოს კარგი ქვეყანა და არა გამზადებულ კარგ ქვეყანაში გადავიდეს საცხოვრებლად.

349. მოწოდებით არ მოგვიწოდებენ, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა მაინც თავისი დროის „პროსტიტუტკაა“ და მატერიალიზმის საწყისს ემორჩილება.

350. პრივილეგია ადამიანის თვითკმაყოფილების ერთ-ერთი ატრიბუტია.

351. ადამიანისთვის ჩალიჩის უნარი ღვთისგან ნაბოძვარი ხელოვნებაა.

352. ახლის შეცნობაში ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს.

353. ადამიანისა და ბედისწერის შერკინება მანამდის გაგრძელდება, სანამდის სამყარო არ გაქრება.

354. „ნაცრისფერ“ ადამიანთა ოდენობა თანდათან მატულობს, მიუხედავად ცივილიზაციის წინსვლისა.

355. ადამიანურად რომ იცხოვრო, პირველ ყოვლისა, მოწოდებაა უმთავრესი, მერმედ – შემართება და მიზანდასახულობა.

356. ზოგი ადამიანის ქცევას რომ უყურებ, ეჭვი გეპარება, წერას ხომ არ აუტანიაო.

357. ადამიანმა უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავზე ზრუნვა უნდა ისწავლოს, თუ უნდა, რომ სხვაზე ზრუნვაც გაითავისოს.

358. ადამიანური გრძნობების გამოხატვა ყველას აღელვებს და ის მუდმივ განზომილებად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მოდური მიმართულება ცვალებად ექსტრიმს გვთავაზობს და დროებითია.

359. ადამიანი მარტო იბადება. ამიტომ უნდა ეცადოს, ამქვეყნიური სიამოვნებაც მარტო განიცადოს, თუნდაც უბედნიერესი ახალგაზრდული წლების გახსენებით.

360. ვეცადოთ, ნებისმიერ ადამიანს გამართლება მოვუძებნოთ პი-

რად ცხოვრებაში და ვიპოვოთ დადებითი მის ქმედებაში, თუ გვინდა დავრჩეთ ადამიანებად, რადგან, ზოგჯერ რაც ჩვენ არ მოგვწონს, სხვისთვის ის მისაღებია.

361. აუტისტი, ჩვენს შემთხვევაში: განათლებული ყბედი ლიდერია, რომელიც რეალობისგან შორს დგას – მარად ყოველივეს სხვისგან მოითხოვს, ხოლო შემოქმედი ადამიანი თავად ქმნის სასიკეთო წამოწყებების თაოსანია და პოლიტეკონომიასთან მეგობრობს.

362. გარკვეულ სიტუაციაში ადამიანად მიჩნეული ჰომოსაპიენსის ქცევა გაკვირვება-გაოცებას იწვევს, მაგრამ ის მაინც ადამიანად დაპროგრამებულია და მისი აუხსნელი ქმედებაც ბუნებრივი ამბავია.

363. საკუთარი ბიოგრაფიაც კი დროისა და გარემოს შესატყვისად ადამიანის შეფასების ობიექტიური საზომია.

364. ყველა ადამიანი ერთი ხერხით ევლინება ამ ქვეყანას, მაგრამ სხვადასხვა ინკუბატორში ხვდებიან და იზრდებიან.

365. ადამიანს ყოფიერების ღადარში ყოფნა აწრთობს და კაცად აქცევს.

366. ცხოველი ექსპრომტად მიირთმევს ბუნების ნაბოძებს, ხოლო ადამიანი აგროვებს და გადაარჩევს.

367. ადამიანი ცოდვილიცაა და საძაგელიც, მაგრამ განგება იძულებულია, შეუნდოს, რადგან უიმისოდ სამყარო მისი მშვენიერების შემამჩნეველს დაკარგავდა.

368. ყველა დროის ადამიანში საკმაო რაოდენობით გვხვდება სარეველა, რომლის ამოძირკვაშიც დროულად უნდა დავეხმაროთ ბუნებას, განგების ნებას.

369. სიცოცხლის ბოლომდის, შეიძლება, ვერც ის გავიგოთ, ვინა ვართ, რას წარმოვადგენთ, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს, საკუთარი მეობის შეცნობაზე ხელი ავიღოთ.

370. ზოგჯერ მცირე ღირებულებებიც უნდა დავაფასოთ, რათა თავი ადამიანად ვიგრძნოთ.

371. ბრბო ხალხის საწარმოებელი ნედლეულია, რომლის გადამუშავების შემდგომ სხვადასხვა შემეცნების, ნიჭისა და ასორტიმენტის ადამიანებს ვიღებთ.

372. ადამიანის გონი მრავლისმომცველ ინფორმაციას ფლობს, მათ შორის ისეთსაც, დღევანდელი სამყაროს ცნობიერებას რომ სცილდება.

373. ადამიანი, რომელსაც საკუთარი აზრის დაბანდება შეუძლია, უკვე პიროვნებაა.

374. ადამიანის ღირსებაა, როდესაც მოწინააღმდეგეს მხარს უჭერს სამართლიანობის აღდგენისას და საჭიროების შემთხვევაში თანაუგრძნობს კიდეც.

375. ადამიანის უკეთ შეცნობა შესაძლებელია, თუ მის სამომავლო

გეგმებს, იმედებს საფუძვლიანად გაეცნობი.

376. თუ სხვათა წარმატება ყოველგვარი ქვენა გრძნობის უქონლად გიხარია – როგორც ადამიანი, უკვე შემდგარი ხარ.

377. ჯანმრთელობა, ფული, კარიერა – ესაა ადამიანის ოცნების ანი და ბანი. რაც შეეხება ამქვეყნიურ უკვდავებას, ამდაგვარი მენტალიტეტის ხალხისთვის ეს უსინდისობაა და ამაზე დაფიქრებაც არა ღირს.

378. შრომისა და მოწოდების უქონლად ადამიანი პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდება.

379. ღმერთსა და სამყაროს შორის მანძილს ისევ ადამიანის ცნობიერება ზომავს.

380. ადამიანი ადგენს მტრებს და არა მოყვრებს.

381. თეორიულად ადამიანები უნდა ვცხოვრობდეთ ურთიერთსიყვარულით, გაგებით, მაგრამ მატერიალიზმის და კარიერიზმის ეპოქაში პრაქტიკულად ძალზე ძნელია, ერთმანეთს ფეხი არ დავუდოთ.

382. ადამიანი უნდა ეცადოს, პრობლემები არ შექმნას, მცირედი გაუგებრობა ყურად არ იღოს და არც სანერვიულო ექნება რამე.

383. ადამიანი ანგარიშს უწევს: ძალას, შემართებას, ფანტაზიის უნარს, ცოდნას, ინტუიციას, გამოცდილებას, ზემდგომსა და ასაკის ჭირვეულობას.

384. ადამიანის შინაგანი მოწოდებაა, სიცოცხლის მადლი იგრძნოს და მას აზრი შესძინოს.

385. „ევგენიკა“ – ადამიანთა სელექციაც კი არ შველის ადამიანის ბუნება-გუნების შეცვლას, იმდენად შეუცნობელია მისი გენი და განგების ჩვენთვის გაუგებარი ახირება.

386. სამოთხე მხოლოდ საკუთარ თავში უნდა მოვიძიოთ რწმენის, შემართებისა და მოთმინების სახით.

387. ყველაზე უღირს ადამიანშიც კი რაღაც კარგის მოძიება შეიძლება, თუ მას გონივრულად და იუმორის მოშველიებით მოვჩხრეკთ და წარმოვაჩენთ.

388. მომაკვდავიც მის ნაქნარ სასიკეთო საქმეებს იხსენებს და ნუგეშის სახით სამაგიეროს მიგებას ითხოვს.

+389. ზოგჯერ მადლიერება უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ყველა სხვა საჩუქარი.

390. ტრადიციების გადაჭარბებულ ერთგულებას და მათი დაცვის მცდელობას ადამიანი გამოთაყვანებამდე მიჰყავს.

391. არშინით ცხოვრება მეტრით ცხოვრებამ შეიცვალა, მაგრამ ადამიანის გონს ამით არაფერი შემატებია.

392. მართალია, როგორც პიროვნებებს, მლიქვნელობა გვეზარება, მაგრამ, როგორც ადამიანებს, დედის გინებას მაინც ის გვირჩევნია.

393. ადამიანი კეთილია, ხალხი ბოროტია, ხოლო მასას რა სურს, თავად არ უწყის.

394. ზოგჯერ ადამიანი საკუთარ თავში დაბუდებული აზრების უცნაურობათა რკვევა-განსჯას უნდება.

395. ადამიანს სიკეთის ჩადენა და შემართება მარად ამშვენებდა და ამშვენებს.

396. დღეს რესტავრაცია, რემონტი ყველაფრისა შეიძლება, მათ შორის, ადამიანის ცნობიერებისაც.

397. ამბობენ: ადამიანი ყველაზე ჭკვიანიაო, იმის მიუხედავად, რომ მისი თავის ტვინის ზომა და წონა ზოგიერთი ცხოველისას ჩამორჩება.

398. უკეთესი შთამომავალი დათვის ბელის, კატის კნუტისა და ადამიანის ნაშიერის სახით ყველა მშობელს უნდა.

399. პრეცედენტები ადამიანებს გონებას უბნევენ, მაგრამ შეიძლება ტრადიციადაც ექცეთ.

400. სამწუხაროდ, ადამიანები ასმუცელობას ირჩევენ, როდესაც ერთი მუცლის ამოყორვაც საკმარისია.

401. ადამიანის მსგავსი რობოტის შექმნას წინ აღარაფერი უდგას, მაგრამ, ვშიშობ, ბოლოს და ბოლოს მასაც ნამდვილი კაცური თვისებები არ დააკარგვინონ.

402. უფლის ნაჩუქარ ნიჭს ადამიანი იყენებს, თუ როგორ, ეს გარემო პირობებზეა დამოკიდებული.

403. ცივილიზაცია ადამიანებს უფრო პრაქტიკულს, გულქვას, რაციონალურსა ხდის.

404. ადამიანური თვისებების შეფასების კრიტერიუმები დღესაც დადგენის სტადიაშია.

405. ბუნება მბრძანებელი და ბრძენზე უბრძნესია, თუ ადამიანი მის ნება-სურვილს ანგარიშს გაუწევს.

406. წარმომავლობამ და გენმა „ვისი გორისა ხარ“ ჭირი მოგვჭამა, იმდენად გლობალური გახდა ადამიანის აზროვნება.

407. მოსალოდნელი ამინდის ამოცნობა ისწავლა ადამიანმა, მაგრამ საკუთარი გათავხედების უნარს ალღო მაინც ბოლომდე ვერ აუღო.

408. კოსმოსიც თავის პოეზიასა და პოეტებს ითხოვს. მომავალში ეგ კიდევაც მოხდება, რადგან მასთან შეხება ადამიანებს აუცილებლად მოუწევთ.

409. ადამიანი სურვილებსა და ნდომას თავისი გადასახედიდან აკონტროლებს.

410. სასურველია დალოცვილი აზრების მოსმენა, მაგრამ დალაგებული აზრების ქონა აუცილებელია გონიერისათვის.

+411. ადამიანის გონება ყველგან და ყოველთვის იღვწის, თუ ის დასასვენებლად – სისულელის ჩასადენად – არ არის წასული.

412. მალე გზა გაიხსნება კოსმოსისკენ და მალე რიგი დადგება სხვადასხვა პლანეტაზე ცხოვრების მსურველებისა, რადგან ადამიანს თავგადასავლი მიდრეკილება აქვს.

413. გრავიტაციულ მოვლენებს, რაც დედამიწას აწრთობს, ადამიანის ბუნებაც ეჩვევა.

414. სიხარული-მწუხარება, ცრემლი-სიცილი, ძალა-უღონობა, პესიმიზმი – ოპტიმიზმი – ყველაფერი ეს ადამიანის ჩამოყალიბების საწინდარია.

415. ადამიანთა შორის მთავარი პრობლემაა სიძულვილი, დაპირისპირება, შური, რომელიც პატრიოტი კაცისთვის მიუღებელია.

416. მუდმივი სიყვარული, როგორც მუდმივი დაუგეგმავი შრომა, ადამიანს აღაგზნებს და თან ფიტავს.

417. ადამიანთა უმრავლესობა, მცდელობის მიუხედავად, ზედაპირულად აზროვნებს.

418. ადამიანად გახდომა შედარებით ადვილია, კაცობის შენარჩუნებაა ძნელი.

419. ხალხია უგუნურების ბუდე და არა მხოლოდ ადამიანის გაუცნობიერებლობა.

420. ადამიანი განათლებული ცხოველია, გაურკვეველ-მოუმწიფებელი აზრებით აღსავსე.

421. გველის ბუნებისა და ჭკუის ადამიანს ნუ ჩავიხუტებთ. ის საბოლოოდ სანდო მაინც არ არის.

422. სიკვდილმა არც შეცოდება იცის, არც იმქვეყნად გასტუმრებული ადამიანის ფასი.

423. ცხოვრებამოწყობილ ადამიანს მშვიდად და თავის შეუწუხებლად ყოფნა უნდა. ამიტომაც სხვათა მოუწყობელი ცხოვრება დიდად არ ადარდებს.

424. თხუნელას ბუნების ადამიანები ყველას საფლავს უთხრიან, ვისაც კი კონკურენტად მიიჩნევენ.

425. პიროვნება იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, თუ მომავლის მისეული განჭვრეტა რამდენად ზუსტად მოერგო დროს, გარემოს, პირობებს.

426. ადამიანთა ურთიერთობა ფორმა კი არა, შედეგია სულიერებისა და აქ მთავარია, თუ როგორ ერგებიან ურთიერთს.

427. სამყაროში „ზედმეტი“ ადამიანების რაოდენობა თანდათან მოიმატებს, თუ მათთვის სამუშაო ადგილებს არ შევქმნით და ხალხს იმედით არ აღვავსებთ.

428. ადამიანის უმთავრესი დევიზი უნდა იყოს: ეძებეთ, იღვაწეთ და თავს დროულად მიხედეთ – დაიცავით იგი!

429. ადამიანი „ფუტლიარი“ სულ იმის ცდაშია, რომ მისი უსუ-

სურობა შეუმჩნეველი დარჩეს.

430. ადამიანს ზოგჯერ იმდენი უგვანობა გადახდება თავზე, რომ სიცოცხლე არ ჰყოფნის, ამქვეყნად ყოფნის მადლი ნაწილობრივ მაინც შეიცნოს.

431. „ბრძოლა არსებობისათვის“ ადამიანს აიძულებს, იყოს ის, რაც არის.

432. მადლის შეცნობასა და სიკეთის კეთებას ყველა ჩვენგანი უნდა ეცადოს, თუ უნდა, თავი ადამიანად იგრძნოს.

433. ადამიანში უპირველეს ყოვლისა მისი შინაგანი მშვენიერება უნდა დაფასდეს და შემდგომ – გონიერება.

434. ალბათ, ყველაზე ბედნიერი ადამიანები იქმნება ისინი, რომლებიც მომავალ წარღვნამდე ერთი საუკუნით ადრე დაიბადებიან, წარღვნაში მოჰყვებიან და ნახავენ ტექნიკური პროგრესის იმ სასწაულებს, რომელთაც ჩვენ ოცნება-ფანტაზიითაც კი ვერ წარმოვიდგენთ.

435. ყველა ადამიანი თავის საუკუნეს ეჩალიჩება და სილას აწნავს და თავადაც იწნავს.

436. გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნა ყველა ადამიანის მოვალეობაა.

437. გონიერ, შემოქმედ ადამიანებს ცხოვრების, ციფრების, ფაქტების, წარსულის ანალიზის მიხმობით უყვართ საუბარი, ხოლო აუტისტი მასის ამბიციებს, სურვილებსა და ცარიელ პატრიოტიზმს იყენებს.

438. ადამიანის გონივრული გადაწყვეტილებაა: ბოროტებას არ შეეხმიანოს, შეურაცხყოფას არ უმასპინძლოს.

439. გაუმაძღარი ადამიანის ბუნებაა და არა თვითონ ადამიანი.

440. ადამიანი ასეთია თავისი ბუნებით: თუ იცის, ვერ შეამჩნევენ, შეუძლია, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის ფულიც არ გადაიხადოს.

441. დაუმსახურებლად, მოვალეობის შეუცნობლად სიკეთის კეთებაც დანაშაულია – საზოგადოებრივი აზროვნება ირყვნება და ადამიანს დროის მომხმარებლად, პრიმიტად აქცევს.

442. კარგი და კეთილი ადამიანი ყველას უყვარს თავის გემოვნებისა და სულიერების შესატყვისად, რადგან სიკეთე არ იყიდება.

443. ადამიანის უფლებებს თუ ჭკუა-გონებას, წინხედვას, მოთმინების უნარსა და დიპლომატიას არ შევუზავებთ, მივიღებთ უკონტროლო საზოგადოებას.

444. არიან წესიერი ადამიანები, თავიანთ წესიერების გამო ამქვეყნად ყოფნა რომ უჭირთ.

445. ადამიანი შეიძლება სიყვარულის გამოისობით არა მარტო შეცდეს, არამედ სისულელეც ჩაიდინოს და ამიტომაც ჭირს ხშირად

მისი დაჯერება და განსჯა.

446. საჩვენო დონის ადამიანი ჩვენივე ვნებათაღელვის შესატყვისად უნდა იკითხებოდეს და იღვწოდეს.

447. ადამიანი თავისი ნებით სიბნელიდან გამოსვლას ყოველთვის ვერ ახერხებს, თუ მას არ შეუძახებენ და წაეხმარებიან.

448. ჭკვიან ადამიანთან ცხოვრება დიდ ძალისხმევას მოითხოვს და მას სიყვარულით შეზეთვა ყოველთვის როდი შველის.

449. ადამიანზე მისი მეგობრის განათლების მიხედვითაც შეგიძლიათ იმსჯელოთ.

450. ადამიანები გარკვეულ დრომდე ყოფის ეკლიან გზაზე მოსიარულე მგზავრები ვართ.

451. საზოგადოება მაშინ ცდილობს ბრბოს, მასის გაერთიანებას, როდესაც შემოქმედ ადამიანთა ნაკლებობას განიცდის.

452. ძაღლს ერთგულებაში ვერავინ შეედრება: მას ყველაფერი ესმის, გრძნობს და პატრონს სიყვარულით პატივს მიაგებს, ზოგიერთი ადამიანებისგან განსხვავებით.

453. ზოგი ადამიანის გენს არც წვრთნა შველის, არც აღზრდა, თუ გარდაუვალი დასჯის არ ეშინია.

454. ადამიანმა იმდენი უნდა იმყოფინოს, რისთვის მისი ცნობიერებაც მზად არის.

455. სამყაროში არაკანონზომიერი არაფერი ხდება და ჩვენ, ადამიანები, ფაქტობრივად ამ სამყაროს უმწეო, უმეცარი სტუმრები ვართ.

456. ადამიანები, რომლებიც ფულით არ არიან გაფუჭებული, კარგი ხალხია, მაგრამ, სამწუხაროდ, თანამედროვე ცივილიზაციას არიან ჩამორჩენილნი.

457. ეროტიკა თავისებური გატუტუცებაა და გათვლილია ადამიანის ბუნებრივ და თანდაყოლილ სისუსტეზე.

+458. დასაკარგავი ყველას უნდა დავუტოვოთ, თუ გვინდა, რომ მათ ადამიანობა შეინარჩუნონ.

459. ადამიანის გონი უფრო შემოქმედი ხდება, როდესაც თავისი სასიკეთო შესაძლებლობების შეცნობას ისწავლის.

460. ადამიანი სიამოვნებისა და უსიამოვნების შერწყმის განტოლებაა.

461. ჯერ უნდა გაიღო, რომ რაღაც მიიღო. ეს ყველა რჯულისა და რწმენის ადამიანმა უნდა შეიგნოს, გაითავისოს.

+462. ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც თავისი „მათხოვარი“ მთავრობისა და შურიან თანამოქალაქეთა ქვეყნისგან არაფრის თხოვნა არა სჭირდება.

463. რწმენის დევალვირება, მიტოვებული ნათესავები, არშემდგარი სამშობლო ძალზე მოქმედებს ადამიანის საბოლოო ჩამოყალიბებაზე.

464. ზოგჯერ პატიება უმაღლესი სასჯელია იმ ადამიანისთვის, ვისაც ჭკუა მოეთხოვება და სინდისიც არ დაუკარგავს.

465. კარგი ადამიანია, მაგრამ გულკეთილია, მიმნდობია; ცუდი ადამიანია, მაგრამ უნდოა, ხელმომჭირნეა. აქ არჩევანი უნდა გაკეთდეს გონიერებით და პრაქტიკული გამოსავლის თვალსაზრისით.

466. ადამიანი, რომელიც დროს კლავს, საზოგადოებას პატივს არა სცემს.

467. ადამიანობის დაკარგვა იწვევს ქვეყნის ერთიანობის ნგრევას და ხალხის მასად და ბრბოდ დაყოფა-დანაწილებას.

468. ადამიანს თავისი არცერთი წარმატებული ნახტომი ცხოვრებაში არ აკმაყოფილებს, რადგან მას მუდამ კუთვნილზე მეტი უნდა.

469. დროებითი გაჭირვება კაცს არ კლავს, მაგრამ აწრთობს და თავის წარმოჩენის უნარს უმძაფრებს.

+470. ცოდნა ადამიანს ძალას მატებს, ხოლო შემართება – იმედს.

+471. ადამიანს სიკეთე ზომიერად უნდა გავუკეთოთ და არ გადავამეტოთ, რადგან, როდესაც სულს მოითქვამს, მის დღევანდელ ბიოგრაფიას თქვენი დახმარება ეთაკილება.

472. ზომიერად მაღლა ყურებას თუ ადამიანი მოიშლის, ის პიროვნებად ვერასოდეს იქცევა.

473. სიკეთის კეთების სურვილი ადამიანობას გვინარჩუნებს.

474. ჭკვიანი ადამიანი აღიზიანებს ისეთ ადამიანებს, რომელთაც მასას უწოდებენ.

475. პრაქტიკულად ადამიანის ბოლომდე შეცნობა შეუძლებელია, თეორიული მოსაზრებებისაგან განსხვავებით.

476. ორი ადამიანის გარდაუვალ დაღუპვას ისევ ერთის თავის დადება სჯობს, რადგან მეორე ვალდებულია, ის სამუდამოდ დაიმახსოვროს.

477. ცხოველები უკეთ გრძნობენ, როდის უნდა დაიხოცონ, ხოლო ადამიანებმა ეგ დაბადებიდანვე იციან, მხოლოდ დროის დაუკონკრეტებლად.

478. ადამიანი შეიცნობა მასთან ერთად საჩოთირო საქმის კეთებაში.

479. ადამიანები თუ ერთმანეთს ანგარიშს გაუწევენ, ბევრ საფრთხესაც თავიდან აიცილებენ.

480. ადამიანმა იცის, რომ მოკვდება, მაგრამ როდის, არა, და ესაა, მას ძალას და შემართებას რომ მატებს.

481. ადამიანის „პირადი სივრცე“ მისი გუნება-განწყობაა, რომლის გადაკეთებასაც არ უნდა შევეცადოთ.

482. დაკომპლექსებულ ადამიანს ემოციებისგან დაცვის უნარი წართმეული აქვს.

483. ადამიანები ხშირად იმას ვაძაგებთ, რაც ადრე კარგი იყო ან,

პირიქით, და აქ ადამიანის ბუნებაა დამნაშავე, რომელსაც ყოველდღიური ერთნაირი, თუნდაც კარგი, ბეზრდება.

484. ხალხის სიყვარული და გაუთავებელი პურ-მარილები ზოგჯერ პოპულარული ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება.

485. ნამდვილი ადამიანები არ იხოცებიან, უბრალოდ, ისინი ჩვენგან უხმაუროდ მიდიან.

486. ადამიანისთვის დამახასიათებელია საკუთარ შეცდომებზე თვალის დახუჭვა და არა უნამუსობა.

487. მაიმუნობა მაიმუნებმა ასწავლეს ადამიანებს თუ, პირიქით, დღესაც გასარკვევია, რადგან ადამიანის მაიმუნისაგან წარმოშობის იდეა საეჭვოა.

488. ადამიანად ყოფნა, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავის შეცნობის მცდელობაა, რისთვისაც მთელი სიცოცხლე ვიღვწით.

489. ადამიანებო, ვეცადოთ, დავიკმაყოფილოთ ჩვენი მოკრძალებული სურვილი და შევურიგდეთ იმას, რასაც დრო, გარემო და შემთხვევა გვიბოძებს.

490. საბოლოოდ ადამიანებად დავრჩებით თუ ადამეშმაკებად, ესეც განგების საიდუმლოებაა.

491. გონივრული ოფლის დაღვრა შემოქმედ ადამიანად გვაქცევს.

492. ძალადობა ბოროტებაა, მაგრამ რეალური ცხოვრებისათვის მოუმწიფებელი ზოგი ადამიანისთვის სიკეთე მოაქვს.

493. ადამიანის ხასიათის გამოსწორება შესაძლებელია, მისი ბედნიერების ჩასწორებაა ძნელი.

494. სრულქმნილი ადამიანი ანგელოზია, რომელიც დედამიწაზეც არავის სჭირდება.

495. ადამიანის ბუნება, გონიერებისაგან განსხვავებით, უცვლელია.

496. მაიმუნობისთვის თავი ადამიანს არასოდეს დაუნებებია და, ეტყობა, არც დაანებებს, რადგან მათ შორის რაღაც საერთო და ნაყოფიერი მაინც არსებობს.

497. ყოფიერების უფსკულის პირას დგომა ადამიანს მონსტრად აქცევს.

498. უფერულ ადამიანთა ოდენობა დიდია, რათა შემოქმედნი უკეთ წარმოჩინდნენ.

499. ყოფის კაპრიზთა მიუხედავად, ადამიანად დარჩენა ყველა ჩვენგანის ვალია.

+500. ადამიანი სიტყვიერად კუჭსა და გამორჩენაზე მაღლა დგას, მაგრამ საკმარისია კუჭის ერთი ყივილი, რომ ჩამოქვეითდეს.

501. ადამიანს, რომელსაც ყველაფერი აქვს და არ ვჭირდებით, მეგობრად ნუ დაიგულებთ!

502. დოვლათიანი სიტყვა და იმედი ყველაზე კარგი სამკურნალო

წამალია ადამიანის სულის ტკივილთა დასაამებლად.

503. ადამიანს მარტოობას ოცნება და წარსულის სიკეთეთა გახსენება გადაატანინებს.

504. რომ გაიმარჯვო, ბევრ უხიაგ, უნიათო და მლიქვნელ ადამიანს ყასიდად მხარი უნდა აუბა. მაგრამ ნურც იმას დაივიწყებ, რომ დროზე გვერდზე უნდა მოისროლო, რადგან მათ ადამიანური განსჯისა არაფერი გაეგებათ.

505. ადამიანების უმეტესობა ხელს გვიშლის, მაგრამ მათშიც უნდა აღმოვაჩინოთ დამხმარენი და ხელის შემწყობნი.

506. ადამიანს თავისუფლებას და იმედიან სუნთქვას კანონის უზენაესობა და მისი სრულად აღსრულების უნარი უწყობს ხელს.

507. ადამიანად დარჩენის ხელოვნებაც გენეტიკურია, რადგან ხანდახან ისეთ გარემოში მოხვდებით, რომ ადამიანად დარჩენაც ძნელია.

508. რწმენადაკარგული ადამიანი ვერც ოჯახში ბრწყინავს და ვერც საქმიანობისას, რადგან რწმენა ის საწვავია, რომელიც დაუძლეველ წინაღობებს დაგვაძლევინებს.

509. რაც უნდა სრულყოფილი რობოტი შევქმნათ, ადამიანს მაინც ვერ აჯობებს, რადგან ადამიანი ორიგინალია, ხოლო რობოტი – ანალოგი, რაც უნდა სრულყოფილი იყოს, მაინც ასლად რჩება.

510. როდესაც ადამიანის სიტყვას ენდობი და გიმართლებს, ესეც შინაგანად გამოუხატავი ბედნიერებაა.

511. ამბიციური ადამიანი რატომღაც მხოლოდ თავის მსგავსს იტანს, ხოლო სხვები სძულს და მათთან საერთი ენას ვერ ნახულობს.

512. მხცოვანმა ადამიანმა ახლობლებისგან მოშორებით უნდა იცხოვროს ან სახელმწიფოს ზედამხედველობით, რადგან მისი იმქვეყნად დროულად გადასახლების წინააღმდეგნი შვილებიც კი არ არიან.

513. ძალიან ბევრი ადამიანი ისე მიდის ამ სამყაროდან, ვერც ხვდება, რომ მას გაცილებით უკეთ შეეძლო ეცხოვრა, მეტი გამბედაობა რომ ჰქონოდა და ნაკლები შიში განაღდებული ცხოვრების წესის შეცვლისა.

514. საზოგადოების წინაშე მოვალეობის შემცნობი ადამიანი ხშირად „გიჟი თავისუფალიას“ როლში გვევლინება.

515. ცნობადი ადამიანისაგან მასა გაცილებით მეტს ითხოვს, ვიდრე მას შეუძლია, – ასეთია პოპულარობის საფასური.

516. მოსმენის ნიჭის უნარის მქონე ადამიანი უკვე პიროვნებაა.

517. ხშირად ადამიანის იმქვეყნად გადაბარგების ტრაგედიას ასაკის შესატყვისად განვიცდით და ვაფასებთ და არა მისდამი სიყვარულისა და პატივისცემის მიხედვით.

518. ანგელოზების ცაში ძებნას ისევ ნაღდი ადამიანის მიწაზე მოძიება სჯობს.

519. განგება ბევრ ტრაგედია-კომედიას გვთავაზობს, მათ შორის

ერთ-ერთი დაუღვინებელი ადამიანია.

+520. ადამიანობით ვზომავთ ყველაფერს და არა – ადამიანით.

521. ალბათ, ადამიანები იმათ არ ელოლიავებიან, ვისაც მეგობრები არა ჰყავთ.

522. ადამიანები ხშირად ნდობას არ იმსახურებენ, მაგრამ იძულებული ვრთ, ვენდოთ, რადგან სხვაგვარად ამქვეყნად ყოფნა აზრს დაკარგავდა.

523. ადამიანს არც გაუცხოება, ვერაგობა აკლია, არც გულწრფელობა და არც შეცდომების მონანიების სურვილი. ეტყობა, ამიტომაცა ვართ ამ სამყაროს მდგმურები.

524. საშინელებაა, როდესაც ადამიანი, დღევანდელი ტექნიკური პროგრესის გადამკიდე, განცვიფრების უნარს კარგავს და სიახლისადმი უზრუნველად შემგუებელი ხდება.

525. კარიერისკენ მისწრაფება, „მომხვეჭელობის“ სურვილიც ნორმალური ადამიანური შურის შედეგია, და მიმართულია საკუთარი მეობის წარმოსაჩენად.

526. იდეოლოგიური მანქანის წნეხში აღზრდილი ადამიანის მოქალაქედ აღქმა ძნელდება.

527. არის ცდუნების გამომწვევი ცოდვები, რომელთა ჩადენასაც ვცდილობთ, იმდენად ახლოა ისინი ჩვენს სულიერებასთან.

528. ფსევდომეგობრების ამოცნობა და მათგან თავის დაღწევა წესიერი ადამიანისთვის უფრო ძნელია.

529. უსამართლოდ განაწყენებულ-გაკოტრებულ ადამიანზე საშიში არაფერია.

530. ბუნების ძალას თუ ადამიანის გონიერება დროსა და გარემოს შესატყვისად ფეხს აუწყობს, ის სასწაულების მომხდენია.

531. ადამიანს ბევრსა სთხოვენ და ცოტას შეუნდობენ, ისიც დროისა და გარემოს შესატყვისად.

532. ყველა ადამიანს ცხოვრების საკუთარი გზა და შესაძლებლობა აქვს. გააჩნია, განგების ამ ნებას როგორ იყენებს.

533. მხოლოდ მტკიცე ხასიათის ადამიანები გამოდგებიან საქმის ხეირიანად საკეთებლად და არა ძალად დასაქმებულნი.

534. ყოველივე წარმავალია, ადამიანთა კვლავწარმოების გარდა.

535. მატერიალიზმი დღეს ყველა ტრადიციას, რწმენას, მორალს ბიშტს უჩვენებს, იმდენად მძლავრობს ადამიანთა შორის შური და გაუტანლობა.

536. გაუგებრობა და ამბიციებია, ზოგს რომ ადამიანის სახეს აკარგვინებს.

537. ადამიანს ცნობიერება ცვლის და არა – გონიერება.

538. ადამიანი ტრადიციულ ცნობიერებას და ჰუმანიზმის მორალს

ბიშტს უჩვენებს, როდესაც მის მიერვე გაზრდილ ღორს თავისივე ხელით სიცოცხლეს ასალმებს და მის ხორცს სიამოვნებით მიირთმევს, ხოლო ოჯახში გაზრდილ მკვდარ ძაღლს პანაშვიდს უხდის და ასაფლავებს, ე.ი. მოყვასის დაკვლა შეიძლება, თუ მას მატერიალური სარგებელი მოაქვს, ხოლო მეორეზე ამის გაფიქრებაც კი მკრეხელობაა, რადგან ჩვენში მის ხორცს არ მიირთმევენ. ამრიგად, ადამიანის მიერ წარმოჩენილი ჰუმანიზმიც არათანმიმდევრულია.

539. ადამიანებს სამშობლოს მოწყობის ფორმა უფრო აინტერესებთ, ვიდრე მისი შინაარსი, რადგან გარეგნობით თავის მოწონება უფრო იოლია, ვიდრე – საქმიანობა.

540. კაცობრიობის სულიერების აღქმა-გააზრება ადამიანისთვის უპირველესია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამქვეყნად ყოფნა აზრს დაკარგავდა.

541. ადამიანს ხშირად არჩევანის რეალიზაცია წარმოაჩენს.

+542. იდეოლოგიის წნეხი, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ერთია, მაგრამ ის ადამიანის გადაფასება-გარყვნას აფერხებს.

543. მოვლენები მართავს ადამიანს და არა პირიქით, თუმცა მისი მცდელობა, ოფლის დაუღვრელად ნახოს სარგებელი, უცვლელია.

544. ადამიანი, რომელსაც არ აქვს უნარი საკუთარი თავის რეალიზაციის, ვერც სხვისთვის იზრუნებს და ის ირგვლივ მყოფთა მიმართაც მუდამ მტრულად იქნება განწყობილი.

545. დამოუკიდებელ ადამიანს ირგვლივ მყოფნი პატივს მიაგებენ, იმისდა მიუხედავად, რომ ბევრი მას ვერ უგებს.

546. ნეიტრალური, უპრეტენზიო ადამიანის შეფასება ყურადსაღები, ყველაზე სამართლიანი და უკეთესია.

547. ინსტინქტებით მცხოვრებ ადამიანებთან კამათი და მომავალზე გონივრული საუბარი თითქმის შეუძლებელია, რადგან ხალხის 99% მოსმენის უნარი დაკარგული აქვს.

+548. პიროვნებად ის ადამიანი უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც ცხოვრების კაპრიზები არ აბოროტებს და მარად სიკეთის კეთებას ცდილობს.

549. ადამიანზე გადაყოლა და ჭკუის სწავლება უმადური და არარენტაბელური საქმეა.

550. ჩვენი მენტალიტეტი ვერ დარჩება შეუცვლელი, მაგრამ ადამიანური კრიტერიუმების შენარჩუნება სავალდებულოა.

551. ადამიანის ბედნიერება სიკეთის კეთებით იწყება, მაგრამ მას განსჯა უნდა ვასწავლოთ, რომ ამ ბედნიერების ღირსი გახდეს და შეიშნოს კიდევაც.

552. ტექნიკური პროგრესის მიღწევები ზოგჯერ ადამიანის „მეს“ წარმოჩენას უგულებელყოფს.

553. წესით, საკუთარი საქმის კეთება უფრო მეტ სიამოვნებას უნდა გვგვრიდეს, ვიდრე ანაზღაურება, დაფასება, მაგრამ ადამიანი მატერიალურ ცდუნებას ვერსად გაექცევა.

554. გონებაგახსნილი ადამიანი ფანტაზიისთვის ხორცის შესხმის შედეგად ფასდება.

555. ადამიანთა ურთიერთობა ცხოვრების წესის სასიამოვნო გადაგორებით განისჯება.

556. ადამიანის ყველაზე უკეთესი მეგობარი ჯანმრთელი ჰაერია. ის მარად შენთან არის და ყველაზე მეტად გიფრთხილდება.

557. ადამიანის შეცნობა ხდება, უპირველეს ყოვლისა, საუბრისას და არა ლაპარაკისას.

558. რწმენის, ღირებულების უქონელი ადამიანი ყოველთვის სანდო როდია, რადგან ამგვარ უმეცრებაში ჯაშუშობის სიმპტომიც ურევია.

559. ადამიანს დიდი სტრესი ცვლის და არა გონივრული რჩევა-დარიგება.

560. მეცნიერებს თუ გულის ენით ელაპარაკებიან და უვლიან, ისინი ადამიანებზე მეტად გრძნობენ მზრუნველობას.

561. ადამიანს მკაფიოდ თავისი შეცდომები წარმოაჩენს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ შეცდომის დაშვებისას შემთხვევით გაუმართლა.

+562. ზოგჯერ ადამიანს უხიაგი და არაფრისმთქმელი აზრები მოსდის თავში, მაგრამ მის პატიოსნად დარჩენას ეს ხელს არ უშლის.

563. ადამიანს დიდი საქმეებთან შერკინება უფრო მოსწონს და, ეტყობა, ესაა მისი ამქვეყნიური დანიშნულება.

+564. ადამიანს თავხედობის უფლებას დროსა და გარემო პირობებზე მორგების უნარი აძლევს და არა – კანონმდებლობა.

+565. საყვარელი საქმის საკეთებლად შებმულ უღელში ადამიანი აპეურების მოჭერას ვერა გრძნობს.

566. ადამიანის ძალის მატების საწყისი მეგობრობაა.

567. ადამიანი ყოფიერების თავისებური ნაწილებისგან შედგება: ხასიათი, წარსული, სამსახური, მეგობრები, ფინანსები, ჩვევები, ადამიანური სისუსტეები და მრავალი სხვა, რომლებიც ხშირად აშკარად უყურადღებოდ გვრჩება.

568. პური და სიყვარული მარად დარჩება ადამიანობის გამზომავ საშუალებებად.

+569. ხშირად ადამიანი საკუთარ ცნობიერებაში იმას ხედავს, რისი დანახვაც უნდა და სიამოვნებს.

570. ადამიანებს თავიანთი საკუთარი სულიერების გამჟღავნება ამხნევებთ.

571. სამყაროში ყოველივეს თავისი საწყისი და დასასრული აქვს,

მაგრამ ამას ყველაზე უკეთ, ალბათ, ადამიანთა მოდგმა გრძნობს.

572. ბრბო ყოველთვის წინდაუხედავად და გაბრაზებით იმ ჭკვიან ადამიანებს ებრძვის, რომელთაც ხალხისთვის რეალურად კარგი უნდათ.

573. სხვაში ადამიანურის დანახვა დიდი ადამიანობაა.

+574. ადამიანურ ადამიანად სამუდამოდ დარჩენა უფრო ძნელია, ვიდრე ერთი აფექტის შედეგად გმირად გახდომა.

575. ცხოვრების ხალისის უქონელი ადამიანი ან დეგენერატია, ან – პოტენციური უქნარა.

576. ადამიანები ურთიერთინტრიგნობით ერთმანეთს დაყოვნებული მოქმედების ნაღმებს უდებენ და შედეგად ერთმანეთს დაუფიქრებლად და არასაჭიროებისამებრ ვნებენ.

577. ადამიანი, რომელმაც მეტი იცის, ვიდრე მის ირგვლივ მყოფებმა, დღემდე გარეგნულად გაცილებით მორიდებული და მორცხვი იყო.

578. ვერიდოთ თანამედროვე ინტელექტუალურ საშუალებებთან გადამეტებულ ურთიერთობას, რათა ადამიანმა თავისი მოწოდება არ დაკარგოს.

579. ადამიანის გარკვეული ნაწილი ძალისხმევის მომხრეა, რათა სახელმწიფომ კანონიერად იღვაწოს და იმძლავროს.

580. დიდება-კარიერისკენ მისწრაფება ზოგს გონს აკარგვინებს და ავი ხელისუფლის როლში გვევლინება.

581. ადამიანი იდეოლოგიურ ძალადობას იმ მიზნის მისაღწევად იყენებს, რომლის შედეგი ხშირად მისთვის გაუცნობიერებელია.

582. ადამიანს თუ ყოველივე ზედმიწევნით ახსოვს, რაც მას გაუკეთებია, მალე გადებილდება, რაკიღა ძველს არ იშორებს და ახალს თავში დაბანდების საშუალებას უსპობს.

+583. სიტყვებით მოთამაშე ადამიანი სიამოვნების მთესველი პარაზიტია.

584. შინაგანად ბედნიერი ადამიანი მოთმინების უნარითაა აღჭურვილი.

585. ზოგჯერ ადამიანს ის სჭირდება, რაზედაც წარმოდგენა არ აქვს.

586. აღზრდა ადამიანის თავისებური თავშესაფარია, ნიჭთან იქნება იგი ჩახუტებული თუ უიმისოდ.

587. ადამიანის უმთავრესი დანიშნულებაა, სამყაროს შესაძლებელზე მეტი ზიანი არ მიაყენოს.

588. ადამიანის ბუნება-გუნების ამოხსნა ძნელია, რადგან, სად და როგორ წაიტეხს ფეხს, არავინ უწყის.

589. განსჯითაც კი კარგი ადამიანის ამოცნობა გაძნელებულია, თუ მას ცხოვრებაში სისულელის ჩადენის ლიმიტი ჯერ კიდევ არ ამოუ-

წურავს.

590. ადამიანი ხშირად საჭიროზე მეტს მოიხმარს, იმდენად მომხიბვლელია რეკლამის ძალა.

591. დღეს სიცრუის დეტექტორსაც ატყუებენ, რადგან ადამიანის ვირეშმაკური გონება დაუძლეველი გახდა.

592. განგება, ეტყობა, დღესაც ადამიანების მიდრეკილებათა შესწავლას ცდილობს, იმდენად ამოუწურავია მათი უგვანობა.

593. უმიზნო, განუსჯელი ენერგიის დაგროვება ადამიანის დაჩმორებას და ბედის ზურგის შექცევას იწვევს.

+594. მე ადამიანისა მჯერა და არა ხალხის.

595. ცისკენ მოკრძალებული ყურება კარგია, მაგრამ ის ხშირად იღრუბლება, რათა ადამიანთა მოდგმა გამოაფხიზლოს.

596. ვიღაცის მიმართ მადლიერების გრძნობა ბოლომდის უნდა შეგვრჩეს, თუ გვინდა, ადამიანებად დავრჩეთ.

597. მზის სისტემის სასწაულთა შეცნობა ადამიანის გონების სასწაულია.

598. უდიდესი ცოდვაა ბუნებით კეთილი და კარგი ადამიანის ცუდად აღზრდა და ავად დაკვალიანება.

599. სიზუსტისადმი მისწრაფება ფუფუნებად არ შეირაცხება, მაგრამ იგი გენეტიკურად წესიერი ადამიანის საზომია.

+600. ადამიანი ჩვენ უნდა შევაფასოთ იმის მიხედვით, ვინ რა გააკეთა, ხოლო დავაფასოთ იმისდა მიხედვით, თუ ვის რისი გაკეთება უნდა.

601. სასარგებლო ადამიანად გახდომას ბევრი რამ უშლის ხელს, განსაკუთრებით კი – უნიჭობა, მამლაყინწობა და კუდაბზიკობა.

602. ადამიანის ხასიათის გასაუმჯობესებელი სიტყვიერი რეცეპტებია: „რა დამაჯერებლად საუბრობთ“; „დღეს შესანიშნავად გამოიყურებით“; „რა ლამაზი და ჭკვიანი შვილები აღგიზრდიათ“ და ასე და ამგვარად.

603. ადამიანი, რაც შეიძლება, მეტად უნდა დავტვირთოთ მისთვის ხელმისაწვდომი საქმიანობით, თუ გვინდა, ცრუ წუხილის მიუხედავად, თავი ბედნიერად იგრძნოს.

604. ადამიანი სამყაროს წარმომჩენიცაა და მისი ფანტაზიის დიზაინერიც.

605. ადამიანის აზროვნება მის ოცნებებსა და განსჯის უნარზეა დამოკიდებული.

606. აღზრდის გარეშე ადამიანი ცხოვრების განუსჯელ ბადეში ეხვევა, ხოლო მხარში მდგომის გარეშე ამ ბადისგან თავის დაღწევა უჭირს.

607. სიყვარულის, იდეალების, ზნეობის დამკარგავი მასა არ შეი-

ძლება, ადამიანთა კატეგორიას მივაკუთვნოთ.

608. საკუთარ თავზე მუდმივი ზრუნვაც მოსაბეზრებელია, თუ შენი ადამიანობის წარმომჩენი ნიშანსვეტი თან არ გახლავს.

609. სიტყვა ქმნის წარმოსაჩენი ადამიანის სახეს.

610. დღეს ჩვენი გაკვირვება ძნელია, მაგრამ შესაძლებელია, თუ ადამიანური ქმედება არაადეკვატურია.

611. სიბრძნეს თუ მიუკერძოებელი ანალიზის უნარიც შესწევს, მას თავისთვის სასარგებლო დასკვნებიც გამოაქვს ადამიანთა უკეთურობიდან.

612. ადამიანები ძირითადად მაგალითებსა და რწმენაზე იზრდებიან, ყალიბდებიან და არა წყალობითა და დარიგებებით.

613. საზოგადოებრივი იდეოლოგიის წნეხიდან განთავისუფლებული ადამის ძე რას მოიმოქმედებს, არავინ უწყის.

614. მეგობარს გაჭირვების ჟამს ეძებენ, ცდიან და, თუ გაამართლა, ახლობელ ადამიანად მიიჩნევენ.

615. თეორიულად ბუნებას არაფერი ეშლება, მაგრამ ადამიანების უგუნურ ქმედებას ზოგჯერ ის წონასწორობიდან გამოჰყავს და ათავხედებს.

616. ადამიანს ხასიათის ვარჯიში აწრთობს და ამხნევებს.

617. ადამიანთა შორის ჯანსაღი ურთიერთობა მხოლოდ მოთმინება-დაყვავების შედეგად ვერ იარსებებს.

618. ადამიანს რყვნის საკუთარი ამბიციების შეუსაბამობა.

619. ბუნებით შემოქმედ ადამიანს ყველაზე მეტად უსაქმოდ ყოფნა უჭირს.

620. მეოცნებე ადამიანს ხშირად იმის შემჩნევაც უჭირს, რაც ცხვირწინ უდევს და იმის წარმოჩენა, რაც ყველაზე უკეთ ეხერხება.

621. გონივრულ მზრუნველობას ჭირვეული მცენარეებიც კი უკეთ გრძნობენ, ვიდრე ადამიანები.

622. ადამიანები ფაქტობრივად იცვლებიან და არა ფაქტიურად.

623. ბუნების ყველაზე უცნაური ქმნილება ადამიანია, თავისი სულიერი და გონებრივი ძალებით სამყაროს საიდუმლოებათა წვდომას რომ ლამობს.

624. გულში ყველა კარიერის კარუსელზე, ფულზე, ძალაუფლებაზე ფიქრობს და თანაც ყველაზე ჭკვიანად წარმოუდგენია თავი. რას ვიზამთ, ადამიანის ბუნების შეცვლას ვერც ტექნიკური პროგრესი ახერხებს.

625. ადამიანი შინაგანად გაორებულია, გარეგნულ გარემოებაზე რომ არაფერი ვთქვათ (ორი ხელი, თვალი, ყური, ფეხი).

626. ადამიანის საერთო შეცდომებში მის აღზრდა-გარემოებასთან ერთად მისი გენიც მონაწილეობს.

627. ფაქტობრივად 99,9% ჩვეულებრივი ადამიანი ცხოვრობს და იღვწის ამ სამყაროში, ხოლო დარჩენილ 0,1% ცხოვრების არსებული წესი არ აკმაყოფილებს და მის გასაუმჯობესებლად იბრძვის.

628. ხელების დაკაპიწებისგან განსხვავებით, სიზარმაცე აჩმორებს, აავადებს და გადააგვარებს ადამიანს.

629. ადამიანის ბოლომდე განსჯა შეუძლებელია, რადგან, როგორ გამოავლენს თავის უარყოფით და დადებით მხარეებს, მისი გენისთვის უცნობია.

630. ადამიანმა თავისი ბუნებით უნდა გამოიმუშაოს ლიდერის თვისებები, რათა მარად სხვათა შემყურედ და მაჩანჩალად არ იქცეს.

631. ინტერნეტი ადამიანის ცნობიერების შეცნობა-განდიდების ყველაზე საშიში იარაღია.

632. ადამიანს ყოფის ვექტორის მოძიება უჭირს და არა ამისთვის საჭირო ენერგიის წარმოჩენა.

633. ყოფიერების მინუსზე აწყობილ ადამიანებს ვერიდოთ. ისინი საკუთარ თავს უქმნიან პრობლემებს და თქვენც წილში გაჰყავხართ.

634. დღეს ადამიანის საზოგადოებრივ სტატუსს ცხოვრების დონე განსაზღვრავს და არა მხარაუბმელი და უყურადღებოდ დარჩენილი ნიჭი.

635. არის შემთხვევა-გარემო, როდესაც ადამიანი შიშის გრძნობას კარგავს გარკვეული მიზნის მისაღწევად. ეტყობა, ესეც განგების ნება-სურვილია.

636. ამქვეყნად დარდი არც ილევა და არც გამოილევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანად ყოფნის სტატუსს დავკარგავდით.

637. ჩვენი დროის გაუაზრებელი „ხარაკირი“ იყო სოციალიზმის უგულებელყოფა (უფასო განათლება, ჯანდაცვა, მოწინავე მეცნიერება, მაღალი სოციალური მობილიზება, უმუშევრობის არარსებობა და სხვა მრავალი სიკეთე) და ამ ყველაფრისთვის ზურგის შექცევა, მაგრამ ადამიანებს აწუხებთ შური და მოთმინების უნარი არ ჰყოფნით, ის მიიღონ, რაც თავის დროზე მისაღებია.

638. ადამიანთა სურვილები სხვადასხვაა, მათი ურთიერთობა განუსჯელია, რადგან ყველას ერთმანეთის ხარჯზე ცხოვრება სწადია.

639. თანამედროვე მომპოვებელი ადამიანი სახელმწიფოს აღიქვამს არა როგორც მფარველს, არამედ როგორც მოსამსახურეს.

640. ბედნიერი ის ადამიანია, ვისაც იმდენი ჭკუა შემორჩება, რომ დეპრესია ახლოს არ გაიკაროს.

641. ადამიანის ცნობიერების ჰუმანურად გამანადგურებული იარაღი ინტერნეტია.

+642. მადლიერების ტვირთის ტარება ერთეულ პატიოსან ადამიანთა ხვედრია.

643. ზოგჯერ ადამიანის შეცნობის მადლი მისი ხალხის ადათ-წესების გათავისებაზეა დამყარებული.

644. ალბათ, დრო წარმოაჩენს ადამიანს და არა ადამიანი – დროს.

645. ერთის შეხედვით, ადამიანი არ შეიცნობა, მაგრამ მისი ბუნების შეგრძნება შესაძლებელია.

646. ადამიანთა მიერ ჩადენილი სიკეთე-სიავე მათ საფლავებთან ერთად თანდათან ქრება.

647. ადამიანი უკეთესი ცხოვრების მისაღწევად იმდენს იღვწის, რომ ბოლოს რობოტების კოლონაში აღმოჩნდება და გადაშენების გზას დაადგება, იმდენად გაზარმაცდება.

648. უბრალო, კარგი ადამიანის მონახვაა ყველაზე ძნელი.

649. ზოგი ადამიანი სხვათა წარმატებასაც, სიამოვნებასაც თავის სასარგებლოდ იყენებს და ამით თავიც მოაქვს – მგ. სპორტის რომელიმე სახეობის ქომაგი.

650. ადამიანების დაშორების ბევრი მიზეზი არსებობს, მაგრამ უნდა ვეცადოთ, მათ შორის ყველაზე დელიკატური ამოვარჩიოთ.

651. ადამიანებს არ უყვართ შეცდომების დაშვება, მაგრამ უამისოდ ცხოვრების რაობის შეცნობა ჭირს.

652. ყველაზე ძნელია მერყევ, არასაიმედო ადამიანთან ურთიერთობა, რადგან მასთან ურთიერთობისას არც „მათრახი და თაფლაკვერი“ არ ამართლებს და საბოლოოდ ვერ ენდობი.

653. ადამიანს იმდენი თანდაყოლილი და შეძენილი სიავე ახასიათებს, საკვირველია, როგორ ახერხებს დაოჯახებას, დამეგობრებას და ზოგჯერ მოყვრისთვის თავის გაწირვასაც კი.

654. ზოგჯერ ვითომდა ნაკლი ის ეგოიზმია, რომელიც ადამიანს პიროვნებად აქცევს და თავის გამოჩენა-წარმოჩენაში ეხმარება.

655. ადამიანს იმქვეყნადაც კი აინტერესებს თავისი ბედის ამბავი.

656. ნოტებით შექმნილი ნაღვაწი გაცილებით უკეთ წარმოაჩენს ადამიანის შინაგან მდგომარეობას, ვიდრე ანბანით გადმოცემული.

657. სიხარული რომ არგუნო ადამიანს, მარტო სურვილი არ კმარა. ამისათვის თვითშეგნება და ნიჭიც უნდა გიწყობდეს ხელს.

658. ადამიანს მისთვის უცნობი მრავალმხრივი სისუსტე ახასიათებს და როდის და სად რას გამოამჟღავნებს, მისთვის უცნობია.

659. რაღაცითა და ვიღაცით ბედნიერ ადამიანს უფლება არ აქვს, ცუდად ეძინოს.

660. ღირსებადაკარგული ადამიანი მუდამ წაგებული და დამარცხებულია.

661. ადამიანი საკუთარი უბედურების მიზეზი თავადვეა, რადგან მან მონდომება და სიქველე, ეტყობა, დაკარგა.

662. ადამიანს თუ სურს, თავისი გრძნობების ხელისშეწყობით იცხ-

ოვროს, სამყარო ისე უნდა აღიქვას და შეიგრძნოს, როგორც ხელშეუხ-ებელი მშვენიერება.

663. ადამიანებს გაორებული ბუნებით უხდებათ ცხოვრება, რადგან ერთია სამშობლოს სიყვარული, მეორეა კარიერული ზრდა, მესამეა ქვეყნის წინაშე ვალის პატიოსნად მოხდა და რომელი მათგანისკენ გიბიძგებს საკუთარი ბუნება, დრო და გარემო, არავინ უწყის.

664. ადამიანი, რომლის შინაგანი მოწოდებაა სხვებსაც ზეიმი მოუ-წყოს, ნამდვილი პიროვნებაა.

665. საშინელებაა, როდესაც ადამიანი დილით იღვიძებს, პერსპექ-ტივას ვერ ხედავს და იმ დღეს ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევა უწევს.

666. ადამიანს ჭაობიდან ნახევრად ამოყვანა არ შველის. ის მთლი-ანად უნდა გაიწმინდოს ჭაობის შლამისა და იმის შიშისაგან, რომ კვლავ ჭაობში არ ამოყოფს თავს.

667. ადამიანთა უმრავლესობა თავის ღვაწლის შეფასებას დროსა და გარემოსთან შერწყმით მოითხოვს.

668. ჭკვიანი, ცხოვრებაგამოვლილი ადამიანი საცთურის ანკესზე იშვიათად ეგება.

669. ადამიანთა უმეტესობა სრულფასოვანი იბადება. მას არ სჭირ-დება დამატებითი „სპეცეფექტებით“ ცხოვრება, თუკი საკუთარ თავს შთაგონებს, რომ ის პიროვნებაა და სიძნელეს ალღოს აუღებს.

670. პასუხისმგებლობა უმთავრესია ადამიანის კაცად ჩამოყალ-იბების ხელოვნებაში.

671. ბრძოლა, რომელსაც სერიოზული ობიექტური გამოსავალი დაკარგული აქვს, დანაშაულია შთამომავალთა წინაშე, რაკიღა ამ დროს ადამიანთა გამრავლების პროცესი ფერხდება.

672. შერკინება, ორიგინალური აზროვნება, მიზანსწრაფვა, პატრი-ოტიზმი აყალიბებს ადამიანურ თვისებებს.

673. ადამიანისთვის რთული ცხოვრება სამყაროს მარტივი კანონების უგულებელყოფის შედეგად იწყება.

674. ტყუილიც ადამიანური სისუსტე და თავდაცვის იარაღია, რომ-ლის გაუცნობიერებლად რატომღაც სიცოცხლე ჭირს.

675. ძირითადად არშემდგარი ადამიანია, შური და საკუთარ თავზე წარმოდგენა რომ ვნებს, თორემ წარმატებულ და შემოქმედ ადამიანს სხვათა განსჯის არც დრო აქვს, არც სურვილი.

676. ადამიანის მთავარი მტერი საკუთარ თავზე გადამეტებული წარმოდგენა და შურია.

677. გენეტიკურად ახლობელ ადამიანებს უნდა გაუფრთხილდეთ, რადგან ერთმანეთს შინაგანად უკეთ უგებთ.

678. შიშის დაძლევა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ხე-ლმეორედ ვნახავთ იმ ადამიანს, ვინც შიში ჩაგვინერგა და საკუთარ

თავს მისი დამარცხების იმედით შევებრძოლებით.

679. განსაკუთრებულ, გამორჩეულ ადამიანს ცხოვრების ლელო ბოლომდის გააქვს, იმის მიუხედავად, დაუფასებენ ამ მცდელობას თუ არა.

680. ტესტოსტერონის მოჭარბება ზოგჯერ ადამიანური გრძნობების დროებით დეფიციტს იწვევს.

681. საქმის ერთგულ ჭკუაგახსნილ ადამიანს ბევრი რამ ეპატიება, რადგან ის თავის საყვარელ საქმეს შემოქმედებითად და თავდაუზოგავად ემსახურება.

682. რთული ადამიანის გაგებაც ძნელია და მასთან საერთო ენის გამონახვაც, მიუხედავად იმისა, რომ ის თავის საქმიანობაში ხელმისაწვდომია.

683. ადამიანებთან ან საერთო საქმიანობა გვაკავშირებს, ან საერთო უსაქმურობა, რადგან ორივე თავისებურებად ურთიერთსაჭიროებადია.

684. ძნელია იყო იმდენად უქნარა და ძალად „შემოქმედი“, რომ საკმეველი უკმიო იმათ, რომელთა ადამიანობაშიც კი ეჭვი გეპარება.

685. ომის მიზეზი ის არის, რომ ადამიანები კარგავენ წესიერებას, ხოლო სამართლიანი დაპირისპირების მიგება აღადგენს წესიერებას და წესრიგს.

686. ჭეშმარიტ ადამიანად დრო, გარემო, აღზრდის ნორმები გვაქცევს, თუ ნიჭზე მწყრალად არ ვართ.

687. სინდის-ნამუსის ხვრელსაც გამოთხრა უნდა, რათა, ადამიანი რომ ხარ, არ დაგავიწყდეს.

688. ადამიანს ერთადერთი ორგანო აქვს, ურომლისოდაც თავს მშვენივრად გრძნობს და ეს ორგანო, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ტვინია.

689. ადამიანობა გაუმაძღრობის მოთოკვაცაა.

690. თუ ბუნება გვსჯის, მაშინ ადამიანში იღვიძებს სინდისის ქეჯნა იმ ქმედების გამო, რასაც ის უგუნური ქცევით მას აყენებს, მაგრამ კარგი ცხოვრებისკენ ლტოლვა გვთრგუნავს და ყველაფერი დავიწყებას ეძლევა მომავალ დასჯამდის.

691. პიროვნების ნდობა შესაძლებელია, ადამიანისა კი – შიგადაშიგ, ისიც სერიოზული გადამოწმების ვითარებაში.

692. გონისთვის მიუღებელი სურვილების, გატაცებების აკრძალვის უნარი ადამიანებს ხშირად არ აქვთ.

693. ღირსეული ადამიანის პოვნაა ძნელი და არა ღირსებაზე ლაყბობა და მისი მითვისების მცდელობა.

694. შრომას მიჩვეული ადამიანისთვის მოჭარბებული უნებლიე დასვენება ავადმყოფობის ტოლფასია.

695. ადამიანები ხშირად გაურბიან იმ რეალობას, რომლის კმაყოფილნი არ არიან.

696. აგრესიის დროის შესატყვისად წარმოჩენა ადამიანთა ურთიერთობას ცვლის და ახლებურად ალაგებს.

697. ადამიანს თავისი ოცნებებისა და სურვილების ახდომისა სიცოცხლის ბოლომდე სჯერა.

698. მგზნებარე სიყვარული უმთავრესად ადამიანის ხასიათის გადასამოწმებლად არის მიმართული.

699. იდეალური ადამიანები არ არსებობენ, განსაკუთრებით ითქმის ეს ხვადი ბუნების მამაკაცებზე, რადგან საცდუნებელი მათთვის (ქალების სახით) საკმაოზე მეტია.

700. მიზანდასახული ადამიანის გამოყენება ოცნებაშიცაა შესაძლებელი.

701. იდეა, ოცნება, სიყვარული ადამიანის ცნობიერებას აკეთილშობილებს და სიკეთის ჩასადენად აღანთებს.

702. უფანტაზიოდ ადამიანი სულიერად ღარიბია.

703. ამბობენ, მხოლოდ უზენაესმა იცის, რა არის ამქვეყნად სწორი და სამართლიანი, მაგრამ ადამიანებს ამაშიც ეჭვი გვეპარება, იმდენად დიდი ამბიციები გვაქვს.

704. უნიჭო, უხიაგი ადამიანი თავისუფლების რეალურ მადლს ვერასოდეს შეიცნობს.

705. კორუფცია ადამიანური ბუნების სისუსტეა; მისი წამალი შიშია.

706. საკუთარი ფესვების შენარჩუნება, მოვლა-პატრონობა ხშირად აზროვნების სიყვარულით მორწყვას მოითხოვს.

707. უდროოდ გარდაცვლილ ჭკვიან ადამიანს უფრო მეტი დამფასებელი ჰყავს, ვიდრე სიცოცხლეში ჰყავდა, რადგან შური მის თანამედროვეებს ამის საშუალებას არ აძლევდა.

+708. ადამიანი საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით ყველაფერზე მიდის, რადგან ბუნებით ის თავისი დროის შვილი და მომხვეჭელია.

709. ადამიანი იმქვეყნად გადასახლებასაც გონის მოხმობით უნდა შეხვდეს, რათა ამქვეყნად მისი ცუდად მოხსენიების სურვილი არავის გაუჩნდეს.

710. ადამიანზე მთლიანად დანდობა მრავალჯერ გადამოწმების შემდგომაც სიბრიყვეა, რადგან ყველას აქვს თავისი ცხოვრებისეული სუსტი წერტილები, რომლებიც ხშირად მისთვისაც უცნობია.

+711. ზოგს გვირაბში ჩასვლა სიამოვნებს, ზოგსაც ასვლა, ზოგიც ჰაერში დაფრინავს. ასე რომ, „სამჭკუაშვილი“ ადამის მისწრაფებების გაგება არც ისე ადვილია, როგორც ეს ერთი შეხედვითა ჩანს.

712. ტექნიკური პროგრესის მოძალების ფონზე ადამიანი კარგავს

თავის პირველად დანიშნულებას და აზრიან მუქთახორა არსებად იქცევა.

713. ადამიანურობის შესანარჩუნებლად დასკვნების გამოტანა აუცილებელია, იმისდა მიუხედავად, სწორად აზროვნებთ, მსჯელობთ, განსჯით თუ არა.

714. ამქვეყნად წესიერებაც შეფარდებითი და სადავო ცნებაა, თუ ახლობელ ადამიანს სიყვარულსა და ადამიანურად ყოფნას ვერ ვასწავლით.

+715. ადამიანი, რომელსაც ამქვეყნად ბევრი რამ ფეხებზე ჰკიდია, ან პოეტური ბუნებისაა, ან – მაწანწალა.

716. ისტორია, რომელიც თავისი მეტყველებით გარკვეული „მეგაბაიტის“ ადამიანებს სიამოვნებას ანიჭებს, უფრო ხელოვანია, ვიდრე ჭკუა-გონების მქონე მოაზროვნე.

+717. ცხოვრების სიმკაცრით დაშინებული ადამიანი ხშირად გაუსვენებელი მკვდრის ასოციაციას იწვევს.

718. გონიერ ადამიანს თავისი დროის მომსახურება უჭირს – უბრალოდ თანამედროვენი მას სათანადოდ ვერ აღიქვამენ და ვერ უგებენ.

719. ბუნება, ჰომო-საპიენსისაგან განსხვავებით, ყოველთვის ნახულობს თავის გადარჩენის საშუალებებს.

720. ადამიანთა ურთიერთობა თავისებური ჩუმი ომია, იმისდა მიუხედავად, უპირისპირდებიან ისინი ერთმანეთს თუ არა.

+721. საერთო საჭიროებებზე ზრუნვა ადამიანს პიროვნებად აქცევს.

722. ზნეობრივი პრინციპების დაუცველად ყოველგვარი დემოკრატიისა და თავისუფლების ქარტია ტვინში არეულ „აჯაფსანდალს“ მოგვაგონებს და მუდამ იქნება ადამიანთა შორის უსაგნო, არაფრისმომცემი დაპირისპირების მიზეზი.

723. ადამიანთა უმრავლესობა დროისათვის გაუცნობიერებელი არსებაა და ამიტომაცაა მათში ბევრი რამ საეჭვო და არასანდო.

724. ადამიანის ქცევა განსჯადია და ხშირად მისი ღირსებისა და გონიერების მაჩვენებელიც.

725. ზოგჯერ ადამიანს პურზე მეტად სიმართლის გაგება უფრო აწუხებს და აღელვებს, რადგან მისი ცნობიერება ამ მხრივ შიმშილს განიცდის.

726. კრიზისს ადამიანი უპირველეს ყოვლისა საკუთარ გადაწყვეტილებათა სისწორესა და სასურველ თანამოაზრეთა მოძიებაში უნდა ხედავდეს.

727. ადამიანებმა ყვავილები უნდა ვესროლოთ ერთმანეთს და არა ტყვიებივით მომაკვდინებელი სიტყვები, თუ გვინდა სიცოცხლე უპრობ-

ლემოდ გავლიოთ.

728. ადამიანებს „სასწაულმოქმედნი“ მოსწონთ და არა მათი „შებერტყილი“ გონი.

729. ზოგჯერ ადამიანს ისეთი სისულელის ჩადენის სურვილი აეკვიატება, რომელსაც შემდგომში არასოდეს ჩაიდენს და ესეც მისი განვითარება-დაღვინების ატრიბუტია.

730. უუნარო ადამიანი ყველგან ყოველივეს კიცხავს და ირგვლივ უგუნურების კორიანტელს აყენებს.

731. საოცარია განგების ნება: გენიალურ ადამიანს თუ ყოფაში ბედი არ სწყალობს, არც გარდაცვალების შემდგომ ინდობს მას. ნიკო ფიროსმანის ერთლარიანი და ზაქარია ფალიაშვილის ორლარიანი ფულის ბანკნოტები თითქმის ხმარებიდან გაქრა და იშვიათობად იქცა, რადგან ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების შესატყვისად ისინი წარმატებით შეცვლა რკინის მონეტებმა და მათი სახეებიც დაიკარგა.

732. შენი გაგების ადამიანთან ყოფნა და სიყვარული უდიდესი ფუფუნებაა.

733. ინტუიციასა და ინსტინქტს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ადამიანს, მეორე კი ცხოველს ახასიათებს.

734. ადამიანი თავისი გუნება-ბუნების მონაა და მისგან თავის დაღწევა უპრობლემოდ უჭირს.

735. გონიერი და შემოქმედი ადამიანების არარაციონალურად გამოყენება (ტაქსის მძღოლებად, დარაჯებად და ა.შ) ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას გარკვეული დროით აფერხებს.

736. „პატარა ადამიანი“ მარად სხვა დროში ცხოვრობს, რადგან მას რეალობის აღქმა დღევანდელობის შესატყვისად უჭირს, ხოლო მისი კეთილშობილებისკენ სწრაფვა განწირულია დასაღუპავად.

737. ხშირად ყოფიერების და წესიერების დაპირისპირება ადამიანის შინაგან გადაგვარებას იწვევს.

738. ადამიანის კეთილშობილურ სამყაროს მხოლოდ ქედმაღალნი ვერ უგებენ და ამჩნევენ.

739. ადამიანმა ჭკუის მოხმობით უნდა აუწყოს ფეხი ტექნიკურ პროგრესს, ტრადიციები უნდა დაიცვას, რათა ზედმეტი ფუფუნებისგან არ გადაშენდეს.

740. ადამიანს ღმერთის მონობა აამაღლებს, სიყვარულის მონობა სათუთსა ხდის, ხოლო ზემდგომთა მონობა ამცირებს. მონობას კი ყოველთვის ერთი განმარტება აქვს – უუფლებობა, სულ ერთია ეს ნებაყოფლობით იქნება, შინაგანი მოთხოვნით თუ დაძალებით.

741. ადამიანს დაბლა დაცემა უფრო ეადვილება, ვიდრე ამაღლება, განსაკუთრებით პოლიტიკოსს, თუ სასუსნავის მითვისების შანსი გამოუჩნდება.

742. ადამიანმა თუ საკუთარი ავიც იცის და კარგიც, და მათში საშუალო შეწონილსაც ეძებს და ნახულობს, ის უკვე პიროვნებაა.

743. სამწუხაროდ, კეთილი და პატიოსანი ადამიანები დღესაც არავის სჭირდება და უყურადღებოდ რჩება, რადგან მათ პროტესტის გამოხატვაც კი სირცხვილად მიაჩნიათ.

744. ამბობენ, ადამიანის უმთავრესი დანიშნულებაა დარგოს ხე, იყოლიოს შვილები და შექმნას პროფესიაში სიახლე. მე, როგორც პირველადი პროფესიით მეტყევეს, უამრავი ხე მაქვს დარგული და ნერგი გამოყვანილი, მყავს შვილები, მაქვს დასამახსოვრებელ-დაპატენტებული, დანერგილი მეცნიერული კვლევები, მაგრამ არ მგონია, როგორც ადამიანმა, ვალი მოვიხადე ჩემი ქვეყნის და ერის წინაშე, რადგან გაცილებით მეტის კეთება შემეძლო, თუ არა ადამიანური თანდაყოლილი სისუსტეები და სიზარმაცე.

745. ადამიანად რომ ჩაგთვალონ, ზოგჯერ ამის დამამტკიცებელი პარამეტრების მოძიებაცაა საჭირო.

+746. კარგ ადამიანს სახლის კარიც ღია აქვს და გულის კარიც, ოღონდ მას არ უნდა უმუხთლო, რათა კარების ჩაკეტვა არ ისურვოს.

747. განგებისგან გამორჩეულ ადამიანს, ამბობენ, ღვთიური სიკვდილი ერგებაო, და ისიც მოვალეა, რომ ღმერთი უკეთ იწამოს.

748. უპერსპექტივო ადამიანსაც ზოგჯერ დიდი მოვალეობა აქცევს ჭკუადამჯდარ და საჭირო ადამიანად.

749. ადამიანებს კარგი ცხოვრება მოსწონთ და ამისათვის რისკსა და პირადი ამბიციების დახურდავებას ხშირად არ ერიდებიან.

750. თანამდებობადაკარგულ ადამიანებს ბევრი ხელის მკვრელიცა ჰყავთ და ბევრიც მათზე დაბოღმილი.

751. ადამიანთა უმრავლესობა, იმისდა მიუხედავად, რომ ახალ საუკუნეში ცხოვრობს, მაინც ძველი საუკუნის პოსტულატებით ცხოვრობს და იღვწვის.

752. საკუთარი გზის კვლევისას ბევრი მყეფარი, შურიანი ადამიანი შეგხვდებათ, მაგრამ, თუ მათ დიდ ყურადღებას არ მიაქცევთ, თქვენსას მიაღწევთ.

753. ომის საშუალებას და მის შედეგებს ადამიანი სისხლის ღვრის დამთავრების შემდგომ აცნობიერებს, როდესაც ყველაფერი გადატანილი და მონელებული აქვს.

754. სინდისგარეცხილი ადამიანი ხშირად ცხვირ-პირ დაჟეჟილია, მაგრამ ეს არავის აღელვებს.

755. კანონი კეთილისმდომი გამონაკლისების გარეშე ავტორიტეტს ვერ მოიპოვებს, თუ გვინდა ადამიანურმა სამართლიანობამ იზეიმოს.

756. ადამიანი, რომელიც იმ დონის ღირსებას ფლობს, პატივს რომ მიაგებენ მოქიშპენი, ოპონენტები, მტრები, ჭეშმარიტი პიროვნებაა და

მისი ნააზრევი პატივს იმსახურებს.

757. ადამიანი, შესაძლებელია, ბუნების მბრძანებელი გახდეს, თუ ამას თავად ბუნება ინებებს.

758. ადამიანი სოციალური და საზოგადოებრივი არსებაა და, თუ როგორ უთავსებს ის ამ ცნობიერებებს ერთმანეთს, ისიც ამის შესატყვისად ყალიბდება როგორც პიროვნება, ქვეყნის მოქალაქე და ადამიანი.

759. ხშირად გვიჭირს გავერკვეთ, სათაყვანებელი ადამიანისადმი რომელი გრძნობა სჭარბობს: სიყვარული, მოკრძალება თუ პატივისცემა.

760. პასუხისმგებლობის გრძნობა თუ ადამიანს აწვალებს და მოჭარბებული აქვს, ის უკვე პიროვნებაა.

761. ადამიანები რომ შეკავშირდნენ და მათ ურთიერთობაში თანადგომამ იზეიმოს, მათ ერთდროულად უნდა განიცადონ ბედნიერებისა და მოსალოდნელი უბედურების შეგრძნება.

762. რაც უფრო ემატება ადამიანს წლები, უფრო საინტერესო, მზრუნველი და თავნება ხდება.

763. დროზე ადრე დაბადებულ ადამიანს ცხოვრება უჭირს, რადგან რეალობა მის აზრებს ვერ ეწევა.

764. მე არ შემიძლია ვიღვაწო მასისთვის, მე ვწერ განსჯა-ანალიზის უნარის მქონე წინგამხედავი ადამიანებისთვის.

765. ყველა ადამიანის უმთავრესი ბუნებრივი მოწოდებაა საკუთარი კეთილდღეობა, შემდგომ მოდის ეროვნულობა, სახელმწიფოებრიობა და სამშობლოს სიყვარული.

766. ძალაუფლების მოპოვების ცდუნებისადმი წინააღმდეგობის გაწევა ყველას უჭირს, რადგან აქ ადამიანური ამბიციების მოჭარბება ხდება.

767. განსჯადი ბუნების ადამიანები საქმეს გონებით აკეთებენ, ნიჭს ახმარენ და ცოდვებს შეძლებისდაგვარად საკუთარ თავს შეუნდობენ.

768. ადამიანი ყოველთვის ცდილობს გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები შემთხვევის ხელიდან გაუშვებლად და აქ დანაშაულის ჩადენაც გამორიცხული არ არის.

769. დრო და გარემოსთან ლოგიკური კავშირის უციდინარობა უფრო მეტად ადამიანის ხასიათზე აისახება და არა მის შესაძლებლობებზე.

+770. ყველაზე კუნთოვანი ნაწილი ადამიანის ორგანიზმისა ენაა, მით უფრო, თუ მის მოცულობას გავითვალისწინებთ.

771. ყველა თაობაში არიან ადამიანები, რომლებსაც ლეგენდად მოიხსენიებენ, ერის განძად აღიქვამენ.

772. დასჯა აბოროტებს, აჯიუტებს, აფორიაქებს, აფრთხობს, აჩმორებს ადამიანის სულსა და გულს და ადამიანობის შეცნობის უნარს

უკარგავს.

773. რეალურად ადამიანს ყოველივე აკრძალულისკენ აქვს მიდრეკილება, რადგან ის ახალია და საინტერესოც.

774. ადამიანური ცხოვრების უმთავრესი პარამეტრებია სიყვარულისა და ჰარმონიულობის შერწყმა დედამიწაზე.

775. ხსოვნიდან მშვიდად უნდა წავშალოთ ის ადამიანები, რომლებსაც ბოლომდის ვერ გავუგებთ.

776. ადამიანის მორალიც ცივილიზაციის შესატყვისად ვითარდება, ყალიბდება, ირყვნება.

777. მოაზროვნე ადამიანს ცხოვრება უჭირს, რადგან მას მარად რაღაც აწუხებს და აწვალებს.

778. ზოგჯერ ყველაზე ძნელია ადამიანის ხელოვნების საიდუმლოების ამოცნობა.

779. ჭკუის სწავლა სიბერეშიც ძნელია, რადგან ზოგჯერ ისეთი ადამიანი დაგიდებს კვანტს, საგანგებო შემთხვევა რომ შექმნილიყო, მისთვის შეიძლება თავიც კი გაგეწირა.

780. ადამიანის არაადეკვატური გენები, თუ საშუალება მიეცემათ, ყველა ასაკში თავს წამოყოფენ და მჟღავნდებიან.

781. ცოდვებისაგან მეტ-ნაკლებად ყველანი გასაწმენდი ვართ, რადგან ჩვენ უპირველეს ყოვლისა ადამიანები ვართ და არა – ანგელოზები.

782. პოლიტიკაში, ბიზნესში, კაცობაში ისეთი შემოქმედი და სანდო ადამიანის მოძიება, რომ არ ჩაიჭრეს შექმნილ გარემოებათა გამო, ძალზე ძნელია.

783. ადამიანიც თავისებური ნივთია, ვინ იცის, დრო მას როგორ გამოიყენებს და რა სახის ადგილს მიუჩენს ამ სამყაროში.

+784. ადამიანს, რომელსაც კეთილი შურითაც კი არავისი შურს, შეგიძლიათ ბოლომდე ენდოთ და დაეყრდნოთ.

785. თუ ადამიანი შინაგანად ბრწყინავს, მას თავის წარმოჩენის სურვილი დიდად არ აწუხებს.

786. პატიოსანი ადამიანი შორიდან იცნობა და რატომღაც ზოგჯერ მისიც შურთ.

787. ადამიანისათვის უმთავრესია დროის ფაქტორის ცოდნა, რომელიც შექმნილ გარემოს უნდა მოარგოს.

788. ადამიანის დიდგულობა უფრო გულში იბადება, ვიდრე თავში.

789. ადამიანის შესაძლებლობანი განუსაზღვრელია, ხოლო მისი შემფასებლები გაოცებული რჩებიან.

790. ადამიანთა უმეტესობა ცხოვრებას ეჩვევა და საინტერესოს არაფერსა ქმნის.

791. ზოგი ადამიანი სიცოცხლის მადლს გემოს ვერ ატანს და ჭკუას

– გონიერებას. და ამ უნიათობის „განტევების ვაცის“ ნახვაც უჭირს.

792. მთავარია ადამიანმა ღირსების გრძნობა შეინარჩუნოს, თუ გვინდა ის შემდგომში საზოგადოებას გამოადგეს.

793. ადამიანის გონი რკინის გამოყენების სხვადასხვა ვარიანტს გვთავაზობს: მისგან სახნისის გამოჭედვაც შეიძლება ადამიანების დასაპურებლად და ცეცხლსასროლი იარაღისაც ადამიანების მოსასპობად.

794. ძალზე ძნელია, საკუთარ თავს დააძალო, მუდმივად ამაღლებულზე და კარგზე იფიქრო. ისიც ხომ ადამიანის სხეულის ნაწილია თავისი ქვენა გრძნობებით და ხუშტურებით.

795. მიზიდულობის კანონის აუხსნელი ალგორითმები ყველა ადამიანის ცნობიერებაში ბუდობს.

796. მატერია მეტ-ნაკლებად ყოველთვის ცოცხლობს ადამიანის სულიერებაში.

797. არის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომელიც დედამიწას თავის ქცევით ამძიმებს, მაგრამ ცივილიზაციის მომძლავრებას ამგვარი ხალხის ოდენობას ამცირებს, ხოლო დედამიწას ამსუბუქებს.

798. ყველა ადამიანს აქვს თავისი სუსტი მხარეები, მაგრამ, როდესაც ქვეყნის ინტერესები ითხოვს, საჭიროა მოქალაქეებად ვიქცეთ, თავსა და პირად ინტერესებს ვაჯობოთ და ის არჩევანი გავაკეთოთ, რომელსაც გონიერის განსჯა გვთავაზობს და არა გული თავისი ქვენა გრძნობებით.

799. ადამიანის ამქვეყნიური განსასჯელია, მეტხანს იცოცხლოს თუ მეტხანს იტანჯოს.

800. ურთიერთობის ზომა-წონასაც ადამიანები, მათი ცხოვრების კაპრიზით ადგენს.

801. ადამიანის ყოფის ხარისხის აღქმა მარად განუსჯელ-დაუდგენელია.

802. დიქტატურას უფრო ადვილად იტანს ადამიანი, ვიდრე ამ დიქტატურის მიერ მიღებული კანონების დარღვევას.

803. ადამიანი მარად თავის შერჩეულ ღმერთზე ფიქრობს იმის იმედით, რომ ზენაარი მას შეამჩნევს.

804. ცრუ მედიდურობა ადამიანს ათავხედებს და ზოგჯერ კისერსაც ატეხინებს.

805. ცხვირაწეული ადამიანის ცხვირის ჩამოწევა ჭირს, რადგან ის ქრონიკულ დაავადებად იოლად იქცევა.

806. ადამიანი ვირზე უკეთესი არ უნდა იყოს?! თავად სანამდის არ შეცდები, სხვის შეცდომებზე ჭკუას მაინც ვერ სწავლობ.

807. თუ თავის ქმედებაზე ადამიანი პასუხს შეგნებულად აგებს და არა მოვალეობის მოხდის მიზნით, ის უკვე პიროვნებაა.

808. ადამიანს მთების ბარად გადაქცევაც შეუძლია, მაგრამ არა საკუთარი ბუნება-გუნების გამოცვლა, შეცვლა.

809. ჭრელი და გამოუცნობია ადამიანის ბუნება, რომლის არსში ჩამწვდომი წიგნი ჯერ არავის დაუწერია.

810. სასახელო ადამიანი, რომელიც საუკუნეში ერთხელ იბადება, მონატრების ღირსია.

811. ადამიანებს ხშირად იმიტომ გვცემენ პატივს, რომ მათ ისე ვექცევით და ვეხმარებით, როგორც მათ სურთ და სიამოვნებთ.

812. ადამიანი გარკვეულ ასაკში ან პირად ცხოვრებას ირჩევს და ოჯახდება, ან კარიერას და სახელს იხვეჭს.

813. ერთის დანახვა თუ სიამოვნებას იწვევს, მეორის შემჩნევა უსიამოვნებას გვგვრის. და ესეც ადამიანის მორალია.

814. ადამიანს აქვს მოჩვენებითი და ნაღდი უფლებები. პირველი ყბედობის უფლებაა, მეორე – კარგი ცხოვრების აწყობის საშუალება.

815. სიყვარული, შენდობა, ოცნება და წინხედვა – ესაა ადამიანის ამქვეყნად მოსვლის, დამკვიდრების და იმქვეყნად გადაბარგების ანიცა და ბანიც.

816. თანასწორობაც სულიერების თავისებური მანკია, რადგან ადამიანი ამქვეყნად თავის წარმოჩენის, სხვისი ჯობნისა და თავის გამოჩენისთვის არის მოვლენილი.

817. ჭორიკნობის ინტერესი ადამიანის სულიერების გამოძახილია, რადგან ზოგჯერ ადამიანის ბუნება მისთვის შეუცნობელ გართობას, დროს მოკვლას, მოითხოვს.

818. ყველაზე მეტად ადამიანს საკუთარ თავზე გადახტომა უჭირს.

819. სამყაროს საოცრების შეცნობას ადამიანის სახით მკვლევარი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სამყაროს თავის მშვენიერების წარმოჩენა გაუჭირდებოდა.

820. ადამიანები თანდაყოლილი სისუსტეებით ვევლინებით ამ სამყაროს; შემდგომ ვხდებით პატრიოტები, მოქალაქენი, მოყვასისთვის კეთილის მდომნი, თავის წარმოჩენითა და ამბიციურობით. ამიტომაც ადამიანს სჭირდება მისი უპირველესი მოთხოვნების დაკმაყოფილება: აღზრდა, საცხოვრებელი, სამსახური, დამაკმაყოფილებელი ანაზღაურება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის რაღაც სისულელეს ჩაიდენს ან ქვეყანას დატოვებს და ა.შ.

821. ხშირად ადამიანის ცხოვრება სევდანარევი იუმორია, რადგან მას ამ ცხოვრებაში საკუთარი თავის მოძიება უჭირს.

822. მორალი და პოლიტიკა თეორიულად განუყოფელია, მაგრამ პრაქტიკულად შორიშორს დააბიჯებენ.

823. დიდი ბუნების მქონე ადამიანთან საქმიანი საუბარი გაცილებით მეტ პრაქტიკულ შედეგს იძლევა, ვიდრე ინტერნეტში ხეტიალი,

სხვათა მოსაზრებებთან შეხლა-შემოხლა.

824. დიდი ბუნების შემოქმედი ადამიანი წვრილმანებზე არ ხურ-დავდება.

825. ბუნებით ძლიერია ადამიანი, თუ მას გადატანილი მწუხარება და სიხარული შინაგანად არ ცვლის.

826. დღეს ძნელია ადამიანის გონიერების იმედი ბოლომდის გქონ-დეს. როგორც მოდა გვკარნახობს ცხოვრების წესს: ტერორიზმი, პერს-ინგი, დახეული ჯინსები, წვერმოშვებული სიარული და მრავალი ამ-დაგვარი.

827. სულგრძელი ადამიანისთვის ყოფის ხაფანგების დაგება საზო-გადოებრივი დანაშაულია.

828. არაფრის მკეთებლებისაგან განსხვავებით, ადამიანი, რომელ-იც რაღაცას აკეთებს ან აფუჭებს, პიროვნებაა.

829. თავმდაბლობა ადამიანს ალამაზებს, მაგრამ სათანადოდ ვერც ასაქმებს და ვერც უზრუნველყოფს.

830. ზოგჯერ ფიქრობ, რომ ადამიანზე შემძლე არავინაა, თუ მას უდგება დრო შენების და გონიერების მოხმობის.

831. ბიოლოგიურ სისტემათა წონასწორობის დაკარგვა დიდ ზარალს მიაყენებდა კაცობრიობას. ამიტომაც ფლორისა და ფაუნის პატრონობა უპირველესი მოწოდებაა ჰომო-საპიენსისთვის, თუ უნდა, თავადაც არ გაქრეს ამ სამყაროდან.

832. ადამიანებს იმ შემთხვევაში შეუძლიათ ყოველგვარ ურ-თიერთგაგებას ხელი კრან, თუ ისინი ხელში იარაღს აიღებენ, რაც მათ უგუნურებას გაათამამებს და წაახალისებს.

833. ადამიანებს თავიანთი კარიერის საწყისი ცუდად ახსოვთ, რადგან მათ შედეგის მიმართ აქვთ პრეტენზიები და გაუგებრობა.

834. შურიან ადამიანს ენის მოუფხანლად, სიცოცხლის მადლის შეცნობა უჭირს.

835. სიძულვილსაც თავისი ტემპერატურა აქვს, რომელიც ადამი-ანის ბუნების შესატყვისად ცვალებადია.

836. ადამიანს რომ გაიცნობ, ის შენი არის ან არ არის და ამას ურთიერთობად ვნათლავთ.

837. ადამიანის ფსიქიკისთვის, რომელსაც ოცნება თან ახლავს, შეუძლებელი არაფერია.

838. ადამიანს თუ მოგებაზე მაღლა არ დავაყენებთ, ის ნარკომანი-ის ან უსაქმურობის მორევში ამოყოფს თავს.

839. შეზღუდული გონებისა და შელახული მენტალიტეტის მქონე ადამიანი ყოველთვის უფრო პრეტენზიულია.

840. ადამიანს რატომღაც უფრო უადვილდება საკუთარი თავის დაღუპვა, იდრე მისი ამ მდგომარეობამდე არმიყვანა.

841. მახვილის საქმიანი ქნევა და სიტყვის მახვილად გამოყენება თანაბარი სიქველეა.

842. ადამიანზე ბატონობის მცდელობა ადვილია, საკუთარი თავის დახსნა ბატონობის ამ მიდრეკილებისაგან – ძნელი.

843. წესით, ისაა უპირველესი კეთილის მდომი, ვინც შეცდომებზე მიგითითებს და საქმიან რჩევას მოგცემს, მაგრამ ადამიანის ამპარტავანი ცნობიერება ამისთვის მზად არ არის, თუ შენგან დახმარებას არ ელის.

844. დღევანდელი ტექნიკური პროგრესის მიღწევებიც კი არ იძლევა იმის უფლებას, რომ ადამიანს გადამოწმების გარეშე ენდოთ, იმდენად ცვალებადი და შურიანია მისი ბუნება.

845. სიღარიბე მუდამ პატიოსანია, სიმდიდრე – ზოგჯერ.

846. საინტერესოდ გაუგებარი ადამიანი უფრო მეტ მოწონებას იმსახურებს, ვიდრე ჩვეულებრივად გასაგები, რადგან ის ჩვენს ცნობიერებას აიძულებს, უფრო დაიძაბოს.

847. ქვეყნის კონსტიტუციის უპირველესი დანიშნულებაა ადამიანის პიროვნებად და მოქალაქედ ჩამოყალიბება-გარდაქმნა.

848. ადამიანის წარმოჩენას ნიჭთან ერთად დროდადრო გონიერების ხმობა სჭირდება.

849. ადამიანთა განვითარებაც დაპირისპირებას და არეულობას მოითხოვს, რათა მათმა მიდგომამ საზოგადოების „ნალოლიავები“ განვითარების საფეხურზე ფეხი მტკიცედ მოიკიდოთ.

850. ადამიანი მეტყველი ცოცხალი არსებაა, რომელიც საკმაოდ ფართოდ წარმოჩნდება როგორც დადებითი ისე უარყოფითი თვისებებით, რაც მის ბუნებას საინტერესოს ხდის.

+851. ადამიანი ქმნის პრობლემების დასაძლევ საჭირო პირობებს.

852. ადამიანის ცხოველად გადაქცევა არც ისე ძნელი ყოფილა, როგორც ეს თავდაპირველად გვეჩვენებოდა.

853. ანგარება ადამიანის ყველაზე საშიში თვისებაა.

854. ცოდვებს ამპარტავნობაც ახასიათებთ და ღალატიც, თუ ადამიანი მარტოოდენ ინსტინქტებით აპირებს ცხოვრებას.

855. სინანულსა და ცოდვას შორის სხვაობა დიდია, მაგრამ ორივე ადამიანის განვითარების ატრიბუტია.

856. პიროვნების შეცნობას გამოცდილება, ალღოს აღება, დროის შერჩევა და თანადგომა უნდა.

857. საკუთარი რწმენის, ძალის, მიზანდასახულების გაცნობიერება, ფიზიკურად ამშვენებს და სულიერად ამკობს ადამიანს.

858. ყველა ჩვენგანი უნდა ეცადოს, იყოს თავისი დროის ადამიანი, თუ უნდა ამ ყოფის მადლი შეიცნოს.

859. ადამიანის უპირველესი ნაკლი ის არის, რომ ის სურვილებით

იღვწის და არა გონის კარნახით.

860. ყოველი წუთის გაცდენა დასანანია, მაგრამ ადამიანს გართობაც სჭირდება, დასვენებაც. ამ მიზნით ის დაუფიქრებლად და მოჭარბებულად უამრავ დროს ხარჯავს.

+861. ადამიანური მოწოდებაა, ცხვირით ის ორმო არ ამოთხარო, სადაც არაფრის ჩამრგველი არ ხარ.

862. ბუნებით საფრთხობელა ადამიანი ანგელოზად ვერ გადაიქცევა და არც მის მორჯულება გადაკეთების მცდელობას აქვს აზრი.

+863. ადამიანი მოწოდებით დემოკრატი უნდა იყოს, მაგრამ ბუნებით დიქტატორი, თუ უნდა ირგვლივ მყოფნი დაიმორჩილოს და ახლობლებს არგოს.

864. საყვარელი ადამიანის ცნობიერებასაც ყოველდღიური ზრუნვა სჭირდება, სინაზის გამომჟღავნებით, ყურადღების გამახვილებით და „შენ ხარ ვენახის“ ძახილით.

865. ადამიანის ქცევის ნორმებს განსაზღვრავს და განსჯის თვითნაბადი სინდისი, შეგნება, საკუთარი თავის პატივისცემა, საზოგადოებრივ ინტერესთა გათვალისწინება.

866. ადამიანებს ზოგჯერ გვეშინია ერთმანეთის გაცნობა-შეცნობა.

867. არცერთი მაღალფარდოვანი სიტყვა, სურვილი, მცდელობა არ ღირს თუნდაც ერთი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლის ფასად.

868. დიდი შეურაცხყოფაა, როდესაც ვითომდა გაჭირვებული ადამიანის თხოვნაზე წამოეგები, დაეხმარები, ის კი თავისიანებში ტრაბახობს, რომ შევაცდინე და „გადავაგდეო“.

869. ბუნებით ყოველი პატარა ადამიანის „მოწოდებაა“ პოლიტიკანობა, სულიერების მოჩვენებითი წამება.

870. ახალი სიცოცხლის გაჩენა კი არ არის ძნელი, არამედ ჩვილის ადამიანად აღზრდა.

871. სოლიდარობა თუ ადამიანურ ღირსებას არ ეყრდნობა, აზრს კარგავს, რადგან ის რაიმე კრიმინალურ დაჯგუფებად აღიქმება.

+872. დღევანდელ ყბედ და უნიათ ხალხს რომ უყურებ, ამდენი გამოცდილება-ცოდნის ადამიანს უნებლიეთ წამოგცდება: „თქვე ვირიშვილებო, სანამ ვარ ამქვეყნად, გამომიყენე“.

873. სამწუხაროდ, ადამიანზე ბოლომდის დაყრდნობა, მცირედი გამონაკლისის გარდა მრავალჯერ გამოცდის შემდეგაც არ შეიძლება.

874. შემართება, სილამაზე, ძალა, შეუპოვრობა – ძირითადად ეს პარამეტრები განსაზღვრავს და განსჯის ადამიანის რაობის ხარისხს და მის დამოკიდებულებას საქმისადმი, სიყვარულისადმი.

875. ძნელია იმაზე წეროთ, რაც თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ კიდევ განუხორციელებელია, რადგან ადამიანს მარად უჭირდა იმის კეთება, რაც დღესდღეობით მიუღებელი და

გაუცნობიერებელია.

876. ადამიანის უდიდესი შენაძენია საკუთარი ემოციების, განცდების აღქმა და მართვა.

877. ადამიანი გაახალგაზრდავებისკენ დაუსრულებლად უნდა ისწრაფოდეს, თუ უნდა ამ ყოფიერების მადლი სრულად შეიცნოს.

878. ადამიანს ვიზუალური და მატერიალური თვალსაზრისით არ უნდა მივანიჭოთ უპირატესობა. აქ მთავარია მისი შინაგანი ხედვა და პრინციპულობისადმი დამოკიდებულება.

879. სერიოზული ადამიანი მარად გადაღლილია და მასთან ურთიერთობა გულის გადახსნით ჭირს, რადგან მას სენტიმენტალიზმისთვის დრო არ რჩება.

880. პირველყოფილმა ადამიანმა ცივილიზაციის სტადიების ბოლომდის გავლა ვერც კი მოასწრო, რომ ცივილიზაცია ისევ მათ დონეზე დაეცა. მგ. ქალებს დღევანდელი აქსესუარი ბიკინი, რომელმაც წარსულის ლეღვის ფოთოლი შეცვალა.

881. სხვადასხვა ქვეყანაში ნაღვაწი ადამიანი სამშობლოს არქონას მძაფრად განიცდის, რადგან თავისუფლების, დემოკრატიის და ინტერნაციონალის აჯაფსანდალის წვენში იხარშება.

882. ყველაზე მეტად ადამიანი თავისი საკუთრებიდან პატივს მიაგებს სიცოცხლეს, სახელს, მოზარდი თაობის აღზრდას და სურვილს, რომ მისი სახელი ზოგჯერ გაიხსენონ კიდეც.

883. ზოგჯერ პატივს მივაგებთ ისეთ რამეს, რაც არ გვიყვარს. ვინ გაუგებს ადამიანის ბუნების კაპრიზებს – ის ხომ არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება!

884. ადამიანსა და სამყაროს შორის სულიერი კავშირი ბოლომდის გაუცნობიერებელი დარჩება, იმდენად შეუცნობელი და ჩაუწვდომელია ამ კავშირის ბუნება.

885. ადამიანებმა ერთმანეთი უნდა აღვზარდოთ, მოვეფეროთ და კანონის მორჩილნი გავხდეთ – ესაა ჩვენი წინსვლის ბერკეტი.

886. ადამიანს ყველაზე უკეთ არაორდინალურ გარემოში დამგზავრებისას შეიცნობ.

887. კანონი მკაცრი, სამართლიანი და აღსრულებადი უნდა იყოს, თუ გვინდა თავისი უცილობელი საქმე აკეთოს და რეალური შედეგები მოიტანოს.

888. ადამიანის უპირველესი საყრდენია ხასიათის სიმტკიცე, შემდგომ მოდის ნიჭი და შემართება.

889. ადამიანს ფიქრს და გარჯას ყბედობა ურჩევნია, რადგან ეს უკანასკნელი გართობის უმტკივნეულო და იოლად ხელმისწავდომი საქმეა.

890. ადამიანთა უამრავი ნაკლის მიუხედავად, არსებობს გარკვეუ-

ლი ზღვარი, კაცობის თვალსაზრისით, რომლის იქეთ გადაბიჯება „კაცობრიობის ღალატად“ უნდა ჩაითვალოს.

891. ადამიანის ცნობიერების დანაწევრებაც შესაძლებელია და გაერთიანებაც. გააჩნია, რა გვსურს მისგან მივიღოთ: გენიოსი თუ ჩვეულებრივი მოკვდავი.

892. არამზადა ადამიანის დამუშავება ზოგჯერ გასილაქებითაც შესაძლებელია, რათა მასში ადამიანის საწყისი გამოვაღვიძოთ.

893. სისასტიკე და სიკეთე ორი საუკეთესო საშუალებაა ადამიანის ჩამოსაყალიბებლად.

894. სამყარო უსასრულია, მაგრამ ადამიანის ცნობიერება და ფანტაზია ამას ვერ ურიგდება.

895. დამოუკიდებელი და თავისუფალი ადამიანი ბუნებით მშვიდი უნდა იყოს და მისივე გამოგონილი თავისუფლებით.

896. სამწუხაროდ, ცივილიზაცია ერთმანეთს აშორებს ადამიანებს, ნათესაურ გრძნობებს აუფასურებს და გვავიწყებს.

897. ადამიანები იმისდა მიხედვით იქცევიან, თუ დღევანდელი იდეოლოგია მათ თავში რას ჩაუყრის.

898. ადამიანები უმთავრესად გაუცნობიერებელი აზრების ძიებაში კარგავენ დროს.

899. ადამიანის ბედის აღლუმი დროისა და გარემოებისთვის ალღოს აღებას უნარს ემორჩილება, განსაკუთრებით მაშინ თუ ის ამ დღისთვის არის დაბადებული.

900. ადამიანად თავი რომ იგრძნო, საზოგადოების კეთილდღეობისთვის უნდა იღვწოდე, ოღონდ არც საკუთარი თავი უნდა დაივიწყო, რადგან ყოფიერების ფინიშზე ვერც ჯეროვნად გაგიგებენ და არც სათანადოდ დაგაფასებენ.

901. მოქნილი ჭკუის ადამიანი თანადგომას იმსახურებს და არა ნდობას.

902. ადამიანი ცუდი მტერია, კარგი მოყვარეა, ოღონდ თეორიულად, რადგან, ცხოვრება ვის როგორ წაატეხინებს ფეხს და მათგან რა გამოდნება, არავინ უწყის.

903. ადამიანის ცხოვრების წესი არც დადებითია, არც უარყოფითი.

904. ადამიანისთვის ყველაზე მეტად ღირებული სიყვარული, სიხარული და მოყვასის თანადგომაა.

905. ადამიანს ზოგჯერ მისი ოპონენტების, მტრების ოდენობით და მათი შესაძლებლობებით აფასებენ.

906. დიდი ადამიანის შეცნობა მისი სიკვდილის შემდგომაც გრძელდება.

907. გუშინ მოსკოვში ცხოვრება იყო პრესტიჟული, დღეს – ამერიკაში, ხვალ – მარსზე იქნება, ზეგ – გალაქტიკის გარეთ, ასე და ამგვარად

ადამიანთა მოდგმის გარკვეული ნაწილი ასე იხვეჭს ავტორიტეტს.

908. ადამიანის უპირველესი დანიშნულებაა, სიცოცხლე თავაწეულმა განაგრძოს და მისი შედეგებით იამაყოს.

909. ადამიანის შეცნობა მისეულ დაპირებათა შესრულებით უნდა მოხდეს.

910. ხშირად ერთი ადამიანის გარდაცვალებას უფრო განვიცდით, ვიდრე ავიაკატასტროფაში ასი ადამიანის დაღუპვას, რადგან ასზე გადანაწილებული მწუხარება სინანულს ტოვებს, რადგან ეს უკვე სტატისტიკაა.

911. ადამიანის თავში უამრავი აზრია ჩადებული, რომელთაგან ბევრს სულიერება არ ეთანხმება და მაშინ გონი ერთვება საქმეში.

912. ადამიანი, რაც უნდა კარგად ცხოვრობდეს დროსა და გარემოს გათვალისწინებით, მაინც უკმაყოფილოა, რადგან ამქვეყნად ყველაფერი შედარებითი და წარმოსახვითია.

913. ადამიანი შეიძლება ღარიბი იყოს, მაგრამ არა ღატაკი, რადგან სიღარიბე დაძლევადია, ხოლო სიღატაკემ მიჩვევა და ცხოვრების წესად გადაქცევა იცის.

914. ადამიანთა მოდგმამ თავადაც არ უწყის, მომავალში რას ჩაიდენს და მოიმოქმედებს ცივილიზაციის შემოტევის შედეგად. ამიტომაც ის მარად გამოუცნობი და საშიშია.

915. შენთვის ნაცნობი საქმე რომ უკეთ და შემოქმედებითად აკეთო, ამისათვის წინდახედულებასთან ერთად ზემდგომისადმი შიში და რიდია საჭირო. რას ვიზამთ, ასეთია ადამიანის ბუნება.

916. ადამიანი, რომელიც შეცოდება-შენდობის გრძნობას კარგავს, ადამიანის სტატუსს შინაგანად ემშვიდობება.

917. საყვარელ ადამიანს რომ სიამოვნება მიანიჭო, პირველ ყოვლისა, მის საგარეო მოთხოვნებს უნდა იცნობდეთ და არა საყოველთაოდ ცნობილ საშინაო მოთხოვნილებებს.

918. საზოგადოებაში „ვაგონს“ განეკუთვნებიან ის ადამიანები, რომლებიც ტექნიკური პროგრესის მიღწევებს ისე მოიხმარენ და იყენებენ, რომ მათზე არც დაფიქრდებიან, ხოლო „ორთქმავლები“ პროცესებს უკვირდებიან და მათ არსში ჩაწვდომას ცდილობენ.

919. ადამიანები ხშირად ივიწყებენ, თუ ვისი წყალობით მიაღწიეს წარმატებას ცხოვრებაში. ეს გულმავიწყობა ხშირად ძვირად უჯდებათ, რადგან ასეთებს მფარველი ანგელოზი ზურგს აქცევს ხოლმე.

920. ადამიანი სიცილ-ტირილში უკეთ შეიცნობა, ვიდრე ბაასსა და საქმიან ლაპარაკში.

921. ძნელად აღსაქმელია, როდესაც არაპროფესიონალები აშენებენ შენი ყოფის გასავლელ გზას, მაგრამ ადამიანმა, ეტყობა, დროსა და გარემოს შესატყვისად ამასაც უნდა გაუძლოს და ეს ჭირიც სახადივით

მოიხადოს.

+922. ნიჭიერი ადამიანის დანიშნულებაა, სიხარული მიანიჭოს საზოგადოებას, სპორტში იქნება ეს, ხელოვნებაში, მეცნიერებასა თუ „ჭკუა ნაღრძობ“ პოლიტიკაში.

923. ადამიანი ფაუნის არსებათაგან, მორალით, ზნეობრივი თვისებებით უნდა განსხვავდებოდეს, მიუხედავად მისთვის დამახასიათებელი მეტიჩრობისა.

924. თავისუფლებას ადამიანი ზოგჯერ ცუდად იყენებს და ხშირად უკანონობის დაკანონებას ცდილობს.

925. ადამიანი, რომელსაც მოსმენის უნარი არ შესწევს, არც განსჯისთვის ვარგა და არც რეალური საქმის კეთებისთვის.

+926. გმირულად დაღუპული ადამიანი მომდევნო საუკუნეთა გერი არ უნდა გახდეს. თუ ასე მოხდა, ეს საზოგადოების უვარგისობას ადასტურებს.

927. ჯერჯერობით ოქრო უპირველესი საშუალებაა ადამიანის ერთგულების მოსაპოვებლად და მისი ბუნების ამოსაცნობად.

928. წარმატებულ ადამიანს მომხრეებიც ჰყავს და მოშურნენიც. გააჩნია, მისი ქმედება ვის გამორჩენის წისქვილზე ასხამს წყალს და რა იმედებს აფქვავს.

929. წესიერება ადამიანის ყველა ქმედებაში ვლინდება, თუ ის შინაგანად არის დამოძღვრილი.

930. განსჯას და სიახლის აღქმა-გათავისებას მოკლებული ადამიანი „ვაგონია“, ხოლო ვინც ამ ვაგონებს ჩაიბამს და გადააადგილებს, „ორთქმავალია“, ხოლო მათ სასიკეთო ქმედებათა შემაჯამებელი ის ხალხია, რომელიც მომდევნო საუკუნეებს მოემსახურება.

931. არის ადამიანთა კატეგორია, რომლებმაც „ყველაფერი იციან“ და არაფერი ახალი არ მოსწონთ, რადგან ისინი თავიანთ ამპარტავნობას ვერ ელევიან და უვიცობის ცოდნად წარმოჩენას ცდილობენ.

932. ადამიანთან ურთიერთობა ხშირად სხვათა საქმეში ცხვირის ჩაყოფას გულისხმობს.

933. ადამიანის ტვინი არ იცვლება, მაგრამ მის სასიკეთოდ შენჯღრევას არ უნდა მოვერიდოთ.

934. ადამიანად ყოფნა, ჩამოყალიბება ჩვენი ბუნების დამსახურებაა, მაგრამ ყველა ამ ბუნებით კმაყოფილი ვერ იქნება.

935. გაუბედაობა, ადამიანის ბუნების ყველაზე დიდი ნაკლოვანებაა.

936. გარემოს ძალებსა და ჰომოსაპიენსს შორის ის სხვაობაა, რომ ბუნება ქმნის შედევრებს, რომელსაც უფრთხილდება, ადამიანი ქმნის განუსაზღვრელ ნაღვაწს, რომელსაც არ უფრთხილდება.

+937. ადამიანები ხშირად თავიანთი მინუსებით უფრო საინტ-

ერესონი არიან, ვიდრე თავს მოხვეული პლიუსებით.

938. ადამიანი მაშინ ხარ, თუ არჩევ, რა არის კეთილი და ბოროტი, რაა მისაღები და მიუღებელი და აქ გამონაკლისის დაშვება არ იგულისხმება.

939. ადამიანებმა რომ უკეთ იცხოვრონ, უპირველეს ყოვლისა თავიანთი მსოფლმხედველობა, ინტერესები, რწმენა, გენი უნდა წარმოაჩინონ.

940. ზომიერი ორგინალობა ადამიანის წარმოჩენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

941. ადამიანის მეხსიერება უამრავ ინფორმაციულ ნაგავს აგროვებს, რომლის დავიწყება და გაწმენდა, მისი სურვილის მიუხედავად, არ ხერხდება.

942. ადამიანთა მოწოდებაა ურთიერთგაგება, სიახლის სწრაფვა, განვითარება და არა დროის გაცდენა და ურთიერთგადაგდების მცდელობა.

943. ადამიანი მისთვის უცნობი მწვერვალების დასაპყრობად მარად იღვწის.

+944. სწავლა – სიბერემდე და ხელის გამოღება – სიკვდილამდე.

945. არიან ადამიანები, რომლებიც მცირედით კმაყოფილდებიან და ესეც თავისებური ნიჭია.

946. რიდის, შიშისა და სიწმინდეთა უქონელი ადამიანი ვერც ქვეყნის მოქალაქეობას შეძლებს და სანდოც არ არის.

947. ყველა ადამიანი თავისი ვალის მოსახდელად ევლინება ამ სამყაროს, იმისდა მიუხედავად, ვალის მოსახდელად ირჯება თუ არა.

+948. ადამიანის ადამიანად აღზრდა ერისა და ქვეყნის უპირველესი საზრუნავია, რათა ქვეყნის სახელმწიფოებრიობამ „ჭიხვინი“ არ დაიწყოს.

949. ადამიანური ქცევა-მოქცევის ცოდნა ყველა გარემო პირობებში უმთავრესია და მომგებიანიც.

950. სიცილი, ტირილი ადამიანის შეცნობაში გვეხმარება.

951. ადამიანი საკუთარი თავის წარმოჩენა-გამორჩენისთვის ხშირად ბევრ უკადრის რასმე კადრულობს.

952. ჰომოსაპიენსს არ აწყენინებენ, უბრალოდ, მას უგებენ ან შორდებიან.

+953. კარგი იქნებოდა, ადამიანს ავი სიტყვის „გადმონერწყვა“ რომ შეძლებოდა.

954. ადამიანის მოწოდებაა, სხვათა გასაჭირი გაიზიაროს და მათი მწუხარება განაქარვოს.

955. ცოდნის შეძენა, სიახლის მოძიება და ზუსტი საქმიანობა ადამიანის სასიკეთოდ წარმოჩენის გარანტია.

956. სენტიმენტალობა – ეს ბუნებრივი მოთხოვნილებაა, ოცნება-დაკარგული არშემდგარი ადამიანისა.

957. არკუთვნილი გამორჩენისკენ თუ თვალი გაექცევა, ის ადამიანი სანდო არ არის და მას მრავალჯერ გადამოწმება სჭირდება.

958. გაკვირვების უნარმოკლებულ ადამიანებს რომანტიკის სიყვარული ახსიათებთ.

959. რეალობაში კარგი იქ, სადაც ჩვენ ვართ და ვიღვწით, წარმოდგენაში კი ყოველივე პირიქითაა, რადგან ადამიანი ბედს არასოდეს ურიგდება და მუდამ უკმაყოფილოა.

960. მორალი და შეგნება, ადამიანის მოთხოვნათა მადის ზრდის შესატყვისად თანდათან დევალვირდება.

961. დღეს ტექნიკური პროგრესი და მასთან შერწყმა წყვეტს ადამიანის ბედს და არა უნიათო ხელისუფლება.

962. ადამიანმა სასიკეთოდ და დროულად უნდა მოირგოს ტექნიკური პროგრესის წყალობით მოდაში შემოსული „ყოფიერების აბჯარი“, ე.ი. ცხოვრება გაიადვილოს, გადაახალისოს.

963. სინდისის ქენჯნა შემოგვრჩენია? ეს უფლებას გვაძლევს, ადამიანებზე ხელი საბოლოოდ არ ჩავიქნიოთ.

964. არის ადამიანთა კატეგორია, რომელიც ნიჭს მხოლოდ მაშინ წარმოარჩენს, როდესაც რაღაც გასაფუჭებელ-გასაბინძურებელია.

965. როდესაც ქვეყანა ქაოსში ეხვევა, მაშინ იწყება ადამიანთა რეალური ბუნების გამომზეურება.

966. ადამიანი შექმნილია სიყვარულის, გარჯის, შთამომავალთა კვლავწარმოებისთვის, ხოლო, რაც შეეხება მომხვეჭელობას, შურს, ურთიერთდაპირისპირებას – ეს ძირითადად გაუგებრობის შედეგია.

967. ადამიანი ფასდება მისი მეტოქის პოტენციალისა და ავტორიტეტის შესატყვისად.

968. ადამიანის მოწოდებაა, შემოქმედებითად იღვწოდე, პროგრესს არ ჩამორჩეს, დროის შესატყვისად იცხოვროს.

969. ტექნიკური პროგრესი დროდადრო იმაზე დაფიქრების საშუალებას გვაძლევს, თუ ადამიანმა თანდათანობით როგორ უნდა დაძლიოს გულგრილობა, ჩამორჩენილობა და წარუმატებლობა.

970. ადამიანი, რომელსაც „ტყუილიც კი დაეჯერება“, ჩამოყალიბებული პიროვნებაა და მისი ნდობაც შესაძლებელია, რადგან ის „უკადრებელს არ იკადრებს“.

971. ზოგჯერ ადამიანს სურვილი უჩნდება თავის მოტყუებისა და ოცნებით ცხოვრებისა, რათა თავი ბედნიერად იგრძნოს.

972. თუ საქმოსანი ადამიანი ყიდულობს კარიერას ან მასში ფულს აბანდებს, შეუძლებელია, რომ მან ეს თანამდებობა, მდგომარეობა ფულის საკეთებლად და ქვენა მიზნების მისაღწევად არ გამოიყენოს.

973. უგემოვნებო ადამიანი დროზე ადრე ბერდება და მიმზიდველობასაც ადრე კარგავს.

974. ადამიანს მხოლოდ ერთხელ უნდა მივცეთ გადაცდენის უფლება, რათა გადაცდენა წესად არ გაიხადოს და ამ სიმპტომით არ დაავადდეს.

975. ღირსეული ადამიანის პარამეტრებია: პატიოსნება, რეალობისთვის თვალში ყურება, სამშობლოს სიყვარული, საკუთარი ოფლით პურის ჭამის უნარი.

976. ყველა ადამიანი თავისებური ქმნილებაა, იმისდა მიუხედავად, მის აზროვნებას ვწვდებით თუ არა.

977. ადამიანი ჭირშიც შეიცნობა და ლხინშიც, ოღონდ მისი დახასიათება დამოკიდებულია დამკვირვებლის პრიორიტეტებზე.

978. აღიარების, აღსარების დროსაც გვრჩება რაღაც უთქმელი, რადგან ადამიანი ცდილობს იმქვეყნად რაღაც საიდუმლო და წმინდა თან გაიყოლიოს.

979. სიყვარულის, რწმენის, მიზნის გარეშე ადამიანი არაფერია.

980. ადამიანის ბუნებას უპირველეს ყოვლისა მისი ემოციები წარმოაჩენს და არა ჭკუა-გონება.

981. ადამიანი ბოლომდის სანდო არ არის, იმისდა მიუხედავად, კარგად ვიცნობთ თუ არ ვიცნობთ, რადგან, რა დროს გადაუბრუნდება ტვინი, არავინ უწყის.

+982. უვარგისი ადამიანები არ არსებობენ, არსებობენ დაუსაქმებლობით წამხდარნი.

983. ადამიანი ძირითადად ბედის უმადურია, ხოლო უმადურობის სენი დასაქმებით და წესრიგის დამყარებით უნდა მორჩეს.

984. ადამიანი ყველაზე მეტად მის მიერ შეკოწიწებული იდეების და იდეალების მსხვრევას განიცდის, რადგან ეს მისთვის რწმენის დაკარგვის ტოლფასია.

985. მომდევნო საუკუნისთვის შობილი ადამიანი თანამედროვეებს ვერ უგებს და ეს უკმაყოფილებას იწვევს მათ ურთიერთობაში.

986. ყოფა ზოგჯერ ახლობლებს ერთმანეთზე გაანაწყენებს და პიროვნების ადამიანის სტატუსს უკარგავს.

987. ფიქრისა და საზრუნავის გარეშე ყოფნა ადამიანობას გვაკარგვინებს, ხოლო სხვაზე ზრუნვა, მოვალეობის განცდა, ადამიანად გვაქცევს და გვაყალიბებს.

988. მთავარი ის კი არ არის, ადამიანი რას ამბობს, მთავარია, ემოციებს როგორ გამოხატავს და სხვათა აზრს როგორ ეწყობა.

989. უახლოეს ადამიანთან ურთიერთობაც კი თავის ჩარჩოებს, მიდგომას მოითხოვს.

990. რომ იცოცხლო, უნდა იცხოვრო, რომ იცხოვრო, უნდა გაის-

არჯო, რომ გაისარჯო, უნდა იაზროვნო.

991. ადამიანი ანგარიშმგებელია არა ღვთის, არამედ საკუთარი თავის წინაშე. განგებასაც მაშინ მიაპყრობს მადლიერების მზერას.

992. წარსულში შეძლების მქონე ამბიციური ადამიანი პარტნიორად და ხელქვეითად არ გამოდგება.

993. ადამიანები ყველაზე ხშირად იმაზე საუბრობენ, რაც აწუხებთ და ირგვლივ მყოფთ რა ნაკლი აქვთ.

994. ადამიანი, რომელიც სახეს კარგავს, სიყმაწვილეში ცუდად აღუზრდიათ.

995. დედამიწაზე ძალზე ბევრი „ნაყარ-ნუყარი“ ადამიანია. მათგან განთავისუფლება პლანეტას ნამდვილად არ აწყენდა.

996. ადამიანმა რა ასაკშიც უნდა დაკარგოს მშობლები, ის მაინც საწყალი და ობოლია.

997. რელიგია იდეოლოგიაა, რომელიც გვაიძულებს ადამიანებად დავრჩეთ და ადამიანური საზოგადოება შევქმნათ.

998. ადამიანს ყველაზე მეტად იმ თვისებათა შეცნობა უჭირს, რომელიც განგებამ უბოძა.

999. ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ ადამიანს სასწაულის იმედი აქვს, რადგან თავად სულით პარაზიტია.

1000. ჩემთვის ყველა ყბედი და კუდაბზიკა ავადმყოფი და არშემდგარი ადამიანია.

1001. შეიძლება ჭკვიანიც იყო და გამოცდილიც, მაგრამ ადამიანთა შესაცნობად საჭირო თვითნაბადი ნიჭი არა გქონდეს.

1002. იმედია, მომავალში ადამიანთა დაჭკვიანებული და ინფორმირებული თავები, თავისი უგვანო თვისებებს და გენეტიკას „ცხვირს მოხოცავენ“ და სადავიდარაბოც აღარაფერი დარჩება.

1003. განუსჯელი სიამაყე და ბრექი ხელს გვიშლის ვიყოთ ცხოვრებისთვის მისაღები და ირგვლივ მყოფთათვის გასაგები ადამიანი.

1004. ადამიანი მარად დაუნახავი და უმადურია, სწორედ ისე, როგორც მის მიერ შექმნილი საზოგადოება.

1005. ბედნიერი ადამიანები ხშირად გამოუსწორებლები არიან, რაკიღა ბედი მათ მიმართ გულმოწყალედაა განწყობილი.

+1006. არის ადამიანთა მცირედი ნაწილი, რომელთათვისაც ციხე „დასასვენებელი სახლია“ და ეს კანონის და საზოგადოების ნაკლზე მოითითებს, რაკიღა „მუქთახორებს“ იმიტომ ინახავს, რომ რა მოუხერხოს მათ, არ იცის.

1007. ადამიანი თვითმკვლელობით მაშინ ანებებს თავს სიცოცხლეს, როდესაც არავის სჭირდება, უპირველეს ყოვლისა კი – საკუთარ თავს.

1008. ადამიანი თუ საკუთარ თავს იმას უჩალიჩებს, რაც საზოგა-

დოებისთვის მიუღებელია, ის განწირულია და მისი გამოსწორება არ ეგების.

1009. წესით, ადამიანმა და სახელის დაგდებისთვის უნდა იცხოვროს და არა ვიღაცისთვის ნიშნის მოგებისთვის.

1010. განათლებულ ადამიანს გულკეთილობამ ხელი არ უნდა შეუშალოს, რათა მან ღირსეული მომავალი თაობა აღზარდოს.

1011. ადამიანი ხომ ყველგან გონის ხმობით, საქმის კეთება-მოკვარახჭინებთ ფასდება და არა ყბედობით, ავყიაობითა და თავისი უნიათობის სხვაზე გადაბრალებით.

1012. ყველაფერზე წამსვლელი ადამიანი, რომელიც ზოგჯერ თავისას აღწევს, მერყევია, დროებითია და სანდოც არ არი.

1013. არიან ადამიანები, რომლებიც სხვათა შურის ხარჯზე სულიერად იკვებებიან და მათ გაძღომას საშველი არ ადგას.

1014. არის ადამიანური ვალი, რომელსაც სიყვარულითა და მოწოდებით იხდი, არის რაღაცა, რომელსაც მოვალეობის მოხდისა და კეთილი ბუნების გამო აკეთებ და მათ შორის სხვაობა დიდია, მაგრამ ორივე გონიერების ადამიანურ კანონებს ემორჩილება.

1015. ადამიანს მისი ქმედებანი ყველაზე უკეთ წარმოაჩენს.

1016. ადამიანის ბუნების გაშიშვლების და მისი წარმოჩენის უნარი დიდი ნიჭია, იმისდა მიუხედავად, ის მოსწონთ თუ არა.

1017. ადამიანთა განურჩევლობა და მათი ერთ ქვაბში ხარშვა უზნეობაა და ის ქვეყნის აღმშენებლობას თავისებურად ხელს უშლის.

1018. წარსულის გამოცდილებას რატომღაც აწმყოს გამოუცდელობა ანგარიშს არ უწევს, რადგან ადამიანის უგუნურებისკენ მიდრეკილება ყველა დროში ერთნაირია.

1019. ადამიანის ბუნების შეცნობა, ყოველთვის როდი გვაყენებს იმ ხასიათზე, რომ ის შევიყვაროთ და გვერდში დავუდგეთ.

1020. მოჭარბებული ნიჭი, ტალანტი, თვითმყოფადობაც თავისებური ნაკლია, რადგან ესენი დადგენილი საყოველთაო სტანდარტებიდან გადახრა.

1021. ყველა ადამიანს მისთვის დამახასიათებელი სისუსტეს ფლობს.

1022. ადამიანს საკუთარი უნარების მონოპოლიზება შეუძლია და მისი რეალიზებაც.

1023. მარტოობის დღესასწაულის შეცნობა ყველას როდი ძალუძს, იმდენად სხვადასხვაა ადამიანთა ბუნება, გუნება.

1024. ამქვეყნად უამრავი ჭკუანაღრძობი, უსაქმური მოკვდავი ცხოვრობს და არა საღ ჭკუაზე მყოფი საქმის მკეთებელი საქმიანი, ეს რომ პირიქით იყოს, ეს აუცილებლად ნეგატიურად აისახებოდა ჩვენს მსოფლმხედველობაზე და ცხოვრების დონეზე.

1025. არის ადამიანური ვალი, რომელსაც სიყვარულითა და

მოწოდებით იხდი; არის რაღაცა, რომელსაც მოვალეობის მოხდის და კეთილი ბუნების გამო აკეთებ. მათ შორის სხვაობა დიდია, მაგრამ ორივე გონიერების ადამიანურ კანონებს ემორჩილება.

1026. უგვანობა უცოდველ ქმედებებსაც ბოროტების სამსახურში აყენებს.

1027. ადამიანის ბუნების გაშიშვლებისა და მისი წარმოჩენის უნარი დიდი ნიჭია, იმისდა მიუხედავად, ის მოსაწონია თუ არა.

1028. ადამიანებს უჭირთ, იყვნენ ერთმანეთისგან განსხვავებულნი, რადგან, იყო განსხვავებული – ეს განგების ნაჩუქარი ნიჭია.

1029. ადამიანის ბუნებრივი მოწოდებაა, იყოს ბედნიერი ყველა დროსა და გარემო პირობებში, თანაც ისე, რომ ბედმა დაცინვა არ დაუწყოს.

1030. ყველაზე მეტად ადამიანი საკუთარი უმწეობისა და უნიათობის გამო იჩაგრება.

1031. ამქვეყნად კურთხეული ადამიანი ჩვეულებრივ იმქვეყნიდანაც კურთხევას გვიგზავნის.

1032. ადამიანები ერთმანეთს ძაღლებივით კბენენ, მაგრამ საკმარისია, მტერი გამოჩნდეს, ირაზმებიან და მტრისკენ შებრუნდებიან ბძოლის სურვილით.

1033. ზოგჯერ მიღებულ ადამიანს რაღაც გაუგებრობისა და შურის გამო ყველა მტრად ექცევა და რატომ, თავადაც არ უწყიან.

1034. დროის წიმსწრებ ადამიანს თავისი ნიჭის წარმოჩენა უჭირს, იმისდა მიუხედავად, რომ მომავალი მისია.

1035. ადამიანის უპირველესი უფლება – ეს არის უფლება სიცოცხლისა, ხოლო შემდგომ მოდის უფლება ყველა დანარჩენისა.

1036. ადრეულ ასაკში ადამიანის ცნობიერებაში ჩაბეჭდილი პოსტულატები შედარებით მტკიცეა და საიმედო.

1037. სულით ღარიბი ადამიანისგან დაძალებით საქმის გაკეთების შემდგომაც ხეირის ნახვა ძნელია.

1038. სულიერად მომწიფებულ ადამიანებთან მეგობრობა და ნაცნობობა შესაძლებელია და მომგებიანიც.

1039. შერკინება-დაპირისპირების, აზრთა ჭიდილის გარეშე ადამიანის გაუსვენებელ მიცვალებულს დაემსგავსება.

1040. ზოგჯერ რეალობას წარმოსახვით ცხოვრებას ვამჯობინებთ, იმდენად ძლიერია ადამიანის გაუცნობიერებელი შინასამყარო.

1041. ტანჯულადაა დაბადებული ის ადამიანი, ვინც თავისივე შურის გამო სულიერ დისკომფორტს განიცდის.

1042. თუ ადამიანი სამომავლოდ თავის თავს ხედავს დასამახსოვრებელთა კოჰორტაში, ბედნიერებაა, იმისდა მიუხედავად, აწმყო სათანადო პატივს მიაგებს მას თუ არა.

1043. არის ქმრის და ცოლის მოსიყვარულე ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თავიანთი თანამეცხედრეებს კი არ ღალატობენ, არამედ კვალიფიკაციას იმაღლებენ სხვა უფრო მომხიბვლელ და გამოცდილ არსებებთან, რათა თავიანთ მეორე ნახევრებს უკეთ მოემსახურონ.

1044. ადამიანმა ღმერთი თავის უნიათობის გასამართლებლად მოიგონა, რათა თავისი წარმატება – წარუმატებლობა ზენაარისთვის გადაებრალებინა და ამით მოშურნეთა განსჯა თავიდან აეშორებინა.

1045. მომავალი საუკუნიდან შემოპარულ ადამიანებთან ურთიერთობა არც ისე ადვილია. განსაკუთრებით ძნელია მათი მსოფლმხედველობის შეცნობა.

1046. მომავლის შიში ადამიანს არ ალამაზებს, იმის მიუხედავად, ცხოვრება უმართლებს თუ არა.

1047. გარემოებათა გამო ადამიანებს შესაძლებლობები სხვადასხვა აქვთ, მაგრამ ყოველგვარი განაწყენების, გაბრაზების და საკუთარი ბედის გმობის გარეშე უნდა იმუშაონ და იღვაწონ.

1048. ადამიანის ფიზიოლოგია ცნობიერების ნახლაფორთალს ბოლომდის არ ერწყმის.

1049. „ღამე მშვიდობისა“ ადამიანს იმდაგვარად უნდა უთხრათ, რომ „დილა მშვიდობისას“ საქმის კეთების სურვილით შეხვდეს.

1050. დიდი ადამიანის აღქმა უფრო ძნელია, ვიდრე დიადის, რადგან ეს უკანასკნელი განსჯას არ საჭიროებს.

1051. მიტევების უნარი ადამიანის სულიერ სიმდიდრეზე მიუთითებს.

1052. ადამიანური სისუსტისა და უნიათობის გახმაურება მოწინააღმდეგესაც არ უნდა ვაკადროთ.

1053. ადამიანებს, როცა უნდათ, კარგი მახსოვრობა აქვთ, მაგრამ, თუ დასჭირდათ, ყოფილ მტრებთანაც კი საქმიან ურთიერთობას არ გაურბიან და ყოველივეს „ივიწყებენ“.

1054. ადამიანმა თუ იცის რაღაც, რაც სიმართლეს გამოამზეურებს და ხმას არ იღებს, ის მორალური დამნაშავეა.

1055. ყველა ადამიანი თავისი ნიჭის, გაგების, აღზრდის შესატყვისად იღვწის და წარმოჩნდება და არა იმდაგვარად, როგორც ჩვენ მოგვწონს, გვესმის და გვესიამოვნება.

1056. ადამიანის ბუნების შეცვლა ძალზე ძნელია, მაგრამ ამას ახალი იდეოლოგია იოლად ახერხებს.

1057. ადამიანი, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ დასაქმებული არ არის, არც სიყვარულს იმსახურებს, არც თანადგომას, რადგან მას ცხოვრება სწორად ვერ უმართავს.

1058. მცდელობას, სხვებს აჯობოთ, პირველ ყოვლისა, გაწონასწორებული პიროვნება სჭირდება.

1059. საარსებო წყაროს წართმევა ადამიანისთვის, რომელსაც ხელისუფლების წინაშე არაფერი დაუშავებია, საზოგადოების წინაშე ჩადენილი დანაშაულის ტოლფასია.

1060. ჭექა-ქუხილს დროს, ადამიანი თუ უეცრად, მეხის დაცემით გარდაიცვლება, პასუხს არავის სთხოვენ, მაგრამ, თუ ერთი დარტყმით ვინმეს შემთხვევით შემოაკვდება, მართლმსაჯულების წინაშე მან პასუხი უნდა აგოს, ასე რომ, ერთი შედეგის მიუხედავად, მათდამი გამოხმაურება საზოგადოებაში სხვადასხვაა და კანონიც თავისი გაგებით ირჯება.

1061. ადამიანის ბუნებაა, ყოველთვის უკმაყოფილება გამოხატოს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მას ტექნიკური პროგრესის და სიახლის ათვისების მისწრაფება აქვს.

1062. წესიერ ადამიანს, წესით, სიკეთის კეთების და საღი აზრის ფრქვევის გარდა, სხვა არაფერი უნდა აწუხებდეს, მაგრამ ზოგს ადამიანური შური და უკეთურება ამის საშუალებას ყოველთვის არ აძლევს.

1063. ადამიანის მოწოდებაა, რაც შეიძლება მეტი სიკეთე დათესოს და კაცობრიობის მიერ დატოვებულ ფასეულობებს მეტი პატივი მიაგოს.

1064. ადამიანის უმთავრესი დანიშნულებაა, რაც შეუძლია, ის ბოლომდე ხარისხიანად და დაუმადლებლად აკეთოს.

1065. ადამიანის შესაძლებლობების წარმოჩენას მის მიერ წარმატებით დაძლეული სიძნელეები განაპირობებს.

1066. ადამიანი წარმატებული რომ იყოს, მინიმუმ შემდეგი თვისებების ქონაა საჭირო: საკუთარი ძალების რწმენა, სიტყვის და საქმის თანხვედრა, შესაძლებლობათა ძიება, მიღებულ გადაწყვეტილებათა დროულად აღსრულება, განსჯადი რისკი, საქმის ხარისხიანად და შემოქმედებითად კეთება, მკაცრი მიზანდასახულობა, წინდახედული სტრატეგია, ინოვაციების მოძიება, თანამოაზრეთა პოვნა, მოსმენის უნარი, ჯანმრთელი და აზრიანი იუმორის გრძნობა.

1067. ადამიანის ცხოვრებაში ყოველივე რისკს ემორჩილება, ჩასახვა-დაბადებიდან დაწყებული, სიცოცხლისა და სახელის დატოვებით.

1068. მლიქვნელობა, ორპირობა, ფარისევლობა და სხვათა დაუფიქრებლად გამეტება ადამიანის აუტანელი თვისებებია.

1069. ვინც ქამელეონივით ფერს, ხასიათსა და შეგნებას არ იცვლის დროსა და გარემოს შესატყვისად, ის სუპერადამიანად უნდა ვაღიაროთ.

1070. ადამიანთა უმრავლესობა გაუგებრობასა და მწუხარებას მიჰყავს ღმერთთან და არა შინაგან კონსტიტუციას.

1071. შეჩვევა სასჯელმაც იცის, და უგუნურობის კეთებისკენ მიდრეკილებამაც, მაგრამ ეს შეჩვევა რამდენად გვიტოვებს ადამიანის სტატუსს, ეს სხვა საქმეა.

1072. თუ ადამიანსაც წმინდა, სათუთი, სანატრელი რამ არ მოეპოვება და არც არაფრის დაკარგვა არ ანაღვლებს, ასეთ ადამიანთან ურთიერთობის გაგრძელება არა ღირს.

1073. ადამიანმა თავის ქმედებაზე, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უნდა აგოს პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებრივი წესრიგი საფრთხის წინაშე დადგება.

1074. ადამიანები იყოფიან პროაქტიურ და ზეაქტიურებად, ხოლო ეს უკანასკნელნი დარიგებას არ სცნობენ და მარად თავის წარმოჩენას ლამობენ.

1075. ცხოველთა მცდელობა, რომ ადამიანებზე ჭკვიანები გახდნენ, ჯერჯერობით შედეგს არ იძლევა, თუ მათ ამ მისწრაფების აღსრულებაში თავად ადამიანის უგვანობა არ დაეხმარა.

1076. ნდობას დამსახურება უნდა, მაგრამ ადამიანი ბოლომდის სანდო მაინც არ არის, – გააჩნია, რას შესთავაზებს შემთხვევა და ბედი.

1077. რელიგია, რწმენა, აღზრდა, მიზანი მარად მოქმედებს და იმოქმედებს ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბებაზე.

1078. ადამიანისაგან განსხვავებით, ძაღლს თავისი პატრონი უყვარს და ენდობა, მისი საქმიანობისა და ხასიათის მიუხედავად.

1079. შეუძლებელია, შურიანი ადამიანი მომხიბვლელი ან მიმზიდველი იყოს.

1080. ადამიანის მიერ ჩადენილ სისულელეებს საზღვარი არ აქვს. ალბათ, ამიტომაცაა მისი ყოფნა ამ სამყაროში საინტერესო და თვალსასეირო.

1081. თუ ადამიანი ღრმა სიბერისთვის არის განწირული, მას ბედის ქილიკი ვერას დააკლებს.

1082. პიროვნება ზოგჯერ თავისი ქმედებებით გვაკვირვებს და ამიტომაც, არის ის ადამიანი.

1083. განწყობის ადამიანები სანდონი არ არიან, რადგან ისინი მარად დროსა და გარემოს შერჩევა-მორგებაში არიან.

1084. ფეხებზემკიდია ადამიანები საქმიან ურთიერთობასაც ფეხებზე იკიდებენ.

1085. ადამიანის ბედი განუსჯელია, განგების კაურები შეუცნობადია, თორემ დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში ვინ წარმოიდგენდა, რომ ვაჰაბიზმი ფეხს მოიკიდებდა და ამ უგვანო რწმენით დააჰიპნოზებდა ადამიანებს და ისინი რაღაც მათთვისაც გაუგებარი რწმენის საფასურად „შახიდებად“ იქცეოდნენ და სხვათა და საკუთარ სიცოცხლესაც ასე უგუნურად მოეპყრობოდნენ.

1086. ბრძენი და მისაბაძია ის ადამიანი. რომელიც, თუ რაიმე შესამჩნევსა და სასარგებლოს ნახავს, ითვალისწინებს და ნერგავს.

1087. განუსჯელი ბედნიერებაა, თუ ადამიანებს ერთმანეთი უყ-

ვართ და ერთმანეთს უსიტყვოდ უგებენ.

1088. ადამიანი მარად რაღაცას იგონებს, გამუდმებით სხვებისთვის თავისი აზრების მოხვევას ცდილობს, ეტყობა, ეს ამ ყოფის ანი და ბანია.

1089. სადაც მიგვიღებენ, მოგვეფერებიან, მატერიალურად მომაგრების საშუალებას გვაძლევენ, ჩვენი სათაყვანოც ის ადგილი ხდება, რადგან ადამიანი თავის ბუნებით მატერიალისტია.

1090. საიდუმლოს მტკიცედ შემნახავი ადამიანი შენი სისხლი და ხორცით ნათესავი და მეგობარია.

1091. ადამიანის ყველაზე დიდი ტიტული მისი დაფასება, ცნობადი სახელი და გვარია.

1092. ადამიანებს როდის დაუდგებათ მათთვის საოცნებო სამყაროში ცხოვრების დრო, არავინ უწყის.

1093. იმ ნაკლოვანებებს შორის, რაც ადამიანს ახასიათებს, ყველაზე დიდი ნაკლია დრო-ჟამის შესატყვის ადამიანად ჩამოყალიბებაში დაშვებული შეცდომა.

1094. უარის თქმას შეუჩვეველ ადამიანს ცხოვრება ძალზე უჭირს, რადგან თხოვნისა და ახალი საქმის შეთავაზებისა მას უკვე ერიდება, ეშინია, უარი არ უთხრან.

1095. ადამიანის უნიათობასა და სიზარმაცეს ყოველთვის თან ახლავს გამართლება – ცუდ დროში დაიბადა და ცხოვრება გაუგებარ გარემოში უხდება.

1096. ადამიანში შეიძლება ის კარგი დაინახო, რომლის გადმოღებასაც მოინდომებდი, მაგრამ ეს მცდელობა შეიძლება ყოველთვის შედეგიანი არ იყოს, თუ თქვენი შთამომავალი ამ მცდელობას არ იზიარებს.

1097. ადამიანის ბიოგრაფია რა გინახავს, რა განგიცდია, ვინ გაგიცნიათი იწყება, მაგრამ მთავრდება ასე: რა დაგიკარგავს, ვინ გამოგაკლდა, ბედი რატომ არ გწყალობს?

1098. ადამიანს საქმის კეთების მცდელობა წარმოაჩენს და არა მის მიერ დაშვებული შეცდომების აღიარება-მონანიება.

1099. იყო ადამიანი, არც ყველას ხვედრია და არც ყველას ბედი.

1100. „დაშიფრული გულის“ გაგება უფრო ადვილია, ვიდრე ის, თუ რატომ აქვთ ადამიანებს ღალატისა და გარყვნილების მიდრეკილება.

+1101. თანამდებობა კი არ აფუჭებს ადამიანს, არამედ ამ თანამდებობისთვის შეუფერებელი კარიერისტის დანიშვნა.

1102. საჯარო ადამიანი ყველასათვის მისაღები და სრულყოფილი ვერ იქნება.

1103. თუ ადამიანის ცხოვრებას მისაბაძად და ეროვნულად აღიქვამენ, მაშინ მისი სახელი უკვდავია.

1104. ყველაფერს თავისი ზღვარი და საზღვარი აქვს, გარდა ადა-

მიანის სიბრიყვისა, რომელიც არავითარ გონიერების განსჯას არ ემორჩილება.

1105. ცუდი ადამიანები არ არსებობენ, უბრალოდ, ისინი ავი გენისანი არიან და აღზრდის გარეშე არიან დატოვებულნი.

1106. პრობლემური ადამიანები ხშირად გამოუვალ მდგომარეობაში ცვივდებიან, რადგან მათ მარად სხვათა დახმარების იმედი აქვთ.

1107. უპერსპექტივო სურვილების აღსრულების მოწადინე ადამიანები არასანდონი არიან, რადგან ისინი მარად სასწაულის მოხდენის მოლოდინში იმყოფებიან.

1108. ფილოსოფიის თვალსაზრისით, ადამიანები ერთმანეთს ცუდად ვიცნობთ, განსაკუთრებით სიყვარულისა და ურთიერთგაგების ასპექტით.

1109. თუ რაღაც არა სწამს და რაღაცისა არ ეშინია, მაშინ ადამიანი პიროვნებად ვერ შედგება.

1110. გონისთვის ჭანჭიკების მოჭერა უპირველესი საშუალებაა ადამიანის ცნობიერების სწორ გზაზე დასაყენებლად.

1111. ადამიანი ვერასოდეს ჩასწვდება უზენაესის საიდუმლოს, მისი გონი რაც უნდა მაღალ ხარისხში ავიყვანოთ.

1112. გაუჭორავი ადამიანის ნახვა ძნელია, რადგან ამდაგვარი ბუნებაში არ არსებობს.

1113. ადამიანები ზოგჯერ ურთიერთის ნაკლს იუმორით წარმოაჩენენ.

1114. ცნობადი ადამიანების პირად ცხოვრებას ხალხი ისაკუთრებს, რადგან მას ეს თავის წარმოსაჩენად და გასართობად სჭირდება.

1115. გამოცდილება გვიკარნახებს, რომ პიროვნების ნდობა ბოლომდის არ შეიძლება, რადგან ადამიანები საკუთარი შეუცნობადი ხუშტურებითა და უმადურობით გამოვირჩევით.

1116. თავის ანგელოზად მოჩვენება ადვილია, ადამიანად ყოფნაა ძნელი.

1117. სახელოვანი ადამიანი იმქვეყნად ზარ-ზეიმით უნდა გავისტუმროთ, ცრემლები გადმოვყაროთ, რათა შიგადაშიგ მოწყენისას გაიხსენონ მისი დამსახურება და ამდაგვარად შემოუნახონ თაობებს ცნობადი სახელი.

1118. ადამიანები საკუთარი გამოცდილების შედეგად ვითარდებიან, ხოლო ცხოველები სამყაროს გამოცდილებით ცხოვრობენ.

1119. თუ ყველანი ვიზრუნებთ, რომ ერთად ვიყოთ, ბედნიერებაა, რადგან ამ დროს კრიმინალი, ეგოიზმი უკან იხევს, ამასთანავე, ადამიანს თავისი თავისა სჯერა და საზოგადოებაში ყოფნაც ეამაყება.

1120. სიმბოლოთა და სარწმუნოებათა გაფეტიშება ადამიანის წარმოშობის საწყისი ეტაპის დადგენას ხელს უშლის.

1121. გონიერი ადამიანი გამოუსწორებელ დანაშაულს არ ჩაიდენს, რადგან გამოუსწორებელი დანაშაული დიდი ცოდვაა, რომელიც მთელი სიცოცხლე თავს შეგახსენებთ.

1122. ადამიანის ცნობიერებისთვის მთავარია სინამდვილის, დღევანდელობის გონივრული აღქმა და არა ის, თუ რის მიღწევას ფიქრობს იგი.

1123. გაუგებარი და ჯიუტი ადამიანები არასოდეს საკუთარ თავს არ ადანაშაულებენ, მარად სხვები არიან დამნაშავენი და ხელის შემშლელები.

1124. ერთსულოვნების მიღწევა რთულიცაა და მისასალმებელიც, მაგრამ ადამიანებს ერთმანეთის სასიკეთოდ შეცნობა უჭირთ.

1125. დევიზია „დავაფასოთ ძლიერი“. სამწუხაროდ, ამას თავად ძლიერნი ქადაგებენ და არა ის ადამიანები, რომლებსაც ამა ქვეყნის ძლიერთა შურთ და ეშინიათ.

1126. ადამიანი თავისუფალი მოჭირნახულეა, ოღონდ გონიერების პასუხისმგებლობის ფარგლებში.

1127. ღირსებას არა მარტო მაშინ კარგავს ადამიანი, ვისმე ხელს რომ უწვდის სამათხოვროდ, არამედ მაშინაც, როდესაც მას სამადლოდ ასაჩუქრებენ არასაკმაო დამსახურებისთვის.

1128. ადამიანები ერთმანეთს ბევრ რაღაცაში ვგავართ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვევები, აზრები და მისწრაფებები სხვადასხვა გვაქვს.

1129. ადამიანი დავის მონაწილე კი არა, მისი განსჯის მონაწილე უნდა გავხადოთ, ოღონდ ვაიძულოთ, ცივილიზაციას ყური დაუგდოს და სიახლეები ჯეროვნად აღიქვას.

1130. ადამიანი, რომელსაც ოცნება არ აქვს, რობოტია.

1131. ადამიანს შიში რომ გაუქარვოთ, ის ამომწურავ ინფორმაციას უნდა ფლობდეს.

1132. ღარიბ ადამიანს წუხილი და გაჭირვება გაცილებით იოლად გადააქვს, როდესაც მდიდარ ადამიანსაც იმავე დღეში ხედავს.

1133. ადამიანი ვალდებულია, ქვეყნის ისტორიას არა მარტო ფეხი აუბას, არამედ მის გამოცდილებას, დროის მოთხოვნებს მოერგოს და დაეწიოს.

1134. საქმიანი ადამიანის განსჯა ფაქტებით უნდა იქნეს გამყარებული და არა გაგონილი ჭორებით და სურვილებით.

1135. თავმდაბალი ადამიანი სხვათა მიერ ჩადენილი უგვანობის გამოც სირცხვილით იწვის და თავს დამნაშავედ გრძნობს.

1136. ადამიანს ყოველთვის უჭირს რეალობისთვის თვალებში შეხედვა და სურვილების დაკონკრეტება, თუ რა უნდა დღეს და მომავალში რა ენდომება.

1137. ვისაც იდეალებისა და სიყვარულის გულისათვის კარიერისა

და გამორჩენისთვის ზურგის შექცევა შეუძლია, ისაა ადამიანი და ქვეყნის შვილი.

1138. დიდი და საშური საქმე ყოველთვის უხმაუროდ კეთდება, რადგან ყველაზე მეტად საშური და დასამახსოვრებელი საქმის მკეთებელი მშვიდი და წყნარი პიროვნებაა.

1139. ხშირად კარგი და შემოქმედი ადამიანი ამოუხსნელი გამოცანაა ყურწაგდებული საზოგადოებისათვის.

1140. ადამიანს შეცდომის უფლებაც აქვს და გადაცდენისაც, მაგრამ არა ღალატისა და მიღებული მადლის დაუფასებლობის.

1141. მაკედონელი მამაცი იყო, სოკრატე – ჭკვიანი, ვაშინგტონი – პატიოსანი, აპოლონი – მშვენიერი. ასე რომ, ადამიანთა შეფასების სტანდარტი ცნობილია და მათ გადაკეთებას ნუ შევეცდებით.

1142. ადამიანები თავიანთი ყბედობითა და ურთიერთგანსჯით იმდენად ვნებენ ერთმანეთს, რომ ბოლომდის ადამიანებად დარჩენა უჭირთ.

1143. ადამიანი უპირველესად ბუნების შვილად უნდა აღვიქვათ და არა ბუნებას მიტმასნილ უმწეო თოჯინად, თუ გვინდა მისგან პიროვნება მივიღოთ და არა ფართო მოხმარების მარიონეტი.

1144. ადამიანები დახურულ სივრცეში და გაჭირვებისას უკეთ იცნობენ და უგებენ ერთმანეთს, რადგან, ეტყობა, სხვა გამოსავალი არ აქვთ.

1145. ადამიანები შინაგანად გაუცნობიერებელი მონობის მსხვერპლნი ვართ, იმისდა მიუხედავად, რომ მონათმფლობელობამ და მონობამ დიდი ხანია, ჭირი მოგვჭამა.

1146. ადამიანს სხვებისთვის ჭკუის სწავლება უფრო მოსწონს, ვიდრე საკუთარი თავისთვის შეძახება.

1147. გაჭირვებიდან თავდახსნილი ადამიანის ხასიათი თუ არ უმჯობესდება, მას პერსპექტივა არ აქვს.

1148. იდეალური ადამიანი არ არსებობს, თუნდაც ის ძალზე გვიყვარდეს.

1149. ადამიანებს მიდრეკილება აქვთ, რაღაცა იწამონ, რაღაცის წინაშე მოვალეობა მოიხადონ, ვიღაცას ეკამათონ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქმედებისა მათ ბოლომდე არა სწამთ და სჯერათ.

1150. ფასი ყველაფერს ადევს, მათ შორის ფულსაც და სინდისსაც, მაგრამ ადამიანის ჩამოყალიბება და მის ხუშტურების გამოვლენა დროზე, გარემოსა და აღზრდაზეა დამყარებული.

1151. ცრურწმენას ცივილიზაცია დევნის, მაგრამ ზოგჯერ უშედეგოდ, იმდენად დიდია ადამიანში მისტიციზმის მოთხოვნა.

1152. შემოქმედი პიროვნება უფრო მეტ ცოდნას აგროვებს თავისი მოპაექრიდან, ვიდრე პირიქით.

1153. ნაცნობობა ადამიანის ბუნების შეცნობას არ ნიშნავს, თუ მას, როგორც მხარის ამბმელს, არ გამოცდი, რადგან ადამიანს შეიძლება მთელი ცხოვრება იცნობდეთ, მაგრამ მაინც გარემოებათა შესატყვისად შეუცნობელი დაგრჩეთ.

1154. ადამიანი, რომელიც თავის მისიას მარტოოდენ ამქვეყნად მოვლინებით ასრულებს, პიროვნებად არ უნდა აღვიქვათ.

1155. მოსმენის უუნარო ადამიანები რჩევის არსს ვერ ითვისებენ.

1156. ის არის დიდი პიროვნება, რომელსაც გარკვეული საკითხის უცოდინარობისა არა რცხვენია და სიამოვნებით ცდილობს მის შეცნობას.

1157. ადამიანად მანამ ვითვლებით, სანამ საკუთარი ფუნქციების რეგულირებას ვახერხებთ და ქვეყნის სასიკეთოდ წარვმართავთ

1158. ადამიანი თავისი გონის უსაზღვრო ძალას მარად სათავისოდ აცნობიერებს, რათა ის პრივატულად გამოიყენოს.

1159. რატომღაც ადამიანები უპირველესად საკუთარი თავის შეცნობას არ ცდილობენ, რადგან ეს მათ დროის კარგვად მიაჩნიათ.

1160. ადამიანს ნებისყოფის ქონა-უქონლობა ადიდებს ან აპატარავებს სხვათა თვალში.

1161. ადამიანი არა მარტო თანდაყოლილი ბუნებით გამოირჩევა, არამედ შეძენილი თვისებებითაც.

1162. ღირსებადაკარგულმა ადამიანმა ღირსება არ უნდა ეძებოს: რაც არ ჰქონია, რას ნახავს!

1163. ადამიანში მთავარია კეთილი ხასიათი, ალალი გული, საამო გრძნობები და იდეალები ვიპოვოთ. მის სხვა ნაკლოვანებებს, ასე თუ ისე, ეშველება და გამოსწორდება.

1164. მტკიცე ხასიათი და საღი აზროვნება ის მინიმუმია, რაც კარგ ადამიანს მოეთხოვება.

1165. ადამიანი ხშირად თავის ბედს საბედისწერო პინგ-პონგს ეთამაშება და, რას მოიგებს, ხშირად არც აინტერესებს.

1166. ადამიანები ძალადობას უფრო ეგუებიან, ვიდრე ნებაყოფილობით განუსჯელად ნაჩუქარ თავისუფლებას.

1167. ზედაპირული ცოდნის მქონე ადამიანების დაწინაურება – წარმოჩენის შანსი მაშინაც მინიმალურია, მას ვინმე ძლიერიც რომ მფარველობს.

1168. სხვათა ფეხის ხმისთვის ფეხის აწყობა ადვილიც არის და ძნელიც. გააჩნია, რა ნიჭისა და მენტალიტეტის მქონენი ცდილობენ ამას.

1169. ცხოვრებისადმი მადლიერების მიგება ადამიანის ხასიათზეა დამოკიდებული და არა ირგვლივ მყოფთა ცხოვრების დონეზე.

1170. ადამიანი ზოგჯერ ცდილობს, ანგელოზად იქცეს, მაგრამ მას

ამის საშუალებას მის ბუნებაში მოკალათებული ეშმაკი და ტარტაროზი არ აძლევენ.

1171. ზოგჯერ ადამიანს იმაზე მეტსა სთხოვენ, რაც არ მოეთხოვება. ესეც თავისებური სიჯიუტე და ამპარტავნობაა.

1172. მანკიერი სურვილების უქონლოდ ადამიანს სილაღით ცხოვრება, ალბათ, გაუჭირდებოდა, მაგრამ ეს, ცხადია, იმის საბაბი არ არის, მან ამ გაგებით განუხრელად იცხოვროს.

1173. საკუთარ აზრებთან ჭიდილი ჰომოსაპიენსს ადამიანად აქცევს და აყალიბებს.

1174. აზროვნებას მარად ვნებს ის ბნელი და ამოუცნობი მხარე, რომელსაც ადამიანის გონი ბოლომდის ვერასოდეს აღიქვამს და ჩასწვდება.

1175. ადამიანები ხშირად მათთვის სიკეთის მკეთებლებს არა სწყალობენ, რადგან შინაგანად თავი მათ მონებად მიაჩნიათ.

1176. თუ ადამიანს არაფერი და არავინ სჭირდება, ეტყობა, მისი ცნობიერება ბევრი ამქვეყნიური სიამის შესაცნობად ჯერ კიდევ მზად არ არის.

1177. ჭკვიანი ადამიანი გონიერებას იმდაგვარად ასხივებს, რომ თავად არც კი ჩანს.

1178. უზრუნველყოფილი ადამიანის ცნობიერება არასოდეს არის კმაყოფილი და მადლიერი.

1179. ყველა ადამიანი თავისუფლად იბადება, მაგრამ ზოგს მოუწესრიგებელი ყოფა ადებს ბორკილს, ზოგიც თავისი უგერგილობისა და უნიათობის დასამალავად თავადვე იბორკება.

1180. ადამიანი, რომელსაც სხვების მისაბაძი არაფერი აქვს, შინაგანად თავს უკეთ გრძნობს.

1181. გაკიცხულია ადამიანი? ეს ჯერ კიდევ როდი ნიშნავს იმას, რომ ის ამ გაკიცხვას იმსახურებს, მის საქმეს ღრმად არ გავარჩევთ.

1182. ზოგი ადამიანი დაბადებიდანვე ცოცხალი მკვდარია, იმისდა მიუხედავად, აცნობიერებს ამას იგი თუ არა.

1183. ადამიანის სულიერების სიმაღლის მაჩვენებელია მის მიერ დასახული მიზნები და ამოცანები.

1184. ყველა ჩვენგანს ჰყავს გასახსენებელი თუნდაც ერთადერთი ადამიანი, რომელიც არ გვავიწყდება და ვერც ვივიწყებთ.

1185. ხიბლი ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს და, თუ ამას ვერ აკეთებს, მაშინ არც ხიბლია.

1186. საზოგადოების მუწუკად შეიძლება ის ადამიანი ჩაითვალოს, ვისაც სირცხვილის გრძნობა არ აწუხებს.

1187. ჩვეულებათა დამთხვევა ადამიანებს აახლოვებთ.

1188. ზოგჯერ სინამდვილესთან აშორებს და ადამიანებს აშფო-

თებს ჯერ კიდევ შეუცნობელი ცხოვრება.

1189. ადამიანს ბედი განაგებს, განსჯის და წარმოაჩენს.

1190. საქმიანი რჩევის მიცემა ადამიანურ სიკეთეს ეფუძნება.

1191. ადამიანის უდიდესი ნიჭია იმ დროსა და გარემოსთან შეგუება, რომელიც მისთვის მიუღებელია და ზურგზე მძიმე ტვირთად აწევს.

1192. ყველა ადამიანის მოსაზრებას ვერ მივიღებთ, ოღონდ მათთვის ანგარიშის გაწევა სავალდებულოა.

1193. გულგრილობა ადამიანს ადამიანურ სახეს უკარგავს.

1194. ადამიანურ ღირებულებათა მოპოვების პროცესში ყველა ჩვენგანი დროულად უნდა ჩაებას, რადგან ის უპირველესია ჩვენი მეობისა და ვარგისიანობის წარმოსაჩენად.

1195. ზოგჯერ განსჯილი ადამიანიც სიმპათიას იმსახურებს.

1196. ადამიანისთვის სიკეთის მოტანაზე ყველა დროის მსოფლმხედველობამ უნდა იზრუნოს.

+1197. ადამიანის ბუნება გაჭირვების ჟამს შეიცნობა, ხოლო გუნება გადაწყვეტილებათა მიღების სისწრაფეში.

1198. ადამიანთა ურთიერთობაში უდიდესი მიღწევაა ხმისა და სიტყვის თავისუფლება, ოღონდ ეს დიდ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს.

1199. ადამიანი, რომელიც კრიტიკას არ ეპუება, სიცოცხლის გასაფერადებლადაა გაჩენილი.

1200. ადამიანი თანამდებობასა და ძალაუფლებას მაშინ თმობს, როცა მისი წასვლა გარდაუვალია, ანუ დარჩენა მას გაცილებით მეტ ვნებას მოუტანდა.

1201. ადამიანი თავისი ბედის მუდამ უკმაყოფილოა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს მისი შურს და საკუთარ ბედს სიამოვნებით გაუცვლიდა.

1202. ადამიანს მოსდგამს თანდაყოლილი სისუსტე, სიჩქარე და უკონტროლობისკენ მიდრეკილება.

1203. ადამიანის ბოლომდის შეცნობა და მისი ბუნების გაცნობიერება შეუძლებელია.

1204. ადამიანები ერთმანეთსა ჰგვანან, მაგრამ მისწრაფებები და სურვილები აქვთ უცნაური და სხვადასხვა.

1205. ერთნაირი ჭკუის, გაგებისა და ცოდნა-გამოცდილების ადამიანთა თავშეყრა ბუნებით ამბიციურ პირთა თავშეყრას მოგვაგონებს.

1206. ზოგჯერ მადლიერებასაც უჭირს ამქვეყნად დარჩენა, იმდენად გაუგებარია ადამიანის ბუნება.

1207. ადამიანის აზროვნებას ზოგჯერ გონებაზე უკეთ მხედველობა და სმენა ემსახურება.

1208. არის დანაშაული, რომელიც გადაგვარებულ ადამიანსაც არ

ეპატიება.

1209. ის აშკარა ნაკლი, რაც დიდ ადამიანებს ახასიათებთ, მათ სიდიადესთან შედარებით უმნიშვნელოა.

1210. ადამიანის გონებრივი ზრდის გარეშე ვერც ადამიანთა მოდგმა იარსებებდა და ეს სამყაროც თავის განმსჯელ-მაქებარს დაკარგავდა.

1211. თუ ადამიანში კარგი მხარეების მოძიებას ვეცდებით, უფრო მეტ სარგებელს ვნახავთ.

1212. ქარაფშუტა ადამიანი სანუკვარ ოცნებებს წვრილმან ხეირზე ახურდავებს.

1213. გონიერი ადამიანები ფიზიკურად თუ არა, სულიერად მაინც ერთად არიან და ერთმანეთს იცნობენ.

1214. ადამიანად ყოფნა გონიერების, სულიერებისა და სხვა დანარჩენი პარამეტრების ურთიერთშერწყმას მოითხოვს.

1215. რწმენა ძალასა და შემართებას გვმატებს სიკეთის საკეთებლად და საკუთარი თავის კარგ ადამიანად წარმოსაჩენად.

1216. არის ბუნების საყოველთაო მძიმე დანაშაული: მიწისძვრა, ცუნამი, ქარბუქი, გვალვა, წყალდიდობა და სხვა ამგვარი. აქ პასუხს ვერავის მოსთხოვ მაშინ, როდესაც ადამიანები მცირედი შელაპარაკებისთვისაც კი ურთიერთის დასჯას მოითხოვენ.

+1217. კარგ ადამიანებად შემთხვევით როდი ყალიბდებიან. ამას მათ აიძულებთ გენი, აღზრდა და დროის ყივილი.

1218. ადამიანი, რომელსაც იდეალების ჭიდილი არ აწუხებს, ქვეყნისა და საქმისთვის თავდადებული ვერ იქნება.

1219. სამართლიანობისადმი პატივის მიგების სურვილი ადამიანის სასიკეთოდ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

1220. ადამიანებს ურთიერთყეფა უფრო გვეხერხება, ვიდრე – თანადგომა.

1221. წაქცეულ კაცს, უპირველესად, დაცემის მიზეზი უნდა ვკითხოთ, რათა მისი შველა შევძლოთ.

1222. ადამიანი, რომელიც საკუთარ თავზე ამაღლებას ცდილობს, არავის დაინდობს.

1223. ადამიანის ყველაზე დიდი საუნჯე მისი ბიოგრაფიაა.

1224. ადამიანების სასიკეთოდ წარმართვას დიდი ნიჭი და შემართება უნდა.

1225. განსხვავებას ადამიანებს შორის რეალური ცოდნა-გამოცდილება ქმნის და არა მარტოოდენ განათლება.

1226. სწავლას უნარმოკლებული ადამიანი უკვე მოხუცია, იმისდა მიუხედავად, კომპიუტერით ერთობა თუ არა.

1227. დღევანდელი ყოფის შემხედვარე ადამიანი, უკვდავიც რომ

ყოფილიყო, ვინ იცის, რამდენჯერ ინატრებდა სიკვდილს და იმქვეყნად გადაბარგებას, რათა ესოდენ უინტერესო ცხოვრებას გასცლოდა.

1228. ორი ერთნაირი ხასიათის ადამიანის მოძიება უფრო ძნელია, ვიდრე – ათი ერთნაირი გარეგნობის მქონისა.

1229. ადამიანს დასაწინაურებლად უპირველესად ნიჭი, ალღო და პროტეჟე სჭირდება. შემდეგ მოდის დამსახურება და ანკეტური მონაცემები.

1230. ადამიანმა ჭადრაკი გონიერი კომბინაციების შესაქმნელად მოიგონა და ამ შერკინებაში ის იმარჯვებს, ვისაც სასწაულებისა არა სჯერა და ნიჭს, ცოდნას, დაგეგმილ კომბინაციებს აძლევს უპირატესობას, სწორედ ისე, როგორც ეს ხელისუფლებაში მოსვლისას ხდება.

1231. სისულელის თქმა ადამიანური ნაკლია, მაგრამ ზოგჯერ გონების გასალაღებლად გამოიყენება და ერთგვარი შედეგიც აქვს.

1232. ადამიანის ბუნებას გაჭირვება და დაპირისპირება აწრთობს.

1233. ადამიანთა მისწრაფებების განსჯა-გაცნობიერება დიდ შრომას მოითხოვს.

1234. ადამიანი მძაფრი ემოციების გარეშე ხეიბარ-საპყარს ემსგავსება.

1235. დიდებისა და კარიერისკენ სწრაფვა ზოგჯერ გვაიძულებს, ბევრი ადამიანური თვისება დავივიწყოთ.

1236. პრინციპულ ადამიანს სუსტი ნებისყოფის ხალხი ცუდი ხასიათის პიროვნებად ნათლავს.

1237. ადამიანს ყოველთვის აქვს საკუთარი სურვილების წარმოჩენის ალტერნატივა.

1238. ვინც საქმეს აკეთებს, ის გაუთვალისწინებელ შეცდომებსაც უშვებს, მაგრამ მას ჩასაფრებული მოუქნელი და უსაქმური ოპონენტები ბლომად გამოუჩნდებიან. ეტყობა, ამდაგვარ უმადურ ქმედებებზეა ადამიანის ბუნება აწყობილი.

1239. ადამიანის სული მარად განთავისუფლების მოლოდინშია, იმისდა მიუხედავად, ის კომფორტულად გრძნობს თავს თუ არა.

1240. ადამიანი, რომელიც გონივრული რწმენითა და სიყვარულით ემსახურება ქვეყანას, ღირსეული მოქალაქეა.

1241. საზოგადოებრივი წყობისთვის ყველაზე საშიში დაუსაქმებელი ადამიანია მახათით ხელში, რომელმაც არ იცის, სად გაიყაროს და ვის გაუყაროს ეს იარაღი.

1242. უპასუხისმგებლო ადამიანი ყოველივეს თავისივე გადასახედიდან „პატრონობს“, იმისდა მიუხედავად, ამაზე ხელი მიუწვდება თუ არა.

1243. იმისათვის, რომ ადამიანმა ბოლომდის გიერთგულოს, შენი ან ძალიან უნდა ეშინოდეს, ან ძალიან უნდა სჭირდებოდე, ან ძალიან

უნდა უყვარდე.

1244. იმ ადამიანებთან მეგობრობა ნამდვილად არა ღირს, ვისაც მეგობრობის ვირუსი ერთხელაც არ შეყრია.

1245. ცხოვრებაშიც ადამიანები ისევე უნდა მეგობრობდნენ, უგებდნენ და ერწყმოდნენ ერთმანეთს, როგორც კულინარიაში სხვადასხვა ინგრედიენტის შერევისას, ამრიგად, ურთიერთგაგება და სულიერების შერწყმა უმთავრესია ურთიერთობაში და არა სუფრაზე გაცემული ფიცი-მტკიცი.

1246. ადამიანი ყველაფრის უკმაყოფილოა და სიბერეში მადლობის ნაცვლად განგებას საყვედურობს თავისი ახალგაზრდული ენერგიის გახსენებით და მადლობას იმისთვისაც არ სწირავს, რომ აქამდე დაინდო და იმქვეყნად არ გაისტუმრა მისი დაბერებულ-დაკნინებული სხეული. რას ვიზამთ, ადამიანის ბუნება ასეთია: მოსწონს თავის წარმოჩენა სიყვედურის გადმოსახედიდან.

1247. ადამიანის უმთავრესი დანიშნულებაა გარჯა თავისი მოწოდების შესატყვისად და არსებული ვითარების შესაბამისად ცხოვრება.

1248. ადამიანი უნდა ეცადოს, იყოს სიყვარულის აკუმულატორი, თუ უნდა, ყოფიერების მადლი შეიცნოს.

1249. ადამიანის გამოცნობა ძნელია, თუ მისი სულის სათნოებას გულით არ აღიქვამ და ღრმად არ ჩასწვდები.

1250. ადამიანმა თავის შეცნობა ისევ და ისევ საკუთარ მოწოდებათა შესატყვისად უნდა მოახერხოს.

1251. ყველაზე დიდი სიკეთის კეთება ადამიანთა დაპურებაა, მიუხედავად იმისა, საკვების მოპოვება იოლია თუ ჭირს.

1252. ადამიანურად რომ იცხოვროთ, პირველ ყოვლისა, თავადვე უნდა გამოირჩეოდეთ ადამიანური მონაცემებით.

1253. ადამიანს სიკვდილის გაკვირვებაც შეუძლია, თუ უშფოთველად და შეუპოვრად შეხვდება მის მოახლოებას.

1254. ადამიანების ძირითადი პრინციპებია: სიყვარული, ერთგულება, პატიოსნება, ხოლო პოსტულატებია: ისწავლეთ მოსმენა, ეცადეთ მშვიდად იცხოვროთ და ურთიერთს არ უღალატოთ.

1255. ადამიანები ერთმანეთს გარეგნობით უფრო ჰგვანან, ვიდრე შინაგანი ბუნებითა და სულისკვეთებით.

1256. როგორც კი სიკვდილის მოახლოებაზე ფიქრს დაიწყებს, ადამიანს მასთან მისაჩვევი აზროვნების აფრები უკვე ბოლომდე აქვს აშვებული.

1257. ტყუილს არ ამბობენ ის ჰომოსაპიენსები, რომლებსაც პროტესტის სურვილი აქვთ, რადგან ბუნებით ჯიუტნი არიან.

1258. ყოველი ჰომოსაპიენსი ადამიანი როდია, რადგან, ადამიანად რომ თავი იგრძნო, ჩალიჩის უნარი უნდა გქონდეს.

1259. ყოველ ჩვენგანს სიყვარულის მადლის შეცნობა გვჭირდება, რათა თავი ნამდვილ ადამიანად ვიგრძნოთ და არა მხოლოდ ცოცხალ არსებად.

1260. ადამიანი ორი სამყაროს ცნობიერებით ცხოვრობს; ერთი მის წარმოჩენას უწყობს ხელს, ხოლო მეორე მისი შინაგანი ბუნების წარმოჩენაზე არც კი უფიქრია.

1261. ადამიანი სულიერად იმდენად უნდა მომწიფდეს, რომ თავი „დე ფაქტო“ ადამიანად იგრძნოს.

1262. ყველანი ადამიანები ვართ, იმისდა მიუხედავად, ნიღაბს ვატარებთ თუ არა, რადგან ყველას მისია ერთია – შთამომავლობა დავტოვოთ.

1263. ერთია ყოფიერების მოთხოვნები, მეორეა მოვალეობათა აღსრულების წესები, მაგრამ ბალანსირებაა აუცილებელი, თუ გვინდა ადამიანის სტატუსი შევიძინოთ.

1264. საქმიანმა და შემოქმედმა ადამიანებმა ბიუროკრატიას უნდა „მოხოცონ ცხვირი“ და არა კანონს, რადგან ამ უკანასკნელის დარღვევა დანაშაულია.

1265. გამოცდილი ადამიანი ყოფის ანბანის უციდინართა და ცხოვრების არ მცოდნეთა შერკინების რისკებთან არის დაკავშირებული.

1266. თავისუფლების გენით დაბადებული ადამიანი შიშს ვერ აღიქვამს და მის შედეგებს ვერ აცნობიერებს.

1267. ადამიანის ცხოვრებაში უმთავრესია დროსთან ჭიდილი და მისი უგულებელყოფა სიცოცხლის გაცუდების ტოლფასია.

+1268. ყოფიერების ჩარჩოში ყოფნა დიახაც აუცილებელია, ოღონდ შიგ არ უნდა ჩაიკეტო და, თუ საჭიროა, მისი გარღვევაც არ უნდა დაიზარო.

1269. ძალის, ნების, შთაგონების უქონლობას ადამიანის სისუსტედ მოიხსენიებენ.

1270. სახელმწიფოებრიობის ნგრევის უპირველესი მოწინააღმდეგე თავად ადამიანები უნდა იყვნენ, მაგრამ რატომღაც ისინი ჭკუის ამრევებს იოლად ემხრობიან. ამისი მიზეზი ისაა, რომ ერთფეროვნება გაუგებარი მშვიდობიანობის სახით ერთობ მოსაბეზრებელია.

1271. ბრძოლის უნარს მოკლებული ადამიანი მარიონეტია, რადგან ის ცხოვრებამ უკვე აიძულა, ვიღაცას მიემხროს და ვიღაცის სურვილზე იაროს.

1272. მეგობრად ჩავთვლი იმ ადამიანს, რომლის დაკრძალვაზე მისვლას საკუთარი თავი დამავალდებულებს.

1273. სხვაზე ზრუნვა ადამიანის გენში დევს, სხვანაირად ის ადამიანად ვერ იქცეოდა და ვერც გამრავლდებოდა.

1274. ადამიანურ პოტენციალსაც თავისი საზღვრები აქვს, რომლის

უგულებელყოფა სასურველი შედეგის მომტანი არ არის.

1275. მზრუნველი სიმკაცრე დასაფასებელი და მისაღებია, რადგან ის შენი ადამიანად ჩამოყალიბებისთვის არის საჭირო.

1276. ადამიანის ცნობიერება სავსეა არასრულფასოვანი განცდებით, რომელშიც გარკვევა მასაც უჭირს.

1277. უბოროტო და გაურყვნელ ადამიანს, თუ ის ბუნებით ძლიერია, ცხოვრება არ გაუჭირდება.

1278. წარსულის უქონელ ადამიანებთან სასურველი ურთიერთობის დამყარება ჭირს.

1279. გარემო და შემთხვევა აყალიბებს ადამიანის ქმედებებს, ხოლო იდეოლოგია გარდაქმნის ან თავიდან აღზრდის.

1280. ადამიანისაგან მწყემსი დადგება თუ მგელი, არავინ უწყის, რადგან აღზრდა – გარემოსა და ბედთან ერთად მის გენეტიკასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

1281. ადამიანებს ყველაზე მეტად ის აინტერესებთ, რაც დაფარული და უშედეგოა და არა ის, რაც ცნობადია და შედეგს იძლევა.

1282. ზოგჯერ სისულელის ჩადენა გონიერ ადამიანსაც უხდება, როცა გადაწყვეტილების მიღება საჭიროა დაუხანებლად.

1283. საერთო უბედურება ადამიანებს აერთიანებს და იმ საქმეს აკეთებინებს, რომელსაც ადრე ვერცერთი მათგანი წარმოდგენითაც ვერ გააკეთებდა.

1284. ბუნებით თავისუფალ ადამიანზე სხვადასხვა აღკვეთა არ მოქმედებს. ის მარად თავისუფალია თავისი ცნობიერებითა და შემართებით.

1285. ბუნების შეცდომაა, როცა ადამიანს ინტუიცია, წინდახედულება და ლოგიკა არ აქვს და სხვათა ფეხის ხმასაა აყოლილი.

1286. კეთილი სიტყვა ადამიანთა სულიერად დაახლოების უებარი საშუალება და ურთიერთგაგების გარანტიაა.

1287. ხასიათი წარმოაჩენს ადამიანის მეობას და არა პირიქით.

1288. პროვინციალიზმი მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანის მენტალიტეტში დევს, რადგან ყველა ჩვენგანის წინაპრებს პროვინციაში ჰქონდათ გადგმული ფესვები.

1289. უწარსულო მხცოვანი ადამიანი არარაობად იქცევა და გაუსვენებელი მიცვალებულის როლში გვევლინება.

1290. ადამიანმა უპირველესად უნდა აღიქვას, თუ რისთვის უნდა გამოიყენოს თავისი ჭკუა-გონება, აზროვნება, მოხერხებულობა – სიკეთის საკეთებლად თუ ბოროტების ხაფანგში თავის გასაყოფად.

1291. ღმერთმა დაგვიფაროს ერთნაირი აზროვნების, წესიერების, ვალდებულებების, გადაგვარებისგან! მაშინ ადამიანთა მოდგმა აუცილებლად დამყაყდებოდა, გადაგვარდებოდა, არ განვითარდებოდა.

1292. ადამიანები იმისათვის იბადებიან, რომ ერმანეთისა შურდეთ და ხანაც უხაროდეთ, სხვაგვარად ვერ განვითარდებიან.

1293. ადამიანების ცნობიერებას პოლიტიკაში დრო ვერ ცვლის. აქ მთავარია, ვის გავაფეტიშებთ და რა იმედებს ვამყარებთ მმართველობის სათავეში მოსულზე.

1294. ადამიანი, რომელიც გაგიგებს, გიქომაგებს და მისი რჩევები ხელს შეგიწყობს კარიერის გაკეთებაში, ფასდაუდებელი მეგობარია.

1295. მესამე მსოფლიო ომის შედეგების გამოცნობა ძნელი არ არის, აქ მთავარია გამოიცნო, მომავალი ომისა და დაპირისპირების სურვილი როდის გაუჩნდება ადამიანს.

1296. არამიწიერი სიზმრების ხილვა ადამიანის ცნობიერებას აფხიზლებს, აფიქრებს, ართობს.

1297. ჭკვიანი ადამიანი თუ ბუნებით გესლიანია, ყველას ნერვების ამშლელია, მაგრამ ორივემ ერთნაირად იცის მიჩვევა.

1298. ადამიანის ყველაზე დიდი ღირსება სულიერებაა, ხოლო ყველაზე დიდი ნაკლი – რუტინიზმისკენ მიდრეკილება.

1299. გაკვირვების უნარის მქონე ადამიანები წინასწარ, ახსნა-განმარტების მიუღებლად, გრძნობენ მომავლის აურასა და მის შედეგს.

1300. ადამიანი ყოველგვარი სისაძაგლისკენ მაშინ მიდის, როდესაც საყოველთაო შიში დაეუფლება და გამოსავალსაც ვერ პოულობს.

1301. ადამიანი დაძალებით ზრუნვას მხოლოდ დიქტატურის ვითარებაში ემორჩილება, ეთაყვანება და ისიც დროისა და გარემოს შესატყვისად და დროებით.

1302. გაურყვნელი და ანგელოზი ადამიანი არ არსებობს. აქ მთავარია, ზენაარის მიერ დადგენილ დოზას გადააჭარბა თუ არა.

1303. ზოგჯერ ფეხებზე მკიდია ადამიანის ნამოღვაწარი აშკარაა, მაგრამ ის რომ მას ეკუთვნის, ამის დაჯერება ჭირს.

1304. ადამიანად დაბადება ადვილია, სიცოცხლის ადამიანურად განვლაა ძნელი.

1305. ადამიანს თუ ავიწყდება, გაჭირვების ჟამს ვინ გაუწოდა დახმარების ხელი, ის უმადურობის სენითაა დასნეულებული და მის გამოსწორებაზე ფიქრსაც კი აზრი დაკარგული აქვს.

1306. თუ ეჭვი ეპარება საკითხის ცოდნაში და ამის აღიარებასაც არ უშინდება, ასეთ პიროვნებასთან ურთიერთობა სასარგებლოა.

1307. ადამიანი იგივე ცხოველია, მაგრამ მისი მფარველია ცნობიერება, გამრავლების უნარი და უკვდავების მარად მაძიებელი გონი.

+1308. პროფილაქტიკური დატუქსვა ადამიანის აღზრდას ხელს არც სიბერეში უშლის.

1309. ადამიანის რაობა სწორედ პატარ-პატარა ნაკლოვანებების,

გამოხტომების ჯამით განისაზღვრება.

1310. ადამიანებს შორის დაპირისპირება, ასე თუ ისე, მოსათმენია, ოღონდ არა სახელმწიფოებს შორის, რადგან ამგვარი დაპირისპირება ომს გამოიწვევს.

1311. პატარა ადამიანებთან ურთიერთობა ჩვენს „დიდ“ სულიერებას ავლენს.

1312. პატივმისაგები, საყვარელი ადამიანებისგან შენიშვნაც მისაღებია და ჯანსაღი გაკიცხვაც.

1313. აზრიანი და შემოქმედი რობოტების შექება მათ დიქტატს გამოიწვევს, რაც მომავალში, შესაძლოა, ადამიანთა მოდგმას დაემუქროს.

1314. ადამიანი წინასწარ არ უნდა განვსაჯოთ. მისი ნაღვაწი ჯერ უნდა გამოვიკვლიოთ და შემდგომ შევაფასოთ.

1315. ერთი გულღია და გამოჩენილი ადამიანის წარმატება მთელ ერს გაუთქვამს სახელს. ეს სახელი კი ზოგჯერ საუკუნიდან საუკუნეს გაჰყვება.

1316. ადამიანებს იმ თანამდებობის დაკავებაც არა რცხვენიათ, რომლისთვისაც ისინი ძალზე შეუფერებლები არიან, იმდენად ძლიერია კარიერისკენ სწრაფვა.

1317. მისთვის გასაგები აზრების განუხორციელებლობა ზოგჯერ ადამიანის ტანჯვა-წამების მიზეზად გვევლინება.

1318. მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრი აჩმორებს ადამიანის ცნობიერებას და მას ირგვლივ მყოფთათვის მიუღებელს ხდის.

1319. თავაშვებულ ადამიანურ მანერებსაც კი თავისი პრინციპები აქვს.

1320. ადამიანებს რეალობასთან მიახლოებული სიმართლე უფრო მოსწონთ, ვიდრე ცარიელი ჭეშმარიტება.

1321. მამაცი ადამიანის გვერდით ყოფნა სულიერ სიმშვიდეს გვგვრის.

1322. რჩევის საკითხავ ადამიანს პირადი ცხოვრება მოგვარებული უნდა ჰქონდეს, რათა მისი შეგონებანი ბოლომდის ვიწამოთ.

1323. სულიერად დაცემულ ადამიანს ნურც წამოაყენებთ და ნურც ფეხს დაუდებთ, საბოლოოდ მაინც განწირულია.

1324. ადამიანი წინასწარ უნდა შევაფასოთ, რისი გაკეთება ძალუძს მომავალში, რათა სათანადო ცოდნა-გამოცდილებით აღვჭურვოთ.

1325. თავისუფალი ადამიანი ყოველთვის იმაზე მეტის გაკეთებას ცდილობს, ვიდრე ევალება და მოეთხოვება.

1326. ჭიანჭველებზე დაკვირვებაც კი ადამიანს ბევრ რაღაცას ასწავლის.

1327. ადამიანები ზოგჯერ ერთმანეთს წარსულს უკეთესი მომავლის იმედით უმალავენ.

1328. ადამიანს ხშირად იმაზე მეტის სურვილი აქვს, რაც სჭირდება, და იმაზე აღარ ფიქრობს, რაც მომავალში უფრო დასჭირდება.

1329. საკუთარ დასკვნებთან ჭიდილი ადამიანს ძვირად უჯდება.

1330. ადამიანს პატივის მიგებაც ახარებს და აამაყებს. აქ მთავარია, რა მიზნები აქვს დასახული ცხოვრების გასაგრძელებლად და შედეგის მოსაპოვებლად.

1331. ადამიანი ფიზიკურად საზოგადოების მწყობრში მდგარი იბადება, გონიერება მომავლისკენ გაურბის, ხოლო სულიერად წარსულში იქექება.

1332. ადამიანი გარკვეულ დროსა და გარემოში ცხოვრობს, რისი მადლიერიც იგი არასოდეს არაა.

1333. კარგ ადამიანად ჩამოყალიბებას დრო, გარკვეული გარემო და განგების ხელი სჭირდება.

1334. ადამიანის განსჯა ადვილია, მისი სულიერების, სურვილის, შინაგანი ბუნების შეცნობაა ძნელი.

1335. ადამიანს იმდენი ფარული შინაგანი ძალა აქვს, რომ შედეგით თავადაც გაკვირვებული რჩება.

1336. პიროვნებამ თავისი შესაძლებლობის მასშტაბი ხშირად თავადაც არ უწყის.

1337. შიში და სიძულვილი ადამიანის შესაძლებლობებზე ძლიერია. ამიტომაც მათთან დაახლოებას უნდა ვერიდოთ.

+1338. პატიოსანი ადამიანი სიზმარში მიცემული დაპირების შეუსრულებლობასაც კი განიცდის, არათუ ცხადში მიცემულისას.

1339. ყველაფერსა და არაფერ სერიოზულზე უაზრო ლაპარაკი ზიანის მომტანია ადამიანთა ცნობიერებისათვის.

1340. ადამიანის ბუნებაა, საკუთარ ფასეულობათა წარმოსაჩენად და გადასარჩენად ძლიერს დაუკავშირდეს და დაეყრდნოს.

1341. უგვანობამ უგვანობას ზრდა იცის, რადგან ეს ადამიანს გენში უზის.

+1342. როდესაც ადამიანი იმქვეყნად მიდის, მისდამი სიყვარული თანდათან საფლავზე დადგმული ძეგლივით მშრალ მოვალეობად იქცევა.

1343. სამოთხესა და ჯოჯოხეთში ერთდროულად ნამყოფი ადამიანის შეცდენა ძალზე ძნელია.

1344. ადამიანი, რომელსაც უპირატესობა აქვს სხვებთან შედარებით და ნიჭიერია, არ შეიძლება შურს არ იწვევდეს, მაგრამ, თუ ეს შური სიამაყეში გადაიზრდება, სულიერი სარგებლის მომტანი მაინც იქნება.

1345. ადამიანისათვის უპირველესია, ქვეყნის შვილობითა და მოქალაქეობით ამაყობდეს და თავს იწონებდეს, შემდგომ მოდის დემოკრატიით, ეკონომიკითა და პოლიტიკით მისი დაინტერესება.

1346. ადამიანის ცნობიერება ისეა მოწყობილი, რომ დასახული მიზნის მისაღწევად ყველაფერზე წამსვლელია და ყოველივეს გაუძლებს.

1347. ხშირად ადამიანთა შეხვედრისას ბოროტება და შური წამოყოფს თავს, იმის მიუხედავად, რომ მათ საწყისი კეთილი აქვთ.

1348. მართალი ადამიანი უფრო მეტი პატივის მიგებას იმსახურებს, თუ, ამასთანავე, შეყვარებულია.

1349. ბუნებას ფუტკრებიც აფერადებენ, არა მხოლოდ ადამიანები.

1350. მთავარია, ადამიანის ცნობიერებაში უხმაუროდ მოხდეს ფერიცვალება, რათა სიმყუდროვისა და სიწყნარის მადლი არ დაიკარგოს.

1351. მოსწონს – არ მოსწონს, ადამიანმა, უპირველესად, საკუთარი თავის მოწესრიგება, მორჯულება უნდა ისწავლოს.

1352. ზოგადი განათლების მქონე ადამიანს უცოდინარებთან შედარებით ცხოვრება უჭირს, რადგან იმდენი კი გაეგება, რომ უკეთ უნდა იცხოვროს, ოღონდ არც იმდენი, რომ იცოდეს: საამისოდ ხელის გამოღება და კატორღული შრომაა საჭირო.

1353. ადამიანის ასაკის შესატყვისი პარამეტრებია: უპასუხისმგებლობა – 1 და 10 წლამდე, განუსჯელობა – 11–20 წლამდე, აზრზე მოსვლა – 21–30 წლამდე, შემოქმედებითი სწრაფვა – 31–40 წლამდე, ნაყოფიერება – 41–50 წლამდე, მოსავლიანი – 51–60 წლამდე, ხელშესახები წლები 61–70 და სამუდამოდ დასამახსოვრებელი – 71 და ზევით.

1354. საყვარელი საქმიანობით დაკავებულ ადამიანს პოლიტიკისათვის დრო აღარ რჩება.

1355. ადამიანური გრძნობების სიტყვებით გამოხატვა თანადგომის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

1356. ყოველი უღირსი და უნიათო ადამიანი ყოველთვის რაღაცისა და ვიღაცის უმადურია.

1357. ადამიანთა სისუსტე მათ უბედურებაზე მეტად აუხსნელი და განუსჯელია.

1358. ადამიანი ხშირად განათლებას სხვათა გასაკვირვებლად იღებს და არა საკუთარი თავის გასაუმჯობესებლად, გასაკულტურებლად.

1359. აღიარებულ პიროვნებებსაც კი უჭირთ სხვებისთვის მისაღები სათნოების ბოლომდის შენარჩუნება, რადგან ადამიანთა მოდგმა მერყევია და, სად რას მოიმოქმედებს, არავინ უწყის.

1360. ადამიანებში უდიდესი საყოფაცხოვრებო სიბრძნეცაა ჩადებული, ვისაც მისი შეცნობის უნარი შესწევს.

1361. ათეიზმისა და რწმენის მომრიგებელი მოსამართლეა ადამიანთა დაღვინება და ჩამოყალიბება.

1362. ადამიანს მორჩილება, სხვებზე დამოკიდებულად ყოფნა არ

მოსწონს, მაგრამ უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის წინააღმდეგი არ არის.

1363. საკუთარ ნაკლს ოცნებით არემონტებს ადამიანი, თუ ის თავისი თავის კმაყოფილი არ არის.

1364. გარდატეხის პერიოდში ცხოვრება ძნელია, მაგრამ ადამიანი მაინც იმედით ცოცხლობს.

1365. ადამიანის გონიერება სამ ჭეშმარიტებაზეა დაყრდნობილი: აზროვნება, ანალიზი, გამოცდილება.

1366. დასაქმებულის სათანადოდ დაუფასებლობა დანაშაულია, რადგან ეს უკანასკნელი თავისებურ სტრესს განიცდის, რომ მას არ აფასებენ, არ ენდობიან, შემცირებას უპირებენ და, ვინ იცის, რა მოუვა ამ სათანადოდ დაუფასებელი და შეუფასებელი ამაყი ბუნების მქონე ადამიანის პატრონს თავში.

1367. არსებობენ ნერვების მომშლელი ჭკვიანი ადამიანები, რომლებმაც ცხოვრების ის უმნიშვნელო ნიუანსებიც იციან, რაზეც სხვა არ დაფიქრდებოდა და ყურადღების ღირსადაც არ ჩათვლიდა.

1368. ისიც ადამიანობაა, თუ სხვისი წარმატება, თუნდაც დაუმსახურებელი, არ გაღიზიანებთ და საკინკლაოდ არ განგაწყობით.

1369. ადამიანის უდიდესი ნიჭია, იცოდეს მეგობრის შერჩევა და ისიც თუ თავი ვის გაუყადროს.

1370. მამაზეციერი ადამიანმა სამყაროს გაუცნობიერებელ მოვლენათა შესაცნობად შექმნა. მერე კი ყველაფერი მას გადააბრალა, რათა პასუხისმგებლობა თავიდან მოეხსნა.

1371. ადამიანებს ერთმანეთის სიყვარულიც უადვილდებათ და სიძულვილიც. გააჩნია, რას მოელიან ერთმანეთისგან.

1372. ღმერთების არსებობა ადამიანის ცნობიერებაზეა დამოკიდებული, ხოლო ბუნების კაპრიზები არავითარ გონიერებას არ ემორჩილება.

1373. ყოველივე ადამიანურს, თუნდაც ყავლგასულს, ზოგჯერ ჩამორჩენილთა თვისებად მიიჩნევენ.

1374. ადამიანის მოწოდებაა, გააცნობიეროს, ვინ ვინ არის და ვინ ვინ იყო.

1375. ყველაზე მეტად ადამიანს უსამართლობა ღლის და ჩაგრავს, როცა მას შემართების უნარი არ აქვს.

1376. ადამიანებს შორის ის სხვაობაა, რომ ერთნი ცხოვრობენ სხვებისათვის თავის მოსაწონებლად, ხოლო მეორენი ცდილობენ საკუთარი თავი თავადვე მოსწონდეთ.

1377. პატივი უნდა მივაგოთ პიროვნებას და არა მის თანამდებობას.

1378. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ მარად

კარგ ხასიათზე იდგნენ.

1379. ადამიანის ბუნება ასეთია, მან რაღაცით უნდა იამაყოს, წარმოჩნდეს, რათა ამქვეყნად ყოფნის ფასი გაიცნობიეროს.

1380. დღეს კოსტიუმში გამოწყობილ ადამიანს ეკითხებიან, რომელ თანამდებობის პირს ხვდება ან კიდევ, იმქვეყნად წასასვლელად ხომ არ ემზადება, იმდენად დიდია კლასიკური ჩაცმულების მიმართ გაუცხოება.

1381. ბუნებით გაბედული ადამიანი მშიშარა ვერ გახდება, თავის მცდელობის მიუხედავად.

1382. ალბათ, ადამიანისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება შვილიერებაა, თუ შვილის ყოლა და აღზრდა სასჯელად არ გაუხდება პირადად მას და ქვეყანას.

1383. სამყაროში ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე დიდი ცოდვილი, ალბათ, ადამიანია, რომელიც თავის საკეთილდღეოდ არც არაფერს დაერიდება და არც არავის დაინდობს.

1384. ადამიანს საკუთარ სულში ცეცხლის გაჩენაც შეუძლია და ჩაქრობაც, გააჩნია, რა ხასიათზეა და რა ხუშტურები წამოუვლის.

1385. ადამიანი მისთვის შესაფერის ადგილს ვერ პოულობს და ამიტომაც სჩადის ავკაცობას ან მოსდის გადაცდენები.

1386. ადამიანად გახდომასაც და საკუთარი თავის შეცნობასაც დიდი დრო და შრომა სჭირდება.

1387. ღირსეული ადამიანი ბევრია, მაგრამ რატომღაც მათ მოძიებას უფალნი ამა ქვეყნისანი ერიდებიან, ალბათ, კონკურენციისა ეშინიათ.

1388. ადამიანის საბოლოო შეფასება ძნელია, რადგან, როდის რას მოიმოქმედებს მისდა უნებლიეთ, თავადაც არ უწყის.

1389. საშინელებაა, როდესაც ღირსეული ადამიანის სიცოცხლე ომიანობის დროს თავისი სურვილისამებრ უნდა გადაწყვიტოს ფორმაში გამოწყობილმა ვიგინდარამ, რომელსაც მისი არც წარმომავლობა აინტერესებს და არც დამსახურება.

1390. საყვარელი საქმიანობის მოძიების გარეშე ადამიანის გამოსწორებაც ჭირს და მისი ბუნების გადაკეთებაც.

1391. უთავბოლოდ სიკეთის მთესველი ადამიანიც კი არ შეიძლება განსჯადი პიროვნება არ იყოს.

1392. უმადური ადამიანი ცოდვილია და მას განგებაც ალმაცერად უყურებს.

1393. ადამიანთა უმთავრესი დანიშნულება ურთიერთის გაწვრთნაა.

1394. ადამიანმა სიყვარულიც უნდა იცოდეს, სიძულვილიც და კომპრომისზე წასვლაც, რათა ის პიროვნებად ჩამოყალიბდეს და წარ-

მოჩნდეს.

1395. დაჩოქილი ადამიანი თუ თავისი მცდელობით და შემართებით ფეხზე წამოდგება, მისი ხელმეორედ დაჩოქება გაჭირდება.

1396. ჭკვიან ადამიანს ბრიყვთა შერკინება უკეთ წარმოაჩენს.

1397. ყოველი სახის ადამიანური სიამაყე მოჩვენებითი სიმკაცრის ნაშიერია.

1398. ასაკოვნებს ადამიანის შეცნობის უნარი გამძაფრებული აქვთ. ისინი უკეთ ხედავენ და ამჩნევენ იმას, რაც ახალგაზრდობაში შეუმჩნეველი რჩებოდათ.

1399. ხშირად სიცილის უნარითაც შესაძლებელია ადამიანის ხასიათის და ბუნების შეცნობა და მის შესაძლებლობათა დადგენა-გარკვევა.

1400. იუმორის უქონელ ადამიანთან ურთიერთობა ჭირს, რადგან ზედმეტი და მოჭარბებული არც სერიოზულობა უქნია ღმერთს.

1401. ადამიანმა სურვილი, ოცნება. შედეგით, საქმით უნდა გამოხატოს და გამოამზეუროს.

1402. გზააბნეულ ხალხთან ურთიერთობა ძნელია; უფრო ძნელია მცდელობა მათი სწორ გზაზე დაყენებისა.

1403. ცოდოა ის ადამიანი, ვინაც არ იცის, თავის შესაძლებლობებს როგორ გაუწიოს პიარი და როგორღა გამოიყენოს.

1404. ადამიანის განსჯის ხარისხს მისი ბუნება წარმოაჩენს.

1405. ადამიანმა, რომელსაც სიზმარში სამოთხეში შესვლისა რცხვენია, ხოლო ჯოჯოხეთში მოხვედრას უნდა თავი აარიდოს, შეიძლება თავისი კუთვნილი ადგილი მოიძიოს ამ ცხოვრებაში.

1406. ადამიანთა გარკვეულ ნაწილს ტვინისა და ხელის გაუნძრევლად ცხოვრება მოსწონს. იგი მარად წინამძღოლის ძიებაშია და ამრიგად გაჰყავს დრო.

1407. გვინდა – არ გვინდა, ადამიანის მოწონება მაინც მის გარეგნობასა და ქცევის უნარზეა დამოკიდებული და არა ჭკუა-გონებაზე.

1408. არასრულფასოვნებას თავისებურად ყველა გონიერი ადამიანი განიცდის.

1409. ცივილიზაციის შედეგად გონიერებითა და გარეგნობით უკეთესი ადამიანები დაიბადებიან. მათი ეთიკურ-მორალური დონე კი გაურკვეველია.

1410. სიბრძნის მაძიებელი ადამიანი უკვე შემდგარი პიროვნებაა.

1411. განგებისგან ჯერ კიდევ ჯეროვნად დაუსჯელი ადამიანი თავის უცვლელად წარმოჩენას ცდილობს.

1412. ღირსეულ ადამიანად გახდომა გაცილებით ძნელია, ვიდრე ცნობად ადამიანად ქცევა.

1413. ადამიანის უკმაყოფილების მიზეზი და განტევების ვაცი მარად უბედობა და განგებისაგან ზურგის შექცევა იყო და, ეტყობა, ეს

პრეტენზიები მარად უცვლელი დარჩება.

1414. ზოგჯერ ადამიანის გონიერებაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ ის ზეციერებას ეპოტინება და საკუთარ თავში ადგილს ვერ პოულობს.

1415. ლამაზი ტყუილი ასატანია იმ ადამიანისგან, რომელსაც არ ენდობი და პატივს არ მიაგებ.

1416. ზედმეტად დაჭკვიანებულები რატომღაც სიცილსა და დროსტარებას ერიდებიან, ალბათ, ადამიანურ სისუსტეთა გამჟღავნებისა ეშინიათ.

1417. გონიერება, შეგონება ადამიანის ხასიათის სასიკეთოდ ჩამოყალიბებაზე ყოველთვის ვერ მოქმედებს.

1418. ნაკლის და ღირსებათა შერწყმა ადამიანს ცხოვრებას უადვილებს და ულამაზებს.

1419. ზოგჯერ მარტოობა ადამიანებთან ურთიერთობას უკეთ გვასწავლის, ვიდრე ბრბოში ტრიალი.

1420. ადამიანად დასარჩენად ადამიანს ყოველდღიური წრთობა სჭირდება.

1421. ხშირად ადამიანები სიმართლის დასადგენად ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ, როგორც კი გავაშველებთ, ყველას თავისი სიმართლე აღმოჩნდება.

1422. ადამიანი სიბერეში ყოველივე ავს ებრძვის, მათ შორის საკუთარ უჟმურ ხასიათსაც.

1423. ზოგი ერთგულებას მაშინ იჩენს, თუ მას ადამიანად არ მიიჩნევენ, მისგან მხოლოდ ბრძანებების შესრულებას მოითხოვენ და ის ამითაც კმაყოფილია.

1424. წესით, ფული იმან უნდა იშოვოს, ვინც აზროვნებს და სიახლეს ქმნის და არა იმათ, ვისთვისაც კარიერა და ფულის უკანონოდ კეთება-გამოძალვა მთავარია, მაგრამ ამ ჭეშმარიტების აღქმა ჭირს.

1425. ადამიანზე მისი მიღწევებით მსჯელობენ და არა სურვილებით, თუ ის რის გაკეთებისკენ ილტვოდა და ვინ და რამ შეუშალა ხელი ჩანაფიქრის განხორციელების.

1426. უკულტურო ადამიანი პოტენციური მკვლელია თავისი დოგმებით, ცხოვრების წესით და ოცნებებით.

1427. საერთოდ, ადამიანის ბიოლოგია რევოლუციურია და ის წარმოაჩენს მის შესაძლებლობებს დროსა და გარემოს კაპრიზების შესატყვისად.

1428. კეთილ ადამიანთა ქმედებებითა და სურვილებით ყველა ჩვენგანი მეტ-ნაკლებად სარგებლობდა და სარგებლობს.

1429. სიბრძნე ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა, რომელიც ცხოვრების კაპრიზებს ებრძვის და ყოფიერების ხარვეზებს ასწორებს.

1430. ადამიანს, ცხოველისგან განსხვავებით ხშირად აწუხებს

კითხვები, რატომ, რისთვის და ვისთვის იღვწის და ცხოვრობს.

1431. ჩემთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი ადამიანის ნაკეთები საქმეა და არა ყბედობა და სასურველის გაფეტიშება.

1432. კატა კნუტებს რომ დაყრის, სანამდის კნუტები არ წამოიზრდებიან, მათ თავზე ევლება და მათი მოვლით არის დაკავებული, ხოლო ზოგი ადამიანი ამ მოვალეობას გაურბის და ვერ გრძნობს. ასე რომ, ადამიანთა ქმედებაში გაურკვევლობა უფრო მეტია, ვიდრე ცხოველთა მოქმედებაში.

1433. ადამიანს ალამაზებს რეალური ქმედებანი, დასახული მიზნის მიღწევა, წინაპართა დანატოვარის მოვლა-პატრონობა და არა განუსჯელ-განუხორციელებელი ოცნებები.

1434. ანგელოზად შეიძლება ვერ ვიქცეთ, მაგრამ ადამიანად რომ დავრჩეთ, ეს უკვე ჩვენი ვალი და მოვალეობაა სხვათა წინაშე.

1435. ჩვენ იმას უფრო ხშირად და ხალისით ვიხსენებთ, თუ სახელოვან ადამიანს რა შეეშალა და არა იმას, რაც მან გააკეთა ირგვლივ მყოფთა სასარგებლოდ და ქვეყნისთვის სასახელოდ.

1436. უნებისყოფო ადამიანი თავისი ბუნების გამო არარაობად იქცევა.

+1437. ვინც მართავს ადამიანთა შეგნებას, ის მართავს სამყაროს.

1438. ძნელ დროს ადამიანებს განსაკუთრებით სჯერათ, რომ მომავალი უკეთესი ექნებათ, იმის მიუხედავად, რომ ამისი პერსპექტივა არ ჩანს.

1439. ეცადეთ, თქვენი ნამოქმედარი ჭკვიანმა ადამიანმა შეაფასოს და განსაჯოს, თუ გინდათ, თქვენი საქმიანობიდან მეტი სარგებელი ნახოთ.

1440. ყველა ჩვენგანი ერთდროულად გასაკიცხიც არის და შესაქებიც, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ადამიანებად დარჩებიან და მონსტრებად გადაქცევას არ შეეცდებიან.

1441. ყველა ადამიანს თავისი დანიშნულება აქვს და, ვის როდის და სად გაეხსნება გონება არავინ უწყის.

1442. ადამიანის შინაგან მოთხოვნათა ზრდა საზოგადოებაში მისი დამკვიდრების გამო ხდება. რა ვუყოთ, თუ ეგ მოთხოვნები ზოგჯერ მიწიერებით და ზოგჯერ მომხვეჭელობით გამოირჩევა.

1443. მარტოხელობა თავისებური კაიფიც არის და უბედურებაც. გააჩნია თავად ადამიანის ბუნებას, მენტალიტეტს და განგებისგან მომადლებულ უნარსა და ნიჭს.

1444. შინაგანი ჰარმონია გვაძლევს საშუალებას, რომ ადამიანის ვარგისიანობა შევაფასოთ და განვსაჯოთ.

1445. უშვილძიროდ გადაშენებული ადამიანი თავისი სამშობლოს, მოდგმის უპირველესი მტერია.

1446. ადამიანის შინაგანი ბუნება სხვადასხვა კატეგორიებად იყოფა და განსხვავდება განვითარების „მეგაბაიტით“.

1447. ჯერ ადამიანად უნდა დაიბადო, რომ შენგან პიროვნება შექმნან და ააწყონ.

1448. ადამიანი გაჭირვების გამო კი არ უნდა გავკიცხოთ და შევიძულოთ, არამედ უნიათობის გამოჩენისთვის, როდესაც თავის დაღწევას ამ მდგომარეობიდან არ ცდილობს.

1449. ამბიციების მქონე ადამიანი ბოლომდის არ ინდობა და არც ერთგულებით გამოირჩევა, რადგან მას თავისი „პოხონდრიები“ აქვს.

1450. ინიციატივიან ადამიანს სტაბილურ და აწყობილ საქმეთა საკეთებლად, ისევ მართვადი ხელქვეითი სჯობს, რადგან პირველი რა სიურპრიზების ხლართებში გაგვახვევს არავინ უწყის.

1451. ადამიანს ყველაზე მეტად წარსულის აწმყოს შუქზე განსჯა უჭირს და იქიდან გამოსაყენებელი და დასაფიქრებელი დასკვნების გამოტანა.

1452. ადამიანებმა დაბადებითვე იციან, რომ უნდა დიხოცონ, მაგრამ ეს მათ დიდად არ ანაღვლებთ.

1453. დაუსაქმებელი ადამიანი ბოლომდის ობიექტური ვერ იქნება.

1454. ბიჭებს მამლაყინწობა უდევთ გენში, გოგონებს – პრანჭიაობა და ეს ორივე სქესისთვის აუცილებელია მომდევნო თაობების შესაქმნელად და საკუთარ მეობათა წარმოსაჩენად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის ფასი ძალზე დაეცემოდა.

1455. ადამიანი, რომელიც სახელმწიფო გადასახადების გადახდაზე უარს ამბობს ან განზრახ არ იხდის, ქვეყნის მოქალაქედ არ უნდა ჩაითვალოს.

1456. პერსპექტივის თვასაზრისით, ყველა ადამიანი შეიძლება ღმერთის მოადგილე თუ არა, მისი წარმომადგენელი გახდეს, თუკი ის მოყვასს გაუფრთხილდება და სხვათა ყურისგდებას ისწავლის ამ ცოდვილ მიწაზე.

1457. ადამიანს უმთავრესად ურთიერთობათა მოწესრიგება, ფულის შოვნა და გემრიელად დანაყრება აწუხებს, ხოლო შემდგომ მოდის პრესტიჟული საცხოვრებელი სახლი, სახეირო ცოდნის მიღება და სახელის დამკვიდრება საზოგადოებაში.

1458. ფაქტობრივად ადამიანი თავისი აზრებით, განუხორციელებელი ოცნებებით და სხვებთან ურთიერთობით ქმნის საკუთარ ცხოვრებას და, თუ ზოგჯერ ბედიც არ დაიზარებს და კეთილად გადმოხედავს, მისი ამქვეყნად მოსვლა შემდგარად და შედეგიანად უნდა ჩაითვალოს.

1459. ფაქტობრივად ადამიანი იბადება საკუთარი სილამაზისა და ჭეშმარიტების აღსაქმელად და შემდგომ მოდის ცხოვრების კაპრიზთა შეცნობის მცდელობა.

1460. ადამიანი ვალდებულია, სიცოცხლის უკანასკნელი დღეები ყველაზე უკეთ გამოიყენოს, რათა მოახერხოს დასამახსოვრებელი რაღაცის დატოვება.

1461. პლანეტის წესრიგში მოყვანა არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც ამაში ტექნიკური პროგრესი გვარწმუნებს.

1462. ადამიანის სურვილები მიახლოებით გამოხატავს მის მეობას, ავ-კარგსა და კაიკაცობას.

1463. ადამიანის მოწოდებაა, თავისი შრომით საარსებო წყარო გაიჩინოს, რათა შიმშილით არ მოკვდეს, და იმქვეყნად სააქაო კვალის დაუტოვებლად არ წავიდეს, რადგან კვალის დატოვება ყველა ჩვენგანის ვალია.

1464. შიშისაგან დამარცხებული ადამიანი თავისებურად ბედნიერია, რადგან ის ჯერ კიდევ ცოცხლობს.

1465. ადამიანები თუ ხელს არ უშლიან ბოროტებას, მათ არავითარი პრეტენზიის წამოყენების უფლება არ აქვთ.

1466. უცოდველი „დოხოდნიაკი“, გლახაკი, დღეს ახალი ჯიშის ადამიანად გვევლინება – არც არაფერს აშავებს, არც არაფერს აკეთებს.

1467. ადამიანის ბუნება გაუმაძღარია – ყოველთვის მეტი უნდა.

1468. ბუნებრივ საზღვრებს ადამიანიც უნდა გრძნობდეს და სახელმწიფოც ანგარიშს უწევდეს.

1469. ლეგენდებს თავად ადამიანები ქმნიან და შემდგომ მათი მიბაძვით ცხოვრებას ცდილობენ.

1470. სიავეს თავდაღწეული ადამიანი ხშირად სიკეთის საკეთებლად იღვწის.

1471. ისიც დიდი ადამიანური წარმატებაა, თუ ამქვეყნად ისევ ადამიანებად დავრჩებით.

1472. ადამიანები არიან მორიდებულნი, ჭკვიანები, მოხერხებულები, მაგრამ მათი ცხოვრება მათსავე შესაძლებლობებზე მაინც დრო და გარემოს ნებაზეა დამოკიდებული.

1473. ადამიანს თუ ადამიანები უყვარს, ის უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებაა, მოქალაქე და ხალხის მსახურია.

1474. თავმოყვარეობაც თავისებური ენერგიის წარმომჩენი ჟესტია. ის ადამიანს სჭირდება „მეს“ წარმოსაჩენად ოღონდ ზომიერების ფარგლებში.

1475. თუ ზოგჯერ ადამიანი თავისი თავმოყვარეობით არ წარმოჩინდება, მას დამფასებელიც არ ეყოლება.

1476. თავმოყვარეობას ზოგი თვალთმაქცობად, ამპარტავნობად მიიჩნევს, ის კი ავიწყდებათ, რომ ადამიანის შეფასება, დაფასება უამისოდ ჭირს.

1477. ადამიანები გაცილებით ადრე ივიწყებენ მათზე გაწეულ

სასიკეთო სამსახურს, ვიდრე მათთვის მიყენებულ შეურაცხყოფას, რადგან სიკეთის კეთება მივიწყებადია, ხოლო შეურაცხყოფა დასამახსოვრებელი.

1478. ადამიანი თავის ძლიერ მხარესაც უნდა აცნობიერებდეს და სუსტსაც, თუ უნდა ამ ცხოვრებაში მისთვის კუთვნილი ლელო გაიტანოს.

1479. გამგები და გონიერი ადამიანის მოძიება, დაწინაურება ყველა ჩვენგანის ვალია, რათა ამქვეყნიური ყოფიერების მადლი შევიცნოთ.

1480. ამ ცხოვრებაში ყოველივეს თავი და თავი ადამიანია. ცხოვრებაში ყველამ თავისი ადგილი უნდა მოიძიოს და გაიხარჯოს, რათა საზოგადოების განვითარების ბალანსი არ დაირღვეს.

1481. წინხედვის უნარის მქონე ადამიანი ვაჟკაცია, რადგან ის არავაჟკაცურ საქმეებს წინასწარ ხედავს.

1482. პატივის მიგებას ყველა ჩვენგანი იმსახურებს, გარდა პატივმოყვარე უნიათო ადამიანებისა.

1483. ღირსეული ადამიანის შექება საზოგადოებისთვისაც მომგებიანია, რადგან ის სამომავლოდ უკეთ გაირჯება.

1484. ადამიანის მოწოდებაა, ყოველივე აკეთოს უკეთესად, ახლებურად და ეფექტიურად, რათა მან ცხოვრების მადლი გაითავისოს.

1485. ადამიანს ყველაზე უკეთ წარმოაჩენს არა მისი გონიერება, არამედ მისი ხასიათი და მისწრაფება.

1486. უვარგის ადამიანს არც ძალისხმევის უნარი აქვს და არც თავისუფლებისკენ ლტოლვის სურვილი.

1487. ხასიათი აწრთობს ნებისყოფას, ნებისყოფა კი ადამიანს პიროვნებად აქცევს.

1488. ადამიანს მისთვის განკუთვნილი ზადი, წუნი, მანკი ახასიათებს, მაგრამ რომელი რომელზე აუგიანია, ეს უცნობია.

1489. ადამიანები გამორჩენის მიზნით დემაგოგიას ეწევიან, მაგრამ მაშინვე იკარგებიან, როგორც კი სასუსნავი შემოაკლდებათ და გამორჩენის საშუალებას ესპობათ.

1490. ადამიანებს ბევრი უნდა მოვთხოვოთ, რათა ცოტა მაინც მივიღოთ.

1491. სამომავლო მიზნების შეცნობა თავისი ამოცანების დასახვით – ეს თავისებურად ალამაზებს თავად ადამიანსა და მის ბუნებას.

1492. ადამიანი მაშინ ხარ, თუ სახელის ტარების უფლება შინაგანად გაქვს მოპოვებული.

1493. ადამიანი თავისი ბედით კი არ უნდა იყოს კმაყოფილი, არამედ თავისი შესაძლებლობების გონივრულად გამოყენების უნარით.

1494. ადამიანთა შთამომავალნი ყველანი ვართ და აქ თავის შეწუხება იმის დასადგენად, თუ ვისი წინაპარი იყო უკეთესი, არ ღირს, მაინც

ვერაფერს დავადგენთ, რადგან ყოველივეს დრო და გარემო განაგებს და არა წინაპართა ხარისხი.

1495. ადამიანის ჩამოყალიბებას ბევრი რამ სჭირდება, რათა ის ვიგინდარა პოლიტიკოსების მსხვერპლად არ იქცეს და ქვეყნის სათავეში ის არ მოიყვანოს ვინც ამას არ იმსახურებს.

1496. რწმენის, იმედის და იდეალების გარეშე ცხოვრება ჭირს, რადგან ადამიანი ფიქრისთვის არის განწირული.

1497. ადამიანის გადარჩენის ერთ-ერთი პირობაა, ურთიერთდა-პირისპირების განსჯით შეცვლა და დრო-ჟამის გათვალისწინება.

1498. ნაკლის მომრავლება იოლდება, თუ მას ადამიანის ნება წინ არ აღუდგა.

1499. ადამიანი ვალდებულია, ცხოვრების მადლი გაითავისოს და სიკეთის საკეთებლად გვერდში ამოიყენოს.

1500. ადამიანის მოწოდებაა ხარისხიანად კეთება და მშვენიერების აღსაქმელად მზადყოფნა, რათა მისმა სულმაც სიამე განიცადოს.

1501. ამა თუ იმ მსოფლმხედველობასთან ჭიდილი ადამიანს გონს უნათებს და უვითარებს.

1502. უსაქმური განუსჯელი, ახალი ჯიშის ადამიანი, ცხოვრებისგან არაფერს განსაკუთრებულს არ ითხოვს და არც თავად გასცემს რასმეს.

1503. ბუნებით ბითური, ჯიუტი ვირის ტიპის ადამიანი თავისი უხიაგობის წარმოჩენას თავისივე გადასახედიდან ცდილობს.

1504. დღეს მშვიდობას თანამედროვე მომაკვდინებელი იარაღის არსებობა იცავს და არა ადამიანის თანამედროვე და პროგრესული გონი.

1505. ადამიანი ვიღაცის ნებას უნდა ემორჩილებოდეს, პატივს მიაგებდეს ან ვიღაცისა სწამდეს, ღმერთი იქნება ეს თუ ქვეყნის ხელისუფალი, სხვაგვარად ის არც კანონის მორჩილი იქნება და ვერც ქვეყნის განვითარების ხელის შემწყობი.

1506. ახირებას და ჟინიანობას ზოგჯერ დადებითი შედეგიც მოაქვს, რადგან ამ დროს ადამიანი საკუთარი თავს ცდის.

1507. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები ხასიათით ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ბედნიერების და უიმედობის პარამეტრებს ერთნაირად აღიქვამენ.

1508. ადამიანები ერთმანეთს იმიტომაც უახლოვდებიან, რომ საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს ხელი გაუმართონ.

1509. ჭკვიანი ადამიანის თავისებურება ასეთია: ცოტაოდენი სურვილი მუდამ აწვალებს ახალი და საჭირო საქმის კეთებისა.

1510. შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონი მუდამ ადამიანთა უნიათობის გამომჟღავნებაშიც აუცილებელი ატრიბუტია.

1511. თუ ამ ადამიანისთვის ორი ბატის მიბარება მაინც შეიძლება და ის მათ კვერცხებს დაადებინებს და გაამრავლებს, მაშინ იგი პიროვნებაა და სანდოა.

1512. ადამიანის ხასიათს ხშირად მისი გონება ვერ სჯობნის, მაგრამ კაცი მაინც იმსახურებს სიმპათიას.

1513. ადამიანის ღირსებასაც ზოგჯერ ჩვენი განწყობის მიხედვით ვაფასებთ.

1514. სატანა უძახე შენ და მას ყველა უფრთხის, რადგან მის წინააღმდეგ არაფრის კეთება არ შეგვიძლია. ასევეა უგვანო ადამიანიც, ის არავის უყვარს, მაგრამ მას ყველა ერიდება.

1515. არის გარკვეული ქვეყნების, კუთხის ტრადიციები, რომლის წარმოშობის უცნაურობა დღესაც გაკვირვებას იწვევს, მგ. ვიეტნამის ერთ-ერთ რეგიონში ადამიანები დღესასწაულებზე ერთმანეთს კუბოს აძლევენ საჩუქრად და ამას აკეთებენ საჩუქრის მიმღებს ასაკის მიუხედავად; იაპონიაში გარდაცვლილი, სათაყვანებელი ადამიანის სურათებს კომიქსების სახით მსუბუქ ავტომობილებს ფერადი საღებავებით ახატავენ, და ამით თავს იწონებენ; მექსიკაში წინაპართა მუმიებს საფლავებიდან იღებენ და სპეციალურ მუზეუმში გამოფენენ, ხოლო იამაიკაზე მიცვალებულის დასაფლავება მრავალდღიანი ღრეობის და მოლხენის საგნადაა გადაქცეული. მოდი და ამის შემდგომ ჩასწვდი ადამიანის უგვანო გონიერებას, რომელსაც ტრადიციების დაცვით ამართლებენ.

1516. გარემოებათა დათბობა ადამიანს ხასიათის დათბობისა და გონიერების მოკრეფისკენ უბიძგებს.

1517. ყველა ჩვენგანი ცდილობს თავისი დროის სიძნელეების წარმატებით დაძლევას, თავის განდიდებას და ვალმოხდილ ადამიანად თავის წარმოჩენას.

1518. ტექნიკური პროგრესის მუდმივად წინსვლის მიუხედავად, ადამიანებს ცხოვრების ჭაობიდან საბოლოოდ ამოსვლა მაინც უჭირთ.

1519. პრაქტიკული იდეების მქონე და გონიერებით გამორჩეული ადამიანი უკვე პიროვნებაა.

1520. ადამიანის ფსიქიკა და გენეტიკა ფაქტობრივად არ იცვლება, მისი მცდელობების მიუხედავად, რადგან რაღაც მომენტში მას შეუძლია ძველი გაიხსენოს და მას წინააღმდეგობა ვერ გაუწიოს.

აზრები

1521. ყველა შენახული და კარგად დაცული ძველმანი მარადისობასთანაა წილნაყარი.

+1522. მსგავსება იმ შემთხვევაშია კარგი, თუ ქვეყნის სასიქადულო შვილს გადარებენ, გამსგავსებენ და არა ცნობად ვიგინდარას.

1523. გულმოწყალება ამქვეყნად სიკეთის საფრქვევადაა გაჩენილი და მას არ აქვს უფლება, საკუთარ თავში ჩაიკეტოს.

1524. აზროვნების სარეველაც თავის საქმეს აკეთებს, რათა გონიერების მარცვალმა ფესვი გაიდგას და გაძლიერდეს.

1525. აზროვნება ზრახვაა და ნებას წინ უნდა აღუდგეს, თუ ისინი შეუთავსებლები არიან.

1526. ძრახვა აზროვნების მხარდასაჭერად ვიღაცის უაზრობაა.

1527. გადაუმოწმებელ ზრახვებს, მონანიების საფუძველს, ცოდვების ჩადენის შიში აკავებს და კვებავს.

1528. ვეცადოთ, ზრახვებს ფხიზლად შევხვდეთ, რათა გულთან ერთად გონიც არ დაატყვეოს.

1529. ვეცადოთ, ვნება და ზრახვა ერთმანეთს განუსჯელად არ დავუახლოვოთ.

1530. აზროვნება ყოველდღიურ საკვებს მოითხოვს და მისი შესაძლებლობა მის ფორმატსა და ხარისხზედაც არის დამოკიდებული.

1531. აზროვნება თავის კომუნიკაციებს მოითხოვს, რათა გონმა საღად და მომხიბვლელად გადმოგვცეს თავისი სათქმელი.

1532. დუმილის ამეტყველება თვალებითაც შეიძლება, თუ აზრის გონიერების მომკით გადმოცემის უნარი შეგწევს.

1533. გადაწყვეტილებათა მიღების გაჭიანურება ხშირად სიბერის მომსწავებელია.

1534. ყველაფერზე თანხმობა არც აზრის გამოხატვას ნიშნავს, არც – კაიკაცობას.

+1535. ერთის აზროვნება მეორესაც აიძულებს, იაზროვნოს; შედეგად მოაზროვნეთა ჯგუფი, კლუბი, ქვეყანა იქმნება.

+1536. სიზარმაცე ის მძიმე გირია, წელს რომ უაზროდ გვწყვეტს.

1537. ცოდნა ყველას უნდა, ოღონდ ბეჯითი სწავლისა და სხვათაგან ჭკუის დარიგების გარეშე.

+1538. უნიათობა ჭორსა და ეჭვში მისთვის გასაგებ ჭეშმარიტებას ნახულობს.

1539. საკუთარ მესთან ჭიდილი ხშირად ბევრ მანამდე პასუხისგაუცემელ კითხვაზე იძლევა პასუხს.

1540. სხვათა შეხედულებებს ანგარიში დიახაც უნდა გაუწიო, მაგრამ საკუთარი ჭკუაც უნდა აჯილაო.

1541. გადაადგილების დაზარება ცხოვრების მობეზრება-დაზარე-

ბის სინონიმია და არა სიცოცხლისა, რომელსაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდის ვებღაუჭებით.

+1542. სიამოვნებასა და გაიხარას შორის დიდი სხვაობაა, რადგან პირველი პროცესის აღქმაა, მეორე – შედეგისა.

+1543. ასაკს რომ ადვილად წავეჯაჯგუროთ, უბრალოდ, ის არ უნდა შევიმჩნიოთ.

1544. ამტანობა, გამბედაობა, გონიერება – ესაა ამქვეყნად ყველა მოვლენების საზრისი.

1545. გულის მოგება პიროვნების თვითმყოფადობის შეცნობასაც ძალუძს.

1546. თავაზიანი, ხათრიანი, დაუზარებელი და მლიქვნელი ბრიყვი ხშირად ჩვენს ყველა ცუდის მდომზე უარესი და საშიშია.

1547. მეგობრობას მეგობრის გულის შეცნობასთან ერთად რწმენა, კაცობა და ურთიერთგამოდგომის სურვილიც სჭირდება.

1548. უნიათობას, უწიგნურობას, აქტიურთათვის ზურგის შექცევას სულიერი კმაყოფილება არ მოაქვს.

1549. სიკეთის მარცვლები იქიდანაც უნდა გამოვთხაროთ, სადაც ამ მარცვლების არსებობის თუნდაც სულ მცირე შანსი არსებობს.

1550. ზოგი სხარტულა ან ანგედოტი თავისი შინაარსითა და მახვილგონივრულობით ჭკუათმყოფელ აფორიზმსა და ანდაზაზე მეტია.

1551. ვერ ვიტან ძალად ყარაჩოღელებს, ხელოვნებას, რომლის „პოხონდრია“ გონიერებაში ადგილს იმკვიდრებს, აქსიომას, ყოფის ჭეშმარიტებას ხომ კვანტს უდებს და ყბედობას ლამობს.

1552. მოგზაურობიდან რომ ხეირი ნახო, ნანახის შეფასება უნდა შეგეძლოს და ფანტაზიის დამუღამება.

+1553. მეგობრობაც ღირსების საქმეა. უმეგობრო კაცი ეჭვს იწვევს.

1554. გამოცდილებიდან გადაცდენა ხაზს უსვამს ჩვენს სიბრიყვეს.

+1555. აზრს დალაგება უხდება. დალაგებულ აზრს კი გარანდვა-გაშალაშინება.

+1556. ყურადღება ბევრი სიკეთის საწყისია. ერთდროულად იგი თესვა-ხვნაც არის და მოსავალიც.

+1557. იმას მაინც არ ეტრაბახოთ, ვინც კარგად გიცნობთ და თავს ზრდილობის გულისთვის გიქნევთ.

1558. ყოველივე ნაღდის სიყვარულს ნიჭთან ერთად სწავლა სჭირდება, რადგან მუქთად ამქვეყნად არაფერია.

+1559. მთავარია არა ის, რამდენ ქალთან გქონიათ ურთიერთობა, უმთავრესია, რამდენი გახსოვთ დღემდე.

1560. დგება მომენტი, როდესაც საკუთარ თავსაც უნდა ვაჯობოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ამქვეყნად მოვლინება აზრსა კარგავს.

1561. სამყაროში დედამიწასაც თავისი გასავლელი გზა აქვს და ის გონების განსჯას არ ექვემდებარება.

+1562. გარკვეული მანძილის – „დისტანციის“ – დაცვა მეგობრობის შენარჩუნებისა და ნაცნობობის გახანგრძლივების საწინდარია.

1563. ზოგჯერ ემოციების მოსათოკავად გაუხსენებლის გახსენებაც საჭირო და სასარგებლოა.

+1564. ერის მოაზროვნე ნაწილის განადგურება იწვევს დიქტატისადმი მორჩილებას და დიქტატორის გაღმერთებას, რაც გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მისი ჩაქოლვით მთავრდება.

1565. ჩვენი რეპუტაციის კეთილ თვისებებთან შერწყმა ჩვენს მეობას გონიერებასთან აახლოებს და საზოგადოებაში კუთვნილ ადგილს გვიმკვიდრებს.

1566. მცირედის კეთებასაც სწავლა უნდა, რომ უდიდესი შენი ნიჭით აკეთო.

+1567. თვალი თუ სარკეა სულის, მაშინ ყური ჩამოყალიბებული მსტოვარია გულისა.

+1568. ზოგჯერ წაგება და დაკარგვა სიმდიდრეს გვმატებს – გამოცდილების სახით.

1569. მოჭარბებული თავმდაბლობა ზოგჯერ ამპარტავნობის ხილული მხარეა.

+1570. ისტორია უმთავრესად წარსულის ისეთ ანალიზსა გვთავაზობს, რომლსაც მომავალი არასოდეს გამოიყენებს.

1571. მჭევრმეტყველება მოსმენის უნარის სინონიმის სინონიმია.

1572. მოვალეობა საზოგადოებრივ მოთხოვნათა სინონიმია.

+1573. მშვენიერება იმ აღმაფრენას იწვევს, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად თანდათან ქრება, მაგრამ არ გვავიწყდება.

+1574. არ არსებობს აზრი, რომლის გამოყოფა, შესწორება არ შეიძლებოდეს.

1575. უნებლიეთ თავში შემძვრალი უგუნურების ორი-სამი „ტარაკანის“ მოთოკვა, ყველა ჩვენგანს ყოველდღიურად უხდება.

1576. გრძელი ენა, მოკლე ჭკუა და მოჭარბებული ამბიცია ხშირად ღუპავს ჩვენს მომავალს.

+1577. სიძუნწე და ხელმომჭირნეობა იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ პირველი ულმობელია, მეორე – შეუცდომელი.

+1578. სტუმართმოყვარეობა ნიჭია და ის დაუპატიჟებელ სტუმრებზე არ უნდა დახურდავდეს.

1579. არჩევანს უმთავრესად ემოციები აკეთებს, არა გონება და განსჯის უნარი.

+1580. თუ ამქვეყნიური ვალი გადახდილი გაქვს, მაშინ ასაკის მატება ანგარიშში ჩასაგდები აღარ არის.

+1581. სურვილები ისე გვამხელენ, როგორც რიჟრაჟი – დილას.

+1582. პროგრესს ურეგრესოდ ნახტომის გაკეთება უჭირს. მაშ, რეგრესი ერთგვარი გამოსარბენი ბილიკია.

+1583. ჩვენი ამქვეყნად ყოფნის მასკარადი, ბერიკაობა, სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება.

+1584. სირცხვილი ხშირად დაუწერელი კანონებით მოქმედებს და ჩვენს შეგნება-ცნობიერებაზე ძალადობს.

1585. სირცხვილის გრძნობაც თანდაყოლილია, იმისდა მიუხედავად, რა დრო-გარემოში გიხდება ყოფა-ცხოვრება.

1586. საკუთარი თავის შეცნობას მორალითა და გამოცდილებით უნდა ვეცადოთ.

+1587. გონიერი და განმსჯელი ეშმაკისთვისაც კი მიუწვდომელია.

+1588. ურთიერთობაში მთავარია, ნდომის დეფიციტი არ იგრძნობოდეს.

1589. გამარჯვებული პოპულიზმი სახელს უტეხს გონივრულობასთან ჭიდილს.

+1590. დიდხანს ხელისუფლებაში ყოფნა არასასურველია, თუ ქვეყანაში დიქტატურა არ სუფევს, რადგან, რაც არ უნდა ბევრი კარგი აკეთო ქვეყნისთვის, დემოკრატიის პირობებში ჭუჭყს მაინც მოგცხებენ, რადგან თვალი ერთსა და იმავე სახის დიდხანს ცქერას ვერ იტანს.

+1591. შეჯიბრებაში არა მარტო იმიტომ უნდა მიიღო მონაწილეობა, რომ უსათუოდ გაიმარჯვო, არამედ იმიტომაც, რომ კონკურენტუნარიანი გახდე, რადგან შეჯიბრებითობის გარეშე პროგრესი არ იქნება.

1592. ქურდი იღებს იმას, რაც ცუდად დევს ან ძალზე კარგადაა შენახული, რადგან საშუალო საკბილო მისი ხედვის არეში არ ხვდება.

+1593. სიბრალულს ისევ შური სჯობს: რაღაცას მაინც იჭორავებენ, იტყვიან.

1594. სინანულიც სამართლიანობის ერთი მხარეა, ოღონდ სუბიექტური.

1595. კრიტიკის ზომიერად, საქმის სასიკეთოდ გამოყენების ნიჭი, ერთეულთა ხვედრია.

+1596. შორიდან დანახული სიმართლე სამართლიანობის სინონიმად ყოველთვის როდი გამოდგება.

1597. სიკვდილისა ყველას ეშინია, მაგრამ რეალურად მას სახეში შესცქერიან და გვერდსაც თამამად უქცევენ.

+1598. მშვენიერება გამუდმებით იცვლება, მაგრამ ფასს ის არასოდეს კარგავს.

1599. ამპარტავნობაა, როდესაც გგონია, საკუთარი თავის ფასი იცი; ცნობადობაა, როდესაც თავს რეალურად აფასებ და რეალურად

გაფასებენ.

+1600. სიყვარული და სამართლიანობა ერთად ყოველთვის ვერ სძოვენ, მაგრამ საამისოდ ირჯებიან და ცდას არ აკლებენ.

1601. მითი ურბანულ სივრცეში კარგად ითესება, ხარობს და შესანიშნავად გვადგება.

1602. გაწბილებას რომ გადაურჩე, სერიოზული და მასშტაბური ღონისძიება ქულობრივად წინასწარ არ უნდა შეაფასო.

+1603. გმირი ისაა, ვინც დროის ისტორიულ გარდაუვალობას ხედავს და მას გონებრივი შემართებით უწევს ანგარიშს, რათა დიპლომატიური ქმედებით გაცილებით მეტი მიიღოს, ვიდრე წინააღმდეგობის გაწევითა და შებრძოლებით მიიღებდა.

+1604. შედეგის მიუხედავად, თეორიულად და არა პრაქტიკულად ერთხელ მიქარვის უფლება ყველას აქვს. ესეც გამოცდილების დაგროვების საშუალებაა.

+1605. ღირებულებათა გადაფასება ერთხანს რომ განვითარების შედეგია, სხვა დროს რეგრესის ნიშანია.

+1606. ფათერაკებისაგან თავის დაზღვევა შეუძლებელია, მაგრამ თავის დაძვრენაა შესაძლებელი.

1607. ვისაც ადამიანთა ბედი აბარია, ის ცოდვის მორევში გადაშვებას უნდა მოერიდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისდაუნებლიეთ ის ქვეყანასაც და საკუთარ თავსაც ჯოჯოხეთს გაუმზადებს.

1608. სიავისა და სიკეთის კეთების წადილი გონებიდან მოდის, მიუხედავად იმისა, რომ მასში გარკვეულწილად მონაწილეობს ნერვებიც.

+1609. საქმისაგან განსხვავებით, შემოქმედებითი სიტყვა არ იკარგება. იგი ადრე თუ გვიან მაინც გაჟონავს მომდევნო თაობის ცნობიერებაში.

1610. ყველაზე უკეთ ჩვენს მოგონებებს ქაღალდი, ინტერნეტი იმახსოვრებს და წარმოგვიჩენს. სხვა დანარჩენი წარმავალია.

+1611. სათნოების გამოჩენა ყველაზე დიდი სიამოვნების მომტანია.

1612. პირის ქარი ყბედობის ქარბუქად არ უნდა გადავაქციოთ, რადგან აქ ზოგჯერ შენდობაც გამორიცხულია.

+1613. იქ, სადაც არც არაფერი ხდება, არც არაფერი იგეგმება.

+1614. მოსმენას ფასი მაშინ აქვს, თუ მონასმენს ფასს დავდებთ და გავითვალისწინებთ.

1615. ყველა ქვეყანა თავისი სცენარით იღვწის და იმართება, იმისდა მიუხედავად, ხალხი რას ფიქრობს და ხელისუფლების სათავეში რა დონის რეჟისორს აირჩევს.

1616. ხშირად სურვილები და მოჩვენებები გაცილებით მეტია, ვიდრე სინამდვილეშია და გვჭირდება.

1617. ორატორობა მიმზიდველი საუბარია, აზრს რომ გიჩენთ და

გაფიქრებთ და არა მხოლოდ მომხიბვლელი ყბედობა.

+1618. ერთსა და იმავე საგანს ჭკვიანი და სულელი სხვადასხვა გვარად ხედავენ და ამით ორივე კმაყოფილია.

+1619. შიში ის დაავადებაა, რომელიც სხვა დაავადებათა მომრავლება-წარმოჩენას ხელს უწყობს.

1620. სხვადასხვა მაცდუნებელი დაპირების მიუხედავად, ენამჭევრობა დუმილს ვერა სჯობს.

+1621. შეგუებაც თავისებური სიბრძნეა, ოღონდ მხდალი სიბრძნე.

1622. განსჯადი მეხსიერება ყოველთვის იმას იმახსოვრებს, რაც აწმყოში გამოადგება.

1623. თავაზიანობა მოყვასობის სინონიმია და ზოგჯერ თავის მოწონების საშუალებაცაა.

1624. არის დანაშაული, ქმედება, რომელსაც სისხლი სისხლის წილად უნდა მივაგოთ და აქ მეორე ლოყის მიშვერის პოსტულატი არ გამოდგება, რადგან ეს დანაშაული იქნება ქვეყნის, სახელმწიფოებრიობის, ეროვნულობისა და მომდევნო თაობათა წინაშე.

+1625. მოვალეობა და მანია ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ ორივეს ერთი რამ ახასიათებს – სიბეჯითე.

+1626. მოვალეობის გრძნობას ზოგჯერ პროდუქტიულსა ხდის სიჯიუტე.

1627. ვაჭარს ისეთი შესახედაობის მყიდველი მოსწონს, როდესაც ნანობს: რატომ მეტი არ დავუფასე.

+1628. ლაქია შინაგანად გმირი არ შეიძლება იყოს, იმისდა მიუხედავად, მან გმირობა ნებით ჩაიდინა, აფექტში ყოფნისას თუ შემთხვევის წყალობით.

1629. ჰარმონიის მისაღწევად მისაღებია: 1. გჯეროდეთ ერთმანეთის. 2. პატივი მიაგეთ ერთმანეთს. 3. შეუსრულეთ თქვენთვის მისაღები სურვილები. 4. გამოიჩინეთ მზრუნველობა. 5. ისწავლეთ თანამეინახის მოსმენა. 6. ჭკუა არ დაარიგოთ, ოღონდ ურჩიეთ. 7. გამოიჩინეთ მისი საქმიანობის მიმართ ზომიერი ინტერესი. 8. იზრუნეთ მასზე. 9. სიყვარული გამოხატეთ შესატყვის გარემოში. 10. დაეხმარეთ იმგვარად, რომ თავადაც ნასიამოვნები დარჩეთ. 11. საჩუქრები მიიღეთ სიამოვნებით. 12. ეჭვი არ შეიტანოთ ურთიერთქმედებაში. 13. წვრილმანებს ნუ შეამჩნევთ. 14. ეცადეთ, არ შეეპასუხოთ ერთმანეთს, არ იკინკლაოთ. 15. ნუ დაუსვამთ ერთმანეთს ჩამჭრელ და უაზრო კითხვებს. 16. არ მოუყვეთ თქვენს ყოფილ რომანებზე. 17. არ ისაუბროთ საკუთარ ნაკლზე. 18. ეცადეთ, საჭიროების შემთხვევაში გვერდით ედგეთ. 19. არ უსაყვედურო დაგვიანებისათვის, დროის უქონლობის გამო. 20. ეცადეთ, მის გვერდით ხშირად იყოთ თავის მოუბეზრებლად. 21. იყავი მის მიმართ გულღია, გულწრფელი. 22. არ გაამჟღავნო ეჭვი. 23. ის-

წავლეთ მოთმინება, თანადგომა. 24. ისწავლეთ ენაზე კბილის დაჭერა. 25. ისწავლეთ რაღაც-რაღაცების არ შემჩნევა. 26. იყავით ყოველთვის მოხდენილად ჩაცმული და პარტნიორიც აიძულეთ, მოდაზე ჩაიცვას. 27. ზედმეტი კითხვებით თავს ნუ მოაბეზრებთ ერთმანეთს. 28. ერთმანეთს ნუ უსაყვედურებთ მშობლების, ახლობლების ქცევის გამო. 29. იყავით სტუმართმოყვარე მასპინძელი. 30. სტუმართან საუბარში თქვენი ინიციატივით ნუ ჩაერევით. 31. ძვირადღირებული ნივთები იყიდეთ ურთიერთშეთანხმებით. 32. ერთი კვირით ადრე დაგეგმეთ სადილი თანამეინახესთან შეთანხმებით. 33. საყიდლების სია ჩამოწერეთ ან ერთად შეიძინეთ, ანდა გაინაწილეთ საყიდლები. 34. მაცივარში ყოველთვის იქონიეთ ხელშეუხებელი, ძვირადღირებული დელიკატესები მოულოდნელი სტუმრების გასასტუმრებლად. 35. ერთმანეთს დაეყრდენით. 36. გაუწიეთ ურთიერთს მფარველობა, მხარი დაუჭირეთ ერთმანეთს. 37. სახლში მოიშორეთ ქედმაღლობა. 38. შესარიგებლად გადადგით პირველი ნაბიჯი. 39. ერთმანეთს დასახული მიზნის შესრულებაში ხელი არ შეუშალოთ. 40. იყავი მარად პატიოსანი და პასუხისმგებელი ერთმანეთის წინაშე. 41. ეცადეთ მარად იყოთ კარგ და იუმორისტულ ხასიათზე შეძლებისდაგვარად. 42. ეცადეთ, დაიცვათ ტრადიციები, მორალი, ეთიკის ნორმები. 43. ეცადეთ, ერთმანეთს სიყვარულში, სექსში მიანიჭოთ მაქსიმალური სიამოვნება. 44. ეცადეთ, პარტნიორი იყოს ხელმძღვანელი სექსში და განაცდევინოთ ორგაზმი. 45. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი, მაგრამ არ შეიმჩნიოთ. 46. ეცადეთ, იყოთ უპრობლემო. 47. ეჩოსავით ყველაფერს თავისთვის ნუ მიითვლით. 48. ნუ იქნებით ჭირვეული, წვრილმანი, წინდაუხედავი. 49. შური და სიძულვილი ახლოს არ გაიკაროთ. 50. ეცადეთ იყოთ მოყვასი, შეცდომების შემნდობი. 51. ეცადეთ, იყოთ ოჯახის მოყვარული. 52. შვილების აღზრდა და დასჯა შეთანხმებით დედას მიანდეთ. 53. ზოგჯერ სკოლაშიც მიიყვანეთ და წამოიყვანეთ ბავშვები. ეს პატარებსაც ახარებს და დიდებსაც. 54. მუდამ წინ იარეთ და იყავით ოპტიმიზმით აღსავსე. 55. იყავით ღვთისნიერი, რაღაც იწამეთ. 56. იყავით ურთიერთობაში გულწრფელი, ოღონდ ზომიერად პრეტენზიულიც. 57. თანამეინახეებში ეძებეთ მფარველი, მხარის ამბმელი. 58. გადაუმოწმებლად ბოლომდე არავის ენდოთ. 59. ენის მომტანებსა და დამსმენებს ბოლომდის ნუ ენდობით. 60. ეცადეთ, ხიბლი არასოდეს დაკარგოთ. 61. ერთმანეთი შეაგულიანეთ კარგი საქმეების საკეთებლად. იყავით გამბედავი, საჭიროებისამებრ მარად შემართული. 62. მოერიდეთ გაბრაზებას, სიანჩხლეს. 63. გაბუტვას და ბუტიაობას ნუ გაიკარებთ. 64. მოერიდეთ სიანჩხლეს, თავგასულობას 65. გქონდეთ თავისუფალი ურთიერთობები, იყავით მიმზიდველი, პატივსაცემი. 66. ეცადეთ, დროს, ყოფასა და ვითარებას დროულად აუღოთ ალღო. 67. ისწავლეთ ფულის შოვნა და მისი რაციონალურად

დაბანდება, ხარჯვა 68. ეცადეთ, იყოთ მოქნილი, დიპლომატი. 69. ზოგჯერ ხასიათის ჩვენებაც საჭიროა, ოღონდ ზომიერად. 70. შიში და ეგოიზმი გულს არ გააკაროთ. 71. იფიქრეთ, რომ ცხოვრება გამოვიდა და მის გადახედვას ხშირად ნუ შეეცდებით. 72. ეცადეთ, რეალობასთან იყოთ ახლო. 73. ფულს ახლობელს ნუ ასესხებთ, მაგრამ შეძლებისდაგვარად აჩუქეთ. 74. სიმართლესა და მტერს თვალებში უყურეთ. 75. ეცადეთ, სულიერად იყოთ თავისუფალი და უღალატო. 76. იყავით ახლის მაძიებელი, ეცადეთ მახლობლებთან ერთად დააჭაშნიკოთ სიახლე. 77. იყავით ორგანიზებული. 78. იცოდეთ თქვენი ადგილი საზოგადოებაში, ოჯახში, ამხანაგთა წრეში, თანამშრომლებში. 79. ეცადეთ, იყოთ მომხიბვლელი მაგნატი, რათა მიიზიდოთ კეთილისმნდომნი და საქმიანი ხალხი. 80. ეცადეთ, ყოველთვის შეინარჩუნოთ მაგიურობის ძალა. 81. ზოგჯერ ახლობლების ინტერესები თქვენს ინტერესებზე მაღლა დააყენეთ. 82. იქონიეთ მოთმინების უნარი. 83. ისწავლეთ თავის მოწონება, წარმოჩენა. 84. ანგარიში გაუწიეთ დროს და ქვეყნის მიმდინარე პოლიტიკას. 85. ისწავლეთ სწორი გზის არჩევა და მასზე სიარული. 86. სიზარმაცე ახლოს არ გაიკაროთ. 87. ივარჯიშეთ ფიზიკურად, ზედმეტი წონა არ დაიდოთ. 88. ფუფუნებას ნუ მოერიდებით, მაგრამ ნურც გადაამლაშებთ. 89. ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ და 5 წელიწადში ერთხელ მაინც გამოიკვლიეთ საკუთარი თავი. 90. ყველგან დაიცავით თქვენი უფლებები. 91. ურთიერთობაში იყავით ჩანჩქერივით სუფთა და ჰაეროვანი. 92. გაჭირვებულს გვერდზე დაუდექით, მაგრამ ნუ გადაჰყვებით. ეცადეთ, თქვენს სიტყვას ყველგან ფასი ჰქონდეს. 93. აშკარად ნუ ჩაერევით ახლობლების ურთიერთობაში და მოერიდე განმსჯელის, მოსამართლის როლს. 94. თანამშრომლებს მოექეცით კაცურად, თანადგომით და სამართლიანად. 95. ქვემდგომს ყოველთვის პატივი მიაგეთ. 96. იყოლიეთ დამრიგებელი, მრჩეველი, რომელსაც ენდობით, პატივს მიაგებთ და მასთან ერთობა წარმოგაჩენთ. 97. მომავალ თაობებთან იქონიეთ კარგი ურთიერთობა, ეცადეთ გაუგოთ და გაგიგონ. 98. ანდერძი სიცოცხლეში დაწერეთ და სამართლიანად გაანაწილეთ თქვენი ქონება. 99. მარად ატარეთ საქორწინო ბეჭედი, რომ შენი ოჯახური მდგომარეობა წინასწარ ცნობილი იყოს. 100. ცოდნა-გამოცდილებას ყველა ასაკში დაეწაფეთ, გაითვალისწინეთ და თქვენიანებსაც გაანდეთ.

1630. ცოცხალი არსება ისე, არ უნდა გაწრთვნა, რომ სისაძაგლე ჩაიდინოს.

1631. საქმე შედეგმა უნდა დააგვირგვინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უსაქმურობა სჯობს.

+1632. წარმატება ყოველთვის საამაყოა, ოღონდ სიამაყემ წარმატება არ უნდა დაჩრდილოს.

+1633. ყოფის ფინიშთან ყველას მოგვიწევს მისვლა, მაგრამ გზაში მასზე დაფიქრება არა ღირს.

1634. ვეცადოთ, ცოდვა არ ჩავიდინოთ და მოსანანიებელიც არაფერი გვექნება.

+1635. სიმართლეს ზოგჯერ უკანმოჭრილი გზები გვალაპარაკებს.

+1636. მოთმინებას ბევრი პლიუსი აქვს მოუთმენლობასთან შედარებით, მაგრამ დროულად მიყენებულ შედეგიან დარტყმას მაინც ვერ შეედრება.

1637. ხელიდან ჭუჭყის მოშორებაც მონანიების ტოლფასია.

1638. რომ დაგაწინაურონ, მარტო კარგი მუშაობა არ კმარა; უნდა იცოდეთ, თავი როგორ წარმოაჩინოთ, ვის უნდა წაუმლიქვნელოთ და ვისი პროტექცია გამოიყენოთ.

1639. პრინციპულობა საჭიროა, მაგრამ მომავლის პერსპექტივის რეალური ხედვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მძიმე და ზედმეტ ტვირთად დააწვება ქვეყნის რეალურ ყოფას.

1640. სიღარიბეს სიმდიდრის გვერდზე დადგომა ხელს არ აძლევს.

1641. შენი თუ არ შურთ, ე.ი. საქმე კარგად ვერა გქონია.

+1642. აზრის მეტყველებასთან შერწყმას თავისი კანონი აქვს, რომელიც მეტაფიზიკას ეყრდნობა.

1643. მართალი, გულწრფელი, ოღონდ აზრიანი ნათქვამი ყოველთვის მივა მსმენელთან.

+1644. მოწყენილობა სერიოზულობის სინონიმად არ გამოდგება.

1645. აზროვნებას სჭირდება ინფორმირებულობა და გონიერება.

+1646. საფუძვლიან ტრადიციებს წლები ვერას აკლებს.

+1647. გარდასული ეპოქის გაცოცხლებას არ უნდა შევცადოთ – ეს სისულელეა, ოღონდ იმდროინდელი კარგიც არ უნდა დავივიწყოთ – ეს უმადურობაა.

1648. ვეცადოთ, ეროვნული აზროვნება გავხადოთ საქმიანი, რათა ხელში ლიტონი სიტყვები არ შეგვრჩეს.

+1649. ღირსების შეცნობას ხმაური არ უყვარს – ის თვითნაბადია.

1650. საყვარელი საქმის კეთება ამ ქვეყნის ამაოებაზე ფიქრის დროს აღარ გვიტოვებს.

1651. სიმართლის მთქმელს უგუნურება სათოფეზე გაურბის.

1652. მოკლე ჭკუას ენაზე კბილის დაჭერის უნარი იფარავს.

1653. საკუთარი თავით ტკბობას უსუსურობისკენ მივყავართ.

1654. სიხარული, იმედი, რწმენა ამაგრებს სხეულს და იმქვეყნად გადასახლებას აყოვნებს.

1655. ჩვენს სამყაროში სიცოცხლის ჩასახვის ამბავს რომ ეცნობი, გაოცებული რჩები, რა განუსაზღვრელი ფანტაზიის მქონე ყოფილა შემოქმედი.

1656. საზოგადოებრივ აზრს დიდად ვნებს, როდესაც გაპიარებული პირი იმ ადგილს იკავებს, რომელიც მას არ ეკუთვნის.

1657. გონიერებით მარადისობის კარიერის დაპყრობა განგების რჩეულთა ხვედრია.

1658. მადლიერება-უმადურობაზე სერიოზულად დაფიქრება სევდასა გვგვრის.

+1659. თუმცა ეძებენ სიმართლეს, მაგრამ ზოგჯერ მას ვერ პოულობენ, და ავად თუ კარგად, შედეგს მაინც იმკიან. მაშ, პოვნა კი არ ყოფილა მნიშვნელოვანი, არამედ – ძიება.

+1660. სიმართლე აიწონა-დაიწონას ვერ იტანს: ან მართალი ხარ, ან – არა.

1661. სიცრუის სიმართლედ წარმოჩენას ცოდნა-გამოცდილება-მახსოვრობა სჭირდება, ამასთანავე, თანდაყოლილი ნიჭიცა და ყბედობის უნარიც.

+1662. იუმორი ინტელექტის მარილია.

1663. სიახლეს ყველა ვეტრფით, მაგრამ მაინც ძველს მივტირით.

+1664. რჩევა და გამოწვდილი ხელისთვის დახმარება სხვადასხვაა, მაგრამ მადლიერების გამოხატვა ორივე შემთხვევაში ერთნაირად მოეთხოვებათ.

1665. ვარცხნილობას თავის მოსაწონებლად სხვათა აზრი აინტერესებს და არა ის, თუ მასში რა ყრია.

1666. ამქვეყნად რაღაც საამაყო უნდა დატოვო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენი სიცოცხლე „შატალოა“ და მეტი – არაფერი.

1667. დასამახსოვრებელ ისტორიას სისხლი და დაპირება ქმნის. უამისოდ იგი უბრალო ამბავია და არა ისტორია.

+1668. ჩვენს ყოფას ის ალამაზებს, რომ მუდამ მოსალოდნელი გამარჯვების მოლოდინი გვაქვს.

+1669. დასჯა აზრს კარგავს, თუ მიზეზი ვერ შევაგნებინეთ, ხოლო დასჯისწინა პროფილაქტიკა კი, თუ მოსალოდნელ შედეგს ვერ გაიაზრებს.

+1670. გონივრული და პერსპექტიული კითხვების დასმა უგუნურთა-განაც არის მოსალოდნელი, ოღონდ ეგ როდია გარანტი მათი სტაბილური გონიერებისა.

+1671. სასიამოვნო შემოქმედებითი შრომა ისეთ დაავადებას კურნავს, როგორიცაა სიზარმაცე და შური.

1672. თავს მარად უნდა შეუძახოთ, რადგან თავის ჩაქინდვრა საბრძოლო ბაირაღის დახრასა ნიშნავს.

1673. აზრის გარდაცვალება ზოგჯერ ერთგვარი ზეიმია – ეს მოასწავებს მის რეალიზებას.

+1674. სამყაროს თავისი საზარელი შესაძლებლობები ჯერ კიდევ

არ გამოუჩენია, რადგან ღმერთი ჯერ კიდევ არ გაგვწყრომია.

1675. მარადიულობაზე ფიქრი, ჩვენდა შეუცნობლად, მეტ-ნაკლებად ყველას გვტანჯავს, გვაწამებს, გვაფრთხობს.

+1676. არის რაღაც, რასაც ვერ იგებ და სურვილიც არ გაქვს, გაიგო, რადგან მისი გათვითცნობიერებისას საკუთარ ნაკლს აღმოაჩენ.

1677. თვალებში შეხედვით ადამიანის ვინაობა-რაობის დადგენა გამოცდილებასა და ანალიზის უნარს მოითხოვს.

1678. „გაჩეჩილი“ – „გაპუტული“ ზმნა, სიბრძნის ყველა ნიუანსს ვერ გამოსახავს.

1679. ისტორიაც ზოგჯერ ბადებს ჩვენთვის მოსაწონ პიროვნებებს, მაგრამ არა ისე სრულყოფილს, რომელსაც ჩვენ ვისურვებდით.

1680. საზოგადოებრივი აზრი ისევ მოაზროვნემ უნდა ჩამოაყალიბოს და არა მასამ, ბრბომ, რომელმაც თავადვე არ უწყის, რა უნდა.

1681. ზოგჯერ დაწუნებული აზრი მომავალს ეხმიანება და მისი განუყრელი საკუთრება ხდება.

1682. ჩვენი ფიქრით, არასოდეს ვცდებით, მაგრამ ნაფიქრალის შედეგი ხშირად საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

+1683. საკუთარ თავზე ფიქრი ფიქრთა სათვალავში არ გვეთვლება.

1684. მცდარი შეხედულების და ქცევის გასარკვევად ფილოსოფია და ისტორია ერთმანეთს უპირისპირდებიან.

1685. ნუგეშის პოვნა მაშინაა შესაძლებელი, თუ სხვათა მწუხარებაც გაცნობიერებელი გაქვს.

1686. სიზმრის გონიერება ცხადში გვაოცებს და საკუთარ ოცნებებთან გვაახლოებს.

1687. შიში თავისებურად სასარგებლოა: მას უფრო მეტი სარგებელი მოაქვს ქვეყნის აყვავებასა და საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ვიდრე – ზარალი.

+1688. დემოკრატია არის პრაქტიკული და თეორიული: პირველია, როდესაც ქვეყნის პირველი პირი ქვეყანაში დაცვის გარეშე გადაადგილდება, ხოლო მეორე, როდესაც ამაზე ოცნებობს.

1689. შეგნებისა და ჭკუის დროულად მოხმობა ყველა სწავლა-განათლებაზე მეტია.

1690. ზოგჯერ თავმოსაბეზრებელი მიმდინარე კითხვებიც საქმიანი ხდება.

1691. გვინდა – არ გვინდა, ჩვენი საუკუნის უგუნურების გარკვეული ტვირთი უნდა ვზიდოთ და გამოვასწოროთ.

1692. ჭკვიანი და სამართლიანი აზრები მავანთა მოწონებას იშვიათად იმსახურებს.

1693. საკითხი, ხომ არ სჯობდა, არ დაბადებულიყავი? ისევ შენმა

ამქვეყნად მოსვლამ უნდა განსაჯოს და გაარკვიოს.

1694. მოგწონს – არ მოგწონს, ვეთანხმები – არ ვეთანხმები, სულ-ერთია: ყველა ცივილიზაცია ფუფუნებისა და ნგრევისთვის არის გამზადებული.

1695. სამაყრო ყოველთვის რაციონალურია, თუ მას გონივრულ ყურადღებას მიაგებთ.

1696. ისტორიას ბევრი ბარბაროსი და გამყალბებელი ჰყავს, მაგრამ ის მაინც საჭირო და უკვდავია.

1697. ტექნიკური პროგრესისა და მისი შედეგების მონები ვართ, მაგრამ უიმისოდ ჩვენი ყოფის მადლის შეცნობა გაგვიჭირდება.

1698. სურვილების ვნებასთან შეუღლების შედეგია, რომ კაცობრიობა არსებობს.

1699. მეგობრად ის უნდა აირჩიო, ვინც ყველაფერში არ გეთანხმება.

1700. ჩვენს სიბრძნესა და განუმეორებლობას ჩვენზე უკეთ ვერავინ გაიგებს.

+1701. ერთგულება თეორიულად იოლი თამაშია, პრაქტიკულად – ძნელი.

+1702. ისტორიული სამართლიანობა მუდამ აწმყოს სასწორზე იწონებოდა.

1703. აზროვნების ხარაჩოების პრარაბი ენაა.

1704. ვიწრო პარტიული, კუთხური მიკერძოებითი აზროვნება ქვეყნის მთლიანობას, მის ავტორიტეტს, ეროვნულობა კვანტს უდებს.

+1705. სულში ეშმაკი გვიზის, რომლის დასამარცხებლადაც იდეოლოგიას ვიყენებთ.

1706. მეგობრობა ნაცნობ სულთა შეყრაა და არა ურთიერთგანწყობა.

1707. ავი გვაშორებს, გვაფრთხობს, მაგრამ მასთან შესახვედრად მზად არასოდეს ვართ.

1708. დაკარგული ფასეულობანი და რწმენა-ტრადიციები პირველი სახით ვერასოდეს აღდგება.

1709. მთავარია საკუთარი ღირსების გაცნობიერება და არა მასზე ყბედობა.

1710. მიზანი გვაიძულებს, სიცოცხლის გახანგრძლივებას შევეცადოთ.

1711. წიგნს დროდადრო კითხვა უხდება და არა თაროზე შემოდება და დროდადრო მტვრის გადაწმენდა.

1712. ურთიერთგაგება მისასალმებელია, მაგრამ მეცნიერებას, ხელოვნებას სტანდარტული გონიერებით ცხოვრება უჭირს.

1713. გონივრული კანონების დიქტატურას გაუგებრად ლიბერალი-

ზებული დემოკრატიის სურვილები და ღირსებები ვერ შეედრება.

1714. წერისა და მეტყველების ნიჭი განსხვავებულია, მაგრამ სერიოზული საქმის საკეთებლად პირველი სჯობს.

1715. ჭკუა, რომელიც ენის მეშვეობით აზროვნებს, გონიერებას ვერ დაიქადნის.

1716. დემოკრატია, დამოუკიდებლობა, ურთიერთგაგება ჯანსაღ ცნობიერებასა და ქვეყნის მოქალაქედ თავის ცნობას მოითხოვს.

1717. ეშხი მოძრაობის კატალიზატორია და არა უძრაობის.

1718. ხშირად პესიმისტური აზროვნება ოპტიმისტური ქმედების საშუალებას არ ზღუდავს.

1719. თავმდაბლობა და სიყვარული თუ შემოსავლებითაა გამაგრებული, ადამიანი პიროვნებად იქცევა.

1720. რეალურ ხელისუფალს ხშირად ვითომდა დემოკრატიის ევნუხური პოსტულატები არ ადგება.

1721. ყავლგასულ ჩვეულებებს უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ ანგარიშიც უნდა გავუწიოთ.

1722. ორატორი სიტყვის თქმისთვის კი არ უნდა დავსაჯოთ, არამედ არაფრისმთქმელი ყბედობისთვის.

1723. ჩვენი მეშვეობით განგება იღვწის, ხოლო აპლოდისმენტებს მწერალი-შემოქმედი იმკის.

1724. „აზროვნების ტორტის“ დედობა პოლიტ-ეკონომიურად არის მისაღწევად ძნელი.

1725. კუნთებისა და კუჭის შერწყმას აზროვნებისა და გონიერების თანხმობის გარეშე სიკეთე არ მოაქვს.

1726. დიდ ნიჭს დარწმუნების უნარი აქვს და არა – გაჩუმების.

1727. ცრემლის ღვრის ხელოვნებას და აზრთა კდემამოსილებას ზოგჯერ სიცოცხლე ეწირება.

1728. ბრიყვს ყველაზე ნაკლები სურვილი აქვს, გახდეს ჭკვიანი.

1729. შენი აზრების გამზიარებელი მოსაუბრეა, ოპონენტი ღვთის წყალობაა და თავდაჭერილობასა გმატებს.

1730. აჩქარება გადაგვაცდენს, მაგრამ ხშირად არც დაყოვნებას მოაქვს სიკეთე.

1731. საშიშროების წინაშე გარდაუვალი დგომა სიცოცხლის მადლის შეცნობის უნარს ხშირად გვაკარგვინებს.

1732. კარგ მოსაუბრეს ფიქრების გაჯირითება, ჭკუის მოხმობა და დიდი გული სჭირდება.

1733. მადლიერების გრძნობის გათავისებასაც აზრის ამოქმედება სჭირდება.

1734. ხშირად პატიოსნება სარფიან საქმეზედაც უარს ამბობს გონის „გაუპატიურების“ შიშით.

1735. წესრიგი და წესიერება უსაქმურობას, თავაშვებულებას, მერყეობას ვერ იტანს.

1736. სიკეთეს ყავლი არ გასდის.

1737. გაუბედაობა-თავდაჭერილობა სიახლის მორცხვი მტერია.

1738. სიჩქარის მადლი უნდა აღვიქვათ, შევიცნოთ და არა საქმის ჩქარა კეთება.

1739. კარგიცა და უკეთესიც მთელი შეგნებით, შემოქმედებითი აღმაფრენითა და მოვალეობის შეცნობით უნდა ვაკეთოთ.

1740. არაფრის კეთებაც სიფრთხილეს მოითხოვს, რათა არ შეგამჩნიონ და პასუხი არ მოგთხოვონ.

1741. ვინც ცოდვებს შეგინდობს და მაინც უყვარხარ, ის შენი სამუდამო მეგობარია.

1742. კანონი და კანონიერება ონანიზმით არ უნდა ერთობოდეს. იგი ბედისთვის ხელის ჩაჭიდებას არ უნდა ცდილობდეს, რადგან სამართლისა და სამართლიანობის უზენაესობაა.

1743. ცივილიზებული იუმორი – ესაა ის, რაც ადამიანებს ერთმანეთთან გვაკავშირებს, გვართობს და ჭკუას გვმატებს.

1744. სიმართლის თქმა, სიცრუის თქმისაგან განსხვავებით, ყოველთვის აპლოდისმენტებს ვერ იმსახურებს, რადგან თქმული ყველასათვის სასურველ რეალობას არ შეესაბამება.

1745. ნიჭი ერთია, სწავლა – მეორე, გამოცდილება – მესამე, ხოლო მათი შეჯერება გონივრული ქმედებაა.

1746. სრულყოფილობისკენ ლტოლვა მოსასალმებელია, მაგრამ მიუღწეველია, მიუხედავად ამის, ჩვენს კეთილ მისწრაფებას მცდელობა არ უნდა დავაკლოთ.

1747. კაცობრიობამაც ჭკუა ვერ ისწავლა და ბოროტება კეთილით იმ ზომამდის ვერ ცვალა, რომ ავი აღმოფხვრას.

1748. ის, რაც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის ზნეობაა, იმისთვის, ვისაც მოყვასის ბედი აბარია, უზნეობაა. ასე რომ, ზნეობასაც თავისი ჩარჩოები აქვს. ამ ჩარჩოებს დრო და მოვალეობა განსაზღვრავენ.

1749. მთავარია, წვრილმანზე არ ვინერვიულოთ და თავისუფალი დროის სწორად გადანაწილება ვისწავლოთ. დანარჩენი კი ნიჭსა და ბედის ხუშტურს უნდა მივანდოთ.

1750. აზროვნება ამოძრავებს სამყაროს თავის სასიკეთოდ თუ პირიქით, არავინ უწყის.

1751. რად გვინდა სიმდიდრე-დიდება, თუ გვერდში ის არ გვეყოლება, ვისთანაც ურთიერთობა გვიხარია.

+1752. მეგობრობა მყარია, თუ ერთმანეთს შენობით მივმართავთ და თქვენობით ვეპყრობით.

1753. ბუნების კანონზომიერებას არ უგულებელყოფენ, რადგან ის

ჩვენი ყოფის უმთავრესი რევიზორია.

1754. სიცოცხლე აზრიანი და ტკბილი სიბერისთვის ბრძოლა-მზადებაა.

1755. სამყაროს მომავალზე ჭკუის უნაყოფო ჭყლეტას უნდა შევეშვათ, რადგან მილიონი წლის შემდგომ რა მოხდება, ჩვენი პრეროგატივა არ არის.

1756. ერთხელ თავის გადადება და გამარჯვება სურვილის საქმეა, ხოლო მარად გამარჯვებისკენ სწრაფვის დიაგნოზი არის შემართება.

1757. ყოველდღიური გათენება-დაღამებაც კი მოვლენაა დედამიწის მკვიდრთათვის.

1758. ბუნებასთან კონფლიქტს ისევ მასთან თანამშრომლობა სჯობს, ოღონდ საჭიროა ქედის მოხრა და ყურის გდება.

1759. უზნეო და უაზრო აზრების გამოთქმისთვის დღეს აღარავის სჯიან და, ეს რომ ყბედობას ხელს უწყობს, ეს არავის აწუხებს.

1760. ჩვენ მიერ კეთილად დამახსოვრებული დღეები სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს.

1761. კონკურენცია კაცობრიობას თავის ჭკუაზე ავითარებს.

1762. საუკეთესო აზრები დროულად დაფიქსირებას მოითხოვს, რადგან მისი შენთან სტუმრობა დიდხანს არ გაგრძელდება.

1763. გონივრული აზრები დროებით გვესტუმრებიან და მათ დაუყოვნებლივ უნდა მივხედოთ – ჩავიწეროთ.

1764. ჩემი აზრით, დღეგრძელობის კოეფიციენტი ყველა საუკუნეს, ყოველ დროს თავისი აქვს და დღეს შეიძლება ამდაგვარადაც გამოიყურებოდეს: ერთი თვის – ჩვილი, 5 წლამდე – ბავშვი, 10 წლამდე – ყმაწვილი, 15 წლამდე – მოსწავლე, 30 წლამდე – ახალგაზრდა, 70 წლამდე – მოხუცი, 100 წლამდე – დღეგრძელი, 101 წლის ზემოთ – მზეგრძელი.

1765. აზროვნება გვამაღლებს და არა გამორჩენის მომლოდინე მლიქვნელთა და მედროვეთა ტაში.

1766. განსჯადი ანალიზის იმედი ყველას გვაქვს, მაგრამ პრაქტიკულად ისევ მოყვასი გვშველის.

1767. გარკვეულ ასაკში რომანტიკული თავგადასავლებისთვის ყველა ჩვენგანი მზად უნდა იყოს.

1768. საკუთარ აზრებთან ჩოჩქოლი მოგვწონს, მიზანს გვისახავს და ძალას გვმატებს.

1769. სიტყვების ცვალებადობა ხშირად აზრთა ცვალებადობის სინონიმად არ გამოდგება.

1770. გაეცანით გენიოსთა აზრებს და მიხვდებით: დღეს არაფერი ითქმება ისეთი, რაც მათ არ იცოდნენ არ უგრძნიათ, არ უწინასწარმეტყველებიათ.

1771. ჩაუწერელი, დაუფიქსირებელი აზრი ხშირ შემთხვევაში დაკარგულია და ის პირვანდელი სახით არ გვიბრუნდება.

1772. ფაქტობრივად ჩვენი სხეულის ყველა ნაწილი აზროვნებს და მეტყველებს, თუ ჩვენ მისი ენის შესწავლას შევძლებთ.

1773. ჩვენი მოაზროვნე ტვინი თანდათან გაიხრწნა, ყოველივე გაუგებარს, მიუღებელს ალიბი შეუქმნა და საბოლოოდ რომელ ფორტუნასთან შეჯიბრში ბიშტს გვიჩვენებს, ამას არად დაგიდევთ.

1774. აზრები სამყაროს უსასრულო სივრცეში გვამოგზაურებს და ჭეშმარიტების შეცნობას გვიადვილებს.

1775. სიკეთესაც და ბოროტებასაც თავისი გზა აქვს და ისინი აზროვნების მოთოკვით არა ქრებიან.

1776. აზროვნებადახშული კაცი არ შეიძლება სრულფასოვანი ადამიანი იყოს, რადგან ფლორაცა და ფაუნაც თავიანთ სასარგებლოდ აზროვნებენ.

1777. მშვიდობას მოპოვება, დაფასება და ზოგჯერ ქედის მოდრეკაც უნდა, ხოლო მშვიდობის განმტკიცებას შობადობის გაზრდით და ახალი თაობის ღირსეული აღზრდით უნდა მივაღწიოთ.

1778. შემოქმედებითი აზროვნება ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებაა, იმისდა მიუხედავად, რაც არ უნდა არარეალურად გამოიყურებოდეს.

1779. განსხვავებულ აზრთა შეთავაზება, კონსენსუსის ძებნა ყველა გაუგებრობის აღმოფხვრისა და წარმატების საწინდარია.

1780. დროული რეფორმები საშუალებას იძლევა, დაეწიო და გაუსწრო თანამედროვეობას და ხალხის ცხოვრების დონე აამაღლო.

1781. შავბნელ აზრებს გონი შეუქოთდა, შესაძლოა, საწაღმართო საქმედ გადავაქციოო.

1782. აზრები, რომლებიც პირუეტებს ასრულებენ, გენიალობას ეძმაკაცებიან.

1783. ნაძარცვი და დამყაყებელი აზროვნების გონიერებისკენ შემოტრიალება ჭირს.

1784. სიახლის შეცნობისა და გამოყენების უნარი განგების მიერ დამოძღვრილთა ხვედრია. ასეთნი ერთეულები არიან.

1785. სრულყოფილება არ შეიძლება სწორხაზოვანი იყოს. მაშინ ის ვერც განვითარდებოდა.

1786. თავს წარამარა ის იქებს, ვისაც საკუთარი თავის სრულყოფილებაში ეჭვი ეპარება.

1787. უძლურება, გამოუცდელობა, იდეალებთან შერკინება ყველა ამქვეყნად მოვლენილი არსების ხვედრია.

1788. გონიერების სხვადასხვა რწმენით, მრწამსით დამუნათება სულიერი მონობისაკენ მისი მიდრეკილების მაჩვენებელია.

1789. შეცდომას თავი უნდა ავარიდოთ და მის დაცვას, რაც უნდა მომხიბვლელი იყოს, არ უნდა შევეცადოთ.

1790. ჩვენი საუკუნო ყბედობა პატრიოტიზმზე სხვაზე უფრო მეტად ჩვენს აუგს წარმოაჩენს, ვიდრე იმას, ვისაც აუგად მოვიხსენიებთ.

1791. საზოგადოების აზრი კაპიკია, რადგან მოსახლეობის 90% არარეალურად ფიქრობს, ხოლო არაორდინალური აზრი მხოლოდ ერთეულ პიროვნებებს აქვთ, რაც ხალხს გამოადგება.

1792. ქმედება ჩვენი აზრის განხორციელების მცდელობაა, რასაც იშვიათი გამონაკლისი თუ მოეძებნება.

1793. პროგრესის სწორ გზაზე დაყენებას დიდი ძალისხმევა სჭირდება, მიუხედავად მისი უალტერნატივობისა.

1794. ჯანსაღი შემოქმედებითი აზროვნება, გამარჯვების საწინდარია.

1795. წარმატება-გამარჯვების წილში რომ არ ჩაგვიდგნენ, ამაზე წინასწარვე უნდა იზრუნო.

1796. სიხარულისა და შიშის განცდის ზომიერად გამოხატვა გონიერების ნიშანია.

1797. მონა, რომელსაც მიზანი ამოძრავებს და თავისუფლებისკენ მიილტვის, მონად არ აღიქმება.

1798. უტოპიის გარეშე საზოგადოებას განვითარება გაუჭირდებოდა, ის იმდენად მიმზიდველია.

1799. მოპოვებაზე მეტად რაციონალურად გაცემას უნდა შევეჩვიოთ.

1800. კიდევ კარგი, ყველა დანაშაული განსჯილი არაა, თორემ საცხოვრებელი სახლების ნაცვლად ციხეების აშენება მოგვიწევდა, რაც ქვეყანას კიდევ უფრო დააზარალებდა.

1801. გმირი ყოველთვის საჭიროა ერის შესაკვრელად, წასამართავად და თავის წარმოსაჩენად, იმ დროში მისი ქმედება გამართლებული იყო თუ არა.

1802. ზოგჯერ საღ აზრსაც შეცდომაში შევყავართ, რადგან მავანს მისი კორექტირება უკისრია და უცოდინრობის გამო შეუბღალავს.

1803. მეგობრობა წვივსახვევი არაა, მიუხედავად იმისა, რომ უიმისოდ უმტკივნეულოდ გადაადგილება ჭირს.

1804. შვილის გაჩენის წადილს წინდაუხედაობა არ შველის, თუ გუნებას თქვენი მშობლად გახდომა არ უნდა.

1805. არცერთი არჩევანი შეცდომისაგან არაა დაზღვეული, მაგრამ მისი დროულად გამოსწორება ყოველთვის ჭირს.

1806. ყველა ფუყეს, მათ შორის ფუყე აზროვნებასაც, საზოგადოების აზრად მიიჩნევენ.

1807. ჩამოუყალიბებელი აზრი ხშირად ახლის აღქმას ვერ ახერხებს

და დროც ტყუილუბრალოდ იკარგება.

1808. პროგრესი „ტყემალზე მჯდომ“ უნიათს ვერ იტანს.

1809. ეკლესია მორჩილებას ქადაგებს, მაგრამ მორჩილების საზღვრებს არ ადგენს, რათა პირის დამცირებაში არ გადაიზარდოს.

1810. წამი მარადიული და დაუნდობელია, ხოლო მისი ერთი გაელვება მთელი ჩვენი ამქვეყნად ყოფნის წარმომჩენია.

1811. დაკვირვების უნარი შეუცვლელი ნიჭია.

1812. ფრთაშესხმული აზრი შეიძლება ხელოვნების ნიმუშად მოგვევლინოს, მაგრამ მისი არსებობა ზოგჯერ აუცილებელი არაა.

1813. აზრს აღზრდა, საღად გაზიარება, გაპიარება სჭირდება, ლიდერად რომ გცნონ და სხვასაც გამოადგეს.

1814. გონივრული აზრი დევალვაციას არ განიცდის, ზოგიერთი ყურით მოთრეული აზრისგან განსხვავებით.

1815. ეტყობა, ვარსკვლავებიც ეჭორავებიან ერთმანეთს, თორემ ამ სიშორეზე, ჭორაობის და ინფორმაციის გაცვლის გარეშე როგორღა გაძლებენ.

1816. ამ სამყაროში ურთიერთსარგებლობის გარეშე არაფერი კეთდება, მათ შორის კეთილი საქმე.

1817. მაძღრებისა და ფლიდების დაპირისპირება ადრე თუ გვიან გარდაუვალია, იმისდა მიუხედავად, რომ მათ უერთმანეთოდ ყოფნა უჭირთ.

1818. ახლობლის გასვენებაში მისვლა და მისი სასაფლაოზე გაცილება იწვევს სიკვდილის გარდაუვალობასა და ამქვეყნიურ ამაოებაზეც დაფიქრებას.

1819. ყოველივეს პატრონი მომავლის პერსპექტივით სჭირდება, სამშობლოდან დაწყებული ჩვენი ნაშიერებით დამთავრებული.

1820. თაობების დაკარგვა ადვილია, მათი ღირსეული შემცვლელების დროულად მოძიებაა ძნელი.

1821. ოთხი სტიქიური მოვლენის: ცეცხლის, წყლის, ჰაერის, მიწის შერწყმა ჩვენი სიცოცხლისა და ბედის გარანტია.

1822. თუ დასჭირდათ, ტყუილსაც გამოაცოცხლებენ და ფრთებს შეასხამენ, გააჩნია, ვინ არის დაინტერესებული.

1823. გონიერი დღეს იმით კმაყოფილდება, რაც აქვს, ოღონდ ხვალის იმედი არ გადასწურვია.

1824. დღეს გრანტების მოპოვება, დაჭერა ჩვენი ინტელიგენციის უპირველესი საქმიანობაა.

1825. თავის გატეხას ისევ ჭკუის ღრძობა სჯობს: იქნება მისგან რაიმე სახეირო გამოტყვრეს.

1826. მთავარია, შიშმა არ დაგვძლიოს, თავს დროულად შევუძახოთ და შიშსაც ალიყური ვაჭამოთ.

1827. მართალია, სრულყოფილებისკენ მივილტვით, მაგრამ ჩვენი ბუნების გადამკიდეს სახეირო არაფერი გამოგვდის.

1828. წერტილის დასმა გაკვირვებასაც იწვევს, საყვედურსაც და სიამოვნებასაც. გააჩნია, მისგან ვინ რას მოელის.

1829. ჩამიჩუმით გაკეთებული საქმე უფრო ფასობს, ვიდრე ბრახაბრუხით.

1830. გველსაც შერჩევა უნდა, რადგან მასაც ბევრი რამ კარგი აქვს, ზოგიერთი გამოუჯოკრავი კაცივით.

1831. მოლოდინი ყოველთვის ფიქრის ასატანია, რადგან განსჯით ვერაფერს ვშველით.

1832. აზროვნების მწვერვალების დასაპყრობად ფეხების ბაკუნი არ გამოდგება.

1833. სხვათა აზრებში გასეირნება საკუთარი გენის შესაცვლელად არაფერს იძლევა.

1834. სინამდვილეში სოფელსაც, ქალაქსაც და ქვეყანასაც თითო-თითო ჭკვიანი კაცი სჭირდება სამართავად და არა ყბადაღებული სოფლის საბჭო, მერია და პარლამენტი.

1835. წამიერის ყველაფრის მიტევება შეიძლება, მაგრამ არა წუთიერებისა.

1836. ღეროვანი უჯრედებიდან ხელოვნური ხორცი უკვე მიღებულია, რაც იმის იმედს იძლევა, რომ ცხოველების მიმართ კანიბალიზმს მომავალში ბოლო მოეღება.

1837. კეთილი და სამართლიანი იყოს – ყველა ჩვენგანის სურვილია, მაგრამ ჩვენივე გადასახედიდან.

1838. სიტყვების გონით მოთოკვას ზოგჯერ ენის მოკვნეტა სჭირდება.

1839. ეტყობა, თითოეული ჩვენგანის ამქვეყნად ყოფნის სცენარს განგება წერს, მის ხასიათზე ყოფნის გაუთვალისწინებლად.

1840. ყოფილი, შეიძლება, დღეს მოსაწყენიც იყოს და მისაღებიც, მაგრამ მასზე გამოკიდება არ ღირს.

1841. თეორიები ასრულდგმულებენ პრაქტიკას, მაგრამ ზოგჯერ პრაქტიკაც თავს გამოიდებს და თეორიებს ბიძგს აძლევს თავის წარმოსაჩენად.

1842. მეგობრობასაც აქვს „ვარგისიანობის ვადა“, რომელიც ხშირად უნდა გადავამოწმოთ ურთიერთშეხვედრებითა და ურთიერთგახსენებებით.

1843. აზროვნება მსმენელის გარეშე არარაობაა.

1844. გონივრული აკრძალვებიც კი ერთგვარ შინაგან პროტესტს იწვევს.

1845. სიკვდილზე ფიქრს ასაკის მატების შიში იწვევს და არა თავად

სიკვდილი.

+1846. უბრალოება ნიჭის დამსახურებაა და არა აღზრდისა.

1847. პასუხებიც კითხვებს ბადებენ, რადგან აზროვნება მარად სიახლისკენ მიილტვის.

1848. რწმენა, იდეოლოგია, პატრიოტული შემართება ყველაზე დიდი ბაზისია რწმენის, სარწმუნოების ჩამოყალიბებისა, მაგრამ, საბედნიეროდ, სარწმუნოებათა დღევანდელ ანარქიაში ყველა მათგანი რაღაც-რაღაცაში მოიკოჭლებს და ამიტომაცაა სამყარო ასე მრავალფეროვანი და მრავალენოვანი.

1849. პრინციპს თავისი ხერხემალი აქვს, რომლის ხელის ხლებაც დანაშაულია.

1850. ჩვენს მფარველ ანგელოზს ხშირად უნდა შევეხმიანოთ ოცნებით და წესიერად მოქცევით, თუ გვინდა, მისი ზრუნვა არ მოგვაკლდეს.

1851. მსახიობი, თავისი პროფესიის გადამკიდე, რაც უფრო დიდი „აფერისტია“ თავის საქმეში, მით მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს.

1852. ნაოცნებარი რომ აგვიხდეს, უპირველესად გრძნობების მოთოკვა უნდა ვისწავლოთ.

1853. უნდა მივეჩვიოთ სიხარულის გადანაწილებას და არა პრობლემების სხვაზე აკიდებას.

1854. მართალია, ძალა აღმართსა ხნავს, მაგრამ ბოლოს სიმართლეს მაინც ვერ სჯობნის.

1855. ვინმემ რომ შეგამჩნიოს, ეს კარიერის დაწყებისთვის აუცილებელია.

1856. სამართლიანობას ყველა თავისი სარგებელის გადასახედიდან უყურებს.

1857. დამარცხებულს თავისი გმირობის აღიარებაც ერიდება, იმდენად მძიმეა დამარცხების საერთო განაჩენი.

1858. სიკვდილზე ფიქრი რომ აზრად არ მოგდით, იმ ასაკს ვერაფერი შეედრება.

1859. გემრიელი სუფრა ყოველგვარ დიზაინსა და მოჩვენებითობასა სჯობს.

1860. სიზარმაცე არ სწავლობს, ბოროტება ვერ აღიქვამს. აი, ეს სხვაობაა ძირითადად მათ შორის.

1861. სრულიად თავისუფალი ჩვენ შორის არავინაა და არც შეიძლება იყოს, თუ ის ამ სამყაროს შვილია.

1862. ქმედება, რომელიც შედეგს არ იძლევა და მაინც ვირჯებით, ვალის მოხდაა.

1863. არასოდეს არ უნდა გავექცეთ იმას, რასაც ვერ ვხედავთ – შედეგი ხშირად უარესია.

1864. აზრს, პოზიციას, მსოფლმხედველობას ყველაზე უკეთ და დამაჯერებლად მოკლე ლაპარაკი და საუბარი გამოხატავს.

1865. კლასიკაზე, მის კულტურაზე უარის თქმა პროგრესულ კაცობრიობას კანიბალიზმისკენ უბიძგებს.

1866. ყველა პრეცედენტი ცდილობს, დროისა და პროგრესის შესატყვისი ტრადიცია შექმნას.

1867. ოცნებისა და ნატვრის უფლება ყველას აქვს, მაგრამ არა ძალადობის, სახელმწიფოებრიობის მოშლის და რეალური ცხოვრების გაქურდვის ხარჯზე. მგ. სსრ კავშირის უგუნურად დაშლამ „პერესტროიკის“ სახელით ყველა მოკავშირე რესპუბლიკას ავნო, გაცილებით უკეთესი იყო, ეს პროცესი უფრო გონივრულ ჩარჩოებში მოქცეულიყო გარკვეულ ვალდებულებათა აღებით.

1868. ბაბუას გვარის გამგრძელებელი შვილიშვილია და შემდგომი შთამომავალი და მას ამაზე ფიქრი დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

1869. მოსალოდნელ მწუხარებას უფრო თავდაჭერილები ვხვდებით, ვიდრე სიხარულსა და ბედნიერებას.

1870. რწმენა და ცოდნა სხვადასხვა განზომილებით მოითხოვს შეფასებასა და გააზრებას.

1871. სიფრთხილე, წინხედვა, დაზვერვა სიმამაცის ატრიბუტია.

1872. სიცილი თავისებური ძალაა, იარაღია, თუ მისი სარკაზმი მიზანში ხვდება.

1873. სამყაროს აღქმა ჩვენს ცნობიერებას საყრდენად არაფერს უტოვებს.

1874. აზრსაც, ქმედებასაც ბიუროკრატია ხშირად მისთვის გაუგებარ კვანტს უდებს.

1875. მოდას ვერაფერს დაუპირისპირებ, რადგან ერთი და იგივე, თუნდაც ძალიან კარგიც, მოსაბეზრებელია.

1876. პატრიოტიზმი ის კი არ არის, როდესაც მომხდური მტერი სახლს გინგრევს და შენ ხელს სმას მოჰკიდებ, არამედ ის, რომ წინაპართა დამოძღვრით მრავლდები, ნაშიერს აბინავებ და მათაც გამრავლებისთვის მოძღვრავ – შედეგიც პატრიოტულია, როდესაც გაძლიერებულსა და გამრავლებულს მტერი შემოსევას ვეღარ გიბედავს.

1877. მსოფლიო უსაფრთხოების არა მარტო მომხმარებელი, არამედ მისი მსახურიც უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ამისკენ მოგვიწოდებს „გაერო“.

1878. ნდობა და ძალა აუცილებელია და დაუმორჩილებლებს კისერს უგრეხს.

1879. ტყუილის თქმა, გამოწვეული აუცილებლობით, მატყუარობა როდია.

+1880. სხვისთვის ჭკუის დარიგება უფრო გვიადვილდება, ვიდრე

საკუთარი თავისთვის მისი შეძენა.

1881. ურთიერთმოგონებანი ურთიერთგაგების გარეშე გამორიცხულია.

1882. ყოყმანი ყოველთვის დროს შერჩევას და ჩასაფრებას არ ნიშნავს – რადგან ზოგჯერ ის აზრს კარგავს.

1883. შემართება კვადრატში ადამიანის აზროვნებას ბიძგს აძლევს კუბში.

1884. ენით ამეტყველებულ აზროვნებას დღეს კომპიუტერი სჯობნის თავისი გახმოვანებითა და სიზუსტით.

1885. ცოცხლები უნდა აზროვნებდნენ გარდაცვლილთა ხარჯზე, ოღონდ უკეთესად.

1886. საქმიანობა აზრს დაკვირვების უნარს ანიჭებს, გონიერება სულს უდგამს, დრო კი აფასებს.

1887. განსხვავებული აზრის, მენტალიტეტის, ხასიათის ხალხი ძნელი ასატანია, მაგრამ ზოგჯერ ერთმანეთს უგებენ და საერთო ენასაც ნახულობენ.

1888. საკუთარი ინტუიციით შეძენილი ცოდნა სხვათა სწავლებით შენაძენსა სჯობს.

1889. მომავლის შენებას მარტო აღზრდა არ შველის, თუ თანამედროვე პროგრესულ საწყისს ყურად არ ვიღებთ.

1890. აზრსაც თავისი აზარტი, შემართება, მარიფათი აქვს, თუ კარგად ჩაუღრმავდებით.

1891. მუსლიმანთა სამყარო დღეს როგორღაც უნდა დავაშოშმინოთ და „შემოვიკრიბოთ“, თორემ შეიძლება თავი მესამე მსოფლიო ომში გავყოთ.

+1892. მშვიდობის მტრედების ფრენას ყველანი მივესალმებით, მაგრამ მათი ბუდეების ნგრევას ზოგნი დღესაც არ ეშვებიან.

1893. შავი ფერისგან განსხვავებით, დღეს თეთრი ფერი სიწმინდესთან ერთად აღარ აღიქმება.

1894. არჩევნებში ერთი წარმომადგენლის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა თუ 90 პროცენტია, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ხალხი ამ არჩევნებისთვის მზად არაა.

1895. ზოგჯერ ის სასწაულიცაა შესაძლებელი, რომელსაც ჩვენი გონება ჯერჯერობით ალღოს ვერ უღებს და შინაგანად ვერა სწვდება.

1896. იღბლიანი კაცი არ აწუხებს გონს, დიდაქტიკური ალგორითმით: ჯერ კვერცხი გაჩნდა თუ ქათამიო, ანდა პირიქით.

1897. რაკიღა ამ ქვეყანას მოვევლინეთ, სახეირო რაღაც უნდა შევქმნათ, დავტოვოთ, დაგვიმახსოვრებენ თუ არა, ეს სხვა საქმეა.

1898. აზრთამპყრობელს, ჭკუის ხახუნი სჭირდება აზროვნების ცეცხლის ასანთებად, ხოლო ქვეყნის მპყრობელს – ძალა და შემართება.

1899. წესრიგი შეუძახებს აზროვნებას და უგუნურების შემოპარვისაგან ათავისუფლებს.

1900. ცივილიზაცია და რელიგია ომობანას თამაშს შეეშვნენ, მხოლოდ თავის ურთიერთშეხსენებით კმაყოფილდებიან.

1901. ბრალდების წაყენება ადვილია, ბრალდების დამტკიცება და დასკვნების გამოტანაა ძნელი.

1902. გამოცდილებაც წმინდა საცერში უნდა გავატაროთ, რათა მას საბოლოოდ ვენდოთ.

1903. საკუთარ მასწავლებლებს არ ვაფასებთ და გადამთიელისკენ გაგვირბის გონი, რათა თავი მოვიწონოთ სხვა ქვეყანაში განათლების მიღებით.

1904. მოსაწონ სიტყვას გაშალაშინება უხდება, სიმართლის თქმას – გაუშალაშინებელ აზრთან შეხვედრა.

1905. სამწუხაროდ, მოსახლეობის 95%-ზე მეტი „აზბუკებითაა“ შეიარაღებული და ჰგონია, თანამედროვეთა გონებრივ მოთხოვნებს ეხმიანება.

1906. ფიქრს დაღვინება, დაჭაშნიკება, ქვეყნის საკეთილდღეოდ ჭურჭელში ჩამოსხმა სჭირდება, რათა საშინაო და საგარეო ბაზრებზე გავიტანოთ.

1907. მშვენიერება, სილამაზე, კდემამოსილება, უნდა არ უნდა, მაინც სიკეთეს აფრქვევენ.

1908. სამყარო სიცოცხლის ბაღნარია, იმისდა მიუხედავად, რომ აქ კვლავწარმოება და გარდაცვალება აუცილებელია.

1909. დედამიწის ტრიალმა არ შეიძლება ენერგია არ გამოყოს, რომლის გამოყენებასაც, ალბათ, მომავალში ვისწავლით.

1910. დიდში მცირედი აღმოაჩინო და განსჯის საგნად აქციო, ესეც თავისებურ ნიჭსა და თავის გამოდებას მოითხოვს.

1911. აზრებთან ჭიდილი საკუთარი გონიერების დაჭაშნიკების მცდელობაა.

1912. საკუთარი აზრით ცხოვრება ერთგვარ პიედესტალზე გაყენებთ.

1913. მოკლე და აზრიან მეტყველებას, წერას, საქმის კეთებას ნიჭთან ერთად განგების მიერ რეგულირებული მოხერხებაც უნდა.

1914. ასაკში ამბიციების უკან მოსროლამ მიმახვედრა, რომ ახალგაზრდობაში იმქვეყნად ეფექტურად წასვლას ისევ ღრმა მოხუცებულობაში მშვიდად წასვლა სჯობს. ეს ეადვილება საზოგადოებასაც.

1915. გარდაუვალობას უნდა შევეგუოთ, რათა სიავე გულს არ გავაკაროთ.

1916. სწავლება ყველასგან შეიძლება, მათ შორის – შენი მოწინააღმდეგისგანაც.

1917. აზრებსაც გაფხავება უნდა, სარგებელი რომ მოგვიტანოს.

1918. აზრთა დანაწევრება კარგს არაფერს იძლევა.

1919. აზრთა გაჯეჯილება და მასზე ამხედრება გონიერების და წარმატების საწყისია.

1920. სისხლის დაღვრას სამომავლო აზრი უნდა ჰქონდეს და ეს არ უნდა იყოს გამიზნული დღევანდელი ეფექტის მისაღწევად.

1921. სხვათა დაშინებას აზრი არ აქვს, თუ ანგარიშს არ გიწევენ, მაინც არაფერი გამოვა.

1922. აუტისტის მორალი განსჯას არ იმსახურებს.

1923. ყველამ თავისი გზით უნდა იაროს, რათა ამქვეყნად მოვლენის მადლი შეიცნოს და შეისისხლხორცოს.

1924. ჯდომაში, ძილში, დუმილში კაცი არ შეიცნობა, თუ მასთან სხვადასხვა აზრის და ქმედებების შესახებ აზრთა შეჯერებას არ შევეცდებით.

1925. მომხიბვლელ აზრებს ლამაზი გარეგნობა და გერგილიანი მეტყველება ამშვენებს, მაგრამ განგება ასეთ გამონაკლისს იშვიათად უშვებს.

1926. სიკეთისკენ მიდრეკილება და მოვალეობის გრძნობა კოჰაბიტაციას ყველაზე მეტად ითხოვს.

+1927. უფსკრულის ერთი ნახტომით დაძლევა ოცნებითაც სახიფათოა.

1928. ყოველი შემთხვევის გამოყენება უნდა ვცადოთ, თუ გვინდა, გასახსენებლად რაღაცა დაგვრჩეს.

1929. შვილი მამას ჭკუის დარიგება-კრიტიკას მაშინ უბედავს, როდესაც წელთა მოჭარბების შედეგად მას შთამომავლის უხვად დაფინანსება აღარ შეუძლია.

1930. ცოდნა ნიჭის წყალობით მიიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ცოდნა კი არა, ინფორმირება, განათლება იქნებოდა მისი გამოყენების ცოდნის გარეშე.

1931. სიყვარული, ერთგულება, მეგობრობა არც იზომება, არც იწონება, არც გასხვისდება, რადგან ეს უმადურობა იქნება სიწმინდეთა მიმართ.

1932. სიკვდილის აუცილებლობის შეცნობაც გონის განსჯის საქმეა.

1933. ქვეყნის განვითარებას აფერხებენ და აჩმორებენ ცხოვრების უცოდინარი, წინდაუხედავი, პოლიტიკის უმეცარი, ამბიციების მქონე უტუ პატრიოტები და მათი ლიდერები. ისინი დროში, გარემოში, რეალურ პოლიტიკაში არა მარტო ვერ ერკვევიან, არამედ ქვეყნის მოსალოდნელ მომავალზე წარმოდგენაც არ აქვთ: მაგ., ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომლის სურათი გამოსახულია 200 ლარიან ბანკნოტზე და ზვიად გამსახურდია, რომელიც ეროვნულ გმირადაა შერაცხული. პატრიოტი,

რომელიც შედეგს ვერ იღებს, ერის სათაყვანებელ შვილად და გმირად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან პოლიტიკა საბოლოო შედეგით ფასდება და არა სურვილებით.

1934. იშვიათი ნიჭია, უნარია პატიოსნება, რომელიც თანდაყოლილია და მის გარყვნას არ უნდა შევეცადოთ.

1935. ზოგჯერ სამყარო შეშლილი ხდება. ეს მას, ეტყობა, საკუთარი მეს წარმოსაჩენად სჭირდება.

1936. საინტრესო და რეალურ პროექტებზე უარის თქმა, საკუთარი თავის წინაშე გამოუსწორებელი დანაშაულია.

1937. ზომიერი თვითკრიტიკა საშუალებას გაძლევთ, რომ შეცდომების აღმოჩენისას საკუთარ თავს ყური არ აახიოთ, განთავისუფლდეთ კომპლექსებისგან – ეს უდიდესი პატივისცემაა საკუთარი პიროვნებისა და ახლობლების მიმართაც.

1938. ზოგი თავისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად ბუნებრივი კატაკლიზმებისთვის ბორკილების დადებას ცდილობს, იმის ცოდნის მიუხედავად, რომ მათ ფეხებსაც ვერ მოსჭამს.

1939. სიცოცხლეს, ამბიციები გვაგრძნობინებს და არა სიმშვიდესთან ჩვენი შეგუება.

1940. ამნისტია არის თავისებური პოლიტიკური მლიქვნელობა, რომელიც უფრო ხშირად არ ამართლებს.

1941. თავის მოწონებასაც თავისი პარამეტრები აქვს, რომლის სურვილების გათვალისწინება აუცილებელია.

1942. ხელმოკლეობა წვრილმანი წარმატებებით კმაყოფილდება.

1943. აუცილებლობის ალგორითმს ადრე თუ გვიან ყველა ჩვენგანი ურიგდება და ქედს უხრის.

1944. მშვიდობა ომისათვის უნდა ემზადოს, რათა მშვიდობა შეინარჩუნოს, ხოლო ომი – მშვიდობისთვის, რომ ომში მოპოვებული შეინარჩუნოს და განამტკიცოს.

1945. ბუნებასაც თავისი მოთმინების ზღვარი აქვს.

1946. აზრს, აზრიანი აზრის მიგნება არასოდეს უნდა დავამადლოთ.

1947. ნორმალური აწმყოსთვის ყველა ირჯება და ამ დროს ან წარსულის მაგალითებს იყენებს, ან სამომავლო ფანტაზიას.

1948. მშვიდობა მარად შემართული უნდა იყოს, რომ ომი თავზე არ მოახვიონ. არადა მას ბევრი უჩინარი „მტერ-მოყვარე“ ჰყავს.

1949. ვნება, ჟინი, გატაცება ნერვებაშლილის დაღვინების „სამშენებლო“ ნედლეულია.

1950. ზოგიერთი რელიგიური მიმდინარეობის პანაცეად წარმოდგენას აბსურდამდე მივყავართ, რადგან უგუნურთა რაოდენობა ამქვეყნად, სამწუხაროდ, არ მცირდება.

1951. გაუბზარავი ბიოგრაფია ზოგჯერ უნიჭიერეს პიროვნებათა

ხვედრია, რომელთაც თანამედროვენი რატომღაც სათანადოდ ვერ აფასებენ. მაგ. ვაჟა-ფშაველა.

1952. საკუთარ აზრებსაც ზოგჯერ მალვა უხდება, იმდენად ჭრელია ხალხი და თანაც გაუგებარი.

1953. აზროვნება ცოდნაზე მეტად ინტუიციას საჭიროებს.

1954. ბუნების კაპრიზის წინაშე ხელის გამოღება შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ მის ყველა კანონს ანგარიშს ვუწევთ და ვემორჩილებით.

1955. სიჩქარე და აჩქარება კარგ ტონად არ მიიჩნევა და არც აღიქმება განსაკუთრებული შემთხვევის გამოკლებით.

1956. საქმიანი აზრების წარმოჩენასა და ზრდილობის გულისთვის ყბედობას შორის დიდი სხვაობაა, რადგან ეს უკანასკნელი თავის მკრეხელობას ვერ ამჩნევს.

1957. აზროვნებამ უნდა ხნას და თესოს, რომ ინტელექტმა იმუშაოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი ჩანაფიქრი სურვილებად დარჩება.

1958. მრავალჯერ გადასაკითხავი აზრის ჩამოყალიბება და ქაღალდზე სათანადო განცდით გადმოტანაა ძნელი და არა აზრების მობილიზება.

1959. ევოლუციის იმპერიალისტურ აზრებს დრო წინ ვერ ეღობება.

1960. ტრადიციების ჩამოყალიბებას დრო და განწყობა სჭირდება.

1961. აზრის დაუნდობლად შეცვლა ზოგჯერ აუცილებელია, მაგრამ არა ხშირად.

1962. ეშმაკობის უნარი დამუშავებულ-გადამუშავებული აზრების დაგროვების შედეგია.

1963. ქვეყნის უსაფრთხოებას თავისი „არქიტექტორი“ სჭირდება და ის ორიგინალური აზროვნებით უნდა გამოირჩეოდეს.

1964. დაკარგული ილუზიები, ოცნებები სიბერეშიც კი თავს გვახსენებს.

1965. ლამაზი აზროვნებაც კი ჯადოსნურ სასწაულებს გვპირდება.

1966. ახირებულები, ჯიუტები თავიანთი სამყაროს აზროვნებას როგორც ანაგვიანებენ, ასევე ალამაზებენ.

1967. თვითმყოფადობასაც თავისი ბაზარი – ბაზისი აქვს. ამ ბაზარში არის ყიდვა-გაყიდვა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

1968. სამწუხაროდ, ძალზე ცოტაა ახლობლები, რომელთაც გულს გადაუშლი და სიმართლეს ეტყვი, მაგრამ მათაც შენი დაფასება უნდა ისწავლონ.

1969. ზოგჯერ ეგრეთ წოდებულ „საზოგადოებრივ აზრს“ პრაქტიკული გამოსავალი არ აქვს და ის განყენებულ აზრად რჩება.

1970. ოცნებას ყველა ასაკის გონი ემორჩილება.

1971. ყოველგვარი დიქტატურა დრაკონის კანონებსა და კანონიერე-

ბაზე უნდა იყოს დამყნილი და დამყარებული.

1972. ქარიშხლისთვის სიმშვიდე უცხო ხილია.

1973. ორის ყოველგვარი შერწყმა რაღაც ახალს, მესამეს, იძლევა.

1974. ყველა რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება, ბუნტი, მისთვის წინასწარ გაუცნობიერებელი ყოფის ალგორითმებს გვთავაზობს.

1975. ზოგიერთი თავის შევსებას ინფორმაციის სიუხვე არ შველის.

1976. მოჩვენებითი სიძლიერისგან განსხვავებით, ნაღდ სიძლიერეს თავისჩენა არ უყვარს.

1977. ზოგჯერ წარსულის „ბუმერანგებია“ ნერვების აწინდელი აშლის მიზეზი.

1978. თავი ისეთი წიგნია, რომელიც ბევრ რასმე ინახავს, რაც თანდათან ავიწყდება და ქრება, თუ ფურცლებზე არ დააგვირისტა.

1979. აუტისტებიი თავიანთ ხეიბარ აზრებზე ზრუნავენ და ხშირად არად აგდებენ გვერდში მდგომთა შეგონებას.

1980. სიკეთე-ბოროტების საკეთებლად არიან განწირულნი ჩვენი პლანეტა და მასზე მცხოვრებნი.

1981. აზრიანი აზრების წარმოჩენა და კანონის ძალით გამაგრება, ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა.

1982. ამომრჩეველი ხმას შენს დამსახურებას უნდა აძლევდეს და არა შენს გარეგნობას. მაშინ აქვს მის ხმას ფასი, რადგან ამ ვითარებაში შენ ხმას იმსახურებ და არ მათხოვრობ.

1983. რწმენა აზროვნებას არც ითხოვს და არც უარყოფს.

1984. აზროვნებას სიხარულთან ერთად ტანჯვაც მოაქვს.

1985. საღი აზროვნება შესატყვის დროსა და გარემოს მოითხოვს, აგრეთვე – ტაშის დამკვრელებს.

1986. აზროვნებაც გადამდებია, თუ ის სარფიანია და შემოსავალს გვპირდება.

1987. საზოგადოება ღირსებით ვერასოდეს განვითარდება, თუ საკუთარ სიმახინჯეს არ აღმოფხვრის.

1988. მოქალაქე უნდა აღვზარდოთ მხოლოდ საკუთარი თავისა და არა საზოგადოების იმედით – ვინ იცის, ამ შემთხვევაში როდის იქცევა ის პიროვნებად.

1989. მომწიფებულს კეთილ საქმეთა კეთება უფრო უხდება, ვიდრე აუგისა და დაბოღმილის.

1990. ცოცხალი საქმიანობა ძალას გვმატებს და თავის ჩვენება-წარმოჩენაში გვეხმარება.

1991. ცოდნა და სიმდიდრეა ის სიკეთე, რომლის დაბინავება, გამოყენება ყველას არ ეხერხება.

1992. ღირსების, თვითმყოფადობის შენარჩუნება ყოველდღიურ

სამსახურს და ხელის გამოღებას ითხოვს.

1993. ჩვენამდე რამდენს უცდია, უფიქრია, მაგრამ ამ სამყაროს საიდუმლოებანი ჯერ არავის ამოუხსნია.

1994. ძნელია იქ იყო ავტორიტეტი, სადაც მოსმენის კულტურა დაქვეითებული აქვთ და ყველას უნდა, პირველი იყოს.

1995. მუდმივი სიყვარული შეუძლებელია, დასვენება მასაც სჭირდება.

1996. მშვიდობისა და სიყვარულის შენარჩუნებას ყოველდღიური დაუღალავი აზრიანი შრომა სჭირდება.

1997. ბიოგრაფიას უტყუარი ფაქტები ამკობენ და არა შეთხზული ჭორები.

1998. დაწვრილებით ნუ შევეხმიანებით იმას, რაშიც მართლები არ ვართ, რადგან სარგებელს ვერ ვნახავთ.

1999. ღირსეული თაობის, შთამომავლობის დატოვება იმქვეყნად გადაბარგებას გვიადვილებს.

+2000. ღირსშესანიშნავი ის წიგნია, რომელსაც აფორიზმებით ისე მოჭედ, როგორც ლეკი – ხანჯალს.

2001. აზროვნების სწავლება ყველას ბედი და ხვედრი არ არის, თუ ეგ განგებამ არ ინება.

2002. გამარჯვებული არ უნდა მოდუნდეს, რათა მოგებულ-მოპოვებული ბოლომდის შეინარჩუნოს და აბარტყოს.

2003. მეხსიერებიდან ამოვაგდოთ ის, რისი გახსენებაც დისკომფორტს გვიქმნის.

2004. ზომიერი ეგოიზმი საკუთარი თავის წარმოჩენისა და მოვლა-პატრონობის საუკეთესო საშუალებაა.

2005. ორატორისთვის სიტყვების ფერადოვნება გაცილებით მეტსა ნიშნავს, ვიდრე ენის გრამატიკის ცოდნა.

+2006. არწივად დაბადებულს ბეღურად ვერ გადააქცევ.

+2007. საყოველთაო აზროვნების წინააღმდეგ ამხედრება შემოქმედებით ვაჟკაცობას მოითხოვს.

+2008. უგერგილო, გაუნათლებელი ვერც საკუთარ შესაძლებლობებს ხედავს და ვერცა სხვისას.

2009. დილა საკუთარი გემოვნების შემოწმება-გადამოწმებით უნდა დავიწყოთ.

2010. ხალხის აზრი, ნება კი ჟღერს ამაყად, მაგრამ მისი მოუმწიფებელ-გამოუცდელ აზრებს ქვეყნის აღმავლობისთვის ძალზე მცირე მნიშვნელობა ენიჭება და ხშირად გამოუსადეგარია.

2011. როდესაც მსახიობის ენერგიას ერწყმის მაყურებლის აღმაფრენა, მაშასადამე, დასამახსოვრებელი სპექტაკლი შედგა.

2012. ნისლი მთების ის ცრემლია, რომელიც სამყაროს მშვენიერე-

ბის შეცნობის სურვილს გვიმძაფრებს.

2013. კმაყოფილი ხარ მანამ, ვიდრე სხვისი ბედნიერება შენსას არა სჯობნის, და არ „გამცირებს“ საკუთარი ამბიციების წინაშე.

2014. წიგნს დაკვირვებით წაკითხვა სჭირდება და არა გადათვალიერება-გადმოთვალიერება.

2015. ზოგჯერ გონიერისთვის მარტოობაა აუცილებელი, ხოლო სხეულისთვის – მუცლის ამოყორვისაგან თავშეკავება.

2016. მარტოობის ხიბლს ზოგჯერ ჩვენი უახლესი თანამეინახენიც ვერ გრძნობენ.

2017. იმქვეყნად უდროოდ გადასახლებას, ნაადრევ სიკვდილზე ფიქრიც ხელს უწყობს და ნერვების აშლაც.

2018. ორატორობის ნიჭი რწმენას გვმატებს და ზოგჯერ მის სათუო იდეებს გვაღიარებინებს.

2019. ყველა მორჩილებას მოითხოვს, დაწყებული ეკლესიის ლიდერებიდან დამთავრებული პოლიტიკოსებამდეც და ეს მაშინ, როცა თავისუფლება-დემოკრატიაზე დღე და ღამ საუბრობენ.

2020. აგრესიული აზრები არაადეკვატური ქმედებისკენ გვიბიძგებს.

2021. ხშირად ჩვენი „აზრთა მზეობით“ იმათ ვაყენებთ ტკივილს, ვინც ძალზე გვიყვარს და ვისაც ვუყვარვართ.

2022. ჭამა-სმის მოყვარულისთვის საძღომის კარების დროებით ჩაბარებაც კი დანაშაულის ტოლფასია.

2023. რეალიზმსა და ოპტიმიზმს შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ ერთმანეთისა კარგად ესმით და მხარს უბამენ.

+2024. ჯარისკაცობაა გმირობა და არა ოფიცრობა, რადგან ამ უკანასკნელის შეცდომებზე ჯარისკაცი სიცოცხლით აგებს პასუხს.

2025. სახლის საძირკვლის ჩაყრა სიკეთის იმედია და ოცნებით იწყება.

+2026. ცოდვილნი მეტ-ნაკლებად ყველანი ვართ. მთავარია, მიუტევებელი ცოდვა არ ჩავიდინოთ.

2027. პირადი მაგალითი ყოველგვარ წესებსა და ინსტრუქციებსა სჯობს.

2028. დიდება, წარმატების შედეგიცაა და სინონიმიც.

2029. ბიბლიოთეკაში სისტემატური სიარული და იქ შექმნილი ატმოსფერო ყოველგვარი ქვენა გრძნობების შემოტევებისაგან გვიცავს.

2030. აზრს სიღრმე ამშვენებს, მსმენელს – მისი წვდომა.

2031. მადლი და შრომა, ჭკუა და აზროვნება სიკეთის მარადიული მოციქულებია.

+2032. ომი, შერკინება, დაპირისპირება, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავს უნდა მოუგო, რათა ამპარტავნობის მორევში არ გადავარდე,

რადგან იქედან ამოსვლა და საქვეყნო საქმის კეთება ძნელია.

2033. აწმყო გვაიძულებს, განვადებით და ოცნებით ვიცხოვროთ, ისიც მომავლის იმედით.

2034. გაუაზრებელმა დემოკრატიამ და ვითომდა თავისუფლებისკენ სწრაფვამ, პიროვნების არშემჩნევა და კაცის წახდენა გააიოლა.

2035. წმინდა გიორგის მახვილის შებმას ყველა სარწმუნოება მიესალმება, რადგან სამართლიანობის აღდგენას გულისხმობს. ამის საჭიროება კი ყველგან არის.

2036. სიტყვათა საბადოს მოძიება არაა ძნელი, ამ საბადოს სარგებლის მოტანით გადამუშავებაა ძნელი.

2037. ურთიერთმოსმენა იმიტომაც არ გვიყვარს, რომ უპირველესად საკუთარი თავის რწმენას ვცდილობთ და შემდგომ – საქმისას.

2038. სიტყვათა მორევში აზრის გამოტანა ძნელია, მაგრამ გონიერება-გამოცდილება ამას ახერხებს და მისთვის ეს საინტერესოა.

2039. საკუთარი აზრის ქონა და მისი დაცვის უნარი პიროვნებად ჩამოყალიბებაზე მიგვანიშნებს.

2040. აზრიც აზარტულია, თუ მასში სიახლე ბზინავს.

2041. წესიერება პატიოსანი აზროვნების მეგობარია.

2042. აზროვნება სიახლის გაუცნობიერებლად ჩიავდება.

2043. თავის გაუკონტროლებლად საქმის კეთებას ხშირად უბედურება მოაქვს.

2044. აზროვნებას დედაც სჭირდება და მამაც, ბებია-ბაბუას გამოცდილებაც, რათა ცხოვრებაში გზა გაიკაფოს.

2045. აზრთა იმდაგვარად შერწყმა, რომ საერთო საქმეს ემსახუროს, დიდი ბედნიერებაა.

2046. სიმართლე ზოგჯერ დაპირისპირების საბაბი ხდება. ამიტომ მართალი „ბულდოზერად“ უნდა გადაიქცეს, რომ თავისი სიმართლე გაიტანოს და არ დაიჩაგროს.

2047. უნიათობა, უსუსურობა, უძლურება ხშირად სიმართლესა შობს, მაგრამ არა სამართალს.

2048. გრძნობების ჩოჩქოლს აზრთა ხშობით აშოშმინებენ.

2049. დროის გათავხედების შედეგად წარმოშობილი გმირის წინაშე ბრძოლა ყოველთვის ძნელი იყო და იქნება, იმდენად უცნაურია ზოგჯერ საზოგადოებაში აზრთა დაპირისპირება.

2050. ნაღვაწის შეფასება ყველას მოგვიწევს. აქ მთავარია, პიროვნების ხსოვნა არ დაიკარგოს.

2051. წარსულში არ უნდა ჩავიციკლოთ და არც მომავლის შეუცნობელ კაპრიზებზე ვიფიქროთ მოჭარბებით.

2052. აზრების დაჭაშნიკებას წლებთან ჭიდილი და გამოცდილება სჭირდება.

2053. ბუნებას ყოველივე ახალი დიდი ხნის წინათ აქვს გამოგონებული, ოღონდ მასში წვდომაა ძნელი.

2054. უნიათობისა და ამპარტავნობის მინდორზე მეგობრობა არ ძოვს.

2055. მიღწევადი მიზნის დასახვას დაღვინებულ-გამოცდილი გონება შეძლებს.

2056. გაურკვეველი, დაუღვინებელი ცივილიზაციის შემოჭრას თაობების გადაგვარება შეუძლია, თუ მას არაპროპორციულად მისდევენ.

2057. ყოველივე მოჭარბებული, მათ შორის სურვილი და ვნება, აზროვნებას თიშავს.

2058. აზროვნების უნარი ჯერ განგების საჩუქარია და მერეა სწავლა-განათლების შედეგი.

2059. ზოგჯერ იძულებული ვხვდებით, იმაზე უხეშები ვიყოთ, ვიდრე სინამდვილეში ვართ, რადგან ხშირად ერთმანეთის ენა არ გვესმის.

2060. ფაქტობრივად ამქვეყნად მოვლენილი ვართ ჩვენი ფიქრების და ოცნებებისთვის ხორცის შესასხმელად, და არა უსაქმოდ საყიალოდ.

2061. მოჭარბებული ასაკის მქონისთვის საყვარელი ქალი დღეს ტელევიზორი და ინტერნეტია.

2062. თავიდან დაბადებას მაშინ აქვს აზრი, თუ შენს დროს ვერ გაუგე და თავი დაჩაგრული გგონია.

2063. ტექნიკური პროგრესი, გვინდა – არ გვინდა, აზროვნებას ავარჯიშებს და ზოგჯერ დააფიქრებს კიდეც.

2064. მუცლის ამოყორვა სიამოვნების მიღების გაუაზრებელი მცდელობაა. მაგრამ ამ უაზრობისთვის თავის დაღწევა ძალზე ძნელია.

2065. ჩვენს ცნობიერებას ათასგვარ სარკაზმთან, ცინიზმსა თუ იუმორთან აქვს შეხება, რომელთაც ზოგჯერ ვერც ალღოს ვუღებთ და ვერც ვაცნობიერებთ, მაგრამ უიმათოდ ამქვეყნად ყოფნა აზრს დაკარგავდა.

+2066. ყველა საწინააღმდეგო აზრი ყურადღების ღირსია, მაგრამ არა ბრმად მიღებისა.

2067. მაყურებელი მსახიობის ყველაზე საშიში თაყვანისმცემელია: რაც უფრო მოსწონს მისი ნამოქმედარი, მით უფრო მეტსა და უკეთ თამაშს მოითხოვს მისგან.

2068. აზრის გამოთქმასა, საუბარსა და ყბედობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველ შემთხვევაში სიახლეს სთავაზობთ, მეორე შემთხვევაში ურთიერთგაცნობას საფუძველს უყრით, მესამე ის შემთხვევაა, როდესაც საკითხი არ გესმით და მაინც ლაპარაკობთ.

2069. პრაქტიკული აზროვნება ყოველთვის სჯობნიდა განათლებას, მიუხედავად ამ უკანასკნელის საყოველთაო აღიარებისა.

2070. სხვისი ხინჯის დანახვა მახინჯებს უფრო ეხერხებათ.

2071. მამა, რომელიც შვილს აიძულებს, მასზე უკეთესი გამოვიდეს, ნაღდი მშობელია.

2072. ჩვენი შესაძლებლობების გამომზეურების უნარი ყველაზე დიდი მიღწევაა ჩვენი ყოფიერებისთვის.

2073. ჯანმრთელ აზრს როგორც მსმენელი, ის მხარის ამბმელი ცოტა ჰყავს, რადგან მსმენელთ განსჯა-დაფიქრების უნარი აკლიათ.

2074. აზროვნება, რომელიც დადებით შედეგს არ იძლევა, ფიქციაა და სხვისთვის თვალში ნაცრის შეყრასა ჰგავს.

2075. ფილოსოფია არის აზროვნების აზროვნებითვე გაკრიტიკება სრულიად ახალი აზროვნების წარმოსაქმნელად.

2076. ზოგჯერ კარგ შვილებს უპასუხისმგებლო მშობლები ჰყავს და ესეც გენის უპასუხისმგებლობის შედეგი და განგების რისხვაა.

2077. ნამდვილი მეგობარი ასაკში შეიცნობა, როდესაც ერთმანეთისგან საქმიანი ბევრი არაფერი გინდათ და მხოლოდ წმინდა ურთიერთობით კმაყოფილდებით.

2078. სასიქადულო თანამემამულეთა ყოლა ნიჭია, ხოლო მათი დაუფასებლობა-უკულტურობა, რადგან შოთა, ვაჟა, გალაკტიონი განგებისაგან მომადლებული ნიჭია, ხოლო მათი ნიჭისადმი გულგრილობა უკულტურობაა.

2079. ხშირად უნდობლობითა და კრიტიკით იწყება ყველა დიდი საქმისკენ ნაბიჯის გადადგმა.

2080. ფილოსოფიური აზროვნება ყოველთვის ხრამის პირას დგას, მაგრამ უფსკრულში მისი გონიერების გამო არ ვარდება.

2081. სხვისი სიცოცხლის ხსნას საკუთარის ნაცვლად მაშინ აქვს აზრი, თუ ის შენზე მეტია ან შენს ჯიშსა და ჯილაგს აგრძელებს.

2082. გმირები მეგობარს არ გაურბიან. ისინი მას გვერდში უდგანან მაშინაც კი, როცა უარყოფითი შედეგებია მოსალოდნელი.

2083. გმირები ჩვენ გვერდით ცხოვრობენ, ოღონდ – უჩინრად. მათ დროდადრო ჟამი წარმოაჩენს.

2084. ირგვლივ რა ხდება, ბევრს სერიოზულად არ აწუხებს და მის ამქვეყნად არსებობაზე დიდ გავლენასაც ვერ ახდენს.

2085. ქონებას დაცვა უნდა და, რაც გაქვს, იმით უნდა დაკმაყოფილდე, რადგან არკუთვნილის მოპოვების მცდელობა ხშირად მარცხით მთავრდება.

2086. ყველა დაჩქარებული პროცესი, რომელსაც ჩვენი ცნობიერება არ ეთანხმება – სინამდვილეში წამგებიანია, რადგან მას ჩვენი მენტალიტეტი ვერ ეწყობა და დროზე ადრე გადაგვარების საფრთხე ემუქრება.

2087. ცივილიზაციისთვის გარკვეული ხარკის გადახდა ყველას

გვიხდება, მიუხედავად მისი გარდაუვალობისა.

2088. დეპრესიას უნდა ვერიდოთ, რადგან ის ხანგრძლივი და დროული დაავადებაა, ხოლო მისი გამომწვევი მიზეზები წინასწარ უნდა დავადგინოთ.

2089. მეგობარს თუ ფასდაუდებელ განძად არ აღიქვამთ, ის მხოლოდ ამხანაგია.

2090. აზრებსაც ანგარიში მოეთხოვებათ.

2091. ყველა დროის აზროვნება წარსულს თავისებურად ხედავს.

2092. არის აზრი, რომლის ახსნაც ფანტაზიის მოშველიებითაც შეუძლებელია, მაგრამ მისი დროის სანაგვეში გადაყრა და დავიწყებაც დანაშაულია.

2093. სუბიექტური აზრები ობიექტურ ქმედებებს გულისხმობენ.

2094. აზრთა გაზიარება კომპრომისებს უნდა ემყარებოდეს და არა კომპრომატებს.

2095. ლაპარაკს აზრთა სიხასხასე ამშვენებს.

2096. სიტყვას აზრს ქმედების შედეგი ანიჭებს.

2097. აზროვნებისთვის წინდახედულად სიღრმის მინიჭება, ყველა ჩვენგანის ვალია.

2098. მარადჟამს სხვათა შეხედულებებს გაზიარება, აზროვნების დამბლას განაპირობებს.

2099. აზროვნება ხშირად ჩვენი ხასიათის განსჯაცაა, რომელიც შიგადაშიგ გადახედვას მოითხოვს.

+2100. აზროვნება პიროვნების გულისნადებს უფრო თამამად ამჟღავნებს, ვიდრე ამავე პირის გონიერებას.

2101. აზრს, რომელიც კითხვებს არ ბადებს, ჭკვიანურს ვერ უწოდებ, რადგან სიახლეს არ შეიცავს.

+2102. კრიტიკული აზროვნების უნარი ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.

2103. ვინც სხვის აზრებს ეჭიდება და სათავისოდ გადახარშავს, ის არის პიროვნება.

2104. აზროვნება იგივე განათლებაა კუბში, რადგან მას განსჯისა და სიახლის მოძიების უნარიც შესწევს.

2105. უნაკლო აღმზრდელი მშობელიც არ არის, მაგრამ მისი განსჯა და გასაჯაროება შვილს აზრადაც არ უნდა მოუვიდეს.

2106. პრაქტიკული აზროვნება, თუნდაც საყველპურო ცოდნაზე დაფუძნებული, უფრო მეტ სასიკეთოს გამოიტანს მეცნიერების საწყობიდან, ვიდრე ენციკლოპედიური ცოდნით თავგამოტენილი თეორეტიკოსი.

2107. აზრის გონივრულ გაზიარებასა და ჭორაობას შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ ადამიანი ამ უკანასკნელს სიამოვნებით მისდევს.

2108. სხეულს ევალება ყველა იმ ცოდვის, განცდის გადატანა, რაც კი ჩვენმა აზრმა ჩაიფიქრა და ჩაიდინა.

2109. ებრაელთა ჭკუა-მოხერხება, სხარტი აზროვნება მრავალ ანეგდოტში აისახება და ესაა ამ ხალხის გენიალობის ერთ-ერთი დასტური.

2110. ჯანსაღი აზროვნება საკუთარ თავზე რეალურ წარმოდგენას გვიქმნის, ჩვენს ქცევა-განსჯას აბალანსებს.

2111. საღი აზრი შედეგის მუდმივი გენერატორია.

2112. საღ აზრს ხშირად წარმატება მოაქვს დაციკლული ოპონენტების ჯინზე.

2113. საკუთარი აზრების გამომზეურება და მათი გამზიარებელი აუდიტორიის მოძიება არც ისე ადვილია.

2114. ტვინს თავისი ფუნქცია აკისრია, ჭკუას – თავისი გაგება, ხოლო მათი ჩასაწყობი ფუტლარი თავი, ყოფიერების მიჯნაზე რას მოიმოქმედებს, არავინ უწყის.

2115. სიავე სწრაფი და დაუნდებელია, რადგან ის სხვაგვარად აზროვნებს და შედეგზე არ ფიქრობს.

2116. სიმდიდრესაც თავისი ხლართები ახლავს, რომლებშიც „შეცდენა“ სამუდამოდ სინანულით გვამახსოვრდება.

2117. ძალას არც კანონი სჭირდება, არც ჭკუა. ის შედეგის შესატყვისად აზროვნებს.

2118. განსჯით უნდა მოვიხსენიოთ საკუთარი და არა ღვთის მოიმედე თავები; ამით საკუთარ თავს გაცილებით მეტ პატივს მივაგებთ.

2119. მზის ქვეშ ადგილის მოუძიებლად ამქვეყნად მოსვლას აზრი ეკარგება.

2120. წარსულის სწორად გააზრება, მომავლის გზის რაციონალურად გაგნების ბაზისია.

2121. მოსმენა ყურის გდებას როდი ნიშნავს, თუ აზრს ვერ სწვდები და შენი გადასახედიდან ვერ გადახარშავ.

2122. არის ხალხი, რომელთა შეცვლა გარკვეულ დროს შეუძლებელია, მაგრამ ცდა არ უნდა დავაკლოთ, რათა მათი ნაღვაწი გადავარჩინოთ, წარმოვაჩინოთ, ქვეყნის მმართველობა რომ არ დაჩმორდეს და არსებულ ნაღვაწს წიხლი არ ჰკრან.

2123. ციფრული სამყაროს აზროვნებით წვალება ყველა ჩვენგანის „აქილევსის ქუსლია“, მაგრამ სამშობლოა ის, სადაც ჩვენ დავიბადეთ, აღვიზარდეთ, ადამიანად ჩამოვყალიბდით, და ეს პლანეტა დედამიწაა; ამიტომაც უნდა ვეცადოთ, ყოველგვარი ნაციონალური გამოხტომების გარეშე ერთად ვიდგეთ ხელი-ხელჩაკიდებული, თუ გვინდა, ჩვენი ეროვნულობა მომდევნო თაობათა თამადობით სამყაროს შემორჩეს.

2124. ტექნიკური პროგრესისა და იდეოლოგიის შესატყვისად, ყვე-

ლა დროის ახალგაზრდობას, ცხოვრების დაწყება მისი გადასახედიდან თავიდან უხდება.

2125. გონი თუ ჭკვიანურ აზრებს არ ემსახურა, ეს საკუთარი თავის უპატივცემულობაა და უგუნურება.

2126. აზრების კონტროლის უნარი განგების მომადლებული ნიჭია.

2127. ჩვენი უნებლიე უკონტროლო აზროვნება ჩვენი ამქვეყნიური ყოფნის „აქილევსის ქუსლია“.

2128. გენიალობა სისულელისმაგვარ აზრებთან შეჭიდებით იწყება.

2129. ყველა ამომრჩეველი იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რისი ღირსიცაა, რადგან თავისი არჩევანის გამო მას არც კანონის, საზოგადოების და საკუთარი სინდისის წინაშე პასუხისგება არ უნდა.

2130. აზროვნების უპირველესი პულტი მხედველობაა.

2131. ზოგჯერ ჩვენი ასაკისა და გამოცდილების გადასახედიდან ირგვლივ მყოფთა უმეტესობა უნიათოდ და უცნაურ ყბედად გვეჩვენება, იმდენად განსხვავდება ჩვენი კრიტიკული აზროვნება მათი მსოფლმხედველობისგან.

2132. ჩვენი ვალია, მომდევნო თაობების სიამოვნებისა და გალაღებისთვის ვიღვაწოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტექნიკური პროგრესისკენ ლტოლვა აზრს დაკარგავდა.

2133. ჯოგურ აზროვნებას სიკეთე არავისთვის მოუტანია.

2134. ხელაღებულ კამათს თუ აზრთა შეჯერებაც არ ახლავს, ოდენ თვითდამკვიდრების საშუალებაა და მეტი არაფერი.

2135. საწინააღმდეგო აზრებშიც შეიძლება რაღაც საერთოს გამონახვა.

2136. მჭევრმეტყველება იმას მეტყველებს, რაც საჭიროა, ხოლო მომხიბლავი ტემბრი წარმოთქმულ აზრებს ალამაზებს.

2137. მოთაფლული ენისხმევით არა მარტო აზრების გამოხატვა, აზრთა შეჯერებაც შესაძლებელია.

2138. ლოგიკური აზროვნება გამოსავალს მხოლოდ ძალის გამოყენებაში როდი ხედავს.

2139. გემოვნება კულტურისა და მისდამი სიყვარულის წარმომჩენია.

2140. კამათს არგუმენტებისა და ანალიზის გამოუყენებლად აზრი არ აქვს – უბრალო ყბედობაა.

2141. დიდხანს დახუჭული თვალებით ცხოვრება არ შეიძლება.

2142. ჩვენი ცხოვრება დროის შესატყვისი იმ პრობლემებისგან შედგება, ურომლისოდაც ამქვეყნიური ყოფა აზრს დაკარგავდა.

2143. აზრის გამოხატვას აზროვნების ლოგიკაც უნდა ახლდეს, რომ ის ვიღაცამ გაითავისოს.

2144. სხვებისგან ხშირად იმას მოვითხოვთ, რასაც საკუთარ თავს

არ ვაკადრებთ.

2145. ნებისყოფა ჩვენი ქმედების არბიტრი და განმსჯელია.

2146. თვითმყოფადობის წარმოჩენის უნარი წარმატების საწინდარია.

2147. ყოველივე გაუცნობიერებელი განსჯას მოკლებულია.

2148. ყველა კარგი მოსაუბრის საწყისი ბაზა მოსმენის უნარის ქონაა.

2149. აზროვნებას, სმენადობას, მცდელობას ინტუიციის გარეშე ძალზე უჭირთ თავიანთი მეობის წარმოჩენა, თუ მათ პიროვნება არ ფლობს.

2150. სიტყვის თავისუფლებასა და სიტყვის „გაპეტუხებას“? – სულიერად გარყვნას – შორის დიდი სხვაობაა. სიტყვის თავისუფლების წარმომჩენი მაინც დემოკრატიაა, როგორადაც არ უნდა გავშიფროთ და გავაშიშვლოთ.

2151. დედამიწაზე მცხოვრებთ დიდი წარმოდგენა გვაქვს საკუთარ თავზე, მაგრამ სამყაროს კანონზომიერებათა დიქტატის წინაშე იოლად გასაჭყლეტი ბაღლინჯოები ვართ.

2152. სხვათა აზრების ზედმეტად გათვალისწინება საკუთარ აზრს გვაკარგვინებს.

2153. უმრავლესობის აზრი იშვიათადაა გამოსადეგი.

2154. უმთავრესია საკუთარ თავში დარწმუნება, ვიდრე სხვათა აზრებზე გამოკიდება.

2155. შრომის უნარის შენარჩუნება ყველა დაავადებას, მათ შორის მთავარს – სიბერესაც ბიშტს უჩვენებს.

2156. ფილოსოფიური აზრების სისრულეში მოყვანას დრო, ნდობა და გონიერი განსჯა სჭირდება.

+2157. აზრი სიღრმით განისჯება და ფასდება, არა მისი სიდიდით.

2158. აზროვნებაც განწყობის შვილია. ამიტომ გვიწევს მისთვის ქვეცნობიერად ანგარიშის გაწევა.

2159. გონივრული აზრების ფრქვევა უფლება კი არა, მოვალეობაა, მაგრამ საზოგადოების მოსმენის უნარსაც გააჩნია.

2160. აზრიანი სიტყვაძვირობა ზოგჯერ გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე საპიარო ლიტონი სიტყვის წარმოთქმა.

2161. სასიკეთოდ გამიზნული აზროვნებაც გონიერებას მოითხოვს, გულის გახსნასა და სულიერების წარმოჩენას, თუ გვინდა, შედეგი უფერული არ გამოვიდეს.

2162. წინდაუხედავ პრიმიტიულ აზროვნებას არავითარი სარგებელი არ მოაქვს და მომავლის განჭვრეტის უნარს კატასტროფულად აქვეითებს.

2163. ყოველთვის ასაკი როდი განსაზღვრავს ადამიანის შესა-

ძლებლობებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ გონება აღმაფრენით აზროვნებს.

2164. აზროვნებასა და საქმიანობას შორის მანძილის შემცირებას ჭკუა-გონება და გარემოს მახვილი აღქმა სჭირდება.

2165. ხალხის აზროვნება ყველაზე უკეთ ქვეყნის პოლიტიკას, ეკონომიკას და ბრბოდ ქცეული მასის მეტყველებას ეტყობა.

2166. აზრი წარმოსახვაში იბადება, ხოლო გამოცდილება – საქმის კეთებაში და ეს უკანასკნელი ყველაფრის შედეგია.

2167. გაჭირვება ხალხს პროგმატულ აზროვნებას აჩვევს და თავს სიზარმაცის უფლებას არ აძლევს. ამიტომაცაა, რომ ჩრდილოეთში მცხოვრები აბორიგენები (ნორვეგია, დანია, შვეცია) ეკონომიკითა და ცხოვრების დონით მაღლა დგანან, ვიდრე სამხრეთში, ცხელ ქვეყნებში, მცხოვრები მოსახლენი.

2168. აზროვნების გამონათება იწვევს დასახული მიზნისთვის ხორცის შესხმას.

2169. ჩვენს საქმიანობას ფასი უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის აზრს ვერ შევიცნობთ.

2170. დინოზავრები იმიტომაც გაქრნენ, რომ დედამიწას ზედმეტ ტვირთად დააწვნენ წონით, მოცულობით, შეუთავსებლობითა და უნიათობით.

2171. არის რაღაც ისეთი, რაზედაც არაერთხელ დაფიქრებულხარ, გიოცნებია, მაგრამ კატეგორიული აზრი ვერ გამოგითქვამს, თუმცა კი სიამოვნება განგიცდია.

2172. ჭკუადამჯდარი ასაკი წარსულს უფრთხილდება, რადგან, თუ მისი ხსოვნა დაიკარგა, წარსულის დიდებაც უკან მიჰყვება და ჩვენი რაობის სიამაყემ შეიძლება სამუდამოდ თავი დაგიკრას.

2173. გემოვნების დახვეწა აზროვნებას მოითხოვს, აზროვნების დახვეწა კი სიცხადის წარმოჩენას გულისხმობს.

2174. კარგის დიდხანს დამახსოვრება საზრიანსა და აზრიანს ძალუძს.

2175. დაუღვინებელი, მოუწესრიგებელი ცოდნა აზროვნებას ვერაფერ სასიკეთოს ვერ შემატებს, გარდა აუტიზმისა.

2176. ხალხის აზრი გასათვალისწინებელია, მაგრამ ყოველთვის მოსახმარი არაა, რადგან ამ აზრს გაჯანსაღებასთან ერთად შემოქმედი ხელისუფლის მადლიანი ხელი სჭირდება.

2177. სარისკოა სადა აზრების წარმოჩენა, ჩვენი ავტორიტეტის ძალაზე რომ გავლენას ახდენს.

2178. აზროვნების თავისუფლება ყოველთვის როდი იძლევა იმის უფლებას, საზოგადოებაში იმ გარეგნობითა და ჩაცმულობით წარმოვჩნდეთ, რაც დღეს მოგვწონს.

2179. ჭკუის სახმობი აზრი, რომელიც გონიერებას შეაჯანჯღარებს და სულიერებას გამონათების საშუალებას აძლევს, აფორიზმია.

2180. მთავარია აზრის მომსახურება და არა ყველასათვის მისაღები აზრების ფრქვევა.

2181. ლეგენდის თანახმად, რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს რომ ქრისტესთვის თავდადებული ჭაბუკი მხედარი გიორგი ისე მკაცრად არ ეწამებინა ბორბალზე დაკვრით 6 მაისსა და მისთვის თავის მოეკვეთა 23 ნოემბერს, მორწმუნე ასე პოპულარულ წმინდანად ვერ იქცეოდა; ასე რომ, ზოგჯერ გადამწყვეტი ავის მქნელის „დამსახურებაა“. ზოგიერთი გმირის გაფეტიშება და წარმოჩენა უცნაურად ხდება და ვინ ვის დაუმკვიდრა სახელი ისტორიაში, ესეც საკითხავია.

2182. აზრიანი მოკლე სიტყვის თქმაა ძნელი, რათა ყველასთვის გასაგები იყოს.

2183. კამათი ღირსებას მოითხოვს და მოპასუხის შერჩევის უნარსაც.

2184. ზოგსა ჰგონია: პატიოსანი გაცილებით უკეთ უნდა ცხოვრობდეს, ვიდრე უპატიოსნო, ოღონდ გონებამახვილი, თავისი საქმის მცოდნე ხალხი; ხოლო შეკითხვაზე: თავად რა გააკეთა თავისი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ის ყურით მოთრეულ ალიბს იშველიებს: „რასაც მავალებენ, იმას ვაკეთებ“.

2185. სიკეთე და თავდადება უკვალოდ არ ჩაივლის, ოღონდ სამწუხარო ისაა, რომ გამხსენებელი ჰყავს ცოტა.

2186. სიჩუმეს ბრძოლა არ სჭირდება, თუ ის დაგვაფიქრებს და ჩვენი ტვინისთვის გონიერებისა და ფილოსოფიური აზრების ჩასახვის წყაროა.

2187. შემოქმედთა ნაკლებობას ყველა ქვეყანა განიცდის, იმისდა მიუხედავად, თანამემამულენი უგებენ მათ თუ ამ გაგება-აღიარებას მომდევნო თაობებს მიანდობენ.

2188. სწორედ აზრთა სხვადასხვაობაა იმის მიზეზი, რომ ხალხის აზრს ხელისუფლება ყურიდან ყურში ატარებს, მისი ცხოვრების უკეთ წარმართვისთვის თავს დიდად არ იწუხებს და საკუთარი აღზევებისთვის იღვწის და ირჯება.

2189. მოუწესრიგებელი, სპონტანური ცოდნა საღი აზროვნების დაუძინებელი მტერია.

2190. უაზრობას ახალი აზრი გასაჭორავად სჭირდება და არა განსასჯელად.

2191. სხვადასხვა აზრის გონიერი წარმართვა იძლევა პროგრესს და არა აზრთა უაზრო დაპირისპირება.

2192. სიდუხჭირეს სწორად აზროვნება და კაცობაზე თავის დადება უჭირს.

2193. დღეს გარედან რეკლამირებულ ნაღვაწზეა მოთხოვნა, და

არა იმაზე, მასში რა ღირებულება დევს, რადგან დღევანდელი საზოგადოების დიდ ნაწილს აზროვნება ეზარება.

2194. სიძულვილის არქონა შეყვარებას ხელს არ უწყობს.

2195. ცრუ მედიდურობა, „უაზრო ყარაჩოღელობა“, პირველ ყოვლისა ჩვენს გაუცნობიერებელ აზრებს ვნებს.

2196. ყველა სულიერი თავისებურად და თავის სასარგებლოდ აზროვნებს და არსებობს, მათ შორის მცენარე, ჭიაყელა და უხილავი ბაქტერიები. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამ სამყაროს ვერ შემორჩებოდნენ.

2197. შეტევა აზროვნებაზე ყოველთვის იყო და იქნება, გააჩნია, ვინ რით საზრდოობს და ვის რა აინტერესებს.

2198. ცვედნად ქცეულ მხარეთა აზროვნებას დეზერტირობამდე და გულგრილობამდე მივყავართ.

2199. როდესაც ხვდები და იაზრებ დაშვებულ შეცდომებს, სამწუხაროდ, უკვე დაგვიანებულია და აღარც შემართება გრჩება მის გამოსასწორებლად.

2200. უმრავლესობის აზრს ქვეყნის აყვავება-წინსვლისათვის ყოველთვის სიკეთე არ მოაქვს.

2201. ყოფის ოღროჩოღროებში მოტეხილ ფეხს აზრი და გონიერება მშობლებივით ერთგულად მკურნალობენ.

2202. უმრავლესობის აზრი ძალამოსილია, მაგრამ ქვეყნის აყვავება-წინსვლისთვის ყოველთვის სასარგებლო არ არის.

2203. ცოცარი, ფალოსი, პენისი, მამაკაცის სასქესო ორგანო, ყ-ე ყველა ამ სიტყვას ერთი და იგივე პრაქტიკული დანიშნულება და გამოყენება აქვს, მაგრამ მათ მნიშვნელობას ადამიანის ცნობიერება სხვა გვარად გადახარშავს და სხვადასხვა აზრობრივ ნიუანსს სძენს.

2204. აზრი იმ შემთხვევაში უნდა შევიცვალოთ, თუ ის პრაქტიკულა გამოსავალს იძლევა.

2205. საქმის გონივრულად წამოწყებაა უმთავრესი და არა ამბიციებით ბაქი-ბუქი.

2206. კამათში სხვათა აზრების მოშველიება შენს კარგ მეხსიერებაზე მიუთითებს და არა კარგ აზროვნებაზე.

2207. კომერციის გარეშე ცივილიზაცია ვერც განვითარდებოდა და მომავალშიც ვერ განვითარდება, რადგან ცოდნა-გამოცდილებას ურთიერთგაზიარების და დაბანდების გარეშე თავის წარმოჩენა უჭირს.

2208. აზროვნებით ვინ გვასაჩუქრებს, არავინ უწყის, მაგრამ ის ხშირად დიდად გვადგება.

2209. მჭევრმეტყველური აზრის საიდუმლოს შეცნობის უნარი დაბადებიდანვე უნდა დაგყვეთ, რადგან ყოფის ეს ალგორითმი სწავლებას არ ექვემდებარება.

2210. საღ აზრს მოსმენა, განსჯა, დაჭაშნიკება და „გამასპინძლება“ სჭირდება.

2211. აზრის გამოხატვის თავისუფლებას ნება არ უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ სასურველია, ისიც გარკვეული მორალის ჩარჩოებში იყოს მოქცეული.

2212. ნებისმიერ ძალისხმევას აქვს აზრი, თუ ის გონის მოხმობით ხდება.

2213. ემოციების მოჭარბება რაციონალური აზრების გაჩენას ხელს უშლის.

2214. ისაა პიროვნება, ვინც თავის ოცნებებსა და აზროვნებას მოსვენებას არ აძლევს.

2215. აზროვნების პირველი თეორიული მოწოდებაა სიახლის, სიკეთის აღმოჩენა, ხოლო მეორე – პრაქტიკული საქმის წარმართვა-ხელმძღვანელობა.

2216. ძალადობა სენია, რომელსაც აზროვნების გამოფხიზლებაც ვერაფერს შველის.

2217. ცხოვრების აზრი და არსია იმდაგვარად დაგიმახსოვრონ, რომ მომდევნო თაობებს შენი ხსენება ეამაყებოდეთ.

2218. აზროვნება სიცოცხლის მაჩვენებელია და არა უაზრო დროის ტარება.

2219. ჯანსაღი აზროვნება და განსჯის უნარი უდიდესი ბედნიერებაა.

2220. ცხოველიც აზრიანად ნადირობს, მაგრამ მისი გონი ადამიანის მოხერხებულობასთან ახლოსაც ვერ მივა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვჯერა და გვგონია.

2221. დღეს სიტყვის თავისუფლება ჭკუის თავისუფლების სინონიმად არის აღქმული, რაც შეცდომა გვგონია.

2222. აზრი შეიძლება კარგიც იყოს და პროგრესულიც, მაგრამ დროის გაუთვალისწინებლად, წინასწარ გაუთვლელად საზიანოც და ზიანის მომტანიც – ვერ გაგიგებენ.

2223. საკუთარი არსებობის რეალობა, მიუხედავად თანმხლები ტანჯვა-გახარებისა, დიდ შესაძლებლობებს გვთავაზობს.

2224. თუ სხვას არ ვაძლევთ აზრის ბოლომდის გამოთქმა-ჩამოყალიბების საშუალებას, ეს ჩვენს უკულტურობაზე მიუთითებს და არა უგუნურებაზე.

2225. ცარიელი და უალტერნატივო სიმართლეც შემაშფოთებელია, რადგან ალიბის მოძიებას აზრი დაკარგული აქვს.

2226. ცხოვრებაში „მძიმედ“ მოქცევა, თუნდაც სრულიად უაზრო ხშირად ავტორიტეტსა გვმატებს.

2227. აზროვნება, განსჯა, ქმედებით ფასობს და არა წარმოდგე-

ნა-სურვილით.

2228. ლოგიკას, მტკიცებულებას თავის მოყრა და გაგება სჭირდება, რათა გონივრულად გამოვიყენოთ.

2229. აზრის წუთიერი გაელვებაც კი ღრმა დაფიქრებას ითხოვს, რადგან ამ აზრის შემდგომ გაელვება-გამონათება როდისღა შეგაწუხებს, არავინ უწყის.

2230. საკუთარი ხედვით სხვათა აზრების განჩხრეკა საშუალებას გვაძლევს, უკეთესები ვიყოთ.

2231. ზოგჯერ აზრი მატერიალიზაციას განიცდის და თავისივე თავის მტერი ხდება.

2232. აზროვნების კონტროლი, სიტყვის თავისუფლებისგან განსხვავებით, ბევრ ჩამოყალიბებულ ყბედს ნიშნს უგებს.

2233. პატრიოტიზმს ყველაზე მეტად სჭირდება აზროვნება, წინხედულება, დიპლომატია და არა ვნების მომტანი ფანატიზმი და ვაშა-პატრიოტიზმი.

2234. თავმდაბლობასა და რიდს მაშინ აქვს აზრი, თუ საკუთარი თავის ფასი ვიცით.

2235. გაუკულმართებული აზროვნება გონიერების ავტორიტეტსა და საზღვრებს არ სცნობს.

2236. ცხოვრება ზოგჯერ მოსაწყენია და ამიტომაც უნდა ვისწავლოთ აზრიანი გართობა და არა დროის მოკვლა.

2237. ჩვენი ფიქრები, ოცნებები, ეტყობა, ამ სამყაროში უქმად არ იკარგება და ხშირად მათი მატერიალიზება ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველივე ადამიანური მცდელობა ამ ყოფიერების ჩარჩოში აზრს დაკარგავდა.

2238. ყოველივე მუქთა და დაუმსახურებელი მიუღებელია, რადგან ჩვენი აზროვნების გარყვნა-გადაგვარებას უწყობს ხელს.

2239. აზრთა გაზიარება შინაგანი ემოციების გამოუხატავად, პეწსა კარგავს.

2240. მკაცრი კანონები და მათი გარდაუვალი აღსრულების პერსპექტივა ჩვენი ცნობიერებიდან განდევნის სისასტიკეს და ბარბაროსული აზრებისკენ ლტოლვას.

2241. სიმდაბლის გამართლებაც შესაძლებელია, თუ კანონის მცირე დარღვევით დიდ საქმეს აკეთებს.

2242. „პარაოზისაგან“ განსხვავებით, „ვაგონები“ ის მასაა, რომელსაც საკუთარი აზრი არ გააჩნია და ყურით მოთრეულ სხვათა აზრებს თავისი ამბიციებით აწვალებს.

2243. საკუთარი თავის, აზრების აბუჩად აგდება მიუღებელია, ის ამას როგორც არ უნდა იმსახურებდეს.

2244. გმირობას, გმირის ქმედების თაყვანისცემასაც კარგად გააზ-

რება სჭირდება, რადგან სიცოცხლეს გაცილებით მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია, ვიდრე აფექტში, დაუფიქრებლად იმქვეყნად უდროოდ გადასახლებას.

2245. ვინც სასურველ ინფორმაციას დროულად არ დაეუფლება, ის ვერც საღად აზროვნებას ისწავლის.

2246. გმირობის შესაძლებლობა ყველას რჩება, თუ ამისთვის მორალურად მზად ხართ და ჯანიც მოგდევთ.

2247. სურვილების აზროვნება, ერთის შეხედვით, შეიძლება დანაშაულად მოგვეჩვენოს, მაგრამ დროს, მენტალიტეტს, გარემო პირობებსაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რათა ეროვნულობას, ქვეყნის დამოუკიდებლობას და ხალხის შობადობას ზიანი არ მიადგეს.

2248. უმრავლესობა აზროვნებას კუჭის გადასახედიდან იწყებს, რომელშიც გამორჩენა და კარიერის კეთება უპირველესია, გამონაკლისს კი ნიჭის შედეგად წაქეზებული აზროვნება წარმოადგენს, რომელიც ძალზე საჭირო და დასამახსოვრებელია სახელმწიფოებრივი აღზევებისთვის.

2249. ნებისმიერ ძალისხმევას უპირატესობა აქვს უსაქმურობასთან შედარებით, რადგან ის შედეგს, ავად თუ კარგად, მაინც იძლევა.

2250. სადაც კონკრეტული და უაპელაციო პასუხის გაცემაა შესაძლებელი, იქ სიტყვებით ბოდიალს აზრი დაკარგული აქვს.

2251. ზოგჯერ ენა უკეთ აზროვნებს, ვიდრე გონი, რადგან პირველი შემთხვევას ხელიდან არ უშვებს, ხოლო მეორე დროის ხუშტურზეა დამოკიდებული.

2252. აზრის, რომელსაც ეზიზღება სხვა აზრი, ეწევა სხვათა შეზღუდვის პროვოცირებას, წინ არ იყურება და თესავს მტრობას, დასაგმობია, მისი პროპაგანდა დემოკრატიის და თავისუფლების იდეებით როგორც არ უნდა იყოს შეფუთნული.

2253. გუშინდელის დღევანდელობით შეფასება-გადაფასება აზრიან ტოლობას არ იძლევა.

2254. აზრი, რომელსაც საფუძველი მონგრეული აქვს, არავის აინტერესებს, რადგან ის წყლის ნაყვაა, გულის უაზრო მოფხანაა.

2255. ყველა თავის წარმოჩენა-პატივისცემისთვის იღვწის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამქვეყნად ყოფნა აზრს დაკარგავდა.

2256. რაციონალური აზროვნება ზოგჯერ დიდი სიყვარულის ან დიდი სიძულვილის შედეგია.

2257. საუბარს მოსმენის უნარი ამშვენებს.

2258. ზოგისთვის უგუნურება უფრო ასატანია, ვიდრე – გონიერება, თუ ღრმა აზრებს ვერ სწვდება და მისთვის ეს სფერო უცხოა.

2259. ჩვენს გონიერებას ხშირად სარეველა აზრები ესხმიან თავს, მაგრამ მათგან თავის დაცვა ისევ გონის ფილტრს უნდა ვანდოთ.

2260. ენამ დამუღამებული აზრები ისე უნდა წარმოთქვას და განსაჯოს, რომ ის მოწონებულ იქნეს.

2261. აზროვნება მარად თავის თავს ეჭიდავება, რათა ცდომილება გამოირიცხოს და ჭეშმარიტებამ იზეიმოს.

2262. მტერი გვაფხიზლებს, მოყვარე გვადუნებს, მაგრამ ამ ფაქტორთა შერწყმის გარეშე ცხოვრება აზრს დაკარგავდა.

2263. აზრის ჩამოყალიბება, დროისა და გარემოს შესატყვისად უნდა ხდებოდეს.

2264. შრომისადმი მიდრეკილება დასაფასებელია. აზრიან საქმიანობას, საყვარელი საქმის კეთებას არაფერი სჯობს.

2265. ეჭვი ლოგიკურ აზროვნებასთან შეუთავსებელია და მისი მტერია.

2266. დამოუკიდებლობის შეცნობა მაშინაა ბედნიერება, თუ ამისათვის მომწიფებული ხარ, რადგან ზედმეტმა ყურადღებამ და ოჯახურმა სითბომაც „გადაწვა“ და მიზეზიანობა იცის.

2267. საქმიანობა წარმოგვაჩენს, ხოლო აზრიანად ნათქვამი სიტყვა მადლს გვაპკურებს.

2268. დამოუკიდებელი და საღი აზროვნება ჩვენს შინაგან თავისუფლებასა და საკუთარი მეობის წარმოჩენაზე მიუთითებს.

2269. პროგრესი და ტრადიცია ერთურთს უნდა შეერწყას, რათა ახალგაზრდების თანამედროვე მისწრაფებები ტრადიციებს იმდაგვარად მოვარგოთ, რომ ვერცერთი მათგანის ცნობიერებამ თავი დამცირებულად ვერ იგრძნოს.

2270. ჩვენ გონიერი არსებანი ვართ გალაქტიკისა, მაგრამ უძღები შვილები – დედამიწისა.

2271. ცხოვრების აზრი ისაა, რომ, რაც შეიძლება, მეტი ვიცოდეთ.

2272. აზროვნების საკვებად გაჩენილი წიგნი დღეს ინტერნეტმა ჩაანაცვლა, მაგრამ, რამდენად წარმატებულად, ამას მიმავალი გვიჩვენებს.

2273. იმაზე მეტის კეთების სურვილი, რაც ნებადართულია და მიუღებელია, ყველა ჩვენგანს ტვინში უღიტინებს და ესეც ადამიანის თვისებაა, რათა აზროვნებამ იჟივჟივოს და თან გვარგოს.

2274. საზოგადოებრივი აზრის გაშიშვლება, აურზაურის გარდა, არაფერ ხეირს არ იძლევა.

2275. ყველაფრის უფლება საზოგადოებრივი აზროვნებისთვის მიუღებელია, რადგან აზრსაც დროს შესატყვისად მომწიფება-დაღვინება სჭირდება.

2276. ახალგაზრდობის ჯანმრთელი აზროვნების შენარჩუნება აუცილებელია, ის ეროვნულ ტრადიციებზე უნდა დაფუძნდეს, განათლება თანამედროვეობას მოერგოს და ყოველგვარ ნიჰილიზმს ბიშტი

უჩვენონ.

2277. სხვისი მოიმედე, უინიციატივო საზოგადოება ინდივიდის გამოჩენას ვერ ეგუება და მის ჩაწიხვლას იწყებს, რადგან მათ გამორჩეული და განსხვავებული აზროვნება აქვთ.

2278. საკუთარ აზრს უპირატესობას ყველა ჩვენგანი ანიჭებს, მაგრამ მას თუ სხვათა ჭკვიანურ აზრებსაც შეურევთ, მაშინ ამ აზრთა კოქტეილისგან კარგ სასმისს მივიღებთ.

2279. ჩლუნგის მეტყველება დახვეწილი აზრის გადმოსაცემად არ გამოდგება.

2280. გონივრულად ნაკარნახევ-ნათქვამი ერთი გამოსადეგი აზრი მთელი ცხოვრება გვამახსოვრდება, ყბედობისგან განსხვავებით.

2281. საქმის კეთება, აზრების ურთიერთშეცნობა-მორგების გარეშე, დავიდარობას გამოიწვევს.

2282. ვინ, რა და როგორლაა დამნაშავე საქმის ჩავარდნაში, ზოგჯერ ამის განხილვას ძალზე შორს მივყავართ, დროს ვაცდენთ და ურთიერთობას უფრო მეტად ვძაბავთ.

2283. ყველა ჩვენგანს თავისებურად უყვარს თავისი რჩეული და მასზე საზოგადოების აზრი გავლენას ვერ ახდენს.

2284. აზროვნების აღზევება და მოაზროვნის წარმოჩენა, ადამიანის შემოქმედების ერთ-ერთი ნაწილია.

2285. მომხიბვლელი და აზრიანი მჭევრმეტყველება არასოდეს არ არის მოსაბეზრებელი.

2286. გრძელ სიტყვას, თუნდაც აზრიანს, ყოველთვის სჯობდა კარგად დაღვინებული და საქმით გამოცდილი მოკლე მსჯელობა.

2287. ყველა დროში, საზოგადოების მსოფლმხედველობის მიუხედავად, ყოველთვის რჩება ადგილი გმირობის ჩასადენად, რადგან უამისოდ ამქვეყნად ყოფნა აზრს დაკარგავდა.

2288. აზროვნება გაბეჯითების სურვილს იწვევს, რათა თავის ნაფიქრალს სიცოცხლე შთაბეროს.

2289. განზრახვაც აზროვნებას მოითხოვს, რათა ჩანაფიქრმა მშრალზე არ დაგვტოვოს და „ხელები არ დაიბანოს“.

2290. აზროვნებასაც უპირველესად თავის წარმოჩენა სჭირდება.

2291. აზროვნებაც, ხელის გამოღების გარეშე, უსაქმურობის ტოლფასია.

2292. შემოქმედება და კრიტიკა სხვადასხვაგვარ აზროვნებას გულისხმობს, მაგრამ ისინი ერთმანეთს ავსებენ.

2293. მცდარი აზრების მონანიების მცდელობა სულიერების გამოვლენაა.

2294. მჭევრმეტყველებას აზროვნება ამშვენებს და არა პირიქით.

2295. „აზრთა რემასაც“ მოვლა უნდა, ზოგჯერ გაწმენდაც რგებს

ავი თვალისაგან.

2296. აზრს შეიძლება გაეცნო, მაგრამ ბოლომდის ვერ გაიგო. ეს მაშინ ხდება, როცა იგი ნოვატორულია ანდა ბუნდოვანი უაზრობაა.

2297. თუ აზრი ნაღვაწს ბოლომდის ვერ სწავლობს, მაშინ შთაბეჭდილება უნდა მოვიშველიოთ.

+2298. აზროვნება იქაც ირჯება, სადაც მას არაფერი ესაქმება და არც არაფერს ეკითხებიან.

2299. აზროვნება ზოგჯერ ცდილობს, გაექცეს რეალობას და ამას რატომღაც უკანმოუხედავად და დაუფიქრებლად სჩადის.

2300. ყოველივე განსჯადი და დახვეწილი, აზროვნებას გვიადვილებს და მას შედეგიანს ხდის.

2301. ფხიანი აზრები, გონივრული გამონათქვამები ადამიანის ცნობიერებაზე უფრო დადებითად მოქმედებს, ვიდრე მისი ქება-დიდებით შემკობა.

2302. სახელმწიფო აზროვნებისგან განსხვავებით, მერკანტილურ აზროვნებას სიკეთე არავისთვის მოუტანია, რადგან ეს უკანასკნელი წარსულის გაუფერულებასა და მის დავიწყებას ცდილობს.

2303. გონივრული და წინდახედული რისკის გაწევა ხშირად წარმატების დედაა.

+2304. იუმორი ზოგჯერ ძველდება, მაგრამ არ იკარგება, თუ კლასიკურ აზროვნებას ეფუძნება.

+2305. აზროვნებამ დარდი არ იცის, ხოლო დარდმა – აზროვნება.

2306. ყველაზე მეტ თანაგრძნობას სხვათა აზრების განსჯა მოითხოვს.

2307. ზოგჯერ ვიღაცისა და რაღაცისთვის აქვს აზრი სიცოცხლის გახანგრძლივებას, თუნდაც შთამომავლობის ფეხზე დასაყენებლად.

2308. არის ბნელი და არის ნათელი აზრები, რომელთა რეალობასთან კავშირის დადგენა ზოგჯერ შეუძლებელია.

2309. აზრის ახლებურად წაკითხვაა ძნელი და არა წანაკითხის გარკვევა.

2310. ცხოვრების აზრი შერკინებაა, რათა ბეჭებზე არ დავეცეთ და ზურგიც არავის ვუჩვენოთ.

+2311. წარსულზე ფიქრს, მსჯელობას აზრი არ აქვს, თუ სასურველი შედეგის მიღწევას არ ემსახურება.

2312. აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, თუ ეს აზრი განსჯას იმსახურებს და საქმიანია.

2313. სახელმწიფოებრივ აზროვნებასაც იდეოლოგიური წახალისება სჭირდება და არა მარტო მატერიალური. ამის ნიმუშია: შრომის გმირი, საპატიო მოქალაქე, დარგის მოხელე და სხვა ამდაგვარი.

2314. სტერეოტიპების შემოტევა ზოგჯერ აზროვნების დევალვირებას იწვევს.

2315. ზოგჯერ მოვალეობის აღქმა-გათავისება უფო ჭირს, ვიდრე საკუთარი აზრის უარყოფა.

2316. აზრიანი ფიქრი და შესატყვისი საქმის კეთება ძნელია. ამიტომაც ჩვენი ოპონენტები უმეტესად სხვათა აზრების განსჯით არიან დაკავებულნი.

2317. ჩვენს ამბიციებს თეორიული აზროვნება კი არ თოკავს, არამედ პრაქტიკული შესაძლებლობა.

2318. სადაც საღი აზრის გაზიარება ჭირს, იქ ყოველივე მეორეხარისხოვანია და აზროვნების მცდელობას ფასი დაკარგული აქვს.

2319. თუ მიზანი ერთია, მიზნის მისაღწევი გზაც ერთი უნდა იყოს, რათა აზრთა ჭიდილმა დროის დაკარგვა არ გამოიწვიოს.

2320. გამოთქმული აზრებიც მატერიალურია, გააჩნია, რა სახის ხორცს შევასხამთ და რა გზით წავმართავთ.

2321. წმინდა შემოხედვა ჩვენს სიცოცხლეს აზრსა და ეშხს მატებს.

+2322. ყველაზე ძნელი ასატანია უსაქმობა და იმის შეცნობა, რომ საჭირო აღარა ხარ.

2323. მტერზე, მოწინააღმდეგეზე გამარჯვება უფრო იოლია, ვიდრე საკუთარ ჩვევებზე, მისწრაფებებზე.

2324. აფორიზმი ის ფრთაშესხმული აზრია, რასაც გული გრძნობს, სული შეიცნობს, ჭკუა მოითხოვს.

2325. თავისუფალი აზრის წვდომასა და ყბედობას შორის დიდი სხვაობაა და „შუა უზის დიდი ზღვარი“.

2326. საკუთარი აზრები გარანდვასთან ერთად გაფრთხილებას საჭიროებს.

2327. ბედის თანადგომა და იღბლის ქონა დასამახსოვრებელია, მაგრამ უფრო მეტი სტაბილური სიკეთე მოაქვს დალაგებულ ნერვებს.

2328. სიტყვის თავისუფლად გამოხატვის უფლება საზოგადოებას არ უნდა ვნებდეს და რყვნიდეს, პირიქით, მასების აზროვნებას უნდა აჯანსაღებდეს და ერს აერთიანებდეს.

2329. სიახლისკენ ლტოლვა ლიდერად დაბერების გარანტიაა.

2330. არის რაღაც, რომლის წამოწყებას დღეს აზრი არ აქვს, მაგრამ საფუძველი დიახაც მოეძებნება და ხვალისათვის ის დღესვე უნდა მომზადდეს.

2331. ყოველგვარი აზროვნება ჩვენი გონიერების „ფუტლიარია“, მისი სიდიადის მაჩვენებელია.

2332. კითხვა და შეკითხვა აზროვნების ჩართვას მოითხოვს, რათა ამ მცდელობას შედეგი მოჰყვეს.

2333. ჩვენი მეობა, ჩვენი მოქმედება ხორციელი სამყაროს წარმომჩენია და სულიერ სამყაროზე მიმანიშნებელიც.

2334. ყურის გდებას მაშინ აქვს აზრი, თუ განსჯის უნარს ფლობ

და უნიჭო კითხვებს არ სვამ.

2335. აზროვნება განსჯადი სიცოცხლის სინონიმია.

2336. ჩვენთან საუბრით მსმენელი თუ სიამოვნებას არ განიცდის, მაშინ ამ საუბარს აზრი დაკარგული აქვს.

2337. „ჭკუანაღრძობთა“ გონზე მოყვანა იუმორისა და სატირის პრეროგატივაა.

2338. მცირე დოზებით დროულად მიღებული იუმორი უხასიათობის განკურნების უბადლო საშუალებაა.

2339. შეუჯერებელ აზრთა მიერ გამოწვეულ დაპირისპირებას ღირსეული მოწინააღმდეგე ოპონირებით ჩაახშობს.

2340. აზროვნება და ჭეშმარიტება ერთმანეთს ებაასებიან და უგებენ, ერთდროულად მათი გაცნობიერებაც შეიძლება და მოსმენაც.

2341. დახვეწილი გემოვნება ღირსებით აღსავსე აზროვნებისკენ გვიბიძგებს.

2342. ყოფის ლაბირინთებში სიარულს ყოველი ჩვენგანი თავისი მეობით ცდილობს.

2343. აზრი აქვს იმის კეთებას, რაც მომავალში ოცნებაზე ფეხს არ დაგვაბიჯებინებს.

+2344. უაზრობასთან ბრძოლა ყველაზე მეტად აზროვნებას უჭირს.

2345. ტყუილი უპირველესად საკუთარ მსოფლმხედველობას ვნებს და არა სხვათა აზროვნებას.

2346. ზოგი შიშველი ფაქტების წარმოჩენით კმაყოფილდება, ზოგიც იძიებს ამ ფაქტებს და მასზე თავისი აზრი და შეხედულება აქვს. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ საზოგადოების მრწამსის შეცნობა ძნელდება.

2347. საკუთარ აზრებს ანგარიში უნდა გავუწიოთ და გამოვჩორკნოთ, მაგრამ ბოლომდის არც მათ უნდა ვენდოთ.

2348. კაცი თავისი გაუცნობიერებელი აფრებით თავის წარმოჩენას ცდილობს და არა თავის გაბახებასა და გაქილიკებას.

2349. ძმობაზე, თანადგომაზე ფიქრია, ბოლომდის რომ ამყარებს ახალჩასახულ და მყიფე ურთიერთობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამქვეყნიური სიამტკბილობისკენ მისწრაფება აზრს დაკარგავდა.

2350. საქმისადმი აზრიანად მიდგომა გაცილებით უკეთეს საწყის პოზიციაში გვაყენებს.

2351. დამოუკიდებელი აზროვნებისა და მოქმედების დაჩვევა, ახალგაზრდობაში სჯობს.

2352. აზრების კონტროლის უნარს ერთეულნი ფლობენ.

2353. კრიტიკული აზროვნება წარსულის სწორად აღქმის, აწმყოს მიუკერძოებლად წარმოჩენის საწინდარია.

2354. ახლად მოფიქრებული და გამოჩეკილი აზრის ახლებურად და რაციონალურად გამოყენება გამომყენებლის შემოქმედებით ბუნებაზე

მიუთითებს.

2355. მიმართულების უქონლად და ურთიერთობის ჩამოუყალიბებლად აზრთა გაერთიანება „ბლეფია“.

2356. კეთილ და საჭირო რჩევათა მადლს თუ არ გავაცნობიერებთ, მას აზრი ეკარგება.

2357. ჭკუის სახმობი აზრები გულით უნდა წაიკითხოთ, გონებამ უნდა განსაჯოს, ხოლო სულიერებამ უნდა შეითვისოს, რომ შენთვის სასარგებლო რამ ამოიცნო და შენცა და სხვებმაც სარგებელი ნახოთ.

+2358. შეცდომის დაშვება გარკვეული ქმედებებისას დასაშვებია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – აზროვნებისა და განსჯის დროს.

2359. საკუთარი აზრების მოპატიჟება ხშირად კარგი შედეგის მომტანია.

2360. ზოგი ჩვენს ხელმისაწვდომ აზრს, თუნდაც ერთობ ჭკვიანურს, იმიტომ არ ეთაყვანება, რომ შურს და მისი აღიარება ამიტომაც არ უნდა.

2361. აზრი ახალი იდეების გარეშე ვერ იმუხტება და გააზრებული ცხოვრებაც უჭირს.

2362. საღი აზროვნება, უპირველესად, შინაგან თავისუფლებასა და თანადგომას მოითხოვს, რათა ის სათანადოდ იქნეს დაბანდებულ-გამოყენებული.

+2363. სინდისით არ ამაყობენ. მას, უბრალოდ, ფლობენ.

2364. აზროვნება სიცოცხლის საწყისი, მისი გამხანგრძლივებელი და გამაბედნიერებელი გახლავთ.

2365. მოსმენის უნარი ბევრსა გვაქვს დაკარგული, მაგრამ საკუთარ აზრზე ჯიუტად ვდგავართ და კომპრომისებს არა ვცნობთ.

2366. თუ მოხერხდება, ველური აზროვნების დახვეწა დადებით შედეგს იძლევა.

2367. ბევრია ამ სამყაროში ისეთი, ვისაც სხვათა ხარჯზე უნდა იცხოვროს, მაგრამ ამის უფლებას მათ არ უნდა აძლევდეს ქვეყნის კონსტიტუცია, მისი კანონმდებლობა და საზოგადოებრივი აზრი.

+2368. აზროვნებაც თავისებური შრომაა.

2369. საზოგადოებრივი ცხოვრების სასიკეთოდ წარმართვას ძლიერი ხელისუფლება სჭირდება, რათა სუსტები და უძლურები არ დაჩაგრონ.

2370. ჯერ ტექნიკური აზრის ნაყოფს შევიძენთ, მის მოხმარეებას ვისწავლით და შემდგომ ვიწყებთ ამ მიღწევების გამოყენებას.

2371. ბრძნული აზრები, ანუ აფორიზმები, დიდი გონის ნაყოფია. ისინი ღვთაებრივი საჩუქარია.

2372. ზოგჯერ ენა უკეთ მეტყველებს, წარმოაჩენს, აზროვნებს, ვიდრე, გონი, რადგან ამ უკანასკნელს დაღვინება მუდამ აკლია. ყოველ

შემთხვევაში, მას ასე ჰგონია.

2373. წესით, ქვეყნის ლიდერს ხალხი ირჩევს, მაგრამ ეს არჩევანიც გამართლებაზეა დამყარებული და არა სურვილსა და სწორ აზროვნებაზე.

+2374. განათლება თავისუფლებისადმი ლტოლვის საშუალებაა და არა თვითმიზანი.

2375. აღზრდა გარკვეული უსიამოვნებისა და ტკივილების მიუყენებლად არ ხერხდება, აღმზრდელი რაც უნდა შემოქმედებითი ნიჭით იყოს დაჯილდოებული.

2376. მატერიალისტური აზროვნებისა უნდა გვჯეროდეს, რადგან ის განსჯადი ინტუიციის შედგია.

2377. ზოგჯერ თავში მოსული უცნაური აზრები ნერვებს გვიშლის და საკუთარი თავის ოპოზიციონერებად წარმოგვაჩენს.

2378. მოჭარბებული ოპტიმიზმი სიცოცხლეს აზრს მატებს, ხოლო პესიმიზმი სიცოცხლის, ეშხის შეცნობას აფერხებს.

2379. ბედის კაპრიზია თუ შემთხვევის წყალობა, მათი შეჯერების გარეშე ცხოვრება აზრსა და ხალისს კარგავს.

2380. ერთიანი აზრი კარგია, მაგრამ მრავალფეროვანი კრიტიკული აზრი უკეთესია, მეტ პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს გადაგვიშლის წინ.

2381. სავალდებულო ოპტიმიზმი ძალზე ვნებს საზოგადოების აზროვნებას, რადგან მასას სურს ილუზიებით იცხოვროს.

2382. საკუთარი თავისთვის კითხვების დასმა განსჯადი გონიერების მაჩვენებელია.

2383. ნოვატორულ აზრებს, უპირველესად, მოსმენა, შესმენა, გაგება სჭირდება, თუ გვინდა ქვეყანასაც ვარგოთ, ხალხსაც და საკუთარ თავსაც.

+2384. ფილოსოფია, რადგანაც აზროვნების სფეროა, ვალდებულია საერთო ენა მოიძიოს რწმენასა და ათეიზმს შორის.

2385. ადამიანები იმითაც ჰგვანან ერთმანეთს, რომ შინაგანად ყველა სხვადასხვანაირია და არც აზროვნება აქვთ ერთნაირი.

2386. ვინც გულისყურით გვისმენს, ის პატივისცემასაც იმსახურებს, იმისდა მიუხედავად, იზიარებს ჩვენს აზრებს თუ არა.

2387. ინსტინქტი ხშირად საფუძველია ჩვენი გონიერებისა და სწორი აზროვნებისა.

2388. აზრის დასაბუთებას მარტო რიტორიკა როდი შველის. მას ცოდნა და გამოცდილება სჭირდება.

2389. აზრი სისულელეს არ ეთანხმება, რადგან სისულელის საჭკვიანოდ გადაკეთებისა გონიერებას არ სჯერა.

+2390. აზრიან სიცოცხლეს აქვს აზრი სინამდვილეში და არა

ამქვეყნად ყოფნას.

+2391. ორატორული ნიჭის მთავარი დამსახურება ის არის, რომ ზოგჯერ ჭირს მეტყველების ფალსიფიცირებული და ნაღდი აზრების გარჩევა.

2392. ლაპარაკის ხარისხს მის უკან ამოფარებული აზრის მადლი განსაზღვრავს.

+2393. სიხარული დაუმადლებელი და შეუცნობელი სიბრძნეა.

2394. შენი მოსანონი აზრების სხვაზე გადაბრალება ძნელი ასატანია.

2395. ამაღლებული აზრების ქონა მეობის სიდიადის საწინდარია.

2396. აზრთა შეჯერება ანაყოფიერებს და აფართოებს ჩვენს მოუმწიფებელ ცნობიერებას.

2397. გონივრული აზრის სიკვდილი ყველა ჩვენგანის ტრაგედიად უნდა აღვიქვათ.

2398. სწავლულებმა ბრძენი უნდა დააფასონ, ხოლო სწავლულები – მათმა მონაფეებმა: მოწაფენი მშობლებმა უნდა დააფასონ, რათა საზოგადოების აზროვნებას ზურგი არ შეაქციონ.

+2399. საღად რომ ვიაზროვნოთ, სხვათა აზრებსაც ყურადღებით უნდა გავეცნოთ.

2400. საღი აზრი განსჯადი დამოძღვრის მოსასმენად მუდამ მზად არის.

2401. საკუთარი თავის პატივისცემა საკუთარი აზრების განსჯიდან უნდა დავიწყოთ.

2402. უგუნურთ აზრთმოსაყვანი აცრები უნდა ჩაუტაროთ, რათა სულიერად არ დაავადდნენ და საბოლოოდ არ გაიხრწნან.

2403. საკუთარი აზრების სახეიროდ მართვა თანდაყოლილი ნიჭის მქონეს ძალუძს.

2404. დიდი ადამიანების ნაღვაწის გაცნობიერება სტიმულს გვმატებს, ოღონდ მაშინ, თუ მათი აზრები მოგვწონს და გვეპიტნავება.

2405. ბოროტი აზრები სიძულვილს თანდათანობით გვინერგავს, რაც ჩვენს ცნობიერებაზე უარყოფითად მოქმედებს.

2406. აზროვნება ჩვენი ცნობიერების სამზარეულოს მფარველი ანგელოზია.

2407. დაუღვინებელ ტვინს ჭკუის მოხმობა უჭირს.

+2408. გზას არც საწყისი აქვს, არც სასრული, თუ ის აზრის გადაადგილებისათვის არის განკუთვნილი.

+2409. ინტერნეტი ლოგიკურად აზროვნებს, მაგრამ ფიზიკურად არ იღვწის. ეს კი იგივე ონანიზმია, რომელიც ვირტუალურ სიამოვნებას გვანიჭებს, ოღონდ ნამდვილი სექსისა და რეალური შედეგის გარეშე.

2410. არის ეგრეთ წოდებული „ხალხის“ კატეგორია, რომელთან კამათს აზრი არ აქვს, იმდენად დაპროგრამებულია უაზრო, არაფრის

მთქმელი აზრებით.

+2411. ზოგჯერ გონის წამიერი გამონათება კაცობრიობას საუკუნო გზას უნათებს.

+2412. დემაგოგის, დემოკრატის, დემოგრაფის საქმიანობის გონივრულად წარმართვა ყველა ერისა და ხალხის საქმეა, რათა ერთმა ზიანი არ მიაყენოს საზოგადოებას, მეორემ ხელი შეუწყოს და გამოაფხიზლოს, ხოლო მესამემ გაამრავლოს.

2413. საშინელებაა, როდესაც უაზრობას აზრად შემოგაჩეჩებენ და მის განსჯასა და მისთვის ხორცის შესხმას დაგაკისრებენ.

2414. ჯანსაღი აზრები გემოვნებას ავითარებს და სიცოცხლეს მადლსა მატებს.

2415. გონივრული აზრებით დანაოჭებულ შუბლს არავითარი პლასტიკური ოპერაცია არა სჭირდება.

2416. კრიტიკა ზოგჯერ საზოგადოებრივი აზრის ასაფეთქებელი „დინამიტია“ ან ხანგრძლივი დაყოვნების ნაღმი.

2417. ცივილიზაციის მიღწევები, ძირითადად, ამბიციური აზროვნების დამსახურებაა შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონის შესატყვისად.

2418. გამოთქმულ აზრებს შესწავლა სჭირდება და არა საკუთარ ნათქვამზე ჯიუტად ვირივით დგომა.

2419. თამადობა სიახლის შემცველი, გაპრიალებული და მომხიბვლელი აზრების თანაფარდობაა, რომელშიც სიყვარულისა და პატივისცემის ელემენტებიც უნდა ჩანდეს, გონიერების მოხმობით და მჭევრმეტყველების ფრქვევით.

2420. აზროვნება ბედთან ერთად გვეხმარება ცხოვრების ბილიკების სწორად გაგნებაში.

2421. შეგინებისას „შენი დედა წავჩინჩლეს“ ნაცვლად უნდა იხმარო ზრდილობიანი ფორმა „მამობილი ვარ შენი, სახეშეცვლილი“. ამრიგად, სიტყვათა გამა იცვლება და არა აზრი და შინაარსი.

2422. აზრთა შეხლა-შემოხლა კამათს იწვევს, მაგრამ სწრაფად დავიწყებადია, თუ შედეგის მისაღებად საერთო ენას გამონახავენ.

2423. ყველა ჩვენგანმა საკუთარი თავის ფსიქოთერაპევტობა თავადვე უნდა იკისროს, თუ უნდა თავის გაკონტროლება გონის მოხმობით და შედეგის დადებით ისწავლოს.

2424. საღი აზროვნება საღ გონიერებად წარმოჩნდება, რაც ცხოვრების შინაარსიანად გატარების თანმხვედრი ატრიბუტია.

2425. ფილოსოფიის მადლი ესაა: ის თავისი ორიგინალური აზროვნებით ყველას გვეხმარება და თანაც არავის, თუ მისი განსჯა არ მოვინდომეთ.

2426. ყველა ჩვენგანი უნდა ვეცადოთ, ჩვენი აზრები ასაკის შესა-

ტყვისად ჩამოვაყალიბოთ და შევალამაზოთ.

2427. აზროვნება ხშირად პატიოსნებასაა მოკლებული, რადგან ისიც ხშირად თავის წარმოჩენას თავისიანებისთვის ცდილობს.

2428. აზრთა განსჯის უნარის ქონა თავისებური სიმდიდრეა ადამიანის ცნობიერებისთვის.

2429. უმრავლესობის აზრი გონიერების საზომად არ გამოდგება – რადგან გონივრულად განსჯას ცხოვრების ცოდნა სჭირდება.

2430. ყოველი სახის აზროვნება რწმენას მოითხოვს, რათა მან დასამახსოვრებელი საქმე აკეთოს.

2431. ქარსა და ქარიშხალზე აზრით გამოკიდება სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს.

2432. ყველაზე მეტად საკუთარ თავს თავადვე ვმტრობთ, როცა რაღაც აკვიატებულ იდეას ვემონებით.

2433. ყველაზე მეტად ადამიანებს ჯანსაღი და პრაქტიკულად გამოსადეგი აზრების გათავისება უჭირთ, რომლებიც აგებულია მომავლის რეალურ საჭიროებაზე.

2434. გადმოფრქვეული სიტყვები მის პატრონს უკვე აღარ ეკუთვნის. ის განსჯადი გონიერების საკუთრებაა თავისი გამოყენების უნარითურთ.

2435. განსჯად აზროვნებას საქმიანობის დაბოლოება უადვილდება.

2436. წარსულის დამახინჯებით წარმოდგენა ადვილია, მომავლის ოცნებებით გაფეტიშება – ადვილზე ადვილი.

2437. ბოროტების ტრიუმფს არც გონიერებასთან კამათი შველის და არც მონდომება, სანამდის საზოგადოებრივი აზრი მას ხელს არ შემოულაწუნებს.

2438. ჭკუა-გონების ტრიუმფი საზოგადოების განვითარების პირობაა.

2439. ერთის ჭკუა კარგია, ორის ჭკუა მისაღებია, ხოლო სამისა ყველა შემთხვევაში ზედმეტია, რადგან ერთიანი აზრის შემუშავებას ხელს უშლის.

2440. ჩვენს თავში ხშირად ცდილობენ შეძვრომას ის აზრები, რომელთა ადგილი იქ არ არის, მიუხედავად იმის რწმენისა, რომ ის სხვა ჭკუა-გონებისათვის არის დაჯავშნული.

2441. გმირის გამონახვა ყოველთვის საჭიროა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების აზრი მყაყდება და მისი სიახლისკენ დაძვრა ჭირს.

2442. იდუმალი აზროვნების ინტერესების შელახვა, ჩვენი მეობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის ტოლფასია.

2443. აზრის სიძლიერე შესრულებული საქმის საძირკველის სიმყარით იზომება.

2444. მიუჩვეველ აზრებს მიჩვევა სჭირდება, თუ ის უკეთეს ცხოვრებასა და ქვეყნის ძლიერებას გვპირდება.

2445. აზრიანად იკამათეთ, მაგრამ აზრის მოსმენა და განსჯა ისწავლეთ – ასეთია საყოველთაო გონიერების დევიზი.

2446. საზოგადოებრივი აზრი გასათვალისწინებელია, მაგრამ ყველა მისაღები არ არის, რადგან უმეტესობა უაზროდ აზროვნებს.

2447. ხშირად არ იჩეკება ისეთი აზრი, როგორიც ჩვენ შეგვფერის და მოგვწონს.

2448. აზროვნების თავისუფლებას კრიტიკულ გონიერებაზე მორგებული სამოსელი სჭირდება.

2449. არის ვაი და უი აზრების მქონე ადამიანი, რომლის უაზრო აზრებსაც პირის გაუღებლად, წინასწარ ხვდებით.

2450. საკუთარი აზრის ქონა კარგია, მაგრამ სხვათა გადარწმუნება მეტ სიამოვნებას გვანიჭებს.

2451. აზრის გამოხატვის უნარი ერთნაირი საქმის კეთებისას ჭკვიანისა და სულელისა ზოგჯერ ემთხვევა ერთმანეთს და ეს თავად საქმის დამსახურებაა და არა მათი აზროვნებისა.

2452. გონიერება სიზარმაცეს არ გვაპატიებს.

2453. აზროვნების უდიდესი დამსახურება ისაა, რომ თავისუფლებას გვაძლევს საჩუქრად და დამოუკიდებლობას გვანიჭებს.

2454. ყბედობა აზრიანი სიტყვების მადლსა და ფასს აკნინებს.

2455. ცხოვრება ჭკუის ჭყლეტაა, მას ხელის განძრევა და მოყვასისათვის თავის შეწუხება აძლევს აზრს.

2456. დიდი პიროვნება მაშინ ახსენდებათ, თუ მისი აზრების გამოყენება დასჭირდათ.

2457. შრომა თავისა და ხელების მონდომების შერწყმის შედეგია.

2458. საღი აზრი თავისებური შემდგარი აფორიზმია.

2459. აზროვნებას არცერთი აფორიზმისა და მაქსიმისთვის არასოდეს უღალატია.

2460. საღი და განსჯადი აზრის მფლობელს გონიერება ალამაზებს.

2461. ღირსეულ აზროვნებას გონის დაწმენდა და წახალისება სჭირდება.

2462. თავაზიანობის ხარისხი აზრის სიმორცხვეს როდი გულისხმობს.

2463. დიდსულოვნებაში საღი აზრი კარგად ბუდობს და სიმშვიდისკენ მოგვიწოდებს.

ასაკი, ახალგაზრდობა

2464. ასაკს აქვს მტკივნეულად გასახსენებელი, რასაც ახალგაზრდობაში ვერ ამჩნევს ან ზედაპირულად უყურებს.

2465. ბავშვის ცნობიერებას სიცელქეც უნდა ამშვენებდეს, თუ გვინდა მისგან პიროვნება მივიღოთ.

2466. ასაკი თუ ახალგაზრდობას იმედით არ უყურებს, მაშინ რაღაცა ეშლება და სწორად არ ფიქრობს.

2467. ახალგაზრდა, რომელსაც შინაგანად არ გამაგრებია სულიერების ღერძი და მისი გონიერება გიჟმაჟობს, ადვილად ეგება ავანტიურაზე. აქ მთავარია გარდატეხის ასაკიდან მისი მშვიდად გამოყვანა.

2468. ასაკი გვაიძულებს, იმ არასასიამოვნო ამბებზე ვიფიქროთ, ახალგაზრდობაში გონიერებას ახლოსაც რომ არ გავაკარებდით. რას ვიზამთ, ასეთია იმქვეყნად გადასახლებაზე ფიქრები.

2469. ახალგაზრდობა სასურველი ლამაზი სიგიჟეა და არა გამოუსწორებელი ნაკლი.

2470. ყველა ბავშვი მომავლის პოტენციური სასწაულია, რომლის შეცნობასაც მეტ-ნაკლებად ყველანი ვცდილობთ.

2471. მხცოვანი უზრუნველ ცხოვრებასა და ფულს უფრო უფრთხილდება, ვიდრე ენერგიას და ასაკის კაპრიზებს.

2472. ზოგჯერ ასაკში უმნიშვნელო რაღაცის კეთებაცაა საჭირო, თავი რომ კომფორტულად იგრძნო.

2473. ჯეელობა იმიტომ გვეძლევა, რომ მომავლის პერსპექტივას ღრმად ჩავწვდეთ, ჩვენს ამქვეყნად ყოფნას ფასი დაედოს.

+2474. ინტერნეტის მეშვეობით გახშირებული დაოჯახება გაუბედავი ახალგაზრდების მომრავლებაზე მიგვითითებს. ისინი ვირტუალურ სამყაროში უფრო თამამნი და შემოქმედნი არიან, ვიდრე რეალურში.

2475. ბავშვების დაღვინებას ბავშვობაშივე არ უნდა შევეცადოთ. ეს იგივეა, მკვახე ყურძნის წვენის დაღვინება რომ ვცადოთ.

2476. დღეს უფროსუმცროსობის ინსტიტუტი მხოლოდ მაშინ მოქმედებს, თუ უფროსი პატივსაცემია ქონებით და არა ხნოვანებით.

2477. ასაკს დიდი გამოცდილება და დიდი გული აქვს, ოღონდ ფიზიკური შესაძლებლობა აქვს სათუო და საჭოჭმანო.

2478. მოგონების შელამაზების წადილი სიბერის მოახლოების მაჩვენებელია.

2479. გონივრული ქცევა არცერთ ასაკს არა სწყენს და არც ჭკუიდან გადაჰყავს.

2480. ყველა ასაკს თავისი ცდუნება ახასიათებს და აქ აკრძალვები ხშირად უძლურია.

2481. ასაკს არაფერი უკვირს და ამიტომაცაა ის დასაფასებელი.

2482. მზრუნველობა, მიტევებაა, თავგანწირვა, მომსახურება, სიყ-

ვარულით მხარში დგომა არცერთ ასაკს არა სწყალობს.

2483. ემოციურობა, იუმორი, ფეთქებადი ქმედებები სტუდენტი ახალგაზრდობის პრეროგატივაა და ამას გაგებით უნდა მოვეკიდოთ.

2484. სიბერეს ხალისი არ მოაქვს, მაგრამ ერთგვარი ბედნიერებაა, როცა ჯანმრთელი რჩები, ასაკს კრიალოსანივით ლამაზად მარცვლავ და ახლობლებს თავს იოლად ამახსოვრებ.

2485. ჯეელობა, საბედნიეროდ, მხოლოდ აწმყოთი ხარობს, მომავალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს.

2486. ასაკში შესულს არა მარტო სამშობლოს სიყვარული, არამედ წინაპართა სული და სისხლი გეძახის და პატრიოტიზმის გრძნობის რეალიზებასა გთხოვს.

2487. ჯანმრთელობა ასაკოვანსა სჭირდება, იღბალი – ახალგაზრდობას.

2488. ბავშვის სულიერ სამყაროში ჩაწვდომა ყველაზე მეტად მხცოვანს ახარებს.

+2489. მხცოვანი თავის ჯეელობას ოცნებით ისე ცხადად წარმოადგენს, როგორც ახალგაზრდობაში არასოდეს უნახავს.

2490. ახალგაზრდობა ჯეელობაში ბედს თავად დაეძებს, ასაკში ბედი თავადვე მოდის და ზოგჯერ ნანატრ მოლოდინსაც ამართლებს.

2491. ასაკის მატებასთან ერთად გონიერება ღვინდება, მაგრამ ენერგია ქვეითდება და რისკის გაწევის სურვილი გვეზღუდება.

2492. ბაბუა თავის ძირითად ფუნქციას ნახულობს: გვარის გამგრძელებელ შვილიშვილს ეთამაშება, თავისი აზრებით მოძღვრავს, ამუნათებს.

2493. ბავშვებისთვის უმთავრესია აღმზრდელი და საზოგადოება, სადაც მას ცხოვრება მოუწევს და არა ის, თუ ვინაა შემქმნელი და გამჩენი.

2494. მიღება-გათავისება ზოგჯერ ისეთი რამისაც შეიძლება, რომელსაც ახალგაზრდობაში ვერც კი იფიქრებდი.

2495. ცუდი ასაკი არ არსებობს, თუ საკუთარი შესაძლებლობის რეალიზებას ახერხებ.

2496. ბარაქა და დოვლათი სიბერის საწინააღმდეგო ბარიკადებად ვერ გამოდგება.

+2497. ასაკსა და გამოცდილებას ბევრი რამის პასუხი აქვს, მაგრამ კითხვებს არავინ უსვამს.

2498. მეორე ახალგაზრდობა – ეს არის ძველი ოცნებით გადასახლება ან კაპიტალური შეკეთება, ოღონდ ისეთი, რეალური შედეგი რომ არ მოჰყვება.

+2499. ასაკოვანი ხალხის საუკეთესო გართობა ძველის გახსენებაა.

2500. სიბერეში კარგი არაფერია: წლების მატება და სხვათა იმქვეყ-

ნად გაცილება სევდის მომგვრელია.

2501. დიდი იმედის გაცრუებაა, როდესაც შვილები მშობლებს არ უმართლებენ და ნიშნს უგებენ.

2502. ანალიზის უნარის მქონე განათლებული თაობა ბევრ სირთულეს ააშორებს როგორც ადამიანს, ისე საზოგადოებას.

+2503. მხცოვანი თავისი წარსულით ახალგაზრდული შემართებით ტრაბახობს.

2504. სიბერე სიცოცხლეს განსაკუთრებით უფრთხილდება, მფარველობს და ამაოებაზე ხშირად ფიქრობს.

2505. ახალგაზრდობის გახსენება მხცოვანს შემართებას, მხნეობას მატებს.

2506. ბავშვის აღზრდა რთულია, რადგან ის შენს დავიწყებულ ბავშვობას ახლებურად გადის დღევანდელობის გადასახედიდან.

+2507. ასაკი არც ჭკუას გვმატებს, არც გენს გვიცვლის, ოღონდ გამოცდილებასა გვძენს.

2508. წინა თაობის ნამსახური მაშინ გამოჩნდება, როცა მომდევნო მოიმკის შედეგს.

2509. „პახმელიაზე“ გაკეთებული არც საქმე უქნია ღმერთს და არც ღლაპი: რაღაც ზადი რომ არ გამოჰყვეს, შეუძლებელია.

2510. ხშირად ბავშვებს ის უნიკალური სიბრძნე ახასიათებთ, რომლის ახსნასაც ხშირად დიდებიც ვერ ახერხებენ.

+2511. ასაკის მატება განათლებისა და სწავლის შეწყვეტის უფლებას როდი გვაძლევს.

2512. თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის გულით უმთავრესად ახალგაზრდობა იბრძვის, მაგრამ ჭკუით სხვა რამ გამოსდით.

2513. ნორჩი დრეკადია, მართვადია – ეს ხის ყლორტი იქნება თუ ცხოვრების ასპარეზზე ახალგამოსული.

2514. ბავშვმა მშობლების სიყვარული და მზრუნველობა პატარაობიდანვე უნდა იგრძნოს და დააგულისყუროს.

2515. ურთიერთობა ცოცხალიც უნდა იყოს და მსუყეც, რათა ქალ-ვაჟმა ერთურთს გაუგოს.

2516. ბავშვის ყურადღების მიპყრობა ადვილია, თუ მას განზრახ გავებუტებით.

2517. სიბერის ნაკლია: გულს უნდა, სხეული არ გემორჩილება, სული იღვწის, ხორცი მხარს არ უბამს, ჭკუა თუხთუხებს, მაგრამ ხელს განძრევა უჭირს.

2518. ბავშვის დაუნაგვიანებელი და შეუვსებელი „მეგაბაიტი“ ყოველივეს უდანაკარგოდ ისრუტავს და აშენებს. ამიტომ გარეშენი ვალდებული არიან, ის თავიანთი დაუფიქრებელი ყბედობით არ დაანაგვიანონ.

+2519. ზოგი სიბერისთვისაც კი გვიან მწიფდება.

2520. შვილებს კარგი მამებისა შურთ, ოღონდ ეს თეთრი შურია, რომელშიც მოწონება გამოკრთის.

2521. ასაკის მატება მრავალს მეგობარსაც დაგაკარგვინებს, შეხედულებებს გადააფასებს, იმასაც, რაც „გწამდათ ძველად“.

2522. ყველა ეპოქას თავისი დროის ჭრილობები აქვს მოსაშუშებელი, რომელთა მკურნალობა მომდევნო თაობათა საქმეა.

+2523. ბებერი ფინიში გვაფიქრებს ყოფის წარმატების ხარისხზე და არა ახალგაზრდა, დაუღვინებელი სტარტი.

2524. მშობლების ძირითადი ვალია შვილების გაჩენა, დაფინანსება; რაც შეეხება აღზრდას, მასზე სერიოზულ გავლენას დრო და გარემო ახდენს.

2525. შვილები ხშირად ჩვენს ჩვევებს ბაძავენ, ვიდრე ჩვენს დარიგებას, გამოცდილებას იზიარებენ.

2526. ახალგაზრდობის თავქარიანობის მადლს ისევ მოჭარბებული ვნების ჭკუაზე მოსიარულეთა მცდელობა განსაზღვრავს და განსჯის.

2527. ბავშვის სურვილთა ჩაუწვდომლობა, ნორჩის თვალში მშობლის ავტორიტეტის დაბლა წევს.

2528. მხოლოდ შვილიშვილით გვწამლობენ იმ შხამისაგან, რასაც თავის დროზე იმათი მშობლები გვასმევდნენ.

2529. მშობელიც განგების საჩუქარი უნდა იყოს, რათა შვილებმა მშობლების ხელში თავი დამცირებულად არ იგრძნონ.

2530. ნოსტალგიას რეალურად ჩვენი ახალგაზრდობა იწვევს და არა დროის ყივილი და ჩვენ ირგვლივ მყოფნი.

2531. არის ასაკი, რომელსაც წინდახედულება, გონიერება და მიმტევებლობა სხვა წლებზე მეტად მოეთხოვება.

2532. ახალგაზრდები ნიჭიერები არიან, ხოლო მათ პატარა ნაკლი აქვთ – დაბრძენება-დაღვინება სჭირდება.

2533. სიბერისთვის ჯეელობისას უნდა ვემზადოთ, თუ გვინდა, ღრმა სიბერეს ფეხზე ამდგარი და უსკლეროზოდ შევხვდეთ.

2534. დღეს შრომა-მცდელობა ასაკს არ სიამოვნებს, მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ სხვა დროში ცხოვრობს, სხვა შესაძლებლობებს ფლობს.

2535. სიბრძნე, დამსახურება და სახელი ასაკის გადასახედიდან სხვაა, ჯეელობის შემართებიდან – სხვა, მაგრამ საქმის კეთება მაინც ახალგაზრდებს უნდა ვანდოთ, რადგან პროგრესისკენ მათი მისწრაფება და ენერგია ცხოვრების გამოუცდელობის ყველა ნაკლოვანებას ფარავს.

+2536. ასაკი კარგი შემოქმედი იქნებოდა, მას რომ ჯეელის ჯანი მოსდევდეს.

2537. მარად გაოცება ჯეელობის მაჩვენებელია.

2538. სხვებთან თავის მოსაწონებლად ხშირ-ხშირად მძიმე ბავშვო-

ბის გახსენება სიამოვნებას გვანიჭებს.

2539. მხცოვანი იდელურ ქალს წარსულში ეძებს, რადგან სიბერე ახლის მოძიებას საშუალებას არ იძლევა.

2540. მხცოვანება, ასაკი, წესით, გონიერების სინონიმია, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ გონიერების ამ სიმდიდღეს არც სხვა იყენებს და უძლურების გამო შენც აღარ გჭირდება.

2541. შვილებზე ყოველთვის დიდი იმედს ვამყარებთ, მაშინაც, როცა ჩვენი ნაოცნებარის ათ პროცენტსაც ვერ ამართლებენ და გვარცხვენენ.

2542. ბავშვობის გახსენება ყოველთვის გვსიამოვნებს, თუ დღევანდელი ბავშვების ყოფას არ შევადარებთ.

2543. ახალგაზრდულ ენერგიასა და დაღვინებულ ჭკუას მთის გადატრიალებაც შეუძლია, გვირაბის გათხრაც და გზის გაკვლევაც, თუ შეაქებენ და მხარს აუბამენ.

2544. ბავშვის შეცნობას მისი ტყუილში გამოჭერა გვიადვილებს.

2545. მხცოვანს ცვლილებები მოსწონს, ოღონდ ისინი მისი ცნობიერების ფილტრში უნდა იყოს გატარებული.

2546. მხცოვანები, სიკვდილის წინაშე მდგარნიც, მაინც სიცოცხლეს ეთამაშებიან.

+2547. სიბერე რადიატორის სითბოზე მეტად სულიერ სითბოს მოითხოვს.

2548. სიბერეს ჯეელობის რაობა და ყოფიერების კიბეებზე არბენა-ჩამორბენა განსაზღვრავს.

2549. ყველა ჩვენგანი იმქვეყნიურ მარადიულ ნეტარებას ღრმა ასაკში აცნობიერებს.

2550. ხშირად პატარების ნება-სურვილზეა უფროსების ქმედება დამოკიდებული და არა გამჭრიახობაზე.

2551. მოხუცის რჩევა ჯეელს, შეიძლება, სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ მის სიტყვებზე დაკვირვება, მათი გააზრება აუცილებელია.

2552. ასაკი ცოცხლებს დაჭმუჭნულ ბებრებად გვაქცევს, განსაკუთრებით ჯეელობის წლების გადასახედიდან.

2553. ჯეელობისას აქტიური დასვენებით უფრო ვიღლებოდით, ვიდრე – ბეჯითი მუშაობით.

2554. ყრმათა უმთავრესი დამოძღვრა-სწავლება უნდა იყოს ეროვნული გამრავლების იდეოლოგიის დანერგვა.

2555. 20 წლის ბიჭისთვის 70 წლის მამაკაცი ძალზე მოხუცად გამოიყურება და იმქვეყნად მისი გადასახლება დიდ ტრაგედიად არ მიაჩნია, ხოლო 70 წელს გადაშორებული მამაკაცისთვის 100 წელიც ძალზე ცოტაა, იმის ცოდნის მიუხედავად, რომ ამ ასაკამდე მიღწევა დიდი გამართლებაა.

+2556. სიბერე ცუდია, მაგრამ დაუბერებლობას მაინცა სჯობს.

2557. ნიღბის მორგება, გაზეპირებული სიტყვა-პასუხი ახალგაზრდობას ხელით დასაქოქ თოჯინად აქცევს და არა შემოქმედ ადამიანებად.

2558. ზოგჯერ ახალგაზრდებს „დასვენებისგან დაღლას“ დასვენებად ვუთვლით ან თვითონ მიიჩვევენ ასე.

2559. ბავშვი, დიდების დაუხმარებლად და მათგან განსხვავებით, ყოველთვის ტკბება ცხოვრების სილამაზით.

2560. ჩვენი ყოფის ანი და ბანი ბავშვობის გახსენება, ტკბილი მოგონებებია.

2561. მხცოვანი თუ საკუთარ თავს დიდ მოთხოვნებს უყენებს, მაშინ მოვალეობას იხდის საკუთარი პიროვნების წინაშე.

2562. პატრიოტიზმის ნოტებზე აწყობა განუსჯელმა უპრობლემო ახალგაზრდობამ იცის. როდესაც ის ჯერ კიდევ მომწიფების ასაკშია, თავის წარმოჩენა სურს და სხვა საქმე-საფიქრებელი ჯერ კიდევ არ აქვს.

2563. სიბერე დიდი ბედნიერებაა: განსაკუთრებით თუ ფეხზე დგომასა და გადაადგილებას არ გამადლის.

2564. ძველს მოვლა-მოფრთხილება უნდა, რათა მომდევნო თაობებმა მასში თავიანთი მომავლის ანარეკლი იხილონ.

2565. მხცოვანის აზრით,ტრადიციული ისტორიული ტალავერი მისასალმებელია, ხოლო ახალგაზრდისთვის ყოველივე ეს მოდაგასული და მოსაბეზრებელია.

2566. „სასაცილო შატალო“ საჭიროცაა სკოლაში სწავლის დროის სასიამოვნოდ გასახსენებლად.

2567. გვინდა – არ გვინდა, პატარებს ყველანი თავს ვუყადრებთ და მათს ნება-სურვილს გარკვეულ დრომდე ვემორჩილებით.

2568. მოხუცი თავის ახალგაზრდობას საკმაოდ დავიწყებულს, შელამაზებულად იხსენებს.

2569. შვილებისთვის უცხოა მათი ქმედების გამო მშობლების განცდები, სანამდის ასაკი მათ თავში ხელს არ წამოარტყამს.

2570. შვილი ისე უნდა შთავაგონოთ, აღვზარდოთ, რომ მისი პირველი სიყვარული სამშობლო გახდეს.

2571. ახალგაზრდობას სიბერეში ჩვენთვის სასურველი ყოფის ალგორითმებამდე ვერ მივყავართ.

2572. ჯეელობის ცოდნა – გადაცდენები უნდა დავივიწყოთ, რათა ცხოვრებას მეტი ეშხი შევმატოთ.

2573. მხცოვანს წარსულში უფრო მეტი საინტერესო და სასიამოვნო გასახსენებელი აქვს, ვიდრე აწმყოში, მაგრამ ამ ვითარების გამო არა თუ წუხს, არამედ კმაყოფილია.

2574. როდესაც პატარა უკმაყოფილოა, ყოველთვის დიდია დამნაშავე: ან დროულად ვერ აჭამა ალიყური ან საჭმელი, ან დროულად ვერ მოეფერა ან გაუწყრა.

2575. კარგი აღზრდა ისაა, როდესაც ახალგაზრდები ყოფიერების „რეპეტიტორების“ დაუხმარებლად ახერხებენ სასიკეთოდ ცხოვრებას.

2576. ბავშვები ფიქრსა და აზროვნებას უჩვენოდ სწავლობენ – ამას კი თავიანთი „ეშმაკობით“ გამოხატავენ.

2577. შვილის დანიშნულებაა, მშობლებს თავისი ქმედებით სიბერე გაულამაზოს და თავისი ახალგაზრდული აღტკინების რაღაც ნაწილიც უწილადოს.

2578. ჯეელობას მოხუცებულობაში შევნატრით, ამ ოცნების აუხდენლობის ცოდნის მიუხედავად.

2579. ჯეელობაში ყველა თავისი სანუკვარი სიცოცხლის წყაროს უნდა ეძებდეს, რომელსაც სიბერეში სიამოვნებით შესვამს.

2580. სიბერეში მშობლების გახსენებამ გულის აჩუყება იცის.

2581. მოუწესრიგებელი, არაორდინალური ბავშვებისაგან ვიღებთ გენიოსებს და არა მოწესრიგებულებისაგან.

2582. ჯეელობასთან გონიერების შერწყმა პიროვნებას ბადებს.

2583. ჯეელის სიტყვა და სურვილები თუ მამაკაცისას ემსგავსება, მისგან პიროვნებასაც მივიღებთ.

2584. საკუთარი ბავშვობის გახსენება განსაკუთრებით აღმზრდელებისთვის არის აუცილებელი.

2585. ასაკოვანი ადამიანისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე მოგონებებია.

2586. მხცოვანისთვის ძველი დრო, დღევანდელობასთან შედარებით, უკეთესი იყო, რადგან ჯეელობაში ის განსჯით თავს არ იწუხებდა.

2587. სიბერეში დიდი პიროვნებებიც ხშირად მარტონი რჩებიან, იმდენად გაუგებარია სხვათათვის მათი შინაგანი სამყარო და ნიჭი.

2588. ჩვენთვის ხილული და შეუცვლელი სიყვარული ბავშვებია მანამდის, სანამდის „გავირდებოდნენ“.

2589. დღეს ბავშვის მომავალი ლეპტოპს უკავშირდება, როდესაც ნორჩი ბიოგრაფიას თავადვე წერს და თავადვე ხვეწს ადრეულ ასაკშივე.

2590. წლების მატებას პატივისცემით უნდა მოვეპყროთ, რათა ამქვეყნად ვალმოხდილების შეცნობა გაგვიადვილდეს.

2591. ხშირად გადაცდენა ახალგაზრდული სულის გაჯეჯილების შედეგია.

2592. ქცევასა და მანერებს ასაკი აკონტროლებს და განსჯის.

2593. სასურველია, ბედნიერები ბავშვობაში ვიყოთ, რადგან ის ნეტარსახსენებელი დროა.

2594. ფასეულობანი და აღტაცება თითქმის სინონიმებია, მაგრამ ეს უკანასკნელი ახალგაზრდა ასაკს უფრო ამშვენებს.

2595. სიბერესაც მისთვის გასაგები რომანტიზმი ახლავს, თუ გიცხოვრია და მარტოოდენ არ გიარსებია.

2596. ბავშვებმა სინამდვილეში კარგად იციან, რა სურთ, მაგრამ გამოცდილება არ ჰყოფნით თავიანთი აზრის ზუსტად გამოსახატავად.

2597. არჩევანს ბავშვები არ აკეთებენ, მაგრამ მშობლების უყაირათობა, უმწეობა, უუნარობა სამუდამოდ ამახსოვრდებათ.

2598. ცელქი ბავშვების მშობლები ნორჩთა გამოხდომების გამო ზოგჯერ ერთმანეთს სერიოზულად უპირისპირდებიან, რაც მათს უნიათობაზე მიუთითებს.

2599. ჩვენი პატარები შინაური ტირანები არიან, რომლებიც თავიანთი ცელქობით სიმშვიდეს გვიფრთხობენ.

2600. კუდის საბოლოო მოქნევას ყველა დაღვინებული პიროვნება ცდილობს.

2601. ყოფიერების უღრან ტყეში ხეტიალი სარისკოა და საინტერესოც, მაგრამ ასაკში შესულთ დაბურული ტყის ტევრში სიარული ურჩევნიათ.

2602. ჭაბუკური შემართება სულიერებას, ნიჭს სიცოცხლის ბოლომდის კვებავს და ასაზრდოებს.

2603. ახალგაზრდობას წინაპართა ვალი და ვახში მუდამ აქვს.

2604. ახალგაზრდობა დიდი სტიმულია, თუ მას ყოფა ზედმეტად არ აკონტროლებს.

2605. ასაკმორღვეულები არ ბერდებიან, მარად ახალგაზრდებად რჩებიან და სულიერად ჭაბუკნი გადადიან იმქვეყნად.

2606. ბავშვს უპირველესად აღზრდა სჭირდება და არა გაზრდა.

2607. ბავშვთა სამყარო უფრო ახლოა ღმერთთან, სიმართლესთან, სიხარულთან, სიყვარულთან და ამიტომაც მათ ცელქობა არ უნდა აუკრძალოთ.

2608. ენთუზიაზმის ნებისყოფად გადაქცევა ასაკის დამსახურებაა.

+2609. მართალია, შვილები ცხოვრების ყვავილები არიან, მაგრამ მათში ზოგჯერ ბაბუაწვერას მსგავსიც გამოერევა, რომელსაც დროებით სიძნელის ქარი შეუბერავს და მისი მომხიბვლელობიდან არაფერი დარჩება.

2610. ჯეელობასა, ასაკსა და სიბერეს შორის ის სხვობაა, რომ პირველი ბევრი რამის კეთებას ცდილობს, მეორე რაღაცის კეთებას ასწრებს, ხოლო მესამე ყოფიერების შეცნობას ცდილობს ჯეელობის ნამოქმედარისა და დაღვინებული ასაკის გონიერებასთან შერწყმით.

2611. ახალგაზრდობას ძალზე უჭირს მოდის კაპრიზებისგან თავშეკავება, რადგან იგი თავისი დროის ძუძუმტეა.

2612. ახალგაზრდული ქარაფშუტობით გამოუყენებელი ნიჭიერების ვალი სიბერეში მაინც უნდა გადავიხადოთ, რათა თაობებმა გატაცების შედეგად გაცდენილი დრო გვაპატიონ.

2613. ცოდნის მარაგი სიბერეში თანდათან მცირდება, რადგან წელთა სიმრავლეს სიახლესთან შეჭიდება უჭირს.

2614. გენიოსი ბავშვებისა არავის შურს, რადგან ისინი თავიანთი ასაკის გამო სასურველი ადგილის დაკავებაში დიდებს ჯერ კიდევ არ ეცილებიან.

2615. სიბერეს ახალგაზრდობა აგდებულად მანამდე უყურებს, სანამდის თავადაც წლებით არ დამძიმდება.

2616. იმქვეყნად სხვების გადაბარგების ცქერა ჩვენთვის ყოველთვის ადვილი იყო, განსაკუთრებით, თუ ასაკში ვართ.

2617. უსუსური და უნიათო რომ არ გამოვიდეს, სჯობს ბავშვი თავისი ჭკუით მომწიფდეს და არა თქვენი ჭკუით, რომელსაც ობი ედება.

2618. ახალგაზრდობა ყოველთვის დროსა და გარემოს შესატყვისად „აფრენს“ და მათი ჯეელური გენეტიკისთვის კანონების სიმკაცრის ცოდნაც არაფერია,

2619. ბავშვის სიცელქით, არაორდინალური ქცევით უფრო ამაყობენ მშობლები, ვიდრე მისი წყნარი ბუნებით, რადგან ბავშვის ენერგიაში ისინი სიახლისა და გამორჩეულობისკენ სწრაფვას ხედავენ.

2620. ბავშვს ყმაწვილად ქცევა ვაცალოთ, რათა ბავშვობის სანატრელი წლები დროზე ადრე არ განვლოს.

2621. ძალაუფლების, ფულისა და მიმზიდველობის დაკარგვა ასაკმა იცის და არა ეშმაკის ნებით ბედის ქვაზე ფეხის წამოკვრამ.

2622. ასაკს ჭკუა-გამოცდილება ემატება, თორემ შესაძლებლობა-შემართება აკლდება.

2623. მიანიჭეთ ბავშვებს მათთვის განკუთვნილი სიამოვნება, თუ გინდათ, ამ სიამოვნების ნაწილი უკანვე დაგიბრუნონ თავიანთი კარგი კაცობითა და ყურადღებიანობით.

2624. ჩვენს სულიერებაში დაბინავებული სასიამოვნო ბავშვობის გახსენება მომავალში სიკეთის კეთების გარანტია.

2625. მხცოვანი თვალის ერთი შევლებით აფასებს ადამიანს, მაგრამ ამ ცოდნას ვერ იყენებს, რადგან დაუძლურებელ სხეულებს ერთმანეთი საქმიანი ურთიერთობისთვის აღარ სჭირდებათ.

2626. სიზარმაცე ყველა ასაკს აზიანებს.

2627. ბავშვს სიყვარულით უნდა მოვეპყროთ და მის კაპრიზებზე უარის თქმას უნდა შევაჩვიოთ, თუ გვინდა, რომ ქვეყანას სასიკეთო შვილი აღვუზარდოთ.

2628. ასაკს იმდენად თანაგრძნობა არა სჭირდება, რამდენადაც დაფასება და აღიარება.

2629. არიან პატიოსანი, უღალატო ადამიანები, რაშიც ლომის წილი მათს პატიოსნების ჰორმონებს უდევთ.

2630. თუ მგელი უაზროდ ყმუის, ე.ი. რაღაცაზეა განაწყენებული. ასევეა პატარა ბავშვიც, რომელიც უმიზეზოდ ტირის, ე.ი. მას ვერ უგებენ და არც სიყვარულით ეფერებიან.

2631. პატარას არ უნდა ვეძახოთ, რომ ის ცუდი ბიჭია, რათა მას დიდობისას ცუდისკენ ლტოლვა არ დასჩემდეს.

2632. არასაკმარისად ინფორმირებული ახალგაზრდის დაუღვინებელ და წარმოდგენებით გარყვნილ გონებას სიკეთე არ მოაქვს.

2633. ბავშვები ჩქარობენ, რომ დიდები გახდნენ, ხოლო დიდებს ბავშვობაში დაბრუნება ეხალისებათ.

2634. შვილები გარკვეულ ასაკში, შეიძლება, მშობლებს უყურადღებოდ ტოვებენ, მაგრამ შინაგანად მათ მიმართ სითბოს განიცდიან.

2635. ასაკი მხოლოდ გაუბედავთა და უხალისოთა სასჯელია.

2636. ასაკი ახალგაზრდობას უნდა მისტიროდეს, ხოლო ახალგაზრდობა – ასაკის გამოცდილებას.

2637. ასაკი ავი დიაგნოზი როდია, თუ გული გიცემს, ჭკუა ჭრაჭუნობს და სულიერება არ გღალატობს.

2638. მთავარი წლების მარაგი კი არ არის, არამედ მისი დაღვინების ხარისხი.

2639. ზოგი ბავშვი ეკლიანი ვარდივითაა, ზოგი – მომხიბლავი მინდვრის ყვავილივით, მაგრამ აქ უმთავრესია, რომ ისინი ყვავილების ოჯახს მიეკუთვნებიან და იმედის თანაბრად მომცემნი არიან.

2640. სიბერე და ასაკის მატებაც შეფარდებითია: ზოგს ჭკუას მატებს, ზოგსაც ასულელებს და სკლეროზით „ასაჩუქრებს“.

2641. ასაკსაც თავისი კაპიზები აქვს: ზოგს ასულელებს, ზოგსაც აღვინებს; ბრიყვისა და ჭკვიანის სტატუსსაც თავისებურად არიგებს.

2642. ახალგაზრდობასაც დროულად უნდა შევეხმიანოთ და გავუგოთ, რათა მათ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები გონივრულად განსაჯონ და მათთვის საჭირო და მისაღები დროულად გაითავისონ.

2643. დიდება – შექება, ასაკში უფრო შესამჩნევი ხდება.

2644. კაცი ახალგაზრდული საწყისით ცოცხლობს და სიამტკბილობით ბერდება.

2645. ბავშვობა თავდაყირად ყოფნის სურვილია, მხიარულებისა და „დამინახეთოს“ მოთხოვნით.

2646. პატარებს აწმყოში ნანახი ყოველთვის დიდად ეჩვენებათ, ხოლო დიდებს წარსული – პატარად და წამიერ გაელვებად.

2647. კანონი და კანონიერება ახალგაზრდების მოქმედების სიგნალად უნდა იქცეს, თუ უნდათ მათდა უნებლიეთ ჩადენილ უგუნურება-გადაცდენებს შეღავათი გაეწიოს.

2648. ახალგაზრდობა თუნდაც ამიტომაცაა კარგი, რომ ზომიერი, არაორდინალური და დასამახსოვრებელი სისულელის ჩადენას არ გვაყვედრის.

2649. ახალგაზრდობაა ის, რაც ასაკის გამოცდილებას და მის პოსტულატებს არ ეთანხმება, ხოლო ასაკია ის, რომელიც ახალგაზრდობას შემწყნარებლურად და ღიმილით უყურებს, რაკიღა თავისი ჯეელობა სინანულით აგონდება.

2650. ყველა თაობას თავისი კერპი უნდა ჰყავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უაზრო დოგმების მსხვერპლი ხდება.

2651. გამოცდილებას, ენერგია-შემართების გარეშე, საქმიანობა უჭირს, რადგან ასაკის მატება ხალისს უკარგავს, ურომლისოდაც წარმატების მიღწევა შეუძლებელია.

2652. არის ასაკი, რომელსაც ჭკუა არ ეკითხება, მაგრამ კარგია, თუ ეს ასაკი ავად თუ კარგად დროულად მთავრდება.

2653. ბავშვობას რა სჯობს, მაგრამ ცნობიერებაჩამოუყალიბებელ, სისხლსავსე ყმაწვილკაცობას არაფერი შეედრება.

2654. სიმშვიდე და დაწყნარებული გონიერება ხშირად ასაკში მისდაუნებლიეთ ძალაუფლებისკენ ილტვის, იმდენად უვითარდება სამართლიანობის გრძნობა.

2655. სიყრმე ოცნებაში ჩაფლობა და იქიდან გამოსავლის ძებნაა.

+2656. ადამიანი ასაკში ჭკუას რომ აკრეფს, შემდგომ ტანის აკრეფა უჭირს და ესაა ამ ცხოვრების აქილევსის ქუსლი.

2657. ასაკის მატების სიკეთე უპირველესად აღზრდის დამუღამებით უნდა მოგვევლინოს, რათა მომდევნო თაობებს საყრდენი ჰქონდეთ თავიანთი მიზნების გასახორციელებლად.

2658. სიბერის გამოცდილებისა და ახალგაზრდული შემართების შერწყმით ცხოვრობა იოლდება.

2659. ახალგაზრდობა იმითაც არის კარგი, რომ უნებლიეთ დაშვებული გადაცდენები არ ამახსოვრდება და ისინი „ხახვივით შეგრჩება“.

2660. დაღვინებული ასაკი მიმტევებელია და მას წინდაუხედაობა არ აკლია.

2661. ახალგაზრდობას გამოცდილება არ უნდა მოვსთხოვოთ, ასაკს კი – შემართება, მხოლოდ თანადგომა და ასე შევძლოთ მათი ძლიერი მხარეების შერწყმა.

2662. პატარები ასე მომხიბვლელნი და საყვარლები რომ არ იყვნენ, ვერ გავზრდიდით, ხოლო ჯეელები ასე მეოცნებენი, მიზანდასახულნი ჯიუტები რომ არ იყვნენ, პიროვნებებად ვერ ჩამოყალიბდნენ.

2663. სიბერეში მეგობრებს ვკარგავთ როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერადაც და ამ უკანასკნელის დაკარგვა გაუგებარია იმ დროს, როდესაც გასაყოფი, წარსული დამსახურებით თავის მოწონების გარ-

და, არაფერია.

2664. ასაკოვანი ადამიანის სიკვდილი მის ახლობლებს არ უნდათ, მაგრამ არც წინააღმდეგები არიან, თუ იმქვეყნად ის უეცრად გადაბარგდება და მასზე მზრუნველობის ტვირთისაგან დროულად განთავისუფლდებიან.

2665. უშიშროების კომფორტი გრძნობათა შერწყმას ითხოვს, იმისდა მიუხედავად, რომ ასაკის მატებას თავისი გაგების კაპრიზებიც ახლავს.

2666. ახალგაზრდობის ბუნებრივი მოწოდებაა თავის მოგიჟიანება, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს სხვათა სიმშვიდის დარღვევის ხარჯზე.

2667. გასაგებია, რომ ყველამ თავისი ასაკის შესაფერისი სისუსტე დროულად უნდა გამოავლინოს, მაგრამ ამ სისუსტეს თუ არ გამოავლენს, უკეთესია.

2668. ახალგაზრდობა ასაკთან შეუჯერებლად ტრაგედიას ბოლომდის ვერ აცნობიერებს.

2669. ჩვენს ამბიციებთან, მოთხოვნებთან, ფანტაზიებთან შედარებით ზოგჯერ ყველაფერი არაფერია.

2670. გადასული წლების მოულოდნელი ამოტივტივება სიბერეში ნაღვლიან სიხარულს გვმატებს.

2671. ჯეელობისაგან განსხვავებით, ასაკი პატარ-პატარა სიხარულის დაფასებას სწავლობს.

2672. ნამდვილ ღირებულებათა შეცნობისა და განსჯის უნარი ასაკის მატებასთან ერთად მოდის, მოდის მაშინ, როდესაც ჭკუა-გონებას დაღვინება აღარ აკლია.

+2673. ჩვენი ასაკის პირველი წარმომჩენი სარკეა, ხოლო უტყუარობის ბეჭედი – ფოტოსურათი.

2674. ზოგჯერ სიტყვით გამოუთქმელ მადლიერებას ბავშვი ერთი ღიმილით გამოხატავს და გაგრძნობინებს.

2675. ყოველი ახალშობილის დაბადება-გაჩენაზე პატენტი უნდა გაიცეს, დროდადრო იმდენად სხვადასხვანაირი ვხდებით ამ ყოფაში ჩაცვენილნი.

2676. ასაკი გამოცდილებასა და გამბედაობას გვმატებს და არა ჭკუასა და შემართებას.

2677. ასაკს, ახალგაზრდობისგან განსხვავებით, გადაცდენა და ზედმეტად ლმობიერება ნაკლებად ეპატიება, რადგან მას გამოსწორების დრო აღარ რჩება.

2678. ასაკის მატება სენტიმენტალობას გვმატებს და სამართლიანობისკენ მიდრეკილებას აორკეცებს.

2679. სიზარმაცის, უნიათობის, პრეტენზიულობისა და სხვა ამდაგვარ სისულელეთა გამო, სიბერეში უნდა ვეცადოთ, თანამდგომი და

თანამოაზრენი არ დავკარგოთ, რადგან ამ ასაკში დაკარგულის პოვნა და აღდგენა არ ხდება.

2680. მართალია, სიბერეს არ შეშვენის სხვებისთვის დაძალებით ჭკუის სწავლება, მაგრამ ახალგაზრდობასთან საერთო ენის გამონახვა აუცილებელია.

2681. გამომწვევი ჩაცმულობა ახალგაზრდებს უხდებათ და საჭიროცაა საკუთარი თავის წარმოჩენა-შესაცნობად, ოღონდ გადამლაშება არ ვარგა.

2682. გარდატეხის ასაკში უშეცდომოდ ცხოვრება გამორიცხულია, მაგრამ არ უნდა გადავამლაშოთ, რათა გაგიგონ და შენ მიმართ შემწყნარებლები იყვნენ.

2683. კარგი იქნებოდა, ასაკის მატება-დაბერების ნაცვლად, წლების ზემოქმედება გვაკლდებოდეს და არა გონიერება და მახსოვრობა.

2684. სიბერესმიღწეული ადამიანი თავდაჯერებულია, მაგრამ შემწყნარებელი და დამთმობია.

2685. ყველა ბავშვი ჩვენი გადასახედიდან პრობლემატურია, მაგრამ ამის შემჩნევა არ ღირს.

2686. სიბერეს ცხენზე ამხედრებულნი უნდა შევხვდეთ, რადგან გაგვიმართლა და დაუყვედრებლად ვკრეფთ და ვაგროვებთ წლებს.

2687. რატომღაც სიცოცხლეს ასაკში, წლების შემატებისას, უფრო ვუფრთხილდებით და ვაფასებთ, ვიდრე ახალგაზრდობისას ესეც, ეტყობა, სიბერეში სიცოცხლის უკეთ შეცნობის ბრალია.

2688. მოგებულ და უპრობლემოდ განვლილ წლებს ვერავითარი მიღწევები ვერ შეედრება, თუ გონივრულად განვსჯით.

2689. სიცოცხლის მადლის აღქმას წლების მოჭარბებული მატება არ შველის, ის მაინც გაუცნობიერებელია.

2690. ბავშვის გულწრფელი ტირილი ჩვენი სულიერებისთვის ბრძანებაა, ვიდრე თხოვნა.

2691. პოპულარობისკენ ლტოლვა – ეს არის კომპენსაცია ჩვენი არშემდგარი ბავშვობისა.

2692. ყველაზე უკეთ სიბერეში ვაანალიზებთ, ბედნიერად, ჩვენს ჭკუაზე განვვლეთ ეს ცხოვრება თუ არა, დასკვნების მიუხედავად, გარკვეული სინანული და უმადურობა ამ ყოფის მიმართ მაინც გვრჩება.

2693. ჩვენ მიერ გავლილი წლები ზოგჯერ აღფრთოვანებას არ იწვევს, მაგრამ ისინი ჩვენი საკუთრება გახდა და მათ ვერავინ შეგვიცვლის.

2694. ძნელია ჯეელობაში არ ითავხედო, თუ ამის საშუალებას დრო და გარემო და გაძლევს.

2695. განუსჯელი და მხიარული ახალგაზრდობის უკეთ დასამახსოვრებლად ფულის შოვნა და გადახდაა საჭირო.

2696. ყველა ასაკი დროსა და გარემოს გათვალისწინებით უნდა გავაცნობიეროთ, რათა ცხოვრება არ გავირთულოთ.

2697. სიყვარულისადმი ყველა ასაკს თავისებური ბრმა დამოკიდებულება აქვს.

2698. სიბერეში გამოცდილება მატულობს და არა თანდაყოლილი ჭკუა-გონება.

2699. თინეიჯერები ბევრ დაუფიქრებელ ნაბიჯს დგამენ თავიანთ გულღიაობისა და თავის წარმოჩენის მცდელობის გამო, მაგრამ ეს მათი აზროვნების შედეგი არ არის, რადგან ის ჯერ კიდევ მოუმწიფებელია, და ამიტომაცაა, რომ რაღაც-რაღაცებს ვაპატიებთ ხოლმე.

2700. ბერს მოგონებანი აფასებს და აამაყებს და არა ის, თუ რას მოიმოქმედებს დღეს, ხვალ და ზეგ.

2701. ასაკში ღალატს უფრო მეტად განვიცდით, ვიდრე ჯეელობისას. ამას კარგი ურთიერთდამოკიდებულების სტაჟი განაპირობებს და გაუცნობიერებელი უმადურობა.

2702. ახალგაზრდამ აწმყო უნდა გამოიყენოს, რადგან მისი წარსული პრაქტიკულად გამოუყენებული რჩება.

2703. ასაკს მოგვიანებით აფასებენ და მისით სწორედ მაშინ ამაყობენ, როდესაც სიცოცხლის საუკეთესო წლები განვლილია.

2704. ასაკში ღალატი უფრო გვაოცებს, ვიდრე გვაბრაზებს, რადგან გაბრაზებას შეჩვეულნი ვართ, გაკვირვებას – არა.

2705. ალბათ ბედნიერებაა ისიც, თუ ასაკში ვინმეს მძიმე ტვირთად არ დავაწვებით და ბარგად არ აღგვიქვამენ.

2706. ახალგაზრდობამ მისთვის განკუთვნილი არც სიბრიყვე უნდა დაიკლოს და არც ამბიციები, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ზომიერად და სხვებისთვის ვნების მიუყენებლად.

2707. ახალგაზრდობამ თავისი ასაკის შეუსატყვისად არ უნდა იყელყელაოს, რათა ამ ასაკის შეუცნობელ მადლს არ გაექცეს, რადგან ასაკი გვემატება, ხოლო ახალგაზრდობა არ დაბრუნდება.

2708. ასაკში ჭკუა გვემატება, მაგრამ ჯანი და მცდელობის იშტა გვაკლდება.

2709. ასაკში ზედმეტად არ ხუმრობენ, რადგან ყოველივე ძველს, მათ შორის ხუმრობებსაც, ყავლი აქვს გასული და ცნობილია.

2710. სიბერეში საკუთარი თავისათვის ახალგაზრდულად შეძახება ჯეელობას გვახსენებს, გვახალისებს და ჩვენთვის გასაგები ბედნიერებაც მოაქვს.

2711. მომდევნო წელს ყველა იმედით უყურებს, გარდა ხანდაზმულისა.

2712. ასაკი სენტიმენტალურ ხასიათზე გვაყენებს, რადგან ჩვენმა ძველმა შესაძლებლობებმა ჭირი მოგვჭამეს და ავადმყოფობაც თავს

ხშირად გვახსენებს.

2713. ასაკი გამოცდილების შესატყვისად განსჯის: ახალგაზრდობა სურვილებისა და ოცნებების შესატყვისად ცოდვილობს; შუა ასაკი რეალური საქმის მკეთებელია.

+2714. ახალგაზრდობა უკეთ ითვისებს, ჭარმაგი – იმახსოვრებს, ხოლო მოხუცი – პატივსა სცემს.

2715. ცოდნის რაობის შემფასებელს უცოდინარობის აღმოჩენაც შეუძლია.

2716. წარსულის ნოსტალგია ოცნებების ერთგვარი გაფეტიშებაცაა, რომელიც ძალზე წაგვადგება ჯეელობაში გადასახვეწად.

2717. ახალაგზრდობას თავში ქარი უქრის, ხოლო ასაკოვანის დანიშნულებაა არა ამ ქარის ჩაქრობა, არამედ ის, რომ გრიგალად არ გადაიქცეს, წარსულის მიღწევები არ წალეკოს და ქარს არ გატანოს.

2718. ღრმა სიბერეს თავისი სირთულე ახლავს, მაგრამ ყველა ვნატრობთ, რომ დასამახსოვრებლად გაგვაცილონ იმქვეყნად.

2719. ჯეელობა სწავლა-წარმატებათა ბაიათებით თავს ირთობს და დროსაც თავის გემოზე ატარებს.

2720. ისიც ბედნიერებაა, თუ იმ ასაკს მივაღწევთ, როდესაც ჩვენი ამქვეყნად დარჩენა-წასვლით არავინ დაზარალდება.

2721. ახალგაზრდობის გადაცდენა უფრო ადვილია, ვიდრე შეცდენა, ხოლო ხანდაზმულთა შორის პირიქითაა, რადგან ასაკი ამ შეცდომების ჩასადენად დიდი ხანია, მზადაა.

2722. ხანდაზმულები თავიანთი წარსულის შელამაზებით ამაყობენ, ხოლო ახალგაზრდობა – ჯერ კიდევ თავისი განუხორციელებული ოცნებებითა და გეგმებით.

2723. ჯეელობაში ბევრი რამ გვაღიზიანებს, რაც ჭკუის მოხმობას ეხება.

2724. ზრდილობის ბიჟუტერია ყველა ასაკის ადამიანს უხდება.

2725. ბავშვის სიცელქეს საკუთარი თავის გაცნობიერების დრო და საათი აქვს და გრძნობს, როდის გაჩერდება სხვათა დაუხმარებლად.

2726. ახალგაზრდობას ახასიათებს განუსჯელი მაქსიმალიზმი, რომელიც ხშირად „უგუნურების აქციაში“, პროტესტში, გადადის, რაც ხშირად სავალალოდ მთავრდება.

2727. ყველაზე უკეთ და ხშირად ბავშვობის წლები მაშინ გვახსენდება, როდესაც სხეული ჭრაჭუნს იწყებს და გული არ გვემორჩილება.

2728. სიბერის გადასახედიდან მარტივი ცხოვრება უფრო მომგებიანია, ვიდრე რთული, რადგან მოხუცებულს ყოველივე დაღვინებულ-დალაგებულ-განსჯილი და მოწესრიგებული მოსწონს.

2729. დღეს ახალგაზრდობა კომპიუტერებსა და მის მეგაბაიტებს გაცილებით მეტი ხალისით იყენებს განათლების მისაღებად, ვიდრე

დაღვინებულ და გაწონასწორებულ ტვინს – ცოდნის მოსაპოვებლად.

2730. ყველა ასაკს თავისი შეუცვლელი და მისთვის გასაგები ხიბ-ლი ახლავს.

2731. ამბობენ: სიჭაბუკეში დაზოგილი ძალა და ენერგია სიბერეში გამოგადგებათო, მაგრამ რა თავში უნდა ვიხალოთ ეს გადანახული ენ-ერგია, თუ ქალთან სასიყვარულო ურთიერთობაში არას გამოგვადგება!

2732. ყოველგვარ ცნობიერებას ასაკში დაღლილობისა და ნებისყ-ოფის დაკარგვისკენ აქვს მიდრეკილება.

+2733. სიბერის ერთ-ერთი დანიშნულებაა სახეზე წარმოქმნილი ნაოჭების მოხდენილად და ღირსეულად ტარება.

2734. ასაკი არ გვცვლის, უბრალოდ, მისი მატების ხარჯზე სრულყ-ოფილებას ვიძენთ.

2735. ბავშვებს მშობლების მიბაძვა მოსწონთ და არა მათი მოსმენა და ჭკუის დარიგება.

2736. სიბერეში მოგონებით ტკბობა, ახალგაზრდობაში სასიამოვ-ნოდ გატარებულ დროთა შედეგია.

2737. ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი მომავალზე არ ფიქრობს და ხშირად ეს არის მათი ბედნიერება.

2738. სიბერე სიცოცხლეს იმ შეკითხვებს უსვამს, რომლებზეც გო-ნივრული პასუხი არ არსებობს.

2739. ასაკსაც თავისი სილამაზე აქვს, თუ არ იწვევს წინააღმდე-გობრივ გრძნობას.

2740. გაუწვრთნელი ახალგაზრდობის კითხვებზე პასუხის გაცემა გაწვრთნილ და დაღვინებულ ასაკსაც უჭირს.

2741. ჭკუა-გონების დამუღამება ბავშვობიდანვეა საჭირო და ამის საუკეთესო საშუალება აღზრდის გასაცნობიერებელი ზღაპრების კითხვაა.

2742. სიბერე ბევრ რამეზე წუხს და ნანობს, მაგრამ იმას არად დაგიდევს, რომ ამ ქვეყანას აქამდის შემორჩა.

2743. ასაკი სრულ საქმეთა კეთებას მოითხოვს და არა ჭკუის ფრქვევასა და ყბედობას.

2744. ყველა ასაკი მისთვის მისაღებ დროის ტარებას და გართობას არ იკლებდა. მას ეს დღესაც არ უკვირს და ცუდად არ ახსოვს.

2745. ჩვენი ახალგაზრდული „საქმენი საგმირონია“ სიცოცხლის ბოლოს სიამით გვახსენდება და ჩვენს გულს ესალბუნება.

2746. კაცობრიობა გვიან კი არ ბერდება, უბრალოდ, სიცოცხლის გახანგრძლივების გზით წლების დახურდავება ისწავლა.

2747. მომავალი მიღწევებისკენ მიმავალი გზა გაუცნობიერებელია და აქ დროსა და გარემო პირობებთან ერთად საკუთარი ასაკისადმი უყურადღებობაა დამნაშავე.

2748. ბერიკაცს, იხსენებს რა წარსულ „ბაირამობას“, დღევანდელი

ყოფა არ მოსწონს.

2749. ასაკის გაცუცურაკება არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც ახალგაზრდობაში გვეჩვენებოდა და წლების ყივილს სათანადოდ ვერ ვაფასებდით.

+2750. სიბერე პასპორტიდან კი არ იყურება, არამედ პასპორტში იყურება.

2751. ყველა ასაკს თავისი ჯიუტი სიმართლე აქვს. მიუხედავად ასაკის მატებისა, ამ სიჯიუტეს ვერაფერი არყევს.

2752. ზღაპრებზე აღზრდილი ბავშვი უფრო თანამედროვედ და მიწიერად გამოიყურება, ვიდრე კომპიუტერზე თავგადადებული და ისე აღზრდილი.

2753. გულით განსჯილი მადლობა და მადლიერება სიგრძე-სიგანით არ იზომება, რადგან ის კომენტარებს არ საჭიროებს.

2754. ახალგაზრდობას მარად უჭირდა და გაუჭირდება სიბერის ეშხის შეცნობა და დროის მადლის აღქმა.

2755. ასაკის მატების მასხრად აგდება არცერთ დროსა და გარემოში არ ღირს, თავის წარმოჩენის სურვილის მიუხედავად.

2756. ასაკის გერგილიანად ტარებაა ხელოვნება და არა წლების მატების არშემჩნევა და მალვა.

2757. სიბერეში მეხსიერებას ბევრი უჩივის, გამოცდილებას – არავინ.

2758. ბავშვები შეკითხვების კატალიზატორები არიან და მათზე გასაგები პასუხის გაცემა დიდებს უჭირთ.

2759. სიბერე ძნელი გადასატანია, თუ არცერთი სასიამოვნო მოგონება არ შემოგრჩენიათ.

2760. ბავშვებს უპირველესად უნდა ვასწავლოთ შრომა, მოსმენა, სიყვარული. ამ „ტრიადით“ ისინი ცხოვრების ლელოს გაიტანენ.

2761. შრომისა და გარჯის სურვილი ასაკოვანს უფრო მეტი აქვს, შესაძლებლობებისგან განსხვავებით.

2762. ასაკსრულებთან შედარებით ახალგაზრდები უფრო მეტად ცდებიან, მაგრამ, ამასთან ერთად, გაცილებით მეტს მუშაობენ და იღვწიან, და ამ მოზღვავებული ენერგიის ხარჯზე სჯობნიან კიდეც.

2763. სიბერის ასაკში უსაქმურობა იმქვეყნად მისასალმებელ მოსაწვევს გვიმზადებს.

2764. ბებერ „ურწმუნო თომათათვის“ ცხვირის მოხოცვა ყველაზე დიდი კაიფია ახალგაზრდული ნიჭისთვის, შემოქმედისთვის, შემართებისთვის.

2765. წუთისოფლის შეცნობის სხვადასხვა ვარიანტს, ხშირად ასაკის სხვაობა გვიკარნახებს.

2766. სიბერეს სიბრძნე არ მოაქვს, მაქვს მხოლოდ კრიტიკულად გადასინჯული ცოდნა და უტყუარი გამოცდილება.

2767. ხშირად შვილებისთვის შეუმჩნეველია მშობლის სახეზე ის ნაოჭები, რომელსაც ასაკის მატების შესატყვისად ატყვია.

2768. მხცოვანი სხვათა აღიარებას, დაფასებას განსჯით ცდილობს, ხოლო ახალგაზრდობა იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათზეა და ოცნება რას უკარნახებს.

2769. ბავშვი შინაგანად იმას ემსგავსება, ვინც აღზარდა და არა იმას, ვინც შობა და ვისთანაც ცხოვრობს.

2770. ასაკს, ხსოვნას ყველა თავისი გენის შესატყვისად ახურდავ-ებს და არა სურვილის მიხედვით.

2771. სიბერეში სიცოცხლესაც თავისებური შიში ახლავს, რადგან არავინ უწყის, ის როდის შეწყდება და გვიგანებს.

2772. ახალგაზრდობა წლების მატებას ისე ვერ გრძნობს, როგორც სიბერე – სიკვდილის მოახლოებას.

2773. ახალგაზრდობას ყოველივე აოცებს, შუა ასაკი ხელის გა-მოღებას სარფის შეძენით ფიქრობს, ხოლო სიბერე განვლილი ცხოვრე-ბის შელამაზებით ტკბობას ცდილობს.

2774. შუა ასაკს უკვე ჩამოყალიბებული ნაკლი აქვს, რომლის აღ-მოფხვრას სიბერეშიც კი ვერ ახერხებს.

2775. ნიჭს, შემართებასა და სილამაზეს სიბერეში დევალვირები-სკენ აქვს მიდრეკილება.

2776. წარსულის შეცდომებს ასაკი განსჯის, მაგრამ უკვე დაგვი-ანებულია – ის გამოსწორებას არ ექვემდებარება.

2777. ახალგაზრდებს სიფხიზლე აკლიათ და ამის მიზეზია მათი მოჭარბებული ძალ-ღონე და ახალგაზრდული ენერგია.

2778. ასაკში ჩვენი აღიარება წვრილმანების ჯამისგან შედგება, რომელიც ჩვენი მცდელობით თანდათან დაგროვდა.

2779. ასაკის მატება თანდათან იძენს დიქტატურის თვისებებს, რადგან მას თავი მომდევნო თაობებზე ჭკვიანი და ცხოვრების მცოდნე ჰგონია.

2780. ამ ქვეყნიდან ვალმოხდილად წასვლა თავისებური ბედნიერე-ბაა, თუ შენთვის სასურველ ასაკზე ადრე იმქვეყნად არ გადაბარგდებ-ით.

2781. მავანს განაწყენებული ბავშვობის გადასახედიდან ცხოვრე-ბის ყურება არცთუ ისე დიდ სიამოვნებას ჰგვრის, რადგან მასში შური-სა და მტრობის ბაცილებია ჩაბუდებული.

აღზრდა, ცოდნა

2782. შვილებს მაშინ უნდა მივცეთ ცალკე ყოფნის უფლება, თუ უჩვენოდ ყოფნას ახერხებენ და ზოგჯერ თავს უკეთაც კი გრძნობენ.

2783. ჩვენი მცდელობაა, დავღვინდეთ, დავბერდეთ, მომდევნო თაობებს ჩვენი გამოცდილება ვუსაგზლოთ, ინფორმაცია მივაწოდოთ, რათა გონიერებას მოუხმონ და ჩვენზე უკეთ იცხოვრონ.

2784. შვილი ყველაზე სერიოზული ინვესტიციაა, ოღონდ ისეთი, არაფრის გარანტიას რომ არ იძლევა.

2785. სასწავლო პროგრამა სწავლასთან ერთად შრომისა და დასაქმების სურვილსაც უნდა იწვევდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არაფრის მაქნისი და გადასაგდებია.

2786. მასწავლებლის ხელოვნებაა მოსწავლისთვის მოსარგები აღზრდის ვარიანტების მოძიება.

2787. უვიცობის დღესასწაულს უმთავრესად სიზარმაცე აწყობს.

2788. შვილებზე გადაყოლა თავისებური იმედია, რომ შენი მზრუნველობის ნაწილს მხცოვანებაში უკან დაგიბრუნებენ.

+2789. შვილები მშობლებზე მეტად გვიყვარს, რადგან ჩვენში ვალის მოხდის სურვილი უფრო მეტად ბუდობს, ვიდრე ვალის დაბრუნებისა.

2790. კარგის ჩანერგვა ავის დათრგუნვის ტოლფასია და ეს ყველა აღმზრდელმა უნდა იცოდეს.

2791. ბავშვის აღზრდის ალგორითმი, უწინარეს ყოვლისა, მშობელმა უნდა ამოხსნას ქუჩის აღმზრდელებსა და დროსთან ერთად.

2792. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, შვილები ყოველთვის გულახდილნი არ არიან მშობლების მიმართ და ეს, ეტყობა, პროგრესს ხელს უწყობს.

2793. განათლება დასახული მიზნის მიუღწევლად ფუყე მცდელობაა.

2794. ცოდნა პრაქტიკული სარგებლის სინონიმია და არა თავის მოწონება.

2795. განათლება უსარგებლო არ შეიძლება იყოს, იმისდა მიუხედავად, რა დროში ვცხოვრობთ.

2796. განათლებაში მენაგვის როლის შესრულება უდიდესი დანაშაულია მომდევნო თაობათა წინაშე, რადგან კლასიკური განათლება უკანა მხარეს გადადის და ჯეელების გონება ფართო მოხმარების ყოველდღიურობაში ირყვნება და იძირება.

2797. გამოუყენებელი ცოდნა ინტერნეტში უაზროდ ჩალიჩის შედეგია.

2798. აღზრდა, სწავლა არ მთავრდება, რა ოდენობის ჭკუაც არ უნდა დავაგროვოთ.

2799. ცოდნა გონიერისთვისაა შესაძლებელი, თორემ უგუნური-

სათვის წლის ნაყვაა.

2800. აღზრდის შედეგი აღმზრდელის ნიჭსა და აღსაზრდელის გენეტიკურ მონაცემებზეა დამოკიდებული.

2801. მასწავლებელია ის, ვისაც ესმის, ყურს უგდებს იმას, რასაც სხვა ვერ აღიქვამს და ამით არც დაინტერესებულა.

2802. ცოდნა-გამოცდილება სარგებელს უნდა იძლეოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ბუნების მიმართ უმადურობად უნდა აღვიქვათ.

2803. კანონმორჩილ ქვეყანაში უზნეოთა ოდენობა მცირეა, რადგან მათ აღზრდას ცხოვრების დასაწყისშივე აკონტროლებენ.

2804. კარგი მასწავლებელი თუ კარგი ჭკუის დამრიგებელი? უფრო მეტად ამ უკანასკნელის თავის დროზე უყოლობას განვიცდით.

2805. მეგობრობა მარტო ურთიერთმხარდაჭერა არ არის, ურთიერთშეცნობაცაა.

2806. ოცნება წარმოსახვაა, ნიჭი – პოტენცია, რეალობა კი პრაქტიკულ უნარს მოითხოვს.

2807. რეალობას შეუფერებელი პატიოსნება სიდებილესა ჰგავს.

2808. გონებას წიგნი და მასწავლებელი წვრთნის, ხოლო დროის შესატყვისად აბინძურებს და ერუდიციას მატებს ქუჩა და ინტერნეტი.

2809. ურთიერთპატივისცემას, გაგებას, გახარებას მოაქვს სიკეთე, სიყვარული, ზნეობა.

2810. მოსწავლე მომავალში მასწავლებლის პოტენციური და სასიამოვნო მეტოქეა.

2811. შვილი მშობლებისათვის გახლავთ დღგ (დამატებითი ღირებულების გადასახადი), პირიქით კი იშვიათად ხდება.

2812. კარგი მასწავლებელი მასზე უკეთეს მასწავლებელს ეძებს თავისი ნიჭიერი მოსწავლისთვის.

2813. ნიჭი წარმოაჩენს განათლებას და არა პირიქით.

2814. არცერთ მშობელს არ უნდა, შვილებმა მათი შეცდომები გაიმეორონ, მაგრამ შვილები ხშირად ამას ვერ ახერხებენ და წინაპართა შეცდომებს „პატიოსნად“ იმეორებენ.

2815. განათლება რწმენის უქონლად გამოუყენებელია.

2816. უმეცრება ხშირად ცოდნას შურით ექიშპება და რატომ, თავადაც არ უწყის.

2817. გამოცდილება საუკეთესო მასწავლებელია.

+2818. განათლება საუკუნეთა გამოცდილებას უჯრა-უჯრა ალაგებს, რათა საჭიროებისას სწრაფად მიაგნოს.

2819. სწავლა-რწმენა-შემართება ნიჭთან ერთად იძლევა გამოსაყენებელ ცოდნას.

2820. ცოდნა ნიჭის, ბედის, შემართების უქონლად მიზანს ვერ აღწევს და უაზრო ტვირთად რჩება.

2821. სწავლა, სკოლა, გამოცდილება უნივერსიტეტია, მაგრამ ამ უნარ-ცოდნის გამოსაყენებლად ასპარეზია საჭირო.

2822. ასწავლო სხვას – უმადური საქმეა, თუ ამისათვის ის შინაგანად მზად არ არის და არც აინტერესებს.

2823. გონივრულ წიგნს სპეციალური ცოდნის უქონლად ვერ გაიგებ, რამდენჯერაც არ უნდა გადაიკითხო.

2824. ერთმანეთი საქმეში თუ არა გამოგიცდიათ, ამას უბრალო ნაცნობობაც არ ეთქმის.

2825. რწმენითა და თავდაჯერებით აღსავსე განათლებას მოაქვს სათანადო შედეგი.

2826. გონს შემოქმედებითი ხედვა უნდა ახასიათებდეს და არა მხოლოდ აღქმულის ცარიელი დამახსოვრება.

2827. განათლების დანიშნულებაა ჩვენი კაცად ჩამოყალიბება, ადამიანური გრძნობების გაღვივება.

2828. ჭკუის სწავლებასა და დარიგებას ყველა გაურბის, მაგრამ თავად წინააღმდეგნი არ არიან, სხვანი დამოძღვრონ.

2829. ცოდნის გაუფართოებლად დასახულ მიზნამდე ვერ მივაღწევთ.

2830. „უგზო-უკვლოდ განათლებულმა“ ისიც იცის, რაც სახალხო გატირაჟებას არ ექვემდებარება.

2831. რწმენა იგივე კერპთაყვანისმცემლობაა.

2832. მასწავლებელია, ვისი აზრებიც ჩვენს გონებაში რჩება და ვიყენებთ, ხოლო სხვები თავიანთი ამბების ინფორმატორები არიან.

2833. სწავლება მაშინ იძენს ძალას და იძლევა შედეგს, თუ მასწავლებელს გულით სწამს ის, რასაც ასწავლის.

2834. ჩვენს ტირან „მეს“ ლაგამი დროულად უნდა ამოვდოთ, რადგან აქ მარტო ენაზე კბილის დაჭერა არ კმარა.

2835. მასწავლებლებს ვუსურვოთ: მშობლების მიერ ასალესად გამოგზავნილი ხმალი ჟანგმოკიდებული არ დაუბრუნონ უკან.

2836. განათლება ცდილობს, ყველაფერს დაეწაფოს, გონიერება – რაც მას აინტერესებს და გამოადგება.

2837. მწვრთნელი და შეგირდი მანამ იამაყებენ ურთიერთით და ერთად არიან, სანამდის მათი გზების აუცილებელი საჭიროება არ გამიჯნავს.

2838. ცუდად აღზრდილის თავიდან აღზრდა საჩვენებელი ალიყურის გარეშე არ ხერხდება.

2839. გაუმართლებელ მოთხოვნილებაზე რომ ხელი აიღო, ღირსეული აღზრდა უნდა გქონდეს.

2840. პედაგოგობა მოწოდებაა, მასწავლებლობა სიყვარულია, აღმზრდელობა მცდელობაა, დედობა ხელოვნებაა, ოღონდ შედეგის

გაუთვალისწინებლად.

2841. მისალმება „სალამ-ქალამის“, მოკითხვის გარეშე ურთიერთობად არ ითვლება და ვერც სიამოვნებას გვანიჭებს.

2842. განათლება, გამჭრიახობისა და პრაქტიკის გარეშე, მატერიალიზმისთვის გამოუსადეგარია.

2843. პედაგოგმა, რომელიც ბავშვის გულს ვერ მოინადირებს, მასწავლებლობაზე ხელი უნდა აიღოს.

2844. საკუთარი ხასიათიც აღზრდას, განათლებას, გამოცდილებას მოითხოვს, რათა სხვას ხასიათი არ გაუფუჭოთ.

2845. სხვათა აღზრდა და დაკვალიანება საკუთარი აღმზრდელების გახსენების ხარჯზეა შესაძლებელი.

2846. ინტერნეტი, წიგნი ჩვენი თანამდგომია, თანამოსაუბრე და არა ჩვენი ჭკუის მასწავლებელი, დამრიგებელი.

2847. მომავალ თაობებს ყველაზე მეტად ჩვენი ღირსეული წარსული აინტერესებთ, აღაგზნებთ და აღაფრთოვანებთ.

2848. წიგნი, ინტერნეტი ჩვენს მარტოობას ალამაზებს, პეწსა მატებს.

2849. „განათლების მენაგვედ“ გვაქცევს კლასიკური განათლების უგულებელყოფა სკოლებში და ყოფით გადამოწმებულ ტრადიციებზე უარის თქმა.

2850. განათლება იმისდა მიხედვით ფასდება, თუ შენი ოპონენტის ცოდნა რა დონისაა.

2851. განათლება დღესაც მოდაშია, იმისდა მიუხედავად, რომ მისი მარად უკმაყოფილონი ვართ.

2852. კვლევითი ელემენტებისა და პრაქტიკის უქონლად სწავლება წესიერების გადასახედიდან განათლებას არ ნიშნავს.

2853. აღზრდად ხასიათის მოთოკვის უნარიც იგულისხმება.

2854. აღზრდა ზოგჯერ სხვათა შეცდომა-გადაცდენაზე თვალის დახუჭვასაც ნიშნავს.

2855. განათლებასაც მოთმინების დიდი ნიჭი სჭირდება, რათა ათასი სისულელის მოსმენის შემდგომ სიმშვიდე შეინარჩუნოს.

2856. ცოდნა მუდმივ განახლება-შევსებას მოითხოვს, ოღონდ ახალი ცოდნა გონიერების საცერში უნდა გავატაროთ.

2857. ჩვენი ყოფის რეჟისორობას ჩვენივე მშობლები ცდილობენ, მაგრამ ქუჩა და დრო უკეთ გვაკვალიანებენ.

2858. აღზრდა მოხერხებული ცოდნით ფასობს.

2859. ვაჟს მამაზე უკეთ დედა შეაფასებს, რადგან ეს უკანასკნელი მის კრიტიკას არ ერიდება დედაშვილური შერკინებისას.

2860. წარსულის სხვადასხვა ფერით გაცოცხლებული სევდა დავიწყებას არ ეძლევა.

2861. კარგი მასწავლებელია ის, ვისაც მოსწავლესთან ერთად სიახლის შეცნობის სურვილი აქვს და შეგირდს ამ მხრივ გერგილიანად აკვალიანებს.

2862. მოწოდებით მასწავლებელია ის, ვისაც შინაგანი ბუნება აიძულებს, მომავალში აღსაზრდელი მასზე უკეთესი იყოს და აღზრდილებს არც ივიწყებს და არც მას ივიწყებენ.

2863. სასიხარულოა, როდესაც წინაპრების ჩრდილში ყოფნას მომდევნო თაობები არ ერიდებიან, რადგან ფიქრობენ, თავადაც მომავალში ამ ჩრდილად იქცევიან.

2864. შემოქმედებითი ნიჭის, სიახლის ხედვისა და აღქმის გარეშე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დროის გაცდენაა, რადგან ძალზე უინიციატივო მომსახურეს მივიღებთ, რომლის პრესტიჟულ სწავლებაში ფულის გადაყრა არ ღირდა.

2865. სწავლა წარმატების სინონიმია. შედეგი არ მოგიტანა? მაშ, უნიათო ყოფილხარ.

2866. შვილების აღზრდა ნიჭია, ხოლო მომავალში მათი შენდამი მოპყრობის პერსპექტივის გამოცნობა – გენიალობა.

2867. დღეს აღმზრდელის მხოლოდ გამოცდილება და ცხოვრების ცოდნა არ კმარა. მან აღსაზრდელის ოცნებების ლამაზად ამოხსნაც უნდა შეძლოს.

2868. აღზრდა ზოგჯერ თვითაღზრდაცაა, გააჩნია, რა ბუნების აღსაზრდელი გვყავს.

+2869. აღზრდილი აღმზრდელის ერთგვარი აღმზრდელია.

2870. აღმზრდელს ნიჭსა და გამოცდილებასთან ერთად აღსაზრდელის გენის კვლევის უნარიც სჭირდება.

2871. ქცევის წესებს ძირითადად აღზრდა და ასაკი გვიკარნახებს.

2872. ცოდნის უქონლად რაც იქმნება, ის ფეტიშია და მეტი არაფერი.

2873. მრავალშვილიან ოჯახში უკეთესი შვილები ეზრდებათ.

+2874. განათლება ისაა, რასაც ვიყენებთ, ხოლო შედეგია ის, რასაც ვიღებთ.

+2875. ვის დარიგებასა და რწმენასაც ვერ ეგუები, ის შენი აღმზრდელი და მასწავლებელი ვერ იქნება.

2876. მასწავლებელია ის, ვისგანაც სწავლობთ, დამრიგებელია ის, ვისაც უჯერებ და არა ის, ვინაც ჭკუას გარიგებს და გემლიქვნელება.

2877. ბავშვის გონივრულად აღზრდა სახელმწიფოებრივი ერთგულების უდიდესი გამოხატულებაა.

2878. კარგი შვილის აღზრდა საკუთარი თავის უკეთ წარმოჩენაზე უმნიშვნელოვანესია.

2879. სწავლა ყურის გდებით, გარჯითა და საკუთარ თავზე რეალ-

ური წარმოდგენის შექმნით გვირგვინდება.

2880. აღზრდისას უმთავრესია ურთიერთგაგება და არა მორჩილება.

2881. ბავშვთა სამყაროს გონიერებასთან გაცნობიერების ორგანიზატორია მათი საყვარელი მასწავლებელ-დამრიგებელი.

2882. წესით, ადამიანი საზოგადოებამ უნდა აღზარდოს, მაგრამ რა ქნას ამ ჰომოსაპიენსმა, თუ ბრბოში, მასაში უხდება ცხოვრება და განვითარება?

2883. ბავშვის აღზრდისთვის უმთავრესია მისი სხვადასხვა თამაშით გაცნობიერება.

2884. არის ერთი პროფესია, რომელსაც აღზრდა ჰქვია და მას მშობელი ფლობს, რომელიც ვალდებულია, თავისი ცოდნა-გამოცდილება ნაშიერს გაუზიაროს, რათა მას კავშირი ჰქონდეს წინა თაობებსა და აწმყოსთან; რაც შეეხება მომავალთან კავშირის დამყარებას, ისინი ამას უმშობლებოდაც მოახერხებენ.

2885. სამყაროს კაპრიზია: რაც უფრო მეტ ცოდნას ვაგროვებთ, მით უფრო უმეცრად ვგრძნობთ თავს.

2886. ამბიცია ყოველივეს გაკონტროლებას ცდილობს და ის კი ავიწყდება, რომ კონტროლს გამოცდილება და დაღვინებული ცოდნა სჭირდება.

2887. სიტყვიერი მათრახიც აღზრდის ერთ-ერთი სახეა.

2888. მასწავლებელი ზოგჯერ მოსწავლის ტყავში უნდა გაეხვიოს და ისე გამოიტანოს მის მიმართ მსჯავრი.

2889. აღზრდის უმთავრესი დანიშნულებაა, ადამიანმა საკუთარი თავი სხვათა დაუხმარებლად მართოს.

2890. მასწავლებელია ის, ვისი ზეგავლენითაც შეგიძლიათ საკუთარი ხასიათი აწრთოთ, განამტკიცოთ და თავი წარმოაჩინოთ.

2891. გოჭი სანამდის არ გაღორდება, გოჭის დაკვლა დანაშაულია, ხოლო ახალგაზრდა ისე არ უნდა გადაცდეს, რომ თავი ციხეში ამოყოს – ესეც დანაშაულია საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერების წინაშე.

2892. ცივილიზაციის მომძლავრებამ ბევრი ხალხის ხასიათი შეცვალა, გარყვნა, დააჩმორა და არარაციონალური გახადა, ეტყობა, ეს მცდელობაც განგების ჩვენთვის შეუცნობელ კანონზომიერებას ემორჩილება.

2893. რაციონალიზმი და პროგრესული ტრადიციების გათავისება კულტურის დამსახურებაა.

+2894. მამა შვილისთვის მორალია, დედა კი – უალტერნატივო სამშობლო.

2895. აღზრდასა და გაზრდას შორის დიდი სხვაობაა, რადგან შვილი უნდა აღზარდო, ხოლო გონი უნდა გამოვზარდოთ. პირველი საზო-

გადოების საკუთრებაა, ხოლო მეორე პირადი მოხმარების საგანია.

2896. შვილებისთვის ყველაზე ძნელია მშობლების თავიდან აღზრდა და მათი თანამედროვეობასთან მორგება.

2897. თუ თქვენ დღეს არავისი გშურთ და არც არაფერი გიკვირთ, ეს თქვენი აღზრდის დამსახურებაა, რადგან ისე უდრტვინველ გარემოში გაცხოვრეს, რომ სხვათა სიმდიდრეზე თვალი არ გაგქცევიათ.

2898. აღზრდას სიმკაცრის ელემენტები, შეზღუდვები და ჭკუის სახმობი საუბრებიც რგებს, რადგან უამათოდ ქვეყნის მოქალაქედ და კანონის მორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბება ჭირს.

2899. შვილებს კი არ ვზრდით, უბრალოდ, ვალს ვიხდით წინაპრების, მშობლების, ერისა და ქვეყნის წინაშე.

2900. ბავშვების შობა და წამოჩითვა კი არ არის ძნელი, არამედ მათი აღზრდა და ქვეყნის საკეთილდღეოდ ფეხზე დაყენება.

2901. დაბადებიდან ყველა ჭკვიანი ვერ იქნება, მაგრამ აღზრდის შედეგად რომ სიკეთე ვაკეთებინოთ ეს შესაძლებელია.

2902. ბავშვის ის 100 მოფერება, შექება და ტკბილი სიტყვა, რომლებიც მის აღზრდასა და პიროვნებად ჩამოყალიბებას ხელს უწყობს, ასეთია: 1. ანგელოზი, 2. ამბოხი, 3. ავ-კარგიანი, 4. ამაყი, 5. აზრიანი, 6. აწოწილი, 7. ახმახი, 8. ბუყბუყა, 9. ბუზღუნა, 10. ბუტია, 11. გაბღენძილი, 12. გონიერი, 13. გადაღლილი, 14. გვარის გამგრძელებელი, 15. განათლებული, 16. გამოსაჩენი, 17. გენაცვალე, 18. გვერდში მდგომი, 19. გამგებიანი, 20. დინჯი, 21. დაუცხრომელი, 22. დაუმორჩილებელი, 23. დამჯერი, 24. დამხმარე, 25. დაუღალავი, 26. დამყოლი, 27. ენაჭარტალა, 28. ენაკვიმატი, 29. ენამზე, 30. ვაჟკაცი, 31. ზრდილობიანი, 32. ზრდასრული, 33. ზარმაცი, 34. ზოზინა, 35. თამამი, 36. თავქარიანი, 37. თავნება, 38. თმახუჭუჭა, 39. თავისი ჭკუის, 40. თავხედი, 41. თუხთუხა, 42. თავგასული, 43. იმედიანი, 44. იმპროვიზატორი, 45. კაპრიზი, 46. კოპწია, 47. კვიმატი, 48. ლამაზი, 49. ლაზათიანი, 50. მოყვასი, 51. მიზანდასახული, 52. მამიკოს ან დედიკოს შვილი, 53. მოეშმაკო, 54. მუჭუჭი, 55. მომთხოვნი, 56. მიმნდობი, 57. მოხდენილი, 58. მოლიმარი, 59. მომხმარე, 60. ნიჭიერი, 61. ნასწავლი, 62. ოჯახის მუჭუჭი, 63. ოპტიმისტი, 64. ონავარი, 65. პეწიანი, 66. პატარა ოქრო, 67. პატრიოტი, 68. ჟინიანი, 69. როხროხა, 70. რისკიანი, 71. სამართლიანი, 72. სათაყვანო, 73. საქმიანი, 74. სასახელო, 75. სასიქადულო, 76. ფეხბედნიერი, 77. საამაყო, 78. ტემპერამენტიანი, 79. უღალატო, 80. უპრობლემო, 81. უპრეტენზიო, 82. უეშმაკო, 83. ბედნიერი, 84. ფიქრიანი, 85. ღონიერი, 86. ყურადღებიანი, 87. ყოჩაღი, 88. ყაირათიანი, 89. ყოვლის მცოდნე მოყვარული, 90. შუბლგახსნილი, 91. ჩხუბისთავი, 92. ჩალიჩა, 93. ცხოვრების მცოდნე, 94. წესიერი, 95. წარმოსაჩენი, 95. წესრიგის მოყვარული, 96. ჭკუისკოლოფა, 97. ჭკვიანი, 98. ჯანმაგარი, 99. ჯიშიანი, 100.

ხელმარჯვე – შვილი.

2903. ყურადღება და საქმიანი სიყვარული ყველაზე მეტად შვილების აღმზრდელს სჭირდება.

2904. განათლება საკუთარი თავის რწმენას გვმატებს, გულში კი სიმშვიდეს გვისადგურებს.

2905. ცოდნის ცოხნით მონელება საჭირო არ არის, სჯობს მას ახალი საკვები მივაწოდოთ, უკეთ მოინელებს.

2906. აღზრდის ალგორითმის ძიება გენის გაუთვალიწინებლად ყოველთვის აძნელებად ნაშიერის აღზრდა-ჩამოყალიბებას.

2907. შვილების აღზრდაში პრობლემები მაშინ გვექმნება, როცა მათს ბუნება-გუნებას არად ვაგდებთ.

+2908. იმისდა მიუხედავად, შვილები ემსგავსებიან მშობლებს თუ არა, მათ მაინც ღვთისგან ნაჩუმათევად ნაბოძი თავიანთი გზა აქვთ გასავლელი.

2909. ბევრი რისთვის სწავლობს, გაუგებარია, მაგრამ სწავლა რომ აუცილებელია, ამაში ეჭვი არავის შეაქვს.

2910. კარგ და სწორ აღზრდას ბედნიერება მოაქვს და ხშირად ავ გენეტიკასაც ბიშტს უჩვენებს.

2911. არის რაღაც ასაკი, როდესაც გონიერების შეძენის პერიოდი მთავრდება და ცოდნა-გამოცდილების გაცემაზე უნდა ვიფიქროთ და საკუთარი ინტელექტი თანდათანობით ვაშალაშინოთ.

2912. აღზრდის შემეცნება იძლევა ბედნიერებას და არა აღზრდა-სწავლება.

2913. შვილის წარსულს არ განსჯიან, რადგანაც ის ჩვენი სისხლის, ხორცის და გენის ნაწილია.

2914. მთავარია, აღზრდის პრინციპებს და დამოძღვრილ ტრადიციებს არ უღალატოთ, რადგან გადაცდენა ამ პოსტულატებიდან შემთხვევის, დროს და გარემოს ბრალია.

2915. ბავშვის აღზრდა ყველაზე რთული საქმიანობაა, მაგრამ მისი აღზრდის შედეგად სასურველი შედეგის მიღება ბედნიერებასა გვწევს.

2916. ბუნტსა და ამბოხს მოზარდები ზოგჯერ 18 წლამდე აწყობენ, ზოგჯერ – მოგვიანებით, მაგრამ, დამაჭრება-დაღვინების პროცესი რომ ყველა მათგანმა უნდა გაიაროს და გამოცადოს, ეს ცხადია და დავას არ იწვევს.

2917. რწმენა და სიკეთის კეთების წადილი, შვილებს ბავშვობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ, რათა ისინი პიროვნებებად აღვზარდოთ და წარმოვაჩინოთ.

2918. სწორი აღზრდა გრძნობების აღზრდასა და მომავლის ალღოს გამომუშავებას უწყობს ხელს.

2919. პრაქტიკა სწავლების წინაღმდეგი არ არის, თუ აქედან რაიმე

სახეირო და სარფიანი გამოდნება და ვიცით, რომ გამოდნება!

2920. ცოდნაც ალღოს აღებას მოითხოვს, რადგან ის პრაქტიკულად უნდა იქნეს გამოყენებული.

2921. ტირილი, სიცილი, ღიმილი ესენიც კი ცოდნას მოითხოვს, რათა მათი მადლის შეცნობა შევძლოთ.

2922. სწავლა მახსოვრობის გარეშე სასურველ შედეგს არ იძლევა.

2923. სკოლაში უპირველესად ის უნდა ვასწავლოთ, რაც მოსწავლეს ცხოვრებაში სჭირდება და გამოადგება, რათა შემდგომში დრო არ დაკარგოს მის სწავლაზე.

2924. ცოდნას გამოყენება უნდა გარკვეული თანხისა და დროის დაზოგვის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი უმნიშვნელო გახდება.

2925. წარმატების მიღწევა წინდახედულობით, გონიერების მოხმობით და დროსთან შეთანხმებით უნდა ვისწავლოთ.

2926. ამა თუ იმ დარგის საფუძვლიანი ცოდნა შინაგან სიამაყეს იწვევს.

2927. სწავლა-განათლების მადლს სიბერეში იგებენ, როდესაც ეს მათ უკვე აღარაფრად გამოადგებათ.

2928. სიახლისადმი პატივის მიმგებნი ცოდნა-ინფორმაციას ღრუბელივით ისრუტავენ.

2929. პრაქტიკული შედეგის საწინდარი თეორიული ცოდნაა.

2930. თვითრწმენა, ცოდნის ინვესტირება და დროის ფასის ცოდნა სიცოცხლის გახანგრძლივების საფუძველია.

2931. აღზრდის საწყისი უპირველესად პირადი ზნეობრივი მაგალითის ჩვენებაა.

2932. განათლებას ცოდნა ყოველთვის სჯობდა და აჯობებს, მაგრამ ზოგი ამას სიბერეშიც კი ვერ ხვდება და აცნობიერებს.

2933. დახვეწილი ცოდნა გონიერების თანამგზავრია.

2934. განათლება უნდა მივიღოთ, ხოლო ცოდნა უნდა შევიძინოთ თანდაყოლილი ნიჭის და სიახლისადმი ალღოს აღებით.

2935. სამწუხაროდ, დღეს ძალზე ბევრი დიპლომიანი განათლებული დადის ამქვეყნად და ძალზე მცირე მცოდნე, რომლებიც ამ დიპლომს იმსახურებს.

2936. აღზრდის ზემოქმედება ყველა ჩვენგანზე გაცილებით მეტია, ვიდრე – თანდაყოლილი გენისა.

2937. დღეს ადამიანს ცოდნაზე მეტად აღზრდა ესაჭიროება, რომელიც გამაგრებული უნდა იყოს პრაქტიკით, რადგან იგივე აუტისტური ცოდნის მიღება დღეს კომპიუტერის მეშვეობითაც შეიძლება.

2938. ცოდნა სათანადო მიგნებათა გარეშე სასურველ შედეგს არ იძლევა.

2939. მასწავლებლის მოვალეობაა არა მარტო საგნის სწავლება, არამედ მისი შეყვარებაც და თავისი მსოფლმხედველობის გარკვეული ნაწილის თავზე მოხვევაც, რათა მისი ამაგი და ხსოვნა ახალგაზრდებს ცნობიერებას დიდხანს შემორჩეს.

2940. ყოველივე დაუმთავრებელი და გაუცნობიერებელი, მათ შორის განათლებაც, სიბრიყვის მაჩვენებელია.

2941. ცოდნა-გამოცდილება ყოველგვარ შიშსა და გაუგებრობას ბიშტს უჩვენებს.

+2942. მტკიცება კარგია, ჩვენება უკეთესია.

2943. ცოდნა ისაა, რისი გამოყენებაც შესაძლებელია და ჯეროვან შედეგს იძლევა.

2944. ზოგჯერ იძულებული ვხდებით პირადი ინტერესები საზოგადოების ინტერესებს ვანაცვალოთ, რადგან ასე ვართ აღზრდილი.

2945. აღზრდის საფუძველია სიყვარული და აღსაზრდელისადმი უსიტყვო პატივის მიგება.

2946. ცხოვრება, გამოცდილი და წესრიგის მოყვარული დამრიგებელი, გაცილებით მეტს გვასწავლის, ვიდრე ყველა წიგნი და კომპიუტერი, ერთად აღებული.

2947. მოწოდებით დამრიგებლებს და მასწავლებლებს მშობლებზე მეტი წვლილი შეაქვთ შეგირდების აღზრდა-ჩამოყალიბებაში.

2948. გაზრდა აღზრდას როდი ნიშნავს. ეს განსხვავება ყველა მშობელმა უნდა გაითავისოს, რადგან აღზრდა ყოფის კულტურაზე, დროსა და ტრადიციებზეა აგებული.

2949. წარმატების უპირველესი პირობაა სწავლის, მოსმენისა და საერთო ენის გამონახვის უნარი.

2950. ფართო მოხმარების ცოდნისადმი ლტოლვა პროფესიონალიზმსა ვნებს.

+2951. ის, რასაც საკუთარი თავის დახმარებით ვეცნობით და ვქმნით, ცოდნაა, ხოლო იმას, რასაც ვაცნობიერებთ და ინფომაციის სახით ვიღებთ, განათლებაა.

2952. წვრთნასა და მზრუნველობას შორის დიდი სხვაობაა, იმისდა მიუხედავად, რომ ერთ საქმეს ემსახურებიან.

2953. აღზრდა უპირველესად შთაგონებითი დიალოგია განსჯად მასწავლებელსა და განუსჯელ აღსაზრდელს შორის.

2954. მთავარია, რამდენიმე სპეციალობას ფლობდეთ, მათ შორის იმ თქვენ მიერ მოუწონებელსა და დღეს გამოუყენებელსაც, რადგან არავინ უწყის, რა დროს რისი ცოდნა გამოგადგებათ.

2955. გაუაზრებელ და გამოუსადეგარ ცოდნას ისევ უცოდინრობა სჯობს.

2956. ყველა ახლად დაბადებული წმინდანია მანამდე, სანამ მის

აღზრდას მშობლები არ შეუდგებიან.

2957. აღზრდა პიროვნებაზე, უპირველესად სულიერების არხით ზემოქმედებს.

2958. ცუდად სწავლის სურვილი ტყუილების თქმას გვაჩვევს.

2959. ცოდნის დაგროვება საჭიროა, ხოლო შენახვა-გადანახვისათვის მისი მახსოვრობის ფილტრში გატარებაა აუცილებელი, რათა დროის ყისმათმა არ უგანოს და მოძველებულად არ აღიქვან.

2960. დღეს განათლება თავის გამოჩვენების მონაა, რადგან ცოდნა აკლია.

2961. დადგენილ კანონთა არსში წვდომა ერთეულ გონიერ „კლაუზნიკთა“ და შარიანთა საქმეა.

2962. უმეცრება ყოველთვის მეტს ყბედობს და ლაპარაკობს, ვიდრე ცოდნა და განათლება.

2963. წესიერება და უდრტვინველი აღზრდა ადამიანური სიმდიდრის ერთ-ერთი სახეობაა.

2964. ცოდნა-განათლება გონის სრულყოფილების ფართო შარაგზაა.

2965. კარგი მასწავლებლები გვეხმარებიან, სხვაზე მეტი დავინახოთ და აღვიქვათ.

2966. უნივერსალიზმის მისაღწევად საერთო-საგანმანათლებლო ცოდნა აუცილებელია, მაგრამ დიდი საქმეების საკეთებლად უკმარისია.

+2967. გამოცდილება ძვირი სკოლაა, მაგრამ რეალური ცოდნის მომცემი და უდრტვინველი ცხოვრების მასწავლებელი.

2968. ცოდნა იმ ნიჭის წარმოჩენის საშუალებაა, რომლის საძირეა პრაქტიკული მეცნიერების შესაძლებლობები.

2969. ცოდნის შეძენა და მისი სიკეთის აღქმა სურვილთა სამეფოს ხელშია.

2970. განათლებას ისევ ცოდნა სჭირდება, მაგრამ აქედან საერთო ინტერესების შეურწყმელად არაფერი სახეირო არ გამოტყვრება.

2971. კარგი მასწავლებელია ის, ვინც სკოლაში უყვართ, ჯეელობაში აფასებენ და მხცოვანებაში სჯობნიან და ამით მის ხსოვნას ჯეროვან პატივს მიაგებენ.

2972. განათლებასა და ცოდნას შორის ის სხვაობაა, რომ პირველმა იცის, რისი კეთება შეუძლია და რისი – არა, ხოლო მეორეს ეს კრიტერიუმები არ აინტერესებს, რადგან ის ხელშეუხებელ დოგმებს არ ეპუება.

2973. მასწავლებელს, რომელიც თავის მიმდევარს არ ტოვებს, სულ უბრალოდ, ცუდად უღვაწია.

2974. წესიერად ცხოვრების სურვილი ღირსეულად აღზრდის შედეგია.

2975. ზოგჯერ პატარები იმას გვასწავლიან, რისი სწავლებაც ჩვენს პედაგოგებს თავში არასოდეს მოსვლიათ.

2976. რეალური ცოდნა-გამოცდილება მარად სიკეთის მღაღადებელი და მკეთებელია.

2977. ცოდნის მიმცემი საგანმანათლებლო დაწესებულება ძალზე ცოტაა, ხოლო განათლების მიმცემი – უამრავი და ეს განათლებაც პრაქტიკული ყოფისთვის გამოუსადეგარია.

2978. მომავალში, ალბათ, ჩვენს ნაშიერებს გონიერი რობოტები გაანათლებენ და შვილებს მშობლებისთვის სასაყვედუროც არაფერი ექნებათ.

2979. ზოგჯერ შვილებს უწევთ მშობლების „აღზრდა“, ზოგი მშობელი იმდენად მოუმზადებელია ახალ თაობის აღსაზრდელად.

2980. განათლება ცოდნას ვერ სჯობს და ეს უკანასკნელი ყოველთვის მოგებულია, რადგან ცხოვრებას ავ-კარგში პრაქტიკულად უკეთ ერკვევა.

+2981. გემოვნება არ ისწავლება, გემოვნება აღიზრდება.

2982. ცოდნა განუსაზღვრელია, განუსჯელია, წინმაცქერალია და მუდმივია, ჩვენი ამქვეყნად ყოფნისგან განსხვავებით.

2983. გონიერმა ცოდნის გვირგვინის ტარებასთან ერთად მისი ტარების ხელოვნებაც უნდა ისწავლოს, თავად რომ სათანადოდ აღიქვან.

2984. ფართო განათლებისკენ მოწოდება ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაა.

2985. მხცოვანისათვის პატივის მიგების სწავლება ახალგაზრდების გონივრული და წინდახედული აღზრდის ხელოვნებაა.

2986. აღზრდა, ცოდნა და გამოცდილება დროის, გარემოსა და შემთხვევის თანადგომასაც მოითხოვს.

2987. ცოდნას დაწაფებული რომ, ბუნებით შემოქმედი არ იყოს, გამორიცხულია.

2988. ცოდნა, რომლისგანაც მოგებას არ ვღებულობთ, განათლება უფროა, რადგან რეალობიდან და პრაქტიკიდან შორსა დგას.

2989. დიდი ბედნიერებაა, როდესაც ახალგაზრდამ იმაზე მეტი იცის, რაც მის ასაკში უნდა იცოდნენ, მაგრამ დიდი უბედურებაა, თუ ამ ცოდნას არადანიშნულებისამებრ იყენებს.

2990. აღმზრდელი, რომელიც მშობლის ვალდებულებას კისრულობს, მშობლებზე მეტ პატივისცემას იმსახურებს.

2991. დღეს განათლების მიღება ადვილია, ცოდნა-გამოცდილების შეძენა – ძნელი.

2992. გათავხედებულ ბავშვს ყოველთვის ამბიციური მშობლები ჰყავს, რომლებიც მის გონივრულ დასჯასაც ვერ იტანენ, რადგან აღზრდის ალგორითმებიდან შორს დგანან.

2993. სწავლება, რომელიც გულსა და გონებას ვერ სწვდება, ამაოა.

2994. ცოდვაა ის მასწავლებელი, რომელიც თავისაზე მჯობს ვერ აღზრდის, რაკიღა ამ ვითარებაში ვერ სრულდება პრინციპი: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

2995. განათლება სამართლიანობისთვის თვალებში შეხედვას ხშირად მოითხოვს რათა ამით თავისი მეობა წარმოაჩინოს.

2996. ცოდნაში პრაქტიკული უნარებიც შედის, ხოლო განათლებაში – მხოლოდ ინფორმაცია და თვალსაწიერი.

2997. რა არის განათლების მადლი: ასწავლო, თავი მოაწონო, მსმენელი ააღელვო და შენც ამით ისიამოვნო.

2998. ცნობიერების აღზრდა მოწოდებაა, გვერდზე მოისროლოს ყოველი, რაც სახეირო არაა და გამოუყენებელია.

2999. ყველაზე დიდი პატრიოტიზმია ეროვნული ენის დაფასება და მისი დაცვა, შემდგომ მოდის ქვეყნის სიყვარული და ბოლოს – დანარჩენი სხვა ხაბახუბა.

3000. ცოდნა ულიმიტო სწავლის შედეგია, სიბრძნე – კრიტიკული დაკვირვებისა.

3001. კარგი მასწავლებელი კარგ მოსწავლეებს გამოჩხრეკს, თუ მონდომება ექნა.

3002. სკოლებში ძირითადად ქალები ასწავლიან, უმაღლეს სასწავლებლებში – თვინიერი მამაკაცები. როლების ამგვარი გადანაწულებაც, ეტყობა, განგების ნებაა, რადგან პირველნი პირველი რიგის განათლებას იძლევიან, მეორენი სპეციალობასა და ღრმა დარგობრივ ცოდნას.

3003. ცოდნა უსასრულობისკენ მიილტვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ ბუნებას დაკარგავდა და თანდათან მიინავლებოდა.

+3004. აღზრდასაც თავისი შუქ-ჩრდილები ახასიათებს, მაგრამ ბოლო მთლიანად ნათელი აქვს.

3005. სკოლაში უპირველესად უნდა ისწავლებოდეს ყოფა-ქცევის ანბანი, რათა ზნეობრივად უნაკლო საზოგადოება მივიღოთ.

+3006. კრიტიკა იმდენად არ უნდა გვაშინებდეს, რამდენადაც ჩასაფრებული სიჩუმე.

3007. ზოგჯერ ცოდნა და ფანტაზია ისეთ დროს გამოგვადგება, რასაც სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდით.

3008. აღზრდის თეორიების მოსმენას ისევ განსჯისთვის განკუთვნილი ცოდნა სჯობს.

3009. ხშირად საგანს მასწავლებლის გადმოცემის უნარი გვაყვარებს და მის ერთგულ მონა-მორჩილად გვხდის, შემდგომში – მისი დაუფლების წადილი.

3010. სასწაულის მოხდენის მცდელობაც რწმენის საქმეა, რაც დამოკიდებულია აღზრდაზე, დაბადების ადგილზე და შემოქმედებით

უნარზე.

3011. სწავლული განათლებას, ნასწავლს ნიშნავს და არა პრაქტიკული ცოდნის ფლობას.

3012. განათლება კარგია, ცოდნა უკეთესია, მაგრამ კვალიფიკაციის ამაღლებას ორივე ითხოვს.

3013. აღზრდის ფესვები ერთგვარ ძალადობასთანაა წილნაყარი, რომელსაც მომავლის იმედი და სიყვარული აშუქებს.

3014. ცოდნა და კვალიფიკაცია ტექნიკური პროგრესის ათვისებას გულისხმობს.

3015. კეთილშობილებას მარტო აღზრდა არ კვებავს. მას გარემო და დროც განაპირობებს.

3016. ბედნიერი ცხოვრებისთვის მომზადება და პრაქტიკული ცოდნის მიცემა აღმზრდელთა პრეროგატივაა.

3017. შვილი მშობლების საქციელზე პასუხს არ აგებს, მაგრამ პირიქით კი ხდება, რადგან მათ შვილების აღზრდას, ეტყობა, რაღაც მთავარი დააკლეს.

3018. ცოდნას, განათლებისგან განსხვავებით, დავიწყებისკენ მიდრეკილება არ ახასიათებს.

3019. მშობლებმა უნდა იგრძნონ, რომ ბავშვი დაბადებიდანვე პიროვნებაა და მის ასეთად ჩამოყალიბებას ყოველნაირად ხელი უნდა შეუწყონ.

3020. ცოდნაა ის, რაც თავში გვრჩება და ვიყენებთ, დანარჩენი ყოველივე განათლება და ინფორმაციის ფლობაა.

3021. ბრძანებები სწავლების სინონიმი შეიძლება იყოს, ოღონდ გააჩნია მბრძანებლის ნიჭსა და გამოცდილებას.

3022. ცოდნა გამოყენებითი ძალაა, რადგან გამოუყენებელი ცოდნა არავის სჭირდება.

3023. განათლება უფერული უმწიფარი ვაშლია, ცოდნა – წითელლოყება მწიფე ვაშლი.

3024. ცოდნამ, განათლებისგან განსხვავებით, სარგებელი ყველას უნდა მოუტანოს.

3025. აღზრდაც თავისებური სიამოვნებაა, თუ აღზრდის მიზანი პედაგოგისთვის ახლობელია და ნაცნობი.

3026. წიგნი და კომპიუტერი ჩვენს აღზრდას ცდილობენ, ოღონდ ყველა თავისი გადასახედიდან.

3027. მუყაითი მოწაფე, ზოგჯერ მასწავლებლის მასწავლებლად გვევლინება.

3028. ცოდნის გასათავისებლად ასაკი არ არსებობს.

3029. განათლება და ცოდნა, თუ კარგად დაუკვირდებით, ადამიანს სახეზე ეტყობა.

3030. ცოდნა ისაა, რაც სიახლის ძიებაში გზას გვინათებს.

3031. ცოდნას დასასრული არ აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამყაროში ცხოვრება გაჭირდებოდა.

3032. განათლება, რომელიც რწმენას გვინერგავს, აუცილებლივ ცოდნად გადაიზრდება.

3033. აღზრდისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შეგირდის თავმოყვარეობის პარამეტრები და მისი გენური თვისებები.

3034. მცოდნეა, ის ვისაც ცუდისა და კარგის განსხვავების უნარი შესწევს, ხოლო, ვინც ორჭოფობს, ის განათლებულია, რამეთუ მთლად გაუნათლებელს საორჭოფოც არაფერი აქვს.

ბედი, ფორტუნა, იღბალი, ყისმათი

3035. ბედი იგივე საოცრებაა, იმ სხვაობით, რომ პირველად გჯერა, მეორედ – ნაკლებად, მაგრამ ორივეს ნდობით ველოდებით.

3036. სამყარო ჩვენ ფეხებქვეშ მხოლოდ ყოფის გამოცდილებით და ბედის გაღიმების შემდგომ ეგება, ისიც მხოლოდ დროებით.

3037. ბედნიერებაც შეფარდებითია. მას ჩვენი გონიერების მეგაბაიტი და განწყობა განსაზღვრავს და განსჯის.

3038. ბედნიერება იმ შემთხვევაშია გადამდები, თუ მას ამ ვირუსის გამოყოფის უნარი შესწევს.

3039. ზოგჯერ ბედსაც აიძულებენ უბედობის გადავადებას, რათა სიკეთის მკეთებელს დრო მისცენ.

3040. იღბალიც შიგადაშიგ იღვიძებს, თუ მას ძალისხმევასა და მცდელობას არ დავაკლებთ.

3041. სიყვარულის, მოწონების რეალიზაცია ბედნიერებაა, პიროვნების ნიჭის ქონა-არქონის მიუხედავად.

3042. ხშირად ყოფითი ბედნიერება სულიერ ბედნიერებას ავსებს.

3043. ბედნიერება ყოველდღიური ინფორმაციის მოპოვებაა, თუ პიროვნება მასში რაღაც სასიკეთოს აღმოაჩენს.

3044. იღბალს ჩვენი არჩევანით ხელი უნდა შევუწყოთ, რათა სათანადო ყურადღება გვაღირსოს.

3045. ბედს ზოგჯერ ჩვენი საქციელის, ჩვევის, ხასიათის სასიკეთოდ გამოყენება გვწევს.

3046. ბედის ირონია და დროის დაცინვაა, როდესაც იმავე იარაღით გისწორდებიან, რითაც მათ ებრძოდი, რათა მათთვისვე სიკეთე მოგეტანა.

3047. ბედის ნებიერას გაცილებით მეტი მოეთხოვება, რადგან ის ხალხის სიყვარულის რუპორია.

3048. ვისაც სურს თავი ბედნიერად იგრძნოს, ის ბედნიერია გარემო პირობების მიუხედავად.

3049. ნიჭსა და ბედთან ერთად მთავარია ღირებულებათა გათავისება.

3050. აღორძინებას სიმუხთლემ კვანტი არ უნდა დაუდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბედიც ვერაფერს გახდება.

3051. ძნელია ბედნიერების ხილვა, თუ ფორტუნა დროულად არ მოგაკითხავს.

3052. იმაზე დიდი ბედნიერება არ არის, როდესაც გგონია, რომ ქვეყანას სჭირდები და მისთვის მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებ.

3053. ზოგჯერ საკუთარმა ბედნიერებამაც მობეზრება იცის.

3054. ბედს ადამიანი თავადვე ეწევა, თუ გადაადგილება, ხელის განძრევა, ჭკუის მოხმობა არ ეზარება.

3055. ჯვრისწერა სულიერებისა და რწმენის გამოძახილია და არა ტრადიციებისა და მოვალეობისთვის პატივის მიგება.

3056. ბედნიერება იქ იბარტყებს, სადაც გულიანი სიცილისა და სიყვარულის ფასი იციან.

3057. ბედნიერება მოიპოვება იმდაგვარად, რომ მისი მოპოვების ხერხებზე არც ფიქრობენ.

3058. ბედნიერება და სიმდიდრე მეტოქენი არიან, ოღონდ ხშირად კოჰაბიტაცია უწევთ.

3059. ბედი ყოფიერების თავისებური ლატარეაა და მის გადმოსაბირებლად აქტიურად უნდა გაისარჯო.

3060. ზოგჯერ ბედი ყურს გვიწევს ჩვენი ყოფიერების გამოსწორების მიზნით.

3061. სიზარმაცის გამო საკუთარი ბედისთვის კვანტის გამოკვრას შთამომავლობა არ გაპატიებს.

3062. ბედმაც სიჩქარე ფრთხილად უნდა აკრიფოს, რათა პიროვნება მას წამოეწიოს.

3063. ბედნიერების ძიება ან მასთან გვაახლოებს, ან ბედნიერების ერთ-ერთი ვარიანტს მაინც გვაპოვნინებს.

3064. ბედნიერად ყოფნა თავისებური მოვალეობაა არა მარტო საკუთარი თავის, არამედ სხვათა წინაშეც.

3065. კარიერის კიბეზე აღმასვლას ბედთან ერთად ერთგვარი თავხედობაც სჭირდება.

3066. ბუნებრივი სათნოება ბედნიერების მომტანია.

3067. სიბრძნე ბედნიერების დედაა, ხოლო ბედი-მამა.

3068. სიძნელეთა გადატანა ძნელია, მაგრამ დადებითი შედეგის მიღება ბედნიერებაა.

+3069. ბედის კრედიტის აღება აუცილებელია, რომლის დაფარვა ჭირს, თუ იმედის ახალ კრედიტს არ ავიღებთ.

3070. ბედნიერების „პერპენტუმ-მობილე“ რა არის, არავინ უწყის, რადგან მიღწეული არასოდეს გვაკმაყოფილებს და მარად ბედის წყალობის უმადურნი ვართ.

3071. იღბალიც მარად ახალ თაობებსა და დროს ირჩევს, რადგან მეტი შანსი აქვს თავის წარმოსაჩენად.

3072. დაგეგმილი ბედნიერება სულიერ კომფორტს გააზრებული სიკეთის კეთებით გვპირდება.

3073. ბედის რჩეულთან გასაუბრება მხნეობით გვავსებს.

3074. თქვენ მიმართ გრძნობების არქონა პატივისცემას იმსახურებს, რაკიღა ცრუ იმედებით ბედს არ გავუძალიანდით.

3075. ბედზე ყოველთვის იმაზე მეტი მოთხოვნაა, ვიდრე განგებამ გამოილიმიტა, რადგან ბედის ნაბოძევი ღვთის წყალობა ჰგონიათ.

3076. ყოველი სიძნელის უკან ულიმიტო შესაძლებლობები დგას. გააჩნია, ვინ მოჰკიდებს მას ხელს: ბედის რჩეული თუ ბედის მაჩანჩალა.

+3077. ყველაზე დიდი ბედნიერება შრომითი მხიარულებაა.

3078. ბედსაც პასუხისმგებლობა სჭირდება და არა მოდაში შემოსული უპასუხისმგებლო თავისუფლება.

3079. ბედნიერება იმათი ხვედრია, ვინც წარსულ ცოდვებს ნაკლებად იხსენებს.

3080. ბედნიერების ფორმებს ვეძებთ, ფორმულებს ვადგენთ, თითქოსდა მისი არსი გვესმოდეს.

+3081. საკუთარი თავის პოვნასაც ბედი უნდა.

3082. ბედნიერებაა, თუ არსებულ დროსა და გარემოს ეგუები და, თუ ამას ვერ ახერხებ, – დროულად სხვაგან უნდა გადაბარგდე.

3083. უყვარხარ თუ ეზარები – ეს შენმა ბედმა უნდა განსაზღვროს და დრომ დაადასტუროს.

3084. ბედნიერებაა, როდესაც ხალხი სიცოცხლეში პიროვნებად გცნობს, უყვარხარ და შენით ამაყობს.

3085. საკუთარ ბედს, ყოფის მარათონის გავლას ზოგი ხელებდაკაპიწებით მოითხოვს.

3086. ბედნიერია, ვინც მცირედითა და აუცილებლით კმაყოფილდება და სხვისი არაფერი შურს.

3087. ყველაზე დიდი ბედნიერებაა საყვარელი საქმის უდრტვინველად და უანგაროდ კეთება.

3088. ისიც ბედნიერებაა, როდესაც სინანულით გაცილებენ იმქვეყნად და შენს დაკრძალვაში მონაწილეობას დიდ პატივად მიითვლიან.

3089. ბედის ოცნებით შეცდენას ყველა ჩვენგანი ცდილობს, რადგან კონკრეტული ნაყოფით მარად უკმაყოფილნი ვართ.

3090. ბედს ვეთამაშებით ან ბედი გვათამაშებს.

3091. ხანმოკლე თუ ხანგრძლივი ბედნიერების მოპოვება სხვადასხვა ნიჭს მოითხოვს.

3092. მთავარია, რომ ბედმა დაგინდოს, მოგეფეროს, გზა მოგცეს, არ გაგაფუჭოს, არ გაგინოს, არ გიღალატოს.

3093. უბედურებიდან თავს ცოდნა ვერ დაგვაღწევინებს, აქ ბედია აუცილებელი.

3094. ჩემს ზრახვებს რომ დრო და განგება ხელს უწყობს, ეს უკვე ჩემი ბედია.

3095. დიპლომატია ხელოვნებაა, ნიჭია, პრესტიჟია, მაგრამ ბედმა მასაც ხელი უნდა შეუწყოს.

3096. ბედნიერების შეცნობას დიდი ჭკუა არა სჭირდება, მაგრამ მოპოვებას – დიახაც.

3097. ჩვენი წილი ბედნიერება ყველამ სანთელ-საკმეველივით უნდა

მოვიძიოთ და არა მუქთად და ბედის წყალობით.

3098. ბედის მიერ შემოთავაზებულ რაღაც-რაღაცების დათმობებს ფეხი უნდა ავუწყოთ, რათა მეტი კარგი შემოგვთავაზოს.

3099. ბედნიერებას იმსახურებენ, ხოლო მისი ბითუმად შეძენა სათუო და სიჭოჭმანოა.

3100. ბედის წყალობას თავადვე ვჩარხავთ, თუ დრომ და გარემოებამ ხელი შეგვიწყო.

3101. ბედი ძირითადად გონის გამოჯანმრთელებისთვის იღვწის, თუ გაუმართლა.

3102. საკუთარ ბედნიერებაზე ყველას თავისებურად გაჭიანურებული წარმოდგენა აქვს.

3103. ღმერთზე შინაგანად უნდა ვიფიქროთ, ოღონდ ბედისთვის შეძახებით და შემართებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასზე ყველა ჩვენი პრობლემის ჩამოკიდება რწმენის საფასურად უსინდისობაა.

3104. ბედნიერებაა, თუ შენთვის საინტერესო საქმის კეთების წყურვილი გაწუხებს.

3105. სუბიექტივიზმისა და რეალობის ზღვარზე ყოფნა ყველა ადამიანის ხვედრია, თუ მასში ბედისწერა არ ჩაერია.

3106. ბედნიერება თავისებური ინტერპრეტაციაა. სიმართლის რკვევა მას ვნებს.

3107. ბედნიერებაც იზომება, რათა შედარებისა და განსჯის უნარი არ წაგვერთვას.

3108. ხუმრობა გონიერების ყველაზე დიდი დასაყრდენია. თუ ეგ დასაყრდენი არსებობს, მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

3109. სიცოცხლის ტრფობას რა სჯობს, თუ ბედმა დაგინდო და შემთხვევამ ფეხი არ გამოგკრა.

3110. გულმოწყალების გამოყენებაც შესაძლებელია, თუ ბედი ჩვენს მხარეზეა.

3111. განგება თავის განუსაზღვრელ მოწყალებას ზოგჯერ რისხვით ცვლის, თუ მისი რჩეული ბედისადმი უმადურობით გამოირჩევა.

3112. სულიერად მარად ბავშვად დარჩენის უნარის ქონა თავისებური ბედნიერებაა.

3113. განგების გამოგზავნილ ბედს არ უნდა დაველოდოთ. მისკენ ნაბიჯები უნდა გადავდგათ და დროულად შევეგებოთ.

3114. ვეცადოთ, სინანული ახლოს არ გავიკაროთ, რადგან, რაც მოსახდენია, მაინც მოხდება, რაკი ბედმა ასე ინება.

3115. მთავარი ხელოვნურად გამართული პიარი კი არ არის, არამედ საკუთარი სიტყვის შესატყვისად ბუნებრივად გახდე პოპულარული.

3116. მთავარია, უკანმოხედვის არ შეგვრცხვეს, თორემ წინ გზას მცდელობით და ბედის შემწეობით, ასე თუ ისე, გავიკვლევთ.

3117. ბედნიერებაა, როდესაც ოპტიმისტად იბადები, თავს მოწყენის უფლებას არ აძლევ და ზოგჯერ მიზანსაც აღწევ.

3118. ბედის ირონია ანგრევს ქვეყნის წყობას და არა ხალხის მცდელობა, მისი ხუშტურები თუ უგუნურება.

+3119. ბედის კმაყოფილი არვინაა, თავად ბედიც, როცა იგი, განგების ნებით, უღირსს ემსახურება.

3120. ბედნიერებაა, როდესაც ყველაფერი წინ გაქვს და იმედი გკვებავს.

3121. ღამე ბნელი, ფიქრები მიუწვდომელი, სიყვარული სანატრელი – ყველა ჩვენგანის ბედის კუნჭულში უცვლელად უნდა იყოს, თუ გვინდა, ყოფიერების მადლს ვეზიაროთ და მისი რაობა შევიცნოთ.

3122. რწმენაუქონელ ადამიანს ცხოვრება უჭირს და ბედით ნაბოძვარ ამქვეყნიურ ბედნიერებას ბოლომდე ვერ აღიქვამს.

3123. მოყვასის შემცნობი და შემგუებელი ადამიანი ბედნიერია.

3124. ყველა მიილტვის ბედნიერებისაკენ, მაგრამ ბედნიერების ალგორითმი სხვადასხვაა, რადგან მასში ბედისა და შემთხვევითობის ხელიც ურევია.

3125. ლანგარზე დადებული ბედნიერებაც მხოლოდ ბრძოლის შედეგად მოიპოვება.

3126. დრამატურგია თავისებური ენერგიაა, რომელიც ნიჭის სხვადასხვა სახეობას თავს უყრის თავისი ფანტაზიების სცენაზე გამოსახატავად.

3127. უღრუბლო ბედნიერებასაც გაძლება სჭირდება – მოსაბეზრებელია.

3128. ჩვენი შესაძლებლობების უმთავრესი დამნახველი ჩვენი ბედია. ამიტომ მას არ უნდა შევუკურთხოთ, თუ ზოგჯერ ტრაბახის საშუალებას არ მოგვცემს.

3129. წარმატება ბედია და ის შემთხვევითობასა და აუცილებლობასთან თამაშია.

3130. ბედმა ასე მოინდომა, ასე ინება – ესაა ბედნიერ დღეზე გაჩენილი კაცის ფილოსოფია.

3131. ბედნიერებაა, როდესაც საყვარელი საქმის კეთებით ხარ დაკავებული, ხელფასის აღების დღეს ეკალზე მჯდარი არ ელოდები და შინ მისვლა გიხარია.

3132. ბედნიერებაც თავისი პრობლემების განსჯით არის გადაღლილი.

+3133. ბედნიერი დღეები გვახსენდება, გვაამაყებს, გვახარებს, მაგრამ არ გვყოფნის.

3134. ყველა წარმატებაში ოცნების ხელი ურევია, ოღონდ ყოველივე ამას ბედი მეთვალყურეობს.

3135. ბედნიერება შინაგანი ზეიმია და ის ტირაჟირებას არ საჭიროებს.

3136. ბედის ჯვრის ტარება გვიხდება, იმისდა მიუხედავად, კარგია ის თუ ავი.

3137. სასურველი ცხონების მოპოვების ბევრი პარამეტრი არსებობს და რომელს გვაჩუქებს ბედი, არავინ უწყის.

3138. განვლილი წლების პლუს-მინუსის ჯამი ადგენს ჩვენი ბედნიერების კოეფიციენტს.

3139. ბედი შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონს ემორჩილება.

3140. ბედნიერება იმ სახლშია, სადაც ურთიერთსიყვარულია, თანადგომა და უპირველესი მიზანი გამორჩენა არაა.

3141. ფორტუნა, ნაღდი მეგობრისაგან განსხვავებით, ყოველთვის ცვალებადია, ზოგჯერ კვანტის დადებაც იცის და ზურგში მახვილის ჩაცემაც.

3142. ბედნიერებაც პირობითი ცნებაა, რადგან ადამიანის გაუმაძღარ ბუნებას ყოველთვის გაცილებით მეტი უნდა.

+3143. საკუთარი ბედის შეგინება რომ შეგრცხვება, ესაა ბედნიერება.

+3144. ბედნიერებას თუ სხვასაც არ გაუზიარებ, ის შენთან დიდხანს არ დაისადგურებს.

3145. სიკეთის კეთება სხვათა გაჭირვების გაუცნობიერებლად, ყოველთვის ბედნიერებად არ აღიქმება.

3146. „მფრინავი თეფშები“, იქნებ, რეალობაც იყოს და, ვინ იცის, ამ თეფშებით გაწყობილ სამყაროს სუფრაზე ვის რა ბედი ელის.

3147. სიტყვით „საქმენმან შენმან უნდა გამოგაჩინოს“, მაგრამ, თუ ბედი არ გწყალობს, ეს მაინც არ მოხდება.

3148. ბედისგან დაწიხლულმა ადამიანმა, შეიძლება, სათავისო ცხოვრება ვერ ააწყოს, მაგრამ გამოცდილება კი დიდი ჰქონდეს.

3149. ბედნიერებაც პირობითია და მასაც თავისებური მიდგომა, გააზრება სჭირდება.

3150. ბედის წყალობა – არ წყალობა მარად მიულოდნელი და ჩვენთვის ამუხსნელია.

3151. სიცოცხლე ყოველი ამოსუნთქვისას უნდა შევიცნოთ, ბედმა როგორც არ უნდა დაგვცინოს.

3152. ინტუიციით და გონის მოშველიებით ადამიანის ბედის შეცვლაც შესაძლებელია.

3153. სხვისთვის ბედის გაღიმება ჩვენდა უნებლიეთ შურს იწვევს, ეს ადამიანი რაც უნდა ჩვენი ახლობელი იყოს.

3154. წესით, ბედმა სულმდაბალ ადამიანს არ უნდა გაუღიმოს, მა-

გრამ, ეტყობა, განგება მას ან დასცინის, ან გამოცდას უწყობს.

3155. რეალური მიზანი „ძაღლის ყეფას“ ყურადღებას არ აქცევს და ბედსაც ამდაგვარად ეწევა.

3156. ბედნიერებაა, როდესაც შენს ნაღვაწს სხვებისთვის სარგებლობა მოაქვს და შენ კი დამსახურებული დამატებითი შემოსავლით გახალისებს.

3157. ვინც სხვისი ბედისწერის შეცვლას შეეცდება, ის საკუთარ ბედისწერას ბოლომდე ვერ გაქაჩავს და ცხოვრებაც უგანებს.

3158. მშვენიერების აღქმის უნარი ბედნიერების შეცნობის ერთ-ერთი ხერხია.

3159. ხშირად ბედისწერა ნებისყოფის სინონიმად გვევლინება.

3160. თუ არც ქვეყანა გწყალობს და არც ბედი, ეს იმას მოასწავებს, რომ ცუდ დროში გიწევს ცხოვრება და ჯერჯერობით არ გიმართლებთ.

3161. ბედის დაცინვაა, როდესაც იმ ქალს, რომელიც შენი არასოდეს გახდება, მარად ეყვარები და გეყვარება.

3162. ცოდნა, ბედი, ამბიციური შემართება გამარჯვების უეჭველი საწინდარია.

3163. ბედნიერების შეცნობა ძალ-ღონეს გვაცლის, თუ ემოციებს არ ვაკონტროლებთ.

3164. ლამპრით ხელში თანამედროვეობაში ხეტიალი ბედნიერების გარანტიაა.

3165. ბედნიერებასაც თავისი ბინადარი ჰყავს თავისი მენტალიტეტითა და მოციქულებით.

3166. სიღარიბე ბედისაგან პანღურს იმსახურებს, რადგან მარტო ხელის წაკვრით სახეირო არაფერი გამოდის.

3167. ბედნიერებაა, თუ ადამიანის ნამოქმედარს განგება ალმაცერად არ უყურებს.

3168. ბედი დოვლათს თავადვე გაშოვნინებს, დოვლათი კი ბედს თავად ვერ მოიძიებს და ამიტომაც არის, რომ მათი სასიკეთო შერწყმა „ბედოვლათობის“ სახით არ ხერხდება.

+3169. ბედი ხშირად ის მუსიკალური ნაწარმოებია, რომელიც მოგვწონს, მაგრამ მის ხეირიანად დაკვრას ვერ ვახერხებთ.

3170. ყოველი გარდაქმნა ნიჭს მოითხოვს, ბედის ყისმათს, დროის თანხმობას.

3171. ხელისუფლების „ლოჟაში“ მოხვედრა ბედის საქმეა, ხოლო სასუსნავის მოძიება გადაბრუნებულ ჭკუა-გონებას უნდა მივანდოთ.

3172. ბედთან შეხვედრას ყველა თავისი გადასახედიდან აპირებს და ცდილობს.

3173. ჩვენი ბედნიერების გაქურდვის უფლება არავის უნდა მივცეთ.

3174. ბედნიერება არ ვიშვიშებს. ეს უკანასკნელი უიღბლოთა

ხვედრია.

3175. ბედნიერებას ის გამოჭედავს, ვისაც ამისი სურვილი და მცდელობა აქვს.

3176. იღბლის დუელში გამოწვევა არა ღირს – არ ამართლებს.

3177. ძნელია ებრძოლო ბედის რჩეულ ხალხს, თუ ისინი ამ ბედს აფასებენ და მხარს უბამენ.

3178. ფორტუნა ბედნიერების ბორბალს ყოველთვის სათავისოდ ატრიალებს.

3179. ბედნიერების გასაღები ჩვენი დროის შესატყვისად, ეტყობა, ყველას გვიჭირავს ხელში, მაგრამ ბედნიერების კარებზე მისი მორგება ჭირს და ყველას არ ძალგვიძს.

3180. ერთხელ ბოძებულ ამქვეყნიურ განცხრომას ბედი აღარ დაგვიბრუნებს, რადგან მისი დაკარგვა ჩვენი უნიათობის ბრალია.

3181. ინტუიცია ტრენინგს არ ეპუება, არ ემორჩილება და თავისი ყისმათით იღვწის.

3182. იმის ცოდნა, რაც სხვამ არ იცის და შენ იცი, გონიერებაა, ხოლო იმის ცოდნა, რაც შენ არ იცოდი და აღმოაჩინე, შეიცანი, ბედნიერებაა.

3183. სიბრძნის შენს გემოზე და საკუთარი მსოფლმხედველობით გააზრება ერთგვარი ბედნიერებაა.

3184. რატომ-რისთვის-ვისთვის? ბედის განაჩენს ვერ ცვლის.

3185. ბედნიერება მუდმივია, თუ გაგიმართლა და ბედის ვარსკვლავსაც გრძნობებით ეთამაშები.

3186. მარტო საკუთარ თავზე ზრუნვით ბედნიერებას ვერ მიაღწევ.

3187. ყველა ჩვენგანს თავისი ბედის ანგელოზი თავს უნდა დასტრიალებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ამქვეყნად ყოფნა საორჭოფოა.

3188. საკუთარი თავის ფლობა, დამოძღვრა ერთეულ რჩეულთა ხვედრია და ისიც მაშინ, თუ ბედიც შეეწევა.

3189. ბედთან გათამაშება ერთეულთა ხვედრია და ის ხშირად სხვათა განაწყენებას არ იწვევს.

3190. მხცოვანის ბედნიერებაა, თუ სწავლა-განათლების შედეგად მიღებულ სპეციალობას დაუფასებენ და ენდობიან.

3191. სიყვარულს თავისი ადგილი აქვს, მოვალეობას კი – თავისი, ხოლო მათი შერწყმა დიდ ბედნიერებასა გვწევს.

3192. ბედს უნდა უყვარდე, ცხოვრება რომ აგეწყოს.

3193. ბედისწერას თვალებში უნდა ვუყუროთ, რათა მშვიდმა ცხოვრებამ არ გაგვაზარმაცოს.

3194. ბედი ყოველივეს თავის ჭკუაზე გვიკვარახჭინებს, ჩვენი მცდელობისა და ჩალიჩის მიუხედავად.

3195. ბედიც უნდა ვავარჯიშოთ, სხვადასხვა თავსატეხი შევთავაზოთ, რათა გაგვიგოს, გაგვიცნოს და დაგვეხმაროს.

3196. ბედს უნდა ვენდოთ, რადგან საკუთარ თავზე მეტად მისი გვჯერა.

3197. ბედნიერებისთვის დრო და ასაკი სულ ერთია.

3198. ყოველ სიახლეს თავისი ბედი ნერგავს, ამკობს, აცილებს.

3199. ბედნიერებასა და თვით კარიერის კეთებასაც თვითნაბადი ნიჭი სჭირდება.

3200. ბედს ჩვენი წარმოჩენა ზოგჯერ მსხვერპლშეწირვითა და ჩვენი დაღვინების გაჯანჯლებით სწადია.

3201. რომანტიკული ნაპერწკლით გაოგნებასაც ბედი უნდა.

3202. ბედის განაჩენის შემსუბუქება შესაძლებელია, მაგრამ მისგან მთლად თავის დაძვრენა შეუძლებელია.

3203. ბედნიერება მსხვრევადია, თუ მას არ გავუფრთხილდებით.

3204. ბედს დამორჩილებული ადამიანი თავის ზემდგომზე უფრო მეტსა ფიქრობს, ვიდრე მისი ზემდგომი – საკუთარ თავზე.

3205. ბედისწერისგან გარიდების საშუალება მეცნიერებასთან ჭუკ-ჭუკი და გარემო პირობებთან დამეგობრებაა.

3206. ბედის მიმართ პრეტენზიულები ვართ და ხშირად ეჭვიც კი შეგვაქვს განგების სამართლიანობაში.

3207. ვეცადოთ, რომ ბედ-იღბლისათვის სიცოცხლის ბოლოს მადლობა გვქონდეს გადასახდელი.

3208. ბედნიერების მიზეზს ყოველთვის უნდა ვეძებდეთ და ვპოვებდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლე უინტერესო იქნებოდა.

3209. ბედის მწერალი და სულის მსაჯული ჩვენი არჩეული ღმერთია.

+3210. ცრემლი გულიდან ამოხეთქილ ბედნიერებას ასპეტაკებს.

3211. ბედსაც თავისი ოფოფები ჰყავს, თუ საკუთარ თავს არ შევუძახებთ და გონზე არ მოვიყვანთ.

3212. ბედნიერების დეგუსტირება რომ შეძლო, ის ჯერ უნდა დაიმსახურო.

3213. გონში შეიძლება ძალიან ბევრი რამ შევცვალოთ, მაგრამ არა ბედისწერაში.

3214. არის შეცდომა, რომელსაც ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულისთვის დიდება მოაქვს, მაგალითად, ქ. კოლუმბი ეძებდა ინდოეთისკენ მიმავალ გზას და აღმოაჩინა ამერიკა.

3215. ბედის ნებას გაშინაურებული ადამიანი მარად საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს.

3216. ბედნიერების მოპოვებას ნებისყოფა სჭირდება.

3217. უპირველესია მიზნის დასახვა და შემართება, შემდგომ მოდის ბედთან ჭიდილი, მასზე ჯობნა და მხარში ამოყენება.

3218. ხშირად ბედნიერებამდე ერთი ნაბიჯი გვაშორებს, მაგრამ ამ ერთადერთი ნაბიჯის გადასადგმელად საჭირო გამბედაობა გვაკლია.

3219. ბედნიერება სხვებისთვისაც უნდა ვეძიოთ, რათა საკუთარი დაუყვედრებლად ვიგემოთ.

3220. მცირედი ადამიანური ბედნიერების უფლება ყველას აქვს, მათ შორის უბედურ დღეზე გაჩენილსაც.

3221. ბედნიერება დროულად მოდის, უბედურება – უდროოდ. ყოველ შემთხვევაში, ასე გვჯერა და გვწამს.

3222. ბედის სატევრის ქარქაშში უკუღმა ჩაგებას არ უნდა შევეცადოთ, მაინც არაფერი გამოგვივა.

3223. შეცდომიან-უშეცდომო ცხოვრებას ხშირად გადაამოწმებენ გარემო და ბედი.

3224. ბედთან შედავებას ყველა ცდილობს, რადგან ყველა მისი უკმაყოფილოა.

3225. ბედს მიზეზი არ უნდა მივცეთ, რომ ზურგი შეგვაქციოს და ჩვენს საწინააღმდეგოდ განეწყოს.

3226. ზურგშექცეული ფორტუნა კარგს არაფერს გვიქადის.

3227. საკბილო რომ მოიძიო, ბედი უნდა; რომ შეინარჩუნო, ჭკუის ჭყლეტა.

3228. უბიწო ბედნიერება არ არსებობს, რადგან ყოველივეს თავისი ავან-ჩავანი ახლავს.

3229. მეგობრის ყოლას დამსახურებაც უნდა და ბედიც.

3230. ზოგჯერ ბედი ჭკუით უნდა დავახურდაოთ, რათა სიცოცხლის მადლი ჩვენი გაგებითაც შევიცნოთ.

3231. საკუთარი წარმატებებითა და ბედის წყალობით ნუ იტრაბახებთ – მოშურნეებსაც გაიჩენთ და ბევრსაც დაბოღმავთ.

3232. ბედისთვის მუჯლუგუნის წაკვრა ადამიანს არ უნდა დაეზაროს.

3233. ნანატრი სიყვარული, ოჯახი, შვილები, შვილიშვილები – ამ ბედნიერებაზე მეტი რა უნდა ინატროს ცხოვრების უმადურმა ადამიანმა!

3234. ბედნიერება ურთიერთგაგება-ურთიერთთანამშრომლობას მოაქვს.

3235. ცხოვრების გზის არჩევა ყოველთვის ჩვენზე არ არის დამოკიდებული. აქ მთავარია ბედი და გამართლება.

3236. ნადირობას ბედნიერებასა და მშვენიერებაზე შეძენილი ცოდნა-გამოცდილება არ შველის. მას თანდაყოლილი ბუნების ნაბოძები ნიჭიც თან უნდა ახლდეს.

3237. ბედნიერების მარაგი თავადვე უნდა შევქმნათ, ოღონდ იმ რაოდენობით, რომ მთელი ცხოვრება გვეყოს.

3238. ბედნიერებაა იმ ასაკში ცხოვრება, როცა სხვათა ტვირთის

ტარებას არ უკადრისობ და სიცოცხლის მადლის შეცნობაც არ გიჭირს.

3239. თუ ბედი შიგადაშიგ შენს მხარესაა, მეტი გამართლება რაღა გინდა ცხოვრებაში? სტაცე ხელი და გაიმარჯვე!

3240. ზოგჯერ მცირე სურვილთა ასრულებაც დიდი ბედნიერებაა, რადგან საკუთარი ნება გამოხატე და წადილი შეისრულე.

3241. უყვარდეთ სიამოვნებაა, მაგრამ გიყვარდეს – ბედნიერება.

3242. ბედნიერებაა, თუ იმ საზოგადოებაში ცხოვრობ, სადაც შენ მიერ განვლილი წლების სახეირო რამერუმეები ახსოვთ.

3243. ბედი ზოგჯერ კუთვნილზე მეტს იძლევა, მაგრამ მისით ყველა უკმაყოფილოა.

3244. ზოგჯერ ადამიანი თავის ბედს არ ჭედავს, მაგრამ მჭედლობაზე უარს როდი ამბობს.

3245. ბედნიერებაა უბედურების გვერდის ავლის ხელოვნების ცოდნა.

3246. ინტუიციის მქონე ხალხს არ უნდა დავცინოთ, რადგან მათ ზოგჯერ ჩვენი ბედის შეცნობაც ძალუძთ.

3247. ხასიათების კონგლომერატი გავლენას ახდენს ადამიანთა ბედზე.

3248. თუ გნებავს, თავი ბედნიერად იგრძნო, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავს უნდა შეუძახო, მოეფერო, წარმოაჩინო, გაულიმო, შეიყვარო, შეაქო. ეს, შეიძლება, სარკესთან გააკეთო, თუ გინდა, ეს განწყობა მთელი დღე გაგყვეს და თავი განუმეორებელ ინდივიდად იგრძნო.

3249. ბედნიერება გვახალისებს, მოჭარბებულ საქმეს უდრტვინველად გვაკეთებინებს და ურთიერთპატივისცემას გვათესვინებს.

3250. ბედნიერები, ჩვეულებრივ, შეძლებულ ოჯახებში იბადებიან და, მომავალში მათზე ბედი გახუმრებას როგორ მოინდომებს, არავინ უწყის, რადგან მუდმივი და განაღდებული ამქვეყნად არაფერია.

3251. „ხომ შეიძლება“ ალიბის მოშველიება საქმეს ვერ უშველის. კაცის სიმართლის მიუხედავად, ზოგჯერ ასეთია ბედის გაჯიუტება.

3252. შენი ღირსების აღქმა ხშირად ბედის წყალობის შედეგია.

3253. აზროვნების შეფასება მათემატიკასთან საერთო ენის გამონახვით უნდა მოხდეს, თუნდაც მისი საწყისი ალბათობის თეორიით იწყებოდეს.

3254. წარმატებას რომ მივაღწიოთ, ბედს უნდა შევეთამაშოთ, ჩავუსაფრდეთ, დრო შევარჩიოთ, ვეცადოთ.

3255. ბედნიერების სინონიმი ხშირად ნებისყოფაა.

3256. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩვენი სურვილები ჩვენს შესაძლებლობა-მცდელობას არ ემთხვევა, რადგან ბედი ყოველთვის ჩვენს მხარეზე არ არის.

3257. იღბალი და ბედი შემართების უქონელ ხალხს არა სწყალობს და არ ეხმარება.

3258. ყველანი მაწანწალა ბედის მოიმედენი ვართ, რომელიც ცხოვრებას მიზანდასახულსა ხდის და სიცოცხლეს გვიხალისებს.

3259. ცხოვრების მადლის განცდა და შეტკბობა რჩეულთა ხვედრია.

3260. რა არის ბედნიერება? ბოლომდე ამოუხსნელი განტოლება.

3261. ყველა ჩვენგანი თავისი ქარიზმით იღვწის და ბედს ეურჩება.

3262. შეიძლება, ურთიერთგაგების თვალსაზრისით, მეგობრები იყოთ, მაგრამ ბედის ირონიით მტრებად იქცეთ.

3263. ჩვენი შესაძლებლობები ბედის ყივილის შესატყვისად უნდა დავხარჯოთ და დროის დაუკარგავად ამოვწუროთ.

3264. დედამიწას ზოგი სამოთხედ აღიქვამს, ზოგი – ჯოჯოხეთად, გააჩნია, ბედი ვის რარიგად გაუღიმებს.

3265. თუ წინასწარ არ ხართ დაპროგრამებული ცხოვრების მადლის შესაცნობად, ესეც თავისებური ბედნიერებაა.

3266. იმედს ბედის შეცვლაც შეუძლია, თუ გული მოინდომებს, ხოლო გამოცდილება იმარჯვებს.

3267. ბედი, მართალია, ზოგჯერ ყოფიერების თოჯინებად გვაქცევს, ოღონდ დასამახსოვრებელ და ზოგჯერ დაუვიწყარ თოჯინებად.

3268. საამო გრძნობათა შეფუთვა, გალამაზება, წარმოჩენა ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.

3269. ცხოვრებისეული ალღო ყველაფერია, რადგან ის შენს ბედთან განგების ნებითაა შეკრული.

3270. საკუთარი მეობის გამოვლენა გონივრული კონტროლის ვითარებაში თავისებური ბედნიერებაა.

3271. შენი საქმიანობა თუ ვისმე ადგება და საქმე უშენოდ არ კეთდება, ესეც შენი შეძენილი ბედია.

3272. ადამიანებს ჰგონიათ, იმაზე მეტს იმსახურებენ, რასაც იღებენ და მათ მიმართ ბედი უსამართლოა.

3273. ზოგჯერ სიტყვასაც მოაქვს ბედნიერება, ოღონდ გააჩნია, რა დონის პიროვნება წარმოთქვამს მას და შეგაქებს.

3274. გამოცდილება ყოფის ნაპრალებში ხეტიალს მოითხოვს, მაგრამ ბედის გარეშე გამოცდილებაც უძლური და უნაყოფოა.

3275. ჩვენს ბედს საზოგადოებრივი ვითარების შესატყვისად მაინც გარეშენი წყვეტენ.

3276. ბედნიერებისთვის ბრძოლა ხშირად იმის გამო იმართება, რომ ადამიანები ერთმანეთს ვერ უგებენ.

3277. ნდობით აღჭურვილი საუბარი თავისებური ბედნიერებაა.

3278. ბედნიერების აღქმასაც თავისი კონსულტანტი და შემძახებელი სჭირდება.

3279. მასა იმდენად ჭრელი და არაადეკვატურია, რომ მას ქვეყნის მომავალი კი არა, საკუთარი ბედიც არ უნდა ვანდოთ.

+3280. ბედნიერი ადამიანები დანაშაულს იშვიათად სჩადიან, ხოლო, თუ სჩადიან, მაშინ არც ბედნიერები არიან.

3281. ყველა ჩვენგანი ბედის მოტყუებას თავის სასარგებლოდ ცდილობს.

3282. ბედსა და სამართლიანობას უნდა ვენდოთ და არა მასას, რომლის ბუნებაც ძალზე ცვალებადია.

3283. ბედის ირონიაცაა და თავის გამოდებაც, როდესაც მოსისხლე მტერს შეიწყალებ და მეგობრად აქცევ.

3284. ბედის ბორბლის წაღმა-უკუღმა ტრიალი ყოფიერების სათანადო შეცნობა-აღქმას ხელს უწყობს.

3285. ბედი ყველა ჯურის ხალხსა სწყალობს, ოღონდ ამ წყალობას ყველა თავისებურად აფასებს.

3286. თუ სიკეთით აღვსილი მამაცია ერის წინამძღოლი, ქვეყანაც ხეირობს და ხალხიც ბედნიერია.

3287. თუ ბედი დაუმსახურებლად ზურგს შეგვაქცევს ან საერთოდ დავავიწყდებით, მაშინ გონიერებასა და მოხერხებულობას უნდა მოვუხმოთ, რათა ცხოვრება არ გავირთულოთ.

3288. გარჯაც თავისებური ბედნიერებაა, თუ მას ალღოს ნიჭიერად აუღებ და გაითავისებ.

3289. სიღარიბე ყოველთვის ზადი როდია. ის, უბრალოდ, წარმოქმნილი პათოლოგიაა, რომელსაც ხშირად ბედი ვერ ებრძვის.

3290. ზოგჯერ ვრწმუნდებით ზებუნებრივი ძალების თავხედობაში, რომ ჩვენ მაგიერ ისინი წყვეტენ ჩვენს მომავალს, ბედსა და ყოფიერების წვრილმანებს.

3291. ყველაზე დიდ საჩუქარს ყოველთვის ბედი გვიმზადებს.

3292. ბედთან შეჭიდებაა შესაძლებელი, არა შეჯიბრი და ამ საქმიდან, შეიძლება, რაღაც საჭირო გამოდნეს.

3293. იაზროვნე სწრაფად, საქმიანად, მაგრამ ბედს ნუ გაეჯიბრები.

3294. იღბალს ძირითადად ნაცნობების წრე განსაზღვრავს.

3295. უკან დასახევი გზა ყოველთვის წინასწარ გაკვლეული უნდა გქონდეს, რადგან არავინ იცის, ბედი როგორ შემოგიტრიალდება და დაუსაბუთებლად დაგცინებს.

3296. ისიც ბედნიერებაა, თუ საკუთარი თავი ხალასად გიყვარს და მას ჯეროვან პატივს მიაგებ.

3297. ბედთან შეხვედრას შემართება და ჭკუის მოხმობა სჭირდება.

3298. ბედის ცვალებადობა ხშირად ჩვენს გააზრებულ ქცევაზე არის დამოკიდებული.

3299. ბედნიერებაა, როდესაც ნიჭიერ კაცს სამათხოვრო არც ხალხსა და არც მთავრობასთან აქვს.

+3300. ბედს შეუპოვარი ადამიანები ჭედავენ, მაგრამ განგებისკენ

მზერის გაპარებაც არ ავიწყდებათ.

3301. ნატვრა ერთგვარი ბედნიერებაა, რომელსაც ხშირად საფუძველი არ აქვს.

3302. გამარჯვება ხშირად ბედია, თუ განგების რჩეული არა ხარ.

3303. ბედი ზოგჯერ ყოფის კაპრიზებთან შებმას მოითხოვს, რათა შენი შესაძლებლობები გაითავისოს.

3304. პიროვნება შინაგანად საკუთარი გამარჯვებით ტკბობის განუცდელადაც ბედნიერია.

3305. იღბალი პირადად თავში უნდა მოგხვდეს, რომ იგრძნო მისი სიკეთე და შენი ამქვეყნად ყოფნის მადლი უზრუნველად დააჭაშნიკო.

3306. ბედნიერებაზე სხვადასხვა წარმოდგენა გვაქვს, მაგრამ მომხვეჭელობის ალგორითმი მუდამ ერთია.

3307. ყველა რატომღაც თავისი ჭკუით და სხვათა შეძლებით სხვის ადგილზე ყოფნას ცდილობს. თანაც ლამობს თავისი „დაუფასებელი“ ნიჭი და მოხერხებულობა გამოავლინოს, რადგან მიაჩნია, რომ ბედი მას სხვასავით არ უღიმის.

3308. კარგი ბედი მარად მიზანდასახულ ხალხთან მეგობრობს.

3309. ბედის უპატრონოდ მიტოვებაც დანაშაულია.

3310. თუ სასაყვედურო საბაბადაც არა გაქვთ, ამაზე დიდი ბედნიერება რაღა უნდა იყოს.

3311. თუ ყოველი ხვალინდელი დღე დაგვამახსოვრდება, ეს უკვეა ბედნიერების „პერპენტუმ-მობილე“.

3312. ის კი არ არის ცუდი, რომ ბედნიერების ყიდვა შეუძლებელია, არამედ ის, რომ ზოგჯერ მისი უბედურებისგან განსხვავება შეუძლებელია.

3313. ბედის ღიმილი გვავიწყებს ჩვენს ყოფას, რომელსაც ჰქვია „ვაი-ჭკუისაგან“.

3314. ყოველივეს თუ შენი შეძლებით აღწევ, ეს ამბიცია არ არის, ეს, უბრალოდ, ბედია.

3315. ბოლომდის ბედნიერი შეიძლება მხოლოდ შენი ქვეყნის ავტორიტეტმა გაგხადოს.

3316. ბედი ჭედავს ადამიანის მომავლს თუ მომავალის აღქმა – ადამიანის ბედს, ჯერჯერობით არავინ უწყის.

3317. ბედნიერებაა, თუ ირგვლივ მყოფთ შენი არა შურთ და შენთან დაახლოებას ცდილობენ.

3318. ბედის რა რჩეულიც უნდა ვიყოთ, ასაკში შესულთ მაინც გულს ხინჯი გვიჩნდება, შეცდომებით ხომ არ განვვლეთ ჩვენი ცხოვრება.

3319. ბედის კორექციაა შესაძლებელია და არა მისი შეცვლა.

3320. ბედის კაპრიზებს, ჩვენ გარდა, ვერავინ შეეჭიდება, რადგან, თუ ერთ საქმეში არ გიმართლებს, მომდევნო საქმის მოსალოდნელი შედეგი ხელიდან არ უნდა გაუშვათ.

3321. იმ შემთხვევაშიც ბედნიერება ჩვენს ხელშია, თუ დროს ალღოს დროულად ავუღებთ და უბედობასაც ჩვენივე შემართებით კარს გამოვუხურავთ.

3322. ჩვენი ბედნიერების სპექტაკლი თავადვე უნდა დავდგათ და ვითამაშოთ, რათა ჩვენი სხვას შეშურდეს და ამით თავი ბედნიერად ვიგრძნოთ.

3323. ხშირად ვიღაცის „კისა“ და „არას“ თქმაზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი და ბედ-იღბალი.

3324. ბედნიერებაა, თუ სიკეთის საკეთებლად ვისმე სჭირდები.

3325. თუ საკუთარ ბედსა ხართ მინდობილი და ამბობთ, რაც მიწერია, არ ამცდებაო, მაშინ წარუმატებლობასა და უიღბლობაზე თქვენი წუწუნი უადგილოა.

3326. ბედით ადამიანთა კმაყოფილება მათ გადაშენებას გამოიწვევდა.

3327. უმეტესობას თავისი ბედისწერისათვის მადლობის თქმის უნარი დაკარგული აქვს, თუნდაც 100 წელზე მეტიც იცოცხლოს.

3328. ბედის ბედოვლათობის გამოცდა არასოდესაა დაგვიანებული.

3329. შემოქმედებითი ბედნიერება ხელის განძრევას მოითხოვს, ოღონდ საკუთარი თავის წინაშე არ უნდა ითვალთმაქცო.

3330. თუ ვისმე სჭირდებით, რა მიზნითა და მიზეზითაც უნდა იყოს, ესეც ბედნიერებაა.

3331. ბედი თუ იქ დაგხვდება, სადაც შენი ნიჭია დაბუდებული, ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს.

3332. ბედნიერების აღქმა, ეტყობა, მაინც გამოცდილებათა შეჯერების შედეგია.

3333. ცხოვრება ითხოვს, ყოფა ვაჭრობს, ხოლო ბედი ყველაფერსა წყვეტს.

3334. ცხოვრებას სჭირდება, ყოფა მოქმედებს, ბედი კი განგებას მითითებებს ასრულებს.

3335. ყველა რეალური ოცნება ახდენადია, თუ ბედმა დროისა და გარემოს შესატყვისად კვანტი არ დაუდო.

3336. ბედნიერება შენი შეგნებით, ხელების დაკაპიწებით, საყვარელი საქმის კეთებით, ცხოვრების მადლის შემეცნებით მოპოვება.

3337. ბედნიერი ცხოვრების ფორმულის შემუშავება მრავალი ყოფითი განტოლების ამოხსნას გულისხმობს.

3338. იღბალიც ჩასაფრებას მოითხოვს, ოღონდ დაცდა და გარჯაა საჭირო.

3339. თავისუფლად ყოფნის უნარი ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.

3340. თოხი ბარსა სჯობს, რადგან თოხნის დროს წინ მაინც მიიწევ, ბარვისას კი – უკან და ზოგი ისე უკანმოუხედავი ბედისაა, რომ სად გადაიჩეხება, არავინ უწყის.

3341. თუ ბედს ვერ გაურბიხარ და ეჭიდავები, სჯობს, ისევ ცხოვრების დინებას დაჰყვე, ვიდრე გაგიმართლებდეს.

3342. ხვალინდელი დღის შედეგი ბედს უნდა ვანდოთ და არა ჩვენს ფანტაზიას, რადგან იღბალი უფრო რეალური და სარწმუნოა.

3343. ხშირად საკუთარი თავის მართვა გვიჭირს, ვიდრე სხვისი; რას ვიზამთ, ნიჭიერი და შემოქმედი კაცის ბედი ასეთია.

3344. ავტორიტეტის ამაღლებასაც ბედი უნდა, მარტო სურვილი და შემართება არ კმარა.

3345. ბედი ჩვენ დაგვდევს, ოცნებას ჩვენ დავდევთ და მის რაობას, ეტყობა, იმქვეყნად გადასახლების წინ შევიცნობთ.

3346. ესეც ბედნიერებაა, თუ ერთმანეთი გვახსენდება ურთიერთდარეკვით, ურთიერთმოკითხვით და აზრთა გაცვლით.

3347. ზოგისთვის მარტოოდენ ბედნიერება არ კმარა, მისთვის მთავარია ბედის რჩეული იყოს.

3348. რომ გახდეთ მდიდარი, მაინც ბედისა და შემთხვევის საქმეა, თუმცა მისწრაფება, ენერგია და საერთო ენის გამონახვის უნარიც აუცილებელია.

3349. ერთდროულად მონიჭებული სიმდიდრე, ჯანმრთელობა და ნიჭი არაფერია, თუ ბედი არ გწყალობს.

3350. ფანტაზიით გონიერების ყველა წერტილში რომ იმოგზაუროთ, ესეც ბედის გაღიმებაა.

3351. იქ, სადაც ბედისწერა იჭედება, ჩვენი სული და გული შეთანხმებით ჩალიჩობენ.

3352. ბედსაც გამბედავი, არასტანდარტულად მოაზროვნე და შემოქმედი ადამიანი მოსწონს და გვერდში მას დროულად უდგება.

3353. ბედიც საკუთარი კაურების გაგებით ირჩევს თავის რჩეულს და ამ კაპრიზის გაცნობიერება შეუძლებელია.

3354. ყველა ჩვენგანი ვალდებულია იპოვოს თავისი წილი ბედნიერება, რათა ამქვეყნად ყოფნა და მადლის შეუცნობლობა „შატალოდ“ არ ჩაეთვალოს.

3355. პროფესიონალიზმი საქმეში ზოგჯერ ბედსაც არ ეპუება.

3356. ბედნიერება სულიერების ყველაზე მიჩქმალულ კუთხე-კუნჭულშიც კი უნდა იგრძნობოდეს.

3357. რამდენი სისულელე გვაქვს ჩადენილი ჩვენდა უნებლიეთ, რომელთაგან ზოგს ვაცნობიერებთ, ზოგსაც – არა, მაგრამ ჩვენს ბედს ასე უნერია და აქ ვერას გავხდებით.

3358. წესით, თანასწორუფლებიანობის აღქმა უნდა ბადებდეს მეგობრობას და არა თანასწორობას, რადგან ჭკუის ხმობის დრო ყველას თავისი აქვს გარემოსა და ბედის შესატყვისად.

3359. ბედნიერებასთან შესახვედრად ყველა დროსა და გარემოში

მზად უნდა ვიყოთ, თუ გვინდა სიცოცხლის აზრი მის მადლთან ერთად შევიცნოთ და გავითავისოთ.

3360. ბედი ადამიანისთვის უპირველესია. რაც შეეხება ჯანმრთელობას, სიმდიდრეს, ძალაუფლებას, სილამაზეს, ვაჟკაცობას, მეორე – ხარისხოვანია და ხშირად ხელმისაწვდომიც.

3361. ერთის ბედის ორზე თანაბრად გადანაწილება სიყვარულს, ურთიერთგაგებას და განგების თანადგომას მოითხოვს.

3362. აკეთო ის, რაც შენამდის არავის უკეთებია – ბედნიერებაა.

3363. ბედნიერებაა, როდესაც მშობელ მამას არა მარტო მამად, არამედ მეგობრად, მასწავლებლად და იმედის მომცემ პიროვნებად აღიქვამ.

3364. ჩვენს წინდაუხედაობასა და ჩადენილ სისულელეზე ბედმაც პასუხისგება უნდა იტვირთოს.

3365. ყველა ქმედება, მათ შორის ბედის დაცინვაც კი, თავის როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში, იმისდა მიუხედავად, ვაცნობიერებთ მას თუ არა.

3366. ყოფითი ბედნიერების დამკვიდრების დროს გარემოს და შემთხვევას ბედთან ერთად გენმაც უნდა გაუგოს.

3367. ბედით განაწყენებულთ უფრო შურისძიება ამოძრავებთ, ვიდრე სიყვარული და ურთიერთგაგება.

3368. მცირედით დაკმაყოფილებული ჩვენი ცნობიერება თავს უკეთ გრძნობს, ვიდრე ბედზე უშედეგოდ გამოკიდებისას.

3369. ბედი შეუპოვარი და შემოქმედი ხალხის მხარესაა.

3370. ვინც არაფერია, ზოგჯერ ის ყველაფერი ხდება და, პირიქით. ამიტომაც ადამიანი ბედზე ნადირობას არ უნდა შეეშვას.

+3371. ნივთის დაუკითხავად აღება ქურდობაა, ხოლო რაიმეს ცოდნით მოპოვება – მეცნიერება.

3372. შეხვედრიდან გამოყოლილი ღიმილი გარკვეული ბედნიერების მაჩვენებელია.

3373. იდიოტი შეიძლება იღბლიანიც იყოს და უიღბლოც, გააჩნია, როგორ სწყალობენ ზემოდან და ვის სჭირდება იგი.

3374. მიზანთან, ბედთან ერთად ცხოვრებაში შენ მიერ არჩეული გზაც მიგვიყვანს.

3375. მადლიერების გრძნობას ხშირად ბედი გიჩენს და არა გულის შეგონება.

3376. საქმეს ცოდნა-გამოცდილება აკეთებს, მაგრამ ბედიც აუცილებელია.

3377. ტყუილისა და ღალატის შედეგად მოპოვებული სათუო ბედნიერება მოჩვენებითია და როდის მიგვატოვებს არავინ უწყის.

3378. ბედნიერება რომ შევინარჩუნოთ, მიღებულ ზოგ აქსიომაზე თვალი უნდა დავხუჭოთ და კამათი არ გავმართოთ.

3379. დროებით გადადებული ბედნიერება მომავალში ორმაგი ბედნიერების მისანიჭებლად იღვწის და გაცდენილის ანაზღაურებას ცდილობს.

3380. შიში და ბედნიერება განუყოფლად ურთიერთკავშირშია, რადგან ამ უკანასკნელის დაკარგვისა ყველას ეშინია.

3381. იღბალს ჭკუა-გონების დღევანდელი დონეც ვერ სჯობნის, რადგან ამ უკანასკნელმა ღალატიც იცის.

3382. ბედნიერება თავისებურ ჰორმონებს გამოყოფს, რომელთა შეგრძნება, შეცნობა ერთგვარ უნარსა და ნიჭს მოითხოვს.

3383. სასურველი უძრავი ქონების შეძენასაც კი ბედი სჭირდება.

3384. ყოველივე ახალი დღის ამობრწყინების ხილვა თავისებური ბედნიერებაა.

3385. სიამაყე, სიჯიუტე და „უაზრო ყარაჩოღელობა“ მარად ბედის უმადურია.

3386. ბედის სასიკეთოდ შემობრუნება ყველა ჩვენგანის ოცნების მოელვარე მწვერვალია.

3387. იღბალი და ბედი თავდაუზოგავ მცდელობას, შემართებას, შრომას მოითხოვს, რათა გარკვეულ მომენტში გვერდში დაგიდგეთ.

3388. ზოგჯერ ბედნიერებას სულიერად გამართლებული ნაბიჯების გადადგმა გვანიჭებს.

3389. ადამიანის პირად ღირსებებსა და ნიჭზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგრამ, ბედმა თუ არ გაგიღიმათ, არაფერი გამოვა.

3390. ზოგჯერ ბედის დაცინვა „ჭკუანაღრძობ“ პირს ბიძგს აძლევს წარმატების გზაზე.

3391. ღვთის წყალობა ბედის საჩუქარია და ეს მხოლოდ გამდიდრებისთვის არ უნდა იყოს გაღებული.

3392. თქვენ მიმართ ბედის სამართლიანობა, ყველაზე მეტად დასაფასებელია.

3393. ყველა ჩვენგანმა საკუთარი ბედისა და იღბლის ჯვარი, სურვილის მიუხედავად, სიცოცხლის ბოლომდე უნდა ზიდოს.

3394. თუ ბედი გწყალობთ და თან მოხერხებულიც, ხართ, ჯოჯოხეთშიც კარგად მოეწყობით და სამოთხისკენ არც კი გაიხედავთ.

3395. იღბალი უდიდეს როლს ასრულებს ჩვენს ყოფაში, თუ დროულად მოსვლას ინებებს.

3396. წარმატება ბედის ის ტალღაა, რომლის დაჭერაც არ უნდა გადადოთ და, თუ აუცილებელია, ცხოვრების სტილიც შეცვალოთ.

3397. ბედის დაცინვა ჭკუა-გონების გაქიაქებად არ უნდა ვაქციოთ.

3398. ბედი არ უნდა გავანაწყენოთ ჩვენი უნიათობით, უმადურობით, წინდაუხედაობით, თორემ ისიც გაგვიბრაზდება და ზურგს შეგვაქცევს.

3399. ბედნიერების გარანტიას მხოლოდ ბედისწერა იძლევა.

3400. განკაცება, ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ, ხშირად ბედისწერისა და შემთხვევის ხელშია.

3401. ნდობა ერთია, სიყვარული – მეორე, ურთიერთგაგება – მესამე და აქედან რომელს გვარგუნებს ბედი, არავინ უწყის.

3402. სწორი არჩევანის გაკეთებაც ბედნიერებაა, რადგან არჩევის საშუალებას ბედი იძლევა და არა სურვილი.

3403. პირველყოვლისა ნიჭს, ბედს, შემთხვევას მოაქვს წარმატება და არა თანასწორობას და ურთიერთგაგებას.

3404. ქმედება, სურვილი, ოცნება ბედნიერების ერთგვარი საფუძველია, იმისდა მიუხედავად, იქნები თუ არა ბედნიერი.

3405. ბედნიერება ძალა-შემართებას გვმატებს და უფრო მეტად ანგარიშგასაწევი ვხდებით.

3406. სიხარულის ცრემლით ბედნიერების შეცნობა უდიდესი ზეიმია.

3407. ბედნიერებას ურთიერთდაფასება, ცოდნა და გამოცდილება ამყარებს.

3408. ბედის ნაბოძვარს შენარჩუნება, ბოლომდის დაფასება, მოფრთხილება სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბედნიერება ფერს კარგავს.

3409. ცხოვრება ჩვენი ყოფიერების დიდი რომანია, მაგრამ ბედი რომელ თავზე შეგვაჩერებს, ეს უცნობია.

3410. სიხარულით მოვარაყებული მწუხარებაც ბედნიერებაა.

3411. სიმდიდრე ბედნიერების ერთი ბრჭყვიალა წახნაგია, მაგრამ მას ჩვენთვის ნაოცნებარი შედეგი ყოველთვის არ მოაქვს.

3412. ბედნიერება გაუგებრობას ვერ იტანს.

3413. მარად წინ უნდა ვიხედებოდეთ და მივილტვოდეთ, იმისდა მიუხედავად, გვიმართლებს ცხოვრებაში თუ არა, რადგან არავინ უწყის, ბედი სად გაგვიღიმებს და სად გვიმუხლთებს.

+3414. ბედის ჩანაფიქრის ხელიდან გაშვება დანაშაულია და მას ზოგჯერ უბედურება მოაქვს. უნგრელმა ურბანმა კონსტანტინეპოლის მეფეს აუწყა, რომ ჩამოუსხამდა ზარბაზნებს. მან ეს წინადადება ყურად არ იღო. უნგრელი გადავიდა ოსმალების მხარეს. ავი შედეგი ამ ტექნიკური მიღწევის გამოყენებამაც განაპირობა და კონსტანტინეპოლი დაეცა.

3415. ისიც ბედნიერებაა, როდესაც საყვარელ საქმეს ემსახურები, გაფასებენ და თავს საზოგადოების ღირსეულ წევრად მიიჩნევ.

3416. ბედნიერება ზოგისთვის ფულის ქონაა, ზოგისთვის – სწავლა-განათლება, ზოგისთვის კი – გაუმართლებელი ამბიციები.

3417. ბედნიერება იმის გაცნობიერებაცაა, რომ ამქვეყნად კაცურად გიცხოვრია და უბრალოდ არ გიარსებია.

3418. ისიც ბედნიერებაა, თუ ისეთ პროფესიას ფლობთ, რომ ავად გახდომის უფლებაც არ გაქვთ და ირგვლივ მყოფნი ცდილობენ, მარად ჯანზე და შემართებით იყოთ.

3419. შემწყნარებელი ბედი ყოველთვის სანატრელია, მაგრამ არა სტაბილურია.

3420. ეტყობა, ბედნიერებაც მოსაბეზრებელია და მისი კრიტერიუმების დადგენაც, რადგან ადამიანი ყოველივეს თავისი უმადურობის შესატყვისად აღიქვამს.

3421. ბედნიერებაა, თუ მალაპარაკებისა და დარწმუნების უნარი შეგწევთ; სიამაყეა, თუ მოლაპარაკების შედეგით კმაყოფილი ხართ და ამით ტკბებით.

3422. ნაღდი ბედნიერების შეცნობის უნარიც გაუხუნარი ნიჭია.

3423. ამქვეყნად მოვლენისთვის მშობლების მადლიერნი უნდა ვიყოთ, ხოლო ცხოვრებაში მიღწეული შედეგისთვის – ჩვენი პირადი ბედისა.

3424. ბედნიერება და კეთილდღეობა ფაქტობრივად სინონიმებია, მაგრამ მათი შერწყმა და შეთავსება გაძნელებულია.

3425. სიამოვნებაა ბედნიერება თუ ბედნიერებაა უფრო მეტი სიამოვნება, არვინ უწყის.

3426. ბედით გადაუმოწმებელი სიყვარული ყოველთვის ბედნიერების მომტანი ვერ იქნება.

3427. იღბალი ხშირად ჩვენივე შრომა-გარჯის ხარისხის შესატყვისად წარმოგვაჩენს, რომელსაც, თუ სათანადოდ გაგვიმართლა, ბედს ვეძახით.

3428. იღბალსაც თავისი შემოქმედებითი წერტილები აქვს, რომლებშიც დროულად გარკვევას წარმატება მოაქვს.

3429. ბედნიერება სიყვარულს, საყვარელ საქმეს, სრულყოფილ ოჯახს, გაგებულ საზოგადოებასა და მრავალფეროვან ცხოვრებას მოაქვს.

3430. საქმიან ხალხს საქმის კეთება ხელეწიფება, უსაქმურებს კი – ყბედობა და ეს უკანასკნელნი მმართველობაში ყოფნით „სახელმწიფოებრიობის ლოჟას“ ანაგვიანებენ.

3431. ბედი თუ არ გწყალობთ, საქმის აწყობა ჭირს, მაგრამ, თუ გწყალობთ და დროულად ხელს არ გაანძრევთ ეს უკვე დანაშაულია არა მარტო საკუთარი თავის, არამედ დროისა და თქვენს წინაშეც.

3432. ცხოვრებაში მნიშვნელოვანია ოცნება, მაგრამ აქ მთავარია, არ გადავამლაშოთ.

3433. მართალია, ზოგჯერ ბედი „დაჭერობანას“ გვეთამაშება, მაგრამ ამ თამაშსაც თავისი მადლი და ფასი აქვს.

3434. თუ ბედმა გვიმუხთლა, მაშინ ყველა განსაცდელი გარკვეული დროით ლამობს თავის ერთად მოყრას და ჩვენს წინააღმდეგ ხელის გამოღებას.

3435. რთულია ყოფიერების მწვერვალისკენ გზის გაკვლევა, მაგრამ უფრო რთულია იქიდან მშვიდობიანად დაბრუნება, რადგან ბედი სად გვიმუხთლებს, არავინ უწყის.

3436. ბედის გადმობირებას გონის ვარჯიში და სულის წრთობა სჭირდება.

3437. ბედნიერებას ზოგჯერ შურიც იწვევს. თუ თქვენი მეშურნე ოპონენტი ცხვირს წაიტეხს, ეს დროებით მაინც შვებას მოგიტანთ.

3438. ისიც დიდი ბედნიერებაა, თუ ჩვენს სათქმელს სიცოცხლეში ვიტყვით და ვიღაც მოიწონებს.

3439. რეალობისთვის თქმა – „ხომ შეიძლებოდა ასე მომხდარიყო“ მიუღებელია, რადგან ჩვენ ყველანი ჩვენს ადგილზე ვიღვწით, რადგან, გვინდა, არ გვინდა, ეს ჩვენი ბედია.

3440. ბედნიერებაც შედარებითი ამბავია, გააჩნია, რა დროში, საზოგადოებაში, გარემოსა და ტექნიკური პროგრესის პირობებში გიხდებათ ცხოვრება.

3441. ბედნიერების წუთიერი აღქმაც კი საკმარისია, რომ სიცოცხლე გავიხანგრძლივოთ.

3442. ბედნიერების უპირველესი საწყისი სიყვარულია, შემდგომ მოდის ურთიერთგაგება და ბოლოს მატერიალური ფაქტორები.

3443. შეიძლება გარეგნულად მდიდრები არ ვიყოთ, მაგრამ შინაგან ბედნიერებას რომ ვგრძნობეთ, ვალდებული ვართ.

3444. ბედით უკმაყოფილება უბედობას როდი ნიშნავს, რადგან ადამიანს ყოველთვის მეტი უნდა და, თუ რატომ, ამაში თავადაც ვერ გარკვეულა.

3445. ბედი ყოველთვის როდია ხელგაშლილი. ეს უნდა გვახსოვდეს და ამიტომაც მის გამოცდას უნდა ვერიდოთ.

3446. თანაბარ პირობებში შანსის შეფასება ფუჭი საქმეა, რადგან იმ დღეს ვის მხარეს იქნება იღბალი, არავინ უწყის.

3447. ბედისწერა ზოგჯერ ცხოვრებაში ერთ შანსს გვაძლევს და ისიც ბედია, თუ მას ხელიდან არ გავუშვებთ.

3448. ვეცადოთ, ბედი არ გავანაწყენოთ, რადგან მის განაწყენებას სიკეთე არავისთვის მოუტანია.

3449. ბედნიერებასაც თავისი ადრესატი ჰყავს, ხოლო თავად ადრესატის როლს ასრულებს.

3450. ბედნიერება ახლობლებთან ჰარმონიული დამოკიდებულების დაუმყარებლად არ არსებობს, რადგან ხინჯი არშემდგარი ურთიერთობის, სამუდამოდ რჩება.

3451. ბედნიერების გამომხატველი ღიმილი ჩვენც გვამშვიდებს და სხვასაც კეთილად განაწყობს.

3452. ბედნიერება და სიამოვნება სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ მათი

დროდადრო გახსენება და შეჯერება სიამოვნების მომგვრელია.

3453. დიდი ბედნიერება, პატარ-პატარა ბედნიერებებზე ხელის შევლებით იწყება.

3454. არაფერია მუდმივი ამ სამყაროში, გარდა იმისა, რომ ზოგისთვის ბედი დედაა და ზოგისთვის – დედინაცვალი.

3455. ზოგი ისე მოხერხებულია, ბედის ყურზე გადაადგილება და ცეკვაც კი გამოსდის.

3456. ბედის „პახმელიაზე“ ყოფნას ჭკუა-გონების მცდელობა ვერაფერს შველის.

3457. ზოგჯერ თუ ბედი დაგვცინის, ეს, შეიძლება, ბედის გახსნის საწყისიც იყოს, რადგან, შეიძლება, განგებას თვალი ჩვენზე უჭირავს და, იქნებ, მეტისთვის ვემეტებით, ვინ იცის?!

3458. წინამორბედთა ბედს ბოლომდის მაშინ ვაცნობიერებთ და ვიზიარებთ, როდესაც თავადაც შთამომავლის დამტოვებლები ვხდებით, თანაც განსჯის უნარი და ასაკიც მეტი გვაქვს.

3459. ყველა ჩვენგანს ერთხელ მაინც უმართლებს ცხოვრებაში. ზოგი ამას გერგილიანად იყენებს, ზოგიც ხელიდან უშვებს შესაძლებლობებს. აქ ბედისადმი უმადურობა გაუმართლებელია, რადგან ბედი ლატარიაა, ხოლო ჭკუა-გონება შენი საკუთრებაა და მისი გონივრული გამოყენება შენი ვალია.

3460. საარსებო მინიმუმს ვინც მოიპოვებს, ის არც ღარიბია და არც საცოდავი, რადგან, ეტყობა, ბედმა მისთვის ჯერ ვერც ავად და ვერც კარგად ვერ მოიცალა.

3461. ბედს ვერ გადაახტები და ვერც მის გულს მოიგებ, მაგრამ მცდელობა მასთან საერთო ენის გამონახვისა სასურველია.

3462. თეთრი ყვავი არ შეიძლება თავისიანებში მთლად იდიოტი იყოს, მაგრამ ის ბედის სასჯელია თუ საჩუქარი, არავინ უწყის.

3463. ძალისხმევის გარეშე ბედი ვერსოდეს გაგვიღიმებს და ეს ყველა მოკვდავმა უნდა დაიმახსოვროს.

3464. ერთი შეხედვით, განუხორციელებელი საქმის განხორციელება თვითნაბად ნიჭს, შემართებას მოითხოვს, მაგრამ ბედის გვერდში ამოუდგომლად მაინც არაფერი გამოვა.

3465. ზოგი იმასაც კი ვერ ახერხებს, თუ როგორ შეირგოს ღვთის ნაჩუქარი ბედნიერება, იმდენად უჟმური ხასიათი აქვს.

3466. ბედნიერებაა, თუ ნიჭისა და მოწოდების შესატყვისად კაცი ცოდნას აგროვებს, რადგან ის განათლების შედეგს პრაქტიკული საქმეების მოგვარებით იგემებს.

3467. სამომავლოდ მეტის გაკეთების რეალური მცდელობაც კი ერთგვარ ბედნიერებას გვანიჭებს.

3468. მუდმივი საქმიანი დიალოგი იმასთან, ვისთან ერთადაც დიდ

საქმეს ვაკეთებთ, დიდი ბედნიერებაა.

3469. ბედნიერებასა და უბედურებას შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ დიდი მანძილი როდია, გააჩნია, ვის როდის და სად დაეწევა ბედის ბორბალი.

3470. ბედის გადანაწილებასაც დრო და გარემოს თანხვედრა სჭირდება.

+3471. სიკვდილი ერთჯერადია, მხიარულება – მრავალჯერადი, ხოლო ბედნიერება კი მუდმივია იმისთვის, ვინც მისი მადლის შეცნობა იცის.

3472. ბედნიერად გარდასული წლები, თვალში სევდას ტოვებენ.

3473. ყველა ჩვენგანი საკუთარი ბედის გახედნასა და შეკაზმვას უნდა შეეცადოს, რათა სათანადოდ წარმოვჩნდეთ.

3474. ბედისწერის წყალობა ჩვენი ამქვეყნად ავად თუ კარგად ყოფნის ანიც არის და ბანიც.

3475. საკუთარ ბედისწერაში გარკვევა საშუალებას გვაძლევს, მომავალი უკეთ დავგეგმოთ.

3476. ყველა ჩვენგანი თავის წარმოჩენა-მოწონებისთვის ვართ დაბადებულნი, რათა ბედის ამ წყალობაში ცხოვრების გემო შევიცნოთ.

3477. ბედისწერა ზოგჯერ დაუგეგმავ გზებზე გვატარებს.

3478. თარიღებიც გარკვეულ დღესასწაულს გვიმზადებენ, თუკი ჩვენს მოქმედებას შემართება არ აკლია და ბედიც გვერდში ამოგვიდგება.

3479. ზოგჯერ „კის“ და „არას“ თქმაზეა დამოკიდებული ადამიანის ბედი და ვინ იცის, ეგების, თვით სამყაროს მომავალიც.

3480. თავდადება ერთგვარი გულის მოფხანაა და თავისებური ბედნიერებაც.

3481. თუ ბედი გწყალობს, მაშინ ცხოვრება სიურპრიზებით და მოულოდნელობით სავსეა.

3482. ბედნიერებას თანდათან უნდა შევწვდეთ ან ნაბიჯ-ნაბიჯ დავშორდეთ, რომ სასაყვედურო და საბოდიშო არცერთ მხარეს არა ჰქონდეს რა.

3483. გათავხედებულ სიმდიდრეს ძალადობისკენ მიდრეკილება უჩნდება, იმის ნაცვლად, რომ დღევანდელობას ალღო აუღოს, გარემოს მოერგოს და ბედის დასცინი არ გახდეს, რომელიც ერთობ ცვალებადია.

3484. ბედნიერებას ძალზე ცოტა რამ უნდა, თუ გული გულობს, თავი მშვიდად აზროვნებს და ამბიციებს ახლოსაც არ ვიკარებთ.

3485. ობიექტური შეფასების მიღება იმ პროფესიონალებისაგან, რომელთა აზრიც შენთვის მნიშვნელოვანია, შენი ბედნიერების ნაწილია.

3486. ბედნიერებას სხეულის ყველა ნაწილით უნდა დავებღაუჭოთ, რადგან ყველასთან ის ასე ადვილად არ მიდის.

3487. ბედი შეუპოვრობას აჯილდოებს, პატივს მიაგებს და ამიტომაც ბედის მაძიებლებისთვის მხარის აბმა აუცილებელია, იქნებ, იღბალს ხელი გამოჰკრას, თავადაც სარგებელი ნახოს და ჩვენც არ დაგვივიწყოს.

3488. ამბობენ: ბედი კაპრიზიანი ქალბატონია, ის წარუმატებელ და უმიზნო ვაჟბატონებს ვერ იტანსო.

3489. ღიმილი – მატყუარა, თვალები – გამცემი, გრძნობები – ჭირვეული, სიტყვა განსჯადია, მაგრამ სიცოცხლის მადლის შეცნობა მაინც ბედნიერებაა.

3490. ბედი ზოგჯერ თვალთმაქცურად, უკუღმა გვიღებს „ამა სოფლის კარებს“ და ამას სიბერეში ვხვდებით, როდესაც ჩვენ მიერ ჩადენილი უნებლიე შეცდომების გამოსწორება უკვე დაგვიანებულია.

3491. თუ ბედი ინებებს, ზოგჯერ თავხედური სიმამაცე წარსულის დედად იქცევა.

3492. ბედის წინააღმდეგ სიარული ერთეულ გაჯიუტებულთა ხვედრია.

3493. საკუთარი ბედნიერება გრძნობათა ჭიდილში უნდა გამოჭედოთ, ოღონდ განუსჯელად.

3494. ბედს ვინ გაექცევა, მაგრამ მისი წინასწარ შეცნობა შესაძლებელია, თუ ყოფის კაპრიზებს გონივრულად განვიხილავთ.

3495. ჩვენს ყოფას ბედი განაგებს, მაგრამ განგებამ ჩვენი ბედი ამგვარად რატომ დაადგინა, მარად გაუგებარი დარჩება.

3496. მოხვდე მძაფრ სიტუაციათა შუაგულში, დიდი გამოწვევა და თავისებური ბედია, იმისდა მიუხედავად, მისი ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილე თუ არა.

3497. ყველა ჩვენგანი ცდილობს უხერხული მდგომარეობიდან თავის დაღწევას და ხშირად აქ ბედი არაფერ შუაშია.

3498. ბედნიერებისკენ მიმავალ გზაზე მოთმინება და აუჩქარებლობა გვმართებს.

3499. აკეთო ის, რაც მოგწონს, ბედნიერებაა, იმისდა მიუხედავად, ხელის შემშლელები გამოტყვრებიან თუ არა.

3500. ბედნიერება ხშირად ჩვენ წინაშე დევს, თუ მის გონივრულად აღებას მოვინდომებთ და საქმეს შემართებას არ დავაკლებთ.

3501. სიკეთის სწავლის მიღმა ბედნიერება წარმოჩნდება, თუ ამ სწავლას დანიშნულებისამებრ გამოვიყენებთ.

3502. ბედნიერებისკენ მისწრაფება თითოეული ჩვენგანის მოწოდებაა, მაგრამ იგი ყველას ხვედრი როდია.

3503. ჩვენს ჩამოყალიბებასა და წარმოჩენას ყველაზე მეტად ბედს უნდა ვუმადლოდეთ და არა ანგელოზებს, რომლებიც ღვთის ნების განხორციელებას ცდილობენ.

3504. ბედის ოცნებაში დაგეგმვა ადვილია, მისი შედეგების მოპოვება კი – ძნელი.

3505. ბედნიერებასაც უკუჩვენება აქვს – უბედურება და ამ უკანასკნელს გონივრულად უნდა ვერიდოთ.

3506. ინტელექტის ქონა ყოფიერების ერთი ნაწილია, ხოლო მისი გამოყენების უნარი დაკავშირებულია ბედთან.

3507. სიკეთის კეთების მისწრაფება გვაიძულებს, შინაგანად ბედნიერი ვიყოთ.

3508. ვიყოთ გაწონასწორებული – ეს ბედის წყალობაა, რადგან ქვეყნის აღმშენებლობისთვის ეს აუცილებელია.

3509. ბედისა და შემთხვევათა ურთიერთობის აწყობა განგების ნება.

3510. ბედნიერებაა ისიც, როცა ადამიანს ეძლევა საშუალება, რეგულარულად შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებანი და აქ ხელს ვერავინ უშლის.

+3511. ბედის წინაშე ყველანი უძლურები ვართ, ოცნებისა და იმედის გარდა.

+3512. ბედი ყველა ჩვენგანს მისთვის გასაგებ ბუმერანგს უბრუნებს, ვინაც მისთვის ბიშტის ჩვენებას ცდილობს.

3513. მოლოდინის რეჟიმიც ბედნიერებაა, თუ ის სასურველ შედეგს გვპირდება.

3514. ლამაზ, მზრუნველ, ჭკვიან ქალზე ბევრია დაქორწინებული და მომავალშიც დაქორწინდებიან, მაგრამ ბედი რა საბოლოო შედეგს დადებს, არავინ უწყის.

3515. უსაზღვრო კმაყოფილება და სიამაყე გვეუფლება მუქთად და წარმატებით ხორცშესხმული საქმიანობის წარმოსაჩენად. ამ დროს კი ბედისა და შემთხვევის არსებობა გვავიწყდება.

3516. შემთხვევითობის შედეგად დადგენილი კანონზომიერებანი ზოგჯერ ბედის გაღიმების ტოლფასია.

3517. რისკი კეთილშობილი საქმეა, მაგრამ არა ყველასთვის და ყოველთვის, რადგან მასაც ბევრი ზიანის მოტანა შეუძლია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბედი შენს მხარეს არაა.

3518. ბედნიერება ბუმერანგივითაა. თუ გინდათ ბედნიერი და ფრთაშესხმული იყოთ, ჯერ თქვენ გვერდით მყოფთ შეასხით ფრთები, რათა ერთად არა მარტო იოცნებოთ, არამედ იფრინოთ კიდეც.

3519. ჩვენი ამქვეყნად ყოფნის „ბაიათს“ ბედი მღერის და მის აღქმას გონთან ჭიდილი სჭირდება.

3520. ყველა ჩვენგანს ჩვენ-ჩვენი არჩევანი და ცნობიერების ჩვენეული მწვერვალი გვაქვს დასაპყრობი და, ამას როგორ ვახერხებთ, პრაქტიკულად ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მათ შორის უპირველესია ბედის გაღიმება.

3521. მორალურ ბედნიერებას წუთიერი უბედურება კვანტს ვერ გამოჰკრავს, რადგან ის ხანგრძლივი სიამოვნებისათვის არის განკუთვნილი.

3522. ბედისწერა ყოველ ჩვენგანს თავის გემოზე ათამაშებს და ახალისებს, იმისდა მიუხედავად, ჩვენი გონიერება მას წინააღმდეგობას უწევს თუ არა.

3523. ზოგჯერ იმის არცოდნაც ბედნიერებაა, თუ ხვალ რა გელოდება.

3524. დღეს ბედის გამწარებაც შეიძლება და დატკბობაც, გააჩნია „სპონსორსაც“.

3525. ოცნებებისთვის ფრთების უკანმოუხედავად შესხმა ბედნიერების მომასწავებელია.

3526. გაჭირვება მარად ბედის მოსვლა-არმოსვლაზეა დამოკიდებული, ხოლო მოპოვებული სიმდიდრე – უმტკივნეულოდ შენახვა-დაბანდებაზე.

3527. ზოგჯერ ბედის მიერ ხელის გამოღებასაც უნდა დავუცადოთ და გონიც მოვიხმოთ, თუ გვინდა, ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაგვიმართლოს.

3528. სურვილი, სხვებსაც უსურვო კეთილდღეობა, შინაგანი ბედინიერების მომტანია.

3529. სურვილი, აკეთო იმაზე მეტი, რისი შეძლებაც გაქვს, საკუთარი თავისათვის ბედნიერების ჩუქების მცდელობაა.

3530. ზოგს ფეხი აკლია, ზოგსაც – ფეხსაცმელი, მაგრამ ორივენი ერთნაირად უკმაყოფილონი არიან და ბედს უჩივიან.

3531. ბედის შექმნა ძნელია, მაგრამ მისთვის ხელშეწყობა ადვილია.

3532. მოგზაურობამ და ტურიზმმა, შეიძლება, ბევრი რამ მოგვცეს და გვასწავლოს, თუ გონიერება და დაკვირვების უნარი შეგვწევს.

3533. სურვილების მართვის ხელოვნება ჩვენთან ერთად ბედმაც უნდა გაიზიაროს.

+3534. ბედნიერების ძაფის მოძიება და მასზე გაყოლა ბევრისათვის მოსაბეზრებელია, რადგან ხშირად მხოლოდ ძაფი რჩებათ ხელში.

3535. კარზე მომდგარი ბედის გამოყენების უნარსაც დროულად ხელის გამოღება უნდა და მის მიმართ ჩვენს უყურადღებობას განგებას ნუ გადავაბრალებთ.

3536. ბედნიერების წლებს სიბერე გადაამოწმებს და არა მარტო შთამომავალთა ხშირ-ხშირად გახსენება.

3537. აღზრდა და წვრთნა დიდი საქმეა, მაგრამ შემთხვევა, გამართლება და ბედი უფრო მეტია.

3538. ზოგს ბედი სიცოცხლეშივე სწყალობს, ზოგსაც – გარდაცვალების შემდგომ, რაკიღა სახელს ტოვებს, მაგრამ ბედის მოჭარ-

ბებული ხელგაშლილობაც მოსაბეზრებელია.

3539. ყოველდღიურ წარმატება-წარუმატებლობას მარტო ბედს ნუ დავაბრალებთ, აქ, ეტყობა, ჩვენი წინდაუხედაობაა დამნაშავე.

+3540. ზოგჯერ სხვათა კეთილგანწყობაზე ზრუნვა საკუთარი ბედნიერებისათვის ხელის გამოკვრის შანსია და მაშინ ჩვენი მცდელობაც ორმაგად ფასდება.

3541. ბედი ზოგჯერ მოჭარბებულ პატივს გვარგუნებს და ბოლოს ხშირად ესეც საზიანოა.

3542. ზოგჯერ ბედნიერების უმთავრესი საიდუმლოა მეწილეების მიერ ქონების სამართლიანი გაყოფა.

3543. სიკეთის კეთება ბედნიერების მომტანია, ყოველ შემთხვევაში, ასე გვწამს.

3544. თვით ცხოვრება ბედნიერებაა, ხოლო, თუ ამით სხვებიც ბედნიერად გრძნობენ თავს – ეს უკვე ბედნიერებაა კვადრატში.

3545. ბედნიერება სიამოვნებათა ნაგლეჯების შეკოწიწებითაც შეიგრძნობა.

3546. ბედისწერა საჩუქრად იძლევა ჟინიანობას საჭირო დროსა და გარემო პირობებში. ასე რომ, ბედის რჩეულს ნუ ჰგონია, რომ მისი მიღწევები მარტო მისი „ნახლაფორთალია“.

3547. ბრმა შემთხვევას სიკეთის მოტანაც შეუძლია და სიავისაც. გააჩნია, იმ დღეს რა ხასიათზეა „ფორტუნა“.

3548. სასწაულის დასაწინაურებლად შედეგიანად აღქმა, ბედის გამართლების შედეგია.

3549. ყველაზე საშური საქმე გაუცნობიერებული ბედნიერებაა, რომელსაც ვერც აღვიქვამთ და ვერც ვიგებთ, რადგან ის, წესითა და რიგით, ჩვენი კუთვნილებაა.

3550. ბედნიერია ის წყვილი, რომელიც ერთმანეთს უგებს, ავსებს, ეფერება, ერთად ყოფნა სიამოვნებს და ერთმანეთი ერთი წუთითაც არ ბეზრდება.

+3551. ისიც დიდი სიამეა, თუ საკუთარ ბედს დასცინით – ეს საკუთარ თავზე გამარჯვებაა.

3552. ბედი ხშირად გადმოხედვის ოდენობით ფასდება. ხომ ამბობენ: „ბედმა გადმომხედაო!“

3553. ბედის კვანტის გამოკვრა ჩვენს შემართებას, მცდელობას ასუსტებს და უპერსპექტივოს ხდის.

3554. ბედნიერება, უპირველესად, სიმშვიდე და ურთიერთქათინაურის ტყორცნაა, რომლის მიღებასაც სიამოვნებით ვაცნობიერებთ.

3555. ბედი როდის დაგვადებს მხარზე ხელს თავის წარმოსაჩენად ან თავმოსაჭრელად, არავინ უწყის.

3556. უფლის სანქციის მიუხედავად, სიცოცხლის ხანგრძლივობა

ბედზეა დამოკიდებული, რაც არ უნდა ჯანმრთელ ცხოვრებასაც ვეწეოდეთ, მაგრამ სიცოცხლის მადლის შეცნობა კი უსანქციოდაც შესაძლებელია.

3557. ბედის წყალობით მონიჭებული სიყვარული ყოველგვარ სიამოვნებაზე მეტია.

3558. ჰორიზონტზე გამოჩენილ ბედნიერებას ხელიდან არ უშვებენ და მას გრძნობით ეჭიდებიან.

3559. „ვინც არ ცდილობს, ის შედეგსაც ვერ აღწევს"; „ცდა ბედის მონახევრეაო". ე.ი. ყოველი მცდელობა ბედს წილში უზის.

3560. ბედისწერასთან შესახვედრად ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ, იმისდა მიუხედავად, ის ჩვენდამი სასიკეთოდ არის განწყობილი თუ ვნების მომტანია.

3561. იმისთვის, რომ იარსებო, ხელიც უნდა გაანძრიო; რომ იცხოვრო, შრომის მადლი უნდა იწვნიო, ხოლო, მდიდარი რომ გახდე, მიზანსწრაფვასთან ერთად ბედიც შენს მხარეს უნდა იყოს.

3562. ყვავილის სურნელი და დაუყვედრებელი ცხოვრება ერთგვარი შეუცნობადი ბედნიერებაა.

3563. უცოდინარობა და უნიათობა ბედის ნაჩუქარ სიხარულსაც აფერმკრთალებს.

3564. ინტუიცია, ცოდნა-გამოცდილება კარგ სამსახურს გვიწევს საქმიანობისას, მაგრამ ბედის გაღიმებას არაფერი შეედრება.

3565. სხვათათვის ბედნიერების ძიება ზოგჯერ საკუთარი ბედნიერებისათვისაც გამოგვაკვრევინებს ხელს.

3566. დროული ტყუილი ზოგჯერ ბედნიერების მომტანი ბედის წვალებაა.

3567. ბედისწერისათვის კვანტის გამოკვრა დანაშაულია, რადგან განგებამ ამა თუ იმ საქმის მოსაგვარებლად, ეტყობა, თქვენ აგირჩიათ.

3568. აუხდენადიც ახდენილია, თუ ბედს დროს შეურჩევთ.

3569. თუ ისეთია დანაშაული, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია, მაშინ აქ ბედის მსახვრალი ხელი ურევია.

3570. ბედნიერება ხშირად ჩვენთან ვერ იბალახებს, თუ არ ვცდილობთ, რომ დღეს ვიყოთ ბედნიერი და არა ხვალ ან ზეგ.

3571. სექსი-ფიზიკა, სიყვარული-ქიმია, გამრავლება-ბიოლოგია, შვილების შენახვა – მათემატიკა, ხოლო სხვა დანარჩენი ბედია.

3572. ბედის გამოცდას, მასთან შეჭიდებას ყველა ჩვენგანი დროულად და მარჯვედ უნდა შეეცადოს და არა ერთჯერადად და ისიც უგულოდ.

+3573. ბედს ჭკუა არ სჭირდება.

3574. ბედნიერების მსურველნი ყოფის კაპრიზთა განსჯას უნდა შეეშვან და ისინი ხუმრობით მოიხსენიონ.

3575. ბედის გარდაუვალობის გონით აღიარებაზე ბრიყვები არ მსჯელობენ, მხოლოდ დროს უჩივიან.

3576. ბედნიერების შესაგროვებლად გონებაში ქარის ქროლვაა საჭირო.

3577. ზოგჯერ ბედი ჩვენი ხასიათის კაპრიზებს უნდა შეეწყოს, რათა საჩვენო საქმე აკეთოს.

3578. ბედნიერს, უბედურის სიტყვით დანუგეშება არ უჭირს.

3579. „მსოფლიო ნაღველს“ მეტ-ნაკლებად ყველა თავის გულში ატარებს, თუ ის თავის ბედს დროულად არ ეწია.

3580. შემთხვევა ბედის ნაწილია, სადაც სხვათა დახმარების როლიც აღნიშვნის ღირსია.

3581. იყო გონიერისთვის მისაბაძი, ბედნიერებაა.

3582. ხასიათი დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს ბედს, ხოლო ბედი ხელს უწყობს ჩვენი ხასიათისა და მეობის ჩამოყალიბებას.

3583. წარმატების გზა ხშირად გაუცნობიერებელია, რადგან ბედი და განგება ისეთ დროს გადმოგხედავთ წყალობის თვალით, რომ შენთვისაც მოულოდნელია და სხვებისათვისაც.

3584. დიდი ბედნიერებაა, როდესაც მშობლები ცოცხლები გყავთ და თანაც ჯანზე არიან და ამას ასაკოვანი უფრო აფასებთ.

3585. განსჯა-გადანახვისთვის განკუთვნილ ბედისწერას მოყვასის ბუნება, დიდსულოვნება და მორჩილება სჭირდება, რომ არ გაგვიბრაზდეს და არ გვავნოს.

3586. ბედნიერების მოპოვების მცდელობა მარტო სურვილებით არ უნდა შემოიფარგლოს.

3587. ბედის რჩეულის გვერდზე ყოფნას და მასთან დაახლოებას ყველა ცდილობს, მაგრამ მისი შურთ და არ უყვართ.

3588. საქმიანობა, ნიჭი, შემართება თავადვე განსჯის თავის ბედსა და შესაძლებლობებს.

+3589. ეს ცხოვრება მიზანში მოსარტყამი ბედის ღიმილია.

3590. თუ ბედი ქალისთვის იღვწის, მაშინ მნიშვნელობა არ აქვს, ის ერთხელ გათხოვდება თუ მრავალჯერ, რადგან ის ყველა თავის მეწყვილესთან თავს ბედნიერად იგრძნობს.

3591. ბედი მეტ-ნაკლებად ყველას დროულად სჯის თავისივე გადასახედიდან და ჩვენი პროტესტის მიუხედავად.

3592. ბედით სარგებლობას უნარიც სჭირდება და გონიერებაც.

3593. მარტოოდენ მიზანდასახულობა საქმის საკეთებლად არ გვშველის, თუ ბედმა წყალობა არ გაიღო და ინტუიცია გვერდში არ ამოგვიდგა.

+3594. ბედიც ჩასაფრებისა და დროის შერჩევის შემდგომ გვეწვევა ხოლმე მასპინძლად და არა სტუმრად.

3595. ბედი ჩვენი ცხოვრების სავსე კოკაა, კოზირის ტუზია და რა დროს სად ამოვიღებთ, არავინ უწყის.

3596. ბედის სიმუხთლისთვის ყოველთვის ბიშტის ჩვენება ძნელია, მაგრამ ამას ცდა არ უნდა დავაკლოთ.

3597. ბედნიერებას გულით მოძიება უნდა, რადგან ის არც ჩვეულებებში მოიძიება და არც ირგვლივ არის მიმოფანტული.

3598. შემოქმედი ადამიანი ან ბედს ეძებს, ან ბედი ეძებს მას და გვერდში უდგება.

3599. ბედნიერების მოძიებას უპირველესად აღმოჩენა სჭირდება და ამის შემდგომ ცდა არ უნდა დავაკლოთ მის ხელში ჩაგდებას.

3600. ბედის გამოჭედვას უბედობაც ეჩალიჩება, იქნებ, ჩემკენაც გამოიხედოსო.

3601. გაჭირვებიდან სამუდამოდ და უკანმოუხედავად თავის დაღწევა ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.

3602. ბედნიერებას არ უნდა ვუგანოთ, არც ზურგი ვაქციოთ, რა სახითაც ის ჩვენ წინაშე არ უნდა წარმოჩნდეს.

3603. ბედისწერა ბევრ სასიამოვნო წამს გვიძღვნის და ბევრ უსიამოვნო წუთსაც განგვაცდევინებს და ეს გზა აუცილებლად ყველამ უნდა განვვლოთ, ყოველგვარი დანანებისა და საყვედურის გარეშე.

3604. სხვათა ბედის გაჯეჯილების არ უნდა შეგვშურდეს, უმჯობესია, საკუთარი ბედისწერის ანალიზს უფრო მეტი ყურადღებით მოვეპყროთ.

3605. საქმეზე ლამაზად, მოხდენილად, ეფექტიანად უნდა მიიტანოთ იერიში, ხოლო უკან როგორღა წამოხვალთ, ეს ბედს უნდა მივანდოთ.

3606. ბედი დროსა და გარემოსთან შერკინების არჩევანის უფლებას გვაძლევს, ხოლო ამას როგორღა გამოვიყენებთ, ეს უკვე ჩვენი ინტელექტისა და გამოცდილების საქმეა.

3607. ბედნიერებაა, თუ შენი სახელოვანი წინაპრის ქუჩაზე ცხოვრობ, რომელიც შენდა უნებლიეთ, სიამაყე-სიამეს განიჭებს.

3608. ბედის ქმედებათა გაპროტესტება და მისი შეგინება არ ღირს, მაინც ვერაფერს გავხდებით, ისევ მასთან საერთო ენის გამოძებნა სჯობს.

3609. ბედნიერების მიერ მონიჭებულ სიხარულს და ხალისს არაფერი შეედრება.

3610. აღმაფრენის წუთები ყველაზე ბედნიერი წუთებია ამქვეყნად.

3611. საკუთარი ბედ-იღბლისთვის ჭიდილი არასოდესაა გვიან.

3612. ბედნიერება ყოველგვარი ინტრიგის გარეშე უნდა ვიწამოთ და გავითავისოთ, თუ გვინდა მისი მადლი ბოლომდის შევიცნოთ.

3613. ალბათ, ყველაზე დიდი ბედნიერება ისაა, როდესაც ადამიანი

თავის ადგილს თავის მეწყვილესთან ერთად ნახულობს და მოჭარბებული ოცნებებისთვის ადგილი აღარ რჩება ცხოვრებაში.

3614. ნებისყოფა, შემართება, მიზნის მისაღწევად ჭკუა-გონების დაძაბვა, ნიჭის გამოყენება – ჩვენი ბედისწერის მუშაკები არიან.

3615. ესეც თავისებური ბედნიერებაა, როდესაც აზრი მოგივა თავში და იმდენად შეგაწუხებთ, რომ საცვლების ამარა საათობით მიუჯდებით საწერ მაგიდას და ფორმულებს წერ, შემდგომ შეწვები ლოგინში და სიამოვნების ჟრუანტელი ახალაღმოჩენილი მიგნების ან ფორმულის გამო ტანში გივლის.

+3616. ჭეშმარიტი ბედნიერება სათნოებასთან წილნაყარია.

3617. ბედნიერების შენარჩუნება მოითხოვს ბედისადმი ჩასაფრებას, ჭიდილსა და გამარჯვებას.

3618. დრო, შემთხვევა, გამართლება ბედისწერის კანონებს ემორჩილება.

3619. ვინც იმით ხალისობს, იმას სჯერდება, რაც აქვს, ის არ შეიძლება, ბედნიერი არ იყოს.

3620. ბედი თავისი რჩეულის გონებას ისე აკვალიანებს, როგორც მას უნდა და არა ისე, როგორც ბედის რჩეულის ფანტაზიას სურს.

3621. ყალბი ბედნიერება იგივეა, რაც სირაქლემას მიერ თავის ქვიშაში შეყოფა იმის იმედით, რომ ბოლო კეთილი იქნება.

3622. ადამიანს ხასიათსაც ბედი აძლევს, ხოლო ამ ხასიათს მომავალში ბედის წყალობით კერავენ და სათავისოდ აუთოებენ.

3623. ამბობენ: საკუთარ ბედს თავადვე ვქმნით და ვახორციელებთო, მაგრამ, თუ განგებაც ხელს წამოგვარტყამს, არც ეს იქნება ურიგო.

3624. ზოგს ისეთი იღბალი აქვს, რომ დაფიქრდება, თავადვე გაკვირვებულია მისივე ბედის წყალობით.

3625. როდესაც გონიერება, გრძნობები, ურთიერთობა განახლებას ითხოვს, აქ ბედიც უნდა ჩაერთოს საკითხის სწორად და დროულად გადასაჭრელად.

3626. ბედს უნდა დავეყრდნოთ, მაგრამ არ უნდა მივენდოთ.

3627. დროულად ჭკუის აკრეფა, წინხედვით და განსჯით, ყველა ჩვენგანისთვის ბედნიერების მომასწავებელია, მაგრამ რატომღაც ამაზე დროულად ფიქრი ჭირს.

3628. ბედს ყოველთვის ბიშტს ვერ უჩვენებთ, მაგრამ, თუ საჭიროა, ცდა არ უნდა დააკლოთ.

3629. რეალურ მიზეზთა გარეშე შედეგის შეფასება შეუძლებელია, განსაკუთრებით ბედის სიმუხთლის შემთხვევაში.

3630. პირადი ცხოვრების ბოლომდის საშურად დაგეგმვა შეუძლებელია, რადგან ხშირად ბედისწერის გადასაწყვეტია ჩვენი მცდელობა, შემართება და ამქვეყნად ყოფნაც კი.

3631. ბედნიერი დღეებს არ ითვლის. ის შედეგის ხარისხზე ამახვილებს ყურადღებას და კმაყოფილდება.

3632. სიხარული მომავალი ბედნიერების გარანტი ვერ იქნება. ბედნიერება კი სიხარულის გარანტია.

3633. ბედნიერება და სიხარული ბედის გასაშლელი ბადის სწორად სროლის ცოდნას მოითხოვს.

3634. ისიც ბედნიერება თუ ადამიანი თავის შესაძლებლობათა შესატყვისად ირჯება და მსახურობს.

3635. ბედნიერებას ქედის მოხრა არა სჩვევია, მაგრამ გაფრთხილება სჭირდება.

3636. ზოგჯერ ბედის უარყოფით შემოტევას ძლიერი სულის ადამიანები საპირისპირო ქმედებებით უპასუხებენ და დროის გაყვანას ცდილობენ.

3637. ბედი ცვალებადია და ზოგჯერ მოღალატეც, მაგრამ მას ჩვენი შემართება უნდა დავახვედროთ.

3638. ბედნიერებას არა მარტო შენარჩუნება, არამედ თავიდან მოპოვებაც სჭირდება, თუ ის ხელიდან დაგვისხლტა.

3639. ბედნიერებასაც მასზე ზრუნვით აბედნიერებენ და სულიერებას უკეთილშობილებენ.

3640. ბედნიერებას ყველა თავისებურად აღიქვამს, მაგრამ ისიც განსჯად იღბალს, ბედს ემორჩილება.

3641. ბედნიერება სიყვარულისა და ურთიერთგაგების გარეშე ვერ იარსებებს და მალე გაქრება.

3642. ბედნიერებას სიმშვიდე მოსწონს, რადგან უამისოდ ბედნიერება ნაღდი ვერ იქნება.

3643. უზრუნველყოფილი უსაქმურიც არ შეიძლება ბედნიერი იყოს, თუნდაც მისივე გაგებით, რადგან რეალურად ის არავის სჭირდება.

3644. ბედნიერად მაშინ ვიგრძნობთ თავს, თუ მის ანბანს გავაცნობიერებთ და ჩავწვდებით.

3645. ბედნიერება მომავლის ოპტიმისტურ ხედვას ასხივებს.

3646. ისიც ბედნიერებაა, თუ ხვალინდელ დღეს ოცნებით, სიყვარულითა და იმედით მოელით.

3647. ვეცადოთ, უბედურების მიზეზი საკუთარ თავში ვეძიოთ და არა სხვაში, თუ გვინდა ცხოვრებაში რაღაცას ვეწიოთ და მივაღწიოთ.

3648. ბედნიერებაა ისიც, თუ დროსა და გარემოს ალღოს უღებთ და ბედი თქვენს დაჩაგვრას არ ცდილობს.

3649. ბედნიერება სულიერებას გვიმაღლებს, გულს გვიხარებს, კაცს ჭკუის მოხმობისკენ აქეზებს.

3650. იღბალი თუ გემოვნებით და სასიამოვნოდ გვაცხოვრებს, მასთან სასაყვედურო არაფერი გვაქვს.

3651. ხელიდან რომ არ გაუშვათ არცერთი ხელსაყრელი შემთხვევა, ამას ნიჭთან ერთად ბედის თანადგომაც სჭირდება.

3652. მიზანში მოხვედრას სწორად დამიზნება უნდა, ხოლო, მოარტყამ თუ არა, ეს ბედის საქმეა.

3653. ბედმა დასჯაც იცის და მხარის აბმაც. გააჩნია, რა ხასიათზეა დროისა და გარემოს შესატყვისად.

3654. საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდის გამოყენება დიდი ბედნიერებაა ყველასათვის.

3655. ბედნიერება თავადვე მოგვინახულებს, თუ მას ჩვენი საქმიანობა მოეწონა.

3656. ბედისწერაზე ბევრწილადაა დამოკიდებული, ამ სამყაროს გმირის სტატუსით დავტოვებთ თუ მხდლის, სამწუხაროდ, ამას განგება არ გვეკითხება.

3657. სარფიანი ქორწინება კარგია თუ ცუდი, არავინ უწყის, გააჩნია, შემდგომ ბედი როგორ გადაწყვეტს.

3658. ბედის ნაჩუქარი თვისებების მოხმობა უნდა შევძლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, განტევების ვაცი უნდა ვეძიოთ.

3659. სიბრძნის სიდიადეც კი ბედისწერის ჟინსა და სურვილს ემორჩილება.

3660. ის, ვინც ბედის შემოთავაზებას თავისებურად გადახარშავს და იყენებს, უკვე პიროვნებაა.

3661. ხასიათს გულიც წარმოაჩენს და გონიც, გააჩნია, ამ დროს რა ხასიათზეა ბედი.

3662. სიხარულის შლეგად წამოსული უნებლიე, ცრემლები, თავშეკავების მიუხედავად, რატომ მოგვდის, ვერ გავრკვეულვართ, მაგრამ ჩვენი აღფრთოვანება და ბედნიერება სახეზეა.

3663. ბედნიერებას განცდის ნიჭი და ფანტაზიის უნარი გვაგრძნობინებს, სხვაგვარად მისი მადლის აღქმა და შეცნობა ჭირს.

3664. ბედნიერება განსჯადია და ვის როგორ უნდა მოექცეს, თავადვე უწყის.

3665. ბედისთვის გარკვეული დროით ბიშტის ჩვენება და პირიქით შემოქმედი და ნიჭიერი ხალხის ხვედრია.

გონიერება, გენი, განათლება, ნიჭი

3666. განათლება საგანძურია, ოღონდ როგორ დააბანდებ, ვისი და რა შემთხვევის წყალობით, არავინ უწყის.

3667. აწონილ-დაწონილი რისკი წარმატების პოტენციური შესაძლებლობაა და არა გარანტირებული რამ.

3668. ანონიმურობა საუკეთესო დამცველია, უწინარეს ყოვლისა, სახალხო ინტერესისა და ანონიმი პიროვნების გაუთქმელობის..

3669. მოუწესრიგებელ ქვეყანაში ცხოვრების გასაადვილებლად ტვინის ჭყლეტა ჩვეულებრივი ამბავია.

3670. გონიერება სახელს მისდევს, უგუნურება – ოილად გამორჩენას, მაგრამ ყოველივე დროსა და გარემოებაზეა დამოკიდებული, რადგან, ვის რას გაუკეთებს, მასზე კარგად არავინ უწყის.

3671. ცოდნას რწმენის გარეშე ბარტყობაც უჭირს და დაღვინებაც.

3672. გონიერებასთან მუშტის ქნევით შერკინება არ გამოვა.

3673. მომავლის ვარსკვლავების გონივრული ჭვრეტა, ზოგჯერ ჩვენი ყოფის ჩავარდნებს შეუმჩნეველსა ხდის.

3674. უმეცრება ყველგან ჯირითობს, ხოლო გონიერება – მისთვის გასაგებ გარემოში.

3675. ენერგია – აი, მარადიული წყარო სიცოცხლის „პერპენტუმ მობილესი“.

3676. ამქვეყნად გონიერებამ და უგუნურებამ თავ-თავისი ადგილი უნდა დაიკაოს, რათა საზოგადოების განვითარების ბალანსი იქნეს დაცული და პროგრესი კანონზომიერი გახდეს.

3677. ყველა ნიჭს თავისი გასაფრენ-ასაფრენი ბილიკი აქვს და ამ ბილიკებზე ბარიერები არ უნდა შევქმნათ, თუ გვინდა გენიოსთა გვერდით ვიცხოვროთ.

3678. ფილოსოფია კრიტიკულია და რეალურ აზროვნებას ეკამათება და არა ხალხს, რომლის აზროვნება ხშირად პრეტენზიული და ცვალებადია.

3679. წესიერები ბუნებით იბადებიან, რადგან მათ არც ამის საგანგებო სწავლება სჭირდებათ და გენისთვისაც პატიოსნება იოლი ასათვისებელია.

3680. დროულად გონიერების ვერმომხრობა – აი, პირველ ყოვლისა, დანაშაული საკუთარი თავისა და მომხრეთა წინაშე.

3681. სინდისი ფრიად ინტიმურ-ინდივიდუალური ცნებაა, რომელშიც ალბათობა მეტია, ვიდრე მტკიცე რეალობა.

3682. ბუნების მუხანათური გონიერება და კანონზომიერება ასაკის წინაშე იმით ვირეშმაკობს, რომ კაცს აღარ შეუძლია, ხოლო ქალს სექსისადმი მიდრეკილება დაქვეითებული აქვს.

3683. ხშირად გონიერებას ვნების კონტროლი უჭირს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი აქტივობის დღენი დათვლილია.

3684. თუ გონიერება ჩვენს ხელთაა და ღმერთი ჩვენშია, მაშინ გონიერების პარამეტრებიც საჭიროებისამებრ უნდა შევიცნოთ.

3685. გულს სჯერა, სული აღფრთოვანებულია, ხოლო გონი მარად ეჭვიანობს.

3686. გონი ამქვეყნად ყოფნის ბეგარას პატიოსნად უნდა იხდიდეს მის მიერვე წარმოდგენილი ახალი იდეებით.

3687. გენიოსი წარმოაჩენს თავის სიმშობლოს, აცნობს სხვა ქვეყნებს, ხალხებს და არა პირიქით.

3688. პატივმოყვარეობა დასაფასებელია, ოღონდ ჭკუით გაფილტვრის შემდგომ.

3689. გონიერებას კითხვები უჩნდება, უგუნურებას კი ეკარგება.

3690. გონიერება ნაკლებ პროდუქტიულია. როცა სიმამაცისკენ მისწრაფებით გამოირჩევა.

3691. გონს ყოველთვის ეჭვი ეპარება თავის ცოდნაში, თუ მასთან გამოცდილებაც არ ახლავს.

3692. გამზრდელს მიუტევებელიც შეიძლება მიუტევო, ოღონდ მშობელს არა. იგი ვალდებულია, ნაშიერზე იზრუნოს.

3693. უბრალოება დიდი ძალის მაჩვენებელია და ამიტომაცაა, რომ ის მუდამ გონიერების ამალაშია.

3694. მისწრაფება სიძლიერისკენ, თვითმყოფადობისკენ და რეალური შიშის აღქმა ქმნის კაცობრიობის შედევრ-სილამაზეს.

3695. გონი ნაკლებად პრეტენზიულია, ამას აშკარად ამჟღავნებს თუ შეფარულად.

3696. ბრძენი ყველაზე შორს და გამჭოლად იყურება, მაგრამ მის მხედველობას აწმყოს ბედი არ აინტერესებს, რადგან მისით მომავალია დაინტერესებული, რომელიც გაკვირვებულია: ეს გრძელი გზა ასე უცბად როგორ გაიარა, რომ თავისი სახელი სამუდამოდ დატოვა ერის, სამყაროს მეხსიერებაში.

3697. ბედნიერია ის გონიერი, ვისაც რაღაც საკითხის არ ცოდნისა არ რცხვენია, რადგან მისი ცოდნის მეგაბაიტი ამ საკითხის უცოდინრობას მრავალჯერ ფარავს.

3698. ყოველი ახალი იდეა ჯერ სიგიჟეა, მერე – გენიალური, ბოლოს მოსაბეზრებელი ყოველდღიურობა, სულ ბოლოს კი აუტანლად მოსაბეზრებელი შტამპი.

3699. თეორიულად შეიძლება თქვენ მართალი იყოთ აუტისტებისთვის, „მასმედიისთვის“, მაგრამ პროფესიონალი პრაქტიკოსი და საქმის ცოდნა-გამოცდილება თქვენს თეორიებს პანღურს ამოჰკრავს, ალიყურს აჭმევს.

3700. ბიზნესმა ახლობლების შეძულება იცის, იმდენი შენი „კეთილიმდომი“ აღმოჩნდება უნიათო, უპირო და მოღალატე.

3701. მძიმე გარემოში გონიერთან ხეტიალი ერთობ დიდ ჭკუას მოითხოვს.

3702. ზოგიერთი წიგნის წაკითხვას ისევ შენი დაწერილის მერამდენედ გადახედვა სჯობს, შენთვის მიუღებელი მცნებები ნერვებს მაინც არ აგიშლის.

3703. გონივრული სურვილის აღსრულებასაც საღი აზროვნება და შეძლება სჭირდება.

3704. ვირტუალური მეგობრებისა და კეთილის მდომთა ოდენობის ზრდა ინტერნეტისა და ალღოიანი უგუნურების დამსახურებაა.

3705. ფაუნის წარმომადგენლებმა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მათთვის გასაგები სიყვარული, ეტყობა ადამიანზე უკეთ იციან.

3706. ფლორა თავისი სილამაზითა და მომხიბვლელობით გველაპარაკება და განსაკუთრებულ პატივსაც მოგვაგებს: ის საკვებადაც გამოდგება, სამკურნალოდაც, სითბოსაც გვაძლევს და ჟანგბადსაც გვაწვდის.

3707. როცა წყვილები ერთმანეთს ღალატობენ, ამით „მობეზრების სინდრომს“ ებრძვიან.

3708. მასწავლებლის პროფესია ნომერ პირველ ანაზღაურებად პროფესიად უნდა იქცეს, ხოლო პედაგოგი მკაცრად უნდა შეირჩეს. სხვაგვარად განათლებას დროის შესატყვისი გამონათება არ უწერია.

3709. გონიერი წყენას არ იმჩნევს, მაგრამ სამაგიეროს მისაზღველად დროს არჩევს.

3710. სიბრძნე ყველას საკუთრება როდია, მაგრამ მასაც გახმოვანება სჭირდება, რომ ვიღაცას გამოადგეს.

3711. დიადი საქმისათვის დაბადებულს ყველა ჩვენგანმა დახმარება უნდა გაუწიოს, რათა მისი ნაღვაწი საზოგადოებას, ხალხს გამოადგეს.

3712. გენიას, ტალანტისაგან განსხვავებით, მარად შინაგანი თრთოლვით და მოკრძალებით იხსენებენ.

3713. გონი მარად უკმაყოფილო უნდა იყოს საკუთარი თავისა, რადგან მეტის გაკეთება ძალუძს.

3714. შედარების უნარსა და ანალიზს თავდაჯერება მოაქვს.

3715. გრძნობათა დამცრობა გონს სულიერების მიღმა ტოვებს.

3716. გრძნობების შეკავება-მოთოკვის უნარი გვაქცევს პიროვნებად.

3717. გულახდილობა სულს სიმშვიდეს მატებს და სხეულს აწყნარებს.

3718. ორიგინალურ და ახალ მცნებებზე მონადირე გონება დასამახსოვრებელ აფორიზმებს შემოგვაპარებს.

3719. ტალანტი უკვდავია, ხოლო ნიჭი დროის ყივილსა და შემთხვევაზეა დამოკიდებული.

3720. გონიერება გვაიძულებს, შეუცვლელსა და შეცვლადს შორის გზა იმდაგვარად გამოვნახოთ, რომ გენი არ გავაწბილოთ.

3721. ყველა ჩვენგანს საკუთარი გენეტიკური მისია ავალია, იმისდა მიუხედავად, როგორც ვაცნობიერებთ ამას, როგორც ვიყენებთ საკუთარ შესაძლებლობებსა და უნარებს.

3722. ზოგჯერ მავანი ისე კუდაბზიკა და ამბიციური იბადება, რომ მისი გამოსწორებას გამოთქმა „კუზიანს სამარე გაასწორებსო“, არ შველის.

3723. გონიერს სხვათა სიმდიდრე არ აწუხებს, უბრალოდ, აფიქსირებს, რათა ისიც შეძლებული გახდეს.

3724. ნდობას დაფასება უნდა, ხოლო დაფასების დაჩვევას – გენი და აღზრდა.

3725. დაუკმაყოფილებლობის გრძნობა პროგრესის წინაპირობაცაა და მისი მამინაცვალიც.

3726. სამყარო მარად უცნობი და შეუსწავლელი დარჩება, გონმა თუ არ იმარჯვა.

3727. ევოლუციის – ბუნებრივი გადარჩევის უნარის გარეშე თვინიერ სამყარო დიდი ხანია, გადაგვარდებოდა, გადაჯიშდებოდა და დაიღუპებოდა.

3728. ლეგენდა სწრაფად არ იქმნება: მას ღირსეული, ნიჭიერი, საყვარელი გმირი სჭირდება. მისი სიკეთით კი შთამომავლობა იტრაბახებს.

3729. გენიოსს დრო კი არა, ამ დროს მცხოვრები გონებაშეზღუდული ხალხი ვერ უგებს და, რაც მთავარია, ასეთი უმრავლესობაა.

3730. ბუნებრივი იმპულსების მოთოკვა ძალზე ძნელია და ცოდნა-გამოცდილებასთან ერთად გონიერებას მოითხოვს.

3731. გონს ძალა უნდა დავატანოთ, რომ ჩვენმა ნათქვამმა სიტყვამ იზეიმოს და სხვათა გულიც მოინადიროს.

+3732. გონებას ძალას ნიჭი ანიჭებს, ჭკუის ვარჯიში კი – სიამოვნებას.

3733. გონის ყველაზე დიდი ნაკლია წინასწარჭვრეტის სისუსტე.

3734. გონიერთან ურთიერთობასაც კი სხვადასხვა სახის სიამოვნება და სიკეთე მოსდევს.

+3735. უსაქმურისთვის მისი ბედისკენ მიმავალი ყველა გზა სარემონტოა.

3736. გონიერი მიზნის დამსახველია, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა ყოველდღიურ სურვილებს იზიარებს და მხარს უჭერს.

3737. გონიერებაა ის, როცა რაიმე სიამეს გვანიჭებს და იცი, თუ რატომ.

3738. გონიერი სისულელეებშიც ჭეშმარიტებას ეძებს – ზოგჯერ უმართლებს და პოულობს კიდეც.

3739. გონი თავისი მოვალეობის მონა და ამ პირობებს შეგუებული უნდა იყოს.

+3740. გონიერის შუქნიშანი გულია.

3741. გონის გონივრული დაკარგვა თავისებური დასვენებაა და ენერგიასა და შემართებას გვმატებს.

3742. გონიერება მარადიული ნეტარების მისაღებად მარად მზად არის.

3743. განცდილ-გაგონილს უკეთ შევიცნობთ და ვიმახსოვრებთ ან კრიტიკული, ან ლექსის ფორმით.

3744. სრულყოფილებისკენ სწრაფვა გონიერისთვის უდიდესი ბედნიერებაა.

3745. ჩიხიდან გამოსვლა შესაძლებელია, თუ დროს გონივრულად შევარჩევთ და ეშმაკობას ამოფარებულ ხერხს მოვიმარჯვებთ.

3746. გონიერება ხმალს ყოველთვის სჯობნის, მაგრამ ზოგჯერ საკითხის უხმლოდ გადაჭრა ჭირს.

3747. ჩემობა კი, მაგრამ ჩვენობის მთლად დავიწყება არასწორიცაა და არასამართლიანიც.

3748. ფხიზელი გონება ყოველთვის შედეგიანია.

3749. გონიერებაზე წიხლის დაჭერა, სამწუხაროდ, დღევანდელი გადასახედიდან ჩვეულებრივ ამბად მიაჩნიათ.

3750. გენიოსისთვის უმთავრესია მისი ნიჭის სიმართლე, ხოლო დანარჩენი მეორადია და შემჩნევის ღირსიც არაა.

3751. თითქმის ყველა გენიოსი იმქვეყნად დაუფასებელი წავიდა, რათა მომავალს მისი განდიდების მეტი საბაბი ჰქონოდა.

3752. გულით და გონიერებით გაკეთებული საქმე არასოდეს გავიწყდება.

3753. გონის გონთან ჭიდილი სიცოცხლეს აზრს ანიჭებს.

3754. გონიერება ერთია, ხოლო ინტუიცია ადამიანის მეორე მხარეა, მაგრამ, ვინ იცის, რომელი ნახევარია მთავარი – პირველი თუ მეორე.

3755. მოთმინებისა და გამბედაობის გასაღებები გონიერებას უნდა ვანდოთ.

3756. გმირობა და „ვირობა“ თითქმის ერთნაირად ჟღერს, მაგრამ მათ შორის სხვაობა დიდია: გმირობაა, როდესაც შენი შესაძლებლობის მტერს ერკინები და იმარჯვებ; ვირობაა, როდესაც შენზე ძლიერს ეჭიდავები, იმის მიუხედავად, რომ წაგება გარანტირებული გაქვს, ამასთანავე ახალგაზრდა თაობებს ცუდ მაგალითს უჩვენებ.

3757. ცოდნამ, უნდა-არ უნდა, უნდა იბარტყოს, რადგან ეს მისი

მოწოდებაა.

3758. გენიოსი აბსოლუტურად ხელშეუხებელია, ხელისუფლება – დროებით და ნაწილობრივ.

3759. ვეცადოთ, არა მარტო მეტი დავინახოთ, არამედ იმაზე მეტი ვაკეთოთ, რაც ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება, მაგრამ, ეს რომ გააკეთო, გენიოსი უნდა იყო.

3760. ჭკვიანი გამოუვალ მდგომარეობაშიც გამოსავალს ეძებს, ხოლო სულელი იმასაც ვერა ხვდება, გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება თუ არა.

3761. ჯანი ლაღობს, როდესაც ღმერთივით ქალს უყურებ და მის გენს სიყვარულით ეხმიანები.

3762. სიმკაცრის სიკეთესთან შერწყმა გონიერების პროტესტს არ იწვევს.

3763. განათლება არაა იმის გარანტი, რომ პიროვნება არ იფლიდებს.

3764. პატიების უნარი გენის პრეროგატივაა, ის როდია აღზრდის პროდუქტი.

3765. გონიერი უხეშ სიტყვას, გამოთქმას, ინტიმურ ცნებებს სახალხოდ ვერ იტანს, მაგრამ ჩუმად თანახმაა, მათ მადლს ეზიაროს.

3766. გონიერი რაც მეტად ღვინდება, თანამეინახეებს მისი იმდენად ნაკლებ ესმისთ.

3767. გენიოსია ის, ვინც იმას ამჩნევს სიზმარში, რასაც სხვები ცხადში ვერ ხედავენ.

3768. ყველაფრისა და ყოველივესთვის ზღვრის დადება – ეს ჭკუის დროულად მოხმობის ხელოვნებაა.

3769. კარგად ყოფნას დაფასება უნდა და გონიერს ამის უნარი დიახაც აქვს.

3770. ვინც თავის გონივრულ მეს ანგარიშს უწევს და ემორჩილება, სიკეთის კეთების საყოველთაო საიდუმლო მისთვის შეუცნობელი არ დარჩება.

3771. გახსენება, მოგონება, დავიწყება გონიერებასა და აღზრდას მოითხოვს.

3772. მოუთოკავი მრისხანება გაუთვალისწინებელ სისულელეებს ჩაგვადენინებს.

3773. განსხვავებულის განსხვავება ზოგჯერ გენიალობად იქცევა.

3774. გონივრული რჩევა-დარიგება რჩევის მიმღებს აკვირვებს და კიდეც ახარებს.

3775. გონიერების პროფიციტის გამოუყენებლობას დაულაგებელ ქვეყანაში გაცილებით მეტი ზარალი მოაქვს, ვიდრე მის დეფიციტს.

3776. მორალური კმაყოფილება ზოგჯერ შეიძლება ამორალურიც

იყოს, რადგან ცოცხალი ადამიანები ვართ და ჩვენში დუღს თანდაყოლილი ვნებიანობა.

3777. გონიერება ყოველთვის ღირსებით აღსავსეა, იმისდა მიუხედავად, სხვები როგორც შეაფასებენ.

3778. გონიერება და სიფრთხილე უღრუბლო ყოფის გარანტიას იძლევა.

+3779. ჭკუის ინდექსი მარად დასაზუსტებელია, რადგან ტექნიკურ პროგრესს კორექტივები გამუდმებით შემოაქვს.

3780. ჭკუა პარაშუტივითაა: ჯერ ოცნების სივრცეში უნდა დაყოვნდე, მერე კი გახსნა და მიწაზე მშვიდობიანად დაეშვა.

3781. გონიერების რწმენა სასწაულებს ახდენს და იგი იოლად არ მიგვიშვებს ღმერთთან.

3782. განათლება მუდმივია და ყველა სიმდიდრეზე მაღლა დგას.

3783. გონიერება გამოსადეგი ჩვევებისგან განთავისუფლებას უნდა უწყობდეს ხელს, წინააღნდეგ შემთხვევაში სულიერებას ხარკს ვერ გადაუხდის.

3784. ცივილიზაცია ერთმა გენის შესატყვისად და დროის გათვალისწინებით უნდა მიიღოს, წინაღმდეგ შემთხვევაში მის დამკვიდრებას ტრადიციები სიძნელეებს შეუქმნის.

3785. მარადისობის შესაცნობად გონი მისდაუნებურად იღვწის.

3786. გონიერება, სასოება, ბიწიერება ჩვენში გენეტიკურადაა ჩადებული, ოღონდ სხვადასხვა პროპორციით.

3787. გონიერებაც სილამაზეა, ოღონდ თავის ადგილას და თავის დროს.

3788. გონის მახსოვრობა გვაიძულებს, სიახლე განვსაჯოთ, ოღონდ წინამორბედის დამსახურების ხსოვნით.

3789. გონიერება კარგია იმითაც, რომ ყველას თავის გზაზე აყენებს.

3790. თავის ტვინი ინტელექტით სეირობას და მის განიავება-გაფლანგვას უნდა მოვარიდოთ.

3791. გონის დამოძღვრა და ბედის ხელის წამოშველება ჩვენს საკრალურ მისწრაფებას ფრთებს ასხამს.

3792. თავშეკავებულობა გონიერებაცაა და ვაჟკაცობაც.

3793. გონიერება ზოგჯერ თავს უნდობლობას უცხადებს და, თქვენ წარმოადგინეთ, ხშირად მართალია.

3794. კლასიკიდან გაგონილი ამონაგლეჯი ბევრმა იცის, მაგრამ დედანს არავინ კითხულობს.

3795. გონიერებას, გენს თავის ამქვეყნად მოსვლის აუცილებლობისა უნდა სწამდეს და არა იმის შიში ჰქონდეს, მასზე რას იტყვიან შურით აღსავსე ვითომდა ჭკვიან ჭიჭიკია და ბიჭიკია ოპონენტები.

3796. ტექნიკური პროგრესი ხასიათს ეპაექრება და არა გონიერებას.

3797. ხასიათიც ამინდივითაა: ხან წვიმს, ხან სიცხეა და მისი ბოლომდის ნდობა არ შეიძლება.

3798. გემოვნება თანდაყოლილია, ინდივიდუალურია და მას ფაქტობრივად შესაძენი არაფერი აქვს.

3799. განათლება იძლევა საშუალებას ჭკუამაც იმუშაოს და ხელებმაც, ხოლო დიდი განათლება ჭკუას იღრძობს და არა ხელებს.

3800. გონიერება ხშირად არ ეთანხმება იმ ქმედებას, რაც პოლიტიკოსმა უნდა მოიმოქმედოს, რადგან ის სხვა რაღაცაშიც ხედავს გამოსავალს.

3801. სიმართლის მოყვარული გონი გამჭრიახობას მოითხოვს, რათა საქმიანობის შუალედშიც არ დაზარალდეს.

3802. სამყაროში ბევრი რამ ნადგურდება და საბოლოოდ იკარგება, გარდა ადამიანის გონის ნაყოფისა.

3803. ლოცვებით გამოწრთობილი გონი უფრო ნიჭიერი და აქტიური ხდება.

3804. დრო ჰორიზონტალურია, მარადისობა – ვერტიკალური.

3805. გენიოსის ნასუფრალით მომდევნო საუკუნენი იკვებებიან.

3806. ყოველივეს საწყისი პიროვნებაა.

3807. გონიერებამ ყოველთვის იცის, რა უნდა დაივიწყოს და რა – არა.

3808. რწმენას დასამოძღვრად „გადაბრუნებული“ გონი იხმობს.

3809. შინაგან სიბრძნესთან გაჯირითებაა ძნელი და არა მისი არსის სიტყვებით გამოხატვა.

3810. სიბრიყვე ზოგჯერ „გენის“ წყალობაა და მას ვერავითარი გონიერება ვერ კურნავს.

3811. გონი სუფთა სინდის-ნამუსს ანგარიშს უწევს და ემორჩილება.

3812. ბოროტებისა და სიკეთის თესვას გენი სჭირდება და აქ ადამიანის ბუნება-გუნება არაფერ შუაშია.

3813. გონი მუდმივმოქმედი „პერპენტუმ-მობილეა“, იმისდა მიუხედავად, რომ ზოგჯერ დასვენება მასაც სჭირდება.

+3814. გენიას მარად დრო და გარემო ასპონსორებდა და დაასპონსორებს.

3815. გონის მადლის მოხმობა არ სჭირდება, ის ისედაც მასთანაა შეზრდილი.

3816. გონიერება გარკვეულ მომენტამდე მოთმინების მხარესაა.

3817. გონიერს საკუთარ თავზე საუბარს, სხვათა ნამოქმედარის გაგება ურჩევნია.

3818. სიბრიყვისკენ მისწრაფებაც თანდაყოლილია და ის წინაპრების გენში უნდა ვეძიოთ.

3819. პატარა საქმიანობის გაბუქებას გონიერი ვერ ითმენს.

3820. უსწავლელობის კოეფიციენტიც სურვილსა და თავის ზედმეტად არ შეწუხებაზეა დამკვიდრებელი.

3821. გონიერების გაჯირითების სურვილი ახალ-ახალ სიამოვნებათა მოკრეფის ბედნიერებაა.

3822. გონიერება და შემოქმედება ყალყზე შემდგარ ცხენს მოგვაგონებს.

3823. გონივრულად მოყვანილი სისხლიანი მაგალითები და დამნაშავეთა დასჯის გარდუვალობა, უგუნურების მოთოკვას იწვევს.

3824. გონიერებას, საქმიანობას, მისწრაფებებს პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ არ უნდა გავაფეტიშოთ – ვერ გაგვიგებენ და შეიძლება, დაგვცინონ კიდეც.

3825. გონის გაცისკროვნება სულიერების უხილავ და სასურველ მოძღვრად გვაქცევს.

3826. გენი ჩვენი დროის ტალანტიცაა და ჩვენი ამქვეყნად ყოფნის აიწონა-დაიწონას ალგორითმიც.

3827. განათლება ცოდნა-გამოცდილების უქონლად შედეგს ვერ აღწევს და საბოლოოდ ან უსაქმურება გააუფასურებს, ან სკლეროზი.

3828. გონიერების დაყადაღებას არა მარტო ასაკის მატება, არამედ დროის ყივილიც და რწმენის გაუფასურებაც ხელს უწყობს.

3829. „არ ვიცის“ თქმის უნარი თავისუფალ გონს შესწევს. ამ დროს მას არც სირცხვილი აწუხებს, არც სინანული.

3830. თუ სხვათა სისულელეს ყურად არ იღებ, ესეც გონიერებაა.

3831. უგუნურებასაც თავისებური გამართლება აქვს, რადგან გონიერი მის „შესაძლებლობებს“ სხვათა ჭკუის სასწავლებლად იყენებს.

3832. მცდელობა და აზარტი გადამდები დაავადებაა, თუ მას გონიერება წარმოაჩენს.

3833. გონივრულად თავის დაფასება მონატრებას იწვევს.

3834. გონიერის მოწოდება ის არ არის, რომ ყოფის უხმაურო მონებად გვამყოფოს და რწმენის მომიზეზებით ყოველგვარ მიწიერზე უარი გვათქმევინოს.

3835. მარადისობასთან კავშირი გონიერმა სიცოცხლეშივე უნდა განსაჯოს და გაითავისოს.

3836. გონიერების კაპრიზია ისიც, რომ ადამიანს ცოდვების მიდრეკილებით ბადებს, ხოლო შეძენილი რწმენით აიძულებს, გამოსწორდეს.

3837. საბედნიეროდ, ხშირად ჩვენი შეგირდები უკეთეს მასწავლებლებად გვევლინებიან, ვიდრე ჩვენი კოლეგები.

3838. ფაქტობრივად ყველაფერზე გენი აგებს პასუხს და არა ადა-

მიანის გული.

3839. გარეშეთათვის თავის დადება გენის ბრალია და არა აღზრდის, რადგან, გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს რომ არ დაეხმაროს, კეთილი გენი ამის უფლებას არ მოგცემს.

3840. გონიერების მფლანგავნი ამ სამყაროს შეცნობას ახერხებენ, ოღონდ არა ბოლომდე.

3841. გონისთვის სამყარო მარად შეუცნობელი, უსასრულო და მარადიული დარჩება, გამომწვევად მისი უკმაყოფილებისა, რადგან ბევრი რამის პასუხი მას თავისთვის გაუცემელ-გაუცნობიერებელი დარჩა.

3842. დღეს რეალურად ბევრი ნაძირალა ჰყავს ამ სამყაროს, ასე მცირე სიკეთის მკეთებელი და თითებზე ჩამოსათვლელი გენიოსი.

3843. „საბრალო ჩვენი გონება“, რამდენი საფიქრალ-საკეთებელი აქვს თავის წარმოსაჩენ-გამოსაჩენად..

3844. უბადრუკობა და სიდიადე გონიერების სინონიმებია.

3845. ჩვენი გონისათვის მუდმივი და სამუდამო საყრდენი არაფერია, ჩვენი ნაოცნებარის გარდა.

3846. ანკესით ვერც ჭეშმარიტებას და ვერც სიბრძნის ღლავს ვერ დაიჭერ. აქ საჭიროა გონიერების ბადე.

3847. გონიერება აუტკივარ თავს მაინც იტკივებს, როდესაც იცის, რომ მარადიულ კითხვებს პასუხს ვერ გასცემს, მაგრამ მცდელობასა და ფიქრს არ აკლებს.

3848. გონიერება ბოროტებისაგან შორსაა, მაგრამ ზოგჯერ თავს ვერ იკავებს და უხიაგობით ერთობა.

3849. განათლებაცა და ცოდნაც დასახულ მიზანს სრულად აღწევს.

3850. სამყაროს მართებულად აღქმა უდიდეს ნიჭსა და გონიერებაზე დაფუძნებულ გამოცდილებას მოითხოვს.

3851. ზომიერება ყველგან და ყველაფერში გონიერების უპირველესი მაჩვენებელია.

3852. სიავე გონიერებისთვისაც მავნებელია და უგუნურობისთვისაც. ამიტომაცაა, რომ მისი მოთოკვა და მისი ზომიერების ფარგლებში ჩაყენება უნდა ვისწავლოთ.

3853. გონიერებამ გონიერებას გონება გონივრულად უნდა მიაწოდოს და მოჭარბებული გონიერებით არ გააღიზიანოს.

3854. გონიერისთვის უპირველესია საკუთარი თავის სიდიადის შეცნობა.

3855. საზოგადოების შესაქმნელ-გასავითარებლად ყველა სახის გონიერებაა საჭირო, იმისდა მიოუხედავად, ეს მოგვწონს თუ არა.

3856. გონიერებისათვის ადამიანის ღირსება რეალური აზროვნებაა, უგუნურისათვის კი მოჭარბებული ფულია, რომელზედაც გარკვეულწილად არც პირველი ამბობს უარს, თუ იმსახურებს.

3857. გონიერს სხვათა საყველპურო აზრები კი არ აინტერესებს, არამედ ის რჩევა, რომელიც გამოსავალს იძლევა.

3858. ზედმეტად გონიერი ხშირად თავს უბადრუკად შეიცნობს სამყაროს წინაშე და სინანულით უყურებს ირგვლივ მყოფთ, რომ მას ვერ უგებენ და არც აინტერესებთ.

3859. საშუალო გონიერებას, უკიდურესი გონიერებისაგან განსხვავებით, საშუალო ფენა მეტ პატივს მიაგებს, რადგან მისი უფრო სწამს, ვიდრე გაფეტიშებული გონიერებისა და მისი შესაძლებლობების.

3860. გონიერებასთან ანგარიშიანი ჩალიჩი ჩვენი სიდიადისა და უბადრუკობის მაჩვენებელიცაა ერთდროულად.

3861. ყველა ჩვენგანი რომ სხვაზე ჭკვიანი, შეუცვლელი იყო, ყველა საუკუნეში აქსიომად იყო მიღებული. მიუხედავად მწარე იტორიული გამოცდილებისა, ჩვენი გენეტიკა ცხოვრებას ასე გვაგრძელებინებს.

3862. ბრძენი მარად სიბრძნის ძიებაშია, ხოლო უმეცარი – მისი ოპონირების მცდელობაში.

3863. გონიერება და სილამაზე, წესით, ერთმანეთს უნდა უგებდნენ, მაგრამ ხშირად შური ამის საშუალებას არ იძლევა.

3864. გონიერება სასიკეთოდ მაშინ იღვწის, თუ თავის შეკავების უნარიც აქვს.

3865. მომხიბვლელობასა და გონიერებას შორის იგივე სხვაობაა, რაც ტკიცინა 10 ლარიანსა და დაჭმუჭნულ 100 ლარიანს შორის, ხოლო, რომელს აირჩევს სულიერება, ეს ყოფის განწყობაზეა დამოკიდებული.

3866. გენიოსია ის, ვინც სხვის ნაღვაწში იმ სიახლეს მოიძიებს, რაზეც მის ავტორს არც უფიქრია.

3867. გონს ზოგჯერ თავში წამორტყმაც უხდება და არა გაფეტიშება.

+3868. გონს ნუ შეედავები შენი შესაძლებლობის გაცნობიერებამდე.

3869. თუ თქვენს მოთხოვნილებებს გონიერება და ნიჭი თან ერთვის, ბედნიერი და მდიდარი ხართ.

3870. ჭკუა ძალზე ძვირია, თუ მას მყიდველი გამოუჩნდება.

3871. გენეტიკას ერგებიან ან მავანს არგებენ დროისა და გარემოს შესატყვისად.

3872. გონიერს მოსმენა მოსწონს, ხოლო ჩვეულებრივ მოკვდავს – მისთვის გაუგებარი სასიამოვნო საუბარი.

3873. გონიერს არ აინტერესებს, სხვამ რა იცის, მას აინტერესებს, რისთვის გამოადგება მას ამ სიახლის ცოდნა.

3874. გონიერს უპირველესად მხარში ამომდგომნი სჭირდება და არა მხარის გამკვრელი კრიტიკა და დაბოღმილი ოპონირება.

3875. უმთავრესია გონიერების ჭიდილი და არა შედეგი, რადგან

ნებისმიერ გონივრულ სიახლეს ადრე თუ გვიან ხორცი შეესხმება.

3876. ის პირველია, განუმეორებელი – რაც ღვთის ნებაა და აქ გენეტიკა არაფერ შუაშია.

3877. გონიერებას სიმწიფეს თეორიული შესაძლებლობები გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე – პრაქტიკული.

3878. ცოდნის დაკვალიანებას მარტო მცდელობა არ შველის, თუ განგებამ ხელი არ წამოგვარტყა.

3879. გონიერებაც ზოგჯერ ჭკუის „გადახარშვას“ მოითხოვს, რომ ის სარფიანი გახდეს.

3880. გონიერებამ ბავშვი არც სულიერად უნდა დასაჯოს და არც – ფიზიკურად.

3881. სამშობლოდან გაქცეულს რა დასჯა უნდა. მას ან ზნე აქვს შეცვლილი, ან მენტალიტეტი.

3882. გონიერისთვის საშინელებაა ლიტონი ლაპარაკი, ანუ ყბედობა.

3883. არის რაღაცა, რაზეც გონიერმა არ უნდა იფიქროს და სიცოცხლე არ გაიმწაროს, მაგ. სამყაროს აპოკალიფსი, რომ ის მრავალი მილიონი წლის შემდგომ გონის ნაღვაწთან და სახელთან ერთად სამუდამოდ გაქრება.

3884. თუ ამდენი გენიოსის შემხედვარე თავს უბადრუკად არა გრძნობ, პიროვნება ხარ.

3885. იყო მორჩილი, განგებასაც მოსწონს, მაგრამ გონიერების საზღვრებში.

3886. გონიერების დაჭიტყლაყება ისევ გონიერებას უნდა ვანდოთ, რათა პროცესი უმტკივნეულოდ წარიმართოს.

3887. სიკეთის კეთების მოთხოვნილება რომ გაგვიჩნდეს, ამისათვის საკუთარ გენთან ერთად ცნობიერების ვარჯიშიც აუცილებელია.

3888. ტვინი ნიჭს არ ნიშნავს, რადგან ტვინი მოხმარების უნარია.

3889. ზოგჯერ ჩვენდა უნებლიე ისეთ სასარგებლო რჩევას ვიძლევით, თავადვე გვიკვირს.

3890. გონიერი დახმარებასა და გვერდზე დგომას მოითხოვს და არა დაშვებული შეცდომების პატიებას.

3891. ცივილიზაცია დღესაც იმქვეყნად გარდასული გენიოსების აზრებით სულდგმულობს.

3892. საქმიანობას გონივრული მეტყველება უხდება და არა უაზრო ტარატური.

3893. ბიწიერებას ჩვენმა გონიერებამ გზა იმდაგვარად უნდა დაუხშოს, რომ მან უგუნურებისკენ მიმავალი გვირაბის გათხრა ვერ შეძლოს.

3894. ტალანტები დროს თავიანთი ნიჭის შესატყვისად ანათებენ და მათი ძალად ანთება შეუძლებელია.

3895. ნიჭს ქვეყანამ უნდა უპატრონოს, რადგან მარტო სპონსორების დაყვედრებული პატრონობა არ კმარა.

3896. გონიერებასაც თავისი დიზაინი სჭირდება, რომ სახელმწიფოს თანამედროვე მართვის ალგორითმს მხარი აუბას.

3897. გონიერების მეეზოვე ყველა სახის საზოგადოებას სჭირდება, იმის მიუხედავად, მას წარმატებით გამოიყენებენ თუ არა.

3898. მოპოვებულის შენარჩუნება და იმის დაბანდება ყველაზე დიდი გონიერებაა.

3899. გონიერების არტახებიდან ამოვარდნა ჩვენი უგუნურების მაჩვენებელია.

3900. ღირსება რაც უფრო მეტადაა ჩახუტებულია გონიერებასთან, იმდენად ნაკლებად ცდილობს თავის წარმოჩენას.

3901. ჭკუის გამოჩენა-წარმოჩენასაც სათანადო ადგილი და დროის შერჩევა სჭირდება.

3902. გონიერების უმთავრესი დანიშნულებაა, გაარკვიოს, რისი კეთება შეუძლია და რისი არა, რათა ხელები მუქთად არ დაიკაპიწოს და ტვინი არ გადაიღალოს.

3903. ყველა ჩვენგანს თავისი „დონკიხოტობა“ მეტ-ნაკლებად გენში უზის.

3904. შეწუხება გულსა და სულს უხდება, თუკი გონიერება ამას შეიგრძნობს.

3905. ზოგჯერ პერსპექტიული გონი ბევრ უხერხულობაში ვარდება, რადგან მისი თავიდანვე შეცნობა-გააზრება ჭირს.

3906. პოლიტიკა თუ სიტყვების თამაშია, ეკონომიკას ციფრებით თამაში შეეფერება, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო ნიჭი თუ არ გამოჩნდა ამ თამაშს აზრიც დაკარგული აქვს და ფასიც.

3907. საკუთარი სიცოცხლის განკარგვის უფლება თვით გენიოსებსაც არ აქვთ, რომლებსაც ზოგჯერ სურვილი უჩნდებათ თავიანთ სიდიადეს მეტი პიკანტობა შემატონ.

3908. მადლიერების აღქმასაც გენი სჭირდება, რადგან მარტო აღზრდა ამას ვერ შველის.

3909. მშვენიერებით ტკბობას ნიჭი სჭირდება, რადგან მას მარტო განათლება არ შველის.

+3910. სამყაროს პროგრესს აუწონავი ჭკუა-გონება ავითარებს და არა აწონილი აზრი.

3911. ყველა ტალანტს თავისი ტრაგედია აქვს გადასატანი ან გადატანილი.

3912. უბრალოებას ყველაზე მეტი დაფასება სჭირდება, თუ ის ნიჭითა და სიახლისადმი შეცნობის მისწრაფებით იღვწის.

3913. სიბრძნე ბუნების კანონებს სწავლობს და ამიტომაცაა, რომ

მის ნააზრევს არ ეჭიდავებიან.

3914. შედეგის მომტანი ცოდვა სიბრძნეა.

3915. შეუძლებელს გენიოსები აკეთებენ, შესაძლებელს – ნიჭიერები.

3916. არაღიარებული გენიოსის სისხლი ძალზე მჩქეფარეა და რას მოიმოქმედებს, მისთვისაც უცნობია.

3917. გონიერება საქმეს ფეხზე რომ დააყენებს, მის მომხმარებელს ინსტრუქციებით შემდგომ მოძღვრავს, უგუნურება კი საქმის დაწყებამდე და ისიც განუსჯელი რეკლამის მეშვეობით.

3918. შეუმჩნევლობა, დაუფასებლობა გონიერს სასიკეთო ფიქრის სურვილს უკარგავს.

3919. გონიერების მეწყერი ზოგჯერ ჩვენს ჭკუის შესაძლებლობებს ჩამორეცხავს, რათა ის უმტკივნეულოდ გააკვირვოს.

3920. მადლი უცვლელია, თუ გონიერებასაც მადლით აღვჭურავთ.

3921. გენიალობას მაშინ აქვს აზრი, თუ აზრის მხედარმთავარი შემოქმედია და ქვეყანაზე შეყვარებული პიროვნება.

3922. დაფარული გენიალობა ჩვენს ინსტინქტებშია ჩასაფრებული, თუ მას დროულად გამოვავლენა.

3923. ძროხისთვის თუ ყვავილი ბალახია, გონიერისთვის ესთეტიკა და მშვენიერებაა.

3924. გონივრული და დამსახურებული ალიყურის ჭმევა არავის უნდა დაამადლო, თუ ის საერთო საქმეს გამოადგება.

3925. გენიოსი თავისი ეპოქის მწყემსია, იმისდა მიუხედავად, ანდობენ „ნახირს“ ხალხის სახით მოსასვლელად თუ არა.

3926. გონიერს ნაღდი ეროვნული ღირებულებების ჩამოფასება და გადაფასება უჭირს, მისი დაძალების მიუხედავად.

3927. გონიერება, მიხვედრილობა და ინტუიცია გაჭირვების ჟამს ისეთ რაღაცებს გასწავლის, რომელზედაც ადრე წარმოდგენაც არა გქონია.

3928. „ნიჭი“, ძამიკო, „ნიჭია მთავარი“ – ძახილი, რომელიც უგერგილო მოსწავლესაც კი აიძულებს, შემოქმედი გახდეს.

3929. ერმა გენიოსი „ფიროსმანი“ გვიან დააფასა და ისიც სხვათა კარნახითა და შემწეობით. რას ვიზამთ, ასეთია ზოგ მხატვარ გენიოსთა ხვედრი, ბედი და განგების ნება.

3930. გონიერი რჩევის გაცემა დანაკლისის შეგრძნებას არასოდეს იწვევს, პირიქით, სიამოვნებით გვავსებს.

3931. სასწაულებს ჩვეულებრივი ნიჭიერი მოკვდავები ახდენენ, რათა პლანეტაზე ცხოვრება გაახალისონ.

3932. გონს გამოცდილების მიერ გამომუშავებული ენერგია უნდა კვებავდეს და მართავდეს.

3933. უკვდავების გზა გენიოსთა ტვინზე გადის და იშვიათია სიცოცხლეში იმათი დაფასება, ვინც ეს გზა გაიყვანა და დააფინანსა.

3934. გონიერებას შხამის წამლად ქცევა შეუძლია და, პირიქით, გააჩნია, რის მიღწევას ცდილობს.

+3935. სიკეთის მოტანის მოვალეობა გონს აკისრია.

3936. დაუგეგმავი წარღვნის წინაშე გონებაც კი უძლურია.

3937. ზომიერება გონიერების უმთავრესი საჩუქარია, რომელიც პირველად წილად ხვდა არისტოკრატებს.

3938. ის, რაც გონიერისთვის საპატიებელია, უგუნურისთვის უპატიებელია, რადგან მან ზომა-წონა არ იცის.

3939. ყველაფრიდან სარგებლის ნახვა გონის ყოველდღიური საქმეა.

3940. გონიერების სიკეთის თესვა და მომკა არასოდეს გვიან არ არის.

3941. გონიერებას ფაქტების გადაკეთება-შეკეთება უჭირს.

3942. საღ გონებას არჩევანი კარგა ხნის გაკეთებული აქვს.

3943. საოცარია გონებათა ნაზავის შედეგი, როდესაც მასწავლებელი და მოსწავლე ერთმანეთისგან სწავლობენ და ამას ერთმანეთს არ აყვედრიან.

3944. სიძნელეთა დაძლევა გონიერს საკუთარი თავის გამოსაცდელად სჭირდება.

3945. გონების განავარდება მუდამ საინტერესო ფინალს გვიქადის.

3946. სილამაზე, გონიერება, ბედის წყალობა დიდი ძალაა, განსაკუთრებით, თუ ის შენ გეკუთვნის.

3947. გონიერებისა და სილამაზის მოფერება-გაფრთხილებას ყველა დარგი ერთნაირად მოითხოვს.

3948. მოთმინება დიდი ნიჭია გონიერებასთან ერთად.

3949. დაღვინებულ გონს ზოგჯერ სინანული შეეპარება, რადგან წარსულის გადაცდენებს ვეღარაფერს უხერხებს.

3950. მისდიო იმას, რაც გწამს და რისიც გჯერა – გონიერებაა.

3951. საკუთარი ღირსების შემცნობი გონი სხვას ჭკუას არ არიგებს და მოუთხოვნელად რჩევას არ აძლევს.

3952. სათნოება ჭკუა-გონება-შემართების უქონლად არაფრის მაქნისია და მას ვერ უგებენ.

3953. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, „ტვინსაც სჭირდება“ განიავება, რათა ყოფიერების ალყას თავი დააღწიოს.

3954. ტალანტი ყოველთვის დროზე ადრე გამოყოფს თავს, იმისდა მიუხედავად, რომ მას შეუპოვარი შრომის გაუწევლად სახეირო არ გამოსდის რა.

3955. ნიჭიერ კაცს თავისი ნიჭის შესაძლებლობები და გასაქანი

აინტერესებს და არა სხვათა საყოველთაო კრიტიკა.

3956. გონიერი პიროვნება გონიერ ხალხს ეძებს, რათა მას ყურადღებით მოუსმინოს და მასთან ერთად საქმე აკეთოს.

3957. წინმხედველი გონი უნდა წყვეტდეს, დაემორჩილოს მტერს თუ შეებრძოლოს და არა აფექტი და სათუო გმირობის სურვილი.

3958. ტალანტი თავისებური გენიალობაა, გააჩნია, როგორ გადახარშავენ მას თანამედროვენი.

3959. გონივრულად დამოძღვრილი ცარიელ დეკლამირებას აღარ მოუსმენს.

3960. გმირობის ჩადენას ძირითადად აფექტის ეფექტიანი აფეთქება უწყობს ხელს, შემდგომ მოდის მისი ჩამდენის შინაგანი ბუნება, აღზრდა, გარემო.

3961. ჭკუა ყველას თავისი უნდა ჰქონდეს, ხოლო სხვათა – გამოცდილება.

3962. გონიერება უმეცრებას ყოველთვის ვერ გამოჰკრავს კვანტს, რადგან თავადაც მონაწილეობს ამ საზოგადოების შექმნა-ჩამოყალიბებაში.

3963. სიახლის მოძიება ყოველთვის ძნელი იყო და ამად დარჩება, მაგრამ გონის ხუშტურმა ეს უნდა მოახერხოს.

3964. გამჭრიახ გონს ამქვეყნიურ ამოცანათა თანდათანობით ამოსახსნელად სიბრძნესთან ურთიერთობა და შეხმიანება უხდება.

3965. გონიერია ის, ვინც მასზე ძლიერს აშკარად არ ებრძვის და საერთო ენის გამონახვას ცდილობს.

3966. გონი ქალს არ საყვედურობს, უბრალოდ, ყურს უგდებს და მასში სულიერი სილამაზის აღმოჩენას ცდილობს.

3967. გონიერება ხდის ენას საცნობს, ხოლო ხოტბაშესხმული აზრის ფასი უენოდ გაურკვეველი დარჩებოდა.

3968. გონის მამოძრავებელი ძალა მაინც გულია.

3969. გონიერებით აღჭურვილი თავმდაბლობა უეჭველი გზაა მარადისობისკენ, თუ გაგვიმართლა.

3970. ჩვენი გაჩენა მშობლებზეა დამოკიდებული, წარმოჩენა კი – გენზე. მასში განგების ხელიც ურევია.

3971. ზოგი ცნობადი ადამიანი გვეზარება, ზოგიც გვხიბლავს და აქ ჩვენი გენის უცნაურობა და სიჯიუტეა განმსაზღვრელი.

3972. სიფრთხილე და დაკვირვება გონიერების მაუწყებელია.

3973. გენის სიავეს განათლება არ შველის.

3974. ის, რაც ჩვენმა წინაპარმა მოიპოვა ბრძოლითა და ოფლით, ცივილიზაციასა და ფუფუნებაზე გამოკიდებით არ უნდა გავაუფასუროთ და დავკარგოთ.

3975. გონიერება და სულიერება სინონიმებია.

3976. გონიერებას გამოცდილებამ უნდა უკარნახოს, რადგან მარტო ცოდნა და ნიჭი საკმარისი არ არის.

3977. გონიერი ფიქრს შუა გზაზე როდი წყვეტს.

+3978. კვლევისადმი მოკრძალება ყველაზე მომხიბლავი სექსია.

3979. სატანა ყველა თანამედროვე გენიოსის ჩამოშორებას ცდილობს მათი ყოფიერება-საჭიროების შეუცნობლად.

3980. გონიერისთვის ზომა-წონის ცოდნა აუცილებელია, რათა ის უგუნურებისგან განსხვავდებოდეს მათი გამოყენებისას.

3981. შეუზღუდავი ფანტაზიის პატრონი მეცნიერებას სჭირდება, მაგრამ ეგ მძიმე ტვირთიცაა, თუ ამგვარ ფანტაზიას ვერ იგებენ და ზღუდავენ.

3982. გონიერი მცირედიდანაც ბევრს იგებს.

3983. დაღვინებულ და გამოცდილების მქონე გონიერ კაცს მასებისა ნაკლებად სწამს, რადგან ბრბოს ბუნება ანგარიშგაუწევლად ცვალებადია.

3984. გაფრენილი ოცნების დაწევას და მისი ავ-კარგის გააზრებას გონი მთელი გულით ცდილობს.

3985. გონიერი მოწადინებულია ხალხი რაღაც საიდუმლოს აზიაროს.

3986. აფორიზმებს ისინი წერენ, რომლებიც განსჯად აზროვნებასთან ძალზე ახლოს არიან.

3987. გონმა საკითხი უნდა წამოჭრას, თვალებმა დაინახოს, ყურებმა მოისმინოს, ხოლო ნიჭმა ყველა სასიკეთო წამოწყება უნდა დააგვირგვინოს.

3988. ჩვენი არსებობის ფენომენს, გონს, ზოგჯერ ჩვენი ამქვეყნიური ყოფის გალამაზებაში ეჭვი ეპარება.

+3989. სიბრძნის ხის მოჭრას უნდა ვერიდოთ, გონი მისი ამონაყარით უნდა დავმოძღვროთ და გავაძლიეროთ.

3990. გენიალობა, ერთი შეხედვით, ყოველთვის დაუძლეველი მიზნებისკენ მიისწრაფვის. ჩასწვდები მის აღმოჩენას და თავს საყვედურობ: ხომ შეიძლება, ეს თავში მე უფრო ადრე მომსვლოდაო?!

3991. გონიერს ასეთი გზა ურჩევნია: სხვებს უნდა აჯობოს და დამარცხებულს შეუნდოს.

3992. ნიჭიერებად იბადებიან, ჭკვიანებად ხდებიან, ხოლო გენიოსებად მოსმენისა და განსჯის უნარის დამუღამების შედეგად იქცევიან.

3993. გენიალობა კოსმოპოლიტიკური ფენომენია, სამყაროს საკუთრებაა.

3994. გენეტიკა ჯერჯერობით მისთვის გაცნობიერებული და მეცნიერებისთვის გაუცნობიერებელი კანონებით მოქმედებს.

3995. მიზანდასახული გონი ცხოვრებას უაზროდ არ გაფლანგავს.

3996. გენიოსის ტვინის ნახვა ჭირს, მაგრამ დღეს არც მისი მყიდველ-დამფასებლის ნახვაა ადვილი.

3997. უგუნურებით მოკირწყლულ ტვინში, არავითარ გონივრული არ აღმოცენდება.

3998. თავყრილობა ყოველთვის როდია გონიერების გარანტი, მით უდრო, თუ ის გეგმიურია.

3999. მაძღარი სიტყვა ყოველთვის გონიერებას დაეძებს საკვებად.

4000. გონიერს წარმატებაზე მეტად მარცხი ამახსოვრდება და მის გამოსწორებაზე დღემუდამ ფიქრობს.

4001. გონიერი ცდილობს, სხვისგან ისწავლოს და სხვასაც გაუზიაროს თავისი ცოდნა-გამოცდილება.

4002. გონიერების მოხმობას ხშირად დროის კაპრიზი გვაიძულებს.

4003. ჭკუა-გონების ნაკლებობას არავინ უჩივის, გონიერთა გარდა.

4004. გონიერის შეუმჩნევლობა-დაუფასებულობა დანაშაულია დროისა და ქვეყნის წინაშე.

4005. უფლებათა დაცვას ჭკუა უნდა მივაყოლოთ და გავიხსენოთ წარსულის გამოცდილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, უუფლებობას გამოვკრავთ ხელს.

4006. ფანტაზიის ლოგიკად აღქმა შესაძლებელია, თუ ფანტაზიორი გენიოსია.

4007. სასიამოვნო ოცნებებზე უარის თქმა გონსაც კი უჭირს.

4008. გენიოსსაც და უგუნურსაც თავიანთ სამყაროში ცხოვრება მოსწონთ.

4009. გენს არ აქვს საწყისი და სასრული. ამიტომ მისი შეცნობა მიუწვდომელია.

4010. გონიერს ცოტაც ბევრად ეჩვენება, თუ ის მის მიწიერ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

4011. კითხვებს ბრძენთან გაბაასება ბადებს და არა ბრიყვთან საუბარი.

4012. გონის განზომილებებს სინდის-ნამუსთან მისი კავშირი განსაზღვრავს.

4013. გონიერი სიტყვების რახარუხს გვერდს უვლის და არ ეჯახება.

4014. გენია თავად ქმნის თავისი ყოფიერების სამყაროს, ხოლო ჩვეულებრივი მოკვდავები უბრალოდ მათთვის განკუთვნილ დროში იბადებიან.

4015. გონიერ მთქმელს გონიერი მსმენელი სჭირდება, რათა სიბრძნის ნაწილს მაინც ჩასწვდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, სიბრძნეც შეუცნობელ-დაუფასებელი დარჩება.

4016. ჭკუიდან გადადგომა ადვილია, ჭკუის მოხმობა, მასზე დაყრდ-

ნობა და გონიერების წარმოჩენა – ძნელი.

4017. გონი ხშირად უნდა შევანჯღრიოთ, რათა ბედმა განგებასთან ერთად არ დაგვივიწყოს.

4018. გენიც თავისი გაგების მქონე ფენომენია და ზოგჯერ რას ჩაგვადენინებს, გონიერებამაც არ უწყის.

4019. ბედის დანახარჯი გონიერებამ უნდა აგვინაზღაუროს.

4020. მიზნები ტირაჟირებას მოითხოვს, ოღონდ გონიერებამ უნდა გაახმოვანოს.

4021. რწმენის ფესვებზე ბევრი ღირსეული და უნიათო რტოა აღმოცენებული. გონიერება გვიკარნახებს ამ რტოთა შერჩევით გამოჭრა-შეთხელებას.

4022. ყველა საშუალებით უნდა ვეცადოთ, რათა ჩვენი გონივრული მცდელობა საეჭვო არ გახდეს.

4023. შეცდომების განსჯით აღიარება გონიერების მაჩვენებელია.

4024. ყველაფერი ვითარდება და კვდება, ოღონდ ციკლურად.

4025. უსაქმოდ დარჩენილ გონს ზოგჯერ დიდი ზიანის მიტანაც შეუძლია.

4026. გონიერების ერთ-ერთი დანიშნულებაა პროფილაქტიკა, რათა დაუგეგმავ უსიმაოვნებას არ გადაეყაროს.

4027. სიბერეს ჰგონია, ბევრი რამ იცის, ჯეელობის კი ენერგია მოჭარბება ჰგონია უმთავრესი და არა დამჯდარი ჭკუა.

4028. ურთიერთდაპირისპირება არაფერია, თუკი მანევრირებისა და ბედთან ჯეროვანი შერკინების უნარი შეგწევს.

4029. რადგან გონიერისთვის ცხოვრება პოზიტივებითაა სავსე, აქ ნეგატივებს ჯლიგინის უფლება არ უნდა მივცეთ.

+4030. გონიერების კოსმეტიკური რემონტი არავის აწყენს, ხოლო ზოგჯერ ის ავტორიტეტის შესანარჩუნებლად აუცილებელიცაა.

4031. გონიერი რეგვენს არ ეკამათება, არც აკვირდება და გვერდით გულგრილად ჩაუვლის.

+4032. ფანტაზია გონის მამოძრავებელი ძალაა და არა პირიქით.

4033. საკუთარი ჭკუის მოხმობით უნდა მივხვდეთ, რა არის კარგი და რა – ცუდი.

4034. გაჭირვება გონიერებისთვის ყოველთვის ბიძგის მიმცემი იყო და ამად დარჩება.

4035. ყველაზე მეტ ამონაგებს განათლება, დაღვინებული, შემოქმედებითი ცოდნა იძლევა, მიუხედავად მისი სიძვირისა.

4036. გონივრულ შემოქმედებით მოთმინებას სიკეთე მოაქვს.

4037. გონიერსაც ხშირად უწყობენ უგუნურობის დღესასწაულს, მაგრამ ამით გონიერება როდი დევალვირდება.

4038. ვარსკლავები არ ბერდებიან, პირიქით, ასაკში უფრო მიმზიდ-

ველები და დასამახსოვრებლები ხდებიან, რაკიღა შენ, როგორც ჭარმა-გოსანი შემფასებული, უკეთ აფასებ სხვათა ნიჭს, ნაღვაწს.

4039. ჩვენს გენში მამა-პაპათა ინფორმაციაა ჩადებული და რა სახ-ის გენის ნაჯვარი შეგვხდება და გამოვიყენებთ, ისევ ბედზე, დროზე, განგების წყალობაზეა დამოკიდებული.

4040. მომკა დათესვას მოითხოვს, გაცემა-დაბანდებას, მეობა – თავის წარმოჩენას. ასე რომ, საწყისი ყველას ერთი აქვს – გონიერება.

4041. სადაც გონიერებას მოხერხება, მოთმინება და კომპრომისე-ბზე წასვლის უნარი აქვთ, იქ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს.

4042. ზოგი იმ დონის გენიოსია, რომ მისთვის ორი ხელით ტაშის დაკვრა საკმარისი არ არის.

4043. მიღწევა, მიხვედრა, უნიათობა ჭკუა-გონების სხვადასხვაო-ბას უსვამს ხაზს.

4044. სიახლის ჭაში ჩაფურთხება გონიერისთვის ქვის სროლის ტოლფასია.

4045. სულელთან, ბრიყვთან, უგვანოსთან გამონახული საერთო ენა გონიერებაზე მიგვითითებს.

4046. რისკის გაწევაც გონიერებას, დაბალანსებას ითხოვს, რათა ფეხი უაზროდ არ წავიტეხოთ.

4047. სიბრძნე მაშინ იმკის დივიდენდებს თავისი ნიჭის შესატყ-ვისად, თუ ის ფინანსდება და მას სიამაყით განიკითხავენ.

4048. გონივრულად ალესილი ჭკუა ბევრ საინტერესო და სასარგე-ბლო რასმე გვპირდება.

4049. გონიერსაც უდგას სიბერის, ოღროჩოღრობის პერიოდი, რო-დესაც მასის უაზრო ქმედება და მისი პოლიტიკანობა ნერვებს უშლის და ამ დროს დროის გაყვანა ყველაზე უკეთეს გამოსავალი ირგვლივ-მყოფთ.

4050. ნიჭი განგების ნაბოძვარია, ცოდნა ჩვენი ნახლაფორთევია, ხოლო გონიერება მათი შერწყმის უნარია.

4051. სისასტიკე უგვანო და უნიათო გენის დამსახურებაა.

4052. ძაგება ყველასი და ყველაფრისა შეიძლება, მათ შორის საკუ-თარი თავისაც. მთავარია, ამ ძაგებიდან სასიკეთო რა გამოდნება.

4053. სიახლისთვის ხელის გამოკვრა რეფორმატორს აამაყებს, ახ-ალისებს, თანაც სარგებელიც მოაქვს.

4054. ჩვენს ქმედებას ჩვენივე ტრადიციები და წეს-ჩვეულება აფ-ასებს და ეხმიანება.

4055. გონიერს ყოფიერების ყოველი სურვილი კონტროლზე აჰყ-ავს.

4056. გენიოსები ხუმრობას კარგად იგებენ, მაგრამ ის მაინც დროის დაკარგვად მიაჩნიათ.

4057. იდეალური – ეს გემოვნების საკითხია, რომელსაც გენმაც უნდა აუბას მხარი.

4058. ბლაგვი ჭკუა ალესვას მოითხოვს, რათა მასზე დამყარებული იმედის მცირედი ნაწილი ამოქმედდეს.

4059. გამომგონებლის ბედნიერებაა, თუ განგება მის გონიერება-ცნობიერებას ამ მხრივ კიდევ ერთხელ შეეხმიანება.

4060. რჩევაც იმდაგვარად უნდა მიიღო, რომ ბრიყვად არ წარმოჩნდე.

4061. პიროვნების უნარი უფრო გენის დამსახურებაა, ვიდრე ჭკუისა.

4062. ზოგი გონიერის პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნება განწირულია 22-ე საუკუნეში დასანერგავად, და ამიტომაცაა, რომ 21-ე საუკუნის დაუნახაობა მათ არა სწყინთ.

4063. ლანძღვა-გინება გონიერების ალგორითმიდან შორსაა.

4064. გონიერების საცერში გერგილიანად გაცრილი ჭკუა-გონება უფრო ანგარიშიანი და გულახდილია საკუთარი თავის წინაშე.

4065. გონიერებასაც შეღავათები სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუჭირდება მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულება.

4066. ოცნების განხორციელების მცდელობა გონიერებას შეუპოვარსა ხდის.

4067. იყო ტვინითა და გენით გამორჩეული, ესეც თავისებური ვალდებულებაა ვიღაცისა და რაღაცის წინაშე.

4068. სწავლებასა და გონიერებას სხვადასხვაგვარად განსჯიან და აფასებენ.

4069. გონიერების წინდახედულად მოხმობა არც ერთ ასაკში არაა გვიან.

4070. მოუწესრიგებელი ქვეყანა გონიერებათა საპყრობილეა.

4071. ცოდვის ჩადენა უმთავრესად მიდრეკილების ბრალია და იმ გენის, რომელიც ეშმაკად უნდა მოვნათლოთ.

4072. ოცნების ქატოს მოზელა-გამოცხობა არ ნიშნავს საკუთარი აზრის წრთობას, სიახლის შექმნას, რადგან ქატოთი გამტკიცული პური არ გამოცხვება.

4073. მებრძოლი გონება მსხვერპლისა და განჭვრეტის ხარჯზე აღწევს წარმატებებს.

4074. ინდივიდუალიზმი მიმზიდველია და პატივისცემას იმსახურებს გონივრული განსჯით.

4075. გონიერებამ „კოჭი“ მომავალს უნდა უგოროს და არა წარსულის განსჯას.

4076. ყველა სწავლული თავისი მოკრძალებული ხვედრით ბედნიერია, რადგან ის განგების შვილია, რომლის მოწოდებაა ჭეშმარიტების

დადგენა.

4077. დროში თუ არ „იწვის“ გონი, მისთვის არც არაფერია გვიან და არც არაფერია ადრე.

4078. მიტევების უნარის შეძენა ჭკუაში ჩავარდნის შედეგია, უჭკუობა კი ძვირად გვიჯდება.

4079. გონიერების პაუზებსაც თავისი პლუსი აქვს, რადგან ჩვენი ცნობიერება უნდა დაგროვდეს, მომწიფდეს, დაღვინდეს, რათა ის გასაზიარებლად ვარგისი გახდეს.

4080. გონიერების წარმოჩენის უნარი ჰორმონების აქტიურობაზეა დამოკიდებული.

4081. საპირისპირო ქმედების ჩადენის სურვილი-მცდელობა ადამიანის გენეტიკაა – სხვანაირად ის ვერ განვითარდებოდა.

4082. სიბრაზისთვის ზურგის შექცევას გონის დროული მომხმობა სჭირდება.

4083. ადამიანი დაფიქრებისას ხშირად საკუთარ თავს ასამართლებს და ამუნათებს, ოღონდ რა განაჩენს გამოუტანს მას გონიერება, ზოგჯერ მისთვის უცნობია.

4084. ზოგი იმდენად ჭკვიანია, რომ მისი გონიერების აღქმა, გაგება და შენახვა საკუთარ თავის ქალასაც უჭირს.

4085. გონივრული სითამამე ცხოვრების მადლს გვაგრძნობინებს.

4086. მოყვასის მოძიებას და მისი ერთგულების შენარჩუნებას მხოლოდ დაჭაშნიკებული გონიერება შეძლებს.

4087. გენიოსისთვის პატარა, დაუღვინებელი ქვეყანა იგივეა, რაც არწივისთვის – გალია; მისით ამაყობენ, თავს იწონებენ, მას კი საფრენს არ აძლევენ და ფრთების გაშლაში არ ეხმარებიან.

4088. გენის გათავხედებელ ან მიჩუმათებულ კაპრიზებს თითის ერთი დაჭერით ვერ გაჭყლეტ, მაგრამ მათთვის ანგარიშის გაწევა აუცილებელია.

4089. უტიფართა წინაშე ქედის მოდრეკა დანაშაულია საკუთარი გონის წინაშე.

4090. ჭკვიანი კაცი მარად თავისი გონიერების ბეწვის ხიდზე გადის იმედით, ოცნებით, შედეგითა და ზოგჯერ გაწბილებითაც.

4091. ერთეულ გონიერთა მოწონება ერთეულ გენიოსთა საქმეა.

4092. პრობლემები მთლიანად ჩვენს მფარველს, სპონსორს, კი არ უნდა გადავაჭრევინოთ, არამედ თავადაც უნდა გავიხარჯოთ, რათა მუდამ სხვისი ხელის შემყურენი არ ვიყოთ და უნიათობა არ დაგვჩემდეს.

4093. გონს ის შინაგანი წინააღმდეგობები აწვალებს, რომელსაც თვალი, გული და სულიერება ჰქვია.

4094. სიმამაცეს ყოველთვის სჯობს კომპეტენტურობა, საქმეში ჩახედულება, თუმცა პირველს მეტი გარეგნული ეფექტი აქვს, ვიდრე

მეორეს.

4095. გონიერების ვნებასთან დაჯახება შინაგანი წინააღმდეგობებით არის აღსავსე.

4096. ყოველთვის მტყუანი ან მუდამ მართალი არ შეიძლება ვიყოთ. ამიტომ ურთიერთმოსმენა და აზრთა შეჯერება აუცილებელია.

+4097. მეგობრობა-ურთიერთგაგება ასაკოვან ქალებსაც შეუძლიათ, შეუძლიათ სიყვარულიც აჩუქონ და შვილებიც გაუჩინონ მამაკაცებს, თუ შეძლებული, პოპულარული და ფულიანი მდედრნი არიან, რადგან საზოგადოებას მატერიალური ყოფა უკვეთავს მორალურ ნორმებს.

4098. ჭარბი, ბევრი ყოველთვის კარგი როდია, თუ მას გონიერება არ ეპუება.

4099. გონიერების ევაკუაციაზე ფიქრი ყველაზე მეტ შემოქმედებით გარჯას მოითხოვს.

4100. შეცდომებს გონიერი არც იმეორებს და არც იცავს. ის, უბრალოდ, სახალისოდ სჭირდება.

4101. მოულოდნელი და გონიერი ქმედება ყველა წარმატების გარანტიაა, განსაკუთრებით, თუ მასში ტექნიკურ პროგრესსაც უდევს წილი.

4102. ცნობილი გამონათქვამები უნდა გავიაზროთ და გვერდზე არ უნდა ჩავატაროთ მინდვრის ქარივით.

4103. ძველ სურვილებს, ოცნებებს ფაქიზად უნდა დავაშენოთ ახალი ცივილიზაცია, თუ გვინდა ერმა თვითმყოფადობა შეინარჩუნოს.

4104. გონივრული მკურნალობა განსჯა-მონანიებით იწყება.

4105. გონიერებაზე ყველა ჩვენი საქმიანი ნერვის ძარღვი გადის, ზოგჯერ უმტკივნეულოდაც.

4106. საკუთარი „მეს“ ღირსეულად წარმოჩენა გონიერების მაჩვენებელია.

4107. სარგებლით გაცემული ცოდნა რეალურიცაა და გონივრულიც.

4108. თუ თქვენს ნათქვამს ყველა ბოლომდე იგებს, ესეც ბედის დაცინვაა, რადგან საყოველთაო სიმარტივეში ძლიერი გონი პეწსა კარგავს.

4109. ჩვენი გონიერება უფრო მეტად ჩვენ მიერ ჩადენილი უგუნურების გამართლებას ემსახურება, ვიდრე ჩვენ მიერ ჩადენილი სიკეთით ტკბობას.

+4110. ჭკუა-გონება ისევ საკუთარი სჯობს, განზრახ მაინც არ გიღალატებს.

4111. ხასიათის თანდაყოლილ ნაკლოვანებებში გონი ხშირად ვერ-ავითარ აუგს ვერ ხედავს.

4112. ურთიერთმოსმენით, შემწეობით უნდა იმართებოდეს სამყარო, რადგან სხვა გამოსავალი არა ჩანს.

4113. რატომღაც გენიოსს სიცოცხლეში ყველა ეჭიდავება, ალბათ, იმიტომ, რომ, როგორც მისი ოპონენტი, ისტორიაში შევიდეს.

4114. ჭკუა გონიერების მოსახმობადაა საჭირო და არა სისულელთა ჩასადენად.

4115. გონიერი სხვათა ქმედებაზეც პასუხისმგებელია, რადგან ის ბუნებით ლიდერია და ვალდებულია, მასაც თან გაიყოლიოს.

4116. გონი მეტისმეტსა და გადაჭარბებულს, მათ შორის ტვინის ოცნებით ჭანჭყარსაც, ვერ იტანს.

4117. თეორიულად გონიერება ძალმომრეობაზე ძლიერია, მაგრამ სინამდვილეში მაინც ძალას ემორჩილება.

4118. მარტო არსებობაა ძნელი და არა მარტოობისთვის პატივის მიგება.

4119. გონიერი ისეთი ალიბით უნდა იღვწოდეს, რომ ბოლოს საკუთარ თავსაც ვერ უსაყვედუროს.

4120. შერკინებაც გონის მოხმობას მოითხოვს, რათა დამარცხების შემთხვევაშიც კი დამცირებული არ გამოხვიდე.

4121. მეხსიერება თუ ჯეროვნად არ გახარჯე, ისე გონიერება და მისწრაფება შედეგს არ იძლევა.

4122. გონიერი მოითხოვს დალაგებულ საზოგადოებას, რადგან პოლიტიკური მეძავეობით აჭრილი ქვეყანა მას არ სჭირდება.

4123. ფიზიკურზე უარესი გონებრივი გაუპატიურებაა.

4124. გონიერების შესაძლებლობათა ზღვარი ფაქტობრივად არ არსებობს და ვერც იარსებებს, იმდენად შეუცნობადია მისი მადლი.

4125. ამაღლებული გონი გამოსავალს ზეცისკენ ლტოლვაში კი არ უნდა ხედავდეს, არამედ მიწაზე ცდილობდეს თავისი შესაძლებლობების წარმოჩენას.

4126. გონივრული მდუმარება სიდიადისკენ მიგვაქანებს.

4127. ყოველი გონიერი საკუთარ ცხოვრებას გადაუღებელი ფილმივით უყურებს.

+4128. უსარგებლო და გამოუყენებელი არაფერია, თუ გონის საწურში გავატარებთ.

4129. გონიერებას გულთან ერთად სულიერებამაც მხარი უნდა აუბას.

4130. მიჩვევა გონიერებასთან შერკინებას არ ითხოვს და ყოველგვარ აყალმაყალს სათოფეზე გაურბის.

4131. აღგზნება-დამუხრუჭების პროცესი ტვინის დუღილს იწვევს, ხოლო გენიალობას მუხრუჭები მარად მოშლილი აქვს.

4132. ინფორმაციის შემოქმედებითად გაფილტვრის უნარი განსაზ-

ღვრავს, ჩვენს გენიალობასა და გონიერებას.

4133. გონის ახალ ასოციაციებთან ჭიდილი, შედეგად გენიალობას იძლევა.

4134. უფანტაზიო ცოდნა მწირ შედეგს იძლევა.

4135. არ მაინტერესებს, რა იყავით, მაინტერესებს, რა დატოვეთ.

4136. გონიერს ყველა საჭირო ცხოვრებისეული კომპონენტი აქვს ანდა უმტკივნეულოდ იძენს დროისა და გარემოს შესატყვისად.

4137. პატიოსნებაც სათუო და განსჯადი ცნებაა და მას დროის ვირეშმაკობის შესატყვისად აღიქვამენ.

4138. ჭკვიანი დამყოლი ხასიათით უფრო მეტს აღწევს, ვიდრე სიჯიუტითა და უკომპრომისობით.

4139. კეთილი საქმე სიყვარულით უნდა ვაკეთოთ, ოღონდ გონივრულად, თუ გვინდა ჩვენი ნაღვაწი უკეთ წარმოჩნდეს.

4140. მეტყველებას ფასი მაშინ ედება, თუ ის გონიერებას ფორას აძლევს.

4141. გონივრული განსჯა სიკეთის კეთების მისწრაფების მაჩვენებელია.

4142. მისაბაძის მიბაძვა არა ღირს, რადგან სიახლისადმი ლტოლვა მცირდება, რაც გონს გამუდმებით აზარმაცებს.

4143. უმთავრესი გონიერებაა, ყოფიერებასთან რომ გვაახლოებს და გვერდში მარად გვიდგას.

4144. ჭკუას ძლიერი ხასიათი უხდება, მაგრამ მოჭარბებულად ძლიერი გადამლაშებასავითაა.

4145. ყოველივე ახალი რაღაც ძველის წინააღმდეგია. ეს ახლის ბუნებაა.

4146. აფორიზმი გონის მიერ გადაწურულ-გადამუშავებული ტექსტია.

4147. მარტივ გზას, შეიძლება, ჭეშმარიტების კარიბჭესთან არ მივყავდეთ, მაგრამ მასზე უარის თქმა უმადურობაა, რადგან ის აძლევს გონს ფართო შესაძლებლობებს.

4148. ზომიერება ყოველ გონიერს ახასიათებს. ასე იყო არისტოტელეს „ოქროს შუალედის“ გამოკვლევამდე და მერეც.

4149. შურისძიების სიყვარულით ჩანაცვლება გონის დიდი და გმირული ნაბიჯია.

4150. ამ სამყაროში ერთი ნაბიჯით წინ წაწევას იმ „ჭკუის კოლოფების“ გამოჩენა უწყობს ხელს, რომლებიც ამ სამყაროს საოცრებათა ამოხსნის გასაღებს ფლობენ.

4151. ხელმომჭირნეობა უმთავრესად გონიერების შედეგია.

4152. გონიერებისადმი წინდახედული მორჩილება მშვიდი ცხოვრების გარანტიაა.

4153. ემოციები გვაგრძნობინებს, რომ ადამიანები ვართ, მაგრამ ზოგჯერ ისინი ღუპავენ გენიოსებს.

4154. ჭკუა გამოცდილების სინონიმია და ისინი უერთმანეთოდ დასახულ მიზანს ვერ აღწევენ.

4155. გონებას თუ ყურს მიუგდებთ, ის სახეირო გზაზე დაგაყენებთ და ცხოვრებაც არ გაგიჭირდებათ.

4156. საკუთარი უბადრუკობის შეცნობა თქვენს ეთგვარ გონიერებაზე მიუთითებს.

4157. გენიოსი სხვისი მსგავსი არ შეიძლება იყოს. ის ერთადერთი და განუმეორებელია.

4158. გონივრული გაკვირვება შემოქმედი ბუნების აღმოჩენის საწყისია.

4159. გონიერი პოლიტიკა „ზოგი ჭირი მარგებელიას“ პრინციპზეა აგებული, რადგან, რაც დღეს არ მოგვწონს და სადავოა, ის შეიძლება მომავალში დასამახსოვრებელი და სიკეთის მომტანი გახდეს.

4160. ლობიზმს ზღვარი არ აქვს და ის არც გონივრულ საზღვრებს უწევს ანგარიშს.

4161. მასა საყოველთაო არჩევნებში ძირითადად პიარს, ემოციებსა და გამორჩენის იმედს აძლევს ხმას და არა გონიერებას და მის ირგვლივ შექმნილ გარემოს, მაგრამ რა უნდა იღონოს გონიერებამ, თუ ეს მასა ამომრჩეველთა 95% შეადგენს.

4162. ჭკუის ღრძობა იმ შემთხვევაშია მისაღები და მოსაწონი, თუ მას სარგებელი რამ მოაქვს.

4163. სისასტიკესა და თვინიერებას შორის არსებულ წინააღმდეგობას გონიერება აწესრიგებს.

4164. გონიერს აზრიანი საუბარი ამახსოვრდება და არა ყბედობა.

4165. ჯანსაღი კრიტიკის გადამოწმება გონიერის პრეროგატივაა.

4166. ზოგჯერ გონებრივი სიამოვნება გრძნობისმიერ სიამოვნებას უპირისპირდება და ხშირად ისინი საერთო ენასაც ვერ ნახულობენ.

4167. ჭკუის ნაკლებობას არც ერთი ხელისუფალი არ უჩივის, რადგან მისი შეძენა უკვე დაგვიანებულია.

4168. ზოგჯერ სიმართლის თქმასაც ჭკუის მოხმობა და შელამაზება სჭირდება.

4169. გონივრული რისკების გაუწევლად კაცობრიობის განვითარება გაჭირდებოდა.

4170. ოპტიმიზმის შედეგი გონიერების დროულად მოხმობის ხელშია.

4171. მშვიდობიანობა არის დაღვინებული გონის შემოქმედების ნაწილი, რომელმაც ზოგჯერ მობეზრება იცის და ხშირად მისი ფასი ბრბოდ ქცეული ხალხისთვის ძნელი აღსაქმელია.

+4172. კამათს იგებს ის, ვინც ჭკვიანია; ომს – ის, ვინც ძლიერია, ხოლო ის, ვინც ორივეს თავს აარიდებს, გენიოსია.

4173. სტრესს ცუდი ჩვევებისკენ მივყავართ, მაგრამ გონი შეძლებისდაგვარად მას წინააღმდეგობას უწევს.

4174. გენია შთამბეჭდავი ნატურაც უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გონიერების აღქმა ჭირს.

4175. ქვეყანაში ყოველთვის იყვნენ მორიდებული გენიოსები, რომლებსაც არ უსმენდნენ, ვერ ამჩნევდნენ და არც არად დაგიდევდნენ. ეს გენიოსთა ბრალი როდია, რადგან ჭკუა, ურთიერთგაგება და ძალმომრეობა ხშირად ერთმანეთს ვერ ეთვისება.

4176. გონიერი ბიწიერებას გაურბის, უგუნურებისთვის კი ყველაფერი სულერთია.

4177. გონიერება, ნიჭი ბევრის შემძლეა, მაგრამ ცოტათი კმაყოფილდება და ეს მისთვის სრულიად საკმარისია.

4178. ნაძლევის, საჩუქრის მიღება-არმიღებას განსჯა სჭირდება, რათა უაზროდ არავის ვალი არ ავიღოთ და ვახში არ დავიდოთ.

4179. გენეტიკური კოდების შეჯერებასა და მათი ალგორითმების ამოხსნას ყველა თაობა თავისი დროის „მეგაბაიტის“ მოშველიებით ცდილობს.

4180. რაც უნდა მწვავე პრობლემა იყოს, ასე თუ ისე, გადაიჭრება გონის მოხმობითა და დროის შერჩევით. ამიტომაც მის გამო ნერვების მოშლა არ ღირს.

4181. საკუთარ თავს რომ ასიამოვნოთ, სხვათა სიამოვნებაზეც უნდა იფიქროთ.

4182. კითხვა-პასუხის გაცნობიერება და გადაწყვეტილების მიღება, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავსა სჭირდება.

4183. „მე მნებავს“ – პირველ ყოვლისა, უნდა დადგინდეს, ეს გაუაზრებელი სურვილია თუ გონივრული შესაძლებლობათა გამოთვლა.

4184. სსრ კავშირში გაცილებით ბედნიერად და დაფასებით ვცხოვრობდით, რადგან მოხვეჭა აკრძალული და დასჯადი იყო. შედეგად ურთიერთშესაშურიც არაფერი ჰქონდათ.

4185. გონიერი ქვეყნის პირველ კაცობასაც ზეიმობს და იმ დროსაც, როდესაც ის დაუმადლებელი პენსიონერი ხდება.

4186. გონიერება ყველაზე დიდი შენაძენია, რადან მუდამ ჩვენთან არის და არავინ უწყის, რად გამოგვადგება.

4187. სიბრძნის კმევით თუ ბრიყვის გონებას გადავტვირთავთ, ის უარესად დაიბნევა და ორჯერ უფრო დიდ ბრიყვად მოგვევლინება.

4188. გენიალობის ბედნიერება ის არის, რომ გენიოსის ცოდნა მარტო მას არ ეკუთვნის.

4189. მოწინაღმდეგის ზრახვათა გაკეთილშობილება დიპლომატიის

ნიჭთან ერთად გონიერებას მოითხოვს, რათა თავი არ ვაზარალოთ და მოწინააღმდეგემაც ნაკლები სარგებელი ნახოს.

4190. სიცოცხლის ხანგრძლივობა გონიერს საშუალებას აძლევს, პროგრესის განვითარებაზე უკეთ და მეტი იფიქროს.

4191. აგრესიისგან განტვირთვას სურვილთან ერთად ნიჭიც უნდა, რომელიც ხშირად გენის სახით გვევლინება.

4192. გარყვნილი და განუსჯელი ცივილიზაცია გონის მტერი და ხალხის დაჩიავების საწყისია.

4193. ბუნების კანონებს ცოდნა და ალღოს აღება უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც არაფრად გამოგვადგება. მგ. ერთმანეთთან შეზრდილი კატა და თაგვი ერთმანეთს არ მტრობენ, რაც ბუნების კანონს ეწინააღმდეგება.

4194. გონის სახმობად მათრახი ყველას სჭირდება – დაწნილი ტყავისა იქნება ის თუ ალესილი ენისა.

4195. ორაზროვნების არსის შეცნობაა ძნელი და არა მისი მოსმენა.

4196. შენი ნაკლოვანებების დასადგენად მტრების გამოყენება უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე მეგობრებისა, რადგან ისინი, მეგობრებისგან განსხვავებით, შენს ნაკლოვანებებს პირში დაურიდებლად მოგახლიან.

4197. ყველა ჩვენგანი თავისი გონის მადლის შესატყვისად ოცნებობს და იღვწის.

4198. გონივრული და მოწესრიგებული საქმიანობა ყოფის ყველა კაპრიზს ეწინააღმდება და აწესრიგებს.

4199. ზოგს თავად იდეა აინტერესებს, ზოგს – შედეგი, ზოგსაც – პროცესი, გააჩნია, ვისი გონიერება, მოწოდება, გენი როგორღაა მოწყობილი და წინასწარ ჩაფიქრებული.

4200. გონით კოჭლი სხვისთვის გასწრების მცდელობისას მუღავნდება და წარმოჩინდება.

4201. ყოველივე მარადიულს რატომღაც გონი შინაგანად ეწინააღმდეგება და მისი განსჯას ლამობს.

4202. წესი, კანონი, სამართალი მედლის ერთი მხარეა, მაგრამ მეორე მხარეც გათვალისწინებას საჭიროებს, რომელსაც ნაცნობობა, ქრთამი და შემთხვევა ჰქვია, რათა გონი უგვანობამ არ აცდუნოს.

4203. ცოდნა ყველაზე ლამაზი და მიმზიდველი ფენომენია, რომელსაც ვერცერთი გონიერის ბუნება-გუნება ვერ გაექცევა და მისთვის ყოველივე მიწიერს მსხვერპლად გაიღებს.

4204. არქეოლოგები ერთი ძველი ჩანაწერის მოძიებით იმაზე გაცილებით მეტს იგებენ, რაზედაც მთელი თაობები ჭკუას იჭყლეტდნენ.

4205. სიცილი არა მარტო განწყობის შემქმნელი, არამედ გონებამახვილობის დამფასებელიც არის.

+4206. გენიალობაც პირობითია, ოღონდ – უსასრულო.

4207. დაუღვინებელი გონიერებისა და გრძნობების დაღვინების მცდელობა არასდროს არის გვიან.

4208. ზოგს ბედი მისი ნაფიქრალის საწინააღმდეგოს სწყალობს და მაინც მართალია.

4209. სიცოცხლის არსის გააზრება-გაცნობიერებას გონიერებამდე მივყავართ.

4210. დღევანდელი ინფორმაციის ოკეანე ინტერნეტია, რომლის უსასრულო სივრცეში ცურვა და გონიერების ახალი კუნძულების, კონტინენტების აღმოჩენა გაცილებით რთულია, ვიდრე ამას ჩვენი გონიერი და შემოქმედი წინაპრები ახერხებდნენ.

4211. სულს ზეცას ვაბარებთ, ხორცს – მიწას, მაგრამ გონი რჩება უპატრონოდ, რომელსაც ვინ, სად და როდის გამოიყენებს, მარად უცნობია.

4212. გონიერი, უგვანოსგან განსხვავებით, სახეს არ კარგავს და ადამიანობას ინარჩუნებს.

4213. გონიერ საუბარს რა სჯობს, თუ ალესილი ენის შემოტევისა არ გეშინია.

4214. გონება დაღვინებას ითხოვს, რათა ის გამოსაყენებელი გახდეს.

4215. გონივრულად მართულ ხელისუფლებას „წყალი არ შეუდგება“.

4216. გონიერი ყოველთვის წუწუნებს იმ ვირტუალურ შესაძლებლობათა ხელიდან გაშვების გამო, რომელთა განსახორციელებლადაც ხშირად დაფიქრებულა.

4217. გონიერი დრო-ჟამის დადგომას უცდის, რათა მისი იდეების დროზე ადრე განხორციელებამ მომავალი არ მოკლას და ირგვლივ მყოფთ ზიანი არ მიადგეს.

4218. სიბრძნე ყველა მაგალითიდან, გამოცდილებიდან, შემთხვევიდან, მისთვის გასაგებ გამოსავალს შედეგის მიღებით ცდილობს.

4219. წესიერება და წესრიგი გონივრული ცხოვრების საფუძველია.

4220. გონიერი უპირველესად პატიოსნების ალგორითმებით უნდა იღვწოდეს, შედეგი მოიძიოს და სასურველი გამოსავალიც იპოვნოს.

4221. სირცხვილის გენი, რომელიც უმისამართოდ დაეხეტება, პირველ ყოვლისა სიკეთეს ვნებს და შემდგომ ირგვლივ მყოფთა ცნობიერებას.

4222. გონიერმა შედეგის მიუხედავად, ჭკუას ყოველთვის განათლების მიღების მცდელობით უნდა მოუხმოს.

4223. მათემატიკური ტოლობის გაუთვალისწინებლად, ყოველი წამოწყება, ქმედება და ტვინის ჭყლეტა არამყარი და სათუოა.

4224. ანგარიშიან ჭკუას გაცილებით მეტი სარგებელი მოაქვს ყველასათვის, ვიდრე ანგარებიანს, რადგან ის არა მარტო თავის თავზე ფიქრობს.

4225. გონიერება სიფრთხილეს ეძმაკაცება და საქმეს ემოყვრება.

4226. გენიოსები იბადებიან, მაგრამ სწავლის საშუალებით თავს წარმოაჩენენ და დასამახსოვრებელნი ხდებიან.

4227. კარგი სპეციალისტი რით განსხვავდება გამორჩეულისგან? – ამ უკანასკნელს გენიალობისკენ აქვს მიდრეკილება.

4228. ხშირად გენიოსს თავისი დრო და გარემო ვერ უგებს, რადგან ის იმ მენტალიტეტით ცდილობს იცხოვროს, რაც მის გენიალურ ნიჭს შეესატყვისება.

4229. ცოდნა და შემართება აძლევს გონიერს ფანტაზიის ნებას და არა სიზარმაცე და განუსწავლელობა.

4230. გონიერი ეგოიზმსა და ჭკუას საქმის საკეთებლად ერთდროულად მოიხმარს.

4231. ჰარმონიულობა ის სულიერებაა, რომელსაც გონიერი განსჯის.

4232. გონიერი ყველაზე მეტს მომდევნო თაობებთან ურთიერთობისას სწავლობს და ამას განსაკუთრებით სიბერეში შეიცნობს.

4233. გენი ჩვენი ბედისწერაა, რადგან არცერთი ჩვენგანი არ იბადება უცოდველი, რაშიც ლომის წილი წინაპართა გენებს მიუძღვის.

4234. არაორდინალური გონი თავისი ჯარისკაცების ყოლას ითხოვს, რათა სიახლისკენ მიმავალი გზა მათ გაუკვალონ.

4235. გონისთვის ფეხის დადება სასაცილოებს გვხდის.

4236. გონიერი შერკინებისთვის სხვადასხვა ოპონენტს ირჩევს და არა ერთსა და იმავეს, რადგან ეს უკანასკნელი უკვე აცნობიერებს შენს ძლიერ და სუსტ მხარეს.

4237. გონიერი თავისი ნიჭით, მოხერხებით, წინდახედულებით იმარჯვებს და არა საბრძოლო ავტომატ „კალაშნიკოვით“.

4238. გონიერება მუდამ სჯობნის ძალადობას, თუ მას დროულად და მოხერხებულად მოუხმობთ.

4239. ე.წ. „სულელებს“, „ჭკუანაღრძობებს“ თუ განგება ხელს წამოჰკრავს, ზოგჯერ გენიოსებად წარმოჩინდებიან.

4240. ხალასი გონებაც კი, ნავარჯიშევი ჭკუის გარეშე, შედეგს ვერ აღწევს.

4241. განუსჯელობის გამართლების ერთ-ერთი პირობა ჭკუაგადაბრუნებული გონებაა.

4242. ყოველივეს, რაც ჩვენს რწმენას, მოვალეობას საქმის კეთებით უზრუნველყოფს, პირველ ყოვლისა, გენს უნდა ვუმადლოდეთ და არა აღზრდას.

4243. ოცნებით გაცილებით მეტის შემძლენი ვართ, ვიდრე გონიერების მოხმობითა და განსჯა-კეთებით.

4244. გენეტიკური ომების სუკუნეები ჯერ კიდევ წინ გვიდევს და ვის დარჩება ამ დაპირისპირებაში გამარჯვება, ტექნიკურ პროგრესს თუ ჩვენ გენეტიკურად ცვალებად კოდს, არავინ უწყის.

4245. რწმენის ნავსაყუდელში შენი ტვინით უნდა მოხვდე და არა ფეხებით, ანუ სხვათა წაქეზებით.

4246. სიმდიდრე ჭკუის მოხმობას დაბანდების გზით ითხოვს.

4247. ზოგჯერ ვპოულობთ იმას, რასაც ვეძებთ. ახლა საჭიროა ამ მოძიებულის გონივრული შეზელა ჭკუასა და შრომისმოყვარეობასთან.

4248. სხვის ჭკუაზე იძულებით სიარულსაც „შებერტყილი“ ნიჭი სჭირდება, რათა შენიანებისთვის სასიკეთო საქმე აკეთო.

4249. დებილით აღფრთოვანება გონიერისთვის უცხოა, მაგრამ ტრაგიკომედის საჩვენებელ ატრიბუტიკას თუ წარმოადგენს?!

4250. გონს იმქვეყნად ბევრი უთქმელი სიტყვა და გაუკეთებული საქმე მიაქვს, რომლებიც ამქვეყნიურობას ბევრ სიკეთეს და თავად სიახლეს მოუტანდა.

4251. ყველა ტრაგედიას თავისი რომანტიზმი ახლავს, რომლის განსჯა-აღქმაც გონიერებას მოითხოვს.

4252. გონიერი სიტყვების დაჯავშნასა და დაჭაშნიკებას ითხოვს და აქ ყბედობა გაუმართლებელია.

4253. უქმად ყოფნას დაჩვეული გონი, არც მის პატრონს აწუხებს სიახლის წვდომის მცდელობით და არც სხვებს.

4254. როცა ეშმაკი ტირის, გონი იცინის და თავისი მოხერხებულობა-მცდელობით ბოროტ არსებას ნიშნს უგებს.

+4255. „ჭკუის ნაკლებობა“ სახეზეა, როდესაც ფეხბურთელს ბურთის თამაშში მილიონებს უხდიან და მეცნიერების დასაფინანსებლად „მიზერის“ გაცემაც ენანებათ.

4256. თუ გონიერება მოითხოვს და ინტუიციაც თანახმაა, მაშინაა ძალის გამოყენება შესაძლებელი.

4257. ზომა-წონის ალგორითმების ამოხსნა მეობას უჭირს, რადგან გონიერის ნაღვაწს არა სცნობს.

4258. ის არის ინფორმაციის კარგი ამთვისებელი, ვისაც თავის განძრევა, ჭკუის მოფხანა, კომპიუტერთან საქმიანი ურთიერთობა არ ეზარება.

4259. ყველაზე ბოლოს გამარჯვებული გონი გამოდის, იმის მიუხედავად, რომ ყოველივე დროის, გარემოს და განგების ხელშია.

4260. ყოველივეზე ყველას ჩვენი საზომი გვაქვს – ეს ჭკუის მოხმობით იქნება თუ ოცნებათა ძალისხმევით.

4261. გონიერი საზოგადოების პოლიტიკურ სარბიელზე ფეხს არ

ადგამს, რადგან ბრბოს ქცევა ყოველთვის შეუცნობელი და არაადეკ-ვატურია.

4262. გონიერი ყველაზე მეტად ვისაც ენდობა, მის ღალატს ვერ იტანს, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ამ ქვეყნის ავან-ჩავანი, თავისი შურით, გაუტანლობით, მამლაყინწობით და მის შეუცნობად კაურებს ვერ გავექცევით.

4263. გონიერი სანთლის შუქზეც იღვაწებს და სიზარმაცის ყავარ-ჯენსაც გვერდზე მოისვრის, თუ ეს საყვარელი საქმის კეთებას სჭირ-დება.

4264. ზოგჯერ საკუთარ თავს მესამე თვალის მზერა უნდა შევავ-ლოთ, რათა ორივე თვალის მხედველობა სწორად დავაბალანსოთ.

4265. გონივრული დათმობები იმის გარანტიაა, რომ ორჯერ მეტ რეალურ სარგებელს მიიღებთ, დაპირისპირებისაგან განსხვავებით.

4266. გენიალობის საწყისი მარად შეუცნობელი დარჩება, რადგან ის განგების გზავნილია.

4267. ჭკუას სიყვარული არ ემორჩილება, ის უფრო გარეშე ძა-ლებთანაა კავშირში.

4268. რწმენის, შემართების, ნიჭის გარეშე გონიერი სათანადოდ და დროის შესატყვისად ვერ იღვწის.

4269. თავიანთ სუკუნეთა გამსწრები გენიოსები, სამწუხაროდ, „ვირის მუშები“ არიან, თანამედროვენი სათანადოდ ვერ აფასებენ და მათი აღიარება მომდევნო საუკუნეთა საქმე ხდება.

4270. ინტელექტით აღსავსე ინტელიგენტი ცივილიზებული ეპოქის რიგითი ჯარისკაცია.

4271. გონივრული ფასეულობანი არ იცვლება დროის, გარემოსა და ტექნიკური პროგრესის გავრცელების მიუხედავად.

4272. გონიერება ადამიანური სისუსტის კი არა, სიძლიერის გამოვ-ლინებაა.

4273. ძალას გონიერება გვმატებს და არა პირიქით.

4274. ზღვარი და სამანი ადამიანის გონიერებას ვერასდროს დაედე-ბა

4275. სიხარული და მწუხარება გონიერებასაც ფსიქიკურ რყევას განაცდევინებს.

4276. მოხერხებულ და „ჭკუანაღრძობ“ გონს მაშინ ედება ფასი, თუ ის ძალასაც ფლობს.

4277. ტანჯვა-წამება ხშირად მთავარი მამოძრავებელი ძალაა გო-ნიერების პროგრესისა.

4278. განუსჯელი გონი ხშირად საკუთარ თავთან მაშინ იწყებს ბრძოლს, როდესაც ბრძოლა სხვას უნდა გამოუცხადოს და მთელი შემართება ამ ბრძოლას უნდა მოახმაროს.

4279. ერთი ჭკუა კარგია, ორი უკეთესი, მაგრამ მესამე ზედმეტია, თუ იგი არც ერთს ემხრობა და არც – მეორეს.

4280. გონივრულად ჩადენილი მანკიერება დასამახსოვრებელიც არის და გონის სახმობიც.

4281. გონიერი სხვისგან მუდამ სასარგებლოს სწავლობს, რაც მისი თავმდაბლობითა და ცნობისმოყვარეობით არის განპირობებული,

4282. გონიერები ყველაზე უკეთ უნდა უგებდნენ ერთმანეთს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებრობა გარანტირებულია.

4283. მასის გონის ამღვრევა-ამბოხება ადვილია, მისი დაღვინება, დალაგება და რეალური საქმიანობისთვის გამოყენებაა ძნელი.

4284. ჩვენი გონის განსასჯელი დღესაც „ღვთაებრივი ტრაგედია“ უნდა იყოს, თუ გვინდა ამქვეყნად ყოფნის მადლი შევიცნოთ.

+4285. გონიერების ნაჩალიჩარს, უგუნურობის ნაჩათლახარი ხშირად წინააღმდეგობას ვერ უწევს, რადგან ეს უკანასკნელი თვითნაბადია.

4286. გონი ფულით გამოტენილი ჯიბით უფრო სასიამოვნო სატარებელია, ვიდრე უგუნურება გაფხეკილი ჯიბით, იმისდა მიუხედავად, რომ ხშირად პირიქით ხდება.

4287. მოცდა-დაწევა, დაფეთება-ჩაგვრა ყოვლად მიუღებელია ყოფით გონიერებისათვის.

4288. ყველა სიღრმე თავის გასაცნობიერებელ სივრცეს მოითხოვს გონის წარმოსაჩენად და საქმის საკეთებლად.

4289. ცოდვების დედად სისულელეთა თქმა და ქმნა გვევლინება. ამიტომაცაა რომ ხშირად გონიერების დროულად ხმობას გვიკიჟინებენ.

4290. ნათელი გონებაც კი შემართების, ამბიციების და „იმან როგორ უნდა მაჯობოს“ გარეშე ნაკლებად ეფექტური და შესამჩნევია.

4291. დღევანდელი მენტალიტეტის, მეგაბაიტის გადასახედიდან რომ ორი-სამი საუკუნის წინათ გვეცხოვრა, ჩვენზე საცოდავი მოსახლე ამ პლანეტაზე არ იქნებოდა. ამიტომაცაა: დროის მსწრებ გენიოსებს თავის დროში ცხოვრება უჭირთ, რადგან მათ ვერ უგებენ.

4292. ჩვენთვის მარად შეუცნობელი სამაყროს მართვაში ყველაზე უკეთ უახლესი კვლევითი ხელსაწყოების გამოყენება ხდება და ეს მიგვანიშნებს, რომ გონივრულად, უკეთ გავიხარჯოთ და ჩვენი გონისთვის მისაწვდომ ახალ აღმოჩნებს მეტი პატივი მივაგოთ.

4293. ტექნიკური პროგრესის წინსვლაში შემოქმედ პროვოკატორებსაც თავიანთი წილი უდევთ. ისინი ხომ სტერეოტიპების მსხვერპლნი არიან!

4294. მოსწრებულ სიტყვა-პასუხსაც შესაბამისი დონის და მენტალიტეტის გამგონი სჭირდება, რათა მისი მადლი იგრძნო და შეიცნო.

4295. ჭკუის ჭყლეტა ხასიათის წარმოჩენის გარეშე შედეგს არ იძლევა.

4296. ფიქრი გონის პრეროგატივაა და არა უაზროდ ხელების ქნევიდან მიღებული ენერგიისა.

4297. გონის დაღვინებაზე მიუთითებს ის, რომ იგი უარს ამბობს არა მოწინააღმდეგის იდეურ განადგურებაზე, არამედ მის სიძულვილზე.

4298. გონიერი ყოველთვის მიუკერძოებელია, ნეიტრალურია, წინ მაცქერალია, რადგან დრო რა სიურპრიზს შემოგვთავაზებს, ყოველთვის უცნობია.

4299. გენიოსები თავიანთი დროის წინმასწარი შვილები არიან, რომლებიც მომდევნო თაობებს გულწრფელად ეხმაურებიან, ოღონდ მაინც თავიანთი მრწამსის შესატყვისად.

4300. გონიერება იძლევა მოსალოდნელი შედეგის ალგორითმს და არა გარანტიას. ამიტომაცაა ის მარად განსჯადი.

+4301. გონის იდეოლოგიური მოხვნა უპირველესად ყვავილს იძლევა და არა ნაყოფს.

4302. ტვინის უმტკივნეულოდ გამორეცხვაც შესაძლებელია, თუ ტვინის გამოსარეცხ საშუალებებს შექებითა და დარიგებებით გავამდიდრებთ.

4303. ჭკვიანი თუ ხარ, საქმითა და შედეგით უნდა ამტკიცო და არა ლიტონი სიტყვითა და გულზე ხელების ბრაგუნით.

4304. კანგაცლილი გონიერება მარად მისმაგვარისა და თანამდგომის ძიებაშია.

4305. ქალიშვილები რაღაცით დედებს ემსგავსებიან, ვაჟიშვილები – მამებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, თავის მხრივ, სხვა ჯიშს და ჯილაგს ამრავლებენ და წარმოაჩენენ, წინაპართა გენს მაინც ვერ გაურბიან.

4306. სულიერად დაკოჭლებული გონი, ყველა ჩვენგანის საფლავის გამთხრელია. ამიტომაც მას განუსაზღვრელი უფლება არ უნდა მივცეთ.

4307. ღირებულებისა და ღირსების შეთავსებას მარტო ნიჭი არ შველის, გონიერებაც სჭირდება.

4308. საიდუმლოს ინახავს გონიერი ღირებულებათა გათავისებით.

4309. საკუთარი თავისთვის ჯეროვანი ალიყურის ჭმევა თქვენს გონიერებაზე მიუთითებს.

4310. გონიერისგან განსხვავებით, უგუნური ყველაფერს იტანს და სათავისოდ თარგმნის და განსჯის.

4311. ნათქვამია: „მჯობნის მჯობს რა გამოლევსო“, მაგრამ მჯობნელისაგან გონიერს რაღაცის სწავლა უხდება.

4312. საკუთარ თავსაც იმის კეთება უნდა მოვთხოვოთ, რაც შეუძლია და არა იმის, რაზედაც უფიქრია და უოცნებია.

4313. ჭკვიანი და გონიერნი შედარებით დიდხანს ცოცხლობენ, რადგან მათ დროზე და გართობაზე აზრიანად მორგების უნარი სხვაზე უკეთ შესწევთ.

4314. რაც უფრო მეტად მოუჭერთ ჩვენს ცნობიერებას ქანჩს, მით მეტად მოხდება ჩვენი გონიერების ამოფრქვევა, სიახლის მიგნება და სხვა სასწაულები.

+4315. აფორიზმი არის ფანტაზიის და დაღვინებული გონის ნაჯვარი, რომელსაც საკაცობრიო მსოფლმხედველობა უდევს ფუძედ.

4316. გონის გაჯანსაღება და გამოცდილების დაგროვება სხვადასხვა სახის ძალისხმევას მოითხოვს დროსა და გარემოს შესატყვისად.

4317. თუ გონს ძალასა და შემართებას შევძენთ, ყოველივე შესაძლო გახდება.

4318. ბრიყვისთვის ჭკუის დარიგებას ისევ პრაქტიკული საქმის სწავლება სჯობს, რაღაც შედეგი მაინც აქვს.

4319. აფექტში სიავის არჩადენას გონის მუხრუჭებთან სიახლოვე სჭირდება.

4320. მაღალი იდეალების განხორციელებას დაღვინებულ-განსჯადი გონი სჭირდება და არა მოსამწიფებელი ფანატიზმი.

4321. გონიერებაა, საკუთარ ნიჭსა და ამბიციებს ჯეროვან ადგილს რომ მიუჩენთ.

+4322. გენეტიკური კოდი „დნმ“ – ეს ის ბედის ნიშანია, რომლითაც ყველა ჩვენგანია დაჯილდოებული და დასჯილი.

4323. ჭკვიანია ის, ვინც სისულელეს და გონიერებას, თავის ადგილს მიუჩენს დროსა და გარემოს შესატყვისად.

4324. ყველა გენიოსი მისთვის შეუცნობელ ეპოქას ქმნის, თუ მას დროის შესატყვისად შევეხმიანებით.

4325. გენიოსს უპირველესად მისი გონიერების შექება და სასიკეთო გარემოს შექმნა სჭირდება და არა მხოლოდ შეძახება.

4326. პირველ წარმატებას ხშირად ინტუიცია და შემთხვევა განაპირობებს, ოღონდ გონიერების დიდი ძალისხმევით.

4327. ინტერნეტი საყველპურო განათლებას იძლევა და არა ცოდნას, რადგან ეს უკანასკნელი შეცდომების დაშვება-გამოსწორებაზეა აგებული.

4328. ზოგჯერ იძულებული ვართ მლიქვნელს მოვუსმინოთ, მაგრამ მისი სიტყვების დაჯერება და შერჩევა ჩვენს გონიერებაზეა დამოკიდებული.

4329. საკუთარი შეცდომების კრიტიკული შეცნობა ჭკუის მატების შედეგია.

4330. გონი მრავალფეროვან სწავლებას ითხოვს და ამას გონიერი მოხერხებულად ახორციელებს.

4331. გონისთვის ისიც დამამცირებელია, მის საქმეს თუნდაც დროებით რომ სხვა აკეთებს, რადგან ის საჭირო კაცის სტატუსსა კარგავს თუნდაც დროებით.

4332. მეტყველების ნიჭისა და გადმოცემის უნარის უქონელი გონიერი ბევრს კარგავს სათავისოდაც და სასხვისოდაც.

4333. ტვინი ხშირად გონიერებით უნდა დაავადდეს, რათა ცხოვრება ერთფეროვანი და მოსაწყენი არ მოგვეჩვენოს.

4334. ჭკუა გონიერებით დამოძღვრილი წიგნის ტომებისაგან შესდგება, მაგრამ ამ ტომების არსის გათვითცნობიერება ჭირს.

4335. გონიერებას გონიერი კითხვების დასმა აწრთობს და უფრო მეტად სასარგებლოს ხდის.

4336. საკუთარი ნაკლოვანების დაცინვა გონიერების გამომზეურობას უწყობს ხელს და ხასიათსაც აწრთობს.

4337. ჭკუადამჯდარი უპირველესად ინტერესების შესატყვისად ირჯება, შემდგომ მოდის იდეები და იდეალები.

4338. საკუთარი ჭკუითა და განსჯით ცხოვრება საშუალებას გვაძლევს, ამქვეყნად მოსვლის მადლი რეალურად შევიცნოთ.

4339. გონი ცხოვრების უზენაესი არბიტრი და სუპერიარაღია, რომელსაც ვერავითარი სხვა ძალა კონკურენციას ვერ გაუწევს.

4340. ზოგჯერ ჭკუის ხმობა სიჩუმით სჯობს, ვიდრე არაფრისმომცემი გაუთავებელი ყბედობით.

4341. გონიერი და ბუნებით წინმაცქერალი ადამიანისთვის ხშირად ძნელი გასაგებია, თავადაა გიჟი. თუ მის ირგვლივ მყოფნი არიან უგუნურნი და უგვანონი.

4342. ერთადერთი გონიერი კითხვაა „რატომ“?! რომელზედაც სრულყოფილი და ამომწურავი პასუხის გაცემა ძნელია.

4343. ჭკვიანი თუ ურთიერთობათა საზღვრების დაცვას ცდილობს, უგუნურისთვის ეს საზღვრები არ არსებობს.

4344. გონიერება შეხლა-შემოხლის წინააღმდეგია, ხოლო უგუნურება ომის გაჩაღებაზეც უარს არ ამბობს გარკვეული სარგებლის მიღების მიზნით. საბოლოო შედეგზე იგი არ ფიქრობს.

4345. გონიერის ნაღვაწი თუ დადებით შედეგს იძლევა, აქ განსჯას და ოპონირებას აზრი დაკარგული აქვს.

4346. ჭკვიანის უჭკუოსთან ძალდატანებით ურთიერთობა, პირველისთვის ყველაზე მკაცრი სასჯელია.

4347. გონიერების გაჯეჯილება, კანონიერების ფარგლებში, საყოველთაო კეთილდღეობის საფუძველია.

4348. წარსულის გონივრული ფურცლების დავიწყება არ ეგების, ოღონდ არც მისი გაფეტიშება და დანანებით მოხსენებაა სარგებელის მომტანი.

4349. გონიერს სიზმრებისა არა სჯერა, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, მისი გაანალიზება არ უნდა დაიზაროს.

4350. გონი მარად ჭკვიანური აზრების ძიებაშია, უგუნურისაგან განსხვავებით, რათა მათგან რაღაც გასაგები გამოადნოს.

4351. გონიერს სხვათა კარნახი და წაქეზება არ სჭირდება იმ აზრის განსასჯელად და დასამუღამებლად, რასაც მისი ოპონენტი ამბობს.

4352. ფიქრი ერთია, მცდელობა მეორეა, საქმის კეთება მესამეა და ეს ქმედებანი ერთად აღებული და გონივრულად შერწყმული, ერთმანეთს ხელს არც დასვენებაში უშლიან, არც ცხოვრების მადლის შეცნობაში და არც საქმიანობის წინ წაგდებაში.

4353. ყოველ ადრეულად გადმოგდებულ გონივრულ სიტყვას ალღოს აღება, უკეთ შეცნობა, სარგებლის მიტანით დროულად სჭირდება.

4354. გონიერს მოსმენის უნარი გააჩნია, უგუნურს კი ეს უნარი წართმეული აქვს, რადგან ეს უკანასკნელი ავყიაობისა და ცხოვრების ჰაიჰარად გასატარებლად არის გაჩენილი.

4355. გონიერების იდუმალებისა და ყოფიერების სიმბოლოების გაუმჯობესებლად თავის წარმოჩენას ყველა ჩვენგანი ცდილობს.

4356. გონიერებაა ისიც, თუ საკუთარ შუბლს კედელზე სარტყმელად არ გავიხდით, რადგან ზომიერება და შენდამი კეთილგანწყობის შენარჩუნება თავისებური ნიჭია, ხელოვნებაა.

4357. გონიერ ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობა თანამოაზრეებს გვიმრავლებს.

4358. ზოგჯერ ერთი გონივრული გადაწყვეტილება დიად მიზანს ფრთებს შეასხამს და მთელი ჩვენი ცხოვრების შეუქცევად საქმედ იქცევა.

4359. გენიოსი რთული ბუნებისაა, რადგან იმდენი მისთვის ცნობილი ნაკლი აქვს, ამის წარმოდგენა თავადაც უჭირს.

4360. ყოფიერების სიმბოლოთა გამოცნობას ყველა ჩვენგანი ცდილობს.

4361. გონიერებაა ისიც, თუ საკუთარი შუბლის ძარღვს არ გავიწყვეტთ, და ზომიერებას, შენდობას და კეთილგანწყობილებას შევინარჩუნებთ.

4362. ჭკუა-გონების ხმობა ყოველთვის დროისა და გონიერების პრეროგატივად რჩება.

4363. საკუთარი წარმოდგენითი გონიერება სხვათა ჭკუაზე არ ხურდავდება.

4364. გრძელი ენა ჭკუის საჭიროების მოთხოვნაზე, მწყრალად არის.

4365. ჭკუა-გონებას ვერ იყიდი, მაგრამ მისი გაკონტროლება და განსჯა შესაძლებელია.

4366. გონივრული განათლება მარად სიახლის მაძიებელია.

4367. ზოგჯერ, თუ ჭკუას მივაყოლებთ, სასიკეთოდ შემოგვიბრუნდება ის გაუტანლობა, ღალატი, რომელიც ჩვენ მიმართ ჩაიდინეს, რადგან განაწყენებულნი მათ გავერიდებით, სხვაგან დავიწყებთ საქმის კეთებას და კარგ შედეგსაც მივაღწევთ.

4368. გონი სიბრძნის დამუღამებას უნდა ისწრაფოდეს, რათა ყოფის უკეთ მოწყობის საშუალება დროულად გამოიყენოს.

+4369. ბრიყვები მხოლოდ იმ ჭკუას აფასებენ, რაც მათ ცნობიერებას აკმაყოფილებს.

4370. ყოფისთვის მიუღებელი სტანდარტების შემოღება ხშირად გონივრულ მცდელობებს აფერხებს.

4371. სიახლის მაძიებელი გონიერიც ხშირად იტეხს კისერს, თუ ის თავისი ბუნებით გენიოსი არ გახლავთ.

4372. სიახლეს ჭკუის ჭყლეტა იძლევა და არა განუსჯელი ფიქრი.

4373. განუსჯელი პატრიოტიზმი უგვანო ნაციონალიზმად იქცევა, რომელიც გონივრული განსჯისგან შორსა დგას.

4374. არის განუსჯელი ჭკუა, რომელიც თავის დროს უცდის, იქნებ დავჭირდეო.

4375. იდეალების უგულებელყოფა გონის ჩენჩოთი გადატვირთვის შედეგია.

4376. გონიერების დროულად მოხმობა ენერგიას გვმატებს, იმედს გვაძლევს და ხასიათზეც მოვყავართ.

4377. სამყაროს პირველ გენიას მომავალში ან საკრედიტო ბარათზე წარმოაჩენენ, ან მისი სახელობის საერთაშორისო პრემიას დააწესებენ, და ეს იქნება ამ გენიოსის გახსენებისა და მისი სახელის უკვდავყოფის გარანტი.

4378. გონიერს უყვარს თავისი წარმატებების განსჯა და წარმოჩენა, ხოლო წარუმატებლობის დავიწყება და მიჩუმათება. და ესეც გონივრული ქცევაა!

4379. თუ გონიერება და მიხვედრილობა ერთურთზე დაქორწინდნენ, ყოფის ბარიერების დაძლევა აღარ გაგვიჭირდება.

4380. გონიერების დაუფასებლობა, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავის ღალატია.

4381. ჭკვიანი კაცის მიერ ჩვენი კრიტიკ რიდსა და მოწიწებას გვგვრის, ხოლო ხეპრეს შენიშვნა ჩხუბის ხასიათზე გვაყენებს.

4382. ტალანტი მისთვის გასაგებ ეგოიზმს ვერ გაექცევა, რათა უკეთ იღვაწოს და წარმოჩნდეს.

4383. სულმნათი გენიის შემჩნევას ყველა შეძლებს, მაგრამ მისით ჭეშმარიტად აღფრთოვანდებიან ერთეულები.

4384. გონიერება არის თავისებური ძალაუფლება, რომელსაც ბო-

ლოს მაინც თავისი გააქვს.

4385. ზოგჯერ გონიერი ალესილი ენის მოუქნევლად სასურველ შედეგს ვერ აღწევს.

4386. გონიერება გამოსავალს ადვილად ნახულობს, ხოლო მოხერხებულება სულ გამოსავლის ძიებაშია.

4387. გონიერს არც სიკეთის კეთება ეშლება და არც სიკეთის მკეთებლების შემჩნევა-დაფასება.

4388. გონიერი სხვათა სიკეთის კეთებას უკეთ ამჩნევს და მადლიერების გრძნობაც პირველს უჩნდება.

4389. ჭკუა-გონება ყველა სხვა განძით დაჯილდოებულთ ფორას აძლევს.

4390. ზოგჯერ გრძნობათა ღელვა უფრო მეტ გონიერებას შეგვძენს, ვიდრე თავად ცარიელი და მშვიდი ჭკუა-გონება.

4391. გენიალობის დანახვა უფრო ძნელია, ვიდრე გენიოსისა.

4392. ფილოსოფია მატერიალური სატყუარის გარეშე ცდილობს ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის არ გამოსდის, რადგან მას ვერ უგებენ ან არ უგებენ, იმდენად დიდია მატერიალიზმის ზეწოლა.

4393. გენიოსი რომ შინაგანად გაორებული პიროვნება არ იყოს, შეუძლებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, დრო მას არ წარმოაჩენს.

4394. პირველი გონივრული ზღვარი წესიერებასა და უწესობას შირის გადის.

4395. გონიერებაა დროის მსახური და არა დრო – გონიერებისა.

4396. გონს ზოგჯერ უჭირს დღევანდელობის გაცნობიერება, რადგან მას წარსულზე გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვს და უკეთესი შთაბეჭდილებებით არის აღვსილი.

+4397. წერა-კითხვის უცოდინარობამ არაერთი გენიოსად დაბადებული ადამიანის ნიჭი დატოვა უსაქმოდ და სახელი-უსახელოდ.

4398. ღირსება და ღირებულება, დაცვას ითხოვებ, გონიერებისგან განსხვავებით, რადგან ეს უკანასკნელი ისედაც დაცულია და „ხელ არ შაეკარების“.

4399. გონი თავის დროს წინ უსწრებს, მაგრამ სულიერება ხშირად მას ვერ უგებს და ყოველივეს დროის კაპრიზად მიიჩნევს.

4400. ზომიერი და გააზრებულიი დუმილი გონიერების მაჩვენებელია.

4401. სიკეთის კეთების შედეგად მიღებული სიამოვნება ჩვენი გენის უნიკალურობაზე მიგვანიშნებს.

4402. ზოგჯერ გულის ცელქობას გრძნობათა მოზღვავებაც ეხმარება: ხან ნატაშა შეგვიყვარდება, ხანაც – ლოლა და ხან კი – ვინ. შედეგად ნერვები გულის ნაცვლად გონს ეშლება.

4403. გენიოსი ზოგჯერ თავისი ნაკლოვანებების ორიგინალურად წარმოჩენით არის ბედნიერი, რაც სხვებში გაუგებრობასა და გაკვირვებას იწვევს.

4404. განსჯას გონიერება სჭირდება, თანაც ფაქტების აღქმა და თანდაყოლილი ნიჭი.

4405. ჭკუა ხშირად ხმის გაუღებლადაც გამოხატავს თავის პოზიციას.

4406. სიტყვა საწამლავიცაა და სამკურნალო წამალიც. აქ მთავარია დოზირება და გონს გონივრული მოხმარების უნარი.

4407. ამბობენ, გენის შეცვლა-გადაკეთებით გაახალგაზრდავებაა შესაძლებელი, მაგრამ მისი შეცვლა უკვდავებას როდი მოგვიტანს.

4408. გულით შეიძლება მხურვალეც იყო, ჭკვიანიც, სულიერად ამაღლებული და წინდახედულიც, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც გონი იღებს.

4409. საკუთარი სურვილებისთვის წინააღმდეგობის გაწევა გაუმართლებელია, თუ სურვილები გონიერებასთან შეჯერებულია.

4410. წარმატების ფორმულაში შედის ნიჭი, შემართება, დროის ყივილი და ბედი.

+4411. გონს თუ ავიწყდება, რას აკეთებდა, ის ხელებმა დაუფიქრებლად უნდა აკეთონ და სწორედ ესაა პროფესიონალიზმის ზეობა.

4412. გონიერი კაცის მავნებლობა უფრო საშიშია, ვიდრე ჩვეულებრივი მოკვდავისა, რადგან გონიერის მავნებლური ქმედების მასშტაბი უფრო გრანდიოზულია.

4413. სიბრიყვე ადამიანს იშვიათად ტოვებს, თუკი ის ამ გენითაა დაბადებული.

4414. გონის დაღვინებას დასაქმება და გარჯა აჩქარებს.

4415. ბრიყვს უხიაგობა შეხედვისთანავე ეტყობა, ხოლო გონიერისთვის უხიაგობის შემჩნევა ჭირს.

4416. თავზე ხელაღებული გონიერება მისასალმებელია, მაგრამ განსჯას მაინც მოითხოვს.

4417. გონიერი მოხერხებულიც უნდა იყოს და საქმიანიც, წინაღმდეგ შემთხვევაში, ის ჭკვიანად ვერ წარმოჩნდება.

4418. გონიერი შეტევაზე არ ფიქრობს. მისთვის მთავარია დასახული მიზნის მიღწევა და არა შერკინების სახის ამორჩევა.

4419. საკუთარი თავის გონივრულად შეწყნარებაც პიროვნების უდიდესი ღირსებაა.

4420. განუსჯელი ჭკუა სასურველ შედეგს არ იძლევა.

4421. ერთის მხრივ, სიხარბე, გაუმაძღრობა და, მეორეს მხრივ, გულკეთილობა, ხელგაშლილობა თანდაყოლილი გენის მიზეზია და არა გარემო პირობების შედეგი.

4422. უმადურობის გენი, ეტყობა, მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანის ცნობიერებაშია დაბუდებული.

4423. განსჯის უნარი თუ გენეტიკურია, მაშინ ის ჩვენი შთამომავლების გონიერებაზე მიგვანიშნებს.

4424. ზომიერი გონიერება ყველას სჭირდება, განსაკუთრებით ცივილიზაციის კაპრიზებს გამოკიდებულ საზოგადოებაში.

4425. გაშმაგებული სურვილი გონიერების ტკივილს ვერ გრძნობს და ვერც სათანადოდ აღიქვამს.

4426. სიკეთის კეთება საკუთარი ნება-სურვილის აღსრულებაა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანის გენში დევს.

4427. ახალგაზრდულ გონს ყოფასთან გასარკვევი ციებ-ცხელება არა ვნებს, თუ ის დროულად გამოჯანმრთელდება და დაკვალიანდება კიდეც.

4428. გონიერების ბოროტად მოხმარება დანაშაულია მომდევნო თაობათა წინაშე.

4429. მომავლის სწორი აღქმა და აწმყოსთვის ჯობნა გენიოსთა ხვედრია.

4430. ომის და დაპირისპირების უპირველესი მსხვერპლი გამოუყენებელი გონიერებაა.

4431. გენიოსები შექება-პატივის მიგებას ერიდებიან, რადგან მათ ეს მცდელობა დროის უაზრო ხარჯვად მიაჩნიათ.

4432. გონიერების სიგრძემ უგვანობის სიგანეს თავი არ უნდა გაუყადროს.

4433. სიბრძნის წარმოჩენის ყველაზე უკეთესი ხერხი ენაზე კბილის დაჭერაა.

4434. გონიერების ბოროტად გამოყენება დანაშაულია, თუ ამას სახელმწიფო საჭიროება არ მოითხოვს.

4435. განსჯადი გონისათვის ცნობიერების სათავისოდ მოხმობა ყოველთვის შესაძლებელია.

4436. გონს ყოფიერების აუცილებელი ცვლა ყოველდღიურ ამბად მიაჩნია.

4437. გონიერება საზომია დანაშაულის ჩადენისაც და სამაგიეროს მიგებისასაც.

4438. გონიერება როდის იმეფებს ამ სამყაროში, არავინ უწყის, რადგან გონიერთა ჩალიჩი ძალაუფლების დასაუფლებლად შედეგს ვერ იძლევა.

4439. გონიერებისთვის ზურგის შექცევა გაუკულმართებული ცხოვრების შედეგია.

4440. პროგრესი სარისკო საქმეა. ამიტომაც მას სიკეთის საკეთებლად კრიტიკული გონის ხმობა სჭირდება.

4441. კამათში უპირველესია მოხერხება და სხარტი გონება.

4442. ყველა ჩვენგანის გონება განვითარების, გამოყენებისა და გალაღების გარეშე ჩმორდება და არასაჭირო ხდება.

4443. ბრიყვთა თვითდაჯერება გონივრული საზღვრებს არა სცნობს.

4444. საკუთარ შეცდომათა აღიარების უნარი გონიერების საწინდარია.

4445. გონიერი მოსალოდნელი გაჭირვების საფრთხის თავიდან აცილებას ცდილობს, ხოლო მოხერხებულობა ამისათვის მარად მზად არის.

4446. ყველა ჩვენი მომდევნო ქმედების საწინდარი სიბრძნის გათავისების მცდელობაა.

4447. თავი იმასაც ჭკვიანად მოაქვს, ვისაც ჭკუის დარიგება არა გონიერების, არამედ მჭევრმეტყველების ხარჯზე ძალუძს.

4448. გენიოსს უოპონირებოდ უჭირს თავის წარმოჩენა, თუმცა არც შექება ვნებს.

4449. გონიერება და სიყვარული სიწყნარით ტკბება და სიჩუმით ნეტარებს.

4450. გონიერ ადამიანს აფასებენ, მაგრამ წილში მის ჩასმას ერიდებიან.

4451. კოჰაბიტაციის ვარგისად გათავისება შეჯერებული გონიერების საქმეა.

4452. სამართლიანობის ხმობასა და დამყარებას გონივრული განსჯა სჭირდება.

4453. ჭკუაგადაბრუნებულთა ჭკუის გადმობრუნება ყოფიერების სტანდარტების მიხედვით შეუძლებელია.

4454. გონს რეალობის აღქმაში მახსოვრობაც ეხმარება.

4455. გენიოსი, რომელიც სიცოცხლეში ხატად უნდა გვექცია და მასზე გველოცა, ზოგჯერ ამას იმქვეყნად გადასახლების შემდეგაც ვერ ახერხებს, იმდენად გაუგებარია მოაზროვნის დამფასებელთა გულგრილობა.

4456. ალბათ, ყველა თავისი ჭკუით უნდა ცხოვრობდეს, იმისდა მიუხედავად, საჭიროა თუ არა, რადგან განგების უცნაურობასაც, ეტყობა, ასეთი მასტის ხალხი სჭირდება.

4457. როდესაც გონიერება ჭრაჭუნებს, მჭევრმეტყველება ლაღობს, აზრები ბობოქრობს, სულიერება კუთვნილ სიამოვნებას იმკის.

4458. გაჭირვება ყველა გონიერის ათუხთუხების საფუძველია.

4459. გონის მობილიზება გულის მოფხანისა და სულიერი დამშვიდების საშუალებაა.

4460. ამბიციური და თვითდაჯერებული გონიერება მისაღებია,

თუკი განგების ნების საწინააღმდეგოდ არ იღვწი.

+4461. ჭკუა დროულად არ ფასდება, უჭკუობა დროზე არ მჟღავნდება და ვართ ასეთ გაუსაძლის გაურკვევლობაში.

4462. იმ გონიერს, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, დასახული მიზნებისთვის ხორცის შესხმა გაუჭირდება.

+4463. კეთილგონიერებას გადამწყვეტ წუთში იყენებენ, მანამდე კი უიმისო გამოსვლის ძიებაში არიან.

+4464. კრიტიკულ გონებას ავტორიტეტის მოშველიება არ უნდა დასჭირდეს – ეგ მისი უპატივისმცემლობაა.

4465. ბედნიერება ზოგჯერ საკუთარ ნაკლოვანებათა დაფარვის ხელოვნებაა.

4466. ჭკუითი სიღარიბე იმათთვის არის განკუთვნილი, რომლებსაც ამქვეყნური სიამოვნებისა არა სჯერათ.

+4467. ჭკუას თუ შენივე მცდელობის შედეგად „იღრძობ“, გენიალობაა, თუ სხვა დაგეხმარება, უხიაგობა.

4468. შეუიარაღებელი ჭიდილი უსამართლობის წინააღმდეგ, გონიერისთვის წყლის ნაყვაა.

4469. გონი მწუხარების შემამსუბუქებელ საშუალებებს ეძებს, რათა ამ ძიებით სიმშვიდე მოიპოვოს.

4470. გონიერი მხოლოდ მაშინ ალაპარაკდება, როდესაც მის მოსაზრებებს დრო აქტუალობას შესძენს.

4471. საღ, გონივრულსა და მოკლე საუბარს თავისი ხიბლი და მადლი აქვს.

4472. კეთილგონიერებაც არ არის წინააღმდეგი გონივრული რისკისა.

4473. გონიერება გენიოსებისა და გენიალობის მარად ძიებაშია.

4474. ძალმომრეობის გვერდზე გონიერების საწყისი ბოლოს ყოველთვის ზარალისა და კრიტიკის მომტანია.

4475. საჭირო სისასტიკე გონის მონაპოვარია უგუნურების საპირისპიროდ.

4476. სიბრძნეს მოთმინებაც სწყალობს გარკვეული დროით, მაგრამ თავის მოქაჩლება და ხელის გამოღება მისთვისაც დროულადაა საჭირო.

4477. ყოველივე ისაა დასაფასებელი, რაც სიამოვნებას გვანიჭებს, ოღონდ იგი გონიერების ფარგლებში უნდა ექცეოდეს.

4478. ზომიერება და გონივრული წინდახედული მორჩილება ყოველგვარი წარმატების საწინდარია.

4479. გონი მოზომილ საზღვრებში ხალისობს და თავისი გაგებით მოქმედებს, ხოლო სიბრიყვეს ამის უნარი არ შესწევს.

4480. ავადმყოფი გონს მკურნალად ზოგჯერ ისევ და ისევ მათრახს

იყენებენ.

4481. სანახევრო არც სიბრძნე უქნია ღმერთს და არც სიბრიყვე, რადგან მათი ფასი ნულს უტოლდება.

4482. ფილოსოფიას უფრო მარათონული შეჯიბრი მოსწონს, ვიდრე სპრინტი, რადგან მას არ უყვარს, როდესაც გონიერთა შეჯიბრი სწრაფად მთავრდება.

+4483. გენიოსს თანამედროვეებთან ცხოვრება ყოველთვის უჭირს, მაგრამ იმქვეყნად გადასახლების შემდგომ მისი ურთიერთობა იმავე ხალხთან მაინც არ იოლდება, რადგან მის გონიერებას იქაც ვერ ეწევიან.

4484. ბრიყვად დაბადებული გენის გამოსწორება დროის ფასეულობასაც არ ძალუძს.

4485. ჩვენი გენეტიკის განუხრელი პატრიოტიზმი ჩვენი უჯიათი წინაპრების დამსახურებაა, რომ აქამდე მოიტანეს ჩვენი ენა, კულტურა, სარწმუნოება.

4486. მშობლები ცდილობენ, ცხოვრებაში გაგვარკვიონ და ჩამოგვაყალიბონ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენივე გენის ამბიციებს ვემსახურებით.

4487. გონსა და ნიჭს აზრთა ბაზაზე ბატონობა უყვართ.

4488. მის ქმედებათა მიუხედავად, გენიოსს არ კარნახობენ, არ ეკამათებიან, რადგან იციან, რომ ის ოდესღაც აღიარებას მოიპოვებს.

4489. ყოფიერების ალგორითმები გვაიძულებს, მარად ჭკუის ჭყლეტაში ვიყოთ.

4490. გონიერის მოწოდებაა, სათანადოდ დააფასოს სხვათა შრომა, შემართება, გამოცდილება, რათა თავადაც დაფასებული იქნეს მომავალში თავისი კოლეგებისგან, შთამომავლებისგან.

4491. მიზნები გაცილებით მეტია, ვიდრე შესაძლებლობები, მაგრამ თვითნაბადი გენიოსები მიზნებსაც ახორციელებენ და ზოგჯერ დროსაც უსწრებენ.

4492. ერთდროულად ძნელია იყო მეოცნებე, სამართლიანი და კანონის მორჩილიც, მაგრამ კარგი გენისა და გონის პატრონი ამ ბნელ ლაბირინთში სიარულს მეტ-ნაკლებად მაინც ახერხებს.

4493. უმეცრებას, რასაკვირველია, განათლება სჯობს, მაგრამ ამ უკანასკნელსაც სჭირდება დროს და გარემოს შეხამება, რათა ჯეროვანი ნაყოფი გამოიღოს.

4494. ეტყობა, ყოველგვარ აღზევებასა და ჩავარდნაში ჩვენი გენია დამნაშავე და ბედი და განგება აქ არაფერ შუაშია.

4495. უმეცრება, უგვანობა უპირველესად თანდაყოლილი გენის ბრალია და აქ სწავლა-განათლება, აღზრდა არაფერ შუაშია.

4496. სამწუხაროდ, შინაურს, თუნდაც თვითნაბად გენიოსს თავის ქვეყანაში შენდობა მანამ არ აქვს, სანამდის მის ნიჭსა და შესა-

ძლებლობებს გარეშენი არ აღიარებენ და გამოიყენებენ.

4497. გონიერება, რომელსაც დიდ პატივს მიაგებთ, ადამიანის მარადი თანამედროვეა და მასზე მინდობა უყოყმანოდ შეიძლება.

4498. ცივი გონებით გადაჭრილ საკითხს ცხელი გონებით ნამოქმედარი ვერ სჯობს.

4499. ცუდი გენით დაავადებული ადამიანებიც კი სხვათა დაუხმარებლად ცუდები ვერ გახდებიან.

4500. გონიერს კრიტიკული მკითხველის უყოლელად თავისი ნიჭიერებისა და პროფესიონალიზმის წარმოჩენა უჭირს.

4501. სიჯიუტე და შეუპოვრობა სხვადასხვა ცნებაა და მათ განსხვავებას განსჯადი გონება სჭირდება.

4502. გონს რწმენისა და დასახული მიზნის უქონლად სახარბიელო ვერაფერი მოაქვს.

4503. გენიოსის მიერ დატოვებული შეუფასებელ-დაუფასებელი მემკვიდრეობა უკვდავებისთვის არის განწირული.

4504. გონიერება ხშირად ჭკუის ხმობისა და განსჯის ეტალონია.

4505. გონიერი წარსულს კი არ აგინებს, არამედ მის შეცდომებს ითვალისწინებს, აანალიზებს და ახალი შეცდომების დაშვებას თავს არიდებს.

4506. მოქნილ ჭკუა-გონებას თავისი სილამაზე ახლავს და ერთგვარი ხიბლი ამკობს.

4507. გონიერმა ცოდნის წარმატებად გადაქცევა რომ მოახერხოს, საამისოდ მას სჭირდება დიდი ხელშეწყობა.

4508. უნივერსალურ გონს ერთი ცუდი თვისება აქვს: მას თავისი მრავალმხრივი ნიჭის დაბანდება ერთ რომელიმე საქმიანობაში უჭირს, რადგან ამის საშუალებას მრავალფეროვნებისკენ მისწრაფება არ აძლევს.

4509. გონიერს ყველაზე მეტად დროისათვის შეუსაბამო საქციელის ჩადენისა ერიდება და ეშინია.

4510. ზარმაცი გონი, რომელიც ქალის მომსახურებაზე უარს ამბობს, ორმაგი ალიყურის ღირსია.

+4511. საუბარი იწყება ნდობით, მთავრდება გონის ხმობით.

4512. გონის ნაძალადევი მონობა აუტანელი გართობაა.

4513. ჭკუა საქმის დროულად კეთებას მოითხოვს.

4514. ზარმაცი გონება, რომელიც პატრონს არ ემსახურება, არა მარტო განსჯის, არამედ დასჯის ღირსიცაა.

4515. სისულელის დაფარვის ხელოვნება გონივრულობის ერთგვარი გამოვლინებაა.

4516. გონი მარად სწორ მიმართულებათა ძიებაშია.

4517. კამათი გონიერმა უნდა მოიგოს და არა ავტორიტეტმა, რო-

მელსაც ყავლი უკვე გასული აქვს.

4518. ცოცხალი ჭკუა, კრეატიული გონება ყოველთვის მეტს იგებს.

4519. გენიოსია ის, ვინც სხვათა აზრებში რაღაც სიახლეს აღმოაჩენს და მის წარმოჩენას შეეცდება.

+4520. ზომიერება გონიერების ჭერია და არა იატაკი.

4521. ერთი შეხედვით უმნიშვნელო საქმეც არ შეიძლება პატარა იყოს, თუ მის განხორციელებაში გენიოსის ხელი ურევია.

4522. მოხერხებული ჭკუა ყველა დროში აღფრთოვანებას, გაკვირვებასა და პატივის მიგებას იმსახურებს.

4523. გენიოსებს თავის წარმოჩენაზე მეტად ჩრდილში ყოფნა უყვართ, – ნაკლებად აწუხებენ.

4524. გონიერი კამათში განსჯა-შეპასუხებას კი, მაგრამ ყვირილსა და ხელის ქნევას არ დაუშვებს.

4525. გენიალობა მისთვის განკუთვნილ სპეტაკ სამყაროში ცხოვრობს.

4526. სამწუხაროდ, გენიოსები სიცოცხლეში სათანადოდ არ ფასდებიან, ხოლო გარდაცვალება, იმქვეყნად გადაბარგება მათ სახელსა და დიდებას აძლიერებს.

4527. ნებისყოფას ბევრი კარგისა და მომხიბვლელის კეთება შეუძლია, თუ მას შემართული გონება ახლავს.

+4528. მოკლე ჭკუასა და დიდ ჭკუას შორის ის სხვაობაა, რომ ერთი იმახინჯებს რწმენას, მეორე კი ივიწყებს.

4529. ჭკუა ყოველთვის დიდად ფასობს და შეუცვლელია, მაგრამ ზოგჯერ მოხერხებულობა მასაც სჯობს და საქმის დაჩქარებაში ეხმარება.

4530. მხიბლავს გონიერთან საუბარი, მაგრამ არ მომწონს მისი მენტორული ბუნება.

4531. საქმისადმი დაუცხრობელი მიდრეკილება ღრმა ჭკუა-გონების მომასწავებელია.

4532. გონივრულ კითხვების დასმის უნარია განათლებასთან ერთად გამოცდილებასაც მოითხოვს.

4533. აფორიზმი მარად მომხიბვლელი, ესთეტიკური ტკბობის მომნიჭებელი და დასამახსოვრებელი სიბრძნეა.

4534. გონიერების საწყისში თუ რწმენა, იმედი, მისწრაფება არდევს, სრულყოფილებას ვერასოდეს მიაღწევს.

4535. გაგება გონიერების ორმხრივი მოძრაობის ქუჩაა.

4536. გონიერი საყველპურო კრიტიკას ვერ ეგუება.

4537. სიბრძნეს თანამეინახეთა გარეშე თავისი მეობის დამტკიცება უჭირს.

4538. არსებულზე ფიქრი ოცნებით, განსჯით გონიერების მაჩვენ-

ებელია.

4539. გონიერება მოწოდებულია, მის წილ კეთილდღეობას ხელი გამოჰკრას და უზრუნველად იცხოვროს.

4540. დიდი გონიერება, უამრავ უკეთესობას ავლენს, რომლის წინააღმდეგია ზოგჯერ დრო და ქვეყანაში შექმნილი გარემოა, რომელსაც გონიერება ალღოს ვერ უღებს.

4541. სიბრძნეს საკუთარი გადაცდენების აღმოფრქვაც ეხერხება და თავის დანაშაულებიც უკეთ მოეხსენება.

4542. გონიერებას, მცირედის ნახვაც კი, განსჯის საშუალებას აძლევს.

4543. ძალა გონიერების გარეშე ბოლოს არარობა და არაფერია.

4544. გონიერება მტრებს ერთმანეთს წაჰკიდებს და გამორჩენას ნახულობს, ხოლო უგუნურება მათ შერიგებას ცდილობს და ხშირად თავისივე საწინააღმდეგო შედეგს იმკის.

4545. ბოროტებას სიკეთის შობა უჭირს, მაგრამ გამონაკლისიც ხდება თუ მისი გენი სიკეთეში აღიღრევა.

4546. გონიერება გონიერებად რჩება, მის წარმოჩენას ვინმე შეეცდება თუ არა.

4547. ზოგჯერ გონიერებას მეტი მიდრეკილება აქვს სიზარმაცისკენ ვიდრე ახლად გამოღვიძებულ სხეულს.

4548. ზოგჯერ სიბრძნეც უგვანობის დაჭაშნიკებას ცდილობს, რათა მის რაობაში გაერკვეს.

4549. სიფრთხილე, ზოგჯერ გონივრული განსჯის ტოლფასია.

4550. სხვათა ჭკუა-გამოცდილების დაფასება, საკუთარი ჭკუა-გონების ფლობის ნიშანია.

4551. გონიერება ხვნა-თესვისათვისაა მოწოდებული, თუნდ მის მიერ მოწეული მოსავალის ნაწილი სხვებმა მიითვისონ.

4552. „შეშლილობით“ გაკაფული გზა, მის არაორდინალურ გონიერებაზედ მიგვითითებს.

4553. გონიერებას სრულყოფას, უპირველესად ცოდნის ათვისება სჭირდება, ვიდრე სწავლა და განათლება.

4554. სიამაყეს თავის ბაზის ითხოვს, ხოლო მის წარმოჩენას, გონიერების ხმობა სჭირდება.

4555. ჭკუას ბევრი ამჩნევს და ნაკლებად წყალობენ, უჭკუობისგან განსხვავებით.

4556. ცნობისმოყვარეობას ბევრი კარგის კეთება შეუძლია, თუ მას გონიერების მონდომებას შევაზელთ.

4557. ყველა დანაკარგი, გონიერებამ განსჯის და დაფიქრების შემდგომ უნდა ებრძოლოს და აღმოფხვრას.

4558. განუსჯელ და შეუცნობად გონიერებას არც ფასი ადევს არც

აზრის, რადგან საუკუნეთა გადასახედიდან ის იშვიათად იპყრობს ყურადღებას და ახსენდებათ.

4559. უთავბოლოდ სიკეთის მკეთებელ ადამიანს, დაციონვა ვერას აკლებს და ის სიკეთის მკეთებლად რჩება, რადგან გენი აქვს ასეთი.

4560. საოცარია განგების ნება, ერთი ეროვნების ხალხს ნიჭს თუ ჩუქნის, სამაგიეროდ წინხედვის და განსჯის უნარს ართმევს, ასე რომ სრულყოფილი გენის ხალხის მოძიება ამ სამყაროში უშედეგო ცდაა.

4561. გენიოს თუ გვერდზე მისი ჭკუის გამგები და დამფასებელი არ გამოუჩნდება, ის ვერც თავის დროს წარმოაჩენს და თავადაც ჩრდილში დიდხანს დარჩება.

4562. ნდობა თავისებური ხელოვნებაა, და ამ ხელოვნებას ცოდნა არ შველის თუ აღზრდამ საკუთარი მეობის წარმოჩენისას გენი მხარს არ უბამს.

4563. კარგი ურთიერთობაც გონივრულ კომპრომისებზეა აგებული.

4564. დღევანდელი ჩვენი გონიერება დროის ყველა სახის ამოუცნობად წყვდიადს ეჩალიჩება, შედეგის მიუხედავად.

4565. სამყაროს მომავლის სწორი და განსჯადი წინხედვა, ისევ გენიოს ადამიანებს უნდა მივანდოთ.

4566. გონიერება სისულელეს უკეთ ამჩნევს და განსჯის ვიდრე, ჭკუა-გონებას, რადგან ამ უკანასკნელს ჭკუის ხმობა ცოდნა-გამოცდილებით სჭირდება.

4567. დახვეწილი პირმომთნეობის შემჩნევა და მისთვის ზურგის შექცევა, განსჯად გონებას მოითხოვს.

4568. სიკეთეც გონიერების ფარგლებში უნდა ვაკეთოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელში უკეთესი ქმედებანი შეგვრჩება თავისი გაუგებრობით.

4569. ტრაბახი ერთია, ფაქტი მეორეა, მაგრამ მათი შეჯერება და შერწყმა განსჯად გონიერებას მოითხოვს.

4570. აღიარებისთვის ძეგლის დადგმა, გონიერების სივრცეს მოითხოვს, რათა სამუდამოდ დაიმკვიდროს ადგილიო ჩვენს ცნობიერებაში.

4571. გონიერების ინფლაციას, ხელისუფლების საქმისადმი არ ადეკვატური მიდგომა იწვევს.

4572. გონიერება მარად მათ ებინდებათ, რომელთა სიცოცხლე სხვათა ბედზედ ჰკიდია.

4573. ჭკუის ხმობა ჭირს, განსაკუთრებით მაშინ თუ ამას ვნატრობთ და ამას ჩვენი დამრიგებელი ცდილობს.

4574. გონიერება არავის აზრთან და ფრთიანი სიტყვების მითვისებაზედ უარს არ ამბობს, ვისი ნაღვაწიც არ უნდა იყოს.

4575. თანხმობის მიღწევისკენ მისწრაფება არავის გაღიზიანებას

არ უნდა იწვევდეს, რადგან აქ გონიერებაა ჩარეული.

4576. მოუმწიფებელი გონიერება, სად რას წარმოაჩენს, მისთვისაც უცნობია.

4577. გონიერება ცოდნის გარეშე არავის სჭირდება თუ მას საჭირო ჭკუის ხნულების კეთება და თესვა არ ეხერხება ირგვლივ მყოფთათვის.

4578. ჭკუა გონივრულად აღქმული, მარად გამარჯვებისთვის იღვწის.

4579. ჭკუა-გონებას, მშვიდი სამუშაო გარემო უნდა შეუქმნათ, რათა ის უსაქმურობით არ დაიკარგოს.

4580. ზრდილობის განაწყენება, მიუღებელია და დაუშვებელია გონიერებისთვის.

4581. გონიერებას მოკლე და განსჯადი სიტყვები უკეთ წარმოაჩენს.

4582. გონიერებამ სიტყვები იმდაგვარად უნდა წარმოთქვას, რომ თავის მსმენელი არ გაანაწყენოს და არ დაკარგოს

4583. გონიერებაში დაბადებული ყველა საცდუნებელი სიტყვა, აღფრთოვანების ღირსია.

4584. ვაჟკაცურ შემართებას, უპირველესად გონიერებასთან მოლაპარაკება სჭირდება.

4585. სიკეთის კეთება იმ ძალას გვმატებს, რომელიც ჩვენს გენში არ იყო ჩადებული.

4586. გონიერების თვალი განსჯისთვის და სიახლის კეთებისთვის არის მოწოდებული.

4587. ძირითადად უქონლობა, ჭკუის არ ქონით იწყება.

4588. ზოგს გმირობის ჩადენის სურვილი არ აძლევს მოსვენებას, ზოგსაც მრუშობის, ასე რომ მათ გენთან ჭიდილი არ ღირს, ადრე თუ გვიან მაინც თავისას ეცდებიან.

4589. გონივრულ შესაძლებლოებების შერწყმა, ფიზიკურ შესაძლებლობებთან საქმის კეთებით, უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს.

4590. ომი და უაზრო დაპირისპირება გონიერების უკულტურობაზედ მიგვანიშნებს, უმსგავსოებაზედ რომ არაფერი ვთქვათ.

4591. სამწუხაროდ ზოგჯერ გონიერება ვერ სჯობნის უგუნურებას, რომლის თავიდან აცილება თურმე სრულად შესაძლებელი ყოფილა.

4592. გონიერებისთვის გამოუსავალი მდგომარეობა არ არსებობს, იმისდა მიუხედავად, დრო და გარემო მის მხარეზეა თუ არა.

4593. გონიერების მფარველობა, ბედის მფარველობის ტოლფასია.

4594. გამჭრიახობა, გონიერების სიღრმეში წვდომაა გამოცდილებით.

4595. შემთხვევა ზოგს აჭკვიანებს, ხოლო ჭკვიანს შემთხვევასთან ურთიერთობა არ სჭირდება.

4596. გონიერებაც დროის, გარემოს და ფულის კურსის გამოცნობის მიხედვით უნდა შევაფასოთ და განვსაჯოთ.

4597. გონიერი ხალხი ჩვენი ჭკუა-გონებისთვის გვცემს პატივს, ბრბო კი იმის მიხედვით ვინ როგორ და რა მიზნით შეგვაქებს.

4598. გენეტიკურად მიღებული ჩვენი სასაცილო თვისებების აღმოფხვრა ყველა ჩვენგანის ვალია.

4599. თავდაჯერებას და პატივისმოყვარეობას, საერთო გზის მოძიება უჭირს, იმდენად დიდი სხვაობაა მათ გენში.

4600. გონიერება ბოლოში ხვდება, რომ ახალს ვერაფერს ვერ აღმოაჩენს, ადამიანის ბუნება-გუნების შეფასებისას.

4601. ბედის სამართალს უნდა ვენდოთ, მაგრამ ჭკუასაც უნდა უსმინოთ, რადგან ამ უკანასკნელის გარეშე, ბოლომდის სახეირო, არაფერი გამოდის.

4602. გრძნობები გონიერებას წინ არ უნდა უსწრებდეს, ხოლო გონიერება გრძნობებს ალიყურს არ უნდა აჭმევდეს.

4603. ჭკუას ზოგჯერ ისინი გვასწავლიან, ვინც უნდა ცდილობდეს ჩვენი გამოცდილების მისაკუთრებას.

4604. თავის გადარჩენსითვის ორიენტირებული გონიერებას, საქვეყნო საქმის კეთება უჭირს.

4605. იერარქიებშიც, გონიერება კორექტულობის შეტანს ცდილობს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი იქ ყოფნა უინტერესო გახდებოდა.

დრო, ჟამი

4606. ყველა ჩვენგანი თავის დროს ასამართლებს, განსჯის და ალიყურს აწნავს სიცოცხლეში, მიუხედავად იმისა, რომ მისი გარდაცვალების შემდგომ მისი საქმიანობისადმი დამოკიდებულება შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს.

4607. განგებისადმი სიყვარული შეუცვლელია, თუ დრო, გარემო, ბედი ჩვენს მხარესაა.

4608. დროს უგუნურად გამოყენება სიცოცხლის აუნაზღაურებელი დანაკარგია. მიუხედავად ამისა, ცოდნას მაინც არ ვუფრთხილდებით.

4609. თავის დროზე ყველა რაღაცით ვიყავით გატაცებული და ხშირად მათი გახსენება ბედნიერებას გვანიჭებს.

4610. სიცოცხლის ფასს ჩვენ მიერ უქმად დაკარგული დრო განსაზღვრავს და განსჯის.

4611. საბოლოოდ წარსული არაფერია და არც არავის ვივიწყებთ. გააჩნია, რა დროა და რა გვაინტერესებს.

4612. ყოველი აღმოჩენა კაცობრიობას იმ დროს დაკანონებულ დუელში იწვევს.

4613. ქვეყანას, სახელმწიფოს, ერს, ხალხს, სარწმუნოებას, ბრბოს დროის ყივილი ქმნის, ხოლო განგება ამქვეყნად ყოფნის იჯარას უწესებს და უგრძელებს.

4614. დრო ქმნის და ღუპავს მისთვის საჭირო გენიოსებს, რადგან ისინი ხშირად დროის კაპრიზებს აკმაყოფილებენ.

4615. მომავლის იმედების მსხვრევას გაურკვევლობა იწვევს, განსაკუთრებით მაშინ, თუ დრომ და გარემომ შენი ცხოვრების გარკვეულ წლებს კვანტი დაუდო.

4616. დროს სამყაროს გონიერებისა სწამს და არა ადამიანის გონიერებისა, რომელიც წარსულს მიუკერძოებლად ვერ აანალიზებს და ერთსა და იმავე მცდელობებს ახალ-ახალი დიზაინით და დროგამოშვებით იმეორებს.

4617. ოცნებას ისე ვერასოდეს აღვასრულებთ, როგორც წარმოგვედგენია, გვსურს და გვწადია, რადგან სამყაროში ყოველივეს დროის ყივილი განაპირობებს.

4618. თვალი ხედავს, ყური ისმენს, მაგრამ განსჯა ისევ ტვინს ევალება, რომელიც დროის გამოძახილის ცოდნა-გამოცდილებას გადახარშავს.

4619. დრო დაუბერებელ სულიერებას მკურნალობს და არ დაბერებისთვის გამზადებულ გულს.

4620. შეურაცხყოფასაც დრო მკურნალობს, მაგრამ მისი ხინჯის ნამოქმედარი არ ქრება.

4621. ისტორია ხშირად დროზე ადრე მოვლენილ გმირებს წარმოა-

ჩენს და მათ ყოფას ტრაგიკულსა ხდის.

4622. იდეალებზე, რწმენაზე დღეს არავინ მუშაობს, თვით შაჰიდებიც კი სამოთხეში ურიგოდ მოხვედრის მიზნით ირჯებიან.

4623. სათნოებას დროისა და ყოფის ხიმანკლობა მანკიერს ვერ ხდის.

4624. ცხოვრება მარადიული სპექტაკლია: სადაც ხასიათებსა და პეიზაჟს მთავარი რეჟისორი – დრო განსაზღვრავს.

4625. დრო ქმნის ანეგდოტებს და არა ანეგდოტები – დროს.

4626. დრო საუკეთესო მეგობარია, თუ მას გავუგებთ და მანაც გაგვიგო.

4627. სიმდაბლე ყველა დროის გადასახედიდან კეთილად შერაცხვას მოითხოვს, რათა თავი ადამიანად იგრძნოს.

4628. სხვადასხვა სისტემასთან შეჯახება მეტ-ნაკლებად ყველა დროის ადამიანებს უხდებათ.

4629. ბუნებით გმირები დროს როდი აყვედრიან, რომ ისინი დროულად არ წარმოჩნდნენ.

4630. ოპტიმიზმსაც თავისი საფრთხე ექმნება, რათა ის უდროო დროს არ დახურდავდეს.

4631. დროისთვის ფეხის აწყობა ცხოვრების გონივრულად წარმართვის საწინდარია.

4632. მოთმინება სჯობს თუ მოუთმენლობა, ამას დრო და შექმნილი ვითარება განსაზღვრავს.

4633. დროის ყველა შეჩერებული წამი მარადისობაში გადასვლას ნიშნავს.

4634. ცხოვრების უწყვეტი პროცესის მიუხედავად, დრო ზოგჯერ გვაიძულებს, თამაშგარე მდგომარეობაში ვიყოთ.

4635. დროულად აკეთო ის, რაც დროისა და გარემოსთვის საჭიროა, უდიდესი ნიჭია.

4636. რწმენა და ურწმუნოება გონმა დროსთან შეთანხმებით უნდა გადაჭრას და განსაჯოს.

4637. დრამა მუდმივია, ოღონდ ზოგჯერ მძიმედ ასატანი, ტრაგედია კი დროებითია, ოღონდ შოკისმომგვრელი.

4638. გამოსწორების დრო ყოველთვის თავზე საყრელია, თუ საქმე გენეტიკურ ნაძირალებთან არა გვაქვს.

4639. დროისა და გარემოს შეურჩევლად საჭირო აზრების დეკლარირება უშედეგო და ფუჭია.

4640. დაღვინებული საუბარი, დროის ხანგრძლივობის მიუხედავად, ყბედობად არ აღიქმება.

4641. ჩვენ ხშირად იმ დროს ვემსახურებით, რომელიც მარად გაურკვეველია.

4642. დროში სწორად მოსიარულე ალღოიან ადამიანს გზა მარად ხსნილი აქვს.

4643. დრო იმ შემთხვევაშია სიმდიდრე, თუ მას საქმიანად და შედეგიანად ვიყენებთ.

4644. მოკლედ თქმული ცხოვრებას გვიადვილებს, რადგან დროს გვაზოგვინებს.

4645. დროის რაციონალურად გადანაწილება დასმული ამოცანის გადასაჭრელად ყველაზე ძნელია.

4646. უნიათობა ხშირად დროის დამსახურებაა.

4647. სამართალი ყველას თავისი აქვს დროის, გარემოს, მსოფლმხედველობის, რწმენის და შინაგანი ბუნება-გუნების შესაბამისად, რომელიც ყოველთვის მიზანშეწონილებასა და გონიერებას უნდა დაეფუძნოს.

4648. დრო და შემთხვევა წარმოგვაჩენს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მასის 98% აუტისტი არ არის და 90% მეტი პოლიციელზე უაზრო ლაყბობით არ არის დაკავებული.

4649. დრო ყველაფერს გვართმევს, მაგრამ არა საყვარელ საქმიანობას.

+4650. დრო ენერგიული მასწავლებელია, მაგრამ ნიჭიერი მაშინ ხდება, როცა ნიჭიერ შეგირდს გადაეყრება.

4651. დრო საკუთარ თავს ზუსტად შეგვაცნობინებს.

4652. დროს არც დასაწყისი აქვს, არც სასრული, უბრალოდ, მას ალღო უნდა აუღო და მასთან თანხმიერად ცხოვრება უნდა ისწავლო.

4653. დრო ხშირად თავის ღირსეულ შვილებს სათანადოდ ვერ აფასებს და, ეტყობა, ესეც დროის კანონზომიერების შედეგია.

4654. ისტორია დროსა და თაობებს ფქვავს, მაგრამ ამ მასიდან დელიკატესი ყოველთვის როდი გამოდის.

4655. ზოგჯერ დროის უკულმართობა ქვეყანას საგიჟეთად აქცევს და აქედან თავის დაღწევა ისევ დროს უნდა ვანდოთ.

4656. დრო ყოველივეს და ყველას განსჯის, მაგრამ, სამწუხაროდ, მომავალს ეს შვებას ვერ მოუტანს.

4657. ზოგჯერ საზოგადოებრივი განვითარება გონიერებისთვის მისაღებ არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება და მისთვის გასაგები კანონზომიერებით ჩალიჩობს.

4658. გაუკულმართებული დრო ადამიანურ დემოკიდებულებებს გვავიწყებს.

+4659. არეულ დროში განუკითხაობის განმკითხავი არავინაა, რადგან თვითონ განმკითხავია განუკითხველი.

4660. მოხერხებული, გამჭრიახი ჭკუა ყველა დროში ფასობდა და მომავალში კიდევ უფრო დაფასდება.

4661. ჩვენი დროის ვარსკვლავის მოწყვეტას ყველანი ვცდილობთ, იმისდა მიუხედავად, მზადა ვართ თუ არა მის მოსაწყვეტად.

4662. დროის სხვადასხვა განზომილებაში, ფერში აღქმა და დანახვა ერთგვარი ნიჭია.

4663. ყველა საქმიანობას წინ უნდა მიუძღოდეს დევიზი – დროში ვიწვებით.

4664. დროებას ზოგჯერ სათუთი ადამიანიდან გამოჰყავს ხარბი და მტაცებელი ვიგინდარა.

4665. დრო კი არ იცვლება, არამედ ტექნიკური პროგრესი ცვლის დროს და წარსულზე ჩვენს წარმოდგენას.

4666. მაგალითების ჩვენება არ შველის საზოგადოების ჩამოყალიბებას, საჭიროა დრო და განგებაც გვერდში დროულად ამოგვიდგეს.

4667. დაუწერელი კანონები, ტრადიციები, დროის ყივილისა და ტექნიკური პროგრესის შესატყვისად ყოველ დროში განუსჯელად მოქმედებს.

4668. ის თაობაა წელში გატეხილი, რომელსაც დროის ხუშტურები არ ასვენებს და აიძულებს პროტესტი, გამოსვლები, რევოლუციები მოაწყოს, მიტინგებზე იწანწალოს და ვიგინდარებს სალაფავისკენ გზა გაუხსნას.

4669. დემოკრატიას დროსთან მორგება სიდინჯით, წესრიგით და წინხედვით სჭირდება, ოღონდ უთუოდ ტექნიკური პროგრესის მიღწევების გათვალისწინებით.

4670. ამბობენ, სწავლა სიბერემდეო, მაგრამ ეს არ გულისხმობს დროის იმაზე კარგვას, რასაც ვერ გამოიყენებ.

4671. გენიოსებს უსიტყვოდ უნდა დავეთანხმოთ, რადგან დრო მარად მათ მხარესაა.

4672. დრო ნაგლეჯებად არ იხევა და არც სიცოცხლე უნდა გავლიოთ ყოფიერების ნაგლეჯების მოძიებაში.

4673. ყველა ჩვენგანი დროს უყაირათოდ იყენებს და მას ხშირად დაუფიქრებლად ფლანგავს.

4674. დროზე ძვირფასი არაფერია, თუ გონივრულად ვიყენებთ და ჯეროვნად ვაფასებთ.

4675. დრო კი არ კურნავს, არამედ მეხსიერება, რომელიც ბევრ სიავეს საჭიროებისამებრ ივიწყებს.

4676. დროისგან დავალებული ვართ, თუ ნიჭის, შესაძლებლობებისა და თავის წარმოჩენის საშუალებას გვაძლევს.

4677. ბედნიერებაც, სიმდიდრეცა და გონიერებაც ილუზიაა, თუ ის დროს ვერ უძლებს.

4678. ტრადიციები მანამ დარჩება, სანამ დროის მოთხოვნებს მხარს აუბამს.

4679. ცუდის კარგად ქცევაც შესაძლებელია, თუ დრო და ფორტუნა შენს მხარესაა.

4680. დაუმსახურებელი დიდება წარმავალია, ხოლო დამსახურებული დროდადრო თავს შეგვახსენებს.

4681. სტერეოტიპების მსხვრევას დროც სჭირდება და გონიერებაც.

4682. ჩვენ დროის ყივილისა და წუთისოფლის მონები ვართ და არა საკუთარი გონიერებისა.

4683. დროის სიმუხთლეა დასაგმობი და არა მთავრობა, რადგან დრო ირჩევს მთავრობას და არა პირიქით.

4684. ფაქტობრივად დრო შრომობს და ირჯება ჩვენთვის და არა ხელისუფლება.

4685. სიმართლის თქმას დროის ანტურაჟი უზრუნველყოფს.

4686. დროის ყადრის ცოდნა ყოფიერების სათავისოდ მოწყობის გარანტიაა.

4687. ადამიანის გონებას შთაგონება ასაზრდოებს, ხოლო დრომ, შეიძლება, მისი პიროვნება ლიდერის დონეზე დააყენოს.

4688. არეულ დროში გმირობისა და ნაძირლობის განსხვავება ჭირს.

4689. ხშირად დრო უცნაური და გაუგებარია გონიერებისთვის.

4690. დროისთვის ხელის გაწვდომა საჭიროა, რათა თაობებმა რეალობას თვალებში შეხედონ და გაანალიზონ.

4691. ყველა ჩვენი დროის მსახური ვართ ან ამად უნდა ვიქცეთ, რადგან დროისთვის წინსწრება მხოლოდ განგების გამოგზავნილი ხალხის ხვედრია.

4692. დროის დაზოგვის წინასწარ გააზრებული მცდელობა, ზოგჯერ გაცილებით მეტ დროს გვაკარგვინებს.

4693. წიგნის კითხვა და ინტერნეტში ჩალიჩი დროის გაცოცხლების ერთ-ერთი ხერხია.

4694. მოდისა და თანამედროვეობის შეგრძნება-შეცნობა ყველა დროს ახასიათებს.

4695. დრო და ტექნიკური პროგრესი დღევანდელობისთვის სასარგებლო საქმეთა კეთებას გვაიძულებს.

4696. ჩვენ ყველანი ჩვენს დროს ვემსახურებით, ოღონდ მომდევნო საუკუნეთა კაურების შეცნობის მცდელობის გადასახედიდან.

4697. საკითხის აქტუალურობა დრომ და გარემომ უნდა განსაზღვროს და არა მხოლოდ სურვილმა და გონიერებამ.

4698. სიმართლე, კანონიერება, მოთმინება ყველაზე მძლავრი იარაღია, ოღონდ განსაზღვრულ დროში.

4699. დრო და აღზრდა, შემთხვევასთან ერთად, ადამიანის ბედისწერის აკვანია.

4700. კინკლაობის სურვილის აღტკინებას, დროის გონიერება არ

აცხრობს.

4701. ვეცადოთ, ჩვენთვის განკუთვნილ დროს დროულად დავეწიოთ და ცხოვრება ლაღად განვვლოთ.

4702. ყოველივე დროებითი ჩემთვის ყოველთვის მიუღებელი იყო.

4703. ზოგჯერ დგება საზოგადოების გადაგვარების დროც, რომ იძულებული ვხდებით, გემოვნებაზე ვიდავოთ და ვიდარდოთ.

4704. დროის ტვირთის აწევას ლობირებით, თავის დაკვრით უნდა შევეცადოთ, რადგან აქ გაამაყება საზიანოა.

4705. დროის გამოწვევას ყველა ხელისუფლება მხნედ უნდა შეხვდეს, ეს დემოკრატიის სახელით იქნება თუ დიქტატურის.

4706. მშვენიერება, მომხიბვლელობა მეტ-ნაკლებად ყველა დარგსა და დროს ამკობს.

4707. საზოგადოებას, რომელსაც რწმენა, მიზანი და სიწმინდე აკლია, არეულ დროში გადაგვარების შანსი მეტი აქვს.

4708. დროისთვის წინააღმდეგობის გაწევას უპირველესად გონიერება სჭირდება, რათა დასახულ მიზანს ნაწილობრივ მაინც მიაღწიოს.

4709. ქცევის ალგორითმის ცოდნას დრო და გარემო, მთელი ცხოვრება გვავალდებულებენ.

4710. სამწუხარო ის კი არ არის, შენი „მეგაბაიტის“ ჩამორჩენად დროში რომ უნდა იცხოვრო, არამედ ის, რომ ამ დროში დაბადებულ ამბიციურ და თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ხალხს გაუგო, რომელსაც საქმის კეთებას ყბედობით დროის გაყვანა ურჩევნია.

4711. ჩვენს სრულყოფას დროის ალიყური ახდენს და მისი გაგებაც.

4712. გმირია ის, ვინც გარყვნილი დროის შეჩერებას შეძლებს და აწმყოზე თუნდაც ერთი წამით ჩაგვაფიქრებს.

4713. დროისთვის უაზროდ მინდობილი ცხოვრება ამქვეყნიური ყოფის მადლსა კარგავს.

4714. ცოდნა უნდა დაფასდეს მხოლოდ დროის შესატყვისად და არა აბსტრაქტულად.

4715. თეორიულად წვრილმანებზე დროს დაკარგვა არ ღირს, მაგრამ პრაქტიკულად დროის გარკვეული ნაწილი მაინც უქმად მიაქვს.

4716. დროს თავის კავშირები ახასიათებს და ის მუდამ განსხვავებულად უნდა აღვიქვათ.

4717. დროს ტექნიკური პროგრესი უფრო აჩქარებს.

4718. შენს საქმიანობას ძეგლი სიცოცხლეშივე უნდა დაუდგა, რათა დრო და ახალი ცნობიერება მას არ შეეხოს.

4719. დრო უკან არ ბრუნდება, მაგრამ ოცნებას ესეც ძალუძს, რათა სიამოვნება გვარგუნოს.

4720. წინააღმდეგობათა დაძლევა ადვილია, დროის უკულმართობის გადალახვაა ძნელი.

4721. დღევანდელობას გარკვეულ დრომდე წარსულის სადავეები ხელში უნდა ეჭიროს და მისით „ბაირამობდეს“.

4722. უგემოვნოთა შორის თავის წარმოჩენა შედარებით ადვილია, თუ კაცი თავისი დროის განწყობას ალღოს აუღებს.

4723. დრო კურნავს, გამოცდილება გვასწავლის და წერტილს უსვამს ჩვენს უმეცრებას.

4724. აჩქარებამ, დროის შეუფასებლობამ, წინდაუხედაობამ დაუგეგმავი ვაი-ვიში და ცრემლის დაღვრა იცის.

4725. იდეა და განათლება ყველას თავისი ასაკის გადასახედიდან სჭირდება, რათა თავისი დროის შვილად წარმოჩნდეს.

4726. უაზრობით არ უნდა დავინტერესდეთ, უბრალოდ, ხელი უნდა გავანძრიოთ და დროის გამოწვევებს ვუპასუხოთ.

4727. სამყაროს შესაცნობად ტვინი არ უნდა გადავღალოთ, რასაც დრო გვიწყალობებს, იმის გაცნობიერებას დავჯერდეთ.

4728. ადამიანის მოწადინებას მისმა დრომ უნდა გაუგოს.

4729. დრო იცვლება, ვიცვლებით ჩვენც, ოღონდ ჩვენს გარდაქმნას საშველი არ ადგება.

4730. თავისი დროის კოლორიტად ყოფნაც ბედის წყალობაა და მას განგებასთან სასაყვედურო არაფერი აქვს.

4731. დროულად დროსთვის ალღოს ამღები წინამძღოლის ყოლა, ქვეყნისთვის ბედნიერებაა.

4732. იყო დრო „ლილეოს“ ვაგუგუნებდით თავის შესაძახებლად, დღეს „ლილეოც“ დავივიწყეთ და თავისთვის შეძახებაც გვეზარება.

4733. უნიჭოს მწერლობა სხვათა დასანახავად დროის მოკვლაა.

4734. ჩაის ტიტესტერები აჭაშნიკებენ, საკვებს-გურმანები, ღვინოს – სომელიე, ხოლო სიტყვის მადლს – დრო და ჟამი.

4735. პლანეტებიც გარკვეულ დროს რიგში სწორ ხაზზე დგებიან და ერთმანეთის ნახვით გახარებულნი თავისთვის ცუდად ღადაობენ.

4736. უტიფრობა, თავგასულობა ყველგან გამოსავალს პოულობს. ესეც, ეტყობა, განგების ნებით ხდება და დროის ამ საოცრებასაც გაგებით უნდა მოვეკიდოთ.

4737. სამსახურში უსაქმოდ გატარებული დრო სტაჟად არ უნდა ითვლებოდეს. მხოლოდ წმინდა სამუშაო დრო უნდა ქმნიდეს სტაჟს.

4738. ისეთ დროში ვცხოვრობთ, ყველა ერთმანეთის შეჭმას ვცდილობთ და აქ წარმატებული ის გამოდის, ვინც ძლიერი, მოხერხებულია და დროს უკეთ ერგება.

4739. დროის ყივილს ვემორჩილებით და არა საკუთარ ბედს, რომელიც დროის შესატყვისად ცვალებადია.

4740. ამბიციურობის უფლება უნდა მოვიპოვოთ, მაგრამ დროის მოთხოვნასაც ანგარიში გავუწიოთ.

4741. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დროის მანქანაც გონიერების ბევრ საწვავს მოიხმარს, ვიდრე ერთი დროიდან მეორეში გადაადგილდებოდეს.

4742. დროისთვის მიუღებელი კანონის მორჩილებაც თავისებურ ვაჟკაცობას მოითხოვს, ვიდრე მის შეცვლას მოვახერხებდეთ.

4743. კაცობრიობა ცივილიზაციისკენ უდიდეს ნახტომებს იმიტომ აკეთებს, რომ ეს დროსა და ვითარებას სჭირდება და არა თავად ხალხს.

4744. დრო თავისი მეობით ყელყელაობს, რადგან ის ჩვენი თანამგზავრია და ყოფის ყარაჩოღელი.

4745. ერის რაობა მისი წარმომავლობის ფესვებით ფასდება და არა ისე, თუ დღეს როგორ ეჩალიჩება დროს.

4746. პატივისცემას იმსახურებენ ან არ იმსახურებენ, მაგრამ არჩევანს დრო და გარემო გვიკიჟინებენ.

4747. ჭკვიანი ცხოვრებას ებრძვის, სულელი უფრთხის, ხოლო მასა ისე ცხოვრობს, როგორც დრო და გარემო უკარნახებს.

4748. ყველა ჩვენგანი თავისი დროისა და გარემო პირობების პროდუქტია.

4749. შეგნება უმთავრესად დროსა და რწმენას მოაქვს და, არა აღზრდასა და მზრუნველობას.

4750. ხშირად დროის ძახილია გონის ხელისუფალი და ჩვენი ყოფის განმსაზღვრელი.

4751. კარგი გამგონის მოძიება ყველა დროში ჭირდა და, ეტყობა, მომდევნო საუკუნეებშიც ასე იქნება.

4752. დროის ყაირათიანი ხარჯვის, შეცნობის უნარი საშუალებას გვაძლევს, ამქვეყნად ყოფნის მადლი უკეთ შევიცნოთ.

4753. „ჯულიეტათა“ რაოდენობა არ იზრდება, მაგრამ „რომეოთა“ რიცხვიც რომ კატასტროფულად კლებულობს?! ამას მთლად ცივილიზაციას ნუ დავაბრალებთ. ეტყობა, დროა ასეთი და ადამიანთა მენტალობაა შეცვლილი.

4754. დროის ისარი არავის ემორჩილება და ყველას თავისი შეხედულებისამებრ „კოდავს“.

4755. სიბრძნეს დროის უმიზნოდ ფანტვის უფლება არ აქვს.

4756. ყოფის თუ არა, დრო და ჟამის მარიონეტები მაინცა ვართ.

4757. დრო-ჟამის სათავისოდ გადაწევას ყოველწლიურად ვცდილობთ, მაგრამ იგი არა გვნებდება.

4758. ადამიანის თვისებაა, ოცნებით გამოასწოროს ის დრო, რომელიც მას არასოდეს სწყალობს.

4759. შემოქმედებითი ნიჭი განგების რჩეულთა ბედისწერაა და,

ავად თუ კარგად, მათ ემსახურება.

4760. დროის ხასიათს ყველა ჩვენგანის ბედი ებრძვის და ემორ-ჩილება.

4761. კერპების დრომ თავი დაგვიკრა, ახლა აზროვნების, განსჯისა და ურთიერთგაგების დრო გვიახლოვდება.

4762. იდეალებს არ ივიწყებენ, რადგან ისინი დროის შესატყვისად თავს თავადვე შეგვახსენებენ.

4763. დროს შეუძლია, ნიჭი მიწაში ჩაფლოს, დამარხოს, მაგრამ არა პირიქით, იმის მიუხედავად, რომ ნიჭი დროს ამდიდრებს, დასა-მახსოვრებელსა ხდის.

4764. დრო ვალდებულია ყოველთვის გონიერების სასარგებლოდ იღვაწოს, რათა ის თავისი კონკრეტული სახელით დაამახსოვრდეთ.

4765. თავმდაბლობა ყველას უხდება, ოღონდ დროისა და გარემოს შესატყვისად.

4766. ცხოვრებისეულ მოწყენილობას დროის გარკვეულ მონაკვეთ-ში ყველა ჩვენგანი ინტელექტუალურად განიცდის.

4767. ზოგი მტაცებელია, ზოგიც – მსხვერპლი, მაგრამ ყველაფერს დრო აწესრიგებს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს.

4768. წარმატებას, სიძნელეს, წინსვლასაც ყოველთვის თავისი დრო, პერსპექტივა და პეწი აქვს.

4769. ადამიანმა დროის შესატყვისი მოთხოვნები უნდა დაიკმა-ყოფილოს და არა ყურით მოთრეული სურვილები, თუ უნდა მშვიდად იცხოვროს.

4770. ცოდვა-არცოდვის პარამეტრებს დრო განსაზღვრავს და გან-სჯის.

4771. ყველანი ერთ დროში ვცხოვრობთ, მაგრამ, მიუხედავად ამი-სა, მენტალიტეტი, სურვილი და შემართება სხვადასხვა გვაქვს.

4772. სრულყოფილებას უანგარობა არ შველის, დრომაც თუ ხელი არ შეუწყო.

4773. ფიქრი და განსჯა დროს მოითხოვს, ზოგჯერ ათეულ წელსაც კი, ხოლო შედეგის გახმოვანებისთვის წამებიც საკმარისია.

4774. კარგისა და ცუდის გარჩევას დაფიქრება, განსჯა და დროის მათრახი სჭირდება.

4775. ჩვენ ჩვენი დროის მსახიობებიც ვართ, მაყურებელიც და კრიტიკოსებიც, იმისდა მიუხედავად, ამას ვგრძნობთ თუ არა.

4776. მეგობრის განსჯის უფლებას დრო და შემთხვევა იძლევა და არა ჩვენი სურვილი.

4777. მორალსაც დროის შესატყვისი განსჯა სჭირდება, რათა დღე-ვანდელობას უკეთ მოვარგოთ.

4778. დროისა და გარემოს შესატყვისი ჭკუა მეტ-ნაკლებად ყველას

გვაქვს.

4779. დაკარგულია ის დრო, რომელიც სიკეთეს არ ემსახურება.

4780. რადგანაც ჩვენს დროში ყოველივე შესაძლოა და მოსალოდნელი, იმიტომაც საკუთარი თავი უკონტროლოდ არ უნდა დავტოვოთ.

4781. დროის შესატყვისი ჭორის მოფიქრებაც, სხვათა დაჩმორებისთვისაა განკუთვნილი.

4782. ტვინს უნდა გავუფრთხილდეთ და არა დროს, რადგან ტვინი დროის ნაწილია.

4783. დრო თავის უძღებ შვილებს გარემოს შესატყვისად ქმნის და შეძლებისდაგვარად ათავხედებს კიდეც.

4784. დრო ყოველივეს ინელებს, მათ შორის მახსოვრობასაც.

4785. გარემოა ჩვენი ყოფის მასწავლებელი და არა სკოლა.

4786. დროის ცვალებადობის შედარება გენიალობასთან უკეთურება, თუ ის დროულ შედეგს არ იძლევა.

4787. დროის გამოყენება ტვინის საჯახიროა და მისი გადასატანია.

4788. დრომ რომ გიმკურნალოს, ნიჭთან ერთად მისწრაფება-შემართებაც უნდა გამოიჩინო.

4789. უსაქმურობა დროის ამაოდ ხარჯვის უვნებელი საშუალებაა.

4790. დროის ფასის მცოდნე ადამიანმა, სიტყვები „ხვალ-ზეგ“ არ იცის.

4791. ზოგჯერ სიმღერა ქვითინია, ტირილი კი – სიმღერა. გააჩნია დროსა და გარემოს.

4792. თანამედროვეობა ვალდებულია, ძველი დრო, თუნდაც შელამაზებული, სასიომოვნო მოსაგონრად გაიხსენოს, რათა მომავლის იმედი ჩაისახოს და სხვასაც ჩაუსახოს.

4793. გონიერებას დროის ყივილი აჭაშნიკებს.

4794. გონიერი უფერულ დღეებსაც ალამაზებს და საქმიანსა ხდის.

4795. ყველა ასაკში „სამამაძაღლო“ დროს გარემოსა და იდეოლოგიის შესატყვისად იყენებენ.

+4796. კარიერისტმა დრო არ იცის. ის ყველა დროს ირგებს და ერგება.

4797. ზოგი ბუნებით იმდენად ჯიუტია, რომ თავის დროში ცხოვრება უჭირს.

4798. უკვდავებას დრო განსჯის და გადაამოწმებს.

4799. ყველა ჩვენგანის რაობის, მეობის, კაცობის შემფასებელი განვლილი ცხოვრების დროა, რომელსაც გარემო და ისტორიის კალამი გადაამოწმებს.

4800. თუ დროში ვერ ვეტევით, მაშინ არც დაფიქრებისთვის გვცალია.

4801. ნააზრევი რომ სინამდვილედ იქცეს, მას დროსთან ჭიდილი

და აწმყოთი გამოცდა სჭირდება.

4802. ჩვენი რაობა, მეობა, კაცობა ჩვენს სურვილებს ნაკლებად ემორჩილება, თუ დრო მხარს არ აუბამს.

4803. ცივილიზაცია გვაიძულებს, დროის შესატყვისად დავსაქმდეთ, ვისწავლოთ, ვიცხოვროთ და წარსულის ბედის გადმონაშთს ჭიტლაყიც ამოვკრათ.

4804. დრო ყოველივეს განსჯის, მათ შორის ჩვენი ამქვეყნად შემორჩენის ინტეგრალსაც.

4805. ზოგჯერ დროის წისქვილი ყველაზე დიდი დამნაშავეა უნიათო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რადგან მან გონიერების ქატო და ფქვილი არ გააცალკევა.

4806. ყველაზე დიდი გაუმართლებლობაა ცხოვრებაში, თუ დროს ვერ გაუგე და დრომაც ზურგი შეგაქცია.

4807. ეგრეთ წოდებული სულელი ზოგჯერ ჭკუის კოლოფად გვეჩვენება და, პირიქით, ჭკვიანი-სულელად, გააჩნია დროსა და ვითარებას.

4808. დროც დაღვინებას მოითხოვს გარემო პირობებისა და ტექნიკური პროგრესის შესატყვისად.

4809. ფაქტობრივად ყველა ჩვენგანი დროსა და სიბერეს ვებრძვით.

4810. დრო არაფერს იჩემებს, ის ყველას მიმართ კეთილის მდომია, თუ მას ხალხის უნიათობა და ურთიერთის შური კვანტს არ დაუდებს.

4811. ზოგს ასაკის მატება პესიმიზმში აგდებს. ამიტომაცაა, რომ მას დრო დასცინის.

4812. შემთხვევასა და დროის დამთხვევაზე დიდი ღმერთი არ არსებობს, თუ ისინი ერთმანეთს ჩვენდა სასიკეთოდ გაურიგდებიან.

4813. წინათ დედები სამშობლოს უზრდიდნენ შვილებს, დღეს საკუთარ თავს უზრდიან, რა იქნება ხვალ?

4814. ყველა ასაკი მეტ-ნაკლებად თავისი დროის შემცნობია.

4815. მთავარია, დროს გაუგო, ფეხი აუწყო, ოღონდ არ უნდა გადაჰყვე.

4816. მარტოობის დღესასწაულის დროს ხშირად იმაზე ვფიქრობთ, თუ რა სასარგებლო რამ შეიძლება აღმოვაჩონოთ ადამიანებთან ურთიერთობაში.

4817. გონი მისთვის ბოლომდის გაუცნობიერებელ დროსაც უნდა ემსახურებოდეს.

4818. „გონიერების ნავს“ საით შევატრიალებთ და რა სისწრაფით ვატარებთ, ეს მარტო ჩვენს სურვილზე როდია დამოკიდებული. ამას დრო და გარემოც განსაზღვრავს.

4819. ზრდილობიანი ქცევის წესების დაცვაზე დიდ გავლენას ახდენს ტექნიკური პროგრესი, აგრეთვე ეპოქა.

4820. დროსა და სახელმწიფო წყობას არ უნდა აუჯანყდე, პირიქით, უნდა ეცადო, იგი თანდათან სასიკეთოდ შეცვალო, მოერგო და მოირგო.

4821. სიმართლეს თუ ბედნიერება არ მოაქვს, ის, ეტყობა, არც დროს სჭირდება, არც – ჩვენ.

4822. ზოგჯერ საკუთარ თავთანაც გვიჭირს საუბარი, გარემო პირობები დროსთან იმდენად შეუსაბამო და უცნაურია.

4823. ხშირად კარგად ყოფნაც არ არის საკმარისი, რომ თავი დროის შესატყვის ადამიანად იგრძნო.

4824. ყოველივე ძველისგან იბადება და წარმოჩნდება, ოღონდ სახეშეცვლილი და დროის კვალობაზე შეფერადებული.

4825. ანალიზის უნარი, ეშმაკობა, ნიჭი, სიბრიყვე, უცოდინარობა, ცბიერება, ცუდი აღზრდით სიამაყე, თავხედობა – ყოველივე ეს დროის ყივილის შედეგია.

4826. დრო და ასაკი გენიოსებს ვერაფერს აკლებს, თუ სამყარო კატაკლიზმებმა არ გაწირეს.

4827. ახალგაზრდის დრო უფრო ნელა გადის, ვიდრე ასაკოვნისა, რადგან პირველი მის რეალურ ფასს ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს.

4828. ზოგჯერ დრო სასწაულს გვთავაზობს, რადგან ჭკუის ღეჭვის შედეგად ის ამ დროში არ უნდა მომხდარიყო.

4829. დროის გათავისება უფრო მომგებიანი და სასარგებლოა, ვიდრე მის წინააღმდეგ ჩალიჩი და ჩასაფრება.

4830. მანკიერების მოსპობა და მისი გამომზეურება მაინც დროის ყივილზეა დამოკიდებული და არა ადამიანის მცდელობაზე.

4831. ჩვევებს, ამბიციებს დროდადრო სასიკეთო დამოძღვრა სჭირდება.

4832. უფლებებს იგონებენ, იძენენ, მოიპოვებენ, მაგრამ მისი შენარჩუნება მაინც დროის ყივილზეა დამოკიდებული.

4833. ყველაფერს თავისი ასაკი და განსჯადი დრო აქვს, მაგრამ უმჯობესია, თუ ჯეელობის ასაკში არ დავბერდებით და ცხოვრების ხალისს არ დავკარგავთ

4834. დროის გასაყვანი საშუალება მასლაათია, ხოლო ვიღაცის დროის გასაყვანი საშუალება – გაკილვა, ჭორაობა. აი, რა სხვაობაა უმტკივნეულო მასლაათსა და გულის მოსაოხებელ ჭორაობას შორის.

4835. ყველა თავისმა გარემომ უნდა გამოზარდოს, დამოძღვროს და შეაქოს, თუ გვინდა, მან თავის დროს ჯეროვნად ემსახუროს.

4836. ჩემი აზრით, პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული ჯანმრთელ ნაშიერთა მომრავლებაა, გამოზრდაა ხელის გამოღების და თავის განძრევის სწავლებით, ჩასაფრებით და დროის შერჩევით, ვიდრე ემოციებს აყოლილი განუსჯელი მოუთმენლობა, უაზრო „ყარაჩოხელო-

ბა“ და გაუმართლებელი მსხვერპლი, რადგან ყოველივეს დაღვინება სჭირდება, ხოლო დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, თუნდაც ხალხის სასურველი ხელისუფლის ჩუქებით.

4837. ვინ, რა, ვის, როგორ, რატომ? – ამგვარი საუბარი დროის გაყვანის ერთ-ერთი ხერხია.

4838. სიზმარი, ოცნება, ფიქრები ჩვენი დასვენების დროს წარმოაჩენს.

4839. ზოგჯერ დრო-ჟამი ისე გადაირევა და შეიცვლება, რომ ხალხი, რომელიც განგების კარნახით ცხოვრობს, რას მოიმოქმედებს, არავინ უწყის.

4840. ყველა ჩვენგანი იმ დროის შვილია, რა დროშიც დაიბადა, იმისდა მიუხედავად, ამ დროს ნიჭიერად ემსახურება თუ არა.

4841. ზოგჯერ ისეთი რამ იწვევს ჩვენში გაოცება-აღფრთოვანებას, რომ გარკვეულ დრომდე ჩვენი ბუნება-გუნებისთვისაც კი გაუგებარია.

4842. ერთხელ მოვდივართ ამქვეყნად და გვინდა, დროის შესატყვისი ფუფუნებით ვიცხოვროთ, მაგრამ მოვალეობაც არ უნდა დავივიწყოთ – ესაა სამშობლოსთვის შთამომავლის გამრავლება და ეს საქმიანობაც უნდა დავიმახსოვროთ.

4843. იარაღის ძალის შეცნობა ადვილია, მისი თავიდან მოშორებაა ძნელი, რადგან ამ დროსთან ურთიერთობასა გრძნობ.

4844. დროის მადლსა და ფასს ასაკში უფრო ვაცნობიერებთ, როდესაც ჩვენი თავის მომსახურება აწმყოს მოთხოვნების შესატყვისად არ შეგვიძლია.

4845. ტყუილუბრალოდ დახარჯული დრო-ჟამი სიბერეში თავს გვახსენებს და მოგვკივის.

4846. დროის უქონლობას ყველაზე მეტად ყალთაბანდები უჩივიან.

4847. დრო ისტორიას მისთვის გასაგებ ჩანაწერებს უტოვებს, მაგრამ შემდგომი თაობები მათ როგორღა აღიქვამენ, მას ეს უკვე აღარ აინტერესებს.

4848. დროს დრომაც უნდა აუღოს ალღო, თუ „ოქროს საუკუნედ“ სურს ჩამოყალიბება.

4849. დროის გამოყენებას მისწრაფება სჭირდება, რომელსაც ნიჭი მართავს.

4850. დროის, ყოფის შესატყვისად აყეფებულ ინტელიგენტს ძალზე უჭირს როგორც პატიოსნად აზროვნება, ასევე ცხოვრება.

4851. დროსა და ასაკს თავისი საწყისი და ბოლო აქვს, რასაც ტექნიკური პროგრესი თავისებურ გამართლებას უძებნის.

4852. დრო, მართალია, ყველაზე კარგი მკურნალია, მაგრამ მახსოვრობა ყოველთვის როდი ეთანხმება, მით უფრო მაშინ, თუ არის ისეთი რამ ჩადენილი, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია.

4853. დროც შიგადაშიგ გვატყუებს, რადგან დღევანდელი გადასახედიდან გვგონია, რომ განვლილი წლები უკეთ შეგვეძლო გაგვეტარებინა.

4854. დროის ხარჯვის ხელოვნებას ჭკუის მოხმობა შველის, ოღონდ გარემომაც მხარი უნდა აგიბას.

4855. დროის მიერ გადაუმოწმებელი საცდუნებლის ზომაზე მეტად აყოლას ქვეყნის მომავლისთვის სიკეთე არ მოაქვს.

4856. დროთა განმავლობაში ასაკი ენთუზიაზმს ნებისყოფად აქცევს.

4857. დრო-ჟამის „პახმელიაზე“ შექმნილ ქვეყანას ბედი არასოდეს სწყალობს.

4858. ჩვენს ქმედებებს დრო და გარემო არქმევს სახელს.

4859. მონობის ტრანსფორმაცია-სახეცვლილების სხვადასხვა სახე არსებობს, მაგრამ აქ მთავარია, დროსა და გარემოს დროულად ალღო აუღო მომავლის იმედით და არა დაპირისპირება და სისხლისღვრა, რადგან განგების კანონზომიერება ყველასა და ყოველივეს ადგილს თავის დროზე მიუჩენს.

4860. თაობები, მართალია, ერთმანეთს უნდა ჰგავდნენ, ოღონდ დროის შესატყვისად თავისებურნიც უნდა იყვნენ.

4861. ყოფიერების კანონმდებლობა ყოველთვის იმათ სჯის, ვინც აგვიანებს და დროს ნაბიჯს ვერ უწყობს.

4862. დრო თავის გზავნილს გვიგზავნის, ხოლო ჩვენი ვალია, ის დროულად მივიღოთ, გამოვიყენოთ და სხვებსაც ვუწილადოთ.

4863. ზოგჯერ ისეთი დრო დგება, რომ ვინ ვის მიმართ რა გრძნობებს ინარჩუნებს, დაუდგენელი რჩება.

4864. ყველას გვწადია იმქვეყნად გადასასახლებელი დროის შეჩერება და ამას ვინ როგორღა ლამობს, თავადაც არ ვუწყით.

4865. ყოფა ყველაფრისა და ყველა ჩვენგანის დროის საზომი და განსასჯელია.

4866. დრო გარემო პირობების წარმომჩენია.

4867. კანონი და კანონიერება დროთა განმავლობაში დროის შესატყვის შალაშინს მოითხოვს.

4868. ის საუბარია სასარგებლო, რომელიც მოკლე დროში ბევრს იძლევა და განმარტებას არ მოითხოვს.

4869. დროის რაციონალურად ხარჯვის მადლი მისი გამოყენების უნარშია.

4870. მასის ჭკუით დაკოჭლება – დროის იქედნური ღიმილი.

4871. სიკვდილის წინაშე არც ყოფიერების ავანსი ჭრის, არც მლიქვნელობა – იმ დროს მოგინახულებს, როცა მოესურვება.

4872. ყველა დროს თავისი ალტერნატიული გარემო აქვს და ჩვენი

ცნობიერებაც მას უნდა დაემორჩილოს.

4873. დროისა და გარემოსთვის დროულად ალღოს აღება ორმაგი გონიერებაა.

4874. მარტოობასაც მისთვის განკუთვნილი დრო აქვს ასაკრეფი, რათა ცალკე ყოფნას არ მიეჩვიოს.

4875. ყველამ ჩვენი საქმე მოწოდებით და დროულად უნდა ვაკეთოთ, რადგან გარემო ცვალებადია, ხოლო სიცოცხლე ერთია.

4876. წარმატებასაც თავისი ზღვარი აქვს, რომლის გადაბიჯებაც არა ღირს – დროის უაზრო კარგვაა.

4877. ვინც თავის დროზე და სიხარულით მიდის იმქვეყნად, ის პიროვნებაა, რადგან მან ამქვეყნიური ვალი, როგორც შეეძლო, მოიხადა.

4878. დროსტარებასაც ცოდნა უნდა: გონის მოხმობით, სულის დაწმენდით და მხიარულების არსის შეცნობით.

4879. მხოლოდ დროს არ ეხება დროის კარგვა, რადგან ის თავისი დაგეგმილი გზით მიდის.

4880. ღმერთის გწამს, არ გწამს, ხშირად ბედის გამართლებაზეა დამყარებული.

4881. დრო კი გვასწავლის ამქვეყნად ცხოვრების ანბანს, მაგრამ ჩვენს უსაფრთხოებაზე არ ზრუნავს.

4882. ყველა დროს თავისი კანონი და გადასახედი აქვს. გვინდა – არ გვინდა, მას უნდა შევეგუოთ, თუ გვინდა, ცხოვრება არ გავირთულოთ.

4883. მთავარია, დრომ გაგიგოს, გარემოს მოერგო და ბედმა არ გიმუხთლოს. დანარჩენს ასე თუ ისე მოევლება.

4884. ყველანი ჩვენი დროის შვილები ვართ და ჩვენი დროისთვის შესაფერის წინდახედულ საქმიანობას უნდა მივდევდეთ, განსაკუთრებით კი პოლიტიკაში, თუ გვინდა, ქვეყანაში კრიზისების ტალღამ ქარიშხალი არ გამოიწვიოს.

4885. სათამაშოა ყველა ის ნივთი, მოწყობილობა, რომელიც ადამიანს დროის გაყვანაში ეხმარება და ართობს. დღეს ამ საქმიანობას ყველაზე უკეთ მობილური ტელეფონი ასრულებს.

4886. უცადო, ვიღაცამ რომ პერსპექტიული საქმე აკეთოს, დროის დაკარგვაა, რადგან უაზრო მოცდა თავისთავად დანაშაულია.

4887. ნიჭსა და მოხერხებულობას დრომაც უნდა უერთგულოს, რათა მან შემოქმედებითად იღვაწოს და სარფიანად ივაჭროს.

4888. განსხვავებულად, სხვაგვარად ფიქრი, ოცნება შესაძლებელია, მაგრამ მოქცევით, ქმედებით შენს დროს უნდა უპატრონო და უმასპინძლო.

4889. სარგებელს არც სიძუნწე იძლევა და არც ხელმომჭირნეობა,

თუმცა გააჩნია დროსა და გარემოს.

4890. ყველა დროის თაობებმა მათთვის შესაფერისი შეძახილებით საქმე წინდახედულად უნდა აკეთონ, თუ გვინდა, ქვეყნის ძლიერებამ ჭირი არ მოგვჭამოს.

4891. დროზე მორგებული ნიჭის გამოუყენებლობა დანაშაულია.

4892. შენი ცნობიერებით დროში გამეფებას არაფერი სჯობს.

4893. ვისაც სიკვდილის შემდგომ მარადიული სიცოცხლე უწერია, ის თავისი დროის გაჭირვებით ცხოვრობს.

4894. დროის საწინააღმდეგო ქმედება უაზრო ძალისხმევაა, რადგან შედეგი ნულის ტოლია.

4895. რაც უნდა პრეტენზიულები ვიყოთ დროსთან მიმართებით, ვალდებულნი ვართ, ჩვენი დროის კაპრიზებს ვემსახუროთ, რადგან დრო და გარემო ჩვენს სურვილებს და მისწრაფებებს არა სცნობს.

4896. ჩვენი დროებითი, წუთჟამიერი მოვლენა ამქვეყნად მაქსიმალურ მოფრთხილებას მოითხოვს.

4897. დრო ბევრ რამეს ცვლის, გარდა იმ შეცდომებისა, რომელთაც მომდევნო თაობები სხვადასხვა სახით იმეორებენ.

4898. ზოგი იმას, თუ როგორც არის და როგორც უნდა იყოს, ანგარიშს არ უწევს და ასეთ ხალხს თავის დროში ცხოვრება უჭირს.

4899. ყველა ჩვენგანი დროის გმირია, თუკი მიზნებს ოცნებით მაინც გავიცნობიერებთ.

4900. ჩვენი დროისთვის გასაგები კარგი კაცობისკენ უნდა მივილტვოდეთ და არა მუდმივად წმინდანად ყოფნისკენ.

4901. ბედნიერება, დროის შემოტევის შერჩევის შედეგად, ხდება პროგრესზე ფეხის წამოკვრაც.

4902. ჩვენ ყველანი დროის მონები ვართ და არა ნაოცნებარი და შემჩნეული პიროვნებები.

4903. ყველა დრო თავისი იეროგლიფებით იღვწის, რომელთა გაცნობიერება უმეტესობას უჭირს.

4904. დღესაც ისეთივე დროა, რომ ვინ ვის ჭკუაზე უნდა იაროს და რა სარგებლით უნდა იღვაწოს, ბოლომდის არავინ უწყის.

4905. რადიკალიზმის გარდაქმნას გამოცდილება და დროის მიერ ალიყური სჭირდება.

4906. ავად თუ კარგად ყველა ჩვენს დროს ვემსახურებით, იმისდა მიუხედავად, ჩვენი ცნობიერებით ვუსწრებთ ამ დროს თუ ჩამოვრჩებით.

4907. ყოველივეს დროის კაპრიზი განაგებს და არა რწმენა და იდეოლოგია. საყოველთაო პროსტიტუცია 4000 წლის წინათაც გავრცელებული იყო და მას კერპთაყვანისმცემლები აღიქვამდნენ ღმერთების ნებად და მას ღირსების საქმედ მიიჩნევდნენ ძველ ბიზანტიაშიც, რადგან

სწამდათ, რომ ამით დიდ პატივს მიაგებდნენ ღმერთების ხსოვნას, დროის მოთხოვნებს და საკუთარ ვნებას.

4908. ყველა დროში თანამდებობა რატომღაც მეტად ფასობს, ვიდრე დასაფასებელი ტალანტი.

4909. დრო ყოველივეს ჭამს და ინელებს, გარდა დასამახსოვრებელი მოვლენებისა.

4910. ხშირად ასაკში განკერძოება გვახასიათებს, რადგან დროის კაურებს ალღოს ვერ ვუღებთ და განმარტოებით ყოფნას ვირჩევთ.

4911. ცხოვრება გარბის, დროს ვერ ვეწევით, ჭკუა ღვინდება, მაგრამ ჩვენი ამქვეყნად შემორჩენის დრო საეჭვო და სათუო ხდება.

4912. საცხოვრებლად დროს არ ირჩევენ, მაგრამ დროის შესატყვისად კარგ ცხოვრებაზე უარს არასოდეს ამბობენ.

4913. დრო და გარემოს წაღმა-უკუღმა ტრიალში მონაწილეობის მიუღებლად საკუთარ შესაძლებლობათა გამოვლენა ჭირს.

4914. ჩემი პირადი სიცოცხლე გზავნილია იმ დროის და საზოგადოების, რომელშიც ვცხოვრობ და ვჩალიჩობ.

4915. დრო-ჟამის გონივრულ აღქმას და მასზე მორგებას ჭკუა უნდა და არა დაუგულისყირებელი მცდელობა.

4916. ჩვენს დროში უნდა ვიცხოვროთ სხვა დროში მოხვედრის ოცნებით, თუ გვინდა რეალობა და სურვილი ერთმანეთს წარმოდგენით მაინც შევუთავსოთ.

4917. დროის ხიმანკლობას ყველა უჩივის, მაგრამ მისი მოთოკვა ნიჭია და ჩვენი ადამიანად ქცევის გარანტიც.

4918. საკუთარ დროსთან მეგობრობას, არცერთი ასაკისთვის არ უწყენია.

4919. ზოგჯერ შემთხვევა გვაიძულებს, ოპონენტებს მათსავე ენაზე ველაპარაკოთ და გონიერების ბიშტი ვუჩვენოთ.

4920. თავისი დრო-ჟამის გენიოსები, ალბათ, ქვის ხანაშიც იბადებოდნენ, მაგრამ იმ დროს გარემო პირობებმა მათ საშუალება არ მისცესა, თავი წარმოეჩინათ და სახელი დაეტოვებინათ.

4921. დროის განუსჯელი ხუშტური ყველასა და ყოველივეს „ბიშტს“ უჩვენებს, მათ შორის წარსულს, აწმყოსა და მომავალსაც.

4922. სანატრელია იმ ეპოქაში ცხოვრება, რომელიც შენს მენტალიტეტს მხარს უბამს და შენი მეობის ესმის.

4923. დრო-ჟამის ქარის ქროლვასაც ალღოს აღება და დაგულისყურება უნდა, რათა ამ ქარის ქროლვამ საქმის კეთება გაგიადვილოს.

4924. საკუთარი თავისათვის დროის მოპარვაა, როდესაც სასიკეთო საქმეებს აკეთებ, ვერ ამჩნევენ და არც გიფასებენ.

4925. დრო და გარემო ყალთაბანდობის უფლებას არ გვაძლევს, რადგან ჩვენთვის ნაჩუქარი მთელი დრო გამოყენებულ უნდა იქნეს ტე-

ქნიკური პროგრესის შესატყვისად.

4926. დროსა და გარემოს ცვალებადობა ცვლის ჩვენი განსჯისა და შემეცნების უნარს, ტექნიკური პროგრესის გაჭიანურებისა და დანერგვის შესატყვისად.

4927. ვეცადოთ, ჩვენთვის განკუთვნილი ადგილი და ნიშა ღირსებით შევინარჩუნოთ.

4928. დრო ყოველთვის ისე გვმოძღვრავს, როგორც ჩვენს ცნობიერებას აძლევს ხელს და ისეთ წეს-ჩვეულებებს გვიტოვებს, რაც ზოგჯერ მეტად გაუგებარია.

4929. თეორიულად დრო ფასდაუდებელი რესურსია, მაგრამ პრაქტიკულად დროის მოკვლას ყველა სადროსტარებო საშუალებით.

4930. შემოქმედს ჯილდოებიც ეამაყება და ხალხის სიყვარულიც, მაგრამ რომელია მუდმივი და უცვლელი მათ შორის, ამის გარკვევა დროის ხელს უნდა მივანდოთ.

4931. ზოგჯერ ცუდია ის, რასაც არ ვსწავლობთ და არა ის, რის სწავლასაც გვაძალებენ, რადგან, ეტყობა, მათთვის დროს მიუღებელ რაღაცას გულდაგულ მალავენ და გვარიდებენ.

4932. ყოფის გალამაზების მცდელობის შემდგომისთვის გადადება დაუშვებელია, რადგან შენთვის ნაჩუქარი დრო არ უნდა გააწბილო.

4933. გვინდა – არ გვინდა, ცივილიზაცია თავის მსხვერპლს ჩვენი სახით პოულობს.

4934. უზრუნველი ცხოვრება გვაიძულებს, დროის მოსაკლავად თავისუფლება ვეძებოთ, შედეგზე კი არ ვიფიქროთ.

4935. დრო არაფერს გვეკითხება და იმას გვახვევს თავზე, რაც მოესურვება.

4936. დროის დეფიციტს მაშინ განვიცდით, როცა მისი ფასი ვიცით და ჩვენი ნაღვაწი ვისმე სჭირდება.

4937. ლოგიკა ყოველთვის არც მართალია და არც ყველასთვის მისაღებია, თუ მას დრო-ჟამის კაურები გვერდში არ დაუდგა.

4938. ბუნება უჩვენოდაც აკეთებს თავის და ჩვენს საკეთებელს, უბრალოდ, ჩვენი ვალია, მას მხარი ავუბათ და თან ზომიერად შევეწინააღმდეგოთ.

4939. ყოველთვის დროულად უნდა შეველიოთ იმ დროს, რომელსაც ვერასოდეს დავეწევით და დავიბრუნებთ.

4940. სასურველი შემთხვევის მოთვინიერებას, გათავისებას დრო სჭირდება.

4941. სიამოვნების მომნიჭებელ საქმიანობაში დრო-ჟამის ხარჯვა დროის დაკარგვად არ ითვლება.

4942. ისე უნდა შეაფასოთ და გაითავისოთ ტექნიკური პროგრესის მიღწევები, რომ საკუთარ მეობას არ უღალატოთ.

4943. ჩვენი ყოფა დროის სურათების წარმოსაჩენდაა განკუთვნილი და ესეც თავისებური ბედნიერებაა, რაკიღა მომდევნო თაობებს რამეში გამოადგებათ.

4944. სამწუხაროდ, სიკეთეც ბერდება და დავიწყებას ეძლევა. რას ვიზამთ, ასე ოხერია დრო და მისი პასუხისმგებლობა.

4945. ნიჭის, ღირსების, უნარის ეფექტიან გამოყენებაში დრო და შემთხვევა გვეხმარება.

4946. „მიზანი ამართლებს საშუალებას“ – ამ აქსიომას დროის მანქანა გვაძალებს და გვიკარნახებს და არა მაკიაველი.

4947. გმირს ხშირად დროის კატაკლიზმები ირჩევს და არა საუკუნის საჭიროება.

4948. განსხვავებით სხვებისგან, საკუთარ თავს არც არაფერი უნდა დაუთმო და არც არაფერი შეუნდო. ამით შენი დროის ღირსეულ პიროვნებად წარმოჩნდებით.

4949. პატიოსნება ყველა დროში ალამაზებს ადამიანს და აღფრთოვანებას იწვევს.

4950. ცხოვრებაში მთავარი გზის გაკვალვაა, ხოლო მიმართულების რკვევისთვის დრო არ უნდა დავკარგოთ.

4951. პატიოსნება იშვიათი თვისებაა ჩვენს დროში, მაგრამ, როგორც ღირებულება, მარად ფასობს.

4952. ომი, დაპირისპირება მტყუან-მართალს არა სცნობს, რადგან ის დროის უკულმართობის შედეგია და არა მოწინავე აზროვნების.

4953. განუსჯელ ძალას და რევოლუციურ ენერგიას ისევ განსჯილი დრო და ევოლუციური მოთმინება სჯობს.

4954. დრო გვაიძულებს, გადავხედოთ წინაპართა მიერ დადგენილ ყოფით ტრადიციებს და ჩვენთვის მისაღები პროგრესი მივიღოთ.

4955. სამყარო ყველა დროში თავისებურად გვწყალობს და გამოცდას გვიწყობს თავისი ხუშტურების შესატყვისად.

4956. შეუძლებელი არაფერია, დროის ყივილის გათვალისწინებით, მაგრამ ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს.

4957. დროული და უპრობლემო სიკვდილიც ბედნიერებაა, როცა სხვებს არ შეაწუხებ და ვალმოხდილი დატოვებ აქაურობას.

4958. დროის შესატყვისი საკითხის დასმაა ძნელი და არა მისი განხორციელება, რადგან ტექნიკური პროგრესი დღეს ამის საშუალებას იძლევა.

4959. დროის მოთხოვნებთან გონივრულად შეხამებულ მოთმინებას, ბოლოს კარგი შედეგი მოაქვს.

4960. ტვინზე შეტევას დროდადრო ყველა ჩვენგანი განიცდის და ეს ხდება რუტინისაგან თავის დასაღწევად და გამოსაფხიზლებლად.

4961. დაუღვინებელ ადამიანს ვერც საზოგადოება უგებს და სა-

თანადო პატივსაც არ მიაგებენ.

4962. ცოდნა და შემართება დროის დაკარგვას ვერ ეგუება და ვერც ითმენს.

4963. ყოველი ძველი სასარგებლოა, თუ მას დროის შესატყვისად „მოვნათლავთ“ და წარმოვაჩენთ.

4964. ვიყოთ რეალისტები და ვეცადოთ მოვიპოვოთ არა მარტო ჩვენს დროისთვის შესაძლებელი, არამედ შეუძლებელიც.

4965. ყველა დრო თავისი ცნობიერებით მომდევნო თაობების გაკვირვებას ცდილობს.

4966. გონიერება დროს არ უპირისპირდება, მას გვერდზე მიჰყვება და ფეხს უწყობს.

4967. დროსთან ჭიდილი არა ღირს, მაგრამ მის გასწრებაზე მაინც უნდა ვიზრუნოთ.

4968. შეუჩვეველი ინფორმაცია, მისი ხარისხის მიუხედავად, ცხოვრებას გვირთულებს და მის განთავისებას დრო სჭირდება.

4969. სამყარო ყოველთვის არ ცხოვრობს იმ კანონებით, რომლებიც ამ დროისთვისაა განკუთვნილი.

4970. დრო-ჟამიც თავისებური გამოცანაა. ერთი საუკუნის წინათ ვინ წარმოიდგენდა, თუ მოხდენილი ტან-ფეხის, გავა-მკერდის ჩვენება სარფიანი, მისაბაძი პროფესია გახდებოდა და მანეკენები მსოფლიოს წალეკავდნენ.

4971. ზრდილობა და პატივის მიგება ყველა დროს და ასაკის სამკაული იყო და ამად დარჩება.

4972. დაუსაქმებლობა თავისუფალ დროის ოხრად გვიტოვებს, ხოლო უპერსპექტივობას მსუყე სავარგულად გადაგვიშლის ხოლმე.

+4973. ბედნიერებაც და გარდაუვალი უბედურებაც ერთმანეთის ტოლფასია, თუ ისინი თავ-თავიანთ დროზე მოგვაკითხავენ.

4974. თავის დაცვის უპირველესი საშუალება ინტელექტია, რომელმაც დროს ალღო უნდა აუღოს.

4975. დროც თავის შესატყვის გამოჯორკნილ ჩამოსაკიდებს ამზადებს და ხარისხიანსაც და უხარისხოსაც ისტორიის კარადაში ჰკიდებს, ვინ იცის, ვის როდის დასჭირდება მათი გამომზეურება.

4976. ახლებური იუმორით დროს იოლად ვეწევით; მოძველებული იუმორის ახლებურად წარმოჩენა და დროზე მორგება კი საინტერესოა.

4977. პიროვნების დავიწყება-არდავიწყებაც დროის „პრეისკურანტზე“ და არსებული ხელისუფლების სურვილზე დამოკიდებული.

4978. ყველა დრო თავის გაგებას ითხოვს, რათა ადამიანმა სწორი პოზიცია დაიჭიროს და თავისას მიაღწიოს.

4979. ყველა ჩვენგანი თავის დროს ემსახურება და ეს სინანულით არ უნდა მოვიხსენიოთ.

4980. დროს ხშირად ისე ვატარებთ, როგორც ვიცით და ძალა შეგვწევს და არა ისე, როგორც გვინდა და გვიოცნებია.

4981. ადამიანები იყოფიან „ვაგონებად“ და „ორთქმავლებად“ მაგრამ გონის მიერ დაგროვებული ნაღვაწი სატარებლად დროის ახალ ელმავლებს უნდა ავკიდოთ და არა რემონტის შედეგად მწყობრში ჩამდგარ მოძველებულ ორთქმავლებს.

4982. დრო ის კაპიტალია, რომლის გამოყენებას ყველა საკუთარი გადასახედიდან ცდილობს.

4983. ყოველ ახალ დროს თავისი პრაგმატიზმი მოაქვს: გაუტანლობა, ტყუილი, მექრთამეობა. ყოველივე ეს ქვეყანაში მედროვე ხელისუფალთა მოსვლის შედეგად უფრო შეიმჩნევა.

4984. არის დრო მოთმენის, არის დრო შერკინების, მაგრამ არასოდეს არ დგება დრო სხვათა საქმეში ცხვირის ჩაყოფისა.

4985. მშრომელმა ადამიანმა ხშირად თავისუფალი დროის ყადრი არ იცის და ამ დროს ისევ და ისევ შრომით საქმიანობას უთმობს.

4986. ყველა ჩვენს დროს ვემსახურებით ჩვენი გაგების, მოდის, ყოფისა და ბედის შესატყვისად.

4987. ხელსაყრელია ისე ვიცხოვროთ, როგორც დროს სჭირდება, და არა ისე, როგორც მოგვწონს და გვიოცნებია.

4988. დროის დაკარგვა თუ ჩვენს გაღიზიანებას იწვევს, ე.ი. ჩვენგან, შეიძლება, კიდევ რაღაც გამოდნეს.

4989. მოთმინება გარკვეულ დრომდე მისაღები და დასაფასებელია, მაგრამ არა მუდმივად და ყველასთან.

4990. ინფორმაცია უამრავია, მაგრამ მათი გაცნობიერების დროა ცოტა და უმნიშვნელო.

4991. არის ვითარება, სადაც არც აჩქარება შეიძლება და არც დაგვიანება. აქ უმთავრესია, საკითხის მოსაგვარებელი დრო რაციონალურად გამოვიყენოთ.

4992. ოცნებების შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ არა განვლილ დროზე ოცნებისა.

4993. დროს შეძახება და შეჭიდება სჭირდება და არა საყვედურები, რომ ცუდ ვითარებაში გვიხდება ცხოვრება.

4994. გრძნობა ხშირად დრო-ჟამის ყივილის შესატყვისად წარმოჩნდება, ფასდება.

4995. რწმენას გაფრთხილება სჭირდება, აღზრდას-დაფასება, აზროვნებას-დაღვინება, ხოლო საქმის სასიკეთოდ გართულებას – დროის ყივილი და გონივრული წინდახედულება.

+4996. დროის გაცუცურაკება ადვილია, სასურველი შედეგის მიღება – ძნელი.

4997. უფრო შედეგიანია მომავლის რწმენით იცხოვრო და ირგვლივ

მყოფთათვის შეუმჩნეველი სასიკეთო და პერსპექტიული საქმე აკეთო, თუნდაც ეს ნაშიერთა მომრავლება იყოს, ვიდრე აფექტში მყოფი შეეწირო შენს სამართლიან, მაგრამ უპერსპექტივო ამბიციებს, თუ ჯერ ამისი დრო არ დამდგარა.

4998. დროზე მორგება ადვილია, დასახული მიზნის განხორციელება – ძნელი.

4999. თავისუფალი დროის გამოყენებას გონიერება და მოხერხება სჭირდება.

5000. უგუნურები საკმარისნი არიან ჩვენს დროშიც, მაგრამ უგვანოთა ოდენობაც არ მცირდება – ეტყობა, ყველა დროს თავისი განუსჯელი კაპრიზი ახლავს.

5001. ყოველგვარი არეულობის, ქაოსის მოწესრიგება შესაძლებელია, თუ დრო-ჟამის შესაბამისი კანონის დიქტატურას დავამყარებთ.

5002. ყველა ჩვენგანი თავისი დროის შესაბამისად იღვწის და, ვის სად გაუმართლებს, არავინ უწყის.

5003. სულელები, თავხედები, განუსჯელები ყველა დროში თავის ნებაზე დასეირნობდნენ, მაგრამ მათი მიმართულების ამოცნობაა ძნელი, რადგან თავადაც არ იციან, რა სურთ, უნდათ და სჭირდებათ.

5004. დრო ჩვენი ყოფისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის განმკარგავია.

5005. დროის სურნელის მადლი მაშინ იკარგება, თუ მას სიყვარულის ხიბლი აკლია.

5006. დროს ზოგავს უაზრო წანწალისა და ფუჭი საქმის კეთებისგან თავის არიდება.

5007. დრომ, შეიძლება, მტვრად აქციოს ის, რაც ჩვენთვის ძვირფასია, და ის დატოვოს, რაც ჩვენთვის ჯერ კიდევ შეუცნობელ-გაუცნობიერებელია. ამიტომ დროის კაპრიზებს ისევ დროის ყივილმა უნდა მიხედოს.

5008. დროის უქმად ხარჯვას გონთან ერთად სულიერებაც ვერ იტანს – მყაყდება, ბანძდება.

5009. დროის მუქთად გაცდენა დანაშაულია, მაგრამ ზოგჯერ ეს დრო მაინც უნდა დავკარგოთ, რათა მისი დაფასება უკეთ და დროულად ვისწავლოთ.

5010. განუხორციელებელი არაფერია, თუ შემართება და დროის ყივილი შენს მხარესაა.

5011. ბოროტებაზე ხელი რომ არ წაგვიცდეს, ყოფის გაცნობიერება დროულად უნდა მოვახერხოთ.

5012. ყოველი სახის დროის მკვლელობა დანაშაულია, მათ შორის გართობის სახითაც.

5013. დრო ყველაფერია, იმისდა მიუხედავად, ვიცით მისი ფასი

თუ არა.

5014. დაძალებითა და ზიზღით შეთხზული ყველა ქმნილება მიუღებელია, რადგან დროის კაპრიზებს ვერ უძლებს.

5015. თავისუფალ დროს აზრიანად განსჯა და მისი სწორად გამოყენების უნარი ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.

5016. იუმორი დროსთან ურთიერთობას გვასწავლის და გვართობს.

5017. ტყვიას როდი მოაქვს სიკეთე და სიავე, ესეც არავინ უწყის, რადგან ყოველივე დროის უხილავ ხელს, განგების ნებას, ემორჩილება.

5018. დრო რომ არ დავკარგოთ, წესრიგის დამყარება ძალადობითაც შეიძლება, რადგან დრო კარგი მკურნალია იმ შემთხვევაში, თუ შედეგი მიღწეული იქნება.

5019. დროის დინებისთვის დროულად ალღოს აღება განგების ნაჩუქარი ნიჭია.

5020. კედელზე ასასვლელი წესების სწავლებაც დროსა, გარემოსა და დღევანდელ საჭიროებაზე არის დამოკიდებული.

5021. ყველა საიდუმლო დროებითაა ამოუხსნელი. მათ ადრე თუ გვიან ამოხსნიან ან წარმოაჩენენ დროზე მორგებული ნათელმხილველები.

5022. უმიზნო სიცოცხლეს უეცარი სიკვდილი ვერას დააკლებს, მაგრამ დასანანია დროის უაზრო ფლანგვა.

5023. დრო საუკუნეების ლაბირინთებში მიიზლაზნება, ხოლო ბრძნული გამონათქვამი რჩება და ყველა დროში უკვდავია.

5024. კეთილგონიერება დროისა და გარემოს უდრტვინველი საჩუქარია.

5025. ლოდინის ფილოსოფიას ბევრი ამრეზით უყურებს და დაკარგულ დროზე წუწუნებს.

5026. ჩირქის მოუცხებლად და ღირსების შენარჩუნებით ცხოვრებას ის შეძლებს, ვინც დროსა და გარემოს გონივრულად შეერწყმის.

5027. ზოგი ქმედებანი თავისი დროის შესატყვისი ტრიუმფით იწყება და ხშირად ტრაგედიით მთავრდება. ეს ხდება უვიცობის გამო.

5028. ზოგჯერ დრო-ჟამის ხუშტურისთვის აყოლა გაცილებით მეტს იძლევა, ვიდრე ჩასაფრება და წინააღმდეგობის გაწევა.

5029. შენდამი სიყვარულისა და პატივისცემის დაკარგვა ისევ შენი ბრალია და ამის გამოსაძიებლად დრო არ დაკარგოთ, მაინც ვერაფერს დაადგენთ.

5030. წინდაწინ დაუგეგმავი დრო ხელიდან უყაირათოდ გვეცლება.

5031. პოზიტივი ნეგატივად გადაგვექცევა, თუ საქმის საკეთებელი დრო წინასწარ გონივრულად არ დაიგეგმა.

5032. დროს არც უნდა გავუსწროთ და არც უნდა ჩამოვრჩეთ, რადგან ორივე უკიდურესობა თანაბარი ზიანის მომტანია.

5033. ტექნიკური პროგრესისგან განსხვავებით, დრო ბრძნულ გამონათქვამებზე, ჭკვიანურ აზრებზე გავლენას ვერ ახდენს.

5034. სამომავლო იდეოლოგიისთვის გასწრების მცდელობაც დანაშაულია, თუ მცდელობის ამ მაჭარს დრო დროულად არ დააღვინებს.

5035. დროში მოგზაურობა საშიშია, მაგრამ სასიამოვნოა ცნობიერების დასაკმაყოფილებლად და წარსულ დროთა გასახსენებლად.

5036. ყველა მეგობრობას, ურთიერთობას ვარგისიანობის საკონტროლო დრო აქვს, რომელიც დროდადრო გადამოწმებას მოითხოვს.

5037. დრომ უნდა წარმოგვაჩინოს თუ დრო უნდა წარმოვაჩინოთ – ესეც განგების ნებაა.

5038. კალენდრის ტყვეებად არ უნდა ვიქცეთ, მაგრამ მისი დოგმების, ტრადიციების შესატყვისად დროის ხარჯვის გათვალისწინება აუცილებელია.

5039. დროის შეჩერება და უკან დაბრუნება შეუძლებელია, მაგრამ მისი კრიტიკული განსჯა და გააზრებაა შესაძლებელი.

5040. დრო ცვლილებებს ითხოვს, ხოლო დღევანდელობა – მისი აღქმისა და შეჯერების უნარს.

5041. გვინდა – არ გვინდა, მოგვწონს – არ მოგვწონს, დრო მაინც ჩვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებს, იმქვეყნად გადაბარგებასთან გვაახლოებს.

5042. დრო ყველა ჩვენგანისთვის სხვადასხვა სიჩქარითა და ინტენსივობით მიედინება, იმისდა მიუხედავად, ერთდროულად გადავსახლდებით იმქვეყნად თუ არა.

5043. დრო სულის ჭრილობებს ხანგრძლივად, ოღონდ კარგად მკურნალობს.

5044. ფიცხელი გატაცება ზოგჯერ დროზე ადრე მომწიფების საფუძველია.

5045. დროის დინებასაც ალღოს აღება და ფეხის აწყობა სჭირდება, რათა ეჟვანი შევაბათ და წარმოვჩნდეთ.

5046. დროსა და სივრცეში ოცნებით მოგზაურობაც კი ნიჭისა და შთაგონების წარმოჩენის ერთგვარი საშუალებაა.

5047. როგორც მემღერება, ისე ვიმღეროთო, ნათქვამია, მაგრამ ამ აქსიომას დროსა და გარემოსთან შეუთანხმებლად ახდენა არ უწერია.

5048. დროის მუქთად მხარჯველთათვის ცხოვრების ფასი ჯერ კიდევ უცნობია.

5049. ამა თუ იმ ეპოქის მრისხანებისა და ძალაუფლების ხარისხს ყველაზე უკეთ ისტორია დაადგენს.

5050. ზოგჯერ ისინიც გვაგონდებიან, რომლებიც დრო-ჟამის უყურადღებობით დაიჩაგრნენ.

5051. სხვადასხვა ენის შესწავლაზე დახარჯულმა დრომ უქმად არ

უნდა ჩაიაროს.

5052. დროის კაპრიზთა მიუხედავად, ადამიანად დარჩენა ყოველთვისაა შესაძლებელი, თუ შურმა და ბოროტებამ ხელი არ დაგრიათ.

5053. ადამიანის უმთავრესი მოწინააღმდეგეა მის მიერ უაზროდ გაფლანგული დრო.

5054. დრო და შემთხვევა უკეთ წარმოაჩენს ადამიანს, ვიდრე გონიერება, ნიჭი და ესეც ბედის უპირატესობაზე მიუთითებს.

5055. მოგონებანი იმ დროს ელაციცებიან, რომელიც არასოდეს დაბრუნდება.

5056. ყველა დროს თავისი შეუდარებელი ადამიანები უნდა ჰყავდეს და ფასდაუდებელი აღმოჩენები უნდა ჰქონდეს, რათა ისინი დავიმახსოვროთ, წარმოვაჩინოთ და ჩვენივე სულის გასაძლიერებლად და წასაქეზებლად გავაფეტიშოთ.

+5057. ჩვენს დროში კუდს ერთმანეთს ფარისევლობით უქიცინებენ, ოღონდ უფულოებს – არა!

5058. პროგრესსა და ინსტინქტებს შორის თავისებური ურღვევი კავშირია, რომელიც უხსოვარი დროიდან არ ირღვევა.

5059. ზოგჯერ ისეთი დრო დგება, რომ, რისი თესვაც გინდა, იმას ვერ თესავ და იძულებული ხარ, ის თესო, რასაც სხვა მოიმკის.

5060. მეტი ცოდნა, გამოცდილება, შემართება ნაკლები შეცდომის და იმედგაცრუების გარანტია და ამასაც დროსთან შეთანხმებით ჭიდილი სჭირდება.

5061. დრო – გარემო შინაგანი მეობის აღქმას ხელს არ უშლის, თუ პიროვნება ამას იმსახურებს.

5062. რატომღაც ბედნიერებისა და სათნოების წინაშე ქედის მოხრას ზოგი ჩვენგანი სიმდიდრის მოხვეჭას და კარიერის წინაშე ქედის მოხრას ამჯობინებს და ესეც დროის თავისებური ზეწოლაა.

5063. ყველა ადამიანი თავისი დროის პროდუქტია და მისი მიტევება უნდა შეგვეძლოს.

5064. იმ დროში ცხოვრება, რომელიც შენ არ გეკუთვნის, ბედის დაცინვაა.

5065. დროის ცნობიერების არსში ჩაწვდომა საშუალებას გვაძლევს მომავლის მიზნის დასახვისა.

5066. ფიზიკური შესაძლებლობანი სჯობს თუ გონებრივი?! ამ განტოლების ამოხსნა დროისა და ასაკის პრეროგატივაა.

5067. რისკიანი ადამიანი დროს მარად ნემსკავზე ჰყავს წამოგებული და, როდის და რას გადაუგდებს, არავინ უწყის.

5068. სიკეთე არ იკარგება, მაგრამ ბოლომდე ვერ „ბაირამობს“, რადგან ისიც დროთა განმავლობაში დავიწყებას ეძლევა.

5069. სამყაროს უკეთ აღქმა, ახლებურად გაგება მარად ჩვენი წა-

დილია ყველა დროში და ყოველგვარი ჩვენი მსოფლმხედველობის ცენ-ტრია.

5070. სწორად ცხოვრება დროის შესატყვისად თავისებური წამე-ბაა, თუ იმ დროის მორალს დროულად ვერ გავითავისებთ.

5071. ინტუიცია და შთაგონება სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ ორივეს დროულად შეჯერება და განსჯა საჭიროა.

5072. დრო და ჩვევებიც განსასჯელია, ოღონდ ჩვენი მეობის შეს-ატყვისად.

5073. აღმოჩენასა და აღმოსაჩენს შორის ბალანსის დაცვა დროისა და გარემოს ხუშტურებზეა დამყარებული.

5074. ძუნწი-ხელგაშლილი, მხდალი-გამბედავი, კარგი-ცუდი – რა დროს რა თვისება გამოგვადგება დროისა და გარემოს შესატყვისად არავინ უწყის.

5075. ესეც ბედისწერის დამსახურებაა – თავდაჭერილები ვიქნებით თუ თავაშვებულები, რადგან ხშირად ბევრი რამ შექმნილ ვითარებაზეა დამოკიდებული.

5076. დროისა და გარემოს შესაფერისი ამაყი და საჭირო სიტყვე-ბის წარმოთქმას ზოგჯერ დიდი ფასი ადევს.

5077. ყოველ სიტყვას თავის ძალა და მადლი აქვს, განსაკუთრებით – დროისა და გარემოს შესატყვისად.

5078. დროდადრო ცხოვრებას არასწორად წარვმართავთ, მაგრამ საბოლოოდ ამან ჩვენს ყოფას არ უნდა ავნოს.

5079. ყველა დროს თავისი კოლორიტი აქვს და თავისებურად მომხიბვლელია.

5080. სიჭაბუკის სიფიცხე, თანდათან სიბერის გულგრილობაში გა-დაიზრდება.

5081. ჩვენს ბევრ მიჩქმალულ ნიჭსა და შესაძლებლობას ხშირად დროსა და გარემოში გაჯირითების სურვილი წარმოაჩენს.

5082. დრო მოუსყიდველი და სამართლიანი განმსჯელია, მაგრამ ძალზე აგვიანებს განსჯას. ისე როდი იქცევა, რომ ხალხსა და ქვეყანას დროულად არგოს.

5083. გონიერი სხვათა ჭკუის სწავლებასა და ისეთ წვრილმანზე, როგორიც საკუთარი მეს წარმოჩენა და დამკვიდრებაა, დროს არ კარ-გავს.

5084. დროის მიერ გამოცდილი მეთოდებით მოღვაწეობა ყოველთ-ვის სასარგებლოა.

ეკონომიკა _ ბიზნესი

5085. დეპრესიული მოხმარება უპირველესად ქვეყნის ეკონომიკას „დასცინის“, ხელმომჭირნეობას აიძულებს. ამიტომაც, პირველ ყოვლისა, სამუშაო ადგილის მოძიებაა საჭირო.

5086. პოლიტიკა და ეკონომიკა დროის მიერ მოძღვნილი ძღვნის დამჭერი და მომტანია.

5087. ყოველი ახალი მისაღებია, თუ იგი პროდუქტიულია – ესე იგი მომდევნო სიახლის პერსპექტივასა შლის.

5088. კონკურენტუნარიანია ის საქონელი, რომელიც მოდას ფეხს უწყობს და სხვის აყოლიებასაც ცდილობს.

5089. ყოველგვარი იდეოლოგია ეკონომიკისა და ტექნიკური პროგრესის მიუღწევლად ნულის ტოლია.

5090. პოლიტ-ეკონომიკური ონანიზმით ქვეყნის ეკონომიკა ვერც დაიბადება, ვერც გაყმაწვილდება, ვერც დავაუკაცდება.

5091. ჟარგონის მომრავლება არასტაბილურმა პოლიტიკამ და ეკონომიკურმა კრიზისმა იცის.

5092. ეკონომიკა, რომელიც თვალში ნაცარს გვაყრის და ყველას მოსწონს, მიუღებელია. მას კორუფციისა და მაამებლობის სუნი ასდის. ის ხალხის დროებით მომსახურებას ცდილობს და არ ითვალისწინებს ქვეყნის ინტერესებს.

5093. ბიზნესში წაგება და მოგება ერთმანეთის მოშურნე ახლობლები არიან, მაგრამ წარმომავლობა ერთი აქვთ.

5094. რა ასი პარამეტრით უნდა იღვწოდეს მდიდარი? 1. აკეთოს საყვარელი საქმე; 2. იყოს თვითდაჯერებული; 3. ისწავლოს ფულის ყადრი; 4. პრაქტიკული და ანგარიშიანი უნდა იყოს; 5. ეცადოს, კოლეგებს არ ჩამორჩეს; 6. ყოველთვის ხელთ ჰქონდეს საჭირო ინფორმაცია; 6. ეძებოს პერსპექტიული სიახლე; 7. ფუფუნებაში არ იცხოვროს; 8. შვილებს მისცეს აუცილებელი და არა ზედმეტი; 8. იყოს ზომიერი ქველმოქმედი; 9. ხშირად და საქმიანად გადაადგილდეს, რათა ბედმა შეამჩნიოს; 10. ბოლომდის არავის ენდოს. 11. ყველა ხელშეკრულება წერილობით გააფორმოს; 12. ხშირად გადაამოწმოს პარტნიორების, ხელქვეითების ქმედება; 13. სიზარმაცე მისთვის უცხოა; 14. ეწევა ჯანმრთელ ცხოვრებას; 15. დღეს გასაკეთებელს ხვალისთვის არ გადადებს; 16. უნდა ფლობდეს პიარისა და რეკლამის ხელოვნებას; 17. ფული მარად ბრუნვაში უნდა ჰქონდეს; 18. ხელისუფლებასთან ამყარებს კარგ ურთიერთობას; 19. ჭუჭყიანი საქმის კეთებას ერიდოს; 20. იყავით სიტყვის კაცი, დანაპირები შეასრულეთ; 21. გამოიმუშავეთ ანალიზისა და წინხედვის უნარი; 22. თბილი და საქმიანი ურთიერთობა იქონიეთ პარტნიორებთან; 23. ეძიეთ პარტნიორი საზღვარგარეთ. 24. ყველგან იყოლიეთ თქვენი ხალხი; 25. თავი ყველას არ გაუყადროთ; 26. ისწავ-

ლეთ და სხვასაც ასწავლეთ იმედით ცხოვრება; 27. ცოლი და შინაურები საქმეში არ გარიოთ; 28. იყავით საჭიროებისამებრ თავმდაბალი, მოკრძალებული; 29. შურიან და უნიჭო ხალხთან საქმეს ნუ დაიჭერთ 30. ეცადეთ, დროულად გაერკვეთ ქვეყნის პოლიტიკაში; 31. საზღვარგარეთ შეიძინეთ უძრავ-მოძრავი ქონება; 32. ჩადეთ გარკვეული ინვესტირება საიმედო ქვეყნებში; 33. აქტიურ მონაწილეობას ნუ მიიღებთ პოლიტიკაში; 34. არ მოდუნდეთ, მიღწევებით არ დაკმაყოფილდეთ! 35. იქონიეთ მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია; 36. ენდეთ წინათგრძნობას; 37. ისწავლეთ საკუთარ ქმედებათა განსჯა; 38. საკუთარ თავს დაუწესეთ გარკვეული აკრძალვები; 39. შესამჩნევსა და დასანახს ყოველთვის თვალი შეავლეთ; 40. დროულად გაასხვისეთ ის, რასაც ვერ იყენებთ და არ გჭირდებათ; 41. ბოლომდის საკუთარ თავსაც არ ენდოთ; 42. დასახლდით იმ ქვეყანაში, სადაც ფულის კეთების საშუალებას გაძლევენ; 43. იქონიეთ თქვენი ყოფის შესატყვისი პოსტულატები; 44. იქონიეთ საკუთარი ეკონომიკური ხედვა, მენეჯმენტი; 45. ყოველთვის ეძიეთ პერსპექტივა და მოგებიანი გამოსავალი; 46. ტექნიკურ პროგრესს ფეხი აუბით, მაგრამ ეცადეთ, არ გაასწროთ; 47. ისწავლეთ უარის თქმა დევიზით „ამჯერად ქესატად ვართ“; 48. იცხოვრეთ იმდაგვარად, რომ თქვენი დიდად არ შეშურდეთ; 49. ისწავლეთ უძრავ-მოძრავი ქონების მოვლა და არა წარმოჩენა. 50. თქვენი ქმედების, სიტყვის უნდა სწამდეთ, სჯეროდეთ; 51. ისწავლეთ პროვაიდერებთან ურთიერთობა და მათგან დეფიციტის რეგულირება; 52. ვალი, ეცადეთ, არ აიღოთ და არც დაიტოვოთ; 53. მარად ყალყზე შემდგარი იყავით ბედის მოსაპოვებლად; 54. ეცადეთ, ავადმყოფობა, ასაკი არა შეგამჩნიონ; 55. ისწავლეთ კომპრომისის ხელოვნება; 56. ისწავლეთ შენდობა, მიტევება, დავიწყება; 57. ერიდეთ გაპიარებით სხვათა კრიტიკას, განსჯას; 58. პატივი მიაგეთ დაწერილ და დაუწერელ კანონებს; 59. იყოლიეთ მრჩევლებად ჭკვიანი ხალხი და წაახალისეთ; 60. ისწავლეთ ფულის გათეთრება ზომიერების ფარგლებში; 61. მიღწეულით არასოდეს დაკმაყოფილდეთ; 62. ყოველთვის გამოსცადეთ ბედი და შეიძინეთ ლატარიის ბილეთი; 63. სათამაშო ბიზნესს ახლოს არ გაეკაროთ; 64. ისწავლეთ აზრების გაცრა და ქატოს გადაყრა; 65. ისწავლეთ რამდენიმე უცხო ენა; 66. დაასაქმეთ იაფი მუშახელი, ემიგრანტები, ოღონდ კანონიერად; 67. ყოველთვის გქონდეთ ალტერნატივა; 68. იყავით ინდივიდუალური და ორიგინალური თქვენ მიერ წამოწყებულ საქმიანობაში; 69. ზომიერების ფარგლებში იქონიეთ არა ცხადი დანახარჯები; 70. ეცადეთ, მოიპოვოთ ათვისებული ახალი ბაზრები; 71. ერიდეთ ბარტერით განუსჯელ ვაჭრობას; 72. ეცადეთ, შექმნათ ახალი ბრენდი; 73. მოძრავ-უძრავი ქონება აუცილებლად დააზღვიეთ; 74. იქონიეთ კორპორაციული კულტურა; 75. ერიდეთ გარემოს დაბინძურებას; 76. იზრუნეთ დივიდენდების გადიდებაზე; 77.

ეცადეთ, საქმიანობისას იყოთ ეფექტური და ლიდერი! 78. დაეუფლეთ „თამაშების თეორიას“ არაორდინალურ გარემოში ადამიანის ქცევის შესწავლის მხრივ; 79. ისწავლეთ საქმიანობის მომავლის ხედვით დაბალანსება; 80. ეცადეთ, საფუძვლიანად გაერკვეთ „მენეჯმენტში“; 81. იქონიეთ წინასწარ განსაზღვრულ-განსჯილი მუდმივი დანახარჯები; 82. ერიდეთ სტაგნაციას, უძრაობას; 83. საქმე იქონიეთ გადამოწმებაზე პროვაიდერებთან და კონტრაქტის მიხედვით მოიმსახურეთ; 84. ერიდეთ „პოსლეზე“ ვაჭრობას; 85. თვალი ადევნეთ სავალუტო კურსს; 86. რესტიტუცია განახორციელეთ, რათა დაიბრუნოთ ყოველივე საკუთარი და საუკეთესო; 87. ეცადეთ გქონდეთ დანაზოგი; 88. ყველგან დაიცავით უფლებები დემოკრატიის პრინციპებით; 89. შეეცადეთ ირგვლივ მყოფთა დასაქმებას; 90. იყავით სპეტაკი ზომიერების ფარგლებში; 91. ერიდეთ სტაგნაციას – უძრაობას, უსაქმურობას საქმიანობაში; 92. შეეცადეთ, იყოთ დემოკრატი, რათა თავადვე დაადგინოთ, რამდენად სასარგებლო ხართ საზოგადოებრიობისთვის, ირგვლივ მყოფთათვის; 93. ეცადეთ, არ იყოთ „უვიცობის ნიღაბახვეული“, ბოლომდი ნუ ენდობით მთავრობას, მის პოლიტიკას; 94. ერიდეთ „უკუგორებას“, თუ ის საქმიანობის აუცილებლობით არ არის გამოწვეული; 95. ეცადეთ „ფსიქოლოგიური თარჯის“ გადალახვას თქვენს საქმიანობაში, რადგან ხვალ ის ყოველდღიურობად იქცევა; 96. გაიხადეთ დევიზად და საქმიანობის პრინციპად „ფული უნდა შოულობდეს ფულს“; 97. ეცადეთ, აწარმოოთ „ჯეფენის საქონელი“, რომელზეც მოთხოვნილება იზრდება ფასების მატების მიუხედავად; 98. ხელმძღვანელის როლს უკონტროლოდ მომავალ მემკვიდრესაც ნუ გადააბარებთ; 99. წინასწარ შეარჩიეთ შინაურებიდან თქვენი საქმიანობის განმგრძობი, ასწავლეთ და გზაზე დააყენეთ; 100. შიგადაშიგ გაიღეთ ირგვლივმყოფთათვის წამახალისებელი ხარჯები, რათა მათ ყოველდღიურობა გაუხალისოთ.

5095. ვაჭრის ჩამოყალიბება იწყება ცდუნების შეყრის შემდეგ.

5096. უკანონობა ხელების სისხლში ამოსვრაა, ხოლო უგუნურება – ეკონომიკაში ხალხზე ზრუნვის უგულებელყოფა.

5097. თუ ეკონომისტი ხარ, თავად გახდი მილიონერი, რას ანგარიშობ სხვის შესაძლებლობებს, ფულს, მაგრამ ნაღდ და შემოქმედ ეკონომისტად უნდა დაიბადო, რომ დიდ ბიზნესს ხელი შეავლო.

5098. იმპორტი და ექსპორტი ბავშვის კეთებასავითაა: ბავშვის ჩასახვაზე შენ უნდა იზრუნო, თუ გინდა დასაქმდე და ექსპორტიორი გახდე და არა იმპორტიორი, რათა უსაქმურად არ დარჩე.

5099. ეკონომიკა პოლიტიკის შემოტევას, საქმიანობაში სისხლის აღრევას, ფასების გაუმყარებლად მატებას ვერ იტანს.

5100. ეკონომიკა ექვემდებარება ეკონომიას, რომელსაც დროდადრო პროგრესი და პოლიტიკა ხელს შეაშველებენ ხოლმე.

5101. მოგება უნდა გაუყო შუამავალს, თუ გინდა, იგი თქვენი მარად ერთგული დარჩეს.

5102. ხისტი პოლიტიკა, ეკონომიკის თვალსაზრისით, გაცილებით უკეთეს შედეგს იძლევა გონიერი ხელისუფლის ხელში, ვიდრე ლიბერალური და „ყველასათვის მოსაწონი“.

+5103. რაოდენობას ხარისხი ამშვენებს, ხოლო ხარისხს რაოდენობა ამაგრებს.

5104. კაპიტალისტური ფულის კეთების უნარი და სოციალისტური იდეოლოგიური პრინციპების შერწყმა ქმნის რეალურ ეკონომიკასა და მძლავრ პოლიტიკურ შესაძლებლობებს.

5105. ინტუიცია და ბედი ბიზნესის მარადიული ბაზისია.

5106. ბიზნესი – ეს შერკინებაა, სადაც აუცილებელია წინხედვა, საკუთარი თავის რწმენა და ბედის ღიმილი.

5107. ბიზნესი ან ბავშვობიდან უნდა ისწავლო, ან მისი თანდაყოლილი ნიჭი განგებამ დიდობაში უნდა გიბოძოს.

5108. ბიზნესი მოსახლეობის ცნობიერების გამოსწორებას ეკონომიკური სწავლების ჭოგრიტით უნდა ეცადოს.

5109. ეკონომიკა ძალზე დელიკატური მფლანგველია მისთვის განკუთვნილი დროისა.

5110. „პარაზიტულია ეკონომიკა“, თუ ერთ ქვეყანაში ნაშოვნ ფულს სხვა სახელმწიფოში სხვადასხვა საბაბის მოშველიებით აბანდებს.

5111. საერთო კეთილდღეობის სახელითა და საბაბით, ასევე მცირედი თანხების დასპონსორება-მიგდებით ბიზნესი მდიდრდება.

5112. თანამედროვე არმია და მოკავშირეები რომ გყავდეს, ამას პოლიტიკასთან ერთად მოხერხებულობა და ხელის გამოღება სჭირდება, თანაც სხვადასხვა მომხიბვლელი წინადადების შემოთავაზება და ეკონომიკისთვის ხელის მძლავრად ჩავლება.

+5113. რაც მომხმარებელს მოსწონს და მწარმოებელს ხელს აძლევს, ამის საწინააღმდეგოდ ეკონომოკური აზროვნება უძლურია (მაგ. პატარა ჭიპიანი ხინკლის ნაცვლად დღეს მოდაში შემოვიდა დიდთავიანი, კარგად ხელის მოსაკიდებელი „კუჯა“ ხინკალი, რომელშიც ცომი უფრო მეტია, ვიდრე – ხორცი).

5114. ინტეგრაციისა და სხვა ქვეყნების ბაზრების დაპყრობისა და დაინტერესების გარეშე კონკურენტუნარიანი ეკონომიკა არ იქმნება.

5115. ბანკიდან სესხის აღებას უპირველესად გონის მოხმობა სჭირდება. შემდეგ კი ორ კითხვაზე პასუხის გაცემა: 1. რა აუცილებლობისთვის გვჭირდება სესხი? 2. შევძლებთ კი მის უკან დაბრუნებას?

5116. ბიზნესის ეპოქაში სამართალს ზოგჯერ პურის ჭამა უჭირს, რადგან სამართალი და სამართლიანობა მდიდარსა და ღარიბს თავისებურად ესმით.

5117. სოციალური სამართლიანობა ეკონომიკური იდეოლოგიის ბაზისად უნდა იქცეს, რათა საზოგადოების განვითარება ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციებით დავიცვათ, ქვეყანაში მაფიოზურ-ოლიგარქიული სტრუქტურები არ გაბატონდნენ და ქვეყნის მეცნიერება, პროგრესის საწყისი, ბედის ანაბარა არ დარჩეს.

5118. ეკონომიკა ნიჭსა და ცოდნასთან ერთად წესრიგს მოითხოვს.

5119. პოლიტიკას შეუძლია ეკონომიკა მოკლას, ხოლო ეკონომიკას ძალუძს არსებული პოლიტიკის საბოლოოდ გაქრობა.

5120. ბიზნესის ლეშად გადაქცევა ყველა ბიზნესმენის ხვედრია, თუ თავს არ გაუფრთხილდა და დროსა და გარემოს ანგარიში არ გაუწია.

5121. მომავალს ყველანი იმედის თვალით ვუყურებთ, იმედის ბაზისის უქონლობის მიუხედავად.

5122. ბიზეს „კარმენი“ უკვდავია, ხოლო „ბიზნეს კარმენი“ – ცვალებადი და გაკოტრებისკენ აქვს მიდრეკილება.

5123. კაპიტალს გონივრული დაბანდება სჭირდება და მისი მფლობელი ყოველგვარი განუსჯელობის წინააღმდეგია.

5124. მილიონებისთვის უპრეცედენტო ბრძოლა დღემდე გრძელდება და კვლავაც გაგრძელდება. და მას კანონ-სასამართლოს დამოძღვრა არ შველის.

5125. კორუფციას მთლად ჯოჯოხეთსაც ვერ უწოდებ – იქიდან ზოგჯერ ბიზნესმენური სხივი კრთის.

5126. ეკონომიკის შესაძლებლობაც, ძირითადად, პოლიტიკის ნება-სურვილზეა დამყარებული.

5127. ეკონომიკა ცნობიერებას ცვლის, მაგრამ პოლიტიკურ შეგნებას ყოველთვის ვერ სჯობს.

5128. სიმდიდრის მომსახურება გაცილებით ძნელია, ვიდრე მისი შეძენა.

5129. ყველას გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ: უვიცები მასწავლებლებად არ მოგვივლინონ. ეს უმთავრესად ეხებათ პოლიტეკონომისტებს, რომლებიც ქვეყნის მართვის სწავლებას გვპირდებიან და უაზროდ გვმოძღვრავენ.

5130. დაბანდებული კაპიტალი მარად „მისი უდიდებულესობა“ იყო და დარჩება.

5131. რა კარგი იქნებოდა კრედიტი ამქვეყნად აგვეღო და ვალი იმქვეყნად გაგვესტუმრებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არცერთი ღმერთი არ წირავს.

5132. ბიზნესი თავისებური ალგორითმია: სად გაგიმართლებს რისკისა და შემართების ხარჯზე, არავინ უწყის.

5133. ფინანსებზე მუშაობა შიშსა და სინდისის ქენჯნაზეა დამყარებული, განსაკუთრებით მაშინ, თუ დიდ თანხებთან გვაქვს საქმე.

+5134. როდესაც საქმეს ერთის ნაცვლად ათი კაცი აკეთებს, ეს საქმის კეთება კი არა, დასაქმებაა, ესე იგი, საქმის კეთების საწინააღმდეგო ქმედება.

5135. ეკონომიკაში დღესაც კი ქვეყნებს შორის დაპირისპირების პროპაგანდა იგებს და შემდგომ – ტექნიკურ პროგრესთან გაბაასება.

5136. ქვეყნის ეკონომიკას ზოგი ბუნების დამცველი ასე უკიჟინებს: ქალმა იმგვარად უნდა იმშობიაროს, რომ კვლავ ქალწული დარჩესო. ვითომდა კულტურულ მემკვიდრეობას ამოფარებულნი, ისინი ჯოხს მარცხნივ მეტისმეტად ხრიან.

5137. ინფლაცია აუცილებლობას არ წარმოადგენს. ის წარმოაჩენს ქვეყნის მმართველობის ხელოვნების ხარისხს.

5138. ხალხი კი არ უნდა გავატყაოთ გადასახადებით, რათა კანონი შეიძულოს, არამედ დაბადებიდანვე კანონისადმი მორჩილება ვასწავლოთ, მოჭარბებული გადასახადების გადახდა რომ არ გახდეს საჭირო.

5139. დიდხანს ერთსა და იმავე ხელფასზე მომუშავეს უჩნდება მოთხოვნილება ხელფასის მომატების, ე.ი. დაფასებისა.

5140. დღეს პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კაცობაში უვიცთა და უცოდინართა დოღია გამართული.

5141. მომდევნო საუკუნე უსისხლო ომისა და ქვეყნებს შორის ეკონომიკური დაპირისპირების საუკუნე იქნება.

5142. ძლიერი ეკონომიკის უქონლად ეროვნული კარგახსნილობაცა და კარჩაკეტილობაც ერთნაირი სიბრიყვეა.

5143. კაცობრიობა დღეს გასესხებ-ჩასესხების პროცესითაა დაკავებული და ამას ბიზნესქმედებად მიიჩნევენ.

5144. ინტუიცია, შეგრძნება, დაკვირვება-გაგების ალგორითმებია.

5145. ეკონომიკური ვარდნა, მმართველობაში ქაოსი, მომავლის გაურკვევლობა ყველა ძალადობისა და რევოლუციის თანმხვედრი მოვლენაა.

5146. პოლიტიკურ ინტერესთა უპირველესი სფერო ეკონომიკის მხარდაჭერაა.

5147. სიმდიდრის შეფასება-გადაფასება სიწმინდეებისაგან გვაშორებს.

+5148. საზოგადოების ხერხემალია ეკონომიკა, პოლიტიკა კი – ამ ეკონომიკის იდეური დასტური.

+5149. პოლიტიკა ევნუხსა ჰგავს, როცა გადაუჭრელი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა არ ძალუძს.

5150. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეკონომიკის მამოძრავებელ და პოლიტიკის მხარის დამჭერ ძალად დღეს მასა გვევლინება.

5151. პოლიტიკა და ეკონომიკა ერთურთს თუ არ ეთანხმებიან და ერთმანეთს თუ გამოცდილებას არ უზიარებენ, იმ მთავრობისა და ქვეყ-

ნის საქმე წასულია

5152. იქ, სადაც ყველა მოგებული რჩება, პოლიტეკონომია კრახს არ განიცდის.

5153. ფინანსური გარანტია – ეს ყოფის თავისებური უსაფრთხოების ბალიშია.

5154. სიმდიდრე ბოროტებად არასოდეს უნდა ვაქციოთ, თორემ ადამიანის სახეს დავკარგავთ.

5155. ბიზნესი გამართლებაა, უფულოდ მისი წამოწყება ხელოვნებაა. რაც შეეხება ეკონომიკას, ის ბიზნესთან თეორიებით ჭიდილის ხელოვნებაა.

5156. უეფექტო მმართველობა და ეკონომიკის საწყისების ალგორითმის არცოდნა ქვეყნის, სახელმწიფოებრიობის დაჩიავებას იწვევს.

5157. მოქალაქე ქვეყნის ბიუჯეტის შემვსები იარაღია.

5158. ბიზნესიც თავისი კომბინაციების ხუშტურებით იღვწის და ზოგჯერ კარგ შედეგსაც აღწევს.

5159. ქვეყნის სათავეში ძლიერი პიროვნების მოსვლა დროებითი წარმატების გარანტია, მაგრამ საბოლოოდ ქვეყნის განვითარების გარანტი მაინც სწორი ეკონომიკურ-პოლიტიკური კურსია.

5160. გონიერი ხელისუფალი ეკონომიკიდან იწყებს წინა მთავრობის შეცდომების გამოსწორებას და ხალხს მის უპირატესობას საქმით აჩვენებს და არა ყბედობით.

5161. არშემდგარ ქვეყნებს ხშირად საზღვარგარეთ საყველპურო განათლებამიღებული აუტისტი მმართველები მართავენ. ამიტომაცაა, რომ ამ ქვეყნის პოლიტეკონომიკური ჩიხიდან გამოსვლას საშველი არ ადგება.

5162. დღეს მექალთანეთა ოდენობამ საგრძნობლად იკლო და მეკაცთანე ქალების ოდენობამ იმატა, რაც ეკონომიკის ქრესტომათიული სვლის შედეგია.

5163. ის, რაც მომავლის განჭვრეტით დაგეგმილ ეკონომიკას არ ეთვისება, არ შეიძლება საბოლოოდ მოგებიანი იყოს.

5164. რწმენა და ინვესტიცია თუ ბიზნესში ერთდროულად არ ჩაიდო, ის საქმე ვერ იხეირებს.

5165. პრაქტიკა თეორიაზე გაცილებით მეტ შემოსავალს იძლევა, მაგრამ უთეორიოდ ის წინ ნაბიჯსაც ვერ წადგამს.

5166. არაფრიდან მატერიალური დოვლათის შექმნაა ნაღდი ეკონომიკა და არა არსებულიდან რაღაცის კეთება.

5167. ხალხი ეკონომიკის საფუძვლებში ოდნავადაც რომ ერკვეოდეს, ამდენ პოლიტიკურ ვიგინდარას თავზე არ დაისვამდა.

5168. ეკონომიკურ პრობლემებს თანხების მოზიდვა ქმნის და არა გასესხება და გასესხებულის მორიგებით ამოღება.

5169. ბიზნესი ჭეშმარიტების განსჯის საშუალებას არ იძლევა, რადგან აქ მთავარი აიწონა-დაიწონა კი არ არის, არამედ დაბალანსების პრინციპი.

5170. ეკონომიკის დამოკლებული საბნის გაწვდენა ყველაზე მეტად ხანდაზმულებს უჭირთ თავიანთი უპერსპექტივობის და ყავლგასულობის შეცნობის გამოისობით.

5171. როდესაც სახელმწიფოს მართვის ბედ-ილბალი ერთი კაცის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, იქ ბიზნესში ფულის ჩადება სიბრიყვეა.

5172. შეუსაბამოდ დასაქმებული მუშახელი ქვეყნის ეკონომიკურ კრიზისზე მიგვანიშნებს.

5173. წყალში ჩავარდნილი რომ არ დაიხრჩოს, მას თავის დროზე ცურვა უნდა ესწავლა; ასევეა ცხოვრებაში – დროულად ხელის განძრევაა ეკონომიკის ჭაობიდან ამოსავალი.

5174. უძრავი ქონების შეძენა გონივრული ბიზნესია, მაგრამ არა პოლიტიკურად აჭრილ ქვეყანასა და იმ მასაში, სადაც თავადაც არ უწყიან, რა უნდათ.

5175. ხშირად ეკონომიკის შოკურ თერაპიაში, თუ გონივრული პოლიტიკის საწყისებს არ ჩავდებთ, შეიძლება ქვეყნის ნგრევის ქირურგია მოჰყვეს.

5176. მაღალი ეკონომიკური მიღწევების მქონე ქვეყანაში ფაქტობრივად მისი მოქალაქენი დაქორწინებულები არიან თავიანთ სამსახურზე, რაც მათი ყოფიერების უკეთ უზრუნველყოფის გარანტია.

5177. ეკონომიკური გადაცდენა, რომელსაც პირადი გამორჩენა არ უდევს საფუძვლად დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს.

5178. განუსჯელი, ბრიყვული ოპტიმიზმი, ქვეყნის პოლიტეკონომიკას აკნინებს და აჩმორებს.

5179. თანამედროვე პოლიტეკონომიაში წესიერების განსჯა-გარჩევა გაჭირდა, რადგან, გონიერების გამჭრიახობამ თუ გამონაკლისი არ დაუშვა, არც საქმე კეთდება და არც მოგება გვრჩება.

5180. ფასების ზრდას ჩვეულებრივი მოკვდავის ხელფასი ვერ ეწევა და მარად წინ უსწრებს.

5181. მოგება-წაგება, მართალია, ძმები არიან, მაგრამ სხვადასხვა მშობლები ჰყავთ.

5182. ეკონომიკას თავისი დაუნდობელი კანონი აქვს: „გასაზიდი“ „მოსაზიდს“, ანუ ექსპორტი იმპორტს, უნდა სჭარბობდეს, თუ გვინდა საკუთარ ქვეყანაში თავი ეკონომიურად ლაღად ვიგრძნოთ.

5183. სიმდიდრის შოვნა გონიერების გადახარშვას მოითხოვს, რადგან გამდიდრებას საგანგებო მენტალიტეტი და მოხერხება სჭირდება.

5184. სოციალური სამართლიანობის დაცვა მმართველობის სტატუსის რისკის ფასად მოიპოვება, რადგან ყველას სიკეთის მიღება უნდა, ხოლო ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად რაიმეს გაღება ყველას ეზარება.

5185. შემოქმედმა ბიზნესმენმა სხვებიც უნდა აიძულოს, რომ მასთან ერთად საქმე აკეთონ, რადგან „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“.

5186. ეროვნულობა მანამდის არის წარმატებული და ხელისუფლება მისაღები, სანამდის ის ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას ემსახურება.

5187. ხელფასი – ეს ისეთი უხიაგი საკუთრებაა, რომ ის ადამიანს არასოდეს ყოფნის და თვალი მარად დანამატის, პრემიების და „უკუგორებისკენ“ გაურბის.

5188. პოლიტიკური მომზადებას ეკონომიკის ცოდნა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელთ უგემური ნახარში შეგვრჩება.

5189. ეროვნული თვითშეგნების განუსჯელი აფეთქებაა, რომ ქვეყნის მთლიანობას და მის ეკონომიკას ძირს უთხრის.

5190. მოღალატური ბუნება და ცალკეულ პირთა განდიდების მანია ყველაზე მეტად ეროვნულობას, სახელმწიფოებრიობასა და მის ეკონომიკას ვნებს.

5191. ეკონომიკა სრულყოფილი მეცნიერება არ არის, რადგან ის ქვეყნის მმართველის უნარზე და ხალხის ფსიქოსზეა დამყარებული, რომლის წინასწარ ბოლომდის ჭვრეტა, გამოცნობა თითქმის შეუძლებელია.

5192. ეკონომიკა, პოლიტიკისგან განსხვავებით, მანიპულირებას ვერ იტანს, რადგან ის ადრე თუ გვიან თავისი პრობლემებით თავს მაინც წამოყოფს.

5193. ვითომ რაღაცის კეთებაა, რომ სახელმწიფოებრიობას სახელს უტეხს და მის ეკონომიკას აჩმორებს.

5194. პოლიტიკისაგან განსხვავებით, ბიზნესს დღესასწაულებზე დროს დაკარგვის უფლება არ აქვს, რადგან ცოტაოდენი მოდუნება და ყველაფერი უკუღმა დატრიალდება და ზარალით დამთავრდება.

5195. შექმნილი მდგომარეობის სათანადოდ შეუფასებლობა ყოველთვის ზარალიანია ყოველ დარგში, განსაკუთრებით – ეკონომიკაში.

5196. ძლიერი პიროვნების გამოჩენის გარეშე ქვეყანაში პროგრესული ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობანი არ ჩნდებიან.

5197. ხელმომჭირნეობასაც თავისი კოდი აქვს და მას ამოხსნა სჭირდება.

5198. დაუღალავი შრომაც კი, მსხვერპლის გაღებისა და ტექნიკური პროგრესის დამუღამების გარეშე, ეკონომიკის მწვერვალებს ვერ იპყრობს.

5199. ფსიქოლოგიური ფაქტორი ზურგის ქარის როლს ასრულებს როგორც პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკაში.

5200. როდესაც ხელისუფალი ეკონომიკაში ღმერთს არ უქნია, მას აქცენტი პოლიტიკაზე გადააქვს და ამით ქვეყნის საფუძვლებს კიდევ უფრო მეტად აზიანებს.

5201. რაციონალური ეკონომიკის, მოხერხებული პოლიტიკის, კანონის უზენაესობის და მომავლის რწმენის გარეშე, ქვეყნის ფეხზე წამოყენება შეუძლებელია.

5202. ბიზნესს ფეხებში არაფერი უნდა ებლანდებოდეს, თუ გინდა ის წარმატებული იყოს და ქვეყნისთვის დოვლათის მომტანი.

5203. როდესაც შიდა ბაზარი აგებულია იმპორტზე, ეს ქვეყნის ეკონომიკა კი არა, მისი პროვოკაციაა.

5204. დემოკრატია – ეს არის ქვეყნის მმართველობის ერთ-ერთი სახე, რომელიც უნდა გაითავისონ იმ ქვეყნებმა, რომლებიც უკვე ჩამოყალიბდნენ და არა იმათ, ვინც ჩამოყალიბების მიჯნაზეა და ეკონომიკა ძლივს სუნთქავს.

5205. ქვეყნის ეკონომიკას ამბიციების მქონე კრედიტორები ანგრევენ, რომლებიც წამხედურობით ფუფუნების საგნების შესაძენად ვალს იღებენ და არა დასაქმებისთვის განკუთვნილ საშუალებებს ეძებენ.

5206. პატარა და სუსტი ეკონომიკის ქვეყნებს იმიტომაც უჭირთ ძლიერი მფარველი ქვეყნების მოძიება, რომ ამ უკანასკნელთ მხოლოდ სიტყვით აინტერესებთ ამ „პახმელიაზე“ შექმნილ სახელმწიფოთა კეთილდღეობა და არა საქმე.

5207. ფასის წარმოქმნის ატრიბუტებია: დაზვერვა, შევაჭრება, მოგების დაგეგმვა და გასაღება.

5208. ყველა დროს თავისი გადასახედი უნდა ჰქონდეს, ოღონდ ხელმძღვანელობდეს ეკონომიკაზე დამყარებული ფილოსოფიით.

5209. ბიზნესის საწარმოებლად აუცილებელია მოქნილი სინდის-ნამუსი.

5210. ოქროთი დაფინანსებული მეცნიერული მიღწევები თავადვე ითხრის სამარეს. დღესაც ამბობენ, ჩიტის დასკინტებამ ფული იცისო და ეს მცნება მეცნიერებამ რეალობად აქცია დღეს „ქაქიდან“ ოქროს იღებენ და, რამდენად გაუფასურდება ეს ბრჭყვიალა მეტალი და რა არევ-დარევას შეიტანს მსოფლიო ეკონომიკაში, ჯერ არავინ უწყის.

5211. იყო მოქალაქე, ნიშნავს სხვის ნებასაც ანგარიში გაუწიოთ, მაგრამ არა ქვეყნის ეკონომიკის ხარჯზე.

5212. ბიზნესს დიპლომატიის გარეშე ფეხზე წამოდგომა და განვითარება უჭირს.

5213. ეკონომიკურად მოსახლეობას უმეტესად ხელისუფალთა უნი-

ათობა, გამოცდილება, დიდი გამორჩენის სურვილი აზიანებს, ვიდრე თავად მოსახლეობის მიერ განუსჯელი არჩევანის კეთება და ქმედება.

5214. დღევანდელი ეკონომისტების პროგნოზთან შედარებით სინოპტიკოსების ცოდვები უცოდველად გამოიყურება, ხოლო წინდაუხედავად პოლიტიკოსებთან შედარებით ისინი ანგელოზებად გვევლინებიან.

5215. ამომრჩეველი ჭკუას ვერასოდეს სასიკეთოდ ვერ მოუხმობს, სანამდის ქვეყნის უნიათო პოლიტიკა, ეკონომიკა მის ინტერესებს ცხვირ-პირს ნიშნის მიგებით არ დაუნაყავს.

5216. ქვეყნის სათავეში უნდა მოვიდეს ალღოიანი პიროვნება და არა ხალხის „მოსაწონი“ ყბედი პოლიტიკანი, თუ გვინდა ხალხმა ქვეყნის კონსტიტუციას და კანონებს პატივი მიაგოს და ეკონომიკამ სასიკეთოდ იჟივჟივოს.

5217. სოფლის მეურნეობა სახელმწიფო დოტაციების და რეგულირების გარეშე ჩაკვდება და ეს გაცილებით მეტი ზარალის მომტანია ქვეყნის ეკონომიკისთვის, ვიდრე ყველა სახის რევოლუცია და ბუნტი.

5218. შეძენას უნარი, ნიჭი სჭირდება, სარფიან ჭვრეტას – განგების წყალობა, რადგან სიმდიდრე ადვილად არც მოდის, არც გროვდება და არც ინახება.

5219. ურთიერთმომსახურების სურვილი და უნარი ის ძალაა, რომელიც სახელმწიფოს ძლიერებას ხორცს ასხამს და მის ბიუჯეტს ავსებს და ამყარებს.

5220. პოლიტეკონომიკური ცოდნა საკმარისი როდია ქვეყნის სამართავად. თუ გამოცდილება, ნიჭი და ბედი მხარში არ გვიდგას და ზურგს არ გვიმაგრებს.

5221. პოლიტიკური ონანიზმი შედეგს არ იძლევა, განსაკუთრებით – ქვეყნის ეკონომიკაში.

5222. ქვეყნის ეკონომიკას პოლიტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის სოციალური ყოფის კედელზე მიბობღავს.

5223. სახელმწიფოს ძლიერებას მარტო ეკონომიკის „გაქაჩვა“ როდი შველის, თუ მას სათანადო პოლიტიკაზე მორგებულ კანონმდებლობასაც არ მივაშველებთ.

5224. ბიზნესს რაც სჭირდება და რაც არ სჭირდება, მუქთად იღებს, ხოლო, რაზეც უარს ეუბნებიან, ისაკუთრებს.

5225. საკრედიტო ბარათით ცხოვრებას ცდილობენ ხელმომჭირნენი, ხოლო ფულს ფანტავენ ხელგაშლილები, მაგრამ ქვეყნის ბიუჯეტისთვის ამას სარგებელი როდი მოაქვს.

5226. თუ გვინდა, ქვეყანაში სიმშვიდემ დაისადგუროს, ადამიანს უნდა შევაგნებინოთ, რომ მან უნდა მიიღოს მხოლოდ ის, რასაც მისი ქვეყნის ეკონომიკა იძლევა და არა ცრუ პატრიოტიზმი.

5227. მეხივით თავს დატეხილი და ყოველივეს „წამლეკავი“ სიყვარ-

ული ხშირად ხანმოკლეა, თუ მას ჯეროვან ეკონომიკურ პლატფორმას არ დავახვედრებთ.

5228. ქვეყნის ავკარგიანობას მისი ეკონომიკური შესაძლებლობები განსაზღვრავს და არა განუსჯელი ამბიციები.

5229. ეკონომიკა საიუველირო სამუშაოა და ის დარგის დიდოსტატს უნდა ვანდოთ, რათა სულ მცირედი იაღლიშიც არ მოუვიდეს და ქვეყნის წინსვლას არა ავნოს რა.

5230. გონიერმა ხელისუფალმა ეკონომიკის საძოვრებზე ხალხი ძალად უნდა შერეკოს, რათა ეკონომიკურად გარანტირებული წინგადადგმული ნაბიჯების შედეგი მიიღოს.

5231. ვიყოთ გამარჯვებულ და წარმატებულ ქვეყნებზე დამოკიდებულები – ეს ამბიციურ სიბრიყვეს, რადგან ქვეყნის ძალას ეკონომიკა ქმნის და არა გაურკვეველი ვიღაცის და რაღაცის იმედი.

5232. პატრიოტიზმი მთელი ერის დარაზმვას გულისხმობს ერთი მიზნის მისაღწევად. ეს მიზანი ფაქტობრივად ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერებას გულისხმობს.

5233. საზოგადოების ხასიათზე მორგებული კანონები და მისი დიქტატი – წესრიგის დედა და ქვეყნის ეკონომიკის აყვავების საფუძველია.

5234. დღეს რეკლამა ბიზნესის მამოძრავებელი ძალაცაა და გონების დამჩლუნგებელიც, რადგან ურეკლამოდ არჩევანის გაკეთება უკვე ჭირს.

5235. ბიზნესი ვაკუუმს ვერ იტანს, პოლიტიკა – აჩქარებულ ქმედებებს, ხოლო ეკონომიკა – ორივეს ერთად.

5236. ეკონომიკური ომის წაგება შიდა ძალების აშლილობას იწვევს, ხოლო პოლიტიკური დაპირისპირებისას წაგება ერის გარკვეულ ნაწილს აერთიანებს და ბრძოლისათვის განაწყობს.

5237. დამეგობრება და ერთად ფულის შოვნა ადვილია, მაგრამ შემდგომ თანხის გაყოფა და განაწილება ხდება ძნელი.

5238. კანონმდებლობის, საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და პირადი ინტერესების ერთმანეთზე უპრობლემო მორგება ეკონომიკის წინსვლის ბერკეტია.

5239. ყველაზე მეტად გამოუყენებელი ეკონომიკაში დროა, რომლის დროულად დაუბანდებლობა უპირველესი დანაშაულია.

5240. ეკონომიკაში ყველა წამი დაკარგულია, თუ ხელისუფლება ფულს არ გამოიმუშავებს, ყველა წუთი გაცდენილია, თუ სახელმწიფო თავის კუთვნილ შემოსავალს ვერ იღებს, და ყოველი საათი დაკარგულია, თუ ქვეყნის ბიუჯეტი ჯეროვნად არ ივსება.

5241. კეთილი გულის „კოოპერატივი“ ყველა სახის ეკონომიკასა და პოლიტიკას ვნებს.

5242. ტექნიკური, ეკონომიკური თანამედროვე მიღწევების დროულად დანერგვა ქვეყანაში მის გაძლიერებას იწვევს და გარანტი ხდება სიმშვიდის შენარჩუნებისა.

+5243. ცოდნა თავისებური ბიზნესია, ხოლო გონიერება – მისი მენეჯერი.

5244. გულგრილობის „ატრაქციონი“ ეკონომიკაში დიდხანს ვერ გაგრძელდება, თუ ეკონომიკას ტექნიკური პროგრესის გამომყენებელი მოსახლეობა მხარს აუბამს.

5245. ბიზნესი აგებულია შემთხვევებზე, ფულის დაბანდებაზე, ნდობაზე, ხოლო ამ უკანასკნელის დაკარგვა გაკოტრების ტოლფასია.

5246. უპროცენტო სესხის გაცემა კეთილი საქმეა, მაგრამ ბევრი ამას ვერ იგებს და არც აფასებს.

5247. ეკონომიკას უნდა ვანდოთ ქვეყნის სურსათით მომარაგების რეგულირება და არა ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა, რადგან ეს უკვე პოლიტიკის საქმეა.

5248. ბიზნესში ყველა ეშმაკობს, მის რეგულირებას კანონი როგორც არ უნდა შეეცადოს, რადგან მისი მამოძრავებელი ძალა მოგებაა, ურომლისოდაც ის ვერ იარსებებს და რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

5249. ისტორიის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა ფულის მშოვნელი ეკონომიკაა, ურომლისოდაც ხელისუფლება ძუნწი და ხელმოჭრილია.

5250. ბიზნესის უმთავრესი დანიშნულებაა, იპოვოს გასაღების ბაზარი, რადგან ბევრი რამის შექმნა და წარმოება პრობლემა არაა.

5251. ხელისუფლებაში შტატების მოჭარბება ქვეყნის ბიუჯეტის არარაციონალურ ხარჯვას ხელს უწყობს.

5252. ზოგ უგვანო და მოუწყობელ ქვეყანაში მბჟუტავი ეკონომიკის სინათლე გვირაბის ბოლოში ჩაქრობა-ანთებით გამოჩნდება.

5253. შემფასებელი, დამფასებლისგან განსხვავებით, წმინდანი ვერ იქნება, რადგან ის კომერციას ემსახურება.

5254. პოლიტიკა, ეკონომიკა ციფრების შეჯერებით უნდა წარმოჩნდეს და არა მჭევრმეტყველებით.

+5255. იმ ქვეყანაში, სადაც ბიზნესი მუდამ თავის გადარჩენაზე ფიქრობს, საქმე კარგად ვერ არის.

ვექილი, კანონი, სამართალი

5256. ყველა საკითხში წესრიგი და კანონი მათემატიკური სი უსტით უნდა დავიცვათ, მათ შორის ალბათობის თეორიის გამოყენებითაც.

5257. კანონის უმთავრესი ძალა მისი საჭიროება, სამართლიანობა და გონიერებაა.

5258. ხელმოცარულის ერთადერთი იმედია, ყველა სახის არეულობას მიეკედლოს და მისი იმედი იქონიოს, რაკილა ამ „საქმეს“ ტვინი და გონი არ სჭირდება.

5259. კანონი ზომიერებისა და პრინციპულობის გარეშე ქმედითი ვერ იქნება.

5260. კანონს გამონაკლისი ალამაზებს და საინტერესოს ხდის.

5261. სადაც ხელი ხელსა ბანს, იქ კანონსა და სამართალზე საუბარი უხერხულია.

5262. კანონი წესიერ ქცევასა და ცხოვრების ცოდნას გვავალდებულებს.

5263. კანონს, რომელსაც თავისი უსუსურობის გამო გულით შეაგინებ, სამართლიანობის დამცველი კი არა, მისი პროვოკაციაა.

5264. დიპლომატია მოხერხებული და საჭირბოროტო კითხვის დასმის ხელოვნებაა, როცა შედეგი წინასწარ არის განჭვრეტილი.

5265. მოწმედ ყოფნას ზოგჯერ სისხლის სამართლის სუნი ასდის.

5266. კორუფცია – ეს არის ბიზნესისმაგვარ საწყისებზე აღმოცენებული აღებმიცემობითი ურთიერთგაგება.

+5267. მუდმივი ცვლა კანონებს ფერსაც უკარგავს, ძალასაც და ზნესაც.

5268. არბიტრისა ყველაზე მეტად სინდისი ფასობს და არა მისი კვალიფიკაცია.

5269. შედევრის შემქმნელმა მიუხვედრელ თანამედროვეებს უნდა შეუნდოს, რათა მათ მომდევნო თაობებმა თავს რისხვა არ დაატეხონ.

5270. პარლამენტი იმედებს გვიცრუებს, მაგრამ პარლამენტარებს ამომრჩევლებზე ზრუნვის მტკიცე ალიბი აქვთ – ყბედობა.

5271. კანონის უგერგილობა, უნიათობა მის შემთხზველთა ბრალია და არა თავად კანონის აღმასრულებლებისა.

5272. კანონის პატივისცემა და მისდამი მორჩილება ნდობის გარანტიის სინონიმია.

5273. არის კანონი, რომლის დროებით დაურღვევლად სამართლიანობა, კანონიერება ვერ იზეიმებს და იღვაწებს.

5274. სიმართლესა და სამართლიანობას ყოველთვის წაგებული მხარე დაეძებს.

5275. ზოგჯერ სამართლიანობაა ის, რაც შეგრჩა და შეირჩინე.

5276. ეჭვი, ორჭოფობა არცთუ ცუდი თვისებაა გამომძიებლისთვის, თუ გონიერებას უკავშირებს.

5277. გადაუჭრელი ამქვეყნად არაფერია, წარუმატებლობა მხოლოდ დროებითი ამბავია და გაუგებრობის შედეგია.

5278. კანონის ბრმა უზნეობას მხოლოდ უნიათო და ბუნებით სუსტი ადამიანები ითხოვენ და ისიც სხვებისთვის.

5279. ცრუ სამართალზე დაყრდნობა სასურველ შედეგს არ იძლევა და ზოგჯერ საწინააღმდეგოდ მოქმედებს, განსაკუთრებით ზემდგომთან დაპირისპირების დროს.

+5280. სახარების კითხვა დღეს მორალზე ალაპარაკების უფლებას გვაძლევს.

5281. კანონის უმთავრესი ნაკლი ისაა რომ შესაძლებელია მასთან ვაჭრობა.

5282. სამწუხაროდ, კანონი გარკვეული პრივილეგირებული ნაძირალებისათვის არ არსებობს, თუ ისინი სახელისუფლებო შტოებში არიან მოკალათებულები ან ხელისუფლებასთან არიან „შეკრულნი“.

5283. წერა-კითხვის იმედი ყველა მომჩივანს აქვს, მაგრამ ხშირად იმედი უცრუვდებათ საქმის გაჯანჯლებისა და დროის გაყვანის გამო.

5284. კანონმდებლობაში დატოვებული საძრომიალო დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებრივ აზროვნებასა და ქვეყნის ბიუჯეტს.

5285. ქვეყნის კონსტიტუცია კრუხის როლს უნდა ასრულებდეს – ყველას უნდა დაჰყურებდეს, რომ კანონსა და სამართლიანობას არ უგანონ.

5286. აბორტი წინასწარგანზრახული დანაშაულია-მკვლელობაა, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი და კანონმდებლობა ამაზე თვალს ხუჭავენ, უნდათ ერთმანეთს გაუგონ.

5287. კანონით ვიმოქმედებთ თუ „განსჯადი სამართლის“ პრინციპით, სადავო დილემაა, რადგან ყველას თავისი გაგება და შეხედულება აქვს ამის თაობაზე.

5288. მოსამართლე უფრო მეტადაა განსასჯელი, რომელმაც დამნაშავეს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა, თუ ის ჯალათი, რომელმაც განაჩენი სისრულეში მოიყვანა? მასას რატომღაც ეს უკანასკნელი მიაჩნია ცოდვის შვილად და მის მიმართ მტრულად არის განწყობილი.

5289. კანონის უზენაესობა და მორალის პარამეტრების დაცვა? საჩოთირო კითხვაა, მაგრამ კანონი, მცდარიც რომ იყოს, უცვლელად უნდა აღსრულდეს, სხვაგვარად სახელმწიფოებრიობა აზრსა კარგავს.

5290. ზოგჯერ მორალი და კანონი ერთმანეთს უპირისპირდება, მაგრამ კანონის აღსრულება მაინც ხდება და ეს სწორია.

5291. რიდს, მოკრძალებასა და კანონისადმი პატივისცემას ბევრი

კეთილი საქმე უკეთებია.

5292. სისულელეების ვექილი, უწინარეს ყოვლისა, გულია.

5293. ყველას ჩვენი სამართალი და სიმართლე გვაღელვებს, თანაც ისე, რომ კანონმდებლობას ჩვენებურად ვწყვეტთ და თავსაც ვამადლით.

5294. კანონმდებლობის „გაუპატიურებას“ ყველაზე ხშირად მისი „დამცველი“ ხელისუფალი ცდილობს.

5295. სსრ კავშირის კანონით ბევრი რამ იყო შეზღუდული, მაგრამ, სურვილის შემთხვევაში, ბევრი რამ – შესაძლებელიც.

5296. სამართლის არა მარტო მიგნება, არამედ აღიარებაც სჭირდება, მაგრამ უფრო ძნელია მისი აღსრულება.

+5297. ქვეყნის კანონმდებლობაში შეიძლება იყოს, ერთი შეხედვით, დღევანდელი ცივილიზაციისთვის მიუღებელი შემოთავაზებები, მაგრამ აქ მთავარია შედეგი და შენი ხალხის ბუნების ცოდნა.

5298. ქვეყანაში შერჩევითი სამართლის არსებობა კანონიერებისთვის ზურგში დანის ჩარტყმის ტოლფასია.

5299. მოსამართლე, არბიტრაჟი, მსაჯი – ამათ ფაქტობრივად არც სამშობლო უნდა ჰქონდეთ და არც ეროვნება, თუ ისინი თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან და ხალხს მიუკერძოებლად ემსახურებიან.

5300. ცხვარი რომ მგლების გასამართლებას დაიწყებს, იმ ქვეყნის საქმე წასულია.

5301. სამართლიანობა და სიმართლე ყველა დროისა და გარემო პირობების უდიდესი მონაპოვარია, იმისდა მიუხედავად, შედეგს აღწევს თუ არა.

5302. სამწუხაროდ, ბევრი უსამართლობა დღესაც სამართლიანობის სახელით კეთდება, რომელსაც ზოგჯერ საყველპურო შედეგიც მოაქვს დიქტატურის მოტრფიალე სუსტი ხელისუფლის ხელში.

5303. მზეთუნახავ ქალებს საჯიშე მამაკაცები უნდა გაეარშიყონ და საწოლში შეიტყუონ, რათა სილამაზისა და ჯიშის გაძლიერება მოხდეს.

5304. ვექილის სიღარიბე წარმოუდგენლია, რადგან ამდენ ჭკუანაღრძობ ხალხში საკბილო არ ნახოს, შეუძლებელია.

5305. სამართალსაც თავისი „აიწონა-დაიწონა“ აქვს: ყველასთვის არც მისაღებია, არც მოსაწონი.

5306. უკანონობა დაუსჯელობის სინდრომს ავითარებს, მიუხედავად მისდამი შიშისა.

5307. დანაშაულს კანონით მისჯილი სასჯელი გამოისყიდის და არა ქველმოქმედება

5308. უცნობის გასამართლებას უფრო სამართლიანად ვახერხებთ, ვიდრე ნაცნობისას, იმისდა მიუხედავად, მისი მოყვარე ხართ თუ მტერი.

5309. ყველა ჩვენგანი საკუთარი ჭკუა-გონების ადვოკატია.

5310. კანონის არცოდნა მისდამი უპატივცემულობის გამოხატვაა, ხოლო სამართლიანობის უგულებელყოფას უგუნურებამდე მივყავართ.

5311. ფაქტების საწინააღმდეგო ალიბის მოძიება ძნელია, მაგრამ, ვინც ამას ახერხებს, ის ან ვექილია, ან ძლიერი პიროვნება.

5312. მართლმსაჯულება იმდენად ობიექტური და შეუვალი უნდა იყოს, რომ ხელისუფლებამ მის წინააღმდეგ ფიქრიც ვერ გაბედის.

5313. სიმართლე მტკიცებულება ყოველთვის როდია და ეს მისი სისუსტეა.

5314. მართლმსაჯულება მაშინ იზეიმებს, როდესაც მას სისხლის სამართლის დამნაშავე აღარ ეყოლება და სიმართლის დასაცავად სინდისის რეკლამირება არ დასჭირდება.

5315. ნაძირალები არც ისე ცოტაა, ოღონდ მათი გამოვლენა ძნელია.

5316. სინდის-ნამუსის მუხლი კანონმდებლობაში არაა შეტანილი და ხშირად არც მოსამართლენი ითვალისწინებენ, რადგან განსჯა მტკიცებასა და რეალურ შედეგს ეყრდნობა.

5317. კანონი იმდაგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ მას დამატებითი სიმკაცრე არ სჭირდებოდეს განაჩენის გამოტანისას.

5318. განგება სამართლიანი კანონების შექმნას გვთავაზობს, რომელსაც ეშმაკობაში გამოწრთობილი იურისტები უპირისპირდებიან.

5319. ნახევრად სიმართლესთან ჭიდილი სამართალსაც უჭირს.

5320. სისხლის სამართლის კოდექსით გაუთვალისწინებელ დანაშაულსაც დეგრადირებამდე მივყავართ, რაკიღა დანაშაულის ჩადენას ალიბი აქვს, მაგრამ არა – გამართლება.

5321. უსახური მიზნის განსჯა პროკურატურას კი ამშვენებს, მაგრამ მორალის მსაჯულად არ გამოდგება.

5322. შესაძლებლობებზე წინ, ეტყობა, უფლებები დგას, რადგან შეგიძლიათ, მდიდრული აპარტამენტები შეიძინოთ, მაგრამ გეკითხებიან – საიდან? ხოლო უფლებას ამ კითხვას არ აკადრებენ, რადგან უფლებას ქმნის კანონიერი შემოსავალი, როცა ხელფასი ამის საშუალებას იძლევა.

5323. ღმერთმა შექმნა კანონები და წარმოაჩინა კანონიერება, ხოლო იურისტები თავიანთი მცდელობის ხარჯზე სახელსაც იხვეჭენ და სახრავსაც.

5324. ხშირად სახელმწიფოს კანონი ერთია, ცხოვრების წესი კი – მეორე და აქ მთავარია დაკვირვება – პიკანტური სვლებით იმდაგვარად იარო, რომ არც კანონს დაუპირისპირდე და ადამიანურადაც იცხოვრო.

5325. ადრენალინის გამოყოფა კანონების დიქტატს არ ემორჩილება და ამიტომაცაა გონისთვის საინტერესო.

5326. კანონი ყველასათვის ერთია, ცხოვრების წესი – სხვადასხვაა,

ასე რომ, მათი დროსა და გარემოსთან შერწყმა გარდაუვალია.

5327. ინტერესებს ბალანსი არ საჭიროებს, მაინც კანონის საწინააღმდეგოდ და მისი ჩასწორებისთვის იღვწის.

5328. ადვოკატის უპირველესი მისიაა, კონფიდენციურ ამბებს ისე მოექცეს, რომ იმქვეყნადაც არავის გაუმჟღავნოს.

5329. სამართლებრივი განუკითხაობაა, სიმართლეს რომ თვალში ნაცარს აყრის.

5330. „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“ – ეს იმ შემთხვევაში, თუ შენი განათლების შესატყვისად დასაქმდები, რადგან კუჭი თანდათან უფრო მეტად მომთხოვნი და მოწადინე ხდება.

5331. კანონის მოწოდებაა, არა მარტო დაიცვას ადამიანის უფლებები, არამედ აღზარდოს კიდეც.

5332. ყველა ის მოქალაქე, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ სახელმწიფო გადასახადებს არ იხდის, ფაქტობრივად კონაონმდებლობას დასცინის.

5333. კანონშიც მოიძიება დაუწერელი კანონები, თუ ხელისუფალი ამას მოინდომებს და იკადრებს.

5334. შეიძლება, კანონი მკაცრიც იყოს და უსამართლოც, მაგრამ დროისთვის საჭირო და აუცილებელიც. ი. სტალინი თავისი მოღვაწეობის პერიოდში გლეხებს პასპორტს არ აძლევდა და აიძულებდა, მიწაზე ემუშავათ. იმ გაჭირვებულ დროს ის ცდილობდა გლეხი მიწაზე დაემაგრებინა და მოსავალი მოეყვანა, რაც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისთვის აუცილებელი იყო.

5335. შეგნებული და კანონმორჩილი ადამიანი დიდი რესურსია კანონიერების დასაცავად, მაგრამ მას გონებაგამჭრიახი სჯობს, რადგან ის კანონს ანგარიშს უწევს, მაგრამ არ ემონება.

5336. სიმართლისა და სამართლიანობის იმედი მარად უნდა გვქონდეს, რადგან ის ადრე თუ გვიან თავს წამოყოფს და ჭეშმარიტებას მხარში ამოუდგება.

5337. კანონის სიმართლე ტყუილსა სჯობს, ხოლო უკანონობა ტყუილით ზეიმობს.

5338. იარაღის აჟღარუნებას მიზეზი უნდა, ხოლო კანონიერების დადუმებას – თავხედობა.

5339. ზომიერი და სამართლიანი მოთხოვნები ხშირად აღსრულებადია.

5340. სამართლიან კითხვასაც ოპონირება სჭირდება, რათა ის საფუძვლიანად წარმოჩნდეს.

5341. იურისტისთვის მთავარი მტკიცებულებანია, ხოლო ადამიანური თვალსაზრისით, შეიძლება, ეს მტკიცებულებანი საზარალოც იყოს და აქ მთავარია საერთო ენით გამონახვა, რათა საზოგადოებრივ-

მა აზრმა არ იზარალოს.

5342. კანონის მორჩილს კანონის დამრღვევებთან საერთო ენის გამონახვა უჭირს და ეს მის წამოწყებას ხშირად ძალზე ვნებს.

5343. კანონის დიქტატურა ყურით მოთრეულ გამამართლებელ საბუთებს არ იღებს და დანაშაულს არც საძრომიალოს რასმე უტოვებს.

5344. სიმართლესა და სამართლიანობას არც უნდა გაექცე და არც ძალზე დაუახლოვდე; ვინ იცის, ხვალ რა დრო დადგება.

5345. სამართალს, სამართლიანობასა და სიმართლეს იმ შემთხვევაში მოაქვს სარგებელი, თუ საზოგადოება საამისოდ პრაქტიკულადაა მზად და არა თეორიულად.

5346. უაზრო და არაფრისმომცემი კანონების სიმრავლე სახელმწიფოებრიობის დევალვაციაზე მიანიშნებს.

5347. სიმართლე არ ჩერდება და არც ისვენებს, მისი მისწრაფება-მცდელობაა, სამართალმა „პური დროულად ჭამოს“.

5348. ბრალის დადება იგივე ჩივილია და კანონის აღსრულებამდე მას ერთი ნაბიჯი აშორებს.

5349. კანონის სიმკაცრე მასში საძრომიალოს მონახვის საშუალებას ნაკლებად იძლევა და მას უსიტყვოდ მორჩილებენ.

5350. სამართლისა და სამართლიანობის ცნებაც სხვადასხვაა, გააჩნია, ვინ რა სახის სამართლის და სიმართლის მოძიებითაა დაინტერესებული.

5351. ცხოვრება ზოგჯერ გვაიძულებს, კანონი დავარღვიოთ ან გვერდი ავუაროთ, მაგრამ არის რაღაც, რომლის ღალატი არ შეიძლება.

5352. კანონის მორჩილნი უნდა ვიყოთ და არა მისი მონები, თუ გვინდა საქმე შემოქმედებითად ვაკეთოთ და ირგვლივ მყოფთ სარგებელი მოვუტანოთ.

5353. ქვეყნის კონსტიტუცია იმგვარად უნდა დაიწეროს, რომ თავად კონსტიტუციამ დაიცვას თავი მისივე იდეალების ხელყოფისგან.

5354. კანონის მონა არ უნდა ვიყოთ, მაგრამ არც მისი ავტორიტეტის საზიანოდ უნდა ვაკეთოთ რაიმე.

5355. პირველ ყოვლისა, თავი პიროვნებად უნდა იგრძნო და მხოლოდ შემდგომ უნდა იბრძოლო სამართლიანობისთვის, საზოგადოების სიწმინდისათვის.

5356. კანონისთვის ზურგის შექცევა დასაშვებია, თუ ეს საერთო საქმეს ზიანს არ აყენებს და საქმიანობის დასაჩქარებლადაა განკუთვნილი.

5357. კანონის დანიშნულებაა სარგებლის მოტანა წესიერი გარჯა-ცხოვრების გზით.

5358. ზოგს პარლამენტში დასამტკიცებლად ისე უცნაური კანონი შემოაქვს, რომ ეს იგივეა, თვითმფრინავის პილოტი თავისსავე სამარ-

თავ სამგზავრო თვითმფრინავში ავიაბილეთის უქონლად რომ არ შეუშვათ.

5359. ხშირად კანონი ძალის უფლებით იმართება და არ გულისხმობს პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, რამაც დანაშაულის ჩადენა უნდა გამორიცხოს.

5360. მოქალაქეთა ურთიერთობა კოჰაბიტაციის საწყისზე, ყველაზე მეტად ვექილის დასაქმებას ვნებს – იგი უმუშევრად რჩება.

5361. ზოგჯერ მიხდება განათლებულ ინტელიგენციასთან საუბარი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამ ხალხს სახელმწიფოს ბედი კი არა, საკუთარი ბედიც კი არ უნდა ანდო, იმდენად მოსმენის უნარდაკარგული, ამბიციურები და ცხოვრების უცოდინარი აუტისტები არიან. ისევ ცხოვრებაგამოვლილ და გამოცდილ „უხუცესთა საბჭოზე“ უნდა გაკეთდეს არჩევანი.

5362. ჩვენი გაგებით ჩადენილი სამართლიანობა ბევრმა, შეიძლება, ვერცკი გაგვიგოს და ის უსამართლობად აღიქვას.

5363. კანონისა და კანონიერების დაცვა მხოლოდ მის ცოდნას არ ნიშნავს.

5364. მორჩილების კანონი მოითხოვს მოსამართლეთა აზრის შეჯერებას, პროკურორი – დამნაშავის დასჯას, ხოლო ვექილი ამ კანონების დამცველთა ორომტრიალში ყველას მხარეზეა და მაინც გამოსავალს თავისი კლიენტის სასარგებლოდ ეძებს.

5365. კანონის არა მარტო უნდა გვეშინოდეს, მას პატივსაც უნდა მივაგებდეთ, ვემორჩილებოდეთ და, თუ საქმის სასიკეთო კეთებისთვის აუცილებელია, უნდა ვაჩქარებდეთ, უმტკივნეულოდ და შეურაცხყოფის მიუყენებლად.

5366. ხშირად შელამაზებული სიმართლეც მოიკოჭლებს და მასაც ყველგან სათანადო შეფუთვა სჭირდება.

5367. წესიერებას რა სჯობს, მაგრამ კანონმორჩილი „დებილი“ მარად დაჩაგრულია და თავისი დროის შესატყვის პატივისცემასა და დაფასებას მოკლებულია.

5368. ზოგჯერ გასაჭირი ჩაგვადენინებს დანაშაულს და აქ ჰუმანიზმი და აღზრდა არაფერს შველის.

5369. უმთავრესია, თქვენის ქმედებით ქვეყნისა და ხალხის რეალურ ინტერესებს ზიანი არ მიადგეს, ხოლო საქმის საკეთებლად კანონისა და კანონიერებისთვის ზიანის მიყენება ზოგჯერ დასაშვებია რათა კანონმდებლობა დროის შესატყვისი გახდეს.

5370. კანონიერებას დროის შესატყვისი სამართლიანობაც თან უნდა ახლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავის მოვალეობას ვერ აღასრულებს.

5371. ადამიანთა ურთიერთობას კანონის პატივისცემა არეგული-

რებს და არა კანონისადმი გულგრილობა, რადგან მასში საძრომიალო, თუ გაგიჭირდა, ყოველთვის მოიძებნება.

5372. ეჭვიანობა ბედნიერებისთვის ზურგში დანის ჩარტყმის ტოლფასია.

5373. მცირედი დანაშაულის ჩადენისათვის ხშირი ფულადი ჯარიმები უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა და საზოგადოებიდან იზოლირება, ასევე გაცილებით შედეგიანი, ჩვენი დროისათვის მიუღებელი საჯაროდ გაჯოხვა.

5374. ის რის უფლებასაც ზოგჯერ კანონი გვაძლევს, ხშირად სინდისისთვის მიუღებელია, მაგრამ კანონის უზენაესობამ უნდა იყელყელაოს, თუ გვინდა სახელმწიფოებრიობას არ ვავნოთ.

5375. დიქტატურა, კარგი გაგებით, კანონით გვმოძღვრავს გარჯას გვაიძულებს იმედითა და სამართლიანობის დროშის ფრიალით.

5376. შეფასება-დაფასებაც ხშირად სინდის-ნამუსის ქონის ოდენობის საქმეა.

5377. კოდექსზე, წესზე, კანონზე მაღლა არავინ დგას, განსაკუთრებით – ზემდგომი.

5378. ბრალმა და შეურაცხყოფამ, დანაშაულმა და წყენამ სამართლიანობის საერთო ენა უნდა გამონახონ, რათა არცერთს გულში საწყენი არ დარჩეთ.

5379. კორუფციის, ნეპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა თავისუფლადაა შესაძლებელი, თუ დასჯის საფრთხე ყველას განურჩევლად დაემუქრება და აღსრულდება.

5380. კანონი და მორალი ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ უპირატესობა მაინც კანონის დაცვას უნდა მიენიჭოს, რადგან მისი უპატივცემულობა და კრიტიკა სახელმწიფოს ძლიერებას ვნებს.

5381. ნაძირალას გაზრდას არგაზრდა სჯობს, მაგრამ კანონმდებლობის გაუთვითცნობიერებელი ჰუმანურობა ამას არ ითვალისწინებს.

5382. ყველა ხელშეკრულება, შეთანხმება ცარიელ გარჯა-მცდელობად იქცევა, თუ მას ცხოვრების წესი და კანონი მხარს არ უმაგრებს.

5383. სამწუხაროდ, კორუფცია, ნეპოტიზმი და სხვა ნეგატიური მოვლენების არსებობა-არარსებობა გონიერი და პრინციპული ხელისუფლის ნებაზე და ქვეყნის კონსტიტუციის ვარგისიანობაზეა დამოკიდებული და არა პარლამენტსა და რომელიმე სხვა სახელმწიფო აპარატზე.

5384. კანონის დარღვევა ზოგჯერ შესაძლებელია, მაგრამ მას შეურაცხყოფა არ უნდა მივაყენოთ, არ გვაპატიებს.

5385. კანონიერება თუ ნაცნობობა – „ბლატი“? ხშირად ეს უკანასკნელი მძლავრობს და პირველს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

5386. კანონის წინაშე არის დანაშაული და არის ქმედება. პირველი

არ უნდა ჩავიდინოთ, მეორეთი უნდა ვეცადოთ „არც მწვადი დავწვათ და არც შამფური“, რადგან ეს უკანასკნელი ბიუროკრატიის წინააღმდეგ საბრძოლველადაა გამოყენებული, რომელიც სამართლიანობის დასამყარებლად ზოგჯერ აუცილებელია.

5387. სამართლის ანბანის შესწავლას, სულ მცირე, 5 წელი სჭირდება, ხოლო სამართლიანი განსჯის დამუღამებას 50 წელიც არ ყოფნის.

5388. კანონს უნდა მოვერგოთ, მაგრამ სასურველია, წინ არ გავუსწროთ. ეს სახიფათოა.

5389. ქვეყნისთვის საჭირო დროებითი პრაქტიკული პოსტულატები, შეიძლება, სამართლებლივი არ იყოს, მაგრამ ზოგჯერ საჭირო და აუცილებელია. იმ ქვეყნებში, სადაც შობადობა მოიკოჭლებს, წესი უნდა დავაკანონოთ: ვისაც სამ შვილზე ნაკლები ჰყავს, თანამდებობას ვერ დაიკავებს – მას მხოლოდ მრჩევლის სტატუსის მიღება შეუძლია.

5390. კანონსაც თავისი შეუვალობის ჩვენება და თავის დაფასება სჭირდება.

5391. კანონსაც და მის აღსრულებასაც პიარი სჭირდება, რათა მას პატივი მივაგოთ და გაფრთხილებულნიც ვიყოთ.

5392. ჩვენი ცნობიერების გარკვეული ნაწილი, უნდა – არ უნდა, ზოგჯერ დაუწერელ კანონებს მიაგებს პატივს.

5393. უსამართლობას ყოყლოჩინობა და დამცირებაც ახლავს. ამიტომ მას პასუხი უნდა ვაგებინოთ, კანონის მეშვეობით იქნება ეს თუ პირად შესაძლებლობათა გამოყენებით.

5394. ადამიანის მომხვეჭელ ბუნებას მხოლოდ კანონის ძალა და პატიოსნება შეიძლება წინ აღუდგეს, ოღონდ სუფთა ხელებითს და სამშობლოს მოსიყვარულე გულით.

5395. სუსტის ძალადობისაგან დაცვა კანონის უპირველესი მოვალეობა და არა კანონის ჩაფარცხვა.

5396. კანონმდებლობისადმი უმადურობა, უნდობლობა გონიერისთვის მიუღებელია, მაგრამ მოსალოდნელია.

5397. სამართლიანობის შედეგს გონი გააზრების შემდგომ აღიქვამს.

5398. დაპირისპირებისა და გაუგებრობის დროს სამართალი შურისძიების იარაღად არ უნდა ვაქციოთ.

5399. კანონს უნდა დავემორჩილოთ თუ სამართლიანობის აღდგენისთვის ვიბრძოლოთ? ეს სადავო საკითხია, რადგან ეგ ორჭოფობა რა ნეგატიურ პროცესებს გამოიწვევს დროსა და გარემოს შესატყვისად, არავინ უწყის.

5400. ყველამ კანონის შესატყვისად უნდა ვიმოქმედოთ და მას დავემორჩილოთ, მაგრამ ხშირად სწორედ სამართლიანობისკენ გზის გაკვლევაა ძნელი, რადგან ყველას ჩვენ-ჩვენი სიმართლე და სამართა-

ლი გვაქვს.

5401. დავსაჯოთ, მაგრამ ზოგჯერ შეწყალებაც აუცილებელია, რათა მისგან მოქალაქე მივიღოთ და არა კრიმინალი.

5402. თუ მსჯავრის გამოტანისას ბევრი კითხვა იბადება და გარკვეულ კითხვებზე პასუხი გაუცემელი რჩება, მაშინ სამართლიანობა ეჭვს იწვევს, იმისდა მიუხედავად, დანაშაულის ჩამდენი ადასტურებს თუ არა დანაშაულის ჩადენას.

5403. ზოგჯერ სიმართლე და სამართალი „ქაქს“ ჭამს და მავანი ამითაც კმაყოფილია, რადგან მან აქ სათავისო გამორჩენა დაგეგმა.

5404. წესით, კანონმდებლობა ჩვენს კეთილდღეობას უმდა ემსახურებოდეს, ოღონდ პროფილაქტიკის ხერხებით და არა დასჯა – დაჯარიმების გზით.

+5405. როდესაც მაფიოზურ შემოსავლებთან გაქვთ საქმე, არავინ იცის, კანონი ან ტყვია რომელ მოსახვევში წამოგეწევათ.

5406. ძალად ქცეული სამართლიანობა იმსახურებს ყველაზე მეტი პატივის მიგებას. დანარჩენი მცდელობანი: ურთიერთგაგება, ადამიანობა, პატივის მიგება დროის მოთხოვნის შედეგი და ყურით მოთრეული ყოფის ალგორითმია.

5407. კანონის დიქტატურა „უტუ“ პატრიოტებსა და ყბედ პოლიტიკოსებს თავ-თავიანთ ადგილს მიუჩენს.

5408. დაპირისპირების უპირველესი მსხვერპლი სიმართლეა და მისთვის მებრძოლი სამართლიანობა.

+5409. მტერს ნუ დავეძებთ. იგი თვითონ გვიპოვის.

5410. ხელის გადაწევა სამართალსა და კორუფციას შორის ხშირად ამ უკანასკნელის ზეობით მთავრდება, რადგან პირველი დროის უკულმართობით „დაკანონებულ“ პურის ჭამას ხელს უშლის.

5411. კანონსა და კანონიერებაზე მხოლოდ საუბარი და ყბედობა დედა კი არა, დედინაცვალია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის პრაქტიკულად უგერგილოდ სრულდება.

5412. ყველაზე დიდი თავისუფლება და წესიერება კანონიერ მოთხოვნათა უცილობელი აღსრულებაა.

5413. ყველა სახის არეულობისა და ქაოსის წამალია წესრიგი და კანონის ქედუხრელობა.

5414. ასოკირკიტები ქვეყნის კონსტიტუციის მიღებისას უნდა ვიყოთ და არა კანონისადმი მიდგომაში, რადგან კანონის პედანტურმა აღსრულებამ შეიძლება, გონის კარგ წამოწყება-„გადაცდენას“ ავნოს.

5415. სხვებზე წინ გონიერება უმთავრესად სიმართლისა და სამართლიანობის ძიების გზაზე გვაყენებს.

5416. მორალური კოდექსი დაუწერელი ტრადიციებისა და კანონების გარყვნის წინაღმდეგია, რა სახის დაპირისპირებაც არ უნდა

იყოს.

5417. გამოძიების შედეგი „ჩამშვებების“ და დაპირისპირებულთა მიმხრობის ხელოვნების ცოდნაზეა დამოკიდებული.

5418. სამართლიანობაა ისიც, როდესაც ადამიანი არა მარტო წინასწარ განზრახული ცოდვების ჩადენისთვის ისჯება, არამედ უნებლიეთ, ჩადენილი გადაცდენისთვისაც, რადგან ყოფის პროფილაქტიკა აუცილებელია.

5419. კანონს პატივი უნდა მივაგოთ, გონივრულად უნდა მოვეპყრათ და ვეცადოთ, მასთან ურთიერთობაში არ შევრცხვეთ.

5420. სისხლის სამართლის კანონი „ქუდბედნიერებს“ ვერ იტანს, რადგან მათი დასჯა ჭირს, რაკიღა ეშმაკურ ალიბს პოულობენ და სამართალს თავზე ახტებიან.

5421. ღალატი და გადაცდენა სხვადასხვა ცნებაა და სხვადასხვაგვარ განსჯას იმსახურებს.

5422. რადგანაც საზოგადოებრივი აზრი კანონით არ ისჯება, ის შესაძლებლობათა მოჩვენებით მართლმსაჯულებად უნდა აღვიქვათ.

5423. სიმართლის პოვნა ძნელია, მაგრამ ცდა არ უნდა დავაკლოთ, რათა საკუთარი თავისა და მეობის წინაშე მართლები დავრჩეთ.

5424. სიმართლე და კანონიერება ურმით დადის იმათთვის, რომელთაც მფარველი არა ჰყავთ.

5425. სამართლიანობას კანონი ადგენს, რადგან სამართალი კანონს ემორჩილება.

5426. სამართლიანობა და სიმკაცრე საქმის კეთებას უხდება, მაგრამ დიდი ხნით – არ ამართლებს.

5427. სამართლიანობის ტყეკაფის გაჩეხვამ იცის ბოროტების მომრავლება და გახარება.

5428. არის კანონი, არის ტრადიცია. ერთს უნდა დავემორჩილოთ, მეორეს – პატივი უნდა მივაგოთ.

5429. ზოგჯერ ჯოჯოხეთშიც იძლევიან შვებულებას, რათა „ჯუნგლის„ კანონი შიგადაშიგ გადაიხედოს.

5430. სამართლიანობა ყოველთვის მისაღებია, ზოგჯერ ჩვენი გადაცდენის გამო ყურის აწევითაც კი.

5431. კანონთან შეხვედრა მასთან შესარკინებლად არ უნდა დაგვჭირდეს, მხოლოდ ყოფის მოსაგვარებლად.

5432. კანონი შეიძლება სასტიკი იყოს, მაგრამ დროის შესატყვისად შესაფერისი, რათა საკეთებელი საქმე დროულად აკეთოს.

5433. კანონის ცოდნასა და გათავისებას მაშინ აქვს ფასი, თუ მას საძრომიალოს მოუძებნი, არადა, თუ იცი, მოუძებნი კიდეც.

5434. კანონის უმთავრესი დანიშნულებაა სამართლიანობის უსიტყვოდ და უანგაროდ ხმობა.

5435. სიმართლის დაცვას დღეს მარტო ფარი და მახვილი არ ჰყოფნის, თუ ვინმემ „ზემოდან“ სიტყვა არ დაგაწია.

5436. ქრთამის გაღება დანაშაულია, მაგრამ, თუ უამისოდ საქმე არ კეთდება და ქვეყნის და პირადი ინტერესები ზარალდება?! ალბათ, დასაშვებია, რადგან ჯერჯერობით ქვეყნის მმართველობაა გაუმართავი.

5437. გარკვეული სახის დიქტატს პატივი უნდა მივაგოთ. ესენია კანონი და ქვეყნის კონსტიტუცია.

5438. სიმართლისა და სამართლიანობის დაცვა ზოგჯერ მსხვერპლის გაღებას გულისხმობს.

5439. ტრადიციები ზოგჯერ დაკანონებას ითხოვენ, თუ მოსახლეობა იწონებს და თანაც ძირძველია.

5440. მოვლენათა ხარისხის გაუმჯობესებამ, წესით, სიმართლის დადგენასა და სამართლიანობის აღქმას ხელი უნდა შეუწყოს.

+5441. სინდისსა და კანონიერებას ზოგჯერ საერთო ენის გამონახვა უჭირთ, იმდენად დიდია მათი მიდგომების სხვაობა.

5442. პასუხისმგებლობის აღება, დღევანდელი ცივილიზაციის მიღწევების გათვალისწინებით, სასურველ შედეგს იძლევა, თუ მას წესრიგსა და კანონის უზენაესობასაც მივადევნებთ.

5443. ხელისუფლება უმწიკვლო ვერ იქნება, თუ ქვეყნის კონსტიტუცია და მისი კანონმდებლობა მას არსებულ ხვრელებში ძრომიალის საშუალებას უტოვებს.

5444. უფლება მაშინ ფასობს, თუ მას პატივს მიაგებს როგორც კანონი, ასევე მისი დამრღვევი.

5445. აუცილებლობისა და შემთხვევითობის ცხოვრებისეულ კანონს ყოველგვარი კანონის დარღვევა ხელეწიფება.

5446. სამართლიანი განსჯა ყველას არ ძალუძს, იმისდა მიუხედავად, რომ თავი ყველას სამართლის მცოდნედ მიაჩნია.

5447. გარჯა და შიში, დიქტატი და კანონის უზენაესობა უერთმანეთოდ წარმოუდგენელია.

5448. სამართლიანობის აღდგენა სიმართლეს პატივს მიაგებს და მადლიერებასა მატებს.

5449. კანონის არ უნდა გვეშინოდეს, ის უნდა ვიცოდეთ, ხოლო შედეგებს მოკრძალებითა და მისი უზენაესობის შეგნებით უნდა ვაცნობიერებდეთ.

5450. სამართლიანობის მიღწევა სამართლიანობითვე უნდა მოხერხდეს, რათა სამართალი გასაკიცხი არ გახდეს.

5451. სიმართლეს, სამართლიანობას, წესიერებას პატივს მიაგებენ, მხოლოდ ზოგნი ვერ ეგუებიან მათ და სიძულვილს უცხადებენ.

5452. კანონმდებლობას კანონიერების „მოთარგმნა“ და განმარტება არ უნდა სჭირდებოდეს.

5453. არის რაღაც, რაც გაკოტრებას, უარყოფას არ ექვემდებარება და ეს არის კანონმდებლობა, განათლების სისტემა, სასამართლო-პროკურატურა და ზოგიც სხვა ამგვარი.

+5454. კანონმდებლობა, მისი გარდაუვალი ავტორიტეტის მიუხედავად, სამართლიანი „კვერცხის დების“ გარეშე არავის სჭირდება.

5455. ხალხი სამართლიანობას მისდა უნებლიეთ გრძნობს და ახმოვანებს, იმისდა მიუხედავად, მას ბოლომდის აცნობიერებს თუ არა.

5456. პოლიცია თეთრი ხელთათმანებით არ იმართება, რადგან საქმის კეთება ხელის განძრევას მოითხოვს, ხოლო საქმის საკეთებლად განძრეული ხელი ჭუჭყის მოუცხებლად ვერ საქმიანობს.

5457. სიმართლის ძიება არ არის ადვილი, განსაკუთრებით მათთვის, ვისთვისაც კომპრომისი უცხო ცნებაა.

5458. კანონიერების არსია კაცთმოყვარეობის შენარჩუნება თუნდაც დასჯის გზით.

5459. სიმართლე და სამართალი ერთია, მაგრამ მათ სხვა მარეგულირებელი საშუალებებიც ახლავთ.

5460. კანონის განუსჯელად მომრავლება, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან და ლობირებენ, მათდამი უპატივცემულობას იწვევს.

+5461. კანონი სამართალზეა აგებული, ხოლო სამართალი-სამართლიანობაზე.

5462. ქუჩას თავისი კანონები აქვს, სახელმწიფოს – თავისი, ხოლო ამათი ერთმანეთზე მორგება დანაშაულის შემცირებას იწვევს.

5463. ქაღალდი ბევრის მთქმელია, მაგრამ სიმართლე მაინც ერთადერთია.

5464. სიმდიდრე მოვლას ითხოვს, მისი დაკარგვის შიში – სახელმწიფო თანადგომას, მაგრამ ორივე კანონის უზენაესობამ უნდა დაიცვას.

5465. უსაქმურობა და სიზარმაცე თავისებური ავადმყოფობაა, რომელიც წამლების ნაცვლად კანონის მათრახით იკურნება.

5466. სიმართლეს ამკობენ და ალამაზებენ მეტი ეფექტის მოსახდენად.

5467. კანონის დაკნინების უფლება არავის უნდა მივცეთ, რადგან ეს საზოგადოების გარყვნა-გადაგვარებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

5468. სამართლიანობის ხელში მოხვედრილი ყოველი საქმე თავის სანთელ-საკმეველს არ დაკარგავს და ყოველთვის სიკეთის საკეთებელ გზაზე გაიჯირითებს.

5469. ზოგჯერ დუმილითა და კანონების ცოდნით გაცილებით მეტს ვიგებთ, ვიდრე მასთან შებმითა და შერკინებით.

5470. ყოველი „მარცხენა“, ანუ უკანონო შემოსავალი ერთგვარ სიამოვნებას კი გვანიჭებს, მაგრამ არ აღგვაფრთოვანებს, რადგან ამ

შემოსავლების სიკეთე კანონიერების სასწორზე იდება.

5471. სინდისი თავის სანთელ-საკმეველს არასოდეს კარგავს.

5472. დღეს ქრთამს, ძლიერნი ამა ქვეყნისანი იღებენ „უკუგორებით“, ასე რომ, მექრთამეობაც განვითარდა, სახე იცვალა, მაგრამ არა მისმა შინაგანმა ბუნებამ და აქ ყველა დროში დამნაშავე იყო უხეიროდ შედგენილი ქვეყნის კონსტიტუცია და საძრომიალოს მქონე კანონმდებლობა.

5473. კანონიერი ვიღაცისთვის რაღაცის პატიებაც კი თავისებური სიამოვნების მომტანია.

5474. უფლება ერთია, ძალა მეორეა, მაგრამ მათ შეუერთებლად არაფერი სახეირო არ კეთდება.

5475. უსამართლობას რომ არ გადავეყაროთ, ამისათვის სამართალს ზურგი არ უნდა შევაქციოთ და მას მივეკედლოთ.

5476. კანონი ზოგჯერ არსებულ სუბორდინაციას იცავს და არა სამართლიანობას.

5477. კანონი უდიდესი დიქტატორია. ამიტომ ის უკომპრომისოდ სამართლიანი უნდა იყოს.

5478. ყველა კანონიერი სასჯელი სამართლიანია და მასში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ.

5479. სინდისი კანონის დარღვევას არავის აპატიებს, მათ შორის კანონში დარჩენილ საძრომიალოსაც.

5480. უფლება სამართლიანობის ტოლფასი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თავხედობა და გამოძალვა გამოდის.

5481. ადამიანთა ურთიერთობას ყოველთვის არეგულირებდა დაწერილ და დაუწერელ კანონთა ურთიერთგაგება და მორიგება, რაც თავისებურ მიდგომას მოითხოვს.

5482. განსჯით მოპოვებული სამართალი გაცილებით სჯობს დაპირისპირების შედეგად მოპოვებულს, რადგან ეს უკანასკნელი ნაკლებად მყარი და საიმედოა.

5483. კანონმდებლობისთვის მთავარია დანაშაულის პროფილაქტიკა და არა სამართლიანობა, რომელიც ხშირად დროისთვის შეუფერებელი ადამიანის უფლებების ქარტიიდან არის დამოწმებული.

5484. კანონის ცოდნა და გათავისება ყველა ჩვენგანისთვის აუცილებელია. არადა, ზოგი თავსაც კი იწონებს მისი არცოდნით – „ეს რომ მცოდნოდაო!“

5485. ყოველგვარი თანამდებობა პატივისცემას მაშინ იმსახურებს, როდესაც ამ პოსტზე მყოფი კანონმორჩილია.

5486. კანონმა და მისმა უსიტყვოდ აღსრულებამ უნდა აიძულოს ყველა ჩვენგანი, სიკეთე აკეთოს, რადგან მარტოოდენ აღზრდა სიკეთის საკეთებლად საკმარისი არაა.

5487. კოლექტიურ პასუხისმგებლობას, ინდივიდუალური სამართლიანობა უნდა შევაშველოთ, რათა ადამიანმა თავისი თავი ქვეყნის მოქალაქედ იგრძნოს.

5488. „მერე რა მოხდა“, – ვიტყვით, თუ გაბრაზებულმა მამამ შვილს ალიყური აჭამა. შინაურებში ეს მოსულა, მაგრამ ამგვარი ქმედება გამართლებული როდია, რადგან აშკარა ძალადობაა.

5489. სამართლიანობისთვის ყველა იღვწის, მაგრამ ყველა თავისი გადასახედიდან.

5490. სიმართლე და სამართლიანობა დასახული მიზნის შესატყვისად უნდა აღსრულდეს.

5491. სამართლისათვის ყველა თავისი გაგებით და შესაძლებლობებით იღვწის და იბრძვის, მაგრამ სამართლიანობაზე ყველას თავისი შეხედულება აქვს.

5492. კანონის უზენაესობა ხელშეუხებელია, მაგრამ მას სათანადოდ მხარის დამჭერი უნდა ჰყავდეს, რათა მისი სიდიადე არ დაიჩრდილოს.

5493. ადამიანის ნებაზე დაყრდნობა ყოველთვის არ შეიძლება. ის ქვეყნის კონსტიტუციამ და კანონმდებლობამ უნდა აიძულოს, რომ სიკეთე თესოს და მოიმკას.

5494. კანონი, რომელიც ოჯახის შექმნა-შენარჩუნებასა და გამრავლებაზე არ ფიქრობს, უვარგისია.

5495. სიმართლე მწირი სიტყვებითაც გასაგებად მეტყველებს.

5496. სიკეთე და სამართლიანობა ერთმანეთს უსიტყვოდ ეხმიანებიან.

5497. ყველა სამართლიანობის მომხრეა, მაგრამ უმრავლესობას სამართალი თავისი გადასახედიდან, სათავისოდ ესმის და მის გამოყენებასაც სათავისოდ ცდილობს.

5498. სამართლიანობას მისი დამცველისა და მაძიებლის გონიერება და შემართება თუ არ ახლავს, ის მუდამ საეჭვო და მყიფეა.

5499. სამართლიანობის ნიღაბქვეშ შეფარებულ სიცრუესაც ზოგჯერ თავისი მიმზიდველობა აქვს.

+5500. ცინიკური დანაშაული გაცილებით მკაცრად უნდა ისჯებოდეს, რადგან ის უპირველესად ადამიანთა სულიერებას ვნებს.

5501. სოციალური სამართლიანობის დაცვა თავის გადასახედიდან ყველას უნდა, მაგრამ ამ პატიოსნებაში საკუთარი წვლილის შეტანას ბევრი ფაქტობრივად თავს არიდებს.

ზნეობა, გული

5502. გონიერება უგვანო ხუმრობას ვერ ეგუება, თუნდაც მისი ავტორი გენიოსი იყოს.

5503. იდეოლოგია უმთავრესად ყბედობს, მაგრამ შემოქმედის ბუნება ამ ყბედობიდანაც სარგებელს ადნობს.

5504. იდეოლოგია ყბედობს, გონიერი ხელისუფალი კი მართავს, იღვწის ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ.

5505. ზნეობის ასაკრეფად მასწავლებელი, მოძღვარი ბევრს ნიშნავს, თუ დრომ და გარემომ არ უმტრო და უმტყუნა.

5506. ზნეობის საუკუნეობით შემუშავებული თავისუფლება იძლევა სასურველ შედეგს – დემოკრატიას.

5507. ყველა რატომღაც ზნეობის გადაგვარებაზე ლაპარაკობს, ოღონდ საკუთარ თავს გადაუგვარებელთა მარაქაში აქცევს.

+5508. ზნეობა კანონსა და უფლებებზე მაღლა დგას.

5509. ზნეობაზე მაშინ დებენ თავს, თუ თანამეინახე არ მოსწონთ და მასში ეჭვი ეპარებათ.

5510. ზნეობა მოვალეობის, სურვილის, შესაძლებლობების წარმოჩენის სფუძველია.

5511. ზნეობა კარგია, დასაფასებელია, მაგრამ ყველასათვის მისაღები და გასაგები როდია.

+5512. ზომიერებას გადასულ ყველა ქმედებას სავალალო ფინიში აქვს.

5513. პოლიტიკაში, მმართველობაში პირველი პირის მიერ სტანდარტების დაწესება არც ამართლებს და დაუშვებელია – ხალხსა ჰგონია, რომ მის ინტერესებს უხეშად შეეხნენ.

5514. კერპი ბუნება დაბადებითვე უნდა დაგყვეს, თუ გინდა ამქვეყნად საკუთარი მეობა გამოავლინო.

5515. სიმდიდრეს გარჯით, ბედის წახმარებით მოიპოვებენ და არა ლუკმაპურის შოვნის ცხარე წადილით.

+5516. ზნეობას ქმნიან არა კანონები, არამედ მათი განხორციელების საშუალებანი.

5517. სიწმინდე გულს იზიდავს და კაცს ლოცვა-პირჯვრის წერისთვის განაწყობს.

5518. მწერალი თავისი თავგადასავლების მონაა, ოღონდ გაფეტიშებული თავგადასავლებისა.

5519. ახლობლები ხშირად ერთმანეთს წყენას ისე აყენებენ, რომ ამას ვერც კი გრძნობენ და აცნობიერებენ, იმდენად დიდი, განუსჯელი და გაუაზრებელი ურთიერთმოთხოვნები აქვთ.

5520. ზოგჯერ ისტორიიდან არც არაფერია ასაღები, იმდენი ტყუილითაა შეკოწიწებული წარსულის საგმირო საქმეები.

5521. სამართლიანობას არ ეძებენ. მას ძალისა და ჭკუის გამოყენებით მოიპოვებენ.

5522. კანონი სადაც არ კანონობს, იმ ქვეყნის ხელისუფალი პატიოსნებაზე ვერავის დაიფიცებს.

5523. დემოკრატიის კანონთა აღსრულებას ხელის გამოღება სჭირდება.

+5524. ეჭვიანობა პატივმოყვარეობას მუდამ ფეხებში ებლანდება.

5525. მიზანი ცხოვრების რაობისა და ყოფის ხარისხზე მეტია.

+5526. თავხედს თავხედობა მანამდე გასდის, სანამდის ძალას არ უჩვენებენ.

+5527. მიზანი მოქმედების გარეშე ფიქციაა.

+5528. დინოზავრები გადაშენდნენ, მაგრამ მათი შემორჩენილი ნაკვალევი ჩაგვაგონებს დიად აზრს – ამქვეყნად კვალი უნდა დავტოვოთ.

5529. ჩვენს მეობას რომ გონიერება შევუტრიალოთ, სხვაობა დიდი იქნება, ოღონდ არა განცხრომის სასარგებლოდ.

5530. თვალთმაქციერობა გულის მოგების საუკეთესო საშუალებაა, ოღონდ დამეგობრებისას სიყალბედ გარდაიქმნება.

5531. ურთიერთგაგება ნდობას ბადებს.

5532. მამაკაცების დაწესებულ ტაბუს ქალები ზნეობად აღიქვამენ, მიუხედავად იმისა, რომ აკრიტიკებენ, მაინც იცავენ.

+5533. გული ყველას აქვს, მაგრამ საჭიროებისამებრ მის ჩართვა-გამორთვის უნარს ერთეულები ფლობენ.

+5534. აღზევების საშუალებებს პატიოსნების საცერში არავინ ატარებს, რადგან ამგვარი საცერი მეტად წვრილთვალებაა.

5535. წესიერებას ბევრი ეტანება, ოღონდ ამ ბრძოლაში გამარჯვებული ძალზე ცოტაა.

5536. სპეტაკ გრძნობებს ბიწიერება არ უნდა გავაკაროთ. რაც შეეხება განუხორციელებელ ოცნებებს, ეს სიცოცხლის მადლს უმეტესად შეგვაგრძნობინებს.

+5537. გულის სამართალი გონიერების სასამართლოს არა ცნობს.

5538. სინდისის ქენჯნა ყველაზე მეტად გულსა ვნებს.

5539. ამომრჩეველთა შორის ბევრი დროის ვნებებს აყოლილი ევნუხია, რგებს ეს მის მეობას თუ არა.

5540. გული ის მრავალუცნობიანი განტოლებაა, რომლის საიდუმლოს ამოხსნასაც კაცი გონებით ცდილობს, ქალი – გულით, მაგრამ გამოცანის ამოხსნაში მაინც გონი ლიდერობს.

5541. სასიამოვნო წუთების გახსენება ჩაბნელებულ გულს ჩირაღდანივით ანთებს.

5542. ღირსება უსამართლობას ვერ ეგუება და გამოსავლად თავის ორიგინალურ შესაძლებლობებს ირჩევს.

5543. საქმიან სიტყვას გული ყოველთვის მხარს უბამს.

5544. გული უფრო დამაჯერებელი საზომია, ვიდრე – სიტყვა.

5545. ზნეობას ყოფისთვის სიმშვიდე მოაქვს.

5546. ყბედობას გულის ფილტრში გატარება არ შველის – აზრი მაინც არ იწმინდება.

+5547. კეთილი სიტყვა უპირველესად გულს ესალბუნება და არა – ცნობიერებას.

5548. მანკიერი საქმის კეთების ზიზღი უპირველესად გულმა უნდა იგრძნოს, შემდეგ კი გონებამ გაიზიაროს.

5549. ზნეობა ყველა განსაცდელს ერკინება და საბოლოოდ იმარ-ჯვებს.

5550. უაღრესმა პატივმოყვარეობამ გულის გაქვავება იცის.

+5551. გულით ნაკეთები სიკეთე საზღაურს არ ელის.

5552. გულის ცდუნება ზოგჯერ პატიოსან მსახურებას ხელს უშ-ლის.

+5553. გულში დაგუბებულ რისხვას ჭკუა არ უნდა გადავაყოლოთ.

5554. ზნეობის სფეროში რეალური პერსპექტივის გამონახვა ბედ-ნიერებაა, რომელიც სულიერებასაც აკმაყოფილებს, გონიერებასაც და სხვათა წინაშე მოვალეობის გრძნობასაც.

5555. რასაც გულითა ვგრძნობთ და არა გონებით, ისაა რწმენა, სიყვარული, ინსტინქტები, საკუთარი მეობა.

5556. სიძულვილი გაიძულებს, გულით ირწმუნო შენი უძლურება შურის წინაშე.

5557. ზნეობის საწყისია ცოდნა, რომელიც ტრადიციების შემო-ქმედებითად წარმოჩენას თვითონაც ლამობს და ახლის ძიება-დამ-კვიდრებაც ეხალისება.

5558. სხვისი ტკივილის თანაზიარობა, ადამიანის ბუნებას სასიკე-თოდ აყალიბებს.

5559. ჩვენს ამქვეყნიურ ღვაწლს იმ ქვეყნის განათებაც ძალუძს.

5560. ყოველივეს გულით უნდა შევხაროდეთ, ამის საშუალებას დრო და ჟამი იძლევა თუ არა.

+5561. სათნოება რწმენას, საკუთარი თავის კონტროლსა და თვით-დაჯერებას აგვირგვინებს, როგორც ძეგლი – პიედესტალს.

5562. გულის ის აჩუყებაა მისასალმებელი, რომელიც შედეგს მოი-ტანს.

5563. გულში ნეტარების ჩიტის ყოლა დალოცვილია და სასურ-ველიცაა.

5564. სიკეთის კეთება, ასაკის მიუხედავად, გულს ახალგაზრდობას უნარჩუნებს.

5565. ადამიანის გული მარად გაუმაძღარია, მათ შორის, სიკვდი-

ლის წინაშე მდგარიც.

5566. ვეცადოთ გული არ ვატკინოთ ერთმანეთს, თორემ ჭკუა ყოველივეს უძლებს.

5567. გული ბედნიერებასაც და სიხარულსაც ერთნაირი ძალით აღიქვამს, მაგრამ გამოხატვისა და გახმიანების უნარი აქვს სხვადასხვა.

5568. მოყვასს გულით უნდა დაეხმარო, მაგრამ არ უნდა გადაჰყვე – არ ამართლებს.

5569. პარტნიორთა მიმართ გულის მოლბობა, ყველაზე დიდ მადლიერებას იწვევს.

+5570. გატეხილ გულსა და შეურაცხყოფილ სულს ბოდიში ვერ წამლობს.

+5571. გულიანობა კაცობის სინონიმია.

5572. გულს ბევრი საზოგადოებრივი დატვირთვა აწევს, განსაკუთრებით – ამურის საქმეში.

5573. დაყვავებით ჭორაობაც გულის მოსაფხანი საშუალებაა.

5574. საკოცნელად ლოყას ბევრი გვიშვერს, მაგრამ გული როგორ აღიქვამს ასეთ კოცანს, ესაა მთავარი.

5575. კანონი სიყვარულის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ მის იურიდიულად გაფორმებას მოითხოვს.

5576. გული სიყვარულის, თანაგრძნობის, გამოქომაგების თვინიერი მკერავია.

5577. გულს სიყვარულს ვერ ასწავლი, თვალებს – მოწონებას, სულიერებას – შთაგონებას.

5578. ზნეობას ყველა ვერ დაეწაფება. მას თანდაყოლილი ნიჭი განაპირობებს.

5579. ზნეობრივი აჯაფსანდალში ზოგჯერ შენთვის განკუთვნილი სახეების შერჩევა ჭირს.

5580. შერყვნილ ზნეს შეგონება და აგიტაცია არ შველის.

5581. დიქტატურა უარყოფილია, მაგრამ გულის დიქტატი ჯერ არავის აუკრძალავს.

5582. დაჭრილთა უპატრონოდ მიტოვება, ერთის მხრივ, დანაშაულია, მეორეს მხრივ, სამხედრო სტრატეგიაა და გამარჯვების საწინდარიც, რადგან დაჭრილებზე ზრუნვით მეომარი ხალხი არ ცდება და ეს ქმედება ხშირად გამარჯვებას „კერავს“.

5583. ვიღაცაზე ზრუნვა და ირგვლივ მყოფთაგან მისი დაცვა ფილოსოფოსობის ხასიათზე გვაყენებს.

5584. გულის დიქტატის მოთოკვა სულიერად ძლიერ პიროვნებათა ხვედრია.

5585. გულის მოწადინება სიყვარულია და, თუ ის ამას ვერ ახერხებს, გული კი არა, მისი პროვოკაციაა.

5586. გალაღებულ გულში ჩვენი ბედი სიამოვნებით დათოხარიკობს.

5587. ახალგაზრდა და ცხელი გული სიბერეში მხოლოდ სხეულის გრილ ნაწილად გადაიქცევა.

5588. გარკვეულ მომენტში გული სჯობს გონს, რადგან ეს ჯობნა ზოგჯერ ადამიანის სულიერებისთვის აუცილებელია.

5589. გონის მიერ პატიებას ხშირად გული არ ეთანხმება.

5590. გულწრფელობა ადამიანის სულის მოწკრიალებული სარკეა.

5591. გული რაღაც სასიამოვნო საიდუმლოს მარად თან უნდა ატარებდეს, რათა, რაც გსიამოვნებს, არ დაგავიწყდეს.

5592. ზოგჯერ თვალზე ლამაზად მომდგარი ცრემლის დანახვა გულს სიამოვნებს და სულს მალამოდ ედება.

5593. გულიდან ამოკენკილი სიტყვები სიყვარულის მორცხვი უვერტიურაა.

5594. ზნეობრივი მოვალეობა მტკიცე ხასიათის უქონლად ვერ იარსებებს.

5595. სიყვარულის ისარს ვერცერთი რკინის პერანგს ამოფარებული გული ვერ უძლებს.

5596. გულს ნებსით თუ უნებლიეთ მიყენებული ნაიარევი არ უხორცდება, უბრალოდ უშუშდება და ამას სჯერდება.

5597. ძირითადად ზნეობა და ტრადიციები გვიკარნახებენ, რისი კეთება შეიძლება და რისი – არა.

5598. მოვალეობა და ღირსება, ზნეობა და გამოცდილება უგვანობასთან შებმული პიროვნების ყოველდღიური ბრძოლის ორიენტირებია.

5599. ზნეობას ცნობენ, მაგრამ მის პოსტულატებს ყოველთვის ვერ იცავენ.

+5600. ზომიერება, ზომიერება, ზომიერება ყველგან, ყოველთვის, ყველაფერში!

5601. მხოლოდ გულიდან ამოხეთქილი სიტყვებია სანდო, დანარჩენი დიპლომატია და ლაყბობაა.

5602. ზნეობა უნდა ვიცნოთ, დავიცვათ კიდეც, თუ შთამომავლობისთვის სიკეთის კეთება გვინდა.

5603. გულმა უნდა აღზარდოს გონიერება თუ პირიქით, ძნელი სარკვევია, სანამდის გენეტიკა თავის სიტყვას არ იტყვის.

5604. ადამიანის გულის დაპყრობა ადვილია, მისი შურიანობის მოსპობა – ძნელი.

5605. ზოგჯერ ტვინის ჩალიჩს ისევ გულის ჩალიჩი სჯობს, ცხოვრებაში უფრო ამართლებს.

+5606. სამართლიანობაა კანონი და არა პირიქით.

5607. ზნეობა ბოროტებას ჩაგრავს, თუმცა ძალითა და გავრცელებით მეორე უფრო გამოირჩევა.

5608. გულით აზროვნება უმრავლესობისთვის მისაღებია, მაგრამ სიკეთე ყოველთვის როდი მოაქვს.

5609. გულით ნაკეთებ საქმეს თავისი მადლი თან დაჰყვება და ეს გვახარებს.

5610. გულის ენით საუბრის უნარი განგების მიერ მონიჭებული მადლია.

5611. მრავალი უსამართლობა ხდება ცხოვრებაში, მაგრამ პირველად რომელს უნდა ებრძოლო, ეს გულმა უნდა გიკარნახოს.

5612. გულის ჭრილობათა მორჩენა დროსაც უჭირს და მათი დავიწყებაც იოლი არაა.

5613. ხშირად გულით ნეკეთები საქმე გონებით ნაკეთებსა სჯობს, რადგან პირველი უფრო საიმედოა.

5614. წრფელი გულით ნაკეთები სიკეთის დაუფასებლობა, ადამიანს არ ეკადრება.

5615. ზნეობის ცენზურიანი გონიერება აღზრდის უმაღლესი პილოტაჟია.

5616. გულით შემთბარი მუსიკა შემბრალებელია, თუნდაც ხარვეზებით იყოს აჟღერებული.

5617. გულით ნააზრევი ზოგჯერ გონიერებით განსჯილს სჯობს.

5618. ზნეობის ბაზისი მისი არგუმენტების შეუვალობაზე, სიძნელესა და დამაჯერებლობაზეა დაყრდნობილი.

5619. ზნეობის მქონეს ბოროტების ჩადენა არ უყვარს მაშინაც კი, როდესაც მისი ჩადენა გარდაუვალია.

5620. გონისა და გულის შერწყმა განჭვრეტის უნართან დასახული მიზნის მიღწევაში ხელს გვიწყობს.

5621. გულში დაბუდებული სულიერება, სიყვარულს კუბში გვთავაზობს.

5622. სუსტი ნერვების პატრონი რეალურად კეთილი გულის პატრონი ვერ იქნება.

5623. კეთილი გული სუსტ ნერვებს სასიკეთოდ ყოველთვის ვერ გადაეფარება.

+5624. საკუთარი სულიერების წვრთნა და გულის კაპიტნობა თავადვე უნდა ვიკისროთ.

5625. ზნეობრივი თავისუფლება ტექნიკურ პროგრესს უნდა ერწყმოდეს და ეპოქის კაპრიზებს უწევდეს ანგარიშს.

5626. სიმართლისა და ჭეშმარიტების ქადაგი გულზე ყველას არ ეხატება, რადგან ის ჩვენს ოცნებებს და ნება-სურვილს არ ემთხვევა.

5627. მშიშარასაც უნდა მდიდარი იყოს, მაგრამ ამ მაღალ წადილს გულში ფარულად ატარებს.

5628. არის უნებლიეთ ჩადენილი გამოუსწორებელი შეცდომები,

რომლებიც ჭკუის დამრიგებლის არყოლამ გამოიწვია და მთელი ცხოვრება გვამახსოვრდება.

5629. ზოგჯერ გვინდა სხვას დავეხმაროთ, მაგრამ არ ვიცით, როგორ და არც ის ვიცით, არგებს მას ეს დახმარება თუ არა.

5630. კეთილშობილებისკენ ადამს საქმის სიყვარულმა უბიძგა და არა ქალმა.

5631. ინტელიგენტის თავში მარად ქარი ქრის და ყველას ბედნიერებაა, თუ მას გარკვეული დროით გრიგალი არ შეცვლის.

5632. თავშეწირვის სწავლება და პროპაგანდა ადვილია. მისი თავადვე აღსრულებაა ძნელი და ზოგჯერ – მიუღებელი.

5633. არის შეცოდება, რომლის მონანიება სახალხოდ არა ღირს, რათა თანამეცხედრემ თავი დამცირებულად არ იგრძნოს. ასეთია, მაგალითად, ცოლქმრული ღალატი.

5634. ჩხუბს სურვილი არ სჭირდება. ის თავად შემოგვეპარება ჩვენდა უნებლიეთ.

5635. პოზიტიური შეხედულებების ძიებასა და ძებნას უმთავრესად სარგებელი მოაქვს საზოგადოებისათვის.

5636. ყოველი უსამართლობა სხვაზე ძალადობის მომასწავებელია.

5637. სამართლიან განსჯას დამარწმუნებლობას მჭევრმეტყველება ანიჭებს.

5638. „კი“ და „არა“ ერთდროულად რომ მიიღო, ამ სიტყვების პატრონი შენზე თვალდახუჭულად მონდობილი უნდა იყოს.

5639. ცილისწამება მაინც ხინჯს ტოვებს მართალი პიროვნების ჩვენ მიერ აღქმაში.

5640. ეგოიზმი ცდილობს, თავის წარმოჩენას საფუძველი ჩაუყაროს და, რამდენად გამოუვა, ეს უკვე დროისა და ბედის საქმეა.

5641. ეჭვიანობამ, შეიძლება, დაუნდობელ მხეცად გვაქციოს, თუ ნერვები წესრიგში არ გვაქვს.

5642. გაბრაზებასაც ცოდნა-გამოცდილება სჭირდება, რომ ის საერთო საქმეს გამოადგეს და შენი ავტორიტეტიც არ შებღალოს.

+5643. სტატისტიკამ, შეიძლება, ყველაფერი იცის, მაგრამ ბოლომდის სანდო მაინც როდია.

5644. უმთავრესად ამომრჩეველი არჩევანს გამორჩენის მიზნით აკეთებს და არა გონიერების კარნახით, სულის მოწოდებითა და გულის ძახილით.

5645. თუ ჩვენ შორის ვინმე უსაქმური გამოერევა, ესეც ჩვენი გულგრილობისა და უნიათობის ბრალია.

+5646. წესრიგს წესიერებაც მხარს უბამს, რადგან წესიერება ობიექტური წესრიგის სუბიექტური გამოვლენაა.

5647. შინაგანი თავდაცვის მექანიზმი მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენ-

განს ახასიათებს. იგი პიროვნულ სიმტკიცეს აწრთობს.

+5648. მშვენიერება, თუ ხიბლიც არ ახლავს, ნაკლოვანი მშვენიერებაა.

5649. თავიდან ბიზნესი შემთხვევას, გამართლებას, მოხერხებას ეფუძნება, შემდგომ – შენს სიჯიუტესა და მონდომებას.

5650. რჩევა დაკვირვებას მოითხოვს და არა განსჯას. მას ყველა თავისი გონის ძალის შესატყვისად იყენებს.

5651. ფიქრს სიწყნარე სჭირდება, ასევე აზრის ჩამოსაყალიბებელი ქაღალდი და კალამი.

5652. მარტოობას რა სჯობს, არავინ უწყის, თუ მას უგუნურთა გადასახედიდან შევხედავთ.

5653. კანონი ამჟამინდელი საზოგადოების ცნობიერებით უნდა სუნთქავდეს, რომ ის ქვეყნის სასარგებლოდ გაისარჯოს.

5654. ყველას თავისი ნატვრა აქვს და მისი გამჟღავნება ზოგჯერ გაუგებრობას იწვევს.

+5655. მადლიერება ის ტვირთია, რომელიც მთელი სიცოცხლე კურტანივით უნდა ატარო.

5656. ფილოსოფია ზოგჯერ რიგით მეცნიერებად გვევლინება, რომელსაც ვექილივით ყველას დაცვა და ყველას გამტყუნება შეუძლია, თუ ამის ინტერესი აქვს.

5657. კაცი ქალს მრავალფეროვნების, გართობის, გაუცნობიერებელი ინტერესისთვის ღალატობს, ხოლო ქალი კაცს – იმ დეფიციტის შევსებისთვის, რომელსაც დროს და გარემოს შესატყვისად მოყირჭება ჰქვია, თუმცა აქ ვერც გენეტიკას გამოვრიცხავთ.

5658. ყოველივე ზედმეტი, მათ შორის სიმდიდრეც, მავნებელია, რადგან სულს მაჯლაჯუნად აწვება.

5659. ისევ ძველის მონანიება სჯობს, ვიდრე ახალი მოსანანიებლის პერსპექტივა გაგიჩნდეს.

5660. საოცარია დედა-შვილის დამოკიდებულება: ერთმანეთს საყვედურობენ, აყვედრიან, ლანძღავენ და ერთმანეთისა არა სწყინთ, არც სიყვარული უნელდებათ ურთიერთის მიმართ, იმდენად დიდია დედის დამსახურება შვილის ამქვეყნად მოვლინებასა და აღზრდაში.

5661. სისულელის ჩადენის უფლების „პასპორტი“ ჭკვიანსაც არ უნდა მიეცეს.

5662. უპატიოსნებაა ისიც, თუ თანამდებობას ვერ ერგები, დაკისრებულ მოვალეობებს თავს ვერ ართმევ და გადადგომაზე არც კი ფიქრობ.

5663. ზოგი ძველებურად ისე ბობოქრობს, გვედავება, რომ გვეჩვენება: მისთვის დედამიწა დღესაც ოთხკუთხედია.

5664. სიკეთის კეთებასაც ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. უა-

მისოდ უკეთურებად, უგვანობად იქცევა.

+5665. სამართლიანობის პრინციპი ყველას თანაბრად უნდა ეფინებოდეს, ეკონომიკური მადლი კი – სხვადასხვაგვარად.

5666. ალიბის მოძიებისთვის ის ტყვიაც დამნაშავეა, მის მიერ გასროლილი იარაღიდან კაცი რამ მოკლა.

5667. სიდიადე დასჯას თუ გადაურჩა, განსჯას ვერ გადაურჩება.

5668. ხსოვნა სამართლიან შურისძიებას ითხოვს, მაგრამ უსამართლობას იძლევა.

5669. პათანატომიც ექიმია, მაგრამ მისი ცოდნა-გამოცდილება პროკურატურას უფრო სჭირდება, ვიდრე პაციენტს.

5670. მოსამართლე თავისი ბუნებით ბრმა უნდა იყოს, რათა სამართალი მიუკერძოებლად განახორციელოს.

5671. კანონის წინდახედულ გადაცდენა – დარღვევას სარგებელი მოაქვს.

5672. კანონმდებელს კანონის წერა უფრო ეხერხება, ვიდრე კანონიერ მოქმედებათა შედეგის განსჯა და განსაზღვრა.

5673. სიკეთის რკვევაც ისე გამოწვლილვით უნდა ხდებოდეს როგორც ბოროტმოქმედებისა.

5674. ყველას ჩვენი მფარველი ანგელოზი გვყავს, თუკი საშუალებას მივცემთ, ჩვენზე იზრუნოს.

+5675. დღეს პატიოსნება ეშმაკობის გამოუყენებლად სიკეთის კეთებას ვერ ახერხებს და ამიტომ ის მოუხერხებლობის სინონიმია.

+5676. სასოწარკვეთა საკუთარი თავის წინაშე ღალატის ტოლფასია.

+5677. ზოგი თავის მოტყუებას შესანიშნავად ახერხებს, რაკიღა დიდი წარმოდგენა შეიქმნა საკუთარ თავზე.

+5678. იუმორი თავისებური ქირურგია. იგი სულიერებიდან ბოროტსა კვეთს, რომელსაც გონების დაღვინებამ ვერ უმკურნალა.

5679. დამარცხებულის გამართლება ისტორიასაც კი უჭირს.

5680. უსამართლობის დამცველს გაცილებით მეტი ცოდნა-გამოცდილება და „გადატრიალებული ჭკუა“ სჭირდება, ვიდრე სამართლიანობის დამცველს.

5681. პრინციპთა დამცველი კანონი ალიყურს არ იმსახურებს.

5682. ნათლია თავისი ნათლულის წინაშე პასუხისმგებელია მანამ, სინამ გზაზე დააყენებდეს.

5683. მოციქული, ეშმაკი, ადვოკატი, მოსამართლე და მტყუან-მართლის სხვა სახის განმსჯელია, საზოგადოება რომ დღემდე მოყვანა.

5684. შეცდომის დაშვებასაც თავის გამართლება და ალიბი უნდა ახლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დანაშაულია.

5685. ყველას სამართალსა და სამართლიანობას თავისი ყოფიერე-

ბის ანატომია აქვს.

5686. კანონები დროის შესტყვის ჩასწორებებს მოითხოვს, რადგან აწმყოს ის მარად ჩამორჩება.

5687. უმაღლესი სამართლიანობა ცოდვის მოსანანიებლად – ეს გახლავთ სიკვდილი, მიუხედავად ადამიანის ნიჭის, შემოქმედებით უნარისა და დამსახურებისა.

5688. რამდენად უნდა ვენდოთ ერთმანეთს, ამას განგების საზომითაც ვერ დაადგენ.

5689. არის სამარცხვინო დანაშაული, რომელსაც კანონი ვერ ერევა, რადგან საზოგადოების განვითარება დროის რეალობას არ შეეტყვისება.

5690. არის კანონის დარღვევა, რომელიც საზოგადოებასა და კანონის დამცველთ ჩუმი ნეტარებით ამოასუნთქვინებს, რადგანაც დღევანდელი დემოკრატიის გადამკიდებთ რეალური აზროვნება უჭირთ.

5691. სამართალი ყოველთვის ვერ იმარჯვებს – გააჩნია რა შეძლების ოპონენტი ჰყავს.

5692. ტყუილ-მართლის გარჩევას დიდი გამოცდილება სჭირდება.

5693. უარის თქმა გაცილებით ადვილია, ვიდრე ჰოსი, რადგან პირველი არავითარ ვალდებულებას არ გულისხმობს.

5694. უგუნურს არც ღვთის „კრიშა“ შველის.

+5695. ერთი კანონის დამრღვევად იბადება, მეორე ასეთად გარემოებათა გამო ხდება, მაგრამ ორივე ერთნაირად იხრაკება და ესაა კანონის კანონიერი უმეცრება.

+5696. კანონს სიდარბაისლე ხელს არ უშლის, თავისი ძალა გვიჩვენოს.

+5697. მოვალეობა კანონის კანონიერი აღსრულებაა.

5698. გულით ჩადენილი სისულელე ჭკუით ჩადენილისგან განსხვავდება და მას გამამართლებელი ალიბი აქვს.

5699. განტევების ვაცი რატომღაც ყოველთვის გულია, რომელსაც ასე ხშირად ვაბრიყვებთ და გულსაც ვტკენთ.

5700. გულს უკეთესი მახსოვრობა აქვს, ვიდრე გონს, თუნდაც იმიტომ, რომ გული არ ბერდება და გაცილებით მგრძნობიარეა გონიერებასთან შედარებით.

5701. გულის კარის გაღება ყველას ხვედრი არ არის, რადგან მასზე მორგებული გასაღების ტარება ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.

5702. გარეშეთ ისე უნდა ვუქადაგოთ და ვასწავლოთ, რომ ჩვენი სუფთა გულისა სჯეროდეთ და არა გონისთვის დამახასიათებელი ორჭოფობისა.

5703. ნაადრევი ცივილიზაცია ამ პროგრესისთვის მოუმწიფებელ ერს ვნებს და გარკვეული დროით ზნეობრივად აჩლუნგებს.

+5704. სამართლიანობის პრინციპები ზნეობის ფესვებიდან აღმოცენდება.

5705. უზნეობა ბევრად შემოქმედებითი, ორგანიზებული და აგრესიულია, ვიდრე ზნეობა.

5706. ჩვენი განვლილი ცხოვრების პარამეტრების სხვათა ყოფასთან შეჯერება გვიქმნის იმის შეგრძნებას, რომ დროსა და გარემოს შესატყვისად არცთუ ისე ცუდად გვიცხოვრია.

5707. პატივი ყველას უნდა მივაგოთ, მაგრამ არა საკუთარი ღირსების შელახვის ხარჯზე.

5708. გადაგვარებას სიყვარულის გაუფასურება და ზნეობის დევალვირება იწვევს.

5709. ზნეობა ისედაც ლამაზია და მაკიაჟი არ უხდება.

5710. გონიერებას გული ყოველთვის სასიკეთო მრჩევლად როდი ევლინება.

5711. საზოგადოებრივი ზნეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამს თანამედროვე მოდასაყოლილ მდედრს.

5712. გული ხშირად ვერ უგებს კრიტიკულ აზრს, ამ უკანასკნელის მონდომების მიუხედავად.

5713. ზნეობას თავისი მიზანდასახულობა აქვს, თუ ცივილიზაციის შემოტევებს გაუძლო.

5714. როდესაც ტუჩი ტუჩს ეწეპება, მაშინ გული გვიკარნახებს, რა უნდა გავაკეთოთ და გონება – რა არ უნდა გავაკეთოთ, მაგრამ უკვე დაგვიანებულია.

5715. გული არ ვატკინოთ ერთმანეთს, ერთია, მაგრამ, თუ დაპირისპირება გარდაუვალია, უნდა ვეცადოთ, შეხვედრა შეძლებისდაგვარად ფრედ დავამთავროთ.

5716. თავისუფლებისკენ სწრაფვა ზნეობის პრინციპებს არ ანადგურებს. უბრალოდ, ისეთები ვართ, როგორაც ვიქცევით.

5717. ზნეობა ჩვენი ცნობიერების მწვერვალია, შინაგანი ძალების ერთგვარი აღლუმია.

+5718. შეყვარებულთათვის უფრო გასაგები გულის ენაა.

5719. ზნეობრიობა საკუთარი თავის გაკონტროლების უნარი და თავისუფლებისკენ სწრაფვაა, რაც კარგი აღზრდის მაჩვენებელია.

5720. უზნეო განათლებას დასაკვეხნი არაფერი აქვს.

5721. სამართლიანობის შეუცნობლად აზროვნება ზნეობას კარგავს.

5722. ღირსებას იმ გონიერების მშენებლობა მოსწონს, რომელიც მომავალს ეხმარება და თავისი კეთილი სურვილით დასპონსორებაზე თავს არ იკავებს.

5723. ქვეყნის აოხრებაში ხშირად თავადვე ვართ დამნაშავენი:

მომხდურს ისე არ უნდა მოექცე, რომ დამორჩილების ნაცვლად შენი აოხრება მოიწადინოს.

5724. სინდისისთვის ყურის გდება გულის ხმობით უნდა ვისწავლოთ.

5725. ღირსება მისი შელახვის სიმპტომებს ჩანასახშივე ვერ იტანს.

5726. უფლებებზე შეტევა ზნეობის სახელით ხდება და არა გონიერებისა.

5727. გულის ავზნეობამ ინფარქტი იცის და ხანდახან – ჭკუიდან გადაყვანაც.

5728. პატივმოყვარეობას, მისი ამბიციების შესატყვისად, განსჯის უნარიც აკლდება.

5729. ზოგს იმდენად საშური გულუბრყვილობა დაჰყვება სათავისოდ, რომ არა მარტო ღიმილს, არამედ კეთილ შურსაც იწვევს.

5730. იცხოვრო, როგორც გული გიკარნახებს, ყოველთვის ძნელი იყო.

5731. ცრემლის აშკარა ფრქვევა გულის ამაჩუყებულ სინანულს ვერა სჯობს.

5732. ვერავინ ჩვენზე უკეთ ვერ გააკეთებს იმას, რაც საზოგადოების კეთილდღეობას სჭირდება – ეს დევიზი ყველა მოქალაქეს გულისფიცარზე უნდა ეწეროს.

+5733. სამშობლო გულით უნდა გიყვარდეს და არა გონებით, რადგან ეს უკანასკნელი „კლიაუზნიკობის“ ხასიათზე გვაყენებს.

5734. ზნეობა ყველა სახის სილამაზის წარმომჩენია.

+5735. რწმენის გარდაცვალება გულის გაჩერების ტოლფასია.

5736. ზნეობას არ შეუძლია ჩუმად იყურებოდეს.

5737. ხშირად გულს უფრო დაეჯერება, ვიდრე ტრფობის მსურველ ჭკუა-გონებას.

5738. ისაა ნამდვილი მეგობარი, რომელიც სიკეთეს ისე გიკეთებს, რომ თავს არ გამადლის და შენც მისი არა გშურს.

5739. თავდადება, სიმამაცე და ერთგულება სინონიმებია.

5740. გულში ბოღმის ჩადება აგრესიას იწვევს, რაც საბოლოოდ არავის რგებს.

5741. ზოგი სულის დასაწიწკნ ისეთ რასმე იტყვის დარდიან გულში მჯიღის ჩაცემით, რომ მის მსმენელს გული და ჯიგარი ერთდროულად ეწვის.

5742. ზნეობა ის რეალობაა, რომელსაც გული და სულიერება მუდამ მხარში უდგას.

5743. ყველა პროფესია საჭიროა და აუცილებელი, რომელიც კი არსებული წესების ფარგლებში სახელმწიფოს გადასახადს უხდის.

5744. გულით შეძლეულს კბილს არ უსინჯავენ, მაგრამ გონებით

მის დაქუცმაცებას ცდილობენ.

5745. მეგობარს გული ირჩევს და არა ჭკუა-გონება.

5746. ზნეობის განმსაზღვრელია ქმედება და არა მეტყველება.

5747. გული და გონება ხშირად უგებენ ერთმანეთს, მაგრამ საბოლოოდ ურთიერთის მაინც არ სჯერათ.

5748. ზნეობას განათლება საშუალებას აძლევს თავის წარმოჩენა-გამოჩენისა.

5749. გაბრწყინებულ სახეს ქველმოქმედების დროს გული წმინდა და კაშკაშა აქვს.

5750. ზნეობისა და სამართლიანობის განცდა სახელმწიფოებრივი ძლიერების საწინდარია.

5751. გულის გონებისთვის დამორჩილება ძნელია, ოღონდ არა წარმოუდგენელი.

5752. ბილწსიტყვაობის მოსმენის შედეგად ყურის აღშფოთებას ხშირად გული ანგარიშს არ უწევს და ერთგვარად კიდეც ტკბება.

5753. ჩვენს შინაგან განწყობას ხშირად განსაზღვრავს ფეხზე მყარად დგომა, თუ გულიც გერჩის და ამ ცხოვრებას ალღოს უღებ.

5754. გარვეული საქმის საკეთებლად უნდა დავიბადოთ, ხოლო შემდგომ ეს საქმე გულით ვაკეთოთ.

5755. კვიმატი სიტყვის, იუმორის დანიშნულებაა ნაკლზე მითითება და არა გულის ტკენა.

5756. გულისაგან განსხვავებით, ტვინი უფრო უცვეთი და ბევრის ამტანია, რადგან ამ უკანასკნლის ჩართვა-გამორთვა, გულისაგან განსხვავებით, შესაძლებელია.

5757. სიბერეში გული დუნდება, უფრი თავშეკავებული ხდება და არავითარ შემთხვევაში არ კვდება.

5758. გულის სიღრმეში გარკვეული წესიერებისადმი სიმპათიის ქონა აუცილებელია, რომ, უგვანო გადაცდენათა მიუხედავად, ადამიანად დარჩე.

5759. გულით ნაკეთები საქმე, შედეგის მიუხედავად, გვამახსოვრდება და სიამოვნებას გვანიჭებს.

5760. მართალია, მადლობას ჯიბეში ვერ ჩაიდებ, მაგრამ გულის რომელიღაც პარკუჭი ხომ ნასიამოვნები რჩება.

5761. ვეცადოთ, ყველა ჩვენს ასაკს გულით მოვერგოთ და ლაღი წარსულის მოგონებების დაფასებით ვიცხოვროთ.

5762. მოწყალე გულის უქონლად, სიკეთის გაცემაც უნაყოფოა.

5763. სინდისის ქენჯნა მაშინაა გამართლებული, თუ მის გამოსწორებას გულით შევეცდებით.

5764. ტირილი ზოგჯერ უებარი საშუალებაა, გარეთ გამოიტანო ის ნაღველი, რაც გულს აწუხებს და გიკლავს.

5765. მოსაწონი, შეიძლება, ზოგჯერ გაუგებარიც იყოს – შენს მეობას და გულს იდუმალებით ესათუთება.

5766. ჭკუის დაგვიანებას უპირველესად ზნეობა განიცდის, განსაკუთრებით ეს შესამჩნევია ნაკეთები საქმის განსჯის ჟამს.

5767. გულისაგან ნაკარნახევი საქმე ზოგჯერ სანანებლად გვიხდება, მაგრამ სიამოვნების შეგრძნება მაინც გვრჩება.

5768. ჭკუა ყურსაგდები გარკვეული მოწყობილობაა, გული – აღმაფრენისა, რომელსაც ანგარიში ხშირად უნდა გაუწიოთ.

5769. დამარცხება, ხელის მოცარვა შესაძლებელია, მაგრამ მრწამსისა და რწმენის დაკარგვა შეუძლებელია, თუ მას გულითა და სულით ემსახურები.

5770. გულის ხმა ემოციების თანადგომით და ზნეობის წარმოჩენით გონმა უნდა აღიქვას და გადაამოწმოს.

+5771. სიკეთის კეთებას გული ითხოვს, უკეთურებას კი – დაბოღმილი გონება.

5772. გულის ტკენა საკუთარ უფლებათა შელახვის შედეგია, სხვათა და სხვათა გათავხედების შედეგად.

5773. საქმის საკეთებლად გულს მიზეზი არ სჭირდება, ჭკუას – შეძახება. აქ მთავარია ადამიანის შინაგანი ბუნება და მისი სასიკეთოდ წარმოჩენის უნარი.

5774. სასიამოვნოსა და უსიამოვნოს აღქმა – ორივე გულისხმევას მოითხოვს.

5775. პირველ ყოვლისა, სწავლის საწყისი ზნეობის გათავისებაა, შემდგომ მოდის ცოდნა-გამოცდილების დაგროვების წადილი.

5776. ყველაზე მეტად ადამიანში ზნეობაა დასაფასებელი და მაღალი მორალით თავის მოწონება.

5777. ზნეობა კანონზე მაღლა დგას და მის სამართლიანობას ზემოდან დასცქერის.

5778. სიკეთის კეთება მასზე ზრუნვასთან ერთად ზნეობასაც მოითხოვს.

5779. გული ყოველთვის არ გვაძლევს უფლებას, საკუთარი თავის ბატონ-პატრონები ვიყოთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ გულის ნაწილი მომხიბვლელ ქალს აქვს დაკავებული.

5780. ცრუპენტელობამ ფასი არფრისა იცის.

5781. სასწაულის მომლოდინემაც რაღაც უნდა ისწავლოს და დრო გულზე ხელებდაკრეფილმა მოლოდინით არ გაატაროს.

5782. საკუთარი გულის კარნახით უნდა ვიცხოვროთ და არა სხვათა მითითებით ან წაბაძვით.

5783. თავში ჭკუა იმიტომ ჩაგვიდო გამჩენმა, რომ გონივრულად ვიფიქროთ, გულით შევიყვაროთ.

5784. გონიერებამ გული უნდა აღზარდოს – დაამშვიდოს, სულიერება შთაბეროს, ზნეობა უკარნახოს.

5785. არცერთი პოლიტიკოსი არ ფიქრობს ზნეობრივ კომპრომისზე წასვლას, ვიდრე ვითარება არ მოსთხოვს ამ მსხვერპლის გაღებას.

5786. ზნეობა ყბედობას ვერ იტანს. ის გონიერების პარამეტრებში ეტევა.

5787. კეთილშობილება გონიერებისა და შესაძლებლობების შესატყვისად მოქმედებს და არა სპონტანურად.

5788. ზნეობით შემკული რწმენა ქვეყნის წარმატებასა და ერის წინსვლას ხელს უწყობს.

5789. გონმა გული ისე უნდა მიიღოს, როგორც ძმამ ღვიძლი და.

5790. სინდისი ფიცი-მტკიცის გვერდში ამოდგომას არ ითხოვს, იმდენად დიდია მისი ავტორიტეტი.

5791. სიყვარული ყველა კანონზე მაღლა დგას, მაგრამ არა ზნეობასა და სინდისზე.

5792. ზოგჯერ ჯიბის შევსება მორალსაც სჭირდება, რათა მასზე დამოკიდებულ მაცქერალს გული იმდაგვარად გაუთბოს, რომ შური არ აღუძრას.

5793. გულს სმენა, მხედველობა, ყნოსვა არ აქვს, მაგრამ შინაგანად ყოველივეს გრძნობს და განიცდის.

5794. უტოპია უტოპიად, ფიქრი ფიქრად რჩება, მაგრამ დადებით შედეგს მაინც იძლევა – გული ფაქიზი ხდება.

5795. მეგობარს გონივრული შერჩევა უნდა. მის შერჩევაში გულს მეორე ადგილი დაუთმეთ.

5796. ყოველი შეცდომა განმეორდება, თუ მას გულით არ განვსჯით და გონიერებით არ გადავამოწმეთ.

5797. შესაძლებელია ისეც ვიცხოვროთ, როგორც ამას გვაძალებენ და გვასწავლიან, მაგრამ ზნეობა და გული ამის უფლებას არ გვაძლევენ.

5798. სიტყვების დაუფიქრებელ ფრქვევას ხშირად გულისტკივილი მოჰყვება.

5799. გულითა და ზნეობის პოსტულატებით ცხოვრება ყოველთვის ძნელია, თუმცა საპატიო.

5800. გახუნებული სიყვარულის გინება ზნეობის დაკარგვის ტოლფასია.

5801. გულთან მიტანილი დარდი ასაკს სწრაფად გვმატებს და ადრეულად გვაბერებს.

5802. სხვათა უბედურების გულთან მიუტანლობა ჩვენს კაი კაცობაზე როდი მიუთითებს.

5803. ზოგჯერ გულის ალგებრა შინაურთათვისაც გაუგებარია და

გარეშემ რომ ვერ გაიგოს, რა გასაკვირია?!

5804. გულს ვერ უბრძანებთ, მაგრამ გონიერების მცდელობებიც არ უნდა უარყოთ.

5805. სასიამოვნოა, როდესაც მეგობარი გიცავს და შენს ტყავში ყოფნას აპირებს, რათა თავისებურად დაგეხმაროს.

5806. ზრდილობა უმთავრესად ადამიანთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად და ჩვენი ყოფა-ქცევის დასარეგულირებლადაა საჭირო.

5807. აზროვნების საწყისია სულიერება, ხოლო ზნეობა გულიდან იწყება.

5808. პატიოსნებაც გადამდებია და ამ სასწაულებრივ ბაცილას გაფრთხილება უნდა.

5809. ზნეობა ჩვენი შემართების ერთ-ერთი მთავარი და ერთგვარად უჩინარი პირობაა.

5810. სურვილი ბევრ სასიკეთო ფიქრს აღგვიძრავს და ბევრ კარგ საქმეს გვაკეთებინებს, თუ ის გონიერი ადამიანის გულში გაჩნდა.

5811. იუმორის გულით შემცნობი ხალხიც ბერდება, ოღონდ ამათ სიკვდილის გადავადების შანსიც უჩნდებათ.

5812. გულის გონიერებასთან მორგებას ცოტანი ახერხებენ.

5813. ზნეობის შეცნობა ბრძნული განსჯისა და გონის ვარჯიშის შედეგია.

5814. უგვანობით დალაქავებული გული სულიერების მოშველიების შემთხვევაშიც კი ცუდად იწმინდება.

5815. გულს გრძნობებით შეფუთვა ისევე სჭირდება, როგორც ჩვილს – საფენებით.

5816. ზნეობა ფილოსოფიის განუყრელი ნაწილია, რადგან აზრი უიმისოდ მიმზიდველობას დაკარგავდა.

5817. სათნოება სხვებთან შერკინების უნარს მოკლებულია და ამიტომაცაა ის თავისებურად მომხიბვლელი და ფაქიზი.

5818. ზნეობა ადამიანის სირცხვილ-ნამუსის კრიტერიუმია.

5819. საგანგაშო ზარების შემოკვრა გულს არისხებს უწინარესად.

5820. ზნეობას მოკლებული ნიჭი უგვანო ქმედებათა თავწყაროა.

5821. შინაგან თავისუფლებას გული მოიპოვებს და არა ცნობიერება.

+5822. გონიერებისკენ მიმავალი გზა სულიერებაზე გადის, ოღონდ გულის თანხმობით.

5823. ადამიანის ზნეობის ხარისხის დასადგენი აპარატის გამოგონებას საშველი არ დაადგა, რათა ყველა ჩვენგანი საკუთარი ზნეობის პასპორტსა ფლობდეს.

5824. გონიერებას ვერაფერი შეცვლის, უბრალოდ, ხანდახან გული ჩაენაცვლება სიამოვნების მიღების მიზნით.

5825. ჩვენს გრძნობას გონი აკონტროლებს, რადგან მარტო სულიერებაზე მისი მინდობა არ ამართლებს.

5826. მორალის დევალვირებას, ზნეობის დაკარგვას ვერავითარი ცოდნა-განათლება ვერ ანაზღაურებს.

5827. ზნეობა უდიდესი განმსჯელია ადამიანთა ურთიერთობისა და, აქედან გამომდინარე, ამ ურთიერთობათა რეგულატორიც.

5828. ახალგაზრდობისა და ასაკის პარამეტრები გულის ფეთქვის შესატყვისად უნდა განვსაჯოთ.

5829. გონებრივი განვითარება ზნეობის უქონლად ვერავითარი ბედენაა.

5830. სიკეთის კეთების სურვილი უპირველესად კეთილი გულის დამსახურებაა, რომელსაც მოგვიანებით გონიერებაც მხარს უბამს.

5831. ღირსება, ზნეობა პატივის მიგებას იმსახურებს, მას განუსჯელად აღვიქვამთ თუ განსჯით.

5832. ბობოქრობასა და სულიერ ბორგვას გულის სიღრმეში მიმალვა უნდა.

+5833. ზნეობას დიდი ხიბლი აქვს, მაგრამ ის ყოველთვის მტკიცე და სანდო არ არის.

5834. გულში ყველანი წარმოჩენისა და დიდებისთვის ვიბრძვით, რადგან საქმის კეთების წადილი გვიან მოდის.

5835. სიყვარულის გამოსხივებას თუ ზნეობის შემართება გვერდში არ ამოუდგა, ყოფიერების აღქმის დეფიციტი გარანტირებულია.

5836. ვისაც გულზე ხელის ბრაგუნი ეხერხება, ის ემოციურია და მთლად სანდოც როდია.

5837. კონსერვატორული ზნეობა ხშირად საღი აზრისა და სიახლის წინააღმდეგია, რადგან მასში კოჰაბიტაციურმა გაგებამ საკმაოდ დაიგვიანა.

5838. გაუცნობიერებელი ცივილიზებული ზრდილობა სიცრუისა და გულგრილობის მაჩვენებელია.

5839. სასწაულისა გულით და სულით უნდა გვჯეროდეს, რომ აგვიხდეს და რეალობად იქცეს.

5840. ხშირად ადამიანის უჩინარი გული უფრო მომხიბვლელად გამოიყურება, ვიდრე მისი მომხიბვლელი გარეგნობა.

5841. გულს მოჩვენებითი სიყმაწვილე მაშინ უბრუნდება, როდესაც ბებერი სხეული პრაქტიკულად უძლურია ჯეელობის გასახსენებლად.

5842. ზნეობას ბიზნესსა და ვაჭრობასთან ურთიერთობა უჭირს.

5843. გულში ჩამწვდომ სიტყვებს ვიგინდარაც კი პატივს მიაგებს.

+5844. გონიერებასა და გულს, მიუხედავად იმისა, რომ ერთ სხეულში იმყოფებიან, ზოგჯერ ერთმანეთის ცნობა უჭირთ.

5845. გულით განსჯილი მადლობა და მადლიერება სიგრძე-სიგან-

ით არ იზომება, რადგან ის კომენტარებს არ საჭიროებს.

5846. ზნეობის ნორმები მარად სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გადის, რადგან არავინ უწყის, მისი პოსტულატების დარღვევას როდის რა მოჰყვება.

5847. უდიდესი ზნეობაა ქვეყნის შენების საქმეში ნიჭიერი ხალხის წარმოჩენა, მოზიდვა.

5848. ზოგჯერ საკუთარი გულის რჩევა დათვურ სამსახურს გვიწევს და ამის არიდებასაც გამოცდილება სჭირდება.

5849. გული, შეიძლება, გატკინონ და შენც ატკინო, მაგრამ ეს ზნეობის უკიდურეს ფარგლებს არ უნდა გასცდეს.

5850. ციფრებით ყოველივეს განსჯა და დამტკიცებაა შესაძლებელი, მაგრამ გული ჭეშმარიტების პოსტულატებსა და მტკიცებებს არ ემორჩილება.

5851. თუ ერთხელ გულში ეჭვი შეგეპარათ, მერე მისი იქედან გამოდევნა ძნელია.

5852. ზნეობის პარამეტრებს ყოფიერება გვიდგენს და მათ აღსრულებას ცხოვრების გამოცდილება გვაიძულებს. ეს რომ არა, ადამიანი მაიმუნად დარჩებოდა.

5853. ადამიანი ზნეობას შინაგან მოთხოვნილებათა მოთოკვით ინარჩუნებს.

5854. ზნეობა განათლებასა და გენის საწყისებზეა დამოკიდებული და მარად დაღვინების პროცესშია.

5855. გულზე მალამოდ მოხვედრილი სიტყვა საუკეთესო მკურნალია. იგი ბედნიერების შეგრძნებით გვატკბობს.

5856. ზნეობის უმაღლესი პოლიტიკაა ხალხის, მიწის, გენის, მოყვასის გონივრული სიყვარული.

5857. სიკეთის კეთებას კეთილი გული უნდა, სილამაზის შენარჩუნებას კოსმეტიკის ცოდნა.

5858. ზნეობა ჩვენგან უპირველესად სრულყოფილებას ითხოვს, ასევე სულიერების ხმობასა და სიკეთის კეთებას.

5859. გონიერება ქმნის გულისათვის სასიამოვნო გარემოსა და ვითარებას.

5860. საკუთარ გულში ჩახედული თავის თავს უკეთ აღიქვამს და აფასებს.

5861. იღბალსაც გულით მოხმობა სჭირდება, რათა შენთვის გაღიმება შეძლოს.

5862. ღირსება უპირველესად გულში პოულობს თავშესაფარს, შემდგომ უმეგობრდება მას ცნობიერება.

5863. ზნეობა ყოველდღიურ გადაფასებას, გადამოწმებას, შეფასებას მოითხოვს.

5864. ზნეობრივ სიბრიყვეს, ზარალის მეტი, არც არაფერი მოუტანია.

5865. გულში თუ სიამაყე ბობოქრობს, იქ მოწყენილობას რა გაარჩერებს?!

5866. გულს ღალატით ცხოვრება უჭირს, ხოლო სულიერება მასზეა დამოკიდებული.

5867. თავმდაბლობა, რომელიც არაფერ დასამახსოვრებელს არ იძლევა, ღირსებას ხშირად ეპაექრება.

5868. გული სიყვარულის სითბოთი უნდა ამოვავსოთ და არა სიძულვილით და გესლით, რათა დროზე ადრე არ გაგვისტუმროს იმქვეყნად.

5869. ყოველივე სიცრუე და ყალბია, რასაც გონიერება და გული არ ეთანხმება.

5870. ღირსება ჩვენი სულიერების ხარისხის შეცნობის მაჩვენებელია და მისი აღმრიცხველიც.

5871. გულით ნაკეთები სიკეთე ყველა სიკეთეზე უკეთესია.

5872. გულის შემართებით მოპოვებული გაცილებით მეტ სიამოვნებას გვანიჭებს, ვიდრე შემთხვევითი და ბედის წყალობით ნაშოვნი.

5873. სიამაყით აბობოქრებული გულიც კი ზოგჯერ, გაჭირვების ჟამს შემოწირულობებზე უარს ვერ ამბობს.

5874. ნდობამ დანდობა არ უნდა დაახურდაოს, თუ გვინდა, ის ჩვენი ცხოვრების ზნეობად იქცეს.

5875. გული სიყვარულს უხსნის და უკეტავს კარებს, მაგრამ არა იმ პიროვნებას, რომელიც სიყვარულზე მორგებულ უნივერსალურ გასაღებს ფლობს.

5876. გულს უსიყვარულოდ ცხოვრება უჭირს, მაგრამ ყოველივე ეს გულის ინფარქტის გაჩენამდე არ მიდის.

5877. გულის მართვის ხელოვნებას ყველა ვერ ფლობს, რადგან მას საღი აზროვნება და ჯანმრთელი ცხოვრება სჭირდება.

5878. ზოგჯერ ვიღაცის ფეხებზე დაკიდება გონივრულია, რადგან ყოველივეს გულთან მიტანა და ნერვების აშლა დანაშაულია საკუთარი თავის და ახლობლების წინაშე.

5879. ზნეობას შექება და რეკლამირება არ სჭირდება, რადგან ის ყველასათვის ერთია და უცვლელი.

5880. ბუნებით უზნეოსაც კი სხვათა ზნეობა მოსწონს და ესულგულება.

5881. ზნეობა მიმართულებას არ იცვლის. ის ბუნებითა და შედეგით უნივერსალურია,

5882. გული ყველას ერთნაირი გვაქვს, ადამიანობა და ურთიერთპატივის მიგება – სხვადასხვა და სადავო.

5883. გულით მოპოვებულ წარმატებებს გონი ყველაზე უკეთ აფასებს.

5884. ურთიერთსაპირისპირო გრძნობების საბუდარი გულია, რომელსაც სულიერება ეხმარება.

5885. ნამდვილ გრძნობას სიტყვათა ხაბახუბა არა სჭირდება, განსაკუთრებით, თუ ის გულიდანაა წამოსული.

5886. შრომა წესრიგის გარეშე არ ფასდება და გულის აყრაც იცის.

5887. გული გონიერებას ყოველთვის ანგარიშს უწევს და თავის თავსაც ასე წარმოაჩენს.

5888. თავაზიანობა ზრდილობისა და კაცთმოყვარეობის სინონიმია.

5889. ღირსებაც თავისი ღირებულებებით ცხოვრობს და იღვწის.

5890. დაუფიქრებელი სიტყვათა წამოყრანტალება გულის ჩუმნაფიქრალს ამხელს.

5891. ნებისმიერი პრობლემის მოგვარება შეიძლება, თუ გულით მოვინდომებთ და ბედსაც გვერდით ამოვიყენებთ.

თავისუფლება, დემოკრატია

5892. სიტყვაზე პასუხისმგებლობაა სიტყვის თავისუფლება, რადგან ყოველ უკონტროლო თავისუფლებას მრავალი სიავე მოაქვს.

5893. თავისუფლების დაკანონება ყველაზე მეტად სიმდიდრეს უჭირს.

5894. სიტყვის თავისუფლება აზროვნების დიქტატურით უნდა ბალანსდებოდეს.

5895. თავისუფლების უკიდეგანო გამოყენება ანარქიას იწვევს.

5896. თავისუფლება შიშს არა სცნობს.

5897. თავისუფლება დამოუკიდებლობის გარეშე არ არსებობს, მაგრამ არც რეალურ პრობლემებს უნდა გავექცეთ, რომლებსაც თავისუფლების მოსურნე შვილები ქმნიან.

5898. თავისუფალი ადამიანი ამაყი და უშიშარია, თუ სათანადო გარემოში ცხოვრობს.

5899. თავისუფლების მოხმარებას სურვილთან ერთად ცოდნაც სჭირდება.

5900. ისაა თავისუფალი ქვეყანა, სადაც საყოველთაო არჩევნები მორიგ უბედურებას კი არ მოასწავებს, არამედ მორიგი შოუა, სადაც შედეგი სარწმუნოა, თავისი არჩევანით ყველა კმაყოფილია და შედეგს მშვიდად იღებს.

5901. ნაცია დიდია, ეროვნულობა პატარა, მაგრამ პრობლემა თითქმის ერთი აქვთ: ერთი არ გადაგვარდეს, მეორემ თავი შეინარჩუნოს.

+5902. დემოკრატიას პერსპექტიული აზრი აინტერესებს და არა სიტყვის თავისუფლებად მონათლული უაზრობა.

5903. თავისუფლებასაც დამსახურება უნდა. ყველა როდია მისი ღირსი.

5904. შინაგანი თავისუფლების მოპოვება ხელოვნებაა, ზოგჯერ – გმირობაც კი.

5905. თავისუფლების შეცნობამდე ჭეშმარიტების კანონებია გასაცნობიერებელი, მაგრამ დროისა და განგების ნებაც გასათვალისწინებელია.

5906. თავისუფლებას დაცვა სჭირდება: მის გარე მტრებს – მუშტის ჩვენება, ხოლო შინაურ მტრებს – ტვინის გასწორება.

5907. ხელისუფალი, პირველ ყოვლისა, თანამედროვეობის მოთხოვნებს უნდა პასუხებდეს, შემდგომ – ქვეყანას უნდა არგოს, ბოლოს – ხალხი მოქალაქეებად აქციოს.

5908. თავისუფლება ხშირად უზნეობაში გვერევა, დემოკრატია – დემაგოგიაში, რაც ეროვნულობაზე, ტრადიციებსა და ქვეყნის განვითარებაზე ცუდ ზეგავლენას ახდენს.

5909. ჰგონიათ, რომ თავისუფლებას რეალური საქმის საკეთებლად მოიპოვებენ, რეალურად კი იღებენ თავისუფლებას თავისუფლებისთვის.

5910. თავისუფლებას, რომელსაც მოვალეობის შეცნობა არ ახლავს და შერჩევითია, გადაგვარება ემუქრება.

5911. ლიბერალიზმი ხშირად მტაცებლურ ინსტინქტებს და მგლეჯელის გენს ავითარებს.

5912. წესიერი ამომრჩეველი თავისი არჩევანის გაცუდების შემთხვევაში „ხარაკირს“ უნდა იკეთებდეს, მაშინ გარანტირებული იქნება უანგარო საზოგადოება და ქვეყნის პროგრესული აღმშენებლობა.

5913. თავისუფლება უპირველესად შენი სულიერების არსს ეხმოვანება და შემდგომ სხვათა გამოცდილებასა და გონიერებას.

5914. დღევანდელი გათავხედებული თავისუფლების შემყურე ზოგი აუტისტი ფსიქიკურად დაავადებულ გიჟზე მეტ თავისუფლებას ითხოვს.

5915. თავისუფლების გათავისება ჭეშმარიტების დასადგენად უნდა გამოვიყენოთ და არა ყბედობისთვის, როგორც ამას თავისუფლების ქარტიის მოშველიებით მავანნი სჩადიან.

5916. თავისუფლების ფასს ცოდნა უნდა და შემდგომ – მისი მოვლის ნიჭიც.

5917. მუნჯი დეპუტატებიც არსებობენ, რომლებიც ხმას არ იღებენ, არ მეტყველებენ, უღიმღამო აზრებს არ გვტენიან, თავისთვის არიან და ნერვებსაც არ გვიშლიან.

5918. ბევრმა ჩვენიანმა თავისი შესაკეთებელი ბუდე მიატოვა და სხვის გამზადებულ ბუდეში იწყო კვერცხების დება უკეთესი ცხოვრებისა და მომავლის იმედით.

5919. ხელისუფლებას ვირჩევთ გულით, სულიერების დაბანდებით, გამორჩენის იმედით და არა ჭკუით, ქვეყანაში შექმნილი გარემო პირობების გათვალისწინებით.

+5920. თავისუფლება ძალაუფლების ბიძაშვილია და არა განსჯის ამხანაგი.

5921. თავისუფლება ზოგჯერ უგვანოთა დღესასწაულს ემსგავსება, იმდენი საკუთარ თავზე შეყვარებული ვიგინდარა იღებს მასში მონაწილეობას.

5922. დამოუკიდებლობა ციცაბო კლდეზე სიარულს მოგვაგონებს, რაც დაზღვეული უნდა იყოს მაშველი თოკებით და კლდეზე სიარულის ცოდნით, წინააღმდეგ შემთხვევაში თავისუფლება ქვევით ფრენის საფრთხის წინაშეა.

5923. ჩვენი თავისუფლება უმთავრესად თავად ჩვენზეა დამოკიდებული, თუნდაც სხვა ქვეყანაში მოგვიწიოს ყოფნა.

5924. სჯობს, ადამიანი შინაარსით იყოს თავისუფალი და არა ფორმით, რადგან თავისუფლების შეცნობა ორივეს მოითხოვს.

5925. სამართლიანობას ყოველგვარი თავისუფლების მოპოვების უფლება აქვს, მაგრამ ხშირად ამისი ძალა არ შესწევს.

5926. შინაგანი თავისუფლების მოპოვებას უპირველესად კანონისადმი პატივის მიგებით ვაღწევთ.

5927. თავისუფლება თუ მას არ ახლავს სიძულვილის ენა და ყბედობა, მისაღებია.

5928. ყველას უნდა თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება, მაგრამ თავისუფლებას რომ თაობათა აღაზრდა უნდა, ამაზე არავინ ფიქრობს.

+5929. მართალია, თავისუფლების დაკარგვა გვაღელვებს, მაგრამ თავისუფლების გამოყენებაც რომ არ ვიცით?!

5930. თავისუფლების მადლს ზოგჯერ მარტოობისას შევიცნობთ.

5931. ყველაზე დიდი ბედნიერება სამშობლოს უანგარო სიყვარულია, და აქ დებეტ-კრედიტზე საუბარი უხერხულია.

5932. ერის ძალა მის სიმრავლეშია და ეს, ადრე თუ გვიან, თავს გამოყოფს და ცხადი გახდება.

5933. თავისუფლების მოსაპოვებლად აუცილებელია გარჯა-წვალება და სიყვარული.

5934. თავისუფლება ჯერ უნდა დაიმსახურო, შემდგომ მოიპოვო. სხვაგვარად იგი არ ამართლებს.

5935. თავისუფლება, პირველ ყოვლისა, აზროვნებასა და ცოდნას უნდა აფასებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უსუსურია.

5936. სხვის თავისუფლებას პატივი უნდა მივაგოთ, თუკი თავისი ქმედებით ამ თავისუფლებას იმსახურებს.

5937. შენი თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც სხვათა უნაპირო თავისუფლება იწყება.

5938. თავაწყვეტილი თავისუფლება ხოტბას ვერ იმსახურებს, რადგან ის ზომიერებასთან მწყრალადაა.

5939. თავისუფალი იდეები მოსახლეობის უმეტესობას აცდენს და აქეზებს დაუფიქრებელი ნაბიჯების გადასადგმელად და არა თვით თავისუფლება, რომელიც თანდაყოლილი თვისებაა და „შპარგალკებით“ არ ისწავლება.

5940. თავისუფლება ეტიკეტის დაცვიდან არ გვათავისუფლებს, რადგან ირგვლივ მყოფნი ანგარიშის გაწევას მოითხოვენ.

5941. თავისუფლებისკენ ლტოლვა სიბრაზისა და სიძულვილის ჩამოშორებას მოითხოვს.

5942. თავისუფლება ძალზე მიმზიდველი ნარკოტიკია, მაგრამ მას ცოდნა, ხელების დაკაპიწება და გონების დაძაბვა სჭირდება.

5943. თავისუფლება თავისებური პასუხისმგებლობაა, რომლის

გაცნობიერებაც ხშირად ჭირს.

5944. თავისუფლების მოპოვებას გონიერება, მოთმინება, დროის შერჩევა და პრაქტიკული ეკონომიკის ცოდნა სჭირდება, ხოლო მის დაკარგვას განაპირობებს ამბიციურობა, უგვანობა და საკუთარი შესაძლებლობების უცოდინარობა.

5945. თავისუფლების აღქმასა და მისი პრინციპებით ცხოვრებას გონიერება და საკუთარი თავის გაკონტროლების უნარი სჭირდება.

5946. თავისუფლებას გერგილიანად გამოყენება უნდა, სხვაგვარად იგი ანარქიად მოგვევლინება.

5947. ჯეროვანი თავისუფლება სახელმწიფოს მიმართ ყველა ვალდებულის უსიტყვო შესრულებას გულისხმობს.

5948. თუ ერთისთვის თავისუფლება მძიმე ტვირთია, მეორისთვის სიამოვნებისა და სარგებლის მომტანია, თუმცა ამას ვერცერთი ვერ აცნობიერებს.

5949. თავისუფლებისკენ სწრაფვა აკრძალულის დაჭაშნიკების მცდელობაა.

5950. თავისუფლების შეცნობა თავისებური ბედნიერებაა, თუ მისი მოხმარა იცი და სხვათა ნება-სურვილზე არ ხარ დამოკიდებული.

5951. თავისუფლების შენარჩუნება საკუთარი მეობის წინაშე ვაჟკაცობაა.

5952. თავისუფლება უპირველესად საკუთარი თავის გაგებაა, ამბიციების მოთოკვაა.

5953. ხშირად თავისუფლებისთვის ბრძოლა შინაგანი მოწოდებაა და არა თავისუფლების არსის შეცნობა.

5954. თავისუფლების საწყისი აზრიანი ქმედებებია, რომლებიც ვნებათა ღელვას ბოლომდის არ ემორჩილება.

5955. თავისუფლების გამოუყენებლობა სულიერების წინაშე ცოდვაა, მიუხედავად იმისა, რომ კანონით არცოდვად ითვლება.

5956. თავისუფლების აღქმას თანდაყოლილ ნიჭთან ერთად სწავლებაც სჭირდება.

5957. ლობიზმიც კორუფციის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ მასში მონაწილეთა გამოჭერა ძნელია, რადგან ისინი სიტყვის თავისუფლების ალიბს არიან ამოფარებულნი.

5958. ჩვენ გვინდა შედეგის მომცემი დემოკრატია და არა პიარსა და ყბედობასთან შეზავებული ნაჩუქარი თავისუფლება.

5959. დემოკრატია და თავისუფლება მყარი და შეჯერებული ცნებებია, მაგრამ, თუ ისინი ქვეყნის და დროის ინტერესებს ფეხს ვერ უწყობენ და ხალხის ეკონომიკური მდგომარეობა არ უმჯობესდება, მათ დროებით ხუნდები უნდა დავადოთ და კანონის დიქტატურით ჩავანაცვლოთ.

5960. შინაგანი თავისუფლება საშუალებაა, „მოვერგოთ“ იმ ფორმულირებას, რომელიც საშუალებას გვაძლევს, თეორიულად მაინც, ყველასათვის სასურველ პიროვნებად ვიქცეთ.

5961. ხალხი, რომელიც ფულზე ცვლის რწმენას, მეობას და ფული თავისუფლება ჰგონია, ნაღდი თავისუფლების მადლს ვერასოდეს შეიცნობს და შეიგნებს.

5962. თავისუფლებისკენ ლტოლვის შეჩერება ძნელია, მაგრამ უფრო ძნელია ამ თავისუფლების დამსახურება და გონივრულად გამოყენება.

5963. თავაშვებულ თავისუფლებას გაცილებით მეტი ზარალი მოაქვს ქვეყნისთვის, ვიდრე ტრადიციების მორჩილ საზოგადოებას.

5964. თავისუფლების სიყვარულსა და თავშეკავებას შორის სხვაობის დადგენა ადვილია, მაგრამ ქვეყნის სასარგებლოდ მათი ერთმანეთის მორგებაა ძნელი.

5965. არჩევანის გაკეთების უფლება – ეს უკვე თავისუფლებაა, მისი ხარისხისა და შესაძლებლობების მიუხედავად.

5966. შინაგანი თავისუფლება მოწოდებით თუ აფასებს სხვათა თავისუფლებისკენ მისწრაფებებს, უფრო ლამაზი და მიმზიდველია.

5967. თავისუფლება არჩევანის უფლებაა და არა ყველაფრის უფლება, რადგან თავისუფლებასაც ჩარჩოში ჩასმა სჭირდება.

5968. თავზე მოხვეული თავისუფლების გათავისება ცხოვრების კაურებთან შებმის გარეშე შეუძლებელია.

5969. თავისუფლებისგან თავისუფალი ადამიანი ან აუტისტია, ან პოტენციური დებილი, მაგრამ ეს არავის ანაღვლებს.

5970. თავისუფლება შეიძლება გაფულიანებითაც იგრძნო, გონიერების ხმობითაც და თანამდებობაზე ყოფნითაც, რადგან თავისუფლების შეგრძნება მეტად თავისებურია და გაუცნობიერებელი ბედნიერებაა.

5971. თავისუფლება უპირველესად ვალდებულებაა, მოვალეობათა აღსრულება ქვეყნის, ოჯახის და მომდევნო თაობათა წინაშე.

5972. დემოკრატიაში, თავისუფლების ქარტიაში საზოგადოების მუდმივი და შემოქმედებითი კონტროლი მოიაზრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ყელყელაობა გროშადაც არ ღირს, მათზე დაკისრებულ მისიას ვერ შეასრულებენ.

5973. დემოკრატიასაც აქვს თავისი უარყოფითი ბაცილები იმათთვის, ვინც მისი სწორად გამოყენება და გაძლიერება არ იცის.

5974. სადაც თავისუფლებაა, იქ ცხოვრებაც ხალისიანია და ხალხიც უმტკივნეულოდ ეგუება ყოველდღიურობის გამოწვევებს.

5975. თავისუფლების, დემოკრატიის არცერთი პოსტულატი ღმერთს არ უქნია, თუ ის ჩვენს უსაფრთხოებასა და სიცოცხლის მადლს ვერ იცავს.

5976. თავისუფლება უნდა დაიმსახურო, რადგან მისი ძალისხმევით მოპოვება ცხოვრებას გვირთულებს და არა კეთილმდომთ გვიმრავლებს.

5977. თავისუფლების რეალურ იმედს საზოგადოებრივი წყობა იძლევა და არა ჩვენი მცდელობა და შემართება.

5978. თავისუფლებასაც გონივრული შეცნობა უნდა, რომ მის ნათლულად თავი იგრძნო.

5979. დემოკრატია მაშინ ამართლებს, თუ ხალხის ინტერესების გათვალისწინებით საქმიანობთ და მათივე სახელით არ ცდილობთ მათ პირში ლაგამი ამოსდოთ და თქვენს გემოზე გააჭენოთ.

5980. ხალხის სურვილსა და კანონმდებლობას შორის ის სხვაობაა, რომ ხალხს უნდა ქალმა შვილი შვას და ქალწულად დარჩეს, რადგან დემოკრატიის პრინციპი ბევრს ამდაგვარად წარმოუდგენია.

5981. როდესაც თავისუფლებას დაკარგავ და სამყაროს კანონზომიერებას ვერ განსჯი, ვერ ეკონტაქტები, მაშინ მნიშვნელობა არ აქვს, სად იმყოფები, რას საქმიანობ და რისთვის ან ვისთვის იღვწი.

5982. საზოგადოებრივ მმართველობაში ბრიყვები და შემთხვევითი ხალხი გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენ გვგონია, მაგრამ, ეტყობა, საქმეში მათი მონაწილეობა დემოკრატიული და თავისუფალი მმართველობის აუცილებელი ატრიბუტია.

5983. ადამიანები ურთიერთდაპირისპირებისას ყველაზე ძვირფასს – დროს კარგავენ. ამიტომაცაა, რომ ნიჭიერი და წიგნიერი დიქტატურის ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთი გაცილებით შედეგიანია ქვეყნის აღმშენებლობისთვის, ვიდრე ყბადაღებული დემოკრატია, რომელიც ძირითადად ადამიანის უფლებებზე ჭორაობს და ყველა წარუმატებლობის გადაბრალებას ძველ ხელისუფლებაზე ცდილობს.

5984. დემოკრატია შანტაჟის, გამოძალვის საშუალება არ უნდა გახდეს, მაგრამ არც პოლიტიკა, არც ეკონომიკა ამას ანგარიშს არ უწევს.

5985. დემოკრატია ურთიერთგაგებას, ურთიერთმოსმენას, ურთიერთდახმარებას გულისხმობს, ხოლო ეგრეთ წოდებული „დემოტრაკია“ ამ კითხვებზე ყბედობს, პიარს იკეთებს და პირადი გამორჩენისთვის იღვწის.

5986. დემოკრატიასა და „დემოტრაკიას“ შორის განსხვავება დიდია, მაგრამ ამომრჩეველთა უმეტესობა ამ სხვაობაში ვერ ერკვევა, რადგან ყველა თავის გამორჩენას ელის.

5987. თავისუფლება, დემოკრატია მოსმენით კი არ უნდა აღვიქვათ და შევიმეცნოთ, არამედ საქმით.

5988. დღეს არავინაა დამნაშავე, თუ მოულოდნელად ყოფიერების დაპირისპირების ქარიშხალი ამოვარდება და ადამიანებს ერთმანეთს დაგვაშორებს. განა ამას ქადაგებდა თავისუფლების ქარტია?!

5989. როდესაც ქვეყანაში „შემაფურთხე, ვერ მოვიხოცავ?!“

დემოკრატია ფაფხურობს და სიტყვის „ვაი თავისუფლება“ ბოგინობს, იმ ქვეყნის საქმე „ალჩუზე“ ვერასოდეს დაჯდება.

5990. თავისუფლება რომ დემაგოგად არ აღვიქვათ, უპირველესად საზოგადოებას რწმენა უნდა ჩავუნერგოთ და შედეგის ჩვენებით უნდა აღვზარდოთ.

5991. როდესაც უფლება მოვალეობად იქცევა, ესაა დემოკრატია, ხოლო, პირიქით, როდესაც უფლებას პირადი ქონების მოპოვების მცდელობად აქცევენ, ეს უკვე „დემოტრაკიაა“.

5992. თავისუფლების სიყვარულსაც ცოდნა უნდა, გაწონასწორებული გონიერება და წინხედვა.

5993. თავისუფლება ზოგისთვის ბედნიერებაა, ზოგისთვის – მხრებზე დადებული ტვირთი, რომლის სატარებლადაც ის მზად არ არის.

5994. დემოკრატია შეიძლება იყოს დე იურე, თავისუფალი კი „დე ფაქტო“ ან პირიქით, მაგრამ, თუ ქვეყანას სათავეში ნაღდი პიროვნება არ უდგას, კაპიკია ამ ცნებათა ფასი.

5995. თავისუფლებას თუ სამართლიანობა გვერდში არ უდგას, ის ყველას თავისებურად ესმის.

5996. თავისუფების აღქმა კანონის გარდაუვალ აღსრულებაზეა დამყარებული.

5997. არა, არაფრის მომტანი უაზრო თავისუფლება, არამედ შედეგის მომტანი აზრიანი თავისუფლება, რადგან პირველი ვალის მოხდაა საკუთარი ამბიციების წინაშე, მეორე კი საქმის კეთების მცდელობა ქვეყნის ფეხზე დასაყენებელად.

5998. თავისუფლება თუ ანარქიად გვექცა და დამოუკიდებლობა – მოჩვენებით ბედნიერებად, მაშინ ამდაგვარ ქვეყანაში ცხოვრება დროის გაჭიმვას დაემსგავსება.

5999. დემოკრატიას არც „ხბოს აღტკინებით“ მზერა უხდება.

6000. წინდახედული ანტილიბერალიზმი, ჰუმანიზმი, მართალია, სახელმწიფოს დროულად ფეხზე წამოყენებას ხელს უწყობს, მაგრამ გარკვეული დროით ხალხის თავისუფლებას „დედას უტირებს“.

6001. დემოკრატ-კრედიტის ცოდნა უპირველესად სიყვარულსა და ოჯახის შენარჩუნებას სჭირდება.

6002. თავისუფლების და ღირსების წარმომჩენ-დამფუძნებელი მაინც მატერიალიზმია, მიუხედავად სულიერების დიდი მნიშვნელობისა.

6003. ამომრჩეველი, რომელიც საარჩევნო ხმას აძლევს „შეჩვეულ ჭირს“, „ვიღაცის ჯინზე“ და ხმაზეა აყოლილი. წესით, ასეთი ამომრჩეველი საზოგადოებას არ სჭირდება, მაგრამ რა ვუყოთ ნაძალადევი და თავზე მოხვეული დემოკრატიის პრინციპებს, რომელიც ვითომდა სამართლიან არჩევანს გვთავაზობს.

6004. თავისუფლების ბუნებაც ცვალებადია, რადგან ის მიღწეუ-

ლით არასდროს კმაყოფილდება.

6005. დამოუკიდებლობა როდი ნიშნავს იმას, რომ სხვათა აზრი არ გაიზიაროთ და მხოლოდ საკუთარი პრინციპების დამცველი იყოთ.

6006. თავისუფლებას დაცვა უნდა ნიჭის, შემართებისა და უანგარობის მომარჯვებით.

6007. თავისუფლების ფასს მაშინ ვგრძნობთ, როდესაც ის დაბლოკილია.

6008. თავისუფლებას ყველა ეტრფის, განსაკუთრებით, თუ ამ მოვლენას აღქმა სამართლიანია.

6009. თავისუფლებას, დემოკრატიას უგვანობისთვის პატივის მიგება პრაქტიკულად არ შეუძლია და ეს მისი წარმომჩენი გენეტიკის ბრალია.

6010. დემოკრატიას და დემაგოგიას, საძირე ერთი აქვთ, მაგრამ ვინ რა აზრებს ამყნობს მის ფესვებს და რა სახის წყობას მივიღებთ, არავინ უწყის.

6011. საზოგადოება რომ განვითარდეს, ის ჯერ კიდევ რეალური თავისუფლების აღსაქმელად უნდა მომწიფდეს და შემდგომ უნდა იფიქროს სახელმწიფოსა თუ სრულფასოვანი ეროვნული ავტონომიის შექმნაზე.

6012. დემოკრატიით თავის მოწონება არშემდგარ, დაუღვინებელ ქვეყანაში იწვევს დაპირისპირებას, რაც ეკონომიკის აღმშენებლობაზე ცუდად მოქმედებს.

6013. მეგობრობას დახურული კარები არ აქვს.

6014. დემოკრატიული პრინციპების გაფეტიშებას, რომლის აზრსაც და შინაარს საზოგადოების ცნობიერება ბოლომდის ვერ სწვდება, უფრო მეტი ზიანი მოაქვს საზოგადოებისთვის, ვიდრე სარგებელი.

6015. ბერძნულად დემოკრატია პირველად დემაგოგიას ნიშნავდა, ხოლო ქართულად თავისუფლებას.

6016. ზოგისთვის დემოკრატია მკერდისა და გავის სექსუალურად გაქანების მცდელობაა, გააჩნია, მას ვინ როგორ აღიქვამს და რად გამოიყენებს.

6017. დემოკრატია, რომელიც მოვალეობად გაკისრია, თავისუფლებად არ აღიქმება.

6018. თავისუფლების შეცნობა გონის რელსებზე მიქრის.

6019. თავისუფლების შოვნას სჯობს, მისი მოჩვენებითი ჩვენება არ დაგვჭირდეს.

6020. დემოკრატია და თავისუფლების ქარტია მათი პოსტულატების: ურთიერთგაგების, შემართების, ნიჭისა და პატიოსნების გარეშე არარაობაა და ქვეყნის სამართავად არ გამოდგება.

6021. თავისუფლების დაკარგვა იწვევს საკუთარი ჭკუა-გონების, ყოფის პარამეტრების გადაფასებასა და კრიტიკას.

6022. თავისუფლების ხელახლა მოპოვება არ ღირს, თუ საამისოდ მომწიფებული არა ხართ.

6023. თავისუფლებისა და დემოკრატიის მოწოდებანი მათსავე მიერ დამტკიცებული კანონების მონებად იქცნენ.

6024. თავისუფლებამ ის უნდა აკეთოს, რაც სამართლიანი ჰგონია და სხვას ზიანი არ მოუტანოს.

6025. თავისუფლების გარანტად ყოფნა ძნელია, თუ ის სულიდან ხორცამდე გაცნობიერებული არა გაქვს.

6026. დემოკრატია, დამოუკიდებლობა, თავისუფლება ისიცაა, თუ შენ მაგიერ არ ფიქრობენ და თავიანთ საყველპურო აზრებს თავზე არ გახვევენ.

6027. თავისუფლებისთვის ბრძოლას მაშინ აქვს აზრი, თუ მას შიშველი ხელებით, ცარიელი თავით, უნიათო ამბიციებით და წინდაუხედაობით არ ებრძვი.

6028. რეალური სახელმწიფოებრივი აზროვნება ე.წ. დემოკრატიისა და თავისუფლების ქარტიის ზოგიერთ პოსტულატს ვერ ეთვისება, რადგან მათში ძალზე ბევრია სურვილი და მოჩვენებითი კეთილდღეობა, რაც ქვეყნის მმართველობას საქმიანობაში ხელს უშლის.

6029. თავისუფლება დიდ შრომასა და გარჯას, წინდახედულებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დროის კაპრიზის წარმოჩენაა და მეტი – არაფერი.

6030. დემოკრატიის დღევანდელმა გაგებამ ძალზე მოამრავლა სხვათა ხარჯზე ხელგაშლილი მეოცნებე ნაძირალები. მე რომ რომელიმე მილიარდერის ფული მომცა, იცით როგორ ავაყვავებდი და ბედნიერს გავხდიდი ხალხს. მას ამ თანხას დავურიგებდი. ხოლო, თანხა როგორ უნდა შეივსოს, ეს მას არც აინტერესებს და არც იცის.

6031. ხალხს დემოკრატიის მაცდუნებელი და გაუცნობიერებელი თავისუფლება უფრო მოსწონს, ვიდრე მის დასაცავად შექმნილი კანონმდებლობა და მისი აკრძალვები.

6032. თავისუფლება ყველას უნდა, ოღონდ თავის გამოჩენისა და გამორჩენის მიღებაც არ ავიწყდებათ.

6033. ნაღდ თავისუფლებასა და დემოკრატიას მაშინ აღვიქვამთ და გავაცნობიერებთ, როდესაც ბოროტების ჩადენაზე არ ვიფიქრებთ და არც სურვილი გვექნება მისი კეთებისა.

6034. მასა ე.წ. აბსტრაქტული თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის უფრო იბრძვის, ვიდრე მისი გაცნობიერებისა და მისი შესაძლებლობების ცხოვრებაში გამოყენებისთვის.

6035. თავისუფლების შეუზღუდავი უხამსობა ადამიანურ ფასეულობათა დაკარგვისკენ გვიბიძგებს.

6036. საკუთარი თავის გონივრული ფლობა თავისუფლების სი-

ნონიმია.

6037. თავისუფლება დიდი სიკეთეა, თუ მისი მადლი შინაგანად გაცნობიერებული გაქვს და სხვებიც შენს აზრზე დგანან.

6038. რეჟიმი, წესრიგი, რიდი საქმეს უკეთ უძღვებიან, ვიდრე თავისუფლება და დაუღვინებელი დემოკრატია.

6039. დღეს რატომღაც გარყვნილება თავისუფლებად აღიქმება, ხოლო უსინდისობა – ძალაუფლებად.

6040. თავისუფლების მიღწევას კრიტიკული აზრი და გონი სჭირდება და არა არსებულ წინააღმდეგობათა ჯაჭვების გლეჯა.

6041. დემოკრატია ხალხის ძალაუფლებასა ნიშნავს, მაგრამ ღირსეული ხელისუფლის გარეშე ის ანარქიად წარმოჩნდება.

6042. ზოგს ანარქია და აღვირახსნილობა თავისუფლება ჰგონია და მას მასის წარმომადგენლებიდან ბევრი მიმდევარიც უჩნდება.

6043. სამსახურებრივი რომანი – დაწყვილებაა ძალზე გაუმართლებელია გზაში, სამსახურში, სახლშიც ერთად ხართ და თქვენთვის განკუთვნილ თავისუფლებას კარგავთ.

6044. მტერსა და მოყვარეს, დამპყრობელსა და დაპყრობილს თავისუფლება, თანადგომა სხვადასხვაგვარად ესმით და ეს მეტ-ნაკლებად ორივე მხარეს ვნებს და აზიანებს.

6045. ჩვენ დღეს დემოკრატია და „გიჟი თავისუფალია“ ერთმანეთში გვერევა, რადგან დემოკრატიის პრინციპებს ყველა თავისი გადასახედიდან ხედავს.

6046. დემოკრატია და თავისუფლება პოლიტიკური სამოთხე როდია, არადა გულუბრყვილო ადამიანს მათზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს.

6047. დემოკრატია მისაღებია კარგი პოლიტიკურ-ეკონომიკური ამინდის დროს, მაგრამ საკმარისია უამინდობა-დაპირისპირება და დემოკრატიის პოსტულატებიც შარშანდელი თოვლივით გაქრება.

6048. დემოკრატია თითქოსდა უდრტვინველი ცხოვრების უფლებას იძლევა, მაგრამ რა არის ეს დემოკრატია, ამაზე არავინ ფიქრობს.

6049. ვერცერთი ჩვენგანი მოვალეობის უქონლად თავისუფლებას ვერ მოიპოვებს, ხოლო კანონის პატივისცემის გარეშე – დემოკრატიას.

6050. თავისუფლებასა და სიყვარულს მაშინ ადევს ფასი, თუ ისინი საინტერესო პერსპექტივებს სახავენ.

6051. გონივრული დემოკრატია ყველაფრის უფლებას არ იძლევა, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ყველას როდი ესმის.

6052. თავისუფლებისკენ სწრაფვა აკრძალვებს არ ემორჩილება, რადგან ის ენას კბილს ვერ აჭერს და ზოგჯერ ჯეროვნად ჭკუასაც ვერ იყენებს.

6053. თავისუფლებას ჯერ შეგრძნება-გათავისება სჭირდება, შემდ-

გომ – დროისა და გარემოს შესატყვისად მოთხოვნა.

6054. მოჩვენებით თავისუფლებას ხალხი დაჩქარებული წესით მოუთმენლობის ხარჯზე იღებს, თანაც მსხვერპლის გაღებით და ურთიერთდაპირისპირებით, ხოლო დაუჩქარებელ და კანონზომიერ თავისუფლებას – უმსხვერპლოდ, ოღონდ დიპლომატიის გამოყენებით.

6055. ყველა ჩვენგანის ოცნებაა შეუზღუდავი თავისუფლება და დაფინანსება.

6056. რა არის თავისუფლება?! წარმატებისკენ სწრაფვა თუ მოქიშპეთათვის ბიშტის ჩვენება, ძნელი სათქმელია, მაგრამ შედეგის დამუღამება, ყოველ შემთხვევაში, აუცილებელია.

6057. ნამდვილი დემოკრატია და თავისუფლება მაშინ მყარდება, თუ კანონს ყველა ერთნაირად აღიქვამს, პატივს მიაგებს და მის მოთხოვნებს უსიტყვოდ ემორჩილება.

6058. თავისუფლების რეალობის შეცნობას დროსთან შერწყმა და კრიტიკული გონი სჭირდება.

6059. დემოკრატია უპირველესად საკუთარი თავის პატივისცემაა, სხვათა აზრების გათავისება, განსჯა და გამოსავლის ერთად ძიებაა.

6060. დაუღვინებელი დემოკრატია გვაიძულებს ბევრ უხიაგობას, უგვანობას, უსინდისობას ნებაყოფილობით ვუყუროთ და მოვუსმინოთ.

6061. თავისუფლება ყველას თავისებურად ესმის, მათ შორის, განგებასაც და მის მიერ შექმნილ ადამიანსაც.

6062. უგვანო, განუსჯელი და ბოლომდის შეუცნობელი ყოველივე მიუღებელია, მათ შორის დემოკრატია, თავისუფლება და ადამიანის უფლებები.

6063. თავისუფლების მოპოვებას უპირველესად შრომა და შემართება სჭირდება, შენარჩუნებას – აზროვნება და წესრიგი, რადგან მუქთად, თავისით არაფერი მოდის და არც რჩება.

6064. დემოკრატიის განუსჯელ შექურებს ყოველთვის თავიანთი მესაფლავე ჰყავდათ და ეყოლებათ, რადგან დაუხვეწი და უხერხული ღმერთს არა უქნია რა.

6065. გაცუღლუტებულ თავისუფლებას გაცილებით მეტი ზარალი მოაქვს ქვეყნისთვის, ვიდრე კანონიერებას ამოფარებულ დიქტატურას.

6066. დემოკრატიისა და თავისუფლების დაგემოვნების სასინჯი პირობა ნაღდი და არა მოჩვენებითი სამართლიანობის დაგემოვნება-დამყარებაა.

იმედი, შიში

6067. მომავლის რწმენა თანდაყოლილი ნიჭია, რომელსაც დიდი ზეგავლენის მქონე იმედი ახლავს.

6068. ოცნებაზე, იმედზე ხელის აღება სიცოცხლეზე ხელის აღების საწყისი ეტაპია.

6069. ასეა თუ ისე, ბოლოს ყველაფერს ვიჯერებთ, მაგრამ ჩვენი ოცნებისა მაინც ბოლომდის არ გვჯერა, იმდენად ამბიციურია.

6070. ილუზიური თავისთვის შეწუხება არ ღირს, მაგრამ არც უიმ-ისოდ ემატება რაიმე ჩვენს ყოფას.

6071. ხშირად ისინი გვიდებენ კვანტს და ჯვარს გვაცმევენ, ვის-იც გვჯერა, ვენდობით, ვეთაყვანებით, იმდენად დიდია დაპირისპირება, იმედის სულ მცირედი გაცურება-გაწბილებით გამოწვეული.

6072. თავში არსებული ოცნებას ფორმა არ სჭირდება, ქაღალდზე გამოტანილიდან განსხვავებით.

6073. არაფერი ისე მეოცნებე არ არის, როგორც იმედი – მუდამ გამართლებასა და ღვთის კეთილი თვალით გადმოხედვაზე ოცნებობს.

6074. იმედის, ნუგეშის უქონლად, ცხოვრება აზრს კარგავს და ადამიანის ამქვეყნად ყოფნა მოვალეობის მოხდის ტოლფასია.

6075. იმედი ყოველივეს და ყველაფრის უნივერსალური მკურნალია და თანაც საკმაოდ ინტიმურიც.

+6076. მომაკვდავს ყველაზე დამამშვიდებელი იმედი სიკვდილის წინ უჩნდება: იმქვეყნად გარდასული ახლობლების მონახულების იმედი.

6077. საერთო ინტერესები მიზანდასახულს გვხვდის და კოლექ-ტივიზმის გრძნობას გვიმახვილებს.

6078. პატრიოტიზმი შეგნებაა, ერთგვარი მორალია და არა ენის ტრიალი და ლაყბობა. ლენინგრადის ბლოკადის დროს ბლოკადელები-სთვის შესრულდა ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია და მაშინ გერმანული კულტურა ფაშიზმთან არავის გაუთანაბრებია.

6079. წინ ყურება აწმყოს გარანტიას იძლევა.

6080. ყოფიერებისთვის ბრძოლა ყოველდღიური კეთილდღეობის მოპოვების სინონიმია.

6081. საკუთარი ოცნებაც უნდა ვაკონტროლოთ, რათა თავს არ გავიდეს და რეალობას მეტისმეტად არ დაშორდეს.

6082. დედის ყოლა შვილს შემართებულსა ხდის და ახალგაზრდულ ენერგიას მატებს.

6083. ოცნებებისთვის გამოკიდება და მისი გაფეტიშება ჭკუანაღრ-ძობ ბედნიერთა ხვედრია.

6084. ურთიერთგაღიმების ტოლობა თქვენ მიერ გატარებული ცხოვრების შესაკრები ჯამია.

6085. გონის მოწოდებაა, სხვასაც ცხოვრების იმედი შთააგონოს.

6086. შეუსაბამო ეპოქა ნიჭსა და თანადგომას მოითხოვს და ამ მოთხოვნებს დღევანდელი ქვეყნის მამები თუ არა, მათი შთამომავლები მაინც გამოამზეურებენ ოდესმე.

6087. ოცნება – ეს წარმატებული ხმალაობაა, რეალობა კი ხინჯიანი ხანჯლობა.

6088. იმედიანი სიყვარული ოპტიმიზმის სამშობლოა.

+6089. თუ ერთგულების ძალა და პარამეტრები გაინტერესებს, შეიძინე ძაღლი.

6090. მომავალს ხშირად ოცნების სარკით ვუყურებთ და ზოგჯერ ჩვენთვის სასურველ გამოსახულებას ვიღებთ.

6091. იმედის მოთვინიერების უნარი დეფიციტური უნარია.

6092. გონივრული იმედი საერთო მომავალს გვიწინასწარმეტყველებს და არა კერძოს.

6093. ფიქრების მცდელობას მაშინ აქვს ფასი, თუ ის გზას უნათებს მომავლის იმედს.

6094. მოწამეობა თავისებური ტრფიალია, სიყვარულის გამოხატვაა, მორწმუნეთა გადანახული იმედია.

6095. წესით, იმათ უნდა დავეხმაროთ, ვინც იმსახურებს, და არა ყველას, მაგრამ იმედს, უკეთესის უკეთესი რომ გახდება, საზღვარი არ აქვს.

6096. ყველა რევოლუცია, გარდაქმნა, იმედის მომტანი ძვირადღირებული უსიამოვნებაა.

6097. განზრახ ჩადენილი დანაშაული ჩვენს აწმყოსა და მომავლის იმედს კვანტს უდებს.

6098. სასოწარკვეთაში რომ არ ჩავცვივდეთ, წინასწარ იმედის შრატით უნდა ავიცრათ.

6099. იმედის უქონლად იმქვეყნად გადასახლებაც კი საშინელებაა.

6100. იდეა, მისი შემოქმედისაგან განსხვავებით, არ კვდება და არც დროს ეპუება.

6101. იდეალიზმს რევოლუციური პატიოსნება უნდა ჰქონდეს.

6102. სიხარულის უნარი სითბოს მფრქვეველი ნიჭია.

6103. იმედის იმედით ზოგჯერ დაუმსახურებლად ვსარგებლობთ.

6104. ჩვენ იმის იმედითაც ვცხოვრობთ, რომ იმქვეყნად გადაბარგებულნი ამქვეყნად უეჭველად ვემახსოვრებით.

6105. იმედის ქონა ჩანაფიქრის რეალიზების გარანტი როდია.

6106. შედეგიანი შრომის შედეგს, დასვენებას, ოცნებებისკენ ნეტარებით მივყავართ.

6107. ზოგი ალალის აფრენაშიც უიმედო იმედს ეძებს და ზოგჯერ შვებას სხვა ქვეყანაში ნახულობს.

6108. აწმყოს ყველანი იმედით ვუყურებთ, ეს კომუნიზმში შესვლის

ეგიდით იქნება თუ კაპიტალიზმში უკან დაბრუნების იმედით.

6109. ოცნებით შეკრული სურვილების განხორციელებას რატომ-ღაც ოცნებითვე ვცდილობთ.

6110. ოპტიმიზმი თავისებური სიგიჟეა, რომელიც იმედის გაუცნო-ბიერებლად ამაყობს.

6111. მხცოვანებაში საუკეთესო წლებს ვემშვიდობებით, მაგრამ მომავლის იმედით ვსულდგმულობთ.

6112. სხვისი იმედით ცხოვრების მოწყობა უმეტესწილად არ ამა-რთლებს.

6113. კეთილი სურვილები ხშირად ერთობ შორს დგას კეთილი საქ-მეებისგან, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავთ.

6114. იმედების გაცრუება, მსხვრევა უმთავრესად გაამპარტავნების შედეგია.

6115. იმედი ბრიყვის ოცნების კოზირია.

6116. თუ იმედი ბოლოს კვდება, სიხარული პირველ უაზრობასთან შეხვედრისას ქრება.

6117. მარად ჩვენი ჩუმი ოცნების იმედი გვაქვს, რომელსაც ოდეს-ღაც ხორცი შეესხმება.

6118. უიდეოლოგიოდ ნიჭიც კი იაფფასიან ყოველდღიურობაზე ხურდავდება, რათა თავი ირჩინოს.

6119. იმედი ჩვენი მცდელობის ელექსირია.

6120. იდეათა „ბაზარი“ თანასწორობას ქადაგებს და შედეგს არ დაგიდევთ.

6121. იდეალური ყოფის წესებიც კი ყველას არ გამოადგება.

6122. ჯოჯოხეთში მოხვედრილიც კი იმედით ცხოვრობს.

6123. დღეს „გაყავი და იბატონე“ სჯობს „გაერთე და იბატონეს“, იმდენად უნიათო გახდა ინტელიგენცია.

6124. ჭორები და მათი გაფანტვის იმედი ჩვენი მარადიული თანა-მგზავრებია.

6125. იმედი ის სიზმარია, რომელმაც ზოგჯერ ახდენა იცის.

+6126. იმედს ყავარჯნის ტარება არ უხდება.

6127. იმედით მოვლენილი სიხარულის ნაპერწკალი გონიერებას გვინათებს და სიცოცხლეს მადლს მატებს.

6128. ზეცის ბოდვების გაგების იმედი არა გვაქვს, მაგრამ საინტ-ერესო კია.

6129. ოცნებები და იმედი მსხვერპლს მოითხოვს.

6130. იმედის აგორება ნუგეშის მომცემია, აცნობიერებენ თუ არა ამას ადამიანები.

6131. უაზრო ვითარებაში ზოგჯერ მოვხვედრილვართ და გასახ-სენებლადაც სახალისოა, მაგრამ მაინც მისი გაუმეორებლობის იმედით

ვცხოვრობთ.

6132. პატარა ბავშვები – პატარა პრობლემები, დიდი შვილები – დიდი პრობლემები, პატარა შვილიშვილი – დიდი სიხარული, დიდი შვილიშვილები – დიდი იმედები. ასე და ამრიგად, ჩვენი ცხოვრება იმედით გრძელდება და იფერფლება.

6133. იმქვეყნად იმედით გადაბარგება სულისთვის დიდი შეღავათია.

6134. იმედის პოტენციალი უიმედობის ბაცილებით არ უნდა გავანიავოთ.

6135. სულიერად ძლიერთ იმქვეყნად უფრო დიდი სიწმინდის მოძიების იმედი აქვთ.

6136. ურჩხულთან უაზრო ბრძოლა ხშირად სხვა „კეთილისმდომ“ ურჩხულთან საბრძოლველად განგვაწყობს, რადგან იმედები გაგვიცრუა.

6137. 21-ე საუკუნე მე-20 საუკუნის დიქტატით არ იმართება, მაგრამ 22-ე საუკუნეს იმედით ეხმიანება; მოკლედ, აწმყო წარსულის ხუშტურებით არ იმართება, მაგრამ მომავლის იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს.

+6138. განათლება იმედს იძლევა, ხოლო სიმდიდრე – იმედის განახლებას.

6139. მომავლის იმედის დაკარგვა ყოველგვარ დაკარგვაზე მეტია.

6140. ქალები ძირითადად იმედით ცხოვრობენ, იმის ცოდნის მიუხედავად, რომ ეს იმედი არარეალურია.

6141. სხვათა იმედზე მყოფნი მარად ფიასკოსთვის არიან განწირულნი, ერთეულ ბედნიერ გამონაკლისთა გარდა.

6142. იმედისა და შიშის უქონლობა ჩვენს მიწიერ წარმომავლობაში ეჭვსა ბადებს.

6143. მართალია, უნდა ვიცხოვროთ დღევანდელობით, მაგრამ მომავლის იმედს ხვალინდელი დღის ოპტიმიზმის გაცნობიერებაც უნდა შევაზილოთ.

+6144. იმედით საუზმობაც შეიძლება და სადილობაც, მაგრამ არავინ უწყის, ვახშამი საერთოდ იქნება თუ არა.

6145. ჯიუტი იმედი ოცნებით სულდგმულობს, მოსალოდნელი შედეგის მიუხედავად.

6146. იმედს შინაგანი სიამოვნება მოაქვს, გაწბილების შანსის არსებობის მიუხედავად.

6147. სამშობლოსადმი მიძღვნილ ახალად „აღმოჩენილ“ ლეგენდებს მისი სიყვარულის გამო ქმნიან, რომელშიც ჩადებულია წარსულის ნოსტალგია და მომავლის იმედი.

6148. მცდარი და გადაჭარბებული, მათ შორის იმედიც, ხში-

რად გვაწბილებს, როდესაც ერთსა ვთესავთ და რატომღაც მეორის ამოსვლასა და მომკას ვგეგმავთ.

6149. უღირსი საქციელის გამო თუ ამქვეყნად პასუხს ვერ გვაგებინებენ, რატომღაც იმქვეყნად ჩვენი დასჯის იმედს იტოვებენ და ამ წყალწაღებული იმედით თავს იმშვიდებენ.

6150. ცნობიერება ხშირად მოგზაურობს წარსულსა და მომავალში და ამით იმედსა და სასოებას იხვეჭს.

6151. ჩვენი ამქვეყნად ყოფნა პირობითად წამების, წუთების საქმეა, რომელიც საათებით, დროებით, თვეებით და წლებით ფიქსირდება და რომლის შედეგის გაცნობიერებას იმედში გადახარშვა სჭირდება.

6152. ინტერესები ზოგჯერ იდეებსა და იდეალებს სჯობს, მაგრამ არა საბოლოოდ.

6153. მოწყენილობასაც თავისი მხარდამჭერი სჭირდება, რათა მომავლის იმედით იმხიარულოს.

+6154. გასაახალგაზრდავებელ ელექსირს ვერ ვნახულობთ, მაგრამ ყველა მისი პოვნის იმედით ცხოვრობს.

6155. ლურჯი იმედის ფერია, ავიღოთ თუნდაც ცაში აჭრილი ფრინველი, ლურჯად მოლივლივე ზღვა, თავზე დამყურე ცა.

6156. შეუზღუდავი არის იმედი, ცხოვრებას რომ გვიხალისებს და სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს.

6157. მუდმივად არცა წვიმს, არცა თოვს და შეუძლებელია, ზოგჯერ მზემაც არ გამოანათოს. ამიტომაც არასოდეს უნდა დავკარგოთ ამ ცხოვრების შეუცნობელ ტრამალებზე გაჯირითების იმედი.

6158. ვეცადოთ, ერთმანეთი უიმედობაში არ ვამყოფოთ და გაჭირვებას თავი დროებით მაინც დავავიწყოთ.

6159. პატივის მიგება და პატივის მიყრა (ნიადაგში შეტანა) სხვადასხვა ქმედებაა, ცნებაა, მაგრამ ორივე მომავლის იმედს ემსახურება.

6160. ჩვენი შესაძლებლობების გამოყენებით უნდა ვცხოვრობდეთ და არა ოცნების განყენებული იმედით, რომელიც მუქთახორობის ტოლფასია.

6161. „სკამთ თაყვანისმცემლებს“ თუ დროულად სკამს არ გამოვაცლით, მაშინ ხალხს გამოეცლება წარმატებისა და წინ წასვლის იმედი.

6162. ხვალინდელი დღის იმედით ცხოვრება ზოგჯერ უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე დღევანდელი დღით კმაყოფილება.

6163. მოწოდებით, განათლებით და გამოცდილებით შეძენილი პროფესიის დაჩმორება უპირველესად ჩვენს ცნობიერებაზე მოქმედებს და მომავლის იმედს ბევრ სულიერ და უხილავ პრობლემას უქმნის.

6164. რეალობის დაბინძურება და იმედის გაცრუება გვაიძულებს ზღაპრებში სინამდვილე ვეძიოთ.

6165. მშვიდობა არის მშობლების სიხარულის, შვილების ჯანმრთე-

ლობისა და ჩვენი შთამომავლობის იმედიანი ცხოვრების გარანტი.

6166. სოფლად „იმედის ძაფი“ ბუხარში ამოსული კვამლია.

6167. ყველას გვინდა ბედნიერი ვიყოთ, ოღონდ ჩვენი დროის განწყობით.

6168. იმედი ყოველთვის ცდილობს მოუჯოკროს გამოცდილებას, მაგრამ ის ამას ახერხებს თუ არა, ეს უკვე სხვა საკითხია.

6169. დგება ასაკი, როდესაც ადამიანი გაცილებით მეტს ფიქრობს იმქვეყნიურ წარმავალ ცხოვრებაზე, ვიდრე ამა სოფლის სიამეზე და ესეც უიმედო იმედების წარმოსახვით გაჩალიჩების ბრალია.

6170. ყველა ჩვენგანი თავის ხვალინდელ დღეს უცდის და მის იმედზეა.

6171. სიკეთე, შესაძლოა, თავის წარმოჩენას არ ცდილობს, მაგრამ სულიერების კუნჭულში ის მაინც მომავლის იმედით იღვწის.

6172. იმედი დიდი ძალაა. ის ადამიანის გონს ოცნებით მართავს.

6173. ხშირად მადლიერების გრძნობას ლოცვით გამოვხატავთ და სულიერებას ვიშველიებთ. ამასთან ერთად, მადლიერებას მივაგებთ განგებას, რათა იმედი არ გაგვიცრუოს.

6174. იმედის თვალით გადმოხედვა ადვილია. მისგან წყალობის მიღება და იმედის გამართლებაა ძნელი.

6175. ბოლომდის ჩვენი იმედით გაჯეჯილებულმა გონმაც არ უწყის, მომავალი რას გვიპირებს.

6176. ყველა პრობლემა მოგვარებადია დროის, გარემოს, რწმენის, ბედისა და ჩვენი გულისხმების შესატყვისად.

6177. იმედის გაცრუების ქრონიკა ჩვენი განვლილი ცხოვრების ბალანსია.

6178. ინტუიცია წინათგრძნობის წინხედვით განსჯაა და ვეცადოთ, მას მხარი ავუბათ.

6179. სასოწარკვეთილებას ზოგჯერ იმედის გადაწურვით მკურნალობენ.

6180. გარკვეული იმედიც კი ყველა ჩვენგანში შემოპარულ-დაბუდებულ „დრაკონს“ ამარცხებს და კლავს.

+6181. იმედის იმედი დაუწერელი თაღლითობაა.

6182. წარსულს აწმყო აფასებს, წარმოაჩენს და არა – პირიქით, რათა მომავლის იმედს განსჯით შევხედოთ და გავითავისოთ.

6183. სიმდიდრის უპირველესი მაჩვენებელია განათლება, სიხარულის შეცნობის უნარი, საყვარელი საქმის კეთება და არა ბანკში დაგროვებული ფული – ეს, უბრალოდ, იმედია.

6184. ვითარებისთვის ჩასაფრება, დროის შერჩევაა მისასალმებელი და არა უაზრო იმედი და უპერსპექტივო ლოდინი.

6185. ამქვეყნად ერთგული მეგობრის დამტოვებელი იმქვეყნადაც

იმედიანად იქნება.

6186. რწმენით და უტყუარი იმედით იმქვეყნად გადაბარგება ბედნიერებაა, თუ იწამეთ, რომ თქვენი შრომა რეალობად და სიკეთის მომტანად გადაიქცევა.

6187. იმედდაკარგული ადამიანი გაუსვენებელი მკვდარია.

6188. სახარბიელო მემკვიდრეობასაც გაფრთხილება უნდა, რათა უდროოდ ხელიდან არ გამოგვეცალოს და ხახამშრალი არ დავრჩეთ.

6189. მომავლის, იმედის, აწმყოს ნათელი ხედვა და წარსულის განსჯის უნარი გვმართებს.

6190. სიახლეები იმედს ამყარებს და შედეგად ახალგაზრდობის შემეცნება წინ მიიწევს.

+6191. სასოწარკვეთილება ადამიანს ნახევრად სპობს, ხოლო პიროვნებას – მთლიანად.

6192. რადგანაც „იმედი ბოლოს კვდება“, გამოდის ჩვენი დამტირებელი და დამმარხავი ის ყოფილა.

6193. არ იტყუებიან ისინი, რომელთაც არ ეშინიათ და არც რაიმეს გამორჩენის იმედი აქვთ.

6194. უფლებას თვალი დახუჭული აქვს თავისი გაურკვეველი ცოდნის იმედით.

6195. სამოქალაქო საზოგადოება, სოციალური თვითშეგნება, აღსრულებადი კანონმდებლობა ადამიანს ცხოვრებას უმსუბუქებს და მომავლის იმედს უნერგავს.

6196. გონი და იმედი ხშირად ცდებიან, რადგან ირგვლივ მყოფნი თუ ასე ვიგინდარები და ვერაგები არიან, ვერც კი წარმოუდგენიათ.

6197. ზოგჯერ მშობელსაც არ დაეჯერება, რასაც შვილზე ლაპარაკობს: პატარას გადამეტებით აქებს, დიდს კი გადამეტებით ლანძღავს.

6198. გონიერება და იმედი ერთმანეთს პარიტეტულ კავშირს სთავაზობენ.

6199. საეჭვო იმედისთვის თავის გადადება არ ღირს, რადგან ბოლოს მაინც ვერ გაგიგებენ.

6200. მთავარია, ვიცოდეთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ და არა ის, თუ როგორ ვცხოვრობთ, რადგან ადამიანის იმედისა და ოცნების გარეშე დატოვება დანაშაულია.

6201. იმედსა და იმედგაცრუებას შორის გასავლელი მტანჯველი გზა მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანს გაუვლია.

6202. ღრმა სიბერისთვის მიღწევა ტექნიკურ პროგრესს შეესაბამება და იმედით აღავსებს კაცობრიობას.

6203. უვარგისი კაცის გამოსწორების იმედი არ უნდა გვქონდეს, მაგრამ ეტყობა, ასეთებიც სჭირდება განგებას სხვათა დასანახავად და ჭკუის სასწავლებლად.

6204. ყველაზე მეტად იმედის თვალით საკუთარ თავსა და მეობას უნდა ვუცქიროთ, თუ გვინდა, ამ ყოფას რაიმე სახეირო გამოვსტყუოთ.

6205. ზოგჯერ ბედნიერებაც უბედურებად გვეჩვენება, მაგალითად, როდესაც მოვალეობის ტვირთი გაწევს და სხვანი მხოლოდ შენი იმედით სულდგმულობენ.

6206. ადამიანი ზოგჯერ მხოლოდ იმედით ცხოვრობს, არსებობს და მისთვის ესეც დიდი ამბავია.

6207. პასუხისმგებლობის აღების შიში უცოდინარობისა და გამოუცდელობის ბრალია.

6208. სიყვარული და იმედი ჩვენი „სამოსელი პირველია“.

6209. იმედი ყოფის ის ელექსირია, რომელსაც ჯიუტად ვებღაუჭებით.

6210. სიბერეში მომავლის იმედით ცხოვრება ჭირს, რადგან პიროვნებამ იცის, რომ მისი დღეები დათვლილია და იგი აღრიცხვაზეა აყვანილი.

6211. ყველაზე დიდი დანაკარგი სათანაყვანებელი იმედის გაცრუება და დაკარგვაა.

6212. სხვებისთვის იმედის გაცრუება და შემდგომ თავის მართლება არც მოსაწონია, არც მისაწონი.

6213. ძალას რწმენა გვმატებს და არა ლოცვა, რადგან ეს უკანასკნელი რწმენის გამომწვევი საშუალებაა.

6214. მცდელობა ერთია, გონის შემობრუნება – მეორე, ხოლო, ფორტუნა სად და როდის გამოყოფს თავს, არავინ უწყის. ასე რომ, იმედის იმედს ნურასოდეს დავკარგავთ.

6215. არის შერაცხადი სიახლე, რომლის გადახარშვა ჭირს, თანაც თავიდან სიკეთეც არ მოაქვს – უნდა დაველოდოთ უკეთესი მომავლის იმედით.

6216. სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს იმედი, ოცნება და სათავისო მეხსიერება, სადაც ყოველივე კარგის გახსენებას ჩვენი ცნობიერების ძალითა ვცდილობთ.

6217. იმედი საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა, რომლის სიტყვიერ რეცეპტსაც სულიერების ერთეული დასტაქრები ფლობენ.

6218. იმედის ქონა იგივე სიმოვნებაა და არა მისი ერთი ნაწილი.

6219. იმედიანმა ოცნებამ ფხიზელი ძილი იცის.

+6220. იმედი საკმაო ხნით ცოცხლობს, ცხოვრობს, ოცნებობს, ხოლო უიმედობა ეგრევე თავს „იკლავს“.

6221. მომავლის იმედი სიყვარულის დამსახურებაა.

6222. შური იმედსაც ეჭვის თვალით უყურებს.

6223. შიში და იმედი ერთგვარად მეგობრობენ კიდეც, რადგან ურთიერთს ავსებენ.

6224. ოპტიმიზმი და წინდახედულობა ყოველგვარი შიშის მტერია.

6225. იძულებითი ერთგულება ხშირად შიშის დამსახურებაა.

6226. უნიათო იმედის ქონა ფაქტობრივად დროულად ანგაჟირებული მტრობაა საკუთარი ქვეყნის წინაშე.

6227. ზოგჯერ გაურკვევლობაც მისაღებია, თუკი მომავალში გონივრული შედეგის იმედი არსებობს.

6228. იმედი ბედნიერებაა, მისი დაკარგვა – უბედურება, ხოლო ოჯახის უქონლობა-უგვანობა. ასეთია ჩვენი ყოფის ამოუხსნელი და ამოსახსნელი ალგორითმები.

6229. წარსული ლამაზი და განუმეორებელი გვეჩვენება, მაგრამ მომავლის იმედი ყოველთვის უკეთესია.

6230. სტატისტიკაზე მეტად მაინც იმედი ფასობს. მასზე ვლოცულობთ, მას ვეტრფით და განუსჯელად ვეთაყვანებით.

6231. მთელ ცხოვრებას თუ წარსულის წარუმატებლობაზე ფიქრში ვატარებთ, მაშინ მომავალიც დაკარგული გვაქვს, რადგან იმედის დაკარგვა მომავალზე ცუდად მოქმედებს.

6232. შენება უპირველესად ბედნიერებას უნდა გვანიჭებდეს, მომავლის იმედით გვავსებდეს, რომ შენს ამ მცდელობას დააფასებენ.

6233. კანდიდატის პიარი გაბერილი ბუშტია, პოლიტიკა ამბიციებზეა აგებული, ხოლო ამომრჩეველი მარად იმედის მოლოდინშია და, ვინ ვის ამჯობინოს, არ იცის.

6234. წარსულის მომავლის იმედით გარანდვა კარგ ხასიათზე გვაყენებს.

6235. იმედის გაჩენა საუკეთესო საშუალებაა ადამიანის სამართავად და მისი მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

+6236. შვილი მშობლის გაუცნობიერებელი იმედია, „ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

6237. თანაგრძნობას სუსტს უცხადებენ, ხოლო ძლიერისა შურთ.

6238. იმედი და მახსოვრობა ჩვენს სიცოცხლეს წლებსაც მატებს და მადლსაც.

6239. თუ მოვინდომებთ, ორმოში ჩავარდნილებიც ვარსკვლავებს დავინახავთ, მომავალზეც ვიოცნებებთ და ჭიდან ამოსვლის ხერხსაც მოვძებნით.

6240. შეძლებულის რეალური შეძლება არა მარტო სიხარულისა და იმედის მომტანია, არამედ სახელისაც.

6241. შური, ბედნიერებასთან შედარებით თავს უკეთ გრძნობს, რადგან დღეგრძელობისკენ აქვს მიდრეკილება.

6242. შური რატომ იბოღმება და ნერვებს იშლის სხვათა წარმატებაზედ, ხშირად თავადაც ვერ გაურკვეველია.

6243. სასწაულის მოხდენის იმედი მოჭარბებული რწმენის დამსახ-

ურებაა.

6244. ვეცადოთ აწმყოსა და მომავალს იმედიანად შევხვდეთ, პატივი მივაგოთ.

6245. ზოგჯერ შური, ლანძღვა-გინება წარმოგვაჩენს და რა გასაკვირიც უნდა იყოს, ეს ამბავიგასაცნობად უფრო მეტად სასურველსა გვხდის.

6246. შურით დათხრილი თვალები მკურნალობას აღარ ექვემდებარება.

6247. შური – ეს თავისებური საწამლავია, რომელიც ზოგჯერ გონისთვის გაუცნობიერებელ სისაძაგლეს სჩადის.

6248. შურსაც ხანგრძლიობა ახასიათებს. იარსებებს მანამ, სანამდის უკეთ ცხოვრებას არ მოვახერხებთ უფრო კულტურულნი არ გავხდებით.

6249. ყველგან და ყოველთვის იმედი თან გვახლავს, თვით უიმედო გარემოშიც კი.

6250. ერთს ყველაფერი – ანდერძით, მეორეს – არაფერი. ეს მკაცრი სწორი რეალობა და კანონმდებლობა ერთმანეთთან ვერ მეგობრობენ და ვერც ვერასოდეს იმეგობრებენ, რადგან შურს დიდი თვალები აქვს.

6251. ფულს სიჩუმე უყვარს, პოლტიკას – ყბედობა, ხოლო იმედი განუსჯელ დაპირებებზედაც თანახმაა.

6252. ბედნიერებასა და მშვენიერებაზე ნადირობა თანდაყოლილი შურის დამსახურებაა, რადგან ეს მას დაბადებიდანვე ხელეწიფება.

6253. ზოგჯერ შენი წარმატება მოყვასის წარუმატებლობას უსვამს ხაზს და შურს აღვივებს.

6254. მოჩვენებითი იმედის ქონაც იმედია, რა ვიცით, ბედი სად გაგვიღიმებს.

+6255. ერთადერთი, რომელსაც არასოდეს ღალატობენ, არის იმედი.

6256. რწმენისა და იმედის გარეშე ვერცერთი დედა ნებაყოფილობით შვილს ვერ გააჩენდა და ვერც აღზრდიდა.

6257. დედის წინაშე ყველა და ყოველივე იმედითაა აღსავსეა და ქედს იხსრის.

6258. ცხოვრებიდან განზე გამდგართ ღვთის გადმოხედვის იმედი აქვთ.

6259. ვისაც შენი რაღაც შურს, ის ბოლომდე ვერ გიმეგობრებს.

6260. თუ გიყვარს და უყვარხარ, ბედნიერებაა, მაგრამ გააზრებული უბრალო თანადგომაც კი იმედის მომცემია.

6261. შურიც თავისებური მორცხვი ვნებაა, რადგან ის იქამდე ვერ ამაღლდა, ვისაც მისი შურს.

6262. შურს იმისაც შურს, რაც მას არ ეკუთვნის ან ძალა არ შესწევს, მას შესწვდეს.

6263. სხვათა ნაკლოვანებების ჩხრეკა შურიანს დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

6264. ჯანმრთელობის შენარჩუნებას მკაცრი რეჟიმის დაცვა შველის, მაგრამ უმთავრესი მაინც განგების ნებაა.

6265. კეთილისმყოფლისა ყველას შურს, განსაკუთრებით იმათ, ვისზედაც მას ამაგი მიუძღვის.

6266. ყოველი სასურველი შედეგი იყიდება და იმედსაც იძლევა.

6267. შური საშინელი რამაა. ის იმ საერთო ნაცნობებსაც თქვენ საწინააღმდეგოდ განაწყობს, რომლებთანაც საქმიანი შეხვედრა არ გქონიათ.

6268. შური ორნაირია: ერთი, როდესაც გინდა სხვათა მიღწევა შენც გაიმეორო და აჯობო, მეორეა, როდესაც, უბრალოდ, გშურთ და მჯობნელის მიმართ ცუდი სურვილები გიჩნდება, უგვანობის კეთებას ცდილობთ და არა მეტოქის მიღწევის გაუმჯობესებას.

კულტურა, ხელოვნება, მწერლობა

6269. ხელოვნება გვაოცებს, შემართებას გვმატებს, იმედს გვისახავს, ცხოვრებას მადლს მატებს.

6270. მსახიობი ყველაზე მეტად პასუხისმგებელი მის მიერ შესრულებული გმირის სახის წინაშეა.

6271. ცირკის მსახიობმა, უნდა თუ არ უნდა, სასწაულები უნდა მოახდინოს მანეჟზე, თუ სწადია, მაცქერალთა გული მოინადიროს, გააკვირვოს, აღაფრთოვანოს; წინააღმდეგ შემთხვევაში ის ზრდილობის გულისთვის ტაშის დამკვრელ მაყურებელსაც დაკარგავს.

6272. ხელოვნების დანიშნულებაა, მასა აღაფრთოვანოს, ბრბო გაართოს, ხალხი დააფიქროს, პიროვნება აზროვნებაში ჩართოს.

6273. მწერლისთვის დიდი ბედნიერებაა, თუ გასასაჩუქრებლად თავის წიგნს მაღაზიაში თავადვე იძენს.

6274. ხელოვნების სიყვარული ნიჭთან ერთად აზროვნების ერთგულებას მოითხოვს.

6275. სევდიანი იუმორი პარადოქსებითაა სავსე და ხელოვნების კერპია.

6276. ხელოვნებისადმი ტრფობა უმთავრესად ჩვენი სულიერების გამოძახილია და არა გონიერებისა.

6277. ხელოვნება თავისი სულიერებით, რომანტიზმით ფასობს, რომელიც ჯერჯერობით ხალხის რჩეულთ, ელიტას იმორჩილებს.

6278. ხელოვნება გაზვიადებული ხერხების ძიებაშია, იმპროვიზებულია მისი მასშტაბები, რათა ადამიანის სურვილი და ფანტაზია უფრო მიმზიდველი გახდეს.

6279. მელოდიას სული წერს, ნიჭი ახმოვანებს, ხოლო ნაღვაწს გული ეფერება.

+6280. წიგნი ისაა, რაც იმაზე მეტს გვასწავლის, რაც შიგ წერია და ხშირად ახალი წიგნის დაწერასაც გვაიძულებს.

6281. შემოქმედმა, უპირველეს ყოვლისა, დროს ალღო უნდა აუღოს, რათა თავისი ნიჭი რაციონალურად მოიხმაროს და ერსაც ბოლომდე მოახმაროს.

6282. შემოქმედი ყველაზე მეტად მაშინ შრომობს, როდესაც ფიზიკურად ინერტიულია, ოღონდ ოცნებით იღვწის და გონებით იწვის.

6283. საკითხის უკეთ წარმოჩენა ხშირად მის უკეთ ცოდნას როდი ნიშნავს – გააჩნია მეტყველების, ორატორობის უნარს.

6284. შემოქმედება მუდამ მხურვალე შუამავალი იყო გონიერებასა და სულიერებას შორის და არა უბრალო კურიერი.

6285. სიტყვა ჩვენი ქცევის კულტურას წარმოაჩენს.

6286. კულტურა ურთიერთგაგებას, ურთიერთთანადგომას გულისხმობს.

6287. ხელოვნების რეალობასთან ჩახუტება საფრთხეს უქმნის მის შემოქმედებით ნიჭს.

6288. ხელოვნებით ზოგჯერ იმის წარმოჩენაც შეგვიძლია, რაზედაც ადრე გვიფიქრია და გვიოცნებია.

6289. ხელოვნება მუდამ გარესამყაროს რკვევაა, შეჯერებაა.

6290. კინემატოგრაფია ხელოვნების თავისებურ თაღლითობას მოითხოვს, სადაც ნიჭი და გონიერება გარდასახვისთვისაა მომარჯვებული.

6291. ხედვის, სმენისა და გემოვნების შერწყმა ხელოვნებაა.

6292. ხელოვნებას მოცდა არ შეუძლია. მან თავისი დრო უნდა გამოხატოს.

6293. მუსიკა ადამიანის მოუთოკავი გრძნობების სამყაროა.

6294. მწერალი თავისი თავგადასავლების მონაა, ოღონდ გაფეტიშებული თავგადასავლებისა.

6295. ხელოვანი ნიჭისა და „ოფოფების“ გარეშე თაყვანისმცემლებს ვერ მოიმრავლებს.

6296. ხელოვნება მთელი ერის საკუთრებად იქცევა, როცა მას ხალხის რჩეულები გაითავისებენ.

+6297. უღვინოდ, უსიყვარულოდ და უქალოდ ლირიკული ლექსი არ იბადება, ხოლო პოემას, ყოველივე ამის გარდა, გამორჩეული გმირიც სჭირდება.

6298. პოეზიის ხმა თეატრალურ დადგმას მოითხოვს, რათა ღრმად ჩავწვდეთ მის სულიერებას და გულმა იგრძნოს მისი გონიერება და სინანული.

6299. ხელოვნება სრულყოფილად ვერაფერს ფლობს, რადგან მისგან მარად მეტს მოელიან და მოითხოვენ.

6300. უშეცდომო შედევრი თითქმის არ არსებობს.

6301. ხელოვნება მაიმუნობაა, ბალაგანია, თუ ის სულიერების სფეროს არ ამდიდრებს.

+6302. დღეს მწერლობაც გასართობი ხელოსნობა გახდა, რადგან განსჯა და ანალიზი წიგნის გმირების ყოფისა მოდაში აღარ არის.

6303. ხელოვნება გონიერი ხალხის ხელში მისიაა, მოწოდებაა, ერზე ზრუნვაა, ხოლო თაღლითის ხელში – შემოსვლის შოვნის საუკეთესო გზა.

6304. წიგნის რამდენიმეჯერ გადაკითხვა, ასაკის მიუხედავად, თუ სიამოვნებას განიჭებს, ის შედევრია.

6305. ხელოვნების დანიშნულებაა, პირველ ყოვლისა, მაცქერალთა გართობა, მაცქერლებიდან გარკვეული ოდენობის ხალხის ერთგულ მაყურებლად გადაქცევა, შემდგომ მაყურებლის დაღვინება და ერთეულთა ხელოვნების წარმოჩენა, მათთვის ესთეტიკოსის სტატუსის მინი-

ჭება. ასე და ამრიგად ვითარდება და ფართოვდება შემოქმედებითი ატმოსფერო.

6306. ხელოვნების ნიმუშთა ხშირად გამოფენა მათ პეწს უკარგავს.

6307. საუბრის ხელოვნება, ტონალობა, ეთიკა მსმენელსა და შენთან მოსაუბრეზეც არის დამოკიდებული.

6308. საჭიროა ახალი კულტურის საწყისი წლის გაცნობიერება, ოღონდ ძველის კარგად დამახსოვრების პირობებში.

+6309. შემოქმედებას ყველაზე მეტად „ხელოვნური სუნთქვა“ ვნებს: სიყალბე საფეთქელთან მიტანილი დამბაჩაა.

6310. ნიჭის, შემართების, რწმენის, ცენზორის, აკრძალვებისა და იდეოლოგიის ერთობლიობა – აი, დიდი ხელოვნების გარემო.

+6311. ფაქიზი ურთიერთობის უნარი ხელოვნების შვილობილია.

6312. კლოუნებმა, იუმორისტებმა არა მარტო უნდა გვაცინონ, არამედ უნდა დაგვაფიქრონ კიდეც და მომავლის იმედიც ჩაგვისახონ.

6313. ფრთიანი სიტყვა გონიერებისკენ თავის გზას არასოდეს დაკარგავს.

+6314. არქიტექტურა ქვით დაწერილი პოეზიაა და გონით ნაღვაწი პროზა.

6315. ავტორი სხვის ცხოვრებას ირგებს, მისი ცხოვრებით ცხოვრობს და ამით თავის გმირსაც აცოცხლებს გარემო ვითარების შესატყვისად.

6316. ვანდალიზმი, სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების ნაწილია, რაც კულტურის დეფიციტსა და ჩამოუყალიბებლობაზე მიგვანიშნებს.

6317. ხელოვნება იყოფა ელიტარულ, გარკვეული ნაწილისთვის გასაგებ, და ყველასათვის მისაწვდომ შემოქმედებად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რესტორნისა და ქუჩის „მასკულტურა“ ელიტარულ მკითხველის გულს არ უთრთოლებს.

6318. ხელოვნება კრიტიკული აზროვნებისა და ოპონირების გარეშე დროებითი პიარია.

6319. ხელოვნება ყოველთვის საკუთარი მეობისა და თავისი გამომხატველი უნდა იყოს.

6320. ყველა სახის ხელოვნებას, თუ ის სიახლეს შეიცავს, თავისი თაყვანისმცემელი ჰყავს, მათ შორის მოდას აყოლილიც, რომელსაც სიახლის დედააზრი არ ესმის და არც აინტერესებს.

6321. ხელოვნებას ფანტაზიის ნიჭი ასაზრდოებს, შინაგანად რაღაცას გვწიწკნის და, რაც მთავარია, გულგრილს არავის ტოვებს.

6322. ის, რაც სულს ეწებება და სულიერად გვაძლიერებს, ხელოვნებაა, რომელიც იმ შემოქმედისთვის იღვწის, რომელმაც ადამიანი შექმნა და ხელოვნების შემფასებლად მოუვლინა.

6323. ხელოვნება ხელოსნობის გარეშე ვერ იარსებებს, რადგან

პირველი მუდმივია, ხოლო მეორე – ცვალებადი, მარად შესაცნობი და პირობითი.

6324. ზოგი ძაღლს, კატას, თუთიყუშს უფრო უგებს და ელაციცება, რადგან მათთან ურთიერთობის ნიჭიც შეუცნობელი ხელოვნებაა.

6325. ხელოვნება ჭორაობას უნდა ერიდოს, რათა მას პოლიტიკური შულერობა არ დასწამონ და ზურგი არ შეაქციონ, რადგან მოტყუებული ქალი და ხალხი დაუნდობელია.

+6326. მწერალი თავისი ეპოქის მემატიანე უნდა იყოს, რათა მან თაობებს თავისი დროის ავტოგრაფი დაუტოვოს.

6327. მე დღეს, ახლავე უნდა წარმოჩნდე, ვაჩვენო ჩემი ნიჭი, შესაძლებლობა – ეს არის ხელოვნება, შემოქმედება, არჩეული საქმის სიყვარული.

6328. მუსიკის არსის შეცნობა არა მარტო ყურს, გულს, სულიერებას უნდა მივანდოთ, არამედ მისი ჟღერადობა გონმაც უნდა შეიცნოს, გაითავისოს.

6329. წიგნია ის, რომლის წაკითხვის დროსაც ტვინი გიდუღს, გონება ფხიზლდება, განსაკუთრებით იმ მისამართზე, რომელიც შენ გაწუხებს და შინაგანად არ ეთანხმები. ყოველივე ეს სიამოვნებასა გგვრის, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო განათლებაც გაქვს, რადგან მხოლოდ წიგნის წაკითხვის წადილი არ კმარა.

6330. მწერალმა უნდა წეროს იმაზეც, რაც სადავოა, მაგრამ არა მიუღებელი.

+6331. რაგბი არის მრავალწახნაგიანი კულტურა, ძალების მოსინჯვა-შერკინება და სტუმარმასპინძლობის „მესამე ტაიმი“.

6332. მწერლობა სხვათა ნაღვაწის და ნიჭის შემოტევის მსგავსად წერის სურვილია.

6333. ხელოვნების საწყისი ძველის მონაპოვარზე დგას, ყოველგვარი ფანტაზიის მიუხედავად.

6334. სამწუხაროდ, დღეს ისეთი მაყურებელი მომრავლდა, თუ სენსაციას არ შესთავაზებ და დედას არ შეაგინებ, ისე თეატრში არ მოვა.

6335. ახალი წიგნი ხშირად ძველი წიგნის მადლით იწერება.

6336. გასაგები კულტურითა და ხელოვნებით მასებში გასვლა დიდ სიკეთეს მოუტანდა ხალხის შეგნებას.

6337. კულტურის ყოველგვარი საძირე პროვინციაში გამოჰყავთ, დედაქალაქში წარმოაჩენენ და, თუ გაუმართლათ, იტოვებენ.

6338. სამზარეულო ხელოვნება, დაგემოვნება და ამიტომაც მისი ეტიკეტიც ტექნიკური პროგრესის მიღწევებსა და მოდას ემორჩილება.

6339. ნაწარმოების გმირების ოდენობასა და მათი პორტრეტების ხარისხს წიგნის ავტორი წარმოაჩენს, ხოლო ამათში რომელიმეს თავის

კუმირად მკითხველი ირჩევს.

6340. გენიალურ ნაწარმოებს ფართო მკითხველი არ ეწაფება, მაგრამ ჭკუის სწავლება და დარიგება მაინც მას ეკისრება.

6341. სამწუხაროდ, ვანდალიზმიც ჩვენი ცხოვრების, ცნობიერების ნაწილია, რაც კულტურის დეფიციტზე, ჩვენს მოუმწიფებლობასა და ჩამოუყალიბებლობაზე მიგვანიშნებს.

+6342. მუსიკა და სიყვარული ის ღვთაებრივი ძალაა, რომელიც პრეტენზიას არ აცხადებს სარწმუნოებაზე, ეროვნებაზე, წარმომავლობაზე.

+6343. მოუსმინო სხვას, ხელოვნებაა, მოგისმინონ და შენი აზრი გაითავალისწინონ, ეს უკვე შენი ხელოვნების უდიდესი დამსახურებაა.

6344. პოეზიასაც ცისარტყელასავით თავისი გამონათებები აქვს.

6345. შემოქმედის უმთავრესი იარაღი ქამანდია, რომელიც ისე უნდა ისროლოს, რომ მკითხველი მიიზიდოს და მისი გულგრილობა დაატყვევოს.

6346. მგოსნობა კარგი საქმეა, თუ მასში დიდი ნიჭია დაბანდებული და აღიარებისათვის არის განწირული.

6347. ხელოვნება სულიერების მაიმუნობაა, რომლის რეალიზებაც თვითმყოფადი ნიჭის შეშველებით და თავის წარმოჩენით ხდება.

6348. კულტურა სათანადო აღზნების, მგზნებარებისა და მხურვალების უქონლად მიმზიდველობასა კარგავს.

6349. პოეზიაში ციცინათელაზე დაწერილი ლექსიც კი გულის გასახარად ანათებს.

6350. ნაღდი ხელოვნება დღეს წარსულის ცოხნით ირთობს თავს და ცდილობს, მომავალს თავისი ნაცოხნარი მიუგდოს.

6351. სიტყვა ყველაზე დიდი მოქანდაკეა, მხატვარია, მუსიკოსია, რადგან უიმისოდ შემოქმედის შეცნობა, განსჯა გაჭირდებოდა.

6352. მწერლისა და პოეტისთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა გულიანი და აზრიანი მკითხველის მოპოვება.

6353. ლექსების წერა თავში სისხლის დუღილის ტემპერატურის ცვალებადობის შედეგია.

6354. დღეს ხელოვნებაში თინეიჯერების შოუ ბატონობს, უცხოური სისხლი გადავუსხით „მასმედიას“, კლასიკურ ხელოვნებას ვივიწყებთ, რაც ხშირად ეროვნულობის არასასიკეთო კოდია, რაკიღა მენტალიტეტი დაჩქარებას ვერ ეგუება და ყოველივე ამას ხშირად უარყოფითი შედეგიც მოაქვს.

6355. პოეზია ჰაერში მოფარფატე მაძღარი სიტყვების დაჭერის მცდელობაა. ავტორმა თუ იმარჯვა, დაჭერილ სიტყვებს გონიერ რითმებსაც გამოუძებნის.

+6356. ზოგჯერ მწერლობამ უნდა მიუსამძიმროს მკითხველებს,

რომ ისინი სიკეთის საკეთებლად ვერ „გაატუტუცა“.

6357. ლექსი ძირითადად მუსიკის ჰანგების შეცნობით იწერება და ის არაა სიტყვათა უბრალო შეკოწიწება.

6358. ზოგჯერ მცირედიც დიდ სიხარულს გვანიჭებს და ეს ყურადღებაა.

6359. ხელოვნება ტერორით არ იმართება, რადგან ნიჭი დაძალებით ვერაფერ ღირსშესანიშნავს ვერ შექმნის.

6360. პროლოგი ყოველ გენიალურ ნაღვაწს სჭირდება – ეპილოგის ხარისხის მიუხედავად.

6361. ხელოვნებას თავისი ჯარისკაცები ჰყავს, რომლებიც გენერლობაზე ფიქრობენ, ხოლო ერთეულები ამ წოდებას სიკვდილის შემდგომ იმსახურებენ.

6362. ხელოვნება იგივე სიყვარულია, ოღონდ განსაკუთრებით საკუთარი ნიჭის, შემოქმედების.

6363. მუსიკა ის ფენომენია, რომელიც თარგმანს არ მოითხოვს და ყველას ანიჭებს თავის წილ სიამოვნებას – მჩაგვრელი იქნება თუ ჩაგრული.

6364. ენის, მეტყველების სიჩლუნგე ნაღვაწს დაღს ასვამს, მაგრამ მის აზრს ვერ ვნებს.

6365. დაღვინებულ ხელოვნებას ვერც გაუგებ, ვერც გამოცდი, ვერც გემოს ჩაატან.

6366. მსახიობის, ხელოვნების დანიშნულებაა, ხალხს თავი დაამახსოვროს და არა საზოგადოებრივი ქცევის ალგორითმები ამოხსნას და კანონები წეროს.

6367. შინაგანი კულტურა გრძნობათა სასიკეთოდ დახვეწას მოითხოვს.

+6368. თუ ცეკვა სხეულის იდუმალი მეტყველებაა, სიმღერა სულიერების მხედველობაა.

6369. პოეზია სულიერების სინაზეს უმღერის აღელვებული გრძნობებითა და გადატრიალებული ტვინით.

6370. ყველა ჩვენგანს პოეზია ერთხელ მაინც ესტუმრება ძვირფასი ყონაღივით და ეს სტუმრობა მთელი ცხოვრების განმავლობაში დასამახსოვრებელი ხდება.

+6371. პროზა პოეზიის მეორე ხარისხია.

+6372. ცხოვრებაში საკუთარი თავის პოვნაზე უმთავრესი არაფერია, განსაკუთრებით შემოქმედისთვის.

6373. მომღერლისთვის, შემოქმედისთვის საშინელებაა, თუ მას უკულტურო მსმენელი ჰყავს, თუნდაც იგი სმენით იყოს დაჯილდოებული.

6374. ბინძური ფანტაზია ხელოვნების იმიტირებასა ლამობს.

6375. შემოქმედისთვის, რა ნიჭის პატრონიც უნდა იყოს, გულწრფელობა აუცილებელია.

6376. წიგნში მიმალული მარგალიტების ათვისება ერთეულ ნიჭიერთა ხვედრია.

6377. წიგნი უნდა წავიკითხოთ უამბიციოდ, თავი უნდა გავანძრიოთ და ჭკუას მოვუხმოთ.

6378. ზოგჯერ ორიგინალური ინფორმაციის მიღება მწერლისთვის შემოქმედებითი ბიძგის მიმცემია.

6379. ხელოვნებისადმი უმთავრესი მოთხოვნაა, რომ სიმართლით გაგვაკვირვოს.

6380. კულტურის წარმომჩენი „სულიერი ტაძრები“ თავიანთ ტრადიციებს უნდა გაუფრთხილდნენ, თუ უნდათ, რომ თაობებისთვის დასამახსოვრებელი გახდნენ.

6381. არტისტიზმსაც თავისი მათემატიკა აქვს, რომელიც ემოციებით ივსება და მაყურებლის მოწონებით ბალანსირდება.

6382. მხატვრობა ორმაგი აგენტობაა, რადგან ის ფლობს როგორც სულიერების, ასევე ხედვის მადლს.

6383. დღეს შემოქმედს, მწერალს არა მარტო თავისი ნაღვაწის დაფიქსირება უჭირს, არამედ მისი რეალიზაცია და შესაფერისი მკითხველის მოძიებაც.

6384. მსმენლის გემოვნება რომ აღვზარდოთ, მას სულ ერთი სტილის ნაღვაწი არ უნდა შევთავაზოთ სასმენად და საყურებლად. მას არჩევანის უფლება უნდა დავუტოვოთ, რადგან ამ ოცნებების განხორციელებაში შვილებიც იღებენ გარკვეულ მონაწილეობას მშობლებთან ერთად.

6385. უხეირო „სლენგური“ საუბარი მოდაში შემოდის და ამის მიზეზი უგუნურებაში გასვრილი დაბალი კულტურაა.

6386. ხელოვნებაც თავისებურ აღმოჩენებს მოითხოვს, რათა ის მოსაბეზრებელ-მოძველებული არ გახდეს.

6387. პოეზიის მადლი სიახლისთვის ხელის ჩავლებაა, სულიერების გაღვივება და დაღვინებაა.

6388. ყველა ნამდვილი შემოქმედისთვის საქმიანობაში პაუზა ტრაგედიაა, რადგან შემოქმედებისთვის განკუთვნილი ძვირფასი დღეები უაზროდ ცდება და იკარგება.

6389. იუმორი უნდა იყოს გონიერი, კეთილი, მარადიული, ინტერნაციონალური, სახალხო და არა საწყენი.

6390. ყველა ხელოვანში ნიჭიერების მონსტრი ზის და, როდის გამოხატავს თავის ნიჭიერებას, არავინ იცის.

6391. მწერლობა პროფესიაა, ხოლო ლექსების წერა გატაცება, რადგან მუზაზე ძალადობა გამორიცხულია.

6392. თანამედროვე ხელოვნება თავის ფილოსოფოსად წარმოჩენას ცდილობს, რითაც თავისი უნიჭობის დაფარვასა ლამობს, რადგან ამ ფილოსოფიას ყველა სათავისოდ იგებს.

6393. შემოქმედება, რომელიც შინაგანად მღელვარებას არ იწვევს, ყალბია, ხოლო მის მომწონებელი – უმწიფარი.

6394. ხელოვნება თავისი განვითარების მწვერვალისკენ მარად მიილტვის, რადგან მისი საწყისი შემოქმედის ნიჭშია დაბუდებული.

6395. შემოქმედება და ხელოვნება სხვადასხვაა, იმის მიუხედავად, რომ ხელოვნება შემოქმედის ნაშიერია.

6396. შემოქმედება ძალიან ჰგავს სიყვარულს, რადგან უიმისოდ ჩანაფიქრის განხორციელება ჭირს.

6397. ჩუმი პროტესტის გამოუხატავად დიდი შემოქმედება არ იქმნება.

6398. კულტურის დიქტატურა სტანდარტების დიქტატურას ანგრევს.

6399. ყველა შემოქმედი თავის ნაღვაწს საკუთარი სულიერი განწყობის თარგზე ჭრის და ქმნის.

6400. ცხოვრების რეალობისგან განსხვავებით, ხელოვნებაში ყოველივე მთავრდება დევიზით – „სამართალმა პური ჭამა“.

6401. განვითარებულ, მდიდარ და ძლიერ ქვეყნებში ხელოვნება ყვავის, რადგან იქ შემოქმედება ჭეშმარიტების სიმაღლეების აღებითაა დაკავებული.

6402. ხელოვნებაა თავისუფლება თუ თავისუფლებაა ხელოვნება – ეს ყოფამ, დრომ და გარემომ უნდა განსაჯონ.

6403. მწერლის ნაღვაწით რომ ისიამოვნოთ, ის უნდა წაიკითხოს განსჯა-აღქმის უნარის მქონე მკითხველმა, რომელთა რაოდენობა ყველა დროში ასე ცოტა იყო და არის.

6404. წიგნის კითხვისას თუ თავი გიხურს და იღლები, ის სასარგებლო წიგნია.

6405. შემოქმედება ვნების გამოხატვის ნებაა, განსაკუთრებით, თუ გონიერება არ ორჭოფობს.

+6406. ხელოვნების მოუკრეფავში გადასვლას სახელი მოაქვს, ხოლო გამართლებას – დიდება.

6407. ხელოვნებაში „ბაზარნიკსა“ და შოუმენს შორის დიდი სხვაობაა, რადგან პირველი ყველაფერზე უაზროდ ყბედობს, აშარჟებს, ხოლო მეორე დღევანდელ გარკვეულ პრობლემებს იუმორით აკრიტიკებს და ხვალინდელ დღეზე ფიქრობს.

6408. ხელოვნება ის დარგია, სადაც საზოგადოებრივი ცნობიერების ბევრი კანონი ძალასა კარგავს.

6409. მიწიერების გარეშე შემოქმედებითი ცხოვრება ჭირს.

6410. დიდ შემოქმედს თანამედროვენი ხშირად ვერ უგებენ და უპირისპირდებიან, მაგრამ ბოლოს ურთიერთგაგება გარდაუვალია.

6411. შემოქმედისთვის უმთავრესი საყვარელი საქმიანობაა, რომელსაც, ნიჭის გარდა, ბედიც სჭირდება, დრო და გარემოც, რათა თავისი ნალოლიავები საქმიანობის შედეგის ნაწილი მაინც მოიმკას.

+6412. სიკვდილი იმდენად შემაძრწუნებელი არ არის, რამდენადაც მისი ხატი, მწერალთა მიერ დახატული.

6413. კულტურა ჩვენი აზრების, ოცნებებისა და ქმედებების გაკონტროლების იარაღია.

+6414. ადრე კრივი ხელოვნება – ხელებით ფარიკაობა იყო; დღეს „მარდაბოია“, რათა ფული იშოვონ აღგზნებული ბრბოს ხარჯზე, რადგან ნაღდ ხელოვნებას დღეს ცოტა მაცქერალი შემორჩა და ისიც – უფულო.

6415. მოსმენის კულტურის უქონლად არც ცოდნა, არც გამოცდილება საკმარისი არ არის.

6416. ანეგდოტის მადლი მისი მოულოდნელი, არაადეკვატური დაბოლოებაა.

6417. კულტურა და ჰუმანიზმის იდეალებია, ეროვნულობას რომ პატრონობს და მის გაქრობას ხელს უშლის.

6418. შემოქმედი თუ ცოტათი მაინც „დაცენტრილი“ არაა, კვალის დატოვება უჭირს.

6419. ხელოვნება ურთიერთშეცნობის, ურთიერთპატივისცემის შეუცვლელი ემისარია.

6420. კლასიკა უკვდავია, მძლავრი პიარით წარმოჩენილმა თანამედროვე ხელოვნებამ რაც უნდა შეუჩიჩხინოს.

6421. ხელოვნება იმ შემთხვევაში გვანიჭებს სიამოვნებას, როცა ყოფის ახალ ყაიდაზე მოწყობას გვპირდება.

6422. ხელოვნება ჩვენში წარმოუჩენელ და გაუცნობიერებელ სიამოვნებათა პოვნას ლამობს.

6423. მსახიობობა თავის წარმოჩენის მცდელობაა, ასევე ჭკუამახვილობასთან მიახლოება და მხიარულების გაცემა.

6424. ხელობა, ოსტატობა, რომელიც ხელოვნებაში გადადის, უმაღლეს სიამოვნებას იწვევს.

6425. მკითხველზე მონადირე მწერალს ბევრი რამ არ დაეჯერება, მაგრამ რა ქნას ამ საწყალმა: მასაც ხალხში გამოჩენა უნდა და ოჯახიც შესანახავი ჰყავს.

6426. დღევანდელობა სხვა სახის მწერლობას მოითხოვს: რომანში განსჯის ინტეგრალები ფილოსოფიასთან ერთად სექსაობის ჩვენებით უნდა გავაჯეროთ, რათა მკითხველმა ნაღვაწის მხატვრული მხარე უკეთ აღიქვას და მისი ცხოვრებაში გამოყენების შესაძლებლობა გაიაზროს.

6427. როდესაც ხელოვანს ჩვენდა უნებლიეთ ფეხზე წამოვუდგებით და მქუხარე ტაშით პატივს მივაგებთ, ეს ნიშნავს: მან დიდ ხელოვნებას გვაზიარა და ჩვენ მისი მადლიერი მზერა და სამომავლო იმედი დავიმსახურეთ.

6428. საბჭოთა წყობა, მართალია, საეჭვო ნიჭის მეხოტბეებს სწყალობდა, მაგრამ არც ნიჭიერს ივიწყებდა და გარკვეულ ჩარჩოებში ჩასმის შემდგომ მასაც აფინანსებდა, წარმოაჩენდა. ამიტომ ხელოვნების წარმოსაჩენად რა სჯობს – ცენზურა თუ განუსჯელი თავაშვებულება? საკითხი სადავოა.

6429. მუსიკის საერთაშორისო ენა – მილიონებს მოგვიწოდებს: შეერთდით და ჭკუასაც მოუხმეთ!

6430. კულტურისა და ხელოვნების დაჩქარებული განვითარება ზოგჯერ ეროვნულობასა და მის პროგრესულ ტრადიციებს ვნებს.

6431. სიტყვა „კულტურაში“ მოიაზრება განათლების აბსოლუტურობა, რომელიც ცვლის ჩვენი აზროვნების, ცნობიერებისა და ყოფიერების ნორმებს.

6432. ხელოვნება გვმართავს, თავს გვახსენებს და სიამეს გვგვრის წარსულ დროთა გასახსენებლად.

6433. ხმის ტემბრსაც თავისი მაგია აქვს, რომელსაც გარკვეული დროით სიამით ვემორჩილებით.

6434. ხელოვნებას ემოციებიც უნდა ახლდეს, თუ უნდა სახელი გაითქვას და მატერიალურადაც მომაგრდეს.

6435. დიდი შემოქმედი ერის შვილია და მას არ უნდა დაემდუროს, იმისდა მიუხედავად, დროულად აღიარებს თუ არა.

6436. მხატვარი ფუნჯით უნდა ხატავდეს ნატურას და არ უნდა წერდეს. აი, სხვაობა ფერწერასა და შემოქმედებას შორის.

6437. მხატვარი სინათლის ფერებს უნდა წარმოაჩენდეს ტილოზე, რომელთა შერჩევაც ასე მნიშვნელოვანია მის შემოქმედების აღსაქმელად და გასაგებად.

6438. უნიჭო გმირების წარმოჩენას ზოგჯერ შედევრის შექმნამდე მივყავართ.

+6439. ხელოვნებას რეალურად დროის მაზანდა აფასებს და არა მყურებელი.

6440. ხელოვნება ეროვნულობის დაცვისა და განმტკიცების იარაღია, თუ მას სამშობლოს სიყვარულის საწყისებზე დავმოძღვრავთ და ავაწყობთ.

+6441. სიტყვებითა და მომხიბვლელი რითმებით ბოდვა პოეზიაა.

6442. მწერალს თავისი სამწერლო ნიჭის წარმოჩენა უპირველესად „სიტყვების სახელოსნოში“ უხდება. აზრების გამოჩარხვით, სიტყვის დიზაინით და მახვილი თქმების აღქმითი ავტორი ახერხებს მკითხვე-

ლის მოჯადოებას.

6443. შემოქმედება „მოგწონს არ მოგწონის“ სფერო არაა. მთავარია, მან დროის შემოტევებს გაუძლოს და ადამიანთა ცნობიერებაში დარჩეს.

6444. ჭეშმარიტი კულტურის შექმნა და მისი გააზრებულად მოწოდების უნარი, სამწუხაროდ, ერთეულ გამორჩეულთა ხვედრია.

6445. ვნებით ნაკეთები საქმე მეტ-ნაკლებად მაინც ხელოვნების სფეროში თავსდება.

6446. ხელოვანის მისწრაფება ვარსკვლაობის თავის წარმოჩენისა და უკვდავებისკენ ბუნებრივი შემოქმედებითი ლტოლვაა.

6447. ხელოვნებაში მცდელობა ერთია, ნაღვაწი მეორეა, ხოლო მცდელობა და შედეგი – ყოველთვის თანაბარი როდია.

6448. ხელოვნება თუ ხელოსნობა – ამის შეცნობის მცდელობა აფართოებს ჩვენს კრიტიკულ უნარს.

+6449. ლექსის პწკარედებს თუ კეთილი ეშმაკი არ აზის, ის მხოლოდ გარითმულ სტრიქონებად დარჩება.

6450. პოეზია სულ სხვა რამ არის. მან სულიერებას უნდა გაუგოს და შემდგომ წაეტანოს გულს.

6451. ნაწარმოების ხარისხს ოცნების „წყალში ბანაობის“ დროის ხანგრძლივობაც განაპირობებს.

6452. მუზა აღმძვრელი ნაწილია, ხოლო შემოქმედების ხარისხს ნიჭი განსაზღვრავს.

6453. მხატვრობა საღებავების ფერთა თამაშია, ლიტერატურა – სიტყვების ხიბლის წარმოჩენა, მუსიკა ჰანგებით დატკბობის მცდელობა. სამივეს აერთიანებს ერთი რამ – ფაქიზი სულიერება.

6454. მწერლობა თავისებური ნადირობაა და რა სახის ეშმაკი შემოგიჩნდება, როგორ გაწვრთნი და გაითავისებ, არავინ უწყის.

6455. სასწაულებს ხელოვნებაში ზოგჯერ უცნაური და უხიაგი პერსონაჟების დახატვით აღწევენ.

6456. ცხოვრების რაობის შეცნობა ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მწერლის ნიჭსა და ოსტატობას.

6457. რწმენასთან შეუთავსებლობა შემოქმედებით აღმაფრენას ახშობს და ვნებს.

6458. როცა გონი ცეკვავს და ტანი აზროვნებს – ეს ბალეტია.

6459. პროზა გონიერების ხოდაბუნია, პოეზია კი სულიერების სავარგული.

6460. კულტურას ზოგჯერ აკრძალვებიც აკეთილშობილებს, რათა განუსჯელად მოდის აყოლამ არ გარყვნას და არ გადააგვაროს.

6461. მწერლის წესია, ჯერ წიგნი გამოსცეს, თავისი ნაწერი დაივიწყოს, გარკვეული დროის შემდგომ წიკითხოს, თავისი ნაღვაწის ჭეშ-

მარიტი და რეალური მადლი შეიცნოს და მკაფიოდ დაადგინოს ნამდვილი შემოქმედია თუ ამაოდ გაისარჯა.

6462. განსჯა-მცდელობას უპირველესად კულტურა აფასებს, ვიდრე მის მიერ მოპოვებული კეთილდღეობა.

6463. ხელოვნების ნიმუშს ხშირად რეკლამა, ბაზრის ფასები და მყიდველის თავმოწონების სურვილი განსაზღვრავს.

6464. ზოგჯერ ხელოვნების ნიმუშის ბედი დამოკიდებულია ფულზე, განწყობაზე და ხელოვნურად გამოწვეულ პროვოცირებაზე.

+6465. მსახიობისთვის სცენა სულიერების სტრიპტიზმი და ოცნების ბაირამია.

6466. პაროდიას ვინც ტკბილი გახსენების წყაროდ აქცევს და არა ქილიკობად, ის არის ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი და არა ხელოსანი.

6467. კულტურა შრომის, გარჯის, ნიჭის, დაპირისპირებისა და აღიარების გარეშე ვერ იარსებებს.

6468. პოეზიაა, თუ სული მღერის, გონება იბნევა და აღტაცება შეუცნობ სიამოვნებად ედება სხეულს.

6469. კულტურული მემკვიდრეობისთვისაც აუცილებელია ტექნიკური პროგრესის მიღწევები. საქართველოში ფორტეპიანო რომ დროულად შემოეტანათ კიდევ უფრო მეტი მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორი გვეყოლებოდა.

6470. ცივილიზაციის მიღწევებს რომ გავუძლოთ, უპირველესად კულტურა უნდა გავითავისოთ, რათა არ გადავგვარდეთ და დაპროგრამებულ რობოტებად არ ვიქცეთ.

6471. ყოფის კულტურის ფლობა ყველასათვის აუცილებელია. მათ შორის ცხოველების, ფრინველების, მწერებისთვისაც, რათა საკვები მოიპოვონ, გამრავლდნენ და არ გაქრნენ.

6472. თეატრი დაუსწრებელი უნივერსიტეტია, რომლის პრემიერებსაც უნდა დავესწროთ, თუ გვინდა მიმდინარე კულტურულ პროცესებს არ ჩამოვრჩეთ.

6473. ლიტერატურა ზოგჯერ ისეთ ნაკლზე მიგვითითებს, რომელზეც არასოდეს გვიფიქრია. მაშ, იგი აღმზრდელიცაა.

6474. ტალანტი სცენაზე ცხოვრობს, ნიჭი თავის როლს თამაშობს. მაცქერალს პირველი უფრო ამახსოვრდება.

6475. „მხატვრული ჭუჭყი“ ყველა ხელოვანის თანმხვედრია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი შემჩნევა გაჭირდებოდა.

+6476. წიგნს ავტორი ქმნის, ხოლო მის უკვდავებას მკითხველის განწყობა განაპირობებს და უზრუნველყოფს.

6477. მსმენელი ყოველთვის პატივის მიგების და ყურადღების ღირსია, თუ მან თქვენს ნაღვაწს, მეტყველებას პატივი სცა და დაიმახსოვრა.

6478. ლექსია ის, რომლიც სულიერებას ხელს მიუფათურებს, ჭკუას მოგვფხანს და ხორცს სიამეს აგრძნობინებს.

6479. ზოგჯერ შემოქმედის დაუფასებლობას დროთა განმავლობაში სხვებისათვის ბედნიერება მოქვს, ვთქვათ მკვლევარისათვის, რომელმაც გენიოსი აღმოაჩინა.

6480. ახალი შემოქმედებითი თაობის მოსვლა ხელოვნებაში ზოგჯერ შემოქმედების ხარისხს აუმჯობესებს.

6481. მწერლობა ადამიანის სულიერების მოძიებაში კარგავს დროს, მაგრამ რა დონის ნაღვაწი გამოტყვრება, არავინ უწყის.

6482. მწერალი, რომელიც ნაღდი სათქმელის ნაცვლად ეროტიკისა და სექსის ჩვენებას გადაჰყვება, ფრთებს შეასხამს დროებით გასართობ წიგნს და არა სამუდამოდ დასამახსოვრებელს.

6483. მუსიკა თავისებური ნარკოტიკია და ჩვენზე ზემოქმედების განუსაზღვრელი ძალა აქვს.

6484. დიდი ხელოვნება და შემოქმედება უმთავრესად ქვეყანაში დიქტატურისა და წესრიგის დამყარების შემდგომ იქმნება და მას მომავლის რწმენა და იდეოლოგიის საწყისი ასაზრდოებს.

6485. ანაზღაურებად და დაფასებულ ხელოვნებას გამძლეობისა და უკვდავების მიდრეკილება აქვს.

6486. ხელოვნების ერთ-ერთი დანიშნულებაა ნაკლში კარგის აღმოჩენა.

6487. ლექსი იწერება გონით, გულით, სულით, ოღონდ მსმენელს რა მოეწონება და რითი აღფრთოვანდება, არავინ უწყის.

6488. ხელოვნებას თავისი ალქიმია აქვს, რომელიც ზოგჯერ კულტურად წარმოჩნდება.

6489. ხელოვნება ხელოსნობის წარმოჩენას ხელს უწყობს, ხოლო პირიქითა პროცესის დროს ხელოვნება ჩმორდება.

6490. მწერალმა, პირველ ყოვლისა, უნდა წეროს ის, რაც ყოფიერების შესაცნობად მისაღებია, განსჯადია, გამოსაყენებელია, დასამახსოვრებელია.

6491. ხელოვნება გამოგონებისა და სიახლის წარმოჩენის ნიჭია, ხოლო მისი დაუფასებლობა თაობათა წინაშე დანაშაულია.

6492. კლასიკის აღქმა უსაზღვრო და უხმაუროა.

6493. ხელოვნების განვითარებას ტრადიციები სჭირდება, ასევე გონივრული კრიტიკა, შექებაცა და დაძალებაც.

6494. ზეპირი თუ წერითი ლიტერატურის გაფეტიშებული გმირები საინტერესოა. ისინი ურთიერთის საწინააღმდეგო ხასიათს ამჟღავნებენ.

6495. წიგნის ავტორის სულიერების ამოსახსნელი კოდი მის მიერ წარმოჩენილი პერსონაჟების ბუნებაში დევს.

6496. არცერთ მწერალს არ ეკადრება სიყალბის ენაზე წერა და

საუბარი, ოღონდ ამას ყველა როდი ხვდება.

6497. ხელოვნების მწვერვალს ნიჭთან ერთად ზნეობა და უბრალოებაც აღწევს.

6498. ლიტერატურას რომ წიგნი უწოდო, ის მინიმუმ გაყიდული, ხოლო შემოქმედებას რომ შრომა უწოდო, ის შესამჩნევი უნდა იყოს.

6499. მწერლობა უფრო მეტად სხვათა ცხოვრების გათავისების, აღწერის უნარს მოითხოვს, ვიდრე დიდ ჭკუა-გონებასა და გამოცდილებას, ოღონდ მითითებული უნარი სწორედ დიდი ჭკუა-გონების ადამიანებს აქვთ.

6500. მწერალი უპირველესად მადლიერია გამომცემლობის, რედაქტორის, დამკაბადონებლის, ხოლო მკითხველი – მხოლოდ მწერლისა და მას წიგნის სხვა მოამაგენი არ აინტერესებს.

+6501. მწერალი ნაღვაწს აზრებით აშენებს, გულით ლესავს, სულით ღებავს.

6502. ხელოვნებასაც სჭირდება მყეფარი ძაღლები კრიტიკის სახით, რათა ის უფრო მიმზიდველი გახდეს.

6503. როცა მამაკაცი რესტორანში ჯერ მენიუს ათვალიერებს და შემდგომ – მიმტანს, ის უკვე „ჩამოპლაცკარტებული“ ხვადია.

6504. ჯადოქრობასა და ხელოვნებას შორის სხვაობა თითქმის გამორიცხულია, რადგან, სადაც იწყება ერთის ქმედება, მთავრდება მეორისა და, პირიქით, და ეს შემოქმედებითი პროცესის უცვლელი მოვლენაა.

6505. მუსიკის მსმენელნი მაყურებლებად არ უნდა ვაქციოთ, როგორც ამას დღეს თანამედროვე შოუმენები აკეთებენ.

6506. მწერალს, შემოქმედს დროთა განმავლობაში თავისი ნაღვაწი ხეირიანად არ ახსოვს, იმისდა მიუხედავად, რომ თავის დროზე იგი მკაფიოდ ჰქონდა გაცნობიერებული.

6507. მოდა – ეს არის სტილი, კულტურა, ხელოვნება, რელიგია, არქიტექტურა, მისწრაფება, დიზაინი და ათასი სხვა რამ. მას ყოფიერების ყველა სფეროში მოაქვს ცვლილება თავისი გაუცნობიერებელი კვლევა-ძიებით, რომელიც გარკვეული დროით იპყრობს ადამიანის სოციალურ სამყაროს, შინაგან ბუნებას.

+6508. შემოქმედისთვის ცენზურაზე უარესია უფულობა, რადგან პირველთან საერთო ენის გამონახვა შესაძლებელია, ხოლო მეორესთან – არა.

6509. ხელოვნება არის აზროვნებისა და ნიჭის შემოქმედებითი კავშირი.

6510. სატირასაც ძირითადად პოზიტივი უნდა ასულდგმულებდეს და არავითარ შემთხვევაში – „შემილიტინე იუმორი“.

6511. ლიტერატურული ნაწარმოები რომ იმდაგვარად მიაწოდოთ მკითხველს, რათა იოლად გაიგოს, ნიჭია საჭირო, ხოლო მასამ რომ

აიტაცოს და გათავისოს, პიარის ხელოვნება და ბედი.

6512. გაბრაზება-განაწყენების ჟამს წამოსცდება მავან ქართველს: განგების „პახმელიაზე“ გაკეთებული ერთი ნიჭიერი, მაგრამ ამბიციური ერი ვართ, რომლის ახალგაზრდობის 30% თანახმაა საქართველოდან გადაიხვეწოს უცხოეთში საცხოვრებლად, თუ მას სიმდიდრესა და ცხოვრების უკეთეს პირობებს შესთავაზებენ, რადგან საკუთარ ქვეყანაში ვერც ტვინს ანძრევს და ხელის განძრევაშიც ერთმანეთს მტრობენ, ხელს უშლიან და შურიანობენ.

6513. ხელოვნების ამა თუ იმ ნიმუშის მოწონება ზოგჯერ ჩვენი ცნობიერებისათვის მისაღებ ტყუილზეა დაფუძნებული.

6514. სამყაროს ტკივილების გათავისება და ასახვა ხელოვანთა პრეროგატივაა, რადგან მათ ნამუშევარს ხალხი უკეთ აღიქვამს.

6515. შემოქმედება, რომელიც სიახლეს არ შეიცავს, მომავალს არ შემორჩება.

6516. ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს, თუნდაც სხეულის გაშიშვლების სახით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ სიწმინდეზე და სისპეტაკეზე ხელი საბოლოოდ აიღეთ.

6517. ხელოვნების სიახლით წარმოჩენას ცოტათი „გიჟობაც“ უხდება, რათა ჭკუამხიარული მაცქერალი აღაფრთოვანოს და ჭკუადამჯდარის ყურადღება მიიქციოს.

6518. მსოფლიო ლიტერატურას თავისი „მაგელანების“ ძებნა დღემდე არ შეუწყვეტია.

6519. ყველა ნაღვაწში შეიძლება საკუთარი თავის აღმოჩენა, თუ დაკვირვებით განვსჯით და წავიკითხავთ.

6520. პოეტი იძულებულია, სიტყვებით რომანტიკულად იცრუოს, რათა მისმა ლექსმა ხიბლი არ დაკარგოს.

6521. ჰაეროვნება, აღმაფრენა ჯერ სულმა უნდა იგრძნოს, გულმა უნდა მიიღოს, გონიერებამ უნდა შეიცნოს. ამის შემდგომ ხდება ლექსი პოეზიის ნამდვილი ნიმუში.

6522. კარგი რომანის შექმნას მარტოოდენ მწერლის ბიოგრაფიის გამოყენება არ შველის. საჭიროა სხვათა ბიოგრაფიული ჩანაწერების მომარჯვებაც.

6523. ნაღდი მწერლობა მუზის სტუმრობაზეა დამოკიდებული, შედეგად ნაღვაწი იქმნება აღმაფრენით და შთაგონებით, ხოლო წიგნის გამოქვეყნების შემდგომ ის მწერლისთვის თანდათან დავიწყებას უნდა მიეცეს, რათა ახალი მუზის შემოტევისას ახალი ნაშრომი არ დაიჩაგროს.

6524. ხათაბალაა ამ სამყაროში მოსვლა, მაგრამ მოსაწონიცაა და მისაღებიც, როდესაც აქ სიცოცხლის ნოტებთან გვაქვს შეხება სიმფონიებით, ოპერებით, კომედიებით, როკ მუსიკითა თუ კანტატებით.

6525. ლოცვა თავისებური მხატვრული ლიტერატურაა, ოღონდ ეგაა მისი შინაარსი რეზიუმემდეა დაყვანილი.

6526. რაც უფრო გაზვიადებული და მრავალგვერდიანია მხატვრული ნაწარმოები, იმდენად გაუგებარია დროის ყადრის მცოდნე მკითხველისთვის მისი დანიშნულება.

6527. კულტურა და ეროვნულობა სინონიმებია, იმისდა მიუხედავად, ვის როგორ ესმის ხელოვნების სიახლენი და როგორ აპირებს მის აღქმას.

6528. მხატვრული ლიტერატურა სულიერების შესაფუთავი საშუალებაცაა.

6529. შემოქმედი თუ თავისი ორგინალობით არ გამოირჩევა, ის ჩვეულებრივი მოკვდავია და მეტი – არაფერი.

6530. ერთგულება, გამტანობა ყოველთვის იყო შემოქმედი და სულიერად ძლიერი ხალხის საყრდენი.

6531. წიგნი თავისებური თანამოსაუბრეა, რომელიც საშუალებას გვაძლევს გონივრული ნაჯაფი სხვასაც გავაცნოთ.

6532. დღეს წიგნი კომპიუტერმა შეცვალა და ეს მარტო საბეჭდი ქაღალდის დაზოგვის მიზნით არ მომხდარა?!

6533. კარგი წიგნისთვის თვალის გადავლება გაცნობის მიზნით, დროის კარგვაა, რადგან რაც საუკეთესოა მასში მას ვერ აღიქვამთ.

6534. ხელოვნების და დაპირისპირების სახე, ძალიან შორს დგანან ურთიერთისგან, იმისდა მიუხედავად, რომ დაპირისპირების წინააღმდეგნი არც ხელოვნებაში არიან.

6535. დღეს ხელოვნებას არც მეძავებისა რცხვენია და არც დედიშობილა სიარულის, რადგან ამგვარი ხელოვნების ოსტატის მიზანია, ის დროულად შეამჩნიონ, სხვებმა არ დაასწრონ რომანტიკული გაშიშვლება და მოჩვენებითი ვნებიანობა.

6536. ხელოვნება ვერც სიყვარულის და ვერც დაპირისპირების გარეშე ვერ წარმოჩნდება.

6537. ტალანტს მტრები ჰყავს, მაგრამ გააჩნია, ეს მტრობა ვის როგორ ესმის და როგორღა აღიქვამს.

მამაკაცი, კაცი

6538. ნაღდ მამაკაცს მკაცრი და მრავლისმეტყველი გამომეტყველება უნდა ახასიათებდეს.

6539. მამაკაცს ღმერთმა ძილში ქალებში გაჯეჯილება ნუ მოუშალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილზე ფიქრი უხდება.

6540. კაცის დაჩაგვრა უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე ქალისა, რადგან მას ამით ვაჟკაცის იმიჯიც ელახება.

6541. კაცები შეიძლება საძაგლები, მოღალატენი, აუტანლები არიან, მაგრამ მათი დამსჯელი ფერია ქალია, მატრიარქატი – სიყვარულის წყარო.

6542. სამშობლოს გადამეტებულ, უანგარო სიყვარულს ზოგჯერ ქვეყნის ღალატად მიიჩნევენ დაუღვინებელი ხელისუფლება, შურიანი ხალხი და ფეხის ხმას აყოლილი მასა.

6543. მამაკაცის მცდელობას, ოჯახში თავი ღმერთად წარმოაჩინოს, ქალი მისთვის გასაგებ ათეიზმს უპირისპირებს.

6544. ყველა მამაკაცი ქალის სახით დასაყრდენს ეძებს. ამას ადრე შეიცნობს თუ გვიან, მნიშვნელობა არა აქვს.

6545. ურთიერთკინკლაობის დროს მამაკაცი არამზადად, ვიგინდარად მოიხსენიება, ხოლო დედაკაცი – სულელად, ჩერჩეტად.

6546. კაცის გაბრიყვებაზე ადვილი არაფერია, თუ ქალი მიმზიდველია და ეშხიც არ აკლია.

6547. უნაკლო მამრი მამაკაცად არ აღიქმება, ყოველ შემთხვევაში, ქალებს უნაკლო კაცი არ მოსწონთ.

6548. კაცი, რომელსაც, თუ არ დასჭირდა, ტყუილს არ ამბობს, ჯერ კიდევ ადამიანად უნდა შევაფასოთ.

6549. მამაკაცი უნდა იყოს: მონადირე, დამცველი, შემოქმედი, მასწავლებელი, მტკიცე აღმზრდელი, შემომტანი, მიზანდასახული, განათლებული, დიპლომატი, შვილი, მამა, ბაბუა, ცხოვრების მცოდნე, ზომიერად უზნეო, მტკიცე ხასიათის მქონე, ცხოვრების მცოდნე. ამ მონაცემთა შეჯერების შედეგად ფასდება ის, როგორც პიროვნება.

6550. მამაკაცისთვის ქალი მუდმივი დაკვირვების ობიექტია, ამას ხალისით აკეთებს თუ უხალისოდ.

6551. მამაკაცი სასურველი ქალის სიყვარულისა და გაგების მთელი პაკეტის დაუფლებას ცდილობს, ხოლო, რეალურად თუ ამ პაკეტის ნახევარიც ერგო წილად, თავს ბედნიერად გრძნობს.

6552. გონიერ კაცს არცოდნა არ ეუხერხულება. პირიქით, ეს მასში ახალი ცოდნის შეძენის ინტერესს ბადებს.

6553. რატომღაც კაცები შინაგანად ქალებზე მეტად დაკომპლექსებული არიან, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად, თითქოსდა, პირიქით გვეჩვენება.

6554. მამაკაცებს ქალების ზეგავლენის გარეშე სისულელეების ჩადენა უჭირთ.

6555. მამაკაცის გრძნობების უდიდესი სულისჩამდგმელი ქალია.

6556. ქალზე ზრუნვა მამაკაცის საქმეა, ეს მისი სურვილით ხდება თუ მდედრის ნებით.

6557. უთანამდებობო და უფულო კაცი ოჯახში ცარიელი ადგილია.

6558. თუ მამაკაცს შეხლა-შემოხლაში ერთხელ მაინც მონაწილეობა არ მიუღია, ის სულიერად ინვალიდია.

6559. ყველა მამაკაცი თავის ტოლსა და სწორს უნდა ეძებდეს ქალში, რათა დაწყვილება მყარი და შედეგიანი გამოდგეს.

6560. ჯეელობაში ქალსაც და კაცსაც ერთი გული აქვთ, ხოლო სიბერეში კაცს მეორე გული უჩნდება პროსტატის სახით.

6561. ოქროს დუმილს ვინღა დაეძებს, ვერცხლის თავშეკავებას რომ დასჯერდებოდნენ ჩვენი ნანატრი ცოლები.

6562. მამაკაცი ოჯახის ინტერესებს საყვარელი ქალის შეძახებით ნებდება.

6563. მამაკაცის ეროტიკული აღსარებისას ქალი ნაპერწკლებს უნდა ყრიდეს და მამრის მიერ შეგროვებული აზრების ბალახბულახის კოცონს უნდა აჩენდეს, რათა გრძნობები კიდევ უფრო გაღვივდეს.

6564. სანგვინიკი ოპტიმისტია, ქოლერიკი – მიზანდასახული, ფლეგმატი – მშვიდი, მელანქოლიკი – ჩამოუყალიბებელი, ალტერნატივის მომთხოვნი. კაცს სწორედ ასეთ რებუსში უხდება მეწყვილე ქალის არჩევა, შერჩევა, შეყვარება, მისთვის დედის მოვალეობის დაკისრება.

6565. მამაკაცმა ქალის თუ ქალთა სიყვარული უნდა იკმაროს, რადგან ქალთა წრის მიღმა სიყვარული გარყვნილებაა.

6566. მდედრმა ნასწავლი, ნიჭიერი კაცის ფასი იცის, მაგრამ, ვისაც ხელეწიფება მისი გამოყენება, ის ხშირად გულგრილია. არ უყვარს და რა ქნას!

6567. საღი გონების პედანტი მამაკაცი ქალს არ ეღადავება, რადგან ამით ქალური ოცნებისა და ფანტაზიის სავალ გზებს უზღუდავს.

6568. ძვალმსხვილ, მაგრამ ტვინწვრილ მამაკაცებს თანასწორუფლებიანობის კოდექსისა და ეთიკის დაცვა უჭირთ.

6569. მამაკაცური სულგრძელობა ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა მამაკაცთა მოდგმისა.

6570. მამაკაცები დედებს ხასიათით არა ჰგვანან, მაგრამ უმთავრესად დედის მსგავსი ხასიათის ცოლების მოყვანას ცდილობენ.

+6571. შემოსავალს ქმარი უკირკიტებს, ცოლი – გასავალს.

6572. მამაკაცების ურთიერთკონკურენცია უფრო ხშირად ქალების სასარგებლოდ როდი მთავრდება.

6573. ნამდვილი მამაკაცები ქალებთან დადიან აბანოში და არა

კაცებთან, რათა თავი „ცისფერად არ იგრძნონ.“

6574. საკუთარ ღირსებაში დარწმუნებული კაცის დაჩმორება და მორჯულება ჭირს.

6575. ჩვენი კაცობის ექომ ზეცაში უნდა ნახოს გამოძახილი და არა მიწაზე, რადგან ამქვეყნიური შექება დროებითი და მერყევი ხალხის საქმეა.

6576. ქალების დღევანდელი წინ წამოწევა და მათი როლის ზრდა მამაკაცის მენტალიტეტს გამოუსწორებელ ზიანს აყენებს, რადგან ნამდვილი მამაკაცები ისედაც ცოტანი იბადებიან.

6577. ქორწინება მამაკაცს სულაც არ სჭირდება, მაგრამ მოვალეობას იხდის ქალის, ოჯახისა და საზოგადოებრივი აზრის წინაშე.

6578. უამბიციო, უხერხემლო, უნიათო მამაკაცები ქალებს აიძულებენ, დიაცური ვალდებულებები გაითავისონ.

6579. მამაკაცი ქალის სიყვარულს ოცნებით სწავლობს.

6580. საშინელებაა, რასაც ტიტველი ქალის დანახვა მამაკაცს აგრძნობინებს, მაგრამ უფრო დიდი საშინელება იქნებოდა, ეს შეგრძნება რომ არ ყოფილიყო.

6581. მთავარია, ცხოვრებაში თავად როგორი მამაკაცი ხარ და არა ის, შენი ცოლი რა ქალია საზოგადოებაში.

6582. გონიერმა მამაკაცმა მომავალი მეუღლე ნაშიერთა შესაძლო ხარისხისა და გარეგნობის შესატყვისად უნდა აირჩიოს და არა ქალისადმი გაუცნობიერებელი ლტოლვისდა კვალობაზე.

6583. ქალს ფულსა და ხელთან ერთად საბანკო ანაბარიც უნდა შესთავაზოთ, თუ გინდათ, ნამდვილად ბედნიერი ქორწინება გამოგივიდეთ.

+6584. ახალგაცნობილ ქალს ჩააგონეთ, რომ პირველი მილიონი მისი სიყვარულით იშოვეთ და ის მარად თქვენი მადლიერი და ერთგული დარჩება.

6585. ვაჟის პირველი დანიშნულებაა, გვარის გამგრძელებელი დატოვოს, მშობლებს პატივი მიაგოს, სამშობლოს გამოადგეს, იმოქმედოს შექმნილ გარემოებათა შესატყვისად და ქვეყნის „ვითომდა ინტერესებს“ უაზროდ არ შეეწიროს.

+6586. შეცდომები ჭკვიან კაცს მოძღვრავს და არა უჭკუოს.

6587. შენთვის მისაღები ქალი გულმა და ჰორმონებმა უნდა განსაზღვრონ და არა გონიერებამ.

6588. მამაკაცის მიერ ცოლის ქალღმერთად უღიარებლობა გაყრას თუ არა, ურთიერთობის გაციებას მაინც იწვევს.

6589. მუსუსისათვის სიყვარული თავისებური სურდოა, რამდენიმეჯერ გემრიელად დააცხინკებს და თანდათან გაუვლის.

6590. მამაკაცი პირველ სიყვარულს ეზიარება, მაგრამ მისი შენ-

არჩუნება უჭირს. ქალი კი საბოლოო სიყვარულს ჭკუის მოხმობითაც ინარჩუნებს.

6591. ზენაარს მამაკაცები აღმერთებენ, ქალები კი – მათთვის ხელმისაწვდომ რელიგიას.

6592. ქალებს უცნაურობანი მოსწონთ, კაცებს – ცოლების კაპრიზი დაქალები.

6593. ქალის გონიერება მისი იდუმალებაა, კაცისა – ხმის ამოუღებლობა.

6594. მამაკაცი იძულებულია ქალს წესიერებისკენ მოუწოდოს იმის შიშით, რომ აღსაზრდელად სხვისი შვილი არ აჰკიდოს.

6595. მამაკაცს ყველა ის ქალი ამახსოვრდება, ვის ხელშიც მან თავი ძლიერ ხვადად იგრძნო და ვისაც ხვადობა აგემა.

6596. მამრებმა თვალი არ უნდა შევავლოთ მდედრის საცეცებს, თორემ ამით ისევ ქალები ზარალდებიან: სექსის მარგი ქმედების კოეფიციენტი გადაგვარდება და კლებულობს.

6597. მამაკაცს რომ ქალის ეშხი და პიარი ხიბლავდეს, ეს სამყარო დიდი ხნით მათ გარეშე დარჩებოდა.

6598. ყველა მამაკაცის მოწოდებაა, ვეცადოთ ისე არ დავჩაჩანაკდეთ, რომ ჩვენთვის სასურველმა ქალმა უარი გვტკიცოს.

6599. კაცს ცოლის მომეტებული ყურისგდება უფრო ტანჯავს, ვიდრე უყურადღებობა.

6600. მამაკაცისთვის ყველა ქალთან პაემანი ვნებამოხეული სუნთქვის გახსნაა.

6601. ყველა მამაკაცს ერთნაირი ალიბი აქვს, თუ ღალატში გამოიჭირეს: ან ნასვამი იყო, ან გონი დაკარგა, ან უაზროდ შეუყვარდა.

6602. ჭკვიანი კაცის დუმილი ხშირად მისი გონიერების სიმაღლეზე მეტყველებს.

6603. არ არსებობს მამაკაცი, მეუღლისთვის ეღალატოს და შინაგანად ეს ენანოს, მიუხედავად იმისა, ცოლმა გაიგო ეს გადაცდენა თუ არა.

6604. გაუგებრობა გვაიძულებს, ხანდახან საყვარელ ქალზე ისა ვთქვათ, რასაც მასთან სიამტკბილობის ჟამს არ ვიკადრებდით.

6605. „ია-ვარდქმნილი“ ყველა ის მამაკაცია, ვინც ოჯახის შექმნას შვილების აღზრდით გადაწყვეტს.

6606. ყველა მამაკაცის მისწრაფებაა მარტივი ურთიერთობის დამყარება ქალებთან ყოველგვარი ვალდებულების აუღებლად, ხოლო ქალისათვის უმთავრესია, ფლირტს, სიყვარულსა და მოწონებას თავისი ადგილი მიუჩინოს და და მისთვის აუხსნელი შედეგი წინდაწინ ივარაუდოს.

6607. თუ მამაკაცი ნაღდი საქმის კეთებითაა დაკავებული, მისთვის

არ არსებობს ცხოვრების წესი, მორალი და გარკვეული დროით მეგობრებიც კი.

6608. შიგადაშიგ ბევრი მამაკაცი ნანობს თავისი ნაოცნებარის აღსრულებას, რადგან, თავის დროს აღნიშნულზე უარი რომ ეთქვა, დღეს მასზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა.

6609. ქმარში, რომელიც ბიუჯეტს მთლიანად ცოლს ანდობს და თავად უფულოდ რჩება, კაცის ამოცნობა ძნელია.

6610. მამაკაცს უყვარს სიახლე, თავგადასავლები, თავის წარმოჩენა. ამიტომაცაა, რომ ქალმა მას ანგარიში უნდა გაუწიოს და ტახტზე არ უნდა მიაკრას.

6611. სიძვის დიაცი მოწონებას, მოჭარბებულ ვნებათა ღელვას განგვაცდევინებს და აქ ღალატი არაფერ შუაშია, უბრალოდ მამაკაცს სურვილი აქვს, ქალებთან ურთიერთობის ნიუანსებს უცოდინარი არ დარჩეს.

6612. ყველა მამაკაცში გარკვეული დოზით ველური ბუნება უნდა იდოს, თუ გვინდა მისგან მამაკაცი მივიღოთ და არა მხოლოდ მამრი.

6613. ჩასწვდება ქალის ფიქრებს, სურვილებს თუ არა, კაცის მიზანი მაინც ერთია და უცვლელი.

6614. ქალები ზრდიან მამაკაცებს, ხოლო მამაკაცები მათ ზნე-ჩვეულებას აკონტროლებენ და კაცობის ნორმებს აყალიბებენ.

6615. ზოგიერთი ქალის ხელში მამაკაცი შესაბრალებელია, მაგრამ თავადაა დამნაშავე: საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანა.

+6616. ყველა მამაკაცი ერთნაირად ფეხებზემკიდიაა, მაგრამ შემოსავალი აქვთ სხვადასხვა; ყველა ქალი ერთნაირად ჭირვეულია, მაგრამ ხასიათი აქვთ სხვადასხვა.

6617. ქალის ლიდერობა ოჯახში მამრთა უსუსურობაზე, გადაგვარებაზე მიგვანიშნებს.

6618. უხიაგი მამაკაცი თავისი ცოლის ფავორიტებში კონკურენტებსა ხედავს და წარმოსახვით რქებს წაღმა-უკუღმა ატრიალებს.

+6619. წარსული უნდა გვახსოვდეს, აწმყოსი უნდა გვჯეროდეს, მომავალს იმედით უნდა ვუყურებდეთ, თუ გვინდა ამქვეყნად კაცის იერი შევინარჩუნოთ.

6620. მამაკაცი გულწრფელი უფრო მეტად სულიერი ტკივილის დროსაა, ვიდრე ფიზიკური ტკივილის მიყენებისას.

6621. გონიერი მამაკაცი განსხვავებული ხასიათის ქალს ეძებს ოჯახის შესაქმნელად და არა გაურკვეველი ჰორმონებისა და სადავო სილამაზის მეუღლეს.

6622. მამაკაცის შეცდენა და ქმრად დასმა უფრო ადვილია, ვიდრე მისთვის ჭკუის სწავლება და დარგება.

6623. მამაკაცის სექსუალობის მეორადი ნიშნებია ფული, მანქანა,

აგარაკი.

6624. უმტრო კაციც ცოდვაა – სათანადოდ ვერ ვითარდება, რადგან მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა განვითარების ფაქტორია.

6625. კარგი კაცის დროულად გახსენება უპირველესად შენთვისაა გასახარი, რაკი მადლიერების გრძნობა არ დაახურდავე.

6626. ქალები სუსტები და დაუცველები არიან. ვაი, იმ მამაკაცის ბრალი, ვინც ამას დაიჯერებს და ირწმუნებს.

6627. ქალობრიობა რომ კაცობრიობაზე ზრუნავს, ისე რომ მამაკაცებს ქალებზე ეზრუნათ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

6628. მიწაზე ნებაყოფილობით გართხმული მამაკაცი შეცოდების ღირსი არ არის.

6629. ყოველ უშინაარსოსა და დროებითზე კაცურ კაცს გული ეთანაღრება.

6630. ნაღდი კაცი ყველა სათუო გარემოში მამაკაცად აღიქმება, ჩვენი შეფასების მიუხედავად.

6631. მამა ბატონი – კაცია შვილისთვის, რომელიც მისი: ჭკუის დამრიგებელიცაა, ოპონენტიც, დიქტატორიც, მეგობარიც, პროტეჟეც, მარად შვილით უკმაყოფილო, დამყვავებელი და მაინც მისი მოიმედე.

6632. მამაკაცს ქალისთვის მანქანის კარის გაღება იმ შემთხვევაშიც უხდება, თუ ქალის გარეგნობა და ქცევა ამას არ იმსახურებს.

+6633. მამაკაცმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი მეორე ნახევარი ჯერ ანგელოზი იყო და შემდგომ გახდა ცოლი, დედა.

6634. იყო უბრალოდ მამაკაცი, ესეც კარგია, მაგრამ ვინ გაფასებს.

6635. უშვილო კაცი უნაყოფო ვაშლის ხეს მოგვაგონებს, რომელსაც ბაღში არავინ გააჩერებს, მაგრამ საზოგადოებას ამის უფლება, სამწუხაროდ, წართმეული აქვს.

6636. მამაკაცები უყვართ არა იმიტომ, რომ ერთგულები, მომხიბვლელნი, შემომტანი არიან, არამედ იმიტომ, რომ საწოლსა და ცხოვრებაში არ იბნევიან და თავიანთ მოვალეობას ასრულებენ.

6637. პირმოთნე კაცის წალაქუცებას მტრის მუქარა გერჩიოს.

6638. ნასწავლ კაცს ცოდნა თავში დაუობდება, თუ მას მისთვის კუთვნილ სანთელ-საკმეველს არ მიარგუნებთ.

6639. კაცი მარად ქალის სიამოვნებას უნდა ცდილობდეს და დივიდენდებიც მოსალოდნელია.

6640. მჩატე კაცის ზედმეტად ამჩატება მავნებლობაა კუბში.

6641. ზოგჯერ კაცი მისთვისაც გაუგებარ დინოზავრს დაეძებს, რათა სხვები გააკვირვოს.

6642. ქმრებს საფრთხე ემუქრებათ, იმდენად დიდი ემანსიპაცია განიცადეს ქალებმა.

6643. ზოგჯერ ქალებს მხოლოდ იმიტომ ვესარჩლებით, რომ უპირ-

ველესად საკუთარ თავს დავუმტკიცოთ: მამაკაცები ვართ და ამქვეყნად რაღაცად ვღირვართ.

6644. ალბათ, განგების ხელიც ურევია, როდესაც ჯიუტ მამაკაცს სიყვარული აბრმავებს და ქალის ყველა კაპრიზი მისთვის კანონია.

6645. მამაკაცისა და ქმრის სიტყვა ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს: ერთი დასაფიქრებელია, მეორე – შესასრულებლად აუცილებელი.

6646. ამ ბოლო დროს ალფონსების რაოდენობამ იმატა, რადგან თავის სარჩენად მამაკაცებმაც ხელი მიჰყვეს მეძავეობას.

6647. წინათ თუ ქალებს მამაკაცები ძვირადღირებულ ზღაპრულ კოშკებს ჰპირდებოდნენ, დღეს კოშკი ოქრომ, ბრილიანტმა და დოლარმა შეცვალა.

6648. მამაკაცის ყველაზე დიდი ალაფი თავის თავზე მორგებული ოჯახის ქალია, დედაა, დიასახლისია და მისთვის მისაღები სექსუალური ცოლია, რომელიც ზოგჯერ „საყვარელიც“ კია.

6649. ქალთან ურთიერთობა ვალდებულებათა დაუდებლად არავინ უწყის, ბედნიერებაა თუ უბედურება, რადგან, ხომ შეიძლება ამ ქალს შენგან ნაშიერი ეყოლოს, რომლის შესახებაც არც არაფერი იცოდე და არც არავინ შეგატყობინოს.

6650. მამაკაცი, რომელსაც თვალი ქალებისკენ არ გაურბის, განა მართლა მამრია?!

6651. მამაკაცს ისე უნდა მოეპყროთ, როგორც მძიმე ავადმყოფს, თუ გინდათ, მისი გული მოიგოთ.

6652. მამაკაცები ქალებს ერთგულ სიყვარულს ასწავლიან, ხოლო მათი გრძნობებით გატაცება ქალების დამსახურებაა.

6653. მამაკაცმა ქალი ან საყოველთაო პიარით უნდა მოხიბლოს, ან დიდი სიყვარულით.

6654. კაცად გახდომა ხელოვნებაა. ამ საქმეში ხელოსნობა არადსაღირალია.

6655. ქალის გამღმერთებელი კაცი ღირსეული პიროვნებაა.

6656. მამაკაცმა ქალი კომპლიმენტებით უნდა „დაახრჩოს“, რადგან ეს მისი, როგორც ხვადის, მოვალეობაა.

6657. მამაკაცი, რომელიც ქალთა წრეს ვერ ეგუება, ან ავადმყოფია, ან ცვედანი.

6658. უნდა – არ უნდა, ყველა მამაკაცი ქალის ინტერესებს უწევს ანგარიშს და ხშირად წაახალისებს კიდეც.

6659. კაცური კაცის მიგნება ყოველთვის ჭირდა და გაჭირდება, რადგანაც ის უნიკუმია.

6660. მადლის მოსხმად ღვთის დიდება, გონიერების ხმობა, ირგვლივ მყოფთათვის პატივის მიგება – აი, კაცის კაცური ყოფა.

6661. ქალებს მამაკაცები მარად სანუკვარ არსებებად აღვიქვამთ,

გადაჭარბებული თხოვნა-მოთხოვნა და ჭკუის სწავლება რომ არ იცოდ-ნენ.

6662. ვაჟები გოგონებზე 12% მეტნი იბადებიან, მაგრამ ქალები ნაღდი მამაკაცების ნაკლებობას ყოველთვის განიცდიან, რადგან ნაღდი მამაკაცი დეფიციტია.

6663. ხვადისთვის ქალის მოხიბვლა და სიყვარულისთვის თავის გამოდება თავისებური ჰობია.

6664. არცერთი მამრი ხანმოკლე „მარცხენა“ ბედნიერების წი-ნააღმდეგი არ არის, თუ ის ნამდვილი მამაკაცია.

6665. მამაკაცებს ძირითადად საკუთარ თავში დარწმუნებული, ამოუცნობი, მიუწვდომელი, ოდნავ სიტყვაძვირი, მამაკაცის შესა-ძლებლობების დამფასებელი ქალების დაუფლება მოსწონთ.

6666. ზოგი მამაკაცი ადამიანურ ღირებულებებს არად დაგიდევთ და მარად გართობის ძიებაშია. მიუხედავად ამის ცოდნისა, ქალები მაინც ასეთ მამაკაცებს ანიჭებენ უპირატესობას – ეტყობა ასეთ ქა-ლებს ინტუიცია და ცხოვრების გამოცდილება ღალატობთ.

6667. გონიერი მამაკაცისთვის ქალისა და უფლის ნება ერთია, ოღონდ მისი პირადი ჩასწორებებით.

6668. უნიათო კაცი მამაკაცად ვერასოდეს იქცევა, რა კაპასი და ანჩხლი ცოლიც უნდა ედგეს გვერდში.

6669. მამაკაცი მონა უნდა იყოს საკუთარი ცნობიერებისა და მეუფე ოჯახიშვილობისა.

6670. მამაკაცის მოწოდებაა, თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი ყველა დარგში, დროსა და ურთიერთობაში გამოავლინოს, რათა ქალის თვალში პიროვნებად დარჩეს.

6671. მამაკაცი ტყუილს ღიმილით ამაგრებს, დედაკაცი კი – ცრემ-ლით.

6672. შეყვარებულ მამაკაცს თავისი ხუშტურები აწუხებს და ნამო-ქმედარის გამოსწორებასა და დავიწყებას მარად ცდილობს.

6673. როგორც მამაკაცს, ისევე ქალსაც აინტერესებს პარტნიორის ხასიათის გაგება, დაგემოვნება, შეფასება, მით უმეტეს, თუ ამ ურთ-იერთობას რაიმე სახის ხეირიც მოაქვს.

6674. ვაჟი დედას ქალად ვერ აღიქვამს. ის უბრალოდ მასზე მზ-რუნველია და არა მშობელი.

6675. ყველა მამაკაცი „ცოდვილია“ მომავალი ცოლის წინაშე, მა-გრამ უამისოდ ის სექსუალურ მამაკაცად ვერ იქცევა.

6676. ქალები მამაკაცში კაცური ბუნების გამოვლენას აფასებენ და არა „პრიმატთან“ ცელქობას.

6677. ქალისადმი ალალი ლტოლვა და პატივის მიგება იმის მაჩვენ-ებელია, რომ მამაკაცმა მისი ნაღდი ფასი იცის.

6678. ცოლის წინაშე ეშმაკობა და ცუღლუტობა თუ ხახვის თავივით შეგრჩათ, ფრთხილად იყავით: ბედმა ზოგჯერ კვანტის დადებაც იცის და ნუ მოვაბეზრებთ თავს უაზრო გადაცდენებით.

6679. ნაღდი მამაკაცის შეფასება მხოლოდ სექსით განებივრებულ მანდილოსანს ძალუძს.

6680. ლამაზი ქალი კაცის სიმდიდრეცაა და მოფრთხილების საგანიც.

6681. მამაკაცი მდედრს ზოგჯერ შეეხიდება სიტყვებით – „შენ მაგიერ ამას მე გავაკეთებ“. ეს უდიდესი ბედნიერებაა ქალისთვის.

6682. უწინარეს ყოვლისა, მამაკაცს მეტ-ნაკლებად მდედრის არაორდინალობა ხიბლავს და შემდეგ – თავად ქალი.

6683. ქვეყანა, სადაც მამაკაცის ფუნქცია კნინდება, გარყვნა-გადაგვარებისთვის არის განწირული.

6684. კაცი, რომელიც თავისი ქცევა-ქმედებით დედას არავის შეაგინებს, პიროვნებაა.

6685. ქალების შინაგან სილამაზეს მამაკაცების რატომღაც გარეგნული ელფერით ირჩევენ, რადგან პირველის აღქმა ერთეულთა ხვედრია.

6686. ზოგჯერ მამაკაცს აქვს თავის გადამოწმების ცდუნება და სხვა ქალის დროებითი პრივატიზაციის სურვილი.

6687. მდედრისგან განსხვავებით, მამრი თავის დანაშაულს იშვიათად აცნობიერებს, რადგან ბუნებით ის ქალზე მეტად ეგოისტია.

6688. თუ ქალი, სკლეროზის მიუხედავად, დღესაც გვახსოვს, გაგმართლებია და ცხოვრებაში ნაღდი ქალი შეგხვედრიათ.

6689. ჩვენი უნებლიე უკონტროლო აზროვნება ჩვენი ამქვეყნიური ყოფნის „აქილევსის ქუსლია“.

6690. მიუხედავად ქალის უამრავი ნაღდი თუ გამოგონილი ნაკლოვანებისა, მის დაპყრობის მცდელობა ყველა მამაკაცის ღირსებაა.

6691. საგანგაშოა, როდესაც მამაკაცები თავიანთი თავის პატივისცემას კარგავენ და დღევანდელი ემანსიპაციის გავლენით ავი დედაკაცების ხელში იატაკის საწმენდ ჩვრებად იქცევიან. მოჭარბებული მატრიარქატი და საკუთარი მეობის დაკარგვა მამრების მიერ საზოგადოების გადაგვარება-გაქრობას იწვევს.

6692. ნადავლი მამაკაცი – ეს პროფესიაა და უმთავრესად განკუთვნილია სულიერების წარმოსაჩენად, არის იგი ავი თუ კეთილი.

6693. მამაკაცები ისე იქცევიან, რის უფლებასაც ქალები უბოძებენ, ხოლო ქალები იმდაგვარად რეაგირებენ, რა სახის სიტყვიერ „პორტმანსაც“ მამაკაცები მიუგდებენ.

6694. მამაკაცი, თუ მისთვის სასურველ საქმეს არ აკეთებს, შეიძლება გალოთდეს, რაკიღა თავს უიღბლოდ მიიჩნევს და ამით ბოღმას იქრობს.

6695. შიშის გზით სიარული ხშირად მამაკაცური ქცევის უნარს გვიკარგავს.

6696. ახალი დიქტატორი წინა დიქტატორების ფანია.

6697. „გიფსკარდონის“ მსგავსი მამაკაცები მომრავლდნენ: გარეგნულად ვაჟკაცებად გამოიყურებიან, სინამდვილეში კი ყბედები და „უტრაკო ყარაჩოღელები“ არიან.

6698. საღი, დამაჯერებელი აზრების მოსმენა მამაკაცებზე მეტად ქალებს უჭირთ, რომელთათვისაც კაცებთან ურთიერთობა აუცილებელია.

6699. მამაკაცის უნიჭოდ „შებმა“ შეიძლება, რაც ხშირად გაწბილებას იწვევს მდედრის თვალში.

6700. უპასუხისმგებლობა იმ მამაკაცებს ახასიათებს, რომლებიც სუსტი არიან ინტიმში და მოიკოჭლებენ მზრუნველობაში.

6701. მამაკაცი ქალისადმი ხარისხიანი მომსახურებითაც ფასდება.

6702. მამაკაცს, რომელსაც სამზარეულიში ტრიალი მოსწონს, არ შეიძლება მეცნიერებისკენ მიდრეკილება არა ჰქონდეს.

6703. კაცს ქალის სინაზე, სილამაზე, კდემამოსილება იპყრობს და თრგუნავს, მაგრამ ის სხვა ქალისკენ მაინც იყურება, თუ ბუნებით ხვადია.

6704. მამაკაცს რეალურად განგების ნება აქცევს კაცად და არა ქალი, რადგან ეს უკანასკნელი ყოვლისშემძლე როდია.

6705. კაცი, რომელსაც ერთგვარი წარმოდგენა მაინც აქვს, თუ რა შეუძლია დედაკაცის მასთან დავიდარაბას, შეიძლება ღირსეულ მამაკაცად ჩაითვალოს. ასეთი ამ ხაფანგში თავს არ გაყოფს.

6706. გონიერია ის კაცი, ვისაც მიაჩნია, რომ მას იდეალური ცოლი ჰყავს, რადგან, თუ დიაცმა მოინდომა, საშაროს მაინც გამოთხრის.

+6707. ბავშვობას მამაკაცი უფრო დიდხანს ინარჩუნებს, ვიდრე ქალი, ანუ ქალი უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე – მამრი.

6708. დღევანდელი ცივილიზაცია კაცს კაცობის დაკარგვის საფრთხის წინაშე აყენებს, ქალს კი გაკაცების და ეს ექსპერიმენტი საზოგადოებას კარგს არაფერს უქადის (ქალთა კრივი, ჭიდაობა, ფეხბურთი, რაგბი).

6709. კაცს ის ღალატი ეპატიება, რომელიც შემთხვევითი ვითარებითაა გამოწვეული და ზოგადად კი თვალი სხვა ქალებისკენ არ გაურბის.

6710. ქალის ენის დაგრძელება მამაკაცის უყურადღებობისა და უნიათობის შედეგია.

6711. ქალის ენის სიმოკლე მამაკაცს კაცობას უნარჩუნებს და სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

6712. ნაღდი მამაკაცისთვის უმთავრესია ქალის მოპოვების შედეგად მიღებული სიამოვნება და არა საკუთარი თავის შეცნობა.

6713. ყველა მამაკაცი ქალს ხელისგულზე ტარებას ჰპირდება, მა-

გრამ მდედრი, რომელსაც იუმორის შეგრძნების უნარი არ გააჩნია, ამას ვერ ხვდება.

6714. კაცი უნდა აზროვნებდეს, როგორც მამაკაცი, მაგრამ სიტუაციას უნდა გრძნობდეს, როგორც ქალი.

6715. მამაკაცს ქალის არც ზედმეტი ყურადღება მოსწონს და არც უყურადღებობა, რადგან ის ამას ძალმომრეობად მიიჩნევს.

6716. ჯერჯერობით ნიჭით თუ არა, შემოქმედებითი ფანტაზიის უნარით ქალები მამაკაცებს ვერა სჯობნიან. რადგან მამაკაცთა მოდგმა უფრო ზარმაცია, ვიდრე ქალთა, ისინი იძულებულნი არიან, რაიმე ისეთი მოიფიქრონ და მოიმოქმედონ, რაც მათ სიზარმაცეს დაფარავდა და გაამართლებდა.

6717. ზოგი შემოქმედი ქალი მამაკაცს არ ჩამორჩება უწესრიგობაში, მაგრამ მოუწესრიგებლობის იარლიყს მაინც მამაკაცები ატარებენ.

6718. მამაკაცისთვის სხვა ქალით გატაცება დროებითი მოვლენაა, ქალისთვის კი სხვა მამაკაცთან ურთიერთობა ღალატია და მისი მონად გახდომის მცდელობაა, პირველ ხანებში მაინც.

6719. მამაკაცისთვის უმთავრესი ქალის გონების დაპყრობაა და არა გულისა – უფრო საიმედო და ხანგრძლივია.

6720. მიმნდობი დედაკაცების ნდობას მამაკაცები ხშირად ვერ ამართლებენ, რადგან დროდადრო ამ უკანასკნელთ ქალური ხიბლით შეჯანჯღარება სჭირდებათ.

6721. წარმატებული იქნება თუ არა ქალთან ლაციცი, მამაკაცებს ერთობ გვაღელვებს, მაგრამ სიამოვნებასაც გვანიჭებს.

6722. მამაკაცს ლამაზი ქალისთვის თვალის შევლებაც კი ვნების გამოუხატავად უჭირს.

6723. სასურველია, მამაკაცს დედაკაცის ვნების აღძვრა შეეძლოს და მისი მართვაც იცოდეს.

6724. მამაკაცია ის, ვინც ქალის ჩაცმულობაზე მეტად მის ვნებიანად გახდაზე ზრუნავს.

6725. იმის მიუხედავად, რომ ბიჭები გოგონებთან შედარებით მეტნი იბადებიან, ქალები მაინც ღირსეული მამაკაცების ნაკლებობას განიცდიან და დაოჯახებისთვის გაჩენილი ბევრი მდედრი უქმროდ რჩება.

6726. საქმიანი კაცი სიზმარშიც საქმის კეთების პერსპექტივას ხედავს.

6727. კაცური მოვალეობის შეგნებით აღსრულება ზოგჯერ სიამოვნების მოკლებასაც მოითხოვს.

6728. ქალის ჰორმონების აღქმის უნარი მამაკაცს შესაძლებლობების გამოვლენის უნარს უნარჩუნებს.

6729. ზოგჯერ ქალის თვალებში ისეთი რაღაცის აღმოჩენა და დანახვა შეიძლება, რაც კაცისთვის სანატრელია და ამ მომენტის ხელიდან

გაშვება ქალის თვალში მამაკაცის ავტორიტეტის დაცემას იწვევს.

6730. ნამდვილმა მამაკაცმა მისთვის უხერხულ და უხიაგ კითხვებსაც პასუხი უნდა გასცეს, ოღონდ ღირსების წარმოჩენით.

6731. მამაკაცად დაბადებული კაცურ კაცად არ აღიქმება, თუ მას შემართების უნარი არ აქვს.

6732. ჩვენს კაცურ ღირსებას დრო და შემთხვევა ადგენს, ხოლო ფიზიკურ მამაკაცობას შვილების, შვილიშვილების და მათი ნამრავლის ოდენობა.

6733. კაცისთვის მთავარია თანდაყოლილი გონიერება და არა შეძენილი, რადგან მას ინტუიცია აკლია.

6734. მამაკაცისთვის ქალი უპირველესად მადის აღმძვრელი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ქალის კაპრიზებს არ დააკმაყოფილებს.

6735. მამაკაცის ხელახლა აღზრდა შეუძლებელია, მხოლოდ მოთვინიერება არის შესაძლებელი და ისიც ნაწილობრივ.

6736. ქალზე უფრო ფაქიზი არსება მამაკაცია. აი, „საბუთი“ – მთელი ცხოვრება კვერცხებს ატარებენ და მაინც არ უტყდებათ.

6737. ნასვამ მამაკაცს თუ ვნება აწუხებს, სანამდის გამოფხიზლდებოდეს, ყველა ქალი მისთვის განუმეორებლად მომხიბვლელი, სანატრელი და ლამაზია.

6738. მამრისგან განსხვავებით, მამაკაცს ფულიც უნდა ჰქონდეს და ავტორიტეტიც.

6739. თავის შესაკავებელი მუხრუჭები თუ ღალატობს, ის ნამდვილ მამაკაცად ვერასოდეს წარმოჩნდება.

6740. „საწყალი მამაკაცები“ მომხიბვლავი ქალების ანკესზე უსიტყვოდ ეგებიან. მათი უმთავრესი სატყუარაა ქალის ქიმია-ჰორმონები, რომელთა განაჩენი საბოლოოა და განსჯას არ ექვემდებარება.

6741. ქალის საკონტროლო ტყვიაა შეყვარებულ მამაკაზე უარის თქმა.

6742. კაცს რომ ქალის ლოგიკის გაგება და ახსნა უჭირს, ეს მისასალმებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ურთიერთს ვერც დააინტერესებდნენ და ვერც დაწყვილდებოდნენ.

6743. ქალი მამაკაცის სარკეა, ხოლო კაცი ქალისთვის „აუტსორსინგია“ – მომგებიანი მომსახურების გაწევა.

6744. თუ ჩვენი განწყობა ამინდზე, საქმიანობასა და ცოლის ჭირვეულობაზე არ არის დამოკიდებული, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჯერ კიდევ პიროვნებად ვრჩებით.

6745. ნამდვილმა მამაკაცმა ქალს „თვალების დაჟუჟუნებით“ ღალატიც არ უნდა აპატიოს, თუ სწადია კაცური ღირსება შეინარჩუნოს.

6746. კაცის ქცევის წვრთვნას გამოცდილების დაგროვებასთან ერ-

თად გენის ხელის წარმორტყმაც სჭირდება.

6747. წარმატებულ მამაკაცებს ქალები უფრო დიდი გულით მფარველობენ და მათგან უფრო მეტ წარმატებას ითხოვენ.

6748. ცოლის გულმხურვალე და უალტერნატივო შექება ყველაზე მომხიბვლელია. იგი მამაკაცის მცდელობას და მის შემოქმედებით ნაყოფიერებას აორმაგებს.

6749. ქალი კანონისა და კანონიერების მიმართ უფრო მომთხოვნი და პრეტენზიულია, ვიდრე მამაკაცი, იმისდა მიუხედავად, რომ კანონშემოქმედნი ძირითადად კაცები არიან.

6750. ქალი თუ მოგეწონა და, ამასთან ერთად, კიდეც შეგიყვარდა, ამის შესახებ მას დელიკატურად უნდა აცნობო, მაგრამ მის მოპოვებას სხვადასხვა ხერხის გამოყენებით არ უნდა შეეცადო. შენ უწინარეს ყოვლისა, მამაკაცი ხარ და უფლება არ გაქვს „ჩვრად“ იქცე.

6751. ქალის ხიბლი მისი გრაციოზულობაა, საუბარია, მიხრა-მოხრაა, სინაზის წარმოჩენაა, კდემამოსილებაა და კიდევ მრავალი სხვა რამ, ხოლო მამაკაცი ამათგან რომელ სატყუარას წამოეგება, ეს უკვე არავინ უწყის.

6752. ზოგიერთი მამაკაცის ჩვრად გადაქცევის მიზეზი მის გენში უნდა მოვიძიოთ და არა აღზრდასა და ანჩხლ ცოლში.

6753. ქალის ფართოდ გახელილი თვალებისა და გაბუტული ტუჩების წინაშე ყველა მამაკაცი უძლური და მორჩილია, რადგან აქ მამაკაცის მთელი გვამი ყივილს იწყებს.

6754. მომხიბვლელი და შენთვის განკუთვნილი ქალის სურვილებს საზღვარი არ ექნებოდა, ეკონომიკის წითელი ხაზები რომ არ ყოფილიყო.

6755. როდესაც ასაკოვანი მამაკაცი ქალის გარეშე თავს ცუდად გრძნობს, ის ცნობიერების ხვადია, ოღონდ ყავლგასული.

6756. მამაკაცის საუბარში აზრთა არევ-დარევა იმის მაჩვენებელია, რომ ის ტყუილის მართლად შემოპარებას ცდილობს.

6757. მამაკაცმა ქალს ისე გამჭოლი თვალით უნდა შეხედოს, რომ ქალს ზურგი აეწვას და გაძლიერებული გულისცემა იგრძნოს.

6758. კაცს ქალის ემანსიპაციის პირობებშიც კი არ ეპატიება, თუ მას ცოლი აცხოვრებს და არჩენს.

6759. კაცს ქალზე ავის თქმა არ ეგების, მდედრის ბუნების მიუხედავად, რადგან თავადაა დამნაშავე, თუ მას ვერ გაუგო და ჯეროვნად ვერ მოირგო.

6760. მამაკაცს, შეიძლება, ბევრი ღირსება ჰქონდეს, მაგრამ, თუ ის მდედრს არ უყვარს, კაპიკია ამ ღირსებათა ფასი.

6761. წესით, ყველგან კაცური კაცები უნდა ცხოვრობდნენ, რაკიღა ცუდი კაცი კაცად არ ითვლება, ოღონდ ამის დადგენა ძნელი საქმეა.

6762. ქალი პატარა საიდუმლოებების დამალვას ცდილობს, ხოლო კაცი კი იმ დიდ საიდუმლოებათა გამჟღავნებასაც არ ერიდება, რომლებიც მას თავს არ გადახდენია.

6763. ზოგჯერ მამაკაცი თავისი ღირსების შეცნობით იმდენს აღწევს, რაც სხვას ჭკუა-გონების ჭყლეტით და ოცნებით უჭირს.

6764. საქმიანი ქალი იმ ზვიგენს მოგვაგონებს, რომლის ჰაიჰარად განაწყენება მამაკაცს ჭირად უჯდება.

6765. მამაკაცის ზრუნვა ქალთან ცუღლუტობასაც გულისხმობს.

6766. თუ გინდათ, ნაღდ მამაკაცად აღგიქვან, თქვენი სიტყვა ყველა ქვეყნის ვალუტაზედ მდგრადი უნდა იყოს და დევალვაციას არ განიცდიდეს.

6767. ქალური ლოგიკის გაგება მამაკაცის ფსიქიკას უჭირს, მაგრამ ხშირად ის ამას არ იმჩნევს.

6768. მამაკაცის პროზაულ ბუნებას ნაღდი ქალები მათთვის გასაგებ ქარიშხლისმაგვარ სიყვარულს უპირისპირებენ.

6769. დუმილის ალგორითმის შედეგი, განცდა ქალისთვის ერთია, კაცისთვის მეორეა.

6770. ბერბიჭა არც თავს არგია, არც ქვეყნის ინტერესებს. იგი არც კარგ მაგალითს იძლევა.

6771. იდეალიზებულ და გადამეტებულად მართალ კაცთან ცხოვრება ჭირს, რადგან მას ამქვეყნად თავისუფლად ყოფნის მადლი ვერ შეუცნია.

6772. ქალის უმთავრესი იარაღი ხიბლიანი მკერდია, ხოლო ღიმილი – ხიბლის ხელოვნების სტრატეგია მამაკაცის ცნობიერების დასაპყრობად.

6773. ყველა ნორმალური მამაკაცი ცოლს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ქმრით იამაყოს და იტრაბახოს.

6774. გონიერი მამაკაცის მოვალეობაა, ცოლსა და ოჯახის სხვა წევრებს არ შეუქმნას პრობლემები და აარიდოს მათ გაუთვალისწინებელი უკეთური ვითარებანი.

6775. რაც ქალებისთვის შეიძლება, იმათგან კაცებისთვის ზოგი რამ აკრძალული უნდა იყოს, რათა მათ მეობას არ ავნოს და, როგორც მამაკაცი, არ დახურდავდეს.

6776. მამაკაცის ცნობიერებისა და გულის დასაპყრობი ფრაზები: 1. აზრიანი, 2. ავკარგიანი, 3. ალღოიანი, 4. აღმშენებელი, 5. ბრძენკაცი, 6. ბედის რჩეული, 7. ბუმბერაზი, 8. ბედნიერი, 9. ბერმუხა, 10. ბაბუაკაცი, 11. ერის შვილი ხარ, 12. ვამაყობ შენით, 13. ვაჟკაცო, 14. გაღმერთებთ, 15. გეთაყვანებით, 16. განუმეორებელო, 17. გამგები, 18. გენიოსო, 19. გემრიელო კაცო, 20. გულიანო, 21. გემოვნებიანო, 22. გულმაგარი ხარ, 23. გულახდილი, 24. გულუხვი, 25. დიდებული კაცი,

26. დაუვიწყარო, 27. დიდი გულის მქონევ, 28. დიდბუნებოვანო, 29. დროის ყადრის მცოდნევ, 30. ერისშვილი ხარ, 31. ვამაყობთ შენით, 32. ვაჟკაცო, 33. ზიარება კაცო, 34. ზრდილობიანო, 35. თამადა კაცო, 36. თქვენობით დასამახსოვრებელი, 37. იღბლიანი, 38. იმედის მომცემი, 39. ინიციატივიანი, 40. კაცური კაცი, 41. კეთილი კაცი, 42. კეთილ-შობილი, 43. დიდი ბუნების კაცი, 44. მადლიანი, 45. მექალთანევ, 46. მზეჭაბუკო, 47. მართალი, 48. მირონცხებული, 49. მაჩო, 50. მშვიდობის ქომაგი, 51. მიზანდასახული, 52. მეგობარი, 53. მცოდნევ ყველაფრისა, 54. ოჯახის კაცო, 55. ოცნება კაცი, 56. ოპტიმისტი, 57. პიროვნებავ, 58. პატივმისაგები, 59. პატიოსანი, 60. პატრიოტი, 61. ჟინიანი, 62. რა-ინდი, 63. რიდიანი, 64. საშური კაცი, 65. სამოთხე კაცი, 66. საყვარელი კაცი, 67. ტალანტი, 68. ტაქტიანი, 69. ტრადიციონალისტი, 70. სიკე-თის მსურველი, 71. საჯიშევ, 72. სინდის-ნამუსიანი, 73. უკვდავი, 74. უღალატო, 75. უთვალმაქცო, 76. უანგარო, 77. ფრთიანი, 78. კაურების მოყვარული, 79. ქუდბედნიერი, 80. ქალების რისხვავ, 81. ღირებულე-ბათა მქონე, 82. ღირსეული, 83. ყოვლის შემძლე, 84. ყისმათიანი, 85. ყურადღებიანი, 86. ყანწების ჯალათი, 87. შანს-პეპელავ, 88. შინაარ-სიანი, 89. ჩაუჭრელი, 90. ციური მამაკაცი, 91. ძლიერო პიროვნებავ, 92. წესიერი, 93. წინდახედული, 94. წმინდანი, 95. ჯანიანი, 96. ჯიგრი-ანი, 97. ჭკვიანი, 98. ხერხემლიანი, 99. სახალხო, 100. ჰაეროვანი.

6777. მამაკაცი ქალმა უნდა აირჩიოს და არა მუშტის ძალამ, რადგან ქალის არჩეულ მამაკაცს მეტ პატივს მივაგებთ.

6778. შინაგანად ქალი მამაკაცის თანასწორი უნდა იყოს, მაგრამ გარეგნულად მამაკაცმა უნდა აიკიდოს ოჯახის ტვირთი და ხელთ იპყ-როს მართვის სადავეები.

6779. მამაკაც მეუღლეთათვის აუცილებელია იცოდნენ, რომ კა-მათისას ისინი მართლები არიან, ოღონდ კოჰაბიტაციის წესები უნდა დაიცვან, გრძნობათა ღელვა მოთოკონ და ურთიერთსიყვარული გაა-ძლიერონ.

6780. საქმიანი კაცის იერსახის მოსაპოვებლად საკუთარ თავს უნდა შეუძახოთ, რათა საქმის კეთება ვისწავლოთ.

6781. მამაკაცი ცოლს მაშინ აფასებს, თუ მდედრი მის მამაკაცურ ხუშტურებზე თვალს ხუჭავს და ეს დიდად არ ანაღვლებს.

6782. რაკიღა მამაკაცებს თავისუფლება უყვართ, მიეცით ფიქტი-ური თავისუფლება. ამით კიდევაც გაიხარებენ და თქვენი ერთგულნიც დარჩებიან.

6783. რადგანაც სიყვარული, როგორც ამბობენ თავისებური დაა-ვადებაა, კაცს ამ ავადმყოფობის გამო არ საყვედურობენ.

6784. ზოგი ცოლგამოცვლილი მამაკაცი იმდენად უნიათოა, რომ ცოლების გამოცვლაც კი მის ცნობიერებას ვერაფერს მატებს.

6785. ლაველასი ქალების მცოდნე და მოყვარულია, მაგრამ ერთგულებით როდი გამოირჩევა, რადგან ამის საშუალებას ქალთა მომხიბლაობა არ აძლევს.

6786. მამაკაცის განწყობაზე ქალის გარეგნობა და ფსიქიკა ძალზე მოქმედებს და მას ყოველმხრივ წარმოაჩენს.

6787. ცხოვრების დარტყმები ყველა ჩვენგანმა უნდა აიტანოს, განსაკუთრებით ეს ნაღდ მამაკაცებს ეხებათ.

6788. კაცის უმთავრესი მოვალეობაა, ქალს აგრძნობინოს ოცნებებთან მისი შეხვედრის სიხარული.

6789. კანონის პატივისცემა, მისდამი მორჩილება ყველა მოაზროვნე მამაკაცის ვალია.

6790. ქალებთან რიდი და სიმორცხვე მამაკაცს არა მარტო მომხიბვლელსა ხდის, არამედ – ნადავლის მომნადირებელსაც, რადგან ქალებს ასეთი მამაკაცები მოსწონთ.

6791. მართალი კაცის გაჩუმება ადვილი არაა, თუ ის ბუნებით ნამდვილი პიროვნებაა.

6792. ქმრობის სურვილის ვირუსის შეყრას მამაკაცები ქალებს უნდა უმადლოდნენ.

6793. ზოგი მამაკაცი, ასაკისა და შეძლების მიუხედავად, ქალებზე კვლავ ეჭვიანობს – გენი აქვს გამოუსწორებელი ხვადის.

6794. ყველა კაცი ნიჭიერია, თუ მას გონივრული გარისკვის საშუალება მიეცემა.

6795. მამაკაცი დაგულისყურებულია, თუ მასზე რასა ფიქრობს მის მიერ მოწონებული ქალი, ხოლო შეყვარებულ ქალს უფრო ის აინტერესებს, მის რჩეულს როგორ შეაფასებენ ახლობლები.

6796. მამაკაცის ინიციატივა, ქალისადმი პროვოკაციულ ქმედებათა გარეშე, გამოუსადეგარია.

6797. ქალის ხიბლისა და სილამაზის უპირველესი წარმომჩენია აღფრთოვანებული მამაკაცის თვალების ელვარება.

6798. ძალაუფლება ყველას აფუჭებს და აქაც პირველობას მამაკაცები არ თმობენ.

6799. ყველა მამაკაცი არამზადა არ შეიძლება იყოს, მაგრამ ზოგჯერ აქაც ეჭვი ეპარებათ.

6800. დღეს მამაკაცის ღირსება ფასდება ჭკუა-გონებით, წინდახედულებით და არა აფექტში ყოფნისას ჯიბეზე ხელის გაკვრით და იარაღის მარჯვედ სროლის უნარით.

6801. ბიჭებისთვის დედა არა მარტო საფიცარია, არამედ საზრუნავი არსებაც, ოღონდ მასთან კამათის პირობით და მათი სურვილების გათვალისწინებით.

6802. შეცდომა მამაკაცს ან კურნავს, ან ამცირებს. გააჩნია, ვინ

განსჯის: კაცი თუ ქალი.

6803. მამაკაცისთვის უმთავრესია საყვარელი საქმის კეთება და შემდგომ – ქალისადმი სიყვარული. წინააღმდეგ შემთხვევაში, გრძნობების პირველადი სახით შენარჩუნება ჭირს.

6804. გერგილიანი კაცი უგუნური რჩევიდანაც რაღაც საყურადღებოსა და სათავისოს გამოიტანს.

6805. მამაკაცი, რომელსაც არ შესწევს ქალის გაოცების უნარი, ის ქალისათვის სასურველ მამაკაცად ვერ იქცევა.

6806. კაცის ღირსება საკუთარი ბუნება-გონების შეფასების უნარი განისაზღვრება და არა მხოლოდ განსჯით.

6807. ხშირად მამაკაცების „ხელების აწევის“ მიზეზი ქალისადმი სიყვარულია.

6808. მამაკაცის ეჭვიანობა დამოკიდებულია განსჯად ფაქტებზე, ქალის ინტუიციასა და წინათგრძნობაზე.

6809. კომპლიმენტები, ეტყობა, მამაკაცზე გაცილებით უკეთ მოქმედებს, ვიდრე ქალზე, რადგან ამ უკანასკნელისთვის კომპლიმენტი, შექება, მისით აღფრთოვანება ბუნებრივი მოთხოვნაა, ხოლო მამაკაცს ზედმეტი შექება აამაყებს და რეალური საქმის საკეთებლად განაწყობს.

6810. მამაკაცს საქმის საკეთებლად შექებაც უხდება და ეჭვიც, რომ ის ამ საქმეს სათანადოდ თავს ვერ მოაბამს.

6811. ქალის მიერ გასულელებულ მამაკაცს კაცობის სტატუსი უნდა ჩამოვართვათ, რადგან მან მამრთა მოდგმას თავისი უნიათობით შეურაცხყოფა მიაყენა.

6812. მამაკაცი თანდაყოლილი ნიჭით სარგებლობს და აზროვნებს. მას ასაკის მატება ჭკუას ვერ სძენს, მხოლოდ ის გამოცდილება შველის, რომელსაც გონიერება განაგებს.

6813. საყვარელი და გამგებიანი ქალი ყველა მამაკაცს აბედნიერებს, იმისდა მიუხედავად, ამას მამრი ბოლომდე აცნობიერებს თუ არა.

6814. მამაკაცმა უნდა იზრუნოს ქალზე, ოღონდ ყოველგვარი დებეტ-კრედიტის წარდგენის ხარჯზე.

6815. დაოჯახებამ მამაკაცს თავშეკავებული გემოვნება მაინც უნდა დაუტოვოს, რათა თავი კვლავ საჭირო მამაკაცად იგრძნოს.

6816. სასურველის მიფუჩეჩება და სასურველზე უარის თქმა მამაკაცის ცნობიერების გაჯეჯილების ბრალია.

მასმედია

6817. მთავარია, დასახულმა მიზანმა იზეიმოს წარმატება და არა კანონმა, თუ მას ხეირი არ მოაქვს ქვეყნისათვის.

6818. სისუსტეს სურვილი არ გააჩნია, ჭიას არასოდეს მოსწადინებია სინათლისთვის თვალის ჩაკვრა.

6819. ძველი „მასმედიის“ ჭირი ახალმა ინტერნეტის ჭირმა შეცვალა. ასე რომ, ცივილიზაცია ინფორმაციის ჭირსა და ჭორს არ გვაშორებს ლურსმნული დამწერლობიდან დღემდე.

6820. კარგ ინფორმაციას ვუმეგობრდებით, მაგრამ მის გადასინჯვას ხშირად ვცდილობთ.

6821. ჟურნალისტიკა საქვეყნო საქმის კეთების მცდელობა უნდა იყოს და არა ლიტონ სიტყვათა ჟღარუნი.

6822. მიზნის მისაღწევად უღირსი საშუალებების გამოყენებას გამართლება არ აქვს, მაგრამ ზოგჯერ ამას გარემო და დროის უკმარისობა გვაიძულებს.

6823. დღეს მასმედია იმ თაობებსაც რყვნის, ვისაც გენში გარყვნილებისკენ მიდრეკილება არ უდევს.

6824. მიზანი საშუალებათა უქონლობისას უმიზნობად გადაიქცევა.

6825. მასმედიის დანიშნულებაა, საზოგადოებას ესაუბროს და არა „ებაზროს“.

6826. მასმედია და ინტერნეტი, ბევრი სიკეთის მიუხედავად, თაობების დაჩქარებით „გარყვნას“ უწყობს ხელს.

6827. დღეს „მედიის“ უკონტროლობას უგუნურებამდე მივყავართ, რადგან ის პატივს არ სცემს კანონს, ქვეყნის ინტერესებსა და ყოფის რეალობას.

6828. სოციალიზმის დროს თუ წყობის მონები ვიყავით და გაუკონტროლებლად სიტყვას ვერ ვიტყოდით, დღეს დემოკრატიამ სიტყვის მასხრად გვაქცია.

6829. მასმედია, ინტერნეტი ადამიანებს ერთმანეთისაგან აშორებს, რადგან მათ ფიზიკური და ახლო ურთიერთობები აღარ სჭირდებათ.

6830. საზოგადობის აზრის გაბაზრებას ყველაზე უკეთ მასმედია უწყობს ხელს.

6831. ჯენტელმენი მამაკაცი შთაბეჭდილების მოსახდენად ქალს კომპლიმენტებით ამკობს, ეფერება, აფინანსებს, პაემანზე ხვდება, რესტორანში დაჰყავს, უსმენს და შემდეგ პატივს ლოგინში ითავისებს, ხოლო „მუჟიკი“ პირდაპირ ლოგინში მიათრევს და ხშირად ქალი ამ უკანასკნელის მეტი კმაყოფილია, რადგან ეს უკანასკნელი ბუნებითაა მამაკაცი.

6832. დაუღვინებელი სიტყვა მხატვრულ სამყაროს ვერ შექმნის.

6833. ნებადართული ყბედი და მერკანტილური მედიაგარემო თავისუფლებას როდი ნიშნავს.

6834. დღევანდელი მასმედია ამბიციების მქონე ხალხის იაფფასიან მოდაზეა გათვლილი და ფულის საკეთებლად გამოიყენება.

6835. გამორჩევა-წარმოჩენა – ესაა ადამიანის რაობის ანიცაა და ბანიც. თუნდაც მასმედიაში.

6836. ინტერნეტთან ურთიერთობა ასაკობრივი სუბორდინაციის დარღვევას იწვევს.

6837. დღეს ადამიანის გართობის დიდებული საშუალებაა მასმედია, ინტერნეტი და დემოკრატიის პოსტულატებზე გართულება.

6838. დღეს მასმედია ისეთ უგვანობას აფეტიშებს რეკლამის გაყიდვის მიზნით, რომ ზოგიერთს შერცხვება, რომ ადამიანია.

6839. რეკლამისა და მასმედიისთვის ყურება ბევრ რამეში დროისთვის არასასურველ მიბაძვას იწვევს.

6840. მასმედიას და ინტერნეტს ერთი სიკეთე აქვს: სხვის შეცდომებს დაუზარებლად გვამცნობს.

6841. სიტყვის გახმოვანების აკრძალვა შესაძლებელია, მაგრამ გახმოვანება რომ იყოს და სიტყვა არა, ეგ შეუძლებელია.

6842. სუბიექტური აზრი, რომელიც მასმედიაში ხმაურდება, განსჯადი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საშური საზოგადოება არ ჩამოყალიბდება.

6843. იდეოლოგიის, რწმენისა და მოყვასზე ზრუნვის გარეშე საზოგადოება დევალვაციას განიცდის, ხოლო ადამიანის მსოფლმხედველობა ზნეს მორალს უცვლის და გადაგვარებისკენ უბიძგებს.

6844. ჟურნალისტიკა ყველაფრის მიახლოებითი მცოდნეა, ძირითადად არაფრის მკეთებელი ხელოვნებაა, ოღონდ თავისი ამბიციები კი კვადრატში აჰყავს.

6845. მასმედიისთვის საძინებლისა და ბავშვთა ოთახის კარები მარად დაკეტილი უნდა იყოს, თუ გვინდა საზოგადოება საბოლოოდ არ გადაგვარდეს.

6846. სიტყვის თავისუფლება მარტო იმათთვის კი არ არის, ვინც მასმედიაში ჩალიჩობს, არამედ ყველასთვის, ვინც სიმართლეს ლაპარაკობს და ქვეყნისთვის ირჯება.

6847. ჟურნალისტიკა არის გაპიარების ხელოსნობა, იმისდა მიუხედავად, ნიჭი აწუხებს თუ გამორჩენა.

6848. „მასმედიის“ ფიზიკური იარაღი მიკროფონია, ხოლო ქიმიური – ჭორის „გაპრავება“.

6849. მთისა და ბარის აზროვნების სხვაობა მასმედიამ წაშალა.

6850. ამჟამად პაპარაცობის მოდა კრიზისს არ განიცდის, მაგრამ ხვალ პრესა და მასმედია დღევანდელ სახეს შეინარჩუნებს თუ არა, არავინ უწყის.

6851. ჟურნალისტურ გამოძიება-კვლევებს ზოგჯერ დიდ თაღლი-

თობასთან მივყავართ. რა ქნან; მათაც ხომ უნდათ მაყურებლის მოზიდ-ვა,მათი გონების მონუსხვა.

6852. მასმედია თავისი ვამპირობით ანაგვიანებს და იპყრობს ჩვენს ცნობიერებას, ცხოვრებას.

6853. პოლიტიკა შემოქმედი ხელისუფლის მოძიებაა და არა ყველა ვიგინდარასა და აუტისტის პარპაში მასმედიაში, მათი უაზრო კრიტიკა და ყბედობა.

6854. ზედა ეშელონებში ერთმანეთის შეურაცხყოფა და შემდგომ ყოველივე ამის მასმედიაში პიარული დემონსტრირება მოსახლეობაში სიძულვილის, „კულტურას“ აყალიბებს.

6855. ისეთი დრო დადგა, შენს გემოზე რომ უკანალი გახმაუ-რო, მასმედია გაატირაჟებს ჩვენთვის გაუგებარი თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით.

6856. მასმედიას სინდისის თავისუფლება არ აღელვებს, რადგან ამ შემთხვევაში ცენზურა მას უშემოსავლოდ დატოვებდა.

6857. ინტერნეტმა და მასმედიამ დღევანდელ საზოგადოებაში ცოდნა-უცოდინარობის ზღვარი წაშალა და მცოდნე ხალხის მიმართ პატივის მიგების წესი მოსპო, რადგან დღეს ყველა ინფორმირებულია, ხოლო უფრო ღრმა ცოდნის საჭიროება არ არის.

6858. დღეს მასმედია რეკლამის მოსაპოვებლად იღვწის და არა ხალხის ცნობიერების ასამაღლებლად.

6859. მასმედია მარად იყო რესპექტაბელურად-მოსყიდული და მა-რად დარჩება, სანამ მას ფულითა და სენსაციებით კვებავენ.

6860. ჟურნალისტი ახლომხედველია, პიარის მონაა, მედროვე ის-ტორიკოსია. მას არც ქვეყნის და ხალხის ჭეშმარიტი ისტორია აინტერ-ესებს და არც მისი ანალიზის უნარი შესწევს. რა ქნას მასაც ცხოვრება, დღევანდელობის მოკლე გადასახედიდან უწევს.

6861. ჟურნალისტს ყველა სახის ამბავი აინტერესებს, მათ შორის საკუთარი დაფინანსებისაც.

6862. მასმედიის ძალადობა რატომღაც არ ისჯება. ეგრეთ წოდებუ-ლი თავისუფლების ალიბი ასეთია: „არ მოგწონთ, სხვა არხზე გადარ-თეთ!“ მაგრამ რა ვუყოთ ადამიანის ცნობისმოყვარეობას, რომელიც ადამიანის ფსიქიკას აჰიპნოზებს და ეს არავის ადარდებს.

6863. დღეს ფსევდოდემოკრატიისადმი გამოკიდებამ მასმედიასაც ძალა გამოაცალა და დიდი კონკურენციის გამო ჭორაობაზე გადავიდა.

6864. მასმედია ხალხის ქვეყნისთვის სასიკეთოდ გატუტუცებას უნდა ემსახურებოდეს და არა პირიქით.

6865. წავიდა ის დრო, როდესაც ფაქტები ღაღადებდნენ. დღეს ფაქტებსაც აყალბებენ, მიწაშიც კი მარხავენ კარგად დაფინანსებული მასმედიის მეოხებით.

6866. ავი ენები არც ინტერნეტში ისვენებენ და სამყაროში თავიანთი ადგილის ძიებაში არიან.

6867. ეტყობა, მასმედია ჰეროსტრატეს დიდებაზე უარს ვერ იტყვის, იმდენად დიდია რეკლამიდან მიღებული დაფინანსების ძალა.

6868. რაიონულ გაზეთში შენზე გამოქვეყნებული სტატიის ცნობადობა შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე ცენტრალურში, რადგან იმ რეგიონში შენიანებია თავმოყრილი, ხოლო ცენტრალური გაზეთის მკითხველებს ჯერ არ შეუფასებიხარ და შეიძლება შენზე გამოქვეყნებული სტატია არც აინტერესებდეთ. ამიტომაც სად რა სჯობს, არავინ უწყის.

6869. ტელესერიალებით დაავადებული საზოგადოება უნებლიეთ ბრბოს მარაქაში ერევა.

6870. მასმედიის სინდისი, თავისუფლება, დემოკრატიის ქვაბში მოხარშული ნაღვაწი ჯერჯერობით ქართველი მაყურებლისთვის მიგდებული უვარგისი საკვებია.

6871. მართალია, ინტრიგა და პროვოცირება ჟურნალისტური პროფესიის ნაწილია, მაგრამ ის ზომიერად უნდა გამოვიყენოთ.

6872. ვნება დღეს ფარულ კამერასაც ეუფლება და მასმედიაში საკუთარი თავის გამომჭენებლებსაც, რადგან ამგვარი „პიარი“ ფული ღირს.

6873. ჟურნალისტი რომ გახდე, თავისებური ჯოჯოხეთი უნდა განვლო, უნდა ისწავლო უაზრო და უზნეო ხალხთან საუბარიც.

6874. ევნუხობის მიდრეკილების მქონე რეკლამა ზოგჯერ თავის უმანკოებაში გვარწმუნებს. და ჩვენ რატომღაც ამ ანკესზე ხშირად ვეგებით.

6875. ჭორაობა მასმედისთვის აუცილებელი გახდა. მან ხომ 18 წლის მეძავიცა და 80 წლის ქალწულიც ერთნაირი მონდომებით უნდა გაართოს?!

6876. საზოგადოების აზრი მასმედიის მოშველიებით არ უნდა დავადგინოთ, რადგან ამით მასის მსოფლმხედველობა ირყვნება.

6877. საზოგადოების ცნობიერების დევალვაციის მიზეზი ზოგჯერ მასმედია თავისი სკანდალური და საეჭვო გადაცემებით, რომელიც ჭკუის გულუბრყვილო გონებას ურევს.

6878. ჩვენს თვალში დღეს მასმედიის მიერ გაუტირაჟებელი სიამოვნებაც კი დევალვირდება, იმდენად დაცემულია მისი ფასი.

6879. სიტყვებით ფარიკაობა თავისებური დუელია ოპონენტებს შორის, ხოლო სეკუნდანტები არიან მასმედია და ბრბო.

6880. პოზიტივი ნეგატივთან შედარებით ყოველთვის უყურადღებოდ რჩება, განსაკუთრებით „მასმედიაში“, რადგან პოლიტიკური მსმენელ-განმკითხველის მოზიდვა უჭირს.

6881. საზოგადოებრივი აზრის დანაგვიანებას პოლიტიკოსებთან ერთად მასმედიაც ახერხებს, მაგრამ ამ ნაგვის დასუფთავება რატომღაც საგანგებო სიტუაციის სპეცრაზმების ხვედრია.

6882. ადამიანი თავის მოწონებისა და პიარის მიზნით ცდილობს, საკუთარი შესაძლო დამსახურება მასმედიის ვიტრინებში გამოფინოს.

6883. თავისუფლებისა და დემოკრატიის დოქტრინა ხალხს იმ საზოგადოების იდეებში ერევა, სადაც მასმედია თავისი შემოსავლების გასაზრდელად ისეთ რაღაცეებზე ჭორაობს, რაც არ ეკადრება ჩვენს ღირსებას.

6884. მასმედიის რეპრესია დანაშაულია, მიუხედავად იმისა, რომ მისი თვითრეკლამირება და გაჯეჯილება მომხმარებლის სულიერებას რყვნის.

6885. საყოველთაო ღირებულებები გადაფასდა და სახე იცვალა, რადგან მასმედიის გაპიარებული და ანგარიშიანი ყბედობა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა.

6886. მასმედიას ისევე შეუძლია ადამიანთა გადაგვარება, როგორც ცუდი ზეგავლენის მომხდენ ადამიანებს და უფრო მეტადაც კი.

6887. ინტერვიუ აღსარება არ არის, მაგრამ ზოგადი ინტერვიუს ავტორს გული უნდა ეთანაღრებოდეს, ისეთ საშინელებებს აფრქვევს ეთერში.

6888. სიტყვის თავისუფლება იგივე ნარკომანიაა, რომლის გამოყენების უფლება დაუმსახურებლად არავის უნდა მივცეთ.

6889. სადაც ჩუმ-ჩუმი საუბარი მიდის მასმედიის მონაწილეობის გარეშე, იმ ქვეყანაში საქმე გაცილებით უკეთ კეთდება და ეკონომიკაც წინ მიიწევს, ხოლო იქ, სადაც მასმედიას ცხვირს ყველგან აყოფინებენ და პიარისთვის ბრძოლა მიმდინარეობს დემოკრატიის და თავისუფლების სახელით, ქვეყნის ეკონომიკა-პოლიტიკის ხელოვნური, ყურით მოთრეული პრობლემები ექმნება.

6890. „საინფორმაციო დივერსია“ გონიერი ხელისუფლის ხელში ადვილად განსახორციელებელია, როდესაც ირგვლივ ამდენი ვაგლახად ინფორმირებული აუტისტია.

6891. კუჭის მიმდევარი და ორღობის ინტელიგენცია ჩვენში ყოველთვის ბლომად იყო და ასევე დარჩება, განსაკუთრებით დღეს მასმედიის ჭორაობით გაბრიყვებული.

+6892. ზოგი მიმომხილველის პოლიტიკური ანალიზი იმ ჭადრაკის პარტიის გარჩევას მოგვაგონებს, რომელიც მოჭადრაკეებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ.

6893. ხშირად პოლიტიკოსები „ორღობის ჭორიკნებივით“ ჭორაობენ მასმედიაში და ამით თავის წარმოჩენას ცდილობენ.

6894. მასმედიაში სამართლიანობაზე პაროდიების მოწყობა-გათამაშება სახელმწიფოებრიობის დაცინვაა.

6895. დემოკრატიის სახელით სიტყვის გამოხატვის თავისუფლება „მასმედიაშიც“ რეგლამენტირებული უნდა იყოს, რათა საქმიანი აზრები ყბედობაში არ გადაიზარდოს.

6896. მასმედიის ჭკვიანურ გადაცემებს გაცილებით ნაკლები მსმენელი და მაყურებელი ჰყვავს, ვიდრე სკანდალურს, რადგან პირველს სხვებთან თავისი განსხვავების დადგენა სჭირდება, ხოლო მეორეს – თავისი განუმეორებლობისა.

6897. არის პროფესია, სადაც „უხერხულია“, „მეხათრება“, „არ შემიძლია“ ცუდ ტონად ითვლება და შენს კარიერულ წინ სვლას კვანტს უდებს. მაგ. მსახიობი, იურისტი, პოლიტიკოსი, მასმედიის მუშაკი და ა.შ.

+6898. ნეგატიური მასმედიის პოპულარობა საზოგადოების სულიერ დევალვაციაზე მიგვანიშნებს, რადგან სხვათა უბედურება-განსაცდელის ყურება საკუთარი უნიათობის გამართლებისა და თავის დამშვიდების უფლებას გვიტოვებს.

6899. დღევანდელი მასმედია ასე მასშტაბურად და ურცხვად რომ არ ჭორაობდეს, შიმშილით სული ამოსძვრებოდა.

6900. მასმედიური შიში აღადგენს წესრიგს, ქმნის მოჩვენებით სიყვარულს და გვაბედნიერებს კიდეც, ოღონდ ეგ „ბედნიერება“ ბრჭყალებს საჭიროებს.

6901. მასმედია მსუბუქი ყოფაქცევის ავტორიტეტია: თუ ფული სჭირდება, ყველაფერზე წავა.

6902. გაბაზრებული რეკლამა მაინც თავისებური ძალადობის მაჩვენებელია, იმისდა მიუხედავად, რომ საშუალება გვაქვს, ტელევიზორის სხვა არხზე გადართვისა.

6903. სოციალური უსამართლობაა, ჩვენს ცნობიერებას მასმედია ტვინს რომ უღრღნის, მაგრამ მას მკურნალად ევლინება იდეოლოგია და სხვათა აზრების გაზიარება.

6904. დღეს ოპიუმი ხალხისთვის რელიგია კი არა, მასმედიაა თავისი ტექნიკური მიღწევებით, განუსჯელობით, პოლიტიკის საყველპურო ცოდნით და პირადი ამბიციებით.

6905. დღევანდელი წერე და იკითხე საზოგადოება მასმედიის თავკაცობით განუსჯელად იღვწის.

6906. აგიტაცია-პროპაგანდაც მიზნობრივი დაფინანსების გარეშე არ მუშაობს, რაც უნდა გონიერი და სულიერი დასაყრდენი ჰქონდეს.

6907. მასმედიას მკრეხელობის უფლება არ აქვს და ამას ცხოვრების სირთულის მცოდნენი ადრე თუ გვიან მივხვდებით.

6908. სიტყვას „თავისუფლება“ დიდებულად და მომხიბვლელად ჟღერს, მაგრამ მისი სიდიადის წარმოჩენა და გაგება არსებულ ვითარებაში ჭირს, რადგან სიტყვა „თავისუფლება“ ყველას სხვადასხვა გვარად და უპასუხისმგებლოდ ესმის, მაგალითად, მასმედიას.

6909. წინათ სულის დასამშვიდებლად ღვთის მსახურს ვაბარებდით აღსარებას, ახლა მასმედიას ვაბარებთ სათუო საიდუმლოებას და საკუთარი თავის წარმოსაჩენადაც ფრიად და ფრიად ვზრუნავთ.

6910. თეორიულად მასმედია ადამიანთა შეხედულებების განმსჯელი საშუალებაა, საქმე, პრაქტიკულად კი ჭორაობისა და ფულის შოვნის ადგილია, რადგან მასას რეკლამა და მოჩვენებითობა ურჩევნია ყოველგვარ სიმართლესა და კანონიერებას.

6911. შოუმ სამსახურში, საზოგადოებაში, ოჯახში, მასმედიაში ისე გაიდგა ფეხი, რომ, ეტყობა, იმქვეყნადაც შოუს კანონებით ყოფნა მოგვიწევს.

6912. სამწუხაროდ, დღევანდელი სოციალური ქსელები ისედაც „ბოგანოებად“ დაბადებულ ხალხს აზროვნებისა და განსჯის საშუალებას უსპობს.

6913. ევნუხობის ტოლფასია, როდესაც ტელეწამყვანი მის მაყურებელს ეხვეწება და ეჭორავება, ოღონდ მომდევნო რეკლამას უყურეთ და შემდგომ ისეთ ახალ ამბებს შეგატყობინებთ, თავადაც გაკვირვებულები დარჩებითო.

6914. სიცილიღა რჩება ერთადერთ იარაღად ხელისუფლებასთან დაპირისპირების საწინააღმდეგოდ, როდესაც მასა ასეთი უნიათოა და ბრბოს ასე უპასუხისმგებლო მასმედია ჰყავს.

6915. დღეს მასის ფსიქიკის დანაგვიანების საუკეთესო საშუალება ძირითადად მასმედიაა, რომელიც კომერციაზეა ორიენტირებული და უიმისოდ ვერ იარსებებს.

6916. მასმედიას უნდა ეშინოდეს პასუხისმგებლობისა, ის ანგარიშს უნდა უწევდეს საზოგადოებას, გონიერებას, კანონმდებლობას, რათა მისი სწამდეთ, სჯეროდეთ და საბუთად იმოწმებდნენ.

6917. სიყვარულის, ურთიერთთანადგომის, სიკეთის პროპაგანდა და საამაყო მაგალითების ჩვენება მუდმივად უნდა იყოს მასმედიაში, თუ გვინდა, ღირსეული თაობები აღვზარდოთ.

6918. მასმედიაში „გაპარებული“ ინფორმაცია ზოგჯერ ალესილ მახვილზე უკეთ ჭრის და კოდავს ჭორის მოყვარულ ადამიანთა ცნობიერებას.

6919. წესით, მასმედიამ უნდა აღზარდოს ხალხი, მაგრამ დღეს მას ამის საშუალებას ფულის შოვნის წყურვილი არ აძლევს.

6920. მასმედიაში პრესის და სიტყვის თავისუფლებას გაცილებით მეტი ზიანი მოაქვს, თურმე, ვიდრე მის ცენზურას, რადგან განუსჯელ უფლებებს, უპასუხიმგებლობას და „ნაღვაწის“ სარფიანად გასაღების მცდელობას სიკეთე არავისთვის მოუტანია.

6921. „პური და სანახაობა“ ხალხს უკვე მობეზრდა და ამჯერად მუქთა დახმარებას, დაუმსახურებლად პენსიების გაზრდას და სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს, რადგან მასმედიის ყბედობა ჭკუას ურევს და აბნევს.

6922. ქართულ ეროვნულ ლიტერატურას ხალხისთვის სასიამოვნო მომსახურების გაწევა შეუძლია, თუ მასმედია რეკლამირებას არ დახარბდება და სათანადო დროს დაუთმობს.

6923. მასმედიისთვის თავის დამახსოვრების საშუალებაა რომე-

ლიმე სკანდალურ პოლიტიკოსთან „ჩალიჩი“ და არა საქმის საკეთებლად საშუალებათა მოძიება.

6924. ძალაუფლების უპირველესი დასაყრდენია შეჯერებული კანონმდებლობა, მასმედია და ხალხის მხარდაჭერა.

6925. ჟურნალისტი იმ მასალების მოპოვებას ცდილობს, რომელიც მის რესპოდენტს წარმოაჩენს. თავად კი ერთი დღის ნაღვაწის აღიარებით კმაყოფილდება.

6926. დღეს ეროტიკული აღგზნება მასმედიის საშუალებითაც შესაძლებელია და ეს თანდათან საშიში ხდება, რათა ქალისა და კაცის რეალურ კლასიკურ უთიერთობას ობი არ მოედოს და არ გადაგვარდეს.

6927. ხელისუფალს მასმედია ეუბნება „პოლიტიკური ტრაკი ხარო“. ის კი „შემოქმედებითად“ და დემოკრატიის სახელით იღვწის ფულის მოსახვეჭად და თანამდებობის შესანარჩუნებლად, ხოლო დემოკრატიის სახელით მოჭრავე ჟურნალისტს პასუხს არ სთხოვს.

6928. მასმედიის პოლიტიზებაც დაფინანსებაზეა დამყარებული. შემდგომ ხდება მოსახლეობის გაბრიყვების დამუღამება და არშემდგარ პოლიტიკოსთა მოჩვენებითი პატრიოტიზმის ჩვენება.

6929. ჟურნალისტისთვის მასმედია არის აუშენებელი მექა, სადაც ის ცდილობს საკუთარი თავის წარმჩენას.

6930. გონიერ პარტნიორებთან კამათი გაცილებით მეტს იძლევა, ვიდრე სახლის ინტერნეტი და მასმედია.

6931. დღეს მასმედია ნატურალური საინფორმაციო ჟანგბადის ნაცვლად თავის მომხმარებელს ჭორებით გაჯერებულ ეთერსა სთავაზობს და ამით ირჩენს თავს.

6932. გონიერი ადამიანის „ეშმაკობისკენ“ მიდრეკილებას მასმედიაში რეკლამირებული კრიმინალური ფილმების ჩვენებაც ხელს უწყობს, რადგან ზოგჯერ ისეთ იდეას შემოაგდებს, რომელიდაც არასოდეს უფიქრია, ახლა კი იფიქრებს და გამოიყენებს კიდეც.

6933. ზოგს საკუთარი აზრების „ფრქვევა“ უნდა ავუკრძალოთ, განსაკუთრებით მასმედიაში, რათა საზოგადოება მოგებული დარჩეს და უსაგნო აზრის პროვოკაციაზე არ წამოეგოს.

6934. ლიბერალური, განუსჯელი მასმედია, ხშირად სახელმწიფოებრიობის ინტერესებს ვნებს და სამარეს უთხრის, რადგან ყოველივე წმინდას, რაც გვწამდა, აუფასურებს.

6935. ყველა სახის აგიტაცია-პროპაგანდა თავისი მიზნების მისაღწევად იღვწის და შედეგსაც აღწევს, თუკი ის შეესაბამება მსმენელთა აღქმით შესაძლებლობებს.

6936. პროფესიულ დავადებათა შორის ჟურნალისტური დაავადებანი ერთობ გამორჩეულია, ოღონდ ყველაზე სახიფათო და სახელმწიფოებრივად საშიშია ამ მწერალთა ძმობის ცნობილი სენი – ნარცისიზმი.

ნიჭი, ცოდნა, შემართება, მეცნიერება

6937. არის ნიჭი, რომელიც დღევანდელობას წარმოაჩენს (სპორტი, ხელოვნება, მეცნიერება); არის ნიჭი, რომელიც ხალხის კეთილდღეობასა და მის მომავალზე სტაბილურად ფიქრობს (შრომისმოყვარეობა, პოლიტიკა, ეკონომიკა) ხვალინდელი დღის პერსპექტივით.

6938. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ნიჭი ქმნის ყოველივეს და არა თავდაჯერებული, რეკლამირებული პატიოსნება.

6939. ოცნებისაგან განსხვავებით, ნიჭს ხელის გამოღებაც სჭირდება და ხელის წამკვრელიც, რომ თავად გამოჩნდეს და სხვებიც წარმოაჩინოს.

6940. უკვლევაძიებოდ ვერცერთი შემოქმედებითი მიმართულება ვერ იზეიმებს წარმატებას.

6941. ტალახში ჩაგდებული ბრილიანტიც ანათებს. ასევეა ნიჭი: ადრე თუ გვიან ის თავისას მოიმკის.

6942. ნიჭთან ურთიერთობა ძნელია, რადგან მას იმაზე მეტის კეთება უნდა, რასაც ავალებენ და მისგან მოელიან.

6943. ნიჭი გვაიძულებს, ადრე თუ გვიან მას პატივი მივაგოთ და მის სურვილისამებრ მოვიქცეთ.

6944. ორატორული ნიჭი მსმენელს შიგადაშიგ ახალისებს საკითხებზე მიბმული სხვადასხვა სალაღობო თავგადასავლითა და საგულისხმო გარეშე ამბებით.

6945. შეიძლება, მასწავლებელმა საგანი შეგაყვაროს, მაგრამ, თუ მან ვერა გარგო, ისევ ნიჭმა უნდა თქვას თავისი სიტყვა.

6946. ურთიერთგაგება ნიჭს მოითხოვს, ხოლო ნიჭი სიამოვნებას გვანიჭებს.

6947. განათლება უნარს გვმატებს, მაგრამ უნიჭოდ მას დიდი წარმატება არ მოაქვს.

6948. დიადისა და აუცილებლის კეთებას მოწადინებასთან ერთად ნიჭიც უნდა და დროის ხელგაშლილობაც.

6949. დარდსა და განცდებს რომ აჯობო, თანდაყოლილი ნიჭია საჭირო, რადგან ამას მარტო ცხოვრების ცოდნა არ შველის.

6950. კრიზისული სიტუაცია ახალ აფეთქებებს იწვევს მეცნიერებში, ხელოვნებასა და ცხოვრებაში.

6951. ნიჭი თავის გამოუყენებლობას არასოდეს გაპატიებს.

6952. მეცნიერება აღმოჩენებით გვაოცებს, მაგრამ სამაყრო ბევრ ისეთ საიდუმლოებას მალავს, რომელიც მარად ამოუხსნელი დარჩება.

6953. ნიჭი თავისი შესაძლებლობებით მუდამ უკმაყოფილოა.

6954. ნიჭი ყოველივეს სხვა თვალით უყურებს და ხშირად გონივრულ ალიყურსაც გვთავაზობს.

6955. შესაძლებლობათა უფლებას რაღაცის კეთების ნიჭმაც მხარი

უნდა აუბას.

6956. შემოქმედება ცოდნაა, ნიჭია, რომელიც წვრთნასა და აღზრდას მოითხოვს.

6957. ფიქრი წერას გაიძულებს, რათა ნაფიქრალი არ დაიკარგოს.

6958. ნიჭი ამაყად ცხოვრობს, ოღონდ არა ბედნიერად.

6959. ცოდნის ფლობა არ ნიშნავს, რომ მას ჯეროვნად იყენებენ.

6960. სამყაროს უცნაურობანი ნიჭს არას არასოდეს ეუბნებიან, მაგრამ საკითხავი ის არის, რა დავალებას მისცემენ.

6961. ნიჭიერ ადამიანს ცხოვრება თავისებურად დასცინის, ზოგჯერ ყურსაც უწევს, რათა მისგან სიახლე და სარგებელი გამოადნოს.

6962. უზომო ნიჭი გაუგებრობას იწვევს.

6963. სხვადასხვა ცდის დაყენების უნარი შემოქმედის ანალიტიკური გონიერების მაჩვენებელია.

+6964. ნებისყოფა იგივე ატომური ყინულმჭრელია – ყველა წინაღობას მიამტვრევს და წინ მიიწევს.

6965. ტექნიკური ეპოქის შიში იმგვარ კომბინაციებს გვთავაზობს, რასაც ადრე ვერც კი წარმოვიდგენდით.

+6966. ნიჭი ბევრს არა ჰყოფნის, მაგრამ ამ დანაკლისს საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენით ივსებს.

6967. უაზროდ დაკარგული და გამოუყენებელი ნიჭი დიდი დანაშაულია არა მარტო საკუთარი თავის, არამედ საზოგადოების წინაშეც.

6968. მომავალში მეცნიერება დაავადებულ გენსაც განკურნავს, მაგრამ რამდენად არგებს ეს საზოგადოებას, დაუდგენელია.

6969. ტექნიკური პროგრესი არ უნდა იწვევდეს ტვინის გამორეცხვას, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ განვითარებულ ტექნიკას და ჩამორჩენილ ინდივიდს.

+6970. იყო მეცნიერი, ნიშნავს განგებას წილში ჩაუჯდე.

6971. პიროვნების უნარი, ნებაყოფლობით რაღაც დათმოს, დიდი ნიჭია.

6972. მეცნიერების სიყვარული პლატონურ სიყვარულს უნდა შევადაროთ.

6973. საჩვენო საქმე ვაკეთოთ ისე, რომ სხვას ზიანი არ მიადგეს – განგების ნაბოძვარი ნიჭია.

6974. გამოცდილება ნიჭის საფუძველია, ოღონდ საგარანტიო საფუძველი.

+6975. შემოქმედი მეცნიერია ის, ვინც იცის, რომ 2×2 ოთხია, მაგრამ მასში ეჭვი მაინც ეპარება.

6976. ამპარტავნობის უფლების მოპოვებასაც სათანადო ნიჭი სჭირდება.

6977. მეცნიერებამ, უნდა – არ უნდა, თავისი აღმოჩენა მაინც

ცოცხალ არსებაზე უნდა გამოსცადოს, მიუხედავად იმისა, რომ დადებითი შედეგის არანაირი გარანტია არა აქვს.

6978. ძეგლსაც ვეთაყვანებით და ხშირად ვიხსენებთ, თუ არა მარტო შინაარსით, არამედ გარეგნულადაც გვხიბლავს.

6979. ნობელის პრემიის დანიშნულებაა, სიცოცხლეშივე სათანადოდ დაგაფასონ და მატერიალურად უზრუნველგყონ.

6980. კითხვა მადლისა და ნიჭის გარეშე გამოსაყენებელ ცოდნას არ იძლევა.

6981. პროგრესს ერთი უცნაურობიდან მეორე უცნაურობაში გადავყავართ.

6982. მადლიერების დაფასებას მახსოვრობასთან ერთად ნიჭიც უნდა.

6983. ზოგი კულინარის ნიჭს იყენებს მუცლის ამოსაყორავად, ზოგიც მუცლის ამოყორვას გონის ცოდნით ამოყორვას არჩევს.

+6984. რაღაცის დავიწყებაც ნიჭია.

6985. პროგრესი წინააღმდეგობათა გადალახვის გზით მიდის თავის ფინიშთან.

6986. არ არსებობს გამოუყენებელი ცოდნა, თუ დროის მოთხოვნას ფანტაზიას მივაშველებთ.

6987. ცივილიზაცია სკუპ-სკუპობით განვითარების წინააღმდეგია და მარად მაჩანჩალას როლს შეასრულებს, თუ ევოლუციის პროცესებს ტექნიკური პროგრესის მიღწევებს სათანადოდ არ მოვარგებთ.

6988. გენიალობა აღმოაჩენს, გონიერება აკეთებს, მუშაკები პატიოსნად მუშაობენ. ესაა ტექნიკური პროგრესის წინსვლის ანიც და ბანიც.

6989. ტალანტს ყოველივე მისთვის საჭირო უკლებლივ უნდა ვუბოძოთ, რათა კაცობრიობისადმი მისი დიდი სიყვარულითა და სიამაყით აღვფრთოვანდეთ.

6990. ნიჭის, გემოვნების, პედაგოგების ნაკლებობა იწვევს შემოქმედის სულიერ დევალვაციას და იაფფასიანი შოუების მოწყობას.

6991. ნიჭის პროფიციტი უაზრო გახდება, თუ მის პატრონს შემართება არ აქვს და ბედი თუ არ სწყალობს.

6992. ბაქტერიაც ცდილობს, არ შეცდეს თავისი შესაფერისი გარემოს მოძიებაში, სანამდის მეცნიერება დედას არ უტირებს.

6993. ისიც უნარია, ნიჭია, შეიყვარო და შეგიყვაროს იმან, ვისაც შენი გაბედნიერება შეუძლია.

6994. ეკოლოგიისა და გენეტიკის სიახლისკენ მისწრაფება კიდევ დიდხანს გასტანს, რადგან მათ მეცნიერული ხუშტური არ ასვენებს.

6995. ბიოდინამიკა სიცოცხლის გაძლიერებას ემსახურება ბუნების „მიგდებული“ საშუალებების სტიმულირების ხარჯზე.

6996. სანაგვეზე არცერთი მეცნიერული მოსაზრების გადაგდება არ შეიძლება, ჯერ, იქნებ, მისი დრო არ დამდგარა.

6997. პასიურ შემოქმედებას ბუნების „მაკეთებელთა“ გონებრივი აქტივობის დადგენა სჭირდება შეწონილი და სასურველი შედეგის მისაღებად.

6998. სწავლას დედინაცვალივით უნდა მოვეპყროთ, ნიჭს – დედასავით, შემართებას – მამასავით, კარიერას – მამინაცვალივით, რადგან ნიჭი და შემართება თანდაყოლილია, შენია, ხოლო სწავლა და კარიერა შეძენილია და სხვისი წყალობაა.

6999. თანამედროვე ტექნიკური პროგრესი იმდენადაა გათავხედებული, რომ ხშირად გამოცდილებასაც უგულებელყოფს.

7000. გადამეტებულ ნიჭს სხვათა გართობის სურვილი დაკარგული აქვს.

7001. სიზარმაცის საუკეთესო მკურნალი და დაუნდობელი მტერი ნიჭია.

7002. ყოველივე ნაღდი ნიჭის „ნაჩალიჩარია“.

7003. რაც უნდა ხალასი იყოს, გაუნათლებელ ნიჭს თავის წარმოჩენა მაინც უჭირს.

7004. ნიჭი რეალობასაც წინ აღუდგება, თუ ეს საჭიროდ დაინახა.

7005. სადაც რწმენა და შემართება არ არის, იქ ნიჭი და ცოდნა ვერას გახდებიან.

7006. მეცნიერებაში ძირითადია ორიგინალური აზროვნება, ფანტაზია და დროის შესატყვისი სიახლის შემჩნევა.

7007. მიუხედავად იმისა, რომ თეორია და რაციონალიზმი ბარიკადის სხვადასხვა მხარეს არიან, ერთმანეთის გაგებას მაინც ახერხებენ.

+7008. ვარაუდები მეცნიერების მისადგომებია.

7009. მეცნიერება პასუხისმგებელია სიახლის აღმოჩენაზე, რაც აზროვნების სიახლის შეცნობის სურვილს აცხოველებს.

7010. მეცნიერება ის ფენომენია, რომელსაც მარადიული სილამაზე ახასიათებს, არ ბერდება და მასში მარად ახალგაზრდული სული ტრიალებს.

7011. მეცნიერების დაკნინებას ზოგჯერ ცდილობენ ნაციონალიზმი და ეროვნულობა, რომლებიც გლობალიზაციის ტექნიკურ-სოციალურ პროგრესს ეწინააღმდეგებიან.

7012. ფუფუნება მეცნიერების გარეშე თავისი გათავხედებული მეობის შენარჩუნებას ვერ შეძლებს.

7013. ცოდნას ფიქრი, მიბაძვა, გამოცდილება გვმატებს, მაგრამ უნიჭოდ მისი მცდელობა ნულია.

7014. ექსპერიმენტებს თაობები ეწირება და ბედნიერებაა, თუ ამ მცდელობისგან რაღაც სასარგებლო მაინც გამოდნება.

7015. ნიჭისა და შესაძლებლობათა დამთხვევა ყოველთვის ძნელი იყო და იქნება, თუ ღმერთმა ხელი არ გამოიღო.

7016. მეცნიერება თავისებურ პატივს მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამყაროს უგუნურება დაეპატრონება.

7017. მეცნიერება ცხოვრებისა და ფანატიზმის მიერ დასმული კითხვების გაგების მცდელობაა.

7018. წიგნის ყველა გვერდი თუ ჯიგარს გიტრიალებს, ის უკვე ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი შედევრია.

7019. ცინიზმის დეკლარირება ნიჭს მოითხოვს. გაიხსენეთ ბაზაროვი, ტურგენევის პერსონაჟი.

7020. იცხოვროთ დინჯად, თავის აუწევლად – ესეც თანდაყოლილი დიდი ნიჭია.

7021. ნიჭი ზნეობის თვალსაზრისით არ განისჯება, მით უფრო, თუ ეს სურს სურვილს და არა გონიერებას.

7022. ისიც დიდი ნიჭია, თუ ვგრძნობთ, რა არ უნდა ვაკეთოთ, ვის არ უნდა ვენდოთ და რას უნდა ვერიდოთ.

7023. მართვის ნიჭის მოწოდებაა, გარემო პირობები გონივრულად შეარჩიოს და შემდეგ წავიდეს რისკზე.

7024. საქმის კეთებას პატივმოყვარეობის ჭიაც უნდა გაიძულებდეს და აპლოდისმენტებიც ახლდეს, რათა საქმის კეთების სურვილი მუდამ შემოგრჩეს.

7025. თუ ნიჭს უნიჭობა აფასებს, სიყალბე და ფარსი გარანტირებულია.

7026. მეხსიერებაც თავისებური ნიჭია. ის ვარჯიშსა და თანადგომას საჭიროებს.

7027. მუზა არაფერს გვეკითხება. მან უკეთ იცის, როდის უნდა გვეწვიოს და წამოგვაგდოს ლოგინიდან რაიმე ღირშესანიშნავის შესაქმნელად.

7028. ნიჭიერება ხშირად აბსოლუტური ბურუსის მომავალში იჭრება და ეს მისი მისწრაფებების ჯერ კიდევ გაუცნობიერებლობის ალგორითმია.

7029. მეცნიერების დანიშნილებაა, შეიცნოს გარეშეთა უბადრუკობა, აღმოფხვრას ის შეძლებისდაგვარად და დროის შესატყვისად.

7030. არა მხოლოდ მრავალმხრივი, თავზარდამცემი გენიოსიც არსებობს, რომელიც, ავადმყოფობისა და ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, ამ დროისთვის წარმოუდგენლად დიდ აღმოჩენებს აკეთებს მეცნიერებაში.

7031. სიბრძნის გამოყენებასაც ერთგვარი ნიჭი სჭირდება და ზოგჯერ ეს სიბრძნეზე მეტსაც კი ნიშნავს.

7032. არის მეცნიერების ისეთი დარგი, რომლის შედეგსაც სი-

ცოცხლეში ვერ იხილავთ, მაგრამ მას მთელი გულით უნდა ემსახურო, რადგან ის მომავალი თაობების გამოზრდას ემსახურება და მათი საკუთრებაა.

7033. მეცნიერება განსაზღვრავს ადამიანისა და ღმერთის დაპირისპირება-თანადგომას, როდესაც განგებას არ უნდა საიდუმლოებათა გამხელა, ხოლო მეცნიერების მოწოდებაა საიდუმლოებათა ამოცნობა და ამ მხრივ გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს.

7034. მეცნიერება, უნდა – არ უნდა, მაინც შორსა სდგას ჭეშმარიტებისგან, იმდენი ახალი და წარმოუდგენელი აღმოჩენა აქვს გასაკეთებელი.

7035. შექმნა და შრომა – ორივე თანდაყოლილ ნიჭს მოითხოვს.

7036. მიტევება თავისებური ნიჭია, მაგრამ ესეც დამსახურებას დამახსოვრებით ითხოვს.

7037. ნიჭიერება ქმნის იმ ეპოქას, რომელზედაც პასუხს არ აგებს.

7038. დასახული მიზნების გარკვეული ნაწილის შესრულება შენი ამქვეყნად ყოფნის გამართლებაა.

7039. მცენარემაც თავისი ადგილი და არეალი უნდა იცოდეს, თუ არ უნდა, რომ „დაასეკვესტრონ“.

7040. ტალანტი ნიჭია კვადრატში, რომელიც ადამიანური თვისებების გამომზეურებას ემსახურება.

7041. ცოდნა დაუსაქმებლად უნაყოფო ხეა, რომელიც გვხიბლავს, მაგრამ ნაყოფს არ იძლევა.

7042. მეცნიერების უპირველესი სურვილი თავისი ნაღვაწის ახსნაა, მაგრამ მას ამისათვის სათანადო მსმენელის შერჩევა უჭირს.

7043. ძალოვნებსაც ნიჭიერი ხალხი სჭირდება და არა ის „შალავა“, რომლებმაც თათრხელება სამუშაო ადგილი ვერ იშოვეს.

7044. ნიჭი უკვდავებას აღწევს, თუ სხვათა გონებამ დაუჯერა და იწამა.

7045. ნიჭია ჩვენი ადამიანობის საწყისი და ის გვანიჭებს ქვეყნის მოქალაქეობის სტატუსს.

7046. წერო, იღვაწო ყველასათვის გასაგებად, ხალასი ნიჭია, ხოლო გაისარჯო ინტელექტუალებისა და გამორჩეულად ჭკვიანი ხალხისთვის, ესეც ნიჭია, ოღონდ კვადრატში, კუბში.

7047. ნიჭი ინფორმაციის, კრიტიკის, წახალისების გარეშე დიდი ხნით ფერხდება და თავის დროს ვერ მოემსახურება.

7048. რაციონალური ცხოვრებისკენ სწრაფვას უმთავრესად მეცნიერება იჩენს.

7049. ზოგიერთთა ნიჭიერება გადამთიელივით იქცევა – საუფროსოდ და კარიერისთვის იღვწის და ურიგოდ ჩალიჩობს.

7050. საინტერესოა, ყვავილის ბუტკო და მტერიანა ისეთსავე სი-

ამოვნებას განიცდიან ერთმანეთისგან, როგორც ცოცხალი წყვილი ურთიერთობისას, თუ მხოლოდ გასამრავლებლად სჭირდებათ მათ ეს ურთიერთშერწყმა? მეცნიერებას ოდესღაც ამ საკითხზეც მოუწევს დაფიქრება.

7051. ორატორულ მეტყველებასაც შეთვისება, მორგება და თვითნაბადი ნიჭი სჭირდება.

+7052. ნიჭი ბრიყვებისთვის გადაგდებული ხელთათმანია, ოღონდ გაფრთხილების ხელთათმანი.

7053. დაუსაქმებელი მეცნიერება და ადგილმიუჩენელი ნასწავლი ხალხი ერის მოურჩენელი სიმსივნეა.

7054. ნიჭის ამოფრქვევა ყველაზე დიდი საოცრებაა ამ სამყაროში.

7055. შენ „გამალებული შეიარაღება“ უძახე და ბევრმა მეცნიერმა მის ხარჯზე სული მოითქვა თავისი აღმოჩენებით.

7056. მეცნიერების უმთავრესი დანიშნულებაა, ძველი აღმოჩენები ახლით დააძველოს.

7057. მეცნიერების დანიშნულებაა, სამყაროს თავისი ოცნების წიგნი წააკითხოს.

7058. ნიჭს თავისი თვითმყოფადობა აქვს და მის სილამაზეს ყველა ამჩნევს.

7059. მეცნიერება ყოველთვის გამარჯვებულია, შედეგის მიუხედავად.

7060. მეცნიერებას თავისი შემოქმედებითი ფანტაზია მარად აახალგაზრდავებს.

7061. ზოგჯერ თეორიულად შეუძლებლის ამოხსნა პრაქტიკულად შესაძლებელი ხდება და ეს „ტვინგადაღუნულთა“ ნიჭის დამსახურებაა.

7062. სიმკაცრეს ტალანტი ვერ იტანს, მაგრამ გარეგნულად უნდა დაემორჩილოს, თუ უნდა, ნიჭს ფრთები შეასხას.

7063. ნიჭი თავისებური ყუმბარაცაა, ბაირაღიც და თავისი დროის ატომური ნარჩენიც.

7064. ნიჭი იერარქიის შესატყვისად არ ფასდება, მაგრამ მასაც გამართლება, დაფინანსება და გვერდით მდგომი სჭირდება.

7065. ნიჭი ერთნაირად ჰყვავის დედამიწის ყველა კუთხეში, თუ ეს კუთხე ამ ნიჭის გასალამაზებლად ოდნავ მაინც მზად არის.

7066. ნიჭს მომწიფება უნდა ვაცადოთ, რათა თავის დროზე წარმოჩნდეს და დაღვინებისას თავისი აპლოდისმენტები მოიმკოს.

7067. მუზასთან მეგობრობას მარტოოდენ თანდაყოლილი ნიჭი როდი შველის, რადგან მას ბევრი რამ აქვს ისეთი, რაც მის სურვილ-მცდელობას არ ემორჩილება.

7068. ნიჭის დაუფასებლობა იწვევს ქვეყნის დაჩაჩანაკებასა და ხელისუფალთა გადაგვარებას.

7069. ნიჭი სხვა განზომილებით ფასდება, კულტურა – სხვით, რადგან პირველის მოჭარბება მაჭარს მოგვაგონებს და, მისგან რა ღვინო დადგება, არავინ უწყის, ხოლო მეორე უკვე წლებით დავარგებული ღვინოა და თანაც გადამოწმებული.

7070. ჩვენთვის მისაღები საკუთარი იერსახის ჩამოყალიბება ნიჭთან ერთად დროსა და ხელოვნებას მოითხოვს.

7071. გამოცდილებას დაკვირვებასთან ერთად ხალასი ნიჭიც სჭირდება, რადგან სხვანაირად სასიკეთოდ ვერ იღვაწებ.

7072. საკუთარი თავის ფლობის ხელოვნებაც ზენაარის ნაჩუქარი ნიჭია.

+7073. სიყვარულს დიდი ნიჭი სჭირდება, ხოლო ნიჭს საქმის პატარა სიყვარულიც ჰყოფნის თავის წარმოსაჩენად.

7074. ნიჭი ხშირად ამოხეთქავს, სადაც არ ველით, იმ ადამიანს აღმოაჩნდება, რომელსაც ანგარიშშიც არ ვაგდებთ.

7075. ნიჭის ძალა მისი საჭიროებაა.

7076. ნიჭი ყველას გმირია, იმისდა მიუხედავად, მას სათანადოდ, დროულად დააფასებენ თუ არა.

7077. ნიჭი ჩაუქრობელი კოცონია, რომელიც გონიერების ნაპერწკლებს ისვრის.

7078. თეორიულად ნიჭი დაუსრულებელი დღესასწაულია, პრაქტიკულად კი მოუღლელი შრომაა და მისგან მიღებული სიხარული.

7079. უნიჭოს ყოველი შრომა უდღეურია და თითქმის არაფრის მომცემი.

7080. პედანტობა ნაკლი არ არის, რადგან უამისოდ ზუსტი მეცნიერება წარმოუდგენელია.

7081. ნიჭის გამოვლენა დაგვიანებული არასოდესაა, მაგრამ მას დამფასებელი დროულად სჭირდება.

7082. გამარჯვებისკენ ყველა სახის მეცნიერებას მივყავართ.

7083. ნიჭი ბედნიერებაა, მაგრამ მისი დაბანდება და გამოყენება ბევრ სირთულეს გვიქადის.

7084. რადგან ხელისუფალი მომდევნო თაობების წინაშე აგებს პასუხს, მან ისე უნდა მართოს ქვეყანა, რომ თანამედროვენიც ძალზე არ გაანაწყენოს საქმიანი მათრახის გადაკვრით და მომდევნო თაობებმაც დაუფასონ ერისათვის გაკეთებული საქმე.

7085. აღმოჩენებს მრავალმხრივი ზერელე ნიჭის მქონე აკეთებს და არა ბეჯითი და ბევრის წამკითხავი.

7086. ტკივილის ატანაც გაუცნობიერებელ ნიჭს მოითხოვს.

7087. ყოველგვარ სიდიადეში ნიჭიერებაცაა ასახული.

7088. ნიჭის აღმოჩენა, დაფასება, ხელის შეწყობა ყველა პატრიოტის მოვალეობაა, რადგან ეს ქვეყნის წინსვლის აუცილებელი პირობაა.

7089. ცოდნისა და სიახლის მაძიებელმა შემოქმედმა აუცილებელია, თავისი ნაფიქრალი ქაღალდზე დააფიქსიროს, რათა არ დაავიწყდეს და მეცნიერებას არ აზარალოს.

7090. მტრისა და მოყვრის გარჩევის უნარი ნიჭთან ერთად განუმეორებელი თვითნაბადი ინსტინქტის ხელოვნებაა.

7091. ნაჩუქრის მიღებაცა და საჩუქრის გაცემაც თავისებური ნიჭია.

7092. მეცნიერება უპირველესად გონიერების აღზრდაა, შემდგომ მოდის ცოდნის მიღება და გავრცელება.

7093. ნიჭი გენიოსთა მიმდევარია, ოღონდ ახასიათებს გადახრები და შესწორებები.

7094. ხელისუფალმა თუ იცის, რისი გაკეთება შერჩება და რისი არა, ეს უკვე დიდი ნიჭია.

7095. ნიჭი, სინდისი, მცდელობა მოვალეობაცაა, თუ ის ქვეყნის კეთილდღეობას ემსახურება.

7096. დიდების მოპოვებას ნიჭი უნდა, რათა თავზე შარავანდედის დადგომას დრომაც მხარი დაუჭიროს.

7097. თაყვანისმცემლების გაცხრილვის შედეგად გამორჩეული მამაკაცი მსახიობი ქალის ქმარია.

7098. განათლება, ნიჭი, უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება ადამიანის წარმოჩენის უპირველესი საშუალებაა.

7099. ნიჭი პატიოსანიც შეიძლება იყოს და გაიძვერაც. გააჩნია რა ბუნების ადამიანი ფლობს მას.

7100. ამ სამყაროში ყოველივე დაუსრულებელია, რათა მეცნიერებას საქმე ჰქონდეს და ყოფიერების მადლი შეგვაცნობინოს ტექნიკური პროგრესის მეოხებით.

7101. ნიჭი მარად გონის მიერ გახსნილ გზას დაეძებს.

7102. ნიჭი ცხოვრების გამოცდილებამ უნდა კვებოს თავისი დაფინანსებითა და გამოცდილებით.

7103. მოხეტიალე სულის აღმაფრენას ნიჭმა მხარი უნდა აუბას.

7104. ნიჭს თავისი მეობის წარმოჩენა-დახურდავება ყველა დარგში ძალუძს. ეს მისი სპეციფიკაა.

7105. ნიჭის წარმოჩენას სიყვარულის, სიხარულის, მისწრაფების სასუქი სჭირდება, მაგრამ ასევე სჭირდება სიძულვილის, ნაღვლისა და დაყოვნების შხამ-ქიმიკატები.

7106. ნიჭიერი ადამიანი ცოტათი „ჭკუანაღრძობი“ რომ არ იყოს, შეუძლებელია. ამიტომ ის უნდა ცდილობდეს, მის მიერ დროის შესატყვისად გაგებული ყოფის განზომილებებს არ გასცდეს.

7107. ფინანსური დაინტერესება აკეთილშობილებს ყველა სახის საქმიანობას და მას მიმზიდველობას მატებს, რადგან ყველა სახის ნიჭს

ზურგის კარი სჭირდება.

7108. გემოვნება, მოწონება, დაწუნება თავისებური შემოქმედება და ნიჭია.

7109. დახმარება უნარიანი გაცემაც თავისებური სიხარული და ერთგვარი ნიჭია.

7110. ზოგის ნიჭი ძალზე ბევრია ერთი ადამიანისთვის და ძალზე ცოტა იმისათვის, რომ სხვებმა დროულად გაუგონ.

7111. ნიჭსაც ბუნება, დრო, შემთხვევა და არჩეული დარგის ღრმა ცოდნა ააშკარავებს.

7112. ცოდნაზე აგებული გამოცდილება, შეიძლება, მეცნიერებად-აც მივიჩნიოთ.

7113. მოსაწონ ნიჭს არ მარხავენ, გადაინახავენ, რათა თავის დროზე გამოიყენონ.

7114. ფასეულობათა აღქმას სჭირდება ნიჭი და დროის გათვალ-ისწინება.

7115. ნიჭიერ ჭკვიან შემოქმედს სხვისი არა შურს, რადგან თავისი შესაძლებლობების რეალიზაციას ცდილობს და შურიანობისთვის არა სცალია.

7116. ნიჭსაც მისთვის შესაფერის ქვეყანაში, გარემოში დაბადება, სწავლება, დასაქმება სჭირდება; წინააღმდეგ შემთხვევაში ის უკვალოდ დაიკარგება.

7117. ფანატიზმი ქმნის მეცნიერების საწყისებს და არა პირიქით.

7118. სწავლა ცოდნის ათვისება-გამოყენებას არ ნიშნავს, თუ მას სათანადო ცხოვრებისეული ნიჭიც არ შეეწია.

7119. ნიჭი თავისებური ინტრიგაა, რომლის მცდელობის წინასწარ გამოცნობა ძნელია.

7120. უფალი ყველა სახის ნიჭს პატივს მიაგებს და მფარველობს.

7121. შემეცნებაც თავის ნიჭსა და სკოლას მოითხოვს, რათა ჩვენ-და გასახარად იყოჩაღოს.

7122. მეცნიერება თავისებური კომედიაა სამყაროს ტრაგედიების გაცნობიერებით, გამოცნობით და გამოყენებით.

7123. ისიც ნიჭია, თუ ნიჭი თავის ნაკლოვანებებს სარფიანად გაყ-იდის.

7124. რაც არ ვითარდება, არც კვალსა ტოვებს, მაგრამ მახსოვრო-ბის საწყობში რჩება, როგორც განსხვავებული მოვლენა.

7125. ნიჭი ღვთის ის საჩუქარია, ყოველდღიური გარჯა რომ სჭირ-დება.

7126. ნიჭის სწორად წარმართვა ხელოვნებაა.

7127. ქვეყნის სამართავად და სასარგებლოდ მთავრობის ჩამოყა-ლიბებას ნიჭი უნდა. მას მარტო სწავლა არ შველის.

7128. ღადაობა რომ ბევრისთვის გასაგები იყოს, ისიც ნიჭს ითხოვს.

7129. ყოფიერებას ანარქია რომ არ ახასიათებდეს, მაშინ ორგანიზატორული გენსა და ნიჭს თავის წარმოჩენა გაუჭირდებოდა.

7130. ბედნიერებაა. როდესაც ქვეყანა იმ დონეზეა განვითარებული, რომ თანამემამულეებს არა მარტო ნიჭის გამოვლენის საშუალებას, არამედ მისი რეალიზაციის უფლებასაც აძლევს.

7131. ნიჭიერი ხალხი უსაყვედუროდ და დაუმადლებლად უნდა ვარჩინოთ, თუ გვინდა, გაცილებით მეტი მივიღოთ და მეტს მივაღწიოთ.

7132. ნიჭს შემოქმედის ძლიერი ხელი სჭირდება, რათა მან იმაზე მეტს მიაღწიოს, რაც ოცნებით უკეთებია.

7133. მეცნიერება ტექნიკურ პროგრესს დროულად აცნობიერებს და მის სიღრმეებს სწავლობს; ზედაპირული მეცნიერება კი პროცესებს წინ უსწრებს და ნახევარფაბრიკატების წარმოჩენას ცდილობს.

7134. მეცნიერება არა მარტო ბუნების კანონებს უნდა ითვალისწინებდეს, არამედ გარკვეულ საკითხებში მას კიდეც უნდა ემორჩილებოდეს და ანგარიშს უწევდეს.

7135. მეცნიერისა და საკვლევი საკითხების ჰარმონიულობა კვლევის პერიოდში იკვეთება.

7136. არის ისეთი პიტალო ჭეშმარიტება, რომელშიც ცხვირის ჩაყოფა მეცნიერისთვის არა ღირს, მაგ. სიკვდილ-სიცოცხლის კანონზომიერება, სიცოცხლის წარმოშობა, გაქრობა.

7137. წარმატებას გონივრული გადაადგილების ნიჭი იძლევა და არა გონის ერთ ადგილზე მიჯაჭვა.

7138. ნიჭი და მოხერხება ერთის შეხედვით გაუკეთებელს აკეთებენ პირველი თანდაყოლილია, ხოლო მეორე გამოცდილებით არის შეძენილი.

7139. ასეულები პროგრესზე არ ფიქრობენ, ათეულები მის მომავალს სხვადასხვაგვარად ხედავენ, ხოლო ერთი აზროვნებს სიღრმისეული და ის მართალია – აი, ეს არის მეცნიერება.

7140. ნიჭი სახელის დასგდებად იბრძვის ან პიარს იკეთებს, მდიდრდება და დღევანდელობას ეხმიანება, ამით გვარწმუნებს – ის განგების რჩეულთა წევრია.

7141. დილეტანტიზმი ხალასმა ნიჭმა უნდა შეცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროფესიონალიზმის პროფანაცია მოხდება.

7142. დაკვირვების უნარიც თავისებური ნიჭია.

7143. ნიჭი ცოტას ისმენს და ისიც საქმიანს, ხოლო ბევრს ქმნის დიდი ენერგიის დაუხარჯავად და სიცოცხლეშიც ფასდება, თუკი დრომ და გარემომ არ უღალატა.

7144. მიზნისკენ უნდა ვისწრაფოთ, მაგრამ არ ვიჩქაროთ, რათა

გამოუსწორებელი შეცდომა არ დავუშვათ და ნიჭის შესაძლებლობები არ „გავანიორწყალოთ“.

7145. ერთი შეხედვით, დილეტანტური იდეების ღრმა ფიქრებზე შეტევა ქმნის მეცნიერებას.

7146. ყოველი ნიჭი ფანტაზიას კატეგორიულად ითხოვს და მას შენთვის გაუცნობიერებელი გემო უნდა ჩაატანო, თუ გინდა ამქვეყნიური მადლი შეიცნო.

7147. თვითნასწავლსა და ღვთის ნაბოძვარ ნიჭს შორის დიდი სხვაობაა, რადგან ამ უკანასკნელს თავისი გარანტიებიც ახლავს.

7148. უდავო ნიჭია ისიც, თუ საკუთარ თავთან უკონფლიქტო კავშირს ამყარებ.

7149. ყველაზე მეტი პატივი თვითნაბად ნიჭს უნდა მივაგოთ. ის განგების ნაბოძვარია.

7150. ზოგჯერ შუა გზაზე მიტოვებული შენი ნიჭის შესაძლებლობებს აანალიზებ და ნანობ, მაგრამ სანთელ-საკმეველი თავისას მაინც არ კარგავს.

7151. ადამიანის მოწოდებაა, ნიჭი ხალხს მოახმაროს, ოღონდ მეობა შეინარჩუნოს.

7152. ნიჭიერი კაცისთვის იღბალი ღვთის წყალობაა, იმისდა მიუხედავად, ის დროსა და გარემოს ერგება თუ არა.

7153. ნიჭიერსაც დრო, გარემო, ქვეყნის სიძნელე და ჭეშმარიტი სახელმწიფოებრიობა წარმოაჩენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ყოველივე შეუმჩნევლად დარჩეს და სამუდამოდ დაიკარგოს.

7154. ნიჭი ღვაწლის დაფასებაა და მისი ფასის დადებასაც პატიოსანი ნიჭი სჭირდება.

7155. ხატვა ნიჭის შედეგია, ყალმის მოსმა – სწავლების, ხოლო ფერების შერჩევა-ბუნების აღქმაში გათვითცნობიერების.

7156. ყოველი მოჭრილი და გაუზვიადებელი ნათქვამი ხელოვნებაში ნიჭის მაჩვენებელია, მაგრამ რა ვუყოთ ჰონორარს, რომელსაც დროის გაწელვაში იღებენ და არა გონიერების სხარტად დახარჯვაში.

7157. მეცნიერება მუდამ მომავალში იყურება და ამას ყოველდღიურად და განსაცვიფრებლად აკეთებს.

7158. დაუსაბუთებელი რწმენა და აზრთა შეჯერება მეცნიერებას პრობლემებს უქმნის.

7159. ის საზოგადოება, რომელიც მეცნიერებას მხარს არ აუბამს და პატივს არ მიაგებს, გაუსვენებელი მკვდარია, რაკიღა ქვეყნის განვითარებას ალღოს ვერ უღებს.

7160. ნიჭი ერთია, დრო მეორეა, შესაძლებლობა მესამეა, გამართლება მეოთხეა, გზის გაგნება მეხუთეა, დამსახურება მეექვსეა. აი, რამდენი რამ სჭირდება ადამიანს საკუთარი ნიჭის სარეალიზაციოდ.

+7161. ნიჭის მოწოდებაა, აიძულოს განგება მასზე იზრუნოს.

7162. ნიჭი დროს არ ეპუება და საუკუნეებს გაჰყვება.

+7163. ნიჭი უოფლოდ იღვწის, მიუხედავად იმისა, რომ ჭკუას დიდ ჯაფას აყენებს და შინაგანი შემართება დიდი აქვს.

+7164. ნიჭიც იძულებულია, პატივმოყვარე იყოს, რათა თავი დაიმკვიდროს და დაგვამახსოვროს.

7165. ინტელექტი და ინსტინქტი ერთმანეთს ავსებენ და ამგვარად იქმნება ფენომენი, რომელსაც ნიჭს ვეძახით.

7166. დრო ის ჭურჭელია, რომელსაც გარკვეულ გარემოში ნიჭი ავსებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დრო უვარგისდება, ხოლო ნიჭი იკარგება.

7167. გამოუყენებელი ნიჭის ყურებაზე საშინელი არაფერია, ხოლო მისი დროის და გარემოს მოთხოვნების შესატყვისად გამოყენება ორმაგი ბედნიერებაა.

7168. სამწუხაროდ, განგების ნაბოძვარი ნიჭი მიწაში გამოუყენებლად იმარხება, თუ მას სათანადო პირობები, ქვეყნის ძლიერება ხელს არ უწყობს და დროის მოთხოვნილება არ ექნება.

7169. მეტყველება ნიჭის, განათლებისა და ლაპარაკის ცოდნის გარეშე ვერ წარმოჩინდება.

7170. ნიჭისთვის დრო არ არსებობს. ის ვალდებულია, თავისი ნაღვაწით წარმოჩდეს და ნახელავი წარმოაჩინოს.

7171. შემოქმედებაში ხელოვანის „ხულიგნობა“ ღიმილს იწვევს, რადგან ის ნიჭის გაფეტიშებას ჩვენი გაკვირვებით ცდილობს.

7172. ნიჭისთვის ისიც ბედნიერებაა, თუ იმისთვისაც მოიხსენიებენ, რისი გაკეთება შეეძლო, რომ დასცლოდა.

7173. დღეს ნიჭიც მატერიალიზმსა და პიართან შერწყმით ფასდება.

7174. ნიჭს შედეგი მოაქვს საასპარეზოდ თავის დროზე გამოსვლის შემთხვევაში.

7175. მეცნიერება თავისი მცდელობითა და მიღწევებით ტანჯულიცაა, ბედნიერიცა და მუდმივიც.

7176. საკუთარი ნიჭის წარმოჩენა და მისი რეალიზაცია გმირობის ტოლფასია.

7177. უკვდავების ნაღდი მეგობარი რეალიზებული და წარმოჩენილი ნიჭია.

7178. ცხოვრების მადლის შეგნებულად შეყვარებას ნიჭი სჭირდება.

7179. დღევანდელ პრაქტიკულ საუკუნეში ძნელია მოიძიო გამორჩენა-გამოჩენის სურვილის უქონელი ადამიანი, მაგრამ ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ნიჭი თავზე გადასდის.

7180. საკუთარი თავის გართობა-გამოფხიზლებასაც ნიჭი და ალღო

სჭირდება.

+7181. ნიჭიერი კაცი ცოდოა, თუ, საკუთარი თავის გარდა, სხვა სპონსორი არა ჰყავს.

7182. მეცნიერება ახალი ცნობების განვრცობა-გათავისებას უწყობს ხელს და ის დღითი დღე უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდება.

7183. ზოგჯერ უიღბლო პროფესიონალი მეცნიერების მწვერვალს იპყრობს, მაგრამ პირად ცხოვრებაში ისევ უიღბლო რჩება.

7184. მეცნიერებას უამრავი საყოფაცხოვრებო პრობლემა მოუგვარებია და შემდგომშიც მოაგვარებს, თუ მას ყურს ვათხოვებთ.

7185. ნიჭი მრავალწახნაგოვანია, რომელიც კონკრეტული გენიოსის გონებაში წარმოიქმნება და ძლიერდება.

7186. შესაძლებლობისთვის ზღვარის დადება და გონების ჭყლეტაზე უარის თქმა მეცნიერებისთვის მიუღებელია.

7187. ზოგჯერ მიზნის მისაღწევად კანონზომიერებათა ჩარჩოებიდანაც უნდა გამოვიდეთ, რათა მეცნიერებამ მომავალში თავისი საკეთებელი გონის გამონათებით აკეთოს.

7188. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სამყაროს რობოტიზაცია გარდაუვალია, მით უმეტეს, რომ მეცნიერების შესაძლებლობანი განუსაზღვრელ-ამოუწურავია.

7189. ნიჭი სხვაა, ჭკუა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი.

7190. მეცნიერება ყველა დროში წინ ივლის და მისი შეჩერება შეუძლებელია.

+7191. ნიჭს თუ უნიჭობა ეკურკურება და აფასებს, სიყალბე გარანტირებულია.

7192. მეცნიერება ინფორმაციას დახარბებულ ადამიანთა ხვედრია.

7193. საკუთარი თავის მოტყუებაც კი ჩვენთვის გაუცნობიერებელ ნიჭს მოითხოვს.

7194. მარადისობას ძირითადად ნიჭი და უღრუბლო ზეცა გვაზიარებს.

7195. ნიჭი დიდი სულიერი სიმდიდრეა – თუ გაგიმართლა, მატერიალურიც.

7196. ტალანტი, რომელიც თავის ნიჭს მამულს არ ახმარს, სამშობლოს მოღალატე და სახელმწიფო დამნაშავეა.

7197. არსებულში ახლის დანახვა-შეცნობაა მეცნიერება, შემოქმედება და არა მარტო არსებულის კლასიკური, ფენომენური ცოდნა.

7198. შეიძლება, თეორიულად ჩვენს წარმოდგენაში ცხოვრება ბევრ რასმე გვპირდება, მაგრამ პრაქტიკულად კუთვნილის მიღებას ცოდნა-მოხერხება, სხვათა გულის მოგების ნიჭი სჭირდება.

7199. მრისხანების ჭკუა-გონებით დამორჩილება ზეგარდმო მომა-

დლებული ნიჭია.

7200. ის, რაც რეალობად არ მიაჩნიათ, ხვალ, შესაძლებელია, მცირედი შესწორებების შემდეგ აღმოჩენად იქცეს.

7201. მეცნიერულ კვლევაზე დიდი ნეტარება შემოქმედი ადამიანისთვის არ არსებობს.

7202. შემოქმედის ტანჯვა-განცდის უფლება ყველა ნიჭიერ ადამიანს უნდა მივცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დანაშაულს ჩავიდენთ მომდევნო თაობათა წინაშე.

+7203. ნიჭის გამოუყენებლად მიტოვება უნიჭობაა.

7204. ნიჭს სძულს ყოველივე წყალწყალა, მაგრამ აღმერთებს ნაღდ პოეზიას.

7205. ნიჭიერი ადამიანი ერის უკვდავი შვილია და მას უფლება არ აქვს, თავის სიცოცხლეს ხელაღებით და გაუფრთხილებლად მოეპყროს (მგ. პუშკინი), თავისი თავის და მეობის წინაშე რაც უნდა მართალი იყოს.

7206. ერთი შეხედვით, შეუძლებლის კეთება თუ შესაძლებელი ხდება, ეს მეცნიერებაა.

7207. საკუთარ თავთან დალაპარაკების უნარი თავისებური წამლობაა და ესეც განგების ნაჩუქარი ნიჭია.

7208. მშვენიერების სასიკეთოდ აღქმა-შეცნობას განგების მომადლებული ნიჭი სჭირდება.

7209. მეცნიერების მოწოდებაა დროსთან გაჯიბრება, ოღონდ აუცილებელი წინსწრებით.

7210. დიდ მეცნიერებას ავანტურისტული ნიჭით აღსავსენი ქმნიან და არა ყოვლისმცოდნე სტანდარტული სწავლულები.

7211. მეცნიერული მიღწევებით გონზე უფრო გული ზეიმობს.

7212. ადამიანის ბუნება-გუნების შესწავლისა და მისი რაობის გაშიფვრის უნარი ერთეულ ნიჭიერთა ხვედრია.

7213. ისიც ნიჭია, თუ იცი, რომელ გაკვალულ გზას უნდა დაადგე.

7214. გამარჯვებულს მეცნიერებაშიც არ ასამართლებენ, მაგრამ ზოგჯერ ამას საუკუნეთა გადასახედი სჭირდება.

7215. კარიერა შეიძლება იყიდო, ფული იშოვო, მაგრამ პატივისცემას ვერ მოიპოვებ, თუ მას ხალასი ნიჭით არ დაიმსახურებ.

7216. ცხოვრებისთვის რქებით მოწოლას ნიჭიც მხარს უნდა უბამდეს, თორემ მიწის საკუთრება გახდები სახელის დაუმკვიდრებლად.

7217. ადამიანის შეცნობა-გამოცნობას თავისებური ნიჭი სჭირდება.

7218. ნიჭიერი ადამიანი აკეთებს, ერთი შეხედვით, გაუკეთებელს და ბედნიერია ამ კანონზომიერების აღმოჩენით და ამაყობს მისი დამკვიდრებით.

7219. თვითნაბადი ნიჭის შემოქმედებით კაპრიზებს მეცნიერება ჰქვია, რომელიც ამსხვრევს დამკვიდრებელ სტერეოტიპებს და პროგრესს წინ ეექაჩება.

7220. ტექნიკური მიღწევების საზღვრების გარღვევას ყველა დროის გონიერი არსება თავისი ნიჭისა და ფანტაზიის შესატყვისად ცდილობს.

+7221. ნიჭიერი შეგირდი მასწავლებლის შეცდომებისა და ცოდვების რეტუშირებას ცდილობს.

7222. სამყარო მეცნიერულ შეხედულებათა კონგლომერატია, რითაც ადამიანისთვის თანდათან ღირსსაცნობი ხდება.

7223. არის ნიჭიერი, თავის „შპილკებზე“ შემჯდარი შემოქმედი რომელიც მაყურებლის გარდა, არავის უყვარს, იმდენად დიდია მისდამი კოლეგათა შურით გამოწვეული ზიზღი.

7224. მრავალმხრივ ნიჭს მრავალმხრივი ხელშეწყობა სჭირდება, რათა მან მრავალგზის იბარტყოს.

7225. განუყოფელ აღმაფრენას ნიჭი იწვევს და არა ყურით მოთრეული განათლება-ინფორმირებულობა.

+7226. მეცნიერება ხშირად იძლევა იმას, რისი მოცემაც ბუნებას, განგებას დავიწყებია.

7227. სიმართლის ტყუილთან შეჯერებაც თავისებური ნიჭია, იმისდა მიუხედავად, გვიხდება მასზე პასუხისგება თუ არა.

7228. ჭკუის სწავლასაც ნიჭი სჭირდება, რადგან ზოგი ისეთი თვითნაბადი გენიოსია, რომ ცხოვრებისთვის გულის დადება უჭირს.

7229. არის უნიკალური ნიჭი, რომელსაც თანამედროვენი ვერ უგებენ, იმდენად დიდია მისი აზროვნება და მომავლის ხედვის უნარი.

7230. სისულელეთა მოსმენა საშინელებაა, მაგრამ მათში რაღაც ახლის დაჭერა ერთგვარი ნიჭია.

7231. საუზმით გამხიარულებასაც ნიჭი უნდა, რათა ის უკეთ შეგვერგოს.

7232. ზოგჯერ შემოქმედისთვის არცოდნა ცოდნას იმითი სჯობს, რომ ის შეუზღუდავი ხდება და მეცნიერულ დოგმებს ანგარიშს არ უწევს.

7233. მეცნიერული, თუნდაც თეორიული მიღწევების, უგულებელყოფა, განსაკუთრებით ჯანმრთელობის პერსპექტივით გამოკვეთილ სფეროში, დანაშაულია საკუთარი თავის წინაშე და მას ალიბი არ აქვს. მგ. ახალშობილის ჯიპლარის გაყინვა შემდგომში სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

7234. გონი მეცნიერულ მიღწევათა დაზვერვის გამოუყენებლად ბრმაა, ხოლო კონტრდაზვერვის ნიჭის – ანალიზის უნარის – გარეშე უძლურია.

7235. საკუთარი ბედისწერის ნიჭს განგება რატომღაც დეტალუ-

რად არ აღწერს.

7236. ნდობა ნიჭია, მაგრამ უფრო დიდი ნიჭია ამ ნდობის წინდახედული შემოწმება.

7237. ის, რომ ერთეულებს შეუძლიათ განსხვავებულის კეთება, ნიჭია, ხოლო ნიჭიერებით გამორჩეული ერთეული გენიოსია.

7238. ეპოქის საზღვრების გადალახვა და მის მიღმა ცხოვრება ნიჭთან ერთად ხელოვნებაა.

7239. ნიჭი ყველა დროსა და გარემოში უპირველესად სულიერების ბედნიერებაა.

7240. საკუთარ თავს რომ აჯობო, ნიჭთან ერთად ეს სურვილი ნერვების უკიდურეს დაძაბვასა და შემართებას მოითხოვს.

7241. ბუნებისთვის თავის ხუშტურებზე ხელის აღებინება მეცნიერებას უდიდეს დამსახურებად ჩაეთვლება.

7242. წვრთნა მისასალმებელია, თუ მისი შედეგის წარმოჩენის ნიჭიც გაქვს.

7243. სხვათა ნამოქმედარის ჯეროვნად გამოყენება ნიჭია, რადგან სასურველი საქმის კეთებას მარტო ჭკუა-გამოცდილება როდი ყოფნის.

7244. განგებამ ზოგს ნიჭი იმიტომ დაგვანათლა, რომ მისი შესაძლებლობანი მეტ-ნაკლებად მაინც დავუბრუნოთ ხალხს.

7245. ისიც დიდი ნიჭია, თუ ნაწილობრივ მაინც გაერკვევი, რისთვის მოგავლინეს ამქვეყნად და რას იმსახურებ ამ ცხოვრებაში.

7246. თუ უნიჭიერესი პიროვნება ამ ქვეყნიდან მიდის თავისი შესაძლებლობების ბოლომდის წარმოუჩენლად, ეს სამყაროსთვისაც დასანანია.

7247. სამყაროს აღქმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გარეშე შეუძლებელია, მაგრამ აქ მათემატიკაც დიდ როლს ასრულებს, რადგან სამყაროში მიმდინარე პროცესების სირთულეს ციფრების მოშველიებით ვსწვდებით.

7248. მეცნიერებისთვის ჩიხი არ არსებობს, რადგან ყოველივე შეუცნობელი თანდათანობით ხდება შეცნობილი.

7249. გამოცდილება ასაკთან ჭიდილს მოაქვს, ხოლო ნიჭი განგების ნაჩუქარი მადლია.

7250. ნაკლები ამბიციები დიდი ნიჭის გამოვლენის საუკეთესო საშუალებაა.

7251. დილეტანტიზმი დასკვნების გამოსატანად უვარგისია, მაგრამ ზოგჯერ მისდა უნებლიეთ მეცნიერულ აღმოჩენებსაც კი გამოჰკრავს ხელს.

7252. მეცნიერებაში, ერთის შეხედვით, უამრავი „სისულელის“ კვლევაში უნდა დაიხარჯოს ფული და დრო, თუ რაიმე სერიოზული შედეგის მიღება გვინდა და ეს ქვეყნის ბიუჯეტში წინასწარ უნდა გავწ-

ეროთ. ეს საჭიროა ამ დროისთვის მოსარგები ცოდნის მოსაპოვებლად და ინოვაციური კვლევების მყარ ნიადაგზე დასაყენებლად.

7253. ნიჭს წვრთნაც სჭირდება და ზოგჯერ – ალიყურის ჭმევაც, რათა ბოროტების კუთხით თავი არ მოიგიჟიანოს და გონიერებას დროებით ზურგი არ უჩვენოს.

7254. მეცნიერებას ახასიათებს სისადავისკენ მიდრეკილება, სიახლესთან შერკინების სურვილი, მომავლის ხედვა და ცოდნის შეძენის გაუმაძღარი სურვილი.

7255. მცდელობა, რომ უკეთესი ვიყოთ და ვიაზროვნოთ, თანდაყოლილი ნიჭია.

7256. თუ ადამიანს თავისი ნიჭის გამოვლენა უნდა, ის ანგელოზი ვერ იქნება, რადგან მას მიწაზე ხალხთან უწევს ცხოვრება და არა ზეცაში ფრენა.

7257. ყურის გდება – ნიჭი, ხოლო საჭირო ცოდნა-რჩევის გაცემა ხელოვნებაა.

7258. ნიჭის უმიზნოდ, უსაგნოდ დახურდავება დანაშაულია მომდევნო თაობების წინაშე, რადგან თქვენი უნიათობით მათ სიახლესთან დროული დაკავშირების საშუალება მოუსპეთ.

7259. შესაძლებლობათა რეალიზების უნარი ნიჭია და მისი გაუფასურება დანაშაულია.

7260. ნიჭია ჩვენი ცნობიერების ანიცა და ბანიც, ურომლისოდაც კაცობრიობა წინ ვერ წაიწევდა.

7261. ყველა მგოსანი თავისი ნიჭისა და სულიერების შესატყვისად მეტყველებს და სუნთქავს.

7262. მეცნიერება თავისი პერსპექტივით სულ წინ გვეწევა, მაგრამ საით მივყავართ და საბოლოოდ რა მოელის კაცობრიობას, მისთვისაც უცნობია.

7263. განგების „შეცდომებს“ მეცნიერება ამოწმებს, მაგრამ არ უნდა გადაასწოროს, მაშინ კაცობრიობას საფრთხე დაემუქრება.

7264. მრისხანების დროულად მოთოკვას ნერვების დათრგუნვის უნარი და ნიჭი სჭირდება.

7265. სხვათა გაჭირვების დანახვას თანაგრძნობის ნიჭი სჭირდება.

7266. სწავლა ბევრსა ნიშნავს, მაგრამ ნიჭისა და მოწოდების თვინიერ არაფერია.

7267. ნიჭისაგან განსხვავებით, გენიალობა ფანატიზმის წესრიგში მოყვანა და გამოყენებაა.

7268. ნიჭი წინასწარმეტყველური უნარის უქონლად, გენიად ვერ წარმოჩნდება და აღიქმება.

7269. სასწაულები მეცნიერებაში იბადება, წარმოჩნდება, ხდება, რადგან გონიც მის კუთვნილ ხარკს ითხოვს

7270. ლობირების ნიჭი და უნარი გაცილებით მეტს აკეთებს და არც დროში იწვის.

7271. ისიც უდიდესი ნიჭია, თუ პატარ-პატარა ყოველდღიური სისულელეების ჩადენის უფლებას აძლევთ საკუთარ თავს. ამით ხალისობთ და სიცოცხლეს იხანგრძლივებთ.

7272. ღიმილის ნიჭის შეცნობა და გონიერების დაბანდება მშვიდობის გარანტია.

7273. პირველი ნაბიჯის სასიკეთოდ გადადგმას ბედთან ერთად თანდაყოლილი ნიჭი და შემართება სჭირდება.

7274. ყველა ჩვენგანი თავისი ნიჭის, შესაძლებლობების გაუცნობიერებელი მონაა.

7275. ცხოვრება შემდგარია, თუ ბედი შენს ნიჭსა და შესაძლებლობებს გამოგაყენებინებს და ამასთანავე, სახელსაც დაგაგდებინებს.

7276. რაც ბუნებრივია, ის ყოველივე ნიჭი და შემოქმედების საწყისია.

7277. ნიჭი ყოველთვის პრინციპულობით არ გამოირჩევა, იმდენად გაურკვეველია მისი შესაძლებლობები და სურვილები თავის წარმოსაჩენად.

7278. ნიჭი თვითმყოფადი და რისკიანია, თავის ჯეროვნად დაფასება-შეფასებაც ძალუძს.

7279. გენიოსებსაც უპირველესად დრო ამჟღავნებს და არა ნიჭი, რადგან წერა-კითხვა უცოდინარობამ, ვინ იცის, რამდენი ნიჭი უკვალოდ გააქრო.

7280. ყველა ჩვენგანს თავისი ნიჭის აღიარება, დაფინანსება, დაფასება სჭირდება, რათა ის სათანადოდ დაიხარჯოს და თავი დაჩაგრულად არ იგრძნოს.

7281. განგების ნაჩუქარი ნიჭის მოწოდებაა თქვენი მეობის გადამოწმება.

7282. ნიჭის უპატრონოდ მიტოვება დანაშაულია სამყაროს წინაშე.

7283. ნიჭიერი ხალხისა, ეტყობა, განგებასაც შურს. ამიტომაც თუ ხშირად მათი ნააზრევი ან წამოწყება ან ნაადრევი გამოდის, ანდა არ უმართლებთ.

7284. თუ წინათ ხელოვნება და ვაჭრობა კეტით დასდევდნენ ერთმანეთს, დღეს მხატვრული ნიჭი და ბიზნესი გაერთიანდნენ და საერთო სარგებელს ერთად პოულობენ.

7285. საოცარის ყოფითთან შეზავება შემოქმედებითი ბედნიერების საფუძველია.

7286. აღსრულებულ ოცნებათა ფონდი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია.

7287. სწავლის ნიჭი სურვილს ემორჩილება, რადგან აქ დაძალება

სასურველ შედეგს არ იძლევა.

7288. სურვილი და მისწრაფება ერთია, საქმის კეთება და ბედის გაღიმება – მეორე. ასე რომ, მარტო ნიჭი და შემართება არ კმარა, თუ დრო და გარემო პირობები მხარს არ აგიბამს.

7289. მეცნიერების სილამაზეს განაპირობებს ახალ-ახალი აღმოჩენები და ხალხის გაკვირვება.

7290. მეცნიერება განსჯილი ხედვაა, რომელსაც სხვები იმიტომ ვერ ამჩნევენ, რომ მასზე არც ფიქრობენ.

7291. გამორჩეულ ნიჭს არც ასაკი აქვს, არც დრო. ის მარადიული ღირებულებაა.

7292. აღმოჩენა, რომელიც არ კვდება და არ ძველდება, მეცნიერების „პერპეტუუმ-მობილეა“.

7293. პრეტენზიები სამყაროს წინაშე მეცნიერების პრეროგატივაა.

7294. სწორი, საქმიანი და ჩამჭრელი შეკითხვების დასმის უნარი განუმეორებელი ნიჭია.

7295. ნიჭიერებაც თავის წილ ნაკლს შეიცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის კოლორიტულად ვერ წარმოჩნდება.

7296. ნიჭმა თუ სიზარმაცე არ აიძულა სიახლის კეთებას, მაშინ იგი უვარგისია.

7297. ნიჭი საყველპურო ცოდნას მაინც ითხოვს, რადგან განგების რეალობაა და სურვილებს არ ემორჩილება.

7298. დაგეგმილი ჭკუის პატრონი სამყაროს კაპრიზებს ეგუება, დაუგეგმავი კი სამყაროს კაურებს თავადვე იგუებს და ამ შერკინებაში იძულებულია რაიმე ახალი გამოთხაროს, რასაც მეცნიერებისთვის ახალი ცოდნა მოაქვს.

7299. უმთავრესია, ნიჭიერმა და შემოქმედმა ადამიანმა ისწავლოს თავისი ნიჭის სარფიანი დაბანდება-გაყიდვა.

7300. ხელოვნებაა, ნიჭია, საქმიდან ისე გახვიდე, რომ მაინც საქმეში დარჩე მრჩევლის სტატუსით.

7301. მამაკაცები მეცნიერებაში იმიტომ ქმნიან ქალებზე მეტს, რომ ისინი ბუნებით ზარმაცები არიან. ამიტომ იძულებული არიან, თავიანთ სიზარმაცეს ალიბი მოუძებნონ და საყოფაცხოვრებო საქმენი არაორდინალური ხერხებით გადაჭრან – რასაც ქალის შრომის შემსუბუქება ჰქვია.

7302. ნიჭია ის, რაც მონდომების შედეგად დიდ წარმატებას მოიტანს და არა ის, რაც უშედეგოდ იკარგება.

+7303. ნიჭის პრაქტიკული რეალიზება უფრო დიდ ნიჭს მოითხოვს.

7304. ნიჭს სიზარმაცესთან დაპირისპირება აშინებს და ეს მას მუდმივ სიფხიზლეს აიძულებს.

7305. ტალანტს ნიჭის გამოსაქანდაკებლად გარეშეთა ხელის

შეწყობა სჭირდება, რათა შთამომავლობას მისი ნიჭიერების ნაძერწი შემორჩეს.

7306. უნიჭობას, უიღბლობას ხელმოცარულნი საკუთარ თავს კი არ მიაწერენ, არამედ სხვებს აბრალებენ. ეს სხვები კიდევ გულისხმობს ნიჭიერ და აღზევებულ ადამიანებს და აქ არა მარტო შურია დამნაშავე, არამედ თანდაყოლილი არასრულფასოვნების განცდაც.

7307. თეორია ბევრია, პრაქტიკა ცოტა. მათ მეცნიერება ჭკვიანურად ეჯაჯგურება და ფანტაზიის მომარჯვებით ეჭიდავება.

7308. ბუნებაში არსებულ კანონზომიერებათა დადგენა დიდი აღმოჩენაა, რომელსაც ცვლილებები შეაქვს ადამიანთა ცნობიერებაში, ანუ გეგმავს ძველ შეხედულებათა კაპიტალურ რემონტს.

7309. მგოსანია ის, ვინც ნიჭის ხარჯზე სულიერებას ამდიდრებს, ხოლო ამის კეთება ლამაზად გამოსდის.

7310. მეცნიერებამ, ერთი შეხედვით, უამრავ სისულელეზე უნდა ხარჯოს ფული, რომ ერთი ჭკვიანური რაღაც გამოუვიდეს, მაგრამ ეს ბიზნესი დღესაც ყველაზე მომგებიანია და ამართლებს.

7311. პენსიონერის ადრე სიკვდილი ქვეყნის ბიუჯეტს შეღავათს აძლევს. ამის მიუხედავად, მეცნიერება სიცოცხლის გახანგრძლივების გზებს ეძებს და ამ კვლევას სახელმწიფო აფინანსებს.

7312. ინტელექტის კეკლუცობა და მის მიერ თავის გამოჩენის სურვილი მარადიულია.

7313. ზოგჯერ ნიჭი თავმოყვარეობას ვერ სჯობს, იმდენად დიდია პიროვნების შინაგანი ამბიცია.

7314. ნიჭი ერის სამსახურში უნდა დაიხარჯოს, ოღონდ დრო-ჟამის მოთხოვნათა შესატყვისად.

7315. სიმდიდრისგან განსხვავებით, ნიჭის იმიტომაც არ შურთ, რომ მას ვერ მიითვისებ და შენი არასოდეს იქნება.

7316. ამპარტავნობის კეთილშობილებად წარმოჩენა ერთგვარი ნიჭია.

7317. შემოქმედებით ნაპერწკალს ნიჭთან ერთად სათქმელის ქონაც სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველივე ჩვენი მცდელობა ფასეულობათა კონფლიქტი გამოვა, რომელიც სასურველ შედეგს არ გწადია.

7318. ესეც ნიჭიერი, იმ წარსულს მიწა მიაყარო, დამარხო, რომლის გახსენებაც არ გინდათ.

7319. უსწავლელი ნიჭიერი, გაცილებით მეტს იძლევა, ვიდრე ნასწავლი უგუნური და ფრიად განათლებული აუტისტი.

7320. ნიჭი ხშირად იმათი მადლიერიც არის, ვინც თავის დროზე მას ხელი არ გაუწოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შეუპოვრობას ვერ ისწავლიდა და ისე წარმატებული არ იქნებოდა, როგორც დღეს არის.

7321. ზოგის ნიჭიერად ნაჭღაბნი მავანთა ცოდნით ნაწერს გაცილებით სჯობნის.

7322. ყველაზე დიდი ნიჭი სიყვარულის შენარჩუნებას სჭირდება, რათა ურთიერთპასუხიმგებლობის გრძნობა ამაღლდეს.

7323. ნიჭიერი ადამიანი არ შეიძლება ბოლომდის დალაგებული იყოს.წინააღმდეგ შემთხვევაში, ის კონსერვატორი მასის ბრჭყალებისაგან თავს ვერ დაიძვრენს და ვერც ახალ რამეს შექმნის.

7324. მარტო კარგი სურვილებით და სიტყვების ღაღადით ნორმალური ცხოვრება რომ შეიძლებოდეს, ნიჭიერი ხალხის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა და ეს ყველასათვის სარგებლის მომტანი იქნებოდა, რადგან ნიჭი ფულის საშოვნელად არ მოცდებოდა.

7325. ნიჭმა საზოგადოებას სიახლის აღქმა-განცდა-ათვისების უნარი უნდა გაუძლიეროს.

7326. დრომოჭმულის წინააღმდეგ ბრძოლა მეცნიერების წინსვლის შედეგია.

7327. წარმოსახვის ნიჭი მრავალფეროვანია და ესაა სიახლის წარმოჩენისა და ინოვაციის გარანტი.

7328. ღირსების გამოყენება-გაპიარებასაც განგების ნაბოძვარი ნიჭი სჭირდება. აქ დროსა და გარემოსთან დაპირისპირება უმაქნისია.

7329. ნიჭის უმთავრესი დანიშნულებაა, უპირველესად გზა გაიკვალოს ჭეშმარიტებისკენ და შემდგომაც ამ გზით იაროს.

7330. საკუთარი თავის შეცნობა-ამოცნობაც ნიჭს მოითხოვს და ის უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს.

7331. წესით, სათნოება ბოროტებას ებრძვის, მაგრამ ყმაწვილების აღზრდა მაინც კეთილი აღმზრდელის ნიჭზეა დამყარებული და არა ბოროტ გარემო პირობებზე.

7332. ნიჭმა რომ ფრთები შეისხას, ზოგჯერ მის პატრონს ჭიტლაყის ამორტყმაც არ აწყენდა.

7333. ცოდნა იმისა, რომ რაღაც სახეიროს ამბობ და არ ყბედობ, დიდი ნიჭია.

7334. ნიჭი საოცრებებს გვთავაზობს, თუ იმაზე მეტის გაკეთების უფლებას ვაძლევთ რაც შეუძლია და ევალება.

7335. შემოქმედებითი ნიძლავი იმგვარად უნდა დავდოთ, გავაპიაროთ და წარმოვაჩინოთ, რომ სპონსორებისა და ქომაგების რიგი დაგვიდგეს.

7336. რაც ზოგჯერ ცნობიერების თაღლითობად გვეჩვენება, სწორედ ხშირად ის ხდება მეცნიერების საჯიჯგნ-სარკვევი და თავის წარმოსაჩენი საქმე.

7337. მეცნიერება დროდადრო დაუჯერებელად წარმატებულ ნაბიჯებს დგამს წინ და ისევ თავისივე თავის საწინააღმდეგოდ, რადგან ეს

აღმოჩენები განადგურებას უქადის ჩვენთვის ნაცნობ და მომავალში შესაცნობ სამყაროს.

7338. „ჭკუა ნაღრძობნი“ (კარგის გაგებით) ერთს აკეთებენ, მეორეზე ფიქრობენ, მესამეზე ოცნებობენ და მის პერსპექტიულ შედეგს ხედავენ. სწორედ ასეთ ადამიანებს მიჰყავთ ტექნიკური პროგრესი წინ, ხოლო ჭკუადამჯდარ მეცნიერებს მათი ნაჯაფი წესრიგში მოჰყავთ და ხალხის სამსახურში აყენებენ.

7339. კარგია სწავლა საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად, ოღონდ ესეც თანდაყოლილ ნიჭს მოითხოვს.

7340. ცოდნა იმისა, რაც გჭირდება და, იმ ცოდნის თავიდან მოშორება, რაც არ დაგჭირდება, ესეც ღვთის ნაბოძვარი ნიჭია.

7341. ნიჭი ცარიელ რეკლამას არ საჭიროებს. მას თავისი შესატყვისი დასაქმება და გამოყენებით სჭირდება.

7342. აზროვნება და ნიჭი განგების ნაჩუქარია, მაგრამ მოხერხებულობის გარეშე მათი სათანადოდ გამოყენება ჭირს.

7343. წარსული აწმყოსთან ხიდის გადებას მოითხოვს, რათა ნიჭი წარმოჩნდეს და გონიერებამ პერსპექტიული საქმე აკეთოს.

7344. იმის მოკლედ და გასაგებად თქმა, რის გადმოცემასაც სიტყვიერად ცდილობთ, ნიჭია. აქედან ირკვევა, რომ ჭარბსიტყვაობასა და ყბედობას პატივს არ მიაგებთ.

7345. ნიჭი რომ წარმოჩნდეს და გამოჩნდეს, ქვეყანას სიახლის ალღოს ამღები პიროვნება უნდა მართავდეს.

7346. უსაქმურად და ოპონენტების გარეშე დარჩენილი ნიჭი ჩმორდება, გამოუსადეგარი ხდება.

7347. ნიჭი რაღაც პირადსაც გვართმევს, მაგრამ მის წარმოტება-გამოჩენის ძალას არაფერი შეედრება და ყოველგვარ დანახარჯს ათმაგად ანაზღაურებს.

7348. ცოდნას, ნიჭს განგება გვაძლევს. ჩვენი ვალი გამოცდილების შეძენაა.

7349. ყოველგვარი ნიჭი და გენიალობა თავის დროსა და ეპოქას ემსახურება. მომდევნო ეპოქათა ვალია მათი სიამაყით გახსენება.

7350. ქვეყანას, რომელიც მეცნიერებაში საფუძვლიანად არ არის ჩართული და მის მიღწევებს დროულად არ ნერგავს, მომავალი არ აქვს.

7351. მეცნიერება საჭირო გზების მოძიებით და კვლევით კმაყოფილდება, რადგან მიზანთან გზა თავად მიიყვანს.

7352. სწავლა-განათლება და მისი გამოყენების ნიჭი პატრიოტიზმის გამოხატვის ერთ-ერთი სახეა.

7353. ნიჭთან ერთად ინტუიცია და მეძებრის ყნოსვა ბედს იოლად მიგვაგნებინებს.

7354. ნიჭი სიბრძნის გარანტიაა. სიბრძნე კი თავისუფლებისა და

მრავალფეროვნებისკენ აქვს მიდრეკილება და, საბოლოოდ თუ რა გამოდნება ამ ქმედებიდან, არავინ უწყის.

7355. შეუცნობადი ნიჭით ღმერთთან მათდა უნებლიეთ დახლოებული პირები ჯილდოვდებიან, რომლებმაც თავიანთი მცდელობით ქვეყანა უნდა წარმოაჩინონ და თავადაც წარმოჩდნენ.

7356. ნიჭი ვერ შველის მცდელობას, თუ საკუთარ შეცდომებზე სწავლას ვერ შევძლებთ.

7357. ნიჭს სილამაზესთან ერთად მიმზიდველობაც ახასიათებს, რაც მისთვის განკუთვნილი სურნელით და თვალების გაბრწყინებით გამოიხატება.

7358. ცხოვრებაში ყოველთვის რჩება აღმოჩენის, სიახლის მოძიების ადგილი, რადგან ნიჭს დრო რას შეუკვეთავს, არავინ უწყის.

7359. შეუგნებელი ქმედება ზოგჯერ გამაოგნებელი ნიჭის გამომჟღავნების საფუძველი ხდება.

7360. თვალების დაჟუჟუნება, გამჭოლავი მზერა ქალის თანდაყოლილი შარმია, სიყვარულს რომ იწვევს და მამაკაცს აბამს. ეს უნიკალური ნიჭია, რომელსაც განგება ყველას როდი აძლევს.

7361. ცოდნის გამოყენებაა ნიჭი და არა მისი უაზრო დაგროვება.

7362. ეტყობა, გარემო პირობებსაც შეცნობა, მოფერება სჭირდება, ნიჭის წარმოსაჩენად და მისგან შედეგის მისაღებად.

7363. ნიჭი ყოველთვის ჩამორჩება დროს, რაც უნდა წინმსწრებად გვეჩვენებოდეს.

7364. ბედნიერებაა, თუ ნიჭიერი მისი მოწოდების შესატყვისად ცოდნას აგროვებს, რადგან ის ამ განათლების შედეგს საზოგადოებას მომგებიანად დაუბრუნებს.

7365. ნიჭს მისთვის შესატყვისი გასაქანი უნდა მივცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კაცობრიობა მის წინაშე დამნაშავე აღმოჩნდება.

7366. ცივილიზაცია უპირველესად მეცნიერების მოღვაწეთა ნაშრომებზე შენდება და შემდგომაა ნიჭი, რადგან წერა-კითხვის უცოდინარი და ინფორმაციას მოკლებული თანდაყოლილი, თვითნაბადი ნიჭიც კი ვერავითარ ხელშესახებს ვერ შემოგვთავაზებს.

7367. ქვეყანა, სადაც მეცნიერულ კვლევებს, „დედა აქვს ნატირები“, დროის შესატყვისად ფეხზე ვერასოდეს დადგება.

7368. მეცნიერება რელიგიას არ უარყოფს, მაგრამ მისი გაფეტიშების წინააღმდეგია.

7369. ბედნიერების, სიამაყის, ღირსების, დამსახურების შეცნობა-გამოყენების უნარი ღვთის ნაბოძვარი ნიჭია.

7370. ნიჭს შესატყვისი გასაქანი უნდა მივცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი გამოუყენებლობა და პატრიოტიზმის მოშველიებით სამშობლოს ფარგლებში მისი ჩაკეტვა დანაშაულის ტოლფასია კაცობრიო-

ბის წინაშე.

7371. უსარგებლო დარიგებებისთვის დელიკატურად გვერდის ავ-ლაც თავისებურ ნიჭს მოითხოვს.

7372. ნიჭის საქმე უსაქმურობის ტალახში კოტრიალი როდია. ის მოვალეა, მთლიანად დაიხარჯოს და წარმოჩნდეს.

7373. ხელოვნება, სულიერება და ნიჭი განუყოფელი ეროვნული სიმდიდრის მომტანია, ოღონდ საჭიროა, მათ დამფასებელ-დამფინანსე-ბლები დროზე გამოუჩნდნენ.

7374. ნიჭი აღფრთოვანებას იწვევს, მაგრამ ხშირად მას სიფიცხე ახასიათებს და წინდახედულებს აკლია.

7375. განსაკუთრებული ნიჭის აღიარება მომდევნო თაობებსა და საუკუნეებს უნდა ვანდოთ, რათა ის სათანადოდ იქნეს შეფასებული და დაფასებული.

+7376. პრობლემის გადაჭრას ნიჭიც უნდა და ბედიც, რადგან პირ-ველი წარმატების მოტანის შანსს იძლევა, მეორე კი – შედეგისა.

7377. ღირსების, ნიჭის წარმოჩენას მარტო დასპონსორება არ შვე-ლის, თუ გონიერებამაც არ ივაჟკაცა.

7378. ნიჭიერმა თავისი დროის ყივილს უნდა მიაპყროს მზერა, იმისდა მიუხედავად, სამშობლოში ამის საშუალება აქვს თუ არა. თუ საჭიროა, ის ემიგრაციაშიც უნდა წავიდეს, რადგან ნიჭი სამყაროს სა-კუთრებაა და არა რომელიმე კონკრეტული ქვეყნისა.

7379. ნიჭმა რომ თავი წარმოაჩინოს, ღობე სხვის ბოსტანში არ უნდა გადააჩოჩოს და იქ არ უნდა დაიწყოს მოსავლის აღება.

7380. ზოგჯერ ხუმრობა ბევრი სერიოზული და სასიკეთო საქმის კეთებაში გვეხმარება, თუ ის ნიჭთან ერთადაა წარმოდგენილი.

7381. ნიჭის ნაჩალიჩარი ყოფიერების შედეგად უნდა წარმოჩნდეს, რათა ნიჭიერმა პიროვნებამ ცხოვრებაში რაღაცას მიაღწიოს.

+7382. მოჭარბებულს, მათ შორის ნიჭსაც, ზოგჯერ მოთოკვა სჭირდება, რათა მან სხვადასხვა მისწრაფების გამო უხიაგი საქმენი არ აკეთოს.

7383. უნიჭოდ ვერც გონიერება ივაჟკაცებს, ვერც – სულიერება.

7384. ღვთიური ნიჭის გამოსამჟღავნებლად დაბადება ბედის რჩეულთა ხვედრია. ასეთები ერთეულნი არიან.

7385. სიცოცხლის გახანგრძლივების მცდელობა საკვდილისთვის „ბიშტის“ ჩვენების ტოლფასია, თუ კი მეცნიერება ამას შეძლებს.

7386. ბედნიერების სათავისოდ აღქმაც თავისებური ნიჭია.

7387. ხალხის მართვის უნარი ხელოვნებაა, ხოლო მართვის უნარის ხანგრძლივად შენარჩუნება განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს.

7388. დასვენების და სადღესასწაულო დღეების დასამახსოვრებ-ლად გამოყენება ნიჭსა და ირგვლივ მყოფთა თანადგომას მოითხოვს.

7389. ნიჭის წარმოჩენასაც საკუთარ გონთან გულახდილი გასაუბრება სჭირდება.

7390. საქმიანობა, რომელიც ნიჭს აიძულებს, უკეთ წარმოჩნდეს, ნაბრძანებია ზემოდან.

7391. ნიჭი კონსერვატორობას ვერ ეგუება, რადგან მისი მოწოდებაა, მხდალ წინდახედულობას ბიშტი უჩვენოს.

7392. მეცნიერება მეწველი ძროხაა, თუ კარგად მოვუვლით. მას ძალუძს სამომავლო საქმის მკეთებელი ბოჩოლები გვაჩუქოს.

7393. „მარტოობის დღესასწაულის“ შეცნობასაც ნიჭის მოზღვავება უნდა, აზრების წარმოჩენა და მათი ქაღალდზე გადატანა.

7394. ნიჭის რეალიზება და სახელის დატოვება ბედის რჩეულთა ხვედრია.

7395. ყოველგვარი პროფესიის ათვისება შესაძლებელია, მაგრამ სარგებლიანი გამოყენება თანდაყოლილ ნიჭს მოითხოვს.

7396. ნიჭი დრომ უნდა წარმოაჩინოს, რადგან ნაფტალინიდან ამოღებული ნიჭის გაგება აწმყოს უჭირს.

7397. მეცნიერებაც გამრჯე ხელებით იქმნება, რადგან მარტო ჭკუა და აზროვნება საქმის ბოლომდე მოყვანას ვერ შველის.

7398. საკუთარი ნიჭის დახურდავება ქვენა პოლიტიკური მიზნებით ქვეყნის წინაშე ღალატის ტოლფასია.

7399. ნიჭიერი ადამიანის აზრები სანტიმეტრებით კი არა, მილიმეტრობით უნდა გავზომოთ, რათა არავითარი სიახლე არ გამოგვეპაროს და დროულად გამოვიყენოთ.

7400. წარმოსაჩენი ნიჭი კეთილი უნდა იყოს, იყოს თუნდაც ბოროტი, ოღონდ არა საშუალო და უდღეური.

7401. მოწესრიგებული გონი ყოვლისშემძლეა, თუ ის ნიჭითაც არის მადლმოსილი.

+7402. ნიჭი უცნაურობათა თანმხვედრი სატელიტია.

7403. მშვიდობიანობისკენ სწრაფვა თანდაყოლილი ნიჭია.

7404. ყველა ნიჭს მისთვის გაუგებარი უცნაურობანი ახასიათებს.

7405. ბუნების კანონს, თუ ის ბოლომდის შეუსწავლელია, ვერცერთი მეცნიერება ეფექტურად ვერ ებრძვის.

7406. მომავალი ბედნიერების გათვლასაც ნიჭი უნდა, რადგან ნიჭია ყოველივეს საწყისი და საწინდარი.

7407. სიმართლის მოსმენასაც ნიჭი და უნარი უნდა, რადგან მისი მშვიდად მოსმენა ყველას არ შეუძლია.

7408. უსიტყვო საუბრის ნიჭი ან სიყვარულზე მიუთითებს, ან ურთიერთგაგების მცდელობაზე.

7409. ნიჭი სიზარმაცეს ყოველთვის ყურს აახევს.

7410. ნიჭიერ ადამიანს თავისი დრო და საუკუნე ვერ უგებს და

არც გაუგებს. ამიტომ ის აღიარებასა და თავის წილ აპლოდისმენტებს ამქვეყნად არ უნდა დაელოდოს.

7411. ცნობისმოყვარეობა მეცნიერებისკენ გზას გვიკაფავს.

7412. ყველაზე სანდონი, ეტყობა, მაინც მეცნიერები არიან. ისინი მათდა უნებლიეთ ხალხის ცხოვრების დონესა და მათ შემეცნებას მაღლა წევენ.

7413. თუ საკუთარ თავს პატივს არა სცემთ, არც სხვა არის ვალდებული, პატივი მოგაგოთ, რაც უნდა დიდი ნიჭი ბობოქრობდეს თქვენში.

7414. იმისდა მიუხედავად, რომ ნიჭი დინების საწინააღმდეგოდ იღვწის, მას ფეხის აწყობა და მხარში ამოდგომა სჭირდება.

7415. სიყვარულის ნიჭის შეცნობა და დაბალანსებაც ნიჭია და არა ცარიელი ოცნება მის შესაცნობად და მისამხრობად.

7416. ვეცადოთ, ყოველივე ჩვენი ნიჭის შესატყვისად ვაკეთოთ.

7417. ქვეყანა, რომელიც მეცნიერებას უგულვებელყოფს და კვლევებს არ აფინანსებს, მაჩანჩალათა რიგში მოექცევა.

7418. საკუთარ თავს რომ დაუმეგობრდეთ, სულ მცირე, ნიჭია საჭირო, ოღონდ ნიჭი განგების ნებით გადმობერტყილი.

7419. ნიჭის ინერტულობა დანაშაულია საკუთარი მეობისა და ქვეყნის წინაშე.

7420. ძალაუფლების ნიჭს ყველგან გზა უნდა გავუხსნათ და საკმეველი ვუკმიოთ.

7421. სადაც მეცნიერებაა, იქ ინტუიციაც გვერდში გვიდგას და შედეგით ბედიც დაინტერესებულია.

7422. ადამიანები ზოგჯერ ვერ იგებენ მეცნიერებათა მიღწევების არსს, რადგან ამისათვის ისინი მზად არ არიან.

7423. ზარმაცი არ შეიძლება ნიჭიერი იყოს. ის, უბრალოდ, სხვაზე მეტად გონებაგახსნილია, ხოლო ნიჭი არ გასვენებს და გაუკეთებელს გაკეთებინებს. ის სიზარმაცის ანტიპოდია.

7424. დაუფასებელი ნიჭი ძალზე იჩაგრება, განაწყენდება და დროის მოთხოვნებს ზურგს შეაქცევს.

7425. სათქმლის იუმორის სახით მიტანა, გონიერების წარმოჩენა განგების ნაჩუქარი ნიჭია.

7426. ჩვეულებრივი ნიჭი თანამედროვეობას არც უსწრებს და არც ჩამორჩება.

7427. ქვეყნის ფეხზე დაყენებას ნიჭი უნდა, შემდგომ მოდის ყურის გდება და შედეგი.

7428. ყოველი ნიჭი უკვდავებაა, რაც უნდა კრიმინალსა და პოლიტიკურ ქაოსთან ჰქონდეს კავშირი.

7429. ნიჭს უსაქმურობა, დაუფასებლობა და შემძახებლის დუმილი

ღუპავს.

7430. მეცნიერება არა მარტო თანდაყოლილ ნიჭს, ცოდნასა და წინდახედულ მასწავლებლებს მოითხოვს, არამედ ჯეროვან ორგანიზებასაც.

7431. ნიჭი ასაკის მატებასაც ამარცხებს, მოქიშპეებსაც და ცუდის მდომებსაც.

7432. ღირსეული და ნიჭიერი ადამიანები ერთმანეთს ყოველგვარი წარდგენის გარეშე უახლოვდებიან და საერთო ენასაც მალე ნახულობენ.

7433. ყველა სახის ნიჭი მისდა უნებლიეთ ახალი მწვერვალების დასაპყრობად იწევს და იღვწის.

7434. ნიჭი განგების საჩუქარია, ხოლო უნიჭობა – ბედისა და იღბლისა.

7435. ნდობის ნიჭიც დიდი ბედნიერებაა, თუ იცი, ვის უნდა ენდო.

7436. დიდი ბედნიერებაა იმ საქმიანობისათვის ხელის გამოკვრა, რომელიც მოგწონთ, გახალისებათ და ოჯახის შენახვის საშუალებასაც გაძლევთ. ამ სიკეთის სათანადოდ აღქმასაც ნიჭი სჭირდება.

7437. ნიჭი ძალზე სათუთი რამ არის. ის შეიძლება ადვილად დაიღუპოს და მისი არსებობის შესახებ ვერავინ გაიგოს, თუ დროსა და გარემოს დროულად ვერ აუღებს ალღოს და ბედიც ზურგს შეაქცევს.

7438. მარტოდენ ნიჭი საქმის კეთებას არ შველის, თუ მოყვასი და ფულიანი გვერდში არ გიდგას.

7439. შემოქმედებითი ნიჭი სულის აღმაფრენა-წარმოჩენის საშუალებაა და, უფრო მეტად მაშინ, თუ წარმატება დროულად იზეიმა.

7440. თანამედროვე მიღწევები ძირითადად განუსჯელი გმირობის შედეგია, რომელსაც თვით მეცნიერებიც ვერ ათვითცნობიერებენ.

7441. მეცნიერებაში ყოფნა გონიერების გზაზე სასიარულოდ არის განწირული, თუ მას გზის არჩევა არ შეეშალა.

7442. იმდაგვარად გაითავისო სიცოცხლე, რომ ის ერთ ადამიანს მიუძღვნა, ამას ნიჭთან ერთად განგების ნებაც სჭირდება.

7443. სიკეთის კეთება და ხვნა-თესვის ხელოვნება ნიჭია და მომხვნელ-მთესველი სიკეთის განაწილებისას ერთურთს არ საყვედურობენ.

7444. ყველაზე მეტ შემართებას, ნიჭს პოლიტიკა, ეკონომიკა და იდეოლოგია მოითხოვს, რადგან მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ გონებაგახსნილი, მოხერხებული, წინმაცქერალი, დროისა და გარემოს შესატყვისი ხელისუფალი.

7445. ნიჭიერება კარგი და დასაფასებელია, თუ ის ტრაბახით თავს არ გვაბეზრებს.

7446. უსაქმურობა ნიჭიერსაც ღუპავს და უნიჭოსაც, თუ მას დროულად არ ვაჭმევთ ალიყურს.

7447. ნიჭიერის შექება და წახალისება მისადმი მხარდაჭერას ნიშნავს, რაც აიძულებს, ჩანაფიქრი უკეთ აღასრულოს.

7448. სიბრძნესთან მიახლოების უნარი მხოლოდ თვითნაბადი ნიჭის პატრონს შესწევს.

7449. მარტოობა ზოგჯერ გაუცნობიერებელი ნიჭის წარმოჩენას უწყობს ხელს, იმდენად დიდია გაუცნობიერებელი დროის ფასი.

+7450. ნიჭი, შემოქმედებითი უნარის გარეშე, არარაობაა.

7451. ყველა მეცნიერი ვალდებულია, თავისი მოსაზრება გამოხატოს და დაასაბუთოს, რათა პრაქტიკოსებს მათი აღქმისა და დანერგვის სურვილი გაუჩნდეთ.

7452. ნიჭი მოვალეობისა და ნაძალადევი ფიქრებისგან თავისუფალი თუ არ არის, ვერ განვითარდება.

7453. ნიჭიერი კაცის მიერ წამოწყებული დიდი საქმის წარმატებით დაბოლოება ბედნიერების საწინდარია.

7454. წყენის ატანაც ნიჭს მოითხოვს.

7455. ნიჭი, გონიერებისა და ხელის გამოღების ვითარებაში, სასწაულს ახდენს.

7456. კარგში ცუდის მოძიებას გველაძუას ნიჭი უნდა.

7457. გაუხედნავი, გამოუჩორკნელი ნიჭი გარკვეულ საშიშროებათა მომტანია.

7458. ნიჭს შემოქმედებითი უნარი, ურთიერთგაგება და საერთო ენის გამონახვა ავითარებს.

7459. მეცნიერმა, ერთი შეხედვით, ბევრ უცნაურობას უნდა გაუსინჯოს კბილი, რათა ერთი პრობლემა გადაწყვიტოს.

7460. ნიჭსა და უვიცობას შორის დიდი ზღვარია. ამიტომაცაა, ეს უკანასკნელი პირველს ვერ იტანს.

7461. სხვათა საქმიანობით აღფრთოვანება და იქიდან სათავისო სარგებლის გამოტანა თანდაყოლილ ნიჭიერებას მოითხოვს.

7462. სულიერი განგაშის დაფარვის ხელოვნებაც ნიჭს მოითხოვს.

7463. რეალობის სწორად აღქმას თავისებური ნიჭი ესაჭიროება.

7464. გაღიმების უნარიც თავისებურად დაუმადლებელი ნიჭია.

7465. მორიდების, თავშეკავების ხელოვნება ნიჭია და ის ადამიანს ბავშვობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ, ვასწავლოთ.

7466. ნიჭიერს ცოდნის მიღება უფრო მეტად თავისივე ძალებით მოსწონს.

7467. ნიჭი და შემართება ბედსაც იზიდავს და მამაკაცსაც.

7468. ნიჭი უპირველესად ადამიანებს უნდა ემსახურებოდეს და შემდგომ – პიროვნების წარმოჩენას, მაგრამ, თუ პირიქით მოხდა, ასეთ პირს არავინ შეამჩნევს და მის მცდელობასაც ყურად არავინ იღებს.

7469. მცირედი შესაძლებლობებით ბევრის კეთება ბედნიერებაცაა

და ნიჭიც.

7470. ურთიერთგაგება დღეს კოჰაბიტაციად აღიქმება და მას სახელის შეცვლა არ შველის, თუ თანადგომის ნიჭი განგებამ არ მოგამადლა.

7471. ნიჭი უცნაურობათა კიდობანია და ამ კიდობნის დახსნის უფლება რჩეულთა ხვედრია.

7472. ზოგჯერ ჩვენს ხასიათზე მოსაყვანად დღევანდელი მეცნიერების მიღწევებიც უძლურია.

7473. პასუხიმგებლობას ნიჭი და გამოცდილება სჭირდება.

7474. თანამედროვე რობოტები თანდათან დაიკავებენ: ბარმენის, მომტანის, დაცვის თანამშრომლის, ტელეწამყვანის და სხვა მრავალ სამუშაო ადგილს. ისინი გაცილებით უკეთ გაართმევენ თავს ამ საქმიანობას, მაგრამ როდის დაიკავებენ უნიჭო პოლიტიკოსების ადგილებს და მისცემენ ამის უფლებას ზემდგომი თანამდებობის პირები, მეცნიერებისთვის დღესვეა წინასწარ გასაცნობიერებელი, რათა მათ მიმართ რეპრესიები არ იქნეს გამოყენებული.

7475. იქ, სადაც ნაღდი და ხალასი ნიჭია, შური ვერაფერს ხდება.

7476. მიზანი თავის წარმოჩენა და ფულის შოვნა უნდა იყოს, რადგან ნიჭი განგების ნაბოძვარია. ე.ი. ის საყოველთაო საკუთრებაა.

7477. მეცნიერებასა და რელიგიას ურთიერთგაგება უჭირთ და არა საბოლოო შეთანხმების მიღწევა.

7478. ცოდვების უცოდველად გადატანის საშუალებას შემოქმედებითი ნიჭი იძლევა.

7479. ნიჭთან ყოველდღიური კამათი დიდი შედეგის მომტანია.

7480. ფიქრის მეტყველებასთან მორგება, ნიჭიერის პრეროგატივაა.

7481. ბუნებით შემოქმედის ქმედება, მდგომარეობისა და შედეგის მიუხედავად, არ შეიძლება თაღლითობად აღვიქვათ – მისი ნიჭიც სათანადოდ უნდა დაფასდეს.

7482. ნიჭი ნახევრად ღმერთია, რომელიც თავისი ეპოქის შესატყვისად იღვწის და იფერფლება.

7483. მოვალეობის შეგნებაც თანდაყოლილი ნიჭია, შემდგომ მოდის აღზრდა და დამოძღვრის მადლი.

7484. საორჭოფო ნიჭის დათრგუნვაც დანაშაულია. მას თავისი გზას უნდა მიუჩინოთ.

7485. თავაზიანობა გარემო პირობებისა და აღზრდის დამსახურებაა და არა მლიქვნელური ნიჭისა.

7486. ძალა და ნიჭი უპირველესი საშუალებაა გონიერების აღმართების მოსახვნელად და არა განათლება და მცდელობა.

7487. მოსახლეობის გამრავლებაც პატრიოტიზმის ნიჭს მოითხოვს და ესეც ჩვენი ცნობიერების ერთგვარი განმსჯელია.

7488. მეცნიერება კრიტიკული დაკვირვებაა, რომელიც ახალს ეძებს შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონზე დაყრდნობით.

7489. ნიჭი განგების დიდი საჩუქარია, მაგრამ, თუ მას ბედიც თან არ დაჰყვა, კარგა ხანს შეუმჩნევლად დარჩება ან საერთოდ ჩაიკარგება.

7490. ნიჭის წარმოჩენა ერის სულიერების თავისებური იმედი და მკურნალია.

7491. ადამიანმა ძირითადად უნდა აკეთოს ის, რის გაკეთებასაც ნიჭი აიძულებს, თუ უნდა, თავი ბედნიერად იგრძნოს.

7492. ზოგჯერ გაჭირვება გვაკეთებინებს იმ საქმეს, რომელსაც დალხინებისას ვერც კი წარმოვიდგენდით და ყოფიერების ეს გაუგებრობა მეცნიერებას ძალზე ადგება.

7493. ნიჭიერი ხალხი საკმაოდაა, მაგრამ გაცილებით მეტია თავის გამომდები და შურიანი, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ისინი თქვენზე მეტი თუ არა, ნაკლები არაფრით არიან და ამის დასამტკიცებლად ყოვლად მიუღებელი ხერხებით გედავებიან და თავისი მეობის წარმოჩენისათვის იღვწიან.

7494. ნიჭის მოწოდებაა ყოველგვარ პრობლემას შეერკინოს და დაძლიოს.

7495. გაუცნობიერებელი აღფრთოვანებაც ნიჭიერების შედეგია.

7496. დამოუკიდებლობის სწორად შეცნობასაც თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება.

7497. ნიჭიერი შედევრს მარტოობაში ქმნის მაშინ, თუ ხელს არავინ უშლის.

7498. ვისაც ჩვენთვის ცუდი უნდა, იმ ხალხის მადლიერებიც უნდა ვიყოთ, რადგან დაპირისპირებისა და მეტოქეობის გარეშე ნიჭს თავის წარმოჩენა და დასახული მიზნის მიღწევა უჭირს.

7499. ნიჭის შესაძლებლობებს ოცნებითაც კი ვერ გავწვდებით.

7500. ნიჭს უპირველესად აღქმა-შეცნობა სჭირდება, ხოლო, რაც შეეხება დაფასებასა და სახელს, ის ადრე თუ გვიან მაინც მოვა.

7501. საკუთარი დროის დროულად გამოყენება ერთგვარი ხელოვნება და ყველაზე დიდი ნიჭია.

7502. უდიდესი ნიჭია, თუ ადამიანს იმის უნარი შესწევს, რომ თავისი აზრები დაასაბუთოს, სხვასაც გააგებინოს და თანამზრახველად გაიხადოს.

7503. თუ უნიჭო ხარ, ხელი უნდა აიღო სიახლის კეთებაზე, რადგან უნიჭო ტალანტი არ არსებობს.

7504. მეცნიერი, მომადლებული ნიჭის მიუხედავად, მაინც დროზე, გარემოზე, ხალხის მოთხოვნასა და არსებული ხელისუფლების ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

7505. ეგოიზმისთვის ჭკუის მშვიდობიანად მორგება ნიჭიერთა

ხვედრია.

7506. ნიჭი და უნარია ის წყვილი ხარი, ქვეყნის სახნავ-სათესავ გუთანს რომ ეწევა და შედეგი მოაქვს.

7507. შემოქმედება ინტელექტუალურ ნიჭზეა დამოკიდებული, ეს სახლის აშენება იქნება, პურის მოყვანა თუ სიქსტის კაპელის მოხატვა.

7508. ნიჭი შეიქმს სიყვარულსა და პატივის მიგებას და არა პირიქით.

7509. ყიამყრალს საკუთარ თავზე ჭკვიანი არავინა ჰგონია.

7510. ნიჭით, ინტუიციითა და გულით ნაკეთები საქმე სხვა საქმიანობისათვის დროს არ გიტოვებს.

7511. დროსა და გარემოს დაფასებას და წარმატების მიღწევას, ეტყობა, განგების ნაბოძვარი ნიჭი და შემართება სჭირდება.

7512. ოცნებების ახდენას თავდაუზოგავი შემართება სჭირდება. ვინ იცის, განგება ჩვენს ნიჭს რა შანსს მისცემს და რა თვალით გადმოხედავს.

7513. ნიჭიერი ადამიანი მთლად დალაგებული და ჩვეულებრივ სტანდარტებს ამოფარებული არ შეიძლება იყოს.

7514. სიკეთის კეთებას ნიჭი უნდა, რადგან სიკეთის კეთებისკენ სწრაფვა სიცოცხლის გამართლებაა.

7515. ერთდროულად განათლებას, ცოდნას, ფანტაზიის უნარს თვითნაბადი ნიჭი იძლევა და არა მხოლოდ მცდელობა და შემართება.

7516. ჟინიანობისა და ანგარებისთვის წინააღმდეგობის გაწევასაც თავისებური ნიჭი უნდა.

7517. მარტოობის შეგუებაც თანდაყოლილ ნიჭს მოითხოვს და არა შეძენილს.

7518. უშრომლად ნიჭი არ წარმოჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ შრომას ნიჭი ახალისებს.

7519. სიყვარულის ცოდნა განათლებას არ საჭიროებს, რადგან ის თვითნაბადი ნიჭია.

7520. განითლებასაც ნიჭი სჭირდება, როგორც პატიოსნების ნაყოფს.

7521. უსაქმურსა და უნიათოსთან ნიჭიერს მეგობრობა უჭირს.

7522. საკუთარი ნიჭის სახეიროდ დაბანდებას დიდი უნარი სჭირდება.

7523. შემთხვევითობა და აუცილებლობა განაპირობებს ნიჭის პერსპექტივას და მის აუცილებლობას.

7524. ნიჭი პროსპექტზე გამვლელი არქიტექტორია, ხოლო ამ გზის გამყვანი გენიოსია.

7525. ღირებულებათა სათანადო აღქმას ნიჭიც სჭირდება და კლასიკური აღზრდაც.

7526. თუ საკუთარი ნიჭის შესაძლებლობებს ვერ იყენებს და ვერ

აბანდებს, ამგვარი კაცის სიცოცხლეს ამაოდ ჩაუვლია.

7527. ნიჭის ქონაა უმთავრესი თუ დაღვინებული ჭკუისა, ძნელი სათქმელია, მაგრამ უერთმანეთოდ ისინი სანახევრო ბედნიერებას განიჭებენ.

7528. მეტაფორულად თუ ვიტყვით, ოქროდ ყველაფრის გადაქცევა შეიძლება და ეს ჯადოქრული უნარი შესწევს ნიჭსა და გონიერებას.

7529. ნიჭი თავისი მოწოდების შესატყვისად ყოველთვის წამოყოფს თავს, თუ მას მოუწყობელმა დრომ და უგვანო შემთხვევამ ფეხი არ დაუდო და უაზროდ არ დაახურდავა.

+7530. სასიამოვნოდ, გონივრულად გაკვირვების უნარიც ნიჭის გამოვლენის საშუალებაა.

7531. ტალანტიან ადამიანს თუ თავისი ნიჭის გაშლის საშუალება არ ეძლევა, ეს ეროვნულობის დვრიტას ახმობს და დანაშაულია.

7532. საკუთარ თავზე გამარჯვების მადლს ყველა ვერ შეიგრძნობს.

7533. დიდი ნიჭი – სხვათა მოსმენის უნარი, რასაც აუდიტორია ავლენს, იმპროვიზაციის შესაძლებლობას აძლევს მომხსენებელს.

7534. ზოგჯერ სიმახინჯეს განგება ნიჭის ტანსაცმელში გამოაწყობს და მისი გარეგნული ნაკლის დაფარვას ამგვარად ცდილობს.

7535. იმგვარად არაფრის კეთებას, რომ სხვას ზიანი არ მიაყენო ნიჭიერის მიერ შემოთავაზებული ერთგვარი ნიჭი სჭირდება.

7536. ორიგინალობის ძიება ნიჭიერს ამშვენებს, უნიჭოს – სასაცილო ვითარებაში აყენებს.

7537. სიმართლის ძიებას უპირველესად მოთმინების ნიჭი სჭირდება.

7538. ნიჭი დროსთან მორგებას ცდილობს, ხოლო უნიჭოსთვის დროის ფაქტორს ფასი დაკარგული აქვს.

7539. ნიჭი და შემართება მოსმენის გარეშე დევალვირდება და მის საჭიროებაში ეჭვიც ეპარებათ.

7540. ნიჭი ყოველთვის კამათობს ღირებულებებთან, რადგან ხშირად მას ვერ უგებენ და არ ეთაყვანებიან.

7541. შინაგანი შემოქმედებითი წვა მარტოობას მოითხოვს, რაც ნიჭის მოძალებითაა გამოწვეული.

7542. ნათელი კვალის დატოვება ყველა ჩვენგანის თუ არა, ყველა ნიჭიერი კაცის ვალია.

7543. ნიჭიერისთვის ცოდნის შეძენა ადვილია, მისი გარემოებასთან მისადაგება და გამოყენება – ძნელი.

7544. თეორია და პრაქტიკა ყოველთვის ერთმანეთს ექიშპებიან და რატომ, ხშირად თავადაც ვერ გარკვეულან, მაგრამ ამ შეჭიდებას საერთო სიკეთე მოაქვს.

7545. ნიჭისა და მოწოდების გარეშე სიდიადის მიღწევა ჭირს.

7546. ყველა ჩვენგანი სულიერად ვალდებულია თავისი წარმოშობის ადგილი არ დაივიწყოს და პატივი მიაგოს.

7547. ბოლომდე შეიცანი შენი მეგობარი. ესეც უნაკლო ნიჭია.

7548. სისულელის თქმასაც ნიჭი უნდა, რათა მან ღიმილი გამოიწვიოს, ყოველგვარი გართულების გარეშე.

7549. მომხიბვლელი სიბრიყვის ჩადენასაც ცოდნა თუ არა, ერთგვარი ნიჭი მაინც უნდა.

7550. სიახლის ძიება აუცილებელია, იმისდა მიუხედავად, ის დროის მოსაწონია თუ არა.

7551. საკუთარი სურვილების ქონასაც ნიჭი უნდა, თუკი ის რეალურია.

7552. ნიჭიერი ადამიანი იმას აკეთებს, რაც თავად მოსწონს და განსჯის შედეგად სხვებსაც მოეწონებათ, ხოლო შემდგომ მოდის შეკვეთებზე რეაგირება და მათი აღსრულება.

7553. მეცნიერება თავისებურ კომედიად გადაიქცევა, თუ ბევრსა ჰყვებიან თქვენს თეორიულ შესაძლებლობებზე და პრაქტიკულად არაფერს აკეთებთ ამ შესაძლებლობათა სარეალიზაციოდ.

7554. ნიჭიერის მიერ შემოთავაზებული უცხო, განსხვავებული, ახალი შიშს, დაინტერესებას იწვევს მისი ბუნებისა და ნიჭის შესატყვისად.

7555. საკუთარი თავის წინდახედულად დაცვის უნარი თანდაყოლილ და ნავარჯიშევ ნიჭს მოითხოვს.

7556. ზოგჯერ „ყვერებში მახათის“ გაყრა მეცნიერების წინსვლას ხელს უწყობს, რადგან სურვილი ოცნებას ეჩალიჩება, ხოლო ჩალიჩი მეცნიერებაში აუცილებელია, რათა ზოგჯერ მაინც სასურველი აზრი და იდეა გამოდნეს.

7557. ხშირად ვნება და შემართება ნიჭს თავისი გაგებით ეხმიანება.

7558. ყველაზე უკეთ სიკვდილს ნიჭის შემოტევა ებრძვის და ადამიანი სიცოცხლეს იხანგრძლივებს.

7559. სიახლესთან შებმა, მისი დაგეგმარება – ეს არის ხელოვნებაც, მეცნიერებაც და საკუთარი თავისადმი უდიდესი ნდობაც.

7560. ნიჭი დადგენილ კანონზომიერებას არ ემორჩილება, რადგან ის განგების ნაჩუქრია და გარკვეულ დროსა და გარემოზე არის გათვლილი.

7561. ნებისყოფის შეცნობა-გათავისების გარეშე თვითნაბადი ნიჭიც კი ვერაფერს გახდება.

7562. ნიჭი და შემოქმედებითი უნარი ბედნიერებაა, რადგან ნიჭიერი კაცი მისთვის განკუთვნილ საქმეს დაუზარებლად ემსახურება.

7563. თვითნაბადი ნიჭიც კი დროსა და გარემო ვითარებას ემორჩილება და ანგარიშს უწევს.

7564. ცოდნის მიუღებლად ვერცერთი ოცნება, ვერავითარი ნიჭი

სრულყოფილად ფრთებს ვერ შეისხამს.

7565. სადაც ნიჭი ხურდავდება, იმ ქვეყნის მმართველობა გადაგვარებისთვისაა განწირული.

7566. მოვალეობის, მოვლენების შეცნობას ნიჭი სჭირდება.

7567. უნიჭოდ მიზანი არ ხორციელდება, ხოლო შედეგის მისაღწევად გონიერების საწყისების დაუფლება აუცილებელია.

7568. ცოდნა-განათლებით გაძლიერებულ ნიჭს წინ ვერაფერი დაუდგება.

7569. სილამაზე, ნებისყოფა, ნიჭი ყოველივეს იპყრობს, ან წარმატების პროვოცირებას ახდენს.

7570. საქმიანი ურთიერთობაც ნიჭია, როდესაც მომხიბვლელად ყბედობ, ხოლო საქმით არაფერს აკეთებ.

7571. ვისაც სხვისი მიღწევების გამეორება შეუძლია, ის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებაა და მისგან მომავალშიც წარმატებებს უნდა ველოდოთ.

7572. ნიჭს ვერანაირი ფულით ვერ იყიდი, მაგრამ დაუფინანსებლად გატანა მასაც უჭირს.

7573. ფაქტობრივად პრაქტიკას უფრო მეტი უცნობი აქვს ამოსახსნელი, ვიდრე თეორიას, რადგან ამ უკანასკნელს ყველაფრის მტკიცება შეუძლია.

7574. შეუმცდარი ადამიანი, მეცნიერებისთვის მკვდარია.

7575. პრაქტიკულად ნიჭი ზოგჯერ იქაც წამოყოფს თავს, სადაც თეორიულად მისი წარმოდგენა შეუძლებელი იყო.

7576. ყოველი სახის ტალანტი მიმზიდველია, იმისდა მიუხედავად, მოსაწონია თუ არა.

7577. წიჭიერის მჭევრმეტყველების თამასა ისე მაღლაა, რომ უბრალო მოკვდავი მას ვერც კი ხედავს.

7578. რიდი და ნიჭი პატივის ურთიერთ მიგებისთვის მზად არიან.

7579. აღზრდის ცოდნა და აღმზრდელად ნებაყოფლობით ყოფნა ერთგვარი კეთილშობილი ნიჭია.

7580. მომავლის ადამიანთა ნიჭს უფრო მეტად, დროისა და გარემოს კაპრიზი გამოავლენს, ვიდრე პედაგოგისა და მშობლის მცდელობა.

7581. მეცნიერებას თავისი კულტი და კულტურა უნდა ჰქონდეს, რათა ის შემოქმედებითად ემსახუროს ხალხს და სამყაროში სიახლეთა გავრცელებას ხელს შეუწყობს.

7582. მეცნიერების მოწოდებაა, გაცილებიოთ მეტი იცოდეს, ვიდრე ეს ჩვეულებრივი მოკვდავის ფანტაზიისთვის არის მისაწვდომი.

7583. მეცნიერებაა ბუნების კანონების და ცხოვრებისეულ მოთხოვნათა შერწყმის მცდელობა.

7584. მეცნიერული ცოდნის ხელშია ყოველივე, რაც დღეს თუ არა,

მომავალში მაინც ახალი წინსვლის ფაქტორი გახდება.

7585. მზა ჭეშმარიტება არ არსებობს. ის მეცნიერებამ თანდათან უნდა დაადგინოს და მოიმარჯვოს.

7586. მეცნიერია ის, ვინც ცდილობს აღმოაჩინოს და გაითავისოს, რაც არ იცის.

7587. საკუთარი პერსპექტიული აზრების განსჯა და კრიტიკული შეფასება მეცნიერებაა.

7588. ანბანი ყველა სახის მეცნიერების დებულებათა დამაფიქსირებელი, გამგები, შემნახავი და განმსჯელია.

7589. მეცნიერება და წიგნები მომდევნო თაობებს სულიერად კვებავდნენ. დღეს კი ეს საქმე კომპიუტერმა ითავა, ხოლო ხვალ რა ჩანაცვლებს ცოდნა-განათლების მისაღებ ამ საშუალებებს, ძნელი წარმოსადგენია.

7590. ნიჭს ზოგჯერ საზოგადოებისათვის მიუღებელი თვისებები წარმოაჩენს.

7591. გონი ერთს გვიკარნახებს, სულიერება სხვაგვარად იღვწის, ხოლო მათი შეჯერება ხელოვნებაა და გარკვეულ ნიჭს მოითხოვს.

7592. ყურადღებით მოსმენა და განსჯადი პასუხის მიგება ნიჭია, რომელიც ერთეულ გონიერთა ხვედრია.

7593. ზოგჯერ შუაკაცის სახელის მოხვეჭას ნიჭიც უნდა და ბედიც.

7594. ნიჭის წარმატება სულს ალაღებს, სხეულს ძალას მატებს და სასიკეთო საქმეთა საკეთებლად განგვაწყობს.

7595. უნიჭობის, უნიათობის დამალვასაც თავისებური ნიჭი სჭირდება.

ოჯახი, ქალი, კაცი, ურთიერთგაგება

7596. ზოგჯერ რწმენის სიყვარული ოჯახის სიყვარულზე მეტია, რადგან ქვეყნის და ერის სიყვარული დაყოვნებას ვერ ითმენს.

7597. სიფხიზლე პრეტენზიულობას როდი ნიშნავს. ეს დებულება მოქმედებს დაოჯახების შემდეგაც.

7598. რასაც აკეთებ, თუ გწამს, უკვე პიროვნება ხარ.

7599. ინტელიგენტობა, ე.ი. სწავლულობა, არ კმარა იმისათვის, რომ დარგი მართო, ანუ, თეორიის ცოდნისა და სურვილის გარდა, გონებაგახსნილი მმართველია საჭირო, ვისაც პრაქტიკული გამოცდილებაც აქვს.

7600. გონების პერიფერიული, განუსჯელი სივრცის ათვისებას ჯელობიდანვე უნდა ვეცადოთ, თუ გვინდა, ჩვენი არსებიდან რაღაც ხეირი გამოდნეს.

7601. ცნობიერების უსასრულობაში, გაჭირვების შეცნობას პიროვნება ინტელექტით ცდილობს.

7602. ყველა ქალსა და მამაკაცს ყოფიერებას თავისეული „პაროლი“ აქვს და მათი გაგება, გააზრება ჯანსაღი ოჯახის შექმნის საწინდარია.

7603. დაოჯახების საქმე მარტო თვალს კი არ უნდა ვანდოთ, არამედ მომავლის განჭვრეტის უნარსაც, გულსაც, სულსაც და ჰორმონებსაც.

7604. შეყვარება, დაოჯახება ადვილია. ოჯახთან შეგუება, მისი შენარჩუნება და ბოლომდე ერთგულებაა ძნელი.

7605. ქალის ცნობიერებაში ოჯახის შექმნა და შვილების ყოლა „ზევიდანაა“ ჩამონტაჟებული, ხოლო კაცთა ცნობიერებას გვარის გამგრძელებელი და ოჯახის მომვლელის ყოლა განსაზღვრავს. ამ ორი მიმართულების ერთგვარი კოჰაბიტაციაა ხანგრძლივი და ურყევი ოჯახი.

7606. ქმარი მეუღლეც უნდა იყოს და ქალის ერთგული მეგობარიც, თუ გვინდა, ცოლმა ოჯახის უღელი ბოლომდე ატაროს.

7607. ოჯახი ყველაზე საიმედო თავშესაფარია, თუ ის გულით არის შექმნილი და არა მოძველებულ ტრადიციებზე დაყრდნობით, ანუ ძალად შეკოწიწებული.

7608. მამრი და მდედრი ერთმანეთს ქმნიან, წვრთნიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერც იარსებებდნენ და გამრავლდებოდნენ.

7609. მშობლები სამშობლოსა და სარწმუნოებას გვაძლევენ საჩუქრად, იმისდა მიუხედავად, რომ ამაზე ისინი დიდად არასოდეს დაფიქრებულან.

7610. ოჯახი, სიყვარულს გარდა, საჭიროებს ხასიათის შერწყმა-შეჩვევას, პირადი საარსებო სივრცისა და საერთო სივრცის განსაზღვრას, არარსებული და არსებული პრობლემების თანდათან მოგვარებას, შთამომავლობის აღზრდაზე ზრუნვას და სხვა მრავალ ამგვარს.

+7611. ზოგი ნაშიერი ოჯახის ზედნადები ხარჯი და ზედმეტი ღირებულების გადასახადია.

7612. ოჯახს სიმყუდროვეს უნარჩუნებს სწორად მიმართვისა და საუბრის ცოდნა და უნარი.

7613. დაწყვილება თავისებური ბოროტებაა, მაგრამ სულის გაკაპასებას, სხეულის უძლურობას რა ვუყოთ, რომელთაც სხვანაირად ბოროტების დასჯა არ ძალუძთ.

7614. ცოლქმრობის წარმატებულ ფინიშს შვილიშვილების ყოლა განაპირობებს.

7615. ცოლისთვის კაცი რაღაცას უნდა წარმოადგენდეს, მიზერულ ავტორიტეტს მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მამაკაცი კი არა, კაცუნაა.

7616. ქალის პლასტიკური ოპერაცია ქალისთვის კი არ კეთდება, არამედ – კაცისთვის. არადა მამაკაცები სხვაგვარად ფიქრობენ.

7617. კაცური თვითმოყვარეობის შელახვას ცოლი უნდა ერიდოს, თუ უნდა, ეს ბოლოს ბუმერანგად არ ექცეს.

7618. ცოლი იმიტომაც უნდა დაჰფოფინებდეს თავის ქმარს, რომ საპასუხო ალერსი დაიმსახუროს.

7619. ცოლის ღალატი ძირითადად ქმრის „დამსახურებაა“.

7620. წყვილი საკუთარი ინდივიდუალური სიყვარულისკენ, ბედნიერებისკენ უნდა ილტვოდეს.

7621. დაოჯახება გონიერების გამარჯვებას არ ნიშნავს, რადგან ერთ-ერთი ყოველთვის ინარჩუნებს შანსს, უღლის აპეურები დაწყვიტოს.

7622. სექსის შემცველი სიყვარული მტკიცე დუღაბია ოჯახის გამაგრებაში.

7623. ოჯახის შექმნას, უწინარეს ყოვლისა, მენეჯერის მომადლებული ნიჭი სჭირდება.

7624. შეშლილ სამყაროს ათვინიერებს ოჯახი და მასზე ზრუნვა, ქვეყანას რაც უნდა უვარგისი პოლიტიკოსები და ბანდიტები განაგებდნენ.

7625. ზოგჯერ ოჯახზე ზრუნვა დაგვიანებულია. ამიტომ მის შესანარჩუნებლად სწრაფი ქმედებები აუცილებელია.

7626. ქმრები, რომლებიც ცოლებს ღალატობენ, მეგობრებადაც მოღალატე ცოლების მეუღლეებს ეძებენ.

7627. არის რაღაც-რაღაცები, რომლებიც ქალმა უნდა დათმოს; არის რაღაც, რაც კაცმა არ უნდა შეამჩნიოს. აი, ესაა ცოლქმრობა და მისი ანაბანა.

7628. ყველა მრავალშვილიანი მეოჯახე ყოფიერების თავისებური პოეტია.

7629. ქმრობა გატაცება კი არა, პროფესიული მოვალეობაა.

7630. ცოლს, ბებიად აღქმა მიმზიდველობას უკარგავს.

7631. დედა შვილს უფრო უგებს, ვიდრე მამა, სანაცვლოდ ნაშიერი პირველს სიყვარულს მიაგებს, მეორეს – პატივისცემას.

7632. ქალისა და კაცის მოწონების უპირველესი საწყისი ქიმიაა: – ჰორმონები, შემდგომ: – ბიოლოგია, სექსი, ვნებათა ღელვა, მესამე – ფიზიკა: გერგილიანი, ქცევა და ბოლოს – მათემატიკა: მატერიალიზმი, განსჯადი ტოლობა.

7633. კარგ დიასახლისს დროის შეკაზმვაც უნდა შეეძლოს და კერძისაც, რათა ქმარი მუდამ გვერდში ჰყავდეს.

7634. მეორე ნახევარს მოფერება და გრძნობების დათბობა სჭირდება, რათა სხვა ხვადზე თვალი არ წაუცდეს და არ გადაცდეს.

7635. მზითევად შურის, ბოღმის გატანებაც შესაძლებელია, თუ ქალი ისეთ მამაკაცს გაჰყვება, რომ ახლობლებს თვალებს დაუყენებს.

7636. კაცები კი ცდილობენ ცოლების გაბედნიერებას, მაგრამ ხშირად მათი მოთხოვნები მეტისმეტია და ზოგჯერ – გაუგებარიც.

7637. ქალი უნდა ეცადოს, მოირგოს დიპლომატი „მოახლის“ როლი, თუ უნდა, ოჯახს სიამტკბილობა შეუნარჩუნოს და შვილებს – მამა.

7638. ქალისთვის დამახასიათებელია მასწავლებლის როლის მორგება. ის არა მარტო ბავშვებს, ქმარსაც მონდომებით არიგებს და ავიწყდება, რომ ის მისი ქმარია და არა კუთხეში დასაყენებელი მოხულიგნო მოსწავლე.

7639. ცოლად ის გამოგადგებათ, რომელსაც თავისი ამბიციების მოთოკვა არ უჭირს და „მსხვერპლად ეწირება“ ქმრისა და ოჯახის სიყვარულს.

7640. ხშირად სექსაობის ცოდნა საუკეთესო საშუალებაა ცოლთან ურთიერთობის ასაწყობად.

7641. დიპლომატიური იუმორიც ოჯახის საფუძველს ამაგრებს.

7642. მამაკაცების ყველაზე დიდი დამყაჩაღებლები ქალები არიან, რადგან, ნებით თუ უნებლიეთ, მათ მოთხოვნებს კაცები ასრულებენ. ამიტომ კაცებსაც უნდა შევუნდოთ ზოგჯერ მათი ვნებიანი ცოდვები და ეშმაკობანი.

7643. ზოგი საქმრო ახალი ხილივითაა – მოსაწონი, საოცნებო, საათაყვანოა, ხვალ კი მოძველებული, დაჩმორებული, უთაყვანო გახდება, თუ საქორწინო კონტრაქტი დროულად არ იქნა გაფორმებული.

7644. ქალი ქმრის ის ჟანგბადია, რომელმაც „წადი და მოგყვების“ ილუზია უნდა შეუქმნას ქმარს, მაგრამ გონიერების მუხრუჭზე ფეხი მარად უნდა ჰქონდეს დადებული..

7645. ცოლქმრული ურთიერთობის სასურველი ფინიში დიპლომატიის დამსახურებაა და არა სიყვარულისა.

7646. კაცის მოტანილს ქალი წაიღებს, ოღონდ ვინ იცის, როგორ

გამოიყენებს და სარაოდგაახაზირებს.

7647. რეკლამას, დაფასებას, განსაკუთრებით მატერიალურ ანაზღაურებას დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახში შენი აღიარებისთვის და დამატებითი სიყვარულის მოსაპოვებლად.

7648. სამწუხაროდ, ხშირად თეორიულად შესატყვისი წყვილი პრაქტიკულ ურთიერთობას ვერ ეგუება.

7649. შვილისთვის დედის სიყვარული და მამის თანადგომაა ყოველივე კეთილის საწყისი.

7650. ცოლი ჩირთიფირთს ვერ იტანს და ვერც საქმის მიჩუმათებას.

7651. სამწვერა ნერვის ანთება ცოლ-ქმრის ურთიერთობაში გარე სიყვარულის შემოჭრამ-ღალატმა იცის.

7652. საცოლე ადრე მოწონებულ ქალებს უნდა გვაგონებდეს, მაგრამ მაინც სადღეისოდ უნიკალური შენი რჩეული უნდა იყოს.

+7653. ამ სამყაროში ყოველი ბრუნავს, დედამიწიდან დაწყებული ცოლის ხასიათით დამთავრებული.

7654. ყოველი ქორწინება თავისებური სკოლაა, თუ დაქორწინებულია ნამდვილი პიროვნება და თანაც ანალიზის უნარი შესწევს.

7655. ქალისა და კაცის ორი განსხვავებული განტოლება ბოლომდის ამოხსნას არასოდეს დაექვემდებარება.

7656. სატრფო და ცოლი ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია, რადგან პირველი გატაცებაა, დროებითი თავდავიწყებაა, მაჭარია; მეორე შვილების დედაა, შვილიშვილთა ბებია, დაჭაშნიკებული ღვინოა.

7657. ცოლი უნდა ცდილობდეს პეწის, მომხიბვლელობის შენარჩუნებას საწოლში, რათა ქმრის ლიბიდური ენერგია არ დაუქვეითდეს და მას ორგაზმის ჩუქებით აამოს და სიყვარულით მოემსახუროს.

7658. მამაკაცებს ქალებზე საუბარი და მათზე შეთხზული სასიყვარულო თავგადასავლებით თავის გართობა მოსწონთ, ხოლო ქალებს – რეალური შედეგი „პორტმანეს შემოგდებით.“

7659. გემოვნებასა და ჰორმონებს შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელის მეოხებით არჩეული ქალი მამაკაცს სიცოცხლის ბოლომდე შერჩება.

7660. ოჯახის შენარჩუნება დამოკიდებულია იმაზე, თუ ქალი ცოლის როლს რა ოსტატობით მოირგებს.

7661. ოჯახი ახალგაზრდული თავქარიანობის შედეგია, ხოლო ცოლი და ქმარი ერთურთს შორდებიან უპერსპექტივო მომავლის გამო.

7662. ქმრის შესანარჩუნებელი „საკონტროლო გასროლა“ ქალისთვის არის დაორსულება, რომელსაც კაცები ხშირად ნებდებიან.

7663. სიყვარულსაც თავისი დრო აქვს და მისი უაზროდ გადახარშვა უოჯახოდ გვტოვებს.

7664. ოჯახურ დრამატურგიას უმთავრესად დრამების დადგმის მისწრაფება აქვს.

7665. მამრის ჭკუაზე მომყვანი ისევ და ისევ მისი მეორე ნახევარია, რასაც ის ახერხებს ოჯახის შექმნით და უმთავრესად შვილების გაჩენით.

7666. ქალისა და მამრის შეერთება თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლით იწყება, სადაც ხშირად მისდა უნებურად მდედრი გამოდის გამარჯვებული.

7667. ქალის ბუნებრივი მოწოდებაა ოჯახის სიმყუდროვის, ტრადიციებისა და ფასეულობების გადარჩენა. ეს მამაკაცებმა სათანადოდ უნდა დააფასონ და საყვედურებისგან თავი შეიკავონ.

7668. იურიდიული ქალწულობა დღეს მოდაში აღარ არის, მაგრამ დაწყვილების ძირითადი კანონების ცოდნა ყველასათვის სავალდებულოა.

7669. ოჯახის შენარჩუნების საწყის ეტაპზე უმთავრესია სექსი, ხოლო მომდევნო ეტაპზე – მატერიალური საკითხების მოგვარება.

7670. ოჯახის შექმნა-მოწყობაში ქალიშვილები გაცილებით პრაქტიკულნი არიან, ვიდრე ბიჭები.

7671. ტრადიციების დაცვის სულისკვეთებით უპირველესად ვაჟები უნდა აღვზარდოთ, რადგან ქალის ხასიათი სხვა ოჯახის ტრადიციებს როგორ მოირგებს, არავინ უწყის.

7672. დაოჯახება მოვალეობაა და მოვალეობის აღსრულება დროულად სჯობს.

7673. ცოლზე შეყვარებულ ქმრებს „გმირობის“ სურვილი ზოგჯერ ეკარგებათ, როდესაც მათ მიმართ მოხდენილი ქალი იჩენს ინტერესს.

7674. მამაკაცის დაოჯახებას დრო უნდა დაუდგეს, ხოლო ქალი კი ამისათვის ყოველთვის მზადაა.

7675. ჩვენზე შეყვარებული და მოჭირნახულე მეუღლე ჩვენთან ერთად ათას გაჭირვებას გადაიტანს და მარად ჩვენ გვერდით დარჩება.

7676. ცოლის ხარისხს ისევ ცოდნა ამოწმებს, აფასებს და აჯერებს.

7677. თანასწორობის წინააღმდეგ ქალები მაშინ იწყებენ გამოსვლას, როდესაც ოჯახის ტვირთი მათ სუსტ მხრებზე თანასწორად გადანაწილდება.

7678. თანაცხოვრებისათვის გონიერება და მოთმინების უნარის ქონა ოჯახის აღმავლობა-წარმოჩენის გარანტიაა.

7679. დღეს „კაცობრიობაზე“ მეტად „ქალობრიობა“ ზრუნავს ოჯახის შექმნა-შენარჩუნებაზე.

7680. ცოლის ნება, თუ საჭიროა, ყველა თაღლითობას ფორმას მისცემს, რადგან ასეთია ოჯახის ცხოვრების კაპრიზები.

7681. მამაკაცის ლოგიკა სურვილია, ქალისა – მამრის ნების ასრულება, ოღონდ დიაცური ჩასწორებებით.

7682. დედობა ქალობისგან შვილების ყოლით, მათზე ზრუნვითა და

სიყვარულით განსხვავდება.

7683. სკოლა და ოჯახი დღეს ბავშვის აღზრდაში ინტერნეტს კონკურენციას ვერ უწევენ.

7684. ცოლიც თავისებური ლატარეაა, იმ განსხვავებით, რომ უნდა იცოდე, სად შეიძინო მისი ბილეთი და რა საჩუქარი მოიგო.

7685. ცოლმა იმაზე მეტი რომ არ მოგთხოვოთ, რის მიცემასაც თავად აპირებთ, ხელფასი მოჭრით დაუნიშნეთ და კუთვნილი ჯამაგირით კმაყოფილებას მიაჩვიეთ-ძალზე ამართლებს.

7686. ცოლი ქმრისთვის მეტ-ნაკლებად გასაგები ენით დაწერილი წიგნია, რომელიც შიგადაშიგ გადაკითხვას მოითხოვს.

7687. ქმარზე შეყვარებული ცოლი ქმრის, ოჯახის წევრებისა და ახლობლების ყველაზე უკეთესი დამცველია.

7688. დღეს ოჯახის ნგრევაც პროფესიონალიზმსა და კანონის ცოდნას მოითხოვს, რათა არ შეგაცდინონ და მთლად ხახამშრალი არ დაგტოვონ.

7689. სიყვარულში მარცხი დაუოჯახებლობის უფლებას არ გვაძლევს.

7690. ოჯახის სიმტკიცეს დროდადრო კაპიტალური რემონტის ჩატარება თუ არა, ურთიერთობათა მიმდინარე რემონტის ჩატარება უთუოდ სჭირდება.

7691. ქორწინება უპირველესად პასუხისმგებლობაა, შემდგომ კი – ჯანმრთელი შვილების ყოლის წადილი.

7692. ცოლი იმედის გასამტკიცებლად და საჭიროებისთვის მოჰყავთ, ხოლო თხოვდებიან ოჯახის შესაქმნელად და შვილების მოსავლელად.

7693. მართალია, ქორწინება სიყვარულს მოსდევს, მაგრამ მის შესანარჩუნებლად მარტო ოჯახი არ კმარა.

7694. ოჯახი ბევრსა ნიშნავს გონიერისათვის და არა უგუნურისთვის, რომელსაც მოვალეობის გრძნობა დაქვეითებული აქვს.

7695. ოჯახის შექმნა სიყვარულთან თავისებური კურკურია.

7696. ქორწინება შესაძლებელია ანგარებით, სიყვარულით, გარიგებით, მაგრამ ფინიში ყოველთვის უცნობია.

7697. ოჯახის შექმნა-შენება, მისი შენარჩუნება, ტრადიციების მომდევნო თაობებისთვის გადაცემა განგების ნებით ბოძებული ნიჭია.

7698. დედობა უდიდესი სასწაულია, თუმცა კი უმამოდ ეგ სასწაული ვერ შედგებოდა.

7699. სახლი ის ადგილია, სადაც ადამიანი თავს ამაყად, თავისუფლად, ხელშეუხებლად გრძნობს.

7700. გაუაზრებელი ქმედება და ამბიციები სიყვარულით შექმნილ ოჯახსაც კი ანგრევს.

7701. ცოლ-ქმარი დედ-მამად მაშინ გადაიქცევა, როდესაც შვილე-

ბი გაუჩნდებათ, ხოლო – მშობლებად, როდესაც შვილიშვილების ნაწილობრივ აღზრდა-მოფერებას დაიწყებენ.

7702. ძლიერი ზურგი ჩვენი ოჯახის სიმტკიცის სიმბოლოა და მისი ამირსპასალარი ცოლია.

7703. მამაკაცისთვის ოჯახი სატრაბახო სივრცეა, სადაც კონკურენტი არა ჰყავს და ის არის ამ სივრცის სიმბოლო და უგვირგვინო მეფე.

7704. ზოგის წარმოდგენით, სიყვარული მოკაშკაშე ბრილიანტია, რომელიც ოჯახის ბადახშაში არის ჩასმული.

7705. მეორე ნახევარი ყველა შემთხვევაში საჭიროა, მიუხედავად იმისა, გიჭირს მასთან ცხოვრება თუ არა.

7706. ცოლ-ქმარს სასიყვარულო რომანებით ერთმანეთისთვის სამაგიეროს გადახდა ნერვებს უწყნარებს და არა – გონებას.

7707. პატარ-პატარა სიამოვნებებზე უარის თქმა ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ღალატად არ უნდა ჩავთვალოთ.

7708. ყველა ოჯახი მისთვის განკუთვნილი დრამის ალგორითმით ცხოვრობს.

7709. ზოგს ისე უყვარს თავისი ქმარი, რომ იმქვეყნად მასთან შეხვედრას დაუხანებლად ცდილობს.

7710. სამშობლოს სიყვარული ნიშნავს, მისი კარგი გიხაროდეს და ცუდი გწყინდეს, სადაც არ უნდა მოღვაწეობდე, ცხოვრობდე, იღვწოდე.

7711. ცოლიანობა სასარგებლო საქმიანობაა, მიუხედავად იმისა, სად და როდის გამოგადგება, თავადაც არ უწყი.

7712. შვილები დედისთვის მისი რაობის ბარომეტრიცაა და მიზეზიც ამქვეყნად დიდხანს შემორჩენისა.

7713. ცოლი ზოგს ერის შვილად და პიროვნებად წარმოაჩენს, ზოგს კი ამათხოვრებს და უკაცოს კაცად აქცევს.

7714. თუ გიყვარს, ენდობი, თუ უყვარხარ, გენდობა. ამგვარი ოჯახის მედროშეობას ნდობის ფარმანი არ სჭირდება.

7715. ცოლისთვის ქმრის სასიყვარულო ამბების გადატანა უფრო ძნელია, ვიდრე ქმრის იმქვეყნად გასტუმრება.

7716. ქალის ერთგულება ყოველთვის სჭარბობდა მამაკაცისას, რადგან მას მეტი პასუხისმგებლობა აწევს ოჯახის, საზოგადოებისა და კვლავწარმოების წინაშე.

7717. ზოგს ისეთი ცოლი შეხვდება, გამორთულ მობილურ ტელეფონზეც კი ახერხებს მისთვის ნერვების მოშლას.

7718. სასიყვარულო შიში ქალისთვის იმედია, კაცისთვის – ვალდებულებათა აკიდო.

7719. შვილების გაუკეთებელ საქმეს მშობლები განიცდიან, ხოლო ირგვლივ მყოფთათვის ეს განსჯის საგანი ხდება.

7720. დაქორწინება მარად იყო ფილოსოფიური განსჯის საგანი და

ამად დარჩება, რადგან ის გამართლება – არგამართლებაზეა დამყარებული.

7721. ყველა მამაკაცი გარემო პირობებში ერთნაირია, მაგრამ ქალების სურვილია, მათი კაცები სხვებზე უკეთესები იყვნენ.

7722. ცოლ-ქმრის ურთიერთობა და ოჯახის სიამტკბილობა ურთიერთთანადგომის ალგორითმზეა აგებული.

7723. ოჯახის შენარჩუნება უჭირს განუსჯელი პრეტენზიების მქონე წყვილს და არა სხვადასხვა ბუნებისა და გუნების ცოლ-ქმარს.

7724. ბუნებით მოღალატე მამაკაცები პრაქტიკულად ცოლებს კი ღალატობენ, მაგრამ გაცილებით სანდონი არიან. ისინი აკრძალულ ხილს აგემოვნებენ, ხუშტრს ისრულებენ და, თუ დაოჯახდებიან, ე.ი. ოჯახის შესაქმნელად მომწიფებული არიან.

7725. ზოგჯერ ადამიანები იმიტომაც ქმნიან ოჯახს, დროში იწვიან და იძულებული არიან, ადრინდელი მოთხოვნები გადააფასონ, რაღაც დათმონ, მაგრამ ასეთი ოჯახები უფრო მყარები არიან, რადგან აქ ყოფის დებიტ-კრედიტი დაბალანსებულია.

7726. ხშირად არა ვართ იმ ხასიათზე, ცოლს რომ მოვეფეროთ, მაგრამ დროული წამლიქვნელება ქალის გულის მოსაგებად აუცილებელია.

7727. ყველა დაოჯახებული ქალის ყოფა – სერენადა შემდეგ ჰანგებზეა აწყობილი: სიყვარულო, მიყვარხარ, ერთადერთი ხარ, ძვირფასო, მოღალატევ, საზიზღარო, მძულხარ და ისევ და ისევ მაპატიე, ერთმანეთს ვერ გავუგეთ, ძალიან მიყვარხარ და ასე შემდგომ – ყველაფერი თავიდან და არაერთხელ.

7728. ნიჭის თავისებურებების მიხედვით შეფასება არასწორია. ის ყველასთვის მოსაწონ-გასაგები ვერ იქნება.

7729. ოჯახი ქვეყნის სახეა, რომელზეც სახელმწიფო შემოქმედებითად უნდა ზრუნავდეს.

7730. მარადიული სიბრიყვეა, როდესაც შვილები გინდათ იყოლიოთ ღირსეული მამაკაცისაგან და ოჯახს ქმნით იმ მამაკაცთან, ვინც თქვენთან ყოფნა ინდომა, რადგან შვილები უპირველესად დედის საკუთრებაა.

7731. კაცის სიბრიყვე ის არის, რომ ფიქრობს: ცოლი ვერსად გაექცევა; ქალისა – რომ მისი ქმარი შეიცვლება და გამოსწორდება.

7732. სიმდიდრე ცოლებს უფრო აბრიყვებს, ვიდრე დოვლათის შემოქმედ ქმრებს.

7733. გენდერული თვალსაზრისი ქალსა და მამაკაცს სხვადასხვა აქვთ, მაგრამ პრაქტიკა, მატერიალიზმთან გაიგივებული, მათ აახლოებს.

7734. თავმოყვარეობადაკარგული არც ქალი უქნია ღმერთს და არც – კაცი.

7735. ოჯახის დანგრევას ისევ და ისევ შიგადაშიგ მისი შეჯანჯღარება სჯობს.

7736. ლამაზი, მომხიბვლელი ტყუილი ზოგჯერ ქალ-ვაჟის ურთიერთობასაც სჭირდება, რათა ერთმანეთი ერთგვარად ახალისონ, რადგან ეს მათი სულიერებისთვის აუცილებელია.

7737. დედისთვის შვილი საფრენად გამზადებული ჩიტია, რომლის აღზრდა-დაბანდებაზე ზრუნვა მისი გენეტიკური ნიჭია.

7738. მდედრისა და მამრის ოცნებათა შერწყმის უნარზეა დამყარებული კაცობრიობის მომავალი სახე.

7739. მართალი მამაკაცი და ქალი ხშირად ცნობიერების სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ და ეპაექრებიან ერთმანეთს, მაგრამ მათ თარჯიმანი არა სჭირდებათ.

7740. ის ცოლია შემოქმედი, რომელიც ქმრის თავს ისე ატრიალებს, რომ ეს უკანასკნელი ამას ვერც გრძნობს და ხშირად სასიამოვნო ღიტინადაც ეჩვენება.

7741. ცოლქმრული ურთიერთობაც მოჩვენებითია, რადგან ქალი ის „პერპეტუუმ-მობილეა“, რომელიც მუდამ ჭკუას გასწავლის, გარიგებს, სულ ჩაგჩიჩინებს, გჭირდება ყოველივე ეს თუ არა.

7742. ცოლ-შვილის გათავისება და ოჯახის ლელოს გატანაც ნიჭია.

7743. ოჯახური კომფორტი მამაკაცს დროთა განმავლობაში სჭირდება, ხოლო ქალისთვის ეს დაბადებიდანავე ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

+7744. ოჯახის შექმნა ვალდებულებაა, სიყვარული – „მოვალეობა“.

7745. მამულის სიყვარული დედაენის ათვისებიდან იწყება.

7746. თუ გინდათ, კარგი ოჯახი შექმნათ, ქმარს ენდეთ და მის ქმედებებს ნუ გადაამოწმებთ, რადგან დრო და ასაკი ყოველივეს თავის ადგილს მიუჩენს.

7747. ცოლები ქმრებს მუდამ მორალურ შანტაჟს უწყობენ, იმისდა მიუხედავად, აქედან სარგებელს ნახავენ თუ არა – უბრალოდ ეს მათი ბუნებაა.

7748. ის მამაკაცია ქალის პირობითი რჩეული, რომელიც მას ყურადღებას, სითბოს, სიყვარულს და დაფინანსებას არ მოაკლებს და მხოლოდ იმ ტვირთს აჰკიდებს, რომლის ტარებაც მდედრს ესიამოვნება.

7749. ერთ ჭერქვეშ ცხოვრების გამგებელი და ინიციატორი ცოლია. ამიტომ მის კაპრიზებსა და გამოხდომებს, ავად თუ კარგად, ვეჩვევით.

7750. სასურველი ქალის აღქმა ადვილია, შენი ცნობიერების სტანდარტისთვის მისი მორგება – ძნელი.

7751. ქალს მამაკაცზე შეხედულება ხშირად ეცვლება და იშვიათად – სასიკეთოდ.

7752. ქალისთვის ბედნიერება სექსია, თავგადასავლები სიყვარულია, ოჯახი ტვირთია, ხოლო თავის ტკივილი ქმარია.

7753. ბედნიერებაა, როდესაც უკან მიხედვისას რაღაც ლამაზი, დასამახსოვრებელი აღმოგაჩნდება, თუნდაც ეს შენ მიერ შექმნილი ოჯახი იყოს.

7754. ცოლისთვის მთავარია ოჯახი, რათა ქმარს დაუმტკიცოს, რომ ის უსარგებლო ნივთი არ არის.

7755. ერთდროულად ჭკვიანი, მომხიბვლელი, მეოჯახე და სექსუალური ქალი ბუნების იშვიათობაა, მაგრამ მამაკაცები მის მოძიებას თავს მაინც ვერ ანებებენ.

7756. მამაკაცმა რა კარიერულ წარმატებასაც უნდა მიაღწიოს, ცოლი მაინც წილში ჩაუჯდება და თავისი წილი დამსახურების აღნიშვნასაც მოითხოვს.

7757. არის ისეთი უნიკალური პირადი საქმიანობა, რომელიც განგებასაც არ უნდა ვანდოთ. ის თავადვე უნდა აკეთო, რათა ამქვეყნიური მადლის სიამე შეიცნო. მგ. ცოლთან ურთიერთობა, ოჯახის ეკონომიკა, შვილების აღზრდა და სხვა ამდაგვარი.

7758. საკუთარი მნიშვნელობის შეცნობა საზოგადოებაში, ოჯახში უფრო მოყვასსა და თავდაჯერებულსა გვხდის.

7759. საოცარია: კრედიტს ცოლი უფრო სარფიანად და აზრიანად ეპყრობა, ვიდრე ქმარი, რადგან მდედრს პასუხისმგებლობის გრძნობა გაცილებით ძლიერი აქვს.

7760. მყარ ქორწინებას ნდობა, გულწრფელობა და თანადგომა სჭირდება, რათა დაოჯახების და შენი ამქვეყნიური მოწოდების ვალი გააცნობიერო და შეიცნო.

7761. ნამდვილი მამაკაცი იშვიათად ქორწინდება შესაფერის ნაღდ ქალზე, რადგან ვაჟკაცი თხოვნას არ იმეორებს, ხოლო ნაღდი ქალი ერთი თხოვნით ცოლად გაყოლაზე არ თანხმდება.

7762. ჩვენი მეორე ნახევრები ჩვენი წინადაუხედავი ქცევის გამო ევროპელებივით „შეშფოთებულნი“ არიან და ამერიკელებივით „აღშფოთებულნი“. შედეგად ყველაფერი ძველებურად ღიღინ-ღიღინით მიდის.

7763. კაცს თუ ყოფიერების დაგეგმარება ეხერხება, ქალი ამ დაგეგმარების წინააღმდეგ ინტრიგების მოწყობაშია მაგარი.

7764. სხვადასხვა ცოდვის ფონზე გაუფასურებულ მამაკაცს, ოჯახის შენარჩუნება უჭირს.

7765. მამაკაცი სივრცეში კარგი ორიენტაციით გამოირჩევა, ქალი კი – ფოტოგრაფიული მეხსიერებით და ამ შესაძლებლობათა გაერთიანებით მათ ცხოვრებაც უადვილდებათ.

7766. მამაკაცის თვალში უსაყვარლესი და ერთადერთი ქალის სტატუსის შენარჩუნება დიდ მოხერხებულობასა და შინაგან ხიბლს მოითხოვს.

7767. ქალი მარადისობას გასცემს, კაცები კი წუთებსაც ანგარიშო-

ბენ. ამით ისინი ქალის გრძნობათა ღელვის ერთგულებას აუფასურებენ.

7768. ქმრის გადაკეთების მცდელობაც ღირს, მიუხედავად იმისა, ამ რისკიდან რაიმე გამოვა თუ არა.

7769. ნაღდი მამაკაცი წინააღმდეგი არ არის, ქალისთვის გარკვეული მსხვერპლი გაიღოს თუნდაც იმიტომ, რომ ქალს მამაკაცური პატარა მსხვერპლის გაღება იმედს უსახავს და თავისი მეობის ეამაყება.

7770. მამაკაცი რაც უფრო არარეალიზებული და არაფრის მაქნისია გარეთ, მით უფრო ტირანია ოჯახსა და შინაურებში.

7771. არის სიყვარული, რომელიც დიდი ტკივილია მაშინაც კი, როდესაც იგი ორმხრივია, თუკი ორივეს ზურგზე აწევს წინა ქორწინებათა ტვირთი.

7772. ქალებსაც აქვთ სატრაბახო და თავის წარმოსაჩენი გამარჯვებები, თუ ისინი სასურველ მამაკაცს შეაცდენენ და თავზე გვირგვინს დაადგამენ.

7773. ყველა ქალის ცოლობაზე დათანხმება ადვილი არ არის, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას შენზე უკეთესი მამაკაცი ჰყავს მონიშნული უზურში – სათადარიგოდ.

7774. საყოფაცხოვრებო წვრილმანები ხშირად ოჯახს ამაგრებს, რადგან ის გვართობს და რუტინას ებრძვის.

7775. ქალები უნდა ერიდოთ უკმაყოფილების წამდაუწუმ გამომჟღავნებას, რადგან ქმრებს ცოლთა წუწუნი არ მოსწონთ.

7776. პრიორიტეტების დასახვა, განსაკუთრებით შინა საქმიანობაში, ხელს არ უწყობს ოჯახის გამყარებას, განსაკუთრებით, თუ ტრადიციულად მიღებული ქალების საქმიანობის ნაწილს მამაკაცს გადავაბარებთ.

7777. ცოლ-ქმარიც ხშირად იწყებს ბრძოლას მათთვის გასაგები დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, იმ ცოდნის მიუხედავად, რომ ეს დაპირისპირება ოჯახის სიძლიერეს ვნებს.

7778. მამაკაცი, ეტყობა, მაინც შექმნილ სიტუაციათა „ცხოველია“ და მისი ერთგულების შენარჩუნება ისევ ცოლის გონიერებასა და მოთმინების უნარზეა დამოკიდებული.

7779. სიყვარული შერჩევითია: უანგაროცაა და ანგარიშიანიც და ყველა მათგანი მისაღებია, თუ ის ოჯახის შექმნა-განმტკიცებას და ღირსეულ მომდევნო თაობათა აღზრდას ემსახურება.

7780. შეყვარებული ცოლ-ქმარი ცხოვრების საწყისს, შუა ნაწილსა და ფინალსაც თავად იგონებს და ემორჩილება.

7781. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საცოლეს ხშირად „აიწონა-დაიწონათი“ ირჩევენ და არა მხოლოდ სიყვარულით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯიშისა და ჯილაგის გაუმჯობესების თეორია გაკოტრებულია.

7782. ყველა ახალშობილი მშობლებს ახალი ცხოვრების დაწყებისკენ უბიძგებს, იმისდა მიუხედავად, მისი შემქმნელნი ამას აცნობიერებენ თუ არა.

7783. ქმარი ცოლის ვირტუალური საკუთრებაა, ხოლო ცოლი ქმრისთვის – იჯარით აღებული ვალდებულება.

7784. დროისა და ნერვების დამზოგველი ქალი ოჯახს არ გამოადგება, რადგან ოჯახის შენებას გაუხედნავი ნიჭი სჭირდება.

7785. დაქორწინებული წყვილის უმთავრესი რკვევის საგანია, თუ ვის უფრო მეტი წვლილი მიუძღვის ოჯახის განმტკიცება-წარმოჩენაში.

7786. ოჯახის მმართველთა შუაში ჩადგომა უგუნურებაა, რადგან აქ რჩევა და დარიგება არ ჭრის.

7787. ქალზე სანამდის დაქორწინდებოდეთ, სამოთხედ აღიქვამთ, წამოგყვება ცოლად და ჯოჯოხეთს გიწყობს, ყოველ შემთხვევაში, თავისუფლებას მიჩვეულ მამაკაცებს ასე ეჩვენებათ და ჰგონიათ.

7788. მზრუნველი დიასახლისისთვის ოჯახში ქმრის კოცნა, მოფერებაც კი მოვალეობადაა ქცეული.

7789. დედისაგან განსხვავებით, მამა რაღაცისთვის უყვართ, ხოლო დედა უბრალოდ უყვართ, რადგან თავისი მზრუნველობით ის შვილებს ფერად სამყაროს უქმნის.

7790. ზოგჯერ ცოლი ისე ამტყუნებს ქმარს, რომ ამის შესახებ ხეირიანად არც კი დაფიქრდება.

7791. ცაში მოფარფატე, თავიანთი ჭკუით, მფრინავი ბიჭები გოგონებს უყვართ, მაგრამ ისინი ოჯახის შესაქმნელად და ნაშიერის გამოსაზრდელად არ გამოდგებიან.

7792. თითოეული ჩვენგანისთვის სახლი ოჯახი უნდა იყოს და არა ღამის გასათევი ბუნაგი.

7793. ცოლისთვის ქმრის ჯიბეების დაუგეგმავი შემოწმება ხშირად დამატებითი შემოსავლის წყაროა.

7794. ოჯახში უპირველესია პატივისცემა, სიყვარული, ურთიერთგაგება, ოღონდ სათანადო მატერიალური უზრუნველყოფით გამაგრებული.

7795. ნისიად გაცემული სიყვარული ასევე ოჯახის ნისიად შექმნას ცდილობს.

7796. ბედნიერია ოჯახი, თუ შემოსავლებს ხარჯავს კრედიტ-დებეტის განუსჯელად.

7797. მუხრუჭი ყველას სჭირდება, განსაკუთრებით „მარცხნივ“ მოსიარულე მეუღლეებს.

7798. ცოლის მოყვანა, ეტყობა, მაინც სადავიდარაბო საქმეა, მაგრამ აუცილებელია საზოგადოების კვლავწარმოებისათვის.

7799. მღელვარების და აფექტის ცეცხლი ყველას გამოცდას

უწყობს, ოქროს მამაკაცი იქნება იგი თუ ბრილიანტის დედაკაცი.

7800. ვეგეტარიანელი ცოლიც კი ზოგჯერ თავის პრინციპებს ღალატობს, ქმრის სისხლს უბოდიშოდ სვამს და ზედ ტვინსაც მიაჭმევს.

7801. ცოლი შეიძლება ერთდროულად სერიოზული მონაპოვარიც იყოს და კატასტროფაც. გააჩნია, თავად როგორ შეუწყობ ხელს მის კაპრიზსა და ქმედებებს.

7802. ოჯახის მართვას თანდაყოლილი პრაქტიკული ნიჭი სჭირდება და აქ მარტო ყოფის თეორიებით სწავლება არ გამოდგება.

7803. ზოგს ცოლის გრძელი და ავი ენა სიცოცხლეს უმწარებს და უმოკლებს. ამიტომაცაა, რომ წაყრუება ბევრ ქმარს სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

7804. დაოჯახების უმთავრესი კრედოა მოვალეობათა შეცნობა, შემდგომ მოდის სიყვარული და ურთიერთგაგება.

7805. ცოლი ის სიმდიდრეა, რომლის დაყაჩაღებით წართმევასაც არავინ ცდილობს.

7806. თუ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა ზეიმს მოგვაგონებს, ეს ოჯახი მისაბაძია და არა ის, სადაც ქალი კაპრიზობს და მამაკაცის ღირსებას ანგარიშს არ უწევს.

7807. დედის მზრუნველობა თუ მამის კისერზე არ გადადის, მაშინ ოჯახში შეხლა-შემოხლა გარანტირებულია.

7808. დღეს ოჯახის სიმშვიდის გარანტი მოთმინებაა, გაგებაა, სიყვარულთან ერთად მისი თითოეული წევრისთვის „ნოუტბუკის“ ან „პლანშეტის“ შეძენაა.

7809. ქალებს მოყირჭებული ინტელექტი ვნებთ, განსაკუთრებით ოჯახის შექმნა-შენარჩუნებისას, რადგან ისინი თავიანთი გადასახედიდან ძალზე ხშირად აანალიზებენ მამაკაცთან ურთიერთობას და ეს მათ ხელს უშლით, იყვნენ გამგები, დამთმობი და გულღია მდედრები.

7810. ცოლი ხშირად იმ სიბრძნით გვმოძღვრავს, რაც ჩვენთვის მიუღებელია, გაუგებარია, მაგრამ ხშირად სასარგებლო და დასაფიქრებელია.

7811. ფაქტობრივად ქალები ბევრ რასმე თავიანთ თავზე იღებენ, ხოლო მამაკაცები მათ ნახელავს ეჯაჯგურებიან.

7812. წლების მატების მიუხედავად, ოჯახის შექმნა ყველა ასაკში აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენს არსებობას რაღაც მნიშვნელოვანი, ოღონდ გაუცნობიერებელი აკლდება.

7813. ერთგულებას მამაკაცები დაოჯახებამდე თამაშობენ, ხოლო ქალები – გათხოვების შემდგომ და ამ ბალანსიდან ხშირად ოჯახის შენარჩუნება გამოდის.

+7814. სულ ტყუილად ვცდილობთ მერვე საოცრების აღმოჩენას. ის ჩვენს გვერდში მყოფი ცოლია.

7815. ფაქტობრივად ქალები აპროექტებენ ოჯახის მომავალს, ხოლო კაცები ხორცს ასხამენ.

7816. ცხოვრების საფუძველი შვილებისთვის მაინც დედები არიან, რადგან დაბადებიდანვე მათზე ზრუნავენ და თავიანთი გამოცდილებით მეტ ზეგავლენას ახდენენ, ვიდრე მამები.

7817. თუ მამაკაცი ქალისთვის გიჟურ საქციელს არ ერიდება და ამგვარად გამოხატავს თავის გრძნობებს, არჩევანს ნუ დააჩქარებთ. ეს მამაკაცი იქნებ ბუნებით იდიოტია და ოჯახის შექმნას არც იმსახურებს.

7818. წყვილის ურთიერთობაში რომ ჩაერთოთ, უპირველესად მათი თანხმობა, მორალური უფლებით უნდა მოიპოვოთ.

7819. ოჯახური კოჰაბიტაციის გარეშე არც ქალია დიდად გასაგები და არც მამაკაცია ხელის ჩამორთმევის ღირსი.

7820. რა აერთიანებთ და რატომ შორდებიან მეუღლეები – ეს მარად ამოუხსნელ განტოლებად დარჩება წყვილთა დახლოება-დაპირისპირების ისტორიაში.

7821. ცოლთან ურთიერთობაში კომპრომისები აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახის სიმტკიცეს ფუძე ეცლება.

7822. ოჯახური ყოფის, ურთიერთობის პირობა ურთიერთგაგება, დაბალანსებული სექსი და ნაჯაფი ფულია.

7823. ბედნიერი ქორწინების ბალანსია ურთიერთგაგების შენარჩუნება და უსაზღვრო მოთმინება ყველა ასაკში.

7824. ბედნიერებაა, როდესაც მამაკაცად აღგიქვამენ ოჯახში და არა მხოლოდ მამრად.

7825. ოჯახის ძირითადი დანიშნულებაა სიმშვიდისა და ჰარმონიულობის შექმნა, მომავალ თაობათა ღირსეული კვლავწარმოება.

7826. ქალები ხშირად იმას გსაყვედურობენ, რაშიც თქვენ დანაშაული არ მოგიძღვით, ხოლო კაცებს უწევთ თავის მართლება და იმის თქმაც უყვართ, რასაც ქალთა რეპრესიის შედეგად გრძნობენ.

7827. რამდენი ჩვენთვის განკუთვნილი ერთადერთი და განუმეორებელი ქალი და კაცი ცხოვრობს დედამიწაზე, მაგრამ ჩვენი უბედობის გამო, რატომღაც უფერული გრძნობების მქონენი და ჩვენთვის შეუფერებელნი გვხვდებიან.

7828. სიბერესი შესულნი ვაფასებთ პარტნიორის ხასიათის შტრიხებს, ცხოვრების წესს, სტილს, ინტერესებს. არადა, უკვე დაგვიანებულია და დილემის წინაშე ვდგევართ: ან უნდა დავშორდეთ, ან უნდა შევეგუოთ. რას ვიზამთ, ესეც ჩვენი ბედისა თუ უბედობის ნაწილია.

7829. სიწმინდეს ვაფასებთ, მაგრამ ზოგჯერ ცხოვრება გვაიძულებს სიბინძურის წუმპეში დროებით აღმოვჩნდეთ, რათა ოჯახი და ნაშიერები შთამომავლობას შემორჩეს.

7830. მოჭუტული თვალებით ყურება ცოლებს სჭირდებათ, რადგან

ფართოდ გახელილი თვალების დრო უკვე ჩავლილია.

7831. ქმარი ვალდებულია, გაამართლოს მეუღლის იმედები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასზე არ უნდა დაქორწინებულიყო.

7832. ქმრობა მოვალეობაა, ცოლობა – პროფესია, ხოლო ოჯახი – მათი ურთიერთობის შერწყმისა და ურთიერთგაგების შედეგი.

7833. მოხდენილ მანდილოსანს სამზარეულოში მზარეულობა და ოჯახში დიასახლისობა უფრო მეტად მიმზიდველს, პერსპექტიულსა და საინტერესოს ხდის.

7834. დაოჯახება ყოველთვის ბედნიერებით არ გვირგვინდება, მაგრამ ამ სათუო ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია და ზოგჯერ გარდაუვალიც, თუ თავი ქვეყნის მოქალაქედ მიგაჩნია და არა მის მდგმურად.

7835. ქალისა და მამაკაცის მარადიული და განუსჯელი ურთიერთობა, განსჯას არ ექვემდებარება.

7836. წყვილის ხასიათის მსგავსებას მათი სურვილები განსაზღვრავს და განსჯის, ოღონდ ურთიერთგაგების და მოთმინების საწყისზე.

7837. ცოლი თუ აფთარია, ქმარი ლომი თუ არა, მგელი მაინც უნდა იყოს, რათა ოჯახი მართონ და შეინარჩუნონ.

7838. ყოფის ანბანს ოჯახი გვასწავლის, ხოლო კარგი ცხოვრების უნარს – განათლება, შემართება და გამოცდილება.

7839. ამბიციების მქონე ლამაზმანთან კავშირს ისევ მოხდენილ ქალთან ურთიერთობა სჯობს – ოჯახის შესაქმნელად უფრო მყარი და საიმედოა.

7840. ქორწინება უპირველესად ნერვების დასამშვიდებლადაა საჭირო, მაგრამ ის ხშირად ნერვების აშლას ახერხებს.

7841. რატომღაც საზოგადოების ნაწილისთვის მამაკაცი ადამიანია, ქალი კი – მდედრი, იმისდა მიუხედავად, რომ დღევანდელი ემანსიპაციის პირობებში ბევრმა მდედრმა მამაკაცს გაუსწრო და აჯობა.

7842. შეუღლების საბუთზე თქვენ მიერ დასმული ხელმოწერა – ეს პასუხისმგებლობა და მთელი ცხოვრების ტვირთია.

7843. ოჯახის მხვნელ-მთესველი ქალის პოვნა არც ისე ადვილია, ამიტომ ასეთს მოსავლის აღებაში უნდა დაეხმაროთ.

7844. ქალს ხიბლი დაოჯახებისთვის სჭირდება, ხოლო სისულელეთა ჩადენა – რათა უყვარდეთ.

7845. ჭკვიანი და წინდახედული ქალი ქმრის ბედნიერებაც არის და უბედურებაც, რადგან მისი გაცუცურაკება ძნელია და მამრის გალაღებით ცხოვრების წყურვილს წერტილი ესმება.

7846. მამა, დედა მაშინ ჟღერს ამაყად და სიყვარულით, როდესაც ისინი, როგორც მშობლები, მოწოდების სიმაღლეზე დგანან.

7847. ზედმეტად შეჩვევა ცუდად მოქმედებს წყვილის ურთიერთო-

ბაზე. ის ყოფას აფერმკრთალებს და ყოველდღიურ მოწყენად გადაიქცევა.

7848. ჭკვიანი ქალი არასოდეს იეჭვიანებს და შეიმჩნევს, რომ მისი ქმარი ქალებში დაძვრება, რადგან ყოველივე და მათ შორის ეს ქმედებაც მოსაბეზრებელია, ხოლო ჭკვიანი მამაკაცი მოღალატე ცოლს დროულად დაშორდება, რათა სხვისი ნაშიერის აღზრდა მას არ მოუწიოს.

7849. თუ დაუსაქმებელ ოჯახის დიასახლისს მეუღლე ყოველთვიურ ხელფასს დაუნიშნავს, ცოლი გაცილებით დამთმობი და მორჩილი გახდება.

7850. კარგ ცოლებს მამაკაცები უკეთესის პოვნის იმედით შორდებიან, ხოლო კაპასა ცოლებს შიშით ეჩვევიან, უფრო უარესს არ გადავეყაროთო.

7851. ზოგჯერ წყვილის კეთილი შეთავსებისთვის აუცილებელია ერთის ემოციებს მეორის მშვიდი ხასიათი დაუპირისპიროთ.

7852. მოწონება თუ სიყვარული – ამ ცნებებს განსაზღვრავს და განსჯის საკითხი – ოჯახი შეიქმნება თუ არა?

7853. დიასახლისობა სამუშაოა, იმისდა მიუხედავად, ამ შრომას გიფასებენ თუ მოვალეობად შერაცხავენ.

7854. ოჯახში მარტო სიყვარულით ვერას გახდები, თუ ვალდებულებებს არ გაანაღდებთ.

7855. მეორე ნახევრებს, მეგობრობის ჰორმონების უქონლად ცოლქმრობა გაუჭირდებათ.

7856. ღალატი იმ შემთხვევაშია ყურად საღები, თუ რომელიმე პარტნიორს ბავშვის ჩასახვა და გაჩენა არ შეუძლია, რადგან უშვილოდ წყვილი ოჯახად არ აღიქმება.

7857. ოჯახდანგრეულ წყვილებს სხვათათვის რჩევის მიცემის უფლება არ აქვთ და არც შესატყვისი გამოცდილება, რადგან მათმა მცდელობამ გამოუსწორებელი ფიასკო განიცადა.

7858. მეოჯახე, შემოქმედი, მზრუნველი ცოლი გამართლებაა მანამ, სანამ პირველობაში ქმარს არ შეეცილებოდეს.

7859. ცოლქმრულ ურთიერთობას, წინ რა სიურპრიზი ელის, ეს კარგად შეჯერებული ცოლ-ქმრისთვისაც შეუცნობია.

7860. ოჯახში ყველას აქვს სურვილი, ის პიროვნებად აღიქვან, იმისდა მიუხედავად ის იმსახურებს ამას თუ არა.

7861. ცოლქმრობა ხელოვნებაა, ოჯახის შენარჩუნება – გმირობა, ხოლო ურთიერთ თანადგომა – პროფესია.

7862. ოჯახის შექმნას სურვილი უნდა, შენარჩუნებას – ყოფიერების ანბანის ცოდნა.

7863. ოჯახის შენარჩუნება ზოგჯერ თვალების დახუჭვასა და

ნერვების მოთოკვას მოითხოვს, რადგან მამაკაცის გატაცება ხშირად დროებითია და მას ისეთი სულიერი ტრავმა არ უნდა მივაყენოთ, რომ გატაცება მწარე რეალობად იქცეს.

7864. ოჯახზე მზრუნველი ყველა ქალი უმანკოა.

7865. მოსიყვარულე ცოლი ქმრის სამუშაოზეც კი ეჭვიანობს, რადგან, მისი აზრით, სიამტკბილობისთვის განკუთვნილ დროს მისი მამაკაცი ამ სამსახურში უაზროდ ფლანგავს.

7866. ზოგჯერ მეორე ნახევარს უნდა შეუძახო, რათა კმაყოფილები დარჩეთ და თანადგომაც ისწავლოთ.

+7867. გოგონები უფრო თამამები და მომთხოვნები არიან დაოჯახებამდე, ხოლო ჭაბუკები – დაოჯახების შემდგომ.

7868. წესით, მამაკაცმა ქალი უნდა მოხიბლის, მაგრამ, თუ პირიქითაა, მაშინ ამგვარად შექმნილი ოჯახი უფრო გამძლეა.

7869. არის ქალი დიასახლისი, დედა, კაპასი, ანჩხლი პიოვნება, დამყოლი, გააჩნია, ვის რა მასტის მამაკაცი ჰყავს ქმრად და თვით მამრს როგორი ქალი მოსწოს.

7870. ცოლი ქმრისადმი მოჩვენებით მორჩილებას თუ ავლენს, ის უკეთ ბატონობს ოჯახში.

7871. ზოგჯერ ქალის გაუწონასწორებელი ქმედებანი საძრახისი არ არის, თუ ის ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

7872. ცოლების ხიბლის ტერიტორიის დასაცავად ქმრებს ხშირად ძალა არ შესწევთ.

7873. გარემოებათა შეცვლა ოჯახში არც მამას რგებს, არც დედას, არც შვილებს და არც შვილიშვილებს, რადგან ყველამ თავისი ასაკისა და მენტალიტეტის შესატყვისად უნდა იცხოვროს ტრადიციებზე დაყრდნობით.

7874. ბედნიერი ქორწინება ჰორმონების ურთიერთშერწყმას ემყარება და არა – ურთიერთჩახუტებას.

7875. უმჯობესია, ცოლ-ქმარი გენეტიკურად და ჰორმონებით ერგებოდნენ ერთმანეთს, ვიდრე სიყვარულითა და მოწოდებით. ეს უფრო საიმედო კავშირის საფუძველია.

7876. ოჯახის შექმნაც თავისებურ პრობლემას გულისხმობს, რომლის გადალახვაც წყვილმა უმტკივნეულოდ უნდა შეძლოს, რათა ნამდვილი ოჯახი შედგეს.

7877. ქალის მამაკაცთან შერწყმის ბედნიერების რეცეპტია ურთიერთშეჩვევა, რომელსაც, გარეგნობისა და ხასიათის შერწყმის გარდა, ჰორმონების მორგებამაც უნდა შეუწყოს ხელი.

7878. ცოლქმრობის შენარჩუნების გარანტია: მოსმენა-პატიება, ურთიერთგაგების უნარი, რომელსაც ურთიერთგანცდილი ბედნიერების მახსოვრობამაც უნდა შეუწყოს ხელი.

7879. სწორად ჩხუბის, კამათის ცოდნა ურთიერთგაძლების გარანტია, განსაკუთრებით ცოლქმრულ ურთიერთობაში.

7880. ცოლქმრულ ურთიერთობაში სიყვარულს ისევ მეგობრებად ყოფნა სჯობს. ეგ უფრო გამძლე გრძნობაა, ვიდრე სიყვარული.

7881. ქორწინების დაკანონება სტაბილურობის გარანტიაა, რომელიც მოვალეობის მრავალი ელემენტისგან შედგება.

7882. ზედმეტად ჭკვიანი და გონებასხარტი ქალი წამგებიანია ქმრის ავტორიტეტისათვის, მაგრამ არა ოჯახის ბიუჯეტისათვის.

7883. იყო ქალი, მოწოდებაა, იყო ცოლი, დედა, დიასახლისი, ხელოვნებაა? ყოველივე ამის სასიკეთოდ მორგებას ბედიც ხომ უნდა?!

7884. მამაკაცები ხშირად „აიძულებენ“ ქალებს, მათივე უნიათობისა და არაკომპეტენტურობის გამო ივიშვიშონ.

7885. ქალისთვის უმჯობესია მისთვის განკუთვნილი მამაკაცის პოვნა მყარი ოჯახის შექმნის მიზნით, ვიდრე სიყვარულით თვალების დაბინდვა განსჯადი განუსჯელობის ხიბლით.

7886. ქორწინება უნიჭო ფარსს მაშინ ემსგავსება, როდესაც ოჯახურ დაპირისპირებათა სცენები გაიმართება.

7887. „მაგნიტიანი ქალის“ ცოლად მოყვანას უნდა ვერიდოთ, რადგან ის იმდენად მიმზიდველია, რომ, ერთხელაც იქნება, გიღალატებთ.

7888. საცდუნებელი კომპლიმენტები ის უხილავი ძალაა, ქალის გულს რომ მალამოდ ედება და მამაკაცური ანკესის ამ სატყუარაზე რომ სიამოვნებით ეგება.

7889. დიდი ბედნიერებაა, თუ ხალხის თვალში მისაბაძი ცოლ-ქმარი ხართ, ხოლო, როდესაც მარტონი რჩებით, – სიყვარლები.

7890. თუ ოჯახი ინგრევა, შვილების წინაშე ორივე მხარე დამნაშავეა, რაკიღა მათ თავიანთი მოვალეობის არსი ვერ შეუცნიათ.

7891. ქორწინება, დაოჯახება მუდმივი კომპრომისია.

7892. წყვილმა ერთად ყოფნის გარდაუვალობის მადლი რომ იგრძნოს, ჩხუბიც უნდა ისწავლოს და შერიგებაც.

7893. წყვილმა უნდა გაიაზროს, როდის და სად უშვებს შეცდომას ურთიერთობაში, მაგრამ არანაირი ნაჩქარევი დასკვნები არ უნდა გააკეთოს, თუ უნდა სიყვარული შეინარჩუნოს.

7894. ოჯახში მესამე ყოველთვის ზედმეტია, შვილებისა და მათი აღმზრდელი ბებიას გარდა.

7895. ყველაზე საუკეთესო ცოლ-ქმარიც კი, ჩვეულებრივ, ყოფიერებასთან შერკინებას შეჩვეული მოკვდავი არსებანი არიან.

7896. ადამიანი, რომელიც შენი მეორე ნახევარია შენთვისაა გაჩენილი და განგების ეს მოწყალება ჯეროვნად უნდა დააფასო.

7897. ქორწინებისას ზოგჯერ ცრემლიც იღვრება, მაგრამ ეს უფრო

სიხარულის ცრემლია, რაკიღა ჩანაფიქრმა ხორცი შეისხა.

7898. სიყვარულით მადლმოსილ ოჯახში ბავშვის ტირილი ჰიმნია, რომელსაც მშობლები ფეხზე უდგებიან.

7899. ზოგჯერ დაქორწინება და ოჯახის შექმნა სასიამოვნო ამბავი და ავანტურისტული ცხოვრებით გულის მოყირჭების შედეგია.

7900. ზოგს ისეთი უჯიათი ქმარი ჰყავს, რომ მზად არის, მის ზოგიერთ გადაცდენაზე თვალი დახუჭონ და გაამართლოს კიდეც.

7901. კაცობრიობა მარად შეუცნობელი დარჩებოდა, რომ ქალი და კაცი დაწყვილებისკენ არ ილტვოდნენ, ხოლო მათი ნაშიერნი – ტექნიკური პროგრესის და სამყაროს საიდუმლოებათა წვდომისკენ.

7902. რაიმეს განუსჯელად და დაუფიქრებლად შეძენა დანაშაულია როგორც საკუთარი თავის, ისე ოჯახის ბიუჯეტის წინაშე.

7903. დროებითი დაპირისპირება და არა ომი, ყველა ოჯახის ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრება და ოჯახური ავტონომიური წარმონაქმნების გაჩენის საფრთხის წინაშე გვაყენებს.

7904. დაქორწინება ზოგჯერ თვალის გახელის საშუალებაა, მაგრამ უკვე დაგვიანებულია.

7905. ცოლი ქმრის სახეა, ხოლო მამაკაცის ქმედებები ქალის წარმომჩენია.

7906. სიდედრი და დედამთილიც იგივე დედაა, მაგრამ მათ მეტი წამლიქვნელება და მოჩვენებითი პატივის მიგება სჭირდებათ, ნამდვილი დედისგან განსხვავებით.

7907. დაოჯახებულ მამაკაცებს სახლში მისვლისას სადილის დროულად მირთმევა უფრო აინტერესებთ, ვიდრე ცოლისათვის თვალების ჟუჟუნი და გეგმიური ვნებათა ღელვის დაკმაყოფილება.

7908. მამაკაცსა და ქალს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი აყოლილია ჰორმონებს და ბუნებით მდედრზე მონადირე არსებაა, ხოლო ქალის ღალატისას შეყვარების ბაცილების არსებობა აუცილებელია. აქ მხედველობაში გვყავს არა მეძავი, არამედ ოჯახის ქალები.

7909. ბუნების კაპრიზებს, ცოლის კაპრიზებისაგან განსხვავებით, ვემორჩილებით და ანგარიშს ვუწევთ. არადა სინამდვილეში ორივენი მართლები არიან.

7910. ცოლ-ქმრის კამათში ერთ-ერთი ყოველთვის მართალია, მაგრამ, თუ ბავშვების რომელიმე ბებია მათთან ცხოვრობს, მაშინ ეს შეფარდება ორამდე იზრდება რომელიღაცის სასარგებლოდ, რადგან ურთიერთდათმობა და კოჰაბიტაცია მათთვის უცხო ხილია.

7911. ქორწინება სასიყვარულო სცენების თავისებური რეპეტიცაა, რომელსაც რეჟისორი არა ჰყავს.

7912. გონიერს ცოლი იმიტომაც მოჰყავს, რათა გაერკვეს, რატომ არ უნდა შეექმნა ოჯახი და ამისათვის რა პარამეტრის დადგენა იყო

საჭირო.

7913. ჭკუამხიარული მეგობრის ჭკუაზე მოყვანა ჭირს.

7914. ოჯახის მმართველობაც პოლიტიკის კაპრიზებს ემორჩილება და ანგარიშს უწევს.

7915. მეუღლეზე ფიქრი მისასალმებელია და აუცილებელიც, თუ მასზე ფიქრის ხანგრძლივობა შედეგს იძლევა და თავს არ გაბეზრებს.

7916. ცოლისთვის ქმარი მარად განუსჯელი პიროვნებაა, თუ მისადმი სიყვარული ჯერ კიდევ არ განელებია.

7917. ყველა ჩვენგანი თავისი ბუნება-გუნებით იბადება და მასზე ზეგავლენას ხშირად აღზრდა და ოჯახიც ვერ ახდენს.

7918. ზოგჯერ ცოლ-ქმრის დროდადრო ურთიერთშექება ურთიერთგაგების ერთგვარი დამყარების მცდელობაა.

7919. ბედნიერებაა, როდესაც მდედრი ხვადს ირჩევს და მამრიც წინააღმდეგი არ არის, რადგან ეს, უპირველესად, ჰორმონების, ურთიერთშერწყმაა, რაც წყვილის მყარი მომავლის გარანტად იქცევა.

7920. ცოლს კისერი არ უნდა გაუშეშდეს და ქმარს თავი არ უნდა გაეყინოს, თუ უნდათ, ოჯახში თანხმობა შეინარჩუნონ და ცოლს ყელის მოღერების უფლება ქმრის თავთან ერთად შერჩეს.

7921. ოჯახში „ტერიტორია“ ქმარსა და ცოლს გაყოფილი უნდა ჰქონდეთ და მოურიდებლად „სხვათა“ დაპატიჟებას არ უნდა შეეცადონ, თუ უნდათ სიამტკბილობის შენარჩუნება.

7922. დაწყვილება და ჯვრისწერა ერთ დღეში ხდება, ხოლო ოჯახის შესაქმნელად მზადებას წლები სჭირდება.

7923. გაბოროტებული მამაკაცები არავის არაფერს აპატიებენ, ხოლო ხელმოცარული მდედრები არცერთ წყენას არ ივიწყებენ.

7924. თუ ცოლს ეჭვიანობის ჭია შეუჩნდა – ეს ქმრის უნიათობის, უსუსურობის, უგერგილობის მაჩვენებელია.

7925. სასურველია, ქალმა აირჩიოს მამაკაცი, რათა მდედრის მსურველთა შორის ქიშპობას და გაუგებრობა არ წარმოიშვეს.

7926. ქალი მამაკაცს გულში თუ არ ეფანცქალება, მას ქალის სტატუსი უნდა მოუხსნათ.

7927. ყველა მამაკაცს მისთვის გასაგები სულის გასაღების მოძიება სჭირდება.

7928. როდესაც ქალის მოსმენა გსიამოვნებს და ამის შემდგომ ათვალიერებ მის გარეგნობას, ეს ნიშნავს: ღმერთმა შენს სულიერ მეორე ნახევართან შეგახვედრა.

+7929. მამაკაცის ლოგიკა რთულია, ოღონდ იოლად გასაგები; ქალისა – მარტივი, ოღონდ ძნელად ამოსახსნელი.

7930. ადრე მიაჩნდათ: ქალთა მოდგმას პრინციპები არ აქვს, იმდენად არის დამოკიდებული მამაკაცზე. დღეს ყოველივე შეიცვალა და

პირუკუღმა ივარაუდება.

7931. ქალები, გვინდა – არ გვინდა, გარკვეული დროით ბედნიერებს გვხდიან და ამ მადლს რატომღაც კაცები ბოლომდის ვერ აღიქვამენ და აფასებენ.

7932. ქალის ფილოსოფიურ-ვერაგული შეკითხვა მამაკაცისადმი: შეგიძლიათ ჩემი გულისათვის თავი გადადოთ? მამაკაცის ფილოსოფიურ-იუმორისტული პასუხი: „მერედა, ხომ არაფერი მომივა?!“

7933. ცოლები მამაკაცებს უფრო ჯიბრით – მე შენ გიჩვენებო – ღალატობენ, ვიდრე შეგნებით, რადგან ამგვარად ცდილობენ შურისძიებას.

7934. ცოლი, რომელიც გაიგებს, რომ ის ქმრისთვის ძვურფასია, ლატარიაში მოგებულ ნივთსა წააგავს.

7935. ქალის ჭირვეულობა სხვადასხვა გადახრის მქონე მამაკაცის აზროვნებას ვერ ეწყობა.

7936. ქალისა და კაცის ურთიერთობას სიყვარულის პარამეტრები განსაზღვრავს: ერთს ძალზე უყვარს, მასზე რომ ზრუნავენ, მეორეს ნერვებს უშლის და სხვა ქალისკენ გაახედვინებს.

7937. ყოველდღიური „მსხვერპლის გაღებით“, ალბათ, მრავალშვილიანი ოჯახები გამოირჩევიან.

7938. ოჯახის შექმნა და მასზე ზრუნვა საქორწინო ბეჭედთან ერთად სიყვარულსა და ურთიერთთანადგომას მოითხოვს.

7939. მამაკაცისთვის ქალი ყოველთვის დასაპყრობი არსება უნდა იყოს, თუ გვინდა ამ ცხოვრების სიამე ხშირ-ხშირად შევიცნოთ.

7940. ქალმა თავი ისეთი ღირსებით უნდა დაიცვას, რომ მამაკაცმა ზედმეტი ვერ შებედოს.

7941. ცოლი ის კი არ არის, როდესაც მასთან ყოფნა არ „გვიტყდება“, არამედ ის, რაც მასთან ურთიერთობაში სიამოვნებას გვანიჭებს.

7942. ქალს წინააღმდეგობათა გადალახვაში მამაკაცის დახმარება სჭირდება. ზოგჯერ ეს მორალური, მატერიალური თუ სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით ხერხდება.

7943. ყველა დროში მამაკაცთან ყოფნა ძნელია, რადგან მარად მის ინტერესებს უნდა ემსახურო და გაითვალისწინო.

7944. ცოლობა ქალურობის დაკარგვას როდი ნიშნავს, მაგრამ ამის შესაძლებლობა არსებობს, თუ თავს ჯეროვნად არ მოუვლის.

7945. ქალსა და მამაკაცს შორის სასურველი ურთიერთობის დამყარება ადვილი არ არის, მაგრამ ამ გაუგებრობას წინ აღუდგება გულწრფელი სურვილები, ურთიერთსაქმიანობით დაინტერესება, სიყვარულის განვითარება და მოვალეობის შეცნობა.

7946. მოთმინება, გაგება, დაყვავება, შექება, მოვალეობათა შეცნობა და განსჯა – აი, ამ საფუძველზე დგას ოჯახის სიმტკიცე.

7947. ბედნიერი ქორწინება თავის საქმეებს პატარ-პატარა დათმობებით და მცირე უკანდახევებით აკეთებს.

7948. თქვენი უპირველესი სურვილია: პატივს გცემდნენ სამსახურში, ხოლო ოჯახში უყვარდეთ.

7949. ცოლი თავისი ქცევით უნდა ეცადოს, რომ ქმრის მაგივრად მეზობელი მამაკაცი არ შერჩეს ხელში.

7950. სიყვარულის ნაფლეთები რომ არ შერჩეს ხელში, წყვილმა ერთმანეთთან ურთიერთობა წინასწარ უნდა დაალაგოს და შემდგომ იფიქროს საერთო ჭაპანის გაწევაზე.

7951. ქალები შვილებს თავიანთ აზრებს, რწმენას, მსოფლმხედველობას უკეთ ახვევენ თავზე, ვიდრე მამაკაცები.

7952. უსაქმურობა რუტინის დედაა.

7953. ლამაზი და ხიბლიანი ქალის წინაშე თავის დაცვა თითქმის შეუძლებელია, რაც უნდა დიდ მოვალეობას გრძნობდე ოჯახისა და ნაშიერის წინაშე.

7954. მომხიბლავ ქალბატონებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში იშვიათად უმართლებთ, სამაგიეროდ, დიდი ასპარეზი აქვთ გადაშლილი საოჯახო და სიყვარულის ასპარეზზე.

7955. ქალის თანხმობა უფრო მამაკაცის მოხერხებულობისა და საღად განსჯის უნარის დამსახურებაა.

7956. ქალი, უნდა – არ უნდა, ოჯახის პრემიერ-მინისტრია თავისი ცოდნით, შეძენილი გამოცდილებით, ერთგულებით და სათნოებითაც.

7957. საყვარელი ქალის თანაგრძნობა მამაკაცისთვის მამოძრავებელ ძალად და გრძნობათა „პერპეტუუმ მობილედ“ გადაიქცევა.

7958. ცოლი თავისებურად ძვირად ღირებული აქსესუარია, რომელიც შექებას, ნერვების მოთოკვასა და ღიმილს მოითხოვს.

7959. ოჯახის შექმნა, შენარჩუნება უპირველესად ურთიერთობის დალაგებას მოითხოვს ცოლის თამადობით.

7960. სხეულის ენისა და ხმის ტემბრის ცოდნა აუცილებელია, რათა ერთმანეთს გაუგონოთ და მოუსმინოთ.

7961. ზოგჯერ ოჯახის შესაქმნელად არც დრო გვყოფნის და არც სურვილი გვეუფლება, რადგან დროულად მომწიფება გვიჭირს თანამედროვეობის შესატყვისად.

7962. ზოგი სადედმამამთილო სარძლოს ეძებს შვილისათვის, ზოგიც – სამზარეულოში თანამდგომს.

7963. ზოგჯერ საკუთარ ოჯახში წესრიგის დამყარება უფრო ძნელია, ვიდრე ქვეყანაში, რადგან აქაც სიმპათიები და ანტიპათიები ერევა საქმის კეთებაში, ხასიათის შერწყმაში, მოვალეობათა შეცნობაში.

7964. ქორწინება, ეტყობა, მაინც თავისებური სიკეთეა. სხვაგვარად დედამიწის მოსახლეობა საკმაოდ შემცირდებოდა.

7965. ზოგ ქალს ბრიყვი და შემძლე მეუღლე მოსწონს, ზოგსაც – ჭკვიანი და სახელდაგდებული, გააჩნია, ვინ ვისგან რას გამოელის თავისი მეობისა და მოთხოვნების შესატყვისად.

7966. ქალის განსწავლაში ბუნება ერევა, კაცის განათლებაში ახლობელთა რჩევა-დარიგება.

7967. ჭკვიანი ქალი ბუნების თავისებური გამოგონებაა და კიდევ უფრო დიდი გამოგონებაა მისი დამფასებელ-შემფასებელი მამაკაცი.

7968. ოჯახის სულიერება ქალია, თუ მამაკაცის გვერდში დგომას გრძნობს.

7969. ქორწინება უბრალოდ ფაქტია, სადაც წყვილი ურთიერთთანადგომას ეძებს და არა სამოთხეს.

7970. ადრე ქალები დიასახლისობაზე, კარგ დედობაზე ოცნებობდნენ, დღეს ოჯახის რჩენასა და ფულის შოვნაზე არიან ორიენტირებულნი და, რომელი რას სჯობს, დღესაც განსჯის საგნად რჩება.

7971. ქალის გრძელ ფეხებზე დამონტაჟებული მოხდენილი ტანი მამაკაცთა მხედველობის გართულებას იწვევს.

7972. ქალთან ჩხუბი და მისი ლანძღვა-გინება მამაკაცის უნიათობაზედ, უვარგისობაზე მიუთითებს.

7973. ქორწინებას უპირველესად, გონის მოხმობა, მომწიფება სჭირდება და არა სხეულისა და სულის მზადყოფნა.

7974. ქალის მოთხოვნათა დაკმაყოფილება მამაკაცის საქმეა, ყოველგვარი ვალდებულებების მანდილოსნისადმი დაუკისრებლად.

7975. ცოლი ყველა ამპლუაში გამოსადეგი და მისაღებია თანამეცხედრეობას გაგიწევთ, შვილების აღმზრდელი იქნება თუ სიბერეში შენი მომვლელი.

7976. საკუთარ სიბერეს ქალთან ურთიერთობა შეგახსენებს, თვალებში რომ ჩახედავ და საწოლში გვერდით უნადიმოდ მიუწვები.

7977. ფულის ქონას, შეიძლება, დიდი ბედნიერება არ მოაქვს, მაგრამ თავის შესაძლებლობებში გვარწმუნებს.

7978. ცოლთა უმთავრესი მოწოდებაა, მამაკაცს მუდმივად გაუგოს და თავადაც გაგებული იყოს.

7979. ცოლს სამი უმთავრესი რამ მოეთხოვება: საყვარლის სტატუსის მორგება, ცხოვრების თანამგზავრობის ცოდნა და მუდმივად თანადგომა.

7980. სულიერად მორჩილი და განსჯის უნარის მქონე მეუღლე ოჯახისთვის საერთო ბედნიერების მომტანია.

7981. ყველა ცოლი თავისი ბედის უკმაყოფილოა, განსაკუთრებით შუა ასაკში, როდესაც განსჯის უნარი საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის.

7982. გონიერი ქალები ქმარს გადაცდენებს არ ამჩნევენ, ცდილო-

ბენ აპატიონ, მაგრამ არა გეგმიურ სექსზე უარის თქმითა და თავის შეკავებით.

7983. უმთავრესად მამაკაცები ექცევიან ქვეყნის სათავეში მაშინ, როდესაც მათი ოჯახის განმკარგავად ქალი მოიაზრება.

7984. ოფიციალური დაოჯახება ქვეყნის წინაშე მოვალეობის მოხდაა.

7985. ქალისა და მამაკაცის დაქორწინება უფრო მეტად მორალის, ზნეობის, ტრადიციების, გვარის, შვილებისადმი დამოკიდებულების გამომხატველი აქტია, ვიდრე გარდაუვალი აუცილებლობა.

7986. ქალი, რომელიც გერებს თავისი შვილებისაგან არ ასხვავებს, ნამდვილი დედა და დედა ანგელოზია.

7987. მამაკაცის სიჯიუტე სასწაულებს ახდენს, ხოლო ქალის სიჯიუტე კი ოჯახსა და მის სიმყუდროვეს ანგრევს.

7988. ქალის აზრების მუდმივ ცვალბადობას შემწყნარებლურად ვუყურებთ, ხოლო მამაკაცის ასეთივე ქმედება ცოდვად აღიქმება.

7989. მამაკაცები ქალების მიმართ მსუნაგები არიან და ამას ცოლები ცუდ თვისებად მიიჩნევენ, მაგრამ არც უყურადღებო და დამჯდარი ჭკუის კაცები მოსწონთ.

7990. დღეს ქალ-ვაჟის ერთმანეთის სასიყვარულო ურთიერთობამ რეალური ყოფიდან ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა და ინტერნეტს ჩაბარდა.

7991. ცოლ-ქმარმა ერთმანეთს ყველაფერი უნდა გაუნაწილოს, მათ შორის, სასურველი რჩევებიც, მაგრამ ერთმანეთის ჭკუის დარიგებისას უნდა დაიცვას გენდერული თანასწორობა.

7992. გაბრაზებული მამაკაცი ყოველთვის ცდილობს უკან დასახევი გზა დაიტოვოს, ხოლო ქალი „ტარანზე“ მიდის.

7993. გასათხოვარი ქალი მომავლის ოცნებით არის აღსავსე, ხოლო კაცს მომავალი დიდად არ აწუხებს, სანამდის არ დაოჯახდება.

7994. ყველა ქალის ოცნებაა, ისეთ მამრს გაჰყვეს ცოლად, რომ ამ მამაკაცის ნაშოვნი ფულის ხარჯვა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ბოლომდის ვერ მოახერხოს.

7995. ქალს სიცოცხლის ბოლომდის ოჯახის უფროსად წარმოუდგენია თავი, მაგრამ ამ ილუზიას მას დაოჯახებულ შვილებზე ზრუნვა უფანტავს.

7996. ქალის ლოგიკა და მამაკაცის ხედვა ერთმანეთს ხშირად არ ემთხვევა, მაგრამ საერთო ენის გამონახვასა და კომპრომისის მოშველიებას მაინც ახერხებენ.

7997. წყვილის შეუღლება თავისებურად საკირკიტო საქმეა, მაგრამ აქ მთავარია მათი ურთიერთობა რუტინად არ იქცეს.

7998. ხასიათის სიმტკიცე ქალს ხშირად კაპას დედაკაცად წარმოა-

ჩენს, ხოლო მამაკაცს – პიროვნებად.

7999. ქალს მტკიცე ხასიათი, კაპრიზი დედაკაცად წარმოაჩენს, რაც საბოლოოდ ქალისა და კაცის უნარების გატოლებას ხელს უშლის.

8000. ზარმაცი და უნიათო ქალი ვერც საკუთარ თავს წაადგება, ვერც ოჯახს და სასიკეთოდ ვერც თავის მამაკაცს წარმოაჩენს.

8001. მეორე ნახევრის სიყვარულს ქალები თავიანთი თავის სიყვარულით გამოხატავენ და, თუ დასჭირდათ, ქმრის აუგსაც თამამად იტყვიან.

8002. ოჯახი: გამგები, მოყვასი და სწორად მოაზროვნე ადამიანთა გვერდით ყოლაა.

8003. ამბობენ, ყოველი სახის დაოჯახება შეცდომააო, მაგრამ ამ შეცდომის ჩაუდენლობას არავინ ცდილობს.

8004. ქალისა და კაცის სიყვარული, პირველ ყოვლისა, ვალდებულებაა გვარის, ერისა და სამშობლოს წინაშე. თავისებური დანაშაულია, თუ წყვილი გვარს მემკვიდრეს არ დაუტოვებს და სამშობლოს – ჯარისკაცს.

+8005. ქალი სიცოცხლის წყაროა, ხოლო მამაკაცი – ამ წყაროს აღმომჩენი.

8006. ბავშვის გაჩენისას უპირატესობა მამის სპერმას და მის გვარს ენიჭება, იმისდა მიუხედავად, რომ შვილი უდედოდ არ ჩნდება.

+8007. ქალს სულიერი უმანკოება ამშვენებს, მამაკაცს კი – შეჯერებული სიმამაცე.

8008. სიყვარულსაც მისთვის გასაგები ცხოვრებისეული გამოცდილება სჭირდება, რათა შექმნილმა ოჯახმა შემდგომში არ ივიშვიშოს.

8009. მამაკაცი უნდა ეცადოს, რომ ცოლი ნაწილობრივ მაინც იყოს მასზე დამოკიდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ოჯახი კი არ იქნებაა, არამედ – ოჯახუნა.

8010. ქორწინება – ეს არის სულიერების ხორციელ სიამოვნებაზე გავრცელებისას ოფიციალური თანხმობა.

8011. ცოლის მოყვანა გემოვნებისა და ვნების გაუფასურებას არ ნიშნავს, მაგრამ საკუთარი თავისთვის კონტროლის გაწევა უკვე სავალდებულოა.

8012. წყვილის ურთიერთმონატრება შემდგარი ცხოვრების მომასწავებელია.

8013. მამაკაცის სიქველესა და ქალის კდემამოსილებას უმთავრესად ადათ-წესების პატივისცემა გამოავლენს.

8014. ლამაზი ქალი კიდევ უფრო მომხიბვლელად გამოიყურება, თუ მას ღირსეული მამაკაცი უმშვენებს მხარს.

+8015. ცოტაოდენი სიყრუე, სიბრმავე, უყურადღებობა ზოგჯერ ძალზე რგებს მამაკაცის და ქალის ოჯახურ ურთიერთობას.

პოლიტიკა

8016. პოლიტიკოსს უნდა ახასიათებდეს სუბიექტური და პროვოკაციული აზროვნება, რათა ოპონენტებს აჯობოს, დღევანდელი მისი მხარდამჭერი ამომრჩეველი შეინარჩუნოს და ახალიც შეიმატოს.

8017. პოლიტიკაში ძირითადად მოდიან ტვინნაღრძობი უსაქმურები და თავსავარდნილი ნაბიჭვრები, რადგან სხვა სარფიანი საქმის გამონახვა მათ ვერ შეძლეს თავიანთი მწირი შესაძლებლობების გამო.

8018. პოლიტიკური კატასტროფების არიდებაც შესაძლებელია, თუ ქვეყნის სათავეში ხელისუფალი მოვა და არა ჩვეულებრივი მოკვდავი.

8019. ევნუხობს იმ ქვეყნის კონსტიტუცია, რომლის პრეზიდენტიც მხოლოდ წარმომადგენლობით ძალაუფლებას ფლობს.

8020. გულუბრყვილობა და პოლიტიკა შეუთავსებელი ცნებებია.

+8021. პოლიტიკაა ისიც, როცა პოლიტიკას ახლოს არ ეკარები, რადგან იცი, რომ ის წარმავალია, დროებითია, ბლეფია.

8022. კოჰაბიტაციის იძულებითი თანაცხოვრების მისაღწევად პოლიტიკაში უმთავრესია, რომელი პარტიის წარმომადგენელი იტყვის პირველად, შევცდი და „ქაქა ვჭამეო“.

8023. რევოლუციას, პირველ ყოვლისა, დაუსჯელობის გარანტია სჭირდება, შემდგომ – ხალხის ბედნიერებაზე ფიქრი და სულ ბოლოს საკუთარი თავის არდავიწყება.

8024. ჩანერგო, დანერგო, დარგო პოლიტიკაში, ეს შენს ჭკუაზე მყნობას მოითხოვს, იმისდა მიუხედავად, ვინაა ქვეყნის სათავეში.

8025. მორალურად გაფუჭებული, ოღონდ კარგი სასაქონლო სახის მქონე პოლიტიკოსი, ზოგჯერ ნდობას იმსახურებს.

8026. პოლიტიკაში პარტიებს შორის დაპირისპირება უნდა მოგვაგონებდეს ქართულ ანდაზას: „ბრიყვს ცოლ-ქმრის ჩხუბი მართალი ეგონაო“.

8027. ზოგჯერ პოლიტიკა ქვეყნის კონსტიტუციაზე, სამართლიანობასა და კანონზე მაღლა დგება, როცა ქვეყნისა და ხალხის ინტერესები მის აბსოლუტიზმს არ ემთხვევა.

8028. ზოგჯერ ხელისუფალი-პიროვნება უფრო მნიშვნელოვანია დამუნათებული საზოგადოებისთვის, ვიდრე სახელმწიფო ინსტიტუტები და ისტორიას ყოფის ეს ვარიანტი ხშირად შემოუთავაზებია ალექსანდრე მაკედონელიდან დაწყებული უგო ჩავესით დამთავრებული.

8029. პოლიტიკოსი ვალდებულია, თავისი საქმიანობა ყოველდღე გადაამოწმოს და თავის ნამოქმედარზე ან გაბრაზდეს, ან გაიხაროს; რაც შეეხება უღიმღამო დღეებს მის ცხოვრებაში, ძალზე მცირე უნდა იყოს.

8030. პოლიტიკოსსაც თავისი სუტენორები სჭირდება, რათა ამომრჩევლის გული მოუგოს, გააბრიყვოს, გადაიბიროს.

+8031. პოლიტიკა მოწინააღმდეგეზე ხელის შეწმენდაა მისივე თანხმობით.

8032. ყვავს ქვეყნის სათავეში არ ვირჩევთ, მისი დაჟინებული ჩხავილის მიუხედავად; ზოგი ვაი-პოლიტიკოსიც იმ ყვავსა ჰგავს, ამაო სიჯიუტით რომ ლამობს სათავეში მოხვედრას.

8033. პოლიტიკიდან ღირსეულად წასვლას აღზრდა, კულტურა და წელში გამართული საზოგადოება სჭირდება.

8034. რევოლუციას ბრბოდქცეულ ხალხზე სანადიროდ სჭირდება მონადირე. ძირითადად მას სათავეში უდგებიან ავანტურისტული ბუნების ნაძირალები, აუტისტები და საყველპუროდ ინფორმირებული დებილები.

8035. როცა პოლიტიკოსი კაცობაზე მწყრალადაა, ხოლო ხალხს აზროვნების უნარი დაკარგული აქვს, შედეგად მიიღება დღევანდელი კონსტიტუცია, არჩეული ბლუ ხელისუფალი და „მასმედიის“ უაზრო ჯირითი.

8036. პოლიტიკა კი არ გვაკარგვინებს მეგობრებს, არამედ ჯიუტი და შეურიგებელი აზროვნება, რომელიც კოჰაბიტაციისგან შორსა დგას.

8037. პოლიტიკა მადლობის თქმით და ოცნების მოშველიებით ვერ გაგვაბედნიერებს, რადგან პოლიტიკისათვის უმთავრესი მოსახლეობის დასაქმება და გონივრული გადასახადების აკრეფაა.

8038. წამსვლელი ხელისუფლება დამრჩენს ხშირად მუშტის მოღერებით ტოვებს.

8039. ყველა პოლიტიკოსს ხალხის ეშინია და ამიტომაცაა, რომ ხშირად მას საეჭვო დაპირებით ემლიქვნელება.

8040. კანონისა და კანონიერების გაუფასურებას და მათს უსარგებლო ნივთად გადაქცევას ზოგი პოლიტიკოსი დიქტატის მოშველიებით ახერხებს და ეს კარგადაც გამოსდის.

+8041. ოპოზიცია დაფინანსებული ამბიციების კარიკატურაა.

8042. ავტორიტარიზმი და ტოტალიტარიზმი, როგორც ქვეყნის მმართველების რეჟიმი, ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ ოპოზიციას ორივე ერთნაირად ებრძვის.

8043. ჩამკვდარ ოპოზიციას განგების მიერ მოვლენილი ლიდერი სჭირდება, რომ გამოცოცხლდეს და ამ ლიდერის ხელმძღვანელობით ქვეყანას სათავეში მოექცეს.

8044. პოლიტიკოსი ყველაზე მეტად განიცდის შექმნილ გარემოებას, როდესაც ამომრჩეველს გადამეტებული მოთხოვნების გამო ბიშტი უნდა უჩვენოს.

8045. დემოკრატიაა, როდესაც შვილს ჭადრაკს ეთამაშები და, თუ დამარცხდები, გული დიდად არ გწყდება, რადგან პატრიოტი ხარ და მჯობნის მჯობნის გამოჩენა გულს გიხარებს.

8046. ამომრჩეველი ფაქტობრივად დაპირებებს ირჩევს და არა პიროვნებას, რომელსაც შეიძლება ენდოს და ქვეყანაც ანდოს.

8047. პოლიტიკა ქვეყნის შესაძლებლობების წარმოჩენაზე უფრო ზემოქმედებს, ვიდრე ხალხის გონიერებაზე, რომელიც ყოველივეს თავისი სარგებლის გადასახედიდან ხედავს.

8048. ოპოზიციაში ყოფნას რა სჯობს: სერიოზული ვალდებულებებით ხელ-ფეხი შეკრული არ გაქვს და ყველას ჭკუას ასწავლი.

8049. პოლიტიკა ვერასოდეს ისე ვერ მართავს ქვეყანას, რომ ხალხს შეთხზული კეთილდღეობის „საქალწულე“ აპკი არ დაუზიანდეს.

8050. შეუძლებელია, ყველა მოგწონდეს, ყველა გიყვარდეს, მაგრამ პოლიტიკოსისთვის ამ როლის კარგად შესრულება სავალდებულია.

8051. ყველა პოლიტიკოსი თავისი დროის მარიონეტია, ერთეულ გამონაკლისთა გარდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბედი გვერდზე უდგას.

+8052. პოლიტიკა, მეძავი და ქურდი კანონს ცნობენ, მაგრამ მასთან შეხვედრას ერიდებიან.

8053. დიქტატურა ხშირად საქმიან კრიტიკასა და განსჯას აკრძალვებით ეწინააღმდეგება. ეს ნაღდი შემოქმედების წარმოჩენას მანამ აყოვნებს, სანამ უღირსი შემოქმედება „ხარაკირს“ ჩაიტარებდეს.

8054. პოლიტიკაში ორპირობისა და პირმოთნეობის მოუმარჯვებლად არაფერი გამოვა და ვერც ამომრჩევლის ერთგულებას შეინარჩუნებ, რადგან თავად დრო და ხალხის ბუნებაა ფარისევლური და თვალთმაქცი.

8055. პოლიტიკოსის წინასწარმეტყველება ლატარიაა. მით უფრო, თუ მას განსჯა არ ეხერხება.

8056. პოლიტიკაში ქალები უფრო სანდომიანი და ერთგულები არიან, ვიდრე მამაკაცები.

8057. პოლიტიკა უმთავრესად შულერის მიერ კარტის აჩეხვასა და ამის შედეგად ჩაწყობილ თამაშსა ჰგავს და არავითარ შენდობას.

8058. ქვეყნის შესაძლებლობებს პოლიტიკა ბადებს, ეკონომიკა კი ზრდის.

8059. პოლიტიკოსის უმთავრესი დანიშნულებაა, ხალხს ბრბოდ გადაქცევის უფლება არ მისცეს და ამისათვის ყოველი ღონე იხმაროს, მიუხედევად იმისა, რომ ეს გზა საბოლოოდ მისთვის წამგებიანია.

8060. პოლიტიკა მარად იყო და დარჩება პირადი „მეს“ წარმოჩენის მცდელობად, ოღონდ ეს „გამართლებულია“ ქვეყანასა და ხალხზე ზრუნვის იდეით.

8061. ძველი პოლიტიკის მეტასტაზები ახალს ხშირად კინჩხს ატეხინებს.

8062. პოლიტიკური ყბედობა ბევრს შეუძლია, მაგრამ ჭკუის მოხმობით ქვეყნის გონივრულად მართვის ნიჭი ერთეულ გამონაკლისთა

ხვედრია.

8063. პოლიტიკა ძირითადად დემაგოგიაზე, ფარისევლობაზეა აგებული და, ვინც ამას დროულად თავს აღწევს, ის ქვეყნის სასარგებლო ადამიანად და გამოჩენილ პიროვნებად გადაიქცევა.

8064. პოლიტიკა სავსეა მოულოდნელობით, ლანძღვა-გინებით, უხერხულობებით და, როდესაც გაიმარჯვებ, ფიქრობ: ღირდა კი ყოველივე ეს ამის ფასად, მით უმეტეს, თუ ნაღვაწს სიცოცხლეში არ დაგიფასებენ.

8065. ზოგ ძალად მაცხონე პოლიტიკოსს იმდენად უგუნური და აკვიატებული მიდრეკილება აქვს სხვადასხვა რევოლუციისაკენ, რომ მისი ფსიქიკურად დაავადებულთა საავადმყოფოში მოთავსებაც კი საშიშია, რათა იქაც ბუნტი არ გამოიწვიოს და გიჟები კიდევ უფრო არ გადარიოს.

8066. კვერცხის გაუტეხავად ტაფამწვარი არ კეთდება, მაგრამ პოლიტიკოსები მაინც ცდილობენ ტაფამწვარი ისე მოიმზადონ, კვერცხის გატეხაზე არ გაისარჯონ.

8067. ბევრი დეპუტატის ოცნებაა, მიიღოს ხელშეუხებლობის პასპორტი სიბრიყვის ჩასადენად.

8068. დღეს გაიძვერობაც „ბაირამობს“ დემოკრატიისა და საყოველთაო არჩევნების ნიღბით.

8069. უაზრო პოლიტიკის უბედურება ისაა, რომ ადამიანებს იმ ბარიკადებზე უხმობს, რომლებიც არც ერს და არც ქვეყნის განვითარებას არ გამოადგება.

8070. მეგობრობასა და პოლიტიკას შორის ის სხვაობაა, რომ პოლიტიკამ შეიძლება ისეთ ხალხთან დაგაახლოვოს, რომელთაც პოლიტიკასთან ახლო მდომ ადამიანებადაც კი არ ჩავთვლიდით.

8071. ზოგჯერ პოლიტიკა ისეთ ქიმიურ რეაქციებს იძლევა, რომელთაც წინასწარ ვერასოდეს განსაზღვრავდით და განსჯიდით.

8072. რაოდენობა თუ ხარისხი? ამის განსჯა განსაკუთრებით პოლიტიკაშია ძნელი, რადგან პირველი ირჯება, მეორე კი საკითხსა წყვეტს.

8073. რევოლუცია ფსევდოუფლებადამცველებს ამრავლებს, ალაღებს და ამიტომაც ყველაზე მეტად მას უნდა ვუფრთხილდეთ.

8074. ყველა სახელმწიფო წყობა სირცხვილის პარამეტრებით უნდა იმართებოდეს, თუ გვინდა ხელისუფლებამ კრახი არ განიცადოს.

+8075. მლიქვნელობას თუ გამორიცხავთ, პოლიტიკაში სიყვარული გამორიცხულია.

8076. ცოდვის, უცოდველობის, უმეცრების კალოს ლეწვა პოლიტიკაში მეტ-ნაკლები წარმატებით ყველა ხელისუფალს უხდება.

8077. საშინელებაა, როდესაც ქვეყნის პოლიტიკოსს ცრუ კერ-

პებთან აიგივებენ, რადგან ამას ბოლოს სავალალო შედეგი მოაქვს.

8078. ბევრი ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ პოლიტიკოსები ერთმანეთის გვერდით ვერ ძოვენ, მიუხედავად იმისა, რომ დროის ერთ ქვაბში იხარშებიან.

8079. პოლიტიკოსები ათას ხრიკზე მიდიან სკამის მოსაპოვებლად, შესანარჩუნებლად, მაგრამ ხალხიც დროულად უნდა გამოფხიზლდეს, რათა განტევების ვაცის როლში არ მოგვევლინოს.

8080. ყველა ვიგინდარა პოლიტიკოსი ხალხის გზის გაყალბებას ცდილობს, საკუთარ სამსახურს პირში გვაჩრის და თანამდებობის შენარჩუნებას ცდილობს.

8081. პოლიტიკაში ბევრი სარეველა მოდის და მრავლდება. თუ მათ დროულად არ გამოვხშირავთ, შედეგს ვერ მივიღებთ და ქვეყანა მუდამ მაჩანჩალად დარჩება.

+8082. კაცობრიობა მარად განვითარების პოლიტიკური პირღებინების პროცესშია, იმისდა მიუხედავად, მის მკურნალობას ბევრ დროს ვანდომებთ თუ არა.

8083. „მიზანი ამართლებს საშუალებას“ – ნიკოლო მაკიაველისათვის მიწერილი ეს დებულება ყოველთვის იყო და მარად დარჩება პოლიტიკაში, რადგან ხშირად საქმე ეხება სახელმწიფოებრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხს, მის მომავალს და არა კარგად ყოფნის სურვილით აღვსილ დღევანდელ მთავრობას, რომელიც ყველაფერზე მიდის, ოღონდ თანამდებობა შეინარჩუნოს.

8084. დღეს მსოფლიო ისე აჭრელდა სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობით და ტერორიზმით, რომ მეორე ლოყის მიშვერა შენი გამნაწყენებლისთვის დანაშაულია საკუთარი თავისა და ხალხის წინაშე, სანამ ნაოცნებარი იდეალების და დემოკრატიული მიზნების მიმდევარი სახელმწიფოები არ ჩამოყალიბდებიან ჩვენს პლანეტაზე.

8085. შიში თავისებური ხარკია მოვალეობის, დროის, ყოფისა და ქვეყანაში არსებული პოლიტიკის წინაშე.

8086. პოლიტიკაში, მმართველობაში პირველი პირის მიერ სტანდარტების შექმნა არც ამართლებს და დაუშვებელია – ხალხსა ჰგონია, რომ მის ინტერესებს უხეშად შეეხნენ.

8087. თვითკმაყოფილი სახის ქონა პოლიტიკაში იმის ნიშანია, რომ იწყება ქვეყნის მმართველობაში შეცდომების სერია.

8088. პოლიტიკოსი უნდა ცდილობდეს, თავისი გადაწყვეტილებები სამაყროს წინსვლის კანონებს მოარგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დამარცხებისთვის არის განწირული.

8089. საეჭვო რევოლუციებს, ფსევდო ეროვნულობისთვის ბრძოლას არაკომპეტენტური და ყველაფრის მკისრებელი ხალხი მოჰყავს სახელმწიფოს სათავეში. ისინი მმართველობის უცოდინარობის გამო

ყველაფერზე მიდიან და თავს კონტროლს ვერ უწევენ. სწორედ ესაა მათი უდიდესი ნაკლი.

8090. პოლიტიკაში სამყაროს ძირძველი კანონების დამრღვევი დაუსჯელად ვერ გადარჩება.

8091. პოლიტიკა, გვინდა – არ გვინდა, თავისი შესაძლებლობებისამებრ რყვნის ქვეყანას და ხალხს საკუთარ სიწმინდეზე ეღადავება.

8092. პოლიტიკოსად თავის წარმოდგენა ადვილია, პოლიტიკოსად ჩამოყალიბება და გონივრულად ქვეყნის მართვა – ძნელი.

8093. ადამიანი, რომელსაც სერიოზული ვალდებულებები არა აქვს ქვეყნის, საზოგადოებისა და ოჯახის წინაშე, პოლიტიკას ახლოსაც არ უნდა გავაკაროთ.

8094. დემოკრატიაც თავისებური ყოფიერების ცირკია, ოღონდ გააჩნია, ვინ დგას ქვეყნის სამართავ პულტთან.

8095. ვაი-პოლიტიკოსთა მიერ შემოთავაზებული დემოკრატიული ონანიზმი თავისუფლება ნუ გეგონებათ.

8096. პოლიტიკისთვის უმთავრესია ალღო, გონიერება, უმრავლესობისთვის მისაღები სიახლის შემოთავაზება და შემდგომ ამომრჩევლისათვის ნიშნის მოგება იმ დამცირებისათვის, რომ აქამდე ვერ ამჩნევდნენ და მხარს არ უჭერდნენ.

8097. ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლა იმ გამოცდილ ლიდერს უნდა ვანდოთ, რომელიც ხალხის ბედსა და ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობას წინასწარ აიღებს.

8098. პოლიტიკაში ზოგჯერ განათლებული პედანტი მოდის, ზოგჯერ – ამბიციების მქონე ვიგინდარა. პირველი მოგვაგონებს იმ ასოკირკიტა კუპირებული ვაგონის მგზავრს, რომელმაც ცარიელ ვაგონში ზედა ადგილი ქვედა ადგილში ვერავის გაუცვალა და ამგვარად წამოკოტრიალებულმა იმგზავრა; მეორე – იმ ამბიციების მქონე სულელს, რომელიც ნატრობს, „ერთი ჭიჭიკიას ცოლი მომცა და ბიჭიკიას ფალოსი, მაშინ უნდა ნახოთ, რასა ვიზამო?!“

8099. თავიანთ საქმიანობაში პოლიტიკოსები ხშირად ღიმილს აბანდებენ და არა თავიანი შესაძლებლობებს.

8100. პოლიტიკოსს ბევრ რამ ეპატიება, რადგან ის შედეგზე აგებს პასუხს და არა პროცესზე. შედეგამდე კი ყოველთვის დიდი დროა.

8101. პოლიტიკურ ოპონენტობას ნაძირალები იჩემებენ, რადგან თვალებში გაყრილ „მახათს“ ვერ ამჩნევენ, ხოლო თავიანთი ინტერესების გულისთვის ნემსის ყუნწში ძვრებიან.

8102. ზოგჯერ საკუთარი პრობლემების დადგენა საშუალებას იძლევა, სწორ გზას დაადგეთ.

8103. არჩევნებში მთავარი გამარჯვებაა, ხოლო საამისოდ უნდა იცოდე ამომრჩევლის ბუნება, უფრო ის თუ რა იმედს ამყარებს შენზე.

8104. პირველია ქვეყნის ინტერესები, მეორეა პიროვნების, ხალხისა, მაგრამ ცბიერი პოლიტიკოსი მხარის დამჭერთა მოსაღორებლად ხალხზე მსჯელობს.

+8105. ქვეყნის კონსტიტუცია მსუბუქი ყოფაქცევის ქალს არ უნდა დავამსგავსოთ, დეპუტატების გაუხედნავი ჭკუისა და სურვილების შესატყვისად არ უნდა ვცვალოთ. მისი ჩასწორება საუკუნეში ერთხელ ან ორჯერ რეფერენდუმმა უნდა გადაწყვიტოს.

8106. პოლიტიკა შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა პროცესების ყურით მოთრევაზე.

8107. კულტურის კატასტროფა მაშინ იწყება, როდესაც პოლიტიკანები მომრავლდებიან და ყველა ხელის მოთბობას ცდილობს.

8108. ღარიბი და ამბიციური ბრიყვი ყველაზე ადვილად წამოსაგებია პოლიტიკური უგუნურების შამფურზე.

8109. კონსტიტუციის უპირველესი დანიშნულებაა ქვეყნის ერთ სხეულად შედუღაბება, მოსახლეობის გამოფხიზლება და დარაზმვა საქვეყნო მიზნების გადასაჭრელად.

8110. პოლიტიკა მარად შემთხვევაზე, დროზე, პიროვნების რაობაზეა დამოკიდებული და მას მეცნიერებად ვერ მივიჩნევთ, რაკიღა ბედის განსაზღვრა-შეფასების უნარი მას არ აქვს.

8111. პოლიტიკა, უნდა – არ უნდა, მარად მატერიალიზმს უფათურებს ხელს და ცნობიერებას რყვნის.

8112. ხალხის წინაშე დამნაშავეა არა დრო, არამედ ხელისუფალი, რომელიც თავისი „მოღვაწეობით“ საკუთარ ერს პოლიტიკურად აუპატიურებს, სულიერად აბეჩავებს, მატერიალურად ხელგაწვდილს ტოვებს. სამწუხარო კი ისაა, რომ მომდევნო თაობები ამ ისტორიულ გამოცდილებას არად აგდებენ.

8113. დღეს პოლიტიკაში მოძვრებიან ტვინის დასაბანდებლად გამზადებული, პატრიოტიზმით შემთხვევით დაფეხმძიმებული, ბუნებით მეძავი აუტისტი პირნი, რომლებსაც პრაქტიკული გამოცდილება და პასუხისმგებლობის გრძნობა არ აქვთ.

8114. ყველა პოლიტიკოსი მეტ-ნაკლებად თავისებური „ნარკომანია“, იმის მიუხედავად, ნიჭიერია თუ არა.

8115. მყარად დალაგებული წესების ნგრევა საშინელებაა, მაგრამ პოლიტიკაში ზოგჯერ ეს აუცილებელია, რათა წინსვლის ინერცია არ შენელდეს.

8116. პოლიტიკა მოცდას ვერ იტანს, მაგრამ არც ზედმეტად აჩქარება იძლევა სასურველ შედეგს, რადგან მოსახლეობა სიახლეს ფეხს დროულად ვერ უწყობს.

8117. ბოროტება-სიკეთე, პატიოსნება-უპატიოსნება მარადიული ალგორითმია პოლიტიკურად აჭრილ ქვეყანაში. ეს დაპირისპირება სია-

ვის სასარგებლო ხდება.

8118. პარლამენტის დეპუტატობა ნებაყოფლობითი სასჯელია, ესე იგი, ეს გახლავთ კარგი სურვილები, სათუო შედეგები და იმედის გაცრუება.

8119. პოლიტიკა თვითშემოქმედებას ვერ იტანს, რადგან თვითშემოქმედება ემოციაზეა დამყარებული.

8120. გონიერი პოლიტიკოსი თავის პარტიას „სამარეში არ ჩაჰყვება“, რადგან პარტია რაკეტის პირველი საფეხურია, რომელიც მალე უნდა ჩამოვარდეს.

8121. პოლიტიკა თავისებური ვირუსია, რომელიც ზოგჯერ ჟამიანობის მსგავს ომს იწვევს.

8122. სუდარაგადაფარებული ქვეყანა ნიჭიერმა, დიქტატორული ბუნების მქონე პოლიტიკოსმა უნდა გადაიბაროს, რომელიც მკაცრ პოლიტიკას გაატარებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის ფეხზე დაყენება ძნელია.

8123. პოლიტიკოსია ის, ვინც სახელმწიფოს, ხალხსა და პირად ინტერესებს ერთმანეთს ისე უხამებს, რომ მას წასვლის შემდგომ პატივითა და სიყვარულით იხსენებენ.

8124. პოლიტიკა თავისებური თეატრია, რადგან ქვეყანაში სხვადასხვა წარმოდგენას დგამენ.

8125. „ხიშტების ფილოსოფია“ ყველა ოპოზიციას ახასიათებს, რადგან ქვეყნის სათავეში ხელისუფლის მოსვლის შემდგომ მისთვის გასაგები რევოლუციური იდეალების გატარებას ცდილობს.

8126. დიქტატურა არჩევანს ცრუ დემოკრატიის მეშვეობით აკეთებს.

8127. პოლიტიკა მარადიული დაპირისპირებაა საკუთარი და სახალხო ინტერესებისა.

8128. გვინდა – არ გვინდა, რევოლუციები ნაძირლების აუმოძრავებლად არ ხორციელდება.

8129. ეს სამყარო დაუნდობელი და „ჭკუანაღრძობი“ ხალხის შექმნილია. ვისაც თოხის ბაყუნი არ „ევასება“, ხოლო, ვისაც ხალხზე ზრუნვა მოსწონს, თავისი თავის სასარგებლოდ ის პოლიტიკაში მიძვრება.

8130. პოლიტიკაში ყოველი ახალი ძველის შვილობილია. ის წარმოდგენითი სიახლეების მიგნებით არის გატაცებული, სინამდვილეში კი ფერუმარილიან ძველ ვარიანტებს გვთავაზობს.

8131. პოლიტიკა თავისებური მრწამსია. ის საკუთარი მეობის წინაშე ვალის მოხდა უნდა იყოს და არა ხელისუფლებაში გამორჩენის მიზნით მოხვედრა.

8132. თეორიულად ერის ფასეულობათა დროებითი დათმობაც კი მიუღებელია, მაგრამ დროისა და პოლიტიკური გარემოს წინასწარ გათ-

ვლა ძნელია. ამიტომ ზოგჯერ აუცილებელია კომპრომისებზე წასვლა.

8133. ადამიანი, რომელსაც არჩევნებში თავისი აზრის აშკარად დაფიქსირებისა ეშინია, ბუნებით ლაჩარია, „ტრაკია“. ამის გამო ეს უკანასკნელნი არჩევნებს ახლოსაც არ უნდა გავაკაროთ.

8134. სამწუხაროდ გოიმების დოღი პოლიტიკაში არც შემწყდარა და არც შეწყდება, სანამდის იარსებებს შური, ფული, კარიერა და მჯობნის მჯობნის მჯობნელობა.

8135. არცერთი ძლიერი ქვეყანა ძალის ჩვენებას არ ერიდებოდა და არც მოერიდება. ამიტომაცაა მცირე ქვეყნებისთვის საჭირო ნეიტრალიტეტის დაცვა.

8136. პოლიტიკურად გამართლებულ არასასურველ ქმედებას მომავალი თაობა არ განსჯის და შემწყნარებლურად აღიქვამს.

8137. პოლიტიკაში თუ დრომ და გარემო პირობებმა მხარი არ დაგიჭირეს, ნიჭი და უნარი ვერას იქმს.

8138. უკონტროლო თავისუფლება ხშირად ძალადობასა და უზნეობას წარმოშობს.

8139. პოლიტიკა გარემოს შესატყვისი „მომენტების“ დაჭერაა გონის მოხმობით, დროის შერჩევითა და დროულად ჩასაფრებით.

8140. უვიცობის შედეგია, ქვეყანას რომ ანგრევს, სამშობლოს გვიკარგავს და ეროვნულობას აკნინებს.

8141. პოლიტიკა ადამიანებს უფრო ყოფს და აპირისპირებს, ვიდრე ამეგობრებს და აერთიანებს.

8142. დემოკრატია ნაღების მოხდის შემდეგ დარჩენილი დოა, ხოლო თავისუფლება – ყველის ამოყვანის შედეგად დარჩენილი შრატი.

8143. დიპლომატია თავშეკავებისა და კომპრომისის ხელოვნებაა.

8144. პოლიტიკა ვირეშმაკული ხელოვნებაა და ვირიშვილების საჯიჯგნია.

8145. პოლიტიკა – ეს ვირეშმაკების ხელოვნებაა, სადაც ხალხი ანტურაჟისა და ფონის შემქმნელია.

+8146. ომს პოლიტიკოსები იწყებენ და სარდლები აგებენ.

+8147. პოლიტიკოსს ბევრად უფრო მეტი თანამგზავრი ჰყავს, ვიდრე თანამდგომი და თანამოაზრე.

8148. ხშირად ამომრჩეველი თავისი არჩევანით საკუთარ თავს „ხარაკირს“ უკეთებს.

8149. პოლიტიკა თეორიულად პროსტიტუტკებს ვერ იტანს, მაგრამ პრაქტიკულად თვითონვეა პროსტიტუტკების გამომჩეკელი.

8150. რიტორიკის „კლაპანი“ ყველა პოლიტიკოსს მოშლილი აქვს და ხშირად დუჟიც მოსდის, განსაკუთრებით – არჩევნების დროს.

8151. პოლიტიკაში ერთი და იგივე შესაძლებელიცაა და შეუძლებელიც. ეს დროის ამბავია.

+8152. პოლიტიკოსს მარად ერთი უცვლელი არჩევანი აქვს: უპატრონოს ქვეყანას მთლიანად და შემდგომ – ხალხს. მაშასადამე, არჩევანიც არა ჰქონია.

8153. პოლიტიკას აზროვნების, განსჯის უფლება სიახლის შეცნობის, უნარის გამოვლენის შესატყვისად უნდა მივცეთ და არა ყველა შემთხვევაში.

8154. ზოგჯერ ისეთი ნაძირალა წამოსკუპდება ხელისუფლების სკამზე, გაოცებას გაოცებებით არ გვაკლებს.

8155. პოლიტიკა მუდმივი ბრძოლაა შენი რწმენისა და იდეალების წარმოსაჩენად, რომელსაც ბოლომდის თავადაც არ ენდომებით.

8156. პოლიტიკური შეცდომები იწვევს სიცოცხლის უაზროდ ხელყოფას, ტერიტორიების დაკარგვასა და თაობების რევანშისთვის მზადებას.

8157. ადამიანურ ყოფიერებას პლუსით ახალისებს და მინუსი ანაღვლიანებს.

+8158. უმუშევარს დაასაქმებ, ჩააბარებ წარმოებას, ფულს აშოვნინებ და „ტრაკის თამაშსაც“ დაგიწყებს. ასევეა ხალხი: გამოახედებ თვალებში, შექმნი ქვეყნისათვის საჭირბოროტო ინსტიტუციებს და შედეგად უმადურობას, საყვედურს, ჭკუის სწავლებას იმკი, რადგან მათ, თურმე, მეტი უნდათ და ისიც მათთვის პრესტიჟული დასაქმებით. ამიტომაცაა ნათქვამი: „ხალხს ჩვენი მტერი ენდოო“. ამის გამო ხალხი დიქტატით უნდა მართო გარკვეულ პერიოდამდე და დროულად აითესო (გადადგე), რათა რამდენიმე წლის შემდგომ მოენატროთ, წარსულში ნაღვაწი დაგიფასონ და ქედმოხრილებმა უკან დაბრუნება გთხოვონ.

8159. ვერ ვიტან ნაძირალა დემოკრატებს, რომლებიც ისტორიის გამოცდილებას უგულებელყოფენ და თავის წარმოჩენის მიზნით დემოკრატიის სახელით ყოველ უგვანობაზე მიდიან.

8160. დემოკრატიას იმდენი ამოუხსნელ-განსასჯელი ალგორითმი ახლავს პოლიტიკაში, რომ ხშირად უიმისოდ ცხოვრება უფრო მომგებიანია.

8161. მშიერი ავტორიტარიზმის „ფუნდამენტზე“ რაელური პოლიტიკა არ აშენდება.

8162. ცუდია, როდესაც პოლიტიკოსი წარსულ დროს ალღოს ვერ უღებს და აწმყოში „ფლიუგერობს“ – პოლიტიკურ პროსტიტუციას ეწევა – და მარიაჟობს.

8163. პოლიტიკა თავისებური სექსია, ვნებისა და ჟინის დაკმაყოფილებაა, სადაც ჭკუის მოხმობაზე არავინ ფიქრობს.

8164. ხელისუფალი თავისი მმართველობის ჟამს რომ დამოუკიდებლობისა და ნაციონალიზმის სტატუსს წინ წამოწევს, აშკარაა: მის პოლიტიკურ ეკონომიას რაღაც ისეთი უჭირს, რომელსაც აშკარად

ვერ ამხელს და ეროვნულობის სათუთ გრძნობებს „განტევების ვაცად“ იყენებს.

8165. პოლიტიკას ბევრი რამ ეწირება, მაგრამ ის მაინც ერთობ მიმზიდველია და ბევრი ვიგინდარა მზადაა, მის სათუო პერსპექტივას თავი შესწიროს.

8166. კაცობასა და პოლიტიკოსობას შორის დიდი სხვაობაა: ის, რაც პირველს არ ეპატიება, მეორეს ეპატიება. ამიტომ ეს უკანასკნელი შედეგს აღწევს და ისტორიაში სახელსაც იმკვიდრებს.

8167. პოლიტიკაში ვერცერთმა დამარცხებამ ვითომდა გამარჯვების მცოდნე ავანტურისტს ჭკუა ვერ ასწავლა.

8168. პოლიტიკას განგების გამოგზავნილი ერთეული გადამთიელები ქმნიან (აიჩაო, კუნძული კორსიკა – ნაპოლეონ I, ბრაუნაოდან, ავსტრია – ჰიტლერი და გორიდან, საქართველო – სტალინი) და არა ხალხები.

8169. სხვის საქმეში ცხვირის ჩასაყოფად ყოველი პოლიტიკოსი დილეტანტი მზად არის.

8170. პოლიტიკური მოღვაწეობა რომ დაიწყო, საამისოდ საკმარისია, რომელიღაც სულელურ გაერთიანებას უხელმძღვანელო და პროტესტის გამოხატვა შეეძლოს.

8171. პოლიტიკურ სითამამეს ზოგჯერ პოლიტიკოსთა „მორცხვობა“ ცვლის დროის, გარემოსა და ამომრჩევლის ხუშტურების შესატყვისად.

8172. დინების საწინააღმდეგოდ სიარული უპირველესად საკუთარი მეობის წარმოჩენის სურვილის შედეგია.

8173. „საღეჭი“ ტვინი პოლიტიკოსისათვის აუცილებელია, იმისდა მიუხედავად, მართლა გამოადგება მას ეს რეალობაში თუ არა.

8174. მე ვერ ვცემ პატივს იმ ხალხს, ვინც სოიოს ნაწარმს ნაღდი ხორცისგან ვერ არჩევს და მოხარშულ ძეხვს – თევზის ფილესაგან. ასევეა პოლიტიკაშიც: ბევრი, საქმის კაცს უსაქმურისაგან ვერ არჩევს და ხელისუფლებისთვის დაბადებულს – ნაძირლისაგან.

8175. სამწუხაროდ, ჩვენთან ისე უაზროდ ურთიერთდაპირისპირებული და „გაზულუქებული“ პოლიტიკური პარტიები ჩამოყალიბდნენ, რომ წარმატებას ვერასოდეს მიაღწევენ.

8176. ყველა პოლიტიკა, წარმატების შემთხვევაშიაც კი, მოსაბეზრებელია, რადგან სულ საკუთარი იმიჯის შენარჩუნებაზე უნდა იღვაწო.

8177. ზოგიერთ პოლიტიკოსს სათავისოდ ისეთი მახსოვრობა აქვს, რომ სიბერით გამოწვეულ სკლეროზსა და ამნეზიას ახლოსაც არ იკარებს.

8178. პოლიტიკური მოღვაწეობა ნიჭთან ერთად კვლევა-ძიებას მოითხოვს, ზუსტი და სხარტი ფორმულა-თეორების შექმნას გულისხ-

მობს. ისინი მთლიანად მორგებული უნდა იყოს ხალხზე, დროის მოთხოვნასა და საზოგადოებრივ კანონზომიერებაზე.

8179. მოძალებულ „გრძნობების სახრჩობელას“ უნდა ვერიდოთ და პოლიტიკას ახლოს არ გავაკაროთ ის ანარქია, რომელიც გონიერება-მოხერხების ნაზავს გულისხმობს.

8180. საკმარისზე მეტი სალაფავი მუცლის ამოსაყორად თუ მოჭარბებული იდეოლოგია გონიერების დასაბინდავად – რა სჯობს პოლიტიკაში, ძნელი სათქმელია, მაგრამ მუდამ და ერთი და იგივე მოსაბეზრებელია.

8181. ზოგი პოლიტიკოსი, იმის მაგიერ, რომ ხვალინდელ დღეზე ფიქრობდეს, გუშინდელი დღით ცხოვრობს და მასზე ამყარებს იმედს.

8182. კულტურული რევოლუცია შეუთავსებელია ეკონომიკასთან პოლიტიკის ლიბერალიზაციის მიუღწევლად, მით უფრო, თუ შიგადაშიგ დიქტატის მოშველიებაც ხდება საჭირო.

8183. პოლიტიკის დანიშნულებაა, მტერი მოყვრად აქციოს, ხოლო მოყვარე არ გაანაწყენოს, შეინარჩინოს და მტრად არ მოიკიდოს.

8184. პოლიტიკურ ლობირებას პირზე ხელის აფარებით ვერ შეაჩერებთ: ან დაგახრჩობთ, ან ყველა მას აუბამს მხარს.

+8185. პოლიტიკოსის სავარძელს ერთი ფეხი მოტეხილი თუ არა, მორყეული მაინც აქვს.

8186. პოლიტიკის ყველაზე კარგი ამჟღერებელი შემოქმედებითი ნიჭის მქონე ქვეყნის პირველი პირია, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ მას ეკითხებიან და უსმენენ.

8187. ხალხს პოლიტიკოსს არავინ შეურჩევს, თვითონვე უნდა მოერგოს მას და თანდათან თავის ჭკუაზე ატაროს.

8188. დემოკრატია პოლიტიკური უგუნურების წარმომჩენია, რომელიც ცრუ იდეალების თაყვანის უფლებას გვაძლევს და ამ უფლებას გარდაუვალობა კარგად იყენებს.

8189. პოლიტიკოსია ის, ვინც ბუნებით დიდი ნაძირალაა, ოღონდ ზეგარდმო ნიჭით არის მომადლებული.

8190. დეპუტატები ხშირად იძულებული არიან, დაპირებათა „ონანიზმით“ იღვაწონ, რადგან რეალურის შემოთავაზება არ შეუძლიათ. ხალხიც ხვდება ამას და მათ „მზრუნველობას“ მხარს არ უბამს.

8191. პოლიტიკაში მთავარია შენი ქმედების შემდგომ რა კეთდება უკეთ და არა ის, რეიტინგს როგორ აიმაღლებ.

8192. უამრავი უსაქმური, მერყევი, ყბედი, ნაძირალა აუტისტია პოლიტიკას ამოფარებული და საზოგადოება მათ რატომღაც მუქთად არჩენს და, თუ რა დამსახურებისთვის, ორივე მხარისთვის გაუგებარია.

8193. ტერორიზმი, გვინდა – არ გვინდა, თავისებური პოლიტიკაა, რომელსაც თავისი შედეგები მოჰყვება.

8194. პოლიტიკაში გააზრებული ამბიციებიც არ ემორჩილება ყოფის კანონზომიერებას, თუ დროის ყივილი მათ მხარს არ უბამს.

8195. გემოვნებაზე არ დავობენ, პოლიტიკაზე კამათობენ და ეს წუთისოფელი ასე უაზროდ გაჰყავთ.

8196. თუ ეშმაკობას ნათელი მიზნები აქვს, ეს პოლიტიკოსს სახელს უხვეჭს.

8197. პოლიტიკაში ამბიციები მოხერხებულობითა და დროის შერჩევით უნდა იქნეს რეალიზებული.

8198. ხშირად არასასურველი ფაქტების მიჩუმათება, ახალ იდეათა ფეხებზე დაკიდება ერთგვარი პოლიტიკაა, თუ ხალხი უსუსურია.

8199. პოლიტიკოსი ღარიბებს ეფერება, ელექტორატს კოჭს უგორებს, მდიდრებს გარანტიას აძლევს და ხალხს სასურველ პერსპექტივას ჰპირდება.

8200. პოლიტიკა ნიჭიერ ნაძირალას აკუთვნებს უპირატესობას, ვიდრე გონებაგახსნილ პატიოსანს, მიუხედავად იმის შეცნობისა, რომ ამ უკანასკნელთა არჩევანი მას მშვიდობიან ცხოვრებას მოუპოვებს.

8201. ბევრი ამპარტავანი და უვიცი პოლიტიკაში ერევა და ეს დილეტანტიზმი ქვეყანას ძვირად უჯდება.

8202. თავშეყრის ადგილებში ქეთ-აქეთ სიტყვების სროლა აუტისტების, პოლიტიკას ძალად მიტმასნილი ხალხის საქმეა.

8203. იმ ნამცხვრის გაყოფა, რომელიც უკვე შეჭმულია, ხშირად არის პოლიტიკაში დაპირისპირების მიზეზი და არა რეალური და საქმიანი წინადადებების ირგვლივ კამათი.

8204. პოლიტიკური ამნეზიის დაშვება სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნის.

8205. ყველა პოლიტიკოსი, რასაც უნდა აკეთებდეს ან ამბობდეს, უპირველესად საკუთარ თავზე ფიქრობს.

8206. პოლიტიკა კომბინაციური თამაშია და ჭადრაკს მოგვაგონებს, სადაც უმთავრესი დედოფალში პრემიერ მინისტრის პოსტზე გასვლაა. აქ თეორიული შეცდომა პრაქტიკულ შეცდომაზე ძვირად ფასობს.

+8207. პოლიტიკაში საკმარისია მცირე დაპირისპირება და ყველა ქვეშევრდომი ზურგის საჩვენებლად არის გამზადებული.

8208. პოლიტიკოსია ის, ვინც ქვეყნის მომავალს სასიკეთო და უსისხლო საფუძველს უყრის და არა ის, ვინც პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად პიარით თავს გადაგვჭამს.

8209. პოლიტიკა პრობლემების რეალური გადაჭრის მცდელობაა და არა ცარიელი ყბედობა, პიარის მოშველიებას და მსმენელთა უგუნური დამუნათება.

8210. ყველა მოხუცი პოლიტიკოსი ხშირად არის სიმართლის ღაღადის ხასიათზე.

+8211. პოლიტიკა რეალურად ერთეულ გონებაგახსნილ ნაძირალათა და ერის 0,0001%-ის საქმეა.

8212. პოლიტიკური ლიბერალიზმი ფაქტობრივად დროის გაჭიმვა და სხვებისთვის გზის გაკვლევაა და არა ქვეყნის საჭიროებისათვის აუცილებელი სამსახური.

8213. თავისუფლება, დემოკრატია, კაცთმოყვარეობა დღევანდელი ჩვენი პოლიტიკოსების ხელში მარად ამოუხსნელი განტოლება დარჩება, რადგან მათ ყველა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვანაირად განმარტავს.

8214. პოლიტიკა დროის შესაბამისად ხასიათის, გარემოსა და ხალხის განწყობის შეცვლის ხელოვნება.

+8215. პოლიტიკამ ადამიანს დასაკარგავი რაღაც უნდა დაუტოვოს, მერე კი ამ დასაკარგავის შიშით უნდა მართოს ქვეყანა.

8216. პრობლემების გეომეტრიული პროგრესიით მომრავლება პოლიტიკაში მმართველის კუბში აყვანილი უგუნურების შედეგია.

8217. შიში შექმს სიყვარულსაც და სიძულვილსაც. გააჩნია, რა დროა და რა პოლიტიკური ქარი უბერავს.

8218. იყო პოლიტიკოსი – ძაღლური ნიჭია, მაგრამ შენს ჭკუაზე რომ აიყოლიო ხალხი, ჰიპნოზის, შთაგონების საწყისებს მაინც უნდა ფლობდე.

8219. პოლიტიკა ახალი რეალური გადასახადების გამოგონებაა ეკონომიკის მხარდასაჭერად, დარგების თვითდაფინანსებაზე გადასაყვანად და საკონტროლოდ.

8220. როსკიპი ინტელიგენცია პროსტიტუცირებული პოლიტიკის საუკეთესო საყრდენია.

8221. პოლიტიკა ძვირი ბიზნესია, თუ საარჩევნო რეკლამის ხარჯებს, სათანადო კომერციულ ორგანიზაციებთან ახლომდგომი ფირმები არ გაიღებენ, ისე სათანადო სავარძლის მოპოვება არ ხდება.

8222. სკამგანაღდებულ პოლიტიკოსს თავისიანებისთვის გამონაკლისის დაშვება არ ავიწყდება, ხოლო ოპოზიციისთვის – კანონის თვალებზე აფარება.

8223. დიქტატურის უპირველესი დანიშნულებაა, აშინებდეს ბოროტმოქმედს და ახალისებდეს სასიკეთო საქმეს, თანაც აკონტროლოს სხვებიც და საკუთარი თავიც.

8224. პოლიტიკოსის უმთავრესი მოვალეობაა, შეიგრძნოს საფრთხე, რადგან, თუ ფეხი გადაუბრუნდება, არავინ დაინდობს და ადრე ნაკეთებ სასიკეთო საქმეებს მალე დაივიწყებენ.

+8225. პოლიტიკა და თაღლითობა ძმები არიან, ოღონდ მამა ჰყავთ სხვადასხვა.

8226. პოლიტიკა ხალხის გაბრიყვების უნიკალური საშუალებაა, სა-

დაც ჩვეულებრივი მოვლენაა თვალების ახვევა, სმენადობის დახშობა და უგვანობის გაპიარება.

8227. პოლიტიკა სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფის ხელოვნებაა, რასაც თან ახლავს სხვისთვის ჭკუის სწავლება და ნებაყოფლობითი დაყაჩაღება.

8228. უხიაგი პოლიტიკოსები ძალზე დიდ დროს ხარჯავენ ყბედობისმაგვარ მოლაპარაკებებში და ძალზე ცოტას საქმის მოსაგვარებლად.

8229. პოლიტიკა სულელების, ბრიყვების, მლიქვნელების გარეშე ვერ იარსებებს, რომ არაფერი ვთქვათ ძალის გამოყენებასა და პროპაგანდაზე.

8230. პოლიტიკოსი ფულის დაწერა-შეწერისა და დასპონსორების გარეშე იშვიათად რომ მოვიდეს ქვეყნის სათავეში.

8231. პოლიტიკა იგივე თაღლითობაა, ოღონდ სახელმწიფო რანგში აყვანილი.

8232. პოლიტიკა გონიერებას ეჯახება, მაგრამ არც ამომრჩევლის ზურგს უკან ამოფარება ავიწყდება.

8233. დღეს პოლიტიკაში ყველა ფეხის გამოყოფას ცდილობს კუს მსგავსად და, ამ ფეხის გამოყოფას რომ ნიჭი და შემართება უნდა, ეს არავის ანაღვლებს.

8234. ხურმას ხილად დავტოვებთ თუ ჩირად ვაქცევთ, მებაღის სინდისზეა, ხოლო, პოლიტიკა ხალხს მოქალაქეებად აქცეევს თუ ბრბოდ, ეს უკვე თავად მის ნიჭზეა დამოკიდებული.

8235. ყოველგვარი სეპარატიზმი უგუნური პოლიტიკის, ეკონომიკისა და უსაქმოდ დარჩენილ ვაი-პატრიოტთა უსაზღვრო ამბიციების შედეგია.

8236. ნაციონალურ მოძრაობას მარად ობი ედება, როგორც არ უნდა ვცდილობდეთ მის მოშორებას.

8237. პოლიტპატიმრებს წინასწარჭვრეტისა და ყოფის რეალური ანალიზის უნარი დაკარგული აქვთ. რამდენი მოუმზადებელი და შემთხვევითი ხალხია პოლიტიკაში სამოღვაწეოდ გადავარდნილი, ვინ უწყის?!

8238. პოლიტიკანთა ჯოგის მომრავლება ერის უპატივცემლობისა და უკულტურობის ბრალია.

8239. ჩვენი პოლიტიკაც დღევანდელი ხინკალივითაა: ნაოჭები ემატება, კუჭი უდიდდება, მაგრამ შიგთავსი უხორცო, უწვნო და უგემურია.

8240. ამდენი პოლიტიკური პარტიის დახვავება იწვევს ტვინის გამორეცხვას.

8241. ოპოზიცია არღანივითაა: წინასწარ ჩაწერილ აზრებს ავრცელებს.

8242. მრავალჯერადი მინისტრობა, პარლამენტარობა მოდაშია და

მნიშვნელობა არ აქვს, რომელ პარტიას ეკუთვნი, თუ მიტმასნების მანტიის მხრებზე მოგდება გეხერხება.

8243. პოლიტიკისაგან გულმოდგინებას ელიან, მაგრამ რას ვიღებთ ტლუთა გულმოდგინებიდან, არავის აინტერესებს.

8244. პოლიტიკურ კლერკებს პრიმიტივიზმამდე დაჰყავთ ქვეყნის მართვის ხელოვნება და ამომრჩეველსაც იმედს უცრუებენ.

8245. პოლიტიკაში ნერვებს გვიშლიან უმწიფარი პოლიტიკოსები, ხოლო შინ – იმედით გადამწიფებული დიასახლისები.

8246. უნიათო ქვეყნებში „გენეტიკური ნაგავი“ პოლიტიკოსთა სახით ხშირად ბაირამობს და მისი პოლიტიკისაგან ჩამოშორება არც ისე ადვილია.

8247. პოლიტიკა პოეტურ მმართველობას ვერ იტანს, რადგან ის რეალური პასუხისმგებელია ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

+8248. პოლიტიკა გვისმენს, მაგრამ მას ჩვენი უნიათობის, უნიჭოების, უგუნურებისა არ ესმის და გვსჯის.

8249. დაჩმორებული ქვეყანა შედეგია პოლიტიკისადმი არასერიოზული მიდგომისა და ღირსეული ლიდერის უყოლობისა.

8250. არაგონივრული პოლიტიკის გამო ხალხი მარად დამარცხებული გამოდის. და აქ არ აქვს მნიშვნელობა, ხალხი თავად ირჩევს მთავრობას თუ ძალით აარჩევინეს.

8251. ნაღდი პოლიტიკური ლიდერი „კოჰაბიტაციას“ არ დაეძებს და სხვებს უკანალზე არ უყურებს.

8252. პოლიტიკა გონიერისთვის ყოველთვის ზედმეტ ბარგად დარჩებოდა, ადამიანები რომ გონიერები და საერთო საქმისთვის ერთ მუშტად შეკრულნი ყოფილიყვნენ.

8253. პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულებაა, ისეთი რეალური და უხეში კანონების შექმნა, რომ მასში საძრომიალო არ დატოვოს და მას გვერდი ვერ ავუაროთ.

8254. რწმენა, სარწმუნოება, პატრიოტიზმი თავისებური პოლიტიკაა.

8255. პოლიტიკაში იმას ირჩევენ და ის მოიპოვებს თანამდებობას, ვინც ლამაზად ლაპარაკობს და არა ის, ვინც საქმიანია და ყბედობა არ ეხერხება.

8256. დღევანდელ პოლიტიკურ ამბიციებზე ხვალ შეიძლება გაგვიცნოს, მაგრამ ჩვენ ხომ დღევანდელი დღის შესატყვისად ვცხოვრობთ და ვიღვწით.

8257. ხალხს პოლიტიკაში აბსოლუტური სიმართლის მოსმენა სურს და არაფერი სხვა, და ეს „პოლიტიკური გაუგებრობა“ მას ხშირად ძვირად უჯდება.

8258. პოლიტიკაში საკუთარი მოღვაწეობით კვალის დატოვება კი

არის მთავარი, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობისაა შენი ღირსეული შემცვლელის დატოვება.

8259. პატივაყრილი დეპუტატი პოლიტიკას გემოს ვერ ატანს.

8260. პოლიტიკოსი მელიას ეშმაკობას უნდა ფლობდეს და მგლის სიმედგრეს, თუ გვინდა, მისგან რაიმე სახეირო გამოდნეს.

8261. პოლიტიკურ პარტიათა ჭიაყელებს მარადიული დაფინანსების იმედი აქვთ უნიათო ხელისუფლებისა და „მაყუთიანი“ ხალხისაგან.

+8262. ლილიპუტი გონიერების მქონე ხელისუფალთა მომრავლება დემოკრატიაზე მიბმული ამომრჩევლის ბრალია.

8263. თეორიულად ნაღდის ძებნაში ვართ, მაგრამ პრაქტიკულად ფალსიფიცირებულსაც ვჯერდებით, მათ შორის პოლიტიკაშიც.

8264. „უძაღლო ქვეყანაში“ დღეს ხელოვნურად გამოყვანილი პოლიტიკოსები კატის აყეფებას ცდილობენ. ვნახოთ, რა გამოუვათ.

8265. პოლიტიკოსებსაც დღევანდელობის გადასახედიდან თავისებური უაზრო მანჭვა-გრეხა ახასიათებთ.

8266. ყველა ეკონომიკური კრახი უგუნური, უსუსური, უნიათო პოლიტიკის შედეგია.

+8267. მართალია, პოლიტიკაში „ბატების“ რაოდენობა საკმარისზე მეტია, მაგრამ ამის გამო ბატის ხორცის ჭამა არავის აუკრძალავს.

8268. ერის გამთლიანება, ეტყობა, ისევ განგების საქმეა და არა ხალხის – ასე ფიქრობ, როდესაც დღევანდელ პოლიტიკოსებს უყურებ.

8269. რეფორმატორები რატომღაც ყურს არ ათხოვებენ მებრძოლთა გამოცდილ კადრებს, რადგან ისინი თავიანთი რეფორმებისთვის გაუცნობიერებელ იდეებს არ იზიარებენ და შედეგად ყველა რეფორმა იფუშება ან დიდი დანაკარგებით მთავრდება.

8270. პოლიტიკური ლეგიონების შეყრა და მიმხრობა გაცილებით ადვილია, ვიდრე გამარჯვების შემდგომ მათი დასაქმება და დაპურება.

8271. ზოგ პოლიტიკურ პარტიას უნივერსალური „პრობკა-საცობი“ უნდა ერქვას, რადგან ის ხელისუფლებაში მოსულ ყველა მოღვაწეს უმტკივნეულოდ ერგება.

8272. პოლიტიკაში „იზმების“ გამოგონება ადვილია, მაგრამ პოლიტიკურად საქმიანი თუნდაც ერთი „იზმის“ მონახვაა ძნელი.

+8273. ვირმა არ იცის, ხურმა რა პოლიტიკური ხილია, მაგრამ პარლამენტისკენ თვალი მაინც გაურბის.

+8274. წარბის აწევა-დაწევაზე ზოგჯერ მთელი ქვეყნის ბედია დამოკიდებული, განსაკუთრებით, თუ ეს წარბი სისხლიანი დიქტატორისაა.

8275. დღეს პოლიტიკაში ფული და სიტყვა უმთავრესია, დანარჩენი ყოველივე, მათ შორის დაპირებებიც, მესამეხარისხოვანია.

8276. არარაობის სახელს პოლიტიკაში ბევრი იმსახურებს, მაგრამ

ამ ბოლოს ენა წაიგრძელეს, მომხიბვლელი და ვითომდა საქმიანი ყბედობა ისწავლეს. ამას კი მთლად არარობაც აღარ ეთქმის.

+8277. პოლიტიკური ბაზრობის დახლებზე სხვადასხვა ასორტიმენტის პოლიტიკური პარტიები თავს გვთავაზობენ საყიდლად, მაგრამ მათი უმრავლესობა ჩამოსაწერია.

+8278. პოლიტიკა არის თავისებური ჭრა-კერვა, რომლის კურსების გავლასაც ბევრი პოლიტიკოსი ვერ ახერხებს.

8279. პოლიტიკა შესაძლო მომენტების დაჭერაა, თუ დრომაც ხელი შეგვიწყო.

8280. პარადი, შეიძლება, სხვას მოაწყობინოთ, მაგრამ ამ აღლუმის ხელმძღვანელობა თავად უნდა იკისროთ. ესეც პოლიტიკოსის ჩვეულებრივი პოლიტიკანობაა.

8281. დღევანდელი „ვაი-პოლიტიკოსების“ სიზიფეს შრომას საშველი არ ადგება და არც არავინ უშლის ხელს.

+8282. ყველა ასარჩევი კანდიდატი იმ „ჩიტის რძეს“ გვთავაზობს, რომლის მოსაპოვებელ გზაზე წარმოდგენა არც ჩვენ გვაქვს, არც – მას.

8283. არის დაბადებით თაღლითი, არის ძალად თაღლითი, რომელსაც კლასიკურ თაღლითობასთან არაფერი ესაქმება. სამწუხაროდ, ძალად პოლიტიკოსები ამ ჟანრებშიც კარგად გრძნობენ თავს.

8284. განა ოდესმე დადგება ის დრო, როდესაც ჩვენი პოლიტიკოსები ლაკონურ, საქმიან დაპირებებს გვაღირსებენ თუ არადა კანონით პასუხს აგებენ თაღლითობისთვის?

8285. სახელმწიფოს მართვას „ვითომდა პოლიტიკოსები“ ახლოს არ უნდა გავაკაროთ, რადგან ის განგების მიერ დაჯილდოებულ პირთა საქმეა.

8286. ლიბერალიზმი პოლიტიკურად დაუღვინებელ საზოგადოებაში არ ამართლებს და ზოგჯერ უკუშედეგიც კი მოაქვს.

8287. პოლიტიკაში აკრობატობა შედეგს არ იძლევა: ბოლოს მაინც კისერს მოიტეხ და კინჩხსაც ზედ მიაყოლებ.

8288. პოლიტიკაში უამრავი ინტეგრალია და არცერთი არ ამოიხსნება, თუ დრომ და გარემომ ეს არ ინება.

8289. ფაქტობრივად პოლიტიკოსობა და მეძავეობა ერთი პროფესიაა იმ განსხვავებით, რომ ერთს თანამდებობა და მოხვეჭა აინტერესებს, მეორეს – ფული და ნაოცნებარი მეორე ნახევარი.

8290. შანსი და ოცნება სხვადასხვა ცნებაა და პოლიტიკოსი პირველს ამჯობინებს.

8291. ყველა წყობა მეტ-ნაკლებად მისაღებია, ვიდრე საზოგადოებას აუტისტი პოლიტიკოსები ტვინს არ აურევენ, ქვეყანაში ბუნტს არ დათესავენ და ქარიშხალს არ მოიმკიან.

8292. უტიფარმა ვაი-პატრიოტმა პოლიტიკოსმა ბუნდოვნად იცის,

რა არის კარგი და რა – ცუდი, მაგრამ წარმოდგენა არ აქვს, პრაქტიკულად როგორ აქციოს ცუდი კარგად – შედეგად მათზე აყოლილი ხალხი გარკვეულ დროში ადრინდელზე უარეს დღეში ვარდება და ბოლოს თავს ისევ თავადვე შველის.

8293. პოლიტიკა თავისი შინაარსით, ბუნებით გადამყიდველია და სათავისო ვაჭრობას მოითხოვს.

8294. უსაქმურობის გამო ძალზე ბევრი პატარა ადამიანი ეტმასნება პოლიტიკას და მასა ამას ან ვერ ამჩნევს, ან თავს ირთობს და სეირს უყურებს.

8295. პარლამენტში მოღვაწე დეპუტატები უმთავრესად თავიანთ პრობლემებს აგვარებენ და არა – ხალხისას.

8296. პოტენციურ ხელისუფლად იბადებიან, მაგრამ მათს წარმოჩენას დრომ, გარემომ, პოლიტიკურმა კლიმატმა და ყისმათმაც ხელი უნდა შეუწყოს.

8297. ქართული პოლიტიკა იმ საქათმეს მოგვაგონებს, სადაც ორი მამალი ერთად ვერ იყივლებს, ვერც ერთმანეთს გაუგებენ და დაინდობენ.

8298. „პოლიტიკანებს“ კაცურ ღირსებაზე წასასმელი ჭკუის ნატამალიც არ გააჩნიათ და ისინი ქვეყნის პირველ კაცობაზე კენჭს იყრიან მხოლოდ იმიტომ, რომ სატრაბახო და თავის მოსაწონებელი ჰქონდეთ.

8299. პოლიტიკანობის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა მოწოდებით უსაქმურობა და ძალათი უმუშევრობა.

8300. პოლიტიკურად ლამაზი ჟესტი ქვეყნის თანაბარზომიერად განვითარებას არ შველის, რადგან ეს სილამაზე თანდათან უნდა იქნეს შემჩნეული, ათვისებული, გამოყენებული და არა მყისიერად.

8301. პოლიტიკაში ვინ-ვის იყენებს, ვინ ვის ემორჩილება, ვინ ვის იმორჩილებს – არავინ უწყის, რადგან საღი აზროვნებისთვის ხალხი მოუმწიფებელია.

8302. პოლიტიკის უმთავრესი დანიშნულებაა შექმნილ სიტუაციაში მაქსიმალურად ურთიერთმისაღები გამოსავლის მოძიება.

8303. პოლიტიკაშიც „ხალხნი წავლენ და წამოვლენ, მათი ნამოქმედარი დარჩებიანო“, რადგან ხალხის ბუნებაც ცვალებადია და ხშირად რა მოსწონს და რა არა, თავადაც არ უწყის.

8304. ყველა შესაძლებლობასა და გემოვნებაზე მორგებული პოლიტიკოსის მიერ გაპიარებული ცხოვრება მხოლოდ რეკლამაშია.

8305. პოლიტიკა არის მრავალუცნობიანი განტოლება, რომელსაც განგების რომელი რჩეული დრო და გარემოს შესატყვისად როდის ამოხსნის, ღმერთმაც არ უწყის.

8306. პოლიტიკოსის უმთავრესი ნაკლია: ყველგან მოჩვენებითი სიმართლის თქმა, პიარის არცოდნა, პოლიტტექნოლოგიების უცოდინა-

რობა.

8307. პოლიტიკაში ეჭვი, უნდობლობა უდიდესი უბედურებაა, რადგან ამით დიპლომატია ზარალდება.

8308. ოპოზიცია უპასუხიმგებლოა, ის პიარისთვის იღვწის, პასუხს არაფერზე აგებს და სწორედ ესაა მისი ყველაზე დიდი დანაშაული, რადგან ის დაუსჯელად თაღლითობს.

8309. პოლიტიკამ ის კი არ უნდა აკეთოს, რაც ბრბოს მოსწონს, არამედ ის, რაც ხალხსა რგებს.

8310. მუდმივი უმრავლესობა პოლიტიკაში არ არსებობს. მას დროის ხუშტურების ზეწოლა ცვლის.

8311. პოლიტიკაში გაუნათლებელი უმრავლესობა განათლებულ უმცირესობას საქმის კეთებაში ვერ სჯობნის, მაგრამ გამარჯვებაზე მაინც თავისი პრეტენზიები აქვს.

+8312. პოლიტიკოსებს ხალხის სიყვარულზე მეტად საღი აზროვნება სჭირდებათ.

8313. სიტყვების თამაში და სიცრუის შეფუთვა პოლიტიკისთვის აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამომრჩეველთა უმრავლესობას შენს ფასს ვერ გააგებინებ.

8314. უძარღვო სიტყვებით პოლიტიკაში ხეტიალი ხშირად იძლევა გარკვეულ შედეგს.

8315. ერთ პოლიტიკურ კალათში იდეური კვერცხების ტარება სახიფათოა, რადგან, შესაძლოა, კალათი ხელიდან გაგაგდებინონ და ყველა ვარიანტის კვერცხები დაგემტვრეს.

8316. პოლიტიკური ნება მის სამზარეულოში დაშვებულ შეცდომებს ვერ იტანს.

8317. პოლიტიკოსი იმაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, თუ დღეს რა დაპირებები მოსწონს ამომრჩეველს, არამედ მისი ქმედება რა რეალურ სარგებელს მოუტანს ქვეყანასა და ამომრჩევლებს.

8318. სულით მეძავი პოლიტიკა, თუ დასჭირდა, წინაპრებსაც პასუხს აგებინებს.

8319. მელაკუდობა ყველა პოლიტიკის უცვლელი თანამგზავრია.

8320. თუ დაუკვირდები, დღევანდელ პოლიტიკაში თავის გაყოფა სიზიფეს შრომას მოგვაგონებს: თუ შენი პარტია ვერ გაიმარჯვებს, დამსახურების მიუხედავად, თანამდებობას გამოეთხოვები.

8321. გათეთრება ყორანისაც შეიძლება, ყვავისაც და ტერორისტისაც, გააჩნია პოლიტიკასა და ქვეყნის სამხედრო ძლიერებას.

8322. შეუვალი პოლიტიკური ტალანტი ხშირად მსხვერპლი ხდება ბრბოს არაჯანსაღი ტემპერამენტისა.

8323. ზოგი პოლიტიკური მოღვაწე სიკეთის იდეალებზეც კი მონოპოლიის დამყარებას ცდილობს.

8324. ქვეყნის პოლიტიკას, პირველ ყოვლისა, პირველი პირის შინაგანი ბუნება განაპირობებს და შემდგომ მოდის მისი ცოდნა და გამოცდილება.

8325. ჯერ კიდევ შეურყვნელი ახალი სახეები ამომრჩეველს მოსწონს და იმედსაც მათზე ამყარებს, მიუხედავად მწარე გამოცდილებისა, რომ ისინი, ვინც პოლიტიკოსობას იბრალებენ, პოლიტიკოსებად არ ხდებიან.

8326. ნაღდი პოლიტიკოსია ის, ვინც ქვეყნის მომავალზე სხვათა გამოცდილების გააზრებით ფიქრობს, თანამოქალაქეებს უპერსპექტივო დაპირებებით არ კვებავს და საკუთარი თავის წინაშე მუდამ მართალია.

8327. ყოფიერების მარადიულობის შეუცნობლად პოლიტიკაში ცხვირის ჩაყოფა დანაშაულია.

8328. დღეს პოლიტიკური სამზარეულოს ჩვენებას უფრო ცდილობენ, ვიდრე მზა პოლიტიკური კერძების წარმოჩენას.

8329. უნდა შევეგუოთ იმ ფაქტს, რომ რაღაცის შეცნობა, შეგნება, გაგება გაგვიჭირდება, რადგან პოლიტიკას თავისი კანონები აქვს, ქვეყნის მართვას – თავისი და კაცთმოყვარეობის იდეებს – თავისი.

8330. არტისტული ნიჭი მსახიობზე მეტად პოლიტიკოსებს სჭირდებათ, რადგან პირველი მაყურებელთა გულის მოძიებას ლამობს, მეორემ კი ამ ნიჭის მადლი თავისივე ზრახვებით ამომრჩეველს თავზე უნდა მოახვიოს.

8331. ბევრი ვაი-დემოკრატი პოლიტიკოსისთვის აუცილებელია დემოკრატიული სილის გაწნა.

+8332. პოლიტიკაში ევოლუციის საწყისად ზოგჯერ რევოლუცია გვევლინება, ოღონდ დიდი მსხვერპლის ფასად.

8333. მოჭარბებული პარლამენტარიზმი, რეალური საქმის კეთებას ვნებს.

8334. როგორც კარგ მენეჯერს, ასევე კარგ პოლიტიკოსს კარგი შემსრულებლები ჰყავს, რადგან მისი სწამთ, რიდი აქვთ და პატივსაც მიაგებენ.

8335. პოლიტიკაში დროებითს მუდმივობის მიდრეკილება აქვს.

8336. „დედააფეთქებული“ პოლიტიკოსები დემოკრატიის იდეებსა და სიტყვის თავისუფლებას არიან ამოფარებულნი, რათა ხელი მოითბონ და იმამაძაღლონ.

8337. დემოკრატიის „დღესასწაულმა“ პოლიტიკა შოუდ აქცია, რომელიც საბოლოოდ სიკეთის გარანტიას ვერ გვაძლევს.

+8338. განგების ნაჩუქარ სამოთხეს ეჩო-პოლიტიკოსები ამქვეყნად დაეძებენ, რადგან იმქვეყნად მათ ცოდვებს არავინ ჩაადენინებს.

8339. თუ მეცნიერებაში ერთი ფიქრობს ერთს, ხოლო 99% – სხვას, ამ შემთხვევაში ბევრჯერ აღმოჩენილა ის ერთი მეცნიერი მართალი და

გამარჯვებული; ხოლო პოლიტიკაში ამ სხვაობას არავინ გაპატიებს, თუ დიქტატორი არ ხარ, ე.ი. ზოგჯერ დემოკრატიული მმართველობაც არ უქნია ღმერთს.

8340. რეალური პოლიტიკის დანიშნულებაა გამრუდებული გზების გამოსწორება და მასზე ჭკუის მოხმობით სიარული.

8341. ცრუქაქუნა პარლამენტარების ყოლას მეტი ზარალი მოაქვს ქვეყნისთვის, ვიდრე მათ დაჭიტლაყებას.

+8342. დღეს აზრის გონიერების მწვერვალებს იპყრობს, უაზრობა კი ქვეყნის პარლამენტს.

8343. პოლიტიკურ სამყაროში სათავისოს საქვეყნოდ გაჰკივიან კანდიდატები და თავსაც იოლად არჩევინებენ ასევე სხვისი იმედის მქონე ბრბოს.

8344. არჩევნები სამართლიანად ჩატარდება თუ არა, მაინც ხელისუფლებაში გარკვეული ოდენობით ყოველთვის გაძვრებიან მექრთამეები, მამაძაღლები და ნაძირალები. რას ვიზამთ, ასეთია პოლიტიკური ცხოვრების „ხვედრი“.

8345. ახალმა კანონმა და კონსტიტუციამ მოსახლეობის მდგომარეობა არ უნდა გააუარესოს, თუ ეს გარე პირობების გამოისობით არ არის გამოწვეული.

8346. ამბიციურ „ფეხებზე მდგომ“ მისავათებულ პოლიტიკოსს საზოგადოებამ მალაყის გაკეთება და დავლურის დავლა არ უნდა მოსთხოვოს.

8347. პოლიტიკურ ინტერესებს სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა არ უნდა ვაყენებდეთ. ეს კატასტროფაა ყველა ქვეყნისთვის.

8348. ოპოზიციას აინტერესებს ხელისუფლების შემადგენლობა, რათა მასში თავისი ხალხიც შეაკვეხოს.

8349. თუ მასა დაპროგრამებულია, მაშინ პოლიტიკა ბრიყვობს, ხოლო, თუ მასა ხალხად გადაიქცევა, მაშინ პოლიტიკაში გონიერი ხელისუფლება მოდის და ქვეყნის საკეთილდღეოდ იღვწის.

8350. დიდ პოლიტიკოსს სერიოზულად არასოდეს აწუხებს, რას ამბობენ მასზე თანამედროვენი. მისთვის მთავარია, რას იტყვიან მომდევნო თაობები და რა სახელით დარჩება ისტორიაში.

8351. ყოველთვის იმაზე მეტი გვინდა პოლიტიკისგან, ვიდრე ვიმსახურებთ, რადგან არავის აინტერესებს ჩვენი ისტორიული გამოცდილება და მისი რეალური შედეგები.

8352. პოლიტიკაა, თუ აზროვნებასა და ხალხის ნებას ერთმანეთს უთავსებთ, ხოლო მართვა – თუ შენს ნებას სხვას ახვევ თავზე.

8353. წესიერი პოლიტიკოსები პარლამენტიდან გადარჩევის შემდგომ თავს ძირითადად ლექციების კითხვით ირჩენენ, რადგან ყოფილი და ისიც პოლიტიკოსი არავის სჭირდება.

+8354. ჩვენ, ყველანი, სხვა საქართველოზე ვოცნებობდით, მაგრამ ბედოვლათობის გამო ხელში ის შეგვრჩა, რაც გვიკავია.

8355. ზოგიერთი პოლიტიკოსის ხელში ქვეყანა გეგმაზომიერად დევალვირდება, ჩმორდება, მაგრამ ხელისუფალი ადგილის დათმობას არ აპირებს – თანამდებობაზე ყოფნას მიეჩვია და მაღალი შემოსავალი გაუტკბა.

8356. სეპარატიზმს ძირითადად კარგი ცხოვრების შექმნით, უხვი დაფინანსებისა და კარიერის დაპირებით ებრძვიან.

8357. ნაციონალიზმი გაჭირვების შედეგად ჩამოყალიბებულ-განვითარებული ეგოიზმია.

8358. პოლიტიკოსმა, რასაც საკუთარ თავს არ აკადრებს, ის სხვასაც არ უნდა აკადროს.

8359. უნიჭო და ამბიციურ პოლიტიკოსთა მომრავლება შეუმდგარ საზოგადოებაზე მიუთითებს.

8360. ეპოქის, დროებს გამოუყენებლობის მიზეზი არასწორი პოლიტიკური გათვლა და საკუთარი შესაძლებლობების გაუაზრებლად შეფასებაა.

8361. ნაღდი პოლიტიკოსია ის, ვინც ყველა შესაძლებლობას თავისი ქვეყნის სასარგებლოდ იყენებს.

8362. პოლიტიკას თვალთმაქცობისა და ძალის ჩვენების გარეშე თავის გატანა უჭირს.

8363. ძალზე მომრავლდა მლიქვნელი, გზას აცდენილი, უპასუხისმგებლო პოლიტიკური პარტიები, რომლებიც სამშობლოს სიყვარულზე კაკანებენ, სინამდვილეში კი გამორჩენისთვის იღვწიან.

8364. დემოკრატია, თავისუფლება, სამშობლოს სიყვარული სიამაყის ქარტიაა და ის უნიჭო, თვითმარქვია პოლიტიკოსებმა კომედიად არ უნდა აქციონ.

8365. პოლიტიკა, სამწუხაროდ, სხვათა სიცოცხლით, კარიერითა და აზროვნებით თამაშიცაა.

8366. ხელისუფალი, რომელიც ყველა ჯურის გადამთიელს, საზოგადოების ანტიპოდს აიძულებს, ბიუჯეტი შეავსოს, ცხოვრების მადლი შეიცნოს და სხვასაც აგრძნობინოს, ჭეშმარიტი პოლიტიკოსია.

8367. პოლიტიკურად ბრმების, ახლომხედველების, თუნდაც ელამების ადგილი პოლიტიკაში არ არის.

8368. ინოვაციური აზროვნება ყველაზე მეტად ქვეყნის მმართველობასა და მის პოლიტიკას სჭირდება.

8369. პოლიტიკური დემაგოგია: ღარიბების დაცვა და მდიდართა ნების მოთოკვა. შედეგად კი ერთისგან ხმებს იღებს, მეორისგან – საარჩევნო კამპანიის ჩასატარებელ ფულს.

8370. ყოველივე ლიბერალურს წმინდა გულუბრყვილობა ახასიათ-

ებს და სწორედ ამ ლიბერალიზმის აუთვისებლობა ვნებს ქვეყნის ინტერესებს.

8371. ეროვნულობისა და თავისუფლების სახელით მეამბოხეობას ათასგვარი უბედურება მოაქვს, მით უმეტეს, რომ ახალგაზრდა ამბოხებულთა ცხოვრების გამოცდილება არ აქვთ.

8372. გვინდიხარ, გვინდა, ყოფა გვაიძულებს, პოლიტიკაში ცხვირი ჩავყოთ და ჩვენი სულის გარყვნა დავიწყოთ, რადგან რეალური და წინდაუხედავი პოლიტიკის გატარება განგების ნებით მოვლენილ პიროვნებაზეა დამოკიდებული და არა ჩვენს არჩევანზე.

8373. პოლიტიკა კონკრეტული საქმის კეთებაცაა, რომელმაც აუცილებლად გარკვეული შედეგი უნდა გამოიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელთ პოლიტიკანობა და უაზროდ დროის გაცდენა შეგვრჩება.

8374. ხშირად შინაგანი წესიერება პოლიტიკოსისაგან შორსაა, რომელსაც ხალხი ასე იმედიანად ელის.

8375. ერის ჯარისკაცობა იგივე პოლიტიკოსობაა, რადგან ის ეროვნულობასაც ემსახურება და ქვეყნის ძლიერებასაც.

8376. პოლიტიკისთვის უმთავრესია „ოქროს შუალედის“ ძიება ძალასა და დემოკრატიას შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია ბუნტი, რევოლუცია, არეულობა.

8377. პოლიტიკისთვის მთავარი შედეგია და არა პროგრესი.

8378. ძუნწი, საცდუნებელი, მკაცრი – ყოველივე ეს პოლიტიკოსის აქსესუარში ხშირად იჩენს თავს და ზოგჯერ გარდაუვალია და აუცილებელიც.

8379. პოლიტიკოსი მოხერხებული, შემოქმედი და ქვემძრომიც უნდა იყოს, რათა ქვეყნის საქმეს წარმატებით გაუძღვეს.

8380. ზოგი დელიკატესის, მწყრის ძეხვის წარმოებას გვპირდება შემდეგი რეკლამით; 9 მწყერი და 1 ძროხაო. ჩვენი პოლიტიკოსები ზოგჯერ ზუსტად ასე იქცევიან, როდესაც თვალებში ციფრების მტვერს გვაყრიან და მათი ნამდვილი ნამოქმედარის არსს მალავენ.

8381. რატომღაც პოლიტიკაში სიტყვით გულადი, ხალხზე მზრუნველი პოლიტიკოსები იღვწიან. სინამდვილეში ისინი მშიშარა და უდღეურები არიან. მიუხედავად ამის ცოდნისა, ხალხი, ბრბო, მასა მაინც იმედს არ კარგავს და ქვეყნის მართვას გარკვეული დროით მაინც ამ ვიგინდარებს ანდობს.

+8382. „საპარკეტო პოლიტიკოსების“ ხელში ქვეყანა ჭრაჭუნებს, რადგან გონიერების პარკეტზე სიარული არ ეხერხებათ.

8383. დროისა და გარემოს შესატყვისად პოლიტიკით ისინიც კი ინტერესდებიან, რომელთა საუბარიც ადრე პოეზიაზე საუბრით იწყებოდა და მთავრდებოდა.

8384. პოლიტიკოსის გაორება სახელმწიფოებრიობის სისუსტის

მაჩვენებელია, მაგრამ მისაღებია დროის და გარემოს შესაბამისად.

8385. ჩვენს ქვეყნისადმი სიყვარული კი არ გვატყუებს, არამედ ყალთაბანდ-თაღლითი პოლიტიკოსი.

8386. პოლიტიკა და ამბიციები სინონიმებია.

8387. არც სპორტში, არც პოლიტიკაში, არც საქმიანობაში მკაცრი წესრიგის დაუმყარებლად და ულიდეროდ სასურველი შედეგი არ მიიღება.

8388. პოლიტიკოსი, რომელიც მხოლოდ კაკანებს, გონიერების კვერცხებს არ დებს სახელმწიფო ბიუჯეტის ბუდეში, მართვისთვის უვარგისია.

8389. ერთმა ყბედმა ვაი-პოლიტიკოსმა აუტისტმა შეიძლება მთელი ხალხის ბედი უგუნურების სასწორზე შეაგდოს და გმირადაც წარმოჩნდეს, იმის მიუხედავად, რომ ხალხი ამ მცდელობას შეიძლება უაზროდ შეეწიროს.

+8390. პოლიტიკური ლანდშაფტის გაუაზრებლად და ნაჩქარევად შეცვლა არასოდეს იძლევა კარგ შედეგს.

8391. ყველა პოლიტიკური ბედოვლათობის მიმზიდველ ძალად წარმოდგენა და დემოკრატიაზე ჩამოკიდება ჩვენი პოლიტიკური უმწიფრობის დასტურია.

8392. ბედოვლათი „ვითომ პატრიოტების“ რაოდენობა პოლიტიკაში, სამწუხაროდ, თანდათან იზრდება და, ეს რომ ქვეყნის ეროვნულობასა და სახელმწიფოებრიობას ძირს უთხრის, ამას რატომღაც ჩვენი თანამემამულეების უმრავლესობა ვერ აცნობიერებს.

8393. პოლიტიკამ სამართლიანი კანონების დასახვისთვის უნდა იღვაწოს, რათა ტექნიკურ პროგრესს, წინსვლას ხელი შეუწყოს და ქვეყანასაც რაიმე არგოს.

8394. გარკვეულ ვალდებულებათა აღუთქმელად დამწყებ პოლიტიკოსს ახლოსაც არ უნდა გავეკაროთ, მაგრამ არც მაშინ უნდა გავეკაროთ, თუ 2-3 შვილი მაინც არა ჰყავს და სასიკეთო შთამომავლობას არ ტოვებს.

8395. „პოლიტიკურ პარტიათა ნაბახუსევზე“ ნაჩალიჩევი, შევიწროებული ბიუჯეტით ქვეყნის განვითარება ჭირს.

8396. ქორვაჭარი არც პატრიოტული გრძნობებით დაუჯილდოებია ღმერთს და არც ვაჟკაცობით. ამიტომ ის პოლიტიკას ახლოსაც არ უნდა გავაკაროთ.

8397. მოკლე მეხსიერება პოლიტიკოსს არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ მას არც ეშმაკის კუდი უნდა გამოაბას, რადგან ეს მის სისუსტეზე მიუთითებს.

8398. მართვადი ქაოსის დამყარება ყველა შეუმდგარი პოლიტიკოსის ოცნებაა, რადგან ამ დროს უჭირს თავისი ქვენ მიზნების განხორ-

ციელება.

8399. პოლიტიკურ ინსტინქტებს დიქტატურამდე მივყავართ რასაც ქვეყნისთვის სიკეთე როდი მოაქვს.

8400. პოლიტიკოსის ყველა სიტყვას, ქმედებას შედეგი უნდა მოჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის პოლიტიკოსი კი არა – „პოლიტიკანია“.

8401. ინტერესების საქმიანი გადანაწილება იგივე გონივრული პოლიტიკაა.

8402. პოლიტიკოსი, რომელიც შედეგს ვერ აღწევს, რაც უნდა თავის გასამართლებელი ალიბი ჰქონდეს, მაინც პოლიტიკანია და მისი სახელი ისტორიას არ შემორჩება.

8403. პოლიტიკურ პარტიებს ამოფარებული შემთხვევითი ხალხი საზოგადოებას უნდა ჩამოვაშოროთ, და ეგ უნდა მოხდეს ქვეყნის გერგილიანად შედგენილი კონსტიტუციის ძალითა და კანონმდებლობით.

8404. პოლიტიკა მთლად ყბედობა როდია, უმეტესობას კი ასე ჰგონია.

8405. პოლიტიკაში მომავლის შეცნობის მცდელობას იმედით უნდა შეხედო და არა ეროვნულობაზე სპეკულანტობით, რადგან ქვეყნის სასიკეთო საქმის კეთებით უნდა იღვაწო და არა ყბედობითა და ალიბის მოძიებით.

8406. პოლიტიკაში შეიძლება მარცხი განიცადო, მაგრამ ბრბოს თვალში მაინც გამარჯვებული უნდა დარჩე.

8407. ნამუსგადაწურული პოლიტიკოსი ყველაზე უკეთ ცუდის შეფუთვას ახერხებს და ამით თავიც მოაქვს.

8408. წინამორბედების, წინა თაობების, წინაპართა გასამართლება, განსჯა, გაჯორვა უზნეო ტრადიციად იქცა, განსაკუთრებით პოლიტიკაში, როდესაც ქვეყნის უკეთ მართვა თავად არ შეუძლიათ.

8409. ამ სამყაროში ყველა ჩვენი ქმედება პოლიტიკაა და მისგან თავის დაღწევა, თუ საზოგადოებაში ცხოვრობ, შეუძლებელია.

8410. ცოცხლად დამარხული ის პოლიტიკოსია, რომელსაც გადადგომის ან სიკვდილის შემდგომ არავინ იხსენებს.

8411. გონიერმა პოლიტიკურმა ხელისუფალმა სახელმწიფოს მართვა ეკონომიკის გაძლიერებით, ტექნიკური მიღწევების დანერგვით, მეზობელ ქვეყნებთან საერთო ენის გამონახვით და თავისი ქვეყნის რეალური ადგილის გაცნობიერებით უნდა დაიწყოს.

8412. თანამედროვე აუტისტ პოლიტიკოსს დემოკრატიასა, თავისუფლებასა და სამართლიანობაზე ყბედობით საბოლოოდ „შემაფურთხე, ვერ მოვიწმინდავ?“ საზოგადოებამდე მივყავართ, სადაც ყველაფრის თქმა, განსჯა, ჭორაობა შესაძლებელია, ოღონდ არარეალურია საქმის კეთება.

8413. ვაი-პოლიტიკოსი ბევრ სიკეთეს გვპირდება, ოღონდ ყველაზე უკეთ უპურო სანახაობების მოწყობა გამოსდის.

8414. დღევანდელი პოლიტიკოსები იმ საქმიანობის ჩვენებით ცდილობენ გამდიდრებასა და საზოგადოებაში ადგილის დაკავებას, რომელიც არ იციან და ესეც ჩვენი დროის უცნაურობაა.

8415. დაუსაქმებლობის გამო პოლიტიკაში მოსული მოკაკანე ყვინჩილები კვერცხების მდებელ ქათმებს არა სცნობენ, და ხშირად ახალგაზრდულად ფეხის წატეხვასაც არად აგდებენ.

8416. გარკვეული აკრძალვები პოლიტიკაში, თეორიული მტკიცებულებებისაგან განსხვავებით, ზოგჯერ უკეთეს პრაქტიკულ შედეგებს იძლევა.

8417. დილეტანტიზმი, მისთვის პრაქტიკულად მარად გაუაზრებელ პოლიტიკას გვთავაზობს.

8418. პოლიტიკა „ხვალ გავაკეთების“ ძახილითა და ზეგისთვის „საქმის მოკვარჭახების“ მცდელობით ცდილობს ამომრჩეველთა შენარჩუნებას.

8419. პოლიტიკა სხვადასხვა პარტიაში გადანაწილებულ შიზოფრენთა თავშესაფარია, რომლებიც დაპირებებით ხალხს აბრიყვებენ გარკვეულ დრომდე და იმედის ჩასახვით იმორჩილებენ.

8420. აუტისტი, ბლუ პოლიტიკოსის რეფორმებს ისევ ურეფორმო ძველებური ცხოვრება სჯობს.

+8421. ზოგჯერ ქვიშაში გამოქანდაკებული ბარელიეფი მშვენიერია, როგორც თავისუფლებასა და დემოკრატიას მიტმასნებული აზროვნება, მაგრამ უდღეურიაა. ასევეა სამართლიანობის აღდგენას აყოლილი წინადაუხედავი პოლიტიკოსის ბედი, რომელიც თავისი უნიათობის მისაჩქმალავად პატრიოტულ სიტყვებს ათოხარიკებს. შედეგად მარცხს განცდის და დასატოვებელსაც არაფერსა ქმნის.

8422. დღევანდელი ევროპა ერთსა და იმავე პოლიტიკურ შეცდომებს უშვებს, რადგან მისთვის უმთავრესია ეკონომიკა, მშვიდობა და ცხოვრების დონის შენარჩუნება. ოღონდ არა მომავლის განსჯით და ხედვით.

8423. ყველა აუტისტი პოლიტიკოსი, ლექტორობისთვის განწირული პაციენტია და, სამწუხაროა, რომ მას მსმენელი ჰყავს.

8424. პოლიტიკოსი თავისი ქმედებით მეძავს რომ დაემსგავსება და ქვეყნის მართვას პროსტიტუციური საწყისებით ცდილობს – „თუ ქრთამს მომცემთ, თქვენს შემოთავაზებულ კანონს მივიღებ და შეღავათებს დაგიწესებთ“, ის ქვეყნის სამართავ საჭეს ახლოსაც არ უნდა გავაკაროთ.

8425. პოლიტიკა თავისებური ფარსია, აღსავსე ცრუ დაპირებებით, არაფრისმომცემი ყბედობით, აუტისტი ამომრჩევლებით და, ეს სანამდე

გაგრძელდება, სანამდის მკაცრი რეალობა ცხვირს არ დაგვინაყავს.

8426. სიტყვიერი ონანიზმის, ლიტონი დაპირებებისა და დაყვედრების გარეშე პოლიტიკაში მისვლაც ჭირს და იქიდან წამოსვლაც.

8427. პოლიტიკას არითმეტიკაც კი არ უყვარს, მათემატიკაზე რომ არაფერი ვთქვათ, რადგან მისი სიტყვა და საქმე არასოდეს არის დაბალანსებული.

8428. პოლიტიკა უმთავრესად ლიტონი, გამაბრუებელი სიტყვების რახარუხია, რომელთაც გონიერებასთან არაფერი აქვს საერთო – უბრალოდ, თავის მოსაწონებელი ყბედობაა.

8429. პოლიტიკა თავისი მიმდევრებიდან ბევრს პოლიტიკურ სამარხს წინასწარ უთხრის, მაგრამ იბადებიან ისეთი „ნიჭიერებიც“, რომლებიც ამ სამარხის გარეშე კარგა ხანს რჩებიან თავიანთი ასპარეზზე.

8430. კილოგრამი რკინა და კილოგრამი ბამბა წონით ერთია, მაგრამ მათი მოცულობა და გამოყენების შესაძლებლობა სხვადასხვაა; ასევეა პოლიტიკაშიც: თანამდებობა სხვადასხვა რეგიონში ერთნაირია, მაგრამ ამ თანამდებობაზე წამოსკუპებულთა შესაძლებლობა, უნარი, ნიჭი სხვადასხვაა. ამიტომაც ამომრჩეველმა თავისი რჩეული შესაძლებლობის განსჯის შესატყვისად უნდა აირჩიოს და არა „ფუტლარის“ და ლამაზი ყბედობის მიხედვით.

8431. პოლიტიკური ორთაბრძოლა ლოზუნგების დაპირისპირებაა და არა საქმის კეთებაში შეჯიბრება.

8432. უსუსურობა იწვევს ნაციონალიზმს. ხოლო ცხოვრებით კმაყოფილი ელიტა შედარებით ინტერნაციონალურია; რაც შეეხება პოლიტიკას, არავითარ რეალისტური სამომავლო შემოთავაზება მას არ აქვს და ამიტომაც: ბრბო და მასა ყოფიერების ალგორითმს სწორად ვერ იგებს და გამოსავალს უაზრო ნაციონალიზმში ხედავს.

8433. დღეს პატრიოტიზმი, სამწუხაროდ, პოლიტიკაა: თუ წინათ 9 მარტს დაღუპულ ახალგაზრდებს ვიხსენებდით, რომლებიც ი. სტალინის კრიტიკის პროტესტს შეეწირნენ, დღეს 9 აპრილს დაღუპულებს ვიხსენებთ, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას კბილს უსინჯავდნენ. როგორც ირკვევა, არცერთი მიტინგი და უაზრო მსხვერპლი საჭირო არ ყოფილა, რადგან დროის ყივილის შესატყვისად საქართველომ მიიღო ის, რაც აქვს. ამიტომაც პოლიტიკაში უმთავრესია არა რევოლუციების სულწასულად მოწყობა, არამედ ჩასაფრება, მოთმინება და დროის შერჩევა.

8434. პოლიტიკას ალიბი არ სჭირდება, რადგან ამ საქმის წარმატებული ყოველთვის მართალია.

8435. პოლიტიკური არქიტექტურა ყოველთვის დაუმთავრებელი და სადავოა, რადგან ხშირად უამრავი ოპონენტი გამოუჩნდებიან კრიტიკოსად.

8436. პოლიტიკა სულიერად და მატერიალურად ქრონიკულადაა დაავადებული და მის გამოჯანმრთელებას ერთგული მკურნალი ხელისუფალი ახერხებს, ისიც დროებით, ვიდრე ეს მკურნალი ცოცხალია.

8437. პოლიტიკის უგვანობას ამომრჩეველი მანამ ვერ ამჩნევს, სანამდის მისი „საქმიანობა“ ხალხის იმედებს ალიყურს არ აჭმევს მომდევნო უვარგისობის არჩევამდე.

8438. ამომრჩევლის გადამკიდე პოლიტიკოსი ზოგჯერ იძულებულია, მატყუარა აზრების ევნუხად მოგვევლინოს, რადგან ის, რაც ქვეყანას დღეს არგებს, მასას არ მოსწონს. არადა სახელმწიფოს ფეხზე წამოყენება ამ არაპოპულარულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

8439. „დედიკოს ბიჭების“ პოლიტიკაში მოღვაწეობა ქვეყნის უბედურებაა, განსაკუთრებით, თუ ისინი არიან აუტისტები – „განათლებული დებილები“ და ისიც სხვა ქვეყნებში მიღებული განათლებით.

8440. პოლიტიკა ძირითადად დემაგოგიის გონივრულ გამოყენებაზეა დამყარებული

8441. პოლიტიკას ის პიროვნებები ქმნიან, რომლებიც მასებს ამზადებენ, ამოძრავებენ დროის გარკვეულ პერიოდში მათთვის მხარის დასაჭერად.

8442. დღევანდელ ნაცარქექია პოლიტიკოსებს არც ეშმაკობა აქვთ ნაცარქექიასი და არც მოჩვენებითობა.

8443. ცხოვრება მხოლოდ იმისთვის ღირს, რომ შენი მოწოდების საქმე აკეთო და არ გახდე ბედის მათხოვარი.

8444. პოლიტიკური კულტურა მხოლოდ კანონის დიქტატურის მეშვეობით ყალიბდება და მყარდება.

+8445. პოლიტიკა ორმხრივი მოძრაობაა, სადაც შუქნიშნები და გადასასვლელებია, რომელთაც ყველა პოლიტიკოსი უნდა იცავდეს. სხვაგვარად ავარიაში მოჰყვება და ხათაბალაში გაეხვევა.

8446. უზრუნველი პოლიტიკური ანგელოზები სახელმწიფოებრიობის წინსვლის ბორბალს უნიათობით ამუხრუჭებენ.

8447. პოლიტიკოსი, როგორც თევზი წყალში, ისე უნდა გრძნობდეს თავს ამომრჩეველთა წინაშე. მაშინ მოიხვეჭს ნდობას, სიყვარულს და სასიკეთო საქმის კეთების სურვილიც გაუჩნდება.

8448. საყოველთაო არჩევნების შემდგომ უნდა გვეშინოდეს არჩეულთა უსუსურობისა და ინერტულობის.

8449. პოლიტიკა ცალმხრივ მოძრაობას ვერ ეგუება, იგი ორმხრივი მოძრაობის გზასა ჰგუობს.

8450. პოლიტიკოსებს იმდენად ქვეყნისთვის მოსალოდნელი საფრთხე არ აწუხებთ, რამდენადაც საკუთარი თავის კეთილდღეობა.

8451. ვეცადოთ, სიმართლე და პოლიტიკა ურთიერთს გავარიდოთ, რადგან ხალხს, ცხოვრებას ისინი სხვადასხვაგვარად უყურებენ.

8452. გარემოებათა გამო პოლიტიკური ბრძოლა შეიძლება შემთხვევით მოიგო, მაგრამ ამ გზით ვერ მოიგებ ომს. მის მოგებას განგების ნიჭით დაჯილდოებული ხელმძღვანელი სჭირდება.

8453. არსებული კანონი დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკისთვის შეიძლება მისაღები არ იყოს, მაგრამ მას უკანონო ქმედების უფლება არ აქვს, რა ალიბიც უნდა გამონახოს.

8454. ქვეყნის დამპყრობლის ერის გამრავლების მიზნით გამოყენება პოლიტიკური ხელოვნებაა.

+8455. პოლიტიკაში ყველა კრიახობს, ნამდვილი ხელისუფალი „მამლის“ მოლოდინში.

8456. ცნობიერებით პოლიტიკოსი ხშირად იმ ორმოში ზის, რომლის გათხრასაც სხვებისთვის აპირებდა.

8457. პოლიტიკაშიც ბუმერანგის პრინციპი მოქმედებს – ბოლოს ყველა პასუხს აგებს თავისი ქმედების შესატყვისად.

8458. მშობელი და პოლიტიკოსი ზოგჯერ იძულებული არიან, შვილებსა და ხალხს მკაცრად მოექცნენ მათთვის სასიკეთო განზრახვით, მაგრამ, თუ პირველს ამისთვის მადლობას ეუბნებიან, მეორეს შეიძლება კეთილი განზრახვა გაუბაზრონ და ხელისუფლის დასჯა მოითხოვონ.

8459. მოსახლეობის უმეტესობა პასუხისმგებლობის დაფიციტს განიცდის, განსაკუთრებით ეს იგრძნობა საყოველთაო არჩევნების დროს, როდესაც მასში მონაწილეობას ფაქტობრივად ამომრჩეველთა ნახევარიც არ იღებს.

8460. პოლიტიკური ჭორაობა გართობის საგანგებო საშუალებაა და ის საქმის კეთებისა და ქვეყნის სიყვარულისგან შორსაა.

8461. ქვიშაზე ნაშენები პოლიტიკა ეკონომიკას, ქვეყნის ძლიერებას, მის წარმატებას ძირს უთხრის.

8462. პოლიტიზებული მასის ცხოვრება ყოველთვის ნერვიულია, დაძაბულია, რეალობისგან შორს მდგომია.

8463. კანონის დიქტატურის გარეშე წარმართულ პოლიტიკას ყველა უპასუხისმგებლო, აუტისტი და „ძალად ჭკვიანი“ ეტანება გამორჩენის მიზნით. ამიტომაც ამ ვაი-პოლიტიკოსებისგან თავის დაცვას ამომრჩეველი გონივრულად უნდა ცდილობდეს.

8464. „სიძულვილის ენას“ ამომრჩეველი არჩევნების შემდგომ იყენებს, როდესაც ირკვევა, რომ მისი რჩეული უნიათო და მატყუარა გამოდგა.

8465. კონსტრუქციული ოპოზიცია, რომელიც ქვეყანას ნაბიჯის წინ წადგმაში ეხმარება, ყველა ქვეყანაში სანატრელია.

8466. ნახევრად მოშლილ სახელმწიფო წყობაში არაპროფესიონალი პოლიტიკოსები თავიანთ პრეტენზიებს თამამად აცხადებენ.

8467. პოლიტ-ეკონომიაში წვრილმანები არ არსებობს, თუ ისინი ქვეყნის პრესტიჟსა და ძლიერებას ეხება.

8468. ნაძალადევად შეკერილი დემოკრატია ნაკერებზე ირღვევა და ახალი იდეოლოგიის გაჩენის იმედს აჩენს.

8469. ბრბომ კი არ უნდა აირჩიოს პოლიტიკოსი, არამედ რამდენიმე ცხოვრებაგამოვლილმა უხუცესმა, ხოლო ხალხმა უნდა აკონტროლოს.

8470. სამართლებრივი წესრიგის დოქტრინირება და დამკვიდრება ყველა დროში ყველა წყობის პირობებში აუცილებელია.

8471. ყველა სახის პოლიტიკას მისთვის გასაგები სპეკულაცია ახასიათებს, ხოლო საზოგადოების მოჭარბებული პოლიტიზება ქვეყანას კრახის პირას აყენებს.

8472. პოლიტიკოს ღორებთან ბიოლოგიური ღორები ახლოსაც ვერ მივლენ თავიანთი გაუმაძღრობით.

8473. პოლიტიკაში მამულიშვილთა ოდენობა ერთობ მცირეა, რადგან მათ უპირველესად თავიანთი კარიერა და ფულის შოვნის ხერხების დამუღამება აინტერესებთ და არა ქვეყნის ბედი.

8474. პოლიტიკაში ზოგჯერ ნაბიჯის უკან გადადგმითაც წინ მივდივართ, თუ წარსულის გაკვეთილებს ჯეროვნად ვითვალისწინებთ.

8475. პოლიტიკური მოღვაწე მოსალოდნელ მარყუჟში თავის გაყოფას, შედეგის მიუხედავად, არ უნდა უფრთხოდეს. ის რეალურ პერსპექტივებს უნდა ხედავდეს და თავისი ქვეყანა და საქმე უზომოდ უყვარდეს.

8476. პოლიტიკურ შურისძიებას არცერთი ახლად წამოჩიტული ქვეყნისთვის ხეირი არ მოუტანია, რადგან იგი მის სახლმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნის.

8477. ზესახელმწიფოებს ჰყავთ თავიანთი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნები. აქ ერთი იმპერიიდან მეორეში გადასვლის მცდელობას პატარა ქვეყნებისთვის პრაქტიკულად სიკეთე არ მოაქვს და ხშირად იგი გამყიდველობისთვის ისჯება კიდეც.

+8478. პოლიტიკა დაუსრულებელი სპექტაკლია, რომელსაც სხვადასხვა ხელისუფალი-რეჟისორი თავის გემოზე დგამს და წარმოაჩენს, ხოლო ხალხს – მაყურებელს – მხოლოდ აზრის გამოთქმის უფლებას უტოვებენ, ოღონდ ამ აზრსაც ცენზურის სარეცელზე აწვენენ.

8479. პოლიტიკური კაპრიზები გონიერებისთვის ხშირად ჟუჟუნა-წვიმაა და მეტი არაფერი!

8480. პოლიტიკაში ყველაზე ძნელია იმ გონიერი ვექტორის მიგნება, ყველას რომ მოსწონს და აკმაყოფილებს.

8481. დაუღვინებელი, ურთიერთდაპირისპირებული სახელმწიფოები ზოგჯერ ერთმანეთს გაუაზრებელ „ხარაკირს“ უკეთებენ და ეს მათ პოლიტიკა ჰგონიათ.

8482. პოლიტიკაში წინათ განათლებული დებილები მოდიოდნენ, დღეს ინფორმირებული დებილები მოდიან, რომლებმაც სხვა „ხეირიანი“ საქმე ვერ ნახეს.

8483. პოლიტიკაში უპირველესად პერსპექტივას უნდა ვხედავდეთ და არა საკუთარი თავის წარმოჩენა-შეფარების ადგილს, გალიას.

8484. პოლიტიკაში ხშირად ძლიერის დაკრულ მუსიკაზე ცეკვა გვიწევს, რაც საქვეყნო ინტერესებს არ ესდაგება და საბოლოოდ ქვეყანას ძვირად უჯდება.

+8485. პოლიტიკა თავისებური შოუა, იმ განსხვავებით, რომ ფულს თავად პოლიტიკოსები იხდიან და არა მათი მაცქერლები, ოღონდ იხდიან სწორედ მაცქერლების ფულს.

8486. მისაღებია ყოველივე ის, რაც ქვეყნის ძლიერებას ხელს უწყობს და მისი ოპონირება მიუღებელია, რადგან პოლიტიკა თავის დროს ემსახურება.

8487. პოლიტიკოსმა მხარი არც ეშმაკს უნდა დაუჭიროს, არც ანგელოზს. მან თავისი თავის ამქვეყნად მოვლინების მისია უნდა იწამოს და გონიერება ამ ორ უკიდურესობასთან შეწონილად მართოს.

8488. პოლიტიკაში უამრავი ცრუ გმირი წამოყოფს თავს, რომლებიც თავიანთი განუსჯელი ქმედებით ფაქტობრივად ანგრევენ ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობას.

8489. პოლიტიკას ბედთან ერთად ტექნიკური პროგრესის მიღწევებიც გვერდში უნდა ედგეს, რადგან მხოლოდ პიროვნების როლი ისტორიისთვის დღეს საკმარისი არ არის.

8490. დროისა და ნერვების უაზრი ხარჯვა პოლიტიკაში გარდაუვალია, იმისდა მიუხედავად, უმრავლესობა გიჭერს მხარს თუ არა.

8491. უზრუნველი ქვეყნები ახლად შექმნილი ქვეყნებისადმი მხარდაჭერას უმთავრესად სიტყვიერი რევერანსებით გამოხატავენ.

8492. პატიოსან სწორხაზოვან პოლიტიკას პრაქტიკულად გაცილებით მეტი ზარალი მოაქვს სახელმწიფოებრიობისათვის, ვიდრე მოხერხებულსა და უპატიოსნოს – უფრო შედეგიანია.

8493. მართლმსაჯულება ყოფის პაროდიად მაშინ იქცევა, როცა არ იცის, რომელ პოლიტიკურ მიმართულებას დაუჭიროს მხარი და ამ დროს კანონის შეუვალობა ავიწყდება.

8494. სეზონურ პოლიტიკას, გაწბილების გარდა, სხვა არაფერი მოაქვს.

8495. არაფრის კეთებაც პოლიტიკაა, თანამდებობის დიდხანს შენარჩუნების მცდელობაა, რაც უმრავლესობის უნიათობაზე მიგვითითებს.

8496. ქვეყანა ფეხზე ვერასოდეს წარმოდგება, სანამდის მას სათავეში ხელისუფლების სახით ვაი-პოლიტიკოსები და ჭია-ღუები უდგა-

ნან.

+8497. სსრ კავშირი შემოქმედებითმა დიქტატურამ შექმნა და დემოკრატიაზე უგუნურად ფეხის აყოლამ დაანგრია, თორემ, მას რომ ი. სტალინისმაგვარი ხელისუფალნი ჰყოლოდა, დღესაც იარსებებდა და მისი ცოცხლად დატირება კარგა ხანს არ მოგვიხდებოდა.

8498. გმირს გმირობა შვენის, მაგრამ მისი განდიდება-წარმოჩენა მაინც პოლიტიკაზეა დამოკიდებული: იმ მომენტში სჭირდება ეს გმირი თუ არა?

+8499. თუ პოლიტიკოსს საშუალება არ ეძლევა, რომ უპატიოსნო იყოს, ის თავს პატიოსნებაზე ორმაგად დებს.

8500. უღმერთოები რწმენას ებრძვიან, უზნეოები – ზნეობას, „პიდარასტები“ – ვაჟკაცებს, არანორმალურები-ნორმალურებს და ეს ბრძოლა ყველა პოლიტიკური მრწამსის თანამგზავრია.

8501. პოლიტიკური მზრუნველობა ეს არის: პირადი ინტერესების დაუვიწყებლად სხვებზე ზრუნვის მომიზეზება.

8502. ზოგჯერ არის რაღაც პოლიტიკაში, რომელიც, ერთი შეხედვით, გონივრული ქმედების საწინააღმდეგოდ აღიქმება, მაგრამ სხვანაირად არ გამოდის.

8503. თევზი დინების საწინააღმდეგოდ, მდინარის სათავისკენ, იმიტომ მიცურავს, რომ ქვირითი დაყაროს და ლიფსიტები გამოჩეკოს, ხოლო ჩვენი პოლიტიკოსები გონიერებისა და წინხედვის საწინააღმდეგოდ იმიტომ ბანაობენ, რომ ფული და კარიერა აკეთონ.

8504. პოლიტიკა ყოველგვარი საზოგადოებრივი დუღილის საცობი იყო და ამადვე დარჩება, რადგან სხვაგვარად მისი ქმედება რევოლუციებსა და არეულობებს იწვევს.

+8505. სიტყვა „დემოკრატია“ სასიამოვნოდ ჟღერს, მაგრამ დიქტატურასთან შედარებით მეტად ზანტია.

8506. ლომმა რომ იარსებოს, სუსტი უნდა შეჭამოს. ასევეა პოლიტიკა: ძლიერად რომ წარმოჩნდე, სუსტი უნდა მოიმხრო და შენი ნება-სურვილი თავს მოახვიო, რათა სუსტთა მომრავლებამ საძოვრის სიმცირე არ გამოიწვიოს და სამყაროში შიმშილმა არ დაისადგუროს.

8507. ნანატრი დემოკრატიის სიკეთე მირაჟი გამოდგა, რადგან ერთი იდეოლოგიიდან მეორე იდეოლოგიაზე ხელაღებით გადასვლა, როცა მისი პრაქტიკული მექანიზმი უცნობია, კატასტროფის ტოლფასია.

8508. პოლიტიკას, ეტყობა, განსაზღვრავს რაღაც მაგიური უცნობი ძალა, ძველის და ახლის გაუაზრებელად მნგრევლისა და შემქმნელის მაგიური ძალა.

8509. ისტორიის ცუდ მახსოვრობაზე ცუდი არაფერია, განსაკუთრებით – პოლიტიკოსისთვის.

+8510. ზოგჯერ პოლიტიკა აბსურდის თეატრს ემსგავსება. საოცარი ის არის, რომ ხალხი ამ სპექტაკლში სიამოვნებით მონაწილეობს და ტაშსაც თავგამოდებით უკრავს.

8511. სამწუხაროდ, უვარგისი პოლიტიკოსი ჭკვიან ხალხს აიძულებს, ჩუმად იყოს. მასაც დუმს, რადგან იცის: ამ პოლიტიკოსის წინააღმდეგ ხმის ამოღება წყლის ნაყვაა.

8512. „გიორგი ბრწყინვალის“ გონივრულმა პოლიტიკამ ხმლის მოუქნევლად მოაშორა ქვეყანას მონღოლთა ბატონობა. ამიტომ მცირე ერებისთვის აუცილებელია არა წინდაუხედავი ყარაჩოღელობა, არამედ შეწონილი და წინდახედული პოლიტიკა, რადგან ეს უკანასკნელი ქვეყნის შენებისთვის აუცილებელია.

8513. პოლიტიკა თავისებური მაფიოზური წარმონაქმნია, რომელიც დროის შესატყვისად მოქმედებს და გარემო ვითარების თავის გეგმაზე მორგებას ცდილობს.

8514. პოლიტიკას აქვს თავისი სამზარეულო, რომლის გაუმართავადაც ვერცერთი ქვეყნის ეკონომიკა სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს.

8515. პოლიტიკაც თავისებური შეჯიბრია: ან წააგებ, ან მოიგებ. აქ მთავარია სულიერად არ გაკოტრდე.

8516. ყველა ჩვენგანის პოლიტიკური დევიზი უნდა იყოს: ქვეყნის მართვა გარეგნულად მომხიბვლელ ნაძირალებს არ ვანდოთ.

8517. „სასარგებლო იდიოტებზე“ ნადირობას ყველაზე უკეთ პოლიტიკოსები ახერხებენ.

8518. აბსურდისა და უმეცრების თეატრს ყველაზე ხშირად პოლიტიკოსები გვიწყობენ.

8519. ყველაზე მოსაბეზრებელი სახელმწიფო მოხელეთა ურთიერთდაპირისპირება და პოლიტიკური შოუს მოწყობის დაუმთავრებელი მცდელობაა.

8520. პოლიტიკაში, პირად ურთიერთობაში მთავარი დროის დოგმებით მიღებული პატიოსნება კი არ არის, არამედ საქმის ხარისხიანი და ცოდნა-გამოცდილებით კეთება, რადგან ბევრს წესრიგი და პატიოსნება არაფრის კეთებაში ეშლება.

8521. მოსახლეობის 95% თავი გურმანად წარმოუდგენია, ამასთან ერთად, რას ჭამს და რასა სვამს, აზრზე არ არის. ასევეა პოლიტიკაშიც: საკუთრივ ვის ირჩევს და რატომ ირჩევს, საკუთარი თავის ჭკუის კოლოფად წარმოდგენის მიუხედავად, წარმოდგენა არ აქვს.

8522. პოლიტიკური სტაგნაცია საღი აზრების წარმოჩენას ხელს უშლის.

8523. პოლიტიკური პროსტიტუცია დროის უსაგნოდ გაყვანის მცდელობაა, რომელსაც არცერთი ხელისუფლების, ხალხის, ქვეყნისთვის სიკეთე არ მოაქვს.

8524. მოწინააღმდეგე პარტიების, ოპონენტების კრიტიკა, გინება ჩვეულებრივი პოლიტიკური ფანდია. სხვაგვარად ბრბოს, ეგრეთ წოდებულ ამომრჩეველს, არჩევანის გაკეთება და ხმის მიცემა უჭირს.

8525. პოლიტიკაში მოსულმა ანგელოზად არა, მაგრამ კაცად დარჩენა მაინც უნდა შეძლოს.

8526. პოლიტიკოსმა, უნდა-არ უნდა, ორი სიავიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს ან ისეთი რამ უნდა შემოგვთავაზოს, რომ თავისი ნიჭით ყველანი გააკვირვოს.

8527. დროის შესაფერისად ნიჭიერი და შემოქმედი პოლიტიკოსის გამოჩენა ქვეყნის აღმავლობის საწინდარია.

8528. პოლიტიკა დროსა და გარემოსთან თამაშია, ოღონდ ჩასაფრების, ინტუიციის, წინხედვის გამოყენებით.

8529. როდესაც პოლიტიკოსმა არ იცის, მისი პარტია ორთქმავალია თუ ვაგონი, ყოფის ასეთ „გემოფროდიტთან“ კამათს აზრი არ აქვს.

8530. პოლიტიკა, თუ ღრმად ჩაუკვირდებით, არის სიბილწის მბრუნავი მორევი, რომელიც ყბედობაზე, აუხდენელ დაპირებასა და ამომრჩეველთა უნიათობაზე დგას.

8531. საუბარი, ურთიერთშეხვედრები, პრეს-კონფერენციები პოლიტიკის უღიმღამო, გაჭიანურებული, მაგრამ აუცილებელი სანახაობა და დამამშვიდებელი ბერკეტებია.

8532. პოლიტიკური პრაგმატიზმი ღირსების შესანარჩუნებელი ბრძოლაა.

8533. ყველაზე მოკლე და ყველაზე ხანგრძლივი მეხსიერება პოლიტიკოსს სჭირდება. პირველი – ბოღმის დასავიწყებლად, მეორე – ჩანაფიქრის არდასავიწყებლად.

8534. პოლიტიკასაც თავისი ჩარჩოები უნდა ჰქონდეს, რათა გონიერებას შეესატყვისებოდეს და დროსა და გარემოზე იყოს მორგებული.

+8535. პოლიტიკა ყბედია, ომი მუნჯია, რაც შეეხება ზავის დადებას, ის ორივე მხარის მკურნალია.

8536. პოლიტიკა, რომელიც თავის მართლებას იწყებს და მისი მესვეურები ალიბის ძებნას, ერთ ადგილზე პანღურის ამორტყმის და გვერდზე მოსროლის ღირსია,

8537. სიტყვებით თამაშს პოლიტიკა ვერ ეშვება და ვერც შეეშვება, რადგან რეალურად მისი წარმოსაჩენი საქმე დაპირებებია.

8538. გეოპოლიტიკური კოზირის გამოყენება მხოლოდ პოლიტიკური სიბრძნით და წინდახედულებით არის შესაძლებელი, ოღონდ მაშინ ქვეყანას პიროვნება უნდა ედგეს სათავეში.

8539. გონივრული და მტკიცე სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის უქონლობა ქვეყნის დამყაყებას, დაშლას იწვევს.

8540. უნიათო პოლიტიკის სტაბილურობა მძიმე მდგომარეობაში ამყოფებს ქვეყანასა და მის მცხოვრებთ.

8541. ქვეყნის მართვაში, ეტყობა, ჩვენდა უნებლიეთ, ყველა რაღაცას ვაშავებთ. ამიტომაცაა, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ვერ ვაჟკაცობს.

8542. ქვეყნის პოლიტიკურ ნაგავსაყრელად გადაქცევა ხელისუფლების უგუნურებასა და ხალხის უნიათობაზე მიგვანიშნებს.

8543. პოლიტიკა ძალისმიერი ინტრიგანების სპორტია, სადაც ცხოვრებაგამოუცდელ და პატიოსან ადამიანებს არაფერი ესაქმებათ.

8544. პოლიტიკა უმთავრესად რეალობის ხედვაა და არა ურთიერთსიყვარული.

8545. პოლიტიკა ზოგჯერ ქვეყნის მკაცრი ჭირისუფალია, ზოგჯერ – მხიარული.

8546. პოლიტიკის წარმართვა პატრიოტიზმის უქონლად ჭირს.

+8547. მასა უფრო ხშირად იმ პოლიტიკოსს ირჩევს და აღმერთებს, რომელსაც ოთხი-ექვსი წლის შემდგომ დედას აგინებს.

8548. საკაცობრიო ნიჭის პოლიტიკაში დაბანდება სისულელეა, დაუფასებელი მცდელობაა, მაგრამ, დრო თუ გვკარნახობს, ერს სჭირდებით და თქვენც ასე გგონიათ?!

8549. პოლიტიკაც თავისებური კომერციაა და ხმების მოსაპოვებლად ამომრჩეველს ჰპირდებიან იმ შეღავათებსა და ფულად დანამატებს, რაშიც ეჭვი თავადვე ეპარებათ. ესეც თავისებური თაღლითობაა, მაგრამ რას ვიზამთ. „მიზანი ამართლებს საშუალებას“ უკვდავი განზომილებაა.

8550. ვაკუუმს, განსაკუთრებით პოლიტიკაში, სიკეთე არ მოქვს; ის ხშირად დიქტატიდან გამომდინარე ქმედებებითა და შედეგებით ივსება.

8551. ქვეყნის პოლიტიკა თავის მოწონებას, ყოყლოჩინა მედროვეთა პოდიუმზე სიარულსა და კეკლუცობას ვერ იტანს. ამ ვითარებაში სახელმწიფოებრიობას ძირი ეთხრება.

8552. უგოიმებოდ ვერცერთი პოლიტიკური პარტია ვერ იარსებებს, რადგან კვერის დამკვრელის ყოლა ყველა სახის არჩევანს სჭირდება.

8553. ვისთვისაც კაცობის ვარიანტებს გვერდში არასოდეს ჩაუვლია, ის აუტისტია და პოლიტიკაში არ უნდა მოძვრებოდეს.

8554. პოლიტიკაში უმთავრესია მოწინააღმდეგის კარტების ცოდნა, მათი ცოდვა-გადაცდენების დამახსოვრება და საჭიროებისამებრ მათი გამოყენება.

8555. ზოგი ისე გალევს ხელისუფლებაში ყოფნის ვადებს და ისე ამთავრებს პოლიტიკურ საქმიანობას, რომ მას სახელმწიფო მოღვაწედ არავინ აღიქვამს.

8556. ალბათ, შინაგანად ყველაზე დიდ მსახიობ-მასხარად პოლი-

ტიკოსი უნდა იქცეს, მიუხედავად იმისა, აქვს ეს ნიჭი თუ არა.

8557. გააზრებული პოლიტიკის გატარებას აღზრდა, ნიჭი უნდა, რადგან იგი ერთობ კომპლექსური ფენომენია.

8558. „უკუგორება“ და დივიდენდების მიღება პოლიტიკაში განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს, რათა სამომავლოდ „არც შამფური დაწვა და არც მწვადი“.

8559. ყოველი პოლიტიკური ამბიცია აზრს კარგავს, როდესაც ბავშვები, ქალები, მოხუცები იხოცებიან და მომავლის იმედს ვკარგავთ.

8560. პიროვნება პოლიტიკაში მანამდის არ უნდა გამოჩნდეს, სანამდის ერთმანეთის მოსმენასა და მხარში ამოდგომას ნებითა თუ დაძალებით არ ვისწავლით.

8561. არის ასაკი, რომელიც პოლიტიკაში არ იღვწის და მოვლენებს შორიდან უყურებს.

8562. პოლიტიკა სურვილსა და შესაძლებლობას შორის ბალანსირების ხელოვნებაა.

8563. პოლიტიკა უპირველესად კორექტულობაა, წინდახედულება, ეთიკის ჩარჩოებში ჩატევაა.

8564. თუ შენი ხალხის გუნება, ბუნება, ტრადიციებისადმი დამოკიდებულება მტკიცედ არა გაქვს გაცნობიერებული, პოლიტიკაში ცხვირის ჩაყოფას და ქვეყნის სათავეში მოსვლას უნდა ერიდო.

8565. „პოლიტიკური სკლეროზი“ და ისტორიული გაკვეთილების გადავიწყება ყველა ხალხისთვის დამახასიათებელია.

8566. პოლიტიკაში ერთობ მნიშვნელოვანია შენი ღირსეული შემცვლელის ხელისუფლების სათავეში მოყვანა.

8567. თუ ამ დროების ნიჭიერი ნაძირალა არ ხარ, კარგი გაგებით პოლიტიკაში ცხვირი არ უნდა ჩაყო: დასაჭერია მაფიოზი, რომელსაც ოფიციალურად ჰყავს დაქირავებული დაცვა. მისი დაჭერა სისხლის დაუღვრელად არ მოხერხდება. ახალგაზრდა პოლიციის უფროსი, ეთათბირება თავის ქვეშევრდომებს ამ პრობლემის გადაჭრის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს ზრდილობის გულისთვის იქვე მყოფ ხანშიშესულ პოლიციელს სთხოვს რჩევას. ამ უკანასკნელმა საათს დახედა და თქვა: ორ საათში დღეს თავისი ფეხით მოვა პოლიციაში და დაიჭირეთო. გუშინ მისი ახალთახალი მანქანა ერთ ქურდს მოვაპარვინე, დღეს კი შეხვედრაზე შევუთანხმდი და გასამრჯელოსაც მოიტანს. ის კაბინეტში ფულს გადმომცემს, მე მას გასაღებს გადავცემ და ჩვენს ავტოფარეხამდე მივაცილებ. თქვენ კი იქ დახვდით და დაიჭირეთ იმდაგვარად, რომ თითქოს მე საქმის კურსში არ ვიყოთ. აი, ეს არის რეალური პოლიტიკა. უწინარეს ყოვლისა, საქვეყნო საქმე უნდა აკეთო, თან დასჯილთან ისეთი ურთიერთობა შეინარჩუნო, შენზე ნაწყენი არ დარჩეს და თავიც არ დაივიწყო.

8568. დედამიწაზე ბოროტება ყოველთვის ბაირამობდა და იბაირამებს, სანამდის ხალხი შემოქმედი, ხალხზე შეყვარებული ხელისუფლის არჩევა-წარმოჩენას არ ისწავლის.

8569. პოლიტიკა ყოველთვის იყო და დარჩება სიკეთის ქურქში გახვეული ბოროტება, ოღონდ აქ მთავარია, რა ნიჭის და შესაძლებლობების ხელისუფალს უნდა ჩავაცვათ ეს ქურქი.

8570. პოლიტიკაში სწორი ნაბიჯების გადადგმა ჯეელობიდანვე უნდა ვისწავლოთ, რადგან დიდობაში მისი სნავლა დაგვიანებულია.

8571. სინდისი პოლიტიკოსებს ბევრ დღესდღეობით გადასაწყვეტ საქმეში უშლის ხელს, რადგან ისინი დიქტატით უნდა გადაწყდეს.

8572. დღევანდელი პოლიტიკური ელიტა ფაქტობრივად „დამყაყებული ელიტაა“, იმდენი უნიჭო და შემთხვევითი ხალხია მასთან თავმოყრილი.

8573. დღევანდელ პოლიტიკაში შოუმენები მონაწილეობენ და არა პოლიტიკოსები და ესაა, რომ ქვეყანას ძვირად უჯდება.

8574. კარგი დიპლომატია ის, ვინც წინასწარ საზღვრავს, რა მოელის, ზუსტად აფასებს თავის რესურსებს, შესაძლებლობებს და ოსტატურად თამაშობს თავის როლის პარტნიორების გადასაცდენად.

8575. პოლიტიკის უმთავრესი დანიშნულებაა, სამყაროში შენი ადგილისა და შესაძლებლობათა განსაზღვრა, რათა შენი მცდელობა უაზრო არ გამოდგეს და ქვეყანას არ ავნოს.

8576. ყველა წყობა დროის რეალობას ეყრდნობა და აქ „არ მომწონს, არ მაწყობს“ კაპრიზი „სახალხო სიბრიყვედ“ იქცევა.

8577. რა არის ტყუილ-მართალი, მისაღებ-მიუღებელი, წესიერება-უწესობა პოლიტიკაში დღესაც ამოუხსნელ განტოლებად რჩება, განსაკუთრებით, თუ ხელისუფალი თავისი ე.წ. უკანონო ქმედებებით სასუსნავის მოპოვების უფლებას იღებს.

8578. პოლიტიკამ თავისი წილი სიბრძნე უნდა გაითავისოს, თუ უნდა, საქმე აკეთოს და ხელისუფლებას კიდევ დიდხანს ედგეს სათავეში.

8579. პოლიტიკა ის პროფესიაა, სადაც სახელი და დიდება ცრუ დაპირებებითაც მოიპოვება, მაგრამ ამ თაღლითობისთვის არავინ ისჯება.

8580. პოლიტიკაში ფასადური წარმატება დიქტატურის ნიშანია.

8581. პოლიტიკა დაყოვნებას ვერ იტანს, რადგან ხვალის გასაკეთებელი დღეს უნდა ვაკეთოთ და არა ზეგ, მაზეგ.

8582. „მოკვდი მტერო, იხარე, სიცოცხლის მცველო!“ – ეს ბევრი ბედოვლათი პოლიტიკოსის დევიზია: შინაარსით მებრძოლი, ოღონდ არაფრის შემპირებელი, არაფრის დამავალდებულებელი.

8583. პოლიტიკა არის წინხედვა, თავჩაუქინდრავი მუშაობა, ბრძო-

ლა მტრების გადმოსაბირებლად.

8584. გონიერი პოლიტიკოსისთვის „ხალხის ნება“ ალიბია იმ მიზნების განსახორციელებლად, რაც ქვეყნის ძლიერებას გამოადგება.

8585. პოლიტიკოსს მომდევნო თაობების აზრი უნდა აინტერესებდეს მის საქმიანობაზე და თანამედროვეთა ღვაწლზე.

8586. პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს, დღევანდელობას როგორ მოექცეს, მომდევნო თაობებს რა დაუტოვოს მის სასიკეთოდ გასახსენებლად.

8587. წინაპართა ისტორიის მკვლელები, „მარადიორები“, ყველაზე უკეთ თავს პოლიტიკაში გრძნობენ, რადგან მათთვის სხვათა დამსახურების უგულებელყოფა და ჩაქოლვა „არ-ახალია, ძველია“.

8588. პიროვნებას პოლიტიკაში თავისი თავი ფაქტობრივად თავადვე მოჰყავს, ამკვიდრებს და აქ ხალხის დამსახურება ძალზე უმნიშვნელოა.

8589. რისკით გაჯერებული რეალური პოლიტიკური ხედვა ყოველთვის შედეგიანია.

8590. თანამედროვე სამყაროს მოდას, გემოვნებას, მსოფლმხედველობას ტექნიკური პროგრესის მიღწევების შესატყვისად სთავაზობს ხალხს პოლიტიკოსი ქვეყნის პოლიტიკის წარმართვისას.

8591. დღევანდელი პოლიტიკოსების მჭევრმეტყველება და მსჯელობა „ბიჭიკია-ჭიჭიკიას“ გასაუბრებას მოგვაგონებს მოვალეობის ფარისევლური მოხდით, თავის წარმოჩენის მცდელობით და ვითომდა საქმის კეთებით.

8592. პოლიტიკა შედეგით ფასდება, განსაკუთრებით საბოლოო შედეგით, რადგან ფაქტები გონიერთა საჯილაოდ არის განკუთვნილი და არა ხმას აყოლილი ბრბოსთვის.

8593. პოლიტიკის კაურები ისაა, რომ თეორიულად ხალხის ნებას ემორჩილები, პრაქტიკულად კი – ზემდგომის სურვილებს.

8594. ყველაზე დიდი ცოდვა საკუთარი თავის შეუწუხებლობა.

8595. პოლიტიკური სცენარი არა მარტო ბედის შემწეობით იწერება, არამედ მოხერხებულობით, ვერაგობით და დროის კაპრიზთა ცოდნით.

8596. გაუაზრებელ პოლიტიკას მოვლენათა დაყოვნება და განვითარების ტემპის დაკაგვა მოჰყვება.

8597. პოლიტიკოსს ხალხი გასაბრიყვებლად კი არ უნდა სჭირდებოდეს, არამედ მათზე წინდახედულად უნდა ზრუნავდეს.

8598. სამწუხაროდ, ჭკვიანი კაცის ადგილი პოლიტიკაში ყოველთვის ვიგინდარებს ეკავათ, რომლებიც, ჩვეულებრივ, სამშობლოს სიყვარულით სპეკულანტობენ.

8599. დიპლომატია თამაშია, წინააღმდეგობებს რომ ითვალის-

წინებს, ხოლო პოლიტიკა წარმოქმნილ სიძნელეთა დაძლევის მცდელობაა.

8600. არიან პარტიები, რომლებსაც პოლიტიკური პულსი საერთოდ არ ესინჯებათ, მაგრამ ყველაზე მეტად ისინი აქტიურობენ და ყბედობენ.

8601. იდეოლოგიაც დროის, გარემოსა და შემოქმედი ხელისუფლის მიერ დაგებულ ლიანდაგს მიჰყვება.

8602. პოლიტიკაში არც არაფერია დაკარგული და არც არაფერია მოპოვებული, უბრალოდ, გაპიარებულია სურვილები და მოკრძალებული შედეგები.

8603. გაურკვევლობა დანაშაულია, განსაკუთრებით პოლიტიკასა და პირად ურთიერთობაში.

8604. პოლიტიკისთვის უმთავრესია დასახული მიზნების განხორციელება და არა კანონის ბრმად მორჩილება.

8605. პოლიტიკური ლიბერალიზმი უფრო რწმენის დამსახურებაა, ვიდრე ამომრჩევლის გონიერებისა.

8606. პოლიტიკაშიც ორჯერ ორი ოთხია, ოღონდ ვიღაც ამ ტოლობიდან გამორჩენას იღებს.

8607. პოლიტიკა სარგებლის მოპოვების ხელოვნებაა. სარგებელი კი მრავალფეროვანია.

8608. პოლიტიკოსი ყველა „დროის საცობზე“ მორგების ხელოვნებას უნდა ეუფლებოდეს, რადგან ეს მას თავის საქმიანობაში ყველაზე მეტად ადგება.

8609. პოლიტიკა თავისებური ვაჭრობაა და კარგ შედეგად მიიჩნევა ურთიერთვაჭრობა, გარიგება, თავნი და სარგებელი.

8610. პოლიტიკის ძირითად არსი და მისწრაფებაა – „ჩვენც მიგვიშვით ქვეყნის მართვის პულტთან“.

8611. როდესაც ერთმანეთისთვის ცოდვების გადაბრალება იწყება, იქ საქმე არ კეთდება, ხოლო, თუ ამას შიდაპარტიული დაპირისპირება და კონკურენციაც ემატება, იმ ქვეყნის ეკონომიკა ჩაძირულია, ხოლო პოლიტიკა თავს ზანტად იფხანს და დრო გაჰყავს.

8612. პოლიტიკა, პირველ ყოვლისა, ადამიანებს უნდა ათვითცნობიერებდეს როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი გაგებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის პოლიტიკანობაა და უნდა შევეშვათ.

8613. პოლიტიკამ პირველ რიგში ქვეყნის რეალურ ინტერესებს და მის შესაძლებლობებს უნდა გაუწიოს ანგარიში და არა სურვილებს, მცდელობებს.

8614. პოლიტიკა თავისი ბუნებით ობოლია და უპატრონო, თორემ ამდენი ცრუ დაპირებით არც თავს გაისულელებდა და არც – ჩვენ.

8615. პოლიტიკა ამომრჩევლებისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა,

გარკვეულ დროსა და გარემოში.

8616. ურცხვობა პოლიტიკის ერთ-ერთი თავდაჯერებული ატრიბუტია.

8617. თავისუფლებას სამართლიანობა იძლევა, მაგრამ მას პოლიტიკა არა სწყალობს.

8618. პოლიტიკას ჭკუას არ ეკითხებიან, ხოლო ხალხს უნარი არ შესწევს ღირსეული აირჩიოს ქვეყნის გამგებლად, განმსჯელად.

8619. პოლიტიკოსები ხალხს იმით მოძღვრავენ, რაც მათ მოსწონთ, ხოლო პიროვნებები, პოლიტიკოსებს იმით, რაც მათ სჭირდებათ.

8620. პოლიტიკური ჯართიდან, შეიძლება მაღალხარისხოვანი შენადნობიც მივიღოთ, თუ დნობის პროცესს ფოლადივით მტკიცე და შეუვალი მეტალურგი ხელმძღვანელობს.

8621. პოლიტიკა თავისებური თამაშია, ამბიციების შემოტევა-მოთოკვით, შედეგების გააზრება-შეჯერებით.

8622. ყველაზე უცოდველი, საქველმოქმედო, კეთილი საქმის ბოროტად წარმოჩენაც შეიძლება გარკვეული დროით, თუ ამას მედროვე პოლიტიკოსები მოინდომებენ.

8623. ყველა ხელმოცარული პოლიტიკოსი აგვისტოს პეპელასა ჰგავს – გაურკვეველი მიზნით დაფრინავს.

8624. ადამიანებს ემოციები კვებავთ და მათ გათვიცნობიერებას ისევ პოლიტიკოსები ცდილობენ.

8625. ისტორიის თავის ჭკუაზე გადამღერება-წარმოჩენას ყველაზე უკეთ დროის გამბახებელი პოლიტიკოსები ახერხებენ ურცხვად და დაურიდებლად.

8626. დღეს პოლიტიკა გართობისა და განტვირთვის საშუალებად იქცა და, ვისაც არ ეზარება, მას ებღაუჭება და მასში ცხვირსა ყოფს.

8627. პოლიტიკის უმთავრესი დანიშნულება იდეოლოგიური პროფილაქტიკაა.

8628. პოლიტიკით აცრილი ხალხის მკურნალობას არაფერი შველი.

8629. პოლიტიკურ ქმედებებს აჩქარება და წინდაუხედაობა ყველაზე მეტად ვნებს.

8630. პოლიტიკურ ცვლილებებზე ყბედობა იმიტომაცაა საჭირო, რომ ყოველივე უცვლელი დარჩეს, უფრო სარფიანია.

8631. განათლებასთან, ნიჭთან, გამოცდილებასთან ერთად, საჭიროა მოთმინება, მოსმენა, წინდახედულება დროის შერჩევით და რევანშის უნარით, წინაარმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკა თქვენი საქმე არ არის.

8632. პოლიტიკაში ზოგჯერ სიმართლის თქმა დროისა და გარემოს გაუთვალისწინებლად დანაშაულის ტოლფასია.

8633. პოლიტიკაში ის უნდა მოვიდეს, ვისაც ეშმაკის შეცდენის უნ-

არი თუ არა, სურვილი მაინც აქვს.

8634. ერთი მეორეს უმტკიცებს: ახალგაზრდობაში 300 კგ შტანგას ვეწეოდიო. – ეს ხომ მსოფლიო რეკორდია? – აპროტესტებს მეორე. – მე გითხარი, ვეწეოდი, და არა ავწიეო. ასევე იქცევიან პოლიტიკოსები: სიტყვით ბევრს გვპირდებიან და მერე მარად ალიბს ეძებენ თავის გასამართლებლად.

8635. პოლიტიკაც თავისებური თამაშია. აქ ის იმარჯვებს, ვისაც თანდაყოლილ სახელისუფლო ნიჭთან ერთად უნარი შესწევს ერთი დათმოს მეორის მოსაგებად და ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვანია.

8636. რადგან პოლიტიკა ჩასაფრება და დროის შერჩევაა, გონიერი პოლიტიკოსი ყოველთვის ეცდება კომპრომისებზე წავიდეს და დაპირისპირება გამორიცხოს.

8637. პოლიტიკა ყველაზე იოლი სალაპარაკო თემაა, რომელშიც ვითომ ყველა ერკვევა და შედეგზე პასუხს არავინ აგებს.

8638. გვინდა – არ გვინდა პოლიტიკა ჩვენი ცნობიერების ნაწილი ხდება, რადგან ჩვენი შთამომავლობა ამ პოლიტიკის შედეგებით უნდა ვაცხოვროთ.

8639. დღევანდელი პოლიტიკა უფრო მსახიობის ნიჭს მოითხოვს, ვიდრე ცხოვრების ცოდნა-გამოცდილებასა და ხალხის სიყვარულს.

8640. ჩვენთვის მუდამ გაუგებარი დარჩება კანონმორჩილი და ნაღდი პატრიოტის შეჭიდება ყოფის ამდენ უსამართლობასთან.

8641. პოლიტიკოსი სიყვარულისა და თავდადების გარეშე შედეგს ვერ აღწევს, თუნდაც მას დრო და ბედი სწყალობდეს.

8642. ნაღდი პოლიტიკა ადამიანებს თავისიანებად და სხვისიანებად არ უნდა ყოფდეს, რადგან პოლიტიკაში უმთავრესია ყურის გდების ნიჭი, განსჯის უნარი, საჭირო დასკვნების გამოსატანად თავის შეწუხება და ა.შ.

8643. ცხოვრების უცოდინარი ბუნებით პატარა ადამიანი ყოველი სახელმწიფო შტორმის დროს გამოსავალს პოლიტიკანობაში ეძებს და მზადაა ამ გაუაზრებელი და უნაყოფო მიზნის მისაღწევად განუსჯელად იტანჯოს და მოკვდეს.

8644. პოლიტიკა უპირველესად ქვეყნისთვის სასარგებლო საქმის კეთებაა და არა ყბედობა, მოსახლეობის ინტერესების ვითომდა გათვალისწინება.

8645. პოლიტიკური მიტმასნება, უაზრობასთან კოჭის გორაობა ჩამორჩენილი მსოფლმხედველობის, წამლიქვნელების და ვაი-ჭკუისაგან აზროვნება-ქმედების შედეგია.

8646. ჩვეულებრივ აუტიზმსა და პოლიტიკურ აუტიზმს შორის ის სხვაობაა, რომ პირველ შემთხვევაში ქვეყანას ინფორმირებული დებილები მართავენ, მეორე შემთხვევაში კი ამბიციური დებილები.

8647. პოლიტკოსია ის ვინც უპირველესად ერის მომავალზე, ქვეყნის კეთილდღეობასა და პიროვნებათა წარმოჩენაზე ფიქრობს და არა კარიერაზე, ხალხის „გადაგდებაზე“, ბრბოს მიმხრობაზე.

8648. პოლიტიკის მოწოდებაა შედეგების მიღწევა და არა პროცესების გაპიარება.

8649. პოლიტიკოსისთვის გაცილებით მომგებიანია ყოფიერების დინებას მისდიოს, ვიდრე მის საწინააღმდეგოდ იცუროს, რადგან ცხოვრების წესი დროის შესატყვისად მიგვაქანებს.

8650. პოლიტიკოსის უდიდეს ნიჭსა და უნარზე მიუთითებს ის, რომ იგი ოპონენტებს მათივე მოწინააღმდეგეებით ანადგურებს.

8651. მასობრიობა ქმნის ეროვნულ პოლიტიკას და აძლიერებს თავისუფლების შინაგან მოთხოვნილებას.

8652. პოლიტიკა სინონიმია მიზეზებისა და მოსალოდნელი შედეგის შეჯერება-სიმბიოზია.

8653. პოლიტიკა თავისებურად თავხედიც უნდა იყოს, გამბედავიც, უტიფარიცა და წინ გამხედიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნისთვის ზოგიერთი საორჭოფო საკითხის სასიკეთოდ გადაჭრა გაუჭირდება.

8654. გონიერი პოლიტიკოსია ის, ვინც მტერსაც კი მის ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეებს აკეთებინებს და გარკვეულ დათმობებსაც იღებს. მგ. ერის გამრავლებისთვის ხელშეწყობა იმ მოტივით, რომ დამპყრობელს მეტი ჯარისკაცები მოუმზადოს.

8655. პოლიტიკოსი ის უნიკუმია, რომელიც ზურგჩანთაში ერთდროულად პატიოსნებას, პიარს, სარგებელს, ნიჭს, გაუტანლობას, კარიერისკენ სწრაფვას ათავსებს.

8656. ცხოვრება ყველას რაღაცას გვასწავლის, გარდა პოლიტიკისა, იმდენად ელეგანტური და ყოვლისმომცველია ეს პროფესია.

8657. პოლიტიკა თავისებური ონანიზმია. მაგრამ მასაც შთაგონება და ცოდნა სჭირდება, რათა სხვათა ინტერესები გაითვალისწინო, თავსაც ასიამოვნო, ამასთან სახელიც გაითქვა და თანაც წარმოჩნდე.

8658. ზუსტი მეცნიერება მათემატიკა პოლიტიკოსებს არ უყვართ, რადგან მკაცრ სიზუსტესა და მოჭარბებულ ამბიციებს შორის დიდი ზღვარი დევს.

8659. ყველაზე სახიფათოა ამბიციების მქონე დილეტანტის მოსვლა ხელისუფლებაში, რადგან მას მართვის გამოცდილება არ აქვს და ამის დაფარვას არაადეკვატურობის გაბედული გამოვლინებით ცდილობს.

8660. „პრაგმატული პოლიტიკა“ – უკან დასახევის დატოვებაა. ეგ აუცილებელია, რადგან, თუ რას გვიმზადებს განგება, ჩვენთვის უცნობია.

8661. შერაცხადი პოლიტიკა დროის და გარემოს შესატყვისად განსჯადი, ცვალებადი და წინ მაცქერალია.

8662. უნებისყოფოს, მშიშარას, მატყუარას ღირსებაზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამგვარი ხალხო თავშესაფარს რატომღაც პოლიტიკაში ეძებს.

8663. ქვეყანას უნდა მართავდნენ ჭკუა დამჯდარი პიროვნებები რჩეული თავკაცის ხელმძღვანელობით და არა ამბიციებით, ლაყე ფანტაზიით დამძიმებული იდიოტები.

8664. საზოგადოებრივი კანონზომიერების ფეხქვეშ ამოდებასა და გათელვას ბევრი პოლიტიკოსი ცდილობს, მაგრამ კიდევ კარგი, რომ ამაზე ხელი არ მიუწვდება.

8665. სალახანა პოლიტიკოსებს უაზრო დისკუსიების ჩატარება მოსწონთ. აქ ისინი ცდილობენ თავის წარმოჩენა-განდიდებას.

8666. პოლიტიკაც ჩვეულებრივი ბიზნესია. ესაა საარჩევნო კამპანიაში ფულის მოზიდვა-დაბანდება, რათა შემდგომ გარკვეულ თანამდებობას ხელი გამოჰკრას, დახარჯული თანხა ასმაგად ამოიღოს და ა.შ.

8667. თუ პოლიტიკური კულინარის ნაღვაწი გვახალისებს, სიამოვნებას გვანიჭებს, ძალას გვმატებს და დემოკრატიულ აზროვნებას ფეხზე აყენებს, ეგ კულინარი-პოლიტიკოსი მავნებელი არ შეიძლება იყოს.

8668. მოგონილი კეთილდღეობის გაპიარება, მოჩვენებითი აურზაურის ატეხა პოლიტიკის ჩვეულებრივი სამუშაო პროცესებია.

8669. არის ყველაფერს და ყველა დროს მორგებულ პოლიტიკოსთა კატეგორია. ის ყოველთვის სადღაც ეკვეხება და არასოდეს ზარალს არ ნახულობს, არასოდესაა დაჩაგრული.

8670. პოლიტიკას სპეკულაციისაკენ აქვს მიდრეკილება და ხშირად სარფიანადაც ვაჭრობს, სათანადო მოგებას ნახულობს გაუცნობიერებელ, მიამიტ ამომრჩეველთა ხარჯზე და ჯანზე.

8671. პოლიტიკოსმა უპირველესად ერის სულიერებას უნდა მიხედოს, თუ უნდა ქვეყნის იმიჯმა წინ წაიწიოს და სიკეთე მოიტანოს.

8672. ხშირად ვაი-პოლიტიკოსები იქ იტეხენ ფეხს, სადაც წასატეხი არა იყო რა, ხოლო ამ უხერხულობიდან თავის დაძვრენას თავიანთი უნიათობის გამო ყურით მოთრეული ალიბით ცდილობენ.

8673. პოლიტიკაში ყოფნა დღეს სარფიან საქმიანობად მიიჩნევა და, თუ ამ ვაი-მოღვაწეებს გარკვეულ შეზღუდვებს არ დავუწესებთ, ქვეყანა გაღატაკდება. მგ. პოლიტიკაში ვინც მოღვაწეობს, მას უნდა ჰყავდეს სამ შვილზე მეტი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საცხოვრებლით, კურირებას უნდა უწევდეს უპატრონოთა სახლის რამდენიმე მოზარდს, რადგან პოლიტიკოსი რაღაც სასიკეთო ქმედებით უნდა წარმოჩნდეს, რომელსაც სარგებელი ავანსად მოაქვს ქვეყნისთვის და არა ყბედობითა და თავის უპასუხისმგებლო მოჩვენებით.

8674. პოლიტიკოსები დაპირებებით თავს მტრედად გვაჩვენებენ,

მოვლენ ქვეყნის სათავეში და ქორობას იჩემებენ. პირველი პოლიტიკური თაღლითობაა, მეორე კი დასანანი სინამდვილე – „პოლიტიკოსს ჩემი მტერი ენდო“.

8675. პოლიტიკას ეროვნულობა უპირველესად განტევების „ვაცი-გმირების“ წარმოსაჩენად სჭირდება.

8676. პოლიტიკის უმთავრესი საქმე წინხედვაა, ქვეყნის წესრიგში მოყვანაა.

8677. ნიჭი, განათლება, პატრიოტიზმი ხშირად ფერმკრთალდება პოლიტიკაში, თუ მას მოხერხება, მახსოვრობა და შემართება თან არ ახლავს.

8678. პოლიტიკურ ბუნტს უმთავრესად მოუმწიფებელი ამბიციები და სოციალურ გაუგებრობებით ვაჭრობა იწვევს.

8679. პოლიტიკურ დინოზავრებს გადაშენების საფუძველი ყოველთვის ჰქონდათ, მაგრამ დღევანდელ ინფორმირებულ საუკუნეში ეს უზნეო დინოზავრები რატომ მრავლდებიან და არ ქრებიან, ფრიად გაუგებარია.

8680. „რომელი ცხენიც არ ვიყიდე, ყველა კუანა გამომადგაო“, – ნათქვამია. დღეს სწორედ ასეთი პოლიტიკოსებისა და ამომრჩევლების ხელშია ქვეყანა. ისინი ხალხს შავ პურსაც კი ამადლიან, ხოლო ამომრჩევლები – არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

8681. პოლიტიკოსები არც ფილოსოფიასთან მეგობრობენ და არც ფიზიკასთან. მათ უფრო სიმბოლოებით ყბედობა მოსწონთ, რადგან ხშირად რეალურისა და პერსპექტიულის შემოთავაზების ნიჭი არ აქვთ.

8682. „არც მწვადი დაწვა და არც შამფური“ პოლიტიკაში საქმიანობის უმაღლესი პილოტაჟია.

8683. პოლიტიკაში სიამოვნებისთვის, მომენტების დასაჭერად, ნიჭის წარმოსაჩენად და კოლეგებთან თავის წარმოჩენისთვის უნდა მოხვიდე და არა მხოლოდ მატერიალური გამორჩენისთვის, როგორც ამას ანკესის მეთევზენი აკეთებენ, რომელთათვის უპირველესი თვით თევზაობის პროცესია, ხოლო, თუ შედეგად მოზრდილ თევზს დაიჭერენ, ეს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს და სატრაბახოდაც ყოფნით.

8684. პოლიტიკა ლავირებაა, განსჯადი სვლების კასკადია, ნაკადია, დაწერილ და დაუწერელ კანონებს შორის, რომელთა გათავისება ერთეულ, განგებით დამოძღვრილთა ხვედრია.

8685. იდეოლოგიაზე ხელის მოთბობა ყოველთვისაა შესაძლებელი, მაგრამ ყველაზე ბინძური საქმიანობაა, რადგან ყველას მოტყუებას ცდილობთ და მათ შორის საკუთარი თავისაც.

8686. პოლიტიკა შესაძლებლობათა ბალანსია ორივე მხარის ინტერესებსა და არგუმენტებს შორის.

8687. ყველა პოლიტიკოსს თავის „ბუა“ ჰყავს, მოწინააღმდეგის

ბანაკში, რათა ყველა ცოდვა მას გადააბრალოს, მასზე ხელები შეიხოცოს, ამომრჩეველი დააშინოს და ეცადოს, თავისკენ გადაიბიროს.

8688. წინასწარი დაპირება ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისა და მისი წარმომადგენლების ფანდია. ამიტომაც ამ ფანდზე წამოგებულ ამომრჩეველს კანონიერი უფლება უნდა ჰქონდეს, ამ პოლიტიკოსებს სისხლის სამართლის შესატყვისი პასუხი აგებინოს – თაღლითობისთვის.

8689. პოლიტიკა არის მცდელობა, მოწინააღმდეგეებს გააგებინო, რომ ისინი შენთან შედარებით დაბალ საფეხურზე დგანან და ფეხებსაც ვერ მოგჭამენ.

8690. დიპლომატია ჭადრაკის თამაშის ხელოვნებას მიესადაგება, სადაც, თუ მოწინააღმდეგეს ვერ დააშამათებ, ფრესა და პატის მიღწევას მაინც უნდა ეცადო.

8691. პოლიტიკური პროცესების წარმართვას ხელს უნდა უწყობდეს დროის ყივილიც, რათა ხელმძღვანელმა თავისი მართველობის შედეგად ხალხი დაუსაქმებლობით არ გარყვნას და გააღარიბოს.

8692. პოლიტიკა – პოლიტიკად, მაგრამ ადამიანთა მოტყუების და ადამიანური სახის დაკარგვის უფლება არავის აქვს.

+8693. აფორიზმების წაკითხვა, გაანალიზება, გათავისება ბევრ პოლიტიკოსს გამოადგებოდა ქვეყნის სამართავად, ამომრჩევლის შესაცნობად და ის გაცილებით ნაკლებ შეცდომებს დაუშვებდა ქვეყნის სათავეში ყოფნისას.

8694. სიკეთის მთესველი ძირითადად მიზანდასახული ხალხია, მაგრამ მოსავლის აღებას რატომღაც სათუო „პოლიტიკანები“ ცდილობენ და არა გამოცდილება და გონიერება.

8695. ნეგატივსა და პოზიტივს ყველაზე უკეთ შემდგარი პოლიტიკოსი აფასებს, რადგან მან თავისი გამოცდილებით იცის, რა დროსა და რა გარემოში თავისი ინტერესები რა ზომამდე დაიცვას.

8696. ქვეყნის მმართველობას რატომღაც განუსჯელ, გამოუცდელ, ამბიციურ პოლიტიკოსებს ანდობენ და არა მიზანდასახულ, საქმის მცოდნე და წინმაცქერალ შემოქმედ ხელისუფალს.

8697. სადიზმისა და მაზოხიზმის ელემენტების გარეშე, არცერთი დიდი, დასამახსოვრებელი და სარფიანი პოლიტიკა გზას ვერ იკვლევს.

8698. ყვერების „ფხანით“ და დროის გაყვანით დაავადებულ პოლიტიკოსთა ოდენობა ამ სამყაროში არ კლებულობს და ისინი უფრო დიდხანსაც ინარჩუნებენ თანამდებობებს და ეს საზოგადოების პოლიტიკისადმი ჰარი-ჰარალე დამოკიდებულების შედეგია.

8699. მამული, ენა, სარწმუნოება – ამ სამ „ვეშაპზედ“ დგას ქვეყანის ძლიერება, რომელიც ხშირად პოლიტიკაში გვერევა და გვეშლება.

8700. წარმოებული არაფრისმომცემი ხშირი კრიტიკა უნიათო

მთავრობის ხატია და კარიერის დროებითი თავშესაფარი.

8701. პოლიტიკურ წრეებში უღირსთა ყოფნა უმთავრესად უპასუხისმგებლო და უნიათო ამომრჩევლის დამსახურებაა. მან ღირსეული კანდიდატი ვერ ამოირჩია.

8702. პოლიტიკური ანარქია კლინიკას ითხოვს და მას კანონის დიქტატურა წარმატებით მკურნალობს.

8703. ნეგატივსა და პოზიტივს ყველაზე გვიან ხედავს მოტყუებული ამომრჩეველი, რომელმაც თავი საკუთარ თავს გააბიაბურებინა.

8704. არცერთი პოლიტიკა ზნეობის, მსოფლმხედველობის, შეჯერება-კომპრომისების გარეშე არ კეთდება.

8705. „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ამ ტრიადაში პირველ ადგილზე ილიამ მამული დააყენა. მაშინ სხვა ვითარება იყო. დღეს ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ უმჯობესია პირველ ადგილზე იდგეს ენა – „ენა, მამული, სარწმუნოება“.

8706. პოლიტიკური ვაკხანალია და გაურკვევლობა ყველაზე მეტ ზიანს აყენებს სახელმწიფოებრიობასა და მის დემოკრატიას.

8707. პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობაზე მოხერხებული, შემართული და განსჯადი ზრუნვა.

8708. უგუნური და უგვანო პოლიტიკა კი არ არის, არამედ ამომრჩევლები, რომლებსაც იმდენიც ვერ მოუხერხებიათ, რომ ქვეყნის სამართავ პულტთან ღირსეული პიროვნება დასვან და არა ჩვეულებრივი მოკვდავი კარიერისტი.

8709. რატომღაც ბოლო არ უჩანს ვიგინდარა პოლიტიკოსების ქვეყნის სათავეში პარპაშს, რადგან განსჯის და წინხედვის მარგი ქმედების კოეფიციენტი ყოველთვის მიზერულია ამომრჩეველში, რადგან მათ საეჭვო დაპირებებით ცხოვრება ურჩევნიათ რეალობისთვის თვალში შეხედვას.

8710. ბევრმა დიასახლისმა კულინარიის ანბანი არ იცის (მაგ. როგორ უნდა მოხარშოს ხაშლამა, როგორ უნდა გაარჩიოს ხარის და ძროხის ხორცი და ა.შ.) და თავი ყოვლისმცოდნე მზარეულად მოაქვს. ასევეა ჩვენი პოლიტიკოსებიც, რომლებსაც ცხოვრების რეალურ ავ-კარგზე წარმოდგენა არ აქვთ და ქვეყნის მმართველობაში მიძვრებიან.

8711. ქვეყანას, რომელიც ისტორიას ქმნის, პოლიტიკაში ფილოსოფოსობის უფლება არ აქვს.

8712. პოლიტიკა მისთვის გასაგებ ზნეობის ბილიკებზე გადაადგილდება, რათა დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწიოს.

8713. პოლიტიკა ერთსა და და იმავე საკითხის სხვადასხვაგვარად განსჯას ცდილობს, მიუხედავად ერთნაირი შედეგის მიღების მოლოდინისა.

8714. პოლიტიკოსის მოწოდებაა თავისი ქმედებანი წინდახედულად

განჭვრიტოს, რათა არც ქვეყნის ინტერესებს ავნოს, არც ამომრჩეველს და არც საკუთარ თავს, რათა მისი სახელი გარკვეული დროით მაინც შემორჩეს თუ ხალხის არა, ბრბოს მეხსიერებას მაინც.

8715. ზოგჯერ პოლიტიკა უკანონო ხერხებით გაჯირითებას ცდილობს. სწორედ ამ დროს ხდება კანონთან უთანხმოება და ძალის გამოყენება.

8716. პოლიტიკა ზოგიერთი ისტორიული წარსულის უგუნურების აწმყოში უკეთ წარმოჩენის ხელოვნებაცაა.

8717. ყბედობიდან, ციინიზმიდან, სისხლისღვრიდან თუ რაიმე სახეირო გამოდნება, ეს უკვე დროსა და გარემოს დამსახურებაა და არა ეგრეთ წოდებული „პოლიტიკისა“.

8718. გოზინაყი შეიძლება გაკეთდეს: ნიგვზის, თხილის, მზესუმზირის, გოგრის, კედრის, თესლის, ნუშის და, რა ვიცით, კიდევ რისგან, გააჩნია გონიერების ხუშტურს. ასევეა პოლიტიკაშიც, ყველაფრის დაპირება შეიძლება დროის პრეისკურანტის შესატყვისად.

8719. უხერხემლო პოლიტიკას ახასიათებს დროის უმიზნო ფლანგვა-გარყვნა, რომელსაც ბოლო თავადვე ეწირება.

8720. პოლიტიკოსის გავლენა, მისი პიროვნული ხიბლის მიუხედავად, კლებულობს, თუ დანაპირების შესრულებას ვერ ახერხებს.

8721. ვინც პოლიტიკაში მოძვრება, ყველას სიკეთის კეთების პრეტენზია აქვს, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც ხალხთან ურთიერთობის ალგებრას ვერ სწვდებიან.

8722. რეალური პოლიტიკის არსია სწრაფვა უკეთესობისკენ, წინდახედულება და მოვალეობის შეცნობა.

8723. დღეს კულტურას დასევლეთ ევროპა ფლობს, ხოლო ძალის ხელში ჩაგდებას აღმოსავლეთი ცდილობს. აქედან რა პოლიტიკური შედეგრი გამოვა, არავინ უწყის.

8724. ბიუროკრატიაც თავისებური პოლიტიკაა და იმ სფეროს ემსახურება, სადაც მეტი ძალა და სარგებელი ეგულება.

+8725. ამომრჩეველი ყოველივეს „ჭამს და ინელებს“, მათ შორის პოლიტიკურად დამყაყებული მთავრობის წევრებსაც კი.

8726. პოლიტიკოსს ხელისუფლებაში ყოფნის ვადას ეიფორიას აყოლილი მასა უგრძელებს და არა მისი გონიერება.

8727. მედროვე პოლიტიკოსის უგვანობაა, როდესაც ხელს ერთისკენ იშვერს, მეორეს იმედის თვალით უყურებს, ხოლო მესამის შესახებ ფიქრობს, იქნება ჩემი მხარე დაიჭიროსო და ეს მაშინ, როდესაც მთავარი, ანუ ქვეყნისა და ხალხის ინტერესები, დიდად არ აღელვებს.

8728. სიყალბის შეფუთვა, მისი ჭეშმარიტებად შემოპარება ყველა პოლიტიკოსის ხვედრია, მაგრამ აქაც ზომიერების და საკუთარი მეობის დაცვაა საჭირო.

8729. პოლიტიკაში ძირითადად მოდიან თანამდებობისა და ფულის საშოვნელად, მიუხედავად იმისა, რომ რეალური პოლიტიკისა მათ არაფერი გაეგებათ.

+8730. პოლიტიკოსები თავიანთ დაპირებათა ყულაბის ნახევარსაც რომ ავსებდნენ, ქვეყნის საქმე უდავოდ წინ წაიწევდა.

8731. არაფრის მკეთებელი პოლიტიკოსები რეალურად დიდხანს რჩებიან პოლიტიკაში. ისინი სიტყვით არსებულ ხელისუფლებას ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ხელს არ უშლიან და ფაქტობრივად მათი ხელის ბიჭები არიან. ესაა და ეს პოლიტიკაში დიდხანს დამკვიდრების დაუწერელი კანონი.

8732. სიძულვილის ენა პოლიტიკაშიც საკმაოდ წამგებიანია.

8733. პოლიტიკაში წარმატებულად ის პირი ითვლება, რომელიც ამ ქვეყნიდან გადასახლების შედეგად რეიტინგს არ კარგავს.

8734. მეორადი პოლიტიკოსების მომრავლებამ, ქვეყნის დაუძლურება და მასის გაკაპასება იცის.

8735. მრავალშვილიანობის იმიჯი ყველა პატრიოტ პოლიტიკოსს პიროვნებად წარმოაჩენს და მისი გადაცდენების მიმართ შედარებით შემდობნი ვხდებით.

8736. პოლიტიკა ქმედითი აუცილებლობაა და არა ლამაზი დაპირისპირებით ამომრჩევლის მოტყუება.

8737. პოლიტიკას უმეტესად ბინძური საცვლები აცვია.

8738. გავიმეოროთ ის სიტყვები, რომლებიც არსად და არასოდეს არ უნდა ვთქვათ, – არიგებს ბებია შვილიშვილს, ვინ იცის, ასეთი ჭკუის დამრიგებელი ბებიები რომ ჰყოლოდათ ჩვენს მომავალ პოლიტიკოსებს, იქნებ უკეთ მიეხედათ ქვეყნისთვის.

8739. ქვეყანაში „დროის ვირები“ მანამ პოლიტიკოსობენ და ბედაურობენ, სანამდის ბედი უღიმით, სანამდის ხალხის ცნობიერება დაღვინდებოდეს და ერი განსჯას ისწავლიდეს.

8740. „უტრაკო პოლიტიკოსებს“ ქვეყნისათვის ბოლომდის სიკეთე არასოდეს მოუტანიათ.

8741. რეალურ პოლიტიკასა და პოლიტიკას მიტმასნილ პოლიტიკოსებს შორის არის ისეთივე სხვაობა, როგორც დაწყებითი კლასის არითმეტიკის მასწავლებელსა და მათემატიკის პროფესორს შორის, რადგან ერთი აღსაზრდელებისაგან მიმატებას-გამოკლების ცოდნას მოითხოვს, ხოლო მეორე იძულებულია, ქვეყნის გაძლიერების გზების განტოლებები ამოხსნას.

8742. წინდაუხედავი ქმედებანი ყველაზე მეტად პოლიტიკაშია არარენტაბელური.

8743. პოლიტიკოსი თავისებური ილუზიონისტიც უნდა იყოს, სანამდის მის საიდუმლოებათა ხაბახუბას ჩავწვდებოდეთ, მაგრამ ისტორია

მათ მოწყობილ პოლიტიკურ სპექტაკლებს მოგვიანებით მკაცრად განსჯის და აფასებს.

8744. ქვეყანა ან ფულმა უნდა მართოს, ან შიშმა, რადგან სიყვარული პოლიტიკის საქმე არ არის.

8745. „ქაქისტი“ პოლიტიკოსები ყველას გვაშოროს ღმერთმა, რადგან მათ თავიანთი ყბედობითა და უსაქმურობით საქმის კეთების ნაცვლად ზიანი მოაქვთ.

8746. პოლიტიკოსის უმთავრესი დანიშნულებაა თავისი ამომრჩევლის ბუნება-გუნებისა და მენტალიტეტის ცოდნა.

8747. სამწუხაროდ, პოლიტიკა ოროსნებითაა სავსე, რადგან ფრიადოსნებმა უკვე დიდი ხანია ცხოვრებაში თავიანთი ადგილი მონახეს და ფულიც იშოვეს.

8748. პოლიტიკოსს თუ მსახიობის ნიჭი არ აქვს, ის მასისთვის ნაკლებად მისაღებია.

8749. პოლიტიკის შელახული ინტერესები მშვიდობის გარანტი ვერ იქნება.

8750. უნიათო პოლიტიკოსები ლაზღანდარობაში იღებენ პრემიებს, ხოლო პოლიტიკას მიტმასნილი საქმოსნები სარფს პოვებენ ქრთამის გამოძალვასა და „უკუგორებაში“.

8751. მუდმივი ინტერესები სათავისოდ ჭიდილი პოლიტიკაა.

8752. პოლიტიკას მამაძაღლობის ნიჭით დაჯილდოებული პატრიოტი პიროვნება სჭირდება, რომელიც ხალხს კეთილდღეობას ჰპირდება, მაგრამ უპირველესად სახელმწიფოს გაძლიერება-წარმოჩენისთვის იღვწის.

8753. უკიდეგანო გულგრილობა პოლიტიკის უპირველესი ცოდვაა და ხალხის უპირველესი მტერია.

8754. პოლიტიკოსის მოწოდებაა არსებული ხელისუფლების ქმედებათა გაშიშვლება და არა შეფუთვა.

8755. პოლიტიკაში „პოლიტიკანთა“ ყოფნას მხოლოდ ქვეყნის დაკნინება მოაქვს.

8756. რაც უნდა სიძულვილის კენჭები ესროლონ, პოლიტიკოსმა ისინი მოჩვენებითი სიყვარულის ლოდად უნდა დაუბრუნოს ამომრჩეველს, თუ უნდა პოლიტიკოსად და ქვეყნის მმართველად ჩამოყალიბდეს.

8757. პატარა და „პახმელიაზე“ შექმნილი სახელმწიფოს პოლიტიკანებს პროსტიტუციისკენ მიდრეკილება აქვთ, გათავისებულ, მოზრდილ სახელმწიფოებს – მაფიოზობისაკენ, ამიტომაც ძნელია როგორც ამ ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანთა აზროვნების, ასევე მათი პოლიტიკური კაპრიზების შეცნობა.

8758. პოლიტიკაში მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებას, რადგან სხვანაირად სასურველი შედეგის სწრაფად მიღება გამორ-

იცხულია.

8759. ყველანი რწმენას, მოძღვრებას, ცნობიერებას, სულიერების ყივილს ვაცნობიერებთ, თუ მასში პოლიტიკისკენ მიდრეკილება უშნოდ არ ჩაერევა.

8760. სამწუხაროდ, „თერმიტების პოლიტიკა“ მარად სოროში შეძრომისთვისაა განწირული, გარემო პირობების „ფეხზედ წამოხტომის“ შესატყვისად.

8761. ურთიერთპატივშემლახავი კრიტიკა, რეალური საქმის საკეთებლად და პოლიტიკური აზროვნების დაწინაურებისთვის დღეს, სამწუხაროდ, აუცილებელი გახდა.

8762. პოლიტიკა წინდახედული უნდა იყოს და ჰქონდეს თავისი „პიარი“, როცა პროცესებს წარმოადგენს და სიურპრიზს გვიწყობს, რათა მას დაუჯერონ და ენდონ.

8763. ცოლის არჩევა დემოკრატიის ერთ-ერთი მონაპოვარია, მაგრამ ზოგჯერ ეს არჩევანი არ ამართლებს და ამით დემოკრატიის სტატუსს უფერულსა ხდის. იგივეა პოლიტიკაშიც, სადაც მკაფიოვდება ამომრჩეველსა და არჩეულს შორის მოგვიანებით აღმოჩენილი შეუსაბამობა.

8764. ბოთლ არაყს ზოგი ქვეყნის მართვის ხასიათზე მოჰყავს და სამწუხარო ისაა, რომ დღეს ამდაგვარი ვიგინდარებიც არიან პოლიტიკაში.

8765. პოლიტიკა ტყუილ-მართლის შეჯერებაა, საჭირო ჟამს მათს ჯეროვნად წარმოსაჩენად.

8766. პოლიტიკა ყველაში ერთმანეთის მოწინააღმდეგეებს ხედავს და არა პარტნიორებს.

8767. დიდ პოლიტიკაში მოვლენები მოულოდნელად იცვლება მაშინ, როდესაც რეალური აზროვნება ადგილს ტკეპნის.

8768. შეცდომასა და დანაშაულს შუა უზის დიდი ზღვარი, მაგრამ პოლიტიკაში დანაპირების შეუსრულებლობა შეცდომად, გადაცდენად ითვლება და არა დანაშაულად და ესაა ამ უხიაგთა პოლიტიკაში დიდხანს პარპაშის მიზეზი.

8769. ყველა დროის მეწისქვილე პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს, რა სახის დაპირებების საფქვავს დააყრის წისქვილს და შედეგად რა სახის ფქვილი და ქატო ჩამოიყრება.

8770. ამბიციებით დაავადებულნი რომ წარმოჩნდნენ, რეალურ სამუშაოებს გაურბიან და ძირითადად პოლიტიკაში, არასამთავრობო ორგანიზაციებში გარბიან, რათა სხვებზე მაღლა დადგნენ, წარმოჩნდნენ, თავიანთი მე გაახარონ და რეალურად ხელშესახები, შესავლები არაფერი აკეთონ.

8771. „მარადმწვანე პოლიტიკოსებია“, ქვეყნის წინსვლას რომ

აფერხებენ და კეთილსინდისიერ და მიმნდობ ამომრჩეველს ბუნტისთვის განაწყობენ.

8772. პოლიტიკის პრეროგატივაა, თავისი „სამართლიანი აზრები“ სხვებს თავს მოახვიოს, ჭკუა ასწავლოს და გამორჩენაც ნახოს.

8773. სიტყვათა გაბუქების, უაზრო აზრების შეფუთვის, მოსაწონის ცუდად წარმოჩენის სპეციალობაა პოლიტიკა, რომლითაც დღეს ბევრი ვიგინდარაა დაკავებული.

8774. ვისაც საკუთარი გზის გაგნება არ ეხერხება, ყველა პოლიტიკაში მოძვრება, რადგან მათ არა მარტო ამბიციები, არამედ „უკუგორებით“ გამორჩენის წადილიც აწუხებთ.

8775. საჯარო მოხელეს, იუმორის თუ არაფერი გაეგება, პოლიტიკაში არაფერი ესაქმება და ვერც გაუგებენ.

8776. დღევანდელ პოლიტიკოსთა კოჰაბიტაცია უგვანოდ დადგმულ წაწლობის შოუს მოგვაგონებს.

8777. პოლიტიკა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ის დასაგმობი ხელოვნებაა, ურომლისოდაც ჯერჯერობით ცხოვრება არ ხერხდება.

8778. უცნობ ფოცხზე ფეხის დაბიჯებას რატომღაც არცერთი პოლიტიკოსი არ ერიდება და ეს მათი გონიერების შედეგია თუ უგუნურებისა, ძნელი სათქმელია.

8779. პოლიტიკოსისთვის ახირება დამღუპველია, რადგან ის ადრე თუ გვიან თავის თავს დაამხობს და დაასამარებს.

8780. პოლიტიკა თავისებური საროსკიპოა, სადაც ძალად პოლიტიკოსი სიძვის წარმომადგენლები მოღვაწეობენ, რომლებიც კარიერისა და ფულის საშოვნელად არც ერთმანეთის დედის ტირებაზედ ამბობენ უარს, რადგან მათ ხალხის ბედი თავიანთი თავის წარმოჩენის შესატყვისად აინტერესებთ.

8781. დასახული მიზნის მიუღწევადობას არავითარი გამართლება არ აქვს, განსაკუთრებით ეს პოლიტიკას ეხება, რადგან აქ ამომრჩეველსა და ხალხს ატყუებ და არა მარტო საკუთარ თავს.

8782. წინდაუხედავი, განუსჯელი და აფექტში ჩადენილი ნაჩქარევი პოლიტიკური „გმირობანი“ ხშირად უკულმა შემოგვიტრიალდება, იმისდა მიუხედავად, დროთა განმავლობაში ის განსჯის საგნად იქცევა თუ არა.

8783. პოეზია რითმების სათუთი მოძიება და ურთიერთშერწყმაა, ხოლო პოლიტიკა – უხეირო ყბედობათა „გაპრავების“ მცდელობა.

+8784. პოლიტიკისთვის ყველაზე მძიმე გადასატანია გონიერების გენოციდი.

8785. პოლიტიკურ ურთიერთობათა პროგნოზირებით განხორციელების მცდელობა უპირველესი საკითხია ქვეყნის სწორად და უკეთ მართვაში.

8786. პოლიტიკაში მთავარია ისეთი „განგაში“ ატეხო, რომ სხვების ნერვებზე იმოქმედო და აზროვნება დააკარგვინო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასში არც მონაწილეობა ღირს და არც დაფინანსება.

8787. პოლიტიკოსები სათავისოდ ტოლერანტულები არიან: მათ საერთოდ არ აინტერესებთ, რა მასტის ხალხს მიიზიდავენ ხმის მისაცემად.

8788. ყველა პოლიტიკური ურო თავისი გაგების ამომრჩეველ ლურსმნებს დაეძებს მათი მრწამსის ტვინში ჩასაჭედებლად.

+8789. ექიმი და პოლიტიკოსი გამორჩენის მისაღებად იქ აღმოაჩენენ მათთვის უცნობ დაავადებასა და პოლიტიკურ შეუსაბამობას, სადაც ცა მთავრდება და მიწა კი ჯერ არ დაწყებულა.

8790. პოლიტიკოსების უმეტესობა შეპირებებითა და იმედის მომცემი ონანიზმით არის დაკავებული, ხოლო არჩევნების შემდგომ იგი ამომრჩეველს აყვედრის, რომ არ აგერჩიე, საქმე უფრო უარესად წაგივიდოდაო.

8791. პოლიტიკაში უმთავრესია, ვისთან ვიქნებით, და არა ის, რის საკეთებლად ვქმნით ერთობას და ვიყრით თავს.

8792. ზოგჯერ ფაქტებზე ყურადღების გამახვილება პოლიტიკას არა რგებს, რადგან პასუხის გაცემა ძნელია და არცთუ მოგებიანი.

8793. პოლიტიკა ცბიერების, ძალადობისა და თაღლითობის გარეშე მთელ თავის ეშხს დაკარგავდა.

8794. პოლიტიკური სტაბილურობა და ქვეყნის ეკონომიურად აყვავება ძირითადად ადგილსა და დროზეა დამყარებული, და არა ამომრჩეველის ნება-სურვილზე.

8795. დაპირისპირებული ქვეყნების ერთ-ერთ გამოსავლად რჩება იმედის პოლიტიკა, რომელსაც ცივი გონება, ურთიერთგაგება სჭირდება.

8796. პოლიტიკოსის მოწოდებაა, მაშინაც ილაპარაკოს, როდესაც სათქმელი არაფერი აქვს.

8797. პოლიტიკაც, ეტყობა, განგების ნება-სურვილს ემორჩილება და არა ამინდსა და ასტროლოგიას.

8798. საზოგადოების აზრი უაზროდ ცვალებადია, გააჩნია, რომელი ყბედი პოლიტიკოსი ენას როდის და როგორღა მოიქნევს.

8799. ბევრი პოლიტიკური პარტია არის ამბიციური აუტისტების გაერთიანება, ადამიანური სახის მქონე აგრესიულ უნიათოთა ინტერესების დასაცავად.

8800. პოლიტიკა ყველა ხელმოცარული „ძალად მაცხონე“ აუტისტის თავშესაფარი იყო, არის და, ალბათ, მომავალშიც ამად დარჩება.

8801. გულწრფელობა პოლიტიკას ალამაზებს, მაგრამ ყოველთვის როდი რგებს.

8802. ოპონენტის სიყვარულით „დახრჩობა“ გონიერი პოლიტიკოსის წინდახედულებაზე მეტყველებს.

8803. მოსვენებული ცხოვრების მიზანია არ მოხვდე პოლიტიკოსთა მიერ მარყუჟების გამოფსკვნის ხანაში.

8804. პოლიტიკოსს ლოცვა არ შველის, თუნდაც თავის მოსაწონებლად. ის, უპირველესად, ქვეყნის, ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და არ გადაჰყვეს კარიერასა და ფულის შოვნას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვჯერა.

8805. ყველა საქმიანობა პოლიტიკაზეა მიბმული, იმისდა მიუხედავად, ამის საჭიროებას ვგრძნობთ თუ არა.

8806. პოლიტიკოსთა მოწოდებაა დიდ საქმეებთან შეჭიდება და არა უბრალო საქმის კეთება, რადგან ყოფასთან შერკინება და წრთობა მათი ხვედრია.

8807. პოლიტიკა მსხვერპლს მოითხოვს და ეს მსხვერპლი თავისი განუსჯელობით, არაკომპეტენტურობით ამომრჩეველი ხდება.

8808. ზოგს მასაში უაზროდ ბოდიალი პოლიტიკა ჰგონია და, თქვენ წარმოიდგენთ, ამ ხეტიალით საკმაოზე მეტ თანამოაზრესაც ნახულობს და თავის მსგავს ამომრჩეველსაც.

8809. პოლიტიკა მოხერხებულობასთან შერწყმული ხელოვნებაა, ნიჭია და ის ზურგში ჩასაფრებულ უნიჭობად არ უნდა ვაქციოთ.

8810. პოლიტიკა ზოგჯერ სიძულვილით იკვებება და არა მოწინავე იდეოლოგიით, ხოლო ამომრჩეველი ჩუმადაა და ეს მას დიდად არ ანაღვლებს, რატომ? ეს გონისთვის გაუგებარია.

8811. პოლიტიკოსის მოწოდება ჭეშმარიტების დადგენა როდია. მას უმთავრესად შედეგი აინტერესებს და არა რომელიმე პარტიის, პიროვნების დამსახურება.

8812. პოლიტიკური ისტერიკა გონიერების ყველაზე ცუდი მეგობარია, რადგან განსჯას მოკლებულია და ოპონირების წინააღმდეგია.

8813. ხასიათი, აღზრდა, ტემპერამენტი, წინდახედულება, მოხერხებულობა, ცივი გონება – ეს არის დიპლომატის მთავარი იარაღები მოლაპარაკებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან პოლიტოკოსობაზე ხელი უნდა აიღოს.

8814. უდიპლომატიო პოლიტიკა ადრე თუ გვიან ქვეყნის ძლიერებას ძირს გამოუთხრის.

8815. ვაიპოლიტიკოსები „დაღლილი თაობების“ მართვით ირთობენ თავს, რადგან ჯანსაღი თაობები ახლოსაც არ ეკარებიან.

8816. ფიქტიურად ამომრჩეველია ძალაუფლების წყარო, ხოლო ფაქტობრივად – ვინც ხელისუფლების სათავეში მოქცევა.

8817. ჩამოქვეითება, „ჩამოპლაცკარტებას“ ყველაზე მეტად პოლიტიკოსები განიცდიან, რადგან მათი სახე და სახელი სამუდამო დავიწ-

ყებისათვის არის განწირული.

8818. ნიჭი ახალგაზრდობაშიც წარმოგაჩენთ, ოღონდ არა პოლიტიკაში, რადგან აქ თვითნაბად ნიჭთან ერთად საჭიროა გამოცდილებაცა და ბედიც.

8819. პოლიტიკის მოწოდებაა, კედელს თავი იმდაგვარად ურტყას, რომ შუბლი არ გაისისხლიანოს და საკუთარ მეობას არ ავნოს.

8820. კაპიტალიზმი ავი სურვილების, მომრავლების მცდელობაა, როგორც თავად ადამიანის ბუნებაა, ხოლო სოციალიზმი კეთილი სურვილებით ადამიანის მომხვეჭელ ბუნებაზე ხელის დაფარებაა, ხოლო ამ ორი წყობის შეთავსებას დემოკრატია ცდილობს, რომელიც დროისა და გარემოს ცვალებადობის შედეგად ვის მხარეს აღმოჩნდება, არავინ უწყის.

8821. პოლიტიკოსს ლამაზი ფანტაზიები კი უნდა აწუხებდეს, მაგრამ მათი განხორციელებისათვის თავსაც არ უნდა იწუხებდეს, თუ უნდა, თავისი სტატუსი ბოლომდის შეინარჩუნოს.

8822. კარიერის მზის ჩასვენება ადრე თუ გვიან ყველა პოლიტიკოსის ხვედრია. აქ მთავარია, შთამომავლობამ ისინი დროდადრო გაიხსენოს.

8823. არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც ალერგია აქვთ მათთვის მიუღებელი საკითხების მიმართ, მაგრამ, თუ მათ ამის დამალვის უნარი არ შესწევთ, სჯობს, პოლიტიკას ჩამოშორდნენ. ეს მათთვის დასვენება იქნება, ხოლო ქვეყნისთვის – ახალი გზებისა და კადრების მოძიების შესაძლებლობა.

8824. ქიმერას ადრე ცეცხლისმფრქვეველ ურჩხულს უწოდებდნენ, ხოლო დღეს პოლიტიკურ ქიმერად ჰიბრიდი მოიაზრება, როემლსაც ლომის თავი აქვს და გველის კუდი, ხოლო ყოველივე ეს თხის ტანზეა დამონტაჟებული. დიახაც, ეს ლამაზი ფანტაზიაა, მაგრამ პოლიტიკოსები დღემდე ცდილობენ ამ ქიმერით ცხოვრებას.

8825. მომავლის მქონე სახელმწიფოში უბედური ხალხი არ ცხოვრობს. ეს პოლიტიკოსმა კარგად უნდა იცოდეს და ამიტომაც ცრუ დაპირებებს ერიდოს, რათა ამომრჩეველთა რისხვა არ დაიმსახუროს.

8826. პოლიტიკა რეალობის სფეროდ უნდა აღვიქვათ და არა ოცნებებისა და ცრუ დაპირებების „საიტად“.

8827. საშინელებაა, როდესაც ქვეყნის მმართველი ელიტა პოლიტიკურ ონანიზმს ეწევა, ხოლო ამომრჩეველს მისი სჯერა და აუხდენელ სიამოვნებას წინასწარ განიცდის.

8828. პოლიტიკაში მოსული მოკვდავი მარიონეტი ბევრია, მაგრამ მათი დამმარხავიც რომ არავინაა?!

8829. პოლიტიკაში მოსული სხვადასხვა საყრდენისა და პარტნიორის მოძიებას უნდა ცდილობდეს, რათა საჭიროების ჟამს მთლად კუდა-

მოძუებული არ დარჩეს.

8830. პოლიტიკა ზერელე ქმედებებს კი არა, ქვემძრომიალობას, განსჯა-განსაზღვრას მოითხოვს და ეგ არის კიდეც მისი მიმზიდველობა.

8831. მუდმივი არაფერია, მით უმეტეს განუსჯელ პოლიტიკასა და გონიერ ადამიანთა ურთიერთობაში.

8832. იმდენი შემთხვევითი პირია პოლიტიკასა და ქვეყნების მმართველობაში, რომ მესამე მსოფლიო ომის გამორიცხვა შეუძლებელი ხდება.

8833. დროისა და გარემოს „პახმელიაზე“ შექმნილი მცირე ქვეყნებისთვის აგრესიული რიტორიკა წამგებიანია. მათი პოლიტიკაა ნეიტრალიტეტი, მიუმხრობლობა.

8834. პიროვნება ამინდს ქმნის ხელისუფლებაში, ხოლო პოლიტიკა მისი წარმომჩენია.

8835. პოლიტიკა თავისებური ხიბლის ტბორია. მთავარია, დროთა განმავლობაში ის ჭაობად არ იქცეს და უსარგებლო და საზიანო არ გახდეს როგორც შენთვის, ასევე შენი თანამოაზრეებისათვის.

8836. პოლიტიკანობას აქვს ის მიმზიდველი რაღაც, რომელიც იქ ჩაგაყოფინებს ცხვირს, სადაც პრაქტიკულად არაფერი გაგეგება.

8837. პარტიულობის ტენდენციური ნიშნების მიუხედავად, ხელისუფლებაში მოსვლისას საღმა გონმა და ისტორიულმა გამოცდილებამ უნდა იმძლავროს, თუ გინდა, გაგიგონ და თავადაც გაუგო სხვა პარტიულ მიმდინარეობებსა და მათს მისწრაფებებს.

8838. პოლიტიკოსის უპირველესი დანაშაულია იმის უცოდინარობა, თუ რა არის სინამდვილეში პოლიტიკა და მასზე „დამყნობილი“ შესაძლებლობები.

8839. პოლიტიკას ყველაზე მეტად ვნებს დეცენტრალიზაცია და პოლიტიკანთა აუტიზმისკენ მიდრეკილება, რომლებსაც, მართალია, სიკეთის კეთება კი უნდათ, მაგრამ რა და როგორ კეთდება, არ იციან და არც საამისო ნიჭი მოსდევთ.

8840. პოლიტიკა, ტრაგიკომედიის გარეშე, თავად პოლიტიკოსებისთვისაც კი უინტერესო იქნებოდა.

8841. პოლიტიკა არ არის ის უნივერსიტეტი, სადაც სწავლების წესები წინასწარ გაწერილია, დამტკიცებულია და ყველა მას ემორჩილება, აქ ყველას თავისი ინტერესები, შესაძლებლობები აქვს და თავისი მხარის დამჭერი ჰყავს.

8842. საკუთარი რეალური სახის ჩვენება უგუნური ხელგაშლილობაა პოლიტიკაში.

8843. მიუღებელია დროებითი პოლიტიკის სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა დაყენება.

8844. პოლიტიკოსები თავიანთი ადგილების შესანარჩუნებლად და ნდობის ანკესზე წამოსაგებად ყველას რაღაც მიწიერს ჰპირდებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ხნის პანჩურამორტყმულები იქნებოდნენ ამომრჩევლების მიერ.

8845. პოლიტიკა ცნობილი პიროვნებების ხელშია. გულუბრყვილო მასის სამართავად ეს ხერხი აუცილებელია.

8846. პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა განუსჯელად არავის უნდა ვანდოთ.

8847. ყველა პოლიტიკოსი მეტ-ნაკლებად იყიდება, იქრთამება, მაგრამ იმდენი ნამუსი მაინც უნდა იქონიოს რომ წვრილ-წვრილ მონეტებად არ დახურდავდეს.

8848. სამწუხაროდ, ძალზე პატიოსანი კაცი პოლიტიკას არ სჭირდება და ვერც ამართლებს, იმდენად საორჭოფო და მამაძაღლური საქმიანობაა ეს პოლიტიკა.

8849. მატერიალიზმი ყველა სახის იდელოგიის მოსყიდვას ცდილობს, დიქტატურა კი – ყველა სახის პოლიტიკისათვის ცხვირის მოწმენდას.

8850. სამწუხაროდ, პოლიტიკური მართვა დღეს უსაქმურთა, უვიცთა და უნიათოთა საქმეა, რომლებიც თავს უფლებას აძლევენ, მორალი უკითხონ იმ ამომრჩეველს, რომლის ნდობაც მათ რეალურად არ დაუმსახურებიათ.

8851. პოლიტიკური სივრცე ყოველთვის იყო „ტაშისტებისა“ და თაღლითების სამყოფელი და მათ, გარდა გამორჩენისა, არავითარი სხვა მიზანი არ აწუხებთ.

8852. ჯორდანო ბრუნო კოცონზე უვიცმა მასწავლებლებმა დაწვეს, რათა თავიანთი ძველი იდეა და გავლენა შეენარჩუნებინათ. ასეა დღესაც პოლიტიკაში უგუნურნი გონიერებს ახლოსაც არ იკარებენ, რათა თავიანთი მდგომარეობა არ დაკარგონ.

8853. წარსულ შეცდომათა განმეორება, განსაკუთრებით პოლიტიკაში, გარდაუვალია, რადგან პოლიტიკოსი, ჩვეულებრივ, წარსულ შეცდომებს კი არ სწავლობს, არამედ – წარსულ გამარჯვებებს.

8854. ჯერ კიდევ სახელგაუტეხელი, მაგრამ უპრინციპო ადამიანები რატომღაც პოლიტიკაში მოძვრებიან, რადგან იქ თავის წარმოსაჩენად სხვადასხვა საძრომიალოს მოძიება გაცილებით ადვილია.

8855. ამბობენ, მათემატიკურად ყოველივეს განსჯა და დამტკიცება შეიძლება ტოლობის გზითო, მაგრამ მასთან ურთიერთობა პოლიტიკოსებს არ მოსწონთ, რადგან მათი დანაპირები რეალობასთან საერთი ენას ვერ ნახულობს.

8856. დღევანდელი პოლიტიკა კარგად დადგმული „სკანდალების“ აგორების მცდელობაა მსმენელთა გულს დასაპყრობად და მოსანადი-

რებლად.

8857. უგვანო და უპასუხიმგებლო პოლიტიკა ფაქტობრივად ყველგან იწვევს დამანგრეველ შედეგებს.

8858. პოლიტიკა სკინტლით გაბერილი ტომარაა და, როდის გასკდება და ვის სად „დააქაქებს“, არავინ უწყის.

8859. აღვირახსნილი, ათასჯერ დახურდავებული, გადახურდავებული პოლიტიკოსები, რომ მოგვიმრავლდნენ, ეს ისევ აღვირახსნილი, განსჯას მოკლებული, სიტყვებით მოქრთამული ამომრჩევლის ბრალია.

8860. პოლიტიკის საქმეა მოწინააღმდეგეებში თანამდგომთა მოპოვებით, ურთიერთდათმობებითა და რეალურ გარემოებათა გათვალისწინებით მოაგროვოს მომხრეები.

8861. პოლიტიკაში უნიათობა მჟღავნდება დროის გაყვანით, უპერსპექტივო მმართველობით, სამრეწველო და სამეურნეო დარგებში ზარალის მოტანით.

8862. პოლიტიკის უმთავრესი დანიშნულებაა, ხალხი ქვეყნის სასიკეთოდ დარაზმოს, ჩაუსახოს მას იმედი, მომავლის რწმენა.

8863. პოლიტიკოსებს მეძაობისა და „კომედიანტობისკენ“ აქვთ მიდრეკილება და მათ ეს მიაჩნიათ ხელოვნებად.

8864. პოლიტიკაში ველურობა მავნე ელემენტების შემოტევის შედეგია, რადგან დღეს პოლიტიკოსების პოლიტიკანებისაგან გარჩევა ჭირს.

8865. გალანძღულ-გათათხული პოლიტიკოსი მრავალჯერ უნდა აღდგეს მკვდრეთით, რათა, იქნებ, ბედმა გაუღიმოს, კვლავ იქნებ რასმე მიაღწიოს და რაღაც თანამდებობას ხელი გამოჰკრას.

8866. პოლიტიკოსებს სარკეში ყურება არ უყვართ, მაგრამ საჭიროა, რათა, იქნებ, თავიანთ ნაკლში ისეთი რამ აღმოაჩინონ, რაც მასაც გამოადგება და მის ამომრჩეველსაც.

8867. პოლიტიკა ტაკიმასხარაობაა იმათთვის, ვინც ხალხს იმას ჰპირდება, რაც მათ უნდათ, ხოლო პიროვნებად წარმოჩნდება, თუ იმას აკეთებს, რაც ხალხს სჭირდება.

8868. სამწუხაროდ, პარლამენტარიზმს მასებისკენ გზის გაკვლევა დღესაც უჭირს, და, რა დედინაცვლები იყვნენ პოლიტიკაში, იმადვე დარჩნენ, ოღონდ სათავისოდ ბიუჯეტის თანხების უკუგორება ისწავლეს.

8869. პოლიტიკისთვის უმთავრესია დროის აღქმა და გაგება, მისთვის მხარის აბმა და გარემოს შესატყვისად ცხოვრება, რათა მომდევნო თაობებმა თავიანთ დროს დაუცადონ და ჩვენი გამოცდილების ხარჯზე უკეთ იცხოვრონ.

8870. ცოდვას ყველანი დროის, გარემო პირობებისა და ისტორიის მოთხოვნების შესატყვისად ჩავდივართ და ეს ქმედებანი არსებული

დროის შესატყვისად უნდა იყოს განსჯილი. კვერცხმდებელი ქათმის დაკვლა დიდ ცოდვაა და უმადურობაც, მაგრამ რა უნდა ვქნათ, თუ ხორცის მიღების საჭიროებაც არსებობს. ასევეა პოლიტიკაშიც: რაღაც კარგი უნდა გაწირო, რომ უკეთესი მიიღო.

8871. სამწუხაროდ, პოლიტიკაში ისინი აღწევს წარმატებებს, რომლებიც ცნობილ აზრებს ხალხის ცნობიერების გემოზე აჯეჯილებენ, ხოლო საჭირო და საქმიან აზრებს და ქმედებებს ვერ იგებენ და ვერც მათ აქტუალობას ხედავენ.

8872. პოლიტიკაში წარმატების გარანტი ზოგჯერ ფარისევლობაა, როდესაც იცი, თუ რა სიტყვებით უნდა მიმართო და ასიამოვნო ამომრჩეველს.

8873. ამომრჩეველს თავისი რჩეულის საქმიანობა უფრო აინტერესებს, ვიდრე პოლიტიკური ხედვები.

8874. „ტყუილს მოკლე ფეხი აქვს“, ანუ დანაპირებს მოკლე ფეხი აქვს, თუ ის არ სრულდება, მაგრამ დღევანდელ პოლიტიკოსებს ეს არ აღელვებთ, რადგან მათ ისიც იციან, რომ დღევანდელი ამომრჩევლის „გადაგდების“ გარეშე კარიერის კიბეზე ფეხის შედგმა გაუჭირდებათ.

+8875. ღმერთს ყველა სპეციალობის ხალხი უყვარს, ხოლო პოლიტიკოსები სჭირდება.

8876. კულინარიაში სხვადასხვა სანელებლისა და დანამატების შეხმატკბილება საშუალებას იძლევა ნაწარმის ახლებურად წარმოჩენისა, მისი დიზაინის დამახსოვრებისა, პოლიტიკაშიც ასეა.

8877. სტიქიურ უბედურებათა განავარდება ქვეყანაში ზოგჯერ უგვანო პოლიტიკოსთა განავარდების ტოლფასია.

8878. პოლიტიკისთვის საზოგადოება თავისებურიო კაზინოა და აქ ყოფნა და ამომრჩეველთან თამაში როგორ გაუმართლებს, არავინ უწყოს, მაგრამ ფულის საშოვნელად ყოველთვის მზად არის.

8879. ბიზნესი და პოლიტიკა, უნდათ – არ უნდათ, ძმები თუ არა, ბიძაშვილები მაინც არიან.

8880. ზოგჯერ საჯარო უგუნურებაც ხალხის გართობას ემსახურება, რომელიც პოლიტიკანობასთანაა ახლოს.

8881. პოლიტიკას უფრო მეტად თანამზრახველნი სჭირდება, ვიდრე თანამოაზრენი, რადგან, პირველისაგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი ტაშს მაშინ დაგიკრავს, როდესაც წარმატებას აღწევ.

8882. ზოგჯერ გამოუცდელობა გვაიძულებს, ცხვირი იქ ჩავყოთ, სადაც ადვილია გვგონია, მაგრამ არ გვეხერხება. მაგალითად, პოლიტიკა.

8883. პოლიტიკა ყველასთვის ზედმეტი ბარგია, მის საჭიროებას უნიათო ხელისუფლება თავზე რომ არ გვახვევდეს.

8884. პოლიტიკაში ნაძალადევად ცხვირის ჩაყოფა აქვეითებს ჩვენს

ცნობიერებას, გემოვნებას და სამართლიანობის შეგრძნობის უნარს.

8885. ზოგი თავისუფლების, დემოკრატიის ქარტიას გამოკიდებული რეალურად თავისი ცხოვრების მოწყობას ცდილობს. ამისათვის არც პოლიტიკაში თავის შეყოფას უკადრისობს, არც საჭირო უკანალში. ამასთანავე, თავსაც გვაწონებს და ჩვენს თავზე წამოჯდომასაც ცდილობს.

8886. სიმხდალეს, კარიერისკენ სწრაფვას და ხელის მოთბობისკენ მისწრაფებას წინდახედული არცერთი პოლიტიკური დაჯგუფებისთვის სიკეთე და ავტორიტეტი არ მოუტანია.

8887. მოსმენის, საკუთარ შეცდომებზე სწავლის უნარი და შეუპოვრობა – ესაა პოლიტიკოსის უპირველესი მოწოდება.

8888. პოლიტიკოსის უვიცობა და არაკომპეტენტურობა სამშობლოს ღალატის ტოლფასია.

8889. ყველა უქნარა, უპერსპექტივო აუტისტი ძალად პოლიტიკოსობას ცდილობს თავის წარმოსაჩენად და ფულის საშოვნელად. იგი ხალხის გაჭირვებითა და პრობლემებით სპეკულანტობს, რადგან მას ცრუ და ყასიდი დაპირებების დაურიგებლად შანსი არ აქვს ხელისუფლებაში მოხვედრისა.

8890. ისტორიასთან, ეპოქასთან, საზოგადოებასთან თამაში პოლიტიკური დანაშაულია და ის ძალზე უარყოფითად მოქმედებს: ქვეყნის განვითარებაზე.

8891. პოლიტიკოსთა ბედს, ეტყობა, განგება განაგებს: ერთს ლაყბობის უნარს აძლევს, მეორეს – შემართებისას, მესამეს – აუტისტისას და ასე ერთობლივად შეჰყავს ეს უვარგისი ძმობა პარლამენტში ან მთავრობაში.

8892. მელაკუდობა ყველა პოლიტიკოსს სისხლში აქვს გამჯდარი და არც ამ სისხლის გამოცვლას ცდილობს.

8893. მომავალში რას გააკეთებს ყველა პოლიტიკოსი გეტყვით, მაგრამ შეკითხვაზე, თუ როგორ გააკეთებს, პასუხის უნარი არ შესწევს და მისი ახსნა-განმარტება ყბედობაში გადადის.

8894. პოლიტიკაში ონანიზმი ზოგს დღესაც დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის გარჯა-ბრძოლა ჰგონია.

8895. თანამდებობის პირი რამდენადაც დილეტანტია საქმეში, იმდენად ამპარტავნობს, მოსმენის უნარს კარგავს და ცდილობს, თავისი უვიცობა უსაგნო ყბედობით გადაფაროს.

8896. „თუთიყუში“ პოლიტიკოსები ერის შვილებად ვერ წარმოჩნდებიან, თუ ისინი უშვილონი ან დაუოჯახებელი არიან, რადგან მათი პატრიოტიზმი მოჩვენებითია.

8897. საქმე საქმეა, ყბედობა – ყბედობა, პატრიოტიზმი – პატრიოტიზმია და ამ თვისებების ხალხმა, წესით, ერთმანეთს ვერ უნდა

გაუგონ, მაგრამ პოლიტიკოსები ამას მაინც ახერხებენ.

8898. სინდისი ზოგს აქვს, ზოგიც უსინდისოა, მაგრამ, პოლიტიკის თვალსაზრისით, ესეც კოჰაბიტაციას მოითხოვს, რადგან უსინდისოებიც ამომრჩეველები არიან და ხმის მიცემის უფლებით სარგებლობენ.

8899. პოლიტიკა თავისებური საძოვარია, ხოლო პარლამენტში მოხვედრა საძოვარზე მიშვების უფლებაა.

8900. პოლიტიკა ვაჭრობის საგანია და დუქნად პარლამენტის შენობას იყენებენ.

8901. უფლებებს გენდერულმა თანასწორობამაც გვერდი უნდა დაუმშვენოს, რათა „ნანატრი“ პოლიტიკური ცხოვრების მადლი შევიცნოთ.

8902. ოპტიმალური აზრის განსჯა, შერჩევა, გათავისება პოლიტიკაა.

8903. ფუნდამენტური მეცნიერების მსახურთა საქმე პოლიტიკა არ არის, რადგან ისინი ამ საეჭვო საქმიანობაზე არ უნდა მოცდნენ.

8904. ზოგიერთ „სამართლიანობის მოყვარულს“ კანონების დარღვევით უნდა გახდეს მილიონერი და კანონიერების დაცვის მომიზეზებით უნდა ამ მილიონების შენარჩუნება, ის სწორედ ამის გამო ხდება ოპოზიციონერი, პოლიტიკოსი.

8905. რა არის პოლიტიკაში კარგი და ცუდი, დღესაც გაუგებარია, თუ დრომ და ბედმა ეს არ გაჩვენა.

8906. პოლიტიკაში მეგობრობა არ არსებობს, არსებობს მხოლოდ დროსა და გარემოს შესატყვისი მიზნები, ამოცანები და შედეგი.

8907. ვაი-პატრიოტები ხშირად უი კორუფციონერები ხდებიან, განსაკუთრებით – პოლიტიკის სფეროში.

8908. სიძულვილის ენა – უტიფრობაა. იგი ბრბოსა და მასის გემოვნებას ესადაგება, განსაკუთრებით პოლიტიკური დებატების ვითარებაში.

8909. პოლიტიკა მიზანდასახულ, მოხერხებულ და შემოქმედ ადამიანთა საქმეა და არა ფალსიფიკატორებისა და აზრთა გამყალბებლების, რადგან ამ უკანასკნელთა ჩალიჩი ბოლოს თავს მაინც გამოყოფს და ამდაგვარ პოლიტმოღვაწეებს ადრე თუ გვიან სიმართლის მუშტს სდრუზავენ.

8910. არის ადამიანთა კატეგორია, რომელიც სხვათა გონიერების აკრეფა-აკინძვით ცხოვრობს და იღვწის, მაგრამ საკუთარი შემოქმედებითი ნიჭის ნაკლებობას განიცდის. ასეთი ადამიანები პოლიტიკას ახლოსაც არ უნდა გაეკარონ, რადგან პოლიტიკა თვითნაბად ნიჭს, წინდახედულებას მოითხოვს.

8911. პოლიტიკაში ახალგაზრდების ქაოტურად მოზიდვა, თუ მათ გონიერი წინამძღოლი და დამრიგებლები არ ეყოლათ, დანაშაულია,

რადგან მათ ენერგია, შემართება მოჭარბებულად აქვთ, მაგრამ სიფრთხილე, ალღო და გამოცდილება აკლიათ. ეს სიკეთე კი ხანგრძლივ ცხოვრებას მოაქვს.

8912. პოლიტიკაში ციფრები და ციფრებით მანიპულირება ერთობ გავრცელებული ხერხია ხალხის დასარწმუნებლად. საგულისხმოა: კარგი პოლიტიკოსის ხელში ციფრი კეთილი ხდება, ავის ხელში – ბოროტება.

ჟინიანი, განსჯადი მცნებები

8913. ასაკში ვხვდებით: ისე ვერ ჩამოვყალიბდით, რომ საკუთარი თავის წინაშე თავი მოგვეწონებინა; თუნდაც ის ერთი შეცდომა არ დაგვეშვა, მრჩევლისთვის დაგვეჯერებინა, დღეს ხომ ჩვენს ბედს „ძაღლი არ დაჰყეფდა“.

8914. ვეთაყვანები ორ პიროვნებას: პაატა ქორქიას, რომელიც ჩემს ნაწერებს იგებს, და ლერი ჩანტლაძეს, ჩემს აზრებს რომ სწვდება.

8915. რჩევა ადვილია, მისი სისრულეში მოყვანა – ძნელი.

8916. ფილოსოფია ცდილობს, ყოველივეს ჩასწვდეს და გაიგოს, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს გადაჭრილ საკითხებშიც მას ახალ-ახალი გაუგებრობები ხვდება.

8917. არცერთი რევოლუცია, „პერესტროიკა“ არა ღირს იმად, ერთი გენიოსიც რომ იმსხვერპლოს.

8918. სინდისი ზოგჯერ წელში გვწყვეტს და გულში ლახვარს გვიყრის ჩვენი ქრონიკული თუ უნებლიე სიზარმაცის გამო.

8919. ყველა საქმიანობა თავისებურად საინტერესოა, მაგრამ მრავალი შედეგი ჩვეულებრივი და მიწიერია.

8920. ვეცადოთ, მოუთოკველი ენით, დაუკრეფავში არ გადავიდეთ.

+8921. საქმიანი საუბარი ყოველთვის ძნელია, ყბედობისაგან განსხვავებით, რადგან ყბედობა ყველასთვის გასაგებია, საქმიანი საუბარი – ზოგისთვის.

8922. ჩვენი დახმარების სურვილი, შეიძლება, ბევრს აქვს, მაგრამ საკუთარ თავზე უკეთ ვერავინ დაგვეხმარება.

8923. სურვილს მცდელობა სჯობს, მცდელობას – კეთება, ხოლო ნაღვაწი მასამ, დრომ და მომავალმა უნდა განსაჯონ.

8924. საკუთარ თავზე გარკვეული პოზიტიური წარმოდგენის ქონა აუცილებელია, ოღონდ გადაუმლაშებლად.

8925. რაიმეს კეთება ყოველთვის მეტ სიამოვნებას გვანიჭებს, ვიდრე უაზროდ ყოფნა და დროსტარება, განსაკუთრებით სიბერეში.

8926. სისულელეს, ნებით თუ უნებლიეთ, ყველანი ჩავდივართ, მაგრამ მათი დროულად მიჩქმალვა და დავიწყებაც უნდა ვისწავლოთ.

8927. სიხარულის ჯეროვნად აღქმის უნარიც თავისებური ნიჭია.

8928. ფილოსოფია ბოლომდე ახსნას არ ემორჩილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თავის მიმზიდველობას დაკარგავდა, არც განვითარდებოდა და არც ფანები ეყოლებოდა.

+8929. სინდისის ქონა იმის მაჩვენებელია, რომ განგებას ხელი ჩვენზე ჯერ კიდევ არ აუღია.

8930. სირცხვილის გრძნობა იმის იმუნიტეტს გვიმუშავებს, რომ რაიმე არ მივქაროთ.

8931. პროფესიონალს საქმე თავად ეძებს და არა, პირიქით.

8932. მომავალში ჩვენს სინდისს რა ემუქრება და რა სიავეა მის წინააღმდეგ ჩაფიქრებული, არავინ უწყის.

8933. საუკუნეთა გახედნილ ცოდნას თაობათა გამოცდილებაც ადასტურებს.

8934. უნდობლობასაც თავისი ავ-კარგი ახასიათებს.

8935. საკუთარი თავის შეფასებაში ყველა ჩვენგანი მეტ-ნაკლებად ცდება.

8936. რევოლუციას ზედმეტი ცნობისმოყვარეობა და ავანტურისტული ბუნება ღუპავს.

8937. წარმატება უმშვენიერესი გრძნობაა, ნერვების წყვეტის მიუხედავად.

+8938. აჩქარებას განსაცდელის ხარისხი განაპირობებს.

8939. სიმამაცე ბევრ უკუღმართობას სამი თითის კომბინაციას ხშირად უჩვენებს.

8940. ზოგჯერ სრულიად შემთხვევით აღმოჩენილი სიახლე ადგილს გვიმკვიდრებს ისტორიაში. გავიხსენოთ პენიცილინის მამა ალ. ფლემინგი.

8941. მადლიერების გრძნობა ჩვენი შინაგანი ანგელოზის დამსახურებაა.

8942. კარგსა და მისაბაძს ნაციონალური საზღვრები და ენობრივი ბარიერი არ აქვს.

8943. შთაგონება დიდი ძალაა იმისათვის, ვინც მას იწამებს და გაითავისებს.

8944. შთაგონება უებარი და დაუყვედრებელი მკურნალია მათთვის, ვინც მას მიენდობა.

8945. სიცილმა შეიძლება სიცოცხლე კიდეც გაგიხანგრძლივოთ და კიდეც დაგიმოკლოთ. ეს იმაზეა დამოკიდებული, რაზე იცინით და ვის დასცინით.

8946. არაფრის მქონეთ წინააღმდეგობის გაწევის სურვილიც კი დაკარგული აქვთ.

8947. ზოგჯერ ჩვენი სურვილებისაც უნდა გვეშინოდეს: არავინ უწყის, საბოლოოდ რა შედეგს მოგვცემს.

8948. კაცობრიობის ცრემლი და კვნესა განახევრდებოდა, ღირსეულს რომ უღირსი არ უმშვენებს მხარს.

8949. ლატარეა – ეს ნებაყოფილობითი ვაჭრობაა, რომელიც შორეული სინათლის სხივს სურვილის შესატყვისი იმედით გვინთებს.

8950. ყოველ სიმართლეს თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს.

8951. უსამართლობას მხარს უმაგრებს და საკმეველს უკმევს უმოქმედობა.

8952. სათანადო ცოდნის დეფიციტს ყველა ეპოქა თავისი გა-

დასახედიდან განიცდის.

8953. მეცნიერება კრიტიკულად უყურებს ბუნების ფიზიკურ კანონზომიერებებს, ხოლო პოეტი ცდილობს ჩასწვდეს ბუნების სულიერ საიდუმლოებებს.

8954. განგება ყველა სიკეთის უნაკლო აღმსრულებელია – წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი, ერები გადაშენ-გადაგვარდებოდნენ.

8955. ისტორიას თუ სჭირდება, საჩოთირო კითხვებს შეუმჩნევლად და მოხერხებულად უვლის გვერდს.

8956. რამდენიმე მოსალოდნელი უბედურებიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიო, თუ გინდა, სხვებს თავი დააღწიო.

8957. მივიწყებული ამბის გახსენებას თავისებური მადლი ამკობს.

8958. ჩვენი ღვაწლი გაურჯელად არ ფასდება და განუსჯელად არ წარმოჩინდება.

8959. მოკრძალება გონის მოხმობის სინონიმია.

+8960. ზერელე ცოდნასა და ქმედებას ყველა ალმაცერად უყურებს, ხოლო ძაღლები უყეფენ.

8961. გულუხვობა სიამაყის სინონიმია, ოღონდ ჯანმრთელი სიამაყისა.

8962. განვითარება განდიდების გარკვეული ფორმების დანერგვას მოითხოვს, იმის მიუხედავად, მას როგორ შეაფასებენ.

8963. წვერის მოშვება სიზარმაცის დასტური უფროა, ვიდრე – მოდის აყოლა.

8964. რაც დიდ მიზანს არ ისახავს და ადვილია, ის არც საინტერესოა.

8965. მოლაყბეთა მომრავლება, მათგან თავის არიდების საშუალებას გვართმევს.

8966. გარჯა თავის რჩენის სინონიმია.

8967. წარმატებას ცოდნითა და მომავლის განჭვრეტით აღწევენ და არა მარტო გარჯითა და ფულით.

8968. განგების საჩუქარია თავხედობა, რომელსაც თავისუფლების დიდი ნაწილი ძალით მიუთვისებია.

8969. ვარჯიში იმ შემთხვევაში ამსუბუქებს სხეულს, თუ გონებას მატებს ძალას.

8970. იდეა ბევრია, მაგრამ მათში სასარგებლოს ამორჩევა და მათთვის ხორცის შესხმა ჭირს.

8971. არავის ვალი არ გქონდეს და სხვასაც არაფერსა სთხოვდე – ესეც ერთგვარი ღირსებაა.

8972. ორგანიზმსაც შეუძლია გამოჯანმრთელების პროცესი გააპროტესტოს, თუ მას სწარედ არ მკურნალობენ.

+8973. სინდისი საუკეთესო მსაჯულია, მაგრამ მას დასჯის უფლე-

ბა შეზღუდული აქვს.

8974. შიშველი მადლობა ვალის ზრდილობიანად მოხდის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა.

8975. დასახული მიზნის უდანაკარგოდ მიღწევა ყველა საშუალებას ამართლებს.

8976. მოვალეობა და ეგოიზმი ერთმანეთს ვერც უგებენ, ვერც ეთვისებიან.

8977. ხდება ფანტაზიის დევალვაცია. ადამიანი წარმოდგენის უნარს კარგავს. ზღაპარს კიტრის ფასიც აღარ აქვს. რა დროს მფრინავი ხალიჩაა, როცა მთელი სახლი-თვითმფრინავი – დაფრინავს.

8978. ყოველივე მისაღები და მოსაწონია მანამ, სანამდის უკეთესის ნახვისა და ძველის ახალთან შედარების საშუალება არ გაქვს.

8979. ორატორის გამოსვლაში ზმნების მოჭარბება იძლევა რეალურ შედეგს, რაკიღა ისინი მოქმედებას გამოხატავენ.

8980. ზოგჯერ მორალური ვალდებულება შეუძლებელს გვაკეთებინებს.

8981. კანონის გარეშე, მათ შორის ყურით მოთრეულ მტკიცებებს ალიყური ვერ უნდა აკადრონ.

8982. კეთილშობილობა ჭკუა-გონების სიღრმის პირველი ნიშანია, ოღონდ არა ერთადერთი.

8983. კანონისთვის უმთავრესია მისი შინაარსის გაგება და მიუკერძოებელი აღსრულება. ეს კი გონივრულ შეღავათებზეა დამოკიდებული.

8984. უცოდინარობა ჯიუტია – სანამდის ცოდნის პოსტულატი თავში არ წამოარტყამს, აარვის ეპუება.

8985. სინანული დროებითია და თავისი დროსი უძღებ შვილს ბოლომდე ვერ თოკავს.

8986. სურვილს ახდენა უხდება, ჟინს – თავის მოდრეკით აღსრულება.

8987. კეთილი სურვილები ბევრ ცოდვაზე ახლებურად შეგვახედებს და ზოგიერთ გადაცდენას გვაპატიებს კიდეც.

8988. სხვას რომ იმის ნახევარი გაუკეთო, რასაც შენს თავს უსურვებდი და არ დაამადლო, გმირობა არ აგცდებათ.

8989. ზოგჯერ საკუთარ თავსაც უნდა გაეპრანჭო, რათა შენი ამქვეყნად არსებობის მადლი შეიცნო.

8990. მორალს აზრი და გამოცდილებაც თან უნდა ახლდეს, რათა თავისი თავის რეალიზება მოახდინოს.

8991. ისტორია ნამყოს, აწმყოსა და მომავლის კოქტეილია.

8992. შიში კაცს გამბედავსაც ხდის, თუ მას უკანდასახევ გზას აღარ დაუტოვებ.

8993. აღვირახსნილი დემოკრატია ძელგი ღვინოა – გულძმარვას

იწვევს.

8994. იუმორის კეთილშობილური გრძნობები და მისწრაფებები არაადეკვატური ჟარგონული ლექსიკით არ უნდა დავაბინძუროთ. ეს დაახლოებით იგივეა, რაც ლაქები მზეზე.

8995. გრძელი სიტყვა ისე არ უნდა დავამოკლოთ, რომ ჩვენთვისაც გაუგებარი გახდეს.

8996. სიკეთის კეთებაც დაუმადლებლად გვიძნელდება.

8997. ქვეყანა უმეტესად დიდი, საშუალო და მცირე დეგენერატების თავყრილობაა, რომელებიც საშუალებას აძლევენ შედარებით ნიჭიერ და გარემოებათა ხელის შეწყობით წარმოჩენილ ვიგინდარას, სახელმწიფო მართოს.

8998. ჭკუას საუკუნეთა გამოცდილება ამხნევებს და ზრდის.

8999. ცოდვა მანკიერებას არ იმჩნევს – არისტოკრატივით ჩაცმული მეძავი ქალია.

9000. „მეგობრებს – ყველაფერი, სხვებს – კანონის შესატყვისად“. ეს დევიზი ზოგან ახლაც ძალაშია.

9001. ფანატიზმი, აყვანილი გონიერების კვადრატში, გვაძლევს შედევრს კუბში.

9002. მოდა ხელს უწყობს გონიერების დაბლოკვას, როცა დროებით მასების გონიერების დაუფლება.

9003. ჭკუა უნარს ყვავილის კოკორივით გაშლის.

9004. იყო მართალი, მძიმე ტვირთია, თუ ირგვლივ მყოფნი ხშირად ან ძალად ცდებიან.

9005. ცივილიზაცია და ფუფუნებისკენ სწრაფვა ხშირად ქვეყნისთვის საჭირო ფიქრის უფლებას გვართმევს.

9006. ყველა დღესასწაულში ყოფის სოციალიზაციის ელემენტები ურევია.

9007. სანქ-პეტერბურგის მშენებლობას პეტრე I ხელმძღვანელობით უამრავი რუსი შეეწირა. დღევანდელი თაობისათვის რომ შეგეთავაზებინა: პეტერბურგი რომ არ ყოფილიყო და რუსეთის ის მოსახლეობა არ დახოცილიყო, ხომ სჯობდაო, დღევანდელი თაობა ამ კომპრომისზე წავიდოდა?!

9008. ინტელექტუალთა მსჯელობას დღეს ყბედობას ეძახიან.

9009. ინტელიგენტი სიტყვით სხვაზე ზრუნავს, მაგრამ საქმით საკუთარი თავი არ ავიწყდება.

9010. ღმერთს სიძულვილი არა აქვს, სიყვარულს – შეგნება, გონიერებას – საზღვარი.

9011. სიცოცხლის მადლს უკეთ შეიცნობ, თუ დარწმუნდები, რომ შენი მცდელობა იმ საქმეს შეალიე, რაც შენი მოწოდებაა.

9012. კეთილგონიერება არ იწონება, ვნება არ ისაზღვრება, ხოლო

სიცოცხლის ხანგრძლივობას კი უფალი განსაზღვრავს.

9013. სინდისის ხმას ყური უნდა ვუგდოთ, რადგან ჩვენი მფარველი ანგელოზი ზოგჯერ ამას ჩვენგან მოითხოვს.

9014. ზედმეტად არც არავის უნდა დავუთმოთ და არც არავის უნდა შევეწინააღმდეგოთ, რათა ზომიერებისა და კომპრომისისკენ მიმავალი გზები არ გადავკეტოთ.

9015. ცოდვებთან კავშირი მეტ-ნაკლებად ყველასა გვაქვს.

9016. კანონიერებასთან „მორცხვად მყოფ“ ქვეყანაში კონსტიტუციასა და კანონებს მტერი ენდო. აქ ფხა და მოხერხებულობა დროისა და გარემოს შესატყვისად თვითონვე უნდა გამოიჩინო.

9017. დიდ პიროვნებას საყოფაცხოვრებო ბიოგრაფია არა სჭირდება. ეს მისთვის უაზრო ტვირთია.

9018. სათნოება და ოქრო ცნობიერების საწინააღმდეგო პოლუსებზე დგანან.

9019. დაუგეგმავმა წასვლა-წამოსვლამ ზოგჯერ მონატრება იცის.

9020. სიზარმაცე უპასუხისმგებლობის სინონიმია.

9021. სურვილი ერთია, ქცევა მეორეა, მუხრუჭების გონივრულად აშვება-დაჭერა – მესამე და მთავარი.

9022. დღევანდელობა მეტ დაფასებას მოითხოვს, რადგან, ხვალ რა იქნება, არავინ უწყის.

9023. ისე ვიღვწით, როგორც საზოგადოება ცხოვრობს, და არა ისე, როგორც ქვეყნის კონსტიტუციაში წერია.

9024. ბევრი და დიდი სისულელის ჩადენაში ის სხვაობაა, რომ პირველი გვავიწყდება, მეორე – არა.

9025. ისტორიული მახსოვრობის უქონლად არც ეროვნულობა არსებობს, არც სახელმწიფოებრიობა, არც თავისუფლება და არც ქვეყნის მოქალაქედ დარჩენის სურვილი.

9026. თანამედროვე ისტორიკოსს უფლება არ აქვს, ხელისუფლების საამებლად მას უკანალში შეუძვრეს და ისტორია თავდაყირა დააყენოს.

9027. ყველა ისტორია ფალსიფიცირებულია, რაკიღა მომდევნო საუკუნეთა ყველა ხელისუფალი თავის გემოზე რანდავს და აშალიშებს.

9028. საკუთარ ნიჭში ჩაკეტილი დიდი შემოქმედი თუ სხვათა მიღწევებს არ ამჩნევს, ის მთლად ნორმალური არ არის.

9029. ისტორია მაინც „ნაძირალა“ მეცნიერებაა, რადგან ყველაზე უკეთ ის ემსახურება მედროვეებს.

9030. ისტორია სარკეა ჩვენი მომავალი ყოფიერებისა, მაგრამ ხალხი რატომღაც მის ანარეკლს სჯერდება.

9031. დღეს, წესით, ყბედობის უფლება ყველას უნდა ჩამოვართვათ და ჭორის გავრცელება ავუკრძალოთ, თუ გვინდა ქვეყნის სასიკეთო საქმე ვაკეთოთ.

9032. მცდელობას ისევ რეალური გარჯს სჯობს, უფრო შედეგიანია და პიარსაც ნაკლებად მოითხოვს.

9033. თუ ოდესმე დედამიწა უნდა გაქრეს, მაშინ რა აზრი აქვს გარჯას ისტორიაში სახელის დასატოვებლად, მაგრამ ადამიანი იმედით ცოცხლობს, და ამით თავს ირთობს.

9034. მთავარია, ისტორიაში დარჩე და არა ისე, ზოგს რომ ემართება: ისტორია რომ უკვალოდ ტოვებს.

9035. პატივისცემას არ დაითრევენ. მას იმსახურებენ.

9036. ისტორია აწმყოს, ნამყოსა და წარსულის ნამრავლის განაყოფია.

9037. ყველაზე ძნელია აღიარო, რომ შენ არ ვარგიხარ და სხვა აქ არაფერ შუაშია.

9038. საფუძველი და სურვილი დიდი ძალაა თავის წარმოსაჩენად, საქმის საკეთებლად, სახელის დასაგდებად.

9039. დუმილი და მოკლე სიტყვა-პასუხი საუბრის უდიდესი ხელოვნებაა.

9040. კანონი თუ ბოროტებას მუშტს უჩვენებს, ბოროტება უკან იხევს და გარდაიქმნება.

9041. კიდევ კარგი, ისტორიას უკან სვლა არ ახასიათებს, თორემ მაშინ უნდა გვენახა არაერთი ბაკქანალია, პოლიტიკოსთა დაპირისპირება და უმეცართა პარპაში ქვეყანაში.

9042. ისტორიას მუდმივი კავშირი აქვს როგორც გაუგებარ წარსულთან, ასევე გაუცნობიერებელ მომავალთან.

9043. სტუმრის უმთავრესი მოვალეობაა დაჯდომა, ადგომა და სახლში წასვლა.

9044. სიკეთე და ბოროტება, პროგრესი და რეგრესი, სიმართლე და სიცრუე, სიყვარული და სიძულვილიც დღეს გონიერების სახელით კომპრომისს უნდა ეძებდეს.

9045. დიპლომატია ხშირად ენაზე კბილის დაჭერით მეტს აღწევს, ვიდრე საუბრით.

9046. ბევრი ამომრჩეველი მისი არჩევანის შედეგის გააზრებისას ხეზე ფეხით ჩამოკიდებას იმსახურებს.

9047. ფილოსოფია თავისებური სარწმუნოებაა, რომელიც საზოგადოების დოგმებს მხარს უბამს ან ოპონირებას უწევს.

9048. მეგობრობის გაწევა უფრო ძნელია, ვიდრე მეგობრის ყოლა.

9049. კანონმორჩილება ბიზნესისათვის ყოველთვის ხელსაყრელი არაა, იმდენად მოუქნელია კანონშემოქმედთა ნააზრევი.

9050. სტერეოტიპების ნგრევა ზოგჯერ სინანულს იწვევს, თუმცა კი ხვდები – ეს პროგრესია.

9051. რადიკალიზმი და უკვდავება ხშირად ურთიერთკავშირშია.

9052. ისტორიის თავაშვებული წლები ადამიანის არსებობაში ბევრ რასმე განაპირობებს, რის შედეგადაც მისი მსოფლმხედველობა ყალიბდება.

9053. ფიქრი ყველას თავისი და თავისებური აქვს, მაგრამ ფიქრის ხარისხია სხვა და მისგან გამოსული შედეგი.

9054. მათემატიკური ანალიზის უნარის მქონე ყველა პროფესიაში ერთეულებია, მაგრამ ზემდგომნი მათ ჯიუტად არ ამჩნევენ.

9055. კონკურენციაა ის მაგიური ძალა, რომელიც სამყაროს ავითარებს და რომელმც კაცობრიობა დღემდე მოიყვანა.

9056. თავმდაბლობა თავისებური ღირსება და მადლმოსილებაა.

9057. აღსარებაზე არ უნდა ვიფიქროთ, მაგრამ არც ახალდაბადებულივით უნდა ვიგრძნოთ თავი ამ სამყაროს შეცნობისას.

9058. მოთმინება სიბრძნეს მცირე ნაბიჯების გადადგმით ემსახურება, ოღონდ ეს ნაბიჯები იდგმება არა უკან, არამედ – წინ.

9059. ხელისუფალს მეგობრები არა ჰყავს. ის მათ ხშირად უნდა გადაამოწმებდეს და ღალატის სურვილს უკარგავდეს, რადგან კარიერისა და მეგობრობის შეერთება წინდახედულ სიფრთხილეს მოითხოვს.

9060. დღეს სასურველი ბავშვის გაჩენა ტრადიციული მეთოდების გარეშეც შესაძლებელია.

9061. ზოგჯერ შეცდომების კორიანტელიც კი სასურველ შედეგს იძლევა.

9062. ღირსება სინათლეს სიამაყით უნდა აფრქვევდეს.

9063. კოსმოპოლიტობაზე თავის დადება არა მარტო აღზრდის ნაკლია, არამედ მშობლების შეუთავსებლობის შედეგიც.

9064. სამყაროს აპოკალიფსი, ეტყობა, გარდაუვალია, იმისდა მიუხედავად, სიკვდილი დროებით დაგინდობთ თუ არა.

9065. უპირველესად პატივი უნდა მივაგოთ პიროვნების საქმიანობას, ნიჭს და არა მის პოტენციურ შესაძლებლობებს.

9066. ნაშთის გარეშე წარსულს არაფერი ბარდება.

9067. ინტელიგენტი შეგნების, ნიჭის, შრომის, საქმისადმი სიყვარულის გამოვლინებაა და არა მარტო განათლებისა.

9068. ყველა ჩვენგანში შეიძლება მხეცმა გაიღვიძოს, თუ ყოფის მაღვიძარას მის ასაყეფებლად დავაყენებთ.

9069. გულწრფელობა კეთილშობილთა ხვედრიცაა, ბედიცა და ლოცვაც.

9070. სიმდიდრის ფასის გაგებას წლებთან ჭიდილი სჭირდება, ხოლო გადაფასებას – გამოცდილება.

9071. სიმდიდრე და პატიოსნება, მცდელობის მიუხედავად, პრაქტიკულად ერთმანეთს ვერ გუობს.

9072. მშვიდობის შენარჩუნების მრავალი გზა არსებობს, მაგრამ ამ

გზათა საიდუმლოებებს თავიანთი დროების გამგე გენიოსები ფლობენ.

9073. დღეს ერთმანეთის გასატანად მარტო ბიოგრაფიული ცნობების გაცვლა არ კმარა, თუ ერთმანეთის ტყავში ყოფნას ვერ ვისწავლით.

9074. ამბობენ: შენი ქვეყნის საკეთილდღეოდ ყოველივე უნდა გადაიტანო, თუ გინდა მისი ისტორიის ერთ პწკარედში მაინც მოხვდეო, მაგრამ ღირს ეს თუ არა, არავინ კითხულობს.

9075. საგმირო საქმე საჭირო დროს თავად ნახულობს გამოსაცდელად პოტენციურ გმირს.

9076. ისტორია ძველი ამბების სწორად აღწერის მცდელობა კი არაა, არამედ მომავალზე ფიქრი.

9077. ზოგჯერ შენით იმითაც აღფრთოვანდებიან, რის თქმასაც შენგან ელიან და ეზიარებიან.

9078. ისტორიულად „ქაქის ჭამას“ მიჩვეულ ქვეყნებზე ცივილიზაცია, ტექნიკური პროგრესი და ახალი პოლიტიკური ხედვა მაინცდამაინც დიდ ზეგავლენას ვერ ახდენს.

9079. ყოველივე გადამეტებულსა და მოჭარბებულს ეგოიზმამდე მივყავართ.

9080. ისტორია მარად განუსჯელად მეორდება. ამიტომაცაა წარსულის გამოცდილება უშედეგო.

9081. ისტორიის ჩარხი უჩვენოდაც იტრიალებს, ხოლო ჩვენი ვალია, მასზე რაღაც სერიოზული და სასარგებლო დროულად გამოვჩარხოთ ჩვენი ამქვეყნად ყოფნის დასტურად.

9082. ისტორიის მონაკვეთებს რომ გადავხედავთ, გაოცებული ვრჩებით: რამდენი ნაძირალა და შემთხვევითი ხალხი ცხოვრობდა ფუფუნებაში და რამდენი მათნაირი მომავალშიც ასე იცხოვრებს.

9083. მარადისობა დასამახსოვრებელ და რეალიზებულ ნიჭს მოითხოვს.

9084. ისტორია ყველაფერსა და ყოველივეს გადახარშავს, დროის შესატყვისად მოინელებს და წარმოაჩენს.

9085. მობილურმა კავშირმა ადამიანები უფრო ყბედები და უსაქმურ-საქმიანები გახდა.

+9086. ქვეყნის ჰიმნს ერის ისტორია წერს და არა კომპოზიტორი.

9087. კოლექციონერები, ფილატელისტები მთლად დალაგებულები არ არიან, მაგრამ ისტორიისთვის, ბიზნესისთვის საჭირო და აუცილებელი ხალხია.

9088. ისტორიას თუ თანამედროვე დაკომპლექსებული და მლიქვნელი ისტორიკოსებისგან გავწმენდთ, მაშინ მას აღარაფერი დარჩება გადმოსაცემი, გარდა ერთეული გამონაკლისისა. ეს კი არის: ერთმანეთის ხოცვა, ტყვეთა გაყიდვა, ყაჩაღობა, ქონების მითვისება. და ყველაფერი

ეს ამოფარებულია ვითომდა სამშობლოს სიყვარულს.

9089. ისტორიის ქარაშოტი მარად ქრის და ყოველივეს მაშინ წალეკავს, თუ მას წლეგამართული არ დავხვდებით.

9090. ისტორიამ ავისა და კარგის ანალიზი, შეჯერება უნდა ისწავლოს თავისი დროის შესატყვისად და არა დღევანდელობის გადასახედიდან.

9091. ხელისუფალი ქვეყნის ძლიერებისთვის უნდა იბრძოდეს და არა ხალხის მოჩვენებითი კეთილდღეობისათვის, რადგან ეს უკანასკნელი ისტორიაში სახელს ვერ დაგიტოვებს.

9092. პიროვნების სრულყოფა საკუთარი ქმედების განსჯა-კრიტიკის შედეგადაც შესაძლებელია.

9093. გამოცდილი მასწავლებლის გაკვეთილები ძვირფასია, თუ შეგირდსა და მასწავლებელს ერთმანეთი მოსწონთ.

9094. აჩქარება, სულწასულობა, ვაი-პატრიოტიზმი ხშირად ქვეყნის დაფეხმძიმებით მთავრდება, აბორტი დაგვიანებულია და უგუნურება იბადება.

9095. ცეცხლი, ბორბალი და სახნავი უდიდესი გამოგონებებია კაცობრიობის ისტორიაში. მათ ადამიანის ცნობიერება დღევანდელ დონემდე აამაღლეს.

9096. ოცნებას სათავისო გვირაბი ყველგან გაჰყავს და მასში დაუბრკოლებრივ დანავარდობს.

9097. სინდისსაც მწყემსვა უნდა, რომ უსინდისობის მორევში არ გადაიჩეხოს.

9098. თანამდებობისათვის აწყვეტილ „ღილს“ მაშინვე უნდა დამაგრება და შებნევა, შედეგად თუ თანამდებობაზე დიდხანს დარჩები ან კარიერის საფეხურების დაპყრობა არ გაგიჭირდება.

9099. შარი ზოგჯერ იმ დროს აგვეკიდება და იქიდან წამოვა, საიდანაც სულ არ ელოდები. შედეგად საამისოდ შინაგანად წინასწარ უნდა იყო მომზადებული.

9100. მზეზე ლოცვა ღმერთზე ლოცვის ტოლფასია, რადგან ისაა ჩვენი პლანეტის ყოფნა – არყოფნის ავან-ჩავანი.

9101. სინდის-ნამუსის კურსის დადგენას „გაერო“ ისე ცდილობს, რომ გონიერების ინფლაციას არ ითვალისწინებს.

9102. ისტორია კარგის დაგემოვნებას იშვიათად გვასწავლის, რადგან ჩვენი ხელისუფლების გადამკიდეთ მარად უმწიფარისა ანდა გადამწიფებული პოლიტიკის „ჭამა“ გვიხდება.

9103. უკვდავსაყოფად გმირიც თავის ბედს ეძახის, უყვირის.

9104. ისტორიკოსებს ხშირად „ისტორიკოსობა“ ემართებათ, როცა დროის მლიქვნელურ მომსახურებას ცდილობენ.

9105. ყველას „ქეთოსა და კოტეს“ სიყვარულის მსგავსი ტრფიალი

მოსწონს და არა „რომეოსა და ჯულიეტასი“, რაკიღა ეს უკანასკნელი სავალალოდ მთავრდება.

9106. დიქტატურა თუ ცოცხალ მკვდრებს ამრავლებს, დემოკრატია მკვდრებს ცოცხლებად ასაღებს.

9107. ნაძირლებთან კანონით ბრძოლას ისევ მათი სამუდამო გასახლება სჯობს მათთვის გამოყოფილ საცხოვრებელ ადგილებში. იაფიც დაგვიჯდება და სხვებსაც ვერ აცდუნებენ.

9108. დელეტანტი ყველაზე მეტად ცდილობს ბრძენკაცის ნიღბის მორგებას, ზოგჯრ გარკვეული დროით გამოსდის კიდეც და საუფროსო ადგილზეც წამოკოკორინდება.

9109. სიტყვას თუ მადლი დაჰყვა და იუმორით აღიჭურვა, ის ჩვენს ცნობიერებაში უბელო მერანივით იჯირითებს.

9110. ეროვნულობას ქვეყნის ისტორია წარმოაჩენს, ხოლო ეროვნულ ცნობიერებას – ღირსეულ შვილთა ნაღვაწი.

9111. მათლაფით მორთმეულ თავისუფლებას გაცილებით მეტი მოფრთხილება, ჭკუის ხმობა სჭირდება, ვიდრე ჩვენი ძალისხმევით მოპოვებულს.

9112. გარკვეული საკითხების ზედმიწევნით ცოდნა განათლებას ნიშნავს.

9113. ყველა ხმა მოწონებას იმსახურებს, თუ გაღელვებს და აღგვაფრთოვანებს.

9114. სიყვარულს ბევრი უმღეროდა, მაგრამ ისტორიას ერთეულები შემორჩნენ.

9115. ჩვენთვის სასურველ ნიჭს ოქროს თევზიც ვერ გვაძლევს საჩუქრად.

9116. ახლობლების ბუნებას მათი წრე შეგაცნობინებს.

9117. ყველა დროის რეალობასთან კავშირი აუცილებელია, თუ გვინდა საკუთარი ისტორია უკეთ შევიცნოთ.

9118. ისტორიის მამად მიჩნეულია ბერძენი ჰეროდოტე, ხოლო უკანასკნელი მეისტორიე ვინ იქნება, არავინ უწყის.

9119. დაღვინებულ, დაწმენდილ აზრებს ისტორიაში დამკვიდრებისა და საყოველთაო დამახსოვრების შანსი აქვს.

9120. ეროვნული ისტორიის კრიტიკულად შემფასებელ მოაზროვნე პიროვნებას ყველა ალმაცერად უყურებს, რადგან ყველას მისთვის გასაგები და ერის წარმომჩენი ისტორია მოსწონს.

9121. ისტორიის გზა – ეს ყოველგვარი ცივილიზაციის ყამირის ათვისებაა.

9122. ისტორიასაც თავისი ბნელი და გაუგებარი მხარეები აქვს, რომლის ამოხსნას ტყუილუბრალოდ ვცდილობთ.

9123. გრძნობებიც თავისებურ აღზრდა-განვითარებას საჭიროებს.

9124. სამარცხვინო დიდებას ბევრი არ უკადრისობს და წინააღმ-
დეგი არ არის, ისტორიის ფურცლებს ამ გზით შემორჩეს. მაგ. ჰე-
როსტატე.

9125. დაპირისპირებისათვის შიში უძლურებაა, მაგრამ არა იმათთ-
ვის, რომლებიც კომპრომისების ხელოვნებას ფლობენ.

9126. ოპტიმიზმი საკუთარი გაფეტიშებული ოცნებების, ნიჭისა და
ფანტაზიის საუკეთესო მომხმარებელია.

9127. პესიმისტური ოპტიმიზმი უფრო განკურნებადია, ვიდრე
პირიქით.

9128. ოპტიმიზმია ის, რაც გვწამს, გვჭირდება, ვეთაყვანებით.

9129. პატივისცემას ყოველგვარი სათნოება იმსახურებს.

9130. ზოგ ახვარს ისე უცნაური სურვილები აქვს, რომ მისი თხ-
ოვნით: ოქროს თევზი კვდება, კეთილი ფერია ჭკუიდან გადადის, ხოლო
ჯინი მოულოდნელობისგან სულიერ ტრავმას იღებს.

9131. თავგანწირვაც თავისებური ეგოიზმია, როდესაც უპირველე-
სად დროის შესატყვისი სახელი გინდა დატოვო ისტორიაში და არა
საქმე.

9132. მშობლები ადრეული ასაკიდანვე გვიყვარს, მაგრამ მათ
ღვაწლს სათანადოდ სიბერეში ვაფასებთ, როდესაც ისინი ამქვეყნად
უკვე აღარ არიან.

9133. რატომ ითმენდა რომის იმპერია იმპერატორ ნერონის უხი-
აგ გამოსვლებსა და გათავხედებას, რომელმაც ბოლოს მამაკაცზეც კი
დაიწერა ჯვარი, დღესაც გაუგებარია.

+9134. გასაოცარი ხალხი ვართ ქართველები: წინააღმდეგი არა
ვართ, სხვის კალთას ამოვეფაროთ, ოღონდ ჩვენი უფროსობით და ჩვე-
ნი ხუშტურების დაცვით.

9135. ისტორიისა უნდა გვჯეროდეს მაშინაც, თუ მის უტყუარობა-
ში ეჭვი შეგაქვს, სხვანაირად პიროვნება ვერ ჩამოყალიბდება.

9136. მარიაჟის მოყვარულ საზოგადოებას ისტორიული გამოც-
დილების თავში რახუნი არ შველის.

9137. ვიგინდარები და მედროვენი ისტორიის მეხსიერებას არ უნდა
აბინძურებდნენ.

9138. ისტორია უგუნურებას არცერთ ერს არ აპატიებს, მაგრამ
ამბიციებით დაავადებულ მასას ეს არ შველის.

9139. დიპლომატია იმ შემთხვევაში წარმოჩნდება ხელოვნებად,
როცა შენი ქვეყნის ძლიერება გიმაგრებს ზურგს.

9140. სიკეთის ბორკილებიც არსებობს, თუ მას ჭკუით და ერის
გამრავლების მიზნით მოვიხმართ.

9141. შეცდომა იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ის გამოსწორება-
დია.

9142. ნამდვილი გრძნობა მკაცრი გამოცდის წინააღმდეგი არაა და ეჭვიც არ ეპარება, რომ ის სასიკეთოდ დამთავრდება.

9143. ოცნება და სურვილი იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ პირველი უპერსპექტივოა, ხოლო მეორეს პერსპექტივაც აქვს და რეალობასთანაც ახლოა.

9144. სიწმინდე უწმინდურების გვერდით მისი მკაცრი მამხილებელი და გამაღიზიანებელია.

9145. განათლების მქონე რაინდები ყველა ქვეყანას სჭირდება, რათა ყოფიერების ყველა ფერის შუქნიშანზე არ გადავიდეს და ცხოვრების სასიარულო გზებზე წესრიგი დაიცვას.

9146. ეგოიზმსაც თავისი ზომა-წონა აქვს და ის გარკვეული რაციონით უნდა შევისისხლხორცოთ, რადგან მისი უქონლობა არანაკლებ საზიანოა, ვიდრე სიჭარბე.

9147. რაც არ უნდა გულით ვაკეთოთ საქმე, მაინც უკმაყოფილონი ვართ, რადგან შედეგი სხვანაირი გამოდის.

9148. ალღო დასახული მიზნის ბიძაშვილია.

9149. გაჭირვება გვაიძულებს, გამოცდილებას მხარი ავუბათ და გონიერება დავაწიოთ.

9150. სტერილური პატიოსნება არ არსებობს, რადგან ამას დრო და გარემოება არ დაუშვებს.

9151. პროვოკაცია შეგვიძლია განზრახ არ დავინახოთ, მაგრამ მისი ღიმილით განიარაღება აუცილებელია.

9152. სამწუხაროდ, „გეთაყვათი“ პოლიტიკაში არავითარი სასიკეთო არ კეთდება.

9153. ისტორიის ქრესტომათიას პოლიტიკოსებიც კი აღარ იყენებენ, იმდენად მოგებიანი გახდა ყბედობა.

9154. უგუნურთა და უგვანოთა ოდენობის შემცირებას ვერც ტექნიკური პროგრესი ახერხებს.

9155. ისტორიის მათრახს ვერცერთი საუკუნე ზურგს ვერ აარიდებს.

9156. მისი უდიდებულესობა ოპოზიცია მუდამ მოგებულია, რადგან ის სხვათა საქმიანობას აკრიტიკებს, ხოლო თავად კრიტიკის მიღმა რჩება, რადგან საქმის კეთებას მას არავინ სთხოვს.

9157. ისტორიის მამებს ბევრი სადავიდარაბო გადახდენიათ იმისათვის, რათა მათი სახელი ისტორიაში დარჩენილიყო.

9158. უაზრო ოცნებებია, ზოგჯერ სიცოცხლის ხალისს რომ მატებს ჩვენი მეობის ჭიას.

9159. ზოგჯერ სიკეთის კეთების სურვილიც სიბრიყვის ვაქცინებითაა დასნეულებული.

9160. ქვეყანას დროულად უნდა მოშორდეს ის ხალხი, რომელსაც მხოლოდ „სამარე ასწორებს“.

9161. ვისაც სუფრაზე მჭევრმეტყველება, სიმღერა, მოლხენა, თამადობა შეუძლია, ის მთელი იმდღევანდელი კომპანიის საპატიო სტუმარია და არა მარტო მასპინძლისა.

9162. ნატვრა, წინდახედულებისაგან განსხვავებით, დიდი ნაბიჯების გადადგმას გულისხმობს.

9163. დანაპირების შეუსრულებლობა საკუთარი ღირსებისთვის ზურგში ჩაცემული ხანჯალია.

9164. პრაგმატულობა ღირსების საწყისს სჯობნის ქვეყნის მართვისას, იმისდა მიუხედავად, რომ ღირსება ხელშეუხებელია.

9165. ომისთვის მზადება, არცერთი ქვეყნის ინტერესებისთვის ზიანი არ მიუყენებია.

9166. მტერს არ უნდა შევუნდოთ, უბრალოდ, უნდა ვეცადოთ, მათი ცოდვები დავივიწყოთ.

9167. ჩვენი პიროვნული სამყაროს განადგურებას იშვიათად თუ ვისმე ვაპატიებთ.

9168. საქმის ყოველდღიური კეთებაა ბედნიერება და არა დროგამოშვებით და შიგადაშიგ.

9169. სიკეთის კეთებასაც ზომიერება სჭირდება, რათა კარგი ცუდში არ გადაიზარდოს და სასიკეთოდ წამოწყებულ ურთიერთობას დაღი არ დაასვას.

9170. დღეს ძალაუფლებასა და ანგარიშს მოკლებულ აზრს „დემოკრატიას“ ეძახიან.

9171. ფაშიზმის ისტორიაში დამკვიდრება ზოგი ერის სახელმწიფოებრივ რაობას სამარცხვინო ბოძზე აკრავს და მათ უპატიებელ შეცდომებს წინ წამოწევს.

9172. მეგობრობა ზოგჯერ მრავალმხრივ კომპრომისზეა დაყრდნობილი, ოღონდ გონიერების ფარგლებში, ურთიერთპატივისცემის გაუნელებლად.

9173. ფუფუნებას უდიდესი იმპერიები მიწასთან გაუსწორებია, მაგრამ ადამიანთა მოდგმა მაინც მისკენ მიისწრაფვის და აქ ისტორიის გამოცდილება ვერაფერს გვშველის.

9174. რა გვსურს და რა შეგვიძლია – მარადიულად დასაფიქსირებელი კითხვაა.

9175. მადლს არც სიტყვამრავლობა უყვარს და არც ამაგის დათვლა, რადგან ის უანგაროა.

9176. სიკეთის კერა და მადლიერების ბუხარი ყველას ცნობიერებაში უნდა გიზგიზებდეს, თუ გვინდა, თავი ამ სამყაროს შვილებად ვიგრძნოთ.

9177. ისტორიის ნასუფრალს თავისი გადასახედიდან მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანი კენკავს.

9178. ზომიერების აღვირით თავის დაჭერა მეტ-ნაკლებად ყველას გვიჭირს.

9179. ზოგჯერ სიმამაცის საწვავი შიშია.

9180. უცნობ გზაზე დამდგარი მონანიებისთვის ყოველთვის მზად უნდა იყოს.

9181. სამყარო მარად სევდიანი დარჩება ჩვენს ცნობიერებაში, თუ ჩვენი ქმედება – შემართებით მას არ გავახალისებთ.

9182. სიბრძნეს ალიბი კი არა, მხოლოდ გაგება და შემეცნება სჭირდება.

9183. სიტყვის ჯვრის გამოთლა ხის ჯვრის გამოთლაზე მნიშ-ვნელოვანია.

9184. საკუთარი ხასიათის მოწესრიგება ნიჭთან ერთად დიდ შრომას მოითხოვს.

9185. სიჩუმით არასოდეს უნდა იხმაუროთ, თუ გინდათ, თქვენი სიცოცხლის წიგნი უსიტყვოდ დაიმახსოვრონ.

9186. მორალის ასლებით მორალის განსჯა გონიერების ზეიმზე უგუნურთა მოპატიჟების ტოლფასია.

9187. კაცობის ხარისხი ზოგს შუბლზე აწერია.

9188. ისტორია ხშირად უმწიფარი ნაყოფით გვკვებავს და ზოგჯერ ამითაც კმაყოფილნი ვართ.

9189. საუკუნის ქმედებებს სიკეთითვე თუ არ ვუპასუხეთ, ის დე-ვალვირდება და ქრება.

9190. ანდაზა, რომელიც საუკუნეებს უძლებს, კლასიკური აფორ-იზმია.

9191. სიკეთის მკეთებელს სისუფთავე, უანგარობა და თავმდაბლო-ბა ამშვენებს.

9192. ცისარტყელა იმდენად უბიწოა, რომ მას უგვანო სურვილიც ვერაფერს აკლებს.

9193. ერის, ქვეყნის, პიროვნების ბედ-იღბალი მისი ხელისუფლის ზნეობასა და შემოქმედებით ნიჭზეა დამოკიდებული.

9194. ხელმოცარული არც ისტორიას სჭირდება და მისი გახსენება არც ერს ეხალისება.

9195. ალღო განგების საჩუქარია, რომლის გამოყენებაზე უარი არასოდეს უნდა ვთქვათ.

9196. დიდი პიროვნებები მთელ თავიანთ ქონებას ან სიკვდილამდე ხარჯავენ, ან აბანდებენ საკუთარი თავის წარმოსაჩენად.

9197. თვალებით აღქმამაც, წინასწარ გათვითცნობიერებული მენ-ტალიტეტის მიუხედავად, გაჯიქება იცის.

+9198. ზნეობა და მოვალეობა სინონიმებია.

9199. ჭორის მოქარგვასაც ნიჭი უნდა, რომ მან მითის სახით

სასიკეთო საქმე აკეთოს.

9200. პიროვნებაა ის, ვისაც სამშობლოს ბედი აწუხებს და მის დასაცავად მზად არის როგორც ფიზიკური, ისე სულიერი ხარკი გაიღოს.

9201. მშვიდობის ფასს ყველა ვერ იგებს და ხშირად მას არ უფრთხილდებიან.

9202. ნაღდი ისტორიის ამსახველი ფურცლების გაცნობას ყველა არ იმსახურებს, რადგან არსებული ფაქტების ანალიზის უნარი ყველას არ შესევს.

9203. ნებისმიერი ფანტაზიორი ბუნებით კომიკოსია, ხუმარაა და მიამიტია.

9204. სიკეთის მთესველ და გონიერ ადამიანს ნაციონალობა ხელს არ უშლის, იყოს სამყაროს შვილი.

9205. საკუთარი თავი შიგადაშიგ თავადვე უნდა მოგწონდეს, რომ წარმატება გარანტირებული იყოს.

9206. საკუთარი თავის გაკონტროლება საპატიო მოვალეობაა.

9207. სტიმული ყველას, ყოველივესა და ყველაფერს სჭირდება.

9208. ჩვენ გაცილებით უკეთესები ვართ, ვიდრე გვგონია, და იმაზე ცუდები, ვიდრე სხვებს წარმოუდგენიათ.

9209. შემოქმედ გმირს სახელი არ აქვს. მას სადიდებელი ზედმეტსახელით მოიხსენიებენ (დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე და ა.შ.).

9210. დროდადრო უმანკოება დევალვაციას განიცდის: „ვაჰ, დრონი, დრონი!“.

9211. საბოლოო ნაბიჯის გადადგმაზე პირველი ნაბიჯიც ახდენს ზეგავლენას.

9212. ლიდერი გაჭირვების ჟამს შეიცნობა. მას ამჟღავნებს ქმედებები და სურვილები.

9213. ჩვენ ამ სამყაროს ფაქტების მასპინძელი ვართ, რადგან სტუმრის როლს დროებით შთამომავლობას ვაკისრებთ.

9214. მიმზიდველობა სხვათა გამოცდილების დამუღამებაა, თავის წარმოჩენაა.

9215. ბავშვებთან ისეთ რამეზე არ უნდა ისაუბროთ, რასაც მისი ცნობიერება ჯეროვნად ვერ აღიქვამს, თორემ, შეიძლება, სირცხვილი გაჭამოთ ახლობლებში.

9216. განათლება, რწმენა, სიკეთის პროპაგანდა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის იარაღებია.

9217. დასახული მიზნისთვის ხელის შეშლა ძალზე ძნელია, თუ მიზნის დამსახველი ნაღდი პიროვნებაა.

9218. ძალაუფლება უმთავრესად რწმენის, შეგნების, იმედის გარანტი უნდა იყოს, შემდგომ მოდის ეკონომიკა, ტექნიკური პროგრესი

და პირადი კეთილდღეობა.

9219. დუმილი, მოთმინება, სიკეთის კეთების უნარი შინაგანი მოთხოვნაა. ის არ ისწავლება.

9220. კანონის დაბადება ხელოვნებაა, ხოლო აღსრულება უხეში ძალის გამოყენების გარეშე და უმსხვერპლო – შემოქმედება.

9221. ტექნიკურ პროგრესს თუ სათანადო იდეოლოგიია არ ახლავს, საზოგადოების ჯანსაღად მართვა გაჭირდება.

9222. დიპლომატი ვალდებულია, რაღაც-რაღაცეები დაივიწყოს, მაგრამ მახსოვრობის საიტი არ უნდა წაშალოს.

9223. სიდიადეც ზოგჯერ განმარტებას ითხოვს.

9224. ისტორიისთვის დამღუპველია ის, რასაც არ აღწერენ, და არა ის, რასაც ხალისით წარმოაჩენენ, რადგან იგი ვალდებულია, არ მიაფუჩეჩოს ქვეყნის მმართველობის არასასიამოვნო წლები.

9225. უნამუსობის განსაზღვრას თავისი კრიტერიუმები აქვს დროის, გარემოსა და ინტელექტის შესატყვისად.

9226. დემოკრატია უფრო მეტს ყბედობს, ვიდრე საქმეს აკეთებს.

9227. უხმაუროდ და უპიაროდ საქმის კეთება რაინდობაა.

9228. წინდაუხედავად და უაზროდ თავის გაწირვა გმირობა არ არის, რაც უნდა მომხიბვლელი იყოს ეს ქმედება. ეს, უბრალოდ, ხერხია ისტორიაში მოსახვედრად.

9229. ზოგის ოცნებაც კი ხელუხლებელი წიგნია, იმდენად სუფთა და პატიოსანია ბუნებით.

9230. სიძუნწე, ლოთობა, აზარტული თამაში, ნარკომანია, ჩხუბისთაობა, ცეტობა, ღალატი, ტყუილი, საწოლში ვალის მოხდა, სიზარმაცე, ყალთაბანდობა, ფეხზემკიდიაობა, ოღრაშობა, მოშურნეობა, გაუტანლობა, მექალთანეობა, უტრაკო ყარაჩოხელობა, უგვანობა, უზრდელობა და კიდევ მრავალი სხვა ამგვარი მეტ-ნაკლებად ყველა თაობისა და დროის მამაკაცებს ახასიათებთ და აქ ყოველივესთვის და ყველაფრისთვის კუდის გამობმა სასურველ შედეგს არ იძლევა.

9231. ბრიყვისთვის სულერთია, ყბედობა უტეხს სახელს თუ ქმედება.

9232. სიხარულში მთვლემარე მწუხარებაც იმალება.

9233. პატიებით ბევრი უგვანობის დამარცხება შეიძლება.

9234. ყველა ქმედება, გარჯა უნდა ანაზღაურდეს, თუ გვინდა საქმიანობის წინსვლა იქნეს უზრუნველყოფილი.

9235. საკუთარი ისტორიის გარკვეულ პერიოდს შეიძლება პატივს არ მივაგებდეთ, მაგრამ მთლიანად მისი უგულებელყოფა დანაშაულია.

9236. გააჩნია სიტყვასა და მის მადლს: ზოგს ის აცხოვრებს, აცოცხლებს და უზომო ბედნიერებას ანიჭებს.

9237. წარსულის ჩვენს გემოზე შეფუთვა თავისებურ სიამოვნებას

გვანიჭებს.

9238. თანაბარ შესაძლებლობათა პირობებში ყველა თავისი ბედნიერების შენებას უნდა ცდილობდეს, თუ გვინდა, ჩვენი ყოფის დღეები ადამიანურად გადავფურცლოთ.

9239. სამუშაო, რომელიც არ გბეზრდება, მასზე დღე და ღამე ფიქრობ და თავს ამით ბედნიერად გრძნობ, იმის მაჩვენებელია, რომ ცხოვრებაში ძალზე გაგიმართლა.

9240. ნაღდი ყოველივეს აგვარებს, კურნავს და აჯერებს.

9241. მეგობრის დარდი პასიურად კი არ უნდა გაიზიაროთ, არამედ უნდა გაისაზრისოთ, რომ რაღაც უშველოთ და გამოადგეთ.

9242. სუსტი ხელისუფლის არჩევა იწვევს დემოკრატიას ამოფარებული ნაძირლების ხელისუფლებასა და საზოგადოებაში პარპაშს.

9243. ჭუჭყსა და უნაყოფო გრძნობების ტყვეობას ისევ გრძნობების გონივრული გადახარშვა სჯობს.

9244. წარმატება ყველა საწინააღმდეგო ფაქტსა და აქსიომას აბათილებს.

9245. კონსტრუქციული კრიტიკა პროგრესის საწინდარია.

9246. ისტორიულ მოვლენათა და პოლიტიკურ კატაკლიზმთა შესწავლა აუცილებელია, რათა თანამედროვე მოთხოვნებს გავუმკლავდეთ და ქვეყნის საქმე სასიკეთოდ წავმართოთ.

9247. აფორიზმი გონიერების ის კოდია, რომელიც ერთდროულად ჯიგარს ამოგიტრიალებს, გონიერებას გაგინათებს, სულიერად აგამაღლებს და ასაკის გონიერებასთან შერწყმაში დაგეხმარება.

9248. დემოკრატიული იდეების დაგმობა, გადაგვარება ადვილია, მისი მკვდრეთით აღდგენა და გამოცოცხლება – ძნელი.

9249. ქვეყნის აღმშენებლობის მცდელობა შურისძიების სურვილს ანელებს.

9250. ასაკს, წლების მატებით ტრაბახის ნაცვლად, მის მიერ დასამახსოვრებელ საქმეთა ნუსხის წარმოდგენაც უნდა შეეძლოს.

9251. საღად მოაზროვნე უნიათო ხუმრობასაც იტანს, რადგან მის განსჯაზე დროს არ კარგავს.

9252. დაკვირვების ნიჭი ღვთის ბევრად უფრო დიდი საჩუქარია, ვიდრე სწავლისა და გარჯის უნარი.

9253. ცნობილი პიროვნება, რომელიც თავისი დროისათვის სასუველ შედეგს ვერ აღწევს, ისტორიისთვის დასამახსოვრებელი პირია და არა ეროვნული გმირი, იმისდა მიუხედავად, რაც უნდა თავის გასამართლებელი ალიბი ჰქონდეს.

9254. სოლიდარობა წინააღმდეგობრივ მცდელობას მოითხოვს, მაგრამ ის სამართლიანობასაც უნდა იცავდეს.

9255. დღევანდელი აუტისტის დახასიათება მრავალმხრივ განმარ-

ტებას მოითხოვს: განათლებული დებილი, ინფორმირებული მტერი და უტრაკო ყარაჩოღელი.

9256. მუდამ კარგ ხასიათზე ყოფნაც გადამდებია და მიმბაძველებს გვიმრავლებს.

9257. დაუკმაყოფილებლობის გრძნობა არის ყოველივე პროგრესულის მშობელი და საზოგადოების მამოძრავებელი.

9258. შედეგს მაშინ ვაღწევთ, როცა ენთუზიაზმს გვერდში ნებისყოფა უდგას.

9259. მასა როგორ სუნთქავს აწმყოში, მომავალს არ აინტერესებს. მისთვის მთავარია, ხალხი რა ოდენობითა და ხარისხით მრავლდება და რას მისცემს ის შემდგომში სამშობლოს, ქვეყანასა და სახელმწიფოებრიობას.

9260. დემოკრატიასაც თავისი ამბიციები აქვს, რომელიც ძალისხმევას, გონის ხმობას და მოთმინებას მოითხოვს.

9261. თავისუფლების, დემოკრატიის, სამართლიანობის სახელით უამრავ ბოროტებას სჩადიან ისე, რომ ხშირად ამას ვერც კი აცნობიერებენ.

9262. ფიქრიც საწყის გამართლებას მოითხოვს, რათა სისულელის ორომტრიალში არ გაეხვიოს.

9263. პოვნა-დაკარგვის ალგორითმი ყოფიერებისადმი ჩვენს დამოუკიდებლობას განსჯის და განსაზღვრავს.

9264. შეგნებას განსჯა გვმატებს, თუ იმის უნარს არ შევიხახვისთავებთ.

9265. სიამაყეს რა სურს, რა აწუხებს, რას მოიმოქმედებს, ხშირად მისთვისაც უცნობია.

9266. გამოუყენებელი შანსი თავს სიცოცხლის ბოლომდე გვამახსოვრებს.

9267. ფორმით, აგებულებით, მოწოდებით თითქმის ერთნაირები ვართ, ოღონდ განგების ნებით სხვადასხვა საქმეს ვემსახურებით.

9268. ვცხოვრობთ, როდემდეც ვუყვარვართ, ვარსებობთ, სანამდის ვახსოვართ, ხოლო ვქრებით ამ სამყაროდან, თუ გახსენების ლიმიტი ამოგვეწურა.

9269. მოწოდების მიხედვით პროფესიის შერჩევა და მასზე თანამდებობის მორგება ჩვენი უმთავრესი მიღწევაა ცხოვრებაში.

9270. მართალია, „თვალი ჭამს და თვალი სვამს“, მაგრამ მის გემოვნებას მაინც მატერიალიზმი აკონტროლებს.

9271. დინების საწინააღმდეგოდ სიარული ძნელია, მაგრამ ზოგჯერ გასაკვირველად კარგ შედეგს იძლევა.

9272. ზოგისთვის ტანჯვაც კი ბედნიერებაა, თუ ამას თავის მოწონებისთვის აკეთებს.

9273. ოცნებასა და კეთილ შურს არ უნდა შევეშვათ, თუ გვინდა, დასახულ მიზანს ნაწილობრივ მაინც მივაღწიოთ.

9274. ურთიერთობა არ არის მექანიკური, არის ადამიანურიც და ეს უკანასკნელი ყოველთვის სინანულს იწვევს.

9275. უძალაუფლებო უფლება არაფრის მაქნისია.

9276. შიში და სიყვარული რწმენისა და თავდადების გარანტია და არა დემოკრატიაზე, თავისუფლებაზე უაზრო ყბედობა.

9277. მშობლების წინააღმდეგ არ მიდიან, მაგრამ გარკვეულ ასაკში მათგან დისტანცირება და საკუთარი ჭკუით სიარული აუცილებელია, თუ გინდათ, პიროვნებად ჩამოყალიბდეთ.

9278. გარდაუვალი ისტორიული პროცესების გავლა აუცილებელია, რადგან ისიც საზოგადოებრივი აზროვნების თანამიმდევრულ ზრდას იწვევს.

9279. უაზრო, უღიმღამო სიცოცხლის შენარჩუნებას ისევ დასამახსოვრებელი „სიკვდილი“ სჯობს, ოღონდ გააჩნია, ვისთვის.

+9280. პასუხებს გონიერი კითხვები ითხოვს და არა ყველა შეკითხვა.

9281. მშობლებს შვილების წარმატების შესატყვისად იხსენებენ, ხოლო შვილებს წარმატებული მშობლების შესატყვის ნიჭიერებასა სთხოვენ.

9282. უფლება დიდი ცნებაა, აღსრულება – მოკლე და კონკრეტული.

+9283. შიში წმინდა სიძულვილსაც შეიქმს და კონიუნქტურულ სიყვარულსაც.

9284. თავის შიგადაშიგ გაკონტროლება ყველა გონიერი პატრიოტის ვალია.

9285. თუკი საკუთარი რწმენის ეჭვი გიჩნდებათ, ე.ი. რაღაცის ისევ გჯერათ და გწამთ.

9286. მოჩვენებითი არც ცოდნა უქნია ღმერთს და არც განათლება, საქმეს არც ერთი ადგება და არც მეორე.

9287. ომს მოხერხებული მთავარსარდალი, გაწვრთნილი ჯარი და პოლიტიკური შემართება იგებს.

9288. შენდობის სურვილი ყველას გვიჩნდება – ეს ყოფის გაბრწყინების ჟამს იქნება თუ ცხოვრების დასასრულს.

9289. პატრიოტიზმი იგივე შრომა, რწმენა, მოვალეობა, თავდადება, შეგნება, მოყვასის სიყვარულია და ამიტომაცაა, რომ სიტყვით ამ კრედოს 99% უჭერს მხარს, ხოლო საქმით – 1% ნაკლები.

9290. ხალხს ჩემი მტერი ენდო, ხოლო მის მოიმედე მატიანეს – ისტორიის ალგორითმები.

9291. ეჭვიანობაც, ეტყობა, აღზრდისა და საზოგადოებრივი შეგ-

ნების შედეგია; მუსლიმანებში დაშვებულია მრავალცოლიანობა, ხოლო ბირმის ერთ-ერთ რეგიონში – მრავალქმრიანობა, როდესაც ორ-სამ ძმას ერთი ცოლი ჰყავს, რათა ქონება არ გაყონ და დაანამცეცონ.

9292. თვითდამკვიდრების საუკეთესო საშუალებაა, იყო ისეთი, როგორიცა ხარ, და ამადვე დარჩე.

9293. დემოკრატიით არ თამაშობენ. მისთვის იბრძვიან, იღვწიან და შესაძლებლობისამებრ მისი წესების დამრღვევთ ამუნათებენ.

9294. დემოკრატია ამაოებათა ბაზარი როდია, ვისაც როგორც მოეპრიანება, ისე ივაჭროს.

9295. სამხედრო ქმედებანი აღვიძებენ სამყაროს, დიპლომატია რუტინიზმიდან გამოჰყავთ, ხოლო მოქალაქეთა ფეხებზემკიდიაობას წერტილი თუ არა, მძიმე მაინც ესმება.

9296. მძიმე პასუხს, რომელიც კაცობრიობის ყოფიერების ალგორითმს ეხმიანება, თავისი ავტორიტეტის ფასი ადევს.

9297. ზედმეტმა ნდობამ დანდობა არ იცის.

9298. ნდობას არ იბრუნებენ, არც აბანდებენ, უბრალოდ, ღალატს არ სჩადიან.

9299. გონიერების „გასაღება“, წესით, ბევრ ჩვენგანს სჭირდება, მაგრამ რა ვუყოთ დემოკრატიისა და პიროვნების თავისუფლების ქარტიას, რომელსაც ყბედობით ყურის გამოჭედვა უფრო ეადვილება, ვიდრე საქმის კეთება.

9300. გენდერული თვალით დანახული სხვაობა მამრსა და მდედრს შორის თეორიულად უმნიშვნელოა, მაგრამ პრაქტიკულად უდიდესია, თუ მათს ამბიციებს ურთიერთისას შევადარებთ.

9301. დემოკრატია მუშტის მეშვეობით დარიგების წინააღმდეგია, იმისდა მიუხედავად, ადამიანის ცნობიერებას რგებს ეს თუ არა.

9302. უქნარას თავისი სიზარმაცე დასცინის და არა დრო და ბედი.

9303. განსჯის უნარის და შემართების უქონლად ყველა მცდელობა არარაობაა და დაუკმაყოფილებლობის განცდას გვიტოვებს.

9304. აგრესია მუდამ სისასტიკე არ არის, რადგან უიმისოდ ცოცხალ არსებათა სახეობებს თავის შენარჩუნება გაუჭირდებოდათ.

9305. ნაბიჯები უნდა მეორდებოდეს, ოღონდ წინსვლას იწვევდეს.

9306. ქვეყნის ჭირ-ვარამის არბიტრობა პიროვნებებს უნდა ვანდოთ და არა ხალხს.

9307. ზოგჯერ ჩემზე უთქვამთ: „ეს უბრალო მამაკაცი არა ჩანს და ხელიდან არ გაუშვაო“ და ეს ჩემი პიროვნების ერთგვარი აღიარებაა.

9308. სიკეთეს თავისი ნაღვაწის შედეგი აღაფრთოვანებს.

9309. სრულქმნილებისკენ გენეტიკური ლტოლვა თავისებური ბედნიერებაა.

9310. საოცრება და საშინელება მარად ჩვენი შემყურეა. მცირედი

გადაცდენა და, რომელი ამოგიდგება გვერდში, არავინ უწყის.

9311. სრულყოფილებას განსჯით აღწევენ და არა ტანჯვით.

9312. თავისუფლება, თანასწორობა, თანაარსებობა – ესაა სამართლიანობის სოუსი.

9313. თანამდებობაზე დაუმსახურებლად მოხვედრილი ადამიანი რაც უფრო გაუნათლებელი და უნიჭოა, უფრო ამბიციურია, მიუკარებელია, რათა თავის უსუსურობა და უნიათობა დამალოს.

9314. სინდისის შეუწუხებლად პირადი ბედნიერებისთვის ბრძოლა ცალმხრივი მოძრაობის გზას გვაგონებს.

9315. შექება მოვალეობის შეცნობის სიხარულია, რომელსაც წითელი ფერი აქვს.

9316. ღირსება ღირებულებებს ამჩნევს და სიამით ეთაყვანება.

9317. ღირსება სინდისის ნაბარტყია.

9318. ძლიერი პიროვნებაა ის, ვინც ბედისწერას, გაუთვალისწინებელ შემთხვევებს წინ აღუდგება, დაუპირისპირდება და თავის ენერგია-გამჭრიახობას შექმნილ გარემოში ქვეყნის გაძლიერებას მოახმარს.

9319. გმირობა შედეგია მცდელობის, რომელსაც წარმატებისკენ მივყავართ. ამიტომ გმირობა საქმით უნდა დაფასდეს არა ვისიმე პატრიოტული სურვილების მიხედვით.

9320. მშვენიერებავ, ბედნიერება, სიხარული და აღმაფრენა უნდა გერქვას შენ!

9321. განათლება საშუალებას გვაძლევს, საკუთარი ცოდნა გადავამოწმოთ საკუთარი თავისადმი რწმენის დაუკარგავად.

9322. ზოგჯერ მხნეობამ, შეიძლება, დევალვაცია განიცადოს, მაგრამ ის საბოლოოდ არ მარცხდება, თუ გენეტიკურია.

9323. ისტორია მეტისმეტ გაჯანჯლებას ვერ იტანს, განსაკუთრებით, თუ მის განსჯაში მლიქვნელები და კუდის ამწევნი ბევრნი არიან.

9324. გმირების მივიწყება გამცემლობაა, უმადურობაა, დანაშაულია მომდევნო თაობების შეგნების ჩამოყალიბების გზაზე,

9325. მიზანი ამართლებს საშუალებას, ოღონდ ერთი პირობით: გააჩნია მიზანს, გააჩნია საშუალებას.

9326. ჩხუბს ინტუიცია, წრთობა იგებს, არა გაბრაზება და თავის წარმოჩენის სურვილი.

9327. მარტოობას ის ხეირი მაინც მოაქვს, რომ შემთხვევით ხალხთან არ გექნება საქმე და არაფრისმომცემ სჯა-ბაასს თავს არ გააღლაყებინებ.

9328. რწმენა სიძულვილის წინააღმდეგია და არა მისი ხელის შემშლელი.

9329. ისტორიისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ხელისუფლება შეცდა, რადგან ამ შეცდომის შედეგი ქვეყანას სადარდე-

ბლად რჩება.

9330. წინაპართა აუგად მოხსენიება არასასურველია, როგორც ამას არ უნდა იმსახურებდნენ დღევანდელი გადასახედიდან, რადგან ჩვენც მათი შთამომავალი ვართ, ე.ი. რომელიღაც უგვანობის ან გადაცდენის ნებსითი თუ უნებლიე გამგრძელებელნი.

9331. პრაქტიკა თეორიის გამომცდელია, შემფასებელიცა და წამქეზებელიც.

9332. უმეცრებას მშვენიერება აკლია, სიბრძნეს – მომხვეჭელობა და ეს ნაკლი არავის აწუხებს.

+9333. მშვენიერებაც სიბრძნის მოყვარულია, მაგრამ ჭკუა-გონებას ხშირად ვერ ეთვისება.

9334. საყვარელი საქმიანობა ცხოვრების მადლს შეგვაცნობინებს და ამაოებას ბრანწს უჩვენებს.

9335. მორალი ვალდებულია, ყველგან, ყველა გარემოში და ყველას მაგიერ გრძნობდეს პასუხისმგებლობას.

9336. ყველა რწმენა თეორიულად მატერიაზე მაღლა დგას ან ამისკენ მიილტვის.

9337. სიძულვილის დამალვა შესაძლებელია, სიყვარულისა – ძნელია, ხოლო გულგრილობისა შეუძლებელია, რადგან სახეზე გვაწერია.

9338. ნეგატივი პოზიტივზე მეტია, მაგრამ პირველის გარეშე მეორის დაფასება-შეფასება გაჭირდებოდა.

9339. შეძენილ ღირებულებათა შორის „თავს დავნატრი“ ყველაზე დიდი სიმდიდრეა.

+9340. სიმართლის ფონი ყარს? მაშ, აზროვნების მდინარე დატბორილია!

9341. გამარჯვება და მარცხის შეფასება-ცოდნის უნარი ერთეულ გონიერთა ხვედრია.

9342. ისტორია მივიწყებული ქალაქების აღდგენას გულგრილად უყურებს, თუ ამ მივიწყების მიზეზი თავად ქალაქის მოსახლეობაა.

9343. სიცოცხლის ფასს სრულად მაშინ ვიგებთ, როდესაც მისი დრო ამოწურულია.

9344. წარსულის გონივრული განსჯა მომავლის სწორი ცხოვრების გარანტად მოგვევლინება.

9345. მოჭარბებულს არც შრომას მოაქვს ბედნიერება და არც უსაქმურობას, მაგრამ მცდელობა და გარჯა აუცილებელია.

9346. საკუთარი თავისთვის კონტროლის დანესება ბოროტების კეთებაზე ხელს აგვაღებინებს.

9347. ძიებას გამოძიება სჭირდება.

9348. დღეს ბოროტებამაც და სიკეთემაც შეიძლება გვაწყენინოს, მაგრამ აქ მთავარია, სამართლიანობა ვის მხარეზეა.

9349. ცოდნა მარად შევსებას ითხოვს, მაშინაც კი, როდესაც თქვენს განსწავლულობაში ეჭვი არავის ეპარება.

9350. მარადიულობაში გადასვლა ბევრ ცოდვას მოგვიტევებს.

9351. წარმატების მიღწევა პიროვნებას სულიერად ამაღლებს.

9352. თუნდაც შეცდომებით, მაგრამ საკუთარ მომავალზე თავადვე უნდა ვაგოთ პასუხი.

9353. ჩვენი მოსვლით ამ სამყაროში გარკვეულ ვალდებულებებს ვიღებთ.

9354. ზემდგომი მაშინაა პატივსაცემი და დაფასებული, თუ მისი კი არ გეშინია, არამედ გერიდება.

9355. ჭკუით ნაფიქრალს ბოლოს გონივრულად განსჯილი აგვირგვინებს.

9356. ისტორია ყველაზე მეტყველი მოსაუბრეა და გაკვირვების თავწყაროც, თუ მის ნამოქმედარს ჩაუღრმავდებით დროის, განათლების და ადამიანური ფსიქიკის შესატყვისად.

9357. აწმყო წარსულს განსჯის და მომავალს გეგმავს.

9358. დამარცხებისთვის ისტორიაში ადგილის „დაბევება“ გაადვილებულია, თუ მას ეროვნულობის ასპექტით პატრონი არ გამოუჩნდა.

9359. სიბრძნე ყოვლთვის მშვიდობის მომხრეა და მის შენარჩუნებას ცდილობს.

9360. სამწუხაროდ, ცუდთან ერთად უფრო მეტი კარგი ზარალდება და წბილდება.

9361. კანონის დარღვევა არავის უნდა ეპატიოს, რადგან ეს უკვე სოციალური ავადმყოფობაა.

+9362. თუ სამშვიდობო ენის გამონახვა არ ისურვეს, მაშინ ომი და დაპირისპირება ორივე მხრიდან უსამართლოა.

9363. კანონმა უნდა გვაიძულოს, ის არ ვაკეთოთ, რაც ქვეყანასა და ხალხს ავნებს.

9364. არის საშური ოცნება, რომელსაც სახალხოდ არ აღიარებენ, მაგრამ მთელი ცხოვრება მასზე ფიქრი თავს არ გვანებებს.

9365. მეგობრობა თავისებური დაუმადლებელი ურთიერთექსპლოტაციაა.

9366. ყველა ქვეყანას თავისი ისტორიული ჩონჩხი აქვს და, თუ როგორ შეასხმს მას ხორცს შთამომავალი, ეს, დროისა და გარემოს გარდა, სახელმწიფოს წინამძღოლის ნებაზეა დამოკიდებული.

9367. იდეოლოგიის ზეწოლით გამოთაყვანებული ხალხი ზოგჯერ ძალზე საშიშ ძალად გვევლინება.

9368. კლასიკა უკვდავია, რაც უნდა დიდი გაქანების „ფუნაგორიები“ შეერკინოს მას.

9369. დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემა ცოდნაა,

ხოლო შემოქმედებითი პასუხის გაცემა – ინტელექტის დემონსტრირება.

9370. ჩვენი მოწონებული, შესაძლოა, მომდევნო თაობებს არ მოეწონოთ. ამიტომ მათი შესაძლო პრეტენზიები წინდაწინ უნდა გავითვალისწინოთ.

9371. შემოქმედთა შური თავის წარმოჩენა ბიძგია და არა დაბოღმვა.

9372. თვალები სულიერების სარკეა თუ გონიერების სათვალე, ძნელი გასარკვევია.

9373. გამოცდილება აწმყოსა და მომავლის მასწავლებელია და არა წარსულისა.

9374. ალღო ვარაუდებს აყენებს, განსჯა კი ვარაუდების განხორციელებას ლამობს.

9375. მოკლე სიტყვაში ძალა იგრძნობა, გრძელი სიტყვისგან განსხვავებით.

9376. სამყაროს დემოკრატიის სახელით შური, ფული, უზნეობა და არა სიკეთის მდომი იდეები და მორალი მოძღვრავს.

9377. რეალობას თანამედროვენი ხშირად სუბიექტურად ხედავენ.

9378. არაჩვეულებრივი საქმიანობის შედეგიც კი კანონზომიერებას უნდა ემორჩილებოდეს.

9379. მშობლები იმით განსხვავდებიან ირგვლივ მყოფთაგან, რომ პირში სიმართლეს გეუბნებიან, ხოლო ზურგსუკან გაქებენ. მოყვასი კი სულ გაქებს, რადგან შენი წყალობა მას არ სწადია.

9380. ჯილდოს მოპოვებას მარტო გონიერება არ შველის, ის ზემდგომთა კეთილგანწყობით უნდა დაიმსახურო.

9381. ისტორია დროისა და გარემოს შესატყვისად მიედინება. ამიტომ მის შესწავლას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ ამ სწავლებიდან რამე სამომავლოდ გასათვალისწინებელსა და ჭკუის სახმობას გამოვიტანთ.

9382. ალბათობის თეორიაც კი მეხსიერებას კარგავს, თუ განგება შენს მხარესაა და შენს ბედს ქომაგად გამოუჩნდა.

9383. გაგება შესაძლებელია, პატიება ძნელია, რადგან ცნობიერების შეურაცხყოფის ატანა ჭირს.

9384. დღეს სწავლა გაოცებამდეა და არა სიბერემდე.

9385. ყველა ჩვენგანის ვალია, დროებითაც კი ერის ისტორიის ჩეჩმაში არ ჩავვარდეთ, რადგან, იქიდან ამოსვლაც რომ მოვახერხოთ, საუკუნო უიღბლობის „სურნელი“ მაინც გარანტირებულია.

9386. სწორად განსჯილი წარსული აწმყოს გაკვირვებას არ იწვევს.

9387. საკუთარი თავის განსჯას გაცილებით მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე სხვებთან ყბედობას.

9388. წარსულს დედა არ უნდა შევაგინოთ, თორემ მომავალი დედასაც შემოგვაგინებს და თავ-ყბასაც დაგვიმტვრევს.

9389. დაპირისპირებულ მხარეებშიც კი შუამავალი სინდის-ნამუსია და ტრადიციებისთვის ანგარიშის გაწევა.

9390. პროფესიონალს სირცხვილის სიწითლე არ აწუხებს, რადგან შეგნებული აქვს, რომ წარმატებები ჩავარდნების გარეშე არ მიიღწევა.

9391. ისტორია ამ დროში მცხოვრებთა თვალსაზრისის და არა დამაჯერებელი მეცნიერება.

9392. სამუშაო, საქმიანობა, რომელიც გიყვარს და მოგწონს, მუშაობად არ ითვლება, რადგან მას დიდი სიამოვნება მოაქვს.

9393. კონფლიქტის დაპირისპირებად და ტრაგედიად გადაქცევა ორივე მხარის დანაშაულია, რადგან ერთმა წამოიწყო, მეორე აჰყვა, ხოლო ჭკუის დამრიგებელი გონის ჩართვა უმოწყალოდ დააგვიანეს.

9394. უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის პერსპექტივისთვის უნდა ვიღვაწოთ, თუ ხალხის კეთილდღეობა გვინდა და არა მისი გართობა.

9395. კაცობრიობის ცოდვები პროცენტულად თანდათანობით მატულობს, იმისდა მიუხედავად, რომ საზოგადოება თითქოსდა დემოკრატიისკენ მიდის.

9396. გონივრულად აწონილ-დაწონილი პატრიოტიზმის დაკარგვა საზოგადოების გარყვნა-გადაგვარების საწინდარია.

9397. ყველა თაობამ თავისი წილი სიყვარული ქვეყნის ისტორიის წინაშე დროისა და გარემოს მიხედვით და შესაბამისად უნდა გამოხატოს.

9398. ბიუროკრატიასთან ბრძოლა იმიტომაცაა ძნელი, რომ ის ყველას უღრენს.

9399. ერისკაცობის შეგრძნება იმიტომაცაა საჭირო, რომ კაცობრიობამ თავისი წარსულის უმნიშვნელოვანესი და ულამაზესი ფურცლები ისტორიას სამუდამოდ გადაუნახოს.

9400. ქვეყნის ის კონსტიტუციაა სრულყოფილი და მისაღები, რომელიც დიდი მიქარვის უფლებას არც ხელისუფალს აძლევს, არც მის მომწონებელ ხალხს.

9401. წარმატება სასიხარულოა, მაგრამ მისით ხანგრძლივი ტკბობა წარუმატებლობისკენ გვიბიძგებს.

9402. კანონის დიქტატურა დემოკრატიული ღირებულებების ხელყოფას არ ნიშნავს, პირიქით, ის თავისუფალი მრავალფეროვანი საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, კანონიერებისადმი პატივის მიგებას გვასწავლის.

9403. ნასწავლსა, განსწავლულსა და განათლებულს შორის დიდი სხვაობა არ არის, თუ თავიანთი ცოდნის გამოყენების უნარი შესწევთ.

9404. სხვათა ნაკლოვანებებზე სიამოვნებით და აღტაცებით საუ-

ბარი თავისებური დაავადებაა.

9405. ისტორიისთვის დასამახსოვრებლად რომ ემსახურო სამშობლოს, ეს ნიჭსაც, ბედსაც საჭიროებს და დიდი გამართლებაცაა.

9406. ღირსების დეფიციტი, ეტყობა, გენეტიკური მოვლენაა, რადგან მას აღზრდა და დამოძღვრა არ შველის.

9407. არსებობისთვის ბრძოლა ბუნების კანონია და არა ურთიერთსიძულვილი.

9408. ყოველგვარი მშვენიერების აღქმა გემოვნების სფეროს განეკუთვნება.

9409. „კი“ და „არა“ ის სლოგანია, ამ ქვეყანას რომ მართავს.

9410. შოვინიზმი პატრიოტიზმს ახლოსაც არ უნდა გავაკაროთ, თუ გვინდა, ქვეყანა ყოველგვარი ექსცესების გარეშე განვითარდეს.

9411. დიქტატის მოწოდებას განიხილავენ, ხოლო მას აღასრულებენ თუ არა, ეს გარემო პირობებზეა დამოკიდებული.

9412. შენიშვნა იმისგანაა მისაღები, ვინც შენს კეთილდღეობას თავის ძვირფას წუთებს უთმობს.

9413. პროფესიონალიზმი პოპულარობას უნდა შეესატყვისებოდეს და არა პირიქით.

9414. ისტორიის უმთავრესი დანიშნულებაა ხალხის გენეტიკური ნაკლის (შური, გაუტანლობა, მოსმენის უნარის დაკარგვა და ა.შ) გამოვლენა და არა ქვეყნის თავგადასავლების აღწერა და მომდევნო თაობებისთვის ისტორიული ანალიზის მეშვეობით მკურნალობის კურსის დანიშვნა.

9415. ყველა საუკუნეს აქვს თავისი განვითარების აქტიური, პასიური და პესიმისტური პერიოდი.

9416. წინათ მამაკაცები ტრაბახობდნენ ქალებში გატარებული დროის ოდენობით. დღეს ყველაფერი პირიქითაა, მაგრამ ქალებს ოფიციალური ხელის მთხოვნელიც არ აკლიათ. ასე რომ, მოდაც გაუგებრობის ბურანში გვახვევს, რადგან ის მაგნიტური სტერეოტიპია.

9417. უმადურობა დიდი ცოდვაა, მაგრამ ისტორიული უმადურობის ცოდვა დასჯადია.

+9418. პატრიოტი შვილების რაოდენობაზე ფიქრობს, ვაი-პატრიოტი მათ ფუფუნებაზე, ხოლო ქვეყნის და ერის ჭირისუფალი – შვილების ოდენობასა და მათი გამოკვების შესაძლებლობებზე.

9419. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, გარეშეთათვის თავის მოწონებასა ვცდილობთ, მხოლოდ ამის შემდგომ ვიწყებთ დასახული მიზნის მისაღწევად ხელის გამოღებას.

9420. თავშეკავება ტანჯვის ელემენტებსაც შემოგვაპარებს, მაგრამ ამას უნდა გავუძლოთ, რადგან ეს მოგებიანია.

9421. დამარცხებულს ალიბი ბევრი აქვს, მაგრამ გამართლება არ

მოეძებნება. ამიტომაცაა, რომ ჭეშმარიტ ისტორიაში სათანადო ადგილს შედეგის ნება იკავებს.

9422. გაგება ურთიერთშენდობის საფუძველია.

9423. ზნეობა, ზომიერება, ზრდილობის უნარი – ეს არის კარგი, კარგზე კარგი და კარგზე უკეთესი კვადრატში.

9424. საკუთარ თავის შემოწმება-გადამოწმება მუდამ დიდ რებუსებს ბადებს.

9425. შემდგარ დემოკრატიას ერთი დადებითი თვისებაც აქვს: რა სუსტი ხელისუფალიც არ უნდა მოვიდეს, ქვეყნის ძლიერებაზე რეალურად არ მოქმედებს, ხოლო სოციალიზმი სულ ძლიერი და ავტორიტარული ხელისუფლის ყოლას მოითხოვს ქვეყნის სათავეში. წინააღმდეგ შემთხვევაში იდეოლოგიას წყალი შეუდგება და წეს-წყობილება ნგრევას იწყებს.

9426. ისტორია დროის მყეფარებზეა დამოკიდებული, რომლებიც თავს პოლიტიკოსებად შემოგვატყუებენ და თავიანთ უმწიფარ შეხედულებებს ხალხს დროის კონიუნქტურის შესატყვისად თავზე ახვევს.

9427. უკომპრომისო სამართალი თავისი გაგებით მეტყველებს და ზოგჯერ ჭკუანაღრძობი ხალხის ამქარში ამოგვაყოფინებს თავს.

9428. მოწონება, საპიარო ჩირთიფირთის გარეშე, უფერული გამოდის.

9429. თანამეინახეთა მონახვას ზედმეტი ცოდნაც ხელს უშლის, რადგან მათზე ერთი თავით მაღლა დგახარ, ე.ი. მათთვის უცხო ხარ.

9430. ხშირად სიკეთეს პირადი ინტერესების ქვეცნობიერად აღქმით ჩავდივართ.

9431. კაცი ან ერის სიყვარულით უნდა ტკბებოდეს, ან მისი გამგები ხალხით; წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ქვეყანაში დარჩენა არა ღირს.

9432. თუ არცერთ უნაყოფო შემთხვევას არ ნებდები, პიროვნება ხარ.

9433. რწმენის, იდეოლოგიის, დაინტერესების უქონლად არც ხალხი გიჭერს მხარს და არც ჯარისკაცი იბრძვის.

9434. ტილაობასა, სიძუნწესა და ხელმომხვეჭელობას შორის დიდი სხვაობაა, რადგან პირველი მცირედი თანხის დაბანდებით ფონს გასვლას ცდილობს, მეორე სიცოცხლის მადლის შეცნობის გარეშე იტოვებს თავს, ხოლო მესამე სიმდიდრის დაგროვების საფუძველს ამტკიცებს.

9435. ჩვენ მონობაზე, მორჩილებაზე თანახმა ვართ, ოღონდ ერთის პირობით: თავის წარმოჩენითა და დამპყრობლისთვის თავის გატოლებით.

9436. ჩვენს ქვეყანაში ყველამ ყველაფერი იცის, გარდა რეალური საქმის კეთებისა.

9437. პატიოსნებაც ფარდობითია, რადგან თვით წმინდანის ცხოვრებაც კი გარეგნულად ულიმღამო და ბევრისთვის მიუღებელია, განსაკუთრებით ამ სამყაროს კაპრიზთა შეცნობის მსურველთათვის.

9438. არცერთი ჩვენგანის ცხოვრება მარტივი არ არის, თუ მას გონივრულად და ყოფიერების ცოდნით განვსჯით და ჩავუკვირდებით.

9439. მთავარია, დრო არ დავკარგოთ ჩვენს უკონტროლო ფიქრზე, რომელიც უმიზეზოდ გვაწუხებს და რა მოუხერხოთ, ხშირად არ ვიცით.

9440. სამყაროს პროგრესი გვაიძულებს და არა კანონმდებლობა, რომ უფრო წესიერი და მოყვასნი ვიყოთ, ვიდრე აქამდე ვიყავით.

9441. ჭეშმარიტი გმირის მოძიება ძნელია გარდამავალ პერიოდში, რადგან პირველობის მსურველი ბევრია, მაგრამ, ვის გაუმართლებს, ამას განსჯა მტვერდაწმენდილ ისტორიასაც კი უჭირს.

9442. ხელების ქნევაც გონების მობილიზებას მოითხოვს: ვინ იცის, როგორ მოგხვდება ან სად მოახვედრებ?

9443. პიროვნება კანონის პატივისცემით უნდა სუნთქავდეს და გონიერად ირჯებოდეს.

9444. დედის ლოცვა შვილებისადმი განუსჯელია.

9445. გულით ნათქვამი „გმადლობთ“ ჯადოსნური ძალის შემცველია.

9446. მიზნის მიღწევა ზოგჯერ უღირსი საშუალებებითაც ხდება, მაგრამ, რადგან გამარჯვებულს არ ასამართლებენ, ისტორიაც ამ უღირსი საშუალებების მიჩქმალვა-დავიწყებას ცდილობს.

9447. კაცობრიობის ჩასახვა-გამრავლება პურითა და სიყვარულით დაიწყო, მაგრამ ეჭვიანობამ ეს ორი სასიცოცხლო პირობა ერთმანეთს დაუპირისპირა.

9448. მშვენიერების რევიზია მისი მელოდიურობის დაგემოვნების ტოლფასია.

9449. მოსმენის თანდაყოლილი უნარი ცოდნის შეძენის საფუძველია.

9450. ისტორია გარკვეულ დროს საჯილაო აღწერილობებს გვთავაზობს და ის ქვეყნის მომავლის წინაშე ანგარიშვალდებულია.

9451. მოსმენის ხელოვნება გონიერების „პერპეტუუმ-მობილეა“.

9452. ოცნებათა გამყალბებელია ის, ვინც ერთს ფიქრობს, მეორეს ნატრობს, ხოლო მესამეს რატომ აკეთებს, თავადვე ვერ გარკვეულა.

9453. ხასიათის სისუსტე გულწრფელობას ვერ ეთვისება.

9454. ღირებულებათა ფასის ცოდნა ერთია, ხოლო მათი დაფასების სურვილი-მეორე, ხოლო მათს ურთიერთდაპირისპირებას ცინიზმამდე მივყავართ.

9455. თქმა იმისა, რაცაა საჭირო და როგორცაა საჭირო, ძნელია, მაგრამ უფრო ძნელია არასაჭიროს უთქმელობა.

9456. დღესდღეობით ვიყენებთ ჩვენი ტვინის შესაძლებლობის 10-12%. წარმოგიდგენიათ, როგორ აჩქარდებოდა სამყაროს შეცნობის ტემპი, ამ შესაძლებლობის 60-70% რომ გამოგვეყენებინა.

9457. ისტორიული ეპოქები მთავრდება, თაობათა მენტალიტეტი ცვალებადობას განიცდის, მაგრამ პიროვნების როლი ქვეყნის ხეირიან მართვაში და მოსახლეობის მომრავლებაში კვლავაც უპირველესია.

9458. ისტორია ფაქტობრივად წვრილმანებს არ იმახსოვრებს და მაინცდამაინც არც მეწვრილმანე ვაი-პოლიტიკოსი უყვარს.

9459. აწყობილ ქვეყანაში ქვეყნის სამართავად ქალის ხელია საჭირო, ხოლო არეულში კაცის საჭიროება გარდაუვალია.

9460. წინასწარ განსჯილ-გაანალიზებული ისტორიული შედეგები თუ სასურველ შედეგს იძლევა, იმ ქვეყნის მმართველობის ხარისხი მისაღებია, ხოლო მისი ხელისუფლის საქმიანობა წარმატებისთვისაა განწირული.

9461. თითოული წუთის აღქმა ჩვენს ფანტაზიას უნდა ვანდოთ და არა კალენდარს.

9462. სიმართლის მსმენელამდის მიტანას თავისი ფორმა და გონიერების ჩარჩოში კოხტად ჩასმა სჭირდება.

9463. ერთგულებაც შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონს ემორჩილება.

9464. პიროვნებად რომ თავი იგრძნოს, აუცილებელია სხვადასხვა ჯილდოს, წოდების, პატივის მიგება ისწავლო, რათა საკუთარი თავის წინაშე წარმოჩნდე და სხვასთანაც თავი წარმოაჩინო.

9465. ღირსებამ შეცდომა არ უნდა დაუშვას, რადგან ამას არ აპატიებენ.

9466. წესით, ყველა მომდევნო თაობა წინას უნდა საყვედურობდეს იმ დაშვებული შეცდომებისა და დანაშაულის გამო, რაც ჩაიდინა ურთიერთდაპირისპირების, ურთიერთმტრობისა და ურთიერთგაუტანლობის ვითარებაში.

9467. ყველა ჩვენგანი ოცნებათა ფაბრიკაშია დასაქმებული, მაგრამ ამისთვის ანაზღაურებას არავინ გვიხდის.

9468. გარემო არც სრულყოფილია, არც სრულფასოვანი. მასაც თავისი ხუშტურები ახასიათებს ადამიანის მსგავსად. ე.ი. სრულყოფილებას ვერც ამ უკანასკნელს მოვთხოვთ.

9469. ცივილიზაცია თავისებური კატასტროფაა, თუ დროზე ადრე ვითარდება და უდროოდ შემოგვეჭრება შინ.

9470. აფორიზმი, რომელიც სულს აღაფრთოვანებს, გულს გაალაღებს, ჭკუას გაგინათებს და გონიერებას სიამოვნების ბუყ-ბუყს დააწყებინებს, სამყაროს საკუთრებაა.

9471. ნაღდი ყოველთვის საყოველთაო როდია. ის რჩეულთა

ხვედრია.

9472. მეგობრობას ურთიერთსულიერების საჭიროება ამაგრებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დევალვირებას განიცდიდა და გაქრებოდა, რადგან მეგობრობას მატერიალურ ფენომენთან ურთიერთობა ვნებს.

9473. ზოგჯერ ჩვენი გულის ქალი სხვას ეკუთვნის. არა და, მისი ბედნიერების ნგრევის უფლება ჩვენ არა გვაქვს.

9474. ზოგჯერ სიმართლის ქარი შემოუბერავს ერის ისტორიას და მოგჭამა ჭირი: საუკუნეობით ნალოლიავები, შეკეთებულ-შელამაზებული ისტორია გაქიაქდება.

9475. ხშირად ჩვენ იმაზე მეტის მიღებას ვცდილობთ, რაც გონივრულის ფარგლებში თავსდება.

9476. ჭეშმარიტების მთავარი პრინციპებია: ფანატიზმი, ძიება, აღმოჩენა, გაკეთება, გამოყენება, გავრცელება.

9477. ზოგჯერ შეჩვეული ჭირი უფრო ახლოა ჩვენს ცნობიერებასთან, ვიდრე შეუჩვეველი პერსპექტიული კეთილდღეობა.

9478. შურმა ყბედობა იცის, აღტაცებამ – დამუნჯება.

9479. შეყვარებულთა, ცოლ-ქმრისა და ბებია-ბაბუების ერთმანეთთან საუბარი რადიკალურად განსხვავდება, რადგან მათ აზროვნებასა და მოვალეობებს სხვადასხვა დატვირთვა აქვს.

9480. დედამიწა მზის გარშემო ბრუნავდა, ბრუნავს და იბრუნებს; მთავარია, მას ფეხი ავუწყოთ და მასზე ჩვენი უმნიშვნელო ნაკვალევი მაინც დავტოვოთ.

9481. ყველა ჩვენგანისთვის არსებობს პირადი ამბავი და ქვეყნის ისტორია, მაგრამ ამბავსაც და ისტორიასაც ყველა საჩვენოდ ვხედავთ.

9482. მიზანი ის საშუალებაა, რომელსაც ნაოცნებარ ქმედებათა გასამართლებელი ალიბი მუდამ თან დააქვს.

9483. მცენარე არ გველაპარაკება, მაგრამ მიგვანიშნებს; ხოლო ჩვენს მოთხოვნებს ის გრძნობს და შეძლებისდაგვარად ანგარიშს უწევს.

9484. უაზროდ თავის განწირვა სათუო სახელის დასატოვებლად ნამდვილად არა ღირს, რადგან სიცოცხლისთვის ბრძოლა საბოლოოა.

9485. ისტორია ყოველთვის კარგ მასწავლებლობას ცდილობს, მაგრამ რატომღაც მოსწავლეები ჰყავს უნიჭო, უნიათო და აუტისტი.

9486. სულიერების ისტორიასთან ხორციელება ახლოსაც ვერ მივა.

9487. ყველა ჩვენგანისათვის მნიშვნელოვანია, ჩვენმა შთამომავალმა იამაყოს ჩვენი სახელითა და დიდებით.

9488. ზოგჯერ ისტორია ჩვენი სიბრიყვეების ჩამონათვალით იფარგლება, რადგან რეალური ისტორიიდან ადამიანი გამოსავალს ვერ ნახულობს და მისი გახსენებაც არ უნდა.

9489. ვინც ხალხს ჭკუა-გამოცდილებას შესძენს, ის ხელისუფალია, ხოლო, ვინც ქვეყნის ინტერესებს ხალხის ინტერესებზე მაღლა დააყ-

ენებს, ის დიქტატორია.

9490. პროვინციალიზმი ხშირად გამოირჩევა შურით, კარიერისკენ სწრაფვით, განათლებისადმი გულგრილობითა და პრეტენზიულობით.

9491. მგრძნობიარობას ორი უკიდურესი გამოვლინება აქვს: თავდავიწყებული სიყვარული და სიძულვილი.

9492. ისტორია, რომელიც ფაქტებს არ ეყრდნობა და მის შეჯერებას არ ცდილობს, ფაქტობრივად სპექტაკლია, რომლის სცენარი დაწერილია დროისა და ბრბოს მოთხოვნათა შესატყვისად.

9493. სულმოკლეობას მეგზური არ სჭირდება.

9494. ყოველ ჩვენგანს აქვს უფლება, თავისი ქვეყნის ისტორია შეულამაზებლად, გაუზვიადებლად იცოდეს, რათა სამომავლო დასკვნები იოლად გამოიტანოს.

9495. არცერთი ჩვენი ქმედება, ქცევა არ არსებობს, რომელიც არ ეხებოდეს სხვას და მათი ცნობიერების, გემოვნებისა და მიდრეკოლების ჩამოყალიბებაზე არ ზემოქმედებდეს.

9496. სიმართლის სათქმელად საჭირო ფორმის მოძებნაა ძნელი და არა თავად სიმართლის თქმა.

9497. სიმართლეს ყველანი ჩვენს გემოზე ვალამაზებთ და სასურველი სანელებლებითა ვკაზმავთ.

9498. ღირსება გადაცდენას ვერ იტანს და ღირსეულს ამას არც აპატიებენ.

9499. სიძულვილს ენა იწვევს და არა მისი პატრონის გარეგნობა.

9500. პიროვნება, რომელიც სიმართლეს ამბობს და ძლიერთა ამა ქვეყნისათა უპირისპირდება, უწინარეს ყოვლისა, თავის ხალხზე უნდა ფიქრობდეს. იმასაც უნდა ითვალისწინებდეს, იგი ხალხს ცოცხალი უფრო გამოადგება თუ იმქვეყნად გადაბარგებული ან რეპრესირებული. ამის შესანიშნავი მაგალითია პეტრე გრუზინსკის ლექსზე შექმნილი სიმღერა „პარტია“. ის ჩაფიქრებული იყო სამშობლოზე და დღეს ეს სიმღერა ამ სიტყვის ჩანაცვლებით იმღერება, ხოლო ცნობილი რეჟისორის სანდრო ახმეტელის და იმდროინდელი ცეკას მდივნის ლავრენტი ბერიას დაპირისპირებას ესოდენ ნიიჭიერი რეჟისორის სიცოცხლე უდროოდ და თავის შესაძლებლობათა ბოლომდის გამოუვლენად შეეწირა.

9501. ზოგჯერ წყვილის მასლაათს ხანგრძლივი პაუზები და თვალთა ჟუჟუნი ამშვენებს.

9502. მოთმინება დიდი სიბრძნეა, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს და თავის მოთოკვის უნარიც შეგწევს.

9503. მთავარია, ჩვენი კეთილი ყოფისათვის საჭირო საქმენი ვაკეთოთ, რადგან ჩვენი ანგელოზებად მოქცევის ხერხი ჯერ არავის დაუპატენტებია.

9504. დღევანდელობის არც შეჩერების უნარი შეგვწევს, არც და-

ტყვევებისა. ის უკვე გაფრენილია.

9505. მთავარია იდეა, რწმენა, შეგნება, წინდახედულება და არა ის, თუ სად ემსახურები ამ შენს პოსტულატებს.

9506. წარსულის ისტორიაც კი ტექნიკური პროგრესის და ევოლუციის პირმშოა და ამ მხრივ ახალს არაფერს გვეუბნება.

9507. პრობლემები მაშინაა აღმოფხვრილი, თუ მისი რეციდივი გამორიცხულია.

9508. სამყაროს მოქალაქეობასაც თავისი საწყისი, ჯიში, ეროვნება და დაბადების ადგილი სჭირდება.

9509. ჩვენს ცნობიერებაში რასაც ნათელი შემოაქვს, სიყვარულია, ნიჭია, მოვალეობის განუხრელად შეცნობისაა.

9510. მოწადინებული ვართ, ჩვენი არსებობით ვალამაზოთ გარემო, თანამოძმეთა სამყოფელი და არა პირიქით.

9511. წესიერებასა და პატიოსნებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი საქმის სასიკეთოდ შემოსაბრუნებლად ეშმაკობას, მოხერხებულობას, გამჭრიახობას არ გამორიცხავს, პატიოსნებისგან განსხვავებით.

9512. იმ საბოლოო სიტყვას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ყოველივე დაპირისპირებას, კამათს წერტილს უსვამს.

9513. მეტის ძიების სურვილი ცოდნის წყურვილსაც აძლიერებს.

9514. ყველა საქმიანობა მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენს არა მარტო ჩვენს ცნობიერებაზე, არამედ ჩვენს გარეგნობაზეც.

9515. გრძნობა გადაყოლა-განდიდებას არ მოითხოვს. ის არის ან არ არის.

9516. შედეგი ძალას გვმატებს და პირდაპირ თუ ირიბად ქვეყნის ისტორიის გაგრძელებაშიც.

9517. რაც უნდა აირიოს გარემო, ისევ ერთმორწმუნე მეზობელ ქვეყნებს უნდა ვენდოთ, დაველაპარაკოთ, რადგან ურთიერთობაში ცუდთან ერთად ბევრი კარგიც ამოტივტივდება და ისევ მათთან საერთო ენის გამონახვა სჯობს, ვიდრე შორეულ, გამოუცდელ ქვეყნებთან.

9518. ქვეყნის ბრმა სიყვარულს სასურველი შედეგი არ მოაქვს. საჭიროა გონივრული წინდახედულება და უანგარო სამსახური.

9519. ისტორია „მარადიული უტოპიაა“, რადგან მის გამოცდილებას მომდევნო თაობები ვერ იყენებენ.

9520. ყველაზე ძნელი საკუთარი თავის შეფასებაა, რაც უნდა მოვინდომოთ და ვეცადოთ. საკუთარი თავის ჩვენდა უნებლიეთ გაფეტიშება ამის საშუალებას არ იძლევა.

9521. იდეოლოგიის გაცამტვერება, მომხვეჭელობის გალაღებისა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ნგრევის საწინდარია.

9522. შემოქმედი თუ დასამახსოვრებელსა ქმნის, ის სიკვდილსაც ხელის მოუღერებს თავისი სახელის დატოვებით.

9523. ცოდნა ძლიერი იარაღია და ის, ადრე თუ გვიან, გამარჯვებული გამოდის.

9524. სიკეთის კეთება ყველაზე უკეთ მეტყველებს და საუბრობს.

9525. ზოგჯერ დუმილიც დამამცირებელ პასუხად იქცევა.

9526. ამომრჩეველი იმის გამო კი არ არის დამნაშავე, უკეთ ცხოვრება რომ უნდა, დამნაშავეა იმის გამო, რომ უკეთესს არ იმსახურებს თავისი მენტალიტეტით, განსჯა-შეფასების უნარით, ვიდრე მისი არჩეულია.

9527. წესით, ხალხის გონიერებას ისტორია უნდა წვრთვნიდეს, მაგრამ ღირსეული მწვრთნელ-ხელისუფლის გამოუჩენლად ისტორია უძლურია.

9528. სოციალიზმი დიდებული წყობაა: ვინც შემოქმედია, თავს თავად ირჩენს; ვინც უვარგისია, სახელმწიფო აიძულებს თავი მისი დაძალება-დახმარებით ირჩინოს.

9529. პიროვნება უმთავრესად აღსაზრდელთა ოდენობითა და ხარისხით უნდა შეფასდეს და დაფასდეს, არა მარტო თავისი ნაღვაწით.

9530. წინასწარი გათვლით, სასიკეთო გადაწყვეტილების მიღება თუ შეგიძლია, უკვე პიროვნება ხარ.

9531. ენთუზიაზმის გარეშე ყველა სწავლება, შთაგონება გაუფასურებულია.

9532. ყველა ჩვენგანი თავის ნაოცნებარ საიდუმლოს ინახავს.

9533. უნდობლობა უპირველესად საკუთარი თავის მეობას უპირისპირდება.

9534. უფლება უნდა ვიმყოფინოთ მოვალეობის შეცნობა-შეგნებით.

9535. ქვეყნის წარმატებული მართვა, ტექნიკური პროგრესის დროულად დანერგვაზეა დამყარებული და არა ხალხის შეხედულებასა და ქვეყანაში გატარებულ პოლიტიკაზე.

9536. სამწუხაროდ, მწარე ისტორიული გამოცდილებაც კი ზოგჯერ მეორადია, თუმცა მას გონიერება ხშირად წინააღმდეგობას ვერ უწევს.

9537. ისტორიული მოვლენები თავად იდგამენ ძეგლებს და ქმნიან თავიანთი დროის მენტალიტეტსა და რწმენას.

9538. ყველა თვითმარქვია უფრო მეტად სურვილებს გვთავაზობს, ვიდრე რეალობასა და საქმეს.

9539. ეტყობა, ჩვენ საკაცობრიო მნიშვნელობის მქონეს ახალს ვერაფერს ვამბობთ, უბრალოდ, ვახდენთ ძველის რანჟირებას.

9540. ნუგეშის შეცნობა მოაქვს საქმის კეთილსინდისიერ კეთებას.

9541. მათემატიკური ტოლობის გარეშე ყველა სიბრძნე სიბრიყვეს ეხმიანება.

+9542. ზოგჯერ ერთი უნებლიე შეცდომა ორს – ცოლსა და საყვარელს – ბედნიერს ერთდროულად ხდის, თუ შეცდომით საყვარლისთვის

გამზადებულ ტორტსა და თაიგულს ცოლს მიართმევ, ხოლო ცოლისთვის გამზადებულ ხარკს-ხელფასს – საყვარელს.

9543. ფორმულას „გიყვარდეს ყველა და უყვარდე ყველას!“ ვერაფრით განახორციელებ, თუ გონიერება არ გიწყობს ხელს და განგებაც არ მეხმარება.

9544. ზოგჯერ ლამაზი ისტორია სიბრიყვემდე არარაციონალურია, რადგან აქ „პაკაზუხობა“, ანუ კუდაბზიკობა, იმარჯვებს და სჭარბობს.

9545. ბრძოლას ვაჟკაცობა, შემართება იგებს; ომს კი – შერკინებისადმი რეალური და რაციონალური მიდგომა.

9546. გემოვნებაა, როდესაც ტრადიციებს თანამედროვე მიღწევებს დაუძალებლად და ბუნებრივად უხამებ ერთმანეთს და ამით სიამოვნებას იღებ.

9547. თავისი წილი ჰუმანიზმი რელიგიასაც ახასიათებს, ხელოვნებასაც და ისტორიასაც.

9548. სიკეთის ენა საერთაშორისოა, რადგან მისი ავკარგიანობა უენოდაც ნათელია.

9549. საჭირო ფაქტების მოძიებისა და მათი გამოყენების ცოდნა ჩვენს ფილოსოფოსად ჩამოყალიბებას ხელს უწყობს.

9550. მცდელობა, სურვილი, ოცნება საქმის კეთებას ყოველთვის ვერ შველის, თუ გარემო ვითარებაც არ არის გათვალისწინებული.

9551. განსჯა მისაღებია, განკითხვა – არა, რათა ბოლოს შენც გასაკითხი არ გახდე.

9552. საკუთარი თავის შეცნობის მცდელობა უფლებას არ იძლევა, რომ სხვაზე იჭორიკნო და განსაჯო.

9553. როცა საქმიან შემოთავაზებებს ყურად არ იღებენ და მოჩვენებითობის გზით თავის წარმოჩენა მოდაშია, მაშინ ეს დემოკრატია არაფრის მაქნისია და დროის გაყვანას ემსახურება.

9554. ქალობა ხელოვნებაა, კაცობა შემოქმედებაა, როცა ფიქრები შეგესევა და ოცნებით ჰაერში დაფრინავ.

9555. ისტორიას რომ გადახედოთ, დაინახავთ: ჩვენი წინაპრები, ეტყობა, მაინც პოტენციური მკვლელები იყვნენ, რადგან სხვაგვარად ისინი ვერც ეროვნულობას შეინარჩუნებდენ, ვერც საკუთარ ტერიტორიებზე ფეხს მოიდგამდენ და ვერც შთამომავლობას დატოვებდნენ.

9556. საკუთარი თავისთვის ბორკილების დადება ადვილია, მისგან მოხერხებულად თავის დაძვრენაა ძნელი.

9557. სასიამოვნო დაღლილობასაც თავისი ლიმიტი აქვს. ბოლოს თავს უნდა შევუძახოთ და შეუძლებელი შევძლოთ.

9558. ზოგი ისე შრომისმოყვარეა, რომ სალ კლდეზე მყოფიც კი თავისი მცდელობით თავს უშველის.

9559. თეორიულად დემოკრატია სასურველი პიროვნების ხელისუ-

ფლებაში მოყვანაა, მაგრამ რეალურად ყველაფერი საწინააღმდეგოდ გამოდის.

9560. ყიდვა ყველაფრისა შეიძლება, მათ შორის ოცნებისაც, გააჩნია მყიდველის არა მარტო ეკონომიურ, არამედ გონივრულ შესაძლებლობებს.

9561. მიზნის მიღწევას შემართებასთან ერთად ყოფის ხრიკების ცოდნა-მიხვედრა სჭირდება.

9562. „ევროპული იდიოტიზმი“ (თავისუფლების უკონტროლო შემოთავაზება), თუ კონტრხერხებს არ მიმართავ, ის ვერც ე.წ. ისლამურ გამოხდომებს აღკვეთს და ვერც უცხო ქვეყნების მცხოვრებთა მოძალებას მათ ტერიტორიაზე საცხოვრებლად, რადგან ადამიანის ბუნება, გენი ასე ადვილად, მარტივად აღზრდა-გარდაქმნას არ ემორჩილება და მათ ევროპელებისთვის ბევრი შეუცნობელი მცნება ახასიათებთ.

9563. კომპლიმენტი რეალობასთან ახლოა და აღფრთოვანებას იწვევს, პირფერობა გამოგონილია და დაუმსახურებელ გამორჩენასთან არის დაკავშირებული.

9564. მეგობრობა თავისებური კრედო-დებეტია, ოღონდ ანგარების, ოფიციოზისა და ხელშეკრულების გარეშე.

9565. თუ გინდათ ბოღმის და შურის გარეშე იცხოვროთ, კონკურენცია უნდა დაივიწყოთ.

9566. ძალაუფლებას ძალა განსჯის და საზღვრავს.

9567. კაცობრიობის ისტორია ათას სისულელეზეა ნაშენები, მაგრამ მისი შენება ამ სისულელეებით დღემდე გრძელდება.

9568. წინდახედული დიპლომატია – ეს არის თამაში წინააღმდეგობების გადალახვაზე.

9569. ყოველივე პირველი ძნელია, მაგრამ საინტერესოა და ზოგჯერ – აუცილებელიც.

9570. ხშირად საკუთარი სიამოვნების შეგრძნება გვაკვალიანებს საშვილიშვილო საქმის შესასრულებლად და არა ამ მოვალეობის გონივრული შეცნობა.

9571. ერმა თავისი ისტორია არც უნდა შეალამაზოს და არც დაივიწყოს, თუ გვინდა, ჩვენმა მატიანემ ჭკუა გვასწავლოს და ცხოვრების შენებაში გამოგვადგეს.

9572. დრო, გარემო, შემთხვევა, ნიჭი ქმნის პიროვნებას, ოღონდ განგების ხალისიანი „ხოშ-გელდი“ უნდა მოგვესმას.

9573. ისტორია ტვინის გასანძრევად, განსასჯელად, დასაფიქრებლად იწერება და არა თავის მოსაწონებლად და საყელყელაოდ.

9574. თუ საქმეს სჭირდება, კანონი იმგვარად უნდა დავარღვიოთ, რომ საზოგადოების ინტერესები არ დავაზარალოთ.

9575. მარად სხვათა ჭკუაზე ცხოვრებას ნერვული სისტემა მწყო-

ბრიდან გამოჰყავს და მის მეობას ვნებს.

+9576. დაპირისპირებისას თუ „აკრძალულ ილეთებს“ არ იყენებთ, ეს კამათია, ხოლო, თუ იყენებთ, „დემაგოგიაა“, ნეგატივია, ბუნტია.

9577. დასამახსოვრებელი ხალხი ხშირად გარდაცვალების შემდგომ პოულობს ადგილს ქვეყნის ისტორიაში, ოღონდ აწ კი – სამუდამოდ.

9578. ხალხის ნერვების და აზროვნების მობილიზების უნარი უმთავრესია ქვეყანაში რეფორმების გასატარებლად.

9579. მიწა დიდი განძია, თუ მისი მოვლა-პატრონობა მისდამი დიდი სიყვარულით ხარ განმსჭვალული.

9580. თუ არაფრის არ გეშინიათ და არც არაფერი განაღვლებთ, მაშინ ან ეშმაკის ნაშიერი ხართ, ან გამოუსწორებელი შტერი.

9581. ბუნება იშვიათად იძლევა დაუმსახურებელ ლუკმას და, თუ იძლევა, ისიც განვადებით.

9582. ნაღვაწის ღირსეულად გათავისებას შეიძლება დრომ და გარემომ შეუშალოს ხელი, მომავალ თაობას ეს ღვაწლი არ უნდა დავუმალოთ.

9583. თავისი დროის უუნარო ფუნდამენტალიზმის მგრეველი უკვე პიროვნებაა, თუ ისტორიული აუცილებლობა მის მხარესაა.

9584. სიტყვის თავისუფლება ყბედობას არ უნდა დავამსგავსოთ, ამას არც დემოკრატიული წყობის პოსტულატები ითვალისწინებს და არც პიროვნების თავისუფლების კრედო.

9585. თეორიულად ამ სამყაროში ყველამ თავისი კუთვნილი უნდა მიიღოს, თუ კანონიერება, სამართლიანობა, დემოკრატია არსებობს, მაგრამ პრაქტიკულად აქედან ხშირად არაფერი გამოდის, რადგან კორუფცია-ქურდობისკენ მიდრეკილება, ჩვენდა გასაკვირად, იზრდება.

9586. ზოგჯერ ცივილიზაციის თითქოსდა ტრაგიკული დასასრული აბსოლუტური სიახლის დასაწყისად გადაიქცევა.

9587. სიტყვის თავისუფლება, უწინარეს ყოვლისა, გონიერების შეჯერებას მოითხოვს, რათა სიტყვის თავისუფლება მოვალეობის მოხდის ფორმალურ წესად არ გადაიქცეს!

+9588. პატივის მიგებასა და თაყვანისცემას შორის დიდი სხვაობაა. რადგან პირველი საკუთარ მეს არ ივიწყებს, ხოლო მეორე საკუთარ მეს ჩრდილში აყენებს.

9589. აწმყო წარსულს იმ შემთხვევაში სჯობს, თუ უკეთესი მომავალი გააზრებულ-გახაზირებული გაქვს.

9590. ტექნიკური პროგრესის უმთავრესი დანიშნულებაა ადამიანის შრომის უნარის გაუმჯობესება, აზროვნებისთვის პატივის მიგება და ბოროტების შემცირება.

9591. ისტორია უამრავ ქვეყნის „მოღვაწეს“ პანღურით უმასპინძლდება, მხოლოდ ერთეულნი რჩებიან მისი ხსოვნის სკივრში.

9592. თაობები თავიანთ განცდებს შეკითხვების სახით ტოვებენ.

9593. ყველა დიდი საქმე შიზოფრენიით და სისხლის დენით კეთდება ისტორიაში.

9594. სამშობლოს დაკარგვაც შესაძლებელია, თუ მის ისტორიაში დაშვებულ შეცდომებს არ გავითვალისწინებთ და გავიმეორებთ.

9595. შვილებზე ყველა შემთხვევაში ვლოცულობთ, იმისდა მიუხედავად, ისინი კარგნი არიან თუ უვარგისნი.

9596. „შენი სული ცხონდა“ – ყოფის ეს ალგორითმი ჩვენს ბიოგრაფიას ამკობს.

9597. წარსულის ხშირი გახსენება და გაფეტიშება აწმყოს აჩმორებს და მომავლის პერსპექტივას ამყაყებს.

9598. ეპატაჟი, ეს გახლავთ საკუთარი მეობის შესაცნობად სერიოზული გარღვევა სიახლისკენ მიმავალ გზებზე, ბრძოლა თავის დასამკვიდრებლად, სიცოცხლეში აღიარების მისაღწევად შრომა.

9599. წმ. მარიამის წილხვედრ ქვეყანაში ცხოვრებას დამსახურება უნდა და არა ტრაბახი და უაზროდ თავის მოწონება.

9600. ისტორია არ მეორდება, მაგრამ უგვანობის რეციდივს მუქთად გვთავაზობს და გვსჯის.

+9601. ცოდვა განსჯის დროს უფრო მომხიბვლელი და მრავალფეროვანი ხდება.

9602. სიკეთე და სიბრძნე სინინიმებია, იმისდა მიუხედავად, რომ მათი ერთად აღქმა უმეტესობას გვიჭირს.

9603. პოლიტიკის ანატომიის ცოდნაც არაფერს იძლევა, ის იმდენად გასაგებ-გაუგებარია.

9604. ყველა ჩვენგანი თავისი ნაოცნებარი და შელამაზებული ავტორიტეტით იღვწის, რომელიც საკუთარ ამბიციებთან ასოცირდება.

9605. ანომალური ცნობიერების სტანდარტად გამოცხადების მცდელობას სასურველი შედეგი არ მოაქვს, რაც უნდა ჰუმანიზმის ალიბით წარმოჩნდეს იგი.

9606. დანაშაული უნდა განისაჯოს, შეცდომა უნდა გამოსწორდეს, ხოლო გულგრილობა უნდა აღიგავოს, რადგან ის არც დასჯას ექვემდებარება, არც გამოსწორებას.

+9607. წყალი წყურვილს გვიკლავს, ღვინო – უხასიათობას.

+9608. ზღაპარი იმით განსხვავდება ოცნებისგან, რომ მას ბედნიერი დასასრული გარანტირებული აქვს.

9609. სიცოცხლის წყარო წყალიცაა, იმისდა მიუხედავად, ის წყურვილს გვიკლავს თუ მისი ხარისხი სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს.

9610. სიმართლის უპირატესობა ისაა, რომ ადრე თუ გვიან ის მაინც მოიგებს როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დაპირისპირებებს.

9611. ისტორია, რომელიც გვაიძულებს სოციალური გაკვეთილების

შესწავლას, უნდა ჩაითვალოს ერის სახელმძღვანელო საგნად და არა – თარიღების ურთიერთშეთამაშება.

9612. ზნეობრივი გმირი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე მოვალეობის მოხდის დროს ჩადენილი გმირობა.

9613. ომს, დაპირისპირებას ბევრი უსიამოვნება მოაქვს, რადგან ის მამაკაცების სისხლს ითხოვს, ხოლო ქალების ცრემლს, მაგრამ უგუნურება ამას არად დაგიდევთ, რაკი თავისი სახელის ისტორიაში დასატოვებლად ირჯება.

9614. ზოგი პოლიტიკაში შემთხვევით თუ უსაქმურობის გამო ხვდება, მაგრამ ეს არც მის პოლიტიკურ პარტიას აღელვებს და არც მის ამომრჩეველს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ჩუმადაა და აურზაურით თავის წარმოჩენას არ ცდილობს.

9615. პოლიტიკა მომენტების გამოვლენაა, მომავლის ხედვაა, გონის მოხმობაა, ინტუიციის მომარჯვება, გამარჯვება და შედეგის გამყარებაა.

9616. უპასუხისმგებლო ისტორიული ნამოქმედარი მომდევო თაობებსაც თავს ახსენებს და უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. მგ. 1915 წლის აპრილს სომხების გენოციდი თურქების მიერ.

9617. ინფორმაციის დაგროვება ცოდნას არ ნიშნავს; შრომა, რომელიც სასურველ შედეგს არ იძლევა, საქმიანობად ვერ მიიჩნევა, ხოლო თავისუფლებას, რომელსაც ვერ შევიშნობთ, დემოკრატიად არ უნდა წარმოვისახოთ.

9618. ისტორიას ლეგენდებისაგან განთავისუფლება არ უხდება – თავის მიმზიდველობასა და ხიბლს კარგავს.

9619. ისტორია დიახაც მეორდება, მაგრამ არაფერსაც არ გვასწავლის და მარად განვლილი შეცდომების უგულებელყოფასა და არშემჩნევაში ვართ.

9620. დევიზი – დავეხმაროთ, რათა დაგვეხმარონ! გასაანალიზებელია, რადგან ისიც გასარკვევია – შენი გასაჭირი სხვას თავზე უნდა მოახვიო თუ არა?

9621. განუსჯელად და გაურჯელად, უფლებების მოპოვება დანაშაულის ჩადენის ტოლფასია

9622. სამყაროს მოქალაქე თავისი ქვეყნის შვილად ვეღარ დარჩება, რადგან მისი მსოფლმხედველობა, პატრიოტიზმის თვალსაზრისით, უკვე დამახინჯებულია.

9623. ფინიშის იქით რაღაც ისეთიც უნდა ჩანდეს, რაც ჩვენს შესაძლებლობებს უფრო მეტად წარმოგაჩენინებს.

9624. გაახალგაზრდავების ელექსირი ისევ ჩვენს გონიერებაში უნდა ვეძიოთ, რადგან მთავარია, როგორ აღიქვამ გარემოს და რა ყურადღებით ვექცევით ირგვლივ მყოფთ.

9625. ხშირად დემოკრატიული გზით არჩეული ქვეყნის ხელისუფალი „გუგულის“ პოზაში გვევლინება და ცდილობს, თავისი საქმე სხვას აკეთებინოს, რადგან ის ამ საქმიანობის მცოდნე არ არის.

9626. დღევანდელობის ერთი სადილი ხვალინდელი ორი საუზმის ტოლფასია ისტორიაში.

9627. ზოგჯერ საწყენი და ერთის შეხედვით მიუღებელი ხშირად გონიერების, სულიერების სასიკეთოდ ხმობის მცდელობაა.

9628. სახელმწიფოს მართვა ძირითადად ეკონომისტებსა და დიპლომატებს უნდა მივანდოთ ქვეყნის კონსტიტუციის ზედამხედველობით. აქ დიდად წამგებიანია ურთიერთდაპირისპირება და გაუგებრობები.

9629. ურთიერთპატივისცემასთან უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის შერწყმა და კანონის მორჩილება უმთავრესია ქვეყნის კონსტიტუციის ზეობისთვის.

9630. ყველა მოჩვენებით „ზღაპრულ ქვეყანაში“ უამრავი პატიოსნების და გონიერების საწინააღმდეგო ქმედება ხდება, მაგრამ ჩვენ მათზე მაინც ზღაპრების მოყოლა მოგვწონს.

9631. ზომიერების ფარგლებში გაწნული ისტორიული ალიყური მომდევნო თაობებს განვითარების სწორ გზაზე აყენებს.

+9632. ნდობა და უნდობლობა ერთად ვერ ძოვენ, რადგან ურთიერთის გადამოწმება ხშირად უხდებათ.

9633. ნიჭი სხვაა, გმირობა – სხვა, რადგან პირველი გონიერებით ირჯება და იღვწის, მეორე – აფექტით და შემართებით.

9634. ყველა ტვირთი მოხსნას ექვემდებარება, ეს მადლიერებით იქნება თუ დაყვედრებით.

9635. მარტოობის დღესასწაულს გონიერება დიდხანს ვერ უძლებს და ის ან მიჩვევად ექცევა, ან წამებად.

9636. მშვენიერების მელოდიას დიდხანს დიდება არ უწერია. ის იძულებულია ადრე თუ გვიან თავიდან დაიბადოს, რათა მისით აღფრთოვანებას არ გადავეჩვიოთ.

9637. ჭკუას, გულსა და ხელებს განვითარების თავისებური ჰარმონია სჭირდება, რათა დასახული მიზნები არ გააწბილოს.

9638. ერთად ყოფნა და შეკავშირება გვაძლიერებს, მაგრამ ღირსეული წინამძღოლის არჩევის უუნარობა გვაუძლურებს.

9639. თუ კოლეგებს შენს წარმატებაზე მეტად შენი წარუმატებლობა გაუხარდათ, უნდა მიხვდეთ, რომ უკვე დიდი პიროვნება ხართ.

9640. იმედი, სიყვარული, ოცნება ის ღვარცოფია, რომელისგანაც თავის წარმატებით დახსნა ერთეულ ბედნიერეთა ხვედრია.

+9641. ბოროტებას ეგუებიან თავის გადასარჩენად, ებრძვიან თავის წარმოსაჩენად.

+9642. ლაპარაკზე მეტად დუმილის სწავლა უძნელდებათ.

9643. სხვათა ზედმეტად გაკვირვების მცდელობა თავის წარმოჩენა-გაპიარების უპირველესი ხერხია.

9644. სულელების ოდენობა ამქვეყნად საკმარისზე მეტია, მაგრამ ეს არ არის მიზეზი, რომ იმქვეყნად ჭკვიანებს გაასწროთ.

9645. თუ სიცილი გაახალგაზრდავების ელექსირია, მაშინ ლაღი ღიმილი ბედნიერების შესაცნობი განტოლებაა.

9646. ისტორიის მწარე გამოცდილების არც შერწყმა გვინდა და არც განსჯა, ხოლო პრეტენზიები, დღეს უკეთ რომ უნდა ვცხოვრობდეთ, დიდია.

9647. ღირსებას არ იძენენ, უბრალოდ, ღირსეულად იბადებიან.

9648. სიტყვა, რომელიც ჯოხსა და ალიყურს ცვლის, დიდებულია.

9649. საკუთარი თავის გაფეტიშებული წარმოდგენა ჩვენი უგუნურების მაჩვენებელია.

9650. საკუთარი თავის შეცნობა-დაფასება გარანტია ამ სამყაროში შენი მოვლენის გამართლებისა.

9651. ეს ცა ყველას თავზე დაგვყურებს, მაგრამ ერთეულებს მაინც გამორჩევს საკუთარი თავის წარმოსაჩენად.

9652. ერის განვლილი ისტორია სასწორზე ნაწილ-ნაწილ უნდა შემოვდოთ და, საითაც სიმძიმით გადაიხრება, ის დრო უნდა მივიჩნიოთ ქვეყნის განვითარების ეტალონად.

9653. ხალხი ისტორიის მაგალითებს ჭკუაზე არ მოჰყავს. ის ცნობს მხოლოდ ისტორიის მიერ ნათავაზებ ალიყურსა და მუშტს.

9654. გატანჯული სინდისი ყოველთვის ჩვენთანაა, ოღონდ მძიმე საყვედურებით.

9655. სამწუხაროდ, ისტორია უმთავრესად კონიუნქტურას ემსახურება და არა ხალხის ცნობიერების გაღრმავებას, რადგან ისიც იმას ემორჩილება, ვინც აფინანსებს და ინახავს.

+9656. მეგობარია ის, ვინც ჩვენს შეხედულებებს, შეცდომებს თავისი ოპონირებით იზიარებს და არა ის, ვინც ყველაფერზე გვეთანხმება.

+9657. მოწყალების მთხოვნელს მწყალობელი იმდენად არ უყვარს, როგორც მწყალობელს მთხოვნელი, რადგან მწყალობელი თავისი ქმედებით სულიერებას აპურებს, ხოლო მთხოვნელი სტომაქის ამოყორვასა ლამობს.

9658. ბუნების ძალა დიდია, განსაკუთრებით, როდესაც ის გართობის ხასიათზე დგება და ცოდვებს მოგვკითხავს.

9659. შურისძიებაზე შურისძიებას ზოგჯერ მისი შეუმჩნევლობა და მისი ფიქრებიდან გარიყვა სჯობს.

9660. უკვდავების ლიცენზია თუ საერთოდ არ არსებობს, მაშინ იმქვეყნად გადაბარგება ტრაგედიად არ იქცევა. ეს ტრაგედიაა იმათთ-

ვის, ვინც ზევით რჩება და იმქვეყნად გარდაუვალ მოგზაურობას თუნდაც ერთი წამით ჩაუფიქრდება.

9661. სიკეთესთან შეხვედრის მსურველი ბევრია, მისი გამოყენების არცოდნის მიუხედავად.

9662. ისტორიას მკაცრი მსაჯულია და არა მოსამართლე, მაგრამ მისი განსჯა და ყურისგდება არასოდესაა გვიან.

9663. ხშირად სიმართლეც მილიონებად იყიდება და მას ყურით მოთრეული კეთილდღეობაც ახლავს.

9664. ღირებულებათა კომპლექსი ყველას ჩვენი გვაქვს, იმისდა მიუხედავად, რომ ღირებულებათა ნაკრები უცვლელია.

9665. ისტორიის უაზროდ განმეორება და დუბლირება თავის გაბრიყვების საუკეთესო საშუალებაა.

9666. ნასვამი ადამიანი თავის შინაგან ბუნებას ამჟღავნებს, რასაც სიფხიზლეში არ იმჩნევს. ამიტომ, თუ ვიღაცის დაახლოება და დამეგობრება გვინდა, ის სიმთვრალეში უნდა გამოვცადოთ და შემდგომ მივიღოთ გადაწყვეტილება.

9667. ღირსება უფრო მეტად შურს იძენს, ვიდრე მხარის ამბმელს, რადგან სხვათა აღიარება განსჯას არ ექვემდებარება.

9668. „გამაცილეთ“ – ეს ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთსიყვარულის გამომხატველი სიტყვაა.

9669. ფრთიანი სიტყვა ყოველთვის ყოფის პარამეტრებს არ ემთხვევა, რადგან ერთია, რა უნდა იყოს, ხოლო მეორეა, გონიერება რას გვირჩევს რეალობაში.

9670. ისტორიაში ადგილის დაკავება უფრო ადვილია, ვიდრე მისი სამუდამოდ შენარჩუნება, რადგან დროსა და ყოფის კაპრიზებზე მიტმასნილი პოლიტიკა ცოტა ვინმეს თუ დაახსომდება.

9671. არის ისტორია, თავგადასავალი, რომლის გახსენებაც სიამოვნებას გვანიჭებს. არის პირიქითაც – რომლის გახსენებაც ნერვებს გვიშლის და ტვინს გვიმღვრევს. ამიტომ ამ გახსენებებსაც თავის ცენზორი უნდა დაუნიშნოთ, რათა ამ გახსენებამ უდროო დროს არ შეგვაწუხოს.

9672. ცენზურა კარგიც არის და დასაგმობიც, გააჩნია, რა დონის საზოგადოებასა და რა ჯურის ხალხში გვაქვს საქმე.

9673. დიქტატურა „სუბორდინაციის“ ის სახეა, სადაც ერთს ყველა პატივს მიაგებს, ხოლო ის ერთი ცდილობს, ყველა ხელში ჰყავდეს ჩაჭერილი, რადგან მას მათი თავის აშვების და საკუთარი თავის დამხობისა ეშინია.

9674. გინდათ, არ ნიშნავს, რომ გააკეთებთ, და არ გინდა, არ ნიშნავს, რომ არ გააკეთებთ და ესეც ჩვენი ყოფიერების გასაცნობიერებელი გამოცდაა.

9675. გულით ნაკეთები საქმე განსჯას არ ექვემდებარება, სიყვარულით ნაკლები – მსჯელობას, ხოლო გონის ნაკეთებს ორივე ეპაექრება, თუკი არ გაუმართლათ.

9676. მსოფლიო ისტორიის ნაგლეჯების მისაკუთრებას და მის შექმნაში წილის დადებას ყველა ეროვნება ცდილობს, მაგრამ, რამდენად სამართლიანად გამოიყურება მათი პრეტენზიები, ეს კი არავინ უწყის.

9677. მსოფლიო ისტორიის გაურკვეული ნაწილის საკუთრებას ყველა მეზობელი ქვეყანა საკუთარი თავის წარმოსაჩენად ცდილობს.

9678. დიპლომატია ის სათუო პროფესიაა, რომელიც ბოლომდის ნდობას არ იმსახურებს, რადგან ის ხშირად ზემდგომის ნებაა, კაპრიზებზეა დამოკიდებული.

9679. სინდისი ფიცი-მტკიცის გვერდში ამოდგომას არ ითხოვს, იმდენად დიდია მისი შინაგანი ბუნება.

9680. ძალაუფლება ცუდი ხასიათის დედამთილს მოგვაგონებს, რომელსაც ერთდროულად უნდა რძალი მის კაპრიზებს ემორჩილებოდეს, შვილს ცოლზე მეტად უყვარდეს და შვილიშვილებს მის დანახვისას სიყვარულით ჭკუა ეკეტებოდეთ.

9681. დღევანდელი ცივილიზაციის ერთ-ერთი ნაკლი ისიც არის, რომ ქვეყანას შოუმენები მართავენ, რადგან თანამედროვე ამომრჩეველი უამისოდ ქვეყნის მმართველობაში მის რჩეულს ვერ ხედავს.

9682. ინსტინქტებს ცოდნა-განათლება ვერ სჯობნის, მაგრამ ამ უკანასკნელთა ქონა აუცილებელია.

9683. ყველაზე მეტი „კონტრაბანდა“ ერის სალაპარაკო ენაში შემოდის და ამ მასალაში ძალიან ბევრია ენობრივი ნარკოტიკი.

9684. არცთუ ისე ცოტა არამზადაა ამ სამყაროში, მაგრამ ესეც, ეტყობა, განგების ხუშტურია, რათა ამ ცხოვრების მადლი შევიცნოთ და უკეთ დავაფასოთ.

9685. ბუნებაა დედამიწის მბრძანებელი თუ განგება, ეს დღესაც უცნობია.

9686. ინტელექტი ცოდნას აგროვებს, ხოლო მისი გამოყენება ნიჭზე, დროსა და ბედის ხუშტურებზეა დამოკიდებული.

9687. განსჯადი აგრესია ყოფის კაპრიზებს უფრო უკეთ ებრძვის და უგებს.

9688. ისტორიულ წარსულს თუ დროულად არ დავუსვამთ დიაგნოზს, ისე მომავლის მოსალოდნელ ტკივილებს ვერ ვუმკურნალებთ.

9689. საკვირველია, მაგრამ ფაქტია: ისევ ისტორია რჩება კვლავ ცუდ მასწავლებლად, დამრიგებლად და ჭკუის გამცემად ამ ცივილიზებულ და ტექნიკური პროგრესის მქონე სამყაროში.

9690. ჩვენ მიერ ნაცოდვილარ დროს ზოგჯერ ისტორიის სანაგვეში მიუჩენენ ადგილს.

9691. ისტორიაში ყველა ჩვენგანის მოხვედრაა შესაძლებელი, თუ ღირსეულ შთამომავალს დავტოვებთ.

9692. ისტორიის ბაზისი წინაპართა გარჯასა და მათ სისხლის-ღვრაზეა აღმოცენებული.

+9693. ისტორია ასპარეზს მაშინ დაგვითმობს, თუ წარსულს განსჯადი გონიერებით ვაღიარებთ.

9694. ჩვენი ქვეყნის ისტორია ყველას უნდა გვახსოვდეს, მაგრამ უკეთესია, თუ მას თანამედროვეობის შესატყვისად ჩავწვდებით და გავითვალისწინებთ.

9695. სისასტიკე საკუთარი უნიათობის დაძლევის ერთ-ერთი ნაცადი ხერხია.

9696. ბიუროკრატია, ყოველთვის ვიღაცის უკანალში მაყურებელია და მასში მოჩვენებითობა ძალზე ბევრია.

9697. მშობლების ვალს იშვიათად თუ ვინმე იხდის. ამისათვის არც გამოცდილებაა საკმარისი, არც დროის დაჭაშნიკება.

9698. ისტორია დუმილს ვერ იტანს. ეს მის მოწოდებას, მოვალეობას, ბუნებას ეწინააღმდეგება.

9699. მშვიდობაზე უძვირფასესი არაფერია, თუ მის ფასს სწორად გავიცნობიერებთ.

9700. სიცოცხლე ძალზე ძვირფასია, თუ კაცს რეალურად რაღაც ახალი და ხელმოსაჭიდი უკეთებია.

9701. ყველა იდეოლოგია ისტორის საფუძვლების შეცვლას და თავის სამსახურში ჩაყენებას ცდილობს.

9702. ყველა ზევიდან დაბერტყილი ბიოგრაფიით ვცხოვრობთ და ჩვენი ვალია, ამ ბიოგრაფიით თავი უკეთ წარმოვაჩინოთ.

9703. ყოველგვარი თავდაჯერება ეჭვს ბადებს, სანამდის არ დაბალანსდება.

9704. გადამეტებულ მატერიალიზმს არც ისტორია გვაპატიებს და არც საზოგადოების განვითარების კანონზომიერება.

9705. სიმართლე უებარი მკურნალია და ჩვენს ცნობიერებაზე მზრუნველიც.

9706. სიმართლის მთქმელი არავის უყვარს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც სიმართლეს პირში ახლიან.

9707. სიკვდილის კულტი ტრადიციებს ნერგავს, რომელიც დროის შესატყვისად ღირსებისა და კაცობის წარმომჩენია.

9708. ბუნების კანონებს გონის მოხმობით უნდა ჩავწვდეთ მასში ყოველგვარი ცვლილების შეტანის მცდელობის გარეშე, რადგან ეს დროის დაკარგვაა და უშედეგოა.

9709. ორგანიზატორის გონიერება მაშინ გამობრწყინდება, თუ იცის, როგორ შეარჩიოს საქმის მკეთებელი ხალხი.

9710. ყოფიერების სიუჟეტის ინტრიგა, ჩვენი ქცევის მამოძრავებელი ძალა და ზოგჯერ ჩვენი წარმოჩენაცაა.

9711. ქვეყნის რეალური ისტორიის ცოდნა იმდაგვარად, რომ მისგან არაფერი ამოვიღოთ, გადავაკეთოთ, არ წავუმლიქვნელოთ, საშუალებას მოგვცემს, ერის გენის ნაღდი რაობა შევიცნოთ, სასიკეთოდ განვსაჯოთ, დროისა და გარემოს შესატყვისად გამოვიყენოთ.

9712. სიკეთე სიკეთისვე კეთებით ფასდება და არა უქმად ყოფნითა და გატრუნვით.

9713. ოცნება სრულდება ან არ სრულდება, ხოლო კვდება დანანებითა და დავიწყებით.

9714. ისტორიული კაპრიზებისთვის ბიშტის ჩვენება ერთეულ ღვთით ნაბოძებ ხელისუფალთა ხვედრია.

9715. ყველაზე სახიფათო და საშიშია ის, რაც ჩვენს ცნობიერებაში უნებართვოდ შემოიჭრება, იმალება და ბუდობს.

9716. უმადურების აღმოფხვრა საზოგადოებას უჭირს და ეგ ერთ-ერთი განუკურნებელი სენია.

9717. სანამდის ისტორიის სიმართლით განსჯას არ ვისწავლით და არასტაბილური და აუტისტი ხელისუფლების მომსახურებაზე უარს არ ვიტყვით, ქვეყნის მმართველობაში მანამდის იქნება გაუგებრობა და არეულობა.

9718. ზოგჯერ ისტორია დროის შესატყვისად და უნებურად რამდენიმეჯერ მეორდება, მაგრამ უხერხემლო შთამომავლობა ამ გამოცდილებას თავის საკეთილდღეოდ ვერ იყენებს.

9719. ზოგჯერ ქვეყნის ყოფიერების „მრავალჟამიერი“ საკუთარი ისტორიის უცოდინარობასთან, განუსჯელობასა და ფეხებზე მკიდიაობასთანაა დაკავშირებული.

9720. სანამდის ისტორიის განსჯას სიმართლის თქმითა და დაფიქრებათ არ ვისწავლით, მანამ სათუოდ ვიცხოვრებთ.

9721. ხშირად ხასიათის მკვეთრად ჩამომყალიბებელი და დამმოძღვრავი საკუთარი ისტორიაა.

9722. ისტორიის უკულმართი ალგორითმები ხშირად არ იძლევა ჯანსაღი ურთიერთობის დამყარების და წარსულის დავიწყების საფუძველს.

9723. შური განაგებს ქვეყანას, ხოლო სიკეთე მართავს.

9724. კარგი გემოვნება მჭევრმეტყველებასავით წარმოჩნდება და ჩვენც წარმოგვაჩენს.

9725. პროგრესს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს, თუ უკან დასახევი საშუალებებიც ხელთ არა აქვს.

9726. ზოგჯერ ქვეყნებსაც თავისი დროის უგვანობა მართავს. ისინი ისტორიაში საპატიო ადგილს ვერასოდეს დაიკავებენ.

9727. თანდაყოლილი ღირსების წარმოჩენა აუცილებელია, რათა ეგ მადლი შეუმჩნეველად არ ჩაიკარგოს.

9728. მომავალში ცივილიზაციის გზა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოყენებაზე გაივლის.

9729. ბოროტებას სიტყვით ყველა ებრძვის, საქმით – ზოგიერთი.

9730. დიპლომატიას ნიჭი, ცოდნა და ხალხის სიყვარულიც უნდა, რათა წარმატებით იღვაწოს.

9731. ღირსება უღირსთათვის ყოველთვის ალიყურის მჭმეველად უნდა მოისაზრებოდეს.

9732. თუ ქვეყნის სათავეში მოსვლას აპირებთ, ზოგჯერ იმასაც უნდა ფლობდეთ, რაც არ გერგებათ.

9733. მიზანი ამარტივებს დასახულ ამოცანებთან შეჭიდებას და მათ უფრო მისაწვდომსა ხდის.

9734. არარსებული ისტორიის შექმნაც ნიჭს მოითხოვს, რათა ის სიმართლედ წარმოჩნდეს და მსმენელთა გულები დაიპყროს.

9735. სრული სიამოვნების განცდა იშვიათი მოვლენაა და ერთეულ რჩეულთა ხვედრია.

9736. ჭამა-სმის მადლის ცოდნა ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია კაცობრიობის ისტორიაში, რისი კულტურაც ბევრისთვის დღესაც ბოლომდის გაუცნობიერებელია.

9737. ისტორიის ჭრილობებზე მარილის დაყრას ყველაზე მეტად თანამემამულეები განიცდიან, მაგრამ თავის უაზრო გამოდებას ვერ გადავეჩვიეთ, იმის ცოდნის მიუხედავად, რომ ისტორია ყველასა და ყოველივეს თავის ადგილს მიუჩენს, ხოლო დროისთვის უაზრო გასწრება ყველასათვის საზიანოა.

9738. სიმართლე ყოველთვის მარტივია, სირთულე ახლავს ტყუილს.

9739. საინტერესო ისტორიულ წარსულს რომ არ შევეხმიანოთ და მახსოვრობის მუზას გაქანება არ მივცეთ, უკეთურებაა, რადგან სიცოცხლის შეცნობას თავისი საფანელი სჭირდება.

9740. მიზნებს საზომი არ აქვს, მიღწევებს – დაუსახავი ამოცანები.

9741. თქმასა და უთქმელობას მაშინ ედება ფასი, თუ ვინმე მასზე სერიოზულ რეაგირებას ახდენს.

9742. სამყაროს მთლიანობის აღქმა ჭირს, მიუხედავად დიდი ტექნიკური პროგრესის შემოტევისა და ისტორიული პროცესების რაობის დადგენისა.

9743. რელიგიურ და იდეოლოგიურ დაპირისპირებას გაცილებით მეტი ზარალი და სისხლის ნთხევა მოაქვს, ვიდრე დამპყრობლურ განზრახვებს და ალაფის მისათვისებელ დაპირისპირებას.

9744. სიცოცხლის მადლის შეცნობას ნაღვაწის უკვდავებაზე ფიქრი

ეხმაურება.

9745. ეჭვი საერთო დაავადებაა და ის უმეტესად გულს ერჩის.

9746. დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემა სიამოვნების მომნიჭებელია.

9747. აფორიზმს ძირითად ხიბლს ადამიანური სიტყვები სძენს აზრთა გამობრწყინებით და სულიერების გამოხატვით.

9748. ისტორია მეორდება და ეს სამყაროს განვითარების ნაკლია, ხოლო ხალხის მიერ ამ ნაკლის არშემჩნევა და გაუაზრებლობა მისი უგვანობის მაჩვენებელია.

9749. ანგარება შეძლებისდაგვარად ზოგს თვალს უბრმავებს, ზოგსაც აუხელს, გააჩნია, ვისგან რას ელის.

9750. სამართლიანობა ბოლომდის ბრძოლას მოითხოვს და მან არ იცის უდროობის ფაქტორი.

9751. ისტორია ძირითადად მომდევნო თაობათა საკუთრებაა, თუ მასში გონივრულად ჩაიხედავენ და შეისწავლიან.

+9752. მადლიერება სიკეთის ხსოვნის ობელისკია.

+9753. აზარტს ირგვლივ ისე ფრთხილად უნდა შემოუარო, როგორც აუფეთქებელ ნაღმს.

9754. ისტორია ჩვენთვის შეუცნობელი განზომილებით იღვწის და მისთვის ალღოს აღება ბედნიერებაა.

9755. ისტორიას მანამდე სცემენ პატივს, სანამდის მისი სჯერათ, მოსწონთ და იგი ხელს აძლევთ.

9756. ამქვეყნად ყოველივე დროებითია და მალე ფუჭებადი, მათ შორის იმპერიებიც, ძალაუფლებაც და სხვადასხვა წარმატებაც. ერთადერთი შეღავათია, თუ ისტორიას დროდადრო გაახსენდები.

9757. მსოფლიო ისტორია თავისი გაგების კარნავალებს ხშირად გვიწყობს.

9758. ალექსანდრე მაკედონელი, ნიუტონი, სტალინი და მრავალი სხვა გენიალური პიროვნება შ. რუსთაველზე, უ. შექსპირზე, ი. გოეთეზე და სხვა ამგვარ გენიოსებზე დაბლა დგანან, რადგან პირველნი დროისა და გარემოს შვილები იყვნენ და ისე წარმოჩნდნენ, ხოლო მეორენი ყველა დროში გენიოსები იქნებოდნენ.

9759. ხშირად ის, რაც დღეს მიუღებელია, ხვალ მოსაწონია, ხოლო ზეგ – წარსულის დაცინვაა.

9760. ზოგჯერ წარმატება გვაძინებს, ხოლო წარუმატებლობა გვაღვიძებს.

9761. ევრო და სხვა რაიმე კავშირში „უკანალის შეთრევის“ მცდელობაც კი დანაშაულის ტოლფასია, განსაკუთრებით, თუ იქ არავინ გელოდება და არც დიდად სჭირდები ვისმე.

9762. სამწუხაროდ, ქვეყნის ისტორიაში ზოგჯერ დგება დრო,

როცა გონიერება არავის სჭირდება, იმდენად უხიაგი კადრები დგებიან ქვეყნის სათავეში.

9763. ზოგს ისეთი ისტორიული წინაპრები ჰყავს, მუდამ გაუგებრობაში ხვდება სხვათა მიერ მათი გახსენებისას.

9764. ვეცადოთ, ისტორია მომავლის საკუთრებად დარჩეს და არა წარსულის აჩრდილად.

9765. ზოგჯერ მოჩვენებითი პრინციპულობა გენიალობის მომასწავებელია.

9766. ზოგიერთისთვის სიკეთის კეთებაც ერთგვარი ტრფობაა, რადგან იგი ბუნება-გუნებით „ტანჯულად“ დაბადებულია.

9767. სამწუხაროდ, ამჟამინდელ ამომრჩეველს დღევანდელი კეთილდღეობა უფრო აინტერესებს, ვიდრე სახელმწიფოს მიერ წინ გადადგმული ნაბიჯები, რომელიც ხელების დაკაპიწებას, მოთმინებასა და გონის ხმობას მოითხოვს.

9768. სიტყვა „საჭიროას“ მაგიური ძალა აქვს, რადგან აქ რწმენასა, ნდობასა, შენდამი პატივის მიგებასთან ერთად მოვალეობაც იგულისხმება, თხოვნაცა და ბრძანებაც.

9769. გააზრებული სიჯიუტე ზოგჯერ შედეგის მომტანია და უამრავი წარმატების მეგზურიც.

9770. ისტორიული „პოხონდრიის“ მქონე ადამიანებს შორის სხვაობა დიდი არ არის, რადგან გონიერება ორივეს ერთნაირად გაურბის და უკრთის.

9771. აპოკალიფსი მოსალოდნელია, მაგრამ როდის, ამაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

9772. საკუთარი ერის ისტორიიდან ბევრი უნდა ვისწავლოთ, რათა არასასურველი რეციდივი თავიდან ავიცილოთ.

9773. ისტორიას გაცილებით უკეთ ახსოვს ომის გამჩაღებლები, ვიდრე ისინი, რომელთაც ომიანობა თავიდან აიცილეს და მშვიდობა შეინარჩუნეს.

9774. რა არის ისტორია: ერთი კაცის ურყევი ნება-სურვილის წარმოჩენაა თუ ხალხის მასების ნების გამოვლენა.

9775. ზოგი გმირი თავისი ქმედებით ისტორიაში რჩება და ქვეყანას ემსახურება ბოროტების მოსპობასა და სამართლიანობის დამკვიდრებაში.

9776. გმირობა არ ისჯება, ხოლო გმირს ყველა ცოდვა ჩამოწერილი აქვს ისტორიის მიერვე.

9777. ბრძენკაცის ქცევა-ქმედება ისტორიამ აღრიცხვაზე უნდა აიყვანოს, ვინ იცის, სად და როდის გამოგვადგეს.

9778. ზოგჯერ „პატიოსნებისადმი“ სამსახურს დრომოჭმული მმართველობის ფორმები ვნებს და ისინი დღევანდელი საზოგადოების

დასაგმობი „ჭირია“.

9779. არის რაღაც შემდგარი ძალა, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს მართავს და ექსპერიმენტებს ატარებს, რადგან ზოგჯერ ხელისუფლების სათავეში ისე ნიჭიერი, თითქოსდა უპერსპექტივო გადამთიელი პიროვნებები გვევლინებიან (ნაპოლეონი, ჰიტლერი, სტალინი და მრავალი სხვა.), რომლებიც სხვაგან სათანადოდ ვერ წარმოჩნდებოდნენ და მათმა ხელისუფლებაში მოსვლამ ისტორიაც შეცვალა და გარკვეული დროით – ხალხის ცნობიერებაც.

9780. რეალობაზე ამაღლების მცდელობა ფილოსოფიაა.

9781. ღირსება და შური ერთმანეთს უპირისპირდებიან, მაგრამ ვერც უერთმანეთოდ ძლებენ, რადგან მაშინ ორივე შეუმჩნეველი ხდება.

9782. ათეიზმსა და რწმენას შორის საშუალო არითმეტიკულის გამონახვა ფილოსოფიას ევალება.

9783. წინააღმდეგობისა და დაპირისპირების გარეშე ეს სამყარო მეტად სხვაგვარი იქნებოდა და მაშინ, ეგების, არც ადამიანი გაჩენილიყო მასზე ექსპერიმენტების ჩასატარებლად.

9784. მშვიდობაზე უნდა ვიზრუნოთ და მისთვის ვილოცოთ, რადგან მშვიდობიანობა ის სივრცეა, სადაც ყველას შეუძლია თავისი ინტერესების, ნიჭის, მცდელობის მეტ-ნაკლებად რეალიზაცია.

9785. გაუგებრობა ზოგჯერ მეტად ისჯება, ვიდრე ჩადენილი დანაშაული.

9786. დიქტატურა ჩვენს ცნობიერებაში ცუდად აღიქმება, მაგრამ ქვეყნისა და ხალხის წარმატებები მისი მოტანილია, ყოველ შემთხვევაში, ისტორია ასე გვიმტკიცებს.

9787. დიეტის უმთავრესი მოთხოვნაა, აკეთო ის, რაც არ მოგწონს, არ გიყვარს და არ გსიამოვნებს.

+9788. ომში ყველა დამარცხებულია, თუნდაც იმიტომ, რომ მათ ადამიანთა ხოცვა ისწავლეს.

+9789. დიდხანს სიცოცხლე არც ისე ძვირი ჯდება, როგორც სხვებსა ჰგონიათ და არც ისე იაფი, როგორაც თავად წარმოგვიდგენია.

9790. ისტორია წარსულის წარმოჩენას ცდილობს არამდგრადი ფერებით, მაგრამ წინასწარ განჭვრეტით რომ დაგვარიგოს, არ ძალუძს.

9791. სამშობლო ცოცხალი ორგანიზმია, რომელთანაც კავშირი სიამოვნებასა და ძალას გვანიჭებს.

9792. ისტორია უმთავრესად მამაკაცებს აფეტიშებს და არა იმ ქალებს, რომელთაც ისინი შვეს.

9793. ყველას ვერ მოვეწონებით, მაგრამ კომპრომისების ხელოვნება ამასაც ახერხებს.

9794. ოცნების დახმარებას ყველა თავისი გადასახედიდან ელოდება.

9795. ისტორიაში ჩვენთვის ხელშესახები სიმართლე ბევრია, მაგრამ რეალობაა მასთან მწყრალად, რადგან მთელ ამ სიმართლეს სათავისოდ ჭრის და კერავს.

9796. დიპლომატიას რევერანსები, თავის მიდრეკა და ენის მოჩლექვით ლაპარაკი არ შვენის, რადგან მასში მეორე მხარემ ღირსეული პარტნიორ-ოპონენტი უნდა დაინახოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უსიტყვო მორჩილებაა და არა დიპლომატია, რომელიც წარუმატებლობის შემთხვევაშიც თავის ყოჩაღად წარმოჩენას მოითხოვს.

9797. თავისი ისტორიის დამვიწყებელი ერი ხალხად, მასად, ხელის ბიჭებად გადაიქცევა და ეროვნულობასაც წირვას გამოუყვანს.

9798. საკუთარი ისტორიისთვის ჩუმი ბრძოლის გამოცხადება ვიღაცისა და რაღაცის საამებლად ყველა ერისთვის დამღუპველია.

9799. ისტორიული ამნეზია ყველა დალაგებელი ქვეყნის დასამახსოვრებელი დაავადებაა.

9800. ზოგჯერ დანაკარგი მეტ შენაძენს იწვევს, რადგან გამოცდილებაც მატერიალური შენაძენია, ბედის ხმობის და ხელის გამოღების თვალსაზრისით.

9801. ხალხი არაფრის და არავის დამფასებელი არ არის. ისევ ისტორია თუ დაგაფასებს გარკვეული გამონაკლისის სახით.

9802. დიპლომატის მოწოდებაა ტყუილების კორიანტელი დააყენოს თავისი ქვეყნის ინტერესების დასაცავად.

9803. ზოგჯერ სულიერების ისტორია გაცილებით მეტ სახლაფორთო-სატანჯველს გვიჩენს, ვიდრე ცნობიერების.

9804. ზოგჯერ ინტელექტი გაცილებით უკეთ წარმოგვაჩენს, ვიდრე ხიბლი და გარეგნობა.

9805. ფილოსოფია იმ კანონებით საზრდოობს, რომელიც სამყაროს განვთარების კონსტიტუციამ მათ უმახსოვრა.

9806. ისტორიის ბორბლის ტრიალი ბევრი გონიერი პოლიტიკური მოღვაწისთვისაც გაუცნობიერებელია, იმდენად თავისი ჭკუის ხუშტურებზე ტრიალებს დროსა და გარემოს გაუთვალისწინებლად.

9807. წინდაუხედაობა, გაცრუება, დაპირისპირება – აი, სამყაროს ისტორია, მცირედი და იშვიათი გამონათებით.

9808. სიამაყე ავტორიტეტს არ სცნობს, ხოლო ეგოიზმი სულ ვალის გადახდისა და დაბრუნების ცდაშია.

9809. კაცობრიობის ინტერესები და მისი მსოფლმხედველობა იმდენად წინ მიიწევს, რომ მომავალში იძულებულნი ვიქნებით, ოჯახი, მეობა, სამშობლო მათ ვანაცვლოთ, თუნდაც მაშინ, როდესაც მეზობელ პლანეტებზედ საცხოვრებლად გადავსახლდებით.

9810. დედა, როგორც ფორმულა, განსაკუთრებით ვაჟებისათვის ამოუხსნელია, იმდენად დიდია მათთვის განკუთვნილი მორჩილე-

ბა-დაუმორჩილებლობის დედაშვილური სიყვარული.

9811. დღეს ამომრჩეველი კანდიდატს ირჩევს, მაგრამ ოფიციალურად არ აფრთხილებს, რომ მისი უნიათობის შემთხვევაში მას გვერდზე მოისვრის და პასუხისმგებლობაში მისცემს აფერისტობისთვის, რადგან მან დანაპირები ვერ შეასრულა. იყო ხალხის რჩეული – ეს დიდი პატივია, დაფასება და მას არ აქვს უფლება ნდობის არგამართლებისა.

9812. ისტორიას წერენ გამარჯვებულნი და მას კითხულობენ დაჯერებას მიჩვეული ჩვეულებრივი მოკვდავნი.

9813. ჩამოყალიბებული საზოგადოება კარგია, ჩამოუყალიბებელი – ცუდი. დემოკრატია კარგია, ხოლო მისი სახელით მოღვაწე ხელისუფლება – ცუდი. განსჯადი აზრები კარგია, განუსჯელია ცუდი. ამრიგად, დღეს რა არის კარგი და რა არის ცუდი, მარად საეჭვო, სადავოა, განსჯადია და ისტორიის გამოცდილება მას ვერ შველის.

9814. ზოგჯერ წარსულის ისტორია ისეთ კითხვებს ამოატივტივებს, რომ რომანტიკულ ხასიათზე გვაყენებს, მიუხედავად იმისა, რომ არაფერს გვასწავლის, რადგან განსჯის უნარს უმეტესობა ნებაყოფილობით მოკლებულნი ვართ.

9815. განუსჯელი მოტივების განსჯად შესაძლებლობებთან დაპირისპირება არ ღირს, დადებითი ქმედებებისკენ მიმართული აურა იკარგება.

9816. სამყაროში მშვიდობა მაშინ დაისადგურებს, თუ იქნება სამართლის კანონთა დიქტატურა და ყოვლისმომცველი გონიერება.

9817. ისტორიის მიერ აღქმული დღესასწაულის გათავისება და აღნიშვნა ყველა ჩვენგანის ვალია.

9818. ქველმოქმედება კარგია, შურით თვალების დათხრა – ცუდი, მაგრამ ამ ქმედებათა ღირსეული შემფასებლის გამონახვაა გაცილებით რთული.

9819. ის პირადი საკუთრებაა ხელშეუხებელი, რომელსაც საზოგადოებრივ საკუთრებაზე სამართლიანი პრეტენზიები უჩნდება.

9820. პატიოსნება არც იწონება და არც იყიდება. ის უბრალოდ ციფრების მოუშველიებლად ფასდება.

9821. ფაქტობრივად ყველა ჩვენგანი სიახლეს ეჭიდავება, რათა ის უკეთ გაითავისოს.

9822. სამყაროს ისტორიას რომ გადავხედავთ, ვასკვნით: ადამიანს ყველაზე მეტად გაუმართლებელი ფუფუნება და უზრუნველი ცხოვრება რყვნის და გადააგვარებს. ამიტომ ადამიანები დროსთან შეუფერებელ ყოველივე მომეტებულსა და მოჭარბებულს უნდა ვერიდოთ, რათა საზოგადოება არ დაჩმორდეს და ქვეყანა არ გადაგვარდეს.

9823. ისტორიკოსი ქსენოფონტე წერდა: „ყველა აქებს სპარტის კანონებს და წესრიგს, მაგრამ არცერთ ქალაქს არ უნდა, მას რომ მიჰ-

ბაძოს“. იგივე მდგომარეობაა დღესაც. განა დღევანდელი დეპუტატები ისე შეცდებიან, რომ წესრიგს და წესიერებას ისეთი პატივი მიაგონ, რომ თავად გამორჩენის და პრივილეგიების გარეშე დარჩნენ.

9824. რწმენა სიყვარულს მოითხოვს შემართებით და თავის გამოდებით.

9825. ამომრჩეველი ზოგჯერ ქვეყნისა და მისთვის საბედისწერო, გაუაზრებელ არჩევანს აკეთებს, უფრო გულის გამოძახილით, ვიდრე განსჯადი ჭკუა-გონებით და, რატომ და ვის ჯინაზე, თავადაც არ უწყის.

9826. ტექნიკური პროგრესი გვაიძულებს, უფრო მცოდნენი ვიყოთ, ვიდრე ჭკვიანები, რადგან „დამღუპველ“ ფუფუნებაზედ უარის თქმა ჭირს.

9827. წარსულის ისტორიით დაინტერესება, ჩვენს ტვინს განსჯის უნარს მატებს.

9828. რადგან „დრონი მეფობენ და არა მეფენი“, საჭიროა ქვეყნის პოლიტიკა დროსა და გარემოს მოერგოს ყოველგვარი შერკინება-დაპირისპირების გარეშე და, ვინც ამას ახერხებს, ხშირად ის არ რჩება დასამახსოვრებელ პიროვნებად ისტორიაში.

9829. რაღაცას რომ მიაღწიო, უპირველესად საკუთარი სიამოვნებისთვის უნდა იღვაწო.

9830. ქვეყნის ისტორია ვარდისფერი სათვალეებით არ იკითხება.

9831. სარგებელს ინფორმაციის ხარისხი იძლევა და არა მისი ოდენობა.

9832. ყოველი დაპირისპირება, ბრძოლა, შერკინება ჩვენთვის გასაგებ სწორ გზაზე გასვლის მცდელობის შედეგია.

9833. სხვათა მიერ გონივრული და სასიხარულო საქციელის ჩადენა უფრო გვაღელვებს, ვიდრე საკუთარი სისულელის ჩადენა.

9834. ისტორიას ვერც განვსჯით და ვერც შევცვლით, მაგრამ მისი შედეგების გონით გაანალიზება ბევრ სასარგებლო რასმე გვასწავლის.

9835. სიმდიდრის დაგროვებას განეკუთვნება ისიც, თუ შენს სახელს ხშირად ახსენებენ და პატივს მიაგებენ.

9836. სიცოცხლის არსი ნგრევისა და შენების ვითარებაში წარმოჩნდება, რადგან სამყაროს ამ ქაოსში სიცოცხლის უწყვეტი ჯაჭვი შეიქმნა.

9837. ქვეყნის ისტორიის გააზრებას ყველა თავისი გადასახედიდან ცდილობს და ხშირად თავისებურად ალამაზებს მას.

9838. ყველა ჩვენგანის ამქვეყნად მოვლენა სასწაულია, იმისდა მიუხედავად, ამას ვაცნობიერებთ თუ არა.

+9839. ომი უხიაგი წარსულის დასავიწყებლად მომავლის მითვისების მცდელობაა.

9840. სხვადასხვა ხელობის საქმიანი შეწყვილება, ზოგჯერ ახალი პროფესიის გაჩენას განაპირობებს.

9841. ყველა ქვეყნის ისტორია თავისი დროის გასაღების მორგებას ითხოვს.

9842. შთამომავლობის წარმატებისა და სიმდიდრის ნათლია უპირველესად მშობელია.

9843. წინ მედგრად სიარული რისკია თუ უკანდასახევი გზების მოჭრა, ამას მომავალი გაარკვევს.

9844. შენი ცოდნის რაობის დროულად გარკვევა დასაფასებელია, რათა სხვის დარგში ცხვირი არ ჩაყო და ამ დარგის სპეციალისტს ხელი არ შეუშალო.

9845. ისტორიაში უმთავრესად თავს ამოყოფენ პატივმოყვარე გაიძვერები და არა ის ხალხი, ვისი გულუბრყვილობის მიზეზითაც ეს გაიძვერები წარმოჩნდნენ.

9846. მჭევრმეტყველებას ჯერ აზრთა ქოთქოთი უნდა ამშვენებდეს და მერე – ლამაზი სიტყვების მარულა.

9847. სიტყვა, რომელიც შეგაფუცხუნებთ, კარგია, მაგრამ იმასვე ვერ ვიტყვით იმგვარზე, რომელიც შამფურზე წამოგაგებთ და შესაწვავად გაგიმეტებთ.

9848. პირველობა გულს ახარებს, სულს აამაყებს, ჩვეულებრივ მოკვდავად ყოფნას გადაგვაჩვევს.

9849. ეთიკური ნორმების დაუცველად ჩადენილი გმირობა, ბევრ საორჭოფო კითხვას ბადებს.

9850. მოვალეობა ის არის, რაც დაბადებიდან დაგვებედება, ხოლო ვალდებულებაა ცხოვრების პროცესში შეძენილი გრძნობა.

9851. მოვალეობის გრძნობა განვადებას ვერ იტანს. ის მაშინვე უნდა აღსრულდეს.

9852. დაპირება მოვალეობის უღელში თავის გაყოფაა, რადგან დანაპირებს აღსრულება სჭირდება.

9853. მოვალეობათა უქონლად ცხოვრება უსინდისობაა.

9854. მოვალეობის შეცნობა-აღსრულება ადგენს ყველა ჩვენგანის ფასსა და ღირსებას.

9855. ღირსებას არც სხვას უთმობენ და არც ვინმეს მიასაღებენ.

9856. როდესაც ქვეყნებს შორის ვიზიტები მოვალეობის გამო ხორციელდება და არა საქმის საკეთებლად, იმ ქვეყნების წინსვლა მუდამ შეუძლებელია.

9857. სიდიადეს სისადავე უხდება, ხოლო ამპარტავნობას – მისწრაფებათა მოთოკვა.

9858. ისტორიული კოშმარის გადატანა შესაძლებელი, გააჩნია – დროსა და განგებას რა უდევთ გუნებაში.

9859. სახელმწიფო ჰიმნსაც თავისი ხიბლი აქვს, თუ ის ქვეყნის გმირების პატივის მისაგებადა შექმნილი.

9860. უსაქმურებისა და ავანტურისტების წინააღმდეგ ბრძოლა ისტორიის მუდმივი საზრუნავია.

9861. შრომა სიამოვნება და გართობაა, თუ მიზნის განხორციელებას ემსახურება.

9862. ანგარების ენას ყველა იყენებს, ვისაც მასთან საუბრის სურვილი გაუჩნდება.

9863. ზოგი ლუკმაპურის საშოვნელად დაქირავებული ჯარისკაცი ხდება და სხვა ქვეყნებში სამშობლოს წარმოაჩენს, როგორც მშვიდობისმყოფელი.

9864. თავაზიანობა ზრდილობის სინონიმია და კეთილგონიერების სანთელი.

9865. გამჭრიახობა ერთდროულად ქებასაც იმსახურებს და პატივისცემასაც.

9866. ყველაზე ძნელი, ალბათ, მოყვასის გამრუდებული ტვინის გასწორებაა.

9867. რეალობას ხედავთ და გჯერათ, ხოლო პერსპექტივის დაჯერება ჭირს, რადგან მას გონიერება, დაფინანსება და გვერდში ამომდგომი ხალხი სჭირდება.

9868. სამწუხაროდ, ძმების, კაენის და აბელის, დაპირისპირება დღესაც გრძელდება, იმდენად დიდია შურის და უმადურობის ძალა, რომელსაც ვერც ცივილიზაციის მიღწევები შველის, ვერც ახლებურად აღზრდა, ვერც შეგნება, თუ სასწორზე შეგდებულია საერთო დიდი ქონების ხელში ჩაგდების პერსპექტივა და უზრუნველი ცხოვრების შანსი.

9869. უპირველესად ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ, ხოლო შემდგომ ვხვდებით სხვებისთვის გასაგები ან გაუგებარი პიროვნებები.

9870. სიკეთით აღსავსე სიმამაცე, ანუ ვაჟკაცობა, სამართლიანობისთვის იღვწის.

9871. პროზა დედამიწაა, პოეზია კოსმოსია, მაგრამ გააჩნია, ვინ რას როგორღა აღიქვამს.

9872. ქვეყნის სიყვარული სათუო ხდება, თუ მის ისტორიულ წარსულაში წრფელი გულით სათქმელს არ აღმოვაჩენთ და გონება არ გაგვინათდება.

რჩევები, სურვილები

9873. ღირსება საბოლოოდ როდი მარცხდება, რადგან ის მარცხშიც სამომავლო გასათვალისწინებელ სარგებელს ნახულობს.

9874. რაიმე ღირსეული რომ შექმნა, უპირველესად საკუთარი ოცნებისა უნდა გჯეროდეს.

9875. წყალს ბევრი შესაძლებლობა აქვს: ხან კარგი, ხან – ავი. მაგალითად, წისქვილის ქვას აბრუნებს, მაგრამ ადამიანს ახრჩობს.

9876. იდუმალება ტკივილსაც ახასიათებს, მაგრამ მისი გაუმჟღავნებლობა ჭირს.

9877. „მომეცი, მეკუთვნის“ – გაიძახიან ვაგონის ტიპის ადამიანები; „ავიღებ, მოვიპოვებ!“ ქოთქოთებენ ორთქმავლის ტიპის შემოქმედები.

9878. ამქვეყნურ ღირებულებათა დაცვას დიდი ნიჭი სჭირდება, მის ფლანგვას – არავითარი.

9879. ამ სამყაროში, ეტყობა, არც ბოროტება იკარგება, არც სიკეთე და ორივე მათგანი ძალითვე უკან გვიბრუნდება.

9880. სამართალი ჩოჩიალა ურმით დადისო, ნათქვამია, ოღონდ ახლა ცხოვრების ტემპი დაჩქარდა, დრო გამოიცვალა და ტრანსპორტსაც გამოცვლა სჭირდება.

9881. რჩევა იმ შემთხვევაშია სასარგებლო, თუ შენს განათლებას რასმე საქმიანს შემატებს.

9882. იდეალური მამაკაცისა და ქალის ძებნას არც ერთისთვის სიკეთე არ მოაქვს, რადგან იდეალურობა გამორიცხულია.

9883. არის რაღაც, თუ თავადვე არ გამოსცადე და განიცადე, ვერ გაიგებ.

9884. დავა-კამათი გონიერთანაა შესაძლებელი, თორემ უგუნურთან უბრალოდ წლის ნაყვაა.

9885. იძულებით შრომასაც კი სიამოვნება მოაქვს, თუ მას კარგი შედეგი მოჰყვება.

9886. მიზეზთა მოხსნა საკითხის გადაწყვეტას აიოლებს.

9887. სწრაფვა, გამბედაობა, სურვილი, ორიგინალობა შედეგს მაინც გამოიღებს, თუგინდ წინ უგვანობა გადაეღობოს.

9888. წარმატება შურს იწვევს, მაგრამ, თუ გინდა მოშურნეთათვისაც საამაყოდ იქცე, თავი უნდა დაიმდაბლო.

9889. ბრიყვს ქცევა გაამჟღავნებს.

9890. მოდას უნდა ავყვეთ, ოღონდ ნელი სიჩქარით.

9891. ცივილიზაციაში ნაადრევად თავის გაყოფას ცოტათი დაგვიანება სჯობს, რათა მოსალოდნელი შეცდომებისგან თავი დავიზღვიოთ.

9892. კანონი ზურგის შექცევას ვერ იტანს: სჯობს, თვალებში ჩახედოთ, მაშინ უფრო ლმობიერია.

9893. მარხულობა ორგანიზმს ჯანმრთელობით ავჯილდოებს, ყოვ-

ელ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვწამს.

9894. რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, ჯანმრთელობა და შემდგომ – ფული, მაგრამ შენს ახლობლებს, უწინარეს ყოვლისა, ეს უკანასკნელი უფრო აინტერესებთ.

9895. მოულოდნელი სიკეთის კეთება თავადაც მეტ სიამოვნებას გვანიჭებს.

9896. სურვილი აუცილებლობისა და შემთხვევითობის კანონს არ ემორჩილება და არცა სცნობს.

9897. ყველა სისაძაგლის დაგემოვნება როდია საჭირო.

9898. ეცადეთ გაანალიზოთ მეტი, რათა დანახულსა და მოსმენილს მეტი ფასი დაედოს.

9899. ნდობის ინსტიტუტის ქონა დიდი ბედნიერებაა და ნიჭთან ერთად პატიოსნებას, თანადგომას მოითხოვს.

9900. დასვენებას რა სჯობს, თუ ის დიდ საქმესთან შესარკინებლად გამზადებს.

9901. ყველა ძველი, სიახლის კეთების პრეტენზიით მოწოდებული, სიახლის სულისკვეთებას ავლენს.

9902. რწმენის უმთავრესი დანიშნულებაა, ადამიანები ერთმანეთს შეაყვაროს და კონფესიებს შორის კონსესუსი გამონახოს.

9903. რეალურად თავმდაბლობის შესაძლებლობების შეცნობა პატივსაცემია და ხიბლს იმსახურებს.

9904. არის რაღაც ისეთი საიდუმლო, რომ არ უნდა გაიხსენო, რათა შემთხვევით არ გაჟონოს, რადგან ხშირად საკუთარი თავიც სანდო არ არის.

9905. პიროვნება უნდა ეცადოს, ერის კულტურა შეისისხლხორცოს და მისი სიდიადე იმპროვიზირებით წარმოაჩინოს.

9906. ვისწავლოთ იმის მოწონება, რაცა გვაქვს, თავისებურად დაღვინებულ გონიერებას საჭიროებს.

9907. სრულყოფილებისკენ სწრაფვა არ ნიშნავს, ჩვენთვის განკუთვნილ სიცოცხლის მოწინავე იდეალებს ვეჭიდაოთ და კვანტი გამოვკრათ.

9908. გატაცებას, ჟინს, მგზნებარებას უნდა დაველოდოთ და ჩვენი ჩანაფიქრი ისე განვახორციელოთ.

9909. ბუნებაც წარმავალია, რადგან ისიც შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონს ემორჩილება.

9910. სიჩუმის ფასს უაზრო აურზაურის შემდეგ უფრო ვგრძნობთ.

9911. პროგრესს ტრადიციებმა ფეხი უნდა აუწყონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, განადგურდებიან.

9912. რწმენა დიდი ძალაა, იმისდა მიუხედავად, ღირსეულ ადგილს პოულობს საზოგადოებაში თუ არა.

9913. ენით ალიყური მოწინააღმდეგეს ისე უნდა გააწნა, რომ თავი დამცირებულად არ იგრძნოს.

9914. ჩვენთვის ცნობილი ნაკლოვანებები საშუალებას არ გვაძლევს, სინდისს ლაგამი დროულად ამოვდოთ.

9915. ზოგჯერ ნერვებისმომშლელად ჭკვიანი ადამიანიც მოსარიდებელია, რაკიღა იმ სიმართლეს ქადაგებს, რომელსაც გული არ იღებს, ხოლო გონი მხარს უჭერს და ფაქტობრივად მის მხარესაა.

9916. გადაწყვეტილება ერთადერთი უნდა იყოს, ოღონდ მას შემდგომ, როდესაც მრჩევლებსა და ოპონენტებს მოუსმენ.

9917. დემოკრატიის უთავბოლო სვლას წერტილი ყველა ხელისუფალმა საზოგადოების განვითარების შესატყვისად უნდა დაუსვას.

9918. სერიალების მაყურებელი ჩემთვის მარად აუტისტად აღიქმება.

9919. დემოკრატია და თავისუფლების დაცვა ერის გონივრულ სიმამაცეს მოითხოვს.

9920. სიჩუმე სიყრუედ არ უნდა გადაიქცეს.

9921. სიკეთის ძიებისკენ თქვენმა მიდრეკილებამ, შეიძლება, მოწინააღმდეგეც თქვენიანად აქციოს.

9922. თეორიულად დემოკრატია დიდ პასუხისმგებლობაა საკუთარი თავის წინაშე, მაგრამ პარქტიკულად ქვეყნის კეთილდღეობისთვის პიროვნების მმართველობა, ანუ დიქტატურა, უკეთესია.

9923. შეზღუდული არც დიქტატურა ამართლებს, არც ხონჩით მოთრეული დემოკრატია.

9924. სათნოების გზაზე სიარული ისევ საკუთარ თავს უნდა ვანდოთ.

9925. ზოგს კანონისა და ხელისუფლების სიბრიყვე დემოკრატიად მიაჩნია.

9926. დემოკრატია სამართლიანობის მოლოდინის ის ყულფი როდია, რომ ჩვენს ყველა ცოდვას და გადახრას ხელის და ჭკუის გაუნძრევლად მასში თავი გავაყოფინოთ.

+9927. თავისუფლად ცხოვრების სურვილს ეშმაკამდე მივყავართ, რაკიღა ჩვენებურად გაგებულ დემოკრატია – თავისუფლებას ხელში აყვანილი ბავშვივით აღტაცებაში მოვყავართ.

9928. რეალური თავისუფლება და დემოკრატია უდიდეს წესრიგს, კანონის მორჩილებას, მუყაითობასა და გარჯას მოითხოვს.

9929. თანამედროვეობას თუ შინაგანად ვერ აღიქვამ, მისი განსჯა არ უნდა დაიწყო.

9930. დემოკრატია იშვიათად ამართლებს და საზოგადოება იძულებულია, დროდადრო დიქტატურის მომხრე პარტიებს დაუჭიროს მხარი.

9931. დემოკრატიის სათავისო საფუძვლების გაფეტიშება აუტისტ-

თა კაპრიზია და ისინი ამით გარკვეული დროით თავსაც იჩაგრავენ და ხალხსაც აბრიყვებენ.

9932. თავისუფლებისა და დემოკრატიის დოქტრინა უპირველესად ადამიანზე ზრუნვაა, საამისოდ კი საჭიროა ქვეყნის კეთილგონივრული კონსტიტუცია და კანონიერების უზენაესობა.

9933. დემოკრატიას მარტო გზის გაყვანა არ შველის. მას გონიერი კანონის მომარჯვება სჭირდება.

9934. დემოკრატიის პოსტულატებს ის პარტიები იყენებენ საყბედო მასალად, რომლებიც ქვეყნის სათავეში ვერ მოხვდნენ, ხოლო, ვინც მოხვდა, ის უკვე „დემოკრატია“, ოღონდ – გამარჯვებული.

9935. დემოკრატიასა და თავისუფლებას მიტმასნილი ხალხი უსირცხვილო საზოგადოების შექმნის ამაგდარია.

9936. მშვიდობა ყველას გვინდა, მაგრამ აქედანაც გამორჩენასა და სარგებელს მოველით.

9937. ძველ რომში გლადიატორების ბრძოლა იზიდავდა ბრბოს, მისი სისასტიკის მიუხედავად. დღეს წესების გარეშე ბრძოლა იზიდავს ხალხს ადრენალინის გამოსაყოფად. ასე რომ, ხალხის დიდი ნაწილი ბრბო იყო და ბრბოდ დარჩება. მას დემოკრატიის კეთილმოყვარეობის სახელით დამოძღვრა არ შველის.

+9938. დემოკრატია, დემოგრაფიული პროპაგანდის გარეშე, უზნეო წყობაა.

9939. დემოკრატიისთვის მთავარია, რა ხდება არჩევნების შემდგომ და არა ის, თუ რას ჰპირდებოდნენ ამომრჩეველს კანდიდატები არჩევნებამდე.

9940. მოყვასის პატივისცემა მიცემულ დაპირებათა შესრულებაა და არა ცრუ ხიბლთან გაბაასება.

9941. დემოკრატია, თავისუფლება ზოგს ესმის ადამიანის სურვილების მაქსიმალურად დასაკმაყოფილებელ საშუალებად ყოველივე განსჯადის შეუქმნელად და კანონის მოთხოვნათა დაუცველად.

9942. პროფილაქტიკა უნებლიე ღალატის, გადაცდენის აცილების საშუალებაა და არა გარანტი.

9943. ქვეყანა დემოკრატიის გაპიარებით უნდა ვმართოთ, მაგრამ დიქტატის შეუმჩნეველი ელემენტებიც უნდა გამოვიყენოთ კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის გასაძლიერებლად.

9944. დემოკრატია ზოგჯერ „ოხრობისკრატიაში“ გადადის, ტექნიკური პროგრესის მიუხედავად.

9945. რა დემოკრატიული ქვეყანაც უნდა ავაშენოთ, თუ ქვეყნის სათავეში პიროვნება არ მოვიდა, განსაკუთრებით აღმოსავლური მენტალიტეტის ქვეყნებში, იმ სახელმწიფოს საქმე წასულია.

9946. მორალური ძალადობა დემოკრატიული წესით ცხოვრებაცაა,

რადგან მას საბოლოოდ ყოფის წესები დასახვეწი აქვს.

9947. დემოკრატიის სურვილია, მოქალაქენი შეგნებული, გონიერი და კანონმორჩილი ჰყავდეს, და ეს მისი უმთავრესი შეცდომაა.

9948. დაკარგული ცხვრის საძებნელად წასულმა მწყემსმა დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი ცხვარი არ უნდა დატოვოს უპატრონოდ, რადგან მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა და ის პოლიტიკის მალაყებს ვერ ეწყობა.

9949. „ტიტველ“ დემოკრატიას ვნება მეტი მოაქვს, ვიდრე ნაოცნებარი სიკეთე.

9950. დემოკრატიისა და თავისუფლების სახელით არსებული საზოგადოების გაბახება დანაშაულია, მით უფრო, თუ საზოგადოებას ახალი წყობის პოსტულატები გააზრებული არ აქვს.

9951. გმირის ენით საუბარს თავისი რეალური საფუძველი უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყბედობად ჩაგვეთვლება.

9952. თუ გინდათ წინასწარ გაიგოთ, რა საჩუქარი მოეწონება იუბილარს, დაურეკეთ და შეატყობინეთ, რომ საჩუქარი უკვე უყიდეთ და შესთავაზეთ გამოცნობა. მის მიერ ჩამოთვლილ საჩუქრებში შეგიძლიათ აარჩიოთ ის, რისი ყიდვის უნარიც შეგწევთ.

9953. დიდების შენარჩუნებასაც დრომ, გარემომ და მომავლის გონივრულმა ხედვამ უნდა შეუწყოს ხელი.

9954. ფიცის დადება ადვილია, მისი შესრულებაა ძნელი.

9955. ჭკუის სწავლება და მისი სასიკეთოდ მომართვა გვიან არასოდეს არის.

9956. ბორკილებს კი არ უნდა დავცინოთ, არამედ ის უნდა მოვიხსნათ და შორს მოვისროლოთ.

9957. თვითკონტროლი ჩვენს ამბიციებს მკურნალობს და თანაც გონებას ასვენებს.

9958. ხშირად ჩვენი სურვილები ჩვენს გაგებასა და ხუშტურებს არ ემთხვევა.

9959. აჩქარება სიმართლეს მხარს არ უბამს და ნაკლებად ეხმარება.

9960. ვეცადოთ, მფარველ ანგელოზს ჩვენზე წარმოდგენა არ დავუკარგოთ.

9961. არასოდეს გამოიტიროთ საკუთარი თავის შესაძლებლობები.

9962. საქმიანობა, რომელსაც რეალური შედეგი, შემოსავალი არ მოაქვს, ყბედობის ტოლფასია.

9963. ქვეყანაში, სადაც სიტყვას ფასი დაკარგული აქვს, დემოკრატიას ამოფარებული სულიერი გარყვნილება მუდამ იმეფებს.

9964. დაუცველ დემოკრატიას ყველა სხვა სახის წყობა სჯობს.

9965. დემოკრატიული წყობა უპირველესად კანონის დიქტატურაა

და ის პოლიტიკურ ევნუხობას ვერ იტანს.

9966. უპირველესად საკუთარ წინათგრძნობას უნდა ვენდოთ, მერმე მოვიშველიოთ გონება.

9967. სიცხადე სიზმრის ახსნას ცდილობს, ხოლო სიზმარი ცხადში დაბორიალობს და გონებას გვირევს.

9968. ძალად გადემოკრატებულ ხელისუფლებას ქვეყნის მართვა უჭირს.

9969. დემოკრატიის მყეფარები თავისუფლების მყეფარებს მშვიდობის საყეფრად ეხმიანებიან.

9970. დემოკრატია, ეროვნული თავისუფლების მოშველიებით, მარად დიქტატურისა და ავტორიტარული მმართველობის თანამდგომად გამოიყენებოდა.

9971. დემოკრატიისა და თავისუფლების სახელით ბევრი ახალგამომცხვარი ქვეყანა იტანჯება და წვალობს.

9972. იყო ყოველთვის კარგი, ნერვების ერთგვარ დაძაბვას მოითხოვს.

9973. დღევანდელი დემოკრატია სიტყვის თავისუფლება კი არა, სიტყვის გამასხარავებაა, რადგან მტკიცებებს არ მოითხოვს.

9974. საფრთხეს არ ელოდებიან, მას წინასწარ იკვლევენ, ზვერავენ და მისგან თავის დასაღწევად ემზადებიან.

9975. პროგრესი ტრადიციების დაცვის თავისებურ დღესასწაულად უნდა ვაქციოთ.

9976. რჩევის მიღება-მოსმენა ყველა ასაკის ადამიანისაგან უნდა შევძლოთ, თუ გვინდა, საკუთარ თავსა და სხვასაც ვარგოთ.

9977. ძალაუფლება არ გთხოვს, ის მოითხოვს; ასევე მოითხოვს დემოკრატიაც, ოღონდ უმარიფათო რევერანსებით.

9978. სოციალისტური წყობა ზედგამოჭრილი იყო ქართული ბუნებისთვის: შური და გაუტანლობა რომ შემცირებულიყო, ყველას ერთნაირ ჩარჩოში ცხოვრების უფლება ჰქონდა, ხოლო სიამაყე და სხვებზე ზევიდან ცქერა დასჯადი იყო, რაც ქართველების უნართა წარმოჩენას უწყობდა ხელს.

9979. ქვეყნის რწმენითა და შთაგონებით სამსახური პატრიოტიზმია და მას სხვაგვარი განმარტება არ სჭირდება.

9980. ზოგჯერ სიმართლის თქმა სასურველი როდია, მაგრამ არც მისი ნებაყოფლობითი ტყუილით ჩანაცვლებაა აუცილებელი,

9981. ზოგჯერ სიკეთის შენარჩუნებას მუშტის ქნევა სჭირდება, რათა სიკეთის მკეთებელმა თავი დაუცველად და უსუსურად არ იგრძნოს.

9982. ნანატრი „დუშაშის“ გაგორებას მაშინ აქვს ფასი, თუ ის დროულად მოვა და შედეგს მოიტანს.

9983. განათლებას დიდი დრო მიაქვს, მაგრამ აუცილებელია, რათა ჩვენი ქედუხრელი სილაღის წლები უსაფრთხოდ განვვლოთ.

9984. მოსალოდნელი ცუდისადმი თავის არიდებას წინდახედული და ნიჭიერი იოლად ახერხებს.

9985. ჩვენ სხვადასხვა დაჯგუფებაში გაერთიანება იმიტომ გვინდა, რომ, ეგების, იქ მაინც შეგვამჩნიონ, დაგვინახონ, ვიუფროსოთ, იმისდა მიუხედავად, ვართ თუ არა ამ პატივის ღირსი.

9986. მიზანი საშუალებებს არ უკადრისობს, ოღონდ ეგ მიზანი საკაცობრიო უნდა იყოს.

9987. დასახული მიზნის მისაღწევად გატკეპნილი გზით სიარული მოძველებული და არამიზანშეწონილია.

9988. ნელი, დაკვირვებული და ჩასაფრებული ნაბიჯებით სიარული ხშირად დასახულ მიზანთან მიგვიყვანს.

9989. ერთი ნაბიჯის უკან გადადგმა ყველას უნდა გვეხერხებოდეს, რათა პერსპექტივაში წინ წავიწიოთ.

9990. ზოგჯერ სურვილი გვიჩნდება, ისე ვიცხოვროთ, როგორც სხვას არ შეუძლია და უნდა.

9991. გაუკეთებლის გაკეთებას ნიჭთან ერთად ფანტაზიაც უნდა, რადგან მხოლოდ სურვილი პრობლემის წინაშე უძლურია.

9992. შეცდომის დაშვებისთვისაც საჭიროა, რაიმეს აკეთებდე.

9993. „ძლიერთა ამა ქვეყნისათას“ პატივისცემას ღირსების გამოვლენა მატებს.

9994. კარგზე ფიქრი უკეთესი სურვილების გაჯეჯილების სინონიმია.

+9995. ბევრის კეთება ცოტადან იწყება, თუ მიზანდასახულნი ვიქნებით.

9996. უცილობელი, უდავო სიმართლის მიუხედავად, ყველა თავის გააზრებულ-შელამაზებულ სიმართლესა და სამართალს გვთავაზობს.

9997. ზოგს ძველი ტანსაცმლის ტარება მოსწონს, ზოგს კი – უახლეს მოდაზე ჩაცმა-მოკაზმვა და აქ რამე კანონზომიერების მიგნება ძნელია.

9998. უბედურებამ და უბედობამ სინდისის ქენჯნით არ უნდა დაგვსაჯოს.

9999. სიყვარულისაგან განსხვავებით, შიშს წყენინებას ვერ უბედავენ.

10000. თეორიულად თავის ანგელოზად მოჩვენება გვსურს, პრაქტიკულად კი – ჩვენთვის მისაღებ ადამიანად.

10001. წიგნს მარტო წაკითხვა არ შველის, მისგან საღი აზრების გამოტანა-დაჭაშნიკებაც უნდა შევძლოთ.

10002. თავს ვაბეზრებთ და გვაბეზრებენ კიდეც, მაგრამ შენდო-

ბა-დანდობა სხვადასხვაგვარია, და ისიც საკუთარი მეობის სასარგებლოდ.

10003. ღირსებისა და სხვებისთვის პატივის მიგების დაკარგვა საკუთარი მეობის დაკარგვის ტოლფასია.

10004. შემოქმედებითად საქმის კეთებამ მეგობრებისა და კეთილის მსურველთა მომრავლება იცის.

10005. სხვის ჭირს უმეტესობა თავს არიდებს, რათა ის თავის ჭირად არ აქციოს.

10006. ზოგისთვის გამოსასვლელი ტანსაცმელი ნაძალადევად ჩაცმული სპეცტანსაცმლის შთაბეჭდილებას ტოვებს, იმდენად უხერხულად გრძნობს მასში თავს.

10007. ქეიფს უქეიფობა ცვლის და მისი წამალი ისევ ქეიფია, ოღონდ ამჯერად ზომიერების ფარგლებში.

10008. საკუთარ თავზე მეტად არავინ არ უნდა შეიყვაროთ, თუ გინდათ ცხოვრების არსის სივერაგე გაიგოთ.

10009. წარსულის შეცდომებს ჩვენს ცნობიერებაში ადგილი არ უნდა დავუტოვოთ, თუ გვინდა ცხოვრებას ფეხდაფეხ მივყვეთ და მისი მადლი შევიცნოთ.

10010. ზოგჯერ მდუმარება, უძრაობა გაცილებით მეტს იძლევა ცნობიერებისათვის, ვიდრე უსაგნო აქტივობა. სწორედ ამ დროს ვფიქრობთ ჭეშმარიტ მოვლენებზე და მეორედ ამქვეყნად დაბრუნების შეძლება-შეუძლებლობაზე.

10011. კარგი თამადა სუფრის მეგზურია და პურ-მარილის შერგების მადლის სულის ჩამდგმელი.

10012. ტემპერამენტს კორექტულობაც თან უნდა ახლდეს, თუ გვინდა მისი სიკეთე შევიცნოთ.

10013. ხანგრძლივ სიცოცხლეს ზოგი დიეტის დაცვით და ყოველდღიური ვარჯიშებით ცდილობს, ოღონდ რისთვის უნდა ასე მოწესრიგებული ცხოვრება, ბოლომდის თავადაც ვერ გარკვეულა.

10014. გადამეტებული თათბირები, კრებები, თავშეყრა ვერასოდეს ჭრიდა რეალობაში დასახულ მიზნებს და ამოცანებს.

+10015. ერუდიცია იმის გარანტია არ არის, რომ თქვენ სწორედ ის იცით, რაც დღეს ნამდვილად გჭირდებათ.

10016. წარსულთან შეჯერებული მომავალი მეტ იმედებს გვისახავს.

10017. რწმენის შესანარჩუნებლად საჭიროა, გარეშეთ ბოლომდის არ ენდოთ.

10018. ორატორმა, პირველ ყოვლისა, საკუთარი მსმენელის მოძიება, შერჩევა და მოხიბვლა უნდა ისწავლოს.

10019. ვეცადოთ ისე ვიცხოვროთ, რომ მიწა არ დავამძიმოთ და კეთილის მდომნი არ შევიმციროთ.

10020. სჯობს, ცოტა საქმე ვაკეთოთ მოხდენილად, ვიდრე ბევრი – სათუო და უფერული მოვალეობის მოხდის მიზნით.

10021. უკუდო ამპარტავანს ყივილის შედეგად გამობმული კუდი თავის უკეთ წარმოჩენაში ვერ შველის.

10022. ზოგჯერ ანგელოზის ხელით ნაკურთხი პურივით უნდა დავიკმაყოფილოთ ჩვენი ყოველდღიური მიზნები.

10023. დინჯად ნაკეთები საქმე უკუჩვენებას იშვიათად იძლევა.

10024. თეფშზე გადაღებული საჭმლის დატოვება მასპინძლის უპატივცემულობაა. ამიტომ საჭმელი თავიდან მცირე დოზით უნდა გადავიღოთ.

10025. მთავარია, უპირველესად საქმის კეთებაზე გადავერთოთ, შემდგომ ფულსაც ვიშოვით და გულსაც გავიხარებთ.

10026. ბიუროკრატიას და მოუმწიფებელ კანონებს აშკარად არ უნდა ებრძოლოთ, სასურველია, მოხერხებულობით აუაროთ მას გვერდი. ამით საქმის კეთებაც დაჩქარდება და დროც უქმად არ დაიკარგება.

10027. მთავარია, შინაგანი ინტელექტი ღირსეულად გამოიყენოთ.

10028. ღრუბლის ნაგლეჯში დანახული სინათლეც სიკეთის კეთების სურვილს გვისახავს.

10029. დიდ და ძლიერ მტერთან უნდა იმეგობრო ან უნდა დამორჩილდე, ხოლო პატარა მტრებს უნდა უფრთხოდე, რადგან ზოგჯერ ისეთ რაღაცას შეგამთხვევენ, რასაც მათგან არ ელოდი.

10030. უმთავრესი ის დაუფასებელი წვრილმანებია, წარმატებაში ხელს რომ შეგვიშლის.

10031. იმ ოდენობით არაფერი უნდა ივალო, რომლის გადახდაც გაგიჭირდება ან ვერ გადაიხდი.

10032. ჩვენი წინსვლის სწორად წარმართვას წარსულში დაშვებული უამრავი შეცდომის სწორი ანალიზი შეუწყობდა ხელს.

10033. რწმენა, ნდობა, შემართება ბიუროკრატიის აუღებელ ციხესიმაგრეებს წარმატებით დალაშქრავს.

10034. ჩვენი მოწოდებაა ერთმანეთის გაოცება და არა მოტყუება.

10035. საკუთარ თავს უნდა ვენდოთ, მაგრამ რწმენასა და ჭეშმარიტებისკენ ლტოლვას არ უნდა ვუღალატოთ, თორემ განდიდების მანია შეგვიპყრობს და ჩვენთან ერთად სხვებიც დაზარალდებიან.

10036. ვეცადოთ, მომავალი უკეთესი იყოს და არა ჩვენთვის განუსჯელ-ამოუცნობი.

10037. გადაწყვეტილებას ცივი გონებით, განსჯით, დებეტ-კრედიტის გათვლით იღებენ და არა ემოციებით და აფექტში გონების დაბინდვით.

10038. ძალით სიკეთის კეთების წადილს თავზე ვერავის მოვახვევთ, თუ კულტურას, ტრადიციებს, აღზრდას არ დავიხმართ.

10039. სამყარო სავსეა გაუცნობიერებელი სიყვარულით, შურით, გაუტანლობით, მაგრამ ეს უფლებას როდი გვაძლევს, სიკეთის საკეთებლად არ ვიღვაწოთ.

10040. გაუფრთხილებლობა მოდის უციდინარობიდან, რჩევა-დარიგებისგან თავის არიდებიდან და თავზე დიდი წარმოდგენიდან.

10041. გამოცდილების მოწოდებაა წინააღმდეგობათა დაძლევა, ხოლო ტალანტი წინდახედულად ლამობს მათს აცილებას.

10042. თავისუფლებისა და დემოკრატიის დოქტრინა უსაქმურობას და მოვალეობისაგან თავის დაძვრენას არ ნიშნავს. ამიტომ მასაც ზურგს უნდა უმაგრებდეს იდეოლოგია და კანონის დიქტატი, რათა ამ ღირებულებათა არასწორმა გაგებამ უსაქმურობისა და თავქარიანობისკენ არ გვიბიძგოს.

10043. რთულისა და მარტივის შეცნობასაც ხასიათის გამოვლენა სჭირდება.

10044. ზედმეტი ყოველთვის ზედმეტად რჩება, რადგან ამ ზედმეტის რეალიზებასაც განსჯა-განსაზღვრა და ჭკუის მოხმობა სჭირდება.

10045. ვეცადოთ ნანატრ, ჩაფიქრებულ ოცნებებს ფრთები შევასხათ, რადგან არავინ უწყის, როდის დამთავრდება სოცოცხლე და ამქვეყნად ჩვენი ყოფნა.

10046. ნაძალადევი სიცილ-ხარხარით ვეცადოთ ორი-სამი წუთით ტვინის მოტყუებას, რაც კარგ ხასიათზე დაგვაყენებს, გადაღლა – სტრესს მოგვიხსნის და ესეც რაღაცასა ნიშნავს.

10047. სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის აუცილებელია მუდამ კარგ ხასიათზე ყოფნის უნარი. იგი სიბერეს შესანიშნავად ებრძვის.

10048. საკუთარი ბიოგრაფიით თავადვე უნდა დავინტერესდეთ, რათა სხვათა საჯიჯგნი არ გახდეს.

+10049. რადგან ხალხი აფინანსებს პარაზიტულ სახელმწიფო აპარატს, ვალდებულნი ვართ, ვისწავლოთ მოთხოვნა და არა მათხოვრობა იმ გადახდილი გადასახადებისთვის, რომელიც ხარისხიან მომსახურებას გულისხმობს.

+10050. ნაღმი თუნდაც ოქროსი იყოს, ის მაინც საშიშია და მისით აღფრთოვანება არ ღირს.

10051. უმთავრესია ჩვენ მიერ ჩადენილი შეცდომების ვალი არ დაგვედოს.

10052. საკუთარი ნაკლის შეცნობა იმის გარანტი მაინც უნდა იყოს, რომ ან ნაკლს გავანახევრებთ.

10053. ცივილიზაციასაც გონივრული გამოყენება სჭირდება, რათა ის ჩვენს მენტალიტეტს მოვარგოთ და სიკეთის ნაცვლად ბოროტება არ მოგვიტანოს.

10054. ძალის ჩვენებაც გამართლებაზე, შემთხვევასა და მოწი-

ნააღმდეგის გადაცდენაზეა დამყარებულ-დამოკიდებული.

10055. ვარდისფერი სათვალეებით დანახული და შორიდან ნაგრძნობი გრძნობათა ეიფორია, ზოგჯერ მენდელსონის მარშის მოსმენის შემდგომ ჩქარა მთავრდება.

10056. ჯანსაღ სხეულში დიდი და საიმედო ვნება დუღს.

10057. დაუღალავი ოცნება და ამის მიხედვით გეგმების დაწყობა ზოგჯერ წარმატების საწინდარია.

10058. აქტივობა, შრომისმოყვარეობა ასაკს ვერაფერს აკლებს, მაგრამ დაუნახაობა, სიზარმაცე არცერთ ასაკს არ არგებს.

10059. თუ ჩვენ პატივს მოგვაგებენ, ჩვენც ვალდებული ვართ, ასევე პატივით მოვეპყროთ ჩვენს მწყალობლებს და ირგვლივ მყოფთ, რათა ურთიერთგაგება შევინარჩუნოთ.

10060. სიმდიდრისკენ სწრაფვა ცუდი არ არის, თუ მას შემოქმედება და ზომიერება ახლავს.

10061. სჯობს, შენს რჩეულს უყვარდე, ვიდრე – სხვათა რჩეულს.

10062. წაფორხიალება წაქცევას არ ნიშნავს, მაგრამ ცხოვრებას ყოველდღიურად გონივრული ნაბიჯები სჭირდება.

10063. ვისმე გაკვირვებას ისევ ვინმეს არდავიწყება სჯობს.

+10064. ზოგი ქვეყნის საარჩევნო ბიულეტენზე გაფრთხილების ნიშნად სჯობს ეწეროს: „თქვენ მიერ არჩეული პირი ექვსი თვის შემდგომ გამოცვლას არ ექვემდებარება“. მაშინ, იქნებ, დაფიქრება და განსჯა გვესწავლა.

10065. გარკვეული დროით მოწესრიგებული ძალადობა, ანუ დიქტატურა, მისაღებია საერთო საქმის დროულად საკეთებლად.

10066. თავგამოდებულ ურთიერთობას ხშირად თავშეკავებული და გააზრებული დაახლოება სჯობს.

10067. ზოგჯერ თავის წარმოჩენას ისევ თავის შეკავება სჯობს, ნაკლებ სისულელეს ჩაიდენ და წამოროშავ.

10068. შეცდომებისაგან თავის დახსნის სუკეთესო საშუალებაა გარკვეული ჩვევების შეძენა, რომელთაც მრავალჯერ გადამოწმებულ ტრადიციებთან აქვთ კავშირი.

10069. შეიძლება მოვიპოვოთ პატივისცემა, დავიმსახუროთ თანადგომა, მაგრამ მეგობარი გენმა უნდა აგვირჩიოს.

10070. ტირანსა და ტირანიას აშკარა ბრძოლით ნუ დაუპირისპირდებით. ტაქტიკური ეშმაკობით და მოჩვენებითი მორჩილებით მის ნდობასაც მოიპოვებთ და გარკვეულ სარგებელსაც ნახავთ.

10071. მფარველ ანგელოზებს უნდა გაუფრთხილდეთ ჭკუის მოხმობითა და გონივრული წინდახედულებით, თორემ მათ ზურგის შექცევაც იციან.

10072. გარემო პირობები გვიკარნახებს ბრძოლა-შემართების

პირობებს, ცხოვრებაში ჩვენს ადგილს და, აქ თუ საკუთარი პიროვნებით არ წარმოჩნდებით, ვერც თქვენს სათქმელს იტყვით და ვერც შეგამჩნევენ.

10073. ამბიციურობა დასაშვებია, ამპარტავნობა – არა, რადგან პირველი დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია, მეორე კი საქმის კეთებას ვნებს.

10074. შეძენილს თუ არ შევუმატებთ და არ ვამდიდრებთ, ის ქონება სათუოა და ყოფის საიმედო გარანტი ვერ იქნება.

10075. საკუთარი თავის ხელში აყვანა ხელოვნებაა. ის ხელოსნობასა და ხელმოცარულობას ვერ ეგუება.

+10076. სურვილს ხშირად ეჭვის თვალითაც უნდა ვუცქიროთ, თუ გვინდა, ის აგვიხდეს.

10077. თავის გაწირვას მაშინ აქვს აზრი, თუ ის მცირე პრაქტიკულ შედეგს მაინც იძლევა და წინდაუხედავ, გაუაზრებელ ავანტიურას „განტევების ვაცივით“ არ ეწირება.

10078. უნდა ვიფიქროთ არა იმაზე, რას ვაკეთებთ, არამედ იმაზე, რას ვაკეთებთ ისეთს, რომ ჩვენს შემდგომს გასახსენებლად დარჩეს.

10079. უპირველესად საკუთარი თავი უნდა დააჯერო, რომ უნიკუმი ხარ, თუ გინდა ეს მცდელობა სხვებმაც დაიჯერონ, ნაწილობრივ მაინც.

10080. თავმდაბლობა მოსაწონია, მაგრამ ზომიერების ფარგლებში, რათა თქვენი ჩანაფიქრის ხორცშესხმას არ ავნოს.

10081. თუ გინდა კავშირი შევინარჩუნოთ, მაშინ ვეცადოთ, ურთიერთობის არსებულ ჰარმონიას ზიანი არ მიადგეს.

10082. ზოგჯერ სიამოვნებას გვანიჭებს, სხვებს უხელმძღვანელო, მაგრამ შენდამი თანამშრომელთა ერთგულების გამოხატვას იგი ვერ შეედრება.

10083. ძალა შიშსაც შეიქმს, მორჩილებასაც, მონდომებასაც და სიყვარულსაც. ამიტომაცაა, რომ ის ყველგან პატივისცემასა და რიდს იმსახურებს.

10084. შიში და რიდი კარგია, თუ ამართლებს და თქვენს მომავალს უკეთესობის გზას უხსნის.

10085. აუგი სურვილები და ცუდის კეთება ვიღაცის მიმართ, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავს არ უნდა აკადრო.

10086. გემოვნება, რომელიც ბუნების შექმნილია, ხელოვნურით არ უნდა ჩავანაცვლოთ, რადგან მსგავსი რამ გემოვნებას გვირყვნის.

10087. ვალის აღება მორალური დანაშაულია, თუ მისი გასტუმრების უნარი არ შეგწევთ.

10088. საკუთარი მიღწევით ტკბობასაც ცოდნა უნდა, რათა სხვათა წარმატებებისა არ შეგშურდეთ.

10089. გონიერებით იმის კეთება, რასაც მოწინააღმდეგე არ მოელის, უპირველესი საშუალებაა წარმატების მისაღწევად და თავის წარმოსაჩენად.

10090. კრიტიკას მაშინ აქვს აზრი, თუ ის ხელმისაწვდომი და შედეგიანია. მისი უგულებელყოფა და არაფრად მიჩნევა, არ ეგების.

10091. სხვაზე უკეთესად თავი არ უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ უნდა ვეცადოთ, მომავალში არსებულზე უკეთესი ვიყოთ.

10092. ხუმრობასაც თავისი საზღვრები უნდა მიუჩინოთ, იმისდა მიუხედავად, რომ ის ყველას ესმის ჯეროვნადაც აღიქვამს.

10093. შთამომავლობის გვერდზე ყოლაა აუცილებელი და არა მისი ფუფუნებაში ცხოვრება, რათა სულიერი და შემეცნებითი კავშირი თაობებს შორის არ გაუფასურდეს და არ დაიკარგოს.

10094. მოგზაურობა და გონებით სამყაროს ღირსშესანიშნაობების მონახულება და შენი გადასახედიდან გააზრება – ეს ის საუკეთესოა, რაც შეიძლება ადამიანმა საკუთარ თავს აჩუქოს.

10095. ნაღდი სიცილი ძალზე საჭირო გრძნობათა მოზღვავებას მოითხოვს.

10096. ყველა ჩვენგანი იმგვარად უნდა წარმოჩნდეს, როგორებიც ვართ და არა ისე, როგორც ვისმე სურს და უოცნებია.

10097. შემთხვევით და ძალისხმევის გარეშე სასიკეთო მცდელობის მიუხედავად, არაფერი ხდება.

10098. რაც არ გესმის, იმაზე არც კარგის თქმა შეიძლება, არც ცუდის და ეს ყოველგვარი დამორცხვების გარეშე უნდა ვაღიაროთ.

10099. პოზიტიური განწყობის შენარჩუნება პროფილაქტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

10100. მეგობრებიც ისეთი უნდა შევიძინოთ, რომ გაუგებრობის შემთხვევაში მტრად არ გვექცნენ.

10101. სწავლა-გამოცდილების დანიშნულებაა, დროულად ავკრიფოთ ჩვენთვის სასიამოვნოდ გასახსენებელი წლები.

10102. ნაყოფის მომცემი სწავლა უსასრულო გარჯა-მცდელობას მოითხოვს.

10103. დაღლა, და არა გადაღლა, გვაძლევს საშუალებას შემოქმედებითად დავისვენოთ და მომდევნო დღეს ენერგიააღდგენილი შევხვდეთ.

10104. რესტორანში კუჭის გასამხიარულებლად და გემოვნების დასახვეწავად უნდა მივდიოდეთ და არა კუჭის ამოსაყორად.

10105. მოვალეობის აღსრულება ყველა ჩვენგანის ვალია, რაც უნდა უპერსპექტივო გვეჩვენებოდეს იგი.

10106. სიავის დაგროვება საკუთარ თავში არ უნდა დავუშვათ, რადგან ის ყველაზე ცუდად თავად ჩვენზე მოქმედებს.

10107. დღეს რეალურად ნაკეთები საქმე, მომდევნო დღეებში გასაკეთებელს ეხმიანება.

10108. მეგობარია ის, ვინც ჩვენს საქმიანობას კრიტიკულად ეკიდება და შეცდომებზე მიგვითითებს და არა ის, ვინც გვაქებს და ყველაფერზე გვეთანხმება.

10109. არცოდნა სირცხვილი არ არის, სირცხვილია ნაკლის აღმოფხვრაზე უარის თქმა.

10110. მარტო მცდელობა საქმეს არ შველის, თუ მას ხიბლიც თან არ ახლავს.

10111. პირადი მაგალითების ჩვენება გაცილებით შთამბეჭდავია და ბევრად სჯობს ყოველგვარ სიტყვიერ დარიგებებსა და ჭკუის სწავლებას.

10112. ურთიერთობაში არსებობს დაუწერელი კანონები და უხილავი სულიერების საზღვრები არ უნდა დავარღვიოთ, არ უნდა გადავლახოთ.

10113. თავის მართლებას ისევ შეცდომის დროულად აღიარება, ბოდიშის მოხდა და მონანიება სჯობს.

10114. სიყვარული ერთია, პატივის მიგება მეორეა, შიში მესამეა, მაგრამ საქმის წარმატებით საკეთებლად და დავალების უპირობოდ შესასრულებლად ეს უკანასკნელი უფრო შედეგიანია.

10115. ქვეყნის სწორად განვითარება-წარმართვისთვის ურთიერთმოსმენა და გაფრთხილება უნდა ვისწავლოთ. აქ მთავარია ერთურთის სიყვარული, ერთმანეთსადმი პატივის მიგება.

10116. ჩვენ ყველანი თანამოაზრენი ვართ მოყვასის სულიერებისა და გონიერებისა.

10117. ყოველმა ჩვენგანმა ცხოვრებისეული გამოცდა მანამ უნდა გაიაროს, სანამდის საცხოვრებელ ადგილს აირჩევდეს, აღიარებდეს ამა თუ იმ ქვეყანას თავის სამშობლოდ და მიიღებდეს პოლიტიკურ წყობას.

10118. თქვენს დარდს მანამდის უნდა ელოლიავოთ, სანამდის გადაწყვეტილებას მიიღებდეთ და ბედის მოძიებას დაიწყებდეთ.

10119. კონფლიქტების მოგვარება აზრების შეჯერებით და დროის შესატყვისად უნდა ვისწავლოთ, თუ გვინდა, არც თავი ვაზარალოთ და არც სხვათა ინტერესები შევლახოთ.

10120. ვეცადოთ, უპირველესად საკუთარი ცხოვრება განვკარგოთ და არა – სხვათა.

10121. დანაპირების შესრულება დამპირებლის ღირსებაზე მიუთითებს, შეუსრულებლობა კი მის უღირსობაზე. შედეგად, გამომჟღავნებულ უღირსოსთან საქმის დაჭერას უნდა ვერიდოთ.

10122. შექებით ერთეულები უნდა შევაქოთ, რადგან უმეტესობას შექება ვნებს, მით უფრო, თუ იგი დაუმსახურებელია.

10123. ხელისუფლებაში უმჯობესია მოვიდეს ჭკუაგახსნილი, ზომიერი დიქტატის მქონე პიროვნება, ვიდრე გულკეთილი, ლმობიერი ხელისუფალი, რომელიც ვერ ახერხებს ყოფიერებისთვის ალღოს აღებას.

10124. არის სიმართლე რომლის ცოდნა არც არავის სჭირდება და უიმისოდ თავს ყველა კარგად გრძნობს. მაგალითად, გულის გასახალისებლად გყავთ საყვარელი. სულ არ არის საჭირო, თქვენმა ცოლმა ეს იცოდეს.

10125. მიზნის მისაღწევად მარტო ნდომა როდი კმარა, ფეხიც უნდა წადგა წინ.

10126. ყოველივე და ყოველი კონტროლს საჭიროებს, მაგრამ უკეთესია, თუ ამ საქმისთვის „განტევების ვაცს“, ანუ ერთგულ ქვეშევრდომს იყოლიებთ.

10127. წინააღმდეგობები, უმჯობესია, მოხერხებულობით დავძლიოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ გონიერებაზე უარყოფით წარმოდგენა შეგვექმნება.

10128. საკუთარ ნაკლოვანებათა აღიარება თავისებური ალიბია, რათა ჩვენი გადაცდენა-საქმიანობით მოწინააღმდეგე მხარე არ დაინტერესდეს და უფრო ღრმად არ ჩასწვდეს ჩვენს ცოდვებს.

10129. ზოგჯერ სისხლის გაღებას ისევ გარკვეული ხელის ჭუჭყის გაღება სჯობს, უფრო წინდახედული ქმედებაა და თანაც მოგებიანი.

10130. ვეცადოთ, ჩვენი ყოფიერებისთვის დამახასიათებელი კაპრიზები უმტკივნეულოდ დავძლიოთ.

10131. კარგი წიგნის წაკითხვა მის გმირებთან დაახლოების სურვილს იწვევს და გაიძულებთ, რამდენიმეჯერ გადაიკითხოთ.

10132. დიდი სიამოვნებაა, თუ სხვასაც სიამოვნებას ანიჭებთ და ამ სიამოვნების შეცნობისას წილში უზიხართ.

10133. ყოველი ნამოქმედარი დროის შესატყვისად უნდა შეფასდეს, განისაჯოს და არა შავი ან თეთრი ფერების გამოყენებით. თანაც ეგ უნდა მოხდეს დღევანდელობის გადასახედიდან, რადგან ყველა დრო და ეპოქა თავისი გაგებისაა და სტანდარტების შესატყვისად იღვწის.

10134. სიკეთის კეთებას დაგვიანება ვნებს.

10135. მზის ამოსვლის დანახვამ, შესაძლოა, კიდეც გაგვახაროს და კიდეც დაგვანაღვლიანოს, ეს ჩვენს განწყობაზეა დამოკიდებული.

10136. ყველა ჩვენგანი განუმეორებელი და ერთადერთია, ყოველ შემთხვევაში, ასე გვჯერა და გვსურს.

10137. სიბერეში ახალი მეგობრის მოძიებას ისევ ძველი მეგობრებისგან განთავისუფლება სჯობს, რადგან ძველიც, და ახალიც, თუ შეძლებული ხარ, შენგან გამორჩენას ელოდებიან და არა მეგობრული სტატუსის განმტკიცებას.

10138. ახლობლების საქმის გარჩევაში აშკარად არ უნდა ჩაერიოთ,

მაგრამ ცალ-ცალკე ყველა მათგანს თქვენი მოსაზრება უნდა გაუზიარ-ოთ.

10139. ჰიპოთეზას დაცვა სჭირდება, იმისდა მიუხედავად, აქვს რაიმე შანსი რეალობაში დასამკვიდრებლად თუ არა.

10140. სიცოცხლის რაობის განსჯას, რომელიც გონიერებას გვი-რევს, ისევ მასში გაჯეჯილება სჯობს, სიამოვნებას მაინც მიიღებთ.

10141. დაუფასებელ გარჯას ისევ უსაქმურად ყოფნა სჯობს, შენზე მაინც არ იჭორავებენ და პასუხსაც არავინ არაფერში მოგთხოვს.

10142. სხვათათვის გარჯა სიამოვნებასაც გვანიჭებს, ავტორიტეტ-საც გვიქმნის და ამით საკუთარ თავსაც მეტ პატივს მივაგებთ.

10143. ოცნება სიზმრებში დაეხეტება და ზოგჯერ მის გამოყენება-საც კი ვახერხებთ.

10144. მთავარია სიმდიდრე-დოვლათის შექმნა, ხოლო მათი გად-ანაწილება გონიერის ხელში იმდაგვარადაა შესაძლებელი, რომ ნაწყენი არავინ დარჩეს.

10145. მშვენიერების გონით აღქმა სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს.

10146. პატივმიმგები მეხსიერება დიდი სიმდიდრეა და შინაგანად კიდეც გვამაღლებს.

10147. წუთიერად გადამეტებული ყბედობაც კი საქმის კვალიფი-ციურ კეთებას ხელს უშლის.

10148. ვაჟისთვის დედის მიმართ დასამახსოვრებელი წყენის მი-ყენება ყველაზე დიდ ცოდვად ითვლება, რადგან დედები მათ მიმართ უსაზღვროდ დამთმობნი არიან.

10149. ხშირად თავის წარმოჩენა და განუსჯელად ყოფნის სურვი-ლი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას ნიშნავს.

10150. კარგი თამადობა კი არ არის ძნელი, არამედ თამადისთვის სასურველი და ხალასი სტუმრების სუფრაზე თავმოყრა.

10151. სიბრძნე, ცოდნა ის სიმდიდრეა, რომელსაც დროული გამ-ოყენება სჭირდება და არა გაფეტიშება.

10152. ეცადეთ, სინდისთან შეუთანხმებლად არაფერი მოიმოქმე-დოთ.

10153. ვეცადოთ, სიბრალური არ დავიმსახუროთ, ბედის სიმუხთ-ლის მიუხედავად.

10154. რისკი რომელიც ამართლებს, გონივრულია, რომელიც არ ამართლებს, გიჟური, მაგრამ დროს, გარემოს, შემთხვევასა და ვითარე-ბასაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

10155. შიში ვერ არის კარგი მრჩეველი, რადგან გონივრული გამბე-დაობის უქონლად არაფერი ხეირიანი არ კეთდება.

10156. იუმორის გარეშე არა მარტო ცხოვრებას ვართულებთ, არ-ამედ სხვებსაც ხასიათ-გუნებას ვუფუჭებთ, რადგან მათი მოლოდინი

ვერ გავამართლეთ და ეს ყოფის სიმძიმე ვერ შევუმსუბუქეთ.

10157. ჭამის სტერეოტიპის დანერგვაც კი დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ცნობიერებას.

10158. მასპინძელმა სტუმრის სტატუსი და ადათ-წესებიც უნდა გაითვალისწინოს, რათა ამ შეხვედრით ორივენი კმაყოფილნი დარჩნენ.

10159. წუხილი საქმეს ისე როდი შველის, როგორც ენერგიული შრომა.

10160. მადლიერ ადამიანებთან ურთიერთობა სულიერების ფუფუნებაა.

10161. ცნობისმოყვარეს თუ განსჯისა და მოსმენის უნარი არ აქვს, ვერაფერს მიაღწევს.

10162. სულელს ჭკუის დასარიგებლად არ უნდა შეუძახოთ, მაინც ვერაფერს გააგებინებთ, უმჯობესია, ან გაეცალოთ, ან ყურის ბიბილოები ბოლომდის აახიოთ.

10163. ენამჭევრობას მაინც დუმილი სჯობს, რადგან მას საჩოთირო არაფერი წამოსცდება.

10164. უნებლიეთ წამოცდენილი უხიაგი სიტყვის გამოსწორება შესაძლებელია, თუ მას დროულად შევაზელთ იუმორს.

10165. ჩვეულება ყველაზე დიდი შემგუებელია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ქმედებისა.

10166. მთავარია ზომიერება ყველგან და ყველაფერში, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც დასახულ მიზანს მიაღწევთ.

10167. ვეცადოთ, ვიყოთ ჩვენი ოცნებისა და არჩევანის შესატყვისი პიროვნება და სამყაროს მოქალაქე.

10168. ვეცადოთ, საქმე იმდაგვარად ვაკეთოთ, რომ ზედმეტი შეკითხვები არ გაჩნდეს.

10169. სიჭაბუკეს სიმარტოვის დასაძლევად ვნებასთან შერკინება ეხმარება, ხოლო ასაკს – ვნების მოდუნება.

10170. შეცდომების მიფუჩეჩება მისი გამრავლების საწინდარია.

10171. სტუმრად მოხდენილად ჩაცმული უნდა მიხვიდეთ, მაგრამ წამოსვლაც დროულად და მოხდენილად უნდა შეძლოთ.

10172. ცარიელი ადგილის აღქმისა არ უნდა გვეშინოდეს, რადგან სიცარიელე სივრცეა, ხოლო სივრცეში ხეტიალი და მასში ოცნებით ყურება სიახლის შექმნის საშუალებას იძლევა.

10173. საკუთარი შეხედულებები დიახაც დავიცვათ, მაგრამ სხვათა რჩევა-კრიტიკაც ყურად უნდა ვიღოთ.

10174. საერთო საქმისადმი ერთიანი ყურება ერთმანეთის ყურებად არ უნდა ვაქციოთ.

10175. ყოველგვარი წინააღმდეგობა დაძლეულ უნდა იქნეს ოცნებით მაინც, იმისდა მიუხედავად, რომ დღეს ეს არ ხერხდება.

10176. გადამეტებული ლაპარაკი მოსაბეზრებელია, თუნდაც ბაგეებიდან სიბრძნის ჩანჩქერი იფრქვეოდეს.

10177. მეგობრების შერჩევა ბავშვობიდანვე უნდა ვისწავლოთ, რათა დიდობაში არ გავწბილდეთ.

10178. სიყვარულზე უარის თქმა გამოუსწორებული შეცდომაა და მთელი ცხოვრება სანანებლად გვრჩება.

10179. ხვალინდელ საქმეს დღეს უნდა ჩაუყაროთ საფუძველი, რადგან ხვალინდელი დღე ძალიან სწრაფად მოდის, მერმედ მიფრინავს და ჰორიზონტიდან ქრება.

10180. იმის შეგნება, შეცნობა, რომ საზოგადოების წინაშე შენი ვალი პირნათლად მოხდილი გაქვს, დიდ შინაგან სიამოვნებას განიჭებს და გაამაყებს.

10181. ობლიგაცია, ლატარეა, კაზინო ოცნებათა და იმედის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ მოგების შანსი უმნიშვნელოა.

10182. თუ ჩხუბი გარდაუვალია, სჯობს, პირველმა შენ დაარტყა, რადგან გამარჯვებულს არ ასამართლებენ, ხოლო ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაუშვა.

10183. გაქცევა საქმეს არ შველის, მთავარია, ძალები გამოვნახოთ და პრობლემა დავძლიოთ.

10184. ახალ-ახალი ცხოვრებისეული გამოწვევების მიმართ შემართულები უნდა ვიყოთ, თუ გვინდა ამქვეყნად ყოფნის მადლი შევიგრძნოთ.

10185. შემოქმედის დანიშნულებაა, პატივი მიაგოს ირგვლივ მყოფთა მეობას, თუ უნდა სახელიც დაიგდოს და შეძლებულადაც იცხოვროს.

10186. გონიერ მამაკაცს მისგან დავალებული ქალის ცოლად მოყვანა არ უნდა. სამართლიანად ფიქრობს, რომ მადლიერების გრძნობა სიყვარულს ვერ შეცვლის.

10187. ენის ფხანასა და ყბედობას ისევ ხელის განძრევა და საქმის კეთება სჯობს – ნაკლებად ინერვიულებთ და გულსაც გაუფრთხილდებით.

10188. დაპირისპირებაში მონაწილე გარდასახვის ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული. მან ყურადღების მიქცევისთვის კი არ უნდა იმაიმუნოს, არამედ მიზნის მისაღწევად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დასამახსოვრებელს ვერაფერს შექმნის.

10189. თავის მოკვლას ისევ უღმერთობასთან შეგუება სჯობს, რა ვიცით, დრო, ბედი, შემთხვევა როდის გამოანათებს.

10190. არ უნდა გვაშინებდეს ჩვენი უფლებების დაცვა. კარგია, თუ ვერკვევით კანონებში, მათს ნიუანსებში და ვიცით მათი ჯეროვნად გამოყენება.

10191. „უნაკლო პარტნიორი“ პირობითი და შედარებითი ცნებაა და გარკვეული დრო სჭირდება, სანამდის შეეჩვეოდეთ.

10192. მტკიცე ხასიათს ზოგჯერ გონივრული შერბილება სჭირდება.

10193. შავისა და თეთრის გარჩევა დროულად უნდა ვისწავლოთ, რათა შავის შემოტევა დროის ხუშტურს არ გადავაბრალოთ.

10194. მიზანშეწონილია, საკუთარი თავის გადასხვაფერებას ზნისა და ბუნების შესატყვისად ვეცადოთ, ვიდრე სხვათა გადაკეთებასა და მორჯულებას.

10195. ყოველივე ნაოცნებარის ქონაზე უნდა ვიოცნებოთ, მაგრამ რეალურად იმას უნდა დავჯერდეთ, რისი დაგროვებაც შევძელით და განგებამ ჩვენთვის რისი გამეტებაც მოახერხა.

10196. საკუთარი თავი რომ შეიყვარო, საჭიროა: დააფასო საკუთარი მიღწევები, შიგადაშიგ დაივიწყო საკუთარი ნაკლი, შენზე უკეთესებს არ შეედარო, არასასიამოვნო ადამიანს არ შეხვდე, დაუახლოვდი კეთილმყოფლებს. შედეგად მიიღე მეტი პოზიტივი და სიამოვნება ამქვეყნად.

10197. ემოციების გამოხატვა ჭკუის გამოჩენით და კვიმატი ენის გამარჯვებით სჯობს, ვიდრე მუშტის ქნევითა და ბილწსიტყვაობით.

10198. პატარა ქვეყნის მეტიჩრობასა და წამხედურობას საშველი არ ადგება. არადა სწორედ მას არ შეშვენის ეს საჩოთირო ნაკლი.

10199. შეცდომების დაშვებისა არ უნდა გვეშინოდეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათი გათვალისწინებისა და აღმოფხვრის უნარი შეგვწევს.

10200. ვაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია, ოღონდ ამის გაკეთება შეუძლებელია, თუ ამ საქმეში სულიერება მხარს არ აგვიბამს.

10201. რამდენადაც შესაძლებელია, ვეცადოთ, ჩვენს „ბოზ მამიდას“ – სხვათა საქმეში ჩაურევლობას – მივხედოთ. ეგ უფრო ამართლებს და გონივრულიცაა.

10202. ჯანსაღი სიცილი მისაღებია, მაგრამ მოსაბეზრებელია, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ სხვები ბოლომდის ვერ იგებენ და მხარს არ გიბამენ.

10203. ახლობელი, რომელიც შენს ნაკლს ყურადღებას აქცევს, შენი დამცველი და ნაღდი მეგობარია.

10204. სხარტი გონების მსგავსად, არც მახვილსიტყვიანობით თავის წარმოჩენა არის ურიგო საქმე.

10205. ისწავლეთ ბედნიერი ცხოვრება, ქონების დაგროვება, მოყვასის მომხრობა, მაგრამ მათი დაკარგვის ალბათობაც წინასწარ უნდა გააცნობიეროთ, რა ვიცით, მომავალი რას გვიქადის.

10206. მოძველებულს, ზნეობისა და ჭეშმარიტების გარდა, ყოვე-

ლივეს უნდა ვებრძოლოთ.

10207. მეგობრის შეძენა ყველა გარემოსა და ასაკში მისასალმებელია, თუ ამისი უდავო სურვილი ორივე მხარეს აქვს.

10208. უნებლიე შეცდომების აღმოფხვრა თუ არა, მათთან შეგუებაც შეიძლება, რადგან ისინი უფრო გადაცდენებია, ვიდრე შეცდომები.

10209. უკიდურესობას ვერიდოთ, უკმარისობას ვებრძოლოთ და ჩვენი ყოფაც „გაუკეთესოვდება“.

10210. შეიძლება, ბევრი რამ არ მოგვწონს და გვსურს, მაგრამ, თუ ის სჭირდება დასახულ მიზანს, უნდა არსებობდეს კიდეც.

10211. შეიძლება, გარემოებათა გამო თავიც დავკარგოთ, მაგრამ სახელის დაკარგვას მაინც უნდა ვერიდოთ.

10212. ალკოჰოლთან ურთიერთობის ცოდნა სასარგებლოა. ეს ნიშნავს: ვიცით მიღების დოზები და დროსტარების წესები თუ არა!

10213. სხვათა გაგება, თუ ეს თქვენს შესაძლებლობებს არ აღემატება, პიროვნებად გაქცევთ.

10214. მოქიშპეს სიძლიერით კი არ უნდა დაემუქროთ, არამედ თქვენი ძლიერი მხარეები პრაქტიკულად აჩვენოთ, რათა თქვენდამი რიდით განეწყოს.

10215. განსაცდელში შეძენილი მეგობარი უფრო სანდოა.

10216. რჩევა-დარიგების მიცემასაც თავის დაფასება სჭირდება, რათა შედეგი გამოიღოს.

10217. თუ გინდათ, საკუთარი თავი მოგწონდეთ, მის განსჯას, კრიტიკასა და სხვებთან შედარებას უნდა შეეშვათ.

10218. ფლირტი ხელოვნებაა. ის გამბედაობას, ნიჭს, მოხერხებულობას, წინდახედულებას მოითხოვს, რათა შენს ურგებს ხელში არ ჩაუვარდე და მის მონად არ იქცე.

10219. თანამდებობა, უპირველეელ ყოვლისა, მომდევნო თაობების აღზრდას უნდა ემსახურებოდეს, შემდგომ – ქვეყანასა და ხალხს.

10220. სიღარიბე განაჩენი არ არის, მაგრამ უანგაროდ ხელის გამოღებას, ჭკუის ხმობას და გულით საქმიანობას მოითხოვს.

10221. სიკეთეს დროულად კეთება უხდება, რათა ის დაგვიანებით არ გაუფასურდეს.

10222. გულმოდგინე შრომის შემდგომ დასვენებას დიდი სიამოვნება გვწადია, თუ მისი ფასი გაცნობიერებული გვაქვს.

10223. ვეცადოთ, გავხდეთ ისეთები, როგორიცა გვინდა ვჩანდეთ, თუ გვინდა, თავი ამაყად ვიგრძნოთ.

10224. ზედმეტად არავინ უნდა შეიცოდო: არც თანამეცხედრე და არც შვილი, რადგან ეს მათ შემართებას აკარგვინებს.

10225. ეგოიზმს უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ არა მარტო მაშინ, როცა საამისოდ მოგიწოდებენ.

10226. გონებრივ უპირატესობას ზოგჯერ მალვა უნდა, რათა ძლიერს მოულოდნელად შეუტიოს და შედეგიც გამოიღოს.

10227. ვალდებული ვართ, აუცილებელსა და გარდაუვალს ანგარიში გავუწიოთ.

10228. სიზარმაცე და უსაქმურობა ჩვენს იმქვეყნად გადაბარგებას აჩქარებს, რადგან სიცოცხლის გახანგრძლივების ერთ-ერთი გზა ფიზიკური და სულიერი ძალების დასაქმებით მოშინაურებაა.

10229. მტრებთან შერკინებამდე ჯერ საკუთარ თავთან შერკინება უნდა ისწავლო.

10230. ყოფისგან ცეცხლმოკიდებულ მეგობარს უნდა მიეშველო, მაგრამ არ უნდა უპატრონო. მაინც ვერაფერს ისწავლის.

10231. დარიგებით ის უნდა დაარიგო, ვინც იმსახურებს, ხოლო ჭკუა იმას უნდა ასწავლო, ვინც დარიგებას არაფრად აგდებს.

10232. ახლობლებისა და მეგობრების დავა არასოდეს განსაჯოთ, რადგან ამ დროს ერთ მტერს მაინც შეიძენთ.

10233. ღრეობისთვის მუცლის შემოქმედებითი მომზადება არცთუ ისე ადვილი საქმეა, რათა არ გადათვრე და შინ საღ-სალამათი დაბრუნდე.

10234. ნამდვილი ურთიერთობის განმტკიცებასაც გონივრული შრომა სჭირდება.

10235. წესრიგს, წესიერებასა და ურთიერთგაგებას ბავშვობიდანვე უნდა დავეჩვიოთ და მოგვაჩვიონ, რადგან ამ საკითხების გადაუჭრელობა ნეგატიური შედეგის მომტანია.

10236. ხმამაღლა ფიქრი მაშინ არის მისაღები, თუ თანამოაზრეებს იჩენ და ჩანაფიქრს შედეგი მოაქვს.

10237. ზოგჯერ უპატიოსნობა სჯობს უპერსპექტივო პატიოსნებას, რადგან რეალური პატიოსნების გაფურჩქვნის დრო ჯერ არ დამდგარა.

10238. ზოგჯერ ენის უაზრო ტარტარს უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე დაპირისპირებასა და კაპრიზებს.

10239. მამა-შვილს შორის გაგება უნდა იყოს და არა დიქტატურის ტოლფასი მორჩილება, რათა შვილმაც შთამომავლობა დროის შესატყვისად აღზარდოს და წარმოაჩინოს.

10240. ცუდს არც უნდა ჩაუღრმავდეთ და არც თავი გაუტოლოთ, თორემ მისი „ატვირთვისას“ ბრაზი მოგერევათ და განაწყენებული ისევ თავადვე დარჩებით.

10241. ჭკუის ღალატით ცხოვრებას ისევ სულის ღალატით ცხოვრება სჯობს – ნაკლებად შესამჩნევია.

10242. მთავარი დასაქმება კი არ არის, არამედ დასაქმების შედეგი და მის მისაღწევად დაღვრილი ოფლი.

10243. შეცდომების განსჯა და აღიარება მომავლის პერსპექტივებს

გვისახავს.

10244. წინდახედული მოთმინება ხშირად ბევრი უხილავი სიკეთის მომტანია, მიუხედავად იმისა, მოგვიწონებენ თუ არა ამას ჩვენი შთამომავლები.

10245. ზოგჯერ კარგ ხასიათთან ურთიერთობაც მოსაწყენია. ამიტომაც, კარგი ცუდისგან რომ განვასხვაოთ, დროდადრო მათი სიახლით ჩანაცვლებაა საჭირო.

10246. ცხოვრებაში ერთხელ მეტ-ნაკლებად ყველას უმართლებს და ამ შანსის ხელიდან გაშვება შთამომავლობის წინაშეც დანაშაულია.

10247. ურთიერთობის დახვეწა, გამყარება წინდახედულ გარჯას მოითხოვს.

10248. საკუთარ თავში მოიძიო ის „მე“, რომელიც შენს მომავალზე იზრუნებს, ამას ნიჭთან, გამოცდილებასთან ერთად ინტუიცია სჭირდება.

10249. ცოდნა ყოველთვის როდი ნიშნავს შეძლებს, მას თუ ბუნებით ძლიერი პიროვნება არ ფლობს.

10250. მომავლის მწვერვალთა დალაშქვრა შთამომავლობას უნდა ვანდოთ, როდესაც ჩვენ ბედი არ გვწყალობს და სიბერეც ჩვენი გარჯის წინააღმდეგია.

10251. მომსახურება უნდა შევთავაზოთ მავანთ, მაგრამ დახმარება არავის ვთხოვოთ, თუ გვინდა, საკუთარი მეობა შევინარჩუნოთ და ჯეროვანი პატივიც მოგვაგონ.

10252. მარტო ცხოვრება მათ უნდა ვანდოთ, რომელთაც საკუთარი თავის კონტროლი ძალუძთ.

10253. საკუთარი თავის ყოველდღიური გადამოწმება მიზნის დასახვაში ხელს გვიწყობს და მისი განხორციელებისკენ გვიბიძგებს.

10254. ჭკუის დროულად მოხმობა ყოველთვის სარფიანია, განსაკუთრებით სხვათა შეცდომების განსჯის ხარჯზე.

10255. „უკეთესობის იმედით“ უნდა ვიცხოვროთ და პერსპექტივის გათვალისწინებით ხელი გავანძრიოთ, რათა ამ ქვეყნიდან უკვალოდ არ გავქრეთ.

10256. „შოპინგით“ თუ გვინდა ვისიამოვნოთ, ბაზარი უნდა აღვიქვათ გართობის ცენტად და არა რაღაც სუპერმარკეტად.

10257. თავს შეზღუდული ოცნებების საშუალება მაინც უნდა მისცე, რომ შექმნილმა გარემომ შენ მიმართ თავი უფრო დამთმობად მოგაჩვენოს.

10258. ისეთი მონდომების და მოწადინების ზღვად უნდა ვაქციოთ ჩვენი საქმე, რომ სხვა საქმიანობა აღარ მოგვინდეს.

10259. ენაზე კბილის დროულად დაჭერა სიბრაზესაც მშვიდობიანად გადაგვატანინებს და ნერვების მოშლასაც აგვაშორებს.

10260. აკვიატებული სიძულვილი მტერსაც არ უნდა მივაგებოთ, ბოლოს წამგებიანია.

10261. ტოლერანტობა, თავის გამოდება, თუ მათ ზურგს არავინ უმაგრებს, გაუთვალისწინებელ გართულებებს გვიქმნის ცხოვრებაში.

10262. მტერი სხვაა, კონკურენტი – სხვაა, მაგრამ გამარჯვება-წარმატების მისაღწევად მათი განსხვავება არ ღირს.

10263. რისკის გაწევას მაშინ ედება ფასი, თუ ის ამად ღირს.

10264. მიწის მოვლა, უპირველეს ყოვლისა, მის სიყვარულსა და თავის განძრევას მოითხოვს, შემდგომ – ბედის მოხმობას და თავის გამოდებას.

10265. გამართლებული სიმკაცრე სიტკბოს მომგვრელია.

10266. შენი უპრეტენზიულობის დამტკიცება ძნელია, იმისდა მიუხედავად, ამის საბაბს იძლევი თუ არა.

10267. სასურველია, უპირველესად ჭკუის იმ ნაწილს გავუფრთხილდეთ და გადავარჩინოთ, რომელიც ჩვენს საქმიანობას წაადგება.

10268. მშვიდობა მაინც უპირველესია, ომის დაწყება რაც უნდა პერსპექტიული და ხელსაყრელი იყოს.

10269. შეიძლება, ერთმანეთი არ გვიყვარდეს და ერთურთს ვერც ვუგებდეთ, მაგრამ ურთიერთთანამშრომლობა მაინც აუცილებელია.

10270. სამყაროს რაობის მადლის შესაცნობად მრავალფეროვან ინფორმაციას უნდა გავეცნოთ, იქნებ, რაიმე გავიგოთ და გავაცნობიეროთ.

10271. ზოგჯერ მარტოობასაც უნდა მივცეთ საშუალება, იზეიმოს მისთვის გასაგები მარტოობის დღესასწაული.

10272. გაკონტროლებასა და დანდობას შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ საერთო საქმის საკეთებლად ერთმანეთს ხელს არ უშლიან.

10273. თავმდაბლობა მოსაწონია, მაგრამ გონიერების ხმობითა და შემართებით.

10274. მორალიც კი სიკეთის საკეთებელ საქმიანობაში უნდა ჩავაბათ, რათა მისი მაღალი მადლი შევიცნოთ.

10275. ცოდნა და კეთება სინონიმებად უნდა იქცნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ცოდნას აქვს ფასი და არც ხელების დაკაპიწებას.

10276. შენი არსის გამოსავლენად მიმართულების მოძიება უმთავრესია.

10277. ისე უნდა იკვებო, რომ მისი მადლი შეიცნო, და არა ისე, რომ გამოძღე და სიამოვნებით გაიტრუნო.

10278. შეუმოწმებელი ნდობა ხშირად არ ამართლებს.

10279. სხვისთვის სულელის დაძახება სიამაყის გრძნობას ვერ მოგგვრის.

10280. ბრაზიანობა შეცდომების დედაა და ამიტომაც მათ ერთ-

მანეთს ანგარიში უნდა გაუწიონ.

10281. დაკვირვება გაგება-განგების საშუალებას გვაძლევს.

10282. სისხლის შიგადაშიგ განახლება სხვა ერებთან შეჯვარებით ზოგჯერ მისასალმებელია, რადგან უკეთესი და ჯანსაღი მომავალი თაობა ჩადგება ქვეყნის სამსახურში.

10283. ხშირად გაუაზრებელი გაქცევა უფრო საშიშია, ვიდრე გააზრებული დარჩენა და პასუხის გაცემა.

10284. მიზნის მისაღწევად მისი დასახვაა აუცილებელი.

10285. მოსმენის უნარსა, განათლებასა და ცოდნას შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ სასურველი შედეგის მისაღებად მათი შერწყმა აუცილებელია.

10286. ვეცადოთ, ჩვენმა მოვალეობამ სხვათა სასიკეთო შესაძლებლობები არ შეზღუდოს და საერთო საქმეზე უარყოფითად არ იმოქმედოს.

10287. შეიძლება, ბევრი მოგწონდეთ, მაგრამ უნდა ეთაყვანებოდეთ ერთადერთს.

10288. მოთავებულ არამზადას გამოსასწორებლად ლექციებს არ უკითხავენ. ის საზოგადოებას უბრალოდ სამუდამოდ უნდა ჩამოაშორონ, რადგან არამზადობა გენეტიკური დაავადებაა, ე.ი. მოურჩენელია.

10289. დროისა და გარემოს გაუაზრებელ გამოხტომებს ზურგი კი არ უნდა ვაქციოთ, არამედ შევეჭიდოთ.

10290. ვეცადოთ, ბედნიერ წუთებს მეტი დრო დავუთმოთ და მათთან დალაპარაკება ვისწავლოთ.

10291. ღირსება-უღირსობის დაპირისპირება ისევე არ ღირს, როგორც მთლიანისა და ნულისა.

10292. სხვათა ჭკუა-გონების შეფასება-გადაფასება უგუნურებად არ უნდა ჩაითვალოს. ვინ იცის, სად და როდის გამოგვადგეს ამ განსჯის შედეგი.

10293. მჭევრმეტყველებამ ჯერ სულიერების საცერში უნდა გაიაროს, შემდეგ – გაცნობიერების ფილტრში, რათა ყველასათვის გასაგები და მისაღები გახდეს.

10294. სიტყვა მეტყველების საერთოდ მიღებულ ნორმებს უნდა იცავდეს.

10295. უცხო ენებს უნდა ვფლობდეთ, მაგრამ არა მშობლიურ ენაზე უკეთ, რადგან მაშინ ეროვნულობას კარგავ.

10296. გულახდილი საუბრისათვის დროისა და გარემოს შერჩევაა უმთავრესი.

10297. გაუაზრებელი პატარა ჩავარდნებიც კი განსჯასა და კრიტიკას უნდა იწვევდეს.

10298. „დაიკიდე“ – ეს ის რჩევაა, რომელიც თეორიულად ყველა

პრობლემის მოხსნას გვპირდება, ოღონდ არა პრაქტიკულად.

10299. საკვები ჭკუა-გონების წარმოჩენის ხელის შემწყობი საშუალებაა და არა გაძღომისა.

10300. შურის თავიდან მოშორება არც ისე ძნელია, თუ გონს ვუხმობთ და ჭკუას მივახმართ.

10301. საკუთარი განცდების გაზიარების უნარი ბედნიერებისკენ სწრაფვის ნიშანია.

10302. გონივრული რჩევა ყველასაგან მისაღებია, მათ შორის – დილეტანტისაგანაც.

10303. ომს და დაპირისპირებას მოლაპარაკება სჯობს, მაგრამ გააჩნია მოწინააღმდეგეთა მიზნებს, ინტერესებს, შესაძლებლობებსა და მათს ავანტურისტულ მისწრაფებებს.

10304. კარგი დასაწყისი წვრილმანებისაგან იგება, ბედის შემწეობით იქნება ეს თუ პირადი უნარის წყალობით.

10305. უაზრო კამათი, დავა საწყისშივე უნდა იქნეს აღკვეთილი, რათა შემდგომ ურთიერთჩასაფრება და სიავე არ გამოიწვიოს.

10306. ვისწრაფოთ იქით, სადაც უკეთესი პერსპექტივაა და არა იქითკენ, სადაც ადვილია, ოღონდ შედეგი უღიმღამოა.

10307. მომჭირნეობასა და სიძუნწეს „შუა უზის დიდი ზღვარი“.

10308. ყოველ საგულისხმო ნაფიქრალს შენახვა უნდა, რადგან ის სარგებლის მომტანია.

10309. საკუთარი ცოდვების დაფინანსება უხიაგია, უფრო საშიშია, რათა აქ ცოდვები სხვებს არ აჰკიდო.

10310. ჯანსაღი ტყუილი და მცირედი დოზით წამლიქვნელება ზოგჯერ საქმეს რგებს.

10311. აგრესიულ იდეათა შემოჭრისაგან თავის დაღწევა ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელიც.

10312. ადამიანის გონმა ყოველი მხრიდან შემოტევას უნდა გაუძლოს, რათა თავისი თავი განამტკიცოს.

10313. არსებულით დავკმაყოფილდეთ, მაგრამ მომავლის პრობლემებთან შერკინებას ნუ დავიზარებთ.

10314. წარსულის გახსენებას თუ საყვედურებით ვცდილობთ, მაშინ მისი გახსენება არც ღირს, რადგან ჩვენს ცნობიერებას ვნებს და აეჭვებს.

10315. ვეცადოთ, იმად მაინც დავრჩეთ, რაცა ვართ, რადგან ამ დროში ანგელოზის სტატუსი მაინც არ შეგვეფერება.

10316. რისკი მაშინ არის გამართლებული, როდესაც განგებისა და შემთხვევის წყალობით ის გამარჯვებას მოიტანს.

10317. კოლეგებთან საჭიროა მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა, რადგან მეგობრული ურთიერთობა საქმის ხარისხიან კეთებას ვნებს.

10318. ამბობენ, არცოდნა არცოდვაოო, მაგრამ ნაბიჯის წინ გადადგმა ცოდნის მოსაპოვებლად აუცილებელია, რათა ჩვენი სიზარმაცე ცოდვად არ გადაიქცეს.

10319. მოწინააღმდეგის მოღორება მისი შემართების შესუსტებას იწვევს, რაც შენი წარმატების შანსს აორკეცებს.

10320. მშობლების სიყვარულზე ბოლომდის ჩამოკიდება მიუღებელია, რადგან ყველას ჩვენ-ჩვენი გზა გვაქვს მოსანახ-გასავლელი და ყოფის ფინიში გადასაკვეთი.

10321. ნდომა შეძლების გარეშე არაფერია და ის აუსრულებელ მცდელობად რჩება.

10322. შეუზღუდავი კეთილდღეობისთვის, სიკეთის განვრცობისათვის ეჭვისა და ნდობის კოეფიციენტი კოჰაბიტაციას გამონახული აქვს.

10323. ზომიერება ყოველგვარი ნაკლოვანებებისგან გვიცავს და გვმფარველობს.

10324. კეთილგონიერებას აჩქარება კი არა, ზომიერი სიჩქარეც კი ვნებს.

10325. უმიზნოდ ხეტიალს ყველაზე მცირე და უმნიშვნელო საკეთებლის კეთება სჯობს.

10326. საკუთარ თავს რომ არ ავნოთ, ზედმეტ ეჭვიანობას უნდა მოეშვათ.

10327. შეხვედრისას ერთმანეთს ისე უნდა ვესაუბროთ და იმგვარად ვასიამოვნოთ, რომ ეს ურთიერთობა მოსაბეზრებელი არ გახდეს.

10328. მოყვარეს სარკე მოაქვს, შენს შეცდომებში რომ გაგარკვიოს, ხოლო მტერი ჩასაფრებულია და დროს უცდის, როდის შეცდები.

10329. ჭკუა-გონებას ანგარიში უნდა გაუწიოთ, მაგრამ გადაუმოწმებლად ბოლომდის არ უნდა ენდოთ.

10330. სუსტის ხასიათიც გამოსწორებას ექვემდებარება, თუ თავად პიროვნება მოინდომებს და შემართებას შეიძენს.

10331. თავაზიანობის მადლს ჯერ დანახვა უნდა, შემდგომ შეცნობა, რათა მისი რაობის სიდიადეში დარწმუნდეთ.

10332. ზოგჯერ სურვილებიც განსჯა-გაჯანსაღებას მოითხოვს.

10333. იმ გონიერი პიროვნების განწყობა არ იცვლება, რომლის დევიზია – „რაც მოსახდენია, მოხდეს“.

10334. მონანიება, მოვალეობასთან სასურველი ენის გამონახვაა, რაც საქმეს სასიკეთოდ წაადგება.

10335. ყოველივე მოჭარბებული განსჯას მოითხოვს, ჭკუის მოხმობას, რათა კაცმა ის აკეთოს, რაც საჭიროა და არა ის, რაც არავის სჭირდება და თანაც ვნებს.

10336. ვეცადოთ, სიმართლე ყველა სახის გონიერების საწებელში

ამოვაწოთ, დავაგემოვნოთ და განვსაჯოთ.

10337. ხანგრძლივად არც ერთად ყოფნა უქნია ღმერთს და არც დაშორება, მოწყენა იცის.

10338. ყოველივე ცუდი, ვეცადოთ, ახლოსაც არ გავიკაროთ და არც შორიდან ვუცქიროთ – გვავნებს.

10339. გონივრულ და შეთანხმებულ შერიგებაზე უარის თქმა უგვანობაა.

10340. ინტელექტს ოცნება დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

10341. სირცხვილის გრძნობაც გენეტიკურია და ისიც საკუთარი პატიოსნების ამქრით იღვწის.

10342. მეტოქეობა და არა ურთიერთმტრობა – ესაა საზოგადოების სახეიროდ განვითარების „პერპენტუუმ მობილე“.

10343. იმის რკვევა, რა არის ნაძალადევი და რა არის ნებაყოფლობითი ჩვენს ნამოქმედარში, თავისებურ განსჯად სიამოვნებას გვანიჭებს.

+10344. სწორად სიარული არ ნიშნავს, რომ გარკვეულ შეცდომებს არ დავუშვებთ ამ გზაზე გადაადგილებისას.

10345. ყოველი შემთხვევისთვის, უკან დასახევი გზა გათვლილი უნდა გქონდეს, რადგან რევანშის შანსი ყოველთვის არსებობს დროის გაყვანით, შერჩევით და შეჯერებით.

10346. შედეგის მიღების შანსი ყოველთვის არსებობს, თუ ის საინტერესოა, პროცესის დაწყება გსიამოვნებთ და გიხარიათ.

10347. ყველა ჩვენგანის ავადმყოფი ფსიქიკა თანაბრად გადანაწილებას მოითხოვს ჩვენს ცნობიერებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, სულით დაავადებამდე ერთი ნაბიჯია.

10348. თავისი მისაგები ყველას დროულად უნდა მივაგოთ – ეს ანგელოზი იქნება, ღმერთის წარმოგზავნილი თუ ჩვენი წინაპრები.

10349. რაც უნდა ვიშრომოთ და ვიღვაწოთ საკუთარი თავისთვის, გვერდზე მიხედ-მოხედვა მაინც მოგვიწევს, რადგან სხვათათვის ანგარიშის გაუწევლად რაიმეს მიღწევა ჭირს.

10350. სიავის ჩადენას ყოველთვის უნდა ვერიდოთ და სხვაც ჩვენ მიმართ მას არ ჩაიდენს.

10351. ინილო-ბინილო საქმიანობა ძალზე მოსაბეზრებელია, მაგრამ უნდა გავწიოთ, სანამდის მოწოდებით საკეთებელს დრო და გარემო არ გვიკარნახებს.

10352. თავში დროულად ჩადებული ჭკუა, შემოსავლის წყაროა და არა იმის ლოდინი, თუ ჭკუაზე როდის მოეგები.

10353. რა მეგობრულადაც უნდა იყო შვილთან, ყველაფერზე ვერ ისაუბრებთ, რადგან გეშინიათ, გული არ ატკინოთ და ისეთი კეთხვები არ დაუსვათ, რაც მისი სულიერების დაზიანებას გამოიწვევს.

10354. ზურგს უკან ყველაფრის კრიტიკა დასაშვებია და სია-მოვნების მომგვრელიც, თუ, ვისთანაც აკრიტიკებთ, ის არ გამოდგა მაბეზღარა და „ჩამშვები“.

10355. ჩვენი ბუნება-გუნების შეცვლა შესაძლებელია, მაგრამ ისიც გარკვეული დროით და არა მუდმივად.

10356. რისკის ალბათობა ყოველთვის არსებობს და იარსებებს. ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს ჩანაფიქრის განხორციელებაში.

10357. რაღაცის კეთება წახალისებას მოითხოვს შენზე ან კარგის ან ცუდის თქმით, რადგან ამის უკეთესი სტიმული უანგარო საქმის საკეთებლად არ არსებობს.

10358. რჩევა-დარიგებას აუცილებლობის გარეშე უნდა ვერიდოთ, რათა დასარიგებლის მეობამ დამცირება არ განიცადოს და ამით ხეირი ნახოს.

10359. თვალის დახუჭვა ადვილია, მისი გახელაა ძნელი დაბოლოებული საქმის საყურებლად და მოსაწონებლად.

10360. თუ მოუდრეკელი ვიქნებით, ერთი შეხედვით მიუღწეველსაც მივაღწევთ, თუ დრო, გარემო და ნიჭი თავის თანადგომას არ დაგვამადლის.

10361. ბიზნესში მეგობრობა არ ამართლებს, ამართლებს მხოლოდ სარგებლის მომტანი ძალისხმევა.

10362. ბაზრის მოთხოვნებს ადრე თუ გვიან ყველა ემორჩილება, რადგან გლობალიზაციისთვის წინააღმდეგობის გაწევა უაზრობაა.

10363. უნებლიე შეცდომები სხვებს არა, მაგრამ საკუთარ თავს უნდა გაუმხილოთ, რთა ისინი აღარ განმეორდეს.

10364. ურთიერთობის გამყარების უმთავრესი საწყისია გულისხმიერება, ურთიერთგაგება და ურთიერთნდობა.

10365. საკუთარ ბედს რაც უფრო გონივრულად შევეჭიდებით და მარწუხებში მოვაქცევთ, მეტ ოფლსაც ვადენთ და შედეგსაც.

10366. არის რაღაც, რაც მეგობრობაზე მაღლა დგას, თუ ის შთამომავლობის გაგრძელების ინტერესს ეხება.

10367. ორატორმა უპირველესად მსმენელი გული უნდა დაიპყროს, რადგან მისი ტვინის დაპყრობა არის კიდეც ლამაზად დაჭრილი სიტყვების მიზანი.

10368. სათნოება, კდემამოსილება და სიყვარულის მადლის ცოდნა ენერგიის მომტანია გონიერებისთვის.

10369. დაწყევლილ კითხვებზე პასუხის გაცემა არარენტაბელურია, რადგან ბევრ უაზრო მითქმა-მოთქმას იწვევს.

10370. ინტელექტიც თავისებური მუხრუჭების ქონას მოითხოვს, რათა ის უგუნურებას არ შეეჯახოს და ვნება არ მიადგეს მის რწმენას.

10371. იმისათვის, რომ წონაში დაიკლოთ, მაცივარს ახლოსაც არ

უნდა გაეკაროთ.

10372. დღეს გაუნათლებლად ყოფნის უფლება არავის აქვს. სწორედ ამისათვის არსებობს ინტერნეტი.

10373. ურთიერობა რაც უნდა ურთიერთნდობით იყოს გამაგრებული, ქაღალდზე უნდა აისახოს, რადგან მახსოვრობას ზოგჯერ ცალმხრივი გულმავიწყობა ახასიათებს.

10374. უდრტვინველი საუბარი, ანუ ჩვეულებრივი ღადავი, ყველას კარგ ხასიათზე აყენებს.

10375. ვეცადოთ სიტყვებით ისე წარმოვჩნდეთ, რომ მასში რაიმე ფეტიში არ იგრძნობოდეს.

10376. ყოველი ქმედება და შემოქმედებითი გაქანება თავისებურ შრომის კულტურას მოითხოვს.

10377. საკუთარ თავსაც პატივი უნდა მიაგო და სხვასაც, ოღონდ ორივეს – ზომიერების ფარგლებში.

10378. ხასიათი ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ მისი დადგენის შემდგომ შესაძლებელია, განსაჯო, ამ პირთან იმეგობრებ, იამხანაგებ თუ უბრალო ნაცნობებად დარჩები.

10379. ვეცადოთ, ბოლომდის არ ვიყოთ რწმენის მონები, თუ მას ჩვენი ჭკუა-გონება ბოლომდის ვერ უგებს ანდა არ ეთანხმება.

10380. ცხოვრებაში მიღწევების გამრავლებას თუ არა, მის შენარჩუნებას მაინც უნდა ვეცადოთ.

10381. სიცოცხლის მადლი მისი ლამაზად აღქმა და შეცნობა-გათავისებაა.

10382. შრომა რომ გიყვარდეს, ამას ბავშვობიდანვე უნდა შეგაჩვიონ, ხოლო ამის შესანიშნავი საშუალებაა სოფლად აქტიური დასვენება.

10383. ყველა სახის გარჯას იდეები მხარს უნდა უბამდნენ და ამხნევებდნენ.

10384. ყველას არ უნდა ვენდოთ, მაგრამ არც ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ნდობის მადლს ზიანი მიადგეს.

10385. თუ ყოველდღიურად დავუკვირდებით საკუთარ თავს, უშეცდომოდ დავინახავთ ჩვენს ნაკლსა და ღირსებას.

10386. მოშურნეთა ქება რომ დაიმსახუროთ, მათზე ერთი თავით მაინც უნდა ამაღლდეთ.

10387. სამწუხაროდ, ბედისწერა ზოგჯერ გონიერების ფასს ვერ აღიქვამს.

10388. ცნობისმოყვარეობაც თავისი მოთხოვნების შესატყვისად უნდა განვსაჯოთ და გავითავისოთ.

10389. სხვათა რჩევებს საკუთარი ჭკუა-გონებაც უნდა შეაგებოთ, რათა წამოჭრილი საკითხი დროულად მოგვარდეს.

10390. სიკეთის ქმნა და უმადურობა უხსოვარი დროიდან ერთ

ულელშია შებმული, ამიტომ ამ უკანასკნელის არ უნდა გვეშინოდეს. უნდა გვახსოვდეს: უმადურობა ადამიანის ქრონიკული დავადებაა.

10391. ამ ბოლოს გახშირდა იუმორში დედის გინება. ეს ზოგჯერ სასაცილოა, მაგრამ, თუ დაუკვირდებით, სატირალია.

10392. თავაზიანობამაც მიჩვევა იცის. კარგი ჩვევაა, რადგან ყველასთვის სარგებლის მომტანია.

10393. თუ კარგად მოვჩხრეკთ, ყველა ჩვენგანში შეიძლება სახალისოსა და საინტერესოს მოძიება.

10394. თუ გონიერს საუბარი ცოდნის მომარჯვებით უხდება, ამგვარი საუბარი უფრო მეტი სარგებლის მომტანია.

10395. შეცდომას ყველა უშვებს, მაგრამ შემცდარი მისთვის შესატყვის მონანიებაზე მწყრალად არ უნდა იყოს, თუ უნდა, შენდობა დაიმსახუროს.

10396. ვისაც ვუყვარვართ გაგვიგებს, ხოლო ვისაც ეჩვენება, რომ ჩვენდამი სიყვარულითაა გამსჭვალული, მათი გაგება სავალდებულო არ არის.

10397. ვაჭრობასაც ცოდნა-შეფასება უნდა დროისა და გარემოს შერჩევით, რათა თუნდაც იმაზე მეტი არ გადაიხადოთ, რაც გადასახდელია.

საქართველო, ქართველები

10398. ხალხს უფერულ მასად გადააქცევს უპერსპექტივო ამბიციებისთვის ფეხის აყოლა და არა ჭკუის მოხმობა, თავისი დროისათვის ალღოს აღება და რეალური პერსპექტივის ხედვა, რადგან უპერსპექტივოა ორი რამ: დღევანდელი საქართველოს უაზრო ბრექი რუსეთის მიმართ და „ნატოში“ შესვლის მცდელობა.

10399. ქართველთა ნაკლში ორგანულადაა შეზავებული ჰონორი, სნობიზმი, ამბიცია, ხალხის მეორეხარისხოვნად აღქმა, წინჭვრეტის უქონლობა, არასწორი პარტნიორის მოძიება, ეიფორია, სხვა ქვეყნებში თავის გამოჩენა და მათი ხელისუფლისადმი ერთგულება, რაც ხელს უშლის ქვეყანაში წარმატებული პოლიტიკის გატარებას; ქართველები არჩევანს გულით, სურვილით აკეთებენ და არა გონება-გამოცდილებით. მათ მარად სხვათა იმედი აქვთ, რომ უშრომლად, ძალთა მოუკრებლად, კარგად იცხოვრებენ ინვესტორების ხარჯზე, ოღონდ თავიანთი თამადობით. რას ვიზამთ: მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ქართველებმა დღემდე ამ ცნობიერებით ვიარეთ, ხოლო, ხვალ რომ რაიმე შეიცვლება, ამის იმედი არ მაქვს. ეტყობა, განგებასაც სჭირდება სამყაროს გასალამაზებლად ასეთი ენდემური, უდავოდ ნიჭიერი, მაგრამ თავისი ხუმტურების მქონე ერი და, სანამდის შემოვრჩებით ამ სამყაროს, ეგ, ეტყობა, ისევ განგების ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

10400. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ქართველების ამბიციური ხასიათის გამო ვარდებით მოფენილ პოლიტიკურ გზას ვერასოდეს გაივლის.

10401. ქართველები თეორიულად იმ პროცესების დაჩქარებას ვცდილობთ, რომლებიც ქვეყნის სახელმწიფოებრიობის წინსვლაზე უარყოფითად მოქმედებს.

10402. ქართველი თავისი ბუნებით, უნდა – არ უნდა, შინაგანად მაინც საკუთარ თავს ეტრაბახება სხვათა დასაშინებლად და თავის მოსაწონებლად, მიუხედავად იმისა, რომ გული კარგი აქვს, მაგრამ გენეტიკა თუ აქვს ასეთი, რა უყოს.

10403. თუ ამქვეყნად ერთხელ მოვდივართ და ვცხოვრობთ, მაშინ პატრიოტიზმზე ყბედობას უნდა შევეშვათ: ან საქართველო უნდა გვიყვარდეს საკუთარ თავზე მეტად, ან, პირიქით. ესაა და ეს ჩვენი დროის ყოფიერების ალგორითმი.

10404. ეროვნული მენტალიტეტი ნაწილია ჩვენი ყოფის, მეობის. ის ყოფის რაგვარობაზე არაა დამოკიდებული.

10405. ქართველს თავისი გაუმართლებელი ყოყლოჩინობით ერთ წამში შეუძლია დაანგრიოს ღვთის ნებით მინიჭებული ნიჭის ნახელავ-ნაჩალიჩარ-ნაჯაფარი.

10406. ქართველებისთვის ერთმანეთში საქმიანი გარიგება უფრო

მოგებიანია, ვიდრე საქმიანი ურთიერთობა, რადგან ის მოჭარბებული ამბიციის გამო თავისი წილი საქმიანობის ალგორითმს გადამეტებით აფასებს.

10407. მთავარია, ეროვნულობის ხარჯზე ტრადიციები არ უარვყოთ. რაც შეეხება მიმართულებებს, მათი განახლება ძველზე დაყრდნობით მისასალმებელია.

10408. მიწაში ფესვების გადგმა ეროვნულობისკენ უფრო დიდი მისწრაფებაა, ვიდრე ვარჯებისა და ტოტების ზრდა.

10409. ქართული იუმორი უბადლოა და გამოირჩევა ცალკეულ კუთხეთა თავისებურებით. ამიტომაც მის აღქმას ამ კუთხეების სულიერებისა და ხასიათის ცოდნა სჭირდება. მხოლოდ ამ ვითარებაში ჩასწვდები მთელ მის ძალას.

10410. ქართველი ყოველივეს გაპატიებს, ჭკუის დარიგების გარდა, რადგან საკუთარი თავი დამრიგებელზე ჭკვიანად მიაჩნია.

10411. ქართველებმა ქვეყნის გარეთ ხელობა უნდა ვისწავლოთ, ხოლო ხელოვნება და ნიჭი შიგნითაც დიდი გვაქვს.

10412. ქართულად გაგებული თავისუფლება, დემოკრატია ნიშნავს შემდეგს: არ ვიმუშაოთ, თავი არ გავანძრიოთ და, ვინც ავირჩიეთ, იმან გვარჩინოს, აბა, რისთვის ავირჩიეთ?

10413. ადამიანმა წარამარა არც რწმენა უნდა შეიცვალოს, არც სახელმწიფო წყობა, თორემ ქვეყანა მარად კაპიტალურ რემონტში იქნება. ამის შესანიშნავი მაგალითია დღევანდელი საქართველო: ხან სოციალიზმი უნდა, ხან – კაპიტალიზმი, ხან რუსეთს ირჩევს მეგობარ ქვეყნად, ხან – აშშ, და, სამწუხაროდ, ეს უგუნურობა დღემდე გრძელდება.

10414. ქართველად ყოფნა სიმფონიაა, ეროვნულობა მისი უვერტიურაა.

10415. არის ქვეყნები, რომლებიც თეორიულად თავისუფლები არიან, მაგრამ პრაქტიკულად ყველასა და ყველაფერზე დამოკიდებულებს უხდებათ ცხოვრება და თავიანთ „კეთილისმყოფთ“ მადლიერი ძაღლის თვალებით შესცინინებენ.

10416. საქართველო ჯანსაღმა და მოაზროვნე ნაწილმა უნდა გადაინაწილოს, სწორედ ისე, როგორც ეს გააკეთა ცამეტმა ასირიელმა მამამ VI საუკუნეში.

10417. დღეს საქართველო ყველა ბედნიერებასთან ერთად სენსაციათა სერიალების სახელმწიფო გახდა: კვირა არ გავა, რაიმე სამარცხვინო სენსაცია არ გამოაცხონ.

10418. პარლამენტარობა მოლაპარაკებას ნიშნავს, ანუ, ჩვენებურად, ყბედობას, და სიტყვის ეს ქართული თარგმანი დღესდღეობით პარლამენტარიზმის აზრს ზუსტად გამოხატავს.

10419. ქართველები ამბიციური მონობისთვის განწირული ნიჭიერი ხალხია და ამ გენეტიკურ კოდს დიდი ხანია ატარებს.

+10420. დღეს საქართველოსთვის დემოკრატია იგივეა, ორკლასდამთავრებული რომ დასვა უმაღლეს სასწავლებელში და გაკვირვება გამოხატო, რატომ ვერ სწავლობსო.

10421. საქართველო ამქვეყნიური ყოფის სასათბურე მეურნეობაა, სადაც სულიერად ლამაზი და სტუმრებისთვის პატივის მიმგები დიასახლისები ტრიალებენ.

10422. საქართველოს მხოლოდ ერთი დიდი დამპყრობელი სჭირდება – ტურისტები.

10423. ქართველთა მიმბაძველობას მაიმუნის გაოცებაც კი შეუძლია, იმდენად მოჭარბებულად არის მათში ყოფიერების არტისტიზმი.

10424. ქართველების საოცრება ის არის, რომ, რეალურად რა უნდათ, თავადაც არ უწყიან. მათთვის ბოლომდის გაუგებარი დარჩა ერთი აქსიომა: კარგი ცხოვრება ოფლის დაუღვრელად და სისხლის დაუნთხევლად არ მოდის.

10425. ჩვენი ქრონიკული დაავადება დროის უნაყოფო ხარჯვაა. იგია ადამიანის ყველაზე დიდი მტერი, რომლის წინააღმდეგაც მფლანგველი ბუნების ქართველი უძლურია.

10426. ქართველებმა ეროვნულობა უნდა ავიყვანოთ რწმენამდე, რათა სხვათა უკეთესი ქვეყანა არ შევიყვაროთ, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა.

10427. ქართველებს უზრუნველი, ამბიციური და ფანტასტიკური ცხოვრება მოგვწონს, მაგრამ სამართალი და სამართლიანობა არ გვაინტერესებს, ხოლო გულგრილობითა და სიზარმაცით ნიჭს ასპარეზს ვუსპობთ.

10428. ქართველობა ამბიციური, ყურდაუგდებელი და ფულით მოსათვინიერებელი ხალხია, მაგრამ ნიჭიერი ერია.

+10429. ამ ბოლო დროს საქართველო იმდენად დაბნეულია ცრუ დაპირებებით, რომ ვერც საყვარლის საფლავს პოულობს „სულიკოს“ სახით და ვერც „ნატომდე“ მისასვლელ კარებს.

10430. ქართული პოლიტიკის არსი ხშირად გადამთიელებში მოკავშირის ძებნაა, იმის მაგიერ, რომ საერთო ენა მეზობლებთან გამონახოს.

10431. საქართველოს მცდელობა, მიეღოთ ევროკავშირში, კრახით მთავრდება, რადგან პრობლემის მქონე ამბიციური ხალხის ამ კავშირში შეშვებას ყველა ერიდება და უფრთხის.

10432. ხალხი იმ ხელისუფლის კმაყოფილია, რომელიც მას მათსავე საკეთილდღეოდ ყურის აწევას არ ამადლის. მიუხედავად მთავრობის კრიტიკისა, ბოლოს მისი მადლიერნი არიან. საჭიროა დავაწესოთ, მგ. ვისაც სამი შვილი არა ჰყავს, მიიღებს პენსიის 50% და 5 წლით გვი-

ან გავა პენსიაში. ასეთი გადახრები საქართველოს კონსტიტუციაში აუცილებელია ერის გასამრავლებლად.

10433. საქართველოს პოლიტიკა მუდამ რემონტს მოითხოვდა და ყველაზე ბედნიერი იყო ის წლები, როდესაც მიმდინარე რემონტი აკმაყოფილებდა.

10434. ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ: საქართველო მარად ოკეანეში უკაპიტნოდ დარჩენილ გემსა ჰგავდა.

10435. რუსებსა და სხვა ერებთან შეხვედრა გაცილებით მეტ ხიბლს იწვევს ჩემში, ვიდრე ქართველებთან, რადგან ისინი ჩემში უპირველესად კონკურენტს ხედავენ და არა მათი მიწა-წყლის სიკეთეზე მზრუნავ თანამემამულეს.

10436. ქართველს ამბიციების გამო ყოველთვის აკლდა საღი წინჭვრეტა. ის უმთავრესად ავანტიურისტ პარტნიორებს ირჩევდა თავისი მიზნების განსახორციელებლად, რაც ქვეყანას შემდგომ ძვირად უჯდებოდა.

10437. ქართველები საკუთარ ნიჭსა და შესაძლებლობებს ხშირად წვრილმანებზე ვახურდავებთ.

10438. ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად მარტო მთავრობის შეცვლა არ კმარა. საჭიროა ხალხის მენტალიტეტის შეცვლაც.

10439. ქართველები ტყეში მოსეირნე დათვის ტყავის დიდი სიზუსტით განაწილებაში არიან მარჯვენი.

10440. ამბობენ: ქართველებზე სამარცხვინო წარსული დღევანდელ ცივილიზებულ ერებსაც ჰქონდათ, მაგრამ ეს ქვეყნები რაციონალურ, დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყნებად იქცნენ, ჩვენ კი დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნაც ვერ მოვახერხეთ, დღესაც ამერიკელებს და ევროპელებს შევციცინებთ თვალებში და მათი ნასუფრალით ვიკვებებით.

10441. ქართულში „ცხვარივით კაცია“ მოყვასს, თავმდაბალ ადამიანს ნიშნავს, ხოლო რუსეთში ცხვარი ყეყეჩ, გაუთლელ მამაკაცად აღიქმება. ასე და ამრიგად, ერთნაირი სიტყვები სხვადასხვა ენაში ერთნაირად ითარგმნება, მაგრამ ემოციური დატვირთვა სხვადასხვა აქვს.

10442. მტრისათვის გონივრულად თავზე ხელის გადასმა დროისა და გარემოს გათვალისწინებით ვერა და ვერ ისწავლა ქართველმა.

+10443. ქართველი გულით ფიქრობს, ემოციებით აზროვნებს, სტუმართმოყვარეობა სისხლში უზის, ბუნებით არაპუნქტუალურია, ჭამის მადას არ უჩივის, გულთბილია, მუსიკალური ნიჭი და ტემპერამენტი არ აკლია, მაშასადამე, არა პოლიტიკური, არამედ კულტურული ერია.

10444. საქართველო, ეტყობა, განგების „პახმელიაზე“ ყოფნისას გაკეთებული ქვეყანაა. ხალხი ნიჭიერია, მაგრამ საკმაოდ მოუწესრიგებელი, განთქმული ფეხებზემკიდიაობით, უყვარს თავის გამოჩვენება და დანაპირების დავიწყება, უტრაკო ყარაჩოღელია და ზოგჯერ გონება-

საც მოუხმობს ხოლმე.

10445. ქართველობა ნიჭიერი, შემოქმედებითი ბუნების ხალხია, მაგრამ ძალად დოყლაპია და საკმაოდ ამპარტავანი. ამავე დროს ერთობ სულსწრაფი. ამგვარ ხალხს ევოლუციის გზით სიარული უჭირს.

10446. ქართული გენი უცხოტომელს უკეთ ემსახურება, ვიდრე თვისტომს, რადგან ამ უკანასკნელს შური არ მოასვენებს – „მან როგორ უნდა მაჯობოს“?

10447. თეორიულად რუსები მამებს მეტ პატივს მიაგებენ – ერთმანეთს მამის სახელით მიმართავენ: ქართველები ერთმანეთს ბატონობით მიმართავენ. მაშ, ორი ერი – ორი მენტალიტეტი, მაგრამ ორივე ერის მიერ პატივის მიგება მოჩვენებითია.

+10448. ეროვნული თვითკრიტიკა საჭიროა, მაგრამ სარგებელი ვერაფერი მოაქვს, მათ შორის ქართველებისთვის, რადგან ყველას ეხება, ხოლო ის, რაც ყველას ეხება, არავის არაფერს ავალდებულებს.

10449. ქართული ჭიდაობა პროვინციაში თავს უკეთა გრძნობს.

10450. ამბიციები ყოველთვის იმას ხედავს, რისი დანახვაც უნდა. ამიტომაცაა, რომ ქართველებს აწმყო არასოდეს „სწყალობს“.

10451. სახლში კვერცხის მდებელი უჯიშო ქართველი მირჩევნია ქვეყნის გარეთ კვერცხის მდებელ ჯიშიან ქართველს.

10452. ქვეყნის შეჯერებული ინტერესები ყოველთვის ყველა სხვა ინტერესზე მაღლა უნდა იდგეს, რადგან ყოველივე სხვა ყურით მოთრეულია.

10453. კითხვა: – შენ რა გაუკეთე ქვეყანას, საქართველოს, რომ ის დაგეხმაროს?! პასუხი: – ხელშეწყობის ჩვენეული მცდელობა – ესეც ქვეყნის დახმარებაა.

10454. საქართველოს პოლიტიკა, ეკონომიკა ხშირად უშვებს გამოუსწორებელ სტრატეგიულ შეცდომებს, რაც ააშკარავებს ჩვენს დილეტანტიზმსა და ამბიციებს.

10455. წინათ თუ რუსების უკანალში გვქონდა თავი შეყოფილი და ჩვენი საჩალიჩო ადგილი ვიცოდით, დღეს ამერიკელები, ჩვენი მცდელობის მიუხედავად, იქ თავს არ გვაყოფინებენ, ხოლო ჩვენგან დამფრთხალი ევროპელები უკანალსაც არ გვაჩვენებენ, რადგან, თუ ღმერთი გაუწყრათ და როგორმე შევუძვერით, თავსაც დავამადლიდით და ჭკუასაც დავარიგებდით.

10456. დაჭმუჭნულ საქართველოს გაუმარჯოს, თავის გაფეტიშებული აზრებითა, და აუხსნელი ოცნებებით, ვინ იცის, რა როგორ გაუმართლებს, თუ მისი დროც დადგა.

10457. ქართველებს მტერ-მოყვრისთვის თვალებში ნაცრის შეყრა მოგვწონს და გვახალისებს კიდეც, რასაც გენეტიკას ვაბრალებთ და არა საკუთარ თავს.

10458. დემოკრატია უსუსური უმრავლესობის მოგონილი ალიბია, თავიანთი უნიათობის დასაფარავად და თავის „წარმოსაჩენად“ – მეც „ნახირ-ნახირო“, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ საქართველოში.

10459. ამდენი უსაქმური, უნიათო, გამორჩენის მსურველი აუტისტი თუ საქართველოს ჰყავდა, ვერ წარმოვიდგენდი, რადგან ყველა პატრიოტს თავის ერზე გაცილებით უკეთესი წარმოდგენა აქვს.

10460. საქართველოში უნდა შეიქმნის „კაცობის პარტია“ და, თუ მისი ლიდერები თავანთ საარჩევნო დანაპირებს ვერ შეასრულებენ, ვალდებულნი იქნებიან, „ხარაკირი“ ჩაიტარონ და დაგვემშვიდობონ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცოდვილმა ხალხმა მათ ვერ გაუგო და მხარი არ აუბა.

10461. ქართველობა, ეტყობა, მაინც ენდემური ჯიშის ხალხია: ნიჭიერი და ფეხებზე მკიდია. ამიტომაცაა, რომ დღემდე მივატანეთ. განგებას არც მთლად გასაქრობად ვემეტებით, არც გასამრავლებლად.

10462. ქართველი მაინც გულით ქრისტიანია, რაც არ უნდა დაბნეული იყოს გონებით.

10463. ქართველები რომ გავერთიანდეთ, საერთო მტერი უნდა გამოვძებნოთ. ვიღაცას ჩვენი უნდა შურდეს, ხელისუფალი დიქტატორი უნდა გვყავდეს, ვიღაცის ჟინი უნდა გვამოძრავებდეს. მაშინ ვიქცევით ქვეყნის მოქალაქეებად და ნაღდ პატრიოტებად.

10464. ღირსეული კამათი პოლიტიკაში ყველას უჭირს, განსაკუთრებით თავიანთ თავზე შეყვარებულ კუდაბზიკა ქართველებს.

10465. ქართულ ეკონომიკას ერთი იმედიღა დარჩა: სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში აღმავლობას მაშინ მივაღწევთ, თუ ჩვენს საკეთებელს გონიერ რობოტებს ავკიდებთ. რაც შეეხება უფროსობასა და მბრძანებლობას – ეგ ჩვენ არ გვეშლება.

10466. აკაკი წერეთელს სულიერად დამყაყებელ ჩვენს დროში რომ ეცხოვრა, შეიძლება გამოთქმაში „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო“ უფრო მწვავე ეპითეტი შეეტანა.

10467. ქართული ფეხებზემკიდიაობა, პირველ ყოვლისა, მომადლებულ ნიჭსა და საკუთარ თავს მტრობს.

10468. ქართველებს გათითოკაცება ძალას გვაცლის, ხოლო განგება იმდენ ჭკუას არ გვაძლევს, რომ ერთმანეთს უპირობოდ გვერდში ამოვუდგეთ და მხარი მხარს მივცეთ.

10469. ჩვენი მიწა-წყლის მქონე კაცმა სხვას მოუსმინოს, დაუჯეროს კი არა, ზოგჯერ საკუთარ თავსაც ანგარიშს არ უწევს და არ ემორჩილება.

10470. ახალი ქართველისთვის უმთავრესია თანამდებობა, პიარი, ფული, შემდგომ მოდის სამშობლო და „რაც გვწამდა ძველად“.

10471. ურთიერთგაუტანლობა, ყოყოჩობა და შური კვანტის გამომ-

კვრელია, ქართული თანდაყოლილი ნიჭისთვის.

10472. განგებამ, ეტყობა, ქართული ჯიში და ვაზის ფესვები ერთდროულად დალოცა. ამიტომაცაა, რომ მათ ერთმანეთი უყვართ.

10473. ქართველთა პენსია ჰუმანიტარულ დახმარებას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე მათ მიერ გაწეული შრომის ჯეროვან დაფასებას.

10474. ქართული პოლიტიკის სტანდარტული ოცნება იყო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ და, ეტყობა, ასეც დარჩება.

10475. იდეალად უნდა ავირჩიოთ ან ღმერთი, ან ეშმაკი, მაგრამ ქართველები ორივეს მიმხრობას ცდილობენ.

+10476. ქართველები მზეს ცეკვით ეგებებიან და არა ხელების დაკაპიწებით.

10477. ქართველები თუ ასე მოხეტიალე და ბედის მაძებარი ხალხი იყო, ნამდვილად არ მეგონა. არადა მათი პატრიოტიზმი და სამშობლოსადმი სიყვარული ყალბი გამოდგა.

10478. წელგამართული, წელღონიერი, წარმატებული საქართველო ჯერ არსადა ჩანს, თავისი ამბიციების მიუხედავად.

10479. ზოგ ქართველს გონიერების მკლავჭიდში ბადალი არა ჰყავს, მაგრამ ხშირად არ აფასებენ და მის დავიწყებას ცდილობენ.

10480. ქართველებმა დღემდე ვერ ისწავლეს ნაძირალა მტრის ჩვეულებრივი მოწინააღმდეგისაგან გარჩევა.

10481. ქართველები სხვა ქვეყნებში იმიტომ ვაღწევთ წარმატებებს, რომ, ჯერ ერთი, ცოტანი ვართ და შედეგად მოშურნეებიც ცოტა გვყავს, ამასთანავე, ერთმანეთში სასუბროდაც არა გვცალია.

10482. ქართველებს სხვის დაკრულზე ცეკვა არ მოგვწონს, მაგრამ რაღაცის გამოჩენისთვის ამასაც ვახერხებთ. ეს ქმნის ჩვენს მენტალიტეტს და ამ მენტალიტეტის შეცვლას საშველი არ დაადგა.

10483. ქართული ცეკვა ცვლილებას განიცდის და ქალთა მოკრძალებისა და გოგმანის ნაცვლად ისინი ჯერჯერობით ვაჟების ზოგიერთ პარტიას ასრულებენ, ხოლო, თუ მომავალში კაცებმა დაიწყეს ქალთა პარტიების შესრულება, მაშინ მარტო ქართული ცეკვა კი არა, არამედ მთელი ქართული ხელოვნება სავიშვიშო გახდება.

10484. ქართველებს თავის მოწონება, ტრაბახი და შური რომ გენეტიკურად არ დაგვყოლოდა, საქმისადმი ასე ფეხებზე მკიდიები არ ვიქნებოდით.

10485. დღეს საქართველოში უზენაესი ღმერთია და სახალხო სასამართლო, და ეს უკანასკნელი ცდილობს, პირველს სამართლიან განსჯაში არ ჩამორჩეს, იმისდა მიუხედავად, რომ მოსამართლის „დანიშვნა“ თითქოს არჩევით ხდება.

10486. მართალია, ქართველებს ჩვენს ჭკუაზე ლაღი ცხოვრება გვირჩევნია, მაგრამ ამას ვერ ვახერხებთ ურთიერთშურიანობისა და

სიზარმაცის გამო, და განტევების ვაცად ხან მუსლიმანურ ვაჰაბიზმს ვაქცევთ, ხანაც – ველიკორუსულ შოვინიზმს, ხანაც – ჩვენდამი ევრო-ამერიკულ გაუგებრობას.

10487. საქართველო თავისი ტრადიციებით ძალზე მომხიბვლელი ქვეყანაა. ამიტომ სხვათა დასანახავად მარად პოდიუმზე დგომას ცდილობს.

10488. ყველა ქართველი ცნობადობის ოლიმპზე ასვლის ღირსია, თუ გაუმართლა.

10489. ქართველები ამ სამყაროში თავს ობლებად მიიჩნევენ, თუმცა შანსი აქვთ, უამრავი მოყვარე იყოლიონ.

10490. საზოგადოდ, ყველა პენსიონერი უკმაყოფილოა პენსიის ოდენობით, მაგრამ ქართველი პენსიონერები უკმაყოფილონი არიან კვადრატში, კუბში, ბინომში.

10491. ქართველებს მოგვწონს სამყაროს დაყოფა კლანებად, კავშირებად, იმისდამიუხედავად, რომ ეს დაყოფა-გადანაწილება ჩვენი საქმე არ არის და არც არავის უთხოვია.

10492. საქართველო მუდამ სხვა ქვეყნების შეკეთება-შეკედლებით იყო დაკავებული, რათა თავისი უნიათობა დაემალა.

10493. ქართველებისთვის ჭკუის სწავლება უაზრობაა, დარიგება – წყლის ნაყვა, რადგან საკუთარ გამოცდილებაზე ფეხის წატეხვითაც ვერაფერს სწავლობს – ყველაფერში დამნაშავეა მისი ამბიციები და გენი.

10494. საქართველოს საგრძნობ ზიანს მარად ცრუ ლიდერები აყენებენ. ეს კი ნიჭიერი ხალხის უაზრო ამპარტავნობის ბრალია.

10495. ქართველობა მარად სამშობლოს აღვირახსნილ სიყვარულს ქადაგებს, მაგრამ რეალურად რა სურს, თავად ვერ გაურკვევია.

10496. ქართველებს მაშინაც კი არ გვეხერხება ამპარტავნობის გარეშე ცხოვრება, როდესაც ქვეყანა უგუნურებისა და გონიერების გასაყარზეა და ერთი ტკბილი სიტყვითა და მოთმინებით გაცილებით მეტის მიღწევა შეიძლება, ვიდრე სიჯიუტით და ჩვენთვის გაუცნობიერებელი სიახლის მიღებით.

10497. „ბოტანიკ“, „ჩაინიკს“ ქართულად გამოქლიავებული შეესატყვისება, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვებს სხვადასხვა დატვირთვა აქვს.

10498. ამბიციები, შური, ღალატი, სირცხვილის გაუცნობიერებლად ყბედობა– აი, ჩვენი ერის ისტორია, ანუ უმეტესი წლის მარათონი, გარკვეული სპონტანური გამონათების გამოკლებით.

10499. ქართველები დღესაც მირთმეული საცივის ოდენობით განსაზღვრავენ თავიანთ ასაკს, რადგან საცივს მხოლოდ ახალ წელს აკეთებენ.

10500. პატრიოტიზმი, ქვეყნის სიყვარული, ვაჟკაცობა ეროვნუ-

ლობის ძირითადი საწყისია და, თუ ყოველივე ეს ერის გამრავლებას არ ემსახურება, მაშინ მხოლოდ ქართული სუფრა და ყანწის ტრიალი შეგვრჩება ხელთ.

10501. ეტყობა, განგებასაც თავისი მშობლიური სახლი აქვს, რადგან მან საქართველო სათავისოდ, მონდომებით ამშობიარა, მაგრამ გადამეტებული მცდელობისგან, ეტყობა, რაღაც დაუზიანა.

10502. ღვინოს დადუღებასავით ქართული პოლიტიკის დაღვინება რომ შეგვძლებოდა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

10503. ქართველებს ოცნებით წინჭვრეტა გვიყვარს და არა რეალური წინხედვა.

10504. მოყვარესაც ჩვენი გადასახედიდან და ჩვენივე თამადობით ვეძებთ.

10505. იცოცხლე, მოლხენა კარგი ვიცით, მაგრამ პოლიტეკონომიაში მოლხენისა რა მოგახსენოთ.

10506. საქართველოში სტიქიური უბედურების მთესველებად გვევლინებოდნენ: ბიზანტიელები, არაბები, მონღოლები, ირანელები, თურქები და სხვა ბევრი გადამთიელი. ხოლო სტიქიურ ბედნიერებად: დავით აღმაშენებელი, თამარი, რუსთაველი, გიორგი ბრწყინვალე და სხვა ამგვარნი. ამიტომაცაა, რომ დღესაც ღვთის გაჩენილს ელოდება ქართველი და ხელს სასიკეთოდ ამიტომაც არ ანძრევს.

10507. შაჰ-ნაგაზებისა და სულთან-ძაღლიშვილების ძალადობას ქართველებმა დიპლომატიის ტვინი ვერ დაახვედრეს, რადგან ურთიერთშური და ამბიციები ამის საშუალებას არ იძლეოდა.

10508. „ბუში“ ქართულად ნაბიჭვარია, ამერიკულად კი – აშშ პრეზიდენტი.

10509. საქართველო ვადაგასული პრეზიდენტების სათეს-სამკელი ქვეყანაა.

10510. პატრიოტისთვის საქართველო მარად დიდი და დიადია, მისი ტერიტორიების შემცირება – გადიდების მიუხედავად.

10511. საქართველოს ბედი მომავალი სიდიადისთვის არის განწირული, ყოველ შემთხვევაში, ამას ოცნებობს ყველა ქართველი.

10512. საქართველო თავისებურად ეგზოტიკური ქვეყანაა. იგი თეორიულად მოწინავე ქვეყნების რიგში უნდა იდგეს, მაგრამ ჩამორჩენილი სახელმწიფოების გვერდში დაუფარავი ამბიციებით დგას.

10513. საქართველო, წესით, ორ ზღვას შორის გადაჭიმული ქვეყანა უნდა იყოს, მაგრამ კუდი აქვს მოჭრილი აღმოსავლეთ-დასავლეთისკენ და ფრთები აქვს შეკვეცილი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

10514. სამუშაო ადგილების შექმნაა მთავარი და არა ყბედობა, რომ, „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“.

10515. საქართველო საბჭოთა ხანაში ქათმებით სხვა რესპუბლიკებს

ამარაგებდა. დღეს ქათმის ფარში და ბარკალი უცხო ქვეყნებიდან შემოგვაქვს და ეს ჩვენი პოლიტიკის დაცინვაა ჩვენსავე ეკონომიკაზე.

10516. ძუძუმწოვარ პოლიტიკოსთა ხანა საქართველოში არ მთავრდება და ესეც, ეტყობა, ქართული სიზარმაცის ბრალია.

10517. საქართველოში პირველი კაცობა დღეს სახელისა და სახრავისთვის არის გამოგონილი და არა წაღმართ საქმეთა საკეთებლად.

10518. სამწუხაროდ, აკაკი წერეთლის სასურველი „ჩანგურივით“ საქართველოს აწყობას საშველი არ ადგება, რადგან გონიერების სიმების ჩადგმა – აწყობას არავინ ცდილობს.

10519. ნამდვილი ქართული პოეზია ის ანკარა ჩანჩქერია, რომელსაც სტილისტის ფილტრი არა სჭირდება.

10520. ქართველობის დასამტკიცებლად „ჩოხოსნობა“ შემოვიდა მოდაში და არა რეალური საქმის გულით კეთება.

10521. საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ, შევნიშნავთ: ქართველს მარად სხვათა იმედი ჰქონდა ყოველთვის ყოველი დამპყრობლის დასამარცხებლად, იმის ნაცვლად, რომ მასთან საერთო ენა გამოენახა და საჭირო დროის მოსვლამდე თავის დაკვრა გაეგრძელებინა.

10522. დემოკრატია, თავისუფლება საქართველოსთვის ის მულაჟია, რომელსაც ალმაცერად უყურებს, მაგრამ მისით ტკბობას მაინც განიცდის.

10523. საქართველოს ტერიტორიის ერთი მესამედი ტყეს უჭირავს. მიუხედავად ამისა, მეტყევეობა დღემდე იმ მეწველ ძროხად მიაჩნიათ, რომელიც მოვლა-პატრონობას არ საჭიროებს. ეს უყურადღებობა რომ მომდევნო თაობებს ცხვირში ამოარტყამს, ეს დღევანდელ ხელისუფლებას არ ანაღვლებს.

10524. ქართველ კაცს ვაზი იმიტომ უყვარს, რომ მისი ნაწური გულს უმხიარულებს, ხოლო ჭაჭის ჯაჭვი გონებას უთბობს.

10525. ჩვენს კუდაბზიკობას საშველი არ დასდგომია და არც არასოდეს დაადგება.

10526. დრო არ გვწყალობს თუ დროს არა სწყალობენ ქართველები – ეს ჩვენი მარადიული განჯის საგანია.

10527. ქართველის უნიათობას, ფეხებზემკიდიაობას რა ვუთხარი, თორემ მისი ნიჭის პატრონი ყოველგვარი ახლის დამნერგავი უნდა იყოს და გადამთიელს არ უნდა უყურებდეს „უკანალში“.

10528. პრობლემების დაყენება დიახაც ზარ-ზეიმით ხდება, ოღონდ მათი გადაწყვეტის აღსანიშნავად „მრავალჟამიერის“ დაგუგუნება იშვიათად თუ უწევთ.

10529. იმედია, ადრე თუ გვიან საქართველოს რაღაც ეშველება, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანი ამას ვერ მოესწრება.

10530. უგუნურების ვაი-უის ბაზარი საქართველოში დღემდე საქმი-

ანობს, თანაც ისე, რომ ერთმანეთს ევაჭრებიან და ნიშნსაც უგებენ.

10531. ცრუქაქუნა პარლამენტარებმა საქართველოს პოლიტიკა გარყვნეს და რეალური ეკონომიკა მოშალეს.

10532. ქართველებს დიდი ხანია ხმალზე ხელი არ გაგვიკრავს, მაგრამ თვალი მაინც მისკენ გაგვირბის ძველ და ამაყ დროთა გასახსენებლად.

10533. ჭირი მოგვჭამა ქართულმა ფეხბურთმა და, როდის დაიბრუნებს ძველ დიდებას, არავინ უწყის. ალბათ, არასდროს, რადგან ფეხბურთი დღეს ქვეყნის ეკონომიკაა და არა უბრალოდ თამაში.

10534. საქართველოს ყველაზე მეტად შური, ღალატი, გაუტანლობა ვნებდა, ვიდრე ათასი რჯულისა და ფერის გადამთიელთა შემოსევა.

10535. ქართველისთვის ფესვებს, ანუ დევიზს „ვისი გორისა ხარ“, დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაზე ლეგენდებს თხზავენ, იმისდა მიუხედავად, რომ იმ წინაპართა ფესვებს დღევანდელი გადასახედიდან იმედი ხშირად გაუცრუებიათ.

10536. ქართველებს გენში გვიზის: ვიღაცას უნდა ვეამხანაგოთ, მივეკედლოთ და ჭკუის დარიგებაც შევაპაროთ.

10537. საქართველო ის ქვეყანა არაა, ნეიტრალიტეტი აიტანოს, მიუმხრობელ ქვეყნად იქცეს. მისი მოწოდებაა, სახელმწიფოთა რაიმე კავშირში ცხვირი შეყოს.

10538. საქართველო ჩარჩო-ხელშეკრულებაში ჩასასმელ ქვეყნად არ გამოდგება მისი გუნებისა და გენის გამო.

10539. დიდ გონებას და ცნობადობას ვნატრობთ, „დიდგორობით“ ვამაყობთ.

10540. ჰაოსი და ქართლოსი კი იყვნენ ძმები, მაგრამ ზოგჯერ მათ შთამომავალთ ეს ავიწყდებათ, რადგან ერთმანეთს ეჯიბრებიან და თავის უკეთ წარმოჩენა უნდათ.

10541. ერეკლე მეორეს, რომელსაც ბრძოლებში ხმლით მიყენებული 82 ჭრილობა ამშვენებდა, ზოგიერთი ვიგინდარა ისტორიკოსი რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას შეცდომად უთვლის და არ ითვალისწინებს იმდროინდელ ზნეობას, როდესაც ღალატი ქართველებს სისხლში ჰქონდათ გამჯდარი.

10542. სასიამოვნოა, როდესაც მსოფლიო ბალეტის უმაღლეს ლიგაში საქართველოს წარმომადგენლებს საპრიზო და პირველი ადგილი უჭირავთ, მაგრამ განუსჯელთ ამის გაცნობიერება უჭირთ.

10543. საქართველოში დაბადებული ბედის ვარსკლავს სამშობლოში ყოველთვის ვერ ნახულობს და მას უცხოეთში დაეძებს, ხშირად პოულობს კიდეც!

10544. კაკალი საქართველოში ყველაზე დაფასებული ხეა. მისგან დიდებულ მერქანს, ნაყოფს, ნუგბარს და კულინარიის შედევრს საცივს

ამზადებენ, მაგრამ მის ჯეროვან რეკლამირებას ვერ ვახერხებთ.

10545. უფროსთა უყურადღებობის, გულგრილობის ბრალია, რომ ბიჭები საკუთარი დედის შეურაცხყოფით გარანტიას იძლევიან და თავიანთ სიმართლეს ამტკიცებენ: „ჩემი დედა მოვ...ან, თუ ასე არ იყოსო“, და ვერც კი აცნობიერებენ, რომ ქართველის ბუნებისთვის ეს ძალზე შეუფერებელია.

10546. ზოგს პატრიოტიზმზე ყბედობა შეღავათების მისაღებად და დროის მოსაკლავად სჭირდება და არა საქართველოს რეალური ინტერესების დასაცავად.

10547. ქართველების უმთავრესი ნაკლია: მოსმენის იგნორირება და დაუნახაობა, საშუალო ნაკლია: სიზარმაცე, ცხოვრების უცოდინარობა, ფეხებზემკიდიაობა, ღირსებაა: ნიჭი, ორიგინალური აზროვნება, ხელოვნებისა და მეცნიერებისადმი ლტოლვა.

10548. პატრიოტიზმი არის ორგვარი: რეალური და არარეალური. პირველ შემთხვევაში სასურველ შედეგს ვიღებთ, თუ ის დროსთან, გარემოსთან, მოთმინებასა და პოლიტიკურ წინხედვასთან არის შერწყმული. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია სისხლის უაზროდ ღვრა, ქვეყნის დაჩმორება და კვლავ სხვა ძლიერი ქვეყნების უკანალში შეძრომა. მათ კი შენ ფსონში ჩასადებად უნდიხართ. მგ. დღევანდელმა საქართველომ რუსეთის ბაზრები დაკარგა, ხოლო მისი დაბალი ხარისხის პროდუქცია ევროკავშირში არავის სჭირდება, ურთიერთდაპირისპირებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

10549. ქართველები „გენეტიკურად“ დაწყევლილები ვართ შემდეგი სიტყვებით: „შენი არ გაცოდინოს და სხვისი არ გაგაგონოს“.

10550. საქართველო დღესაც უნიჭო და მახინჯი ბუნების მქონე ავანტიურისტების სამართავი გახდა.

10551. წინათ თუ სოფელს ერთი გიჟი ამხიარულებდა, დღეს ამას მთელ საქართველოში დეპუტატობისა და პრეზიდენტობის კანდიდატები წარმატებით ახერხებენ.

10552. უცხოური უპირატესობის ძებნაში ძირძველ, უკეთეს უპირატესობას ვკარგავთ – დღევანდელ საქართველოს.

10553. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას, როგორც ქართველს, თავი ამაყად მეჭირა, რადგან რაღაც-რაღაცებს „უფროსი ძმების“ უხიაგობას ვაბრალებდი; დღეს, როდესაც დამოუკიდებელნი ვართ და ქვეყნის მმართველობასა და მის მოუვლელობაში „ჩავისვარეთ“, ჩემს სიამაყეს ფრთები კი არ შეეკვეცა, მთლიანად დაეჭრა.

10554. 30 წელზე მეტია, მთელი საქართველოს პოლიტიკური „ელიტა“ და მისი მხარდამჭერები – ეგრეთ წოდებული „ამომრჩევლები“ ყვერების ფხანითა და მასში მახათის გაყრით არიან დაკავებულნი. ეს ხალხისთვის საქმის კეთება ჰგონიათ და ზოგი უნიათო ამით თავსაც კი

იწონებს.

10555. „შენ ხარ ვენახი“, „იავნანა“, „ჩაკრული“ და სხვა მისთანები ქართული სიმღერის სიდიადის მარადიული ჰიმნებია.

10556. სამამულო რქად გამოსადეგ აზრებს ქართველებს ამბიციები და შური არ გამოახატვინებენ.

10557. ამდენი ვაი-მოყვარე და სიკეთის „მთესველი“, ქართველებს რომ ჰყავს, ღმერთმა ყველას აშოროს.

10558. ქართველები სანამდის უსუსურ ლეკვობას არ გავშორებივართ, კავკასიურ ნაგაზად თავის მოჩვენებასა და დიდგულობას უნდა შევეშვათ, თუ გვინდა ერი ვამრავლოთ და შემდგარი ქვეყანა დავტოვოთ.

10559. სხვის ომში, სხვათა ქვეყანაში ქართველებს თავის გამოჩენა-წარმოჩენა მოგვწონს, ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენს თანამემამულეებს დავუმტკიცოთ ჩვენი ძალა და ერთგვარად ჭიტლაყიც კი ამოვკრათ ჩვენი დაუფასებლობისათვის.

10560. შური, ამპარტავნობა, გაუტანლობა, ვითომდა სამართლანობის სახელით ბრძოლა ქართველთა გენეტიკური დაავადებაა.

10561. ქართველობა ძნელი არ არის, მისი ამბიციების მოთოკვაა ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც.

10562. ქართველები იმქვეყნად გარდასულ ერის შვილთ უფრო ვაფასებთ და პატივს მივაგებთ, ვიდრე ამქვეყნად მყოფსა და ენერგიით სავსეს, რადგან კონკურენციას ვერ ვიტანთ, ხოლო იმქვეყნად გადაბარგებული არც ხარკს ითხოვს და არც ხელფასს.

10563. საქართველო მარად იყო და დარჩება ურთიერთქიშპობისა და დროებითი გამონათების ქვეყნად.

10564. ქართველთა მარადიული ოცნების – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე საზღვრების გადაჭიმვა – განხორციელება დღევანდელ მშვიდობიან მოლაყბე ინვალიდთა მასის საქმე არ არის.

10565. ერის მთელი უბედურება ისაა, რომ ქართველებმა სხვა ქვეყნებში ბედის ძიება ისწავლეს ერთმანეთის ქიშპობითა და წამხედურობით.

10566. ქართული სახელმწიფოებრიობისთვის ყველაზე მეტი ზარალი ქართველების დაპირისპირებას, უნდობლობას, ყოყლოჩინობა აქვს მიყენებული.

10567. ობოლ ერად მანამდე ვიგრძნობთ ქართველები თავს, სანამდე ჩვენი თავის ნაღდი პატრონები თავადვე არ გავხდებით.

10568. საქართველო ყოველთვის იმ გადამთიელთ ეკედლებოდა, რომლებიც მისი გულისთვის თავს მაინცდამაინც არ გამოიდებდნენ და მხოლოდ დაპირებებით შემოიფარგლებოდნენ.

10569. საქართველო მართლაც „საბლატაო“ ქვეყანაა, მაგრამ, სამ-

წუხაროდ, აქ ღირსეულნი ვერ „ბლატაობენ“, თავიანთ შესაძლებლობებს ვერ ავლენენ.

10570. სამგზავრო ბილეთის აღებას ავტობუსში მოკალათებული მორიტორინგის თანამშრომელი გვაიძულებს. ევროპულ კულტურას ზუსტად ამდაგვარად მიტმასნებული ძალად ევროპელები ვართ ქართველები, აღმოსავლური მენტალიტეტის მქონენი, რაც თეორიულად არ მოგვწონს, ხოლო პრაქტიკულად რაცა ვართ, ნათელია.

10571. ანდაზებით, აფორიზმებით, სადღეგრძელოებით ცხოვრება ქართველებს ძალზე გვიადვილდება და მოგვწონს. და, ალბათ, შემდგომშიც მოგვეწონება, ეტყობა, გენი ითხოვს.

10572. საქართველოს ნიჭიერების მზე, ჩვენი ხალხის გადამკიდე, უგუნურების გამო გაჩენილ ჭრილობებს იშუშებს, იმის ნაცვლად, რომ ბრწყინავდეს, ანათებდეს.

10573. ქართველები განგების რჩეული ხალხი ვართ, – ასე ვამბობთ, თუმცა კი არა გვჯერა.

10574. ამბიციური ქართველი, ვისაც ღვთისგან არ აქვს მომადლებული მმართველობის ნიჭი, მოთმინება და მოსმენის უნარი, ხელისუფლებაში არ უნდა მოვიდეს, რადგან ის დიდ ზიანს მიაყენებს ქვეყანას.

10575. ქართველები თითქმის ყველასგან რაღაც სასიკეთოს ვსწავლობთ, მაგრამ ნასწავლი მაინც ჩვენი ჭკუის შესატყვისად საეჭვო და არასრულყოფილი გამოდის, რადგან ბოლომდის მოსმენის უნარი წართმეული გვაქვს და არც გვესაკლისება.

10576. სამწუხაროდ, ქართველები 21-ე საუკუნესაც, წასულ საუკუნეთა მსგავსად, უნიათოდ ვიყენებთ. ამაში ისევ და ისევ ხელს გვიშლის ჩვენი ტრადიციული ნაკლი – შური, დაუნახაობა, გაუტანლობა და მოსმენის უნარის უქონლობა.

10577. ქართველობა ქართველებისთვისაც ძნელია, მაგრამ, ეტყობა, სამყაროს მრავალფეროვნებისთვის აუცილებელია ქართველი ერის არსებობა.

10578. სანამდე ქართველები გადასახადის ნებაყოფილობით გადახდასა და მოსმენას არ ვისწავლით, მანამდე ჩვენი საშველი არ იქნება.

10579. ქართველებს სხვა უარყოფით თვისებებთან ერთად ერთი უმთავრესი დაავადებაცა გვჭირს: მოსმენის უნარი არ შეგვწევს, ხოლო, თუ მოვისმენთ, აუცილებლად საწინააღმდეგო უნდა ვთქვათ.

10580. შეუმოწმებელი პოლიტიკოსის მხოლოდ ყბედობისთვის არჩევა და თავზე დასმა პარადოქსია. ამ პარადოქსებით სავსეა დღევანდელი საქართველო.

10581. დღეს საქართველო სერიალების მსგავსად ცხოვრობს, მაგრამ, სანამდე გეხალისება ამ სერიალების ყურება და როდის მოგბეზრდება ამ უნიათო, ნაძალადევ ვაჟკაც პოლიტიკოსთა ყურება, თავადაც

არ იცი, საბრალო ქვეყანავ.

10582. თავისუფლება-დემოკრატიის ქარტია და ჩვენი ხალხი „მაიმუნისა და სათვალის“ იგავ-არაკს გვაგონებს: რამდენსაც არ ეცადა ქართველობა, ეს უცნაური სათვალე მოერგო, არაფერი გამოუვიდა.

10583. ქართველები ამაყები, რაღაცით ბედნიერები, სტუმართმოყვარენი, გონებით ლამაზები, სიყვარულით განმსჭვალულნი და ბევრი სხვა სიკეთით დაჯილდოებულნი არიან, მაგრამ ყველაფერი ეს წყალში ეყრებათ მაქსიმალიზმის, მოსმენის უუნარობისა და „უტრაკო ყარაჩოღელობის“ გამოისობით.

10584. ქართველი კაცის შეხედულებათა ცვალებადობა ასაკის მიხედვით: 10 წლამდე – მე ქართველად დავიბადე; 20 წლამდე – მე ქართველი ვარ; 30 წლამდე – ქართველები ყველაზე უკეთესნი ვართ, 40 წლამდე – ვგონებ, ვცდები; 50 წლამდე – ეჭვი გამართლდა; 60 წლამდე – ნერვებს გიშლით მასმედიაში მათი უსაგნო ყბედობა; 70 წლამდე – ქართველების რეაბილიტაციას ვცდილობ; 80 წლამდე – ხელი ჩაქნეული გვაქვს. 90 წლამდე – უკვე ყველაფერი სულერთია; 100 წლამდე – არ გავცივდე, გრიპი არ შემეყაროს.

10585. ქართველი სულით რაინდია, სიკეთის მდომია, მაგრამ შურიანობა ბოლომდე რაინდად ყოფნის საშუალებას არ აძლევს.

10586. უმადური, ვითომდა დაპყრობილი ერის ქართველი ქალები, თავის დროზე „ტრაკზე ბუზს რომ არ ისვამდნენ“, ახლა საზღვარგარეთელ დავრდომილებს ტრაკს უწმენდენ. ამით მათი უმუშევარი ქმრები „ამაყობენ“, რომ მათი მეორე ნახევრები დასაქმდნენ, ოჯახს ფულს უგზავნიან და თავსაც აყვედრიან, რომ საქართველოში ოჯახს უვლიან და პატრონობენ.

10587. გრძელვადიანი წინდახედული გეგმა, მოთმინება და დროის შერჩევა ყოველთვის უგულებელყოფილი იყო ქართველების მიერ, რადგან, ჩვენი მოუთმენელი ბუნების გადამკიდეს, ყველას თავის სიცოცხლეში ახლა და მყისიერად სწადია შედეგის მომკა.

10588. ქართველები უპასუხისმგებლო ინდივიდები არიან, ე.ი. უაზრო ყარაჩოღელები.

10589. ქართველებმა ჩვენს ბედს, განგებას, მეზობლებს, მტრებსაც კი მადლობა უნდა შევწიროთ, რომ ლუარსაბ თათქარიძისა და ყვარყვარე თუთაბერის სამშობლოში კიდევ სასიკეთო საქმენი კეთდება და ამ ღვთის ნაჩუქარ მიწას აქამდის შემოვრჩით.

10590. „ფუთხის“ კი არა, უარესის ღირსი ხარ დღეს, შენ, საქართველო, რადგან წარსულის შეცდომებიდან კვლავ ვერაფერს სწავლობ.

10591. ზოგი ვითომდა თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყანაა, ფაქტობრივად სუვერენიტეტგამოცლილია და რა ორინტაციისაა, თავადაც არ უწყის. მაგ. დღევანდელი საქართველო.

10592. ქართველი თავისი ფეხებზემკიდია, ამბიციური ხასიათის გამო ხშირად თავისსავე ქვეყანაში თამაშგარე მდგომარეობაშია, რადგან ის პედანტურ შრომა-გარჯას ვერ ეგუება.

10593. ჭკუასაკითხავი კაცის გვერდში ამოყენების უნარი, განსაკუთრებით საქართველოში, ერთეულ გონიერთ აქვთ.

10594. მათხოვრობის, ფულის მოძიების ორი სახე არსებობს: ქუჩისა და ხაზინის. ქართველებს ეს უკანასკნელი უფრო მოგვწონს, არც პირველზე ვამბობთ „ტკიცინა“ უარს.

10595. დღეს საქართველო რუსეთის მიერ „პახმელიაზე“ შექმნილ ქვეყანასა მოგვაგონებს.

+10596. ქართველებს გვაქვს წინდაუხედავი ამბიციები და წინააღმდეგობებისადმი თეატრალური წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

+10597. ხვალე კეთების სინდრომი ეროვნებით ქართველია.

10598. ღირსეულ ქართველს საქართველო ხშირად დედინაცვლად ევლინება, იმდენად დიდია შეჯიბრი კარიერის მოპოვებასა და მე არ მაჯობოს შორის.

10599. კუდის ყავარზე შემოდება ქართული ამპარტავნობის ანიცაა და ჰაეც.

10600. ქართული პოლიტიკის წინდაუხედაობა, უნიათობა ძირითადად შურის, ურთიერთგაუტანლობის, ურთიერთარმოსმენის შედეგია და ეს ერის გენეტიკური ნაკლია. რა ქნას ამ საწყალმა ღმერთმა – ნიჭს რომ გაძლევს, რაღაც ხომ უნდა დაგაკლოს. სხვა ერებსაც ხომ უნდათ არსებობა.

10601. გარემოს, დროის შესატყვისად მართებულად მოქცევა ყოველთვის პატიოსნებას როდი ნიშნავს, მაგრამ წინდახედულება აუცილებელია.

10602. დიდ ნიჭს თუ თან ქართველობა არ დაებედა, მას თავისი გონიერების მადლის შეცნობა გაუჭირდება.

10603. ზოგჯერ, ჩემდა უნებლიეთ, შემომიჩნდება უხიაგი აზრი: ჩვენ დიდად გაუტანელი, ამბიციური, წინდაუხედავი, დაუნახავი და ამპარტავანი ხალხი ვართ და სამწუხარო ის არის, რომ ამის გამოსწორებას საუკუნეთა ალიყურები არ შველის.

10604. თანამემამულის მსოფლიო მოქალაქეთა ელიტურ გუნდში დასახელება ხშირად დროის, გარემოსა და პოლიტიკური სპეკულიაციის შესატყვისად კეთდება. მგ. ქართული ფულის 200 ლარიან ბანკნოტზე გამოსახულია ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახე.

10605. გადავხედოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას: რამდენი შეცდომა და არა გადაცდენა გვაქვს დაშვებული ათი საუკუნის განმავლობაში! რომ არა ეს შეცდომები, დღეს საქართველოს ტერიტორია, სულ მცირე, ორჯერ მეტი უნდა ყოფილიყო დღევანდელთან შედარებით, ხოლო მო-

სახლეობა – ხუთჯერ მეტი.

10606. ოჯახის წევრებისა და ნათესავებისაგან შორს ყოფნა ქართულ ტრადიციებს ძალზე ვნებს და ერს გადაგვარებისკენ უბიძგებს.

10607. საქართველო დღემდე „გაჯართებული“ ქვეყანაა. ის ჯართს იბარებს და მიზერულ თანხად ყიდის, იმის მაგივრად, რომ ამ მასალით კონკურენტუნარიანი პროდუქცია გამოუშვას და ქვეყნის ეკონომიკასა და ხალხს შვება მოუტანოს.

10608. საქართველო მარად გარე მფარველის ძებნაშია, ოღონდ თავისი ნების სხვისთვის თავზე მოხვევის სურვილით და, თუ შესაძლებელია, თავისივე უფროსობით.

10609. უმტროდ ცხოვრება, ეტყობა, ქართველებს ადუნებს, რადგან მათ კარგი ცხოვრებისა და სხვათა ჯობნისკენ აქვთ მიდრეკილება და ამისათვის თანამოძმეების საზიანოდ ბევრ უკადრებელს იკადრებენ.

10610. ქართველი ბუნებით ნიჭირია და არა ბრძენი, რადგან სიბრძნე მომავლის განჭვრეტას გულისხმობს.

10611. დღევანდელ ევროკავშირში გარეშეთა ყოველგვარ უგვანობაზე შეშფოთებას გამოხატავენ, რადგან თავად ფუფუნებით მცხოვრებნი სხვათა სამართლიანობის ძებნის გულისთვის თავიანთ სახელმწიფოებრიობასა და სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩაიგდებენ. სამწუხაროდ, ბევრ ქართველს ეს არ ესმის.

10612. ყვარყვარეთა ოდენობა, ცნობიერების ერთგვარი გაზრდის მიუხედავად, საქართველოში არ კლებულობს.

10613. ორი გვირგვინის – დემოკრატიისა და თავისუფლების – თავზე მორგება ქართულ მენტალიტეტს ჯერჯერობით უჭირს, რადგან არსებულ გენეტიკურ ამპარტავნობას არაფერი შველის.

10614. დღეს საქართველო მოგვაგონებს იმ მათხოვარს, რომელიც ყველას ევედრება: ოღონდ ფული დააბანდეთ ჩვენს ქვეყანაში (ჩვენი წილის და წვლილის გათვალისწინებით) და ყველა შეღავათის მოცემაზე თანახმა ვარო და ეს მაშინ, როდესაც სსრ კავშირში ყოფნის დროს აქეთ გვეხვეწებოდნენ ფულის საქართველოში დაბანდებას, ქარხნებისა და დასასვენებელი სახლების აშენებას და ტურისტების ნაკადებით უზრუნველყოფას.

10615. ქართველებმა მოყვასის სიყვარულიც უცნაური ვიცით და სიძულვილიც. პირველი სულიერების ნაყოფია, მეორე – წინდაუხედავი შურისა.

10616. იმ უცხო ქალაქში, სადაც ბევრი ქართველია, ქართული „შანს პეპელობა“ ჭირს, რადგან „შანსაობის“ დიდი კონკურენციაა. მე, მაგალითად, სამშობლოში გასამგზავრებელი ბილეთების ურიგოდ შოვნა უკვე მიჭირდა.

10617. სამწუხაროდ, ქართველებს სახელმწიფო აზროვნება გვი-

ჭირს, რადგან საკუთარ „მეს“ წინ ვაყენებთ. ამიტომაც ერის ფასეულობაზე საუბარი ყალბი გამოგვდის.

10618. ქართველებს აქვთ ბევრი გენეტიკური და დროის უკუღმართობით შეძენილი ნაკლი, რომელთა აღმოფხვრას საშველი არ ადგება.

10619. ქართველებს ერთი მოურჩენელი სენი გვჭირს: გვინდა ჩვენმა ახლობელმა საქმე აკეთოს და ყოველგვარი პასუხისმგებლობის აუღებლად დავარიგოთ და წილში ჩავუჯდეთ.

10620. ქართველები, შეიძლება, უნიკალურობით გამოვირჩეოდეთ და არა განსაკუთრებულობით, მაგრამ ერთი პირობით: არც სხვაზე უკეთესები ვართ, არც უარესები.

10621. დღეს ქართველების არარეალისტურ ეროვნულ შეგნებასა და არაადეკვატურ აღქმას დაემატა სიზარმაცე, შური, გაუტანლობა, სულიერების დეფიციტი, მოჩვენებითობა და სხვა ბევრი შესამჩნევი თუ შეუმჩნეველი ცოდვა; შემორჩა მხოლოდ სტუმართმოყვარეობა, მოყვასის სიყვარული და ზოგჯერ ქველმოქმედება. აქედან რა რას გადაწონის, არავინ უწყის.

10622. ქართული სადღეგრძელოს უმთავრესი შარმია გულიდან წამოსული აზრიანი გულწრფელობა.

10623. ზოგჯერ ხელისუფალთა უსუსურობაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ ქართველებს ტოლერანტობას გვასწავლიან და ხელისუფალნი ვერ ახერხებენ ჩვენი შემწყნარებლობის დასაბუთებას. მათ არ ახსენდებათ ან არად დაგიდევენ იმას, რომ თბილისში მართლმადიდებლურ ეკლესიათა გვერდით მეჩეთი, სინაგოგა, სომხური და კათოლიკური ეკლესიები ერთდროულად ასრულებდნენ თავიანთი რჯულისა და რწმენის მსახურებას, ხოლო სადღესასწაულო დღეებში ერთმანეთს დღესაც სტუმრობენ და ევროპული თანასწორობის მაგალითად მოყვანა თავისებური დაცინვაა ქართველი ხალხისა.

10624. ქართველობა ნიჭიერი ხალხია ბუნებით, აღზრდით, თავის გამოდებით, მაგრამ, თუ შეშურდათ, ხშირად წინდაუხედავები, ამბიციურები და მოსმენის უნარდაკარგულები ხდებიან.

10625. მოუთმენლობასაც თავისი საზღვრები აქვს. საჭიროა მათი გონივრულად დაცვა. ამ საზღვრების შეძლებისდაგვარად დაცვა საბოლოოდ გაცილებით უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე უაზრო ყოყლოჩინობა და სხვათა იმედზე ყოფნა. სამწუხაროდ, ქართველებს ისტორიულმა გამოცდილებამ ვერაფერი ასწავლა.

10626. „მინდა“ როდი ნიშნავს რეალობას. ქართველი ამბობს: „ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა“. საამისოდ კი ნეკსაც კი არ ანძრევს.

10627. ილია ჭავჭავაძის „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ ყველა დროისა და ყოველი ქართველის სახარება და ყურანია.

10628. ქართველ საზოგადოებასა და ქართულ ბრბოს შორის განსხვავების მოძიება საკმაოდ ძნელია, მაგრამ ამ უკანასკნელის გამომზეურება დიდი ბედენა არაა.

10629. ქართველებს ყველაზე მეტად „გვამართლებს“ ის, რომ ძალზე გვიჭირს რეალობის აღქმა. ეს კი ჩვენი რომანტიკული ხასიათის შედეგია.

10630. საქართველოში ეკლესიაში მისვლა და პირჯვარის გარდასახვა, უფრო მეტად სამსახიობო როლის შესრულებაა, ვიდრე სერიოზული ლოცვა.

10631. ქართველ ერს ერთი დადებითი თვისება აქვს. ეს გენეტიკურია თუ აღზრდის შედეგი, არავინ უწყის. აქ მას არავითარი ანგარება და ქვენა გრძნობები არ ამოძრავებს. ეს არის ვითარება, როდესაც სტუმარს იღებს და ისტუმრებს.

10632. მოსმენის უუნარობა, შური, გაუტანლობა რომ არა, ქართველი თავისი ნიჭის მეშვეობით გაცილებით მეტს გააკეთებდა თავისივე ქვეყნის საკეთილდღეოდ.

10633. ქართველების მთავარი მტერი და მთავარი მოყვარე მისი მაქსიმალიზმია, რომელიც მას ხშირად წარმოაჩენს, როგორც პიროვნებას, და მიწაზე დასცემს, როგორც ბრბოს აქტიურ წევრს.

10634. ქართველებმა ერთმანეთს თუ კვანტი არ გამოვკარით და თანამდებობის დაკავებაში არ შევეცილეთ, მაშინ რანაირი „გიჟ ვრაცუა“ ქართველები ვიქნებით?!

10635. სსრკ შემადგენლობაში ყოფნისას ქართველი ნაცარქექიები დიდ დევს რუსეთს სიყვარულის და ერთგულების ფიცით შეეკრნენ, მაგრამ კეთილი ვითარება ვერ შეიშნოვეს, ზურგი უჩვენეს, ხოლო სხვა ვერ მოიხელეს და ამჟამად დგანან ასე უმისამართოდ შუა გზაზე და საითკენ გადადგან ნაბიჯი, ვერ გაუიგიათ.

10636. სსრ კავშირში დაფასებული „მონობა“ სჯობდა თუ დღევანდელი დაუფასებელი მოჩვენებითი თავისუფლება, დღესაც დიდი განსჯის საკითხია.

10637. წინათ თუ სსრკ თითის დაქნევაზე იყო აწყობილი ქართული მენტალიტეტი, დღეს ევროკავშირსა და ამერიკას ეთითლიბაზება.

10638. ყველა კავშირი კაბალაა საქართველოსთვის, რადგან გაცილებით მეტს მოელის, ვიდრე ამას იმსახურებს და ეკუთვნის.

10639. საქართველოს ტერიტორიების დაკარგვა, ძირითადად საკუთარი გაუაზრებელი პოლიტიკის და ვიგინდარების ქვეყნის სათავეში მოყვანის შედეგია. უნიათობამ საქართველოს ყოფილი ისტორიული სივრცე ნიკოფსიიდან დარუბანდამდე დროთა განმავლობაში საგრძნობლად შეცვალა და შეამცირა.

10640. საქართველოში საქმიანი ადამიანებიც იბადებიან, მაგრამ

არაორგანიზებულობისა და გაუგებრობის გამო ხელისუფლებაში უნიჭო, მომხვეჭელი, ავანტიურისტი პოლიტიკოსები უფრო იკიდებენ ფეხს.

10641. დღეს საქართველოსადმი „ევროკავშირისა“ და „ნატოს“ დამოკიდებულება შემდეგნაირადაა გამოხატული: შვილი მოვალეა, მოხუც მშობლებს უპატრონოს, ხოლო, თუ იმქვეყნად გადაბარგდება, დიდად არ ნაღვლობს.

10642. საქართველო ყოველთვის იყო მსოფლიო ცივილიზაციების თავშეყრის ადგილი, იმისდა მიუხედავად, ის ამით სარგებლობდა თუ არა.

10643. თუ ქვეყანას, ხელისუფალს, პიროვნებას ბედი არ სწყალობს, მას არც კომპრომისებზე წასვლა შველის. ვახტანგ VI ყასიდად მაჰმადიანიც იყო, კათოლიკობაზეც თანხმობას აცხადებდა, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა, მაინც საქართველოდან წასვლა და უცხოეთში გადახვეწა მოუწია.

10644. ქართველები, ეტყობა, „ესთეტიკურად უდარდელი“ ხალხი ვართ. ეს უდარდელობა ერთგვარი შარმია ხელოვნებაში, ოღონდ ფიასკოა პოლიტიკაში.

10645. ქართველები ეტყობა პროცესს უფრო ვაფეტიშებთ, ვიდრე შედეგს და ესაა ჩვენი გათავხედებული მეობის ნაკლი.

10646. ქართველებს ერთობ ხელშესავლები ისტორია გვაქვს. იგი სავსეა ღალატისა და ურთიერთგაუტანლობის მაგალითებით.

10647. ჩვენი პატრიოტული ქმედება უნდა იყოს ამგვარი: შევქმნათ ყველა ძლიერ ქვეყანაში სერიოზული ქართული სათვისტომოები, გამოვიყენოთ ისინი ეროვნულ მშენებლობაში.

10648. ჩვენში სტუმრის კულტია. სტუმარი ქართველს თავისი ბუნება-გუნების გამოვლენის საშუალებას აძლევს.

10649. ქართველებს სისხლი კარგი გვაქვს, მას რომ ზოგჯერ შურის, გაუტანლობისა და „იმან როგორ მაჯობოს“ ვირუსი არ ეყრებოდეს.

10650. სამწუხაროდ, ქართველებს გვაქვს სხვათა ხელით საქმის კეთების მიდრეკილება.

10651. ცივილიზაცია რაციონალიზმის გარეშე ცხვირს არ შეგვაყოფინებს თავის ბუნაგში. ქართველებს ეს არ გვესმის. ჩვენ ხომ ჩვენი „უნიკალურობის“ გვჯერა.

10652. ნაღდ და პატრიოტ ქართველებს რომ 2-3 საუკუნის წინათ გამოჩენილიყო და შეექმნა ნაღდ ქართველთა პატრიოტული გაერთიანება, სადაც ოჯახს უნდა ყოლოდათ და აღეზარდათ სულ მცირე 5 ვაჟკაცი, თუნდაც 2-3 ცოლისაგან, მაშინ მრავალშვილიანობა მოდაში იყო და ეს შესაძლებელი იყო როდესაც საქართველოს მეფემ ვახტანგ მეექვსეს რუსეთში საცხოვრებლად გაჰყვა 1200 ქართველი, რომლებსაც მაშინდელმა რუსეთის მთავრობამ ქ. მოსკოვში, დღევანდელ „მალაია გრუზ-

ინსკაია“ ქუჩაზე გამოეყო მიწის ნაკვეთები და სახლების მშენებლობაში დაეხმარა. დღევანდელი გადასახედიდან თეორიულად ქართველების ოდენობა ამ სამყაროში, სულ მცირე მილიარდ ნახევარი უნდა იყოს დაუშვათ ამ პატრიოტულ გაერთიანებაში გაწევრიანების სურვილი გამოეთქვა 32 ოჯახს, 64 სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებს, რათა სისხლის აღრევას ადგილი არ ჰქონოდა. ეს იქნებოდა იმდროინდელი დასახლების 10-12%. ქვემოთ მომყავს ქართველების გამრავლების საორიენტაციო ცხრილი, რუსეთის იმდროინდელ ტერიტორიაზე, რომლებიც ნაკლებად იყო დასახლებული:

1725	32	„მალაია გრუზინსკაიას“ ქუჩა
1750	160	„ბალშაია გრუზინსკაიას“ ტერიტორია, პროსპექტი
1775	800	კრასნოპრესინსკი რაიონი
1800	4000	ცენტრალნი ოკრუგი
1825	20000	ქ. მოსკოვი
1850	100000	პოდმოსკოვიე
1875	500000	რუსეთის დასავლეთის ტერიტორიები
1900	2500000	რუსეთის ჩრდილოეთის ტერიტორიები
1925	12500000	რუსეთის აღმოსავლეთის ტერიტორიები
1950	62500000	რუსეთის სამხრეთის ტერიტორიები
1975	312500000	ციმბირი
2000	1562500000	შორეული აღმოსავლეთი

10653. დემოკრატია ურთიერთგაგების კანონთან შერწყმის უზენაესობაა, ხოლო საქართველოში ამ სახის დემოკრატიას კანონის დიქტატურის დაუმყარებლად სასურველი შედეგი ვერ მოაქვს.

10654. ქართველებს ნიჭი და საწყისი აღზრდა კარგი გვაქვს, მაგრამ ნიჭისთვის შესაფერისი სამუშაო ადგილის სიმცირის ან უქონლობის გამო მორალურად ვირყვნებით, თუ სხვა ქვეყანაში არ დავსაქმდით.

10655. ქართველები დღეს იმდენს უკაკუნებენ ევროკავშირს, თქვენს რიგებში მიგვიღეთო, რომ, ალბათ, როდესაც კოდალას სტატუსს მოგვანიჭებენ, მაშინ მიგვიღებენ.

+10656. დღევანდელმა ქართულმა დემოკრატიამ დაგვანახა: ენას ძვალი სჭირდება და შუბლს – ორმაგი ძარღვი, რათა ქვეყანაში განუკითხაობამ არ დაისადგუროს.

10657. ქართველებს მარად სხვათა გამოგონილ ცხოვრებაში გვიწევს ცხოვრება, რომელსაც ბოლომდე ვერ ვუგებთ, ვერ ვეგუებით და ჩვენი ჭკუისდა მიხედვით ვასწორებთ.

10658. სსრ კავშირში ყოფნის დროს თუ კანონს ვარღვევდით, საქმესაც ვაკეთებდით, ხოლო თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში კანონსაც ვარღვევთ და არც საქმეს ვაკეთებთ, თან საქართვე-

ლოს ვირტუალურ მიღწევებზე ვტრაბახობთ.

10659. საოცარი მენტალიტეტის და ბედის მქონენი ვართ ქართველები. ჩვენი დამოუკიდებლობის გარანტად გადამთიელებს ვირჩევთ და ვენდობით (ბიზანტია, რომის იმპერია, აშშ და ა.შ) იმის მაგივრად, რომ მეზობელ ქვეყნებთან გამოვინახოთ საერთო ენა.

10660. ვენახის მოვლა იმიტომაც ხომ არ უყვართ ქართველებს, რომ თავშეყრის მიზეზს და წატრაბახების საშუალებას იძლევა?!

10661. ისეთ გეოგრაფიულ არეალში ვცხოვრობთ, თითქოსდა ქართველებს სხვათა სამათხოვრო არაფერი გვჭირს, მაგრამ გენეტიკურ შურს, გაუტანლობას, მოთმინების უქონლობას ვერ აჯობა განგების მიერ მომადლებულმა ნიჭმა.

10662. ცნობილი ჩინური წყევლაა: გარდაქმნების ეპოქაში გეცხოვროთო; შენი არ გცოდნოდეს და სხვისი ნუ გაგაგონოსო; ახალგაზრდა ხელისუფალი გყოლოდეთ და ისიც ფილოსოფოსიო – აი, რა სიზუსტით წარმოაჩენს ეს გამონათქვამები დღევანდელი საქართველოს ვითარებას.

10663. ღვინის გონივრულ სმას ჭეშმარიტ დამეგობრებამდე მივყავართ, ეს განსაკუთრებით ამბიციურ ქართველებს ეხებათ.

10664. ქართველები საკუთარი თვითნაბადი ნიჭის მოღალატენი და მისი არდამფასებელნი ვართ.

10665. ქართველები იმდენად ამბიციურები და განუსჯელები ვართ, რომ გადამთიელებთანაც კი თავის მოუწონებლად ურთიერთობა გვიჭირს.

10666. სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს ოფიციალურად მაინც გვერქვა მოძმე რესპუბლიკა, დღეს ევროკავშირში არაოფიციალურად თავშეფარებულები, ფაქტობრივად კოლონიის სტატუსით ვიმყოფებით და ამას ვერ ან არ ვაცნობიერებთ. ასე რომ, საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ მოუპოვებია.

10667. ქართველები გარდაცვლილს მოჭარბებულად იმიტომ აქებენ და წარმოაჩენენ, რომ მასში კონკურენტს უკვე ვეღარ ხედავენ თანამდებობისა ადგილის დასაკავებლად.

10668. მოსახლეობის უნიათობის ბრალია „ვირტუალური ოცნებით“ ცხოვრება და სხვათა იმედით ყოყლოჩინობა. მგ. ამჟამინდელი საქართველო.

10669. საქართველოს ხშირად ისეთი ადამიანები მართავდნენ, რომელთა პროფესიონალიზმი, პატრიოტიზმი, გონიერება „პლინტუსების“ დონეზე დაბლა იდგა.

10670. განვითრებულ დასავლეთს ისტორიულად სიწმინდე არასოდეს ჰქონია. მისთვის ყველა საბოლოო გადაწყვეტილება ვაჭრობისა და გარიგების ობიექტი იყო. სამწუხაროდ, განვითარებადი ქვეყნები, მათ

შორის საქართველოც, ამას არ „ხვდება“, რადგან ხშირად იმედს იმ უიმედო იმედზე ვამყარებთ, რომელსაც დროის გაწელვა-გაცდენა ჰქვია.

10671. ქვეყნის არცერთი თავისუფლება არ ღირს ტყეების განადგურების ხარჯზე რუსეთიდან საქართველოს 26 m^3 ხე-ტყე შეჰქონდა.

10672. მცირერიცხოვან ერებს მოჭარბებული ამბიციები და გადამთიელის იმედი აქვს.

10673. ქართველისთვის ივერია „ქრისტეს კუნძულია“, რომელიც, მისი წარმოდგენით მარად აღზევებისთვის არის შექმნილი. თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად სხვაგვარადაა: თუ განგება დროებით მაინც არ გვიბოძებს ქვეყნის სათავეში პიროვნებას, ამ კუნძულს აყვავება არ უწერია.

10674. სასურველია, დღევანდელმა ქართველმა ქალებმა ევროპის ცივილიზაციისკენ მიმავალი გზა მათთვის ჩვეული აზიური მუხრუჭებით გაიარონ.

10675. ქართველებმა სუფრაზე ის ვერ მოახერხეს, რომ ერთ ხმაში ემღერათ და ახლა ჩვენ გვინდა, რომ პოლიტიკაში ერთმანეთს გაუგონ?!

10676. მეგობრობა, ახლობლობა საოცრად კარგი ვიცით ქართველებმა, მაგრამ ასევე კარგად ვიცით გაუგებარი და არაადეკვატური ღალატიც.

10677. პოლიტიკაში რომ მუდმივი მეგობრობა არ არსებობს, ეს აქსიომაა, მაგრამ ქართველებმა ამ დებულების არსი ვერ გავიგეთ.

10678. ქართველი თავის ტყავში ხშირად ვერ ეტევა, იმდენად უყვარს სტუმრიანობა და თავის წარმოჩენა.

10679. ქართველებს საერთოდ კარგი დამოკიდებულება აქვთ სხვა ერის წარმომადგენლებთან, მაგრამ ბრბო ჰყავს უმადური, წინდაუხედავი და მოსმენის უნარდაქვეითებული.

10680. ჩვენს ხალხს სამი ნაკლი აქვს: უკანალს იქ ათამაშებს, სადაც საჭირო არ არის, უპერსპექტივო იდეალებსა და კერპებს ეთაყვანება და დასაბუთებული საყვედურის მოსმენა არ უყვარს.

10681. საქართველოს მსგავს ლამაზსა და ხიბლის მქონე ქვეყნებს ყოველთვის მრავლად ჰყავდათ რეალისტური ხედვის პოლიტიკოსები და კრიტიკული განსჯით გამორჩეული პატრიოტები. ამიტომაც დგანან დღეს საქართველოზე წინ.

10682. დღევანდელი საქართველო, ეკონომიკურად კასტრირებულია, იმდენად უნიათო და ევნუხური სულიერების მინისტრებითაა დაკომპლექტებული მისი ხელისუფლება.

+10683. ქართველ საზოგადოებასა და ეროვნულ სუფრას თავისი მადლი აქვს, მაგრამ ჩვენს სუფრას ზომიერება და ერთგვარი შემართება სჭირდება, რათა სადღეგრძელოები და სუფრა ერთმანეთს სიგრძით კი არ დაემსგავსოს, არამედ – აზრით.

10684. ქართველი რაც უფრო დიდ ყანწს დაცლის, როცა სამშობლოს სიყვარულის სადღეგრძელოს წარმოთქვამს, უფრო მეტად უყვარდება მამული. ყოველ შემთხვევაში, მას ასე სწამს.

10685. ჩვენი სახელმწიფოს შექმნის ალგორითმს კი არ ვეუფლებით და ვასწავლით, არამედ საზღვარგარეთ „შატალოზე“ დავძვრებით და სხვათა იმედით ვიკვებებით და ვარსებობთ.

10686. ჯერჯერობით ქართველები ძალზე გაბრაზებული, ყველაზე განაწყენებული, ვითომდა თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებელი ხალხი ვართ, სინამდვილეში ხელთ შეგვრჩენია უნიათო ქვეყანა, რაკიღა ერთი გონიერი ხელისუფლის გამოძებნა ვერ მოგვიხერხებია.

10687. იმედია, ქართველებს მომავალი მაინც დაგვდებს პატივს, მიუხედავად იმისა, რომ აწმყოს „ჭრაჭუნს“ ალღოს ვერ ვუღებთ.

+10688. ღმერთმა ქართველებს ნიჭი უბოძა, მაგრამ ჭკუა დაუმალა.

10689. ხონში დავიბადე, თბილისში გავიზარდე, საქართველოში ვიღვწოდი, რუსეთში ვმუშაობდი და ვცხოვრობდი, ხვალ-ზეგ, შეიძლება, მარსზე გადასახლებაზე უარი არა ვთქვა. შედეგად ჩემი სამშობლო მთელი დედამიწა გახდება და არა სოფელი კონტუათი, ხონს რომ ეკუთვნის. ასე რომ, მომავალში სამყაროს შეუცნობელი ქროლვა რას გვიქადის, არავინ უწყის, რადგან, შეიძლება, მომავალში არც პლანეტა მარსზე შევყოვნდეთ და სხვა ციურ სხეულზე მოგვიხდეს გადახვეწა, შედეგად ჭირს მოგვჭამს ქართველობა და მისით თავის მოწონება.

10690. დღევანდელი საქართველოს ხელისუფალთა შემხედვარეს ძალაუნებურად აღმოგხდება სიტყვები: „ეს კომუნისტები, თურმე, რა კარგი ადამიანები ყოფილან“.

10691. ამბიციების აღზევებას მათი დაცხრომა სჯობს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი ზიანი ადგება ეროვნულობას. მაგ. მონღოლებისა და რუსების ბატონობის ხანაში ქართველობას რომ მათი დამპყრობლური ზრახვები სათავისოდ გამოეყენებინა დროულად ღალის გადახდით და საჭირო ქრთამის გაღებით, დღეს საქართველოს ტერიტორია და მოსახლეობა არსებულზე 2-3-ჯერ მეტი იქნებოდა. ისტორიის კაპრიზები შექმნილი ვითარებისთვის დროულად ალღოს აღებას მოითხოვს

10692. ქართველებს ურთიერთობაში სითბოსა და სიყვარულის მადლი არ გვეშლება და ეს მანამ, სანამდის საქმეში შური და სხვისთვის ჯობნის სურვილი არ ჩაერევა.

10693. უახლოეს მომავალში „ახალ ქართველს„ „ვირეშმაკობით“ განთქმული ბებერი ევროპა აღარ დაჭირდება, რადგან მან თავისი უნიათო დემოკრატიის დრო მოჭამა და თვითდაჯერებული, საკუთარი თავის გარდა, ვერავის მოატყუებს, თუნდაც მიგრაციული პოლიტიკით, რომელიც კრახისთვისაა განწირული.

10694. ქართველს გულით ვერ გაუგებ: ყველა კეთილია, მაგრამ ყველა შურიანია.

10695. დღეს ისეთი ვაი-პოლიტიკოსები მომრავლდნენ საქართველოში, რომ თავიანთი კარიერისა და ქონების შესანარჩუნებლად შოთა რუსთველსაც კი გააკრიტიკებენ, ცილს დასწამებენ და მის სამარცხვინო ბოძზე გაკვრასაც არ დაიზარებენ.

10696. ქართული ტრადიციების ჩამოყალიბებაში სადღეგრძელოებსაც თავისი წილი მიუძღვის.

10697. ქართველები წინდაუხედავი და ამბიციების მქონე ხალხი ვართ. ეს თანდაყოლილ ნიჭს არ გამორიცხავს და არც ერის სიკარგეს.

10698. სომხები დაგვცინიან: „გიჟ-ვრაცუა“ ქართველები ფულისა და თანამდებობის გულისათვის მშობელ დედასაც კი გაყიდიან და შემდგომ აღებულ თანხას შენვე დაგახარჯავენ, თავსაც მოიწონებენ და დიდებულად გაგიმასპინძლდებიანო.

10699. ჩვენ, სამწუხაროდ, ის ამპარტავანი, მოჩვენებითი ხალხი ვართ, რომელმაც არც ნაღდი მტრის ცნობა იცოდა და არც მოყვრისა და აქ უმთავრესად დამნაშავეა საკუთარი შესაძლებლობების შეუფასებლობა და ზედმეტი ამბიციები.

10700. ზოგჯერ შენი წინაპრების გინების ხასიათზეც დგები, როდესაც ხედავ, რომ ორ ზღვას შორის გადაჭიმული საქართველო კასპიის ზღვის მისადგომებთან ტერიტორიებს არ ფლობს, მაგრამ, რომ დაუფიქრდები, ისტორიას გადახედავ და, ამასთანავე, ადამიანების უგუნურ ბუნებასაც თუ გაითვალისწინებ, მათი შექების ხასიათზე დგები იმის გამო, რაც მათ შეინარჩუნეს.

10701. მშვიდობაზე უკეთესი ამქვეყნად არაფერია, მაგრამ ჩვენ აზრს ავანტურისტული ბუნების ხალხს ვერ შევაგნებინებთ. ამიტომაც ხშირად უგუნური და უგვანო დაპირისპირების შედეგს ვიმკით.

10702. ბევრი ქვეყანა დღეს სახელმწიფოებრიობაზე დებს თავს, მაგრამ ისინი ფაქტობრივად ტერიტორია გახლავთ, რომელსაც „მართავენ“ ტვინგადაბრუნებული მედროვენი.

10703. მოსავლის აღებას ლოცვა არ შველის. ამას თავის განძრევა და ხელის გამოღება უნდა. საქართველოში დროა, ვენახი ბადით გადავხუროთ, რათა მოსავალი სეტყვისაგან ვიხსნათ.

10704. ქართველებს გენეტიკურად ბევრი კარგი რამ გვაქვს და ცოტა ცუდი, მაგრამ ზოგჯერ ეს ცუდი კარგს ნიშნს უგებს და ძირს უთხრის.

სამშობლო, ერი, პატრიოტიზმი

10705. სამშობლოს ვალიდან განთავისუფლების მცდელობა იგივე სიბრიყვეა. უსამშობლო კაცი არარაობა ხდება.

10706. სამშობლო სინამდვილეში მშობლიური ენა, ადამიანებია, ადგილია, რომელიც მშობლებმა საცხოვრებლად აირჩიეს. რთული და გაუგებარი აქ არაფერია.

10707. სამშობლოდ ის ქვეყანა აღიქმება, რომელიც გასაქმებს და შენს კაცურ სიბერეს უზრუნველყოფს, ხოლო ნოსტალგია სხვათა დასანახავად თავის მოტყუებაა.

10708. ერი, სამშობლო, პატრიოტიზმი, თანამოძმეთა სიყვარული – ყოველივე ამის პატივისცემა წინაპართა წინაშე ვალის მოხდის მცდელობაა.

10709. სამშობლო ხშირად მასზე უგონოდ შეყვარებულ იმ პატრიოტსა სჯის, რომელიც ცდილობს თავის ხალხს, ქვეყანას მთელი სულით, გულითა და სიყვარულით ემსახუროს, მაგრამ დროის ყისმათი და მოშურნენი კვანტს უდებენ და ამის საშუალება-უფლებას არ აძლევენ.

10710. ხშირად სამშობლო თავის პოტენციურ გმირებს უსამართლოდ ექცევა, რადგან მათი ჯერი ჯერ არ დამდგარა. მაშ, ნაადრევად გამოსულ ყვავილს სუსხი ახმობს.

10711. სამშობლოს სიყვარული და ეგოიზმი შეუთავსებელია, მიუხედავად პირველის მიმართ დაგროვებული მრავალი წყენისა.

10712. სამშობლოში განავარდება და სასიამოვნო დაღლა ყველა ემიგრანტის სურვილია.

10713. სამშობლოს სიყვარული ხშირად ჩვენს კეთილ სურვილებში, ოცნებაში გვერევა. საბოლოდ მაინც მისდამი მერკანტილურ დამოკიდებულებას ვიჩენთ.

10714. სამშობლოს სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, მრავალშვილიანობით, შვილთა ღირსეულად აღზრდით გამოიხატება და არა პატრიოტული ამბიციების აღზევებით, ციხეში უაზროდ ჯდომითა და უმემკვიდრეოდ გადაშენებით.

10715. ბევრი ჩვენგანი სამშობლოს ვირტუალურად ვეკუთვნით და არა რეალურად, რადგან ჩვენ უმთავრესად ტრადიციების, ახლობლების წინაშე ვიხდით ვალს და არა ქვეყნის აწმყოს წინაშე.

10716. ქვეყნის მეხრედ ყოფნა ბედის რჩეულთა ხვედრია.

10717. არის საკითხი, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება, თუ მას ეროვნულობის სული ასდის.

10718. მაგიური მიმზიდველობა რომ არ ჰქონოდა სამშობლოს ცნებას, ის არ იარსებებდა.

10719. პატარა ერებმა, დიდი ერებისაგან განსხვავებით, პატარა შეცდომაც კი არ უნდა დაუშვან, რათა სანანებლად არ დაურჩეთ.

10720. სიტყვა „სამშობლოს“ აგდებულად ისიც კი არ ახსენებს, ვისთვისაც ის „მეწველ ძროხად“ არის ქცეული.

10721. ეროვნულობას, ენას და კითხვას – „ვისი გორისა ხარ“ – სკლეროზი არ უნდა გავაკაროთ.

10722. ღალატიც, სიყვარულიც, უგულებელყოფაც შეიძლება პლატონური იყოს, მაგრამ არა სამშობლოსთან მიმართებით.

10723. ალბათ, სამშობლოა ის ქვეყანა, რომელიც ოცნებების ახდენის საშუალებას გვაძლევს, ჩვენზე ჩვენივე დახმარებით ზრუნავს, სიბერეს გვიხალისებს, თუმცა ხშირად სიცოცხლეში არც არაფერს გვიფასებს.

10724. არსებობს აზრიანი, საყოფაცხოვრებო და უტუ პატრიოტიზმი. პირველის მიზანია დროის შერჩევა, ჩასაფრება, გამრავლება, მეორისა – თავის წარმოჩენა, ემოციების ფრქვევა, სამართლიანობის ძებნა, მესამისა – ფეხის ხმის აყოლა, არარეალური ოცნებებისთვის ფრთების შესხმის მცდელობა, დაუოჯახებლობა და ახალგაზრდული მაქსიმალისტური უმწიფრობის გამოვლენა.

10725. აფექტში ჩადენილი ყველა პატრიოტული ქმედება თავისი არსით არის ავანტიურა, რომელსაც შეიძლება რეალური შედეგი არ მოაქვს, მაგრამ ირგვლივ მყოფთა პატივისცემასა და შექებას იმსახურებს.

10726. როგორ დავიბადეთ, არავინ უწყის, მაგრამ როდის და სად, მშობლების გადმოცემით, ყველამ ვიცით, ხოლო სამშობლოს სიყვარული კი აღზრდისას ჩვენმა ახლობლებმა უნდა ჩაგვინერგონ.

10727. დაბადების ადგილის მონატრებას ადგილის დედა განაპირობებს.

10728. ერის წინაშე დიდი დანაშაულია არაკაცებში კაცად ჩაწერა, რადგან ისინი დღევანდელობის აფექტით ცხოვრობენ და არა მომავლის ეფექტით.

10729. ყველა ერს ბევრი უვარგისი ქვა და ღორღი აქვს ჩაყრილ-ჩახერგილი თავისი ქვეყნის ისტორიაში, რომლის მოძიება და უმტკივნეულოდ გადაყრაც ჭირს.

10730. სიცოცხლეში ერის უნიჭიერესი შვილი აწმყოს სათანადოდ ვერასოდეს დააფასებს. მის შეცნობას დიდი დროის ჭაშნიკი სჭირდება.

10731. ყველა ერი, მისი ისტორიის შემხედვარე, საცემია, მაგრამ ამ ცემითაც არაფერი გამოდის, რადგან ყველა შეცდომის განმეორება თავიდან იწყება.

10732. თუ შენი მეობა-საქმიანობით მასშტაბური ხარ, პატარა ქვეყანაში საქმის კეთება ჭირს.

10733. სიყვარულის, ურთიერთგაგების, პატივისცემის უქონლობა იწვევს სამშობლოს სიყვარულის გაუფასურებასა და ზნეობის დაქვე-

ითებას.

10734. სამშობლოსთვის ის უნდა გავაკეთოთ, რასაც დრო ითხოვს და არა შენი მოსაზრება.

10735. ერის აჩქარება უმთავრესად დამღუპველია იმ გაგებით, რომ მას გაუთვალისწინებელი შეჯახება უხდება მისთვის უცხო და სანატრელ ყოფასთან.

10736. ერის წადილის შესატყვისი რწმენა და ამ წადილის აღსრულების უნარი გვაქცევს მის დასამახსოვრებელ შვილად. ოღონდ ეს უცბად როდი ხდება, ამას ხანგრძლივი დრო სჭირდება.

10737. სიკეთის კეთებასაც ცოდნა უნდა. ის უნდა ემსახურებოდეს ქვეყანას, ერის წარმოჩენას და შემდგომ – გარკვეულ პირებს, მოსახლეობას.

10738. ერი წინ იხედება და დროებით იჭირვებს, ხალხი კი დღევანდელობით ცხოვრობს და წინ არ იყურება.

10739. ხელშეუხებლობა დროებითია, ადრე თუ გვიან გადაგივლიან, გაგაქიაქებენ, შემდგომ სტატუსს აღგიდგენენ. ასე შეხვალთ ქვეყნის ისტორიაში და ესეც ერთგვარი ხეირია.

10740. ერს ასულდგმულებს ნაღდი კულტურა და მან არ უნდა განიცადოს მენტალური დეგრადაცია.

10741. ეროვნულობა ის ფენომენია, რომელიც თავის გადარჩენას ყველა საშუალებით ცდილობს, რადგან უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს.

10742. პროფესიონალიზმისა და მოქალაქეობრივი პოზიციების შერწყმა ბადებს ერის ღირსეულ შთამომავლობას.

10743. სამშობლო ყველაზე მეტად ხმის არმქონეთ უყვართ, სანამდის ფულს იშოვნიდნენ და გაირყვნებოდნენ.

10744. ერის რაობას ღირსება წარმოაჩენს და არა მისი რაოდენობა.

10745. სახელმწიფო ხალხისგან სისხლის გაღებას მოითხოვს, სამშობლო – სიყვარულს.

10746. არიან ჯარისკაცებად დაბადებულნი, რომლებსაც, სამშობლოს დაცვის გარდა, სხვა არაფრის კეთება არ შეუძლიათ.

10747. ერის შესაკვრელად მნიშვნელოვანია რწმენა, იმედი, შემართება.

10748. პატრიოტიზმი არ გამორიცხავს მომავლის წინხედვით განსჯას, მისი კონტურების წარმოდგენას.

10749. პატრიოტიზმი შეიძლება პროფესიადაც იქცეს უგუნურთა ხელში.

10750. მშვიდი მოღვაწეებისაგან შეიძლება ერისთვის სასურველი გუნდი შეიკრეს.

10751. სადაც მე ვარ კარგად და ჩემს მეობას პატივს მიაგებენ,

ფაქტობრივად ის არის ჩემი სამშობლო, მიუხედავად მშობელი მხარის ტკბილ-მწარედ მოგონებისა.

10752. კუჭი, ფული და კარიერა ეროვნულობას არას დაგიდევთ, თუ გონი უნიათობით არის დაღდასმული.

10753. ფაქტობრივად სამშობლო არის შენი პირადი კერძო საკუთრება, სადაც კომფორტულად გრძნობ თავს და არა ის ქვეყანა, სადაც დაიბადე და აღიზარდე.

10754. სამშობლოს ბედნიერება, ჩვეულებრივ, წარსულში იბადება და იქვე რჩება.

+10755. ვინც გვარჩენს და ვისაც ვარჩენთ, ისაა ჩვენი სამშობლო.

+10756. ვისაც როგორ ესმის, ისე უნდა უყვარდეს თავისი სამშობლო და ხალხი, წინააღმდეგ შემთხვევაში უაზრო ყბედობაა მამულის სიყვარულზე ლაპარაკი.

+10757. წინაპართა მიერ დატოვებული ანდერძი რა დროს მოიკრებს ძალას, ეს ერის გონიერებაზეა დამოკიდებული.

10758. ურთიერთფერება, თანადგომა, საქმის გულით კეთება, სამშობლოს საკეთილდღეოდ მზრუნველ წისქვილზე ასხამს წყალს.

10759. ეროვნული საქმის საკეთებლად წინდახედული დიქტატორის ხელის გალაწუნება მისასალმებელია.

10760. უგვანოთა ხელში პატრიოტულ იდეალებს გადაშენება უწერია.

10761. სამშობლოსა და რწმენის წინაშე მუხლის მოდრეკა აუცილებელია, თუ გვინდა საკუთარი ეროვნულობა შევიცნოთ და შევინარჩუნოთ.

10762. ღირსება, სამშობლო არ იყიდება, მაგრამ დღეს ეს აქსიომა საეჭვო ხდება.

+10763. სამშობლო – ეს შენთვის განკუთვნილი ცხოვრების დაუმთავრებელი სიყვარულია.

10764. ქვეყნის ინტერესებისათვის თავის გადადება ბევრ შეცდომას შეგვინდობს, მიივიწყებს და გვაპატიებს.

10765. საბედნიეროდ, სამშობლოს ჩვენ არასოდეს გავუყიდივართ, პირიქით კი ხშირად მომხდარმა შურიანობისა და წინდაუხედაობის გამო.

+10766. რანი ვიყავით, ამის განსჯა გონიერის ხვედრია, რანი ვიქნებით – გენიოსების, ხოლო სამშობლო სიყვარულის მუდმივი განზობილებაა და ყველასთვის აუცილებელია.

10767. პატრიოტიზმი საერთო საქმის წინდახედულად კეთებაა და არა ლამაზი სიტყვების ფრქვევა.

10768. ბედნიერებაა, თუ მთავრობას ღამით მაინც მშვიდად სძინავს და ხალხი ამ დროს საქმის საკეთებლად და ერის გასამრავლებლად იყენებს.

10769. ესეც განგების წყალობაა, როდესაც ერთი ერის, ქვეყნის შვილი მავანს, სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე, უდრტვინველად კლავს და ამას გმირობად უთვლიან, მაგრამ სამყარო პატარავდება და ასეთ ქმედებებს მომავალში კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის სუნი აუვა.

10770. როგორც უნდა ვაქოთ ჩვენი ქვეყანა, მაინც პატარაა და ამბიციური, რაც ყველა მცირე ერის დაავადებაა.

10771. სამშობლოზე ტკივილით, შთაგონებით, სიყვარულით ნამღერი სიმღერა სულიერებას მალამოდ ედება.

10772. სამწუხაროდ, კომუნისტები მართლები იყვნენ, როდესაც შემოქმედებითი ნიჭის მქონე ხალხს ზედმეტ ფულს არ აძლევდნენ და სანაცვლოდ მათ სახელითა და ღირსებით უზრუნველყოფდნენ, რადგან ფულთან გონივრული ურთიერთობა ერთეულ ნიჭიერთა ხვედრია.

10773. ეროვნულობის სკლეროზი სულიერების დახურდავებაა. სახელმწიფოს დასუსტება გონიერების შესუსტებასა და პატრიოტიზმის გაქრობასაც იწვევს.

10774. პატრიოტიზმია ისიც, თუ შინაგანად მზადა ხარ, მართვის სადავე დაუთმო სხვას, უფრო პერსპექტიულს.

10775. ერი ვერც უწარსულოდ იარსებებს და ვერც პერსპექტიული მომავლის იმედის უქონლად.

10776. ერის მამებმა იმდენი უნდა მოიმოქმედონ, რომ ერმა თავისი კულტურის კვალი დატოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უსახელოდ გაქრება.

10777. ლეგენდას სიკვდილი არ უწერია, თუ ის ერის სულიერ არსს წარმოაჩენს.

10778. სიღარიბე ერს ამრავლებს, სიმდიდრე ამცირებს და რყვნის. ასე რომ, ყოველთვის ზომიერება სჯობს.

10779. პატრიოტიზმი პასუხისმგებლობის, პროფესიონალიზმისა და წინხედვის უქონლად ქვეყნის დამანგრეველია.

10780. ცუდის და კარგის სწორი აღქმა ხშირად ქვეყნის მოქალაქეთა ყოფის რეალისტური გამოხატულებაა.

10781. სამშობლოა ის, სადაც ფულს გიხდიან, გასაქმებენ და ხვალინდელი დღის პრობლემებზე არ ფიქრობ.

10782. პატრიოტიზმით არ სპეკულირებენ, პატრიოტებად იბადებიან და ქვეყნის ისტორიას უამბიციოდ ქმნიან.

10783. ადამიანმა თავისი რაობის დასადგენად, პირველ ყოვლისა, უნდა გაარკვიოს: ის ამ ტერიტორიაზე მცხოვრებია თუ ამ ტერიტორიის შვილია, რადგან სამშობლოს შვილები ინახავენ და არა ხიზნები.

10784. მშვიდობა ხშირად ღირსებაზე მნიშვნელოვანია, თუ ეს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება.

10785. პატრიოტიზმი რწმენის, იდეოლოგიის უქონლად ქვეყნის და ერის უფუნდამენტო სიყვარულია.

10786. ერის მისწრაფებები ნაოცნებარის დებეტ-კრედიტის ანალიზით იწყება და მომხიბვლელობის ბალანსის დადგენით გრძელდება.

10787. გონიერების საკვები მარად სამშობლოს სიყვარულია და მისთვის სააქაო სიკეთის კეთება.

10788. თაობებმა უნდა იცოდნენ, რა აქვს სამშობლოს ხელშეუხებელი, ერს – წმინდა და რისთვის უნდა იბრძოლონ.

10789. ახალნერგმა პატრიოტმა უნდა იცოდეს, რომ რეალურ პოლიტიკაში მისთვის თანამდებობის დასაკანონებლად თავს არავინ შეინუხებს.

10790. კომპოზიტორი ბახი ყველაზე დიდი პატრიოტი იყო, რადგან ესოდენ შესანიშნავი მუსიკალური ნაწარმოებები შექმნა და სამშობლოს 13 შვილიც გაუზარდა.

10791. მოვალეობის შეგრძნება პატრიოტიზმის შეცნობას უთანაბრდება.

10792. პატარა ერების უბედურება ის არის, რომ მათ ჰგონიათ: დიდ ერებს მათსავით წინდაუხედავი შტერები არ უნდა ჰყავდეთ.

10793. ეროვნულობას ისევ გაჭირვება და მთა ინარჩუნებს. დალხინებისკენ სწრაფვა გამყიდველი, ყბედი პატრიოტის საქმეა და ისიც საკუთარი თავის სასარგებლოდ ირჯება.

10794. მოწოდებით პატრიოტი უნდა იყოთ, შედეგს წინასწარ რომ ჭვრეტს, და არა გამორჩენის მძებნელი.

10795. სამშობლოს ნახვის სიხარულის ფუძე ის სახლია, სადაც დაიბადე და გაიზარდე.

10796. სამშობლო ხშირად დედინაცვლად გვევლინება მაშინ, როდესაც მისი იმედი გვაქვს, დედასავით შევსიციცინებთ და მოწიწებით თავს ვუხრით.

10797. ზოგჯერ სამშობლოს სიყვარული ჩვილი ბავშვივით ხელში აყვანას და ისე ტარებას მოითხოვს.

10798. „თერგდალეულთა“ სხვა ქვეყნებში დარჩენის სურვილი თანდათან იზრდება და თერგიც, ალბათ, მალე დავიწყებას მიეცემა.

10799. ნაღდ „ტრაკიან“ ხალხს ვაჟკაცებად არ აღიქვამენ და ეს იწვევს ერის გადაგვარებას.

10800. ზოგი ერი მათხოვრობას ეჩვევა და ხელი მუდამ გაწვდილი აქვს. საშინელება იქნება, თუ ეს მის პროფესიად გადაიქცევა.

10801. სამშობლოს უნიათობისთვის რომ უსაყვედურო, უსინდისობაა, რადგან, ის რომ ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ყოველი ჩვენგანის ბრალია.

10802. ერს როდესაც უჭირს, მაშინ ახსენდება თავისი ღირსეული

წინაპრები, რომელთა დროულ დამოძღვრას ის მანამდე სერიოზულად არ აღიქვამდა.

10803. სიდარბაისლე ერის მოწოდებაა და არა ხელისუფლებისა.

10804. ეროვნულ იდეოლოგიასა და მის ძლიერებას არა მარტო მხრის ამბმელი, არამედ ჯიშიანი გამმრავლებლებიც სჭირდება.

10805. „ცისფერების“ მომრავლება ერის გენოფონდს ჯერჯერობით დედას უხსენებს.

10806. არასრულწლოვანთა დაფეხმძიმება დამარცხებული ერის სინდრომია: გოგონებს თავიანთი ადგილის მონახვა უჭირთ ამ საზოგადოებაში. მათ არ შეუძლიათ სერიოზული განათლება მიიღონ და დასაქმდნენ, კარიერის კიბეზე ფეხი შედგან.

10807. სამშობლოსთვის ჩადენილ სასიკეთო ქმედებას, გმირობას, ყოველთვის სასურველი შედეგი არ მოაქვს, მაგრამ არც მისი უაზრო მსხვერპლად მონათვლა იქნებოდა მართებული, რადგან ხალხი ქვეყნის ისტორიაში მოხვედრის სურვილს დაკარგავდა. ეს კი გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა ქვეყნის უშიშროებას და შეაფერხდებდა საზოგადოებაში პატრიოტული მუხტის დაგროვებას.

+10808. სამშობლოს სიყვარული სულიერად გვაპურებს, მაგრამ ხშირად ჩიხში გვაქცევს, რადგან სამშობლო ხდება ის, რომელიც გაჭმევს და არა ის, რომელიც გაშიმშილებს.

10809. კვერცხიდან გამოჩეკილი კუც კი სამშობლოს არ ივიწყებს. მაშ, ზოგ ადამიანს რა ღმერთი უწყრება, რომ მისკენ არც იხედება. ალბათ, ეს არის მამულზე განაწყენება ან იმედების გაცრუება თანამემამულეებისგან.

10810. სამშობლოს სიყვარულს განაპირობებს: განათლება, დასაქმება, საცხოვრებელი და ზოგჯერ ისიც კი, თუ ცოლი ვისი გორისა გყავთ. ასე რომ, მარტო დაბადება და ეროვნულობა არ კმარა პატრიოტიზმისთვის.

10811. სამშობლოს ტრფიალი შენმა არსებამ ბუნებრივად უნდა იგრძნოს, რადგან დაძალებული სიყვარული სანდო როდია.

10812. ყოველივე ეროვნულს ზომიერება უხდება, ტრადიციების დაცვა და გონიერების მოხმობა.

10813. სამშობლო მარად გასაჭირში იქნება, თუ გონიერი ხელისუფლის არჩევას არ ვისწავლით.

10814. ბეჭდაუდებელი ფალავანი მანამდე აღგვაფრთოვანებს, სანამ საჯაროდ გამოდის და ერის წარმოსაჩენად გვჭირდება.

10815. ერის წარსულსა და აწმყოს მომავალი გადახარშავს თავისი დროისა და მენტალიტეტის შესატყვისად.

10816. ერს უნდა ჰქონდეს არა მარტო ჭკუა-გონების მოხმობის უნარი, არამედ გონიერების უდანაკარგოდ შენახვისაც.

10817. სამშობლოს სტატუსს ის ქვეყანა იღებს, სადაც საბოლოოდ დამკვიდრებას ვაპირებთ და სადაც მივიცვლებით კიდეც.

10818. დღეს ერის გადამრჩენი ერიშვილების შეცნობაც გაძნელებულია, ისე წაიტლიკა ყველამ ენა.

10819. ყველას გვინდა სამშობლოში ნორმალურად ვიცხოვროთ, მაგრამ ამ სურვილთა გონივრულად მოპირკეთებას არავინ ცდილობს.

10820. ყველა თაობა იკარგება, თუ ეროვნულობას ვერ იცავს.

10821. შენი და სამშობლოს ინტერესები თუ ერთმანეთს უგებენ და ენათესავებიან, ეს უდავო ბედნიერებაა.

10822. ყოფის მძიმე ჯვარი სამშობლოს სიყვარულის გამო ყველამ შეძლებისდაგვარად უნდა ატაროს.

10823. სამშობლოს არ ღალატობ, თუ ის იდეურად, მორალურად, მატერიალურად შენს გამოყენებას ახერხებს. სულ სხვა რამ ხდება მაშინ, როდესაც ნარჩენებს მოგიგდებს, უაზროდ გაცდევინებს და იდეოლოგიას ხელთათმანივით იცვლის.

10824. პატრიოტიზმი ზოგისთვის საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვაა და არა სამშობლოს სიყვარული.

10825. თვითკონტროლი, თვითშეგნება და გონიერების მოხმობა ეროვნულობის გადარჩენის პირობაა.

10826. სამშობლოში, ანუ შინ დაბრუნების იმედი ბოლომდე უნდა ვიქონიოთ.

10827. სამშობლოს სიყვარულისთვის აუცილებელია ზომიერი ფანატიზმი.

10828. სამშობლოს სიყვარული ენის, ტარდიციებისა და ეროვნულობისადმი დამონებას მოითხოვს.

10829. ლოთის პატრიოტიზმი უმთავრესად ლოთობის გამართლებაა.

10830. სამშობლოს სიყვარული ყველას თავისებურად ესმის, რადგან დრომ და გარემომ ქვეყნის სიყვარულიც ჩვენთვის გაუგებარ მცნებად გადააქცია.

10831. ემიგრაცია ის დაწუნებული სამშენებლო მასალაა, რომელიც სამშობლოს ასაშენებლად არ გამოდგება.

10832. სამშობლო მეწველი ძროხა არაა, რომელსაც არ აბალახებენ, ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ მის მიმართ მაინც დიდი პრეტენზიები აქვთ, მუქთად არც გვკვებავს და არც გვარჩენსო!

10833. პატარა ერს ძლიერი ერი უნდა ჰყავდეს მეგობრად, მაგრამ თავადაც ერთგულებით უნდა გამოირჩეოდეს.

10834. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ ადამიანები ვართ, მერე – ვიღაცის შვილი, რომელიღაც ერის წარმომადგენელი და რაღაც მიზეზით ამა თუ იმ ადგილას დაბადებული, რომელსაც სამშობლოს ვუწოდებთ.

10835. შენს ეროვნებას დაბადებისა და აღზრდის პირობებთან ერთად ურბანიზაციის სურვილი და დონეც განსაზღვრავს.

10836. სამშობლო ცოლივით მაინც უნდა გიყვარდეს, რათა მან მოვალეობა-ვალდებულებები სიყვარულით აღგასრულებინოს.

10837. სამშობლოს სიყვარულს ერთგვარი ეგოიზმიც ახასიათებს, რომლის სახალხოდ წარმოჩენა არ ღირს.

10838. ეროვნული საქმის საკეთებლად მამაცები იღვწიან, მაგრამ ბევრი თავისი ნაღვაწის შედეგს ვერ ესწრება.

10839. ქვეყნის უძღები შვილი, თავის სამშობლოში მოხუცობის ჟამს დაბრუნებული, თითქმის ვეღარავის რგებს.

10840. რადგან ყველა ჩვენგანს სამშობლო თავად ირჩევს, ჩვენი თანხმობის შემთხვევაში ვალდებული ვართ, მას მთელი შემართებით ვემსახუროთ.

10841. სამშობლოს სიყვარულის მადლსაც მაშინ შევიცნობთ, თუ მას დროთა განმავლობაში ახლებურად ვეტრფით და გვიყვარს.

10842. სამშობლო ჩვენი სურვილების მიხედვით დახატული ტილოა.

10843. ერის განთიადს გონიერი ხელმყოფი აჩქარებს.

10844. გონიერისთვის უდიდესი ბედნიერებაა, თუ მამულს სიყვარული ჯოჯოხეთად არ გადაექცევა.

10845. სამშობლოს რეზერვში ყოველთვის უნდა ჰყავდეს ქვეყნის კეთილდღეობაზე გადაგებული პიროვნებები, სახელმწიფოს მართვის ნიჭით დაჯილდოებულნი, თუ გვინდა, ღირსეულ სახელმწიფოდ ვიქცეთ.

+10846. სამშობლო ამ სამყაროში ჩვენ მიერ მონიშნული წერტილია.

10847. ვეცადოთ, მამულის სამსახურს მივაგოთ ჩვენი ნიჭი, გონიერება, ცნობიერება, რადგან სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

10848. სამშობლოც უნდა გპატრონობდეს, რომ მის დასაცავად თავის დადება არ გაგიჭირდეს.

10849. ეროვნული საქმე ყველამ ჩუმად უნდა აკეთოს და არა – სხვის დასანახავად.

10850. უპირველესი რელიგია სამშობლოს, შენი ხალხის სიყვარულია, შემდგომ მოდის რწმენა და მისი ბიძაშვილები.

10851. სავალალოა, როდესაც ჭეშმარიტი ეროვნულობის გაცნობიერება ჭირს და მავანი ემოციებით იღვწის, არც ვითარების ანალიზი შეუძლია, არც მომავლის განჭვრეტა.

10852. ერის ნამდვილი საგანძურის მოპარვის ყველა მცდელობა უშედეგოა, რადგან ამ საგანძურს მისი დიდი შვილები შეადგენენ.

10853. ერის მეთაური თავადვე უნდა წარმოჩნდეს დროის და გარემო პირობების შესატყვისად, რადგან მოშურნენი მისთვის კვანტის დადებას ყოველთვის ეცდებიან.

10854. საოცარია: საზოგადოება ზოგჯერ ბრბოს ხამი მოსასხამით

გვევლინება, მაგრამ ეროვნულობით სპეკულაციას თავს არ ანებებს.

10855. პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე სამშობლოს უანგარო სიყვარულია.

10856. ზოგჯერ ერს სწორი ისტორიული არჩევანი ძალზე ძვირად უჯდება.

+10857. ხშირად ერი იმ პიროვნებით ამაყობს, რომელიც იძულებული გახდა, კვერცხები სხვა ქვეყნის ბუდეში ჩაედო, რადგან სამშობლოში მისი კაკანიც კი ყურად არავინ იღო.

10858. პატრიოტიზმი კარგად ცხოვრების მცდელობაა, გამრავლებაა, მამულში მკვიდრად დაფუძნებაა და არა მხოლოდ ფუფუნებისკენ ლტოლვა და უკეთესი ყოფის ძიება.

10859. საწყენია, როდესაც სამშობლოში სათანადოდ არ გაფასებენ, ხოლო სხვათა ქვეყანაში ხელში აყვანილი დაჰყავხარ და თავისიანად მიგიჩნევენ.

10860. ერმა სასიყვარულო ქულები მტრის კალათიდანაც უნდა აკრიფოს, რათა მტერიც მის მიმართ კეთილად განაწყოს.

10861. სამშობლო ერთადერთი ნათელი წერტილია ამ სამყაროში, რომელსაც შუქს გული აძლევს.

10862. თანამემამულეთა უყურადღებობისა და დროის სიმუხთლის გამო, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ხშირად ის ქვეყანა ხდება ჩვენი სამშობლო, სადაც გვაფასებენ, კარგად ვცხოვრობთ და თან არაფერს გვაყვედრიან.

10863. სამშობლოს მშობლები გვირჩევენ, ხოლო თავისუფლებას ჩვენ ვირჩევთ, თუმცა ხშირად სამშობლოს შეცვლით.

10864. მიწის სამშობლოდ გადაქცევა – აი, ამოცანა და კიდევ ამოცანა.

10865. ეროვნულობაა გამრავლება-მომრავლება, აუთვისებელი ტერიტორიების მშვიდობიანი გზით ათვისება და არა ურაპატრიოტიზმი, ყბედობა და უაზრო რახარუხი.

10866. ერისთვის ვექტორისა და მიმართულების მიცემა განგებამ აბოგინებულ ნიჭს მიანდო.

10867. ერს ქვეყნად შემოქმედი პიროვნებანი წარმოაჩენენ და არა უფერული მასის წარმომადგენლები.

10868. სამშობლო რეგიონების მოუნახულებლად არ შეიცნობა და არცა მხოლოდ დედაქალაქიდან მისი სილამაზე-მიმზიდველობის წამოჩენა-გაცნობით.

10869. ქვეყნის ბედნიერებაა, თუ მას მომავალში უფრო ღირსეული შთამომავლობა ეყოლება, ვიდრე აწმყოსა და წარსულში, რადგან ეს მის გაჯანსაღებასა და წინსვლაზე მიგვანიშნებს.

10870. თაობებს პრაქტიკული აზროვნება და გამოცდილება დროუ-

ლად უნდა დავაწიოთ, თუ გვინდა ერმა შემართება შეინარჩუნოს.

10871. შენს ერზე საყვედური სინანულით, სიყვარულითა და იმედით უნდა გამოხატო, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ მის გენეტიკას ვერაფერი შეცვლის.

10872. სამშობლოს სიყვარული უმთავრესად სხვათა დაუყვედრებლად თავის მოქაჩლება და გამრავლების მცდელობაა.

10873. მხარი არ აუბათ ვაი-პატრიოტებს, რომელთაც ეროვნულობისა არაფერი სცხიათ და ჩიტირეკია პატრიოტიზმით ლამობენ ჩვენი კეთილგანწყობის მოპოვებას. ისინი პროვოკატორული ბუნების პატრონნი არიან.

10874. თუ მცირერიცხოვანი ერი აწინდელ რეალობას ვერ ეგუება, ის ქრება ან კარგა ხნით კარგავს თავისუფლებას. ამიტომაც ყველაზე უკეთ მან უნდა იცოდეს თავისი ისტორია და საკუთარი გენეტიკური კოდი, რათა მომავლის ხედვა, მოთმინება, დაყვავება და დროის შერჩევა ისწავლოს, ტერიტორიები არ დაკარგოს და არ დაზარალდეს.

10875. სამშობლო ჩვენს თავგანწირვას გამუდმებით არ უნდა ითხოვდეს, ის რომ მშობლად აღვიქვათ და პატივი მივაგოთ.

10876. ჯოჯოხეთი, შეიძლება, სამშობლოშიც მოგიწყონ, თუ არც ახლობლები უქნია ღმერთს და არც – ხელისუფლება.

10877. ქვეყნის ნაციონალური ტრიუმფი პატრიოტიზმის გარეშე წარმოუდგენელია, ქვეყნის სათავეში რაც უნდა დიდი პოლიტიკოსი მოვიდეს.

10878. ეროვნული გმირის ხსოვნა არ იკარგება, მაგრამ გააჩნია დროს, გარემოსა და შთამომავლობის მახსოვრობის უნარს.

10879. ერის „კასტრირება“ დაუშვებელია. მისი დაუკოდავად აღქმა გარემოსა და დაღვინებულ მკითხველ-მსმენელს საჭიროებს.

10880. ეროვნულობაზე წინ არავითარი თავისუფლება, დემოკრატია, მატერიალიზმი არა დგას, გარდა ერის გამრავლებისა. ეროვნულობის უგულებელყოფა დანაშაულია ჩვენი წინაპრების წინაშე.

10881. ეროვნულობისადმი ზურგის შექცევა დანაშაულია, თქვენს ქმედებას რაც უნდა ალიბი უმაგრებდეს ზურგს.

10882. ყველა ერი თავისი ბედისწერის მქონეა, რომელსაც ვერასოდეს ამარცხებს.

10883. სამშობლოს გააზრებულ-განსჯილი სიყვარული ყველა ჩვენგანის ვალია.

10884. ღირსების დაკარგვა მიუღებელია, მაგრამ ერის საზიანო ქმედებას ყველაფერი სჯობს.

10885. სამშობლოს სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, იმის ცოდნაა, თუ რას ვიხეირებთ მისგან და მასაც რით ვახეირებთ.

10886. „ოქროს შუალედის“ დაკარგვა, პირველ ყოვლისა, ეროვნუ-

ლობასა ვნებს.

10887. სამშობლოს სიყვარულია ისიც, თუ რას ვფიქრობთ, ვაკეთებთ მისთვის თერიულად და პრაქტიკულად რას ვახერხებთ.

10888. ყველაზე მეტი ყოფიერებითი პროფესიონალიზმი სამშობლოს სიყვარულს სჭირდება.

10889. ილუზიებითა და სხვათა იმედით მოსაზრდოვე, სხვებზე განაწყენებული ერი ყოველთვის ბოლოში იქნება.

10890. ძალზე დალხინებულნი სამშობლოს დამცველებად არ გამოდგებიან, რადგან ისინი, უწინარეს ყოვლისა, თავიანთი სიმდიდრის დაცვას ცდილობენ. სამშობლოს დაცვა ისევ და ისევ გაჭირვებულ და საშუალო ფენას უნდა ვანდოთ, ოღონდ მკაცრი კონტროლის დაწესებით.

10891. ზოგი სამშობლოში ზედმეტ ბარგად იქცევა თავისივე ხალხის მენტალიტეტის შესატყვისად, და ეს მაშინ, როდესაც სხვაგან შეიძლება მეტად საჭირო კაცი ყოფილიყო.

10892. ტრადიციებისადმი უგულო დამოკიდებულება და მისი აბუჩად აგდება ეროვნულობის დაკარგვის წინაპირობაა.

10893. ყოველი ეროვნულობის თავიდათავია: რწმენა, განათლება, ორგანიზებულობა.

10894. ყველაზე მძიმე ეროვნული დაავადებაა შური, უმადურობა, გაუტანლობა, ერთმანეთის მოსმენის უნარის უქონლობა.

10895. განუსჯელი მიზნებით მცხოვრები დიდი ამბიციების მქონე ერი სულიერად თანდათან ირყვნება.

10896. ეროვნულობას, უპირველეს ყოვლისა, სულიერების გამოღვიძება უდევს საფუძვლად, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია წინდახედულება, რათა უგუნურების ქარტეხილში არ მოხვდე და აჩქარების გამო სისხლი ტყუილუბრალოდ არ დაღვარო.

10897. მიწის სახელმწიფო მონოპოლია ხელშეუხებელია და განსჯას არ ექვემდებარება.

10898. ძველი, ტრადიციული ეროვნული კულტურა – ეს არის აწმყოს მომავალთან შერწყმის ეფექტური იარაღი.

10899. დიდი სისულელის ჩადენა თუ არ შეუძლია, ის ერი ბოლოს ბედნიერი და მისაბაძი ხდება.

10900. ეროვნული იდეალების დაცვა ყველა ჩვენგანის ვალია, მაგრამ არა ურთიერთობის გაფუჭების გზით.

10901. სამშობლოს სიყვარული ინტელექტუალებისა და მამულიშვილების გამრავლების მცდელობაა.

10902. სამშობლოს ღალატი მაშინაც კი არ გვეპატიება, როცა ეს ქვეყანა თავისი უნიათობითა და მოუწესრიგებლობით ამას იმსახურებს.

10903. სამშობლოს სიყვარულსაც თავისი ქცევის კოდექსი აქვს,

რომლის უგულებელყოფა არავის ეპატიება.

10904. სამშობლოს სიყვარულსაც მერკანტილობის სუნი ასდის: ცუდია თუ ჩვენს შთამომავალს ავად თუ კარგად ვერ დავასაქმებთ და ღირსეული ცხოვრების პერსპექტივას ვერ დავანახვებთ.

10905. ჩამოყალიბებულ და კანონმორჩილ საზოგადოებას სამშობლოს დაკარგვის საფრთხე არ ემუქრება.

10906. სამშობლოს სიყვარული ყბედობა კი არ არის პატრიოტიზმზე, ეროვნულობაზე, არამედ ქმედება ერის გასამრავლებლად, გარჯა და სახელოვანი შვილების – არანაკლებ ხუთი შვილის – აღზრდა.

10907. ერი ყველა დროს მაშინ ერგება, თუ ის მრავლდება და ამ სამყაროში თავის ადგილს თანდათანობით და მშვიდობიანად იჭერს.

10908. ვერგაგებასა და არგაგებას შორის დიდი სხვაობაა. პირველი არცოდნაა, გაუნათლებლობის ბრალია, მეორე სიჯიუტისა და ყურის დაუგდებლობის. ხომ არ გეცნოთ აქ ზოგიერთი ქართველის სახე და ხატი?

10909. ეროვნულობა და მისი სიწმინდენი გადახედვასა და რევიზიას არ ექვემდებარება, დრო და გარემოს ახლებურად ყივილის მიუხედავად.

10910. ხალხის დაჩიავება ერის მოაზროვნე ნაწილის გადაგვარების შედეგია.

10911. ის ადამიანია თავისი სამშობლოს ნაღდი შვილი, რომელიც მის საზღვრებს გარეთ ცხოვრებისთვის არ არის დაბადებული.

10912. მოქალაქეობა, ეროვნულობა იდენტურია, თუ იმ ქვეყანაში ცხოვრობ და მოღვაწეობ, სადაც დაიბადე.

10913. სლოგანი „კარგი იყოს და ერთი იყოს“ თანამედროვე სამყაროს არ გამოადგება, რადგან ერი თავისი ეროვნულობის შესანარჩუნებლად გამრავლებას ითხოვს, ხოლო მის ხარისხს დრო და გარემო მოგვიანებით განსაზღვრავს.

10914. პოლიტიკურ მოდას უდროოდ აყოლილი ეროვნულობა საზოგადოებას მეტ ზიანს აყენებს, ვიდრე სარგებელი მოაქვს.

10915. ისაა ერის შვილი, ვინც ადამიანებს აიძულებს, უკეთესი ცხოვრების გზები ეძიონ და წინ გაუხედავად არ აბუნტებს მასას არსებული წყობის წინააღმდეგ.

10916. სამშობლოს ხშირად მასზე უიმედოდ შეყვარებული მძევლები სჭირდება, რათა სხვამაც ის თავის სამშობლოდ აღიქვას.

10917. ბუნებრივი და შეჯერებული ჯებირების უმიზნოდ გადალახვა ეროვნულ შეგნებაზე უარყოფითად მოქმედებს.

10918. სიყვარულს ხშირად სიტყვებისა არა სჯერა, მაგრამ მის აუცილებლობას ემორჩილება.

10919. სისხლის ნაკელში აღრევის მცდელობა ვაი-პატრიოტიზმის

შედეგია, რომელიც მამულს სიყვარულით სპეკულანტობს და მას ხალხ-ის მისამხრობ კოზირად იყენებს.

10920. ვეცადოთ, ყველანი ჩვენს ადგილზე დავრჩეთ საცხოვრებ-ლად და სამუშაოდ, რათა სხვა ერის წარმომადგენელმა არ გითხრას: გვერდზე გაიწი, მე ჩემს ენაზე უნდა ვილაპარაკოო!

10921. ნიჭიერი და შემოქმედი ადამიანი ვერც ყურმოჭრილი მონა იქნება, ვერც იატაკზე გასაფენ ნოხად გამოდგება, მაგრამ პატივისცე-მასა და მფარველობას იმსახურებს, რადგან ერის რაობის წარმომჩენი ერთ-ერთი ელემენტია.

10922. პატრიოტიზმი უპირველეს ყოვლისა შეგნებაა, ქვეყნისთვის სიკეთის კეთების წადილით განმსჭვალვა და არა ენის წაგრძელება და ლაქლაქი.

10923. ეროვნულობას ყველაზე მეტად ვნებს ფარისეველი, გაუც-ნობიერებელი ეროვნული მოძრაობა და მისი დილეტანტი ლიდერები, როდესაც პატრიოტიზმს ამოფარებულებს, წარმოდგენაც არ აქვთ, ხმას აყოლილი მასისთვის სიკეთე როგორ აკეთონ.

10924. ერის გადამრჩენი, მისი სულიერების შემნარჩუნებელი ეროვნული კულტურაა და არა წინდაუხედავი ურა პატრიოტიზმი, განუსჯელი დაპირებებით რომ ატყუებს ბრბოს.

10925. ერის ფუჭად დახარჯული ენერგია და გადაყრილი ნიჭია, თუ მავანი სხვა ქვეყანაში რჩება საცხოვრებლად და თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ ვერას აკეთებს.

10926. სამშობლოს ამბიციური სიყვარულიც დანაშაულია, თუ მას წინხედვის ანალიზი მხარს არ უჭერს.

10927. ომს სამშობლოს ფანტასტიკური სიყვარული იგებს, შემდგომ მოდის სამხედრო აღჭურვილობა და მხედარმთავარი და არა, პირიქით.

10928. პატრიოტიზმი ეროვნული სულისკვეთების რეალიზაციაა, რომელსაც წინჭვრეტა და შედეგის გათვითცნობიერება ამშვენებს.

10929. ზოგისთვის პატრიოტიზმი პირფერობა, მკრეხელობა, სპეკუ-ლანტობაა, რათა კარიერას ხელი გამოჰკრას; რაც შეეხება თანამემამუ-ლეთა ბედს, ეს მას დიდად არ ადარდებს.

10930. პროვინციული სნობიზმი გვაიძულებს, თავი თვითდაჯერე-ბულ და ერის მოსიყვარულე შვილად წარმოვაჩინოთ, რათა ირგვლივ მყოფთა პატივისცემა დავიმსახუროთ.

10931. დუმილი და პირში წყლის ჩაგუბება ზოგჯერ სამშობლოს ღალატის ტოლფასია, მით უფრო, თუ მამული შენგან თამამ კრიტიკულ სიტყვას ელოდება.

10932. პატრიოტიზმის პროფანაციაა, როდესაც ხალხი ქალაქში უკეთესი და ჯანმრთელი ცხოვრების მიზნით უკანმოუხედავად გარბის.

10933. სამშობლოს სიყვარული თავისებურად აუხსნელი ფენომე-

ნია, ბუნების ნებაა და განგების მიერ არის ხელდასხმული.

10934. ეროვნულობას არ უნდა დავცინოთ და არც სახალხოდ ვაკრიტიკოთ, თირემ უამრავ მტერსა და საყვედურის მთქმელს გავიჩენთ.

10935. სიცოცხლეს სახელის დასატოვებლად ვწირავთ, ჯანმრთელობას დროსტარებას ვანაცვალებთ, სინდისს დიდ ფულზე ვცვლით, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ვაჭრობას არ უნდა დაექვემდებაროს.

10936. პირადი ინტერესების წინ წამოწევა აპანჩურებს სახელმწიფოებრიობას, ხალხის ინტერესებზე აყოლა ასუსტებს ქვეყანას, რადგან უპირველესი სამშობლოს ინტერესია, რომელიც ყველა სხვა ინტერესზე მაღლა დგას და მოგვიანებით ყველა ინტერესს აგვარებს, ქვეყანას აძლიერებს და სამართლიანსა ხდის.

10937. ვეცადოთ, ისე გავიხარჯოთ, ვიღვაწოთ, რომ ერის ღირსეული გასახსენებელი შვილი გავხდეთ, რადგან მხოლოდ საკუთარი შთამომავლების მიერ გახსენება და დაფასება დროებითი და დავიწყებადია.

10938. ერის აზროვნებაში, ცხოვრების წესში უხიაგობის შეტანა თანამედროვეობის მიბაძვით დანაშაულია.

10939. ზოგჯერ სამშობლოს სიყვარული შეუძლებელს შეგვაძლებინებს.

10940. პროგრესის უმკაცრესად გაფილტვრა, შრომისმოყვარეობა, გონივრული ტრადიციების დაცვა საუკეთესო საშუალებაა ეროვნული ცნობიერების შესანარჩუნებლად.

10941. ყველა ერს უნდა მივცეთ შანსი შესაძლებლობათა გამოვლენისა, ექსტრემალურ გარემოში თავის გამოცდისა, რათა სხვაზე თავისი უნიათობის გადაბრალების საშუალება მოვუსპოთ და საკუთარი უსუსურობა დავანახოთ.

10942. სამშობლოს აღვირახსნილი და გაუაზრებელი სიყვარულიც კი დანაშაულია, რადგან ის ხშირად რეალურად ვნებს ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს, განსაკუთრებით, როცა ცხვირში გვჩრიან წინდაუხედავ რეფორმებსა და არშემდგარი სახელმწიფოს მოდელირების მცდელობებს.

10943. ქალის უმთავრესი ფუნქცია შვილების გაჩენაა, კაცისა ოჯახის შენახვა. თუ ეს ფუნქციები დევალვირდება, იცვლება, მაშინვე კლებულობს მშობიარობა, ე.ი. ერი ჩიავდება, იხრწნება, ქრება როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად.

10944. სამშობლოს დღევანდელობის გაცნობიერებას ჭკუის მოხმობა სჭირდება, რადგან ცარიელი, უხიაგი პატრიოტიზმი ქვეყნის მომავალსა და მის დამოუკიდებლობას ვნებს.

10945. პატრიოტიზმი, უპირველეს ყოვლისა, ერის გამრავლებაა,

ახალი თაობის აღზრდაა, მისთვის საკუთარი ინტერესების დაცვის სწავლებაა გარემო პირობებისა და დროის შესატყვისად და არა – უტუ პატრიოტიზმი.

10946. სარწმუნოება მარტო ვიღაცისა და რაღაცის რწმენა არ არის. უფრო მეტად ის ეროვნულობაზე ზრუნვაა ქვეყნისათვის ყველაზე ცუდ დროში.

10947. სამწუხაროდ, ზოგჯერ ჩვენს სამშობლოში იმაზე უარესი ხდება, ვიდრე გვსმენია.

10948. სამშობლო გულით იმას უყვარს, ვინც უანგაროდ მას ემსახურება და არა იმას, ვინც საქმიანობის შედეგად გამდიდრებას, ცნობადობას და სახელის დაგდებას გეგმავს.

10949. პატრიოტიზმის ბაზისი ერის ისტორიაა, იმისდა მიუხედავად, რომ მისი ზედნაშენი ყოველთვის გათვითცნობიერებული არაა.

10950. ერის ისტორია ყველაზე მეტად სათუო და შერყვნილი მეცნიერებაა, რადგან უვარგისი ხელისუფლება მას ისე ახმოვანებს და წარმოაჩენს, როგორც მას მოესურვება.

10951. ყველა ჩვენგანს თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია კაცობრიობის წინაშე, რათა საკუთარ სამშობლოს, ხალხს უკეთ ემსახუროს, წარმოაჩინოს და თავადაც წარმოჩნდეს.

10952. ისაა ნამდვილი ერი, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს მშობლიურ ენაზე და მეზობლებთან კარგი ურთიერთობა აქვს.

10953. თუ ერში გურმანობისკენ მიდრეკილება არ დევს, იმ საზოგადოების განვითარების დონე მარად დაბალია.

+10954. სამშობლომიტოვებულებისთვის სხვაგან კარგი ცხოვრება ფანჯრის სარკმლიდან დანახულ გაზაფხულსა ჰგავს.

+10955. ეროვნულობა თვითკმაყოფილებით კი არა, შეგნებით უნდა იკვებებოდეს.

10956. ეროვნულობა, პირველ ყოვლისა, ერის გამრავლება და ბავშვების ქვეყნის ღირსეულ შვილებად აღზრდაა და არა სამშობლოს სიყვარულზე ლიტონი ყბედობა.

10957. სამშობლოს სიყვარულია გაწონასწორებული ურთიერთგაგება, გონიერების მოხმობა, ხელის განძრევა და არა ურთიერთდაპირისპირება და ერთმანეთისთვის ჭკუის სწავლება.

10958. წინდაუხედავი პატრიოტიზმი განსჯის მადლსა კარგავს და ქვეყნის წინსვლას ფეხს უდებს.

10959. ზოგჯერ სამშობლო არჩევანის წინაშე თავადვე გვაყენებს, გვაიძულებს სხვათა ქვეყანას შევაფაროთ თავი.

10960. პატრიოტიზმი მარტო სურვილები და ყბედობა არ არის, რადგან პატრიოტიზმი, უპირველეს ყოვლისა, გამრავლებაა, ღირსეული შთამომავალობის აღზრდაა.

10961. ეროვნული გმირის დაუნახაობა, დაუფასებლობა, დაუმახსოვრებლობა დიდი ცოდვაა, რადგან მაშინ ეროვნულობის ჭეშმარიტი გაგება იკარგება.

10962. შინაგანად ხშირად ვეკითხებით სამშობლოს, რისი გაკეთება შეუძლია ჩვენთვის და ჩვენი მადლიერებაცა და უმადურობაც მასთან მიმართებით ასე ყალიბდება.

10963. ნაღდი პატრიოტისთვის სამშობლო უკვდავია, როგორც აქ, ისე იქ, იმქვეყნად.

10964. სამშობლოს სიყვარული „უკეთ მაცხოვრეს“ როდი ნიშნავს, არამედ გულისხმობს შემართებას: „უკეთ უნდა ვიცხოვრო“.

10965. პატრიოტიზმი პროფესია არ არის, მაგრამ პროფესიონალიზმს მოითხოვს, რათა პოლიტიკაში არ აგვერიოს, არ გავრყვნათ და არ გავაბიაბრუოთ.

10966. სამშობლო, დრო ყოველთვის მოასწრებს ჩვენს გამოცდას. ამიტომ გამოცდების ჩაბარებას დროზე ადრე არ უნდა ვეცადოთ.

10967. ისიც დიდი პატრიოტიზმია, თუ ქალი სამამულო მწარმოებელს ამჯობინებს უცხოელს და ამით წვლილი შეაქვს ჩვენს წარმოებაში.

10968. პატრიოტიზმი არა მარტო უცხოურ ინვესტიციებზე უარის თქმაა, არამედ უცხოეთში ცოდნა-განათლების მიღების შემდეგ შინ დაბრუნებაც.

10969. ერს ყველა დროის საცობად ყოფნა მაშინ ადგება, თუ ის მრავლდება და თავის დასამკვიდრებელ ადგილს დროზე ადრე არ ეძებს ამ სამყაროში, რადგან დროის კაპრიზები ყოველივე მოუგვარებელს აგვარებს.

10970. ზოგჯერ მოთმინება და უკეთესი დროს დადგომის მოლოდინი უფრო მეტადაა სამშობლოს სიყვარული, ვიდრე დროის გაუთვალისწინებლად გულზე ხელის ბრახუნი და უპერსპექტივო ქმედება.

10971. ბრძოლა-დაპირისპირებას ხანდახან სჯობს, სამშობლოს შენი ცოდნა-გამოცდილებით, დიპლომატიითა და მომავლის განჭვრეტით დაეხმარო.

10972. სამშობლო ზოგისთვის კარგი და თავისუფალი ცხოვრების გარანტიაა, ზოგისთვის განგების განჩინებითი გზავნილია, ვისთვის ანათემაზე გადაცემაა.

10973. სამშობლოს სიყვარულს ის კი არ ავლენს, ვინც გულზე ხელს იბაგუნებს, არამედ ის, ვინც მუყაითად შრომობს, წარმატებით სწავლობს, შედევრებსა ქმნის.

10974. პატრიოტიზმი თუ აგრესიულად ვითარდება, ის მუდამ ცხვირის წატეხვის წინაშე დგას.

10975. სულიერი სამყარო, კულტურისა და რწმენის გარეშე, მოიკოჭლებს და ეროვნულობა დევალვირდება.

10976. პატრიოტიზმი ჩვენი წარსულის საფუძველზე წარმოჩნდება, იმისდა მიუხედავად, რომ ზედნაშენი ყოველთვის მოსაწონი არაა.

10977. მშვიდი ცხოვრების მოპოვება გენზე, დროსა და გარემოზე არის დამოკიდებული. გარდა ამისა, ადამიანი უნდა იყოს ერთგული თავისი მოვალეობის, ღირსებისა და სამშობლოს წინაშე დადებული დაპირებისა.

10978. როდესაც ერის ყოფნა – არ ყოფნა სასწორზე იდება, ამ დროს ხდება ღირებულებათა როგორც ფორმის, ასევე შინაარსის დევალვაცია, ხოლო, აქედან რა შემოგვჩება, ისევ დროის ხუშტურებსა და განგების ნებაზეა დამოკიდებული.

10979. სამშობლოს სიყვარული არა მარტო სურვილია, არამედ შესაძლებლობაც.

10980. თუ სამშობლოს იცავენ მისი სიყვარულის გამო – ეს პატრიოტიზმია – თუ კარიერის, გამორჩენისა და გარდაუვალობის გამო, – დაქირავებული პატრიოტიზმია, რომელიც მერე ნაციონალიზმში გადადის სამშობლოს სიყვარულის „მომიზეზებით“.

10981. ღირებულებათა საყრდენი ისევ საზოგადოების ცნობიერებაა, რომელიც ძირითადად სამშობლოს სიყვარულს უნდა ეყრდნობოდეს.

10982. დაფიქრება, განსჯისა და წინხედვის უნარი, ქვეყნის ისტორიის საღად აღქმა – ეს არის ნაღდი პატრიოტიზმი და არა ყურით მოთრეული, გაზულუქებული, გაპიარებული და ჯერ კიდევ ბოლომდის შეუცნობელი სამშობლოს სიყვარული.

10983. ზოგს სამშობლო იმეტებს, ზოგიც სამშობლოს იმეტებს დაუსაქმებლობისა და უყურადღებობის გამო და ორივეს ქვეყნის წარსულის მიმართ ამნეზია უჩნდება.

10984. სამშობლოს აღქმას ცარიელი სიყვარული ხელს უშლის. აქ მთავარია გარჯა, გონიერების ხმობა, საერთო ენის გამონახვა და სულიერების დაბანდება.

10985. უპირველესი ჭეშმარიტება სამშობლოს სამსახურია, რაც უნდა წარმატებული ვიყოთ სხვის ქვეყანაში, მაგრამ ნიჭის უგულებელყოფაც საცოდაობაა, რადგან ის სამყაროს საკუთრებაა და არა რომელიმე სამშობლო-ქვეყნისა.

10986. პატრიოტიზმი გულზე ხელის ბრაგუნი და მჭევრმეტყველური ყბედობა ან კიდევ მაღალფარდოვანი სიტყვების ფრქვევა კი არ არის, არამედ მოვალეობის შეცნობა, ერის გამრავლება, შთამომავალთა ღირსეულად აღზრდა, დასაქმება და დასახლება. აი, ჭეშმარიტი მამულიშვილობა.

10987. მეგობრობას, სიყვარულს, ურთიერთგაგებას, თანადგომას ეროვნება არ აქვს.

10988. პატრიოტიზმი ყბედობა და მაღალფარდოვანი სიტყვების ფრქვევა კი არ არის, არამედ მოვალეობის შეცნობა, აღსრულება, გამრავლება, მგ. მრავალშვილიანობა და არა შთამომავლობის კარგი ცხოვრების საბაბით გაბანძება, ერთ შვილამდე დაყვანა.

10989. ეროვნულ განძს, ნიჭიერებას, ყველა ეტაპზე მოფრთხილება სჭირდება, ერმა რომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიოს.

10990. კომუნისტების დროს სამშობლოს სიყვარული პარტიის სიყვარულს გულისხმობს და ამით პარტიის ბევრი წევრი კმაყოფილებას გამოხატავდა, ყოველ შემთხვევაში, მოჩვენებით მაინც.

10991. სამშობლოს თემასაც სხვადასხვა კუთხით შელამაზება სჭირდება, რათა თანამემამულენი შენზე ნაწყენი არ დარჩნენ.

10992. ნამდვილი პატრიოტიზმი ერის გამრავლებისთვის ხელის შეწყობაა, ეროვნულ ტრადიციებზე ნორჩთა აღზრდაა, ტექნიკური პროგრესის მიღწევებისთვის ხელის შეწყობაა.

10993. გეომეტრიულ პროგრესიას სამშობლოს მოხლაფორთებული სიყვარულის ალიბისა არ სჯერა.

10994. გაუაზრებელი, მოჩვენებითი პატრიოტიზმი ხშირად ჩამოუყალიბებელია და დაუღვინებელ გარეწართა თავშესაფარია.

10995. არის სიყვარულის სხვადასხვა სახეობა. მათი ჯამი კიდევაც ქმნის სამშობლოს სიყვარულს.

10996. ეროვნულობა თუ ჩვენი შინაგანი სამყაროს აღფრთოვანებას არ იწვევს, მაშინ ჩვენი პატრიოტიზმი ტყუილია.

10997. ყველა თაობამ თავისი წილი გადასატანი განსაცდელი უნდა გადაიტანოს, დაძლიოს, რათა სული ეროვნულობის ქურაში გამოაწრთოს.

10998. ერის ავკარგიანობა ძირითადად მისი არჩეული ხელისუფლის ბუნება-გუნებაზე, ნიჭსა და პატიოსნებაზეა დამოკიდებული და არა დროის და გარემოს კაპრიზებზე.

10999. სამშობლოს ღალატი ფუძის მოშლით იწყება, როდესაც წინაპართა ნასახლარზე შენი გვარის და სისხლის არცერთი ნაშიერი არ რჩება. ძველ ფუძეს თუ ვასხვისებთ ან უყურადღებოდ ვტოვებთ, სწორედ მაშინ ჩავდივართ ანტიპატრიოტულ საქციელს.

11000. ზოგჯერ ერის უდროო გამოღვიძებას გაცილებით მეტი ზიანი მოაქვს მის ეროვნული შეკავშირებისთვის, ვიდრე მის ლეთარგიულ ძილს.

11001. დაბნეული და თავის ყოფაზე აღრენილი ერი, ძლიერი პიროვნების გამოჩენის გარეშე, უნიათოა.

11002. საკუთარი სურვილით თუ ემსახურებით, ეს ერის ბედნიერებაა, ხოლო, თუ წარსულის ავტორიტეტით – ეს ჩვენი მოვალეობაა.

11003. მონობისთვის არცერთი ერი არ არის გაჩენილი, მაგრამ

დიდი გონიერების ხმევა გვმართებს, რათა მორჩილებისა და სხვათა ჭკუაზე სიარულის მარყუჟში თავი ნებით არ გავყოთ.

11004. გაუაზრებელ და წინდაუხედავ საყველპურო პატრიოტიზმს, რომელიც აუტისტების აღმაფრენას იწვევს, უარყოფითი შედეგი მოაქვს დროისა და გარემოს გაუთვალისწინებლობის შესატყვისად.

11005. მოქალაქეა ის, ვინც ერის გადარჩენაზე, მის გამარჯვებაზე კვლავწარმოებით ზრუნავს და ამით ამაყობს და არა ის, ვინც ეროვნულობაზე სპეკულანტობს და თავად ერთი ხეირიანი ნაშიერიც არ გაუჩენია.

11006. ერის წინდაუხედავი მომავალი ყოველმხრივ ხეიბარია.

11007. რატომღაც პატარა ერები წარსულის სიდიადითა და გადახვეწილ თანამემამულეთა წარმატებებით კმაყოფილდებიან და თავი მოაქვთ, მაგრამ მომავალი ერისშვილების წარმატება-წარმოჩენაზე სერიოზულად არ ფიქრობენ.

11008. შეიძლება თეორიულად პატრიოტიზმთან დაკავშირებული ქმედებანი მისაღები იყოს, მაგრამ პრაქტიკული შედეგი უარყოფითია, რადგან მთავარი მოსახლეობის უსაფრთხოება და გამრავლებაა და არა დაპირისპირება, სიცოცხლის მოსპობა, მით უმეტეს, რომ რაც მოსახდენია, ჩვენი ფანატიზმის გარეშეც მოხდება დროსა და გარემოს შესატყვისად.

11009. განაწყენება-წყენა თავისებური ავადმყოფობაა, თუ ის ქვეყნის სიყვარულს და სამშობლოსადმი ერთგულებას ეხება.

11010. სიმართლე, პატრიოტიზმი, ერთგულება თუ ბავშვობიდან მოგდევს, ამ მასალიდან შესანიშნავ მამულიშვილთა ჩამოყალიბება შეიძლება, თუ მათ სათანადოდ გავწვრთნით.

11011. სამშობლოს სიყვარულს აღზრდასთან ერთად უნდა ვაზიაროთ ახალგაზრდები.

11012. სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, ოღონდ დროს, გარემოს და შესაძლებლობებს უნდა მიექცეს ყურადღება.

11013. ყველა პატარა ერის მოსახლეობა ქალივითაა: ვინც მოეფერება და მეტად დაასაჩუქრებს, იმის მხარესაა, იმის იმედზეა, სანამ სხვა უფრო ხელბარაქიანი არ გამოჩნდებოდეს თავისი ქვენა მიზნებით და ამოცანებით. ამიტომაცაა, პატარა ერები სანდონი არ არიან. მათ რომ ურთიერთგაგება შეძლებოდათ, პატარა ერად არ დარჩებოდნენ.

11014. ცივილიზაციასა და ტექნიკურ პროგრესზე მომეტებულად გამოკიდება ეროვნულობის გრძნობის დევალვირებასა და გაქრობას იწვევს.

11015. ყველაზე მეტი „კონტრაბანდა“ სალაპარაკო ენაში შემოდის და იოლად მკვიდრდება. ესაა უცხოური ლექსიკა, იდიომატიკა, კალკი

და ა.შ.

11016. ერის აღორძინების საწყისი მშობლირ ენაზე მეტყველება და აზროვნებაა და არა ცარიელი პატრიოტული პათოსის ფრქვევა.

11017. უთავმოყვარეო ერს თავის წარმოჩენა უჭირს, მაგრამ აქაც ზომიერების დაცვაა საჭირო. „ოქროს შუალედი“ აქაც მოქმედებს.

11018. ეროვნული სულისკვეთების ადამიანს ორპირობა და ქლესაობა არ შვენის, რა გარემოშიც უნდა მოხვდეს.

11019. ერის მენტალიტეტი იკვეთება მის სამეტყველო საშუალებებში, თვით ლექსიკაშიც კი. როცა რუსი მისალმებისას ჯანმრთელობას აქცევს ყურადღებას („ზდრავსტვუი“), ქართველისთვის უპირატესია მშვიდობა (დილა მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა).

11020. თავმოყვარეობასთან ერთად ერმა უნდა ისწავლოს წინდახედულება და გონივრული ანალიზი.

11021. სამშობლო და სახელმწიფოებრიობა ორი განუყოფელი ცნებაა და მათი დანანევრება ან დაპირისპირება ფაქტობრივად ეროვნულობის ღალატია. სწორედ ამ ვითარებაში ჩნდება დევიზი: დაუპირისპირე და იპოლიტიკანე, დაჰყავი და იბატონე!

11022. სამშობლოს სიყვარული უდიდესი პასუხისმგებლობაა საკუთარი ქვეყნის მომავლისა და წარსულის წინაშე.

11023. ყველაზე დიდი საქვეყნო სამსახური გამრავლება და ღირსეული შთამომავლის დატოვებაა.

11024. პატარა ერებს, შეიძლება, სახელმწიფო არ ჰქონდეთ, მაგრამ სამშობლოსა და დაბადების ადგილის ქონა და მათდამი სიყვარული აუცილებელია.

11025. პატრიოტიზმი საქვეყნო საქმის წინდახედული კეთებაა და არა ემოციების უაზრო ფრქვევა. ან კიდევ გულზე ხელის ბრაგუნი.

11026. გარკვეულ გარემოებათა გამო აფექტის დროს გამოვლენილ თავგანწირვას მე გმირობად ვერ შევრაცხავ, რადგან ჩემთვის უმთავრესია ერის გამრავლებაზე ზრუნვა და არა იაფფასიანი პატრიოტული გამოხტომები.

11027. სამშობლოს სიყვარული ჩვენი ცხოვრების ნაყოფია და არა აღზრდის. ის მთელი ცხოვრება თავს შეგახსენებს, რადგან სამშობლოს სიყვარული ჩვენი გენისთვის აქსიომაა.

11028. ერის ღირსების უგულებელყოფა, მის ღირებულებებში ეჭვის შეტანა და ნალოლიავებ ფასეულობებზე საკუთარი ნებით უარის თქმა, უპირველეს ყოვლისა, გამყიდველი ბუნების გამოვლენა და მერკანტილური გამორჩენის შედეგია.

11029. ზოგჯერ სამშობლო იარაღის ხელში აღებას მოითხოვს და ამაზე უარის თქმა არავის ეპატიება.

11030. პატრიოტის უმთავრესი დანიშნულებაა გამრავლება და

ღირსეული შვილების აღზრდა-დასაქმება; შემდგომ მოდის პატრიოტული სიტყვების ფექვევა, თუ ამისათვის დრო და საშუალება დარჩება.

11031. სამშობლოს სიყვარული ოფლით უნდა დაიხვეწოს და გასუფთავდეს, რომ ჩვენი მამული ოდესმე მაინც დროის შესატყვისად სასურველ ქვეყნად იქცეს.

11032. სამშობლოს სიყვარული დაბადების ადგილის შეჩვევით იწყება, შემდგომ მოდის ეროვნულობა და არსებული გარემოს სიყვარული.

11033. ტკივილით გამყარებული სიყვარული სამშობლოს სიყვარულია, როდესაც სხვა ქვეყანაში ცხოვრობ, მაგრამ გული სამშობლოსკენ მიგიწევს. ამ გრძნობათა გაორებას ვერაფერი შველის, რადგან ახალი სამშობლოს ფასი ბოლომდის ვერ შეიგრძნე და ვერ შეიცანი, ხოლო ძველის დავიწყებასაც ვეღარ ახერხებ.

11034. სამშობლოს აზრიანი, საქმიანი და წინდახედული სიყვარული სჭირდება და არა უპერსპექტივო ნაციონალიზმზე თავის დადება.

11035. ტრადიციებსა და პოლიტიკაში ერთხელ აღებული კურსიდან გადახვევას ყველა ერთი სათანადოდ ვერ უმკლავდება.

11036. პატრიოტიზმი ჭკუა-გონება-წინააღმდეგობის დროულად წარმოჩენაა და არა ამბიციების გამოჩენა.

11037. თუ საკუთარ მიზნებს სამშობლოს ინტერესებზე მაღლა აყენებთ და საერთო საქმეს გამორჩენის მიზნით ემსახურებით, უფლება არ გაქვთ, ერის ქომაგად წარმოჩნდეთ და თავს ერის შვილი უწოდოთ.

11038. პატრიოტი ყოველგვარი სიკეთის აღმოჩენის მოსურნეა, ოღონდ თავისი გადასახედიდან.

11039. საოცარი რამ არის ეროვნულობის შეცნობა: რაც უნდა გაგანაწყენონ თანამემამულეებმა, ეროვნულ ფესვებს მაინც ვერ ღალატობთ და შორიდანაც კი ეთაყვანებით.

11040. სამშობლოს სიყვარული არა მარტო უნდა ვისწავლოთ, არამედ მისი დონე უნდა ავიმაღლოთ კიდეც კანონიერების დაცვითა და ქცევის ნორმების მკვეთრად დახვეწით.

11041. თაობათა წინაშე განუსჯელი „შეთქმულების მოწყობა“ უმთავრესად ავანტურისტი ვაი-პატრიოტების ბრალია.

11042. სამშობლოს სიყვარულს ახსნა არ სჭირდება. აქ მთავარია, ის სამართლიანად და გაგებით მოგექცეს, ხოლო შენ მისი აღმშენებლობისთვის ხელი გამოიღო, წინდახედულება გამოიჩინო და ჭკუა მარჯვედ მოიხმო.

11043. სამშობლოს სიყვარული ავ-კარგის შეჯერების შედეგად ვითარდება და ის სტერეოტიპს არ უნდა შეეწიროს.

11044. მამული, ენა, სარწმუნოება, ურთიერთმოსმენის უნარი, თავის განძრევა, ხელის გამოღების მცდელობა – ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინოს პატრიოტმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი პატრი-

ოტიზმი მიუღებელი, დასაგმობი და მოჩვენებითია.

11045. სამშობლო ხალხს ეკუთვნის და არა პოლიტიკას მიტმასნებულ პირებს, და ეს მათ კარგად უნდა დაიმახსოვრონ – უკუჩვენება აქვს ცუდი.

11046. სამწუხაროდ, ახლანდელ ახალგაზრდებს იმდენად შედეგი არ აინტერესებს, რამდენადაც თავის წარმოჩენა-გამოჩენა.

11047. ერი ცხვრის ფარას არ უნდა დაემგვანოს, თორემ ის წინაპრების საფლავზე მოძოვს და მოისაქმებს.

11048. პატრიოტიზმს თუ რწმენითა და წინდახედულად არ ჩავეჭიდებით, მაშინ მისგან თავის შეკავება სჯობს.

11049. პატრიოტიზმი მოყვასის სიყვარულია. ის გულისხმობს საკუთარი მეობის წარმოჩენას სხვისთვის ზიან-ზარალის მიუყენებლად.

11050. პატიოსნების ხელყოფასა და მისთვის ჩირქის მოცხებას უნდა ვერიდოთ, რადგან ეს საბოლოოდ ეროვნულობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულამდე მიდის.

11051. ერმა ვის უნდა მიაგოს პატივი და ვის უნდა მიენდოს, ხშირად მისთვის ამოუხსნელ გამოცანად რჩება.

11052. სამშობლო ხომ უფრო მეტია, ვიდრე – მშობელი. ამას ჯეელობაში უკეთ ვაცნობიერებთ.

11053. ქვეყნის ღირებულებებისთვის კვანტის გამოკვრას ყველაზე მეტად ეროვნულობა განიცდის.

11054. წარმომავლობა ადამიანს სამშობლოს დავიწყების უფლებას არ აძლევს, რაც უნდა ის მას ცუდად მოექცეს.

11055. ჩვენ უნდა ვემსახუროთ წინდახედულად გააზრებულ ეროვნულ საქმეს და არა ცვალებად ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც ხშირად ავანტიურაზე და სათავისო დროის ყივილზეა აგებული და რომელსაც ხშირად ხიფათი მოაქვს.

11056. პატრიოტიზმი, ფაქტობრივად, გონიერებას, განსჯას, მოთმინებას მოითხოვს, რადგან ყველაზე დიდი პატრიოტიზმი გამრავლება, მრავალშვილიანობა და მათი აღზრდა-დაბინავებაა, ხოლო აფექტური პატრიოტული თავმოყვარეობა მოითმენს, თუკი მიზანი გათვიცნობიერებული გვექნება. სამწუხაროდ, რამდენი უშვილძიროდ გადაშენებული გულითა და სულით პატრიოტი ეწირება დაპირისპირებებს და ესეც ერის წინაშე დანაშაულია.

11057. ქვეყანაზე ფიქრი და პატრიოტული გრძნობების წარმოჩენა აზრს კარგავს, თუ არსებული ხელისუფლება გაუთლელ-გაურანდავია, გამორჩენისკენ აქვს მიდრეკილება, ხოლო მისი თვალსაწიერი შეზღუდულია.

11058. სამშობლოს სიყვარული შეფარდებითია და მისი სტანდარტების დადგენის უფლება არავის აქვს.

11059. თავისი ქვეყნის ფესვებს მოწყვეტილი პიროვნება ვერასოდეს სამშობლოს ღირსეული შვილი ვერ იქნება, რადგან მას ორი სამშობლო აქვს, ე.ი. შედარებისა და არჩევის საშუალებაც, და ეს გაორება ყველა სახის სიყვარულს ვნებს.

11060. სამშობლოსაგან განშორების ტკივილი გენეტიკურია, მაგრამ თავისუფლება და ფულის შოვნის წადილი იმდენად მომხიბვლელია, რომ მისგან დაშორებასაც ვეგუებით და სხვაგან გადასახლებასაც.

11061. ყველა ჩვენგანი უნდა ვეცადოთ, როგორმე ჩვენი წილი სამშობლო წარმოვაჩინოთ, თავადაც წარმოვჩნდეთ და სამშობლოს სიყვარელი თანამოძმეებში ასე დავთესოთ.

11062. სამშობლოს სიყვარულის კრედიტ-დებეტის დაბალანსება დაბადებიდანვე უნდა ვისწავლოთ.

11063. გაუაზრებელი „ურა“ პატრიოტიზმი იდიოტიზმია.

11064. სამშობლოს რომ რაიმე არგოთ, ბედიც უნდა მოიმხროთ, მარტო სიყვარული და მცდელობა არ კმარა.

+11065. ერი წარსულით ტრაბახს მაშინ იწყებს, როდესაც აწმყო გაურკვეველი აქვს და მომავლის იმედი – დაკარგული.

11066. ყველა პატარა ერი ძირითადად გამყიდველია, დაუნახავია, უმადურია, წინდაუხედავია, განუსჯელია, ამბიციურია. ეტყობა, სხვაგვარად მას თავის გადარჩენა ვერ წარმოუდგენია.

11067. პატრიოტიზმსაც მოწოდება სჭირდება. ყველაზე მნიშვნელოვანი მოწოდება კი ესაა: გამრავლდით!

11068. პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმს შორის დიდი სხვაობაა, მიუხედავად მათი საჭიროებისა ზომიერების ფარგლებში. პირველს თავისი ხალხი და ქვეყანა გაცნობიერებულად უყვარს, ხოლო მეორე სიყვარულით სპეკულანტობს და სარგებელის და კარიერის ძიებაშია.

11069. ხუთი და მეტი შვილის აღმზრდელი მშობლები უდავოდ პატრიოტები არიან და მათი ამგვარი „მსოფლმხედველობა“ და „პოლიტიკა“ ყველაზე გამართლებულია.

11070. სამშობლოს ინტერესებს ყოველივე უნდა შევწიროთ და, თუ საჭიროა, თავიც.

11071. ერის წინაშე დამსახურება მომავალში გაცნობიერებული სარგებლის მოტანით ფასდება.

11072. კანონისა და სამართლიანობის გათავისების უნარის მქონე ერი აუცილებლად წარმატებულია.

+11073. კაცობრიობას სხვადასხვა ერის უყოლობის შემთხვევაში განვითარების დღევანდელი დონის მიღწევა გაუჭირდებოდა, რადგან განვითარებას სხვადასხვა მენტალიტეტის მქონეთა დაპირისპირება სჭირდება.

11074. დაწყებული საქმის ბოლომდის მოყვანაც საქმიანი პატრი-

ოტიზმია.

11075. სამშობლოს რეალური ინტერესებისკენ შემობრუნება ყველა ჩვენგანის ვალია, მიუხედავად ჩვენი მსოფლმხედველობისა.

11076. საქმიანი და შემოქმედი ხალხი ეროვნულობით არ სპეკულირებს.

11077. სამშობლოს სიყვარული ზოგიერთისთვის ომია, ზოგიერთისთვის კი იმ ვალის მოხდა, რომლის არსი ბოლომდე ვერ შეუცნია და არც ცდილობს ამის გარკვევას.

11078. ერის შემაკავშირებელი ძალა წინდახედული შემოქმედებითი პატრიოტიზმია.

11079. სამშობლოს გამოვადგებით თუ არა, ხშირად ეს ჩვენს ცნობიერებაზეა დამოკიდებული და არა რეალურ ფაქტორებზე.

11080. ზოგს სამშობლოს სიყვარული მატერიალური კეთილდღეობა ჰგონია, ხოლო მატერიალურ სიკეთეთა მოპოვებას რომ სამშობლოზე ზრუნვა, ხელების დაკაპიწება და ჭკუის ხმობა სჭირდება, ეს რატომღაც ავიწყდება.

11081. მოვალეობის შეცნობა და გამრავლების მცდელობა სამშობლოს სიყვარულის უპირველესი მუხლია.

11082. ეროვნულობას გვერდში ჯანსაღი აზროვნება უნდა ედგეს და არა განუსჯელი სურვილები.

11083. იცხოვრო შენი ხალხისა და სამშობლოს სასიკეთოდ, ზოგს ეს დიპლომატიად არ მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ეს მცდელობა განუსჯელი პატრიოტიზმისგან შორსა დგას.

11084. სიტყვა „პატრიოტი“ რომ სალანძღავი ცნება გახდება და მას ეჭვის თვალით დაუწყებენ ყურებას, იმ საზოგადოების საქმე აწყობილ-დალაგებული არ უნდა იყოს.

11085. იგრძნო ის, თუ როგორ და რარიგად გიყვარდეს სამშობლო, რომ მას წინდახედულად ემსახურო, ერთეულ ბედის რჩეულთა ხვედრია.

11086. სამშობლოს სიყვარული გენეტიკურია, მიუხედავად მრავალი გაუგებრობისა მასთან ურთიერთობაში. მისდამი სიყვარული არ ნელდება და სიცოცხლის ბოლომდის კოცონივით ანთია.

11087. სამშობლოს სიყვარული შენივე ნაშიერისა და ძირძველი ოჯახური ტრადიციების სიყვარულია, რომლის ნიშანი დაბადებიდანვე დაგყვება.

11088. პატრიოტიზმში თუ საღი ნაციონალიზმი არ ურევია, მაშინ იგი ფუყე და მოჩვენებითია.

11089. სამშობლოს წინდახედული დაცვა პროფესიად უნდა გექცეს, რომელიც შინაგანად უნდა იგრძნო და გაითავისო.

11090. ეროვნულობა და სამშობლოს სიყვარული – ეს ის გამონაკ-

ლისი შემთხვევაა, როდესაც რაოდენობა სჯობს ხარისხს, რადგან ნიჭი და უკეთესი ცხოვრებისკენ მისწრაფება უცხო ქვეყნებში გადაგვხვეწავს, ხოლო უნიჭო იძულებულია თავის ქვეყანაში დარჩეს, სულის ღაფვით იცხოვროს და სამშობლოს წაადგეს.

11091. პატრიოტიზმის განუსჯელად და უდროოდ გადმონთხევა ქვეყნის ეკონომიკას უკან სწევს, პოლიტიკურად „აფეთქებს“ და არამდგრადსა ხდის.

11092. განუსჯელი წინდაუხედავი პატრიოტიზმით თავის გამოდებას იდიოტიზმამდე მივყავართ.

11093. სამშობლოს სიყვარული ირგვლივ მყოფთა კეთილდღეობასაც და ახალშობილთა მატება-უზრუნველყოფასაც უნდა ითვალისწინებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სიყვარული ცალმხრივია და უშედეგო.

11094. ყველაზე დიდი პატრიოტიზმია ეროვნული ენის დაფასება და მისი დაცვა, შემდგომ მოდის ქვეყნის სიყვარული და ბოლოს – პიროვნების წარმომჩენი სხვა ხაბახუბა.

11095. სამშობლოს ცნება მაინც საოცარი რამ არის: რაც უნდა ცუდი გაგიკეთონ თანამემამულეებმა, სამშობლო მაინც გიყვარს და მასზე სხვების მიერ ცუდის თქმას ვერ იტან, თუმცა თავად ბევრჯერ გამოგიხატავს საყვედური თანამოძმეთა ქცევის გამო.

11096. „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია“ ნიშნავს, რომ ჩვეულება ეროვნული დროშის ფრიალით საუკუნეთა რიგს წინ მიუძღვის. თუმცა გააჩნია, ჩვეულების დამცველი ტრადიციონალისტი თავის აზროვნებას და საკუთარ მეობას რა ასპექტით უდგება.

11097. სამშობლოს ბედი ყველა ჩვენგანს გამორჩენის თვალსაზრისითაც გვაინტერესებს და არა მარტო გულის ასაყუჩებლად, ემოციებთან შესარკინებლად და საკუთარი ამბიციების წარმოსაჩენად.

11098. პატრიოტიზმი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ქვეყანას წარმოაჩენს, მისი საბოლოო შეცნობის მცდელობაა.

11099. ერის სიღატაკეს, ჭკუასა და შემოქმედებით უნარს საქმიანობით დაკავებული მოსახლეობის ოდენობა განსაზღვრავს.

11100. ბრძოლებს აგებენ და არა ომს. ესეც განგების პრეროგატივაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერები გადაშენდებოდნენ.

11101. პატრიოტიზმის ცოდნასაც გათავისება და წინდახედულება სჭირდება, რათა სიკეთის ნაცვლად სიავე არ მოვუტანოთ ხალხს.

11102. ყოფის ეტაპები დაბადებიდან სიბერემდე თანმიმდევრულად უნდა განვვლოთ, ქვეყნის შვილობა და სამშობლოს სიყვარული უნდა გამოვავლინოთ.

11103. პატარა ერი არ არსებობს, არსებობს წინდაუხედავი, განუსჯელი, გაუბედავი ადამიანები და „უტრაკო ყარაჩოღელთა“ დასახლება.

11104. სამშობლოს თქმასაც და აღქმასაც თავის ჩარჩოები და განზომილება სჭირდება.

11105. ეროვნულობის შენარჩუნება იდეოლოგიის, ძლიერი ხელის, განვითარებული ეკონომიკის გარეშე ჭირს.

11106. სამშობლოს წარმოსაჩენი სიცრუეც კი პატიოსანი ადამიანისთვის მიუღებელია.

11107. ურთიერთნდობა და ურთიერთგაგება უპირველესად სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმია.

11108. პატრიოტიზმია, როდესაც ქვეყნის, ერის მომავალზე ფიქრობთ, რათა შემდგომი თაობები გამრავლდნენ, დასაქმდნენ და უკეთ იცხოვრონ, ვიდრე დღევანდელ ცხოვრებაზე წუწუნს მოვყვეთ და, მომავალში რა იქნება, დიდად არ ვინაღვლოთ.

11109. ყველა ჩვენგანისთვის უმთავრესი საკითხია: სამშობლოს სიყვარული საკუთარი კეთილდღეობისთვის გვჭირდება თუ მოსახლეობის გასამრავლებლად, წარმოსაჩენად, გასაძლიერებლად.

11110. კანონების უგულებელყოფა სამშობლოს სიყვარულს გარკვეულ დაღს ასვამს.

11111. სამშობლოს შემთხვევით არ ღალატობენ: ან ბედისწერა მუხთლობს, ან გენი აქვთ წამხდარი.

11112. სამშობლოს სიყვარული საქმით, განსჯით, მცდელობით მტკიცდება და არა ყბედობით და გულზე ხელის ბრახუნით.

11113. მტერს რომ სინდისის ქენჯნის უქონლად მოვექცეთ, სამშობლოს სიყვარული უნდა გავითავისოთ.

11114. სამშობლოს სათავისოდ აღქმა, უპირველეს ყოვლისა, კულტურას მოითხოვს და შემდგომ – სიყვარულს.

11115. სამშობლოს მოყვარულს მისი უეცარი ხსენებისას სუნთქვაზე და გულის აჩქარებაზე ეტყობა, რამდენად უყვარს მამული.

11116. სამწუხაროდ, ცივილიზებულ სამყაროში აღზრდილი ადამიანის პატრიოტიზმიც თანდათანობით უსახო ხდება, შობადობა მცირდება, შედეგად პატრიოტიზმი კარიერასა და უკეთესი ცხოვრებისთვის შერკინებას ეწირება.

11117. ერი თავის რეალურ შეულამაზებელ ისტორიას უნდა იცნობდეს, რათა ხალხმა განსჯის უნარი შეიძინოს წარსულის შეცდომების გათვალისწინებით და მისი ერისთვის ჩვეული გენეტიკური უნარები მოირგოს.

სახელმწიფო, საზოგადოება, ხელისუფლება

11118. როგორც ბუნებას, ისე ცხოვრებას თავისი დაწერილი და დაუწერელი კანონები აქვს. ისინი უნდა გავიზიაროთ და მათ დავემორჩილოთ.

11119. ყველა საზოგადოება ფოთოლცვენას განიცდის ადამიანთა იმქვეყნად გასტუმრებით, მაგრამ დასანანია, თუ გონიერების მომტანი ხეები გაზაფხულზე ნაკლებად ჯანმრთელ ფოთლებს მოისხამს.

11120. პატრიოტიზმი მომდევნო თაობების მომრავლება და მათი ღირსეული აღზრდაა და არა რაიმე უმწიფარი იდეისთვის თავის გადადება და ამა ქვეყნიდან უშთამომავლოდ წასვლა.

11121. სიძულვილი ყოველივეს შთანთქავს, მათ შორის იმ სიყვარულსაც, რომლის დამარცხებასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდით.

11122. ზოგჯერ საჯაროდ მხარს არ ვუჭერთ იმას, რაც სინამდვილეში მოგვწონს და გვჯერა, რადგან ამას გვაიძულებს არსებული მენტალიტეტი, რწმენა, ოჯახი, შიში იმისა, რომ დროს ვერ ერგები.

11123. სახელმწიფო ყოფის დაუბალანსებლად და ცხოვრების ინტეგრალების ამოუხსნელად ქვეყანა სათანადო დონეზე არ იმართება.

11124. პროგრესი საუკუნეებს წრეზე ატრიალებს, ოღონდ ბრუნვა-ტრიალის სიჩქარე მატულობს.

11125. ყოველი უსარგებლო დროულად მოსაშორებელია, რათა საზოგადოებამ არ გაითავისოს და ბრბოს ცნობიერებაში ფეხი არ მოიკიდოს.

11126. სიმახინჯეს სპარტელები ჩასახვისთანავე ებრძოდნენ, რომაელები სიმახინჯით ერთობოდნენ, ხოლო დღევანდელი საზოგადოების სიმახინჯის მიმართ ვითომდა გულმოწყალება ყვერებში მახათის გაყრის ტოლფასია.

11127. ინტეგრაცია არ უნდა დავაჩმოროთ და არ უნდა ჩამოვაშოროთ მუშებს, გლეხობას, რადგან სხვაგვარად დაიწყება საზოგადოების დევალვაცია დევიზით „ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს“.

11128. სახელმწიფოებრიობისათვის უმთავრესია გადასახადების ამოღება, ინვესტიცირების მოზიდვა, დასაქმება, კანონის და კანონიერების დაცვა; ყოველგვარი უსაფუძვლო სპონსორების მოზიდვა და ფულის გაუმართლებელი ხარჯვა სხვადასხვა დახმარების მომიზეზებით ხალხის გარყვნას იწვევს.

11129. დამსახურებული პირი ქვეყანამ სამარცხვინო პენსიით და უყურადღებობით არ უნდა „დააჯილდოოს“, რადგან ავტორიტეტს დაკარგავს.

11130. კანონს თუ ზოგჯერ გონივრული ეშმაკობით კანონების დარღვევა არ წაახმარე, ისე კანონიერების დღესასწაულის ნახვა გაჭირდება.

11131. უნიჭო შემოქმედის გაჯეჯილება ქვეყანას სულიერად აჩმორებს.

11132. ადამიანის ბუნება საზოგადოების კანონებს არ უნდა შეეწინაღმდეგოს, მთავარია, მას მოერგოს და მის შესატყვისად განვითარდეს.

11133. არეულ ქვეყანაში გაურკვევლად ხდება მასისა და ხელისუფლების ძალთა გადანაწილება, რადგან ყველა მათგანი თავისი „სიმართლით“ იღვწის.

11134. სამყაროში შემთხვევით რომ არაფერი ხდება, კიდევ უფრო რწმუნდები, როდესაც ჩვენს ისტორიას, სამყაროს უცნარ ხუშტურებსა და საკუთარ უსუსურობას ეცნობი.

11135. კარგია, როდესაც წინასწარ იცი ფინიშის ადგილი, მიზანი, მიზეზი და არავითარი კომენტარი არა გჭირდება.

11136. საზოგადოებას ქმედითი აზრი არ გააჩნია, სანამ პოლიტიკოსი მას თავისთვის სასარგებლო იდეას არ შეაჩეჩებს ხელში.

11137. რეალური ყოფის უვიცობის „დღესასწაული“ ზოგჯერ ისეთ საზოგადოებას წამოეპარება, რომ მთელი ცივილიზაციის გაკვირვებას იწვევს.

11138. მოქალაქეში პატრიოტიზმი უნდა აღვზარდოთ, ხოლო მადლიერების გრძნობა თავისთავად მოვა.

11139. ინტერნეტი ფასეულობათა ახლებური შეცნობის საშუალებას გვაძლევს, ჩვენი მსოფლმხედველობის მიუხედავად.

11140. კაცობრიობა უნდა გვიყვარდეს, ოღონდ საკუთარი პიროვნების შეცნობა-შეგრძნობის გზით.

11141. პატრიოტია ის, ვინც მომდევნო თაობათა გამრავლებაზე, ქვეყნის განვითარებაზე, მშვიდობიან თანაარსებობაზე ფიქრობს და არა საკუთარ ფუფუნებაზე, გარყვნილებასა და ლიტონი სიტყვით კეკლუცობაზე.

11142. ნაღდი პატრიოტიზმი, უპირველეს ყოვლისა, სულიერების გამოკვლევას, მოვალეობის შეცნობას მოითხოვს და ნამდვილი ერისკაცები ამ მოთხოვნებს კიდევაც ასრულებენ.

11143. საზოგადოებას ერთფეროვნებით თავი არ უნდა მოვაბეზროთ. მას უყვარს მრავალფეროვნება.

11144. დაუსჯელობის სინდრომი ადამიანებს რყვნის და სახელმწიფოებრიობას ანგრევს.

11145. ტირანია, დიქტატურა სწრაფად ამყარებს წესრიგს, რადგან კანონსა და კანონიერებაზე მაღლა იყენებს თავს, ოღონდ ამან გარკვეული პერიოდის შემდგომ ცხვირში ამორტყმა იცის.

11146. დაუწერელ კანონებში ყოველთვის მორალური მხარეა წინ წამოწეული, გაფეტიშებული და არა ის, თუ ვინ არის მტყუან-მართალი

და ვის რა ალიბი აქვს.

11147. ის საზოგადოება ინარჩუნებს სიძლიერეს, რომელიც ტექნიკური პროგრესის მოვლენებს ბრმად არ მიჰყვება.

11148. სახელმწიფო შემდგარია, თუ სიტყვის თქმის უფლება ყოველ ცალკეულ პიროვნებას აქვს და არა ხალხს, რომლის ბრბოდან გამორჩევა ძნელია.

11149. მოწყენილობის შეცნობა ამქვეყნად ყოფის წადილს გვიკარგავს.

11150. სახელმწიფო თავისებური სატანისტური ინსტიტუტია და მასში მოხერხებული სატანა თუ არა, მისი ბიძაშვილი მაინც უნდა იღვწოდეს, რადგან დადგენილი კანონების აღსრულებას ძალის გამოუყენებლად, მასისთვის რიდის ჩაუნერგავად ვერ მიაღწევს.

11151. ქვეყნის მართვა ხელოვნებაა. ამ საქმეში ხელოსნობა აუტანელია.

11152. კანონიერი სამართლიანობის მუდმივად და განუხრელად წარმოჩენა ჭირს.

11153. სიმართლე ბანალურია: მიუხედავად მისი გაცნობიერებისა, ყველა მაინც თავისი ბუნების, დროისა და გარემოს შესატყვისად იქცევა და იღვწის.

11154. დემაგოგია და პატიოსნება სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ საწყისი ორივეს ერთი აქვს – სიყვარული რაღაცისა თუ ვიღაცის მიმართ.

11155. ქვეყანაში, სადაც ერთმანეთს არ ამჩნევენ და ლანძღავენ, ხელისუფალი დროულად უნდა შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს დეგრადირება არ ასცდება.

11156. კანონით უნდა დაისაჯოს მავნებლობა, მაგრამ მავნებლობას თუ სიცოცხლის განზრახ ხელყოფა მოსდევს, დამნაშავეს სამაგიერო მკაცრად უნდა მიეზღოს, რათა კანონის ძლევამოსილებაში ეჭვი არავის შეეპაროს.

11157. ზოგჯერ პატიოსნებას უგვანობა სჯობნის, ვიდრე პატიოსნება არ ადუღდებოდეს და გადაირეოდეს.

11158. ზოგჯერ კანონიერების უზენაესობის მომიზეზებით ხდება ყველაზე დიდი უკანონობა.

11159. პატრიოტიზმი შეგნებაა, ერთგვარი მორალია და არა ენის ტრიალი და ლაყბობა. ლენინგრადის ბლოკადის დროს ბლოკადელებისთვის შესრულდა ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია და მაშინ გერმანული კულტურა ფაშიზმთან არავის გაუთანაბრებია.

11160. ტრადიციებს, წესიერებას, შეგნებას გაცილებით მეტი აკრძალვა ახლავს, ვიდრე კანონს, კანონიერებასა და სამართლიანობას.

11161. სიკეთის მკეთებელი ხშირად პასუხისმგებელია იმათზე, ვისაც სიკეთე უყო.

11162. სულიერების შინაგანი ხედვა გვაიძულებს უკეთესები ვიყოთ.

11163. ყველას თავის თავში ჩადებული კონსტიტუცია მოსწონს. მას რომ ქვეყნის კონსტიტუციას უდარებ, ამ უკანასკნელს შინაგანად ეწინააღმდეგება, მაგრამ იძულებული ხარ, დაემორჩილო.

11164. კანონს თუ დრაკონის, ფრთოსანი ურჩხულის, კლანჭებიც არა აქვს, ის ვერ დამკვიდრდება და ვერ იკანონებს.

11165. მეგობართან, ქალებთან, ხელისუფლებაში და სხვა გარემოებებში მოხვედრისას წესრიგისა და ეტიკეტის დაცვა – აი, მთელი ნამდვილი საზოგადოება.

11166. ღირსეული სიბერე ძირითადად სახელმწიფოს შესაძლებლობაზეა დამოკიდებული და ასაკისადმი მის სამართლიან მიდგომაზე.

11167. საზოგადოებრივი კლიშე, მისი უგუნურების მიუხედავად, მაინც გვაშანტაჟებს, თითქოსდა ჩვენი რაღაც ცოდვა იცოდეს და გამხელით გვემუქრებოდეს.

11168. როდესაც საზოგადოებაში წარმოიშვება დავა, თუ რა არის ქალის საკეთებელი და რა – კაცისა, სწორედ მაშინ იწყება საზოგადოების დევალვაცია.

11169. უმწიფარ საზოგადოებაში სწავლობენ მაღალი ქულების მისაღებად და არა ცოდნის გასაღრმავებლად.

11170. საზოგადოებაში, სადაც ფიზიკური შრომა სათანადოდ არ ფასდება, არც ეთიკასა და მორალს დაედება ჯეროვანი ფასი.

11171. განაღდებულ სტაბილურობას მანამდის ვერ ვაფასებთ, სანამდის თავგასული ანარქია არ დაისადგურებს ქვეყანაში.

11172. სამართალი კონკრეტულია და ყოველდღე ვხედავთ, სამართლიანობა აბსტრაქციაა და მისი დანახვაა ძნელია.

11173. ღირსებას უნიათო საზოგადოებაში წარმოჩინება უჭირს.

11174. უზნეო და მოუმწიფებელი საზოგადოება ხელისუფლების სათავეში თავად იწვევს უზნეო დიქტატორს.

11175. მოქალაქეა ის, ვინც დროებით გაჭირვებას, გაუგებრობას გაგებით ეკიდება და ბუნტს არ აწყობს.

11176. თავმოყვარეობა ქვეყანაში მაშინ კნინდება, როდესაც მის ერთიანობას ძირი ეთხრება.

11177. ქცევის ნორმები სამართლიანობის კონტექსტში განიხილება.

11178. ზოგჯერ ქვეყნის მართვაში უკანონობის ჩარევაც საჭიროა, რათა დროის შესაბამისმა აზრმა სიკეთე აკეთოს, ხოლო ხალხმა ხელისუფლის მოხერხებულობას პატივი სცეს.

11179. თუ ქვეყნის სათავეში განგების ნაკურთხი ხელისუფალი არ

დგას, მაშინ ჩვენ ჩვენი დროის უიმედო ყმები და უგვანო მონები ვხდებით.

11180. გონივრული სახელმწიფოს მოწყობა მართვისა და სტატისტიკის ორგანოთა უქონლად წარმოუდგენელია.

11181. უმთავრესია ხელისუფალს ქვეყნის მართვის ნიჭი და უნარი შესწევდეს და არა ცარიელი მბრძანებლობისა.

11182. გონიერება და სარწმუნოება ერთმანეთს ყოველთვის უგებენ, რადგან რწმენა ზედმეტად კონსერვატულია, გონი ზედმეტად კრიტიკული და, შესაძლებელია, საზოგადოების მომწიფებისათვის ასეც სჯობდეს.

11183. საზოგადოების მოთხოვნა სამართლიანობაა, ოღონდ თითოეული პიროვნების გადასახედიდან.

11184. სახელმწიფო მარად განიცდის მოაზროვნე კადრების ნაკლებობას, განსაკუთრებით ლიდერებისა, რომლებმაც ქვეყანა და ხალხები უნდა მართონ.

11185. მთავრობა, ხელისუფლება ყოველთვის ბოროტების განსახიერება იქნება, რადგან ის უმეტესობისა ვერასოდეს იქნება.

11186. ვინც მშობლებთან, შინაურებში საქმეს ვერ აგვარებს, ის ქვეყნის პირველ პირად არ გამოდგება.

11187. საქმე ნაყოფია, ცოდნა – ხის მოვლა. სწორედ ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული, რა სახისა და ოდენობის შედეგს მივიღებთ.

11188. საოცარი წყობა იყო სსრ კავშირში: ჩუმად ყველა აგინებდა, ხმამაღლა ყველა აქებდა, მომსახურება უფასო იყო, მაგრამ, ურმის ღერძს რომ არ ეჭრიალა, ზედ „მაღარიჩის“ ქონი უნდა წაგეცხო. იყო დიქტატურა, მაგრამ უმჯობესი, ვიდრე დღევანდელი დემოკრატიული ანარქიაა.

11189. ხელისუფალი მომავალი თაობების წინაშე აგებს პასუხს და არა აწმყოს წინაშე, რომელსაც, შეიძლება, დღეს კიდევაც გაუგონ.

11190. სახელმწიფო გადატრიალება, რევოლუცია, „პერესტროიკა“ უმეტესად უნიათო ხელისუფლებისა და ხელისუფლის „მოღვაწეობის“ შედეგია.

11191. კანონის მოწოდებაა, ისე დაიმსახუროს პატივისცემა, რომ ზედმეტი ყურადღების მოთხოვნით თავი არ მოგვაძულოს.

11192. მოუმზადებელ დემოკრატიას ხშირად ნამდვილი რაციონალური პატრიოტიზმის ღალატამდე მივყავართ.

11193. სახელმწიფო ძალადობას მცირე შედეგი მოაქვს, მაგრამ ის ზოგჯერ აუცილებელია.

11194. ჩვენს გაამაყებასა თუ დაჩმორებას განსაზღვრავს, რა ადგილი გვიჭირავს საზოგადოებაში.

11195. მახსოვრობის განადგურება სულიერი განადგურების ტოლ-

ფასია.

11196. საზოგადოების მოვალეობაა თავაშვებულობის ალაგმვა.

11197. სახელმწიფოს მართვა არც ისე ძნელია, თუ თანაგუნდელებს მართებულად დაარიგებთ, ურჩებსა და მოუხეშავეებს დაამუნათებთ.

11198. ერთია საქმის კეთება, მეორეა საქმეზე ლაპარაკი. მათ სხვადასხვა განზომილება აქვთ.

11199. საზოგადოებრივი აზრი არასაიმედოა, რადგან ის იმის მიხედვით იცვლება, თუ რა დრო, გარემო და ხელისუფალი ჰყავს ქვეყანას.

11200. ეკლესია მარად მორჩილებას ქადაგებს. ადამიანებს მისთვის რომ ბოლომდის ეყურებინათ, დღესაც მონათმფლობელურ წყობაში მოგვიხდებოდა ცხოვრება.

11201. საზოგადოება და დემოკრატია საყოველთაო თავისუფლებისკენ კი არ უნდა ისწრაფოდეს, არამედ კანონიერებისა და კანონის უზენაესობისკენ.

11202. სიმართლის წარმოსაჩენად სიცრუეს გონიერება უნდა დაუპირისპირდეს.

11203. ყველა პრობლემა გამოსავალს ეძებს ან აძებნინებს.

11204. ხელისუფლება პიროვნებას ხშირად უთმობს და მასთან კონფლიქტს ერიდება, ეროვნულ საკითხსაც ხშირად მისი მეშვეობით აგვარებს.

11205. საზოგადოებას, ყოფას ეშმაკი ჭკუა უფრო ადგება, ვიდრე უპრეტენზიო ალალი.

11206. საზოგადოება კლასიკური აზროვნებაა და არა ფართო მოხმარების ყბედობა.

11207. კეთილგონიერება უმთავრესია საზოგადოებისათვის, რათა მას აუგი არ აკადრონ.

11208. მადლისაგან განსხვავებით, სპონსორობის გაწევასაც ნიჭი უნდა, რათა ის საზოგადოების ნაწილს გამოადგეს და არა მის რომელიმე წევრს.

11209. მდიდარი კრიმინალების განადგურება არ ღირს: ისინი ქვეყნის საკეთილდღეოდ უნდა გამოვიყენოთ.

11210. საზოგადოების თანაგრძნობა დროის ყივილის იმპულსებზეა დამყარებული.

11211. სულიერი ევნუხი საზოგადოებას ყოველთვის ჰყავდა და ეყოლება, რადგან ამქვეყნად ბევრს თავი ტალეირანი ჰგონია.

11212. მაჭრისა და საზოგადოების დუღილის შედეგად სასურველს ვერც ღვინოს ვიღებთ და ვერც წყობას.

11213. წინმასწარას ხუშტურებით აშენებული სახელმწიფო წყობა მოსალოდნელზე ადრე ინგრევა.

11214. საზოგადოებრივი აზრი ხელისუფალს იმად სჭირდება, რათა ხალხი ალაყბოს და ქვეყანა თავის ჭკუაზე მართოს.

11215. საზოგადოებრივი განვითარების კონცეფციების ავტორები „ქაქის ჭამას“ თავს არ ანებებენ და არც დაანებებენ, რადგან ადამიანის ბუნების განუსჯელი უცნაურობანი შეუცვლელია.

11216. გულგრილობა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ჩამოყალიბებას უშლის ხელს. ამ დროს სახელმწიფოს ნაცვლად „ოფისს“ ვიღებთ.

11217. სამართლიანობა და კანონი ხშირად ერთმანეთს მხარს ვერ უბამენ, რადგან კანონი იძულებულია, ზოგი „სამართლიანი“ ქმედება დასაჯოს, მგ. შეურაცხყოფისათვის სამაგიეროს მიგება.

11218. აკრძალვები გამაღიზიანებელია, თუ დროის შესატყვის სამართლიანობაზე არ არის დამყარებული.

11219. სამყაროს სიძულვილი გარკვეული დროით ადამიანის ამბიციებს ათვინიერებს, მაგრამ ვერ კურნავს.

11220. უგვანო ქვეყანაში გამოუყენებელი რჩება დიდძალი ნიჭიერი ხალხი. ეგ დიდი ტრაგედია უნდა იყოს როგორც პიროვნების, ისე ერისთვის.

11221. ქცევის ნორმებს საზოგადოება ადგენს და არა ბრბო.

11222. საზოგადოებრივი აზროვნება ძირითადად ბლეფია.

11223. სხვადასხვა იდეოლოგიის ყურით მოთრევა საზოგადოებრივ ორგანიზმს აჭრილი რძის სინდრომით ემუქრება.

11224. საზოგადოებრივი ცნობიერების დაქვეითება ხალხის ბუნების გადაგვარებას უწყობს ხელს.

11225. პატივმოყვარეობა სიქველეს არ ემორჩილება და ანგარიშსაც არ უწევს.

11226. საზოგადოებისთვის უმჯობესია, ისტორიის მრიცხველი ტიკტიკებდეს და მას ჩაძინების საშუალებას არ აძლევდეს.

11227. ძალაუფლება არც იდეალურია, არც დემონური, რადგან ხალხია მისი საფუძველი.

11228. ბიუროკრატია ყოველივეს თქვლეფს, ახრამუნებს, რყვნის, ვიდრე კანონიერი რეპრესია ხელს არ შემოულაწუნებს.

11229. მორალური ფორმების დაუცველად საზოგადოება ირყვნება, გადაგვარდება, და ამ პროცესს ვერ შვილის ვერავითარი მატერიალური წარმატება.

11230. რწმენის, მიზნისა და შემართების უქონლად ქვეყანა ყანყალებს, ფეხზე ძლივს დგას.

11231. სწორი იდეოლოგია საზოგადოების განვითარების ანიცაა და ბანიც.

11232. სიმართლე პირმოთნე და ქლესა ყოფისათვის თავისებური

ოინის მომწყობია.

11233. რამდენიმე ისტორიული ფაქტის გამოცოცხლება, გაფეტიშება გარკვეულად თავის მოტყუებაა, რაც თანამედროვეთა აღფრთოვანებას იწვევს.

11234. ხელისუფლის უმთავრესი საზრუნავია, დაპანღურებულმა არ დატოვოს თანამდებობა.

11235. სახელმწიფოს დანიშნულებაა ხალხის მომრავლება, მისი ეროვნული იდეოლოგიით დამოძღვრა, კეთილდღეობის ამაღლება, ქვეყნის სამხედრო ძლიერების მიღწევა და არა ხალხის დახოცვა და უგუნურ ომში ჩაბმა.

11236. ზოგჯერ დაპირისპირება საზოგადოებას იმდენად გადააგვარებს, რომ მიცვალებულიც კი საკუთარ პანაშვიდს თავადვე იხდის.

11237. სახელმწიფოებრიობის დაცვა-განვითარება ბევრ დაუგეგმავ მსხვერპლს მოითხოვს.

11238. ხელისუფლება იცვლება, მაგრამ არა ყოფის აუცილებელი კანონები და მისწრაფებები.

11239. ქვეყნის მშენებლობას სჭირდება ურთიერთგაგების ხელისუფლება, გონიერების აგური და შესაძლებლობების ჭკუის ცემენტი.

11240. ამბობენ: ქვეყნისთვის უიმედო იმედის ქონაც იმედიაო, ვინ უწყის, ვინ მოვა ქვეყნის სათავეში.

11241. ხელისუფლების ვალია, ხალხი ჯოჯოხეთს განარიდოს და სამოთხეში არ აცხოვროს. თუმცა შედეგი ერთია: მაინც გადაგვარდება.

11242. სახელმწიფოს ინტერესების დაცვისას დემოკრატიის ევნუხური იდეები არ გამოდგება.

11243. ყველა თავისი დროს გამოთაყვანებულ საზოგადოებაში ცხოვრობს და მის კანონებს ემორჩილება.

11244. სამყარო სანამდის საზოგადოდ არ გაგვიბრაზებია, მანამდის ადამიანის ქცევას ანგარიშს უწევს.

11245. ხელისუფლება ის ბაირამია, რომელშიც მოსვლის შემდეგ ბაირამობა ჭირს, თუ ამომრჩეველი მომთხოვნია.

11246. ნაძირლები იბადებიან. ასეთად იშვიათად ხდებიან. ეს ხელისუფლებამ დროულად უნდა შეიგნოს და შეიცნოს სათანადო კანონმდებლობის მისაღებ-მოსაწონებლად.

11247. თეორიულად ქრისტიან-დემოკრატიულ, თავისუფალ-სოციალისტურ ქვეყანაში ცხოვრებას რა სჯობს, სადაც ქვეყნის კონსტიტუციას პატივს მიაგებენ და კანონს ემორჩილებიან, მაგრამ ვცხოვრობთ სწორედ იმ ქვეყანაში, როგორიც ავაშენეთ დროის, გარემოსა და ჩვენი უგუნურების შესატყვისად.

11248. დაულაგებელ ქვეყანაში ყოფის ძირითადი პრინციპი გადარჩენაა, კანონისთვის ზურგის შექცევაა. ამას ვიგინდარები გვაიძულებენ,

რაღაც მანქანებით ხელისუფლებაში რომ მოხვდნენ.

11249. სახელმწიფოებრიობას მთელი გულითა და სინდისიერებით უნდა ვემსახუროთ, მაგრამ ამ სამსახურის მიმღებიც გონივრულად და ჭკუით უნდა შევარჩიოთ.

11250. კანონი ყალყზე შემდგარ რაშს უნდა მოგვაგონებდეს.

11251. გონივრული თავშეკავების უნარი უპირატესად ხელისუფლისთვის არის აუცილებელი.

11252. ხალხზე ხელისუფალმა რაც უნდა იზრუნოს, დროთა განმავლობაში ის მაინც მოსაბეზრებელი ხდება. ამიტომაც მას გონიერება უნდა ეყოს და გარკვეული საარჩევნო წლები გამოტოვოს, რათა ის კვლავ მოენატროთ.

11253. უკორუფციო საზოგადოებაში ცხოვრება თეორიულად უტოპიაა, მაგრამ მოხერხებული და ძლიერი ხელისუფლის ხელში შესაძლებელია.

11254. არცერთი მცირე ქვეყანა რეალურად დამოუკიდებელი არაა. მან, უნდა – არ უნდა, ძლიერ ქვეყნებს „მთელი სერიოზულობით“ კუდი უნდა უქიცინოს.

11255. ყალბ სიამაყეს ხელისუფლებისთვის ჩალიჩი ბადებს და არა პროგრესისკენ ლტოლვა.

11256. ხელისუფლების სათავეში იმ ასაკში უნდა მოხვიდე, რომ ქვეყნისთვის საჭირო ცოდვების ჩადენაც მოასწრო და ზრდილობის გულისთვის – მონანიებაც.

11257. უგვანო ოპოზიცია ქვეყნის თავის ტკივილია და არა მისი მკურნალობისთვის შერჩეული წამალი.

11258. სამწუხაროა, როდესაც ოპოზიცია და ხელისუფლება უაზრო სადღეგრძელოებს ისვრიან და ქვეყნის სუფრის მასპინძლობის მადლი და ხარისხი არ ანაღვლებთ.

11259. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, რომელსაც კარგი ჯანმრთელობა და ცუდი მეხსიერება აქვს, ან, პირიქით, ქვეყნის სასიკეთო საქმის კეთებისთვის ვერ იღვაწებს.

11260. მატერიალურად ძლიერი და ფეხზე დამდგარი ქვეყანა გენიოსებსა ბადებს.

11261. ხელისუფალმა ქვეყანა გახსნილი შუბლით უნდა მართოს და არა გახსნილი გულით.

11262. ხელისუფლებაში მოსვლის მცდელობისას უნდა გავითვალისწინოთ, რას ნიშნავს, იყო ქვეყნის პირველი პირი და რა უნდა იღონო საიმისოდ, რათა ამომრჩევლის იმედი გაამართლო, ხალხმა დაგაფასოს, ხოლო ისტორიაში სახელი დატოვო.

11263. როდესაც ხელისუფლება ყაჩაღის როლში გვევლინება და ვითომდა კანონის მოშველიებით რეკეტს ეწევა, ქვეყნის რევოლუციური

ნგრევა გარანტირებულია.

11264. კარისკაცები, სახელმწიფო მოხელენი წინათ თუ ომის გაჩაღებით ერთობოდნენ, მასში მონაწილეობდნენ და დიდძალ ფულსა და დოვლათს შოულობდნენ, დღეს ამას ბიზნესში მონაწილეობით, წილში ჩაჯდომით, ფულის „უკუგორებით“ ახერხებენ.

11265. უმეცარი და ამბიციების მქონე საზოგადოება ცნობიერების ავარიას იწვევს.

11266. კარგი მანერებისა და ჩვევების გამომუშავება გონის მოშველიებით შეიძლება, მაგრამ გააჩნია, ვის მიჰყავს ქვეყანაში ყოფის დემონსტრაცია.

11267. მოუწყობელი ქვეყანა ღირსეულ მოქალაქეებს მტრობს და გარკვეულ დროით წყობის უგუნურების ტყვეობაში ამყოფებს.

11268. ხელისუფალს იმიტომ ვირჩევთ, რომ მან გარკვეული სიკეთე უნდა არგუნოს საზოგადოებასა და არა მხოლოდ საკუთარ თავს.

11269. მყარი იდეოლოგიური საძირკვლის უქონლად ყოველგვარი სახელმწიფოებრიობა დროთა განმავლობაში დაუძლურდება და დაეცემა.

11270. სახელმწიფოს მიზანია ქვეყნის და ხალხის გამარჯვება და არა ვისმე დამარცხება და მუხლზე დაჩოქება, რადგან სხვებში ჩვენი ნების აღმსრულებლები კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ – ჩვენი იდეოლოგიის თანამდგომნი და ხელის შემწყობნი.

11271. სახელმწიფო მართვის ალგორითმი მთლიანად არის დამოკიდებული პირველი პირის ნიჭსა და ხალხის აყოლიების უნარზე.

11272. საწარმოო მასშტაბების ოპტიმიზმი ყველა ქვეყნის წინსვლის გარანტიაა.

11273. ყბედობის მოყვარული ხელისუფლის ხელში ქვეყანა ლამაზად მორთულ ჭუჭყიან პატარძალს ემსგავსება.

11274. ჩინოვნიკებით გაბერილ სახელმწიფო აპარატს ქვეყნისთვის სიკეთე არასოდეს მოუტანია.

11275. გონიერი ხელისუფალი სულ „ხალხის აზრის“ ქებაშია, მაგრამ საქმეს თავისი ჭკუით აკეთებს.

11276. ნიჭიერ კაცს თავისებური გადახრები აქვს. ამიტომაც ხელისუფლება ვალდებულია, ამას ყურადღება მიაქციოს და ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენოს.

11277. ყველა მილიონერია, თუ ხელისუფალი ჭკვიანია და ხალხს მისი სჯერა.

11278. სახელმწიფოს სიძლიერე ურთიერთგაგებაზე, პროგრესსა და სამართლიანობაზეა დამყარებული.

11279. ყველა „გულკეთილი“ ხელისუფალი კარიერას უდროოდ და ქვეყნის ბიუჯეტის ფლანგვით ამთავრებს.

11280. სახელმწიფოს სტატუსი მხოლოდ იმ ქვეყნებს უნდა მივანიჭოთ, რომლებიც დაბადებიდან გარდაცვალებამდე მოქალაქეთა კეთილდღეობას ემსახურება.

11281. ყველა ქვეყანას თავისი ბედი და ყისმათი აქვს და სჯობს, მოქალაქემაც ფეხი მას აუწყოს, ვიდრე რაიმეს შეცვლას შეეცადოს – ძვირად უჯდება.

11282. ხელისუფალი მაშინ დიდგულობს, როდესაც ხალხისა და კანონის უზნეობის ბედი დიდად არ ანაღვლებს და სათუო „ოფოფებს“ თავისი ჭკუით მიერეკება.

11283. წესიერ ქვეყანაში არ ხიმანდრობენ. აქ საკუთარი ქვეყნის მადლსა და კულტურას შეიცნობენ და წარმოაჩენენ.

+11284. ხელისუფალი ქვეყანას გემის კაპიტანივით უნდა მართავდეს, მაგრამ მისი ქვეშევრდომი მეზღვაურები მათზე დაკისრებულ მოვალეობებს კაპიტანზე უკეთ უნდა ასრულებდნენ..

11285. ხელისუფალმა თავისი კარიერა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ქალების მართვით უნდა დაიწყოს, თუ უნდა, რომ ქვეყანას ღირსეულ მმართველად მოევლინოს.

11286. საზოგადოება, რომელიც წარსულში ფეხის წატეხვის სამწუხარო ამბებს არ ითვალისწინებს, მუდამ გადაგვარების წინაშე დგას.

11287. დღეს ხელისუფლებაში უმთავრესად სულიერად მოუმწიფებელი ნაბიჭვრების დოღია გამართული და, სანამდის გასტანს ეგ ჭენება, არავინ უწყის.

11288. ქვეყნისთვის ისტორიაში გარემოებათა შესატყვისად საკუთარი ადგილის მოძიებაა მთავარი და არა მატიანეში დაკარგული შესაძლებლობების გამო მოხვედრა.

11289. საზოგადოების არსებობის უცვლელი სამება: დამწერლობა, ხმალი, გუთანი.

11290. მარტოხელასათვის ყველა სახის საზოგადოება მიუღებელია, რადგან ის თავის ადგილს ვერსად იკავებს.

11291. ყველა წყობამ, ფორმაციამ უნდა გაიაროს თავისი ხვედრი ნეგატიური გზა, თანაც ურევოლუციოდ, თუ გვინდა, რომ ქვეყანა რეალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს.

11292. პროგრესი დროისთვის შესაფერის და განგების მიერ ნაჩუქარ ხელისუფალს მოითხოვს და არა საყოველთაოდ არჩეულ უღიმღამო ხელმძღვანელს.

11293. მოქალაქეს თუ სახელმწიფო იდეოლოგისა და კანონიერებისათვის ზურგი აქვს შექცეული, ის ვერც შენიშვნას მისცემს სხვებს და ვერც პიროვნებად ჩამოყალიბდება.

11294. ქვეყანაში უწესრიგობა მთლიანად ხელისუფლების ბრალია, რადგან სახელმწიფოს მართვაში ბუნტი არ უნდა ჩარიო.

11295. სახელმწიფოებრიობა უპატივისმცემლობას ვერ იტანს და არა კანონის დარღვევას. მაგ. უპატივისმცემლობაა, როდესაც პატრულს მანქანას არ უჩერებ, სახანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანებს ადგილს არ უთმობ, ნასვამი მართავ მანქანას.

11296. ტექნიკური პროგრესის უმუხრუჭო გაჯირითება კი არაა მთავარი, არამედ – კრიზისისგან ქვეყნის დაზღვევა.

11297. გადასახადები ხშირად არც უნდა შეიცვალოს და არც გამონაკლისები დავუშვათ, თუ გვინდა, ადვილად აიკრიფოს და ქვეყანამ იხეიროს.

11298. სახელმწიფოებრიობა ღირსეული ადამიანების ხსოვნაზე, დაფასებასა და მათთან გონიერებით გაჯიბრებაზე დგას.

11299. ის ქვეყანაა შემდგარი სახელმწიფო, სადაც სხვისი ჭირი ღობის ჩხირად არ აღიქმება.

11300. სახელმწიფო ინტერესებია გადასახადის გადახდა, კანონის დაცვა, სამართლიანობა, ყველას დასაქმება და ჭკუის წინდახედულად მოხმობა.

11301. ომს იდეოლოგიური გაკოტრების შიში იწვევს. სხვისი ტერიტორიებისა და სიმდიდრეთა მითვისება კი შედეგია.

11302. ძალაუფლება ძლიერი უნდა იყოს, მაგრამ არა გაამაყებულ-გაყოყოჩებული.

11303. ყველა საზოგადოება ცდილობს პერსპექტივის დანახვას, ოღონდაც რეალური შედეგის გაუთვალისწინებლად.

11304. დღევანდელი ეგრეთ წოდებული „ცივილიზებული სამყარო“ ქურდი, მექრთამე, მეძავი, გამომძალველია და პარაქტიკულად სინდისი დაკარგული აქვს, მაგრამ თეორიულად მარად სამართლიანობაზე, თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე ყბედობს. ამ მაქინაციით თავადაც უკმაყოფილოა, მაგრამ ხალხს აყეყეჩებს.

11305. კარგი ხელმძღვანელი იგივე მწვრთნელია, რომელიც მოვალეა, თანამშრომელთა გუნდი ახალი წარმატებების მისაღწევად ავარჯიშოს.

11306. ბევრ ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში უძაღლობის გამო კატები მოდიან და რატომ აძლევს მათ ამის უფლებას ხალხი, აუხსნელია.

11307. სიკეთე იმიტომაც უნდა ვაკეთოთ, რომ კარგი ხალხის რაოდენობა გაიზარდოს.

11308. „წერე, იკითხე, იყბედე“ – საზოგადოებას მოჩვენებითი პატრიოტიზმი ახასიათებს, ქვეყნის პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული კი აკლია.

11309. რეგვნულ პოლიტიკას, ეკონომიკას ის მასა იღებს, რომლის საზოგადოებაც უმწიფარია და გონება აქვს „მკვახე“.

11310. ქვეყნის კონსტიტუცია იმგვარად უნდა დაიწეროს, რომ საზოგადოებამ კანონიერება მუდამ იზეიმოს, შედეგად რევოლუციებსაც ავიშორებთ და არც დიქტატურა გამოიჩორკნება.

11311. ტრადიციების მიერ გადამოწმებულ კანონებს ზოგჯერ ქვეყნის კანონმდებელი დაუფიქრებლად მხარს არ უჭერს, ცვლის და ეს ტრადიციებზე ცუდად მოქმედებს.

11312. „ბოროტების იმპერიად“ წოდებული წყობა ქვეყნის მომავალზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე ორჭოფობისთვის გამზადებულ ხალხზე.

11313. მომავლის იმედი დიდია, მაგრამ სადღაც გვეკარგება და უკვალოდ ქრება.

11314. განვითარებულ საზოგადოებასაც თავისი მუქთახორა ნიჭიერი ხალხი ჰყავს თავის წარმოსაჩენ-გამოსაჩენად და ფულის საშოვნელად.

11315. რაც უნდა კარგი მინისტრთა კაბინეტი გყავდეს, ხელისუფლების ვარგისიანობას მაინც პირველი კაცის ავკარგიანობა განაპირობებს.

11316. დღეს ბუნებაც გადაირია, ხალხიც შეიცვალა და სიმწრით აწყობილი ქვეყნების სახელმწიფოებრიობასაც საფრთხე დაემუქრა.

11317. ხელისუფლებას ხშირად იმიტომ საყვედურობენ, რომ ბიუჯეტის ხარჯზე ცხოვრების უფლებას ყველას არ აძლევს.

11318. არასასურველია ის, რაც არაბუნებრივია, მაგრამ იძულებული ვართ, საზოგადოების მენტალიტეტს ანგარიში გავუწიოთ.

11319. ზოგი უმეცარი ხელის წაკვრით, ზოგიც დაჭიტლაყებით ხვდება სახელმწიფოს იმ სამართავ საჭესთან, რომლის მართვა და მოძრაობის წესები მათთვის არავის უსწავლებია.

11320. არიან ქვეყნები, რომლებიც არც გვამჩნევენ და არც ჩვენთან მეგობრობენ, რომ მათს კაპრიზებს ანგარიში გავუწიოთ და ესენი არიან ნეიტრალური სახელმწიფოები.

11321. ზოგი არც თავისთვის არსებობს და არც ის არსებობს სხვებისთვის. ამ ურთიერთშეუმჩნევლობით ზოგჯერ საზოგადოებაც კმაყოფილია.

11322. პირველობა ზომიერების ფარგლებში ყველა რეგიონის წარმომადგენელს უნდა გადაუნაწილოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეროვნული საზოგადოება არ ჩამოყალიბდება.

11323. ყველა პატარა ქვეყანას დიდი გული და ამბიცია აწუხებს, ხოლო დიდი ქვეყნები მათ ბედს ნარდის კამათელივით აგორებენ და მარად ფსონში ჩადიან.

11324. საკუთარი ძალის, შესაძლებლობების ადგილის არცოდნა და მოთმინების უქონლობა ყველა პატარა ქვეყნის „აქილევსის ქუსლია“.

11325. არაკომპეტენტურები იწყებენ რევოლუციებს, „პერესტროიკებს“, შედეგად ვიღებთ ველურ საზოგადოებას, კაპიტალიზმს, რომელიც მოჭარბებულ სისხლისღვრას იწვევს და ქვეყნის გარკვეული დროით დაცემასაც.

11326. კანონმა, კონსტიტუციამ არც საზოგადოებას, არც პიროვნებას არ უნდა დასცინოს, როდესაც სისაძაგლის ჩამდენ დამნაშავეს კანონი ზოგჯერ ცხოვრების მატერიალურ პირობებს უკეთესს უქმნის, ვიდრე ზოგ პატიოსან მოქალაქეს. მაგ. ნორვეგიელმა ნაძირალამ 74 უდანაშაულო ადამიანი დახოცა. შედეგად მისი ციხეში შენახვა სახელმწიფოს გაცილებით ძვირი უჯდება, ვიდრე ზოგიერთი წესიერი მოქალაქისა. ამასთან ერთად, მისი სახელი ისტორიაშიც შევიდა.

11327. ქვეყნის სამსახური გვაამაყებს და არა დასაქმება სამშობლოს წინაშე მოვალეობის მოხდის შეგნებით.

11328. ბიუროკრატიას იმდაგვარად უნდა ვებრძოლოთ, რომ სახელმწიფო მართვის უნარი არ დაზიანდეს, რადგან უამისოდ ქვეყნის მართვა შეუძლებელია.

11329. ხშირად სახელმწიფოებრიობა ავტოპილოტზეა გადართული, სანამდის ხალხი არ აბუნტდება და ქვეყანას სათავეში მოხერხებული ხელისუფალი არ ჩაუდგება.

11330. დამკვიდრებული, დამყაყებელი საზოგადოების შეცვლა ისევ ტექნიკურ პროგრესს უნდა ვანდოთ, რადგან მარტო გონიერება აქ უძლურია.

11331. სახელმწიფომ გონიერი და მოხერხებული კანონებით უნდა განახორციელოს თავისი ინტერესები, რათა მის პატრიოტულ ქმედებებს კუდი არ გამოაბან თავისუფლების და დემოკრატიის სახელით. მგ. თუ ეროვნულ პოლიტიკას სჭირდება უცხოელი მოქალაქეების მიერ ხელში ჩაგდებული მიწის დაბრუნება, სახელმწიფოს კანონით უნდა შეეძლოს მის მფლობელს უძრავი ქონების ღირებულების ორმაგი, სამმაგი გადაუხადოს და მიწები დაიბრუნოს.

11332. თუ ხელისუფალი ავაზაკია, მაშინ მისი ხელქვეითები არანაკლები არამზადები არიან.

11333. ვერცერთი ხელისუფალი დანაპირებს სრულიად ვერ ასრულებს და თავის დაძვრენას მარად სხვაზე გადაბრალებითა და არარსებული ალიბის გამოძებნით ცდილობს.

11334. სახელმწიფო გონიერებაა ის თავყრილობა, სადაც პიროვნებებმა უნდა იღვაწონ და არა რაღაც მანქანებით მოხვედრილმა ნაძირალებმა, რომლებიც ეჩოსავით ყოველივეს თავისკენ მიითლიან.

11335. ქაოსს ყოველთვის ძალა უპირისპირდებოდა და დაუპირისპირდება, რადგან სხვანაირად ქვეყნის კრიზისიდან სწრაფად გამოყვანა შეუძლებელია.

11336. არიან ბუნების შვილები და ბუნების ნაბიჭვრები, მაგრამ დღევანდელი საზოგადოება მოითხოვს, მათ ერთნაირად მოვეპყრათ კანონის და კანონიერების ფარგლებში. შედეგად რეციდივისტი ნაბიჭვრების რაოდენობა არ მცირდება.

11337. ზოგიერთი ხელისუფალი ისეთ კანონს გვთავაზობს, რომ, თუ მისით იხელმძღვანელებ, სულს ვერც ვერასოდეს მოითქვამ, ვერც შვილებს იყოლიებ და დემოგრაფიულ ვითარებასაც გააუარესებ.

11338. სახელმწიფოს პიროვნება უნდა მართავდეს და არა ბრმად არჩეული ხელისუფალი. მან უნდა წარმოადგინოს პოლიტეკონომიური ტრაქტატი, რომელზეც პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით.

11339. სახელმწიფოს პიროვნება უნდა მართავდეს, რომელსაც ხალხი იცნობს ადრე გაწეული მუშაობით ან გმირობით.

11340. ზოგმა თავი თოხის ბაყუნით უნდა ირჩინოს, ზოგმაც – ლექსების წერით, ზოგმაც – პოლიტიკაში ძრომიალით, მაგრამ პროფესიონალიზმი ყველა საქმეში აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულყოფილი საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდება, რომელიც ყველას მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს, გამოკვებავს და აცხოვრებს.

11341. ოცნებები ოცნებებად დარჩება, თუ ხელისუფალი ხალხს არ აიძულებს, შემოსავლებზე იფიქროს.

11342. დროებით შესვენება-გადახედვას კანონიცა და სამართლიანობის პრინციპებიც მოითხოვენ, რათა უკეთ დაღვინდნენ და საზოგადოებას უკეთ ემსახურონ.

11343. საზოგადოებას თავისი რჩეულის უკრიტიკოდ წარმოჩენა უჭირს.

11344. თეორიულად საზოგადოება უნდა იყოს ქვეყნის ყველა წარმატების თანამონაწილე, თანაშემოქმედი, მაგრამ საამისოდ რეალობისთვის თვალში ჩახედვაც უნდა შეეძლოს და სურვილთა გამჟღავნებაც.

11345. ყოველგვარი იდეოლოგია, სარწმუნოება, პარტია სახელმწიფო წყობის სიძლიერეს ემსახურება, ოღონდ ტექნიკური პროგრესის მოშველიებით.

11346. ქვეყანაში გამოშვებული პროდუქტი უფასოა თუ იაფი, უხარისხოს არ უნდა ნიშნავდეს, რადგან აქ საფრთხე ემუქრება სახელმწიფოს იმიჯს.

11347. ქვეყნის სათავეში მოსაყვანი ნაღდი კაცის ძიება დღემდე გრძელდება, ოღონდ სიტყვებით და არა ჭკუა-გონების მოხმობით.

11348. ნარკოტიკების გავრცელების მიზეზი ძირითადად ხელისუფლებაა, რომელსაც რაღაც გაურკვეველი დემოკრატიული ნორმების დაცვის მომიზეზებით „ხელი ვერ გამოუღია“ და თავის უსუსურობას

სამართლიანობისა და ჰუმანიზმის სახელით ფარავს.

11349. დაუსაქმებლობამ კომუნისტების დროინდელი „შრომადღეებიც“ მოგვანატრა, მოგვანატრა ისიც, უმუშევრობას რომ უსაქმურობად გითვლიდნენ და ამის გამო გაპატიმრებდნენ კიდეც.

11350. უძრაობის პერიოდი ყველა ქვეყანას უდგება, მაგრამ ხალხმა ის უკან დროულად უნდა ჩამოიტოვოს.

11351. ქვეყნის კონსტიტუცია და კანონმდებლობა ისეთი უნდა მივიღოთ, რომ თვით კანონმკვნეტელებმაც კი მას ვერა დააკლონ.

11352. პოლიციის პატრულის ინსტიტუტმა მოსალოდნელზე მეტად გაამართლა და ეს არ უნდა შეიხახვისთაოს მომდევნო ხელისუფალმა.

11353. ყველაზე ძნელია საკუთარი თავისმაგვარის პოვნა საზოგადოებაში, რომ შენც გაუგო და მანაც გაგიგოს.

11354. არეულ, აჭრილ ქვეყანაში ყველას თავისი აზრი აქვს, ყველა მართალია და დამნაშავის მოძიება ჭირს.

11355. ქვეყნის საშენი ქვების ძიების დრო ყოველთვის არის და მას ყავლი არასოდეს გასდის.

11356. ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის უმთავრესი წინაპირობა სახელმწიფო შემოსავლების გაზრდაზე ზრუნვაა.

11357. ტიტველი ხელისუფლის არჩევას ისევ ჩაცმული სჯობს, რადგან დროისაგან მიცემულ შანსს მაინც არ დახარბდება.

11358. ნაძირლები ყველა ეპოქას ჰყავდა და ეყოლება, რადგან, ეტყობა, უამისოდ საზოგადოების არსებობა ვერ ხერხდება.

11359. შური ცოდვაა, მაგრამ უიმისოდ საზოგადოება ვერ ვითარდება.

11360. ტუტუცური პიარით საზოგადოება მორალურად თანდათან ირყვნება, სულელდება და, რაც უფრო საოცარია, ამით ამაყობს კიდეც.

11361. საზოგადოებას აძაბუნებს უპერსპექტივო, გაუაზრებელი ამბიციები, საკუთარი ძალის და შესაძლებლობათა დაუბალანსებლობა.

11362. საზოგადოება, სადაც პიროვნების როლი დაქვეითებულია, ვერასოდეს გახდება ხალხის მსახური.

11363. საზოგადოება სტერილური არ შეიძლება იყოს, მაგრამ კანონისა და კანონიერების დიქტატურა აიძულებს, პატივს მიაგებდეს ქვეყანაში არსებულ კონკურენციას.

11364. არჩევნებით ხელისუფლების შეცვლა დიდებული საქმეა იმ შემთხვევაში, თუ ნიჭიერს, საქმის მკეთებელს ავირჩევთ და არა ხიბლისმფრქვეველ აუტისტს.

11365. პირადი და სახელმწიფოებრივი აზროვნება სხვადასხვა განზომილებაში ჯდება, მაგრამ მათთვის საერთო ენის გამონახვა, ერთ განზომილებად ქცევა სიკეთის მომტანია.

11366. ქვეყნის მთავარი ფარმაცევტი მოქალაქეთა გონიერებაა.

11367. გონიერი და შემოქმედი ხელისუფალია ის, ვისაც მოსმენის უნარი აქვს და თავის თავზე ჭკვიან ხალხს ქირაობს რომელიმე სამკურნალო დარგის წამოსაწევად.

11368. განსხვავებულ აზრთა მქონეების თანხმობის მოძიება ქვეყნის ერთიანობისთვის აუცილებელია.

11369. ზოგიერთი ქვეყნის ბიუჯეტი იმ გამოხეულ ჯიბეს მოგვაგონებს, სადაც, რა სახის ფულიც უნდა ჩადოთ, ნახევარზე მეტი მაინც დაკარგულია.

11370. თუ თაობები თავიანთ დროს ღირსებით ემსახურებიან, ღირსეულ სახელმწიფოსაც ტოვებენ.

11371. არაპოპულარული და სკანდალური რეფორმები სახელმწიფოს წინსვლისთვის ზოგჯერ აუცილებელია, თუ ამ რეფორმებს შემოქმედი და მოხერხებული ხელისუფალი ახორციელებს.

11372. ხელისუფლების გადაცდენაც ხალხმა სათავისოდ უნდა გამოიყენოს და ქვეყნის ინტერესებს ანაცვალოს, მაშინ არის ის ამომრჩეველი და ჭეშმარიტი მოქალაქე.

11373. ქვეყანას სამართავად შემოქმედებითი, მოხერხებული, წინდახედული ხალხი სჭირდება და არა განათლებული ბეცები.

11374. ხელისუფლების, ერთის შეხედვით, მიუღებელი სისაძაგლეც კი ქვეყნის კეთილდღეობასა და ხალხის გაპატიოსნებას უნდა ემსახურებოდეს.

11375. ნამუსდაკარგულ ხელისუფლებას კულტურასთან არაფერი ესაქმება.

11376. სახელმწიფოს „სათლელი დუმის“ დაგემოვნების სურვილი ხელისუფლებაში მოსვლისას ყველას უჩნდება.

11377. რწმენით მთების გადაადგილება შეიძლება, მაგრამ არა ბიუროკრატი ხელისუფლის ბუნებისა.

11378. თუ ძლიერი არ იქნა, სუსტს არავინ დაიცავს. ამიტომაც უპირველესია ქვეყნის ძლიერება და შემდგომ – ხალხის კეთილდღეობა.

11379. ერმა ქვეყნის პატრონობა იმ ხელისუფალს უნდა მიანდოს, ვინც მოსწონს და უყვარს.

11380. კანონის ბორკილების გამოუყენებლად ქვეყნის მართვა ჭირს, რადგან შიში და რიდი სახელმწიფოს სამართავად აუცილებელი პირობებია.

11381. ხელისუფლებისთვის ყველაზე მავნებელი ქვეყნის ინსტრუქციებით მართვა და დამოძღვრაა.

11382. მცირედი უსამართლობის, შიშისა და თითის დაქნევის გარეშე ქვეყნის სასიკეთოდ მართვა ძნელდება.

11383. ძალაუფლება ყოველთვის დამყნობილი იყო მლიქვნელებზე, კარიერისტებზე, მშიშრებზე, რადგან აზროვნება, შეუპოვრობა, მიზანს-

წრაფვა ყოველთვის არსებული ხელისუფლების კონკურენტად აღიქმებოდა.

11384. ხელისუფლად ის გამოდგება, ვის ღმერთთან წილნაყარობასაც ხალხი იწამებს.

11385. სახელმწიფო უშიშროების მსახურნი სამშობლოს სიყვარულს თუ არა, მის პატივისცემას მაინც უნდა გვასწავლიდნენ, რადგან ეს მათი უპირველესი ფუნქციაა.

11386. სამყაროს კარი ყველგან აჭრიალდება, სანამდის ქვეყნებს უნიათო ხელისუფალნი მართავენ.

11387. სამწუხაროდ, სახელმწიფოებს ხშირად უხიაგი ხელისუფალი უდგას სათავეში.

11388. განგების რისხვას მეტ-ნაკლებად ყველა ხელისუფალი უნდა მოელოდეს.

11389. ხელისუფალმა ის კი არ უნდა აკეთოს, რაც ბრბოს მოსწონს, არამედ ის, რაც ქვეყანასა და ხალხს მომავალში გამოადგება.

11390. ქვეყნის მმართველობაში პიროვნების როლის იგნორირება და გაუფასურება საზოგადოების დაკნინებას იწვევს.

11391. სადღეგრძელოებით მოაზროვნე და დაუმსახურებელი ამბიციების მქონე ადამიანებს ძლიერი სახელმწიფოს შექმნა უჭირთ.

11392. სხვისი დახმარებაც თავისებურ ანგარიშს მოითხოვს საზოგადოებისა და საკუთარი თავის წინაშე.

11393. სურვილებისა და ამბიციების მოუთოკველი პიროვნების შენდობაც კი უჭირს საზოგადოებას.

11394. ურთიერთშემჩნევის უნარი ერთობ სასარგებლოა საზოგადოების განვითარებისთვის.

11395. როდესაც ხელისუფლება მერყეობს, მაშინ მასა ავად თუ კარგად თავის სიტყვას ამბობს და სწორედ ეგ არის კანონისა და კანონიერებისათვის დაუშვებელი.

11396. ქვეყნისთვის მისაღები კანონები დაღვინებულ ტრადიციებზე იქმნება.

11397. ყველა სახელმწიფო სისტემას თავისი კუთვნილი ობი ედება, რომელიც დროის შესატყვისად უნდა გაიწმინდოს.

11398. უკომპრომისობას ახალი მთავრობა ძველს აბრალებს და ხშირად ამ დავას საქმის საკეთებელი დრო ეწირება.

11399. წესრიგი და კანონი ერთგვარი კადნიერებაა. იგი საზოგადოების შემაკავშირებელია და ქვეყნის მსოფლმხედველობას სწორ გზაზე აყენებს.

11400. საზოგადოებას ქმნიან და წარმოაჩენენ ორთქმავლის ნიჭით დაჯილდოებულები, ამრავლებენ და თვითმყოფადობას უნარჩუნებენ ვაგონებად გაჩენილები.

11401. საერთო კეთილსინდისიერი შრომა, რწმენა, სიახლისადმი გონივრული მისწრაფება, პატრიოტიზმი, თანამედროვე შეიარაღება და შობადობის გაზრდა – ეს ქვეყნის ძლიერების საფუძველია, მომავლის გარანტირებული პერსპექტივაა.

11402. წესრიგის სასწრაფო დამყარება სახელმწიფოში ქვეყნის კონსტიტუციის პოსტულატების დარღვევით ხდება, რის ნებასაც საგანგებო სიტუაციის გამოცხადება იძლევა.

11403. სისუფთავის დაცვას ადამიანს გონიერების მიმართ შინაგანი მრწამსი – სახელმწიფოს მიმართ პატივისცემა ავალებს.

11404. ქვეყნის სუვერენიტეტის განიავების უფლება არავის ენიჭება, მაგრამ არც ხალხის უაზროდ ხოცვის უფლება გვაქვს, რადგან ხელისუფალი ხალხის გამრავლებასა და მომავალზე უნდა ფიქრობდეს.

11405. ჩვენ მიერ დაქირავებულმა მინისტრმა, პირველ ყოვლისა, ხალხის კეთილდღეობაზე უნდა იფიქროს და არა პირად გამორჩენაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, დემოკრატია ფიქცია ხდება.

11406. საზოგადოების ნერვიული სისტემის ჩართვა-გამორთვა სახიფათო საქმეა.

11407. როცა ჩვენი მოწოდებაა ერთის კეთება, სხვა საქმეს არ უნდა ვაკეთებდეთ – ამით საზოგადოების მართვის პრიორიტეტი უქმდება.

11408. ურთიერთპატივისცემა და ურთიერთგაგება ყველა საზოგადოებაში აუცილებელია.

11409. გონიერი და მკაცრი ზედამხედველის გარეშე ქვეყანა სასიკეთოდ ვერ იმართება.

11410. ნაღდი, ძლიერი, პერსპექტივის მქონე საზოგადოება მაშინ იქმნება, თუ ყველა ჩვენგანი საკუთარ სიტყვა-ქმედებაზე პასუხს ვაგებთ.

11411. ხელისუფალი გონიერებისა და განჭვრეტის ტყვე უნდა იყოს, რათა ქვეყანა თავისუფლად მართოს.

11412. ხელისუფლის ცრუ მტკიცებას, თუნდაც იგი მათემატიკური კანონებით იყოს გამაგრებული, ხალხი გრძნობს და ამგვარ ხელისუფლებას არ ენდობა.

11413. მოჩვენებითი სამართლიანობა ქვეყნის ძლიერებას ძირს უთხრის.

11414. ის საზოგადოება ყოველთვის „გაჭედილია“, რომელსაც არ აქვს მიზანი და თავის რეალურ შესაძლებლობებზე არ ფიქრობს.

11415. ხელისუფლების საზომად სიმდიდრე არ გამოდგება, მაგრამ მისი პარამეტრების გათვალისწინება აუცილებელია.

11416. უფლებების განსჯის, ცხოვრების ცოდნის, გამოცდილების გარეშე ყოფნას ჩვენთვის გაუცნობიერებელ მოვლენებთან მივყავართ და ეს სახელმწიფოებრიობასა და ეროვნულობას დიდ ზიანს აყენებს.

11417. იმ საზოგადოების განვითარებას უნდა ვქომაგობდეთ და მასში უნდა ვიღვწოდეთ, რომელშიც ვცხოვრობთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოფის გაუცნობიერებელი კანონები ხეირს არ დაგვაყრის.

11418. სწორი მაგალითების მოშველიება მრჩეველს არ შველის, თუ იგი ზემდგომი არაა.

11419. საშინელეებაა, როდესაც დღევანდელ ნიჭიერ თაობას ძველი აცუნდრუკებული საზოგადოება ხვდება, რომელიც თავის სურვილებში, მისწრაფებასა და პატრიოტიზმის აღქმაში ვერ გარკვეულა.

11420. ხელისუფლება ვალდებულია, საზოგადოებას ის ღიმილი დაუბრუნოს, რომელიც ასე უხდება, ალამაზებს და მხნეობას მატებს.

11421. თავისუფლება და დემოკრატია როდი ნიშნავს, რომ საზოგადოებაში მიღებულ ქცევის ნორმებს არ დავემორჩილოთ.

11422. მარტივი, მომხვეჭელი, უნიჭო ადამიანები როგორღაც ხელისუფლებაში მრავლად ხვდებიან. და ეგ ხდება ისევ ჭკვიან ზემდგომთა ჩუმი თანხმობით, რათა მათ ფონზე უკეთ წარმოჩნდნენ და ხელის მოთბობაშიც ხელი არ შეუშალონ.

11423. ფუყე საზოგადოებას ფუფუნების მისწრაფება აქვს.

11424. თანდათან ძნელი ხდება იმ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც მისაბაძი უფროსი თაობა ცოტავდება, რაკიღა საზოგადოება ახალ მისაბაძ პიროვნებებს ვეღარ ქმნის.

11425. პატრიოტული რიტორიკით ხელისუფლებაში მოსვლა ადვილია, მაგრამ წასვლაა ძნელი, რადგან პანღური მწარეა.

11426. სახელმწიფო საინტერესო დილემის წინაშე დგას: დამნაშავე უნდა დასაჯოს, გაასამართლოს, შეინახოს, მოუაროს და ყოველივე ამაზე ხალხის ფული დახარჯოს; ხოლო, თუ ეს დამნაშავე არ გამოსწორდა და რეციდივისტი გახდა, მთელი ცხოვრება მუქთად უნდა არჩინოს და ზედამხედველიც დაუნიშნოს. ხომ არ სჯობდა, ასეთი დამნაშავეებისთვის ცალკე ტერიტორია გამოგვეყო და საკუთარი თავი თავადვე ერჩინა?

11427. ეროვნულ „პახმელიაზე“ აღმოცენებული ამბიციების შედეგად შექმნილი ქვეყნები, პირველ ხანებში მაინც, უნდა იმართებოდეს კანონის დიქტატურით.

11428. ხელისუფლებას ერთი მომნუსხველობაც აქვს: ამ სკამიდან ყველა ქვეშევრდომი დებილი და უიღბლო გვეჩვენება, სანამდის ფეხს არ დაგიდებენ და ძირს არ ჩამოგაბრძანებენ.

11429. თანამდებობის პირს, რადგან ხალხის რჩეულია და თანაც მისაბაძი, არის რაღაც, რისი კეთების უფლებაც არ აქვს (საყვარლის ყოლა, თვალში საცემი ქცევა, ლოთობა და სხვა).

11430. სახელმწიფოს ძლიერებისთვის ხალხის შეგნება უმთავრესია. მთავრობა მომდევნო თაობებს ტექნიკური პროგრესის საშალებით

უნდა წვრთნიდეს.

11431. ისტორია ყოველივეს გადახარშავს და გაამართლებს, რაც შედეგს იძლევა. ამიტომ ხელისუფალმა იმაზე კი არ უნდა იფიქროს, რა მოსწონს აწმყოს, არამედ იმაზე, თუ როგორი იქნება ქვეყნის მომავალი.

11432. გონივრული იძულება თვინიერ სახელმწიფოებრიობას თავის გატანის შანსს აძლევს.

11433. სახელმწიფოს ერთობ მოხერხებული ხელისუფალი სჭირდება და მისი მრავალი იმედის მომცემი თანაშემწე.

11434. ქვეყნის ბიუჯეტის გაუპატიურებას ყველა სახელმწიფო მოხელე ფიქრობს და ცდილობს.

11435. ვინც საზოგადოებას ანგარიშს არ უწევს, მასში ვერ ერკვევა და ჩუმად მაინც არ ეპაექრება, ის თავისი დროის გაურანდავი ბრიყვია.

11436. მოჩვენებით კაცთმოყვარე საზოგადოება ქვეყნის ინტერესებს ვნებს (მგ., მახინჯი ახალშობილი ბავშვების ევტანაზიაზე უარის თქმა კაცთმოყვარეობის მომიზეზებით).

11437. განუსჯელ ადამიანთა რაოდენობა მაშინ მატულობს, როცა ქვეყანას პატრონი არა ჰყავს.

11438. ავად თუ კარგად განათლება ქმნის საზოგადოებას და არა, პირიქით.

11439. საზოგადოებას ღირსებას მისი დაუსაბუთებელი ამბიციები და თავაშვებული სურვილები აკარგვინებს.

11440. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საზოგადოება ძირითადად ტანჯული ეგოისტებისგან შედგება, რომლებიც სიტყვით საერთო საქმეზე დებენ თავს, ხოლო საქმით კი საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ. რას ვიზამთ, ასეთია ადამიანური სისუსტის სტრატეგია.

11441. ზოგი მოდას აყოლილი ქვეყანა თავისი ძირძველი კულტურის „ოქროს ზოდების გადადნობას ცდილობს“, რათა თავის რჩენა გაიადვილოს, ხოლო ხვალ ყოველივე ეს რა უარყოფით შედეგს გამოიღებს, მასას ეს არ აინტერესებს.

11442. იმ ქვეყანაში, სადაც სხეული ცალკე დააბოტებს და სული – ცალკე, ხოლო საზოგადოებას იოლი ფულის შოვნისა და ფუფუნებისკენ მიდრეკილება უჩნდება, ადამიანთა ცნობიერება დევალვირდება და ირყვნება.

11443. ქვეყანაში უნიათოთა მომრავლება წყალს მტრის წისქვილზე ასხამს.

11444. სოციალური ჩაგვრის მექანიზმებს მეტ-ნაკლებად დროსთან შეხამებული სახელმწიფოებრივი მართვის ხელოვნება განსაზღვრავს.

11445. ზოგის ენის ტკივილიც კი საზოგადოებას დიდ სარგებელს მისცემდა.

11446. როდესაც ქვეყნის პირველი პირი სამსახურში ფეხით დადის

ყოველგვარი დაცვის გარეშე, იმ ქვეყნაში თავისუფლება და დემოკრატია ფაქტობრივად დამყარებულია.

11447. „ასოჯაჯგურა“ და „ასოფანდურა“ ხელისუფალთა შორის ის სხვაობაა, რომ ერთი ვითომ რაღაცას აკეთებს, მეორე ვითომ რაღაცას ცდილობს. ხალხი კი ეჩვევა ამგვარ „ვითომით“ ხელისუფლებას.

11448. ტოტალიტარული რეჟიმი გარკვეული დროით ხალხს აერთიანებს და ეს მისი სიმღერის დასაწყისია, ხოლო დაბოლოება რა სახისა იქნება, არავინ უწყის.

11449. ცივილიზაციის მოვლენათა არასწორი აღქმა, ინტერნეტიდან მუქთად მიღებული გაურანდავი ინფორმაცია, როცა იდოლოგიის საყრდენები მოშლილია, საზოგადოების გადაგვარებას იწვევს.

11450. შემდგარი სახელმწიფო წყობაა იმ ქვეყანაში, სადაც ხალხი თავისი მოჭარბებული ემოციების მოთოკვას ცდილობს, სხვასაც ანგარიშს უწევს და სამართლიანობის დასამკვიდრებლად იბრძვის.

11451. ოპოზიციისთვის ოპტიმიზმის ჩასახვა ყველა გონიერი ხელისუფლის ვალია.

11452. სიდუხჭირე ხელისუფლის უნიჭობის შედეგია, რადგან მართვაში ის უპირატესობას პოლიტიკას ანიჭებს და არა ეკონომიკას.

11453. ორგანიზებული, კონსოლიდირებული საზოგადოება არასოდეს დევალვირდება.

11454. კარიერისთვის და საკუთარი „მეს“ დაუმსახურებლად წარმოჩენისთვის მებრძოლ ხალხს სრულყოფილი საზოგადოების შექმნა მარად უჭირდა და გაუჭირდება.

11455. დროის ყივილის „ნაბახუსევზე“ შექმნილი ყველა სახელმწიფო პოლიტიკურ მეძავეობაზეც თანახმაა, ოღონდაც კი დააფინანსონ.

11456. ხელისუფალი შრომისმოყვარეობასა და შემართებასთან ერთად ცნობისმოყვარეც უნდა იყოს, რათა ქვეყანას რაიმე არგოს.

11457. ხელისუფალი, რომელსაც მომდევნო თაობები არასოდეს გაიხსენებენ, სიცოცხლეშივე ცოცხლად დამარხული და მკვდარია.

11458. ქვეყნის საკეთილდღეოდ და მისი უნიათობის ჭაობიდან დროულად ამოსაყვანად ზოგჯერ მმართველობის მორალური კანონები დროებით უნდა უარვყოთ და ქვეყანა დიქტატით ვმართოთ, სანამდის მოსახლეობის შესატყვის კანონებს დავამყარებდეთ.

11459. ქვეყანა ყველასათვის მისაღები კანონებითა და თავისუფლების ქარტიის ონანიზმით არ იმართება.

11460. მადლიერების ტვირთის ზიდვა ყველას არ შეუძლია და ყველას სანაცვლო დროულად უნდა მივუზღოთ, რათა საზოგადოების ვალი არ დავიდოთ.

11461. დროებითი ტირანია შემოქმედი ხელისუფლის ხელში გამართლებულია, რაკიღა ამ გზით დროზე და მალე ამოჰყავს მასად

ქცეული საზოგადოება ჭაობიდან.

11462. მშვენიერება არ უნდა დუმდეს, ის მარად უნდა აღგვაფრთოვანებდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება საფრთხის წინაშე დადგება.

11463. მთავრობა თავის უნიათობას დემოკრატიას აბრალებს, რადგან მას დემოკრატია „დერმოკრატიაში“ ერევა და მისი პრინციპები თავისი უსუსურობის გამო ვერც გაურჩევია. მგ. ქვეყანაში ლოთების, ნარკომანების, მათხოვრებისა და სხვადასხვა კანონდამრღვევთა განუსჯელი ყოლა.

11464. ყველა დემოკრატია, თეორიისგან განსხვავებით, პრაქტიკულად „დერმოკრატიაზე“ აღმოცენდება, მაგრამ რამდენად დაწმენდს მას დრო და გარემო, რა ოდენობით გაითავისებს მის პრინციპებს, არავინ უწყის.

11465. „დერმოკრატიული ბედნიერებაა“, როდესაც ხალხი დაუმსახურებელ, უცაბედად მიღწეულ წარმატებას აღნიშნავს ქვეყნის ცენტრალურ მოედანზე სტიქიური გამოსვლებით და ნიშნის მოგებით.

11466. ქვეყნის წარმატების ბაზისი სწორად შედგენილი ქვეყნის კონსტიტუციაა, მასზე კანონების გონივრული მორგება-აღსრულება და კანონთა განუხრელი დიქტატით ქვეყნის მართვა.

11467. სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც შედეგიან საქმიანობას სათანადოდ წაახალისებს როგორც მორალურად, ასევე მატერიალურად, ქვეშევრდომები სიამოვნებითა და დაუყვედრებლად ემსახურებიან.

11468. ხელისუფალმა თავისი შემცვლელის თვისებებიც უნდა გაითვალისწინოს და მის მომავალ ქმედებაზეც პასუხი აგოს, რათა იმქვეყნად მშვიდად გადაბარგდეს, ხოლო ამქვეყნად სახელი დატოვოს.

11469. შემდგარად შეიძლება ჩაითვალოს ის ქვეყანა, სადაც სხვის მიერ შემთხვევით დატოვებულ ქონებას და ინვესტიციებს არა ხარბდებიან და ხელს არ ახლებენ.

11470. საზოგადოება ისე იქცევა, როგორც დრო, გარემო და ზეციური ძალები ინებებენ და არა ისე, როგორც სწამს, ფიქრობს და წარმოუდგენია.

11471. საზოგადოება, რომელიც გაკვირვების უნარსა კარგავს, მარად უკმაყოფილოა და, რას დაეძებს, მისთვისაც დაუდგენელია.

11472. მორალის გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებს, რადგან მისი წევრების ცნობიერება მარად ბუნტისა და აყალმაყალის მოწადინეა.

11473. „კოჰაბიტაციის შალახოს“ ყველა ხელისუფალი თავისი სოლისტობით გვთავაზობს.

11474. ძალაუფლების მათლაფის გამოლოკვას ყველა ხელისუფალი თავისებურად ცდილობს.

11475. ყველა ხელისუფალი სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებასა და მისგან მიღებულ სარგებელში ხელის ფათურს ლამობს.

11476. ეგზოტიკურ კანონებს ძირითადად არშემდგარი ხელისუფლება იღებს.

11477. საზოგადოებას გონიერება და წარსულის გამოცდილება კი არ მართავს, არამედ ცნობიერება და იმ სარგებლის მოლოდინი, რომელსაც საბოლოოდ შეიძლება ვერც ელირსოს.

11478. საზოგადოებისთვის მისაღებია ის მორალური ნორმები, რაც მას დღეს ხელს აძლევს და არა ის, რასაც ჰუმანიზმი და გონიერება უკარნახებს.

11479. ხელისუფლის თუ არ სჯერათ, ის ქვეყანა დემოკრატიის მუდმივ ძებნა-ძიებაში იქნება.

11480. დემოკრატიის დროს ქვეყნის კეთილდღეობა ხალხზეა დამოკიდებული, სოციალიზმის დროს – იდეოლოგიის აღქმაზე, დიქტატურის დროს – ერთი კაცის ნება-სურვილზე და ამ უკანასკნელს ხშირად ქვეყანა კრიზისიდან სწრაფად გამოუყვანია.

11481. ქვეყანაში, სადაც კანონს პატივს არა სცემენ, სამართალს ყურები ჩამოყრილი აქვს.

11482. ხაზინის ვირთხების მომრავლება ქვეყნის კონსტიტუციის არასრულყოფილების ბრალია.

11483. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაა ისიც, თუ შენი ქცევა ხელს არავის უშლის და შენს უნიათობას სხვას თავზე არ ახვევს.

11484. ცრუ სირცხვილით საზოგადოება არა მარტო ირყვნება, იხრწნება კიდეც.

11485. მორალური, ზნეობრივი, კულტურული ნორმების მოშლას საზოგადოების კულტურული ბირთვის დაშლამდე მივყავართ.

11486. სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გარანტი ინტელექტუალური ძალები და ქვეყნის სიყვარულია.

11487. ხელისუფლებაში ყოფნა მოხერხებულობა და ფანტაზიის მასთან შერწყმაა, გარკვეული შედეგია და არა ეშმაკობა.

11488. საზოგადოების სახეს ყოფიერების მოდა ქმნის და არა მისი წიგნიერება.

11489. ხალხთან ურთიერთობა ხელისუფლებამ კანონის უმკაცრესი დაცვით უნდა არეგულიროს და არა ნდობითა და პროპაგანდა-იდეოლოგიით.

11490. ხელისუფლებისთვის კანონისა და კანონიერების რეგულირებაა უმთავრესი და არა მათი უგულებელყოფა.

11491. საკუთარ თავს თავადვე უნდა მივხედოთ, ხოლო ხელისუფლების მოწოდებაა, ამ საქმიანობაში ხელი არ შეგვიშალოს.

11492. დაუსჯელობის სინდრომის აღქმა საზოგადოებას ყველაზე

მეტად ვნებს.

11493. ჩვენ თუ ერთმანეთის ჯობნას არ შევეცდებით, სხვანაირად საზოგადოება ხეირიანად ვერ განვითარდება.

11494. კარგი შვილების აღზრდა საზოგადოების საუკეთესო მონაპოვარია.

11495. საზოგადოება, სადაც ოპონენტები ერთმანეთს არ უსმენენ და პაექრობიდან სარგებელი ვერ გამოაქვთ, ფუყეა.

11496. დალაგებული სახელმწიფო წყობა ხალხის დალაგებულ ცნობიერებას მოითხოვს, სადაც ყოველგვარი ამბიციებისა და შესაძლებლობების რევიზია ჩვეულებრივი ამბავია.

11497. ყველა ხელისუფლება თავის წარუმატებლობას სხვაზე გადაბრალების პიარითა და კანონის მოშველიებით ცდილობს და თავისი იმიჯის შექმნა-შენარჩუნებას ლამობს.

11498. სახელმწიფო წყობის წინააღმდეგ წასვლას მისი სუსტი მხარეების შესწავლა, მასზე უნარიანად მორგება და ლოდინი სჯობს, რადგან გარემო და დრო შენს მოსაგებელს აყალმაყალისა და ექსცესების გარეშე თვითონვე მოგაგებს.

11499. ბიუროკრატია აუცილებელია ყველა სახელმწიფო წყობისთვის. ამიტომ მას კი არ უნდა დავუპირისპირდეთ, არამედ შევეგუოთ და მისი გვერდის ასავლელი გზები მოვიძიოთ.

11500. პანღურის ამოსარტყმელი მინისტრები ხელისუფლებაში ძალზე ბევრია, მაგრამ პანღურის ამომრტყმელი რომ აღარავინაა?!

11501. დემოკრატია მანკიერად წარმოჩნდება, თუ საზოგადოება მის მისაღებად მოუმზადებელია.

11502. ზოგი ხელისუფალი ისე უკეტავს ძალაუფლებისკენ მიმავალ გზას მეორე ხელისუფალს, რომ მათ არაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ ერთ-ერთმა ტრაგიკულად დაასრულოს თავისი და ზოგჯერ ქვეყნის ცხოვრება.

11503. რევოლუცია გაუწონასწორებელი საზოგადოების კულინარიაა, სადაც ყველა შეფმზარეულობას იჩემებს.

11504. საზოგადოებრივი მოთხოვნები და მოთხოვნილებანი პრიორიტეტია ყველა პატიოსანი ხელისუფლებისათვის.

11505. მთავრობის მოწოდებაა, ხალხმა შეძლებულად და იმედით იცხოვროს, მაგრამ არა ფუფუნებაში, რადგან ფუფუნებაში ფუსფუსი ადრე თუ გვიან ქვეყნის ძლიერებას ძირს უთხრის.

11506. ხელისუფლება, რომელიც კანონს არ იცავს და სამართლიანობას ზერელედ უყურებს, ქვეყნისა და ერის დედინაცვალია.

11507. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში დღესაც მოკალათებული არიან ინფორმირებული და განსჯას მოკლებული დებილები, რომლებიც ხალხის სამართლიან მოთხოვნებს გულგრილად ეკიდებიან და საქმის

მოსაგვარებლად თავის განძრევა ეზარებათ.

11508. ყოფითი სტანდარტის შეცვლის სურვილი ქვეყნის უკეთ მართვას გვაიძულებს.

11509. თავი ყველას გვიყვარს და ამ სიყვარულის წარმოჩენას, ჩვენდა უნებლიეთ, საზოგადოებაში ვცდილობთ.

11510. საზოგადოების დაცინვაა, როდესაც პოლიტიკაში აუტისტი მიძვრება, პასუხისგება არაფერზე არ უნდა და თანაც თავსაც გვამადლის.

11511. ეტყობა, სახელმწიფო წყობა, მართვა ხალხის გენეტიკას უნდა მოერგოს და არა გონიერებას.

11512. სახელმწიფო ზოგჯერ უსამართლოც უნდა იყოს თავისი უძღები შვილების მიმართ, რადგან მასაც თავისი სტრატეგია და ინტერესები აქვს.

11513. ქვეყანა სუვერენული შინაარსით უნდა იყოს და არა – ფორმით.

11514. ხელისუფლების უპირველესი მოწოდებაა ქვეყნის ეკონომიკის კოლაფსიდან გამოყვანა და სახელმწიფოებრიობის ნგრევის თავიდან აცილება, ბიუჯეტის ზრდა იმ დროისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით და საამისოდ მას თავის მართლება და ალიბის მოძიება არ უნდა სჭირდებოდეს.

11515. გონიერმა ხელისუფალმა მცირე ერების მერკანტილური ინტერესებიც უნდა გაითვალისწინოს: უნდა წაახალისოს, დედაქალაქში თანამდებობებზე უნდა დანიშნოს მათი წარმომადგენლები, რათა თავი დაჩაგრულად არ იგრძნონ და სასაყვედურო არაფერი ჰქონდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სეპარატიზმი იმძლავრებს.

11516. ხელისუფალს უნდა აინტერესებდეს ქვეყნის ბედი და ხალხის ცხოვრების დონე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველივე მოჩვენებითია, პიარზეა გათვლილი და არარენტაბელურია.

11517. ხელისუფალს თუ სახელმწიფო ინტერესები უხმობს, მან ყველა ქვენა გრძნობები და ადამიანური სისუსტეები თავიდან უნდა მოიცილოს.

11518. ზოგჯერ ხელისუფლება ისეთ პოლიტიკას ეწევა, ვერ გაგიგო, ვის უნდა დაუდგე გვერდში, რომ ქვეყანას რაიმე ეშველოს.

11519. მოქალაქე, რომელსაც საზოგადოების გამოსწორება უნდა, მისდა უნებლიეთ, თავს ხიფათში იგდებს, რადგან მისი იდეოლოგია ისეთ მოწინააღმდეგეს იძენს, რომლებიც ხშირად ტერორის სხვადასხვა სახეობაზეც არ ამბობენ უარს.

11520. ის ქვეყანაა საცხოვრებლად ვარგისი, რომელიც პოპულარობის, პატივისცემისა და თავის წარმოჩენის საშუალებას გვაძლევს.

11521. თითქმის ყველა ხელისუფალი თავისი ბუნებით მშიშარა,

თაღლითი და მოჩვენებითი პიროვნებაა, ხოლო მისი პოლიტიკაში მოსვლა პრესტიჟული დასაქმება და ფულის მოხვეჭაა.

11522. დიდი ნიჭი და შთაგონება ხშირად მაშინ წამოყოფენ თავს, როცა სახელმწიფოებრიობა მომძლავრებულია.

11523. საზოგადოების განვითარების დინამიკისთვის წინსწრება ხშირად სავალალო შედეგს იძლევა. ამის მაგალითია ალუდა ქეთელაური.

11524. ქვეყნის „კუჭმიმხმარ“ ბიუჯეტს ყოველთვის ქარაქუცა ხელისუფალი „პატრონობს“ და ამას გვაყვედრის კიდეც.

11525. ქვეყანაში ოპტიმიზმის ჩაკვდომა „იმედის მომცემი ხელისუფლის უყოლობის ბრალია.“

11526. ცხოვრებას იმ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი დასაშვებია და უნიჭობის დოღია გამართული დემოკრატიისა და თავისუფლების სახელით, დროებით მაინც თავი უნდა ავარიდოთ.

11527. სახელმწიფო – ეს მართვის ნიჭზე მინდობილი ქვეყანაა და მასზე დროისა და გარემო პირობების მორგებაცაა.

11528. არეულობის დროს კანონის მსახურთ სათავისოდ ხელი რომ არ წაუცდეთ, ამის გარანტი არვინაა. ამიტომაც უნდა ვერიდოთ აშლილობას, რათა თანამდებობის პირებს გადაცდენის საშუალება არ მივცეთ და სახელმწიფოებრიობამ დროებით მაინც ჭირი არ მოგვჭამოს.

11529. დასჯა ყველა ხელისუფალს შეუძლია. მთავარია, საქმე დასჯამდე არ მივიყვანოთ.

11530. დაღვინებული საზოგადოება ყველა ახლად არჩეულ ხელისუფალს თავისი გადასახედიდან განსჯის და აკონტროლებს, რათა მომდევნო არჩევნებში შეცდომა არ დაუშვას.

11531. ხშირად ბრბოს და ხალხის ნება ერთმანეთში ირევა, იმდენადაა საზოგადოებაში ეს განზომილება არეულ-შერეული.

11532. ზოგჯერ ზემდგომის ვნება და ნება გვაფიქრებს და გვაშინებს, რათა დაულაგებელ ქვეყანაში არ აღმოვჩნდეთ.

11533. იბადება საზოგადოებისთვის საჭირო და არასაჭირო ხალხიც, მაგრამ ხელისუფალი ვალდებულია, ყველას თავისი ადგილი მიუჩინოს და ქვეყნის საკეთილდღეოდ იღვაწოს.

11534. ყველა თავისებური ბრილიანტია, გააჩნია, საზოგადოება როგორ დაამუშავებს, როგორ დააწახნაგებს, როგორ გამოიყენებს და როგორ გამობრწყინდება.

11535. ქვეყნის კონსტიტუცია მოსახლეობის გამრავლებას, კეთილდღეობას, კანონიერების დაცვას უნდა ემსახურებოდეს, შემდგომ მოდის თავისუფლების, დემოკრატიის მორგება საზოგადოებაზე და სხვა ე.წ. პროგრესის ხაბახუბა.

11536. თანასწორი მოვალეობისა და უფლებების აღიარება და შეგ-

ნება საზოგადოების სწორად განვითარების საწინდარია.

11537. ძლიერი ქვეყნები პატარა და სუსტ სახელმწიფოებს ყოველთვის „განხეთქილების ვაშლით“ კვებავენ, რათა მათი მიმხრობა – დამორჩილება გაადვილებოდათ.

11538. ეტყობა, საზოგადოება ის ნალექია, რომელიც ძირს კი არ ილექება, არამედ ხშირად ზევით ტივტივებს.

11539. ხშირად ხელისუფალი იმიტომაც გვიმალავს სიმართლეს, რომ მას ხალხის ცუდ ხასიათზე დაყენება და თავისი უნიათობის აღიარება არ სწადია.

11540. ხელისუფლებაში მოსვლა გაცილებით ადვილია, ვიდრე ხელისუფლებიდან გაულანძღავად წასვლა.

11541. ყველანი ჩვენი დროისა და გარემოს პროდუქტები ვართ და საშინელებაა, როდესაც ქვეყანას, თუნდაც საუკუნეში ერთხელ, შემთხვევითი და უღიმღამო ხელისუფალი მოევლინება.

11542. გამართული სახელმწიფო წყობა ერთია, ტექნიკური პროგრესის მიღწევები მეორეა, ხოლო გონიერი ხელისუფალი მესამე და უმთავრესია.

11543. ხელისუფალმა საზოგადოება, შეიძლება, ბრბოდ აქციოს და, პირიქით; აქ მთავარია, ამომრჩეველმა ემოციების ზეგავლენით თავისი ხმის გაცუდება არ დაუშვას.

11544. ქვეყნის პირველკაცობა გაცილებით ადვილი მისაღწევია, ვიდრე პირველკაცობოს დატოვების შემდეგ დასამახსოვრებელი სახისა და სახელის შენარჩუნება.

11545. ღირსებამოკლებული ხელისუფალი ქვეყნის მმართველად ვერ ივარგებს.

11546. დღევანდელ ხელისუფლებას უფრო მეტი ალიბი აქვს უპატიოსნო ქმედებებისა, ვიდრე წინას. რადგან მათი ლანძღვა-კრიტიკის მცდელობა მატულობს სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით, ამიტომაც ყველა მოსწრებაზეა გადასული, რადგან ისინი თანამდებობის დაკარგვის შემთხვევაში არავის აინტერესებს.

11547. ნომენკლატურათა დიქტატურაა, სახელმწიფოებრიობას რომ ძირს უთხრის, რყვნის და აჩიავებს.

11548. ყველაზე დიდი უბედურება ქვეყნისთვის არაპროფესიონალი და ჯიუტი ბუნების ხელისუფალია, რომელიც ქვეყნის მართვას ერთპიროვნულად ცდილობს.

11549. ზოგჯერ ხელისუფალთა ქმედება ერთ ანეგდოტს მოგვაგონებს: შვილი ეკითხება დედას, მამა როგორი კაციაო? – ჰე, შვილო, მამაშენისთვის რომ მეყურებინა, შენც არ მყოლებოდიო. ამრიგად, ხალხი თავისთვის ჩალიჩობს, მთავრობა თავისთვის იღვწის და გარკვეული დროით ორივე რაღაცნაირად თანაარსებობს.

11550. გულგრილობა გადამდები სენია და ის, პირველ ყოვლისა, ქვეყნის სახელმწიფოებრიობას ვნებს.

11551. გონიერების ფარგლებში ტაბუდადებული საზოგადოება გადაგვარდება თუ არა, ეს კიდევ საკითხავია.

11552. ყველა ახალ იდეოლოგიას საზოგადოებაში ერთგვარი განხეთქილება შეაქვს.

11553. სახელმწიფოს მმართველობის ინსტიტუტი თუ მოსახლეობის მცირედ ნაწილსაც კი აძლევს იმ ეშმაკობის უფლებას, რომ ქვეყნის ბიუჯეტის კუთვნილი თანხა არ გადაიხადოს, ეს უკვე სახელმწიფოებრიობის მასხრად აგდების ტოლფასია.

11554. ძალადობა და უმწეობა ერთნაირი დანაშაულია. ესაა ცოდვა როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების, ასევე საკუთარი თავის წინაშეც.

11555. სახელმწიფო მოღვაწის დევიზი უნდა იყოს: არავითარი პირადი, მხოლოდ წესრიგი, კანონისადმი პატივისცემა და თავის მოქაჩლება ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

11556. დილეტანტი ხელისუფალი ქვეყნის პოლიტიკურ მმართველობაში სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის კატასტროფაა.

11557. უნიათო პროფესიონალების ოდენობა რომ არ მცირდება, ეს საზოგადოების უგერგილობაზე მიუთითებს.

11558. იყო ქვეყნის პირველი პირი, სათუო სიამოვნებაა, რადგან არ იცი, შენს ღვაწლს როგორ დააფასებენ თანამედროვენი და ბოლოს – ისტორია, რადგან დროის ხუშტურებს წინასწარ ვერვინ განსჯის.

11559. ჩამოყალიბებული საზოგადოება შედგება პიროვნებებისგან, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ხალხისგან და არშემდგარი მასისგან. ეს დაყოფა მანამ გრძელდება, სანამდის ქვეყანას ხელისუფლის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები არ მოევლინებიან და ამ სამ დანაყოფს არ გააერთიანებენ.

11560. სახელმწიფოს დაღვინებული პიროვნება უნდა ხელმძღვანელობდეს და არა გამოუცდელი, მოსმენის უნარდაქვეითებული პირი, თუნდაც ის ხალხის აფექტის შედეგად იყოს არჩეული.

11561. ქვეყნის მართვა დაუწერელი კანონების უცოდინარს უფრო მეტად უჭირს.

11562. შინაგანი მოწოდების უქონელ პიროვნებასაც კი ხელისუფლების სათავეში არაფერი ესაქმება.

11563. ყველაზე ძნელია ქვეყნის მართვის სტრატეგიაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება.

11564. ჯერჯერობით სამყაროში იბადებიან: საქმოსნები-უსაქმურები, ნიჭიერები-უნიჭონი, ბეჯითნი და მართალნი, რეციდივისტები და კანონის დამცველები და ა.შ. ამიტომაც ხელისუფლება ვალდებულია,

ყველას თავის ადგილსამყოფელი მიუჩინოს და ქვეყნის საკეთილდღეოდ თუნდაც დაძალებით აღვაწოს, სანამდის ისინი თავიანთი გენეტიკური გადმონაშთის შეღიტინებით გადაცდებოდნენ და კანონის საწინააღმდეგო რასმე ჩაიდენდნენ.

11565. უნიათო, უხერხემლო ხელისუფლების ხელში ვის მხარეს უნდა დადგე და რა აკეთო, მარად გაუგებარია.

11566. დანაპირების შეუსრულებლობა, მოყვასისადმი შური და ურთიერთგაუტანლობა ყველაზე მეტად სახელმწიფოებრიობას ვნებს, რომელიც რატომღაც განუსჯელია.

11567. ერთია, როგორი სახელმწიფო გვინდა შეგვრჩეს ხელში, მეორე – როგორ და ვისთან ერთად ვაშენებთ და მესამეა და უმთავრესი, ვინ უდგას ამ მშენებლობას სათავეში.

11568. დევნილ ხელისუფალს, ძალაუფლების მქონე ხელისუფლისაგან განსხვავებით, ჭკუა ქვეყნის აღმშენებლობაში უკვე აღარ მოეკითხება, მაგრამ ის თავისას არ იშლის და უკან მობრუნების უპერსპექტივო იმედით ცხოვრობს და არსებობს.

11569. უხიაგი ხელისუფალია ის, ვინც დისიდენტებს თავის წარმოჩენის მიზეზსა და შესაძლებლობებს აძლევს და გარემოებათა გამო დაშვებულ გადაცდენას თავადვე არ აღმოფხვრის.

11570. მთავარია, ხელისუფალმა ქვეყნის მართვისას ხალხთა კავშირი შეინარჩუნოს, რათა მას ზოგიერთი მცირედი გადაცდენა აპატიონ და შეუნდონ.

11571. ხელისუფლებაში ყოფნა არ ნიშნავს ხელის ფათურს, რომ მხოლოდ მოხვეჭისთვის იღვაწო.

11572. აჭრილი სახელმწიფოს დალაგებას ბუნებით ნიჭიერი დიქტატორი სჭირდება და არა დემოკრატიის პოსტულატებს ამოფარებული, უნიათო, საკუთარ თავზე შეყვარებული კარიერისტი „ნაძირალა“.

11573. ის, რაც ჯარისკაცებისთვის ადვილი შესასრულებელია, ხელისუფლებისთვის ძნელი გადასაწყვეტია და განსასჯელია წინასწარი შედეგის გაუთვლელად.

11574. გრანტებსა და საზღვარგარეთიდან მოზიდულ „ფინანსურ ოყნებს“ შედეგი არ მოაქვს, თუ ქვეყნის სათავეში პიროვნება არ დადგა.

11575. სახელმწიფო ნებისაა, მარტო „დემოკრატიაზე ჩამოკიდება“ და „თავისუფლების ქარტიაზე დაყრდნობა“. ასე მოქცევა უმეცარ საზოგადოებაში არ ამართლებს, რადგან საქმის კეთებას ნიჭსა და შემართებასთან ერთად მათრახის გატყლაშუნების ცოდნაც უნდა.

11576. მოქალაქეობა ფართო ცნებაა, ოღონდ საჭიროების შემთხვევაში ქვეყნისათვის აზრიანი თავის გამოდება უნდა ვიცოდეთ. ესაა მთავარი.

11577. მოქალაქე სახელმწიფომ იმდაგვარად უნდა დაასაქმოს, რომ

პენსიაში გასვლისას ის „სიცოცხლის ბალასტად“ არ იქცეს.

11578. ხელისუფლების სათავეში თუ პიროვნება მოხვდება, ის ამ ქვეყანაში ბრბოდ ქცეულებს, სასწრაფოდ კვლავ ხალხად აქცევს.

11579. ქვეყნისთვის ყველა სახის მმართველობა მისაღებია, თუ მას თავისი დროის შესატყვისი ხელისუფალი უდგას სათავეში.

11580. მტკივნეული რეფორმების და ხელის გალაწუნების გარეშე არეული ქვეყნის ჭკუაზე მოყვანა ჭირს.

11581. ხალხს ძალის ჩვენება აბეჯითებს, ქვეყანას მოხერხებული ჭკუით მართვა აძლიერებს, ხოლო რწმენა საზოგადოებას აყალიბებს.

11582. ძალაუფლებას ბევრი პლუსი აქვს, სანამდის „ჩამოაპლაცკ-არტებდნენ“ და ფეხს დაუდებდნენ.

11583. თანამდებობას ძალაუფლება, გამორჩენა, პატივმოყვარეობა უდევს ბაზისად. სხვაგვარად მასში თავის გაყოფა აზრს იქნებოდა მოკლებული.

11584. ადგილს მავანი ნებაყოფლობით მაშინ თმობს, თუ აიძულებენ ან უკეთეს ადგილს ელოდება.

11585. მეზობელ სახელმწიფოებთან დაპირისპირება არის წინდაუხედავი ფუფუნება, რომელიც ვნებს ქვეყნის ძლიერებას.

11586. ღირებულებათა გაუაზრებლობას არავითარი სარგებელი არ მოაქვს. იგი საზოგადოების განვითარებას აფერხებს.

11587. თუ ყოფიერება ცდილობს ჩვენს მოტყუება-გაცუცურაკებას, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებაა უვარგისი.

11588. ტვინგამორეცხილ საზოგადოებას მკურნალად ქირურგია (კანონის დიქტატურა) სჭირდება და არა ყბედი თერაპია (თავისუფალი მასმედია).

11589. პრაქტიკულად ავტორიტეტი, ძალაუფლება, რწმენა, იმედი მართავს ქვეყანას და არა თეორიულად გაფეტიშებული კაცთმოყვარეობა, ხალხის ნება, ურთიერთდათმობა.

11590. საზოგადოების თავმდაბლობა ზოგჯერ წყვდიადსაც ანათებს და გზას უჩვენებს სინათლისკენ, სიკეთისკენ ხალხის რჩეულთ.

11591. გონიერების სულიერებასთან შერწყმას რწმენა და მამაზეციერის გახსენება იწვევს.

11592. გონიერი და პერსპექტივის ხედვის უნარის მქონე ხელისუფალი განგების წყალობაა ყველა დროსა და გარემოში.

11593. აწმყო ხშირად მომავალს ვერ ჭვრეტს და წარსულს ვერ განსჯის, რაც სახელმწიფოებრიობის სადღეისოდ წარმოჩენას ვნებს.

11594. ხელისუფლება შემოქმედებაა. ამიტომაც მას ძალზე ვნებს ხელისუფლებაში მოსული დაპროგრამებული აუტისტი და გამორჩენის სურვილის მქონე ხელისუფალი – რობოტი.

11595. უსამართლობას ზოგჯერ დადებითი შედეგის მაგვარი მოა-

ქვს, მაგრამ არა სიკეთე – საზოგადოება ირყვნება.

11596. ვინაც განგების ნებას დროებით მაინც ლაგამს ამოსდებს, ის პიროვნებაა და ქვეყნის სამართავადაა გაჩენილი.

11597. სახელმწიფოს უპირველესი ვალია მოსახლეობის დაცვა, მისი ჯეროვანი დასაქმება და გადასახადების დროულად გადახდევინება. დანარჩენს დრო და გარემო განსაზღვრავენ და განსჯიან.

11598. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პოლიტიკური შემართების მქონე კადრების ნაკლებობა ყველა რევოლუციას, რეფომას ახასიათებს. ასეთი ნაკლოვანება აღმოჩნდა „პერესტროიკის“ ავტორიც.

11599. დაუსრულებელი ლაყბობა, უხიაგი კამათი და ძველ მთავრობაზე ყველაფერი ცუდის გადაბრალება ახალ ხელისუფლებას პატივსა და ნდობას ვერ შემატებს.

11600. იმპერია უფრო პერიფერიებს უნდა გაუფრთხილდეს, ვიდრე ცენტრს, რადგან მისი ნგრევა-დანაწევრება სწორედ აქედან იწყება.

11601. ნაღდი პიროვნების მოძიებაა ძნელი და არა იმ პირისა, რომელსაც პრეტენზია აქვს ნაღდ პიროვნებად წარმოჩნდეს.

11602. სინდისის კომპრომისზე წასვლა – ეს ხელისუფლების პრეროგატივაა და არა გონიერებისა.

11603. საზოგადოებრივ სარბიელზე ფეხის შედგმა გვაიძულებს, რომ ყურადღების ცენტრში მოვექცეთ და, უკეთეს შემთხვევაში, სალანძღავად არ გაგვიმეტონ.

11604. ქვეყნის მმართველობის მოშლა უუნარო ხელისუფლებისა და განუსჯელი ამბიციების მქონეთა ბრალია.

11605. სიკეთე თავისუფლებას არ ზღუდავს, მაგრამ სიკეთის მადლით მოსილი მუშტი ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად ადრე თუ გვიან ყველა თაობას სჭირდება.

11606. საზოგადოებას, ხალხს გულისხმიერად უნდა ელაპარაკო, ესაუბრო, რათა ის შენი გონივრული მცდელობის რაღაც ნაწილს ჩასწვდეს და გაითავისოს.

11607. ქვეყნის ჭეშმარიტ მოქალაქედ რომ იქცეთ, სამი შვილი მაინც უნდა იყოლიოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი დასაქმება ქვეყნის მმართველობაში სათუო უნდა იყოს.

11608. შემთხვევითი ხელისუფალი ვერასოდეს იქნება ერის წინამძღოლი და ქვეყნის წარმომჩენი. ის, უბრალოდ, თანამდებობის მანტიაში გახვეული მარიონეტია.

11609. როდესაც ნებაყოფლობითი სავალდებულო ხდება, ეს სახელმწიფოებრიობის უნიათობასა ან მის დიქტატორულ მისწრაფებაზე მიგვანიშნებს.

11610. საზოგადოება, მართალია, აკრძალვებითა და კანონის უზენაესობით იმართება, მაგრამ ურთიერთგაგებით და ეკონომიკის ცოდნით

წარმოჩნდება და აყვავდება.

11611. საზოგადოება უნდა იყოს კანონის მორჩილი და არა დასჯადი, თუკი მისი საწყისი დამყარებულია ურთიერთმოსმენაზე, გაგებასა და სიყვარულზე.

11612. „ტლიკინა საზოგადოება“ თავისი ქვეყნის გაზაფხულს ვერასოდეს მოესწრება.

11613. ყოვლისმცოდნე საზოგადოება ერთ ადგილს ტკეპნის და თავისი ტრაფარეტების შეცნობისთვის არის განწირული.

11614. ყალბი მეობის მქონე საზოგადოება ყოფიერებისთვის გუნდრუკის ფრქვევას ვერ გადაეჩვევა.

11615. საზოგადოებას, რომელიც „ყოვლისმცოდნეა“, თავი სხვებზე ჭკვიანად მოაქვს და წარსულის გაკვეთილებიდან არავითარი დასკვნები არ გამოაქვს, ხეირიანად ფეხზე წამოდგომა ყოველთვის გაუჭირდება.

11616. საიდუმლოთა წვდომის სურვილის უქონელ საზოგადოებას მომავალი ყოველთვის სათუო აქვს.

11617. პოსტმოდერნიზმის არმქონე საზოგადოებისთვის დრო და ეპოქა შეჩერებულია და ის მარად უკან ჩანჩალისთვის არის განწირული.

11618. სამყაროში ყოველივე დროდადრო გადანაწილდება და, ვინც წილში ჩაჯდომას ვერ მოასწრებს, ის ყოველთვის მაჩანჩალობისთვის არის განწირული.

11619. მასის ნაჩქარევად და უაზროდ გამოფხიზლება ხშირად ცუდ შედეგს იძლევა და სახელმწიფოებრიობის კანონზომიერად განვითარებას ხელს უშლის.

11620. საზოგადოება უნდა ეცადოს სიცოცხლეშივე პატივი მიაგოს იმ ადამიანს, რომლის მსგავსიც აღარ განმეორდება.

11621. თუ ხელისუფლებას არ შესწევს უნარი საჭირო დროს, საჭირო გარემოში, საჭირო გადაწყვეტილების მიღებისა, იმ ქვეყნის საქმე წასულია, რადგან ყოველივე დაგვიანებულს, უყურადღებოდ და უპატიოდ მიტივებულს ვერც პოლიტიკა იტანს, ვერც ეკონომიკა და ხალხსაც ასაბუნტებლად განაწყობს.

11622. ხელისუფალი, რომელიც თავის ქმედებებს დროის რიტმს ვერ უთავსებს, ქვეყნის მმართველად არ გამოდგება.

11623. ქვეყნის სუვერენიტეტს ძირითადად აზარალებს არა თავისუფლებისკენ მისწრაფება, არამედ ურთიერთდაპირისპირება, დილეტანტიზმი და ურთიერთგაუტანლობა.

11624. ხელისუფლის მძიმე ტვირთის ტარებას თანდაყოლილ ნიჭსა და მოსმენის უნართან ერთად ბედიც უნდა და დროდადრო გარემო პირობების მიერ მხარის აბმაც.

11625. უგვანო-უნიათო ხელისუფლის ხელში ხალხს იმედის შუქიც კი გვირაბის ბოლოს მიეწოდება და ისიც გრაფიკით.

11626. ხელისუფალი რომელიც ღმერთს არ უქნია, პრობლემებს გარეთ ეძებს, როდესაც პრობლემები ქვეყნის შიგნით აქვს თავზე-საყრელად.

11627. ზოგი ხელისუფალი ქვეყნის შიგნით ისეთ მემკვიდრეობას ტოვებს, რომ მის შემცვლელს დაწინაურება კი არ უნდა მიულოცო, არამედ მიუსამძიმრო.

11628. საზოგადოება იმის შესატყვისად დაგვაფასებს, თუ რა გა-ვიღეთ მისთვის, მაგრამ ამასაც ბედის გვერდში ამოდგომა სჭირდება.

11629. საზოგადოების დანიშნულებაა, ეპოქას, დროს ფეხდაფეხ მიჰყვეს, რადგან ჩამორჩენა ან გასწრება სასურველ შედეგს არ იძლევა.

11630. გონიერი ხელისუფალი, პირველ ყოვლისა, ქვეყნის ფეხზე წამოყენებაზე, მის ძლიერებაზე ზრუნავს და შემდგომ – მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

11631. ძალზე მოწესრიგებული ცხოვრებაც კი ნაკლად მოგვეჩვენე-ბოდა, დღეს იმდენად მოუწესრიგებელია თავად საზოგადოება.

11632. საზოგადოება გარკვეული „მაგრამის“ გარეშე ვერ განვი-თარდება, რადგან მასის კვლავწარმოებაში დაეჭვება აუცილებელია.

11633. ერთი „ჭკუანაღრძობი“, განსხვავებული ვინმე საზოგადოე-ბისთვის საჭიროც არის და ზოგჯერ აუცილებელიც, მაგრამ არა მრავა-ლი, რადგან მაშინ ამ ერთის უნიკალურობა ფასს დაკარგავდა.

11634. ავები, თავხედები უნდა დავაპუროთ, მაგრამ ძალაც უნდა ვაჩვენოთ, ხოლო ალერსიანებს, დამყოლებს უნდა დავუყვავოთ და შიგადაშიგ ვაშიმშილოთ კიდეც, რათა ფართო მასას რევოლუციური მოძღვრების ბაცილა არ შეეპაროს და დროულად ვუმკურნალოთ.

11635. ის სახელმწიფოა შემდგარი, რომელიც თავის მოქალაქეებს აიძულებს, ქვეყნის ქომაგებად და პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ.

11636. ხელისუფლება „ჭკუანაღრძობ“ და „შებერტყილ“ უნიკუმებს უნდა იყენებდეს და არა იმათ, ვინც პოლიტიკაში უსაქმურობის გამო ცხვირის ჩაყოფას ცდილობს და ყბედობა ეხერხება.

11637. ხელისუფალი, რომელიც კანონის უგულებელყოფით ჩა-გრავს თავის ქვეშევრდომებს, ბუნებით დიქტატორია. მისი დიდი ხნით დატოვება ამ თანამდებობაზე დანაშაულია.

11638. უნიათო ხელისუფალთა ხელში მრავალი უნაყოფო წლის გა-ძლება უწევს ხალხს. ამ დროს იგი უმიზნოდ ოცნებობს, უსაქმურობით და განუსჯელობით იჩაგრება.

11639. საზოგადოება, როგორც მოგეხსენებათ, იყოფა „ვაგონებად“ და „ორთქმავლებად“. საშუალო შეფარდება ასეთია: 95:5-თან, მაგრამ უვაგონოდ ორთქმავალი ტვირთს ვერ გადაზიდავს და ვერ მიიტანს დან-იშნულ ადგილამდის, ხოლო უვაგონოდ ორთქმავალი არავის სჭირდება. ეს აქსიომა უნდა გაითვალისწინოს ქვეყნის ხელისუფალმა, რათა ხალხი

უკეთესი ცხოვრების საძიებლად სამშობლოდან არ გაიქცეს, სულიერად და ფიზიკურად არ დაცარიელდეს იგი.

11640. ბრბო ის საბადოა, სადაც ადამიანებს მოიპოვებენ და პირველკაცებად გადაადნობენ. აი, გონიერ ხელისუფალთა საქმე.

11641. ახალ ფორმაციათა ჩამოყალიბება, ტექნიკური პროგრესის შესატყვისად, ყველა დროში აუცილებელია, თუ გვინდა ქვეყანა ყოველგვარი ექსცესების გარეშე განვითარდეს.

11642. ევოლუცია მისაღებია, მაგრამ ტრადიციების გადარჩენა მხოლოდ ქვეყნის მართვის სისტემას შეუძლია.

11643. ქვეყნის პრეზიდენტი ხილული ძალაა ქვეყნის მმართველობაში თუ უხილავი, ის ყველა შემთხვევაში ხელისუფლად უნდა აღვიქვათ, რათა ხალხმა თავისი უხილავი შესაძლებლობებიც იწამოს.

11644. სახელმწიფოებრივი მმართველობის დაუწერელ კანონებში თუ არ ხართ გაცნობიერებული, მთლიანად არსებულ კანონებზე დაყრდნობით მისი მართვა და რეალური საქმის კეთება გაგიჭირდებათ, რადგან სახელმწიფოს მართვას ბევრი გამოსაცნობი კაპრიზი ახლავს.

11645. ძალა იცავს თემიდას და არა პირიქით.

11646. კარგ ხელისუფალს ხელში დემოკრატიასთან, კანონიერებასთან ასოცირებული საჭირო დესპოტიზმიც უნდა ეჭიროს, რათა ქვეყანა სწრაფად განვითარდეს.

11647. ლიდერის პიროვნული ნიჭი და წინხედვის უნარი განსაზღვრავს ქვეყნის ბედსა და მის მომავალს და არა ხალხი.

11648. სამწუხაროდ, სახელმწიფოს დღესაც მარტივი ტვინის, მომხვეჭი ბუნების ხელისუფალნი მართავენ, რომელთა სატყუარაზე მასის ნებაყოფლობით წამოგება ძალზე ადვილია.

11649. ხელისუფლებამ ოპოზიციის პროტესტი დასახული მიზნის მისაღწევად ყურად უნდა იღოს, რადგან აქ მთავარი საბოლოო შედეგია და არა მასთან ურთიერთობის რკვევა.

11650. ჯოხის დამრტყმელი ჭკუის მოსახმობად და „ავი ძაღლი“ საკუთარი მეობის წარმოსაჩენად ყველა საზოგადოებას სჭირდება, მიუხედავად სახელმწიფო წყობისა, რწმენისა და ერის მენტალიტეტისა.

11651. ხელისუფლებას ჯანსაღი კრიტიკა აბეჯითებს, მაგრამ მის ქმედებაში ეჭვის შეტანა აბოროტებს.

11652. სახელმწიფო მმართველობა „რას იტყვის ხალხის“ პრინციპზე არ უნდა ავაგოთ, თუ გვინდა სასიკეთო საქმე ვაკეთოთ და თავადაც არ დავჩმორდეთ, უძლურად არ ვიქცეთ.

11653. ხელისუფლების დევიზი უნდა იყოს: ყური აუწიოს ცინიზმს და უანგაროდ დაეხმაროს პოლიტიკას.

11654. რეალური ავტორიტეტის უქონლად საზოგადოება დასახულ მიზანს ვერ მიაღწევს.

11655. ყველა მთავრობა მეტ-ნაკლებად „ხლუსტობს“ და ბედნიერებაა, თუ ის ნებადართულ წამგლეჯად არ მოგვევლინება.

11656. უპირველესია წესრიგი, პასუხისმგებლობის გრძნობა, მიზანდასახულობა, შემდგომ მოდის ორგანიზაციული ნიჭი, წინხედვა და საკუთარი საქმის სიყვარული. აი, რა პარამეტრებით უნდა გამოირჩეოდეს ხელისუფალი.

11657. ძალაუფლებას მოფრთხილება, შემართება სჭირდება და არა გარყვნა და მათ მიერ ცხვირის აწევა-გაბღენძვა.

11658. საზოგადოება, ფაქტობროვად სიყვარულის, კადრების ურთიერთგაგებისა და საერთო საქმესთან შერკინების საფუძველზე ვითარდება.

11659. სახელმწიფოებრიობის განტოლებაში შედის სოლიდარობა, ურთიერთგაგება, ეკონომიკის ტექნიკურ პროგრესზე დამყარება, მარად სიახლის დანერგვა.

11660. როდესაც ქვეყანა ქაოსში რჩება, აქ საქმის კეთების მცდელობა დიქტატურის გარეშე დაკარგულ დროსთან უაზროდ შერკინების ტოლფასია.

11661. უასპარეზო გონიერება ყველაზე მეტად სახელმწიფოებრიობას ვნებს.

11662. ამბობენ, საზოგადოებას ხალხი წარმოაჩენსო, მაგრამ ტყუილია: საზოგადოებას აყალიბებს გამორჩეული პიროვნება.

11663. საზოგადოების ტრაგედია ის არის, რომ გუშინდელი დამნაშავენი დღეს ადამიანის უფლებების დაცვაზე გვეღადავებიან და ხალხის სიყვარულზე თავს დებენ.

11664. საზოგადოების განვითარებას უთანასწორობის შემოტევა აჩქარებს.

11665. სახელმწიფოს მიერ რწმენის დაფინანსება თავისებური ქრთამია, პატიოსნების რა ალიბიც უნდა მოიშველიოს ხელისუფლებამ.

11666. საზოგადოებრივი აზრისთვის მისაღებად არის ცნობილი სიმამაცის ისეთი გაკვეთილი, რომელიც გულისხმობს სიკვდილისთვის თვალებში ჩახედვას, რადგან ეს ვაჟკაცობად ითვლება.

11667. საზოგადოებამ ცხოვრების ხარისხის ამაღლებისთვის უნდა იღვაწოს და არა ფუფუნებაში მოხვედრისთვის.

11668. საზოგადოება მაშინ ყალიბდება, თუ თავისი წარსულის საკვანძო საკითხებს უშეღავათოდ განიხილავს და დღევანდელობის მსჯავრს არ ერიდება.

11669. ზოგჯერ ყალიბდება, იქმნება ისეთი უნიათო საზოგადოება, რომ აქ მცხოვრებ „პარაოზებს“ თავიანთი თავი შიგ ვერ მოუაზრებიათ და საცხოვრებლად და სამუშაოდ სხვა ქვეყანაში გარბიან.

11670. გონიერი ხელისუფლისთვის ყოველი დღე მნიშვნელოვანია

და ის თავისი შრომის შედეგს ყურადღებით აკვირდება.

11671. წინდაუხედავ და უაზრო ამბიციებს, აფექტში ჩადენილ გმირულ ქმედებას ქვეყნისთვის სარგებელი ვერ მოაქვს.

11672. გამორჩეული შემოქმედის და ხალხის საყვარული პიროვნების ადგილი მთაწმინდაზეა და არა ხელისუფლების წარსულის გამომხატველ მემორიალურ დაფაზე.

11673. სხვათა ცოდვებზე შურით შეხედვას დღესაც ვერ გადაეჩვია დღევანდელი ცივილიზაციის შემოტევით თავმობეზრებული საზოგადოება.

11674. მოუწონებელი და არშემდგარი ე.წ. სახელმწიფოები რატომღაც მოწინავე ქვეყნების გამოცდილებებს არ იზიარებენ, მაგრამ მათ კეთილ ცხოვრებაზე კი თვალი შურით გაურბით.

11675. თუ უნდა სასიკეთო რაიმე აკეთოს, ხელისუფალი უნდა ირჯებოდეს საქმით და არა უფლებებით, არა ალიბის მოძიებით და ყოველი ნაკლის სხვაზე გადაბრალებით.

11676. სახელმწიფოებრიობისთვის საჭირო კანონების მიღება ხელისუფლის ბედით ნაჩუქარ ნიჭს მოითხოვს, ხოლო ხალხისათვის მისაღები კანონების მიღება – განათლებას.

11677. საზოგადოება, რომელიც არ არის ორიენტირებული დროულ ევოლუციაზე, ხეირიან სახელმწიფოს ვერასოდეს შექმნის.

11678. ტრადიციულ საზოგადოებას, თუ ტექნიკური პროგრესი არ უღიტინებს, რეგრესისკენ აქვს მიდრეკილება, ხილო პროგრესზე შურით ოცნებობს.

11679. ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელსაც რაიმე ნაკლი არ ექნება, შეუძლებელია, მაგრამ ეს ნაკლი დასაშვები და მისაღები უნდა იყოს ჩვენი ცნობიერებისათვის.

11680. სახელმწიფოებრიობის ზოგად ღირებულებათა შეცნობა-გაცნობიერება ხშირად სასიკეთო გავლენას ახდენს პიროვნებაზე.

11681. თუ ერთმანეთის პატივისცემასა და სიყვარულს ვერ ვისწავლით, ნურც ხეირიან სახელმწიფოს შექმნაზე გვექნება პრეტენზია.

11682. მარიონეტი თავს ყველგან კარგად გრძნობს და ყველა სახის მთავრობას ეგუება, რადგან მას მივიწყებული აქვს მთავარი: მამული, ენა, სარწმუნოება.

11683. ხელისუფალს თუ სჭირდება, განუსჯელ ქმედებათა ჩამდენს გმირად აქცევს – მაგ. დაქირავებულ ჯარისკაცს, სხვა ქვეყნის ინტერესებისთვის დაღუპულ თანამემამულეს, ხოლო ქვეყნისთვის თავდადებული მოქალაქის ქმედებას საეჭვოდ გახდის და ქვეყნის მტრად გამოაცხადებს. მგ. გავიხსენოთ საქართველოს უნიჭიერესი მხედარმთავარი გიორგი სააკაძე.

11684. ჩვენს ოცნებებს ყური უნდა ვუგდოთ და არა უნიათო, მშიშ-

არა ხელისუფალთა ღადავს, რომლებსაც სიტყვის მადლის შეცნობის უნარიც კი დაკარგული აქვთ.

11685. საზოგადოება სიხარბისა და მექრთამეობის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული და არა სიმდიდრის და სიახლის წინააღმდეგ, რადგან ამ უკანასკნელთა გარეშე ქვეყანა ვერ განვითარდება.

11686. დანაშაულებრივ ქმედებათა განსჯა ძნელია, მაგრამ შესაძლებელია, თუ ხელისუფლება ამას მოიწადინებს.

11687. ყოველგვარ ფანატიზმს საზოგადოებამ თავისი ადგილი უნდა მიუჩინოს, თუ უნდა ყოფა არ გაირთულოს.

11688. იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანებს ერთმანეთისა არ ესმით და ურთიერთს პატივს არ მიაგებენ, საზოგადოება კანონის დიქტატით უნდა იმართოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სახელმწიფო მარად მოჩანჩალეთა რიგებში იქნება.

11689. ხელისუფალს თუ უნდა რეალური საქმე აკეთოს, დემოკრატია უნდა იქადაგოს, მაგრამ ქვეყანა დიქტატით და კანონის ძალით უნდა მართოს.

11690. ხელისუფლად ის გამოდგება, რომელიც ადამიანური რესურსების გონივრულად გამოყენებას ესწრაფვის და მის გამოუყენებლობაზე დარდობს.

11691. ხელისუფლება უმთავრესად ქვეყნის ბიუჯეტის ფლანგვითაა გართული, ვიდრე მისი გონივრულად გამოყენებით, რადგან ბიუჯეტი საერთოა და მას ბევრი უპასუხისმებლო განმკარგავი ჰყავს.

11692. უიმედოდ დაპანღურებულია ის ხელისუფლება, რომელსაც არც ავად და არც კარგად არავინ იხსენებს.

11693. ერთმანეთს ხალხი, რწმენა და მსოფლმხედველობა კი არ ებრძვიან, არამედ სხვადასხვა რეჟიმს ამოფარებული ნიჭიერი, ამბიციური ხელისუფალნი, რომლებსაც ნაძირლობისკენ აქვთ მიდრეკილება.

11694. ღირებულებათა დაუცველობა და მათ მიმართ უყურადღებობა ქვეყნის ძლიერებას ძირს უთხრის და მის მომავალს არაპროგნოზირებადს ხდის.

11695. ქვეყნის ემოციებითა და უუნარო პატრიოტიზმზე დაყრდნობით მართვა რეალური დემოკრატიისთვის მოუმზადებელ საზოგადოებაში გახლავთ დანაშაული.

11696. შენი მეობის პროფესიით დაჭერილი სიყვარული უფრო დასაფასებელია, ვიდრე ბადით – გარიგებით, რადგან პირველი სულის ნაღვაწია.

11697. საზოგადოება პერსპექტივით უნდა იმართებოდეს და არა ვიღაც ხელისუფლის ხასიათით.

11698. ნაჩქარევ, დაუფიქრებელ, ურა პატრიოტიზმს დალაგებული საზოგადოება ნგრევის პირას მიჰყავს.

11699. წინამორბედი ხელისუფლების ლანძღვა-გინება ალიბია, რომელსაც საკუთარი უნიათობა ჰქვია.

11700. ხელისუფლებას ხშირად უხდება მსოფლიოს პოლიტმასკარადში ჩართვა, მისი სურვილის მიუხედავად.

11701. ხალხთა შორის ურთიერთობა უგვანო ხელისუფალთა დაპირისპირებას არ უნდა შეეწიროს.

11702. სახელმწიფო უნდა მართონ გონებაგახსნილმა და მოხერხებულმა ადამიანებმა და არა „ანგელოზებმა“ და დებულებათა მონებმა.

11703. საჭირო კადრების არყოლა ძალზე ვნებს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

11704. ხელისუფალია ის, ვინც, რასაც ხალხს დაჰპირდა, ასრულებს კიდეც, ხოლო ფეხის დაცდენის შემთხვევაში გამამართლებელ საბუთს არ ეძებს.

11705. ხელისუფლის ნიჭია და არა ხალხის ნება, თუ ის დაჩმორებულ ქვეყანას წინდახედულად წარუძღვება და მომავლის რელსებზე უომრად დააყენებს.

11706. ქველმოქმედებას მიჩვეულ ქვეყანაში ცხოვრება შეიძლება საინტერესოც იყოს, მაგრამ არა სტაბილური.

11707. თანამდებობებს მიზანდასახულად მოიპოვებენ, მაგრამ ხშირად უაზროდ კარგავენ.

11708. თავისი საქმიანობით ხელისუფლება მაგალითს უნდა იძლეოდეს, რომ მას მხარი აუბან და გვერდში დაუდგნენ.

11709. ხელისუფლებას ყასიდად ოპონირება კი არა, გონზე მოყვანა სჭირდება საპროტესტო ალიყურების ჭმევით.

11710. განათლების დონე ქვეყნის ეკონომიკურად და პოლიტიკურად ჩამოყალიბების ფაქტორია. ამიტომ ქვეყანას სათავეში გონივრულად არჩეული, წინმჭვრეტელი ხელისუფალი სჭირდება.

11711. აუტისტი ხელისუფლის ამპარტავნება სახელმწიფო მმართველობის ჩვეული ჭირია.

11712. საქმე ის კი არ არის, ხელისუფლება რას ჰპირდება თავის ამომრჩეველს. აქ მთავარია, რა პრაქტიკული სარგებლის მოტანა შეუძლია მის საქმიანობას დღეს და ხვალ.

11713. ზოგჯერ „დედების დაწყევლილი შვილები“ ხელისუფლებაში მოდიან. შედეგი ისაა, რომ ქვეყნის სიძლიერეს ძალა ეცლება.

11714. ხელისუფლისთვის გეოგრაფია გაფართოების სამიზნე და საყრდენი უნდა იყოს.

11715. ყოვლისშემძლე და მცოდნე ადამიანი ხელისუფლებისთვის შეურაცხადია და თანამდებობის პირთ მისი შურთ.

+11716. ხელისუფალი სამართლიანი, მომთხოვნი, შემოქმედი უნდა იყოს და არა კეთილი, დამთმობი და წამხედური, რადგან მას ქვეყნის

ბედი აბარია და არა კეთილი კაცის როლის სცენაზე შესრულება.

11717. უნიათო ხელისუფლისთვის მოსარგები თანამდებობა არ არსებობს და მისი უნიჭობის გამო ხელქვეითებიც ცოდვილნი და დამნაშავენი ხდებიან.

11718. ხელისუფლებამ საერთო საქმეს რომ არგოს, მსმენელიც უნდა ჰყავდეს და დამჯერე მოქალაქენიც. ეს კი კანონის უსიტყვოდ მორჩილებას მოითხოვს.

11719. ქვეყნის ანყობას პოლიტიკურ პარტიათა ყბედობა და ყაყანი არ შველის. ქვეყანას სათავეში პიროვნება და საქმიანი ხელისუფალი უნდა დაუდგეს.

11720. უნიათო ხელისუფლების არაფრისმომცემი ბრძანებების ზუსტი და სწრაფი შესრულება შემსრულებლის სიბრიყვის მაჩვენებელია.

11721. ხელისუფლება რევოლუციას, ბუნტსა და სისხლისღვრას უნდა ერიდოს და შეძლებისდაგვარად სიმშვიდე შეინარჩუნოს, რადგან ეს წინდაუხედავი ქმედებები ყველას ძვირად უჯდება.

11722. ძლიერი სახელმწიფო მანამ იარსებებს, სანამდის მას სათავეში ღირსების მქონე რჩეული ხელისუფალი ეყოლება.

11723. სახელმწიფო წყობის სხვადასხვა სახეობა იმდენად დიდ ზეგავლენას ვერ ახდენს ხალხის მსოფლმხედველობასა და ცხოვრების ხარისხზე, რამდენადაც ხელისუფლის ნება და ნიჭი, ვისაც ქვეყნის მართვის სადავეები ხელთ უპყრია.

11724. სახელმწიფო დიქტატზე ცუდი წარმოდგენა გვაქვს, მაგრამ დაულაგებელ და კორუმპირებულ ქვეყნებში უიმისოდ სახეირო არაფერი გამოდის, რადგან კანონის გატარება და ქვეყნის ეკონომიკის ფეხზე წამოდგომისთვის ძალის გამოყენება და მახვილი ეშვის ჩვენება აუცილებელია.

11725. ახალი ხელისუფლება თუ ძველს ვერაფრით სჯობს, სამწუხაროა, მაგრამ სამწუხაროა ისიც, რომ ამომრჩეველი ამის დროულად აღიარებას არ ცდილობს.

11726. ვნებით ქვეყნის მართვა დანაშაულია, მას შედეგი აქვს ცუდი ან ძალზე ცუდი.

11727. ხელისუფალი მოვალეა, იმ განახლებულ ძვრებს აუღოს ალღო, რომლებიც ჯერ კიდევ ჯეროვნად არ დაწყებულა, თუ უნდა, ბუნტსა და ბოროტებას თავი აარიდოს.

11728. სახელმწიფოს უპირველეს ყოვლისა სინდის-ნამუსით სამსახური სჭირდება და შემდგომ – გონით, რომელიც ასე მრავალფეროვანია.

11729. ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები თუ შექმნილ რეალობას ემთხვევა, ის ქვეყანა შემდგარია.

11730. ხელისუფალი, რომელიც ნიჭიერ და ღირსეულ ადამიანს სათანადოდ არ ასაქმებს, მშიშარა, უსუსური და არშემდგარია.

11731. მთავრობა აღზევებული მინისტრებით ცდილობს ქვეყნის მართვას, რომლებიც „მონების“ როლში გვევლინებიან თავიანთი მექრთამეობისა და ფულის „უკუგორების“ გამო, მაგრამ ისინი ამ დამოკიდებულებითაც კმაყოფილი არიან.

11732. ხელისუფლება უნდა ინტერესდებოდეს თავისი საქმიანობის საბოლოო შედეგებით და არა განუსჯელი პროცესებით, რადგან განაწყენება, გადაცდენა, სიმკაცრის გამოყენება დროებითია, ხოლო მუდმივია სასურველი შედეგი და სწორედ ეს უკანასკნელი უნდა გახდეს განსჯის ობიექტი.

11733. ფულის შემწერი ხელისუფლება იქნება ქვეყნის სათავეში თუ ქუჩის მათხოვარი, ჩემთვის სულ ერთია, რადგან ორივე გამომძალველი და მიუღებელია. მათი გაქრობა აუცილებელია, რათა ქვეყანამ ხელი გამოიღოს და საკუთარი თავის პატივისცემა ისწავლოს.

11734. სანამდის ხელისუფლება ყბედობას, თავის ქებასა და „უტრაკო ყარაჩოღელობას“ არ მოეშვება, მისი პოლიტეკონომიკური ჩალიჩისაგან არაფერი გამოდნება.

11735. თივის ზვინში ნემსის ძებნა მოჩვენებითი საქმიანობაა, რაც თავის გასამართლებლად არის წამოწყებული. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში საკმაოდ ბევრი ხალხია ამ საქმიანობით დაკავებული.

11736. ხელისუფალი უპირველეს ყოვლისა თანმიმდევრობით მინიჭებულ რეგალიებს უნდა მიაგებდეს პატივს და პატიოსნად უნდა ემსახურებოდეს, ხოლო შემდგომ ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს ითვალისწინებდეს.

11737. უგვანო საზოგადოებაში სიმართლის აღქმაც ნებართვას ითხოვს.

11738. კარგი ხელისუფალი კარგი მწყემსივითაა. იგი ცხვარს მატყლს აცლის და არა ტყავს. ამავე დროს, მას უდროოდ არც ხელისუფლებისკენ მიმავალ გზას ულოცავს.

11739. ხელისუფლების მოვალეობაა, მშიერი ხალხი მაძღრად აქციოს და არა მათხოვრად, რათა ხელის განძრევას, გონიერების მოშველიებას არ გადაეჩვიოს.

11740. სიბრიყვე და სიგიჟე საზოგადოებისათვის ერთნაირად საშიშია.

11741. სამართლიანობის ზეიმი საზოგადოებრივ ნააზრევთა შეჯვარებისა და მყნობის შედეგია. ის ქვეყანაში წესრიგს ამყარებს.

11742. სრულყოფილი ჩვენში არავინაა და ესეც საზოგადოების განვითარების ერთგვარი პირობაა და არა – პრობლემა.

11743. ზოგჯერ რატომღაც სახელმწიფო წყობის ფორმა უფრო

მოგვწონს, ვიდრე შინაარსი და მისი პოლიტეკონომია.

11744. საყოველთაო არჩევნები ფაქტობრივად უნდა იყოს კადრების როტაციის საშუალება სახელმწიფო აპარატში და არა ქვეყნის ინტერესების თავდაყირა დაყენება და დესტაბილიზაციისადმი ხელის შეწყობა ვიღაცისა და რაღაც ინტერესების შესატყვისად.

11745. სიმართლისა და სამართლიანობის საძირკვლისთვის ძირის გამოთხრა მოწესრიგებულ ქვეყანაში ჭირს.

11746. მორალური ტერორი უფრო დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას, ვიდრე დიქტატურა და ხელისუფლების ფეტიში.

11747. სამწუხაროდ, ყველას არ ესმის ადამიანური ენა, სანამდის ძალაუფლების ენას არ დავუპირისპირებთ და ესეც, ეტყობა, თანამედროვე საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი წესია.

11748. იმ საზოგადოებაში, სადაც „ბარდაკია“, „ბორდელის“ ოფიციალურად გახსნა სირცხვილად არ უნდა ითვლებოდეს.

11749. ხელისუფლებასაც არაკომპეტენტურობა, უსინდისობა, არაკაცობა რყვნის და დანაშაულს ჩაადენინებს.

11750. ხელისუფლება, რომელიც მოწინავე იდეებს აფინანსებს, ამჟამინდელი თუ არა, მომდევნო თაობის პატივისცემას მაინც დაიმსახურებს.

11751. სახელმწიფოებრიობის ხარისხს მისი ძლიერება და შესაძლებლობები განსაზღვრავს და არა მოსახლეობის მოუმწიფებელი სურვილები.

11752. პიროვნებაა ის, ქვეყნის ინტერესებს ხალხის ინტერესებზე წინ რომ აყენებს, რადგან სახელმწიფოს ძლიერება ხალხის შეგნებასაც აყალიბებს და მის მსოფლმხედველობასაც.

11753. უპირველესია სახელმწიფოს ინტერესების დაცვა, რაც შემდგომში ხალხის ინტერესების დაცვაც გამოვა.

11754. ხელისუფალი ვალდებულია ამომრჩეველს ემსახუროს და, თუ ეს ავიწყდება, შეახსენებენ, თუ ამასაც უგულებელყოფს, მუშტს მოუღერენ და დროულად მოიშორებენ.

11755. ხელისუფალს გადატრიალებული ჭკუა სჭირდება, ვიდრე დალაგებული, რადგან მისი ამომრჩეველიც მთლად ადეკვატური და დალაგებული როდია.

11756. ბელადს უპირველესად ეპიგონი მიმდევრები და მლიქვნელები სჭირდება და არა თანამოაზრენი და თანამოძმეები, რადგან მათთან ურთიერთობა კოჭაობაა.

11757. ჭკუანაღრძობი ხალხი და პოტენციური „გიჟები“ სახელმწიფოს ყოველთვის ჰყავდა და ეყოლება. აქ მთავარია, მათ თავის ფართოდ წარმოჩენის უფლება არ მივცეთ, რომ დიდი და გამოუსწორებელი ზიანის მომტანი არ გახდნენ.

11758. ერთიანობა და გონივრული თანადგომა საზოგადოებას დაუმარცხებელსა ხდის.

11759. სახელმწიფოს შენებასა და მართვას ცოდნა-გამოცდილება და თვითნაბადი ნიჭი უნდა, რადგან მას მხოლოდ რემონტი და ამაო დაპირებები არ შველის.

11760. საზოგადოება, რომელსაც არ აქვს ნაციონალური იდეოლოგია, იდეალები და მიზნები, ცხვრის ფარაა, რომელსაც, თუ წინ არ უძღვის ვაცი და გვერდზე არ ჰყავს მეცხვარის ძაღლები, დაღუპვისთვისაა განწირული. სამწუხაროდ, დღესაც ასეთია ჩვენი სინამდვილე და მას ტექნიკური პროგრესის გადაჯირითება ჯერჯერობით არაფერს შველის.

11761. სისასტიკე ბელადებს ახასიათებთ, რადგან მათ ბედმა უნიათო ქვეშევრდომებზე ამაღლება არგუნა.

11762. ძალაუფლებას, რომელიც ფილოსოფიასთან არ მეგობრობს, დიდი დღე არ უწერია.

11763. ხელისუფალი არცერთ სარჩო-საბადებელზე უარს არ ამბობს, თუ იგი მას და მის ქვეშვრდომებს მშიერ კუჭს ამოუყორავს.

11764. ხელისუფალი გულკეთილი კი არა, გონივრულად მომთხოვნი და სხვათა ნიჭის შემმჩნეველ-დამფასებელი უნდა იყოს.

11765. საზოგადოება იმის მიხედვით ფასობს, თუ თითოეული ჩვენგანი როგორ ექცევა ოჯახში ქალს და როგორ ზრდის ბავშვებს.

11766. სახელმწიფოს დანიშნულებაა, ადამიანებს მაქსიმალურად გამოსწოვოს მათი შესაძლებლობები, რათა სახელმწიფოებრიობას პრობლემები არ შეექმნეს.

11767. ყოველგვარი წარმატება, ნებით თუ უნებლიეთ, ქვეყნის პირველი პირის დამსახურებაა.

11768. იმ საზოგადოებას, სადაც რეალური პოლიტიკური აზროვნება ნულს უახლოვდება, არაფერი ეშველება, თუ განგება მტკიცე ხელისუფალს არ აჩუქებს.

11769. დღევანდელი ხელისუფლება პასუხს აგებს ხვალინდელი თაობის წინაშე. ამიტომაც დღევანდელობისადმი რიდი და სახვალიო მცდელობა ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება.

11770. ქართველებს ბევრ სხვა ნაკლთან ერთად ერთი ყველაზე დიდი ნაკლი გვაქვს: სხვათა მოსმენა არ გვიყვარს, ხოლო ის ქართველები, რომლებმაც ეს ნაკლი დაძლიეს, დასამახსოვრებელ პიროვნებებად იქცნენ, მგ. ი. სტალინი.

11771. ხელისუფლებისათვის ადამიანის გონიერების, ცნობიერების სხვა შესაძლებლობების ახლებურად დანახვა-შეფასებაა უმთავრესი.

11772. ჭკვიანი და მოხერხებული წინამძღოლის გარეშე ვერცერთი საზოგადოება იმას ვერ მიაღწევს, რასაც იმსახურებს და რისი ღირსი-

ცაა.

11773. ულიდეროდ საზოგადოება სახეიროდ ვერ იღვაწებს, თუ ის დროის და განგების დალოცვილი არაა.

11774. თავკაცობა ხელოვნებაა და ის ხელოსნობას ვერც სუფრაზე იტანს და ვერც ხელისუფლების სათავეში ყოფნისას.

11775. ხელისუფლებაში ცხოვრების მცოდნე პიროვნებები უნდა მოდიოდნენ და არა დემოკრატიის პოსტულატებს ამოფარებული ბრბოს აზროვნების და თავის გამოჩენის მსურველი ხელის ბიჭები.

11776. ყველა მოლაყბე და უნიათო თავის წინამორბედში, უპირველეს ყოვლისა, ნაკლს ეძებს, კარგის გაცნობიერება არ სურს და თან დასცინის, რადგან ამდაგვარად თავის წარმოჩენაც სურს, სხვებისთვის კი – თვალებში ნაცრის შეყრა.

11777. ველური კაპიტალიზმი და მოშინაურებული სოციალიზმი – ორივენი დემოკრატიაზე დებენ თავს, ოღონდ ყველა თავის გადასახედიდან და საკუთარი გაგებით.

11778. სახელმწიფოს უპირველესი დანიშნულებაა ნიჭის სწორად და დროულად გამოყენება, მისი დაფინანსება, გონივრული დაბანდება და შედეგების მიღება.

11779. კაპრიზებს დაჩვეულ სახელმწიფოს, ეტყობა, მისი შესაფერისი მთავრობა ჰყავს.

11780. კანონის უზენაესობის დამყარება და დანერგვა ყველაზე დიდი ბედნიერებაა ქვეყნის მომავლისთვის.

11781. ხელისუფლება თავისი მოღვაწეობით და შეგნებით ღმერთს უნდა უტოლდებოდეს და ყველას ის უნდა მიაგოს, რაც ეკუთვნის.

11782. სიმდიდრე საზოგადოების წარმოსაჩენად უნდა იყოს გამოყენებული და არა ერთმანეთის გასაყვლეფად.

11783. ზოგჯერ ქვეყანაში ისეთი უნიათო და უგერგილო ხელისუფალი გამოტყვრება, რომ ბევრ მის თანამემამულეს მისი გვარის გახსენება დიდი დროის გასვლის შემდეგაც ეუხერხულება.

11784. ხელისუფლებას ბოლომდის არ უნდა ვენდოთ, განსჯით და თავის გამოდებით უნდა ვაკონტროლოთ, თუ უკეთესის არჩევა-დანიშვნა არ ხერხდება.

11785. მტკიცე, შეუვალი და საქმის საკეთებლად განწყობილი დიქტატორი ქვეყნის სამართავად კარგია, მიუხედავად იმისა, რომ დესპოტიზმისკენ აქვს მიდრეკილება.

11786. წინმაცქერლის, წინამძღოლის გარეშე არცერთი საზოგადოება სათანადოდ არ ვითარდება.

11787. ხელისუფლება სიტყვით ხალხის ნებას ითვალისწინებს და მის კეთილდღეობაზე ზრუნავს, საქმით კი კარიერის კეთებას და ფულის შოვნას ცდილობს.

11788. საზოგადოებაში მიღებული ეტიკეტის დარღვევა ირგვლივ მყოფთა გულისწყრომას იწვევს, რადგან ეტიკეტის დამრღვევებისთვის მათ ალიბის მოძიება უჭირთ.

11789. ეჭვით შეპყრობილ და ჩასაფრებით დაავადებულ საზოგადოებას თანამედროვეობასთან ერთად სიარული უჭირს.

11790. ხელისუფალი, რომელიც თავის დროს ალღოს ვერ უღებს და იბნევა, დროის შემოტევას ბოლომდე ვერ უძლებს და ყველასათვის უმჯობესი იქნება, თუ ის ამას დროულად მიხვდება და თავს დაგვიკრავს.

11791. იდეალური არაფერია და, მათ შორის სახელმწიფოებრიობაც, რადგან ყოველივე საუკეთესო ძველდება და ბოლოში ლელოს გატანა უჭირს.

11792. საზოგადოების სასიკეთო მამოძრავებელი ძალაა არა რევოლუცია, არა გარდაქმნა, არა დაუმორჩილებლობა, არამედ ურთიერთთანადგომა, გაგება და კანონის დიქტატურა.

11793. საზოგადოება უნდა ცდილობდეს იცხოვროს აწმყოს რეალობით და არა მომავლის რომანტიკით.

11794. სანამდის ხელისუფლება თავის მოვალეობას კრიტიკული ტვინის უფლებებით არ ჩაანაცვლებს, მანამდის ხალხის ცნობიერებას სწორ გზაზე სიარული არ ეღირსება.

11795. საშემოსავლო გადასახადებისა და მოქალაქეთა დაბეგვრის გარეშე ვერც ხელისუფლება იარსებებს, ვერც სახელმწიფოებრიობა და არც ხელისუფლებაში მოსვლის მსურველი იქნება ბევრი.

11796. ხელისუფლებას ისიც უნდა აინტერესებდეს, თუ ასაკოვანი ადამიანები რას იხსენებენ სიამოვნებით და რა მომავალი ელის ახალგაზრდობას, რათა ამ მონაცემთა შეჯერებით რაციონალური გზა გამოინახოს ქვეყნის უკეთ სამართავად.

11797. სანამ ხელისუფლება ნიჭიერი ადამიანის აღმოჩენას, აღზრდასა და მისი პატრიოტიზმის სენით დაავადებას არ ისწავლის, მანამდის ქვეყნის აღმა სიარული მარად სათუო დარჩება.

11798. შრომა, წესრიგი, კანონიერება, რწმენა, დიპლომატია ქვეყნის ის ბურჯი და საფუძველია, რომელზეც უნდა იდგეს სახელმწიფოებრივი ძლიერება და მისი კეთილდღეობა.

+11799. ყველა ხელისუფლის დევიზი უნდა იყოს „მომყევით“ და არა „წინ“, რათა საქმე ხარისხიანად ვაკეთოთ.

11800. ხელისუფლებამ მის სამართავ ქვეყანას თავისი ადგილი უნდა მოუნახოს და მიუჩინოს ამ სამყაროში დროის, გარემოს, მეზობელი ქვეყნების და თავისი ხალხის შესაძლებლობათა შესატყვისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობა უვარგისია.

11801. სიკეთის კეთებას გველის, მგლის, ყვავისგან არავინ ელის, მაგრამ გააჩნია, ვინ არის ტყეში მეტყევე და ქვეყანაში – ხელისუფალი.

11802. უქნარებისა და ავანტურისტების ოდენობა თუ ქვეყნად არ კლებულობს, ესეც უნიათო ხელისუფლების ბრალია.

11803. ემოციური და რეალობის ადეკვატურად აღქმას მოკლებული საზოგადოება ყოველთვის კორექტული ვერ იქნება.

11804. ყვავის გათეთრებას ყველა არშემდგარი საზოგადოება ცდილობს, რადგან იმიჯის მოსაპოვებლად რეალობის გათეთრებაა მიზანი.

11805. ყოველივე, და მათ შორის კაპიტალიც, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, რათა ქვეყნის სახელმწიფოებრიობას ჩრდილი არ მიადგეს.

11806. ხელისუფალი უპირველესად გონებაგახსნილი პიროვნება უნდა იყოს, რათა მან შემდგომ კარიერაზე იფიქროს.

11807. ვეცადოთ, ახალგაზრდობიდანვე ისეთ საზოგადოებაში მოვხვდეთ, რომ მისი გახსენება სიბერეში არ შეგვრცხვეს.

11808. საზოგადოება მოთხოვნადი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასში ცხოვრება აზრს კარგავს.

11809. თუ ხელისუფლება ადამიანებს შეუგნებელი ცხოვრების უფლებას აძლევს, თავადვეა დამნაშავე. მაგალითად, ყველა სახლში, ბინაში დამონტაჟებული უნდა იყოს ცივი და ცხელი წყლის, გათბობის, გაზის და ელექტროენერგიის მრიცხველები, რათა ადამიანებმა რაციონალურად ხარჯონ ენერგორესურსები და ზედმეტი თანხა არ გადაიხადონ, რადგან აქედან იწყება მათი შეგნების ჩამოყალიბება.

11810. სახელმწიფო ელიტა ყველა დროში მედროვე იყო და ამად დარჩება, იმის ცოდნის მიუხედავად, რომ ისინი განწირული არიან დახურდავებისთვის.

11811. უსინდისობის კეთებას ზოგჯერ სახელმწიფოებრივი ინტერესებიც კი არ ამართლებს.

11812. საზოგადოებრივი წყობა თუ თავის პიკს მიაღწევს და არ ფართოვდება, ის კვდება, სხვა წყობით იცვლება.

11813. ხელისუფალი, რომელსაც ერთი აფორიზმიც კი არ წამოსცდება ხალხისადმი მიმართვაში, ხელისუფლად არ გამოდგება და ამ თანამდებობაზე დიდხანს ვერ გაძლებს.

11814. საზოგადოების მოთხოვნებისაგან თავისუფალი ვერცერთი ჩვენგანი ვერ იქნება, რა სახის უნივერსალური და ნანატრი სახელმწიფოც არ უნდა შევქმნათ.

11815. შრომა ყველამ უნდა შეძლოს ან უნდა შევაძლებინოთ. სხვაგვარად ხელისუფლებას თავის მოწონების უფლება არ აქვს.

11816. ხელისუფალი თუ ხალხის დასაქმებით, მუშაკთა ანაზღაურებით და მათი გართობით ინტერესდება, იმ ქვეყნის საქმე საწაღმართოდ წარიმართება.

11817. ხალხს თუ დიდად არ აღელვებს, თუ ვინ მოვა ხელისუ-

ფლების სათავეში, ეს ერთი ცოდვაა, მაგრამ, ხელისუფალს თუ არ აღელვებს ხალხის ბედი, ეს ქვეყნის კატასტროფაა.

11818. საზოგადოებრივი იმედგაცრუება ქვეყნის კონსტიტუციის შესატყვისად უნდა განისაზღვროს და არა ჩვენი პირადი შეხედულებებით, სურვილებით.

11819. ქვეყანა მაშინ არის ღონიერი, თუ შემოქმედი ხელისუფლის არჩევის უნარი შესწევს და თავად ხალხი დამჯერე და გონიერია.

სექსი და ლამაზმანი

11820. მამაკაცს ქალთან თანაცხოვრებაში არა მარტო კულტურა, არამედ სექსუალური ტექნიკა და მისი ტექნოლოგიაც უნდა ვასწავლოთ, რათა მდედრმა მისთვის განკუთვნილი ორგაზმი განიცადოს, ხოლო მამრმა მეტი სიამოვნება იწვნიოს, როგორც ნამდვილმა ხვადმა თუ ურთიერთშერწყმის მებაირაღემ.

11821. სიყვარული ვნებიანი სექსის გარეშე იგივეა, რაც ღრეობაა ღვინის უქონლად.

11822. დღესასწაული ლოგინშიცაა შესაძლებელი, თუ ჯანი მოგდევს და პარტნიორიც შესატყვისი გარგუნა ბედმა.

11823. არის ვნებიან ადამიანთა კატეგორია. ამათი ერთ ქალსა ან კაცზე შეჩერება საცოდაობა და უსამართლობაა, იმდენი სექსუალური ენერგია აქვთ დაგროვებული.

11824. ვნება სიამოვნებისა და მწუხარების ერთ-ერთი საზომი ერთეულია.

11825. მატრიარქატია, როდესაც ქალები კაცებზე ძალადობენ; პატრიარქატია, როდესაც კაცები ქალებს სურვილებს უსრულებენ და სექსს ეძალებიან.

11826. ქალის სასირცხოს ბაგეები და მამაკაცის ფალოსი სხეულის ინტიმურ ნაწილებად იმიტომ მიიჩნევა, რომ მათი მეშვეობით იმართება ვნებათა „საიდუმლო სერობა“, სიცოცხლის ჩასახვა დედაკაცის საშოში, რომლის პატენტსაც მამაკაცი იღებს, ხოლო პატენტი საიდუმლოების დაცვას მოითხოვს. ამიტომაც აქვს ამ სიტყვებს დადებული ამდენი მისაღები თუ მიუღებელი ტაბუ.

11827. მორალი სექსსაც სჭირდება, რათა გონიერმა თავი არ დაკარგოს.

11828. ვნება არც სულიერებას ვნებს, ხოლო ხორცს ალაღებს. მიუხედავად იმისა, რომ მათი მინუს-პლუსის ჯამი მაინც საბოლოოდ მინუსს იძლევა, მისთვის თავი არავის დაუნებებია.

11829. ვნებათა ღელვის დროს თავის მართვის სადავეების გამოყენება აუცილებელია.

11830. წარმატებული სექსის შემდგომ ქალის ღიმილი ძალზე ლამაზი, მორცხვი და მომნუსხავი ხდება.

11831. გარყვნილების სწავლება ცოდნა არ არის, ის აზრთა გაზიარებაა.

11832. სულით მეძავი უფრო დაუნდობელია, ვიდრე სხეულით მოვაჭრე, რადგან მეორე უფრო დამყოლია და ნაკლებად პრეტენზიული.

11833. სხვისი ფალოსით სექსი წარმოდგენითაც არ გამოდის.

11834. სასურველია, თუ ზღვარს დავუდებთ ვულგარობას, ეროტიკასა და გარყვნილებას, რამდენადაც ეს ენერგია, ვნებისა და სექსის

მოძალება, სიბერეში გამოგვადგება.

11835. ვნებას განგების რიდი კი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ჭეშმარიტმა მამრმა ვნების საქმეზე ხელი არ უნდა აიღოს.

11836. სექსი არსებობს: კლასიკურ-მამაპაპური, ორალურ-გადაგვარებული, ანალურ-გაუკუღმართებული, სამადლობელ-დასაყვედრებელი.

11837. ქალის დიდი შეურაცხყოფაა, როდესაც მამაკაცი გვერდზე უწევს და მასთან სქესობრივი კონტაქტის დამყარებას არ ცდილობს.

11838. ეგრეთ წოდებული ეროტიკა, სექს-შოუ, ჩვენებურად მეძაობა, ხასა-დიაცობა დღეს პრესტიჟული პროფესია გახდა, რადგან ერთობ სარფიანია.

11839. შენიღბული მეძავეობისკენ მისწრაფება აკმაყოფილებს სამყაროს მოსახლეობის დიდი ნაწილის ქვენა გრძნობებს.

11840. სიყვარულის ბალადა დრომ სექსის ბაზრად აქცია.

11841. ქალისა და კაცის ზრახვები პირველ პაემანზე სხვადასხვაა: პირველი უკვე სიყვარულზე, ოჯახის შექმნაზე ფიქრობს, მეორეს სექსიც აკმაყოფილებს.

11842. მეძავს სიამოვნებაში და დარაჯს უსაფრთხოდ ღამის გაყვანაში უხდიან ფულს და აქ ხარისხს მნიშვნელობა არ აქვს.

11843. სექსის ცოდნის შეძენა თავისუფალი და გაუბაზრებელი სიყვარულის ნიადაგზეა შესაძლებელი.

11844. სულიერება შინაგანი ტანჯვა-წამების განსჯას მოითხოვს და არა მის ტირაჟირებას.

11845. „ამორალური ლამაზმანები“ სიძვის დიაცები არ არიან, რადგან ისინი ღირსეულ მამაკაცებს თავიანთი მოჭარბებული ვნების დასაოკებლად იყენებენ.

11846. გრძნობა ვნებაა და სურვილმა ასაკი არ იცის.

11847. მორწმუნეებს გაუმართლათ, რომ ხორციელი კავშირის შედეგად მომავალი მორწმუნეები იბადებიან, თორემ სექსს, როგორც გარყვნილების საწყისს, საბოლოოდ „მოეხაზებოდა“.

11848. ფრიგიდულ ქალთან სექსი ვნების უხეიროდ დაბანდების ტოლფასია.

11849. კოცნა მიპარვით იწყება და ნაზი არსების გულის პრივატიზაციით მთავრდება.

11850. მოუთოკავ ვნებას დიდი ზიანისა და სიკეთის მოტანა შეუძლია, ოღონდ საქმე ისაა, ვინ არიან პარტნიორები.

11851. ამბობენ: კაცის ხელობა არატრადიციული სექსიაო, მაგრამ ცისფერები ასე არ ფიქრობენ და საზოგადოებას პრეტენზიებს უყენებენ.

11852. სექსს ცოდნა-გამოცდილება უნდა და არა გაპრანჭული ქალები.

11853. მექალთანე ასე თუ ისე ძირითადად ბედნაცვალ და გაუთხოვარ ქალებს ემსახურება და მათ თავიანთ ქალურობაში არწმუნებს.

11854. ვნება მარად გაუმასპინძლებელი დაგრჩებათ, სანამდის სურვილი შესწევს და შეძლება აქვს.

11855. ზოგ მამაკაცს თავისი ნაალაფევი ქალი არ მოსწონს, სექსუალურად იმდენად შეუთავსებლები არიან.

11856. საკურორტო რომანია: სექსუალური და მომხიბლავი ურთიერთობა გარკვეულ დრომდე და გარკვეულ დროში, ყოველგვარი წინაპირობისა და მოვალეობის უქონლად.

11857. წინათ ქალები მამაკაცისთვის იბრძოდნენ, მამაკაცები – ქალებისთვის. დღეს კი ევნუხები იბრძვიან ხვადი მამაკაცებისთვის, ხოლო ჰერმოფროდიტი ქალები – თავიანთი კოლეგა ქალებისთვის. მოდით და ამის შემდგომ სამყაროს გონივრულობა იწამე!

11858. იყო არშიყი და გულით გიყვარდეს – ეს ვნებათა ფრქვევაა, სულ სხვა განზომილებაა.

11859. სექსი წყვილების ურთიერთობის ბარომეტრია, ოღონდ არა მხცოვანთათვის, რამდენადაც მათ ვნების ტალონი უკვე ჩამორთმეული აქვთ.

11860. ყოველგვარი ვნების ხელოვნება შესწავლას და ამ ცოდნის ხარისხში აყვანას მოითხოვს.

11861. სექსუალური პროფილაქტიკის უცოდინარობა რომ არა, ზოგიერთი ქალი შვილს საერთოდ არ გააჩენდა.

11862. ვნებას არ ტოვებენ, ვნებას აქრობენ.

11863. დღეს მექალთანე გაჭირვების ან გარყვნილების გამოისობით მეკაცთანეთა ამპლუაში გვევლინება.

11864. დღეს პოპულარობა, ჩვენი გაგებით, გარყვნილებასთან მეგობრობაა, რადგან სხვანაირად საშუალო ნიჭის წარმოჩენა და დაფინანსება წარმოუდგენელია.

11865. პორნოგრაფიული სურათის ყურება ქმარს სექსში ვერ შველის, ხოლო ქალს კულინარიული ცოდნის გაღრმავებაში ვერ შეეწევა.

11866. სექსის კულტურაა, როდესაც ორგაზმს ერთდროულად ორივე მხარე განიცდის ურთიერთშერწყმითა და აღმაფრენით, ხოლო, როცა მხოლოდ ერთი იკმაყოფილებს ვნებას, ეს მოვალეობის მოხდა და ეგოიზმია.

11867. ქვეყანა, სადაც სექსზე მხოლოდ სიტყვით ზრუნავენ და არა საქმით, მარად მაჩანჩალად დარჩება.

11868. ზოგჯერ ამ საქმის დილეტანტობა უკეთესიცაა: ჩვენს ბებია-ბაბუებს დღევანდელ სექსოლოგიაზე წარმოდგენაც არა ჰქონდათ, მაგრამ 10-12 შვილს აჩენდნენ: დღეს კი ამგვარი განათლების მქონენი მხოლოდ ერთი შვილით კმაყოფილდებიან.

11869. შემოქმედებისთვის დასამახსოვრებელი ეროტიკული ხილვებიც ბედნიერებაა.

11870. ტიტლიკანა ქალებისთვის თვალის შეჩვევა იწვევს მამაკაცთა უდროოდ გაუკაცურებას და ეს უნდა გაითვალისწინონ დღევანდელმა ქალებმა, თუ არ უნდათ, მათი სექსუალური მომსახურება მთლიანად რობოტ მანეკენებს გადააბარონ.

11871. თუკი ფული „გიჭყავის ჯიბეში“, დღეს ღვინო, დუდუკი, ქალები ერთი სარკმლის პრინციპით გეძლევა და მას დისკოთეკა და სტრიპტიზბარი ჰქვია.

11872. ზოგი წარმოსახვითი სექსით ტკბება, მეორე – რეალურით და სექსუალურ წადილს ასე იკმაყოფილებს.

11873. სიყვარულში სექსიც იგულისხმება, მაგრამ სექსაობა ყოველთვის როდი გულისხმობს სიყვარულს.

11874. ნაღდი სიყვარული ადამიანურ მოპყრობასთან ერთად ვნებიან სექსაობასაც გულისხმობს.

11875. ზედმეტი ინტელექტი, მოჭარბებული წესიერება მისასალმებელი, მაგრამ მოსაბეზრებელია, რადგან მდედრთან ურთიერთობას ერთგვარი ცხოველური აღმაფრენა სჭირდება, განსაკუთრებით სექსის დროს და მის კვირაძალზე.

11876. სექსუალურად მიმზიდველია ყველა ის მდედრი, ვინც ვნებით და განსჯით ეკიდება სიყვარულს და მის გარდაუვალობას.

11877. ცივილიზაციას მიტმასნებული ყოველგვარი გადახრა უმთავრესად ტრადიციულ სექსაობაზე უარის თქმას გულისხმობს.

11878. ნამდვილი მექალთანე, სავარაუდოა, იმქვეყნადაც ქალებზე ნადირობით ირთობს თავს.

11879. ბუნებას თავისი კანონები და ხუშტურები აქვს. წინათ ქალს რომ კაბის ქვეშ კოჭი გამოუჩნდებოდა, ის აღაგზნებდა მამაკაცს; დღეს ქალები თავიანთი პრანჭვა-გრეხით თითქმის გამჭირვალენი დადიან და, აღგზნების თვალსაზრისით, დიდი ვერაფერი შვილი არიან, რადგან კაცებს დღეს ქალის მატერიალური შესაძლებლობა და საზოგადოებაში მისი ადგილი უფრო აინტერესებს, ვიდრე სექსი და მისი მომხიბვლელობა.

11880. ვნება თავის ჭკუაზე ჩვენს ტარებას ცდილობს, მაგრამ ნებისყოფა, ჭკუა და გენი მას წინააღმდეგობას უწევენ.

11881. კაპიტალიზმს თავაშვებული მეძავები ჰყავს, სოციალიზმს – თავდაწეული კახპები, ხოლო დემოკრატია თავის ხმაურა ბოზებს გვთავაზობს. ასე რომ, სექსიც საზოგადოებასავით ზიგზაგობრივად ვითარდება.

11882. ასაკს მისი შესაფერისი განსჯა და თავშეკავების უნარი უნდა ახასიათებდეს, ვნების ჩოჩქოლის გათვალისწინებით განსაკუთრებით ქალებთან ურთიერთობაში. სიბერე და ვნების ჩოჩქოლი ერთმანეთს ძნელად ეგუებიან. ერთი სიტყვით, სიჭაბუკე და სექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი.

11883. იყო საყვარელი ქალი, ხელოვნებაა, იყო გაფეტიშებული „სექს-ბომბა“, შემოქმედებაა.

11884. ფულის საშოვნელად ზოგს თავის განძრევა სჭირდება, ზოგს – ფეხის აწევა, მაგრამ მიზანი ერთია – ხორციელი სიამოვნების მიღება.

11885. ჰარამხანის არსი ყველას თავისებურად ესმის ცივილიზაციის გადასახედიდან, აზიური მენტალიტეტი ექნება მას თუ დასავლური.

11886. ვნების მოჭარბებას ხშირად გონივრული განსჯა ვერ ებრძვის.

11887. სექსი უძახე შენ და არსებული მრავალმილიარდიანი მოსახლეობა მისი დამსახურებაა.

11888. სექსუალური რევოლუციისთვის უანგარიშოდ მიყოლა ტკივილს, სირცხვილსა და უგუნურ თაობებს გვიმრავლებს.

11889. გაკრიტიკებულ-განსჯილი ვნება სიამოვნება-სიამაყისგან თითქმის დაცლილია!

11890. ფეხებშორისი ინსტრუმენტი მუდამ მზად არაა, დაუყოვნებლივ შეასრულოს პატრონის დაუოკებელი ლტოლვა და სურვილი, რადგან აქაც განწყობა და შემართებაა უპირველესი.

11891. ქალები ხშირად გონიერებაზე მაღლა დგომას ცდილობენ, ხოლო მამაკაცები – მორალზე ამაღლებას, სანამდის საქმეში ვნებათა ღელვა არ ჩაერევა.

11892. ვნებამ გონი ვერ უნდა გათიშოს იმ ერთი წამითაც, რომლისკენაც ყველა მიილტვის.

11893. მექალთანეს თავი მარად უცოლშვილო ჰგონია.

11894. ქალის ღალატს სიყვარულის დეფიციტი, ჰორმონების შეუთვისებლობა და წაწლობის ხელოვნების უცოდინარობა განაპირობებს.

11895. ქალისთვის სიყვარულის დეფიციტის შემავსებელი საშუალება ვაჭრობაა და საზღვარგარეთ უქმროდ მოგზაურობა.

11896. ქალის ერთგულებასაც ყიდვა უნდა: სითბოთი, მოფერებით, დაფინანსებით, სექსის მორგებით და სხვა მრავლით.

11897. მამაკაცის ქალისადმი ღალატი თავგადასავლებზე გამოკიდების სურვილია, ხოლო მდედრის ქმრისადმი ღალატი სიყვარულის დეფიციტის შევსების მცდელობაა.

11898. ქალს საწოლში სექსაობის ინტეგრალთა ახსნა კი არ უნდა შესთავაზო, არამედ დამუღამებული სექსი. ასევეა პოლიტიკაში: ხალხი სამუშაო ადგილით უნდა უზურნველვყოთ და არა გულის ამაჩუყებელი ყბედობით.

11899. გონიერი მდედრისთვის ახალგაზრდობაში მისაღებია, სექსსდახარბებულ ასაკოვან მდიდარ მამაკაცს გაჰყვეს ცოლად, ხოლო ასაკში მყოფ მავან მდიდარ დიაცს ურჩევნია, გაუხედნავი ჯანმრთელი ახალგაზრდა მამაკაცი იყოლიოს ქმრად, რათა მარად ნასიამოვნები

დარჩეს ამ ცხოვრებით. შედეგად ახალგაზრდობაში – უზრუნველი ცხოვრება, ასაკში – უზრუნველად განაღდებული სექსი.

11900. სქესთა შორის დაპირისპირებას საუკეთესო დასაქმების მოპოვება, ბაზარი, ტრადიციების მსხვრევა და ქალისა და კაცის შეჯიბრი აძლიერებს.

11901. მამაკაცური ვნების მოძალებით ჩადენილი უნებლიე ღალატი ცოდვად არ ითვლება.

11902. მთავარია, ქალი მამაკაცებთან ურთიერთობას არ დაეჩვიოს, რადგან ამ ვითარებაში მისდა უნებლიეთ უჩნდება სხვა მამაკაცების დაჭაშნიკების სურვილი, მათში უკეთესის დადგენის წადილი.

11903. ინტიმურ ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფის უფლება, ექიმის გარდა, არავის აქვს, მათ შორის მეუღლესაც, რადგან ინტიმის აღქმა და განსჯა ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვს.

11904. სიყვარული და სექსი ბიოქიმიურ რეაქციებს განეკუთვნება, რომლის შედეგიც წინაპირობაა საფუძვლიანი ოჯახის შექმნისა.

11905. სიყვარულის შედეგად განცდილი ორგაზმი მოვალეობის შედეგად განცდილ გრძნობას მუდამ ამარცხებს.

11906. კითხვა-პასუხის საღამო და კოცნა-ალერსის ღამე სინონიმებია, რადგან პირველი საკუთარი გონიერების შესაძლებლობებს ამოწმებს, ხოლო მეორე – ვნება-სექსში ორივეს თანადგომას.

11907. ერესი ადამიანის მედიდურების საყრდენია, რომელმაც არ იცის, რეალურად ვის რა უნდა და ვის რა სიამოვნებს.

11908. სექსში ადამიანი უფრო ინსტინქტებით, ჰორმონების შეცნობით იღვწის, ვიდრე გონიერებით.

11909. გამოგონების საჭიროებას განსაზღვრავს სიყვარულის ჰორმონების დამთხვევა, ხოლო სექსს – ვნების მოძალება.

11910. ნაღდი პატრიოტიზმი ქუჩაში ყბედობა და გულზე ხელის ბრახუნით თავის მოწონება კი არ არის, არამედ – სარეცელში შედეგიანი სექსი, გამრავლება და ნამატის ღირსეული აღზრდა.

11911. ზოგჯერ გრძელი ცხვირი მამაკაცის სავიზიტო ბარათია, განსაკუთრებული რეკლამა ქალთა სქესისთვის, მაგრამ, რამდენად ემთხვევა სინამდვილეში ცხვირის სიგრძეს რეკლამა, ეს სხვა საქმეა.

11912. თუ არსებობენ „სექს-ბომბა“ ქალები, მათგან თავის დაღწევის საშუალებაც ხომ უნდა არსებობდეს, რათა სექსს არ გადავყვეთ და საქვეყნო საქმეს არ ვავნოთ.

11913. ზოგი ისეთი მექალთანეა, რომ მისი ნაცნობი ქალის ცოლად მოყვანაც კი საორჭოფოა.

11914. სექსი სიყვარულის ატრიბუტია და ზოგჯერ გრძნობათა ღელვის სავალდებულო გადამოწმებაც.

11915. როდესაც რჩეულის უნახავად სუნთქვა გიჭირთ და იბნევით,

ეს უკვე სიყვარულის დასტურია, ხოლო, თუ ღამით ქალი გელანდებათ და მასთან ვირტუალურ სექსს ეწევით, ეს სულიერ-ხორციელ თანაზიარობას გულისხმობს.

11916. კაცი ქალს ისე უნდა მოეპყრას, რომ მდედრს თავისუფლების შეზღუდვის საბაბით მამრისგან თავის დაღწევის სურვილი არ გაუჩნდეს.

11917. სექსში მთავარია აღტაცება, რომელიც პარტნიორსაც ეშხზე მოიყვანს.

11918. ქალის ბუნება ასეთია: სწადია, საყვარელს დაუმტკიცოს სექსუალური უბიწოება, ხოლო საყვარელს აგრძნობინოს სექსისადმი მამაკაცის გარყვნილი დამოკიდებულება.

11919. სექსში მთავარია, ჰორმონების ჭიდილმა და ურთიერთშერწყმამ არ გვიღალატოს, დანარჩენი თავადვე მოგვარდება, თუ წყვილი ფიზიოლოგიურად ამისათვის მზადაა.

11920. დღეს სუპერ ბოზი-სიძვის დიაცი უფრო ცნობადი, რეკლამირებული და დაფასებულ-დაფინანსებულია, ვიდრე სუპერ ცოლი და ოჯახის ქალი, რადგან პირველი შესამჩნევი და წარმოსაჩენია, ხოლო მეორე ყოველდღიურობაა და წარსულის აუცილებელი და „მოსაბეზრებელი“ გადმონაშთია.

11921. სანამდის მამაკაცი ქალს არ ეტყვის, აღარ მიყვარხარო, მანამდის ცოლმა არ უნდა იეჭვიანოს, რადგან მამაკაცის გადაცდენა, ქალისაგან განსხვავებით, ღალატად არ ითვლება, პირიქით, ის მოყირჭებას მოხსნის და მეუღლეს განახლებული სექსუალური შესაძლებლობებით ეკვეთება.

11922. სექსს მდედრი უნდა ხელმძღვანელობდეს. ის სახის მიმიკით უნდა ელაპარაკებოდეს და ესიყვარულებოდეს მამრს, რათა ორგაზმის გარეშე არ დარჩეს, რადგან მისი მადლიერი თვალების შემონათება მამაკაცს სიამოვნებას უორმაგებს და თავისი მეს წარმოჩენის საშუალებას აძლევს.

11923. ქალის სექსუალობა უმთავრესად მის გარეგნობაში ჩანს.

11924. ქალის ჭკუა-გონებას თვალები წარმოაჩენს, ხოლო მის სექსუალობას – თანდაყოლილი და არა შეძენილი ინტელექტი.

11925. ძუს მიზანი თავის დაფასება და დანებებაა, ხოლო ხვადის მოვალეობაა თავის წარმოჩენა და პატივის მიგება.

11926. ვნებიდან თავის დაუღწევლად ძნელად იღვიძებს სინდისი და საღი აზროვნება.

11927. ვნებამაც თავისი სიამოვნების მწვერვალები უნდა დაიპყროს, რომ დაღვინდეს და გასახსენებელი დარჩეს.

11928. ქალს, რომელსაც მამაკაცის ალერსი სჭირდება, სექსისა და სიყვარულის მადლის შერწყმა და აღქმა გაუჭირდება.

11929. ჩვენ, თანამედროვე ტექნიკური პროგრესისა და საზოგადოების საორჭოფო აზროვნების გადამკიდეთ, სიყვარულსა და გარყვნილობას შორის ზღვრის დადება გვიჭირს.

11930. ყველა მოდაზე ჩაცმული ქალის ოცნება ვნებათა მორევში ცურვაა.

11931. განგებამ ნუ ქნას, შიშველმა მდედრმა მამრი არ ააღელვოს. ეს რომ მოხდეს, მაშინ ხომ სიცოცხლე შეწყდებოდა.

11932. ოცნებით მრუშობაც კი დანაშაულია იმ არსების წინაშე, ვისზეც მზე და მთვარე ამოგდით.

11933. ცოლმა თავისი ქცევით ქმარს უნდა აგრძნობინოს, რომ ის მისი სექსუალური შესაძლებლობებით აღფრთოვანებულია, ხოლო ქმარმა ცოლს უნდა აუხსნას, რომ სხვა ქალებში მისი სიარული აუცილებელია, რათა ცოლი არ მობეზრდეს და მას უკეთ მოემსახუროს.

11934. ქალს ეგოიზმად არ ჩაეთვლება, თუ ის შეძლებს მამრის მოთოკვას, მასთან ურთიერთობას განამტკიცებს სექსაობის ანბანის ცოდნით.

11935. ვნების დაოკება მსხვერპლშეწირვას მოითხოვს, მაგრამ ხშირად ის ამად როდი ღირს.

11936. სექსაობა, შეიძლება, უძველესი პროფესია და ბოროტი საქმიანობაა, მაგრამ ის წყაროა რეპროდუქციისა და სიამოვნების მძლავრი ნაკადისა.

11937. ბავშვის ჩასახვას უპასუხისმგებლო ვნება სჭირდება, ხოლო მის აღზრდას პასუხისმგებლობათა მთელი კასკადი.

11938. სექსუალურ ურთიერთობას ცოდნა უნდა, რათა სიყვარულს ხინჯი არ შეეპაროს.

11939. დღევანდელი ჩვენი საზოგადოება პოლიტიკურად ანგაჟირებულ „ბორდელში“ ცხოვრობს, და ეს კამათს არ იწვევს, ხოლო, ფასიანი „ბორდელი“ თუ სადმე გახსნეს, ეს რატომღაც უგვანობად მიიჩნევა და მიუღებელია.

11940. გააზრებული ქმედებანი ვნებათა ამბიციებს არ უნდა დავუმორჩილოთ.

11941. ზოგჯერ საყვარელ ქალსაც ღალატობენ მამაკაცები სექსობრივი კვალიფიკაციის ასამაღლებლად და საკუთარი თავის კიდევ ერთხელ შესამოწმებლად.

11942. სექსიც თავისებური ფილოსოფიაა, რომლის შეცნობასაც ყველა თავისი გადასახედიდან ცდილობს.

11943. წყვილს მოსწონს ერთმანეთის თავაზიანობა, ინტელექტი, სპორტული აღნაგობა, იუმორის გრძნობა და ყველაზე მეტად ურთიერთსასიამოვნო და გაგებული სექსი.

11944. გარყვნილების შემპარავი პროპაგანდა „მასმედიაში,“ ხე-

ლოვნებაში, ლიტერატურაში თავისებური ნარკოტიკია, რომელიც ჩვენი ცნობიერებისა და სულიერების დევალვირებას იწვევს.

11945. ფეხები-მაღლა და ფეხები-დაბლა – სიამოვნებისათვის არის განკუთვნილი და არა პირიქით, რაც მდედრის გაუცნობიერებელი სიჯიუტით არის გამოწვეული.

11946. ქალი ქმარს მოწონებითა და მოხერხებით უნდა მოექცეს, რათა ის საწოლში მეზობლად არ იქცეს.

11947. ქალის სათნოებას, მის ტემპერამენტს ვნების ჭიდილი განსაზღვრავს.

11948. ვარჯიში საჭიროა სიყვარულშიცა და სექსაობაშიც. უამისოდ ნამდვილ სიყვარულს ვერ შეიგრძნობ და ვერც მოიპოვებ.

11949. ეროტიკაც თავისებური ხელოვნებაა, ვინც მის განსჯას გონის ხმობით ეცდება და არა ვნების წაქეზებითა და აღმაფრენით.

11950. ზოგჯერ სექსი არც ისე სასურველი სიამოვნებაა, რადგან ბავშვები ჩნდებიან და მათ მოვლა-პატრონობას მოვალეობასთან ერთად გარჯა და ფულადი ხარჯიც მოჰყვება.

11951. ქმარი გაღიზიანებული მოვიდა სახლში საფულის დაკარგვის გამო და სექსისთვის გამზადებულ ცოლს გვერდზე მიუწვა. ცოლმა მოსალოდნელი საიმოვნება რომ ვერ მიიღო, ქმარს უსაყვედურა: საფულესთან ერთად მამაკაცური ღირსებაც თან ხომ არ გაიყოლესო?!

11952. სიყვარულს შემოქმედებითი სექსუალური ურთიერთობა მაღალ საფეხურზე აჰყავს.

11953. სექსუალური შესაძლებლობები ერთია, უიმისოდ ცხოვრება მეორეა, მაგრამ სიამოვნების მისაღებად მარად პირველს ვიხსენებთ და ვალამაზებთ.

11954. ჭკუა-გონება ვნებასა და ქალებს არ უნდა გადავაყოლით, მაგრამ ვნების მობილიზებით უნდა ვიცხოვროთ.

11955. ვნებიანი მამაკაცის რეალური შესაძლებლობები და დაპირებები უკეთ მოწმდება საწოლში, ვიდრე დისკოთეკაზე.

11956. ვნებას უფრო დიდი მისწრაფებები და მოთხოვნები აქვს, ვიდრე მოვალეობაა.

11957. ვნებიანობა ასაკის შესატყვისად ცვალებადია და თანდათანობით მინავლებადია.

11958. კოცნა სითბოს გამომყოფი ვნებაა, გააჩნია, მას გრძნობების რა კონცენტრაციით ვიყენებთ.

11959. ვნება და თავმოყვარეობა ერთმანეთს უკეთ უგებენ, თუ ამ გრძნობებს სიყვარული და გონიერება შეუერთდება.

11960. მსუბუქი ყოფაქცევის ლამაზმანი უფრო მეტად ფულზე ფიქრობს, ვიდრე დამქირავებელი პარტნიორის ვნებათა ღელვაზე. რა ქნას, პროფესია აქვს ასეთი.

სიყვარული, სილამაზე

11961. ყველაზე ძნელია იმ ვალის გადახდა, რომელსაც „სიყვარული მემართა“ ჰქვია.

11962. სიყვარული დიდხანს არ ცოცხლობს, რადგან ის მიჩვევა-შეჩვევა – ვალდებულებაში გადადის, განსაკუთრებით მაშინ, თუ დაწყვილებით ოჯახის ტვირთს აიკიდებს.

11963. ამქვეყნად ყველაზე მრავალფეროვანი სიყვარულია. ის შეიძლება იყოს: ამბიციური, ანგარიშიანი, ალოგიკური, არალეგალური, აღვირახსნილი, აქტუალური, ამხანაგური, აუხსნელი, აუხდენელი, ბედნიერი, ბოჰემური, გულწრფელი, გამორჩევითი, გამორჩენითი, გარდასახვითი, გაჯიქებითი, გარიგებითი, განუმეორებელი, გაუცნობიერებელი, განუსჯელი, დაძაბული, დაძმური, დოზირებული, დაუსჯელი, დაუპატიჟებელი, ემოციური, ერთის ნახვით, ვარირებული, ვალდებული, ზნეობრივი, ზომიერი, თავისუფალი, თავაშვებული, თეატრალური, თავდავიწყებული, თამამი, თადარიგიანი, თვინიერი, ინოვაციური, იძულებითი, კორექტული, კონტროლირებადი, ლამაზი, ლაზათიანი, მიუღწეველი, მოჩვენებითი, მეგობრული, მოწონებითი, მოუსვენარი, მოუწესრიგებელი, მოწესრიგებული, მიუღებელი, მეტიჩრული, მტაცებლური, მოჩვენებითი, მოხმარებითი, მოწონებითი, ნებაყოფლობითი, ნათესაური, ნათელმირონული, ნერვიული, ორმაგი, პოეტური, პოლიტიკური, ჟინიანი, რაციონალური, რეფლექსური, სულიერი, სექსუალური, სტიმულის მიმცემი, სიმბოლური, საჩვენებელი, სატრაბახო, ტრადიციული, უანგარო, უთავბოლო, უთანასწორო, უდროო, უდრეკი, უპრეტენზიო, უჩინო, ფრთებშესხმული, ქედმაღლური, ღვთაებრივი, ყურადღებიანი, შთაგონებითი, შემტევი, შეულამაზებელი, შეშლილი, შერყვნილი, ჩვეულებრივი, ცარიელი, ძლიერი, წუთიერი, წარმოდგენითი, ჭკვიანური, ჯიუტი, ხალასი, ჰარმონიული, ჰუმანური და, კიდევ ვინ იცის, რამდენნაირი.

11964. სილამაზემ, ხიბლმა თუ ადამიანური სითბო არ შეითვისა, უფასურდება.

+11965. საკუთარი ბოდვის დაჯერების უნარი თუ კიდევ შეგწევთ, მაშინ სიყვარულისათვის ჯერ ჩამოწერილი არა ხართ.

11966. მთავარი ის კი არაა, ვინ გიყვარდათ, არამედ ის, გაქვთ თუ არა სიყვარულის მარად აღქმის უნარი.

11967. სიყვარული ბევრი რამისკენ გვიბიძგებს, მათ შორის სიძულვილისკენაც.

11968. სიყვარული დროებითი დაავადებაა და არა ქრონიკული, მაგრამ მისი სიმპტომებია დასამახსოვრებელი.

11969. ზოგჯერ თავდავიწყებით ის გვიყვარდება, რომელიც ჩვენი მასტისა არ არის, არც შეგვეფერება და მასთან ყოფნაც დიდხანს არ

გვიწერია. მაგ. ასეთია სკოლის მასწავლებელი ან მეზობლის დეიდა.

11970. სიყვარულის ტოლობა უცვლელია, შესაკრებთა გადაადგ-ილების მიუხედავად.

11971. სიყვარული სხვათათვის ანგარიშის გაწევის ერთგვარი სა-შუალებაა.

11972. სიყვარული ცხოვრების „პერპენტუუმ-მობილეა“, რომელიც ასაკს არას დაგიდევს.

11973. სიყვარული გვაიძულებს, საკუთარი თავი უკეთ შევიცნოთ და ბოლომდე დავაფასოთ.

11974. ყველაზე დიდ ექსპლუატაციას გულს სიყვარული უწევს, შემდგომ მოდის ნერვების მოშლა და დაუფასებლობა.

11975. ეჭვიან სიყვარულს ვერავითარი სარგებელი ვერ მოაქვს, რადგან გაუმართლებელ შეხლა-შემოხლას იწვევს.

11976. სიყვარული ნაღდია, თუ ის შეუზღუდავია.

11977. მოჭარბებული სიყვარული გონივრულად უნდა ვარეგ-ულიროთ, თუ გვინდა, რომ კარგა ხანს შევინარჩუნოთ.

11978. სასიყვარულო ურთიერთობაში მისი საფუძვლის გამაგრებას დაყოვნება და მოცდა ისევე სჭირდება, როგორც ქვითკირის ნაგებობის ფუნდამენტს. ნედლი საძირკველი შენობას ვერ დაიჭერს.

11979. დაოჯახება, უწინარეს ყოვლისა, – ეს არის სიყვარულის მეგობრობაში გადაზრდის მცდელობა, როცა ლამობენ, შიშველი გრძნო-ბა დელიკატურად შეფუთონ.

11980. სიყვარულის შენარჩუნების მცდელობა მისი შენახვა-გადანახვის უტყუარ უფლებას იძლევა.

11981. სიყვარული მატერიალიზმის გარეშე კარგად ითესება, მა-გრამ ცუდად აღმოცენდება.

11982. სიყვარული განსაკუთრებით ავი მაშინაა, თუ მატერიალურს ეკურკურება.

11983. სიყვარული, პირველ ყოვლისა, ურთიერთგაგებაა, რაიც გულისხმობს გონის მოხმობას, ნერვების მოთოკვას, მოვალეობის შეც-ნობას.

11984. გული იჩაგრება, ხოლო სულიერება თანაუგრძნობს, როდე-საც სიყვარული მიდის და საყვედურებით გვავსებს.

11985. ხშირად სიყვარულიც დაპირისპირების საბაბი ხდება, თუ კონკურენტს დროულად არ მოვიყვანთ გონზე.

11986. სიყვარულმა ზოგჯერ განსჯა და ტრადიციების დაკარგ-ვა-დავიწყებაც იცის.

11987. ყველა აღმოჩენა საქმის დიდი სიყვარულის შედეგია, რომ-ლის განსჯა და შეცნობა ჭირს.

11988. სილამაზეც გრძნობების დაბანდებას მოითხოვს და აქ ინ-

ვესტორი მოყვარული გულია.

11989. დღეს სიყვარული მასზე შექმნილ მითებს ძირს თავადვე უთხრის.

11990. წყვილის ურთიერთობაში პირველ ხანებში სიყვარული წინ დგას. მოვალეობათა შეცნობა გვიან ხდება.

11991. სიყვარული გულისხმობს ურთიერთპატივისცემას, ურთიერთშეცნობას. უამისოდ დიდხანს ვერ ძლებს და მოვალეობად იქცევა.

11992. სიყვარულმა სასიამოვნო ჟრუანტელის დავლა იცის, მაგრამ აუცილებელია, იგი არ გადაიწვას.

11993. სიყვარულის დიაგნოზია: ყოფიერების რიტმის მოშლა, ქმედითი უნარების მკვეთრი დაქვეითება, ყურადღების გაფანტვა, დროის შეუმჩნევლობა, ვნებათა ღელვის მატება, ქმედებათა არაორდინალურობა.

11994. სიყვარული უსასრულო ტანჯვაა წესიერი, ემოციური, გულიანი ადამიანისათვის, განსაკუთრებით კი – თუ ის ახალგაზრდაა.

11995. ნაღდი სიყვარული მარად უპრეტენზიოა, რადგან მასში შენს სულიერებას აქსოვ და უფრთხილდები.

11996. სიყვარული სევდიანი სიამოვნებაა, შიგადაშიგ რომ გამოანათებს და სულიერად გამშვიდებს.

11997. სიყვარული თავისებური საჯარიმო დარტყმაა, რომლის შესრულება, გოლის გატანა ან მოგერიება, ბედის ნებაზეა დამოკიდებული.

11998. სტერეოტიპების ჩამოყალიბება სიყვარულის მადლს ხელს უშლის, რადგან სტერეოტიპი უხეში კალაპოტია, სიყვარული – ლაღი დინება.

11999. სიყვარულს თავისი მოვალეობა და ვალდებულებებიც თან ახლავს, იმისდა მიუხედავად, მოგვწონს ეს თუ არა.

12000. სიყვარულის მოწამლული ტვირთის ზიდვა შეუდრეკელთა ხვედრია.

12001. სიყვარულის ფოცხზე მრავალჯერ ფეხის დამბიჯებელი ქალი თავისივე მოჩვენებითი გრძნობების მსხვერპლი ხდება და ზოგჯერ ამას კარგი შედეგიც კი მოსდევს.

12002. დამარცხებული, გაუგებარი, გაუხარებელი სიყვარული ხშირად სიძულვილში გადადის.

12003. სამყაროს სამოთხედ მარადიული სიყვარული აქცევს, რომელიც სიძულვილის ასპარეზს ავიწროებს.

12004. სიყვარული მისთვის გასაგებ და ჩვენთვის გაუგებარ პარამეტრებში გვამყოფებს.

12005. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ნამდვილი სიყვარულიც საბოლოოდ მატერიალურს ეყრდნობა.

12006. წყალი თუ სიყვარული – პირველი ხორციელი მოთხოვნილებაა, მეორე – სულიერი, მაგრამ უერთმანეთოდ ამქვეყნად ყოფნა არ

უწერიათ, თუ მხედველობაში არა გვაქვს „უწყალო სიყვარული“.

12007. წყვილთა ურთიერთობაში პლატონური სიყვარულიც კი უგუნურებას არ გამორიცხავს.

12008. უაზრო, უკონტროლო სიყვარული არამდგრადია და ის მარად სულიერი სპეკულაციისათვისაა გამზადებული.

+12009. პირველ სიყვარულს არ უნდა უფრთხოდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ის სათუოცაა და ბოლოს ლარნაკივით მყიფე.

+12010. ყველანი ვალდებულები ვართ, მაგრამ არავის არაფერი გვმართებს, გარდა ერთმანეთის სიყვარულისა.

+12011. ურთიერთს მხოლოდ სიყვარული უნდა მოვპაროთ და არა ფული – ყოველ შემთხვევაში ეს, როგორც სიტყვის მასალა, კარგად ჟღერს.

12012. სიყვარულს საქმიანი ურთიერთობაც ამაგრებს.

+12013. ცოლქმრობის დუღაბი შვილებია, რომლებსაც ვერცხლის სიყვარული ოქროს სიყვარულად გადაუქცევიათ.

+12014. უნებისყოფო სილამაზე მიმზიდველობას კარგავს.

+12015. გახრწნილი სიყვარულიც თავისებურ მხარდაჭერას ითხოვს, რადგან ისიც სიყვარულის მარაქაშია გარეული.

12016. სიმპათია, მოწონება და თვით შეყვარებაც სიყვარულის სრულყოფილ ტოლობად ყოველთვის არ გამოდგება.

12017. ბუნების შექმნილზე უკეთესი არაფერია, თუ უნარი შეგწევს მისი პირველყოფილ სილამაზეს ეზიაროთ.

12018. ყველაზე დიდი ამქვეყნიური მშვენიერება, სილამაზეც კი, წარმავალია, მაგრამ დაუვიწყარი.

12019. სიყვარული არ არის ყოვლისშემძლე, არამედ ის გრძნობათა ღელვაა, რომელიც შესატყვის ჰორმონებზეა დამოკიდებული.

12020. შიშს პატივს სცემენ, ხოლო სიყვარულს ეჭვიანობის გამო ეურჩებიან.

12021. სილამაზე მახსოვრობას რჩება, მაგრამ იმქვეყნად გადასახლების გადავადების, შეღავათის იმედი აქვს.

12022. სიყვარული თავს ბევრის უფლებას აძლევს, ხშირად დაუმსახურებლადაც და დაუფიქრებლადაც კი.

12023. სიყვარული თავისებური შოუა, სადაც გულახდილობას, გრძნობათა მოზღვავებასა და ურთიერთმისწრაფებას კი არ თამაშობენ, არამედ განიცდიან.

12024. „ნიჭი შეიქმს სიყვარულსა“ – ეს იმ შემთხვევაში, თუ ერთერთს გვერდში ამოვუდგებით და ფეხს არ დავუდებთ.

12025. სიყვარული ყველა ჩვენგანის სხეულში უნდა იდოს დაყოვნებული მოქმედების ბომბივით, რომელიც, როდის აფეთქება, ჩვენთვისაც უცნობია.

12026. სიყვარულს ყველა ითხოვს, დაეძებს, რათა ამ წუთისოფელში ყოფნა გაილამაზოს.

12027. საყვარელთან დამეგობრებას ხელს უწყობს საერთო ინტერესების გამოძებნა.

12028. სიყვარულია, როდესაც სულიერად აღფრთოვანებული ხარ, მეგობრობაა, როდესაც საერთო ენას ნახულობთ. ორივე შემთხვევაში ერთად ყოფნა გსიამოვნებთ და მთავარიც ეს არის.

12029. სიყვარული ან მიდის, ან მოდის, ან ახლოს არ გვეკარება ჩვენთვის შეუცნობელ მიზეზთა გამო.

12030. შვილების სიყვარული მშობლების სიყვარულს აფერმკრთალებს და კონკურენციას უწევს.

12031. კაცობრიობა რომ შეიყვარო, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის სიყვარული უნდა შეგეძლოს.

12032. სიყვარულს პარამეტრები არ აქვს – უბრალოდ, გიყვარს.

12033. ბოროტების გულისთქმას სიყვარულის გულისცემით უნდა ვებრძოლოთ.

12034. უპირველესად ქალი და კაცი ურთიერთობისათვის არის შექმნილი, ხოლო შემდგომ მოდის ურთიერთობის წესების დადგენა.

+12035. ქალი და ფული ბედნიერი სიყვარულის პირობაა და არა გარანტია.

12036. ყველა სიყვარულს, სილამაზეს, შთაგონებას თავისი დრო აქვს.

+12037. სიყვარული თავისი ბუნებით მშენებელია.

12038. სიყვარულის პარამეტრების დევალვაცია ზნეობის დევალვაციასაც იწვევს.

12039. ყველაზე ადვილად სიყვარული ტყუვდება და პროვოკაციაზე ეგება.

12040. სადაც სიყვარულია, იქ გაუგებრობაცაა, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფერი ცხადია.

+12041. სიყვარულის აბდაუბდას ჭკუის მოძახილი ვერასოდეს სჯობნის.

12042. სარწმუნოების პირველი მცნება სიყვარულია. ის, უწინარეს ყოვლისა, შინაურებში უნდა გამოვამჟღავნოთ.

12043. მოყვასმა რომ არ გიღალატოს, პირველ ყოვლისა, შენი რიდი, შიში უნდა ჰქონდეს და შემდგომ – სიყვარული.

12044. ჰორმონებს ურთიერთ სუნის შეცნობა იწვევს, რომელიც წყვილს ნამდვილი სიყვარულის მოძიებაში ეხმარება გულის მოშველიებითა და სულიერების ხმობით.

12045. სიყვარული, ქალისადმი ტრფობაც წარმავალია და დევალვირდება, თუ მას დროის დასაწმენდ ფილტრში ჟამიდან ჟამზე გავა-

ტარებთ.

12046. სილამაზე ნივთიცაა, განძიცაა და შესაძლებლობების კასკადიც, გააჩნია, ვინ რა გულით, ჭკუითა და შემთხვევის წყალობით მოიხმარს.

12047. მოყვასის სიყვარულს, შედეგის მიუხედავად, სიკეთისკენ მივყავართ და მარად სიკეთეს გვაკეთებინებს.

12048. სიყვარული თავისებური თანხმობის ნიშანია, რომელიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა წამოწყება – საქმიანობისას გვერდში გვიდგას.

12049. ემოციების უწყალოდ ფლანგვა სიყვარულის დროსაც კი დანაშაულია, რადგან შინაგანად იცლები, იფიტები.

12050. სიყვარულის მაძიებელი პარტნიორის ბუნება-განწყობილებაში უნდა ერკვეოდეს და არა მის ფუტლიარსა და გარდერობში.

12051. გრძნობებიც ჩვენს სულიერებას ერწყმის, რის შედეგადაც ხშირად ვიღებთ თავდადებულ სიყვარულს.

+12052. გულებს შორის გადებული ხიდი ერთადერთია, რომელსაც კაპიტალური რემონტი არ სჭირდება.

12053. სიყვარული თავისი ხედვით, გაგებით გულუბრყვილოა და მენტალიტეტით ზოგჯერ ახლობლებისთვისაც გაუგებარია.

12054. უნდა ვისწავლოთ სიყვარულით უკან მოხედვა, იმისდა მიუხედავად, ჩვენს წარსულს ფესვები ღრმად აქვს გადგმული თუ არა.

12055. სიცოცხლე ყველას გვიყვარს, მაგრამ მისი შეცნობის უნარი ყველას არ შესწევს.

12056. „სიყვარული“ ტევადი სიტყვაა და მასთან ასოცირდება ყურადღება, ხიბლი, სითბო, პატივისცემა, კომპლიმენტი, ალერსი, ყვავილები, სექსი, უძილო ღამეები.

+12057. სიყვარული ღირსეულს ირჩევს, სექსი – ხელმისაწვდომს, მაგრამ დაფინანსება ორივეს სჭირდება.

12058. სიყვარულის შენარჩუნება გონიერებასა და ამბიციების დათრგუნვას მოითხოვს.

12059. ყველა სილამაზეს თავისი ავტონომია შეუძენია ამ სამყაროში.

12060. ყველაზე ბედნიერი გართობა საკუთარი საქმის ფანატიკური სიყვარულია.

12061. სასიყვარულო ენის ქვეტექსტები ქალს უკეთ ესმის, ვიდრე მამაკაცს.

12062. სიყვარულის უნარსა და შეყვარების მისწრაფებას შორის დიდი ზღვარი დევს, რადგან ამ უკანასკნელში გონიერებაც არის ჩართული.

12063. დღეს სილამაზის აღქმაც ფულსა და დაფინანსებას მოითხ-

ოვს.

12064. ყველა სიყვარული განუსჯელია, განუკითხავია, არც პასუხისგებაში მიეცემა და არც გასამართლდება, რადგან ის ძალზე ინდივიდუალური და შეუცნობია.

12065. კინოში იგი თითქმის ერთნაირი წარმატებით მთავრდება, მაგრამ სიყვარულის ცხოვრებაში გამოცდა კვლავაც გრძელდება.

12066. სიყვარული მარად კონცენტრირებული და კეთილშობილურია, თუ ის ტრადიციებს ემორჩილება და გონიერი საზოგადოების ხელშია.

12067. პატივს მიაგებენ ძლიერს, მაგრამ რატომღაც ქარაფშუტები უყვართ.

12068. სიყვარულის გულისთვის გმირობას სჩადიან და არა მკვლელობას.

12069. გატაცება სიყვარულია თუ ასაკის ყივილი, არავინ უწყის.

12070. სიყვარულის წლები სიკეთის, გამრავლების, დოვლათის შექმნის მცდელობაა.

12071. ზოგჯერ ტრფობის ჭაობში სიარულიც არ არის აუტანელი, თუ მისი ამოშრობის შენეულ გეგმას ადგენ.

12072. ხშირად სიყვარულს სათნოება უკანმოუხედავად ეწირება.

12073. სიყვარული სურვილია, ისეთი ეიფორიით იცხოვრო, რომლის შედეგზე წარმოდგენაც არა გაქვს.

12074. ცივილიზაცია სიყვარულსაც განსჯის უნარსა სთხოვს, რათა ეს გონებამაც წინასწარ განჭვრიტოს და გაითავისოს.

12075. სიყვარული პრაქტიკულად განსჯას, წესრიგს არ ემორჩილება, მაგრამ თეორიულად ცდილობს, მათ პატივი მიაგოს.

12076. რამდენიმე თბილი, მომხიბვლელი და იდუმალი შიფრის შემცველი სიტყვა ქალ-ვაჟს შორის და სიყვარულიც ჩახლაფორთებულია.

12077. სილამაზე ყოველთვის სათანადოდ არც აღიქმება, არც გაიგება, რადგან დღეს მისი შეფასებაც ცოდნას მოითხოვს, რათა ფართო მოხმარების ჭინჭებში გამოწყობილი, ფერუმარილით გათხუპნული და უჭკუო ქალები დედოფლებად არ აღვიქვათ.

12078. სიყვარული ბევრ რასმე იტევს, იმასაც, რაც მისთვის შეუთავსებელია და, წესით, არც უნდა გაახმოვანოს.

12079. სიყვარული შენდობაა და არა შურისძიება, რადგან უნაკლო და უშეცდომო დღეს არავინაა.

12080. სიყვარული მაინც აღტკინების შინაგანი ციკლია, რომელსაც ამბიცია, სურვილი და ლტოლვა უბრუნდება.

12081. გარდაუვალობა, შიში ზოგჯერ სიყვარულის წინაპირობაა, ვაჟკაცობისაც საკუთარი მეობის წარმოსაჩენად.

12082. ღალატი იქაცაა ჩასაფრებული საცდუნებლად, სადაც დიდი

სიყვარულია.

12083. ხშირად სიყვარულისადმი დამოკიდებულების ცვალებადობას ასაკთან ერთად ადამიანის „ფუტლიარის“ ცვლილებაც იწვევს.

12084. სიყვარულზე არ ჭორაობენ, მას განცდით, შურით, იმედით უყურებენ, იქნებ, მის წყალობას დროულად ეზიარონ.

12085. სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, მაინც სულიერი მონობაა.

12086. თავის შეყვარება სხვისი შეყვარების საწყისი ფორმაა.

12087. ასაკს სიყვარულთან შეთამაშება სჭირდება, რადგან უსიყვარულოდ და მოვალეობის შეუცნობლად ცხოვრება უჭირს.

12088. სიყვარულის სამსხვერპლოზე ბევრი რამ უნდა მივიტანოთ, რათა სიყვარულმა საბოლოოდ იზეიმოს.

12089. სრულყოფილება ყველაზე მეტად სიყვარულს სჭირდება, სიკეთის გაცნობიერებით და მომავლის გათვითცნობიერებასთან ერთად.

12090. დღეს სიყვარული სუპერმარკეტს მოგვაგონებს: თუ ფული გაქვს, არჩევანს ჭკუით აკეთებ და არა გულით.

12091. სიყვარული მარტო სულიერების გამონათებას არ შველის, მას ხორციელთან მიახლოება სჭირდება.

12092. სიყვარული არის ოცნების კბილის ტკივილი.

12093. გული ითხოვს, გონება სულის გიზგიზს აკმაყოფილებს და ესაა სიყვარულის ალგორითმი.

12094. სილამაზე საშინელი ძალაა, მაგრამ არა თავად სილამაზისა და ხიბლისთვის, რომელიც მას მარად თან ახლავს.

12095. სიყვარულს განაღდებული ბედნიერება არ მოაქვს, გინდ ცალმხრივი იყოს, გინდაც ორმხრივი – გრძნობებიც ცვდება და ცივდება.

12096. სიყვარულის და ღალატის ამბავს საზღვარი არ აქვს და არც ექნება, იმდენად შეუცნობლადაა აწყობილი ადამიანის ბუნება.

12097. სიყვარული იგივე შეჩვევაა, რომელსაც წინ უძღვის მაღალი ტონალობის გრძნობათა ქოთქოთი.

12098. ამბობენ: ვისაც არ ჰყვარებია, ის ვერ გაიგებსო, მაგრამ, ვისაც უყვარს, ისიც რომ ბოლომდე ვერ ერკვევა თავის გრძნობებში?!

12099. სილამაზე წარსულს უფრო აფასებს, ვიდრე აწმყოს.

12100. სიყვარული ნაპერწკლით იწყება და, თუ არ გავუფრთხილდით, აბრიალდება თუ არა ეს კოცონი, არავინ უწყის.

12101. სიყვარული ძირითადად გამართლებაა, მიუხედავად იმისა, რომ გრძნობების მოზღვავების სტარტზე ამის თაობაზე არავინ ფიქრობს.

12102. სიყვარული ფორმებს იცვლის, მაგრამ მისი არსი უცვლელი რჩება.

12103. სიყვარული ისეთი ხატია, რომელიც თავისი დროის არცერთ ყალამს სრულყოფილად არ წარმოუჩენია.

12104. გონიერება და სიყვარული, მცდელობის მიუხედავად, ხშირად ერთმანეთს ვერ უგებენ.

12105. სიყვარულის მოთხოვნა ადამიანს დაბადებიდან ეწყება, უვითარდება და იმქვეყნადაც გაჰყვება.

12106. სიყვარული სიძულვილის ბაზისზე არც აშენდება და არც შედუღაბდება.

12107. ფუფუნებასა და სიყვარულს შორის არჩევანი გონის ჩაურევლად ძნელი გასაკეთებელია.

12108. გონიერება სიყვარულს ცხოვრების გასაუმჯობესებლად იყენებს და არა ასაფორიაქებლად.

12109. სიყვარული ღვთიური წარმომავლობისაა. იგი ადამიანის გონიერებისთვის მარად გაუგებარია და ასევე დარჩება, რადგან თავად გვინდა, მარად შეუცნობი და დასამახსოვრებელი დარჩეს.

12110. საკუთარი თავისადმი სიყვარული რომანია, რომელსაც ვერავითარი სხვა სიყვარული კონკურენციას ვერ უწევს.

12111. სიყვარული მრავალფეროვანია: დედაშვილური, მოვალეობისა, ნიჭიერებისა, თავაზიანობისა, სიკეთის კეთებისა, ვარსკვლავად ყოფნისა და ა.შ. ქალისა და კაცის სიყვარულზე რომ არაფერი ვთქვათ.

12112. სულისა და სხეულის აღმაფრენა სიყვარულის ფრთებია.

12113. ყველაზე კარგი ექიმი და მკურნალი მარადიული სიყვარულია.

12114. სიყვარულის უნაყოფოდ მოცდენა დანაშაულია.

12115. ნამდვილი სიყვარულის ცისარტყელას ხიდზე ღვთაებრივი ნათელი კაშკაშით იდებს ბინას.

12116. სიყვარული ყველაზე დიდი მსხვერპლია, დაინვალიდებული სულიერებაა.

12117. სიყვარული ნებაყოფლობით მსხვერპლს მოითხოვს.

12118. სილამაზე მიუწვდომელი და იშვიათობა უნდა იყოს, თორემ ისიც ფასს დაკარგავს და შეუმჩნეველი დარჩება.

12119. სილამაზე უკალენდროდ ცხოვრობს, რადგან მას არ სჭირდება გარეგნობის „მიმდინარე“ რემონტი.

12120. სიყვარულმა შეიძლება ურჩხულ-საფრთხობელად გვაქციოს და ამქვეყნიურ ღვთაებადაც, გააჩნია წყვილის ბუნებასა და მათი ხასიათების შერწყმას.

12121. განგების მოვალეობაა, სიყვარულით გვასაზრდოოს, ეშმაკის საზრდო წაგვართვას, რათა სიყვარულის მადლი და ფასი საბოლოოდ შევიცნოთ.

12122. სიყვარულის ასაკი დღემდე დაუდგენელია, იმდენად ცვალე-

ბადი და თავისებურია მისი ბუნება.

12123. ნაწამებ, დახურდავებულ სიყვარულს გულისტკივილი სიცოცხლის ბოლომდის შემორჩება.

12124. სიყვარულს კუთვნილი ბოლომდის უნდა მივაგოთ, რათა ნაწყენი არ დარჩეს.

12125. სიყვარულსაც მოჭარბებულ გრძნობათა შეფრქვევა სჭირდება, უამბიციოდ რომ იყვავილოს.

12126. თავდავიწყებულ სიყვარულს საზღვარი არ აქვს, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ის აქამდე სერიოზულად არ გამოუცდია.

12127. სიძულვილიც თავისებური სიყვარულია, რომელსაც მძაღე სუნი უდის.

12128. სიყვარულის უნარი მომადლებული ღირსებაა, რომელსაც ხშირად ვერ ვაფასებთ.

12129. გაოგნება წესად გვექცევა, თუ სილამაზის ბოლომდე აღქმას ვისწავლით.

12130. სილამაზის სრულყოფილი ფორმულა არ არსებობს, იმდენად რთულია ადამიანის ბუნება-გუნების რკვევა და მასში წვდომა.

12131. ბიზნესისა და სიყვარულის ერთმანეთში აღრევა უგუნურებაა, მაგრამ მათი გაერთიანების შემთხვევაში ერთგვარი თვითდაჯერება მოაქვს.

12132. სადაც სიყვარულია, იქ სიმართლეცაა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვსურს, გვეჩვენება და გვჯერა.

12133. ბუნებრივი სილამაზის მქონე მსახიობის შესატყვისი ნიჭიერება მაყურებელს იშვიათად აკმაყოფილებს, რადგან განგების ნაჩუქარი სილამაზისგან გაცილებით მეტს მოელიან.

12134. სიყვარულსაც თავისი წესი და კანონი აქვს, იმისდა მიუხედავად, რომ ახალგაზრდობაში არცერთს არ ვცნობთ.

12135. სიყვარულის ასაკიც ყოფიერებისა და დროის განტოლებას ემორჩილება.

12136. სიყვარული ავტორიტეტს მეტ-ნაკლებად ყოველთვის უწევდა ანგარიშს.

12137. წარსული გასახსენებლად არა ღირს, თუ იქ უიმედო სიყვარული იყო დაბუდებული.

12138. გაცრუებული სიყვარული საყვედურს არ იმსახურებს, რადგან ის თავს გვამახსოვრებს, გვაწრთობს და ახალი სიყვარულისკენ გვიბიძგებს, ოღონდ ამჯერად საქმეში დაფიქრება და გონი ერთვება.

12139. სიყვარულისაგან თავის დახსნას უცხო ქვეყანაში გადახვეწა შველის. ოღონდ მობილური ტელეფონი უნდა გადააგდო.

12140. ბრმა თვალის ახელაზე ოცნებობს, ხოლო სიყვარულით დაბრმავებული ამის წინააღმდეგია.

12141. დიდი სიყვარული და თავდადება ზოგჯერ პროვოკაციების მოსაწყობადაა გამზადებული.

12142. სიყვარულმა თვითმყოფადობა და თავისი ხიბლი არ უნდა დაკარგოს, თუ გვინდა, იგი ბოლომდის შევინარჩუნოთ.

12143. გაცრუებელ სიყვარულს ისევ იმედმომცემი სიყვარულის მალამო შველის.

12144. ზოგჯერ თვალხილული ადამიანიც ბრმაა, იმდენად დიდია ძალა სიყვარულის.

12145. შეუძლებელია, შეყვარებული მის საწყის პერიოდში ცოტათი ჭკუაზე ალაოდ, ქესატად არ იყოს.

12146. უაზრო ღაღადისგან სულიც, ხორციც, გონებაც ერთნაირად იტანჯება და იღლება, თუ მას სიყვარულით არ შევეშველებით.

12147. სიყვარული თუ დროებითია და თანაც წარმავალი, მაშინ მეგობრობას ყოველ შემთხვევაში საფუძველი უფრო მყარი და ხანგრძლივი ექნება.

12148. მართალია, ზოგჯერ სიყვარული გვაბრმავებს, გვაყრუებს, განსჯის უნარს გვართმევს, მაგრამ უიმისოდ ამ ქვეყნიდან გადაბარგება სიცოცხლის მადლის შეუცნობლობაა, საცოდაობაა.

12149. სიყვარულს ასაკი ვერ „უჯოკრავს“, პირიქით, სიყვარული აახალგაზრდავებს ჭარმაგს.

+12150. დღეს ძველი საყვარლის საფლავის ძებნა მოდაში არ არის, რადგან ახალი საყვარლების სარეცელს დაეძებენ.

12151. სათნოებასაც თავისი კიბეზე ასასვლელი აქვს, რათა ზევიდან სიყვარულის მადლით გადმოგვხედოს.

12152. ვარდიც ბიზნესისა და კორუფციის წყაროდ იქცა, რადგან ისიც სიყვარულს აღებ-მიცემობით ეხმიანება.

12153. სიყვარულის „სარწყო-ასაწონი“ ჭურჭელი ჯერ არავის შეუქმნია და ვერც შექმნის.

12154. დღეს სიყვარულს არც პირამიდებს უშენებენ, არც ტაძრებს. ახლა მას გარკვეული დროით აფინანსებენ – სანამდის ერთად არიან.

12155. იმ ცეცხლშუა მყოფმა მესამემ გონიერების ცეცხლი უნდა დაანთოს, თუ უნდა ამ ცეცხლის ალში გახვეული სიყვარულის სამკუთხედიდან მშვიდობიანად გამოვიდეს.

12156. მალვა ბევრ რასმე უხდება, მათ შორის მიტაცებულ სიყვარულსაც.

12157. სიყვარული ყველა დროის უგუნურებას, კატაკლიზმებს უძლებდა და გაუძლებს.

12158. წამწამზე ცრემლი კი არა, სიყვარულის ნამი უნდა გვეპკურებოდეს.

12159. სიყვარულის მტერია უაზრო სიამაყე და არა აზრიანი თავ-

მოწონება.

12160. სიყვარულის მარადიულობას ყველა უმღერის და ეთაყვანება, მაგრამ ცხოვრება მასთან მაინც თავისი გადასახედიდან გვამუსაიფებს.

12161. სიყვარულისთვის სახლის აგება განგების უნებურად ყველას როდი ეხერხება.

12162. რომანის დასაწყისის კარის შეღება შედარებით ადვილია, მის დასამახსოვრებლად კარის გამოხურვაა ძნელი.

12163. ტრფობის ალი ტანჯვის ცეცხლის მოდებამ იცის.

12164. ზოგჯერ სიყვარული უსაქმურობით გვაბრმავებს.

12165. შეყვარება იძლევა ყოფის განტოლების ამოხსნის საშუალებას.

12166. სილამაზის წარმოსაჩენ-დასაბანდებლად გონიერებამაც თავისი ხარკი უნდა გაიღოს.

12167. სილამაზის სიცოცხლესთან შეხმატკბილებას ხალასი ნიჭი და გამოცდილება სჭირდება, რომ ერთმანეთი არ მობეზრდეთ.

12168. ღვთისაგან განსხვავებით, სიყვარულს გამოგონება არ სჭირდება. ის რეალურია და ყოველგვარი ლოცვის გარეშე მას ეთაყვანები, თუ გაგიმართლა და დროულად გეწვია.

12169. უსიხარულო სიყვარული ტრადიციებისა და მომავლისთვის ხარკის გადახდაა.

12170. სილამაზით აფროდიტე სჯობს თუ აპოლონი, არავინ უწყის, მაგრამ ორივე გამოსაყენებელია სილამაზე-მშვენიერების მართებულად აღქმის მიზნით.

12171. სიკეთის კეთების სურვილი სიყვარულის შეცნობის შედეგია.

12172. სიყვარულის საიდუმლოებათა ათვისება, ასაკის მიუხედავად, ორივე სქესის წარმომადგენელთა გადაუდებელი საქმეა.

12173. სილამაზის წინაშე დროც უკან იხევს და მის მიერვე დადგენილი დაბერების წლების წინაშე თვალს ხუჭავს.

12174. ის სიყვარულია ნაღდი, რომელიც შენი შეყვარებით სხვებსაც აბედნიერებს და ამ ყოფის ამაოებას ავიწყებს.

12175. ამბობენ: სიყვარული აბრმავებს, აყრუებს, აავადებს, ამუნათებს, ასულელებს, ოღონდ დროებითო, სწორედ ესაა ბედნიერი გამოსავალი ამ საშური დაავადებისა.

12176. ლამაზი მკერდი და ისიც მოდიდო გენდერული საშუალებაა როგორც მამრის ასაღელვებლად, ისე მეორე მდედრის ყურადღებისა და შურის აღსაძვრელად.

12177. რა არის სიყვარული? – დამორცხვებულ-შეჯერებული სიხარული.

12178. სიყვარული ბევრ რამეზე გვაწერინებს ხელს, მათ შორის –

ღალატზეც.

12179. სიყვარული თავისებური ანგარებაა, თუნდაც იმიტომ, რომ თქვენ ერთმანეთს სჭირდებით.

12180. სიყვარული არც დროს ირჩევს, არც – ფორმას. ის, უბრალოდ გამოგეცხადება, შემოგეპარება და ბასტა.

12181. სიყვარულის კონცერტშოუში, უპირველეს ყოვლისა, მონაწილეობენ: ჰორმონები, გარეგნობა, თვალების დაჟუჟუნება, ვნება, კარიერა, ფული, სულიერება და ხანდახან – გულიც კი.

12182. გათიშვის, სიმთვრალის მისაღწევად ბევრი სასმელი არსებობს, მაგრამ სიყვარულით თრობას არაფერი სჯობს.

12183. ეცადეთ, ისე გიყვარდეთ, თავი არ მოაბეზროთ, ზედმეტი ყურადღებით არ შეაწუხოთ, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააგდოთ თქვენი მოჭარბებული გრძნობებით – ეს ხშირად უკუშედეგს იძლევა.

12184. სასურველი სამუშაო, ცოლი, შვილები ბედნიერი იშვიათობაა, მაგრამ ყოველივეს სიყვარული და მოვალეობის შეგნება აგვარებს.

12185. ოცნებებისა და რეალობის ზღვარზე ყველაზე უპრიანი საჯილაო მარადიული სიყვარულია.

12186. ტყის სილამაზე რომ შეიცნო, უპირველეს ყოვლისა, მასში ცხოვრება ღამის თევით უნდა სცადო.

12187. მთავარია სიყვარულის ნიჭი, დანარჩენი შეიძლება გონის მოუხმობლადაც გამოვიდეს.

+12188. სიყვარულმა მობეზრება იცის და არა დაღლა.

12189. სიყვარულის პარამეტრები, მოწონებისგან განსხვავებით, მარად დაუდგენელი დარჩება.

12190. სიყვარული ფაქტობრივად თავისებური ლაღი გრძნობა და ნებაყოფლობითი მორჩილებაა, რომელიც მონობასთან არ უნდა გავაიგივოთ.

12191. სიყვარულით მოსული „აგრესია“ დაფიქრებას, განსჯასა და დროის გაყვანას მოითხოვს.

12192. სიყვარული მარადიულობას ჩვენთვის ამოხსნილი და ამოუხსნელი მრავალი განტოლებით თანა სდევს.

12193. სიყვარული დიდი და უანგარო სიკეთის გაცემით მოიპოვება.

12194. სიყვარული და ლტოლვა შინაარსით ერთნაირია, მაგრამ სულიერებით განსხვავდება.

12195. გააზრებული სიყვარული განგების წყალობად უნდა მივიჩნიოთ.

12196. სიყვარული რომ არ მოკვდეს, ვეცადოთ, გულისხმიერება გამოვიჩინოთ და უმტკივნეულოდ სხვას გადავულოცოთ – ესეც შესაძლებელია, თუ ნაღდი სიყვარულია.

12197. სიყვარულსაც მატერიალური გამაგრება სჭირდება და უხ-დება.

12198. რაც დაუფიქრებლად უნდა იწამოს ადამიანმა, ეს უანგარო სიყვარულია.

12199. დედობა ნამდვილი სიყვარულის საწყისია, რომელსაც მშო-ბელი შვილის გაჩენის შემდგომ აცნობიერებს.

12200. ტანჯვა-სიყვარული ხან სიბრძნედ გვევლინება, ხანაც – უგუნურებად.

12201. სიყვარულს არ ემსახურებიან, მაგრამ არც უყურადღებოდ ტოვებენ.

12202. ზოგჯერ ტანჯვასაც სიამოვნება მოაქვს, თუ ის შენი გაუც-ნობიერებელი სიყვარულის ობიექტია.

12203. სიყვარული ყველაფერია, გარდა ღალატისა.

+12204. სიყვარული საყვედურს არ იმსახურებს, რაც უნდა უიმე-დოდ გამოიყურებოდეს.

12205. სიყვარულს ზღვარი და საზღვარი არ აქვს. იგი თავისით მოდის და ხშირად ჩვენი გულის „გადაცდენის“ ხელშეწყობითაც.

12206. სიყვარულის ფასი ვიცით, მაგრამ მის აყვავებას საკმარის დროს ვერ ვახმართ.

12207. სიყვარულს ზოგი სახლს უგებს, ზოგიც – გალიას.

12208. სიყვარულისთვის უცხოა: ეს აირჩიე, ისა სჯობია, რადგან ამ არჩევანში აზროვნება-გრძნობებთან ერთად ჰორმონებიც ერევა, რო-მელმაც სიყვარული რეალობად უნდა შეაკოწიწოს და განამტკიცოს.

12209. ყველაზე დიდი სიამოვნება დაფასებულ სიყვარულს მოაქვს.

12210. სიყვარული უმთავრესად დიდი მეგობრობაა: სულიერების ხიბლისა და ჰორმონებისა.

12211. შეყვარებული მამაკაცის მირთმეული თაიგული ცხოვრების ამაოებაზე დაფიქრებულ ქალს ყოველგვარ უიმედობას ავიწყებს.

12212. სიყვარულს არ ერიდებიან, მას უფრთხილდებიან და მისით გარკვეული დროით ავადდებიან.

12213. სიყვარული მრავალჯერაა შესაძლებელი, რადგან უმისოდ სამყარო არ ვითარდება.

12214. სიყვარულს მანამ დაეჯერება, სანამდის უღალატოა და ცივ-ილიზაციის კაპრიზებს არ ეპუება.

12215. სიყვარული ყოველივეს და ყველაფრის მკურნალია, თუ გულღია და ნამდვილია.

12216. სიყვარული სიამოვნებასა და ბედნიერებასთან ერთად დიდი ვალდებულება და მოვალეობაა.

12217. სიძულვილისგან განსხვავებით, სიყვარულს ცოტა ჰყოფნის და ეს ხშირად კეთილი სიტყვაა.

12218. დაავადებული სიყვარულის მკურნალი ახალი სიყვარულის დროულად მოძიებაა.

+12219. სიძულვილსაც სიყვარულით თამაში მოსწონს.

12220. მშვიდი სიყვარულის მოწონება და შეჩვევა ანგარებაცაა, ხოლო თავდავიწყება ტრფობაა.

12221. რომანტიკულ გრძნობებსა და სიყვარულს შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ მათი გარჩევა ხშირად შეუძლებელია.

12222. სიყვარულის მოწოდებაა, ნაყოფი გამოიბას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არავის სჭირდება.

12223. სიყვარულის მოიმედეს გამოცდილებაც სჭირდება, მაგრამ მის შედეგებს ბოლომდის რიდი ეთანხმება.

12224. სიყვარული ის მეცნიერებაა, რომელიც მხოლოდ გამარჯვებისკენ გვიბიძგებს.

12225. სიყვარულით დაავადების შეუცნობელი ბედნიერება ყველამ უნდა გამოსცადოს, რათა გონი მკურნალობის ხელოვნებას დროისა და გარემოს შესატყვისად დაეუფლოს.

12226. პირველ სიყვარულს, მომდევნოსაგან განსხვავებით, გონიერება მისი „სისუსტის“ გამო სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევს.

12227. კუპიდონის ისრით გულის განგმირვა ყველა შეყვარებულის ოცნებაა და ის გვიან არასოდეს არის.

12228. სიყვარულის უნარი საჩუქარიც არის, სულის ზეობაც, განგების წყალობაც, რომელიც ზოგჯერ უბოროტო სიცრუესა და ქლესაობას მოითხოვს.

12229. სიყვარული ზოგჯერ მიჩვევითაც კმაყოფილდება.

12230. სილამაზე არ იყიდება, მაგრამ ტირაჟირდება, რათა სიამოვნება ყველას მოჰგვაროს და არა ერთეულ ფულის ტომრებს.

12231. არიან სიყვარულით გენეტიკურად დაავადებული ადამიანები, რომლებსაც, დიდი ხნით სარკის წინ რომ დააყენოთ, საკუთარი თავიც კი უზომოდ შეუყვარდებათ.

12232. უხერხულობას, შიშსა და ცინიზმსაც კი ხშირად სიყვარულის ალგორითმებში გაუცნობიერება იწვევს.

12233. სიყვარული თავისებური ეიფორიული ქიმიაა, სადაც დადებითი რეაქციის მიღება ხშირად სულიერების ტკბილი საწამლავის შერევის ოდენობაზეა დამოკიდებული.

12234. უპასუხოდ დარჩენილ ნამდვილ სიყვარულს ბევრ რამეზე შეუძლია წასვლა, რათა რჩეულს თავი ახლებურად დაანახოს.

12235. ზოგი სიყვარული დანაშაულია, მიუხედავად იმისა, რომ იგი განუსჯელია და ალტერნატივა არ აქვს.

12236. სიყვარულსაც ნიჭი სჭირდება, რადგან მარტოდენ გარიგება, მოწონება და ვითომდა შეყვარება არ ჰყოფნის.

12237. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღეს სიყვარულიც მატერიალიზმის პერსპექტიული ალგორითმის ამოხსნას ცდილობს.

12238. ეჭვი და ეჭვიანობა სიყვარულს აჩმორებს და ანადგურებს, რადგან ნდობის უქონლად სიყვარული კლინიკური დაავადებაა.

12239. თავდავიწყებული სიყვარული ყოველგვარ შიშსა და საშიშროებას გვავიწყებს.

12240. სიყვარულით გაჩენილი ხანძრის ჩაქრობას ნუ ვეცდებით, დროთა განმავლობაში თავად ჩაქრება – ჩაიფერფლება.

12241. სიყვარული ზოგჯერ პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების შედეგიცაა.

12242. სიყვარულის შევარდნის გაწვრთნა უნდა ვისწავლოთ, თუ გვინდა, მშვიდად ვიცხოვროთ.

12243. საკუთარი თავის გადამეტებული სიყვარული თავში სიცარიელეს აჩენს.

12244. ერთადერთი, რასაც განგება არ გვიკარნახებს და გვენდობა – სიყვარულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამდენი ღალატი და იმედის გაცრუება აღარ იარსებებდა.

12245. უამრავი ადამიანის მოდრეკის წამი სიყვარულია.

12246. სიყვარულიც ერთგვარი სასურველი დაბანდებაა, ოღონდ არა ფულის, არამედ – გრძნობისა.

12247. ნათრობზე ამღერებული სიყვარული პარტნიორთან საკუთარი „მეს“ წარმოჩენას ცდილობს.

12248. სიყვარული ბევრ რამეს მიგაქარვინებს, მაგრამ ცხოვრება მადლსაც შეგაცნობინებს.

12249. სიყვარული ურთიერთპატიებაზე, ურთიერთგაგებაზე, კიდევ მრავალ რამეზეა დამყარებული.

12250. სიყვარული ყველა ჩვენგანში რწმენის, ნდობის გზით უნდა მოვიდეს, რათა მისი მადლი შევიცნოთ.

12251. სიყვარული ის კი არ არის, ქალი რომ მოგწონს, არამედ ის, რომ ერთი ქალის გულისთვის ათასი ქალის მოხიბვლა-შეყვარებაზე უარს ამბობენ.

12252. სიყვარულს ყველა თავისი ოცნების თარგზე აშენებს, რომლის საბოლოო შედეგი ყოველთვის გარკვეული როდია.

12253. ეჭვიანობა და სიყვარული იძულებითი მეგობრები არიან.

12254. სიყვარული ცივ გონებას არა სცნობს, მაგრამ დაოჯახების დროს მისი ნაზავის გათვალისწინება უხდება.

12255. შეყვარებული ადამიანი არა მარტო სულიერად, გარეგნულადაც მომხიბვლელი და ლამაზი ხდება.

12256. სიყვარულიც დაუნდობელი დაავადებაა, გააჩნია, რა დოზით შეგეყრება მისი ბაცილა.

12257. სიყვარულის ცეცხლის ჩაქრობას დრო სჭირდება ან უდიდესი გაწბილება.

12258. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბოლოს სიყვარულსაც, ურთიერთგაგებისა და ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით, მატერიალიზმამდე მივყავართ.

12259. არ არსებობს სიყვარულზე დიდი ბედნიერება, თუ მას ომის ვირუსებით არ დავასენიანებთ.

12260. სიყვარული კატათაგვობანას თამაშს მოგაგონებს, რაც ხშირად მთელი სიცოცხლე გრძელდება.

12261. გარკვეულ დრომდე სიყვარული საზღვრებს არა გრძნობს, ბოლოს ისიც ბუნების კანონებს ემორჩილება და კალაპოტში ექცევა.

12262. სიყვარულს ძებნა სჭირდება, ზოგჯერ თავად გვეახლება, მაგრამ მას რომ მოფრთხილება და თანადგომა სჭირდება, ეს უდავოა.

12263. სიყვარულის ბოლომდის დაჯერება ჭირს, მაგრამ მისი რწმენა, მისდამი მისწრაფება, მისი შეცნობა აუცილებელია.

12264. ყველა სიყვარულს თავისი მიზანი, აზრი და ფასი აქვს, რაც უნდა გავაიდეალოთ იგი.

12265. სიყვარულის გადაყვარებაც შეიძლება, თუ ხშირად გსაყვედურობენ: არ გიყვარვარ, არ გიყვარვარ, არ გიყვარვარო!

12266. ყველაზე სასიამოვნო ავადმყოფობა სიყვარულია, მიუხედავად ფინალისა.

12267. გრძნობა ჩემოდანი არაა, სიყვარულის ვაგზალზე რომ დატოვო.

12268. სიყვარულსა და მოწონებას შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ ისინი საერთო ენის გამონახვას მათდა უნებლიეთ ახერხებენ.

12269. სიყვარულს აიწონა-დაიწონა და გონიერების ინტეგრალებში ხეტიალი უჭირს; მას უბრალოდ უყვარს ან არ უყვარს და რატომ, არ განსჯის.

12270. სიყვარული მისდა შეუმჩნევლად საკუთარ თავს უწყობს გამოცდას.

12271. სიყვარულს ჯერ მოიპოვებენ და შედეგს შემდგომ იმკიან.

12272. სიყვარული ადამიანს სუპერადამიანად აქცევს და იგი ასეთად გრძნობს თავს, ვიდრე ეს გრძნობა არ განელდება.

12273. სიყვარულის უნარს მოკლებული ადამიანი პიროვნებად ვერასოდეს იქცევა.

12274. ურთიერთობა თუ დროის ცვალებადობას უძლებს, ის შედეგის მომტანი სიყვარულია.

12275. სიყვარულია, თუ სამყაროსა და ირგვლივ მყოფთა კაპრიზებს ერთნაირად აღიქვამთ.

12276. დიდ სიყვარულს დიდი გაუგებრობის გადატანაც შეუძლია.

12277. სიყვარული, კარგი განწყობა და იმედი ადამიანს დიდ უპირატესობას აძლევს ნერვიული ცხოვრების დასაძლევად და სიკეთის საკეთებლად.

12278. სიყვარულის უნარი აახალგაზრდავებს ჩვენს ცნობიერებას და შემართებასაც გვმატებს.

12279. რაც სიყვარულს ეხება, ყოველივე მისაღებია, და პატივის მიგებას იმსახურებს, თუ სიყვარულის ობიექტი თანახმაა და მხარს გიბამს.

12280. ალბათ, უფრო დიდი ბედნიერებაა იმის შეცნობა, რომ თავდავიწყებით გიყვარს, ვიდრე იმის გაგება, რომ შენც ასევე უყვარხარ.

12281. გაღუნულ-მოღუნული, გამართულ-გაღუნული, სიზმარში ნანახ-ახდენილი და კიდევ ვინ იცის, რამდენი შეუთავსებელ-შესატყვის ალგორითმს არ მოუნახავენ სიყვარულს, რათა მისი გონისთვის ისედაც შეუცნობელი გრძნობა კიდევ უფრო შეუცნობელი გახადონ.

12282. სილამაზე, გონიერება, ნიჭი თავისებური საოცრებაა, რომლებიც უნებლიეთ შენს მოვალეობასა და მათს უპირატესობას გაგრძნობინებს.

12283. სიყვარულზე გრძნობებმორევით ყველაზე მეტად ის საუბრობს, ვისაც ის ბოლომდის არ გამოუცდია.

12284. ნაღდ სიყვარულს გრძნობების დაჭაშნიკება უყვარს და ის იშვიათად მოდის.

12285. სიყვარული თავისი ბუნებით მიამიტია, მგრძნობიარე და იოლად ტყუვდება.

12286. სიყვარულის ხარისხი ადამიანის ემოციებსა და ცნობიერებაზეა დამოკიდებული.

12287. არც გიჟს მოეკითხება ჭკუა და არც გიჟურ სიყვარულს.

12288. სიყვარულის სიკვდილი მაინც მამაკაცის ბრალია, რაც უნდა ალიბი ჰქონდეს.

12289. ყოველგვარი სილამაზე შემოქმედებაა, თუ ნაღდი დამფასებელი ჰყავს.

12290. ნაღდი სილამაზე მიმზიდველია, სულიერების ქარბუქია, შინაგანად მაძღარია.

12291. რეიტინგული სიყვარულიც თავისებური გატაცება და სასჯელია.

12292. სიყვარული მნიშვნელოვანია ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში, მაგრამ არა გადამწყვეტი, რადგან ზოგჯერ ისიც უფერულდება, ობი ედება და თანდათან კარგავს ფერს.

12293. სიყვარული მარად ამოუხსნელი განტოლება იყო თავისი ხიბლითა და განუსჯელობით.

+12294. სიყვარული უსასრულობაა, ჰაერია, გულის ბაგაბუგია,

გრძნობათა გამოღვიძებაა, გაზაფხულის ბანაკია, სამოთხის კარიბ-ჭესთან დაცემული.

12295. დაღვინებული სიყვარული გრძნობების ქარცეცხლის შენელების მცდელობაა.

12296. თავდავიწყებულ სიყვარულს ყველაზე მეტად „გულში ჩარტყმა“ ძალუძს, და არა თავში წამორტყმა.

12297. სიყვარულის შენარჩუნება თავისებური სიურპრიზების მოწყობას მოითხოვს, ოღონდ გადამლაშება ყოველთვის სახიფათოა.

12298. სიყვარული თვალებიდან უნდა მოდიოდეს, სულში სინათ-ლეს გვინთებდეს, რომ გულმა მისი ხანძრის სანეტარო მცხუნვარება იგრძნოს.

12299. გვინდა – არ გვინდა ცოლქმრობა ურთიერთსარგებლის მოტანაზეა დამყარებული, რაკიღა სიყვარული თანდათან იქცევა ვალ-დებულებად.

12300. თავდაპირველად სიყვარულს გემოს გავუფცქვნით, შემდ-გომ გრძნობათა ღელვაში გამოცდილება და გონიერება ერევა.

12301. სიყვარულიც ავისმომასწავებელია, თუ მას კონტროლს არ დავუწესებთ.

+12302. სიყვარული არის წყალუხვი მდინარე, რომლის პირასაც სიცოცხლის გახანგრძლივების იმედით ცხოვრობენ და იღვწიან.

12303. ერთი ნახვით სიყვარული გულის პარკუჭებს წურავს, ამაჭ-რებს და დაღვინებას ითხოვს.

12304. სიყვარული, უწინარეს ყოვლისა, ურთიერთპატივისცემა, ურთიერთგაგება, ურთიერთთავდადებაა.

12305. სიყვარული მზრუნველობისა და მოვალეობის შეცნობის სი-ნონიმებია.

12306. სიყვარულის ფორმა, სახეობა რწმენის ალტერნატივაცაა და ზოგჯერ მისი სინონიმიც.

12307. შენი სიყვარული მისთვის საამაყო უნდა იყოს, შენთვის – ბედნიერება.

12308. სიყვარულმა ასაკი არ იცის, სიძულვილმა – დანდობა, უგუნურებამ კი – ხელის ჩამორთმევა.

12309. სიყვარული თავისებური ეგოიზმია, რომელიც ზოგჯერ იმას ჩაიდენს, რასაც ადრე ვერც კი გაიფიქრებდა.

12310. ქალი სიყვარულმა ნივთად არ უნდა აქციოს, თუ სურს, რომ მარად თაყვანისცემის ობიექტად დარჩეს.

12311. სიყვარულს გულის სიცარიელეც იწვევს და არა მარტო მოწონება.

12312. სილამაზე აღფრთოვანებას იწვევს და შურსაც. გააჩნია, რომელი გადასახედიდან ვუმზერთ მას.

12313. მაცდური თვალებით შემოხედვა სიყვარულის თუ არა, მოწონების უვერტიურა მაინცაა.

12314. სულიერების გეომეტრია სიყვარულის ალგორითმების ამოხსნისთვის მარად უნდა იღვწოდეს.

+12315. სიყვარული სტიქიური გაუგებრობაა, სიხარულისა და ბედნიერების უეცრად მომნიჭებელი.

+12316. სიყვარულს სანატრელ ქალთან შეხვედრა ათრობს და მეძავებთან ურთიერთობა აფხიზლებს.

12317. სიყვარული ყოველგვარ საზიზღრობას როდი ამართლებს, მაგრამ მაინც ერთგვარი საპატიო ალიბია და თავის გამართლების ერთგვარი მოტივიც.

12318. სიყვარული ადამიანის გულისტკივილს, ნდობის დაკარგვას იწვევს, რომელიც ბოლომდის აღარასოდეს აღდგება.

12319. სიყვარულს ოპტიმიზმი და „ნეტას“ ფანტაზია არ აკლია, თუნდაც იმედის გაცრუება გამოიწვიოს.

12320. მოფერების ხელოვნებას თუ თანდაყოლილი ვნებიანობაც თან ახლავს, სიყვარულს თავი ქუდში აქვს.

12321. სიყვარული ხშირად მოწონებაში გვერევა, მაგრამ ეს დიდი უბედურება როდია, თუ შედეგი აქვს დადებითი.

12322. ეტყობა, სიყვარული მაინც ერთადერთია, პირველი იქნება თუ ბოლო, რადგან ის მაინც მოწონების ფესვებსა და გრძნობათა შეხლა-შემოხლაზეა აღმოცენებული.

12323. მონობის სტატუსი საბოლოოდ არც სიყვარულში ამართლებს.

12324. ვნების დაოკება ნებისმიერ ქალთანაა შესაძლებელი, მოწონება გემოვნების პერსპექტივაა, ხოლო, რაც შეეხება სიყვარულს, ის ერთადერთი შეუცნობი გრძნობაა, რომელზე ადრე წარმოდგენაც კი არა გქონდათ.

12325. სიყვარული ჩვენს ოცნებებს შობს და ახმოვანებს.

12326. „მიყვარხარ“ – ეს ის ღვთაებრივი სიტყვაა, რომელიც ყველას სიამით უღიმის და გულს უჩქარებს.

12327. ზოგი გამოუსწორებელი შეყვარებულია და, ეს განგების საჩუქარია თუ სასჯელი, არავინ უწყის.

12328. სილამაზე არ იტყუება. ის უბრალოდ გვთრგუნავს და აღგვაფრთოვანებს.

12329. აღვირახსნილი მიჯნურობა სიყვარულს არ უხდება, მაგრამ მის არსებობას გვიდასტურებს.

12330. სიყვარულს მზრუნველობა სჭირდება და არა კუდის აწევა.

12331. სიყვარული თავისი კულტის მიმართ დამთმობია, დამყოლია, სათნოა, სანამდის ეჭვის ეშმაკი არ შეეპარება ცნობიერებას და

არ გააფთრდება.

12332. შენდობის უნარი სიყვარულის უდიდესი ღირსება-ღირებულებაა.

12333. განუსჯელობა სიყვარულს ახასიათებს, მაგრამ მისი აღვირი დროზე უნდა მოვქაჩოთ.

12334. სიყვარულსაც თავისი მოვალეობა და ვალდებულებები ახლავს, რომელსაც მიჯნურობის აღმაფრენის ბედნიერება ბოლომდის ვერ აცნობიერებს.

+12335. სიყვარულის შეცნობისა და გამძლეობის ხარისხს ფინიში ადგენს და არა სტარტი.

12336. სიყვარული ბევრი სიკეთის მომტანია, მათ შორის – ჭკუისაც.

+12337. სილამაზე არ ხურდავდება. ის ბითუმად საღდება.

12338. შინაგანი სილამაზე, გარეგნულისაგან განსხვავებით, მუდმივია, მაგრამ მამაკაცები ქალებს უფრო გარეგნული პარამეტრების მიხედვით ირჩევენ.

12339. გონებადაკარგული სიყვარულის მომავლის კვლევას კომპასი მოშლილი აქვს.

12340. სიყვარულში, ერთი შეხედვით, ყველაფერი არასწორია, სადავოა, მაგრამ აუცილებელი და საჭიროა.

12341. სიყვარულს პასუხს არ სთხოვენ, რადგანაც გრძნობენ, რომ უიმედო სიყვარული ისედაც დასჯილია.

12342. ქალის ლოგიკა გარკვეულ დრომდის უშეცდომოა, თავის წარმოჩენა – ეფექტური, არჩევანი – გულწრფელი და პატიოსანი, ოღონდ ეს ხდება მანამ, სანამდის მის ყოფაში სიყვარული არ ჩაერევა.

12343. სიყვარული გრძნობათა გადალახვაა, მაგრამ მაინც სასიამოვნო ქრონიკული დაავადებაა, შედეგის მიუხედავად.

12344. სიყვარულით აღფრთოვანებას თუ არ გრძნობ, ის მხოლოდ მოწონება ყოფილა და ეგაა!

12345. სილამაზის აღქმა მაღალ გემოვნებას აყალიბებს და აძლიერებს.

12346. სიყვარულს აჩქარება არ სჭირდება. ის თავს უკეთა გრძნობს გრძნობათა გადამოწმება-შეჭიდების ვითარებაში.

12347. ჯანსაღი ვნება-ლტოლვისგან განსხვავებით, სიყვარული ხშირად დაავადებათა სიმპტომებს ავლენს.

+12348. სიყვარული უძლიერესია, თუ მასში გონიერება და მოვალეობა თავიანთი მუხრუჭებით არ ჩაერევიან.

12349. სიყვარულს თუ თან თავისი მენიუ არ ახლავს, მოკლევადიანი გატაცება ყოფილა.

12350. სილამაზეს ყველაზე მეტად თავშეკავება და გონიერებასთან

მეზობლობა უხდება.

12351. სიყვარული გარკვეული დროით ყველაფერია, ოღონდ ისიც წარმავალია.

12352. მოჭარბებული უსაგნო სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, თავადვე გვნებს.

12353. თანამედროვე სიყვარულიც მრავალჯერადია და ის დღევანდელობის გრძნობათა გადასახედს ემორჩილება გამორჩენის, საზოგადოების მენტალიტეტისა და დროების შესატყვისად.

12354. სიყვარულის შეცნობა ზნეობას აფაქიზებს.

12355. ჩვენი ვნების ტყვეობაში ყოველთვის სიყვარული არ დევს, მაგრამ წამიერი ბედნიერება დაუფიქრებლად მოაქვს.

12356. სიყვარულს ცოდნა – არცოდნა არ შველის, თუ გრძნობა გულის ფსკერიდან არ მოდის.

12357. სიყვარული ჩვენი გონიერების მპყრობელია, მაგრამ უნდა ვეცადოთ, ყოველივე თავდაყირა არ დააყენოს.

12358. სიყვარულში ყველას თავისი სიმართლე აქვს და ყველა მართალია.

12359. ბრმა სიყვარული ხშირად არ ამართლებს და ზოგჯერ სახიფათოც კია.

12360. სილამაზე ჭკუა-გონების ბუტაფორიაა.

12361. სიყვარული ბევრ ისეთ საქმიან ნაბიჯს გადაგვადგმევინებს, რომლებზე ადრე ვერც ვიფიქრებდით.

12362. სიყვარულის მადლს ადამიანები ბოლომდის ვერ აცნობიერებენ.

12363. გააზრებული სიყვარული, რომელიც სინდისის უკანასკნელ წვეთამდე აღწევს, ყველაზე ნაღდი გრძნობაა.

12364. ჭეშმარიტი და გარანტირებული სიყვარული ყველასთვის საოცნებოა.

12365. სიყვარულის ღირსნი, ალბათ, თეორიულად ყველანი ვართ, თუ შემთხვევა გაგვიღიმებს და ბედიც თანახმაა.

12366. სიყვარული ყველა ჩვენგანის სულიერების ნაწილია, მაგრამ ყველა როდი ახერხებს თავის გემოზე მის გათავისებას.

12367. სიყვარულიც სულიერ ძალთა დაბალანსებას მოითხოვს.

12368. სიყვარულს დროდადრო ტვინი ემშვიდობება და არა გული.

12369. ყველა ჩვენგანმა მისთვის კუთვნილი ყოფიერების ნარკოტიკით უნდა იცხოვროს – ეს სპორტი იქნება, შემოქმედება, მეცნიერება თუ ქალისადმი სიყვარული.

12370. თავდავიწყებული სიყვარულიც კი ეპიზოდია ადამიანის ცხოვრებაში, თუ მას ვნებისა და გონიერების ნაჯვარი თან არ ახლავს.

12371. სილამაზე არ გვატყუებს. ის გვხიბლავს და ჩვენს მოსყიდ-

ვას ლამობს.

12372. ჩვენ, ყველანი, არასაიმედონი ვართ, მათ შორის, სიყვარულისთვის განწირულნიც.

12373. სიყვარული ურთიერთშეჩვევა, გაგება და მოვალეობაა.

12374. ვისაც სიყვარულით მოფერება გინდათ, იქ განსჯის ყველა ელემენტი დაივიწყეთ!

12375. მხოლოდ ნაღდი სიყვარულის შეცნობა გვმუხტავს იმედით, ეგების, უფალმა გადმოგვხედოსო.

12376. ყველა ასაკი მისთვის გასაგებ სიყვარულს მოითხოვს.

12377. სიყვარულსაც ძლიერი მამაკაცი სჭირდება, რადგან სიყვარული შეიძლება გახუნდეს, მაგრამ ხასიათი, მოვალეობის შეგრძნების უნარი რჩება.

12378. სიყვარულის მასხრად აგდებასა და თავისუფალ სიყვარულს შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ გრძნობებთან შებმისას ვინ რას იგებს, გაურკვეველია.

12379. არშიყობა გრძნობების გაპაექრებაა, სულიერების გონთან შებმაა, ტრფობა შორსმყოფისადმი, გრძნობების მობილიზაციის მცდელობაა. ასე და ამრიგად, სიყვარულის სახეობათა საჭრელით იგი ატმის ყვავილობასა ჰგავს.

12380. სიყვარული ძლიერი ხასიათის შემართებას თანაუგრძნობს და სათავისოდ ემონება.

12381. ბედნიერებასა და სიყვარულს ვერ გამოიძახებ. ისინი ჩვენი მცდელობის შედეგად თავადვე უნდა მოვიდნენ.

12382. სილამაზის ხიბლი დიდი საქმეა, თუ ის დაპირისპირებულ მხარეებს აღაფრთოვანებს, შეარიგებს და საერთო ენას მოაძებნინებს.

12383. სიყვარულიც ცვდება და უფერული ხდება, თუ მამაკაცი არ ხვადობს და ქალს სულიერ და ფიზიკურ ორგაზმს არ განაცდევინებს.

12384. შეყვარებული ყველაზე ლამაზი, უშუალო და სასურველია მანამ, სანამდის მის სულში ტრფობის ეს გრძნობა არ განელებულია.

12385. სიყვარული ყველაზე მიზანდასახული და მოგებიანი ვალუტაა, რომელიც ყველა გადაცდომას გამოისყიდის და არეულ-დარეულ ურთიერთობას დააბალანსებს.

12386. მიუხედავად იმისა, რომ სიყვარული აშკარად არ გვიმხელს თავის ქვენა გრძნობებსა და სურვილებს, მას თავისი ვალდებულებანი აქვს, რომლებიც ადრე თუ გვიან უნდა აღსრულდეს.

12387. თავდაკარგული, თავაწყვეტილი სიყვარული უკვე შარია, რადგან გრძნობათა ღელვის ამოუხსნელ განტოლებებს ეჩალიჩება.

12388. სიყვარული მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ადამიანის შერჩევით ფასობს.

12389. სიყვარული იმდენად პირადი სათბუნებელი სულიკოა, რომ

ხშირად ღმერთთანაც არ გვსურს ამ საიდუმლოს გამხელა.

12390. სიყვარული, მართალია, თავისუფლებას ზღუდავს, მაგრამ თავდავიწყებას ასხამს ფრთებს.

12391. სიმახინჯეცა და სილამაზეც წარმავალია, მაგრამ ამ უკანასკნელის გაქრობა სინანულს იწვევს.

12392. ურთიერთგაგება სიყვარულის იდუმალ ძაფებს აბამს.

12393. მამაკაცს ორჭოფობისკენ აქვს მიდრეკილება, ქალს ცვალებადობისკენ, მაგრამ ორივე ამ ნაკლს ბრმა სიყვარული არეგულირებს.

12394. თვალებახელილ სიყვარულს ისევ ბრმა სიყვარული სჯობს, უფრო სანდოა და დარდიც არ იცის.

12395. სიყვარული ერთგვარად დამღლელიცაა, თუ პიროვნულად არ განვითარდი.

12396. ჭეშმარიტ სიყვარულს თავისი წილი გატაცებაც თან უნდა ახლდეს.

12397. სილამაზე უფრო მოთხოვნადია, ვიდრე ჭკუა.

12398. სიყვარულისა და სისხლის მჩქეფარების მომძლავრება უფრო ღამითაა მოსალოდნელი, როდესაც სხეული უნდა ისვენებდეს ენერგიის აღსადგენად, მაგრამ, თუ გვერდში მშვენიერება გიწევთ?!

12399. ყველაზე მეტი სიყვარული ბავშვებს სჭირდებათ. მათ ფაქიზი ბუნება ამას ითხოვს.

12400. სიყვარული ურთიერთგაგებაა და არა – გამოუცხადებელი ომი.

12401. სიყვარულის მოკაკუნებაზე თავის არიდება სიბრიყვეა, რაკიღა ცდა ბედის მონახევრეა.

12402. სიყვარულს დიდი ძალა აქვს, ის გვაიძულებს, თავი სამშობლოსაც ვანაცვალოთ და საყვარელ ქალსაც.

12403. საყვარლის მიტოვება უფრო ადვილია, ვიდრე ცოლისა, მაგრამ გააჩნია საყვარელს, ცოლს და მათთან ურთიერთობის ხარისხს.

12404. მოვალეობა უპირველესად გონით შეცნობილი კონკრეტული გრძნობაა, ვიდრე ფართოდ რეკლამირებული და განუმეორებელი სიყვარული.

12405. ის, ვინც სიყვარულით გვლანძღავს ან გვაქებს, ჩვენიანია.

12406. ახლობლის სიყვარული შთაგონებითია, აღმზრდელობითია და გენეტიკასთან არის დაკავშირებული.

12407. ერთისადმი მოჭარბებულ ცქერას ხშირად სასიყვარულო განტოლების ამოხსნამდე მივყავართ.

12408. ზოგი „შეყვარებული“ ჭკუას იმიტომ კარგავს, რომ არ იცის, ნაღდი სიყვარული რა არის და ამ გრძნობას ალიბად იყენებს.

12409. ნამდვილ სიყვარულს შემთხვევითობა არ ახასიათებს და არც იმოძღვრება.

12410. თუ სიყვარულის აღმაფრენა ხშირად ბუმერანგივით უკან გიბრუნდება, ეს ნაღდი სიყვარულია.

12411. სადაც შურს, ბოღმას, აგრესიას გასაქანი არ ეძლევა, იქ სიყვარული ჩაისახება.

12412. სიყვარულს ის ინახავს, ვინც პარტნიორის გადაკეთებას არ ცდილობს, ხოლო ის აქრობს, ვისაც თავისი პარტნიორისა არა სჯერა.

12413. ეჭვი სიყვარულის პროპორციული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გამოუსნორებელი მანკია.

12414. ყველაზე მცირე გამოცდა ნაღდ სიყვარულს სჭირდება – ნაკლებად პრეტენზიულია.

12415. სიყვარულსაც თავისი თეორიები და თეორემები აქვს, მაგრამ პრაქტიკისთვის ის არაფერს წარმოადგენს.

12416. სიყვარულსაც თავისი პოლიტეკონომია სჭირდება, რადგან ის ოჯახის სიმაგრე და საყრდენია.

12417. სიყვარულსაც მომწიფება-დაგემოვნება სჭირდება, რათა მისი ნაყოფი სიცოცხლის ბოლომდე გემრიელად მიირთვა.

12418. სხვათა სასიყვარულო ცოდვების ნებაყოფლობით ატვირთვა ჩვენი უაზრო სიყვარულის ბრალია.

12419. სიყვარულით, რომელიც კრახით მთავრდება, ზოგჯერ კმაყოფილი რჩებით.

12420. სიყვარული სულიერების ფილტრია, გრძნობათა აალების მცდელობაა.

12421. იუმორის მოუშველიებლად ნაღდი სიყვარულიც უფერულდება და აზრსა კარგავს.

12422. სიბრძნეს სიყვარული ხვრელს უთხრის და, თუ ამას დროულად ვერ შეამჩნევს, ორმოში ამოყოფს თავს.

12423. სიყვარული ქურდულად ისე შემოგეპარებათ, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებთ და სანაცვლოდ უიმედოდ გაქურდული სულიერება შემოგრჩებათ.

12424. ზოგჯერ „მე შენ შეგეჩვიე“ და „მე შენ მიყვარხარს“ შორის სხვადასხვა გრძნობაა, მაგრამ ფასი ერთი ადევს.

12425. განსჯის უფლება მხოლოდ სიყვარულს უნდა ვანდოთ.

12426. ბედნიერი სიყვარულის საშენი მასალაა პატივისცემა, ურთიერთგაგება და სექსი.

12427. ზოგისთვის სიყვარული „ბრჭყვიალა სათამაშოა“, ყოფის მოწყობაა, გათხოვილი ქალის სახელი და ერთი შვილით გართობაა.

12428. სიყვარულიც წინასწარ დაგეგმარებას მოითხოვს, რათა ბოლოს ძალზე არ ინანოთ, ხოლო, რაც შეეხება ეჭვს, ეს მეტ-ნაკლებად ყოველთვის გარანტირებულია.

12429. სიყვარულის კომპენსაცია ფულია, ფულის კომპენსაცია

– გრძნობათა ღელვა, რომელიც შემდგომში, შესაძლოა, აზრიან სიყვარულში გადაიზარდოს.

12430. გარეგნული და ნამალევი ასაკი ზოგჯერ ერთმანეთს არ ეთანხმება, მაგრამ სიყვარული ყოველივეს დაუყვედრებლად აგვარებს.

12431. საყვარელ ქალთან ნაღდი რომანი ჩვენი მეორედ დაბადების ტოლფასია.

12432. მთავარია, გიყვარდეთ და უყვარდეთ, ხოლო, ტრფობა გაამართლებს თუ არა, ეს სხვა საქმეა.

12433. თუ სიყვარული შენს ნაოცნებარს არ წააგავს, მისი სათავისოდ აღქმა გაძნელებულია.

12434. სიყვარულში მთავარია მოვალეობის შეცნობა და არა გრძნობათა ფეტიშიზაცია.

12435. სიყვარულიც თავისებური დებილობაა, მაგრამ სასიამოვნო და დასამახსოვრებელი.

12436. სიყვარული, რომელსაც საბუთად ალიბი სჭირდება, მხოლოდ მოწონებაა.

12437. სიყვარული ჩვენში შეუმჩნევლი ძიებაა, თუმცა ამის წინასწარ აღქმა ჭირს, იმდენად მოულოდნელია მისი ჩასახვა.

12438. რწმენა სიყვარულში გადაზრდილი ფანატიზმია და, რომელს როგორ გამოვიყენებთ, არავინ უწყის.

12439. „სიყვარულის სამკუთხედი“ იგივე „ჯოჯოხეთის სამკუთხედია“ და აქ ის იმარჯვებს, ვინც დროსა და გარემოს უკეთ მოერგება, წინდახედულია და მოთმინების უნარი შესწევს.

12440. სიყვარულის მადლის შეცნობა ყველა ჩვენგანის ვალია, რადგან უიმისოდ ამ ქვეყნის დატოვება საცოდაობაა.

+12441. დიდი ბედნიერებაა იმის შეცნობა, რომ ისეთი უყვარხართ, როგორიცა ხართ და მომავალშიც ეყვარებით ისეთი, როგორიც იქნებით.

12442. ბიოლოგიური სილამაზე თავისებური საწინდარია ყოფიერებისა.

12443. სიყვარული, რომელიც არ გაფორიაქებს და ძილს არ გიტეხს, მოწონებაა და მეტი – არაფერი.

12444. ყველა აფროდიტე – სიყვარულის ქალღმერთი – დამპყრობელია, მიუხედავად გრძნობებზე დასადები ხარკის ოდენობისა.

12445. სიყვარული ყველას უნდა ამინდის, დროის, პოლიტიკის, განათლების, ფულის ქონის და ბედის მიუხედავად.

12446. ზოგჯერ საკუთარი თავის სიყვარული „კოქტეილური“ ბრძოლის შედეგია.

12447. აღსაზრდელებში სიყვარულის გონივრული გადანაწილება შენდამი პატივისცემასა და სიყვარულს იწვევს.

12448. სიყვარული გაჭირვების, უნებლიე დაპირისპირების ჟამს უნდა გამოიცადოს, თორემ, თუ შენგან რაიმეს გამორჩენას მოელის, ყველას „უყვარხარ“ და გემლიქვნელება.

12449. ფაქტობრივად სიყვარული გრძნობათა მორევში მაშველი რგოლის უქონლად გადავარდნაა და იქიდან გამოსვლას მაშინ ცდილობთ, როდესაც იგი მოვალეობაში გადადის.

12450. სიყვარულში, ისე როგორც პოლიტიკაში, მთავარია იმპროვიზაცია, ტრადიციული გემოვნების ახალ გემოვნებასთან შერწყმა.

12451. ყოველივეს ჩანაცვლება შეიძლება, სიყვარულის გარდა.

12452. სიყვარული გაუგონარი ფენომენია, რომელიც განსჯას დიახაც, მაგრამ ახსნას არ ექვემდებარება.

12453. სიყვარული სიბრძნე-სიბრიყვის ხაბახუბაა.

12454. ყველა ჩვენგანს მეტ-ნაკლებად თანდაყოლილი მანკი აქვს. ეს სიყვარულს როდი ეხება, თუ იგი გასართობად არ გვინდა.

12455. სიყვარული არა მარტო სიცოცხლის აზარტს გვანიჭებს, იმედსაც გვაძლევს და ოცნებით ახალ სასიკეთო ამოცანებს გვისახავს.

12456. სიყვარული ერთადერთი სასიამოვნო კულტურული გადმონაშთია, რისი დამკვიდრების წინააღმდეგ არავინ გამოდის.

12457. ღარიბის ბედნიერება სიყვარულია, მაგრამ ის მაინც მოჩვენებითია და არასაიმედო.

12458. დაუჯერებელ სიყვარულს მისი არსისთვის შესატყვისი ალგორითმების ამოხსნა უხდება.

12459. სიყვარული გადამეტებულს ვერც მარცხს იტანს და ვერც გამარჯვებას, რადგან გრძნობათა მოჭარბებისას გონი ითიშება.

12460. მეგობრობის ინსტიტუტი ფულზე არ იყიდება, მაგრამ მეგობრების მიერ ერთი და იმავე ქალის სიყვარული გარკვეულ კორექტირებას მოითხოვს.

12461. რწმენასა და სიყვარულს ბევრი საერთო აქვს, რაც სხვათათვის გაუგებარია.

12462. სიყვარულში მცდარი არჩევანის გაკეთების გამო ბევრ ქალს გადაუჭრია ვენები, ხოლო ქვეყნის ხელისუფლის არჩევნებში შეცდომებისთვის – არც ერთს. არადა თეორიულად საქვეყნო შეცდომა მეტი ცოდვაა, ვიდრე პირადი.

12463. სიყვარულის ახსნა შედარებით ადვილია, მაგრამ მისი ბუნება-გუნების უცნაურობათა გაშიფვრაა ძნელი.

12464. სიყვარულს რა ამოძრავებს და მართავს, მარად ამოუხსნელი დარჩება.

12465. სილამაზე არ იტყუება, უაზროდ გვაწბილებს მისი აღქმის უნარის არცოდნა და არქონა.

12466. სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, დაფასებას, ურთიერთ-

თანადგომას მოითხოვს.

12467. ყველა ქალი თავისი დაუწერელი ბედნიერების ფორმულას ფლობს, რომლის ბაზისი სიყვარულია.

12468. სიყვარულის მადლი იმიტომაცაა ნიჭი და საჩუქარი, რომ თავდავიწყებით სიყვარული ყველას არ შეუძლია.

12469. სიყვარულში მადლის შეტანა პირადი საქმიანობა-განსჯით სხვებსაც უნდა ვასწავლოთ.

12470. სიმულაციის ვირუსშეყრილს სიყვარულის აბები ვერ შველის.

12471. სიყვარულიც თანადგომას ითხოვს, ოღონდ რიდით და არა შიშით.

12472. ამბობენ, „შიში შექმს სიყვარულსო“, მაგრამ ეს სიყვარული დროზე, გარემოზე, პიროვნების დიქტატზეა დამყარებული და შიში შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს, არ უღალატოს და შური არ იძიოს.

12473. ზოგი ცალმხრივი სიყვარულისთვისაა განწირული; იმდენად ლამაზი და მომხიბვლელია, თავის ღირსად არავინ მიაჩნია და ეს ღვთის წყალობაც გამოუყენებელი რჩება. საბრალოს სიყვარულის მადლი განგებამ არ დაანათლა და რა ქნას?

12474. სიყვარულის მადლის აკრეფას განცდებთან ერთად ნიჭიც სჭირდება.

12475. ყველა სიყვარული ლამაზი და მისაღებია, იმისდა მიუხედავად, წყვილის ამ ურთიერთობას როგორი ფინალი ექნება.

12476. სილამაზის შეუცნობლად ცხოვრების საამოდ აღქმა ძნელია, მაგრამ გააჩნია დროსა და გარემოს, აგრეთვე შენს ბედისწერას.

12477. სიყვარული და მისი სასიკეთო შედეგი სულიერების გვირგვინია.

12478. სადაც სიყვარულს დასცინიან და კლავენ, იქ ბოროტება ხარხარებს და ხარობს.

12479. ზოგჯერ იღბალი დაგვცინის, ზოგჯერ იღბალს ჩვენ დავცინით და ამის მიზეზი ქალის მიმართ სიყვარულია.

12480. შეყვარებული ადამიანი ნახევრად გიჟია, გადაცდენებიც მოსდის, მაგრამ ეს ყოველივე ტრფობის კაურებს უხდება და თავისებურ პეწს მატებს.

12481. სიყვარული დიდი ძალაა, რომელიც თავისი შეუპოვრობით აუღებელ სიმგრეებს იღებს.

12482. სიყვარული მარადიულია, თუ ის ყოველთვის კარგს დაეძებს, ცუდს ყურადღებას არ აქცევს.

12483. სიყვარული, როგორც ვნების პროდუქტი, მაცივარში არ უნდა ინახებოდეს. ის ან მშვიდად უნდა მოვიხმაროთ, ან შორს უნდა მოვისროლოთ, რათა მისგან დროულად გავთავისუფლდეთ.

12484. სილამაზეს ხშირად გონიერება არა სჭირდება, იმდენად მომნუსხველია მისი ცქერა და მის გვერდზე ყოფნა.

12485. მშვიდი სიყვარული მოკლებულია ყოფის ვნებათა ღელვას და აზრთა ურთიერთშერკინებას. ეს შეიძლება, კარგიც იყოს, ოღონდ მოსაგონარ-გასახსენებელი აქვს ცოტა.

12486. სიყვარულს ტრაბახი არ შეშვენის, რადგან ის ელიტარული გრძნობაა.

12487. სიყვარული თავისებური თამაშია, სადაც ხშირად ორივე მისდა უნებლიეთ უბოროტოდ იტყუება.

12488. სიყვარულს ფესვებს საკუთარ ღირებულებათა შეგნება უმაგრებს და არა მის წინაშე კაპიტულაცია, რაც ხშირად მოსაბეზრებელია.

12489. სულის წიაღიდან ამოსული სიყვარული ანკარა წყაროსავითაა და მის სილაღესა და სილამაზეს არაფერი შეედრება.

12490. დაქორწინების არსი ერთმანეთთან შეგუებაა და არა სიყვარულის უვერტიურა.

12491. სიყვარულმა თუ მოინდომა, ბევრი „ნაბიჭვარი“ იდეის შობა ძალუძს.

12492. ზოგი სიყვარულის ოკეანეში დაცურავს, ზოგი სიყვარულის ტბაში ჭყუმპალაობს, ზოგი სიყვარულის ჭაობში შესვლასაც არ ერიდება, რადგან სიყვარული მრავალუცნობიანი გამოცანაა, რომელსაც ტოლობა არ აქვს და მუდამ ნაშთი რჩება.

12493. დაკვირვება, განსჯა ადვილია, ქმედება და საქმის კეთებაა ძნელი.

12494. გადამეტებულ, მაგრამ მოუვლელ სიყვარულს ბზარი უჩნდება.

12495. სანამდის სიყვარულის მადლს შევიცნობდეთ, უკვე ვბერდებით და მის ბოლომდე აღქმასაც ვერ ვახერხებთ.

12496. შეყვარებაც თავისებური ჭკუანაკლულობაა გარკვეულ დრომდე და შედეგამდე.

12497. სიყვარულს ზოგჯერ ეჭვიანობა იწვევს და გრძნობათა ღელვის შედეგია.

12498. სიყვარულის ახსნით თუ არავინ გაწუხებთ, მაშინ თქვენს მშვიდად ყოფნას არაფერი ემუქრება.

12499. უაზრობასაც თავისი სილამაზე აქვს, თუ ამ სილამაზის დანახვას მოვიწადინებთ.

12500. „სილამაზის ბედისწერა“ ლამაზად დაბერებაა, ამქვეყნად იშვიათობას რომ წარმოადგენს.

12501. ჯანმრთელობამ ხელი თუ არ შეუწყო, ქალთან სასიყვარულო საქმეში მამრს მარტო იღბალი ვერ უშველის.

12502. სიყვარული თამაში, ვნება, მეგობრობა, ურთიერთშერწყმა,

პოლიტიკა, პატივისცემა, სექსია, ცხოვრების ხელოვნებაა, დაუბოლოებელი.

12503. სიყვარულს თავისი იმპერია აქვს, რომლის სიგრძე-სიგანე თვალით დაუნახავია და არშინით არ გაიზომება.

12504. სიყვარულის მუხტი თვალებს ასხივოსნებს და გრძნობათა ღელვას ზღვასავით წარმოაჩენს.

12505. შეყვარებასა და მოწონებას შორის დიდი სხვაობაა. სიყვარული მოწონებითა და გულისცემის აჩქარებით იწყება.

12506. უპატიოსნო სილამაზე ფართო მოხმარების საგანი და უხიაგთა საჯიჯგნი ხდება.

12507. სიყვარული გრძნობათა ჭიდილია და არა საქმიანი ურთიერთობა. ეს უკანასკნელი მშრალია, მოჩვენებითია და არცთუ ისე სანდო.

12508. ზოგს იმიტომ უყვარხართ, რომ მას ასე სურს და არა იმიტომ, რომ გრძნობებმა აიძულეს.

12509. სიყვარული სულიერებათა შერწყმის ადგილია, ბუდეა, სადაც ოჯახის ახალი წევრები იჩეკება.

12510. ზოგჯერ ვირტუალური შეცდომებიც და გადაცდენებიც სიყვარულია.

12511. სიყვარული ერთგვარი ნისიაა, თუ პარტნიორები წესიერებას არ ღალატობენ და ურთიერთის მოტყუება წინასწარ არ აქვთ დაგეგმილი.

12512. ფიზიკურ ლტოლვასა და სიყვარულს შორის დიდი სხვაობაა, რადგან სიყვარული გამძლეობასა და სიმტკიცეს ითხოვს.

12513. სიძულვილსაც, თურმე, თავისი გადასახედიდან სიყვარულის უნარი შესწევს, რასაც სიძულვილით გამოხატავს.

12514. სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, ურთიერთგაგებაა, ჰორმონებისა და მომავლის იმედია.

12515. შინაგან სილამაზესთან, წესით, გარეგნული ახლოსაც ვერ მივა, თუმცა შინაგანთან მიმყვანი სწორედ გარეგნულია.

12516. სიყვარულის აფიშირება კეთილის მდომთა ნაცვლად მოშურნეებს გვიმრავლებს.

12517. სილამაზის წარმოჩენასაც ნიჭი უნდა. დროის, გარემოსა და მოდის უგულებელყოფის შემთხვევაში ის, შეიძლება, ჯეროვნად ვერც აღვიქვათ.

12518. სიყვარულს არ ასაფლავებენ, მას გაასვენებენ, რათა მკვდრეთით აღსდგეს და კვლავ წარმოჩნდეს.

12519. უპირველეს ყოვლისა, თვალებით, მეტყველებით, მშვენიერებით ვიპყრობთ ადამიანის გულს და შემდგომ მოდის სიყვარული.

12520. სიყვარულის ლოკალური მოვალეობაა ოჯახის შექმნა, გლობალური – საყოველთაო მშვიდობის დამყარება.

12521. უპასუხო სიყვარული ბედის დაცინვაცაა, გაუგებრობაც, ტრაგედიაცა და განგების უყურადღებობაც.

12522. სილამაზის შენარჩუნებას პლასტიკურ ქირურგზე მეტად კარგი სტილისტი და დიეტის დაცვა ახერხებს.

12523. სიყვარული, ღალატი, გაჭირვება ჩვენი ჭკუის ვარგისიანობის საწონ-საზომი გირებია.

12524. სიყვარული ის ქიმიაა, რომლის რეაქცია განსჯას არ საჭიროებს.

12525. სიყვარულს წინ ვერაფერი დაუდგება და აქ სამშობლო, ეროვნულობა და შთამომავლობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა არაფერ შუაშია.

12526. სილამაზის ნდობას ასაკიც ვერას აკლებს, თუ იქ ნამდვილი სიყვარულია.

12527. ხელმისაწვდომ და ხელმიუწვდომელ სილამაზეს შორის მუდამ ბედის ბარიერები დგას.

12528. სიყვარულის კაიფი მზერაში უნდა დაიჭირო, შეხებით უნდა იგრძნო და სიტყვების თამაშით შეამოწმო.

12529. საკუთარი თავის შეუყვარებლად სხვათა სიყვარული ჭირს და არასაიმედოა.

12530. დაწყვილების უმთავრესი დილემაა, სიყვარულის საფუძველზე ნაშენი შენობა უდროოდ არ ჩამოიშალოს.

12531. სიძულვილი სიყვარულზე მეტად მიზანდასახულია, მეტად ორგანიზებული და მკაცრია.

12532. სიყვარულსაც მალვა უნდა, რათა შურიანი კაცის თვალი არ ეცეს და მითვისება არ სცადოს.

12533. მიზანს მხოლოდ უზომო სიყვარული ამართლებს და ისიც არა ყველას თვალში.

12534. სიყვარული სულიერი ურთიერთობის გარკვევაა, ოღონდ საკუთარი მეობის წარმოჩენით.

12535. სიყვარული ბრმა, ყრუ, უტყვი, განუსჯელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტნიორის არჩევა გაჭირდებოდა.

12536. უგონო შეყვარებულისთვის თვალის ახელა და რჩევის მიცემა არ ღირს, აქ ღირებულია მხოლოდ თანაგრძნობა.

12537. ქალების ომში წაგებული, უპირველეს ყოვლისა, სიყვარული გამოდის.

+12538. უსამართლობის წინაშე სიყვარულიც კი მანკიერად გამოიყურება.

12539. გულწრფელი სიყვარული უპასუხოდ არ რჩება, მაგრამ ყოფიერების ფინიში ყოველთვის როდია სასურველი.

12540. სამწუხაროდ, დიდ სიყვარულსაც, ამ ხალას გრძნობას, ჭკუა

უნდა დავატანოთ, რადგან მისი გაწბილებისგან გამოწვეული ვარამი გაცილებით მძიმეა.

+12541. მიზანდასახული სიყვარული იძლევა ბედნიერებას და არა უბრალო სიყვარული, ოღონდ მიზანდასახული სიყვარული ნამდვილი სიყვარული აღარაა.

12542. ორ მონათესავე სულს ცხოვრების კაპრიზები და წყალქვეშა რიფები ვერას აკლებს, თუ ბაზისად ნაღდი სიყვარულია.

12543. სილამაზე პიროვნებას უმთავრესად შინაგანად ასხივოსნებს, ხოლო გარეგნობას თამამად წარმოჩენის საშუალებას აძლევს.

12544. მორალურ მკვლელობას ხშირად დიდ სიყვარულთან აქვს კავშირი.

12545. სიყვარულის ენას ვნება ახმოვანებს და ისიც თარჯიმნის გარეშე.

12546. სილამაზის აღქმას ხელს შური უშლის, მაგრამ ლამაზი და მოხიბლავი ცხოვრებისკენ ყველა მივილტვით.

12547. მიყვარხარს, მომწონხარისგან განსხვავებით, „რატომო“ არ ეკითხებიან.

12548. ადამიანთა უმრავლესობამ იცის, რომ უყვარს, მაგრამ, რატომ, ამის პასუხი არ აქვს.

12549. სიყვარული მაინც სულიერების და ჰორმონების ნაჯვარი ქიმიური ელემენტია, რომელიც, ჩვენდა უნებლიეთ, ტვინის უჯრედების ოკუპირებას იწვევს.

12550. სიყვარული თავისებური ნიჭია, რომლის გასხვისება – არგასხვისება გარემო პირობებზეა დამოკიდებული.

12551. სიყვარული ხელოვნებაა, ყოველგვარ გაუგებრობას უკან რომ მოისვრის ხოლმე.

12552. ყოველი სასიყვარულო ურთიერთკავშირი თავის პოზიტივს უნდა ფლობდეს, თუ უნდა თავისი დროის ორომტრიალს გაუძლოს და გაუგოს.

12553. სიყვარულის ნიჭი გადამდებია.

12554. მოვალეობა იგივე სავალდებულო სიყვარულია, რომლის ტვირთიც უნდა ვატაროთ, მაგრამ, თუ ამ ტვირთისგან განვთავისუფლდებით, დიდად არ ვნაღვლობთ.

12555. ურთიერთგაგებისა და ნდობის დაკარგვა სიყვარულის დევალვაციას და მის გაქრობას იწვევს.

12556. ზოგჯერ სიყვარულიც ხუნდება უდიერი და გაუფრთხილებელი მოპყრობისაგან.

12557. სიბრძნე და სიყვარული, მათი მცდელობის მიუხედავად, შეუთავსებელია.

12558. სიყვარული ის გრძნობაა, რომელიც ყველგან თან გვახ-

ლავს. ის მარად დროის დაჩქარებას ითხოვს, რათა სიყვარულის ობიექ-ტი დროულად მოინახულოს.

12559. სიყვარული უპირველესად პასუხისმგებლობაა და შემდგომ – მგრძნობის ბედსა და რეალობასთან შერწყმა-თამაში.

12560. არის განსჯადი და განუსჯელი ქმედება, რომელიც არავი-თარ ჭკუათმყოფელობას არ ემორჩილება. მგ. გამაოგნებელი და შეუ-ჯერებელი სიყვარული.

12561. ბევრისთვის სიყვარული განუმეორებელი სასჯელია, რადგან სათანადო პარტნიორის არჩევის უნარი არ შესწევს.

12562. სათნოება სილამზის უდიდესი მპყრობელია.

12563. სიყვარულსაც თავისი კაპრიზები აქვს: ზოგს მრავალი უყ-ვარს, ზოგს – ერთი და მასზე მონოპოლიის დამყარებას ცდილობს.

+12564. საუბარს გვასწავლიან, დუმილს გვაიძულებენ, ხოლო სიყ-ვარული მოულოდნელი თავდამსხმელია.

12565. გრძნობების თამაში საწყისია ამ გრძნობების დაღვინებისა.

12566. სიყვარულის უპირველესი მოთხოვნაა, რომ უღირსონიც მისი ღირსი გავხდეთ.

12567. ფაქტობრივად ახლო ურთიერთობა უწყობს ხელს სიყვარუ-ლის აფეთქებას და არა კარგი დარი და ამინდი.

12568. სილამაზის კარის შესაღებად ყველა ქალია მოწადინებული, მაგრამ მას ეს კარები შემთხვევით არ უნდა ჩაეკეტოს.

12569. სიყვარულით თავის მოგიჟიანება თავმოყვარეობას კი ვნებს, ორონდ საყვარულის კოცონს აღვივებს.

12570. სიყვარულს როგორც აღმშენებლის, ასევე მნგრეველის თვისებები ახასიათებს.

12571. სიყვარული მოუთოკავი ძალაა, რომელიც, თუ გადაირია, არაფერს ეპუება და მდინარე ჯეონივით მიასკდება ბარიერს.

12572. სიყვარულის კაპრიზებზე მოთხოვნა თანდათან იზრდება.

12573. ყურადღების ანი და ბანი უმთავრესია სიყვარულისა და ურთიერთობის ასაწყობად.

12574. სიყვარული სხეულთა ურთიერთშეცნობა, სულიერებათა გაცვლა, ჰორომონების დამთხვევაა და აქ ჭკუა-გონება არაფერ შუაშია.

12575. სიყვარული გასართობი სერიალები როდია. მას ერთგულება და თანადგომა ჰაერივით სჭირდება.

12576. სამომხმარებლო სიყვარული სათუო გრძნობაა და თავადაც არ უწყის, რომელ ბატონს ემორჩილება.

12577. ღმერთს, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის ნიჭი უნდა ვთხოვოთ და შემდგომ იყავნ ნება მისი: რასაც გვიბოძებს.

12578. ნამდვილი სიყვარულის ფორმულა, მისი განტოლებები ჯერ არავის დაუწერია, არ ამოუხსნია.

12579. სიყვარული, შერწყმული მოვალეობასთან, გრძნობის მოთოკვას აადვილებს და ურთიერთობას ამყარებს.

12580. ზრუნვა გვაახლოებს მოყვასთან და ეს სიყვარულისთვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

12581. უანგარო და თავხედური სიყვარულია, სიცოცხლეს რომ გვიხანგრძლივებს და ცხოვრების ეშხს შეგვაგრძნობინებს.

12582. სიყვარული ფიზიკური საიამოვნების მომტანიც უნდა იყოს, თუ გვინდა მისი მადლი ბოლომდე შევიცნოთ და შევირგოთ.

12583. ეჭვიანობის გრძნობის მოუთოკავად სიყვარული ვერ იმარჯვებს, რადგან თავდადებული „სიყვარულის რაინდი" დღეს ანგარიშგების გარეშე არავის უნდა.

12584. სადაც სიყვარული კვდება, იქ ბოროტება თავს იოლად წამოყოფს და ლაღობს.

12585. კაცთა წყენა-განაწყენება ადვილია, მათთვის სიყვარულით გულის გახეთქვაა ძნელი.

12586. სიყვარული საკუთარი მეობით წარმოგვაჩენს, ხოლო ბრმა სიყვარული არამდგრადი და არაფერის მომცემია.

12587. სიყვარული რომ შევინარჩუნოთ და არ შევიხახვისთაოთ, გონიერებას, აზროვნებას, პასუხისმგებლობას დროულად უნდა მოვუხმოთ და ნაშიერთა კვლავწარმეობას შევუდგეთ.

12588. ბედნიერების, ურთიერთგაგების, თანხვედრის სინონიმი სიყვარულია.

12589. სიყვარული თავისებური განუხრელი ეიფორიაა, რომელშიც დროულად გარკვევა ადამიანის სტატუსს გვინარჩუნებს.

12590. სიყვარულის მანტიაში გახვეულ ადამიანს სატრფოს გარეშე არსებობა უჭირს.

12591. სიყვარული და სიკეთე და და ძმა არ არიან, ერთი გვარისანი ნამდვილად გახლავთ.

12592. კარგ ხასიათზე ყოფნა შინაგან ბუნებას ასხივოსნებს და სიყვარულს აფრქვევს.

12593. სიყვარულისთვის რისკის და გულის კარების გაღება ყოველთვის ღირს, ვინც იცის, თუ რა ნეტარება ელის ამ ტკბილი მარათონის ფინიშზე.

12594. სიყვარულს თავისი განშტოებების ერთად შეკრება რომ შეეძლოს, მიიღებდა იმ ბედნიერებას, რომელსაც ჰქვია საყოველთაო სიყვარული.

12595. სიყვარული უსაფრთხო სულაც არ არის. ვინ იცის, ვის გადაეყრებით და ვინ გადაგეყრება ამ გზაზე სიარულისას.

12596. სილამაზესაც თავის წარმოსაჩენი ფორმულა აქვს, რომლის ცოდნა ყველასათვის საჭირო არ არის, რათა არ გაიაფდეს.

12597. გატაცება და სიყვარული გრძნობათა ქარბუქია, ვნებათა შემოჭრაა სულში, მაგრამ მეორეს დაღვინება შეუძლია, პირველს – არა.

12598. გატაცება ძირძველ სიყვარულს ვერ ცვლის, რადგან პირველი მსუბუქია, მეორე – მძიმე.

12599. წესით, სიყვარულმა თავად უნდა მოგვნახოს, უფრო უღალატოცაა და დასამახსოვრებელიც.

12600. გრძნობების დალაგებას სიყვარული არა სცნობს, მაგრამ შინაგანად მიესალმება.

12601. სიყვარული თავისებური აღებ-მიცემობის ხელოვნებაა, მაგრამ უნდა ვეცადოთ, კომერცია არ ჩავრთოთ.

12602. სიყვარული განუკურნებელი სენია, თუ ტვინის ღრძობას არ იწვევს, ესეც დიდი მადლია.

12603. სიყვარულის გაუფასურება და ოცნებათა ნგრევა კუთვნილი სიხარულის წართმევის ტოლფასია.

12604. სიყვარული, ეტყობა, არც სამუდამოა, არც ერთფეროვანი. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ ბებიას შვილიშვილი შვილზე მეტად უყვარს და მასში თავის ახალგაზრდობას ხედავს.

12605. ზოგჯერ სიყვარული „თვალში ნაცარს გვაყრის“ და, ვინც გვეგონა თავდავიწყებით გვიყვარდა, ის მეორის სიყვარულმა ჩაანაცვლა. მაშასადამე, სიყვარულის „აბდაუბდა“ კვლავ ამოუცნობი და გაუშიფრავია.

12606. სიყვარულის ფასის შეუცნობლობა ზოგჯერ გულზე ტვირთად გვაწევს, რადგან სიყვარულის ძალას ხელი მოეცარა და ვერ ივაჟკაცა.

12607. სიყვარულს თუ უნდა თავისი მეობით წარმოჩნდეს, მან გონივრული გარანტიების გაცემა უნდა ისწავლოს.

12608. სიყვარული არ იყიდება, მაგრამ ზოგიერთები არ „იბნევიან“ და ქვენა გრძნობების დასაკმაყოფილებლად მას აქირავებენ.

12609. სიყვარული კანონით განუსჯელია და მისი ყოველი გადაცდენა ამნისტიას იმსახურებს.

12610. სიყვარული ზოგჯერ ჭადრაკის თამაშს მოგვაგონებს და, ვინ ვის დააშამათებს, ან ვინ ჩავარდება ცხოვრების „ცაიტნოტში“, არავინ უწყის.

12611. თუ სულში გაზაფხულის სიმპტომები გამოჩნდა, მაშინ სიყვარულის შემოდგომაც გარანტირებულია.

12612. სიყვარული ბედნიერების შეუგრძნობლად არ „იკერება“.

12613. როგორც კი სიყვარულში ანგარიში ჩაერევა თავისი დებეტ-კრედიტით, ის სულიერი მეძაობისკენ იხრება. ამ ვითარებაში აღარ გვიკვირს არც საქორწინო ხელშეკრულება და ანგარება.

12614. ვეცადოთ, ტრფობის საწყისი დაახლოებით, ურთიერთგაგე-

ბით, სიყვარულის ანბანით ვისწავლოთ და ვასწავლოთ.

12615. სიყვარული ყველა კანონზე მაღლა დგას, მაგრამ არა სინდისზე მაღლა და ზევით.

12616. სიყვარული გონის მიერ ნაჩალიჩევ წესებს არ ემორჩილება და არც მომავალში დაემორჩილება.

12617. სიყვარული ძალზე პირადულია და მისი ნაადრევი აფიშირება ხშირად მის წისქვილზე წყალს არ ასხამს.

12618. სილამაზის აღქმას თავისი ადგილი და გარემო სჭირდება, მგ. ლამაზი უკანალის მოხდენილად ტარება აღგვაფრთოვანებს და ქვენა გრძნობებს იწვევს, მაგრამ, თუ მას ტუალეტის ქაღალდის ხმარებისას თვალს შევავლებთ, ეს საშინელებაა და ყველა გრძნობა და აღფრთოვანება იქვე კვდება.

12619. სიყვარულს სიძნელეთა დაძლევა ეხერხება, მაგრამ მის ხარისხზე პასუხისგება არ უნდა.

12620. სიყვარული საკმაოდ რთული, ვნებიანი, გონის საჩეჩი გრძნობაა, რომლისგანაც საბოლოოდ ძაფი გამოვა თუ ბედის ნაქსოვი ბადე, არავინ უწყის.

12621. ზოგჯერ დიდი და ყოვლისმცოდნე სიყვარულიც კი ბედნიერებისთვის საკმარისი არ არის, თუ ურთიერთშეთვისების პროცესს მხარი არ აუბა.

12622. ყველაზე დიდ სიყვარულს მუზა იწვევს. მშობლების სიყვარული მოვალეობაა. ქალისათვის სიყვარული კი ვნებათა ღელვის შედეგია.

12623. სიყვარული ბედნიერების განუცდელად არ „იკერება“.

12624. ვეცადოთ, ტრფობის ხარისხი ავამაღლოთ ურთიერთგაგებითა და თანალმობით.

12625. სიყვარულისა და სიძულვილის „მარგი ქმედების კოეფიციენტს“ ადამიანები წინდაუხედავად ფლანგავენ.

12626. სულიერი სიყვარული ხორციელში უნდა გადაიზარდოს, რათა არ დაკარგოს ის, რაც საერთო მცდელობითაა მოპოვებული.

12627. ზოგი სიყვარულს მთელი ცხოვრება უშედეგო და უპერსპექტივო ოცნებით ძერწავს და კერავს.

12628. ფორმალური სიყვარულიც დანაშაულია, რადგან, გვინდა – არ გვინდა, რომელიღაცა მხარე დაჩაგრული რჩება.

12629. სიყვარული ერთნაირად საშურია, ქალისადმი იქნება იგი მიმართული თუ სამშობლოსადმი.

12630. ხშირად სიყვარულის დეფიციტი ენდეროფინების შეუთვისებლობაზეა დამოკიდებული, რადგან სიყვარულის მარტო მცდელობა არ კმარა.

12631. მოწონება სიყვარულს როდი ნიშნავს, მაგრამ მისკენ გვირა-

ბის გათხრის დასაწყისი კია.

12632. რწმენა, რომელსაც სიყვარული არ ახლავს, სანდო როდია.

12633. დაპირისპირება და სიყვარული მოულოდნელობითა და გაურკვევლობით გამოირჩევა.

12634. სიყვარულზე მარტივი არაფერია, თუ რჩეულის დანახვა გიხარია და მას შენი სულიერების ნაწილად მიიჩნევ.

12635. ჰარმონიული ცხოვრების სურვილიც კი სიყვარულის საწინდარია.

12636. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ვინ როგორ, რისთვის გვიყვარს და რატომ ვუყვარვართ, არავინ გვეკითხება.

12637. სიყვარული ჩვენი ცნობიერების შიგნით იბადება, იძერწება და თანდათან გვეჩვევა.

12638. სიყვარულით და სიკეთით აღსავსე ყველა ჩვენი ქმედება, შედეგის მიუხედავად, მახსოვრობიდან არ იკარგება.

12639. სიყვარულის წინაშე ყველა ქედს იხრის, იმისდა მიუხედავად, ჭკვიანია თუ უჭკუო, ამაყია თუ მორცხვი.

12640. სილამაზეს ახალგაზრდაც ითხოვს და მხცოვანიც, რადგან უამისოდ მდედრებს უჭირთ საკუთარი ქალობის დაჯერება.

12641. მოყვასის მიმართ შეცდომებს ზოგჯერ სიყვარული და გადამეტებული ზრუნვა ჩაგვადენინებს.

12642. სიყვარული ზოგჯერ შიშზე, რიდზე, ავტორიტეტისადმი მორჩილებაზეა აგებული. ამას სიყვარული კი არა, შეჩვევა ჰქვია, რომლისგანაც თავის დაღწევა ძნელია და არც არავინ ცდილობს.

12643. სიყვარული ბევრ სისულელეს ჩაგვადენინებს, მაგრამ მას გამართლება არ სჭირდება და არც გმობას ექვემდებარება.

12644. გარდაუვალობის შიში სიყვარულის ძალასაც მუხლებში კეცავს.

12645. სიყვარული უნიათოებს, გაუბედავებსა და არარაობებს ვერ იტანს, იმისდა მიუხედავად, რომ თავად ბრმაა.

12646. სიტყვების რახარუხს არ უნდა შევუშინდეთ, როცა იგი სიყვარულს გვთავაზობს.

12647. სიყვარულს მისთვის გასაგები ამბიციები ახლავს. ისიც ხშირად მორცხვობით და სითბოთი გამოიხატება.

12648. სიყვარულს არ ივიწყებენ, მას იმახსოვრებენ, ცნობიერებაში აბუდებენ და შეძლებისდაგვარად ოცნებით გარს უვლიან.

12649. ზრუნვა, მოვალეობათა შეცნობა შეიქმს სიყვარულს, ხოლო პასუხისმგებლობის გრძნობა ამ მოვალეობას ამყარებს.

12650. ეტყობა, ნამდვილი სიყვარული არ იკურნება, რაც უნდა მიმზიდველ სხვა ქალთა შემოტევა განიცადო.

+12651. სიყვარული პირად თავისუფლებას მტრობს, მაგრამ

საურთიერთო თავისუფლებას ალაღებს.

12652. ზოგს სიყვარულის ეშინია, მაგრამ არც მისი გახანგრძლივების წინააღმდეგია.

12653. როგორც არ უნდა გავაფეტიშოთ, სიყვარულის შენარჩუნების წადილი მაინც მატერიალურს ეყრდნობა.

12654. სიყვარულსა და მოწონებას შორის დიდი სხვაობაა და ეს ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ზოგჯერ უფრო გამძლე და შედეგიანიც კი არის.

12655. სიყვარული დაფასების, ურთიერთგაგების გარეშე სასურველ ნაყოფს ვერ იძლევა.

12656. სიყვარულს გონის ხმობაც სჭირდება, რათა ის ბედის დაცინვად არ იქცეს.

12657. უღალატო სიყვარული თანადგომის ფეხებზე დგას და არა შიშის საძირკველზე.

12658. სირცხვილის გრძნობის შეცნობა სიყვარულის შეცნობის ტოლფასია.

12659. სიყვარულს სულიერება ისეთი გრძნობების ხანძარს გაუჩენს, რომ მისი ჩაქრობა ჭირს.

12660. სიყვარულსაც საკუთარი თვალებით ყურება სჭირდება და არა სხვათა რეკომენდაციით აღქმა.

12661. სიყვარული და ძალაუფლება თითქმის შეუთავსებელია და ერთ-ერთი უნდა დათმოთ, რათა საქმე შედეგიანად და დასამახსოვრებლად აკეთოთ.

12662. ნაღდი სიყვარული იმდენად იშვიათი ოინია, რომ მას ყველა ემონება და თან უფრთხის.

12663. სილამაზეს თავისი დადებითიც აქვს და უარყოფითიც, ის, ერთის შეხედვით, შესამჩნევია, ე.ი. შურსაც ვერ დაემალება.

12664. სიყვარულსა და კარიერას ერთად სეირნობა უჭირთ, მაგრამ მოსწონთ.

12665. სიყვარული არც რჩევას ემორჩილება, არც ვნებას, არც სხვათა გამოცდილებას. ის განცდათა განტოლებაა, რომლის კაპრიზებს ახსნა არ აქვს.

12666. სიყვარული ყოველივეს აიტანს და გადაიტანს, თუ ეს მარტოოდენ გრძნობათა ჰორმონების შეჯერების მცდელობა არ არის.

12667. სიყვარულიც თავისებური „ბლეფია“ და მასზე გონივრულად უნდა წამოვეგოთ.

12668. ქალს სიყვარული კი არ უნდა აუხსნათ, არამედ სიყვარულში გამოუტყდეთ. ეს უფრო ნაღდი და ეფექტურია.

12669. სიყვარულის გარკვევისას ისიც შესაცნობია, პარტნიორებს ერთმანეთი უანგაროდ მოსწონთ, უყვართ თუ ურთიერთის ფსონში

ჩადებას ცდილობენ.

12670. სიყვარულიც ხშირად მატერიალურია. კაცი, რომელიც არ რეაგირებს საყვარელი ქალის დანახვისას და ევნუხობს, ის პარტნიორისთვის გაუსვენებელი მკვდარია.

12671. სიყვარულზე წმინდა არაფერია, თუ ის გულის კარნახითა და სულის მგზნებარებით ანთია.

12672. სიყვარული თავისებური ეგოიზმია, საკმარისია, ერთმანეთს ერთხელ ვერ გაუგოთ და ის სიძულვილით იცვლება.

12673. სიყვარულის წყურვილი იმ დონისა უნდა იყოს, რომ ერთის სიყვარული მეორის მიმართ ორივეს სიხარულით ავსებდეს.

12674. სიყვარულს სხვათა გრძნობების შებრალება და თავისაზე წინ დაყენება არ სჩვევია, რადგან ის განუსჯელი მონოპოლისტია, მონაპოვრის მედგარი მცველია.

12675. სიყვარული იგივე გაზაფხულია, რომელიც ჩვენს მიჩუმათებულ გრძნობებს აღვიძებს და ვნებისათვის განაწყობს.

12676. სიცოცხლის შეგრძნების სიღრმე, ყოფისთვის ლაზათს მატება სასიყვარულო ლტოლვის სიხშირესა და ხასიათზეა დამყარებული.

12677. სიყვარული ქალისთვისაა გაჩენილი თუ კაცისთვის, არავინ უწყის, მაგრამ მატერიალური სიმდიდრე რომ სიყვარულს და მოვალეობის გრძნობას ამაგრებს და ამყარებს, ეს დავას არ იწვევს.

12678. სიყვარულის მარწუხებში მოქცეულთ ოცნებაც უჭირთ, ფანტაზიაც დახშული აქვთ და არც სხვათა დანახვა უნდათ, იმდენად დიდია მათი ტრფიალების ძალა.

12679. გადამეტებულ და პარანოიდად ქცეულ სიყვარულში დანაშაულებრივი ელემენტებიც ერევა და, თავს სად და როდის წამოყოფს, არავინ უწყის.

12680. ურთიერთმისვლა-მოსვლაზეა სიყვარული აგებული და არა რისამე მიტან-მოტანაზე.

12681. სიყვარულს წარსული არ აქვს. მისით ცხოვრობენ ან ივიწყებენ და მასზე საუბარს ერიდებიან.

12682. გულის კარნახით ცხოვრებას ისევ გონივრული ყოფა სჯობს. ამ დროს სიყვარულის ალგორითმები თავბრუს ვერ გვახვევს.

12683. სიყვარულის გამოცდა ამდაგვარად შეიძლება: იგი ნამდვილია, თუ თქვენი პარტნიორის წარმოდგენა სხვის საწოლში გაშფოთებთ და გაგიჟებთ. ე.ი. ის თავდავიწყებამდე გიყვართ. მასთან ოჯახის შექმნა აუცილებელიცაა და შესაძლებელიც.

12684. სიყვარულში სიამაყე ღმერთს არ უქნია, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც თავის გაკონტროლების უნარი არ შესწევს.

12685. სიყვარულს ღალატი, მლიქვნელობა, გარყვნილება არ უხდება, მაგრამ ეს პოსტულატებიც, ეტყობა, დროის კაპრიზებს ექვემდე-

ბარება.

12686. სათუო სიყვარულიდან თავის დაღწევასაც ნიჭი უნდა, რათა პარტნიორის გრძნობები არ შებღალოთ.

12687. სიყვარულსაც ცოდნა და არჩევის უნარი სჭირდება.

12688. სიყვარული ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი კომპონენტია, რომელსაც დრო, შემთხვევა და ბედი როდის გაიმეტებს, არავინ უწყის.

12689. კინკლაობა, გაბუტვა და შერიგება სიყვარულის ატრიბუტებია.

12690. ყოველი სახის სილამაზეს თავისი შესაცნობი პარამეტრები თან უნდა ახლდეს.

12691. უმიზნო, უაზრო შეყვარებამ უეცრად გადაყვარებაც იცის და ამიტომაც არაა ის სანდო.

12692. სიყვარულმა არ იცის ორი რამ: ასაკი და უკანდახევა.

12693. სიყვარული იხრწნება, როდესაც მისი საქმიანობა მხოლოდ ურთიერთისთვის სიამოვნების მონიჭებით შემოისაზღვრება და სულიერი ელემენტი მივიწყებულია.

12694. სიყვარული მისთვის შესაფერისი საწვავით იწვის და მომავლის იმედით ლაღობს.

12695. გრძნობათა ფილტრი მშვენიერების, სილამაზის წარმოჩენის საშუალებაა.

12696. ლამაზიც პირობითია, ხიბლისგან განსხვავებით, რადგან ეს უკანასკნელი მუდმივია.

12697. სიყვარულს თუ სიძულვილის ჭია შეუჩნდა და მის გულში ბუდე დაიდო, ის ყველაფერზე წამსვლელია და ბევრ უგვანობას გამოამზეურებს.

12698. თავისებური კომერციაა საკუთარი თავის სიყვარულიც, წარმატების მიღწევის მიზნით იგი ბევრ წინასწარ გაუცნობიერებელ საქციელსა სჩადის.

12699. სიყვარულის შენდამი სიმკაცრე ზოგჯერ საწყენია, მაგრამ სიკეთისა და შედეგის მომტანია.

12700. გარეშეთა სიყვარულის ცოდნაც ბედნიერებაა, თუ ამ მადლის შეცნობის ძალა შეგწევთ.

12701. ზოგჯერ სევდიანი იმედებით ვართ დაიმედებულნი, რათა სიყვარულის იმედი საერთოდ არ დავკარგოთ.

12702. ნამდვილი სიყვარულის განცდა ერთეულ რჩეულთა ხვედრია.

12703. სიყვარული ზოგჯერ დიდი შინაგანი გამოძახილია, იმისდა მიუხედავად, მას ბოლომდის შევინარჩუნებთ თუ არა.

12704. ახალგაზრდულ სულიერ და ფიზიკურ სილამაზეს ვერავითარი დამაჭრებულ-დაღვინებული სილამაზე ვერ შეედრება.

12705. სიყვარულს ქვეყნის ბედის შეცვლაც შეუძლია, თუ მოვ-

ლენები იმდაგვარად განვითარდა, როგორც ამას დრო და გარემო საჭიროებს.

12706. ყოველი სახის სიყვარულს თავისი მზერა და სითბო ახასიათებს, რომლის გათავისება ჩვეულებრივ მოკვდავს უჭირს.

12707. ზოგჯერ სიყვარულის მადლი გვაბრმავებს, მაგრამ არა იმდენად, რომ სხვათა სილამაზე და ხიბლი ვერ შევამჩნიოთ და აღვიქვათ.

12708. სიყვარულის რაობა ყოფის დაღვინების ხარისხზეა დამოკიდებული, მიუხედავად მისთვის დამახასიათებელი კაპრიზებისა და დათმობებისა.

12709. სიყვარულს გაჭირვების შემჩნევაც უჭირს.

12710. სიყვარულით მკურნალობის მრავალი ხერხი არსებობს, მაგრამ ქალის ალერსს არაფერი შეედრება.

12711. მეოცნებე სიყვარული ყველასა და ყოველივეს დაპყრობას ცდილობს და ეს თავად მასაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

+12712. ახალგაზრდობაში სიყვარული მომავლის აღქმაა, ხოლო სიბერეში – მოვალეობის ცოლქმრული გაგება.

12713. განუსჯელი და ნაღდი სიყვარული მოღალატე ვერასოდეს გახდება.

12714. სილამაზის მომხიბვლელობას სათნოება, გული, სული და ჭკუა თავისებურად აღიქვამს, იმისდა მიუხედავად, რომ შეფასება ერთნაირი გამოდის.

12715. ამბობენ, სიყვარულისათვის სიკვდილი მადლიაო, აი, იმ მადლის დაკარგვა და გადაყვარებაა ტრაგედიაცა და დანაშაულიც.

12716. გულწრფელობა სიყვარულის თავისებური გვირგვინია.

12717. სიყვარული და კრიტიკული გონი ერთმანეთისაგან შორსა დგანან და სათუოა მათი ურთიერთობის შედეგი.

12718. ამბობენ, ნამდვილი სიყვარული სოცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მოდისო. აქ მთავარია ნამდვილისა და შემთხვევითის განსხვავება, რადგან არც აუცილებელი სიყვარულის გამორიცხვაა შესაძლებელი.

12719. სიყვარულზე ის ჭორაობს და ყბედობს, ვისაც მისი მადლი არ შეუცნია.

12720. ზომიერად დამორჩილებული სიყვარული ყველასათვის მისაღებია, მაგრამ არა უგონოდ გაჩენილთათვის.

12721. სილამაზე თუ გონიერებით არ შეიფუთა, მისი ხიბლი საეჭვოა.

12722. შიში, რიდი და საერთო ინტერესები სიყვარულს საფუძველს უმაგრებს.

12723. სიყვარული, რომელიც შურისძიებას ცდილობს, წინასწარ დაპროგრამებული ვაი-სიყვარულია.

12724. სიყვარული ხშირად თავისი ოცნებების განსახორციელებლად იმ დროს ფლანგავს, რასაც გონიერება და გამოცდილება არ გაფლანგავდა.

12725. ჩვენ გართობა კი არ გვაერთიანებს, არამედ სიყვარულზე დაფუძნებული ურთიერთობა.

12726. სასოებით მოპოვებული სიყვარულისათვის ხელის კვრა დიდი ცოდვაა.

12727. გრძნობათა გაშიშვლებას თავისი სილამაზე აქვს, მაგრამ მასაც მოვლა-პატრონობა სჭირდება.

12728. რა საჭიროა სამოთხეში ყოფნა, თუ იქ არ გაგრძელდება თავგამოდებული სიყვარული ქალისა და კაცისა.

12729. სილამაზით რეალური ტკბობა საწინდარია ადამიანის ცნობიერების გალამაზებისა.

12730. სიყვარულის გაუჩინარება მარტოოდენ ერთი მხარის დანაშაული როდია. ამისი მიზეზის შეცნობა ორივე მხარისთვისაა საჭირო.

12731. ყოველივე სასიამოვნოდ გასახსენებელია, რაც თავგამოდებულ სიყვარულს ეხება, რადგან ის გვახსოვს და არ გვავიწყდება.

12732. დედის სიყვარული უპირატესია, ხოლო მისი უგულებელყოფა – დანაშაული.

12733. არის რაღაც ისეთი ამ სამყაროში, რომელიც ზოგჯერ განგებასაც არ ესმის და უყურადღებოდ ტოვებს, მაგალითად, ცალმხრივი სიყვარული.

12734. სიყვარულის შედეგის წინასწარ განჭვრეტა და განსჯა ძნელია, იმისდა მიუხედავად, რომ დაწყვილება მუდამ სიკეთის მომასწავებლად აღიქმება.

12735. სიყვარულის ცოდნა-შეცნობა დიდი კაპიტალია, მაგრამ მისი გაფრთხილების უნარიც არანაკლებ საჭიროა.

12736. ნაღდი სიყვარულის ატრიბუტებია პატივისცემა და ურთიერთგაგება გონიერების მოხმობის ხარჯზე.

12737. სიყვარულის დროსთან შერწყმულ ლოდინს აქვს ფასი და არა დროის განუსჯელად გაცდენის მცდელობას.

12738. სიყვარულს ბედნიერებასთან ერთად ზოგჯერ სიავეებიც ახლავს. ამიტომ ის ბედნიერებასთან ერთად საშიშიცაა, რათა არ გაუფასურდეს, არ გახუნდეს და დარდად არ გარდაიქმნეს.

12739. სიყვარულს ეჭვის გარეშე არსებობა უჭირს, რადგან მის მეობას თავის გამოდების მიზეზი აკლდება.

12740. ისეთი მივიღოთ, როგორიც არის – სიყვარულის უპირველესი გამოცდაა.

12741. როდესაც შენი ესმით, სიყვარულია, როდესაც მისი გესმის, მოწონება, ანუ სიყვარულში გადასასვლელი გვირაბი.

12742. ნამდვილი სიყვარული დაუვიწყარია და თავს მალ-მალე შეგვახსენებს.

12743. ნიღაბაფარებულ ადამიანს სიყვარულის მადლის შეცნობა უკვირს.

12744. სიყვარული თავისებური ლოცვაა, რომლისთვისაც უმთავრესი მატერიალური გარემო არ არის.

12745. სიყვარულის ძიებაში ბუნების უამრავ საიდუმლოს ეხდება ფარდა, რათა სიცოცხლის მადლი უკეთ შევიცნოთ.

12746. როგორც კი გრძნობები გონებას შეერკინებიან, აქედან იწყება ნამდვილი სიყვარულის შეცნობა და მისთვის „ბრძოლა“.

12747. სიყვარული თავისებური მოვლენაა და ის, შეიძლება, შორიდან დანახვით, სულიერების აღქმით, მაჭანკლობით მოვიდეს. ვინ იცის, ვის რა ბედს არგუნებს განგება.

12748. სიყვარული და შეყვარება არც ისე ადვილია, როგორც ერთის შეხედვით ჩანს, თუ ბედი და შემთხვევა ხელს არ გამოიღებენ.

12749. მოულოდნელმა სიყვარულმა თავად უნდა გიპოვოს და არა, პირიქით.

12750. სულს ჰარმონიული სიყვარული სჭირდება და ბედნიერებაა, თუ მას იოლად მოიპოვებს.

12751. ალბათ, უმთავრესია ურთიერთნდობა და სიყვარული, რომლის ამოსახსნელი ფორმულა ჯერ კიდევ არ არსებობს.

12752. სილამაზის რეცეპტებს კულისებში განსჯიან, რეალობაში აფინანსებენ.

12753. ეტყობა, სიყვარულისა და მზრუნველობის უქონლად სამყაროს ბინადართ სიცოცხლე არ უწერიათ.

12754. შეყვარებულები სულიერად არასოდეს ბერდებიან, რადგან თავად სიყვარულია უბერებელი.

12755. ყველაზე მეტად გაფრთხილება იმ ბედნიერებას სჭირდება, რომელიც სიყვარულის ნაყოფია.

12756. ყოველთვის შესაძლებელია იმ ალიბის მოძიება, რისთვისაც ღირს ცხოვრება ამქვეყნად, დროისა და გარემოს უკუღმართობის მიუხედავად.

12757. ცხოვრებას საზღვარი არ აქვს, მიღწევებს – მწვერვალი, ხოლო სიყვარულს ყოველივე ძალუძს ჩვენი გონიერებისა და ერთგულების წარმოსაჩენად.

12758. ყველაზე დიდი სიმდიდრე უღალატო სიყვარულია, მისი ბოლომდის დაფასება და გათავისებაა.

+12759. საფუძველი სიყვარულსაც სჭირდება და ცეცხლის დანთებასაც: ერთს – ხიბლი, მეორეს – შეშა.

12760. სიყვარულსაც აქვს თავისი ჩამრთველი და გამომრთველი,

მიუხედავად იმისა, რომ ის კუბოს კარამდის მიგვყვება.

12761. სიყვარული მისთვის გასაგებ სამართლიანობასა და თანადგომას მოითხოვს, ამასთანავე, გონიერებასა და მოკრძალებას დიდ პატივს მიაგებს.

12762. სიყვარულის ძალაა, იარაღს რომ გვაღებინებს ხელში, იგივე ძალაა, იარაღს გვაგდებინებს და ხმალს ქარქაშში ჩაგვაგებინებს.

12763. სიყვარულის ცეცხლს ცივი წყალი არ აქრობს. უმჯობესია, ეს ცეცხლი ურთიერთმოფერებითა და გაგებით გავაღვიძოთ ან ჩავაქროთ.

12764. პატივმოყვარეობის დამარცხება ზოგჯერ სიყვარულსაც უჭირს.

12765. სადაც დიდი ადგილი ეთმობა შემოქმედებას, იქ სიყვარულისთვის ადგილი აღარ რჩება, მაგრამ იგი თავზე დაჰფოფინებს ამ ადგილს.

12766. გატაცება, სიყვარული განგების ნებაა და არაა უბრალო დაწყვილება.

12767. სიყვარული თავისებური განძია, ოღონდ, მას ვინ როგორ მოიხმარს და გამოიყენებს, პირად უნარზეა დაფუძნებული.

12768. სიყვარული და სიხარული მისთვის კუთვნილ ადგილსა და სივრცეს სიბერეშიც მოითხოვს.

12769. ყოველი სახის სიყვარული სრულფასოვნებისკენ მიისწრაფვის, მაგრამ ამას ოცნებათა შესატყვისად ვერასოდეს ახერხებს.

12770. სიყვარულს ვერ გაექცევით, მაგრამ სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლა მას ერთგვარად ახუნებს და ახურდავებს, თუმცა კი ბოლომდის არ გვავიწყდება.

12771. ტრფობა-სიყვარული თავისი საბოლოო შედეგით ყოველთვის არცთუ ისე სასიამოვნო ავადმყოფობაა.

12772. უცაბედი სიყვარული ბედნიერებას იქ პოულობს, სადაც არ ეძებს.

12773. ნაღდი სიყვარულის აღქმას ნაღდი წყვილის შეხვედრა სჭირდება და ხშირად ის განგების ნებაცაა.

12774. სიყვარულის საოცრება იმდენად დიდია, რომ ზოგჯერ მავანს ისეთი ვიღაც შეუყვარდება, ის ამას არ იმსახურებს.

12775. ეჭვი სიყვარულს შიფრავს და მას განსჯადსა ხდის.

12776. სიყვარული პირობითი შერკინებისათვის არის გაჩენილი და არა დაშინება-განშორებისათვის.

12777. ფარისევლობა არც არაფერს უხდება, არც არავისა რგებს, განსაკუთრებით – სიყვარულს.

12778. სიყვარულის გაფეტიშება გაუგებარია, თუ გრძნობათა ვალდებულებებს არ სცნობს.

12779. ხშირად შინაგანი ხიბლი უფრო დიდი მადლით წარმოაჩენს გარეგნულ სილამაზეს, ვიდრე პირიქით: გარეგნული სილამაზე – ხიბლს.

12780. საზოგადოებრივი ცნობიერების კომენტარითაც, სიყვარული უდიდეს ნიჭს მოითხოვს.

12781. სიყვარულში არავისი ნდობა არ იქნება, მათ შორის, საკუთარი თავისაც, იმდენი ჩასაფრებული და ჩაუსაფრებელი კაპრიზი ახასიათებს ყველასთვის სანატრელ ამ გრძნობას.

12782. ზოგი სიძულვილით ფლობს იმას, რასაც სხვა სიხარულით იძლევა და ეს ასუცნობიანი განტოლება სიყვარულია.

12783. სიყვარული ბედნიერების მომტანიცაა და უბედურებისაც. ამიტომ მასთან უგვანო ურთიერთობას უნდა ვერიდოთ.

12784. სიყვარულს, ამ უსპეტაკესსა და შეუცნობელ გრძნობას, დაქორწინების აქტზე ხელის მოწერა არ უნდა ბღალავდეს, მაგრამ ოფიციოზი და საგარანტიო დაცვა ყველას სჭირდება.

12785. სიყვარულის სიძუნწე პირადი მეს წონის მატების მაჩვენებელია.

12786. სიყვარულის ცეცხლის ჩაქრობა, გრძნობათა მოთოკვის თანამედროვე საშუალებების არსებობის მიუხედავად, დღესაც შეუძლებელია.

12787. პატარების სიყვარულს ჩვენთვის გაუცნობიერებელ სამყაროსთან შეჭიდების, ჯიშისა და ჯილაგის გაგრძელების წადილი გვაიძულებს.

12788. ნაქები კეთილგონიერება სიყვარულის განმსჯელად ვერ გამოდგება.

12789. შეყვარება თუ სიყვარულის კვადრატში არ წარმოჩინდა, მისი ნდობა არ ღირს.

12790. დიდი სიყვარულის წინაშე შეგნებულად ჩადენილი უგვანობა ბოროტებაა და მას გამართლება არ აქვს.

12791. წარმატებით და სიყვარულით საქმის კეთება ცნობადობას გვიზრდის და ხალხის პატივისცემას გვმატებს.

12792. დიდმა სიყვარულმა დიდი სიძულვილი იცის, თუ მას დროულად არ მივხედავთ.

12793. სიყვარულსაც თავისი კაპრიზები ახლავს, როგორც ვარდს – ეკლიანი ზრო.

12794. სიყვარული სიკეთის კეთების წამქეზებელიც არის და შემძლეც.

12795. სიყვარული უპირველესად წყვილის აურათა მოლაპარაკებისა და თანადგომის სურვილია.

12796. სიყვარული გაუცნობიერებელი გრძნობაა და, თუ თავს კითხვას უსვამთ, რატომ გიყვართ? ეს იმის მაჩვენებელია, რომ საკუ-

თარ გრძნობებში ბოლომდის ვერ გარკვეულხართ და ეს სიყვარულიც, ეტყობა მოჩვენებითია.

12797. თუ ტანის ჰარმონიულად წარმოჩენას ხელს არ უწყობს, ის სილამაზე დევალვირებულია მისი მაცქერლის თვალში.

12798. საოცარია, მაგრამ ფაქტია: სამყაროს დასამახსოვრებელი დიქტატორები, ეგერთ წოდებულ „პახმელიაზე“ გაკეთებული ხალხი იყო სხვა დასახლებების, ეროვნებების წარმომადგენლები. მაგ., ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონი, ჰიტლერი და სტალინი.

12799. უმადურობა და ღალატი ბევრია, ხოლო ნაღდი სიყვარული და ერთგულება ჩვენს ყოფაში, ცნობიერებაში ცოტაა და გამონაკლისი.

12800. სიყვარული, პირველ ყოვლისა მეგობრობა, თანადგომაა, ხოლო ამის შემდგომ მოდის გრძნობათა აფეთქება, ჰორმონების შეთავსება, გონიერების ხმობა.

12801. ამქვეყნად უსიყვარულოდ ცხოვრება შენიღბული ტრაგედიაა.

12802. სიძულვილის სიყვარულთან დაპირისპირება მარცხიანია.

12803. სილამაზე თავის სიამოვნებასთან დაბრუნებას ითხოვს, თანაც ითხოვს მოვლისა და ნერვების აუშლელობის ფარმანს.

12804. სიყვარულს ზოგჯერ ჭკვიანურ ქმედებებზე მეტად სიბრიყვის ჩადენა უხდება.

12805. მადლიერების გამოხატვით წაყენებული მკაცრი და საქმიანი მოთხოვნები სიყვარულს გააკეთილშობილებს.

12806. სიყვარული ბრმაა, მაგრამ მას თვალებს ქორწინების შემდგომი პერიოდი თანდათან აუხელს.

12807. უსიყვარულო ქორწინება, შვილების აღზრდა მოვალეობის შეუცნობლად – აი, მომავლის პერსპექტივა.

12808. სიყვარულსაც გათავისება უნდა, სადაც პიროვნებამ საკუთარი მეობა უნდა უჩვენოს.

12809. სიყვარულის მოწოდებაა პატარ-პატარა სისულელეები ჩაგვადენინოს, ოღონდ გონიერების ფარგლებიდან ამოუგდებლად.

12810. სიყვარული ის ენერგიაა, რომლის ხარჯვაც გადასახადის გადახდას ითხოვს.

12811. დუმილს რაც სჯობს, ეს სიყვარულის გამონათებაა, რომელსაც მჭევრმეტყველება არა სჭირდება.

12812. ზოგჯერ სიყვარული ჩვენდა უნებლიეთ ჩადენილი შეცდომებით და ცოდვებით ხალისობს.

12813. სილამაზე ნივთია, ჭკუა განძია, ხოლო სიყვარული ის ძალაა, რომელიც ორივეს ითვისებს და ჯეროვნად იყენებს!

12814. სიყვარული უკვდავია, მაგრამ ცვალებადია დროის, გარემოსა და ბედის შესატყვისად.

12815. გულისა და სულიერების თავაზიანობა სიყვარულად უნდა აღვიქვათ და არა გატაცებად.

12816. ამბობენ, სიყვარული დაავადებაა, სანამდის დაჩმორდებოდეს და ორგულობას ისწავლიდესო.

12817. სიყვარულს რჩევა-დარიგება და გარეშე კონსულტაციები არ სჭირდება, რადგან მისი ცნობიერება ტრფობის პარამეტრებითაა გადატვირთული და სხვათა აზრს არ იზიარებს.

12818. ქალაქები, ქვეყნები, კონტინენტები ერთმანეთთან სხვადასხვა მანძილით, დროით, მოწყობის წესით არიან დაშორებულნი, თორემ სიყვარულისთვის არც ეროვნება არსებობს, არც კანის ფერი და არც მანძილი.

12819. სიყვარული თავისებური მოვალეობაა ცნობიერების, ვნების, ურთიერთობის, შვილების აღზრდის წინაშე.

12820. პირველ და უკანასკნელ სიყვარულზე განსაკუთრებული სიფაქიზით ვფიქრობთ, რადგან მათ შორის მთელი ჩვენი ცხოვრებაა მოქცეული.

12821. გონიერებასთან შერწყმული სილამაზე ქალს ქალბატონად აქცევს.

12822. სიყვარულის ამბავიც ოცნებით გამდიდრებასა და შელამაზებას მოითხოვს, რათა ვნებათა ღელვა უფრო მიმზიდველი წარმოჩნდეს.

12823. სიყვარულს ტოლობისა და კითხვის ნიშანი არ უხდება, მხოლოდ მრავალწერტილი შვენის.

12824. სიყვარულისთვის შექმნილი ქალები მთლად სანდონი არ არიან, რადგან მათ სიყვარულის ხარისხის დასადგენად მამაკაცთა დიდი რაოდენობა სჭირდებათ.

12825. სიყვარული ყველას გვჭირდება, მაგრამ მისი ოდენობა თითქმის არავის აკმაყოფილებს და მასში ხშირად ხინჯს ხედავენ.

12826. ცხენიდან ჩამოვარდნისას მიღებლ ტრავმებს იოლად ვიშუშებთ, ხოლო სიყვარულისგან მიღებულ ტრავმებს ვერ გავექცევით, თუმცა მათზე მჯობი და უკეთესი ამ ცხოვრებაში არაფერია.

12827. სიყვარული მიდის და მოდის. აქ მთავარია, შენ როგორ მასპინძლობას უწევ მას.

12828. რაც ლამაზია და მიმზიდველი, ის სიამოვნებას რიდითა და მოწიწებით უნდა გვგვრიდეს.

12829. სიყვარული ერთადერთია, ღალატი მრავალგვარია, მაგრამ სიყვარულის მარწუხებიდან თავის დაღწევა არც ისე ადვილია, როგორც ეს დამღალატებლებსა ჰგონიათ.

12830. მარადიული სიყვარულიც კი შეჩვევის კოეფიციენტით დაბალანსდება.

12831. ერთი ნახვით სიყვარული გულმა გული იცნოს შედეგია.

12832. სიყვარული და ეჭვიანობა სინონიმებია, რადგან უერთმანეთოდ ორივე მყაყდება.

12833. ზოგჯერ ტრფობა-სიყვარულით დაავადება ჩვენს გონიერებას დროებით აჩმორებს და აფექტში აგდებს.

12834. ყოველი სახის სიყვარულს კარები ფართოდ უნდა გავუღოთ, მაგრამ აუცილებელია, ღირსეულთა შემოშვება ვისწავლოთ, რათა არჩევანი არ შეგვეშალოს.

12835. ყოველი წუთი, რომანტიკისთვის ნაპოვნი, სიყვარულის ანგარიშზე ირიცხება.

12836. სილამაზისკენ ლტოლვა და საკუთარი თავის მოვლის ხელოვნება ქალის სილამაზეს „ფერფლიდან აღადგენს“ და მას ქალბატონად აქცევს.

12837. განსჯადი სიყვარული ნამდვილ, შმაგ სიყვარულად, ანუ მიჯნურობად, არ აღიქმება, რადგან მასში ცივი გონი ურევია.

12838. ორგანიზებულ და პასუხისმგებლურ სიყვარულს ბედისწერა თავზე გვირგვინს ადგამს.

12839. სიყვარული თვალებზე აფარებული ფერადი სათვალით დადის და, სად და ვინ მოეწონება თავისი ჰორმონების შესატყვისად, ეს მისთვის გაუგებარიცაა და უცნობიც.

12840. სიყვარული გაზვიადებული წარმოდგენაა გარკვეული პირისა და გარკვეული დროისა.

12841. უსიყვარულოდ სიცოცხლის მადლისა და საკუთარი რაობის აღქმა ძალზე ჭირს.

12842. სილამაზის აღქმას კრიტიკული გონი სჭირდება.

12843. სიყვარული არავითარ განზომილებებს არ ემორჩილება. მას ან გრძნობ, ანდა არ გრძნობ.

12844. ყველა ჩვენგანი თავისებური „ალფონსია“, რადგან სიყვარულისგან რაღაც სარგებლის მიღებას ყველანი ვცდილობთ, სულიერი იქნება ეს თუ მატერიალური.

+12845. ჭეშმარიტება სიმართლეს პირში გვახლის, რადგან მას ქვეშქვეშობის უფლება სტატუსით არ აქვს მინიჭებული.

12846. ყველა სახის სიყვარულს თავისი ფილოსოფია აქვს, თუ ამას ან გულით ვიგრძნობთ, ან გონით მივხვდებით.

12847. სიყვარულის ბინომი მაშინაა წარმატებული, როდესაც წყვილი სრულ ჰარმონიაშია და ერთმანეთს არაფერს აყვედრიან.

12848. ალბათ, სიყვარული ყველას გვაწუხებს, იმისდა მიუხედავად, მისი უნარი შეგვწევს თუ არა.

12849. ქართულში მეტყველების ათი ნაწილია. მათში ზმნა იმავე როლს თამაშობს, როგორც მზე ჩვენს სისტემაში. მაშ, მზე ჩვენი მეტყველების ღმერთია. და რა საოცარია, რომ ჩვენი ცხოვრების უმ-

თავრესი ზმნაც „სიყვარულია“.

12850. ცალმხრივი სიყვარული მსხვერპლშეწირვისთვის არის განწირული.

12851. სიყვარულმა არც თავისი სიძლიერე იცის, არც თავისი სისუსტე, მაგრამ ჩვენ ვიცით კარგად მისი ძალაც და სისუსტეც.

12852. გონიერების სილამაზეს სულიერების სილამაზე ვერ შეედრება, რადგან ამ უკანასკნელს ცხოვრების რეალური ხედვა აკლია.

12853. სიყვარული ყოველივე სადავიდარაბოს თავის ჭკუაზე და გონის ხმობით აგვარებს.

12854. „ძალა აღმართს ხნავს“, გმირი მხდალს აჩმორებს, ხოლო საყოველთაო სიყვარულია სახარბიელო და განუსჯელი, რომლისაც ყველას კეთილი შურით შურს.

12855. სიყვარულს მცირე დოზით ყოფიერების საწამლავის მიღება უხდება. ამრიგად, წყვილები იმუნიტეტს გამოიმუშავებენ და ცოლქმრობა უფრო უხიფათო ხდება.

12856. სიყვარული თავისებური შემოქმედებაა, ოჯახის შექმნაა, მომავალი თაობის გაჩენა და აღზრდაა, მოვალეობის აღებაა.

12857. სიყვარული და მოვალეობა ერთმანეთს უნდა შევუთავსოთ, იმისდა მიუხედავად, რომ ერთის კეთება სიამოვნებას განიჭებს, მეორისა – არა. მაგ. მსიამოვნებს კულინარობა, მაგრამ არ მსიამოვნებს ამ საქმისათვის მოხმარებული ჭურჭლის გარეცხვა და გამშრალება.

12858. სიყვარულიც შინაარსიანი უნდა იყოს, რადგან ყოველივე უშინაარსო სათუო და წარმავალია.

12859. ნამდვილი სიყვარული და განუსჯელი ეჭვიანობა მომაბეზრებელი და შეუთავსებელია ადამიანურ გონიერებასთან.

12860. სიყვარული მხოლოდ ურთიერთკაპრიზებით დიდხანს ვერ იარსებებს.

12861. სიყვარულს ერთ-ერთი საჭირო და საეჭვო მტერი ჰყავს – ზომიერი და ზღვარს გადაუსვლელი ეჭვიანობა.

12862. სიყვარული ისე ვერ გალაღდება, თუ იგი ერთგულებასა და მეგობრობას ხელს არ გამოჰკრავს.

12863. სიყვარულია, გონიერების ჩონჩხს რომ ხორცს ასხამს და მიმზიდველს ხდის.

12864. რწმენად რომ გადაგვექცევა, ისაა ნამდვილი სიყვარული.

12865. ყველაზე მეტი პატივის მიგება სიყვარულს სჭირდება, რათა სულიერება წარმოჩნდეს.

12866. სიყვარულის ფორმულა უცვლელია: ქალთან ყოფნა უნდა გსიამოვნებდეს, გიხაროდეს და სულიერებით ერთმანეთს უნდა ერწყმოდეთ.

12867. სიყვარულის პატივის მიგებითა და მიმზიდველობით გა-

მოსხმული ფრთები გრძნობებს აღაფრთოვანებს.

12868. სიყვარული ან არის, ან არ არის. მათ შორის მდგრადი შუალედური გრძნობა ანგარებაა.

12869. სიყვარული ადამიანური ღირებულებების თანდათანობით შეცნობის სასშუალებას გვაძლევს.

12870. სიყვარული, რომელიც ძალას არ გვმატებს ცხოვრების გაუკვალავ ბილიკზე სასიარულოდ, სიყვარულად არ ჩაითვლება.

12871. სიყვარული და ეგოიზმი შეუთავსებელია.

12872. სიყვარულს შემოქმედებითი მიდგომა სჭირდება, რათა ის ჭეშმარიტ ტრფობად იქცეს.

12873. გულუხვობა, ხელგაშლილობა სიყვარულს უხდება, მაგრამ ყოველთვის არ ამყარებს.

12874. სილამაზე, გარეგნული იქნება ის თუ სულიერი, დიდი ძალაა პარტნიორის „მოსახარშავად“.

12875. გმირობის ხასიათზე რომ გვაყენებს, ის, ეტყობა, ნაღდი სიყვარულია.

12876. ვეცადოთ, ჩვენი სიყვარული არც ბრმა იყოს, არც ყრუ, არც უგუნური.

12877. სიყვარულის ანბანს ყველაზე უკეთ პატარები სწავლობენ.

12878. სიყვარულიც მისთვის გასაგები ჭირისა და ლხინის შეჯერებით უნდა აღვიქვათ.

12879. სილამაზის მახლობლად ყოფნაც კი გვალამაზებს და გვაბრძენებს.

12880. პატივმოყვარეობა სიყვარულის უაზრო მტერია.

12881. სიცოცხლე რისკია, მაგრამ მისი თავის ნებაზე მიშვება დანაშაულია.

12882. სანამდის ტრფობას დავიმსახურებდეთ, მანამდე სიყვარულის ყველა პარამეტრი უნდა გადავსინჯოთ და გავითავისოთ.

12883. ძველ სიყვარულს ყველა იხსენებს, დამორცხვებით იქნება ეს თუ აღმაფრენით.

12884. სიყვარული თავიდან ჭიდილს მოითხოვს, რომელიც შემდეგ გარკვეულ წონასწორობაში გადადის.

12885. მამაკაცების უმრავლესობა ქალის სიყვარულით ქორწინდება, მაგრამ, რა არის ნამდვილი სიყვარული, ბევრისთვის უცნობია.

12886. მომხიბვლელობასა და ხიბლს თავისი პარამეტრები აქვს, ხოლო სილამაზესა და მშვენიერებას – თავისი.

12887. თვითნაბადი სიყვარული ვალდებულია, ეჭვიანობის ყველა კარი ჩაიბაროს და ჩარაზოს.

12888. ნაღდი სიყვარული სიგიჟის მაჩვენებელი უფროა, ვიდრე სიბრიყვის, რადგან ბრიყვს ქალის ხიბლი ამდაგვარად ვერ გადარევდა.

12889. სიყვარული სწრაფად ხუნდება, დევალვირდება და დავიწყებას ეძლევა, თუ მას სულიერების საკვებსა და გონიერების შემართებას მოვაკლებთ.

12890. ამბობენ, რომ ანგარება სიყვარულსაც უხდება და ასეთ სიყვარულს, სასურველია, „ანტისიყვარული“, „ინტიმტრფობა“ უწოდო.

12891. სიყვარულის საფუძველს ამაგრებს და ამყარებს იმის შეცნობა, რომ ქალის მოტანილ ქვიშას მამაკაცმა საკმაო ოდენობისა და ხარისხის ცემენტი შეურია.

12892. სიყვარულის უპირველესი დასაბანდებელი საშუალებაა – ვნებათა ღელვის ბანკში მისი ჩადება გრძნობათა წარმოსაჩენად.

12893. სიცოცხლე ვისთვის ამქვეყნად გასეირნებაა, ვისთვის გონიერების ძალის შეცნობა, მაგრამ შედეგი მაინც ერთია: იმქვეყნად გადასახლება.

სულიერება, სათნოება, სიცოცხლის მადლი

12894. მარტოობის დღესასწაულის გმირს ყველაზე მეტად სჭირდება თანამდგომი, გამგები, მხარის ამბმელი და ამას სიბერეში ვგრძნობთ და ვიგებთ.

12895. ამბობენ, სიცოცხლე ხანმოკლე გასეირნებააო მარადიული ძილის წინ, ოღონდ დროის ტარებით.

12896. ტანჯვა-გვემაც ზოგჯერ საჭიროა. მას სულიერების მოხმობის გზით მორალური კრიზისიდან გამოვყავართ.

12897. ინტელიგენტობა სულიერების წარმოჩენის მცდელობაა.

12898. სიცოცხლის რაობის შეუცნობლად სიკვდილის არსში წვდომა ძნელია.

12899. ზოგჯერ სინდისის ქენჯნა მეხსიერებას ავარჯიშებს და აქ სულიერის გვემის მასწავლებლად თვითგვემა გამოდის.

12900. სულიერება დიდებული, მდიდარი და წმინდა მაშინ ხდება, თუ ხორციელება გაფუჭებას ვერ ასწრებს.

12901. მოშურნეობა, უპირველეს ყოვლისა, სულსა ხრწნის, მაგრამ ჩვენს გუნება-განწყობას ზოგჯერ ანგარიშს უწევს.

12902. სული შინაგანად თავისუფალია გულისაგან, გონიერების მცდელობის მიუხედავად.

12903. სიცოცხლის ფასი დროს არ კარგავს. მას სულიერი მატერიალური დოვლათის შესაქმნელად იყენებს.

12904. სიცოცხლე მიწიერი ტანჯვაა.

12905. უნდა ვეცადოთ, სულიერ სილამაზეს ყოველდღიურად ვეზიაროთ, ჩავწვდეთ, მასმედიის საშუალებებით იქნება ეს შესაძლებელი თუ ირგვლივ მყოფთა აზრებით.

12906. იდეოლოგიის გამყარება რწმენასთან ერთად წესიერებასა და წესრიგსაც მოითხოვს.

12907. მართალია, გულგრილობა სულიერებას კვებავს, მაგრამ რამდენად ეწყობა მას გონიერება – მარად განსასჯელი საკითხია.

12908. სულიერებას ყველაზე მეტად მჭევრმეტყველება ეფერება, რადგან მსმენელთ აღაფრთოვანებს.

12909. სულიერებასაც სრულყოფა სჭირდება, რაც უნდა ზეგარდმო მადლით იყო ცხებული.

12910. სულიერებამ სხეულში მისთვის მიჩენილი ადგილი არ უნდა დატოვოს, როგორც პოსტზე მდგარმა ჯარისკაცმა – თავისი საგუშაგო.

12911. სიკეთის კეთების ხასიათზე ის საუბარიც გვაყენებს, რომელიც მოგვწონს და საკუთარი თავისა და სხვათა წინაშე კარგად წარმოგვაჩენს.

12912. ღია გულით ცხოვრების წესი იგივეა, რაც ამბიციების სულიერებით მოთვინიერება.

12913. ზომიერი, სამართლიანი და გონივრული ქება-დიდება სულიერების ელექსირია.

12914. მთავარია გარემომ არ შეგვიძულოს, დრომ არ გვიმტყუნოს, რათა კუთვნილი სიცოცხლის მადლი ბოლომდე შევიცნოთ.

12915. ღვარძლიან სიცილსაც კი ხშირად სულიერების მოშველიებით სინდისი წმინდა აქვს.

12916. ნებისყოფა სულიერებისა და გონიერების ბაირაღია.

12917. სასწაულების ნახვის შანსს ხანგრძლივი სიცოცხლე იძლევა, თუ ტექნიკური პროგრესის ანალიზის უნარი შეგწევს.

12918. სულის სიმაღლე გენეტიკური მოვლენაა, რომელსაც აღზრდილობა წარმოაჩენს.

12919. აშენებულით ან ასაშენებლის პერსპექტივით ტკბობა უდიდესი სიამოვნებაა.

12920. სიყვარული იმ სასწაულის საშენოდ აღქმაა, რასაც ყველას ვერ გააგებინებ.

12921. მუდამ გამარჯვებული ტექნიკური პროგრესი სულიერებასთან ჭიდილში ხშირად მარცხდება.

12922. ყველა ჩვენი სულიერების ტაძარი უნდა ვაშენოთ, თუ გვინდა სიცოცხლის მადლი შევიგრძნოთ.

12923. ზოგჯერ ჩვენი სულიც მარიაჟობს და თავის წარმოსაჩენად ალკოჰოლს ითხოვს.

12924. მოვალეობის შეუსრულებლობა საკუთარ სულში ჩაფურთხების ტოლფასია.

12925. სულიერ გადაბირებას თუ ხორციელ დაპურებას არ მივახმართ, ხორცი სულიერების გარეშე დარჩება.

12926. ცხოვრებაში ხშირად ისე იქცევიან, როგორც საჭიროა, მიღებულია და არა ისე, როგორც ამას სულიერების საჭიროება მოითხოვს.

12927. სიკეთის კეთება ძალასაც გვმატებს და სიამოვნებასაც.

12928. სილამაზე მომხიბვლელობას ყოველთვის ვერ სჯობნის.

12929. გონიერი და საქმიანი ლოცვა სულს აღაფრთოვანებს და კეთილი საქმეების საკეთებლად განაწყობს.

12930. საკუთარ გულში უნდა ვეძიოთ სულიერების ღვთაება და არა ღმერთი.

12931. განსაცდელიდან თავდახსნილის სულში ღვთის რწმენა თავისთავად მოდის, ცნობიერების დაუძაბველად.

12932. სულიერება განსჯა-კრიტიკას არ ეპუება. მას თავისი აქსიომები აქვს შემუშავებული.

12933. ლოცვაც თავისებური გარჯაა, რადგან სულიერ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

12934. არაფრის ქონა თავისუფლებას არ ნიშნავს, რადგან ხშირად

სულიც მატერიალურია და მომთხოვნი.

12935. სულის მოწოდებაა მორჩილება, ხორცისა – ცოდვების ჩადენა, რათა მათ შერწყმის მიზეზი ჰქონდეთ.

12936. ისტერიული სიყვარული სულის დაავადების სიმპტომია.

12937. სულიერი საზრდო ხორციელს ყოველთვის ვერ ცვლის – წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამის მოდგმა გაქრებოდა.

+12938. გმირობა სულიერების აღზრდაა და შემთხვევის დამსახურება.

12939. ზოგს გულახდილი საუბარი თავის სულიერებასთანაც უჭირს.

12940. სულიერება სიმარტოვეს ვერ ეგუება.

12941. სულიერების სიმღერით დადასტურება სიცოცხლეს გვმატებს.

12942. დარდი და ვარამი სულში არ უნდა შეუშვათ, რათა ის არ გავაუპატიუროთ.

+12943. როდესაც სული ტირის, მაშინ სხეულის ყველა ნაწილი პანაშვიდს იხდის.

12944. სულიერებისთვის ვნების მიყენებას გაცილებით მეტი ზარალი მოაქვს, ვიდრე ხორციელებისათვის.

12945. ცდუნება, უპირველეს ყოვლისა, სულიერებაზე მოქმედებს, შემდგომ – გონიერებაზე და ბოლოს – ხორცზე.

12946. იუმორი მარად დარჩება სიცოცხლის ელექსირად, რადგან იგი არასტანდარტული ნიჭია, რომელიც ან გაქვს, ან – არა.

12947. სინდისის კარნახით ცხოვრება გარდაუვალია, იმის გაცნობიერების მიუხედავად, რომ ხშირად ის გამოუსადეგარი ნივთია.

12948. სულიერების მშვენიერება უკვდავია, რომლის აღქმასაც გონიერება სჭირდება.

12949. სულიერებით აღვსილი ადამიანი ნაკლებადაა ცოდვილი, რადგან აღზრდა-განათლება მას ამის საშუალებას არ აძლევს.

12950. პიროვნება, უპირველეს ყოვლისა, დაფასებას მოითხოვს, რათა ბუნებაში ჰარმონიულობა არ დაირღვეს და სიცოცხლის, სულიერების მადლიც შევიცნოთ.

12951. უზომო სმა-ჭამა ჩვენს წახდენას სიცოცხლის შემოკლებით იწყებს.

12952. მორჩილება სულიერების პრეროგატივაა.

12953. თავმდაბლობა და მორჩილება სხვადასხვა მოვლენაა. პირველი შეიძლება შემოქმედი იყოს, მეორე – სხვისი შემყურე.

12954. პრინციპებით მუცელს ვერ ამოყორავ, მაგრამ სულს ასიამოვნებ.

12955. სულიერების დაქუცმაცებას აბსურდამდე მივყავართ, რო-

მელიც გონიერებას მხარს არ უბამს.

+12956. ოპტიმიზმი იმასაც აფინანსებს, რისიც ბოლომდე არა სჯერა.

+12957. სულიერების შეიარაღება ლოცვაა და ის იდეურ ყუმბარებს უშენს მასზე შემოტევის მსურველთ.

12958. არის პერიოდი, როდესაც გრძნობათა თავქარიანობას დიქტატურის მიერ დამყარებული წესრიგი ამარცხებს.

12959. ცნობიერებაზე დახარჯული ენერგია სულიერებას მისთვის კუთვნილ ენერგიას აკლებს.

+12960. ლოცვა სულის დამამშვიდებელი და ხორცის დამაშოშმინებელია.

12961. სიკეთის ფარული ქმნა საკუთარი თავის წინაშე აგვამაღლებს.

+12962. ყველა სიტყვას თავისი ღირსება ახლავს, თუ ორატორი არ დაუკარგავს.

12963. სიკეთის საკეთებლად მარტო სურვილი არ კმარა. საამისოდ საჭიროა საშუალებისა და შესაძლებლობის ქონა.

+12964. სიკეთის ქმნა რომ მოდიდან გადავა – ეს იქნება მეორედ მოსვლის ნიშანი.

12965. კლასიკა იმიტომაცაა უკვდავი, რომ ორჯერ ორი ყოველთვის ოთხია.

12966. სულის საუნჯეს თუ მიწიერი მხარე მხარს არ უბამს, პირველი სათანადოდ ვერ წარმოჩნდება.

12967. სულიერების მოსაპოვებლად ადამიანმა შინაგანად უნდა იღვაწოს და დროის კაპრიზები ყურად არ იღოს.

12968. ოცნების ასრულება სულიერების მეშვეობით სასწაულია.

12969. მატერია სულიერებას კიდეც ამაღლებს და კიდეც აკნინებს.

12970. მორჩილებაც და გონის მოკრეფაც კარგია, ოღონდ ზომიერად, რათა საკუთარი სულიერება გავალაღოთ და ამ ქვეყნიდან გულდაწყვეტილნი არ წავიდეთ.

12971. სიკვდილის შიში ყოფასაც გვიმახინჯებს, მაგრამ მის სულიერებაზე მორგებას შეძლებისდაგვარად ვცდილობთ.

12972. დასამშვიდებელი უნდა იმათ, ვინც ჩვენზე უარესად ცხოვრობს, ხოლო, თუ სულის გაჯეჯილება გვინდა, უნდა ვეცადოთ ჩვენზე უკეთეს მცხოვრებს ოცნებით ვაჯობოთ.

12973. სულიერების მზარდი სურვილია ხორციელს აჯობოს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს, რადგან ის ჯერ კიდევ ადამიანია.

12974. სიამაყეს თუ დრო, გარემო, შემთხვევა ხელს უწყობს, ის ნაკლსაც ფარავს და თავსაც კეთილმოსურნედ შემოგვასაღებს.

12975. სიამაყისთვის ხელის შეხება ისევ დროის ორმოტრიალსა და მხცოვანებას უნდა ვანდოთ.

+12976. სული აქტიური უნდა იყოს. რომ ერის სულიერებად იქცეს.

12977. სულიერი სიყვარული თეორიულად მისთვის გასაგებ-გაფეტიშებულ ურთიერთობებს გვთავაზობს, რომლებიც პრაქტიკულად არ არსებობს, როგორც ბუნებაში არ არსებობს სტერილური წყალი.

12978. სულიერების ხილვა ხშირად ხელეწიფებათ მათ, ვისაც ბიწიერი ცხოვრების მიდრეკილება აქვთ.

12979. უმთავრესია გასაცნობის სულიერების დანახვა და არა „ფუტლიარის“.

12980. სიკეთის მკეთებელსაც შერჩევა უნდა, რათა სიკეთის კეთებაში ავი და ბოროტი არ გავრიოთ.

+12981. ჩვენი სულის თავისუფლება ისევ განგებამ უნდა დაიცვას, ოღონდ ჩვენის მოწადინებით.

12982. დასნეულების ჟამს ჩვენს მეობასა და შემართებას ძალა ეცლება, მაგრამ სულიერება თავს წამოყოფს და წარსულის შეცნობილ არარაობას მისტირის.

12983. გულსა და სულიერებას ყველაზე მეტად სიელმე ვნებს, რადგან იმას ვერ ხედავენ, რისი დანახვაც აუცილებელია.

12984. სულიერება რწმენის მაღალ საფეხურზე მოკალათებას მუდამ ცდილობს და ეცდება.

+12985. ტკივილი სულიერების ნაკაწრია, რომელიც ცხოვრებასაც გვასწავლის და ნაკაწრის მოშუშებასაც ხელს უწყობს.

12986. საკუთარი სულიერების, განწყობის გადმოცემა დიდი ნიჭია და განგების მრისხანებას მოითხოვს.

+12987. სიტყვის მადლი უფერულდება, თუ მასში საქმიანი აზრი არ ჭაჭანებს.

+12988. სულიერებას, სილამაზისგან განსხვავებით, არც კოსმეტიკა სჭირდება, არც რეტუშირება, რადგან ის არ ბერდება.

12989. ყველა ჩვენგანის სიცოცხლეს თავისი პრეისკურანტი ახლავს.

12990. შეისატყვისეთ მეგობრის სურვილი და მისთვის განკუთვნილ ლოცვას ნუ შეეხებით.

12991. მირონცხებული სული კაპიტნობასაა ჩვეული.

12992. სულიერად ყველა ჩვენგანი მეტ-ნაკლებად დაავადებულია.

+12993. სხვა ქვეყნის სულიერების გადმოტანა ჩაუსწორებლად შეუძლებელია.

12994. სულიერება ყოველთვის თან გვახლავს, ოღონდ დროდადრო თუ გავიხსენებთ.

12995. სულიერების შური ცუდია, გონიერების კი კარგია, რაკიღა რაღაც პერსპექტივის პირობა ჩნდება.

12996. ფარულ და დაუკმაყოფილებელ აზრთა ქონა ზოგჯერ სუ-

ლიერებას სიავეს მატებს.

12997. ჩვენი ოცნების დაუნგრეველი კოშკები სულიერებას გვმატებს და გვახარებს.

12998. სულიერებას დაღვინებული გონის საცერში გატარებული ჭკუა ასაზრდოებს.

12999. თავმდაბლობას რა სჯობს, მაგრამ სულიერების გარკვეულ ჩარჩოში უნდა ჩაეტიოს.

13000. ცოდვის მონანიება, სინანული, სულის სამკურნალო ელექსირია.

13001. მიწიერების აღქმის საცთური ჩვენი სულიერების დილემაა, მაგრამ არც უიმისოდ ხერხდება ამქვეყნად ჩვენი მცდელობის სასიამოვნოდ დაფიქსირება.

13002. ფსალმუნების ცოდნა საჭიროა, მაგრამ მის სულიერებაში, ცხოვრებაში დანერგვაა ძნელი.

13003. სინდისი საკუთარი სირცხვილის შეცნობის საფუძველია.

+13004. სულიერება არ ითარგმნება. ის ყველასათვის ერთ ენაზე მეტყველებს.

13005. მთავარია სულიერებამ მხარი აგვიბას, თუ გვინდა ხორციელებს ეშველოს.

+13006. კეთილი მაგალითი მორალის დამატებით ქადაგებას არ საჭიროებს.

13007. საუბარს ურთიერთმოსმენა და დაინტერესება წარმართავს და არა ჩვენი სურვილი.

13008. ურთიერთის ხმის გაგონება ხშირად სასიამოვნო განწყობაზე გვაყენებს და აქ საუბრის შინაარსი მთავარი არ არის.

+13009. უძლური სიმართლე იგივე უსამართლობაა.

+13010. სულიერება ძვირფასი საგანძურია, მაგრამ მისი გონივრულად აღქმა ისევე ძნელია, როგორც მისთვის ხელის შევლება.

13011. სულიერების ქვევრია ლიტერატურა და ხელოვნება, შემდგომ მოდის რწმენა, სამშობლო, ხალხი.

13012. სულიერება დაღვინებასა და დაჭაშნიკებას ისევ გონიერების მხარდაჭერით მოითხოვს.

13013. სიმართლე სამართლიანობის სინონიმად უნდა აღვიქვათ და ყველა ვითარებაში დავიცვათ.

+13014. ადამიანი ისე არ უნდა დაეცეს სულიერად, რომ მას აღარაფერი სჭირდებოდეს, აღარაფერი აკლდეს.

+13015. სულიერი მარტოობისთვის განწირულ სულს დაწყვილება არ შველის.

13016. სულიერი მღელვარების დაცხრომის შემდგომ შედეგის მომტანი კამათიც შესაძლებელია და ურთიერთპატივის მიმგები ცერემო-

ნიალიც.

+13017. განგების ძალით დაუფლებული სულიერება განსჯას არ ექვემდებარება.

+13018. სასურველია, სულიერებამ ხორციელზე გამარჯვება მოიპოვოს, მაგრამ, თუ მთლად დაისაკუთრა, თავადვე იზარალებს.

13019. განცდა სულიერების დამწუხრების, გამომზეურების საშუალებაცაა.

+13020. სიკეთის ენის ცოდნის საჭიროება უნდა იგრძნო და არა ისწავლო.

+13021. სულიერად გახრწნილი ადამიანი უარყოფითს ხალისით ისრუტავს და ეს სიამოვნებასა ჰგვრის.

13022. მათემატიკა, გარდა იმისა, რომ ულამაზესი თანაფარდობის აღმომჩენი მეცნიერებაა, უპირველეს ყოვლისა, სულის მოთხოვნა და ცოდნის წადილია.

13023. სული და ხორცი ცოდვებს ერთდროულად ინანიებენ და ერთმანეთს ეხმარებიან.

13024. ხორცს ერთი მიდრეკილება აქვს სიამოვნებისკენ, სულიერებას – უამრავი და ხშირად ისინი ერთხანს მოვლენებს სხვაგვარად აღიქვამენ.

13025. სულიერების სიმაგრე აუცილებელია, რათა ცოდვილ დედამიწაზე მყარად იდგე, რადგან ბედის სიმუხთლე რას გვიქადის, არავინ უწყის.

13026. სულის ტკივილს განსაკუთრებით მაშინ განიცდი, როდესაც სიმართლეს ღაღადებ და ეშმაკი უფრო მეტად გებრძვის.

13027. ნათესაური სულის მოძიება ხშირად ადამიანისთვის უმთავრესია და არა თავად სისხლითა და ხორცით ნათესავის პოვნა.

13028. საკუთარი სინდისის წინაშე მართლად ყოფნა დიდი გამარჯვებაა საკუთარ თავზეც და ავბედით გარემოზეც.

13029. სულიერების სინდისი მზვერავია და ორივე სიკეთეს ემსახურება.

13030. გულფიცხობა სულიერი ობლობის ნიშანია.

13031. სულიერების ჭკუაზე სიარულს რა სჯობს, მაგრამ მატერიალურად არ ამართლებს და საბოლოოდ აზროვნებასაც ზღუდავს.

13032. ხორცის მკურნალი უპირველეს ყოვლისა სულია, რომელსაც ისეთი დაუდგენელი ძალა აქვს, რომ რწმენასა და შთაგონებას ერთდროულად გვაძლევს.

13033. ლოცვა-ვედრება ღვთის კიდევ ერთხელ გახსენებაა და სულიერების წინაშე ვალის მოხდა.

13034. აზროვნება სულიერებას უკეთ შეიცნობს, ვიდრე მის საკეთებელ საქმეს.

13035. სულიერი ჯანმრთელობის უქონლად ბედნიერებაც მალე ქრება.

13036. სიცოცხლის მადლისა და სიკეთის აღქმის უნარი სიკვდილის აღქმისა და ბოროტების ჩადენის უკუპროპორციულია.

13037. სიამაყე ხშირად საკუთარი ღირსების შეცნობას ნიშნავს და არა საკუთარ თავზე გადამეტებულ წარმოდგენას.

13038. სულიერება თავადვე უნდა ვიგრძნოთ, რადგან შთაგონება ვერ შველის.

13039. სულის სიტყვაში ჩადებას ნიჭთან ერთად გამოცდილება სჭირდება, მაგრამ საამისოდ საჭიროა განსჯადი სული გქონდეს.

13040. სურვილებსა და შესაძლებლობებს შორის კონფლიქტი სულიერების წამებას იწვევს.

13041. სინდისიც შემოქმედებით ნიჭსა მოითხოვს, რათა ცხოვრება არ გაირთულოს.

+13042. რაც სულიერებას არა ვნებს, ის ადრე თუ გვიან ხორციელებისთვისაც მისაღები გახდება.

13043. სულიერი სიკვდილი ყოველგვარ ხორციელ გადაგვარებაზე უარესია.

+13044. სულიერების გარეშე ხე შეშაა, ბალახი თივაა, ადამიანი მძორია.

13045. თუ მონათესავე სულებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს, ეს მეგობრობის ხინჯია, სამწუხარო ხინჯი.

13046. სულიერება წარმოაჩენს ადამიანის ხასიათს და აქ მთავარია, მის სურვილს როგორ მოეკიდება ნდობით აღჭურვილი მოყვასი.

13047. სულიერების ტანჯვაც უმთავრესად გარემო პირობებზეა დამოკიდებული.

13048. მათრახი გონიერების ნაჩალიჩევი იქნება თუ ტყავისგან დაწნული, მეტ-ნაკლებად ყველა სულიერს სჭირდება.

13049. სულიერებას ჩვენი უნიათობით ზოგჯერ ეშმაკს გადავაბარებთ და მონანიებას ვითხოვთ.

13050. სათნოებაც თავის კუთვნილ მორალს მოითხოვს, რათა მის არსს ჩავწვდეთ და გავითავისოთ.

13051. სულიერება ცხოვრების მცდელობის თვალით უნდა გავიფართოოთ.

13052. გამორჩეულობა ხშირად უგუნურების მატარებელი და მოტრფიალეა, რადგან თავისიანებში პირველობა ამრიგად უნდა დაიჩემოს.

13053. ამპარტავნება უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის მტრობაა, რადგან სხვას კიცხავს, განსჯის და თავის ნაკლოვანებებს უყურადღებოდ ტოვებს.

13054. ნაციონალიზმი სულის, სხეულის უსაქმურობით გადაღლის

შედეგია.

13055. ხშირად სულიერ სიმდიდრეს მატერიალური სიმდიდრის უქონლად თავის წარმოჩენაც უჭირს და შინაურებში ფეხის გადგმაც.

13056. რწმენასაც ყოველმხრივი დაცვა სჭირდება, რომ არ გადაგვარდეს, გაუფასურდეს და სულიერად არ დაჩმორდეს.

+13057. უსაქმურობა სულიერების კიბოა, დაუსაქმებლობა – სახელმწიფოს დამბლა.

13058. შრომის და ღვაწლის ტოლობა სიკეთეს იძლევა.

13059. სულიერებაც მარად სრულყოფის საცერში უნდა გატარდეს, რათა უფრო მეტად ბედს ეწიოს და არა უბედობას.

13060. სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესობას ზოგჯერ მატერიალური წარმატებაც ძალზე უწყობს ხელს.

13061. სულიერება მარად მოფრთხილებას, მოკრძალებას მოითხოვს, მისი მიუკერძოებლობის მიუხედავად.

13062. ასაკში განსჯის ხარისხი „ჭრაჭუნობს“, მაგრამ მისი სულიერება მატულობს.

13063. სიკეთის დაუფასებლობა გულს გვირევს, გონიერება ხმაურობს, ცნობიერებას ბინდი ეფინება.

+13064. სულიერი სექტების ოდენობაა მცირე, თორემ გაბაზრებული სექტების ოდენობა აურაცხელია.

13065. ერთ ადგილზე სულიერების დიდხანს დაბანდება დანაშაულის ტოლფასია – მასაც გასაქანი უნდა მივცეთ.

13066. ბევრის მსურველი ხშირად მცირედითაც კმაყოფილია, თუ ეგ მცირე მისი სურვილის „ჰიტია“.

+13067. სიკეთის დროებით დამარხვა შეიძლება, მაგრამ არა დასამარება.

13068. სულიერების დღესასწაულის მოწყობა ყველა ჩვენგანის სანატრელი ამბავია.

13069. სულიერების უსუსურობა ბევრ რეალურ და წამოსახვით დაავადებას გვახვევს თავს.

13070. ეპოქის ხმაურს ყველა ჩვენგანი სულიერადაც უნდა ეხმიანებოდეს, თუ გვინდა დროს მოვერგოთ და ჩვენი ყოფა გავალამაზოთ.

13071. სულიერი სიმდიდრე სიღარიბეს ქედს არ უხრის, მაგრამ დროს და გარემოს ეგუება.

13072. შემოქმედებისთვის მიზანდასახული, განათლებული ხალხის უგულობაა უბედურება და არა უფულობა.

13073. რწმენას არასოდეს თავი არ უნდა მოვარიდოთ, რადგან ის სულიერების გასალაღებლად გვჭირდება და არა ჭეშმარიტების დასადგენად.

13074. სულიერება მაშინაც ზეიმობს, როდესაც ის ნებაყოფლობით

უარს ამბობს მოწინააღმდეგის დაჩმორებასა და მის სიძულვილზე.

+13075. თავისუფალი სულის ადამიანის შეფასება ძნელზე ძნელია, ოღონდ, ამასთანავე, დიდი სიამოვნებაცაა.

13076. სულიერება სულ იმის მოლოდინშია, რაც სინამდვილეში არასოდეს მოხდება, მაგრამ მას მაინც სიამოვნებს ამაზე ფიქრი.

+13077. მოქნილი სინდისი საინტერესოა, გამოსაყენებელია, მაგრამ სანდო როდია.

13078. სიცოცხლე დროის გონივრული ხარჯვაა. დრო კი სიცოცხლის რაობის შეცნობაა, რაობა კი იმქვეყნად დაგვიანებით გადასახლებაზე ფიქრია, რადგან ყველა ფიქრი თავისებური მცდელობაა სიცოცხლის დაჭაშნიკებისა.

13079. ძლიერებას სულიერებაც უკანმოუხედავად ეტრფის.

13080. რწმენა საშუალებას არ ეძებს და თავადაც არ ითხოვს.

13081. სულიერების წარმოსახვის სხვადასხვა ფორმა და საშუალება არსებობს, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება.

13082. სულიერების მატება ხორციელის გაუფასურებას იწვევს.

+13083. სულიერების „აიწონა-დაიწონა“ ხორციელის „გაიყიდა – არ გაყიდას“ ეხმიანება.

13084. სულიერების სიღრმე, გულის კარნახით, ხორციელების წინააღმდეგ მარად შემართულია.

13085. სიკეთის კეთებას უმთავრესად მისი უანგარობა და სისუფთავე ამშვენებს.

13086. ამბობენ, სული უკვდავიაო, მაგრამ იმქვეყნად გადაბარგებულ ხორცს რომ დახედავ, – ეჭვი გეპარება.

13087. სულის საპყრობილიდან გაქცევა ადვილი იქნებოდა, ხორცი რომ არ გვენანებოდეს.

13088. სამართლის მარტო პურით გამოკვებაც შეიძლება, იმდენი განაწყენებული მშიერი დაბორიალობს მის მახლობლად.

13089. სისხლის ყივილიც, ძირითადად, სულიერების გამოძახილია.

+13090. სულიერად სხვის ხარჯზე გამდიდრებას მხოლოდ გონიერი ოპონირება ახერხებს.

13091. სიცოცხლის ფორმების დაუფლება, თუ ბედმა არ გვიმტყუნა, ცხოვრების მადლის შეცნობის წყაროა.

13092. ადამიანის ბრძოლის ველი საკუთარი სულია.

13093. თუ სიყვარული სულიერების გარეშე მოგზაურობს, ის სანდო არ არის.

13094. ცივილიზაციის მოძალება სულიერებას აძაბუნებს და მომხვეჭელობისკენ გვიხსნის გზას.

13095. რომელი უფრო ბედნიერია, ვისაც უყვარს თუ ვინც უყვართ? სულიერების ეგ ალგორითმი ამოუხსნელად დარჩება.

13096. უხმოდ ნატირალი გრძნობათა ღელვაც მეტ ჩოჩქოლს იწვევს სულში, ვიდრე ხმამაღლა ტირილი.

13097. დარია თუ ავდარია, ხელოვნების სულიერება მარადის უნდა ირჯებოდეს და იღვწოდეს.

13098. სულიერების სიყვარულით მოძიებას მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანი ცდილობს.

13099. სულს ხუნდების ახსნა მარად სჭირდება, იმისდა მიუხედავად, ადევს მას ეს ხუნდები თუ არა.

13100. მადლის და სიკეთის კეთება სულიერებას წვრთნის და აამაყებს.

13101. მადლის კეთება ბუნებრივად გულისხმობს პიროვნების სულიერ სილამაზეს.

13102. სულის გადარჩენაზე დაჟინებით მაშინ ვიწყებთ ფიქრს, როდესაც იმ ქვეყნის საგზურს შემოგვაჩეჩებენ.

13103. სინდისი არ კვდება, მაგრამ ზოგჯერ დიდხანს ავადმყოფობს.

13104. ზოგჯერ სულიერებაც დროის შესატყვის გარანდვას ითხოვს, მშვენიერების გათავისებით.

13105. სიტყვა – მადლით დამოძღვრა გონიერებას ათბობს, ხოლო სულიერებას ამკობს.

13106. იუმორი თავისებური დაუგეგმავი დასვენებაა, რომელიც ჩვენს სულიერებას ღიმილით ესალბუნება.

13107. სულიერების მაკიაჟის მოწესრიგებაა ყველაზე ძნელი.

13108. სიყვარული ლეგენდად იქცევა, თუ მას სულიერების მდინარე რწყავს.

13109. სათნოება კარიერის კიბეზე აუჩქარებლად გადაადგილდება.

13110. სული მარად თავისუფალი შეიძლება იყოს, ხორცისგან განსხვავებით.

13111. სულიერების პეპელა ფაქიზად დაფრინავს და რომელი უმადური ადამიანის მკერდზე დალევს სულს, არ იცის.

13112. ეტყობა, დედამიწა ბრუნავს სულის გარშემო და არა ჩვენი სული – დედამიწის გარშემო.

13113. სულიერი სილამაზე გარეგნობასაც ალამაზებს და მიმზიდველსა ხდის.

13114. ხშირად ანგელოზის პატრონს სული დემონისა აქვს.

+13115. სინდისი მცირედი გადაცდენის გამოც კი საკუთარ თავს შეურაცხყოფას აყენებს.

13116. სიკეთე უკან ყოველთვის ბუმერანგივით არ გვიბრუნდება, მაგრამ მის კეთებას ჩვენი ბუნება მაინც მოითხოვს.

13117. რწმენაც მატერიალურია და გამორჩენითია, რომელსაც სუ-

ლიერებას ვუთავსებთ.

13118. სულიერადაც ლამაზი იყო – ეს დიდი ბედნიერებაა.

13119. შევიწროება ყოველთვის ჩაგვრას არ ნიშნავს, მას თუ საფუძვლად სიკეთის კეთება უდევს.

13120. სულიერება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, ხშირად გონიერებაც იმას ამტკიცებს.

13121. სიკეთის შემოპარება გულისხმობს დაუმადლებლად და ჩუმად მის კეთებას.

13122. ზოგჯერ სულიერებასაც უნდა წავუმლიქვნელოთ და მოვეფეროთ, რათა არ დაჩმორდეს.

13123. მოვალეობათა გაუწყვეტლად სიცოცხლის გაგრძელება ვალდებულებაცაა და აუცილებელობაც.

13124. მოჭარბებული მოკრძალება, სიკეთის გაწევის სურვილს გვიკარნახებს.

13125. ბოროტებისადმი სიძულვილი სიკეთის, სიყვარულის, სილამაზის მაჩვენებელია.

13126. ტანჯვა-წამება სიცოცხლის გახანგრძლივებას ხელს არ უშლის, პირიქით, სულიერებას ავარჯიშებს და აწრთობს.

13127. სულიერების სტრიპტიზმი დღეს მოდაშია, მაგრამ განსჯადი გონისათვის ეს მიუღებელია.

13128. ყველა კეთილი საქმე ადრე თუ გვიან მეტ-ნაკლებად განსასჯელია.

13129. ზოგს ტანჯვა-წამება, სხეულის დათრგუნვა სიცოცხლეს უხანგრძლივებს. ეტყობა, ესეც სულიერების ერთგვარი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ვარჯიშია.

13130. შინაგანი წარმოჩენის საზღვრები არ უნდა დავარღვიოთ.

+13131. ემოციები უსახელოა, მაგრამ სასახელო საქმეებს გვაკეთებინებს.

13132. ადამიანისთვის უმთავრესია სულიერების მაკიაჟი, ვიდრე გონიერებისა.

13133. შეჯიბრში გამარჯვებული სპორტსმენები სიამაყეს გვგვრიან. ამიტომაცაა, რომ მათთვის თანხების ხარჯვა ბიუჯეტის ფლანგვად არ მიიჩნევა.

13134. სულით კუზიანს ვერც სამარე ასწორებს და ვერც ფსიქიატრის მცდელობა.

13135. სულიერების სიღრმეში ხედვის უნარს გარეგნული იერი ვერ სჯობნის და თავს დამცირებულად აღიქვამს.

13136. სულში შემძვრალი ეჭვის ჭიის დათრგუნვა ყოველთვის ძნელია.

13137. სულიერად რომ არ დაბერდეთ და ფიზიკურად რომ არ

გაირყვნეთ, უნდა შეგეძლოთ: სიყვარული, სიმღერა, ზომიერი სმა, საკუთარი თავის კონტროლი და, რაც მთავარია, მოყვასის შეძენა.

13138. სილაყე, უნიათობა ყველაზე მეტ ზიანს ჩვენს სულიერებას აყენებს.

13139. უსაქმურობას ყველაზე დიდი ზიანი სულიერებისთვის მოაქვს.

13140. ასაკობრივი დეგრადაცია, უმთავრესია, სულმა უდროოდ არ განიცადოს, თორემ ცნობიერება ამას ადრევეა შეგუებული.

13141. საქმისთვის ზოგჯერ სიმართლის თქმა წამგებიანია, მაგრამ სულიერებას ამკობს.

13142. გონიერი შრომა და ფიზიკური გარჯა სიცოცხლის ელექსირია.

13143. სულიერების მატერიალურთან შერწყმა ყველა დროში შემოქმედება იყო და ამადვე დარჩება.

13144. ყველა რწმენა საბოლოოდ მატერიალურია, რაც უნდა მაღალ ოცნებათა აბაზანაში ვაბანაოთ.

13145. უმთავრესია სულიერების გაწმენდა და არა ხორცის, რომელიც ზოგს აბანოში ტანის დაბანა ჰგონია.

13146. მშვენიერების აღქმა-გაგება – შეცნობას მის სულიერებაში ჩაწვდომა სჭირდება.

13147. ჩვენი სული სიკვდილის შემდგომ ცაში დანავარდობს და, რა მადლით დაგვყურებს, უკვე აღარ გვეკითხება.

13148. სული მარად გამოუსწორებელი ოპტიმისტი იყო და ამად დარჩება, გარედან რაც უნდა უკირკიტოთ.

13149. მდიდრული ცხოვრებისთვის ხშირად სინდისი საჭირო არ არის, მაგრამ მის პოსტულატებს ანგარიში უნდა გაუწიოთ, რათა უსინდისობამ საბოლოოდ არ იზეიმოს.

13150. სულიერებასაც თავისი ხმა აქვს, რომელიც ჩვენთვის ცაში იღვწის და ჩალიჩობს.

13151. სულიერების გარეშე დატოვებული სხეული, სადაც არ უნდა ჩაკვდეს, მაინც უპატრონო მკვდარია.

13152. თავისი მეობით კმაყოფილს სხვაც თუ კმაყოფილი ჰყავს, ეს ორივეს სულიერების გამარჯვებაა.

13153. ქალს მამაკაცის სიყვარულით უნდა უწამლოთ და მამაკაცს – ქალის თანაგრძნობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სულიერი ავადმყოფობა როდემდის გასტანს, არავინ უწყის.

13154. არსებობს სულიერების ხილული და უხილავი განსჯა, რომლის ხარისხსაც მისი შედეგი განსაზღვრავს.

13155. სულიერებას არავითარი სტატუსი არ აქვს. ის მრავალუცნობიანი განტოლებაა, რომელიც ზუსტ ამოხსნას არ ექვემდებარება.

13156. ზოგჯერ ჩვენი სულიერება უჩვეულო შარავანდედითაა განათლებული, რომელსაც რატომღაც ხშირად ვერ ვამჩნევთ.

13157. მუსიკა და პოეზია სულიერების ის ნაწილია, რომელიც მათ მიმართ უგულოდ განწყობილ ხალხშიც კი თავის ადგილს იკავებს.

13158. ბილწსიტყვაობა გარკვეულ პირობებში სულის გამოძახილია, არა გულისა და გონიერებისა.

13159. არჩევანს ყველა ვაკეთებთ როგორც მატერიალურის, ასევე სულიერის სასარგებლოდ და ამიტომაცაა, რომ ამდენ შეცდომას ვუშვებთ როგორც გონიერების საწინააღმდეგოდ, ასევე სულიერების საამებლად.

13160. სასურველია, ადამიანმა საკუთარი სულიერი სილაღე სხვების ჩაურევლად დაინახოს.

13161. ოცნებაზე ფიქრს გაჭირვებაც კი ვერ გვიკრძალავს, რადგან ოცნებას შეუპოვარი ბუნება აქვს და ზოგჯერ რეალობის აღქმაშიც გვეხმარება.

13162. სული ხორცზე მძიმეა, მაგრამ გონებას ამისი გადახარშვა, დაჯერება უჭირს.

13163. სიავე სიავით არ იკურნება, მაგრამ სულიერება ამას მოითხოვს გონივრული განსჯის გარეშე.

13164. დგება მომენტი, როდესაც ხატზეც უნდა დავიფიცოთ, რათა სინდისი გადავარჩინოთ.

13165. სხეულის ფიზიკური და სულის სულიერი მოვლა სიცოცხლეს მითიურად გვიხანგრძლივებს.

13166. სულიერი მოთხოვნები სქესობრივ მოთხოვნილებებთან შედარებით მუდმივია, რადგან ხორციელი სურვილები დროებითია.

13167. სურვილების განსჯა იდეალების გაქრობის ტოლფასია.

13168. ცხოვრების სულიერებას ღრმად არ უნდა ჩაუფიქრდეთ, თორემ აღმოაჩენთ, რომ არარაობა ხართ.

13169. შიში, შური და კომპლექსები სიცოცხლის საუკეთესო წლებს გვართმევს.

13170. სიყვარულიცა და მეგობრობაც გამძლეა, თუ სულიერება, სწორი განსჯა მხარს აუბამენ.

13171. სიკეთის კეთების დასამახსოვრებელი ალგორითმია მისი ჩუმად კეთება.

13172. კანონი სულიერების გარეშე სამართლიანად ვერ იღვაწებს და განსჯის.

13173. სულიერად ღარიბია ის, თუნდაც შემოქმედი, ვინც სიღარიბეს თავისი ნიჭის წარმოსაჩენად ეგუება.

13174. სულიერი სილამაზეა ის ფენომენი, რომელიც იმქვეყნადაც თან გაგყვება.

13175. სიკეთის საკეთებლად ყველა ჩვენგანი გამოვდგებით, რაც უნდა არასახარბიელო წარსული გვქონდეს.

13176. სულიერებას გრიმი არ უხდება.

13177. სიცოცხლის მადლს მაშინ შევიცნობთ, თუ ჩვენი მიზანი ურყევია და საქმის კეთება გვსიამოვნებს.

13178. ყველას გვინათებს სულს ამბიციური დევიზი: „დღეს ცხოვრებას თავიდან ვიწყებ“.

13179. სულიერების აღსრულების მცდელობასაც უნდა ვაკონტროლებდეთ, რათა მისი ფასი შევიცნოთ.

13180. სული უფრო მეტად არის დასაფასებელი, თუ ის ჯანსაღ სხეულშია მოთავსებული.

13181. სულიერების დიეტა ყველა ჩვენგანმა უნდა დაიცვას და განვთავისუფლდეთ შურის, მომხვეჭელობის, გაუტანლობისაგან, რათა სიკეთის კეთების მისწრაფება შევინარჩუნოთ.

13182. თანამედროვე ცივილიზაცია, უნდა – არ უნდა, სულიერებასა და ტრადიციებს ძირს უთხრის.

13183. სიცოცხლის აზრის პოვნა ყველაზე დიდი ადამიანური ბედნიერებაა.

13184. საკუთარი სახლი ჩვენი სულიერების ციხესიმაგრეა და ნავსაყუდელი, რომლის ხელყოფასაც ხშირად მათდა უნებურად შინაურები ცდილობენ.

13185. სულიერება მატერიალურზეც წინა დგას და მორალზეც, მაგრამ მას ხელის შეწყობა ძალზე რგებს.

13186. ზოგჯერ გადამეტებული სიკეთის კეთებაც დაუსჯელი არ რჩება და ესაა ამ ყოფის კანონზომიერების უცნაურობა.

13187. წარმატების რწმენა სიცოცხლეს გვიხალისებს და გვიხანგრძლივებს.

13188. ადამიანის სულიერ წყლულებზე ხეტიალი გონიერებამ არ უნდა იკადროს.

13189. სამყაროს გაუხეშება მოჭარბებული კონკურენციის ბრალია, რადგან მასში ყოფნა გონიერების აღქმას და სულიერების შეთბობას მოითხოვს.

13190. საკუთარ სულიერებაში ღრმად ჩახედული ადამიანი სხვათა გადაცდენას არ გააბაზრებს.

+13191. ავკაცობისთვის წიხლის ამორტყმა სულიერების დაუგეგმავი გამარჯვებაა.

13192. ადამიანი საფრთხის წინაშე სულიერებას სიცოცხლეზე მეტად აფასებს და ამ უკანასკნელს ორივე ხელით ეპოტინება.

13193. ქალის ღირსება თუ ამავე ქალის მომხიბვლელობას სჯობს, მაშინ იგი სულიერების შემდგარი დედოფალია.

13194. მოქალაქის უფლებებს გაუყალბებელი დემოკრატია უზრუნველყოფს როგორც პრაქტიკული, ასევე სულიერების თვალსაზრისით.

13195. ალტრუიზმი, ე.ი. საკუთარი თავის საზიანოდ ცხოვრება, მიუღებულია, წინ რაც უნდა დიდი სიყვარული და მოვალეობა გექაჩებოდეს, რადგანაც სიცოცხლის არსში წვრომა თავადვე უნდა მოასწრო.

13196. გონიერების იდუმალების აღქმაში სულიერების სიდუმლოებანიც დევს.

13197. ხალხი წარსულის შეგნებას აფასებს და ზოგიც ეთაყვანება, იმდენად მიუღებელია მისთვის დღევანდელობის სულიერება, გარყვნილება.

13198. სულიერება, რომელიც დიდ შინაგან სიყვარულს განიცდის, სიმშვიდის მომტანი ვერ იქნება.

13199. ძალადობის თმენას ხშირად სულიერება სიძულვილის გამოვლენით ცდილობს.

13200. სულიერების მუსიკა ქმნის ჩვენს განწყობას, აზროვნებას და ხშირად სწორ გადაწყვეტილებამდეც მივყავართ.

13201. სულიერება უჯამაგირო მოჯამაგირედ ყოფნაა, დგომაა, ოღონდ ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ.

13202. სულიერებათა განტოლების ამოხსნა პერსპექტიული პარტნიორის ვალია.

13203. დაფასებული სიცოცხლე სიხარულია, რადგან სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს პატარ-პატარა წარმატებანი და არა წლების მატება.

13204. სულიერების რყევადობის ამპლიტუდას ანგარიშიც უნდა გავუწიოთ და თანაც უნდა გავუგოთ.

13205. საკუთარი სულიერების ღრმა წვდომა ზოგჯერ სიამოვნებას გვანიჭებს.

13206. წყვილი უნდა ეცადოს, იყვნენ ერთმანეთის სულიერი პარტნიორები, რათა სიყვარული არ განელდეს.

13207. უმეცრება და უსამართლობა უპირველეს ყოვლისა სულიერებას ვნებს და ჩვენი გონების მწყობრიდან გამოყვანასაც ახერხებს.

13208. სულიერების სიყვარულით შეცნობა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უღიმღამოა და მისი ფასი კაპიკია.

13209. სინდისი თავისებური ქიმერაა, ურომლისოდაც ყისმათსაც თავის წარმოჩენა უჭირს.

13210. სურვილებს ყველაზე მომხიბვლელი ამბები აქვთ, რომლებიც არ დეკლარირდება.

13211. მადლიერების გრძნობაც პოზიტივია, თუ ამ გრძნობას სიცოცხლის ბოლომდის შევინარჩუნებთ.

13212. სიკეთის კეთებას არც დაყოვნება უხდება და არც დაყვე-

დრება, რადგან ის შენი სულიერების საიმედო სერობაა.

13213. სიცოცხლის ვალის გასტუმრების მცდელობაა, მძიმე მდგომარეობაში რომ აგდებს ქვეყანასა და უნიათო ამომრჩეველს.

+13214. სიშიშვლეს თუ სულიერი კდემამოსილებაც არ ახლავს, ის მრუშობისთვის არის განწირული.

13215. სიცოცხლის მოფრთხილება ჩვენი ცნობიერების გადარჩენის ტოლფასია.

13216. სერიოზული ინოვაციების დასამკვიდრებლად საზოგადოება სულიერად სათანადოდ ვერ იკვებება.

13217. მადლის კეთებას ხელმომჭირნეობა და ანგარება არ უხდება, რადგან ის სულიერების საქმეა.

13218. ამ სამყაროში ჩვენს ადგილს იმქვეყნად ჩვენი გადაბარგების შემდეგაც ვერავინ დაიკავებს, რადგან ყოველი ჩვენგანი სრულიად განუმეორებელია.

13219. თავდაპირველი სიცოცხლეა, შემდგომ მოდის აღზრდა და ტრადიციები, შეფუთვნულ იდეალებთან ჭიდილი უკეთესი ცხოვრების მოსაპოვებლად.

13220. სიწმინდე სულიერებაშია და არა გონიერება-ცნობიერებაში.

13221. მიწიერი გამორჩენა რატომღაც სჯობნის სულიერს, განსაკუთრებით მაშინ, თუ პიროვნება მიუწვდომელია, განაწყენებულია და დროსა და კარიერაზე ფიქრობს.

13222. რწმენის შეცნობა და აზრთა ურთიერთგაზიარება სულიერების დამუღამების საწინდარია.

13223. ჩვენს სულიერებას ბევრი რამ დააკლდება, თუ საკუთარ სურვილებს შევზღუდავთ და დავაჩიავებთ.

13224. ის სიმართლე, რომელიც ჩვენს მისწრაფებებსა და ამბიციებს წირვას გამოუყვანს, არაფრად გვჭირდება.

13225. ადამიანი ხშირად პრაქტიკულად იმას ვერ აკეთებს, რაც მოსწონს და უნდა, მაგრამ სულიერება თავის ნაოცნებარზე უარს არასოდეს ამბობს.

13226. თავისუფლება უპირველეს ყოვლისა სულიერების თვითრეალიზაციაა, როცა არც მატერიალური ავიწყდებათ.

13227. ბაზარზე ორიენტირებული მეცნიერებაც კი სულიერებასა კარგავს.

13228. ზემოდან დაგეგმილი სიცოცხლე, იმისდა მიუხედავად, თუ რა ხასიათზე დაგვაყენებს, თავის წარმოჩენის მცდელობაზეა დამყარებული.

13229. ახალგაზრდობა მეამბოხე სულიერების გარეშე იგივეა, რომ თითქოსდა მას ჯეელობის ნანატრი წლები უქმად გაეხარჯოს.

13230. ზოგისთვის დამფრთხალი, უპერსპექტივო სიცოცხლე უფრო

დიდი ტანჯვაა, ვიდრე იმქვეყნად სუიციდით გადასახლება.

13231. გრძნობებს მშვენიერებასთან შეხვედრა აამაყებს და აკეთილშობილებს.

13232. გრძნობების გაგება ძნელია, მაგრამ მათთან შედეგიანი შერკინება გვეამაყება და გვახალისებს.

13233. სულიერი კავშირით ვამყარებთ ურთიერთობას და არა ხორციელით, რომელიც დროებითია და ზოგჯერ მოსაბეზრებელიც.

13234. შენი საყვარელი საქმის კეთება სულიერების თერაპიაა.

13235. სულიერების ყველა ვარიანტს სოლიდარობა უნდა გამოვუცხადოთ, რათა ნერვები არ ავიშალოთ და იმქვეყნად უდროოდ არ გადავსახლდეთ.

13236. სამარხი სულიერების განუძარცველად რჩება და ყურადღებას იპყრობს. ესეც განგების ნებაა.

13237. სულიერების ალგორითმებს მოკლებული ყველა მცნება, მცდელობა, მათ შორის სიყვარულიც, გადაგვარდებოდა.

13238. ჩვენი ცოდვები და ხასიათი გრძნობებს ვნებს, სულიერებას გვიხუთავს.

13239. სიცოცხლე თავისებური ვნებაა, სულიერების გაჯირითებით, რომელსაც კონკურენტი არ ჰყავს.

13240. სიყვარულის გაღმერთების გზაზე შური სიძულვილის ვეზირად არ გამოდგება.

13241. სულიერად ყველა ჩვენგანი ოცნებების, მხატვრობის, სურვილების მსხვერპლია.

13242. სიახლის შექმნა და დანერგვა სულიერებას მალამოდ ექცევა.

13243. პატარ-პატარა უმტკივნეულო ტყუილი სულიერებას გვილამაზებს და პრობლემებს დროებით აჩუმათებს.

13244. იმიჯი ჩვენი სულიერების ღმერთია, რომელიც ჩვენს წარმოჩენა-გამოჩენა-დამახსოვრებას ხელს უწყობს.

13245. სიკვდილის გონიერებით გაცნობიერებასაც ვაჟკაცობა და სულიერების თანადგომა სჭირდება.

13246. სისულელის კეთების ყურებას მოთმინებასთან ერთად ცხოვრების გამოცდილება სჭირდება, რადგან განგებას ამ დროის გამოყენება ამრიგად აქვს დაგეგმილი.

13247. სულიერების ყივილის გენეტიკური კოდი ყოველივეს განსაზღვრავს და განსჯის.

13248. სინდისის ნარჩენები მეტ-ნაკლებად, გვინდა – არ გვინდა, ყველას შერჩენილი გვაქვს, რადგან პასუხი ამქვეყად თუ არა, იმქვეყნად ყველას მოეთხოვება.

13249. მუქთის სიყვარული, მოუწესრიგებელი ცხოვრება და

გაუმაძღრობა წონაში მატებასა და სულიერების გადაგვარებას იწვევს.

13250. ზოგიერთი ქალი იმდენად გვიყვარს, რომ მის დავიწყებას ვცდილობთ, რადგან წინასწარ ვგრძნობთ: მისი ხიბლის შესაფერის ცხოვრების პირობებს ვერ შევუქმნით და ამით მისდამი ტრფობას დავაზიანებთ.

13251. მართალია, სიყვარულს ასაკი არ აქვს, მაგრამ წლების მატება მის ვნებას და მის შესაძლებლობებს აკნინებს.

13252. სულიერი სილამაზე არ ბერდება, არც ნაოჭები უჩნდება და არც ჭკნება. ის მუდმივია.

13253. სული ეკლესიაში უნდა გაიწმინდოს, ხორცი – აბანოში. ასე უფრო გასაგები და ადამიანურია.

13254. სასწაულის საიდუმლოება რწმენის დამკვიდრებაა, რომელიც ჯერ არავის განუსაზღვრავს და ბოლომდის არც არავის შეუცნია.

13255. საკუთარი სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებას ხელი უნდა შევუწყოთ და თვალყური ვადევნოთ, რათა ის ჩვენდა შეუმჩნევლად გარეშეებმა არ გარყვნან.

13256. მარხვის შენახვის აზრი უფრო სულიერების დაპურებაა, რათა სხვებმაც გაითავისონ მარხვის განრიგი, მცდელობა.

13257. სულიერება გონიერებისა და სხეულის გაწმენდა სინონიმებია. ისინი სიკეთის კეთებისკენ არის მიმართული.

13258. ჩვენი სულიერების შესატყვისი საქმენი შეძლებისდაგვარად უნდა ვაკეთოთ, ხოლო, რა გამოვა ამ მცდელობიდან, ამას მომავალი გვიჩვენებს.

13259. სულიერებით ამაღლებასაც ცხოვრების გამოცდილება სჭირდება.

13260. გარანტირებული კეთილდღეობა სულიერებას ვნებს, რადგან მას განსჯად-დასაფიქრებელს ართმევს.

13261. სულიერება და სიკეთე თავიანთი უბრალოებით უნდა წარმოჩნდნენ, რომ მათ ფასი დაედოს.

13262. ზოგჯერ გარდაცვლილი სულების წინაშე თავს უხერხულად ვგრძნობთ, რადგან მათ უდროოდ და დაუმსახურებლად დატოვეს ეს სამყარო.

13263. ბავშვის სულიერი სამყაროს აღქმა და გაგება თვითმყოფადობის გაცნობიერებას მოითხოვს.

13264. ზოგჯერ სიკეთეს უგვანობისთვის ალიყურის ჭმევაც უხდება, რათა მას გაუგონ და სათანადოდ დააფასონ.

13265. ღირსებას სიკეთის კეთებისკენ ლტოლვა აყალიბებს და აღაფრთოვანებს.

13266. ზეგარდმო მოვლენილ სიყვარულს სიკეთის აღსრულებისკენ მივყავართ და არა ურთიერთშერწყმისკენ.

13267. სიამაყე, პირველ ყოვლისა, თავის მეს უნდა გრძნობდეს, იყოს ცოდნით აღჭურვილი და ჰქონდეს თავის წარმოჩენის უფლება.

13268. სულიერება ყველაზე ფაქიზი მექანიზმია და პიროვნების აღზევების შემადგენელი ნაწილიც.

13269. გულგრილობა სულიერებას ამოკვეთილი აქვს სხეულიდან მისი უპასუხისმგებლობის გამო.

13270. სამყაროს სულიერების დინამიკის კანონები მოძრაობა-გადადგილებაზე არის დამყარებულ-გათვლილი.

13271. სულიერების ტანჯვა გაბახების გზით მის სიკვდილს ნიშნავს.

13272. მიუხედავად იმისა, რომ სული არ ბერდება, მისთვის სიბერე ტვირთია, რადგან შეზღუდული შესაძლებლობები აქვს.

13273. ოცნების აუხდომლობისას სურვილების სისტემა დაინგრევა, რწმენა დაიკარგება, სიცოცხლის მადლის შეცნობის შესაძლებლობა მოისპობა.

13274. სულგრძელობა დათმობასაც ნიშნავს, მაგრამ არა ხელაღებით და წინდაუხედავად.

13275. სულგრძელობაც წინდახედულებას საჭიროებს. უამისოდ, შესაძლოა, სიბრიყვე გამოდგეს.

13276. სიყვარული გულთან გონიერების შერწყმის მცდელობაა, რომელსაც სულიერების რეზოლუცია უნდა დაედოს.

13277. სულიერებას უნდა მივაწონოთ სიკეთის გაბატონება, რადგან გონიერება და კანონი სიკეთის დასამყარებლად ხშირად უძლურია.

13278. სულიერების მოწოდება სიწმინდეა, თუ საზოგადოება უგუნური მოქმედებით ხელს არ შეუშლის.

13279. ვეცადოთ, იმაზე უკეთესები ვიყოთ, რაც ვართ – სულიერად მაინც.

13280. სულსა და სხეულს მცონარობის უფლება არ უნდა მივცეთ, რათა არ გაზარმაცდნენ და თავიანთი დანიშნულება ბოლომდის ვერ აღიქვან.

13281. ვეცადოთ, ისეთებივე დავრჩეთ სულიერად, რაცა ვართ და გადასხვაფერებას არ ვეცადოთ – თუ გვინდა საკუთარი თვითმყოფადობა შევინარჩუნოთ.

13282. უგუნურებისთვის ხელის გამწვდენელნი საკუთარ სულიერებას ინაგვიანებენ.

13283. სიცოცხლეში სიკვდილზე ფიქრი სხეულის დაძაბუნებისა და ჭკუის „ღრძობის“ გარანტიაა.

13284. სიმდიდრესა და სიღარიბეს სულიერი განწყობა განსაზღვრავს, რადგან ორივე შეფარდებითია დროის, გარემოს და გონიერების თვალსაზრისით.

13285. სიამაყისთვის გაღებული ჩვენი უჩინარი ცრემლებია, ჩვენს სულიერებას რომ ასაზრდოებს.

13286. განმარტოებული სული უფრო დიდ შემოქმედებით წვას განიცდის, ვიდრე კეთილის მდომებით გარშემოტყმული.

13287. არც დაბადებით იწყება სიცოცხლე და არც გარდაცვალებით მთავრდება, თუ ის პიროვნებაა.

13288. დღეს გენის შესწავლასთან ერთად კაცობრიობა გაახალგაზრდავებისკენ მიილტვის. ამასთანავე, სიცოცხლის ფასი იზრდება.

13289. ზოგჯერ საკუთარი სულიერი კანონები უნდა იქონიოთ, რათა სამართლიანობამ იზეიმოს.

13290. ლოცვა-ვედრება მუშაობა არ არის, რადგან ის სულიერებას თითქმის ასაქმებს, მაგრამ გონიერებას თითქმის არ უხმობს.

13291. სულიერებისკენ მისწრაფება უპირველეს ყოვლისა გულმა უნდა იგრძნოს და შემდგომ – გონიერებამ.

13292. თანდაყოლილი სულიერების უქონლად ჭირს რწმენით ცხოვრება.

13293. სულიერებას საქმის კეთებით სცემენ პატივს და არა სიტყვით.

13294. სულიერება სიკეთესა და სიმტკიცეს გვმატებს და თვალისთვისაც უფრო მეტად შესამჩნევი ხდება.

13295. სიკეთეს უვიცი და ბრძენი სხვადასხვაგვარად აღიქვამენ, მაგრამ მასზე თვალის შევლებას ორივე ცდილობს.

13296. ნაღვლიან ნეტარებას თავისი შეუცნობელი მადლი ახლავს.

13297. სარკეში ხშირი ყურება სინდისის საჭიროებას გვაგრძნობინებს.

13298. სულიერების აღზრდას ნიჭთან ერთად დროს მხარდაჭერა და ბედისაგან ხელის წამოკვრა სჭირდება.

13299. ეცადეთ, პირად ცხოვრებაში რაიმე ახალი შემოუშვათ, თუ გინდათ, მარად ახალგაზრდული სული შემოგრჩეთ.

13300. საკუთარი თავის შეცნობა სულიერების აღმოჩენითა და მისი სხვათა სულიერებასთან შეჯერებით იწყება.

13301. მხოლოდ საყვარული საქმის კეთებაა სულიერი დასვენება, ხოლო სხვა ყოველივე ბრძოლა და ფიქრია.

13302. ცხოვრებას იმდაგვარად უნდა გავეთამაშოთ, რომ სხეულმა თუ არა, სულიერებამ მაინც იგრძნოს შვება.

13303. სიცოცხლე პარადად და აღლუმად არ უნდა ვაქციოთ, რადგან გაურჯელად ის არარაობაა.

13304. სიკეთის კეთებაც მასშტაბური ღონისძიებაა და ისიც გაცნობიერებასა და გათავისებას მოითხოვს.

13305. ყოყმანი ბოროტებას ამრავლებს, რადგან ამ უკანასკნელს

ყველაზე მეტად უხდება სულიერების მიერ ხელის გალაწუნება.

13306. ცხოვრება ისე მარჯვედ უნდა განვლოთ, რომ სულიერებას დაბერება-დაჩმორების უფლება არ მისცეთ.

13307. პატიოსნება მოითხოვს, ხშირად გამოვაღვიძოთ ჩვენი სულიერება.

13308. გარეგნობისაგან განსხვავებით, სულიერი სიმახინჯე უფრო შესამჩნევი და საზიანოა.

13309. ქორწინება თავისებური რისკის მატარებელია, მაშინაც კი, როდესაც კეთილმოსურნენი მხარში გიდგანან და შენი ბედნიერებით ყველა გახარებულია, რადგან აქ ორი სულის შერწყმასთან გვაქვს საქმე, რომელთაც მხოლოდ სურვილები არ აბედნიერებს.

13310. სიმართლის და სამართლიანობის გამჭვირვალობა ჩვენ სულიერ ძალას გვმატებს.

13311. სულიერი მშვენიერების დაკნინება უფრო შესამჩნევი და დასანანია, ვიდრე გარეგნულისა.

13312. სულიერებისთვის განკუთვნილი დღესასწაული მისთვის მინიჭებული თავისუფლებაა.

13313. ყველა ქვეყანას თავისი სულიერება და ცნობიერება აქვს.

13314. სხვათა სულში ხელის ფათური მიუღებელია, მით უფრო, რომ ვერც ვერაფერს გააგებინებ, ვერც რასმეს შეასმენ და ნაწყენებიც დაგრჩებიან.

13315. ერთგულების შენარჩუნება სულიერი სიწმინდის გარანტიაა.

13316. სჯობს სხვისი ცხოვრება ზოგჯერ ირონიით გაიზიაროთ და შეაფასოთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასცინოთ, რადგან ადამიანს სულიერი ტკივილი უნდა მოუშუშო და არა სულში ჩააფურთხო.

13317. მახსოვრობა კარგია, თუ ის სიცოცხლის გახანგრძლივებასა და საკუთარი თავის გამხნევებაში ხელს გვიწყობს.

13318. სიყვარული ფართო ცნებაა, მაგრამ წყვილის ურთიერთშერწყმა მთავარია.

13319. შეყვარებულ ქალს თვალი მორცხვად უელავს, რადგან სიყვარული თვალებსაც შინაგანად ცვლის და აკეთილშობილებს.

13320. გულგრილობა სულის დაავადებაა, რომელსაც გონიერება ეწინააღმდეგება, თუმცაღა მისი განკურნება უჭირს.

13321. სულიერებას მისთვის გასაგები ლოცვები აქვს, რომელთა გარეშეთათვის გაგება ძნელია.

13322. სულიერებას თავის მოკატუნება და მარტოობა არ უყვარს.

13323. სულიერების სტრიპტიზს არ მიესალმებიან, მაგრამ თავის წარმოჩენა-გამოსაჩენად დღეს ის აუცილებელია.

13324. სიკეთის მდომი ლოგიკა და ესთეტიკა სინდისის ზეობას,

ამაღლებულ სულიერებას მიესალმებიან.

13325. წინააღმდეგობის დაძლევით მოპოვებული მიღწევების გახსენება განსაკუთრებით ესალბუნება გულს სიბერეში.

13326. თუ ვარსებობთ, სიცოცხლის მადლიც უნდა გავაცნობიეროთ და პატივიც მივაგოთ, თუნდაც ღირსეული შთამომავლის ამ ქვეყნად მოვლინებითა და აღზრდით.

13327. სულიერი აღზრდაა, ფრთებს რომ გვასხამს და ამ დროისთვის გაუგებარ გაუკეთებელს გვაკეთებინებს.

13328. სიყვარული იმდენად ნიჭი არ არის, რამდენადაც შემთხვევა, ბედისწერა და ამას ხშირად დაღვინებისას ვხვდებით.

13329. ადამიანის დაღალატებაზე ყველას მიუწვდება ხელი, ვისაც არ ენაღვლება, გარდა სულიერად მაღალი ადამიანისა.

13330. ღალატის, სიღარიბის, პრინციპულობის წინ წამოწევა შეუთავსებლობას იწვევს წყვილთა ურთიერთობაში, ხოლო მათი დაშორების მიზეზი კი სულიერების შეუთავსებლობაა, ცნობიერების სხვაობაა.

13331. პოეზიის შექმნის უნარი სიცოცხლის ლაღად შეცნობის უნარს გვმატებს და სულიერად გვაახალგაზრდავებს.

13332. აწეწილი სულის დამშვიდება ხელოვნების დარგებს ძალუძს და მათდამი უყურადღებობა დანაშაულია.

13333. სულიერების მუსიკად ქცევა ნიჭია, თუ იგი დროის მოთხოვნას ეხმიანება.

13334. სულიერებას თავდაჯერება ათამამებს, რაც პიროვნული სიამოვნების წყაროა.

13335. ფეისბუკის „ლომკას“ და კომპიუტერის მონობას დღეს საზღვრები არ აქვს და სულიერი გარყვნილებისკენ გვიბიძგებს.

13336. ცხოვრების თავიდან დაწყება არასოდეს არის გვიან, თუ სულიერება ამისათვის მზად არის.

13337. სულიერი სიჯანსაღე მყიფეა და მსხვრევადი. მას კეთილდღეობამ ზურგი უნდა გაუმაგროს.

13338. პიროვნული დაპირისპირება და ბრძოლა ადამიანს სულიერად აბერებს, იმისდა მიუხედავად, იმარჯვებს თუ მარცხდება.

13339. სულიერი ვარამის ყველაზე კარგი მკურნალია პიროვნების დასაქმება მისივე სპეციალობით.

13340. პიროვნული კარჩაკეტილობა და განმარტოება გარკვეულ სირთულეებს უქმნის ჩვენს ცნობიერებას.

13341. აკრძალვების დაძლევასაც ზოგჯერ გონიერებისთვის გაუგებარი, მაგრამ სულიერებისთვის მისაღები სიამოვნება მოაქვს.

13342. ემოციები სულიერების გამდიდრებას ემსახურება და არა ყველასთან სამეგობრო გზათა ძიებას.

13343. სულიერების მიმართ წამლიქვნელება გონიერების უაზრო ხარჯვას იწვევს.

13344. სიკეთის კეთებას გაპიარება არ სჭირდება, მაგრამ ზოგჯერ გახსენება საჭიროა, რათა დავიწყებას არ მიეცეს და მისი კეთების წადილი სხვებსაც გაუჩნდეთ.

13345. განუსჯელი შეცდომების კრიტიკა სულიერი განკურნების ერთ-ერთი სახეა.

13346. სული ზოგჯერ გონიერების პროვოცირებას ცდილობს ადამიანების საკეთილდღეოდ.

13347. ქალისა და კაცის მეგობრობას სულიერებაც არ ცნობს, რადგან ეს უნიათობა ვნებათა ღელვისთვისაა განწირული.

13348. დარდი ზოგჯერ ბოროტებას უხმობს, იმდენად აქვს ზოგს სული დამძიმებული.

13349. სიყვარულმა გატაცება იცის, თავდავიწყება, თავის გამოდება, აზარტში შესვლა და ყოველგვარი საღი აზრის უკან მოსროლა.

13350. სულიერი სიმშვიდის გარანტიაა ნერვების მოთოკვა, თავის გაკონტროლება და გულის გადაყოლიება.

13351. სასოწარკვეთა ხშირად კონტროლს არ ექვემდებარება, იმდენად დიდია სულიერი ტრავმა.

13352. განგებასთან საკუთარი სურვილით გაბაასება სულიერების მოთხოვნის შედეგია.

13353. წარმატების მიღწევა ბედნიერებაა, წარმატების გზაზე სიარული ხალისია. ასე რომ, ორივე ადამიანის სულიერი სიმდიდრის წყაროა.

13354. სიკეთე კოჭლობითაც მოდის, თუ ამის დიდი სურვილი გვექნება.

13355. მოსახლეობის დასაქმება და მისი სამუშაოთა მოძიება საუკეთესო წამალია სულიერი უკმარისობის სამკურნალოდ. ასეთი წამალი აფთიაქში არ იყიდება.

13356. ძლიერისთვის ქედის მოხრის გონივრული უნარი დროებითია და ზოგჯერ საჭიროც, მიუხედავად იმისა, რომ სულიერებისთვის მიუღებელი და დასაგმობია.

13357. ადამიანი სულიერებას ტრადიციების აგურებით აშენებს და არა განათლების ჭოჭინაკით – ბლოკით.

13358. სულიერებაში უფრო მეტი გონიერება დევს, ვიდრე გონიერებაში – სულიერება.

13359. მიუხედავად იმისა, რომ სულიერება ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნაა, მატერიალური მას ძირს უთხრის.

13360. არ უღალატო, არ უგანო იმას, რაც გწამს, სულიერების დიდი დაფასებაა.

13361. სულიერება თავისუფლების სინონიმია, რომელსაც აღქმასთან ერთად დაფასებაც სჭირდება.

13362. სინდისის ქენჯნა სულისთვის მძიმე და მხუთავი თუ არ არის, ე.ი. არც ისე დიდი ცოდვები ჩაგიდენიათ.

13363. სულიერების შიში არ იცის, ვისაც ავანტიურისკენ აქვს მიდრეკილება, რათა წარმოდგენითი კუთვნილება მიიღოს.

13364. ამბობენ, სულიერებას სიღატაკე აკეთილშობილებსო. ეს მცნება ძველი გადანახარშია, რადგან შეძლებისა და ქონების უქონლად წარმატების შეცნობა და აღქმა შეუძლებელია.

13365. სულიერ სიყვარულს სიბერე სათოფე მანძილზე არ ეკარება.

13366. გადამეტებულ-მოჭარბებული, მათ შორის სიყვარულიც, გაუგებრობიდან სიძულვილში გადაიზრდება.

13367. სულიერი აღზრდა უმთავრესია სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და მისი დღეგრძელობისათვის.

13368. სულიერმა ურთიერთგაგებამ უკეთ იცის მეგობრობა და არა მხოლოდ ფიზიკურმა სიახლოვემ.

13369. სულიერებაც მისთვის გასაგები ლოცვებით საზრდოობს, რაც განსჯას არ ექვემდებარება.

13370. სამუშაოს მოძიება და ნახვა ყველას შეუძლია. აქ მთავარია სულიერმა მისკენ გაიწიოს და გულმა სათავისოდ აღიქვას.

13371. დანუგეშებით, ერთის მხრივ, სხვებს ტკივილს უმსუბუქებ, ხოლო, მეორეს მხრივ, მოვალეობას იხდი საკუთარი სულიერების წინაშე.

13372. სულიერება ამპარტავნობას ვერ იტანს. მისი მოწოდება ადამიანის ამაღლებაა.

13373. სულიერების სასახლე ოცნებით მაინც უნდა ვაშენოთ, თუ გვინდა, სიცოცხლეში კომფორტი შევიქმნათ.

13374. სულიერებას თუ შთაგონებასაც შევუხამებთ, ბედი მაშინ ჩვენს მხარეს აღმოჩნდება და იღბალიც ხელს მოგვიმართავს.

13375. ყველაზე ძნელია საკუთარ სინდისში ჩახედვა და მისგან საღი აზრის გამოტანა.

13376. სიტყვის მადლი უპირველეს ყოვლისა სულიერების წარმომჩენია, მაგრამ ავტორის ვნება-ნებას სრულად ვერ გამოხატავს.

13377. ჯანსაღ გულში სულიერება აღფრთოვანებით დაეხეტება და სიცოცხლისადმი სიყვარულს ქებას ასხამს.

13378. შიგადაშიგ სულიერების ფსკერიც გაწმენდას მოითხოვს, რათა სიავის ნამსხვრევებმა იქ თავი არ მოიყაროს.

13379. შეყვარება სათნოსაც უხდება, თუ ტრაბახი არ უყვარს და ზომიერებას იცავს.

13380. სიკეთის კეთება აუცილებელია, იმისდა მიუხედავად, გაიხ-

სენებენ, დაგიფასებენ თუ თვითონაც სიკეთის მკეთებლები გახდებიან.

13381. სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებას ბოლო არ უჩანს და, ეტყობა, ესაა კაცობრიობის განვითარების ანიცა და ბანიც.

13382. სულიერებაც თავისი დროის და განწყობის ნაშიერია.

13383. სულიერებისთვის ზოგჯერ აღიარებაც ცხარე საწებელია, რომელიც პატარ-პატარა დოზებით უნდა მივართვათ.

13384. საბოლოოდ დაფასებული სიკეთეც დიდებისა და თავის წარმოჩენისათვის არის გამიზნული.

13385. მემკვიდრემ მშობლებისგან არა მარტო ქონება, არამედ სულიერების ნაწილიც უნდა მიიღოს და შეისისხლხორცოს.

13386. სიკეთის ქმნას დამსახურება უნდა, მაგრამ ხშირად თავად სიკეთეა ბრმა და უაზრო.

13387. ზოგი ყოფიერების ჭუჭყს აბაზანაში ყოფნის შემდგომაც ვერ იშორებს, იმდენად გამჯდარია ეს ჭუჭყი მის სულიერებაში.

13388. სიკეთის კეთება დაგვიანებული არასოდეს არ არის, თანამედროვეებს თუ არა, ისტორიას მაინც დარჩება მოსაგონებლად.

13389. სინდისიც გადამოწმებასა და თავისი დროს შესატყვის შეფასებას მოითხოვს.

13390. წლის ბოლოს წარმატებით ჩაბარებული შენი სიცოცხლის გახანგრძლივების ხელის შემწყობი კრედიტი სულიერების აყვავების მომასწავებელია.

13391. საიდუმლო შენი სულიერების პატიმარია, ის ღალატსა და გაცემას ვერ იტანს.

13392. სულიერების მოწოდებაა – სილამაზის ძიება და იგი აუცილებლად იპოვის თავის რჩეულს.

13393. ფილოსოფია სულიერებისათვის არის ფასეული, თორემ ხორციელება მას ხშირად უყურადღებოდ ტოვებს.

13394. სხვათა უიღბლობაში საკუთარი უიღბლობის განჭვრეტამ, შესაძლებელია, რაღაც დადებითი სულიერი მუხტი შეგმატოს.

13395. მდიდარ სულს უამრავი მიდრეკილება აქვს. აქ მთავარია, ყურადღებას იგი ემოციებზე შეაჩერებს თუ გონიერებაზე.

13396. სულიერი წონასწორობის დარღვევა ყველა დაავადებისა და ბაცილის შეყრის საწინდარია.

13397. ხასიათთა შეჯერება, უპირველეს ყოვლისა, სულიერების საქმეა.

13398. მეტი სულიერების ქონა, ვიდრე აზრებისა, ჩვენს დაუღვინებლობასა, განუსჯელობასა და ახალგაზრდობაზე მიუთითებს.

13399. სინდისისა და პატიოსნების მიმართ დაუდევარი დამოკიდებულება მათ დევალვირებას იწვევს.

13400. სულიერების გონიერებაში მოგზაურობის გეგმის გამოვლე-

ნაა ძნელი, მაგრამ ერთობ საინტერესოა.

13401. შემოქმედი თავისებური მკურნალია, თუკი მის ნაღვაწს გულით აღვიქვამთ და სულიერად გავითავისებთ.

13402. სინდისის პარამეტრების სხვისთვის გადაუცემლობა და მისი შენარჩუნება გონიერთა საქმეა.

13403. ყველა სევდაში იმედის ნაპერწკალი კრთის და მათი შემჩნევა მხოლოდ სულიერი სიმშვიდის დროსაა შესაძლებელი.

13404. ბოზობა, მეძავეობა, გარყვნილება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა სხვადასხვა კონტექსტში განიხილება და მისი გაიგივება, შერწყმა, ურთიერთმორგების მცდელობა სულიერებას რყვნის და გონიერებას აკნინებს.

13405. სულიერების დენთის გამოყენებას ცოდნასთან ერთად ჭკუის მოხმობაც სჭირდება.

13406. სულიერი ჭრილობები ბოლომდე უნდა გავაშიშვლოთ, თუ გვინდა, მას გონივრულად ვუმკურნალოთ.

13407. სარკე ჩვენი სულიერების წარმომჩენიცაა, გარეგნული ნაკლისაც, სილამაზის წარმოჩენაზე რომ არაფერი ვთქვათ.

13408. სულიერებას სუნამოს სუნი არ ასდის, მაგრამ დიდი სიამოვნების მომტანია.

13409. სულიერება განსაზღვრავს და განსჯის ჩვენს ძალას, გონიერებას, შემართებას.

13410. გული აწმყოს მსახურია, გონი-მომავლისა, ხოლო სული წარსულის მოტრფიალეა.

13411. სულიერებას დასკვნების გამოტანა უჭირს, როცა გულის მიმართ წამლიქვნელებას ცდილობს.

13412. სიკეთის კეთების სურვილს ბოროტება ხელს ვერ შეუშლის, თუ სიკეთის მკეთებელი ინდივიდია, პიროვნებაა.

13413. ზნეობრივი პოსტულატების გაძლიერება სულის დამშვიდება და განსჯის უნარის მოპოვებაა.

13414. მაცოცხლებელი სულიერება გონიერების საცხონებლად არ გამოდგება, რადგან მასაც გარკვეული ხარვეზი ახასიათებს.

13415. სულიერების გაძლიერება ხელოვნებაში ადამიანური შემოქმედების უდიდესი შენაძენია.

13416. სულიერების ინფლაციასა და ურთიერთდაპირისპირებას ერთნაირი ზიანი მოაქვს: ის ურთიერთობებსაც აფუჭებს და პიროვნებასაც აკნინებს.

13417. საკუთარ სულში განუსჯელობის ბაცილა არ უნდა შევუშვათ, თუ გვინდა, დროის კაპრიზებს წინ აღვუდგეთ და გვარიანი სილაც გავაწნათ.

13418. მსახიობისთვის სცენა რელიგიაა, წინააღმდეგ შემთხვევაში,

ის მხოლოდ ფულის საშოვრად მოსულა ხელოვნების ტაძარში და სულიერება მისთვის მეორეხარისხოვანია.

13419. გაზაფხულის მოსვლა მარტო კალენდარზე დახედვით კი არ უნდა გავაცნობიეროთ, არამედ სულმაც უნდა იგრძნოს.

13420. სულიერების სასიკეთოდ დაჭაშნიკებაც შესაძლებელია, ოღონდ გააჩნია დამგემოვნებლის ნიჭს, გამოცდილებასა და შესაძლებლობებს.

13421. წარწყმენდილი სული სიკეთით გამსჭვალულ სულიერებას ზიანს ვერასოდეს მიაყენებს.

13422. ამ გიჟურ და მარად გაუცნობიერებელ სამყაროში საკუთარი სურვილების შეცნობაც ბედნიერებაა.

13423. სიწმინდისგან უმთავრესი სარგებელი სულმა უნდა მიიღოს და არა სხეულმა, რომლის რაობის წარმოჩენა მთლიანად დამოკიდებულია დროზე, გარემოზე, აღზრდაზე, გონიერების ხმობასა და სხვა ამგვარ ხაბახუბაზე.

13424. ვაჟკაცური სული მუდამ სიკეთის თესვის ცდაშია.

13425. დღეს წიგნის ნაცვლად კომპიუტერში წარმოჩნდება ყველა ჩვენგანის გასაგები სულიერება და გონიერება.

13426. საკუთარი თავის მოჭარბებულად შესწავლის მცდელობას სულიერ დაავადებამდე მივყავართ.

13427. საკუთარი რწმენის საწინააღმდეგო ქმედება სულიერ სამყაროს გვინგრევს.

13428. გონებაში დაგროვებული ჭუჭყის გაწმენდა სულის გაწმენდის ტოლფასია.

13429. აფორიზმი აზროვნების სიღრმისა და სიდიდის ნაყოფია, რომელიც გონებასთან ერთად სულიერებასაც ამაღლებს.

13430. შური და სიზარმაცე უპირველეს ყოვლისა ადამიანის სულიერი გარყვნის შედეგია.

13431. ადამიანის სულიერების შეცნობა უფრო ძნელია, ვიდრე მისი გონიერებისა.

13432. სულგრძელობა ზოგჯერ ყოველგვარ გამოხდომებს სძლევს და ისე მოიპოვებს კუთვნილ წარმატებას.

13433. სიმდიდრის ბრწყინვალება ყველას თვალსა სჭრის, მიუხედავად მისადმი სიტყვიერი წინააღმდეგობისა.

13434. სულიერად მდიდარი ადამიანი ციურ სამოსს ატარებს და ამგვარად ცდილობს სულიერების გაფეტიშებას.

13435. ჩვენი სულიერი აღზრდა უფრო მეტად მასწავლებლების ვალია, ვიდრე მშობლების – პედაგოგებს მეტი დაეჯერებათ.

+13436. დამძიმებული სულის ტარება მის პატრონსაც უჭირს და განგებასაც.

13437. საკუთარ მისწრაფებებთან შერკინება სულს მალამოდ ეცხება.

13438. სულის სიმშვიდე საკუთარი გუნების საჩუქარია, ხოლო მხიარულება – დროისა და გარემოების წყალობა.

13439. კაცის წელში გამართვა ყველაზე მეტად მის სულიერ აღზევებას იწვევს.

13440. სულიერების ამაღლება მატერიალურ დაბანდებებს მოითხოვს, რადგან დღეს მარტო იდეალები არ კმარა.

13441. ძლიერი სულიერება ყოველგვარი უხიაგობის მომრევია.

13442. ტრადიციულ ღირებულებათა ყოფიდან განდევნა საზოგადოების სულიერი კეთილდღეობის უპირველესი მტერია.

13443. სულიერების გაამაყებაც წინდახედული ჭკუის საქმეა.

13444. ბედნიერებაზე ძალადობა გარდაუვალია, რადგან ძალმომრეობის ეპოქაში შევდივართ.

13445. სულს ყველაზე უკეთ ფილოსოფიასთან შეხვედრა კურნავს.

13446. სულიერი სიკეთის ვერდამნახავი ადამიანი სანდო როდია.

13447. სხეულის გაუმართლებელ ტანჯვას სულიერი სიდიადე არ ეთანხმება.

13448. არასაიმედო და მოულოდნელი ვარდნის შემთხვევაში სულიერება ტკივილს მაინც განიცდის.

13449. სულიერება ხშირად სტუმრობს და ათვითცნობიერებს ხალხს, რათა მან სწორი გზიდან არ გადაუხვიოს.

13450. სასურველსა და საყვარელ ადამიანს შორის გონისთვის დიდი სხვაობა არ არის, მაგრამ სულიერებისათვის მათ შორის მაინც დიდი ზღვარი დევს.

13451. ბოროტების ჩადენას ხასიათი გვაიძულებს, ხოლო გენი ამას ხელს უწყობს.

13452. ხელოვნურად დაგებულ დაბრკოლებათა გადალახვა ჩვენს სულიერ სიმტკიცეს წარმოაჩენს.

13453. საჭიროების შემთხვევაში სულიერების მკვლელობაზე ყველა უსაქმური და არა პროფესიონალი დაუფიქრებლად მიდის.

13454. სულიერება რწმენის შეძენით უნდა გავამაგროთ.

13455. სხვათა სულიერი სამყაროს სათავისოდ გამოყენება უპერსპექტივო მცდელობაა.

13456. სულიერად ფაქიზ ადამიანს უღირსობის მოთმენა და უღირსთა შენდობა უჭირს.

13457. რაღაც რომ გიხაროდეთ, რაღაცის ან ვიღაცის უნდა გწამდეთ, ან სული უნდა ითხოვდეს ამგვარი სამოქმედო ასპარეზის გაფართოებას.

13458. საკუთარი სიკეთის კეთებით უპირველეს ყოვლისა სული ხარობს და შემდგომ – ჭკუა-გონება.

13459. სიძულვილისა და სიყვარულის შეჯერება ოპტიმისტური რწმენის განმტკიცებას იწვევს.

13460. სულიერებაზე ყოველგვარი ჩვენი ქმედება ჩვენში წარუშლელ კვალს ტოვებს.

13461. მაღალი მორალური სურვილების გამომუშავებას ნიჭი და გამოცდილება სჭირდება.

13462. ფიზიკური ნაკლის ქირურგის ჩაურევლად გამოსწორება უნაკლო სულიერებით არის შესაძლებელი.

13463. ყველაზე მეტად მორალურ დევალვირებასა და სულის ამყრალებას უნდა ვერიდოთ.

13464. სულიერი კუზი სამოთხის კარებში ვერ შეეტევა.

13465. ვეცადოთ, ახალგაზრდული სული არასოდეს დაგვეკარგოს და იმქვეყნად ჩვენზე ადრე არ გადასახლებულიყოს.

13466. სხვებთან ერთად დროის გატარება გრძნობების გამჟღავნებას, აზრების გაზიარებას, დაფასებას მოითხოვს, რადგან ყოველგვარი ურთიერთობა სულის გადაშლას გულისხმობს.

13467. ფული იშოვება და იხარჯება, ხოლო სინდისი თანდაყოლილია და რჩება. სინდისის დაკარგვას „ხელის ჭუჭყის“ დაკარგვაზე მეტად ვუფრთხილდებით.

13468. თავზე გაჩენილი კოპების მორჩენა შესაძლებელია, გაბზარული სულისა – არა.

13469. ბრმა ტყვია თავის სამიზნეს არჩევს და არ დაეძებს მისი სულის საჭიროებას ამქვეყნად.

13470. ფანტაზიის მოშველიებით საკუთარ მეხსიერებაში ჩახედვა ჩვენს სულს მალამოდ ედება.

13471. ანგელოზი იმქვეყნად ყველა ჩვენგანის სულს საზეიმო შეხვედრას არ უწყობს, მაგრამ, შეფობა რომ გაგვიწიოს, ვალდებულია.

13472. რაც სულითა და გულით გვწამს, მარად სინდისს ეხმიანება.

13473. ხალხის სულიერების დევალვირების მიზეზია ქვეყნის დაკნინება, აღზრდის სუსტ მხარეთა გამომზეურება.

13474. ცოლქმრული თანაცხოვრება წყვილის სულის ზეიმად უნდა იქცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ეროვნული და საკაცობრიო მნიშვნელობისა არ იქნება.

13475. სიკეთის კეთება საკუთარი სულის შეცნობის ერთი გზაა.

13476. ოცნებით დამუღამებული ბედნიერება სულიერებასთან ძალზე ახლოსაა, მაგრამ რეალობიდან ერთობ შორსა დგას.

13477. სულიერად მკვებავი ციური მანანა ზოგჯერ ხორციელადაც გვკვებავს და იმედს გვისახავს.

13478. ჯანსაღი სულის პიროვნებასთან ყველა მეგობრობს. მას არც ავნი და არც ბოროტნი გაურბიან.

13479. სულიერებას ყოველი წინაღობის დაძლევა უდრტვინველად შეუძლია.

13480. სულიერი სიწმინდე გარეგნობაზეც აისახება და ხიბლით წარმოჩნდება.

13481. სინდისის მოკვლა, განადგურება ადვილია, მისი მკვდრეთით აღდგენაა ძნელი.

13482. სადაც საზოგადოების განვითარება შეფერხებულია და შინაგანი კულტურა დაკარგული, იქ სინდისის დაკარგვა გარანტირებულია.

13483. სინდისი ზოგჯერ გონიერებით უნდა გავაპრიალოთ, რათა უგვანობის ჟანგი არ მოეკიდოს.

13484. სულიერების უქონელი საზოგადოება არც სერიოზულ მოვალეობებს კისრულობს.

13485. ფანტაზიასა და უგვანობასაც ზოგჯერ ჩვენი სულიერება განაპირობებს.

13486. ცოდნა სულის პოეზიაა, რომელიც თავისი გადასახედიდან ირჯება.

13487. სინდისის პარამეტრების განსჯა პროგრესის მაჩვენებელია.

13488. სათნოებას სიბრძნის სიმართლესთან შეხმატკბილება კვებავს.

13489. სათნოებაც მანკიერებაა, თუ რაიმე მნიშვნელოვანს გულდაგულ მალავს.

13490. გარკვეული სულიერი ტკივილი ზოგჯერ სიბრძნის აღსავალ კარებს გვიხსნის.

13491. სულიერება ოცნების გარეშე თავის მეობას კარგავს.

13492. მაღალი სულიერების მქონე მოღვაწეთა დაუხმარებლად არცერთი დასამახსოვრებელი საქმე არ კეთდება.

13493. სიღარიბესაც სჭირდება მატერიალური და სულიერი წინსვლის განმაპირობებელი პროექტები, სადაც სულიერება წინ იქნება წამოწეული.

13494. სულიერი განწყობა ყველასა და ყოვლის შემფასებელ-დამფასებელია.

13495. სულიერების ღრმად შეცნობას გონიერი და ნიჭიერი ადამიანი მოახერხებს.

13496. ბიწიერება სულიერებას შეუხორცებელ ჭრილობებს უტოვებს.

13497. სულიერების ბუდეში გონიერების კვერცხის დება ერთეულ გენიოსთა ხვედრია.

13498. მატერიალური გულუხვობა არაფერია, თუ სულიერი გულუხვობაც არ დაერთო ზედ.

13499. სიყვარულობანას თამაში არცთუ ისე ცუდი რამ არის, თუ სულიერება ამისათვის მზად არის.

უარყოფითი ქმედებანი

13500. უნდობლობა, ურთიერთკონტროლი ერთგვარი უმადურობაა პარტნიორის, თანამშრომლის მიმართ, მაგრამ საქმის ხარისხიანად საკეთებლად აუცილებელია.

13501. ცნობიერებას ყოველთვის განსჯის და განსაზღვრავს ყოფიერება, რადგან უნამუსობას, სიხარბესა და შურს არ აქვს საზღვარი, განსაკუთრებით მაშინ, როცა რწმენა მერყევია, მოჩვენებითია და ყველა თავისი წესიერების წარმოჩენას პიარით ცდილობს.

13502. ღალატიც გენეტიკური დაავადებაა და ჩვენი ვალია, საეჭვო ადამიანებისგან შეძლებისდაგვარად მოშორებით დავდგეთ.

13503. უგვანობასთან შეხვედრას ადრე თუ გვიან ყველანი ვახერხებთ: ზოგი – ამქვეყნად, ზოგიც – იმქვეყნად.

13504. კეთილი შურით მოყვასის გახსენება მილოცვის ერთ-ერთი სანატრელი, ყველაზე ხელმისაწვდომი ფორმაა.

13505. სიავეს განათლება, ნიჭი არ ანეიტრალებს – ის მარადიულ მტრად უნდა აღვიქვათ.

13506. შენიღბული ფორმითაც შეიძლება სიკეთის კეთება. ამ დროს საკუთარ შურს იოლად ნიღბავთ. მაგ. ეხმარებით ნიჭიერ ახალგაზრდას და გშურთ, რომ ის თქვენი შვილი, შვილიშვილი არაა.

13507. ადამის ძის წარმატება ყოველთვის შურს იწვევს, იმისდა მიუხედავად, რომ ბედი მას არავისთვის წაურთმევია.

13508. აბსურდული ბრალდებაც ტყუილის გამოცოცხლებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უინტერესოა.

13509. საამაყო შურია, როდესაც პიროვნებაზე დანანებით ამბობენ: იმქვეყნად რა გამოსადეგი თავი მიაქვსო.

13510. ცოდვის ჩადენა ხშირად გონის დროებითი დაბინდვის შედეგია.

13511. უზნეობა გონიერებასა და მეხსიერებას არ გამორიცხავს.

13512. უცხოსთან ტრაბახი თავის წარმოჩენის მცდელობაა, რადგან ნაცნობი ამ თქვენს „ჩაწყობილ“ სიამოვნებას მხარს არ აუბამს.

13513. ცივილიზაციის უგვანობამ პროგრესად წოდებული განვითარების იმ დონეს მიაღწია, რომ დაწყვილებულთ არც ერთმანეთის წარსული აინტერესებთ, არც მომავლის პერსპექტივა.

13514. ამ ბოლო დროს მომრავლდა ავად დასამახსოვრებელი უგუნურება. საჭიროა, ჩადენილი უგვანობა გვახსოვდეს, მაგრამ არა უგვანოთა სახელი. ის დავიწყებას უნდა მიეცეს, რათა მისი საქციელი სხვამ არ გაიმეოროს – თუნდაც მასობრივი მკვლელობანი.

13515. სასოწარკვეთა უგუნურების სიმპტომია.

13516. უგუნურებას ყველა გზა უნდა გადავუკეტოთ, რა ალიბითაც უნდა შემოგვაპაროს თავი.

13517. ბოროტება მარად მზადაა, რათა წყლულებზე ფეხი დაგაბიჯოს, ოღონდ ბოროტებისაგან დაბრმავებული ამ წყლულებს ხშირად ვერ ხედავს.

13518. ბოროტის არცერთი ქმედება, მათ შორის „სასიკეთოც“, სანდო არაა.

13519. ღალატის საწინააღმდეგო ქმედების სახელი შურისძიებაა, სადაც ალიბი ანგარიშში არ მიიღება.

13520. სიხარბეს ვერც დრო-ჟამი კურნავს, ვერც – ჭკუის დარიგება, რადგან ის განუკურნებელია.

+13521. პატივმოყვარეობის მდინარე იბადება შეუსაბამო ამბიციების მთებში.

13522. ღალატი ხშირად შურისძიებისკენ გვიბიძგებს და აქ მთავარია, თავს კონტროლი დროულად დავუწესოთ.

13523. ახსნა და მიზეზი ყველა ქმედებას მოეპოვება, თუ ჭკუა სამამაძაღლოდ გაქვს მომართული.

+13524. შიში სიგლახის შვილი და ცრურწმენის შვილობილია.

13525. შიშის, სიმხდალის, ვირიშვილობის თავის გასამართლებელი საშუალება უპასუხისმგებლობაა.

13526. უღირსი არც უნდა შევიცოდოთ, არც უნდა დავუტკბეთ. ის მაინც არ გამოსწორდება.

13527. ყბედობის უნარი სწავლის, მოსმენის უნარს გვიზღუდავს.

13528. ბოროტება თავისი კანონებით იღვწის და არ აქვს მნიშვნელობა, მასში ორი კაცი მონაწილეობს თუ ორი მილიონი.

+13529. ბოროტება იწყება მისი გულში გავლებისთანავე.

13530. ბოროტება თანდაყოლილია და მარად მისი აღსრულების საშუალებას დაეძებს.

13531. დასჯა შედეგს უნდა იძლეოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სამაგიეროს მიგების წადილით აღავსებს დასჯილს.

13532. დასჯასაც თავისი ალგორითმი აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ჩვენს ცნობიერებას გარყვნიდა და ყოფაც გაუსაძლისი იქნებოდა.

13533. უღირსობაა იმის მოპოვება-შენარჩუნება, რაც სხვას ეკუთვნის და რასაც სხვა იმსახურებს.

13534. შური ცილისწამებაა, გაუტანლობა–ნერვიულობის შედეგია, რომელმაც დასჯის სახით ტანზე გამოყრა იცის.

13535. უნამუსობაა, როდესაც გამორჩენის მიზნით იმ საქმიანობას ჰკიდებ ხელს, რომელიც არ გესმის და ხეირიანად ვერც ვერასოდეს შეისწავლი.

13536. ზოგჯერ დამნაშავის მიღება ჯოჯოხეთსაც კი უჭირს, იმდენად მძიმე და საზარელია ჩადენილი დანაშაული.

13537. უაზრობა უნიათობასთან ერთად ბოროტების საფუძველია.

13538. უგუნური ყოველთვის სახიფათოა, იმისდა მიუხედავად, მტერია თუ მოყვარე.

13539. სიძუნწე, ხელმომჭირნეობისაგან განსხვავებით, ღირსებად არ ითვლება.

13540. ბოროტი აზრის გავლენაც კი ადამიანის სულიერებაზე უარყოფითად მოქმედებს.

13541. ყველაზე დიდი საშიშროება ადამიანური შიშისაგან მოდის, რომელიც ღალატსა და ნაძირლობაში იოლად გადაიზრდება ხოლმე.

13542. ზოგი სახეზე ცნობს საკუთარ ეშმაკს, რათა მასთან შეხვედრისას მოუმზადებელს ჯოჯოხეთი არ მოუწყოს.

13543. ყბედობა გონის მიერ ნასროლი ტყვიის მიზანში აცილების ტოლფასია.

13544. მლიქვნელობა ცილისწამების ღვიძლი ბიძაშვილ-მამიდაშვილია.

13545. უნიათოებს თავი უფრო არ ემეტებათ იმქვეყნად გადასასახლებლად.

13546. არის რაღაც, რომლის კეთება არა მარტო კანონით, არამედ სინდისის კარნახითაც არ შეიძლება, რათა თავი ნაძირალად არ ვიგრძნოთ.

13547. მანკიერება რკინის ხელით უნდა აღმოვფხვრათ, როცა აქ დიპლომატია არა ჭრის.

13548. უსაქმურობა ბოროტი მარტოობის სინონიმია.

13549. უსუსურობა, უნიათობა თავის არსს მხოლოდ ზიზღით გამოხატავს.

13550. ბევრი პრობლემა გვხვდება ცხოვრებაში, მაგრამ, რომელს უნდა შევეჭიდოთ, ამის დადგენაც პრობლემაა.

13551. ზოგი აკრძალვა მომავალში გადატანილი ნების დართვის სინონიმია.

13552. აკრძალვა თუ პრაქტიკული გონიერებისგან შორსა დგას, ის საქმეს არ ადგება, ხოლო, რაც საქმეს არ არგია, ის არც მუშაობს.

13553. უსაქმური ყველაფერზე წამსვლელია, რადგან მას სჭირდება თავისი წილი გასართობი.

13554. დესპოტიზმის უმთავრესი გამოვლინება სხვათა დამცირებაა.

13555. ავისმეტყველება ცოდვაა იმისდა მიუხედავად, ის სიკეთეს ემსახურება თუ ბოროტებას.

+13556. მლიქვნელური არარაობის შეცნობა მისი გაქრობის ტოლფასია.

13557. ფარისევლობა უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის

მოტყუებაა.

13558. ძველად შერცხვენას თავს არიდებდნენ, დღეს შერცხვენა თავად გვარიდებს თავს.

13559. სასწორი უნდა წონიდეს არა მარტო სიკეთესა და ბოროტებას, არამედ სინანულსაც.

13560. უგუნურთათვის თავის გაყადრება დიდი ცოდვაა.

13561. დილეტანტს საქმიანობა ყოველგან ხელეწიფება, იმდენად ამბიციური და თავხედია.

13562. სიზარმაცე მარად თავს იწონებს იმით, თუ რისი გაკეთება შეეძლო, მისთვის რომ დაეჯერებინათ.

13563. რომ გასცე, უნდა გქონდეს; რომ გქონდეს, უნდა იშოვო, ხოლო მათხოვარს ეს აქსიომა არ აინტერესებს.

13564. გაფუჭებული საქმის სხვაზე გადაბრალება საკუთარი თავის დახურდავების ტოლფასია.

13565. არამზადას სამშობლო, ეროვნება არ აქვს, მაგრამ დაბადების ადგილს მაინც ეტმასნება და ამით თავის მოწონებას ლამობს.

13566. იდეალური არაფერია, მაგრამ შინაგანად საამისოდ უნდა ვიღვწოდეთ და ვირჯებოდეთ.

13567. ცნება „არ შემიძლია“ „მეზარებას“ შესატყვისია, რომელსაც სურვილის გრძნობა დაქვეითებული აქვს.

13568. ნარკომანს, თაღლითს, მშიშარას ქვეყანა ნაბიჯზედაც არ უნდა ვანდოთ – თავალის დაუხამხამებლად გაგვიყიდიან.

13569. არის დანაშაული, რომელიც სასამართლოს საერთოდ არ იმსახურებს.

13570. ბრიყვი თავისი ბრიყვული ნათქვამით სიამოვნებას ნახულობს, უამისოდ არც არაფერს იტყოდა, რადგან სათქმელი არაფერი აქვს.

13571. შურს – ადამიანურ ქიმიურ ელემენტს – მენდელეევის პერიოდულ სისტემაში ადგილი არ აქვს.

13572. ცუდი არა მარტო ძალზე ცუდი შეიძლება იყოს, არამედ გამოუსწორებლად ცუდიც კი.

13573. შურიანს მასზე წარმატებული სძულს, თუ მისგან რასმე არ გამოელის.

13574. მორალური დოგმების გადალახვა ყველას უჭირს, თუ ის ნაბიჭვარი და სალახანა არაა.

13575. ბოროტებას, გადაგვარებას სწავლა არ სჭირდება, ის უსწავლელადაც ფრიადზე იღვწის.

13576. შიმშილობენ მხოლოდ უძლურნი, უგუნურნი, უნიათოები, უპერსპექტივონი, უინიციატივონი.

13577. შური სატანის ნაბუშარი და დემონის შვილობილია.

13578. შურმა მეგობრობა და სიკეთის დამახსოვრება არ იცის.

13579. კანონის დარღვევა იშვიათად ვისმე უნდოდეს, მაგრამ ზოგჯერ დრო, გარემო, კანონები და უნიათო ხელისუფლება გვაიძულებენ შევცოდოთ.

13580. ცოდვა, რომელიც გარეშეთათვის შეუმჩნეველი რჩება, სასიამოვნოდ გასახსენებელია.

13581. ცოდვა, რომელსაც გონი საკუთარ თავს უკრძალავს და დაუმსახურებლად შეუნდობს, დიდ ცოდვად არ ითვლება.

13582. ზოგი ბუნებით ისე მოხერხებული ნაძირალაა, რომ სიკვდილსაც კი აცუცურაკებს.

13583. გზააბნეულის გზაზე დაყენება საკმაოდ ჭირს, თუ ის ჯიუტია და მოყვასის შეცნობის უნარი წართმეული აქვს.

13584. ცილისწამება, თვალთმაქცობა, ავი მეხსიერება, ცბიერება, ნაღველი, შური და სხვა ამგვარი ის საბრძოლო არსენალია, რომლებითაც ბოროტება თავისი ინტერესების დაცვას ცდილობს.

13585. მთავარია, სახელმწიფოს მართვის პულტს ბრიყვი ახლოს არ გავაკაროთ: მისი უგვანობა და ბოდიშის მოხდა ანგარიშში მისაღები არაა.

13586. ბოროტების არსის შეცნობის უნარი ხშირად მის კეთებაზე ხელს გვაღებინებს.

13587. ბოროტების არსის შეცნობა ძნელი არაა, ხოლო მისი საწყისის კვლევა საინტერესოა.

13588. ყოველივე ბოროტებაა, რაც მართებული გზიდან გადაგვახვევინებს, რადგან სწორედ ამ სწორი გზის მოძიება და მასზე სიარულია ძნელი.

13589. ბოროტების კეთებასაც თავისი „მიმზიდველობა“ აქვს – ესაა გატაცების ძლიერი ძალა.

13590. ყველაზე მეტად იმათ უნდა ვერიდოთ, ვინც თავისიანებს არ ენდომება.

13591. ზოგჯერ შურიანობის გამო კაცი ისე დაგიდებს ფეხს, არც ერთი დაწერილი და დაუწერელი კანონით გამართლებას რომ არ ექვემდებარება.

13592. სიმართლით შეზავებული ტყუილი უფრო დამაჯერებელია და ამიტომ უფრო მავნებელია.

13593. უაზრობა უზნეობის გარკვეული ხერხია, ხარისხია.

13594. ბოროტება უპირველეს ყოვლისა ჩვენი ხელისუფლების ცნობიერებას ებრძვის და შემდგომ გვაყენებს ფიზიკურ ზიანს.

13595. ყველაზე დიდი დამცირება სამსახურიდან გაგდებაა – ეს შტატების შემცირების მომიზეზებით იქნება თუ აიძულებენ, სამსახურიდან თავად წავიდეს.

13596. დაუსაბუთებლად და უმიზეზოდ ადამიანის აუგად მომხსენიებელი გვერდით არ უნდა გაიკაროთ.

13597. ბოროტი მისთვის „განჩინებულ“ კმაყოფილებას ვერ იგრძნობს, თუ მას გულუბრყვილო სიკეთეს დაუპირისპირებთ.

13598. დანაშაული შედეგია საკუთარ სინდისზე გადაბიჯების, გარემო პირობებთან მოჩვენებითი შეხმიანებისა.

13599. ღალატს საიდუმლოდ შენახვა არ შველის, რადგან ღალატი ღალატად რჩება, რა ალიბის სანებელიც არ უნდა გამონახოს.

13600. რაც აშკარა და თვალსაჩინო არ არის, არც უნდა ვენდოთ, რადგან დანარჩენი ყოველივე ძიებას ითხოვს და მის კრიტიკას აზრი არ აქვს.

13601. უგუნურებას ხან ჩვენ ვუსხლტებით ხელიდან, ხან ის გვწყალობს და თავადვე გვისხლტება ხელიდან.

13602. წმინდა გრძნობების ცდუნებით გარყვნა უაზრო ამპარტავნობის შედეგია.

13603. ბოროტებას ფესვები კი არ უნდა დავაჭრათ, არამედ უნდა ამოვძირკვოთ, რათა განვითარების ყველა შანსი მოვუსპოთ.

13604. მტრის გარკვევა იმდენად ძნელი არ არის, რამდენადაც უღალატო მოყვრისა.

13605. ანგარება, სიძუნწე, შური მუდამ სხვათა ჩაგვრისკენ იყო მიმართული.

13606. ღალატი არ უნდა აპატიო, უბრალოდ, თუ შესაძლებელია, უნდა გადაყლაპო, არ შეიმჩნიო.

13607. ბრძოლაში, შერკინებაში პირუტყვული ჟინის, გულმხეცობასა და დაუოკებელი ამბიციების უპირობოდ გამარჯვება აუცილებელი არაა.

13608. მრავალ ბოროტებას უსიყვარულოდ და მოუსიყვარულებლად დარჩენა იწვევს.

13609. უგუნურება და სიამაყე სინონიმები არ არის, მაგრამ გვერდიგვერდ დგანან და „ბჭობენ“.

13610. ბოროტება კანონიერი ბოროტებითა და სიმკაცრით აღმოიფხვრება, მაგრამ მახსოვრობა აქვს „ბოროტი“.

13611. ბოროტებას სიკეთის მოტანა არ შეუძლია, მაგრამ ბოროტებას ეგ გამონაკლისი ზოგ შემთხვევაში დაამშვენებს ხოლმე.

13612. უიღბლონი საკუთარი თავის წარმოსაჩენად ბუნტსა და არეულობას არ ერიდებიან იმის ცოდნის მიუხედავად, რომ „განტევების ვაცის“ როლის შემსრულებლად, პირველ ყოვლისა, მათ გამოყენებენ.

13613. სილამაზეში, გონიერებაში, მიმზიდველობაში ცუდის მოძიება გარყვნილი შურის დამსახურებაა.

13614. ცოდვის ჩადენა უსირცხვილობაა კვადრატში, მაგრამ კუბში

ადის მოუნანიებლობის შემთხვევაში.

13615. სიკეთეს ბოროტება ზურგში დანის ჩასაცემად მუდამ ყალყზე უდგას.

13616. მუქთახორობა ტკბობის დაუმსახურებელ ელემენტებს სულიერების გაუთავისებლად შეიცავს.

13617. მტერს გონიერების მოკრებით ვებრძვით, მეგობარს – გულის ხეთქვით.

13618. შური გვაიძულებს, თავი წარმოვაჩინოთ და გავყოყოჩდეთ.

13619. შურს ტვინის ჭყლეტა და გონიერებასთან სიარული არაფრად ეხალისება.

13620. ბოროტებასაც თესავენ და იმკიან, მაგრამ ხშირად გაუაზრებლად და შეუცნობლად.

13621. ის, რაც გუშინ ქაჯობა, გარყვნილება იყო, დღეს ყოველდღიურობაა, ხოლო მომავალი რა ამდაგვარ პროგრესს მოგვიტანს, ღმერთმა იცის.

13622. ომის დაწყებას გონიერება გაურბის, მაგრამ ამბიციებს ვერ თოკავს.

13623. ცოდვების მონანიება, შინაურებისაგან მოშორებით უფრო შესაძლებელი და კომფორტულია.

13624. მიუხედავად იმისა, რომ ორგულობა სულსაც ვნებს და ხორცსაც, მისი რაოდენობა მაინც არ მცირდება, ალბათ, საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელია კარგისა და ცუდის შეჯერება.

13625. წინათ სიტყვას პატივს მიაგებდნენ, უჯერებდნენ. დღეს ხელმოწერილ ბეჭედდასმულ ქაღალდსაც ინტერნეტით ამოწმებენ.

13626. კორუფციის კორიდაზე გამოსვლა, ნებით თუ უნებლიეთ, ყველა ჩვენგანს უხდება.

13627. სიხარბეს არც მუხრუჭი აქვს, არცა საჭე, უბედურებას რომ თავი დააღწიოს.

13628. დიდის ნაძირალობას პატარის ბრიყვობა სჯობს: მოსალოდნელი ზარალი ნაკლები იქნება.

13629. კვანტის გამოდება ყველგან და ყველაფერში შეიძლება, თუ სხვათა გახელება გვართობს და გვახარებს.

13630. შური ხშირად სიძულვილს იწვევს და რატომ, თავადაც ვერ გარკვეულა, ეტყობა, აქ მარტო ქიშპობა როდია მთავარი.

13631. ბოროტება გემოვნებას იცვლის და არა სახესა და შინარსს.

13632. პატივმოყვარეობას მოთმინება არასოდეს ჰყოფნის, რათა იმით წარმოჩნდეს, რაც დაიმსახურა.

13633. კორუფციის ადგილი იყო და დარჩება ზედა ეშელონებში და ძნელია მოიძებნოს ქვეყნის სრულყოფილი კონსტიტუცია, რომელიც ამ სენს მოსპობს.

13634. ზოგ „კეთილის მდომს“ სურვილი აქვს, გოგოს ჩაუნერგოს ლიმიტირებულ სისულელეთა ჩადენის უფლება და, ამით რომ ხელს უშლის მის ქალბატონად ჩამოყალიბებას, ეს მას არ აწუხებს.

13635. სასიკეთოდ ჩადენილი ავკაცობა გამართლებულია, მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით და დაუწერელი სამართლის მიხედვით.

13636. შური საკუთარი უსაფრთხოების შეგრძნებაა, მისი უკუგდების უნარს რომ გვინერგავს.

13637. ყოველგვარ შურს, ჩვენდა შეუმჩნევლად, სისაძაგლისკენ მივყავართ.

13638. შური გადამდები სენია და ხშირად იქცევა ჩვენი ყოფისა და ცხოვრების პირობად.

13639. ცინიზმის ელემენტებით გართობა გამოუსწორებელი დანაშაულისაკენ გვიბიძგებს.

13640. მოუმწიფებელი, ცხოვრების არმცოდნე, დაუღვინებელი პატრიოტები იგივე ნაძირალები არიან, რადგან, ნებით თუ უნებლიეთ, საზოგადოებას აჩმორებენ, შედეგად უდანაშაულო ხალხი იხოცება და ქვეყანა გარკვეული დროით ვერანდება.

13641. თვითრჯულა, უჯიათი პოლიტიკოსი საზოგადოებისთვის საშიშია, რადგან ის საერთო ენას ვერავისთან ნახულობს.

13642. უგვანობა არც მოთმენას ექვემდებარება და არც შეცოდებას. ის უნდა დაისაჯოს.

13643. ქალები ყველაფერზე წავლენ, ოღონდ მამაკაცებს თავიანთი ხიბლით მეტყველებისა და აზროვნების უნარი წაართვან.

13644. უგუნურების წარმომავლობა არც უკან დასახევ ადგილს გვიტოვებს და არც მონანიების უფლებას.

13645. სიხარული – აღტაცება, სიმშვიდე – მორიდება. ცალ-ცალკე ორივე გვიზიდავს, წყვილ-წყვილად აღგვაფრთოვანებს.

13646. „სიცრუე და ორპირობა“, უარყოფითი თვისებების მიუხედავად, დღემდე ახერხებს ჩვენს ყოფიერებაში დამკვიდრებას, რადგან საამისოდ ნოყიერი ნიადაგი აქვს.

13647. მის უდიდებულესობა ოპოზიციას სურს: სხვა აკრიტიკოს, თავად არაფერი აკეთოს, სხვებსაც ნიშნი მოუგოს და თავად კარგად იცხოვროს.

13648. ბოზური, უგვანო აზროვნება ბევრ თანამდებობის პირს ახასიათებს. ესაა ადგილის სარფიანად გაყიდვა და კანონისთვის თვალის ახვევა.

13649. ვინც თავისი საქმე არ იცის და მაინც ამ საქმეს ეტანება, სიავის ჩამდენია.

13650. შურისთვის უცხოა: შენც იცხოვრო და სხვაც აცხოვრო მისი

ნიჭისა და შეძლების შესატყვისად.

13651. ნაღდი სიკეთე მორცხვი და უხმაუროა.

13652. ზოგი დამნაშავის შებრალება პატიოსნებას ჩრდილს აყენებს.

13653. ღირებულებათა აღქმას თვითცენზურა ალამაზებს.

+13654. ზოგი ისე გაუგონარ დანაშაულს სჩადის, რომ ღვთის არსებობასაც საეჭვოდ ხდის.

13655. ადამიანის მოკვლა ადვილია. მისი დავიწყებაა ძნელი.

13656. ბოროტების უნებლიე მიზეზი შეიძლება ყველა ჩვენგანი გახდეს, რადგან ჩვენც ჩვეულებრივი მოკვდავები ვართ, ე.ი. ცოდვილნი.

13657. პატიოსნებმა ერთმანეთი სიყვარულის მომხვეჭელობაში უნდა აღზარდონ.

13658. გარდაცვლილი სიდედრის სული ბებიას როლს მაინც უნდა იჩემებდეს სიძის ოჯახში აღზრდილ შვილიშვილებში.

13659. ჩინოვნიკები ხშირად მოწოდებით ნაძირალები არიან და ანკესზე ჯერ მოუმწიფებელ ნაძირალებს აგებენ.

13660. ზოგისთვის გასაგებ ავ სურვილებს ჯოჯოხეთიც ხელს უწვდის.

13661. უკეთურობის დროულად ამოშანთვა, თურმე, არცთუ ისე ადვილი საქმეა.

13662. უძალო სიმართლე უსამართლობას უკმევს გუნდრუკს.

13663. უარყოფით რეპუტაციასაც დამსახურება უნდა.

13664. ძირძველ ნაძირალაზე უარესი დამწყები ნაძარალაა, რადგან ამ უკანასკნელს უარესი გეგმები აქვს.

13665. საეჭვო დიდება დღეს არ არსებობს, რადგან აქ ხალხის უგვანო გემოვნება, შური და გადაუმოწმებელ ინფორმაციასთან ჩახუტებაა დამნაშავე.

13666. ურთიერთგაგება ყველა ჩვენგანის სანუკვარი ნატვრაა.

13667. ძუნწი, შურიანი, ბოღმიანი, ამპარტავანი ხალხი არცთუ ისე ცოტაა და თავისი დროის ანტაგონიზმის გამღვივებელია.

13668. ბოროტება ჩუმჩუმელაა, რადგან ბოროტს სიავის ჩადენაც უხმაუროდ მოსწონს.

13669. ეშმაკი ჩვენში სიამაყეს ამყნობს, სატანა კი – შურს, რითაც უნდათ, ცოდვილებად გვაქციონ.

13670. უგვანობის განხორციელებას ხშირად ნარკოტიკზე მეტად ალკოჰოლი უწყობს ხელს.

13671. უბედურება გვაახლოებს და ბედნიერება გვაშორებს, რადგან ეს უკანასკნელი შურს იწვევს და ესაა ამ ყოფის გაუცნობიერებელი ალგორითმი.

13672. ბოროტება ბოროტებისვე დაპირისპირებით მცირდება და არა კანონმორჩილების ღაღადისით.

13673. ეჭვი სიძულვილის ბიძაშვილია.

13674. ეშმაკის ფეხი ყოველთვის დეზებზეა შემდგარი და მარად უკუღმართობისკენ გვიბიძგებს.

13675. ბოროტთა ჭკუა ხშირად უხმარია, რადგან ისინი მას არ იყენებენ.

13676. ობმოკიდებული გონება უგემრიელესი კერძია სატანისა.

13677. პრაქტიკისგან განსხვავებით, ზღაპრებსა და ოცნებებში ბოროტებაზე ყოველთვის იმარჯვებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოროტებაც თეორიულად გამარჯვებას იზეიმებდა.

13678. შურს შური ჭამს და აქრობს, ოღონდ ახალი შურის წარმოსაქმნელად – დასაბადებლად.

13679. ცოდვის უფსკრულს არაკაცობა, ამბიციურობა, შური, ღალატი, მოუთმენლობა და საზოგადოებაში შენი ადგილის უცოდინრობა ქმნის.

13680. თვალთმაქცობა ყველაზე დიდი ცოდვაა, რადგან პიროვნებაში ცინიზმი ისადგურებს.

13681. ეჭვის გადამოწმება თადარიგის დაჭერით უნდა დაიწყო.

13682. სიკეთის კეთებას ბოროტების შეწყალება, დანდობა ვნებს, რადგან ამ უკანასკნელს რეციდივისკენ აქვს მისწრაფება.

13683. გონიერების წინაშე სიკვდილიც ვალდებულია, თავი იმართლოს.

13684. ლაჩრებსა და გაიძვერებს რატომღაც კეთილშობილურობაზე საუბარი ეადვილებათ.

13685. პიროვნება ვალდებულია, დროისა და გარემოს შესატყვისად ავ ჩვეულებებს ებრძოლოს და გადაეჩვიოს.

13686. შური და გაუტანლობა ხშირად საკუთარ თავსაც არ ინდობს.

13687. უყურადღებობა ზოგს აჩმორებს, ზოგს კი დანაშაულისკენ უბიძგებს.

13688. კორუფცია ყოველივე საღი აზრის წინააღმდეგია, ხოლო ელიტარული კორუფცია – ყველასა და ყველაფრის მტერი.

13689. ზოგი შარს იქ გამოთხრის, სადაც მისი არსებობა წარმოუდგენელია.

13690. ზოგიერთი მანკიერება უსაქმურობის ნაყოფი და უგუნურების შედეგია.

13691. გულგრილობა პანაშვიდების გადახდას არ საჭიროებს.

13692. უნიათო ხელისუფალი უიმედო ქვეყანას გვიქმნის და სამშობლოს სხვა ქვეყნებში გადახვეწით გვატოვებინებს.

+13693. უგუნურებას უკან დასახევი გზა მარად ჩახერგილი აქვს.

+13694. ბინას ქურდი ტეხს, ჯიბეს – კაზინო.

13695. ვანდალიზმიც საზოგადოების განუვითარებლობის თავისე-

ბური ხელრთვაა.

13696. თავი იმათზე უკეთესი გვგონია, ვისაც ავად მოვიხსენიებთ, და ეს მოსაზრება ყოველთვის მართებული როდია.

13697. მრისხანებას მისთვის შეუმჩნეველი სირცხვილი ახლავს.

13698. გაიძვერას თავდადება და თავის გამოდება ყოველთვის საეჭვოა, რაც უნდა კარგ საქმეს ემსახურებოდეს მისი ქმედება.

13699. მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი, ბუნებით აუტისტი, ამბიციური ერი არ შეიძლება შურიანიც არ იყოს.

13700. საქმის გაუკეთებლობას ყურით მოთრეული ალიბი არ შველის.

13701. ბოროტება ყველგან უნდა დაიგმოს და შევიწროვდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყურით მოთრეული თავისუფლების ხარჯზე ბოროტება ფესვებს გაიდგამს.

13702. მრისხანება თავის მოთოკვის ალგორითმსაც უნდა ფლობდეს.

13703. უძლურება, უიმედობა, უსამართლობა ბოროტებას ბადებს.

13704. ზოგჯერ ისე იკვირვებენ გაუკვირვებელს, რომ მართლა გაკვირვება შეიძლება მათი გაკვირვების გულწრფელობის გამო.

13705. უსაქმურობა, უნიათობა, სიზარმაცე უდიდესი დანაშაულია ჯერ საკუთარი მეობის და შემდეგ ქვეყნის წინაშე.

13706. დღეს ზოგი არგასახარი ადამიანი იმიტომ ცოცხლობს, რომ განზრახ მკვლელობისთვის სასჯელის უმაღლესი ზომა დავიწყებულია.

13707. ზედმეტად თავდაჯერება საბედისწერო შეცდომების წყაროა.

13708. მხდალს ერთთან თუ გაუმართლა, სხვათა მიმართ ულმობელი ხდება.

13709. ცბიერი უკეთ არჩევს სუსტ და ძლიერ ადამიანებს, ვიდრე ჩვეულებრივი მოკვდავი.

13710. დღევანდელობა ამღვრეულია განურჩევლობით, გულგრილობით და სიავის მცდელობით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იმედი რაღაცის მიმართ დაკარგული გვაქვს.

13711. ბოროტება კეთილის უძლურებიდან იწყება.

13712. საკუთარ შეხედულებათა საწინააღმდეგო საქმის კეთება უიღბლობაა.

13713. ტყუილის ლაპარაკის დროს ყურები უნდა გავახილოთ, რადგან თვალების გახელა დანაპირებს ვერ ხედავს.

13714. შურს ზოგჯერ საკუთარი შეხედულებებით ცხოვრება იწვევს.

13715. დაცინვასა და ცინიზმს შორის ის სხვაობაა, რომ ეს უკანასკნელი ავი დიაგნოზია.

13716. სიძულვილის ვნებისგან დაცლას გონის ხმობა არ შველის, რადგან, თუ საზოგადოებაში ზიზღი დაინერგა რაიმეს და ვინმეს მიმართ, სწორი გზის გაგნება ყოველთვის გაძნელებულია.

13717. დღეს სერიოზული სახელმწიფო ქურდები გაცილებით მეტ ზარალს გვაყენებენ, ვიდრე ჯიბის ქურდები და ხაკერები.

13718. ჭირის დროულად ჩამოშორება მომშორებელთა გონიერებაზე მიუთითებს.

13719. ეშმაკის ნაშიერი თავის ბუნებას არ ცვლის და მარად კვანტის დასადებად არის გამზადებული.

13720. ბოროტებისთვის სახელის შეცვლა ან გადარქმევა დანაშაულია.

13721. წყენის ბალანსს არ ადგენენ: ან ითმენენ, ან სამაგიეროს მიუზღავენ.

13722. მკაცრად არ დასაჯო, სადავო გულკეთილობაა, თუ დანაშაულისკენ მიდრეკილება აქვს.

13723. სიზარმაცეს უბედურება მათლაფით მოაქვს.

13724. არაფრისმკეთები ყოველთვის მკეთებელზე მეტად პრეტენზიულია.

13725. ბოროტება განუკურნებელი სენია.

13726. უნიათობის წისქვილს ჩვენი გონიერების მარცვალი ახლოსაც არ უნდა გავაკაროთ.

13727. უგუნურება ჭკუაზე მუშტის დახმარებით უნდა მოვიყვანოთ.

13728. კოლექტიურ უგვანობასაც თავისი დამამძიმებელი ფაქტები სჭირდება, რათა განსჯის საგანი გახდეს.

13729. ყოველდღიური წვრილმანი წარუმატებლობაც კი ჩვენს ცნობიერებას გამოუსწორებელ დარტყმას აყენებს.

13730. საქმით წარმატებული ვითომდა ყველას უყვარს, მიუხედავად იმისა, რომ დამარცხებულს ვითომდა გულით თანაუგრძნობენ.

13731. უსამართლობა ყველასთვის არახელსაყრელია, მაგრამ გამორჩენისკენ მისწრაფება იმდენად დიდია, რომ ამ ქმედებას სერიოზულ წინააღმდეგობას იშვიათად უწევენ.

13732. ზოგი ნიღბის მოხსნას მეგობრების წინაშეც ვერ ახერხებს.

13733. უმეცრების საყოველთაოდ გაფეტიშება საშინელებაა.

13734. ზევიდან დაგეგმილი სიბრიყვის მარგი ქმედების კოეფიციენტი, გამოცდილების დაგროვების მიუხედავად, არ მცირდება.

13735. უნდობლობა იმისდა მიხედვით იზრდება, რაც უფრო მეტ ახლობელს, მეგობარს კარგავ ღალატისა და გაუტანლობის გამო.

13736. არის რაღაც, რასაც ვერც ბედს აპატიებ, ვერც საკუთარ თავს და ამას მთელი ცხოვრება განიცდი. მაგ. უნებლიე გადაცდენას, შანსის გამოუყენებლობას, დაუნახაობასა და სხვა ამდაგვარს.

13737. ბოროტებაზე საშიში არაფერია, თუ მას პასუხის მომთხოვნი კანონიერი ძალა არ უპირისპირდება.

13738. ეჭვიანობა, უნამუსობა, ცილისწამება, სამწუხაროდ, საკმაოდ კარგად უგებენ ერთმანეთს და ერთურთს ხელსაც უწყობენ.

13739. ყველამ იცის: ბრმად ცხოვრებას, უმიზნოდ ხეტიალსა და უაზრო არჩევანს ქვეყანა დაჩიავებამდე მიჰყავს, მაგრამ კიდევ უფრო უარესია, რომ ეს უაზრო პოლიტიკური რეციდივი საუკუნეობით გრძელდება.

13740. ბოროტებასთან შეხვედრისაგან არავინაა დაზღვეული და მას სიკეთე უნდა დაუპირისპიროთ, რათა ბოროტებამ იკლოს და მისი ჩადენის სურვილი სხვას არ გაუჩნდეს.

13741. უგვანობისთვის ყველაზე ძნელია ჭეშმარიტებისა და სამართლისთვის თვალებში ყურება.

13742. ხშირად დრო, გარემო, შემთხვევა აქცევს ტრაკს თავად და თავს – ტრაკად.

13743. მოხელე სხვის ჯიბეში ხელის ფათურს არასოდეს ერიდება და მოერიდება, რადგან ის ხალხის სხეულზე დასმული დროებითი სისხლისმწოველი წურბელაა.

13744. უმეცრების დილეტანტიზმს რატომღაც ამბიციები ახლავს, რაც ხშირად საზოგადოებას ვნებს.

13745. ზიზღი, ძალის დემონსტრირებისაგან განსხვავებით, შიშს არ იწვევს.

13746. აუტისტს ყველაფერზე თავისი პასუხი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ცოდნასთან მწყრალადაა.

13747. ეგოიზმი ცუდი გემოვნებით გამოირჩევა და მას ზიზღი ჰქვია.

13748. ეგოიზმი სხვაზე ფიქრით თავს არ იწუხებს.

13749. ნაძირალას, თუ ბუნებით გულადი და მოხერხებულია, გაცილებით მძიმე დანაშაულის ჩადენა-დამალვა შეუძლია, ვიდრე ჩვეულებრივ კრიმინალს.

13750. მლიქვნელობა სამარცხვინოა, მაგრამ ზოგჯერ პირდაპირობაც სახიფათოა, კარიერისთვის დამღუპველია.

13751. უიღბლობას თავისი თეორიები აქვს. ერთია სხვაზე გადაბრალება, და საოცარი ისაა, რომ ის მართალია, რადგან დრომ და გარემომ ორივე მხარეს უმუხთლა.

13752. ქაოსში ცხოვრება ძნელია, რადგან ის მარად განსჯას, ნიჭის „გაბახებას“, გადახედვას მოითხოვს.

13753. ბოროტებას ალიბი არ აქვს და არც შენდობას იმსახურებს.

13754. ვისაც სინანულის გრძნობა არ აწუხებს, ის ეშმაკის ნაშიერია, იმის მიუხედავად, ამას გრძნობს თუ არა.

13755. პატივმოყვარის ამბიციები განუსაზღვრელია, იმისდა მიუხედავად, შემთხვევით მოევლინა ამ ქვეყანას თუ გეგმიურად.

13756. ყველა ბოროტების საწყისი სიზარმაცე და დაუსაქმებლობაა.

13757. რადიკალიზმი ყველაზე მეტად სახელმწიფოებრიობის შენებას ვნებს.

13758. უგვანონი შურს ხელიდან არ უშვებენ, ებღაუჭებიან, რადგან ეს ერთადერთი რამ არის, რაც მათ უფერულ სახეს ფერს აძლევს.

13759. ზოგი ბუნებით იმდენად მატყუარაა, რომ სიკვდილისწინა აღსარებასაც ალამაზებს.

13760. ყბედი და საკუთარი თავის მაქებარი ნდობას არ იმსახურებს.

13761. ვალდებულებებზე ხელის აღება ღალატის ტოლფასია არა მარტო წინაპართა, არამედ ქვეყნის წინაშე.

13762. ადამიანს კეთილშობილების ფრთებს აკვეცს შური და დაუფასებლობა.

13763. სიბრიყვე და სიჯიუტე ბიძაშვილები არიან.

13764. ზოგი ბუნებით იმდენად უიღბლოა, რომ მისი სახლიდან გასვლა და ფეხით გადაადგილებაც კი ფათერაკიანი გამოდის.

13765. მთავრობის წევრთა გადანაცვლებით ელიტარული კორუფციის ბაცილა არა კვდება.

13766. რეალური არგუმენტების უქონელი ხელისუფლება თავისი უნიათობის დასაფარავად წინა მთავრობების ცოდვების გამოძიებას იწყებს.

13767. სიავეს მაინც შინაგანი ძალის გამონახვით უნდა ვებრძოლოთ, რადგან გარეგანი მას ვერას აკლებს.

13768. როდესაც შვილი მშობლის მოვლა-პატრონობაზე ხელს იღებს, იმ საზოგადოებისა და წყობის უსაფრთხოება დარღვეულია.

13769. მშიერი მაძღრის გულწრფელ მეგობრად არ გამოდგება. ამის უფლებას ადამიანური შური არ მისცემს.

13770. „დამწვარი თეატრის“ პოტენციური მსახიობი ბუნებით თაღლითია.

13771. სიძუნწის ალიბი განუსჯელი სიმკაცრეა.

13772. უვიცთა „ნახირი-ნახირ“ მომრავლება დამნაშავეთა რიცხვს ზრდის.

13773. შურით, გაუტანლობით, შურისძიებით ადამიანი ვერც წინ წავა და ვერც თავს გაიტანს.

13774. განსჯის უუნარობა და ამბიციები ხშირად სინონიმები არიან და ზოგჯერ – უბედურების მომტანიც.

13775. მართლმსაჯულების დესანტის გადასხმა ცენტრიდან პერიფერიებში შიგადაშიგ აუცილებელია, რათა საზოგადოება არ გაირყვნეს

და გადაგვარდეს.

13776. ნაციონალური ბანდიტიზმი ყველა რევოლუციის თანხვედრი ძალაა გარკვეულ დრომდე.

13777. ყველა ჭკუანაღრძობი აუტისტი სინდისთან მწყრალადაა, პოლიტიკას ეტანება, ეტყობა, დაავადებაა ასეთი.

13778. უზნეობა უფრო მობილიზებულია, აგრესიულია, არაადეკვატურია და გარკვეულ დრომდე თავსაც კარგად გრძნობს, ბრბოსაც აიყოლიებს და თავის წარმოჩენასაც ახერხებს.

13779. სიყვარულისგან განსხვავებით, სიკვდილი ბიზნესსა და იმედს ერთდროულად ასამარებს.

13780. ხშირად ფული, გაყოფა და წილის ცნება მეგობრებს აშორებს, აჩხუბებს და ზოგჯერ მტრებადაც აქცევს.

13781. პირუტყვს კაცისმაგვარი სჯობს ფულით, ხოლო უფულო კაცი ამ კაცუნას სჯობს პირუტყვის ყოლითა და მოვლით.

13782. სანქციები და სისაძაგლე ძმები თუ არა, გარე ბიძაშვილები მაინც არიან.

13783. ბოროტება უნიჭო, უნიათო, მოსმენის უნარდაკარგული ხალხის საკუთრებაა.

13784. სიკეთე და ბოროტება ურთიერთდაშორებას მოითხოვს, რათა ვინმე უგუნურს ერთმანეთში არ არიოს.

13785. კილერი, ტერორისტი, პარტიზანი ადამიანთა ხოცვას განაგრძნობენ: ერთი – ფულისთვის, მეორე – რწმენისთვის, მესამე – თავისუფლების სახელით, მაგრამ ერთი აქვთ საერთო – დაფინანსებასა და თანამოაზრეს ყველა მათგანი მოითხოვს.

13786. უბედოს, არშემდგარს, პოლიტიკურად გაკოტრებულს არც თანამედროვენი სწყალობენ, არც მომდევნო თაობები, არც ისტორიის მახსოვრობა.

13787. უმადურნი ერთმანეთის დაუფასებლობით იღვწიან და ცხოვრობენ.

13788. სიამაყე ზოგჯერ შურიანობის მოთოკვაში გვეხმარება, რადგან შური სამყაროს რეალურად ვერ აღიქვამს.

13789. პირიდან ავი სიტყვა არ უნდა ამოუშვა, ხოლო ყურში ჩაშვებული უგვანობა მშვიდად უნდა მოინელო.

13790. ამომრჩევლის მიერ უღირსი დეპუტატის არჩევა სახელმწიფო დანაშაულია და საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა ჯარიმის გადახდით მაინც უნდა აგონ პასუხი ხალხის და სახელმწიფოს წინაშე.

13791. მმართველი გუნდი არაფერზე უკან არ იხევს, იყენებს ინტრიგას, მალავს საკუთარ უნიათობას და დაბინდულ თავში იმ გამოსავალს ეძებს, რომელსაც ბოლოს კრახამდე ან კრიმინალამდე მივყავართ.

13792. დაჩაჩანაკებულ ქვეყანაში თავიანთი გაუბედაობის გამო სულიერად და მატერიალურად ყველა უნიათო და ჭკუით ღარიბია.

13793. ძალადობა მაინც ბოროტების სინონიმია, იმისდა მიუხედავად, რომ ზოგჯერ ის გარდაუვალი და აუცილებელია.

+13794. დიდების კარიბჭესთან დაწეული სიკვდილი გაფითრებული და ფერდაკარგულია.

13795. უმადურობამ და დაუფასებლობამ გრძნობათა ყროყინი იცის.

13796. მედიდურობას, ზვიადობას, სიამაყეს შენდობა და თავისი სისუსტის აღიარება უჭირს.

13797. სიკეთის დავიწყება და მისი საწინააღმდეგო ქმედება უმადურობის ნაირსახეობაა, რომელიც ასერიგად გავრცელებულია ჩვენში.

13798. არაკაცების ოდენობა თითქმის არ იზრდება, მაგრამ მათი ქმედება მაინც ყველა დროში შესამჩნევია.

13799. ყოველგვარი გაუმართლებელი პატიება, შენდობა ბადებს უმადურობას, თავხედობას. ამიტომაც ყოველივე გადაუმოწმებელს, წინდაუხედავს უნდა ვერიდოთ, რაც უნდა მომხიბვლელად, მისაღებადაც არ უნდა გამოიყურებოდეს.

13800. მეტისმეტმა, შესაძლებელია, მეტისმეტი პრობლემები შეგვიქმნას, თუ მომხვეჭელობის სურვილს ხელში არ ავიყვანთ და არ მოვთოკავთ.

13801. ჯანმრთელი უნდობლობა ერთობლივ საქმიანობასა რგებს.

13802. მზაკვრობით ნაშოვნ პრივილეგიას ბოლომდის შემორჩენა უჭირს.

13803. დაუსჯელობის აჩრდილის ბოგინი ქვეყნის გადაგვარების მაცნეა.

13804. ბოროტებას გაორმაგების მიდრეკილება აქვს. ის ცდილობს, მტკივნეული წერტილები მოგვინახოს და იქ დაადგას ჩვენს სულიერებასა და თავმოყვარეობას ფეხი.

13805. ბოროტება სიკეთეს ეზმანება, მაგრამ არ ეძმაკაცება.

13806. შეცდომების არაღიარება და მისი დაცვის სურვილი უგუნურებაა, რა პრინციპებსაც არ უნდა იცავდეს და ჯიუტად ეხმიანებოდეს იგი.

13807. მოქმედ კანონებს ხშირად ადათ-წესების შესატყვისად ადგენენ და ამით ჯერ კიდევ გაუცნობიერებელ სამართლიანობას, მისდა უნებლიეთ, უპირისპირდებიან.

13808. მუქთაზე და შემთხვევაზე აგებული აგრესიული ქვეყანა მშვიდობის მტრედად ვერასოდეს იქცევა.

13809. ავტორიტარული წესით მართული სახელმწიფო ყოველთვის კანონმორჩილი და აზრიანი ქვეყანა ვერ იქნება.

13810. ამბიციები ყოველთვის მოგვანახვინებს ჩვენთვის გამოსაყენებელ „ჩამშვებ“ ხალხს.

13811. საყოველთაოდ გავრცელებულმა დანაშაულმა, ბოროტებამ შეჩვევა იცის, და არც ისე დიდ ცოდვად გვეჩვენება.

13812. თანხმობა ზოგჯერ ზიზღის გამოვლენითაცაა შესაძლებელი.

13813. ეჭვიანობას „თავ-კონტროლი“ უჭირს.

13814. უნიჭობას ფავორიტი არა ჰყავს.

13815. ბოროტება კარგსაც ცუდად იმახსოვრებს.

13816. უპირველესი დანაშაული საკუთარი „მეს“ ღალატია. შემდგომ მოდის სამშობლოს, მეგობრის, ქალის ღალატი და სხვა მრავალი.

13817. ფსიქიკაზე ძალადობა ყველა ფიზიკურ ძალადობაზე უარესია.

13818. ხელისუფლება და სიმდიდრე ახალგაზრდობას ხშირად უგვანობისკენ უბიძგებს, განსაკუთრებით, თუ მას წამქეზებლები უმაგრებენ ზურგს.

13819. უმადურობა მარად გამოსავლის ძიებასა და ჯოხის ქნევაშია.

13820. უზნეობას უზრუნველობაც თან ახლავს და ახასიათებს.

13821. ბოროტებას საღი კონტროლის უნარი ჩაქოლავს.

13822. არის ბოროტება, რომელსაც ვეჩვევით და აღარ გვაღელვებს, მგ., ცხოველთათვის სიცოცხლის გამოსალმება.

13823. ფუფუნება ყველა სახის მიღწევას აჩიავებს და მიღწევათა არსს აყალბებს.

13824. ბოროტებას თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, რადგან ის ამის საკეთებლადაა დაბადებული.

13825. სამწუხროდ, მრავალჯერ შემოწმებულ-გადამოწმებულ ხალხსაც შესწევს სისაძაგლის ჩადენის უნარი, თუ მის გულში შური დაისადგურებს.

13826. უმადურობას, გაუტანლობის ბოლომდის გადმონთხევას, ზარალის მეტი, არაფერი მოუტანია.

13827. მოჩვენებითობაა ყოველივე სიავის და ნგრევის საწყისი.

13828. ღალატი უპირველეს ყოვლისა გამორჩენის სურვილის შედეგია, შემდგომ მოდის შური და თანდაყოლილი გაუტანლობის გენი.

13829. უსაქმურობა, უდარდელი მხიარულება ბოროტებაა და ის თავის შხამიან ნაყოფს ადრე თუ გვიან გამოიღებს.

13830. გონებას პოლიტიზებული ნაციონალიზმი გვირევს და არა შემოქმედებითი პატრიოტიზმი.

13831. მეგობრის, სიკეთის მთესველისა და მოყვრის გამყიდველი შენდობას არ იმსახურებს.

13832. დემოკრატია ჭრაჭუნს მაშინ იწყებს, როგორც კი მას კორუფციის ბაცილა შეეპარება და კანონიერების ხილს ჭიას გაუჩენს.

13833. ბოროტება სიკეთეს მინუსით უპირისპირდება და ისიც კვადრატში.

13834. სიკეთის კეთების სურვილი ჩვენი ბუნების უბრალოების შედეგია.

13835. უქნარას ხვედრი ურგებია და ის მარად გაუსვენებელ მკვდარს მოგვაგონებს.

13836. უსაქმურობის მოწოდებაა, სხვასაც ხელი შეუშალოს გარჯის დაბანდებაში.

13837. უსაქმურობა, რწმენის უქონლობა და უსიყვარულობა ბოროტების თავწყაროა.

13838. ტოტალიტარული ტყუილის ქვეყანაში ცხოვრება ღირსეულს უღირსად აქცევს და ზოგჯერ – პირიქითაც.

13839. საძრახისა და სამარცხვინოს ჩადენასაც ცოდნა უნდა.

13840. შეცდომა, რომელიც აისახება მიზანდასახულ ქმედებაზე, დანაშაულია და არა გადაცდომა.

13841. ბნელი ძალები შიშითა და მამლაყინწობით ზნეობას ყოველთვის ძირს უთხრიდნენ და გამოუთხრიან.

13842. სერიოზულობის და მორიდების დროებითი დაკარგვაც კი გართობას არ ნიშნავს, ეს უფრო გადაგვარებას მოასწავებს.

13843. ტაკიმასხარაობა და შური უნიჭობის რეალიზაციას ცდილობს.

13844. კამათში მოუმზადებლად ჩაბმის სურვილი თავშეუკავებლობისა და ცუდი აღზრდის ბრალია.

13845. ახლობლებსაც კი ჩვენი წარმოჩენა გულით არ უხარიათ, თუ მათს ფსონში ჩასადებად არ მოვიაზრებით.

13846. უკმაყოფილებას უთანასწორობა და განუსჯელობა იწვევს და არა ცხოვრების დაბალი დონე.

13847. ბოროტისთვის სიკეთის კეთება თავისებური გადაცდენაა და ეს დიდხანს არ გასტანს.

13848. ყველაზე დიდი ბოროტება რეციდივისტის დაუსჯელობაა.

13849. ზედმეტი თავმდაბლობაც ნაკლია, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავის წინაშე.

13850. ტირანს არც კანონის კანონიერება აწუხებს და არც მისი სიმკაცრე, რადგან ის თავად თვლის თავის თავს უზენაეს კანონად.

13851. ვინც გართობა-უსაქმურობის გამო ადამიანებს შორის შუღლს ჩამოაგდებს, არაკაცია.

13852. მზაკვრული ტყუილით მოხვეჭილ დიდებას ირგვლივ მყოფთათვის სიავე მოაქვს.

13853. სისასტიკე ხშირად უნიათობის ალიბია და ეშმაკის მფარველი ანგელოზი.

13854. უგუნურებითა და უგვანობით ტკბობაც გენეტიკური ფენომენია.

13855. გამოცდილების უგულებელყოფა უხეირო საზოგადოების დიაგნოზია, ოღონდ ცუდი დიაგნოზი.

13856. უგვანო ჩვევების დამარცხებას მარტო გონიერება არ შველის, გარემომაც ხელი უნდა შეუწყოს.

13857. თუ შინაგანად ვერა გრძნობ, ურთიერთობაში შეცდომა სად დაუშვი, შესაძლებელია, მომავალში უარესი შეცდომა იმდაგვარად დაუშვათ, რომ ის სათანადოდ ვერც აღიქვა.

13858. მოუმწიფებელი დემოკრატია ელიტური კორუფციის მამოძრავებელი ძალაა.

13859. უმადურობა სიკეთის დაუფასებლობის და უთავო ყარაჩოღელობის ბრალია და არა მხოლოდ უიმედობის.

13860. მორალისტები ძალზე საეჭვო ხალხია; ისინი სხვებს მორალის შამფურზე აგებენ, თავად კი ისე ცხოვრობენ, როგორც სწადიათ და რაზედაც ხელი მიუწვდებათ.

13861. ქვეყნის შენებას ყველა დარგში თანამედროვე მიღწევების ცოდნა-გამოცდილება სჭირდება და არა „ქუჩის აკადემიაში“ და მიტინგებზე დაგროვილი საეჭვო ცოდნა და საყველპურო განათლება.

13862. ძალიან ადვილია, იყო პატიოსანი, როდესაც ზედაც არავინ გიყურებს და შეუხედავი ხარ.

13863. ძალადობა ყველაზე დიდი გარყვნილებაა, რომელსაც ჩვენს ნება-სურვილთან ომი დაუწყია.

13864. ყველაზე ძნელია იმის გაცნობიერება, რომ შენი უფროსი, რომელსაც პატივს მიაგებდი, როგორც პიროვნებას, გამყიდველი და უკანასკნელი ნაძირალაა.

13865. ეჭვი იწვევს შურს, შური – გაუტანლობას, ხოლო გაუტანლობა კი – უმეცრებას, – შედეგი უპერსპექტივოა.

13866. სამწუხაროდ, დღეს წინდაუხედავი პატრიოტიზმი, გაბრიყვებული ახალგაზრდობა და მოვალეობის შეგნებით დავალებული სამხედროები იძულებული არიან, იბრძოლონ და თავი გაწირონ იმათი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, ვინც თავიანთი წინდაუხედაობით, უნიათობით ეს დაპირისპირება, ომი გამოიწვია.

13867. ყველა ბოროტების სათავე უხეირო გენია, მისი სიძულვილია, ძალადობა და შურისძიებაა.

13868. ქვეშევრდომის ღალატის ბაცილით დაავადების აღმოჩენა ძნელია, რადგან ის შენს ყოველ სურვილსა და ნებას უსიტყვოდ ასრულებს, მაგრამ გულში ჩადებულ ყოყლოჩინობასა და გაუტანლობის სინდრომს ვერაფერს უხერხებს და მარად საღალატოდაა ჩასაფრებული.

13869. არაორგანიზებულს, ჯიუტსა და მოსმენის უნარდაკარგულ ამომრჩეველს დიდხანს მოუწევს სახელმწიფოს შენება და ისიც გარეშეთა კარნახითა და დაშინებით.

13870. ყველაზე მეტიდ გაუმართლებელი ღალატი გვიკვირს და ჩვენს აგრესიას იწვევს.

13871. წიგნიერება უგუნურისთვის მიუწვდომელია, რაც არ უნდა მას დაეწაფოს და იკითხოს.

13872. სიბრძნის ქადაგება სულელზე უარყოფითად მოქმედებს.

13873. ორგულობას, ღალატს, გაუტანლობას ყველაზე დამამცირებელი მარცხი მოაქვს.

13874. ომი და დაპირისპირება ის ჭირი და ბოროტებაა, რომელიც ყველას კარზე აკაკუნებს, იმისდა მიუხედავად, ეს უგუნურება მათ ერგებათ თუ არა.

13875. სიბრიყვეც დიდ ზიანს გვაყენებს, თუ ჭკუის მოხმობას თავისი გადასახედიდან ცდილობს.

13876. გადაცდენიდან სისტემურ დანაშაულამდე ერთი ნაბიჯია.

13877. ზოგჯერ მადლობის გადახდას ვინ ჩივის, თუ სიკეთის კეთებისთვის არ გაგინებენ.

13878. ღალატის, გამცემლობის, მუხანათობის გაგებაც ძნელია და მისთვის შესაფერი ალიბის მოძიებაც.

13879. საქმის საკეთებლად ქრთამის გაღება, შეიძლება, კანონ-საწინააღმდეგო საქმეა, მაგრამ „ხელის ჭუჭყის“ გამცემ-მიმღებისათვის ზოგჯერ დაუვიწყარი სიამოვნების გახსენება-მოგონებაა.

13880. სიცრუეში გახვეულ ბოროტებასა და უპასუხისმგებლობაზე ცუდი არაფერია.

13881. ბოროტება ყველა ჩვენგანის მტერ-მოყვარეა.

13882. გამოუსადეგარი, უნიათო არც ჩვენიანი უქნია ღმერთს და, მით უმეტეს, არც სხვისი, რომლის მიმართაც არავითარი სიმპათია უკვე არ გაგვაჩნია.

13883. მხდალი არასოდეს სანდო არ არის. მისი ბუნებრივი თვისება სიმხდალეა. იგი გამყიდველი და დაუნდობელია.

13884. ნაცნობი გაიძვერა სჯობს უცნობს: მის ანკესზე ნაწილობრივ კი, მაგრამ ბოლომდე მაინც არ წამოეგები.

13885. მანიაკური თვითმკვლელობისკენ მისწრაფება წარსულის სრული უარყოფის შედეგია.

13886. წარმოჩენისთვის ბრძოლა და ყოყლოჩინობა ბევრ აპრობირებულ კარგს ზურგს უჩვენებს, იმისდა მიუხედავად, სინდისის ქენჯნას განიცდის თუ არა.

13887. „ჭორმანქანა“ სიავის თესვასა და სტაბილურობის მოშლას ცდილობს.

13888. ზოგი იმგვარ სისულელეს ამბობს და სჩადის, რომ არ იცის, რაზე და როგორ გაბრაზდეს.

13889. ბოროტებას წიხლის ჩაზელა უფრო უხდება, ვიდრე შერცხვენა.

13890. ბოროტი ბუნება უფრო გენის დამსახურებაა, ვიდრე აღზრდის, გარემოსა და დროისა.

13891. ზიზღისა და შურის დანერგვა ჩვენს ცნობიერებას აბნევს და აგრესიისკენ უბიძგებს.

13892. არაკაცობა ყველაფერს ამართლებს და ყოველთვის იტოვებს საძრომიალო ხვრელებს.

13893. ყოველგვარი უალტერნატივო კრიტიკა დანაშაულია, რადგან აქ დიქტატურა იჩითება.

13894. აუტიზმი ცოდნის მსგავს ინფორმაციას ფლობს, სადაც ყოველგვარი განსჯა გამორიცხულია და თანამდებობაზე მისი დანიშვნას, ზარალის მეტი, არაფერი მოაქვს ქვეყნისთვის.

13895. გულგრილობა ის დაავადებაა, რომელიც იშვიათად იკურნება და ქრონიკულ დაავადებაში გადადის.

13896. დაუმსახურებელი ირონია ცნობიერებასაც გვიბურღავს და წყენაც დიდხანს გვამახსოვრება, იმდენად დიდია მისი გაცნობიერების შედეგი.

13897. ზოგჯერ ისეთი ახლობელი, პიროვნებად მიჩნეული გღალატობთ, რომ გაოცებისაგან „თვალები ჭერზე გრჩებათ“.

13898. ზედმეტი და მოჭარბებული ზოგჯერ სიკეთის კეთებაც კი არარენტაბელურია.

13899. ზოგიერთი უგვანოს ლექსიკონში არც სიტყვა „სინდისი“ არსებობს და არც მისი განმარტება.

13900. სანახევროდ გაკეთებული ღმერთს არაფერი უქნია და აქ დასაყვედრებელიც არაფერია.

13901. ტერორიზმი თუ იდეოლოგიური დაპირისპირება უდიდესი თავის ტკივილია მსოფლიო საზოგადოებისათვის, რომლის ეფექტური სამკურნალო პოლიტიკური აზრები ჯერაც არ გამოუგონიათ.

13902. დამარცხების სიმწრის განცდა მრავალჯერ გვიწევს, იმდენად დიდია უგვანობის ძალა და ასპარეზი.

13903. ჩვენს უნიათობას ჩვენივე გონიერების უგვანობა ანაყოფიერებს და კვებავს.

13904. შური და ზიზღი სინონიმები არ არიან, მაგრამ მეგობრობენ.

13905. სხვას კი არ უნდა ვკითხოთ, რისი გაკეთება შეუძლია, არამედ თავადვე უნდა წარმოვჩნდეთ ჩვენი შესაძლებლობებით, რათა საზოგადოება ფეხზე წამოდგეს.

13906. შავი დღე ყველას გვაშოროს, რადგან ის ჩვენი ცნობიერების

ხერხემალში გადატეხვის ტოლფასია.

13907. უნებლიე მკვლელობაც დანაშაულია, ხოლო სამაგიეროს გადახდა ბოროტების აღორძინებას იწვევს.

13908. უნიათობა თავის გამართლებას ყოველთვის ყბედობით ცდილობს.

13909. შიში ბევრ სისულელეს ჩაგვადენინებს, გარდა საკუთარი სიცოცხლის ხელყოფისა.

13910. ვერაგობა უფრო ხშირად თავისსავე დაგებულ მახეში ეგება, ვიდრე სიკეთე-ვერაგობის მიერ დაგებულ მახეში.

13911. ზოგის ტვინი სტვენს და არა გული, იმდენად უყურადღებოა ირგვლივ მყოფთა მიმართ.

13912. უსირცხვილობა ხელის მოთბობის მიზნით უღირსი ქმედების სულიერი მამაა.

13913. სისულელის კეთების „ბაირამს“ ჭკუაზე მყოფი ვერ ეგუება.

13914. სიხარბე, სიძულვილი, სიავე, თავქარიანობა, მერყეობა, სიჯიუტე, შური, მოსმენის არ ქონა – ეს რვა ცოდვაა, ცხოვრებას რომ გვირთულებს, სიცოცხლეს გვიმოკლებს და ჩვენი სხეულით დედამიწას ამძიმებს.

13915. სამწუხაროდ, გმირის გვერდზე ყოველთვის იმყოფებიან გამცემლები, უმადურები, შურიანები, რომლებიც ცდილობენ გმირის სახელი დროებით ჩრდილში ამყოფონ.

13916. საშინელებაა არასტაბილურ სამყაროში ცხოვრება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყოველივე პოლიტკომედიაზეა დამყარებული და არა ურთიერთმოსმენასა და გაგებაზე.

13917. ბოროტების ქმნა უფრო ძნელია, ვიდრე სიკეთისა, რადგან ბოროტებით ნაქნარი მთელი ცხოვრება გახსოვთ და ზოგჯერ სირცხვილის განცდას იწვევს.

13918. მანკიერებასთან მოლაპარაკების გამართვაც დანაშაულია.

13919. ღალატს, მართალია, გამართლება არ აქვს, რა მიზნებსაც არ უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ, ერთგულება თუ დაძალებითია, მაშინ ღალატიც მისი სინონიმია.

13920. მტრობის მოყვარულებიც თავიანთი გენით იბადებიან და ამიტომაც საჭიროა მათი საიმისოდ მკურნალობა, რათა სიკეთე აკეთონ.

13921. ზოგჯერ ავის ჩადენა გონისთვისაც გაუცნობიერებლად ხდება.

13922. შური დიად ღირებულებებს ებრძვის და არა მის არმქონეთ.

13923. ცუდი საქმიანობა თუ სახელსა და მატერიალურ შესაძლებლობებს იძლევა, თუნდაც გარკვეულ წრეებში, ამგვარ საქმიანობას თავი პიროვნებად მოაქვს და ის ჩვეულებრივ მოკვდავად გახდომას არ დასთანხმდება – მაგ. ქურდული სამყაროს თავკაცები.

13924. სიზარმაცე ინერტულობაა და მას შრომის უუნარობა იწვევს.

13925. უღირსობისკენ ზოგჯერ უნდობლობა გვიბიძგებს და ჟინსაც ასე ვიყრით.

13926. სამწუხაროდ, ბოროტება ზოგჯერ ალიბით ხელში თავს წამოყოფს ამქვეყანად, მაგრამ მას მაინც სიკეთის კეთება სჯობნის.

13927. უნამუსობა ავთვისებიანი სიმსივნესავითაა, რომელიც სადღაც ამოხეთქავს და თავსაც სამკურნალოდ გაგიხდით.

13928. უმადურს სიკეთესთან ურთიერთობა უჭირს.

13929. სიტყვის თავისუფლება თუ ჭორაობაში გადადის, მაშინ ამ თავისუფლებას ფულის შოვნისკენ აქვს მიდრეკილება.

13930. ლაჩრის გამოსწორება არ ხერხდება, რადგან ეს გონების ნებაა და არა აღზრდის დამსახურება.

13931. მრისხანება თავშეუკავებელი სიძულვილია რაღაცის ან ვიღაცის მიმართ.

13932. ვერაგობა, ცბიერება, მზაკვრობა ყველაზე მეტად მისი ჩამდენის სულსა ვნებს, რადგანაც ის გამოუსწორებლად ირყვნება.

13933. უსაქციელობა ყველას გვვნებს, რადგან, რას და როგორ ვაკეთებთ, უკვე ველარ ვაკონტროლებთ.

13934. ზოგს სხვათა ცუდის გაგება იმიტომაც უნდა, რომ მათ ნიშნი მოუგოს და გული გადააყოლოს.

13935. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: ხშირად ერთგულებას ფული, მომხვეჭელობა და კარიერისკენ ლტოლვა სჭირდება, რადგან ხშირად თავდადებას არ გიფასებენ.

13936. ინიციატივიან ბრიყვზე საშიში ქვეყნის მმართველობისთვის არაფრია, განსაკუთრებით, თუ მას თაღლითობისკენ აქვს მიდრეკილება.

13937. ცოდვებში ჩაფლულს რეკლამირება არ სჭირდება, ის ისედაც ცნობილი გაპიარებულია.

13938. ამბიციის მქონე დილეტანტებთან კამათი ყოველთვის უსარგებლო და არაფრის მომცემია, რადგან მათ ისიც არ იციან, რაზე და რისთვის კამათობენ, რადგან ნიჭზე მწყრალად არიან.

13939. „იმან როგორ უნდა მაჯობოს?!“ – ეს გენეტიკური შურია. ის ყოველივე ჭეშმარიტს და კარგს ძირს უთხრის.

13940. ხშირად მზაკვრობა გონიერებას ეურჩება და სიბრძნის გაქიაქება-გაკოტრებას ცდილობს.

13941. უვიცობა ზოგჯერ არარსებულ დანაშაულს იბრალებს და ამით თავიც მოაქვს.

13942. ზოგს სახელმწიფოს ჯიბეში ხელის ჩაყოფაც არ აკმაყოფილებს, რადგან კორუფციის უფრო დიდ სკივრში ხელის ფათური იზიდავს და მოსწონს.

13943. დემოკრატია ყველა ჭუჭყს გარეთ გამოყრის, მაგრამ, თუ ქვეყანას დამლაგებელი ან მეეზოვე არა ჰყავს, ჭუჭყი ამყრალებას იწყებს, მოსაბეზრებელი ხდება და ამგვარი დემოკრატიაც მიუღებელი ხდება.

13944. სიცოცხლეში აღიარებულის გაფეტიშება დროთა განმავლობაში ჭირს მოშურნე პატივმოყვარეთა მომრავლების გამო.

13945. მანკიერების კომპრომისი ბოროტებასთან იგივე ბოროტებაა.

13946. სიბერის გამო თითის მოკაკვა ჩვენი უნიათობის წარმომჩენია.

13947. არამზადასა და ცბიერს შორის დიდი სხვაობა არ არის, მაგრამ ცბიერი, არამზადისგან განსხვავებით, გამოსავალს ყოველთვის ნახულობს.

13948. ტყუილის მართლად წარმოჩენა, შემოჩეჩება ერთი დიდი ხელოვნებაა, მაგრამ უგვანობაზეა აღმოცენებული.

13949. ანგარება და ძალმომრეობა ერთმანეთს უგებენ, მაგრამ ხშირად კანონს ეწინააღმდეგებიან.

13950. უსაქმურობა მარტოობისთვის არის განწირული, რომელსაც ბოროტება ხშირად გვერდში უდგას.

13951. უსაქმურობა უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავს არ სცემს პატივს და ამისათვისაა, რომ მას არავინ თანაუგრძნობს.

13952. გაუტანლობამ, შურმა და „იმან როგორ უნდა მაჯობოს“ მეგობრობა, ნათესაობა და ნათლიმამობა არ იცის.

13953. როდესაც დიდი ინდუსტრია კოტრდება და ქალაქს ტოვებს, ის ქალაქი ჩინოვნიკობისთვის არის განწირული.

13954. ცოდვების აკიდება ადვილია, მისი განეიტრალება და თავიდან მოშორება – ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც.

13955. ცოდვის ჩადენა ადვილია, მისთვის დამარწმუნებელი ალიბის მოძიებაა ძნელი.

13956. ომის საშინელება ისაა, რომ შეიძლება ის ადამიანი მოკლა, რომელიც სხვა გარემოში შეიძლებოდა შენი განუხრელი მეგობარი, ნათესავი და საქმიანი პარტნიორი ყოფილიყო.

13957. ამბობენ, მიჩვეულს და შეჩვეულს ალღოს აღება უნდაო, რათა ურთიერთობაში ნეგატიური გამოირიცხოს.

13958. მშვიდობის დამყარება დღეს მთელი სამყაროს საქმეა და არა რომელიმე „გაქსუებული“ ქვეყნისა, რადგან მას ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობები თანდათან აპატარავებს, ხოლო ომი და დაპირისპირება დადამიწის განადგურების საწინდარია.

13959. არის წინაპარი, რომელსაც სრული უფლება აქვს იმქვეყნადაც გვაგინოს, გვისაყვედუროს, ზოგს იმდენად უმადური და უნიათო

მომავალი თაობა დარჩა.

13960. კითხვებს რომ პასუხს ვერ ვცემთ, ეს უფრო გაუგებრობის შედეგია, ვიდრე გაუნათლებლობისა.

13961. იდეოლოგიას მოწესიგება სჭირდება და არა მასში ეჭვის შეტანა, რადგან ეჭვი ღალატის ტოლფასია და მას სიკეთე არ მოაქვს.

13962. სხვის ცოდვაში ფეხი არ უნდა ჩადგა და არც სხვათა ფეხის ჩადგმა უნდა ისურვოთ.

13963. სიავის დამახსოვრება სიცოცხლის ბოლომდე ტვინს გვიბურღავს და მარად განსჯის საგანი ხდება.

13964. შურს მარად ცუდის კეთება სურს და უმეტესწილად თავსა და ნერვებს აზარალებს.

13965. ომი დიდი „მანიპულატორია“, სადაც სამშობლოს სიყვარული, ადამიანის სიცოცხლე განტევების ვაცის როლში გვევლინება.

13966. ჯან-ღონით სავსე უსაქმურებმა ან ქალზე უნდა იყბედონ, ან პოლიტიკაზე. რაღაცით ხომ უნდა გაართონ თავიანთი მოუწესრიგებელი გონი და ირგვლივ მყოფნი.

13967. ცუდი მაგალითების გაფეტიშება სიკეთის მსხმოიარობას ვნებს.

13968. ზოგი სათნოების კეთებას ბოროტებას შეურევს, რათა საქმე უწვალებლად და დროულად მოგვარდეს, მაგრამ ასეთი მცდელობა, თუნდაც სხვებისთვის შეუმჩნეველი, მაინც ავი ბაცილის მატარებელია.

13969. ზოგს ისეთი უხიაგი და საეჭვო მზერა აქვს, რომ მის ნახვას უნახაობა სჯობს.

13970. ვაი პატრიოტი თუ თავგანწირვაზე მოუწოდებს სამშობლოს საკეთილდღეოდ, იქ ის თავის თავს არ გულისხმობს. მას ირგვლივ მყოფთა სიცოცხლე აქვს მხედველობაში და, თუ მის გვერდით მდგომნი თავს უაზროდ გაწირავენ მისი წაქეზებით, წინააღმდეგი არ არის.

13971. როდესაც ურთიერთობათა ბალანსი ირღვევა, ეს სიკეთის კეთების მსურველთა და ამის მოწინააღმდეგეთა ბალანსის დარღვევასაც იწვევს, რადგან ირგვლივ, ეტყობა, შურმა და გაუგებრობამ დაისადგურა.

13972. ღალატი თუ სიყალბე – ორივე ძნელი გადასატანია, მაგრამ ამ უკანასკნელისთვის ალიბის მოძიება შესაძლებელია.

13973. საკვების უკმარისობას ქვეყანაში ან იდეოლოგია უნდა დაუპირისპირო, ან ტექნიკური პროგრესის დანერგვის მოჩვენებითი მცდელობა, ან ძალა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში ბუნტი გარანტირებულია.

13974. არის გატაცება, ცოდნა, თანდაყოლილი ნიჭი, მისწრაფება, რომელთა ქონასაც არქონა სჯობს, რადგან დროის, გარემოსა და კანონმდებლობისთვის მიუღებელია: ხაკერი, თაღლითი, ხელოვნური

ნარკოტიკის დამამზადებლები, შულერები და ასე შემდგომ.

13975. უგვანო კაცთან მეგობრობა ღალატია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ.

13976. უსარგებლოს სასარგებლოდ წარმოჩენა უგვანობა და სიბრიყვეა.

13977. სამწუხაროდ, პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმს დემაგოგები თავის წარმოსაჩენად და კარიერის მოსაპოვებლად იყენებენ.

13978. სხვათა „ქორწილში“ სიძის როლის მორგების მცდელობა გაუმართლებელია, რადგან ეს იგივეა, დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონფლიქტში შენდა უნებურად მიიღო მონაწილეობა დამოძღვრით „არამკითხე მოამბესო მიტყეპეს და მიაგდესო“.

13979. დიდი გამორჩენის შანსი დროებით შიშს თრგუნავს და პატიოსნებაზე ხელს გვაღებინებს.

13980. უვიცი, გაუცნობიერებელი ამპარტავნობა გაცილებით მეტს კარგავს, ვიდრე იძენს.

13981. გადამეტებული შექებაც კი ფეხის დადების ტოლფასია, რადგან ყოველივე გადამეტებულს თავისი თავის კონტროლი უჭირს.

13982. რწმენის და თავის გაკონტროლების უნარის გარეშე ყოველგვარი წარმატება დროებითი და წარმავალია.

13983. ბოროტება ყველგან დაეხეტება, მაგრამ რა სიავით მოგვევლინება, ეს ჩვენს ცხოვრების წესზე, ნებაზე არის დამოკიდებული.

13984. შურიდან ხშირად ზიზღი და გაუტანლობა იჩეკება.

13985. სიძულვილი ადამიანის ცნობიერების დაბალ საფეხურებს ეთამაშება და გონიერებას რყვნის.

13986. უგვანობაა დაუმსახურებლად თანამდებობაზე წამოსკუპება და არკუთვნილის მიღება, ეს საზოგადოების განუსჯელობის და ფეხებზე მკიდიაობის ბრალია.

13987. ზოგი მშობელი თავისი გადამეტებული რჩევა-დარიგებებით შვილებს მათი ასაკისთვის შესაფერის და დასამახსოვრებელ წლებს უფუჭებს.

13988. ცუდ კაცს, შეიძლება, გამოუვალი მდგომარეობისას ავკაცურად მოვექცეთ, მაგრამ ზომიერება უნდა გვახსოვდეს და დავიცვათ.

13989. ყველა ჩვენგანს რაღაც ცუდი აქვს გაკეთებული, მაგრამ ეს არ უნდა დავიმახსოვროთ, უნდა დავივიწყოთ, რათა ცუდის კეთება მოთხოვნილებად არ გვექცეს.

13990. კანონიერების, პატიოსნების, წესიერების თეორია ერთობ სახარბიელოა, მაგრამ დაულაგებელ ქვეყანაში ამ პრინციპებით ცხოვრება „ხარაკირის“ გაკეთების ტოლფასია.

13991. სისულელის, ანგლობის ჩადენა იმ წუთში, როდესაც მაც-

ქერალი ბევრია, რაც უნდა ლამაზად და მიმზიდველად იყოს შესრულებული, საორჭოფოა, რადგან მიმბაძველი გამოუჩნდება და, თანაც, უარესი მიმბაძველი.

13992. მზაკვრული კოცნა შურიანი კაცის კბენის ტოლფასია.

13993. ბოროტება იმ წყლულზე გვაბიჯებს ფეხს, რომელთაც ყველაზე მეტად ვუფრთხილდებით და ვეთაყვანებით.

13994. სიკვდილი კარზე ჯანმრთელ ადამიანს დაუკაკუნებს თუ ავადმყოფს, ზოგჯერ თავადაც არ უწყის.

13995. ბოროტებამ შეიძლება სიკეთე შემთხვევით მოიტანოს, მაგრამ მაინც საშიში და დასაგმობია.

13996. ტირანია მის მიერ შექმნილ კანონებს აფეტიშებს, ოღონდ მისივე გადასახედიდან.

13997. ბოროტება ადამიანის მოუშუშებელ წყლულებს ეძებს, სიკეთე კი – მათი მოშუშების საშუალებებს.

13998. სიძულვილის მიჩვევა ბოროტებაა და დანაშაულია საკუთარი მეობის წინაშე.

13999. სამოქალაქო ომის ტრაგედია ის არის, რომ ფაქტობრივად ყველა ყველას წინააღმდეგია და ყველა ამ ამღვრეულ წყალში თავისი დიდი თევზის – თანამდებობის – დაჭერას ცდილობს, რასაც ქვეყანა კატასტროფამდე მიჰყავს.

14000. ყალბი ცოდნის სიავეს არცოდნა სჯობს, გონებას მაინც არ გვირევს.

14001. ბრიყვთა შეკითხვებზე პასუხის გაცემას მხოლოდ განათლებული დებილები-აუტისტები – თანხმდებიან.

14002. შური მარად სხვის წარმატებას შენატრის, ხოლო თავად ხელის განძრევაც არ უნდა.

14003. ბოროტებას ვერ ეგუებიან, უსაფრდებიან, დროს ურჩევენ და, თუ საშუალება მიეცათ, ათმაგად აზღვევინებენ ჩადენილს.

14004. თეორიულად ძალაუფლება ჭკვიანთა ხვედრია, მაგრამ პრაქტიკულად ქვეყნის სათავეში შემთხვევითი პიროვნებები და კორუფციონერი ნაძირალები მოდიან.

14005. წინდაუხედაობა, ურთიერთშუღლი, ზურგში მახვილის ჩაცემა, ყველა დაპირისპირებულ მხარეს ბოლოს აჩმორებს და უპერსპექტივოს ხდის.

14006. მუხანათ და ცვალებად ეპოქაში ცხოვრება ჭირს, მაგრამ ბუნებით ნაძირალებს ეს არ ეხებათ.

14007. ბოროტება სიკეთის დატყვევებას მარად თავის წარმოსაჩენად ცდილობს.

14008. ფაშიზმისთვის მორალი ქიმერაა, ხოლო კაცობრიობა მარად ამ მორალის შეჯერება, გადახედვა და განსჯა-აკრძალვის მცდელობაა.

14009. უგვანო ქცევის შედეგია უგუნურება, უმეცრება, უნიათობა, მათთან შერკინების სურვილის უქონლობა.

14010. დეპრესია საკუთარი თავისადმი რწმენის დაკარგვას იწვევს და პიროვნებისთვის ყოველივე და ყველაფერი სულერთი ხდება.

14011. ბარბაროსობის გაჯეჯილებას ჩვენს დროშიც საშველი არ ადგება (ალკაიდა, ძმები მუსლიმანები). ის ახალი სახით და ძველი ქმედებით სიკვდილს თესავს და მას ცივილიზაციის წინსვლამ ვერაფერი ასწავლა.

14012. იმედგაცრუებასა და ცხოვრებით დაღლას უნიათობა მოსდევს.

14013. ის თაობაა დამნაშავე, რომელიც მტრის მიერ დაყრილ საკენკს განუკითხავად კენკავს და ამ ქმედებისთვის რის გაღება მოუწევს, არავინ უწყის.

14014. საწამლავს ინტერესის გამო როდი სინჯავენ. თვითმკვლელს ამის ჩადენას აიძულებს უიმედობა, ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევა და ღალატი.

14015. ღალატი გაუგებარია, ხოლო შურიანობა არ ნიშნავს ცხოვრების დასასრულს. აქ მთავარია, ისინი არ ვაქციოთ აპოკალიფსად.

14016. ცალმხრივი დანაშაული არ არსებობს. ამგვარ ქმედებას რაღაც განმსაზღვრელი მოეძებნება.

14017. უმადურობა დიდი ცოდვაა, მაგრამ მას სასჯელის არ ეშინია, იმდენად დიდია მასზე ამბიციების გავლენა.

14018. უიღბლობაზე ჯუჯღუნი კიდევ უფრო აუარესებს ჩვენს უგემურ ყოფას და ცისარტყელისფერი ოცნების უნარს გვიკარგავს.

14019. მაშინაც კი, თუ ძველი ცოდვები ახალ ცოდვებს ანგარიშს პატიოსნად აბარებენ, მომდევნო ცოდვების საქმე საჭირბოროტოა.

14020. ზოგჯერ თავისი გამჭრიახობითა და მომხიბვლელობით ტყუილი თავს იწონებს და აღფრთოვანებასაც იწვევს იმ ხალხში, ვისაც მოსწადინებია, ეს ტყუილი რეალობად იქცეს.

14021. ყოველი არასწორად გადადგმული ნაბიჯის შემდგომ თავს მხნედ უნდა შევძახოთ და მომავალს დაკვირვებული თვალი შევავლოთ.

14022. გულგრილობა ცივილიზაციის უმთავრესი ჭირია და საკუთარ თავზე მომეტებულ ფიქრს გულისხმობს.

14023. სამწუხაროდ, ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლას ხშირად ბელადი-პიგმეები, თვითმგვემი ნაცისტები, თავისი დროის ტუტუცი მტრები, ვიგინდარა ბუნების პირები უდგებიან სათავეში. მათი ინტერესები ხშირად ნაღდ ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება, რადგან მათ წინხედვის, დროისა და გარემოს შეფასების არავითარი უნარი არ გააჩნიათ.

14024. ეჭვი ყოველივე დადებითს ძირს უთხრის და სათუოს ხდის.

14025. უმადურობაზე, გაუტანლობაზე, ღალატზე დიდი ცოდვა ძნელად მოიძებნება. მათი განცდა ცხოვრების ალიყურად უნდა მივიღოთ.

14026. თავად ბუნებით უზნეოს უზნეობის დანახვა ყველგან და ყველაფერში იოლად და უდრტვინველად შეუძლია.

14027. საკუთარ თავს ყველაზე მეტად თავად ვნებთ, რადგან წამხედურობით, შურით აღჭურვილები გაცილებით მეტს ითხოვთ, ვიდრე გეკუთვნით და იმსახურებთ.

14028. არიან გარემოებათა ზეგავლენაში მოქცეული აგენტები, არიან ანგარებიანი მოყვარულნი, თვითმარქვია დამსმენებიც. მათი ნდობა არ შეიძლება, რადგან ფულისთვის ისინი ყველას გაყიდიან.

14029. ცნება „სასწაული“ ძირითადად უცოდინარობის შედეგია, რაც ძირითადად სამყაროს სუსტი აღქმა-შეცნობით გამოიხატება.

14030. „ის რომ არა“ იმდენად უსუსური არგუმენტია, რომ მასზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. მასზე ხშირად დაფიქრება ჩვენს ცნობიერებას აკნინებს.

14031. ნაციონალური სიამაყე უგვანოთათვის ყველაზე იაფი და ხმაურა სიამაყეა.

14032. პატიოსნების უპატიოსნობაში აღრევა გაუგებრობასა და არეულობას იწვევს, როგორც თეთრი არაგვის შავ არაგვში შერევა. საგულისხმოა, რომ ამ მდინარეთა ერთიანი სახე შავისკენ იხრება.

14033. არაკაცობას ეტყობა ჭკუა უნდა, მოხერხებულობაც და უნამუსობაც, აყვანილი კვადრატში, კუბში. დღევანდელ მათ საქმიანობას რომ ვუცქერი, თავში სხვა აზრი არ მომდის.

14034. თანდაყოლილ ნაკლოვანებებს, შესაძლებელია, თანამედროვე ცოდნის მიღწევებით ვუმკურნალოთ და გამოვასწოროთ, მაგრამ გახრწნილი ბუნების ადამიანთა გამოსწორებას უკვე ცოდნა აღარ შველის – მხოლოდ გამოცდილება და როზგი, ცხოვრების ცოდნა და შპიცრუტენი!

14035. საშინელებაა, როცა შენს იდეალებს სხვები მიითვისებენ, ხოლო იმავე იდეალებისთვის შენ ციხეში ზიხარ.

14036. ყველა „ჩამშვებს“ უპირველეს ყოვლისა მატერიალური ინტერესი ამოძრავებს, შემდგომ მოდის შური, სიმხდალე და გაუტანლობა.

14037. ზოგიერთი არაკაცის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო ღვინის ჭიქაში შხამის ჩაყრის ტოლფასია.

14038. უგვანობა უცოდველ ქმედებებსაც ბოროტების სამსახურში აყენებს.

14039. უგვანობის წახალისება უგუნურების წისქვილზე წყლის მიშვების ტოლფასია.

14040. უმსგავსობაა, როდესაც ახლობელი გამორჩენის მიზნით

გატყუებთ, ხოლო უგვანობაა, როცა მას ემსახურები და სამაგიეროს გადახდას ნიშნის მოგებით ცდილობთ.

14041. უგუნურებას ხშირად სილაჩრემდე მივყავართ, იმისდა მიუხედავად, უგვანობას აფექტის ვითარებაში ჩავდივართ და უიმისოდაც.

14042. ზოგჯერ სადიზმისა და მაზოხიზმის ელემენტებიც საჭიროა დიდი დასამახსოვრებელი საქმის საკეთებლად.

14043. შემაძრწუნებელია, როდესაც უმადური და სათუო გონის შთამომავალი რჩება ქვეყანას, რომელსაც რეალობის აღქმის და ანალიზის უნარი არ აქვს.

14044. გენეტიკურად თანდაყოლილი მოშურნეობა და უმადურობა განუკურნებელი სენია.

14045. სამწუხაროდ, უფრო ხშირად ისინი გვღალატობენ, რომელთაც ყველაზე მეტად ვენდობით. ისინი თავიანთ ერთგულებას გვაყვედრიან, რაკიღა ამპარტავნობის ჭია უჩნდებათ.

14046. წარმატება უზნეობას ბიშტს კი უჩვენებს, ოღონდ რა აზრი აქვს, თუ უზნეობას ღრმად აქვს ფეხი გადგმული.

14047. ტყუილი ერთია, „გადაგდება“ მეორეა, გატუტუცება მესამეა. შედეგი ყველგან ერთია – საქმის გაფუჭება.

14048. საშინელებაა, როდესაც ხალხი უაზრო სიკვდილს, მკვლელობებს ეჩვევა. ყველა თავის გადარჩენა-გატანაზე ფიქრობს და ქვეყანაში ავ-კარგის გარკვევისთვის ვერ იცლის.

14049. ქვეყნებს შორის ძველი სისხლიანი და უკომპრომისო დაპირისპირება დღეს ხელის ჩამორთმევამ და ზურგში დანის ჩარტყმის სურვილმა შეცვალა, რადგან დაპირისპირების ხასიათი, საზოგადოების ცივილირების მიუხედავად, ძნელად თმობს თავის პოზიციებს.

14050. ჩვენი ბუნებისათვის მიუღებელო იდეოლოგიისთვის მასობრივი აყოლა სასურველ შედეგს არ იძლევა.

14051. წაგებულ ომში მხედარმთავრობას მტერსაც კი არ ვუსურვებდი.

14052. მატერიალურ სიკეთეებზე გამოკიდებას და სულიერების გარყვნას კარგი არაფერი მოაქვს.

14053. შურიანი სხვათა ბედის გამართლებას არ იწონებს, თუნდაც აქედან ხეირი ნახოს..

14054. სათაყვანებლისთვის დროებით ზურგის შექცევაც დანაშაულია.

14055. გამოცდილების ბრიყვულ გამოყენებას სასურველი შედეგი როდი მოაქვს.

14056. ცნობიერი ცნობიერს დაეძებს, უგუნურს გაურბის.

14057. უმცირესობისთვის უმრავლესობის სახელით გზის ჩაკეტვა შთამომავლობის წინაშე ჩადენილი ცოდვაა.

14058. შურზე, გაუტანლობაზე, დაუნახაობაზე უარესია მოსმენისა და განსჯის უნარის დაკარგვა.

14059. გადაჭარბებულს, მომეტებულს უბედურებაც ბაქითა და ზარ-ზეიმით მოაქვს მავანთათვის.

14060. ჩვენს წინაპრებს მრავალი მიუღებელი ქმედებანი აქვთ ჩადენილი. იმ ღადრის გაქექვა აწმყოს უწევს და მომავალსაც მოუხდება.

14061. ამბიციურებს მათზე ჭკვიანის ატანა უჭირთ, რადგან ისინი ყველას და ყოველივეს მიმართ შურიანები და პრეტენზიულები არიან.

14062. ვისაც კოშმარი აწუხებს, ეტყობა, ეშმაკი ჰყავს შეჩენილი.

14063. ბედის რჩეულისა არ უნდა შეგვშურდეს, რადგან შური ბოროტების მღვრიე სათავეა.

14064. გაუტანლობა და თვალთმაქცობა გულ-ღვიძლს უფრო მაგრად გონიერს უწვავს.

14065. არის მიზეზი, არის საბაბი, რომლებიც ურთიერთს მხარს უბამენ მათთვის არასასურველი საქმის კეთებასა ანდა ბლოკირებაში.

14066. ბუნებით არამზადაც კი პატრიოტულ გრძნობებს ანგარიშს უწევს.

14067. უსარგებლოა ყოველივე ის, რაც თეორიულადაც კი გამოუყენებადია.

14068. ამბიციების აყოლას სიკეთე არავისთვის მოუტანია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ვიღაცას ვბაძავთ და თავის მოწონებაც გვწადია.

14069. სიჯიუტე ამაზრზენია, განსაკუთრებით, თუ მას რეალური საფუძველი არ აქვს.

14070. თვითკმაყოფილ და თავზე დიდი წარმოდგენის მქონე გონს ყოფიერების უფსკრულისკენ მივყავართ.

14071. შურისძიება – ეს ის კერძია, რომელსაც ცხარე საწებლით მიირთმევენ, რათა სიამაყე აამაღლონ და არა გონიერების მადლი დაამდაბლონ.

14072. ტერორიზმზე საშიში და უგვანო არაფერია, რადგან ტერორისტი შურს იძიებს იმ ადამიანთა მიმართ, რომლებსაც არაფერი ცუდი მის მიმართ არ ჩაუდენიათ.

14073. შიშისგან განსხვავებით, სასჯელმა შეჩვევა იცის და რეციდივისკენაც აქვს მიდრეკილება.

14074. ზოგჯერ უგუნურება თავის შეუკავებლობის დამსახურებაცაა.

14075. თუ წარსულს მივტირით, ხოლო აწმყოს მიმართ უიმედობა გვეუფლება, ეს უფრო იდეოლოგიის არქონის და ავი ყოფის ბრალია.

14076. ლოთს, ნარკომანს, ავკაცსაც თავისი ფილოსოფია აქვს და, ჩვეულებრივ, ეს ფილოსოფია უდღეურია.

14077. თუ ქვეყანაში კეთილყოფიერების გასათვალისწინებელი

მაგალითები მიფუჩეჩებულია, იმ ქვეყნის საქმე წასულია.

14078. ბოროტებას ძლიერთან შებმა უფრო მოსწონს და ეხალისება, თუ შედეგი გარანტირებული აქვს.

14079. ბოროტებაა, როდესაც სხვათა უბედურება, ცილის წამება, ნიშნის მოგებით საუბარი სიამოვნებას განიჭებს.

14080. დიდ შემოქმედს სათანადო დამფასებელი არა ჰყავს, რადგან მისი დროის ნიჭის დამნახველი „ძველი ბიჭები“ მის შესაძლებლობებს აკნინებენ და შურის ღვარძლს აფრქვევენ.

14081. კინკლაობა, სიტყვებით ფარიკაობა ზოგჯერ „შელაპარაკებაში“ და ჩხუბში გადაიზრდება და ორივე მხარისთვის საზიანოა.

14082. ცოდვების ჩადენასა და მსხვერპლშეწირვას უნდა ვერიდოთ, რადგან ეს ბარბაროსობაა და არა სასწაული.

14083. ყოველგვარი ომი, დაპირისპირება ტარგედიაა, თუ ის საბოლოო შედეგს არ იძლევა.

14084. ზარმაცი და უნიათო მფლობელის ხელში ზოგჯერ მიწაც მსხვერპლად წარმოჩნდება მოუვლელობის გამო.

14085. განსაკუთრებული ვნება მოაქვთ ჭკუის არმქონე თავდაჯერებულ აუტისტებს, ამასთანავე, ისინი ამას ვერ აცნობიერებენ.

14086. ბოროტებაზე აგებულ დიდებას დიდხანს სიცოცხლე არ უწერია.

14087. უგვანი არცერთი მიღწევით კმაყოფილი არ არის.

14088. სისულელის ჩადენაც ერთგვარი გაუგებარი უბედურებაა.

14089. არიან მოყვარული პროფესიონალი წმინდა სისხლის არამზადები, რომელთა გამოსწორებაზე ფიქრი უაზრობაა.

14090. შუა გზაზე საქმის მიგდება სიბრიყვის ან გაბრაზების მაჩვენებელია.

14091. ზოგს იმდენად არ უნდა გვირაბის ბოლოს სინათლის დანახვა, რომ ელექტროქსელს გამორთავს ანდა სულაც გვირაბის ბოლოს ააფეთქებს.

14092. უმადურ-უბადრუკები მარად სხვათა გაქილიკებას ცდილობენ, რათა თავიანთი უნიათობა მიჩქმალონ.

14093. სხვათა მომსახურების მოწოდება თუ არა გაქვთ, მაშინ მოგბეზრდებათ ეს სამსახური და მიზეზიც გამოჩნდება: დაუნახაობა, უმადურობა.

14094. უმადურობა ყოველთვის მოიძიებს ალიბს თავისი თავის გასამართლებლად.

14095. ძუნწი ვერც დროის უყაირათო ხარჯვას ითმენს. საოცარია პირდაპირ: ცას ხომ არ გამოკერება, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია მისი ბუნება.

14096. უგვანობის ამოცნობას ზედმეტი ყბედობა არ სჭირდება. ის

დაულაპარაკებლადაც ამჟღავნებს თავს.

14097. ბოროტება შეძლებისდაგვარად თავისი კვალის დატოვებას ცდილობს და, თუ რატომ, თავადაც ვერ გარკვეულა.

14098. ჩვენი მოწონება-არმოწონება ზოგჯერ განუსჯელ შიშზე არის დამყარებული.

14099. ისიც უბედურებაა, როდესაც წინასწარ გრძნობ, თუ ბედ-ნიერება ხელიდან უდროოდ გეცლება.

14100. კეთილგონიერის გარყვნის მცდელობა უგვანობის საწ-ინდარია და უბედურების მომასწავებელი.

14101. ერთმანეთის ჯიბრს, ურთიერთგადაგდების მცდელობას ჯერ სიკეთე არავისთვის მოუტანია.

14102. მუდმივად მრისხანება, შეუთავსებლობა სიძულვილის ჭიას აჩენს, რომელიც ვის როგორ და სად შეუძვრება, არავინ უწყის.

14103. დაფარული ბოროტება მარად ჩასაფრებულია და ალიბის ძიებაშია.

14104. ზოგჯერ ჩამოვარდება საეჭვო სიჩუმე, ზურგში ტყვიის დასახლელად შეუმჩნევლად რომ ემზადება.

14105. მკაცრი ხასიათით იკანკლურად სვლა საკმაოდ საშიშია, რადგან ამის უკან ვერაგი პიროვნება დგას.

14106. მცდელობა, რომელიც წარმატებით გვირგვინდება, ზოგჯერ ბევრ არაკეთილმოსურნეს გვიჩენს.

14107. უნიათო და უპერსპექტივო ხალხის ქვეყნის სათავეში მოწვე-ვა დანაშაულთან ერთად ღალატიცაა არა მარტო საკუთარი ერის, არ-ამედ სხვა ხალხის, ქვეყნისა და მსოფლიოს წინაშე.

14108. თავხედობის საწყისი უზრდელობაა.

14109. ცოდვილთ უფრო მეტი საფიქრალი აქვთ, ვიდრე უცოდ-ველთ.

14110. ამბობენ, ბოროტი ადამიანი ღმერთს არ უქნიაო, მაგრამ ამ საქმეში ეშმაკი ხომ ეჩრება. განა ისიც განგების შექმნილი არ არის.

14111. სულიერად ამაღლებული შეუფასებელი ქმედებანი ხშირ-ად ბუმერანგად შემოგვიტრიალდება. ამიტომ ეფექტის მოხდენა კი არ არის მთავარი, არამედ განსჯა და შედეგის მიღება.

14112. უმადურობა, უსამართლობა მაშინ არის ძნელად ასატანი, როდესაც შენი საყვარელი ადამიანის მიერ ჩადენილ დანაშაულს სა-კუთარ თავზე იღებ და ისჯები. ის კი ამ დროს გღალატობს და სხვაში გცვლის. აქ ძნელია ნერვების მოთოკვა და სამაგიეროს მიგებაზე უარის თქმა, თუ საღ გონს დროულად არ უხმობთ.

14113. შური თანდაყოლილი თვისებაა და ის მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანშია დაბუდებული.

14114. შური განუსჯელობისა და სულმოკლეობის აშკარა მაჩვენ-

ებელია.

14115. ფანატიზმი, ნაციონალიზმი, ამპარტავნება, შური – ყველა ეს ცნება ურთიერთს შეესატყვისება და ძირითადად დაუსაქმებლობის, საზოგადოებაში საკუთარი ადგილის გამოუნახაობის, თანდაყოლილი შურისა და დაუკვალიანებლობის შედეგია.

14116. პროგრესს ძველთან კომპრომისი არ უყვარს, მხოლოდ მისი მოსპობით კმაყოფილდება.

14117. სხვათა პატივმოყვარეობა ცდილობს, ჩვენი გააშაოს და ამიტომაც ჭირს მასთან საერთო ბალახის მოძოვა.

14118. ბოროტებას ის გაუცნობიერებელი სიტყვები აქვს, რომლებიც სიკეთეს უპირისპირდება და ბოლოს თავად ბოროტებასაც ვნებს.

14119. ბოროტება განგაშის ხშირად გამოცხადების მომხრეა, თუნდაც თავის გამოსადებად.

14120. უვიცობას ხშირად ის მოსწონს, რაც გაუგებარი და მავნებელია.

14121. ჩვენი მტრის ჩვენ წინაშე ქება-დიდება ჩვენდამი უპატივცემულობის გამოხატვის მცდელობაა.

14122. გარიგებით სპონსორობა თავმოყვარეობის დაკარგვას იწვევს.

14123. მოგებიანი გარემოებისგან თავის არიდება წიდაუხედაობაა და ეს საზარმაცე ქვეყანას ძვირად უჯდება.

14124. ყველა აუგის მთქმელი აუგს აგროვებს და ახმოვანებს.

14125. ყოველგვარი სახელმწიფო გადატრიალება მსხვერპლს მოითხოვს, ე.ი. დანაშაულია. აქ უმთავრესად დამნაშავეა ქვეყნის ხელისუფალი და კრიტიკულ აზრს მოკლებული ჰარი-ჰარალე ამომრჩეველი.

14126. ინფორმაციული ქაოსი ქმნის გაუგებრობას, ურთიერთს გვაძულებს და უგვანობისკენ გვიბიძგებს.

14127. საკუთარი ნების სხვის თავზე მოხვევას და შანტაჟს სასურველი შედეგი არ მოაქვს, რადგან ხშირად ბუმერანგივით უკან გვიბრუნდება.

14128. სახელმწიფო ღალატია, როდესაც იცი, რომ ესა თუ ის ღონისძიება საჭიროა ქვეყნის, ქალაქის განვითარებისთვის და იმის გამო არ აკეთებ, რომ ხელი შეგეშლება კორუფციაში. მგ. ქალაქის გაშენების გეგმა დიდი ხნის წინათ უნდა შედგენილიყო, მაგრამ ეს ხელს შეუშლიდა პრესტიჟულ ადგილებში სახლების მშენებლობას, ე.ი. ქრთამის აღებასა და სხვა მაქინაციებს, როგორც ეს ხდება დღევანდელ საქართველოში, მაგ. ქ. თბილისში.

14129. სხვათა სასაცილოდ აგდებამ თავის აგდება იცის, რასაც ზოგჯერ მძიმე შედეგი მოჰყვება ხოლმე.

14130. ცუდის ფრთხილად აღქმა მისგან გამიჯვნის საწინდარია.

14131. ბრიყვების ცხოვრების პრეროგატივაა ბოროტების კეთება.

14132. ხალხის და სამშობლოს სიყვარულის შეთავსება მამულიშვილის თვისებაა.

14133. მოხერხებულობის ბოროტად გამოყენება უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე თავად ცარიელი ბოროტება.

14134. შური უკვდავია, განსაკუთრებით, თუ ის გენეტიკური და თანდაყოლილია.

14135. დანაწევრებული და სიავით შებოჭილი შურისთვის დროულად ალღოს აღება არც ისე ადვილი საქმეა.

14136. ზოგი უმადური უპროცენტო ფულის მსესხებელი თავს იწონებს ახლობლების წინაშე: „მივაშავე“, „მივუგდე“, „მოვიშორე!“ და საყვედურსაც გამოთქვამს, რომ მას ეს ფული არ აჩუქეს. ასე განუსჯელად და პატივის მიუგებლად სიკეთის გამკეთებელ მსესხებელზე ცუდს რომ ამბობს, ამას ვერ ხვდება.

14137. ღირებულებათა დაუფასებლობა იწვევს ეროვნულობაზე უარის თქმას და ბოლოს სახელმწიფოებრიობის ნგრევას.

14138. ეჭვიანობა მაშინ იწყება, როდესაც ურთიერთობა ნელთბილი ხდება და შინაგანად არც შენ ხარ წინააღმდეგი, ის მიატოვო.

14139. ზოგმა ვაი-ორატორმა „ლაი-ლაიც“ არ იცის, რადგან, რაზე იყბედოს, მისთვისაც გაუგებარია.

14140. უხიაგობის დაუსჯელობა საზოგადოებას რყვნის და სხვასაც მიბაძვის სურვილს უჩენს.

14141. ძალაუფლება ყველას აფუჭებს, მაგრამ აქ პირველობას უგვანობა არავის უთმობს.

14142. რევოლუციონერის ღირსება საღი გონებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ უაზრო ხოცვა-ჟლეტისკენ მიდრეკილებით განისაზღვრება.

14143. უნიათობა და უპასუხისმგებლობა ყოველგვარ მცდელობას უშედეგოსა ხდის.

14144. ეგოიზმის მრავალი სახე არსებობს, რომელთაგანაც ყველაზე უარესია ის, რომელიც ვერც თავს რგებს და სხვებსაც არ აძლევს ცხოვრების საშუალებას.

14145. მავნებლობის ჩადენისკენ მიდრეკილებას ჭკუა ვერ შველის, იმდენად დიდია გადაგვარებული გენეტიკის ძალა და მოთხოვნა.

14146. ბოროტების დაცვა ახალ ბოროტებას იწვევს.

14147. ხელოვნური, ყალბი პატრიოტიზმი ყველა ნაძირალას დასაყრდენია, რომელიც პერსპექტივისა და კარიერისთვის სჭირდება.

14148. უმიზნო და უზედამხედველო ეპოქა კარგს არაფერს მოგვიტანს.

14149. პატიოსნებაც ზიანის მომტანია, თუ ის წინააღმდეგობას არ

უწევს უგვანობასა და დრომოჭმულობას.

14150. სისულელის წინასწარი განზრახვით ჩადენა უპატიებელი დანაშაულია.

14151. ავის მქნელის წინაშე წამლიქვნელება საკუთარი თავის შეურაცხყოფაა.

14152. უსამართლობისკენ მისწრაფება ძირითადად საქმიანობისა და განსჯის უნარის არქონის ბრალია.

14153. სიცრუე ბოროტების ნაბიჭვარია.

14154. უნიათოდ და უგულოდ ნაკეთები საქმის ნაყოფი ხშირად უკან ბუმერანგივით გვიბრუნდება.

14155. შური სიძულვილის სინონიმია.

14156. ამბიციასა და გამყიდველობას შორის ერთი ნაბიჯია, რომლის გადადგმასაც შური კურირებს.

14157. ბოროტების ჩამდენს თუ გაუყუჩდებით, ხელს შეუწყობთ, თავადაც ბოროტების ჩამდენი ხდებით.

14158. სურვილების დამონებას ჯერ სიკეთე არავისთვის მოუტანია.

14159. სერიოზულ ქმედებებს ზოგჯერ ღიმილისმომგვრელი ქმედებანი უდებენ კვანტს.

14160. სიჯიუტე, ჩამორჩენილობა, უმოქმედობა – ყოველივე ეს უგვანობისა და უგუნურების საწყისია.

14161. აგრესიას დაჩვეული ხელით სიკვდილი საშინელებაცაა და ადვილიც, რადგან ადამიანი ტკივილის შეგრძნებას ვერც ასწრებს.

14162. საკუთარი ცნობიერების უნებლიე შერყვნაც კი საგანგაშო ამბავია.

14163. თანამდებობისადმი შეუფერებლობა შიშის განცდას იწვევს, რაც უხეშობასა და ამპარტავნობაში გადაიზრდება.

14164. უღირსისთვის ღირსეულიც კი მისთვის გასაქიაქებელ უღირსად აღიქმება.

14165. ვაი-ვაგლახით შენარჩუნებულ მეგობრობას ისევ უმეგობროდ დარჩენა სჯობს.

14166. ნაძრახი სიცოცხლე ნაძრახი სიკვდილის ტოლფასია და მას გამართლება არ აქვთ.

14167. ბოროტება და სიჯიუტე ძმები თუ არა, ახლობლები მაინც არიან.

14168. ყოველი სახის სახელმწიფო გადატრიალება, რევოლუცია იმედს გვიტოვებს, მაგრამ რეალური საქმიანობისგან ხელმოცარული და აკვიატებული რწმენის ადამიანები არსებული წეს-წყობილების ნგრევას ლამობენ და ასევე ბრბოსაც აიყოლიებენ. მათ ჰგონიათ, რომ ისინი ხალხს წარმოადგენენ.

14169. შემთხვევით გადმონთხეული მრისხანებაც კი, „რაც გვწამდა ძველად“, იმის წამლეკავია.

14170. ზოგჯერ კარიერისათვის ბრძოლა-დაპირისპირებას სამშობლოს სიყვარულით ხსნიან, თუმცა ხშირად ეს სიტყვის მასალა და საკუთარ თავზე ზრუნვაა.

14171. ბოროტების მოწოდებაა სიკეთისთვის კვანტის გამოკვრა და ეს გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს.

14172. შურს თუ ბოროტებაც ახასიათებს, ეს დანაშაულია კვადრატში.

14173. ამბიციას ცხოვრების ალიყურიც კი სათანადო გაკვეთილებს ვერ უტარებს და მას ვერაფერი ვერ შველის.

14174. სიბრიყვე და სიჯიუტე ტყუპები თუ არა, ძმები მაინც არიან.

14175. არამზადად დაბადებულისთვის სინდისის გაღვივების მეთოდების მოძიება ჭირს.

14176. ზოგის კარგ ხასიათზე ყოფნა შურიანებს ხასიათს უფუჭებს და მათი ტანჯვის საწყისიც აქედან იწყება.

14177. არამზადისთვის ხელის გაწვდომას ისევ მასთან უბრად ყოფნა სჯობს.

14178. „შენ ხარ ვენახის“ წარმოთქმა ყველას მოგვწონს, ეს მაშინ, როდესაც შინაგანად მზადა ვართ მეტოქეს ფეხი დავუდოთ, ვლანძღოთ, რათა მასზე უკეთ წარმოვჩნდეთ.

14179. გაკიცხვა უვარგის ქმედებათა გამოსწორებას უნდა ემსახურებოდეს და არა მარტო გულის მოფხანას.

14180. ამპარტავნობა და გულგრილობა სასურველი და საინტერესო საქმის საკეთებლად არ გამოდგება.

14181. კრიტიკა გარკვეულ ჩარჩოებს უნდა ემორჩილებოდეს, ხოლო შეურაცხყოფისთვის ჩარჩო არ არსებობს.

14182. სიკვდილის ანგელოზი თავის საქმეს თავისუფლად აკეთებს, რადგან ის ბუნებითაა ანგელოზი და არა თავისი საქმიანობით.

14183. მაბეზღარობა უმადურობაზე უსინდისობის, უნიათობის გენის გაჯეჯილების შედეგია.

14184. სიძულვილი ცუდად საქმიანობს დასახული მიზნის შესრულებისასაც კი.

14185. უგუნურებაა ყოველივე სიავის და სიბეცის მშობელიც და შემქმნელიც.

14186. მეგობრობა და ურთიერთობა მაშინ მთავრდება, როდესაც რომელიმე მხარე ვალის გადახდასა ან დანაპირების შესრულებაზე უარს აცხადებს და ქვეშიდან გამოდის.

14187. ბოროტებას უგვანობის კუდი ყოველთვის გამობმული აქვს, რაც უნდა გასამართლებელი ალიბი ჰქონდეს.

14188. ზოგი არარაობა თავის წარმოჩენას უსახური საქმის კეთებით ცდილობს.

14189. ყბედი უპირველეს ყოვლისა ჩვენი მტრებისა და ავის მოსურნეთა მეგობარია.

14190. ზოგი მთელი ცხოვრება პრობლემებს უქმნის სხვასაც და საკუთარ თავსაც და ეს მას სიამოვნებას ანიჭებს. მის გამოსწორება-გარდაქმნაზე საუბარი ზედმეტია.

14191. როდესაც ადამიანები ბოროტებას, უგუნურებას უყურებენ, ამით ერთობიან და მას არ ებრძვიან, ბოროტების გენით არიან დაბადებულნი.

14192. ბოროტებისთვის ყურის გდება ბოროტების ჩადენისკენ გვიბიძგებს.

14193. დაუსჯელი მოძალადის პარპაში ისევ ჩვენი უნიათობის დამსახურებაა.

14194. სიტყვათა ჯახია, გაუგებრობასა და მუშტიკრივს რომ იწვევს და ზოგჯერ სავალალოდაც მთავრდება.

14195. უსინდისობაც კი არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ყოველივე დროის კაურებს გადავაბრალოთ და ჩვენ უცოდველნი დავრჩეთ.

14196. სიავის საწყისი გენშია ჩუმად გატრუნული და, თავს როდის წამოყოფს, არავინ უწყის.

14197. მწვავე, ღვარძლიანი, გამქირდავი სიცილი ყველა შეურაცხყოფაზე მეტია.

14198. ფასადური ყოველივე მიუღებელია, დასაგმობია და არარენტაბელურია.

14199. დიდებასაც თავისი ჭიები უჩნდება და მის გამოხრას ცდილობს.

14200. ურთიერთობისას სხვებში ცუდის მოძიების სურვილი და მცდელობა ავადმყოფობაა.

14201. ეძიო გამორჩენა იქ, სადაც უბედურებაა, ბუნებით ნაძირალა უნდა იყო.

14202. „მამაძაღლობა“ ზოგს ჭკუად მიაჩნია, მაგრამ, შიგ რომ ცინიზმია ჩადებული, ამას არად დაგიდევთ.

14203. ავსიტყვაობას და ტრაბახს პატივმოყვარეობა ითხოვს.

14204. სიამაყე სხვათა ღირსების ზიზღით ყურებას გვაჩვევს.

14205. ყურების მონა მარად მიყურადებულია, ვინ რას იტყვის და ვის რა წამოსცდება.

14206. უსაქმურობა მოსაბეზრებელია, მაგრამ მისგან თავის დაღწევა არც ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

14207. უგვანობაა, როდესაც დროის დაცინვის და გარემოებათა გამო ქვეყნის სათავეში შემთხვევითი, ამბიციების მქონე პირი მოკა-

ლათდება, ხალხი მას მხარს უბამს და გარკვეულ დრომდე ეთაყვანება და მისი სჯერა.

14208. დაუძლეველი წინააღმდეგობის წინაშე ყველა უძლურია და აქ გმირობის ჩადენას არვინ ცდილობს.

14209. ბოროტება თავის გმირს სახელის დასამახსოვრებლად გვიტოვებს და ზოგჯერ ის მაგალითადაც მოჰყავს.

14210. ზოგი არც მადლის მქნელს და არც საკუთარ თავს არ აფასებს, თითქოს ის ამქვეყნად ამას იმსახურებდეს.

14211. ზოგჯერ ბოროტება სიკეთის კეთების მცდელობით გვეღადავება.

14212. ყველაზე სახიფათო ნარკოტიკი ის უგვანო სიტყვაა, რომელიც იდეოლოგიაზეა დაყრდნობილი და პიარის შემადგენელი ნაწილია.

14213. ზოგიერთისთვის სიბრიყვის კეთება ბედის განჩინებაა და მას აღარაფერი ეშველება.

14214. არაკაცის მიერ შემოთავაზებულმა დახმარებამ, შეიძლება, განგების გაღიზიანება გამოიწვიოს.

14215. სხვათა ცოდვების საკუთარი თავისთვის დაბრალება უგვანობაა, რადგან შენში პოტენციური დამნაშავის გენი აფართხალდა.

14216. ურცხვს, თაღლითს თავისი მდგომარეობა დიდად არ აწუხებს, რადგან ის დიდი ხანია უნამუსობას მიეჩვია.

14217. ჩვენ არ გვიყვარს მათი გახსენება, ვისაც ვღალატობთ ან და უკვე ვუღალატეთ.

ფული, სიმდიდრე

14218. უნიათო ქვეყნის ბიუჯეტი დამოკიდებულია იმაზე, თუ ფინანსთა სამინისტროს ფორტუნა რა დივიდენდებს გამოჰკრავს ხელს.

14219. ფული ძალზე რთული ფენომენია, რომელსაც თავისი აზროვნების კარგად გამართული მექანიზმი აქვს და, თუ მისი მოხმარების ალგორითმს არ ვიცნობთ, უსახსრობას გავიცნობთ.

14220. ფული ძირითადად გვეხმარება გონის შესაძლებლობათა გაფართოებაში.

14221. ფული ჩვენს ხუთივე გრძნობას ეხმიანება, რადგან უიმისოდ ეს გრძნობებიც გარკვეულწილად უფასურდება, უფერულდება, სიმძაფრესა კარგავს.

14222. სასუფეველს ფული არა სჭირდება და კუბოს – ჯიბეები.

14223. დღეს უპირატესობას ანიჭებენ ფულს და არა ძალას, განათლებას, სიმართლეს, რადგან ამათი ყიდვა შესაძლებელი გახდა.

14224. ფულსაც თავისი ინტუიცია აქვს.

14225. ფული, გვინდა – არ გვინდა, მაინც გვმართავს, წარმოგვაჩენს, საჭირო ადამიანად გვხდის.

+14226. ბიზნესი უფრო ზევით იყურება, ვიდრე წინ. ამიტომაცაა, რომ ხშირად კისერს იტეხს.

14227. ფულის ქონა კანონიერების კონტროლს არ ნიშნავს, მაგრამ ზეგავლენას ახდენს კანონის შეუვალობაზე.

14228. სიმდიდრე, ფული პრაქტიკულად ყოველივეს ცვლის, ურომლისოდაც ყოველგვარი აღორძინება გამორიცხულია.

14229. ფული და ხელოვნება სასწორის ერთ პინაზე არ იდება, მაგრამ უერთმანეთოდ გაძლება უჭირთ.

14230. მშვიდად და კარგად ყოფნას სიფრთხილე, წინსვლა და ფული იწვევს.

14231. ფულის გასესხება სარისკო საქმეა, მაგრამ არა ბანკებისათვის, რადგან ერთ ურჩ გადამხდელზე ასობით წესიერი გადამხდელი მოდის.

14232. ფულის შოვნას ბედი სჭირდება, მის სარგებლიან დაბანდებას – ჭკუა.

14233. დიდი ფული დამატებით უფლებას არ გვანიჭებს, ხოლო დამატებით მოვალეობებს დიახაც იძლევა და გვაიძულებს, ქვეყნის ინტერესებზე მეტი ვიფიქროთ.

14234. ზოგი ბიზნესში დღეს დაბანდებული ფულით გუშინდელ მოგებას მისტირის და ნაღვლობს.

14235. ფული ერთ-ერთი საუკეთესო წამალია ნერვების დასაწყნარებლად.

14236. ბევრი „სისხლის“ გამოშვება გონიერების ოფლის დაუღვრე-

ლად სარფიანი საქმიანობის, ანუ ბიზნესის, სინონიმია.

14237. იმიჯს, აღიარებას, ფულის სარფიანად გამოყენებას მიჰყავს ქვეყანა აყვავებამდე.

14238. სამართალი ხშირად ფულის მხარეს იხრება, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გასაბითურებელია ფაქტები.

14239. სიზარმაცე ფულის და დროის კოჰაბიტაციას ვერ ეთვისება.

14240. ფული შესაძლებლობათა მთაა, მაგრამ არა იმის გარანტი, რომ შენით დაინტერესებული ხელისუფლება ვერ მოგწვდება თუნდაც უკანონო გზით.

14241. ერთგულება მაშინაა გარანტი, თუ შენი პატიოსნება ფინანსდება.

14242. სერიოზული საქმის საკეთებლად ფული არ კმარა, თუ მას ენერგიულ წესიერებას არ მივახმართ.

14243. ფული ცხოვრების პირობებს უფრო მძლავრად ცვლის, ვიდრე ადამიანის ხასიათს.

14244. სიმდიდრის მოპოვებაც სიკეთეა, იმისდა მიუხედავად, საქმეს გულით ერკინებოდი თუ ჭკუით.

14245. ფულის კეთებას მანამ აქვს აზრი, სანამდის მისი შოვნა გსიამოვნებს და ყოველდღიურობად არ გადაქცეულა.

14246. ფული ჭკუაზე მეტია ბრბოში და არა ჩამოყალიბებულ საზოგადოებაში.

14247. სიმდიდრის საზრიანად მოხმარა არა მარტო ნიჭს, დროისთვის ალღოს აღებასაც მოითხოვს.

14248. მეპატრონეს და მენეჯერს პირადი ინტერესები ამოძრავებთ, მაგრამ საქმე აქვთ საერთო, რადგან შედეგის მიუღებლად ორივე ზარალდება.

14249. უფულობა, უსაქმურობა, უნიათობა ყველა რეფორმის შემაფერხებელი ჭანჭიკია.

14250. ფული, სახელი, კარიერა აზროვნების გიგანტებსაც კი ერთმანეთს გადაჰკიდებს. მაგ. ლეონარდო დავინჩი და მიქელანჯელო ბუონაროტი.

14251. ფული ადამიანს რყვნის და თანდათანობით გენეტიკურ კეთილშობილებასაც აკარგვინებს.

14252. ყოველმხრივი ცოდნის მიღება ფულისა და ენერგიის დაბანდებას გულისხმობს, ხოლო ცალმხრივი განათლება – ფულის გადაყრას.

14253. მათემატიკა ბევრს არ უყვარს, მაგრამ ფულის შოვნა-ხარჯვის არითმეტიკაზე უარი არავის უკადრებია.

14254. სიმდიდრის მოხვეჭისთვის შესაფერისი დაღვინებაა საჭირო, რათა ახალგაზრდულმა ქარაფშუტობამ თავის მოწონების მიზნით არ გაფლანგოს იგი.

14255. ფულსაც ანგარიშიან, მოფუსფუსე, მოწესრიგებულ ხალხთან ურთიერთობა მოსწონს.

14256. ყველაზე დიდი სიმდიდრე ფული, კარიერა, საღი გონება, ჯანმრთელობა და საყვარელი საქმის კეთებაა, ოღონდ ისიც გარკვეულ დრომდე.

14257. ფულს ბევრი რამის კეთება შეუძლია, მაგრამ არა ყველაფრისა, რადგან ისიც განგების კაპრიზებს ემორჩილება.

14258. სინდისი და ჭუჭყიანი ფული არ მეგობრობენ, მაგრამ ურთიერთსაჭიროებისას ზოგჯერ ერთურთს ეხმარებიან.

14259. ფულის სასიკეთოდ დაბანდებას ლაქუცი და მჭევრმეტყველება არა სჭირდება, რადგან მისი მოწოდება ისედაც სიკეთის კეთებაა.

+14260. ფულის ხარჯვის სიამოვნება მისი შოვნის სიამოვნებას არ უნდა აღემატებოდეს.

+14261. დღეს ერთი ნახვით შეყვარებას საბანკო ანგარიშზე თვალის ერთი გადავლებაც ახერხებს.

14262. რჩევა-დარიგებამ რომ იმუშაოს, რჩევისთვის ფული უნდა გადაუხადო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არც ფასი დაედება, არც შედეგი ექნება.

14263. დროული ინფორმაცია, წინხედვა და შემართება ბიზნესის წარმატებული გამბიტის საწინდარია.

14264. მოწესრიგებულად თავაშვებული ბიზნესი წარმატების საწინდარია.

14265. ის, რაც გუშინწინ გოიმობა და გუშინ უსირცხვილობა იყო, დღეს ჩვეულებრივი ამბავია და ხვალ ფულის საშოვნელ დრომოჭმულ ჩვევად იქცევა.

14266. ფული რყვნის რწმენას, კარიერულ იდეებს და იმ საქმით გვასაქმებს, ადრე რომ ვერ წარმოვიდგენდით.

14267. დღეს გონიერების, სილამაზის და მაღალი შინაგანი სამყაროს დანახვა ფულადი სახსრების დაუხარჯავად ჭირს.

14268. კითხვა ფულის შოვნის საწინდარია, მაგრამ ფულს წიგნთან ჩალიჩი არ უყვარს.

+14269. თუ ადამიანი პურისთვის იღვწის, პიროვნებაა, თუ ფულისთვის – ბიზმესმენი.

+14270. ადამიანთან დაახლოება და მეგობრობა თუ გინდათ, ფულით არ უნდა გამოცადოთ.

14271. ფული ფაქტობრივად შინაგანი მადლიერების ორდენია, რომლისკენაც ყველა ისწრაფვის.

14272. მოგვწონს, არ მოგვწონს, ხშირად გონიერება, ნიჭი და რწმენა ფულზე ხურდავდება და ცივილიზაციის ამ მონაგარის დაცინვა

გარდაუვალი ხდება.

+14273. ფული ცხოვრების ის მუდმივი შემაწუხებელი მუწუკია, რომელიც თავის საჭიროებას მარად გვახსენებს.

14274. ფულის ხარჯვა ხელოვნებაა, მაგრამ უფრო დიდი ხელოვნებაა მისი შოვნა და სარგებლიანი დაბანდება.

14275. როგორც კი ფულის ოდენობა საზოგადოებაში ჩვენს ადგილსა და რაობას განსაზღვრავს, ის საზოგადოება ფუფუნებისა და გადაგვარებისთვის არის განწირული.

14276. დღეს ფულია ძირითადი მამოძრავებელი ძალა, არა მისწრაფება და მას გონიერება ანგარიშს უწევს.

14277. დღეს ფული ამაღლებს, ამტკიცებს სიყვარულს და არა სიყვარული – ფულს.

14278. ფული ყოველთვის არ ყარს, მაგრამ მისი თაიგული სხვადასხვანაირ არომატს გამოსცემს.

14279. ხელოვნებაშიც კი უნიჭობასა და ურთიერთდაპირისპირებას ფული შველის.

14280. წყვილი უნდა ეცადოს, ფულის არც მძევალი გახდეს, არც საწინდარი და არც მორჩილი მონა – უამისოდ სიცოცხლის არსს ვერ ჩასწვდება.

14281. წინათ თუ დიდი ადამიანები ქმნიდნენ ისტორიას, დღეს ამას დიდი ფულიც ახერხებს.

14282. ფული ზოგჯერ სიავისა და შურზე მაღლა დგას, რადგან ძალუძს, ერთიც გააქროს და მეორეც.

14283. ყველაზე დიდი სიმდიდრეა ის ცოდნა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ფულის შოვნა შეუძლია და არა დაგროვება.

14284. წინათ ფულს იპარავდნენ, მოიპოვებდნენ რიდით, შიშით. დღეს ფულისათვის „ქაქასაც“ მიირთმევენ და საკუთარი თავის რეკლამირებაც არ ავიწყდებათ.

14285. ყიდვის დროსაც ცდებით, მაგრამ ეს საამქრო ფულის დაბანდების მაინც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

14286. ფულით უნდა სარგებლობდნენ და მისით ქვეყნის მართვას არ უნდა ცდილობდნენ, რადგან საბოლოო სამართავ ბერკეტად არ გამოდგება.

14287. დიდი ფულის ქონა მოვალეობაა და არა უფლება, რადგან ფულთან ურთიერთობა თავისებური ნიჭია.

14288. შერკინებას იმ მოგებისთვის, რომელსაც ადრე სპეკულანტობას ეძახდნენ, დღეს ბიზნესი წარმატებით ფლობს.

14289. დიდი ფულის ქონა ნიჭიერი ადამიანის მოვალეობაა და არა ფულის უყაირათო ხარჯვა, რადგან ფულთან ურთიერთობას სწავლა, გამოცდილება, ნიჭი და, ნუ გაიკვირვებთ, ბედიც სჭირდება.

14290. ფული ყველას აფუჭებს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მაიმუნის გენიდან წარმოშობილ ადამიანებს.

14291. სიმდიდრის დაგროვება შეჭიდებას, შემართებას და ჭკუის დამრიგებელს მოითხოვს.

14292. ფული ყველას აფუჭებს: ზოგს რყვნის, ზოგსაც ცხვირს ზევით ააწევინებს.

14293. სიძუნწე და ხელგაშლილობა გენეტიკური თვისებებია და ხშირად აქ ფული არაფერ შუაშია.

14294. ფულის ყადრი ვინც არ იცის, იმას გონიერების საკეთებელი არაფერი უნდა ვანდოთ.

14295. ფული ზოგჯერ ჭკუის სიღარიბეს თავმომწონედ გადაფარავს.

14296. ნერვების ხარჯვა-ფლანგვას ისევ ფულის ფლანგვა, ხარჯვა სჯობს.

14297. როგორც კი მილიონს იშოვი, მაშინვე მისი გაათმაგების სურვილი გიპყრობს. ე.ი. შენი ვნების აღზევება იწყება. ასე რომ, სჯობს, შენი ნიჭის შესატყვისი საქმე აკეთო ან მთლიანად გადაერთო ფულის კეთებაზე.

14298. წესით, უფულოდ და დაუსაქმებლად სამშობლოს სიყვარული შეუძლებელია, მაგრამ ზოგი ამას ახერხებს.

14299. ცოდნა თუ ფულად არ იქცა, გონი განვითარების ხალისს კარგავს.

14300. ფიქრს შემოსავალი არ მოაქვს, თუ მას თავისი ნააზრევის გაყიდვის უნარი არ შესწევს.

14301. ფულის უნიათო ხარჯვაა სასიამოვნო და არა მისი ოდენობის დაზუსტება.

14302. სწრაფად გამდიდრებული მოულოდნელობისაგან ისეა გარეტიანებული, რომ თავს კონტროლს ვერ უწევს და ხშირ შემთხვევაში თანდათან ღარიბდება.

14303. ფული გონიერების დაბანდების საშუალებაა და არა ყოყოჩობის, ფუფუნებისა და თავის მოწონებისა.

14304. ფულის გაყოფა ხშირად ურთიერთგაუგებრობას იწვევს.

+14305. გონიერება და ფული მანამდის ძოვენ ერთად, სანამდის ეს უკანასკნელი არ გამილიონერდება.

14306. ფული მეტ-ნაკლებად ყველას ცვლის, აფუჭებს, აფრთხილებს, მათი მენტალიტეტისა და საწყისი პატიოსნების მიუხედავად.

14307. ფული გვაძლევს საშუალებას, ვიყოთ თავისუფლები, დამოუკიდებლები, მომხიბვლელები, თუ მავნე გენითა და ჩვევებით არა ვართ დაპროგრამებული.

14308. თუ პრინციპების ადგილს ფული იკავებს, გონიერებაც დე-

ვალვაციას განიცდის.

14309. ფული ის პატარა „ღმერთია“, რომ თავად დიდ ღმერთსაც, რწმენასაც, უიმისოდ ცხოვრება უჭირს.

14310. ზოგისთვის ფულის შოვნის ხელოვნების ცოდნაა მთავარი და არა თავად ფული, მით უმეტეს, თუ ის ბუნებით აუტისტია.

14311. გონიერი ადამიანისთვის ბანკში სესხის აღება „ვა ბანკზე“ წასვლის ტოლფასია, იმ განსხვავებით, რომ აქ აფექტი უნდა გამოვრიცხოთ და კიდევ ერთხელ გავიაზროთ ჩვენი შესაძლებლობანი.

14312. უფულოდ ფეხის გადადგმაც ჭირს, საქმის კეთებაც და თავის განძრევაც. უფულოდ მხოლოდ ყბედობაა შესაძლებელი.

14313. ფული წაქეზების საშუალებაა, ვიდრე მიზანი, რათა გარკვეული დროით თავი დამოუკიდებლად იგრძნო.

14314. შავი დღისთვის ფულის გადანახვას თეთრი დღეების სიუხვე სჭირდება.

14315. უფულობა ბევრ უხერხულობას გვიქმნის და ხშირად მოთმინების უნარსაც გვიკარგავს.

14316. ყველას უნდა, რომ მარტო ფულისათვის არ უყვარდეთ, მაგრამ ამის გამორიცხვა არ ხერხდება.

14317. ჩვენი საუკუნე საუკუნეა პიარის, ყოველნაირად თავის წარმოჩენისა და ფულს შოვნის ეპოქა.

14318. ფულის საჭიროებას ყველა სარწმუნოება განიცდის, რათა თავისი შტატიანი მსახურები აცხოვროს და არა მხოლოდ გამოკვებოს.

14319. ფული და გამორჩენა დიპლომატიის ერთ-ერთი გაუხედნელი არგუმენტია.

+14320. ცივ ციფრებს სიმხურვალე ახასიათებს, განსაკუთრებით მილიონებისა და მილიარდების სფეროებში.

14321. ფული ადამიანთა ურთიერთობას აფუჭებს და არა თავად ადამიანს, ურომლისოდაც საკუთარი თავის ადამიანად შეცნობა ჭირს.

14322. გაჭირვებულთაგან განსხვავებით, მდიდრები ერთმანეთს არც შეუნდობენ, არც ენდობიან.

14323. ფულის შოვნის ხელოვნებას ყურით მოთრეული უამრავი ალიბი აქვს, რომელსაც ცივილიზაცია არ განსჯის.

14324. ფულს ბევრი ნაოცნებარი სიწმინდის წაბილწვა შეუძლია, თუ მოანდომებინებთ.

+14325. ჩვენს სურვილებს ანგარიშს ყველაზე უკეთ საფულე უწევს.

14326. ფულით დროებით ღირსების ყიდვაც შეიძლება, მაგრამ არა შეთვისება.

14327. უმადურობაც ფული ღირს იქ, სადაც მადლიერების ფასი არ იციან.

14328. ფულის სესხება-ჩასესხების ალგორითმს გარანტიების უქონლად ახლოსაც არ უნდა გაეკაროთ.

14329. ფულის შოვნას უფრო მეტად ფულის არქრონა უწყობს ხელს, ვიდრე მას დაბანდებაზე ფიქრი.

14330. გემოვნების ამაღლებასა და დახვეწასაც დაფინანსება სჭირდება.

14331. ალბათ, ცივილიზაციისა და წამხედურობის ბრალია: ქალები იმდენად პრაქტიკულები გახდნენ, რომ უანგაროდ შეყვარებასაც გადაეჩვივნენ.

14332. უფულოდ გაკეთებულ საქმეში ჩვეულებრივად არაპროფესიონალიზმი შეიგრძნობა.

14333. მუქთად და უფულოდ გაკეთებული თავის მიზანს ვერ აღწევს.

14334. მატერიალიზმი ფულის დაბანდების გარეშე არ განიხილება.

14335. ფულის გადანაწილება კომპანიონებს იმ გონებას ურევს, რომელიც არ აქვთ.

14336. ადამიანი, რომელმაც ფულის ყადრი არ იცის და მისი მოხმარების კულტურას არ ფლობს, უმთავრესად მყუდრო ცხოვრებას უნდა ცდილობდეს.

14337. ფული დიდი ძალაა, თუ მისი მოხმარა, დაბანდება, გადანაწილება იცი და, ამავე დროს, სულიც არ გავიწყდება.

14338. ფულს არ უყვარს თავგადასავლები; ის მშვიდ ცხოვრებას, ანუ ბანკში დაბანდებას, ირჩევს.

14339. საქმიან ურთიერთობაში პარტნიორთა ხშირი გადამოწმება წესად უნდა იქცეს, რადგან ფული მაცდურია.

14340. ფული უზრუნველი ცხოვრების გარანტია, და არა ბედნიერებისა და სიყვარულის.

14341. საქმიან ადამიანთა რიცხვი რომანტიკულად განწყობილ ადამიანებთან შედარებით თანდათან მატულობს, რადგან რომანტიკაც ფულის საჭიროების კლანჭებს ვერსად გაექცა.

+14342. აზრიანად დაბანდებულ ფულს ღალატი არა სჩვევია.

14343. სიტყვით ფულზე საუბარი ზოგს ეხამუშება, მაგრამ საქმით მისი წინააღმდეგი არავინაა.

14344. ახალგაზრდული ენერგია საწყის თანხას თავისი ფანტაზიითა და მცდელობით გამოიმუშავებს, დაღვინებული წლები ფულით ფულსა შოულობს, ხოლო მხცოვანება ფულს პერსპექტივით აბანდებს.

14345. ფულზე მეტად თუ საყვარელი არსება არ გიყვარს, მაშინ ყოველივე უთავბოლოდ დევალვირდება.

14346. სიმდიდრის დახურდავება ფულის დახურდავებაზე უფრო იოლდება, თუ ჭკუა-გამოცდილებას არ გამოვიყენებთ.

14347. სიმდიდრე და ფული დაბანდებით ფასდება და არა ოდენობით.

14348. ფული „ავტორიტეტს“ გვმატებს, „გონიერად“ წარმოგვაჩენს და მეგობრებსაც „გვიმრავლებს“, მაგრამ უფრო ხშირად სინდის-ნამუსს არაფერსა მატებს. მეგობრობაზე უკეთესი არაფერია, მაგრამ ფულის გამორჩენისა და „მოპოვება-ვაჭრობის“ სურვილი ამ ჭეშმარიტებას ზოგჯერ კვანტს უდებს.

14349. ფულის ქრონიკულ ნაკლებობას ის განიცდის, ვისაც შოვნის პროცესი უყვარს, რადგან მისთვის ყოფიერების რეალური პროცესებით ტკბობა მეორეხარისხოვანია.

14350. ფულის კეთება შემოქმედებაა, მაგრამ მისი შოვნისთვის მუდმივი გარჯა უგუნურებაა.

14351. დაბანდების გზით ნაკეთები ფული ხშირად დიდ მოგებას იძლევა.

14352. ფული ბევრ რამეს წყვეტს, მაგრამ დროის კაპრიზებს მაინც ვერას უხერხებს.

14353. ფული და სიყვარული ვისაც ერთმანეთში ერევა, ის ნდობას არ იმსახურებს.

14354. ზოგი ფულის კოლექციონერობით უფრო მეტ სიამოვნებას განიცდის, ვიდრე მისი ხარჯვითა და კარგი ცხოვრებით.

14355. ფული მანამდეა „ხელის ჭუჭყი“, სანამდე დიდი თანხა არ დაგჭირდება სიცოცხლის გადასარჩენად.

14356. მოხერხებული გონიერება შინაგანად ფულის უკმარისობას არ განიცდის.

14357. ხელფასის გაცემა თუ დააგვიანეს, თავი გაიმხნევეთ და თქვენი სულის სილამაზეს გაუსვით ხაზი: „მართლა ფული ხომ არაა ყველაფერი!“.

14358. ზოგს იმდენად მცირე ხელფასი აქვს, დასვენებაზე არ ფიქრობს, რადგან დაღლაზე ფიქრის უფლებას მდარე დაფინანსება არ აძლევს.

14359. მართალია, დიდი ფული წესიერებითა და უმანკოებით არ იშოვნება, მაგრამ არც მოხერხებულობაზე უარის თქმა იქნებოდა სწორი, რადგან ნიჭისა და შემოქმედებითი უნარის უქონელ ადამიანთა მოდგმა დამყაყდება და უგუნურების სუნი აუვა.

14360. თეორიულად ხელოვნებამ უნდა აღზარდოს ადამიანი და ის ფულის გულისთვის სულიერად არ უნდა გაირყვნეს, მაგრამ პრაქტიკულად დაფინანსების გარეშეც რომ სახეირო არაფერი გამოდის?!

14361. მეტისმეტობის, დაპირისპირების, გაუტანლობის, პიარის, მლიქვნელობის და საკუთარ ფილოსოფიასთან ჭიდილის გარეშე ფულის საკეთებელი ხელოვნება არ იქმნება.

14362. მუქთა ფული თუ გინდათ აკეთოთ, უმთავრესად ბრბოს გემოვნება უნდა გაითავისოთ და გაითვალისწინოთ.

14363. სადაც ღირებულებათა მრავალფეროვნება და ფულია, იქ დანაშაულიც ახლოს დაეხეტება და თავისი სარგებლობისთვის „იღვწის“.

14364. სამწუხაროდ, ზოგჯერ ფულმა ნათესაობა და ახლობლობა არ იცის და ეს დღევანდელი საზოგადოების ზომაზე მეტად გარყვნა-გადაგვარების შედეგია.

14365. დღეს სიამოვნებაც ფული ღირს და უსიამოვნებაც, რადგან ეს უკანასკნელი ზოგჯერ გაცილებით მეტი გვიჯდება საპროცესო გარიგებისა და გაუთვალისწინებელი დანაკარგების გამოისობით.

14366. ფულის ყადრის ცოდნას ნიჭთან ერთად ბედიც უნდა, რათა უნიათო ხელისუფლების ხელში დევალვაცია არ განიცადოს.

14367. საღად ბევრი აზროვნებს, მაგრამ მათში ფულის მშოვნელი და სხვათა დამსაქმებელი ცოტაა.

+14368. ფული ბედნიერება როდია, მაგრამ არც უფულობა იძლევა იმის საშუალებას, ბედნიერების საფეხურები სულ კუნტრუშით ავირბინოთ.

14369. ხელისუფლებაში ყოფნა მარტი ფულის ჩაჯიბვა კი არ არის, არამედ სახსრების მოპოვება, დაბანდება და მათი სამართლიანად გაცემა.

14370. სიმდიდრეს სპონსორობაც უხდება, ანგარიშიანობაც და წინდახედული მომჭირნეობაც.

14371. ფულს ყველაზე ყაირათიანად ის ხარჯავს, ვინც მას გონიერების გასაჯეჯილებლად, ცოდნის დასაგროვებლად და გამოცდილების შესაძენად იყენებს.

14372. ოცნებები და იდეალები იმათ უცრუვდებათ, რომლებიც ფულის შოვნით საზრდოობენ და არა სიყვარულით.

14373. რწმენა, პოლიტიკა, მსოფლმხედველობა დევალვირდება დროისა და გარემო პირობების შესატყვისად. მხოლოდ ოქრო რჩება ყველა დროში ანგარიშგასაწევ ღირებულებად.

14374. მუშტი და ფული, ძალა და კარიერა დღესაც ურყევი არგუმენტებია.

14375. მიზანსწრაფვა საკუთარი ვარიანტების გამოყენებით ფულსაც იძლევა და კარიერული ზრდის პერსპექტივასაც.

14376. ზარმაცი ფლანგავს ფულს, ბეჯითი ხარჯავს იმის იმედით, რომ მეტს იშოვნის და უკეთ დახარჯავს.

14377. სიმდიდრის კვადრატში, კუბსა და სხვა ხარისხებში აყვანის მცდელობა დაავადებად იქცევა, რადგან, როგორც ბოლოს ირკვევა, გადამეტებული აღარაფერი გვჭირდება.

14378. დღეს დიდი ფული რწმენას, ტრადიციებს, პატრიოტიზმს ძირს უთხრის და თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით თავიც კი მოაქვს.

14379. ფული, რომელიც პრობლემას ხსნის, სახარჯოა და არა ქრთამი.

14380. ფულის შოვნა თუ ხელოვნებაა, მისი გონივრული დაბანდება ჯადოქრობაა.

14381. თანამდებობა და ფული, განსხვავებით ცოდნისა და დამსახურებისაგან, ყოველთვის მაცდურია და არა საიმედო.

14382. დღეს „უკუგორება“, „ფულის შეწერა“ ბიზნესად ითვლება, რადგან ბრბოს ვერ გაუგია, ჭკუით ნაშოვნ ფულსა და მომხვეჭელობას შორის რა სხვაობაა. პირველი ავანტიურა, მეორე შრომაა.

14383. ფულთან განშორებაზე უფრო მასთან შეხვედრაა ძნელი.

14384. „ჯვარზე გაკვრას“ მაშინ ეძლევა ფასი, თუ ის მატერიალურ შედეგს იძლევა და არა მორალურს, რომელიც ხშირად დავიწყებულია.

14385. იდეოლოგიის უქონლობა გვავალებს და გვაიძულებს ფული დაუსაქმებლად მოვიძიოთ.

+14386. ზოგი ისეა ფულზე დახამებული, რომ ეშმაკს საკუთარ სულს ფასდაკლებით მიჰყიდის.

14387. ქველმოქმედებას ფულის მქონენი ეწევიან. ამით ბოდიშს იხდიან, რადგან ფულის მშოვნელი ადამიანი წესიერი არ შეიძლება იყოს.

14388. ფულს თუ „დათესავთ“, შეიძლება ძალაუფლება „მოიმკოთ“, მაგრამ რისთვის?! ამბიციების დასაკმაყოფილებლად, უფრო მეტი ფულის საშოვრად თუ საქმის საკეთებლად, არავინ უწყის.

+14389. უფულო კაცი თავისებურად ბედნიერია, თუნდაც იმიტომ, რომ მას გაკოტრების შანსიც არ აქვს.

14390. ფულის ხარჯვაზე ფასის დადება მისმა სიმცირემ და მომჭირნეობის უნარმა იცის.

14391. ფულის მშოვნელმაც გარეშენი პიროვნებებად უნდა აღიქვას, რათა მისი არ შეშურდეთ და იქ არ უმუხთლონ, სადაც არ ელის.

14392. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ კაიფისა და არა უბრალოდ გამდიდრებისათვის, რადგან ფულის შოვნაც გარკვეულ თავგადასავლებსა და მოგონებებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

14393. ფულის ფენომენი ასეთია: ის დამოუკიდებლობის გარანტია, ყოველგვარი მოვალეობის გარეშე.

14394. სიმდიდრის ფლობასაც ჭკუა სჭირდება, რათა ის არ გავანიავოთ და დროის კაპრიზებს არ გავაყოლოთ.

14395. სიყვარულის მოგიზგიზე კოცონს დროდადრო ფულის შეკეთება სჭირდება, რათა გრძნობები არ დანახშირდეს და ბუუტვა არ დაიწყოს.

14396. მოპაექრის დამარცხების სახალისო საშუალება სიცილია, თუ მისი მადლის შეცნობის უნარი ორივე მხარეს შესწევს.

14397. ფულის შოვნას ჩქარა ვეჩვევით, მაგრამ ხელგაშლილობა ამ ცოდნას მუხთლობს.

14398. მცდელობას: ვიპოვოთ, მოვეფეროთ, მოვუაროთ, შედეგი არ მოაქვს, თუ თვალებმა ამის შეცნობა-გაგება არ ისურვა, რადგან აქ მთავარია მონდომება, ურთიერთგაგება და არა სურვილი.

14399. სევდა, ფიქრი აკეთილშობილებს ადამიანის მეობას და არა მხოლოდ ჩეჩქად ფული.

14400. ფულს და ძალაუფლებას სიბერეში რა სჯობს, მაგრამ ჯეელობის გაჯეჯილებულ წლებს ვერ შეედრება.

14401. მინდა ბევრი ფული მქონდეს, მაგრამ, როგორ ვიშოვო, არ ვიცი. ეს იგივეა, გიყვარდეს შენი ქვეყანა, მაგრამ არ იცოდე, დამოუკიდებლობა როგორ შეუნარჩუნო, პოლიტიკანობით თუ ყბედობით.

14402. წესით, შემოსავლებს მშრომელი ადამიანი ქმნის და მოიხმარს, მაგრამ ზოგჯერ არმად ნაშოვნი ფულით უკეთ ჩალიჩობს და ამ ცხოვრებით ტკბება.

14403. ფულის ქონა მაშინ არის საინტერესო, როდესაც ის გაქვს საკმარისზე მეტი და ცხოვრებით ტკბობაში ხელს არავინ გიშლის.

14404. ფულის შოვნას ბედსა და ნიჭთან ერთად ხელის გამოღება, თავის გამოდება, დროისა და გარემოსთვის დროულად ალღოს აღება უნდა.

14405. ფული გარკვეული პრობლემების გადაუჭრელად და გარკვეული მოვლენებისთვის ხელშეუწყობლად არ იშოვნება.

14406. უფულობაზე წუწუნს ისევ მისი შოვნა სჯობს. ეს უფრო მეტი სიამოვნების მომგვრელია.

14407. უფულო სიყვარულს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია.

14408. დიდმა ფულმა არავითარი წმინდა არ იცის. მათ შორის არის დედმამიშვილობაც.

14409. ფული ის ბოროტებაა, რომლის მოსაპოვებლად ზოგჯერ ისეთ რამეზე მიდიან და კადრულობენ, რომ გონებას ამის დაჯერება უჭირს.

14410. ფულის მშოვნელთა ნახვაა ძნელი, თორემ მხარჯველი დიდ-ძალია და ყველა მათგანს ჰგონია, რომ მან ეს უფლება დაიმსახურა.

14411. შემოქმედ ბიზნესმენს ფულის საკეთებელი გზების მოძიება უყვარს, თუმცა არც ფულის გადათვლა ეშლება.

14412. ბედნიერებისა და უბედურების საწყისი ფულია, განსაკუთრებით საჭიროა თანხის მოხმარება-დაბანდების წესთა ცოდნა.

14413. ფული უნდა ვხარჯოთ ხელმომჭირნედ და ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე, თუ გვინდა სულმა ისიამოვნოს, გულმა გაიხაროს,

ჯიბემ არ იზარალოს.

14414. ფულს მაშინ აქვს ფასი, თუ ის შენი წარმოჩენისთვის და სახელის დასაგდებად „მუშაობს“ და შენი მოხერხების არ შურთ.

14415. ინფორმაცია, ცოდნა, გამოცდილება იმითაც არის კარგი, რომ გვასწავლის ფულის ყაირათიან ხარჯვას, მის დაბანდებას და იმასაც, თუ როგორ ვიცხოვროთ საამურად და არა ფუფუნებით.

14416. ფულის შოვნა ზოგჯერ გვაიძულებს, საკუთარ თავსაც ვეჭიდაოთ, იმდენად მაცდურია მისი მოპოვების სურვილის ძალა.

14417. სიმდიდრეც წარმავალია, თუ მისი გამოყენება, დაბანდება, გამრავლება არ იცის პატრონმა.

14418. „ფულის შოვნის ფილოსოფიას“ აშკარად თუ ფარულად ყოველი ჩვენგანი სწავლობს და კანონიერების ფარგლებში ყველა ცდილობს მას „კოჭი გაუგოროს“.

14419. მოჭარბებულ ფულს ხეირიანი დაბანდება სჭირდება, რადგან მან „მოულოდნელად“ გაკოტრებაც იცის.

14420. გონისთვის უსაქმოდ დროის კარგვა ბანკიდან ფულის გატაცების ტოლფასია.

14421. წარმატებას ზოგჯერ სპონსორების გვერდში დგომაც იწვევს. რას ვიზამთ, ამ სამყაროში უფულოდ სასურველი საქმის კეთება და თავის წარმოჩენა ჭირს.

14422. ფულის შოვნის უნარი ამბიციურებსა გვხდის, ხოლო მისი ჭკუით გამოყენება ჩვენს კონკურენტებსა და მოშურნეებს ცუდად ხდის.

14423. ფულის შოვნის მცდელობისთვის კი არ უნდა დაისაჯოს ადამიანი, არამედ ხელგაშლილი ცხოვრების მცდელობისათვის.

14424. დიდი ფული იმას არ უნდა ვანდოთ, ვინც „ერთი დღის ცხოვრებით ცხოვრობს“ და ფეხებზემკიდიაა, რადგან მან ფულის ყადრი არ იცის.

14425. სიმდიდრე, ფული ბევრი რაღაცის მომცემია, მაგრამ არა ყველაფრის, თუ ის თავისი ქმედებით ბედის ამ წყალობას არ იმსახურებს.

14426. ძალაუფლება გარეგნულად ფულის მშოვნელზე უკეთ გამოიყურება, იმისდა მიუხედავად, რომ შინაგანად ის ფულის მონაა.

14427. თეორიულად ფულზე უფრო მნიშვნელოვანი სიყვარულია, მაგრამ პრაქტიკულად უფულობა მისი გახუნების საწინდარია.

14428. დღეს ფულია ძალა და არა პირიქით.

14429. ატომური იარაღი ფულთან ვერ მოვა, რადგან ეს უკანასკნელი ყველაზე საშიში იარაღია, რომლის გულისთვისაც ადამიანები ბევრ სისაძაგლეს დაუფიქრებლად სჩადიან.

14430. დაუსაქმებელ-დაუბანდებელი არც კაცი უქნია ღმერთს და არც ფული.

14431. რწმენის შეცნობა დღეს ფულით ისწავლეს, რისი შედეგიცაა არეულობა ცნობიერებისა და გულგრილობის გაბატონება ყოფიერებაში.

14432. საქმიანობა, რომელშიც ფულის შოვნის ელემენტები ჩაერევა, ქიშპობასა და დაპირისპირებას იწვევს.

14433. კარიერისთვის ბრძოლამ და ფულის შოვნის მცდელობამ არც შინაური იცის, არც გარეშე, რადგან აქ უმთავრესია თავის დროულად წარმოჩენა და აღიარების მოპოვება.

14434. ფული რომ იშოვოთ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის დაბანდება, დახარჯვა უნდა ისწავლოთ.

14435. ფულიც თავისებური შედევრია, ნახატი ქაღალდია, რომლის უქონლად შენს ჭკუაზე ვერ გაივლი.

14436. ზოგჯერ ღალატიც ფულის შოვნის იარაღია.

+14437. ფულს სუნი არ ასდის, მაგრამ მის სიმყრალეს კანონი მაინც გრძნობს.

+14438. ამბობენ, ფულს ბედნიერება არ მოაქვსო, მაგრამ არც ღარიბი გვინახავს ბედნიერებასთან ჩახუტებული.

14439. თუ მტრებთან ერთად მუქთა ფულის შოვნა შეიძლება, შეუძლებელია მათ საერთო ენა არ გამონახონ და დროებით მაინც არ დაივიწყონ ურთიერთდაპირისპირება. ასე რომ, ზოგჯერ, შესაძლებელია, ფული მშვიდობის მტრედად მოგვევლინოს.

14440. ფულს ზოგჯერ თავისუფლებასაც ვწირავთ, მაგრამ ეს დიდად არ გვაღელვებს, თუ უკვე გაფულიანებულნი ვართ.

14441. ფული და სიყვარული არც ისე შორს დგანან ურთიერთისგან, როგორც ამას აღზრდა გვაჩვევს და იდეოლოგია გვიქადაგებს.

14442. ოფშორში ფულის გადამალვას ის მომხიბვლელობა აქვს, რომ იქ დაცული და გადამალული ფული, რად და როდის გამოგადგება, არავინ უწყის.

14443. ადამიანი სიტყვით ყოველთვის იდეალიზმის მომხრეა, ოღონდ, როცა ფულის შოვნის შანსი გაჩნდება, გარკვეული დროით მატერიალიზმის მიმდევარი ხდება.

14444. ქვეყნის უგერგილო მართვის უპირველესი გამოვლინებაა ფულის ინფლაცია და მისი დასტაბილურების განგების ნებაზე მიგდება.

14445. ცოდნით ფულის შოვნამ მისი დაბანდება იცის, განათლებისგან განსხვავებით.

14446. ფულს ის ძალა აქვს, რომ პატიოსნების ყოფის ალგორითმებს აცდუნებს და მისი მოპოვებისთვის ალიბის მოძიებას ხელს უწყობს.

14447. ფულს ის ძალა შესწევს, რომ ზოგჯერ ერთი ადგილის თამაშის უფლებას გვაძლევს, რომელსაც „ტრაკი“ ჰქვია.

14448. სიმდიდრეა ის, რაშიც ფულს სიამოვნებით ხარჯავ და ცოდ-

ნა-გამოცდილების გაზიარებაც არ გეზარება.

14449. ფული იხარჯება საჭიროებისათვის და იშოვება სიამოვნების მისაღებად, დროისა და შემთხვევის გამოყენებით, თავის განძრევით და რისკის გაწევით.

14450. ცხოვრების დონის ამაღლება გვაიძულებს, ფული დავზოგოთ, მის ინვესტირებაზე ვიზრუნოთ, რადგან ფულის დაზოგვის სურვილი ჭკუას გვმატებს მის დასაბანდებლად და გასამხნევებლად.

14451. მომჭირნეობა ნიშნავს ცხოვრების დაგეგმვას, სწორი და შემოქმედებითი მიდგომით ფულის ხარჯვას, თანხის გონივრულ დაბანდებას.

14452. ეტყობა, მათხოვრებიც საჭიროა, რათა ადამიანმა დაიკმაყოფილოს სურვილი, რომ იყოს კარგი და მოყვასი, დახმარება გაუწიოს და ამისათვის ფულიც გადაიხადოს გულის დაუწყვეტლად, რადგან კარგ ადამიანად თავის წარმოჩენაც ფული ღირს და დაფინანსებას მოითხოვს.

14453. კატორღულმა შრომამ ხელის გაჭუჭყიანება იცის, ოღონდ, იმ ჭუჭყს შემდგომში ფულად თუ ვაქცევთ, ამას არად ვაგდებთ.

14454. ჩვენი ყოფიერების უკეთ აღსაქმელად უმთავრესია ცოდნა-გამოცდილების დაბანდება, ვიდრე ფულისა, რადგან ეს უკანასკნელი მარად დევალვაციას და სხვადასხვა სახის რყევებს განიცდის, პირველისგან განსხვავებით.

14455. კეთილშობილება იმდენად დიდი შინაგანი სიმდიდრეა, ქონების მოხვეჭას არ უნდა ცდილობდეს, მაგრამ უქონლობით მისი შენარჩუნება დიდად ჭირს.

14456. საკუთარი ნაღვაწის წარმოჩენის სურვილი ხშირად ფულის შოვნაზე წაგვაცდენინებს ხელს.

14457. ფული ფარის როლს კისრულობდა ყველა დროსა და ყველა ხელისუფლის ხელში.

14458. ფულის ოპონირებული ხარჯვა მისი დაბანდების ანბანს უკეთ გაგვათავისებინებს.

14459. ზოგჯერ ფულის ძალა ისეთ რაიმეს ჩაგადენინებს, რაც თქვენი ბუნება-გუნებისთვის მიუღებელია.

14460. სიმდიდრე უმთავრესად დროის ეკონომიურ და რაციონალურ ხარჯვას უნდა ემსახურებოდეს და არა მის უაზროდ ფლანგვას.

14461. ფულის მომჭირნეობით ხარჯვა უფრო ჭირს, ვიდრე მისი შოვნა, რადგან პირველს განუსჯელი ამბიციების მოთოკვა სჭირდება.

14462. მიზანი ქონების მოხვეჭა კი არ უნდა იყოს, არამედ მისი შოვნა საქმიანი დაბანდებისა და წინდახედულობის მეშვეობით.

14463. კრედიტის მახეში თავის გაყოფა ადვილია, ამ ვალიდან თავის უპრობლემოდ დაღწევა – ძნელი.

+14464. ცივილიზებული სამყაროსათვის ფული ყოველთვის დიდი ღმერთი იყო და პატარა სარწმუნოება.

14465. ფული მისგანვე აღძრული სიხარულისა და რწმენის გარეშე არარაობა იქნებოდა.

14466. ცოდნა თავის წარმოჩენას შემთხვევის წყალობით ცდილობს, ხოლო გამოცდილება – ნაშოვნი ფულით.

14467. ფულისა და კარიერისკენ დაუმსახურებელმა სწრაფვამ, უწინარეს ყოვლისა, სულის შერყვნა იცის, შემდგომ ხდება ეროვნულობის დაკარგვა, სახელისა და გვარის გამოცვლა-გადაკეთება.

14468. შემთხვევა და ცოდნა იმ ფულის შოვნის ალგორითმია რომელსაც ვერ ხსნის განათლება და მინდობა.

14469. ფული მსახურიცაა და ბანდიტიც, გააჩნია, ვის ხელში მოხვდება, ვინ კისრულობს მის გამოყენებას.

14470. ოქროს ჯერჯერობით ვერც სათნოება უწევს კონკურენციას და ვერც გონიერება, რადგან ის აქსიომაა, მუდმივი ღირებულებაა, რაც განსჯასა და დევალვირებას არ ექვემდებარება.

14471. ფულისა და მცდელობის დაუბანდებლად სურვილები ყოველთვის აუსრულებელი დარჩება.

14472. სჯობს, საყვარელსა უჩვენო საქმენი საფულონია და იგი არავითარი საგმირო საქმის ჩადენას არ მოგთხოვს.

14473. დიდი ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება, მათ შორის უკვდავებისაც, ოღონდ არა კაცური კაცობისა.

14474. განსჯილი შეზღუდვებით თავსაც სიამაყეს ანიჭებთ და ჯიბეში ფულიც მარად „გიჭყავით“.

14475. გახსოვდეთ, ფულს როგორც გაორკეცების, ასევე თავის დაკვრის უნარიც შესწევს. გააჩნია, მას ვინ როგორ აფასებს და დროულად ჭკუას როდის უხმობს.

14476. ფული უნდა იმსახურო გონიერების ხმობით და არა მას ემსახურო მისი დაგროვების წადილით დაბრმავებული.

14477. ზოგჯერ სიმდიდრე ცოდვების განტევების ინდულგენციებს ყიდულობს.

14478. ბიზნესმენობა პროფესიაა, ხოლო ბიზნესმენი მოაზროვნე, რომელიც იმაზე მეტს აგროვებს, ვიდრე ეს მის შთამომავალს სჭირდება.

14479. ფული ჭკუა-გონების წარმოჩენისა და მისი დროულად მომსახურების დამჩქარებელი საშუალებაა.

14480. უძრავი ქონების სიმდიდრესთან ფულადი სიმდიდრე ახლოსაც ვერ მოვა, იმისდა მიუხედავად, რომ ფულს დიდი შესაძლებლობა აქვს.

14481. ფული ყოფის სიავეს თრგუნავს, საქმეებსაც აკვარჭახებს,

მაგრამ გონიერებას რყვნის.

14482. ფული ყველას გვჭირდება და მის მშოვნელს პატივსაც მივაგებთ, მაგრამ იშვიათია ურთიერთგაგება და თანაზიარობა.

14483. დღეს ფულზე დიდი და იძულებითი მეგობარი ადამიანს არა ჰყავს და ამ დაპროგრამებული მეგობრობის შესანარჩუნებლად ადამიანი ხშირად ყოველგვარ სისაძაგლეს კადრულობს.

14484. ფულს დიდი ძალა აქვს ცოდნის შესაძენად, ნიჭის გამოსავლენად, გონის ნარმოსაჩენად.

14485. ფულის გაკერპება სულიერ გარყვნას იწვევს და არც გონების განვითარებას უწყობს ხელს.

14486. ყოველგვარი მომსახურება ფული ღირს, ან ყოველივე კრედიტით გაცემული ვალია. ასე რომ, ყოველგვარი ქმედება და სიკეთის კეთება ანგარიშს მოითხოვს. რას ვიზამთ, ამრიგადაა ცხოვრება მოწყობილი.

14487. ფული გარკვეულ თავისუფლებას გვაძლევს, მაგრამ რეალურ თავისუფლებას პატიოსანი გზით ნაშოვნი ფული სჭირდება.

14488. ფულმა თავის დაკვრა იცის და შემოკურთხებაც, თუ მას დროულად არ მოვიხმართ და არ დავაბანდებთ.

14489. სხვებზე გავლენას სიმდიდრეც იწვევს, რომელიც ძალაუფლებას ძალის მოპოვებაში ეხმარება.

14490. სხვათა უბედურებაზე, ხელის მოცარვაზე ფულის კეთება უღირსობაა კვადრატში, კუბში, მაგრამ ამგვარად ფულის შოვნაზე უარის თქმა ჭირს.

ქალი

14491. ქალს რა უნდა, ხშირად თავადაც არ უწყის, მაგრამ, ხშირად ქალად დარჩენა რომ არ უნდა, ესეც ცხადია.

14492. ძაღლების მოყვარულ ქალებს ხშირად მამაკაცი არ აინტერესებთ, რადგან ბრძანების უსიტყვო შემსრულებელი და დამჯერი უკვე გამონახეს.

14493. მეუღლეა ის, ვინც სიცარიელეს გვივსებს, ვარამს გვავიწყებს და ცხოვრების გზას ან გვინახევრებს, ან გვიხანგრძლივებს.

14494. მამაკაცთან ხშირი და საქმიანი ურთიერთობა ქალებსაც მამაკაცებისამებრ აწყებინებს ლაპარაკსა და აზროვნებას.

14495. ქალი ის სასმელია, რომლის შესმაც აზარტს, აღზრდასა და გონიერებას მოითხოვს.

14496. ქალის მგრძნობიარე ბუნება მავანთათვის მარად ამოუცნობი დარჩება.

14497. ქალთან ცხოვრება ზოგჯერ აუტანელია, მაგრამ უიმისოდ ცხოვრებაც არ გამოდის.

14498. ქალი ზოგჯერ გონიერების მაკიაჟით უფრო ფასობს, ვიდრე სახის მაკიაჟით, ოღონდ მას ამისი ნაკლებად სწამს.

14499. ფაჩხიტი-უქმრო შვილიანი ქალების მომრავლება ერის შესანარჩუნებლად დიდი საქმეა, რათა ერმა გენოფონდი შეინარჩუნოს, რაც გამოწვეულია მამაკაცების დაჩიავებითა და მათი უკუღმართობით.

14500. ქალს არ განსჯიან, არც საყვედურობენ; მას ისე აღიქვამენ, როგორც წარმოუდგენიათ და მასზე სიცოცხლის ბოლომდე ოცნებობენ და მისი, ასე თუ ისე, სჯერათ.

14501. ქალი რომ დაგემორჩილოს და შეგიყვაროს, სექსით უნდა დაატყვევო, საწოლში უნდა იმონო და ავტორიტეტი, უპირველეს ყოვლისა, ამ სარბიელზე მოიპოვო.

14502. ქალების ლანძღვა შენი ბოღმის გადმონთხევის მცდელობაა და არა მათი დამუნათების ცდა.

14503. ქალი მოკოხტავებას იმიტომ ცდილობს, რომ, პირველ ყოვლისა, თავისი მეობა უნდა იწამოს და საკუთარ თავს პატივი მიაგოს, შედეგად სხვებსაც ხიბლავს, სიამეს აგრძნობინებს ამ სილამაზის დანახვებით. ეს ქალის მოვალეობაა და არა კაპრიზი.

14504. ქალის ნდობა შესაძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სიყვარული შვილებზე, შვილიშვილებზე სრულად გადანაწილდება.

14505. სრულყოფილების მიღწევის, მამრის მოხიბვლის და კონკურენტებისათვის ბიშტის ჩვენების მიზნით ახალგაზრდა ქალი თითქმის ყველაფერზე მიდის.

14506. ყოფიერებაში მამაკაცის როლის გაფეტიშების მიუხედავად, დედაკაცის არსებიდან მოდის ჩვენი მეობის ავიცა და კარგიც.

14507. ქალი საყვარელი მამაკაცის ხასიათზე თავისი ოცნებების მორგებას ცდილობს, მაგრამ ბოლოს იმით კმაყოფილდება, რასაც ბედი მიუგდებს.

14508. ქალმა შესაძლოა ბევრ რამეზე თქვას უარი, ოღონდ არასოდეს იტყვის უარს სხეულის გალამაზებაზე, თუნდაც ქირურგიული ჩარევის გზით.

14509. მდედრი ბედნიერია, თუ საყვარელი ქალია, საყვარელი დედა და საყვარელი ცოლია, ოღონდ მისებური გაგებით.

14510. ყველა ქალი ღირსეულ მამაკაცთან საქმის დაჭერას თავის მოკატუნებითა და პეწიანობის გამოვლენით ლამობს.

14511. ქალის მოთხოვნებს ასაკობრივი შესაძლებლობანი უნდა შევუჯუფთოთ, თუ გვინდა, ამ კავშირიდან რაიმე სახეირო გამოდნეს.

14512. ქალის საუკეთესო კოსმეტიკა სიყვარულია, ხოლო საუკეთესო სუნამო – ჰარმონიული ოჯახის შექმნის პერსპექტივა.

14513. დიდი სილამაზე და მისი შესატყვისი მაღალი ადამიანური ღირსებები ქალს დედოფლად აქცევს.

14514. ქალს ქვებს არ ესვრიან, პირიქით, მას ქვის მსროლელებისაგან იცავენ.

14515. ქალის შინაგანი მოწოდებაა, მამაკაცს ცხოვრება გაურთულოს, ხოლო მამაკაცისა – ქალს ყოფა გაუადვილოს.

14516. უცნაური არსებაა ქალი: ის შეიძლება გააბრაზოთ ხმის ამოღებითაც და ხმის ამოუღებლობითაც.

14517. ქალში იმ სათნოების პოვნა, რომელსაც შენი ცნობიერება ეტრფის და ეთაყვანება, უფრო მეტად შეუძლებელია.

14518. ქალი თუ არ კეკლუცობს, არ იტყუება. არ ჭორაობს, პიარის სურვილი დაკარგული აქვს, ეს იმას მოასწავებს, რომ მისი დაისი დამდგარა.

14519. მთავარია ქალში შენთვის განკუთვნილი ეშხის, მარილის მონახვა და არა იმ სილამაზისა, რომლითაც ის ანათებს და თავს იწონებს.

14520. გულწრფელი ქალი განგების საჩუქარია, მაგრამ მაინც მოსაწყენია.

14521. ქალის მოჭარბებული შოპინგი კაცისადმი გულგატეხილობას იწვევს და დიაცს ღალატისთვის ამზადებს.

14522. ქალთა უმრავლესობას მოსწონს ახალი ქურქი და ძველი კაპრიზ-პრეტენზიები.

14523. ქალს ჭორაობას უფრო იოლად აპატიებენ, ვიდრე სიმართლის თქმასა და გონიერების გამოჩენას.

14524. ქალებს ყურებით უყვართ, განსაკუთრებით მაშინ, თუ იმას ჩასჩინებენ, რაც მათს ოცნებას ფრთებს ასხამს.

14525. ქალი კი არ უნდა მოგწონდეს, არამედ გიყვარდეს, რადგან

მოწონება ბევრისა შეიძლება, შეყვარება კი – ერთადერთის.

14526. ქალი მამაკაცისთვის მუდამ სახიფათო და სათუთი სათამაშო იყო და ასეთად დარჩება, ასაკისა და დროის მიუხედავად.

14527. მოგება და წაგება ძმები არიან და არავითარ შემთხვევაში – დაქალები, რადგან ქალის ბუნება წაგებას ვერ იტანს.

14528. ცოლის ყოლა მოგებიანი განტოლებაა, რადგან ყოველთვის შეგიძლია, შენი ცოდვები მას აჰკიდო.

14529. ქალი უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებელია წარმოსადეგი შვილის გაჩენასა და აღზრდაზე. ამიტომაც უნდა ეცადოს, შვილი ჯიშიანი მამაკაცისგან იყოლიოს და არა შეუხედავი ქმრისაგან.

14530. ქალსაც და კაცსაც შესწევთ საიდუმლოს შენახვის უნარი, მაგრამ გააჩნია, ვისთვის, რისთვის და რა შედეგს ელოდებიან.

14531. სიყვარულისთვის ქალები უფრო მეტს გაიღებენ, ვიდრე მამაკაცები, და ისინი გარკვეული დროით თავიანთი გრძნობების მონად გვევლინებიან.

14532. ქალის ალღო იმიტომ სჯობნის მამაკაცისას, რომ ის უფრო ფრთხილობს, რადგან მომავალი დედაა და შთამომავლობის, ჯიშისა და ჯილაგის გამგრძელებელი.

14533. საბედისწერო ქალბატონები მატიანეს უყვარს, მათ იგი იმახსოვრებს და მათზე ლეგენდებს სხვა რჩეულ პირებთან ერთად თხზავს.

14534. მგრძნობიარობის ცეცხლი ქალთან ურთიერთობაში უნდა დავანთოთ. ეს მლიქვნელობა არ იქნება.

14535. ქალი გულის ენას და სულის მომხიბვლელობას უნდა ფლობდეს, თუ უნდა, ყველასთვის საყვარელ არსებად იქცეს.

14536. კაპასი ცოლი მამაკაცს ბერბიჭად ყოფნას ბევრჯერ მოანატრებს.

14537. ცოლი ქმარს უნდა ენდობოდეს, მაგრამ იმედიანობისთვის სჯობს, შვილებსა და ძაღლთან ერთად გაუშვას, რათა ყურადღება ამათ დაუთმოს და მზერა სხვა ქალზე არ გადაიტანოს.

14538. ქალის მთავარი იარაღი ხიბლი, მიმზიდველობა, სილამაზეა; რაც შეეხება გონიერებას, ხასიათს, დედობის ფენომენს, ეს მოგვიანებით ამოტივტივდება და მომდევნო ეტაპებზე ფასდება.

14539. სურვილებითა და მოლოდინით ქალის გაცუცურაკება დანაშაულია.

14540. ქალი უნდა აღმერთებდეს თავის რჩეულს, ესე იგი სიყვარულს თავისი ნებით დაემონოს.

14541. ქალის საყვედური ღვთის მიმართ ხშირად უსაფუძვლოა. რაკიღა მას თმენის ნაკლებობა ახასიათებს, ამბიციების მოთოკვა უჭირს.

14542. თეორიულად ქალს თავგანწირვის მეტი მიდრეკილება აქვს,

ვიდრე – მამაკაცს, მაგრამ პრაქტიკულად ეს უკანასკნელი ამას უფრო მეტად ახერხებს.

14543. ქალი მარად თავისი ოცნების მამაკაცს დაეძებს, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად ბევრ პრეტენზიაზე უხდება ხელის აღება.

14544. ქალის გათხოვებას ზოგჯერ განგების დასტური სჭირდება, რათა მან ღირსეული ნაშიერი დაუტოვოს შთამომავლობას.

14545. ქალს სილამაზე და ნიჭი არ ყოფნის ღირსეული ოჯახის შესაქმნელად, თუ მას შემართება აკლია და მისწრაფება მოდუნებული აქვს.

14546. ისეთი ქალი მოგვწონს, როგორიც ჩვენს წარმოსახვას ესალბუნება.

14547. ქალი ბევრ შეცდომას უშვებს და ბევრიც ეპატიება, გარდა უშვილობისა, თუმცა კი ეგ მისი კი არა, ღვთის შეცდომაა, რომელიც დღეს გამოსწორებადია.

14548. ქალმა თავიდანვე უნდა განსაზღვროს პერსპექტივა: ცარიელ სიყვარულს მიჰყვება, მოწონებასა თუ საიმედო მამაკაცს.

14549. ჩერჩეტი ქალები სულელ ქმრებს პოულობენ, რადგან უერთმანეთოდ გაძლება უჭირთ.

14550. სიმდიდრესა და სიყვარულს შორის ქალს არჩევანის გაკეთება ყოველთვის უჭირდა.

14551. დრო დედის ქალურ ბუნებას აძლიერებს, ხოლო მახსოვრობას ასუსტებს.

14552. ქალები მშვენიერებას უკეთ აღიქვამენ, ვიდრე მამაკაცები, მაგრამ ურთიერთმშვენიერების აღქმა უჭირთ, თუ მათში დიდი ასაკობრივი სხვაობა არ არის.

14553. მუსუსი მამაკაცისთვის ჭკვიანი ქალი უფრო საშიშია, ვიდრე ქარაფშუტა, რადგან ჭკვიანი შურისძიების მეთოდებს უკეთა ფლობს.

14554. ქალი სამზარეულოს თუ არ მეგობრობს, მასთან კონფლიქტი მაინც არ უნდა ჰქონდეს, თუ უნდა ოჯახი შეინარჩუნოს.

14555. ცოლი მამაკაცმა, წესით, მაშინ უნდა შეირთოს, როდესაც თავისუფლება მობეზრდება, ხოლო ბავშვი მაშინ უნდა ჩაისახოს, როდესაც ქალს ამის სურვილი გაუჩნდება. ასე რომ, ერის გამრავლება ქალის კაპრიზზე ყოფილა დამოკიდებული.

14556. ქალისთვის მამაკაცი ყოველთვის ერთუჯრედიანია, თუ მასზე განაწყენებულია, ხოლო კაცისთვის ქალი მანამაა მრავალუჯრედიანი, სანამდის არ მოყირჭდება.

14557. ქალმა მამაკაცზე საკუთარი უფლებები ხმამაღლა არ უნდა გამოაცხადოს, მაგრამ ამისკენ უნდა ისწრაფოდეს.

14558. ქალისთვის უმთავრესია შარმისა და მომხიბვლელობის შენარჩუნება და არა ასაკის წინააღმდეგ უნუგეშო ბრძოლა.

14559. ქალმა სიყვარულში, მოწონებისაგან განსხვავებით, „ოქროს შუალედი“ არ იცის.

14560. ყველა ქალს ღალატისა და შესაძლო უკეთესი დაწყვილებისკენ გაურბის გონება, ცხადში იქნება ეს თუ სიზმარში.

14561. უსამოსოდ და უმაკიაჟოდ თუ ქალი ხიბლიანია, ის უკვე ღვთაებაა, ოღონდ ამას ქალურმა ჭკუამ კვანტი არ უნდა გამოჰკრას.

14562. ყველა ცოლი მეტ-ნაკლებად ბატონობს ქმარზე, გააჩნია, როგორ იყენებს დედის სტატუსს.

14563. ყველა ადამიანი სხვადასხვაგვარია, მათ შორის ის ქალიც, რომელიც თავის თავს სხვადასხვა ფასად გვთავაზობს.

14564. განგების შემოქმედება ლამაზი და გონიერი ქალია და მისი გმირად წარმომჩენი სულიერი სიმდიდრე.

14565. ქალის გული ვისაც უნდა ეკუთვნოდეს, ასაკის მიუხედავად, ის მარად მზადაა, თავი ყველას მოაწონოს.

14566. ნუ დაეძებ ცოლის ჭკუას, სილამაზეს, დაე, იყოს კეთილი და სათნო.

+14567. ტვინხუჭუჭა მამაკაცებს თმახუჭუჭა ქალები არ სწყალობენ.

14568. საქმის პატიოსნად კეთებით ქალები უფრო გამოირჩევიან, ვიდრე მამაკაცები.

14569. ქალის უცვლელი ძალა სიყვარულია, მას სიკეთის საკეთებლად გამოავლენს თუ სიავის ჩასადენად.

14570. შეიძლება მავანს ვასწავლოთ სამშობლოს, მშობლების, მოყვასის სიყვარული, მაგრამ არა ჩვენთვის განკუთვნილი ქალისა.

14571. ყველა ქალი მომხიბვლელ-მოსაწონია, გააჩნია ჩვენს განწყობას, ხასიათს და იმას, თუ რა მხრიდან შევხედავთ.

14572. ყველაზე ლამაზი შენთვის ის ქალია, რომელიც თუნდაც დროებით გაღელვებს.

14573. ურთიერთგაგება ოჯახის სიმტკიცის საძირკველია, რომლის ჩამყრელი ცოლია.

14574. ქალის მრწამსია, თავისივე გაგებით იყიდებოდეს სექსზე, ფულზე, კარიერაზე, რათა მშვიდი ცხოვრება მოიპოვოს.

14575. ქალის უმამაკაცოდ დატოვება უზნეობაა, ხოლო უშვილოდ დატოვება – დანაშაული.

14576. ქალისთვის ფაქტები, თუ მის მოსაზრებას არ ეთანხმება, დიაცურ კაპრიზებთან შედარებით მეორეხარისხოვანია.

14577. კონკრეტული ქალის ბუნების გამოცნობა სხვა მდედრებზე დაკვირვების გზით მეტ-ნაკლებად შესაძლებელია.

14578. ეცადეთ, ქალის კაპრიზებს და მის აბდაუბდას ყურადღება არ მიაქციოთ.

14579. ქალს ყველაზე უკეთ საკუთარი ცოლი გვაცნობიერებინებს, განსაკუთრებით გაჭირვების ჟამს.

14580. ქალი და ხალხი იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ერთს დამატებითი ალერსი და სექსი სჭირდება, მეორეს – დამატებითი იდეოლოგია.

14581. ქალი რომ გაიშინაურო, უპირველეს ყოვლისა, მისი პატივისცემა უნდა ისწავლო.

14582. გვინდა – არ გვინდა, ქალები ჩვენზე ჭკვიანები არიან, რადგან ისინი გვაიძულებენ, მათზე ჭკვიანებად წარმოვჩნდეთ.

14583. ქალმა თავი რომ ადამიანად შეიცნოს, უპირველეს ყოვლისა, დამფინანსებელი უნდა ჰყავდეს, თავისუფალი დრო და კოსმეტიკა თავზე საყრელად უნდა ჰქონდეს, ხოლო კაცისთვის მეგობრები და სასმელიც საკმარისია.

14584. მეგობრობას თავისი განზომილება აქვს, თუკი ამოვხსნით. ის მამაკაცებში შესაძლებელია, ხოლო დაქალებში – ბოლომდის შეუძლებელი.

14585. ქალს კაპრიზის წარმოსაჩენად სამი პერსპექტიული ხანა ეძლევა: ჯერ ანერვიულებს მამას, მერე – აღიზიანებს ქმარს, ბოლოს აგიჟებს სიძეს.

14586. ქალიშვილის გათხოვებას, ქვრივს, ბედნაცვალს, ჩარჩენილსა და გათხოვილს შეესატყვისება ანგელოზი, ბატკანი, მელა, აფთარი, მტრედი და ქორი.

14587. ქალისთვის დასაშვებია ყველაფერი, რასაც ის სიმორცხვით გადაიტანს და არ გააფეტიშებს.

14588. ყველა ქალზე კარგის თქმა შეიძლება. გააჩნია, რა კუთხით აღვიქვამთ მას.

14589. ქალური სისუსტე ცნობიერების იმ ალგორითმებს ებღაუჭება, რომლის ამოხსნის იმედსაც საყვარელი მამაკაცი უღვივებს.

14590. ყველა ცოლი ცამდე პატიოსანი და ერთგულია, ვიდრე მრუშობაზე არ წაასწრებენ.

+14591. ყველა ლამაზი და სექსუალური ქალი იმ დაავადების მკურნალია, რომელსაც მამაკაცის სიძუნწე ჰქვია.

14592. შინ გვიან დაბრუნებული ქმარი გაცილებით სჯობს ნაადრევად დაბრუნებულსა და რქებდადგმულს.

14593. ზოგს ისეთი აფთარი ცოლი ხვდება, რომ ქმარს სურვილი უჩნდება, იგი მისმავე ნაოცნებარმა პრინცმა წაართვას.

14594. ქალწულად და შინაბერად დარჩენა პატიოსნება კი არა, დანაშაულია, ხოლო ლამაზმანობით და სექსით ფულის შოვნა თავის შეურაცხყოფაა და გადაგვარება, მაგრამ ამ უკანასკნელს რაღაც სარგებელი მაინც მოაქვს და რაღაც გამართლება მაინც აქვს.

14595. ქალს სიყვარულის, პერსპექტივისა და შეაღვირებული ვნების აშვების სურვილი ერთდროულად უჩნდება.

14596. ურთიერთობის შესანარჩუნებლად ქალს წარსულს არ ახსენებენ, ხოლო მამაკაცს – მომავლის გეგმებს.

14597. რამდენიმე პერსპექტიული ვაჟიდან თუ ერთ-ერთი ვერ აირჩიე, ბოლო აირჩიე, რადგან, პირველები არჩევის ღირსნი რომ ყოფილიყვნენ, ეს ბოლო აღარ გამოჩნდებოდა.

14598. ტვინი ყველას აქვს, მაგრამ ზოგ ტვინს გამოყენების ინსტრუქცია ქალის საშოდან არ მოჰყვება ან დაკარგული აქვს.

14599. სასიამოვნო გაოცება ქალის გაყინულ გულს ალხობს და ათბობს.

14600. ქალს უამრავი საიდუმლო კოდი აქვს, რომელთა ერთბაშად გაშიფვრა შეუძლებელია.

14601. სიყვარულის რაობას, უპირველეს ყოვლისა, ქალი შეგვაცნობინებს, აღმზრდელი დედა იქნება ის თუ შენი სქესობრივი პარტნიორი.

+14602. არჩეული ქალი სჯობს ასარჩევს, რაკიღა ამორჩევის პროცესი დასრულებულია.

14603. ქალის სიცოცხლის ელექსირი მისი მარად ახალგაზრდა სულია და უჭკნობი, მომნუსხველი სილამაზე.

14604. ქალი სიყვარულს უსიტყვოდ, გულით გრძნობს, მამაკაცი კი – ჭკუით.

14605. ქალები ხშირად იხსენებენ იმ ხვადებს, რომელთაც ცოლად ვერ გაჰყვნენ და მათთვის ნიშნის მოგებას ოცნებით ცდილობენ.

14606. ეჭვიანობა ქალთა საქმეა, უნდობლობა – მამაკაცთა.

14607. კაცობრიობა ქალების შექმნილია, ოღონდ მამრთა ხელშეწყობით.

14608. შეყვარებულ ქალს ისიც კი ესმის, რაც მის სხეულს ჯერჯერობით არც კი უფიქრია და უგრძნია.

14609. ქალის გული მარად შეუცნობელია, მის კაპრიზებზე რომ არაფერი ვთქვათ.

14610. ხშირად ქალი ნაღვლიანად იხსენებს იმ მამაკაცს, ვისაც ცოლად ვერ გაჰყვა, როდესაც მას თავის ქმარს ადარებს.

14611. ქალები ერთმანეთზე უფრო მეტად ეჭვიანობენ, ვიდრე კაცებზე.

14612. ქალი მამაკაცის გულისა და სულის ყველაზე უკეთესი წამკითხავი და გამშიფრავია.

14613. მდედრის მკვრივი და ლამაზი მკერდი უმთავრესად მამაკაცის თვალებს ეფეთება, მოქიშპე დიაცნი კი შურით იგუდებიან.

14614. მამაკაცის სიმდიდრე და სილამაზეც კი არ აამაყებს ქალს

ისე, როგორც ამ კაცის ცოლობა.

14615. ქალის ხიბლი გარკვეული კუთხით უფრო აღგვაფრთოვანებს, ვიდრე მისი ჭკვიანური ბაასი.

14616. ამ ბოლო დროს ქალებმაც ინტენსიურად ჩაჰყვეს ცხვირი პოლიტიკაში. ეს რას მოგვიტანს, არავინ უწყის, მაგრამ ომის საფრთხეს დასტურ ამცირებს.

14617. არიან ქალები, რომლებიც თავიანთი გონითა და აზროვნებით მამაკაცს აღემატებიან, რითაც ყავლგასულ ტრადიციებს დასცინიან.

14618. ზოგი ქალი გონით ჯოჯოხეთის მაშხალაა, ხოლო გულით – გველი და გველეშაპი.

+14619. ზოგი საქალბატონე იმიტომაც არ თხოვდება, რომ სურვილი აქვს მრავალი მამაკაცი გააბედნიეროს, თავისი ერთგულებით ერთის გაუბედურების ნაცვლად.

14620. ლამაზი ქალი დროის, მოდის, ფულის მონაა.

14621. ჭკვიანი ქალი მამაკაცის ხუშტურებს ყურად არ იღებს და მის საქმიანობაში აშკარად არ ჩაერევა.

14622. ქალები შემოქმედ მამაკაცებზე ნადირობენ, მაგრამ იძულებულნი ხდებიან დიდი კონკურენციის გამო მათთვის მიუღებელთ დანებდნენ.

14623. ქალი არ შეიძლება არ იყოს ეგოისტი, მოსაბეზრებელი, შტერი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ამპარტავანია.

14624. ტურიზმი მარაზმიანი ქალივითაა: მან რაღაცით უნდა მოგაწონოს თავი, თუნდაც მრავალჯერ განმეორებული რეკლამით.

14625. ვარდსა და ზღარბს ერთი საერთო აქვთ – ეკალი. ასევეა ლამაზი ქალი და აფთარქალა. პირველს, სანამ ცოლად არ მოიყვან, ვერ ამჩნევ, ხოლო მეორის ხასიათი ცოლად მოყვანამდეც ნათელია.

14626. ქალი მამაკაცის მიმართ მარად ზომიერად მომთხოვნი უნდა იყოს, თუ უნდა თავისი მეობა შეინარჩუნოს.

14627. ქალებს ეხერხებათ მამაკაცის ურჩხულად წარმოჩენა და მათზე ხელის შეწმენდა, მაგრამ ესეც თავისებური სიყვარულია.

14628. ქალის უმთავრესი ნიჭია: სიყვარულზე იყოს შეყვარებული და არა ვინმე კონკრეტულ პირზე. ეს კი იმად ხდება, რომ მასში ვულკანივით მოქმედებს შთამომავლობის გაგრძელების ინსტინქტი.

14629. ქალს, ალბათ, ანგარიშიანი გათხოვება უფრო აძლევს ხელს, რადგან შეჩვევის შედეგად აღძრული სიყვარულიდან გამოსული მომდევნო თაობა უფრო სახიანი და ჯანმრთელია.

14630. ქალს ხორციელ სილამაზეს სულიერებაც მატებს.

14631. ქალს ყოველი ენერგიულად ნათქვამი ეჭეშმარიტება იმ წუთში ნამდვილად სწამს.

14632. ქალის ვალია, თავის პრინცს უცადოს და დროულად გამო-

ნახოს, რათა თავის ბედს გულმავიწყობის გამო არ შეუკურთხოს.

14633. სერიოზულ ქალს ნემსკავით დაჭერილი მეორე ნახევრის მითვისების იმედი მუდამ აქვს.

14634. უპირველესად ის ქალია თაყვანისცემის ღირსი, რომელიც მეორე-მესამე ქმრის ძებნისას არ გაბოზდება.

14635. ყველა ქალს სიამოვნებს იმის შეცნობა, რომ არსებობს მამაკაცი, რომელიც გაირთხმებოდა მის წინაშე და მის ნაფეხურებს დაკოცნიდა.

14636. ქალის „შეცდენის“ მიზეზი მისთვის გაუცნობიერებელი საინტერესო მამაკაცია.

14637. ქალის ღიმილი თავზე ხელის გადასმაა და ვნებიანი კოცნა იმის გარანტიას ჯერ კიდევ არ იძლევა, რომ თქვენ მისთვის შეუცვლელი და ერთადერთი ხართ.

14638. ღმერთმა უწყის, ქალს როგორღა უნდა მოექცე, რომ ის შენი ოჯახის შვილების ერთგული იყოს, მაშინაც კი, როდესაც „უყვარხარ“ და სიტყვიერად უშენოდ სიცოცხლეც ვერ წარმოუდგენია.

14639. ყველაზე თავისუფალი ბუნების ქალი, მათ შორის ფემინისტი მეძავიც, სიყვარულზე იწყებს ლაპარაკს, ოღონდ ყოველივეს ართულებს, რათა ვალი დაგვდოს.

14640. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა მთლად ფარსი არ არის, მაგრამ სახეზე გონიერების ნიღბის ტარება აუცილებელია.

14641. ქალებს იშვიათი ნიჭი აქვთ, ყველაფერი გაართულონ, გააფუჭონ, თუ ხასიათზე არ არიან.

14642. ფემინისტს, მეძავსა და ყველაზე თავისუფალი ქცევის დიაცსაც კი სიყვარულზე, ოჯახსა და შვილებზე საუბარი სჩვევიათ.

14643. ჯაჯღანი „ვიღლები“, „ყურადღება მომაქციეთ“, „არ გეცოდებით“ და სხვა ამდაგვარი ყველა ქალის სამეტყველო რეპერტუარში შედის.

14644. თვალებით ახლად მონადირებულ ქალს არაფერი შეედრება.

14645. ქალი ყოველივეს მისდაუნებურად ალამაზებს. განსაკუთრებით უნებლიეთ ჩადენილ ცოდვას.

14646. დამყოლი ქალი ხშირად იმაზე მეტ „დივიდენდს“ იღებს, რაც ეკუთვნის და რისი გათავისებაც სურდა.

14647. ქალის ტრიუმფალური სვეტები – ეს მისი ლამაზი ბარიკადებია.

14648. შორეული დროის ეშხიანი ქალის გახსენება დღესაც სიამოვნებას გვანიჭებს.

14649. პერსპექტიული დედაკაცი სიყვარულსა და გამოცდილებას ერთდროულად ეწაფება.

14650. ქალის მოთხოვნილებათა დაუფინანსებლად ერთგულების

შენარჩუნება ჭირს.

14651. ქალის სიყვარული მარად უცნობია. ის ასაკში ყველაზე მეტად ქმარს ეაჯება, რომელიც, როგორც ხვადი, უკვე ჩამოწერილია.

14652. საშინელებაა, როდესაც ქალმა ცხოვრებაში თავისი როლი და რეალური ფასი არ იცის.

14653. ქალის მრისხანებაზე საშინელი არაფერია, რადგან შურისძიება მისი სულის ელექსირია.

14654. ქალს სუსტი სქესის წარმომადგენლად მოისაზრებენ, იმისდა მიუხედავად, რომ მამრის ყველაზე დიდი ენერგია მასთან ურთიერთობას მიაქვს.

14655. ორსული ქალის აბორტი დანაშაულია, თუნდაც იმიტომ, რომ მან ჩანასახის ხორცი მოიშორა და მისი სული უპატრონოდ დატოვა.

14656. ქალს ყველაფერი უხდება და ეპატიება.

14657. ჭკვიანი ქალი ისაა, ვინც მამაკაცს თავს ჟინით მოანადირებინებს.

14658. ქალს ერთფეროვანი არც ყოფა მოსწონს, არც ოჯახი, არც მასთან ერთგულად შებერებული ქმარი.

14659. დღეს მთავარია, ქალმა დროულად იცოდეს, რა დროს და ვის უნდა ჩაუგორდეს ლოგინში, თუ უნდა „ნაჩალიჩარი“ ოცნებით ცხოვრების მადლი შეიცნოს და მის ქონებას ვნებით დაეპატრონოს.

14660. სილამაზე და მომხიბვლელობა ქალისთვის ბორკილიცაა და თავისუფლებაც, ბედნიერებაცაა და უბედურებაც. ეს დამოკიდებულია იმაზე, ბედი გვერდში როგორ ამოუდგება.

14661. „მიყვარხარ, გიყიდი, ვიმოგზაუროთ“ ყველა ქალის სანატრელი სიტყვებია.

14662. ქალისთვის უმთავრესია, ვის გვერდითაა, ხოლო, ვისთვის და რისთვის აკეთებს ამას, მისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

14663. ქალის ფილოსოფიას ქალის გონიერება ბოლომდე ვერ შესწვდება, ხოლო, რასაც ჩასწვდება, არც ისაა საჭირო, რადგან მდედრი მარადიულ გამოცანად უნდა დარჩეს, თუ უნდა, რომ მისი ხვედრი შეინარჩუნოს.

14664. ბავშვსა და ლამაზ ქალს არ ატყუებენ, რადგან იციან: ისინი ზომაზე მეტად განაწყენდებიან.

14665. ქალებს უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ ისინი მამაკაცებმა გააღმერთონ.

14666. ზოგჯერ მამრთა წინაშე დილემა დგას: ქალი სჯობს სამკაულს თუ სამკაული – ქალს. და რას აგვარჩევინებს ჩვენი გემოვნება, ეს მთლიანად ქალის მცდელობასა და მის მოხერხებულობაზეა დამოკიდებული.

14667. ქალისადმი დამოკიდებულება ერთდროულად არის ფიცი,

ერთგულება, ტკივილი, სინანული, სიყვარული.

14668. შეიძლება ისე მომხიბლელი ქალი შეგხვდეს, რომ მისმა შემხედვარემ არა მარტო ცოლს, არამედ სამშობლოსაც უღალატო და სხვა ქვეყანაში გადაბარგდე.

14669. საქმიანი ქალისთვის უმჯობესია ურთიერთობა ჰქონდეს ჯანმრთელ მამაკაცთან, მაგრამ დასცინოს, როგორც პროფესიონალს.

14670. ქალი რომ თავისი მეობით თავს გამოიდებს, მამაკაცის ღირსება იზრდება, მაგრამ, როგორც პროფესიონალი ხვადისა, მცირდება.

14671. ბრილიანტებით დამძიმებული ყური ქალს ძალას, ავტორიტეტსა და დაფასებას მატებს, რადგან მან სხვებს რაღაცით რეალურად აჯობა.

14672. ქალის და კაცის რომანი უაზროდ იწყება და მოულოდნელად მთავრდება, თუ მას მოთმინებასა და ერთგულებას არ შევაშველებთ.

14673. ყველა ქალი სექსუალურია და თავისებურად მომხიბვლელი, თუ მას მოყვასი მამრი გამოუჩნდა.

14674. ქალის სამხედრო აღჭურვილობაში მამაკაცისთვის ყველაზე საშიში იარაღია მომხიბვლელი თვალების მორცხვად დაჟუჟუნება და ნაზი შემპარავი ღიმილი.

14675. ემოციების გაუმაძღარი მფლანგველი ქალია, იმისდა მიუხედავად, ჰყავს თავისი ოცნების მამაკაცი თუ არა.

14676. ცოლი, რომელსაც შენი უსიტყვოდ ესმის, შენი ოჯახის მფარველი ანგელოზია.

14677. ქალები ვაჟკაცობასაც შეძლებდნენ, ამისი სურვილი რომ ჰქონდეთ.

14678. ქალს გრძნობების ჩოჩქოლით უნდა დაშორდე, მაგრამ სულიერად არ უნდა მიატოვო.

14679. გამოცდილ ქალებს ჰგონიათ, რომ მამაკაცებზე იმაზე მეტი იციან, ვიდრე გამოუცდელმა ქალებმა, მაგრამ ამისი ცოდნა მათ საბოლოოდ მამაკაცებთან ურთიერთობასა და მათს დაოკებაში ვერ შველის, თუ სიყვარულმა არ იძალა.

14680. იმ ერთადერთი ქალის სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ, რომლის მომხიბვლელობა გულს ისე შეგვიქანებს, რომ ქალის უნახავად გვაქცევს.

14681. ქალების ემანსიპაცია მაინც კითხვის ნიშნის დასმით უნდა დავიწყოთ.

14682. ქალი ცდილობს თავის რჩეულს გაუგოს, ხოლო მამაკაცი ამას ხშირად ვერ ახერხებს.

14683. ცოლი მაშინაც კი მართალია, როდესაც ის აშკარად სცოდავს, რადგან ის ჩვენი შვილების დედა და ჩვენი გვარის უკვდავების

თანაავტორია.

14684. ქალი მამაკაცს უნდა მოერგოს და მოირგოს, ოღონდ მამაკაცის ყოველგვარი გადაკეთების სურვილის გარეშე.

14685. ქალი ლამაზად გახდომის ხელოვნებას გაცილებით უკეთ უნდა ფლობდეს, ვიდრე მოხდენით ჩაცმისას, თუ უნდა ყოველთვის მოსაწონ-მომხიბვლელი ჩანდეს.

14686. ზოგი ნაღდ ქალად იბადება, ხოლო ზოგი ქალად ქცევას ცდილობს.

14687. ქალს ყველაზე მეტად მამაკაცის მისით განებივრება მოსწონს და კანზე ნაოჭების მომრავლების საფრთხე აფრთხობს.

14688. ქალი, რომელზედაც არავინ ეჭვიანობს, როგორც მდედრი, ვერ შედგა.

+14689. ქალები თანახმანი არიან, გაიხადონ, თუ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მათ ჩაცმაზე იზრუნებთ.

14690. ქალი მარად ამოუხსნელ განტოლებად დარჩება, მათ შორის ყოვლისმცოდნე გენიოსისთვისაც კი.

14691. ქალები ერთმანეთს არ ენდობიან, მაგრამ უერთმანეთოდაც უჭირთ, ვერ ჭორაობენ.

14692. ქალს ის მამაკაცი მოსწონს, ვინც მას ყურს უგდებს და თან საჩუქრებით ახალისებს.

14693. ქალის მოთხოვნილებები განსჯას არ ექვემდებარება, ხოლო მისი კაპრიზები უსასრულოა.

14694. ქალი თუ სულიერად ერთს ეკუთვნის, წინააღმდეგი არაა, სხვებსაც მოსწონდეთ, თუნდაც ხორციელად – გარეგნულად.

14695. თეორიულად ქალისა და კაცის უფლებები უნდა გათანაბრდეს, მაგრამ პრაქტიკულად ეს არ უნდა მოხდეს, თუ გვინდა, საზოგადოება არ გადაგვარდეს.

14696. ქალს ყველა მისთვის მოსაწონი მამაკაცის უწვალებლად პრივატიზება სწადია, ხოლო მამაკაცი მისი პრივატიზებით გარკვეულად მაინც წვალობს.

14697. ქალისთვის ინსტინქტი გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე მომავლის გონივრული წარმოსახვა.

14698. ქალი იმიტომაცაა დიდი „გამოგონება“, რომ წინასწარ შეუძლებელია იმის გარკვევა, მასთან ერთად ცხოვრება სჯობს თუ უიმისოდ.

14699. თანამედროვე ქალები მრავალ მამაკაცს აბედნიერებენ და მხოლოდ ერთს, ქმარს, იტოვებენ გასაუბედურებლად.

14700. ქალს ბევრი სისაძაგლის ჩადენა შეუძლია, მაგრამ არა იმდენის, რასაც უიღბლო და უნიათო მამაკაცები აბრალებენ.

14701. ქალების უმრავლესობა მამაკაცებს პრიმიტივებად მიიჩნევს,

რადგან მათ შენდობა, გრძნობიერი მისწრაფებების აღქმა და დაფასება არ შეუძლიათ.

14702. ნაღდი ქალია ის, ვინც ნამდვილ მამაკაცს იარაღს დაუფიქრებლად აყრევინებს.

14703. ჩახუტებიდან სტრიპტიზამდე ქალის როლის მორგება, თუ ის შემოქმედია, მსახიობი ქალის მენტალიტეტის ქონას გულისხმობს.

14704. მდედრი, რომელიც მამაკაცს თავს ვერ დაამახსოვრებს თავისი ქცევით, ჯერ კიდევ ქალი არ არის – ის ქალაქუცაა.

14705. ქალის უცნაურობა ისაა, რომ მას, შეიძლება, მამაკაცი ეზარებოდეს, მაგრამ მისი ხელიდან გაშვება ეჩოთირება.

14706. იყოს ქერა, ქალის სულიერი მდგომარეობაა, და ამისათვის ის განუხრელად იღვწის.

14707. ქალის უპირველესი მოვალეობაა, მომავალ ნაშიერს ჯიშიანი და ღირსეული მამა შეურჩიოს და შემდგომ იფიქროს ქმარზე, გათხოვებაზე.

14708. ქალს ისე ბევრი რამ აქვს მიმზიდველი, რომ არ არის გამორიცხული, ყველა მამაკაცის გემოვნება ერთდროულად დააკმაყოფილოს.

14709. მიმზიდველი ქალის წინაშე, შეიძლება, მამაკაცი აშკარად იარაღს არ ყრიდეს, მაგრამ ბოლო მაინც უსიტყვოდ ნებდება.

14710. ქალის სანავარდოდ გამზადებული ვნებიანი თვალები ბევრსა გვპირდება გარკვეული ხარკის გაღების შემდეგ.

14711. ვინ იცის, ტექნიკური პროგრესის ნინსვლაში რა დამსახურება მიუძღვით ქალების კაპრიზებს, მაგრამ, ვინ უფასებთ.

14712. ქალები თავიანთი შეცდომების დასაფარავად ხშირად სიყვარულს მოიშველიებენ.

14713. ქალის პუნქტუალობა მის ქალურ საწყისს ეჭვქვეშ აყენებს.

14714. მრავალშვილიანმა დედებმა სექსზე თეორიულად გაცილებით ნაკლები იციან, ვიდრე გაუთხოვრებმა და უშვილო ქალებმა.

14715. ქალის ქვედაწელზე თვალების ფათური უაზრო ონანიზმი უფროა, ვიდრე ხვადობის გაცნობიერება.

14716. ყველა ქალი უნდა ეცადოს საკუთარი თავის რეალიზაციას: ან გახდეს მრავალშვილიანი დედა, ან აღზარდოს სასახელო შვილი და ა.შ.

14717. ქალს გრძნობათა მოჩვენებითი ჩოჩქოლის წარმოჩენა უკეთ ეხერხება, ვიდრე მამაკაცს.

14718. ქალს არ უნდა მივცეთ უსაფუძვლო იმედი, ამაო დაპირებანი, რადგან ამას იგი უჩვენოდაც მიხვდება, თუ შევუყვარდით ან ფსონში ჩასაგდებად ვუნდივართ.

14719. ქალს თუ ისე მოხდენილად აცვია, რომ მის სახე-ტან-ფეხს ძალზე მიმზიდველად და გამომწვევად წარმოაჩენს, ის განუმეორებელი

და საამაყოა იმ წუთში.

14720. ქალი ვიში-ვიშისთვის, განცდებისა და იმ ბედნიერებისთვის არის მოვლენილი ამქვეყნად, რომელიც ბოლომდე ჯერ კიდევ არ გაუაზრებია და განუსჯია.

14721. ერთი ღალატი მეორისაგან არ განსხვავდება, მაგრამ ქალს უამრავი ყურით მოთრეული მიზეზი აქვს თავის გასამართლებლად.

14722. სუსტი სქესის ოცნებით გაჯეჯილებას ძლიერი სქესის რეალური გაჯეჯილებაც ვერ შეედრება.

14723. ქალები კარგი მსახიობები არიან, მაგრამ მათი კაპრიზების დაკმაყოფილება ყველაზე მარჯვე რეჟისორსაც კი უჭირს.

14724. მამაკაცები უფრო უგუნურები არიან, ვიდრე ქალები: აბა, რომელი მდედრი გაჰყვება ცოლად მამაკაცს, რომელსაც გრძელი ფეხები აქვს, მოზრდილი მკერდი და მოხდენილი უკანალი. ამასთანავე, მამაკაცებს დეპრესია უფრო ხშირად ემართებათ. შედეგად მამაკაცები მდედრთა უპირატესობას გრძნობენ, მაგრამ არასოდეს აღიარებენ.

14725. შეყვარებული ქალი სასიამოვნო ტვირთია, ვიდრე მასში ეგოიზმი, ეჭვი და მესაკუთრის სიმპტომი დაისადგურებდეს და მოძალადედ არ მოგვევლინებოდეს.

14726. მდედრი მამაკაცის მოსამსახურე მაშინ ხდება, როდესაც უსულგულო დროში უწევს ცხოვრება და იგი აინტერესებთ, როგორც დიასახლისი, დედა და არა როგორც ქალი.

14727. ქალისთვის მთავარია, ვინ დაიცავს მას და მისი გულისთვის ცხვირ-პირს ვის დაუნაყავენ.

14728. რაც უნდა ლამაზი ტუჩები, სახე ჰქონდეს, ქალი პომადისა პუდრების სათხუპნადაა მომზადებული.

14729. ქალი ღალატს იმით ამართლებს, რომ მას უნდა იყოს სხვებზე ბედნიერი და ამის უფლება აქვს.

14730. ქალი მრავალ პერსპექტიულ მამაკაცს უჟუჟუნებს თვალს და მოსწონს, მაგრამ ცოლად მიჰყვება იმას, ვისაც თავს აარჩევინებს.

14731. ქალები კარგი მსახიობები არიან, დიდებული დედები, მაგრამ ყოფიერების რეჟისურაში მოიკოჭლებენ, რადგან გადამწყვეტ დროს გამბედაობა არ ჰყოფნით.

14732. ქალს ხვადი მამაკაცი აძლევს შვილს საჩუქრად და არა ღმერთი, მაგრამ უშვილო დედაკაცები მაინც ამ უკანასკნელს ეხვეწებიან შვილის ბოძებას.

14733. ქალს თავდაჯერება, ადამიანების რწმენა აამაყებს და საკუთარი თავის ფასითაც ინტერესდება.

14734. ძველი გაგებით ქალის პატიოსნება დღეს ჩამორჩენად ითვლება, ხოლო ქალიშვილობის ინსტიტუტი დაცინვის საგნად და გადმონაშთად იქცა.

14735. გასათხოვარი ქალი გაზაფხულივითაა, მაგრამ მასაც მალე დაუდგება ზაფხული და შემოდგომა, ბოლოს კი ზამთარი ჩამოთოვს თავისებურად.

14736. ქალებმაც შეიცვალეს ზნე და ბუნება: აღარ გამოიყურებიან მორცხვებად, იქცნენ ბიზნეს ლედებად, აზროვნებენ ღმერთების საკადრისად და მუშაობენ დროის შესატყვისად.

14737. ქალის ხიბლი ყოველთვის ახალდაკრეფილი ვარდივით უნდა იყოს – ჰაეროვანი, ლამაზი, ნამიანი.

14738. კოხტაპრუწა გოგონების რაოდენობამ საკმაოდ იმატა და ეს არა მარტო უსაქმურობის, არამედ საკუთარი ადგილის არცოდნის ბრალიცაა.

14739. ქალი თუ მამაკაცს ფეხსაცმელივით იცვლის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას მოდური ფეხსაცმლებით კოპწიაობა უყვარს – უბრალოდ, არ უმართლებს.

14740. სამწუხაროდ, ქალები დღეს მამაკაცებივით ფეხებზე მკიდია ხდებიან და, ეს მომავალში რას მოუტანს საზოგადოებას, ჯერჯერობით უცნობია.

14741. ერთ პერიოდში ქალი ატარებს იმ გარეგნობას, რითაც ის მშობლებმა დააჯილდოვეს, მეორე პერიოდი მისი პირადი დამსახურებაა, ხოლო მესამე – რაც მისმა ბედმა ინდომა.

14742. ქალთან მეგობრობას ისევ მისი საყვარლობა სჯობს, რადგან პირველი სახიფათოდ ბუნდოვანი და საეჭვო გრძნობაა, მეორე – კი რეალური და ბუნებრივი.

14743. ქალებს ზედმეტად გახდაც არ უხდებათ, რადგან მათ ლამაზ ნაკვეთებს კაცი ეჩვევა და მათზე ძველებურად აღარ რეაგირებს. იგი მათ მიმართ ინდეფერენტული ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქალთა შორის კონკურენცია დიდია.

14744. ქალის ანორგაზმიას, ფრიგიდულობას ხვადი მამაკაცი სჭირდება მკურნალ ქმრად და არა ფართო მოხმარების უნიათო მამრი.

14745. ქალს მამაკაცის ენერგია, გონიერება, შემართება აქანდაკებს, ქმნის, დიასახლისად და დედად აყალიბებს.

14746. გონჯი ქალის მოწოდებაა, იცოდეს, ვისგან იყოლიოს შვილი და ვის აჰკიდოს აღსაზრდელად.

14747. ზოგჯერ ქალი მთლიანად ქიმიური საშუალებებითაა შეღებილი და ისე მოდური ჭინჭებითაა აჩაჩული, მისი შინაგანი სილამაზის შემჩნევა გამორიცხულია.

14748. დღეს ქალი გულითაც აზროვნებს, გონებითაც და ფულის შოვნის იმედითაც.

14749. ძალაუფლებას ყველა ბოროტად იყენებს, განსაკუთრებით კი ამაყი და თავისი ფასის მცოდნე ქალი.

14750. ქალი იმის იმედით ეთაყვანება მამაკაცს, რომ მასზე გარკვეული უფლებები მოიპოვოს და მისგან მიყენებული ყველა წყენის გამო ცხვირიდან ძმარი ადინოს.

14751. ყველა ქალს არანორმალურად კარგი აზრები უჩნდება. ყოველ შემთხვევაში, ბევრ მათგანს ასე სჯერა.

14752. ხშირად ულამაზესი ქალები ცხოვრების მცოდნე ნაძირალების ხელში ხვდებიან, და ეგ ხდება მათივე დახმარებით, ალბათ, იმის გამო, რომ იმაზე მეტის მიღება სურთ, რასაც იმსახურებენ.

14753. მამაკაცს სიყვარულს ქალი ასწავლის – იქნება ეს დედა, ბებია თუ სატრფო.

14754. ბალიშთან მოჩხუბარი მტირალი ქალი გონიერია, რადგან მან თავისი ნერვების განტევების ვაცი იპოვა.

14755. კაცი ბანკომატის მსგავსი რამ მაინც უნდა იყოს, ხოლო ქალი – შეძლებისდაგვარად მისი ყაირათიანი მომხმარებელი.

14756. ქალისგან ზოგჯერ იმას ითხოვენ, რისთვისაც ის ჯერ კიდევ არ მომწიფებულა.

14757. ქალები, პირველ ყოვლისა, ქალების თვალის ასახვევად იპრანჭებიან და არა მამაკაცებისთვის, რადგან უკეთ ამჩნევენ მამრისთვის შეუმჩნეველ ურთიერთნაკლს.

14758. ქალის გამოცდა უაზრობიდან წამოსული უაზრობაა, აყვანილი კვადრატში.

14759. ინერვიულოს იმაზე, რაიც ნერვების აშლად არა ღირს, ეს ქალის უმთავრესი იარაღია.

14760. ქალთა გულთამპყრობელ გლადიატორობას ხვადი მამრის სტატუსი სჯობს.

14761. ფემინიზმი უაზრო ამპარტავნობაა, რომელიც ქალობისა და ქალურობის დაცვას ქალებთან ურთიერთობაში ლამობს.

14762. ქალის მთავარი იარაღი კაცის დასაპყრობად მისი მომხიბვლელობა, სინაზე და კდემამოსილებაა.

14763. ქალი, რომელიც ფანტაზიას ფლობს და, ამასთან ერთად, თავიც უყვარს, უხიბლო არ შეიძლება იყოს.

14764. ქალის სიყვარულში მეტად ფასობს: ჯანიანობა, მატერიალური ვითარება და ის, თუ რა ადგილს იკავებს მისი რჩეული საზოგადოებაში.

14765. ქალს შინაგანი ბუნება აიძულებს, სხვა ქალებზე უკეთ გამოიყურებოდეს, იმდენად დიდია მათი ურთიერთკონკურენცია.

14766. ქალს თავისი მშვენიერების ხაზგასმა დეკოლტე კაბის ჩაცმითაც შეუძლია, თუ რამე აქვს სახეირო და გამოსაჩენი.

14767. ქალი მამაკაცისაგან ავანსად სიყვარულს ითხოვს, მამრი მოწონებითაც კმაყოფილდება.

14768. ქალის კაპრიზი უფრო მისაღებია მამაკაცისთვის, ვიდრე მისი მოწყენა.

14769. ქალის ჭეშმარიტი სილამაზე მისი სულიერების ხვეულებშია შეფარებული და არა გარეგნობაში – რა თქმა უნდა, მთლად მახინჯიც არ უნდა იყოს.

14770. ქალი თავისებური „სტერვაა“, იმისდა მიუხედავად, ამ როლს ადრე მოირგებს თუ გვიან.

14771. ქალის უმთავრესი იარაღია შიშზე ბატონობა, ირონიით შეიარაღება, საჭიროებისამებრ ნერვების მოშლა.

14772. ზოგი ქალი მამაკაცს დაუვიწყარ საღამოს დაუფარავ და გადაუხდელ სესხად უთვლის.

14773. ქალებს შეუძლიათ და ზოგჯერ სიამოვნებთ კიდეც მამაკაცების ტყუილში გამოჭერა, მაგრამ ამ ნიჭს ისინი საჭიროებისამებრ იყენებენ.

14774. ქალის ყველაზე დიდი დასტაქარი ვაჭრობა და მაკიაჟია.

14775. ქალი ყველაზე მეტად ასაიდუმლოებს ასაკს, წონასა და შემოსავლებს.

14776. ასაკის მატება ქალებს უფრო აჭკვიანებს, მაგრამ „დროში იწვებიან“ და ამიტომაც ჩქარობენ გათხოვებას.

14777. ქალი მამაკაცს ზოგჯერ განგების შემცვლელად ევლინება და ისე ატარებს, როგორც მოესურვება.

14778. ქალის ხიბლის ვერაგობასთან შერწყმა შესანიშნავი საშუალებაა მამრის გარკვეული დროით გამოთაყვანებისთვის.

14779. ხშირად ქალების დამსახურებაა, რომ მამაკაცები უფალთან დაახლოებას ცდილობენ.

14780. ყველა გათხოვილი ქალი შინაგანად გაუთხოვარია, რადგან უცნობი, მომხიბვლელი მამაკაცის ქათინაურებზე უარს ვერასოდეს ამბობს, ხოლო ამ უკანასკნელისთვის კი მას ბევრი სისულელის ჩადენა შეუძლია.

14781. ქალის ლოგიკა მამაკაცის ლოგიკისგან იმით განსხვავდება, რომ იგი ხშირად დედისთვისაც ამოუცნობია.

14782. ყველა ქალში სძინავს: კდემამოსილებას, ანგელოზს, პრინცესას, ჯადოქარს, სიკაპასეს, შურს, ღალატს. მთავარია, მასში ის გავაღვიძოთ, რაც ხელს გვაძლევს და გვსიამოვნებს.

14783. ვნებიან ქალებზე ეჭვიანობენ, მაგრამ მამები მათ თავიანთი ნებით არასოდეს ტოვებენ.

14784. ქალისთვის სიყვარული სულიერების პიარია და სხვებისთვის ნიშნის მოგება.

14785. არიან ქალები, რომლებიც გალამაზებას მსხვერპლადაც შეეწირებიან, რათა მამრისადმი სიყვარულის მომიზეზებით საკუთარ

თავს ასიამოვნონ.

14786. ქალის „შებმა“ ადვილია, „დაბმა“ უფრო ძნელია.

14787. ტრანზიტული სიყვარული ბევრ ქალთან არ ამართლებს – მათს უმეტესობას ოჯახი და შვილი უნდა.

14788. ქალს მრავალმხრივი სილამაზე აქვს, მაგრამ მის მომხიბვლელობას არაფერი შეედრება, თუ ჩვენი ოცნების გაუმჟღავნებელ სტანდარტებს აკმაყოფილებს.

14789. მდედრისადმი სიყვარული სასიამოვნოცაა და სახიფათოც, რადგან მისდამი გამოჩენილ უგულობას ქალი არავის აპატიებს.

14790. ყველა ქალს თავისი ყოფის შესატყვისი შხამი აქვს, რომლის გარკვეული ოდენობის გადმონთხევაზე ის უარს არ ამბობს, ხოლო მამაკაცი – მიღებაზე, ხოლო რატომაა თანახმა მამრი, ვერ აგიხსნის.

14791. შეყვარებული, განაწყენებული და შურით დაბოღმილი ქალი თავისი გრძნობების გადმოსაფრქვევად რას მოიმოქმედებს, არავინ უწყის.

14792. ყველა მიმხიბლავი და მოქმედი ქალი ლამაზია, რადგან ოცნებით ფრთების შესხმის შანსი უჩნდება.

14793. ქალის შინაგანი ბრწყინვალება, ნათება მის სულიერებას ეხმიანება, მაგრამ პიროვნულად მას გარეგანი მომხიბვლელობა უფრო მოსწონს, იმდენად დიდია სხვებისთვის ნიშნის მოგების სურვილი.

14794. ჭეშმარიტი ქალობაა დედობა და ბავშვების აღზრდა; რაციონალური ქალობა კი გულისხმობს ნიჭის წარმოჩენას, კარიერის კეთებას და შემდგომ მოდის ბავშვების აღზრდა და ოჯახი.

14795. ნამდვილ ქალში და არა მის პროვოკაციაში ყველაზე მეტად მოსაწონია კდემამოსილება და ქალური სინაზე.

14796. მოჭარბებულმა თანასწორობამ ქალებს დღეს მამაკაცის ბევრი მოვალეობა დააკისრა, რამაც მამრთა გაზარმაცება და დაჩმორება გამოიწვია. ეს კი მოსახლეობას გადაგვარებას უქადის.

14797. ზოგიერთი ქალის ჯადოსნური ხიბლი ყველა მშვენიერებაზე მაღლა დგას და მისი მიმზიდველობიდან თავის დაღწევა ძალზე ჭირს.

14798. ქალმა ისეთი საქმრო უნდა აირჩიოს, რომ მისი წარდგენა მომავალში არც ახლობლების წინაშე ეჩოთიროს და არც შვილების წინაშე.

14799. სექსუალური აზროვნების მქონე ქალები ნიჭიერებიც არიან, კარგ მამაკაცებსაც იოლად „აბამენ“, თავისუფლებასაც აკარგვინებენ, ხოლო საკუთარ თავისუფლებას ძნელად თმობენ.

14800. მამაკაცის ბუნება სიმთვრალეში შეიცნობა, ქალისა კი – საქორწინო სარეცელში.

14801. არის ქალღმერთის ხიბლი, რომლის დედიშობილა დანახვაც მშვენიერებას ორმაგად მძაფრად აღგვაქმევინებს, თანაც ქვენა

გრძნობების წარმოუჩენლად.

14802. ქალის ხიბლი ვნებას ტატამის მაგვარ საწოლზე უნდა იწვევდეს და არა ფუმფულა ლოგინში.

14803. ვისაც დედა არ უყვარს, ის ვიგინდარაა.

14804. ქალის პრეტენზიები და მოთხოვნები სინონიმებია.

14805. ქალებს საკუთარი სტილისტები უფრო უგებენ, ვიდრე – სათაყვანებელი ქმრები.

14806. მსახიობ ქალს მაშინ იწუნებენ შოუ-ბიზნესში, როდესაც ის შვილებს აჩენს, ზრდის და დამოუკიდებელი ხდება, ე.ი. როდესაც ყველაზე მეტი სარგებელი მოაქვს ქვეყნისთვის.

14807. ქალის განსჯას მისი მოხიბვლა სჯობს: მასზე ცუდს ნაკლებს შეიტყობ და უფრო ნასიამოვნები დარჩები.

14808. ქალის საუკეთესო ნიღაბია მისი ცრემლები.

14809. ყველა სიმბოლიზმი ჩვენს ცნობიერებაში ქალითვე მთავრდება და ბედნიერებაა, თუ მას სიყვარულთან აქვს შეხება.

14810. ქალის სიამაყის მწვერვალი ის არის, თუ მისი გულისთვის მამრმა რამდენიმე პერსპექტიულ ქალზე უარი თქვა, მაგრამ სულ არაა წინააღმდეგი, თუ მისმა ხვადმა რამდენიმე ქალისგან მიიღო სექსუალური განათლება, რათა თავის რჩეულ მანდილოსანს მთელი ეშხითა და ვნებით მომსახურებოდა.

14811. ქალობის უტყუარი ალიბი მის ქცევა-ქმედებაში – ყოველთვის გვერდით მყოფი მამაკაცია დამნაშავე.

14812. თუ ქალი დიდხანს ვერ თხოვდება, მას ჰგონია, რომ ბედის რჩეულია ან, უბრალოდ, უნიჭოა ქმრის მოძიების საქმეში.

14813. ქალმა, მართალია, ბოლომდის არასოდეს იცის, რა უნდა, მაგრამ, მანამ არ დაწყნარდება, სანამდის რაღაც წადილს არ აისრულებს.

14814. ქალის უპირველესი მოწოდებაა, იყოლიოს ჯიშიანი ნაშიერები და არა ის, რომ როგორმე გათხოვდეს.

14815. ქმრისთვის ტვინის ბურღვა ცოლის თავისუფლებისა და სიყვარულის თავისებური ბარომეტრია.

14816. ქალებს მათ მიმართ თუნდაც ყალბი მამაკაცურ-ვაჟკაცური ქცევა ძალზე სიამოვნებთ, რადგან ამ დროს თავიანთ განუმეორებლობას გრძნობენ.

14817. ცოლი ჩუმად მოფერების, შინაური პაექრობისა და საყველპუროდ განსჯისთვის გაჩენილი არსებაა.

14818. ქალისთვის სიყვარულის დამამოწმებელი საბუთი მისთვის ნაჩუქარი ბრილიანტის ბეჭედია.

14819. ქალმა ქმარი შეიძლება სახალისოდ აეჭვიანოს, მაგრამ მისი პირადი ღირსება არ უნდა შელახოს და დააკნინოს.

14820. ერთგული მანდილოსნის შეცდენა ეშმაკსაც უჭირს, იმდე-

ნად ძლიერი უღალატო გრძნობების პატრონია.

14821. ქალის მკლავებში მოხვედრა შვებას გვაგრძნობინებს და არა – მოვალეობას.

14822. ქალი, რომელსაც ქმარი უყვარს და მისი ერთგულია, არასოდეს შეცდება, რადგან მას თანდაყოლილი შეუმცდარი ყნოსვა და ინსტინქტი აქვს.

14823. ზოგ მდედრს მამაკაცები იმდენად ხშირად უყვარდება, რომ მას ეს ქმედება ღალატად არ მიაჩნია.

14824. ქალი მამაკაცის პირადი სივრცის მოპოვებას, დაპყრობას არ უნდა შეეცადოს, მაგრამ შეძლებისდაგვარად უნდა აკონტროლოს.

14825. ქალების მასობრივი დაუგეგმავი ემანსიპაცია მამაკაცთა მოდგმას აზარმაცებს და ერთგვარ სოციალურ დისპროპორციას იწვევს.

14826. საწყალი ქალი! მას ზოგჯერ იმადაც ადანაშაულებენ, თუ კაცს თავი ვერ მოაწონა, საკუთარი მე ვერ აგრძნობინა.

14827. ზოგი ერთდროულად ცოლიცაა, საყვარელიც, დედაც, ოჯახის დიასახლისიცა და მაინც საყვარელი ქალბატონი და შვილების აღმზრდელი დედაა.

14828. ქალის სიყვარული ახალგაზრდობაში სასიამოვნო დაავადებაა, ხოლო რეალობაში – სასიამოვნო ვალის მოსახდელი საშუალება.

14829. ყველა ქალი პოტენციური დედა, დიდედა, დიდი ბებიაა. ამიტომ მამაკაცი მასში არა მარტო ცოლს, არამედ ოჯახის მფარველ ანგელოზსაც უნდა ხედავდეს.

14830. ქალის ის არის, რომელსაც ჩვენს ცნობიერებაში დრო ვერაფერს აკლებს და ვერც გადააფასებს.

14831. ქმარზე შეყვარებულ ქალს საჭმელი გაცილებით გემრიელი გამოსდის.

14832. მდედრს არ უნდა სჭირდებოდეს იმის შეხსენება, რომ ის ქალი და ამ სამყაროს მშვენიერებაა.

14833. ქალების სიძლიერე მათი სინაზე, მომხიბვლელობა, ჰაეროვნება, თვალების დაჟუჟუნების ცოდნაა.

14834. ჭორიკნობის, ყბედობისა და კაპრიზების გარეშე მდედრის ქალად აღქმა შეუძლებელია.

14835. საყვარელი ქალი შეუდარებელია, განუმეორებელია, ხელოვნების ნიმუშია მანამ, ვიდრე წყვილს შორის შავი კატა არ გაირბენდეს.

14836. ქალი, პირველ ყოვლისა, ხელოვნების ნიმუშად უნდა აღვიქვათ და შემდგომ – მდედრად, დედად, ბებიად, დიასახლისად.

14837. ქალს, შესაძლებელია, ის აკეთებინო, რაც გინდა, ოღონდ მისი წადილის საწინააღმდეგო სთხოვე!

14838. ქალს თავისი სიმართლე აქვს და ის ხშირად ამითაცაა

ძლიერი.

14839. უფლებები მეტ-ნაკლებად ყველას შეზღუდული გვაქვს, ოღონდ არა თეორიულად, რადგან ეს უკანასკნელი დემოკრატიისა და თავისუფლების სახელით ყბედობის წინააღმდეგი არ არის, საქმიანი შემოთავაზებებისაგან განსხვავებით.

14840. ქალები მამაკაცებზე უკეთ აცნობიერებენ მათ მიმართ ჩადენილ ქმედებებს.

14841. ქალს მამრისგან ბევრი რამ უნდა, მაგრამ ერთი რამ გამორჩეულად. ეს არის ერთგულება, რომელიც პერიოდულად სექსით გადამოწმდება.

14842. უსუსურობა, უმანკოება, სიფაქიზე ქალის „შეიარაღების“ ანგარიშგასაწევი საშუალებებია.

14843. ქალებს ღირსების მქონე მამაკაცები მოსწონთ, მიუხედავად მათი ასაკისა და ერთგულების სიმტკიცისა.

14844. ქალის ეშხიან თვალებს მისი სხეულის ვერცერთი ნაწილი ვერ სჯობნის მამაკაცების „დაბმისას“.

14845. ხშირად ქალებს ისეთი მამაკაცები მოსწონთ, რომელთაც სხვათა გემოვნება არ ეთანხმება და მათ დაწყვილებას ეჭვის თვალით უყურებენ.

14846. ქალი მამაკაცის საწოლში ღირსებით ჩაგორებისთვის არის შექმნილი და არა სარეცელზე საყველპურო გორიალისთვის.

14847. ქალის მთავარი პრობლემაა – მას თავისი სურვილები რეალობა ჰგონია.

14848. ქალისთვის ეჭვიანობა და სიყვარული სინონიმებია, ხოლო მამაკაცისთვის – ანტაგონისტური ცნებები.

14849. ქალი კონიუნქტურად ნათქვამ შენიშვნას უფრო აიტანს, ვიდრე – პირში მიხლილ არაკორექტულ შექებას.

14850. ქალი თავს მალეფუჭებად სასიყვარულო ნედლეულად მიიჩნევს. ამიტომაცაა, რომ ის დროში მუდამ იწვის და დაწყვილებას ჩქარობს.

14851. ქალსაც ეწვევა ინფლაციის წლები, როდესაც ასაკი ემატება, „დროში იწვის“ და ადრე გონორით მიღებული კრიტერიუმების გადაფასებას, უკეთ ჩამოფასებას იწყებს.

14852. ქალს შეიძლება მარტო თქვენ არ უყვარდეთ, მაგრამ უნდა ვეცადოთ, დავიჯეროთ, რათა თავი ბედნიერად ვიგრძნოთ.

14853. ქალს უპირველეს ყოვლისა სულიერი სიყვარული სჭირდება, რათა თავისი კაპრიზი დაიკმაყოფილოს, შეიცნოს და გაიხაროს.

14854. ქალისადმი პატივის მიგება უპირველესად საკუთარი თავისადმი უაღრესი პატივისცემაა.

14855. ქალის მესაიდუმლეა ბალიში, დედა, ოცნება, მაგრამ ბო-

ლომდის ვერცერთს ვერ უგებს.

14856. ქალი, რომელიც მამაკაცისგან რაღაც სასარგებლოს სწავლობს, ნაღდი მეოჯახეა.

14857. ხშირად, ქალის სურვილის საწინააღმდეგოდ, ცხენზე ამხედრებული პრინცის ნაცვლად მარტო აღვირამოდებული ჯაგლაგი მიდის მასთან ხელის სათხოვნელად და ისიც იძულებულია, ამ ჯაგლაგს გაჰყვეს მომავლის იმედით.

14858. ქალთა შეკრება-შეხვედრა თავისებური მისალმებაა, სადაც დიდი დრო ეთმობა თვალებით ერთ-ერთის ჭამას, ყალბ ღიმილსა და ურთიერთგადამოწმებას.

14859. ქალების კოცნა უფრო ტაქტია, ვიდრე მეგობრობის გამოხატვა.

+14860. ქალის ყველაზე კარგი დაქალი ისაა, რომელიც მას კონკურენციას ვერ უწევს.

14861. ქალი, თავის ჭკუით, გულთმისანია და ბედის მოიმედე გამოუსწორებელი შეყვარებული.

14862. ლამაზ და მოხდენილ ქალს არც ლოგიკა სჭირდება და არც ცნობიერების ინტეგრალები. ის ყველასათვის მოსაწონი და მისაღებია.

14863. მამრის ლოგიკა თითქმის მუდამ სწორია, მაგრამ მდედრისა კაპრიზებითაა აღსავსე და უფრო საინტერესოა.

14864. ლამაზ და სასურველ ქალს არც ლოგიკა სჭირდება და არც ყურის გდება. ის უბრალოდ მომხიბვლელი თოჯინაა, რომელიც ჩვენ უნებლიეთ გვხიბლავს და თავს გვაყვარებს.

14865. ქალი, რომელსაც არ ეშინია იყოს სასაცილო, ბუნებით ქალბატონია.

14866. ქალში იმის მოძიება, რაც შენ არ გაქვს, ყოველთვის ძნელია, მაგრამ შესაძლებელია, თუ ერთმანეთს უგებთ.

14867. გულწრფელი, გულახდილი ქალი დედაკაცია, რადგან ის გარეშეთათვის უკვე უინტერესოა.

14868. ქალის ბუნება უმოქმედობას ვერ იტანს: ის შეიძლება შეურაცხყო უყურადღებობით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მისი დაუფლების მცდელობით.

14869. ქალის გენეოლოგიაში, სიყვარულის დაწყებიდან სიძულვილის ჯალათობით დამთავრებული, ყოველივე მისი მეობის წარმოსაჩენადაა განკუთვნილი, განსაკუთრებით, თუ გრძნობათა შეჯერება მამაკაცთა მოდგმას ეხმიანება.

14870. ქალს სადისტური სასიყვარულო გადახრები სიამოვნებს, რაც მის ნერვულ სისტემაზე დადებითად მოქმედებს.

14871. ქალი სამყაროს უდიდესი გამოგონებაა, რომელსაც ცოლისა და დედის სტატუსი ამკობს.

14872. მოტყუებას ყველაზე ცუდად ქალები იტანენ, იმისდა მიუხედავად, რომ ამისათვის შინაგანად ყოველთვის მზად არიან.

14873. ქალი თუ სექსუალურ ნაღმად არ აღიქმება, თვალის საჭვრეტად არ ღირს.

14874. ქალს ყურები უფრო მეტად „ლოკატორებად“ სჭირდება, ჭორების დასაუფლებლად, ვიდრე სამკაულების ჩამოსაკიდებელ სტენდად.

14875. ცუდი ქალები არ არსებობენ. უბრალოდ საჭირო გასალამაზებელი მასალა აქვთ სხვადასხვა, და ამიტომაც ერთმანეთს ვერ უგებენ და მოთმინებასაც კარგავენ.

14876. ქალი უპირველეს ყოვლისა თვალით ხედავს და არა ჭკუით.

14877. ქალები ერთმანეთს ჭორაობით წამლობენ და ესაა მათი სიცოცხლისუნარიანობის ელექსირი.

14878. ეშმაკეული ბუნების ქალი რქებს ხელით დაატარებს და, რომელ მამაკაცს „გაალამაზებს“ ამ რქებით, მისთვის სულერთია.

+14879. ნამდვილ ქალს სამოსის ეროტიკულად გახდა უფრო უხდება, ვიდრე მოხდენილად ჩაცმა.

14880. ქალი ოცნებაში ოჯახის შექმნის თეორიებს ამუშავებს, შემდგომ კი – სასურველი მამაკაცის შებმის ალგორითმებს და, თუ არ გაუმართლა, გაყრის განტოლებებს ადგენს.

14881. ქალებმა გაცილებით მეტი იციან, ვიდრე კაცებსა ჰგონიათ, და მათი გონიერება იმითაც გამოიხატება, რომ თავიანთ ცოდნას მამაკაცებს ბოლომდე არ უმხელენ.

14882. ქალს მომხვეჭელობა მამაკაცზე მეტად ახასიათებს, მაგრამ ამას მოხერხებულად მალავს.

14883. ლამაზ არსებას შეყვარებული მამაკაცის თვალში უხასიათობაც ვერას აკლებს.

14884. მხცოვანი ქალში მხოლოდ მისი სახის პიეზაჟსა ხედავს და არა ღვთაებრივ ოცნებასა და სიყვარულს.

14885. ლამაზ ქალთა სიშტერეს, ალბათ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ბავშვობაში თანაკლასელი ბიჭები გოგონებს თავში ჩანთას უჩაჩქუნებდნენ, რადგან მათ იმ დროს სიყვარულის სხვანაირად ახსნა არ შეეძლოთ.

14886. ფაქტობრივად ქალებს სასიამოვნო მამაკაცების ჯეროვნად ცნობა-შეცნობა უჭირთ, მიუხედავად მათი ყურადღებიანობისა.

14887. მართალია, შვილი მამის გვარს ატარებს და ჰგავს კიდეც, მაგრამ ბავშვი მაინც დედის ნაწარმია, რადგან ის მთლიანად დედის საშოში ყალიბდება.

14888. ქალის მოგონილი სისუსტე მამაკაცს იმონებს და შვილების მამად აქცევს.

14889. ქალისთვის ქმარი ახალგაზრდობაში მამიკოს მსგავსი მამაკ-

აცია, შუა ასაკში – დედიკოს მსგავსი დაქალი, ხოლო სიბერეში ბავშვია, რომელიც თავიდან აღზრდასა და მზრუნველობას საჭიროებს.

14890. ქალმა უპირველეს ყოვლისა სიყვარულის ბადის ქსოვა უნდა ისწავლოს რჩეული მამრის მასში გასაბმელად.

14891. ფაქტობრივად ქალები აცდუნებენ მამაკაცებს, იმის მიუხედავად, რომ მამაკაცებს ეს არ სჯერათ.

14892. ყველა ქალს სჭირდება გვერდით ედგეს ძლიერი და საიმედო მამაკაცი, ხოლო მრჩევლის როლი თავადვე უნდა იკისროს.

14893. ქალს თუ ყველაფერი და ყოველივე განაღდებული აქვს, დიქტატისკენ მიილტვის და ჭორაობა უკვე აღარ აინტერესებს.

14894. ქალი მაშინაც მართალია, როცა სამართლიანი არ არის, რადგანაც ის პერსპექტივაში დედაა.

14895. მდედრი, რომელსაც, მისი წარმოდგენით, მგლებიც კი თვალს ჩაუკრავენ, ნაღდი ქალია, იმისდა მიუხედავად, მის ფანტაზიებს ჩვენ ვიზიარებთ თუ არა.

14896. პიროვნება, რწმენა, იდეოლოგია – ამ სამი კომპონენტით იმართება სახელმწიფო, შემდგომ ემატება ეკონომიკა, ტექნიკური პროგრესი, გართობა. ამ რიგის არევა ქვეყანას შეფერხებებს უქმნის.

14897. ქალების სიცოცხლე მეტად იმიტომ ფასობს, რომ მათ უამრავი თავზეხელაღებული მამაკაცის გაჩენა შეუძლიათ, ხოლო მამაკაცები ამ შესაძლებლობას მოკლებული არიან.

14898. ქალის ლამაზი სახე ესთეტიკურ ტკბობას იწვევს, მომხიბვლელი უკანალი – აღგზნებას, ლამაზი მკერდი – თვალების გაშტერებას, შხვართი ფეხები – მოწონებას, ხოლო სავარძელში ჯდომის და სიარულის ცოდნის ხელოვნება – აღფრთოვანებას.

14899. გონიერი ქალი თავისი მამაკაცის მუდამ ყასიდად მორჩილია, თუმცა ზოგჯერ თავის ბზიკებსაც ამოაფრენს.

14900. ჩურჩული ყველა ქალში ეჭვს იწვევს: ვაითუ ჩემზე ჭორაობენო.

14901. გონიერი ქალი ყოველთვის ცდილობს, საზოგადოებაში ქმარზე უკეთ არ წარმოჩინდეს, რადგან იცის, რომ ეს ქმედება ქმრის თვალში ორმაგად დაუფასდება.

14902. გონიერი ქალის ბუნება ჩურჩულისთვის არის განწირული და არა ხმამაღლა ყბედობისთვის.

14903. უნაკლო გარეგნობის მდედრის ნახვა უფრო ადვილია, ვიდრე – უნაკლო ხასიათის მქონე ქალისა.

14904. მამაკაცები ქალებს ხშირად მათი შეუვალობისა და მკაცრად მოქცევის გამო მოსწონთ.

+14905. მამაკაცის მკლავჭიდს ხშირად დედაკაცის მკერდჭიდი სჯობნის.

14906. ქალის ხასიათი საკუთარ თავზე მისი წარმოდგენის შესატყ-

ვისად ყალიბდება.

14907. ყველა ქალი ფიქრობს: ბევრად უკეთეს ქმარს დაიიღლიავებდა, რომ გამართლებოდა.

14908. ქალის პატარა მკერდი იგივეა, რაც ფერმერისთვის მოუსავლიანობა და ის მოდაში არასოდეს შემოვა, როგორც მოუსავლიანობა და გვალვა არასოდეს გახდება სასურველი.

14909. ქალისთვის უაზრო კაპრიზებს მოაქვს ზარალი და არა მისეულ ვაი-გონიერებას.

14910. ქალი იმდაგვარად სანუკვარი და უშუალო არასოდეს იქნება, როგორც ჩვენ გვინდა, მაგრამ ამ იდეალთან მიახლოება შესაძლებელია.

14911. ქალი, რომელიც თანახმაა შენთან ერთად ცხრა მთას იქით გადაიკარგოს, ნაღდად შენი საყვარელი ქალი და ცოლია.

14912. საწინააღმდეგო კეთების სურვილი რატომღაც შეყვარებულ ქალებს უჩნდებათ, ალბათ, იმიტომ, რომ თავიანთ რჩეულთ თავი უფრო მეტად შეაყვარონ, ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებათ და ჰგონიათ.

14913. ყველა ქალი ბუნებით მებრძოლი და საშიში არსებაა, რადგან ხშირად თავადაც არ უწყის, რა შეუძლია და რას მოიმოქმედებს.

14914. უსკანდალო ომის გამოცხადება ქალის მიერ მამაკაცისთვის უფრო დასაფიქრებელია, რადგან ქალი, ეტყობა, შურისძიების ახალ მეთოდებს ამუღამებს.

14915. ზოგი ისე წუნკალი ბუნების ქალია, რომ ჯვრისწერის დროს ნაცნობ მღვდელს შეიძლება წამოცდეს კიდეც: ჯვარს იწერენ მონა ღვთისა მიხოი და ღვთის რისხვა მაროი.

14916. ჭკუის დამრიგებელი და ყველაფრის მცოდნე დესპოტი ქალი არ შეიძლება, საყვარელი არსება იყოს.

14917. სასურველი ქალის მოძიება, ასე თუ, ისე იოლია, მაგრამ მასში მთლიანად იმის პოვნა, რაც გინდა, შეუძლებელია.

14918. გულწრფელი ქალი უკვე დედაკაცია, რომელსაც ქალურობის ხიბლი დაუქვეითდა და ეჭვიანობაც ტვინს აღარ უღრღნის.

14919. ყველა ქალი სილამაზის განსახიერებაა, თუ მისი შინაგანი ბუნება თქვენთვის საამო და მისაღებია.

14920. მამაკაცისგან განსხვავებით, ქალი თავსატეხებს გაურბის. მას ურჩევნია აზრების დალაგება და არა ამოხსნა.

14921. ქალი უფრო ფრთხილია შეცდომის დაშვებაში, ვიდრე მამაკაცი, რადგან გენეტიკურად მას უფრო მეტი პასუხისმგებლობა აკისრია.

14922. გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა სტრესს იწვევს და პასუხისმგებლობას აქვეითებს, განსაკუთრებით – ქალებში.

14923. ინტერესებს ქალები უკეთ გეგმავენ, ვიდრე მათზე შეყვარებული მამაკაცები.

14924. ისაა ღირსეული, ვისაც, ქალის თვალთახედვით, მისი შინა-

განი სამყაროს, სიფაქიზისა და ჭკუა-გონების აღქმის უნარი შესწევს.

14925. უყურადღებოდ დატოვებული ქალის ბუნება თანდათან დევალვირდება.

14926. ქალი ყოველთვის უნდა იღვწოდეს თავისი მდედრული არსების სრულყოფისათვის, რათა ის „წაუკითხავ წიგნად“ არ დარჩეს.

14927. მუდამ „ფორმაში“ მყოფი ქალი დედოფალია, რადგან ის თავის სულიერებასა და სხვათა აზრსაც ანგარიშს უწევს.

14928. ძუ ლომის მსგავს დედაკაცებს ხვად მამაკაცებზე ნადირობა არ ეშლებათ, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო შედეგი დიდად არ აწუხებთ.

14929. ქალის სიყვარული სამარადისო როდია. ის გრძელდება მანამ, სანამდის ბედი არ დასცინებს და არ გადაუყვარდება.

14930. მართალია: ქალი ერთხელ წიგნივით უნდა წაიკითხო და დროდადრო შიგადაშიგ გადაიკითხო, რათა მისი აურა უკეთ შეიცნო, ახლებურად განჭვრიტო და კვლავაც ისიამოვნო.

14931. ქალი, რომელიც მამაკაცს თავს აკარგვინებს და ქორწინებაზე დაითანხმებს, იმ დროის დედოფალია.

14932. ქალს რომ ფეხები უსასრულობიდან ეწყება, მისი მაღალი მკერდი მოსაფერებლად გიწვევს, მადის აღმძვრელი თეძოები და უკან გამობზეკილი უკანალი გონებას გაკარგვინებს და მასთვის თვალის მოწყვეტა თუ არც ისე ადვილია, ასეთი არსება დედოფლის განსახიერება თუ არა, ნატურალური, ჩვენი ვნების ასაფეთქებელი „სექს ბომბა“ მაინც არის.

14933. ვნების აღმძვრელი ლამაზი ქალი, თუ თავს სოციალურად არ უზრუნველყოფს და ამ მხრივ თავის კოზირს ვერ იყენებს, უნიათო და სულელია.

14934. არსებობს ქალი ფერია, რომელსაც მამაკაცები, მისდა უნებლიეთ, ატყუებენ, მაგრამ ვერ ღალატობენ.

14935. ანგარიშიანი ქალები ბედს არ ანდობენ მყიფე, არამყარ გრძნობას, რომელსაც სიყვარული ჰქვია, თუ მას ზურგს ხელშესავლები არაფერი უმაგრებს.

14936. ნამდვილი ჯენტლმენები არ არსებობენ. ისინი ქალების ფანტაზიის ნაყოფია.

14937. იმისდა მიუხედავად, რომ ბუნებისთვის ქალი და კაცი თანასწორია, ქალთა ოდენობა მაინც სჭარბობს მამაკაცებისას. ამასთანავე, კვლავწარმოების პროცესი და ახალი თაობის აღზრდის ტვირთი უფრო მეტად მათ აწევთ.

14938. ქალის უპირველესი სიბრძნეა სათავისო მამაკაცის შერჩევა.

14939. ჭკვიან ქალს თავისი მიმზიდველობა და შარმი ამკობს, გააჩნია, რა ჯურის მამაკაცია მისი დამფასებელი.

14940. არცერთი ქალი ბედის კმაყოფილი არ არის, რადგან მათ

თავიანთი ოცნების თანამეცხედრესთან ყოფნა არ აკმაყოფილებთ, მაგრამ იმაზე არავინ ფიქრობს, თუ რამდენი მათზე უკეთესი საქალბატონე დარჩა უქმად და გაუთხოვრად.

14941. შეიძლება, ქალები უფრო ნიჭიერებიც არიან, ვიდრე მამაკაცები და ეს სადავო თემაა, მაგრამ, ფანტაზიორობაში რომ კაცები ქალებთან ახლოსაც ვერ მოვლენ, ეს აქსიომაა.

14942. ყველა ქალი ვალდებულია, შთამომავლობის კვლავწარმოების პროცესში მონაწილეობა მიიღოს, რათა მომავალში დედამიწა უკაცური არ გახდეს.

14943. დღეს კაცები რასაც გახდას ვეძახით, ქალები მას მოდაზე ჩაცმას უწოდებენ და თავის მოსაწონებლად წარმოგვიჩენენ.

14944. ქალის უმთავრესი სიმდიდრე ზნეობაა, რომელსაც ბოლოს დედობა აგვირგვინებს.

14945. ფიზიოლოგიური სიმორცხვე ქალისათვის სიტუაციის აღსაქმელად აუცილებელია.

14946. ქალის სილამაზეს თუ ღვთაებად აღვიქვამთ, ეგ იმის ნიშანია, რომ, ეტყობა, აქ განგებას საკმარისზე მეტი უჩალიჩია.

14947. ქალთან საუბრის უნარი ხელოვნებაა და ზოგჯერ გარკვეულ ცოდნა-გამოცდილებაში კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებაც.

14948. საერთოდ, ქალთა უმეტესობა ბუნებით არ არის მოღალატე, თუ მას ოჯახის სამართავ, მისთვის კუთვნილ სადავეებს არ ჩამოართმევენ.

14949. მდედრს ქალური სისუსტე და გაუმხელელი ქალური სიბრძნე უხდება და ეს მისი უტყუარი იარაღია.

14950. ნაცრისფერი, მრუმე ყოველდღიურობის გამრავალფეროვნების ძალი მხოლოდ ქალსა შესწევს.

14951. ქალისთვის მისთვის განკუთვნილი საყვარელი მამაკაცის მოფერება ყველა დოპინგზე უმჯობესია.

14952. ნაღდი ქალის მოწოდებაა მამაკაცის მიერ შექმნილი ღირებულებებით შეუმჩნეველი ტკბობა.

14953. ქალები დანაშაულს არ სჩადიან, ისინი, უბრალოდ, ცდებიან. ეს კი მოჭარბებული ემოციების ბრალია.

14954. ქალისთვის უპირველესია ჯანმრთელობა და არა სილამაზე, ხიბლის ფრქვევა და არა განათლება, სიარულის ცოდნა და არა სეირნობა, სკამზე ჯდომის უნარი და არა ჩაჯდომა, ლოგინში წოლა და არა კოტრიალი. ყოველივე ზემოთქმულში გამოცდის ჩაბარების შემდგომ ის უნდა აღვიქვათ, როგორც ოჯახის დედა და არა – ცოლი.

14955. ქალს საშუალო ასაკი არ აქვს: ან ყველასთვის სასურველი „წიწკვია“, ან – ბებრუხანა, უკვე ყველასათვის ყავლგასული.

14956. ქალის მიმართ ძალადობა უმთავრესად საზოგადოების

ფსიქოლოგიური აშლილობის, კანონისა და ტრადიციების უპატივისმცემლობის ბრალია და არა მხოლოდ ეჭვიანობისა და შეუთავსებლობისა.

14957. მდედრი უპირველეს ყოვლისა პოტენციური დედაა, შემდგომ – ქალი, სექსის მსახური და ბოლოს – მანდილოსანი და ბებია.

14958. ქალი მაინც სათაყვანო, თავისებური ნივთია, რომლის მყიდველი ჯერჯერობით მამაკაცია, ხოლო მდედრმა თუ თავის გაჩვენება და რეკლამირება არ ისწავლა, ის გაუსაღებლად რჩება, ანუ ჩამოფასებულ ნივთად იქცევა.

14959. ქალის ცრემლი ხშირად მამაკაცს ამოწვდილ მახვილს ქარქაშში ჩააგებინებს.

14960. ემანსიპირებული ქალი ყოველთვის უკეთ ახერხებს საკუთარი თავის რეკლამასა და რეალიზაციას, ვიდრე – ჩვეულებრივი, უპრეტენზიო, თუნდაც ლამაზმანი.

14961. ქალი რომ დროზე ადრე დაგმორჩილდეთ, ის, პირველ ყოვლისა, რაღაცით უნდა გააკვირვოთ.

14962. უნებლიე ღალატი მამაკაცებს ქალებმა უნდა შეუნდონ, რადგან ესეც მათ შესაცნობად კეთდება.

14963. ქალის უმთავრესი მოწოდებაა სიყვარული და მისი მეტ-ნაკლებად გადანაწილება ოჯახზე, შვილებზე, საერთო საქმეზე.

14964. ქალისათვის ლაპარაკი სიამოვნების მომტანია, ხოლო ჭორაობა ორგაზმის ტოლფასია.

14965. ქალი უნდა გამოირჩეოდეს თავისი ჰაეროვნებით, სიფაქიზით, მორჩილებით და, რაც მთავარია, არ უნდა იყოს სტანდარტული.

14966. ქალი „არც მიწისაა, არც ცისა“. ის აღმაფრენის წყაროა, იმის შეცნობით, რომ ბედნიერებას არასოდეს მოგაკლებთ.

14967. ქალი ყოველთვის მამაკაცზე უკეთესად გამომზეურდება, თუნდაც იმიტომ, რომ მას ბავშვის გაჩენა, ერის გამრავლება შეუძლია მისი ცხრა თვის განმავლობაში მუცელში ტარებით და აღზრდა-განათლებით.

14968. ქალები უფრო შეუცნობელნი არიან, ხოლო ქალიშვილები სახიფათოდ შესაცნობნი, სიყვარულის მონები.

14969. იმ ქალს წინ არ უნდა აღუდგე, რომელმაც გადაწყვეტილება უკვე მიიღო, და ეს გადაწყვეტილება ოჯახისათვის სასარგებლოა.

14970. ბედნიერების ვარსკვლავისთვის თვალის ჩაკვრა ქალებს უფრო ეხერხებათ და ეამაყებათ, ვიდრე მამაკაცებს, რადგან მდედრის ბუნება უფრო მგრძნობიარეა და იმედით აღსავსე.

14971. ქალის ყველაზე დიდი მოწოდება წარმატებაა, დაფასება, ბევრი შვილის ღირსებით აღზრდა.

14972. ქალები მამაკაცის გულის დამონებისა და გონების დაბინდვისთვის იღვწიან და ამ დროს მათი გონიერებაც გათიშულია.

14973. ქალებს რატომღაც საწინააღმდეგო აზროვნების და ქცევის მამაკაცები მოსწონთ, ალბათ, იმ ნაოცნებარის შესავსებად, რომელიც, მათი გაგებით, განგებამ დააკლო.

14974. ცნობიერებით ყველა ქალი მარად დიდი სიყვარულის მოლოდინშია.

14975. თანხმობას ქალები თვალების დაჟუჟუნებით, ღიმილის გამოკრთობით უკეთ გვიდასტურებენ, ვიდრე ენით.

14976. ეჭვიანობა თუ მამაკაცს ძალას აცლის, ქალზე საპირისპიროდ მოქმედებს და ძალას მატებს.

14977. ქალები სილამაზის სალონში მანამდის დაწანწალებენ, სანამდის თავის გამოჩენისა და გამორჩენის სურვილი შერჩებათ.

14978. ხშირად უკმაყოფილო, სანდომიანი ქალიც კი ხიბლს კარგავს.

14979. ქალის ნიჭიერება და შემართება ემოციების ნაყოფია, ურომლისოდაც მას თავისი მეობის წარმოჩენა უჭირს.

14980. ქალის აზროვნება მარად ორსახოვანია, რადგან მას უჭირს ერთ აზრზე განუხრელად დგომა.

14981. ქალობა ბედია, ცოლობა ხელოვნებაა, დედობა სიყვარულის ხმობაა, ზეობა ახალგაზრდობის გახსენებაა.

14982. პორნოვარსკლავების ბედი, მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქალებს ბოლომდე აინტერესებთ, პორნოწყვილები ბოლოს დაოჯახდებიან თუ არა? – აი, მათი ინტერესის საგანი.

14983. ქალი, რომელსაც სხეულის რომელიღაც ნაწილი არ მოსწონს, უკვე მანდილოსანია.

+14984. ქალს რა სახელიც უნდა დავარქვათ და ვარდს რა ქათინაურიც უნდა ვუთხრათ, პირველმა ხიბლი არ უნდა დაკარგოს და მეორემ – სურნელი.

14985. ქალები, მამაკაცებისაგან განსხვავებით, თავიანთი სულიერებითა და სიკეთის თანდაყოლილი ინსტინქტებით გამოირჩევიან.

14986. მდედრის აღმატებულ ხარისხში ხედვა და დაუმსახურებელი კომპლიმენტებით შემკობა თავად ქალებს ვნებს.

14987. ქალის მშვენიერების საიდუმლო ხშირად კოსმეტიკაა, რომლის გამოყენების ხელოვნებას ყველა ვერ ფლობს.

14988. ქალმა მსახიობობაც უნდა ისწავლოს, ხეზე ასვლაც, ქმრის ჭკუა-გონებითა და ეშმაკობით შებმაც, თუ უნდა, მისმა მამაკაცმა სხვა ქალებში არ ინავარდოს.

14989. ქალი იმედით ცხოვრობს, მამაკაცი – გართობის მცდელობით, რადგან ქალი მარად სასწაულის მოლოდინშია, ხოლო მამაკაცი ხშირად იმას ჯერდება, რასაც განგება უბოძებს.

14990. ქალები სხვადასხვა მიმდინარეობის ხელოვნებისა და ცნო-

ბიერების მიმდევრები არიან და ზედმეტად გატაცება ამ საქმიანობით მათს კდემამოსილებას ვნებს, რადგან მათ ქმედებებს თვალიც ეჩვევა და გონიც.

14991. შეუხედავი ქალიც კი შეიძლება მომხიბვლელად გამოიყურებოდეს, თუ მასში სიმდიდრეს დავაბანდებთ პლასტიკური ქირურგიისა და განათლების სახით.

14992. ქალის გაგება, მიუხედავად იმისა, რომ ის გადაშლილ წიგნად აღიქმება, მაინც ძნელია, რადგან ეს წიგნი იეროგლიფებით დაწერილი კვანტური ფიზიკაა.

14993. ქალის გაღმერთება, გაფეტიშება ადვილია, მისდამი ამ დამოკიდებულების შენარჩუნება – ძნელი.

14994. ქალმა მამაკაცს უპირველეს ყოვლისა მისი დაუფლების მადა უნდა აღუძრას, ხოლო შემდგომ მოდის გრძნობათა აღზევება, ჭიდილი და სიყვარული.

14995. ქალის ყველაზე დიდი ბედნიერებაა, თუ ცხოვრებაში მის მიერ გაკეთებული არჩევანი სხვებს შურთ.

14996. საუცხოო ქალთან ურთიერთობა ზოგჯერ ავის მომტანია, თუ ერთმანეთს ვერ უგებთ.

14997. ზოგი ქალი, სანამდის გათხოვდებოდეს, შინაგანად კერპთაყვანისმცემელია; გათხოვდება და მისი ამბიციებიდან, საყვედურების ფრქვევის გარდა, აღარაფერი რჩება.

14998. ქალი, რომელსაც პირადი ცხოვრება დაკარგული აქვს, იმქვეყნად უვიზოდ გადაბარგებულია.

14999. თუ გინდათ მდედრმა სათქვენოდ იყვავილოს, ვნებით უნდა დაამუშაო და ფულით უნდა მორწყა.

15000. ქალმა მამაკაცის წინაშე ამბიციური კედელი არ უნდა აღმართოს. უპერსპექტივო საქმიანობაა.

15001. ხშირად ქალის თაყვანისმცემლებს წილად ვარდის კოკორი ხვდებათ, ხოლო ეკლიანი ნაწილი – ქმარს.

15002. თანამედროვე ქალები მამაკაცებს მაკიაჟით ჭკუას გვიბნევენ, გულისცემას გვიჩქარებენ, ჯიბეში ხელს გვიფათურებენ, სამომავლოდ შვილების გაჩენას გვპირდებიან, მაგრამ სხვა მამაკაცისკენ თვალი მაინც გაურბით.

15003. ქალი სურვილია, მამაკაცმა დაიცვას და არა აკონტროლოს.

15004. ქალის ზედმეტად გაკვირვებაც კი მდედრის მიერ თავის მოწონება-წარმოჩენისთვის არის გამიზნული.

15005. უპერსპექტივო ღარიბი თავისუფლება სჯობს თუ პერსპექტივის მქონე მდიდრული მონობა?! ქალი ამგვარ საკითხს უფრო ხშირად აყენებს, ვიდრე – მამაკაცი.

15006. ქალის მიერ მამაკაცის თვალში ისრის გაყრას ხშირად პრაქ-

ტიკული შედეგი მოაქვს.

15007. ქალის მიზანია, თავის „ამოჩემებულზე“ დაქორწინდეს და ამ პროცესის დასაგვირგვინებლად ყველაფერზე მიდის.

15008. ქალის მოწონებას რა პარამეტრები აპირობებს, მარად შეუცნობელი დარჩება, იმდენად უცნაური და არამიწიერია მისი ბუნება.

15009. ნაღდი ქალია ის, ვის დანახვაზეც ყველაფერი გავიწყდება და საკუთარი სახლისკენ გზის გაგნება გიჭირს.

15010. ქალმა თავისი ფიზიკური მონაცემები რაობა სულიერ მდგომარეობას და თავის კაპრიზებს უნდა მოარგოს, თუ უნდა წარმატებული და მოსაწონი იყოს.

15011. ამბობენ, ქალის ჭკუაზე მოთარგმნის რამდენიმე ხერხი არსებობსო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ეს კაცობრიობისთვის უცნობია.

15012. ასაკში შესული ქალები თავს იწონებენ, რომ მათ ქმრები ფუფუნებაში აცხოვრებთ, ხოლო ერთეულები იმას „ჩივიან“, რომ სექსისთვის მათ ჯერ კიდევ იყენებენ.

15013. ქალი ბუნებით წმინდანიც არის და ცოდვილიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას თაობების გაჩენა, აღზრდა, წარმოჩენა გაუჭირდებოდა.

15014. ჩვენი წარმოსახვით შექმნილი ქალი ლამაზიცაა, მიმხიბვლელიც და საკუთარი მეობის წარმომჩენიც.

15015. ხელქვეითი ქალის პრანჭიაობა უფროსმა ყურად უნდა იღოს, რადგან გაპრანჭვა ყველა ქალის ბუნება-გუნებაში დევს.

15016. ქალის სინაზემ „მეტყველობა“ არ უნდა დაკარგოს, თუ მდედრს უნდა მეტი პეწითა და ხიბლით გამოჩნდეს.

15017. ქალებს უყვართ ოცნებით ცხოვრება, საოცნებო ზღაპრების შეთხზვა და პერსპექტივის წარმოსახვა-დაჯერება.

15018. ქალი ეჭვებით არსებობს და დიდ სიამოვნებასაც იღებს, თუ ეს უსაგნო ეჭვები არ მართლდება და ზიანი არ მოაქვს.

15019. შხვართი ის საქალბატონეა, რომელიც თვალს ატკბობს, გონებას ბინდავს, ვნებას აღძრავს და იმ წუთებში მის მონად ყოფნა გეამაყება.

15020. ქალის ხიბლის მთავარი რესურსი მისი შარმია, მამრს რომ ჯდოსნური ძალით იზიდავეს.

15021. ზოგჯერ მდედრის მშვენიერების მაჩვენებელი მისი მეტყველი თვალებია, ღრმა და სასურველი.

15022. ქალი რომ ბედნიერი იყოს, პირველ ყოვლისა თავი უნდა მოიწესრიგოს, ყურად არ იღოს ეჭვიანობა, უმადურობა, ორგულობა და თავი გაიმხნეოს.

15023. ქალები გაცილებით მეტს მოელიან თავიანთი ნაოცნებარი რჩეულისგან. ამიტომაც მდედრთა პრეტენზიები სათაყვანებელთა

მიმართ განუსჯელია, აბსურდული და გაუგებარი.

15024. პატიოსანი ქალის თვალები მამაკაცს „შემაცდინეო“, ეუბნებიან, ხოლო მომხიბლავისა – „მომატყუეთო“.

15025. ქალმა თავის მოვლა და მოკოხტავება შინაგანი სამყაროს მოწესრიგებით და მასში სიყვარულის ჩაბუდებით უნდა დაიწყოს.

15026. ქალი ბედს მაშინ უნდა ეწიოს, როდესაც თაყვანისმცემლები გამოუჩნდება, რადგან ეს კონტინგენტი შეზღუდულია და შემთხვევითი. თანაც ასაკის მატებასთან ერთად თავადაც და პერსპექტიული პარტნიორებიც პრეტენზიულები ხდებიან.

15027. მომავალში ქალები ბავშვის ჩასახვას, მშობიარობასა და მათ აღზრდას, „როგორც დედებს“, თავიანთი დროის რობოტებს დაავალებენ და ეს დრო შორს არაა, მაგრამ, გამოთავისუფლებულ დროს რას მოახმარენ, ესაა საინტერესო.

15028. ენაჭარტალობა საშინელებაა, მაგრამ ქალს ეპატიება, რადგან მას თავისთვისაც განუსჯელი ოცნებები აქვს.

15029. ქალმა ერთდროულად საყვარლობაც უნდა შეძლოს, ძიძობაც და მეგობრობაც, თუ უნდა, ასაკის მატების მიუხედავად, მუდამ მოთხოვნადი იყოს.

15030. არცერთი ქალი არ არის კმაყოფილი თავისი გარეგნობის, ბედის, ახდენილი ოცნების. მათ გაცილებით მეტი უნდათ.

15031. წარსულში სახეშეცვლილი სახით დაბრუნება, ყველას გვიხდება, მაგრამ მისგან სარგებლის გამოტანა ჭირს.

15032. გულწრფელი ქალი ქალი არ არის, ის უკვე ყავლგასული დედაკაცია.

15033. ქალი თავის თავში ვერასოდეს პოულობს იმას, რაც სხვისთვის ემეტება.

15034. ქალი მამაკაცის შთაგონება და წამქეზებელიცაა, რათა ის უნიათო არსებად არ იქცეს.

15035. ქალს თუ რაიმე უხარია, ის ამაყია და ამას ირგვლივ მყოფნი იოლად გრძნობენ და ხედავენ.

15036. ქალისთვის ყველა მამაკაცი განსასჯელია და კრიტიკას იმსახურებს, მიუხედავად იმისა, მდედრი მას აღმერთებს თუ არა.

15037. ქალისთვის ის მამაკაცია სასურველი, რომელიც მას გონებას ურევს არა მარტო ხიბლით, არამედ ინტელექტითაც.

15038. ყველაზე სასურველი შინაგანად თავისუფალი ქალებია, რომლებიც არც ოჯახს ივიწყებენ და არც მამაკაცის ალერსით მორჯულების აუცილებლობას.

15039. სილამაზესა და ქალის ბედნიერებით გამოწვეულ კაპრიზს მამაკაცი უდრტვინველად ემორჩილება.

15040. ქალის უმთავრესი ბედნიერებაა მისი თავდავიწყებული სი-

ყვარულის „გაპრავება“, მამაკაცის დაყოლიება და მასთან შეუღლება.

15041. ქალი, რომელიც თავის შინაგან რესურსებს მაქსიმალურად და შემოქმედებითად იყენებს, გაუთხოვარი არ დარჩება. ე.ი. საკუთარი რესურსების მობილიზებაა უმთავრესი და არა ბედის ლოდინი.

15042. ქალები ხშირად იძენენ იმას, რაც ხშირად მათ არ სჭირდებათ, მაგრამ შემდგომ ამით თავს იწონებენ.

15043. ქალი თავისი მოთმინებით, შემართებით, განათლებით მამაკაცს წარმოაჩენს და აბეჯითებს კიდეც.

15044. ჭკვიანი ქალი, რომელსაც აქვს მეტყველი თვალები, მოთმინების უნარი და ადამიანის საშენი ჰორმონები, ღვთის წყალობით, შეცვლა-გამოცვლას და ღალატს არ ექვემდებარება.

15045. საყვარელი ქალი თავისებური შეუცვლელი პათოლოგია, რომლის სიფაქიზე, მოთმინება, განათლება მამრს აჯანმრთელებს.

15046. ქალის შეფასებისას უმთავრესია მისი შინაგანი სილამაზის აღმოჩენა-წარმოჩენა და არა გარეგნული სილამაზის განსჯა.

15047. ქალი რაღაცა დოზით პრანჭიაც უნდა იყოს, ეჭვიანი ჭორიკანაც და საკუთარ თავზე კრიტიკულად შემყურეც.

15048. ჭკვიან და მოხერხებულ ქალს ლომის წილი უდევს მისი მამაკაცის წარმატებაში. თანაც, გონიერი მეუღლე ამას არც აყვედრის, არც ამადლის ქმარს.

15049. თეორიულად თითქოსდა ქალები ნერვებს გვიშლიან, გვტანჯავენ, გვჭამენ, მაგრამ პრაქტიკულად მათ გარეშე ცხოვრება აზრს დაკარგავდა.

15050. ქალურობის ხელოვნებაა, დაარწმუნოს მამაკაცი, რომ მდედრის სურვილებს თავისივე ნებით ასრულებს.

15051. ქალები ბუნებით შემწყნარებლები არიან, მაგრამ არა იმათ მიმართ, ვისაც მათ ქალურობაში ეჭვი ეპარებათ.

15052. ყველა ქალი თავის ოცნებაში შეცდენისთვის მარად მზადაა.

15053. ჩვენი სულიერების მაცოცხლებელი და მასულდგმულებელი ქალი ღალატს არ იმსახურებს.

15054. უმტკივნეულო წვრილმანების გამბუქებელ ქალებთან ცხოვრება ჭირს.

15055. ქალი, რომელსაც საყვარელიცა ჰყავს, პერსპექტიული საქმროც და ოფიციალური ქმარიც, ზნედაცემული კი არა, გაურკვევლობის დემონია.

15056. ზოგ ქალს ქმრისადმი ერთგულებით თავი ზედმეტად მოაქვს და ვერ გაუგია, ამით ამაყობს თუ თავის ბედზე წუწუნებს.

15057. უგვანი მთავრობის ქვეყნის სათავეში მოყვანაში მთავარი დამნაშავენი ქალები არიან, როგორც ამომრჩევლები და როგორც ამომრჩეველთა მშობლები.

15058. ქალის უმთავრესი წამალი მისდამი ერთგულება და მისი სულიერების ყოველდღიური გაახალგაზრდავებაა.

15059. ქალის გონიერება გახლავთ ისიც, რომ თვალების ჟუჟუნით ამოწმებს, ის მამაკაცი მისი გახდება თუ არა.

15060. გვახსოვდეს: ქალი უპირველეს ყოვლისა სრუყოფილი ადამიანია, შემდგომაა მშვენიერი არსება და ქალბატონი.

15061. ქალს იდუმალება მოსწონს, რომელიც გამყარებულია ახდენილი ოცნებების და ცხოვრების რეალობის აღქმით.

15062. ქალისადმი ნალოლიავები და ნაღდი სიყვარული შინაგანად არ იკარგება, მიუხედავად იმისა, რომ მასში ხშირად ერევა უნდობლობა, მობეზრება და შეუთავსებელი ქცევები – „ან ყველაფერი, ან არაფერი“.

15063. ქალი თავისი ხიბლით ბევრ ამქვეყნიურ სიკეთეს გვთავაზობს და შთაგვაგონებს, მაგრამ ხშირად ხელსაც გვიშლის ამ სურვილების განხორციელებაში.

15064. თუ ქალი გარდაუვალობის გამო იტყუება, მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა ცოდვაა.

15065. ჭკუა, სილამაზე, ხიბლი იშვიათი საჩუქარია ქალისთვის და შურის და მოქიშპეთა ჭორაობის საგანი ხდება.

15066. ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო ჭკვიანები, მესაკუთრენი და დაუდგრომლები არიან. ამასთანავე, მათ ამაღლებულ გრძნობებს რაციონალური ურთიერთობა არ მოსწონთ, რადგან ისინი თავიანთი ბუნება-გუნებით მარად ბედის და ყოფის უკმაყოფილონი არიან.

15067. დღეს ქალისათვის ტრაგედიაა კოჭებამდე კაბით სიარული და არა მოკლე კაბის და დახეული შარვლის ამოცმა. როდემდის გაგრძელდება ეს მოდა, არავინ უწყის.

15068. რა უნდა უთხრათ ქალს ისეთი, რომ დაუფიქრებლად გაკოცნინოთ?! ალბათ, გულში ჩამწვდომი სიტყვები და სიყვარულით შეფუთული ღიმილი უნდა შევაგებოთ.

15069. ნებისმიერი ქალი ანგელოზია, სანამდის ამ ქალისთვის მამაკაცი ფავორიტი და ღმერთია.

15070. ქალებს, რასაკვირველია, უნდა ჰქონდეთ ხმის უფლება, ოღონდ არა მამაკაცების ჯიშის, ჯილაგის და კაცობის საწინააღმდეგოდ.

15071. ქალები მოდას იმიტომაც არიან აყოლილნი, რომ მარად მიმზიდველობის შინაარსით აღიჭურვონ და უშინაარსონი არ გახდნენ.

15072. დევიზი, „ვეცადოთ, ქალს გავუგოთ“ მისაღებია, მაგრამ ამ უკანასკნელმაც თუ არ მოინდომა, ამ მცდელობიდან სახეირო არაფერი გამოვა.

15073. ქალებს ის პერსპექტიული მამაკაცი შურთ თავიანთი ნაცნობი ქალებისათვის, რომლებზედაც იმ მამაკაცს არც კი უფიქრია.

15074. ქუჩის ქალიც გაქალბატონდება, თუ შემძლე მამაკაცი პა-

ტრონად გამოუჩნდება.

15075. ქალზე თუ მამაკაცები გატაცებით საუბრობენ, ის ქალი, ეტყობა, ყურადღებისა და სიყვარულის ღირსია.

15076. ქალი თუ მოგწონთ და გიყვართ, მის კაპრიზებსაც შედარებით ადვილად იტანთ, სანამდის მას შეეჩვეოდეთ.

15077. გახდეს საკუთარი ბედის განმკარგავი დიასახლისი, ქალისთვის ეს დიდი და გაუცნობიერებელი ბედნიერებაა.

15078. ქალები აფექტის დროს ხშირად იტყუებიან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საჭიროების ჟამს სიმართლეს არ იტყვიან.

+15079. ერთდროულად სილამაზე და ჭკუა ქალისთვის რატომღაც შეუთავსებელია, რადგან მან არ იცის, უპირატესობა რომელს უნდა მივანიჭოთ: მისი დანახვით გამოწვეულ აფექტს თუ მასთან საუბრით გამოწვეულ ეფექტს.

15080. ქალს, აღიარებისა და ყურადღების გარეშე, ახლობელ მამაკაცთანაც კი უჭირს ურთიერთობა და მისდამი ერთგულება, რადგან ქალის ბუნება-გუნება მუდმივად დაფასებას მოითხოვს.

15081. ქალებს ძვირადღირებული საჩუქრები უყვართ დაქალებთან თავის მოსაწონებლად და საკუთარი მეს წარმოსაჩენად.

15082. გაბრაზებულ ქალს შეუძლია სიმართლე პირში მოგახალოს და თავიც წამოგაყვედროს. ეს მისი ფიცხი ბუნების გამოვლინებაა.

15083. ქალი თუ ძალად ცდება, უნდა შეცდეს, რომ ქვეყანას ღირსეული ნაშიერი მოუვლინოს, აღზარდოს და დაუტოვოს.

15084. ყველა დედაკაცი გაზაფხულია, თუ სიყვარულს გემოს გაუგებს და დაემონება.

15085. ანგარება და პატივმოყვარეობა ქალის სიყვარულის მამოძრავებელი ძალაა.

+15086. ქალის საუკეთესო ჯილდო საკუთარი მიღწევებია, რომელსაც სამკაულივით უნდა ატარებდეს ბედისადმი მადლიერების ნიშნად.

15087. ქალის განუსჯელად გაკაპასება მის ბუნებაშია ჩადებული და ეს კატასტროფად არ უნდა მივიჩნიოთ.

15088. ქალი თავისებური განსჯადი განტოლებაა და ის შედეგიან ამოხსნას საჭიროებს.

15089. ქალს კი არ უნდა ეჭორაოთ, არამედ მისაღები აზრები გაუზიაროთ და მაშინ მადლიერი დაგრჩებათ.

15090. ქალისთვის ყვავილების ჩუქებას თავაზიანობა ითხოვს და არა ამბიციური გული.

15091. ქალისადმი სიყვარული საშური ნიჭია და ხელოვნების გარკვეული ნაღვაწიც.

15092. ქალის „დასაბმელად“ ყვავილების ჩუქება გვეხმარება, რადგან ის ქალს ერთგვარ იმედს უსახავს.

15093. ფემინიზმს უმთავრესად უპერსპექტივო და უნიათო მამაკაცთა წრეში ქალის ყოფნა აძლიერებს.

15094. ქალთა სამყაროს მოწოდებაა ურთიერთდაჩრდილვა, რადგან მჯობნის მჯობნის დაპირისპირება ამქვეყნად ჩვეულებრივი ამბავია.

15095. თეორიულად ქალებს ირჩევენ, აცდენენ მამაკაცები, მაგრამ პრაქტიკულად ქალების გარკვეული ოდენობა რატომღაც „ქმარგარეშე“ მდგომარეობაშია.

15096. დროსა და გარემო პირობების შესაბამისად კაცები ქალის გულის მოპოვებას სხვადასხვა ხერხით ცდილობენ.

15097. ნაღდი ქალი თავისი ბუნებით დაუდგრომელია, ოღონდ სინაზესა და ეშხს როდი კარგავს.

15098. ქალს ბევრი მამაკაცის ნაცნობობის ატანა უხდება, სანამდის თავის ერთადერთ და განუმეორებელს, ანუ ბედს, არ შეხვდება.

15099. ქალს ხშირად თაყვანისმცემლის ქცევის ორგინალობა „აბამს“ და არა იმდენად მისი გარეგნობა და მატერიალური შესაძლებლობა.

15100. ქალების უმრავლესობას გამორჩეული ხასიათი არ აქვს. ამიტომაცაა, უმთავრესად მათივე თანხმობით ჯერჯერობით მათ ირჩევენ მამაკაცები და არა პირიქით.

15101. რა „გინდას“ და ასაკს ქალს არ ეკითხებიან, რადგან ამას გონიერება თავად მიხვდება.

15102. თავისი ბუნების შესატყვის მამაკაცთან ყოფნა ქალს სრულყოფილების შეგრძნებას უორმაგებს.

15103. ქალის ჰორმონების შეცნობას ხვადის მიერ სხვადასხვა სახის სურნელის ფრქვევა ხელს უშლის.

15104. მამაკაცის საქმიანობის გაფეტიშება ქალის საქმეა, თუ უნდა, მისი მეორე ნახევარი უფრო მოყვასი და დამთმობი გახდეს.

15105. მდედრს თავისი ორგემაგე ღიმილი: ნაღვლიანი და ტკბილი – შველის თავისი ქალური სილამაზის წარმოსაჩენად.

15106. ქალი შეიძლება წაკითხული წიგნიც იყოს და წაუკითხავიც, მაგრამ გააჩნია მკითხველს, ვის რა მოსწონს და ვინ რას აფასებს მდედრში.

15107. მდედრმა არასოდეს უნდა დაივიწყოს, რომ ის ქალია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოწონების საგნად ვერ იქცევა.

15108. ქალის შური დაუნდობელია, რადგან მისი ბუნების საწყისი ძლიერი და განუსჯელი სიყვარულია.

15109. ქალს სიყვარული ათვინიერებს, მაგრამ გარკვეულ დრომდე და გარკვეულ ვითარებამდე.

15110. ქალი ავანტიურისთვის არის დაბადებული და მისი სამოქმედო ობიექტი მამაკაცია.

15111. ქალები ძირითადად თანმიმდევრული და ზომიერი ინტერ-

ესების მქონენი არიან. ისინი ქალის სტატუსს კარგავენ სხვადასხვა კაპრიზით და სხვათა საქმეში ცხვირის ჩაყოფით.

15112. ქალის უშვილოდ მოცდენა დანაშაულია ერის, ქვეყნის, მომავალი თაობებისა და განგების წინაშე, ამ ფაქტის არაგონივრულობას რომ თავი დავანებოთ.

+15113. ქალის დანიშნულებაა არა მარტო ფეხების აწევა, არამედ ფეხების გაწევაც, რათა იქიდან ახალშობილი უმტკივნეულოდ გამოძვრეს.

15114. თეორიულად ყველა ქალი თავისებური განძია, ოღონდ ეს განძი პრაქტიკულად ძნელად ხელმისაწვდომია.

15115. ეროვნულობის ბარომეტრი ქალია, რომლის სკალაც უჩვენებს მრავალშვილიანობას, ოჯახის სიძლიერესა და ნაშიერთა აღზრდილობას.

15116. ქარაფშუტა და თავქარიანი გოგონები უფრო მომხიბვლელნი და ადვილად ხელმისაწვდომნი არიან, მაგრამ თავდაჭერილ ქალებსაც თავიანთი ნაკლი აქვთ: „ოფიციოზი უჭირავთ“ და გათხოვებაც უჭირთ.

15117. ქალი თუ ჯდომის, ღიმილის, სიხარულისა და თვალების დაჟუჟუნების ხელოვნებას ფლობს, ჩათვალეთ, რომ ის ცხოვრების მადლით გალაღებული მდედრია.

15118. ქალის დედაკაცად გადაქცევა ადვილია, მისი ქალად დარჩენაა ძნელი, თავისი ხიბლი რომ შეინარჩუნოს და აფრქვიოს, ასაკის მატების მიუხედავად.

15119. გრძნობებს აყოლილი ქალი თუ როდის არის, თავისი წარმოდგენით, ბედნიერი და უბედური, მარად ამის კვლევაშია.

15120. ქალებს უსიყვარულოდ ცხოვრება უჭირთ, მაგრამ მატერიალურად უზრუნველყოფილი და სატრაბახო ცხოვრების წინააღმდეგნი არ არიან.

15121. ქალის გულისა და გონების დასაპყრობი ფრაზები: 1. ავკარგიანი, 2. ანგელოზი, 3. ბედის რჩეული, 4. ბედნიერების მჭედელი, 5. გემრიელი, 6. გამგები, 7. მოგულკეთილო, 8. გულალალი, 9. გემოვნებიანი, 10. გულთმყრობელი, 11. განუმეორებელი ხარ, 12. გულუბრყვილო ანგელოზი, 13. განგების რჩეული, 14. ღმერთის ნაძერწო, 15. გამგებო, 16. გაჭირვების ტალკვესო, 17. გემრიელო ქალო, 18. გემოვნებიანი, 19. დედაო წმინდაო, 20. დედობის ეტალონო, 21. დამჯერო, 22. დიასახლისო სანატრელო, 23. დიდო ბუნებავ, 24. დედოფალო, 25. დიდგულა ჩემო, 26. ეშხის მფრქვეველო, 27. იმედის ქალო, 28. ვსულდგმულობთ შენით, 29. თამარ მეფევ, 30. კარგო, 31. კუპიდონის ისარო, 32. მარად დაუვიწყარო, 33. მადლიანო, 34. მზეთუნახავო, 35. მომთხოვნო ქალო, 36. მიმნდობო ჩემო, 37. სიყვარულის მფრქვეველო ვულკანო, 38. სიყვარულის მეხრევ, 39. მოსიყვარულევ, 40. ოჯახის მუჭუჭო, 41.

ოცნების ქალი ხარ, 42. ოპტიმისტი, 43. რჩეული, 44. სამოთხე ქალი ხარ, 45. საჯიშე ხარ, 46. სიყვარულის ბუმერანგო, 47. სანატრელო, 48. სიყვარულის შენაჯერო, 49. სიკეთის მფრქვეველო, 50. სიცოცხლის შემმატებელო, 51. საოცნებოვ, 52. საოცრება ქალი ხარ, 53. საქალბატონედ ხარ გაჩენილი, 54. სანდომიანო, 55. სამეზობლოდ შეუცვლელი, 56. სულიერების ბუდევ, 57. სიყვარულის შავი ქამრის მფლობელო, 58. სექს-ბომბა ხარ შეუდრეკელი, 59. სილამაზის ეტალონი, 60. საუნჯე ხარ ჩემი, 61. უკვდავების ჩანჩქერი, 62. უასაკო ქალი, 63. უკვდავების წყაროვ, 64. უსაყვარლესო, 65. უშურო, 66. უდრტვინველო, 67. ფიქრებით მაცდუნებელო, 68. ფიფქიავ, 69. ფიქრების კონავ, 70. ფილოსოფოსო, 71. ფრთებასხმულო მშვენიერებავ, 72. ქალღმერთო, 72. ქალობის ეტალონო, 73. ქალურო ქალო, 74. ღიმილის მფრქვეველო ანგელოზო, 75. ყოფიერების მცოდნე ანგელოზო, 76. ყოვლის შემძლევ, 77. ყურადღებიანო, 78. ყველასთვის დამხმარე და ხელის მომმართველო, 79. ყველასთვის სანატრელო, 80. შთაგონების წყაროვ, 81. შუქურა-მნათო, 82. „შაითანი“ ხარ სიყვარულის, 83. შინაგანად წმინდა, 84. ჩვენი ცხოვრების იმედო, 85. ჩემი უნდა გახდე, 86. ცეცხლის მომდებო, 87. ცის რჩეულო, 88. ძალის მფრქვეველო, 89. წესიერების განსახიერებავ, 90. წლები ვერაფერს გაკლებთ, 91. წმინდანო, 92. ჯიშიანო, 93. ჯიგრიანი ქალი ხარ, 94. ჯადოქარო, 95. ჭკუა დამჯდარო, 96. ჭირ-ვარამიანო, 97. ხიბლის მფრქვეველო, 98. ხიბლის თაიგული, 99. ჰაერში მოფარფატევ, 100. ჰაეროვანო და განუმეორებელო.

15122. ქალის მოსაწონებლად პირველია ხიბლი, ის, თუ მამრი რა გარეგნული იერსახის მქონეა, ხოლო მეორეა იმის გათვალისწინება, თუ რა დროს რა სწყინს და რა უხარია.

15123. წარმატებული ქალისთვის შეუთავსებელია სინაზე, მორჩილება, თავმდაბლობა, რადგან მასში პირადი მეს კაპრიზი ბობოქრობს და საკუთარი სულიერი ამბიციების მოთოკვა მის ფიზიკურ ძალას აღემატება.

15124. ამბობენ, ქალისთვის მნიშვნელოვანია ან პარტნიორის თავდაჯერებულობა, მამაკაცური უხეშობის სინაზესთან შერწყმა.

15125. ხშირად ქალს გაკვირვება არ შველის. ის მაინც თავისას აკეთებს, თუ ის ბუნებით დაუდგრომელი და „მწყურვალეა“.

15126. ქალის უმთავრესი სისუსტეა სურვილი, თავისი ცხოვრება გააჯეჯილოს და გაალამაზოს. სხვაგვარად მას ერთფეროვნება დედაკაცად დროზე ადრე აქცევს.

15127. ქალის მუდმივი და განუყრელი ოცნებაა ნებივრობდეს იმ მამაკაცთან, რომელიც მოსწონს, ვისაც ეთაყვანება და ეტრფის.

15128. ყველა ქალი ოჯახის შესაქმნელად არის გაჩენილი, მაგრამ შვილების ყოლა ყველასთვის აუცილებელია, რათა თავისი ამქვეყნად მოვლინება გაამართლოს.

15129. ამბობენ, ჭკვიანი ქალები არ თხოვდებიან. ამიტომაც ისინი ვერც კარგი ცოლები ხდებიანო.

15130. ქალისთვის უმთავრესია იმის წარმოჩენა, რისი დამტკიცებაცა სურს: კდემამოსილების, მშვენიერების, გონიერების, უბიწოების, სიყვარულის, მომნუსხველობის, იმისიც, თუ რა მაგარი „ბოზია“ საწოლში.

15131. ქალთან ყოველგვარი ჩხუბი და კამათი წაგებულია, რადგან მას დაპირისპირება უფრო ახსოვს, ვიდრე ჩხუბის მიზეზი.

15132. გონიერი ქალები გაუთლელ და ხეპრე მამაკაცს ცოლად არ მიჰყვებიან და თავიანთ გრძნობებს, ოცნებებს სათანადოდ მალავენ და თრგუნავენ.

15133. თანამედროვე და შემდგარი ქალები ნაკლებად უფრთხილდებიან პირად ბედნიერებას, მაგრამ მათი გაგებაც შეიძლება, თუ მათ ისეთად მივიღებთ, როგორებიც არიან, მაშინ მათგან შესაძლებელია საიმედო, ოღონდ დამოუკიდებელ პარტნიორთა ჩამოყალიბება.

15134. ქალზე ნადირობას შემოქმედებითი ბუნება უნდა. აქ მარტო გამოცდილება არ კმარა, იმდენად ცვალებადია მდედრის ბუნება.

15135. საწყალი ქალები! მამაკაცები მათ როგორღა არ მოიხსენიებენ გაბრაზების ჟამს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი არც ზნეს იცვლიან და არც სიჯიუტის ხარისხს.

+15136. წმინდანი ქალები ცოტანი არიან და დიდ პატივსაც მივაგებთ, მაგრამ შინაგანად უწმინდურებს ვეტრფით.

15137. ქალების გარეშე ცხოვრება თავად ქალებსაც უჭირთ, თავიანთი ეშმაკობა-ჩასაფრებანი დაქალებს ხომ უნდა გაანდონ და გაუზიაროონ.

15138. ოცნებით ყველა ქალი იმაზე მეტად აბანდებს თავის წარმოსახვით ბედნიერებას, ვიდრე გარანტირებული აქვს რეალობაში.

15139. ალკოჰოლი მორცხვობას გამორიცხავს, მაგრამ საყვარელ ქალთან ურთიერთობაში თავადვე მორცხვობს.

15140. ქალების ხშირ-ხშირად ბუტიაობა სიყვარულის ხელახლა შემოწმება-გადამოწმების თავისებური ხელოვნებაა.

15141. ზოგ მდედრს ის უფრო მოსწონს, რომ სხვებს მასზე მეტად მოსწონდეს მისი რჩეული.

15142. ქალის გულს მალამოდ ედება მამაკაცის შექება და მდედრი აღფრთოვენებულია ამგვარი მამრით.

15143. საყვარელ ქალს ქვეყნად რა დალევს, მაგრამ მათი საშენოდ შერჩევა და მათი თანხმობის მიღწევაა ძნელი.

15144. ყველა ქალი განუმეორებელია, ყოველ შემთხვევაში, ამგვარად უნდა შევაფასოთ, თუ გვინდა, ნასიამოვნები დავრჩეთ.

15145. მომხიბვლელი შარმის მქონე ქალი ძნელია ანგელოზი იყოს, თუ მას განგებამ ნიჭთან ერთად გაქანების უნარი აახლა.

15146. განვითარებას ყველა ქალი უნდა ეცადოს, ოღონდ არ უნდა გადააჭარბოს, რათა ის მამაკაცს არ დაემსგავსოს არა მარტო ცნობიერებით, არამედ გარეგნულადაც.

15147. ხშირად ქალები, თავიანთი თავის სარკეში შემყურენი, მშობლების ნაღვაწ-ნამოქმედარს არ ეთანხმებიან და პროტესტის ნიშნად კოსმეტიკას იყენებენ.

15148. ზოგი ქალის გულის მოგება ადვილია, მაგრამ მისი შენარჩუნებაა ძნელი, თუ წყვილის ჰორმონები ერთმანეთს ვერ უგებენ და ეთანხმებიან.

15149. „ჩამწვარი სიგარეტია“ – ასე იმ მდედრს უწოდებენ, რომელთანაც განაღდებული ურთიერთობა გამორიცხულია და, ამასთანავე, ნერვებამშლელიცაა და უაღრესად მიმზიდველიც.

15150. პრეტენზიულ და მომხიბლავ მდედრს ყოველთვის ჰყავს საკმარისი თაყვანისმცემელი, იმისდა მიუხედავად, რომ მისი ბუნება-გუნება ხშირად გაუგებარია, შეუცნობელი და მიუღწეველია უპრეტენზიო მამაკაცისთვის.

15151. ქალთა ინტუიცია მამაკაცთა ინსტინქტებთან შედარებით თითქმის შეუმცდარია, ყოველ შემთხვევაში, ქალებს ასე სჯერათ და ჰგონიათ.

15152. ქალებს პატიება და დაყვედრება უყვართ, რადგან ნიშნის მოგება მათი სიამოვნების თავწყაროა.

15153. ქალს სასურველი მამაკაცი ამხნევებს, აამაყებს, ალამაზებს, წარმოაჩენს და თავმომწონეს ხდის, ოღონდ კაპრიზებს მაინც ვერ თმობს.

15154. ყველა ქალს თავი დედოფლად წარმოუდგენია და გვერდში უნდა იყოლიოს უფლისწული, ქვეყნის მომავალი იმპერატორი, რადგან მათი შინაგანი მოწოდებაა, თავიანთი ბედი ამბიციებს დაუკავშირონ.

15155. უყურადღებოდ, უპასუხოდ დატოვებული ქალი მანდილოსნად ვეღარ გადაიქცევა.

15156. ქალებისთვის გონიერება განსჯადი სიყვარულია.

15157. ქალები უმთავრესად შეძლებულ მამაკაცებს ეტრფიან და არა ხელმოკლესა და დუხჭირს.

15158. ქალის პატიოსნებას ხელს უწყობს მისი მეტისმეტი დასაქმება როგორც სამსახურში, ისე ოჯახში.

15159. მდედრი თავისი გაურკვეველი გრძნობების, მოთხოვნების, ვნებათაღელვის მონა-მორჩილია და არა მამაკაცისა, როგორც ეს გარედან ჩანს.

15160. ქალი უფრო მიმზიდველად აღიქმება, თუ მისი გული სიყვარულის ნექტრით არის დაისრული.

15161. ქალმა, სასურველია, შვილი გააჩინოს მის მიერ გარეგნუ-

ლად მოწონებული ჯანმაგარი მამაკაცისგან, რათა ჯიში და ჯილაგი გაუმჯობესდეს.

15162. ქალი თავისი შარმით, სიკეთით და ეჭვით შემოქმედებითი მოვლენაა.

15163. მამაკაცური ბუნების ქალები, რომელთაც ქალური სინაზე და კდემამოსილება დაკარგული აქვთ, მდედრთა მოდგმის სიიდან ამოღებულ უნდა იქნენ.

15164. რაც უნდა ბუნებით ძლიერი იყოს, ქალს აქვს მოთხოვნილება ზოგჯერ სუსტ არსებად წარმოჩნდეს და თავი ოჯახის დიასახლისად იგრძნოს, რადგან ამას შინაგანად ქალური გენი შეახსენებს.

15165. ქალების სურვილია, კაცებმა არ დაუსვან მათი სულიერებისათვის გაუგებარი და მიუღებელი კითხვები.

15166. ქალი, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუპყრია მამაკაცის გულო მისთვის გონება არ დაუბინდია და წინდაწინ მის გადაკეთებას არ ცდილობს, ნაღდი ქალია და მასთან ურთიერთობის გაღრმავება ღირს.

15167. ქალები მუდამ ერთს ხედავენ, მეორეზე ფიქრობენ, მესამეზე ოცნებობენ და ესაა მათი ბუნების ამოუცნობი სიდიადე.

15168. თავხედ და ხამ მამაკაცებს ქალები არ სწყალობენ, მათდამი გულგრილები და უყურადღებონი არიან.

15169. გონიერ და ნამდვილ მანდილოსნებს მამაკაცებთან მეგობრობაც შეუძლიათ, მათთან ლოგინში ჩაწოლაც, თუ ისინი მომხიბვლელები არიან, შეძლებულიც და კარიერისკენ მიმავალ საფეხურებზეც მყარად დგანან.

15170. ფლირტი ერთდროულად საამოც არის და კეკლუცობის უნარის წარმოჩენაც, რომელიც ქალთა ბუნებას ასე ამშვენებს და სიამე მოაქვს იმ შემთხვევაში, თუ თავის გაკონტროლების უნარი შესწევს.

15171. ქალი ეშმაკთან მაშინ ასოცირდება, თუ ხელეწიფება მავანისთვის თავის მოწონება მისთვის ნაცნობი ხერხებით და შედეგის უეჭველი განაღდებით.

+15172. ქალური ტყუილი შეიძლება კეთილხმოვანიც იყოს ან ლამაზიც. ეს იმაზეა დამოკიდებული, მდედრს კარგი ხმა აქვს თუ ლამაზია.

15173. უსამართლობის წინაშე ზოგჯერ წინდახედული ქალის ქედის მოხრა დასაშვებია, იმისდა მიუხედავად, რომ სულიერებისთვის ეს მიუღებელი და დასაგმობია.

15174. ქალის უპირველესი მოწოდებაა მამაკაცს აჩუქოს ხიბლი, სინაზე და ქალურობა, რაც შეეხება ნამდვილ სიყვარულს, ის დაწყვილების შემდგომ იწყება თავისი მრავალუცნობიანი განტოლებებით.

15175. ქალს ქალისთვის თავისი ქალობის ჩვენება უჭირს და არა მამაკაცის მოტყუება და მისთვის „თავის მოჭრა“.

15176. დღევანდელი მდედრის თავდაცვის უნარი თავდასხმით გა-

მოიხატება და მას ეს თავისი მოწოდება ჰგონია.

15177. ქალების მიერ მხოლოდ კოსმეტიკაზე დახარჯული ძალები მამაკაცთა მთელი ძალების ტოლფასია.

15178. თავიანთი ქმედებებით ხვადობას დღეს ქალებიც იბრალებენ და ამით თავისიანებში კიდევაც ამპარტავნობენ.

15179. ფუფუნება-განცხრომას ქალები თავადვე იქმნიან, თუ გემოვნება აქვთ და ჭკუა-გონების მოხმობის უნარი შესწევთ.

15180. საჯიშე ქალის შინაბერად და უშვილოდ დატოვება საცოდაობაა, სახელმწიფოს ღალატია, ქვეყნის წინაშე გამოუსწორებელი დანაშაულია.

15181. საბოლოოდ ნებისმიერი მოდა ქალებისათვის ბოლომდის მიუღებელი და მოსაბეზრებელია. ამიტომაც არიან ისინი ასე საინტერესონი და მომაჯადოებელნი – ერთისა და იმავე მოდის ფორმას რომ არ ემორჩილებიან.

15182. ქალს ფული და ქმრის კარიერული წინსვლა უფრო ხიბლავს, ვიდრე სიყვარული, სექსი და ერთგულება.

15183. ქალი მამაკაცის ბოლომდოს ერთგული და მადლიერი თუ რჩება, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ კავშირში განგების ხელი ურევია.

15184. ქალს ვერაფერს გაუგებ: ერევი მის საქმიანობაში და სწყინს, სათანადოდ ჩემს შესაძლებლობებს ვერ აფასებო, არ ერევი და უკმაყოფილოა – მისი საქმიანობა არ გაინტერესებს, ე.ი. არ გიყვარს.

15185. ქალისთვის ის მამაკაცია შესაყვარებელი, რომელიც მას სიცოცხლის ბოლომდის შერჩება, მიუხედავად იმისა, გარკვეული გაუგებრობა და უკმაყოფილება ელის თუ არა მათს ურთიერთობას.

15186. წიწკინა ქალს დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელს, მაგრამ საყვედურს მაინც არ მოგაკლებს ხვალინდელ პერსპექტივაზე უარის თქმის გამო.

15187. ქალებს სილამაზის შესანარჩუნებლად დიდი ფულის ხარჯვა სჭირდებათ. პროცენტულად, ალბათ, ეს სხვა მომსახურებასთან შედარებით ყველაზე მეტია.

15188. ერთსა და იმავე პირობებში ქალი მამაკაცზე უკეთ გრძნობს თავს მატერიალურად, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებით მუდამ უკმაყოფილოა.

15189. ზოგიერთი უჟმური ქალის სახე ის მშვენიერ უკანალს ისე აუფასურებს, რომ მისი ბედისა არ შეგშურდება.

15190. საყვარელი ქალის მიერ თქვენი დალოცვა ყველაზე დიდი და სანატრელი ფუფუნებაა.

15191. ქალს, უპირველეს ყოვლისა, უნდა აინტერესებდეს: ძუნწია თუ ცნობისმოყვარეა მისი რჩეული, შემდგომ მოდის სიყვარული და ურთიერთგაგება.

15192. მიმზიდველი ქალები უფრო ხშირად იღიმებიან, ვიდრე იცინიან, რადგან ღიმილი მათ უფრო მიმზიდველსა და სანეტაროს ხდის.

15193. ქალისთვის რჩეულთან კოცნა სარგებლიანია, მით უმეტეს, რომ სიყვარული კოცნის გარეშე წარმოუდგენელია.

15194. ლამაზ ქალზე დაქორწინება ბედნიერებაცაა და უბედურებაც: მისი მოხიბვლა ყველას უნდა.

15195. ზოგიერთი ვნებააშლილი ქალისთვის სიყვარული და ფული, სექსი და ფული სინონიმებია და, რომელს მეტ პატივს მიაგებს, მისთვის უცნობია.

15196. ქალისათვის ის მამაკაცია მოსაწონი, ვინც მას უგებს, ყურს უგდებს და ხანდახან კიდეც ეჭვიანობს მასზე.

15197. ქალის უალერსოდ დატოვება, უპირველეს ყოვლისა, განგების წინაშეა დანაშაული და შემდგომ – მდედრის წინაშე.

15198. კონკურენტის სიკეკლუცე ქალს გონს ურევს და ხასიათს უფუჭებს.

15199. ვერაგობასა და ღალატს შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ ქალებს ეს სხვაობა მაინც თავისებურად ესმით და ერთმანეთში აიგივებენ.

15200. ხანშიშესული ქალის წარმომავლობა აღარ აინტერესებთ, თუ ის ნაშიერის გარეშე რჩება.

15201. ქალს ილუზიებით ცხოვრება მოსწონს: იგი მისთვის ნანატრ მამაკაცს მოხიბლავს, თავის ჭკუაზე გადაიყვანს, თავისი ხიბლით სულიერად დაიმონებს.

15202. ქალი იმ შემთხვევაშია პირველი სიყვარულის ერთგული, თუ მეორე სიყვარული არცერთი მხრიდან არ უღიმის.

15203. ქალისათვის ოცნების მორგება სიზმარში უფრო ადვილია, ვიდრე ცხადში.

15204. ქალს ღალატი თუნდაც იმიტომ არ ეპატიება, რომ თავის კანონიერ მეორე ნახევარს სხვა მამაკაცის ჯიში და ჯილაგი ამჯობინა.

15205. ქალის გაუთხოვრობა და სალთად დარჩენა მის ავტორიტეტს ამცირებს და ქვეყნის დემოგრაფიასაც აზიანებს.

15206. ქალი ცვლილებებისათვის მარად მზად არის, მაგრამ ცვლილებათა გაცნობიერება მუდამ უჭირს.

15207. ქალს მამაკაცი უნდა უყვარდეს და პატივსაც მიაგებდეს, მაგრამ არა იმდენად, რომ საკუთარი ბუნება და პიროვნება დაკარგოს.

15208. ნუ ვაიძულებთ ქალს, ისტერიას მიეცეს და ცრემლი ღვაროს, რამეთუ მისი ცრემლის ყოველი წვეთი უფალს აღრიცხვაზე აქვს აყვანილი და თვალს ფხიზლად ადევნებს.

15209. ნამდვილი ქალი ყოველთვის იტოვებს არჩევანის უფლებას, თუ რა სჭირდება მას და რა – არა.

15210. ქალები ერთს აკვირდებიან და მეორეს ადარებენ, ხოლო,

აქედან რა გამოვა, დიდად არც აინტერესებთ.

15211. იღბლით გაკვირვებულ ქალთან ყოფნა ბედნიერებაა.

15212. ქალი ყველა სიახლეს ჯერ საკუთარი თავის გასალამაზებლად და მერმე საოჯახო საქმიანობის შესამსუბუქებლად იყენებს.

15213. საოცარია ქალის ბუნება: არც ეჭვიანი ქმარი მოსწონს, არც – დინჯი, რადგან ყოველდღიურობასა და ერთფეროვნებას მისი ბუნება ვერ იტანს.

15214. ქალი მრავალ პერსპექტიულ მამაკაცზე ფიქრობს და ოცნებობს, მაგრამ საბოლოოდ ერთის ხდება და მის შენარჩუნებას ცდილობს.

15215. ყველა ქალი დასაჭაშნიკებლადაა გაჩენილი, იმისდა მიუხედავად, მამრის ხასიათზე სურს იაროს თუ არა.

15216. ქალები ხშირად თავიანთი ლოგიკის წინააღმდეგ მიდიან, მაგრამ ქალურ ლოგიკას თავს მაინც არ ანებებენ.

15217. ქალები შინაგანად მეგობრობისთვის იღვწიან და არა ცოლობისთვის, ხოლო გარეგნულად – ცოლქმრობის მოპოვებისთვის.

15218. ქალისგან თავის დახსნას უფრო მეტი ნიჭი, შემართება სჭირდება, ვიდრე მასთან დაახლოებასა და დაწყვილებას.

15219. ყველაზე კარგი და ნაღდი ნიღაბი ქალისთვის დედაბუნების მიერ ნაჩუქარი კდემამოსილებაა, რომელსაც მაშინ დაახურდავებს, როდესაც ამას საჭიროდ მიიჩნევს.

15220. სიტყვით ქალებს კაცები არ უყვართ, მაგრამ კარგ და პერსპექტიულ მეწყვილეზე ჭკუა-გონებას კარგავენ და ყველაფერზე მიდიან.

15221. ქალის მაღალი მკერდი გვაღელვებს, მისი ღიმილი გვათრობს, სახის ლამაზი ნაკვეთები სიამეს გვანიჭებს, გრძელი ფეხები შემართებას გვმატებს, მოზრდილი მომხიბვლელი უკანალი ჭკუას გვაკარგვინებს, ხოლო, რაც შეეხება მის ჭკუა-გონებას, ამ სამდიდრის წარმოჩენით იგი მთლიანად ეპატრონება და გარკვეულ დრომდე მამაკაცს თავის მონად აქცევს.

15222. ქალს ბევრი ეპატიება თუნდაც იმიტომ, რომ ყველა ჩვენგანის დედაა.

15223. ქალებს ბუნებით სძულთ ყველა, ვისაც მათი კუთვნილი რჩეული მამაკაცი მათზე მეტად უყვარს, დედამთილიდან დაწყებული გარდაცვლილი მამამთილით დამთავრებული.

15224. ქალური ინტელექტი ნაღდ ქალს მარად თან სდევს და ახლავს.

15225. ქალის გავლენა მამაკაცზე უდიდესია, თუ სიყვარულის აბდაუბდას გონივრულად მოიმარჯვებს.

15226. ქალმა ბუნებრივად უნდა იორიგინალოს, თუ უნდა, მამრის

ყურადღება მიიპყროს და ქორწინების შეთავაზებასაც ხელი გამოჰკრას.

15227. ქალთან დავა სიბრიყვეა, განსაკუთრებით იმასთან, ვინც გულით გიყვართ და აღმერთებთ.

15228. პატიოსნებაც მოსაბეზრებელია, განსაკუთრებით გაუთხოვრად დარჩენილთათვის.

15229. ქალის ყველაზე დიდი სისუსტე ჭოჭმანია. მას ამ დროს შესაძლებელია გამოსტყუოთ ის, როზედაც ადრე ვერც კი იოცნებებდით.

15230. ზოგჯერ ქალების სიძულვილს ვნებისადმი მათი სისუსტე წარმოაჩენს.

15231. ეტყობა, ტანსაცმელი, მოდა, მაკიაჟია მაინც ქალის წარმომჩენი და არა პირიქით.

15232. ყველა ქალი მისით აღფრთოვანებას და გულში ჩამწვდომ მზერას ითხოვს, რათა თავს ასიამოვნოს და მისთვის ცნობილ კონკურენტებს ეს რაუნდი მოუგოს.

15233. ზოგ ვნებააშლილ ქალს ფულზე მეტად საყვარლის მიერ მიძღვნილი საჩუქრები მოსწონს, რადგან სულიერ მოთხოვნილებასაც იკმაყოფილებს და მატერიალურსაც და შედეგად ორმაგად მოგებული რჩება.

15234. ქალი ყოველთვის უნდა ფლობდეს ისეთ რაღაცას, რის გამოც მის მიმართ ინტერესს გამოიჩენენ.

15235. ქალები ბუნებით აგრესიულები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ამას არ იმჩნევენ.

15236. ლამაზი ქალის უეცარი სიკვდილი ყველასათვის დაუსწრებელი პანაშვიდია.

15237. ქალთან ცხოვრება თუ ჯერ სულიერ სიამოვნებას გვანიჭებს და შემდგომ – ხორციელს, ის მაშინ ჩვენი ოცნების დედოფალი ყოფილა.

15238. საიდუმლოებით მოცულ ქალს თავისი მიმზიდველობა, ხიბლი ახლავს. იგი ჩვენთვის შეუცნობელი ბუნებითა და ხასიათით გვაოცებს.

15239. ქალის ხიბლში თუ სიკეთე, სიმშვიდე, სიდიადე არ მჟღავნდება, მისი სილამაზე არასრულყოფილია.

15240. ზოგი ქალისთვის კაცი ნივთია, რომლის მოხმარა თავის ჭკუაზე სათავისო სურვილებით ყოველთვის უჭირს.

15241. ქალები თავიანთ შეიარაღებაში ფლირტის ელემენტებს რთავენ, რაც მამაკაცის გულის დაპყრობის ნაცადი იარაღია.

15242. ქალის დამოუკიდებელი აზროვნება ძალზე დამოკიდებულია სიყვარულით გაჯერებულ გარემო პირობებზე.

15243. ქალს ბუნებით ნაბოძვარი სიკოხტავე უხდება და არა ნაძალადევთა და მოდას აყოლილით თავის მოწონება.

15244. მამაკაცს ქალმა სასურველი საქმე რომ აკეთებინოს, დროდადრო უნდა შეუძახოს: „ხომ არ დაბერდი“.

15245. ქალის უმძიმესი და სასიამოვნო საქმიანობაა, რომ ის მოხდენილად და მიმზიდველად გამოიყურებოდეს.

15246. თუნდაც უმნიშვნელო საყვედური ქალის „დასაქოქად“ ყოველდღიურად აუცილებელია.

15247. ზოგჯერ ქალის დღევანდელი უარი ხვალინდელი ჰოს საწინდარია.

15248. ქალებს უფრო მეტად ანგარება იტაცებთ, ვიდრე ანგარიში, რადგან ისინი მამაკაცებს სამუდამო სარგებლობისთვის ირჩევენ, რადგან პერსპექტივაში მათი შვილები ჰყავთ გასაჩენი და აღსაზრდელი.

15249. ქალებს იმიტომაც მოსწონთ ძლიერი მამაკაცები, რომ საშუალება მიეცეთ, იყვნენ სუსტნი და მომხიბვლელნი.

15250. კომპლიმენტი ყველა ქალის სიცოცხლის გახანგრძლივების ელექსირია.

15251. ზოგი ქალისათვის მამაკაცი ნივთია და მის გამოყენებას თავისი ჭკუის გადასახედიდან ცდილობს.

15252. ზოგი მდედრის ცდუნებაა ცოლად გაჰყვეს ბიზნესმენს, პოლიტიკოსს, ცნობად ადამიანს, ხოლო ზოგი უკვე გათხოვილია და თავის ბედს მეტ-ნაკლებად შეგუებული.

15253. ჭკვიანი ქალი სიყვარულს მოთმინებით იცავს. ამ მიზნით ზოგჯერ სჭირდება გამოიყენოს შანტაჟი და აყალმაყალი.

15254. „ისე რა“, შეიძლება, მამაკაცი იყოს, ხოლო ქალი ყოველთვის თავისებურად მომხიბვლავი და მოსაწონია.

15255. ქალი იძულებულია, რომელიღაც მამაკაცს ენდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დედის სტატუსს ვერ ეღირსებოდა.

15256. ქალისთვის მთავარია ხიბლისა და შინაგანი ბუნების წარმოჩენის უნარი. ბუნებით ოპტიმისტია და სილამაზის მეოხებით ძალუძს 10-20 წლით გაიახალგაზრდაოს თავი.

15257. ქალები ზოგჯერ კაპასები, ანჩხლები არიან საყვარელ მამაკაცთან ურთიერთობაში და მას აყენებენ იმ შეურაცხყოფას, რასაც არ იმსახურებს. ეს მათი ბუნების სისუსტისა და უმიზნო თავდაცვის მცდელობის ბრალია.

15258. იმისდა მიუხედავად, რომ ქალი ამბობს ერთს და მამაკაცი იგებს მეორეს, ის ბოლოს მაინც იმას იღებს, რაც სურს.

15259. მამაკაცები საჭირო ნივთებს იძენენ, ხოლო ქალები არასაჭიროსაც, თუ მოდაშია, იმისდამიუხედავად, ეს ნივთი მის გემოვნებას აკმაყოფილებს თუ არა.

15260. ყოველივე გასაგები და ცნობადი, მათ შორის ქალიც, უინტერესო ხდება და თავდაპირველ ხიბლს კარგავს.

15261. ქალს მისი ხიბლითა და შინაგანი სამყაროს წარმოჩენის ნიჭის შესატყვისად ვაფასებთ.

15262. ქალს პატარ-პატარა სასიყვარულო ინტრიგები უფრო მეტ ხიბლსა სძენს და ალამაზებს, ვიდრე პლასტიკური ოპერაციები და სხეულის კაპიტალური შეკეთება-რემონტი.

15263. ქალი, რომელიც მამაკაცს აიძულებს, პირველ ყოვლისა, მას ემსახუროს, ცხოვრების მცოდნეა.

15264. ქალები თავიანთ შეხედულებათა კრიტიკას მეტად განიცდიან, ვიდრე გარეგნობის ცვალებადობასა და ასაკის მატებას.

15265. რატომღაც ის ქალები უკეთ თხოვდებიან, ვის გონიერებაზე ემბარგოა დადებული, რადგან მათ თავიანთი ნაკლის დაფარვა უკეთ ეხერხებათ.

15266. ქალის ბუნება შეუპოვარია და მისი ლოგიკა სხვათა რკინის ლოგიკას ბიშტს უჩვენებს.

15267. ქალებს მამაკაცთა გულის კარნახის კითხვა უფრო ეხერხებათ, ვიდრე მათი ნამოქმედარის აღქმა.

15268. ქალები ქმრებს თავიანთი განუმეორებელი წლების ქურდებად მიიჩნევენ, რადგან იშვიათია ქალი, რომ თავისი ბედის კმაყოფილი იყოს.

15269. სიკეკლუცის შეცნობის უნარის უქონლად მდედრის ბევრი ქალური თვისების აღქმა ძნელდება.

15270. ქალებს თავის მართლება უყვართ და საამისოდ ყველა სახის ალიბს იყენებენ.

15271. ყველა კეკლუცი ქალი ვიღაცაზე ან რაღაცაზეა შეყვარებული.

15272. ყველა ქალს ვიღაცისთვის გადანახული საუნჯე აქვს, რომლის გასხვისების წინააღმდეგი ის არ არის, ოღონდაც ის ვიღაც მისთვის მისაღები იყოს.

15273. ლამაზ ქალს სამკაული ამშვენებს თუ პირიქითაა, სადავო საქმეა, მაგრამ, სამკაული რომ ქალურობას ხაზს უსვამს და წარმოაჩენს, ფაქტია.

15274. მომხიბლავი ქალი სიბერეშიც არ კარგავს ამ თვისებას, თუკი ამის დანახვის სურვილი გვექნება.

15275. ორგულობას მანდილოსნები უტიფრობაზე დიდ ცოდვად აღიქვამენ.

15276. ქალს ჩვენი ბედი მხოლოდ მოწონებისთვის არ უნდა ვანდოთ, რადგან აქ მთავარია ღირსეულ შთამომავალთა დატოვება.

15277. ქალს მისთვის ნანატრი და გასაგები ხიბლი უხდება და არა ჭკუა-გონება. ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდობაში უპირატესობას პირველს ანიჭებს.

შეგონებანი

15278. არასტაბილურია ის მეგობრობა, როდესაც ურთიერთს იშვიათად ხვდებით და ისიც საქმიდან გამომდინარე.

15279. სულის განათება, გულის გახარება ჭკუისთვის ხელკავის გამოდებით უნდა მოხდეს და შედეგიც გარანტირებულია.

15280. ყველა ჩვენგანს ყოფის სარკეში გვიხდება ყურება და, რომელ მხარეს რა სახეიროს დავინახავთ, ეს ჩვენს სურვილსა და თანდაყოლილ ნიჭზეა დამოკიდებული.

15281. სიძულვილი კანონის წინაშე დანაშაული როდია, მაგრამ პოტენციური დანაშაულის წყაროა.

15282. ამბობენ: მოგზაურობა, ბანქოს თამაში და დაზვერვაზე ერთად ყოფნაა ადამიანის შეცნობის კარგი საშუალებაო.

15283. უხერხულ ოცნებებსა და უხეირო სურვილებზე ფიქრს შედეგი არ მოაქვს.

15284. ძალადობა ყოველთვის კანონიერებისა და სამართლიანობის დროშით გვევლინება, იმისდა მიუხედავად, მოგვწონს ეს დროშა თუ არა.

15285. შეცდომა ყველას მოგვდის, მაგრამ უარყოფითი მოვლენა და პროცესი არ უნდა გავაფეტიშოთ.

15286. ყოველი შანსის გამოუყენებლობა დანაშაულია არა მარტო საკუთარი თავის, არამედ მეგობართა და კეთილმოსურნეთა წინაშეც.

15287. ზოგჯერ სისულელის ჩადენას „კეთილის მდომის“ მცირედი ბიძგიც განაპირობებს.

15288. სამყაროს შეუცნობლობა ხშირად ზნეობას გვმატებს და გვაფაქიზებს.

15289. პატიების უნარი დამოკიდებულია შინაგან ბუნებაზე: ძლიერები ვართ თუ სუსტები.

15290. ცდუნება უპირველეს ყოვლისა ხორცს ხრწნის, შემდგომ სულს გადააგვარებს, მაგრამ ცდუნებათა გარეშე ამ ცხოვრების შეცნობა ჭირს.

15291. ყველაზე მეტად გაფრთხილება ძლიერს სჭირდება, არადა სწორედ მას არ უფრთხილდებიან.

15292. დღეს დედამიწაზე კვალის დატოვება საკმარისი აღარაა, კვალი კოსმოსშიც უნდა დატოვო.

15293. ძლიერი უფრო გაუფრთხილებელია, ვიდრე სუსტი და ეს მას ხშირად ვნებს.

15294. საჭიროა შეცდომების აღიარება, მათი გააზრება, მათ გამო სინანულის გამომჟღავნება.

15295. სიკეთის კეთების სურვილი და მცდელობა ყველას უნდა ჰქონდეს, თუ გვინდა, პიროვნებად ვიქცეთ.

15296. სადავო ყოველთვის უპატრონოს არ ნიშნავს, თუ რაიმე სახეიროს საკეთებლად გამოიღებენ ხელს დაპირისპირებული მხარენი.

15297. ოცნების გვირაბში ხეტიალი გვღლის, ოღონდ გვირაბის ბოლოს მოსალოდნელი შუქის გამონათების იმედი გვაქვს.

15298. ყველა დამარცხება ჩვენივე მიზეზით ხდება, მიუხედავად ჩვენი საერთო ვალის ოდენობისა.

15299. იუმორი ფარიცაა და მახვილიც. მთავარია, ვინ სადა და როგორ იყენებს მას.

15300. ცილი არ დასწამო სხვას და არც რაიმე ზღაპარი შეთხზა შენს წარმოსაჩენად; ეგ გონიერებას, წინდახედულობას მოითხოვს, ისე, რომ წუთიერ აღმაფრენას საკუთარი იმიჯი სამარდისოდ არ შესწირო.

15301. უხიაგი, უპრინციპო ცოდვილი ყველა ცოდვილზე უარესია.

15302. მოძველებული ტრადიციებისა და რიტუალების დაცვა ჩვენი გონიერების ჰორიზონტს ამცირებს.

15303. სახელდახელო და გაუფორმებლად მომზადებული კერძი მოგვაგონებს ავტოგასამართ სადგურს, რომლის დანიშნულებაა, მანქანის კუჭი საწვავით ამოავსოს.

15304. მეგობრობა, რწმენა, სიყვარული, ეროვნულობა – ყველაფერი ეს ერთგულებას ეფუძნება.

15305. მეცნიერია ის, ვინც საჭიროსაც აცნობიერებს, კითხვებს პასუხებს უძებნის და, მიუხედავად ამისა, კიდევ მეტი კითხვები ებადება.

15306. უყურადღებობა მოჭარბებულმა ენერგიამ იცის, ყურადღება – ენერგიის დაკარგვის საშიშროებამ.

15307. მაამებლობის უმტკივნეულო საშუალებას ყველაზე უკეთ მხატვარი იყენებს. ესაა სიტყვები: „თქვენი პროტესტი პორტრეტი გამოვიდა“.

15308. დანაშაულის ჩადენის მცდელობას ალიყურით უნდა ვებრძოლოთ და არა დემოკრატიის ყბადაღებული პრინციპებით, რაც ხშირად არ ამართლებს.

15309. მეცნიერების შარმი ისაა, რომ, თუ გემო გაუგე, სამუდამოდ ემონები და ეთაყვანები, როგორც გონების უსასრულო გაფართოების საშუალებას.

15310. ზოგს პატიოსნება და კანონის პატივისცემა წვიმიან ამინდში ავტობუსში მოკალათების შემდგომ ახსენდება, როდესაც ავი ამინდის გამო ავტობუსი გადაიტვირთება და მას გარკვეული დისკომფორტი შეექმნება.

15311. გონებადაბინდულს გამოფხიზლების ერთგვარი შანსი აქვს, ბრიყვს – არავითარი.

15312. წარსულის გადაკეთების მსურველი ბევრია, მაგრამ მისი გადაკეთება-გადმოკეთების ამბავი მარად დაგვიანებულია.

15313. სიფრთხილეს თავად სიფრთხილე პატრონობს, ანუ „სიფრთხილეს თავი არ ტკივა“.

15314. როდესაც მშობლები ჩხუბობენ, ბავშვები იჩაგრებიან. ეს როგორ შემოუტრიალდება თავად მშობლებსა და ქვეყნის ინტერესებს, არავინ უწყის.

15315. მტერია ის, ვისაც თქვენი ფიზიკური განადგურება უნდა, ხოლო, ვისაც სულიერი – ნაძირალა კვადრატში.

15316. დამარცხებულ მტერს შენდობა უნდა, იმისდა მიუხედავად, ხასიათზე ხარ თუ არა.

15317. ბრძოლა პროგრესის სინონიმია, იმისდა მიუხედავად, მოგვწონს თუ არა.

15318. მტერს თუ ჩვენი შურს, მისი სამოყვროდ გარდაქმნა შესაძლებელია.

15319. შეცდომებს ვუშვებთ და კვლავაც დავუშვებთ, ოღონდ გადაცდომებს ჩვენი ამქვეყნად ყოფნის მადლი არ უნდა გადავაყოლოთ.

15320. დამპყრობის ლოგიკაა: ის, რაც ჩემია, ჩემად დარჩება, მაგრამ ახლა თქვენი საკუთრების ბედზეც უნდა ვიფიქროთ.

15321. მეცნიერების შინაგანი მოწოდებაა დოგმების გაცამტვერება, მიუხედავად იმისა, რომ მისი საწყისიც დოგმებიდან იღებს სათავეს.

15322. სიმდიდრის დასაგროვებლად საჭიროა: 1. სურვილი, სხვას აჯობო. 2. იყო უკომპლექსო. 3. გარჯა არ უნდა დაიზარო. 4. უნდა გენდობოდნენ. 5. უნდა შეძლო აზრიანი რისკის გაწევა. 6. უნდა იცოდე დროისა და ფულის ყადრი. 7. არ უნდა იტრაბახო. 8. საჭირო ინფორმაციას დროულად უნდა იღებდე. 9. ბოლომდე არავის ენდო. 10. უნდა შექმნა საკუთარი ეკონომიკური მოდელი. 11. ხშირად გადაამოწმეთ პარტნიორის, ხელქვეითის საქმიანობა. 12. ყველა ხელშეკრულების საბუთი იქონიეთ. 13. უნდა ეწეოდე ჯანმრთელ ცხოვრებას. 14. ფული მარად ბრუნვაში უნდა გქონდეს. 15. პიარისა და რეკლამის უნარი უნდა შეგწევდეს. 16. ეცადეთ, ყველა ზემდგომსა და საჭირო ხალხთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ. 17. ჭუჭყიანი საქმის კეთებას ერიდეთ. 18. იყავით სიტყვის კაცი, დანაპირები ყოველთვის შეასრულეთ. 19. ეცადეთ, პარტნიორის არჩევა არ შეგეშალოთ. 20. ეცადეთ სიახლის შექმნას, გამოშვებას. 21. უნდა ფლობდეთ შევაჭრების ხელოვნებას. 22. გადანახული უნდა გქონდეს სარეზერვო თანხა. 23. კანონის გვერდის ავლის ხელოვნებას დაეუფლეთ. 24. იყურეთ მხოლოდ წინ. 25. თავი ყველას არ გაუყადროთ. 26. იმედი ჩაუსახეთ ირგვლივ მყოფთ. 27. ცოლი და შინაურები საქმეში არ ჩართოთ. 28. დროულად ალღო აუღე ქვეყანაში შექმნილ ახალ ვითარებას. 29. პოლიტიკას ახლო არ გაეკარო. 30. იყავით ზომიერი ქველმოქმედი. 31. სხვადასხვა ქვეყანაში შეიძინეთ უძრავი ქონება. 32. ოფშორებში გარკვეული ოდენობის ფული დააბანდეთ.

33. ეცადეთ, მოგებიანი ინვესტიციების ჩადებას საზღვარგარეთ, სადაც გიცნობენ. 34. მიღწეულით არასოდეს დაკმაყოფილდე. 35. წაგება გულთან არ მიიტანო, ესეც საჭიროა ჭკუის მოსახმობად. 36. ისწავლეთ გონივრული დასვენება. 37. დროულად გაასხვისეთ ის, რასაც ვერ იყენებთ და შემოსავალი არ მოაქვს. 38. ისწავლეთ ცხოვრების დაჭაშნიკება და შეიცანით მისი მადლი. 39. იქონიეთ საკუთარი ყოფის პასტულატები. 40. ბოლომდის საკუთარ თავსაც არ ენდოთ. 41. ტექნიკურ პროგრესს ფეხი აუწყვეთ, მაგრამ არ გაასწროთ. 42. ისწავლეთ უარის თქმა („ამჟამად ქესატად ვარ"). 43. ისე ნუ მოიქცევით, რომ შური გამოიწვიოთ. 44. საჭიროებისამებრ ისწავლეთ თქვენი ქონების მოვლა, დაცვა, წარმოჩენა. 45. ისწავლეთ პრეფიციტ-დეფიციტის რეგულირება. 46. ეცადეთ, თქვენი სწამდეთ, სჯეროდეთ, აიმაღლეთ ავტორიტეტი. 47. უპერსპექტივო ვალი, კრედიტი არ აიღოთ. 48. იცხოვრეთ ჯანმრთელად, მდიდრულად, მაგრამ ფუფუნების საგნები ახლოს არ გაიკაროთ. 49. ყოველთვის ჩასაფრებული იყავით საკუთარ ბედთან, ფორტუნასთან 50. ისწავლეთ კომპრომისების ხელოვნება, შენდობა. 51. პატივი ეცით როგორც დაწერილ, ისე დაუწერელ კანონებს. 52. იყოლიეთ მრჩეველი და კარგად გადაუხადეთ. 53. ისწავლეთ შავი ფულის გათეთრება, ოღონდ გადაუმლაშებლად. 54. წამოწყებულ საქმეში არ იორჭოფოთ, ბოლომდე მიაწექით. 55. შეიძინეთ ლატარეის ბილეთები, მაგრამ კაზინოში ნუ ითამაშებთ. 56. ეცადეთ, ყველგან და ყოველთვის იყოთ შემოქმედი. 57. ისწავლეთ აზრების გაცრა და ქატოს გადაყრა. 58. ისწავლეთ ენები. 59. დაასაქმეთ პროფესიონალები. 60. შესაძლებელია დაასაქმოთ იაფი მუშახელი – ემიგრანტები. 61. ეცადეთ, ყოველთვის გქონდეთ ალტერნატივა. 62. ზომიერების ფარგლებში იქონიეთ არაცხადი დანახარჯები. 63. ერიდეთ ბარტერს, „პოსლეზე" საქმის კეთებას. 64. ეცადეთ, შექმნათ საკუთარი ბრენდი. 65. დააზღვიეთ თქვენი საქმიანობა. 66. ეცადეთ, შეამციროთ დანახარჯები ხარისხისა და მომსახურების გაუარესების გარეშე. 67. იქონიეთ კორპორაციული მიდგომა, კულტურა. 68. ეცადეთ, არ ავნოთ გარემოს, ირგვლივ მყოფთ. 69. ეცადეთ, თქვენი საქმიანობა იყოს ეფექტიანი და დარგში გახდით ლიდერი. 70. დაეუფლეთ „თამაშების თეორიას", რათა ადამიანების ქცევა შეისწავლოთ არასტანდარტულ გარემოში. 71. ეცადეთ, თქვენს საქმიანობაში ყოველთვის იგრძნობოდეს ლიბერალიზმი. 72. ეცადეთ, თქვენი საქმიანობა მარად დაბალანსებული გქონდეთ. 73. იყავით ყოველთვის მიწიერი, თავაზიანი, მოყვასი. 74. ყოველთვის უნდა ერკვეოდეთ „მენეჯმენტში". 75. შიგადაშიგ იყავით მკაცრი, მომთხოვნი, გამოიჩინეთ მკაცრი ხასიათი. 76. ერიდეთ სტაგნაციას, უსაქმურობას, უძრაობას. 77. იყავით ბუნებით დემოკრატი. შეამოწმეთ, რამდენად სასარგებლო ხართ საზოგადოებისათვის. 78. ეცადეთ, არ იყოთ „უვიცობის ნიღაბა-

ფარებული“. არასოდეს ენდოთ მთავრობას, პოლიტიკას. 79. ერიდეთ უკუგორებას, თუ ეს დროის გარდაუვალობით არ არის ნაკარნახევი. 80. ეცადეთ ფსიქოლოგიური თარჯის გადალახვას, რომელიც გუშინ მიღებული იყო, დღეს კი ძვირია, ხვალ კი ყოველდღიურობად იქცევა. 81. გაიხადეთ დევიზად: „ფული უნდა შოულობდეს ფულს“. 82. ეცადეთ, შეიძინოთ, გამოუშვათ „ჯიფერსის საქონელი“, რომელზეც ფასები მარად იზრდება მოთხოვნილების ზრდის მიუხედავად. 83. ხელმძღვანელობა ხელაღებით არავის გადააბაროთ, დროდადრო გადაამოწმეთ. 84. შიგადაშიგ გაიღეთ თანამშრომელთა წამახალისებელი ხარჯები. 85. წინასწარ შეარჩიეთ თქვენი შემცვლელი, ასწავლეთ და გაუმხილეთ საქმის საიდუმლოებები. 86. ეცადეთ, ყოველთვის იყოთ შემოქმედი და არა ფულის ტომარა ოლიგარქი. 87. ერიდეთ სტაგანცია – უძრაობას. 88. საქმე ყოველთვის იქონიეთ გადამოწმებულ პროვაიდერებთან და კონტრაქტის მიხედვით მოიმსახურეთ – მოემსახურეთ. 89. თვალი მუდამ ადევნეთ სავალუტო კურსს. 90. რამდენადაც შესაძლებელია, ეცადეთ რესტიტუციის განხორციელებას, რათა დაიბრუნოთ საკუთარი. 91. ყველგან დაიცავით საკუთარი უფლებები, დემოკრატიის პრინციპები, საზოგადოების მონაპოვარი. 92. იყავით ზომიერი სკეპტიკოსი. 93. ეცადეთ, დაიცვათ წონასწორობა, როდესაც მოწოდება და მოთხოვნა ბალანსირდება. 94. ისწავლეთ „ქვაბის ეკონომიკა“, როდესაც მეტს აწარმოებთ და ყიდით, დანახარჯები მცირდება. 95. ეცადეთ, მოიპოვოთ „საბაზრო ძალაუფლება“ – მოახდინოთ გავლენა დადგენილ ფასებზე. 96. დაგეგმეთ მუდმივი შემოსავლების პროგრამა. 97. აუცილებელია სწორი და პერსპექტიული მენეჯმენტის განხორციელება. 98. თქვენს საქმიანობას უნდა ახასიათებდეს ლიბერალიზმი, მაგრამ ამით საქმეს არ უნდა ავნოთ. 99. ეცადეთ, იყოთ „ერთი მსახიობის თეატრის“ ხელმძღვანელი, სადაც თქვენი ავტორიტეტი ხელშეუხებელია. 100. მუდამ დარჩით ადამიანად, ნუ გაამაყდებით.

15323. არსებობისთვის ბრძოლა ჩვენს წარმოჩენას გულისხმობს.

+15324. ორღობული შუღლი გვაშორებს ერთმანეთისგანაც და განგების ლოცვა-კურთხევისგანაც.

15325. ძუნწი თავისთვის საკმაოდ ხშირად არის ხელგაშლილი.

15326. უპრეტენზიო შრომაც თავისი მეობის წარმოჩენას, დაფინანსებას, დაფასებას მოითხოვს.

15327. აბსოლუტური არაფერი არსებობს: არც სიკეთე, არც ბოროტება.

15328. ომსა და სიყვარულში წარმატებას ის აღწევს, ვინც თავხედია, ოღონდ გონივრულად თავხედი.

15329. ისიც ქრთამის გამოძალვის მცდელობაა, როდესაც გეკუთვნის, საქმეს არ გიკეთებს და აჯანჯღლებს.

15330. ერთ მხარეს მიმართული უსინდისობის გზატკეცილს მოსახვევი არ აქვს.

15331. დღეს იმდენ ნაირნაირ წამალს ამზადებენ, რომ მათი შესატყვისი დაავადების გამოძებნა გაძნელებულია.

15332. კარგს ხშირად ცუდი აცდუნებს და მას თავის წარმოჩენის საშუალებას აძლევს.

15333. ისტორია მომავალში ისეთი რაღაცების აღზევებას შემოგთავაზებს, რომელიც მას წარსულში არც კი დაესიზმრებოდა.

15334. უგვანო კაცის უნებლიეთ გაკეთებული სიკეთე არც ფასობს და არც გაკვირვებას იწვევს – რადგან ეს მას უნებლიე გადაცდენად მიეწერება.

15335. ნდობა უნდობლობის ოპონენტია.

15336. შური უკვდავია, მაგრამ ჭკუის მასწავლებელად არ გამოდგება.

15337. ეშმაკის მიერ გახსნილ ბოროტებისა და უსაქმურობის კოლეჯს დაუსწრებლად სწავლების მსურველი ბევრი აბიტურიენტი ჰყავს.

15338. შინაგანი ბერკეტები და დროულად დამუხრუჭებული ენერგია გადაცდენისა და ღალატის ჩადენისაგან გვიცავს.

15339. ფასეულობათა აღრევის „კოქტეილი“ ყოველთვის ორი დილემის წინაშე გვაყენებს: „რას იტყვის ხალხი“ და „არ მაინტერესებს, ვინ რას იტყვის“.

15340. ცუდის დავიწყება, გაუხსენებლობა ჯანმრთელობის ეკოფაქტორია, მაგრამ არა ყველგან და ყოველთვის.

15341. თანამზრახველი ყოველთვის მეგობრად არ ჩაითვლება, განსაკუთრებით საერთო საქმის წარუმატებლობისას.

15342. კორუფცია, მომხვეჭელობა ყველა რწმენას, იდეოლოგიას, ტრადიციას რყვნის, მაგრამ უკეთ ცხოვრობს.

15343. მლიქვნელობა ყოველთვის კუდს იქნევს: ეგების, მეტ რაღაცას ვეწიო ცხოვრებაში და მეც ველირსო ჩემდამი პირმოთნეობასო.

15344. ფაქტებს გამოყენება სჭირდება და არა მხოლოდ მოპოვება.

15345. ჩემ მიმართ ყველა ცუდის მდომს მინდა მადლობა ვუთხრა: თუ არა მათი შური და ბოღმა, დღეს ის მიღწევები არ მექნებოდა, რაც მაქვს, რადგან ნაძირლებთან შერკინება ადამიანის ძალთა მობილიზებას ახდენს და აიძულებს, საკუთარ თავს აჯობოს.

15346. არის შეცდომები, რომელთა თავიდან აშორებაც შეიძლებოდა სურვილის შემთხვევაში.

15347. ზოგჯერ ღირსებას არას თქმაც გვმატებს, ხოლო ჰოს თქმა გვაკლებს.

+15348. სიკვდილის ხსოვნა მისი გარდაუვალობის უტყუარი არამატერიალური საბუთია.

15349. ზოგი კანონს თითზე ატრიალებს, ზოგი აპანღურებს, მაგრამ თავხედნი ბოლოს ყველაზე მეტად თავადვე ზარალდებიან.

15350. საკუთარი საქციელის შესაცნობად ზოგჯერ სხვათა საქციელის ყურებაა საჭირო, რადგან გარედან უკეთა ჩანს ამა თუ იმ ქმედების ავ-კარგი.

15351. დაპირისპირებას ისევ საქმის კეთება სჯობს, სიურპრიზიც იქნება და ვალდებულებითაც თავს არ დაიტვირთავ.

15352. კითხვა და შეკითხვის პასუხი ხშირად ურთიერთგაგების მცდელობაა.

15353. ცოდვას არც წონიან, არც ზომავენ. მას ან სჩადიან ან – არა.

15354. ომში პრივილეგირებული და დაუმსახურებელი შეღავათები მიუღებელია, რადგან ყველა თავის განუსჯელ ბედს ეთამაშება.

15355. წართმეულს არ აბრუნებენ, მას იბრუნებენ და მიმტაცებელს კანონის წინაშე ვალსაც ადებენ.

15356. რატომღაც ყველა გაურანდავი პატარა თავი დიდი გარანდული თავის დოზირებას და ჭკუის სწავლებას ცდილობს, ალბათ, თავისი უჭკუო თავის წარმოსაჩენად.

15357. ეშმაკი ბოროტებისკენ გვიბიძგებს, ავის აღმსრულებლად გვიყენებს, თუ თავს არ შევუძახეთ და არ გავაკონტროლეთ.

15358. უნდა ვეცადოთ, ავს სამართლიანობის ბაზისზე დაყრდნობით ვებრძოლოთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

15359. უფუნქციო ყოფნა ამქვეყნიურ ყოფას არარაობად წარმოგვადგენინებს და სიკვდილზეც გვაფიქრებინებს.

15360. ეკლიან გზაზე სიარული მუდამ ძნელია, იმისდა მიუხედავად, გზა შენ მიერ არის მონიშნული თუ სხვის მიერ.

15361. ალერსი ხელმომჭირნეობას და რეგულირებას ვერ იტანს, მაგრამ მოვალეობის შეცნობა და საზოგადოებრივი აზრი ამას აღწევს.

15362. ჯარისკაცს ომის დაწყების რეალურ მიზეზს არავინ განუმარტავს. მას ფაქტის წინაშე აყენებენ.

15363. შური ყოველივე აყალმაყალის თავიდათავია, მათ შორისაა თეთრი შურიც.

15364. სხვათა კრიტიკა ადვილია, საკუთარი თავის სახალხოდ გაკიცხვა – ძნელი.

15365. არის დანაშაული, რომელიც პატიებას არ ექვემდებარება, ჩვენის გაგებით.

15366. ჟინიან მოწინააღმდეგეს არ უნდა წაუყრუოთ, რადგან ის უკვე თქვენი მტერია.

15367. მატყუარას მეხსიერება უფრო სჭირდება, ვიდრე სიმართლის მეტყველს, რათა ერთხელ ნათქვამი მეორეჯერ არ გადააკეთოს.

15368. მოცემული წესიერებაც მიუღებელია, რადგან სხვათა ნორმებით მიღებულ წესიერებას ჩრდილავს.

15369. სწრაფი კეთება პასუხისმგებლობას დიდად უსწრებს, რადგან თვითონ რაკეტით დაქრის, პასუხისმგებლობა ურმით დადის.

15370. ინციდენტი ყოველთვის გაუფრთხილებლობის შედეგია.

15371. სიკეთის კეთება ზოგჯერ ბოროტებას უდებს სათავეს. ამიტომ ისიც საფრთხილო საქმეა.

15372. 1000 ბრიყვის, აუტისტის შექებით რაოდენობრივად მაღლდები, ერთი გონიერის შექებით ხარისხობრიობა წარმოჩნდება.

15373. ტურიზმი, მოგზაურობა თავისებური გაკვეთილებია, ოღონდ უმაღლეს განათლებას ვერ იძლევა.

15374. დასაქმებულები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა განათლების, მენტალიტეტის, შესაძლებლობებისანი, მაგრამ მათ ნახელავ-ნამოქმედარზე პასუხს დამსაქმებელი აგებს.

15375. შენი უარყოფითი თვისება მხოლოდ ფსიქოლოგიურად არის არასასიამოვნო, მაგრამ პედაგოგიკურად ზოგჯერ გამოსადეგია.

15376. მონანიებაც შესაბამის ადგილს, გარემოსა და მხარის დამჭერებს მოითხოვს.

15377. მოჭარბებული და ულიმიტო პირველადი მოხმარების საგნები ფასს კარგავს და თავს გვაბეზრებს.

15378. უნამუსობის ნამუსთან შედარება პირველს თავისებურ ფორას აძლევს, რადგან ის ბუნებით უნამუსოა.

15379. ყოველი რევოლუცია ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულია, რადგან ის დროის მომწიფებას არ უცდის და მკვახის დაკრეფას მოუკრეფავში ცდილობს.

15380. კვლევა-ძიება ის ფენომენია, რომელიც ყველა ვიგინდარას ხვედრი არ არის.

15381. მშობლებიც თავის დროზე უნდა წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რათა შვილებს სასიამოვნოდ დაამახსოვრდნენ.

15382. ტყუილსაც ერთგვარი შეზავება სჭირდება ყურით მოთრეული სიმართლით, რათა ის მისაღები გახდეს.

15383. გაცემაც ჩვენი ყოფის დადებით ბალანსს განეკუთვნება.

15384. გადაცდენის უფლება ყველასა გვაქვს, ხოლო შეცდომის დაშვებისა – ერთეულებს.

15385. ბაქტერიები და ვირუსები არა ცდებიან. მათ შესანიშნავად იციან, ვის უნდა აეკიდონ და თავიანთი შეხედულებისამებრ როგორ უნდა დასაჯონ ან შეიწყალონ.

15386. ყურით მოთრეული დემოკრატია უგუნურთა მცნებებსა სწყალობს.

15387. რამდენი რამ უნდა ვიცოდეთ, ვიდრე სამყაროს შეცნობის

საქმეს შევეჭიდებით.

15388. დაუმსახურებელი მახსოვრობაც კი არ უნდა გავიკაროთ ახლოს.

15389. სიმართლის წახნაგი სიცრუის კუთხეებს უპირისპირდება, როცა სამართალი პურსა ჭამს.

15390. პესიმიზმი და ოპტიმიზმი სინონიმები არიან, ოღონდ საპირისპირო ხედვებით.

15391. თქვენ მიერ დამსახურებულ სიმპათიას უუნარონი შურის თვალით უყურებენ.

15392. მოკრძალებული სურვილები შედეგებმა უნდა გადაფაროს.

15393. ღირსების შელახვა იწვევს ყოველგვარ რევოლუციებს, დაპირისპირებებს და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას.

15394. ჩასაფრებულ მოყვარეს ჩასაფრებულ მტერზე მეტი ზიანის მოყენება შეუძლია.

15395. უსაქმურობა უძლურებაა, დავიდარაბაა, გაუფრთხილებლობაა, რომელიც ქრონიკულ სიზარმაცეში გადადის.

15396. მთავარია, შერკინება არ დაიწყოს, თორემ შემდგომ მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინ წამოიწყო.

15397. ახლობლის მტრობა უფრო საშიშია. ის გაცილებით დაუნდობელი და პრეტენზიულია და ზოგჯერ გარკვეული დროით შენიღბულიც.

15398. კარიერისკენ რამდენიმე გზას მივყავართ: პირდაპირს, გაკვალულს, შემოვლითსა და არჩევითს, მაგრამ „შენა რა გწადს, თავადაც არ უწყი“.

15399. თავმდაბლობას ან გამოუვალი მდგომარეობა იწვევს, ან შენი ცოდნის „მეგაბაიტის“ ფესვების სიღრმე და სიმძლავრე.

15400. ღირსების დაკარგვის შემდგომ რჩება საეჭვო სინდისი, რომლის განსჯას ყველა ცდილობს, ვისაც არ ეზარება.

15401. უზრდელ ყოყლოჩინა აუტისტს ყველა მტერზე მეტი ზარალის მიტანა შეუძლია. მას უნდა გაერიდოთ და ვეცადოთ, სხვა მისი მოძმენი აღარ გავიცნოთ.

15402. თავისი ნებით ბოროტებას არავინ განუდგება, თუ მას მისთვის გასაგებ ალიყურს არ აჭმევთ.

15403. პატიოსნებაც პირობითია. მას მაშინ ვემხრობით, ჩვენ თუ არაფერი მოგვივა და ჩვენს გადაცდენას ვერავინ გაიგებს.

15404. ლიდერს სიკვდილის არ უნდა ეშინოდეს, რადგან მას იდეებისა და მომხრეთათვის თავი გადადებული უნდა ჰქონდეს.

15405. უხერხულ კითხვებს მოხერხებული პასუხები ჭკუის დროული მოხმობით უნდა დაუპირისპირდეს.

15406. დაცინვის ობიექტად გახდომას ისევ ისა სჯობს, სხვათათვის მომაბეზრებელი იყო. ჯავრს მაინც იყრი სხვასა და საკუთარ უნიათო-

ბაზე.

15407. დემოკრატია გამოცდას ყოველთვის უნდა აბარებდეს, მაგრამ ძალოვანი სტრუქტურებისა და მეამბოხეთა ჩაურევლად.

15408. მთელი სამყარო მკაცრი დედინაცვალია თუნდაც იმიტომ, რომ ძალადობა თვინიერ ცხოვრებას საქმეს უჭირვებს.

15409. კონსერვატიზმი ჯანმრთელი საზოგადოების ხვედრია, რომელიც მოუმწიფებელი და გამოუცდელი სიახლის პოსტულატების ანკესზე ასე ადვილად არ წამოეგება.

15410. კონკურენცია უნდა იყოს სამართლიანი, რადგან უპირველეს ყოვლისა ირგვლივ მყოფთა პატიოსნებას ეხება, და შემდგომ – გამარჯვებულის წარმოჩენას.

15411. სიმართლე და სამართლიანობა ბევრსა ნიშნავს და უმთავრესია, მაგრამ დღეს მათ ბიზნესები და მოგება ჩაგრავს და სჯობნის.

15412. დაპირისპირებას უნდა რიდით მიუდგეთ, მაგრამ არის ვითარება, როდესაც მოწინააღმდეგეს უნდა შეუტიო და დედაც უნდა უტირო.

15413. ჯოჯოხეთია, როდესაც საგანი კარგავს თავის დანიშნულებას.

15414. ზოგი, გმირობის ჩადენის მიუხედავად, უნდა დაისაჯოს, იმდენად სახიფათო შედეგი იყო მოსალოდნელი.

15415. ყოველი დაუსჯელობა მომდევნო დანაშაულის მყარი პოსტამენტია.

15416. მატყუარა პოტენციური ქურდია, მპარავია, რადგან მის მიერ მოცემული სიტყვა გაუნაღდებელი ანაბარია.

15417. მარტოობა მაშინაა ჯოჯოხეთი, როდესაც არც არავის ახსოვხარ და არც არავის უნდიხარ.

15418. ყველა შედეგი შედევრად ვერ მოგვევლინება, მაგრამ ამისკენ უნდა ვისწრაფოდეთ.

15419. ავის, ნაკლის, ცუდის ნახვა გაცილებით ადვილია სხვაში, ხოლო საკუთარში – კარგისა.

15420. მარადისობის შეცნობა გონიერთა თავის ტკივილია.

15421. ტრადიციებსაც თავისი ბაზისი და ლოგიკა აქვს და ხშირად პროგრესის საწინააღმდეგო მახეებს აგებს.

15422. ულოგიკო ემოციები ცუდ სამსახურს გვიწევს.

15423. ტრაგედიას ყველა თავისებურად აღიქვამს განათლების, გამოცდილებისა და დროის შესატყვისად.

15424. ხშირად ისტორია თავადვე ქმნის იმ ისტორიას, რომელიც აწმყოს მოსწონს.

15425. ყბედებს ხელისუფლებასა და მართვაში ცხვირის ჩაყოფის უფლება არ უნდა მივცეთ.

+15426. დიდ წარმატებას წვრილმან წარმატებაში ხელის ფათური უხდება.

15427. წარმატება ჩვენივე მცდელობით უნდა მოვიპოვოთ.

15428. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ქვეყანას უმთავრესად ნაძირლები მართავენ.

15429. ზოგჯერ მარცხი ცოდნის დედად გვევლინება.

15430. რევოლუციები იბრძვიან დემოკრატიისათვის, შედეგად წარმოქმნიან ტირანიას.

15431. უჭკუობა ვერც სიცარიელეს იტანს, ვერც სიკეთის კეთებას.

15432. საკუთარ თავს არ ებრძოლოთ და უკადრისი არ აკადროთ! გარეშენი მაინც ვერ გაგიგებენ.

15433. ცოდვილი გონს არასოდეს მოეგება.

15434. ნაციონალიზმი შიშით დაფრინავს და იმედიანად დაღოღავს.

15435. დღეს უმთავრესია, ანგარიშგებიანი საკუთარი თავის ნდობა ვისწავლოთ.

15436. ყველა ომი სამოქალაქოა, რადგან ორივე მხარეს ირჯებიან მოქალაქედ ნამყოფი ჯარისკაცები და ჯარისკაცად ყოფილი მოქალაქენი.

15437. ცოდვის ჩადენასაც თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება და ცოდვისმყოფელი უნდა ეცადოს, სხვას დიდად არ ავნოს.

15438. რამდენი უგვანო მიცვალებულია, რომელიც მიწასაც კი არ უნდა მივაბაროთ, არამედ მიწიდან უნდა ამოვიღოთ და უკვალოდ გავაქროთ, რათა მიწისქვეშეთიც არ წაბილწოს და ის ქვეყნიერებაც არ აამყრალოს.

15439. სიძულვილი შედეგია კონკურენციისა და შიშისა.

15440. ტყუილი სიმართლეს ვერ სჯობნის, მაგრამ ნიშნს უგებს.

15441. ტყუილს ყოველთვის ბიჭბუჭობასთან აქვს შინაგანი კავშირი.

15442. განსაცდელისაგან თავის დახსნა ადრე თუ გვიან ყველას უწევს.

15443. ღირსებას ზოგჯერ სიმართლეც და წესიერებაც ეწირება, იმდენად შემტევია ამბიციის ძალა.

15444. ეჭვიანობის ურჩხული ჩვენი გონიერების ჩასაყლაპავად მუდამ ხახადაღებულია.

15445. რაღაცის თქმის აუცილებლობის შემთხვევაში არც ენაზე კბილის დაჭერა გამოდგება და არც გონიერების დახურდავება, რადგან სათქმელი ბოლომდის უნდა ითქვას.

15446. შურისძიებაც დასაშვებია, თუ დამნაშავის მცირედი დასჯაც არ ხერხდება.

15447. უმიზეზო, უსაგნო, უმიზნო სიძულვილი კუბში აყვანილი

უგუნურებაა.

15448. სათქმელის უქონლობა ხელს არ უშლის ყბედს, ლაპარაკი შეწყვიტოს.

15449. ტყუილი სიმართლეს არ უნდა გავაკაროთ – პატიოსნებას დაგვილაქავებს.

15450. იდიოტისგან თავის დაცვაც ძნელია, თავის დაზღვევაცა და მისი მოფრთხილებაც.

15451. მიტინგი თავის ძალად გამოშტერების საშუალებაა, თუმცა ნერვების მოსათოკად, გონის დასამშვიდებლად ვარგა.

15452. უგუნურებას არ უნდა წაუყრუო, უნდა მოსპო, რადგან სტაბილური ზარალი მოაქვს.

15453. ომი ადამიანებს შორის ურთიერთგაგებას დროებით მაინც ზღუდავს.

15454. ომის უპირველესი მსხვერპლი სილამაზეა, სიყვარულია, გონიერებაა.

15455. დაპირისპირება ბარბაროსობის ერთ-ერთი სახეა.

15456. ზოგი ჩვენზე ჭორაობით ჯავრის ამოყრას ცდილობს, თუმცა კი ჭორაობის მიზეზი ჩვენ არ მიგვიცია.

15457. პროგრესის დამაჩქარებელი რევოლუცია ხშირად სისხლიანია და უმთავრესად დიქტატურით დამყაყებულ ქვეყნებში წამოყოფს თავს.

15458. უსამართლობა ხშირად პრეტენზიული და მიზანსწრაფულია.

15459. პატივმოყვარეობა ელამია, რადგან ყოველივეს ისე ხედავს, როგორც მას უნდა.

15460. ბოროტების საყრდენი ხშირად სასოწარკვეთილებაა.

15461. კარგი ქცევა ყველა კვიმატ ენას ლაგამს ამოსდებს.

15462. ბოროტების დათრგუნვა ხშირად წინდახედულ დესპოტიზმს მოითხოვს, რათა უპრეტენზიო ადამიანთა უმრავლესობამ ზარალი არ განიცადოს.

15463. მასშტაბურ და მოსალოდნელ ბოროტებას აღვირი უნდა ამოვდოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას თავდაყირა ამობრუნების საფრთხე ექმნება და მაშინ კანონი და ხელის გამოღებაც აღარ გვიშველის. ბოროტება აკვანშივე უნდა ჩავკლათ.

15464. ცოლი ქმარში მუდამ განტევების ვაცს ეძებს და პირიქით, ოღონდ ცოლი პოულობს, ქმარი – ვერა.

15465. ცუდის და კარგის აღქმის უნარი ხშირად ყოფიერების რეალური სახეა.

15466. ტალანტი არ ყბედობს. ის მოქმედებს.

15467. გაგება ურთიერთკაპრიზების შერწყმაა.

15468. მოგონებანი გვათბობს, გვამშვიდებს, სიცოცხლის სურვილ-

საც გვმატებს, თუ ნერვების მომშლელი არ არის.

15469. ფასეულობათა გადაფასების მიუხედავად, ძველ ფასეულობათა საწყისი მუდმივია.

15470. მადლის კეთება ჩვენს ცნობიერებას, სულიერებას, გონიერებას ქველმოქმედად წარმოაჩენს.

15471. სიტყვა ურჩიცაა და დამყოლიც. მთავარია, ვინ წარმოთქვამს.

15472. მადლის კეთებასაც გუშაგი სჭირდება, რათა ამგვარი მცდელობა ვისიმე მიერ დისკრედიტაციად არ იქნეს აღქმული.

15473. მოუზომელი ნახტომებით სირბილ-კუნტრუში ყველა დარგსა და საქმეს ვნებს.

15474. ათეისტს რწმენა-გამოცვლილი ვერა სჯობს, რადგან პირველის მდგომარეობა უფრო პატიოსანია.

15475. ჯანსაღი და სასიკეთო ფიქრების მოხდენილი სიტყვებით ჩამოყალიბება ხელოვნებაცაა და ნიჭიც.

15476. დაფიქრებას ზოგჯერ თავის მოფხანითაც გამოხატავენ.

15477. ფაფარაყრილი შურის მოთოკვა გონიერებასა და დროს უნდა მივანდოთ.

15478. ემოციების მოთოკვის უნარი ყველგან მოგებული რჩება.

15479. გაცემა ადვილია, მაგრამ მადლიერების დამსახურებაა ძნელი, რომ არ თქვან – „აოხრია და იმიტომ გვაძლევსო“.

15480. ქვეშევრდომი უნდა ცდილობდეს, ზემდგომის კეთილგანწყობა მოიპოვოს და არა თავისუფლება, რადგან ეს უკანასკნელი დროს მოაქვს და არა მავანის მცდელობას.

15481. ბედნიერება მაშინაა სრული, თუ ის არავის შურს.

15482. შევიწროება ჩაგვრის თავი და წყაროა და ის სათავეშივე უნდა აღიკვეთოს.

15483. ნდობას დაფასება უხდება და არა ქედის მოხრა.

15484. დამნაშავის მხილება ცოდვა როდია, ცოდვაა უდანაშაულოსთვის ბრალის დადება.

15485. ყოველ ოპტიმიზმს ფრთხილი პესიმიზმიც თან უნდა ახლდეს, რათა შედეგი ყველასათვის მისაღები დარჩეს.

15486. დედაშვილობისგან განსხვავებით, მამაშვილობა ზოგჯერ გაცილებით მეტია, თუ მამა-შვილი ერთ საქმეს ემსახურება და ჯერჯერობით განმრიგე მშობელია.

+15487. ცივილიზაციას კარი უნდა გავუღოთ და არა ჭიშკარი.

15488. საყოველთაო ლოზუნგი ხალხისთვის, ამომრჩევლისთვის უნდა იყოს: სათუო სულიერების, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური მრწამსის, მოსმენის უნარდაკარგულ და ყბედ ადამიანებს ნუ ენდობით!

+15489. უბედურება ყოველთვის არ გვაერთიანებს, ხოლო ბედ-

ნიერება კი ყოველთვის გვყოფს.

15490. კაცობრიობის მოწოდება ნახტომების გაკეთებაა და არა ნაბიჯების გადადგმა.

15491. დღეს დანახულის დაჯერება მხოლოდ გადამოწმების შემდეგ შეიძლება, იმდენად განვითარებულია თანამედროვე მამაძაღლობა.

15492. ბრმამ და ყრუმ, წესით, ერთმანეთს ვერ უნდა გაუგონ, მაგრამ ერთად რაღაც სათავისო მაინც გამოსდით.

15493. მუდმივად დახმარებას ნურვის მიაჩვევთ – პიროვნების გარყვნა იცის და უმადურობასაც აძლევს საკვებს: „აოხრია და ამიტომაც გვაძლევდაო“.

15494. განვლილი წლების გადასახედიდან ჩვენი ყოფის პარამეტრებიც ჩანს.

15495. ცხოველისთვის ღიმილის შემჩნევა ჩვენს კაცთმოყვარეობაზე მიუთითებს.

15496. ზოგჯერ ფორმას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე შინაარსს. და ესაა ჩვენი ყოფის განუსჯელობის საწყისი.

15497. ზოგჯერ საკუთარ სურვილებსა და აღმაფრენას ბორკილები უნდა დავადოთ, თუ გვინდა ქვეყნისა და ერის სასარგებლო პიროვნებად ვიქცეთ.

15498. მრისხანებას თავისი საწყისი და სწრაფი დაბოლოებაც უნდა ჰქონდეს, თუ გვინდა, მომდევნო თაობებისთვის იგი განსჯის საგნად არ იქცეს.

15499. სურვილს საზღვარი არ აქვს, ხოლო მოთხოვნილებებს – დაკმაყოფილების საზომი.

15500. უკიდურესობა უმთავრესად უარყოფითი შედეგით გვმოძღვრავს.

15501. ჯანმრთელი ამბიციები ქვეყნის მშენებლობას აჩქარებს.

15502. ვნებათა ღელვის ჭუჭრუტანიდან თავის დაძვრენა ძალზე ძნელია.

15503. ძლიერს პატივმოყვარეობის მეტი უნარი შესწევს.

15504. მზეზე მიფიცხება არა მარტო გათბობის მცდელობაა, არამედ ბუნების სურნელით ტკბობაც.

15505. ხელისუფლის მოწოდებაა, იმ პერსპექტივით მართოს ქვეყანა, რომ მომდევნო თაობებმა აღიარონ, მადლობა უთხრან, ხოტბა შეასხან, საპატიო მეტსახელი შეარქვან.

15506. წინააღმდეგობის დაძლევა გონიერებას, შემართებას, ინდივიდუალობასა და ხელის გამოღებას მოითხოვს.

15507. აიძულო ქვეშევრდომები, შენი იდეების, რწმენის, შემართების თანახმად ემსახურონ ქვეყანას, დიდი გამართლებაა.

15508. სახაშლამე ხორცი ქაფქაფა ცხელ წყალში უნდა ჩავყაროთ

და ამ ტემპერატურაზე 20-30 წუთი ვხარშოთ, შემდგომ ხარშვა უნდა გავაგრძელოთ შედარებით ნელ ცეცხლზე – ეს ინფორმაციაა, მაგრამ სახაშლამე ხორცი ცხელ წყალში რომ უჯრედებს შეკრავს, წვენს ინარჩუნებს და გემოთი უკეთესია – ეს ცოდნაა. აი, რა სხვაობაა დილეტანტიზმსა და ცოდნას შორის.

15509. არგუმენტები და მაგალითები საკუთარ მოსაზრებებს ხიდის ჯებირებივით ამაგრებს.

15510. უგუნურების ჩამკეტი საშუალება რომ არსებობდეს, გონი მას უკვე დიდი ხნის წინათ იპოვიდა.

15511. მორალისთვის კუდის გამობმა არ ამართლებს.

15512. ბიუროკრატიას კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ უნდა გავუმჯობესოთ და სასიკეთოდ წარვმართოთ.

15513. ამბიციები გამართლებულია, თუ მათ საფუძველიც აქვს და ზევიდან ხელის წამომრტყმელიც.

15514. ღალატს მატერიალური გამორჩენისკენ მისწრაფება გამოარჩევს, რადგან ის უკან არ იხედება.

15515. დიდება, სახელი მძიმე ტვირთია და, ვინ იცის, სიცოცხლეში რამდენ დამსახურებულ თუ დაუმსახურებელ წყენასაც გვახვედრებს.

15516. დაბოღმვით მტრებს ვერც ვერას დააკლებ, ვერც ვერას ავნებ. შენ უფრო იზარალებ.

15517. მინიშნებით საუბარი ერთეულ ჭკუადამჯდართა ხვედრია.

15518. დროის, გარემოს, ტექნიკური პროგრესის შესატყვისად, ალბათ, ტრადიციებიც უნდა შეიცვალოს, მაგრამ არ უნდა დახურდავდეს.

15519. შიშს ყველა განიცდის, მაგრამ მასზე გადაბიჯების უნარი მხოლოდ ერთეულებს შესწევთ.

15520. საკუთარი იდეების მომსახურებას სიცოცხლის ბოლომდე ვლამობთ.

15521. ოცნება საჭიროცაა და აუცილებელიც, რადგან ის არავის ვნებს, სულიერად გვამშვიდებს და არც სახიფათოა.

15522. იდეოლოგიის, რწმენისა და პერსპექტივის უქონლად ქვეყანა ვერ იხეირებს.

15523. პიროვნება, გმირი ხელისუფალი საზოგადოებამ უნდა დაიმსახუროს, რათა ამ გმირს ხალხზე გადაყოლა არ დაეზაროს.

15524. ყველას თავისებური წარმოდგენა აქვს რომანტიზმზე, ცხოვრების მადლსა და სიცოცხლის აზრზე.

15525. სხვათა ტკივილებით გაჭაღარავებული თავი საკუთარი სიცოცხლის გახანგრძლივების სურვილს არ კარგავს.

15526. მეგობარს, გინდა – არ გინდა, თავი უნდა გაუტოლო, თუ გსურს, მეგობრებად დარჩეთ.

15527. უბრალოებას უმთავრესად კეთილშობილებისკენ აქვს მის-

წრაფება და არც მარტოობას გაურბის.

15528. სასწაულები წამებში ხდება, მაგრამ საუკუნეებს ამდიდრებს და აოცებს.

15529. ის თანამოსაუბრეა კარგი, რომელმაც არა მარტო გონივრული მოსმენა, არამედ აზრიანი შეკითხვების დასმაც იცის.

15530. საუბარს მაგნეტიზმს მატებს ის, თუ იცი, რა სიტუაციაში რა უნდა თქვა და როგორ მოიქცე.

15531. ურთიერთგაგება, ურთიერთდახმარება, ურთიერთთანადგომა ურთიერთობის დასტურია.

15532. ხშირად საუბარი აზრის გარანდვას, ფიქრის დამალვასა და სიტყვების შელამაზებას მოითხოვს.

15533. სიმამაცე მარად ჯილდოს კანდიდატი უნდა იყოს, თუ გვინდა ეს მცდელობა ხელში არ შემოგვადნეს.

15534. მშვიდობიანობის მეტი პერსპექტივა აქვს ეროვნულობის შეცნობასა და გამრავლებას, ვიდრე სამართლიანობისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას.

15535. ყველა საქმეში რეალისტური ხედვაა უმთავრესი.

15536. პესიმიზმი და ოპტიმიზმი ხშირად დავიწყება-არდავიწყების უნარზეა დამოკიდებული.

15537. ნივთიც ცოცხლდება, თუ მას ჯეროვნად გამოიყენებ.

15538. თავის ნებაზე მიშვებული ქვეყანა მომავლის ჭვრეტის უნარს კარგავს.

15539. გამოცდილება ყველა დიპლომზე დიდი საბუთია.

15540. ეცადეთ, ისწავლოთ რჩევა-დარიგების შეჯერება, განსჯა, განჭვრეტა.

15541. საკუთარი თავის შეცვლა-გამოცვლა შეუძლებელია, მაგრამ კაპიტალური რემონტის ჩატარება შესაძლებელია.

15542. საჭიროება გვაიძულებს, ვაკეთოთ ის, რაც არ მოგვწონს, რათა პარტნიორი, საზოგადოება არ გავაწბილოთ და ამ მოვალეობაში დამალული სიყვარულიც, წესიერებაც და პატივისცემაც საკუთარი თავის და სხვათა მიმართაც.

15543. ძალა უფრო ფასდება, ვიდრე სიკეთისკენ ლტოლვა და სიყვარული.

15544. უაზრო უსიამოვნებისაგან თავის დაღწევის საშუალებაა, მასთან შეხვედრამდე ნერვები მოთოკო და თავს შეუძახო.

15545. ღვინის დამყენებელი შემოქმედია, კონიაკისა კი – გენიოსი.

15546. კრიტიკასაც წონა-ზომა უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ნაძირლობად იქცევა.

15547. მორიგება, დაჯერება, დაყოლიების უნარი ყველაზე კარგი დიპლომატიაა.

15548. საკუთარ გრძნობებთან ხეტიალი ყოველგვარ გასეირნებასა სჯობს.

15549. ჩვენდა შეუმჩნევლად ყველანი ერთმანეთისგან რაღაცას ვიღებთ, ვაცნობიერებთ, „ვიპარავთ“ და ეს ჩვენს ხასიათსა და მენტალიტეტს აყალიბებს.

15550. სინდისის კარნახით ცხოვრება სიცოცხლეს მადლს მატებს და ჩვენს ყოფას ამშვენებს.

15551. მონდომება, მისწრაფება ერთია, მაგრამ გამართლება უფრო მნიშვნელოვანია.

15552. ძლიერების „ფუნდამენტია“ სიახლეზე დადგმული ყველა ახალი ძეგლი.

15553. იღბალი მშვენიერების ის სიყვარულია, რომელიც მის მარად ფორმაში დგომას ცდილობს.

15554. ხშირად შიში და გამბედაობა ინფორმაციაზეა დამოკიდებული, რადგან პირველმა იცის, რისი უნდა ეშინოდეს, ხოლო მერე კი ამის შესახებ ინფორმირებული ჯერ კიდევ არ არის.

15555. განგების კარნახსა და მფარველობას ყველა ჩვენგანი თავისი გადასახედიდან აფასებს.

15556. მცდელობასა და მისწრაფებას წინ ვერაფერი დაუდგება, მით უფრო, თუ ფანტაზიაც ხელს გიწყობთ.

15557. მადლიერებას იმ დოზით გამოხატავენ, რისი გონიერებაც ჰყოფნით.

15558. ქვეყანა რომ კარგად წარმოვაჩინოთ, შთაგონება და საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა გვჭირდება.

15559. განრისხებისას თავის შეკავება ყველაზე დიდი შემოქმედება და ნერვების გამოცდაა.

15560. საკუთარ თავს რომ პატივი მიაგო, ბევრი რამ უნდა გაითავისო, გამოცადო, შეითვისო.

15561. დაუფიქრებელ-დაუღვინებელი კანონები ერის, ქვეყნის, სახელმწიფოებრიობის ინტერესებს უმოწყალოდ ვნებს.

15562. ძალაუფლების გამოცდა ყველაზე ძნელი ჩასაბარებელია, რადგან ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა და ყველა გამოსაცდელის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება პრაქტიკულად შეუძლებელია.

15563. უნაკლო კეთილდღეობის ძიება უმეგობროდ დაგვტოვებს.

15564. საქმის კეთებას სიყვარული, ემოცია, განცდა, ჭკუის მოხმობა უხდება.

15565. ის თუ თქვენზე ფიქრობს და თქვენ კი – მასზე, მაშინ ურთიერთდაახლოების პროცესი შეუფერხებლად მიდის.

15566. ღირსებისა და თავისუფლების აღქმას აღზრდა, ტრადიციები და ჰუმანისტური საწყისი უნდა.

15567. სიცოცხლის ბოლომდის ყველანი ჩვენს როლს ვთამაშობთ ზოგი თანდაყოლილი ნიჭით, ზოგი – შეძენილი მზაკვრობით.

15568. დაუკვირვებელი, განუსჯელი, გაუზიარებელი მეტყველება ყბედობაა, რაც უნდა ხიბლით იყოს შეფუთული.

15569. ეტიკეტი დიდი მორალური ცენზორია და მის დარღვევას არ მოგვიწონებენ.

15570. სიტყვა მადლს ქმედებით იძენს.

15571. ცოდნას სარგებლის მოტანა და სარგებლით გაცემა უხდება, რომ დაგვიფასონ და სხვებმაც ხეირი ნახონ.

15572. გულით უნდა ვილოცოთ, გონით განვსაჯოთ და სულიერებით გავიხაროთ.

15573. თავშეკავება, თანადგომა, თანამეინახეობა, დასვენება ნერვების აუშლელობის გონიერი საშუალებებია.

15574. გონიერება, გრძნობა, გემოვნება ჩვენი კაცობის პარამეტრებია.

15575. შიშის მოწოდებაა ტყუილის თქმა, მაგრამ ასე ყოველთვის არა ხდება, ზოგჯერ მასაც უჩნდება პროტესტის გრძნობა.

15576. წინათგრძნობისა და ინტელექტის შერწყმა შეუძლებელს შეგვაძლებინებს.

15577. მხიარულები უნდა ვიყოთ, მაგრამ თავიც უნდა ვაკონტროლოთ, რათა შეცდომა არ დავუშვათ და რეალობას არ დავშორდეთ.

15578. სტაბილურად კარგად ყოფნას ზოგს დროებით ძალზე კარგად ყოფნა ურჩევნია, სატრაბახოდ და გასახსენებლად უკეთესიაო.

15579. დილეტანტი ან ჯიუტია, ან მოსმენის უნარი აქვს დაქვეითებული, მაგრამ სიამაყეს არ ეშვება და აწვალებს.

15580. კუთვნილი სიამოვნება მყისიერად არ უნდა ავითვისოთ, რადგან მას გამოზოგვა სჭირდება.

15581. საყვედურს ზოგჯერ ჩვენთვის გაუგებარი დუმილიც იმსახურებს.

15582. ზოგჯერ საკუთარი მე მეტოქეობას გვიწევს და ჭკუასაც გვასწავლის.

15583. მმართველობის არსი დღემდე არ იცვლება და, ალბათ, არც შეიცვლება, რადგან უამისოდ სხვადასხვა მენტალიტეტის სახელმწიფოთა შექმნა გაჭირდებოდა.

15584. ხელუხლებელ ღირებულებებს არც განსჯიან, ვერც ცვლიან, ამას არც ცდილობენ.

15585. წარსულის ნაოცნებართა რესტავრაციას ზოგჯერ სიამოვნება მოაქვს.

15586. შედეგი არის შესაძლებლობა, რომელიც უფლებას გაძლევს, ბოლომდე გამოსცადო საკუთარი მეობა.

15587. საკუთარი მეობისა და ავტორიტეტის წარმოჩენა-გამოფენას ყოველთვის გულით ვცდილობთ.

15588. ყურადსაღებ და დასამახსოვრებელ შეცდომა-გადაცდენებს პიროვნებები უშვებენ და მათ დროულად გამოსწორებას ცდილობენ. ამიტომაც არიან ისინი ყურადსაღებნი.

15589. კამათის ანალიზის უნარი აღზრდის ხარისხის მაჩვენებელია და ამ ხარისხის დამდგენელიც.

15590. პრობლემებს მარტივად უნდა მივუდგეთ, რათა ისინი ადვილად და დროულად გადავლახოთ.

15591. მდიდარს ფულით მოქვს თავი, ჭკვიანს – ცოდნით, ხოლო თავისი მეობის პატივისცემას ითხოვს ყველა.

15592. შედეგის მიღწევისკენ სწრაფვა გამბედაობის ნიშანია.

15593. საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნილი შვილი სხვა ჯიშის ხეზე დამყნილ ხესავითაა, რომელსაც ფესვები მშობლიური აქვს, ხოლო ნაყოფია განსხვავებული და შესარჩევი.

15594. სიკეთის კეთება ადამიანური ზრახვებით თავისებური ჭიდილია საკუთარ მესთან.

15595. სიბრძნე შეცდომებსაც საქმის საკეთებლად იყენებს.

15596. სიზარმაცე, ეტყობა, თანდაყოლილი თვისებაა, სანამდის დრო და გარემო ყოფიერების მათრახს არ გადაუჭერს.

15597. მოსმენის უნარი მჭევრმეტყველების გზირია და ჩვენი ცნობიერების წარმმართველი.

15598. საუბრისთვის მოტივაცია, დასაბუთება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფუჭი სიტყვების სროლა გამოვა.

15599. მიმზიდველობა დიდი წყალობაა, თუნდაც შენი ნაკლოვანებების მალვა-წარმოჩენით, რადგან მიმზიდველობა ხშირად იმას აღწევს და იმკის, ურომლისოდაც ის ამას ვერ შეძლებდა.

15600. გაყოფას ისევ მოლაპარაკება სჯობს, თუ ოფიციოზი კანონით სავალდებულო არ არის.

15601. რადგანაც გაუმართლებელი გულკეთილობა არ ამართლებს, იძულებულნი ვართ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავზე ვიფიქროთ და, თუ დრო დაგვრჩა და სურვილი აღგვეძრა, მოყვასზე.

15602. ემოციების ფრქვევა, მოუმწიფებლობასთან ერთად, თავის წარმოჩენის მცდელობაა საკუთარი მეობის უქონლობის დასაფარავად.

15603. სიცოცხლის დაბალი ღირებულება ჰუმანიზმზე მწყრალად ყოფნის ბრალია.

15604. პიროვნებად ვერასოდეს ჩამოვყალიბდებით, თუ საკუთარი თავის დაცვის სურვილი და შესაძლებლობა არ გაგვიჩნდება, რადგან დრო და გარემო მოულოდნელ კაპრიზებსა გვთავაზობს, რომლებშიც დროულად გარკვევა და თავის დაცვა აუცილებელია.

15605. ხშირად ძიების პროცესი უფრო საინტერესოა, ვიდრე აღმოჩენით მიღებული სიხარული.

15606. ბრიყვს როდი ეხმაურებიან. მას არც კი ამჩნევენ.

15607. გამარჯვებამ, წარმატებამ ძალის მატება ზოგჯერ მოდუნება-დასვენების გზითაც იცის.

15608. ბუნება თავის ენაზე მეტყველებს და გვესაუბრება, თუკი ჩვენ მასთან საუბრის უნარს გამოვიჩენთ და მის რჩევა-დარიგებებს საქმიანად მოვეკიდებით.

15609. ჭკვიანი ხალხი ყოველთვის ეძებს და ნახულობს მეგობრებს, ხოლო ტვინგამორეცხილები, სურვილის მიუხედავად, მათ ვერასოდეს პოულობენ.

15610. რაიმე რომ აკეთო, უნდა მოინდომო; რომ მოინდომო, უნდა გარისკო; რომ გარისკო, უნდა იცოდე; რომ იცოდე, უნდა ისწავლო; რომ ისწავლო, ყურისგდების ნიჭი უნდა გქონდეს და ყოველივე ამას თუ შემთხვევასა და ბედს დაუმატებთ – უკვე წარმატებული ხარ.

15611. შურს ყველაზე უკეთ განათლება ებრძვის.

15612. სიმართლის მაძიებელს მალე ივიწყებენ.

15613. გმირები საჭირონი არიან, იმისდა მიუხედავად, მათ ნამოქმედარს შთამომავალი გაიხსენებს თუ არა.

15614. მომავალი წარსულის შვილიშვილია.

15615. ბოლომდის არა მარტო მეგობარს, ახლობელს, საკუთარ თავსაც არ უნდა ენდოთ, რათა ბოლოს გაწბილებული არ დარჩეთ.

15616. თუ რაიმე გასართობი, საჯილაო არ არის, ის უნდა შევქმნათ, რათა უსაქმურობით უარესი რამე არ გამოვთხაროთ.

15617. ვეცადოთ, იმგვარად წავიდეთ ამ ქვეყნიდან, რომ ჩვენთვის ძვირფასი, მოსაგონარი ნივთები შთამომავლობას გადასაყრელად, ზედმეტ ბარგად არ დავუტოვოთ.

15618. კეთილდღეობაც თავის წილ მსხვერპლს ითხოვს.

15619. სათნოება სათნოებას სხვაშიც დაურიდებლად ეძებს.

15620. სურვილი შესაძლებლობათა რეალიზების საწინდარია.

15621. ეტყობა, ჩვენი წინაპრები პრიმატები იყვნენ; დღეს გარეგნულად მათგან როგორღაც განვსხვავდებით, მაგრამ მავნე ჩვეულებებით, ეტყობა, იმათგან შორს არ წავსულვართ.

15622. ღირსება თავისი შეცნობა-გადაცდენისთვის არც განტევების ვაცს ეძებს და არც სხვაზე ცდილობს რაიმეს გადაბრალებას.

15623. იდეების თავდასხმას ვერცერთი ჩვენგანი საკადრისად ვერ ეწინააღმდეგება.

15624. მსოფლიოს ერთ ხმაზე ამღერება-ამეტყველების მცდელობა ძალით გათავხედებულ ერთეულ სახელმწიფოთა სურვილია, რომლებიც ვერ გრძნობენ, რომ ამ მცდელობით მომავალში საკუთარ სახელმწი-

ფოებრიობას ასამარებენ და ძირს უთხრიან.

15625. განათლება ყოველთვის ჭკუის მოხმობის ცდაშია, რათა მოსალოდნელი შეცდომები, რაც შეიძლება, ნაკლებად დაუშვას.

15626. ბევრს მოუსმინე, ზოგს ანგარიში გაუწიე, ოღონდ შეუმოწმებლად ბოლომდე ნურავის ენდობი. ესაა და ეს ადამიანის გონიერებისა და ყოფიერების დამოძღვრა.

15627. პატიოსნებასა და მიტევებას შორის სხვაობის ძიებისას მათი საწყისი არ უნდა დავივიწყოთ.

15628. ვეცადოთ, ყოველი მრისხანება გონიერების ხმით ჩავახშოთ.

15629. ზოგი იმდენად კეთილია, რომ სიკეთისკენ მისი ძალუმი მისწრაფება სხვებსაც ხელს უმართავს და წაადგება.

15630. მიზნის მიღწევას უპირველეს ყოვლისა საშუალებათა მიგნება სჭირდება.

15631. უზარმაზარ სასიცოცხლო ენერგიას ძირი რომ არ გამოვუთხაროთ, პირველ ყოვლისა, მრისხანებას უნდა ვერიდოთ.

15632. შინაგანი ენერგია წარმატების გარანტიაა.

15633. უსასრულო განვითარება შედევრებს ბადებს, ოღონდ გაოცება-გაკვირვების ხარისხი დაეცა.

15634. ტალანტს თუ მტრები და კრიტიკა არ ეხმიანებიან, ის ხალხისთვის უცნობია.

15635. ყველაზე დიდი სიბრიყვე საკუთარი თავის შეუწუხებლობაა.

15636. „მარტოობის დღესასწაული“ სხვებისთვის ზურგის შექცევას როდი ნიშნავს. ეს უფრო დასვენებაა.

15637. მარტოობის გაცნობიერებას გარკვეულ დრომდე არაფერი სჯობს.

15638. გამოცდილება დაკარგვა-შეძენით ბალანსირდება.

15639. კუთვნილი ტვირთის ტარება ძნელია, მაგრამ საპატიოა და ზოგჯერ აუცილებელიც.

15640. იდეათა მტერი ისევ ახალი იდეაა, რომელიც შენიღბულად თავში ჩაგისახლდება და სიახლის მეობით გმოძღვრავს.

15641. გამოცდილება გამოუცდელობის მცდელობა-შემართებას ხერხის ცოდნით სჯობნის.

15642. ჩვენს ინტელექტს თვალები წარმოაჩენს, ხოლო ენა ბეჭედს ურტყამს.

15643. გონივრულ და წინდახედულ ცხოვრებას კანონის დიქტატი სჭირდება, რადგან ხალხი დღევანდელ უზრუნველ ცხოვრებას ირჩევს, ვიდრე შორსგამიზნულ სასიკეთო შემართებასა და საამისოდ ხელების დაკაპიწებას.

15644. ტრადიციები შეიძლება რეგრესული იყოს, მაგრამ ისინი ხელის კვრით მაინც არ უნდა მოვიშოროთ – უბრალოდ უნდა დავივიწყოთ.

15645. ყბედობა არასოდეს ყოფილა დიდი პიროვნების წარმომჩენი.

15646. სტიმულის ჩაკვლა ძნელია, მაგრამ დათრგუნვა შედარებით ადვილია, თუ „კეთილის მდომნი“ ამ ყოველივეს ჩაგჩიჩინებენ.

15647. ის, რაც არა გვკლავს, ვერცა გვმარხავს და სიცოცხლისადმი ლტოლვას გვიორკეცებს.

15648. სიყვარული თუ არა, შენდამი კეთილად განწყობილის მიმართ სიკეთის გაცემის სურვილი მაინც უნდა გაგიჩნდეს.

15649. მინიმალური შანსიც კი ნულს არ უტოლდება – ამიტომაცაა ის შანსი.

15650. ყოველგვარ მრისხანებაში სირცხვილის ბაცილა ბუდობს.

15651. მაწყინარზე შურისძიება აუცილებელი როდია. აქ მთავარია, მას თავის ადგილი მიუჩინო.

15652. დიდებისკენ მიმავალ გზას არა მარტო გაკაფვა, არამედ გატკეპნაც სჭირდება, რომ ის დიდხანს შეინარჩუნო.

15653. დადებითი ენერგიით საკუთარი თავის აღჭურვას ყველა ჩვენგანი უნდა ეცადოს, რათა სიცოცხლისკენ სწრაფვის მარტივი ანბანი გავითავისოთ.

15654. სიმართლით და სიცრუით ჩვენი წარმოჩენა წარსულისა და მომავლის გადასახედებს აკონტროლებს.

15655. როდესაც იმპერია იშლება, მასში შემავალი რეგიონები ქაქანაჭამი ღორებივით უნდა იყვნენ გატრუნულნი, დროსა და გარემო პირობებს დაუცადონ, „უტრაკო ყარაჩოღელობას“ შეეშვან, თუ უნდათ, ამ ქაოსიდან თავი უხიფათოდ დაიხსნან.

15656. საკუთარი თავის სიყვარული იმ უნარზე, ნიჭზეა დამოკიდებული, რომელიც გვიკარნახებს: მოყვარეს არ უნდა ვავნოთ.

15657. გონი საქმის კეთებისას იმაზეც უნდა ფიქრობდეს, რაც შეიძლება არ მოხდეს, რადგან გასათვალისწინებელია ორივე – მოსახდენელიცა და მოუხდენელიც.

15658. დღევანდელი გადასახედიდან მადლობას ვუხდი იმათ, ვისაც ჩემთვის ცხოვრებაში კვანტი დაუდია. მათ რომ ეს არ გაეკეთებინათ, ალბათ, დღეს მეც მათსავით უნიათო და საზოგადოებისთვის არასაჭირო ვიქნებოდი.

15659. თავისუფლება იმათთვისაა ბედნიერება, ვინც მისი მადლი შეიცნო.

15660. გადამეტებული პირში ძრახვა არც მოყვარეს სიამოვნებს და არც მტერს. აქაც ზომიერებაა საჭირო, რათა შემდგომ ნიშნი არ მოგიგონ მცირედი გაუგებრობა–გადაცდენის გამო.

15661. სიმართლეს ვერც გემოს გაუგებ და ვერც მის სიამეს იგრძნობ, თუ ბუნებით სამყაროს მოქალაქე არ ხარ.

15662. მთავარი შედეგია, ავ-კარგს კი შემთხვევითობისა და

აუცილებლობის კანონი განსჯის, ხოლო გონი ყოველივეს სათავისოდ გადახარშავს და გაამართლებს.

15663. დაპირისპირებას ღირსების ხელყოფა იწვევს, იმ ცოდნის მიუხედავად, რომელიც ბავშვობიდანვე ჩაგვინერგეს: „მოთმინებითა შენითა დაიმკვიდრე სასუფეველი შენი“.

15664. ზედმეტად არავის უნდა მივენდოთ, რადგან ეს დაუშვებელი ფუფუნებაა და საკუთარი თავისთვის შეძახებაზე უარის თქმის ტოლ-ფასია.

15665. ყოველივე გონივრული, მათ შორის ღვინის სმაც, მისაღებია და არა ლოთობა და შფოთი.

15666. ვინაა მტყუან-მართალი, არვინ უწყის, თუ მას დრო და გარემოს განსჯის უნარი არ შეეშველება.

15667. უკვდავება და მარადიულობა სიყვარულის საშენად „გა-მოდგება“ და რწმენის გაფეტიშებით მიიღწევა.

15668. „შეიცან საკუთარი თავი!“ – ოდითგანვე მოგვძახიან, ოდით-გან სწორედ ეგ გვიჭირს ყველაზე მეტად.

15669. მორჩილება გარკვეულ დრომდე მაინც პატივისცემას იწვევს.

15670. ჩვენი პრობლემები სხვას თავზე არ უნდა მოვახვიოთ, ხოლო მათთან შეხჯახებისას ვეცადოთ, ისინი გავანეიტრალოთ.

15671. ეთიკის უმთავრესი დანიშნულება ხასიათის მობილიზება და სიამოვნების მიგებაა.

15672. ღირსება არ იყიდება და არც ხურდავდება, თუმცა არც ისე დიდი მოთხოვნილებაა ამ ბოლო დროს მასზე.

15673. ეროვნულობის მოჭარბებული ენერგია ატომური ბომბი-ვითაა. ის გარკვეულ დრომდე კანონის დიქტატის სარკოფაგში უნდა მოვამწყვდიოთ და სასიკეთოდ გამოვიყენოთ, წინააღმდეგ შემთხვევა-ში, ვაი-პოლიტიკოსებისა და ურა-პატრიოტების ხელში რევოლუციას, ბუნტსა და ქვეყნის ნგრევას მივიღებთ.

15674. ერთმანეთთან უაზრო დაპირისპირებას, ზარალის მეტი, არაფერი მოაქვს, ერთმანეთზე ჭორების გავრცელება და ღვარძლის თესვა – კი.

15675. დაჩივლება იმისა, რომ გარდასული დღეები გონივრულად და სარფიანად ვერ გამოიყენე, გამოუცდელობის, ახალგაზრდული ვნების და სხვა ფასეულობათა პატივის მიგების არცოდნის ბრალია და აქ წუწუნი უადგილოა.

15676. მოვალეობათა შესაცნობად ზოგჯერ მოთხოვნათა გამოვ-ლენა-განსჯაა საჭირო.

15677. პერსპექტიული გზა მრავალია, მაგრამ აქ სწორი და საშენო გზის გაგნებაა ძნელი.

15678. რწმენა. იმედი, სიყვარული, ოცნება, წინათგრძნობა მომავ-

ლის განჭვრეტას ვერ ცვლის და ვერც სჯობნის.

15679. ყოვლივეს ქონა უბედურებაა, რადგან, ბედნიერი რომ იყო, რაღაც უნდა გაკლდეს, რათა ახალ-ახალი მიღწევენით დატკბე.

15680. ნდობის მიღმა თუ ერთგულება არა დგას, მაშინ ურთიერთთანადგომა და საქმის კეთება ჭირს.

15681. ნდობის მიღმა თუ ერთგულებასთან ერთად გონიერებაც არა დგას, მაშინ ხდება ურთიერთდაჩიავება.

15682. თავაზიანობას ყველა არ იმსახურებს, ის ერთეულთა ხვედრია.

15683. „თავკონტროლის“ გაწევა ყველა ჩვენგანის ვალია, რათა თავსაც ვასიამოვნოთ და სხვებსაც არ ვავნოთ.

15684. ყველა მიზანი რეალობას უნდა ეთვისებოდეს.

15685. ჩხუბის, შეკამათების დროს სიტყვების აწონ-დაწონვას დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა, როცა ამისი დრო დადგება, შერიგებამ უმტკივნეულოდ და უსაყვედუროდ ჩაიაროს.

15686. სჯობს, ყველა ხერხითა და მცდელობით ომი და დაპირისპირება თავიდან ავიცილოთ, ვიდრე შური ვიძიოთ და სამაგიერო მივუზღათ.

15687. საუკეთესო დახმარებაა, თუ მავანს თავის თავში საკუთარი სიმდიდრის მოძიებას ასწავლი და ის ამის შედეგად ხელს გამოიღებს, წელში გაიმართება.

15688. სხვის სწავლებას, რაღაცის ცოდნას ნიჭთან ერთად თვითდაჯერებაც სჭირდება.

15689. იმათი კიცხვა და ლანძღვა არ გვწყინს, ვისიც გვჯერა, ვუყვარვართ და ამიტომ პატივს მივაგებთ.

15690. დიდებისკენ შინაგანად ყველა მიილტვის, მისი რეალური ფასის უცოდინარობის მიუხედავად.

15691. სხვათა ცუდი არ უნდა გიხაროდეთ, რადგან მან შემოტრიალება იცის.

15692. სიტყვებით გადმოუცემელი აღფრთოვანება ნიშნავს იმ ნაღვაწის დაფასებას, რომლის რაობასაც თქვენ ბოლომდის ვერ ჩასწვდებით.

15693. საკუთარი სინდისის, ღირსების, მეობის დაცვას მატერიალიზმის კაპრიზები ახლოსაც არ უნდა გავაკაროთ, თუ ეს შესაძლებელია.

15694. შთაგონებას მოცდის ნიჭი სჭირდება.

15695. ვაჟკაცობას მტრობა და ძმობა თავიანთი გადასახედიდან ამჩნევენ და აფასებენ.

15696. ეჭვი თავისებური ბოროტებაა, რომელიც ზოგჯერ სიკეთის მსახურად გვევლინება.

15697. მასწავლებლის მოწოდებაა, მოსწავლეები, უპირველეს ყოვ-

ლისა, სულიერების შეცნობით აღზარდოს; რაც შეეხება განათლებას, თუ ნიჭიერია, თავადაც შეძლებს სწავლას კომპიუტერის მოშველიებით.

15698. კომპლექსებს კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ თანდათანობით დავძლიოთ და გადავლახოთ.

15699. ყველა ჩვენგანი ცდილობს, იყოს შესამჩნევი და, თუ გაუმართლა, მნიშვნელოვანიც.

15700. ჰორმონების ძალის შეცნობა პირადი ცხოვრების მოწყობაში გვეხმარება და სასიყვარულო აღქმას აძლიერებს, რადგან რომანტიკულ, ეროტიკულ და ვნების აღმძვრელ გარემოს ქმნის.

15701. ასაკში შესულს თუ თანამედროვენი ლოთობას არ გაპატიებენ, ეს ორივესთვის სასარგებლო ნაკლია, რადგან ნაკლებად დაეწაფებით ალკოჰოლს და სიცოცხლეს გაიხანგრძლივებთ, რაც შეეხება წყენას, იგი სიბერეში ადვილად დასავიწყებელია.

15702. ზოგჯერ ქარის საწინააღმდეგოდ ფურთხება გვბეზრდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღზრდის „კამიკაძეობა“ მოდიდან გადადის.

15703. განსხვავებული ან თავად უნდა აკეთო, ან აღზრდილს ანდო.

15704. იმ გრძნობებთანაა ბრძოლა ძნელი, რომლებიც ცხოვრებას გვილამაზებს და გვიმახინჯებს კიდეც.

15705. ეგრეთ წოდებული „ინტელიგენცია“ ყოველთვის იყო გამყიდველი, განსაკუთრებით ის, ვინც აზროვნებს და მსუყე ცხოვრების მადლი დროზე ადრე შეიცნო.

15706. თუნდაც ჯვარს ეცვი, თუ ქვეყნის პოლიტიკურმა და დრომ მხარი არ აგიბეს, არც არაფერი გამოვა.

15707. კრძალვის ცოდნა კარგია, მოკრძალებით ქცევა-ყოფა უკეთესია.

15708. თავის გამოდება ზოგჯერ მისასალმებელია, მაგრამ ამან სისულელის ჩადენამდე არ უნდა მიგვიყვანოს.

15709. თუ გაკრიტიკებენ, განგსჯიან და პატივსაც მოგაგებენ, მაშინ ჯერ კიდევ პიროვნება ხარ.

15710. „ხვალ გავაკეთებს“ თუ დროულად ბოლოს არ მოვუღებთ, საქმე მუდამ გაუკეთებელი დაგვრჩება.

15711. ყოველივეს თავიდან დაწყება ძნელია, მაგრამ ზოგჯერ ეს დროისა და გარემოს კარნახით აუცილებელია.

15712. არმია და წესრიგი სინონიმებია, მაგრამ ომის მოგება მაინც მხედარმთავრის ნიჭზეა დამოკიდებული.

15713. ხელი თუ თაფლიანი გაქვს, აქ მთავარი მისი გალოკვა კი არ არის, არამედ ის, რომ ცდუნებამ არ წაგძლიოს და თითები არ წაიჭამო.

15714. ზერელე ცოდნა საკუთარი უნიათობის ყბედობით გადაფარვის მცდელობას იწვევს, რასაც თან ახლავს უაზრო ყოყლოჩინობა.

15715. მტერს შეუნდეთ. ოღონდ არ დაივიწყოთ მისი ნამოქმედარი, უხიაგობა და მოსალოდნელი საფრთხე.

15716. სხვათა შეცდომები ჩვენი გამოფხიზლების საწინდრად უნდა ვაქციოთ.

15717. განათლება, რომელიც გონიერების სფეროში ფუჩეჩსა ტოვებს, მავანს ინფორმირებულ დებილ-აუტისტად აქცევს.

15718. სიმართლე და სამართლიანობა პიროვნების წელში გამართვის ატრიბუტია.

15719. რეალური მიზნის მიღწევა თუ გინდათ, ის ერთი უნდა იყოს და შეუცვლელი, სხვაგვარად შედეგის მიღება ძნელია.

15720. თვითკონტროლი საშუალებას გვაძლევს უსიამოვნო სიურპრიზებს თავი ავარიდოთ.

15721. წარსულზე გადაბიჯება შესაძლებელია, მაგრამ არაა სასურველი მისი დაპანღურება.

15722. სიზარმაცემ შეჩვევა იცის და მისი ტკბობიდან თავის დაღწევას მაღალი მიზნის დასახვა სჭირდება.

15723. მოძალადეს ალიყური იმდაგვარად უნდა ვაჭამოთ, რომ მას არ დავემგვანოთ.

15724. დანაშაულია ცოდვის განმეორება და არა ცოდვის უნებლიეთ ჩადენა.

15725. ზოგჯერ გადაცდენაც საჭირო და სასარგებლოა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება სულელი გიწოდონ, ხოლო მოგვიანებით თავი დებილად ჩათვალო.

15726. სიჯიუტე ყოველთვის ცუდი არ არის, განსაკუთრებით, თუ მიზანი ნათელია.

15727. გარკვეული კატეგორიის მკითხველისთვის აფორიზმების ერთი გვერდი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე მთელი რომანი. ესა „მოკლედ თქმის“ მადლი.

15728. მოძალადე იმდაგვარად უნდა დავსაჯოთ, რომ მან თავისი დანაშაული შეიცნოს და შეიგნოს.

15729. ძალაუფლებას ქვეყნის სამართავად ბიძგი სჭირდება, რათა დროის შესატყვისი საქმენი დროულად აკეთოს და კორუფციაში არ გაისვაროს.

15730. „არ ვიცის“ თქმა ვისაც არა რცხვენია, ის პიროვნებაა და მარად ცოდნის შეძენისთვის იღვწის.

15731. ყოველთვის უნდა ვცდილობდეთ, რათა პოზიტივმა ნეგატივს კისერი მოუგრიხოს.

15732. შემოქმედი ის არის, ვისი ერთგვერდიანი ნაწერიც კი მისი კოლეგების სქელტანიან წიგნებზე მეტს ნიშნავს.

15733. სასწაულებს რწმენა ახდენს და არა ჩვენი განუსჯელი მც-

დელობა.

15734. საქმიანობის სურვილს მიზნის დასახვა და საკუთარი თავის გამხნევება უხდება.

15735. ოსტატი, შეგირდი, საზოგადოება, ანუ მოსწავლე, მასწავლებლის პიროვნება და საჭირო ინფორმაციის მოძიება – ეს სამი განზომილება უკვდავია.

15736. გვესმოდეს იმ პიროვნების, ვისაც ჩვენი გონიერება ამჩნევს, ეთანხმება და მისდევს, თუ გვინდა, სასიკეთო საქმენი გონივრულად აღვასრულოთ.

15737. წინდახედული ნაბიჯების გადაუდგმელად დასახული მიზნები არ აღსრულდება.

15738. გადაუჭრელი პრობლემები არ არსებობს. არსებობს პრიბლემები, რომლებიც ჯერ არ გადაგვიჭრია.

15739. მოსმენისათვის მოუმზადებელ თანამოსაუბრესთან მასალაათი არც გონივრულია და არც სასიამოვნო.

15740. გაჭირვება გვაიძულებს, სამყაროს საიდუმლოებანი შევიცნოთ, გავითავისოთ, მოვირგოთ, რათა სიცოცხლის ფასი მის მადლთან ერთად განვსაჯოთ და გავიგოთ.

15741. გამორჩეული ყოველთვის სჯობს მასობრივსა და სტანდარტულს, რადგან მომავალი მისია.

15742. კაცობის დავიწყებას აღვირახსნილობამდე მივყავართ, რაც თანამედროვეობის არასწორად გაგების შედეგია.

15743. ყოველგვარი ცნობიერება განსჯისა და გონთან მძაფრი შეჭიდების შედეგად იკავებს თავის კუთვნილ ადგილს.

15744. ქალიც ჩვეულებრივი მოკვდავია, ამ სამყაროს გაუგებრობათა შვილია და მასაც აქვს უფლება ცოდვის ჩადენის, სიყვარულის გამოცდის, სექსის ალგორითმში გარკვევისა, ოღონდ გათხოვებამდე და საბოლოო არჩევანის გაკეთებამდე.

15745. შეხედულებათა განზოგადების მცდელობაც ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვს.

15746. მიზანი მუდამ მატერიალიზმის გვერდში დგომას მოითხოვს.

15747. უმრავლესობა ცუდს უკეთ ამჩნევს, ვიდრე კარგს, რადგან ცუდს დაფიქრება, განსჯა არ სჭირდება.

15748. ცნობიერების მოთხოვნები უსასრულოა და მათს ბოლომდე დაკმაყოფილებას არ უნდა ველოდეთ და არც უნდა ვეცადოთ.

15749. ძირმწარე წარსულში ჩვენი ქვეყნის სულ მცირე წარმატების მოსმენაც კი დიდ სიამეს განგვაცდევინებს.

15750. მოსმენილი, ნანახი, წაკითხული გაცრას საჭიროებს, რათა ცნობიერება წვრილმანებმა არ გადატვირთოს და კვამლით და ნაცრით არ დანაგვიანდეს.

15751. ვეცადოთ ვიყოთ პატიოსნები, ურთიერთის დამარცხება-დამცირების გარეშე.

15752. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ საკუთარი ცნობიერების გაჯანსაღებას ვცდილობთ და ამით საზოგადოებრივ ცნობიერებას ვამდიდრებთ.

15753. აზარტი მაშინაა დასაფასებელი და შედეგის მომცემი, თუ მას პიროვნება მართავს და არა პირიქით.

15754. ომს ის იწყებს, ვისაც სხვათა სიცოცხლე ფეხებზე ჰკიდია, ხოლო დაპირისპირების მოსახსნელად ის ემზადება, ვინც სიცოცხლეს აფასებს და მისი მადლი შეუცნია.

15755. ახლობელი, ჩრდილივით უკან რომ დაგყვებათ და თქვენს ნათქვამს ზედმიწევნით კარგად ასრულებს, მეგობრად არ გამოგადგებათ, თანამშრომლად – დიახაც, და ეცადეთ, მან თქვენთან ურთიერთობაში თავისი ადგილი იცოდეს.

15756. სტრესულ მდგომარეობაში სწორ გადაწყვეტილებათა მიღება პიროვნებად წარმოგვაჩენს.

15757. ღირსების შესანარჩუნებლად და შენიანების გადასარჩენად დროის და გარემოს კაურებს მოხერხებით უნდა შეეგებო და თავი გადაირჩინო – მაშინ ხართ პიროვნება და არა მაშინ, როცა უაზრო შერკინების მოწყობას გეგმავ.

15758. თუ მამა-პაპათა ნაღვაწ-ნახელავს არ გაეჯიბრეთ, პროგრესი და კარგი ცხოვრება არ მოვა.

15759. მშვიდობის ვალია ეძებოს წესრიგი და წესიერება.

15760. ვინც გონიერ და საქმიან ოპონენტებს არ ეძებს, ის არც საქმეში გამოდგება და არც ქვეყნის სათავეში.

15761. განაწყენება, რომელიც შერიგებისთვის არის განწირული, სიბრიყვის ნიშანია და დროის დაკარგვა.

15762. ღირსებას თავს არ ახსენებენ, ღირსება თავად ამჩნევს და წარმოაჩენს მის რჩეულს.

15763. ღირსების კვადრატში აყვანა ერთეულ რჩეულთა ხვედრია.

15764. უნარი მცდელობაა, ნიჭი შემოქმედებაა, მაგრამ სურვილის და მონდომების გარეშე არცერთი ღმერთს არ უქნია.

15765. ცოდნა შეძლების გარანტი და წარმატების წინამორბედია.

15766. იმდენი უნდა გქონდეთ ნასწავლი, გაკეთებული და დამსახურებული, რომ ზოგიერთ საკითხში დილეტანტობისა არ უნდა შეგრცხვეთ.

15767. საბოლოოდ, ეტყობა, სტაბილურობა და ჯანზე ყოფნა სჯობს შიგადაშიგ თავის მოგიჟიანებას და ფუფუნებისკენ სწრაფვას.

15768. შენი გასაკეთებელი საქმე სხვას არ უნდა აკეთებინო, თორემ შენც სხვისი საქმის კეთებას დაიწყებ შენსავე საზიანოდ.

15769. ბარიერისთვის თავის რტყმას რაღაცის დასამტკიცებლად მისთვის ირგვლივ შემოვლა სჯობს. დროსაც მოვიგებთ, ნერვებსაც მოვუფრთხილდებით და დროთა განმავლობაში საქმეც ბევრად უკეთ გამოვა.

15770. სტრესის ჰორმონებს ხშირად დაუგეგმავი და უმიზნო ტირილი შველის.

15771. არსებობს მარადიული ფასეულობანი. მათი გათავისება აუცილებელია, რადგან ფასეულობათა პოსტულატების გაუთვალისწინებლად ცხოვრება ჭირს.

15772. სხვას კი არ უნდა ვკითხოთ, თქვენთვის რისი გაკეთება შეუძლია, არამედ ჩვენი შესაძლებლობებით თავადვე უნდა წარმოვჩნდეთ, რათა საზოგადოება ფეხზე წამოდგეს.

15773. მთავარი ის კი არ არის, ყველას უყვარდე, მთავარია, არ ეზარებოდე.

15774. ძლიერი მტრის მიმართ საჭიროა გავატაროთ მოჩვენებითი ერთგულების პოლიტიკა და მას არ უნდა ვუღალატოთ, სანამ ის არ გვავნებს.

15775. ეცადეთ, არ ეჭიდაოთ საკუთარ თავს რაღაცის გაცემისას, თხოვნისას. უბრალოდ, ისწავლეთ უარის თქმა.

15776. თუ მეზობლებთან წარსულ ურთიერთობაში დადებითი მომენტების მოძიებას არ დავიწყებთ, სამომავლო ურთიერთობის გამწვავების ჭაობში აღმოვჩნდებით.

15777. თუ გინდათ საკუთარ წონას გაუფრთხილდეთ, შესანიშნავი პოსტულატია: რაც გინდათ, ის არ უნდა ჭამოთ.

15778. ყველა შესაძლებლობას თავის სირთულეთა გადალახვა, დაძლევა უხდება.

15779. ჩრდილი ყველა ჩვენგანის ყოფას მეტ-ნაკლებად ადგება, მაგრამ ის თანამგზავრად არ უნდა გავიხადოთ.

15780. ის, რაც შენი საკეთებელია, სხვას არ უნდა ანდო, ან თავზე დადგომით უნდა აკეთებინო.

15781. ყბედობისა და უსაქმურობის დაძლევა იდეოლოგიისა და ძალის მოშველიებით ხდება, რადგან განსჯა აქ არავის აინტერესებს.

15782. თითო გონივრული ნაბიჯი ბუნების საიდუმლოებათა შესაცნობად ყველა ჩვენგანმა ოცნებით მაინც უნდა გადავდგათ.

15783. ყველა აღმოჩენა ჭკუას გვმატებს და ასაკის მატებაზეც მიგვანიშნებს.

15784. უკადრისად არავის უნდა მოვექცეთ, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავსა და მის ავტორიტეტს.

15785. ერთის სურვილი ხშირად მეორის ნებას ეწინააღმდეგება, მაგრამ საერთო ენის გამონახვა აუცილებელია.

15786. ზოგჯერ ჩვენი რჩეული საკუთარ თავზე უფრო მეტად გვიყვარს და ესაა ჩვენი შეცდომა, სისუსტე და უნიათობა.

15787. თავში ქარის ქროლვა იმის გარანტია, რომ ფეხს წაიტეხ და ცხვირ-პირს ამოინაყავ.

15788. ყველაზე დიდი დანაშაული საკუთარი ჯანმრთელობის უყაირათოდ გახარჯვა-გაფლანგვაა.

15789. ოპონენტის შენთვის მიუღებელი მტკიცებანი ხუმრობით უკუაგდე და ეცადე მის მტკიცებებს არგუმენტები დაუპირისპირო.

15790. ყბედებს ბევრს აპატიებენ, მაგრამ საქმის საკეთებელ სიმართლეს – არავის.

15791. ყველა ჩვენგანი თავის საქმეს განსჯით უნდა მოეპყრას, თუ უნდა სხვათა საქმიანობაშიც გაერკვეს.

15792. ზოგჯერ მშიერი უმადურის დაპურებას უფრო მეტი ზარალი მოაქვს, ვიდრე მის უყურადღებოდ დატოვებას – ვაზარმაცებთ.

+15793. მტერს ხელის ჩამორთმევა უნდა აიძულო და არა ხელის გარტყმა.

15794. ნაოცნებარი მტკიცებულებად არ გამოდგება.

15795. საკუთარ თავსაც ზოგჯერ წითელი ხაზები უნდა დაუწესოთ, რათა ხუმრობით ნათქვამიც „მოუკრეფავში“ არ გადავიდეს.

15796. რწმენასაც შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონი იძლევა, გააჩნია, სად დაბადეთ და რა შექმენით, რა იერარქიაში მოხვდით.

15797. საბოლოოდ ყველაზე კარგი სიტყვა – ეს არის განსჯის შედეგად მიღებული დასტური.

15798. გემოვნება განსჯადია, მრავალფეროვანია, მაგრამ უფრო მეტად კარგს ამჩნევს და სიამოვნებით აღიქვამს.

15799. „ქვების შეგროვების დრო“ ქვების სროლის უფლებას სიბერეშიც კი არ გვაძლევს – უფრო შემწყნარებლები უნდა ვიყოთ გაუცნობიერებული მოვლენებისადმი.

15800. უშვილობა იმიტომაც არის ცუდი, რომ სიბერეში შვილიშვილების გარეშე რჩები.

15801. გონიერებას არც სიცრუის ეშინია, არც სიმართლისა, თუ ის პიროვნებად ჩამოყალიბებას აპირებს.

15802. არის სიმართლე, რომელიც ყოველთვის მოსაწონი არაა, მაგრამ ტრადიციებს რომ ვერ ვღალატობთ?!

15803. საკუთარი თავის სწორად შესაცნობად ყოფა უნდა მოვიწესრიგოთ.

15804. ქვეყნის განვითარების შენელება, უპირველეს ყოვლისა, კორუფციისა და დილეტანტური მმართველობის ბრალია.

15805. კლასიკა ყოველთვის იყო და დარჩება საყოველთაოდ სასაუ-

ბრო ენად, რომელთანაც ყველა მოდას აყოლილი მიმართულება შეჯერ-დება და დადგინდება მათი დროებითი ხასიათი.

15806. წუთების დაფანტვა, დახურდავება, ასე თუ ისე, დასაშვებია, მაგრამ არა საათების, დღეების, წლების.

15807. ბედნიერი რომ ვიყოთ, ზოგთა ყალბ ვიშივიშს ყური არ უნდა ვათხოვოთ, თუ გვინდა, „ჭორმაისტერები“ გულზე გავხეთქოთ.

15808. მოსმენის უუნარობას, შურს, ყბედობისკენ მიდრეკილებას, გაუტანლობას, ტრაბახს, მოჩვენებითობას ფაქტობრივად საკუთარი უნიათობისა და არარაობის აღიარებამდე მივყავართ.

15809. ზოგჯერ საკუთარ თავსაც უნდა მივხედოთ, რათა განგების უხილავმა ხელმა ჩვენი ყოფიერების „ელექტროჩამრთველით“ დროზე ადრე არ გამოგვრთოს.

15810. თუ საკითხის სიღრმეს ვგრძნობთ და ყოფიერების ზედა-პირზე შედეგებს ვხედავთ, მაშინ ეგ საკითხი სასწრაფოდ უნდა გა-დავწყვიტოთ.

15811. ფანტაზიაც კი ლოგიკის ანალიზს ემორჩილება და მის დასკვნებს ანგარიშს უწევს.

15812. „გამრჯე ცოცხის“ – დამსახურებაა, რომ დღეს სოფლის მეურნეობა სულს ითქვამს და ამბიციების მქონე ქალაქელებს კვებავს.

15813. მოძველებულ ტრადიციებს იდეოლოგია, ტექნიკური პრო-გრესი და დროის ყივილი თავისებურად ხედნის და ბიშტს უჩვენებს.

15814. ომის დაწყების მიზანი გამარჯვებაა და არა გაუმართლებე-ლი ყოყმანი, რადგან ეს უკანასკნელი ომის დაწყებაზე უარესია.

15815. მცდელობა ნიჭის, რწმენისა და მიზნის უქონლად სასურველ შედეგს არ იძლევა.

15816. თავისუფლება, პირველ ყოვლისა კანონის მორჩილებაა, დემოკრატია კი – კანონის უსიტყვოდ აღსრულება.

15817. მიამიტობა კი არ არის სირცხვილი, არამედ თავის ყოვლის-მცოდნედ მოჩვენება და კურაჟი.

15818. დღევანდელობის უარყოფის მოსალოდნელ შედეგებს უნდა შევხედოთ მომდევნო ათეული წლების გადასახედიდან, რათა ჩვენი ქმედება შეჯერებული იყოს ეპოქის ნებასთან.

15819. ჩვენ, პირველ ყოვლისა, მხარდაჭერა და ნდობა გვჭირდება და არა თანაგრძნობა.

15820. საკუთარ მცდლობათა წარმატებით დაგვირგვინება იმის მაჩვენებელია, რომ თქვენ ტყუილად არ გიცხოვრიათ ამქვეყნად.

15821. თავმდაბლობა არ ნიშნავს ყველა ყბედს მოუსმინო და უგვა-ნოს შეუნდო, რადგან ან ვითარებაში თავმდაბლობა დამცირება გამო-დის.

15822. უხილავს მარად ფრთხილად უნდა მოვეპყროთ, ხოლო ხი-

ლულს თვალი ვადევნოთ, რომ რაიმე არ შეეშალოს.

15823. საკუთარი თავის რწმენის უქონლად არც ეროვნული კულტურა და არც სახელმწიფოებრიობის ჩამოსაყალიბებელი გონივრული იდეა იქმნება.

15824. საკუთარი თავის მართვა ხელოვნებაა, სხვათა – შემოქმედება.

15825. მოყვასს მიუტევეთ უნიჭობა, უნიათობა, რათა განგებამ მის დასახმარებლად გონიერება მოგანიჭოთ.

15826. რწმენისა და საკუთარი შესაძლებლობების შეცნობის უნარი მომხიბვლელს და საჭიროს გვხდის.

15827. ყოფიერებისთვის მთავარი სწორი ორიენტაციის განსაზღვრაა, შემდგომ მოდის ნიჭი და მისი მოხმარების უნარი.

15828. შურიანი და მეამბოხე ბუნების ადამიანი მეგობრად არ გამოდგება.

15829. თუ წარსულის ქარისთვის გატანებას ვერ ახერხებთ, ეს ცნობიერების მერყეობის დასტურია.

15830. გონივრული დაკვირვების უნარი საკუთარი თავის შეცნობის გარანტიაა.

15831. ესთეტიკას თავისი საიდუმლო აქვს. მისი ამოხსნა-გათავისება ყველას ხვედრი არაა.

15832. ჯანმრთელი უნდობლობა ხშირად კარგ შედეგს იძლევა და ურთიერთსაჭირო საქმის კეთებას ხელს უწყობს.

15833. მიზანი თავისი ჩანაფიქრის აღსრულების შემდგომ აჩენს ნამდვილ სახეს და არა შესაძლებლობებს.

15834. თანაგრძნობა, თანადგომა მარად საჭიროა, ზომიერების ფარგლებში იმ სასიკეთოდ მოქმედებს საქმიანობაზე.

15835. კარგი მამულიშვილი სიკეთით დაბოლოებული ქმედების შედეგად პოულობს მისთვის განკუთვნილ ჯილდოს.

15836. კოჰაბიტაციას ყოველთვის მივესალმებოდი, მაგრამ გამოცდილება მაიძულებს, იმქვეყნად მაინც „ურწმუნო თომად“ გადავსახლდე.

15837. წაქცეულის ფეხით თელვა ავტორიტეტს არავის სძენს.

15838. ბავშვური ილუზიები უნდა გადავინახოთ და დიდობაში გავიხსენოთ, რათა გულით გავიხაროთ.

15839. დაპირისპირების შედეგად ურთიერთსაყვედურს კარგი არაფერი მოაქვს შემდგომ ურთიერთობაში.

15840. გამოწვდილ ხელს ხელი ჩამოართვით. ეს ქმედება უფრო რენტაბელური, საქმიანი და მისაღებია.

15841. საკუთარი მეობის დროზე შეცნობა ჩვენი ჩამოყალიბების მაჩვენებელია.

15842. მოწესრიგებული ქმედება სირთულეებთან შეჭიდებას გვიად-

ვილებს.

15843. მომდევნო თაობები ცუდები არ არიან, უბრალოდ, ისინი თავიანთი დროის მოთხოვნებს ალღოს დროულად ვერ უღებენ.

15844. ჩვენ განუსჯელი ლაპარაკი მეგობარ-ამხანაგებს გვაკარგვინებს. ამიტომაც მას გონიერი დუმილი უნდა დავუპირისპიროთ.

15845. სიმართლის მორევის გამოყენებას ამპარტავნობა ხელს უშლის. სიყვარულის კარიბჭეს ამიტომაც ვერ ვიპყრობთ.

15846. ყველაზე მეტი მოფრთხილება ღირსებას სჭირდება, რათა მან ბრწყინვალე ელფერი არ შეიცვალოს და უფერული არ გახდეს.

15847. თუ არ იცი, რა აკეთო და როგორ მოიქცე, სჯობს ამ მცდელობას ახლოც არ გაეკაროთ, რადგან ეს მცდელობა საბოლოოდ საზიანო იქნება.

15848. გააზრებული შუღლი და დაპირისპირება სჯობს გაუაზრებელ მეგობრობასა და თანადგომას, რადგან ამ უკანასკნელთ მიზანი არ აქვთ.

15849. ნდობას იმსახურებენ თანდათანობით, საქმის ცოდნით, მაგრამ არა მლიქვნელობითა და თაღლითობით.

15850. არიან წარმოსაჩენი, აღიარებული პირები, რომლებიც სამყაროს საოცრებათა შეცნობაში ხელს გვიწყობენ.

15851. თანხმობის სიმკაცრის გამოჩენით მიღება სჯობს, – შედეგი უკეთესია.

15852. ეცადეთ, მეტოქეს აჯობოთ გონიერებით, მოხერხებით, სიკეთის კეთებით და არა თავზე ხელის აღებით.

15853. კაცმა ის მცირედიც არ უნდა მოიკლო, რასაც წინათ უგულებელყოფდი, რადგან დღეს ყველაფერი დასწრება-მოსწრებაზეა და შენი კუთვნილი სხვამ არ უნდა მიითვისოს.

15854. ასაკის მატებას არ უნდა შევეგუოთ, თუ გვინდა, სიბერე აშკარად არ შემოგვეპაროს.

15855. ურთიერთობის შენებას სიყვარულსა და ურთიერთგაგებასთან ერთად „საშენ მასალად“ დაღვინებაც სჭირდება.

15856. ერისშვილობა ერთია, ერისკაცობა მეორეა, ხოლო მათი უმტკივნეულოდ შერწყმა არის ქვეყნის მოწინავე მოქალაქედ გახდომის საფუძველი.

15857. რაღაც რომ ისწავლო, შემდგომში გაითვალისწინო და იხეირო, იმ ადამიანის ყურის გდებაც უნდა ისწავლო, რომელიც თქვენთვის მიუღებელია და ზიზღს იწვევს.

15858. ქვეყნის მართვის პრობლემა ერთი თავკერძა ადამიანის ხელში კი არ უნდა იყოს, არამედ მასის, ხალხის ტვინში, გენეტიკაში, აღზრდაში, მის წარსულში.

15859. შიშის ანალოგია სიახლე და მერყეობა.

15860. არ არსებობს უვარგისი გამოგონებები, კვლევები, ფანტაზიები. უბრალოდ, მათი გამოყენების დრო ჯერ არ დამდგარა.

15861. განუსჯელ განცხრომას დანაშაულის ჩადენამდის მივყავართ.

15862. ახლის სწავლა ყოველთვის აუცილებელია, ასაკის, დროის, გარემოს მიუხედავად.

15863. კაცთმოყვარეობას, სიკეთის კეთებას დაკვირვება სჭირდება, რათა უგვანო მთხოვნელთა რიგი არ დაგიდგეთ.

15864. ბედოვლათობა და სიძუნწე უპირველეს ყოვლისა საკუთარ ღირსებას ვნებს.

15865. სიტყვასა და დაპირებას უდიდესი ხიბლი აქვს, და მათი წარმოთქმა დაუფიქრებელ-განუსჯელად არ ეგების.

15866. ცინიზმსა და იუმორს შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ ყოფიერების მოდა ზოგჯერ ამას არად დაგიდევთ.

15867. სიმართლისა და სამართლიანობის „გამოჭედვის“ დროს უკან დახევა სიმხდალე და დანაშაულია.

15868. წარმატებას თავის მოქაჩლებასთან ერთად შინაგანი ერთგულებაც სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთდროულად გონიერებას და ბედს თქვენ გვერდით დგომა უჭირთ.

15869. თანადგომის, ურთიერთგაგების, კომუნიკაციის საშუალება ენაა და არა უაზროდ შემართული მუშტი.

15870. გაჭირვების ჟამს სიმამაცისა და გონიერების წყაროს მოძიება ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.

15871. ზოგჯერ გარემოება ჩვენზე ძლიერია, მაგრამ ქედის მოხრა მაინც არ გვეკადრება – დასაშვებია მხოლოდ ურთიერთგაგება და კომპრომისი.

15872. დანაშაული, რომელიც შესაძლებელია უჩვენოდ ჩაიდინონ და ჩვენ ხელს ვერ ვუშლით, პატივს არ გვმატებს.

15873. განსჯა ჭკუის მოუხმობლად, ყბედობაა, ონანიზმია, რაც რეალურ შედეგს არ იძლევა.

15874. ზოგჯერ მზაკვრობა და ტყუილიც ზეიმობს გამარჯვებას, მაგრამ ეს გამარჯვება მუდამ საფრთხის წინაშე დგას.

15875. მოჭარბებული ისევ ნაკლებობა სჯობს, უფრო უსაფრთხო და საიმედოა.

15876. მოჭარბებულის ნდობა-უნდობლობა არარენტაბელურია და მრავალმხრივი გამოცდის ჩაბარებას მოითხოვს.

15877. ჩვენი წარმატება-წარუმატებლობის მთავარი გმირები ისევ და ისევ ჩვენა ვართ.

15878. სჯობს უკურნებელი სენი სამუდამოდ მოისპოს ერთის ხელის დარტყმით და უხეშად, ვიდრე ყველასათვის მოსაწონად, გაჯან-

ჯლებით. მაგალითად, ნარკომანი, თამბაქოს მწეველი უნდა დაისაჯოს სამუდამო პატიმრობით.

15879. ნაზრახ მტერთან ბრძოლა-დაპირისპირების უნარი თუ შეგწევთ, მისასალმებელია, მაგრამ მას არ უნდა დაემსგავსო.

15880. მტერი უფრო საზიზღარია, თუ მის განზრახვას ხვდები და მისთვის ალიყურის ჭმევა ძალგიძს.

15881. გამოუყენებელი ღირსება თავის მეობას ასამარებს.

15882. ბრძოლა-დაპირისპირება პროცესად რჩება, თუ შედეგს არ იძლევა. ამიტომაც შერკინებას, შეჯამებას გამართლება უნდა ჰქონდეს. ეს გამართლება შედეგია და არა მხოლოდ მიზანი.

15883. წარსულის ფუძე, საწყისი რაც უნდა უვარგისი იყოს, ფურთხით გასვრას და გათათხვას არ ექვემდებარება.

15884. შტატების უაზროდ გაზრდა თანამდებობათა გამოგონებით საქმის კეთებას არ შველის.

15885. ჭკვიან თანამოაზრეთა შეკრული ბირთვი აკეთებს საქმეს და არა კანონის ბრმად მორჩილი კოლექტივი.

15886. თანამდებობის პირმა რომ ივარგოს, ის მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში უნდა სარგებლობდეს განსაზღვრული უფლებებით და განუსაზღვრელი პასუხისმგებლობით.

15887. უფლების ქონასაც გამოყენება უნდა გარემო პირობების გათვალისწინებით და გვერდით მდგომთა შეცნობა-გამოცნობით.

15888. „თვალი სვამს და თვალი ჭამს“ – ამ ალგორითმით ვცხოვრობთ, ვირჯებით და გონებას ძალას არ ვატანთ, რათა სიახლის ჩაწვდომის, განსჯის უნარი გავაძლიეროთ.

15889. წარმატება არც წარსულის ქექვა-გადაქოთებას მოაქვს და არც მომავლის ფანტაზიებზე უსაგნოდ დაყრდნობას.

15890. ზოგჯერ წრფელი გულით ბოდიშის მოხდა და არა „ბოდიშობანა“ გახლავთ საქმის გადაწყვეტის ერთადერთი საშუალება და ამისათვის შინაგანად ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ.

15891. ვისაც მოსმენის და წინხედვის უნარი ღმერთმა არ დაანათლა, ის ხელისუფლის სავარძელს არ უნდა გაეკაროს და არც უნდა გავაკაროთ.

15892. მუშაობა და შრომა ერთი და იგივე არ არის, რადგან ამ უკანასკნელში სულიერებაც მონაწილეობს.

15893. სახალხოდ გაწკეპვლა „ძველი ბიჭობის“ ინსტიტუტს სამარეს უთხრის და ეს კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა აღმოსავლური მენტალიტეტის ხალხის მაგალითი. ავიღოთ სინგაპური, სადაც გაჯოხვა კანონით არის დაშვებული და „ძველი ბიჭობის“ ინსტიტუტმაც ჭირი მოგვჭამა.

15894. ყველა გადამდებ დაავადებას – „სპიდი“ იქნება ეს თუ კო-

რუფცია, რადიკალურ ღონისძიებათა გატარება სჭირდება, რათა ის დროულად აღმოიფხვრეს და მომდევნო თაობების თავსატეხი არ გახდეს.

15895. ძალა ის უფლება-მოვალეობაა, რომელსაც ალტერნატივა არ აქვს, მით უფრო, თუ ის კანონმდებლობითაც აროს გამაგრებული.

15896. ლანძღვასა და შექებას დროის შერჩევა უნდა და ისიც ზომიერების ფარგლებში უნდა თავსდებოდეს.

15897. ამქვეყნად რაც უნდა თავი მოვიგიჟიანოთ, მაინც ამ სამყაროს მუმლი დავრჩებით, იმქვეყნად გადასახლება რომ მოგველის.

15898. საქმეში დილეტანტი ძნელი ასატანია, განსაკუთრებით ამბიციური და „ყველაფრის მცოდნე“.

15899. ურთიერთობაში უპირველესი ერთგულებაა, შემდგომ მოდის საქმიანობა, სიმამაცე და შემართება.

15900. მოგწონს – არ მოგწონს, ახალი ძველზე აღმოცენდება. ამიტომაცაა, რომ წარსულის გამოცდილებას პატივის მიგება, შემწყნარებლობა და მოფრთხილება სჭირდება.

15901. სულელებს ჭკვიანები დროულად უნდა გაეცალონ, რათა ისინი მათ თანამოაზრეებად არ ცნან.

15902. ხელწაუკრელობას ორივე ხელის წამოკვრა სჯობს, რაღაც მაინც შემოგრჩება კეთილსახსოვრად.

15903. მტერი არ უნდა გვიყვარდეს, მაგრამ მასთან საერთო ენის გამონახვა აუცილებელია – ნაკლებად ზარალიანია.

15904. დღევანდელი ტექნიკური პროგრესის „გათავხედების“ მიუხედავად, სახურავიდან „სოფლის შენებას“ სიკეთე არ მოაქვს.

15905. პროვოკატორის ნდობა გამორიცხულია, იმისდა მიუხედავად, ჩვენს მხარესაა თუ განაწყენებულია ჩვენს მოწინააღმდეგეზე.

15906. როგორც ბრიყვებთან, ასევე ძალზე გონიერებთან ცხოვრება ჭირს, თუ ცნობიერებას არაფერი ახლის გათავისება არ უნდა.

15907. პატივი რომ მოგაგონ, შენი უნდა ერიდებოდეთ; რომ წაგიმლიქვნელონ, შენგან რაღაც გამორჩენას უნდა ელოდნენ, ხოლო, რომ ეშინოდეთ, შენს ხასიათს პატივსაც უნდა მიაგებდნენ და სარგებელსაც უნდა ელოდნენ.

15908. ავად თუ კარგად, კითხვების დასმას ყველანი ვახერხებთ, მაგრამ მათგან სარგებლის მომტანი კითხვების შერჩევა და მოსმენა გაცილებით ძნელია.

15909. ზოგჯერ საკუთარი თავიც უნდა მოვატყუოთ და დავამუნათოთ, რომ უზრუნველად და ნერვებაუშლელად ვიცხოვროთ.

15910. საკუთარი დანაშაულის შეცნობა ღირსებასთან ერთად ღირებულებასაც გვმატებს.

15911. უმთავრესია, საკუთარი „მე“ არ დავანაგვიანოთ და დავან-

გრიოთ უხეში შეცდომებით და უსაზღვრო ეჭვიანობით.

15912. თუ წყვილის ერთ-ერთი წევრი ფიქრობს, რომ ის ზეციური საჩუქარია მეორისთვის, აუცილებლად გადაიქცევა ეგოისტად და ცხოვრებას ორივე გაირთულებს.

15913. ზოგჯერ სიამაყე მწარე ირონიით გვაჯილდოებს, რომლის გააზრება მეხსიერების ერთგვარ ძალისხმევას ითხოვს.

15914. შიში ფიზიკურად ყველას ერევა, თუ ის დაუნდობელია.

15915. მდიდრები არც ბოროტები არიან, არც იღბლიანები, უბრალოდ, სხვაზე მეტად ეხერხებათ თავის განძრევა, ხელის გამოღება და, ამავე დროს, გამბედავები და შეუპოვრები არიან.

15916. პატიოსნების გარყვნა არ ხერხდება. ის, შეიძლება, გააუპატიურონ, მაგრამ მაინც პატიოსნად რჩება.

15917. სურვილი, იყო მამულის ღირსეული შვილი, ერთია, მაგრამ რეალობასაც თვალი უნდა გაუსწორო და შენს დროს დაუცადო, ხოლო მანამდე ის საქმე აკეთო, რისი საშუალებაც არის.

15918. ნებისმიერ განვითარებას, ავად თუ კარგად, ჩვენთვის გაუცნობიერებელი შედეგი მოაქვს.

15919. ოპონირების გარეშე ვერცერთი დარგი ვერ განვითარდება და დაღვინდება.

15920. თუ ჩვეულებრივი მოკვდავი ხარ, უნდა დაივიწყო კარიერის კიბეთა საფეხურები, ოღონდ იმას საიდან გაიგებ, ჩვეულებრივი მოკვდავი ხარ თუ არა?!

15921. ხიბლი, ნიჭი და ორიგინალურობა მრავალჯერ ცოცხლდება და კვდება ჩვენს მახსოვრობაში.

15922. გეთაყვა, გმადლობთ, ძვირფასო – ეს ის მაგიური სიტყვებია, რომლებიც ცხოვრებას აადვილებს და კინკლაობასაც გვარიდებს.

15923. სურვილი იმედის ძიძაა, ხოლო მისგან თავის შეკავების მცდელობა მისი დედინაცვალია.

15924. ჭკუის დარიგებას, ალბათ, ისევ ჭკუის სწავლება სჯობს, რაღაც შედეგი მაინც აქვს.

15925. ჭირვეული ყოველივეს უარყოფს და საეჭვოდ ხდის. ამიტომაცაა, რომ უჭირს საქმის კეთება.

15926. ყოველი ჩვენგანის სათნოება მისასალმებელია, მაგრამ ათმაგად ძლიერდება მისი ძალა, როცა სათნო ადამიანი სამართლიანობის ეტალონიცაა.

15927. თავს უნდა ვუბრძანოთ, რომ ყველა ცოდვა მოვინანიოთ, თუ გვინდა ამქვეყნად მშვიდად ვიცხოვროთ და იმქვეყნად მარადიული სასუფეველი ვპოვოთ.

15928. უპირველესია, საკუთარი თავის შესაძლებლობები იწამო და გონის დაჯერება ისწავლო.

15929. მადლის შეცნობა გვიადვილდება, თუ სიამაყე მოთოკილი გვყავს.

15930. გავაკვირვოთ და შთავაგონოთ – ყველა ჩვენგანის ვალია.

15931. ადგილზე დარჩე და დაგაფასონ, გაცილებით ძნელია, ვიდრე სხვაგან წახვიდე და წარმოჩნდე.

15932. ყველაფრისა და ყოველივეს ახსნის მცდელობას სიბრიყვემდე მივყავართ, მანამდე თუ არ გაგვაგიჟა.

15933. ერთდროულად ძლიერებაზე და უმადურობაზე ფიქრს სასურველი შედეგი არ მოაქვს.

15934. ვეცადოთ, ოცნება როგორღაც ავიხდინოთ, მაგრამ მის მონად და ევნუხად არ უნდა ვიქცეთ.

15935. განუსჯელობის შედეგად გამოწვეული კამათი თუ განგაშს არ იწვევს, იქ მწუხარება მოჩვენებითია.

15936. ყოველთვის წინ უნდა ვიაროთ და ვიყუროთ, ხოლო უკან მოხედვისას აუცილებლად შევჩერდეთ, რათა ფეხი რაიმე გაუთვალისწინებელს არ წამოვკრათ და ზღართანი არ მოვადინოთ.

15937. საცდუნებლის დასამარცხებლად ტაქტიკის შემუშავება აუცილებელია, მაგრამ მოპოვებული შედეგის შენარჩუნებაა ძნელი.

15938. რატომღაც ხშირად გული სხვაზე მოგვდის, არა საკუთარ თავზე და ეს ჩვენი უნიათობის ერთ-ერთი მიზეზია.

15939. დამარცხების მიზეზი ყოველთვის წინდაუხედაობა და საკუთარ შესაძლებლობათა შეუფასებლობაა.

15940. რიდი და სიმორცხვე ყოველთვის მისასალმებელი არ არის. ის ზოგჯერ ავი ქმედებისთვის ხელს უხსნის როგორც მტრებს, ასევე მოყვრებსაც.

15941. ზომა-წონის ცოდნა ყველა სახის ურთიერთდამოკიდებულებას სჭირდება, ურთიერთობა რომ გავიხანგრძლივოთ.

15942. სიმდიდრე და სიღარიბე ნაკლი არ არის. აქ მთავარია, მათი განსჯისას გაუგებრობაც არ მოხდეს.

15943. ჯარისკაცია: სიმამაცე, პატრიოტიზმი, ერთგულება, სამხედრო განათლება, თანამედროვე შეიარაღება, ნიჭიერი მხედარმთავარი.

15944. წარსულის დავიწყება არა ღირს, რადგან ის ხშირად მეორდება სხვა სახით და ლამობს ჭკუა გვასწავლოს, დაგვარიგოს. თუმცა მალევე აღმოაჩენს, რომ მსმენელი არ უვარგა.

15945. მოვლენებს იმაზე მეტს ნუ შევკიდებთ, რაც რეალობისთვის შეუთავსებელი და მიუღებელია.

15946. ყველა ჩვენგანის ამქვეყნად მოსვლა სასწაულია. ამიტომაც ჩვენი დაბადების დღე სტაბილურად უნდა აღვნიშნოთ, და ხაზაგსმით ვიზეიმოთ.

15947. „მადლობა“ უდიდესი სტიმულია, რათა სიკეთე განმეორდეს.

15948. მიამიტობას, ალალმართლობას, მინდობილობას ხშირად მივყავართ დანაშაულამდე, რადგან გონებას ძალას არ ვატანთ და განსჯისთვის დროს ვერ ვნახულობთ.

15949. როდესაც დასახულ მიზანს ვერ აღწევთ, აქ უპირველეს ყოვლისა გამოწვევა უნდა დაინახოთ, და არა მხოლოდ – დაბრკოლება და სხვათა კვანტი.

15950. ცოდნა ხშირად არ არის ძალა. ძალა უნარი, შემართება, მოქმედებაა, დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებული.

15951. მოჩვენებითი ყოველივე დასაგმობია, იმ მომენტში რაც არ უნდა გვსიამოვნებდეს და ნეტარებას გვგვრიდეს.

15952. საკუთარი თავის ბოლომდის შეცნობა, დიდი სურვილის მიუხედავად, შეუძლებელია.

15953. ზედაპირული ცოდნა უფრო საზარალოა, ვიდრე არცოდნა, რადგან ამ დროს ცხვირს იქ არ ყოფთ, სადაც არაფერი გესაქმებათ.

15954. ვეცადოთ, სხვის საქმეში არც ცხვირი ჩავყოთ და არც ჩავერიოთ. მეტყველი მაგალითი: ცხენი პატრონზე განაწყენდა და მის მომსახურებაზე უარი თქვა. განაწყენებული პატრონი ცხენს დაემუქრა, დაგკლავ და შენს ხორცს მეზობლებს დავურიგებო. ცხვარმა ურჩია ცხენს, პატრონის ნებას დაჰყოლოდა, რადგან ის დანაქადს მართლაც შეასრულებდა. ცხენმა დაუჯერა, მეორე დღეს პატრონი ზურგზე შეისვა და გააჭენ-გამოაჭენა, ხოლო გახარებულმა მხედარმა შერიგება იმ ცხვრის დაკვლით აღნიშნა.

15955. უგუნურთან მოლაპარაკება შედარებით ადვილია, ოღონდ არამყარია, ვიდრე გონიერთან, მაგრამ ამ უკანასკნელთა მონახვაა ძნელი.

15956. დღეს უმთავრესია, თავსაც და სხვასაც საკუთარი თავის სიყვარული და დაფასება ვასწავლოთ, ოღონდ გონიერების ფარგლებში.

15957. კრიტიკა ადვილია, საკრიტიკე საჭირო ნაღვაწის შექმნაა ძნელი. კრიტიკა დაუფინანსებლად და უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს, რადგან კრიტიკული აზრის უქონლობა საზოგადოების ავტორიტეტს ვნებს.

15958. პიროვნება მომდევნო თაობათა დროის შესატყვისად უნდა აღვიქვათ და წარმოვაჩინოთ, თუ გვინდა მისი რეალური ფასი შევიცნოთ.

15959. დასახული მიზნის მისაღწევად ბედსაც არ უნდა დავემორჩილოთ, თუ მან ჩვენზე გარკვეული მიზეზების გამო ხელი აიღო და დროებით ჩვენს საწინააღმდეგოდ განეწყო. წინააღმდეგობის გაუწევლად მას ჩვენ არ გავახსენდებით და არც ჩვენკენ შემოტრიალდება, თუ მას ჩვენს სიჯიუტესა და თავგანწირვას არ დავანახებთ.

15960. თეორიულად პირდაპირობა მოსაწონია, მაგრამ პრაქტიკუ-

ლად დიპლომატია სჯობს.

15961. განცდები ნერვების ომია, ხოლო გამოსავალი ჭკუის მოხმობა, მოთმინება და წინდახედულობა.

15962. ნაკლის გამოსწორება გონივრული განსჯითაა შესაძლებელი და არა დაძალებით.

15963. ერის გამრავლება და ხელის გამოღება, ამა თუ იმ დროისთვის ალღოს აღება უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე უშედეგო ხმლის ქნევა და ე.წ. გმირობა. მცირე ერის წარმომადგენელმა ყოველივე ეს უნდა გაითავისოს.

15964. „საუკეთესო მტრები“ ძირითადად მოშურნენი არიან. ისინი გვაიძულებენ, ფხიზლად ვიყოთ, წამოწყებული საქმე მათ ჯინაზე ბოლომდის მივიყვანოთ და ცხოვრების მადლი და მისი კაპრიზები უკეთ შევიცნოთ.

15965. ღირებულებათა დაუცველობა და მათ მიმართ უყურადღებობა ქვეყნის ძლიერებას ძირს უთხრის და მის მომავალს არაპროგნოზირებადსა ხდის.

15966. არის სიტყვა, არის საქმე და, თუ ისინი ერთმანეთს არ ეთანადებიან, ე.ი. ვიღაცა სცოდავს.

15967. მსმენელი ყოველთვის პატივის მიგებისა და ყურადღების ღირსია, თუ მან თქვენს ნაღვაწს, მეტყველებას პატივი მიაგო.

15968. არის რაღაცა, რომლის გაფიქრებაც კი დანაშაულია, არათუ ქმედება. ეს დანაშაულებია: პედოფილია, სისხლის აღრევა, ახლობლის ღალატი და სხვა ამდაგვარი.

15969. ოცნებებს სხვას არ უთმობენ, რადგან თავადვე ცდილობენ მისთვის ხორცის შესხმას, რათა ამქვეყნიური ყოფის მადლი ბოლომდის შეიცნონ.

15970. თითოეულ გონით განსასჯელ საქმეს ახლოდანაც უნდა შევხედოთ და შორიდანაც, რადგან მისი გაგება-შეცნობა ერთი წერტილიდან ცქერით შეუძლებელია.

15971. ყველა ჩვენგანს თავისი დანიშნულება აქვს ამქვეყნად, მაგრამ ერთ საქმეში ყველა ერთ პოზიციაზე უნდა იდგეს: თუ საჭიროა, ქვეყნის სამართლიანი პრეტენზიების დაცვა უნდა ისწავლოს.

15972. დიდი საქმის კეთება პატარა საქმეთა აღსრულების გამოცდილებას მოითხოვს.

15973. ცნობილი ადამიანის ნაშიერს დაუფიქრებლად იმის კეთების უფლება არ აქვს, რისაც ჩვეულებრივი მოკვდავის ნაგრამს, რადგან პირველს შეუძლია მშობლების რეპუტაციას ავნოს და აჟიოტაჟი გამოიწვიოს, ხოლო მეორის იგივე ქმედება შეიძლება შეუმჩნეველიც კი დარჩეს.

15974. საკუთარ თავთან დისბალანსსა და მასთან უთანხმოების

გამწვავებას ხშირად განმეორებით შეცდომამდე მივყავართ.

15975. ორბუნებობა, ერთი მხრივ, სიგიჟეა, მეორე მხრივ, ნეტარება, მაგრამ ყველამ თავისი ბედნიერებისთვის უნდა იღვაწოს და ამით ნეტარება განიცადოს.

15976. ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი თავად ბოროტი ვერ იქნება, მაგრამ მოხერხებული და შემოქმედი რომ უნდა იყოს, ეს აუცილებელია.

15977. დამარცხებას ალიბი არ გააჩნია, რადგან მატიანეში შედეგი ფიქსირდება და არა დამარცხება და მისი მიზეზი.

15978. შენიშვნების, კრიტიკის, განსჯის გარეშე პროგრესი არ იქნება, იმისდა მიუხედავად, ოპონირება, ურთიერთკამათი სასარგებლოა თუ არა.

15979. წარსულის დაუფასებლობა აწმყოს გადაგვარებას იწვევს, ხოლო მომავალი იმედგაცრუებულად გვევლინება.

15980. უფლებების ხელყოფა ყველა ჩვენგანის რისხვას იწვევს, მხოლოდ მხარის დაჭერა და თანადგომა გამოდგება საზოგადოების ჰუმანიზაციის საზომად.

15981. ახალგაზრდული ილუზიებიდან რაც უფრო დროულად გამოვალთ და რეალისტურად შევხედავთ ცხოვრებას, მით უფრო წაგვადგება ჩვენც და ჩვენს ქომაგებსაც.

15982. „პურსა და სანახაობაზე“ გადაყოლა დროის ფლანგვას, მოდუნებას და ჩამორჩენას იწვევს.

+15983. განსაცდელი უკეთ ხედავს, ისმენს და აზროვნებს.

15984. ყოველივე გაუცნობიერებელი, მათ შორის, როგორც ბედნიერება ასევე უბედურება, გაუგებრობას იწვევს.

15985. წარსულის ქექვამ დღევანდელობას არ უნდა ავნოს.

15986. ყველა თავისი გაგებით, ხასიათის შერწყმით და ინტერესების გათვალისწინებით იღვწის. ამიტომაც არავინ უწყის, ვინ ვის როგორ უერთგულებს და როგორ გამოადგება.

15987. გაცემა-მიღებასაც ცოდნა უნდა, რათა ბოლოს დასაყვედრებელი არა იყოს რა.

15988. ტრადიციებმა რომ მომავალ პროგრესს ბიძგი მისცეს, წინააღმდეგობა და გონიერებაა საჭირო.

15989. გამოცდილების დაგროვებისკენ სწრაფვა ყველა ჩვენგანის ვალია, მაგრამ დაძალება ამ საქმეში უმადური საქმეა.

15990. იმპროვიზირების გარეშე ყოველივე მოსაბეზრებელი და დამღლელი ხდება.

15991. მხცოვანს, მისი გონიერების მიუხედავად, არავითარი სერიოზული საქმე არ უნდა ვანდოთ, თუ გვერდით არ ამოვუყენებთ პერსპექტიულ ახალგაზრდობას.

15992. პატიოსნებას შური და ჭორი ვერას დააკლებს, რაკიღა იგი საყოველთაოდ აღიარებულია.

15993. ზოგჯერ მშვიდობიანობისკენ სწრაფვაც საშიშია, თუ საზოგადოება შერკინებისთვის მოუთმენლად ემზადება და საჭირო ილეთებს ფილიგრანულად ფლობს.

15994. საკუთარი თავის შეცნობა ყოფიერების ყველაზე დიდი ალიყურის შეჭმას მოითხოვს.

15995. ორგინალობა, რომელიც შეცდომების დასაშვებადაა განწირული, მანკიერებაა.

15996. ჩვეულება მისთვის სათაყვანებელსაც არ ინდომებს.

15997. მოვალეობის შეცნობის ხასიათს გონივრული შეფასება განსაზღვრავს და განსჯის.

15998. სიკეთის კეთების ბოროტებად აღქმა უგვანობის ვირუსის შეყრის შედეგია.

15999. სასიხარულო დღეთა ოდენობა წინასწარ უნდა დავგეგმოთ, რათა მასთან შესახვედრად მზადება დროულად დავიწყოთ, რადგან ზოგჯერ ეს მზადება უფრო მეტი სიხარულის მომტანია, ვიდრე თვით დღესასწაული.

16000. საკუთარი თავის ხშირ-ხშირად გაკონტროლება ჭკუისა და გამოცდილების მოსაპოვებელ გზებს გვიხსნის.

16001. მიუწვდომლის მიღწევა გაცილებით ადვილია, ვიდრე მიღწეულის შენარჩუნება.

16002. საქმიანი მოლაპარაკებაც თავისებური ლატარეაა. ამიტომაც მასზე უარი არასოდეს უნდა ვთქვათ.

16003. ყოველგვარი ურთიერთობა დახვეწას მოითხოვს დროის, გარემოს, საჭიროებისა და ურთიერთგაგების შესატყვისად.

16004. შედეგის მიღწევაა საქმე და არა სურვილი, რაც ყბედობის ტოლფასია.

16005. მეწვრილმანეობა მომჭირნეობა არ არის, რადგან იგი ადამიანის ბუნებას ხელსა ჰკრავს და აზიანებს.

16006. შეცდომებსაც გამოსწორება სჭირდება და არა მარტოოდენ შიშველი წადილი.

16007. პრონლემის აქტუალობა საქმის საკეთებლად უნდა იქნეს გამოყენებული და არა სალაყბოდ.

16008. სიკვდილთან დავას აზრი არ აქვს, თუ ის ჩვენთვისაა განკუთვნილი.

16009. უგვანობასა და პატიოსნებას საზოგადოებრივი ცნობიერების აიწონა-დაიწონა განსაზღვრავს.

16010. „მოყვასისთვის პირში ავის თქმას“ ისევ მინიშნებითა და ორაზროვნად თქმა სჯობს, ნაკლებად გამაღიზიანებელია.

16011. მეგობრები საქმიან ურთიერთობას ფულის გადანაწილების ხერხებით უნდა მოერიდონ, მხოლოდ დახმარება, რათა ის არითმეტიკაში არ გადაიზარდოს და მათ ურთიერთობას ბზარი არ გაუჩნდეს.

16012. დაგეგმილი რეფორმების დაუმთავრებლობა კარიერისთვის სიკვდილის მოახლოების ტოლფასია.

16013. რაც არ კეთდება ნაცნობობითა და ნათლიმამობით, ის ძალაუფლებითა და დიდი ფულით აღსრულდება.

+16014. თუნდაც კერძო საქმის შემდგომისთვის გადადება საერთო საქმის ღალატია.

16015. თუ თქვენს დაახლოებაში ერთ-ერთი უცხო სხეულად ეკვეხება, სჯობს, ურთიერთს სიამტკბილობით დაშორდეთ და ერთმანეთი დაივიწყოთ.

16016. ყოველივე, რისი გამოყენებაც შეიძლება, გამოყენებულ უნდა იქნეს, რადგან უვარგისი და გამოუყენებული არაფერი არის ამ სამყაროში.

16017. საიდუმლოს შემთხვევით ზიარების ცოდნაც უნდა და გამოცდილებაც, რათა ის უნებლიეთ არ წამოაყრანტალოთ.

16018. მშიშარა და ჯაბანი სიკეთის საკეთებლად არ გამოდგება.

16019. სიბრძნის ფლობა სიმდიდრეა, რომელსაც კადნიერება აკნინებს.

16020. თუ მართალი ხარ, ტალახის სროლამ არ უნდა შეგაშინოს. მან შეიძლება გაგაბრაზოს, მაგრამ ჭუჭყი მაინც არ აგეკვრება.

16021. კანონიერი ოპოზიცია უტკივარ თავს გვატკიებს, მაგრამ შედეგი ყოველთვის ხელშესახებია.

16022. მატერიალიზმის პოსტულატებზე გამოკიდება მოსახლეობის გამრავლებას და კვლავწარმოებას ხელს უშლის.

16023. აგიტაცია და პროპაგანდა თავისებური ძალადობაა ხალხზე, მაგრამ ამ მშვიდობიანი ძალადობის გამოუყენებლად ამქვეყნად არავითარი სერიოზული საქმე სწრაფად და უდანაკარგოდ არ კეთდება.

16024. გადამეტებული არც მოთმინება ვარგა და არც დროის შეურჩევლად შეტევა.

16025. ყველას, ვისაც ნოსტალგია აწუხებს, ნეტარად გასახსენებელი აქვს ჩვენ მიერ განვლილი გზა.

16026. ვეცადოთ, ყოველი ჩვენი ქმედება ავწონოთ მილიგრამების სიზუსტით და მიამიტობის წვეთები ახლოს არ გავიკაროთ, რადგან განუსჯელი ყოფა ცხოვრების მადლის შეცნობის უნარს გვიკარგავს.

+16027. სიმხდალეს გამართლება არ აქვს, მიუხედავად უამრავი მიზეზის ქონისა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც შედეგზე ფიქრობს. შამილი ამბობდა: მხდალია ის, ვინც შედეგზე ფიქრობსო.

+16028. ბუნებრივი სიცილი პატიოსნებაა, ხელოვნური კი – თაღ-

ლითობა.

16029. სიამაყე ძვირად ღირებული სიამოვნებაა, რომლის მოთოკვა ყველას როდი ძალუძს.

16030. სახელმწიფოს მმართველობაში უნდა მოვიდნენ ნაღდი, საქმის მცოდნე პირები და არა ხელით ნათრევი ბიჭები, რათა ამ უკანასკნელთა შენახვა ქვეყანასა და ხალხს ძვირი არ დაუჯდეს.

16031. ქვეყნის ინტერესების დასაცავად და რეალური შედეგების მისაღებად არაფერს არ უნდა მოვერიდოთ.

16032. მიზიდულობისა და მიმზიდველობის გარეშე ქვეყანაში მიგრანტები უკან არ დაბრუნდებიან.

16033. ინიციატივა მაინც დასაფასებელია, და მაშინაც კი, თუ მას გონიერება მხარს არ უმაგრებს და გონიერები მის მხარეს არ დგანან.

16034. ყველა ჩვენგანში ჩვენივე გაგების ურჩხული ბუდობს, რომლის გამოღვიძება არა ღირს.

16035. ბუტიაობით თავის გამოდება და წარმოჩენა სიბრძნის მაჩვენებელი ნამდვილად არ არის.

+16036. სინამდვილეს შელამაზება არ სჭირდება, სჭირდება მხოლოდ აღიარება.

16037. ფარისევლობა და გაუტანლობა უნებლიეთ ორმოს საკუთარ თავსაც უთხრის და სხვასაც.

16038. თუ მხოლოდ საკუთარ თავზე ხართ შეყვარებული, სხვათა გაგება გაგიჭირდებათ.

16039. ცხოვრებაში ის აღწევს წარმატების, ვისაც საკუთარი თავისა სჯერა, ყოფის კაპრიზებს არ უშინდება და ირგვლივ მყოფთა ყბედობას ყურად არ იღებს.

16040. გაუმართლებელ მოთმინებასა და შემწყნარებლობას ზოგჯერ ბევრი უდანაშაულოს სიცოცხლე ეწირება.

16041. სიმართლეს საკაცობრიო მიზანი აქვს, იმისდა მიუხედავად, უმართლებს თუ არა.

16042. სიტყვა ძალას თუ კარგავს, ის ყველაფერზე ავად მოქმედებს, მათ შორის სახელმწიფოებრიობაზეც.

16043. შენს უფლებებს თუ უკანონოდ ეუფლებიან, ეს ყველა ჩვენგანისთვის უფლებების აყრის ტოლფასია.

16044. საქმის მკეთებელს ალიბის მოძიება არ სჭირდება და არც ეძებს.

16045. უსაფრთხოებამაც თავისი საფასური უნდა გაიღოს, რადგან ის უპირველესია ჩვენს ყოფიერებაში.

16046. ყველას ჩვენი გზა გვაქვს წარმატების მისაღწევად და მის განსახორციელებლად. ამიტომაც სხვადასხვა ხერხის გამყენებას არ უნდა ვერიდოთ.

16047. უსაზღვროა რწმენა, ხოლო მისი ძალა ყოვლისშემძლეა.

16048. სიტყვის მადლს გონის იმპულსები განსაზღვრავს.

16049. დაწყება დაბოლოებას მოითხოვს, რადგან შუა გზაზე გაჩერება დაუფასებელი ღვაწლია.

16050. უგუნურებასთან, უგვანობასთან პატიოსნად მოქცევა, შენის მხრივ უფრო დიდი უგვანობაა.

16051. კაცობრიობის ყველაზე დიდი მტერი შიმშილი, კლიმატის ცვალებადობა და ურთიერთგაუტანლობაა.

16052. სიტყვა „არასდროს“ ძალზე ამბიციური, შემზარავი და უკონტროლო სიტყვაა ჩვენს ლექსიკონში.

16053. სისულელეების კეთებას უნდა ვერიდოთ, რათა ასაკში შესულმა გონიერებამ ყოფიერებას წიხლი არ ჩააზილოს.

16054. ზოგჯერ საკუთარ თავზე ზრუნვა სხვაზე ზრუნვადაც მოიაზრება.

16055. იდეალური არცერთი არა ვართ, მაგრამ კრიმინალური ჭუჭყისგან ამა ქვეყნის გაწმენდა ყველა ჩვენგანის ვალია.

16056. ზოგჯერ თავის გამოდება აუცილებელია, მაგრამ აქაც ზომიერების დაცვაა საჭირო, რათა აჩქარებისას მიზნის მიღწევაში ხელი არ შეგვეშალოს.

16057. მშობელი ის კი არ არის, ვინც გაგაჩინა, არამედ ის, ვინც აღგზარდა და სულიერ შვილად გაღიარა.

16058. უბედურება რაიმეს ქონა კი არ არის, არამედ მცდელობა, მიისაკუთროს ის, რაც არ ერგება.

16059. სურვილს ხელმომჭირნეობა უხდება, რათა არ გადაამლაშოთ და ზედმეტმა არ გავნოთ.

16060. ფილოსოფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა არ არის ის საგნები, ყველამ რომ გაიგოს და შეიცნოს. ესენი ინტუიციით უნდა აღვიქვათ, დავაფასოთ და მათი შესწავლისას სათანადო ნიჭსა და ფანტაზიას მოვუხმოთ.

16061. მთავარია წარმატებული შედეგის გაცნობიერება და დაფასება და არა ის, თუ როგორ აღწევთ შედეგს, ეს უკანასკნელი მეორეა.

16062. წარსულთან გააზრებული შერიგება ყველა ჩვენგანის ვალია. აქ მიზეზთა ძიება მიუღებელია.

16063. წარსული არ უნდა დავივიწყოთ, ოღონდ მომავლის იმედით უნდა ვიცხოვროთ.

16064. საკუთარი სიცოცხლე ძვირფასია, ნაშიერის სიცოცხლე – უძვირფასესი.

16065. პატივის მიგება ერთია, სიყვარული მეორეა, თანადგომა – მესამე. ასე რომ, მათი გაიგივება შეცდომაა.

16066. ეცადეთ, სხვათა უგუნურებას საკუთარიც ზედ არ დაუმატოთ, უფრო კი იმას, რომ სხვისას საკუთარი უგუნურება არ დაუპირისპიროთ.

16067. ამა თუ იმ დროისათვის არასასურველი იდეოლოგიის გაბატონებამ და დაუსაქმებელი ადამიანების მომხრობამ სისხლის ტბების დაყენება იცის.

16068. შერკინებაში თქვენი გამარჯვება, რომელიც თქვენ მიმართ კეთილად არ განაწყობს მოწინააღმდეგეს, ნახევრად გამარჯვებაა.

16069. სიყვარულისთვის ბრძოლაში ყველა მეთოდი როდია გამართლებული, განსაკუთრებით, თუ ეს საკუთარ „მეს“ ღირსებას ჩრდილს აყენებს.

16070. ბუტაფორიაზე არაფერი შესაშური არ შენდება და არც იდგმება, რადგან ის დროებითია.

16071. თანდაყოლილი არაჯანსაღი ფსიქიკა ქვეყნის სასიკეთო მმართველობას ხელს უშლის, თუ მის ჭკუაზე მოყვანას დროულად ვერ შევძლებთ.

16072. 25-30 წლის პერსპექტიული ახალგაზრდის ხელისუფლებაში ნაადრევად მოყვანა და თანამდებობაზე დანიშვნა ქვეყანასა ვერ რგებს და ამ ყმაწვილსაც რყვნის.

16073. უგუნური ბედნიერებას გარეთ დაეძებს, გონიერი – საკუთარ თავში.

16074. მოქმედება, ხელის გამოღებაა უპირველესი, შემდგომ მოდის ცოდნა-გამოცდილება.

16075. კარგი ტრადიციები საყოველთაო გავრცელებისთვისაა განწირული, ხოლო ცუდი – დამყაყებისთვის.

16076. ეგოიზმის ალტერნატივას ყველაზე მეტად ეგოისტები იწონებენ.

16077. ისწავლეთ შორს გამიზნული, ჭკვიანური უარის თქმა, ოღონდ არ გამოიყენოთ ყურით მოთრეული ალიბი.

16078. კრიტიკას უნდა გავუძლოთ, გავუგოთ, საკუთარ თავს უნდა შევუძახოთ, პიროვნებად წარმოვჩნდეთ და უკეთ გავერკვეთ არსებულ ვითარებაში.

16079. ყველამ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, იმისდა მიუხედავად, რა დროს ვემსახურებით და რა გარემოში გვიხდება ყოფნა.

16080. კეთილი საქმე დაფარული უნდა იყოს, რადგან მისი „გაბაზრება“ შურს იწვევს და სკეთეს ფასს უკარგავს.

16081. რწმენა და სამშობლოს სიყვარულის საფუძველი ყბედობის შედეგად ინგრევა და არა ომითა და თანამედროვე იარაღის გამოყენებით.

16082. მთავარი ის კი არ არის, რა გვსურს, მთავარია, რა შეგვი-

ძლია და რის გაკეთებას შევძლებთ რეალურად.

16083. შური, გაუტანლობა, წინდაუხედაობა, „უტრაკო ყარაჩოღ-ელობა“, მოსმენის უნარის დაკარგვა ქვეყანაში ყოველივე სასიკეთო წამოწყებასა და აზროვნებას ძირს უთხრის.

16084. ყველა რისკი, მცდელობა, შედეგის მიუხედავად, უნდა და-ფასდეს, რათა მათ ავტორებს მიმბაძველნი გამოუჩნდნენ.

16085. უგუნურ მოყვარესა და კეთილის მდომს ზოგჯერ გაცილებით მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე გონიერ და გაწონასწორებულ მტერს.

16086. მთავარია, ქვეყანას პიროვნება ედგეს სათავეში და არა „პახმელიაზე“ შექმნილი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი.

16087. ხმლით მოსულ ძლიერ მტერს ჭკუის მოხმობითა და ან-გარიშით უნდა დავხვდეთ, რადგან ამგვარი დახვედრა გაუმართლებელ მსხვერპლს აგვარიდებს და უფრო მეტი სარგებლის მომტანი იქნება. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით პატარა ერებმა უნდა გაითავისონ, რადგან მათი ბედი უმთავრესად წინდახედულ დროებით მორჩილებასა და ელასტიურ პოლიტიკაზეა დამყარებული.

16088. ალალად და დაუფიქრებლად ნათქვამი სიტყვა უფრო სან-დოა, ვიდრე განსჯა-დაფიქრების შედეგად წარმოთქმული.

16089. ისაა ნაღდი მეგობარი და შენი გამგები, რომელსაც შინაგანი ჭუჭყი და გაუგებრობა გარეთ არასოდეს გამოაქვს.

16090. ეშმაკისთვის სულის მიყიდვა ადვილია, გამოსყიდვაა – ძნე-ლი.

16091. შეხლა-შემოხლის გარეშე არავითარი ხელშესახები არც შე-ქმნილა და არც შეიქმნება.

16092. პრობლემას თუ ყველა მხრიდან მიუდგებით, ის დაძლევა-დია.

16093. ღირებულ ტრადიციათა წარმოსაჩენი დროშა ყველან გაშ-ლილი უნდა ვატაროთ.

16094. ადათ-წესების დაცვა საჭიროა, ოღონდ ჩასწორებებით.

16095. შეცდომების განსჯაც საჭიროა და მათგან თავის დაღწევაც, მაგრამ ეს დროულად უნდა მოხდეს და საამისოდ სიბერეს არ უნდა დაველოდოთ.

16096. სიმშვიდე წამალია, მაგრამ მისი მუდმივად გამოყენება ადა-მიანურ და ეროვნულ სიჩლუნგეს იწვევს.

16097. გადამეტებულ გულმოდგინებას ისევ თავის შეკავება სჯობს, განსჯის დროს გიტოვებს.

16098. საუბარს მაშინ აქვს ფასი, თუ ის შედეგს იძლევა, ლაპარაკს – თუ ის ვისმე აინტერესებს, ხოლო ყბედობა ყველასთვის ნებადარ-თულია, რადგან ის გართობისთვისაა განკუთვნილი და არა შედეგის მისაღებად.

16099. მოჭარბებული სიამაყისკენ მიდრეკილება, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავს ვნებს.

16100. თავის დამცირებას უნდა ვერიდოთ, მაგრამ არც განდიდებისთვის ღირს თავის გამოდება.

16101. თავი არც უნდა დავიმციროთ, არც უნდა ვადიდოთ. აქ მთავარია, ვიცხოვროთ ჩვენი ლაღი ცხოვრების საუკეთესო წლებით.

16102. ეცადეთ, ისეთი კითხვები არ დასვათ, სადაც თქვენთვის სასურველი პასუხები არ გაჟღერდება. ამით საკუთარ ნერვებსაც გაუფრთხილდებით და პასუხის გამცემზეც არ განაწყენდებით.

16103. თქვენი სურვილი არ უნდა ექიშპებოდეს სხვათა მისწრაფებებსა და მცდელობებს.

16104. სიდიადე ღირსებას თავისივე ღირებულებებით ზომავს.

16105. ლმობიერება ყოველთვის თანამგზავრად და თანამდგომად არ გამოგადგებათ.

16106. სიმართლესთან ახლო ყოფნა სჯობს, იმისდა მიუხედავად, მტერს გაიჩენ თუ მოყვარეს.

16107. რაც იშვიათი და ხელმიუწვდომელია, ყველაფერი კარგი ან საინტერესოა.

16108. უჩინარი და გაურკვეველი მარად საგანგაშოა.

16109. დაუმიზნებელი ყბედობა და სიტყვების სროლა არაფრის მაქნისია, რადგან მიზანი დაუზიანებელი რჩება.

16110. ეცადეთ, გრძნობები სიტყვების ფრქვევას არ დაუპირისპიროთ, რათა რაიმე უგვანო არ წამოგცდეთ და არ იჩხუბოთ.

16111. მიზნები მათი გაცრუების შემდგომაც არ უნდა დავივიწყოთ, ხოლო ამოცანები მათი გაცრუების შემდგომაც უნდა ამოვხსნათ.

16112. ნახევრად საქმის კეთებამ საყვედურის მომრავლება იცის.

16113. ვინც სიმდიდრეს თავად არ იხვეჭს და მემკვიდრეობის მიღებით კმაყოფილდება, მას შანსი აქვს, ის ადვილად დაკარგოს, გაასხვისოს.

16114. სულმდაბლობა ღირსებას ოცნებითაც კი ვერ გაუტოლდება.

16115. სიკვდილსაც ნუ მივცემთ ჩვენი სახელისა და ხსოვნის დავიწყების, განადგურების უფლებას, ვცადოთ, მცირედი დასამახსოვრებელ-გასახსენებელი მაინც დავტოვოთ ამქვეყნად.

16116. აჩქარება ღმერთს არ უყვარს, მაგრამ საქმის კეთებისას სიზანტესაც ვერ იტანს.

16117. მენეჯმენტის ცოდნა აუცილებელია, თუ გინდა, მატერიალურად არ იზარალო.

16118. გაბუქებული მლიქვნელობა ცილის წამების ტოლფასია.

16119. მშვიდობიანობის მადლს დაპირისპირებისა და ომობანას თამაშის უარყოფითი შედეგები შეგვაგნებინებს.

16120. თავის მართლებაც თავისებური სისუსტეა, რადგან აქამდე არ უნდა მიგვეყვანა საქმე.

16121. ყოველივე გონივრულად მოწყობილი და წარმართული მოგების, წარმატებისა და სახელის დაგდების გარანტია.

16122. ვინც მეტს მოინდომებს, შანსი აქვს, განაღდებული მცირედიც დაკარგოს.

16123. მახვილგონიერება, მოხერხებულობა შეუცვლელი იარაღია ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

16124. უსაქმურობა ცუდის სწავლებისკენ გვიბიძგებს.

16125. მარცხი ყოველთვის ჭკუის სასწავლად არ გამოდგება, განსაკუთრებით, თუ ის შემთხვევითია.

16126. შენი დარდი სხვას მხრებზე არ უნდა აჰკიდო – ორივენი დაიტანჯებით, შენ კი ვერავითარ მოგებას ვერ ნახავ.

16127. აფორიზმი თავისებური აქსიომაა. მას იყენებენ კამათში მოხდენილი და საბოლოო წერტილის დასასმელად.

16128. საკუთარი თავისათვის ჯეროვანი პატივის მიგებას ცოდნა სჭირდება და ერთგვარი გამოცდილებაც.

16129. „ვიცისთან“ შედარებით „არ ვიცი“ ხშირად უფრო მოგებიანად გამოიყურება.

16130. სხვათა ცუდი ქცევის გათვითცნობიერება საკუთარი ცნობიერების გარყვნას უწყობს ხელს.

16131. ავის კარგად მოჩვენების მცდელობა მოთხოვნათა გაზრდამ იცის.

16132. კამათში მთავარია მეტოქის დარწმუნება და არა მისთვის ჭკუის დარიგება და სწავლება.

16133. სიბრძნესა და ნიჭიერებას დამნახავი სჭირდება, კარიერასა და სიმდიდრეს – ბედთან შეხვედრა.

16134. ზნეობრივი სრულქმნილების ზღვარს ის აღწევს, ვინც სიკეთეს თესავს, უვლის და არიგებს.

16135. გააზრებული უკმაყოფილება ჩვენს პიროვნებად ჩამოყალიბებას აჩქარებს.

16136. ჩვენი წარმმართველი საწყისის მოძიება ყველა ჩვენგანის ვალია.

16137. საკუთარი მეობის შეცნობას დღეში ერთხელ მაინც ყველა ჩვენგანი უნდა შეეცადოს.

+16138. გვერდზე გახედვა ადვილია, გვერდზე დგომა – ძნელი.

16139. საკუთარი საქმიანობისათვის გარეშეს თვალებით ყურება შეცდომებს აგვარიდებს.

16140. ალკოჰოლი ტკივილის დროებით გამაყუჩებელი საშუალებაა და არა გადარევისა და გონის დაკარგვისა.

16141. თავისი საქმის უცოდინარი ჯალათიც კი ცოდოა.

16142. ყველას რაღაც და ვიღაც გვჭირდება, მაგრამ ამაზე მოჭარბებული საუბარი არ ღირს, კუდს გამოაბამენ.

16143. ტრაგედიად არც სხვისი ნაკლი უნდა აღვიქვათ და არც საკუთარი, რადგან, ნაკლის გამოსწორება თუ არ ხერხდება, მისი დაფიქსირება ხომ მაინც შევძელით.

16144. კამათი ქალსა, ბავშვსა და ხალხთან არ ამართლებს. უმჯობესია, მათ მოვეფეროთ და დავუყვაოთ.

16145. ავს კარგის დანახვაც უჭირს, რადგან ამის უფლებას შური და გაუტანლობა არ აძლევს.

16146. მიწა ის უმთავრესი საქონელია, რომლის წარმოებაც შეუძლებელია, მხოლოდ მისი გაპატიოსნება, გამოყენებაა შესაძლებელი.

16147. ენით მოაზროვნე სერიოზული საქმეების საკეთებლად არ გამოდგება.

+16148. საიდუმლოს შენახვის ხელოვნება ყბედობის შემოტევას კი უძლებს, ოღონდ ვერ იტანს.

16149. ტყუილი საკუთარ თავსაც არ უნდა აპატიოთ, რათა ის თქვენს მოტყუებასაც არ დაეჩვიოს.

16150. საკუთარი უმეცრების, უხასიათობის, უგვანობისათვის ლაგმის ამოდება ყოველთვის მისაღებია და შედეგიანიც.

16151. დარდი რომ მავნებელი და სასტიკი არ გახდეს, მას არ უნდა ავყვეთ.

16152. ის რომ არ დავკარგოთ, რაცა გვაქვს, ჩვენთვის გაუცნობიერებელსა და ზედმეტს არ უნდა წავეპოტინოთ.

16153. მეგობრის გონივრული შერჩევა სასურველია, რათა მან თავისი ნაკლოვანებებით თქვენზე გავლენა არ მოახდინოს.

16154. გონებრივი კუზიანობით თავის წარმოჩენის მცდელობა ბუნებით ჩაგრულთა ხვედრია.

16155. ჩაცმის ხელოვნება პირფერობასა და სიცრუეს ვერ იტანს.

+16156. ადათ-წესები გადასინჯვას მოითხოვს, მაგრამ არა დაპანღურებას.

16157. თეზისებს, აფორიზმებს, ანდაზებს, ჭკვიან გამონათქვამებს განმარტება არ სჭირდება – ისინი გულმა უნდა იგრძნოს, გონმა განსაჯოს, სულიერებამ დააჭაშნიკოს.

16158. არამზადის წინაშე წამლიქვნელებამ, შეიძლება, თავადაც არამზადა გაგვხადოს.

16159. სჯობს, საფრთხეს პირველად ჩვენ შევუტიოთ, რადგან ლოდინი ხშირ შემთხვევაში წაგებიანია.

+16160. ფრთებგამოსხმული შიში ხანგრძლივი ფრენისთვის არ გამოდგება.

16161. პირადი ცხოვრების მოუწყობლობა ყველა ჩვენს წამოწყებას საფრთხეს უქმნის და ზურგს აქცევს.

16162. ანგარებით შექმნილ გაერთიანებას, მეგობრობას, თანადგომას დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია.

16163. საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლა მისასალმებელია, მაგრამ ის ქვეყნის, სახელმწიფოებრიობის ინტერესებზე მაღლა არ უნდა დადგეს.

16164. მთავარია მიზნის დასახვა და არა მოლოდინი, იმედი.

16165. ქვეყნის მოქალაქეებად გვაქცევს კანონის დიქტატურა და მომავლის რწმენა და არა დემოკრატიისა და თავისუფლების ქარტიას ამოფარებული უსაგნო-უპერსპექტივო ყბედობა, გულზე ხელის ბრახუნი და კარიერისთვის ბრძოლა.

16166. გმირის სახელის დაგდება შეუძლებელია, თუ ჩვენს მცდელობასთან ერთად გარემომ და შემთხვევამაც არ ინება იგი.

16167. გაკვირვება, ბედნიერება და სიხარული გვერდში ამოგიდგებათ, თუ ხელს გაანძრევთ და ჭკუას დროულად მოუხმობთ.

16168. დრო იცვლება, ასაკი გვემატება, მასთან ერთად იცვლება შეხედულებებიც, დამოკიდებულებებიცა და აზროვნებაც. აქ მთავარია, არ გადავამლაშოთ.

16169. ბოროტების სასიკეთოდ შემობრუნების მცდელობაც თავისებური ტანჯვაა.

16170. ეშმაკობის, მოხერხებულობის ნიჭიც სიკეთის კეთებას უნდა მოხმარდეს.

16171. ფაქტობრივად საკუთარ მიზნებს, ოცნებებს, მრწამსს ვემსახურებით და არა ვიღაცის ნებასა და ინტერესებს, თუ ის ანაზღაურებადი არ იქნა.

16172. მოვალეობის უდრტვინველად აღსრულება – უდიდესი პატივის მიგებაა საკუთარი თავისთვის.

16173. წინდახედული მოთმინება ყველა გონივრული ქმედების საწინდარია.

16174. საკუთარ თავზე შეყვარებულ ეგოისტთა გამოსწორებაზე ზრუნვა უკვე დაგვიანებულია და ამისი მცდელობა არ ღირს.

16175. მუდმივად მატერიალურზე ფიქრი სულიერებას აკნინებს, გულისცემას აჩქარებს, გონს აჩლუნგებს.

16176. ყველა მთავრობას როდი უნდა ვანდოთ ქვეყნის კონსტიტუციისა და მართლმსაჯულების კანონების შექმნა-დამტკიცება, იმდენად კორუმპირებულები, უცოდინარები და ფულის შოვნაზე გადაგებულები არიან.

16177. ღირსება და რწმენა თუ ურთიერთს ვერ უგებენ, მათი ცალ-ცალკე დგომა შედეგს არ იძლევა.

16178. შიმშილი, სიცივე, დაუსაქმებლობა, იმედგაცრუება, უყურადღებობა ბოროტების სათავეა და, თუ რამდენიმე მათგანი მაინც დროულად არ იქნა აღმოფხვრილი, დანაშაულის ჩადენის მცდელობა გარანტირებულია.

16179. აფექტის დროს ქვეყნის საკეთილდღეოდ და პატრიოტიზმის პოსტულატებისთვის თავის გაწირვა ერთია, სამშობლოსთვის წინდახედულად საქმის კეთება და მოცლა მეორეა. პირველს თავის გაწირვის ნაცვლად, 5-7 შვილი რომ აღეზარდა და ერის გამრავლება-განათლებისთვის ხელი შეეწყო, ერთ აგურს დადებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ასე გავმრავლდებოდით და, შეიძლება, დროთა განმავლობაში უსისხლოდაც მოგვეპოვებინა ეს ნანატრი თავისუფლება.

16180. სჯობს, საქმიანი წამოწყება დროზე დავამთავროთ, ვიდრე საზოგადოების მიმართ დავალებული ვიყოთ მისი დაუმთავრებელობის გამო.

16181. სიფრთხილე ყოველგვარი ნიჭისა და ჭკუა-გონების სალესავია.

16182. საჭიროს, დამტკიცებულსა და განსჯილს ზედმეტად შენჯღრევა და გააზრება არ სჭირდება.

16183. კატეგორიულობა და უფლებათა გაფეტიშება დამღუპველია.

16184. რიდი ყველა სახის მტრის მიმართ უნდა გვქონდეს. ეს გონიერებაა და არა სიმხდალე.

16185. ჩვენი მოწოდებაა, მიზნის მისაღწევად ერთად, ურთიერთგაგებით, სუბორდინაციის დაცვით ვიღვაწოთ.

16186. უნდა იდავო, იკამათო იმასთან, ვისაც შენი ესმის და არა იმასთან, ვისაც შენი დანახვაც არ უნდა.

16187. დაძალება საქმის საკეთებლად გამოსადეგია, ძალადობა – გამოუსადეგარი.

16188. ბუნებრივი მოვლენების ღრმად შეცნობა და მისი სასიკეთოდ გამოყენება ყველა ჩვენგანის ვალია.

16189. ყოველი საქმიანობა ბოლოში გასვლას მოითხოვს, რადგან მისი შუა გზაზე მიტოვება-მიგდება დანაშაულია ყველასა და ყველაფრის წინაშე.

16190. უსაქმურობა არა მარტო ცხადში, სიზმარშიც კი დასაგმობია.

+16191. შესაძლებლის მიღწევა ზოგჯერ შეუძლებლის დაძლევის მცდელობაცაა.

16192. მშობლებს შვილები არ ირჩევენ და პირიქით, მაგრამ ურთიერთგაგება ორივე მხარისთვის სავალდებულოა.

16193. მწარე სიმართლეს მუშტი დღესვე უნდა მოუღეროთ, ხვა-

ლამდე, შესაძლოა, ვერც მიაღწიოთ.

16194. მშვენიერება და სიკეთე სინონიმები არიან, რადგან სხვაგვარად მათი აღქმა გაჭირდებოდა.

16195. უსინდისობა ყოველთვის ყოფიერების ფასის ინფლაციას იწვევს.

16196. სიყვარულის საბოლოო ფორმულა არც დაწერილა და, შესაბამისად, არც ამოხსნილა. ეტყობა, ის შეუცნობადი დარჩება მარად და მარად.

16197. ყველას ვერ გაუგებ. ამიტომაც საჭიროა, უმთავრესად ჩვენთვის ნაბრძანები, ნაბოძვარი ცხოვრების წესით ვიცხოვროთ, სხვებს ყურადღება არ მივაქციოთ.

16198. რწმენა კარგია, მაგრამ ამისი შეცნობა და გათავისება უფრო მნიშვნელოვანია.

16199. ჩვენი წილი სამშობლოს დაცვა ყველა ჩვენგანის ვალია. ამიტომაც გაერთიანება, ურთიერთგაგება ყველა მოკვდავისათვის აუცილებელია, თავს პატრიოტად გრძნობს თუ არა.

16200. სატირაც პოზიტივად უნდა გავაცნობიეროთ.

16201. შურისძიებასა და დასჯას შორის არავითარი სხვაობა არ არის.

16202. გუშინ ჩაფიქრებული ტექნიკური პროგრესის აზრი დღეს ყალიბდება, ხვალ ფურორს ახდენს, ხოლო ზეგ დავიწყებას ეძლევა და მომდევნო ტექნიკური პროგრესის წარმოჩენას ხელს უწყობს.

16203. უზნეობას თავის დაცვისა და ალიბის მოძიების საშუალება არ უნდა მივცეთ, იმისდა მიუხედავად, რა საზოგადოებაშიც უნდა გვიხდებოდეს ცხოვრება.

16204. მაღალი იდეალების ცხოვრებაში გატარებას უპირველესად იმ დროისთვის მისაღები დიქტატი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მერყევ, არშემდგარ პოლიტიკოსსა და მის მმართველობას მივიღებთ.

16205. შეიძლება მოყვასი თავისი ბუნებით კეთილგონიერი იყოს, მაგრამ ახასიათებდეს თანდაყოლილი გენეტიკური უცნაურობანი, რაც მის თქვენდამი თანადგომას საეჭვოს ხდის და ეს ფაქტიც თავიდანვეა გასათვალისწინებელი.

+16206. ზოგჯერ რაც გვინდაზე მეტად ის ვიცით, რაც არ გვინდა.

16207. ურთიერთთანხმობა სულიერების დიდი ძალაა, რომელსაც გონიერებაც უნდა ედგეს გვერდში.

16208. საკითხის განსჯისას უნდა ვილაპარაკოთ ფაქტებით, ისტორიული გამოცდილებით და არა განუსჯელი ამბიციების წარმოჩენითა და უაზრო სურვილების გამოხატვით.

16209. ზოგს ქუჩაში აკრეფილი ცოდნით მოაქვს თავი და ყოყლოჩინობს, რადგან სასწავლებელში მიღებული განათლება და ცოდნა ის არ

არის, რაც მას ცხოვრებაში გამოადგება.

16210. მომავალ თაობებს უნდა ვასწავლოთ მშვიდობისთვის ბრძოლა და არა დაპირისპირება, ურთიერთჟლეტა.

16211. სასწაულების რეალობასაც უნდა სჯეროდეს, რათა ის წარმატებათა წყაროდ იქცეს.

16212. ნდობის სამანის გადალახვის უფლება არავის აქვს, რაც უნდა კარგ მიზნებს ისახავდეს.

16213. ბედნიერებას არ ნახულობენ, – მისთვის იბრძვიან და ისაკუთრებენ.

16214. გჯეროდეთ მოყვასის და პატივი მიაგეთ ოპონენტს, თუ გინდათ, ცხოვრების ჩარხი წაღმა დაატრიალოთ.

16215. მთავარი ის კი არ არის, სად დავფრინავთ, დავცურავთ, დავდივართ ან რა ღობე-ყორეს ვედებით, მთავარია, ვის სამყოფელში ამოვყოფთ თავს და ვის ვჭირდებით.

16216. ოქროთი სიკეთის კეთებაც შეიძლება, თუ მას სასაჩუქროდ ხშირად გავიმეტებთ.

+16217. გმირულად ცხოვრება მოკლეა, დიდება – ხანგრძლივი.

16218. ულიდეროდ არც ქვეყანა იმართება, არც ოჯახი, არც ჩვენს ყოფას ადგას ხეირი.

16219. უმადურობა და გაუტანლობა წინააღმდეგობის გაწევის უნარს მოითხოვს, რათა საკუთარ მეს ფეხი არ დააბიჯო.

16220. წინჭვრეტა საჭიროა როგორც უსიამოვნების, ასევე სიამოვნების დროსაც, რათა ყოველი მომეტებული თავიდან დროულად ავიცილოთ.

16221. სიკეთით ნაკეთები საქმე არც ბერდება, არც ძველდება.

16222. სილამაზე, ხიბლი, გონიერება, მიუხედავად იმისა, რომ სულიერებას აღაფრთოვანებს, ხშირად ჩვენს ცნობიერებას გაწბილების გამო ზიანს აყენებს.

16223. სიჯიუტე, შური და უგვანობისკენ მიდრეკილება მოულოდნელი შეცდომების მომტანია.

16224. იუმორი ყოველთვის იყო გაჭირვების ტალკვესი, შედეგის მიუხედავად, და, ეტყობა, მარად ასეთად დარჩება.

16225. ურთიერთობაში უნდობლობას ნაპრალის გაჩენასთან, გაუგებრობასთან მივყავართ. ნდობა კი სათუთი ინსტრუმენტია. ის სიფხიზლეს, წინდახედულებას მოითხოვს.

16226. „მიყვარს და ვენდობი“ – ეს დამაჯერებელი არგუმენტი არ არის, მით უფრო, რომ ხშირად საკუთარ თავსაც გადაუმოწმებლად არ უნდა ენდო.

16227. შეიძლება, სახე, ხასიათი, ასაკი დამალო, მაგრამ არა საკუთარი შეხედულება.

+16228. ტკივილთან, წყენასთან ურთიერთობის შემოვლითი გზები უნდა ვიცოდეთ.

16229. სიკეთე იმ სახითა და ოდენობით უნდა დათესო, რომ უხმოსავლიანი გამოგივიდეს.

16230. რაც არ ვითარდება, ის ჩმორდება, დევალვირდება და კვდება.

16231. მაამებელი ტყუილით სიამის მოგვრას ისევ მწარე სიმართლის მოსმენა სჯობს, უფრო გამოსადეგია.

16232. ზნეობრივი პოსტულატები დაღვინებულ გონიერებას მოითხოვს.

16233. ზოგჯერ მოყირჭებულ ოცნებებსაც დავიწყება სჭირდება, რათა ყოფის რეალობას უკეთ ჩავწვდეთ.

16234. რევოლუციური შეგნება სასურველ შედეგს ყოველთვის როდი იძლევა, რადგან რევოლუცია არსებულის ნგრევასა და გადაკეთებას განუსჯელად ცდილობს.

16235. შეგნება ხშირად ამჩნევს იმას, რასაც აქამდე გონი ვერ ამჩნევდა.

16236. უზნეობა და უგვანობა ჩვენში ერთი ხელის მოსმით უნდა აღვგავოთ, თუ გვინდა საზოგადოების სასურველ წევრად ვიქცეთ.

16237. ოცნებით თვალის მოტყუება და გაბრწყინება ზოგს სიამეს ჰგვრის და ერთგვარად სიცოცხლესაც უხანგრძლივებს, რადგან დაძაბულობა ეხსნება.

16238. შემეცნება თუ ეტიკეტის დაცვაა, დღეს უპირატესობა პირველს უნდა მივანიჭოთ, რადგან სიახლისკენ ლტოლვა მოძველებულს, დრომოჭმულს ვერ იტანს.

16239. სამყაროს უპირველესად „ჭკუანაღრძობი“ ხალხი სჭირდება და არა ორდინალური პიროვნებები. სწორედ იმ უცნაურ ხალხს მოსდის თავში სენსაციური მიგნებები.

16240. შტატების უაზრო ზრდა, როცა ის თვითმიზნად იქცევა, ყოველთვის საეჭვოს ხდის დასახული მიზნების ხორცშესხმის პერსპექტივას.

16241. მივიწყების წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის წაგებულია, თუ ის მივიწყების ღირსია.

16242. ინტუიცია ზოგჯერ იმას აკეთებს, რასაც ტვინი ვერ ეწევა და ვერ აგვირგვინებს.

16243. ბუნებისაგან მუქთა საჩუქარს არ უნდა ველოდოთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ მისი გამოყენება არ ვიცით.

16244. უხიაგი და მოჩვენებითი კაცთმოყვარეობის მისაღწევად არც ჩვენ უნდა გავირთულოთ ცხოვრება და არც სხვას გავურთულოთ.

16245. ყველა პროფესია რისკს მოითხოვს, რაც უნდა მშვიდობიან

და უწყინარ საქმიანობად გვეჩვენებოდეს.

16246. მიწა ხელს არავის ჰკრავს, პირიქით, ყველას იხუტებს და სასუფეველს უმზადებს.

16247. დასასრული ზოგჯერ საწყის გარემოებათა შეცვლასაც მოითხოვს.

16248. პროგრესის მოწოდებაა კარგის ხელუხლებლად დატოვება, ხოლო ცუდის შეცვლა და უკეთესის შექმნა.

16249. აფექტში მხიარულებას გემო რომ გაუგო, უნდა შეძლო სი-სულელეთა საღი ჭკუით აღმოფხვრა.

16250. საჭიროა გონივრული ბალანსი: არც კარჩაკეტილობა რგებს ქვეყანას და არც კარის ზედმეტად მოღიავება, რადგან ყოველი უკიდურესობა ვაის და ვუის მომტანია.

+16251. რამდენადაც ჩვენ გვიმართლებს მეგობრებში, იმდენად ჩვენს მტრებს არ უმართლებთ ჩვენდამი დაპირისპირებაში.

16252. შემთხვევაც კანონზომიერებასთან მეგობრობს, თუ ამისი საშუალება მიეცა.

16253. ლიბერალიზმს არასოდეს აქვს ის სასიკეთო ძალა და შემართება, რაც გონივრულ დიქტატურას.

16254. ურთიერთგაგება ყოველთვის გონივრულ ურთიერთდათ-მობაზეა აგებული.

16255. ამდენი „პახმელიაზე“ წარმოჩენილი პოლიტიკოსის მოხვე-დრა სახელმწიფო მმართველობაში სიკეთეს არავის მოუტანს და ამას ქვეყანა, მისი ეკონომიკა, და მოსახლეობა უახლოეს დროში იგრძნობს.

16256. წარსულს პატივი უნდა მივაგოთ, დღევანდელობას ფაქიზად მოვეპყრათ, ხოლო მომავალს იმედის თვალი უნდა მივაპყროთ.

16257. მორალსა და ამორალურობასაც ერთი აქვს საერთო – ორივე ზომიერებას მოითხოვს.

16258. როდესაც სიცოცხლე საფრთხეშია, იქ გონიერებასთან კა-ვშირი გაწყვეტილია, მხოლოდ ინსტინქტები ბობოქრობენ და სხეულის გადარჩენისკენ მოგვიხმობენ.

16259. ნუ ვეცდებით სხვათა ყოფის ხიბლი გადმოვიღოთ, ვიცხოვ-როთ ისე, რისი ძალა, უნარი და ფანტაზიაც შეგვწევს, ხოლო ზომიერე-ბას ნუ დავივიწყებთ.

16260. ყველა ჩვენგანმა ის საქმიანობა უნდა აირჩიოს, სადაც წარმატებას მიაღწევს, გული რისკენაც მიუწევს, რომლის გამოც შინა-გან კმაყოფილებას განიცდის და არა ის, რომლის შეჩვევის მხოლოდ იმედი აქვს.

16261. ჩვენი თავისუფლება და კაცობა იქ მთავრდება, სადაც სხვა-თა შეურაცხყოფის სურვილი გვიჩნდება.

16262. ჩვენი ცნობიერების ყველაზე დიდი ნაკლი უზნეობა, თავხე-

დობა, გაუთლელობაა.

16263. რაც არ ვიცით და გაგვეგება, მასზე ცუდი არ უნდა ვთქვათ – სჯობს გავჩუმდეთ.

16264. გაღიზიანება ან გარემოებათა შეცვლას მოითხოვს, ან შერიგებას, რადგან საშუალო არითმეტიკულის მოძიება წინააღმდეგობრივ ურთიერთობაში ძალზე ძნელია.

16265. დესპოტიზმსა და შურს მათივე გამასხარავებით უნდა ვებრძოლოთ.

16266. ბუნებაზე გამარჯვება შეუძლებელია, მასთან მხოლოდ თანამშრომლობა შეიძლება მისი საიდუმლოებების შეცნობა-გამორკვევის მიზნით.

16267. დღეს ძალის გამოყენებასაც ჭკუა სჭირდება, იმდენად მომრავლდა ძალის საწინააღმდეგო ტექნიკური საშუალებები.

16268. თუ საკუთარი თავი არ მოგწონს და შინაგანად არ ეთაყვანები, ვერც წარმატებებს მიაღწევ და ვერც წარმოჩნდები.

16269. მოწინააღმდეგის მასხრად აგდება და დაუფასებლობა უგუნურების ერთ-ერთი სახის გამოვლინებაა და ხშირად დამარცხებისკენ მივყავართ.

16270. ნაღვაწსაც დაღვინება სჭირდება, რათა მისი არსებითი გემო შევიცნოთ.

16271. ძალაუფლება ყველას აფუჭებს, თუ ის ზნეობის მარგი ქმედების კოეფიციენტით არ არის გაჯერებული.

16272. თავდაცვის ყველაზე კარგი საშუალებაა მოწინააღმდეგეზე მოულოდნელი თავდასხმა, ახალი ტექნიკის გამოყენება და მეტოქის უცაბედი გაოგნება.

16273. მგელმა რაც უნდა თვინიერი ცხვრის ნიღაბი აიფაროს, მაინც მტაცებლის რანგში მოგვევლინება.

+16274. წარსულის მადლი აწმყოს შესაძლებლობებით ვლინდება.

16275. წარსულის ლანძღვა-გინების პასუხი ხშირად აწმყოში გვიბრუნდება.

16276. ხასიათი წარმოგვაჩენს, მაგრამ ვერ გვიხსნის დაპირისპირებისგან.

16277. ამბიციებისა და ამპარტავნობის დაცხრობა საკუთარი შეცდომის გახსენებით იოლდება.

16278. წარსულის იმ ქმედებათა წარმოჩენისაგან, რომელთაც ფასი დაკარგული აქვთ, თავი უნდა შევიკავოთ.

16279. თუ ერთმანეთს ვერ ვუგებთ და ვეგუებით, სამტროდ გადაკიდებისგან მაინც შევიკავოთ თავი ურთიერთმოსმენით და წაყრუებით.

+16280. ყველას არც უნდა ვენდოთ და არც მეგობარი ვუწოდოთ, მაგრამ ამას მაშინ ვაცნობიერებთ, როდესაც ცხოვრების ერთი

„გაულაწუნე“ უკვე ნაწვნევი გვაქვს.

+16281. საფრთხე ყველა მხრიდან მლიქვნელივით გვიღიმის.

16282. საკუთარი ინტერესები განსჯადი უნდა იყოს, რათა სხვათა ინტერესებსაც პატივი მივაგოთ.

16283. ცრურწმენა ამაო პანიკის გამომწვევი საშუალებაა, რადგან ის ადრე თუ გვიან გამომჟღავნდება.

16284. პრაქტიკა უფრო რეალურს, მიწიერს გვთავაზობს, ვიდრე თეორია, მაგრამ პრაქტიკას უთეორიოდ წინსვლა არ უწერია.

16285. გონიერებას, ქალსა და სამშობლოს ყველა ჩვენგანმა პატივი უნდა მიაგოს და ქედი მოუხაროს.

16286. თუ საჭიროა, საკუთარი თავის მოტყუებაც უნდა შეძლო.

16287. კრიტიკამ ყველა შემთხვევაში სიმართლის თქმა უნდა ამჯობინოს – ბოლო კეთილი აქვს.

16288. ფარ-ხმლის დაყრა ვერცერთ ასაკში მოწონებას ვერ დაიმსახურებს.

16289. ჩვენი გატაცების დროულად აკრძალვას ხშირად სიკეთე მოაქვს.

+16290. სიბრძნის მოსმენა ჭკვიანს უფრო აჭკვიანებს, ბრიყვს უფრო აბრიყვებს.

16291. ბავშვის ცნობიერებაზე თხოვნა უფრო უკეთ მოქმედებს, ვიდრე მოთხოვნა და დაშინება, რადგან პირველი კაცობას, მეორე უკაცობას განაცდევინებს.

16292. უნდობლობა გაუტანლობის ერთადერთი წყაროა.

16293. საკუთარი მეობის წარმოსაჩენად არ შეიძლება წარსულის დიდხანს ექსპლოატაცია, – სხვებისთვის მოსაბეზრებელია.

16294. კამათი, განსჯა, „ბაზარი“ წესების დაცვით ყველა საქმეში კატეგორიულად აუცილებელია.

16295. მუზა დროს არ უყურებს. იგი მოფრენისთანავე უნდა აღიქვა და დაიმორჩილო, ან სამუდამოდ თავს დაგიკრავს და გაგიფრინდება.

16296. სიტყვისა და საქმის ერთობა ურთიერთღალატს ვერ იტანს.

16297. კომპლიმენტის თქმასაც თავისებური სატყუარა სჭირდება.

16298. ბევრის შეყვარება შეიძლება, მაგრამ ბოლომდის ნდობა – არავისი.

16299. დაკმაყოფილება მომავალი უსიამოვნების საწინდარია.

16300. შორსმჭვრეტელობა აჩქარებას ერიდება.

16301. ლიდერი რომ გახდე, ნიჭთან ერთად შინაგანი ბუნებაც ხელს უნდა გიწყობდეს.

16302. გაჭირვებისას გონიერებას არ უნდა დაუპირისპირდე.

16303. განრისხების დროს უხიაგი საქმის კეთებას უნდა ვერიდოთ.

16304. საჭიროსა და გამოსაყენებლის ცოდნაა უპირველესი და არა

ბევრისა და გამოუყენებლისა.

16305. თუ რაიმე დადებითი გაქვთ, ეცადეთ, დროულად მოიხმარ-ოთ, რათა მისი მადლი დაუყონებლივ შეიცნოთ.

16306. მორჩილება კარგია, მაგრამ გარკვეულ დრომდე, რადგან საბოლოოდ ის სანდო მაინც არ არის.

+16307. დავეხმაროთ იმათ, ვისაც ნამდვილად სჭირდებათ, და არა იმათ, ვინც ითხოვს.

16308. სიცრუის შელამაზება მისი გამართლების მიზნით ბევრ უხ-ერხულობას ქმნის.

16309. იყო იმ დონის ორატორი, რომ შენი ნააზრევი ყველას თავში ჩაუდო და შენს გონიერებაში დაარწმუნო, შეუძლებელია, მაგრამ ამას უნდა ვეცადოთ.

16310. ერთგულება, ურთიერთმოსმენა, ურთიერთგაგება ჩვენი ყოფის აუცილებელი პარამეტრებია, რაც სადავო არ გახლავთ.

16311. გადამეტებული ღმერთს არაფერი უქნია, არც თავდაცვა, არც თავდასხმა, იმისდა მიუხედავად, ეს ჩვენ ღირსებას გვმატებს თუ არა.

16312. უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავს უნდა შევუძახოთ, თუ ირგვლივ მყოფთა ქმედებანი, თუნდაც მათდა უნებურად, ხელს გვიშ-ლიან.

16313. საქმე ის კი არ არის, ვინ სად შეცდა ან ვინ ჭკუა იხმარა, მთავარია, საბოლოო შედეგი, ანუ განუსჯელი რეალობა.

16314. მშვიდობა ადვილად არ ბრუნდება, თუ იგი ჩვენი წინდაუხედ-აობისა და ამბიციების გამო დაიკარგა.

16315. მადლს მადლის დროულად მიგება უხდება.

16316. მეგობრობის ფიცსა და მტკიცს მეგობრობის რეალურად დამტკიცება სჯობს.

16317. ყველა მტერს ვერ გაანადგურებთ, ვერც მოერევით. ამიტომ ზოგის გადმობირებას უნდა ეცადოთ, ხოლო ზოგთან საერთო ენის გა-მონახვას. ამით თავს დაზღვეულად იგრძნობთ.

16318. რასაც ვერ აღმოფხვრი და ვერ შეცვლი, ის შენად უნდა გამოაცხადო და თავად გაუწიო აგიტაცია-პროპაგანდა. მაგ. აღდგომის დღესასწაულის მოსპობა კომუნისტებს გაუჭირდათ, რადგან აქ წინა-პრის, მიცვალებულის, სავალდებულო გახსენება იგულისხმება.

16319. ენა არსებობს საერთაშორისო, საგარეო, საყბედო. ერთი სწავლას მოითხოვს, მეორე ცოდნას, მესამე შეგნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერცერთი მათგანი ვერ შეასრულებს მათზე დაკისრებულ ვალდებულებას.

16320. საკუთარი თავის მიმართ არსებული ვალის გასტუმრებაა ძნელი, ყველა სხვა დავალიანებასა და ვალდებულებასთან შედარებით.

16321. ღირსება პასუხისმგებლობის უგრძნობლად არარაობა და არაფერია.

16322. მოწოდებით ზარმაცი არ შეიძლება ნამუსიანი იყოს, სამაგიეროდ მოხერხებულია.

16323. გმირობას ყველას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ ყველას ვალია, თვალი გმირობისკენ ეჭიროს.

16324. სულსწრაფობა და წინდაუხედავი ქედმაღლობა პირველი მტერია ქვეყნის ძლიერებისა და ეროვნულობისა.

16325. ხელმომჭირნეობას სიმკაცრე უნდა ახასიათებდეს, რათა საქმე სიამის მოგვრითა და უნაკლოდ გაკეთდეს.

16326. მიწვეულია თუ მიუწვეველი მასპინძლის ოჯახის დროულად დატოვება უნდა ისწავლოს.

16327. ზოგჯერ მშვენიერება შობს სიმახინჯეს, სიკეთე – ბოროტებას და ეს ის ანომალიური მოვლენაა, რომელსაც ვერსად გავექცევით.

16328. ნაკლის აღიარება მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილებას უწყობს ხელს.

16329. სათნოებამ უკვდავების საძიებლად დრო არ უნდა დაკარგოს.

16330. გაუცემელი და გამოუყენებელი ცოდნა არავის სჭირდება.

16331. თუ გვინდა, ქვეყანა არ დაჩმორდეს, ბუნტის ყოველგვარი საწყისი უნდა მოვსპოთ.

16332. საქმის სანახევროდ შესრულება დანაშაულია როგორც საკუთარი თავის, ისევე შთამომავლობის წინაშე.

16333. რევოლუციამ, ჯანყმა, „პერესტროიკამ“ კეთილი და ბოროტი არ იცის. მოჯანყის ვალია მოწინააღმდეგეთა განადგურება, დამცრობა, სანამდის თავად არ მოჯდება ქვეყნის სათავეში და უცოდინარობის გამო ფეხს არ წაიტეხს.

16334. კარგ გადაწყვეტილებათა მიმღებს მტკიცე ხასიათი სჭირდება.

16335. ცოდნა, ქმედებათა გარეშე, არაფერია. „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!“ (რუსთაველი).

16336. ცოდნა-გამოცდილება ის საუნჯეა, რომელიც არც ხურდავდება, არც მიითვისება.

16337. პასუხისმგებლობა უფრო დიდ წარმატებებს აღწევს, ვიდრე გონივრული რჩევა-დარიგება, რომელსაც ხშირად ერთი ყურიდან მეორეში ვუშვებთ.

16338. უაზრო სიმხდალეს ალიბი არ აქვს და ის დასჯის ღირსია.

16339. სიკვდილ-სიცოცხლის განსჯა შედეგს არ იძლევა, რადგან ორივე დაუკითხავად მოდის და მიდის.

16340. შეხედულებათა დაწიხვლის მცდელობამ ხშირად წიხლის

ამოკვრა იცის.

16341. წინდახედული საქმიანობა მაღალ მისწრაფებებს მიღწევადსა ხდის.

16342. გამოცდილების დიქტატი უებარი წამალია აღსაზრდელთა, სიღარიბით წაქცეულთა და შრომისუნაყოფო ზარმაცისთვის.

16343. ბუნებით არარაობა არ შეიძლება იყოს პირველი სიდიდის გამოჩენილი პიროვნება. ასე რომ იყოს, მაშინ საზოგადოება გადაგვარდებოდა და გაირყვნებოდა.

16344. ყველანი ჩვენ-ჩვენი მისიის აღსასრულებლად ვართ მოვლენილი ამქვეყნად და ვეცადოთ, ჩვენი ამქვეყნად გამომგზავნის იმედები არ გავახუნოთ.

16345. დიდი ოდენობით ცილის შემცველი მცენარის შექმნა-გამოყვანა დღევანდელ ხორცის მჭამელ ადამიანებს კანიბალებად გამოაცხადებს.

+16346. სრულყოფილებისკენ სწრაფვას სამანი არ დაედება.

16347. უნიათო ამომრჩეველთა ხელში ხალხი განწირულია ლიტონი დაპირებების მოსასმენად.

16348. თუ გინდათ საქმე აკეთოთ, სხვების მიმართ მომთხოვნი უნდა იყოთ, მოყვასიც და ზოგჯერ უხეშიც.

16349. ღირსების აღქმასაც ცოდნა უნდა, პატივის მიგება, დროისა, გარემოს და შემთხვევათა შესატყვისად მოქმედება.

16350. ყველაზე მეტად იმ ქვეყნებისადმი პატივისცემით უნდა განვეწყოთ, რომელთა საპყრობილეზე თეთრი დროშაა აღმართული, იმის აღსანიშნავად, რომ მათ პატიმარი არ ჰყავთ.

16351. სიგარეტს, ნარკოტიკს როგორ უნდა დავანებოთ თავი, თეორიულად ყველამ იცის, მაგრამ პრაქტიკულად ამ ცოდნის გამოყენებას რომ უდიდესი შემართება, სიყვარული და მონდომება სჭირდება, ზოგს ვერ გაუთვითცნობიერებია.

16352. აუხსნათ სხვას, თუ რატომ არის ის ხელმოცარული, ფუჭი საქმეა, რადგან მას, ეტყობა, ყურის გდება-განსჯის უნარი წართმეული აქვს.

16353. სწავლა-განათლება თავისუფალია, ხოლო ცოდნა მოვალეობაა და ის აუცილებლად გამოყენებულ უნდა იქნეს.

16354. როდესაც გონიერების ერთი კარი იხურება, მეორე კარის გახსნას ორმაგ-სამმაგი ენერგიით უნდა შევეცადოთ, თუ საჭიროა, ფანჯრიდანაც გადავძვრეთ, რათა ცხოვრებამ გაგვიმართლოს და უკან მოსახედი რაღაც დაგვრჩეს.

16355. რაღაცის მიმართ განუსჯელი შიში გაურკვეველი ქმედებებისკენ გვიბიძგებს.

16356. ჩაგვრა და სიღარიბე არც ჩვენი ბედია და არცა ხვედრი, თუ

ხელის დროულად გამოღებას შევძლებთ.

16357. ტრადიციები პატივის მიგებას მოითხოვს და არა ფარისევლობას.

16358. ტრაგედია ინდივიდუალურია, ხოლო სიხარული – საერთო, ჩვენს სურვილებზე აცეკვებული.

16359. საკუთარი თავისადმი პატივის მიგება ურთიერთგაგებით იწყება და ურთიერთგაუგებრობით მთავრდება.

16360. უვიცობა და ურთიერთთანადგომის სურვილის უქონლობა ყველა გაუგებრობისა და უბედურების საწყისია.

+16361. თუ ყველას უსიტყვოდ მოემსახურებით, ყველას პატივს მიაგებთ, კარგია, მაგრამ აქ მთავარია, საკუთარი თავისთვის მეორეხარისხოვანი არ გახდეთ.

16362. ეცადეთ, რაც კარგი და მისაღებია, საკუთარ თავში იპოვოთ, რათა ნაკლის განსჯა არ მოგიხდეთ.

16363. მმართველობაში უამრავი რაღაცის შეცვლაა საჭირო, რომ ერთი რამ სახეირო გამოდნეს და გამოგვივიდეს.

16364. განუსჯელად გადაყრილი სახელმწიფო ბიუჯეტის მილიონები ხალხს დიდად არ რგებს, რადგან აქ უკუგორება ხდება უხეიროდ შესრულებული სამუშაოს ხარჯზე.

16365. დამალული და განუსჯელი შეცდომები განმეორებადია.

16366. ვეცადოთ, წინაპართა კარგი ჩვევები ნაკლად არ ვაქციოთ და შთამომავლობას უმწიკვლოდ გადავცეთ.

16367. სიკეთის კეთებას დაკვირვება და განსჯა სჭირდება, რათა უკუშედეგი არ გამოიღოს.

16368. ყური რომ დაგიგდონ, ნიჭია საჭირო, ხოლო შენი ნათქვამის განსჯა რომ დაიწყონ, ავტორიტეტი.

16369. სიმართლის დაცვა ზოგჯერ კბილებითაა საჭირო, რათა ბიუროკრატებს აუტკივარი თავი ავატკიოთ და ხალხისთვის ყურადღების მიქცევა ვასწავლოთ.

16370. სიამოვნებისკენ სწრაფვა კარგია, მაგრამ ზოგჯერ არც მისგან თავის შეკავებაა ურიგო.

16371. ერთი სახის სიკეთის კეთებამ, შეიძლება, მეორე სახის სიკეთის კეთება აიყვანოს კვადრატში, კუბში.

16372. მთავარია, ჩვენი ქმედებებით გამოვხატოთ სიკეთე და არა სიტყვით.

16373. ძველი ახალმა უნდა შეცვალოს, ახალმა მომავლის იმედით უნდა იღვაწოს, რათა კაცობრიობისთვის საჭირო და აუცილებელი პოსტულატები უდანაკარგოდ შემორჩეს ჩვენს დედამიწას.

16374. ეგოიზმი ზოგჯერ სხვისთვის ნიშნის მისაგებ სიკეთესაც გვაკეთებინებს.

16375. ყოველგვარი შეურაცხყოფა დროის გადასახედიდან უნდა განისაჯოს და ისე უნდა მივაგოთ სამაგიერო.

16376. მომკას თესვა სჭირდება, თესვას – მიწის მოხვნა, მოხვნას – ცოდნა. ასე რომ, ყოველი სახის ცოდნამ და საჭიროებამ ურთიერთი უნდა შეავსოს, თუ გვინდა სასურველი შედეგი მივიღოთ.

16377. ახალი ჰიპოთეზის წამოყენებაა ძნელი და არა მარტო კრიტიკა და უარყოფა.

16378. ამაღლებულ გრძნობათა მოპოვებას ჭკუა უნდა და ბედის წყალობაც.

16379. უუნარო ფიქრებთან შებმას ისევ უიმათოდ დარჩენა სჯობს.

16380. უცოდინარობა სასურველი არჩევანის გაკეთების უფლებას გვისპობს.

16381. გამრავლება, ფლორის სფეროში იქნება ის თუ ფაუნისა, ეტყობა, განგების ხელდასხმით ხდება. სხვაგვარად დედამიწას ჯვარი დაესმებოდა და გაუდაბურდებოდა.

16382. შეცდომის გაანალიზება ჭკუის ხმობად და გონიერების ამუშავებად უნდა ჩაითვალოს.

16383. სიკეთის კეთებას გარანდვასთან ერთად მოხვეწაც უხდება, უფრო შესამჩნევი და მიმზიდველი ხდება.

16384. ვეცადოთ ჭკუით დაკოჭლებულებთან შეხვედრებს თავი ავარიდოთ.

16385. ტრადიციების მიმდევარი ქვეყნები წაღმა-უკუღმა სხვა ქვეყნებისაკენ არ უნდა იხედებოდნენ, მათი კეთილდღეობა არ შურდეთ, მათი ნასუფრალისკენ არც თვალი არ გაექცეთ, თუ სწადიათ თავიანთი მეობა შეინარჩუნონ.

16386. საფრთხის წინააღმდეგ მარად შემართული უნდა ვიყოთ, თუ გვინდა მისმა გამოჩენამ არ შეგვაცბუნოს.

16387. სხვასაც არგეთ, საკუთარი თავის დაუვიწყებლად, რადგან მომავალში არც შენიანები დაგიფასებენ რასმე და არც არავინ.

16388. ჩვენს სურვილებს ჩვენი მიღწევები ვერასოდეს დაეწევა.

16389. რჩევა-დარიგებას თუ არ გაითავისებთ, ვერავინ დაგეხმარებათ და არც არავინ გამოგადგებათ.

16390. სიტყვის უსიტყვოდ დაჯერება ისევ მასზე დაკვირვება-განსჯის შედეგად და აზრთა გაანალიზების შემდგომ სჯობს.

16391. ყოველგვარი განსჯა ამაო ცდაა, თუ დროსა და გარემოს მხარს არ უბამს.

16392. შვილებმა მამებს უნდა გაუგონ, მამებმა – შვილის ბაბუებს, თუ გვინდა ღირსეული თაობები აღვზარდოთ, ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის მადლი შევიცნოთ.

16393. თანდაყოლილი კეთილშობილების გარეშე სიკეთის ქმნა

ჭირს.

16394. დაპირებას დაუპირებლობა სჯობს: არც სხვას გააწბილებ და არც საკუთარ ნამუსს, ვინ იცის, ხვალ რა მოხდება.

16395. სხვათა გაბედნიერება ადვილია, თუ თავს ბედნიერად გრძნობ.

16396. ბავშვებთან მოლაპარაკება უფრო დადებით შედეგს იძლევა, ვიდრე მათდამი მკაცრი მოქცევა.

16397. ზოგჯერ სირცხვილს სხვათა უგონო, უგუნური ქცევაც განგვაცდევინებს.

16398. სიცოცხლე ქვეყნის საკეთილდღეოდ კიდევაც უნდა გავწიროთ, მაგრამ ეს პატრიოტიზმი პლანეტის საკეთილდღეოდ უნდა გამოვიყენოთ.

16399. ტახტზე ზაქივით უზრუნველად წამოწოლა შენს საკეთებელ საქმის ვერ შეასრულებს.

16400. არანაირი საყველპურო განათლება, მხოლოდ ცოდნა, განსჯადი, შემოქმედებითი და შედეგის მომცემი იძლევა წარმატების გარანტიას. აი, რა არის თანამედროვე ახალგაზრდისთვის საჭირო და აუცილებელი.

16401. ყველა ჩვენგანის უპირველესი მოწოდებაა საკუთარი ხასიათის გონივრული მოწესრიგება.

16402. ყოველი შეუცნობელი ორჯერ უარესია, რადგან მისი განსჯით თავს არავინ იწუხებს.

16403. უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის კრიტიკული დამოძღვრა უნდა ვისწავლოთ, რათა სხვებიც შეგვეხმიანონ და გაგვიგონ.

16404. სიკეთის საკეთებლად გაჩენილთ ბოროტებაზე ფიქრი არ შეშვენით.

16405. ბოროტება დაცინვით უკეთ ნადგურდება, ვიდრე დარიგებითა და ჭკუის სწავლებით.

16406. კისრის ნატეხვა გონიერებისა და უგონობის იმ ხიდზე, სადაც ბავშვებიც უსაფრთხოდ გადადიან, უაზრო ამბიციების ბრალია.

16407. თუ ვინმეზედ გული შეგტკივათ, ეს თანდაყოლილი სათნოების მაჩვენებელია. ანდა გონით შეძენილი.

16408. დაშვებული შეცდომების შეცნობა ადვილია, მისი თავიდან ამოგდება – ძნელი.

16409. განათლებულია ის, რომელიც წაკითხულს არ ივიწყებს, ხოლო ჭკვიანი და მცოდნეა ის, საჭიროს ვინც იმახსოვრებს.

16410. სხვისთვის რაღაცის სწავლება, ნასწავლის გამეორებას ნიშნავს.

16411. საკუთარი უბედურებით ტრაბახი, უგვანობა და თავის წარმოჩენის მცდელობაა.

16412. მცირე ცოდნას ისევ უცოდინარობა სჯობს, ხელი მაინც არ წაგიცდება შენთვის გაუგებარის საკეთებლად.

16413. პატიება შესაძლებელია, მაგრამ მიზეზის გამონახვაა აუცილებელი, რათა პატიება გაამართლო.

16414. გაურისკავად არცერთი ღირებული საქმე არ კეთდება.

16415. საუბარი თუ სიამოვნებას არ იწვევს, ის დროის ნაყვას ემსგავსება.

16416. გაურკვევლობა არავის მოსწონს და ყველა მის ლაბირინთებში წვდომას ცდილობენ.

16417. მომავალი თუ აწმყოს საწყისებზე დაფუძნებული არა, არაფერი სახეირო არ გამოდნება.

16418. ვეცადოთ კარგი ჩვევები, ნაკლოვანებებად არ გადავაქციოთ.

16419. ჭამა-სმა იმდაგვარად უნდა დავგეგმოთ, რომ მან ჩვენი ჯანმრთელობა გააკაჟოს და არ დააკნინოს.

16420. სხვის ჭკუაზე ცხოვრება, რაც უნდა მოგებიანად გამოიყურებოდეს, ბოლოს მაინც წაგებიანია, საკუთარ მეობას კარგავ და ამიტომ.

16421. სარგებელი თუ არ მოაქვს, ის ცოდნა ცოდნად არ მიიჩნევა.

16422. „ხაკერი“, როგორც „სპეციალობა“, ცივილიზაციის ბოროტი საჩუქარია მათს გამოყენებას პოლიტიკოსებიც ცდილობენ და ხაკერების თანამეინახენიც.

16423. ვისაც ცუდის აღქმა უჭირს, მას კარგის შემჩნევაც გაუჭირდებათ.

16424. ნაპოვნს გაუფრთხილდით, მოპოვებულით იამაყეთ და საიმედოდ შეინახეთ, რადგან ესენი თქვენი მცდელობის შედეგია.

16425. კამათისაგან განსხვავებით, საუბარს ცოდნა, დალაგებული მეტყველება სჭირდება.

16426. ბოროტებას არ დაუჯეროთ – სიკეთის კეთება მისი საქმე არაა და ტყუილუბრალოდ იჩენებს.

16427. არის ხუმრობა, რომელიც რაც უნდა ერთმანეთთან შეხუმრებულებ ვიყოთ, ურთიერთს არ უნდა ვაკადროთ, რათა ურთიერთგაგებას, ურთიერთ სიყვარულს დაღი არ დავასვათ.

16428. მთავარია საქმის განსჯით და გულით კეთება და არა მოვალეობის მოხდის მიზნით.

16429. ვეცადოთ, პრინციპების დაცვით ვიცხოვროთ. ეს უნდა იყოს ჩვენი ყოველდღიური დევიზი.

16430. თუ გინდათ წარმატებას მიაღწიოთ, ეცადეთ, ყველა წინაღმდეგობა უდრტვინველად და განსჯით გადალახოთ.

16431. უნიათობასა და წინდაუხედაობაზე დაღონება არ ღირს,

რათა უიმედობის ნაღველი არ შემოგვაწვეს და უფრო მეტად არ დავიჩაგროთ.

16432. გონივრული თამაშების ხიბლს ვერცერთი ამქვეყნური ხიბლი ვერ შეედრება.

16433. დამარცხებული გმირად არ შეიძლება ჩაითვალოს, ერის შვილად – კი, და ესიც იშვიათი გამონაკლისია, რადგან გმირობა შედეგია და არა დაუსრულებელი ქების პროცესი საკუთარი სიმპათია-ანტიპათიის შესატყვისად.

16434. ეგოიზმი და მეგობრობა შეუთავსებელია.

16435. ცნობიერებაზე განუსჯელ თავდასხმას დრო და გარემო არ გვაპატიებს.

16436. დიდ მეგობრობას გამოცდილება და დრო აქვითკირებს.

16437. არავითარი რევოლუცია, არავითარი ბუნტი, არავითარი გარდაქმნა, მხოლოდ ურთიერთგაგება, გონივრული დათმობები და უღალატო სიყვარული გადაგვარჩენს.

16438. განუსჯელი მოტივების განსჯად შესაძლებლობებთან დაპირისპირება არ ღირს, დადებითი ქმედებებისკენ მიმართული აურა იკარგება.

16439. პატარა, თუნდაც უნებლიე უწესრიგობათა დაშვება, ზოგჯერ დიდ უწესრიგობას იწვევს.

16440. პირველი ყოველივე მძაფრად გვამახსოვრდება მოწონება იქნება ეს, აღმაფრენა თუ სიძულვილი.

16441. ქვეყნის აწმყოსა და მის მომავალზე ფიქრია უმთავრესი, რათა დაპირისპირებამ ომი არ გამოიწვიოს და მამულის წინაშე ვალმოუხდელად ხალხი იმქვეყნად უდროოდ არ გადაბარგდეს.

16442. სხვათა ყოფითი შემთხვევები შეიძლება არ მოგვწონდეს, მაგრამ უნდა გახსოვდეს მაინც. ცხოვრება წინაა და, ვინ იცის რომელი მაგალითი როგორ გამოიცდება.

16443. ერთი მიმართულებით მაცქერალნი, საერთო ენას ნახულობენ, მაგრამ ზურგებით ურთიერთს მიყუდებულნი უფრო მეტად უგებენ ერთმანეთს.

16444. ყველა ქმედებას გონიერება და სამართლიანი გარემო სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიასკო, მარცხი გარანტირებულია.

16445. შეცდომის დაშვების უფლება ყველას უნდა გვქონდეს, მაგრამ შეცდომაა დაშეცდომა! ზოგი დიდია, მისი გამოძახილი დედამიწას სამჯერ შემოუვლის ხოლმე.

16446. სიძულვილის გაგებას მისი წარმომშობი ფესვების შეცნობა სჭირდება.

16447. ნდობა, რომელსაც კაცობა კვადრატში აჰყავს, სარწმუნო და მისაღებია.

16448. ნებისყოფას გამომუშავება სჭირდება, ხოლო ნიჭს – რეალიზება, მაგრამ მათი შეჯერება აუცილებელია დიდთა სამახსოვრებელი საქმეთა საკეთებლადდასამახსოვრებელი საქმეთა საკეთებლად.

16449. შეშლილ გენიოსზე საშიში არაფერია, რადგან მას ჭკუაც აწუხებს, შემართებაც არ აკლია და უგვანო ჩანაფიქრის აღსრულების უნარიც შესწევს.

16450. თავის აშვება და დაუჯერებლობა, პირველ ყოვლისა, საკუთარ მეობას ვნებს.

16451. ვეცადოთ, ცხოვრებამ არ დაგვღალოს, რათა ყოველივე შემდგომი ქმედება მოსაბეზრებელი არ გახდეს.

16452. ტვინის დროულად გამოუყენებლობა უპირველესად დანაშაულია საკუთარი მეობის წინაშე.

16453. ურთიერთობის ჩიხში შეყვანას ურთიერთგაუგებრობა და ურთიერთგანსხვავებული ხასიათი იწვევს.

16454. მცირედი შეცდომა-გადაცდენის უფლება ყველა ჩვენგანს აქვს, მაგრამ საქმე დიდ სისულელემდე არ უნდა მიდიოდეს.

16455. ნდობა საგონებლის ჩიხში არ უნდა შევაგოროთ.

16456. თვინიერება სიკეთისაკენ ლტოლვის საფუძველია.

16457. ერიდეთ, მეტოქისთვის თქვენი წარმატების ამბის ნიშნის მოგებით გაზიარებას, რათა მოწინააღმდეგე უფრო მეტად არ გააღიზიანოთ და სამაგიეროს გადახდას არ შეეცადოს.

16458. ვერიდოთ ავანტიურისტული ბუნებისა და მარად რევოლუციურად განწყობილ ხალხს, რადგან მათი ცხოვრების ფინალი ძალზე სათუოა.

16459. წინდახედულება, ინტუიცია უფრო მაშინაა საჭირო, როდესაც საქმე კარგათ მიგდით, ბედნიერი და უზრუნველი ხართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ყოველივე ეს ერთ დღეში დაკარგოთ და დაახურდაოთ.

16460. გაუმაძღრობიდან იწყება ყველა უბედურება, სულიერი იქნება ის თუ მატერიალური, ამიტომ საჭიროა ფიზიკური და სულიერი დაუკმაყოფილებლობის დროული აღკვეთა.

16461. შური, გაუტანლობა, მომხვეჭელობა – ეს ის შეძენილი დაავადებებია, ყოველთვის მზად რომ არიან სისაძაგლის ჩასადენად, თუ საზოგადოების მიერ დროულად არ იქნა აღკვეთილი.

16462. მისთვის გასაგები მორალის ქონის უფლება ყველა ჩვენგანს აქვს, თუ ის სხვათა მორალს, რწმენასა და მსოფლმხედველობას პატივს მიაგებს და არ შეურაცხყოფს.

16463. ზედმეტი და გაუმართლებელი კაცთმოყვარეობა არა მარტო გონიერების, არამედ ყოფიერებისთვისაც ზარალის მომტანია.

16464. სიკეთის კეთებასაც თავისი დრო აქვს და აქ აჩქარება

არაფერს გვარგებს.

16465. გონიერისთვის სხვათა განდიდება საკუთარი თავის დამცირებას არ ნიშნავს, პირიქით, განდიდებულის ნაღვაწში შეიძლება ისეთ რამ აღმოაჩინოთ, რომ მან თქვენს აზრს ბიძგიც კი მისცეს რაიმე ღირსეულის შესაქმნელად.

16466. დიდი საერო საქმე თაობებმა უნდა აკეთონ, რათა კარგად აწყობილ ქვეყანაში ვიცხოვროთ.

16467. ვეცადოთ, ყოველგვარი წყენა გავანეიტრალოთ, რადგან ცხოვრებაში ყველას თავისი სამართალი აქვს.

16468. წარმატების საიდუმლო, სამომავლო მიზნის დასახვაა, ამ მიზნისაკენ ჯიუტი სვლაა.

16469. უნდა გავითავისოთ ყოველივე ის, რის დაძლევაც და განვითარებაც ჩვენი ნებისყოფის მობილიზებით შეიძლება.

16470. მიზნის მისაღწევად სხვადასხვა საშუალება უნდა მოვიმარჯვოთ დროისა და გარემოს შესატყვისად.

16471. ყოველივეს მოხმარების გარანტი ცოდნაა და არა ყოვლისმომცველი განათლება.

16472. შეცდომის დაუშვებლად, წარმატება არ მოდის.

16473. ყველა პრობლემა მოგვარებადია, თუ მასთან შებმას დიდი ძალისხმევით შევეცდებით.

16474. მედიდურობა, უზნეობა, მზაკვრობა, ყველა ჩვენგანს ადრე თუ გვიან სამარეს გაუთხრის.

16475. ან ძლიერი უნდა იყო, ან ძალზე იღბლიანი, მაგრამ გამბედაობა და შემართება ყველა შემთხვევაში აუცილებელია, რათა ყოველივე შედეგიანად და ლამაზად გაკეთდეს.

16476. სამომავლო ვითარების გამოსწორებას დრო ჯერ კიდევ არის, წარსულისაგან განსხვავებით.

16477. ბოროტებასთან ბრძოლის დაგვიანება დანაშაულია ყველასთან მიმართებით, უპირველესად კი საკუთარ მეობის წინაშე.

16478. ინფორმაციულმა შეტევან იოლად შეიძლება კატასტროფამდე მიგვიყვანოს, რადგან ის ხშირად რევოლუციებს იწვევდა არა მარტო ჩვენს ცნობიერებაში.

16479. რაიმე საკითხის განხილვა საუბარია, ხოლო ლაპარაკი ყველაფერსა და არაფერზე ყბედობაა.

16480. ირგვლივ მყოფთა შეცვლას ისევ მათზე მორგება სჯობს, ოღონდ შენი მეობის გადასახედიდან.

16481. დავიწყების საუკეთესო საშუალებაა, დასავიწყებელ საკითხებზე ფიქრის შეწყვეტა და ახალი საფიქრალის გაჩენა.

16482. წინააღმდეგობათა შერწყმა-დაძლევა ნაღდი მეგობრის შენარჩუნებას ხელს უწყობს.

16483. დაგროვილ ცოდნა-განათლებას არ ძალუძს თავის დროის ჭეშმარიტების აღქმა, რადგან სწავლა არასოდესაა საკმარისი.

16484. რაც უნდა დამსახურებული კარიერული წინსვლა გქონდეთ, მეგობრებს ვერ მოიპოვებთ, სუფთა და სულით უმწიკვლო არა ხართ, ერთგვარი დამოკიდებულება.

16485. საკუთარი თავის გაბედნიერების მცდელობას შემართება სჭირდება.

16486. დაუმარცხებელი ხდება ყველა ის მოვლენა, რომელსაც მთელი სერიოზულობით არ ვებრძოვით.

16487. სიყვარულსა და ერთგულებას შორის არჩევანის გაკეთება ძნელია, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო მუდმივი და საიმედოა პირველთან შედარებით.

16488. როდესაც ხიბლი გონიერებას იპყრობს, ის ხიბლი განსჯას არ ექვემდებარება.

16489. ყველა წარმატება დროებითია, თუ მას ფასეულობები არ ახლავს სიახლის აღქმა-კეთებისთვის.

16490. სიახლის კეთებაც შეცდომების დაშვებას არ გამორიცხავს.

16491. საყველპუროდ გაკეთებული ყოველივე საშიში და დასაგომია, სწავლა-განათლება იქნება ის თუ თანამეინახის სიყვარული.

16492. გონიერებისგან გარიყული სიამაყე წაგებიანია.

16493. სხვათა კრიტიკისაგან თავის არიდება მშვიდობიან ცხოვრებას გვიქადის.

16494. სიცრუე და ტყუილი ადრე თუ გვიან, გაცოცხლდება, რადგან „არა არს დაფასებული, რომელი არა გამოცხადდეს“!.

16495. საკითხის განხილვისას თუ თვალები საღად იყურებიან და განგებას ფართო ასპარეზი ეთმობა, ეს ნიშნავს: საკითხი საინტერესოა და ის საინტერესოდ გადაწყდება.

+16496. კეთილი მეხსიერება განვლილ წლებს სიცოცხლეს მატებს.

16497. ნახევარზომები საბოლოო შედეგის მომტანი არ არის და ხშირად გაუცნობიერებელი ნგრევის წამახალისებელია.

16498. საკუთარი თავისთვის დაკარგული რწმენის დაბრუნება არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც ეს ერთის შეხედვით გვეჩვენებოდა.

16499. არც მოტყუებაა ადვილი საქმე, თუ ამ საქმის ნიჭი არ დაგყვათ და გამოუცდელი ხართ.

16500. ზოგჯერ გადაჭარბებული პატივმოყვარეობა ზარალის მომტანია და სახელსაც გვიტეხს.

16501. სიკვდილისა არ უნდა გვეშინოდეს, უბრალოდ, უნდა ვერიდოთმ დროზე ადრე არ გაგვიყოლოს იმქვეყნად.

16502. დღეს ერთმა უაზრო და ჯიუტმა დაპირისპირებამ, შეიძლება, გადაწყვეტოს არა მარტო დაპირისპირებულ მხარეთა, არამედ სამ-

ყაროში ადამიანთა არსებობის საკითიც.

16503. პიროვნებად უნდა ჩაითვალოს ის მოქალაქე, რომლის სიტყვებს და ქმედებებს სიამოვნება მოაქვს.

16504. ყველა ჩვენგანი ანგელოზია და უცოდველია მანამ სანამ სიავეზე არ წაასწრებენ.

16505. შინაგანად ბევრი რაღაცის არ გვჯერა, მაგრამ ვისი დაჯერებაც გვინდა, მათ იოლად ვუჯერებთ.

16506. საკუთარი ინტერესების დაცვა ყველა ჩვენგანის ვალია, რადგან ჩვენი საერთო ინტერესები ქვეყნის ინტერესებს ემთხვევა.

16507. მშვიდობის მოპოვებას ყველაზე მეტად წინხედვასთან ერთად თავის მოქაჩლება სჭირდება.

16508. თავის ბრძნად წარმოჩენა ყველაზე მეტად იმას არ უხდება, ვისაც შინაგანი კულტურა არ აქვს.

16509. გამარჯვებულს არც აკრიტიკებენ და არც საყვედურობენ, იმდენად დიდია მის მიერ დაშვებული შეცდომების უკან მოსროლის ძალა.

16510. გონიერების თესვას ხარისხიანი თესლი სჭირდება, რათა ნაყოფმა სასურველი შედეგი გამოიღოს.

16511. არის რაღაც, რომლის უარყოფა შეუძლებელია და არც ხელსაყრელია – ესაა უნებლიე დანაშაული, გადაცდენა.

16512. ვაი-პატრიოტები ქვეყნის გავლილ სამარცხვინო წლებს მალავენ და ავიწყდებათ, რომ, მათ თუ დროზე არ გავიხსენებთ და განვსჯით, კვლავ გაიმეორებენ მომდევნო თაობები სხვადასხვა სახით და ისევ მოურჩენელ ჭირად დარჩება.

16513. წარმატებას თუ ზომიერება არ ახლავს, ისიც ზოგჯერ ზიანის მომტანია.

16514. კალენდარს კარგი მახსოვრობისა და შეხსენების უნარი აქვს და ვეცადოთ, ის საქმიანად და გამოჩენილთა გულის მოსაგებად გამოვიყენოთ. მაგ. დაბადების და სხვა ღირსშესანიშნავ დღეთა გასახსენებლად.

16515. სიქველე ნიღაბს ვერ იტანს. მისი ნაღდი ბუნება ადრე თუ გვიან მჟღავნდება.

16516. საკუთარი გამოცდილების შეფასება, დაფასება, შეჯამება ყველა ჩვენგანის ვალია.

16517. თავს უნდა ვენდოთ, მაგრამ ეს ნდობა არ უნდა გავაფეტიშოთ.

16518. ცოდნა, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ და ვერც ვაფასებთ, თავის წარმოსაჩენად არ ღირს და არც გამოდგება.

16519. შემოქმედმა თავისი საქმე უნდა აკეთოს, ხელისუფალმა – თავისი, რათა მათი შრომის სრულყოფილებით მოსახლეობა კმაყოფილი დარჩეს.

16520. მცონარეობის ასაცილებლად ტვინის ღარების შერხევაა აუცილებელი.

16521. ყოველი იდეა შედეგის გამოსაღებად უნდა მუშაობდეს და შემდგომი შედეგიანობის მისაღწევად უნდა იღვწოდეს.

16522. არცერთი საცდუნებელი და დიდი წამოწყება არ კეთდება, მთავრობასთან ბიზნესის შეთანხმების გარეშე.

16523. გაქანება გონს უნდა უბოძოთ და არა ენას.

16524. აუმოქმედებლად საქმე არ კეთდება, ენით იქნება ეს, ტელეფონით, ოცნებით თუ გადაადგილებით.

16525. ყველა ჩვენგანის სიძლიერე და სიზუსტე ჩვენს პროფესიაში უნდა აისახოს.

16526. ხუმრობა უძახე შენ და ტრაბახის ფესვი გადგმულია.

16527. ხასიათის ხასიათზე მოყვანას ხასიათის მობილიზება სჭირდება.

16528. მოვალეობათა შეუცნობლად ხასიათის შეცნობაც გაძნელებულია.

16529. ხასიათს გამჭრიახობაც თუ არ ახლავს, ის არასაჭირო და შეუმჩნეველია.

16530. მტკიცე ხასიათი დიდი სიკეთეა, თუ მას რწმენაც თან ახლავს და რეალობასთანაც ახლოა.

16531. ნებისყოფას, შემართებას მთის გასწორებაც შეუძლია, მაგრამ არ ღირს, რადგან განგების ნაბოძები მთა მთად უნდა დარჩეს, მდელო – მდელოდ, რათა ყველამ მისი გასაკეთებელი აკეთოს.

16532. ნაკლის შეუმჩნევლობა ნაკლზე დიდი ნაკლია.

16533. სირცხვილია ის, რასაც თქვენი აღზრდა, სინდისი და განათლება არ ეთანხმება.

16534. ისიც საკუთარი თავის პატივისცემის დაკარგვაა, თუ ვინმეს შეურკინებლად ნებდებით, და აქ გონიერების მოხმობა არაფერს შველის.

16535. განუსჯელად სიმართლის თქმაც უგუნურებაა, რადგან ის ვერ ითვალისწინებს, ეს სიმართლე ვის რა ზარალს მოუტანს.

16536. ყველა ჩვენგანი ვალდებულია, ღირსების წარმოსაჩენი მაგალითები უჩვენოს, რათა მომდევნო თაობები მასზე აღიზარდონ.

16537. რიდი, თავდაჭერილობა, შეგნება არ გვაძლევს უფლებას, ვიყოთ გულგრილნი ყველას და განსაკუთრებით საკუთარი თავის მიმართ.

16538. სუსტსა და უნიათოს მარტო ფეხზე წამოყენება არ შველის, მას უნდა უპატრონო კიდეც, ვინძლო ბოლოს მადლიერი დაგრჩეთ.

16539. საჩინო კვალის დატოვება ამ ცხოვრებაში ყველა ჩვენგანის ვალია.

16540. მეგობრობის ფუძე, საძირკველი ურთიერთგაგება, ურთიერთპატივისცემა და ურთიერთთანადგომაა.

16541. მეგობარი უპირველესად საქმით, ურთიერთობის გზით უნდა გამოიცადოს და არა სუფრაზე.

16542. რაღაც სახით მეგობრობა ყველას სჭირდება, რაც არ უნდა ბედი სწყალობდეს.

16543. იმას, რაც ჩვენს სინდისსა და შეგნებაზე ბატონობს, ვეცადოთ, არ ვემსახუროთ, მიუხედავად შემოთავაზებული საცდუნებლისა.

16544. საკუთარი თავის უწმიდურობისაგან გაწმენდა ყველა ჩვენგანის სასიცოცხლო ვალია.

16545. განსჯის მცდელობა ცოდნა-გამოცდილების უქონლად ზოგჯერ სახიფათო და არარეალურია.

16546. ფერმერი, გლეხი – ეს არის ყველა სახელმწიფოებრივი წყობის ხერხემალი და, დღევანდელი ტექნიკური პროგრესის მიუხედავად, მათი რაოდენობის შემცირება არ უნდა დავუშვათ, რადგან სოფელი მარჩენალია და ყოველთვის ამად დარჩება.

16547. სიმართლისა და სამართლიანობის ორმოში ჩაგდებას და მათთვის სასწრაფოდ მიწის მიყრას არ უნდა ვეცადოთ – უგვანობაა.

16548. უქმად ყოფნა ჩვენს მტრებსაც არ უნდა ვუსურვოთ – სიცოცხლე გაუმწარდებათ.

16549. რა ბედენაა ლამაზი ხელების ქონა, მათ თუ ხიბლით ვერ გამოიყენებ მოითხოვს.

16550. ზოგჯერ რქებით მიწოლა გაცილებით მეტს აკეთებს და მეტ სარგებელს იძლევა, ვიდრე მოჩვენებითი გონიერება და მწირი გამოცდილება.

16551. არც გარდაცვალება და არც სიღარიბე ბოროტება არაა, რადგან პირველი მომდევნო თაობების კვლავწარმოებას უწყობს ხელს, ხოლო მეორე სიღარიბიდან თავის დაღწევის მეთოდებს სწავლობს და საამრიგო ცოდნას გვიტოვებს.

16552. მიწაც რწმენით, ცოდნითა და სიყვარულით უნდა დამუშავდეს, რათა მან სათანადო მოსავალ-შემოსავალი მოგვცეს.

16553. ოცნებით ტკბობას რა სჯობს, თუკი აღებული სიმაღლე ოცნებასთან შეჭიდების სურვილს გიძლიერებთ და სიამოვნებით გთანგავთ.

16554. მწარე სიმართლის საზოგადოებისთვის დამალვა დანაშაულია, რადგან ქვეყნის საზიანოდ დაშვებული შეცდომები მიუღებელია და მისმა განუსჯელად დატოვებამ რეციდივი იცის.

16555. მომავლისთვის თვალებში თამამად ჩახედვა, ჩანაფიქრის აღსრულების მაჩვენებელია.

16556. დღესასწაული ისე უნდა აღვნიშნოთ და დრო იმდაგვარად ვატაროთ, რომ უხიაგობა ახლოსაც არ გავიკაროთ.

16557. სიზარმაცეს ფესვის გადგმაც ეხერხება, თუ ამის უფლებას მისცემენ.

16558. შრომა არასოდეს იყო სასჯელი, თუ მის ნახელავს ტკბილი შედეგი და სარგებელი ჰქონდა.

16559. ურთიერთგაგების მცდელობა პროგრესი და მშვიდობიანი თანაარსებობის საწინდარია.

16560. ომის დაწყების სურვილი ერთია, შედეგი – მეორე. ამიტომ დაპირისპირებას და ურთიერთშეჭიდებას უნდა ვერიდოთ.

16561. სიხარულის მილოცვასაც და გამოხატვასაც თავისი დრო აქვს. აქ არც აჩქარება გამოგვადგება და არც დაგვიანება.

16562. კარიერის მოპოვებას არა მარტო საკუთარ წელებზე, არამედ ხშირად სხვის წელებზე ფეხის დაბიჯებაც სჭირდება.

16563. სიკეთის კეთების მცდელობა ბოროტების კეთების დროს არ გვიტოვებს და ამიტომაც უნდა ვაკეთოთ სიკეთე.

16564. ზოგჯერ გარკვეული პრეტენზიები სასაცილოდ გამოიყურება, მაგრამ მათთვის ყურის გდება ყოველ შემთხვევისთვის საჭიროა.

16565. სირცხვილის ცხრაკლიტულში გამომწყვდევა გონიერების თანხმობით უნდა მოხდეს.

16566. სხვისი ბოროტება ზოგჯერ სიკეთის საკეთებლად აღგძრავს ხოლმე.

16567. საკუთარი თავის დაცინვა უფრო უმტკივნეულო და სასარგებლოა, ვიდრე – სხვებისა.

16568. სტუმარმა მასპინძლობა არ უნდა იკადროს, თუ ამის შესახებ მას არ სთხოვენ.

16569. შელახული სახელის აღდგენა შესაძლებელია, თუ ამას გულით მოვინდომებთ, გონებას მოვიხმართ და საამისო საქმიანობაში სულს ჩავდებთ.

16570. თანამდებობა რომ შეიფეროთ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მოთოკვა უნდა ისწავლოთ, რათა ზედმეტად არ გაამაყდეთ და თავი ყოვლისშემძლედ არ იგრძნოთ.

16571. თვალსაწიერის ფარგლებს გარეთ გასული რწმენის შემობრუნება არც ისე ადვილია, როგორც გვეჩვენება.

16572. ზოგჯერ ჩვენი უარყოფითი ქმედებების გააზრება ჭირს, რადგან ამისათვის დაღვინება გვაკლია.

16573. მორალის წინააღმდეგ ბრძოლა საშიში უმადურობაა და, ბოლოს, რა უგვანობა გამოყოფს თავს, არავინ უწყის.

16574. სიამაყის შეცნობა-შეგრძნებამ მისთვის კუთვნილი ხარკიც უნდა გადაიხადოს ამ სიამოვნებისათვის. მგ. მშობლიური ქვეყნის დამოუკიდებლობის დათმობა ან მისი აღიარება.

16575. მოთმინებასაც თავისი საგულისხმო პარამეტრები აქვს და ისინი მუდმივი ვერ იქნება.

16576. ხელგაშლილობა იმსახურებს პატივს და არა მლიქვნელობა.

ცხოვრების ფილოსოფია

16577. ცოდვებს არ უნდა დავემონოთ, მაგრამ არც უცოდველად ვიცხოვროთ – უამისოდ ამქვეყნად ყოფნის მადლს ვერ შევიგრძნობთ.

16578. ეკლესიაში მღვდელთან ზიარებას სჯობს, საკუთარი თავი „თვითკონტროლს“ ყოველთვიურად ვაზიაროთ, უფრო შედეგიანი გამოვა.

16579. ცხოვრებაში ბევრი მოგზაურობს: ერთნი – მეც ნახირ-ნახირო, მეორენი – რათა თავსაც არგონ და გარეშეთაც.

16580. პასუხისმგებლობა და კომფორტი ერთმანეთისგან შორს არიან, იმისდა მიუხედავად, გვერდიგვერდ დგანან თუ ხელგადაჭდობილნი.

16581. ცხოვრება ყოველთვის იყო და იქნება სურვილთა ნატვრა – „ნეტა“ რაღაც-რაღაცები მაინც აგვისრულდებოდეს.

16582. გულგრილობა მარად დარჩება კაცობრიობის წინაშე უდიდეს დანაშაულად, იმის მიუხედავად, რომ ზოგჯერ ყოფას გვიადვილებს.

16583. გულისხმიერებასთან ტვინის, გულის, სულიერების შერწყმა აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ ჩავწვდებით გამოცანას, რისთვის და რატომ ვცხოვრობთ.

16584. ვარსკვლავები ქრებიან. მათი აღმოჩენა ყოველთვის როდი ხერხდება, თუ შემთხვევამ არ მოინდომა.

16585. ფანტაზია ცდილობს, მაგრამ საქმეს ვერ ეჭიდავება, თუ თავისი ამქარი თან არ ახლავს.

16586. ცხოვრება ბუნების განუყოფელი ნაწილია, მაგრამ აქ მთავარია სამყაროს ის კანონზომიერება, თუ რას ფიქრობს იგი ჩვენს პლანეტაზე – დედამიწაზე.

16587. ოცნების თვითმკვლელობა დანაშაულის ჩადენის სურვილით ეშმაკის ნაჩუქარი ნიჭია და არა განგებისა.

16588. ფანტაზიაზე, ოცნებებზე, იმედზე ხელის აღება დანაშაულია, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავის წინაშე, რადგან ამ დროს პერსპექტივას ცოცხლად მარხავ.

16589. ოცნება შთაგონებას კვებავს.

16590. სულისათვის უდიდესი ბედნიერების მომტანია რეალობის შემცნობი ჭეშმარიტება.

16591. ცხოვრების ხარისხს დრო განსაზღვრავს, ასაკი განსჯის და არა ჩვენი ჩანაფიქრი.

16592. იღბლის, ბედის, არჩევანის, შემართების, მცდელობის ვინეგრეტს ზენაარი ათავსებს ჩვენთვის გაშლილ ცხოვრების სუფრაზე.

16593. გულმოდგინება ყოველთვის პატიოსნებას არ ნიშნავს. ის გამორჩენაში არ უნდა აგვერიოს.

16594. სიმამაცე უპირველესად ენერგიას მოითხოვს და შემდეგ – თავგანწირვას.

16595. მწუხარებაცა და სიხარულიც არ არის მარადიული, იმის მიუხედავად, რომ ბევრი ჩრდილოვანი მხარე აქვთ.

16596. ცხოვრება თავისებურად დაგვცინის. შიგადაშიგ მხიარულადაც გვიღიმის და ვერ გაარკვევ, როდისაა გულწრფელი, როდის იქედნური.

16597. ზოგიერთ ცოდნას არცოდნა სჯობს, იმდენი ზარალი მოაქვს საზოგადოებისათვის, მაგ. ასეთია ქურდობის, ხაკერობის, აფერისტობის ნიჭი და უნარი.

16598. მტერი თეორიულად ყველას გვყავს, მაგრამ, საბედნიეროდ, ხშირად მათ ვერ ვამჩნევთ და ყოფასაც შედარებით უმტკივნეულოდ განვაგრძობთ.

+16599. ნდომის, სურვილის დაკარგვა იმ თავისუფლებას იწვევს, რომელიც არავის სჭირდება.

16600. სხვათა მოგონილი ტყუილიც საშიშია და არასაიმედო ცხოვრებაც.

16601. მშვიდი ცხოვრება რთულია და საჭიროც, მაგრამ ეცადეთ, მარტო არასოდეს დარჩეთ.

16602. ზოგჯერ იძულებულნი ვართ, სიცოცხლე სხვას მოვტაცოთ, რათა ეროვნულობის, ყოფის, შთამომავლობის შენარჩუნების გარანტია მივიღოთ.

16603. ცუდსაც თავისი დამფასოებელი ჰყავს, რაკი გემოვნებაზე არ დავობენ.

16604. ზოგჯერ იმ ცოდვებსაც მივტირით, რომლებიც, შეგვეძლო, არც ჩაგვედინა.

16605. ცხოვრება მაინც „შეიძლება-არ შეიძლებაზეა“ აწყობილი, რომელსაც ბუნების კანონები აწესებს. მაგ. და-ძმის შეუღლება არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გენეტიკა დაკნინდება.

16606. გულახდილობა ხშირად დამაჯერებელიცაა და ამაზრზენიც, იმდენად უცნაურია ამ ცხოვრების უაზრობანი და ყოველივე ამას უნდა შევხვდეთ ნერვების მოთოკვით, თავის მოქაჩლებით.

16607. ყველა იდეალისტი გულუბრყვილოა, რადგან ცხოვრებას ის ჯერ არ „დაუჟუჟავს“. ამიტომაც ის ადვილად ეგება სხვადასხვა იდოლოგიის წარმონაქმნებზე, წამოწყებებზე და ბოლოს ყველაზე მეტად თავად ისჯება, მაგრამ მაინც ცდილობს, იწამოს, რომ ის მართალია.

16608. ყოველივე გრანდიოზული სახიფათო და შიშისმომგვრელია.

16609. ცხოვრება ხშირად სასურველ პასს გვიგორებს-გვაწვდის, მაგრამ თამაშში კარის აღება მაინც ვერ ხერხდება და ანგარიში საყაიმოა.

16610. ცხოვრებაში ყოველთვის არის თავის წარმოჩენა-გამოჩენის

საშუალება, გააჩნია, რით დაგასაჩუქრა ბუნებამ, რა დროს მოგიწია ცხოვრება.

16611. შეგნებული ცხოვრება ქვეყნის საკეთილდღეოა, ბედნიერებაცაა და, ამასთანავე, ღირსეულ აღზრდაზე მიუთითებს.

16612. მართალია, ჭორაობას ვნება მოაქვს, მაგრამ ეს არის გართობის ერთი საუკეთესო საშუალება.

16613. ცხოვრება ბევრ პირობითობას გვთავაზობს, ხოლო მათზე აყოლა ხშირად არ ამართლებს.

16614. ამქვეყნად მშვენიერი ფიზიკური გარეგნობის ხსოვნა და სულიერების მადლი უნდა დავტოვოთ, იმქვეყნად მხოლოდ ძვალი, ტყავი და სულიერების ნაწილი უნდა „წავიტანოთ“, „მუნ თანა წასატანისა“.

16615. მარტოობის დღესასწაულს ყველა ნატრობს, მაგრამ ნამდვილი დღესასწაული შენს გამგებ და საყვარელ ხალხთან ყოფნაა შენივე ლიდერობით.

16616. სხვათა უსამართლო განსჯა ძირითადად რეალური ცხოვრების არცოდნის შედეგია.

+16617. ცხოვრება თავისებური მგზავრობაა დროში, რომელიც ყოველთვის ისე როდი მთავრდება, როგორც ჩვენა გვსურს.

16618. ყველა ცოდნას სხვადასხვა შესაძლებლობა აქვს, ოღონდ ყველა მათგანი ერთნაირ გამოყენებას მოითხოვს.

+16619. ყველაზე უპრიანია ცოდნის მიღება, ხოლო ყველაზე სასიამოვნოა გამოცდილების გაზიარება.

16620. დაბადება-გარდაცვლის მონაცვლეობა რომ არ ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა.

16621. წარსულისა და მომავლის სიამით აღქმა არის ჩვენ მიერ განვლილი ცხოვრების ანიც და ბანიც.

16622. ამბობენ: უაზრო სიკვდილს დასამახსოვრებელი სჯობსო, შედეგი მაინც ერთია და ჩვეულებრივი მოკვდავისთვის სულერთია.

16623. ცხოვრებაში ჩვენ-ჩვენი სირთულეები გვხვდება; აქ მთავარია ყოფა კარგისა და ცუდის შეჯერებისას დრამად არ გადაგვექცეს.

16624. გემოზე ცხოვრების უფლებას ნიჭი, დრო და ქონება იძლევა.

16625. სისულელის ჩადენის სურვილის ასაკი ყველას უდგას და მას გაფრთხილება უნდა, რათა მთელი ცხოვრება ხინჯად არ გაგყვეს.

16626. ცხოვრება მაშინაც კი ჭირს, როდესაც არავინ გებრძვის და არც არავის აინტერესებ.

16627. ზოგს სხვისი ცხოვრება მიაქვს, ზოგს – სხვისი სიცოცხლე, მაგრამ მათი ქმედების არსში დიდი სხვაობა არაა.

16628. ცხოვრება ეტაპებად იყოფა და ადამიანის ბიოლოგიური განვითარების მსგავსად ერთნაირი როდია.

16629. ალბათ, ჩვენი ცხოვრება ისეთია, როგორც ვფიქრობთ, გვე-

სმის, გვიმართლებს, აღვიქვამთ.

16630. აქტიური ცხოვრების შედეგის პოზიტიურად გამოყენება არის ამქვეყნიური ყოფის ხელოვნება.

16631. ცხოვრებაში მთავარია: დასახული მიზნისათვის ნაწილობრივ მაინც ხორცის შესხმა, საყვარელი ადამიანის შეცნობა და კუთვნილი ხვედრის გონივრულად გამოყენება.

16632. ცხოვრება ხშირად დავიწყებული სიზმრების გახსენებაა და მისი ტკბილ-მწარე გემოს ოცნება აბალანსებს.

16633. უპრეტენზიო ცხოვრების სურვილი ასაკის მოჭარბებამ იცის.

16634. უბრალოება ცხოვრების ცოდნის, ხოლო განათლება ნიჭის შედეგია.

16635. ცივილიზაციისთვის სწრაფად ფეხის აწყობა არა ღირს, სჯობს მის დაღვინებას დავუცადოთ, გამოვიყენოთ მისი ნაყოფი და არა პროცესი.

16636. ცხოვრებაში მყარად უნდა იდგე, ფესვი უნდა გაიდგა, მაგრამ ოცნებებს ზურგი არ უნდა აქციო, იმედს ხელი არ უნდა ჰკრა.

16637. ცხოვრება ხშირად სამართლიანი არ არის და ზედმეტ გამოცდას გვიწყობს, რათა ყოველდღიურობა უკეთ აღვიქვათ, შევიმეცნოთ.

16638. საკუთარი თავის მკურნალი თავადვე ხართ, თუ ცხოვრების ჯანმრთელ წესს ზურგს არ უჩვენებთ.

16639. დღევანდელობით და საკუთარი სიამოვნებისთვის ცხოვრება საგანგებო უნართან ერთად გამბედაობასაც მოითხოვს, რათა საწინააღმდეგო მოსაზრებები ყურად არ ვიღოთ.

16640. მოთმინების მეტი უნარი იმას შესწევს, ვისაც ცხოვრებამ დასამახსოვრებელი ალიყური უთავაზა.

16641. წინმავალ ცხოვრებას უკან ხშირ-ხშირად მოხედვა არა სჭირდება, რათა რასმე ფეხი უშნოდ არ წამოჰკრას.

16642. ფილოსოფიური აზროვნება უფრო მეტად მომავლის საკუთრებაა, ვიდრე აწმყოსი და დღევანდელი დღისა.

16643. ცხოვრებას თავისი მარიფათი და ნიჭი ამკობს, ამასთანავე, აგრესიულიცაა, ოღონდ სამართლიანობის ფარგლებში.

16644. საწყენია, როდესაც სიცოცხლის ბოლოს აცნობიერებ: ნაღდი მეგობარი არა გყოლია, მხოლოდ ამფსონები და მხარის ამბმელნი შემოგრჩენია.

16645. ბუტაფორიულ თავისუფლებას ისევ დაფასებული მორჩილება სჯობს – შენი ადგილი მაინც იცი ცხოვრებაში.

16646. ზოგჯერ ჭკუას მაშინ ვუხმობთ, როდესაც ამისი საჭიროება არც არის და დაგვიანებულია.

16647. ვისწავლოთ აქტიური ცხოვრება, მაგრამ ვიცხოვროთ უხმაუროდ და საკუთარი მეობის შეგრძნება-შეცნობით.

16648. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ: არავის ენდო, არც არავის იმედი გქონდეს და ეცადე, არაფერი შეგეშალოს. ამ დევიზის მქონენი აღწევენ დასახულ მიზანს.

16649. ცოდნა და გამოცდილება ფულზე მაღლა დგას, იმისდა მიუხედავად, ეს უკანასკნელი საკმარისად გვაქვს თუ არა.

16650. დილას მხნეობა მოაქვს, შუადღეს – დაღლილობა, ღამეს-დასვენება, ოღონდ მაშინ, თუ ჯანსაღ ცხოვრებას ეწევი.

16651. მრწამსისკენ სწრაფვა ჩვენი სიმშვიდის გარანტიაა.

16652. სიკეთეს ბევრი გადაულახავი დაბრკოლების დაძლევა ძალუძს.

16653. რამდენიმე წარუმატებლობა და იმ თავდაპირველი ოპტიმიზმიდან აღარაფერი რჩება, რომელიც სიცოცხლეს ოცნებით გვილამაზებდა.

16654. სანამდის ერთმანეთი გვიყვარს და მოგვწონს, მანამდის აქვს ცხოვრებას ფასი და მადლი, შემდეგ კი სიცოცხლე უფერულად გრძელდება.

16655. ფუფუნებაში ცხოვრების უფლება არავის უნდა მივცეთ – დანაშაულია, რადგან ერს აკნინებს და გადაშენების გზაზე აყენებს.

16656. ცხოვრებაში ათასობით სისულელეს კრიტიკულად უნდა შეეხმიანოთ, რათა ერთეულ გონიერთა მადლი შევიცნოთ, გავითავისოთ.

16657. უიმედობა, უსუსურობა, უძლურება ცხოვრების უაზროდ დახურდავების შედეგია.

16658. ცხოვრების მღვრიე მორევშიც კი ბედნიერება სიკეთის საკეთებლად ირჯება და სიცოცხლის გახანგრძლივებას ლამობს.

16659. ლიდერობა მოწოდებაა, მენეჯმენტი – საქმის ცოდნა, შემართება კი აუცილებელია მიზნისკენ მისწრაფებაში.

16660. კარგი კანონების შექმნას ნიჭთან ერთად დროის ცოდნა და ცხოვრების გამოცდილება სჭირდება.

16661. ცხოვრებას რომ გემო გაუსინჯო, საამისოდ ოცნება კი არ გვჭირდება, არამედ პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა.

16662. გაბრაზებისას, შეიძლება, პირიდან ცეცხლის ნაპერწკლები გადმოყაროთ, ოღონდ თვითკონტროლი არ უნდა დაკარგოთ.

16663. ფერადი ოცნება ზოგჯერ ცხოვრებისეულ წარმატებებზე მეტად გვსიამოვნებს.

+16664. ცოდვათა დროული მონანიება იმის გარანტი არ არის, რომ ცოდვებს კვლავ აღარ ჩავიდენთ.

+16665. ცხოვრება თავისებური სუპერმარკეტია, რაც გინდა, აიღე,

თუ სალაროში ფულის გადახდის უნარი შეგწევს.

16666. ფიზიკური შრომის სიმძიმე გვაიძულებს, ცხოვრებას მომზადებულნი შევხვდეთ.

16667. დღევანდელი ჩვენი ყველა თამაში – ფანტაზია ხვალ მოძველებულია.

16668. სიმართლისთვის თვალებში ჩახედვა ადრე თუ გვიან მაინც გვიხდება, ჩვენი სურვილის მიუხედავად, რადგან ამას გვაიძულებს ყოფიერება.

16669. ვეცადოთ, აწმყოში რეალობის შესატყვისად ვიცხოვროთ. ამქვეყნად ბევრი რამ არის, რაც ჩვენ არ გვჭირდება, მაგრამ ამის გაცნობიერებას ზოგჯერ მთელი ცხოვრება სჭირდება.

16670. ცხოვრება ყოფით „ბაიათებს“ გვთავაზობს და სასურველია, ის დასამახსოვრებლად განვვლოთ.

16671. ყოფიერების საცდუნებელზე არწამოგებაც ნიჭს მოითხოვს.

+16672. წარსულის კითხვებს პასუხი უნდა გავცეთ, მაგრამ წარსულში არ უნდა ჩავრჩეთ.

16673. ცხოვრება თავისებური თეატრია, ცირკია, საროსკიპოა, რა მხრიდან და რა დროსაც მას არ უნდა შევხედოთ გონების თვალით.

16674. შეცდომების პატიება შეიძლება, თუ ის წინასწარ განზრახვით და ქვენა გრძნობებით არ არის ჩადენილი.

16675. განათლება, ცოდნა მუდმივია, სწავლისგან განსხვავებით, რადგან ეს უკანასკნელი რომელიღაც ეტაპზე უნდა დავასრულოთ.

16676. მარტოობის დღესასწაულის აღქმას გენიალობა სჭირდება, რადგან ის საზოგადოების უმეტესობისთვის შეუცნობელია.

16677. ცხოვრებაში ბევრი ისეთი რაღაც ხდება, დიდი ფანტაზიის მქონე სცენარისტსაც რომ არ დაესიზმრება.

16678. ცოდნის გამოყენება თავადვე უნდა შეძლოთ, მხოლოდ ამის შემდგომ გაქვთ უფლება, იგი სხვას გაუზიაროთ.

16679. ცხოვრების აზრის ბოლომდე შეცნობას, ეტყობა, განგება არ გვანებებს, რათა არ მოვდუნდეთ.

16680. თანასწორობა და არა თანასწორუფლებიანობა – აი, დევიზი, ამ სამყაროს რომ უკეთ წარმოაჩენდა.

16681. სიკეთის კეთებას ნიჭი უნდა, მარტო სურვილი არ კმარა.

16682. ყველგან და ყველაფერში მადლის მოძიება შეიძლება, თუ ამისი მოწადინება არსებობს.

16683. წინაპარი იმ ქვეყნიდანაც ხედავს, როცა მისი შთამომავალი ღირსეულად ცხოვრობს.

16684. ბოროტებას ყოველთვის ჰყავს თანამეინახენი და მხარის დამჭერნი. ეს ისინი არიან, რომელთაც ცხოვრებაში არ გაუმართლათ.

16685. მეხსიერებას ჩვენი განვლილი დროის საუკეთესო წუთები

პეწით შემორჩება.

16686. საიდუმლოს შემნახავი საჭიროც და აუცილებელიცაა ცხოვრებაში და ის შენი მეგობარი თქვენდა უნებლიეთ ხდება.

+16687. სინდისი არ გვაძლევს უფლებას, იმაზე უკეთესად ვიცხოვროთ, ვიდრე ერი ცხოვრობს.

+16688. რწმენა სიცოცხლეს გვიადვილებს, მაგრამ ცხოვრებას გვირთულებს, რადგან ეშმაკობის უნარს გვაკლებს.

+16689. წარსულით თავს ვიწონებთ, აწმყოში შეძლებისდაგვარად ვარსებობთ, მომავლის იმედით ვსუნთქავთ.

16690. ცხოვრება თავისებური პროვოკაციაა შენი „მეს“ პროვოცირებით და გონის მოკრეფით.

16691. ცრურწმენის, საკუთარი მეობის, ეჭვიანობის, ქვენა გრძნობების, სიყვარულის, გართობის, შურის, ჭორაობის, ცოდნის, შექმნის სურვილისა და „ნეტას“ გარეშე ჯერ ცხოვრება არავის გაუვლია, „მოუყუჩებია“.

16692. ზეციურ საუნჯესა და პატრონებზე ფიქრს სიზარმაცემდე მივყავართ.

16693. ადამიანის ხასიათის ცოდნა ატომის გახლეჩის ცოდნის ტოლფასია, რაც ცხოვრების ოლიმპზე ფეხის შედგმაში ხელს გვიწყობს.

+16694. ჭკუას – ასაკი, ცხოვრებას გამოცდილება აღვინებს.

16695. საქმიან კაცს ცხოვრებაში უამრავი ნაძირალა ხვდება და ამ ნაძირალათა უმეტესობა რატომღაც მისი ნათესავები, ახლობლები და „კეთილის მდომნი“ არიან.

16696. ფილოსოფია ერთდროულად თავისი გონიერებითა და იუმორნარევი მჭევრმეტყველებით იხარჯება.

16697. წესიერება-უწესობის, გონიერება-უგუნურების, სიყვარული-სიძულვილის გარეშე ცხოვრება თავის ხიბლს დაკარგავდა.

16698. ძლიერნი, გონიერნი, მიზანდასახულნი სიკვდილზე არ ფიქრობენ, იმდენად ძლიერ უყვართ სიცოცხლე.

16699. ცხოვრებას თუ ვერ გაუსწრებ, იმ დროს მაინც უნდა აუწყო ფეხი, რომელში ყოფნაც გიწევს.

16700. ცხოვრების ყველა ჭკუის სასწავლი გაკვეთილი მტკივნეულად, მაგრამ ღიმილით გასახსენებელია.

16701. ცხოვრება შეიძლება ცირკიც იყოს, თეატრიც, მაგრამ შედეგს წარმოაჩენს ქვეყნის ხელისუფალი – რეჟისორი და აქტიორი – მისი უდიდებულესობა ხალხი.

16702. ცხოვრება რისკია და არა თვითმკვლელობა, დროსთან შეჯერებული აზრების განუხორციელებლობის მამაო.

16703. გართობის ღმერთებს ყველა ცხოვრების უძვირფასეს წუთებს უთმობს.

16704. უმთავრესია ცხოვრების არსის გარკვევა და არა სამართლიანობაზე გადაყოლა და კანონების ზედმიწევნითი ცოდნა.

16705. ნიჭი, ჭკუა, განათლება, მოხერხებულობა, შემართება ყველა დაბრკოლებას გადალახავს.

16706. თავს უნდა შეუძახო, საკუთარ რაობაში გაერკვე და ცხოვრებაში მკაფიო მიზანი დაისახო.

16707. სიწყნარე – სიჩუმის მოპოვებას ხშირად ხმამაღალი და ხმაურიანი მოთხოვნა სჭირდება.

16708. რადგან ცხოვრება ომია, ის დაუწერელი კანონებითაც უნდა იმართოს, რათა ამ ცხოვრების მადლის რაღაც მცირედი ნაწილი მაინც შევიცნოთ.

16709. ცხოვრების აღქმას ნიჭი უნდა, ხოლო მის „წაკითხვას“ – მონდომება.

16710. ცოდნა აგვამაღლებს, მაგრამ პოლიტიკურ ძალაუფლებას კონკურენციას ვერ უწევს.

16711. ჩვენი ყოფა შუქ-ჩრდილის თამაშია.

16712. მწუხარება და განსაცდელი არ გვაძლევს უფლებას, ცხოვრებას ქედი მოვუხაროთ და მომავლის იმედზე ხელი ავიღოთ.

16713. ჩადენილი ცოდვები გვაწუხებს, რათა კვლავ არ გავიმეოროთ და კვლავაც არ მოვინანიოთ.

16714. წარმატების გარანტიას რწმენა და ხელის განძრევა იძლევა.

16715. სიკვდილს მაშინ უნდა შეეხმიანო და შეაღვიძო, თუ ცხოვრება დამძიმდა და მოგბეზრდა.

16716. ნაციონალური იდეა მყიფე ფაქტორია. როგორც კი ხალხს სხვაგან უკეთესი ცხოვრების საშუალება მიეცემა, ამ მყიფე ფაქტორს ზურგს შეაქცევს.

16717. გვინდა – არ გვინდა, მოგვწონს – არ მოგვწონს, გვჯერა – არ გვჯერა, ქვეყანას, სახელმწიფოებრიობას, ეროვნულობას ის უინიციატივო „ვაგონები“ ინარჩუნებენ, რომლებიც ქვეყნიდან თავიანთი უნიათობის გამო ვერ მიდიან, რჩებიან და, ავად თუ კარგად, თავიანთ ცხოვრებას იწყობენ.

16718. მარადისობის შესაცნობად მის ლაბირინთებში ჭკუით უნდა შეხვიდე.

16719. ყოფის ლაბირინთებში მშვიდად, მოთმინებით, შენი დროის მოთხოვნათა გათვალისწინებით უნდა იმოძრაო.

16720. საერთო მიზანი სასწაულებს ახდენს.

16721. პატარ-პატარა ბიწიერებათა გარეშე ცხოვრება ადამიანს რობოტად აქცევდა.

16722. ცხოვრების ეშხი რომ შეიცნო, ზოგჯერ პრინციპებსა და კანონს ზურგი უნდა უჩვენო.

+16723. ცხოვრებას თავისი შარმი აქვს, რომლის დანახვა უბედურს ეკრძალება.

16724. ცუდის კარგად გადაქცევას მთელი გულით უნდა ვცდილობდეთ.

16725. ცხოვრება სულიერების საწრთობად გვჭირდება, რათა საკუთარი თავი უკეთ შევიცნოთ.

16726. აწყობილი ცხოვრებაც კი ლატარიის სისტემურ თამაშს მოგვაგონებს.

16727. თავის ჩაქინდვრა და გარიდება კი არ არის მთავარი, არამედ თავის აწევა და სიმართლის თვალებში ჩახედვა.

16728. ღირსებაზე არ ფიქრობენ, მას ჩვენდა უნებლიეთ ვაშენებთ და ვიძენთ.

16729. ცხოვრებას თავისი გეგმა აქვს ჩვენ მიმართ. ამიტომაც ბედის წყალობას ხელი უნდა შევუწყოთ და შემართებით შევეხმიანოთ.

16730. საკუთარი თავის სრულყოფილად ფლობა ცხოვრების ლაბირინთებში ძრომიალს გაგვიადვილებს.

16731. ყოფის იმ ტალღაზე უნდა ავგორდეთ, რასაც ცხოვრება შემოგვთავაზებს, თუ გვინდა, ბოლოს წარმატებული ვიყოთ.

16732. მოდა სხვათა ვარაუდით ცხოვრების სინონიმია.

16733. ცხოვრება დროის გარკვეულ მონაკვეთში ჩადებული ვნებათაღელვის სათავისოდ გამოიყენებაა.

16734. ხშირად თეორიული აქსიომები პრაქტიკულ რეალობას არ ემთხვევა. ხუთოსნობა დიახაც კარგია, მაგრამ ცხოვრებაში მას ხშირად ოთხოსნები სჯობნიან, ხან – სამოსნებიც კი.

16735. ცხოვრების გზის წარმატებით გავლას ხშირად ამაღლებულ სულიერ გრძნობებს უნდა ვუმადლოდეთ.

16736. ცხოვრება ავ-კარგის ურთიერთობაა და ამ ურთიერთობის ალგებრას დროულად ამოხსნა სჭირდება.

16737. კონკურენცია კარგი ცხოვრების გარანტიაა, მიუხედავად მისი მრავალი მოუხერხებლობისა.

16738. ყველა გამარჯვებამ შესაძლო დამარცხების წინასწარი ალიბი უნდა მოიძიოს.

16739. ცხოვრების მოწონების დონეს არა ოდენ ჩემი, ჩემი მეზობლების შესაძლებლობებიც განსაზღვრავს.

16740. მოქალაქეა ის, ვინც პასუხს აგებს და პასუხს აგებინებს ქვეყნის სიყვარულით.

16741. დემოკრატიასაც არ შეუძლია პიროვნებების გარეშე სათანადოდ განვითარდეს. მაგრამ მას ნამდვილად ძალუძს ცხოვრების დონის ამაღლება იმგვარად, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია.

16742. დემოკრატია ყველას პირზე აკერია, ხოლო მის არსში

გარკვევა ყველას უჭირს.

16743. სარწმუნოებათა მცდელობის მიუხედავად, ადამიანი მაინც თანდაყოლილი გენეტიკით ვითარდება და თავისი გაგებით ცხოვრობს.

16744. ძილის წინ ვალდებული ვართ, ერთი წამით ჩვენს რაობაზე დავფიქრდეთ, გამოღვიძებისას კი ერთი წუთით განვსაჯოთ, რას გავაკეთებთ დღეს.

16745. ცხოვრება ხშირად სილას გვაწნის, ახლობლები ფეხს გვიდებენ, მაგრამ, ეტყობა, ესეც განგების ნებაა ცხოვრების მადლის დასამუღამებლად, ჩვენს გამოსაფხიზლებლად და ავის და კარგის შესაცნობად.

16746. ლოდინი იმედის ნაპერწკალს გვიღვივებს და ცხოვრების საშუალებას გვაძლევს.

16747. პირადი ცხოვრება ჩვენი ციხესიმაგრეა და აქ ცხვირის ჩაყოფა უზნეობაა.

16748. თუ გაგიმართლებთ, საცხოვრებლად არ უნდა მიხვიდეთ ისეთ ქვეყანაში, სადაც დაპირისპირებაა და ურთიერთშეცნობის კანონი არ მოქმედებს, რადგან იქ არც ცხოვრება უქნია ღმერთს.

16749. ყოველივეს წყვეტს ჯანი და ჭკუა ცხოვრების გამოცდილებასთან ერთად და ბედისთვის ზოგჯერ ხელის შევლება.

16750. საკუთარი ცხოვრების მიმართ მარად უკმაყოფილობით და ზედმეტი თხოვნით თავს ნუ მოაბეზრებთ თქვენს მფარველ აგელოზს – გაგიბრაზდებათ და ზურგს შეგაქცევთ.

16751. კერძო საკუთრებისკენ მისწრაფების მოსპობა გამოიწვევს ოჯახის, სამშობლოს, ახლობლების მივიწყება-დაკარგვას.

16752. ცხოვრების გალამაზება თავად ადამიანმა უნდა შეძლოს, რადგან მას ამის მრავალი შანსი ეძლევა.

16753. ბედნიერებაა ისიც, თუ ცხოვრებით ყოველთვის კმაყოფილი არ ხართ და ჰარმონიულობისკენ ისწრაფვით.

+16754. სუფთა სინდისით ცხოვრება კარგია, მაგრამ ყოფიერებაში მაინც გადახრები გვამახსოვრდება.

16755. სიმართლის მიგნებას გონიერება და შეუპოვრობის ნიჭი სჭირდება – ესაა სამართლიანი ნიჭი.

16756. სიცოცხლის სურვილს და სიყვარულს ჩვენ არავინ გვეკითხება, რადგან არავინ იცის, ვის, სად, როდის და როგორ მიადგება იგი.

16757. კითხვებზე პასუხი შეიძლება იყოს სწორი ან არასწორი, რადგან ეს პასუხებია ჩვენი ცნობიერების ავტონომიის მაცნე.

16758. უნდა ვეცადოთ, სულიერება ყოველთვის წახალისებული და შემთბარი გვყავდეს, თუ გვინდა, ცხოვრების მადლი შევიცნოთ.

16759. ცხოვრების გამოცდილების წყაროს წმინდა წყალი ყველაზე მისაღები და აუცილებელი სასმელია გონის დასაწმენდად.

16760. ისიც ცხოვრების მადლია, თუ ამქვეყნად მოსვლა არ გინა-

ნია.

16761. ცხოვრება რაღაც-რაღაცებს გვასწავლის, მაგრამ ცოდვების ჩადენისათვის თავის დაღწევა გვიჭირს, რადგან თანდაყოლილი მომხვეჭელობა ამის საშუალებას არ გვაძლევს.

16762. გარდაცვალება ყოველთვის სიკვდილს არ ნიშნავს, თუ გარდაცვლილს შთამომავლობა დარჩება და მისი მოგონება ზოგჯერ მათ გულს აუჩქარებს.

+16763. საკუთარ ნაკლოვანებებს სხვისი თვალით უნდა შეხედო და საკუთარი გონით გაიაზრო.

16764. დღეს მთავარია, ყოფის ლელოს გატანა ვისწავლოთ და ცხოვრება ზოგჯერ ჩვენს ჭკუაზე გაჯირითების უფლებას მოგვცემს, რაც შეეხება სიყვარულს, ის შემთხვევითი და დროებითია.

16765. წარსულის ცოდნა ერთგვარად მომავლის კეთილდღეობას განაპირობებს, რადგან ეს უკანასკნელი ნამყოს ანალიზზეა დაფუძნებული.

16766. მოვალეობა კი არ უნდა მოვიხადოთ, არამედ ის შინაგანად უნდა ვიგრძნოთ, მან უნდა შეგვაწუხოს.

16767. იცხოვრო სხვათა გამოცდილების გამოყენებით და საკუთარი სინდისის კარნახით, განსაკუთრებულ ნიჭსა და გონიერებას მოითხოვს.

16768. ერთისთვის რაც დასაგმობია, ის შეიძლება მეორისთვის მოსაწონი იყოს. აქ მნიშვნელოვანია, რა პოზიციაზე და ვის მხარეს ვდგევართ და ვინ განსჯის ნამოქმედარს.

16769. უგუნურთა და უგვანოთა ყბედობას, მათ გვერდში დგომასა და ჩვენი საქმიანობის გაბაზრებას უნდა ვერიდოთ, ამთთან რაც უნდა ნათესაური სიახლე გვაკავშირებდეს.

16770. საკუთარი თავი არასოდეს უნდა „მიაგდო“. ამით ხშირად სხვასაც აყენებ ზიანს და საკუთარ საქმიანობასაც.

16771. ცოცხლისთვის მთავარია, ცხოვრებამ გვერდზე არ ჩაგვიაროს და ყოფისთვის განკუთვნილი წლები მუქთად არ წავაგოთ.

16772. რა ვაკეთოთ?! – ვიცოცხლოთ, ვიმუშაოთ, ვიცხოვროთ.

16773. არის წლები, რომელთა უცვლელად უკან დაბრუნება უდიდეს სიამოვნებას მოგვანიჭებდა.

16774. მსუბუქ ხელის კვრას, წკიპურტებს, მუჯლუგუნებს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, რადგან სხვაგვარად ცხოვრების გავლა არ გამოდის და უინტერესოცაა.

16775. გამოჯანმრთელება არა მარტო საზოგადოებას, ხშირად ქვეყნებსაც სჭირდება, ზოგს ისეთი ისტორია აქვს გავლილი, გადატანილი.

16776. სიცოცხლეს ალტერნატივა არ აქვს. ის ყოველთვის უპირ-

ველესია.

16777. ყველა ჩვენი კეთილისმდომია: სიცოცხლის მჩუქებლიდან, აღმზრდელიდან, დამსაქმებლიდან დაწყებული მესაფლავემდე.

16778. მეგობარი იქაც კი უნდა ვეძიოთ, სადაც მისი მოძიების თეორიული შანსიც არ არის.

16779. მეგობრის ცოდვებს სხვათა მიმართ შემგუებლად ვხვდებით, თუკი ჩვენ არ გვეხება.

16780. მეგობრობა სადღეღამისო უნდა იყოს, როგორც სადღეღამისო აფთიაქი.

16781. კარგია, თუ დღევანდელი დღე ხვალინდელს პერსპექტივას უსახავს და ზეგინდელს არიგებს და ჭკუას ასწავლის.

16782. პროგრესი რისკის გაწევაა, რომლისთვისაც თავის გადადებაც ღირს, რაკი ის მომხიბვლელად საინტერესოა.

16783. ცხოვრებას თუ ყოფის ლაქებით დავტვირთავთ, სიცოცხლე მეტად მოკლედ მოგვეჩვენება.

16784. რომ გაიგო, უნდა გინდოდეს, რომ იცოდე, უნდა გჯეროდეს, რომ გჭირდებოდეს, ყოფამ უნდა გაიძულოს.

16785. შედეგი წინასწარ უნდა გავითავისოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხიფათი მოგველის.

16786. გაცემის შედეგი უნდა იგრძნო და დაინახო – რაც თავად უნდა დაიკლო.

16787. გონის დროულად მოხმობა სათნოებას ალამაზებს.

16788. სიცოცხლესთან საქმიან ჩალიჩს ყველა ჩვენი გადასახედიდან ვცდილობთ.

16789. საქმის კეთების საიდუმლო სურვილი შეჯერებასა და ერთობაშია.

16790. მერკანტილურობა, რომელიც „გონიერებასაც“ იშველიებს და თავისი სიამოვნებისთვის ცხოვრებას აპირებს, კაცობრიობას გადაშენებით ემუქრება. ზოგი ქალი, დღევანდელობის შემხედვარე, შვილის გაჩენას არ აპირებს, შვილისთვის აღსაზრდელ ხარჯებს საპენსიო ფონდში აბანდებს. სიბერეში კი კეთილმოწყობილ მოხუცებულთა თავშესაფარში გადადის საცხოვრებლად და უშფოთველად და თავის შეუწუხებლად იმქვეყნად უდარდელად მიდის, მით უმეტეს, თუ დღევანდელი შვილები დედებისთვის ვერ იცლიან და თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ.

16791. ვაჟკაცობა, თავდადება ყოველთვის ღირესების მწყობრში დგას.

16792. სამართლიანობა მისი ქმედებების ხანგრძლიობით გამოიხატება.

16793. სიკვდილსაც თავისი პარამეტრები აქვს. უპირველესია: რაც

გარდაუვალია, არ უნდა შეუშინდეთ.

16794. ცხოვრება მოვალეობებისაგან არ გვათავისუფლებს. ის უფრო ხშირად გვიმორჩილებს, თუ მოვალეობა საყვარელი ადამიანის მიმართ გვაწევს.

16795. სამართლის ძებნა ძნელია, მაგრამ სიმართლის მიგნება კიდევ უფრო გაძნელებულია, რადგან პირველი სოციალური, მეორე ფილოსოფიური პრობლემაა.

16796. ღვთის შეცნობა და მასთან „ჭუკჭუკი“ ისევ ცხოვრების გაადვილებისთვის გვჭირდება.

16797. განვლილ ცხოვრებას ის საყრდენი არ აქვს, რომ უკან დააბრუნო და ძველი გადაცდენა ამ გზით გამოასწოროს.

16798. ტკივილის, გაწბილების და მარცხის გარეშე ცხოვრების ფინიშისთვის არავის მიუღწევია. აქ მთავარია წინააღმდეგობათა დაძლევა ვისწავლოთ და ხელი არ ჩავიქნიოთ.

16799. პიროვნებისადმი რიდი, პატივისცემა, აღიარება სხვა სიყვარულია, რომელიც ყველაფერს, ერთად აღებულს, სჯობს, რადგან მათი არ შურთ და ისინი ყველასი არიან.

16800. ცხოვრება რთულია, ხოლო ადამიანი მარად უკმაყოფილო და უმადურია.

16801. მშობლებს ბავშვების პირადად აღზრდას ისევ მათი დაფინანსება და საზღვარგარეთ სასწავლებლად გაშვება ურჩევნიათ, რათა შვილებმა თანამედროვე პროგრესის შესატყვისად ცხოვრების წლებს ზომაზე მეტი გემო ჩაატანონ.

16802. ცხოვრების გარემოებაა, როდესაც გამოსავალი არ არის და იძულებული ხარ, თავი მოიტყუო და ამით ნასიამოვნები დარჩე.

16803. ცხოვრების აზრის ძიება ჭკუის ჭყლეტაა და სიყალბესთან ახლოს დგომაც, იმისდა მიუხედავად, რომ თავზე დიდი წარმოდგენა გვაქვს.

16804. კეთილი საქმე, მოყვასის სიყვარული და რეალობისთვის თვალებში ყურება ძალას გვმატებს, ცხოვრების მადლს შეგვაცნობინებს.

16805. ზოგი ყოველივეს მუქ ფერად ხედავს, ზოგსაც ლურჯად ან თეთრად ეჩვენება ყველაფერი, მაგრამ ცხოვრება ერთფეროვანი როდია.

16806. ყოველ მცდელობას მიმართულება უნდა მივცეთ, რათა მიზანი უმიზნოდ და უშედეგოდ არ დარჩეს.

16807. ცხოვრებამ რაც უნდა გვიმუხთლოს, არ უნდა გავემიჯნოთ, რადგან განგებას უმიზეზოდ ჩვენ არ მოვუვლენივართ ამქვეყნად.

16808. საკუთარი თავის შეცნობით უმთავრესად საკუთარ თავს ვშველით და ცხოვრებას ვიწესრიგებთ.

16809. აღსარება ანგარიშგებაა განგების წინაშე შენი განვლილი ცხოვრების იმ გადაცდენებზე, რომლებიც შეგეძლო, არ ჩაგედინა.

16810. სამართლიანობის მიმართ ყველას თავისი დამოკიდებულება აქვს, იმათაც, ვისაც ცხოვრებაში უმართლებთ, და იმათაც, ვისაც არ უმართლებთ, რადგან მათი „ყოფა-ანალიზის“ შედეგად ყოველივე პირიქით უნდა მომხდარიყო.

16811. ცხოვრების ნავსაყუდლის ძიებისას ზოგჯერ ისეთ გარემოში გიწევს ცხოვრება, რომელსაც ადრე ვერც წარმოიდგენდი.

16812. სურვილია, ტექნიკურ პროგრესს ნახევარი ნაბიჯით ჩამოვრჩეთ, რათა მისი გაუცნობიერებელი შედეგები გავითვალისწინოთ და ისე გავაგრძელოთ ცხოვრება. ამით მის მომხიბვლელ სატყუარაზე უაზროდ არ წამოვეგებით და არ გადავგვარდებით.

16813. მთელი ცხოვრების ტკბილი ძილით განვლა შეუძლებელია, თუ შიგადაშიგ გამოღვიძება-გამოფხიზლებით არ გავამრავალფეროვნებთ.

16814. ცხოვრება რომ მაიმუნობაა, დემოკრატიას მიტმასნილი დღევანდელი მთავრობა ამის დამადასტურებელია.

16815. ოპტიმიზმისა და იუმორის დაკარგვა ფაქტობრივად ცხოვრების დასასრულს ნიშნავს.

16816. აფორიზმი ცხოვრების ფილოსოფიის დიდი ჯაჭვის დამაბოლოვებელი რგოლია.

16817. ურისკოდ ცხოვრება ცხოვრება არ არის, რადგან უამისოდ დასამახსოვრებელი არაფერი გრჩება.

16818. ბრძოლის ხიმინჯლობას მიზნისა და შედეგის გარეშე აზრი არ აქვს, რადგან ყოველი დაპირისპირება სამართლიანობას უნდა ემსახურებოდეს.

16819. ამქვეყნად მოვლინების ფაქტს მაშინ აქვს ფასი, თუ მარადისობაში გადახვალ და შენი საფლავი აღარ დაიკარგება.

16820. ცხოვრების გამგებელი მაინც წესიერებაა, რა მხრიდანაც უნდა მიუდგეთ.

16821. ცხოვრება გამართლებაა, ბედი თანამზრახველია, მიზანი შედეგის მისაღწევი საშუალებაა. ესაა ჩვენი ამქვეყნად ყოფნის ანიც და ბანიც.

16822. თანამოაზრე უნდა დააწინაურო, შემდგომ უმიზეზოდ მოხსნა, ცოტა დააცალო და, თუ მოწინააღმდეგის ბანაკში არ გადავიდა და შენზე აუგს არ ამბობს, მისი ნდობაც შეიძლება და დაწინაურებაც.

16823. ცხოვრების წესზე ზეგავლენას ახდენს: ოჯახის ტრადიციები, განათლება, ინტელექტის დონე, საერთო წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა, კომფორტი, საყოფაცხოვრებო პირობები, კვებისადმი დამოკიდებულება, ფიზიკური აქტივობა, მავნე ჩვევათა უქონლობა, პი-

რადი ჰიგიენა, პოზიტიური აზროვნება, არსებული მკვიდრი სოციალური კავშირები. ასე და ამგვარად, განუსჯელად და განუსაზღვრელად.

16824. მავნე ჩვევებია: სიგარეტის მოწევა, დიეტის ექსპერიმენტი, წყურვილის მოკვლა გაზიანი წყლით, ყოველდღე მაღალ ქუსლებზე სიარული და მრავალი ამდაგვარი. მაგრამ ცხოვრებაც ხომ გვინდა?!

16825. თუ მემკვიდრენი ვერ მორიგდებიან ქონების გაყოფისას, ქონების ნახევარს სახელმწიფო იტაცებს და ის წყვეტს, ვის რა ერგება. შედეგად სიყვარული თუ არა, ურთიერთგაგება გარანტირებულია.

16826. აწმყოს ბადალი სიკეთე მომავალმა უნდა განსაჯოს.

16827. სამართლიანობის, კეთილშობილების, თანადგომის გარეშე ცხოვრებაც გაჭირდებოდა, სამყაროც არ განვითარდებოდა და საფუძვლიანად ვერც ერთმანეთს შევიცნობდით.

16828. ცხოვრების საპატიო მისიაა გარდაცვალების შემდგომაც ცხოვრება.

16829. სახელისათვის ბრძოლა და მისი შენარჩუნება დიდ ძალისხმევას მოითხოვს სიკვდილის შემდეგაც.

16830. სიძუნწის კარგი მასწავლებელი სიღარიბეა.

16831. იმედით ცხოვრება კარგია, თუ აწმყოსთვის ფეხი აწყობილი გაქვს.

16832. სიმტკიცეს შიშისთვის არა სცხელა.

16833. ყველა წამოწყება თავადვე უნდა დაამთავრო, რათა შედეგით კმაყოფილი დარჩე.

16834. ნდობის შენარჩუნებას სხვათა ტყუილში მხილებაც ხელს უწყობს.

16835. გამოცდილებაც რევიზიას მოითხოვს დროისა და გარემოს შესატყვისად.

16836. ენდოთ, სახიფათოა, არ ენდოთ, სიბრიყვეა, რადგან ასე ცხოვრების მადლს ვერ შეიცნობ.

16837. საქმეს შებმა დასაწყისში უნდა, რადგან ბოლოს ცხვირს არავინ ჩაგაყოფინებს, თუ საქმე კარგად წავიდა.

16838. უკვდავებას უკვდავი ნახელავის დატოვება განაპირობებს და არა სიცოცხლის სიხანგრძლივე.

16839. ზოგჯერ ჩვენი მტრები დიდების საძირკვლის ჩამყრელებად გვევლინებიან და ისტორიაში ჩვენთან ერთად და თანაბარი დიდებით შედიან.

16840. ყველანი ცოდვილნი ვართ, მაგრამ ცოდვის წარმომშობი თესლი და ფესვი სხვადასხვაა.

16841. ფაქტობრივად ცხოვრების წესი გვცვლის და არა მარტოოდენ ჩვენი მცდელობა.

16842. საქმიანი წამოწყებაა ძნელი და არა მისი წარმართვა, რადგან

თვით წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი გამოცდილებას იძენ.

16843. ცოლის მოყვანა თეორიულად სისულელეა, მაგრამ პრაქტიკულად აუცილებელია კვლავწარმოების მიზნიდან გამომდინარე.

16844. მხცოვანთა მეგობრობა უფრო სახარბიელო ხდება, თუ სიყვარულის, მონატრების გარდა, მათ ერთმანეთისგან სხვა არაფერი სჭირდებათ.

16845. ლამაზი ცხოვრება კარგია, მაგრამ ცხოვრების ბოლომდე ლამაზად გავლაა ძნელი.

16846. საქმიანი რჩევის მოსმენა გონიერების გაშანშალებასა ჰგავს.

16847. ისეთ აწმყოს უნდა ვერიდოთ, რომელიც იმქვეყნად სატანას გადაგვკიდებს.

16848. მსახიობია ის, ვისაც ძალუძს, სხვას განუმეორებელი სიამოვნება მიანიჭოს სცენიდან და ცხოვრებაზე დააფიქროს.

16849. ცხოვრების სიამესა და მადლს ზოგი ადრე შეიცნობს, ზოგიც – გვიან, ხოლო არიან ადამიანები, რომლებიც, რა არის ცხოვრება, საერთოდ ვერ გარკვეულან.

16850. ჩვენმა წინაპრებმა ძლივსძლივობით ისწავლეს მოხდენილად ტანსაცმლის ჩაცმა, და საამისოდ ფულს ხარჯავდნენ, ხოლო დღევანდელი თაობა მის ლამაზად გახდას სწავლობს და ამით ფულსაც შოულობს.

16851. ცხოვრება ია-ვარდებით მოფენილი ვერ იქნება, თუ მას საკუთარი დიდი მისია არ აკისრია და ყოფის ორანჟერეაში დარჩენას არ ცდილობს.

16852. ცხოვრება გუნდური თამაშია, მაგრამ ყოველივეს დროის ყივილი, გონიერი ხელისუფალი და ფულისათვის ხელის შევლება წყვეტს.

16853. ფილოსოფია ტვინის ინტეგრალების ამოხსნას ითხოვს, რადგან მისი გათავისება ერთეულ „ჭკუანაღრძობთა“ ხვედრია.

16854. „ორსავე ცხოვრებასა შინა“ ყოფნა ხშირად წინაპრებთან სიზმარში გადებული ხიდის მეშვეობით გვიწევს.

16855. შემართება, ოცნება, აზრი, იდეა უკვდავია. უკვდავი რაცაა, ის მიწიერი საქმის მკეთებელიცაა.

+16856. ცხოვრება დაუვიწყარი გახსენების აუცილებლობაა.

16857. პატიოსნებას მეხსიერების გაკონტროლება, შემოწმება არაა სჭირდება.

16858. სიბერე სიდინჯეს, ფიზიკურ ვარჯიშებს მოითხოვს და არა წარსულით ტრაბახს, არაფრის კეთებას და იმქვეყნად გადაბარგებისათვის საჭირო ბილეთის უაზრო ლოდინს.

16859. საკუთარი ზრახვებით ცხოვრებამ ცოდვების დამძიმებამდე არ უნდა მიგვიყვანოს.

16860. ცხოვრება ცნობიერების დაუზარებლად ყიდვა-გაყიდვაა.

16861. ცხოვრების მიერ კარგი გაკვეთილების ჩატარება ერთობ სახეიროა.

16862. ერთჯერაც ისე უნდა იცხოვრო, რომ მეორეჯერ ძველებურად ცხოვრება არ მოგინდეს, რათა ტექნიკურ პროგრესს შეეწყო.

16863. ილუზიები ცხოვრების გარკვეულ ეტაპამდე სასიამოვნოა, ხოლო ამ დროის გასვლის შემდეგ თანდათან ოცნებები ტრაგედიაში გადაიზრდება.

16864. დროული და განგების დამოძღვრილი სიკვდილი სატანჯველად არ უნდა მივიჩნიოთ, თუ იმქვეყნიური ცხოვრება არსებობს.

16865. ცხოვრებას თავისი კანონები აქვს. ამიტომ კანონს ანგარიში უნდა გავუწიოთ, თუ გვინდა, კანონმა იკანონოს.

16866. ბავშვის დაბადება ცვლის ცხოვრების არსს და ადამიანის ქმედებას სასიკეთოდ წარმართავს.

16867. ეულად ცხოვრებასაც თავისი პეწი აქვს.

16868. საჭირო საქმიანობა სურვილებს გვერდს ვერ უმშვენებს, მაგრამ სჯობნის.

16869. მობილური კავშირი ცხოვრებას გვიხალისებს და დროის მოკვლევასაც გვასწავლის.

16870. გამოჯანმრთელება სინანულს არ იწვევს, მაგრამ ცხოვრების წესის გადახედვას გვაიძულებს.

16871. ნაღდის დაგემოვნების შემდეგ კარგისა და ცუდის გაურჩევლად ამქვეყნიდან წასვლა ნიშნავს: ან ყეყეჩი ყოფილხარ, ან ყეყეჩად გიცხოვრია.

16872. შესამჩნევი კომპლექსებით ცხოვრება დამცირება და ტანჯვაა. ამიტომაც ის დროულად უნდა მოვგუდოთ.

16873. გაგება ყველაფრისა შეიძლება, მათ შორის თქვენთვის მიუღებლისა, მაგრამ ამას ზოგჯერ ცხოვრების გამოცდილება და შენი ჯეელობის გახსენება სჭირდება.

16874. ცხოვრების მადლის შეცნობის მცდელობას ბედნიერებამდე მივყავართ.

16875. ღირსებით და ღირსეულად ცხოვრება ძნელია, ხოლო ღირსებით სიკვდილი ბედის „გამართლებაზეა“ დამოკიდებული.

16876. ვეცადოთ, ვიყოთ ისეთები, როგორიც ვართ და არა ისეთი, რაც ჩვენ და ჩვენს ირგვლივ მყოფთ უნდათ, რომ ვიყოთ.

16877. ცხოვრების არსი რომ იგრძნო, რაღაც უნდა გაწუხებდეს, ხოლო, მისი მადლი რომ შეიცნო, ეს წუხილი უნდა დაძლიო და დაივიწყო.

16878. დაუფინანსებლად ცხოვრება მრევლს ისე უჭირს, როგორც ეკლესიას – კაპიტალური რემონტის ჩაუტარებლად.

16879. ცხოვრება საბურთაოდ ან შენი უნდა იყოს, ან არავისი, მაშინ არის შენი შემართება და მცდელობა შედეგის მომტანი.

16880. თავისი წილი საქმე ყველამ მონდომებით უნდა აკეთოს.

16881. პრეტენზიული ადამიანი, თუ ის ბუნებით აუტისტია, ყველაზე საშიშია, ძირითადად ყოფის უციდინარობის გამო.

16882. შეგონების შერჩევას ნიჭთან ერთად ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნაც უნდა.

16883. საკუთარ თავს თუ არცხვენს, ე.ი. სირცხვილის თანდაყოლილი გრძნობა ჰქონია.

16884. ბრძოლის ალგორითმი გაცვეთილი შაბლონია, ურომლისოდაც ვერც ცხოვრებას მოიწონებ, ვერც წარმოჩნდები.

16885. თუ შიშის დაძლევას შევძლებთ, მტერიცა და მოყვარეც ჩვენ გვერდით დადგება.

16886. მიტევება შესაძლებელია, თუ ეს შედეგს მოიტანს ან იმედს მოგვცემს.

16887. გამძლეობის მარაგს ყველა თავისი გენისა და შეძენილი შესაძლობლების შესატყვისად ფლობს.

16888. ყველა ჩვენგანის ცხოვრება რომანია, მაგრამ გააჩნია, ამას ვინ როგორ აღწერს.

16889. ამქვეყნად ყველა რაღაცას ეჩალიჩება: მეცნიერება – თავისი ფანტაზიის ნაყოფს, ჩვეულებრივი მოკვდავი – თავის ცხოვრებაზე ნაფიქრალს.

16890. სიფრთხილე და ფხიზლად ყოფნაა ცხოვრების ანიცა და ბანიც.

16891. ცივილიზაცია ტრადიციებს ყურს აუწევს, მიუხედავად იმისა, რომ მათში ბევრი რამის დაკარგვა დასანანია.

16892. წაკინკლავებისთვის კუდის გამობმა ქალსა და მამაკაცს შორის ყოველთვის შესაძლებელია, თუ რომელიმე მხარე გრძნობებისაგან დაცლილი არაა.

16893. აწმყოსთვის წარსული ყოველთვის უღიმღიმოდ გამოიყურება და ზევიდან დაჰყურებს, სანამდის ფეხს თავადაც არ წაიტეხს.

16894. ცხოვრების ყოველგვარ სახეს ეჩვევიან, ადამიანის ბუნების სხვადასხვაობის მიუხედავად.

16895. ჩვენ მიერ მოგონილ, ნაოცნებარ სამყაროში ცხოვრება გვიჭირს და, როგორც ირკვევა, არცა გვჭირდება.

16896. ევას ადამი რომ არ შეეცდინა, ვერც ცხოვრების ეშხს აღვიქვამდით და ვერც მის მადლს შევიცნობდით.

16897. ცხოვრება მხოლოდ თამაშად და გართობად არ უნდა ვაქციოთ, თორემ წარსულის ყოფიდან რაღაც ძვირფასი და ხელშესავლები დაიკარგება და ეს გარემოება სამომავლოდ ცხვირში ამოგვარტყამს.

16898. არშემდგარ ცხოვრებაზე ოცნება ხშირად სხვათა ფანატად გვაქცევს.

16899. გარკვეული გატაცებების, გადახრების, თავქარიანობის გამოუმჟღავნებლად სიცოცხლე აზრსა კარგავს.

16900. ცხოვრება გეტკინებას, გაგიხარდებასა და ბედნიერების ნაჯვარია.

16901. სიტყვებით თამაში ხშირად ცხოვრებასთან შეთამაშების ტოლფასია.

16902. „მარტოობის დღესასწაულსაც“ თავისი განუსჯელი პლუსები აქვს.

+16903. ცხოვრება მუდმივი გამოცდების ჩაბარებაა მამაზეციერის წინაშე.

16904. ადამიანი გზის დათმობისასაც გამორჩენაზე უნდა ფიქრობდეს, თუ უნდა, ცხოვრებაში ფეხი მოიკიდოს.

16905. მოვალეობის გრძნობით იბადებიან და მოვალეობას უფლებებით ახმოვანებენ.

16906. ოცნებით ჰაერში ფრენა არავის წყენს, მაგრამ ზოგჯერ აწმყოს რეალობით გაჯერებულ მიწაზე დაშვება უნდა ვისწავლოთ.

16907. ადამიანს გამარჯვება მარად სჭირდება, რათა ნააზრევი მოუწონონ და, ემსახურება თუ არა ცოდნის მიღებას, არ დაუწუნონ.

16908. ჩვენი სმენა სიამოვნენით იღებს იმ მოძღვრებას, რაც ჩვენს ცნობიერებას სიამოვნებს და განსჯას არ ექვემდებარება.

16909. ცხოვრების მაღალი მწვერვალების დაპყრობაც სათნოებით მოქსოვილი სიყვარულის კიბით ხდება.

16910. ჩვენს ყოფაში ყველაფერი წესრიგშია მოსაყვანი, თუ შევძელით ან შეგვაძლებინეს.

16911. ცხოვრებისაგან განსხვავებით, ყველა ზღაპარს ფინალი ლამაზი და მომხიბლავი აქვს.

16912. გუნდრუკის კმევა მისაღებიცაა და მიუღებელიც, გააჩნია, ამას შენი მშობელი დედა აკეთებს თუ შენი მლიქვნელი თანამშრომელი.

16913. წარსულში ჩვენი ცხოვრების დავიწყება არ გვინდა, მომავალში მისი გამეორება არ ღირს, რადგან სხვა გაგებაა, სხვა დროა, სხვა მოდაა თავისი მსოფლმხედველობითა და უგუნურებით.

16914. მასკარადს ცხოვრებაც გვიწყობს და ადამიანებიც, მაგრამ ორივეს თავისი განმსჯელი და მაყურებელი ჰყავს.

16915. სიცოცხლეს ყველანი ჩვენ-ჩვენი გადასახედიდან ვეჭიდებით, ვეტრფით; გავანაწყენებთ და მის გასახანგრძლივებლად ყველა ღონეს ვხმარობთ.

16916. უკეთ ცხოვრების შანსი ყველას გვაქვს, იმისდა მიუხედავად, ბედი ვის როგორ გაგვიღიმებს და დაგვმოძღვრავს.

16917. ჩვენი ყოფა და ცხოვრება იმ წამების ჯამია, რომელთაც არც ვაჭარბებთ და არც ვაფასებთ.

16918. ცოდნას მარტო მომკა არ შველის, თუ მას სათანადოდ არ გამოვიყენებთ და არ დავაბინავებთ.

16919. კარგად გაკეთებულ საქმეს მარილიც დროულად უნდა მოვაყაროთ, რადგან შემდგომ მარილით შეზავებას სათანადოდ არ დაგიფასებენ.

16920. ყველანი საკუთარ საპოვნელს ვეძებთ და მისით ვსულდგმულობთ.

16921. უკომპიუტეროდ ცხოვრება დღეს გაძნელებულია, ხვალ წარმოუდგენელი იქნება და ესაა ამქვეყნიური განვითარების ანიც და ბანიც.

16922. მთავარია, გაარკვიო, ბუნებით ვინა ხარ: ხარი, ტურა, ცხვარი, ლომი და მათი ბუნების შესატყვისად იღვაწო.

16923. დღეს კერპთაყვანისმცემლობა ვარსკლავთთაყვანისმცემლობამ, ძეგლთთაყვანისმცემლობამ შეცვალა. ასე რომ, ეტყობა, ადამიანს უკერპებოდ ცხოვრება უჭირს.

16924. ეს ცხოვრება ზღაპარია, თუ კარგად ჩაუკვირდებით და გონივრულად დააგულისყურებთ.

16925. თავის შეზღუდვის მიზეზი ასაკის მატება კი არა, ცხოვრების მოყირჭებაცაა.

16926. თითოეული ჩვენგანი განუმეორებელია, რაც უნდა ერთმანეთსა ვგავდეთ, რათა ყველა ჩვენგანმა ცხოვრების მადლი შეიცნოს და შეირგოს.

16927. ცხოვრებაზე არ უნდა განვნაწყენდეთ, რადგან ჩვენი ყოფის ალგორითმების ამოხსნა თვით განგებასაც უჭირს.

16928. კარგი ცხოვრებისა და ცუდი რომანის ერთმანეთში აღრევა უფრო თეორიულად დაავადებული ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე პრაქტიკული რეალობა.

16929. ყოველგვარ სიხარულს ცხოვრების აზრი კვადრატში აჰყავს და სიცოცხლის მადლი – კუბში.

16930. რაც უნდა კარგად ვცხოვრობდეთ სხვათა გადასახედიდან, ჩვენი ბედით მაინც უკმაყოფილონი ვართ, რადგან აქ ძირითადად ევოლუციის ფორმულაა დამნაშავე და არა ადამიანის ბუნება, რომლის მოწოდებაცაა, ეძიებდეს მარად ახალს, უკეთესს, სხვისა მჯობს.

16931. თვითმყოფადი ნიჭიც კი უშრომლად შედეგს არ იძლევა.

16932. როგორც სიხარული, ასევე მწუხარება სხვადასხვაგვარად ნაწილდება ჩვენს ცხოვრებაში, იმისდა მიუხედავად, რომ ზოგადი და ტრადიციული ქცევები გათვითცნობიერებული გვაქვს.

16933. ტაქსის მძღოლობა ორ უმაღლეს განათლებას არ საჭიროებს,

თუ ცხოვრება არ აიძულებს და პროფესიონალ მძღოლად არ აქცევს.

16934. დასჯასაც თავისი მიზანი აქვს: ან უნდა გამოასწოროს, ან პროფილაქტიკით აღკვეთოს დანაშაული.

16935. იდუმალება პატრიოტიზმს ენათესავება, მაგრამ ძმობას ვერ უწევს.

16936. შეგონებებს ჯერ წერენ, შემდგომ ჩვენს ცნობიერებაში აბურთავებენ და, ვინც უკეთ აკენწლავს ამ დარიგებებს, ის უკეთ იცხოვრებს.

16937. შემცვლელი კი არ გვჭირდება, არამედ გვარის გამგრძელებელი და ისიც უკეთესი.

16938. გულახდილობა მიამიტობის შედეგია, წარსულ ცოდვებზე თვალის დახუჭვაა.

16939. აკრძალვები რწმენას ამყარებს, ხოლო უაზრო თავისუფლება ანარქიას იწვევს, რწმენას ძირს უთხრის და ხალხს გონებას ურევს.

16940. უგვანო ცხოვრებას არ ამჟღავნებენ, მაგრამ დროთა განმავლობაში თავადვე მჟღავნდება, იმდენად არასასიამოვნოა მასთან ურთიერთობა.

16941. გაჭირვებაც თავის მადლით მოქმედებს, რათა ცხოვრების აზრით დავინტერესდეთ და ყოფიერებასთან შერკინების სურვილი გაგვიჩნდეს.

16942. დგება პერიოდი, როდესაც ცხოვრება გაიძულებს, მას სერიოზულად შეხედო თუ უკან მოიტოვო უზრუნველი და, „ჩქარი ტაშის“ პერიოდი, როდესაც შენ წინაშე დგება ნაშიერთა წარმოჩენისა და მათთვის ადგილის დათმობის დრო, ჟამი.

16943. ცხოვრებაში რაღა არ ხდება, მაგრამ განგება ადამიანის გასაოცარს მაინც ბლომად ტოვებს ჩვენ გარშემო.

16944. მთხოვნელებისთვის გარკვეული დასაბუთებული პასუხის მიცემა აუცილებელია, თუ მათთვის უარის თქმას აპირებთ იმდაგვარად, რომ მათ თავმოყვარეობას ნაკლებად შეეხოს.

16945. ადამიანურად ცხოვრება და მუშაობა დიდი ბედნიერებაა, რომელსაც მანამდე ვერ აღვიქვამთ და ვაფასებთ, სანამდის ქვეყნის მმართველობა არ აირევა და ამ ფასდაუდებელ პრივილეგიებს არ დავკარგავთ.

16946. ზოგისა იმისათვისაც უნდა ვიყოთ მადლიერი, რომ ის არც ჩვენი მეგობარია და არც მტერი.

16947. მარად კმაყოფილად ყოფნა თავისებური ხელოვნებაა, თავის მოტყუების უნარია, ბედის წყალობაა, გაქნილად ყოფნის სურვილია, განვლილი გზის გადამოწმების უწადინობაა.

16948. ჩემი ცხოვრების გამოცდილებიდან გამოტანილი დასკვნების სიზუსტეში ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, რადგან არსებული

ფაქტები უმთავრესად ჩემს მხარესაა.

16949. დღევანდელი ყოფის კილერი შეიძლება ყველა ჩვენგანი იყოს, ხოლო ანტიკილერობა განგების მიერ დამოძღვრილ ერთეულ პროფესიონალთა ხვედრია.

16950. სანამ ცოცხლები ვართ, ვეცადოთ, თავი გაუსვენებელ მკვდრად არ ვიგრძნოთ.

16951. ვინც სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს, თავისი ყოფა გაუცნობიერებელი რჩება.

16952. ვეცადოთ, შინაგანი რიტმი აწყობილი ცხოვრების კოსმიურ მუსიკად წარმოვიდგინოთ.

16953. რეალობის წინააღმდეგ გონის ჭიდილია, ცხოვრების უფლებას რომ გვაძლევს.

16954. ზოგჯერ საჭიროა სულელიც შეაქო, ვინ იცის, იქნებ, მასში გენიალობა იმალება.

16955. მეგობრობის ამოხსნილი ალგორითმია: ურთიერთპატივისცემა, ურთიერთგაგება, ურთიერთსიყვარული.

16956. სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა და ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, ერთხელ და სამუდამოდ მას ხაზი არ გადავუსვათ.

16957. მხოლოდ გონის მოხმობით ჩადენილი ვაჟკაცობა უნდა გავიხადოთ ცხოვრების წესად, რადგან სხვაგვარად თავის გამოდება, შეიძლება, ხულიგნობადაც კი აღიქვან.

16958. გამარჯვებულს მათზე განაწყენებული მეფენიც არ ასამართლებდნენ.

16959. გამოყენებული რჩევაა სასარგებლო და არა ის, რასაც ჩვენი გონი ვერ სწვდება.

16960. კეთილის მდომნი რჩევას სხვათა დასანახავად გაძლევენ, ხოლო დახმარებას – სხვათა დაუნახავად.

16961. მართალია, ცხოვრების თავიდან დაწყება თეორიულად გვიან არასოდესაა, მაგრამ დროის შეცვლა და მისთვის დაწევაა ძნელი.

16962. სამუშაო მოვალეობაა და არა ჰობი, გატაცება, მაგრამ უნდა ვეცადოთ, ამ უკანასკნელს დავუახლოვდეთ, თუ გვინდა ცხოვრებაში წარმატებული ვიყოთ.

16963. ცხოვრება არასოდესაა ისე მარტივი განტოლება, რომ ყველამ უპრობლემოდ ამოხსნას.

16964. მოუთმენლობა ჩვენი დაფარული ნაკლის წარმოჩენაა.

16965. ცხოვრებაში მთავარი შეცდომა არ უნდა დავუშვათ: აღმზრდელი, აღმზევებელი, მფარველი, მისი გარკვეული ნაკლოვანებების მიუხედავად, არ უნდა ვაგინოთ, ზურგსუკანაც კი. მგ. ნ. ხრუშჩოვს სტალინი რომ არ ეგინებინა, ნიკიტად შევიდოდა ქვეყნის ისტორიაში და არა „ნიკიტუშკა დურაჩოკად“, რადგან მან იმ დროსათვის ბევრი

სასიკეთო რამ გააკეთა.

16966. შვილები ცხოვრებას თვითმკვლელობით არ ამთავრებენ, რადგან ისინი შინაგან ძალას გრძობენ და არა სასოწარკვეთას.

16967. აწმყოზე უკეთესი ცხოვრების მიღწევა მომავალში მხოლოდ ზნეობის აღმავლობის გზით და მიზნის დასახვით არის შესაძლებელი.

16968. პატრიოტიზმია, როდესაც შინაგან პასუხისმგებლობას გრძნობ საკუთარი ქვეყნის, ერის წინაშე გამრავლების, ახალთაობის განათლება-დასაქმების და აღმშენებლობის შეცნობით და არა პატრიოტიზმზე გულმხურვალე, მაგრამ უსაგნო ყბედობით.

16969. წარმატება საშუალებებს მოითხოვს, გონიერება – დასახული მიზნის შესრულებას, ხოლო სულიერება – თავის მოწონებას. მათი შერწყმა კი ყოველთვის დადებით შედეგს იძლევა.

16970. პატიოსნება, ერთგულება ხშირად საყვარელი საქმის კეთების უფლებაზეა მიბმული.

16971. ცოდვილი ადამიანი იმქვეყნადაც არ მოერიდება ცოდვის აკიდებას და მისი ტარებაც უფრო დიდხანს მოუწევს.

16972. უპრობლემო ცხოვრება სიცოცხლის დაცინვაა და არა მისთვის პატივის მიგება.

16973. თანასწორობა უტოპიაა. ის მავნეა საზოგადოებრივი წყობისა და არა თანასწორუფლებიანობისათვის.

16974. ზოგჯერ უმსხვერპლოდ მიზნის მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ ღირდა კი ამ მსხვერპლად მიზანი? ეს უკვე სხვა მსჯელობის საქმეა.

16975. ფერმერები მიწას ძველებურად ეგლეხავებიან, მაგრამ საგლახო მოსავალი როდი მოსწონთ.

16976. ეროვნული მოძრაობა დემოკრატიას საჯიჯგნად არ უნდა დაუწვეს.

16977. სხვათა თითის წამოკვრით მოგდებულ ლუკმას ისევ საკუთარი თითებით ჩაბღაუჭებული ლუკმის მოპოვება სჯობს.

16978. წინასწარ დაგეგმილი ცხოვრებისეული სრულმეტრაჟიანი ფილმები მოკლემეტრაჟიანად გვექცევა, თუ იმქვეყნად გადაბარგებას უდროოდ დავიწყებთ.

16979. ზოგს წელზე ცისარტყელასებური, ოღონდ სხვისი ქამარი აქვს შემოჭერილი, ზოგს ჩვეულებრივი და თავისი და ის ამ საკუთარით უფრო კმაყოფილია.

16980. არასამთავრობო ორგანიზაცია უძახე შენ და ხელისუფლებას საკუთარი თავის კაპრიზებს იოლად ახვევს თავზე და თავის გემოზე ცხოვრობს.

16981. დალაგებული სიტყვების მფრქვეველთან შერკინებაა ძნელი და არა ყბედთან.

16982. ქვეყანა მაინც ერის ჯარისკაცების იმედზეა და არა ხალხისა.

16983. ცხოვრების აზრზე გვიან მოვდივართ. ეს ხალხის არასწორი, ფუფუნებით აღზრდის შედეგია.

16984. გათავხედებული „ტურფა“ ღმერთს არცერთ დარგში არ უქნია, რადგან ის ცხოვრების მუხრუჭია.

16985. პატრიოტობასაც თავისი განზომილება აქვს: გონიერებამ უნდა წარმოაჩინოს და საქმიანობამ გამოაჩინოს.

16986. ცოცხალი რომ ხარ, ეს სიცოცხლის მადლის შეცნობით უნდა დაამტკიცო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამქვეყნად შეცდომით მოსულხარ.

16987. ასე აცე-აცეს ძახილით მივათრევთ უბადრუკ წლებს, რაკიღა ქვეყანა უნიათოთა ხელშია.

16988. ჯიშისა და ჯილაგის სასიკეთოდ ფოთლები ფესვებმა უნდა ასაზრდოონ და ააყვავონ, რათა სასარგებლო ნაყოფი გამოვიდეს.

16989. დარდის გამოხატვის უნარი ყველას თავისებური შესწევს. ზოგი დანაღვლიანდება, ზოგიც ნაღველშერეული ღიმილით გვაწონებს თავს.

16990. უგვანო, უგუნური, უნიათო მარად ცხოვრების მუწუკად დარჩება და მათი შეგონების მიზნით დრო ამაოდ არ უნდა დავკარგოთ.

16991. სათავისო ზღაპარში ცხოვრებას ყველა ნატრობს, მაგრამ არც რეალურ ცხოვრებაზე ამბობს უარს, თუ ის მისაღებია.

16992. სამყარო კომედიანტებს ეკუთვნით, რადგან ტრაგედიასაც და კომედიასაც ისინი განასახიერებენ. სწორედ ესაა კომედია.

16993. ყველაზე მეტ ორგანიზაციულ ნიჭსა და შრომისმოყვარეობას სოფლის მეურნეობა მოითხოვს, თუნდაც იმიტომ, რომ მოწეულ მოსავალს დაბინავება, გადამუშავება, სარფიანად გაყიდვა უნდა.

16994. დაუმსახურებლად არც წარმატება და არც წარუმატებლობა მოუცია ღმერთს.

16995. ლამაზი და განუმეორებელი ბევრი რამაა, მაგრამ ყველას „მონა-ლიზასავით“ არ უმართლებს. თუნდაც რომ რემბრანტის დონის მხატვარს დაეხატა იგი, ასეთ აჟიოტაჟს განა გამოიწვევდა?

16996. უნიათო ხელისუფლის მეტყველება კომედიაა, ხოლო ხალხი, რომელსაც მისი სჯერა, ტრაგედიის გმირია.

16997. ამქვეყნად არც წასვლას გვეკითხებიან, არც მოსვლას, ხოლო დაუგეგმავად სააქაოში დარჩენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

16998. სასიამოვნო გაელვება, რა საკითხსაც უნდა ეხებოდეს, მთელი ცხოვრება მოსაგონებლად გვრჩება.

16999. შთამომავლობის ამქვეყნად დატოვებაა ჩვენი ღირსეულად გახსენებისა და ქვეყნის წარმოჩენის გარანტია.

17000. ყველა განშორება ახალი შეხვედრის საწინდარი უნდა იყოს, თუ გვინდა წლების მადლი შევიცნოთ.

17001. ყბედობის ანტიგენი ისევ ყბედობაა, ოღონდ კვადრატში აყვანილი.

17002. დროის წყალობას პრაქტიკულად იმედზე მეტი არც არაფერი უნდა მოვთხოვოთ, თუ გვინდა უშფოთველად გავლიოთ ეს წუთისოფელი.

17003. მომავალში კოსმოპოლიტები გავხდებით, როდესაც კოსმოსში პლანეტებზე მიწების ათვისებას დავიწყებთ.

17004. წარსულის ყველა მაგალითი ცხოვრების გამოცდილების გაკვეთილად უნდა ვაქციოთ.

17005. სამყაროს რაობის შესაცნობად ბუნებრივად უნდა იცხოვრო და სიცოცხლის მადლით ისუნთქო.

17006. ცხოვრებაში მოზომილი თვინიერი ნახტომები თავისებურად შედეგიანი და კარგია.

17007. ცხოვრება თავისებური შეჯიბრია, სადაც ყველა თავისი კუთვნილი ადგილის დაკავებას უნდა შეეცადოს, რათა საზოგადოება სამართლიანად განვითარდეს.

17008. ფსევდოფილოსოფია დღეს ყველას ემსახურება, ვინც მას დააფინანსებს და მის გვერდში დგომას იკადრებს.

17009. ლამაზად ცხოვრებას ვერავის აუკრძალავთ, მაგრამ ხელის შეშლა ყოველთვის შესაძლებელია.

17010. კარგ ცხოვრებას არ გაურბიან, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მოყირჭება იმანაც იცის.

17011. მართალია, კერპები არ უნდა შევქმნათ, მაგრამ უიმათოდაც რომ ჭირს ცხოვრება?

17012. შენ-მე, მე-შენ. ყოფის ეს საყოველთაო ალგორითმი არ უნდა დაირღვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ამოხსნა შეუძლებელი გახდება და ურთიერთდაპირისპირებას გამოიწვევს.

17013. მუქთად ამქვეყნად არავის არაფერს ვაძლევთ, ხოლო ნასესხები უკან უნდა ჩაგვასესხონ.

17014. ცხოვრება აზროვნებაა, აზროვნება სიცოცხლეა.

17015. სადაც ხელის ჩამოსართმევი კაცი აღარ გეგულება, იქ ცხოვრება არცა ღირს.

17016. მშვიდი ცხოვრება რომ სანატრელი გაგიხდება, იქ სიცოცხლე საინტერესოცაა და გასაკვირიც.

17017. წარსულის გაფეტიშებით წინ ვერ ივლი.

17018. ეს ცხოვრება ვოდევილებისა და აბდაუბდისაგან შედგება. ამიტომაცაა ის ესოდენ საინტერესო.

17019. ცხოვრება ტრადიციებზე, აღზრდაზე, სარწმუნოებაზე, კან-

ონის მორჩილებასა და ბევრ სხვა გარემოებაზეა დამოკიდებული, რომელსაც უნებლიეთ ვეჩვევით და ვემორჩილებით.

17020. მუდამ ვიღაცის უკანალში მძრომიალე ჭია იყო, სიცოცხლეს როდი ნიშნავს.

17021. დოგმების უქონლად ცხოვრება შესაძლებელია, მაგრამ მათთვის ანგარიშის გაუწევლობა მაინც არ გამოდის.

17022. სიყვარულის ნიჭს უგუნურად გამოიყენებ და ცხოვრება ჩაფლავებულია.

17023. სურვილი და რეალობა ყოველთვის არ ერწყმის ურთიერთს, მაგრამ ურთიერთმომსახურების გარეშე ცხოვრება უჭირთ.

17024. ზურგსუკან ნურავის განვიკითხავთ, გავჭორავთ, ვაგინებთ, თუ აუცილებელია, სათქმელი პირში უთხარით და ისიც გარკვევით. პრეტენზიები გამოხატეთ მკაფიოდ, თანაგრძნობით.

17025. გარკვეულ სინანულს ყველა განვიცდით, როცა კი გაგვახსენდება, რომ იმქვეყნად გადაბარგება ადრე თუ გვიან მოგვიწევს.

17026. ანგელოზი არასოდეს ვყოფილვარ, რადგან მათი ადგილი ზეცაშია, ხოლო მე დედამიწაზე მინდა ცხოვრება ჩემი ჭკუით, ხუშტურებით, სამყაროს შეცნობის ჩემეული ძალითა და გაგებით.

17027. დიდებულად გიცხოვრიათ, თუ ქედზე სხვისი უნაგირი არ დაგიდგამთ და სხვისი ლაგმით არ უმართავხართ.

17028. ფილოსოფოსმა საუკუნეთა გამოცდილებისა და ანალიზის გათვალისწინებით ყოველივე ძველი და უვარგისი უკან უნდა მოისროლოს და სიახლის პერსპექტივით დაგვმოძღვროს. მაშინაა ის შემოქმედი და თავისი საქმის ოსტატი.

17029. უმცდელობოდ არაფერი ხდება ისეთი, რაც ცხოვრებას გაგვიადვილებს.

17030. კარგი ცხოვრება რეალური დევიზების უქონლად არ დგება.

17031. სასწაულს ისინი აღწევენ ცხოვრებაში, რომელთაც ამისი სჯერათ და საამისოდ ცდას არ აკლებენ.

17032. დღეს დიდი და მოუქნელი პატიოსნებაც ნაკლია, რადგან პირადი ცხოვრების გარკვეულ პარამეტრებს ვნებს, აფერხებს.

17033. ცხოვრების ბედნიერად მოხმარასაც კვანტის გამოკვრის ცოდნა სჭირდება.

17034. სიბრძნის გამოყენებასაც უნარი და ნიჭი სჭირდება, რადგან მარტო ცარიელი ცოდნით ფონს იოლად ვერ გახვალ.

17035. ცხოვრებაც თავისებური ბუმერანგია. ამიტომ ცოდვის ჩადენას უნდა ვერიდოთ.

17036. ცხოვრების სურვილი თავისებური სიჯიუტის შეუვალობაა განსჯის მცდელობით.

17037. სერიოზული და ურთიერთანგარიშიანი დამოკიდებულება

ყველაზე მეტად ამართლებს და დიდხანს ძლებს.

17038. სჯობს, ცხოვრების ალში იწვოდე, ვიდრე უსაქმურობით უცეცხლოდ იფერფლებოდე.

17039. ზოგჯერ ერთად ცხოვრება კი არა, საერთო ფიქრი, სიზმარი და ოცნებაც კი მავნებელია და უკუშედეგს იძლევა.

17040. ზოგს საკუთარი სილამაზე და ჭკუაც კი პრობლემებს უქმნის, ხოლო ზოგისთვის სიბრიყვეც ოქროს გასაღებია.

17041. არასრულფასოვანი და არასასურველი კომპლექსებით დაავადებას უნდა ვერიდოთ, რათა სრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრება შევძლოთ.

17042. ცხოვრება პრობლემებითაა გაძეძგილი. ამიტომ საჭიროა, ალღო ავუღოთ და გავისარჯოთ.

17043. ცხოვრება დიდი ხათაბალაა, მაგრამ ძალზე გასართობი ოინბაზობაცაა.

17044. „წიგნებთან ჩალიჩსაც“ ხეირი არ მოაქვს წიგნის მონათა ხელში, თუ შემოქმედებით ინიციატივას კარგავ.

17045. ამ ცხოვრებაში ყოველივე შემთხვევითია, თუ ცხოვრებას კარგად დაუკვირდები და მის არსს ჩასწვდები.

17046. „წმინდა“ ტყუილსაც იგონებენ ვიღაცისა და რაღაცის გადასარჩენად, რადგან, ვიდრე სიმართლეს პირში მიახლიდეთ, მას შეჩვევა სჭირდება, იმისდა მიუხედავად, რომ ტყუილი არასოდეს ტოვებს მადლიერს მის გადამრჩენს.

17047. ზოგს ისეთი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს, სჯობდა, ამ ქვეყნად საერთოდ არ მოვლინებულიყო.

17048. მეწვრილმანეობა ნერვებს გვიმშვიდებს ან გვიშლის, მაგრამ უამისოდ ცხოვრება ჭირს.

17049. ალბათ, ბედნიერებაა ისიც, თუ თავს ზედმეტად ბედნიერად არ გრძნობ და ფუფუნებით არ ცხოვრობ, რადგან სიმდიდრეში ცხოვრების მადლის შეცნობა ჭირს, ამასთან ერთად, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყოველივე წარმავალი და დროებითია.

17050. გადამოწმებული ინფორმაციის ქონა ცხოვრებას გვიადვილებს.

17051. საეჭვოა, ტკბილი ცხოვრება დიდხანს გაგრძელდეს, რადგან ამქვეყნად ყველაფერი დაბალანსებულია.

17052. ცხოვრება თავისებური სპექტაკლია, მაგრამ აქ მთავარია, რა როლს შემოგთავაზებენ თავის წარმოსაჩენად.

17053. ძველი შაბლონი უნდა დავგმოთ, მაგრამ ახალი სტერეოტიპი ორჯერ მაინც უნდა სჯობდეს ძველს.

17054. ცხოვრებაში საკუთარი გზის პოვნას ყველანი ვცდილობთ, მაგრამ აქ მთავარია ყოფის ნაკლებად მიხვეულ-მოხვეული აღმართები

აღმოვაჩინოთ.

17055. ჩვენი წარმოდგენები დასახულ მიზნებს ვერ ივიწყებენ და მათ მსხვრევას ვერ ეგუებიან.

17056. ცხოვრების აწყობას ნიჭი სჭირდება, მარტო გონიერება არ კმარა.

17057. ცხოვრების, ყოფის დაუწერელი სტრიქონების შევსება ძნელია, მაგრამ მცდელობა არ უნდა დავაკლოთ.

17058. ცხოვრებაში სიახლეს ბევრი ცუდიც მოაქვს, რაც დრომ უნდა გაფილტროს და გადაამოწმოს.

17059. მხოლოდ საკუთარი თავის იმედით ცხოვრება დანაშაულია.

17060. საკუთარი საცხოვრებელი კუთხე-კუნჭულის მადლს სიბერეში უკეთა გრძნობ.

17061. ცხოვრება შეძენილ და დაკარგულ მეგობარ-ახლობელთა ჯაჭვია.

17062. მივიღოთ ცხოვრების უსაფრთხოების ცოდნა, ვინ იცის, სად და როდის გამოგვადგება.

17063. მოუმწიფებელი გონით, დაუმთავრებელი საქმითა და გაციებული გულით ცხოვრება სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს.

17064. სულიერებას ბევრი რამ სასიკეთო სურს, რომელთა უმეტეს ნაწილს აღსრულება არ უწერია.

17065. ცხოვრების გავლა სიძნელეების გადულახავად შეუძლებელია. უამისოდ სიცოცხლე შეუმჩნეველი ხდება.

17066. მიყრუებული სოფლის მყუდრო ცხოვრების წესის დარღვევა არ ღირს. არადა სოფელი იცლება და მისი მცხოვრებნი სოფლიდან გარბიან.

17067. ცოდნა დიდი ძალაა, მაგრამ უცოდინარობა არ ეპუება, რადგან უცოდინარნი ბევრნი არიან.

17068. ცხოვრება არ უნდა ავაჩქაროთ, რათა მასში დიდხანს ვიმოგზაუროთ.

17069. უკეთ ცხოვრებას შეცდომების დამახსოვრება და გამოსწორება სჭირდება.

17070. ცხოვრების ფილოსოფიაა – წინ, არავითარი შიში და ეჭვი, რაც მოსახდენია, მაინც მოხდება.

17071. თუ ღირსება არ დაგვიკარგავს, მაშ, ჯერ კიდევ არ გავკოტრებულვართ.

17072. ერთი დღით ანეკდოტური ცხოვრების წინააღმდეგი არავინაა.

17073. ცხოვრება ბრძოლაა, მაგრამ სიცოცხლე ამ შერკინების ელექსირია.

17074. ყოფის ვიწრო ბილიკებს დაჩვეული ხშირად ფართო შარაგ-

ზაზე ფეხს იტეხს, რადგან მთავარს – ცხოვრებისადმი სიფრთხილეს – კარგავს.

17075. ვეცადოთ, ვიცხოვროთ ხვალინდელი დღით, რადგან მხოლოდ დღევანდელობით ცხოვრება ყოველთვის არ ამართლებს და არარენტაბელურია.

17076. ძველმა ახალი უნდა აღზარდოს და შემდგომ ადგილი დაუთმოს, თუ უნდა ქვეყანა წესიერად იმართოს.

17077. მადლი რომ მოისხა, საჭიროა: ინტერესების არეალი გაიფართოო, მარტივად იცხოვრო, პოზიტიური წვრილმანებისგან სიამოვნება მიიღო, ავი დაივიწყო, კარგის დანახვა ისწავლო, პატიება შეძლო და, რაც მთავარია, საკუთარი თავის ფასი იცოდე.

17078. ვეცადოთ, ვიყოთ ორიგინალურები, დასამახსოვრებლები და არა ოდენ განსხვავებულები.

17079. ცხოვრება, ეტყობა, უფრო მკაცრი და დაუდგენელია, ვიდრე გაგვიგია, ვეწყობით და გამოგვივიდა.

17080. ყოფიერების განცდა და საკუთარი ცხოვრების სასიკეთოდ რკვევა ბედნიერებაა.

17081. ცხოვრებას ვერ მოატყუებ, რადგან ყველგან სუფევს და ყველაფერს ხედავს.

17082. ეტყობა, ცხოვრების „ჯაგიჯუგი“ ბეწვის ხიდზე სიარულს გვიადვილებს და მის მადლსაც უკეთ შევიცნობთ.

17083. წლები მოთმინების და ჩასაფრების უნარს გამოგვიმუშავებს, რაც ცხოვრებაში ერთობ გამოსადეგია.

17084. ბრიყვი ყბედობით გვაოცებს, ბრძენი – მარჯვე ნათქვამით, ხოლო ჩვეულებრივი მოკვდავი – მათი მოსმენა-შეფასების უნარით.

17085. მეტისმეტ წესიერებას სიდებილემდე მივყავართ, რადგან ცხოვრება თავისი უცნაურობებით ერთგვარ თავხედობას მოითხოვს.

17086. რძლის ამბავი ყველაზე უკეთ დედამთილს მოხსენება, თუ ისინი ერთად ცხოვრობენ.

17087. რადგანაც ამქვეყნად ერთხელ მოვდივართ, ამის დავიწყება და ცხოვრებისთვის გულგრილად ყურების უფლება წართმეული გვაქვს.

17088. ყოველივეს ალალი და სამართლიანი შრომით ვერ მოიპოვებ, თუ ზოგჯერ ცხოვრებაში ცქვიტად არ მოიქცევი.

17089. იძულებული ვართ, ვიდეოჩაჩის თვალით ვიცხოვროთ, რათა კანონმორჩილები ვიყოთ.

17090. ცუდის არკეთებაც თავისებური საქმიანობაა, ძალად დასაქმებისაგან განსხვავებით.

17091. დამსახურებული სიცოცხლეა ცხოვრება, და არა ის, რაც „სკლეროზმა“ წაგვართვა.

17092. განვლილი ცხოვრების ყველა გასახსენებელი ეპიზოდი თა-

ვისებურად საინტერესოა.

17093. განვლილი ცხოვრების გამო დღევანდელობის წინაშე ანგარიშგება, ადრე თუ გვიან, ყველას მოგვიწევს.

17094. იმედი მარად უკვდავია, ცხოვრებამ რა სახის ხაფანგიც უნდა დაგვიგოს.

17095. რატომღაც წარმოგვიდგენია, რომ იმქვეყნად ცხოვრებაზე გაცილებით მეტი ვიცით, ვიდრე აქაურ რეალობაზე.

17096. რაიმე ახლის შექმნა ფაქტობრივად არსებულის შეკეთებაა, რასაც ცხოვრების შეცვლა იწვევს.

17097. სიკეთის მოუმკელად, მადლის შეუცნობლად ცხოვრება ცხოვრება კი არა, განუსჯელი ყოფნაა.

17098. საკუთარი თავის ფასი, სასურველია, ყველამ ვიცოდეთ, იმისდა მიუხედავად, ცხოვრებაში გვიმართლებს თუ არა.

17099. შრომითა და ოფლით გალაღებული მიწა მოსავალს არასოდეს გვამადლის.

17100. ჩვენს ცხოვრებაში დაუგეგმავად მოჯირითე სიტყვები ალიკაპს საჭიროებს.

17101. სიცოცხლის ხე მოკვდავია, მაგრამ მისი თესლია უკვდავი, რომლითაც თაობები ითესება.

17102. თავისი სიცოცხლის წიგნს ყველა უნდა მოუფრთხილდეს, რათა ის დასამახსოვრებელი თუ არა, სალანძღავი მაინც არ იყოს.

17103. თუმცა ცნობისმოყვარეს ბევრი კითხვა აქვს, მოსმენის უნარის მქონე ცხოვრებაში გაცილებით მეტს მიაღწევს.

17104. ცხოვრება მრავალმეტრაჟიანი ოცნებებია, ოღონდაც მოკლემეტრაჟიანი შედეგებით.

17105. ცხოვრებაგამოვლილი და ასაკოვანი შვილები უფრო მეტად აფასებენ თავიანთ მშობლებს.

17106. სხვათა ცხოვრებით ცხოვრების მცდელობა არავის გამოსდგომია.

17107. სასურველია, დაბდურმა თავი ცხოვრების მცოდნეს გამოაჯორკვინოს – გამოადგება.

17108. ცხოვრება – ეს ცნობიერების მუდმივი გადაადგილებაა ერთი მდგომარეობა-განზომილებიდან მეორეში.

17109. ქვეყანას თავისი სიმართლე აქვს, ცხოვრებას კი – თავისი ყოფის წესი.

17110. დამჯერე ხასიათს ცხოვრება გამოგვიმუშავებს.

17111. ირგვლივ მყოფნი მანამდე დაგჩაგრავენ, გაწყენინებენ, დაგამცირებენ, ვიდრე მათ ამის უფლებას თქვენი უნიათობა მისცემს.

17112. შვილი დამოუკიდებლობას ბავშვობიდანვე უნდა შევაჩვიოთ, რათა მან ცხოვრების ყადრი დროულად შეიცნოს.

17113. ცხოვრების პრიორიტეტი ცოდნის შეძენაა, შემდგომ მოდის შემართება და ძალა.

17114. ტექნიკურმა პროგრესმა პირადი ცხოვრების საიდუმლოსაც „დედა უტირა“, ფარდა ახადა.

17115. ყველანი ჩვენი წასვლის შესაძლებლობებს დღევანდელობის გადასახედიდან მივსტირით, მაგრამ გვავიწყდება, რომ ამგვარ ოპონირებას გონიერების დაღვინება, ცხოვრების ცოდნა და დამრიგებელი სჭირდება.

17116. ცხოვრება სასიამოვნო მოულოდნელობათა თვინიერ არარაობაა.

17117. მშვენიერისა და შემართების მეზობლობა ყოველთვის ალამაზებდა და თანაც შემაძრწუნებელს ხდიდა ამ ცხოვრებას.

17118. მთავარია, ცხოვრების არ გვეშინოდეს, დანარჩენი თავად მოგვარდება.

17119. კოჭაობას ადრე „აზარტით“ თამაშობდნენ, დღეს „აზარტით“ ცხოვრება კოჭაობამდეა დაყვანილი.

17120. ზოგჯერ საკუთარი თავის დანახვაც გვეზარება, ისე გვაქვს აყრილი გული ამ ცხოვრებაზე.

17121. ნიღბის მოურგებლად ლელოს გატანა ცხოვრებაში ხშირად შეუძლებელია.

17122. უაზრო ცხოვრება თვითმკვლელობაზე უარესია.

17123. მართალია, არც შენ უნდა ჩაყო სხვის საქმეში ცხვირი და არც მან, მაგრამ ცხოვრება თავისებური სანახაობაა, სადაც ამ წესის დაცვა ძნელდება.

17124. ცხოვრება თავისებური კორიდაა: ზოგი მატადორობას იჩემებს, ზოგიც ხარის როლში გვევლინება, მაგრამ, განგება ვის გაწირავს, არავინ უწყის.

17125. მგლის კანონი გვაიძულებს, შიშითა და სიფრთხილით ვიცხოვროთ.

17126. ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება შედარებითია და ყოფის აიწონა-დაიწონათი განისჯება.

17127. ნიღბის ტარების ნიჭი ძალზე გვშველის, ცხოვრება შედარებით უმტკივნეულოდ განვვლოთ.

17128. სიმდიდრის დაგროვება მარადიულობის დამკვიდრებად არ იგულისხმება.

17129. ცხოვრების მოწყობისაგან განსხვავებით, ყოფაზე საკმევლის მოკმევას მეტ-ნაკლებად ყოველთვის ვახერხებდით.

17130. ცხოვრება თავისებური ზღაპარია, რომლის შეცნობასაც მუდამ ვლამობთ.

17131. საკუთარი სიამოვნებისთვის ცხოვრებას ნიჭი სჭირდება, მი-

უხედავად იმისა, ის ჯეროვნად გაქვთ დაფინანსებული თუ არა.

17132. ცხოვრება ხელიდან გვეპარება, სიცოცხლე ქრება, ჩვენი ყოფიერების შედეგი რჩება.

17133. გულგრილობისადმი მიჩვევა გამოუსწორებელი დანაშაულია, რადგან ის გონის დაავადებად გადაგექცევათ.

17134. ცხოვრების ალიყურის გარეშე მიღებულ ცოდნას დასაღვინებლად დამოძღვრა სჭირდება.

17135. ყველაზე დიდი გამომცდელი გონიერების კარნახით გავლილი ცხოვრებაა.

17136. მარტოობა საშინელებაა, მაგრამ მალე ეჩვევი და მისი შეცვლა სხვა ყოფაზე აღარ გინდება.

17137. თუ რაღაცის გჯერათ, ის ცუდი არ შეიძლება იყოს, იმისდა მიუხედავად, გიმართლებთ ცხოვრებაში თუ არა.

17138. საკუთარი თავის მოტყუება ზოგჯერ ცხოვრებას გვიადვილებს. ამიტომაცაა, რომ ხშირად ვიტყუებთ თავს.

17139. ცხოვრება ყოველთვის მკაცრად მოგვექცევა, თუ საკუთარ თავს დროულად არ შევუძახებთ და არ მივხედავთ.

17140. ვისაც არ უნვალია, მას არც ცხოვრების ყადრი შეუცნია.

17141. ვისაუბროთ: მოკლედ, აზრიანად ხიბლით; თავი შევიკავოთ: მოთმინებით, დროის გაყვანით, ჩასაფრებით; ვიმოქმედოთ: ურთიერთგაგებით, შემართებით, სიახლის გათავისებით; გვიყვარდეს: გატაცებით, გულწრფელად, მთელი გრძნობით; ვიცხოვროთ: იმედით, სიცოცხლის სახარულით, მოკრძალებით. აი, ეს არის ჩვენი ყოფიერების ანიცა და ბანიც.

17142. მთელი ილათიანობა გჭირდება, რათა უსამართლობას არ გადაეყარო, მაგრამ, თუ გადაეყრები, თითი არ უნდა მოკაკვო.

17143. სამყარო მკაცრია, მაგრამ მისთვის სამაგიეროს გადახდას არ უნდა შევეცადოთ: არც რაიმე გამოგვივა და თავსაც შევირცხვენთ.

17144. სატირას თავისი ხაფანგები აქვს, რომლის დაგებაც ნიჭს, ცხოვრების ცოდნასა და იუმორის გრძნობას მოითხოვს.

17145. ცხოვრება რომ დღესასწაულად ვაქციოთ, უპირველეს ყოვლისა სულიერი სიმშვიდის შენარჩუნება უნდა ვისწავლოთ და ინსტინქტები მოვთოკოთ.

17146. ცხოვრება თავისებური ინსტიტუტია, ხოლო ჩვენ – მისი მუდმივი აბიტურიენტები.

17147. ოცნებით აზროვნება, სიახლის შეცნობა და იმედის მოხმობა – ეს საუბარია საკუთარ თავთან.

17148. რაც უნდა გუნდრუკი ვუკმიოთ იდეალიზმს, ცხოვრება მაინც მატერიალიზმისკენ უხვევს.

17149. ყველამ იცის, რატომ სჯიან, მაგრამ ამის აღიარებას გაურ-

ბიან.

17150. მოწესრიგებულ პიროვნებას, უნიჭობის შემთხვევაშიც კი, ბევრის მიღწევა შეუძლია ცხოვრებაში.

17151. დაუნანებლად ცხოვრების გავლა იშვიათად თუ ვისმე შეძლებია და უცდია.

17152. ცხოვრების ბოლომდის სიტკბოებით გავლა ყველა ჩვენგანის აღუსრულებელი ოცნებაა.

17153. ზომიერება უმთავრესად სიკეთის მომტანია.

17154. ცხოვრება ძნელია არა ცნობადი, არამედ შემოქმედების მიერ დაწიხლული ადამიანებისთვის, რომელთა შემოქმედებითი ხუშტურები ხშირად გაუგებარია!

17155. შეიძლება, ცხოვრებაში ბევრი სისულელე გვაქვს ჩადენილი, მაგრამ მაინც იმ ასაკსა და დროს მივსტირით, რადგან ჩვენი ყოფა უიმისოდ ბევრს დაკარგავდა და მოსაგონრადაც არაფერი დაგვრჩებოდა.

17156. შვილიშვილები უფრო უყვართ, ვიდრე შვილები, რადგან შვილიშვილებს ეთამაშებიან, დაანაყრებენ, რაღაცებს ასწავლიან და ამდაგვარად დამოძღვრილებს მშობლებს უბრუნებენ მოვალეობის მოხდით და ამით პასუხისმგებლობასაც იხსნიან.

17157. ცხოვრება ზოგისთვის თავისებური უბედობაა, ოცნებების გაცრუებაა, მიუხედავად იმისა, რომ ამქვეყნად მოსვლა ბედნიერებად აღირიცხება.

17158. ყველა ასაკის ადამიანის ამოცანაა, იცხოვროს და არა იარსებოს.

17159. სრულყოფას უნდა დავუახლოვდეთ, მაგრამ სრულყოფილებად არ უნდა ვიქცეთ, რადგან ამ შემთხვევაში ცხოვრებას გემოს ვეღარ ჩავატანთ.

17160. ცხოვრება მირაჟივით ასხმული მძივია და თითოეული მძივის რეალურად აღქმას უამრავი ენერგია და ძალა მაქვს.

17161. სხვათა ყოფის დონეზე დაშვებასაც ერთგვარი გამოცდილება უნდა, რათა ცხოვრება არ გაიმწარო.

17162. ცხოვრების მატარებელს უაზროდ გადაადგილების უფლება არ უნდა მივცეთ და სხვა ლიანდაგზე დროულად გადავიყვანოთ.

17163. ერთფეროვანი და თავდაუზოგავი შრომის ვითარებაში ცხოვრება მოსაწყენი იქნებოდა, ზოგჯერ ჩვენი თავისთვის ხუშტურების წარმოჩენის უფლება რომ არ მიგვეცა.

17164. ყოფიერების გახალისებასა და სიხარულით ცხოვრებას ცოდნა, გამოცდილება, ნიჭი უნდა, იმისდა მიუხედავად, დრო და გარემო პირობები იძლევა ამის საშუალებას თუ არა.

17165. თანაცხოვრება იმ პრობლემებს უნდა ქმნიდეს, რომლებიც მოგვარებადია, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ცხოვრების საშიშროების

წინაშე გვაყენებს.

17166. ზოგჯერ რაც გაქვთ, იმის შენარჩუნებაც ნიჭს, გონიერებასა და გამოცდილებას მოითხოვს.

17167. ცხოვრება თავისებური ლატარეაა, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ ჩვენი ვალია, ოჯახი შევქმნათ და შთამომავლობა ვამრავლოთ.

17168. ამქვეყნად დაუმახსოვრებელი ცხოვრება იმქვეყნადაც უღიმღამო ყოფას გვპირდება.

17169. ამ ცხოვრების გადაუმოწმებლად დატოვება ყველას გვიჭირს.

17170. ცხოვრების უსწორმასწორო გზაც საინტერესოა, თუკი მნიშვნელოვანი ზიანი არ მოაქვს.

17171. ზოგი კარგად იმიტომაც ცხოვრობს, რომ თავისი ქცევით ყოფას არ ეჭიდავება.

17172. ცხოვრების ეკალ-ბარდებში ხეტიალი სიცოცხლის მრავალფეროვნებას შეგვაგრძნობინებს.

17173. ცხოვრება ალტერნატივას გვთავაზობს, მაგრამ არა იმას, რაც ჩვენს გათავხედებულ „მეს“ დააკმაყოფილებს.

17174. შევეცადოთ, ჩვენი უფლებებით იმდაგვარად ვისარგებლოთ, რომ სხვასაც ანგარიში გავუწიოთ.

+17175. ცხოვრება და ცუდი რომანი ერთმანეთში არ უნდა აურიოთ, თუმცა კი ერთმანეთს ძალიან ჰგვანან.

17176. მომავლის რწმენით და რეალობის გათვალისწინებით ცხოვრება ყველა წინაღობას გადალახავს.

17177. ცხოვრება ხშირად შეუცნობელი რეალობისკენ სწრაფვაა.

17178. რეალობასა და გონიერებას უნდა მოვთხოვოთ, ერთის შეხედვით, შეუძლებელი, თუ გვინდა, ცხოვრებაში რაღაცას მივაღწიოთ.

17179. ცხოვრების ხალისიანად განვლის ყველაზე იოლი გზა მცირედით დაკმაყოფილებაა.

17180. ზოგჯერ საკუთარი სხეულიც ცნობიერების პატარ-პატარა ნაწილებად უნდა დაშალო, შესაძლო ჭუჭყი მოაშორო, ისევ ააწყო და ცხოვრება დროისა და გარემოს შესატყვისად წარმართო.

17181. ცხოვრება ყოფიერების მრავალმხრივი კომბინაციების ცოდნას მოითხოვს და აქედან სწორი დასკვნის გამოტანა თქვენს მოწოდებასა და განსჯის უნარზეა დამოკიდებული.

17182. შესაძლებლობათა ზემოთ ცხოვრების მცდელობა საბოლოოდ საკუთარი ყოფიერებისთვის ცხვირში ამორტყმის ტოლფასია.

17183. საკუთარი უფლებებით განუხრელად სარგებლობა თანდაყოლილი მოთხოვნილებაა.

17184. ცხოვრების ვერაგობით დაჩიავებულთ ხშირად სიკეთის აღ-

ქმა უჭირთ.

17185. წარსულის შეცდომების მონანიებით თავის გამართლებას ვცდილობთ, მაგრამ იმას დავიწყებაც არ ღირს, რომ ცხოვრება გრძელდება და არც ახალი შეცდომების დაშვებისგან ვართ დაზღვეულნი.

17186. ცხოვრებას რისკის გაწევა უხდება, ხოლო სიცოცხლეს – მოფერება და უანგარო სიყვარული.

17187. ხანგრძლივ ცხოვრებას ისე ვერ გაივლი, რომ გულს სინანულის ხინჯი არ შემოგრჩეს.

17188. გვინდა-მინდას მომზადებული ცნობიერებით უნდა შევხვდეთ, რათა ცხოვრება არ გავირთულოთ.

17189. ხელისშემშლელი ფაქტორი გაცილებით მეტია, ვიდრე ხელშემწყობი და ამიტომაც არის ცხოვრებასთან ჭიდილი საინტერესო.

17190. ყველა ჩვენგანი ჩვენი ხასიათის შესაბამისად ვიღვწით და ვჩალიჩობთ დროსა და გარემოს შესატყვისად, რათა უკეთესი ცხოვრება დავიმსახუროთ და დაგვიმახსოვრონ.

17191. მთავარია შესაძლებლობის რეალიზება, რათა ცხოვრების მადლი დაუმადლებლად შეიცნო.

17192. განუსჯელად ცხოვრებას არავინ გვაპატიებს, ხოლო განსჯის ვითარებაში ის ბოლომდის მარად შეუმჩნეველი რჩება.

17193. ცხოვრება თავისებური პროზაა, სადაც ლირიკა და ოპტიმიზმი საკმაოდ გვხვდება.

17194. ვიღაცის და რაღაცის უნდა გვჯეროდეს და ვიღაცას ჩვენი უნდა სწამდეს და გვაფასებდეს, რათა ამ ცხოვრებაზე ხელი არ ჩავიქნიოთ.

17195. თავმდაბლობა სიმორცხვეს როდი ნიშნავს, რადგან ეს უკანასკნელი ყოფიერების გამოუსადეგარი ნივთია.

17196. ცხოვრება „გამრავლების“ ნიჭს ავლენს და აორმაგებს დასახული მიზნისა და ამოცანების ამოხსნის მცდელობის შესატყვისად.

17197. ვეცადოთ, ჩვენი კაცობის ლიმიტი რაციონალურად გავიხმაროთ და, რაც შეიძლება, გვიან ამოვწუროთ.

17198. თუ რანი ვიყავით, რანი ვიქნებით, სად ვიცხოვრებთ? ამის ამოხსნა წარსულის ალგორითმების ამოხსნითაა შესაძლებელი.

17199. მშობლებს გადამეტებული პრინციპულობის გამოვლენის უფლება შვილებთან მიმართებით არ აქვთ, რადგან მომდევნო თაობათა დრო, გარემო და ბედი განუსჯელია.

17200. ან რწმენისა უნდა გვჯეროდეს და გვიყვარდეს, ან რწმენა სიყვარულით უნდა გავაჯეჯილოთ, რათა ეს წუთისოფელი შნოიანად გავლიოთ.

17201. ცხოვრების მოსალოდნელ მომავალში ხეტიალი ერთია, ბედი რას გვიპირებს, მეორეა, რას ვიზამთ – მესამე. ასეთია ჩვენი ამქვეყნად

ყოფნის რეალობა და მას ვერსად გავექცევით.

17202. ჩვენ რომ ანდაზების მიხედვით, რწმენით, ხელმომჭირნედ და სიახლეთა დროულად დანერგვით გვეცხოვრა, დღეს კომუნიზმში ვიქნებოდით.

17203. იმას, რაცა გვაქვს, არ ვაფასებთ, მათ შორის თავისუფლებასა და სიყვარულს.

17204. თუ არა ყოფის კაპრიზები, ცხოვრება ძალზე მოკლე მოგვეჩვენებოდა.

17205. ლამაზად ცხოვრებას თეორიულად არავინ გვიკრძალავს, მაგრამ პრაქტიკულად ხელის შემშლელი ბევრი რამ არის.

17206. როდესაც ცხოვრება გამოცდას მოგიწყობს და ჩაუღრმავდები, ირკვევა, რომ ჩვენი ამბიციებიდან ცხოვრება-ყოფის ცოდნის შესახებ არაფერი რჩება.

17207. ცხოვრების ძალაუნებურად შეჩერება-დასვენება საკუთარი თავის დაკარგვის ტოლფასია.

17208. ამქვეყნად ყველანი ჩვენი ვახშით, ვალითა და ბედით ვართ მოვლენილი და ცხოვრება შეძლებისდაგვარად კაცურად უნდა დავასრულოთ.

17209. ცხოვრებაში ერთხელ ყველას უმართლებს, რადგან, განგება თუ ერთ კარს გიკეტავს, მეორეს გახსნის და, როგორ გამოიყენებ ბედის წყალობას, ეს უკვე შენი გონიერების საქმეა.

17210. ერთ გონიერი ნაბიჯი წინ ან უკან და მთელი მომავალი ცხოვრების საიდუმლოება თვალწინ გადაგეშლებათ.

17211. ჯარში ახალწვეულთა სიმამაცის იმედი უფრო აქვთ, ვიდრე ძველად გაწვეულების, რადგან მათ სიცოცხლის ფასი უკეთ იციან.

17212. შვილი თუ განსაკუთრებული ნიჭით არაა დაჯილდოებული, სჯობს თავის ჭკუაზე იცხოვროს, თუ შვილიშვილების სიმრავლე გინდათ და თქვენი ნაშრომი ფუძე-კარმიდამო სოფლად არ გაასხვისოს და ქალაქად საცხოვრებლად არ გადავიდეს.

17213. რევოლუცია იმ ბრძოლის სახეა, რომლის შედეგის წინასწარ შეცნობა ყველას უჭირს.

17214. ბუნებას არაფერი ეშლება და, თუ ეშლება, ისიც ჩვენი დახმარებით.

17215. ასაკის მატებასთან ერთად ცხოვრების წესის შეცვლა სახიფათოა, რადგან, რა სახის გართულებებს მოგვიტანს, არავინ უწყის.

17216. „თეორიულად“ წარმოვიდგინოთ: ცხოვრებას დაგროვილი გამოცდილებით რომ თავიდან ვიწყებდეთ, ვინ იცის, რამდენ საოცარ რასმეს ჩავიდენდით, „პრაქტიკულად“, შეიძლება, ისეთს ვერაფერს, ოღონდ ცხოვრების პირობებს უფრო მეტად გავიუმჯობესებდით.

17217. ზოგჯერ მილიონების ფლობას ისევ გონიერების ქონა

სჯობს – ცხოვრებას უფრო უდრტვინველად გავივლით.

17218. გამოცდილების გათავისებაც თავისებური ბედნიერებაა – ცხოვრებას უაზროდ არ ირთულებ.

17219. ყვავილებით მოფენილ გზაზე ბორძიკით სიარული უგუნურებაა.

+17220. დიდებას მოიპოვებენ, ღირსებას ინარჩუნებენ.

17221. ცხოვრებას აზრი მაშინ ეძლევა, თუ გონიერნი უგუნურთ აბალანსებენ.

17222. პატიოსნად ცხოვრების მცდელობა ყოველგვარ ტყუილს გამორიცხავს.

17223. გაურჯელი გონიერებით ცხოვრება სიცოცხლის მასხრად აგდების ტოლფასია.

17224. დაუვიწყარი ამქვეყნად არაფერია. მათ შორის სიკეთის ჩამდენიც კი რატომღაც ხშირად ავიწყდებათ.

17225. არის უცოდველი არჩევანი, არის ცხოვრებისეული სიბრძნე, მაგრამ, რომელი გამოგვადგება ცხოვრებაში, არავინ უწყის. ამიტომ სჯობს, ვიხელმძღვანელოთ ინტუიციით ან რისკის გაწევით და ამქვეყნად ყოფნა უფრო დაგვამახსოვრდება.

17226. ზოგჯერ ფასეულობათა შეუცნობელ საზოგადოებაში, დაფასების უნარმოკლებულ ბრბოში გვიხდება ცხოვრება, მაგრამ უკეთესობისკენ მისწრაფება არ უნდა დავკარგოთ.

17227. მარტოდ ცხოვრების სწავლა ძნელია, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ ბოლოს თავს კარგად იგრძნობ.

17228. არჩეული ცხოვრების წესი თუ შენია და არა გვნებს, არ უნდა უღალატო, რათა თავადვე არ გიღალატოს.

17229. ცხოვრება თუნდაც იმითაა საინტერესო, რომ გვაიძულებს, მისი ცუდით და კარგით ვიცხოვროთ, გავერთოთ, გავმრავლდეთ.

17230. ცხოვრების ფაციფუცს და მის ინტეგრალებს ასე აგვარებენ: ნუ გადადებ ხვალისთვის იმას, რისი გაკეთებაც დღესაა შესაძლებელი.

17231. სიკეთის კეთების გაპიარება ისევ მისმა მკეთებელმა უნდა ითავოს, რადგან ხალხის უმეტესობა გულმავიწყი და უმადურია.

17232. ცხოვრების მცოდნე ადამიანები არასოდეს ბოლომდის არ ჩქარობენ, რადგან, რაც მოსახდენია, ისედაც მოხდება.

17233. სასურველი საქმის სიყვარული, სიცოცხლის გახანგრძლივების მცდელობა და კარგი ცხოვრებისადმი ლტოლვა არასდროს არის ზედმეტი.

17234. პატიოსნება და შენდობის უნარი თანდაყოლილი სათნოებაა.

17235. ცხოვრება ხშირად მკაცრად გვექცევა, მაგრამ არც ჩვენ ვიბნევით, რათა ჩვენთვის განკუთვნილი წუთისოფელი ჩვენსავე გემოზე განვვლოთ.

17236. ეულად კარგად ცხოვრება არ გვაკმაყოფილებს, თუ მას საჩვენო ბედიც თან არ ახლავს.

17237. გარემოებათა ნებას მეტ-ნაკლებად ყველა ანგარიშს უწევს და ემორჩილება.

17238. ოცნების დეფიციტი ყველაზე მეტად ჩვენს ამქვეყნად ყოფნას აუფერულებს.

17239. სიკეთის კეთებას ხელს უშლის უსაქმურობა, დაუნახაობა, წამხედურობა, შური, დაუმსახურებელი გამორჩენისკენ სწრაფვა.

17240. ცხოვრება სიამეთა აღქმის უნარით უნდა განვლოთ და არა ერთმანეთთან დაპირისპირებით, ბრძოლითა და სასხლის ღვრით.

17241. კონფლიქტი შვილებსა და მშობლებს შორის არც არავის აუკრძალავს და არც არავის შეუქია, მაგრამ მასზე ვეტოს დადების უფლება ყველას აქვს.

17242. სწავლა კარგია, მაგრამ სწავლულთა და მცოდნეთა დაუსაქმებლობა გვაბნევს და ცხოვრებას გვირთულებს.

17243. ულიდეროდ ხელშესახები წარმატება არ მოიპოვება.

17244. შეჩერება-გაჩერება ყოველთვის სიკვდილი როდია, ზოგჯერ ახალი ცხოვრების დასაწყისიცაა.

17245. ცხოვრების გახალისებას, ეტყობა, ნიჭთან ერთად აღზრდაც უნდა და ტრადიციების გათვალისწინებაც.

17246. ცხოვრების წყლულების მოძიება ადვილია, მათი მოშორებაა ძნელი.

17247. ამ ცხოვრებაში უმთავრესია სიტყვამ თავისი მადლი და აზრი არ დაკარგოს, რადგან სხვაგვარად ამქვეყნად ყოფნა გაჭირდება.

17248. დღეგრძელის ცხოვრების გრაფიკითა და არქივით ყველანი ვინტერესდებით, ოღონდ მცირე ხნით.

17249. დაბერება ცხოვრებისეული გამოცდილებებით აღჭურვაა.

17250. ცხოვრება ყოფიერების და მატერიალურ ნივთთა სიყვარულს მოითხოვს, ვინ იცის, სად რა გამოდგება.

17251. ყოფიერებისთვის ჩვენი მოგვიანებით გადამზადება დიდ შედეგს მოგვცემს, რადგან ცნობიერება უკვე გარკვეულია, ვის უნდა ეაჯოს და ემსახუროს.

17252. განათლების მიღება შემოქმედებითი უნარის უქონლად უშედეგო მცდელობაა ცხოვრებაში სასურველი ადგილის დასაკავებლად.

17253. ცხოვრებით ყოველთვის კმაყოფილია ის, ვისაც სხვისი ნახვა არ ეჩქარება.

+17254. ცხოვრების ფასი მის ბოლომდე გაუცნობიერებლობაშია.

17255. ილუზიებით ცხოვრებას რა სჯობს, მაგრამ გვაზარმაცებს და არც ამართლებს.

17256. სუფრაზე მოლხენას აღზრდა-გამოცდილებასთან ერთად

ხალასი ნიჭიც სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დროსტარების ნაცვლად ღრეობა გამოგვივა.

17257. განვლილი ცხოვრების მარგი ქმედების კოეფიციენტი უაზრო დანაკარგების დაჯამებითაც იანგარიშება.

17258. ცხოვრება მხოლოდ კეთილი სურვილებით არც განისაზღვრება, არც განისჯება.

17259. ყოფაში შემოქმედი გონის დროულად ჩართვა ცხოვრების ღირსეულად განვლისა და დამახსოვრების გარანტიაა.

17260. თანდაყოლილი და შეძენილი ცხოვრებისეული ლაქების მოშორებას ყველა ჩვენგანი ცდილობს.

17261. მრავალმნიშვნელოვანი დროებითი პაუზა ზოგჯერ ცხოვრების შესაცნობად აუცილებელია.

17262. ყველანი ჩვენი დროისა და საუკუნეების მონები ვართ, რადგან განგებამ ამ დროის მანქანით ცხოვრება მოგვისაჯა.

17263. თუ აწმყოს უცილობლად გჯერათ, მაშინ ცხოვრებას, შედეგის მიუხედავად, სიამით გაივლით.

17264. მტერ-მოყვრის უყოლელად ცხოვრება შეუძლებელია.

17265. სოციალური უთანხმოება ნაწილია ჩვენი ცხოვრების და საზოგადოების განვითარების „პერპენტუუმ მობილეც“.

17266. არჩევანი ცხოვრების გზაზე მარად თან დაგვდევს.

17267. განვლილი ცხოვრება და სიბერეა, თავში წამორტყმას რომ მოგვინდომებს და გვაიძულებს, ახლებურად ვიფიქროთ, მაშინ ვხვდებით, რომ უკვე დაგვიანებულია და ჩვენი ნაფიქრალი უკვე აღარავის აინტერესებს.

17268. შემიძლია ველაპარაკო და ვეკამათო პიროვნებას, ვინც ცხოვრების კანონზომიერებებს პატივს მიაგებს.

17269. გრძელვადიანი წინსვლის პერსპექტივას ყველა ჩვენგანი გაურბის, რადგან ცხოვრების მოსწრებას ვჩქარობთ.

17270. თუ ცხოვრებაში ფეხი დაგიცდათ, ყველაზე მეტად ის ხალხი მოგიგებს ნიშნს, ვისგანაც შენდობას მოელით.

+17271. ცხოვრებაში ფეხი არ უნდა დაგვიცდეს, თორემ ჭკუის დამრიგებელი არ მოგვაკლდება.

17272. ბავშვური ქვეცნობიერება ჩვენში ბევრ გაუთვალისწინებელ რამერუმეს ლექავს, რაც მთელი ცხოვრება გვამახსოვრდება და თავს ხშირად შეგვახსენებს.

17273. ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი ქმედების ჩადენა კი არ არის მთავარი, არამედ ის, რომ სისულელე-სისაძაგლე არ ჩაიდინო.

17274. მშობლები გვზრდიან, გვარიგებენ, გზას გვიჩვენებენ, მაგრამ მეგობრებს მაინც არა გონებით, არამედ ინტუიციით ვირჩევთ.

17275. სიმდიდრის არასწორად გამოყენება ჩვენს ქომაგებზეც გავ-

ლენას ახდენს და ისინი საწინააღმდეგოდ განეწყობიან.

17276. უმრავლესობის მხარეზე ყოფნა ხშირად თქვენი მეობის წარმოჩენა-შეფასებას ხელს უშლის.

17277. კვალდაუტოვებელი ცხოვრება არაფრის მაქნისია.

17278. ჩვენი ვალია, ისე ვიცხოვროთ, რომ განვლილი ცხოვრების გასაჯაროების არ შეგვრცხვეს.

17279. ცხოვრებაში ცხვირის წატეხვა ადვილია, მისი არდაშვება – ძნელი.

17280. ხშირად გამოცდილებას მაშინ ვიძენთ, როდესაც ჩვენი ცხოვრების ყველა კარტი უკვე გაშლილია.

17281. ფილოსოფია მორალზე გულმხურვალედ მსჯელობს, მაგრამ საქმის კეთებას მარტო ფილოსოფოსობა არ შველის.

17282. თავის დროზე ყველანი აღვიგვებით ამა ქვეყნიდან, მაგრამ აქ მთავარია, რას დავტოვებთ მოსაგონებლად და ჩვენი თავის წარმოსაჩენად.

17283. ყველა ჩვენგანმა თავისი უფლებების რეალიზებით უნდა იცხოვროს, რადგან სხვათა კარნახით ცხოვრება საკუთარი მეობის შესაცნობ-დასამკვიდრებლად არ გამოდგება.

17284. ცხოვრებაში ფეხის ფრთხილად და მოხერხებით შედგმა ხშირად გენიალობის მომასწავებელია.

17285. იმ კაცისგანაა რჩევა მისაღები, რომელსაც ცხოვრებაში რაღაც გამოსდის და რჩევასაც შენი თხოვნით ძუნწად და დაფიქრებით იძლევა.

17286. გონება მიზანს გვისახავს, ოცნება-საშუალებებს, ხოლო ცხოვრების უცოდინარობა ხშირად ყოველივეს აფერხებს.

17287. სიდუმლოს შენახვა და გადანახვა ქალსაც ეხერხება და კაცსაც, ოღონდ გააჩნია საფასურს, რომელსაც მათ ცხოვრება შესთავაზებს.

17288. მთელ ცხოვრებას ჭკუის ლესვა-ღებვაში ვატარებთ, იმისდა მიუხედავად, ვფლობთ განგების ამ საჩუქარს თუ არა.

17289. სამყარო თავისი კანონზომიერებით იღვწის, რომლის ბოლომდის აღსაქმელად ადამიანი უძლურია. მგ. ცივილიზაციის შემოჭრის შედეგად შობადობამ იკლო, მაგრამ მოსახლეობის ოდენობა არ კლდებულობს სიცოცხლის ხანგრძლივობის მომატების ხარჯზე. დღევანდელი 7-8 მილიარდი მოსახლეობა მომავალში, ალბათ, 1-2 მილიარდზე დავა, რადგან კარგი ცხოვრება და ფუფუნებისკენ სწრაფვა შემოვა მოდაში, რაც შობადობის შემცირებას გამოიწვევს.

17290. სიცოცხლის არსის რაობის ამოხსნა მარად შორეულ აღმოჩენათა საგანია.

17291. ცნობიერების გარეშე ცხოვრების საკუთარ თავზე მორგება

ჭირს.

17292. ყველაზე უკეთეს მენეჯმენტს ცხოვრების გამოცდილება იძლევა და ისიც უკომპრომისოს.

17293. ზოგჯერ ცდა ყველაზე დიდი გამოცდაა ჩვენი მომავალი საქმიანობისა.

17294. გაუაზრებელ ყოველდღიურობასთან შებმა რუტინიზმის მალამოა.

17295. გამყარებული ცხოვრების წესების წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე ძნელია, თუ მასში ტექნიკური პროგრესის მიღწევები და დროის ყივილი არ ჩაერევა.

17296. მონობის ტკბილი და შეჩვეული უღელი ზოგჯერ სამშობლოს უდავო ინტერესებს გვავიწყებს, რადგან შეჩვეული უღლის გადაგდება ჯერჯერობით ნაადრევად მიგვიჩნევია.

17297. უბედურებასთან შებმა, მისი გამოსწორება – ეს ცხოვრებაა, ხოლო ბედნიერად ყოფნა – ეს არის წყნარი და უდრტვინველი არსებობა.

17298. ცხოვრების მადლის შეცნობა დიდი ნიჭია, განსაკუთრებით, თუ ის გხიბლავს.

17299. რჩევებმაც მობეზრება იცის, თუ მოსმენა-გადაცემის კულტურა მოიკოჭლებს.

17300. ვეცადოთ, სხვათა პირად ცხოვრებაში ცხვირი არ ჩავყოთ, თუ გვინდა უდრტვინველად ვიარსებოთ.

17301. ღალატი დანაშაულია, მოტყუება – გადაცდენა და ზოგჯერ უამუკანასკნელოდ ცხოვრების ბოლომდის განვლა ჭირს.

17302. ზოგის ცხოვრებას აზრი მაშინ ემატება, თუ ის დიდ აუხდენელ მიზნებს დაისახავს.

17303. ავადმყოფობის, დაღლილობის, შიმშილის, ბოროტების საპირისპიროა ჯანმრთელობა, დასვენება, ჯანსაღი კვება, სიკეთე და, ვინც ამას დროულად გაითვალისწინებს და შეიგნებს, მას ცხოვრებისთვის სასაყვედუროც არაფერი დარჩება.

17304. ზოგი ქალში სიმდიდრეს, სილამაზეს, სიდიადეს ეძებს და იშვიათად უწევს ანგარიშს მის წარმომავლობას, გენეტიკას, გვარიშვილობას. არადა, მასზეა დამოკიდებული თაობათა ხარისხი. ეს კი უმთავრესია თქვენთვის, ქვეყნისა და საზოგადოებისთვის.

17305. ვეცადოთ იმგვარად ვიცხოვროთ, რომ საკუთარ მეობას არ დავემალოთ.

17306. ცხოვრება ყოველდღიურ გამოცდას გვიწყობს და ჩვენ მისი მუდმივი აბიტურიენტები ვართ.

17307. ის, რაც ზუსტად ითქმება და ესადაგება იმას, რაც საჭიროა, ხშირად ზიანს აყენებს ჩვენს ავტორიტეტს.

17308. ხუმრობის გამოუყენებლად ცხოვრებაც ჭირს და სადავო და საჩოთირო საკითხების გადაჭრაც ძნელდება.

17309. რა იქნებოდა, ერთ ხალხს მეორე ხალხისთვის მარად რომ ესაყვედურა ცუდის კეთების მცდელობა, მაშინ, ალბათ, შეუძლებელი გახდებოდა იმ კონტინენტზე ცხოვრება.

17310. პირადი უკეთური ცხოვრების უფლება ყველას აქვს, ოღონდ გაუბაზრებლად.

17311. თავმოყვარეობა, უნარი, შემართება, ცოდნა, გამოცდილება – ესაა ცხოვრების მარიფათის ანიცა და ბანიც.

17312. სუფთა რეპუტაციის დაბინძურება ცოდვაა, რადგან მის გაწმენდას მთელი ცხოვრება არ ჰყოფნის.

17313. სიტყვა-პასუხის მადლი რომ ფასს დაკარგავს, იმ დროში ცხოვრებას არავის ვუსურვებ.

17314. ცხოვრებას ბევრი არ უნდა მოვსთხოვოთ, მაგრამ აუცილებელი და საჭირო აუცილებლად უნდა დავიტოვოთ და მას მომავლის იმედი ჰქვია.

17315. ყოველივე იმის კეთება, რაზედაც ხელი მიგიწვდებათ, ხშირად უკომპრომისოდ არ გამოდის.

+17316. ვისთვის ქვეყანაა დიდი, ვისთვის – კუთვნილი მინდი.

17317. ბიოგრაფია, პირველ ყოვლისა, ასაკის წარმოჩენით არის საინტერესო და შემდგომ – პიროვნების ნაღვაწით.

17318. გაუცხოებული წარსული შეიძლება გავიხსენოთ, მაგრამ მას არ უნდა მივუბრუნდეთ, რაც უნდა კარგი გვაკავშირებდეს მასთან, რადგან ცხოვრება სიარულია, წინსვლაა.

17319. ყველა ჩვენგანის ვალია ამ ცხოვრებაში ჩვენი წილი ბედნიერების დროულად და დაუყვედრებელად პოვნა.

17320. ფიქრი, ოცნება და მათი გულთან შეჯერება ჩვენი ცხოვრების წესია.

17321. რწმენას, სიყვარულსა და მოვალეობის შეცნობას ყბედობა არ სჭირდება.

17322. ცხოვრების მადლის შეცნობას სულიერების გასუფთავება სჭირდება.

17323. ურისკო ცხოვრება მშვიდი, მაგრამ უინტერესოა, მიუხედავად იმის გაცნობიერებისა, რომ რისკი ყოველთვის არ ამართლებს.

17324. რისკით ცხოვრება საინტერესოა, მაგრამ არაპროგნოზირებადი და ხშირად ყოფის ლოგიკას დაუმორჩილებელიც.

17325. სხვის ცხოვრებაში ჩარევას გონი არ მიესალმება, მიუხედავად გადაცდენების მიმართ მძაფრი დაინტერესებისა.

17326. ფლანგვა და ხარჯვა, ერთი შეხედვით, სინონიმებია, მაგრამ ცხოვრების მადლის შესაცნობი ბალანსი აქვთ სხვადასხვა.

17327. ვეცადოთ, ცხოვრება მეტ-ნაკლებად ჩაუმწარებლად და სიტკბოთი განვვლოთ, რადგან ამქვეყნად ყოფა სხვაგვარად არ ხერხდება.

17328. ზოგჯერ პატიოსნების შენარჩუნების მომიზეზებით არაფრის კეთება უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ყალთაბანდობით რაღაცის კეთება, რადგან ამ უკანასკნელისაგან რაღაცა რჩება, პირველისაგან კი – არაფერი.

17329. ნაკლოვანებათა აღმოფხვრის უნარი ხელს უწყობს ჭკუის ზრდასა და გონების განვითარებას.

17330. დასახული მიზანი თუ არ ამართლებს, ის უაზრობა, უნიათობა, სიბრიყვეა.

17331. სიმართლით ცხოვრება გამბედაობას, სიჯიუტეს უფრო მოითხოვს, ვიდრე ჭკუას.

17332. თავის მოკვლა, სუიციდი იმ მხრივაცაა დანაშაული, რომ ჩვენ მსხვერპლის ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ გავიაზრეთ.

17333. გარჯა, შრომის ფასის შეუცნობლობის ვითარებაში, უმადური ცხოვრების სინონიმია.

17334. მოთხოვნებს მიჩვეულ წამლიქვნელებას ბოლოს სიკეთე არ მოაქვს.

17335. უცოდინარობას მაშინ ვეგუებით, თუ ინფორმაციისა და ცოდნის ნიავს ჩვენთვის არ დაუბერავს.

17336. ცხოვრების სრულფასოვნება ისწავლება თანასწორუფლებიანი ცხოვრების მოდელის ახსნით.

17337. რატომღაც მოპასუხესთან შეხვედრა უფრო მოგვწონს, ვიდრე ჭკუის დამრიგებელ მრჩეველთან, რადგან ჩვენი მოწოდება უპასუხისმგებლო რჩევების გაცემაა.

17338. მისტიკას უსიმბოლოებოდ არსებობა არ ძალუძს და, თუ რა სახეს მიიღებს, ერთეულ შემოქმედთა ნიჭზეა დამყარებული. წინათ თუ ქვეყნის კეთილდღეობას კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებები განსაზღვრავდა, დღეს ამ პირობას აშშ დოლარის ოდენობა წარმოადგენს.

17339. ცხოვრების ლექსიკაში „მე“ და „შენის“ გაბატონება „ჩვენის“ დავიწყებას იწვევს, რაც უარყოფითად მოქმედებს საერთო საქმის სწორად წარმართვაზე..

17340. ისიც გოიმობაა, როდესაც საყოველთაო ინტერესს საკუთარი ჯიბის გასქელებას ამჯობინებენ.

17341. ფილოსოფია სიკვდილის უპრობლემოდ მიღებაა, სულიერების გაცნობიერებაა, საკუთარი ფიზიკური არსებობის იმთავითვე გამოტირებაა.

17342. ფილოსოფია საკითხის სიღრმისეული ანალიზის მცდელო-

ბაა.

17343. ფილოსოფია განგების რჩეულთა ხვედრია, ხოლო უმრავლესობა ფილოსოფის მიმდევარი და მისი დებულებების კომენტატორია.

17344. ფილოსოფია არის ცხოვრების წესი, სადაც თეორიულ სიახლეს პრაქტიკულად განსჯის და ისე ითვისებს.

17345. ამქვეყნად გაუაზრებლად ყოფნას ფილოსოფია ცხოვრებად არ მიიჩნევს.

17346. ყოველდღიურობა გააზრებული ცხოვრების უფლებას არ გვაძლევს. ზოგჯერ აზრების შეჭიდების ხასიათზე გვაყენებს და ესეც ფილოსოფიასა რგებს.

17347. ფილოსოფოსის ძალა ესაა: ის ხელაღებით არც არაფერს უარყოფს, არც არაფერს ამტკიცებს და რეალურად კი მაინც ცვლილებათა თავიდათავია.

17348. გონიერი და ღრმა აზროვნება მძიმე ადამიანური ტვირთია და ამიტომაცაა, რომ ფილოსოფია ყველასთვის ხელმისაწვდომი როდია.

17349. უფლება ჭკუას არ იძლევა და ჭკუა – უფლებას, რადგან ცხოვრებაში ბევრი რამ გამართლებაზეა დამყარებული.

17350. სიბრძნეში გამოცდილებასთან ერთად ჩადებულია ცხოვრების წესის შეცნობის უნარიცა და დროის შეგრძნების თანდაყოლილი ნიჭიც.

17351. ყველა გამოცდილებას სარგებელი როდი მოაქვს, მაგრამ, როდესაც ამას ვაცნობიერებთ, უკვე ჩვენი კუთვნილი ყველა მიუღებელი და საეჭვო საქციელი ჩადენილი გვაქვს.

17352. უპატრონოდ დარჩენილი ქვეყანა სანახაობებმა და წარსულის მოჩვენებითმა დიდებამ უნდა კვებოს, რადგან ამდენ შიმშილს და ვაი-ვაგლახს ლიტონი დაპირებები ვერ გადაფარავს.

17353. ცხოვრების შეჩერება შეუძლებელია, იმისდა მიუხედავად, ბედისწერას გავექცევით თუ ვერ გავექცევით.

17354. ცხოვრების ბნელეთიდან გამოსვლა ფარნით უნდა დავიწყოთ, რათა სინათლეს თანდათანობით შევეჩვიოთ და ერთდროულად გამონათებამ თვალები არ აგვიჭრელოს, გონება არ აგვირიოს.

17355. ჯარისკაცის დევიზია – ემსახუროს ქვეყანას, მაგრამ მოვალეა, ეცადოს, რომ ცოცხალი გადარჩეს.

17356. ახალი ცხოვრების დაწყების უფლება არავისი ნება არ არის, ხოლო გონიერების შემართება ყოფის ახალ განზომილებებს ითხოვს.

17357. გამოცდილება ბევრსა ნიშნავს, თუ ის გონიერი კაცის ცხოვრებიდან გვაქვს გათავისებული.

17358. დღეს ძაღლის ერთგულებაც კი დაპურება-დასაქმების ხელოვნებაზეა დამოკიდებული და არა მხოლოდ ცარიელ ურთიერთობაზე.

17359. საკუთარი თავი არც უნდა შეიცოდო და არც უნდა დაინდო,

თუ გინდა ცხოვრებაში დასახულ მიზანს მიაღწიო და საკუთარ ბედს შენატვროდე.

17360. გამოცდილება ჩვენი რაობის წარმოჩენა-დაფასების აიწონა-დაიწონაა.

17361. ცოდვის ჩადენის უფლება იმას აქვს, ვინც ამ ცოდვით სასიკეთო საქმეს აღასრულებს, შემდგომ კი გულით მოინანიებს.

17362. უკეთესი, შესაძლოა, წარსული იყოს, მაგრამ არა აწმყოს მოთხოვნილებებთან შედარებით.

17363. ფეხის ხმას უნდა ავყვეთ, რათა ცხოვრების დღევანდელ მოთხოვნებს არ ჩამოვრჩეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს ამ მოთხოვნების უაზრო გამოყენებას, რადგან, შედეგად ავს მივიღებთ თუ კარგს, უცნობია.

17364. გამოწვევისთვის გვერდის ავლა ზოგჯერ მისასალმებელია, მაგრამ რაღაც საჭიროც უნდა დაინახო ამ გამოწვევაში.

17365. იმ ტრადიციებით ცხოვრება, რომლებსაც დროის მოთხოვნების შეუჯერებლად ვეხმიანებით, უარყოფით ქულებს გვიწერს.

17366. შრომა, სიყვარული, მოყვასის პატივისცემა ჩვენს გულს თვალით უნახავ ბედნიერებას ანიჭებს.

17367. სამყაროს მიერ გაცემული „ბედნიერების ტაბელი“ განსაზღვრულია. ამიტომაცაა, რომ ზოგი თავს ბედნიერად გრძნობს, ხოლო უმეტესობა უიღბლო-უმადურია.

17368. ყველას ჩვენი სიმართლე გვაქვს, ხოლო ამ სიმართლის შერკინება სხვა სიმართლესთან და კონსესუსის გამონახვა ცხოვრებაა თავისი ფილოსოფიით.

17369. სამართლიან ცხოვრებასა და მომავალზე ფიქრს ცოდნა, გამოცდილება, „ვირ-ეშმაკობის“ უნარი და ნიჭი სჭირდება.

17370. დევიზი-ვეცადოთ, სიცოცხლეშივე ვნახოთ ჩვენი ადგილი და ვიყოთ ბედნიერნი – უნდა იყოს უპირველესი ჩვენი საფიქრალი ქვეყნად.

17371. ცხოვრება გაცილებით რთული და განუსჯელია, ვიდრე ამას კანონი და მართლმსაჯულება გულისხმობს.

17372. უკულტურო დემოკრატია გონივრულ პოსტულატებს არც სცნობს და არც ითვალისწინებს.

17373. სამწუხაროა: ცხოვრების დონის ამაღლება, ფუფუნების მიღწევა ადამიანის სახელმწიფოებრივ ცნობიერებას დაბლა წევს. რას ვიზამთ, ასეთია იმპერიების, ქვეყნების დაშლა-გადაგვარების სამწუხარო სინამდვილე.

17374. სხვათა ნაბოძვარ ბრჭყვიალა სინათლეზე სიმართლისა და საჭირო გზის პოვნა ჭირს.

17375. საქმე, რომელსაც შენ მეტი იმ მომენტში სხვა ვერავინ გაა-

კეთებს, იძულებული ხარ აკეთო, თუ შენი მეობა არ გიღალატებს.

17376. მორალური პრინციპის უმთავრესი მოწოდებაა: ეცადეთ, სხვას ცუდი არ გაუკეთოთ!

17377. ცეკვა „ტანგო“ თავისებური ცხოვრებაა, რომელიც ქალის მამაკაცთან ურთიერთობას თავის კაპრიზებით და შანტაჟით გამოხატავს.

17378. რეალურად სამყაროში არაფერი იცვლება, რაც იყო, ფაქტობრივად იგივე რჩება.

17379. შეცდომების დაუშვებლად შეცდომების თავიდან აცილება უმრავლესობისთვის შეუძლებელია.

17380. ცხოვრების გზების შეცდომებით მოძიება სჯობს ერთ ადგილზე უდარდელად დგომას.

17381. სიკეთის საკეთებლად თავის გამოდებას რწმენა, აღზრდა, გენი სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უპერსპექტივოდ რჩება.

17382. უანგარო სიკეთეს დიდება თან დაჰყვება, მაგრამ მისი გამორჩენით კეთებაა ძნელი.

17383. უმცირესობის თანადგომა დემოკრატიის პრინციპების დაცვის მცდელობაა. თავისუფლების ქარტიის გაფეტიშება ხელშეუხებლობის გარანტი არ არის, რადგან ყველამ პასუხი უნდა აგოს თავისი ქმედებისთვის დროის, მენტალიტეტისა და არსებული კანონების შესატყვისად.

17384. ხელოვნებას შეუძლია დაგვაფიქროს და არ ძალუძს ცხოვრების პირდაპირ შეცვლა. ცხოვრებას და მსოფლმხედველობას დრო, გარემო და ტექნიკური პროგრესის მიღწევები ცვლის.

17385. საკუთარი თავის და შენი გარემოცვის ბოლომდის რეალური შეფასება ყოველთვის ჭირდა და გაჭირდება, იმდენად მრავალფეროვანია ცხოვრება და მისთვის კვანტის დადების ფორმები.

17386. ზოგი მთელი ცხოვრების განმავლობაში ხელით სათრევია, პრეტენზიულია, იმდენად უკმაყოფილოა ამქვეყნად თავისი მოვლენა-გაჩენით.

17387. ტრაგიკული გარდაუვალობა ომია, რომელსაც არავითარი გამართლება არ აქვს, რა ინტერესებიც არ უნდა ამოძრავებდეს, რადგან შეწონილი მოლაპარაკებით და ურთიერთდათმობით ყველაფრის მიღწევა შეიძლება, ხოლო ომიანობის დროს დაუგეგმავი მსხვერპლი ბევრ ნიჭიერ ადამიანს იწირავს და იწირავს მათი შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად.

17388. გარკვეული მორალითა და სინდისით ცხოვრება ასაკს მარად მალამოდ ეფინება.

17389. ოპტიმიზმი ცდილობს მთლიანად გაითვალისწინოს შენი არჩეული ცხოვრების მადლი და მასში ნაკლი არ დაინახოს.

17390. ზომიერი ოპტიმიზმი ცხოვრებისათვის ალღოს აღების საუკეთესო საშუალებაა.

17391. დაძალებისა და იდეოლოგიის გარდა, ამ სამყაროში ხელშესახები ჯერ არაფერი გაკეთებულა.

17392. დღეს შეუძლებელი ხვალ შესაძლებელი გახდება, უბრალოდ, მის აღქმას სხვა მენტალიტეტი, ცოდნა, დრო, გარემო და საუკუნე სჭირდება.

17393. დრო მიდის, მეგობრები გვტოვებენ. ცხოვრება ასე თუ ისე გრძელდება ვიღაცის, რაღაცის ხარჯსა და ჯინაზე.

17394. ცხოვრების ფინალი, შეიძლება, მრავალფეროვანი და ჩვენთვის მიუღებელი იყოს, მაგრამ აქ მთავარია, ფინალის დასაწყისი მაინც იყოს ხეირიანი, რათა ამ ქვეყნიდან უმადურნი არ გადავიხვეწოთ.

17395. მტრებისა და მოქიშპეების უყოლელად ცხოვრება აზრს დაკარგავდა და მისი მადლის შეცნობაც გაჭირდებოდა.

17396. სინდისის კარნახით ცხოვრების უფლებას უმთავრესად დრო, გარემო და აღზრდა იძლევა.

17397. ცხოვრება კომბინაციების მრავალფეროვნებაა თავისი ჩაწყობა-ჩასწორებებით, რათა შენთან ერთად სხვებმაც სარგებელი ნახონ.

17398. ის ცხოვრებაა ყურადსაღები, რომელიც შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას გაძლევს და მომდევნო თაობებს ასპარეზზე გამოსვლისა და გამარჯვების დიდ შანსს უტოვებს.

17399. ცხოვრების კანონი გვაიძულებს, მარად წინ ვიაროთ, უკანმოუხედავად გადავლახოთ წინაღობები.

17400. ცხოვრება ჭკუას მაშინ გვასწავლის, როდესაც ფაქტობრივად ის აღარ გვჭირდება ასაკის მატებისა და აქტიური ცხოვრებისათვის ზურგის შექცევის გამო.

17401. ნაკლის შეცნობა მის აღმოფხვრას როდი ნიშნავს, თუ ტვინსა და ხელს არ გაანძრევ.

17402. ცხოვრება დაუნდობელია მანამ, სანამდის ხელს არ გაანძრევ და ჭკუას არ მოიხმარ.

17403. სამართლიანობისკენ მისწრაფება თავისებური სამკაულია ჩვენი ცნობიერებისა და საკუთარი მეობისა.

17404. ხშირად ინფანტილიზმი საშუალებას არ გვაძლევს, რაციონალურად ვიცხოვროთ, რაც თავისთავად გვიქმნის რთულ გარემოს.

17405. ვეცადოთ, ცხოვრება ისე გავლიოთ, რომ ღირსეული და ღირებული არაფერი დავკარგოთ.

17406. აწინდელი ცხოვრებაც მშვენიერი გახდება, თუ ყოფიერებას დროულად ალღოს ავუღებთ და მომავლის იმედს არ გადავიწურავთ.

17407. ცხოვრება წარსულის, აწმყოსა და მომავლის ჭვრეტით უნდა

განვსაჯოთ, თუ გვინდა ყოფის ხელბორკილებისაგან ხელები გავითავისუფლოთ.

17408. ცხოვრება არც მარტივია, არც სასაცილო, რადგან იმქვეყნად დროულად გადასახლება იმედს გვაძლევს, ამქვეყნად მეორედ მოვიდეთ, ოღონდ სხვა სახით, სხვა ფორმით.

17409. ცხოვრებას აზრი მაშინ აქვს, თუ მას დროის ყივილს დავაწევთ და არ ჩამოვრჩებით.

17410. თავშეკავებული ცხოვრება მოსაწონ-დასამახსოვრებელია, ოღონდ შიგადაშიგ და ისიც დასვენებისას.

17411. ევას გამოჩენამ ადამს ცხოვრების სტიმული მისცა და მომდევნო თაობების იდეებით აღაგზნო.

17412. ცხოვრების ორომტრიალმა ზოგჯერ კაცის დადინჯება იცის და ჩვენი სიფიცხიდან აღარაფერი რჩება.

17413. ფილოსოფიურად ცხოვრების ხედვა ადვილია, მისი რეალური ცნებებითა და პოსტულატებით ცხოვრებაა ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც.

17414. ჩვენს ყოფიერებაში ბევრი კითხვა წამოიჭრება და იძულებული ვხდებით, რომ მათგან გარკვეულ ნაწილს ვუპასუხოთ.

17415. გულუხვობასაც წამლიქვნელება და პიარი სჭირდება, რათა ის წავახალისოთ.

17416. მეგობრობისადმი უნდობლობა თავისებური ავადმყოფობაა, მაგრამ ამ უნდობლობის გრიპი სად შეგეყრებათ, არავინ უწყის.

17417. გიჟურ გამოხტომათა გარეშე ცხოვრების მადლი გაუფასურებულია, რადგან ყველა ასაკს თავისი თავგადასავალი უნდა ახლდეს.

17418. მთელი ჩვენი ამქვეყნად ყოფნა, ცხოვრება შეცდომებითაა სავსე, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს, მათზე თვალი დავხუჭოთ.

17419. ტყუილუბრალოდ ცხოვრებაში არაფერი ხდება, ნებისმიერ მოვლენას, ავად თუ კარგად, თავისი გაგრძელება აქვს.

17420. ბოლომდე, შეიძლება, არავის ენდოთ, მაგრამ ნდობის გარეშეც რომ ცხოვრება შეუძლებელი ხდება, ეს ფაქტია.

17421. ცხოვრება განწყობილებათა მონაცვლეობა და სიკეთის კეთების წადილია.

17422. ცხოვრების მადლს მაშინ შევიცნობთ, თუ ჩვეულებრივს არაჩვეულებრივით შევცვლით და საკუთარ თავს დღესასწაულს მოვუწყობთ.

17423. მარტოობაში ცხოვრება თავის წარმოჩენის საშუალებას არ გვაძლევს, რაც ჩვენი ამქვეყნად არსებობის ეფექტიანობაზე და საზრიანობაზე ზემოქმედებს.

17424. სიტყვის აიწონა-დაიწონას მალე რობოტები განსაზღვრავენ

და განსჯიან, რადგან მეტყველების ხარისხიც უკვე ტექნიკური პროგრესის განვითარებას დაექვემდებარება.

17425. დროულად და გონივრულად გადადგმული ნაბიჯი ყოფის კანონზომიერებას ეთანხმება და ცხოვრების მადლის ცოდნას ფრთებს ასხამს.

17426. უკვდავების იდეა ყველას გვაწუხებს, მაგრამ ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდის.

17427. სიკეთის თესვა, სიყვარულის მომკა, ურთიერთმოფერება, ერთმანეთის მოსმენა, უღალატოდ ცხოვრება, საყვარელი საქმის კეთება, კარიერული ზრდა, ღირსეული ოჯახის ქონა, წარმატებული ნაშიერების აღზრდა, მატერიალური შეძლება და ქვეყნად სიმშვიდე – აი, ეს არის ცხოვრების გამართლება და ბედის თანადგომაც.

17428. ლოგიკურად ცხოვრების დაგეგმარება უფრო ძნელია, ვიდრე მისი პრაქტიკული განხორციელება, რადგან აქ შემთხვევა და დაუგეგმავი ბედის ცვალებადობაცაა გასათვალისწინებელი.

17429. ცხოვრების თავიდან დაწყება ხანდაზმულობაშიც კი შესაძლებელია, მაგრამ წარსულის დავიწყება და უკვე ნამოქმედარის შეხახვისთავება ყოველთვის არ გამოდის.

17430. ჩვენი ცხოვრების ამსახველი მენიუს პულტი, რათა ხელახლად განვიცადოთ ჩვენი წარსულის სიამენი, ჯერ არ გამოუგონებიათ.

17431. სამწუხაროდ, დღეს ცხოვრება თამაშია, ფულის შოვნის მარიფათია, ხოლო ნაღდი კაცობა შეუმჩნეველია, დაუფასებელი და მოდიდან გასულია.

17432. შეცდომები ორიანებს გვიწერს, გადაცდენები – სამიანებს. აქ მთავარია, მათი გამოსწორება შევძლოთ, რათა ცხოვრებას ფეხი ავუბათ.

17433. ზოგჯერ წარსულს გავაფეტიშებთ და მომავლის პერსპექტიულ შესაძლებლობებს არ დავინახავთ, იმდენად დიდია დღეს მუქთად ცხოვრების სურვილი.

17434. მთელი ჩვენი ცხოვრება ვიღაცის კარნახითა და ნებით იმართება და ამას ხშირად ვგრძნობთ, მაგრამ ვერ ვაცნობიერებთ.

17435. საკუთარ გამოცდილებათა გაზიარება ყოფიერების ის სასიამოვნო ელექსირია, რომელიც თავიდანვე გვაშორებს ჩვენთვის განკუთვნილ ცხოვრებისეულ ალიყურს.

17436. ომის დასასრული ნაძალადევი სიკვდილიანობის შეწყვეტის ტოლფასია და მის გაჩაღებას არავითარი გამართლება არ ჰქონდა დაპირისპირებულ მხარეთა მხრიდან.

17437. სიკეთის კეთებას გონივრული ძალისა და კანონიერების მოშველიება სჭირდება, რომ ის ბოროტებაში არ გავხვიოთ.

17438. გლობალური ცხოვრების არსში ჩაწვდომის უნარი კოსმოსის

შემმეცნებელ, ნიჭიერ პიროვნებათა ხვედრია.

17439. ყველაზე მცირე დავალიანებაც კი დაფარულ უნდა იქნეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკანონობას დავამკვიდრებთ და ცხოვრების აბდაუბდას ვერას გავუგებთ.

17440. სიმართლის თქმა ყველას შეგვიძლია, მაგრამ ამ სიმართლით საქმის კეთებაა ძნელი.

17441. ყოველგვარი დემოკრატიიდან გადახვევა დასაშვებია იმ ქვეყანაში, სადაც ხალხი კარგად ცხოვრობს.

17442. შეჯიბრი-თამაში წესებზე დაყრდნობით იმართება-ტარდება, ხოლო ცხოვრება ამ დაკანონებულ წესებს ყოველთვის როდი ემორჩილება.

+17443. თუ დასაკარგავი არაფერი გვაქვს, მაშ, უშიშრად ცხოვრების გარანტია გვქონია.

17444. თავი რომ ერად და ქვეყნის შვილად ვიგრძნოთ, წარსული უნდა შევინახოთ მომავალზე ორიენტირებით, რათა სხვათა გამოგონილი ცხოვრებით არ ვიცხოვროთ.

+17445. სჯობს, გასაკეთებელი გააკეთო და ინანო, ვიდრე არ გააკეთო და ინანო.

17446. ზოგი წარმატებისკენ კი არ მიისწრაფის და რისკავს, არამედ ყოველნაირად ცდილობს მშვიდად იცხოვროს, ყოველგვარი შეხლა-შემოხლა თავიდან აიცილოს და ამქვეყნად ყოფნა დააფიქსიროს.

17447. ცხოვრებაში ბევრ რასმე ინტუიციით ვგრძნობთ, გენების კარნახით ვაკეთებთ და ეს ზოგჯერ დიდ სიამოვნებას გვანიჭებს.

17448. კარგია პატარ-პატარა მიღწევებით რომ მივაპობთ ამ ცხოვრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მადლის შეცნობა გაჭირდებოდა.

17449. რადგან ცხოვრება მრავალი მოულოდნელობითაა სავსე, მას მარად ფეხზე ამდგარნი უნდა დავხვდეთ.

17450. რაკიღა ცხოვრება ასე დაუნდობელია, ხოლო სიცოცხლე – ესოდენ ხანმოკლე, ზოგჯერ ჩვენს ხუშტურებს გაჯირითების საშუალება უნდა მივცეთ.

17451. შრომის და მცდელობის წყალში ჩაუყრელად ცხოვრების გავლა მოყვასის უდიდესი ბედნიერებაა.

17452. ცხოვრების ფილოსოფია ადამიანის შემოქმედებითი საწყისის შეცნობა-გაცნობიერებით იწყება.

17453. მდიდრულ ცხოვრებას რა სჯობს, თუ ის ცოდვებით არ არის დამძიმებული.

17454. მოთმინება საბოლოოდ ცხოვრებას მაინც პლუსით გვამთავრებინებს.

17455. ცხოვრება ფაქტობრივად მონანიებაა ჩვენდა უნებლიეთ ჩადენილი ცოდვებისა.

17456. მშვიდობის მოგება ომის მოგებას არ ნიშნავს, რადგან ომი ერთია და უკანასკნელი და მის მოგებას განგების ნებაც სჭირდება.

17457. ჩვენდა შეუცნობლად ყოველდღე ახალ ცხოვრებას ვიწყებთ, იმისდა მიუხედავად, გვინდა ეს თუ არა.

17458. ერთგულებაც დაფასებას ითხოვს, რათა მასაც ალიბი ჰქონდეს, თუნდაც საკუთარი თავის წინაშე.

17459. ყველა ოცნების ახდენა საჭირო არ არის, უსტიმულოდ დავრჩებით და ცხოვრებაც გაგვიძნელდება.

17460. ზოგჯერ ჩვენთვის მიუწვდომელიც უნდა ვაკეთოთ, რათა გავნათლდეთ და ცხოვრების მადლი შევიგრძნოთ.

17461. მარად განგაშის მდგომარეობაში ვიმყოფებით, თუ ჩვენ ირგვლივ უხიაგი მეზობლები ცხოვრობენ.

17462. ცხოვრება ჩვენთვის შეუცნობელი, თავისებური სამოთხეა, თუ ყოფის ჯოჯოხეთიდან შემოპარული ავსულები არ დაეპატრონებიან და ცხოვრებას არ შეგვიბღალავენ.

17463. პატივისცემა ყოველთვის მიბაძვით არ გამოიხატება. მისაბაძი და სანიმუშო უნდა გაითავისო.

17464. მართალია, ცხოვრება საუკეთესო მასწავლებელია, მაგრამ ესეც ვიცით: უკეთესად სწავლებაც შეიძლებოდა.

17465. ცოდვილი ყველანი ვართ, მაგრამ უნდა ვეცადოთ ცოდვის ნაჭუჭს თავი დროულად დავაღწიოთ.

17466. სხვაზე ზრუნვა ზოგჯერ სიკეთით დაგვიბრუნდება და ზოგჯერ ეს გულისხმიერებაა.

17467. იცხოვრო და იბრძოლო, ალბათ, ეს არის ამქვეყნად ჩვენი არსებობის მთავარი არსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამყაყება და ყოფის ჭაობში ჩარჩენა არ აგვცდებოდა.

17468. ცხოვრება დაუწერელი კანონებით უნდა გავიადვილოთ, რადგან, დაწერილი კანონებისაგან განსხვავებით, მასში ბევრი ჩვენთვის სასარგებლო საძრომიალოა დარჩენილი, თუ მოვნახავთ და გავითავისებთ.

17469. ყველა პიროვნება თავისი დროის შესატყვისად უნდა დაფასდეს და არა დღევანდელი გადასახედიდან, რადგან, ჩვენ რომ იმ დროში გვეცხოვრა, დღევანდელი გამოცდილებით აღჭურვილნიც კი დავით აღმაშენებელსა და გიორგი ბრწყინვალეს ვერ შევცვლიდით, ხოლო ეს უკანასკნელნი დღეს რეალური პოლიტიკის მიღმა აღმოჩნდნენ.

17470. წარსულის ბევრი შემთხვევა დღეს ადვილად და იუმორის მოშველიებით მოსაყოლია, მაგრამ თავის დროზე მათი გადატანისას ბევრი სიმწარე ვიწვნიეთ.

17471. სიკეთე თეორიულად ყოველთვის მოდაშია, მიუხედავად იმისა, რომ უგვანობა არ ისპობა და არც თავის პოზიციებს თმობს.

17472. დაცემა-წამოდგომა, ფეხის წატეხვა-გამოძრომა, გაჭირვება-შებრალება, ასე და ამგვარად მიიზლაზნება ცხოვრება, შედეგად ცხოვრების ცოდნის დიპლომს მოიპოვებ, მაგრამ, როგორ გამოიყენებ, „ღმერთმა უწყის“.

17473. ზოგჯერ წინდაუხედავი და განუსჯელი პატიოსნებაც საჩოთირო ხდება.

17474. ზოგჯერ საკუთარ თავზე ძალიან უნდა გაბრაზდე, რომ ცხოვრება შენს გემოზე მოთოხნო და დაბარო.

17475. მოწოდება და სიყვარული მატერიალიზმსა და ურთიერთშერწყმას ემორჩილება, რადგან ცხოვრების და არსებობის საშუალება ერთხელ გვეძლევა ამქვეყნად.

17476. ცხოვრება განვითარების სხვადასხვა ეტაპისგან შედგება. მას არც თითი უნდა მოვუკაკვოთ და არც ზურგი ვაჩვენოთ. ეს ამქვეყნად ჩვენი ყოფის გაუმართლებლობა იქნებოდა.

17477. წლების მატებისადმი დამოკიდებულება უმთავრესია ცხოვრების ცვალებადობაზე, განსაკუთრებით, როდესაც ვნებიანი სურვილები ქრება და მიზანდასახულობა კნინდება.

17478. იყოთ რაღაცაზე და ვიღაცაზე დამოკიდებული, ეს საშინელებაა, მაგრამ ამ საშინელების აღქმას წინხედვა, შენი შესაძლებლობების გათვალისწინება სჭირდება.

17479. ცხოვრების ზვირთების, შტორმების გაძლება ყველა ჩვენგანის ვალია.

17480. ცხოვრება სხვათა შეცდომების გამოსასწორებლად დროს, ნიჭს, საშუალებას იძლევა.

17481. კანონი, ბრძანება მაშინვე უნდა დაირღვეს, თუ გარკვეული საქმის კეთებას ხელს უშლის, მაგრამ ამ დარღვევით კანონის უზენაესობის იდეას ზიანი არ უნდა მივაყენოთ.

17482. წესით, ოპოზიცია პოზიციის მთავარი და პატიოსანი პარტნიორი უნდა იყოს, რათა მათი დაპირისპირებით ქვეყანამ სამომავლოდ იხეიროს.

17483. პირად სიკეთეზე ზრუნვა საბოლოო შედეგს არ მოიტანს, თუ სხვათა ინტერესებსაც არ ვცნობთ.

17484. ყველა მზაკვრობაზე მოინახება ის პატარა და შეუმჩნეველი კანონიერი ეშმაკობები, რომლებიც ამ მზაკვრობას ცხვირსაც მოამტვრევს და ყურსაც ჩამოახევს.

17485. სულ წმინდანად ჩვენმა მტერმა იცხოვროს. მაშინ საზოგადოება ვერ განვითარდება და ერთ დონეზე დარჩება.

17486. ცხოვრება ყველა დაინტერესებას კანონიერად ცნობს, ოღონდ სხვადასხვა ინტერესის ერთმანეთთან შეჯერებით.

17487. ზოგჯერ რისკიც პარტნიორად უნდა გავიხადოთ, თუ რაიმე

სერიოზულის მიღწევას ვაპირებთ.

17488. სანამდის რასმე მიაღწევდე ცხოვრებაში, ქომაგი ბევრი გყავს, მიაღწევ და მოშურნენი და დამყვედრებლები გიმრავლდებიან.

17489. დაუფიქრებლად, განუსჯელად საქმის წამოწყება სასურველ შედეგს იშვიათად იძლევა, იმის მიუხედავად, რომ ცხოვრების ლატარიის ბილეთის მოგების იმედი ყველას სულში გვიღიტინებს.

17490. ცხოვრება რისკია, ხოლო, ვინც ყოფის ალგორითმებს არ გაითავისებს, მისთვის ამქვეყნად ყოფნა მძიმე ტვირთია.

17491. ცხოვრების დონე შესაძლებლობებითაა შეპირობებული და ქონების სამართლიან გადანაწილებაზეცაა დამოკიდებული. პოლიტიკოსთა ყბედობას აქ იგივე როლი აკისრია, რაც ბელურას, რომელიც მძიმე საოკეანო ხომალდის თოკზე ჩამოჯდება და „ამძიმებს“ გემს, ხოლო გაფრენისას „ამსუბუქებს“.

17492. ყველაზე დიდი გარანტი უკეთ ცხოვრებისა არის ცოდნა-გამოცდილება, იმისდა მიუხედავად, სჭირდება დღევანდელობას თუ არა.

17493. ხშირად იმას ვხედავთ და განვიცდით, რაც ჩვენ გვინდა და გვჯერა. აქ დამნაშავეა ჩვენი ცნობიერების გაჯეჯილების სურვილი.

17494. პოლიტიკოსებს ხშირად ადარებენ იგავ-არაკების ცხოველებსა და ფრინველებს. ამით მიანიშნებენ მათს უარყოფით როლზე.

17495. მოსწრებულ სიტყვა-პასუხს ხშირად უხერხული მდგომარეობიდან გამოვყავართ ურთიერთდაპირისპირებისა და ფიზიკური ძალის გამოყენების გარეშე.

17496. წარსულს არ ვივიწყებთ, თუ საჭიროა, გამამართლებელ საბუთსაც ვუძებნით და აღვფრთოვანდებით. ასე რომ, ჩვენი მცდელობის მიუხედავად, წარსულს კუდით ქვას ვერ ასროლინებ.

17497. ხმასაყოლილი მოსახლეობა მოჭარბებული ამბიციებით ცხოვრობს და დაფიქრება, აზროვნება, წინდახედულება აღარ აინტერესებს.

17498. საიდუმლოს არსებობაში დარწმუნება ადვილია, მაგრამ მისი ამოხსნა ვერავის არწმუნებს.

17499. კაცობრიობამ ამ ორ-სამ საუკუნეში რომ იმდენი ცოდნა დააგროვოს, რაც უკვე დაგროვილია, სასწაულების კასკადის შემსწრე იქნება ჩვენი მომდევნო თაობა. ახლა ის წარმოვიდგინოთ, კიდევ რამდენი გენიოსი მოევლინება დედამიწას ამ მცირე ხნის განმავლობაში.

17500. „გმადლობთ“ – ჯადოსნური სიტყვაა, თუ მასში საყვედურის და დანანების ნოტები არ ჟღერს.

17501. ამქვეყნად ყოველივე დაბრუნებადია, ყავლგასულობის გარდა.

17502. ყველა ჩვენგანს რაღაც მისია აკისრია ამ სამყაროში და ამის შეცნობა ყველაზე ძნელი და მომხიბლავია.

17503. სიცარიელის აღქმასაც თავისებური გამოცდილება სჭირდება.

17504. ბრბოს აზრს – არა, ხალხის სურვილებს – თავშეკავება, პიროვნებების მცდელობებს კი მივცეთ ფართო ასპარეზი და მწვანე შუქი.

17505. იმედი სიამოვნებას გვმატებს, უიმედობა – შემართებას და შედეგად ორივე ცხოვრების აწყობაში გვეხმარება.

17506. ცხოვრება თავისებური თამაშია, ოღონდ სათამაშოების გამოუყენებლად.

17507. იმის შეცნობას, თუ ვინ ხარ, ხშირად გონებრივი სარგებელი მოაქვს და ცხოვრების სწორად წარმართვაში გვეხმარება.

17508. ნდობა – არ ნდობის საკითხს ხშირად ცხოვრების წესი გადაწყვეტს.

+17509. ცხოვრების წესი დაკავშირებულია ტექნიკურ პროგრესთან, რომელიც სიკეთის მომტანი მოძალადეა.

17510. ცხოვრებას აზრი და ფორმა თავადვე უნდა მივცეთ, რათა შემდგომში ყოფის სადავეებით მართვა არ გაგვიჭირდეს.

17511. რწმენის უქონლად ცხოვრების მადლისა და აზრის შეცნობა ჭირს.

17512. მთავარია, ცხოვრება შემობრუნდეს შენკენ, თორემ შენ უკვე დიდი ხანია ხარ მისკენ შებრუნებული.

17513. შური უკვდავია, მრავალმხრივია, მუდმივია, განუსჯელია, რადგან უმისოდ კაცობრიობის განვითარება შეფერხდებოდა.

17514. სხვისთვის რომ იცხოვროთ, ის უზომოდ უნდა გიყვარდეთ და მის მიმართ მოვალეობას გრძნობდეთ.

17515. ჩვენი სიცოცხლე ერთი პატარა წერტილია, დროდადრო რომ ახერხებს გონით მთელი სამყარო მოიაროს და აზრი შესძინოს მას.

17516. მტერს უნდა ველაპარაკოთ, წავუმლიქვნელოთ, სანთელი ავუნთოთ იმდაგვარად, რომ მას ჩვენთან მოლაპარაკების სურვილი კი არ დაეკარგოს, არამედ აღეძრას. ასე უნდა გამოვტყუოთ სასურველი შედეგი.

17517. ცხოვრება თამაში არ არის, მაგრამ შემოქმედი გართობასაც ახერხებს და დასახულ მიზანსაც უდრტვინველად აღწევს.

17518. ცხოვრება ყოველივეს განსჯის, დასასჯელს საჭიროებისამებრ დასჯის და გზას უჩვენებს ჩვენს ბედს დროის სათანადოდ აღქმის შესატყვისად.

17519. ცხოვრებაში მიმართულების აღებაა ძნელი და არა თავად ცხოვრების ორომტრიალში ყოფნა.

17520. კოსმოპოლიტსაც ეროვნება აქვს საწყისად, თუ თავად რომელი ეროვნების წარმომადგენელია, ხოლო საწყისის არცოდნა და

უგულებელყოფა საქმეს არ რგებს.

17521. ცხოვრების სხვადასხვა მოვლენის შეჯერებით დაღლილი ოპტიმისტი ზოგჯერ თავს იმშვიდებს, რადგან მან თავისი საბრძოლო სულისკვეთება უკვე დაკარგა.

17522. დროულად ფეხზე წამოდგომაა ყურადღების მისაქცევი და უმთავრესი და არა უნებლიეთ დაცემა, რადგან ეს უკანასკნელი გაუთვალისწინებელი შემთხვევის „წყალობაა“ და დროებითი ამბავია.

17523. ყველას თავისი სიმართლე გვაქვს, რადგან ის ჩვენია და განსჯისთვის არ გვემეტება.

17524. სიტყვას დამარცხებაც შეუძლია, გამარჯვებაც და უკუქცეულის მოტრიალებაც, თუ მასში სიყვარულთან ერთად მოვალეობაცაა შერწყმული.

17525. ყველა არც სანდოა და არც შეყვარების ღირსი, რაც უნდა კაცთმოყვარეობის იდეას ავითარებდეს სიტყვიერად.

17526. ცხოვრება მზეცაა და ღრუბელიც, დანდობაცა და ღალატიც, მაღლა სვლაცაა და დაცემაც, სხვანაირად მის მადლს ვერც შევიცნობთ და ჩავწვდებით.

17527. ჩვენი არჩეული გზა ხშირად მახეში გვაბამს, მაგრამ უნდა გავუძლოთ, რადგან ესეც ცხოვრებაა თავისი უცნაური კაპრიზებით.

17528. ხშირად ჩვენ ურთიერთობის დასამყარებლად არ ვიღვწით, უბრალოდ, ერთად გვიწევს ცხოვრება.

17529. სიკვდილი საშიშია, სანამდის ცხოვრება გვიხარია, ხოლო, როდესაც ვბერდებით, მას უდრტვინველად ველოდებით.

17530. ცხოვრება, ყოფა არ ვითარდება ლოგიკის შესატყვისად. ის უფრო ლობისტების ძალას სცემს პატივს.

17531. წარსულით არ ცხოვრობენ, მაგრამ ხარობენ, რადგან ის მარად მომავალზე ფიქრით მოიაზრება.

17532. რისკიანი ცხოვრება გამოცდილებას გვმატებს, ხოლო გაუბედავი ცხოვრება ყოფისადმი შემართების უქონლობისა და უცოდინარობის ბრალია.

17533. ცხოვრება უპირველეს ყოვლისა აზროვნებაა, გრძნობათა ჭიდილია, გამოცდილების დაგროვებაა, ნეტარებისკენ სწრაფვაა, სიყვარულის დაგროვებაა.

17534. ცხოვრებასთან ზავის დადება გონიერების ზეიმია.

17535. ცხოვრების სისასტიკე ასატანია, თუ შინაგანად კაცურად ცხოვრობთ.

17536. თუ გულს ვერ უბრძანებ, სულს ვერ შეუძახებ, თავში ჭკუას ვერ შეუშვებ, შედეგად გრჩება ცხოვრება, ამოუხსნელი, უყაირათო და ნაცრისფერი.

17537. ცხოვრებაზე, ყოფაზე შეტევა მარადიულია, შიგადაშიგ გუ-

ლისხმობს იერიშის შენელებას, შესუსტებას, რაც იწვევს ცხოვრების ტემპორიტმის ცვლას.

17538. სიკეთე სიკეთითვე ითხოვს პასუხის გაცემას როგორც მტრების, ასევე მოყვრებისგან.

17539. დაგეგმილ ცხოვრებას რა სჯობს, თუ ბედი გწყალობს და შემთხვევა კვანტს არ გიდებს.

17540. მარხვა ხორციელზე სულიერების თავდასხმის ერთ-ერთი საშუალებაა, რადგან სულიერების წარმოჩენასაც ჯანმრთელი ცხოვრება და გამოზომილი კვება სჭირდება.

+17541. ჩვენი არსებობა ყოფის მრავალ პიესაზე მეტია, მაგრამ ცხოვრების ერთ რომანზე ნაკლებია.

17542. ზოგჯერ ცხოვრება ყავლგასული საშინელებაა, რომელიც ჩვენი ყოფის მნიშვნელოვან მომენტებს ხოცავს და აფერმკრთალებს. იგი თანდათანობით უარესდება და ყოველდღიურობაში გადადის.

+17543. სიბერე ყველაზე დიდი სიმდიდრეა, რომელიც ამოღებულია მოგონებათა სკივრიდან.

17544. თანდათანობით და მოთმინებით ასრულებული ოცნებათა ნაწილიც კი ცხოვრებას გვილამაზებს და გვიხალისებს.

17545. სხვათა შეცდომების გამოსასწორებლად შრომა უმადური საქმეა, მაგრამ მისასალმებელი და მისაღებია.

17546. ძნელია იმდაგვარად იცხოვრო, რომ არავის მიმართ ცუდი არ იფიქრო და არავისზე გაბრაზებული არ დარჩე.

17547. მთელი ცხოვრება ვევაჭრებით, ვეჭიდავებით ერთმანეთს და ჯერჯერობით ვერც საკუთარი თავის მოსყიდვა შევძელით და ვერც სხვათა ჭკუის საჩვენოდ გამოყენება.

17548. ვეცადოთ, ცხოვრების ყოველი ახალი ეტაპი თანამედროვე მიზნებით დავტვირთოთ, ოცნებებით აღვიჭურვოთ. ეს წინსვლის კარგი სტიმულია და ცხოვრების გაუმჯობესებაში გამოგვადგება.

17549. ნდობის, იმედის, ოცნების ბოლომდე დაკარგვა სინამდვილეში სიცოცხლეზე ხელის აღების ტოლფასია.

17550. ჩვენს ურთიერთობას ხშირად იმ ბედს ვაბრალებთ. რომელიც აქ არაფერ შუაშია. სინამდვილეში გამოცდილებამ ვერაფერი სახეირო ვერ გვასწავლა და არც სიკეთე მოგვიტანა.

17551. მიწიერი ცხოვრება თუ, ჩვენი სურვილის მიუხედავად, დიდხანს არ გრძელდება, სამაგიეროდ, იმქვეყნად ცხოვრებაა სამუდამო და თავგადასავლებით აღსავსე. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გულის კუნჭულში დამალულ ოცნებაში ასეა წარმოდგენილი.

17552. სხვათა ზღაპრებით ცხოვრება აღფრთოვანებას იწვევს, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ის ჩვენი არ არის.

17553. ცხოვრების ასაწყობად იმის ცოდნაა საჭირო, თუ რა გზები

დავსახოთ, რომ ფეხზე წამოვდგეთ, ამაყად ვიაროთ.

17554. ჩვენ ფაქტობრივად ყველანი ჰაერში ვცხოვრობთ და დავ-ფრინავთ, უბრალოდ, ამქვეყნად ვემზადებით იმქვეყნად გასაფრენად.

17555. მთელი ცხოვრება ისე განვლო, რომ ერთხელაც არ ჩაიძირო, თითქმის შეუძლებელია, მაგრამ, რადგან ჩაყვინთვა ცხოვრებას უკეთ გვასწავლის, შიგადაშიგ დასაშვებია.

17556. ზოგი მთელი ცხოვრება თავისი მხსნელი ბედის გაღიმებას ელოდება, ხელის განძრევა არ უნდა და სიცოცხლის ბოლომდის ბედუკუღმართად რჩება.

17557. ყველა ჩვენგანის საუკეთესო გამოსავალი ასეთია: იწამე, რომ ბედნიერი ხარ.

17558. ცხოვრების სხვაგვარი ხედვა აბსურდი კი არ არის, არამედ სიახლე, რადგან მასში, შესაძლოა, საკმაოდ სასარგებლო იდეა იდოს.

+17559. სიცოცხლე იმისთვის ღირს, რომ უყვარდეთ; იმისთვის ღირს, რომ უცადოთ და იმისათვისაც, რომ ახსოვდეთ.

17560. გარეთ გამოტანილი ყველა ჩვენი ნააზრევი, შეიძლება, კრიტიკის ქარ-ცეცხლში არ გაატარონ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ყველასთვის მისაღებია.

17561. თუ გვინდა უკეთ ვიცხოვროთ და არა მხოლოდ ვიარსებოთ, არ დაიჯეროთ, რომ ეს ცხოვრება, დრო და გარემო ჩვენი შესატყვისია და უკეთესი არ გვეკუთვნის.

17562. ვისაც ცუდად ახსოვს თავისი წარსული, ის მომავლის განსასჯელად მოუმზადებელია.

17563. საცდუნებელზე უარის თქმა სიკეთის, ნებისყოფის გამომუშავების გარანტია.

17564. სიყვარულსა, პატივისცემასა და მოწონებას შორის ზღვრის დადება შესაძლებელია, მაგრამ მათი შერწყმის საბოლოო შედეგი მაინც გამოუცნობია.

17565. ზოგჯერ უჟმური ხასიათის გამო საკუთარ თავს ყველაზე მეტად ურთულებთ ცხოვრებას.

17566. რეალურად წარმატებულნი თუ ვართ, მაშინ შინაგანადაც ბედნიერნი უნდა ვიყოთ.

17567. „ნაცარქექიობის“ თანდაყოლილი ნიჭისა და უნარის შიგადაშიგ ოსტატურად გამომჟღავნება ცხოვრების ლელოს ბოლომდის გასატანად არ კმარა.

17568. ყველა უშედეგო გასეირნება გონიერებიდან ცნობიერებამდის სიკეთის კეთებისთვის ზურგის ჩვენების ტოლფასია.

17569. ყველა სახის შემოქმედება შედეგს იძლევა, თუ მას ხელს შევუწყობთ და ყურად ვიღებთ.

17570. როდესაც გარემო პირობები მიუღებელია საქმის საკეთებ-

ლად, ამაში გამოწვევა უნდა დავინახოთ და არა მხოლოდ დაბრკოლება და ბედის ირონია.

17571. ცხოვრება ლატარიის ბილეთის შეძენას მოგვაგონებს, როცა სასურველ და სათაყვანებელ ქალს გაიცნობ და მასზე დაქორწინებით დიდი პერსპექტივა მოგეცემა.

17572. ნდობის მოპოვება ძნელია, მაგრამ მისი დაკარგვა ჩვენთვის გაუცნობიერებელი გრძნობების მოჭარბებას იწვევს.

17573. განზრახულობით ცხოვრება მისასალმებელია, იმისდა მიუხედავად, კარგად შემოტრიალდება საქმე თუ ცუდად.

17574. სხვათა იმედით ცხოვრება სანდო არ არის, უკეთესია, თუ საკუთარ ფეხზე იდგები.

17575. მე ცხოვრებაში კლასიკური ქცევა-ქმედების მომხრე ვარ, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ იმპროვიზაციის გარეშე საზოგადოება ვერ განვითარდება. მაინც ვაცხადებ: კლასიკა ყოველგვარ შემოტევას უძლებს და არ იკარგება.

17576. ამქვეყნად უმიზეზოდ არც არაფერი ხდება, არც არაფერი ჩნდება და არც არაფერი იკარგება. ყოფიერების ეს კანონზომიერება ყველამ უნდა გავითვალისწინოთ და გავითავისოთ.

17577. ცხოვრება მოულოდნელობით არის აღსავსე და მისი წინასწარი შეცნობა, თუკი დროულად მოვახერხებთ და უმტკივნეულოდ მოვაგვარებთ, უკეთესია.

17578. თუ ურთიერთობას არ ვისწავლით დებეტ-კრედიტით და გონივრული დათმობა-მოთხოვნებით, ცხოვრებაც გაგვიჭირდება და მეგობრების შენარჩუნებაც.

17579. ცხოვრება საკუთარ გაუტანლობასა, ეგოიზმსა, მოკლე მეხსიერებასთან კომერციული გარიგებაა.

17580. ოცნებისა და ფილოსოფოსობის ნება ყველასა გვაქვს, მაგრამ შესრულებული საქმის ხარისხი და მნიშვნელობა ცხოვრებამ უნდა დაადგინოს.

17581. უაზრო მიზნებს ოცნებები ვერ შველის. ამიტომაც დროულად უნდა ვეცადოთ ჩვენი ადგილის მოძებნა-დაკავებას, რათა ცხოვრება არ გავირთულოთ და მისი მადლი შევიცნოთ.

17582. რწმენა იმისა, რომ ცხოვრების წკიპურტებს ადრე თუ გვიან ყველა იწვნევს, სიცოცხლეს ხალისს და მადლს მატებს.

17583. სიმართლის თქმასაც ვაჟკაცობა უნდა, დაურიდებლობა და გონიერება.

17584. გმირები დღესაც ჩვენ გვერდით ცხოვრობენ. მათ წარმოჩენას დრო სჭირდება და სათანადო ვითარება.

17585. სიზარმაცე და უსაქმურობა გაუბედავს და უნიათოს გვხდის.

17586. ყველა ქალაქი, სოფელი უნდა ცდილობდეს, რომ ისტორი-

ისთვის დასამახსოვრებელი შვილები აღზარდოს, მაგრამ არა იმ დონის, რომ ქალაქს, რაიონს, სოფელს მათი სახელი დაარქვან – ესეც წინაპართა წინაშე გამოჩენილი უმადურების ტოლფასია. მხოლოდ ახალ ქუჩებს, მოედნებს, კვლევით ორგანიზაციებს უნდა დავარქვათ ღირსეულის სახელი.

17587. მხოლოდ ტემპერამენტზე დაყრდნობით ცხოვრება საზარალოა, რადგან ჩვენს ცნობიერებას ამახინჯებს.

17588. საქმიანობას თუ ყველას დაუფასებთ, ეს სამართლიანიცაა და საერთო პრობლემებთანაც ნაკლებად მოგვიხდება შებმა.

17589. ქვეყნის და ხელისუფლების ყველაზე დიდი მტერი არშემდგარი, ამბიციური და ცხოვრების უვიცი ინტელიგენციაა, რომელმაც ვითომდა ყველაფერი იცის, ოღონდ საქმის გაკეთება არ ძალუძს.

17590. მიმიკა და ქმედება გვხდის მიმბაძველს, ხოლო, თუ ამას განსჯადი მეტყველებაც ემატება, ის უკვე ნანატრი ანგელოზია.

17591. ცხოვრება თავისი უცნაურობებით გვამახსოვრდება და გვაბნევს გარკვეულ დრომდე და გარკვეულ ვითარებაში.

17592. ცხოვრება ცვალებადია და არა ხალხის გართობისკენ მიდრეკილება, რომელიც უცვლელია.

17593. თავმოყვარეობა არც გაჭირვებას სცნობს, არც დარიდებას.

17594. ცხოვრება თავისებური ნადირობაა: ან იცდი, ან მოქმედებ და ოცნებობ.

17595. ტემპერამენტზე დაყრდნობით ცხოვრება ჩვენი ცნობიერების გაუფასურებას იწვევს.

17596. გონიერს მოსმენის უნარი აქვს, უგუნურს კი ეს უნარი წართმეული აქვს, რადგან ეს უკანასკნელი ავყიაობის და ცხოვრების ზერელედ დაფიქსირებისთვის არის მზად.

17597. უნდა ვეცადოთ, ცხოვრება სიამტკბილობით განვვლოთ და არა მარტო გამოსარჩენად და ფულის მოსახვეჭად.

17598. ზოგჯერ ნუგეშით ცხოვრება სიცოცხლის ელექსირად გვევლინება.

17599. გულუბრყვილობაც მემკვიდრეობითია, რომელიც ზოგჯერ ცხოვრების მადლის შეცნობაში ხელს გვიწყობს და გვახალისებს.

17600. ცხოვრება დესერტად რომ გვექცევა, აუცილებელია, ვიპოვოთ ჩვენი ადგილი ამ სამყაროში.

17601. საკუთარი თავი თავადვე უნდა გავითავისუფლოთ ჩამორჩენილი ტრადიციებისგან და დღეისთვის მიუღებელი ცხოვრების წესისგან, რათა დღევანდელობის მადლი შევიცნოთ და ყოველივე ასაკის მატებას არ დავაბრალოთ.

17602. ცხოვრება ერთგვარი გარყვნილებაა თავისი განუსჯელი გამოფხიზლებებითა და თავდავიწყებით.

17603. ცხოვრების ფარსის დროულად შემჩნევა ყველა ჩვენგანის უბედობაა.

17604. „ცოდვების ანატომიით“ ცხოვრება – ეს რეალურად იქნება თუ წარმოსახვით, მეტ-ნაკლებად ყველას გვიწევს.

17605. მოჭარბებულს, მათ შორის თავდაჯერებასაც, ყოფიერების პარამეტრები ხშირად „ბიშტს“ უჩვენებს.

17606. ზოგჯერ ფეხის წატეხვაც თავის წარმოჩენა-გამორჩენის საშუალებად იქცევა.

17607. თავად ცხოვრებაა სრულყოფილების მცდელობის სინონიმი და არა ამქვეყნად კაცის უაზროდ მოვლინება.

17608. ცხოვრების რაობის ამოკითხვის უნარი ბავშვობიდანვე უნდა დაგყვეთ, რადგან იგი განსაკუთრებული ნიჭია.

17609. ორი სიმართლე არსებობს, უმრავლესობისა და უმცირესობის. კანონი კი იმად არსებობს, რათა უმრავლესობამ უმცირესობაზე ყოველთვის არ იბატონოს.

17610. პასიური უკმაყოფილების გამოხატვის მცდელობა ცხოვრების რაობასთან შეუთავსებლობის ბრალია.

17611. ცხოვრების წარმართვას დაქირავებული ექსპერტი არ სჭირდება, ის დრომ და გარემომ უნდა შეაფასოს და გადააფასოს.

17612. აწმყოსი მეტნაკლებად ყველა უკმაყოფილოა, ხოლო მომავლის ამბავი საყველპუროდ გვაინტერესებს.

17613. თავმდაბლობა გადამდებია, თუ ის მოწონებასა და სიყვარულს იმსახურებს.

17614. გამოცდილება ყოველთვის როდი გვმოძღვრავს სათანადოდ, მაგრამ ჩვენში რაღაც მაინც იცვლება და უფრო საქმიანი ვხვდებით.

17615. თავმდაბლობას ხშირად სათანადოდ ვერ აფასებენ და ამას ზოგჯერ ზიანი მოაქვს.

17616. ზოგჯერ მარადიულზე ფიქრს გამოუსწორებელ შეცდომებამდე მივყავართ.

17617. წარსული ფაქტობრივად დღევანდელობის გამოძახილია, აწმყოში რომ თავს შეგვახსენებს.

17618. ქვეყნის პირველ პირს პატივს უნდა მიაგებდნენ და კიდეც უნდა უყვარდეთ. მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი, შემდგარ სახელმწიფოში ბედნიერი ცხოვრება.

17619. თაობათა ცვლა სამყაროს რაობის წარმომჩენია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამყარო მისი სასწაულების შეცნობის მსურველებს დაკარგავდა.

17620. გარეშეთა ზედმეტი მზრუნველობა ზოგჯერ შვილებს ხასიათის გამოვლენასა და თავის წარმოჩენაში გვარიანად უშლის ხელს.

17621. დაშინებასა და გაფრთხილებას შორის სხვაობა დიდია, იმის-

და მიუხედავად, რომ მათი საბოლოო შედეგის განჭვრეტაა ძნელი.

17622. ცხოვრებაში, ეტყობა, ყოველივეა შესაძლებელი, მათ შორის ბევრი ისეთიც, რომელთაც თეორიები შეუძლებლად მიიჩნევენ.

17623. ცოდნას თავისი ფასი აქვს, გამოცდილების მორგებას თავისი, მაგრამ მათ უერთმანეთოდ საქმის კეთება უჭირთ.

17624. დღევანდელ სამყაროში რწმენისა და დაძალების გარეშე სასურველი შედეგის მიღწევა ჭირს.

17625. წარსული ხშირად დასცინის მას, ვინც მის გამოცდილებას ალღოს ვერ უღებს და არ ითვალისწინებს.

+17626. აბსურდული ცხოვრება ჰგავს იმ ბეკეკას, დედა თხას ხან წინ რომ გაუსწრებს, ხან ჩამორჩება.

17627. ცხოვრებას ვერ გადადებ, უნდა იცხოვრო იმ დროში, რაც განგებამ შენთვის გამოიმეტა.

17628. ცხოვრებაში, ალბათ, ერთხელ მაინც გაგვიმართლებს და იმ ნანატრ დროს მზად უნდა შევხვდეთ.

17629. ეშმაკობა-მოხერხებულობის უქონლობა ნაკლია. იგი არ ისწავლება. ეს ნიჭი თან უნდა დაგყვეთ, რათა ცხოვრების ლელო მარჯვედ გაიტანოთ.

17630. ცხოვრების არსია მისი შეცნობა-გათავისება და არა საკუთარი ყოფის გაცნობა-მოწყობა.

17631. მთავარია, ცხოვრებაში ჩვენი გაგება დავნერგოთ, ხოლო მისი განსჯა-ათვისება დროის ყისმათს მივანდოთ.

17632. მშვიდობის ფასი ყველაზე უკეთ დამარცხების შემდგომ არის გასაგები.

17633. განსჯილი ცხოვრება უფრო დოკუმენტური ფილმია, ვიდრე – მხატვრული.

17634. მსხვერპლს ყოველთვის როდი მოაქვს სასურველი შედეგი, მიუხედავად წინასწარ გაკეთებული გათვლებისა.

17635. პატიოსნება პოლიტიკის ზეგავლენით განვლილი ცხოვრებიდან სათუო კადრებს არ ამოჭრის, არც გადააკეთებს, არც გამართლების ძიებას დაიწყებს.

17636. ცხოვრება გაცილებით მოსაწყენი იქნებოდა, მასში რომ ზოგჯერ თავქარიანობა არ ერეოდეს.

17637. შეიძლება ის „სოფელი“ მართლაც ცრუ და ამაოებაა, მაგრამ გალაღებულ სიცოცხლეს ამის შემჩნევა უჭირს.

17638. უდარდელი ცხოვრების მოწოდებაა, ხანდაზმულობის კაპრიზებს ბიშტი უჩვენოს.

17639. სასურველია, ცხოვრების მადლის შეცნობით ვიცხოვროთ, ვიღვაწოთ და არა მდიდრულად და სხვათა თვალის დავსების წადილით.

17640. მდიდრული ცხოვრებისთვის ხელის გამოკვრას დიდი დამ-

იზნება არ სჭირდება. აქ მთავარია საგანი მიზანში მარჯვედ ამოიღოთ და ყოფის სისხლეტს თითი დროულად გამოჰკრათ.

17641. მთავარია ცხოვრებასთან თამაში და არა ნაოცნებარი შედეგის მიღების ილუზიის შექმნა.

17642. შეცდომებს ყველანი ვუშვებთ, მაგრამ, თუ თქვენ მოყვასის გაგება გიჭირთ, მაშინ ვერც მის დადებით მხარეს აღიქვამთ.

17643. ამქვეყნიურ სამოთხეში ყოფნას ყველა ჩვენგანი ოცნებით მაინც ცდილობს.

17644. დღეს უინტერესოდ ცხოვრებას რიყეზე ფეხშიშველა სიარული ჰგავს.

17645. წყენისა და საყვედურების გარეშე ცხოვრების გავლა ჭირს და, შეიძლება, არცაა საჭირო, რადგან სხვაგვარად ამქვეყნად არსებული მადლის შეცნობა გაჭირდებოდა.

17646. წინააღმდეგობის გაწევის უნარს სიახლის შექმნის მიდრეკილება უჩნდება.

17647. კეთილშობილურ თვისებებს განსჯადი განცდები და ცხოვრებასთან დაპირისპირების შედეგად მოპოვებული გამოცდილება აყალიბებს.

17648. ყოველივე შედარებითია დროსა და გარემოს გათვალისწინებით.

17649. ურთიერთობის ფასის მცოდნესა და ყოფის მახვილად გამჭვრეტს ცხოვრება არ უჭირს.

17650. მშვიდობიანობის დამყარება ზოგჯერ მსხვერპლის გაღებას ითხოვს, რათა მომდევნო თაობებმა მშვიდად იცხოვრონ.

17651. თუ ზემდგომის დამოძღვრით ვიღვწით, მაშინ პასუხისმგებლობასაც ვაცნობიერებთ.

17652. რაღაცის მიმართ მოწონება და რწმენა ერთგულების უნარს გვიყალიბებს.

17653. გულწრფელობასაც თავისი ხიბლი აქვს და მის მოთხოვნებს გარკვეულწილად ვემორჩილებით კიდეც.

17654. ასაკოვანი, ხანდაზმული საინტერესო ცხოვრება ერთია, ხოლო უინტერესოდ სიცოცხლის გაწელვა მეორეა, მაგრამ ამ ქვეყნიდან წასვლა არც ამას სწადია, არც – იმას.

17655. ამბობენ: უდრტვინველი ცხოვრება ბედნიერებააო, მაგრამ არა ყოველთვის და არა ყველასთვის.

17656. თეორიულად გონივრულ და წინდახედულ ცხოვრებას რა სჯობს, მაგრამ პრაქტიკული ყოფა უფრო ნაღდია და ნარდის თამაშს მოგვაგონებს, ვიდრე ჭადრაკისას, რადგან სად, როდის დაჯდება შენი ბედის გადამწყვეტი კამათელი, არავინ უწყის.

17657. კაცთმოყვარე უნივერსალიზმი მარად კარგი ცხოვრებისკენ

გვიბიძგებს.

17658. ყველა ამომრჩეველს აქვს დედა ნატირები, თუ ღირსეული წინამძღოლის შერჩევის უნარი არ შესწევს.

17659. ამომრჩეველი ხმას ნებაყოფილობით იმას აძლევს, ვისი რიდი აქვს და არა შიში.

17660. ეტყობა, ჩვენს ხასიათსაც აქვს თავისი მინუსები, სხვაგვარად მისი მიმზიდველობის აღქმა გაჭირდებოდა.

17661. პესიმიზმში, შედეგის მიუხედავად, ოპტიმიზმი ყოველთვის სჭარბობს. უამისოდ კაცი თავს დაუფიქრებლად მოიკლავდა.

17662. ხელოვნებასა და სპორტს ყოველგვარი დაპირისპირების მოგვარება შეუძლიათ, თუ ამის „სურვილი იქნება“.

17663. თეორიულად ყველაფერი არ იყიდება, მაგრამ პრაქტიკულად ყოველივე გასაყიდი შეთავაზებული თანხის ოდენობაზეა დამოკიდებული.

17664. იმ ქვეყნის მოქალაქეობა დიდი ბედნიერებაა, რომლის წინაშე ვალდებული ხარ.

17665. მრავალშვილიანობის მიღწევა – დამყარება, იმდაგვარად, რომ ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ, ხელისუფლის გენიალობაზე მიანიშნებს.

+17666. ჯარიმების შემოღება აუცილებელია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს: ის გვწვრთნის როგორც ცხოველს და არა როგორც ადამიანს.

17667. კოლექტიურ ცხოვრებას სურვილთან ერთად გამოცდილებაც უნდა, ნიჭიც, მცდელობაც და დროისა და გარემოს შესატყვისი ბედიც.

17668. ცხოვრებაში სასიხარულო გზა ყველასათვის ერთია და შიგადაშიგ ამ გზიდან გადახვევის სურვილი ყოველთვის სასიკეთოდ როდი მთავრდება.

17669. სირცხვილი სულიერების მჭამელია, ხოლო შედეგად მიღებული ემოციები გონის მღრღნელია.

17670. თუ გონიერება ჭკუის ხუშტურებზე იმარჯვებს და სულიერება გარყვნისაგან თავს იცავს, მაშინ ქვეყნის საქმე წაღმა მიდის.

17671. მთავარია ცხოვრებაში იქ წარმოვჩნდეთ, სადაც ყველაზე მეტად ვჭირდებით ხალხს და მათ შორის საკუთარ მესაც.

17672. ოცნებობენ სიბნელეში, მოქმედებენ სინათლეში, ხოლო შედეგის განსჯისთვის გამოსადეგია ყველა დრო.

17673. ცხოვრებაში საკუთარი ადგილის მოპოვება ძნელია და არა სარფიანი საქმიანობა.

17674. საღი პატრიოტიზმი რგებს ქვეყნის რეგიონის ინტერესებს და არა ცარიელი პატრიოტიზმი და მკერდზე ხელების ბაგუნი.

17675. ბუნება უდიდესი შემოქმედია, თუ მის სწავლებას ალღოს

აღებ და თანდათანობით ჩაწვდები.

17676. იმიჯს დასასრული და დასაწყისი არ აქვს. იგი შეუმჩნევლად ყალიბდება.

17677. ურთიერთობის გასამყარებლად და საკუთარი პრეტენზიების დასათრგუნავად შეჩვევასაც დიდი როლი აკისრია.

17678. ცხოვრება სულიერ საზრდოსაც მოითხოვს, იმისდა მიუხედავად, მატერიალურად უზრუნველყოფილი ხართ თუ არა.

17679. ბოროტებას, გაუტანლობას, ეჭვს ჭკუის ფარად მომარჯვება უჭირთ.

17680. წარსულის იგნორირება და მომავლის გაურკვევლობა აწინდელ ცხოვრებას აფერხებს.

17681. გადაუმოწმებელი ინფორმაცია პოტენციური ჭორია. მისი ნდობა გადაუმოწმებელი სიბრიყვის მაჩვენებელია.

17682. გონიერს დუმილი უფრო უჭირს, ვიდრე უგუნურს არაკომპეტენტურობით თავის მოწონება, როდესაც საქმე საჭირბოროტო საკითხს ეხება.

17683. დათრგუნული ემოციები და კბილების გამოუჩენლად არსებობა ცხოვრებას უაზროს და მოჩვენებითს ხდის.

17684. ერთია კანონი, მეორეა ცხოვრება, მესამეა პერსპექტივა და ამ ჩამონათვალის შეჯერება ზოგჯერ ჩვენი ცნობიერების ნგრევას იწვევს.

17685. ინფორმირებული სამყარო მოჭარბებულმა სიცრუემ, ბოროტებამ, ვერაგობამ მოიცვა, რამაც დედამიწაზე შავი, ბნელი და ბოროტი ენერგიის დამკვიდრება გამოიწვია. ეგ კი გონებრივად გაურანდავი მოსახლეობის მომრავლების შედეგია. ეს დედამიწას როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად ამძიმებს.

+17686. ცუდისა და კარგის, ბოროტისა და კეთილის გარკვევას ზოგჯერ დიდი დრო და ჭკუა სჭირდება. დრო კი არის, ოღონდ ჭკუა ძნელი მოსაპოვებელია.

17687. გამოაშკარავებული შეცდომები და ცოდვები გამოსწორებადია, ფარულისაგან განსხვავებით.

17688. მეგობრობაში გაჩენილი ხინჯი ბოლომდის არ იკურნება. განაწყენებული მეხსიერება ამის საშუალებას არ იძლევა.

17689. განცხრომას, ტანჯვას, დაკარგვას, წარმავლობას ზოგადად ცხოვრება ჰქვია.

17690. ცხოვრება სულ ბრძოლაა, ჭიდილია, რომელსაც თავისი დარმატურგია აქვს ბედის ხშირი გაღიმება-მოღუშვის ხუმტურებით.

17691. ეცადეთ, იუმორით უყუროთ ცხოვრებას და ეს თქვენი გონის და ცნობიერებისთვის დასმულ კითხვებს ბევრ შეღავათს მისცემს, ამასთანავე, თანამოაზრეებსაც მოიზიდავს და ურთიერთობასაც უმტ-

კივნეულოდ ააწყობს.

17692. ზოგჯერ მთელი ცხოვრება ისე გაგვეპარება, რომ მისი მადლის და ეშხის შეცნობას ვეღარ ვასწრებთ.

17693. ვეცადოთ, ჩვენი ადგილი მოვიპოვოთ ცხოვრებაში, რათა შეცდომით სხვისი ადგილი არ დავიკავოთ, რომელიც, შესაძლოა ჩვენსაზე უარესიც კი აღმოჩნდეს.

17694. ყველა ჩვენგანი ღირსია, საინტერესო და სანატრელი ცხოვრებით იცხოვროს, მაგრამ, რამდენად ინდომებს ამას ჩვენი გენეტიკა, ბედი და დროის ყივილი, არავინ უწყის. დიახ, ამ ცხოვრებაში მარტოოდენ სურვილი არ კმარა.

17695. ცხოვრება არცერთ ასაკში არ მთავრდება, თუ სიცოცხლის არსს გავითავისებთ და გონივრულად მოვიხმართ.

17696. უსაქმურობა ყველა უბედურების დედაა და ყოველგვარი უნიათობის დედინაცვალი.

17697. ყველა ჩვენგანი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ ეს იმის საბაბს არ იძლევა, ერთმანეთს ვერ გავუგოთ.

17698. ცხოვრების მიმართულებები, პრინციპები, პროცესები იცვლება, მაგრამ თავად ადამიანის ბუნება და თანდაყოლილი გენი-ბუნება უცვლელი რჩება, იმისდა მიუხედავად, თანამედროვეობას მხარს უბამს თუ არა.

17699. წამხედურობით ცხოვრება ავადმყოფობაა და არა მარტო სურვილი და შური.

17700. აწმყოთი და მომავლით ცხოვრების არსი და ფასი ადამიანის შემოქმედებით უნარსა და ნიჭზეა დამყარებული.

17701. კლასიკის სიყვარული იმის გარანტიაა, რომ, სხვა თუ არაფერი, ცოდნა მაინც შეგრჩება ხელთ.

17702. საერთოდ ცხოვრება დიდი სიამოვნებაა, რომლის აღქმის უნარი ყველას როდი შესწევს.

17703. ინდივიდუალობის დაკარგვა საშინელებაა, რადგან საკუთარი თავის ავკარგიანობის შეცნობა გიქვეითდებათ და ხელის განძრევაც აღარ გეხალისებათ.

17704. ცხოვრების არსის აღქმა-შეცნობას მაშინ მოვახერხებთ, თუ სასარგებლოს სასიამოვნოსთან შევაწყვილებთ.

17705. სხვათა ყოფაზე ფიქრი-განსჯა ცხოვრებას გვიადვილებს, რადგან არ არის სხვათა ჭირი „ღობის ჩხირი“.

17706. ხალხს ცნობასა და ნდობას შორის განსხვავება უნდა ვასწავლოთ, თუ გვინდა, ყოფა არ გავირთულოთ.

17707. ორიგინალობა ჩვენი სიამაყისა და თავის წარმოჩენის თავისებური ხერხია.

17708. სიკვდილს ვერაფერს დავახვედრებთ, თორემ სიბერეს გა-

მოცდილება უნდა დავახვედროთ.

17709. ვიღაცის წუთიერ გაკვირვებას დიდძალი ცოდნა-გამოცდილება და თავის მოქაჩლება სჭირდება.

17710. ყველა ცდილობს, თავისი გაგებით იცხოვროს, რადგან მასში ჩარევა ჯეელობას ხიბლს აკარგვინებს.

17711. ყოფნა საჩოთიროცაა და დასაფასებელიც, მაგრამ ყოველივეს და ყველაფერს ვეჩვევით.

17712. ძლიერის უფლებას, ოღონდ არა მოვალეობას ყველა აღიარებს და არც ამით აკლდება ძლიერს ავტორიტეტი.

17713. თუ საქმე სასიკეთოდ დაიძრა, არც მეგობარი მოგაკლდება და არც ხოტბის შემსხმელი.

17714. ჩვენი პროფესიონალიზმის განსჯა და შეფასება დამკვეთის პრეროგატივაა.

17715. ზოგი თავად მიძვრება მიზანთან, ზოგიც თავადვე მიგვყავს და ხშირად ამ უკანასკნელს უკეთესი შედეგიც აქვს.

17716. ლიტონ არსებობას საქმიანი ცხოვრება სჯობს, მაგრამ ამაზე ხელი ყველას როდი მიუწვდება.

17717. ზოგჯერ სურვილებზე დაფიქრება სიხარულს გვანიჭებს.

17718. ცხოვრება ხშირად გამოცდას გვიწყობს ბედნიერებისა და უბედურების სახით და, როგორ გავართმევთ თავს ამ გამოცდებს, ჩვენს ვაჟკაცობასა და ცოდნაზეა დამოკიდებული.

17719. სიკეთის გავრცობის უცოდინარობა თავისებურ გაუგებრობას იწვევს.

17720. განცხრომა, ამაოებისკენ სწრაფვა არსებული სინამდვილისგან თავის დაღწევის ცდაა.

17721. სუფთა სინდისის შეგრძნება მშვიდი და ამაყი ცხოვრების უფლებას გვიტოვებს.

17722. ხარკს ჩვენგან ყველა იღებს, მათ შორის ჩვენზე მზრუნველი ბუნებაც, როცა საიმქვეყნო ბილეთს გამოგვიწერს.

17723. ყველაზე უკეთ და სარფიანად ჩვენი დასაჩუქრების უნარი ბუნებას შესწევს.

17724. ურთიერთგაგება, ურთიერთშერწყმა ერთნაირი მიზნის დასახვისა და განხორციელების საფუძველია.

17725. მომავალი ხშირად ბუნდოვნად გამოიყურება, იმდენად დიდია დროისა და შემთხვევის მიერ თავის მოგიჟიანების შესაძლებლობა.

17726. წინაპართა იდეებს მეტ-ნაკლებად ყველანი ვიზიარებთ.

17727. სხვათა მიბაძვით ცხოვრებას შემოქმედისთვის სიამოვნება არ მოაქვს.

17728. ზოგჯერ კარგი ცხოვრების ასაწყობად ჟინიც კმარა.

17729. სიტყვის სრული ძალა შეუცნობელია. ის, ვინც მის კაპრი-

ზებს ფლობს, მოწოდებით ლიდერი და დასამახსოვრებელია.

17730. ურთიერთობათა მტკიცე საძირკველი ქმნის თანასწორობის იდეას.

17731. ცხოვრების მიერ ყურის აწევა უნიათოთა საუკეთესო მასწავლებელია.

17732. არის შეძენილი და ტრადიციული გემოვნება, ხოლო მათი ათვისება ჩვენი ცხოვრების განვითარების დონეზეა დამოკიდებული.

+17733. კბილებამდე შეიარაღებული მშვიდობა ყველა ჩვენგანისთვის სანატრელია.

17734. ცხოვრება დროისა და განწყობის შესატყვისად მისთვის გასაგები ყოფის ხატვასა და შეღებვას მოითხოვს.

17735. აწმყო-მომავლის შერკინებას და წარსულის გახსენებას ვადა არ გასდის.

17736. სიკეთე რომ არ არსებობდეს, ცხოვრება თავის ფერსა და აზრს დაკარგავდა.

17737. ცხოვრება და მოგონება ოცნებით ფერადდება.

17738. ზოგჯერ ხვდები, მაგრამ არ ამჩნევ. ესეც შეთანხმების მიღწევის მცდელობაა.

17739. ხიბლი ერთია, გონიერება მეორეა, ქმედება მესამეა და ამათი შეჯერება გვაძლევს უფლებას, განვსაზღვროთ, ვის დავუახლოვდეთ, ვისთან ვიმეგობროთ.

17740. მოთმინების უნარიც თავისებური გონიერებაა. იგი თავის დროებით უგერგილობას დროთა განმავლობაში მაღალი შედეგების მიღწევით გამოასწორებს.

17741. შეცდომებზე მითითება დიდი განსჯის უნარსა და დელიკატობას მოითხოვს.

17742. წარსულით ცხოვრებას აწმყოს გათავისება უჭირს.

17743. სიბრძნე ცრუ და უგვანო განგაშისთვის მარად ყურის აწევას ითხოვს.

17744. უვიცობაზე უფრო საშიში ყალბი და არაკვალიფიციური ცოდნაა.

17745. საკუთარი ნაკლის შელამაზებისათვის ყველა ჩვენგანი მზად არის.

17746. სიკეთისა და ბოროტების განსჯისას ჩვენი ნამოქმედარი საუკეთესო არბიტრია.

17747. სიმართლით ცხოვრება საძირკველია კაცობრიობის მიერ წარმოჩენილი ყველა ღირსებისა.

17748. ზოგი თავის ნაოცნებარ ზღაპრებში ცხოვრობს და ამ ილუზიებს სიბერეშიც არ ეშვება.

17749. განუსჯელად დაკარგვაცა და მოპოვებაც სახიფათოა. ისევ

საშუალო და უდრტვინველი ცხოვრება სჯობს, ნაკლებად სანერვიულოა.

17750. საკუთარი გზის ძიება ყველაზე პერსპექტიული საქმეა.

17751. ცხოვრების განმავლობაში სიფხიზლის შენარჩუნება მოქიშპეთა დამსახურებაა.

17752. შეცდომის დაშვება შესაძლებელია და გასაგები, მაგრამ ის სიბრიყვის მაჩვენებელი არ უნდა იყოს.

17753. თეორიულად უეცრად გაჩენილი შანსის გამოყენება ადვილია, მაგრამ პრაქტიკულად მისთვის ხორცის შესხმა და შენარჩუნებაა ძნელი.

17754. ანგელოზები არ გვღალატობენ, განგება მუშტს არ გვიღერებს. აქ ჩვენი ყოფისთვის უმთავრესია თანადგომა, ურთიერთგაგება, უღალატობა, თუ გვინდა, ცხოვრება სიამტკბილობით გავატაროთ.

17755. ყველა ჩვენგანს მეტ-ნაკლებად თავში უქრის და სწორედ ესაა, ცხოვრებას რომ გვაყვარებს და რეალობისკენ შემოგვაბრუნებს.

17756. განგების კომპრომისებზე აწყობილი ცხოვრება მოსაწყენია და ზოგჯერ მიუღებელიც.

17757. ცხოვრებასა და დროს ფეხი ისე უნდა აუწყო, რომ ცხვირის მაღლა აწევის არც შეგრცხვეს და არც საზიანო იყოს.

17758. სიკეთესა და ბოროტებას, გაჭირვებასა და განსაცდელს განსაზღვრავს და განსჯის ჩვენი ცნობიერების შესაძლებლობანი და პიროვნების მორალური სიმტკიცე.

17759. ბავშვური შემართება სიბერეში არ უნდა დავაკნინოთ, რათა ცხოვრების მადლი ბოლომდე შევიგრძნოთ.

17760. სიმართლე ადრე თუ გვიან გამჟღავნდება, მაგრამ ხინჯი და წყენა ცილის წამებისა სამუდამოდ რჩება.

17761. მარტივი არ არის ცხოვრება, მაგრამ არც ისე აუტანელია, როგორც ზოგს, ყოფით დაჩმორებულს, ჰგონია.

17762. ზოგი იმდაგვარად უდგება ცხოვრების დადგენილ ნორმებს, რომ მისი ყოველი ქმედება „სოლომონ ბრძენის“ ნამოქმედარი ჰგონია.

17763. ზოგჯერ, დაღვინებისას, გიჩნდება სურვილი შენს გემოზე ცხოვრებისა, მაგრამ შემართების ნაკლებობის გამო ეს სულიერი ლტოლვა განუხორციელებელი გრჩება, ამასთანავე, ეს ასე ხდება ცხოვრების უცოდინარობის გამო.

17764. უკანალის ყოველგვარი თამაშის წინააღმდეგი ვარ როგორც სტრიპტიზბარში და პლაჟზე, ასევე ცხოვრებაში.

17765. ცხოვრების უმთავრესი არსია: ვეცადოთ, დასანახავი ბოლომდის დავინახოთ და უკანმოუხედავად ვიღვაწოთ.

17766. გაუსაძლისი ტკივილიც ასატანია, როდესაც სხვა გამოსავალი არ ჩანს.

17767. ცხოვრება გარეგნულად ეშმაკსა და ქაჯს არა ჰგავს, მაგრამ, თუ დასჭირდა, ზოგჯერ ჭკვიანებსაც გააცურებს და უკან ჩამოიტოვებს.

17768. სხვათა შეხედულებების მიხედვით ცხოვრება ყოველთვის როდია მისაღები, რადგან ჩვენს პიროვნებას აწბილებს.

17769. თანამედროვე შეიარაღების დემონსტრირება უფრო აშინებს მოწინააღმდეგეს, ვიდრე ფაქტობრივი სამხედრო შესაძლებლობა. ასევეა ცხოვრებაშიც: ზოგჯერ მოჩვენებითობა დიდი ძალაა.

17770. ვაჟკაცებად იბადებიან, ხოლო შერკინების ილეთებსა და უნარ-ჩვევებს იძენენ.

17771. გამოცდილება და ცოდნა მუქთად არ მოდის. ისინიც გაუცნობიერებელ დაბანდებას საჭიროებენ.

17772. უპირველეს ყოვლისა ერთგულება, კეთილდღეობა და ურთიერთგაგება ემსახურება მეგობრობას. შემდგომ მოდის სიყვარული.

17773. ჩვენი ამქვეყნად მოვლინების ძირითადი პოსტულატებია: გამრავლდი, იშრომე, ბოლომდის არავის ენდო, აკონტროლე საკუთარი თავი!

17774. კეთილგონიერებისადმი პატივის მიგება უკან გვიბრუნდება ორმაგი პატივით, ოღონდ არა ბუმერანგივით – მყისვე.

17775. გადალახულ დაბრკოლებათა ჯამი ჩვენი ცხოვრების ბრენდია.

17776. მიზანდასახული ცხოვრება თავისებურ სიამოვნებას გვანიჭებს.

17777. რაც უფრო მეტ გონივრულ საერთო ვალდებულებას ვიღებთ, მით უფრო ვუახლოვდებით და გვიყვარდება ერთმანეთი.

17778. ზოგი სიცოცხლის გახანგრძლივებას ძველი ცოდვების მოსანანიებლად ცდილობს, იმისდა მიუხედავად, ამ მცდელობას თავს მოაბამს თუ არა.

17779. სინათლეს თავისთავად გალამაზება არ სჭირდება, მაგრამ სხვათა წარმოსაჩენად მისი სხივების ნათება აუცილებელია.

17780. ცხოვრება სიკეთეს ეკეკლუცება და ეთვისება, რადგან გარეგნულად ბევრი აქვს საერთო.

17781. პატივის მიგებაა ისიც, თუ ცდილობ, შენი ცხოვრება ისევე მოაწყო, როგორც ააწყო იმან, ვის განვლილ ცხოვრებასაც ნიმუშად იღებ.

17782. ყოფის ჩარჩოებიდან გონივრულად ამოსვლა აუცილებელია, თუ გვინდა ჩვენი წილი ცხოვრების მადლი შევიცნოთ.

17783. ზოგჯერ ერთი შემთხვევა მთელს ჩვენს ცხოვრებას არყევს და სამუდამოდ გვამახსოვრდება.

+17784. ზოგჯერ ყურადღება ძვირფასი საჩუქრის ტოლფასია.

17785. ყველა ცხოვრობს ისე, როგორც იმსახურებს და განვლილი წლები სათანადოდ ამახსოვრდება.

17786. საინტერესო ყოფა გაქვს? გაქვს იმ შემთხვევაში, თუკიღა რჩეული გახდი ამ ცხოვრებისა.

17787. ხანგრძლივი სიცოცხლისთვის უმთავრესია ჯანმრთელობა და კარგი განწყობის უფლების მოპოვება.

17788. დამოკიდებული ცხოვრება ნამდვილად არა ღირს – სიცოცხლეს გემოს ვერ გაუგებთ.

17789. კურიოზი ჩვენი ცხოვრების გამახალისებელი ფენომენია.

17790. ვინც პირადი ცხოვრების მოწყობას არ ცდილობს, ის ვერც ქვეყნის რეალურ კეთოლდღეობაზე იზრუნებს და იღვაწებს.

17791. ცხოვრების მადლი სკანდირება-შეძახილების შესაძლებლობებითაც დგინდება.

17792. ცოდნაა ის, რისი გამოყენებაც რაციონალურად შეგიძლიათ, განათლებაა, რაც გასწავლეს და იმას აკეთებთ, ხოლო შემოქმედებაა, როდესაც ცოდნა-განათლებას შენს ჭკუაზე გადახარშავ და სათავისოდ კი, არ იყენებ, არამედ – საქვეყნოდ.

17793. ცხოვრებას და ყოფის სიყვარულს ზოგჯერ ფეხებზემკიდიაობა და განუსჯელი მხიარულება ახასიათებს.

17794. ტრაბახი ერთგვარი შურის მომცველია, როცა თანამეინახეს თავს გაუტოლებ და იმედი გექნება მისი კეთილგანწყობისა.

17795. ბრძენთან ურთიერთობა ხშირად სიამაყეს გვძენს, ვიდრე გონებრივ მოთხოვნებს გვიკმაყოფილებს.

17796. იდეალური და უღრუბლო ცხოვრება ზოგს იმდენად აბეზრებს თავს, რომ, რა მოიმოქმედოს ამ მოყირჭების თავიდან მოსაშორებლად, თავადაც არ უწყის, მაგრამ საბოლოოდ ბედნიერ ცხოვრებაზე ხელის აღება მაინც უჭირს და წინ იყურება.

17797. არც ისაა დამნაშავე, ვინც შეძლებულ ოჯახში დაიბადა და კეთილი საცხოვრებელი პირობები განაღდებული აქვს და არც ის, ვინც ღარიბი და უნიათო მშობლების შვილია. მართალია, მათი ცხოვრების საწყისი შესაძლებლობები განსხვავებულია, მაგრამ სოციალური წყობა, ბედის უცნაურობანი ამ შეუსაბამობას ანეიტრალებს და მათ ცხოვრების ფინიშზე მისასვლელად თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს.

17798. პატიოსნების სიდიადეს ზოგი ორჭოფულად აღიქვამს, თუ ის სათანადოდ არ ფასობს.

17799. თვალებზე ლიბრს სიყვარულიც გადაგვაფარებს, თუ სათანადო ცხოვრებისეულ გამოცდილებას არა ვფლობთ.

17800. მადლიერებას ორი მხარე აქვს – პლუსიც და მინუსიც, მაგრამ აქ უმთავრესია ტოლობაში ბოლოს რა გვრჩება დასამახსოვრებელი და ხელშესავლები.

17801. ცხოვრება მატერიის ყოფიერების ფორმაა, ურომლისოდაც ამ ყოფიერების მადლის შეცნობა გაძნელდებოდა.

17802. წარსულის შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ, მას რომ არ შევეხმიანოთ და დავივიწყოთ, არ ივარგებს, რადგან ის თავს ჩვენს მოსადუნებლად კი არ გვახსენებს, არამედ გასამხნევებლად და გამოსაფხიზლებლად.

17803. უსიურპრიზო ცხოვრება არ არსებობს და ესეც მისი თავისებურებაა, რათა კაცთა არსებობას მეტი პენი და მადლი შემატოს და ყოფაზე დაგვაფიქროს.

17804. საიდუმლოს საგანგებო მოვლა და მალვა სჭირდება, რათა არ გაბაზრდეს და ცხოვრებაში ვნება რამ არ შეგვამთხვიოს.

17805. ყველა ჩვენგანი ცდილობს, ცხოვრება ისე მოიწყოს, როგორც სურს და არა ისე, როგორც მის შესაძლებლობებს შეეფერება.

17806. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამას ვაღიარებთ თუ არა, სამშობლოს არჩევასაც მეტწილად კარიერა, ფული და დაფასება განაპირობებს.

17807. ცხოვრების გავლა სიყვარულითაც გვიხდება და უსიყვარულოდაც. მიუხედავად ამისა, ცხოვრების მადლის შეცნობას, ავად თუ კარგად, ყველა ვახერხებთ.

17808. ცისა და მყარის არსებობა კონტინენტის აღქმით უნდა შემოწმდეს, თორემ შეუმჩნეველი დარჩება.

17809. დროისა და გარემოს შეუგრძნებლად ცხოვრება ჭირს და სიცოცხლესაც საეჭვო ელფერი ედება.

17810. იდეალური ამ ცხოვრებაში არაფერია, მაგრამ ყველაზე მეტად მას საყოფაცხოვრებო საკითხებზე განუსჯელი გამოკიდება ვნებს.

17811. საკუთარ თავში ჩვენთვის საინტერესო რაღაცის პოვნა და აღმოჩენა შეიძლება, ოღონდ ამ დროს უნდა თავსაც ვარგოთ და არც სხვა დავაზარალოთ.

17812. ემოციებით ცხოვრება მისაღებია, მაგრამ საკუთარი თავის უკეთ შეცნობა და გონივრული გაკონტროლება უმჯობესია.

17813. ცხოვრებაში რომ წარმოჩნდე, სხვებზე უკეთ უნდა გაისარჯო, ხოლო, რომ შეგამჩნიონ, შენზე უკეთესი უნდა აკრიტიკო.

17814. უწარსულო ცხოვრება არ არსებობს, ხოლო მომავალზე დაუფიქრებლად ამქვეყნად ყოფნას კი ფასი დაკარგული აქვს.

17815. მოვალეობათა შინაგანი მოწოდებით გათავისება უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს.

17816. საკუთარ გონზე ამაღლება და ზემოდან გადმოხედვის უნარი ფილოსოფიაა.

17817. ზოგჯერ ცხოვრება იმასთან თანამშრომლობას გვასწავლის, ადრე რომ არ გვიყვარდა და გვეზარებოდა.

17818. შემთხვევითობა ზოგჯერ კანონზომიერების მშობელი დედაა.

17819. ჩვენი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები ამქვეყნიური სამოთხეა, რომელსაც ვერანაირი იმქვეყნიური ედემი ვერ შეედრება.

17820. სიკეთე და ბოროტება ერთმანეთის გვერდიგვერდ დადიან და იმდაგვარად იქცევიან, გეგონება, მეგობრები არიანო, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ბოროტება ნიშნს უგებს სიკეთეს კეთილ საქმეთა დაუფასებლობის გამო.

17821. ცხოვრება თავისებური ჭადრაკის თამაშია: სანამდის მოწინააღმდეგეზე უპირატესობას არ მოიპოვებ, „მატის“ ჩასმა ჭირს.

17822. აღზრდა ერთია, ყოფა და ცხოვრებისეული გამოცდილება მეორეა, და ამ უკანასკნელთ რაც უფრო მალე დავაჭაშნიკებთ, მით უფრო გაგვიადვილდება გონივრულად ცხოვრება.

17823. წარმატებისკენ სწრაფვა ის შეუცვლელი „პერპენტუუმ-მობილეა“, რომელიც ცხოვრების მადლს შეგვაცნობინებს.

17824. ომში წარმატების მიღწევა ერთპიროვნული ლიდერობითაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო მმართველობა ამის წინააღმდეგია. მას არ ესმის, რომ გარკვეული მსხვერპლის გაუღებლად წარმატება არ მიიღწევა.

17825. თუ განვლილ ცხოვრებას კითხვით ნიშნებს სიამოვნებით უსვამ, სამომავლოდ ჩაფიქრებული უთუოდ აგისრულდება.

17826. ცხოვრებაში ჩვენი მიმართულების მიმცემი რწმენაა და არა გონი.

17827. ნაძალადევი ერთგულებიდან ღალატამდე ნაბიჯია.

17828. გარემო, დრო, ტრადიციები აყალიბებენ და აღვინებენ ზნე-ჩვეულებებს, მისწრაფებებს.

17829. სხვადასხვა ცოდვისკენ მიდრეკილება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში უნდა აღმოვაჩინოთ, აღმოვფხვრათ, რათა ცხოვრება შედარებით უმტკვინეულოდ განვვლოთ.

17830. ცხოვრების თავიდან დაწყება თეორიულად ადვილია, პრაქტიკულად – ძნელი.

17831. კრიზისი უმთავრესად წინდაუხედაობის, უნიათობის, კაპრიზების შედეგია და მას გამართლება არ აქვს.

17832. კვერცხს არ შეუძლია მამლის წინაშე თავის მოწონება, სანამდის დედლად არ იქცევა და წიწილების გაზრდას ხელს არ მიჰყოფს.

17833. სიყვარული ერთია, თანაგრძნობა – მეორე, დახმარება – მესამე, დაოჯახება – მეოთხე, შვილების ყოლა – მეხუთე, ფულის შოვნა – მეექვსე, ცხოვრების ალღოს აღება მეშვიდეა, მეგობრების შერჩევა – მერვე, შვილიშვილებით თავის მოწონება მეცხრეა, ყოველივე ამის

გაგება და დაჯამებაა მეათე და მთავარი.

17834. ცხოვრება ყველგან და ყველაფერში გამოცდას გვიწყობს, იმისდა მიუხედავად, ჩვენ ამას ვამჩნევთ, ვიმსახურებთ, სურვილს გამოვთქვამთ თუ არა.

17835. რწმენა გონს ვერაფერს მატებს, მაგრამ იგი ცხოვრების მადლის შესაცნობად აუცილებელია.

17836. მომავალი თავისი ფანტაზიით წარსულის გაფეტიშებას შეეცდება. ეს უცნაური კანონზომიერებაა.

17837. ზარმაცი და წყალწაღებული მუშტისა და დიქტატის გამოუყენებლად ფეხზე წამოდგომას არ აპირებენ.

17838. ცხოვრებაში გეზის აღება გარემო პირობებზეა დამოკიდებული და არა მხოლოდ საკუთარ სურვილებზე.

17839. ცხოვრება მატერიალიზმის ანბანის უცოდნელად ვერ შედგება და მუდამ ხელმოცარულს გამყოფებთ.

17840. საკუთარი ნააზრევის გადაკითხვა გაცილებით მეტჯერ გვიხდება, ვიდრე სხვათა მოწონებული ნაჯაფისა, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩვენი ნაღვაწის წაკითხვა მეტ სიამოვნებას გვანიჭებს, ვიდრე – სხვათა.

17841. ჩვენი გრძნობების აკიდო ჩამოკიდებულია ვენახის იმ დაღვინებულ ლერწზე, რომელსაც ფრენის სურვილი ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია.

17842. ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც დროებით ერთგვარი ნიღბის მორგება გვიწევს, იმისდა მიუხედავად, ეს ჩვენს წინასწარ გათვლებს შეესატყვისება თუ არა.

17843. სიამაყის შიგადაშიგ ჩაურთველად, უკეთებლად, ცხოვრება არარაობად მოგვეჩვენებოდა.

17844. სიკეთე ის ცნებაა, რომლის ახსნასაც გონებასთან დიდი ჭიდილი და ჯახიჯუხი არ სჭირდება.

17845. იღბალი და უიღბლობა, წარმატება-წარუმატებლობა დროთა განმავლობაში სასწორის პინებივით აიწონ-დაიწონებიან.

17846. ხორკლიანი და თავისებური ბუნებრივად და საჭიროდ გადაიქცევა, თუ მას გონივრულად გავრანდავთ.

17847. უმიზნო, უაზრო ცხოვრება ხშირად გაუცნობიერებელი უბედურების მომასწავებელია.

17848. იმისათვის, რომ განსაკუთრებული რაღაც შექმნათ, დრო და განგებაც უნდა დაგეხმაროთ, მარტო ნიჭი და შემართება როდი კმარა.

17849. სიხარულსაც მადლის შეცნობა სჭირდება, რათა ის უნიჭო ბაქიბუქში არ გადაიზარდოს.

17850. ცხოვრება ზოგჯერ ძნელი ასატანია, ზოგჯერ ძნელად დასაკარგავიც, გააჩნია, რა დროს ვის რა ხუშტური შეგვიღიტინებს თავში.

+17851. ომი და მშვიდობა თანამოაზრენი არიან: ორივეს მოგება სჭირდება.

+17852. უპატიებლის პატიებისაგან განსხვავებით, საპატიებლის პატიება უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს.

17853. ყოველივეს შეცვლაზე ზრუნვა სისულელეა. მხოლოდ ის უნდა შევცვალოთ, რაც რეალურად საჭიროა და სიხარულს გვანიჭებს.

17854. ცხოვრებაც თავისებური სამსახურია, და აქ მოწოდებით საქმიანობა სიხარულს გვანიჭებს.

17855. სიბერეში ხვდები, რომ შენი მეამბოხე სულის დაოკება ყველაზე დიდი ბედნიერებაა და გარანტი უდრტვინველი ცხოვრებისა.

17856. თავშეკავება ყველა დროსა და გარემოში მისასალმებელია. დევალვაციას არ განიცდის.

17857. მძიმე დრო და გარემო ყველაზე მეტად მოითხოვს ცხოვრებისთვის ალღოს აღებას.

+17858. მასწავლებლობა ცხოვრების კარის ჩვენებაა, ხოლო მის გაღებას ნიჭი სჭირდება.

17859. პატიოსნება უპატიოსნოსთვისაც კი სიამოვნების მომგვრელია.

17860. საკუთარი თავის მიმართ უნდობლობა ყოველთვის დადებით შედეგს არ იძლევა.

17861. ცხოვრებას მხოლოდ ერთი მიმართულება აქვს: წინ სიარული.

17862. უპირველესად საკუთარი თავის მიმართ უნდა იყოთ მკაცრი, რათა მართებული ცხოვრების საფეხურზე ფეხი დროულად შევდგათ.

17863. ამქვეყნად ჩვენი მოვლინების ვალი ყველა ჩვენგანს დასაბრუნებელი აქვს.

17864. შინაარსიანად და დასამახსოვრებლად გატარებული ცხოვრების წლები ყოველგვარ სიმდიდრეზე მაღლა დგას.

17865. რაც განსჯადი და დასამახსოვრებელია, უნდა გავითავისოთ, ვინ იცის, მათი გახსენება რა დროს როგორ გამოგვადგება.

17866. შთამომავლის უყოლობა და გადაშენება დიდი ცოდვაა ორივე სქესისა, როგორც კაცობრიობის, ასე სამშობლოსა და გვარის წინაშე.

17867. ბევრი შვილის ყოლა ბედნიერებას გვანიჭებს, იმისდა მიუხედავად, გვაკმაყოფილებს მათი აღზრდა თუ არა.

17868. ყოფა, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებაში საყრდენი პუნქტის მოძიებაა.

17869. ფაქტობრივად რწმენა და შემართება განაპირობებს ჩვენს მენტალიტეტს.

17870. უსამართლო ძალა, ადრე თუ გვიან, მარცხდება.

17871. საკუთარი თავის კრიტიკა მისაღები და დასაფასებელია, თუ ამისი შინაგანი მოთხოვნილება გიჩნდებათ.

17872. ჯანსაღი კრიტიკა ჩვენი გონიერების გამონათებას უწყობს ხელს და სიკეთის ჩადენაში გვეხმარება.

17873. სიცოცხლეში ბევრი დაუმსახურებელი წყენის გადატანა გვიხდება, რასაც, ღვთის წყალობით, ხშირად თავს წარმატებით ვართმევთ.

17874. კეთილ საქმეთა გაფეტიშებისა არ უნდა შეგვრცხვეს. ვეცადოთ, ის ჩვენს ჩვევად, მოთხოვნად იქცეს.

17875. ვალდებულნი ვართ, ვეცადოთ საკუთარი ქვეყნის წარმოჩენას, რათა მასზე სხვებს სათუო შთაბეჭდილება არ შეექმნეთ.

17876. საიმედო საყრდენის მოძიება ყოველთვის ძნელია, თუმცა ერთობ საჭიროა, რათა მშვიდად და შინაარსიანად განვლო შენთვის განკუთნილი წლები, დღეები, წუთები.

17877. არის ბარიკადი, არის ყორე, ღობე. გააჩნია, ვის მხარეს გაგრიყავს ბედი და რა სახის ცხოვრების სურვილი გაწუხებს.

17878. ძლიერს სუსტი არ უყვარს, რადგან სუსტის ბუნება მისთვის გაუგებარი და მიუღებელია.

17879. მადლიერების განცდა ჩვენს სულიერებას ესალბუნება, ამდიდრებს და სიკეთის საკეთებლად განგვაწყობს.

17880. საკუთარი წარმომავლობის უყურადღებოდ დატოვება, შეუსწავლელობა, პირველ ყოვლისა, პატივის მიუგებლობაა საკუთარი თავის, მეობის, შთამომავლობისადმი.

17881. სამწუხაროდ, არალეგალური იდიოტებით არის სავსე სამყარო. მათ მშვიდი და დამჯდარი ცხოვრება არ მოსწონთ. ამასთანავე, თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ და, რა დამსახურებისათვის, თავადაც ხეირიანად ვერ გარკვეულან.

17882. უსაყვედუროდ და დაუყვედრებლად ცხოვრების გავლა ერთეულ ბედის რჩეულთა ხვედრია.

17883. უსიხარულო ცხოვრება დაუმთავრებელი პანაშვიდია.

17884. მნიშვნელოვანი წარსულისა და დასამახსოვრებელი მოვლენების უჩვენებლად მოგონებები ფასს კარგავს.

17885. სიბრძნე ჭკუა-გონების ნახლაფორთალის სხვებისთვის გაზიარებას მოითხოვს და ამითაც არის ის ღირსშესანიშნავი და ღირებული.

17886. ზოგჯერ განგება თავის რჩეულს ნიჭთან ერთად სიღატაკითაც აჯილდოებს, რათა ტვინთან ერთად ხელიც გაანძრიოს.

17887. მომავლის გენს ერთგვარი ურთიერთობა აქვს როგორც სიბრძნესთან, ასევე სიბრიყვესთან, რადგან მათი შერწყმა-დაპირისპირების გარეშე მას ცხოვრება არ ეპიტნავება.

17888. მოჩვენებითი ყოველივე მიუღებელია, აუტანელია, მათ შო-

რის, განათლება, ცოდნა და სიყვარული.

17889. სიდიადის მადლი რომ შეიცნო, შენც რაღაცას უნდა წარმოადგენდე.

17890. დალოცვილია ის, ვისაც საკუთარი საქმე უპოვარია და მას მთელი გულითა და სულით ემსახურება.

17891. განათლება, ტრადიციებისა და ურთიერთგაგების შესატყვისად, ყოველთვის მშვიდობიან და შემოქმედებით ცხოვრებას ამკვიდრებს.

+17892. უფლებას ძალა იძლევა, პასუხისმგებლობას – სინდისი.

17893. ცხოვრების მარადიული წესია სწრაფვა წინ.

17894. წარსულსა და მომავალს შორის მარჯვე შარაგზის მონახვა ყველა თაობას უჭირს.

17895. ცხოვრების გამოცდილების გალაწუნება ბევრს გვასწავლის, აზრზეც მოვყავართ, მაგრამ გარკვეული დრო და წლები მაინც დაკარგულია.

17896. სიცოცხლე ბრძოლა და საშინელებაა, როდესაც მასთან შერკინებაში მარცხდები და ბეჭებზე გაკრავს.

17897. ცხოვრება მოუკირწყლავი გრძელი გზაა და, მას როგორღა გავივლით, წინასწარ ჩვენმა ბედმაც არ უწყის.

17898. მარტოობა მძიმეა, წყვილად ყოფნა საინტერესოა, ხოლო ბედნიერება არის შვილიერება.

17899. ცხოვრება და ყოფა თავისებური შეთქმულებაა. მისი კარგად წარმართვა შეუძლებელია ცოდნისა და შემართების უქონლად.

17900. გაუნათლებლობაა რაღაცის გარეგნულად აღქმა და მის არსში ჩაუწვდომლობა. ზოგჯერ დანახული იმდენად აღგვაფრთოვანებს, რომ მისი გაცნობიერება და განსჯა გვიჭირს.

17901. უსასრულო და გაუცნობიერებელია ჩვენი სამყარო, მაგრამ ჩვენი მოწოდებაა მისი აღქმა, შეცნობა.

17902. ზოგჯერ ბიჭები ექიშპებიან ერთმანეთს იმ გოგონას გულის მოსაპოვებლად, რომელიც მათდამი გულგრილად არის განწყობილი, რაკიღა მისთვის უპირველესია კარიერული წინსვლა.

17903. დამსახურებული, სამართლიანი კეთილდღეობის მიღწევა ბედის საჩუქარი არაა და შინაგან კმაყოფილებას იწვევს.

17904. ზოგჯერ უცნაური გულმავიწყობა გვჩემდება: ცუდს ვივიწყებთ და კარგი გვახსენდება.

17905. უმანკოებას რა სჯობს, თუ ჩვენთვის მისაღები ცხოვრების მოწყობაში ხელს არ შეგვიშლის.

17906. ზოგჯერ მოჭარბებული, მათ შორის სიყვარულიც, ხელს გვიშლის ცხოვრების ჯეროვნად მოწყობაში.

17907. ძველი თაობის სურვილია, ახალმა თაობებმა უკეთ მართონ

ეს ქვეყანა და თავიანთი თავი, რათა, რაც მათ დააკლდათ, შთამომავალმა უკეთესი ცხოვრებით აინაზღაუროს.

17908. ცხოვრება იმ პერიოდშია პერსპექტიული, როდესაც სიცოცხლეს შევხარით და ამას ვერც ვგრძნობთ და ვერც ვაკონტროლებთ.

17909. ძნელია სიმართლის გზის პოვნა ცხოვრებაში, ხოლო უფრო ძნელია ამ გზაზე უმტკივნეულოდ გადაადგილება.

17910. შიშველ სიმართლეს სათანადოდ შეფუთვა სჭირდება, რათა ის მისაღები და მომხიბვლავი გახდეს ყველასთვის.

17911. ცხოვრება შინაგანი სიკეთისა და ჩვენი კაცობის გამომზეურების მცდელობა უნდა იყოს.

17912. წესიერებასა და წესრიგს რომ ხალხი მივაჩვიოთ, რათა ადამიანებმა თავიანთი ადგილი დაიკავონ ცხოვრებაში, დიქტატორის მოძიებაა საჭირო, რომლის პოვნა, როგორც ირკვევა, არც ისე ადვილი ყოფილა.

17913. რას ნიშნავს იცხოვრო სწორად? ეს გახლავთ მარადიული პრობლემა, რომელსაც ამაოდ არკვევს კაცობრიობა.

17914. ყველა ჩვენგანი მომავლით ვცხოვრობთ, ვარსებობთ, იმის მიუხედავად, რომ ბოლომდის არ ვართ დარწმუნებული მის სიკეთეში.

17915. გარემოცვა ზარალსაც გვაყენებს და სიკეთესაც გამოიმეტებს, გააჩნია, რა დროში, გარემოში და რა ხალხში ვცხოვრობთ.

17916. შრომის მოწოდებაა სიკეთის კეთება, ურთიერთგაგების უზრუნველყოფა და სიყვარულის დამკვიდრება.

17917. საზოგადოებისაგან განსხვავებით, ჩვენი პირადი ცხოვრება ერთი განუყოფელი მთლიანობა გახლავთ და არცთუ ისე ცუდი, თუ ჭკუით ვიმოქმედებთ.

17918. სხვათა შეხედულებებით ცხოვრება მონანიების ტოლფასია.

17919. საკუთრივ ცხოვრებას არავინ გვასწავლის. ის თავადვე უნდა ისწავლო და გაითავისო დროისა და გარემოს ყივილის შესატყვისად.

17920. ცხოვრებას უყვარს მოქმედება, კეთება და არა ოცნებებით დროის გაყვანა.

17921. სუფთა სინდისით ცხოვრებას რა სჯობს, მაგრამ მაშინ ხორციელი მოთხოვნილებებისათვის ფეხის აყოლა ძნელდება.

17922. ტრადიციებთან ბრძოლა გონიერს უჭირს, თუ მასში ძალა და ტექნიკური პროგრესის აშკარა უპირატესობა არ ჩაერევა.

17923. ცხოვრება სასიამოვნოა, თუ გატაცებები გაქვს, მაგრამ ეს გარკვეულ აკრძალვებს მოითხოვს.

17924. არსებულის და კუთვნილის დაფასება ბევრს უჭირს, რადგან ყველა უფრო მაღლისაკენ მიილტვის და იმედოვნებს, უკეთ იცხოვოს.

17925. ცხოვრების არსებული წესი განმსაზღვრელია საზოგადოებასა და გარეშეთა მიმართებით.

17926. პატიოსნებას თუ არტისტობის მიდრეკილება აქვს, ის ცხოვრებაში თავისას მიაღწევს.

17927. ზოგი მომავლის მიზანს ისახავს, ზოგიც დღევანდელობით ცხოვრობს და ორივენი ამ ყოფის კმაყოფილები არიან.

17928. ჩემთვის ჩემი რწმენა უპირველესია, შემდგომ მოდის განგებისა და ბედის ნება.

17929. ამბობენ, ცხოვრება ცირკიაო, მაგრამ ვინ ადგენს ამ თავსატეხს ან ჩვენ მასში რა სტატუსით ვმონაწილეობთ, ხშირად ჩვენთვის გაუგებარია.

17930. მოგონება დაფასება-შეფასებას ითხოვს. არადა ლამაზმანივით უყვარს თავის მორთვა, მოკაზმვა და შელამაზება.

17931. გართობის უნარის ქონა ცხოვრების მადლის შეხახვისთავების საშუალებაა.

17932. საქმის კეთება ყველას ერთნაირი გულმოდგინებით რომ შეგვძლებოდა, მაშინ არც გამორჩეული ადამიანები გვეყოლებოდა და ცხოვრების მადლიც შეუცნობელი დარჩებოდა. ასე რომ, ყოველივე კარგად მიჩნეულს ხალისი და აღმაფრენა არ მოაქვს.

17933. ღირსების, კულტურისა და განათლების შეუძენლად ჩვენი შეგნება და ცხოვრებაზე შეხედულება არ ვითარდება და ვერც განვითარდება.

17934. თუ რაიმეს მივაღწიეთ ცხოვრებაში, ხშირად ეს ჩვენი მოქიშპეების დამსახურება უფროა, ვიდრე სიკეთის მდომთა, რადგან პირველთან დაპირისპირება შემართებას, ჟინს გვმატებს, ხოლო მეორენი გვადუნებენ და მობილიზების სურვილს გვიკარგავენ.

17935. მე მესმის, რომ ზოგჯერ ცხოვრება სისულელეთა ჩადენას გვაიძულებს, მაგრამ აქ უმთავრესია, ურთიერთობა ბოლოს აბსურდამდე არ მივიყვანოთ.

17936. მასობრივად გაუნათლებელ და დაუსრულებელი ომებით დაჩმორებულ ქვეყნებში, ალბათ, პოტენციური ნიჭის მქონე პიროვნებები იბადებიან, მაგრამ ვერ წარმოჩნდებიან, რადგან გონიერების დაუფასებლობა, უცოდინარობა და სიღარიბე ნიჭიერს თავის წარმოჩენა-გამოჩენის საშუალებას არ აძლევს.

17937. ცხოვრება ურთიერთგაგებისა და ურთიერთმობეზრების ბალანსის შედეგია, ყოველგვარი გაყოფა-დაყოფის გარეშე.

17938. არის წარსული, რომელსაც ვერ ვივიწყებთ, არის უპერსპექტივო მომავალი, რომელსაც ბიშტს ვერ ვუჩვენებთ, რაც უნდა დიდი სურვილი გვქონდეს ასე. მიიზლაზნება ეს ცხოვრება.

17939. ცხოვრებას არ უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ გვერდზე უიმედოდ ჩაგვიქროლოს, რადგან ეს წლების უსახურად დაკარგვას ნიშნავს.

17940. ნამუსი ნამუსის შენახვასა და ნამუსიან ცხოვრებას ითხოვს და არა ნამუსზე ყბედობასა და თავის გამოდებას.

17941. ცხოვრებას უაზროდ და უმიზნოდ ჩავლის უფლება არ უნდა მიეცეთ, რადგან ეს უკადრისის კადრების ტოლფასია.

+17942. სიცოცხლის საშენებელ წლებს უმიზნო ცხოვრება აგურებს აცლის.

17943. ჩვენ ჩვენთვის მისაღები მორალი და შეხედულება გვაქვს ცხოვრებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა კანონი არ ირღვევა, მაგრამ კანონის „დახურდავება“ და შემოვლაც შესაძლებელია.

17944. შეცდომების დაუშვებლად ცხოვრება ძნელია, მაგრამ ეს შეცდომები მომაკვდინებელი არ უნდა იყოს არც შენი იმიჯისა და არც შენი გარემოცვისათვის.

17945. ოპტიმიზმი, უპირველეს ყოვლისა, სამყაროსადმი განსჯადი დამოკიდებულების მაჩვენებელია.

17946. საოჯახო ტრადიციებს ყოველთვის დადებითი აურა ახლავს და ამ წესებით ცხოვრება არც დიდ განსჯა-შემართებას მოითხოვს.

17947. ზოგჯერ ნანატრი მზერის დანახვა ჩვენი ცხოვრებისათვის თვალის ახელაა.

17948. ტალახის სროლა და დაბრუნება ადვილია, უტალახოდ ცხოვრებაა ზოგიერთისთვის ძნელი.

17949. სიბინძურეში ყველას გვირევია ხელი, მაგრამ ამისათვის ზურგი არავის შეუქცევია, რადგან სიბინძურესთან გარკვეული დოზით ურთიერთობა ჩვენი ცხოვრების ნაწილია.

17950. პრინციპებსაც თავისი ნეგატიური მხარე აქვს.

17951. ცხოვრებაში უხიაგობის დამალვა ძნელია, მაგრამ თვალების ახელა სასურველია, თუ ეს შესაძლებელია.

+17952. ზოგს ისეთი ბიოგრაფია აქვს, რომ ჯოჯოხეთში მოხვედრისა ეშინია, ხოლო სამოთხეში მოხვედრისა რცხვენია.

17953. სიკვდილის წინაშე შიშის შეგრძნება ერთეულ გონიერთა საქმეა, რომლებიც, შეიძლება, დიდი ნიჭით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ თავიანთი ფასი სხვებზე უკეთ მოეხსენებათ.

17954. რამდენი ცუდი და კარგი ამახსოვრდება ჩვენს მეხსიერებას ცხოვრების მანძილზე, არავინ უწყის. ასე რომ, ერთი ცუდის თუ კარგის დამატება სიბერეში ჩვენს ცნობიერებას გზას ვეღარ აურევს.

17955. როდესაც ბავშვი ცუდად იქცევა, მას მშობელი სჯის, ხოლო, როდესაც მშობელი იქცევა ცუდად, მას ცხოვრება ალიყურს აწნავს.

17956. ზოგჯერ ცხოვრება ისეთ სიბინძურეში ამოგაყოფინებს თავს, რომ იქიდან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

17957. ცხოვრებაში იმგვარად უნდა გადაადგილდე, რომ ავის მსურველმა შენს კვალს ვერ მიაგნოს.

17958. ცხოვრებაში უკან დაბრუნება ოცნებითაც არ უნდა ვცადოთ, მხოლოდ დღეგრძელობა და სრული წინსვლა, რათა დაღვინებულმა გონიერებამ შეიცნოს განვლილი ცხოვრების და მარადიული სიცოცხლის მადლი და არსი.

17959. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა არის თავისებური „ქიმია“, რომელიც დროდადრო სულიერ აფეთქებას იწვევს, უამისოდ კი ურთიერთობა გულგრილობას და გადაღლას იწვევს. ასე რომ, ცხოვრებას ჩვენთვის შეუცნობელი კანონები აქვს, რომელთაც უნდა დავემორჩილოთ.

17960. ჩვენს ცხოვრებაში შემოჭრის უფლება არავის აქვს, იგი იმდენად ინტიმური, პირადი და ხელშეუხებელია.

17961. ამქვეყნად გონის დაუსრულებელი ძიება ცხოვრების კაპრიზთა დაძლევას ემსახურება.

17962. შეიძლება, ჩვენთვის განკუთვნილი სამყაროს ნაწილის გადატრიალება, გადაქოთება ვერ შევძლოთ, მაგრამ მისთვის თავში ხელის წამორტყმა აუცილებელია, რათა ცხოვრებას სასურველი გეზი დავაჭერინოთ.

17963. რაკიღა გარკვეული საკითხებისა და მოვლენების ჩვენი პირადი აღქმა სუბიექტურია, ამიტომ შენთვის სასურველი მოვლენები სურვილისამებრ უნდა გაითავისო და საკუთარი თავის წინაშე მაინც მართალი იქნებით.

17964. ჩვენთვის განკუთვნილ წუთებს დროულად ალღო უნდა ავუღოთ, რათა ცხოვრება უნიჭოდ ხეტიალსა და უაზროდ ყოფნას არ გადავაყოლოთ.

17965. ვინც სიცოცხლეს ნერვიულად არ ებღაუჭება, ხშირად ის მეტხანს ცხოვრობს.

17966. თუ გინდა ცხოვრების მადლი შეიცნო, უნდა იცხოვრო მასში და წინააღმდეგობათა დაძლევას თავი არ უნდა აარიდო.

17967. ცხოვრებაში მთავარია, განგება რას გვიბოძებს და მერე უნდა ვიკითხოთ, ამ ნაბოძვარს ჩვენ როგორ განვკარგავთ და მოვიხმართ.

17968. გონიერება და ცხოვრების განსჯის უნარი ყოფის უსაფრთხოების გარანტიაა და არა ცხოვრების მადლის შეცნობისა.

17969. ყოფის წესია თუ ღმერთის ნება, ცხოვრებაში ყველას გარკვეული შანსი გვეძლევა ჩვენი გზის ასარჩევად და რას და როგორღა გამოვიყენებთ, ეს ჩვენს მისწრაფებაზე, უნარზეა დამოკიდებული.

17970. მშვიდობის დამყარებასაც მსხვერპლი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მოპოვება და შენარჩუნება გაგვიჭირდება.

17971. უმიზნოდ ცხოვრება დროსაც გვაკარგვინებს და სიცოცხლესაც ამყაყებს.

17972. ცხოვრებით კმაყოფილი ადამიანი ჯერ კიდევ გაურეცხავი ჩვარია.

17973. სიმართლის თქმა და ცხოვრების კაპრიზებთან შეჭიდება იმ შემთხვევაშია ვაჟკაცობა, თუ მას გონიერება მიუძღვის წინ.

17974. ზოგჯერ სხვათა შეცდომა ჩვენი ცხოვრების გეზსა და გზას ცვლის.

17975. სამყარო ჩვენ ისევე გვიკვირდება, როგორც ჩვენ ვუკვირდებით ჭიანჭველებს მათი ცხოვრების შეცნობის სურვილით.

17976. უცნაური, საოცარი რამაა ცხოვრება და მისი მადლი. ის მარად მისაღები და სათაყვანებელია.

17977. ცხოვრებაში უნდა ვეცადოთ, ისეთი თევზი მაინც დავიჭიროთ, კატას რომ მივუგდოთ, არ შეგვრცხვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი საქმიანობა-მცდელობა აზრს კარგავს.

17978. ამ ცხოვრებაში ყველაფერი და ყოველივე შეფარდებითია გონიერების, ცნობიერების, აღზრდის, დროისა და სვე-ბედის შესატყვისად.

17979. ვისაც სიღარიბესთან საქმე არა ჰქონია, ის ამქვეყნად გაურკვეველი სტატუსით ცხოვრობს. მან არ იცის, რა არის სიღარიბე და, მაშასადამე, არ იცის რაა სიმდიდრე.

17980. წარსულზე ფიქრი დღევანდელი ჩასწორებებით სიამოვნებას გვანიჭებს, მაგრამ რეალობაში მისით ცხოვრება ჭირს.

17981. სიკვდილის დამარცხება შეუძლებელია, მაგრამ გარკვეული დროით მასთან შეჭიდება ტექნიკურ პროგრესს ხელეწიფება.

17982. ცხოვრებაში უმთავრესია მასში ჩვენი ყოფნის არასერიოზულობის შემჩნევა, ვიდრე ყოფნა-არსებობის სერიოზულად დაჯერება.

17983. მშვიდობას ამყარებენ, ომს იგებენ, ბრძოლაში სისხლს ღვრიან მაშინაც კი, როდესაც ურთიერთდალაპარაკება-გაგების შემთხვევაში მშვიდობის მიღწევა შესაძლებელი იყო.

17984. მოგონებებში ცხოვრება თავისებურ სასიამოვნო სამოთხეს გვთავაზობს.

17985. სამყაროს სიძულვილი სიბრიყვეა, რადგან მასში ყოფნა საინტერესოა, ხოლო ცხოვრების მადლი განსაზღვრულია.

17986. სენტიმენტებს მილიმეტრობით ზომავენ, რადგან მისი სანტიმეტრობით გაზომვა მეტად უხეში გამოთვლა იქნებოდა.

17987. შემთხვევა ბედნიერების მომტანიც შეიძლება იყოს და უბედურებისაც, მაგრამ ცხოვრება გრძელდება, შედეგის მიუხედავად.

17988. ცხოვრებაში თუ შენი მოწოდება გაქვს, დიდი ბედნიერებაა. მეტის მოთხოვნა უკვე განგების მიმართ თავხედობაა.

17989. გემოვნება ჩვენი ცხოვრების მიმართულებას ცვლის და ამიტომაც სასურველია მას საგანგებო მნიშვნელობა მივანიჭოთ.

17990. სურვილებით და ემოციებით ცხოვრება ბევრ სასიამოვნო და არასასურველ შეცდომას გვაშვებინებს.

17991. სიამაყე სხვათა სიამაყეს ვერ იტანს და მას სიძულვილით უპირისპირდება.

17992. სხვა რაკურსით დანახული ჩვენი განვლილი ცხოვრების პერიოდები გვაიძულებს უფრო საღად, შემოქმედებითად და განსჯით ვიცხოვროთ ჩვენს დროსა და ქვეყანაში.

17993. ცხოვრება ამაოებათა ბაზარია და ამ ბაზარში ის უკეთ გრძნობს თავს, ვისაც ყბედობა და ყალბი მონეტებით ვაჭრობა ეხერხება.

17994. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ცხოვრება შემთხვევასა და გამართლებაზეა დამყარებული, სადაც ხშირად ნიჭი და მცდელობა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე.

17995. ზოგჯერ ცხოვრება იმ მანევრების შესრულებას გვაიძულებს, რომლებიც ჩვენთვის სრულიად უცნობი ან მიუღებელია.

17996. ცხოვრება ერთგვარად დაუმთავრებელი უნივერსიტეტია, სადაც სწავლა მთელი სიცოცხლე გრძელდება.

17997. დაკარგული ილუზიების აღდგენა და ახლით შევსება ადვილად როდი ხდება.

17998. ფაქტი უფრო დიდხანს ცოცხლობს ჩვენს მეხსიერებაში, ვიდრე ის, ვინც ეს ფაქტი განაპირობა.

17999. სისხლი იმას უდუღს, ვინც ვერ გარკვეულა, თავისი ძალღონე და შემართება რას მოახმაროს.

18000. ყველა საუკუნე თავისებურად მოიკოჭლებს. ამას განაპირობებს დრო, გარემო და ტექნიკური პროგრესი.

18001. დასანანი ცხოვრებაში ბევრი რამაა, მაგრამ ამას კრიტიკულად არ უნდა შევხედოთ, რადგან რაღაც-რაღაცების ბედზე გადაბრალებაც შეიძლება.

18002. ეშმაკობასაც თავისი ადგილი უნდა ეჭიროს ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ მას არ უნდა შევეთამამოთ, რათა მთლად არ გვაჯობოს, არ მოგვერიოს და დაგვღუპოს.

18003. უმანკოება და სიმამაცე მტკიცებას მოითხოვს, ხოლო მოუწესრიგებულ ცხოვრებას ფიცი-მტკიცი არ სჭირდება.

18004. ბოღმის, შურისა და ავის კეთების სურვილის მიჩქმალვა და გულის სიღრმეში მოფარება ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგია.

18005. ცხოვრება ხშირად გვიტარებს გაკვეთილებს. მათი მოსმენა-ათვისების უნარი ჩვენს ხასიათზე და ბედზეა დამოკიდებული.

18006. კანონის მორჩილი ადამიანი, წესით, ლაღად და უშფოთველად უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ მას ის ადარდებს, რომ კანონის უგულვებელმყოფელნი უკეთ ცხოვრობენ და კანონმორჩილთ ნიშნსაც

უგებენ.

18007. ყველა კარგი ცხოვრებისკენ ისწრაფვის და იმასაც ნატრობს, რაც არ ერგება.

18008. ყველა თავისი მოხერხებულობით ცხოვრობს და ამ ცხოვრებას ეშმაკურად იცავს.

18009. ვისაც ცხოვრების მადლის რეალური აღქმა შეუძლია, მას შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია უკვდავებაზე.

18010. საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესება სიკეთის კეთებითაც შეიძლება.

18011. ენდე, მაგრამ გადაამოწმე, რათა ბოლოს საკუთარი ცხოვრების გადამოწმება არ დაგჭირდეს.

18012. სიკეთის მკეთებელმა, შეიძლება, ანგელოზად გვაქციოს და ადამიანობაც შეგვინარჩუნოს. აქ მთავარია, ვინ მოგვევლინება სიკეთის მთესველად.

18013. ჩუმად ნაკეთები სიკეთე, გახმაურებულთან შედარებით, მეტ სიამტკბილობას გვანიჭებს.

18014. სურვილის მიუხედავად, ამ ცხოვრების ავ-კარგის შეცნობა ბოლომდის ჭირს, იმდენად ბევრია ჩვენს ყოფაში ურთიერთგამომრიცხავი პროცესი.

18015. შემოქმედს, მწერალს თავისი სულიერება ქაღალდსა და სხვა საშუალებებზე გადააქვს, რათა თავი ამგვარად დაგვამახსოვროს.

18016. ფუფუნება და კარგი ცხოვრება შობადობის შემცირებას, ნათესაური გრძნობების დაქვეითებას, სამშობლოს სიყვარულის გაუფასურებას იწვევს, რადგან ადამიანები უმთავრესად თავიანთ კეთილდღეობაზე ფიქრობენ და მათ ღარიბად და შფოთით ცხოვრება არ სურთ.

18017. თუ შენ სჭირდები ახლობელს, საზოგადოებას, ხალხს, ესეც თავისებური სიამაყის წყაროა.

18018. ეტყობა, ცხოვრება იმაზე უკეთესია, ვიდრე ჩვენი გონიერება განსაღვრავს.

18019. ცხოვრების არენაზე მსახიობობა ყველას გვიწევს, მათ შორის ნიჭიერსაც და უნიჭოსაც.

18020. ჩახლართული სიტუაციებიდან გამოძრომა და ბოროტების დაძლევა – ესაა ცხოვრების აზრი და არსი.

18021. ზოგჯერ თავიდან გვიწევს ცხოვრების დაწყება და ესეც ცხოვრების შეცნობის წესია.

18022. განუსჯელი სიმშვიდეა, ცხოვრებაში სიამტკბილობის მოძიებას რომ ცდილობს.

18023. საკუთრების დაგროვება გვაძლევს საშუალებას, რომ შთამომავლობამ თავი ჩვენზე უკეთ იგრძნოს.

18024. ცხოვრებაში მარად სხვაზე დაყრდნობით ადგილის მოძიება ჩვენს უნიათობაზე მიუთითებს.

18025. მის უდიდებულესობა სილამაზეს, გონიერებას, ნიჭსა და შესაძლებლობებს ყველა ჩვენგანი ეთაყვანება.

18026. ცხოვრების მიზანია წინ იყურო, ხოლო ამოცანა – უკანმოუხედავად წინ იარო.

18027. ვეცადოთ წაგებულად და დამარცხებულად თავი არასოდეს ვიგრძნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრება აზრს კარგავს.

18028. ცხოვრება რაღაც იდეას უნდა მიუძღვნა, რათა ამქვეყნად არსებობის მადლი შეიცნო.

18029. განათლება სიმდიდრეა, ცოდნა – შეძლება, ხოლო მიზნის დასახვა და აღსრულება ცხოვრებაზე მორგებული გასაღებია.

18030. მშვიდობიანობის ძირითადი საფუძველი შრომის სურვილია.

18031. განჭვრეტა იმისა, რასაც სიყვარულად და პატივის მიგების ღირსად ვთვლით, დიდ სიამოვნებას გვანიჭებს.

18032. მზაკვრული ხელით დაგებულ მახეში რომ არ გაებათ, ცხოვრებისეულ ალღოს უნდა ფლობდეთ.

18033. შვილები ხშირად ისეთები არ გამოდიან, როგორც მშობლებს უნდათ, მაგრამ უამურ ვითარებას ეგუებიან.

18034. გონების დამბინდველი შური ხშირად გვაიძულებს, სასწორის პინაზე შევაყენოთ ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება და თავად სიცოცხლეც.

18035. ცხოვრებისეული სიკეთის მოხვეჭას ყველა ჩვენგანი დაბადებიდანვე ცდილობს.

18036. ჩემთვის უპირველესია სახელმწიფოს ინტერესები, შემდგომ – პირადი და ბოლოს – ხალხის. ადამიანები რას დაგიმადლებენ და რას არა, თავადაც ვერ ერკვევიან, მაგრამ მათი განუსჯელი ხუშტურები შეძლებისდაგვარად უნდა გავითვალისწინოთ, რათა პირველ ორს რეალიზების საშუალება მივცეთ.

18037. რომელიმე ახალი მიმდევრობის წევრი რომ გახდე, ახალგაზრდა და ცოტა ცეტიც უნდა იყო.

18038. მთავარია, ცხოვრება ჩვენი სულიერი აღმაფრენის შესატყვისად განვვლოთ და არა იმის შესატყვისად, თუ „რას იტყვის ხალხი“.

ძრომიალა სიტყვები, აზრები, ქმედებანი

18039. წინასწარ დაგეგმილი პიარი ხშირად სისურველ შედეგს არ იძლევა. ასე რომ, თავის წარმოჩენის მცდელობა გახუნებულია.

18040. წინათ სირცხვილს დუმილი ეცვა, დღეს კი რეკლამა და პიარი აცვია.

18041. პიარისთვის ყბედობის ლამაზად შეფუთვაა მთავარი და არა საქმის კეთება და შემართება.

18042. გონიერების ხმა სიყვარულს ემსახურება, ხოლო საყვედური უმადურთა საქმეა.

18043. სიზარმაცეს გასუქების მიდრეკილება აქვს.

18044. საკუთარ შეცდომებზე სწავლა შესაძლებელია, თუ დრომ გაცალა და ზურგი არ გაქცია.

+18045. არქონა მარად თავის ლანდსაა ამოფარებული, ავადქონისგან განსხვავებით, რომელიც კრიმინალს ეფარება.

18046. ნერვებს ყველაზე მეტად მოლოდინი გვიშლის, თუნდაც შედეგი იმთავითვე ნათელი იყოს.

18047. ჩვენ კი არ გვინდა, უბრალოდ, ჩვენს თავში ჩანერგილ მეტიჩარა ამბიციებს უნდათ თავის წარმოჩენა.

18048. ცდუნება ყველასი შეიძლება, თუკი მაცდუნებელი ნიჭიერია.

18049. მისაღები და მოდურია ყოველივე ის, სადაც და რაშიც თავს კარგად ვგრძნობთ.

18050. კარგის აღქმა და დანახვა უფრო ძნელია, ვიდრე ცუდისა.

18051. პროფესიონალთა დეფიციტს ყოველთვის და ყველგან გრძნობენ, მაგრამ არა ახლად გამომცხვარ ხელისუფლებაში.

18052. ნივთები საჭიროცაა და არასაჭიროც, მაგრამ არავინ უწყის, რომელი სად, როდის და როგორ დაგჭირდება.

18053. განუსჯელობისკენ მიდრეკილება საკუთარი უვიცობისა და გონების შეზღუდულობის მომასწავებელია.

18054. არაეთიკური სიტყვების წარმოთქმა, თანაც თავის მოწონებით, შაქარმოყრილი უხამსობაა.

18055. თუ ყველაფრის გამო გაქებენ, მაშინ ჩასაფრებულნი არიან, რათა რაიმე გამოგტყუონ.

18056. უთავოდ ამქვეყნად ბევრი იბადება, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც ამის თქმას ვერ გაუბედავ.

18057. თვალების შემოფეთებას თუ ალღოს უღებთ, მაშინ ჯერ კიდევ არ დაგიკარგავს ხვადობის უნარი.

18058. ზოგჯერ კეთილი ფეხის შედგმა ჯოჯოხეთშიც საჭიროა, რათა სიავემ სიკეთის მადლი შეიცნოს.

18059. მანამ იარსებებს ძალადობა, ვიდრე თუნდაც ერთი მოძალადე იარსებებს ამქვეყნად.

+18060. გამარჯვება შემთხვევით წარმატებასაც ამართლებს და ისტორია მსუბუქი ყოფაქცევის დიაცივით მუდამ მის მხარეზეა.

18061. ცოტა პრობლემა, დიდი შემოსავალი – შესანიშნავია, ოღონდ შესანიშნავად ყველაფერი ზღაპარში ხდება.

18062. „ვიყავი“ ტრაბახა, ვიდრე „ვარ“, მაგრამ ამის გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ აღარ ვიქნები.

18063. შორიდან ყურება დღეს საკეთებელ საქმეს არ შველის.

18064. ინტერნეტს ბევრი დადებითი შესაძლებლობა აქვს. ერთი ასეთია: დაუსაქმებელ ადამიანს დროს „საქმიანად“ გააყვანინებს.

18065. სიკვდილი ყველას უდროოდ წამოეწევა, წმინდანი იქნება თუ უწმინდური და აქ ლოცვა-რწმენა არ მოქმედებს.

18066. ცილის დაწამება უგუნურების ჭაობში ფეხით შეტოპვაა.

+18067. ქველმოქმედება შინაგანი მოთხოვნაა, ოღონდ გარედან ნაკარნახევი.

18068. იცოდე ის ნიუანსები, რაც ბევრისთვის უცნობია – ამას ექსპერტი ფლობს.

18069. „მრავალგზის გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობს“, მაგრამ პირველი ჭორაობის სასურველ ბაზას ქმნის.

18070. წიგნის კითხვა ყოველმხრივ სასარგებლოა: ზოგი მას გასართობად, ზოგი დროის მოკვლის მიზნით, ზოგი ჩაძინების საშუალებად იყენებს.

18071. უშეცდომოდ შენება ძნელია, ნგრევა ადვილია.

18072. მახსოვრობა და დავიწყება ძმები არიან.

18073. დანაშაულს ყველა სჩადის დროისა და და გარემოს შესატყვისად, თუმცა დანაშაულსაც გააჩნია.

+18074. ენას კბილები აკავებენ, რათა ბოროტების გზაზე არ დაგვაყენოს.

18075. სიბრიყვე თანდაყოლილი ნაკლია და მას მკურნალობა არ შველის.

18076. საქმიანობის არჩევანშიც უმეტესად დრო და შემოსავალი მონაწილეობენ.

18077. ზოგჯერ გაუგებრის მოხდენილად თქმა ყურადღების მიპყრობის საშუალებაა.

18078. სიცოცხლე მაინც ხანმოკლეა, სხვათა წლების გონიერებასთან შეჯერების მიუხედავად.

18079. საცდუნებელს ეშმაკიც გაურბის, თავისი ნებისა და ვნების წინააღმდეგ.

18080. მატერიალიზმზე გადაგებას ხშირად კერპთაყვანისმცემლობამდე მივყავართ.

18081. საქმის კეთებას ზოგიერთი საკუთარ გეგმებზე ჭორაობას

ამჯობინებს.

18082. ჭორი ყველა ბინძურია, მათ შორის შენიც.

18083. ესეც პატივის მიგებაა, როდესაც შენი სიკვდილი მხცოვან ასაკში არ უნდათ, მაგრამ არც წინააღმდეგნი არიან.

18084. წვრთნასა და ზნედაცემულობას შორის დიდი განსხვავებაა: პირველს ცხოველი ემორჩილება, მეორისგან განსხვავებით, და მას გაცილებით მეტი სარგებელიც მოაქვს საზოგადოებისათვის.

18085. ყველა ჩვენგანს პატარა გველები გვყავს ჩახუტებული – ესაა წარსულის გადაცდენები და სიავეები.

18086. სიმდაბლე ზოგჯერ ხელეწიფება ამპარტავნობასაც, ოღონდ ცბიერების სარეალიზაციოდ.

18087. სამოთხის ბაითს ყველა თავისი გადასახედიდან ალაზღანდარებს, კაიფობს და უნდა ირწმუნოს ყოველგვარი განსჯის და ფაქტის გარეშე.

18088. ყვავილებით მოფენილი გზა მაცდურია და ხშირად კვანტის დადებაც არ ავიწყდება.

18089. პრაქტიკულად, თეორიული პოსტულატებისაგან განსხვავებით, ზრდილობას მოხერხებული უზრდელობა სჯობს, სიმორცხვეს-სითამამე, სტაბილურ ყოფას – რისკი, რადგან ამ დროს ცხოვრებიდან მეტი მოგება რჩებათ და კარიერაში წარმატებასაც აღწევენ.

18090. ეგოიზმი და განცდის უნარი ერთმანეთს არ ვნებს.

18091. ზოგჯერ იძულებული ვხდებით, საეჭვო საქმიანობის კაცს დახმარება ვთხოვოთ, რადგან უხიაგი კანონი და ყოფის გაუმჯობესების სურვილი სხვა გამოსავალს არ გვიტოვებს.

18092. ყოველი სიახლის დანერგვა ზვარაკს ითხოვს. ხშირად ეგ ზვარაკი საკუთარი სიცოცხლეა.

18093. გამრუდებული ტვინი ისევ ყოფის სიშლეგემ უნდა გამოასწოროს.

18094. ამბობენ: რწმენას საღი აზროვნება სჭირდებაო, მაგრამ მის შეცნობაში უფრო მეტს დაბადების ადგილი და მშობლების წარმომავლობა ასრულებს.

18095. დემოკრატია ის კუზიანი ნანატრი ცნებაა, რომელსაც ვერც სამარე ასწორებს და ვერც მუქთად მოპოვებული თავისუფლება.

18096. ზოგს თავისი საქმიანობა ლეგენდად აქცევს და იძულებულნი ვხდებით, ის გამოგონილი გმირის რანგში ჩამოვაქვეითოთ.

18097. სიზარმაცე ყოფაში მონაწილეობის მიღებას ცდილობს და თან თავსაც გვაყვედრის.

18098. „ვისი გორისა ვართ“ ცოცხლებს უნდა გვახსოვდეს, თორემ მკვდრებს რაღა აზრი მოეკითხებათ.

18099. ენას შეიძლება ძვალი ჰქონდეს, მაგრამ ძვალმსხვილებს

საავკარგოდ აქეზებდეს.

18100. თამადის უპირველესი საქმე მჭევრმეტყველებაა, შემდგომ მოდის თითოეული სუფრის წევრის ღირსების შემკობა, სურვილის გამოხატვა.

18101. ეჭვი ინფორმაციას აგროვებს, მაგრამ მას არავის უზიარებს, რადგან არც არავის ენდობა.

18102. სიკეთეს მომავლის იმედი აქვს, ბოროტებას – წარსულში ჩადენილი მამაძაღლობისა.

18103. სიტყვის თავისუფლება ყველას რაღაც-რაღაცის დაკარგვის შემდეგ ახსენდება.

18104. მაკიაჟის მოვალეობაა, თქვენი სახე იმდაგვარად წარმოაჩინოს, რომ მას ყველაფერში არ დაეთანხმოთ.

18105. სხვისთვის ჯობნის სურვილი ბევრ გაჭირვებას გვავიწყებს.

18106. მერყევ პრინციპებს გაწბილება და სინანული მოაქვს.

18107. მთავარია, ფაქტობრივად ვინ რას აკეთებს და არა ის, თუ ვინ რას ცდილობს.

18108. წაკითხული, ნანახი, გაგონილი უნდა გავიაზროთ, თუ გვინდა ხეირი ვნახოთ.

18109. ყველაზე დიდი მტერი სამყაროსთვისაც ურთიერთგაუგებრობაა, როდესაც ზეციური მოვლენები ერთმანეთს ვერ უგებენ.

18110. მოხერხებული ტყუილიც პიარია, ოღონდ უსინდისო.

18111. „მინდა“ უნდა დაიმსახურო, „მეკუთვნის“ უნდა მიიღო, „ეკუთვნის“ უნდა გაიღო.

18112. სიკვდილის წინააღმდეგ ამხედრების არცერთი ხერხი შედეგს არ იძლევა.

18113. ხმამაღლა ფიქრი ხშირად სიბრიყვის ნიშანია.

+18114. ყავლი ყოველივეს გასდის, გარდა სიცოცხლის სურვილისა.

18115. ადრე წერა-კითხვა, დღეს კი ინტერნეტის ცოდნის გავრცელება მომავლის საძირკველია.

18116. სიღარიბე მარად ხელგაშლილია, რადგან არც დასაკარგავი და არც გასაცემი არ გააჩნია.

18117. დაუმსახურებელი და მუქთა გამარჯვება სრულ კმაყოფილებას ვერა გვგვრის.

18118. ყველა თავის წარმოჩენას ლამობს, მიუხედავად მისი შესაძლებლობისა.

18119. სამიტინგო სიტყვას მისი ღაღადის მადლი ამკობს და არა შინაარსი.

+18120. გულახდილობა თავის თავს კონტროლს ვერ უწევს და ხშირად დაცინვის საგანი ხდება.

18121. განუსჯელი ფიქრი „ქარის მოტანილია“.

18122. ყველა ჩვენგანი პატარა სასწაულს ახდენს თავისი განვლილი ცხოვრებით.

+18123. სიბრიყვეს ანეკდოტები უნდა დაუპირისპიროთ, რადგან მის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა ახალი სიბრიყვეა.

18124. დიპლომატიის უნარი ყველაზე მეტად უგუნურს სჭირდება, რათა მისი უტვინობა არ გამომჟღავნდეს.

18125. საინტერესოა, ვინმე რომ უკვდავი დაბადებულიყო, რა მადლით აღიქვამდა დღევანდელობას.

18126. ყველა გაუანალიზებელი ისტორია სასიამოვნოდ მოსასმენი ზღაპარია.

18127. იუმორს დაუცველი მეტიჩარა და ბუნებით ნაძირალა სჭირდება გასამასხარავებლად.

18128. სჯობს, დაუსაქმებელთან გვქონდეს საქმე, ვიდრე საქმოსან უსაქმურთან.

18129. სხვათა გასაბრიყვებლად თავის მოსულელების ხელოვნება სარფიან საქმედ გვევლინებოდა და გვევლინება.

18130. მეტყველება უაზრო ბაიათების ფრთებქვეშ არ უნდა ჩამოყალიბდეს.

18131. მშობლებში ნაკლის ძიება თავადაა ნაკლი, მაგრამ ნაკლის დადგენაც ერთგვარი პოზიტივია.

18132. ლაპარაკის უნარი განსაზღვრავს, ბრიყვად გამოიყურება თუ სულელად.

18133. დაცემის შედეგად განცდილ ტკივილს ჩამოვარდნის სიმაღლე როდი განსაზღვრავს.

18134. იმ მოწინააღმდეგესთან აჩქარება არ ამართლებს, რომლისთვისაც წინააღმდეგობის გაწევა და შენთვის სასურველი შედეგის მიღწევა შეგიძლია.

18135. უმეტესობას ბალეტი იმიტომ მოსწონს, რომ „ტიტლიკანა“ ქალები ხაშლამის მსგავსად შემოაქვთ სცენაზე და თვალს წყალს ასმევინებს, ხოლო მუსიკის დიდებული ჰანგებით და ცეკვით სულს ითბობს.

18136. იმისთვის, რომ პროგრესს ვეზიარო, ზოგჯერ ყოფაში „შუხურიც“ უნდა ჩავაგდო.

18137. ნაადრევი ცივილიზაციისკენ მისწრაფება ფუფუნების მადლის შეცნობას რყვნის.

18138. მსხვერპლად შეწირვა ღიმილითაც შეიძლება, სათანადო პატივის მიგებით.

18139. საკუთარ თავს პასუხი იმდაგვარად უნდა მოვკითხოთ, რომ ცხენის შეკაზმვა არ დაგვჭირდეს.

18140. თუ ვინმე უნდა გვეცოდებოდეს – ეს ეშმაკია, რადგან ყველა

ჩვენი ცოდვა მას ავკიდეთ და განტევების ვაცად ვაქციეთ.

18141. თავისი მომხიბვლელობის მიუხედავად, ვარდი ამდენ მოწონებას ვერ დაიმსახურებდა, განუსაზღვრელი რეკლამა რომ არა.

18142. მტერს მანამდე უნდა შეუნდო, სანამდი მომძლავრდებოდეს და რევანშის აღებას დააპირებდეს.

18143. „მოგწონს“ და „საჭიროას“ შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ ამ უკანასკნელს მოვალეობის გრძნობა ახლავს.

18144. მარხვა არა მარტო სულის, არამედ სხეულის გაწმენდასაც ახერხებს.

18145. დარწმუნებული ვერაფერში ვერ იქნები, იმაშიც, რაც 100 პროცენტიანი გეჩვენება.

18146. შეცდომას ყველა უშვებს, მაგრამ ამით არც თავი უნდა დავისაჯოთ და არც სათანადო ალიბი ვეძებოთ.

18147. სიცოცხლის დატოვებაზე ფიქრი სიკვდილის მოახლოებამ იცის.

18148. სასაცილოს წარმოდგენისა და გამოხატვის უნარი დაღვინებულ ნიჭს მოითხოვს.

18149. უვიცობა, გაურჯელობა ზოგის თანდაყოლილი თვისებაა და მის გამოსწორებას არც ფიქრობს, ბუნებით იმდენად ზარმაცია.

18150. სიმდიდრე არ მარხულობს და რწმენას თავის კაპრიზებსა სთავაზობს.

18151. სიმდიდრე ამპარტავნობასა და შურს უფრო მეტად უნიათოებში აჩენს.

18152. აფორიზმი ხშირად იმ სიახლეს გვაცნობს, რომელზეც ადრე არ დავფიქრებულვართ.

18153. უნიათობა უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის შერცხვენაა, დამცირებაა.

18154. სულელი ყველას ომში თავდაუზოგავად იბრძვის.

18155. ძლიერსა და გონიერს მარად სხვანაირად აღიქვამენ და მათგან ყოველთვის მეტს მოელიან. ამიტომ თავის წარმოჩენა ძლიერებს უფრო უჭირთ, ვიდრე სუსტებს.

18156. სიცილი გვამხიარულებს, დაცინვა გვაღელვებს და სამაგიეროს გადახდისთვის განგვაწყობს.

18157. დაუდევრობას, გულგრილობას, უაზრო შურს, პირველ ყოვლისა, თავად ჩვენთვის მოაქვს ზიანი.

18158. ყველას მატერიალური ანგარება უდევს გულში, მათი სურვილის მიუხედავად.

18159. ორმაგი იდეალი სრულყოფილი როდია, რადგან მას ხშირად სასურველი შედეგი არ მოაქვს.

18160. გამართლებაც უნდა შევიშნოთ, იმისდა მიუხედავად, მზადა

ვართ ამისათვის თუ არა.

18161. პატივმოყვარეობა განდიდებისკენ მისწრაფებაა და თავის წარმოჩენა ყველა ჩვენგანის საყვარელი და სასიამოვნო ცოდვაა.

18162. კამათი რეალურ შედეგს მაშინ იძლევა, თუ ის მათემატიკას გაუამხანაგდება და ციფრების ღაღადს ანგარიშს გაუწევს.

18163. სხვის საქმეში ჩაურევლობის უნარს რა სჯობს, თუ შექმნილმა გარემომ, შენმა ფსიქიკურმა მდგომარეობამ ამისი საშუალება მოგცა.

18164. სარკე დაუნდობელი მაბეზღარაა ჩვენი გარეგნობის, მაგრამ ამ მხრივ ახლად გადადებულ ფოტოსურათს მაინც ვერ შეედრება.

18165. ტყუილისა და სიმართლის თქმის სარგებლიანობა ხშირად გარემოზე, დროზე, პროპაგანდასა და ხალხის სურვილზეა დამოკიდებული.

18166. თეორიები რომ პრაქტიკას ემთხვეოდეს გამოცდილებისა და ძალის დაუტანებლად, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა და კომუნიზმში დიდი ხნის წინათ ვიცხოვრებდით.

18167. ლოთი სმისას გონიერებას უფრო „საქმიანად“ ხარჯავს, ვიდრე სიმწრით ნაშოვნ ფულს.

18168. პირუტყვთან გათანაბრებული ადამიანის ნახვა საშინელებაა.

18169. ზურგსუკან ჩვენზე ხუმრობენ, შურთ თუ გულს იფხანენ, ძნელი გასაგებია.

18170. სუფთა ჰაერი მუხანათურად აღგვიძრავს წინდაუხედავ მადას, რომლის წინაშე გონიერება ხშირად ხელებაწეულია.

18171. აუგი საქციელის ჩადენის მცდელობაზე გადამეტებული ყბედობა გარანტიაა იმისა, რომ ის ამ საქციელს დაუფიქრდება და აღარ ჩაიდენს.

18172. გადამეტებულ-გადაფასებული სიკეთის კეთებაც თავისებურად ხინჯი და ნაკლია, – ის რყვნის ზანტ ადამიანს და შემდგომში იგი მუდამ მუქთად რაღაცის მიღებას ელის.

18173. მოუვლელობისგან ოქროსაც ჭუჭყი ედება, თუ მას დროდადრო არ გავაპრიალებთ.

18174. სამწუხაროდ, საკუთარი სასურველი ტყუილი უფრო გვჯერა, ვიდრე რეალობა და არასრული სიმართლე.

18175. ცუდ შემთხვევასთან შეყრა არავის უნდა, მაგრამ ეს მაინც ხდება. ამიტომ მასთან შესახვედრად შინაგანად მარად მზად უნდა ვიყოთ.

18176. უყურადღებობითა და ამპარტავნობით ხშირად ეშმაკს ვუმეგობრდებით.

18177. თავმდაბლობა მისასალმებელია, თუ ის ნაძალადევი არაა.

18178. თუ შენი სარგო მეგობარს ერგო, სარგო დაკარგული მაინც არ არის.

18179. ყბედობა ზედაპირული აზროვნების შედეგია. მისი მიზანი უმეტესად მაინც თავის გამოჩინებაა.

18180. უანგაროდ არა მარტო ადამიანთა და ქვეყნების ურთიერთობაში, არამედ ჩვენ მიერ შეუცნობელ სამყაროშიც კი არაფერი ხდება.

18181. ისტორია გვასწავლის, მაგრამ მისგან არაფერს ვსწავლობთ.

18182. დღეს ისტორიას განსჯასთან, ანალიზთან ერთად რეალური საქმის კეთებაც ევალება.

18183. მოყვასს არ განიკითხავენ, მაგრამ, თუ საჭიროა, ჩუმად ალიყურიც უნდა ვაჭამოთ.

18184. იყო მუდამ მართალი, არარენტაბელურია და შურიან ხალხში არ ამართლებს.

18185. სიკეთე და სიავე ერთად ვერც და არც ძოვენ.

18186. ყველას გვინდა, ვიღაცასა და რაღაცას წარმოვადგენდეთ, ისიც სხვისი დახმარებით და ხელის გაუნძრევლად.

18187. პირადზე ზრუნვას ზურგს უკან ნუ მოვისვრით, მაგრამ შინაურებიც უნდა გვიყვარდეს – ახლობლები ვერ გაგვიგებენ.

18188. სხვათა შექებას უნდა ვერიდოთ, მაგრამ არც უნდა ავკრძალოთ – უიმისოდ ავტორიტეტის შექმნა ძნელია.

18189. კაპრიზი უგანრიგოდ მოდის და მიდის, მაგრამ ახალი წელი განრიგით მოდის და ჯიბის მოჩხრეკას გვაიძულებს.

18190. ცივილიზაციას ერთი დიდი ნაკლი აქვს: სანამდის კაცობრიობა გადაშენების საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდება, შობადობა კლებულობს.

18191. სიმდიდრის ზრდას მოშურნენი უპატიოსნებასთან აიგივებენ, მაგრამ წინააღმდეგნი არ არიან, თავადაც ასეთივე ცოდვილები იყვნენ.

18192. მზარეულს შემოქმედებითი თავხედობა უნდა ახასიათებდეს, თუ უნდა სტუმარს თავი დაამახსოვროს.

18193. პაუზა ურთიერთობაში – ეს ზოგჯერ საჭიროცაა და აუცილებელიც, რათა გავერკვეთ, ჩვენს მომავალ დაახლოებას რა ელის.

18194. ყველა გადაწყვეტილებას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს.

18195. პაექრობა და ავტორიტეტი სხვადასხვა ცნებაა, რადგან ეს უკანასკნელი, პირველისგან განსხვავებით, დეპრესიაში არ ვარდება, როდესაც მისი აღმავლობა შეწყდება და „ჩამოპლაცკარტდება“.

18196. საზოგადოებრივი ტანჯვა, საკუთარი ტანჯვისგან განსხვავებით, შედარებით უმტკივნეულოდ გადასატანია.

18197. ცოდვილი და უცოდველი არ არსებობს, თუ ჩვენ საქმე თავ-

კერძა ადამიანთან გვაქვს.

18198. რადგან ცოდვებისაგან თავის დაღწევა შეუძლებელია, ამიტომ ვალის გადახდა ამქვეყნად თუ არა, იმქვეყნად მაინც მოგვიწევს.

18199. სინდისს აქვს ის პარამეტრები, რომელზე გადაბიჯებაც არ შეიძლება.

18200. მშობლების გაყრის შემდგომ ოჯახი ინგრევა და შვილებს რჩებათ დედა და არა მამა. მიუხედავად ამისა, კონფლიქტის მოგვარებას ხშირად არცერთი მხარე არ ფიქრობს, რადგან მათს ურთიერთობას ეტყობა უკვე ყავლი გაუვიდა.

18201. ურწმუნოებაზე მეტად რწმენისა უნდა გვეშინოდეს: თვითდარწმუნებულებს რაიმე ხომ არ გვეშლება და ვინმეს ფეხს ხომ არ ვუდებთ.

18202. განცდის მიხედვით მწუხარებაცა და სიხარულიც სინონიმებია.

18203. უგუნურს გონიერად გარდაქმნის სურვილი არ აქვს და აქეთკენ არც ისწრაფვის, თავს ისედაც კარგად გრძნობს.

18204. ცნობისმოყვარეობა საკუთარი რაობის გადამოწმება და მოყვასის უდიდესი სიყვარულია, რომ მათ რაიმე არ „ვავნოთ“.

18205. ზოგი თავადაა იმდენად გენიალური, რომ თანდაყოლილი ნაკლიც უხდება და ალამაზებს.

+18206. ზოგი ბუნებით ისე ამბიციურია, რომ ქორწილში სიძე უნდა იყოს, პანაშვიდზე – მიცვალებული და საიქიოში – ღმერთი.

18207. ცოდვა საკრალურ სისტემათა მცდელობაა დროსთან, გარემოსა და მსოფლმხედველობასთან შეთავსებისა.

18208. ჯიბეში თუ 100 ლარი გაქვთ და იქიდან 10 დახარჯეთ, არ შეიძლება კვლავ 100 ლარი გქონდეთ, მაგრამ ხალხის უმრავლესობას ამის ილუზიები უჩნდება, როდესაც საქმე დემოკრატიას ეხება დიქტატურის საწინააღმდეგოდ.

18209. თუ მოსარიდებელს ღირსების შენარჩუნებით ვერიდებით, ეს ვაჟკაცობაა.

18210. სხვათა განსჯა-გაკიცხვა ჭკუის ჭყლეტას არ მოითხოვს და არც საკუთარ გრძნობებს შეურაცხყოფს.

18211. საკუთარი სიდიადის შეცნობა შენი ცნობიერების სასიამოვნო დღესასწაულია.

18212. წარმოსახვა ყოველივეს აზვიადებს და მისთვის შეუწვდომელ უაზრო ფასს ადებს.

18213. კაცთმოყვარეთა და გულმოწყალეთა შორის ის სხვაობაა, რომ პირველს ანალიზის უნარი შესწევს მოსალოდნელი შედეგით, მეორე უაზროდ გულკეთილია და შედეგი გაუგებარია.

+18214. სურვილი გვაქვს, ხელისუფლებამ ჩვენი ის სიქველე იწა-

მოს, რომელიც სინამდვილეში არ გვახასიათებს, ოღონდ ზევით ეს არ აინტერესებთ.

18215. საკუთარი თავის პატიება ყველაზე ძნელია, თუ ხედავ, შენი უინტერესობის გამო „ღლავი“ ხელიდან გაუშვი.

18216. სხვათა დაპყრობა-დამონების ცდა თავისებური გართობაა, რომელიც ძნელი მოსათოკავია, განსაკუთრებით, თუ ჭკუას მაინცდამაინც ვერ ეწყობი.

18217. ჟინის მოკვლის, თავდავიწყებისა და ოჯახიდან დროებითი გარიდების უმტკივნეულო საშუალებაა ნადირობა, თევზაობა.

18218. მეტისმეტად მოჭარბებული და უმიზნო ცუდიცა და კარგიც უვარგისი და საშიშია.

18219. წესი, კანონი, რომელიც გამონაკლისს დაუშვებს, არც წესია და არც კანონი, შეწყნარება-ლმობიერებისგან განსხვავებით.

18220. განხეთქილების თესლს ძალამ და კანონმა გაღვივების საშუალება არ უნდა მისცენ, ის მაშინვე ფქვილად უნდა აქციონ.

18221. ზოგჯერ გამოგონილი რეალობასთან ახლოსაც ვერ მივა და აქ სცენარის ავტორის უსუსურობა არაფერ შუაშია.

18222. მახვილი სამართლიანი არ შეიძლება იყოს, მაგრამ სამართლის დაცვას უნდა ცდილობდეს.

18223. იდეა მცირე დამცირებასა და გაჭირვებაც ვერ იტანს. ის მაშინვე კრახს განიცდის.

18224. საზოგადოების ანთროპოლოგიურ კატასტროფას სიცილით უნდა ვებრძოლოთ.

18225. კურიოზი – გავიკვირვეთ, გავიცინეთ, დავივიწყეთ.

18226. ზოგი გონით დაუმორჩილებელი სიამოვნება გვაფხიზლებს და ძალასა გვმატებს.

18227. აფორიზმების სინონიმი შეიძლება იყოს ნიჭიერი და ენამოსწრებული აფერისტი, რომელიც ყველა ენაზე ნიშნავს თავხედს, უტიფარს, რეგვენს.

18228. ქილიკი, დამცირება შეიძლება ასატანი და მსუბუქი გახდეს, თუ მას თილისმის მეშვეობით მოვაფრქვევთ.

18229. დამარცხებას საქმეს უდგენენ, განსჯიან, ნიშნს უგებენ. გამარჯვებას არც განსჯიან და მისით აღფრთოვანდებიან, იმისდა მიუხედავად, ეს შემთხვევის, ბედის თუ გონიერების დამსახურებაა.

18230. ზოგჯერ არის შემოთავაზება, რომელზედაც უარის თქმა არა მარტო წაგებიანია, არამედ შეუძლებელიცაა.

18231. მომავლის იმედით აწმყო წარსულის მარად უმადურია.

18232. უკვამლო ცეცხლი ბევრ საიდუმლოს ინახავს.

18233. ბოროტებასთან ურთიერთობას უნდა ვერიდოთ, რაც უნდა პერსპექტიულ წინადადებას გვთავაზობდეს, რადგან ბოლოს მაინც

ზარალს მოგვაყენებს, სულიერი იქნება თუ მატერიალური.

18234. ცრემლიანი სიცილი უმაღლესი ხარისხის სიამოვნებას განეკუთვნება.

18235. ძალას პატივს მიაგებენ, ერიდებიან, არ დასცინიან, მასთან საერთო ენის გამონახვას ცდილობენ.

18236. სხვათა განკითხვა ადვილია, მაგრამ ცოდვების შეცნობა, გაანალიზება, შენდობა და სასიკეთო გზაზე დაყენებაა ძნელი.

18237. ტაქტი უტაქტობას ვერ ეგუება, მაგრამ მათი სათავეები ერთად იყრის თავს.

18238. გმირის მოძიება უფრო მეტ ფანტაზიას საჭიროებს. ვიდრე თავად გმირობის ჩადენა.

18239. სურვილების მოთოკვას და მასთან საერთო ენის გამონახვის, უპირველეს ყოვლისა, ნიჭი უნდა და არა გონიერება.

18240. ძველის მონატრებამ ახლის უნიათოდ ჩანაცვლება იცის.

18241. სიმართლე ხშირად იმის მხარესაა, ვისაც ზურგი აქვს.

+18242. მეგობარს რომ აპატიებ, შეიძლება დაკარგო, ხოლო, მტერს რომ აპატიებ, შესაძლებელია, მეგობრად შეიძინო.

18243. კეთილი სიტყვა შეძლებისდაგვარად ყველას შეაწიეთ, რადგან მას ზოგი უკვდავების წამლად აღიქვამს.

18244. ყოველივე ძველდება, განუსჯილი ხდება, თუ ის საყოფაცხოვრებო პროგრესის მოთხოვნებს არ ემორჩილება.

18245. სამწუხაროდ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ინტერესებზე ვფიქრობთ, შემდგომ – ეროვნულობასა და ქვეყნის მომავალზე. მაგრამ ყოველივე ამის წარმოჩენას სხვაგვარად ვაპირებთ.

18246. შენდობა მხარში ამოუდგომლობასა და უნიათობაზე მიუთითებს.

18247. თანასწორუფლებიანობა თავისებური ბლეფია, რომელიც ნერვებს გვიწყნარებს და გვიმშვიდებს.

18248. საკუთარ სინდისთანაც შეიძლება საერთო ენის გამონახვა, თუ მას სათანადოდ დააფინანსებთ და ქრთამს შეაძლევთ.

18249. ჯიშიანი ძაღლების გამოფენით უჯიშო პატრონები თავს იწონებენ, საქმეს იჩენენ და ფულსაც „ღუნავენ“.

18250. სიბრიყვეს ზოგჯერ მოდაც ვერ იტანს.

18251. ერთგანზომილებიან სამყაროს სინანულის გრძნობა დაკარგული აქვს.

18252. ყბედობა უზრდელობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ხშირად უზნეობაში კოხტად არის შეფუთული.

18253. ის საჭმელია გემრიელი, რომლის ინგრედიენტები ჩვენში წინასწარ სიამოვნებას იწვევს.

18254. ერთდროულად ჭკუასა და ძალას განგება იშვიათად იძლევა,

რადგან დაღვინებული ასაკი დაუღვინებელ ჯეელობას რეალური საქმის კეთებით ყოველთვის ვერა სჯობნის.

18255. ცნობისმოყვარეობა სძლევს შიშს და ცნობიერებას ამ-დიდრებს.

18256. ღირსებისა და ღირებულებათა შენარჩუნება ძირითადად მოსალოდნელი შიშის შედეგზეა დამოკიდებული.

18257. შეცდომა ყველა დარგსა და დროში მისაღებია, თუ ის საბ-ოლოდ ამართლებს და სიცოცხლის კვლავწარმოებას ემსახურება.

18258. საუბარი ისე უნდა ააწყო, რომ მოსაუბრე მიხვდეს, რის თქმა გინდა და სასარგებლო კითხვები დასვას.

18259. ინტელექტი მუდამ ცოდნას ეწაფება, მაგრამ ხშირად, რისთ-ვის გამოიყენოს, არ იცის.

18260. თმები ყალყზე დაგიდგება, ისეთ კითხვას აყენებს ზოგი ტელეჟურნალისტი.

18261. ყველა მუშაობს და სერიოზულად მათ საქმიანობას არავინ აღიქვამს. დაუფასებლობის სინდრომის შედეგად მუშაობის ნაცვლად „მუშაიობას“ ვიღებთ.

18262. კამათი უპირველესად ერთმანეთის ყადრის ცოდნას მოითხ-ოვს.

18263. ეშმაკობა იგივე მოხერხებული ჭკუაა, ოღონდ ხედვა აქვს განსხვავებული.

18264. სინდისის დახურდავება გვიადვილდება, თუ სანაცვლოდ კარიერის საფეხურებზე დროულად ასვლას ვახერხებთ.

18265. ბოროტება და სიკეთე საწინააღმდეგო პოლუსებზე დგანან, მაგრამ საჭიროების ჟამს ორივეს იყენებენ.

18266. ყველა ჩვენგანი იმ ეშმაკს ებრძვის, ვისთანაც შეხება არ ჰქონია და ვისაც ჩვენზე წარმოდგენაც არ აქვს.

18267. დღეს, ზომიერების ფარგლებში, არც საკუთარი მეობის ქო-ნაა ცოდვა და არც ამპარტავნობა, თუ შენზე მოთხოვნაა.

18268. მწარე სიმართლე, შესაძლებელია, უცოდველი ტყუილით შევკაზმოთ, თუ გვინდა ის მოსასმენად გამოდგეს.

18269. ცნობიერება და სიკვდილი ერთმანეთზე გაცილებით მეტსაც ფიქრობენ და ერთმანეთთან შეხვედრასაც ნაკლებად უფრთხიან.

18270. ზოგჯერ შექმნილი მდგომარეობის გამო სიმართლის დამალ-ვას რუსთაველის აფორიზმიც – „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზო-გჯერ თქმითაც დაშავდების“ – ვერ გაამართლებს.

18271. თვითკრიტიკისთვის საკუთარი ჭკუაც უნდა მოამზადო და საამისო ვაჟკაცობაც უნდა იქონიო.

18272. სილაღე ძალას გვმატებს და თან სიცოცხლეს გვიხანგრ-ძლივებს.

18273. მსხვერპლად და „განტევების ვაცად“ ყოფნა ყოველთვის ძნელია, თავსმოხვეული რწმენისა და აღზრდის მიუხედავად.

18274. ზოგჯერ მოპაექრე ოპონენტი უფრო გულიანად გისმენს, ვიდრე შენი მეგობარი, რადგან ეს უკანასკნელი შენში ნაკლს არ დაეძებს.

18275. სამოთხეში მოხვედრას ყველა ცდილობს, მისი წინასწარ „დაუჯავშნობის“ მიუხედავად.

18276. სიმართლის შეულამაზებლად ღაღადი გამარჯვებისათვის ყოველთვის სასურველი და აუცილებელი არ არის.

18277. ახალი მუსიკა – განგების ნაბოძები ჰანგია მისი რჩეული კომპოზიტორისათვის.

+18278. აწმყოში რომ ხალხმა დაგაფიქსიროს, სიმდიდრის გაზიარებაა საჭირო, მომავალში რომ დაგაფასოს – გონიერებისა.

18279. ძველის სიკეთეებს მომავლის პერსპექტივა სათანადოდ ვერ აფასებს.

18280. დღეს მორცხვობა, თავმდაბლობა წარსულის უპერსპექტივო გადმონაშთად მიიჩნევა და მოგება არ მოაქვს.

18281. სოფლის მეურნეობის აბუჩად აგდება მთელი ქვეყნის აბუჩად აგდების ტოლფასია.

18282. სიბრიყვეა ისიც, თუ ერთი და იმავე საჭირო საქმის კეთება არ გიყვართ.

18283. დამნაშავე და მტყუანი ძმები არ არიან, მაგრამ ბიძაშვილობენ და ერთმანეთს უგებენ.

18284. სიკეთის კეთებით „დაავადება“ ღვთისნიერი ნიჭია.

18285. წმინდა წერილის მოწოდებაა იმ გონებათა ვარჯიში, რომლებიც გონიერებასთან მოკრძალებით არიან.

18286. ნოსტალგია, სურვილის მიუხედავად, პურს ვერ ცვლის. მამულის ხილვაში ვერ გვეხმარება.

18287. სირცხვილია ის, რასაც არ აჩენ და სხვის დასანახავად არ არის განკუთვნილი.

18288. ფეხის წატეხვა გაკვეთილია, ხოლო ფეხის წატეხვის წინათგრძნობა – ნიჭი.

18289. ეშმაკი კურირებს გაუცნობიერებელ დემოკრატიას და „ქაჯს“ ედავება უწვალებლად მიღებულ თავისუფლებას.

18290. თანდაყოლილ ნიჭიერებას ყოველთვის წინ ელობება შეძენილი შური, ყოყოჩობა, გაუტანლობა.

+18291. უკვდავებას ყავლი არ გასდის, უვარგისი მახსოვრობის მიუხედავად.

18292. ჩოყლაყსა და ულაყს შორის არავითარ სხვაობა არაა ისევე, როგორც მექალთანესა და ბოზს შორის.

18293. სიკვდილი მარად დაბორიალობს დედამიწაზე, მაგრამ მას არ ეპუებიან, რადგან მოსახდენი ადრე თუ გვიან მაინც უნდა მოხდეს.

+18294. დღეს ჰაერში გადაადგილება ისე სწრაფად ხდება, რომ ანგელოზებთან შეხვედრასა და მათთან ლოცვასაც ვერ ასწრებ.

18295. ცოდვების ზიდვა ისევ ტექნიკური პროგრესის გათავისებამ უნდა შეგვიმსუბუქოს და შეგვინდოს, ევოლუციაზე აკიდებული ჩვენი ცოდვების პროგრესის ხარჯზე.

18296. გვერდზე ყურება დანაშაული არ არის, გვერდულად საქმეების კეთებაა მიუღებელი.

18297. ზედმეტი საქმიანობა საზიანოა როგორც ოჯახის, ჯანმრთელობის, ისე რწმენისთვის, რადგან ბიოლოგიური მექანიზმი ადრე იფიტება, კვდება.

18298. სამყარო დასასვენებელ სახლად არ აღიქმება, რადგან გენეტიკა ხელისა და ჭკუის განძრევას ითხოვს.

18299. სხვათა გასაგონად გამოთქმულ სინანულს აღსარებას უწოდებენ, მაგრამ მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი მარად დასადგენია.

18300. პოლიტიკა ყველგან „ბანაობს“, და „ბაირამობს“, სადაც კი ხელი მიუწვდება და ხელს წააშველებენ.

18301. სიმართლე და სამართლიანობის ზეიმი ხშირად სისხლის გამოშვებას მოითხოვს დაპირისპირებულთა შორის.

18302. ბოროტებას მეგობრები არა ჰყავს, რადგან ის ურთიერთგაგებას არა ცნობს.

18303. უცოდინარები უფასო და „უზადო“ დამრიგებლები არიან ყველასი, ვისაც კი აირჩევენ საკბილოდ.

18304. სუფრის მადლის გათვითცნობიერება გადაბმული ღვინის სმის დროსაც საჭიროა.

18305. სურვილებს თუ უკონტროლოდ მივუშვებთ, შემდეგ მათი მოთოკვა ჭირს.

18306. ყველაზე მეტი დიდება მავანთათვის მასის მიერ გაუცნობიერებელ და დაუფასებელ გამოგონებებს მოაქვს.

18307. წარმატების მოჩვენებითი ალგორითმი სულიერებას რყვნის, სხეულს „აღორებს“ და სავალალო შედეგს გვიტოვებს.

18308. ათეიზმი გონებით რჩეულთა სასეირნო ბილიკია და არა მოკირწყლული გზა.

18309. ზოგჯერ გვინდა გადავცდეთ, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა თავს გვაკავებინებს.

18310. პოპულარობასაც საკვები სჭირდება, რათა ხელში ცარიელი პოპულარობა არ შემოგვრჩეს.

18311. ნაციონალიზმი უნდა ასახავდეს შინაარსობრივ რეალიზმს, თუ უნდა, რომ ფეხი მკვიდრად გაიდგას.

18312. ჭარბმოსახლეობას გამოხშირვისგან ომი და გაჭირვება უფრო ინდობს, ვიდრე მშვიდი ცხოვრება და ფუფუნება.

18313. მაამებლობა მლიქვნელობის ბიძაშვილია.

18314. ჩვეულებრივ მოკვდავს ზოგჯერ კანონიერი საქმის კეთებისათვის სჯიან, ქვეყნის სათავეში მოკალათებულთაგან განსხვავებით.

18315. დადებით შედეგს მარად თან ახლავს უარყოფითიც, რომელიც პირველზე უფრო გვახსენებს თავს.

18316. ზოგჯერ ჩვენი ნათქვამის შედეგი თეორიულად უცნობია.

18317. დროსტარებად მუდამ ქალებთან გრიალი და საყვარელი საქმის კეთება მიმაჩნდა.

18318. გადამეტებული სიფიცხე და თავის გამოდება ზარალიანია.

18319. მათხოვარი მუდამ დავალებულია სხვისგან, მაგრამ ეს მას მაინცდამაინც არ ანაღვლებს.

18320. ვნებათა ბრძოლას, გონიერებათა შერკინებისგან განსხვავებით, ყოველთვის სასურველი შედეგი მოაქვს.

18321. სხვათა ცოდვების გაუტირაჟებლად შენდობა თავისებური ნიჭია და ის სწავლა-განათლებაზე არაა დამოკიდებული.

18322. საკუთარ თავს სილა არ უნდა გავაწნათ, მაგრამ თვლემისაგან თავის დაღწევა ამ გზითაც შეიძლება.

18323. ეჭვიანობის ბაზისი ძირითადად მიღწეულ-მოხვეჭილის შენარჩუნების მცდელობაა.

18324. სიტყვა ადამიანებს, სახელმწიფოებს აშორებს და აახლოებს, მტრობასა და მეგობრობას თესავს. ამიტომაცაა, რომ მას ფასი უნდა დავდოთ და მისი აიწონა-დაიწონა გავითავისოთ.

18325. ყოფის გადასახედიდან საკუთარი თავისთვის გადახედვა ყველას გვიჭირს და ხშირად არც გვსიამოვნებს.

18326. „პახმელიაზე“ გაკეთებულ და ყოფისთვის მოუმზადებელ მკითხველზე უნიათო არაფერია.

18327. შეცდომის დაშვება შესაძლებელია, მაგრამ არა შეცდომებისთვის თავის გადადება.

18328. ძალზე გვსიამოვნებს, როდესაც ჩვენს აზრებს სხვათა აზრები ემთხვევა.

18329. სინდისის ქონაც ზოგჯერ მატერიალურ დასაყრდენს მოითხოვს.

18330. რწყილის გამტყავებლის ნახვა ადვილია, მისი გამტყავებლის გატყავებაა ძნელი.

18331. ყოველივე თეთრი, ქათქათა მოსაწონი და მისაღები არაა, თუნდაც თეთრი ბაირაღები, თეთრი ლექსები, თუ არ გვეცოდინება მათი აზრობრივი დატვირთვა.

18332. კეთილზნეობრივი თუ ხარ, გონიერების მოხმობაც არ გაგი-

ჭირდება.

18333. ფეხის დაჭერას ზოგი ვერ იტანს და წიხლების სროლით ცდილობს წინააღმდეგობის გაწევას.

18334. ჰამბურგერმა, ჰოთდოგმა, ბუტერბროდმა, პიცამ დღეს ხაჭაპურს გვერდი დაუმშვენეს, მაგრამ იმერული ყველით გამოტენილ ხაჭაპურზე მაღლა მაინც ვერ დადგნენ.

+18335. სარკე გაცილებით მეტს ხედავს ჩვენში, ვიდრე ჩვენ – სარკეში, მაგრამ მას მეტყველების უნარი არ აქვს.

18336. ყბედობა დროის გაყვანის, თავის წარმოჩენისა და გართობის საშუალებაა. ამიტომაცაა, რომ მას არ ვეშვებით.

18337. დევებზე ბევრი ზღაპარი ვიცით, მაგრამ ჩვენში დევობას არავინ ცდილობს. ის არიფი და იოლად მოსატყუებელი ჰგონიათ და ამიტომაც ყველა ნაცარქექიობს.

18338. სიზარმაცეც თავისებურად ჩალიჩობს, იღვწის თავის მოსაჩვენებლად და ჩვენს დასამოძღვრავად.

18339. არჩევანი მარად ჩვენზეა, თუ ასარჩევს დაგვიტოვებენ.

18340. „პერსონა ნონ გრატობასაც“ ბედი უნდა, რომ უცხო ქვეყნიდან უმტკივნეულოდ გამოგაძუნძულონ.

18341. ძილში დაწყებულ სასიკეთო საქმეს ცხადში დამთავრება არ უწერია.

18342. ინგლისი უძახე შენ და თავისი ამბიციების შედეგად დიდმა კუნძულმა და პატარა ქვეყანამ თითქმის ნახევარი მსოფლიო დაიმორჩილეს. კაცობრიობის ნახევარზე მეტი დღეს ინგლისურად მეტყველებს. სამყაროს დროის ათვლაც ხომ გრინვიჩის დროით იწყება.

18343. გაორმაგებულ შემოსავალს რა სჯობს, თუ პირველადი მოხმარების საქონლის ფასს არ გაასამმაგებენ.

18344. მოდა არა მარტო გარეგნობასა და ფულს, არამედ ჭკუა-გონებასაც გვაკარგვინებს და ჩვენს გადაკეთებას ცდილობს.

18345. კოსმონავტიკის მოდაც შემოგვეპარა ტექნიკური პროგრესის შესატყვისად, და უცხო პლანეტების დაპყრობა-დასახლების წადილიც.

18346. იმ ბაგეს, რომელსაც მარად ღიმილი დასთამაშებს, ბოლომდე არ უნდა ენდოთ.

18347. „კაი ყმის“ სტანდარტი დროდადრო გადაისინჯება და იცვლება.

18348. ქარი ყოველთვის იქიდან არ უბერავს, როგორც ჩვენ გვინდა და ხელსა გვაძლევს.

18349. ზოგჯერ ნამამაძაღლევი ღვინის დალევასაც არ ვერიდებით. შედეგად კი ანათრობზე თავს გვახსენებს სინანული.

18350. ამბობენ: ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო: მაგრამ უქონლებს ეს ხელს არ უშლით, ჰქონდეთ ჭარბი წონა.

18351. დღეს დროის მოსაკლავი საშუალება უმუშევრებისა და დაუსაქმებლებისთვის ტელესერიალებია. შედეგად მთავრობას სამუშაო ადგილების შესაქმნელად დოტაციების გაცემა არ უხდება.

18352. ღვინის ზომიერად სმა ყველაზე დიდი ნარკოტიკია დროებით ბედნიერების მისაღწევად.

18353. ძალა და სიმდიდრე ღარიბსა და უძლურს შეიძლება ეხმარებოდეს კიდეც, მაგრამ ჩუმად რაღაც-რაღაცას ამადლის კიდეც.

18354. უნდა ვეცადოთ „აბრეშუმის გზის“ იმდაგვარ გამოყენებას, რომ მან თავისი მისია უნაკლოდ შეასრულოს.

18355. შენ ფეხები უძახე და გაჭირვების ჟამს ყველაზე დიდ იმედს მათზე ვამყარებთ.

18356. მცოდნე, უცოდინარისაგან განსხვავებით, იმდენს მეტყველებს, რაც საჭიროა და „ბასტა“.

18357. პიროვნება შეიძლება კულტი გახდეს, ოღონდ არა კატის კნუტი.

18358. გლობალიზაციას თითქოს პატარა ერები უნდა გადაესანსლა, მაგრამ ჯერჯერობით, ღვთის წყალობით, ასე არ ხდება და დღესაც ფეხებზე დგანან. ეტყობა ესეც განგების ნებაა.

18359. სინდისი არც გირავდება, არც იყიდება, არც ბანკში იდება დივიდენდების მისაღებად. დროა ეს გავიგოთ.

18360. ზოგის უკანალი ითხოვს, მისგან დაიწყონ ადამიანის სილამაზისა და სულიერების დემონსტრირება.

18361. ლომებზე მონადირე კაცს ღორის მოკვლა არ ეკადრება – ეს იდეოლოგია ჭრაჭუნებს.

18362. ზოგს ფიზიკური შრომა სულთამხუთავივით ევლინება და თავს უმუშევარზე მეტად დამცირებულად გრძნობს.

18363. მარიხუანასაც წამლად მოიხსენიებენ, მაგრამ მის წამლობას არ მიესალმებიან – გადამდები ავადმყოფობაა.

18364. გუნდსაც მოვლა-პატრონობა სჭირდება, რომ ის მისთვის უცხოთი და დაუდგენლით არ დასნეულდეს.

18365. ქველობა კარგი საქმეა, მაგრამ მიმბაძველი ცოტა ჰყავს.

18366. მყრალ ურთიერთობას სპეციფიკური, ჩვენი ცნობიერებისთვის მიუღებელი, სუნი ასდის.

18367. დარწმუნების საშუალება ყაჩაღისთვის იარაღია, გენიოსისთვის – ჭკუა, ქალისთვის – ხიბლი.

18368. ნამდვილ საქმიანობას ზოგჯერ ის საქმიანობა სჯობს, რომელსაც ნიჭით ვასრულებთ და ეს პროფესია მსახიობობაა.

18369. შური და წყენა თეორიულად სხვადასხვაა, მაგრამ ხშირად პრაქტიკულად ერთი მენტალიტეტი და გამოსავალი აქვთ.

18370. სასწაულის წამებაც თავისებურად დიდი სასწაულია.

18371. ცოდნაა ისიც, თუ ვიცით, სად შეიძლება მისი სარფიანად მოპოვება.

18372. მიზანდაუსახველი ცოდნა განათლების ტყვეა.

18373. ყველა ეჭვი რწმენის სასწორზე დებს საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას.

18374. რომ გადავხედავ ჩემს ახალგაზრდობას და გავიაზრებ, თუ რამდენ საქალბატონესთან შეწყვილება შემეძლო და რამდენი მათგანი გაუთხოვარი და უშვილო დარჩა, ჭკუა მეკეტება და ამ ჩვენს ტრადიციებს, აღზრდას სულ გინებით მოვიხსენიებ.

18375. დროსტარების ჭეშმარიტი მიზანია, ხვალ უკეთესნი ვიყოთ.

18376. ძალადობა და მათხოვრობა ერთმანეთისგან შედეგით არ განსხვავდება. მოძალადეც და მათხოვარიც სხვის ხარჯზე ცხოვრებას ცდილობენ – ერთი მოთხოვნით, მეორე თხოვნით.

18377. მოდის ძირითადი დანიშნულებაა ქალსა და კაცს შორის ინტიმური ურთიერთობის გაბმა.

18378. მიზანი საშუალებას ამართლებს, მაგრამ გულს ვერ იპყრობს.

18379. ცბიერებას მალვა უხდება, მაგრამ როდემდის? მასაც ხომ უნდა თავის წარმოჩენა.

18380. ზოგის თავაზიანობა ანგარებიდან, ანგარიშიანობიდან მომდინარეობს და არა აღზრდიდან, გენიდან. ამგვარ თავაზიანს თქვენი ფსონში ჩადებაც შეუძლია და ღალატიც.

18381. ჩვენ ძირითადად სტუმრისთვის მოჩვენებითი ბედნიერების საჩვენებლად და სხვათა გულის მოსაკლავად ვცხოვრობთ, რადგან საკუთარი ამბიციების მოთოკვა არ ძალგვიძს.

18382. სიტყვამრუშობა ხშირად სხეულით მრუშობას ფორას აძლევს და სჯობნის კიდეც.

18383. უცოდინარობა, უნებისყოფობა, უგულობა უგუნურების ქვაბში იხარშება და იქიდან ორთქლის სახით დიდ სივრცეს ედება.

18384. მუნჯ კანონს გონიერი ხელისუფალი საქმიანად აალაპარაკებს, ხოლო უნიათობა უსაქმოდ აყბედებს.

18385. არის გარემოება, როცა ყველა იტყუება და მათ შორის შენც და ეგ სინდისის ქენჯნას არ იწვევს.

18386. ყველა ხელოვნებიდან, ალბათ, ყველაზე უკეთ კინო კარნახობს ხელისუფლებას, თუ როგორ უნდა განვითარდეს საზოგადოება, რათა მისმა მმართველმა არ „ჩაისვაროს“.

18387. ზოგს საკუთარ თავზე ფიქრი ხალხზე ზრუნვად მიაჩნია. ამის თავადაც იჯერებს და სხვათა დაჯერებასაც ცდილობს.

18388. არას დიპლომატიურად თქმა უდიდეს ნიჭს, გამოცდილებასა და ხელოვნებას მოითხოვს.

18389. ქაოსიც კი ფაქტობრივად წესრიგისკენ მიილტვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც საზოგადოება იარსებებს და ვერც კანონი იკანონებს.

18390. ხელისუფალი უნდა ეცადოს, ხალხის კეთილდღეობის მოსაპოვებლად გაშლილ საქმიანობაში სისულელე არ ჩაიდინოს, რადგან ხალხს უგვანობის მადა ეშმაკის შეჩენით ეხსნება და ის ყოველთვის სანდო არაა. მაგ. ავსტრალიაში მომრავლებული კურდღლების გასანადგურებლად ყოველ ჩაბარებულ კურდღელში სახელმწიფომ წახალისების მიზნით გარკვეული თანხის გადახდა დაიწყო. შედეგად ეს დაუფიქრებელი ქმედება დიდებული ბიზნესი გამოდგა და ფერმერებმა კურდღლების განადგურების ნაცვლად მათი მოშენება დაიწყეს. ჩაბარებული კურდღლების ოდენობამ ბუნებრივად მომრავლებული კურდღლების ოდენობას გაცილებით გადააჭარბა.

18391. ყველა დიდი პიროვნება სულით ავარა, ხულიგანია და ალღოიანი იუმორის მქონე ყურმუსაღი.

18392. ნუგეშს ზოგჯერ სხვათა უბედურების განსჯა მოგვფენს.

18393. ომი სხვისი მოსავლის აღების მცდელობაა იქ, სადაც არც გიხვნია და არც გითესია.

18394. სიკვდილისთვისაც მთავარი გეგმის შესრულება ყოფილა და მას დიდად არ ადარდებს, საღსალამათს წაიყვანს თუ ყავლგასულს.

18395. ცნობიერება ჩვენი მეობის შეჯერების ალგორითმების მატარებელია.

18396. სადაც დიდი ოპტიმიზმია, იქ პესიმიზმიც იწყებს ხელის ფათურს.

18397. პროგრესსაც სისასტიკე ახასიათებს. ის შრომას მართლაც აადვილებს, მაგრამ უამრავ ადამიანს უმუშევარს ტოვებს და აიძულებს, სხვა გამოსავალი ეძიოს და თავი ისე ირჩინოს.

18398. ბოლომდის საკუთარ ჩრდილსაც არ უნდა ენდოთ.

18399. მიზანი მიმართულების გარეშე ყოველგვარი ნიჭის და ცოდნის წყალში გადაყრაა.

18400. ზოგჯერ ტყუილის მოგონებაც აუცილებელია, რათა ჩვენი ქმედების გაუმხელელი ნაწილი გავამართლოთ.

18401. ნდობადაკარგული სიტყვა სიცრუის ხარშვის სინონიმია.

18402. აუცილებლობით და გარდაუვალობით ჩადენილ გმირობას თავისი ჩრდილი ახლავს.

18403. ზოგჯერ მტერთან საერთო ენის გამონახვა დაპირისპირების გარეშეც შეიძლება, თუ მისთვის საინტერესო კომპრომისს შევთავაზებთ.

+18404. ღარიბისთვის ყველაფერი ძვირია, მათ შორის ისიც, რაც არა სჭირდება.

18405. ტექნიკური პროგრესისა და ინტელექტის განვითარება საზოგადოებაში „ვაგონებისა“ და „ელმავლების“ ურთიერთობის კანონზომიერებას ცვლის. „ვაგონების“ რაოდენობა, რომლებსაც „ელმავლობის“ სურვილი უჩნდებათ, თანდათან იზრდება.

+18406. სტატისტიკასთან მისტიკის ეშმაკუნები არ მეგობრობენ.

18407. განუსჯელად დაგროვებული საკუთრება თუ ქურდობა არა, მისი ბიძაშვილი მაინცაა.

18408. ჩვენი უცნაური ამბიციების დასაკმაყოფილებლად სასწაულს ყველა ველით.

18409. ზოგჯერ ჟინი, გატაცება ტოლს არ უდებს გრძნობებსა და კანონის ძალას.

18410. დღეს ცხოვრების თანამგზავრი შეძლების, ფულისა და საქორწინო ხელშეკრულების შესატყვისად მოჰყავთ, იმისდა მიუხედავად, ეს ნახევარი მამაკაცია თუ ქალი.

18411. ზოგს ტვინის გადახურებამდე შეუძლია არშიყი, ყბედობა, მცდელობა და, ამ მცდელობიდან რომ არაფერი გამოვა, არ სჯერა, იმდენად დარწმუნებულია საკუთარ თავში.

18412. უფლება და პატივის მიგება ნიშნავს, სხვის მატერიალურ შესაძლებლობებს ანგარიში გაუწიო, პატივი მიაგო, რათა შენ მიმართ არ დაიბოღმოს.

18413. ძალოვანს, რომელიც ქრთამს არ იღებს, რიდით ეპყრობიან, მაგრამ პატივს არ მიაგებენ, რაკიღა სხვებიც ასევე არ იქცევიან.

18414. უსახლკაროს ციხეში ყოფნა ურჩევნია, სადაც დღეში სამჯერ კვებავენ და უსაქმურობს თუ ქუჩაში ხეტიალი, საკვების მოსაპოვებლად წოწიალი, დასაძინებელი ადგილის ძებნა, დღემდე სადავო საკითხია.

18415. ბევრია ისეთი ჰარმონიული, მოხდენილი და შერწყმული წყვილი, რომ მისთვის ერთი შვილის ყოლა დანაშაულია ერის, ჯიშის, ჯილაგისა და განგების წინაშე.

18416. ზევიდან ჩამოვიდა და ქვევიდან ამოვიდა სინონიმებია.

18417. ტერიტორიული მთლიანობა უნდა დაიცვას ყველამ: კატამაც და თაგვმაც, ოღონდ ერთმანეთის ტერიტორიაზე უვიზოდ და უსაფრთხოდ უნდა იარონ.

18418. რწმენასაც თავისი ალგორითმი აქვს, რომელიც ღრმა გაგების განტოლებებზეა დაფუძნებული.

18419. შეძენა ზოგჯერ გონიერებასაც გვაკარგვინებს, გააჩნია დროს, კაცსა და მის ვითომდა ქომაგებს.

18420. სირცხვილი, უსირცხვილობა ბევრს გვიგემია, მაგრამ ამისი აღიარება გვიჭირს.

18421. ტრაგიკომედიაა, როდესაც სიდედრი შენთვის ნაჩუქარი

მანქანით ხევში გადავარდება და არ იცი, იცინო თუ იტირო.

18422. სწორი გზის გაგნებისას იდეალების ქონა უმაქნისია.

18423. ძალაუფლება პატივმოყვარეობასთან ერთად გაიძვერობასაც გვმატებს.

18424. საქმისადმი უნდობლობისა და ეჭვის გაფანტვა ერთი გემრიელი შეძახებით შეიძლება.

18425. მომდევნო საუკუნეების მცხოვრებლებისთვის ჩვენ განათლებულ პაპუასებად დავრჩებით.

18426. ძმებს შორისაც ხდება გაყოფა უფროს-უმცროსობის გათვალისწინებით ან გაუთვალისწინებლად, მაგრამ ამან ძმების ურთიერთობაზე ავი გავლენა არ უნდა მოახდინოს.

18427. დაუმსახურებლად განკითხული „მალთუსის თეორია“ ჭარბმოსახლეობის თაობაზე დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში ძველებურად ვულგარულად აღარ გამოიყურება.

18428. უგვანობას, უნიათობას კუდი ყოველთვის „ყავარზე“ აქვთ გადებული.

18429. დღეს პროტესტს გამოხატავენ დემონსტრაციით და არა გაფიცვით, რადგან დამსაქმებელი არა ჰყავთ, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ხელფასის მომატება რომ მოსთხოვონ.

18430. მიზანი საშუალებებს არ ეძებს. ის პირდაპირ მიდის ტარანზე.

18431. ბიბლიური სოლომონის სიბრძნეს ყველა აღიარებს, მაგრამ დღეს ყურად არავინ იღებს.

18432. ყველას გვინდა უგვანო ხელისუფალთა მოშორება, მაგრამ ამისათვის თავადაც უგვანობის ჩადენა მოგვიწევს.

18433. წინათ ძუძუმტეები გვყავდა, როდესაც დიაცი რძეს ორ ბავშვს უნაწილებდა. დღეს ეს როლი ბავშვთა ხელოვნურმა კვებამ იკისრა და ძუძუმტეობის ინსტიტუტიც გაქრა.

18434. კომბალი არჩეულსაც სჭირდება და მის ამომრჩეველსაც, და ეგების, ამ უკანასკნელს უფრო მეტადაც კი.

18435. ცუდის და კარგის განსხვავება ადვილია, მაგრამ მათ კეთებასაც ნიჭი სჭირდება, რათა მოჭარბებული სიკეთის და ავის კეთებით თავს არ ავნო.

18436. დღევანდელი ცისფერების შემყურეს „ლურჯა ცხენებით“ სულიერების გაჯირითების სურვილიც კი გეკარგება.

18437. პარლამენტში ლამიც ბევრია, ხავსიცა და მოუმწიფებელი ხალხიც. რატომღაც ყველა ამ გაუგებრობას დეპუტატი ჰქვია.

18438. პიროვნებაც ფარისეველთა ფარს იფარავს თავისი ინტერესების განსახორციელებლად.

18439. არამატერიალურ ხმას შეუძლია თავისი შემსრულებლის მატერიალურ ძეგლად, მონუმენტად იქცეს.

18440. შავიც მოსაწონი ფერი გახდა – „მერსედესის“ სახით.

18441. ყველა თავისთვის იღვწის, მაგრამ მისდა უნებლიეთ ზოგჯერ ეგ ღვაწლი სხვისი სასარგებლო გამოდის.

18442. უღელი არ უნდა დავიდგათ, მაგრამ უღლის გაწევა, ყოველი შემთხვევისთვის, უნდა შეგვეძლოს.

18443. „ვირის აბანო“ ჭრელ აბანოში არ უნდა აგვერიოს, რადგან მათი მომსახურების პრეისკურანტიც სხვადასხვაა და აბანოში ყოფნის ხანგრძლივობაც.

18444. მოწყალებით თვალები მაშინ გიყურებს, როდესაც ჯიბის მოქექვა არ შეუძლია.

18445. ზოგს ნალის დაჭედება შუბლზე სჭირდება.

18446. ყოველგვარ რევოლუციას, პერესტროიკას თავისი x და y აქვს. ისინი ძველ ცივილიზაციებზე დაყრდნობით და განსჯის შედეგად უნდა ამოიხსნას.

18447. სტომაქის ამოვსება ბედნიერებაა, მაგრამ ჭარბი წონაა უბედურება.

18448. წინათ ორთაჭალა თავისი ტურფებით ფასობდა. დღეს კი მთელ საქართველოს მოედო „ტურფობანა“ და ორთაჭალის ტურფათა ფასიც საგრძნობლად დაეცა.

18449. სიხარულით ცაში ასროლილ ქუდს თავი მარჯვედ უნდა დაუხვედრო, რომ არც ქუდი დაკარგო და არც თავი.

18450. ზოგი თავზე ბუზს არ ისვამს, მაგრამ ქვენა გრძნობების გამო მის უკანალზე ჯდომას იტანს.

18451. უმეცრება სირცხვილი არ არის, თუ მისი თავიდან მოშორება გწადია.

18452. გუშინდელი ტაშ-ფანდური, შესაძლოა, დღევანდელ ტაშ-ხახუნში გადაიზარდოს.

18453. უხეში ძალა საკმარისადაა ამქვეყნად, მაგრამ მისი გამოყენების მსურველია ცოტა.

18454. თუ ბრიყვების სუპერმარკეტს გავხსნით, სიბრიყვის ასორტიმენტებად დანაწილება გახდება საჭირო.

18455. არცოდნა ყოველთვის არცოდვა არ არის – თუნდაც იმის ცოდნა, რომ რეგვენი ხარ.

18456. ყველაზე სარფიანი საქმე, ალბათ, სამყაროს მომავლის დაზღვევაა: თუ საქმე კარგად წავიდა, გადასახდელიც აღარაფერი იქნება, ხოლო, თუ ცუდად, სამყაროც აღარ იქნება და არც გასაცემი გვექნება რაიმე.

18457. ზღვა მართლა შეიძლება კოვზით დაილიოს, მაგრამ ჩვენი ფანტაზია – არა.

18458. აუწონავი ყოველივე მომხიბლავია, მაგრამ აღებმიცემის

საქმეში არ გამოდგება.

18459. „ჩინჩლავს“ უძახე შენ და მთელი სამყარო „დაჩინჩვლის“ ალგორითმზეა აგებული.

18460. ნამუსის ქუდის ტარება დღეს მოდაში არაა – ქაჯობად გითვლიან.

18461. შარლატანობაც თავისი მასკარადის დადგმას ითხოვს.

18462. ერთის ქვაბში მოხარშული ჭირის დაგემოვნებას ყველა ცდილობს, რათა ცხოვრების ავ-კარგი დროულად აღიქვან.

18463. ასაკის გამოზაფხულება იმქვეყნად გადაუსახლებლად ყველას გვაძლევს ხელს.

18464. ომზე მეტად რევოლუციაა საშიში, რადგან პირველ შემთხვევაში მტერს ებრძვი, მეორე შემთხვევაში – მოყვასს, რომელიც რატომღაც შენს აზრებს არ იზიარებს.

18465. ამ ბოლო დროს სხვათა ქუდის დახურვა და სხვისი თბილი ტანსაცმლის ტარება მოდაში შემოვიდა და მას ემიგრაცია ჰქვია.

+18466. სტუმარი ზურგიდან უფრო მომხიბვლელია, ვიდრე წინიდან, თუ ის წასვლის დროს ვერ გრძნობს.

18467. ქვეყნის „ნათრობზე“ გამოჩეკილი მილიარდერები ჩემს სიმპათიებს ვერ იმსახურებენ.

18468. თუ მოვინდომებთ, მაცოცხლებელ მზესაც უამრავ ნაკლს აღმოვუჩენთ და თავსაც დავამადლით.

18469. თავისი უაზრო სურვილების აღსრულება დიდ ძალასაც უჭირს.

18470. გაბრაზება ჩვენს სიმართლეს არ მოასწავებს.

18471. თქვენის ჩემით შეცვლა თავმოწონების სურვილის ბრალია.

18472. შემოქმედება გონისა და გრძნობის აჯაფსანდალია, სადაც ყველაფერი ცოტ-ცოტა, შერეულ-არეულია და მაინც სასიამოვნოდ დასაგემოვნებელი.

18473. „დაკომპიუტერებულ“ ვითომდა ინტელიგენციას თავი ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე ჰგონია.

18474. რატომღაც „ღორს“ იმ მცდელობისთვის, რომ გასუქდეს და მეტი ხორცი მოგვცეს, ყველა ცუდ კონტექსტში მოიხსენიებს, იმისდა მიუხედავად, რომ მას მონდომებით ასუქებენ, საზეიმოდ კლავენ და ხორცს მიირთმევენ.

18475. არის დაუფასებელი საქმიანობა, სადაც ჭკვიანი კაცის გაგზავნა არარენტაბელურია.

+18476. შიმშილი ყველაზე დიდი მბრძანებელია, რასაც უნდა, იმას გვაკეთებინებს.

18477. მახსოვრობა თუ არაფერს გვასწავლის, მაშინ ნებისმიერი შემთხვევა და ამბავი დავიწყების ღირსია.

18478. მთავარია თანამდებობის გამოჩენა, თორემ მისი დაკავების უღირსი მსურველი უამრავია.

18479. უნამუსობის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ხელმისაწვდომი ხერხით მისაღებია, რომ ფეხი არ გაიდგას.

18480. მოიტყუეთ, იჭორავეთ, ჩაუნისკარტეთ და, თუ ამ მცდელობიდან არაფერი გამოვა, გაერთობით მაინც და უსაქმურობას ამ გზით დააღწევთ თავს.

18481. რამდენი, ერთის შეხედვით, თავისი დროისთვის შეუფერებლად ჩადენილი სისულელე მისი ჩამდენის შთამომავლობას პურს აჭმევს და უამრავ ტურისტს იზიდავს. მაგ. ეგვიპტის პირამიდებიდან დაწყებული ეიფელის კოშკით დამთავრებული.

+18482. მდიდრისგან ყველა ერთხმად დახმარებას, მისი სიმდიდრის გადანაწილებას ითხოვს, და ერთგვარად სიმდიდრის გამო კიდევაც საყვედურობენ, ხოლო ღარიბს არავინ ამუნათებს, თუ რა მიზეზით დარჩა ღარიბი.

18483. ნატვრასა და სურვილს სიბერე ვერ აძაბუნებს, პირიქით, აძლიერებს.

18484. სიცარიელისა და ცარიელის შეფასება როგორღაც ჭირს.

18485. მოსავლის აღებისას უკმაყოფილების გამოხატვა, როცა არაფერი დაგითესავს, უმადურობაა კვადრატში.

18486. თავდავიწყების საუკეთესო საშუალება ძილია.

+18487. ზოგი ისეთ სისაძაგლეს სჩადის, რომ მის სალანძღავად ქვებიც კი ამეტყველდებიან.

18488. ყველა პატიოსანი „ჩინოვნიკი“ მეტ-ნაკლებად სარგებლობს „უცოდველი“ შემოსავლებით, რომლის უფლებასაც თანამდებობის სკამი აძლევს.

18489. ყველა ჩვენგანს ჰქონია გადარევის დღე ცხოვრებაში, როდესაც ის თავის თავს არ ეკუთვნის. მაგ. თუნდაც ცოლის მოყვანის დღეს.

18490. განსაჯე, ოღონდ ჯერ მოუსმინე; ალიყური აჭამე, მაგრამ ჯერ მიზეზი მოიძიე; დასაჯე, ოღონდ დაასაბუთე – ესაა ხელისუფლის ავტორიტეტის უმთავრესი წყარო და საფუძველი.

18491. ერთი შეხედვით, უაზრო ოცნებასაც აქვს თავისი შედეგი, რაკიღა დროებით გიჟსაც კი აწყნარებს.

18492. უცოდველი ცოდვის – ჭორაობის დაბრალება ერთგვარ მხიარულებასაც გვგვრის და გვახალისებს.

18493. ზოგი ხშირად „ბრწყინავს“ თავშეყრის ადგილებში თავისი არყოფნით და ეს მისდამი ინტერესს კიდევ უფრო აცხოველებს.

18494. უმთავრესად ჩინოვნიკი-მოხელის გულია ბნელი, რადგან მისი გონება მუდამ პირად გამორჩენაზე ფიქრობს.

18495. იყო ცნობადი, ეს დღეს დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, თუ

მანჭვა-გრეხვა და ჭორაობა გეხერხება ან პოლიტიკაზე ქაქანი.

18496. ოცნება ბედნიერებასთან ყოველთვის ახლოს გვამყოფებს, მაგრამ მის გვერდზე არ გვაყენებს.

18497. ერთი დღით გმირად ყოფნა ზოგს მთელი ცხოვრების განმავლობაში პირადი ხელშეუხებლობის გარანტად გაჰყვება.

18498. თავის წარმოჩენას ყველა ცდილობს, აქვს ამის მოწოდება-შესაძლებლობა თუ არა.

18499. შეიძლება სპილოსაც შეუყეფო თავის წარმოსაჩენად, იმის ცოდნის მიუხედავად, რომ მაინც ვერაფერს დააკლებ.

18500. მარილი უძახე შენ და მის ფასი ხელოვნებაშიც განუსაზღვრელია: მარილიანი სიტყვა, მარილიანი მუსიკა, მარილიანი ნახატი.

18501. აკურატულობა, თავშეკავება თანამდებობის იდეალური პიარია, რომელმაც გადაღლა იცის და მოსაბეზრებელია.

18502. სურვილებს რეალობის მართვა და მისთვის თავის მოქონვა უჭირს.

18503. თავდაჯერებას გამოცდილება იძლევა, ამპარტავნობას – ამბიცია.

18504. სამწუხაროდ, უნამუსობა კანონით არ ისჯება, არადა ყველა სიგლახის საწყისი ის არის.

18505. როგორც კი შემოქმედი მოხერხებულ, წესიერად ცხოვრებას მოინდომებს, რატომღაც მის წინააღმდეგ თავს წამოყოფს უგვანო ბიუროკრატია და მას კვლავ მოუხერხებელი ცხოვრებისკენ უბიძგებს.

18506. სტუმარს, სიყვარულს, ტრადიციებსა და ქვეყნის ბედს ვერავინ დაემალება, თუ ქვეყნის მოქალაქეა და არა დროის მაჩანჩალა.

18507. ზოგჯერ ხელის გალაწუნება პირმშოსაც სჭირდება და ხალხსაც, მაგრამ ეს ქმედება სამართლიანი და აუცილებელი უნდა იყოს, რადგან მათ ეს ქმედება მთელი სიცოცხლე ამახსოვრდებათ და, ბოლოს როგორ გაგიხსენებენ, ეს თქვენი ნამოქმედარის სამართლიანობასა და შედეგზეა დამოკიდებული.

18508. ძალა ცოდნაა და არა ინფორმაცია, რომელსაც მსოფლიო ბატონობის პრეტენზია აქვს.

18509. დუმილი ოქროა, მაგრამ დუმილობანას ზოგჯერ უსინდისობამდე მივყავართ.

18510. ამბობენ: კამათში იბადებაო ჭეშმარიტება, მაგრამ მოკამათეთა რეიტინგი არავის აწუხებს.

18511. ძველის წარმოდგენების უნარი, ახალ გარემოებებთან შერწყმით, ამქვეყნად ყოფნის ხელოვნებაა.

18512. რევანშიც უსამართლობაა, თუ მას ყავლი აქვს გასული.

18513. თუ ძაღლი არ ყეფს და კაცი უკეთესი ცხოვრებისთვის არ იღრინება, მათ არ უნდა ვენდოთ.

18514. საკუთარი ფული მარტომ უნდა გადათვალო. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ერთგვარ შურს აღძრავს.

18515. შუძლებელია, თაფლში ხელები გქონდეს ჩაყოფილი და თითი არ გაილოკო. აქ მთავარია, თითი არ მოიჭამო.

18516. არის ნაცნობობა, რომელსაც უცნობობა სჯობს, იმდენად შეუთავსებლები არიან ეს ადამიანები თავიანთი ბუნებით, მოწოდებით, მსოფლმხედველობითა და, რაც მთავარია, პატიოსნების რაობის გაგებით.

18517. რწმენა ცოდნასთან ამხანაგობს, მაგრამ ვერ მეგობრობს, რადგან მათ უჭირთ ურთიერთის გაგება.

18518. ზოგს კატერის მართვის მოწმობაც ვერ აუღია და კრეისერის კაპიტნობას იჩემებს.

18519. წარმატებულებს აქებენ, მათზე ჩუმადაც ჭორაობენ, მაგრამ მათი რატომღაც არ შურთ.

18520. შენ მიერვე შეთხზული ტყუილის დაჯერებაც ზოგჯერ გარკვეული ბედნიერებაა, ერთგვარი შვებაა.

18521. მუდმივად წუწუნს ისევ გაზვიადებული ოპტიმიზმი სჯობს, შესაძლებელია, სიკეთის საკეთებლად მაინც გამოდგეს.

18522. უნდა ვეცადოთ, სიცოცხლე გავიხანგრძლივოთ, შევიყვაროთ, მაგრამ არც დროულად სიკვდილისა უნდა გვეშინოდეს.

18523. ცოდვის ჩადენამაც მიჩვევა იცის და ზოგს ის პროფესიად ექცევა.

18524. კეთილშობილური მიზნების უქონლად რისკის გაწევა უგუნურებაა.

18525. შიში კარგი ხელსაწყოა, განსაკუთრებით, თუ მას სწორად, სამართლიანად და უანგაროდ ვიყენებთ.

18526. გაკვირვება ადვილია, გაკვირვების მიზეზისა და მიზნის საჭიროების მოძიებაა ძნელი.

18527. ბრიყვები ყველაფერზე წავლენ, ოღონდ წარმოჩნდნენ.

18528. ყველაზე მეტად არარსებული ოცნებებით დაკომპლექსებულებს უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან მათთვის შემთხვევით ახდენილ ოცნებებს უბედურების მოტანა შეუძლიათ.

18529. მიუწვდომელი მისაწვდომთან შედარებით უფრო სასურველი და დაფასებულია.

18530. გარდაცვლილი გრძნობების რეანიმაცია ყოველთვის არ იძლევა შედეგს, იმდენად დიდია გარდაცვალებამდე არსებული გრძნობების თვითმყოფადობა და სიამაყე.

18531. ჩვენს პატივმოყვარეობაზე ცუდად შეხება ზოგჯერ ალიაქოთს იწვევს, მაშინაც, როდესაც მართლები არა ვართ.

+18532. ალკოჰოლი ჭკუას არც აკლებს, არც უმატებს, უბრალოდ,

მისი მიღების შემდგომ საკუთარ თავს ამოწმებ, გაქვს ის საერთოდ თუ არა.

18533. სიდიადის გამომჟღავნებასაც ერთგვარი ნიჭი სჭირდება, რადგან თანამედროვენი მის შესაძლებლობებს ზუსტად ვერ აფასებენ.

18534. ჩვენთვის ჭკუის სწავლებას ყველა ერთი ნაბიჯით წინწასული ცდილობს.

18535. თავხედობა და უსაქმურობა გვაიძულებს, ლექსები ვწეროთ, ხოლო სულიერების ფრქვევის სურვილი პროზაიკოსად გვხდის.

18536. განცდის გეომეტრიის სიყვარული ბრიყვსაც აწუხებს, ჭკვიანსაც.

18537. ომი დასაშვებია, თუ შედეგს – მშვიდობის გარანტიას – იძლევა.

18538. ომში გამარჯვება სარდლის ნიჭსა და ბედის ნებაზეა დამოკიდებული, ხოლო დამარცხება – დამარცხებულის ყოვლად გაუმართლებელ მოქმედებებზე.

18539. ზოგჯერ ყურება შეხებაზე მეტ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან ორივეს სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება სჭირდება.

18540. დუმილი „ოქროს შუალედი“ არ არის, თუ თანხმობას ნიშნავს.

18541. გარეგნობას, იმიჯს რაღაცას მოვუხერხებთ, მაგრამ გრძნობებისა და მენტალიტეტის ჩვენს ჭკუაზე მოყვანაა ძნელი.

18542. ზოგჯერ ჩვენ ირგვლივ ისეთი გარემო იქმნება, სადაც მხოლოდ გიჟების არსებობაა გამართლებული.

18543. ჭკუანაღრძობებს მშვიდობას ომი ურჩევნიათ – ერთობიან; კარგად ყოფნას – ტანჯვა – თავს ზედმეტად გრძნობენ; ოღონდ ეგ კია – სიღარიბეს სიმდიდრე ურჩევნიათ, რადგან მუქთაზე ისინიც კი უარს ვერ ამბობენ.

18544. კრიტიკას საქმის გაზვიადება მოსწონს, მაგრამ ჩვენს გონებას ინფორმაციას მატებს.

18545. დიდ მეგობართა მეგობრობას ღრიჭო უჩნდება, თუ მათ შორის მატერიალიზმის „შავი-კატა“ გაირბენს.

18546. მოძმე ერებს შორის მოჩვენებითი კინკლაობა, ერთმანეთზე ანეკდოტების შეთხზვა იწვევს სიყვარულს და სულიერების არეალის გაფართოებას.

18547. ძველი ქალაქის ღირსშესანიშნაობების ჯალათი მეტ-ნაკლებად ყველა არქიტექტორია.

18548. ბრიყვს ჭკუას არ არიგებენ, მასზე არც იმედს ამყარებენ, უბრალოდ, განერიდებიან.

18549. დაუხვეწავი იუმორი ტაკიმასხარაობაა.

18550. დაგვიანებული წლებისთვის სხვათა რჩევაც დაგვიანებუ-

ლია.

18551. ინტელექტი ინტელიგენტის სიამოვნებისათვის იღვწის, თუ დაუფასა და გაითავისა.

18552. ხშირად ფიცის დადებამაც მიჩვევა და მისი გაუფასურება იცის.

18553. რაიმეთი გატაცება ყველა ასაკს ამშვენებს, მაგრამ არა გადამეტჭარბებული.

18554. ზოგჯერ სიხარულის აღქმა გონის მოთოკვას მოითხოვს.

18555. არასასიამოვნო ტიპი შეიძლება ისიც იყოს, ვისაც შენთვის არაფერი დაუშავებია.

18556. სიკვდილს მისთვის გასაგები გემოვნება აქვს და მასაც ამ ქვეყნიდან საუკეთესონი უდროოდ მიჰყავს.

18557. ზოგი ფულს მიეყიდება, ზოგიც – რწმენასა და იდეას, მაგრამ მიყიდვის შედეგი ძირითადად ერთნაირია – უარყოფითი.

18558. საქმის მკეთებელზე ფულის გადახდით დანდობა ერთია, მეგობრების ავტორიტეტის ხარჯზე ნდობა მეორეა, ხოლო რომელი გზა უფრო საიმედოა, არავინ უწყის.

18559. ფარშევანგის ფრთებით შემოსილი ყვავი მაინც ყვავია, თუმც კი ხმა ორივეს ერთნაირად საზიზღარი აქვს.

18560. ვიყოთ ფრთხილად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვგონია, რომ ამ დროს სხვას სძინავს.

18561. თუ პროფესია ირჩევს ადამიანს, მაშინ საქმე უკეთ კეთდება.

18562. ბრიყვისთვის ფულის ქონა ყოველთვის ხელის შემშლელია.

18563. ვიყოთ ფხიზლად, ხომ შეიძლება ამ დროს სხვას ეძინოს, ხოლო ჩვენ კი ხელი მოვითბოთ.

18564. როდესაც ირგვლივ წესრიგია, მაშინ ჩვენს თავებშიც წესრიგი სუფევს.

18565. ძლიერ კლანჭებს შესაძლებლობათა მალვა უხდება.

+18566. გემოვნება არ იცვლება, უბრალოდ, იხვეწება და თანამედროვე ელემენტები ემატება.

18567. ფიქრიც თავისებური შრომა, საქმე და შემოქმედებაა.

18568. ოდესღაც დროის შესატყვისად ყოველივე წესრიგში იქნება მოყვანილი, მაგრამ უჩვენოდ.

18569. რაღაცის ფლობა შეძენილს ნიშნავს. ნიჭი თვითნაბადია და მისი გაიგივება ცოდნასთან არ შეიძლება, დაახლოება – კი.

18570. მუცლის ამოყორვა ჩვენი გარეგნობის სარკე როდია, რადგან გენეტიკას აქვს თავის ხუშტურები და არა ძღომას. მაგ. ერთი გაჩხიკინებული უზომოდ ჭამს და მაინც არ სუქდება.

18571. პიროვნება და ქვეყნის მოქალაქეა ის, ვინც მრავალშვილიანია და ქვეყანას ღირსეულ ახალ თაობას უზრდის.

18572. ბუნება ზოგჯერ სხვადასხვა თავსატეხ სიმახინჯეს გვთავაზობს დასაფიქრებლად, განსასჯელად და ამით გამოცდას გვიწყობს.

18573. ჩვეულებრივი დაცხინკება ჯანმრთელობაა, მაგრამ, თუ ამ დროს მანქანის საჭესთან ზიხარ, სიავეა, რადგან, შეიძლება, საჭე ხელიდან გაგისხლტეს და ყველაფერი ცუდად დამთავრდეს.

18574. მეგობრები, შეიძლება, მოწინააღმდეგენი იყვნენ, ოღონდ არა მტრები.

18575. საკუთრება ის ფენომენია, რომელსაც თვალებს ყველა საათავისოდ უჭყიტავს.

18576. დიდი რეფორმების ეპოქა, თანამედროვე ცივილიზაციის გაცნობიერების მიუხედავად, რატომღაც მაინც არ მთავრდება.

18577. ყველაფერს იპარავენ, სინდის-ნამუსის გარდა, რადგან მასში მატერიალურად სახეირო არაფერია.

18578. ყველა ჩვენგანში ჩასახულია დიქტატორის ბაცილა, რომელსაც დრო და გარემო თავისებურად იყენებს.

18579. კოსმოპოლიტიზმი მისაღებია, თუ ის შენს თვითმყოფადობასა და ცნობიერებას არა ვნებს.

18580. პატიოსნებაზე ყველაზე მეტად ის ყბედობს, ვისაც საკუთარ თავში ამ თვალსაზრისით ეჭვი ეპარება.

18581. დროებითი სიძნელეები ყველამ უნდა გამოვცადოთ, თუ გვინდა რეალური სიცოცხლის ფასი შევიცნოთ.

18582. მოზღვავებული გრძნობების შეკავება, აღზრდა და სასიკეთოდ წარმართვა ერთეულ გენიოსთა ხვედრია.

18583. მარადიულობას თუ მტვერი ედება, ის არც გადაწმენდას მოითხოვს.

18584. ყოველი გენიალური, ორიგინალური, არასტანდარტული ბუნების მადლის გადაცდენაა, რაც გვაკვირვებს და სიცოცხლის ხალისსა გვმატებს.

18585. აუტიზმი შეუმდგარი ლიბერალიზმის ბიძაშვილია.

18586. ცივილიზაციას აქვს თავისი ნაკლი: სიყვარულის მატერიად ქცევას ცდილობს, ძირძველ კეთილ ადამიანურ ურთიერთობებს ძირს უთხრის, ნათესაურ გრძნობებს აყალბებს.

18587. მრისხანებაც გონიერების თავისებური პროფილაქტიკაა.

18588. არქონის დაცინვამ სამაგიეროს გადახდა არქონით იცის.

18589. ამბიციებისთვის ყოველივე გასაგებია, ისიც, რაც გონიერებისთვის გაუგებარია.

18590. განშორება მარად პაემანის მოლოდინშია.

18591. მტრობისთვის თავის დანებება ზოგჯერ თავის წახდენის ტოლფასია.

18592. გონიერებისაგან განსხვავებით, ვნება ყოველთვის ფხი-

ზლობს და არ ისვენებს, სანამდის არ დაბერდება.

18593. ფლორისა და ფაუნის შემქმნელმა ადამიანის შექმნაც მოინდომა: ვიღაცას ხომ უნდა გაეპიარებინა შემოქმედის ხელოვნება.

18594. უკეთურ მოქცევას არავინ გვაძალებს, მაგრამ დრო, გარემო და ყოფის გაუცნობიერებელი ალგორითმები ზოგჯერ ამას გვაიძულებს.

18595. ცრურწმენას არაფრის მკურნალობა არ ძალუძს, გარდა საკუთარი თავის დროებით დაშოშმინებისა.

18596. ტალანტს დამცველებისა და კუდის ამწევებს შოვნა არ უჭირს, რეალური დამფასებლებისაგან განსხვავებით.

18597. სინანული ჩადენილმა ცოდვებმა იცის, ზოგჯერ – ჩაუდენელმაც.

18598. რეალურად ყველაფერია მოსალოდნელი, ისიც, რაზედაც ადრე არც კი გიფიქრია.

18599. შეუცდომლად ცხოვრება შეუძლებელია და ამიტომაც ამ შეცდომა-გადაცდომების გამო არ უნდა ვიდარდოთ.

18600. რაც მეტია შესაძლო ვარიანტი, მით უფრო ჭირს არჩევანის გაკეთება, რადგან ეს უკანასკნელიც თავისებურ ნიჭსა და დაფიქრებას მოითხოვს.

18601. დამარცხებული ხშირად თავადვეა დამნაშავე, რადგან ის წინასწარ ისე ვერ მოემზადა, რომ მოწინააღმდეგეს მასთან შებრძოლება ვერ გაებედა.

18602. ენაზე კბილის დროულად დაჭერამ, შეიძლება, ჩვენი უგუნური მოსაზრებანი გააქარწყლოს.

18603. დაუღვინებელი განათლება სრულყოფილი ვერ იქნება და მარად შუშხუნა მაჭრად დარჩება.

18604. სიჯიუტე, შემართება, მიზანდასახულობა საფუძველია გენიალობის, წარმატების, აღიარების.

18605. კარგ უფროსს ცუდი ხელქვეითები არა ჰყავს, უბრალოდ მათ თავისთან არ აჩერებს, ან სამუშაოდ არ იღებს.

18606. სიმართლე უკვდავია, სიმამაცე საქებარია, მაგრამ სიცრუე უფრო კომუნიკაბელურია და საყოველთაო ხიბლი აქვს, იმის მიუხედავად, რომ სარეველასავით ფესვის გადგმა იცის.

18607. ამბობენ: რასაც საკუთარი თვალებით ნახავ, სიმართლეაო. მაშინ რა ვთქვათ ილუზიონისტზე, რომელიც თვალდახელშუა გვატყუებს და მაინც აღფრთოვანებას ვერა ვმალავთ.

18608. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს საჭიროა ერთი გრაფის დამატებაც: თუ რამდენია ნამდვილი ადამიანი, კაცური კაცი.

18609. შორიდან ყველანი ქვებს გვესვრიან, თუ მათზე უკეთ ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენ რატომ უნდა ვაგოთ პასუხი მათს უნიათობაზე, ვერ გამიგია.

18610. მლიქვნელს სამსახური შეუძლია და არა ერთგულება.

18611. თაგვის დასაჭერად ხაფანგია საჭირო, ხოლო მდიდარი საქმროს დასაჭერად – დროის შერჩევა, თავის მოწონება და სიყვარულის ხაფანგის დადგმა.

18612. შამილი დაღესტნის ეროვნულ გმირად ითვლება, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილი – საქართველოში. მათ უამრავი მთიელის სიცოცხლე შეიწირეს. ერთი დანებდა მთავრობას და ცხოვრობდა რუსეთში, მეორე კი საზღვარგარეთ გაიპარა. არადა შედეგი წინასწარ იყო ცნობილი. ასეთ პატრიოტიზმს, გმირობას გაცილებით მეტი ზარალი მოაქვს ქვეყნისთვის, ხალხისთვის, ვიდრე უმოქმედობას, დანებებასა და თუ გინდ ქლესაობას.

18613. ხელისუფლების საქმიანობაში ყველა თავისი ხელის ფათურს ცდილობს, იმისდა მიუხედავად, ხელის სასიკეთოდ ფათურის უნარი შესწევს თუ არა.

18614. ზურგით არც კარების უკან უნდა დაჯდე და არც ზურგსუკან არავინ დაისვა.

18615. ჭორიკანობაც თავისებური გართობაა მოწყენილობის მოსაშორებლად და სულის გამოსაფხიზლებლად.

18616. თავმდაბლობაა, თუ გარეშეთა ჭკუის დარიგება არ გაბრაზებს და ამ დარიგებებიდან რაიმე სახეიროს გაიგებ.

18617. წყობას, ხელისუფლებას შეიძლება დასცინო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიმეს მიაღწევ, უბრალოდ, ნერვებს იმშვიდებ და საკუთარი თავის წინაშე ამაყდები.

18618. დანაშაულის ჩადენის ერთეული შემთხვევები მაინც გვექნება, რაც უნდა კანონმორჩილი ხალხი გვყავდეს და მდიდრული ქვეყანა გვქონდეს, რადგან ზოგი არსება გენეტიკურად დანაშაულის ჩასადენადაა დაბადებული.

18619. მოყვრად თავის მოჩვენების საუკეთესო საშუალებაა მოჩვენებითი გულახდილობა, რადგან მასში სიყალბის დანახვა ჭირს.

18620. ზოგჯერ თავხედობასაც არაორდინალურად სასიამოვნო შედეგი მოაქვს, გააჩნია ბედს.

18621. დასვენება კარგია, მაგრამ დაუსვენებლად ჯანმრთელად ყოფნას ვერაფერი სჯობს.

18622. ზოგს შეცდომების გამეორება მოსწონს. ეს მისი უგუნურება კი არაა, არამედ ბუნება აქვს ასეთი.

18623. სასიცოცხლო სივრცის მოსაპოვებლად ყველა ნიჭიერი მეტ-ნაკლებ სისაძაგლეს სჩადის, რადგან ზოგჯერ დასახული მიზნის ჯეროვნად განხორციელება ამას საჭიროებს, რათა ერთი დარტყმით გადაწყდეს ქვეყნისა და ხალხის საკითხი.

18624. ინტელიგენციასაც მისთვის შესაფერისი გინებები აქვს: ახ-

ალგაზრდავ, მე თქვენი მამა ვარ, სახეშეცვლილი, მე თქვენს კეთილებს შევეხმიანებოდი, თქვენ ჩემს ღირსებაზე დაბლა დგახართ და არა ასე; შენი დედა..., წადი, შენი კეთილები.... ერთ ადგილზე მკიდიხარ...

18625. ბრიყვი და პედანტი ძმები თუ არა, ბიძაშვილები მაინც არიან.

18626. სიტყვით შემოძახილი არაფერია, თუ წარსულის მნიშვნელოვან სურათებს არ აღადგენ.

18627. მტყუან-მართლის გარკვევა ყველას მძიმე ტვირთად აწვება.

18628. ლიტონად ნაგები გონიერების არც საქმე უქნია ღმერთს და არც მასში სამყოფი.

18629. ნიანგის ცრემლებს ბოროტებად იმიტომ აღიქვამენ, რომ ნიანგისა ეშინიათ.

18630. ოქრო კახპასაც კი ერთგულ მეუღლედ აქცევს.

+18631. უმეცრება უბედურების საჭერი წვრილად ნაქსოვი ბადეა.

18632. ერთხელ ნაქების მეორედ ქება არ ჭირს და არცა გვჭირს – ვეჩვევით.

18633. ცინიკოსები თავიანთი მსოფლმხედველობით საკუთარ თავსაც დასცინიან და იმასაც, ვისაც ხოტბას განზრახ ასხამენ.

18634. რაც უნდა ცუდი წარსული გვქონდეს, მისი ჯართად ჩაბარება მაინც საცოდაობაა.

18635. უგვანო ქალებიც იბადებიან და კაცებიც. ამიტომ საზოგადოება მათზე უპერსპექტივო მზრუნველობას უნდა შეეშვას და გენეტიკურად დაავადებული ხალხი ცალკე დაასახლოს.

18636. აიწონა-დაიწონას სასწორი წარსულის სიბრძნესთან თანამედროვე სისულელის შედარების საშუალებაა.

18637. უგუნურებას გონიერების ფესვის გამოხრა არ ეზარება, ოღონდ ამისი შესაძლებლობა ყოველთვის არ აქვს.

18638. ყვედრებას, დაცინვას, დამადლებას – ყველა დროის მოქალაქე უკადრისობს.

18639. ისიც დიდი ბედნიერებაა, თუ ისე მიდიხარ იმქვეყნად, რომ შთამომავლობას მცირე ვალსაც არ უტოვებ.

18640. უბირი სტრიქონებიც ჩვენი ნაოცნებარისა და განცდების ნაყოფია.

18641. კვიმატი სიტყვების ფრქვევის ლიმიტი უნდა არსებობდეს.

18642. საწნახელში პაპამამურად დაწურულ ღვინოს სხვა გემო, თრობის განსაკუთრებული ძალა და ღვთაებრივი არომატი აქვს.

18643. უაზროდ გაფუებული სიტყვა მარად არაფრისმთქმელია.

18644. ყველაზე ძნელია იმის მიხვედრა, როცა შენდამი სიყვარულს თამაშობენ, ქლესაობით პატივს მოგაგებენ და გემორჩილებიან.

18645. რაკიღა წარსულის კაპიტალურად შეკეთება შეუძლებელია,

ზოგჯერ ის დასანახავადაც არა ღირს.

18646. მუნჯებში ენაბლუც ორატორია.

18647. ხშირად საზრუნავს გამოცდილება ვერ შველის.

18648. სიამოვნებას ერთგვარად აუხდენელ მიზნებზე ფიქრიც კი გვგვრის.

18649. ყბედის მწუხარება უფრო წამლიქვნელებასა ჰგავს.

18650. ოცნებაც ხვრელის გამოთხრას გონიერების მიმართულებით ცდილობს.

18651. სინდისსაც მწყემსვა სჭირდება, რომ არ გაველურდეს და გადაგვარდეს.

18652. უმუშევრობა ხელისუფლებისთვის ერთ კარგ საქმეს აკეთებს – გაფიცვები ნაკლებად ხდება.

18653. უნდობლობას მაცდური ღიმილი აქრობს.

18654. დღეს სინდის-ნამუსის კურსსაც ევროკავშირი ადგენს და ამერიკა ბეჭედს ურტყამს.

18655. გაჭირვებაა ის, ვინც მასას დავიწყებულ ღირსეულ შვილებს ახსენებს, იმ შვილებს, რომელთაც სიღარიბეს თავის დროზე კუდით ქვა ასროლინეს.

18656. სიბერე სიყვარულს ყიდულობს გამოცდილებისა და ფულის მეოხებით.

18657. მითი საიქიოს უკვდავებაზე უფრო გვჯერა, ვიდრე საიქიო ხსოვნაზე, იმდენად დიდია ამ სამყაროდან ჩვენი სახელის გაქრობის შიში.

18658. ნაჯირითევი წლების კეთილად დამახსოვრება უნდა შეგეძლოს.

18659. თეორიულად, კანონით, ყველანი თავისუფალი ვართ და ყველაფრის უფლება გვაქვს, მაგრამ ამ უფლების პრაქტიკულად მოხმარა ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება დაზარალდე.

18660. თუ არ ვიმუშავეთ, ვერ ვიცხოვრებთ; თუ ვიმუშავეთ, როდისღა ვიცხოვროთ?! – აი, ზოგიერთი აუტისტის დილემა.

18661. მოთმინების უნარს გონთან ერთად სულიც უწყობს ხელს.

18662. უმიზნო, უაზრო ქმედებებს თითქოსდა შედეგი არ მოაქვს, მაგრამ ამდაგვარი ვარჯიში სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს.

18663. უფლებები მაშინაა კარგი, თუ მას სარგებელი მოაქვს.

18664. ზოგჯერ სიმამაცე უკან დასახევი გზების მოჭრის შედეგიცაა, მაგრამ სიმამაცის საწყისის ქონა მაინც აუცილებელია.

18665. სიცილი სიცოცხლეს აახალგაზრდავებს, მაგრამ ესეც საკითხავია, ვის და რის ხარჯზე ვიცინით.

18666. მომხიბვლელი და შეთვისებული ლეგენდების სიკვდილი და-

ნაშაულია.

18667. ხუმრობის მადლი წინასწარ საკუთარ თავსაც არ უთანხმდება, რადგან, სად გაიცინებს, თავადაც არ უწყის.

18668. როდესაც ყავლგასულ-ჩამოპლაცკარტებულ-ჩამოქვეითებული უფროსი დახმარებას გპირდება, ეს ეჭვს უნდა იწვევდეს, რადგან მასში შური და ბოღმაა დაგროვებული.

+18669. მანამდის ვერ ვიგებთ, ვინ არის ჩვენი მეგობარი, სანამ საქმით არ გაირკვევა, ვინ არის ჩვენი მტერი.

18670. უმიზნო ხეტიალს შედეგი არ მოაქვს, თუ იგი ფიზიკური ვარჯიში არ არის.

18671. ზოგჯერ ტყუილით „მარიაჟობა“ სიამოვნებასა ჰგვრის მსმენელსაც და ტყუილის შემოქმედსაც.

18672. ვნება ესწრაფვის ეჭვიანობას და არა თავისი შეცდომების გამოსწორებას.

18673. მტერს მივუტევოთ, მაგრამ მისი ნამოქმედარი დავიმახსოვროთ, რათა რეციდივის წინაღმდეგ მარად მობილიზებულები ვიყოთ.

18674. აკრძალვა ერთგვარი უხერხულობაა, მაგრამ ზოგჯერ საჭიროა და აუცილებელი.

18675. გვინდა – არ გვინდა, ერთმანეთს რაღაცაში უნდა ვჭირდებოდეთ, რათა ურთიერთნახვისა და სიყვარულის სურვილი არ გაგვიქრეს.

18676. სხვათა ყოფის საცვლებში აზრის ფათურის უფლება არავის აქვს, თუნდაც ეს მისი მფლობლის თანხმობით ხდებოდეს.

18677. გვინდა – არ გვინდა, მოდის შვილები თუ არა, მისი შვილობილები მაინცა ვართ.

18678. სხვადასხვა შეცდომას ჩავდივართ, ოღონდ ხშირად შედეგი ერთია.

18679. წესით, არაფერია სადარდო, რადგან, ეტყობა, რაც მოსახდენი იყო, უკვე მოხდა ან მოხდებოდა და თქვენ არაფერ შუაში ხართ.

18680. არარაობაც შეიძლება ადამიანად იქცეს, თუ ის ირგვლივ მყოფთა საქმეებით დაინტერესდება და რაღაცის ძიებას დაიწყებს, თუნდაც ამ რაღაცაზე წარმოდგენა არ ჰქონდეს.

18681. მისი უდიდებულესობა შემთხვევა კაპრიზიანია, იმისდა მიუხედავად, მოგვწონს ეს თუ არა.

18682. ზოგჯერ მშვიდობიანობამაც თავის მობეზრება იცის და გარკვეული ჯილაგის ადამიანებს მელანქოლიასა ჰგვრის.

18683. უძრაობას უმიზნო ხეტიალი სჯობს, მეტი შანსია, რომ რაიმე სახეიროს ხელი გამოჰკრა.

18684. ხშირად დაუფასებლობა, უყურადღებობა დანაშაულისა და უნიათობის მამაა.

18685. შეკითხვაზე, როგორა ხარ? არსებობს სამი პასუხი: „ისე

რა!“ და ყველა კმაყოფილია; „კარგად ვარ“ – ბევრ მოშურნეს გაიჩენ; „ცუდად ვარ“ – ბევრ ლიტონ გულშემატკივარსა და ქომაგს ამოიყენებ გვერდით.

18686. ჩვენი იუმორი კალამბურებით საუბარს ვერ გადაეჩვია.

18687. სიამაყე გულჩვილობისა და ტირილის უფლებას არ გვაძლევს, გვაძლევს მხოლოდ განცდის უფლებას.

18688. სიყვარული, მოწონება ხშირად დროებითი და წარმავალია, შთამომავლობა კი მარადიული ფენომენია. ამიტომ პატარა ტანის ქალი და კაცი მაღლებზე უნდა დაოჯახდნენ; შეუხედავი ქალი მომხიბვლელმა მამაკაცმა საკუთარი ჯიშიანი თესლით უნდა „დაასპონსოროს“, რათა მოჩვენებითი გრძნობებისა და წამიერი განცდის გულისთვის შთამომავლობა არ დაიტანჯოს.

18689. ქორვაჭარი, საქმოსანი, ბიზნესმენი, ეკონომისტი, პოლიტიკოსი, გამომძალველი, იურისტი თავიანთი საქმიანობით, ინტელექტით ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაგრამ ცოდნის ურთიერთსესხება-ურთიერთშერწყმის წინააღმდეგნი არ არიან.

18690. ცაზე ამდენი ვარსკვლავის ყურებამ საზოგადოებაში ვარსკლავების მომრავლებას ხელი შეუწყო, იმისდა მიუხედავად, თავიანთი საქმიანობით ისინი მართლა კაშკაშებენ თუ ბჟუტავენ.

18691. ვჩქარობთ, ე.ი. გარკვეულ წვრილმანს ყურადღებას არ ვაქცევთ. ამით კი ხშირად გონებაამოტრიალებულნი სარგებლობენ.

18692. დამნაშავესა და იძულებით დამნაშავეს შორის სხვაობა დიდია, მაგრამ შედეგი ერთია.

18693. პატარ-პატარა ცოდვების ჩადენა სიცოცხლის მადლს შეგვაცნობინებს.

18694. ნდობისთვის მორატორიუმის გამოცხადება ადვილია, მისი აღდგენაა ძნელი.

18695. სჯობს სხვათა არასასურველობა შეუმჩნევლად დავტოვოთ, რათა ნაწყენი არავინ დაგვრჩეს.

18696. გადაჭარბებული შური, თავაზიანობაც კი თავის წარმოჩენის ფარული სურვილია.

18697. შიში ყველას გვაფიქრებს, იმათაც, ვისაც ფიქრებით თავის გაცხელება არა სჩვევიათ.

18698. ცოდვებს არ იმახსოვრებენ, მაგრამ არც მთლად დავიწყებაა სასურველი.

18699. ლანგარზე დადებულ ტკბილ ყოფას არავინ მოგართმევთ: ლანგარიც თავად უნდა მოძებნოთ და ტკბილი ცხოვრებაც მოიწყოთ.

18700. ხელისუფლების სათავეში ბევრი შემთხვევითი ადამიანი მოდის, რადგან ბევრია ეგრეთ წოდებული შემთხვევითი ამომრჩევლი, რომელიც რაიმე პასუხიმგებლობას თავისი უნიათო არჩევანის გამო არა

გრძნობს.

18701. დასვენების უნარი ნიჭსა და ცოდნას მოითხოვს, რათა სამსახურში ენერგიით აღსავსე დაბრუნდეთ.

18702. პროტოკოლის დარღვევა დიდ ცოდვად არ მიიჩნევა, თუ საქმე სამართლიანობის აღდგენა-დადგენას ეხება.

18703. კონსპირაციის უგულებელყოფას სიკეთე არ მოაქვს.

18704. სიმდიდრის შეძენას მეტი ფასი ედება, თუ ვიღაც კონკურენციას გიწევს.

18705. ამქვეყნად სახელის დაგდებას იმ ქვეყნიდანაც უნდა ვეცადოთ.

18706. გარდაუვალი შერკინების ჟინი წარმატებისკენ გვიბიძგებს.

18707. ყველაზე მეტად ჩვენს მეხსიერებას უღიმღამოდ განვლილი წლები აჩლუნგებს.

18708. ანდერძი ძირითადად ყოფიერებას გვიუმჯობესებს, მაგრამ უფრო საქმიანს არ გვხდის.

18709. ჭორმა რომ ჭორის როლი შეასრულოს, მის ავტორს სინამდვილეზე ერთგვარი წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეს.

18710. ზოგი მლიქვნელი და გამორჩენის მოყვარული მოქიშპე მეტად ხშირად იცვლის ტყავსა და ზნეობას.

18711. ბევრი კარგისა და საინტერესოს გახსენება შეიძლება, მაგრამ არა ყველას ყურისთვის.

18712. ჩვენ სამყაროს სტუმრებიცა ვართ და მასპინძლებიც, სხვანაირად ქვეყნიერებას ვერ შემოვრჩებოდით.

18713. სიხარულის ელდა ზოგჯერ უფრო საშიშია, ვიდრე შეშფოთებისა და შიშისა.

18714. ოცნება იმდენად დიდი და ყოვლისმომცველი უნდა იყოს, რომ იქედან რამდენიმე მაინც აგიხდეთ და გაიხაროთ.

18715. ძველ ფასეულობებს ცივილიზაციის გამოისობით ჩრჩილი უჩნდება და ჩვენთვის ახალ სათუო ფასეულობებად გარდაიქმნება. რას ვიზამთ, ასეთია დროთა და თაობათა დაპირისპირების არსი!

18716. განათლებაა, როდესაც იცი, რა უნდა გააკეთო; ცოდნაა, როდესაც იცი, როდის, რატომ და როგორ უნდა გააკეთო.

18717. უალიბო მოთხოვნა ყაჩაღობაა.

18718. არც მარადიული სიცოცხლეა სასიამოვნო, თუ სიბერის მანტია მეტისმეტად მძიმე სათრევია.

18719. ალტრუიზმით ცხოვრებას ისევ ეგოიზმით ყოფნა სჯობს, რადგან პირველს ყველა ვერ გაიგებს და არც დააფასებს.

18720. ყოფის სიბნელის შეუმჩნევლობა თანდაყოლილი ხინჯია.

18721. გაქნილი მლიქვნელის მლიქვნელობაში ლიქნის საწამლავი პატარ-პატარა დოზებად ურევია.

18722. ნაკლის დაფარვის მცდელობა მოდური ფარისევლობაა.

18723. შეცდომების არაღიარებაში უგუნურება დევს, რადგან პერსპექტივას ვნებს.

18724. ბრიყვი შეცდომების დასაშვებად არის მოვლენილი ამქვეყნად და მას არაფერი შველის.

18725. მატყუარას არავინ ენდობა და, თუ ეს ასე არ ხდება, ყოველივე თავდაყირა დგება.

18726. ჩვენი ოცნებებისგან განსხვავებით, სამყაროს ნების შეცნობა შეუძლებელია.

18727. ღირსება და ეგოიზმი ერთმანეთისგან შორი-შორსა დგანან, მაგრამ ზოგჯერ ერთმანეთს კარგად უგებენ.

18728. პატივმოყვარეობა საკუთარი თავისა და მეობის წარმოჩენას სხვათა დაჩმორებით ლამობს.

18729. ფიზიკური მიმზიდველობა, სულიერი მეტაფიზიკა ალქიმიასთანაა შერწყმული, რომლის რეაქცია ხშირად გამოუცნობია.

18730. სურვილი შეძლებას არ ნიშნავს, რადგან შეძლებას გაწაფულობა, უნარი, მოხერხება სჭირდება.

18731. თანამედროვე სასწაულთა კასკადი, ტექნიკური პროგრესი და მეცნიერული მიღწევები დღეს იმდენად საოცრად არ გვეჩვენება, როგორც ეს ჩვენს წინამორბედთ ეჩვენებოდათ, რადგან ყოველივემ მიჩვევა იცის.

18732. მოჭარბებული გრძნობები ნაკლები მჭევრმეტყველებით გამოირჩევა.

18733. ყოველი პოტენციური დედის უშვილოდ დარჩენა საზოგადოებრივი დანაშაულის ტოლფასია.

18734. ამბიციების ტრაგედია მაშინ იწყება, როდესაც პიროვნების შესაძლებლობები რეალობის მოთხოვნებს არ ემთხვევა.

18735. მოსაწყენია ყოველივე, რაც მოჭარბებული და დრომოჭმულია.

18736. თუნდაც ძალზე კარგი, ერთი და იგივე ჩვენს თვალში უფასურდება, თუმცა კიცხვას არ იმსახურებს.

18737. წერა-კითხვის გაფეტიშება რომ არა, რამდენი ნიჭიერი დაიკარგებოდა, მათ მასწავლებელთა ხსოვნასა და ტექნიკურ პროგრესზე რომ არაფერი ვთქვათ.

18738. ერთს გამოცდილება აქვს, მეორეს – ძალა. მიუხედავად ამხელა უპირატესობისა, საბოლოო გამარჯვება მაინც პირველსა რჩება.

18739. დემოკრატიის შუქურები თავისუფლების საწებელში ამოსვრილი ის პარტიებია, რომლებმაც არ იციან, რას მოიმოქმედებენ.

18740. პატიება უნდა შევძლოთ, მაგრამ საპატიებელი არ უნდა დავივიწყოთ, რათა სხვათა პატიება კვლავ არ მოგვიხდეს.

18741. ამბობენ: დაავადებათა უმთავრესი მიზეზი შხამქიმიკატებით მოყვანილი საკვებიაო, შემდგომ მოდის ბაქტერიები, ვირუსები და კლიმატის ოხუნჯობანი.

18742. სიტყვის თავისუფლების უმთავრესი დანიშნულებაა, ხალხს ტვინი არ აურიოს და გონიერებას არ დააშოროს.

18743. სამწუხაროა, როდესაც სიკეთის კეთება გამდიდრების საშუალებად არ გამოდგება.

18744. ზოგჯერ სიმახინჯეც ლამაზად გამოიყურება, თუ ის ორიგინალობით, ბუნებრივი ნიჭითა და შინაგანი ხიბლითაა აღჭურვილი.

18745. იყო ოფიციალური ჯადოქარი, არც ისე ცუდია, თუ ეგ შენი როლია და თანაც ხელისუფლებას სჭირდები.

18746. სიდედრი მსუბუქ ავტომანქანასავითაა, მართალია, ბავშვების აღზრდაში გეხმარება, მაგრამ მანქანასავით მასაც მზრუნველობა-მლიქვნელობა სჭირდება. ასე რომ, მასთან ურთიერთობა, ნიჭი, მოთმინება და ოპტიმიზმი სჭირდება.

18747. სიკვდილსაც მხნედ, მოღიმარი და ყოველმხრივ მობილიზებული უნდა შევხვდეთ, იქნებ, დროებით მაინც დაეზაროს ჩვენთვის ხელკავის გამოდება და გასეირნება.

18748. დიასახლისის ინტერნეტით გატაცება და ბინის დამტვერიანება ერთმანეთის პირდაპირპროპორციულია.

18749. დროის, გარემოს, სიმართლის შეყვარება გულწრფელობას ყოველთვის როდი გულისხმობს, რადგან სურვილები ხშირად ერთმანეთს ვერ უგებენ.

18750. უიღბლო, დამარცხებულ ხელისუფალს, პოლიტიკოსს არც ხალხი სწყალობს, არც – შთამომავლობა, არც – ისტორიული ანალები.

18751. ზოგი იმდენად დაკავებულია, რომ საკუთარ სიკვდილთან შესახვედრად დროს ვერ ნახულობს.

18752. ბიუროკრატიასთან შერკინება შესაძლებელია კანონის მომარჯვებით, ასევე თანდაყოლილი საბრძოლო ნიჭის გამოყენებით.

18753. ზოგს სხვაზე დაბოღმვა შინაგანად არას ვნებს და სიმხნევესაც მატებს.

18754. საჩუქარი სამი სახისაა: ნანატრი, ძვირფასი და ისე რა, მაგრამ მას ზოგჯერ ფასს დრო, მოდა და მავანის ახირება ადებს.

18755. ტირილ-სიცილის გამოხატვა განცდაზე მეტად არტისტულ ნიჭსა მოითხოვს.

18756. საუბარი დაფიქრებას მოითხოვს, ეს უკანასკნელი კი – საუბრის შედეგის გაანალიზებას.

18757. დღეს ენების უცოდინარობა გაუთლელობის პირველ საბუთად განიხილება.

18758. სიჩუმე, მდუმარება, შეუმჩნევლობა ზოგჯერ დიდი ზიზღის

გამომხატველია.

18759. იუმორი ფილოსოფიური აზროვნების ნიჭს მოითხოვს, ხოლო „შაყირი“ ყოველივე ამას ზედმეტ ბარგად მიიჩნევს.

18760. ავტორიტეტი, რეგალიები, ამბიცია – სიკვდილის წინაშე ყველა უძლურია, რადგან ყველანი ჩვენი დროის მოკაკუნების მომლოდინენი ვართ.

18761. შიში ვირს ცხენად აქცევს – სწრაფი გადაადგილების უნარს შემატებს.

18762. ფოტოსურათი ჩვენი გარეგნობის, მეობის, ასაკისა და დევალვირებული ფუტლარის ყველაზე რეალური და მკაცრი რევიზორია.

18763. მთავარია, იმაზე მეტი არ დაიტოვოთ, რაც შეიძლება კანონის მოთხოვნების ფარგლებში გასცეთ.

18764. უფროსები მსჯელობენ, ინფორმაციას ეცნობიან, მაგრამ არ განიკითხავენ.

18765. გამოცდილების მაგალითები მათ შველის, ვისაც თავის განძრევა, ჭკუის გამოყენება შეუძლია, რადგან უნიათო უნიათოდ რჩება.

18766. ვიღაცის დავიწყებაზე ფიქრი ფაქტობრივად მასზე ზრუნვის სინონიმია.

18767. სიკვდილმისჯილისადმი ჯალათის დიდი პატივისცემაა, თუ იმქვეყნად სწრაფად და უმტკივნეულოდ გაისტუმრებს.

18768. ზოგჯერ ტრაგედია სიკეთედ იქცევა. 1666 წელს მთლიანად დაიწვა ქ. ლონდონი, მაგრამ ეს მის გაუმჯობესებას წაადგა. ახლად აშენებულ ქალაქში სრულიად აღმოიფხვრა ანტისანიტარია.

18769. ცრემლი ყველა ჩვენგანის წინაპარია, რადგან მომდევნო თაობები – ბავშვები – უცრემლოდ არ იზრდებიან.

18770. სიხარულს, იმედს, მისწრაფებას ხშირად დარეხვილები კვებავენ.

18771. სიტყვებსაც მოთოკვა და ყურის ახევა სჭირდება, რათა ერთმანეთს არ დაეჯახონ და შეასკდნენ.

18772. რატომღაც სიხარული, სიყვარული, ერთგულება არცერთ მაღაზიაში არ იყიდება.

18773. საშინელებაა ის, რომ რაიმე საჭიროს არ გასწავლიან, და არა ის, რომ არასაჭიროსაც გასწავლონ და სათავისოდ გმოძღვრავენ.

18774. მოწყენილობის შემომტანი კითხვების დასმას ისევ კითხვების დაუსმელობა სჯობს.

18775. ცუდის დავიწყების უნარი უგუნურებს მარად წართმეული აქვთ.

+18776. ახლობლები თუ გინდათ შეინარჩუნოთ, მარად საჭირო და შეუცვლელი უნდა იყოთ; სულიერი მეგობრებისთვის კი ეგ მნიშვნელოვანი არაა.

18777. ზოგი იმდენად ბოროტია, რომ ფიქრშიც კი საკუთარი თავისთვის ხელის ჩამორთმევა ეზარება.

18778. პოპულარული „აუტისტის“ – განათლებული დებილის – შეცდომები იმით არის სახიფათო, რომ მას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდება, შედეგად კი ქვეყანა ზარალდება.

18779. ხოტბის შესხმა იმდენად არ გვვნებს, რამდენადაც გვაამაყებს.

18780. ერთის სიამაყე სხვის სიამაყეს ვერ იტანს და მას მარად კრიჭაში უდგას.

18781. სმენის გამახვილება და თვალების გაფართოება შიშმა იცის.

18782. მეტყველება წარმოაჩენს ადამიანს და არა პირიქით.

18783. სურვილების ასრულება გულისხმობს ოღროჩოღრო ადგილებზე სიარულს.

18784. საკუთარი ნაკლისაგან განსხვავებით, სხვის ნაკლს უკეთესად ვხედავთ.

18785. „არას“ თქმა ძნელია, ოღონდ „ჰოს“ თქმა და შეუსრულებლობა უძნელესია.

18786. პრობლემების იდეალური გადაწყვეტის ალგორითმი არ არსებობს, მაგრამ დამაკმაყოფილებელი ტოლობის მისაღებად პლუსია საჭირო.

18787. კაცობრიობის უსასრულო შესაძლებლობების საბუთს სასწაულებრივი ტექნიკური პროგრესის გაჯეჯილება იძლევა, რომელიც, ალბათ, ადამიანის გონის ხიმინჯების შეცნობასაც მოახერხებს.

18788. ყველაზე ცუდად მაშინ გამოიყურები, თუ ცელმომარჯვებული „მჭლე კაცი“ გელოდება და შენ კი იმქვეყნად წასაყვანად ღმერთს არ უქნიხარ.

18789. წარსული ზოგჯერ უპატიებელ და დაუჯერებელ ცოდვებს მალავს.

18790. თეორიულად უშფოთველი სიღარიბე სჯობს შფოთიან სიმდიდრეს, მაგრამ სინამდვილეში თვალი მაინც ყველას სიმდიდრისკენ გაურბის.

18791. ხელისუფლის შეუფერებელი და გაუაზრებელი გულკეთილობა დანაშაულია – ყოველ შემთხვევაში, ისტორიული ფაქტი ამას ამტკიცევს (რუსეთის მეფემ ალექსანდრე II, ეტყობა, ბატონყმობა დროზე ადრე გააუქმა. მისგან უფრო მეტიც მოითხოვეს და ტერორსაც ემსხვერპლა).

18792. გაჭირვებაში თანამდგომთა მოძიებაა ძნელი, თორემ დალხინებისას „როგორ მოგემსახუროთ“ საჭიროზე მეტჯერ გესმის.

18793. მოლაპარაკებას, შეთანხმებას, დიქტატისგან განსხვავებით, მეტი ნიჭი სჭირდება, რისთვისაც საზოგადოება მომწიფებული უნდა

იყოს.

18794. მეგობრობა არა მარტო ურთიერთობაა, არამედ მოძღვრებაც და მას შემართებით სწავლა სჭირდება.

18795. სპორტულად აღნაგი სხეულიც კი კვების წესების გაუთვალისწინებლად და უდიეტოდ სასურველ ფორმას ვერ ინარჩუნებს.

18796. ზოგჯერ უფსკულის პირას დგომა ჩვენი „მეს“ გამოცდაა.

18797. ჭამისა და მოხვეჭის მადასთან ხელშეკრულების დადება ყველას გვიჭირს.

18798. დღევანდელ სამყაროს იპყრობენ ბიზნესმენები და არა გენიოსები, რომელთა დამსახურება პრაქტიკული ბიზნესის განვითარებაში უდიდესია.

18799. უწარსულოდ მომავალი არ არსებობს, მაგრამ წარსულის ნარატივი სწორად უნდა წავიკითხოთ, აღვიქვათ, ოღონდ არ გავიმეოროთ.

18800. ზოგს ისე ლამაზი სახე აქვს და მახინჯი ტანი, რომ ეჭვი გეპარება: ერთმა შემქმნელმა ხომ არ დაიწყო და მეორემ ხომ არ დაამთავრა ამ არსების შექმნაო?!

18801. ურთიერთობაში უმთავრესია ხასიათების ურთიერთმორგება, ვიდრე გონიერება და საერთო ინტერესების ქონა.

18802. სინდისისგან თავის დაღწევა ჭირს, ხოლო ზოგჯერ შეუძლებელიცაა.

18803. იდეალისტები ლუსტრაციის გზით მაღალი იდეალებისთვის იბრძვიან, ხოლო რეალისტები – დაუფიქრებლად და, რისთვის იბრძვიან, თავადაც ბოლომდე ვერ აცნობიერებენ.

18804. სიდიადესაც თავისი თანამოაზრენი სჭირდება, რათა ჯეროვნად აღვიქვათ.

18805. რაც უფრო მაღალია სიჩქარე, ხიფათის შესაძლებლობა მით უფრო იზრდება, მიუხედავად ტექნიკური პროგრესისა და მისი შესაძლებლობებისა.

18806. მახეს კუჭის ამოყორვისა და თავის წარმოჩენის წადილი გვიგებს და არა მახის დამგების გონიერება.

18807. გადამალულმა გრძნობებმა სიყვარულიც მეტი იცის, ამჩატებაცა და თავის გასულელებაც.

18808. ღირსების წინაშე ხშირად ბოროტებაც გულჩვილი ხდება და თავის მზაკვრობაზე ხელს იღებს.

18809. სილამაზე, ხიბლი, უნიკალური გარეგნობა თავისებური ჰიპნოზია. მთავარია მათი გონივრული წარმოჩენით სარგებლობის ნახვა.

18810. წარსულისთვის ცეცხლის შენთება დღევანდელობის გადასახედიდან გულის მოფხანაა და მეტი არაფერი, რადგან განგების მიერ დაგეგმილ შეცდომებს ვერც აწმყო გაურბის.

18811. სუსტი ხასიათის კაცს ნებისყოფის სიმტკიცეს ვერ მოსთხოვ. ის ვერ გარდაიქმნება.

18812. კარგისა და პერსპექტიულის ლოდინი თავისებურ აღმაფრენას იწვევს.

18813. წუხილი, სინდისის ქენჯნა ერთი და იგივე არ არის. ამ უკანასკნელს ღრმად აქვს გადგმული ფესვები ჩვენს ცნობიერებაში.

18814. „ვერ ვიგებსა“ და „არ ვიგებს“ შორის სხვაობა დიდია, მაგრამ შედეგი ერთია.

18815. ახლობლების და კეთილის მნდომთა ნერვებზე თამაში ზოგისთვის გართობის ერთ-ერთი სახეა.

18816. დღეს ტატუს კეთება თავისებური ახირებაცაა, მიმბაძველობაც, „უტრაკო ყარაჩოღელობაც“ და, რად სჭირდება ადამიანს წარსულის ამ დაგმობილი გადმონაშთის გამოცოცხლება, გაუგებარია.

18817. ბიუროკრატიას იმდაგვარად უნდა ვებრძოლოთ, რომ ამის შესახებ თვით ბიუროკრატებმაც ვერაფერი იგრძნონ და გაიგონ. მაშინ იძლევა ის სასურველ შედეგს.

18818. თმა, რომელიც თავზე გეზრდებათ, სილამაზეა, ხოლო რომლისგანაც პარიკს გიკეთებენ, ქონებაა.

18819. სიფრთხილე თავის უკეთ გადამრჩენია, ვიდრე – განსჯა.

18820. ყბედობის სურვილი განსჯადი დაფიქრების უნარს გვიკარგავს.

18821. გატაცება დაავადებაა: რომ არ აკეთო, არ შეგიძლია.

18822. ზოგი თავის ნიჭს, შესაძლებლობებს, ამბიციებს ფიქრში ახრჩობს. და ამითაც კმაყოფილია.

18823. ძუ ლომი დღეს სანატრელი მეოჯახე ქალია, რომელიც ნადავლს თავად მოიპოვებს, უწინარეს ყოვლისა, საკვებს თავის ხვადს მიართმევს, რაც დარჩება, იმით ლეკვები და თავად კმაყოფილება და ამას ის აკეთებს ღირსეული სექსაობისთვის, და ხვადს მანამ უფრთხილდება, სანამდის ის ძლიერია და ლომების ჯოგში ავტორიტეტით სარგებლობს.

18824. რითაც სიამოვნებას განიცდი, თუ მანკიერი არაა, მისაღებია.

18825. სახიფათო გრძნობებსა და განცდების ჩოჩქოლს სიბერე ვერ აცნობიერებს.

18826. პოლიტიკურად შტერი, ძალად შტერი, მექრთამე შტერი მოსახლეობის 99,9% შეადგენს, იმისდა მიუხედავად, ჩვენ მათ მარაქაში გავდივართ თუ არა.

18827. დიდი მსახიობია ის, რომლის მაყურებლისთვისაც სასწრაფო დახმარებას გამოიძახებენ.

18828. გრძნობების მკვახე შეძახილით გაღვიძება სასურველ შედეგს იძლევა.

18829. ფლობა – არფლობას მაინც ჩვენი ნება-სურვილები გვიკარნახებენ.

18830. ბედნიერება არასოდესაა სირცხვილი, თუ ის სხვის ხარჯზე არაა მოპოვებული.

18831. შრომითი თერაპია და მისი შთაგონებანი ხელს უშლის ადამიანური ხუშტურების მომრავლებას.

18832. სიმართლის თქმას გამბედაობა სჭირდება, ხოლო პირში სიმართლის მიხლას-თავხედობა.

18833. მართალია, „ჭამა ქონებაზე ჰკიდია“, მაგრამ ეს თეზა ყოველთვის როდი გვევლინება ჭეშმარიტებად: ზოგიერთი მადას აყოლილი მილიარდერი დისტროფიკის შთაბეჭდილებასა ტოვებს, ხოლო ზოგი ღარიბი ჭამით გაბერილ გომბეშოს მოგვაგონებს.

18834. გაბრაზების ჟამს ვერცერთ ადამიანურ სიმდაბლეს ვერ გადააჭარბებ, ვერც „მოუჯოკრავ“.

18835. სამწუხაროდ, ზოგჯერ რწმუნდები, რომ სამყაროს მთელი მომხიბვლელობა ბლეფზეა აგებული.

18836. რასაც გიმალავენ, მის გაგებას ნუ ცდილობთ. შეიძლება უფრო ძვირი დაგიჯდეთ მისი ცოდნა, ვიდრე არცოდნა.

18837. წარსულის მიმართ პრეტენზიების წაყენებასა და შეცდომების გამო თვითგვემას ყველა ჩვენგანი სიბერეში ლამობს.

18838. ყოფიერების სამოთხეში ხელის გაუნძრევლად მოხვედრის სურვილს, მოწყალებას განუსჯელ ლოდინამდე მივყავართ, და ეგ დრო ზოგჯერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში იწელება.

18839. ბევრი ენის ცოდნა „მედვეჟონკის“ პროფესიასავითაა – ყველა ქვეყნის წარმომადგენლის გონიერების სათავისოდ გაღებას ცდილობს.

18840. ზომიერება, იცოცხლე, კარგია, მაგრამ ყოველთვის სათანადო შედეგს როდი იძლევა.

18841. ზოგჯერ შენი სიბრიყვე სხვათა წარმატების საწინდარია.

18842. გამარჯვებული ზნეობის საფუძველსა და ბაზისს არ დაეძებს.

18843. ინტერნეტისა და ცივილიზაციის უჯეროდ გამოყენება დღევანდელ თაობას გადაგვარების საშიშროების წინაშე აყენებს.

18844. ზოგჯერ სახელის უკვდავებას მოღალატეთა დევნაც მოიტანს.

18845. დღეს იმდენი საყველპურო სასწავლო უნივერსიტეტია გახსნილი, რომ სტუდენტები ფულს გაუნათლებლობაში, ინსტიტუტში ყოფნაში („დასკუკებაში“) იხდიან და არა სათანადო განათლების მიღებაში.

18846. უბედურების მომტანი მარტო სიტყვის თავისუფლება არ არის, რადგან, ყველაფერი, რასაც საქმე და შედეგი არ მოჰყვება,

ჭორაობის ტოლფასია.

18847. პიროვნების ვნებასა და ნებას ხშირად ეწინააღმდეგება გონიერება და ქვეყნის შვილობა.

18848. საქმის კეთება „ცხვრის გატყავებად“ მაინც უნდა ღირდეს, ხოლო ადამიანთან ურთიერთობა – სალაპარაკოდ.

18849. ერთია სხვათა კარნახით გრძნობათა შეცნობა, მეორეა შენი შეგნებით მისი აღქმა, რომელიც მთელი სიცოცხლე გაგყვება.

18850. ულტიმატუმი და მოწოდება ბრძოლის დაწყების წინაპირობაა.

18851. სიამაყე საკუთარ მეს დაუსაბუთებლად ადიდგულებს.

18852. სიამაყე ხშირად საკუთარ მესაც კონკურენციას უწევს.

18853. მოულოდნელი კურიოზები ხშირად ჩვენი დაუგეგმავი გართობის წინაპირობაა.

18854. დროულად შეჩერების უნარი ადგილს, გარემოსა და დროს უნდა ითვალისწინებდეს, ასევე თავის გაკონტროლებას.

18855. დასამახსოვრებელი უგუნურების ჩადენა, რომელიც გარეშეთ ვნებას არ აყენებს, ყველა ჩვენგანის ვალია. რაღაც მძაფრის გახსენებით ხომ უნდა გავერთოთ.

18856. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბიზნესსაც აქვს თავისი წრიული ბრუნვა: იჯარა, ჩვენ მალე გავიხსნებით, გავიხსენით, ფასდაკლება, გაყიდვა, ლიკვიდაცია და „ბასტა“.

18857. წესით, გაფულიანება მოვალეობებს უნდა გვიმატებდეს და არა უფლებებს, რათა ქვეყანას უკეთ ვემსახუროთ. ჩვენში კი პირიქითაა.

18858. ახალი ყოველთვის რაღაცის წინააღმდეგ იბადება, ოღონდ ძველი კი არ უნდა გააქიაქოს, უბრალოდ, გააუმჯობესოს ან შეცვალოს.

18859. აუტისტისა და დილეტანტის ხელში სიახლეები მძაფრ კრიტიკას იმსახურებს.

18860. ერთგულებით ძაღლი სჯობს ადამიანს, გაჭირვების ჟამს თანადგომა იცის, ბავშვებს არ ერჩის, გიფრთხილდება და ამ ერთგულებისთვის არც არას ითხოვს.

18861. იდენტურობის მოფრთხილებას მაშინ ვცდილობთ, როდესაც ტექნიკური პროგრესის გამო თაობების მენტალიტეტი თითქმის შეცვლილია.

18862. ამბობენ: ძაღლს ძვალი უყვარსო, და ეს დავიჯერეთ, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ მას ხორცზე უარი არასოდეს უთქვამს.

18863. ფუფუნება მისთვის გაუგებარ მსხვერპლს მოითხოვს და ისიც არაერთხელ.

18864. ეჭვიანობა ქრონიკული დაავადებაა და მისი განკურნება გაძნელებულია.

18865. სიმართლის თქმას ყველა ერიდება, მაგრამ საბოლოოდ ის მაინც გამჟღავნდება. „არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადდეს“.

18866. შური, სიძულვილი, გაუტანლობა არ მეგობრობენ, მაგრამ ერთმანეთს მხარს მაინც უბამენ.

18867. სრულყოფილებისკენ მისწრაფება სხვათა გაკვირვება და ავტორიტეტის ამაღლების მცდელობაა.

18868. მართალია ნათქვამი: „ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებს“. ზოგი ქალაქი ორიგინალური ქრთამის გაღებით აშენდა. მაგ. ქ. ოდესა, როდესაც რუსეთის იმპერატორს საჩუქრად 3000 ფორთოხალი გაუგზავნეს.

18869. ზოგჯერ ანტირეკლამა რეალიზაციის გაორმაგებას იწვევს. მაგ. როდესაც სიგარეტის კოლოფს თავის ქალა დაახატეს და წააწერეს – სასიკვდილოა, შედეგად მწეველთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა და მათ რიგებს უამრავი ქალიშვილი შეემატა. ასე რომ, ანტირეკლამასაც განსჯა, დაკვირვება სჭირდება.

18870. შეიძლება, ვინც გაწყენინათ, მისი ცუდი არ გიხაროდეთ, მაგრამ არც დიდად გაწუხებდეთ, რას ვიზამთ: ემოციებიც გამოსავალს ეძებენ.

18871. ზოგჯერ ლენინის მიერ საზოგადოების დამნაშავეებად, საარგებლო იდიოტებად და კომუნისტებად დაყოფას ეთანხმები, როდესაც საყოველთაო არჩევნებით ხალხის არჩეულ ლიდერთა საქმიანობა შეგრჩებათ ხელში.

18872. პროვინციალიზმი შეზღუდვის მაჩვენებელია. ამიტომაც მას მალვა და ფარვა სჭირდება.

18873. ზოგი გენეტიკურად მოუგვარებლის აღზრდას, იქნებ, მისი მომდევნო დედმამიშვილის დაპროგრამება სჯობდეს.

18874. სიამაყე ხშირად დიქტატის მხარის ამბმელია და მის გვერდზე დგას.

18875. ცნობისმოყვარეობა თავისებური დაავადებაა, რომლითაც სარგებელს ერთეულები ნახულობენ.

18876. ზოგჯერ ჩვენი წარმატება სხვათა უნიათობის, დაუკმაყოფილებლობის, ფანტაზიის ბრალია.

18877. სიმართლის თქმას დაჯერება უხდება, ნაკლს – პრობლემების უქონლობა.

18878. სიტყვა „დემოკრატია“ სანუკვარი ტერმინია, მაგრამ მისი მნიშვნელობა, შინაარსი არც აინტერესებთ, რაც მას საბედისწერო მოვლენად აქცევს.

18879. სრულყოფილებისკენ თეორიულად უნდა ვისწრაფოდეთ, მაგრამ პრაქტიკულად მისი სრულად განხორციელება არ უნდა ვცადოთ, რადგან მაშინ რობოტებად ვიქცევით.

18880. უცოდინარობის საფუძველი ხშირად ვინმესადმი გადამეტებული მინდობაცაა.

18881. სჯობს მეორე კაცი იყო და შენი ჭკუის, ნიჭისა და შეძლების შესატყვისად იღვაწო, ვიდრე ზემდგომის კაპრიზებს ანგარიში გაუწიო და პიროვნული ვერ გამოავლინო.

18882. გერგილიანი იუმორი ბევრ ზედაპირულ მსჯელობას ღიმილით ზევიდან გადმოჰყურებს.

18883. პოვნა-დაკარგვა, წაგება-მოგება, სიყვარული-სიძულვილი ალგორითმებია. იმდენად მოულოდნელად და სპონტანურად ხდება ყოველივე ეს, რომ ზოგჯერ მათი რაობის გამოცნობა ძნელდება.

18884. თავშეუკავებლობა, ამბიციურობა და შური სიკეთისაგან შორსა დგას.

18885. ეგოიზმი თავისებური ნაკლია, რომელიც, ჩვენდა უნებლიეთ, ზურგზე ყველა ჩვენგანს გუდასავით გვაქვს წამოკიდებული.

18886. მლიქვნელს მრავალი საამო ჭორის შეთხზვა და მოყოლა შეუძლია, და ამ დროს არც გაწითლდება, არც გაყვითლდება, არც სირცხვილის ოფლი დაასხამს.

18887. სიახლესთან თანადგომას შემართება, მოვალეობა, მცდელობა შობს და არა ჩამოუყალიბებელი სიყვარული.

18888. თავი თუ ჭკუა-გონებას დროს შესატყვისად არ მოუხმობს, სიახლეს თუ თავისი სარგებლით არ გადახარშავს, ის თანამედროვეთა გაგებით ტრაკია.

18889. დღეს ყოველივე სადავო და „საგლახაო“ მოდაშია, რადგან ყველა თავისი უცნაურობებით თავის მუქთად წარმოჩენას ცდილობს.

18890. ჩვენთვის გაუცნობიერებელ ბუნების მოვლენებთან შერკინება ადრე თუ გვიან დაგვსჯის.

18891. ზოგჯერ აღშფოთება აღფრთოვანებად გადაიქცევა, თუ მოვლენაში საინტერესო სიახლეს აღმოვაჩენთ.

18892. აკრძალულის დაგემოვნება შეიძლება გვსურდეს, მაგრამ არ უნდა ავიკვიატოთ, რათა ნაწყენი არ დავრჩეთ.

18893. ცნობისმოყვარენი ხშირად წარმოსახვის უნარს მოკლებულნი არიან და ეს მათი სულიერების სისუსტის ბრალია.

18894. უზომო წადილი, განათლებულნი და შემჩნეული ვიყოთ, ზოგჯერ სურვილად გვრჩება.

18895. სამხიარულოდ განწყობილ თანამეინახეთა შეცდომების მოძიება არც ისე ადვილია.

18896. სამყარო იმდენად დაპატარავდა, რომ პლანეტების უცნაური გადაადგილება და ხუშტური ჩვენს ცხოვრებაზე მაინცდამაინც დიდ გავლენას ვეღარ ახდენს.

18897. ზოგი სიამოვნების მისაღებად არავითარ დადგენილ ნორმას

არ ემირჩილება და მას, როგორც მოძველებულს, ალმაცერად უყურებს.

18898. ზოგი იმითი ამაყობს, რასაც მისი მეობა და რეალობა წარმოადგენს.

18899. ჩვენმა ცნობიერებამ უნდა შეიგნოს მცნებები – „შემიძლია“ და „არა მინდა რა“.

18900. ჭკუანაღრძობი გამბედაობაც საჭიროა, ზოგჯერ ბრძოლა-დაპირისპირებაში რომ გაგიმართლოს.

18901. რატომღაც ჭორისა უფრო სჯერათ, ვიდრე დროის მადლით შეზავებული სინამდვილისა.

18902. შეცდომების არდაშვების მცდელობა ზოგჯერ უფრო მეტ შეცდომას იწვევს.

18903. ახლობლობის სტატუსით მოყვასის განსაზღვრა და განსჯა მისი უხიაგი ამბიციების წარმოჩენას ხელს უწყობს.

18904. დახეული ჯინსების მოდის შენარჩუნება შედეგის მაჩვენებელია: დაუმსახურებლად რომ შეამჩნიონ, მოყვასი ბევრ რამეზე წავა.

18905. ჩვენი ნაკლი ხასიათითაც შეიცნობა და არა მარტოოდენ ქმედებით.

18906. მშიშარას ყოველგვარი საქმის კეთებისა ეშინია, თუ ალიბი არ აქვს.

18907. ბალანსი კარგია, მაგრამ არა ახალი ვითარების შესაქმნელად და ჩამოსაყალიბებლად.

18908. სეკულარიზაცია და მატერიალიზაცია ეშმაკისთვის ღია კარის დატოვების წინაპირობაა.

18909. ზოგჯერ იმ სისულელის მოფიქრებასაც შემოქმედებითი ნიჭი სჭირდება, რომლითაც შენც ისიამოვნებ და ირგვლივ მყოფნიც.

18910. იდიოტი მეგობრების მოშორებაც ძნელია და გამორჩენის მოყვარულებისაც, თუ შენი ფსონში ჩადების იმედი აქვთ დეპოზიტის სახით.

18911. ჭორაობა უსაქმურობის შედეგია და დღეს ამას დაუსაქმებლები თავს „წარმატებით“ ართმევენ.

+18912. არ მაინტერესებს, ვინ რასა ფიქრობს ჩემზე, უმჯობესია, სხვამ იფიქროს, მე რასა ვფიქრობ მასზე.

18913. ევოლუციის საჭიროება გარდაუვალია და მას ტექნიკური პროგრესის ვერცერთი მიღწევა აინშტაინივით ენას ვერ გამოუყოფს.

18914. ამბობენ: მიზანი ამართლებს საშუალებასო, მაგრამ გააჩნია ნამოქმედარის შედეგსა და მსხვერპლს.

18915. ის, რაც თეორიულად დასაშვებია, პრაქტიკულად შესაძლებელია ყოველწამს მოხდეს.

18916. აბსურდულ თანადგომას შედეგი არ მოაქვს, „რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.

18917. ცივილიზაციის „მონობიდან“ თავის დაუღწევლობის შემთხვევაში კაცობრიობის დასასრული მოახლოვდება.

18918. ბრძოლა და ომის დაწყება სხვადასხვაა ცნებაა, მაგრამ პირველი მეორის თანამგზავრია.

18919. ჩვენ მიერ უსაქმოდ გატარებული ყოველი დღე ყველაზე დიდი შურის მაძიებელია ჩვენი მეობისა.

18920. თვითგვემას, ჩვენდა უნებლიეთ, ზოგჯერ ეგრეთ წოდებულ სრულყოფილებამდე მივყავართ.

18921. სწრაფვა-მისწრაფება ერთგვარი გამბედაობაა, რომელიც სიამოვნებას გვანიჭებს.

18922. ცხოვრება ძნელია, სიცოცხლე საამურია, სიკვდილი ადვილია, მაგრამ ჩვენ მაინც ამქვეყნიურ სიძნელეებთან შეჭიდებას ვარჩევთ.

18923. საკუთარ თავზე გადაბიჯება არც ისე იოლია, მაგრამ მაცდუნებელია, ნებისყოფის წვრთნაა.

18924. ნერვების დაწყვეტა ზოგჯერ ჩვენივე პრობლემაა, მაგრამ რატომღაც გვინდა, სხვას გადავულოცოთ.

18925. ზოგი საიდუმლოს იმიტომ ამხელს, რომ წარმოჩნდეს და თავი ერთი წუთით მაინც „მეც ნახირ-ნახირო“ იგრძნოს.

18926. განსჯა ხშირად განუსჯელობის სინონიმად აღიქმება, თუ მას ბაზისი არ აქვს.

18927. სიკეთე ნიშნის მოგებით იმარჯვებს ოცნებაში და არა რეალურ ცხოვრებაში.

18928. პროგრესის ანკესზე ყველა ჩვენგანი, მისდა უნებლიეთ, ეგება, რადგან ის იოლი ცხოვრების გარანტიაა.

18929. ამ კაცის ტვინში რომ ჩაგვახედა, რომელიც ჩვენ არ მოგვწონს, შეიძლება გაოცებულ-გაკვირვებულები დავრჩენილიყავით: იმდენად კეთილგანწყობილია იგი ჩვენ მიმართ.

18930. ცხოვრება თავისებური თამაშია, გრძნობათა კალეიდოსკოპი და ამას შემოქმედი ხალხის შემყურე რეალურად ხედავ და გრძნობ.

18931. უწყინარ დაცინვას, ნაკლის კომიკურ ასახვას ინგლისურად და უკვე ჩვენებურადაც „იუმორი“ ჰქვია.

18932. გარეგნულად, ფორმით, სურვილით, ყბედობითა ვართ ევროპელები და არა შეგნებით, შინაარსით, საქმით.

18933. არასმქონესთან ბრძოლა უღირსობაა და არც საკადრისია, რაღაც უბედურებასაც გადაეყრები და თან ვერაფერს გამორჩები.

18934. ჩხუბს ბრიყვები იწყებენ, ხოლო ჭკვიანები გარემოებათა გამო იძულებულნი არიან ყასიდად მხარი აუბან, რათა თავადაც არ დაზარალდნენ.

18935. პრობლემებს ადამიანები ქმნიან, ხოლო აღმოფხვრიან ცალკეული პირები.

18936. ბილწსიტყვაობა ზოგჯერ მოსათმენია, თუ იგი ცუდი ქმედებისკენ მიდრეკილებას არ ამჟღავნებს.

18937. „არ გინდასა“ და „არ შეგიძლიას“ შორის სხვაობა დიდია, მაგრამ შედეგი ერთია.

18938. საკუთარი თავის გაკონტროლებით დაკავებული სხვათა გაკონტროლებისთვის ვერ იცლის.

18939. არაკაცის შექებასაც ყური უნდა ვათხოვოთ, რათა გავიგოთ, სად გვიპირებს მახის დაგებას.

18940. ტექნიკურმა პროგრესმა იმდენად გარყვნა ჩვენი ცნობიერება, რომ დღეს ის კი არ გვაინტერესებს, ი. გაგარინი რა საშუალებებით გაფრინდა კოსმოსში, არამედ გაფრენის დროს რა ფერის ტრუსიკი ეცვა, რათა ტრუსიკს გავუწიოთ რეკლამა და არა თავად მოვლენას.

18941. მეტიჩარას სურვილია, წარმოჩნდეს იმისდა მიუხედავად, ამას იგი იმსახურებს თუ არა.

18942. საკმაო მადლია, თუ იმხელა კვალს მაინც დატოვებ, რომ შენიანებმა მაინც გაგიხსენონ.

18943. გვინდა, არ გვინდა, ნაღველს ვერსად გავექცევით, რადგან ის მანამდე დაიბადა, ვიდრე ჩვენ გავჩნდებოდით.

18944. თვალი და ყური რთული ბუნებრივი მექანიზმებია, რომლებიც ყოველივეს ხედავენ და ისმენენ, მაგრამ იმასაც ახერხებენ, რომ ის არ მოისმინონ და დაინახონ, რაც არ მოსწონთ.

18945. პური და სიყვარული არაანტაგონისტური ცნებებია.

18946. ზოგჯერ თვალები ისე მეტყველებს, აქ სიტყვების მოხმობა და სმენის გამახვილება ზედმეტია.

18947. სიამოვნებას დროის კაპრიზები წინ ვერ აღუდგება, თუ კაცი მოწოდებით საქმიანობს და სიახლის საძებნელად ირჯება.

18948. თანხმობა, თანადგომა მარად პლუსებს იძლევა, უთანხმოებასა და სიჯიუტესთან შედარებით.

18949. გონივრულად, მოხერხებულად ჩასაფრებული მოულოდნელობა მუდამ დადებით შედეგს იძლევა.

18950. ზოგჯერ სიმართლის თქმა საკუთარი თავის განსჯაა და სუფთა სინდისთან მივყავართ, რადგან, თუ თქვენი დაქალის ქმარი ღალატში გამოიჭირეთ, აქ დუმილი სჯობს თუ სიმართლის თქმა, არავინ უწყის, რადგან მოსალოდნელი შედეგი თქვენთვის უცნობია.

18951. ძილში გონის უაზრო ჭყლეტა ზოგჯერ სასწაულ აზრებს ბადებს.

18952. სიყვარული, სიძულვილი და თვით ნიჰილიზმიც კი ვერ იარსებებს, თუ ეჭვმა მხარი არ აუბა.

18953. გონიერსაც კი უკანდახევა და დასახული მიზნის შეცვლა უჭირს.

18954. თუნდაც უნებლიეთ ჩადენილი ცოდვები რა დროსა და ასაკში შეგვახსენებს თავს, არავინ უწყის.

18955. რაც უნდა მოვინდომოთ, მაინც სხვადასხვაგვარად ვუგებთ ერთმანეთს, რადგან საუბარს ეჭვი და საკუთარი მეს წარმოჩენა უთხრის ძირს.

18956. „პწკენა-პწკენით პატარძალი ფეხმძიმდება“, მაგრამ სიძის მოძიება ძნელდება.

18957. „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“ და გარკვეულ წილს თავისთვის იტოვებს – რატომ მიაჩნია ასეთი ქმედება ბრბოს სამართლიანად?!! ღარიბი ხომ ხშირად თავისი უნიათობის, სიზარმაცის მსხვერპლია და მდიდარი აქ არაფერ შუაშია. რა ვქნათ, უსაქმურებს თუ ბედი არ სწყალობს?!

18958. სიხარულსა და კმაყოფილებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ყოფის საკმაოდ ნაყოფიერ ნიადაგზე აღმოცენდება, მაგრამ იშვიათი სტუმარია, მეორე კი საკუთარი თავის ყოველდღიურად დაკმაყოფილებას ცდილობს და კომფორტი არ აინტერესებს.

18959. არასოდეს უმასპინძლოთ იქ, სადაც არ გელიან.

18960. ამბიციების, შრომისა და სათანადო ანაზღაურების არქონის შემთხვევაში არაფერი სასიკეთო და დასამახსოვრებელი არ იქმნება.

18961. დაწყებულ-დაუმთავრებელი ჩვენი ყოფიერების გონით გასავლელი ბილიკია.

18962. ცოდნის ყბედობით გაფეტიშებას ისევ გაჩუმება სჯობს, რადგან შენი ეგ მცდელობა არავის სჭირდება.

18963. განსჯა განსჯილის ტყავში ყოფნას ითხოვს, რათა განსასჯელი სწორად განისაჯოს.

18964. ურთიერთობისას უკმაყოფილება უფრო გვამახსოვრდება, ვიდრე კმაყოფილებით გატარებული წლები.

18965. სკლეროზიანს, გულმავიწყარას ბევრი რამ ახსოვს, გარდა გადამალული განძისა და სხვაზე განაწყენებისა.

18966. დაპირება და ქრთამი არა მარტო ჯოჯოხეთს ანათებს, არამედ ჩვენს ცნობიერებასაც, რადგან შედეგად ჭკუაც უფრო მონდომებით ირჯება და უფრო საქმიანადაც იღვწის.

18967. შეცდომები ორივე მხარემ უნდა დაუშვას, რათა ურთიერთობა იყოს მყარი და დაუყვედრებელი.

18968. პირმოთნეობას თითქმის ყოველთვის წარმატება მოაქვს, იმდენად დიდია ადამიანის „მეს წარმოჩენის სურვილი“.

18969. თავი არც უცოდინარობით უნდა დავიმციროთ და არც უყურადღებობით.

18970. დაუფიქრებლად გაფულიანების მხარესა ვართ, დაფიქრებით – ქონების შეძენის მხარეზე, განსჯით – მარადისობა უმთავრესია.

18971. მთავარი ის კი არ არის, კანონს არღვევ თუ არა, მთავარი მოტივაციაა, მიზანია და საკუთარ თავთან რამდენად მართალი ხარ.

18972. ალბათ, ბევრი ჩვენგანი იმ საუკუნეებში, წლებში არ იცხოვრებდა, რომლებითაც დღეს თავი მოაქვს და ამაყობს, იმდენად დიდია დღევანდელი ცივილიზაციის ავი და მიმზიდველი გავლენა ყველა ჩვენგანზე.

18973. მრისხანება ყოველთვის გადაჭარბებით აფასებს თავის შესაძლებლობებს.

18974. ყური უფრო ამტანია, ვიდრე თვალი, რადგან პირველი არასასიამოვნო ამბავს ხშირად გონებაში გაუვლელად ერთი ყურიდან მეორეში უმტკივნეულოდ უშვებს.

18975. მოსახდენისაგან განსხვავებით, მომხდარს არაფერი შველის.

18976. დღეს ყველა სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს ხელისა და ტვინის გაუნძრევლად, რადგან, მათ რომ საქმისადმი მონდომება გამოიჩინონ კანონის დიქტატურისა და მორჩილების საჭიროებისამებრ, ყველაფერი აღსრულდება.

18977. სურვილი სიძნელეებს არ ეპუება და ხშირად კიდეც გადალახავს მათ.

18978. ბუნების მოვლენებს თუ ანგარიშს გავუწევთ და წინასწარ შევისწავლით, მათ მიერ ქვეყნისთვის მიყენებული ზარალი გაცილებით ნაკლები იქნება.

18979. ზოგჯერ სამყაროს დიდებული ნახელავის დანახვა დღეს უფრო ძნელია, ვიდრე შორეულ წარსულში იყო.

18980. მიმბაძველობაა ცუდი და არა მაგალითის აღება, რადგან ეს უკანასკნელი ინდივიდუალობისკენ გვიბიძგებს.

18981. ყველას მიგვაჩნია, რომ იმაზე მეტს ვიმსახურებთ, ვიდრე გვაქვს და გვექნება, თუ რატომ, ამის მტკიცებას მიეთ-მოეთითა ვცდილობთ.

18982. აუხდენელი ოცნებებისა და სურვილების მონა ბევრ ავ საქმეზეა წამსვლელი.

18983. ყველანი საკუთარ იდეალებს ვეძებთ, ხოლო ხელში ხშირად მისი პროვოკაცია გვრჩება.

18984. უმრავლესობა ყოველთვის მართალი როდია. ამიტომაც ხმები კი არ უნდა დაითვალოს, არამედ აფთიაქის სასწორზე აიწონოს.

18985. პიარით მისალოცი სიტყვა გულს აღონებს, სულს აფორიაქებს და ჯიგარს გვიწვავს.

18986. ტექნიკური პროგრესის მიღწევების მოლოდინმა სურვილთა, მცდელობათა დევალვაცია იცის.

18987. ლიდერად დაბადებული სხვის უკან ვერ იჩალიჩებს, რადგან მას სხვისი კუდის აწევა გაუჭირდება.

18988. ტექნიკური პროგრესი და მოდის უცნაურობა არსებულ მორალს თავის ჭკუაზე ატარებს და მას ხშირად უცნაური სახით გვთავაზობს.

18989. ზოგჯერ ულამაზოდ ვიქცევით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ასეთი დავიბადეთ და ურთიერთგაგება არ ძალგვიძს.

18990. წარსული და აწმყო ჩვენი განჯისათვის არის განწირული, მომავალი კი მომდევნო თაობების „გასაკიცხავია“.

18991. დიდება, სახელი, ჩვენდა უნებლიეთ, ყველას გვსურს, მაგრამ ამ გზაზე ზომიერება არ უნდა დავკარგოთ.

+18992. ჭკუის მოხმობა სიტყვების მოხმობას როდი ნიშნავს.

18993. სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა და მას უმრავლესობა საათანადოდ ვერ აფასებს. და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან უამისოდ პროგრესისკენ სწრაფვის ჟინი ჩაკვდებოდა და ყოფიერება აზრს დაკარგავდა.

18994. „ღმერთმა ასე ინება“ ჩვეულებრივი ალიბია, ჩვენი ფანტაზიის სიმწირისა და გაუნათლებლობის მაცნე.

18995. ზოგჯერ თვალი უნამუსოდ იტყუება.

18996. განუსჯელი და დაუმუღამებელი გონიერება ყოველთვის საშიშია, რადგან, რას შემოგვთავაზებს და რას მოიმოქმედებს, არავინ უწყის.

18997. თუ ვერ ვასწორებთ, ზოგჯერ ნაკლსაც ღირსებად წარმოვისახავთ.

18998. რწმენა გარანტია თავდაჯერებულობისა.

18999. უიღბლო გარჯა ნაოცნებარ შედეგს არ იძლევა.

19000. უტიფარ მუშტს ცხოვრების ლელო გააქვს და ხშირად უმართლებს კიდეც.

19001. თავმდაბლობა ქებაზე უარის თქმას როდი ნიშნავს.

19002. ძებნა-ძიებით ზოგჯერ სასურველ შედეგს ვაღწევთ.

19003. გაღიზიანების შედეგად ნაგრძნობი ტკივილი ზოგჯერ ჭრილობით მიყენებულ ტკივილზე უფრო მტკივნეულია.

19004. მატყუარას უფრო კარგი მახსოვრობა სჭირდება, ვიდრე მართალ ადამიანს.

19005. სიმდიდრე ზადად არ უნდა გვექცეს, რადგან ის ჩვენს ჭკუაზე ცხოვრებას, სიცოცხლით გალაღებას გვიქადის.

19006. იაფად ნაყიდ-ნაშოვნი გამოცდილება ხშირად დიდ მოგებას იძლევა.

19007. დისტანციური მეგობრობა უფრო ამართლებს და ხანგრძლივიც გამოდის. რადგან აქ აზრთა ჭიდილი იშვიათი ამბავია.

19008. თუ შენი ისევ შურთ, ჯერ კიდევ პიროვნება ხარ, და გასავლელი წლები შეგიძლია სიამაყით განვლო.

19009. ზოგს უაზრო გამბედაობას, რომელიც შიშით იყო გამოწვეული, გმირობად უთვლიან.

19010. ყველა ღირსებას აქვს თავისი ზადი, რომლის შემჩნევა ზოგჯერ არ ღირს.

19011. ინტელიგენტს არ უნდა ვებრძოლით, მაგრამ შიგადაშიგ მისთვის ყურის აწევა არ უნდა დაგვავიწყდეს, გამოადგება.

19012. უმადურობა განსჯის ღირსია, რათა მისი ბაცილა გადამდები არ გახდეს.

19013. „ფული პატარა ღმერთია“, – აბა, წარმოიდგინეთ, ყოველკვირა წირვაზე დასწრებისას რომ ეკლესიას ას-ასი დოლარი დაერიგებინა მორწმუნეთათვის, განა ვინმე ალიბის მოძიებას ისურვებდა, წირვა რომ გაეცდინა?

19014. ზოგჯერ ხელაღებით გაჩუქებულს, მიჩუქებულს საკუთარი სახელით საჩუქრად აძლევთ სხვას და ესაა მჩუქებლის შეცდომა და არა გადაცდენა.

19015. თავაღერილ არასწორ ცოდნას ისევ თავდახრილი არცოდნა სჯობს.

19016. გარჯა, დასაქმება ბევრი უგუნურების ჩადენისგან გვიცავს.

19017. ზოგჯერ არის საქმე, რომელსაც, თუ გვინდა წარმატებით დამთავრდეს, რაღაცა ან ვიღაც უნდა შეეწიროს კედელში ჩატანებული ზურაბივით.

19018. ზოგჯერ კანონიერი ბოროტების ჩადენაც აუცილებელია, რათა საზოგადოებამ უდრტვინველად იცხოვროს.

19019. თუ მოისურვებთ, საკუთარი თავის მოტყუება ყველაზე ადვილია.

19020. ზოგჯერ საკუთარი სურვილების აღსრულებასთან უფრო ახლოსა ვართ, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია და გვგონია.

19021. სიღარიბესა და სიღატაკეს შორის ზღვარს უპასუხისმგებლო ქმედებები შლის.

19022. თუ არ ვიზრდებით, მაშინ ვპატარავდებით, რადგან, მოგვწონს თუ არა, ესაა სამყაროს განვითარების კანონზომიერება.

19023. მეგობრობის კანდიდატი ბევრია, მაგრამ ცხოვრებით გადამოწმებული მეგობარი მაინც ერთეულია, ხოლო ძმადნაფიცი კიდევ უფრო იშვიათია.

19024. სამყაროში ჩვენი ყოფნის ხარისხი მოძრაობის მიმართულების არჩევით განისაზღვრება.

19025. არის დანაშაული, რომლის შენდობა პატიოსნებას ვნებს და კანონს გადაგვარებით ემუქრება.

19026. ზოგჯერ უგვანო კითხვები გვაიძულებს, მოვიტყუოთ და საძრომიალო მოვნახოთ.

19027. ხშირად სხვათა საქმიანობის განსჯა მოგვწონს და მიგვაჩნია, რომ ჩვენ უკეთ დავიხარჯებოდით. ეს გასაგებია: მრჩევლად ყოფნა უფრო ადვილია, ვიდრე – მოპასუხედ.

19028. დიდების გართობას ხშირად მათი ნაშიერნი ვერ იგებენ, მაგრამ იმის გარანტი, რომ მომავალში ისინი უარესად არ გაერთობიან, არავინაა.

19029. საკუთარი ჭკუით სხვათა განსჯა-გარანდვას ყველა ჩვენგანი სინდისის მოუხმობლად ახერხებს.

19030. შავისა და თეთრის, კარგისა და ცუდის, ლამაზისა და უშნოს გარჩევა არც ისე ადვილია, როგორც ერთის შეხედვითა ჩანს, რადგანაც ყველას მისთვის გასაგები ხიბლი და სილამაზე აქვს.

19031. ახალი და ექსტრავაგანტური, შეიძლება, ყოველთვის კარგი და მისაღები არ იყოს, მაგრამ მისი გამოვლინება მაინც მნიშვნელოვანია, რაკიღა სიახლისკენ მიმავალი გზაბილიკების გავლა მოგვინდომებია.

19032. მოდა ერთობ საინტერესო რამაა: დღეს რომ შოკს იწვევს, ხვალ მოძველებულია, ხოლო ზეგისთვის ახალ შოკს გვიმზადებს.

19033. შთაგონების მიღება, აღქმა და გაცვლა ყოველთვის დროსა და გარემოს შესატყვისად უნდა ხდებოდეს.

19034. სიმთვრალეში ჩასახული ბავშვი ხშირად თავისი უგერგილო ყოფიდან გამოსავალს გენეტიკური „პახმელიით“ ცდილობს.

19035. გონით განუსჯელი სასწაულები ისე მომრავლდა, რომ ვეღარც კი ვამჩნევთ.

19036. ურთიერთობაში მატერიალიზმის ჩარევა მის კეთილშობილებას ერთგვარ დაღს მაინც ასვამს.

19037. თანაფარდობისა და „ოქროს შუალედის“ შერწყმას ყველა წყობა და სისტემა სამუშაო მდგომარეობაში მოჰყავს.

19038. ზოგჯერ საკუთარი ცოდვებიც უნდა გავიხსენოთ, თუ გვინდა, სინდის-ნამუსის რაღაც ნაწილი მაინც შევინარჩუნოთ.

19039. გემოვნება ჩვენი ცნობიერების ის ალგორითმია, რომლის ამოხსნითაც თავს არავინ იტკიებს.

19040. ყოველივე უჩინარი მარად საეჭვო და სადავოა.

19041. ბუნებას არც უნდა შევებრძოლოთ, არც უნდა დავემორჩილოთ, უბრალოდ, მის კაპრიზებს ტექნიკური პროგრესის მოშველიებით ნაბიჯი უნდა ავუწყოთ.

19042. ზოგს ის „გაუიასნებელი“ არეულობა მოსწონს, რომელიც დროებით უზრუნველსა გვხდის.

19043. სხვის ხარჯზე გულკეთილობა და შენდობა იოლია.

19044. ახალგაზრდობა ისე უნდა განვლოთ, რომ სიბერეში შვილიშვილების წინაშე არ შერცხვეთ.

19045. წინასწარ განწირული ურთიერთობისგან თავის არიდებასა და მოგვიანებით მის გახსენებას სიამოვნება მოაქვს.

19046. კონფლიქტი სერიოზულად მაშინ გამოიყურება, თუ მისი არსის გადაკეთებას შეეცდებით.

19047. კანონს სიტყვით ყველანი ვემორჩილებით, მაგრამ საქმით ვასრულებთ თუ არა, ეს უკვე საკითხავია.

19048. მოჩვენებითი ყოველივე დასაგმობია, მათ შორის მწუხარებაცა და სიხარულიც.

19049. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ერთი მხარე 100% მტყუანი არ არის.

19050. მეტისმეტის ფინალი სავალალოა.

19051. სიკვდილზე მეტად ჩვენი წარსული ცოდვებისა და უნიათობის გახსენება გვანერვიულებს და სულს გვიმძიმებს.

19052. ჩვენი ფანტაზიების არარეალიზებას ყველაზე მეტად ჩვენვე განვიცდით.

19053. ზოგსა ჰგონია, რომ ვნების შედეგად გაჩნდა; ზოგიც მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი სიყვარულია. ამიტომაცაა, რომ სიტყვა „მგონიას“ დიდი არაფერი ავალია.

19054. ამდენი „ტრაკაწეული და ჭკუადაწეული“ ხალხის შემყურე სამყაროს დიდი მოთმინება ჰქონია, რომ კაცობრიობა ჯერ კიდევ პირისაგან მიწისა არ აღგავა.

19055. კაცობრიობის ევოლუციური პროცესები გარდაუვალია, მაგრამ ამით რას მიაღწევს, უცნობია.

19056. პატრიოტიზმი თუ ნაძირლების უკანასკნელი დასაყრდენია, მაშინ დემოკრატია მათთვის ფულის შოვნისა და კარიერის კეთების უმტკივნეულო საშუალება გახდება.

19057. უკონტროლოდ დარჩენილი მომავალი რობოტები რა სიურპრიზს შემოგვთავაზებენ, თვით ფანტაზიორებისთვისაც ძნელი წარმოსადგენია.

19058. ფემინიზმს „კი“ და „არას“ თქმა არ უჭირს, რადგან დღევანდელობას თავისი ხასიათის შესატყვისად აღიქვამს.

19059. სიმართლის თქმას თუ სარგებელი არ მოაქვს, ის ყბედობაში გადაიზრდება.

19060. რეალობის შეცნობა, რომ ამ სამყაროს არარაობა ხარ, ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება.

19061. ქვეყანას, რომელსაც ადგილობრივი დამნაშავის გასამართლება არ შეუძლია გარე ძალების დაუკითხავად, სუვერენულს ვერ უწოდებ.

19062. ბრიყვის მრისხანება ისევ და ისევ ბრიყვსა ვნებს, რადგან შესაძლოა, ციხეში ან ფსიქიატრიულში მოხვდეს.

19063. ჩონჩხისთვის ცუდი საკვები პროდუქტები და დიეტა არ არსებობს.

19064. შურს ზოგჯერ სიმდიდრე, თავდაჯერება, სიახლე მოაქვს და ძნელია მისი მთლიანად დაგმობა, მიუხედავად თანმხლები უამრავი უარყოფითი მომენტისა.

19065. რწმენაც საკუთარი ცნობიერების თავისებური შემპარავი რეკლამაა.

19066. სიავის აღქმაც დარდის გადატანას გვიადვილებს.

19067. ტანჯვის ატანის უნარი მიზნის მისაღწევი ზამბარაა.

19068. შეგნებული შეუგნებელს ყოველთვის სჯობს, მათ შორის ავკაცობაშიც.

19069. თუ ბუნებით მტაცებელი და სისხლისმსმელი ხარ, ზომიერების ფარგლებში ცხოვრება ყოველთვის გაგიჭირდება, რადგან ადამიანის კეთილგონიერებასა და სიკეთეს ირგვლივ მყოფნი სათანადოდ არ აღიქვამენ.

19070. დამნაშავე თავადაც მომხმარებელია თუ ფალსიფიცირებული საქონელი გამოდის, ნაყალბევს შედარებით იაფად იძენს და ამიტომაცაა, რომ ნაწარმს ბოიკოტს არ უცხადებს.

19071. ხშირად წინა პლანზე ჩვენი წარმოჩენა სხვათა უნიათობის შედეგია.

19072. ჭორაობას სხვათა ნაკლოვანების გაზვიადებით იწყებენ. თავიანთ ნაკლს ასე უკეთ ფარავენ.

19073. ზოგი იმდენად პატივმოყვარეა, რომ ამდენი ცნობილი და შემდგარი პიროვნების იმქვეყნად გადაბარგების შემდგომ ამქვეყნად ყოფნა ეთაკილება.

19074. ჯერ არ დაბადებულა ისეთი ხელისუფალი, რომელიც ხალხის ფენომენისთვის, ყოველგვარი მისი აზროვნებისა და რწმენისთვის მისაღები იყოს.

19075. ხომალდებმა ცხენსა და ბორბალთან ერთად შექმნეს სამყაროს ისტორია, მაგრამ, როგორც ისტორიის შეუცვლელი წარმომადგენლები, ისინი მატიანის მახსოვრობის დავთარში არავის შეუტანია.

19076. გარემოს დაცვის სამინისტროს მე „გარემოს შეწუხების“ სამინისტროდ მოვიხსენიებდი, იმდენად უგერგილოა მისი ქმედებები.

19077. არასწორი ქმედებით თუ იმას იღებთ, რაც გაკლიათ, აქ სინდისზე, პრინციპებსა და პატიოსნებაზე საუბარი დაგვიანებულია.

19078. შეიძლება, სულელები ცოტანი იყვნენ, მაგრამ ისე რაციონალურად გადანაწილდებიან, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებიან.

19079. შემთხვევით მეტისმეტად გამდიდრებული ოლიგარქი ეროვნულობის შენარჩუნებისთვის თავს დიდად არ აიტკივებს.

19080. ეს ავადსახსენებელი ქრთამი არა მარტო ჯოჯოხეთს, არ-

ამედ რეკლამირებულ სამოთხესაც ანათებს, რადგან დღეს რეკლამა, პიარი ფული ღირს.

+19081. ავტორიტეტს პატივს მიაგებენ, მაგრამ არ ემონებიან.

19082. სხვათა სისულელე და უნიათობა ზოგჯერ ჩვენი კარიერის ორთქმავალია.

19083. სასაცილო მრისხანებაც არსებობს. იგი ზოგჯერ სერიოზულზე სახიფათოა, თუ ხელი მოეცარა და არ გაუმართლა.

19084. ფარისა და მახვილის დროულად მოხმარების ცოდნა უმნიშვნელოვანესი ნიჭია.

19085. მომავლის ჭვრეტას ბევრი ცდილობს, მაგრამ მისი შედეგის განსაზღვრა არავის გამოსდის.

19086. ფაქტობრივად არაორდინალურად მოაზროვნენი და ჭკუანაღრძობები მიერეკებიან ამ სამყაროს მოსახლეობას წინ და არა ჭკუით სავსე პედანტები.

19087. ანტიგმირი არ შეიძლება გმირი არ იყოს, თუკი ის, ავად თუ კარგად, თავის ქვეყანას წარმოაჩენს.

19088. დემოკრატია რომ „უკანალის“ თამაშს დაიწყებს, ეს იმას მოასწავებს, რომ დიქტატურისკენ ვიხრებით და მის იდეებს ველაციცებით.

19089. ზოგჯერ ავი პროცესის წინააღმდეგ ხმის ამოუღებლობა შენს „კეთილისმდომელებს“ აღიზიანებს და შენდამი ეჭვსაც აღუძრავს.

19090. ზოგჯერ მონტაჟი და დასუფთავება ტვინსაც რგებს ზოგიერთი დაბედებული თუ შეძენილი უგვანობის გასაცხრილავად.

19091. უსაქმურობის მამინაცვალი ნარკოტიკია.

19092. უსაგნო კამათი ვნების დაოკებისა და დროის გაყვანის ერთ-ერთი საშუალებაა.

19093. აგრესია და სისასტიკე ერთი და იგივე არ არის, მაგრამ ბიძაშვილებსა ჰგვანან.

19094. ზოგს ისეთი მტრები ჰყავს გამოსაფხიზლებლად, რომ დამრიგებელს არ საჭიროებს.

19095. პირადი მეობა ეძებს და განსჯის ჩვენი ყოფიერების აბდაუბდიდან გამოსავალ გზას.

19096. ხშირად საკუთარი თავის ფასეულობათა შეცნობა განსაზღვრავს ჩვენი ყოფიერების მოსალოდნელ კრიზისს.

19097. თვალებით მეტყველი გარეგნობაა მისაღები და არა ენის ჭარტალით გახმოვანებული.

19098. მლიქვნელის მოწიწებითი ღიმილი ზურგში დანის ჩარტყმას როდი გამორიცხავს.

19099. ნაძალადევ პატიოსნებაზე თავის დადება საკუთარი უსუსურობის შედეგია.

19100. იდეების იდეური პოპულარიზაცია და მისი იმდაგვარად წარმოჩენა, რომ მკითხველებმა სრულად გაიგონ – ფანტასტიკაა.

19101. ზომიერებას ზომიერად მოხმარება სჭირდება და არა მხოლოდ დაგემოვნება.

19102. ზოგჯერ ხელისუფალი იმდენად აბსურდულ განცხადებას აკეთებს, რომ ნოყიერ ნიადაგს უმზადებს ახალ ანეკდოტებს.

19103. უაზრო ლაპარაკს ისევ რაღაცის კეთებისთვის თვალის მიდევნება სჯობს – რაღაც შედეგს მაინც იძლევა.

19104. გამართლება-გაუმართლებლობის ოდენობა ჩვენს ცხოვრებაში თითქმის თანაბარია, მაგრამ ჩვენ უფრო ის გვამახსოვრდება და გვაღელვებს, რაზედაც ფეხი წავიტეხეთ.

19105. არის შემთხვევით ჩადენილი შეცდომა, რომელიც ბევრი სახის დანაშაულს ფორას მისცემდა.

19106. ვისაც ტვინი არა აქვს, მას გონიერება არასოდეს ღალატობს.

19107. სიძულვილი არსებობისთვის ბრძოლის ერთ-ერთი უდრეკი სახეა, რომელსაც ვერ მივესალმებით, მაგრამ ზოგჯერ საჭირო და აუცილებელია.

19108. უღირსები ღირსეულთ საგინებლად დაეძებენ და ამით თავიც მოაქვთ.

19109. ნებისმიერ ურთიერთობას წყალი შეუდგება, თუ ის სასიკეთოდ არ ვითარდება.

19110. საკუთარი თავისთვის შემოძახება იმქვეყნად გადასახლების ჟამსაც გვამხნევებს და გვამშვიდებს.

19111. პროტესტის გრძნობის გამოუხატველად სიახლე არ იქნება.

19112. მთავარი ამქვეყნად სახელის დაგდებაა და არა მის ავ-კარგზე ზრუნვა, რადგან მას ყოველთვის გამოუჩნდება მიმბაძველი, დამფასებელი, გამხსენებელი და განმსჯელი.

19113. საკუთარი თავის ბრიყვად წარმოჩენა უსუსურობის მიჩქმალვის მცდელობაა.

19114. ცალ-ცალკე ყველა ჩვენგანი პიროვნებაა და ნიჭი „ყურებიდან უჟონავთ“, ერთად კი სრული გაუგებრობა და ყოფასთან შეუსაბამობაა.

19115. სილამაზე წარმავალია, რომელსაც დროულად გამოვლენა სჭირდება, პროფესია კი მუდმივია, მაგრამ არავინ უწყის, სად და რა დროს გამოგადგება.

19116. დღეს სარწმუნოებისთვის უდიდესი და გამოუსწორებელი ცოდვა – თვითმკვლელობა – გამოსწორებადი ხდება, თუ მიცვალებულს „კრიოკონსერვირება“ გაუკეთდება და 100-200 წლის შემდეგ გავაცოცხლებთ, ხოლო თვითმკვლელი ცოდვას მოინანიებს.

19117. შეცდომა, რომელიც აღფრთოვანებას იმსახურებს, კილერის

მიერ შემთხვევით აცდენილი ტყვიაა.

19118. ჩვენი მტრები ან საკუთარი სიკვდილით, ან სხვათა დახმარებით იმქვეყნად გადაბარგდებიან, მაგრამ როდის?!

19119. სინდის-ნამუსის ინსტიტუტი ყველა ქვეყანაში არსებობს, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ამ ინსტიტუტის კარებთან რიგი და ზედახორა არავის შეუნიშნავს!

19120. ტექნიკური პროგრესის მიღწევები აცვლევინებს ადამიანს წეს-ჩვეულებებს, შეგნებასა და გაგებას და არა ჭკუის ჭყლეტა. ხვალ თუ ხელოვნური ხორცის წარმოება და გამოყენება შესაძლებელი გახდება, მაშინ ცხოველთა დაკვლა და მათი ხორცის ჭამა კანიბალიზმად აღიქმება და ჩვენც იძულებული გავხვდებით, ეს ცოდვა არ ჩავიდინოთ.

19121. პრაგმატულობა ღირსებად არ აღიქმება, განსაკუთრებით, თუ ის თავს იფასებს.

19122. ტექნიკურმა პროგრესმა ისე გააზარმაცა ცოცხალი არსებანი, რომ ცხოველები და ფრინველები კარაოკე „ფრენას“ მოშველიებით იღრინებიან და ჭიკჭიკებენ.

19123. წესით, იმდაგვარად უნდა ჩავიცვათ, როგორც გვიხდება, და არა ის, რაც მოდაშია, მაგრამ მოდას თავისი კაპრიზები ახლავს, რომელსაც მეტ-ნაკლებად ყველანი ვემორჩილებით.

19124. იღბლის მიგნება ძნელია, რადგან ბედისწერასთან აზარტული მოთამაშეა.

19125. მოწყენა არც ისე ადვილია, თუ ბუნებით მხიარული ხარ.

19126. ენა სხეულის ის ინსტრუმენტია, რომელიც სხვებს ჩვენზე წარმოდგენას უქმნის, ხოლო ყური ჩვენ გვიქმნის მათზე წარმოდგენას.

19127. მეხვალიეობით ცხოვრება გარკვეულ დრომდე სიამოვნებას გვანიჭებს.

19128. მუშტი-კრივი საჩხუბრად ჩარევის წინაპირობაა, დამცირება და უხასიათობა. იგი შეურაცხყოფაზე გადის, რაც ნერვული სისტემის გათიშვას იწვევს.

19129. გამოუსწორებელი შეცდომაა შეცდომის რეციდივის თავის მართლებით უგულებელყოფა.

19130. კვლევა-ძიების დროს შეცდომა დასაშვებია, მაგრამ არა კოლეგებისთვის თვალში ნაცარის შეყრა და ალიბის ძიება.

19131. ყოველივესა და ყველაფრის დამახსოვრება შესაძლებელია, მაგრამ დამახსოვრებულის გაუბუქებლად.

19132. მამლაყინწობასა და „უტრაკო ყარაჩოღელობას“ შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი თავისი სულის განწყობას აღიარებს, მეორისთვის ესეც არ კმარა და თავისი უგუნურების გონივრულად წარმოჩენას ცდილობს.

19133. დიდი ქურდები პატარა ქურდებს კრიჭაში უდგანან, რათა ამ

უკანასკნელებმა კონკურენცია არ გაუწიონ და მათზე მეტი არ მიითვისონ. ასეთივე მდგომარეობაა ხელისუფლებაში ელიტარული კორუფციის დროს. ამიტომაცა პიროვნების როლი უმთავრესი ამ სამყაროში და არა იმ ხალხისა, რომელიც ერთმანეთს უპირისპირდება და ურთიერთისა შურს.

19134. იმის ცოდნის მიუხედავად, რომ ყველანი მოკვდავი ვართ, კარიერისკენ ლტოლვასა და დიდებისკენ მისწრაფებას თავს ვერ ვანებებთ.

19135. უმადურობა თანდაყოლილი ნაკლია, მაგრამ სათანადოდ არც სათნოება ფასდება.

19136. ხშირად უმრავლესობა მართალი არ არის, მაგრამ ეს საკითხის გადაწყვეტისას მთავარი არაა. აქ საქმეში ერევა ტირანი და ყველაფერს მისებურად აკეთებს.

19137. პასუხი იმათ უნდა მოვთხოვოთ, ვისაც თავისი თანამდებობითა და შესაძლებლობით პასუხი მოეთხოვება.

19138. წარსულში ნოსტალგიური მოგზაურობა ყველა ჩვენგანის ხვედრია.

19139. შეიძლება კვირაში შვიდი პარასკევი გაქვს, მაგრამ დასვენების დღეებად მაინც შაბათი და კვირა იგულისხმება.

19140. ბედნიერებისაგან განსხვავებით, უბედურების გასხვისება შესაძლებელია.

19141. ჩვენს შეგნებას ხშირად გარემო პირობები განაპირობებს და არა აღზრდა და ჭკუის დარიგება.

19142. ღარიბები უფრო პრეტენზიულები არიან რეალური ცხოვრებისა და გვერდით მყოფთა მიმართ, ვიდრე მდიდრები, რადგან ისინი თავიანთი ნაოცნებარის დეფიციტს განიცდიან.

19143. სხვათა ცოდვების გაზვიადება საკუთარი ცოდვების მიჩქმალვის მცდელობაა.

19144. სამოთხე, ეტყობა, მალე დაცარიელდება, რადგან დღევანდელი რეკლამის გადამკიდე ყველა ძაღლი-მამაძაღლი ბუნების პატრონს იმქვეყნად სამყოფად ჯოჯოხეთი უფრო მოსწონს.

19145. შეიძლება, შენი ქმედება შენიანებში მისაღები იყოს, მაგრამ სხვა საზოგადოებისთვის – მიუღებელი. კუბაში ერთ რუს დიპლომატს პირად მცველად კუბელი ახალგაზრდა მიუჩინეს. მათი ურთიერთობა ძალზე მეგობრული გამოდგა. ცოტა ხნის შემდგომ ეს ახალგაზრდა დაოჯახდა და ერთი კვირის შემდგომ თავის ცოლს გაუწია მენეჯერობა და ამ დიპლომატს ცოლის მიქირავება შესთავაზა. ადრე იგი დიპლომატს ამგვარ შუამავლობას სხვა ქალებთან უწევდა. რევოლუციამდე კუბაში ოფიციალურად ფუნქციონირებდა 12500 ბორდელი, სადაც ქმრები ცოლებს რეკლამას უკეთებდნენ, ასაქმებდნენ და ოჯახიც თავს

ასე ირჩენდა.

19146. ცდუნება და შური ზოგჯერ გვაიძულებს, ქონების მოპოვება-დაგროვებაზე ვიზრუნოთ.

19147. ზოგი სიავესაც სიკეთის სახელით სჩადის.

19148. უღიმღამო ჭირვეულობა სიცოცხლის მადლის შეცნობას აფერხებს.

19149. ზოგი ზენაარს ისე უბედური გაუჩენია, რომ ყურებით უკეთ ხედავს იმას, რასაც კარგი კაცის შვილები თვალს არიდებენ.

19150. გზა ყველგან და მუდამ იმათთვისაა განკუთვნილი, ვისაც ხელის ქნევით ესალმებიან, მაგრამ ბოლოს ვერც იხსენებენ.

19151. სიჩქარე საკეთებელ საქმეს ახანგრძლივებს და ანელებს.

19152. გარეშეთა გაცილება მობილიზებულსა გვხდის, შრომას მიზანდასახულად აქცევს, ხოლო შედეგის მიღწევას მოთმინება და ნიჭი სჭირდება.

19153. სპორტის რომელიმე სახეობის გულშემატკივრობაც სპორტია, რადგან ის მის პოპულარობას ხელს უწყობს.

19154. სხვათა გადაკეთების მცდელობა უპირატესად მტკივნეული მარცხით მთავრდება.

19155. მეგობრის მიმართ გაჩენილი ანტიპათია ძნელად გასაგებია.

19156. არის დღეები, როდესაც არაფერში გვიმართლებს, მაგრამ ისინი სწრაფად მთავრდება და ხშირად უმტკივნეულოდაც.

19157. სიჯიუტე, სიმტკიცე, სიმკაცრე, მიზანდასახულობა – ეს არის სამხრეთელთა მისწრაფებაც და პიარიც, თუ ქვეყანაში დიქტატურა მეუფეობს.

19158. ლაყაფი უნიჭო ფიქრების ალტერნატივაა.

19159. ალკოჰოლი თავის ტკივილს დროებით გვავიწყებს და სამუდამო ლოთობისკენ გვიბიძგებს.

19160. გამოცდილ ლაველას-მექალთანეს ძალზე უადვილდება ქალების გულის მონადირება და მათი მიზან-გრძნობების თავის სასარგებლო გამოყენება. ეს მისი თანდაყოლილი ნიჭის დამსახურებაა.

19161. ზოგჯერ წყენის დავიწყება ძნელია, ხოლო ახალი წყენისათვის შანსის მიცემა მიზანშეწონილია, რადგან ძველი ადვილად დაგავიწყდებათ.

19162. უმიზნო და უაზრო შეცდომების ჩადენა დიდი დანაშაულია საკუთარი „მეს“ წინაშე.

19163. ვირის ჭკუაზე ყოფნის სინდრომს რატომღაც ვერ ვშველით, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ ეს არაფერში გამოგვადგება.

19164. ახალი ცოცხი კარგია, მაგრამ კარგად მოვლილი ძველი ცოცხი – კიდევ უკეთესი.

19165. დღევანდელი ცნობიერებით შექმნილ ზღაპრებსაც კი კეთი-

ლი დასასრული არ აქვს, თუ ნაცარქექიას ტიპის გმირად არა ხარ გამოყვანილი.

19166. ძალზე ძნელია იმის ოცნებით ნახვაც კი, რაც არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო.

19167. საკუთარი ცოდვები ზოგჯერ თავს შეგვახსენებს და პასუხის გაცემას ითხოვს.

19168. სერიოზულ პესიმისტურ აზროვნებას ზოგჯერ ოპტიმისტურ შედეგებამდე მივყავართ.

19169. ეჭვიც სასუსნავს რასმე ეძებს, რათა თავისი სურვილები თავის გემოზე გამოკვებოს.

19170. მდაბალი სიმაღლისკენ მიიწევს, იმის მიუხედავად, რომ არც კი იცის, თუ რად გამოადგება ეს მცდელობა?

19171. სიმდიდრე საკუთარ შესაძლებლობათა აღმოჩენაცაა, მით უმეტეს, თუ მათი განხორციელების შანსიც გაქვს.

19172. გაჭორვისას სხვაზე ცუდის თქმა უფრო მოგვწონს, ვიდრე კარგისა.

19173. დღევანდელი პროგრესისა და ატომური იარაღის ხანაში სრულიად შესაძლებელია, აგვიხდეს გამოთქმა; ისინი დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ და დაიხოცნენ ერთ დღესო.

19174. ძნელია იყო თავშეკავებული, როდესაც შენ გვერდით ამდენი ინფორმირებული აუტისტია. ყოველივე მათგანს, საკითხის ზერელე ცოდნის მიუხედავად, თავი ჭკვიანი ჰგონია.

19175. დარაჯს დარაჯი დარაჯად არ უნდა მიუჩინოთ, მიუხედავად იმისა, რომ მისი შიგადაშიგ გადამოწმება აუცილებელია, რათა მან მოვალეობას თავი უკეთ გაართვას.

19176. კომპრომისი ზოგჯერ საჭიროცაა და აუცილებელიც, რადგან მუდმივად ბრძოლა-დაპირისპირება სასურველ შედეგს როდი იძლევა.

19177. მადლის ქმნა კარგია, თუ სარგებელსაც მივიღებთ.

19178. უსაქმოდ ყოფნა გარანტს, მფარველს ითხოვს, მაგრამ ამისთვის ტაშს არავინ დაგიკრავს.

19179. ორატორი იმიტომ ყბედობს, რომ საქმიანი სათქმელი გამოელია.

19180. მართალია, ხშირად ვიტყუებით, მაგრამ ეს დანაშაული არაა, თუ მას სხვებისთვის ზიანი არ მოაქვს.

19181. პატარა სიხარულთა შეკრებას, გააზრებას, გამომზეურებას ყველა ჩვენგანი იუმორის მიშველიებით უნდა ცდილობდეს.

19182. პირმოთნე სისხლი ყველა ჩვენგანში მეტ-ნაკლებად ყივის, მაგრამ გონიერების ფარგლებში მისი გამოყენებაც შესაძლებელია.

19183. რევოლუცია თრობის დროს ამბიციებით გაკეთებულ საქმეს მოგვაგონებს, რომელსაც ნათრობზე რა მოუხერხონ და თავი როგორ

გაართვან, არავინ უწყის.

19184. სისულელის კეთებას მაშინ აქვს აზრი, თუ ხახვივით შეგრჩება და სასიამოვნო მოსაგონარად დაგრჩება.

19185. პიარის მოწყობა, შესაძლოა, დიდებული შოუ გამოვიდეს, მაგრამ, შეიძლება, სულიერებისთვის მიუღებელი იყოს.

19186. ეჭვი ყოველთვის რჩება, თუ საქმეში ღრმად ჩახედული არა ხარ.

19187. ზოგჯერ თუ სისულელის შენს ჭკუაზე კეთების უფლებას გაძლევენ, ესეც გარკვეული ბედნიერებაა.

19188. ზოგჯერ გრცხვენია, იყო მომხიბლავი და განათლებული გაუნათლებელ მსმენელთა შორის, იმდენი შურიანი თვალები შემოგყურებს.

19189. ჩემთვის მიუღებელია, როდესაც „წერე და იკითხე“ მმართველობა „იყბედე და უსმინე“ მთავრობით იცვლება და ხალხს ეს სულაც არ ანაღვლებს.

19190. ხშირად ჩვენი უგუნურება ეგაა: ჩვენს ქმედებებს სხვებს ვაბრალებთ, მუდამ იმის ძიებაში ვართ, თუ რა კარგები და ბედით დაჩაგრულები გამოვედით.

19191. ქრთამის აღება უზნეობაა, მაგრამ უსასრულოდ მცირის აღება უზნეობაზე უარესია: მათხოვრობა და უნიათობაა.

19192. თანამედროვე სამყაროში ცხოვრების მიმართ მოთხოვნები იზრდება და შობადობა მცირდება, რაც მოსახლეობის შემცირებას გამოიწვევს და დედამიწაც თავისუფლად ამოისუნთქავს, რაკიღა ამდენი მუქთამჭამელისაგან გათავისუფლდება.

19193. ლამაზ წარსულს, მომხიბლავ მომავალს აწმყოს სათუო გაჭირვება სჯობს.

19194. ზოგს სინდისი თავად არ ჰყოფნის, მაგრამ მისი გასხვისების წინააღმდეგი არ არის, რადგან გადიდკაცებაში უშლის ხელს.

19195. ლაყბობის უნარი სისულელის ჩადენის წინაპირობაა.

19196. ბრიყვის მიერ მოყენებული შეურაცხყოფა წყენად არ უნდა მივიღოთ და ის ჭკუასუსტად უნდა მოვიხსენიოთ.

19197. ზოგი მოხერხებულად ვაჭრობს თავისი უიღბლობით, სარგებელსაც ნახულობს და მის აღმოსაფხვრელად ხელსაც არ ანძრევს.

19198. ზოგჯერ, გარკვეულ მომენტში, ვულგარული ქცევაც მისაღებია. მთავარია, როგორ წარმოვაჩენთ მას.

19199. ვიღაცას რაღაცის დანახვა და შემჩნევა თუ სურს, დროის სიბნელისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი უნდა შესწევდეს.

19200. ჯიბრი, უნდობლობა, წარმოჩენის სურვილი ხშირად უსაგნო დაპირისპირებას იწვევს.

19201. წარსულის სიმწრის გახსენებას აწმყოს საამო ოცნებებით ტკბობა აბათილებს.

19202. გავლილიდან რაც არ გვავიწყდება და მეხსიერებაში რჩება, სულერთია, ავია თუ კარგი, ძვირფასია.

19203. ლაყბობის ხელოვანი მარად თავისი მსმენელ-კლიენტის მოძიებასა და შეძენაშია.

19204. თუმცა სიბრიყვეს გამართლება არა აქვს და არც კანონი სჯის, მაგრამ ზოგჯერ გამოუსწორებელ ზარალს გვაყენებს.

19205. რწმენისთვის გაუგებრობაც გასაგებია, ოღონდ მისივე გადასახედიდან.

19206. უბედურება და სისულელეთა კეთების წადილი ზოგჯერ ერთდროულად გვესტუმრება და მათი მოგერიება მოთმინებითა და გონიერებით უნდა ვცადოთ.

19207. ზღვარგადასული საერთაშორისო ურთიერთობა ბევრ რასმე ვნებს, მაგრამ პროგრესის წინსვლას ხელს უწყობს.

19208. ზოგჯერ ჩვენი ცნობიერება იუმორის შემცველი და ცინიზმის გამომხატველია.

19209. „უვიცობის დემონსტრაცია“ მუდამ არცოდნის „გაპანღურების“ მცდელობაშია.

19210. საკუთარ „საგმირო“ საქმეთა მოთხრობა ყველას მოგვწონს და მათ გაზვიადებასაც არ ვერიდებით.

19211. დღევანდელობას ძველი ცოდვების შავი აჩრდილი ახლავს თან, რომელიც დროდადრო თავს გვახსენებს.

19212. სასაუბრო ენასაც მაკიაჟი სჭირდება, ოღონდ ფერუმარილის ხშირად გომოყენებას უნდა ერიდოს.

19213. უგვანო საქმეთა ჩადენის წესი ზოგს რეციდივად და გართობად ექცევა.

19214. მითხარი, რომელი არაფორმალური ორგანიზაცია გაფინანსებს და გეტყვი, ვის იდეოლოგიას ემსახურები და რომელ მიმდინარეობას უძვრები უკანალში.

19215. ტყუილის ოპოზიციური ინფრასხივებით შეფუთვა აგრესიას იწვევს.

19216. ცოლის ღალატი ზოგჯერ გასაგებიცაა და გამართლებაც აქვს, თუ „საჯიშე მამაკაცი“ გაუთხოვრად დარჩენილ ქალებს ბავშვების გაჩენაში ეხმარება და ჯიშით ასპონსორებს – ამაზე უკეთ სად უნდა გამოაჩინოს მან ხვადის ბუნება და მოწოდება.

19217. არყოფნა და არქონა შეჩერებას როდი ნიშნავს, რადგან გასაკეთებელი მაინც უნდა გაკეთდეს.

19218. ხელის ჩამორთმევა მომავალი ურთიერთობის წინაპირობაა და ამიტომაც იქცა ტრადიციად.

19219. სიკეთის დავიწყება და წარსულის უარყოფა უმადურობის უტყუარი ნიშანია.

19220. სასწაულის რეალურად ნახვა და აღქმა ძნელია, თორემ მასზე ჭორების მოსმენა ადვილია და იგი ზოგისთვის დასაჯერებელიც ხდება.

19221. ეგრეთ წოდებული „ეროვნული გმირი“, რომელიც წინ ვერ იყურება და დასახულ მიზანს ვერ აღწევს, ხოლო თავის გადარჩენის მიზნით სამშობლოს ტოვებს, ეროვნულ გმირად არ აღიქმება.

19222. ხშირად საკუთარი თავისაც არ გვესმის და ზოგჯერ ეს ბედნიერებაცაა, რაკიღა სიცოცხლის მადლს შეგვაცნობინებს.

19223. ყველაზე დიდი უბედურება გაუნათლებლობა კი არ არის, არამედ ყველაფრის საყველპუროდ ცოდნა.

19224. სათნოება თავისი ქმედებებით შურს ჭიტლაყს ამოჰკრავს, მაგრამ ეს უკანასკნელი არ ნებდება და ამიტომაცაა, რომ შური არ ქრება.

19225. ხშირად ვფიქრობთ იმაზე, რაც გვაწუხებს და გვინდა, მაგრამ ჩვენს უპასუხისმგებლობასა და წარუმატებლობას სხვას ვაბრალებთ.

19226. ყბედის მთავარი იარაღი ენის სიგრძეა და არა ჭკუის სიდიადე.

19227. ცუდის კარგისკენ მისწრაფება მის შეცდომებს ცხვირსა ხოცავს.

19228. ტრაბახი შთაბეჭდილებათა გაჯირითების საშუალებაა და მეტი არაფერი.

19229. საკუთარ ტყავში დაუტევლობა გვაძლევს საშუალებას, სხვაზე უკეთესი ვიყოთ.

19230. საკუთარი შეცდომებისთვის წიხლის ჩაზელაა ვაჟკაცობა და არა მისი შელამაზება-დაფარვა.

19231. გაჭირვება ყველა კანონსა და კანონიერებას „ცხვირს ხოცავს“, ოღონდ სათავისოდ.

19232. სასურველს სიბნელეშიც დაინახავ, ხოლო სურვილის უქონლობის შემთხვევაში – სინათლეზეც ვერა.

19233. ზერელე ცოდნა ძაღლის ხაია ყეფას მოგვაგონებს, მოვალეობის მოხდის მიზნით რომ ღავღავებს და ყმუის.

19234. დაპირისპირება ზოგჯერ გარკვეული ამბიციების დასაკმაყოფილებლად იწყება, რომელსაც არავითარი გონივრული ბაზისი არ აქვს.

19235. დიდი მოულოდნელობაა, როდესაც „ცხვირს ხოცავ“ საქმეში შენზე გამოცდილ, ამპარტავან პიროვნებას შენი მეს წარმოჩენით.

19236. მხდალი ვაჟკაცობაზე ჭორაობს, რადგან ვაჟკაცობას კარგად იცნობს, ვაჟკაცისთვის კი სიმხდალე უცნობია.

19237. ნაღდი, სამართლიანი მამულიშვილის ნახვაა ძნელი და არა ე.წ. უტუ პატიოსანთა.

19238. ეჭვიანობაც მატერიალურია, რადგან ისიც რაღაც სარგებლის გამოძალვას ცდილობს.

19239. გამარჯვება და წაყრუება სიმშვიდის გარანტად ყოველთვის არ გამოდგება.

19240. ღვინო კარგი განწყობისა და თანდათანობით გამხიარულების საშუალებაა, რომლის ათვისებას ნიჭი, გამოცდილება და კარგი თამადა სჭირდება.

19241. თუ საიდუმლოზე უკვე ჭორაობენ, ის უკვე გასაჯაროებულია და საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს.

19242. რეკეტი იქ იფურჩქნება, სადაც სამშობლოს ბუნაგიდან უყურებენ და არა შემოქმედებითი ასპარეზიდან.

19243. ამპარტავნობა მაშინ გადადის სიამაყეში, თუ მას ზურგს უმაგრებს განათლება და შესაძლებლობა.

19244. მატერიალურისკენ მოჭარბებული მისწრაფება სიყვარულისა და თანადგომის ტრადიციებს ძირს უთხრის.

19245. სუსტი ყოველთვის ძლიერს ადანაშაულებს და თავის დაძვრენის ალიბს სხვის ძლიერებაში, აგრესიაში ეძებს.

19246. წამის განმავლობაში ნაკეთები კარგი საქმე ბევრად სჯობს საათობით ნაოცნებარ უსაქმურობასა და ყბედობას.

19247. სასოწარკვეთას გამართლება არ აქვს, მიზეზთა მიუხედავად.

19248. ზოგის თავი ძაფზე ჰკიდია. საკმარისია უხიაგობის ნიავმა დაუბეროს, რომ მან თავი სამუდამოდ დაკარგოს და სხვასაც დაკარგვინოს.

19249. ვიღაცის სიკვდილით პათანატომის პროფესია საჭირო ხდება, მესაფლავეები საქმდებიან, ქვის მჭრელები და მოქანდაკენი დამატებით სამუშაოს პოულობენ, ქელეხი რესტორანში იმართება, ახლობლები მიცვალებულის დასამარხ გადასახურავს იხდიან, ხალხი პურდება. ასე რომ, მიცვალებულის გარდა, ყველა საქმდება და ზოგი ამ პროცედურებით კმაყოფილია კიდეც.

19250. დღეს არც ამომრჩეველი უქნია ღმერთს და არც არჩეული ხელისუფალი, რადგან საქმე ცოდნა-გამოცდილება-წინხედვით კეთდება და არა იმის შიშით, რას იტყვის უსაქმურობას დაჩვეული ხალხი.

19251. სჯობს, რაღაც ვაკეთოთ და ფეხი წავიტეხოთ, ვიდრე არაფერი ვაკეთოთ და ფეხი ნაზად ვიბანოთ.

19252. უზნეობაში ჩაძირვა საკუთარი ტრადიციების დავიწყება, ადამიანური ღირსების დაკარგვა და წინაპართა დამსახურების უგულებელყოფაა, რაც ხშირად მიზეზია ტექნიკური პროგრესის ხელაღებით

შემოჭრისა და მისი არასწორი აღქმა-გამოყენებისა.

19253. თავის ბედნიერად შეგრძნება ყველაზე რთულია, როდესაც ირგვლივ ამდენი თავდაჯერებული აუტისტია.

19254. ზოგჯერ ბოროტება სიკეთეს მხარში უდგას, იმდენად დიდია მოქიშპე ბოროტებისადმი ზიზღი.

19255. ამქვეყნად ყველაზე მეტად საკუთარი გადაცდენა-დანაშაულის ამოცნობა ჭირს.

19256. საკუთარი მენტალიტეტის შექმნა ხშირად ჩვენს საქმიანობაზე არის დამოკიდებული.

19257. ყველანი ჩვენი მშობლების შეცდომებს ვიმეორებთ. ამიტომ ისინი უნდა ეცადონ, თავიანთი გადაცდენები არ გვაჩვენონ.

19258. დროსტარებად მე კარგ ხალხში ყოფნა და მიმზიდველ ქალებთან ურთიერთობა მიმაჩნია, რადგან ჩემი გენეტიკური ცნობიერება, ეტყობა, ამით შემოიფარგლება.

19259. გააზრებულ-გაეშმაკებული სიკეთე, ბოროტებისაგან განსხვავებით, ჯოჯოხეთის კარებსაც აღებს.

19260. გამორჩენის მოყვარულნი ზოგჯერ ისე აზვიადებენ ჩვენს საქმიანობას, რომ თავს გმირად წარმოიდგენ, ხოლო მლიქვნელებს – მოყვრებად.

19261. თუ შენზე ჭორაობენ და გამჩნევენ, ე.ი. შენი შურთ და თავიანთი გადასახედიდან გაფასებენ კიდეც.

19262. სპორტი გარკვეული აზარტით სიამოვნებას ანიჭებს ჩვენს ცნობიერებას მისი შედეგების გამოცნობა – შეცნობის მადლით.

19263. უჭკუოსთან ერთად სახიფათო ქმედებათა კეთება სარგებლის მოტანის მიზნით ნებასთან ერთად შემართებას მოითხოვს.

19264. გონივრულად გაკონტროლებული მოთხოვნები რეალური სურვილებით შემოიფარგლება.

19265. ქონების მოხვეჭის მცდელობას ბევრი გმობს, მაგრამ სიმდიდრის წინააღმდეგი არავინაა.

19266. შეცდომების დაშვებისა და დაცინვის ვისაც არ ეშინია, ის ადრე თუ გვიან პიროვნებად მოგვევლინება.

19267. თანამშრომლობას მაშინ აქვს აზრი, თუ ის უღირსთა მომრავლებას ხელს არ უწყობს და თანამშრომლობა დამამცირებელი არ არის.

19268. არის სამსახური, საქმიანობა, რომელიც ცუდ მოგონებად გვრჩება, შენი კუთვნილება ხდება და მთელი სიცოცხლე განმსჯელად გვევლინება.

19269. ბრძენმეტყველს თავისი მოშურნენი ჰყავს და ამას ხშირად მისი ავტორიტეტიც არ შველის.

19270. ეჭვი საშინელებაა. მას ეჭვიანობითვე კურნავენ.

19271. ცივილიზაციას თავისი გადახრები აქვს. დღეს თითქმის არავის აინტერესებს, რა იყავი, აინტერესებთ, ვინა ხართ და რაში გამოადგებით.

19272. საჭიროა უნიათობის განსჯა და არა გარკვევა, რადგან ეს უკანასკნელი ძალზე ვნებს მეგობრობას.

19273. წარსულის უგულებელყოფა მომავლის დაპანღურების ტოლფასია.

19274. მტერს წამლიქვნელება უხდება და არა შექება.

19275. წაგება და მოგება ძმები არიან, მაგრამ მოგება სჯობს, რადგან ანალიზსა და განსჯას არ საჭიროებს.

19276. დღეს მიუღებელი იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ გასათვალისწინებელი და ზეგ აუცილებელი არ იქნება.

19277. ეტყობა, ალკოჰოლსაც თავის მოსაწონებელი და სატრაბახო აქვს, რადგან ხშირად ფორმითა და შინაარსით „პახმელიაზე" გაკეთებული ავანტიურისტები მართავენ და განაგებენ ამ სამყაროს: ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონი, ჰიტლერი, სტალინი და სხვა მათგვარნი.

19278. რეალობასთან შებმა უფრო მეტად ეშმაკობას მოითხოვს, ვიდრე აშკარა წინააღმდეგობის გაწევას.

19279. სინდისსა და უსინდისობას საკუთარი შეხედულებები დაუმუშავებიათ სხვათა მწუხარებასა და სიხარულზე.

19280. რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოს, თანდაყოლილი ცოდნა, ინტუიცია, სწავლა-განათლებას მოითხოვს, მაგ. ჭამის, სიარულის, ჯდომის, მოშარდვის, მეტყველების და სხვა ამგვარი ცოდნა.

19281. თითქოსდა წარმატება (II და III საპრიზო ადგილები) ზოგისთვის დამარცხების ტოლფასია, იმდენად დაუხარჯავია მისი ენერგია, შემართება, სურვილი.

19282. გართობის მიზნით სისულელის ჩადენა დასაშვებია, ოღონდ არა სიბრიყვის წარმოსაჩენად.

19283. უბანში, ქუჩაში ყოფნა ბევრ ისეთ რაღაცას გვძენს, რასაც სკოლაში არ გვასწავლიან, მაგრამ იმავდროულად რაღაცასაც გვართმევს, დროსაც გვაცდენინებს და სრულყოფილი სწავლის საშუალებასაც გვართმევს.

19284. ეკონომკლასის სასწავლებლებში, ეტყობა ყველა მოსწავლეს ხელმოკლე მშობელი ჰყავს, ოღონდ დიდი სამომავლო ამბიციები აქვთ.

19285. ჩვენ ვოცნებობთ ჩვენ ირგვლივ არამდგრადი გარემოს შეცვლაზე და არა საკუთარი თავის გამოსწორებაზე, არ ვირჯებით მის ჭკუაზე მოსაყვანად.

19286. სულელები არ ჭკვიანდებიან. ისინი, უბრალოდ, სისულელის კეთებას უფრო მეტად ამუღამებენ და ხვეწენ.

19287. შენმა მტერმა თუ შენს მოწინაღმდეგეს ავნო, ეს სულაც არ

ნიშნავს, რომ მან შენი გასაკეთებელი საქმე გააკეთა.

19288. მთავარია, აუხდენელი ოცნება არ გაგვიჩდეს და მისმა დარდმა გული არ შეგვიწუხოს.

19289. ჩვენი მატერიალური, სულიერი შესაძლებლობების მიუხედავად, საფიქრალი მუდამ სამყოფია და მისგან თავის დაღწევა პრობლემებისა და საკითხების გადაჭრით შეიძლება.

19290. ცხოვრებაში რაღაცას რომ მიაღწიო, ხშირად ან ხელიდან უნდა წახვიდე, ან ამ ქვეყნიდან.

19291. სამწუხაროდ, რა სასიკეთოდაც არ უნდა დაიხარჯოთ, თქვენი საქმიანობის უარყოფითად შემფასებელი მაინც გამოტყვრება. რა ქნან, თავის გამოჩენა ხომ უნდათ?!

19292. რატომღაც უჭკუობა ჭკუას უპირისპირდება და მის ჯობნას ცდილობს.

19293. თავის მოწონება ცოდნას, ნიჭსა და ხერხის დროულად მიგნებას ითხოვს.

19294. მიცემაზე უპრიანი წართმევაა, თუ ის უფრო ღირებულია, ვიდრე მიცემა.

19295. სხვათა დაკრულზე სიარული საშუალებას გვაძლევს, არხეინად და ფიქრით თავის შეუწუხებლად ვიცხოვროთ.

19296. ინტერნეტმა ბევრი უმუშევარი „დაასაქმა“ და კრიმინალს აარიდა, რათა მათ დაუსაქმელობა-უსაქმურობის გამო სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაედინათ.

19297. ჩვენი იმქვეყნად გადასახლება ყოველთვის ადრეულად გადადგმული ნაბიჯია.

19298. საკუთარ მხარეს დგომა ყოველთვის გონივრულად გვეჩვენება, მაგრამ გონივრული ყოველთვის არ არის სწორი.

19299. არის ფაქტები, რომელთაც ვხედავთ, მაგრამ ის, რომ საბოლოოდ სიკეთეს მოგვიტანს, არ გვჯერა.

19300. არის გამოთქმა „არ შემიძლია“, რომლის დაძლევის შემდგომ ყველა კმაყოფილია.

19301. ზოგჯერ რეგვნად ყოფნა უფლებაა და არა მოვალეობა.

19302. ხშირად ბიწიერება ცნობიერების ნაყოფია.

19303. საკუთარი უცოდინარობის დაფარვა არაფრისმთქმელი ყბედობის ცოდნას მოითხოვს, რასაც ცხვირის აწევა აგვირგვინებს.

19304. ზოგჯერ მიცვალებულები თავიდან იხოცებიან, როდესაც მათი უპასუხისმგებლო შთამომავლები მაშინდელი გარემო პირობების გაუთვალისწინებლად მათ საქმიანობას კრიტიკულად განსჯიან.

19305. დასკვნების გამოტანა და ბრალის დადება სხვადასხვა ცნებაა, ხოლო მათი დაახლოება და შერწყმა ცოდნასთან ერთად „შებერტყილ“ გონებასაც მოითხოვს.

19306. სამწუხაროდ, ვისაც ძალა აქვს, სამართალიცა და წესიერებაც მის მხარეს იხრება.

19307. ყველა მლიქვნელი მისი მსმენელის ხარჯზე ცდილობს ცხოვრების აწყობას და უმეტესობა ამას ახერხებს კიდეც.

19308. ჩვენი გრძნობებისა და მიდრეკილების აშკარა და ურცხვი შეფასების უფლება არავის აქვს.

19309. საჩოთირო პროცესი მოსაგონებლად უფრო საინტერესოა, ვიდრე შედეგი, მაგრამ უშედეგოდ ეს მოგონება ფასს დაკარგავდა.

19310. ყველაზე მისაღები ფრაზებია: მე შენი მესმის, ოქრო ხასიათის პატრონი ხარ, უშენოდ ცხოვრება გაჭირდებოდა ამქვეყნად, შენ მარად ჩვენი ფავორიტი იყავი და ხარ, შენ გვერდზე დგომა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, შენთან შეხვედრა მე ძალას მმატებს და მრავალი სხვა ამგვარი ქათინაური. ყოველივე ეს ურთიერთობას ამყარებს.

19311. გამარჯვება-წარმატება ისე „გულმავიწყია“, რომ დამარცხებულსაც და გამარჯვებულსაც ყველა ცოდვას მიუტევებს და შეუნდობს.

19312. ნაწვალი და გაჭირვებით მოპოვებული ლუკმა ფასობს და არა კუჭის ამოსაყორად მოპოვებული საკვები.

19313. სიმაღლის გადმოსახედიდან თავს არწივი უნდა იწონებდეს და არა გაპუტული, მიწაზე მყოფი, გაქუცული მამლაყინწა.

19314. საკუთარ კაპრიზებთან შერკინება მადლის შეცნობას ნიშნავს.

19315. სირცხვილი თავისებურად მწარე გრძნობაა, მაგრამ არა მომაკვდინებელი, რაკიღა დღემდე განაგრძობს არსებობას.

19316. ისინი უკეთ წერენ, ვინც ცუდად მეტყველებს და ყბედობს.

19317. ეგოიზმი თვალებში ნაცრის შეყრისა და თავის წარმოჩენა-გამოჩენის მცდელობაა.

19318. „შიში შეიქმს სიყვარულსა“ – გააჩნია დამშინებლის ავტორიტეტს, შესაძლებლობას, ხიბლს.

19319. შოუ ყბედობაში არ უნდა გადაიზარდოს, რათა არ გაუფასურდეს.

19320. აღიარება ყოველთვის სიმართლის ღაღადს როდი ნიშნავს, რადგან გააჩნია, რა ქვენა გრძნობებით არის ნაკარნახევი.

19321. ურთიერთობა ხელოვნებაა, თანდაყოლილი ნიჭია, ინფორმაციის გაცვლის უნარია, მაგრამ მისი დანგრევაც შესაძლებელია უბრალო გაუგებრობისა და სიყვარულის დაუნახაობის მომიზეზებით.

19322. ზოგს არაფრის მომცემი, წინდაუხედავი გმირობა ურჩევნია სერიოზულ დაფიქრებასა და წინდახედულად ნაბიჯების გადადგმას.

19323. სიკეთის სახელით ვიღაცისა და რაღაცისთვის ჩადენილი თაღლითობა დანაშაულია, რადგან ამ დროს პირი საკუთარ ამბიციებს

იკმაყოფილებს.

19324. ზოგჯერ სიცოცხლის ხალისი გვეკარგება იმის შეცნობის შემდეგ, თუ რა უცოდინარები და უსუსურები ვართ სამყაროს შეუცნობადი კაურების წინაშე.

19325. უშვილობას, შეიძლება, კარიერული წარმატება მოჰყვეს, მაგრამ არა ქვეყნის მომავლისთვის.

19326. „ნაფტალინში“ ჩადებული რომანტიზმი გამომზეურებას მოითხოვს.

19327. მატყუარას „გადაგდება“ ისევ სიცრუის შეთავაზებით შეიძლება, რადგან ჩვენი გადამგდები ამ დროს თავის მოტყუებაზე არ ფიქრობს და სიფრთხილეს კარგავს, იმდენადაა აზარტში შესული მიღწეული შედეგით.

19328. მიწა – გლეხებს, ქარხნები – მუშებს, ხოლო ინტელიგენციას მათზე უფროსობა, ოღონდ ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე.

19329. დაკვეთის შესრულებისას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს შესრულების გამომეტყველებას, ვიდრე შესრულებული საქმის ხარისხს.

19330. ზოგს პოვნა არპოვნაზე ძვირი უჯდება, იმდენად ბევრი ხალხია გახარებული მისი ბედით და შესატყვისად გასამასპინძლებელი.

19331. ზოგჯერ სიკეთის კეთებაც სიბრიყვეა, თუ ამ სიკეთის გაცემით შენიანები ზარალდებიან.

19332. ძალზე ძნელია უნიჭო და არაფრისმომცემი საუბრის მოსმენა, მაგრამ რაკიღა უნდა მოისმინო და დრო მაინც დაკარგო, მოუსმინე ყურადღებით, რადგან მისგან შეიძლება რაღაც გამოტყვრეს, თუნდაც მცირე ღირებულებისა და საჭირო.

19333. ამბობენ, უთქმელობა ოქროაო, მაგრამ დუმილში ინფორმაციას ვერ მოიძიებ, უამისოდ კი გონიერების შეცნობა ძნელია.

19334. საზოგადოება არ არის ვალდებული, ქვეყნისთვის გამოუსადეგარი და დამსახურების არმქონე მასა არჩინოს. ეგ მასა უნდა ვაიძულოთ, საკუთარი თავის შენახვაზე მაინც იზრუნოს.

19335. ერთთან დაპირისპირება იწვევს მეორესთან კავშირს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ვარიანტი არსებობისა განწირულია.

19336. ყველა ჩვენგანის მახლობლად ოქროს კვერცხი დაგორავს, ოღონდ არ უნდა დაგზარდეს ხელის გაწვდენა და მისი აღება.

19337. ფსიქიკურ აშლილობასა და გენიალობას შორის დიდი მსგავსებაა, რადგან ისინი შეუცნობლის შეცნობაში გვეხმარებიან და გვადგებიან.

19338. ლოდინი ზოგჯერ სადავიდარაბო საქმეთა კეთებაშიც გვეხმარება.

19339. სიღარიბე ის ტვირთია, რომელიც თავის დროზე გონიერებას დააწვა მხრებზე.

19340. „არცოდნა არცოდვაარ“, ხოლო არასწორი ცოდნა არცოდვის სინონიმად არ გამოდგება.

19341. იდეალები თავიანთი ანარეკლის საზრდოა, რადგან მასაც ბეზრდება ერთფეროვნება.

19342. ზოგჯერ დამარცხება სამომავლო გამარჯვების ტოლფასი ხდება ჭკუადამჯდარი ხელისუფლების ხელში.

19343. ზოგი ისეთ ინტელექტუალურ ჭორს შეთხზავს, რომ მისი სიმართლედ გადახურდავება ეჭვსაც კი არ იწვევს.

19344. ყბედობას ყველა აგინებს, მაგრამ მისი წინააღმდეგი არავინაა, რადგან ამით დროსაც ვკლავთ, ვერთობით და ხასიათზეც მოვდივართ.

19345. დაუმსახურებელი პატივით ბევრი სარგებლობს, მაგრამ ეს მაინც დროებითი მოვლენაა.

19346. დიალექტიკაც სისაძაგლეს თავისი გადასახედიდან უყურებს და ზოგჯერ მას დროისა და გარემოს შესატყვისად სიკეთის საკეთებლად იყენებს.

19347. თავისუფლება ჭკუითაც მოიპოვება და მუშტითაც. გააჩნია, ვის რის უნარი, რა მენტალიტეტი აქვს.

19348. დღეს გემოვნებაზე არ დავობენ, უბრალოდ ღადაობენ და თავი ყველას დიდი გემოვნების მქონედ მიაჩნია.

19349. აკეთო ის, რასაც შენგან არ ელიან, ეს წარმატებისა და თავის წარმოჩენის გარანტიაა.

19350. ლოთობა ძირითადად უსაქმურობის, მოვალეობის შეუცნობლობის, გარკვეული ნიჭისა და მოწოდების გამოუყენებლობის შედეგია.

19351. ყველა მდიდარი ფიქრობს, რომ ღარიბები მისი წყალობით არსებობენ, ხოლო ღარიბებს მიაჩნიათ, რომ სიმდიდრე კანონის დაურღვევლად არ მოიპოვება. ამიტომაც მდიდრები ვალდებულნი არიან, მათ მიმართ ყურადღება გამოიჩინონ და უპატრონონ.

19352. საკუთარი ყოფიერებიდან ემიგრირება უინტერესოა და შედეგიც უღიმღამოა.

19353. ყველაფრისმცოდნეობა არასრულფასოვნების კომპლექსია.

19354. პროგრესი ფაქიზ დამოკიდებულებას მოითხოვს, რადგან სარისკო საქმეა და დასახულ შედეგს ყოველთვის არ იძლევა.

19355. გაგებით, შეიძლება, ბევრ რასმე ვიგებდეთ და ვაცნობიერებდეთ კიდეც, მაგრამ ბევრიც არ მოგვწონს და ჩვენთვის მიუღებელია.

+19356. დღეს თავად ვირჩევთ, რით უნდა გავკვირდეთ და რა უნდა გავიფიქროთ.

19357. საუკეთესოს ზოგჯერ შემთხვევა გამოავლენს, რაც შემთხ-

ვევითობის და აუცილებლობის ერთიანობის კანონის დამსახურებაა.

19358. სისულელის და არა სტანდარტული ქმედების ჩადენა გარკვეულ მომენტში დასაშვებია, ხოლო რეციდივი და გამეორება უგვანობაა.

19359. საკუთარი თავის შეცნობას ზოგჯერ ყოფის ალიყური გვაიძულებს.

19360. წარსულის სიტყვით დაბრუნება შეიძლება და არა საქმით, რადგან ტექნიკური პროგრესი ამის საშუალებას არ იძლევა.

19361. წარსულში დაბრუნება იმათ უნდათ, ვინც აწმყოში ფეხი ვერ მოიკიდა და მომავლის იმედიც გადაწურული აქვს.

19362. სხვაგან ჩადენილ გმირობას, წარმატებას შენიანები უფრო გიფასებენ და ეამაყებათ, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში ჩადენილი იგივე ქმედება.

19363. დახმარებასა და ჩუქებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველ შემთხვევაში გულით ეხმარები, მეორე შემთხვევაში ირჯები თავის წარმოჩენისთვის.

19364. სისულელის ჩადენა, მიქარვა ადვილია. მისი ისე გამოსწორება, რომ ხარჯები არ დარჩეს, ძნელია.

19365. მოტყუება ადვილია. მისი უარყოფითი შედეგებიდან თავის დაძვრენაა ძნელი.

19366. ხშირად იმას არ ვაფასებთ, რაცა გვაქვს და უფრო მეტი გვინდა, იმისდა მიუხედავად, ამ მეტისთვის გადადგმული ნაბიჯი საკმარისია თუ არა.

19367. წინხედვის, განსჯის და არითმეტიკის მოშველიების გარეშე ყველა დაპირება დემაგოგიაა, არაფრის მომტანი „ბაზარია“, ყბედობაა.

19368. რწმენას, მსოფლმხედველობას, რელიგიას არც ყიდიან და არც იცვლიან, უბრალოდ, ყოველივე ამას დროის მოთხოვნებს ტექნიკური პროგრესის მიღწევების შესატყვისად უთავსებენ.

19369. ყავლგასული წეს-ჩვეულებების აღმოფხვრას დრო სჭირდება, აგრეთვე თანამედროვე ტექნიკური პროგრესის კიდევ უფრო განვითარება.

+19370. ყოველგვარი ნახევარი ეჭვს ბადებს.

19371. სიმართლეში შერეული ტყუილის შეცნობა ყოველთვის უფრო ჭირს, ვიდრე მამალი ბლეფისა.

19372. ყველა ჩვენგანი რეალურად ინახავს იმ საიდუმლოს, რომლის გაცნობიერების წინააღმდეგი არავინაა.

19373. უვიცობა ცოდნას ვერ სჯობნის, იმისდა მიუხედავად, რომ ჭკუის გადაღლას უფრთხილდება.

19374. ზოგს ისეთი სურვილები აქვს, მათ ახდენას აუხდენლობა გაცილებით სჯობს.

19375. უხალხოდ დარჩენილი სამყარო ვერც თავისი მშვენიერებით გააკვირვებდა ვინმეს და ვერც თავისი საოცრებებით დააფიქრებდა ვისმე.

19376. ზოგისთვის ცოლის ღალატი კარიერაა, ბინაა, ფულია და ისიც სიამოვნებით იდგამს ამ რქებს, რათა უფრო მომხიბვლელად გამოიყურებოდეს მოქიშპე-შურიანთა წინაშე.

19377. ზოგი თავს ჯეელობით იწონებს და ზოგიც სიცოცხლის ხანგრძლივობით, იმისდა მიუხედავად, ამ ხნის განმავლობაში დასამახსოვრებელი რამ შექმნეს თუ არა.

19378. შექება ყველას მოსწონს, განსაკუთრებით – კარიერისტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მლიქვნელებს ახლოსაც არ გაიკარებდნენ, რადგან იციან – ისინი სანდო ბუნებით არ გამოირჩევიან.

19379. სამყარო ჩვენს ცნობიერებაში თანდათან პატარავდება, ცვალებადი და მისაწვდომი ხდება. ეს ტექნიკური პროგრესის დამსახურებაა.

19380. დაბეჩავებული სიმართლის რწმენა და მის დასაცავად შემართება თანდათან კნინდება.

19381. ტრაბახი დიდ ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვს, რათა სიამაყეს გაუთანაბრდეს და წარმოჩნდეს.

19382. როგორი იქნება მომავალში სამყარო, ვითარ შეიცვლის სახეს, ამას ვერც ჩვენი ცნობიერება სწვდება და არც არავინ უწყის.

19383. თვალი, რომელიც იხედება და ვერაფერს ამჩნევს, ნერვების დაძაბვის, აშლილობის და სიკეთის შეუმჩნევლობის მაჩვენებელია.

19384. ჭკვიანისთვის პატიოსნებაც დამახასიათებელია, მაგრამ გონიერებისა და სარგებლის წინასწარი ჭვრეტის ფარგლებში.

19385. მომავალში სამყაროს მოსახლეობას, ალბათ, ერთი სარწმუნოება და რწმენა ექნება. ეს სამყაროს კონსტიტუცია იქნება, რომელსაც პლანეტის მოსახლეობა ნებაყოფლობით მიიღებს, ხოლო, თავიანთ ეროვნულობას ხალხები გაუფრთხილდებიან თუ არა, არავინ უწყის.

19386. უმტკივნეულო დაცინვა მხიარულების, შექებისა და ურთიერთგაგების ერთ-ერთი ფორმაა, სახეა.

19387. ეშმაკობაში საკუთარი სარგებელიც იდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იდეალიზმით გამოკვებას გვიპირებს და არა მატერიალიზმით.

19388. წინათ უნიფხვოდ წოდებულნი დღეს მართლა უნიფხვოები გახდნენ. ისინი გონიერების საცვლებს ადრე იცვლიან, რადგან წარმატების რეიტინგი უნიფხვოთა ხელშია.

19389. ზოგჯერ უკან გახედვა ხელს გვიშლის იმის წარმოდგენაში, თუ რა იქნება ხვალ და როგორ დავძლევთ დღევანდელი ცხოვრების ხაბახუბასთან შეჭიდებას.

19390. ჩვენი სიამაყის, რწმენის, თავქარიანობის გადახარშვა შესაძლებელია, მაგრამ ყოველთვის რენტაბელური არაა, რადგან საკუთარ მეობას ვაკნინებთ და ვკარგავთ.

19391. ზოგჯერ ერთი დამცინავი ღიმილი მრავალი ალიყურის ჭმევის ტოლფასია და სამუდამოდ გვამასხსოვრდება.

19392. ტკივილი გვაძლევს საშუალებას, იმ შეცდომაზე ვისწავლოთ, რომელმაც ცხვირი დაგვინაყა და არა იმ მიმდინარე შეცდომაზე, რომელიც ალიყურებს გვთავაზობს.

19393. რატომღაც ჭკუის დამრიგებლებს ისევ ჩვენსავით ჭკუის დასარიგებელი გვირჩევნია საამხანაგოდ, მეგობრად, რადგან ეს თავისუფლების გამოხატვა გვგონია.

19394. ეჭვიც ყოველთვის ვაჭრობის საგანია გარკვეულ აფექტამდე და ის ყოველივეს მოგვარებას თავისი გადასახედიდან ცდილობს.

19395. ზოგჯერ იძულებულნი ვართ, ჩვენი ცნობიერებიდან ამოვშალოთ საკუთარ თავზე „ნაჯღაბნი“ მოგონებანი, მაგრამ ნაწერი მაინც კვალს ტოვებს.

19396. არის ჭორი, რომელსაც შეუმოწმებლადაც იჯერებენ, რადგან ამ ჭორის წარმოსაჩენად შინაგანად დიდი ხანია მზად არიან.

19397. უზრდელობა ზოგჯერ ყოველდღიურ ქცევად ყალიბდება, რადგან ამას ხელს უწყობს გარემო და ვითარება.

19398. გაკიცხვაც ადვილია და შექმნაც, გააჩნია, რა ფსონზე გვაქვს დადებული და შედეგად რას მოველით.

19399. თუ გიყვართ და გრძნობთ, რომ ერთმანეთის შეუფერებლები ხართ, შეიძლება ცოლად არ მოიყვანოთ, რადგან ზოგჯერ ეს ორივეს შემდგომი ბედნიერებისათვის აუცილებელია.

19400. უცნაურობათა განსჯას მათში ნაკლოვანებათა შემოპარება იწვევს.

19401. სიმართლის თქმა ერთია და ზოგჯერ საჭიროც, მაგრამ ვის სიამოვნებს და სჭირდება ამ სიმართლის ღაღადი, ეს მეორეა.

19402. კომპლექსები ცუდის მაჩვენებელი და გონების ცუდი დამბანდებელია, რადგან გარკვეულ მომენტში თავის შეკავება-დაჭერა უჭირს.

19403. არის კანონი, სიმართლე, გონიერება. აქედან რომელს ავირჩევთ და სად და როგორ გაგვიმართლებს, არავინ უწყის.

19404. კომპლიმენტი და პირველობა ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ მათი აღრევა უარყოფით შედეგს იძლევა.

19405. განსჯადი ტყუილი ხშირად მხსნელად გვევლინება და ნერვების აშლილობისგან გვიფარავს.

19406. ყოველგვარ წარსულთან ბრძოლა დანაშაულის ტოლფასია, რადგან ამქვეყნად უსამართლოდ არაფერი ხდება.

19407. მომდევნო თაობა თუ წინა თაობების მხრებზე არ დგას, იმ თაობის საქმე გარკვეული დროით წასულია, კერძოდ, მომდევნო თაობების გონზე მოსვლამდე და გაჯეჯილებამდე.

19408. მართალია, მოსწრებული სიტყვებით „ყურებზე ხახვს“ ვერავის დავაჭრით, მაგრამ ამ სიტყვათა გახსენება გულსა და ცნობიერებას სილაღეს მატებს.

19409. კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა და არა მხოლოდ დიდი ყურები, რადგან, ნათქვამი თუ გონიერებამ არ გადახარშა, მისი გახმოვანება უაზრობაა.

19410. თუ მასობრიობას უნდა გავექცეთ, მაშინ არ უპასუხოთ საკუთარ კითხვებს და ნუ შევეცდებით ფანტაზიების პასუხის ძიებას.

19411. საერთოდ ყვავილები და მათგან შემდგარი თაიგული განსაკუთრებული ყურადღების მაჩვენებელია და ადრესატისადმი თქვენი დამოკიდებულების განმსაზღვრელი.

19412. უვიცის შექება დაცინვად აღიქმება, თუ მიამიტები არა ვართ.

19413. კარიერის კეთების ორ გზა არსებობს: ან ჭკუით უნდა იფრინო, ან თხუნელასავით იქვემძრომიალო და კონკურენტს სამარე გაუთხარო.

19414. ზოგჯერ წინასწარ ჩაწყობილ წაგებასაც დიდი ძალისხმევა უნდა, თუ მოწინააღმდეგე ძალზე სუსტია.

19415. გმირობის ჩადენა შედარებით ადვილია, ვიდრე ახლობლებთან შენი წარმატების შედეგად მიღებული ამბიციებისაგან თავის დახსნა.

19416. გამარჯვებული ტყუილი ადრე თუ გვიან გამოშკარავდება, ხოლო „ბლეფი“-თ მიღწეული წარმატება გამოუაშკარავებელი რჩება, თუ მასში თავის მოწონების სურვილი არ იმძლავრებს.

19417. ცხოვრება, ყოფიერება ჩვენს მოთხოვნაზე მეტია, მაგრამ გულის სურვილებზე ნაკლებია.

19418. თანამდებობებს არწივები იშვიათად ეუფლებიან. მათ ქვემძრომი ვირთხები იკავებენ და, როგორც შეუმჩნევლად იკავებენ ამ თანამდებობებს, ასევე შეუმჩნევლად ტოვებენ.

19419. თუ სამყაროში მშვიდობა დამყარდება და ტექნიკური პროგრესი იჯეჯილებს, მაშინ მამაკაცებზე მოთხოვნა შემცირდება. მალე მათ რობოტი მამაკაცები ჩაანაცვლებენ. მაგ. დღეს ხარებზე, როგორც გამწევ ძალაზე, მოთხოვნა თითქმის არ არის, რადგან ისინი ტრაქტორებმა ჩაანაცვლეს. ამრიგად, ტექნიკური პროგრესი, რომელსაც ჯერჯერობით მამაკაცები უდგანან სათავეში, მამრების საწინააღმდეგოდ მოქმედებს და მომავალში მამრთა რაოდენობა დიდად შემცირდება.

19420. ევროპას განათლებული და მოაზროვნე აუტისტები მართავენ, ხოლო აზიას – განათლების მოყვარული შემოქმედი ასპირან-

ტები.

19421. არაფორმალები მოგვაგონებენ იმ ამბიციის მქონე ახალგაზრდას, რომელმაც, ცოლი რომ უნდა მოიყვანოს, იცის, მაგრამ როგორ და რა საშუალებებით, წარმოდგენა არ აქვს.

19422. თეორიულად იდეოლოგია ცალკე იღვწის, მატერია ცალკე, მაგრამ პრაქტიკულად მათი შერწყმის გარეშე ხეირს ვერ ვნახულობთ.

19423. სხვისი შეცდომა ჭკუას გვასწავლის, საკუთარი გადაცდენა კი დავიწყებადია.

19424. თანდაყოლილი უიღბლობა სიკვდილის შემდგომაც თან დასდევს დიდ ადამიანებს. მაგ. ერთლარიანი, რომელზედაც ფიროსმანის სურათი იყო გამოსახული, ხმარებიდან გაქრა. ის რკინის ლარიანმა ჩაანაცვალა, ხოლო სურათი კაცისა, რომელსაც რეალურად სასიკეთო არაფერი გაუკეთებია ქართველებისთვის, გამოსახულია ორასლარიან კუპიურაზე და დიდ მოწონებაშია. ეგ კაცი ბიძინა ჩოლოყაშვილია. ეს ბედის დაცინვაა თუ ჩვენი ხალხის ფეხებზემკიდიაობის ბრალი, დღესაც გაურკვეველია.

19425. დღეს ევროკავშირი აშშ ყურმოჭრილი მონაა, მაგრამ ამის აღიარება ძველი დროის პოლიტიკოს მეძავებს უჭირთ.

19426. მშვიდობისმოყვარე ერების უმთავრესი გზავნილი უნდა იყოს: „პერსპექტივით გაგიცნობთ“, პასუხი – „სიამოვნებით დაგთანხმდებით“.

19427. მოდა ცივილიზაციის აზროვნებას არ ეპუება და საოცარი თანმიმდევრობით მეორდება, რადგან ადამიანში უცვლელი რჩება გამორჩენა-წარმოჩენის სურვილი. ამას სხვადასხვა ზომის რკინის რგოლების პაპუასებივით სხეულის სხვადასხვა ნაწილში გაყრა და ტატუთი გატაცებაც ადასტურებს.

19428. ალბათ, დროა შევქმნათ „უხიაგ ადამიანთა გაერთიანება“, რომელთა ოდენობა გაცილებით მეტი და პრეტენზიული იქნება დღემდე არსებულ ყველა გაერთიანებაზე, იდეოლოგიაზე, სარწმუნოებასა და სხვა ამდაგვარზე.

19429. კერძო საკუთრება, გვინდა – არ გვინდა, მოხვეჭისა და ქონების განუსჯელი დაგროვებისკენ გვიბიძგებს და გვიბიძგებს ვიღაცისა და რაღაცის ხარჯზე.

19430. ზოგჯერ თავის მოტყუებაც სიამოვნებას გვანიჭებს, რადგან ესეც ჩვენი ფანტაზიის ნახელავია.

19431. ეგოიზმსაც თავისი ხიბლი და გამართლება აქვს, ოღონდ ზომიერების ფარგლებში.

19432. ნიჭისაგან განსხვავებით, წარმატება კარიერასთან უნდა ასოცირდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აწმყოში ის სათანადო პატივის მიგებას ვერ დაიმსახურებს.

19433. თვალები ხშირად იტყუებიან, მაგრამ უიმისოდ საცნობიც კი შეუცნობელი დარჩება.

19434. არის ძველი გამოთქმა – „ბოზ დედამთილს რძალი არ გაუბოზდებაო“, მაგრამ დღეს უბოზდებათ და ეგ ხდება სწორედ დედამთილების წაყრუებით: ოჯახს ხომ შენახვა უნდა მათი უნიათო ვაჟების ხელში.

19435. სასურველია, არსებულით დავკმაყოფილდეთ და ვისურვოთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი, მაგრამ ფანტაზია და შური ამის უფლებას არ გვაძლევს.

19436. რადგან ამომრჩევლებს თავის შეწუხება არ უყვართ, ამიტომ წინასწარ დაფინანსებული რეკლამა იძულებულია მათი სიზარმაცე აღმოფხვრას და, ვინც აფინანსებს, ის აარჩევინოს.

19437. რადგანაც არცერთი განაწილება არ რჩება საზიანოდ, ჩვენი ვალია, მას მხარი ავუბათ და საჩვენოდ გავხარჯოთ.

19438. ზოგი მდიდარი მთელი ცხოვრება ვალებით ცხოვრობს, ხოლო ღარიბი ვალების აუღებლად. აქედან რომლის ყოფა სჯობს, არავინ უწყის, რადგან ორივე შემთხვევაში დრო გარბის და იწელება.

19439. რატომ ვითხოვთ სხვებისგან იმაზე მეტის კეთებას, რაც თავად არ შეგვიძლია, ეტყობა ესეც ჩვენი ამბიციური ბუნების და თავქარიანობის ბრალია.

19440. წივილ-კივილით საქმის კეთება ცუდია, მაგრამ ეფექტიანია.

19441. დაცემული ფეხზე წამოდგომის მცდელობის გარეშე არ იკურნება.

19442. ყავლგასული დახმარებაც თავის შეწუხებაა. შეიძლება ითქვას, დაგვიანებული სინდისი და თავის შეხსენებაა.

19443. სრულყოფის დამუღამების მცდელობას ზოგჯერ საზღვარი არ აქვს.

19444. გულუხვ ბატონს ყმა-ქვეშევრდომი მონდომებით მანამ ემსახურება, სანამდის სხვა უფრო გულუხვსა და მოყვასს გამონახავდეს, რადგან ყმის ერთგულების ალგორითმი გამორჩენაა.

19445. უმეცრებას ზოგჯერ ყველაფრის სათავისოდ ახსნის მცდელობა განაპირობებს.

19446. რომ დაუკვირდეთ, შიმშილს ბევრი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული, ვიდრე გადაძღომას. კაცობრიობა უიმისოდ დღევანდელი განვითარების დონეს ვერასოდეს მიაღწევდა.

19447. ძველი ებრაული წყევლაა: „სხვისი არ გაგაგონოს და შენი არ გაცოდინოსო“. მართლაც, ამაზე ცუდი და შემპარავი სისაძაგლე სხვა რა უნდა უსურვო ჯიუტს.

19448. პატიოსნება და მიზანი ზოგჯერ ურთიერთს უპირისპირდება, მაგრამ თავიანთი გადასახედიდან ორივე მართალია.

19449. ჭამისთვის არ ცხოვრობენ, მაგრამ ვერც ამის უგულებელყოფას ბედავენ.

19450. ღვინო გულის გადახსნის საშუალებაა, ხოლო წყალი – ყოველდღიური საჭიროება.

19451. თავად აკეთო ის, რაც სხვისა არ მოგწონს, აუცილებლობის უგუნურებაა.

19452. შეცდომა უფრო ხშირად გულგრილობის შედეგია, ვიდრე უვიცობის.

19453. გაჩუმებისგან განსხვავებით, ხშირად ნათქვამი მეტ ზიანს გვაყენებს.

19454. იუმორის გრძნობა შინაგანად შეუცნობელია. სატირას, იუმორსა და შაყირს სხვადასხვა განზომილება ახასიათებს, იმისდა მიუხედავად, რომ ერთ ტაფაში იბრაწებიან.

19455. ზოგიერთი ქალი „წუწუნებს“, რომ მას ისეთი მექალთანე ქმარი შეხვდა, რომ არც კი იცის, შვილები ვისგან ეყოლა.

19456. ფუფუნება მატერიალიზმის გამყვლეფი ჯადოქარია.

19457. კითხვის აზარტში შესულ მკითხველს ნაღვაწის „ფინიში“ აინტერესებს და არა „სტარტი“.

19458. დღეს კუზიანს სამარეც ვეღარ ასწორებს, ცოდვები გაუცნობიერებელი და მისაბაძი გახდა.

19459. ზოგჯერ არაფრის კეთება მოგებიანია, რადგან არც არაფერს აშავებთ და ვერც ვერავინ ვერაფერში შემოგედავებათ.

19460. სამწუხაროდ, „საკუთარ აჩრდილსაც“ რომ არ უნდა ვენდოთ, ჯერჯერობით ძალაში რჩება.

19461. თეორიულად, რომელ პროექტსაც გვერდში ამოუდგებით და ზურგს გაუმაგრებთ, ღირებულია, იმისდა მიუხედავად, შედეგი თქვენთვის მისაღები იქნება თუ არა.

19462. მცოდნე ჩუმად ეწაფება სწავლას, უცოდინარი – სახალხოდ.

19463. ეჭვის ფანტაზია განუსაზღვრელი, გაუგებარი და შეუცნობელია.

19464. ლოთმა იცის, რომ ალკოჰოლი მისი მეგობარი არ არის, მაგრამ მასთან ურთიერთობას ვერ ეშვება და არც მოეშვება, რადგან სხვა სიამოვნების მისაღებად ის მზად არ არის.

19465. ალფონსსა და ბოზს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მამაკაცია და მეორე – ქალი, მაგრამ ემანსიპაცია ამ ტერმინებს მომავალში რა შინაარსით დაალაგებს, არავინ უწყის.

19466. რთული პრობლემების მარტივად გადაწყვეტის საშუალებაა არაპოპულარული დიქტატურა, ქვეყნის კონსტიტუციური დიქტატურა იქნება ეს, კანონის თუ ოჯახის უფროსისა.

19467. ფანტაზიით და ფანატიზმით ეჭვიანობისკენ მიდრეკილება

განუსჯელი და შეუცნობადია.

19468. ენას შეუძლია ცუდი უკეთესობისკენ და კარგი უარესობისკენ წარმართოს. ამიტომაცაა, რომ ენის შესაძლებლობა ბოლომდე გაუცნობიერებელი და განუსაზღვრელია.

19469. ყოველი არქაულისა და დამკვიდრებულის შეცვლა შეიძლება, თუ ის მატერიალური სარგებლის მომტანია.

19470. როდესაც ცოდნა-გამოცდილება ნაკლებია და კარიერა განაღდებულია, მაშინ ყბედობის ეკვივალენტი იზრდება და საქმიანობა მცირდება.

19471. რაც ადვილი, მარტივი და ქვეყნისთვის იოლად ხელმისაწვდომია, ის მოსაბეზრებელი და დავიწყებადიცაა.

19472. „ოქროს მაძიებელთა“ ოდენობამ ორივე სქესის წარმომადგენლებში ძალზე იმატა. სხვის ხარჯზე ფუფუნებით ცხოვრება ბევრს სურს და ესეც დაუსაქმებლობისა და იდეოლოგიის გაცუცურაკების ბრალია.

19473. სხვისი კუთვნილის ან დაუმსახურებლის მოპოვების მცდელობას ბოლოს გაჭირვებამდე მივყავართ.

19474. ერთი ბრიყვის მეორე ბრიყვით აღფრთოვანება შეხვედრისას გამოწვეულია იმ ურთიერთგაგებით, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის გაუგებარია.

19475. ბუნებით ამაყი განუსჯელ საქმიანობას ქომაგობს და მას მარკას უწევს.

19476. ჩვენთვის გაუცნობიერებელი და გაუგებარი ღირსების პარამეტრების ძიებას სიბრიყვემდე მივყავართ.

19477. ხუმრობა ის სერიოზული ფენომენია, რომელსაც ხელეწიფება იმის ახსნა, თუ რად უხარია კაცს კაცისადმი არასერიოზული დამოკიდებულება.

19478. ტკბილი ტყუილით ცხოვრებას ბევრი ჩვენგანი ცდილობს, მაგრამ რეალობიდან თავის დაღწევა მაინც ჭირს.

19479. „ჯადო მაქვს გაკეთებული“, ეს გამოთქმა საკუთარი უნიათობის გამართლების მცდელობაა, განგების ყურადღების მიუქცევლობის ალიბია.

19480. ყველა წესს აქვს გამონაკლისი, მათ შორის გრძნობათა ღელვის კანონსაც, როდესაც ერთი ნახვით შეყვარებული რამდენიმე ნახვის შემდეგ გადაგიყვარდება და მეტიც, შენთვის აუტანელი ხდება.

19481. გადამეტებული ყურადღება, თუნდაც სიყვარულის თვალსაზრისით, მოსაბეზრებელია და არ ამართლებს.

19482. მიცვალებულს ყველანი პატივს მივაგებთ, მაგრამ მისი სიცოცხლის აღდგენისთვის ძალისხმევა გვიჭირს.

19483. ხშირად ვიღვწით იმის მიხედვით, თუ რა გვსურს და არა

იმის შესატყვისად, რა შეგვიძლია.

19484. ყველაფრის შეხრამუნება-მონელება შეიძლება, ოღონდ ერთმანეთის დაუჭმელად.

19485. ზოგიერთის ხასიათია: უაზრო წუწუნი, თავის მოწონების მცდელობა, მოსმენის უუნარობა, შური, გაუტანლობა, წინდაუხედაობა.

19486. ჭორების „შლეიფი“ ყველა შესამჩნევ ადამიანს თანა სდევს, რათა სიფხიზლე არ მოადუნოს და წინ იაროს.

19487. ჭკუის დამრიგებლების და მორალისტების ქცევა ზოგჯერ უცნაურია, რადგან სხვებს იმას მოუწოდებენ და უკიჟინებენ, რაზედაც დროსა და გარემოს შესატყვისი წარმოდგენა არ აქვთ.

19488. „პორტმანეს“ შემოგდებაც ხელოვნებაა, რომ მოწინააღმ-დეგე დააბნიო და მოიმხრო.

19489. „მე შემიძლია“ და „მე მინდას შორის“ იმხელა სხვაობაა, რომ საჭიროა მათი კოჰაბიტაცია.

19490. პატარა პრობლემათა მოძიება და მათთან შერკინება ხშირ-ად სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს.

19491. სარფიანი თანამდებობისთვის დიდი ხელფასი პატიოსნების გარანტად არ გამოდგება, იმდენად დიდია საცთუნებელი – „მარცხენა“ ფულის კეთების შანსი.

19492. ჭკვიან კაცსა და პატიოსანს შორის დიდი სხვაობაა, რადგან ეს უკანასკნელი ხშირად თავისი მიამიტობით, დროის ყავლის უცოდინა-რობით ხელს უშლის დაჩქარებულ და შედეგიან საქმის კეთებას, რო-მელსაც ჭკვიანი კაცის უპატიოსნობის სახით „მარცხენა“ ფულის კეთე-ბაც თან ახლავს.

19493. ხარისხიანი, მათ შორის „მაიმუნობაც“, ყველა დროსა და დარგში მოსათმენია.

19494. ცოდნა გამოუყენებელ ინფორმაციად დარჩება, თუ მას პრაქტიკაში არ იყენებენ.

19495. ცარიელ ადგილზე დამკვიდრება და თავის წარმოჩენა უფრო ადვილია, ვიდრე მჭიდროდ დასახლებულ ადგილას, რადგან აქ შენს ჭკუაზე მკვიდრდები, საქმიანობ და ჯერჯერობით შენიც არავის შურს.

19496. სინამდვილეში ქმედება ნიშნავს რაღაცის კეთებას და არა მხოლოდ ლაპარაკსა და ქაქანს.

19497. ცოდნა არ არის ის ძალა, ქმედებას რომ „მოუჯოკროს“.

19498. ზოგჯერ ამხანაგი სჯობს მეგობარს, რადგან მეგობარს ვერა სთხოვ დახმარებას, თავადვე უნდა მიხვდეს. ამხანაგს კი გვერდში იყენებ, ასაქმებ და საქმის ხარისხიანად კეთებასაც სთხოვ.

19499. დღეს მეცნიერების, ხელოვნების, შემოქმედების წარმატებუ-ლი წინსვლის და წარმოჩენა ურეკლამოდ ჭირს.

19500. ყველა სახელმწიფო წყობა და მმართველობა მისაღებია,

მათ შორის პატრონყმობაც, თუ ქვეყანას წინ მაცქერალი პიროვნება მართავს.

19501. შურიც კარგია, მაგრამ ზომიერების, გონიერების ფარგლებში.

19502. უგუნური სხვათა საქმიანობასა და ცხოვრებას გეგმავს, გონიერი კი საკუთარ ქმედებებზე აგებს პასუხს.

19503. ზოგიერთი წინაპრისთვის მის მიერ ჩადენილი შეცდომების გამო შეიძლებოდა გემოზე შეკურთხება, იმის ცოდნის მიუხედავად, რომ ყოველივეს დრო, გარემო და განგების ხუშტურები წყვეტს.

19504. როგორი მთავრობაცაა, ისეთივეა ამომრჩეველიც და პირიქით. ამ მავნე კავშირს პრაქტიკულად საშველი არ დაადგება მანამ, სანამდის ქვეყნის სათავეში პიროვნება-ხელისუფალი არ მოვა.

19505. დღედაღამ სამსახურში ყოფნა არ ნიშნავს, რომ თქვენ იმ დროის მარგი ქმედების კოეფიციენტს საქმის საკეთებლად გერგილიანად ხარჯავთ, არა, თქვენ პრემიების მისაღებად თქვენი არაპროფესიონალიზმის მიჩქმალვას, უფროსებთან თავის წარმოჩენასა და ერთგულების დამტკიცებას ცდილობთ, რადგან საშური საქმის საკეთებლად ნიჭი არ გყოფნით.

19506. სხვათა გაკვირვება ადვილია, თუ გასაკვირველი მასალის, ცოდნის და დროის მოძიება და შერჩევა არ გეძნელებათ, მაგრამ სწორედ ეგაა რთული საქმე.

19507. სიმდიდრეზე მონადირე „ალფონსი“ მომავალი მეუღლეებისთვის ძნელი ასატანია, განსაკუთრებით – მამაკაცები.

19508. ჭორი, რომელიც ზოგჯერ უბოროტოა, ხელის ჩამორთმევასაც იმსახურებს, რადგან გახარებს, რაკი საზოგადოებას კიდევ ახსოვხარ და შენი გაჭირვებით ერთობა.

19509. ცოლსა და საყვარელს შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელის სიტყვა მაცდური, რომანტიკული და სასიამოდ ჟღერადია.

19510. კონკურენციის ენა არ ითარგმნება. ის, უბრალოდ, ფაქტის წინაშე გვაყენებს.

19511. დუმილი ყოველთვის კარგი არ არის, რადგან ისიც სარკვევია, გულმართალია თუ გულბოროტი.

19512. ნაჩქარევად ნაკეთები საქმე ხშირად უხარისხოა და გაუგებარია, ვის სჭირდება ეს გაუაზრებელი სიჩქარე.

19513. არის დაწესებულება, ადგილი, სადაც ქუდიც რომ შეგიგდონ, წესით, არ უნდა შეხვდე, თუმცა ამ დაწესებულების აბრაზე მოზრდილი ასოებით წერია „უცხო პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია“.

19514. შეიძლება, ძაღლი „ძაღლურ ცხოვრებას“ არ იმსახურებდეს, მაგრამ, მან რომ თავის მოვალეობა პირნათლად შეასრულოს, ამისი წინააღმდეგი არავინაა.

19515. „თანხმობის თეორიათა“ შესატყვისად, თანამოაზრეთა ყურით მოთრეული მცდელობა დროებით მაინც არის მისაღები.

19516. ხშირად საკუთარი თავისთვის კონკურენციის გაწევა ჭირს, იმდენად დიდია პირადი მეობის, რწმენის, დარწმუნება-გადარწმუნების ალგორითმი.

19517. ერთი ხისაგან ბარის ტარიც გამოდის და ცულისაც, სარიც კეთდება და წკეპლაც, გააჩნია, როდის რას ვიყენებთ და, ეს უკანასკნელი დაგვჭირდება თუ არა, მაინც თადარიგში უნდა ვიქონიოთ.

19518. ზოგჯერ გონივრული ანგარების გამო ისეთი ქალი უნდა შეირთო ცოლად, რომელზეც დიდად გული არ შეგტკივათ, რადგან, მას რომ რაიმე მოუვიდეს, დიდად არ ინერვიულოთ და ამით საკუთარ ნერვებსა და თავს გაუფრთხილდებით.

19519. შენიშვნების, კრიტიკის, განსჯის გარეშე პროგრესი წინ ვერ წაიწევს, იმისდა მიუხედავად, ოპონირება, ურთიერთკამათი მოგვწონს თუ არა.

19520. ზოგჯერ, ერთი შეხედვით, უგვანობაც მისაღებია, თუ მას გონიერების ფილტრში გავატარებთ.

19521. კვერცხი მისი დამდების შესახებ არაფერს გვეუბნება, სანამდის მისგან წიწილა არ გამოიჩეკება.

19522. პარადოქსებსაც თავისი გზა აქვს და მისი კეთება მოწოდებაა სიკეთის.

19523. რომ არა სისხლის აღრევის შედეგად მიღებული დებილი თაობები, დღეს საზოგადოება სულ სხვაგვარად განვითარდებოდა და, რა სახის დაპირისპირება იქნებოდა გვარებსა და ტომებს შორის, არავინ უწყის.

19524. სარეველების ამოძირკვა უფრო ნაღდი ქმედებაა, ვიდრე მისი ქიმიური პრეპარატებით დამუშავება, რაც გარემოს ვნებს. უგვანობას ისე უნდა „ვუმკურნალოთ“, რომ საზოგადოების ხორცმეტებს დამნაშავე მისაბაძად არ დავუსახოთ.

19525. თუ ვისმე რაიმე დაპირდი და არ შეუსრულე, ეს იგივე აშკარა თაღლითობაა.

19526. არის შეცდომები, რომლებიც სიამოვნებას გვანიჭებს, იმისდა მიუხედავად, რომ ეს გადაცდენები ძვირად გვიჯდება.

19527. ზოგჯერ სიყვარულის ყიდვაც აუცილებელია, რათა ცოლთან ურთიერთობა დააბალანსო და გრძნობათა ღელვის მოჭარბებული დეფიციტი შეივსო.

19528. დაბანდებული ურთიერთობა გრძნობათა გათავხედებისთვის აუცილებელია.

19529. ნებით თუ უნებლიეთ ყველა ჩვენგანი „ჩამშვებია“, იმდენად დიდია ჭორაობის და თანამეინახესთან საერთო ენის გამონახვის სურ-

ვილი.

19530. ზოგი პატარა საიდუმლოების დამალვას ცდილობს, ზოგი კი დიდი საიდუმლოებების გამჟღავნებასაც არ ერიდება, რომელიც მას არ გადახდენია.

19531. ზოგი გონივრული ანგარების გამო ისეთ ქალს შეირთავს ცოლად, რომელზედაც გული არასოდეს შევარდნია. ამათ სიყვარული კი არა, ქონება აინტერესებთ.

19532. გონების ფილტრში გატარებული სუსტად დაგეგმილი ოპერაციაც კი გარკვეულ წარმატებას მოიტანს.

19533. დაპირისპირებას დაუკმაყოფილებული ამბიციები იწვევს და ყოველგვარი გაუგებრობაც აქედან იწყება.

19534. სამწუხაროდ, ტექნიკურმა პროგრესმა რაც უნდა წინ წაიწიოს, უგვანოთა ოდენობა მაინც არ კლებულობს.

19535. სახელის განთქმისა და დაგდების წყურვილს საზღვრები არ აქვს.

19536. უცოდინარობა და გამოუცდელობა გაუგებრობიდან თავის დაღწევის საშუალებას აღარ გიტოვებს.

19537. საკუთარი თავისადმი უნდობლობას მეტ-ნაკლებად ყველა განვიცდით, ეს სენი ყველას გვახასიათებს.

19538. ფართო მოხმარების მეგობრობა ყოველთვის ეჭვს იწვევდა და მომავალშიც გამოიწვევს.

19539. ზემდგომსა და ქვემდგომს შორის მეგობრობა შეუძლებელია. აქ შეიძლება მხოლოდ თანამშრომლობა, რადგან ეს ქვემდგომი, უნდა – არ უნდა, ყოველთვის ჩასაფრებულია და უცდის, ზემდგომს ფეხი როდის გადაუბრუნდება, რომ ნიშნი მაინც მოუგოს.

19540. ემოციებით მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგს უპირველეს ყოვლისა ამ გადაწყვეტილებათა მიმღები აფასებს და განიცდის.

19541. ქვემდგომს ღიმილით უნდა ელაპარაკო, ხოლო საქმე „დედის გინებით“ უნდა აკეთებინო, რათა ბოლოს როგორც დამსაქმებელი, ასევე დასაქმებული კმაყოფილი დარჩნენ.

19542. ცნებები „სიდუხჭირე“ და „სიხარული“ პრაქტიკულად ურთიერთშერწყმას მოითხოვს, რადგან, თუ პირველს მარტო ყოფნა უჭირს, მეორესთან ერთად შვებას განიცდის.

19543. ამ ქვეყნიდან რა მიგვყვება?! პარტნიორებთან ურთიერთობა, სიკეთის კეთება და სიყვარული. ყოველივე დანარჩენი ფანტაზიის ნაცოდვილარია.

19544. ვალს, ბოლოს და ბოლოს, ყველა ჩვენგანი თავისებურად იხდის ან ახდევინებენ.

19545. გარდაუვალობის ძალის წინაშე ყველა ქედს იხრის: ზოგი წინდახედულად, ზოგიც წინდაუხედავად.

19546. ბრძენსაც შეიძლება დაეტყოს უგუნურება, თუ ბრიყვთა კამპანიაში დიდხანს დარჩება.

19547. ოცნების მწვერვალებს ჯერ სურვილი იპყრობს, შემდგომ კი მოდის ხელის განძრევა და ჩანაფიქრის განხორციელება.

19548. ბრიყვიც თავისი გაგებით ყოველთვის კარგის კეთებას ცდილობს, ოღონდ შედეგზე პასუხისმგებლობა არ უნდა.

19549. სიბრძნეც და სიბრიყვეც თავიანთ საზღვრებში ცვლილებათა წინაღმდეგი არიან.

19550. მოხერხებულობას სიბრიყვის ნიშნებიც ახასიათებს, მაგრამ შედეგი აქვს თვალსაჩინო და გასაკვირველი.

19551. ხვალ რა იქნება, არავინ უწყის, რადგან დღევანდელი დღე ჯერ კიდევ არ გასულა.

19552. „დეზერტირს“ ვერც სამშობლო იტანს და ვერც – ცოლი, რადგან მისი თავის დაზღვევის მცდელობა ორივესთვის მიუღებელია.

19553. უცხო პლანეტელთა გამოჩენა ჩვენს ჩვევებსა და რწმენას შეცვლის.

19554. ეგოიზმი სხვების გრძნობებთან შეუთავსებლობის ბზარს აჩენს, რომლის ამოვსებაზე არავინ ზრუნავს.

19555. ყბედობა ჭკუის საჭყლეტი საწნახელია.

19556. ბრწყინვალების ექსპორტსაც რეკლამა სჭირდება, რადგან უამისოდ მისი რაობის გაგება ჭირს.

19557. საკუთარი თავისა და წესიერების ნდობაც ძნელია, თუ ასპარეზზე ისეთი ხიბლიანი გამოჩნდა, რომელსაც თვალებს ვერ მოსწყვეტ და რომელიც გულს გვითრთოლებს.

19558. ენაზე კბილის დაჭერა მოძალებულ ემოციებს თრგუნავს.

19559. ზრდილობის გულისთვის რაღაცით დაინტერესება გულგრილობის დაფარვის მცდელობაა.

19560. ტექნიკურ პოგრესს ზღვარი არ აქვს და ვინ იცის, რა სიკეთეს ან სიავეს მოუტანს ჩვენს შთამომავლობას.

19561. მოყვასს კარიერის შენარჩუნების წადილი აიძულებს, ბევრი მოჩვენებითი საქმე აკეთოს.

19562. ანგარებას მისი მჯობნი მეორე ანგარება უპირისპირდება და ამარცხებს კიდეც.

19563. მოსახდენის მოხდენა იმდენად არ გვაფრთხობს, რამდენადაც ამ პროცესის გაჭიანურება.

19564. სამყაროს ბოლომდის შეცნობას ვერავინ ეღირსება და, ალბათ, არცაა საჭირო. ეს რომ მოხდეს, ამქვეყნად ყოფნა უინტერესო გახდება.

19565. შვილი გვთხოვს, ცოლი გვავალდებულებს, ხოლო სიდედრი ცხვირის ჩაყოფას ცდილობს იქ, სადაც მას არაფერი ესაქმება.

19566. კიბუცის „რელიგია“ უპრეტენზიოა. ის ითხოვს: ნაყოფიერ საერთო შრომას, შრომის ნაღვაწის, შედეგის საყოველთაო თანაბარ გადანაწილება.

19567. ცხოვრების წინააღმდეგობათა განუსჯელად მივიწყება ჩვენი უმწიფრობის წარმოჩენაა.

19568. ერთის უპირატესობა ბოტივით დააბიჯებს მანამ, სანამ მეორის უპირატესობა რქებით არ დაეჯახება და არ დაამარცხებს.

19569. ნახევარი სიმართლით საქმის გამოსწორება არ ხერხდება, მაგრამ თვალებში ნაცრის შესაყრელად გამოდგება.

19570. დილა ღამეზე გონიერი და ნათელია, გამოღვიძებისას რაც უნდა წართმეული და გადაწურული გვქონდეს იმედი.

19571. გონი ხშირად უნიათოა, ხოლო ყველა შემთხვევით გამდიდრებული ადამიანი – მეტიჩარა.

19572. დროსტარება ხშირად ჩვენი კუჭის ამოყორვის საშუალებაა და მეტი – არაფერი.

19573. სიღარიბის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, უცოდინარობა, გამოუცდელობა და ყოყლოჩინობაა.

19574. მორჩილების ნიღბით ყველაზე უკეთ მლიქვნელები მანიპულირებენ.

19575. სიამაყე თავის გადასახადს იხდის, რადგან ხშირად მას გარემო არ სწყალობს.

19576. ეიფორიას უსაფუძვლო ილუზიების გათავისება იწვევს, ოღონდ იგი დროებითია.

19577. ჰორმონების სამყაროში ყოფნას შიში იწვევს და არა თავად ამ სამყაროს შეცნობის სურვილი.

19578. უსაქმურთა სჯა-ბასი მათი მოწყენილობის გასაქარვებელი საშუალებაა.

19579. იუმორის გრძნობა ჩვენი სიცოცხლის მფარველი ანგელოზია.

19580. დღეს კლასიკური ლიტერატურა ბევრი წიგნის თაროს ამშვენებს, მაგრამ მხოლოდ ამშვენებს.

19581. სიკვდილის სითბოს შეცნობის მცდელობა და შიში მისდამი რწმენის პოსტულატებს თავდაყირა აყენებს.

19582. მიცვალებულის ახლობლისთვის გარდაცვლილის დაკარგვა ტრაგედიაა, ხოლო დასაფლავების ბიუროსთვის – ბიზნესი და შემოსავლის წყარო, და მათი შეუთანხმებლობა მიცვალებულის ხსოვნას ვნებს.

19583. თუ მართლები ვართ, ყველგან გავყვირით, მაგრამ, თუ მართლები არა ვართ, ამის აღიარება გვიჭირს და ვყუჩდებით.

19584. პატარა ყოფისეული ეშმაკობანი დიდ შესაძლებლობათა ძირია, გააჩნია, ამ საძირეს რა გონივრულობით მოვუვლით.

19585. დაპირებათა აუცილებლად შესრულების პირობის დადება ყოველთვის დანაშაულის ტოლფასია და მას ალიბი ვერ შველის.

19586. მენტალიტეტი და ხასიათი ძირითადად ჩვენი დაბადების დროზე, ადგილზე, რწმენასა და ეროვნებაზეა დამყარებული.

19587. ზოგისთვის წარსული, აწმყო, მომავალი მარად განუსჯელია და იმქვეყნად მათი გადაბარგება ახლობლებისთვის წამალია.

+19588. პურიც რომ არა გქონდეთ, ნამცხვარზე ფიქრს მაშინაც ვერავინ აგიკრძალავთ.

19589. რა გზით გვინდა ვიაროთ და რა გზით გვაიძულებენ წავიდეთ – ბედზე, დროზე, გარემოსა და ჩვენს არჩევანზეა დამოკიდებული.

19590. ზურგში დანის ჩარტყმის შიში სულ მუდამ ახალ საშიშროებათა წინაშე გვაყენებს და გვაფრთხილებს.

19591. დარგის პროფესიონალი, შეიძლება, თანდათან დამნაშავედ იქცეს, გააჩნია, რას შესთავაზებს მას შემთხვევა, დრო და ბედისწერა.

19592. მშობელს თუ ზოგჯერ თავისი შვილის აზროვნება მოსწონს, ეს პრივატული ბედნიერებაა.

19593. სიზმარი ზოგჯერ რეალობაზე უარეს ვარიანტებს გვთავაზობს და ნერვებსაც გვიშლის.

19594. ამბობენ: თუ ერთხელ სწორად იცხოვრე, სიცოცხლე საკმარისიაო, მაგრამ პირადად მე ასე მოკლე სიცოცხლის წინააღმდეგი ვარ.

19595. იუმორის უქონლად წუთისოფლის გზა მძიმდება.

19596. მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანი უმტკივნეულოდ ტყუის და ტრაბახობს თავისი მეობისა და კაცობის წარმოსაჩენად.

19597. კოცნა შესაძლებელია იყოს: დედაშვილური, მოკრძალებული, საქმიანი, ეტიკეტის შესატყვისი, მეგობრული, რიტუალური, ეშმაკური, სასიყვარულო, ვნებიანი და სხვა ამდაგვარი. ამიტომ ამბორს ვერცერთი მათგანი ვერ შეედრება.

19598. წინდახედული მორჩილება, მლიქვნელობის ნიღბით, უკეთესი ცხოვრების მოპოვება-შენარჩუნების მცდელობაა.

19599. თვითნებურად სხვებისათვის ჭკუის სწავლება, დარიგება შეცდომაა, რადგან სხვათა ყოფაში თვითნებურად ერევი და უმადურობას იმკი.

19600. დილეტანტს უაზრო ფაციფუცი ღუპავს, რადგან ხეირიანად საქმის კეთება არ ეხერხება, ხოლო მის შესაძლებლობებზე ფიცი-მტკიცის მოსმენა არავის სჭირდება.

19601. ხშირად წილში ჩაჯდომას ყბედობით და იმ საქმის კეთებით ცდილობენ, რომელზედაც წარმოდგენაც კი არ აქვთ.

19602. ყოველივეს წინასწარ გათვლა და გათვალისწინება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მაშინ სიცოცხლე თავის მადლს დაკარგავდა და

ცხოვრების ფასიც შეუცნობელი იქნებოდა.

19603. გამბედაობას, თავგანწირულ ქმედებას, რომელსაც შედეგი არ მოაქვს, გმირობად ვერ აღვიქვამთ.

19604. მოხერხებულობა, გონივრული ეშმაკობა ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდად გვადგება ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე.

19605. „შუა ასაკის“ კრიზისი ადრე თუ გვიან ყველა ჩვენგანს ეწვევა.

19606. უგუნურება თავს უკეთ მხოლოდ გაჭირვებისაგან თავის დაღწევის შემდგომ გრძნობს და არა მაშინ, როდესაც არაფერი უჭირს.

19607. ირკვევა, რომ ზოგი იმაზე მეტად სულელი ყოფილა, ვიდრე გვეგონა, და ეს გარკვეულ გაოცებას იწვევს.

19608. პრინციპებს ხშირად ინტერესები სძლევენ.

19609. ზოგჯერ ჩვენი ქცევა-მოქმედება უფრო გასაგებია ცხოველებისა და ფრინველებისთვის, ვიდრე განგების ლოგიკა-ქმედებანი ჩვენ მიმართებით.

19610. სიბეცის გამოვლენა სირცხვილია, ხოლო უცოდინარობისა – ხალისი.

19611. სათუო ემოციების მფრქვეველებს საკუთარი თავის მტრობა უჭირთ.

19612. ლაპარაკის დროს ერთი სისულელის თქმა ყველას ეპატიება, რადგან ამას ჩვენი საუბრის ეტიკეტიც მოითხოვს.

19613. უმნიშვნელო გზავნილები მნიშვნელოვანის გაუფასურებას იწვევს.

19614. მცირე ცოდვის ჩადენა დიდ საქმეებთან შეჭიდებისას მისატევებელია.

19615. წესით, ერთი მინდობილი საქმე უნდა ვაკეთოთ, მაგრამ, თუ მოყვასსა და საქმეს სჭირდება, შესაძლებელია დროებით სხვა საქმის კეთებაზეც გადავერთოთ იმდაგვარად, რომ პირველს დიდად არ ვავნოთ.

19616. უპერსპექტივო შრომა ბრიყვთა საქმეა. ისინი კარიერულ წინსვლას არ ითხოვენ.

19617. იუმორს ცოდნისა, ნიჭის და მოქმედების მადლი თუ თან არ ახლავს, სიამოვნებას ვერ მოგვანიჭებს.

19618. ამბობენ: სჯობს, ასჯერ დაგცინონ, ვიდრე ერთხელ სასიკვდილოდ გაგიმეტონო, გააჩნია კაცს, დროს, აღზრდას.

19619. ყველა ჩვენგანი მოჩვენებითი წარმატებით და დამსახურებით იწონებს თავს და ამაყობს.

19620. ინდივიდუალურსა და გაუცნობიერებელ შიშს შორის ის სხვაობაა, რომ პასუხისმგებლობის ნასახი არცერთ მათგანს არ გააჩნია.

19621. შიში ინტერესს აღვივებს, ხოლო გამბედაობა ინტერესს მუდამ ერკინება.

19622. სიცრუე სათავისო თავგადასავლების ოდენობით ფასობს, სხვაგვარად მისი მადლის შეცნობა ჭირს.

19623. რაც გვაკლია, იმის მარადი ძიება ძალასა და შემართებას გვმატებს.

19624. ყბედობის გადაჩვევამ საქმიანობის შეყვარება იცის.

19625. ყოველგვარი გაუგებრობის გადატანა შესაძლებელია, თუ არის მხარდაჭერა და შენით დაინტერესება.

19626. ვისურვოთ, სათანადო ოდენობით არც მტერი მოგვაკლდეს და არც მოყვარე, რათა სიცოცხლის მადლი უკეთ შევიცნოთ.

19627. ყინულს ცხელი წყალი ალხობს და მოჭარბებული იუმორიც. გააჩნია, ვინ არის ღიმილის წარმომჩენი და ცეცხლის აალების ცეცხლფარეში.

19628. დიდი არჩევანი არც საზღვრებსა ცნობს და არც გონიერების მუხრუჭს.

19629. ცივილიზაციის მიღწევები აფორიაქებს ხალხის ცნობიერებას და მოვალეობის უნარს, რადგან მისი წყალობით გადაადგილების საშუალებები უფრო სწრაფი ხდება, შედეგად სამყარო პატარავდება, მათ შორის, ეროვნული ინტერესებიც.

19630. სამყაროზე რომ არაფერი ვთქვათ, თავად დედამიწაა გამოცანა, სადაც ისეთ მოვალენებს გადავეყრებით, რომლებიც მარად გამოუცნობი დარჩება.

19631. არაფრის კეთება ვერაფერ კარგს ვერ გვასწავლის, მხოლოდ გვაზარმაცებს და უსარგებლოს გვხდის.

19632. საკუთარი ნაკლის გმირობად წარმოსახვა ჩვენი მეობის წარმოჩენის მცდელობაა.

19633. ძალა უფრო დიდ ძალას ემორჩილება, ეთაყვანება და მისი შურს კიდევაც.

19634. პოლიტიკაში, სამღვდელოებაში, მთავრობაში ძირითადად ისეთნი საქმიანობენ, რომლებსაც ამბიციები აწუხებთ, მაგრამ ცოდნა, გამოცდილება და შემართება არ აქვთ და ყოველივეს ბედის ანაბარად ტოვებენ.

19635. მთავარი ის კი არ არის, რა შეიცვლება, მთავარია, რის შეცვლა-გადაკეთება ღირს, რასაც ვაპირებთ, ვახერხებთ თუ არა.

19636. ხალისიანი სიყვარული სიცოცხლის გახანგრძლივების მცდელობაა და გვიცავს უხასიათო შეგრძნებებისა და სულიერი დაავადებების შემოტევისგან.

19637. შერკინების უნარი დაადგენს და არა მუქარა, ვინ არის მხდალი და ვინ მამაცი.

19638. ტანჯვას კარგი მახსოვრობა აქვს, ოღონდ ცუდი შენდობის უნარით გამოირჩევა.

19639. განათლება აქვს, ცხოვრების ცოდნა არა – ეს იმას ნიშნავს, რომ ის ინფორმირებულია, მაგრამ საქმის კეთების თავი არ აქვს.

19640. ოცნება ჩვენს რეალურ შესაძლებლობებს არ ემთხვევა, მაგრამ ოცნებაზე ხელის აღება მაინც ჭირს.

19641. ზღვარს გადასული კამათი ადვილია, იქ წარმოთქმული სიტყვების უკან დაბრუნება და გარეცხვა – ძნელი.

19642. შეულამაზებელი და დასაგმობი წარსულიც კი მოქალაქეებს ამხნევებს და შემართებისთვის განაწყობს.

19643. თქვენზე გულის გატეხა მაშინ ხდება, როცა არავის აღარ სჭირდებით.

19644. რთულ გარემოში მოხვედრა ადვილია, ამ გარემოებათა დაძლევა და იქიდან უმტკივნეულოდ გამოსვლაა ძნელი.

19645. როგორც გატყორცნილ ისარს, ისე წარსულს უკან ვერ დავაბრუნებთ, მაგრამ ოცნებით მისი ახლებურად აღქმა და წარმოსახვა შესაძლებელია.

19646. ყველა პატარას საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, ოღონდ სხვათა იმედით და თავისი „მოხერხებული ჭკუის“ ჭირვეულობით, რაც მას ხშირად ძვირად უჯდება.

19647. რბილი სუსხით შემკული იუმორი ამაღლებს განწყობას, მხნეობასა და იმედს გვაძლევს.

19648. შელახული სინდისი რატომღაც შეუბღალავ მოპყრობას მოითხოვს.

19649. მოჭარბებული პატივმოყვარეობა თავმოყვარეობას როდი ნიშნავს. ის უფრო ჭკუის ნაკლზე მიგვითითებს.

19650. ეშმაკობისაგან განსხვავებით, მოხერხებულობა უფრო ფასობს და მეტ სარგებელს იძლევა.

19651. არის შემთხვევა, როდესაც ჩვენი ნაღვაწის წარმოჩენა ერთდროულად ჭკვიანსაც შეუძლია და ბრიყვსაც. გააჩნია, რა აინტერესებთ ამ დროს ირგვლივ მყოფთ.

19652. დაკარგული წლები, დაუზღვეველი ოცნებები, დამუნათებული სიყვარული – აი, ის დანაკარგები, რომლებიც ყოველი ჩვენგანისთვის მეტ-ნაკლებად ნაცნობია.

19653. რაც არ დევს შენში, ყველაზე ძნელი მისი მოძიება და წარმოჩენაა.

19654. ყბედობა თუ ვერცხლით ვაჭრობს, ოქრო სიჩუმით კომერსანტობს და დიდ ბიზნესს ეთამაშება.

19655. გონის დაბრმავებასთან მხედველობის სიბრმავე ახლოსაც ვერ მივა.

19656. ეჭვიანობა თავისებური სიამოვნებაა, რადგან გგონია, შენი ეჭვიანობით ეჭვმიტანილს ცხვირი მიამტვრიე.

19657. საცდუნებელი კონტროლს აჩმორებს და მის საჭიროებას საეჭვოდ ხდის.

19658. სუსტს, უნიათოს იცოდებენ და დაუყვავებენ, ხოლო, რაც შეეხება სიძულვილსა და შურს, ის უნდა დაიმსახურო შენი ნიჭით, მოქნილობით, შესაძლებლობებით. ამრიგად, კარგი პროფესია მოშურნეთა მაძიებლობაა.

19659. ყველა ჩვენგანი იმგვარად ცხოვრობს, როგორც შეუძლია, თავს ისე ირჩენს, როგორც მოეხერხება, და დროს ისე ატარებს, როგორც გაუმართლებს.

19660. როდესაც ამ სამყაროში ყოფნა საკუთარი თავის უცნაურობათა გამო უაზროდ გეჩვენებათ, მაშინ ჭირს თავის მოთოკვა და გონის მოხმობა.

19661. ღირსება თუ წინდახედული მიზანი? ე.წ. „გაურანდავი პატრიოტები“ პირველს აფეტიშებენ და ეწირებიან, მეორეს ივიწყებენ.

19662. ყოველი ინდივიდი თავისივე ხასიათით უნდა წარმოჩნდეს, თუ გვინდა, მას გაუგონ და მანაც საერთო საქმის საკეთებლად ხელი გამოიღოს, სახელი დაიგდოს.

19663. სულელები დაუფიქრებლად მხოლოდ წინ მიიწევენ, ხოლო ჭკვიანები მიდიან იქ, სადაც საჭიროა.

19664. ზოგჯერ მატყუარას მუშტი უფრო მეტი ხვდება, ვიდრე დამნაშავესა და ავის მქნელს.

19665. გმირს ღვაწლს იშვიათად უფასებენ და ახსოვთ, თუ შთამომავლობას მის სახელი პოლიტიკური ზრახვებისთვის და თავის წარმოსაჩენად არ დასჭირდა.

19666. ყოფიერების ნიღაბი ყველა ჩვენგანს აქვს ჩამოფარებული, იმისდა მიუხედავად, თუ რის გაკეთებას ცდილობს.

19667. ავკარგიან მეხსიერებას ყველა ეთამაშება – კარგი მეხსიერების მქონეც და ცუდისაც.

19668. ფარისევლობის გადაყლაპვა ადვილია, სიმართლის გადაყლაპვა – ძნელი.

19669. უშეცდომო ჩვენი მტერი იყოს, ხოლო განსჯას მოკლებული კი – მისი მოყვარე.

19670. სიძუნწე თავისებური მოწოდებაა და ზოგჯერ ის ხელგაშლილობით იცვლება, თუ მას მორალურ მოთხოვნებს შევაზელთ.

19671. ისიც სასიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც გეშინია, ის ვიღაცა არ შეგიყვარდეს, რომელიც თქვენი მეობისა და პრინციპებისთვის დღეს მიუღებელია.

19672. მიზანი მხნეობას გვმატებს, მიუხედავად იმისა, რომ ყოვ-

ელთვის აქტიურად არ ვიღვწით მის განსახორციელებლად.

19673. ზოგი იმაზე აცხადებს პრეტენზიას, რაც უნდა იყოს და რაც არასოდეს იქნება.

19674. მართლები ყოველთვისა ვართ, იმისდა მიუხედავად, ჩვენი ცნობიერება ამას იაზრებს თუ არა.

19675. უბრძოლველად ამქვეყნად ყოფნას ისევ საიქიოში გადასახლება სჯობს.

19676. ყოველივეს აღწერა-აღთქმა შესაძლებელია, გარდა ჩვენ მიერ ოცნებით წარმოსახულ სამოთხეში მოხვედრისა.

19677. საქმეს აკეთებენ თავიანთ პროფესიაზე შეყვარებული ბურჯები, შედეგს სათავისოდ იმკიან ხელისუფლებაში მოსული „ყველაფრის მცოდნე“ ფორვარდები, მშიერი მასა კი კასრებში დგას და ელოდება, როდის „ჩაურტყამენ“ საკენკს.

19678. ზოგჯერ გამარჯვება ბედის დამსახურება კი არ არის, არამედ ეს უფრო ნერვების წყვეტის შედეგია.

19679. წლების მატება ჭკუის მატებას როდი ნიშნავს. ეს უფრო ინფორმაციის განუსჯელი დაგროვებაა, რის გამოყენებასაც გონიერება მოითხოვს.

19680. ზოგჯერ ღალატის ბაცილა ცნობიერებაში შურის შედეგად შეიჭრება და ეს უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის ღალატად უნდა აღვიქვათ.

19681. სახელის დაგდებისკენ სწრაფვაა, გონს რომ აიძულებს, რაიმე სახეირო შექმნას.

19682. თქმა, დაქადნება, ხელების ქნევა ადვილია, მათი მტკიცება, აღსრულება, გამარჯვებაა ძნელი.

19683. სიცრუე ზოგჯერ გულის საოცნებო ტკბობისა და გამხიარულების საშუალებაცაა.

19684. ერთი წარმატება სერიოზული წინსვლის გარანტი ვერ იქნება.

19685. ეტყობა, ყოფიერების შესაცნობად სისულელეთა ჩადენაც საჭიროა, წინააღმდეგ შემთხვევაში განგება ამის ნებას არ დაგვრთავდა.

19686. ჭკუა და გონიერება, მოხერხებულობა თუ ეშმაკობა – ეს კითხვებია, მაგრამ რეალობა ასეთია: ამ უკანასკნელის გამოყენებით ცხოვრება უფრო მოსაწონი, სახალისო და საიმედოა.

19687. მრავალი მიზეზი არსებობს, მოყვასი გიყვარდეს და ერთადერთია, არ გიყვარდეს, და ხშირად ეს ერთია, რომ იმარჯვებს.

19688. ფიცი-მტკიცეც პირობითია, გააჩნია დროის ყივილს, გამორჩენის პერსპექტივასა და ვითარებას.

19689. სიმორცხვე გვაიძულებს, აუხდენელი ოცნებები არ გავაბაზროთ.

19690. გაჭირვება და უნიათობა ტყუილს მშობლად თუ არა, დედინაცვლად მაინც გაიხდის.

19691. პესიმისტები მატერიალურად უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ოპტიმისტები, რადგან პირველებს თავიანთ გუნებაში აქვთ წინასწარ თავის დაზღვევა.

19692. თქვენი ნებაა, იჭორაოთ, ჩემი ნებაა, არ აგყვეთ.

19693. მტრის გაჩენა არცთუ ისე ცუდია, თუ ძალა და უნარი შეგწევს მისი „ცხვირის მოხოცვისა“ – გამოაფხიზლებს.

19694. კეთილ სიტყვას ყველანი ვეტრფით, მაგრამ მისი დაფინანსება მაინც ჭირს.

19695. რაღაცას რომ გულით დაეუფლო, მასაც რეკლამირება და დამფასებელ-შემფასებელი სჭირდება.

19696. უგვანობით ტკბობაც განგების ნებას ითხოვს, ზოგჯერ იმდენად მიუღებელია გონისათვის ჩვენი შეძენილი პრიზები.

19697. ყველა ჩვენგანს მისთვის გასაცნობიერებელი ხიბლი და შარმი აქვს, მიუხედავად ჩვენი უამრავი თანდაყოლილი თუ შეძენილი ნაკლოვანებისა.

19698. პროგრესი ყველა რწმენაში განგების როლს ასრულებს და მომავლში რა სახის რწმენას შემოგვთავაზებს განსჯადი სარწმუნოების სახით, არავინ უწყის.

19699. კმაყოფილებას იწვევს სიმდიდრე, დაგროვილ-დაბანდებული და ხელშეუხებელი ქონებაც, მისი მფლობელის ამბიციებზე რომ არაფერი ვთქვათ.

19700. წარმოჩენადი გამოცდილება ტრაბახისთვის არის განწირული, ვიდრე საქმის საკეთებლად.

19701. ფუფუნებას ყველანი უარვყოფთ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად მაინც მისკენ მივილტვით.

19702. თუ გინდათ ცილისმწამებელი სამაგალითოდ დასაჯოთ, უნდა დასდოთ ბრალი იმაში, რასაც ის არ გააკეთებს და არც არასოდეს გაუკეთებია.

19703. რწმენის თვითდაჯერების, მცდელობისთვის დებეტ-კრედიტებს არ ითხოვენ.

19704. დაწინაურებასაც თავისი წესი აქვს: თუ მეტისმეტს არ მოინდომებ, ღამით კოშმარი ძილში არ შეგაწუხებს.

19705. ზოგჯერ ტყუილისთვის ზურგის შექცევა შეუძლებელია, იმდენი ხიბლი აქვს მის ოსტატურად გაფორმებასა და იმპროვიზაციას.

19706. მაღალი მიზნების გათავისებით ვსულდგმულობთ, ხოლო დაბალი მიზნების განხორციელებით ვარსებობთ.

19707. ზოგისთვის მუშტის მოღერება მის მიმართ ორაზროვნად ნათქვამს კონკურენციას ვერ უწევს.

19708. ცვლილებებისკენ მიდრეკილება მეტ-ნაკლებად ყველას გვაქვს, თუ ის ჩვენი მეობის წარმოჩენას უპასუხებს.

19709. ოპტიმისტს გონივრული პარამეტრები აქვს, მაგრამ მაინც თავისი გადასახედიდან შიფრავს.

19710. პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას მარტო გაწითლება და ბოდიშის მოხდა როდი შველის.

19711. ღირსება თავისი შესაძლებლობების გამოუყენებლად უპირველეს ყოვლისა საკუთარ მეს კარგავს.

19712. ზოგჯერ სიკვდილიც თავსატეხს აჩენს – ვაითუ გამოაჩინოს ის, რასაც სიცოცხლე მალავდა.

19713. დაპირებები, რომლებიც არ ირღვევა, ნაკლებად გვამახსოვრდება და ეს ჩვენ მობილიზებას ხელს უშლის, რადგან მუდამ პატიოსან ხალხში ხომ არ გვექნება საქმე.

19714. ზოგჯერ სიმშვიდეს ქონების არქონაც გვმატებს, ოღონდ ეგ მაშინ, თუ ირგვლივ ყველა ჩვენსავით გაღლეტილია.

19715. იუდასაც შეუძლია უნაკლო მეგობრობა გაგიწიოთ, თუ იმის საშუალება არ ექნება, რომ სხვამ გადაიბიროს.

19716. მრავალი სახის ცოდნა-გამოცდილების ამაღლების კურსები არსებობს, გარდა ხელფასის ამაღლება-მატებისა.

19717. სინდისის შეუწუხებლად, შესაძლოა, ბევრი ცხოვრობს, მაგრამ უსინდისოდ ცხოვრება დასჯადია.

19718. არც უშრომელი შემოსავალი განიცდის სინდისის ქენჯნას, რადგან მასაც გარკვეული მოვალეობები აკისრია ირგვლივ მყოფთა წინაშე.

19719. ყველა ცოდვილი თავს წმინდანად გვაჩვენებს და ამით ალიბს იქმნის.

19720. თავმოყვარეობის საწყისია ეჭვი და უნდობლობა, რომელსაც ირგვლივმყოფებთან ურთიერთობა იწვევს.

19721. მოხერხებულობა ზოგჯერ შექების გამოტყუებას ცდილობს და თავისი თავმდაბლობის წარმოჩენასაც.

19722. ზოგჯერ ჭირს დროულად გააჩუმოთ არამკითხე მასწავლებლები.

19723. აღმავლობა წარმატებისთვის იღვწის, ხოლო დაღმავლობა წარუმატებლობისთვის მუდამ მზადაა.

19724. სიამაყის მოშორება ძნელია, თუკი ბუნებრივი სიამაყით ხარ დაავადებული.

19725. სულიერი სიღარიბე დასაგმობია, მაგრამ არც მატერიალური სიღარიბისგან გამოდის რაიმე სახეირო.

19726. შეიძლება, ჩვენი ყურადღების მიქცევის ღირსი ბევრია, მაგრამ ჩვენ ის უფრო მოგვწონს, თუ თავადვე ვართ ყურადღების ცენ-

ტრში და თანაც შექების ობიექტად.

19727. ურთიერთშესიტყვება ხშირად ჩხუბის უვერტიურაა.

19728. საკუთარი თავის გამოსწორებაზე ფიქრი არავის ეხალისება.

19729. ადათ-წესების აღმოფხვრა-გადაკეთება ცივილიზაციის შემოტევისა და გათავხედების შედეგია.

19730. მამაძაღლობისთვის საჭირო ჭკუა-გონება ყველას უნდა გვქონდეს, ოღონდ კარგად შეფუთნული.

19731. სიმართლე და სიცრუე, ცუდი და კარგი – ყველა მათთვის გასაგები ზნეობით ცხოვრობს.

19732. ზოგჯერ მახვილგონიერებისკენ სწრაფვა ალიყურს იმსახურებს.

19733. ოცნებას ფიქრი ალამაზებს, მაგრამ არ უხდება ნაოცნებარი.

19734. ზოგჯერ ჩვენ გვატყუებენ, ზოგჯერ ჩვენც ვიტყუებით და რატომღაც ბოლოს ორივე მხარე კმაყოფილი რჩება.

+19735. რაკი ხელში ჩაქუჩი გიჭირავს, ყველა ირგვლივ მყოფი ლურსმნად არ უნდა მოგეჩვენოს.

19736. სიკეთე-ბოროტებას ხშირად ჩვენდა უნებლიეთ სჩავდივართ, შედეგად მაქებარ-მაძაგებელიც შესატყვისად გვიმრავლდება. მიუხედავად ამისა, ჩვენს ქმედებათა განსასჯელად რატომღაც დროს არ ვიტოვებთ.

19737. ზედმეტის თავიდან გონივრულად მოშორება კაცობრიობას რგებს – ამისი მაგალითია დახარისხებული ნაგავი და მისი უდანაკარგოდ გადამუშავება.

19738. რელიგია სხვათა ხარჯზე სიკეთის კეთების უნივერსალური საშუალებაა.

19739. ნახევრად სიმართლე ყოველთვის აურზაურს იწვევს და ბუნტის საწყისია.

+19740. მთავარი ის კი არ არის, როგორ იძინებთ, არამედ როგორ იღვიძებთ და რას საქმიანობთ.

19741. კარგი კაცობა და სიკეთის კეთება ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, მოწინააღმდეგემ აუგად არ მოგიხსენოს და რაიმე გაპატიოს.

19742. უთქმელობის დამოძღვრა ყბედობის სურვილს ვერ უმკლავდება.

19743. დიდი საფრთხე შორიდანაა შესამჩნევი, მაგრამ პატარა საფრთხე უფრო გვნებს, რადგან ის ყოველთვის არ არის შესამჩნევი.

19744. ზედმეტობები და მოუკრეფავში გადასვლა უმთავრესად საკუთარი ცნობიერების განუვითარებლობის ბრალია.

19745. არცოდნა არცოდვად მაშინ ჩაგვეთვლება, თუ დუმილს ალღოს სასიკეთოდ ვუღებთ.

19746. საკუთარი „სამოვრით“ სიარული იმის მაჩვენებელია, რომ

მამრის ხვადური ბუნება დევალვაციას განიცდის.

19747. მეხსიერება მტრების წინააღმდეგ განგვაწყობს, ხოლო გულმავიწყობა მეგობრებს ჩვენ წინააღმდეგ განაწყობს.

19748. მეგობრის ნაკლის შემჩნევა ადვილია, მაგრამ მისი გამხელა – ძნელი.

19749. შეცდომებს ვუშვებთ წინასწარ განუზრახველად, მაგრამ საკუთარი სურვილით ჩადენილი შეცდომა დასამახსოვრებელია.

19750. ცუდისაგან განსხვავებით, კარგი და პოპულარული ყველას უყვარს, მათ შორის დაუნახავებსაც, რადგან ისინი ხმას არიან აყოლილნი.

19751. სურვილებს განვლილი წლების ათინათი აცისკროვნებს.

19752. თაღლითსა და ქურდს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ჩვენი ჭკუა-გონების სიჩლუნგის გამო გვაწერს ფულს, ხოლო მეორე ამ საქმიანობას პროფესიას უწოდებს და შეუმჩნევლად გვიცარიელებს ჯიბეს.

19753. შური და დამცირების მცდელობა ფაქტობრივად სინონიმებია, ოღონდ პირველი ჩუმჩუმელაა, მეორე – აშკარა.

+19754. გემოვნებას სინდისიც აგემოვნებს.

19755. ცრურწმენა ყოველთვის ეჭვს უნდა იწვევდეს, რათა გარემოებათა გამო ის ახალ რწმენად, სარწმუნოებად არ მოგვევლინოს.

19756. საკუთარი თავის შეცნობას გონივრული კრიტიკა არ შველის, იმდენი გაუცნობიერებელი გრძნობაა ჩამარხული ჩვენს არსებაში.

19757. მოგონილ ცოდვას ბოროტებისკენ აქვს მიდრეკილება.

19758. ბუნების მოვლენათა განსჯა და მათზე განაწყენება სიბრიყვეა, რადგან მათ ვერაფერს ვასწავლით, შევაგნებინებთ და ვუშველით.

19759. სიცილსაც თავისი სანელებლები სჭირდება, რათა ხასიათზე სწრაფად და უკეთ მოგვიყვანოს.

19760. სისულელეს გასამხიარულებლად სჩადიან და არა რაიმე სახეიროს შექმნის მიზნით.

19761. არსებობის ძირითადი საშუალებებია: პური, რწმენა, სამშობლო. დანარჩენს, ასე თუ ისე, მივხედავთ და გავითავისებთ.

19762. მომხიბლავ ტყუილს სიამოვნება მოაქვს მისი გამოაშკარავების შემდგომაც.

19763. ფუჭმეტყველება უსაქმურთა საქმეა.

19764. ზოგი საკუთარი თავის მოტყუებით ტკბება და გაუცნობიერებელ სიამოვნებასაც განიცდის.

19765. იმისათვის, რომ მოყვასს თავი დაამახსოვროს, ზოგი სიკვდილთან უაზრო შერკინებასაც არ ერიდება.

19766. უნებლიეთ დაშვებული უსამართლობაც კი ბოროტებას მწვანე შუქს უნთებს.

19767. ქედმაღლობა და სიამაყე ერთმანეთს კბენენ, როგორც ღალატი და ურთიერთჩაშვება.

19768. პატივმოყვარეობა განცხრომას იწვევს, რასაც ცხვირის აწევა მოსდევს.

19769. ადრე ფასდებოდა სამშობლოს, ოჯახისა და მოყვასის სიყვარული. ახლა ცნობიერების ჩავარდნის ხანაში ვცხოვრობთ და, რა პროცესები მიმდინარეობს, თავად განგებამაც არ უწყის.

19770. გამრავლებისას მთავარია, სისხლის აღრევა არ მოხდეს, თორემ, ზოგჯერ თუ ცოლის ნათესავ უშვილო ქალებს სპონსორობას გაუწევ და გაამრავლებ, ეს დიდ ცოდვად არ მიმაჩნია. ამ თვალსაზრისის გამყარება მომდევნო საუკუნის საქმეა, როდესაც შვილების გამჩენი ქალები სანთლით საძებნელი იქნება.

19771. მორწმუნეობა უმწეოების დამსახურებაა, მაგრამ, როგორც კი ჩვენსას გავინაღდებთ და გავმდიდრდებით, სხვა სურვილები გვიჩნდება, რწმენისადმი თანდათან ინდეფერენტულნი ვხდებით.

19772. სამწუხაროდ, არასოდეს ცხადდება კონკურსი: გვჭირდება ამა თუ იმ დარგის მინისტრი, ჭკუის დამრიგებელი, ალიყურის მჭმეველი და ა.შ.

19773. ამომრჩეველი საღი აზრით უნდა ხელმძღვანელობდეს, ქვეყნის ინტერესებისთვის იბრძოდეს, საკუთარ თავსაც არ ივიწყებდეს და ურთიერთობების დალაგებას ცდილობდეს. მაშინ იქნება ის ჭეშმარიტი მოქალაქე და არა არჩევნებში მონაწილე რობოტი.

19774. თავი ყველა ჩვენგანს ჭკვიანი ჰგონია, რაკიღა სხვის ჭკუასთან საკუთარის შედარება გვავიწყდება.

19775. სევდის მოძიება იქ, სადაც მისი არსებობა არალოგიკურია, ლოგიკურად გაუგებარია.

19776. შურის სასიკეთოდ დაბანდება-გამოყენებაც შეიძლება, თუ მას გონივრულად წარმართავთ.

19777. ბინიერების გამოყენება საქმის მოსაგვარებლად შესაძლებელია, თუ მას გონიერებას და გამოცდილებას შევაგებებთ.

19778. მეტ-ნაკლებად ყველანი ჭკუა-ნაღრძობები ვართ, იმისდა მიუხედავად, ვამჩნევთ ამას თუ არა.

19779. სამართლიანობას ყველა მივტირით, იმისდა მიუხედავად, შეგვრჩება უსამართლობა თუ არა.

19780. რა არის ჩვენი საკუთრება და აქედან რისი მითვისებისა და მისაკუთრების უფლება გვაქვს, ზოგჯერ ეს განგებამაც არ უწყის.

19781. პატიოსნებას მისტირის ყველა, ისიც კი, ვის გულშიც ამ გრძნობას ერთი ღამეც კი არ გაუთევია.

19782. პატივის მიგება ერთია, მიღება მეორეა, ურთიერთგაგება მესამეა, ხოლო ყოველივე ამის ბალანსი სიამაყეა.

19783. კაცობას იხვეჭენ, ქონებას აგროვებენ, გონებას ავარჯიშებენ, თუმცა კი ფინიში მაინც ერთია.

19784. ყოველ საპირისპირო მტკიცებას ურთიერთმტრობამდე მივყავართ, იმისდა მიუხედავად, რომ შეხვედრასა და თანამშრომლობაზე უარს არ აცხადებენ.

19785. ცუდი მოლოდინი სწრაფი ნაბიჯებით გვიახლოვდება, ხოლო კარგი მოიზლაზნება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამ მოვლენებს ამდაგვარად აღვიქვამთ.

19786. კუჭის ამოყორვა აუცილებელია ენერგიის შესავსებად, მაგრამ გონსა და სულს არას რგებს.

19787. მუხლებზე დაჩოქილს წაქცევისა ეშინია.

19788. ყველაზე პერსპექტიული და ნიშნის მომგები ცხოველებში ღორია. გარდა იმისა, რომ ხორცის გამოსავლიანობა საუკეთესო აქვს, დამატებით იძლევა ტყავს, ჯაგარს და, რაც მთავარია, მოწინააღმდეგის დასამუნათებელ შეძახილს – „შე ღორო“.

19789. ღირსებასა და სინდისს თუ მოპოვება სჭირდება, არამზადობა აქ კონკურსს გარეშეა.

19790. თუ შედეგი მისაღებია, შესაძლებელია, კანონის გარკვეულ პოსტულატებზე თვალიც დავხუჭოთ.

19791. არ დაინახო ის, რაც დასანახავი არ არის, გონიერების განვითარებასა და განსჯას მოითხოვს.

19792. თუ მწუხარება, ტირილი განწირულია მარტოობისთვის, სამაგიეროდ, დროის ტარებასა და სიცილს უამრავი მხარდამჭერი ჰყავს.

19793. ვინც ჩვენზე ავ ჭორებს ავრცელებს, მას არ ვუყვარვართ და ჩვენი სახელის გატეხას ცდილობს.

19794. საკუთარ ოცნებებზე უარის თქმა ძნელია, იმდენჯერ არის თავში ნაფიქრალ-გადახარშული.

19795. თავდაჯერებული კმაყოფილების გამოხატვას შინაგანი ხმა ეწინააღმდეგება, იქნებ, ის საქმე ისე დასრულებული არ იყოს, როგორც საჭიროაო.

19796. დიდებას პატივს დიახაც მიაგებენ, მაგრამ მისგან უფრო სარგებელი აინტერესებთ.

19797. ეგოიზმი საკუთარ თავსაც აწამებს და სხვასაც არ ინდობს.

19798. თმენასაც წინდახედულება და განსჯა სჭირდება.

19799. სიმართლის ატანა გვიჭირს, რადგან მისთვის თვალებში შეხედვაა აუცილებელი.

19800. ყოველი სახის რწმენა, გაგება გარკვეულ ძალაუფლებას არის ამოფარებული.

19801. სიმხდალე ისჯება, ღირსება საჩუქრდება, მაგრამ ზოგს ამ პარამეტრების დაცვა არ ეპიტნავება.

19802. უკიდურესობა, შეუძლებელია, გარკვეულ უსამართლობას არ სჩადიოდეს და გარკვეულ უკმაყოფილებას არ იწვევდეს.

19803. უნიჭო და უდროოდ გატარებული რეფორმები დანაშაულის ტოლფასია.

19804. კუჭი მამოძრავებელი ძალაა ამ სამყაროში – სულ ერთია, ორფეხა ჰომოსაპიენსი იქნება იგი თუ მიწაზე მცოცავი ჭიაყელა.

19805. ცუდის შეუცნობლად კარგის გაცნობიერება ჭირს.

19806. ქომაგობასაც თავისი წესი და რიგი აქვს. მოჭარბებული არც ეს უქნია ღმერთს.

19807. ჭორის, შეიძლება, არ გჯეროდეთ, მაგრამ, ცხოვრების შერყვნას რომ ცდილობს, ეს უდავოა.

19808. ყველა ჩვენგანი თავისებურად შედევრია, ოღონდ ურთ-ერთის მოფრთხილების, მოფერებისა და თანადგომის გარეშე, ყოველ შემთხვევაში, ახლოდან ასე ჩანს.

19809. მეტოქეობას სხვისი შეყვარებაც იწვევს და არა მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვა.

19810. უსამართლოდ გაკიცხვასა და ჭორაობას შორის დიდი სხვაობა არ არის. ჭორაობენ ქალები, რომლებიც სხვათა გაკიცხვას ამგვარად ლამობენ.

19811. ზოგი კარიერის მოპოვებას ცდილობს, ზოგი – კარგ ადა-მიანად გახდომას, მაგრამ ბოლომდის სანდო არავინაა, რადგან ისინი რაღაც სარგებლის მიღებას აპირებენ.

19812. კრიტიკას ზოგი ბოროტებად მიიჩნევს, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ უიმისოდ ნაღვაწის საღად შეფასება გამორიცხულია.

19813. მსახიობს ის კი არ ეძნელება, მაყურებელი გააცინოს, არ-ამედ საკუთარ თამაშზე მასვე არ გაეცინოს.

19814. კარგის უკეთესად გამოყენების მცდელობა დაპირისპირების გარანტიაა.

19815. ზოგჯერ ნაკლსაც თავისი მიმზიდველობა ახლავს, თუკი გულუბრყვილო და ხალასია.

19816. დიდებისკენ სწრაფვა ჯიბრისა და უნდობლობის, ურთ-იერთდაპირისპირების გარანტიას იძლევა.

19817. იუმორი – ეს გრძნობათა შეუცნობელი აფეთქება და სიამ-ოვნების მომნიჭებელი ფენომენია.

19818. ყოველი სახის ნაკლი გამოსწორდება, თუ ამას გონიერის ხელი მოინდომებს.

19819. სიკვდილზე ფიქრი და მისდამი შიში დარჩენილი სიცოცხ-ლის განახევრების საწინდარია.

19820. მტრები გაცილებით უკეთ გვაწვდიან ინფორმაციას ჩვენს ნაკლოვანებებზე, ვიდრე – მეგობრები.

19821. ზოგჯერ უჟმური ხასიათი და უგუნურება პროგრესის მიღწევას ხელს უწყობენ თავიანთი დაურწმუნებლობით და უხიაგი ბუნებით.

19822. რადგანაც გემოვნებაზე არ დავობენ, მაშასადამე, გემოვნების დასამუღამებელი სტანდარტები არ ყოფილა დადგენილი.

19823. გმირობა ყველაზე დავიწყებადი და საჭიროებისამებრ გასახსენებელი პროფესიაა.

19824. გოროზი ხასიათი და ფეხებზე მკიდიაობა ყველაზე ცუდად იმალება.

19825. ზოგჯერ უგუნურებისთვის კვანტის დადებას სიამოვნება მოაქვს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ამით ზიანს არავის აყენებ.

19826. დამუშავებული ბრილიანტი უკეთ ბრწყინავს დაუმუშავებელთან შედარებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირველი სჯობნის მეორეს, რადგან ჯობნასაც თავისი პარამეტრები აქვს.

19827. ტელესკოპით ციური სხეულების დათვალიერება უკვდავების შეცნობის სურვილს ამძლავრებს.

19828. შიმშილი კერძის დასაგემოვნებლად დროს არ კარგავს და არც მისი შემქმნელი მზარეული აინტერესებს.

19829. კაპასი და გიჟმაჟი ცოლის მართვა უფრო ადვილია, ვიდრე შენ მიერ დაწინაურებული ახლობლებისა.

19830. მზე და იმქვეყნიური ნათება პირდაპირ ცქერას ვერ იტანენ და არც გვაყურებინებენ.

19831. სიხარბისთვის წიხლის კვრას, სურვილის გარდა, ცოდნაც უნდა.

19832. სასაცილო თვისებების ქონა კარგია, თუ მას გამხიარულების უნარი გონიერების მოხმობის შედეგად შესწევს.

19833. უხეში გულახდილობა ყოველთვის როდი სჯობს მოხერხებულ ფარისევლობას.

19834. ჭკუამხიარული მეგობრის ჭკუაზე მოყვანა ჭირს.

19835. თუ ვინმესთვის სიმართლის მიგება შეგიძლია, ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება დანაშაულია.

19836. თავის ბრიყვად მოჩვენებასაც მოგებიანი მხარე აქვს – თავს არავისთვის იწუხებს.

19837. ზოგი მსოფლიო ჩემპიონია უიღბლობასა და ბედის დაცინვაში, მაგრამ სიცოცხლის მადლის შეცნობას მაინც ცდილობს.

19838. ცუდისაგან განსხვავებით, კარგი არასოდეს არ არის ბევრი.

19839. მე ვიმახსოვრებ იმას, რისი დამახსოვრებაც აუცილებელია და არა იმას, რაც ტვინს მინაგვიანებს და არც რაიმეს საკეთებლად გამომადგება.

19840. ვუსურვოთ ჩვენს მტრებს, მოქიშპეებს, იმდენი ჰქონდეთ, რომ ჩვენი არსებობა საერთოდ გადაავიწყდეთ.

19841. უნდა შევძლოთ, მოთხოვნილება დაფინანსების ტოლფარდი იყოს.

19842. ვინც სხვებისთვის სიკეთეს აკეთებს, მასზე ამბობენ, ამქვეყნად ტყუილად არ უცხოვრიაო, იმისდა მიუხედავად, შთამომავლობა ამ შეფასებას დაეთანხმება თუ არა.

19843. შურიც გამოყენებადი რეკლამაა, თუ ნერვები არ გიღალატებთ.

19844. მტერი ყველასა ჰყავს, მაგრამ ყველას არ ძალუძს ცუდის კეთება და ესეც ბუნების კანონია.

19845. საიდუმლოს ზოგჯერ თვით საიდუმლოს მფლობელიც ვერ ინახავს.

19846. ლოთობა, გაუბედაობა, თავის ქიცინი და გაუმართლებელი დათმობები ზოგჯერ დიდი ღალატის ტოლფასია შინაურების წინაშე.

19847. სხვათა კეთილგანწყობის მოპოვების უპირველესი ხერხია მჭევრმეტყველური წამლიქვნელება.

19848. პატივმოყვარეობას სიდიადისკენ ამაო მიდრეკილება აქვს, რადგან ხშირად „კოვზი ნაცარში უვარდება“.

19849. სამართლიან ტყუილს ისევ უსამართლო შემწყნარებლობა სჯობს.

19850. ყველაზე პატიოსანი გაპაექრება სარკის წინ ეწყობა, როდესაც საკუთარ თავს გულახდილად და ერთგვარი დაცინვით ვესაუბრებით.

19851. ყველაზე საიმედო დაოჯახებული მრავალშვილიანი მეგობარია, ვისთან კონკურენციაც სხვა მეგობრებს არ ძალუძთ.

19852. გონივრული დევიზია „ვიმუშაოთ მაგრად, დავისვენოთ კარგად“, მაგრამ ამ აქსიომისათვის მხარის აბმა ბევრი ჩვენგანის მოწოდება არაა.

19853. ცივილიზაციისკენ გაუაზრებელი და გაუგებარი სწრაფვა, ეტყობა, ეშმაკთან უნებლიეთ დადებული ხელშეკრულების შედეგია.

19854. გადაცდენისგან არავინაა დაზღვეული, მათ შორის გენიოსიც, რადგან არავინ უწყის, წინ გადადგმულ სასიკეთო ნაბიჯს შემთხვევა, დრო როდის უმუხთლებს, ხოლო სარისკო ნიჭს ბედი როდის ამოუდგება გვერდში.

19855. ყველა სახის გარყვნილება ცოდვებს გვიმრავლებს, სამოთხისკენ გზას გვიხშობს, ჯოჯოხეთისკენ მიგვათრევს, ყოველ შემთხვევაში, სარწმუნოება ამრიგად გვმოძღვრავს.

19856. წარსულში ველური არც მონათმფლობელობა უქნია ღმერთს და არც ფეოდალიზმი, მხოლოდ – პატრონყმობა იყო მისაღები; დღეს ველური არც კაპიტალიზმი უქნია ღმერთს და არც სოციალიზმი, მხოლოდ დემოკრატიაა მისაღები.

19857. მკვირცხლ, მარჯვე საქმიანობას სრულად აცნობიერებენ და ტაშს უკრავენ.

19858. მავანთათვის ინტრიგანობა გართობის ერთ-ერთი სახეა.

19859. უეცარი წარმატება ყველა დაწერილ და დაუწერელ კანონს გააშავებს.

19860. სიღარიბე იმიტომაცაა ხელგაშლილი, რომ მას გასაცემი ისეთი არაფერი აქვს, რომ დაენანოს.

19861. როდესაც შეუძლოდ ვხდებით, მაშინ ვხვდებით პროფილაქტიკის აზრსაც და მადლსაც.

19862. ხშირად განუსჯელი სურვილები საქმეთა განუსჯელად კეთების მცდელობას არ ეხმიანება. მაგ. თავისუფლება, წესიერების გარეშე, საზიანოა მოწესრიგებული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად.

19863. ეშმაკიც იმას აკითხავს, ვისაც სიყვარული, შენდობა და უშურველად ცხოვრება უჭირს.

19864. საკუთარ თავში ვპოულობთ ისეთ ავს, რაც სხვებში არ მოგვწონს, მაგრამ ამის აღიარება გვიჭირს.

19865. შეუცვლელი არავინაა, მაგრამ ყოველთვის არც შემცვლელის მადლიერნი ვართ.

19866. გამონაკლისთან შებმა-შერკინებას ჩვენთვის შეუცნობელი სიამოვნება მოაქვს.

19867. წარმატება ზოგჯერ იმ წარუმატებლობის შედეგიცაა, რომელიც გვაიძულებს, წარუმატებლობის მიზეზი უკეთ განვსაჯოთ და დავძლიოთ.

19868. სურვილების გაბანძება ზოგჯერ სიხარბის დამსახურებაა.

19869. დღე კი არ არის ზარმაცი, ზარმაცი აზარმაცებს დღეს.

19870. ვინმესთან თუ ჭკვიანად გამოიყურებით, ის კომპლიმენტებით გამკობთ, ვისაც თქვენი შურს, ის თქვენზე ჭორაობს, უგვანობას ავრცელებს, გააჩნია, ვის რა აწუხებს და რა სახით უნდა თავის გამოჩენა.

19871. პატიოსნება ყოყლოჩინობას, ქედმაღლობასა და სიამაყეს ვერ იტანს, რადგან ყოველივე ეს მოჩვენებითად მიაჩნია.

19872. გარჯას შიმშილი გვაიძულებს და მას არჩევანი არ აქვს.

19873. წყვილის გაბედნიერებას მენდელსონის მარშით აღვნიშნავთ, ხოლო იმქვეყნად გადაბარგებას – მოცარტის რეკვიემით. ასე რომ, უმუსიკოდ არც ამქვეყნად ყოფნას აქვს ხალისი და არც იმქვეყნად სამუდამოდ გადაბარგებას.

19874. თანამდებობის იმედი ხშირად გვაქვს ცხოვრებაში, მაგრამ ხელშეუხებელი არავინაა, თუ მას აზრიან კომპრომისზე წასვლა არ ეხერხება.

19875. უმეტესობას რჩევა-დარიგებასა და სწავლებას ყოფის დას-

პონსორება ურჩევნია, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ ამ დამოძღვრით მეტი სარგებლის ნახვა შეეძლო.

19876. ღალატსაც და ეჭვიანობასაც თავისი საფუძველი აქვს, რომლის წარმოჩენა ჩვენს გონიერებაზეა დამოკიდებული.

19877. აწმყოს მოუწესრიგებლობა, ანუ ჩვენი უნიათობის შედეგი, წარსულისთვის ქვების სროლის მიზეზს იძლევა.

19878. ხშირად ენერგიული მცდელობა უფრო მობილიზებული და შედეგიანია, ვიდრე ცოდნა-გამოცდილება, რადგან ეს უკანასკნელი მაშინ მოდის, როდესაც შემართება ხელიდან გვისხლტება და ასაკისა გამო არც რაიმეს კეთება გვეხალისება.

19879. ზოგი ისე შარიანია, რომ ღმერთის უცოდველობაშიც ეჭვი ეპარება და მარად უკმაყოფილოა.

19880. კარგია, როდესაც გიგებენ და ცუდი, როდესაც გაგინებენ, მაგრამ აქ მთავარია, ვინ სჩადის ამას და ვინ როგორ გაფასებს.

19881. ჩვენ მაინც ბუნების წყალობაზე ვართ დამოკიდებული, მიუხედავად ტექნიკური პროგრესის გაჯეჯილებისა.

19882. კომპრომისის ხელოვნება გონივრულ აზრთა შეჯერებაზეა აგებული და არა ცარიელ დათმობაზე.

19883. მიზნისკენ აუჩქარებელი სწრაფვა შეუძლებელია, იმისდა მიუხედავად, რომ ამბობენ: საქმე ასე უფრო შედეგიანად და გარანტიით კეთდებაო.

19884. არის გადაცდენა, რომელზეც ბევრი სიამოვნებით წავიდოდა, თუ ახლობლები ინფორმირებულები არ იქნებოდნენ.

19885. შიზოფრენია ყველას გვახასიათებს, მაგრამ აქ მთავარია, ბედი ამ „სიკეთეს“ რა რაოდენობით გვარგუნებს.

19886. არჩევნების გზით ხელისუფლის ქვეყნის სათავეში დასმა მისაღებია, მაგრამ იმედის გაცრუებაა დაუშვებელი, რათა ამომრჩეველმა თავი დამნაშავედ არ იგრძნოს.

19887. ტვინი ზეგავლენას ახდენს მთელ ორგანიზმზე, მაგრამ სიბრიყვისკენ მისწრაფებას ვერაფერი შველის.

19888. მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის კარგი არ არის, მოდუნება, დამყაყება იცის, მაგრამ დაპირისპირებასა და გაუგებრობას მაინც სჯობს.

19889. შანტაჟი მოლაპარაკების არც ისე პატიოსანი გზაა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად სასურველ შედეგს იძლევა.

19890. არიან შემთხვევით შემოტმასნილი ნაძალადევი მეგობრები, რომლებსაც ბოლომდის არც უნდა ენდოთ და არც უნდა გაანაწყენოთ, რადგან განგებამ, ეტყობა, გამოცდის ამ სახით ჩატარება ინდომა.

19891. თემური წყობის გაუმჯობესებული ვარიანტი დღევანდელი გადასახედიდან სოციალიზმია, მონათმფლობელობის ანალოგი – კაპი-

ტალიზმი, ხოლო პატრონყმობის ანალოგი – დემოკრატია, სადაც ვიღაც რაღაცას მაინც ემორჩილება, ვითომცდა გონის კარნახით.

19892. საინტერესო, შესაძლებელია, ყველასათვის სასიამოვნო არ აღმოჩნდეს, მაგრამ, თუ ის უმრავლესობისთვის საინტერესოა, აუცილებლად სასიამოვნო იქნება ბევრისთვის.

19893. ტურისტის მოწოდებაა უპირველეს ყოვლისა ნახოს ის ღირსშესანიშნაობები, რომელთა უნახაობა მას ტურისტის სტატუსს დაუკარგავდა.

19894. ნებისმიერ დაპირისპირებას ურთიერთგაგების სურვილი წყვეტს.

19895. თანამედროვე მოდა ტექნიკური პროგრესის, იდეოლოგიისა და ეკონომიკური კრიზისის ნაყოფია, რომელსაც, ასაკოვანთა გაგებით, გარყვნილებისკენ მიდრეკილება აქვს.

19896. მიწათმოქმედება, ალბათ, უპირველესი და საუკეთესო პროფესიაა სხვა ხელობათა შორის – ჩვენი გამოკვების საქმე მას აკისრია.

19897. ზომიერი თავმდაბლობა ღირსებაა, განუსჯელი სიამაყე კი უღირსობა, მაგრამ ხელის გაუნძრევლად არც ერთია რამე და არც – მეორე.

19898. „დაყავი და იბატონე“, „დაამსგავსე ერთმანეთს და იბატონე“, „დაუპირისპირე ერთმანეთს და იბატონე“ და მრავალი სხვა ამგვარი ხერხი არსებობს, რომლებიც სხვათა და სხვათა წინდაუხედაობაზე არის გათვლილი.

19899. ზოგჯერ კარგი ორგანიზატორი ცუდი კომბინატორია, რადგან მას შემოქმედებითი ნიჭი არ ჰყოფნის.

19900. ერთს ბოროტი მახსოვრობა აქვს, მეორეს ზიანის მომტანი ხუმრობები, მაგრამ ურთიერთს კარგად უგებენ და ერწყმიან.

19901. პროვინციელებად იბადებიან და ხდებიან, რადგან მთავარი მიზეზი პროვინციალიზმისა შური და უნიათობაა.

19902. ზოგს ცნობისმოყვარეობა „აორსულებს“, რათა ქალის ჰორმონების მადლი შეიცნოს, ზოგიც პოლიტიკაში ცხვირის ჩაყოფით „გაორკეცებას“ ცდილობს, რათა წარმოჩნდეს და თავის მოგიჟიანებით იცხოვროს.

19903. ბევრი ჩვენგანი თავისი ქმედებების გამო სათანადოდ დასასჯელია, მაგრამ, ეტყობა, ამისათვის განგებას დრო არ ჰყოფნის და, საბედნიეროდ, გამოსასწორებელ დროს გვაძლევს.

19904. საქმიანობითა და ბრძოლით დაღლილი ორგანიზმი უფრო უკეთ აღიდგენს ძალებს, ვიდრე – დასვენებით „გადაღლილი“.

19905. კაცობრიობის ფასეულობებს ზოგჯერ არავითარი კავშირი არ აქვს კაცობრიობის მენტალიტეტთან.

19906. ასაკის მატების შესატყვისად გაკვირვების ფორმები იკლებს,

მაგრამ გაოცების არსი არ იცვლება.

19907. ძირითადად უნიათო იდეალებისა და ქმედების მსხვერპლნი ვხდებით და არა ჩვენი სიზარმაცისა, რადგან სიზარმაცე ინერტულია და აქტიურ ბოროტებად ვერ იქცევა.

19908. საზოგადოების წინდაუხედავი გადარჩევები და ვაი-რეფორმები ქვეყანას განვითარების პოტენციალს უკარგავს.

19909. ამპარტავნობას გაცილებით მეტი ზიანი მოაქვს ცნობიერებისათვის, ვიდრე თავდაჯერებას.

19910. ზოგჯერ ჭკვიან ადამიანთან ურთიერთობა მოსაბეზრებელია, რადგან წარმოსაჩენად გამზადებულ საკუთარ მეობას უნიათობის ხურჯინში ჩაგაჩურთვინებს.

19911. განგების მოწოდებაა სიკეთის კეთება, სატანა კი მოვლენილია სიავის აღსასრულებლად, მაგრამ, ბოროტება-სიკეთის ჭიდილის გარეშე სამყარო დღევანდელი სახით ვერ მოაღწევდა.

19912. ტრაბახი მოუმწიფებლობის ნიშანია, რომელიც ყველაზე უკეთ ნაციონალური იდეების ვაგლახად დაცვის დროს გამოჩნდება.

19913. უმეცრება ცოდნა-გამოცდილებას არა ცნობს, ხოლო გამოუცდელობა-მონდომებას.

19914. უმეცრება ცოდნა-გამოცდილებას არა ცნობს, ხოლო უცოდინარობა სიზარმაცით შემოიფარგლება.

19915. პატიოსნება ზედმეტი ბარგი ხდება, თუ იმ სამართლის თქმა, რომელიც გაწუხებს, ხელს არავის აძლევს.

19916. სამყარო იცვლება, მაგრამ ამას ვერ ვამჩნევთ და არც დიდად განვიცდით.

19917. სიამაყეს თავისი პატივმოყვრული აღმართები და დაღმართები ახლავს, რის მთლიანად გამორიცხვას ვნების მოტანა შეუძლია.

19918. ჩვენთვის უცნობი დემოკრატია კარგია, მაგრამ საქმის ხარისხიანად საკეთებლად დროსა და გარემოსთან შეჯერებულ დიქტატურას არაფერი სჯობს.

19919. პირველი, თუნდაც ბინძური და ვნებიანი გრძნობები ჩვენი ახალგაზრდობის სიაში თავის მოწონებით მოგონებებს იწვევს.

19920. ყველა ჩვენგანში ზის მოურჯულებელი ეშმაკი. აქ მთავარია, დროის შესატყვისად რისი გაკეთების უფლებას მივცემთ ერთმანეთს.

19921. განუსჯელი შეცდომებიც დავიწყებადია, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ არავინ გვახსენებს.

19922. შიმშილის დროს ყველა მენიუე „დელიკატესია“.

19923. მატერიალიზმს წინდახედული მიზნები ასულდგმულებს, იდეალიზმს – ოცნებები.

19924. ზოგს იმდენად ცუდი შემქმნელი ჰყავს, რომ მამის ხსენებას დედის შეგინება ურჩევნია.

19925. ყველაფერსა და არაფერზე სერიოზული საუბარი ზრდილობიანი ჭორაობის, ანუ დარბაისლური გართობის, სახეობაა.

19926. შეცდომების დავიწყება ადვილია, ძნელია მათ გამხსენებელთან საუბარი.

19927. უღირსი, ურიგო ქცევა უფრო გადამდებია, ვიდრე ღირსებითა და ზრდილობით აღსავსე, რადგან პირველი ნაკლებ დაფიქრებასა და შრომას მოითხოვს.

19928. რასაც სხვას ვერ უხსნით და აგებინებთ, ეტყობა, მისი ბოლომდის წვდომის უნარი არც თქვენ შეგწევთ.

19929. საერთო ინტერესები დასახულ მიზნებს ხვეწს.

19930. ზოგჯერ უკეთურიც აღტაცებას იწვევს თავისი ნიჭით, აზრიანი გამომგონებლობითა და უდრეკი ქმედებით.

19931. ზოგჯერ ტყუილის ავკარგიანობის დადგენა ჭირს, მაგალითად, შექებისა – დღეს რა კარგად გამოიყურებით! აბა, და ვინ დაადგენს ამ კომპლიმენტის სიმართლის ხარისხს?!

19932. ჩვენი გაგებით, ჭკუა არცერთს არ გვაკლია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ამბიციები ამდაგვარი ფიქრის უფლებას გვაძლევს.

19933. უსაქმურობა სხვადასხვა შეუცნობელ სულიერ დაავადებებთან გვაახლოებს და მათი შეყრის პირობასა ქმნის.

19934. კომპიუტერმა ადამიანს წიგნის მაგივრობაც გაუწია, სამშობლოსი და დედისაც, იმდენად შეუწყნარებლად დამოკიდებულები გავხდით მასზე.

19935. ზოგს სხვათა გაჭირვება, გალანძღვა, გაკრიტიკება სიამოვნებას ანიჭებს და ეს გულთან ახლოს არ უნდა მივიტანოთ – ესეც ხომ დროებითი მოვლენაა!

19936. წარმატება ყველა ნაკლს ფარავს, მათ შორის, ადვილად შესამჩნევსაც.

19937. საკუთარი თავის სასაცილოდ აგდება დანაშაულია საკუთარი მეობის, მაგრამ გმირობაა საზოგადოების წინაშე.

19938. სასწაულისა და სიახლის აღქმა ჩვენს ცნობიერებაში მოგვიანებით ხდება, როდესაც მათ ეჩვევი და უიმათოდ ცხოვრება გიჭირს.

19939. ვისი აზრიც საზოგადოებისათვის რეალურად არაფერს წარმოადგენს, ის ყველას აკრიტიკებს და ყველგან დაუკითხავად ეკვეხება, ამასთანავე, საჭირბოროტო კითხვებს თავად სვამს და თავადვე განმარტავს.

19940. დღეს ლანძღვა და ქება თანაბარ დონეზეა დაყენებული და ამის მომწესრიგებლად კოჰაბიტაციას სახავენ.

19941. სიავე ბევრ ჩვენგანს ახასიათებს. ამიტომ მის მიმართ შემწყნარებლები ვართ.

19942. სიბრძნეზე, გონიერებაზე დაქორწინებას ყველანი ვცდი-

ლობთ, მაგრამ შემდგომში მათი მოვლა-პატრონობა გვიჭირს.

19943. ბრილიანტი უძახე შენა! და ხელისუფლება დამნაშავის მიერ გადაყლაპულ და უკანალიდან გამოღებულ ბინძურ ბრილიანტებზეც არ ამბობს უარს. მათ ქვეყნის ზარაფხანაში ინახავს. ასე რომ, ძალაუფლება ბრწყინვალების სიბინძურეში დიდხანს მოთავსების უფლებას არავის მისცემს.

19944. სწავლა – ცოდნისა და არა თავის გამოჩენისათვის! – ეგ უიმედოდ მოძველებული რეალობას მოკლებული დევიზია.

19945. ზოგჯერ უწიგნურ პრაქტიკოსს მეტი დაეჯერება, ვიდრე განათლებულ აუტისტს.

19946. შრომის სურვილი ხშირად მატერიალური ინტერესითაა ნაკარნახევი და არა რაიმე მაღალი იდეალებით.

19947. სისულელის კეთება ადვილია, მისგან შედეგის მიღებაა ძნელი.

19948. ჩვენს მანკიერებას, სათნოებისაგან განსხვავებით, კეთილდღეობისკენ სწრაფვა იწვევს.

19949. სიბრიყვე ზოგჯერ ახერხებს ფესვების ღრმად გადგმას ჩვენს ცნობიერებაში, თუ მას ამ ფესვებს დროულად არ დავაჭრით.

19950. ზარმაცები უფრო ხშირად იტყუებიან, ვიდრე საქმიანნი და მშრომელნი.

19951. სიმართლე ყოველთვის სასიამოვნო მოსასმენი არაა, მაგრამ, თუ მას განსჯით მივუდგებით, „უსამართლობას“ როგორღაც ავიტანთ.

19952. სრულყოფილი არაფერია, მათ შორის, ჩვენი განუსჯელი ოცნებაც.

19953. მთავარია, მედროვეებს მომხვეჭელობამ, შეძენისკენ მიდრეკილებამ ხელი არ შეაშველოს ადამიანობის სტატუსის შენარჩუნებაში.

19954. სამყაროს კაპრიზებს განგების ნება წარმართავს. მაგალითად, შენი მიწა-წყლის ხალხს ბოლომდის ვერ ენდობი. მიუხედავად ამისა, მაინც შენი სამშობლოს კეთილდღეობასა და მასში მცხოვრებთა ბედნიერებაზე ოცნებობ.

19955. უმთავრესია, ბუნებამ არ დაგვცინოს განგების ნებით. დანარჩენს ყოველივეს ეშველება.

19956. ხალხი სულით მეამბოხეა, ფიზიკურად გამომძალველია. ამიტომაცაა, რომ მისი რჩეული მასზე ბატონობს.

19957. „მიზანი ამართლებს საშუალებას“, მაგრამ ცოდნა-გამოცდილების უქონლად არცერთი მათგანი არ მუშაობს.

19958. ინტერესებთან შერკინება იდეათა განსჯადობაზე მიუთითებს.

19959. ეჭვი ბევრი უბედურების მომტანია, ოღონდ ზოგჯერ შენთვის საინტერესო შედეგიც მოაქვს.

19960. თანამდებობის დაკავება ბევრს ქვეყნის სასიკეთოდ უნდა, მაგრამ პრაქტიკულად ამას ვერ ახერხებენ, იმდენად დიდია საცდუნებელი ამ თანამდებობაზე მუშაობისას.

19961. ფილოსოფიას იუმორი პეწსაც მატებს, რეიტინგსაც და მოკვდავთა წინაშე უკეთესადაც წარმოაჩენს.

19962. ვინ იცის, დაჩმორებულმა სამშობლომ წერა-კითხვისა და განათლების მიუცემლობის გამო რამდენ გენიოსად დაბადებულს მოუსპო თავის გამოჩენისა და იმის საშუალება, რომ სამყაროს სიამაყე გამხდარიყო.

19963. განახლება უნდა იწვევდეს გაკვირვებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტყუილი წვალებაა, რაკიღა შეუმჩნეველი რჩება.

19964. სიტყვას ჯადოქრული ხიბლი ახლავს, გააჩნია ორატორის ცოდნას, აზარტსა და შთაგონებას.

19965. „ქვის ნატეხად“ წოდებული პირის, ადამიანის, მასის ჭკუაზე გადართვა ნებისმიერ გონიერს უჭირს.

19966. სანუკვარი მიზანი მარტო ვერ გადის ფონს. მას ჭკუამ, გამოცდილებამ და ბედმა მხარი უნდა აუბან.

19967. მანკიერებისაგან თავის დახსნას ყველა როდი ცდილობს. ზოგი მანკიერებით ერთობა კიდეც.

19968. პატივმოყვარეობამ შემოპარებული ტყუილების შეუმჩნევლობა იცის.

19969. საკუთარი უცოდველობის დამტკიცებას რატომღაც ყველა თავის მართლებით იწყებს.

19970. რჩევას გთხოვენ? მაშ, გენდობიან და შენს ავტორიტეტს აღიარებენ.

19971. პატივის მიგებას ძალასა და შემართებაზე მეტად აღფრთოვანება მოითხოვს.

19972. სათქმელის უთქმელობა ყოველთვის შიშის ბრალი როდია. ზოგჯერ ამ ქმედებაში წინდახედულებაც ერევა.

19973. ყოველივე დაუმსახურებელი: სიმდიდრე, ავტორიტეტი, თანამდებობით სარგებლობა საბოლოოდ წაგებიანია ქვეყნის, ხალხის, მომავლისათვის.

19974. ახლად აშენებულ სახლში ბინისა და სართულის მოძიებაზე უფრო მნიშვნელოვანი კარის მეზობლის მოძიებაა.

19975. ვინც უნებლიეთ შეცდება, გასაკიცხი არ არის, იმათაგან განსხვავებით, ვინც განზრახ შეაცდინა საკუთარი თავი.

19976. ვისაც პატივს არ მივაგებთ, იმ ადამიანის ლანძღვა-დამცირება გვსიამოვნებს, იმის ნაცვლად, რომ საერთო ენა გამოგვეძებნა მასთან.

19977. მიამიტობა და გულწრფელობა დასჯადი არ არის, მაგრამ

ყოველთვის არც მისასალმებელია.

19978. ფაქტობრივად შურს არავითარი სიამოვნება არ მოაქვს, შურიანთა მცდელობის მიუხედავად.

19979. ნახევრად უგუნურნი მრავლად არიან. ისინი თავს შესანიშნავად და უპრობლემოდ გრძნობენ.

19980. ყველა მლიქვნელს დიქტატორობისკენ მისწრაფება აწუხებს.

19981. გვინდა თუ არ გვინდა, დღეს უნიათო შვილიც კი მამას აჯობებს ცხოვრების ცოდნაში, იმდენად დიდია ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობა.

19982. სამწუხაროდ, მადლიერების გრძნობა ცვალებადი და მივიწყებადია.

19983. ცნობიერება იმდენად სწრაფად იცვლება, რომ ე.წ. წარსულის გადმონაშთებს გვარიშვილობა და წარმომავლობა არა ცნობს.

19984. სურვილების შეცვლა უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენ მიერ წარმოდგენილი სამყაროს უსამართლობისა.

19985. ზოგჯერ ლამაზი ტყუილი გვამახსოვრდება, რადგან ის ოცნებას გაფრენის საშუალებას აძლევს.

19986. სიტყვა ის უნივერსალური გასაღები უნდა იყოს, რომელიც გონიერების ყველა საკეტს უპრობლემოდ მოერგება.

19987. სიცოცხლის მადლის შეცნობა ყველა მოკვდავის საქმე როდია. მაშინ სიცოცხლე გაუფასურდებოდა.

19988. მოყვასის შეურაცხყოფას ბრიყვიც უმტკივნეულოდ ახერხებს, რადგან იმედი აქვს, ბრიყვულ ქცევას შეუნდობენ და აპატიებენ.

19989. ღირსება ჰუმანიზმის დროშით უღირსობას ხშირად მფარველობს და მარად ასე იქნება, სანამდის ქლესა ჰუმანიზმი მოდაშია.

19990. ყოველივე იშვიათი, მათ შორის ანგაჟირება, სიამოვნებას გვანიჭებს.

19991. ზოგჯერ მოჭარბებული წესიერებაც მომაბეზრებელია – შტამპად იქცევა ხოლმე და იმიტომ.

19992. რწმენა თუ გაჭირვებაში მარტო არ დაგვტოვებს, ეს უკვე ძალას გვიორმაგებს.

19993. მატყუარასა და მოტყუებულს გრძნობათა ჭიდილი გამოავლენს: ერთს – აღფრთოვანება, მეორეს – სინანული.

19994. ეშმაკობა და ფანდი უფრო გვშველის ზოგჯერ ყოფის წაღმად შემოტრიალებაში, ვიდრე ლოცვა და ვედრება.

19995. უშედეგო, გამოუყენებელი ერუდიცია არარაობაა.

19996. განვლილ წლებზე წარსულ დროზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ ჩვენში ზოზინისა და დროის გაყვანის სურვილი არ უნდა გააჩინოს.

19997. მთავარია, თქვენ რა მოგწონთ და როგორ აფასებთ და არა ის, თუ გარეშენი რანაირად დააფასებენ და მოიწონებენ.

19998. სიმყუდროვე ადამის ძეს განსჯის საშუალებას აძლევს.

19999. სულგრძელებად იბადებიან, ხოლო სულმოკლეობას დაუძალებლად სწავლობენ.

20000. უცხო და გაუცნობიერებელი ყოველთვის ეჭვს იწვევს, ანდა გაუცნობიერებელ სიხარულს.

20001. საკითხავია: სიკეთე უნდა ვაკეთოთ თუ მხოლოდ სიკეთის მკეთებელს დავეხმაროთ? რაკიღა მახვილი ჭკუა მომეტებულის კეთების წინააღმდეგია, რადგან ბოლოს ყოველივეს ივიწყებენ და არავინ არაფერს დაგიფასებს.

20002. სასიამოვნო ბიწიერებისგან თავის დაღწევა არც ისე ადვილია – მიჩვევა იცის.

20003. საკუთარი თავის სარფიანად გაყიდვა უფრო გვსიამოვნებს, ვიდრე ჩვენით სხვამ ივაჭროს და იშუაკაცოს.

20004. ნეგატივი უფრო მეტია ჩვენს ცნობიერებაში, ვიდრე პოზიტივი და ესეც განგების ნებაა.

20005. შვილს დღეს გასართობად აჩენენ, არა – ერის გასამრავლებლად და ეს ამ უგუნური ცივილიზაციის „დამსახურებაა“.

20006. ჩვენ ბუნებით ამპარტავანი და სახელის დაგდების მოსურნე ხალხი ვართ და არა საქვეყნო საქმის რეალურად მკეთებელი. რეალური საქმე კი ესაა: მრავალი შვილის ადრეულ ასაკში ყოლა.

20007. ყოველგვარი უსიამოვნებისა და საეჭვო ღირებულებების საჯაროდ გამოტანა საზოგადოებას სულიერი გარყვნილებისა და უპასუხიმგებლობისკენ უბიძგებს.

20008. რატომ არ თხოვდები, ვერავინ იპოვნე, რატომ ხარ მარტო, ბავშვი რატომ არ გყავს, რამდენი გაქვს ხელფასი, აშკარად გჭირდება დიეტა, რატომ ხარ დაუვარცხნელი? ამგვარ კითხვებს ღიმილით უნდა შეხვდე და პასუხის გაცემისგან თავი შეიკაო, რადგან ეს ცალჭკუა სწავლებაა, რომლის მიზანია შემკითხველთა მცირედი უპირატესობის ხაზგასმა.

20009. შიშის ბუნება წარმოსახვითია.

20010. სიკეთის კეთება შინაგანი მეს იძულებაა, რომელიც საკუთარ თავსაც კმაყოფილებას ანიჭებს.

20011. სიძულვილი ურთიერთშეუთავსებლობისა და ურთიერთგაუგებრობის ბრალია, რომელიც ზოგჯერ შეხლა-შემოხლაში გადაიზრდება.

20012. პრობლემის შექმნა და მისთვის ყურის გამობმა ადვილია, მისი გადაწყვეტა – ძნელი.

20013. ზოგჯერ ცნობიერებაც სულელურად გამოიყურება, იმისდა მიუხედავად, რომ ჭკუის დეფიციტს არ განიცდის.

20014. ქველმოქმედება ზოგის შინაგანი მოთხოვნაა, ზოგისათვის –

გართობა, იმიჯის შეძენა, ფულის კეთება და ა.შ.

20015. უსაქმურობა დაბერებას აჩქარებს, სიცოცხლეს გვიმოკლებს და ცხოვრებასაც მომაბეზრებელს ხდის.

20016. სხვათა განსჯა ადვილია, საკუთარ შეხდულებათა მოშველიებით მით უფრო, თუ ეს შეხედულება თავადაც არ გარგიათ.

20017. უგუნურების ცეცხლს შეშას ის უკეთებს, ვისაც ხელის მოთბობა სხვათა ხარჯზე გადაუწყვეტია.

20018. უგუნურების განეიტრალების საუკეთესო საშუალებაა იმის გაცნობიერება, რომ შენ არ ხარ პირველი და არც უკანასკნელი, უგუნურებას რომ მტრად მოჰკიდებია.

20019. უბედობის „მოყვარული“ მუდამ მართალია.

20020. ლაჩრებსა და გაიძვერებს ყოველთვის მამაცობა და სიკეთის კეთების სურვილი აკერიათ პირზე.

20021. საკუთარი სიბრიყვის დანახვა არც ისე ადვილია, რადგან ამის დანახვას ჭკუასთან ერთად ნიჭიც უნდა, ხოლო, ეს უკანასკნელი რომ ჰქონოდათ, ბრიყვებად ხომ არ წარმოჩნდებოდნენ.

20022. არცოდნის არცოდვა იმ შემთხვევაშია მართებული, თუ შენთვის უცნობ საქმეს ხელს არ ჰკიდებ და არ ეჯახირები.

20023. როგორც ყველაფერზე, ისე ერთგულებაზეც დრო, გარემო და შემთხვევა ზემოქმედებს.

20024. მოსყიდვასა და მიყიდვას შორის დიდი სხვაობაა, ერთნაირი შედეგის მიუხედავად, რადგან პირველ შემთხვევაში აიძულებენ, ხოლო მეორე შემთხვევაში პირი თავადვე იჩენს ინიციატივას.

20025. ჩაჩუმება და პირში ბურთის ჩაჩრა ძნელი არ არის, ძნელია ჭორის გავრცელების სურვილზე ხელის აღება.

20026. არ მომწონს ცნობადობა, რადგან შენგან ყველა რაღაცას გამოელის და გემლიქვნელება.

20027. აკეთო ის, რისი მოწოდებაც არა გაქვს, საკუთარი თავისთვის შეურაცხყოფის მიყენებაა და მეტი არაფერი.

20028. როდესაც ფასები იზრდება, ხარჯი მცირდება და ეს ეკონომია ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ერთგვარად სასარგებლოც კია – აღარ ვღორმუცელობთ.

20029. სამუშაოს ძებნა უფრო სანერვიულო და უმადური საქმეა, ვიდრე თავად მუშაობა, რადგან პირველში ხელფასს არავინ გიხდის.

20030. დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩეველს აყენებს შეურაცხყოფას და არა, პირიქით, რადგან ის ხომ თავისი დაპირებების მეათედის გამკეთებელიც არ არის.

+20031. ზოგჯერ უჭკუობას დროულად მოვარდნილი იღბალი აბათილებს, ხოლო ჭკუას იღბლის დაგვიანებაც ვერასა ვნებს.

20032. სამყარო ყოველ წუთში იცვლება, გადასხვაფერდება, მა-

გრამ სწორედ ამ წუთების დაფიქსირება და შეფასებაა ძნელი და ზოგ-ჯერ შეუძლებელიც.

20033. განვლილი გზის შეჯამება გვსიამოვნებს და არა ის, ერთხ-ელ რომ შევცდით, მეორეჯერ რომ შეგვეშალა და ა.შ.

20034. ზოგჯერ უაზრო, უმიზნო შოუ უფრო მოგვწონს და კარგ ხასიათზე გვაყენებს, ვიდრე სერიოზული კონცერტი ან წარმოდგენა. ესეც დროის ყივილის ამბავია.

20035. ბედნიერების, ჯანმრთელობის და სიყვარულის პასუხი ასე-თია: გააჩნია, ვის რა აკლია.

20036. რუსული სიტყვა „ბრაკ“ ორსახოვან იანუსსა ჰგავს – ერთი სიტყვით მოქნილად გვაფრთხილებს: იმდაგვარად იქორწინეთ, რომ შე-დეგად წუნი არ მიიღოთო!

20037. მომავალში ტექნიკური პროგრესის მიღწევები, ალბათ, სამ-შობლოს სიყვარულის დღევანდელ გაგებასაც შეცვლის და ეს მაშინ მოხდება, როდესაც ადამიანები სხვადასხვა პლანეტაზე გადასახლდები-ან, ცხოვრებას დაიწყებენ და ჩვენი სამშობლო ესა თუ ის სოფელი, რაიონი, ქალაქი, ქვეყანა კი არ იქნება, არამედ მზის სისტემისა და გალაქტიკაში თავმოყრილი დასახლებული პლანეტები. დიახ, ასე იქნე-ბა, თუ მზის სისტემის რომელიმე პლანეტაზე საშინელი კატასტროფა არ მოხდა და ყოველივე თავიდან დასაწყები არ გახდა.

20038. ხელმოცარულად ყოფნა მავანთა ბედია.

20039. შურიანს ყველა უღირსად მიაჩნია, ვინც მასზე უკეთესია.

20040. როგორც ბედნიერებას, ასევე უგუნურებას მუქთად იძენენ, მაგრამ გონიერებას ფასი აქვს, უგუნურებას – არა.

20041. არმიას მართვის წესრიგი სჭირდება სხვა ქვეყნებში უწესრი-გობის შესატანად და მათ დასაპყრობად.

20042. მლიქვნელი ყველაზე უკეთ საკუთარ თავს ემლიქვნელება და აფეტიშებს.

20043. გაიძვერობას ერთი პლუსი აქვს – გაიძვერის მოტყუება ძნე-ლია.

20044. თვითმყოფადობა მთლად მოსაწონი არაა, ოღონდ ეპიგონო-ბას ნამდვილად ებრძვის.

20045. უცოდინარობა ხშირად ცოდნას პაწია ფინიასავით შეჰყეფს და რატომ, თავადაც ვერ გარკვეულა.

20046. ბრიყვთან ურთიერთობის შენარჩუნება ჩვენი ორმაგი სი-ბრიყვეა.

20047. სტუმარი რომ მასპინძელს ფულთან ერთად დროსაც ახარ-ჯვინებს, ეს იმ შემთხვევაშია მისაღები, თუ ამით ორივე კმაყოფილია.

20048. თავის მოტყუება ადვილია, მაგრამ გადაგდება-მოტყუების შერჩენა – ძნელი.

20049. დაუჯერებლის დაჯერება განწყობისა და ხასიათის საქმეა.

20050. კეთილი საქმის საკეთებლად ყველა ჩვენგანის გამოყენება შეიძლება, გააჩნია, ვინ არის ქვეყნის სათავეში და რა ორგანიზატორული ნიჭი აქვს.

20051. მოჩვენებითი მცდელობა, რომ რაღაცა იცი და გაგეგება, თაღლითობის ტოლფასია.

20052. წამხდარი სინდისი, თუ დაყრუების საშუალებას არ მისცემთ, გამოსწორებადია.

20053. ხასიათის სისუსტე მიგვითითებს, რომ ნივთად ქცევის საშიშროება და ხიფათი მოგველის.

20054. ზოგჯერ გულის გაქვავებასა და უღირსი თავმოყვარეობის გაჩენას ირგვლივ მყოფთა ამბიციები იწვევს.

20055. სასურველ ცოდნას წინ სწავლება და გამოცდილება არ უძღვის.

20056. განგებისა და ბედის წყალობა ჩვენს ხასიათზე ყოფნის შესატყვისად ფასდება.

20057. თავხედობა შინაგანი განწყობის ბანკია, რომელშიც უნიათო და პროტესტის მოყვარული პირი საქმიანობს.

20058. უხიაგ საქციელს ზოგჯერ უნებლიე აცუნდრუკება ჩაგვადენინებს.

20059. ჩვენთან მიმართებით ბუნება ყოველთვის მართალია თუ არა, არავინ უწყის, მაგრამ ზედმეტს ვერავინ უბედავს.

20060. მორჩილების ნიღბის ტარება – ეს არის ახალი სუსტი ქვეყნების მართვის ხელოვნებაში.

20061. წვრილმანი საქმიანობით საკუთარი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილება უნიათობის დასტურია.

20062. უნიათო უფრო მეტს გვპირდება, ვიდრე წარმოუდგენია და შეუძლია.

20063. საეჭვო კითხვებს ასეთივე სათუო პასუხები შეესაბამება, რათა სარგებელი და ზარალი ვერავინ ნახოს.

20064. კარგ წამოწყებას სიახლის მტრები ებრძვიან დევიზით – „უჩვევს ნუ მიმაჩვევთ და ნაჩვევს ნუ გადამაჩვევთო“.

20065. განუხორციელებელი ოცნება უთაფლო ბზუილა ბზიკია.

20066. შური ადამის ძეს მოვალეობისაგან თვითნებურად ათავისუფლებს.

20067. სამარცხვინო საქმეთა მიფუჩეჩებას, პირადი იქნება ის თუ საზოგადო, ყველა ცდილობს.

20068. არ აკეთოთ ის, რის გამოც სხვას განსჯით და დაგმობთ.

20069. არსებულის გაცნობიერებისთვის ზურგის შექცევა სიახლის შეცნობის მცდელობით არის გამოწვეული.

20070. სხვის ომში ყველა ბრძენია, მათ შორის ის სულელიც, რომელიც შეუპოვარი ბრძოლისათვის მუდამ მზადაა.

20071. სიჯიუტე მისაბაძი ინტელექტით როდი გამოირჩევა.

20072. საკუთარი თავის ისე შეცნობა, როგორც გსურთ და გსიამოვნებთ, ძნელია, ხოლო, როგორც რეალურად არის, იმის შეცნობით არც ინტერესდები.

20073. საქმის ხელოვნურად შელამაზებაც კი საკუთარ თავზე წარმოდგენას გვიქმნის.

20074. შიშის ბუნება წარმოსახვითია და ამგვარი შიშის თავიდან ამოგდება განსჯას მოითხოვს.

20075. უნებლიე გულგრილობის გამო გამოწვეულ პრობლემებს სხვადასხვა გარემოება ამძიმებს, მაგრამ ის თავის წილ ღიმილს მაინც იმსახურებს.

20076. ცრუ გმირებიც ოვაციებსა და აღფრთოვანებას იმსახურებენ, ხოლო მოგვიანებით – ორჭოფობას, როდესაც გავიგებთ, რომ მათ მსოფლიო რეკორდები დოპინგის შემწეობით დაამყარეს.

20077. პატარების ეშმაკობანი არ განისჯება. როგორც ბავშვებს, ასევე ნორჩ ცხოველებს მხოლოდ აღფრთოვანებით, გაკვირვებითა და პატივით ვეგეგებით.

20078. შეცდომის დაშვების უფლება ყველას გვაქვს, მაგრამ არა წინასწარი განზრახვით.

20079. აწმყოსა და მომავალს თავის წარმოჩენა და მოწონება უყვართ, ოღონდ წარსულის უხსენებლად.

20080. ანეკდოტის შინაარსი სიტყვების მუშტის ქნევით იწყება, თხრობის აპერკოტით გრძელდება და ღიმილის მომგვრელი ჭკუის ღიტინის ნოკაუტით მთავრდება.

20081. თუ განგების მიერ წარმოჩენილი პიროვნებები ჩვენს თვალში დაეცემიან, მაშინ ვინღა ვიწამოთ, ხოლო ურწმუნო ადამიანი ისევ პირველყოფილ არსებად იქცევა და მის კვლავ ადამიანად ქცევას რა დრო დასჭირდება, არავინ იცის.

20082. ყველა იმ ადგილს ებღაუჭება, საიდანაც რაღაც გამოდნება, ხოლო, როდესაც ხელი ეცარება, მის გულში ნიჰილიზმი ისადგურებს, აგრესიული ხდება და „ვა ბანკზე“ მიდის.

20083. ოცნება ინერტულობაა, წარმოდგენითი ფუფუნების საგნად გადაქცევის მცდელობაა დროის უქმად ტარების ხარჯზე.

20084. შეუქცევადი პროცესები ჩვენი ენერგია-შემართების გაუთვალისწინებელ ხარჯვას მოითხოვს.

20085. თეორიულად ჩვენ შთამომავალთა უკეთესი ცხოვრებისთვის ვიღვწით, მაგრამ პრაქტიკულად არც თავს ვივიწყებთ.

20086. უფროსებზე ცუდის ფიქრი იმის მაჩვენებელია, რომ ისინი

ჩვენზე საერთოდ არ ფიქრობენ და არც ჩვენი შემჩნევა ეხალისებათ.

20087. ღარიბ ქვეყნებს ნიჭიერ მოქალაქეთა გონი არ სჭირდებათ, ხოლო მდიდარი ქვეყნები ყოველი შემთხვევისთვის მათ შესატყვისი სამსახურით უზრუნველყოფენ, ვინ იცის, რაში გამოადგებათ.

20088. გაღვიძება ღიმილით იწყება, სამსახურში წასვლა – საქმიანობისადმი შემართებით, დაღლილის დაბრუნება სიამოვნებაა, ოჯახის წევრებზე ზრუნვა-მოვალეობა, ხოლო ღამის ძილი და დასვენება ნეტარების მომტანია.

20089. სკეპტიკოსი განუსჯელია. მას ისიც არ მოსწონს, რაც ჭეშმარიტებაა, მოსაწონია, მისაღებია, რადგან ის მუდმივად ეჭვიანია.

20090. პურის შოვნა და შეძენა ყველას შეუძლია, თუ ამის სურვილი ექნება და თავსაც შეიწუხებს.

20091. შეიძლება, ცხოვრებაში ყველაფერი გქონდეთ, მაგრამ მეგობარი არ გყავდეთ და ეს დიდი დანაკლისია. დღეს ამ დანაკლისს კომპიუტერი ავსებს, ხვალ, ალბათ, დაპროგრამებულ რობოტებს დავიმეგობრებთ და წარსულის გადმონაშთი „მეგობრობაც“ დავიწყებას მიეცემა.

20092. ცნობიერება, რომელიც ყოფითი ბორკილების შეყვარებას იწყებს, საქმის საკეთებლად უკვე გამოუსადეგარია.

20093. ზოგჯერ თავის მოტყუება სარგებელს იძლევა, თუ ეს საქმის საკეთებლად არის საჭირო.

20094. ხშირად არაფერ რეალურს არ ვაკეთებთ იმისთვის, რისთვისაც ვიღვწით და ვოცნებობთ.

20095. ზოგჯერ ერთი მხარის შეცდომა მეორე მხარის მიერ მიზეზის მიცემის და წინდაუხედაობის ბრალია.

20096. უსარგებლო და დღეისათვის მოძველებულ ღირსებასა და ღირებულებებს ერთი დილემა აქვთ: დავიწყებულნი არ იქნენ.

20097. საკუთარ ბორკილს ბევრი დასცინის, მაგრამ იმას ვერაფერს უბედავს, ვინც ამ ბორკილით „დაასაჩუქრა“.

20098. ჩვევებისაგან განთავისუფლება ყველა ასაკში ჭირს.

20099. უცოდინარობა უფრო ძვირი გვიჯდება, ვიდრე სწავლებაში ფულის დახარჯვა.

20100. დაუმსახურებელი არაფერი გვამახსოვრდება, მათ შორის, ცუდიც.

20101. ტექნიკურ პროგრესს ხარკი ერთბაშად არ უნდა გადავუხადოთ, თორემ ბევრი რამ ისეთი გადაისინჯება ჩვენს ცნობიერებაში, რაც მოგვწონდა და გვწამდა ძველად, რაც ჩვენი ბუნების, გუნების გაორებას გამოიწვევს. ეს კი ჩვენს ცნობიერებას და სულიერებას ავნებს.

20102. ზოგჯერ ჭკუას შუამავლობა უფრო ეხერხება, ვიდრე საკუთარი საქმის კეთება.

20103. მოჭარბებულს ხარისხს ამჯობინებენ, მისი ღირებულების მიუხედავად.

20104. ზოგჯერ სიცრუე გარკვეული დროით ნეტარებაში გვამყოფებს და ზოგისთვის ეს უფრო მისაღებია, ვიდრე მწარე სიმართლე.

20105. ომში ბევრი უდანაშაულო და, ერთი შეხედვით, უცოდველი ადამიანი იღუპება, მაგრამ ეს, ერთი შეხედვით, მაგრამ განა მათი ბრალი არ არის, რომ ეს უკეთური ხელისუფალნი აირჩიეს და თავზე წამოისვეს ტაშითა და ოვაციებით: ნაპოლეონი, ფრანკო, ჰიტლერი...

+20106. ოპტიმისტები და პესიმისტები ფაქტობრივად ერთმანეთს გვერდში უდგანან და ერთ საქმეს ემსახურებიან, რადგან, თვითმფრინავი თუ ოპტიმისტებმა გამოიგონეს, პარაშუტი პესიმისტებმა შექმნეს.

20107. განგების ნებაა, გულახდილნი ვიყოთ, მაგრამ ცხოვრების მარწუხები გვაიძულებს, შელამაზებული ტყუილიც მოვიმარჯვოთ.

20108. ჩვენდა შეუმჩნევლად, ყველა ჩვენგანი ზურგზე წამოკიდებული ნაკლოვანებებით დავდივართ და ვარსებობთ და ამის გამო თავს ცუდად არ ვგრძნობთ.

20109. „დაგინება-განსჯის“ წინ ვალდებულები ვართ განვლილი დღე გავაანალიზოთ.

20110. ძველის, უვარგისის მოშორებაც დაფიქრებას მოითხოვს – ხომ შეიძლება, ისიც სადღაც გამოგადგეთ.

20111. მცირედით დაკმაყოფილების უნარის გამომუშავებას აღზრდა სჭირდება.

20112. გაკვირვება ზოგჯერ თავისებური სიბეცის მაჩვენებელია.

20113. დღეს კლასიკური სიკეთის და ბოროტების ერთმანეთისაგან გარჩევა ძნელი გახდა, რადგან დადებითი შედეგი ზოგჯერ ორივეს მოაქვს.

20114. რწმენასა და ინტერესს შორის სხვაობა დიდია, თუნდაც ერთი საქმის კეთებას ცდილობდნენ.

20115. ძველ იდეებსა და იდეალებთან ჭიდილი უსაქმურობის შედეგია.

20116. ტექნიკური პროგრესი წინ ისეთი ტემპით მიდის, რომ, შეიძლება, ოჯახის ფინიამ ხმოვანი შეტყობინება დაგიტოვოთ: „ნუ მეძებთ, მეზობლის ძაღლი მომეწონა, ცოლად გავყევი, ცოტა ხნით გვადროვეთ სიამოვნება“.

20117. ურთიერთმოუწონლობა ზოგჯერ დაპირისპირებასა და ხელის გამოღებაში გადადის.

20118. შეძლებაც თავისებურად განუსჯელი ძალაუფლებაა და სად და როდის დაიქუხებს, არავინ უწყის.

20119. ზოგჯერ გადაცდენა შესაძლებელია საჭირო ცოდნის მოძიებისას, ოღონდ ისიც ზომიერების ფარგლებში.

20120. ზოგი თავს იმით იწონებს, რომ არავისგან არაფერი უსწავლია და თავად გაიკვლია გზა ცხოვრებაში. ყოველ შემთხვევაში, მას ჰგონია, რომ კარგს ამბობს.

20121. თეორიულად სიმდიდრე სულიერებით იზომება, მაგრამ პრაქტიკულად ხშირად პირიქითაა.

20122. საკუთარი თავის მომტყუებელი სხვათა მოტყუებასაც არ დაიზარებს.

20123. თავისი სიმართლე მატყუარასაც აქვს და მართალსაც, გააჩნია, ვინ რას სარგებელს გამოელის მისგან.

20124. ზოგჯერ სხვათა განსჯა და გაჭორვა ცხოვრებას გვიმხიარულებს და გვიადვილებს.

20125. ძუნწს მოხვეჭის სურვილიც ანერვიულებს და მოუხვეჭელობის დანაკარგებიც.

20126. უსამართლობა არავისთვის ხელსაყრელი არ არის, რადგან არავინ უწყის, ეს სენი ვის, სად და როდის უყელებს.

20127. ურთიერთობის ჩამოყალიბებას ზოგჯერ ურთიერთშექება უწყობს ხელს.

20128. ნაკლის შემჩნევა ადვილია, მისი შეუმჩნევლობა და „გაურანდავად“ დატოვებაა ძნელი.

20129. სიბრიყვეს სიჯიუტე ყოველთვის თან ახლავს, ვინ იცის, რაში გამოადგება.

20130. ჩვენთვის განკუთვნილ განსაცდელებს განგება ერთად უყრის თავს, რათა ისინი არ დაიფანტონ და სხვებს არ შეეყარონ.

20131. ზოგჯერ მცირე ნაკლის აღიარება დიდი ნაკლის დაფარვის იარაღია.

20132. ზოგჯერ სირცხვილისთვის ბიშტის ჩვენება უფრო ძნელია, ვიდრე შიშისთვის.

20133. მდიდარს ბევრი მთხოვნელი ჰყავს და ამიტომაცაა იძულებულია იძუნწოს და იწუწურაქოს.

20134. ზოგჯერ ნაკლსაც ინტერესთა შესატყვისად ირჩევენ და ახმოვანებენ.

20135. ბრიყვს ყველაზე მეტად ჭკვიანის როლის გათავისება მოსწონს.

20136. ზოგჯერ, რაც გვაკლია, ის გვაამაყებს, ხოლო, რაცა გვაქვს, მას აგდებულად ვუყურებთ.

20137. ზოგჯერ უბრალო სიტყვისა უფრო გვჯერა, ვიდრე ფიცი – მტკიცისა. გააჩნია, ვინ არის მისი ავტორი.

20138. სიტყვით ყველანი მაგრები ვართ, ქმედებით – ზოგიერთნი, უფრო ზუსტად, მეტად ცოტანი.

20139. მტრები უფრო მეტ სიმართლეს ამბობენ ჩვენ შესახებ,

ვიდრე ჩვენი ახლობლები და კეთილის მდომნი.

20140. საკუთარი რაობა ხშირად დაუფასებელ-შეუცნობელია ჩვენი ცნობიერებისთვის.

20141. ზოგი მოვალეობის აღსრულებას სხვებისგან დამაჯერებლად მოითხოვს, ხოლო თავად ამ დავალებათა შესრულებას გაურბის.

20142. თეორიული მსჯელობა პრაქტიკული შედეგით ფასობს.

20143. მეტისმეტის ნდომა ხშირად უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს.

20144. აკრძალვებმა რატომღაც საპროტესტო მუხტის დაგროვება იცის.

+20145. უდიერად ნათქვამის არა მარტო მთქმელი, მსმენელიც დასჯის ღირსია.

20146. მომავალი ცივილიზაცია, ეტყობა, დღევანდელ დედაშვილურ გაგებას ბიშტს უჩვენებს და ახალშობილთა მოვლა-პატრონობას სახელმწიფო ორგანიზაციები შეეცდებიან რობოტების დახმარებით. მშობლებს შვილების აღზრდისათვის არც დრო დარჩებათ, არც სურვილი ექნებათ და დღევანდელი დედაშვილური სიყვარულიც გაქრება.

20147. ექსტრასენსი გრძნობს, წინასწარმეტყველი ხედავს, ხოლო ჩვეულებრივი მოკვდავი მათი დამფინანსებელი და მარჩენალია.

20148. ჩვენ მიერ ცხოვრებაში გადადგმული ნაბიჯი ყოველთვის ცუდი არ არის, მაგრამ საზრიან გადაადგილებასაც წინდახედულება, ცხოვრების უნარი სჭირდება.

20149. დაუმსახურებელი ქება მოგვწონს, მაგრამ დამსახურებული შენიშვნის მოსმენაზე მწყრალად ვართ, ოღონდ უამისოდ ხეირიანად საქმე არ გამოდის.

20150. სხვათა ნაღვაწის შეფასებას ცოდნა, სურვილი და დროის ყივილი სჭირდება. ყოველივე ამას, შესაძლოა, მოჰყვეს თავად შემფასებლის დაფასება და დაფინანსება.

20151. ბევრი კარგი რაღაც-რაღაცის კეთება შეიძლება, მაგრამ ნაღვაწი ყოველთვის ისე არ ფასდება, როგორც იმსახურებს.

20152. ზოგჯერ ისე უნიათო მოხელე მოხვდება ქვეყნის სათავეში, რომ, მისი შემხედვარე, მისივე ამომრჩეველი სირცხვილით იწვის, საკუთარ თავს ლანძღავს და დედას აგინებს.

20153. სტატისტიკა ქვეყანაში მცხოვრებთ აღრიცხავს და არა მათი ძალისხმევით ნახულ ხეირს.

20154. ვაჟკაცობას გონის გამონათება უფრო სჭირდება, ვიდრე მუშტის გამოღება.

20155. დიდება ის სასიამოვნო აჩრდილია, რომლის მსგავსის დატოვებას ყველა ჩვენგანი ცდილობს.

20156. ინტერესთა შეუთავსებლობა და მისდამი პასუხისმგებლობა

მორალის საკითხია, რომელიც ხშირად დროისა და გარემოს შემოტევის შესატყვისად იცვლება.

20157. ზოგს არც სიცოცხლის მადლის განსჯა აინტერესებს და არც გარდაცვალების შემდგომ დასატოვებელი სახელი.

20158. არის რაღაც ინტიმური, რომლის განხილვასაც უახლოესი ადამიანებიც უნდა მოერიდონ, რათა კუდი არ გამოებას საქმეს და ურთიერთს არ ვაწყენინოთ. მაგ. რძლისა და შვილის ინტიმურ საქმეში მშობლების ჩარევა.

20159. ჩინოვნიკთა დიდი ხნით ერთ ადგილზე დასაქმება არ შეიძლება. ისინი გარემოს ალღოს უღებენ, ეჩვევიან გამოძალვას.

20160. ტექნიკური პროგრესი ჩვენი ოცნებისთვის კუდის გამობმის საშუალებას გვაძლევს.

20161. თავისუფალ ჩაცმულობასა და მოდაზე ჩაცმას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თავისუფლების შეგრძნებით მოგვრილ სიამოვნებას გვანიჭებს, ხოლო მეორე – სიამაყესა და ამპარტავნობას.

20162. ყველა თავისებურად მართალია საკუთარი ცნობიერების და აღზრდის შესატყვისად. ურთიერთობას ართულებს, თუ მას იდეოლოგია და კონსტიტუციის დიქტატურა არ დაუპირისპირდა.

20163. აფექტის დროს განხორციელებულ ქმედებებს არ ამართლებენ, მაგრამ სათანადო ალიბის მოძიებასაც არ აყოვნებენ.

20164. სიკეთის მკეთებელს ბევრი მთხოვნელი ჰყავს, მაგრამ არცერთი არაა შემცოდე და მხრის ამბმელი.

20165. სიმართლეს მალვა უხდება, თუ მას აურზაური და გაუგებრობა მოჰყვება.

20166. შოუ, სანახაობა, წინასწარ მოფიქრებული რეკლამა – ყველაფერი ეს სიამოვნების მომტანია.

20167. მზაკვრული სითხეა ალკოჰოლი. როდის გასიამოვნებს და როდის მოგტეხს კისერს, უცნობია. მასთან ურთიერთობა გამოცდილებამ უნდა დაარეგულიროს.

20168. აგრესია, ვერაგობა, ანგარება, პატივმოყვარეობა, ავანტიურა მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანს ახასიათებს, მაგრამ ზომიერად და ურეციდივოდ.

20169. უსიტყვოდ და უხმაუროდ გაკეთებული საქმე დღეგრძელია.

20170. გაორებული, გასამებული ცნობიერება ბედნიერების მომტანი ვერ იქნება.

20171. მწარეზე ტკბილის დამყნობა შესაძლებელია, მაგრამ ამ ახალი ჯიშისთვის დამახასიათებელი სახელის მოძიებაა ძნელი.

20172. სიკეთის კეთება ადვილია, მისი გონივრულად შემფასებლის მოძიებაა ძნელი.

20173. ზოგჯერ პრობლემები ფეხაკრეფით გვეპარება, ზოგჯერ –

აშკარად, ხოლო, რომელი ჯობია, არავინ უწყის.

20174. ძნელად გადასახარშავია ის, რისი დაჯერება-განსჯაც არ გინდა და არც გაინტერესებს.

20175. გამოუცდელობა და გულუბრყვილობა დედმამიშვილები თუ არა, ძალზე ახლო ნათესავები მაინც არიან.

20176. სამწუხაროდ, დღეს ქალისა და მამაკაცის ნორმალურ სიყვარულზე გადაღებული ფილმი დოკუმენტურ კინოდ ითვლება, ხოლო ეროტიკასა და პორნოგრაფიას მხატვრულ ფილმად წარმოაჩენენ.

20177. მორალური პრინციპი ზოგჯერ ფანტაზიის გაჯეჯილებას ხელს უშლის და აქვეითებს.

20178. ქაღალდზე შეიძლება ყოველივე დავამტკიცოთ და გამოვიდეს. მთავარია ამ თეორიის პრაქტიკული გამოყენება.

20179. უმეცრება და უპასუხისმგებლობა ხშირად ბუმერანგივით დაუბრუნდება ადამის ძეს ამქვეყნად თუ არა, იმქვეყნად მაინც.

20180. გული და ტვინი თავისებური კონკურენტები არიან, იმისდა მიუხედავად, რომ ხშირად მათი დაპირისპირების შედეგი საყაიმოა.

20181. სიბრიყვე თანდაყოლილია და ხშირად მას თავში წამორტყმა და ასაკით მანიპულირება არ შველის.

20182. სხვათა წესიერება ყველას მოსწონს, მაგრამ თვითონ წესიერი ცხოვრება უჭირთ და არც უნდათ.

20183. ამ ცხოვრებაში რაღაც არ გვყოფნის. ესაა მოსმენის უნარით დაჯილდოებული ხალხი, მეგობრები, თანამეინახენი.

20184. უმადურობის გამოვლენა ყველაზე მძიმე ცოდვაა. ამიტომაც თუა: რასთველი მადლიერებას პატრიოტიზმზე მაღლა აყენებს.

20185. დღეს წუწუნს არც სარგებელი მოაქვს და არც – შედეგი, რადგან უპირატესობა ხელის განძრევას ენიჭება.

20186. სიკეთის და ბოროტების წამლის და საწამლავის ათვისებასაც დოზების შერჩევა სჭირდება, რათა ის ყველასათვის მისაღები და სიკეთის მომტანი იყოს.

20187. შეცდომა, რომელიც ბოროტებას არ წარმოადგენს, ღიმილს იწვევს.

20188. „ენის ქავილს“ უმთავრესად იუმორით ღადავის სურვილი იწვევს.

20189. დღევანდელი განუსჯელი ამომრჩეველი კანდიდატთა მაცდურ დაპირებებს უფრო ენდობა, ვიდრე ცხოვრების მცოდნეთა საქმიან დაპირებებს და, ეტყობა, ესეც ჩვენთვის გაუცნობიერებელი ყოფის კანონზომიერებაა.

20190. ჩვენ მიერ ჩადენილი ცოდვებისათვის, თუ ამქვეყნად არ მოესწრება, იმქვეყნად მაინც მოგვთხოვენ პასუხს. ამას ხომ ღმერთს ვერავინ დაუშლის?

20191. ენის ტლიკინს ცოდნა-განათლება არ სჭირდება, მხოლოდ გართობის სურვილი და ჭორაობისკენ მიდრეკილება.

20192. ვარსკვლავის ჩურჩულის მოსმენა ყველა ჩვენგანს გვწადია, რაც მომავლის საქმეა და, იმედია, ტექნიკა ამასაც შეგვაძლებინებს.

20193. ზედმეტი ჭამა უსაქმურობის, ნერვიულობის შედეგია, რომელსაც ხორცის გალაღება და სულის ჭკნობა მოსდევს.

20194. შეუძლებელი ამქვეყნად, ეტყობა, არაფერია, მაგრამ ზოგჯერ შესაძლებელიც შეუძლებელი ხდება, თუ სიჯიუტე და უმეცრება არ გაცამტვერდა.

20195. ორჯერ ორი რომ ხუთია, ამის დამტკიცებაც შეიძლება, მაგრამ გააჩნია ოპონენტს, ცხოვრების მისეულ გამოცდილებას.

20196. დღეს სამყარო ინფორმაციის ბომბებით იბომბება და, რას მოგვიტანს ეს გაუაზრებელ-განუსჯელი დაბომბვა, არავინ უწყის.

20197. სხვათა გაკიცხვა ადვილია, მიზეზის მოძიება და განსჯა – ძნელი.

20198. ძველი ჩვევებისაგან თავის განთავისუფლება ისევე ძნელია, როგორც ახალი ჩვევა-წესების გათავისება, შეჩვევა.

20199. ვირტუალური სამყაროს კვლევა ჩვენი ყოფისთვის თავისებური ნარკოტიკია.

20200. ზღვარგადასული ტექნიკური პროგრესის შემოტევა შეტევის სტიმულს გვიძლიერებს.

20201. ძლიერი მეზობლის გვერდზე ცხოვრება ცუდსა და უარესს შორის არჩევანს გვაკეთებინებს და მანამდე უნდა დავემორჩილოთ ჩვენს არჩევანს და „უტრაკო ყარაჩოღელობას“ შევეშვათ, სანამდე არ მოვმაგრდებით და წინააღმდეგობის გაწევის უნარს არ შევიძენთ.

20202. დღევანდელი გადასახედიდან იქმნება საშიშროება, რომ ტექნიკური პროგრესი მომავალში დედამიწის მოსახლეობას რობოტების ხარჯზე შეამცირებს და საზოგადოებას თანდათანობით გადაგვარებისკენ უბიძგებს.

20203. მშვენიერების აღქმას კიდევ უფრო მეტი სიამოვნება და აღმაფრენა მოაქვს.

20204. „ბაზრის დედაკაცსა“ და ჭორიკანას შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი ჭორს იმ სახით ავრცელებს, როგორც იყო და ამით თავი მოაქვს, „მეც ნახირ-ნახირო“, ხოლო მეორე თავის შეხედულებებსაც ამატებს, მის გალამაზება-გამრავლებას ცდილობს და ამ სახის ჭორაობით დიდ სიამოვნებას განიცდის.

20205. გამორჩენის გზით მიითვისებთ სხვის ქონებას თუ ქურდობით, ორივე დანაშაულია, მაგრამ პირველს ერთგვარი დაცინვა-სარკაზმიც თან ახლავს.

20206. ყველა საქმიანობაში წარმატება უპირველესია, მაგრამ ზო-

გჯერ წარუმატებლობაცაა საჭირო, რომელიც ღრმა დაკვრვებისთვის განგვაწყობს და სიახლის აღმოჩენისკენ გვიბიძგებს.

20207. მტერი შორსაა, მაგრამ ე.წ. „მოყვარე“ ზოგჯერ უფრო შორს აღმოჩნდება, როდესაც გჭირდება, და შენ გვერდზე მხოლოდ ქარი თუ ჩაივლის.

20208. მეგობრებს დროებით მაშინ ივიწყებენ, როდესაც დაქორწინდებიან, ოფიციალურად ხელს მოაწერენ და ეს დამოკიდებულია „თაფლობის თვის“ ხანგრძლიობაზე.

20209. „განტევების ვაცის“ როლის შესრულებას არავინ აპირებს, მაგრამ ასრულებინებენ.

20210. ომი უმთავრესად ხალხის მსხვერპლად შეწირვას ემსახურება და არა მათს კეთილდღეობას.

20211. უბედურისთვის განსჯის სწავლება დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

20212. გვინდა – არ გვინდა, ჩვენი არსების იმ მცირე ნაწილს ვუბრუნდებით, რაც განგების ნებით თუ უიმისოდ ჩვენ მიერ მივიწყებული იყო.

20213. გაჭირვება გვაიძულებს, საქმე სამართლიანად განვსაჯოთ და წარმოვაჩინოთ.

20214. წერტილები მანძილს აერთიანებს და არა შეგნებას.

20215. ტკივილის გადატანა უფრო ადვილია, ვიდრე სასიხარულო ამბების და ქმედებათა დავიწყება.

20216. ზოგჯერ იძულებული ხარ, საკუთარ ღირსებასა და ღირებულებებზე ილაპარაკო, რათა შენი ნიჭი, მცდელობა შეუმჩნეველი და დაუსაქმებელი არ დარჩეს.

+20217. როდესაც კრიტიკა დუმს და დარგის მოყვარულები ჩურჩულებენ, იმ დარგის საქმიანობას წერტილი აქვს დასმული.

20218. ყოველი ჩვენგანი გარკვეული მოვალეობით, ვალით და ვახშით იბადება, მაგრამ ყველა მოვალეობას აღსრულება არ უწერია.

20219. სიბრძნეს, ჭკუას, გონიერებას სიტყვით ყველა პატივს მიაგებს, მაგრამ შესაბამისად არ აფასებენ და არ აფინანსებენ.

20220. ცუდად კეთებას არკეთება სჯობს, მაგრამ, თუ გაიძულებენ ის აკეთო, რაც შენი საქმე არ არის, არ მოგწონს და არ იცი, აქ შენი ბრალი უმნიშვნელოა.

20221. კლასელი, ნაცნობი, ნათესავი, მეგობარი, მეზობელი – ყველა ამ სიტყვას თავისი გაგება, მენტალიტეტი და სიახლოვე ახლავს და, შემდგომში რა რაში გადაიზრდება, არავინ უწყის.

20222. სიტყვა „ამხანაგსა“ და „მეგობარს“ შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელში ოფიციოზი ნაკლებია და მეტი სულიერებაა ჩადებული.

20223. უგუნურისთვის გონიერება ზედმეტი ბარგია.

20224. სიტყვიერი სიმამაცე, დაქადნება დამტკიცებას საქმით ითხოვს და არა ყბედობით.

20225. იყო „თეთრი ყვავი“, დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობაა საკუთარი თავის წინაშე, რადგან შენი ყველას შურს და ყველა კვანტის გამოდებას ცდილობს, იმის მიუხედავად, რომ ყველა სიამოვნებით აღმოჩნდებოდა შენს ადგილზე.

20226. ზოგის ადგილზე არყოფნა უფრო მეტი სიკეთის კეთებად აღიქმება, ვიდრე ყოფნა.

20227. ამბობენ, გველი ბრძენიაო, მაგრამ რითი გამოიხატება მისი სიბრძნე, კვლევის და განსჯის საგანია.

20228. მერყევი ვირი არაფრით არ სჯობს ჯიუტ ვირს, რადგან პირველი სად გიგანებს, არავინ უწყის.

20229. ცარიელ თავში არაფერი გონივრული არ შედის.

20230. მივიწყებული იდეალები დღეს არავის აწუხებს.

20231. ავი, შეიძლება, დალოცვაც იყოს, თუ ერთის რწმენა მეორის რწმენაზე მაღლა აყენებს თავის თავს.

20232. საკუთარი მეობის ღალატი ახლობელი ნათესავის ღალატზე მეტ უკმაყოფილებას იწვევს ჩვენში.

20233. ყველა ჯადოქარი სასწაულმოქმედია, თუ მივაკითხავთ, იმისდა მიუხედავად, გვჯერა მისი თუ არა.

20234. აღმაფრენით არ ვაჭრობენ, რადგან ის არ იყიდება და არც ხურდავდება.

20235. დაუზარელი ბრიყვი ზარმაც ბრიყვზე საშიშია.

20236. სიძუნწე დავადებაა და არა მსოფლმხედველობა, რომ ყველამ თავისი შესაძლებლობის შესატყვისად იმოქმედოს და ივარგოს.

20237. ხელის გასვრა ადვილია, მისი უპრობლემოდ დაბანა – ძნელი.

20238. ზოგჯერ ფეხებს იქითკენ მივყავართ, სადაც გული არ მიგვიწევს, მაგრამ ეს საჭიროა და ზოგჯერ აუცილებელიც.

20239. ურთიერთობიდან, სიყვარულიდან მხოლოდ ის გვამახსოვრდება, რაც ჩვენი გამოუცდელობით მივქარეთ და სადღაც ფეხიც კი წავიტეხეთ.

20240. ზოგჯერ ეჭვია თავიდათავი დაპირისპირებისა და შეხლა-შემოხლისა.

20241. თავის გაჩვენება ყველას არ შეუძლია, რადგან ეს თანდაყოლილი ხელოვნებაა, ნიჭია, გადატრიალებული ცნობიერებაა.

20242. კონსტიტუცია და კანონმდებლობა არ გვიკრძალავს, რომ ოცნებით კრიმინალი ვიყოთ, მაგრამ ეგ ლტოლვა მაინც საშიშია, არავინ უწყის, რა დროს და სად გამოყოფს თავს.

20243. ძალად პატიოსნება ნებაყოფლობით უნდობლობას იწვევს.

20244. სიტყვაძვირობა კარგია, მაგრამ ფრთიანი სიტყვა უკეთესია.

20245. ძნელია მავანთან საკუთარ ენაზე პაექრობა, განსაკუთრებით, როდესაც კაფიაობის საშუალება გეძლევათ.

20246. კამათის სულის ჩამდგმელი ენაა.

20247. განუსჯელი დასვენების ერთ-ერთი საშუალება ყბედობა, ენის ლაქლაქია.

20248. ყოველივეს მიმართ ირონიული დამოკიდებულება არ შეიძლება, ცინიზმში არ გადაიზარდოს.

20249. ზოგიერთი სახის თავაზიანობას გონიერებასთან შეჭიდება სჯობს, ნაკლებად შესამჩნევია.

20250. პატივმოყვარეობასაც ხშირად ეჭვი უჩნდება, სანამდის ეყოფა ძალა პატივმოყვარეობის შესანარჩუნებლად.

20251. ხშირად სიამაყე გვიყალიბებს ობიექტურობის შეგრძნობის უნარს.

20252. ჩვენზე გავრცელებული ჭორი ზოგჯერ სასიამოვნო პირფერობაცაა.

20253. უაზრო გმირობას ზოგჯერ თავზე ძალად მოხვეული რწმენა და მოვალეობა ჩაგვადენინებს. ამგვარ „გმირობას“ სხვათა დასაშინებლად სჩადიან და არა მათთვის „გასაგები“ სიკეთის საკეთებლად. მაგ. დღევანდელი „შახიდები“.

20254. დღეს სიმხდალედ არ მიიჩნევა, თუ ხულიგანს და კანონის დამრღვევს არ შეედავები და დაუყონებლივ პოლიციაში დარეკავ მობილურით, სურათს გადაუღებ და კანონის შესატყვისად პასუხს აგებინებ. ეს „ვაჟკაცობაც“ დღევანდელი ცივილიზაციის მონაპოვარია.

20255. საეჭვო და არამდგრად პრინციპულობას სიმართლესთან შეგუება უჭირს.

20256. თუ ნდობას სიმართლე ეთანადება, ისინი ერთმანეთს უკეთ უგებენ.

20257. ზოგჯერ სიმართლის პირში მთქმელს მფარველი პიროვნების მოძიება-გამოთხრა სჭირდება.

20258. ტყუილის თქმა ზოგჯერ გარკვეულ დივიდენდებს იძლევა, მაგრამ სიმართლით მოპოვებულ დივიდენდებთან ახლოსაც ვერ მივა.

20259. სიცოცხლისთვის გამობმული ფრთები ჰაერში ფარფატისთვის არის განწირული და არა საფრენად.

20260. რატომღაც გართობის დროს გიგანტს ჯუჯის გული აქვს და ჯუჯას – გიგანტის.

20261. მთავარი ის კი არ არის, რა მამაძაღლობის ჩამდენია ადამიანი, არამედ რისი გამკეთებელია და ვისი და რისი იმედი აქვს.

20262. არის რაღაც საფრთხე, რომელიც მუდმივად გვაშფოთებს,

მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ მისგან თავი ჯერჯერობით დაზღვეული გვაქვს.

20263. ზოგიერთის მეგობრობა დაკვეთებსა და კაპიტალურ რემონტს ეგუება.

20264. შეცდომების აღიარება ადვილია, თუ ეგ შეცდომები განსჯადი და გამოსწორებადია.

20265. წინასწარი განზრახვით განუსჯელ ყოფნას ირგვლივ მყოფთათვის ზარალი მოაქვს.

20266. ცხოვრების რაობას მისი ალოგიკურობის ტრაგი-კომედიურობა განსაზღვრავს და განსჯის.

20267. საკუთარი სახელის გაფრთხილება ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. სხვა მას ჩვენი სურვილების შესატყვისად არ გაუფრთხილდება, რაკიღა ის მას არ სჭირდება.

20268. დადგება დრო, როდესაც ადამიანები ერთმანეთით აღფრთოვანდებიან და კეთილის მდომნი გახდებიან, თეორიულად ეს შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად მე ამის არ მჯერა, რადგან ასეთი საზოგადოება დამყაყდება და ვერ განვითარდება.

20269. მთავარი იდეოლოგიის დანერგვა კი არ არის, არამედ დანერგილი იდეოლოგიის საბოლოო შედეგი.

20270. ზოგჯერ ყველა ჩვენგანმა იცის ის, რაც არ უნდა იცოდეს ან არ იცის ის, რაც უნდა იცოდეს, მაგრამ ეს ცოდნა-არცოდნა მაინც უვარგისია და გამოუყენებელი.

20271. სამყაროს კაპრიზები მარად შეუცნობელი დარჩება, რაც უნდა ჩვენმა გონებამ თავისი ცოდნით ჩვენს ცნობიერებაში იჯირითოს.

20272. არასაჭირო ინფორმაცია ბევრია, მაგრამ ზედმეტი ცოდნა არ არსებობს.

20273. ორიგინალური ნიჭით დაჯილდოება წყევლაა თუ დალოცვა, არავინ უწყის (წინასწარმეტყველი, ექსტრასენსი, ტელეპათი), რადგან ისინი მარად სხვისი ბედით ინტერესდებიან და მათ მომავალს განსჯიან.

20274. ბევრი რამაა ლამაზი, მათ შორის ტყუილიც. სანამდის გამჟღავნდებოდეს, იგი აღფრთოვანებას იწვევს.

20275. ყველას არ ეგების ჩვენი ფიქრების დაუფლება და განსჯა, რადგან ამასაც გარკვეული დამსახურება სჭირდება.

20276. იდეათა გათავისება ადვილია, მათი განხორციელებაა ძნელი.

20277. მიღწევადი მიზნის დასახვა და განხორციელება გამარჯვებად აღიქმება, განუხორციელებელი ოცნებები და მათი უარყოფითი შედეგი კი – დამარცხებად.

20278. დაპირისპირება ხშირად იმ იმედს არ ამართლებს, რისთვისაც მის გამოყენებას ცდილობენ.

20279. თავდაჭერილი ორჭოფობა ძალისა და შემართების წამახალისებელ-წამქეზებელია.

20280. სიამაყესაც და გემოვნებასაც ცოდნა უნდა და მომენტის დაჭერა.

20281. სხვათა დატუქსვა საკუთარი ცოდვისა და უცოდველობის გამოვლენას ემსახურება.

20282. ზოგჯერ გულწრფელობასაც თავისი თვალთმაქცობა ახასიათებს, თუ მოყვრის ნდობის მოპოვება სურს.

20283. ცნობიერება ადრე თუ გვიან შიშვლდება და სტრიპტიზორ-მოცეკვავის როლში გვევლინება, რომელიც ცდილობს გამორჩენის მიზნით ყველას ასოამოვნოს.

20284. ზოგიერთი ჩვენი ქმედება ჩვენს ნაკლს წარმოაჩენს, ოღონდ ამ ხარვეზებს დაკვირვებული და ჭკუაგახსნილი შეამჩნევს.

20285. შორსმჭვრეტელობის სურვილი ზოგჯერ სიბეცის გზაზე გვაყენებს.

20286. ნაკლის გამომჟღავნება ზოგჯერ თავის მოწონების სურვილთაა გაპირობებული.

20287. ხარკს იხდიან ბიწიერებისთვისაც და სიყვარულისთვისაც.

20288. ცოდნის, სახელის, იმიჯის შეძენა ხარჯებს მოითხოვს და ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს მოგების გადასახადის გადახდის დროს. მაგ. კინომსახიობის ჰონორარის გაცემისას ამ ხარჯებს არ ითვალისწინებენ.

20289. პირმოთნეობა ჩვენს კარგ განწყობას ურიგოდ იძენს.

20290. ჭორსა და კრიტიკას ის უფრთხის, ვინც მას იმსახურებს.

20291. ზოგჯერ გაყრის საბაბის მოძიება უფრო ძნელია, ვიდრე თანადგომის და კოჰაბიტაციისა.

20292. თანდაყოლილი ნაკლის მოხმობასაც ნიჭი, გონიერება და შემთხვევის გამოყენება სჭირდება.

20293. საოცარია ეს სამყარო: რაც უფრო მეტად ეცნობი გონის მიღწევებს და მის საიდუმლოებას, მით უფრო მეტად გრძნობ საკუთარ თავს არარაობად.

20294. შიში და რიდი აიძულებს ყოველივე ჩვენგანს, ხელი აიღოს სხვათა საკუთრების ხელყოფაზე.

20295. წინდახედულება გონების საქმეა, წარმატება – ბედის, ხოლო იმქვეყნად გადასახლება განგებას ბრალდება.

20296. ზოგჯერ უმიზეზო ცრემლდენა საკუთარი თავის მოტყუების მცდელობაა.

20297. რჩევა და კარნახი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, რადგან ბევრისთვის ეს უკანასკნელი მიუღებელია – თავმოყვარეობა ელახება.

20298. საკუთრივ ნაკლოვანებებზე შეულამაზებლად საუბარი ყვე-

ლა ჩვენგანის აქილევსის ქუსლია.

20299. შეიძლება, ეშმაკობით, მოხერხებულობით ბევრსა სჯობთ, მაგრამ ერთი ვინმე მაინც გამოჩნდება თქვენი მჯობნელი.

20300. ხშირად თავს ვიმშვიდებთ, „ჩვენ რომ ასეთი ზარმაცები არ ვიყოთ“, ხომ ბევრ რასმე მივაღწევდით ცხოვრებაში და ამით თავსაც ვიწონებთ, რადგან სიზარმაცე ცოდვად არ მიგვაჩნია.

20301. ახალი მოდის მიმდინარეობის განუსჯელად მიბაძვის სიბრიყვეს საზღვარი არ აქვს.

20302. მოჭარბებული არც ურთიერთთანადგომა უქნია ღმერთს, არც სიყვარული.

20303. სირცხვილსა და ეჭვთან დაპირისპირება პატივმოყვარეობას უჭირს.

20304. ბრიყვი რომ ჭკუის ხმობას გადაწყვეტს, მაშინ იწყება გარეშეთათვის საშინელება.

20305. ცუდი ჭორი უფრო უკეთ ვრცელდება, ვიდრე – კარგი, რადგან პირველის გადამოწმებით თავს არავინ იწუხებს.

20306. ანგარებას ყველა გმობს, მაგრამ უიმისოდ ბევრი კარგი და კეთილი საქმე ვერ აღსრულდებოდა.

20307. სიძუნწესა და უნამუსობას საზღვარი არ აქვს, სიკეთის კეთებისაგან განსხვავებით, რომელსაც თავისი ზღვარი აქვს.

20308. კარგი საქმისთვის ეშმაკობა და ჩალიჩი ცოდვად არ მიიჩნევა, ყოველ შემთხვევაში, ასე გვჯერა.

20309. გამოცდილება ბევრი კარგი და საჭირო საქმის კეთებაში გვეხმარება, მაგრამ სხვებისთვის ჭკუის სწავლებას აქტიურად არ ცდილობს.

20310. ლაქიას მეორე ლაქიასთან სამსახური უფრო უჭირს, რადგან მლიქვნელობის კვოტა ორივემ ამოწურა.

20311. დაცინვაც ორნაირია: ბოროტი და კეთილი. ასე რომ, ამ უკანასკნელის წინააღმდეგი შინაგანად არავინაა.

20312. ზოგჯერ გონი სულიერებაზე აუგად ყბედობს, მაგრამ მატერიალიზმთან ურთიერთობა არ ავიწყდება.

20313. ბავშვებს რომ არჩევის უფლება ჰქონდეთ, ზოგი მათგანი თავისი მშობლის შვილობას არ ისურვებდა, იმდენად შეუთავსებელია ერთმანეთთან მათი ხასიათი და თვისებები.

წუთისოფელი

20314. ამ წუთისოფლის სპექტაკლს ვესწრებით განგების ნებით და არა მოვალეობის მოხდის გულისთვის.

20315. საკუთარი სურვილების მონა ყოველგვარ უხეირობაზე თამამად მიდის.

20316. სიბრძნე სხვის სურვილებს ანგარიშს უწევს, ოღონდ თავისი პარამეტრების გათვალისწინებით.

20317. წვრილმანები ნერვებს გვიშლის, მსხვილმანები გვაშფოთებს.

20318. ცუდი და კარგი ამბების მოხსენიებისას ცუდი მეტ ყურადღებას იპყრობს – უკეთ გვამახსოვრდება.

+20319. წინაპართა სურათების შენახვა მარადისობასთან გვაკავშირებს.

+20320. ბრძანება უსიტყვო შესრულებას მოითხოვს, მაგრამ მისი უგულებელყოფა შესაძლებელია მაშინ, თუ ეგ გმირობის ტოლფასია.

20321. მწუხარება ყოფის კანონზომიერებად უნდა აღვიქვათ.

+20322. ღალატი ჩასაფრებული ეჭვიანობის საპირისპირო ნაპირია.

20323. ნერვების აწეწვა ჩვეულებრივი ამბავია, ოღონდ არ უნდა გადავამლაშოთ.

20324. განსჯის უნარი საუკეთესო კაპრიზია. იგი სიბნელეშიც კარგად ჩანს.

20325. შეზღუდული გონების მქონეს კეთილი გული ვერ ექნება.

+20326. კარიერისკენ მიმავალ გზას ხშირად კეთილი თვისებები ისე უშლის ხელს, როგორც გზატკეცილს – ოღროჩოღრო ქვაფენილი.

20327. ცოდვილნი ყველანი ვართ. ზოგნი ვინანებთ, ზოგნი – არა, ოღონდ გამოსწორებას არცერთი არ ვაპირებთ.

20328. ნუ დააყვედრი სხვას, თუ უკვე ანგელოზთან ხარ ნაზიარები.

+20329. არაფრის კეთება დასვენების სინონიმად ვერ გამოდგება.

20330. სიტყვების რახარუხით მოჩვენებით თანაგრძნობას ისევ თანადგომის გამომხატველი ჩუმად ყოფნა სჯობს.

20331. შურს, სიმსუნაგეს, სხვისთვის ჯობნის სურვილს საზღვარი არა აქვს.

20332. წარსულის გადახედვა მონანიების სინდრომს იწვევს.

20333. განსაცდელი მით უფრო სავალალოა, თუ გონებრივ გადაგვარებას იწვევს.

20334. საშინელებაა არა სიღარიბე, არამედ ის, რომ არავის სჭირდები.

+20335. ჩვენსა და მეს შორის ძირითადი ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელს გენიალობაზე უჭირავს თვალი.

20336. საკუთარ წარსულში სასიამოვნოს მოძიება სხვებისთვის გაუგებარი დიდი ბედნიერებაა.

20337. წუწუნი ეშმაკობის აუცილებელი ატრიბუტია.

20338. საკუთარ თავს ხშირად სიმართლის თქმას ვერ ვუბედავთ, რადგან ეს სიმართლე სამართლიანია.

20339. უანგროდ ვერაფერი განვითარდებოდა საზოგადოებაში, მათ შორის, ბუნების ძალებშიც.

20340. დღეს მთავარია, მოყვასი არ ვაცდუნოთ და არცა მან გვაცდუნოს ქვეყნის საუკულმართოდ.

20341. დღეს კარგ ფოტოებს ფოტოაპარატით არ იღებენ და არც გემრიელ წვნიანს ქვაბში არ ხარშავენ. ტექნიკა ისე განვითარდა, რომ ძველმა წესებმა ჭირი მოგვჭამეს.

20342. უშედეგო ძალისხმევა რა ფერია?! პასუხი – ნაცრისფერი.

20343. უშედეგო პატიოსნება მოსაბეზრებელი და მიუღებელია.

20344. არეულ ქვეყანაში რწმენა, იდეები, იდეალები სად მიგვიყვანს და რას ჩაგვადენინებს, არავინ უწყის.

20345. ერთეულები ქმნიან ეპოქას და წყვეტენ ხალხის, ქვეყნის ბედს, იმისდა მიუხედავად, უმრავლესობა არჩევანს თავად აკეთებს თუ სხვები აკეთებინებს.

20346. სიახლეს თავისი ჯადო და მიმზიდველობა აქვს, იმისდა მიუხედავად, საჭიროა დღეს ის ჩვენთვის თუ არა.

20347. პატრიოტიზმი არ იცვლება, უბრალოდ, ასაკის მატება პიროვნების პრინციპებს დაღს ასვამს და ამ განცდასაც ობი ედება.

20348. თავს ის სჯერა, რასაც თვალი ხედავს, ყური ისმენს, ცხვირი ყნოსავს. ამიტომ აზროვნებისთვის, ეჭვის შეტანისთვის დრო თითქმის არ რჩება.

20349. დაქორწინება ხელოვნებაა და უფრო მეტ შანსს იძლევა ოჯახის შენარჩუნებისას.

20350. ხელოვნების მოწოდებაა არა იმის გამოხატვა, რასაც თავად გრძნობს, არამედ მსმენელის, მაყურებლის შინაგანი განწყობის გამომზეურება.

20351. სიკეთე წარსულით იკვებება, ხოლო მომავალს ბოროტება ჰყავს ჩასაფრებული.

20352. ზოგიერთ გარდაცვლილს იმქვეყნადაც არ ასვენებს აქ დარჩენილთა კოშმარული სიზმრები და მოჩვენებები.

20353. უცნაური სიკვდილი ხშირად შემთხვევის წყალობაა და არა განგების მიერ ცოდვილის დასჯა სხვათა ჭკუის სასწავლებლად.

20354. ამქვეყნად მრავალია ისეთი კითხვა, რომელთა სუსხიანი პასუხის ცოდნაც არა გვჭირდება.

20355. ამინდმა, მთავარია, ხვნა-თესვის საშუალება მოგვცეს, მოსავალს კი როგორმე ავიღებთ ან აგვაღებინებენ.

20356. ბევრი ბრალი გვედება, განსაკუთრებით საქმიანობის წი-

ნაშე. ეტყობა, საქმიანობასთან მწყრალადა ვართ. მაშ, ჭეშმარიტი ქართველები ვყოფილვართ.

20357. სიკვდილს არავინ უმხედრდება, მაგრამ მისი გადავადების წინააღმდეგიც არავინაა.

20358. მონანიება რწმენის თანამოზიარედ გვხდის.

20359. როდესაც მშვენიერება, სულიერება, რწმენა უფასურდება, ყოველივე ამქვეყნიური ფასსა კარგავს.

20360. სამყაროს შეცნობის მცდელობა მარადიულია და იგი ორ განტოლებას ეყრდნობა: მატერიალურსა და სულიერს.

20361. დაუგეგმავ, დაუფასებელ, დაუმახსოვრებელ უგუნურებას სიცოცხლე არ უნდა ანაცვალო.

20362. სინათლესა და სიბნელეს შესატყვისი ჩრდილები ახასიათებს.

20363. ყველა სინათლე მისთვის გასაგებ და ჩვენთვის აუხსნელ ჩრდილსა ტოვებს.

20364. რწმენა ხშირად ცოდნას უგულებელყოფს და გონიერებას არად დაგიდევს.

+20365. საუბრის ხელოვნების ერთი ხერხი მოსმენის უნარია.

20366. შიშს წინათგრძნობაც უფართოებს თვალებს.

+20367. უსაქმურობაც მიჩვევაა, თორემ სინამდვილეში მასზე მოსაბეზრებელი და ერთფეროვანი არაფერია.

20368. ავხორცობის მოთოკვას რწმენა, ლოცვა, მონანიება არ შველის, თუ იგი თანდაყოლილია და განგებამაც ასე მოიწადინა.

20369. პროგნოზი სათუო საქმეა, მაგრამ ზოგჯერ აუცილებელია.

20370. ჩვენს წინაპრებს ისტორიის ანალიზის უნარი რომ ჰქონოდათ, ბევრ ფათერაკს აიცილებდნენ.

20371. წარსულში ყოველივე განსჯილად და მშვენიერად გვეჩვენებოდა დღევანდელობის გადასახედიდან.

20372. „პანტი“ – თავისებური მოდაა, რომელიც გონიერისთვის მიუღებელია, მაგრამ, რომ გაგაცნონ და იცნობდე, აუცილებელია.

20373. ეროვნება მაშინ იქცევა ერად, თუ ის დაკარგულ ტერიტორიებს დაიბრუნებს.

20374. პატიოსანი და უცოდველი შეიძლება იყოს ის, ვინც ამქვეყნიდან ისე გადასახლდება, ცოდვებს არ აიკიდებს.

20375. როდესაც ხელისუფლება ცოდავს, ყველა ფარისეველი გამორჩენისთვის ჩალიჩობს.

20376. მართვა ადვილია, სამართლიანი და განსჯადი შედეგის მოპოვება – ძნელი.

20377. ზოგი ნერვების მოშლამდე ჭკვიანი და მოხერხებულია. ასეთს გარკვეულ დრომდე ვერ უგებენ ან არ უგებენ.

+20378. მედროვეს თავის გამოდება შეუძლია და არა თავის დადება.

20379. წუთისოფელში ყოველივეს უნდა შეეჩვიო, ოღონდ არა მის ყალბად განსჯასა და ენის უაზრო ტლიკინს.

20380. მრჩეველი და მსმენელი ურთიერთს პატივს მიაგებენ, მაგრამ ხშირად არა საქმის სასარგებლოდ.

20381. უპასუხისმგებლობა მარტო შინაგანი თავისუფლებითა და დემოკრატიის პოსტულატების სივრცის გაფართოებით არ შემოიფარგლება.

20382. დღეს ყოველივესა და ყველაფერს აზღვევენ, გარდა ქორწინების სიმტკიცისა, რადგან ის ყველაზე არასაიმედო წაგებიანი ბიზნესია. ფულის გულისათვის ფიქტიურ გაყრას უცოდველ მოხერხებულობად მიიჩნევს თითქმის ყველა.

20383. სულ დალაგებულად ჩვენმა მტერმა იაროს – სიცოცხლის არსს ვერ შევიცნობთ.

20384. არსებობს ჭკუა, სიყვარული, ფული. რომელს აირჩევ, ამას დრო და გარემო განსაზღვრავს და განსჯის.

20385. მეგობრები მიდიან და მოდიან, მაგრამ ნათესავები, მათ შორის მიტმასნილნი, მთელი ცხოვრება რჩებიან.

20386. ზოგჯერ ვარსკვლავის ისტორიის ნაფტალინიდან ამოღება გვიხდება, რათა კვლავ ნაფტალინი მოვაყაროთ.

20387. უშედეგო პატიოსნებაზე თავის დადება უაზრობაა.

20388. უიმედოდ იმქვეყნად გადასახლებაც საშინელებაა.

20389. აღსარებას იმდენად ცოდვების მოსანანიებლად არ ამბობენ, რამდენადაც სულის დასამშვიდებლად და მოვალეობის მოხდის მიზნით.

20390. სიკვდილი შეიძლება იყოს ღირსეული და უღირსი, მაგრამ არა მშვენიერი და ლამაზი. თუმცა ანჯაფარიძე ულამაზესად კვდებოდა სცენაზე.

20391. გაუკეთებელი, დაუმთავრებელი საქმე სახელს ვერ მოგვაპოვებინებს.

20392. თქმა ადვილია, მხარის დამჭერთა მოპოვება, საქმის კეთება, ხელის შემშლელთა და შურიანთა მოგერიებაა ძნელი.

20393. ბოროტების გამართლებას მყიფე ალიბით ლამობენ.

20394. ზოგჯერ ქვეყნის ლიდერის დატირებაც ამ ქვეყნის დემოკრატიისა და თავისუფლების წარმოჩენის სავიზიტო ბარათია.

20395. შერკინებამ, მოხვეჭამ და თავის წარმოჩენის სურვილმა არც უფროსუმცროსობის ინსტიტუტი იცის და არც სტუმარმასპინძლობისა.

20396. ყველა ხელმოცარულის, უნიჭოს, ვიგინდარას უმთავრესი დასაყრდენი პატრიოტიზმია, რაც განსჯით შემოწმებას არ ექვემდებარება.

20397. არის ძაფი, არის სქელი ბაწარი საქმის გამოსაძიებლად. აქ მთავარია, ვის რა აინტერესებს, რისი დანახვა თუ მიჩქმალვა სწადია.

20398. დღეს უკლიპო ვარსკვლავი იგივეა, რაც ზამთარი უთოვლოდ.

20399. პატივმოყვარეობა ხშირად საღ გადაწყვეტილებებს კვანტს უდებს.

20400. ხასიათის უქონლობა უსარგებლო ნივთად გვაქცევს.

20401. მუცლის ამოყორვა, კუჭის გაღორება ხშირად გურმანობაზე თავის დადების შედეგია.

20402. გაკიცხვა გამკიცხავს გაკიცხულზე მაღლა არ აყენებს.

20403. ყოველგვარმა თავის აშვებამ პასუხი უნდა აგოს.

20404. გასაკიცხავი, შეიძლება, ჩვენში აღმოვაჩინოთ, მაგრამ არ გამოვაჩინოთ.

20405. საკუთარი შეცდომების აღიარება ჭირს და ამიტომაცაა, რომ მისთვის მარად ალიბის ძებნაში ვართ.

20406. ცოდვების არც გადამალვა შეიძლება და არც გამომზეურება. მისი წამალია გაანალიზება.

20407. ინტელიგენციასაც უნდა ჰქონდეს რაღაც ზღვარი, მუხრუჭი: დაუღვინებელი და ცხოვრებისგან გამოუცდელი ნააზრევით ის კაცობრიობას სიკეთეს ვერ არგუნებს.

20408. როდესაც სიბინძურეს შევეჩეხებით, იძულებული ვართ, კეთილი სურვილებითა და კანონის მიჩუმათებით არ შევეპუოთ ჭუჭყს, ხელები დავიკაპიწოთ, რათა სისუფთავე დავიცვათ.

20409. ძალა ემოციების ხარჯვის შედეგად მიღებული ღირებულებაა.

20410. ზოგს რეალიზებული თავისიც კი შურს და „იმან როგორ უნდა მაჯობოსო“ მასში ბოღმას იწვევს.

20411. საოცარია, მაგრამ, ეტყობა, მომავლის ამ სამყაროში შეუძლებელი არაფერი იქნება.

20412. ნაოცნებარი სისხლისღვრასა და ქვეყნის ეკონომიკის ნგრევაში არ უნდა გადაიზარდოს.

20413. წესრიგის და კანონის მორჩილების ყველა უარმყოფელი სახელმწიფო წყობის მტერი და დუშმანია.

20414. ზოგი ფსიქიკურად დაავადებული კი არ არის, შტერია.

20415. მიმბაძველობა უცხოს გაფეტიშება და საკუთარის უგულებელყოფაა.

20416. ხშირად მორალი ქვეყნის პოლიტიკაზე, კარიერის ასარბენ კიბესა და დაფინანსებაზეა დამყარებული.

20417. საკუთარ თავზე გადაჭარბებულ ფიქრს ხშირად უბედობა და უბედურება მოაქვს.

20418. სიბერე გვაიძულებს საკუთარი სხეულის მსახურებასა და

მოყვასის მომსახურებას.

20419. მიცვალებულ-მიტოვებული იდეალები თავს ღირსებით გვახსენებენ, ყველა ნაბიჭვართან ურთიერთობისას ყურს გვიწევენ.

20420. სამყაროს საოცრებას ჩვენი გაუცნობიერებელი ფანტაზია ვერ ხვდება და იძულებული ვართ, ჩვენსავე წარმოდგენებს განტევების ვაცად ვექცეთ.

20421. საეჭვო გაკიცხვა ჭორს ფრთებს ასხამს და საფრენად ამზადებს.

20422. თავის წარმოჩენასა და სახელის დაგდებას მეტ-ნაკლებად ყველა ცდილობს, ხოლო, რად და სად გამოადგება, ამაზე რეალური წარმოდგენა არ აქვს.

20423. უმნიშვნელო დანაშაულზე თვალის დახუჭვა შესაძლებელია, თუ ვიცით, რომ დამნაშავე რეციდივისტად არ იქცევა.

20424. ცოდვილის განსჯა ადვილია, მაგრამ, თავად რომ იყო უცოდველი, გაცილებით ძნელია.

20425. თავისუფალი მორჩილება მისასალმებელია, თუ იგი ის პიროვნებაა, ვისაც უნდა დაემორჩილო და ანგარიში გაუწიო.

20426. განუსჯელი ქედმაღლობა ნაოცნებარს ვერ აღწევს.

20427. პატიოსნება არ ისწავლება, პატიოსნად იბადებიან, იღვწიან და ასევე პატიოსნად გადაბარგდებიან იმქვეყნად.

20428. უსაქმურობა, უნიათობა, უსახობა გაჭირვებას ამძლავრებს და ამძაფრებს.

20429. „ამა სოფელს“ მრავალფეროვნება ახასიათებს თავისი ხუშტურებითა და ვნებათა ღელვით და ჩვენი ვალია დროულად გონზე მოსვლა და ყოფის მორგება.

20430. „მონას“ დიდი გამჭრიახობა მართებს, რომ „პატრონი“ არ გაწიროს და თავადაც არ გაიწიროს. თუ საჭიროა, სჯობს, სიამტკბილობით დაშორდეს მას.

20431. თვითმცდელობა მეტ-ნაკლებად ყველას რაღაცას გვთავაზობს, რადგან მისი მოწოდებაა ჩვენი საუკეთესო მხარეების წინ წამოწევა.

20432. ფუფუნების და რწმენის ერთობა შეუთავსებელია. მოლაყბეა ის, ვინც ამათ ერთიანობაზე საუბრობს.

20433. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ძალა წყვეტს სამართალს, იმისდა მიუხედავად, ვინმესთვის მისაღებია ის თუ არა.

20434. ინსტინქტი, გული, სულიერება, გონიერება, ეტყობა, მაინც სხვადასხვა საშენი ნარევისგან არის შექმნილი, თორემ ისინი ასე მკვეთრად განსხვავებული არ იქნებოდა.

20435. პანაშვიდი გვამის მონახულებაა, რათა ჭირისუფლის წინაშე ვალი მოვიხადოთ და იმქვეყნად მკვდრის გადასახლებას პეწი არ დავუ-

კარგოთ.

20436. გაყრა თუ აუცილებელია, ამ საქმის მოგვარება შორს არ უნდა გადავდოთ, რადგან პროცესის გაწელვა უარესია.

20437. შეცდომით ბევრია გაჩენილი ამ ქვეყანაზე, მაგრამ ამის აღიარება და დადასტრება გვიჭირს.

20438. გარდაცვალება იმ სამყაროში ადგილის შერჩევაა და ამ სამყაროში უკვე შერჩეული ადგილის ჩაბარება.

20439. ძველი ყოველთვის რაღაცას კარგავს ახლის სასარგებლოდ.

20440. სისასტიკე სიმხდალის მშობელია, შიშის ბიძაშვილია და უგუნურების – ნათლია.

20441. ლაღად ყოფნა და გონიერების ძიება გარეგნულად სისულელესა ჰგავს, ოღონდ არა შინაგანად.

20442. სასურველია, კანონსა და კანონდამცველებთან ურთიერთობა საერთოდ არ გვქონდეს.

20443. ოცნებები აღსრულების კანდიდატებია, თუმცა უმეტესობა ადრეულ ასაკშივე იხოცება.

20444. ანაზღაურება ჩვენი ცნობიერების შესაძლებლობებთან მუდმივ ანტაგონიზმშია.

20445. სიკვდილ-სიცოცხლეს ურთიერთჩასაფრება და თავისი შეცნობის მცდელობა ახასიათებს.

20446. დაუსრულებელ განაწყენებას წყვილთა ურთიერთობაში ხშირად გაყრა მოსდევს.

20447. უაზრობას ხშირად ეწირება კეთილდღეობა, გონიერება და გაურკვეველი მომავლის იმედი.

20448. კამათში დამარცხება აზრთა შერკინებაში დამარცხებას როდი ნიშნავს.

20449. უშინაარსო, უმიზნო, უზნეო არც დემოკრატია უქნია განგებას და არც ნაჩუქარი თავისუფლება.

20450. შურისძიება დარიგებას არად დაგიდევს. ის გონიერებასთან მწყრალად არის.

20451. ცოდვის ჩადენა და დაცემულ ანგელოზად ყოფნა დღეს მოდად იქცა, რადგან დაუცემელ წმინდანად ყოფნა შესატყვის გენს მოითხოვს და ძნელია.

20452. იდეალების, რწმენისა და ღმერთების გაბიაბრუებას სიკეთე არავისთვის მოუტანია.

20453. დღეს ღირსება გამორჩენა-გამოღლეტად გადაიქცა, თანაც ნიშნის მოგებაც დასჩემდა.

20454. ხალხის გაგება ძნელია, მაგრამ უფრო ძნელია მას შენი თავი იმდაგვარად გააცნო, რომ გვერდში ამოგიდგეს.

20455. ჭორაობამ ახლობლის დანდობა არ იცის.

20456. დანაშაულის პარამეტრების დადგენა და განსჯა ძნელდება, როდესაც ყველა მიქარავს და საზოგადოებაში გონივრული ანალიზის ადგილი არ რჩება.

20457. ყველა ხელისუფლება ხალხის კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს, მაგრამ ამ დროს უმთავრესია მასის აღზრდა, დროის კაპრიზი და ხელისუფლის გონიერება.

20458. სიმართლის თქმა გამბედაობას საჭიროებს, მისი მოსმენა კი – ნიჭს.

20459. ყველა ოცნებას ასრულება არ უწერია და არც საჭიროა, თორემ, ვინ იცის, სამყარო რა დღეში აღმოჩნდებოდა.

20460. სასუფევლის დროული მოძიება მაინცადამაინც ადრე სიკვდილს კი არ ნიშნავს. აქ „დროული“, შესაძლოა, გრიგოლ ხანძთელის ასაკი – 102 წელი იყოს.

20461. ახალგაზრდა თაობა ისაა, როდესაც ხელფასისა და პენსიის აღების დღეზე არა ფიქრობ და გატაცებული ხარ საკუთარი საქმით.

20462. სიკვდილი თავისი სილამაზით, გარდაუვალობით, მარადიულობით მისთვის გასაგებ ცნობიერებას ებღაუჭება.

20463. სამყარო ჩვენს თვალში იხატება მისი შემფასებლის მიერ მოძიებული ფერებით.

20464. უნდა ვეცადოთ, სამყაროს ყველა ასაკში თავი დავამახსოვროთ თვითდამკვიდრებით.

20465. საიდუმლოს გამჟღავნებისას დრამატული პაუზების ჩართვა მსმენელს აჯადოებს.

20466. საქმის დაწყებაზე უფრო მეტად პასუხს იმას სთხოვენ, ვინც საქმე არ დაამთავრა. არც დაწყების, არც დასრულების მიზეზს კი არავინ დაეძებს.

20467. ყველა საუკუნე საკუთარ დავით აღმაშენებელსა და გიორგი ბრწყინვალეს ბადებს, მაგრამ მათი მიგნება, შემჩნევა და ქვეყნის სათავეში მოყვანა ჭირს.

20468. წარსულის მოწმე ახალი ცხოვრება აზრს კარგავს, თუ ძველს არ აჯობა.

20469. მატერიალური სამყარო არასამართლიანია, მაგრამ მას მართვის ახალი ფორმების შექმნით თანამედროვე კანონიერება უპირისპირდება.

20470. წინაპართა ნასუფრალით მაშინ უფრო მეტად ვტრაბახობთ, როდესაც აწმყო უსახურია და ვერავითარი სახეიროსთვის ხელი ვერ შეგვივლია.

20471. ერთისა და იმავეს განმეორება აზროვნების ლესვას მოითხოვს, რათა კვლავ მოგვისმინონ.

20472. მარტოობის უკუსაგდებად ყოველთვის ცოლის მოყვანა არ

გამოდგება, რადგან მიჩვეულის გადარჩევა ასე ადვილი არაა და არც ცოლი იქნება თანახმა, რომ „მარტოობის დღესასწაულზე“ ყოველთვის შენს ჭკუაზე იჯირითო.

20473. სიკვდილი იმდენად საშიში არაა, რამდენადაც მისკენ მიმავალ პროცედურათა გაჭიანურება.

20474. ქმედების, მხედველობის, ენისა და სმენის თავის ნებაზე მიშვება დანაშაულია.

20475. შეხვედრა, რომელიც რასმე ღირსშესანიშნავს გვიტოვებს ან სიყვარულით გვასაჩუქრებს, სამუდამოდ რჩება ჩვენს მეხსიერებაში.

20476. უგუნურების საწყის ეტაპზე აღსრულებული ყველა სასჯელი გაუგებარია, რადგან გონიერებას განსჯა-მსჯელობისკენ აქვს მიდრეკილება და ის მისი მარადიული ოპონენტი იქნება.

20477. სიკეთის კეთება დიდი სიამოვნებაა, მაგრამ არა ყველა უჯიშოსა და უჯილაგოსათვის.

20478. სახელოვანი მიცვალებულები ჩვენში ჩვენივ ნებით ცოცხლობენ.

20479. ზოგჯერ საქმე იმაზე ცუდადაა, ვიდრე ჩვენი დილეტანტიზმი პიარის გულისთვის ყბედობდა და ვერც წარმოგვედგინა.

20480. არჩევანის წინაშე დგომა ყოველთვის ძნელია, ვინ იცის, როგორ გაგიმართლებს ანდა არ გაგიმართლებს.

20481. გონიერება თეორიულად როგორც არ უნდა წაეხმაროს უგუნურებას, ის პრაქტიკულად არ შეიცვლება.

20482. ვეცადოთ, სიცოცხლის ბოლოს საკუთარ თავთან ღირსებით მისასვლელი თუ არა, უმტკივნეულოდ მისასვლელი გზა მაინც დავიტოვოთ.

20483. წინათ რომში წვერს ფილოსოფოსები და გენიოსები ატარებდნენ თავიანთი სტატუსის წარმოსაჩენად. დღეს ყველა მოდასაყოლილი ატარებს, იმისდა მიუხედავად, რომ გენიალობაზე პრეტენზია არ აქვთ.

20484. ამერიკის აღმოჩენის შემდგომ კოლუმბი რამდენიმე ხნით ციხეში ჩასვეს – თაღლითობისთვის. მან ხომ ინდოეთის გზის ნაცვლად გზა ამერიკისკენ გაიკვლია. ასე რომ, „სიბერემდე სიქაჩლეს მოელოდეთ“ ტყუილად როდი უთქვამს ჩვენს წინაპარს.

20485. ადრე თუ გვიან ყველა ჩვენ-ჩვენ ნავსაყუდელს მივაკითხავთ, რათა განვლილი ცხოვრებით დავტკბეთ და სიცოცხლეს გემო გავუფცქვნათ.

20486. ყველა რაღაცის პრივატიზაციას, მისაკუთრებას ცდილობს, რადგან დღეს საბუთს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სიტყვასა და ნდობის ინსტიტუტს.

20487. ბუნებას თავისი ყოველთვის გააქვს, მისი გაუგებარი ხელ-

გაშლილობის მიუხედავად.

20488. სახელგატეხილი, სახელშერცხვენილი, სახელგაბახებული – მაგრამ ცხოვრებას მაინც აგრძელებს იმიტომ, რომ სიცოცხლე ტკბილია.

20489. მარტოობასაც თავისი შემფასებელ-დამფასებელი სჭირდება, რომ შეეჩვიოს და გაითავისოს.

20490. რეკლამა ტვინს გვირევს, ცოტათი გვატყუებს, მაგრამ უიმისოდ ცხოვრება დღეს წარმოუდგენელია, რადგან ახალი ინფორმაციის მიღების წადილი ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი.

20491. თვალყური, მიყურადება ყველას სჭირდება: შინაურს – ხელი რომ არ წაუცდეს, გარეულს – ხელი რომ ზედმეტად არ გამოიღოს.

20492. ყოფნა-არყოფნა მარად საფიქრალი, საკითხავი და განუსჯელი დარჩება ამქვეყნად.

20493. ატომური ბომბის ძალამ და მისი გავრცელების საშიშროებამ სამყარო მესამე მსოფლიო ომს გადაარჩინა.

20494. განგება დირიჟორობს პლანეტათა გადაადგილებას თუ პირიქითაა, არავინ უწყის.

20495. ვალუტის შოვნის წადილმა ყველა სახის პატრიოტიზმს დედა უტირა.

20496. შემოდგომაზე მისაღებს გაზაფხულზე არ ითვლიან, უბრალოდ, ვარიანტებს გეგმავენ.

20497. პატივის მიგებასა და პატივის დაყრას შორის კარდინალური სხვაობაა.

20498. მძებნელსა და ძებნილს დიდი სურვილი აქვთ ურთიერთშეხვედრის: პირველს – ამქვეყნად, მეორეს – იმქვეყნად, რათა სასჯელს ხანდაზმულობის გამო ვადა გაუვიდეს.

20499. გადამდები დაავადებანი მოდის შესატყვისად ზნესა და სახეს იცვლიან: ხან ქათმის გრიპად გვევლინებიან, ხან – ღორისად და ჩვენ წინაშე თავს იწონებენ, ხოლო ექიმებს დამატებით საქმეს უჩენენ.

20500. უღონო ერი ერად არ ჩაითვლება, რადგან მარად ღონის მოკრეფაშია.

20501. ჰოროსკოპის მოდა კიდევ ერთხელ იმაზე მიგვითითებს, რომ სამყარო შეუცნობია.

20502. მოკრძალების დაკარგვა მის სამუდამო დასამარებას როდი ნიშნავს.

20503. მწყრები თავში ყველას გვიზის, მაგრამ მათი თავიდან გამოყვანა არარეკომენდებულია, უხალისოდ დავრჩებით.

20504. სასაცილომდე ნაბიჯებს არ ითვლიან, სიდიადემდე – დიახაც.

20505. დამარცხებული არც მტერი უქნია ღმერთს სამეგობროდ და

არცა მოყვარე.

20506. ამ ქვეყნიდან ცოდვების ჩაუდენლად წასვლა საცოდაობაა, გონების შესაჯერებელი არაფერი მიგაქვს.

20507. სარწმუნოებები თავიანთი ტრადიციებით, ბზიკებით, მოწოდებებით, აზრებით დროის სხვადასხვა მონაკვეთში მოდიან და მკვიდრდებიან ხალხთა ცნობიერებაში მათი გარკვეული ინტერესების შესაბამისად, იმის ცოდნის მიუხედავად, რომ ღმერთი ერთია ქვეყანაზედა.

20508. ვცხოვრობთ, ვარსებობთ, ვიღვწით იმისათვის, რომ შემდგომ აღარ ვიარსებოთ, მაგრამ მაინც ვცდილობთ, ვიღაცას თავი დავამახსოვროთ. სხვა რაღა შეგვიძლია?!

20509. სიცოცხლის სურვილი ჯოჯოხეთური ძალით ასკდება სამყაროს უკულმართობას და გარკვეული დროით მისი მკვიდრნი ვხდებით.

20510. უგუნურებას ცაში აფრენა არ შველის, რადგან ის ფრენისთვის არაა დაბადებული.

20511. არ უნდა შეგვეშინდეს, თუ ზოგჯერ ბოლოში აღმოვჩნდებით. შეიძლება, ეს განგების ნება და ჩვენი მომავალი წარმატებების სტარტზე დგომაა.

20512. ბევრი ფიქრი ხშირად პროცესისა და შედეგისთვის საზიანოა.

20513. ეჭვი უნდა გვაკონტროლებდეს, მაგრამ რეალობაში უნდა ვერკვეოდეთ და მას ვეყრდნობოდეთ.

20514. ნაძირალები ერთი ცომისგან არიან მოზელილნი, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ღუმელში ცხვებიან.

20515. ამბის გახმაურებას მაშინ აქვს ფასი, თუ ის ხულიგნობასა და უხამსობაში არ გადაიზრდება.

20516. რა წარმატებასაც უნდა მივაღწიოთ ცხოვრებაში, მისი საწყისი ჩვენს მშობლებთან, აღმზრდელებსა და დამსაქმებლებთან მიდის. ეს მადლი უნდა გვახსოვდეს და იგი ღალატს, უმადურებას არ იმსახურებს.

20517. გამარჯვებას, წარმატებას მაშინ აქვს ფასი, თუ ის შინაგანად გვაკმაყოფილებს და ზეიმის ხასიათზე გვაყენებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამარჯვება ლაყეა.

20518. დამსახურებული სილის გაწნა ალიყურის მიმღებს თავიდან ბევრ უსიამოვნებას აშორებს.

20519. სუიციდი ეგოიზმის გამოვლინებაა.

20520. სიცრუე თავისი თეორიებით გვევლინება და თავსაც გვაწონებს.

20521. ათეიზმი სამყაროს ამაოებაზე მხოლოდ მაშინ ფიქრდება, როდესაც თვითმფრინავში უცნაური რყევები იწყება და მგზავრთა სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

20522. გაჭირვება სხვა გაჭირვებულს ამხნევებს და საკუთარ თავს იმედს უსახავს.

20523. მოყვარეს ჩვენ ვირჩევთ, მაგრამ ზოგჯერ მტერიც აგვეწეპება მოყვასის სტატუსით თავისი დაგეგმილი მიზნების განსახორციელებლად.

20524. ზოგჯერ კრიმინალისტებს ისე უტყუარი მტკიცებულებანი აქვთ ეჭვმიტანილზე, დამნაშავეც რომ არ იყოს, უნდა დაეთანხმოს. არადა, ეჭვმიტანილი მუხთალ ბედს ასეც არ უნდა გაეწირა.

20525. ტრაგედია სამართლიანობის მარად დაუდგენლობა და მუდამ მისი ძიებაა.

20526. იუბილეს გადახდას უნდა ვერიდოთ, რათა ღმერთს ზედმეტად არ შევახსენოთ ჩვენი ასაკის მატება და იმქვეყნად გადასაბარგებლად მზადყოფნა.

+20527. იძულებითი შრომა, მათ შორის შენთვის სასარგებლო, პერსპექტივის შეუცნობლად წამებაა, სანამდის მის მადლს მოიმკიდე.

20528. წვრილმანებზე კინკლაობა უსაქმურობის შედეგია.

20529. სხვებზე ზრუნვა ხშირად ეჭვს იწვევს შინაურებში, რადგან დაუდგენლად ეჩვენებათ, თუ უფრო მეტად ვინ გიყვართ.

20530. ნგრევა, შენარჩუნება, აღმშენებლობა ერთმანეთის შემავსებელი ელემენტებია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ-ერთის გარეშე სიცოცხლე, განვითარება შეუძლებელი გახდებოდა.

20531. აუხდენელ ოცნებებს ჩვეულებრივ მოკვდავთა ცნობიერების აჯაფსანდალი მატებს პეწს.

20532. მომავლის ვალი სიამოვნებათა შეწირვას ითხოვს, ასევე მოვალეობა-კაცობის შენარჩუნებას.

20533. ვისაც ვაზის მოვლა, ყურძნის კრეფა, ღვინის დაყენება უბრალო საქმედ მიაჩნია, მას ღვინო არ უნდა დავალევინოთ, რადგან მის მადლს ვერ შეიცნობს.

20534. სიკვდილისთვის თვალებში ჩახედვას არავის ვუსურვებთ, მაგრამ სამუდამოდ დასამახსოვრებელი კია.

20535. ჩვენი ოცნების უცნაური მიზანია მოგზაურობა როგორც ამქვეყნად, ისე იმქვეყნად.

20536. გაწიწმატებას, გაბრაზებას თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს და თავისი ავან-ჩავანიც უნდა ჰყავდეს, რათა უდანაშაულოს არ ავნოს.

20537. ღვთის ცრემლი ბრილიანტია, მინერალი მეფეა, ოქროს კი მეფისწულობა უნდა ვუბოძოთ, ვინ იცის, ვის როდის და სად დაგვჭირდეს.

20538. გლობალიზაციამ და ტექნიკურმა პროგრესმა მანძილი ქვეყნებსა და ჩვენს ცნობიერებას შორის ძალზე შეამცირა.

20539. თუ ფათერაკი მარად თან დაგვდევს, და საშუალება გვე-

ძლევა შევეჭიდოთ, – მას თავს დროულად დავაღწევთ.

20540. ეტყობა, დედამიწის ქერქში სამყაროს ტვინის გარკვეული ნაწილი დევს, სხვანაირად ის ვერ შექმნიდა სამყაროს განვითარების დაუწერელ კანონებს.

20541. მშვიდობის შენარჩუნებას დიპლომატია სჭირდება და არა უაზრო, ამბიციური სამშვიდობო პროპაგანდა.

20542. რა ქვეყანაშიც მიხვალ, იმ ქვეყნის ქალამნები უნდა ამოიცვა და ისე იცხოვრო.

20543. ვინ იცის, რა სახის წარღვნას შემოგვთავაზებს სამყარო. იქნება, ნოეს კიდობანიც სანატრელი გაგვიხდეს.

20544. ისეთი დროც დადგება, რომ საწვავზე მეტ ფულს სასმელი წყალი იშოვის.

20545. უზნეობას არაფერი შველის, სიკვდილის შიშის გარდა.

20546. მსოფლიო რატომღაც ხელოვნურად გათავხედებულ დოლარს ემორჩილება, რომელიც პასუხს არაფერზე აგებს და არაფრითაა უზრუნველყოფილი, თანაც ყოველწლიურად მილიარდობით მრავლდება.

20547. ამაგის ამოღებას მეტ-ნაკლებად ყველა ცდილობს.

20548. ურთიერთნდობაზე დამყარებული ნათესაური კავშირი ყურადღებას გიდუნებს და ხშირად შედეგიც სავალალოა.

20549. სიკეთის მქმნელს, მართალია, არ აგინებენ, მაგრამ უბღვერენ და რატომ, თავადაც ვერ გარკვეულან.

20550. ხშირად ჩვენი წარმატების პიკზე მოხვედრა შემთხვევით გაცნობილ ადამიანსა და ბედის დროულ შეხმიანებაზეა დამოკიდებული.

20551. წურბელას ცუდად მოიხსენიებენ, მაგრამ ის ამას არ იმსახურებს, რადგან ცუდ სისხლსა გვწოვს და სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს. ამრიგად, ერთის შეხედვით ცუდი ყოველთვის ცუდი არ არის.

20552. აკრძალვების აკრძალვა ხშირად გაუმართლებელ აგრესიას იწვევს.

20553. ყველა საუკუნეში დროდადრო რკინისებური წესრიგის მიზანშეწონილად დამყარება ხდებოდა.

20554. გაჭირვების ჟამს პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენას შეძლებისამებრ ყველა ცდილობს, იმისდა მიუხედავად, ამას გონის მოხმობით ცდილობს თუ უიმისოდ.

20555. მწუხარებას ვერც ვერავის გადავუნაწილებთ და ვერც ვერავის გავატანთ. ის ჩვენვე უნდა ვზიდოთ.

20556. უგუნურის არც წამლიქვნელება გინდოდეს და არც მისი დანახვა.

20557. სიკეთის ან ბოროტების მხარეზე დგომაც კი გარკვეული რისკია.

20558. განაწყენებულს არც ფეხი უნდა დავუდოთ და არც ფეხზე

დავაბიჯოთ – აქაც სინდისის ქონაა საჭირო.

20559. გაუფრთხილებლობასა და უყურადღებობას ბოლოს თავზე ნაცრის დაყრა არ შველის. უკეთესი იქნებოდა, თავიდანვე სიფხიზლე გამოგვეჩინა.

20560. ჩვენდა უნებლიეთ იმას ვიმსახურებთ, რაც ზენამ გვიბოძა, თუმც კი ჩვენს გემოზე ყოფნისა და სილაღის ადგილი არ დაგვიტოვა.

20561. უგუნურება და რწმენა ზოგჯერ იმ ზომით თავხედდებიან, სამყაროს მართვას ლამობენ.

20562. ჩემი უპირატესობა სხვებთან მიმართებით ისაა, რომ შემიძლია ბევრ რამეზე ვთქვა, არ ვიცი და თავი შერცხვენილად არ ვიგრძნო.

20563. ფასიან სიახლეს უმეტესობა გაურბის, მაგრამ მისი მუქთად ათვისების წინააღმდეგი არავინაა.

20564. სახელმწიფოს – „ქერის ორმოსა და სათლელ დუმას“ – ასი ათასი თვალი უყურებს.

20565. არც დაუმაჭრებელი პატრიოტიზმი უქნია ღმერთს და არც დამაჭრებული. არადა დაღვინება-დაბრძენება ნიჭსა და დიდ დროს მოითხოვს.

20566. თავქარიანობა არავითარ მუხრუჭს არ ცნობს.

20567. განგებას წყალობას ყველა სთხოვს, თუნდაც კრედიტად, მაგრამ სესხის ჩასესხებას ძალზე ცოტა ვინმე თუ ცდილობს.

20568. მიწა-წყლის ძალებმა ერთმანეთს უნდა გაუგონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივენი აღიგვებიან ამ სამყაროდან.

20569. მოწყენილობას ყოფიერება ანგარიშს ვერ უწევს.

20570. ამქვეყნად ყოველივე წარმავალია, გარდა სიცოცხლის მადლის შეცნობისა.

20571. ყოფის წინჭვრეტა ისეთ სარგებელს გვპირდება, რაზედაც ადრე არც გვიფიქრია.

20572. გონებაგადატრიალებულნი ქარიშხალს ითხოვენ, რადგან ჰგონიათ: იმ დროს უკეთ გაუგებენ და მოერგებიან.

20573. სიზარმაცესა და მარად დროსტარებაზე ფიქრს კეთილდღეობა და დოვლათი არ მოაქვს.

20574. ყველა საზღვრის დარღვევა დანაშაულია, გარდა კოსმიურისა.

20575. სიკვდილის წინაშე ყველა თავს ხრის, რა დამსახურებითაც არ უნდა მივიდნენ ამ გარდაუვალობასთან.

20576. საკუთარ თავში ყოველდღე პოზიტივის დანახვა საკუთარი პოზიციების დათმობის ტოლფასია.

20577. გაღიზიანებისას თავს უნდა შევუძახოთ, ხოლო განრისხებისას კონტროლი დავუწესოთ, რათა არც სხვას ვავნოთ, არც – საკუთარ

თავს.

20578. ხიბლი ხშირად მატყუარაა, მაგრამ მისი აღქმა, შემჩნევა სულს ახალისებს.

20579. დღეს ოქროს ფასი გაცილებით სტაბილურია, ვიდრე სიტყვის, სათნოების, ოცნებისა.

20580. ზოგჯერ საკუთარ თავზე ზრუნვით სხვასაც აიძულებთ, შენი შეშურდეს და შენს კაპრიზებს ანგარიში გაუწიოს.

20581. ტრადიციებიც მოსაწყენია, მაგრამ შეჩვევა იცის.

20582. სულიერად ლამაზად დაბერება დღეს მოდაში აღარაა. ამას სახის მიკროქირურგია არ დაუშვებს.

20583. პატივმოყვარეობა მისასალმებელი არ არის, მაგრამ უიმისოდ შეუძლებელია პიროვნების წარმოჩენა და სათანადოდ აღქმა.

20584. პატიოსნებას ზედამხედველი და კონტროლი არა სჭირდება.

20585. ჩვენს ახალგაზრდობაში დასვენება სექსუალური აქტიობის გამოვლენა და მასში ენერგიის დაბანდება იყო.

20586. კეთილი სურვილები, პატრიოტული შეძახილები სისულელის კეთებას არ შეგვაწყვეტინებს, თუ ერი წარსულის ისტორიის შედეგებსა და თავის გენეტიკას არ გაითვალისწინებს.

20587. როდესაც ზურგში გესვრიან, ეს ომია, და ამ ნაძირალებს გამართლება არ აქვთ.

20588. დაწყევლილ ნიჭს ბედნიერება არ მოქვს.

20589. ბოროტებას ერთი განზომილება არ აქვს, რადგან, რას მოიმოქმედებს, თავადაც არ უწყის.

20590. მომავალშიც შთამომავლობის კვლავწარმოებას მიენიჭება უპირატესობა, ვიდრე ფუფუნებისკენ უსაზღვრო ლტოლვას, რადგან საზოგადოება, ერი ფიზიკური გაქრობის საფრთხის წინაშე დადგება.

20591. ბოროტება ყველას გასვრასა და თავის ჭკუაზე ტარებას ცდილობს.

20592. ენამ ბუნებრიობა სლენგის გამო არ უნდა დაკარგოს, თორემ ხალხისთვის მიუღებული გახდება.

20593. ზოგჯერ სიკეთის დასაცავად მუშტის შემართვაა საჭირო.

20594. თავისუფლების დაკარგვა ადვილია. მისი უკან მიღება და ხელახლა სასიკეთოდ მომართვაა ძნელი.

20595. გიჟი საზოგადოებაშია თავისუფალი და არა საგიჟეთში, სადაც მას მკურნალობენ, ზოგჯერ დამაშოშმინებელ ტომარასაც აცმევენ.

20596. ცბიერება ადრე თუ გვიან უნებლიეთ მჟღავნდება და მას ვერავითარი სიფრთხილე ვერ შველის.

20597. მხოლოდ იმისი უნდა გვეშინოდეს, რომ საფლავში მტრებზე ადრე არ აღმოვჩნდეთ.

20598. გენიოსებს სიცოცხლეში ძეგლებს არ უდგამენ, მაგრამ, სამ-

წუხაროდ, უუნარო შთამომავალი ამას ვერც მათი სიკვდილის შემდგომ ახერხებს.

20599. ყოველი უეცარი სიკვდილი ვიღაცის გულგრილობის შედეგია.

20600. უმთავრესის კეთება არ ნიშნავს შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოვლენას.

20601. ათეიზმის ნგრევა ფანტიზმს იწვევს და ესეც თავისებური დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

20602. გადამეტებული სიამაყე თვითგანადგურების ტოლფასია.

20603. ზოგჯერ ჰორმონები ძალზე ცუდად იქცევიან და აქ ხშირად პარტნიორის ჰორმონებთან შეუთავსებლობაა დამნაშავე.

20604. წინაპრებს საქმე რომ საგინებლად არ გაეხადათ, ფლორისა და ფაუნის იშვიათი წარმომადგენლები არ უნდა მოესპოთ.

20605. ზოგს მტრების შეძენის უნარი აქვს, იმდენად გაუცნობიერებელი ხასიათით დაუსჯია უფალს.

20606. წარსულის დავიწყება ყოველთვის როდია ხელსაყრელი და სასურველი.

20607. ყოველდღიურობა ბევრია, დღესასწაული – ცოტა. ამიტომაცაა, რომ მას მიწყივ დავეძებთ.

20608. დაუსრულებელი წარმატებები დაუსრულებელ შერკინებებს მოითხოვს.

20609. ზოგი სიმყუდროვისთვის არის დაბადებული, მაგრამ მოდასაა აყოლილი და ხმაურიან ქალაქში ცხოვრობს.

20610. შიმშილი ყველა ხელისუფალზე დიდი და განუსჯელი დიქტატორია.

20611. თაღლითი შორიდანვე ყარს.

20612. ყოველგვარი უარყოფა ეჭვის ბაზისზეა დამყარებული.

20613. გველს რატომ მოიხსენიებენ ჭკვიანის ეპითეტით, ჩემთვის დღესაც გაუგებარია: ალბათ, გველის შხამი აიძულებს ზოგიერთ გულბოროტს, მას საკმეველი უკმიოს.

20614. ღარიბი, უძლური, ობოლი მხოლოდ ზღაპრებშია იმედით დაჯილდოებული, გამარჯვებული და ბედნიერი.

20615. დაგვიანებას არ ექვემდებარება: მიცვალებულის დაკრძალვა, სტუმრის პატივისცემა, მოწიფული ქალ-ვაჟის დაოჯახება.

20616. უაზრო სიმამაცესა და თავის გამოდებას ზიანი მეტი მოაქვს, ვიდრე სიკეთე.

20617. სიკეთის სახით შეთხზული ტყუილიც ტყუილია.

20618. სიჯიუტე ბოროტების ხელის შემწყობი ალგორითმია.

20619. უგუნურს, უგვანოს სახეიროს ვერას გააგონებ და გააგებინებ, უბრალოდ ასეთია მისი ბუნება.

20620. გულახდილობა ხშირად წინადახედულებას ვერ იჩენს.

20621. სიკვდილი – ეს არის ცნობიერების გადასვლა ყოფიერების ჩვენთვის გაუგებარ ფორმაში.

20622. ყველაზე დიდი ბრძოლა მშვიდობის მოპოვება-შენარჩუნებას სჭირდება, რადგან ის სათუთი განზომილებაა დროის, გარემოს და ურთიერთგაგების გამოისობით.

20623. ყველა რეგვენი სამყაროსა და შთამომავლობას თავის უსაფუძვლო პრეტენზიებს უყენებს.

20624. საზიანოა ის სიბრმავე, რომელსაც რეალობის წინაშე თვალის გახელა არ სურს.

20625. სიცოცხლე მოქმედებაა.

20626. დაკარგული თაობები ყველა საუკუნის მოუშუშებელი ჭირია.

20627. თავმდაბლობა, მორცხვობა ბადებს სიღარიბეს, მიუხედავად მათი გარეგნული ხიბლისა.

20628. წინასწარ არვინ იცის, ვის გადაეყრები ან რა გმირობას ჩაიდენ, მაგრამ ამისათვის შინაგანად და ფიზიკურად მზად უნდა იყო.

20629. ზოგჯერ გარდაცვლილები ცოცხლებზე მეტად ყვირიან და იცინიან.

20630. სიკვდილის ფეხებზე დაკიდებაც გმირობაა. ვინც შედეგზე ფიქრობს, ის მხდალიაო.

20631. ხსოვნის წიგნის დაწერა-დატოვება ყველა ჩვენგანის გონივრული ვალია.

20632. სარკეში ჩახედვით ვერა, მაგრამ ფოტოსურათით დიახაც შეგვიძლია აღვიქვათ საკუთარი თავის მარადისობა.

20633. უკუნშიც შეიძლება ნათლის პოვნა, თუ ბუნებით კეთილ პიროვნებად ხარ დაბადებული.

20634. სხვათა უბედურებას ძალზე ფილოსოფიურად ვუყურებთ, თუმცა თანაგრძნობის გამოხატვა არ გვავიწყდება.

20635. უსაქმურობით, სიჩუმით, მლიქვნელობით ვერც ჯანმრთელობას შეინარჩუნებ, ვერც ხმას დაამუშავებ, ვერც თანამდებობას გამოჰკრავ ხელს; ისევ სჯობს, როგორც გიცხოვრია, ისე იცხოვრო.

20636. ვეცადოთ, წუთისოფლის წისქვილის მიერ დაფქვილი ქატო წარსულში დავტოვოთ: „ქატო იქა“.

20637. სისხლის ყივილის ბედნიერება ის არის, რომ დროდადრო თავს გვახსენებს.

20638. მოწინააღმდეგისთვის შენი სიძლიერის ჩვენება აუცილებელია, მხოლოდ ამის შემდგომაა შესაძლებელი მშვიდობაზე ლაპარაკი.

20639. ქვეყნის, ერის სამსახური ეგოიზმს ვერ იტანს, ხოლო მისი პოლიტიკა – სპეკულაციას და სამაგიეროს გადახდის მცდელობას.

20640. სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ჩვენთვის ამოუხსნელი მარადიული კავშირია.

20641. იმქვეყნად გადაბარგება, თუ დამიჯერებთ, საჩქარო არასოდესაა.

20642. გარდაუვალი და მოურჩენელი ავადმყოფობა სიბერეა, რომლის მკურნალობასაც ყველა შეძლებისდაგვარად ცდილობს, ოღონდ – ამაოდ.

20643. სიბერე შეიძლება არ გიყვარდეს, მაგრამ მისთვის პატივის მიგება აუცილებელია.

20644. ჩინის, ნდობისა და ხალხის სიყვარულის დამსახურება ძნელია, მაგრამ დაკარგვა ადვილია.

20645. ხშირად უბოროტო იძულებითი პროტექცია იმის ბრალია, რომ ყველა თანამდებობის პირი უპატრონო ბავშვთა სახლში არ არის აღზრდილი.

20646. ყველა ჩვენგანი მეტ-ნაკლებად მონაა თავისი დროის, გარემოსი და სისტემისა, სადაც ცხოვრება, მოღვაწეობა და ფულის შოვნა უხდება.

20647. ზოგჯერ სიცილ-ტირილი ძმებია, ზოგჯერ დაუნდობელი მტრები.

20648. ზოგჯერ საკუთარი თავიც მოგვწონს, მაგრამ ეს სინანულს არ უნდა იწვევდეს.

20649. წარსულით მაშინ ტრაბახობენ, როცა სამომავალო პერსპექტივა დაკარგული აქვთ.

20650. ხასიათით ვიბადებით, გულით ვჯირითობთ, სულიერად თანდათან ვირყვნებით და ესაა ამქვეყნად ჩვენი ყოფის ანბანი.

20651. ყველამ თავისი წილი აპლოდისმენტები და დაფასება დროულად უნდა მოიმკოს და მოსამკელ-დასათესი მომდევნო თაობებს დაუტოვოს, საფრენი გზა დაუთმოს. ასეთია ბუნების, განგების კანონი, ნება და გარდაუვალობა.

20652. აღსრულებული ოცნებები და შესაძლებელ საქმეთა კეთება ხშირად სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს.

20653. სინამდვილეში ყველაზე მეტად ხალხზე გლეხები და ფერმერები ზრუნავენ, მაგრამ მათ სათანადოდ არ აფასებენ, ზოგჯერ კი თავსაც არ უყადრებენ. არადა, ფერმერს რომ ეზარმაცა ან კლიმატს ეხიმანკლა, მაშინ ვნახავდით, ვინ ვისი დასაყვედრებელი დარჩებოდა.

20654. ზოგჯერ ყოველივეს ისე ვეჩვევით, რომ, თუ ვნებამ არ შეგვიჩიჩხინა, პროტესტის გრძნობა არ გვეუფლება.

20655. თუ შენი არ შურთ, ე.ი. არც გიცხოვრია.

20656. ყოფიერების საკუთარი აკადემია ყველამ სხვათა დაუხმარებლად უნდა დავამთავროთ.

20657. სწორად ნატარები სინდისი და ცხოვრების წლები არასოდეს შეარცხვენს პატრონს.

20658. კარგი არასოდეს მთავრდება, ის უსასრულოა.

20659. დარდი და ოცნება ყველაზე მეტად უგებენ ერთმანეთს, მიუხედავად მათი ბუნება-გუნების სხვადასხაობისა.

20660. ბევრი თავის ჭკუას შოვნა-გამდიდრებას ახმარს, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ თავისი შემართება სიკეთესა და ქვეყნის ძლიერებას უნდა მოახმაროს.

20661. ზოგჯერ იმის გაკეთებაც გვიწევს, რაზეც წინასწარ არ გვიფიქრია და, შედეგის მიუხედავად, თავს მაინც უხერხულად ვგრძნობთ.

20662. ნახევრად გაწბილებულნი მივდივართ ამ ქვეყნიდან, რადგან ოცნებათა უმეტესობა ვერ ავიხდინეთ.

20663. ღირებულებათა დაუმკვიდრებლად სულიერებაც ირყვნება, საზოგადოებაც, სახელმწიფოებრიობაც.

20664. ერის უმთავრესი დანიშნულებაა გამრავლება, რაც შეეხება თავისუფლებას, დემოკრატიას, ისინი ტექნიკური პროგრესის შემოჭრასთან ერთად მოდიან და მათ გზას ვერავინ გადაუღობავს.

20665. ახალ მიღებულ ბინებში ყველა მეზობელი ერთნაირად ხმაურობს, რადგან ყველა ბინის გადაკეთება-რემონტითაა დაკავებული.

20666. ზოგჯერ ისე საინტერესო და სადავიდარაბო საქმის კეთება გვიწევს, რომ ნერვიულობასაც ვერ ვასწრებთ და ყოველივე ეს ხშირად სასიკეთოდ მთავრდება.

20667. ზოგჯერ რომანტიკა ჩვენდა შეუმჩნევლად სიცოცხლის ფაქტორია და გარკვეულ მომენტში უცილობელიც გვეჩვენება.

20668. ზოგს უიღბლობა შუბლზე აწერია, იმის მიუხედავად, ყოფის რა გამონათებაც არ უნდა უწყობდეს ხელს.

20669. უემოციოდ გატარებული წლები დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

20670. უბედური მისდა უნებლიეთ უბედურის გულითადი მეგობარი ხდება.

20671. დღეს ერთგულება და თანადგომა გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე წარსულში ღირდა, რადგან ისინიც სულიერების დევალვაციას განიცდიან.

20672. ტექნიკური პროგრესის სასწაულები დღეს ჩამორჩენილ ქვეყნებშიც აღარ უკვირთ და ეს კიდევ უფრო დიდი სასწაულია, რადგან კომფორტი და ფუფუნება ფიქრსა და განსჯას არ ითხოვს.

20673. სხვისი უბედურება საკუთარ განცდად უნდა მივიღოთ, რათა ის ჩვენც არ გვეწვიოს.

20674. მადლიერება არასოდეს ისე არ ფასდება, როგორც უნდა ფასდებოდეს.

20675. ზოგჯერ გაჭირვების მიზეზი მეტისმეტად პატიოსანი ცხოვრებაცაა. სწორედ ამაზეა ნათქვამი: „მეტისმეტი ბრეტისბრეტიო“.

20676. ზოგი ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი მიდის, ზოგი კი ჯიშსა და და ჯილაგს გვიმრავლებს.

20677. სხვათა უბედურების დაფიქსირება არ კმარა. ის უნდა გავიაზროთ, დავეხმაროთ, რათა რეციდივი არ განმეორდეს, ანდა შევამციროთ მაინც.

20678. იშვიათობაა ის თილისმა, რომელიც თავს მარად გვახსენებს.

20679. ხანგრძლივი განშორება ზოგჯერ ხშირ შეხვედრათა დასაწყისია.

20680. სამწუხაროდ, ახალს თავიდან ყველა ეჭვის თვალით უყურებს, რადგან თავის ზედმეტად შეწუხება არავის უნდა.

20681. საჭირო ხალხს ხშირად თავისი საიდუმლო საფლავში მიაქვს, რათა უმადურობასა და აზრის დაუფასებლობას ბიშტი უჩვენოს.

20682. უმიზეზოდ ზურგის შექცევა ჩვენს ცნობიერებას ვნებს და აავადებს.

20683. გმირობას გენი ჩაგვადენინებს და არა გონიერება.

20684. ყოფის წუმპეში დაუფიქრებლად ტლაპუნი ადვილია, მასში მშრალი ბილიკის გაკვალვაა ძნელი.

20685. გააზრებულად სიცოცხლის განვლა ყველა ჩვენგანის ნატვრაა.

20686. გაუგებრობის თავიდათავი ხშირად თავადვე ვხვდებით, რადგან ისე ვერ ვიქცევით და ვმეტყველებთ, რომ გაგვიგონ.

20687. სამყარო მოგვწონს თუ არა, მასში მცხოვრებნი მაინც განიცდიან გონიერების დაფიციტს.

20688. ჩვენი საუბარი ყბედობაში არ უნდა გადაიზარდოს. ამით დროსაც ვკარგავთ და ავტორიტეტსაც.

20689. დიდების მოტრფიალეთ ყოფიერების გამოცდების ჩაბარება ხშირად უწევთ.

20690. დიდი მადლია საკუთარი მეობის უშეღავათო ლოცვა-დამოძღვრა.

20691. ხშირად ის გვყიდის და გვღალატობს, ვისაც ყველაზე მეტად ვენდობით და, ალბათ, ეს არის ბუნების კანონზომიერების ერთ-ერთი უცნაურობა.

20692. იმქვეყნად თავის დროზე გადაბარგება გამგზავრებაა და არა გარდაცვალება.

20693. ამბიციათა მხრებით ტარება ყველა მოკვდავის ხვედრი როდია.

20694. საკუთარი ადგილის დამკვიდრებას ყველა ჩვენგანი თავისი გადასახედიდან ცდილობს.

20695. გისურვებთ ყველას, ამქვეყნიური მშვენიერების მარადიული მაცქერალი და მსმენელი ყოფილიყოთ.

20696. კრიტიკული მოსმენის უნარი უკვე განათლებაა.

20697. ხშირად მომავლის სახის წარმოჩენას წარსულის საყრდენებით ცდილობენ და საყრდენების ხარისხს არად დაგიდევენ.

20698. დღესაც ცხოვრების ლელოს მუშტით გატანა უფრო მოგვწონს, ვიდრე გონიერებით და ამ შეუსაბამობას ხშირად ტექნიკურ პროგრესთან ზიარებაც ვერ აღმოფხვრის.

20699. სამწუხაროდ, სუსტ ქვეყნებს კუდის ქიცინისა და რეალური სუვერენიტეტის დაუთმობლად ახლოსაც არ იკარებენ და არც ეხმარებიან.

20700. ზოგისთვის სამშობლო დედაა, ზოგისთვის – დედინაცვალი, მაგრამ მისი დაცვა ყველას მოვალეობაა.

20701. მშვენიერების აღქმას გონიერებასთან ერთად გულისხმიერება სჭირდება.

20702. პატიოსნება მისდა უნებლიეთ ყველაზე მეტად მაშინ სცოდავს, როდესაც თანამედროვეობას ალღოს ვერ უღებს.

20703. სიბერე მეორე ცდის შანსს არ იძლევა, რომ სულიერად მაინც გავახალგაზრდავდეთ.

20704. ძალა ყოველთვის მართალია და ის ოპონენტებს არა სცნობს.

20705. ზოგს ცუდის გაგონებაც არ უნდა, ბუნებით იმდენად უშუალო და გულკეთილია.

20706. ბუნებრივი სიმდიდრეების უგუნური ექსპლუატაციის შედეგები მეორედ მოსვლის წინაშე გვაყენებს და სხვა პლანეტებზე გადასახლებისკენ გვიბიძგებს.

20707. ზოგი, ერთზე დაბოღმილი, მეორეზე იყრის ჯავრს და ეს თავისი „მეს“ წარმოსაჩენად სჭირდება.

20708. სამყაროს ბოროტი ყურადღების აცილება ყველა ჩვენგანის ვალია.

20709. წვრილმანებისადმი უყურადღებობა დიდ საქმეს ძირს უთხრის.

20710. წარსულში დროებით გადასვლას ყველა ჩვენგანი ცდილობს.

20711. ტრადიციები წინაპართა მონაპოვარია, რომლებიც, ავად თუ კარგად, მომდევნო თაობებს ტვირთად აწვება.

20712. მომდევნო საუკუნეთა მოსალოდნელი წინსვლა იმის გარანტია არ არის, რომ ჩვენ იმდენად ძლიერები ვიქნებით, ჩვენს პლანეტას საფრთხე არ დაემუქრება. ზომიერება ყოველთვის და ყველაფერში საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, პლანეტის გადასარჩენად.

20713. დიადი საქმენი ადრე თუ გვიან შეუმჩნეველი მაინც არ რჩე-

ბა.

20714. გარანტირებული დაპირება გულისხმობს: თქვენს სიტყვას ადრე თუ გვიან ფასი დაედება.

20715. შთაგონების წინაშე პესიმიზმიც კი მუხლის ჩოქებზე დგება.

20716. პრობლემების ხედვას მათი ამოხსნის არცოდნა აძნელებს, რადგან ყოველივეს ჩვენი გადასახედიდან აღვიქვამთ.

20717. წვრილმანებისადმი უყურადღებობა ჩვენი ყურადღების ხარვეზის მიზეზია, მაგრამ სიზარმაცის ბრალიცაა.

20718. რაც გვაფრთხობს, იმის შედეგს ვიღებთ, რადგან განუსჯელი შიში დიდი მინუსია.

20719. კარგ მახსოვრობას ოქროს ფასი ადევს.

20720. მოყვასისა და ნათესავის სიყვარული ბევრ რამეზე თვალს გვახუჭვინებს და სისულელეს გვაკეთებინებს.

20721. ვინ ხარ და რა ხარ? – ეს ორუცნობიანი განტოლება რომ ამოხსნა, მთელი სიცოცხლეც არ გეყოფა.

20722. გამარჯვებას თავისი ფასი აქვს და ხშირად ამ ფასის გადახდა ძვირად გვიჯდება.

20723. ჩვენ ნათრობზე გაკეთებულ ხალხს არა ვგავართ, მაგრამ უფრო ხშირად „პახმელიაზე“ გაკეთებულივით ვიქცევით.

20724. უკმეხი სიტყვის ფასი, შესაძლებლობა და შედეგი განსჯას არ ემორჩილება.

20725. მასხრად აგდებულ გამარჯვებულს არ ასამართლებენ და არც უგულებელყოფენ.

20726. მომწიფება, დაღვინება, ცხოვრების კაპრიზთა მიუხედავად, ყველა ჩვენგანის ხვედრია.

20727. მძიმე და არასასიამოვნო მოგონებებს რაც უფრო დროულად მოვიშორებთ, უკეთესია, რადგან ახალი სასიამოვნო მოგონებების ასაკრეფი გზა უფრო ადვილად და დროულად გამოჩნდება.

20728. როცა მიზანი მისაღწევია, მისკენ მომავალი გზა ხან მოკლეა და ხანაც-უსასრულო.

20729. სიკვდილის სწავლას ცოდნა არ უნდა, სიცოცხლის შენარჩუნებისგან განსხვავებით.

20730. დასვენებას გასვენებამდე არავის ვუსურვებ, რადგან, სანამდის ცოცხალი ხარ, ახალგაზრდული შემართებით თუ არა, ბებრულად მაინც უნდა ითოხარიკო.

20731. საბოლოო შედეგი პატარ-პატარა განხორციელებული მიზნების შეკოწიწებას ითხოვს.

20732. ზოგჯერ ერთი კაცის გონიერება და წინდახედულება მოსალოდნელ პრობლემებს გვიხსნის, მაგრამ ამისი დაჯერება არავის სურს „მეც ნახირ-ნახირ“ მცდელობის გამო.

20733. სამწუხაროდ, ზოგი სულ მართალია, იმდენად გულგრილად უყურებს ცხოვრებას.

20734. დავიწყებული მეგობრობა, მცდელობის მოიხედავად, არ ახლდება.

20735. თუ მშვიდად გვძინავს, ე.ი. პატიოსნები ვართ კანონის, ხალხისა და საკუთარი სინდისის წინაშე.

20736. საკუთარი ჰობის ქონაც საჭიროა მისი ზომიერად გაცნობიერებისა და გატაცების ფარგლებში.

20737. სხვათა ჯახის დანახვაც შეიძლება და ხელის გამართვაც, ოღონდ თავიანთი ცხოვრების წესით ისინი ამას უნდა იმსახურებდნენ.

20738. მეგობრობის შენარჩუნება მთელი ძალისხმევით უნდა ვეცადოთ, რადგან სიბერის ჟამს მათზე უკეთესი გამგები და გამგონი არავინ გვრჩება.

20739. მასწავლებლობა ნებაყოფილობითი სასჯელია, განსაკუთრებით იმათთვის, რომელთაც სხვა უკეთესი სამსახური ვერ გამონახეს და იძულებული არიან, ამ საქმიანობას მისდიონ.

20740. სიმართლის თქმა, მართალია, არავის მოსწონს, მაგრამ უიმისოდ მყარი ურთიერთობა ვერ შედგება.

20741. ქაღალდი რომ არ გამოეგონებინათ, ვინ იცის, რამდენი გენიალური თქმული თუ უთქმელი ნააზრევი უკვალოდ დაიკარგებოდა და ვერც დაუვიწყარი პიროვნებები წარმოაჩენდნენ თავიანთ თავს საუკუნეთა შესატყვისად.

20742. წინსვლაში ხელს ბევრი რამ გვიშლის, მაგრამ მისთვის მოხერხებული ბიშტის ჩვენება დიდ სიამოვნებასაც გვგვრის.

20743. არის რაღაც, რაც დღეს მიუღებელია, ხვალ – მისაღები, ზეგ – აუცილებელი. ამიტომაც სიახლის შეცნობა-გამოყენებას წინხედვით და უმტკივნეულოდ უნდა მოვეკიდოთ.

20744. ხშირად გვყოლია წინდაუხედავი წინაპრები, მაგრამ ვერც დღევანდელი თაობა უმკლავდება თანდაყოლილ უგვანო თვისებებს – გაუტანლობას, ყოყოჩობასა და წინდაუხედაობას.

20745. ყველაზე უბედო საკლავია ცხვარი და ქათამი, პირველს დიდი საქმის საკეთებლად კლავენ, მეორეს ყველაფერ მცირეზე და ზოგჯერ უმიზეზოდაც.

20746. ტურიზმი ტრაბახის საშუალებას იძლევა, რომ შენ სხვაზე ადრე გაბედე და ნახე ის, რაც სხვას ჯერ არ უნახავს და მასზე არც უოცნებია.

20747. ყოველნი მეტ-ნაკლებად ცოდვილნი ვართ, იმისდა მიუხედავად, ცოდვას შემთხვევით ჩავდივართ, შეგნებულად თუ მისი ჩადენის მღვივე წადილით.

20748. საუბარი ამაღლებულ მიზნებზე, მატერიაზე – ეს ჩვეულე-

ბრივი გასართობი აბსურდია, მაგრამ ზოგჯერ უიმისოდ ფონის გასვლა ჭირს.

20749. ერთი შეხედვით, საოცრად არაკანონზომიერია ეს სამყარო. ზოგჯერ ყოფის ოროსანი გენიოსად მოგვევლინება, ხოლო ცხოვრების ფრიადოსანი ვერავითარ ღირშესანიშნავს ვერ ტოვებს და დავიწყებას ეძლევა.

20750. ჩვენი უმთავრესი მიზანი თავისუფლებაა, მაგრამ როგორ და რა საქმიანობაში გამოვიყენებთ, არავინ უწყის.

20751. სწორად და დროულად დასმული დიაგნოზი გამარჯვების საწინდარია.

20752. დღევანდელი გადასახედიდან წასულის განსჯა არაკორექტულია, რადგან ყველა დროს თავისი უგუნურების ჭია შეუძვრება და გონიერების საწყისებს დაუნდობლად ღრღნის.

20753. მოგვიანებით ფასდება ის ქმედება, რომელმაც სულში არ ჩაგვაფურთხა და კაცად გვაქცია.

20754. ფრჩხილებითა და კბილებით კაწვრა და კბენა ხშირად უიმედო საქმეს აგვარებს და მიზანსაც აღწევს.

20755. შეიძლება მდიდარი უპატიოსნოა, ხოლო ღარიბი – პატიოსანი, მაგრამ ცხოვრების მადლი თავის დანახარჯებს მოითხოვს, რათა ის დასამახსოვრებელი და ყველასთვის მისაღები იყოს.

20756. ღირსების უქონლად რაიმეს მიღწევა და გავლენის მოპოვება შეუძლებელია.

20757. ღირსებაა ისიც, თუ შენი საქმე იცი და მას უანგაროდ ემსახურები.

20758. ღირსებას ღირსეული ადამიანები უყრიან საფუძველს, ამყარებენ და ამაგრებენ, როგორც სულიერების ციხესიმაგრეს.

20759. ღირსებას გონიერება ამაღლებს და აამაყებს.

20760. ზოგი თავისი უბადრუკი არსებობის გაბათილებას, დამალვას წინაპართა დამსახურების ხარჯზე ცდილობს.

20761. ხშირად ჩვენი განწყობის ასავალ-დასავალი ჩვენს ხასიათში ზის და, სად წარმოჩნდება, არავინ უწყის.

20762. სტაბილურად კარგი ცხოვრება დიახაც მოსაწონია, ოღონდ სტაბილურად კარგი ურთიერთობა უკეთესია.

20763. პროფესიონალთა „ბანდას“ საქმეში წინ ვერავინ დაუდგება. ამიტომაც ცოდნასთან ერთად საჭიროა ნიჭი, გამოცდილება, შეუპოვრობა, საქმისადმი თავდადება.

20764. მომავალი დღევანდელობას წარსულად აქცევს, მაგრამ მის ხარისხზე პასუხს არ აგებს.

20765. მდიდრებს ისე აქვთ მობეზრებული თავი ამ განუკითხავი მათხოვრობა-სპონსორობისაგან, რომ იძულებული ხდებიან, ანგარი-

შიანი ძუნწები გახდნენ.

20766. ღირსების ქონა და შენარჩუნება დროისა და შექმნილი გარემოს გათვალისწინებით დიდ ნიჭს მოითხოვს, რათა საქვეყნო საქმე აკეთოს და თავადაც არ გაილანძღოს.

20767. ზოგჯერ შური მომავალი აღტაცების წინაპირობაა.

20768. თუ განგსჯიან, გამჩნევენ, გეშინოდეთ, რათა ეს უკანასკნელი არ იყოს.

20769. მთავარია, გულის კარნახსა და ნერვების წყვეტას არ ავყვეთ, რათა მტერი არ გავათავხედოთ.

20770. სინდისის ქენჯნის შეგრძნება გახსენების დამსახურებაა.

20771. ყველაზე კარგი საქმიანობა ის არის, რაც გიზიდავს, პერსპექტივასაც გისახავს და მატერიალურ კმაყოფილებასაც გძენს.

20772. ქალაქელებისთვის სოფლად დროებით ცხოვრება სერიალებია, გართობაა, ოღონდ გარკვეულ დრომდე.

20773. ჩვენ რომ გვინდა, იმდაგვარად ყოფნას მცდელობა უნდა, ხოლო მიზნის მიღწევის შემთხვევაში მისი შედეგით ცხოვრება უნდა ვისწავლოთ. ეს შესაძლოა, პირველზე რთულიც აღმოჩნდეს,

20774. თუ დილით გემრიელად იღვიძებთ, მაშინ სიმბოლურად ბრუნდებით ამ სამყაროში.

20775. მომდევნო თაობების მიერ ძველი გამოჩენილი პიროვნების კრიტიკა უკულტურობაა, რადგან ის თავისი დროის, გარემოსა და პოლიტიკის შვილი იყო, რომელსაც ახალი თაობა ვერასოდეს გაითავისებს.

20776. ცოდვების ჩადენამაც მიჩვევა და სირცხვილის გრძნობის დაკარგვა იცის.

20777. ყველაზე მეტად დაბერებას გარეგნულად ლამაზნი და მოდას აყოლილები განიცდიან.

20778. სიბრალულის გრძნობა გენეტიკურია, რომელიც სხვათა ბუნებისგან გამოგვარჩევს.

20779. ზოგთა ხასიათი მათი სიტყვების „მჭევრმეტყველებით“ წარმოჩნდება.

20780. „დროული სიკვდილიც“ დღეს პირობითი გამოთქმაა, რადგან ტექნიკურ პროგრესს სიცოცხლის გახანგრძლივება ძალუძს.

20781. მშობლები სულელებად არ გვზრდიან, მაგრამ ჩვენი წილი სისულელის ჩადენას მაინც ყველანი ვახერხებთ.

20782. ტკბილად დაბერების საშუალებას რწმენისა და გარჯის შენარჩუნება გვაძლევს.

20783. ახალი იდეებით და იდეალებით ცხოვრება, როცა გამოყენებულია ძველი მოყირჭებული მეთოდები, ძალზე ჭირს.

20784. კალენდარში მოყვასთა დაბადების დღენი უნდა მოვინიშ-

ნოთ სასიამოვნო გასახსენებლად და არა იმად, თუ რამდენი წამით დაუახლოვდა სიბერეს და რა დრო დარჩენია იმ ქვეყანაში წასვლამდე.

20785. ყოფიერების გრიგალის ამოვარდნისას ყველა მოკვდავი თავისი ბუნება-გუნების შესატყვისად იქცევა, მაგრამ ამ დროს გონს ტრადიციების შესატყვისად უნდა მოვუხმოთ, თუ სასიკეთო საქმის კეთება და თავის გადარჩენა გვწადია.

20786. მოგონებათა სიმდიდრე გაცილებით სჯობს მატერიალურ კეთილდღეობას, იმისდა მიუხედავად, რომ საბოლოოდ ორივე წარმავალია.

20787. რატომღაც ყველა სახის ნაძირალა თავისი რომანტიკით „იღვწის“.

20788. მახსოვრობასაც თავისი ხუშტურები აქვს. ზოგჯერ ისეთი უმნიშვნელო რომ გამახსოვრდება სიცოცხლის ბოლომდის, რაც დიდი ხნის მივიწყებული უნდა გქონდეთ, მაგრამ ცნობიერება ასე არ ფიქრობს.

20789. საკუთარი თავის წესრიგში მოყვანა არც ისე ადვილია, როგორცა გვგონია.

20790. სახლი სასტუმროა, თანამეინახეებთან ყოფნა გართობაა, ხოლო სამარე მუდმივი სამყოფელია.

20791. არქეოლოგები მკვდარ ქალაქებს, სამარხებს შთამომავლობისთვის აცოცხლებენ და წარმოაჩენენ.

20792. დღეს ნებისმიერი სურვილი მიღწევადია, თუ მას ფანტაზიით შევაჯერებთ და ტექნიკური პროგრესის მოშველიებით ალღოს ავუღებთ.

20793. გემოვნებაც ცვალებადია დროის, გარემოსა და შესაძლებლობათა შესატყვისად.

20794. მთავარი ის კი არ არის, საყდარში რისთვის მოვიდა, არამედ – რამდენი ხნით და რა მენტალიტეტით.

20795. ეთნოსთა შორის უსიტყვო შეთანხმება ის ჟანგბადია, რომლითაც თითოეული ჩვენგანი ისე თავისუფლად სუნთქავს, რომ სხვადასხვა ერის წარმომადგენელები ამას ვერც ამჩნევენ.

20796. სიმდიდრე გრანდიოზული საჩვენებელი დაკრძალვის გარანტიაა და არა უკვდავებისა.

20797. ყოველივე არ მიდის ამ ქვეყნიდან და არ იკარგება. ზოგი მოდის და სამუდამოდ ჩვენთან რჩება, თუნდაც კარგი მოგონება.

20798. სამყარო ყოველ წუთში იცვლება, მაგრამ რისკენ არის მისი შესაძლებლობა მიმართული, ამის დღევანდელი ფანტაზიით გაცნობიერებაც კი ძნელია.

20799. სიკვდილი განსჯის თეორემაა და არა დასჯისა.

20800. წინათ საკუთარი შეცდომების და ცოდვების გამჟღავნება

„გმირობა“ იყო. დღესაც ცოდვების გამომზეურება პიარით ხდება, და ისიც პიროვნების შემობას ემსახურება.

20801. უპირველესია დაბერების ხელოვნების ცოდნა, საჭიროა ასაკზე მორგება, დროის გონივრული ხარჯვის უნარი, სასიყვარულო საქმეთა შეცნობა, სწავლა-გამოცდილების შეძენა, ამ საქმეების აღსასრულებლად მარტო ინტუიცია არ კმარა.

20802. სინამდვილიდან გაქცევა ყოფიერების გაუაზრებლობის შედეგია.

20803. დედამიწა, კოსმოსის ეს ტერიტორია, ეტყობა, სამყაროს გამოცანათა ნაკრძალია, იმდენი სახეობის ცოცხალი არსებებით არის დასახლებული.

20804. დასავლური ლიბერალიზმის გაბატონება და ცივილიზაციის მიღწევების არასწორი გაგება საკუთარი ქვეყნის ძლიერებას ჩვენდა შეუცნობლად სამარეს უთხრიან.

20805. რწმენა ზოგჯერ სიკვდილსაც აჩმორებს და ბიშტს უჩვენებს.

20806. გვერდში მდგომის უყოლელად ბევრმა სასიკეთო საქმემ ფეხის ათრევა იცის.

20807. გაჭირვების გამოუცდელად დალხინება სათანადოდ არასოდეს ფასდებოდა.

20808. როდესაც რეალურ მიზანს ხედავთ, მისკენ მიმავალი გზა თქვენ წინაშე თავადვე გადაიხსნება.

20809. წარსული აწმყოზე დიდ გავლენას ახდენს, იმისდა მიუხედავად, წარსულს ვივიწყებთ თუ არა.

20810. თითქოს ყველამ ყველაფერი ვიცით, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საზიანოდ, ამ ცოდნას დროულად ყოველთვის ვერ ვიყენებთ და შეცდომებსაც თავზესაყრელად ვუშვებთ. ეს გენეტიკური ნაკლი, ეტყობა, განგების ნებაცაა, რადგან მას საუკუნეთა გამოცდილება არ შველის.

20811. ყველა ჩვენგანმა ამქვეყნად თავისი მოვლინების მისია უნდა განსაზღვროს და გაამართლოს, რათა ურთიერთს საქმიანობაში ხელი არ შევუშალოთ.

20812. შემოქმედებითი წვა ზოგჯერ სიცოცხლეს გვიმოკლებს და რატომღაც განგება ზურგს გვაქცევს, რადგან ჰგონია, შემოქმედმა თავისი შესაძლებლობები ბოლომდის ამოწურა.

20813. უნიათობა სამოქალაქო თვითმკვლელობაა, იგი სიცოცხლეშივე გარდაცვალების ტოლფასია.

20814. სიბრაზის ჩამოშორების ხელოვნება თანდაყოლილი ნიჭია, რადგან, რაც უფრო ახლობელია ადამიანი, მისგან ჩადენილი უგვანობა გულს უფრო გტკენს.

20815. საყვარელი საქმიანობა დეპრესიისთვის დროს არ გაძლევს

და ესაა მისი ბედნიერების საცნობ ბილიკზე სიარულის გარანტი.

20816. ცოტა გამბედაობა, მცირე სიგიჟე, პატარა შემოქმედება, დროებითი კაიფი და ამქვეყნად შენი ყოფნის გამართლება განაღდებული გაქვს.

20817. ევოლუციის ტემპი იზრდება, იმატებს და ეგ სანამდის მიგვიყვანს, არავინ უწყის.

20818. გრძნობათა ღელვა განსჯად ფიქრსა და წინჭვრეტის უნარს მოკლებულია.

20819. სიკეთეც სიქველით უნდა ვაკეთოთ, თუ გნებავთ, თქვენც დაგაკვალიანონ და სხვასაც გამოადგეთ.

20820. გადაღლილი ადამის ძე დასვენებას ითხოვს, რათა თავისი ხიბლის უნარ-შესაძლებლობანი უკეთ წარმოაჩინოს.

20821. შეცდომების აღიარება ვაჟკაცობაა, მაგრამ მათი არდაშვება წინდახედულებას მოითხოვს და ეს უკვე ვაჟკაცობაა კვადრატში, კუბში.

20822. ყველაზე ძნელია თავს დაუმტკიცო, რომ ხარ ნამდვილი „სუპერი“, განსაკუთრებით მეცნიერებაში, ხელოვნებასა და სამშობლოს სიყვარულში.

20823. თეორიულად ოპტიმიზმი მაინც გამარჯვებულად მიიჩნევს თავს, პრაქტიკისგან განსხვავებით.

20824. დაპირისპირებისას უმთავრესია იდეოლოგიაზე გამარჯვება და მეტოქის რწმენის შერყევა და არა ძალის გამოყენება.

20825. უცოდველი არავინაა, მაგრამ ცოდვების ხარისხსაც გააჩნია და მონანიების გულწრფელობასაც.

20826. სიმშვიდე და სიწყნარე, რომელიც ზოგჯერ ასე გვაბეზრებს თავს, უმთავრესია ჩვენს გონივრულ ყოფა-ცხოვრებაში.

20827. ზოგის სიზმარში ნახვა სიამოვნებას გვანიჭებს კვადრატში, ხოლო ცხადად ხილვა – კუბში.

20828. ზოგი მთელი ცხოვრება ყოფიერების გარკვევაშია, მაგრამ ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავების წინააღმდეგი არ არის.

20829. საბანკო კრედიტი თავისებური იმედია, შიშია, ფიქრია, მუდმივი ტკივილია.

20830.მეოცნებე ხშირად საკუთარ თავს ეწინააღმდეგება: მას ჰგონია, რომ მიღწეულთან შედარებით მეტს იმსახურებს.

20831. ზედმეტად დამოძღვრა და გადაყოლა მოსაბეზრებელია, უმადური საქმეა, ვის მიმართაც ამას არ უნდა სჩადიოდეთ.

20832. გადამეტებულს ხშირად არაფერი ცუდი და სარისკო არ მოაქვს, რადგან ყოველივე, მათ შორის შინაგანად მიღებული სიამოვნებაც, შედარებითი და განსჯადია.

20833. არ შეიძლება, ყოველთვის შენ გემსახურებოდნენ. აქ მთავარია, თავად შენ როგორ იხარჯები და სხვისთვის რა სარგებელი

მოგაქვს.

20834. თავისუფალ სივრცეს გვიქმნის ის საქმიანობა, რომელიც მოგვწონს, გვაღელვებს და შინაგანად ჩვენთვის არის გამოყოფილი.

20835. ამქვეყნად ყოფნა პოზიტიურად უნდა აღვიქვათ, სიკვდილზე ფიქრი ახლოს არ გავიკაროთ, თუ გვინდა ხანგრძლივად და ჩვენს გემოზე ვიცხოვროთ.

20836. ქვეყნის აღორძინება დროს, შემთხვევასა და დროულად გამოჩენილ ღირსეულ მამულიშვილებს მოაქვთ და არა დაპირისპირების სურვილს, სიგლახის მცდელობას, უმოქმედობას.

20837. ჭორისა და ჭორაობის გარეშე ზოგჯერ აწყობილი ცხოვრებაც მოსაწყენი ხდება.

20838. ზოგი ამქვეყნად რისთვის მოვიდა და რისთვის იცხოვრა, გაუგებარია, იმდენად უღიმღამოდ განვლო მან თავისი ცხოვრება.

20839. ყველაზე ძნელია საკუთარი თავის იმგვარად წარმართვა, რომ შენი ნაღვაწ-ნამოქმედარით კმაყოფილი დარჩე.

20840. გრძნობათა დაღვინებასთან ერთად სიბრძნეც მოგვაკითხავს ხოლმე.

20841. საკუთარი ყოფის წინაშე მეტ-ნაკლებად ყველანი დამნაშავენი ვართ, რადგან მეტი შეგვეძლო და ცოტა გავაკეთეთ.

20842. ყოველი დღე თავისებური ზღაპარია, რომელიც არასოდეს იდენტურად არ მეორდება, თუ სიცოცხლის მადლის აღქმის უნარი შეგვწევს.

20843. ბუნების ძალები განუსჯელ-განუსაზღვრელია, როდესაც ის „ხუმრობის“ ხასიათზე დგება.

20844. მოთმინება სიცოცხლის გზას გვიგრძელებს და ყოფის შესაძლებლობებს გვიფართოებს, მადლიერებით გვატოვებინებს ამ ქვეყანას.

20845. დანაშაულის ჩადენა – არ ჩადენა, აღიარება – არ აღიარება ნებისყოფასა და ტკივილის ატანის უნარზეა დამოკიდებული.

20846. შემთხვევათა გაღიმება და ჩვენი ყოფისთვის თვალის ჩაკვრა დროდადრო აუცილებელია, რათა ამქვეყნად ყოფნის მადლი შევიცნოთ.

20847. რწმენა ყოველივე ზენაარ-ღვთაებრივის წარმოსახვას ემორჩილება თავისი აკრძალვებითა და მორჩილებით.

20848. სიმხდალეს გამართლება არ აქვს, თუ სამაგიეროს მიზღვევის უნარი შეგწევთ.

20849. განვითარება ათავისუფლებს სათნოებისკენ მიმავალ გზას, რადგან მისი მიზანი და შესაძლებლობა ცნობილია.

20850. სხეულის და სურვილების გაშიშვლება ადვილია, მათი გონიერებით და რწმენით შეფუთვაა ძნელი.

20851. სამწუხარო საოცრებაა, როდესაც ხელისუფალს ასეული

ათასობით ადამიანის სისხლი კისერზე აწევს და ის კი ისტორიის არა მარტო საკუთრება, არამედ აღფრთოვანება და შურის საგანი ხდება. მაგ. ალექსანდრე მაკედონელი, ჩინგის-ხანი, ნაპოლეონი და სხვანი მრავალნი.

20852. მადლიერება დიდი განძია და განმეორებადია, თუ ის არ გვავიწყდება და დროულად ვიხსენებთ.

20853. ცრემლის მოძალების დაძლევაც სიამოვნებაა, საკუთარი თავისთვის პატივის მიგებაა.

20854. სინდისის ქონა დიდი სიმდიდრეა, ხოლო დიდებას უფრო მეტი წამხედური და მოტრფიალე ჰყავს.

20855. ყოველი წარმატება პატივმოყვარეობისა და თავის წარმოჩენის საშუალებას გვაძლევს, მაგრამ უმთავრესია, როგორ ვიყენებთ მას.

20856. წარმატების ეტაპები რეალური ოცნებების დამუღამების შემდეგ იწყება.

20857. დღეს მუქთად და გაუაზრებლად არაფერს გვაძლევენ საჩუქრად. ყოველივეს მოპოვება, გარჯა-შემართება, პიარი სჭირდება.

20858. სიყვარული და შენთვის ხელსაყრელი სამუშაო წლების მატებას შეუმჩნეველს ხდის.

20859. ზოგს რუტინის მომძლავრების დროს ეჩვენება, რომ ეშმაკმა შეაცდინა და იმას კი ვერ აცნობიერებს, რომ მის მდგომარეობაში ეს ღვთის წყალობაა.

20860. დღეს ინტერნეტის წყალობით ნებისმიერ საუკუნეში, დროში შეგიძლიათ იცხოვროთ და ვირტუალურად იჯირითოთ.

20861. წინათ მოჩვენებითი გმირობის და მამლაყინწობის შედეგად ევროპაში იმდენი დუელი იმართებოდა, ამ ადამიანებს თავიანთ სიცოცხლე ქვეყნის ძლიერებისთვის რომ გაეწირათ, ამ ქვეყნების საგარეო მდგომარეობას ძალზე არგებდა.

20862. ოცნებასა და ფიქრთან ჭიდილში იწრთობა კაცობრიობის კვლავწარმოების და განვითარების ძალა.

20863. ზოგჯერ თავის წარმოჩენის სურვილი იმდენად დიდია, რომ უახლოეს გარემოცვას ვეკინკლავებით და ვუპირისპირდებით.

20864. ცინიზმი იმ შემთხვევაში გამოგადგებათ, თუ იცით, რომ დაპირისპირების შედეგად გამარჯვებული დარჩებით.

20865. ყველა ოცნება, მიზანი, სიზმარიც კი მეტ-ნაკლებად ახდენილია, თუ მედგრად იმუშავებ და ხშირ-ხშირად თავს გასამხნევებლად შეუძახებ.

20866. არის გარემოება, რომელიც თავისი არსით ჩვენზე ძლიერია და იმედსაც გვიცრუებს, ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელს გვიშლის და, ამასთან ერთად, ვერც ეწინააღმდეგები.

20867. მარტოობის მოწოდება ოცნებით მთელი სამყაროს ხელში

ჩაგდებაა, რათა სულიერად გამხნევებული პიროვნება პირად ცხოვრებაში რაღაც სასიკეთოს ეწიოს.

20868. ჩვენთვის ურგები გაწბილებაც კი წარსულის ორომტრიალში გვაბრუნებს.

20869. ოქროს კულტი დროის და გარემოს ბატონობაზე არ მიანიშნებს. შესაძლოა, ამ დროს სხვა ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობდეს.

20870. პატიოსნება და სარგებლის ნახვა სინონიმები არ არიან, მაგრამ საერთო ენის გამონახვას ახერხებენ.

20871. სიკეთის მკეთებელს, სიმართლისმოყვარეობას თავისი წამხედური და თაყვანისმცემელი ჰყავს.

20872. მამულის სიყვარული ერთია, დროისა და გარემოსთვის ალღოს აღება მეორეა, საკუთარი პიროვნების წარმოჩენა მესამეა. ამ პოსტულატების გაუთვალისწინებლად ქვეყნისთვის სიკეთის კეთება გაგიჭირდებათ.

20873. ზოგს მშვიდობიანი ცხოვრება და მოღვაწეობა დისკომფორტს უქმნის. მისი მოჭარბებული ამბიციები თავის ადგილს ვერ პოულობს, რადგან მისთვის ყველა სახარბიელო და ხელმისაწვდომი თანამდებობა ამ სამყაროში უკვე დაკავებული და განაწილებულია.

20874. მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტება ხელშეუხებელია, ზოგი ეპოქა ჭეშმარიტების აზრის შეცვლასაც ლამობს.

20875. მტერი მეტ-ნაკლებად ყველას გვყავს. ნაღდი მოყვასის მოძიებაა ერთობ ძნელი.

20876. ყოველი მომდევნო თაობა უფრო უშიშარი, წინდახედული და ინტელექტუალურია. სხვანაირად სამყაროს განვითარების კანონზომიერება დაირღვეოდა.

20877. საკუთარ სამყაროში უცხოს შემოშვება ყველას არ შეუძლია, რადგან ზოგი „მარტოობის დღესასწაულში“ გრძნობს თავს ბედნიერად და დამოუკიდებლად, ე.ი. საკუთარ ტყავში ყოფნისას.

20878. ადამიანის მოწოდებაა, თავისი განუმეორებელი ცხოვრებით გააკვირვოს სხვა, იმისდა მიუხედავად, ყველას შესწევს ამის უნარი თუ არა.

20879. ემოციების მქონე სამყაროსთან შერკინება და ბრძოლა საკმაოდ ძნელია, მაგრამ გენიოსებს ეს ხელეწიფებათ.

20880. ნერვების დასამშვიდებელი პროცედურა ლოდინია, მაგრამ არა უაზროდ ცდა.

20881. პატიება შესაძლებელიც არის და მისასალმებელი, მაგრამ ჩადენილი გადაცდენა, შესაძლოა, მაინც ვერ დაივიწყონ.

20882. ურთიერთზრუნვა იწვევს სიყვარულს, პასუხისმგებლობას, ალერსისა და სითბოს გაორმაგებას.

20883. ხსოვნას თუ უკვდავებაც დაემატა, ის სასიამოვნო განცდად იქცევა გარეშეთათვის.

20884. ზოგჯერ ის, რაც სამოთხედ გვეჩვენება, ჯოჯოხეთად წარმოჩნდება და ამიტომაცაა, რომ „გვგონია, მინდას“ წინდახედულება, განსჯა, დაფასება უნდა უსწრებდეს წინ.

20885. უბრალოება წესიერების სინონიმი და მისი შობილია.

20886. 200-300 წლის შემდგომ რომ გადმოგვეხედა იმ ქვეყნიდან ამ სამყაროში, ჩვენ თავი შეგვეცოდებოდა, თუ რა უცოდინარები და უცოდველნი ვყოფილვართ, თურმე.

20887. ბუნება თავის საიდუმლოებებს ბოლომდის არ გვიმხელს, მაგრამ ჩვენ ჩვენი ცდა არ უნდა დავაკლოთ.

20888. წარსული ოცნებების დაბრუნება და დღევანდელი გადასახედიდან მათთვის ალიყურის ჭმევა მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანის სურვილია.

20889. ყოველთვის იმას ხომ ვერ აკეთებ, რაც გინდა, მაგრამ ზოგჯერ ესეც მისაღები და სახეიროა.

20890. პოზიტივი ხშირად პოზიციებს იმაგრებს და ამრავლებს.

20891. „მაქვს პატივი“, რა ნაზი და კულტურული გამოთქმაა. ღმერთმა ინებოს და ჩვენს შთამომავალს ჰქონდეს ის თავაზი და კულტურა, რომ ეგ მარჯვე თქმა გამოეყენებინოს.

20892. ყველას მოსწონდე – ეს უპირველეს ყოვლისა სურვილია, ხოლო რამდენად ემთხვევა სურვილი რეალობას, ეს დაცინვის საგნად არ უნდა ვაქციოთ. აი, მაშინ ვიქნებით ვაჟკაცები.

20893. კეთილგანწყობის მოპოვებას ზოგჯერ დროული და გულწრფელი ბოდიშის მოხდა განაპირობებს.

20894. ეგოიზმმა მეგობრობა არ იცის. ის ადრე დამყარებულ კარგ ურთიერთობას, მისდა უნებლიეთ, ძირს უთხრის.

20895. ყველა ჩვენგანის ამქვეყანად მოვლინება დღესასწაულია. ამ დღესასწაულს სიცოცხლის ბოლომდე უნდა გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ.

20896. სიკვდილზე ფიქრმა სიცოცხლის გაგრძელებაზე ხელი ვერ უნდა აგვაღებინოს.

20897. ადრე თუ გვიან ყველანი გავიკრიფებით იმქვეყნად. მთავარია, ვიღაცას მაინც გავახსენდეთ ამქვეყნად თბილად.

20898. სამყარო მარადიული გამოცანაა. მისი კაპრიზების ამოხსნას საშველი არ ადგას და არც არასოდეს დაადგება.

20899. ყველაზე დიდი ბიოტერორისტი ბუნებაა. მას ისეთი ვირუსების შემოტანა შეუძლია, რომ ყველა თანამედროვე იარაღი მასთან შედარებით არარაობად იქცევა.

20900. ყველაფერსა და ყოველივეს განგება ერთად არ იძლევა.

ამიტომაც უნდა ვეცადოთ, ვიცხოვროთ და ვიყოჩაღოთ ისე, როგორც ეს ზენაარს მოეწონება.

20901. ზოგჯერ სხვათა ჭირითაც უნდა შევწუხდეთ, ოღონდ უპირველეს ყოვლისა, საკუთარ გაჭირვებას უნდა მივხედოთ და დროულად მოვიშოროთ.

20902. უწმინდურ ძალებთან კავშირების შანსი მეტ-ნაკლებად, შეგნებით თუ შეუგნებლად, ადრე თუ გვიან, ყველა ჩვენგანს აქვს და ამისათვის ყოველთვის მობილიზებულები უნდა ვიყოთ.

20903. პატიოსნებასაც, ეტყობა თავისი საზღვრები აქვს. აქ მთავარია დავიცვათ საკაცობრიო ინტერესები და ჩვენს ღირსებას საფრთხე არ შევუქმნათ.

20904. მოვალეობას თავის ამბიციები ახლავს.

20905. ისიც ბედნიერება იქნება, თუ ტექნიკური პროგრესის ვითარებაში ჩვენი მომდევნო თაობები თავიანთ მამაკაცურ მოვალეობებს (სექსი, ბავშვების ყოლა) გონიერ რობოტებს არ აჰკიდებენ.

20906. ქვეყნად, ალბათ, მარადიული წყვდიადი დაისადგურებდა, მას რომ გონიერება თავის მოქაჩლებით არ ეჩალიჩებოდეს.

20907. ყველაზე არარენტაბელურია იდეალების გადაფასება. ის, ვინც ადრე გმირად და ერის შვილად მიგაჩნდათ, მოგვიანებით შეიძლება მკვლელად და ვიგინდარად აღიქვათ ისე, რომ დროს და გარემოს ანგარიში არ გაუწიოთ. მაგ. ი. სტალინის მკვლელად გამოცხადება.

20908. წაგებას ალიბი არ გააჩნია, რადგან მატიანეში შედეგი ფიქსირდება და არა დამარცხება და მისი მიზეზი.

20909. არაპროგნოზირებად ხალხთან ურთიერთობა სახალისოც არის და სანერვიულოც, რადგან, რა არის მათი მოწოდება, თავადაც არ უწყიან.

20910. ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონება დემოკრატიის და თანასწორუფლებიანობის საწყისი და წინამორბედია, რომელმაც ვერზილად დაბადებულის და ჩია აღნაგობის ადამიანის შესაძლებლობები გაათანაბრა.

20911. ოცნებებზე გამოკიდება შესაძლებელია, მაგრამ ხშირად არ ამართლებს და არარენტაბელურია.

20912. რჩევა-დარიგება უსარგებლოა, თუ წინაპართა ტრადიციებთან საერთო ენის გამონახვის უნარი არ შესწევს.

20913. მოწოდებით ოპტიმისტს უჭირს პესიმისტად დაბადებულზე ზემოქმედების მოხდენა და მასში იმედის ჩასახვა, იმდენად ძლიერია პესიმისტად დაბადებულთა ბუნება.

20914. დასვენება დასვენებაა და არ აქვს დიდი მნიშვნელობა, სად დაისვენებ, საზღვარგარეთის ფეშენებელურ კურორტებზე თუ სოფლად, შენიანებში. მთავარია, დროსა და გარემოს დროულად მოერგო.

20915. სიკვდილ-სიცოცხლეს შორის კოჰაბიტაციის დამყარება ვერ ხერხდება.

20916. ყოველგვარი ტექნიკური პროგრესი მომავლისკენ წინგადადგმული მძლავრი ნაბიჯია.

20917. წარსულს ვეხმიანებით, აწმყოს ასე თუ ისე ვფლობთ, ოღონდ, მომავალი როგორი იქნება, არავინ უწყის.

20918. ტექნიკურ პროგრესსაც დაღვინება სჭირდება, რათა ის საღად იქნეს აღქმული და წინხედვით გამოყენებული.

20919. ყვირილს რომ გამოფხიზლების მესიჯად გამოვიყენებთ, ეს ჩვენი უმწეობის მაჩვენებელია.

20920. წერა-კითხვის უციდინარობამ ყველაზე დიდი ზარალი მიაყენა იმ ქვეყნებს, ერებს, რომლებიც მის მიმართ გულგრილად იყვნენ განწყობილნი.

20921. კოჰაბიტაციის გონივრული მომარჯვება საშუალებას გვაძლევს, გადაწყვეტილი საქმე დროულად ვაკეთოთ.

20922. გული, გონება და სული სამებასავით უნდა შეიკრას, რათა პიროვნებამ წარმატებას მიაღწიოს.

20923. ცრუპენტელები ხშირად უკეთ უგებენ ერთმანეთს, ვიდრე სხვებს, რადგან ეს უკანასკნელნი ერთმანეთს არაფერს უთმობენ.

20924. ეგოიზმს უკვდავებისადმი პრეტენზიები აქვს, იმდენად დიდია მისი ამბიციები.

20925. ზოგჯერ წარმატებით კეთილის მდომნი უფრო ამაყობენ, ვიდრე ამ წარმატების ავტორი.

20926. სიღარიბეს შურიც ახასიათებს, თუ მას ზევიდან დასცქერიან.

20927. წარსულის გაუცნობიერებლობა თავისებური დაავადებაა. მისი მკურნალი წიგნიერებაა.

20928. სიმკაცრე და რისკი განაპირობებს ყოფისთვის მისაღებ შედეგს და ჩვენს მუდამ შემართებით ყოფნას.

20929. ფასეულობებს სულიერება კურირებს, ცხოვრების მადლის შეცნობას – ყოფიერება. მიუხედავად მოვალეობათა ამ გადანაწილებისა, მათ უერთმანეთოდ ყოფნა უჭირთ.

20930. დაუღვინებელი პროგრესისადმი გამოკიდებას ზოგჯერ ბარბაროსობამდე მივყავართ.

20931. წარმატებას თუ ვერ შეინარჩუნებ, მისი ნაცვალი ხელმოცარულობა გარანტირებულია.

20932. ზოგჯერ თანამებრძოლნი სამშობლოდან გადახვეწილთა წინაშე დედინაცვლობენ, მაგრამ ამგვარი დამოკიდებულება ქვეყნიდან გადახვეწილ ემიგრანტებში პატრიოტიზმს ვერ აქრობს.

20933. რეფორმების ოპტიმიზმს ყოველთვის პრაგმატიზმი ჰყავს

ჩასაფრებული.

20934. ფურთხის ღირსია ყველა, ვისაც საკუთარი მეობა არ გააჩნია და განსჯის თავი არა აქვს.

20935. ნდობის ინსტიტუტი ერთგულებისა და კაცური კაცობის უდიდესი მონაპოვარია.

20936. შედეგს მისწრაფება იძლევა, რომელსაც თავისებური ხიბლი აქვს.

20937. არის არშემდგარი ქვეყნები, რომლებსაც დიდი პრეტენზიები აქვთ უკეთესი ცხოვრებისა, მაგრამ შური და უთანხმოება ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

20938. ჩვენ სხვათა ცხოვრებით ვერ ვიცხოვრებთ და ამ წუთისოფელს ვერც ჩვენი ფანტაზიით გავლევთ, მაგრამ სიცოცხლე ტკბილია და დაუნდობელი.

20939. სამყაროს ყველა ჩვენგანი თავისსავე გადასახედიდან ხედავს, იმის მიუხედავად, ეს ხედვა სხვებისთვის მისაღებია თუ არა.

20940. სიკვდილზე ნაღდი არაფერია. ამიტომაც ადამიანები, მასზე წინასწარ შეგუებულნი, ნერვებსაც კი არ იშლიან და მშვიდად ელოდებიან აღსასრულს.

20941. ღარიბი ქვეყნის მოქალაქენი ვერც ოპტიმიზმის ალგორითმებს უგებენ რასმე და ვერც კაპიტალიზმის მცნებებს ირგებენ.

20942. უმეცრება და საკითხის გაუცნობიერებლობა ყველაზე მეტად გვაწუხებს და სამუშაოდ გამზადებულ ხელებს გვიბორკავს.

20943. ეკონომიკა განსჯადია და საიმედო, ხოლო პოლიტიკა – განუსჯელი და სადავო.

20944. სიბერის უმტკივნეულო დევიზია – დასვენება გასვენებამდე.

20945. როდესაც სიცოცხლეს გემოს გაუგებთ და მის მადლს მიეჩვევით, სიკვდილზე ფიქრი სისულელეა და არარენტაბელური როგორც სულიერების, ასევე სულიერების არსს გაცნობიერებული გონიერებისთვის.

20946. თუ ასაკში შესულ ახლობელს გაახსენდი, შენი მონატრება კი არა აწუხებს, სარგებლის ნახვა უნდა.

20947. უგრძნობს გრძნობებს თავზე ვერ მოახვევ, რადგან ის გრძნობათა გარეშეა მოვლენილი.

20948. აფორიზმი არის გონიერი და სასურველი სიტყვების შემთხვევით დაჭერა, როცა ღვთის შეწევნით ახერხებ ამ სიტყვებს ზუსტი ადგილი მოუნახო და ბრძნულად აამეტყველო.

20949. ხშირად ისეთ რაღაცას აღმოვაჩენთ სამყაროსთან ურთიერთობაში, რაც ჩვენთვის გაუგებარი, იდუმალი და ამოუხსნელია, და ასეთად დარჩება მომდევნო თაობებისთვისაც.

20950. სიცოცხლე – ეს ის თაფლნარევი სანთელია, რომელიც ბო-

ლომდის ჩაუქრობლად უნდა დაიწვას, რათა სიცოცხლის მადლი დაუხ-ურდავებლად შევიცნოთ და შევიგრძნოთ.

20951. შემოქმედებითი უნარის თვინიერ ნიჭი ფრთებს ვერ შეისხ-ამს – ვერ გაფრინდება.

20952. ღირსება უღირსობად ყალიბდება, თუ პიროვნება განვი-თარებას შეწყვეტს და შემართებას დაკარგავს.

20953. ამ სამყაროში პეპელასავით მოფარფატე დედამიწაც გამო-ცანაა, სადაც ისეთ მოვლენები ხდება, რომლებიც მარად გამოუცნობი დარჩება.

20954. დღევანდელი ტექნიკური პროგრესის გადამლაშების შედე-გია, რომ ახალგაზრდები საყოველთაო ენციკლოპედიურ ცოდნას ჯიბ-ით ატარებენ და არა თავით. შედეგად ვიღებთ ცხოვრების უცოდინარ აუტისტ თაობას, რომლის რიცხვი ჯერჯერობით კატასტროფულად იზ-რდება.

20955. სიმართლისთვის თვალის გასწორება ჭკუასაკითხავ ბრძენ-საც უჭირს, იმდენად დიდია ყოფიერების მიერ გაწნული ალიყურის ძალა.

20956. სხვათა შეცდომების კვლევა საკუთარი შეცდომების დაშვე-ბის ერთგვარი პროფილაქტიკაა.

20957. ხასიათების შერწყმა ქიმიური ელემენტების შერწყმის ტოლ-ფასია და ის ზოგიერთ შემთხვევაში დადებით რეაქციას იძლევა.

20958. ყველა სახის იდეოლოგია მისაღებია. აქ მთავარია, ჩვენ რო-გორ ვიყენებთ და რა ოდენობით ვახვევთ თავზე სხვას.

20959. ერთი კაცის შეცდომა-გადაცდენა არაფერია. მთელი საზო-გადოების შეცდომაში შეყვანაა დამღუპველი.

20960. არსებობისა და სიცოცხლის მადლს გონივრული ქმედებანი განაპირობებს.

20961. რაღაცით გატაცება მაშინ არის სასარგებლო, თუ ის პიროვნებას ავითარებს.

20962. გონიერება არ იშოვება, მეობა არ დევალვირდება, ჭკუა არ იკარგება, თუ ყოფიერების მწვერვალების შეწვდომას ვეცდებით.

20963. როდესაც ქვეყანას დრო და გარემო მტრობს, მაშინ შემთხ-ვევაც უძლურია, რადგან ქვეყნის მმართველობაში ურთიერთდაპირისპ-ირებული მედროვენი მრავლდებიან.

20964. წარსულის დავიწყების მცდელობას ჩვენი სურვილები კვანტს უდებს.

20965. ბუნების კაპრიზების და ჩვენი მანკიერების გამოსწორებას ნუ შევეცდებით. ეს, ეტყობა, განგების ნებაა და ზევიდან არის ნაკარ-ნახევი.

20966. შორიდან შეცნობილი საფრთხე სიბრძნის ტოლფასია.

20967. სარგებელი ინფორმაციის ცოდნას კი არ მოაქვს, არამედ მასში ჩაწვდომის მცდელობას.

20968. ზომიერად მერყეობა და შემართება კარგია, რათა დაწყებული საქმე სასიკეთოდ დამთავრდეს.

20969. ახლობლის ქმედებით აღფრთოვანება ადვილია, მისთვის რეალური საქმის კეთება და დახმარებაა ძნელი.

20970. ბრიყვები კეთილშობილები ვერ ხდებიან, რაც უნდა მწარე და სხარტულა ენა ჰქონდეთ.

20971. ზოგჯერ გაჭირვება გვაიძულებს, ტყუილზე მეტად სიმართლის თქმით მოვიწონოთ თავი.

20972. წარმატებული ცხოვრების ალგორითმია ის, თუ რამდენად სწორი და გამართლებულია შენი ცხოვრება.

20973. წარმატებას თავისი ფასი და ღირსება აქვს, როცა ის სიახლით წარმოჩნდება და ძველსა და მოძველებულს ბიშტს უჩვენებს.

20974. როდესაც სიმართლე შენს მხარესაა, ძნელია ზურგის შექცევა, შენი მცდელობა რაც უნდა წაგებიანი გამოვიდეს.

20975. მტერი აშკარა პატრიოტებს ანადგურებს, ხოლო მერყევებს, მშიშრებსა და გამყიდველებს შედარებით ლოიალურად ექცევა. ე.ი. მომავალში ერის გამრავლება და ეროვნულობის ფიზიკურად შენარჩუნება ამ უნიათ მასაზე ყოფილა დამყარებული და არა იმ თავგადადებაზე, პატრიოტებზე, რომელთა მხოლოდ სახელი რჩება და არა ნაშიერი.

20976. პატიოსნება კარგია სულიერების შესათბობად, მეგობრობის შესანარჩუნებლად, მაგრამ უღიმღამოა პირადი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

20977. ვეცადოთ, ჩვენს გემოსა და ჭკუაზე ვიცხოვროთ და განვვლოთ ეს წუთისოფელი და არა სხვებზე უკეთ.

20978. მთავარი გამოწვევაა რეალობასთან შეჭიდება, რაც მიზნის მიღწევისა და თავის წარმოჩენის საშუალებაა.

20979. წარსულის დავიწყება შესაძლებელია, მაგრამ მის მიერ დასმული დამღის მოშორება თითქმის შეუძლებელია.

20980. მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრე კმაყოფილებას იწვევს, მაგრამ მას „მოხვეჭის“ უნარის მადლის შეცნობა აკლია.

20981. სრულყოფილება ყველა სახის საქმის კეთებას გულითა და გონით მოითხოვს, მისი მოცულობის მიუხედავად.

20982. შეძლება შეუძლებელს უკეთ აღიქვამს და ოცნებით აკონტროლებს.

20983. ამბობენ: ხუნძას ხეობაში, პაკისტანის და ინდოეთის საზღვარზე, მაღალმთიან ადგილებსა და მკაცრ კლიმატურ პირობებში მცხოვრებთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 120 წელს აღწევსო, მაგრამ საკითხავია: ამ წლებიდან რამდენი წელი ეთმობა არსებობისათვის

ბრძოლას და რამდენი – ცხოვრების არსის შეცნობას.

20984. გაუნათლებელი და არამცოდნენი გაუსვენებელი მკვდრის სახით გვევლინებიან და, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავს ვნებენ.

20985. პიროვნება, ირგვლივ რომ არავინ ჰყავს, რომელიც უგებს, შეუცნობადი არსებაა.

20986. რაც წლები გვემატება, სიცოცხლეზე ხელის აღება და იმქვეყნად გადასახლებაზე ფიქრი მით უფრო ჭირს, მიუხედავად სინდისის ქენჯნისა, რომ სხვებზე დიდხანს შემოგრჩით ამქვეყნად.

20987. გამოწვევები და მიზნების მიღწევებია მიზეზი თანმხვედრი გამოხდომებისა.

20988. კომპიუტერის მეგაბაიტმა შეცვალა პლატონი, რუსთველი, შექსპირი და სხვა განუმეორებელი გენიოსები და ეს დღეს არავის აღელვებს, იმისდა მიუხედავად, რომ ცოდნას ინფორმაცია ვერა და ვერ ცვლის.

20989. დიდი ქვეყნების „ჯახი“ ატომურ ევროპაში მოჩვენებითია, ხოლო პატარა ქვეყნებს მათი მოჩვენებითი დაპირისპირება ნამდვილი ჰგონიათ და ხან ერთს მიეტმასნებიან, ხანაც – მეორეს. ხოლო დიდ ქვეყნებს იმდენი ჭკუა კი ჰყოფნით, რომ ერთმანეთს იმდაგვარად არ დაუპირისპირდნენ, რომ საბოლოოდ განადგურდნენ.

20990. წარსულის უსიამოვნო მოგონებანი ცნობიერებას შხამს ასმევს.

20991. ოცნება თავადვე უნდა აღვისრულოთ, რადგან შემართებასა და ნიჭს ზევიდან არავინ ჩამოუშვებს და თავზე არ დაგვაბერტყავს.

20992. მოვალეობა პასუხისმგებლობას ნიშნავს და არა პირიქით, რადგან ნამოქმედარზე პასუხისგება ყველა ჩვენგანის ვალია.

20993. კეთილშობილების მოწოდებაა, შეცდომა არ დაუშვას და არც სხვის გასავლელ გზაზე გაიაროს.

20994. ამბიციათა დამორჩილება შეიძლება, თუ გონიერება მათ პატივისცემას ისწავლის და გაითავისებს.

20995. დამოუკიდებლად ნაკეთები და წარმოჩენილი საქმე მეტ პატივისცემას იმსახურებს.

20996. აფორიზმი თვალის ფსკერივით გონიერების ხატოვანი მჭვრეტელია.

20997. სინდისის ქენჯნაც დროებითი და მოჩვენებითია, თუ მას მორალური შედეგი არ მოჰყვა.

20998. ზოგჯერ მტერთან შერიგების მოტივი დაღლილობა, მობეზრება ან, უბრალოდ, სიბერეა და გონიერების მატება.

20999. უსიტყვო რეკომენდაციაზე უკეთესი არაფერია, როდესაც შენით უზომოდ ამაყობენ, უსიტყვოდ გეალერსებიან და მხარს გიჭერენ.

21000. ზოგჯერ სიტყვიერი წაქეზებაც კი დანაშაულებრივ შედეგს

იძლევა.

21001. ქმედება და მიზანი ზოგჯერ სხვადასხვაა, სურვილის მიუხედავად.

21002. დასამახსოვრებელ დღეთა ნათელი სიცოცხლის ბოლომდის მიგყვება.

21003. თუ გზისკენ გახედვა გიხარია, თუ შენს ნააზრევსაც ახორციელებენ, ბედნიერებასა გრძნობ და „თავს დანატრი“.

21004. ჩვენდამი მსგავსება ხშირად ჩვენსავე მოწონებას იწვევს და ამ დროს გვავიწყდება, რომ ეპიგონობა ნაკლია.

21005. უმოქმედობა ისეთი ნეიტრალიტეტია, რომელიც არავის უყვარს.

21006. ნდობაც დიდებული მონაპოვარია, თუ პირის გატეხას და ზურგის შექცევას საპირისპირო მხარე არ ცდილობს.

21007. ზოგჯერ პირად ფასეულობათა გაზიარებაზეა დამოკიდებული ჩვენი შემართება.

21008. სიბრძნე ერთია, რომლის მითვისებას ყველა ცდილობს.

21009. განვითარებასა და განახლებას ყველაზე მეტად ასაკოვანნი უფრთხიან და ეჭვის თვალით უყურებენ.

21010. ბრძოლას შეუჩვეველი თვალი ზოგჯერ თავის მეობასაც არაფერს ეკითხება, ისე ებმება ომში.

21011. სიყვარული, რწმენა, ვალდებულება ზოგჯერ ჩვენთვის გაუცნობიერებელ სასწაულებს ახდენს.

21012. გარდაუვალობას შინაგანად ყველანი შეგუებულები ვართ, იმქვეყნად გადასახლებასაც, ოღონდ ამქვეყნური რწმენა-ოცნებით და სამოთხეში მოხვედრის იმედით.

21013. მოკრძალებული სიმდიდრე ზოგჯერ ყოფის გარანტად გვევლინება.

21014. ბუნება გაფრთხილებას საჭიროებს, რათა მისი უსაზღვრო სილამაზე შევიცნოთ და ვისიამოვნოთ.

21015. სიცოცხლის უკეთ და დიდხანს წარმართვაზე ფიქრის ფინალი სიკვდილია.

21016. ბოროტებას სიკეთე ებრძვის, მაგრამ მის საბოლოო დამარცხებას მაინც ვერ ახერხებს.

21017. უკან მოსროლილ დაბრკოლებათა ჯამი ჩვენი ბუნებისა და მეობის წარმომჩენია.

21018. სიცოცხლე თუ სერიოზულ გამოცდა-მიკედლება-დასვენებას უძლებს, ეს იუმორის დამსახურებაცაა.

21019. სხვათა საშველად თავის გამოდება დროებით მაინც სპობს შურს, დაუნახაობასა და გაუგონრობას.

21020. სიცოცხლის უფლება განუსჯელია და მას ვერავითარი სხვა

უფლება ვერ შეცვლის.

21021. თავად „ქალბატონი მოდაც“ ჩვენდა შეუმჩნევლად დროის ყივილის, ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და აღზრდა-განათლების, ტრადიციების შერწყმით უნდა ვითარდებოდეს და კლიმატს, დროსა და გარემოს უნდა შეესატყვისებოდეს. მაგ. პლაჟზე „ფოხანა“ საცურაო კოსტიუმით გამოცხადება უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს ტანგაამოცმულ ქალებთან შედარებით, რადგან ხიბლის, სილამაზის წარმოჩენასაც თავისი დრო და გარემო სჭირდება.

21022. იმქვეყნად გადასახლებულ მშობლებთან გამოუმშვიდობებლობა მთელი ცხოვრება გულსა გვტკენს და არ გვავიწყდება.

21023. მშობლიური მიწის საფლავში ჩატანებას გარდაცვლილი ვერ გრძნობს, მაგრამ ეს აქტი ჩვენს სულს ათბობს და მოვალეობის მოხდის წარმოსახვითი საშუალებაა.

21024. ჩვენს გენებში არის რაღაც ისეთი ჩადებული, რომელიც ირგვლივ მყოფთათვის თავსატეხია, გრძნობათა ჭიდილის პროგრესის მიუხედავად. მაგ. სიყვარულის ფენომენი, რწმენის სურვილი, თანდაყოლილი ნიჭის ფენომენი და ა.შ.

21025. ზოგი ბუნებით იმდენად ამპარტავანია, სიზმარში ღმერთთან საუბარიც არ აკმაყოფილებს და მუდამ რაღაცის ძიებაშია.

21026. ზოგჯერ რომ წაიტრაბახო და შინაგანი სიამოვნება განიცადო, ამისათვის საჭირო ინფორმაციასაც უნდა ფლობდე.

21027. შენი ნაღვაწით მიღებულ სიამოვნებას არაფერი შეედრება, როდესაც დაღვინებულ ასაკში მას თვალს გადაავლებ და გულში ნეტარება ჩაგეღვრება.

21028. თავისი საქმის „ასი“, ანუ დიდოსტატი, ყოველთვის ცოტათი დარეხვილია, რადგან მოწოდება ბევრს რაიმე უცნაურს ჩაგადენინებს.

21029. სამყარო არ იცვლება, არამედ მოთხოვნები მკაცრდება, ირყვნება და გადაშენებისკენ გზას გვითავისუფლებს.

21030. დღევანდელმა ევროპელმა ლიბერალებმა თავიანთი გაუაზრებელი, დროის საწინააღმდეგო პოსტულატებით პრაქტიკული „ხარაკირი“ ჩაიტარეს, რაც გამოიხატა დოქტრინით: არა სამშობლო, ეროვნება, სარწმუნოება, არამედ ერთსქესიანთა ქორწინება და დემოკრატიის შესატყვისი სხვა ამგვარი „მარგალიტები“, რაც მომავალში ევროპის დაჩმორებას და გაბახებას გამოიწვევს.

21031. ღირსების მოტრფიალე თავმოყვარეობა ძალზე ამბიციურია და მას თვალთმაქცობასთან არაფერი ესაქმება.

21032. მისაბაძი მაგალითებიც ზოგჯერ განსჯასა და შენიშვნებს საჭიროებს.

21033. პროგრესის მიღწევა დაპირისპირების შედეგად ხერხდება და არა საერთო შეთანხმებითა და ურთიერთგაგებით.

21034. სიკვდილს არავინ ეტრფის, მაგრამ მასთან ღირსეულად შეხვედრას ყველა ცდილობს.

21035. უარის თქმას ხშირად გამართლება არ აქვს, თუ პირად კეთილდღეობას არ ეხება.

21036. რატომღაც წარმატება უფრო მეტად მაშინ ფასდება, თუ ის სისხლის თხევითა და დაპირისპირებითაა მოპოვებული.

21037. ეშმაკთან რეალური კავშირის დამყარება ძნელია, თუ მან იცის, რომ ამ საქმეში შენი ინტერესებიც დევს.

21038. დიდს, შეუცვლელს და შეუცნობს მხოლოდ ბუნება გვაძლევს საჩუქრად, რადგან ეს მისი სურვილიცაა.

21039. მშვიდობიანი წლების წყალობა ამქვეყნიური კეთილდღეობის სინონიმია.

21040. არარეალურის შეცნობას, შეიძლება, მთელი სიცოცხლე შევწიროთ, იმდენად ძნელია მისი ამოხსნა.

21041. სინდისით, გულითა და გონების კარნახით ცხოვრება სინონიმებია.

21042. სირცხვილი უქმად ყოფნაა და არა დაუსაქმებლობა, თუ ეს დროის კაპრიზის ბრალია.

21043. საკუთარ თავზე ერთობ დიდი გამარჯვებაა „პატიება“ იმ შეცდომის, რა უხიაგობაც შენმა მოყვასმა ჩაიდინა.

21044. სიძნელეთა დაძლევა პესიმისტის საქმე არ არის, ისევ ოპტიმისტს უნდა მივანდოთ.

21045. კარგი ჩვევებისადმი, ტრადიციებისადმი უყურადღებობა მომდევნო თაობათა წინაშე ჩადენილი დანაშაულია.

21046. სიბერე ყველას თავის დაღს გვასვამს, დაავადება იქნება ეს თუ დაჩაჩანაკება და ასე მივცოცავთ იმქვეყნად.

21047. დროული მცირედი დახმარება ზოგჯერ გაცილებით მეტ სამსახურს გვიწევს, ვიდრე დაგვიანებული დიდი დახმარება და თავის გამოდება.

21048. მშვენიერება ჩვენთვის მიუწვდომელია, თუ მას შეუცნობელი გემოვნება და ხიბლი აქვს.

21049. სიმართლეს ბევრი მტერი ჰყავს.

21050. უსაქმურობას თავისი ყოფის პანაშვიდის გადახდა, ვინ იცის, წელიწადში რამდენჯერ უწევს.

21051. თავმდაბლობას სიკეთე ყოველთვის არ მოაქვს, თუმცა ყოველთვის მისასალმებელია.

21052. მიზანს სჭირდება არა ახსნა, არამედ – შედეგი.

21053. ჭკვიანი გამოხედვა გონიერების მაჩვენებლად ყოველთვის როდი გამოდგება.

21054. სიბრძნის მარცვლების მოძიება, დათესვა და შედეგის მიღე-

ბაა ყველაზე ძნელი საქმიანობა ამ სამყაროში.

21055. პატიოსნება არც იზომება, არც იყიდება, ის უბრალოდ, საკუთარი ბუნების, გენის ნაყოფია.

21056. სიმართლე ერთია, მაგრამ მისთვის არაერთი იბრძვის და სისხლსაც კი ღვრის.

21057. ცისკენ იმედით გახედვა განუსჯელ ოცნებათა დამსახურებაა.

21058. კეთილშობილება არ ისწავლება, კეთილშობილად იბადებიან.

21059. ყოველი თეორია თავის მტკიცებულებას მოითხოვს, რათა საკუთარ არსში თავადვე გაერკვეს და სხვებიც გაარკვიოს.

21060. მახინჯი ინფრასტრუქტურა არ იძლევა საშუალებას თავის წარმოჩენის და ქვეყნის ფასეულობათა უნაკლოდ გამოყენებისას.

21061. უგვანოთაგან თავის დაცვას სამართლიანობის სიყვარული გვაიძულებს.

21062. ძეგლი, რომელიც საკუთარ თავს განუსაზღვრელი დამსახურებებით იცავს, დემონტაჟისთვის განწირული არ არის.

21063. თავხედობას ყველაზე მეტად ვნებს და განსჯის მისდამი უყურადღებობა და მისი შეუმჩნევლობა.

21064. სხვისთვის საინტერესო საქმე რომ გულით აკეთო, აქ საინტერესოა, თავად რა აზრისაა ამ საქმეზე.

21065. სიმართლის სრულყოფილად აღქმის სიამოვნება მისი ჯეროვანი შელამაზების შედეგად მოდის.

21066. აღიარება და ფლიდობა ქვეყნის სათავეში მყოფთაგან მოდის და არა ჩვეულებრივ მოკვდავთაგან.

21067. როდესაც „განათლებული“ რობოტები ჩაერევიან ჩვენს ყოფაში და მათი დასაქმება მოგვიხდება, მაშინ დედამიწის მოსახლეობა ვალდებული გახდება ტერიტორიების ვარგისიანობის შესატყვისად კვოტები დააწესოს მოსახლეობის გამრავლებაზე, რათა დედამიწა რობოტებს არ დარჩეთ სამართავად.

21068. თეორიული ფანტაზიისგან განსხვავებით, პრაქტიკულად დედამიწის, როგორც სამოთხის, აღწერა და განსჯა ყველას უჭირს, რადგან კაცობრიობის „მეგაბაიტი“ ამ საკითხის გაცნობიერებას არასოდეს ეყოფა.

21069. ზრუნვა და ფიქრი ახლობლებსა და საკუთარ თავზე ძალაუნებლიეთ ასაკში უფრო გვემეტება, ალბათ, იმიტომ, რომ იმქვეყნად გადასახლების წლები, თვეები, დღეები გვიახლოვდება.

21070. საოცარია, მაგრამ ფაქტია: ხშირად შედარებით გაუნათლებული, უინიციატივო ხალხი ერისა და ქვეყნის დასაცავად გაცილებით სარგებლიანია, ვიდრე განათლებულნი და შემოქმედნი, რომლებიც თავიანთ „დაჩმორებულ და უიღბლო“ ქვეყანაში გასაქანს ვერ პოულო-

ბენ და სხვაგან გარბიან სამუშაოდ, საცხოვრებლად და იქ დასარჩენად. ამასთანავე, სექსუალური გაუნათებლობის გამო ეს „ბნელი“ მასა მრავალშვილიანი ხდება, ადგილზე რჩება და ამით ეროვნულობის მუხტსაც ინარჩუნებს და ტერიტორიულ მთლიანობასაც.

21071. დღეს ნაღდი და გონიერი თეატრალური მაყურებელი სანთლით საძებნია და მისი მოძიება ნაღდი მსახიობური ნიჭის წარმოჩენის ტოლფასია.

21072. ლამაზად და უპრობლემოდ დაბერებასაც თავისი ლაზათი და შარმი აქვს.

21073. რწმენასა და შიმშილზე დიდი იარაღი სხვათა საქმეში ცხვირის ჩასაყოფად ამ სამყაროში ჯერ არ შექმნილა.

21074. უმიზნოდ სიცოცხლე სიკვდილის ტოლფასია.

21075. გონი და დენთი აფეთქებისთვის ყოველთვის მზად არიან, მაგრამ თითის დაქნევას ელოდებიან.

21076. ზოგჯერ სიბერეში საკუთარი წარსულის გაუცნობიერებელი მომენტების გახსენება სიამოვნებას გვანიჭებს და სტიმულს გვაძლევს, იმედიანად და „თავშენატრებით“ ვიცხოვროთ.

21077. მარადიული საწყისი ბუნებაში ბრუნვადია და ბოლოს როგორ წარმოჩნდება, არავინ უწყის.

21078. ლოდინი ერთ-ერთი ყველაზე ნერვებამშლელი სამუშაოა.

21079. დიდი და პატარა ქვეყნები არ არსებობს, არსებობს დიდი და წარმოსახვითი გეგმები და საქმისთვის თავის დადგმის შესაძლებლობები.

21080. კარგი და მოსაწონი კი არ იმალება, უბრალოდ, მას ცუდად ეძებენ.

21081. ხალხის ნება უდიდესი ძალაა, მაგრამ პიროვნების როლსაც ნუ დავივიწყებთ, თუ მას განგება დროულად გამოგვიგზავნის.

21082. სიმართლის მოქმედების მადლიერნი უნდა ვიყოთ, რათა მოტყუების სურვილმა ფეხი არ გაიდგას თავისი უგვანო მოხერხებულობით, სიმართლეს არ აჯობოს და არ „მოუჯოკროს“.

21083. საათის წიკწიკი ყველა ჩვენგანს გვახსენებს, რომ ადრე თუ გვიან ჩვენც იმქვეყნად გადავსახლდებით.

21084. სიკვდილის წინააღმდეგ მებრძოლ კაცს საქეიფოდ იმედის მომცემი ცხვარი უნდა აჩუქონ, რათა ის შესაწირავ ცხვრად თავადვე არ იქცეს.

21085. დედის ხელობა ლოდინია, ხოლო შვილის ნიჭიერება – ამ ლოდინის გამართლება.

21086. მიწა უპირველეს ყოვლისა მოსავალია, გარჯა, დოვლათია, სიცოცხლის წყაროა და კაცობრიობის შემნახავ-გადამრჩენი.

21087. ვერაგობა და კვანტის ურთიერთდადება გვაიძულებს, ერთ-

მანეთი გვძულდეს და, მათ შორის, საკუთარი თავიც.

21088. ვისაც რწმენა აქვს, გონიერების ღმერთი სწამს და მიზანდასახულია, მას ხალხიც უყვარს და მისი ავ-კარგის გამზიარებელია.

21089. ლაპარაკის სურვილი აგიტანს, როდესაც შენ ირგვლივ უსამართლობა სუფევს და ამდენი უგვანო და უნიათო ტრიალებს გარშემო.

21090. თუ უარესის მოლოდინში ხარ და ფრთხილობ, ეს ნიშნავს: წარმოსახვით მტერს უყურებ და არა უღრუბლო ზეცას.

21091. ვისაც ცოდვები და მტრები ჰყავს მოშინაურებული, მას თავის წარმოჩენა გაუჭირდება.

21092. ყველა ჩვენგანი ყოფითი სიმბოლოებით ცხოვრობს, მაგრამ გააჩნია, დღეს რა ხასიათზე ვართ და რა მოგვწონს.

21093. მრჩეველი იმაზე მეტია, ვიდრე საჭიროა, ხოლო საქმის მკეთებელი პროფესიონალი ძალზე ცოტაა.

21094. მწუხარება და სიხარული მალიმალ ცვლიან ერთმანეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი გარჩევა-შეფასება გაჭირდებოდა.

21095. წარმატება თავად გვმოძღვრავს და გამბედაობასაც გვმატებს, სხვებიც დავმოძღვროთ და დავაკვალიანოთ.

21096. სათნოების დაკარგვა თავგზას გვიბნევს, მაგრამ დამშვიდების შემდგომ მისი შენარჩუნების შანსი დიდია.

21097. ცნობიერების აგონიაში მყოფნი გაცილებით უკეთ ახორციელებენ თავიანთ ჩანაფიქრს, ვიდრე მშვიდ გარემოში, რადგან ამ დროს სხეულის ყველა წერტილი მობილიზებულია.

21098. გაურკვეველ ვითარებაში აცაბაცა ხასიათი უკეთ ერკვევა და კარგ სარგებელსაც ნახულობს, ვიდრე მონდომება და გონიერება.

21099. ათეისტის გადარწმუნება მაშინაც ძნელია, როდესაც ბედი არ უღიმის და მის მხარეს არ დგას.

21100. განხეთქილება ადრე მიღწეული თანხმობიდან რატომღაც ყოფიერების განბაჟებას მოითხოვს.

21101. მთავარია, პროგრესი რა მიმართულებით აგვამოძრავებს: კოსმოსში სხვადასხვა პლანეტაზე დაგვასახლებს თუ ჩვენი განვითარება დედამიწაზე დასრულდება.

21102. საკუთარი თავის ფლობა ხელოვნება, ნიჭი და განგების საჩუქარია.

21103. კეთილგონიერება დასახული საქმის ბედნიერი დასასრულის შემოქმედია.

21104. სიმართლით წამლობა ეფექტიანია, ოღონდ დასამახსოვრებელ იარას ტოვებს.

21105. აკეთო ის, რაც გასაკეთებელია და რისი კეთებაც შეგიძლია, სასიამოვნო გამონაკლისია.

21106. სწორი გზით მოსიარულეთ ინვალიდობა (საპყრობა) საქმის

კეთებაში ხელს არ უშლით.

21107. სიტკბოსაც და სიმწარესაც თავისი დეგუსტატორები სჭირდება, რათა მათი ნამდვილი ფასი შევიცნოთ.

21108. ის ტრადიციაა ლამაზი და მისაღები, რომელიც სივრცეს და დროს თავისუფლად ეპაექრება და პასუხს აძლევს.

21109. რწმენას ყველა თაობა აღიქვამს, რადგან, რაღაც რომ არ სწამდეთ, ეს შეუძლებელია.

21110. სიკვდილი რომ კარზე მოგვიკაკუნებს, თანამდებობა, ფული და მედგრად დგომა არ გვშველის.

21111. ნეგატივი პოზიტივის შემოტევამ უნდა გაანეიტრალოს. აი, რა არის პოზიტივის მოწოდება.

21112. ამ სამყაროში ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩნეული, ბაქტერიიდან დაწყებული ციური ვარსკვლავებით დამთავრებული.

21113. ყველა ჩვენგანის მოვლინებას ამქვეყნად თავისი მიზანი აქვს, იმისდა მიუხედავად, ვასხამთ ხორცს ამ მიზნებს თუ არა.

21114. ლხინში მოყვასის გვერდით დგომას კაცობა სჭირდება, ჭირში – მოვალეობის გრძნობა.

21115. მაღვალაკურ ქილიკს ღვარძლიც ახასიათებს, მაგრამ უმტკივნეულო და უბოროტო დაცინვისგან განსხვავებული.

21116. ლეგენდების გახსენება, შეძენა და მათით თავის გამოდება ზოგჯერ საჭიროა, რათა თავი ამაყად იგრძნო და ფეხზე მყარად დგომა შეძლო.

+21117. დახმარება მაშინაა კარგი, თუ ის უსაყვედურო და უანგაროა, ხოლო ცუდია, თუ ვერ გამოიყენებ და შეიშნობ.

21118. მოსმენის უნარის მქონე პიროვნებას მსმენელიც ძალზე ბევრი ჰყავს.

21119. წუთისოფელი, შეიძლება, სატანჯველ გალიაში ყოფნად აღვიქვათ, თუ მისი შელამაზების უნარი არ გვაქვს.

21120. პატიოსნება დაშვებულ შეცდომებს არც მალავს და მათთვის არც ალიბს დაეძებს.

21121. სიღარიბეს თავისი მშობლები ჰყავს: გულგრილობა – დედა და მოკლე ჭკუა – მამა.

21122. თაღლითებს თავი ჩვენზე ჭკვიანი ჰგონიათ და ესაა მათი ფეხის წატეხვის საფუძველი.

21123. საკუთარი გონით ჩადენილი სიბრიყვე ზოგჯერ სინანულსაც არ იწვევს.

21124. ცრურწმენა პანიკის დედაცაა, მამობილიცა და ზედსიძეც.

21125. მავანისთვის პატივის მიგება სიამოვნებას გვანიჭებს, თუ ის ამას ნამდვილად იმსახურებს.

21126. მოკრძალებასა და უსირცხვილობას თავიანთი კითხვისა და

ძახილის ნიშნები აქვთ.

21127. ლეგენდები და მითები თავს მარად შეგვახსენებენ, რათა მათი გახსენებით დავტკბეთ და გავიბადროთ.

21128. დამსახურება შემძლეა გამოისყიდოს ის უღირსობა, რაც მას მისდა უნებლიეთ ჩაუდენია.

21129. ზოგი არ იტყუება, მაგრამ სიმართლის თქმას საკუთარ თავზე ერიდება, იმდენად თავმდაბალი და მორცხვია.

21130. წარმატების დამაგრება – გამაგრება, ეტყობა, ყველაზე ძნელია ამქვეყნად.

21131. ზოგი სამყაროს ნაღველს აგროვებს, განიცდის და საკუთარი თავის ჰუმანისტად წარმოჩენას ასე ცდილობს.

21132. სამწუხაროდ, ისე მივდივართ ამ ქვეყნიდან, რომ უამრავი ჩვენთვის საინტერესო საკითხი ამოუხსნელი გვრჩება.

21133. აწმყოს განსჯას და განჭვრეტას ყველა თავისი ოცნებით ცდილობს, მაგრამ რეალობაში იშვიათად ვინმე რომ ერკვეოდეს.

21134. ზოგ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ქვეყანას, სხვებზე შთაბეჭდილების მოსახდენი ექსპორტის გარდა, სხვა ხელშესახები წარმოება ან წარმატება არა აქვს.

21135. მშობლების გაკვირვება შესაძლებელია, მაგრამ ყოველთვის საჭირო არ არის, რადგან ისინი ჩვენდამი სიყვარულის გამო ყველაფერს სერიოზულად აღიქვამენ.

21136. ვდაობთ წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე, მაგრამ რა მოვიფიქროთ პრაქტიკული, ამის განსჯისთვის თავს არ ვიწუხებთ.

21137. არის სასიამოვნო მოგონება, რომელსაც სხვებს ვერ უზიარებ, მაგრამ მისი უკეთ შეცნობისთვის ყოველთვის მზად ხარ.

21138. ჯერჯერობით ისეთი არაფერი დაწერილა და მომხდარა, რაც, შეიძლებოდა, სინამდვილეში არ მომხდარიყო.

21139. უყურადღებობა ერთს ბრიყვად წარმოაჩენს, მეორეს – დამნაშავედ, ხოლო მესამეს – არარაობად.

21140. მიზნად დასახული და სიყვარულით შეფუთული ოცნება აღსრულებადია.

21141. მეგობრული სექსიც არსებობს, რაც ერთგვარ სპონსორობას გულისხმობს. გაუთხოვრად დარჩენილი ქალიშვილის სექსუალურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებთ, შვილის გაჩენაში ეხმარებით და შემდგომ იმის ორკაციან ოჯახს ყურადღებას აქცევთ. ეს გარყვნილება კი არა, მეგობრული ხელის გაწვდენაა, დახმარებაა უპერსპექტივო ქალბატონებისთვის.

21142. ბიწიერება მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანს ახასიათებს და მისგან თავის დაღწევას საკუთარი თავის ნაცვლად რატომღაც განგებას ვთხოვთ.

21143. რწმენასა და გაგებას ნავსაყუდელი არ სჭირდება. ის მუდმივად უნდა დუღდეს ჩვენს ცნობიერებაში.

21144. რწმენა ზოგჯერ ჩვენთვის წინასწარ გაუცნობიერებელ სასურველ საქმეთა აღსრულების გარანტად გვევლინება.

21145. ზოგჯერ დაპირისპირების გარკვევა და აღქმა ძნელია, თუ რა უნდა გწყინდეს და რა გიხაროდეს, ხოლო, თუ დროს და გარემოს ალღოს აუღებ, მაშინ გაიმარჯვებ.

21146. მიჩვევაც მკვიდრად ჯდება ჩვენს ცნობიერებაში და ყოველგვარ აკრძალვებს უგულებელყოფს.

21147. ნაციონალურ ხელოვნებასთან შეხვედრას ემიგრანტები სულიერად სიამოვნებით გადაჰყავს სამშობლოში, წინაპართა მიწაზე და მათ მისი მოფერების ნაღვლიანი სურვილი უჩნდებათ.

+21148. ნახტომი ტირიფის ხიდან მუხის ხემდე – ეს არის ტირიფისაგან გამოთლილი აკვანი მუხისაგან გამოთლილ საიმედო კუბომდე.

21149. სიკვდილის შეგრძნების უნარი ერთი აქვთ, ჭიანჭველა იქნება ის თუ გიგანტი სპილო.

21150. ადრე სახელოვან სიკვდილს გვიან უსახელო სიკვდილი სჯობს და ამას სიბერეში ხვდები, რადგან ყოველივე დავიწყებადია, ძირითადად ხალხი უმადურია, ხოლო ისტორია შერჩევითად მადლიერია არსებული დროსა და გარემოს შესატყვისად.

21151. სიკეთე უპირველესად ბედნიერების მომტანი უნდა იყოს ყველასთვის.

21152. სიამაყესაც დათვალიერება სჭირდება, რათა შემდგომში ის უკეთ წარმოჩნდეს.

21153. ყოველი უგულებელყოფილი, არჩადენილი ბოროტება კაცობრიობის მიერ პატივის მიგების ღირსია.

21154. უძლურება და გულწრფელობა ერთმანეთისგან შორს დგანან, მაგრამ შედეგი ხშირად ერთი აქვთ.

21155. განუსჯელი საუბარი ვერც აფორიზმებად გადაიქცევა და ვერც განსჯად სურვილებად.

21156. გაუკეთებლის კეთების უნარი კაცობრიობის სამსახურში ურიგოდ ჩადგომას ნიშნავს.

21157. ცოდვილებს თავი უფრო მოსწონთ, ვიდრე უცოდველთ, რადგან მათ ხშირად უხდებათ განგებისთვის თავის შეხსენება მონანიებით და კულტმსახურებით.

21158. უმეცრები მტკიცედ თავდაჯერებულნი არიან და, თუ რატომ, ამის პასუხი არ გააჩნიათ.

21159. სიმორცხვეს პატივს მიაგებენ, საქმის კეთებას – მადლიერებას.

21160. ერთისათვის სხვათა სიმდიდრე უსამართლობაა, ხოლო ამ

სიმდიდრის მფლობელთათვის – გარდაუვალი აუცილებლობა სამართლიანობის ზეიმისა.

21161. ბრიყვის დუმილი დაჭკვიანების მიმანიშნებელია, ხოლო ჭკვიანის მოჭარბებული ლაპარაკი, ყბედობა – სიბრიყვის დასაწყისის მაჩვენებელი.

21162. სრული სამართლიანობა არც ამქვეყნად არსებობს და არც იმქვეყნად, რადგან, ვისაც პატრონი ჰყავს ამქვეყნად, პრესტიჟულ სასაფლაოზე უთხრიან სამარეს და ამით რეკომენდაციას უწევენ იმქვეყნადაც უკეთ მოსაკალათებლად.

21163. ღირსება შეცდომათა შემოტევებს ვერ ეგუება.

21164. გასაკეთებლის გაუკეთებლობა არა მარტო სიზარმაცეს, არამედ სიმხდალესაც ნიშნავს.

21165. დროებითი სიღარიბე დამამცირებელი არ არის, თუ შედეგიან გამოსავალს შეგნებულად ეძებ. დამამცირებელია მუდმივი სიღატაკე.

21166. დიდსულოვნებას ყოველგვარი სახის ტანჯვა გადააქვს და შეძლებისდაგვარად ივიწყებს.

21167. სიკეთეს სიკეთის შემჩნევა და განსჯა არ უყვარს, ეგ ჩვეულებრივ საქმედ მიაჩინია, ხოლო ბოროტების ჩადენა აკვირვებს და სიმძიმილს იწვევს.

21168. ცნობიერება მსხვერპლს სიამაყით და სიამოვნებით გაიღებს სახელის დასამკვიდრებლად.

21169. პირადი საკუთრება თავისებური რელიგიაა, რომელზეც ყველანი დაუძალებლად ლოცულობენ.

21170. სურვილებს თავიანთი სამყარო აქვთ, რომელში ჩარევაც გონიერებას უჭირს.

21171. ჩვენი ავი ქცევის გამო კეთილშობილება „ჩვენი კეთილების“ მოკითხვას არ უნდა ცდილობდეს.

21172. თავმოყვარეობის ბაცილა თუ ახალგაზრდობაში არ შეგყრიათ, მისი სიბერეში შეყრა გამორიცხულია.

21173. შვილები მშობლებს არ ირჩევენ, მაგრამ ვერც მშობლები აჩენენ მათთვის საოცნებო და სანატრელ შვილებს.

21174. დღეს დაკარგულ სინდისს კი არა, თანდაყოლილსა და არსებულსაც არავინ ეძებს.

21175. სამყაროსადმი ნდობის დაკარგვა ადვილია, მაგრამ მასზე ხელახლა მორგება, გაჭირვებისაგან თავის დაძვრენა ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელიც.

21176. სიძულვილისა და სიკეთის დაპირისპირება კრიტიკულ გონს მოითხოვს, რათა სიკეთე არ გაუფასურდეს.

21177. კრიტიკა, რომელიც ყოველივე არსებულს თავდაყირა

აყენებს ჩვენს ცნობიერებაში, ავტორიტეტს კარგავს.

21178. კანონი ერთია, მორალი მეორეა, მათი შერწყმა მესამეა, ხოლო, რომელია უპირველესი, არავინ უწყის, რადგან ყველას თავის განუსჯელი ამბიციები და „განსჯადი“ სიმართლე აქვს.

21179. რა არის ოცნება?! თავისუფალი და შეუზღუდავი გადაადგილება სამყაროს ჩვენთვის გაუცნობიერებელ სივრცეში.

21180. წინაპრებს მადლობა ყველა შემთხვევაში უნდა ვუთხრათ, რადგან მათ, ავად თუ კარგად, დღევანდელ ცხოვრებასთან შეხვედრის საშუალება მოგვცეს.

21181. არის რაღაც, რომელიც ვიღაცისთვის არ იყიდება, იმისდა მიუხედავად, რომ ამქვეყნად ყველაფრით ვაჭრობენ დროის, გარემოსა და ფულის რაოდენობის შესატყვისად.

21182. გონიერი პროვოკაციული ქმედებებიც კი აღფრთოვანებას იწვევს, მაგრამ მათ საბოლოო შედეგზე არავინ ფიქრობს.

21183. მეტყველებას, რომელშიც ხმის ძალაც იგრძნობა, ხავერდოვანი ტემბრი და სიმშვიდეც, მსმენელი მუდამ ეყოლება.

21184. თანამედროვე პროგრესი შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონის ძალით მოქმედებს.

21185. ზოგჯერ სამყარო ძალზე პატარად გვეჩვენება, როცა ჩვენი გონება ოცნებით გაჯეჯილებას ცდილობს და ეს დიდ სიამოვნებას გვანიჭებს.

21186. მონდომებას ბევრი რამის კეთება შეუძლია, თუ შემართებაც გვერდით ამოუდგება.

21187. რადგანაც წარსულის განუსჯელად მომავლის პერსპექტივა არ არსებობს, ამიტომ წარსულის გადმონაშთის ხელის ერთის აქნევით მოშორება ჭირს.

21188. გუშინდელი უტოპია, დღევანდელი რეალობა, ხვალინდელი ყოველდღიურობა – აი, სამყაროს ბრუნვა და ორომტრიალი, ხოლო ზოგი მოვლენა ჭირს მოგვჭამს თავისი სიძველის გამო და კვლავ ყოველივე თავიდან დასაწყები გახდება დროის მოთხოვნათა შესატყვისად. რას ვიზამთ ამ სამყაროში ჯერ კიდევ მრავალი რამაა ჩვენთვის შეუცნობელი.

21189. არავინ უწყის, სიბერეს ამქვეყნად სად და როგორ შევხვდებით, ხოლო იმქვეყნად ჯოჯოხეთში ამოვყოფთ თავს თუ სამოთხეში დავემკვიდრებით.

21190. უსაქმურობა, უმოქმედობა, დაუფასებლობა და იმის შეგრძნება, რომ საჭირო აღარა ხარ, ნერვების ამშლელი და ფსიქიკის დამანგრეველია.

21191. ომის რომანტიკა ომის საშინელებათა გააზრებით იცვლება, ენთუზიაზმი ნელდება, გმირობის წყურვილს, აგონიას სიცოცხლის შენ-

არჩუნების წყურვილი ცვლის და დროულად შინ დაბრუნებაზე ოცნება.

21192. ზოგჯერ პატიოსნებაზე მწყრალად არიან, მაგრამ მასთან ურთიერთობით ფრიად და ფრიად ამაყობენ.

21193. ყველა სახის თავშესაფარში მავანთათვის გასაგები სიმართლე ცხოვრობს.

21194. უაზრო ოცნებებსაც თავისებური გამართლება აქვს – სიამოვნების ეჟვანების ჟღერა გსიამოვნებს.

21195. საცოდაობაა, როდესაც ჩვენი სიტყვების ფასი არავის ესმის, არც აფიქრებთ.

21196. გმირებად იბადებიან, მაგრამ მოქალაქეებად ხდებიან.

21197. მოწყალებას არ ელიან, მოწყალებას მოითხოვენ ან მასზე დემონსტრაციულად უარს იტყვიან.

21198. ყოველი მომდევნო ასი წელი ოქროს საუკუნედ გვესახება, მაგრამ რომელი თაობა რას გამოჰკრავს ხელს და რა არის ეს ოქროს საუკუნე, დანამდვილებით არავინ უწყის.

21199. ყოველივე მოწესრიგდება, თუ ჭკუას მოვუხმობთ, გონიერებას პატივს მივაგებთ და საჭირბოროტო ცხოვრებისეულ კითხვებს დავსვამთ.

21200. ჯეელობის ხალისიანი წლების გახსენება ყველა ჩვენგანის ჰობია.

21201. სიტყვა თავისებური მადანია, გააჩნია, როგორ და სად გამოთხრი, როგორღა გადაამუშავებ, რომ მან ყველას მოწონება დაიმსახუროს.

21202. რწმენაც თავისი სიმბოლოებითა და აკრძალვებით უნდა იყოს შემკული, რათა ჯეროვნად იმუშაოს.

21203. ზოგი ჩადენილი დანაშაულისაგან გმირის სახელის გამოდნობას ახერხებს და ამაში მას დიდად შეეწევა დროის უცნაური მოთხოვნა.

21204. სიბრძნესაც თავისი ნაღველი ახლავს, რადგან ის, სხვებისაგან განსხვავებით, უკეთ გრძნობს დანაღვლების მიზეზს.

21205. ღირსეულ და სწორ გადაწყვეტილებათა მიღება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე უღირსო და არასწორისა.

21206. ფაქტობრივად ყველა ჩვენგანის მოწოდებაა, ვიყოთ სამყროს დამამშვენებელი და დამამშვიდებელი.

21207. ნაძრახი ცხოვრებით ყოფნა ძნელია, შთამომავლობა არ გაპატიებს.

21208. კაცობაზე, ადამიანობაზე ბევრი დებს თავს, მაგრამ ყველა მათგანს პიროვნებად ვერ მივიღებთ.

21209. სინდის-ნამუსს პატივს მიაგებენ, ხოლო სამართლიანობით აღფრთოვანდებიან.

21210. არის ჩვენდამი მომართული გულში ჩამწვდომი სიტყვები, არის გულის განმგმირავი სიტყვები, გააჩნია, ვის რა წარმოდგენა აქვს ჩვენზე.

21211. სასიამოვნოა, როდესაც ყველასათვის სასარგებლოდ იცვლებით და თქვენ მიმართ პრეტენზიები არ არსებობს.

21212. სასურველია, თავი ქვეყნის საკეთილდღეოდ იმათ გაწირონ, რომლებიც აღარ გამოდგებიან შთამომავალთა გასამრავლებლად, რადგან ახალგაზრდის უპირველესი გმირობა დღეს მრავალშვილიანობაა, რომელიც დროთა განმავლობაში ქვეყნის საკეთილდღეოდ დასახულ მიზანს მაინც მიაღწევს.

21213. სიავესთან ბრძოლა ენერგიას გვმატებს, მაგრამ ზოგჯერ სიცოცხლეს გვიმოკლებს.

21214. თავაზიანობა და ტაქტი ზომიერების ფარგლებში მისაღები და სასიამოვნოა, ხოლო ყოველივე მოჭარბებული თავის ხიბლს კარგავს.

21215. შვილისთვის აღმზრდელი დედა ანგელოზია, უცოდველია, რა გადახრებიც უნდა ჰქონდეს.

21216. ჩვენი შეცდომების შედეგად წარმოქმნილი ყველა პრობლემა მისთვის გასაგებ გამოსავალს ითხოვს.

21217. უსაქმურობა ძალზე ძნელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ასაკს ახსოვხარ და სხვას – არავის.

21218. ნებისყოფა ძალას ხშირად ფორას აძლევს და თავისას აღწევს.

21219. სახელსა და სიმშვიდეზე ზრუნვა ჩვენს კეთილშობილებაზე მეტყველებს.

21220. ყველა ჩვენგანი საზოგადოებისთვის მისაღები ნიღბის ტარებას ცდილობს, რათა ჩვენ მიმართ დადებითად განეწყონ.

21221. თანდაყოლილი ტემპერამენტი ჩვენი გონიერების, ხასიათის და ჩვევების ყოფიერებაზე მორგებას ითხოვს.

21222. კარგი მეხსიერება სისულელეების ჩადენასაც სჭირდება.

21223. თავის მოკვლა აფექტის საქმეა, მიუხედავად იმისა, რომ ამ უგუნურებისკენ მიმავალი გზების მოძიება არც ისე ადვილია.

ჭეშმარიტებასთან ახლოს

21224. ჭეშმარიტების დადგენა უფრო ადვილია, ვიდრე მისი სათანადოდ აღქმა, დეკლარირება, გამოყენება.

21225. ისტორია მარად ჭეშმარიტებათა ძიებაშია, მაგრამ დრო და გარემო ამის დადგენის საშუალებას იშვიათად აძლევს, რადგან ბევრია ცრუპატრიოტი და პოლიტიკური გვამი.

21226. ჭეშმარიტება ორაზროვნებას ვერ ეგუება, იმავდროულად განსჯისა და პაექრობის წინააღმდეგი არაა.

21227. ჭეშმარიტებაც ზოგჯერ მსხვერპლსა და დროს მოითხოვს თავისი სიმართლის დასამტკიცებლად.

21228. ნამდვილს, ჭეშმარიტს ეროვნულობა არ აქვს, ის ყველასია.

21229. ჭეშმარიტი სიხარული სიცოცხლის გახანგრძლივების პირობაა.

+21230. ჭეშმარიტი ვაჟკაცისთვის მოწინააღმდეგის უკუგდება უფრო სასიამოვნოა, ვიდრე განადგურება.

21231. ჭეშმარიტებას ცდის გარეშე თავის მეობა-რაობის წარმოჩენა უჭირს.

21232. ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზა ტალახიანია, რადგან მისი გამხმარი მტვერის ჩამოცილების სურვილი საუკუნეებს გვაშორებს.

21233. ჭეშმარიტება უკვდავია, ესა თუ ის დრო მას გაუგებს თუ არა.

+21234. ჭეშმარიტება კრიტიკის ველზე ყვავის.

21235. ჭეშმარიტებას სამართლიანობა და სიმდიდრე უნდა შეუწყვილო, თუ გინდა, რომ წარმატება და ბედი მუდამ შენ მხარეს დადგნენ.

21236. ზენაარი მოქალაქეს ფიზიკურად ერთ დროში აცხოვრებს – აწმყოში, ხოლო სულიერად სამში: წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

21237. ზოგადად ჭეშმარიტებაც ბანალურია, თუ მას საგანგებო ანალიზის საგნად არ გახდი.

21238. ჭეშმარიტების ძიებამ მრავალი მსხვერპლი შეინირა.

21239. გუშინდელი ჭეშმარიტება დღეს შეიძლება ჭეშმარიტებად აღარც მოგვეჩვენოს, თუ ყოფიერების სიო სხვაგვარად დაუბერავს.

21240. ღვინით ჭეშმარიტების მიგნებას ლამობენ, არყით – დავიწყებას.

21241. შეცდომა ხშირად მოგვდის და მისი არ უნდა გვეშინოდეს, იქნებ, სიცოცხლის ბოლოს მაინც აღმოვაჩინოთ ჭეშმარიტება.

21242. სამართლიანობა და კანონიერება ზოგჯერ ერთმანეთისგან შორს დგანან, მაგრამ მაინც ბარიკადის ერთ მხარეზე არიან.

21243. ქედს მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენის წინაშე იხრიან და არა ნიჭისა და პიროვნების წინაშე.

21244. ოფიცრის უმთავრესი ღირსებაა სინდისი, ნამუსი, ბრძანებების უსიტყვო შესრულება, საზოგადოებისა – ამ თვისებების დაფასება.

21245. გულის დაკოდვა შესაძლებელია, ოღონდ არა უგუნური გულისა.

21246. ჭეშმარიტებას უამრავი წახნაგი აქვს. მათი ბრუნვა კი მზერას აბრმავებს.

21247. განგების საწინააღმდეგო ჭეშმარიტების ძიება უნიჭობის დასტურია.

21248. პასუხისმგებლობა თანდაყოლილი გრძნობაა, რომელიც შეძენილ ამბიციებს აცხრობს.

21249. ჭეშმარიტების პოვნა შესაძლებელია, მაგრამ მასთან ურთიერთობა არ უნდა გავაპიაროთ.

21250. ჭეშმარიტება მარად ნათელ, ხელმისაწვდომ კონსესუსს დაეძებს.

21251. პროპორციების დაცვა კლასიკურ პირობათა დაცვის გარანტია.

21252. ხასიათი სიმტკიცით უნდა გამოირჩეოდეს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ წვრილმანებში ცხვირის ჩაყოფა და უხასიათობა ახასიათებს.

21253. საკუთარი პიროვნების დამოძღვრა, მისთვის გამამხნევებლად შეძახება სიამაყეს გვმატებს და წინააღმდეგობათა დაძლევაში ხელს გვიწყობს.

21254. მოსმენის ხელოვნება ანგარიშიანი დუმილია.

21255. ჭეშმარიტება ყოველთვის ძნელი დასადგენი იყო და ტექნიკურ პროგრესსაც უჭირს მისთვის თვალის გასწორება.

+21256. წარსულიდან მომავლის გამოდნობა აწმყოს მოვალეობაა.

21257. ჭეშმარიტება რომ შევიცნოთ, უპირველეს ყოვლისა სხვათა ჩვენდამი ზრუნვის მადლის შეცნობაა საჭირო.

21258. განცდას ასაზრდოებს განსაცდელის მუდმივი მოლოდინი.

21259. მჭევრმეტყველება ყველა სასიკეთოდ აღსრულებულ საქმეს თავის ელფერსა და აზრობრივ დატვირთვას ანიჭებს.

21260. გონიერება ჭეშმარიტების შეცნობისკენ ილტვის, მაგრამ ხშირად დრო და გარემო ფეხს უსაფუძვლოდ უდებს.

21261. რეალობაა, ვინ რას აკეთებს, სჩადის და არა ის, რას ფიქრობს და ყბედობს.

21262. გონი ღმერთს, რწმენას ჯეროვან პატივს მიაგებს, მაგრამ ფილოსოფიისა და ჭეშმარიტების უფრო მეტად სჯერა.

21263. ჭეშმარიტებას აქვს მოთხოვნილება, რათა დროზე დალაგდეს და თავისი ადგილი მოძებნოს.

21264. ჭეშმარიტი პატრიოტიზმია, თუ ქვეყანას მედგარ დამცველს უტოვებ.

21265. ყოველი არაორდინალური და გაუცნობიერებელი მისაღებია, თუ სიკეთეს ემსახურება.

21266. სუბიექტივიზმს ჭეშმარიტების რეალურად აღქმა და გააზრება ყოველთვის უჭირს.

21267. ჭეშმარიტება არ ცდება. მას გონივრული გათავისება სჭირდება.

21268. ჭეშმარიტებისთვის ზურგის შექცევა ადვილია, მისთვის თვალებში ჩახედვა ძნელია.

21269. გონიერება ჭეშმარიტების შეცნობის გზით მიდის.

21270. ჭეშმარიტებას გააზრება სჭირდება, რათა გამოსაყენებელი გახდეს.

21271. ჭეშმარიტებას ბევრი არ ეძებს, რადგან ეს ცხოვრებას ურთულებს.

+21272. მხოლოდ მარადიული და ღვთიური, ეკამათება და ედავება ჭეშმარიტებას.

21273. წარმატებამ უამრავი ხილული თუ უხილავი ბარიერი უნდა დაძლიოს.

21274. ჭეშმარიტებას ყვავილის გაშლა უჭირს. ამიტომაა, რომ ის მტკიცედ შეკრულ კოკრად გვევლინება.

21275. ფილოსოფია ჭეშმარიტების გერია, რადგან მას უყვარს მშობელი, მშობელს კი გულზე არ ეხატება.

21276. ჭეშმარიტება არც ისწავლება, არც ბოლომდის აიხსნება. ის უნდა იგრძნო და გონივრულად გაითავისო.

21277. ჭეშმარიტებასა და მის ბუნებას ყოველგვარი გადამეტებულ-მოჭარბებული არ მოსწონს.

21278. წინაპართა გადაწყვეტილებას კრიტიკულად, ოღონდ პატივისცემით უნდა მოვეპყროთ.

+21279. ჭეშმარიტებას საღი აზროვნება მოსწონს და არა იმ აზრის გაფეტიშება, როცა ამ გზით სხვათა აზრები განიდევნება.

21280. გულახდილობას ჭკუის მოხმობა უვერტიურასავით უხდება.

21281. ჭეშმარიტება მარად ჩვენ გვერდითაა, მანქანით გვთავაზობენ გადაადგილებას თუ თვითმფრინავით.

21282. ჭეშმარიტება და შრომა სასწორის ორი საწინააღმდეგო პინაა.

21283. მოწოდებით გმირი სახელს არ ეძებს, თუმცა თავის გასაწირავად მარად მზად არის.

21284. გარჯის უნარი ერთგვარი ნიჭია.

21285. ბრძენის ლანძღვა-ქების და მასზე ყველა დროში მსჯელო-

ბის გარეშე თავისი წარმოჩენა მის ოპონენტებს გაუჭირდებოდათ.

21286. ჭეშმარიტების გაგება თითქოს შეუძლებელია, თუ მას განმარტებას არ მოუძებნი.

21287. ყველა მორალი მისაღებია, თუ ის ხალხის ზომიერ გამრავლებას უწყობს ხელს.

21288. ფარისევლობა ჭეშმარიტებას ყოველთვის ჯიბრში უდგება, იმისდა მიუხედავად, რომ ადამის ძე ეტმასნება.

21289. პირობას აღსრულება უნდა, შვილს – აღზრდა, ვალს – გადახდა და მხოლოდ ამის შემდგომ ხარ ჭეშმარიტი მოქალაქე.

21290. მჭევრმეტყველება დაღვინებული დუმილისგან განსხვავებით, ყოველთვის გონიერების სიმაღლეზე ვერ მეტყველებს.

21291. მჭევრმეტყველება ყოველთვის არ იძლევა გონიერების ქმედებათა კოეფიციენტის გამოსახვის საშუალებას.

21292. სიბრძნესთან შეთამაშება უფრო მეტად ფიქრს მოითხოვს და არა მჭევრმეტყველებას.

21293. დიდი სიხარულის განსჯა მიუღებელია, დიდი სიხარულით მკურნალობა – მისაღები.

21294. ყველა საქციელს შედეგით აფასებენ და აქ პროცესი სათვალავში არ მიიღება.

21295. ყველაზე მეტად სამართლიანობას სხვისი შრომის დაფასება მოითხოვს.

21296. წარმატება ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი თამაშია ბედთან, დროსა და გარემო პირობებთან.

21297. ჭეშმარიტებას ზომა-წონა არ აქვს. ის მხოლოდ განსჯისთვის არის განსაზღვრული.

21298. გონის პატარა ნაკვესი ზოგჯერ უზარმაზარ სიმართლეს, ჭეშმარიტებას ღაღადებს.

21299. შეგნებაც თავისებურ ტაქტს, ნიჭს, ღირსებას, ურთიერთთანადგომის წარმოჩენას მოითხოვს.

21300. წესრიგი არა მარტო წესისა და რიგის დაცვა და ჩვენი ტრადიციების შენარჩუნება, არამედ მთელი ფილოსოფიის ნაჟურიცაა.

21301. ჭეშმარიტების შეცნობის პროცესში მარად სუფთა ფურცელი გჭირდება საკუთარი ნააზრევის ჩასაწერად, ჩასასწორებლად.

21302. სინდისისთვის ზურგის შექცევა უმთავრესად არ ამართლებს.

21303. ჭეშმარიტება უპირველესად გონიერებას ეღადავება, სულიერებას ალღოს უღებს, ხოლო ხორცმა იგი შემდეგ უნდა გაითავისოს, რადგან სხვანაირად მისი შეცნობა შეუძლებელია.

21304. გენიალობას მარადიული არაფერი მოსწონს, მათ შორის სიმშვიდე და ფასდაუდებელი სიკეთის კეთება.

21305. წიგნი ჩვენი სასიამოვნო თანამოსაუბრე და ჭკუის ფაქიზი

დამრიგებელია.

21306. წინაპრების უნებლიე გახსენება ტრადიციების დამსახურებაცაა და დაცვაც.

21307. სიმართლე მარადიულია, თუ მისი ბაზისის ნგრევა ხელს არც მტერს აძლევს და არც მოყვარეს.

21308. ყველა წყალობას სათანადოდ და პატიოსნად პატივის მიგება სჭირდება.

21309. სიმართლე ჭეშმარიტების თანამდგომია და ის თავის სანთელ-საკმეველს არასოდეს დაკარგავს.

21310. ჭეშმარიტება ჩვენს ოპონენტებსა და მსმენელებს დამშვიდებული გონებით უნდა შევაგებოთ.

21311. ჭეშმარიტება შერკინების საშუალებადაც შეიძლება იქცეს და სამართლიანობის აღსადგენ საშუალებადაც.

21312. სიკეთის ქნასაც თანდაყოლილი ნიჭი, გარემო და მასწავლებელი სჭირდება.

21313. ცივილიზაციის გააზრების შემდგომ „არტიფაქტები“ გვრჩება, რომლებიც პროგრესის გათავისებაზე შთაბეჭდილებებს გვიცვლის.

21314. აქტუალურ საკითხებზე მსჯელობისას წერტილის დასმა უნდა ვისწავლოთ, როგორც არ უნდა გვიჭირდეს ამ პრობლემათა დავიწყება.

21315. ჭეშმარიტებასთან მიახლოების მცდელობა ადამიანებს უფრო გონიერსა და მოყვასს ხდის.

21316. პროფესიონალიზმი და მკაცრი დისციპლინა მიუღწეველს მიგვაღწევინებენ.

21317. ზოგჯერ თვალს სასოებით მოწყვეტილი ცრემლი მეტად ფასობს, ვიდრე ვიშ-ვიში და ცრემლით თვალების „დამდუღვრა“.

21318. ჩვენს შესაძლებლობებს საკუთარი თავის ჯობნა განსაზღვრავს და არა ჩვენ მიერ წარმოდგენილი ღმერთი.

21319. ჭეშმარიტებაც ბრმაა. ვინაც მის რაობას წარმოაჩენს და მის სიმართლეს დამტკიცებს, ისაა მისი ნათელმხილველი.

21320. ჭეშმარიტებას ყოველთვის გვერდში უდგას სამართლიანობა, სისპეტაკე და სიყვარული.

21321. დღეს თავის წარმოჩენა პიარისა და რეკლამის გარეშე ჭეშმარიტების მაძიებელსაც უჭირს და ჩვეულებრივ მოკვდავსაც.

21322. მეგობრობას დროით გადამოწმებული ურთიერთობა ადებს ფასს.

21323. ფილოსოფია ის სასუქია, რომელიც ადამიანის გონის დროულად მომწიფებას უწყობს ხელს.

21324. დემოკრატია უპირველესად სხვისთვის ყურის გდებაა და მან მოთმინების სწავლა უნდა შეძლოს.

21325. დემოკრატია შენ მიერ არჩეული პირის მხარდაჭერაა ჯანმრთელი ოპონირების პირობებში.

21326. ჭეშმარიტების ძიება ყოველთვის ბუნდოვანია, რადგან ყველანი, ავად თუ კარგად, რაღაცას დავეძებთ.

21327. ჭეშმარიტების უარმყოფი ჭეშმარიტება უკვე თავადაა ჭეშმარიტება კუბში, ოღონდ მინუსით.

21328. უმეცარ ნამოქმედარზე მეტად ცნობილი უმეცრებით ნათქვამი რჩება.

21329. ჭეშმარიტების სიდიადეს უპირველესად თავადვე უნდა გრძნობდე.

21330. სიცარიელეში სიწმინდე ვერც დაისადგურებს და არც აღიქმება.

21331. ერთი შეხედვით, იმ აქსიომის გაგებას, რომელსაც სიკეთე და ბოროტება ჰქვია, ადამიანი მთელ სიცოცხლეს უშედეგოდ ანდომებს, იმდენად ცვალებადია დრო, შემთხვევა, ქცევის ნორმები, სამყარო.

21332. საპირისპირო ჭეშმარიტება არ არსებობს, რადგან ჭეშმარიტება ან არის, ან არ არის და მას „კაპიტალური რემონტი“ არ სჭირდება.

21333. რა არის ჭეშმარიტება, ძნელი სათქმელია, რადგან ტექნიკური პროგრესის შემოტევა ზოგჯერ ორჯერ ორი რომ ოთხია, იმისაც ეჭვით უყურებს, რადგან დრო და გაგება სამყაროს შეცნობის შესატყვისად იცვლება.

21334. სამართლიანია ის, რაც განსჯილი და დადგენილია, და არა ის, რაც განსასჯელი და დასადგენია.

21335. მიღწეულით რომ დატკბე, დროდადრო შრომას უნდა განერიდო, შეისვენო და შემდეგ კვლავ იღვაწო, რათა გარჯა მოსაბეზრებელი არ გახდეს და ყოველდღიურობად არ იქცეს.

21336. ურთიერთმოწიწება, მორჩილება, პატივის მიგება ბორკილებს არ ნიშნავს და არც უგუნურებასთან გაიგივდებაა.

21337. არ უნდა იყო ღარიბი და არცა უმწეო – საკუთარი თავის მიმართ ამდაგვარი თავის გამოდება უნდა გავითავისოთ, რა რწმენასაც უნდა ვეთაყვანებოდეთ.

+21338. გვიყვარდეს და გადავრჩებით, ვიმოქმედოთ და გავმდიდრდებით, ვიმეცადინოთ და გავნათლდებით.

21339. თუ საქმეში ყველა არამკითხე მოამბე ცხვირს ჩაყოფს, ჩხუბი და ჭეშმარიტებისათვის კვანტის გამოკრა გარდაუვალია.

21340. სამყაროსთან ჰარმონიულად შეწყობა ესაა სიცოცხლის გახანგრძლივების ელექსირი.

21341. კომპილატორსა და აფორისტს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი წიგნს აკოწიწებს სხვათა ციტატებით, მეორე თავად ქმნის

ციტატებს კომპილტორისთვის.

21342. შეიძლება წვენი ნაყოფს არა სჯობდეს, მაგრამ ის ნაყოფის კონცენტრირებული სახეა.

21343. აფორიზმში მეტ-ნაკლებად განგების ხელწერა იკვეთება და არა მხოლოდ ნიჭი.

21344. ბევრი აფორიზმია ისეთი, რომელთაც ყველა გენიოსი დიდი სიამოვნებით მოაწერდა ხელს.

21345. სადღეგრძელო მჭევრმეტყველებაა: იგი იცავს ტრადიციას, ყოფით ურთიერთობებს აუმჯობესებს, სიამოვნებით „გულს გვკორტნის“, გონიერებს აფიქრებს და ფილოსოფოსობის ხასიათზე აყენებს.

+21346. აფექტის დროს ენა ტკივილს გადმოსცემს და არა ნააზრევ-განსჯილს.

21347. დღეს „სკანდალი“ დანაშაული არაა. ის პიარის ერთ-ერთი სახეობაა თავის წარმოსაჩენად, დასამახსოვრებლად და ფულის საკეთებლად.

21348. სიკეთის უაზრო კეთება ყველა დარგში უარყოფით შედეგს იძლევა.

21349. განდიდების ავადმყოფური მანია პიროვნების დეგრადაციაა.

21350. საფუძველს მოკლებული ქმედებანი სასურველ შედეგს არ იძლევა.

21351. სიკეთის მკეთებელნი უფრო მეტად იბადებიან და იშვიათად შემდგომ ყალიბდებიან.

21352. გონი უკეთ ხატავს, ვიდრე – ხელები.

21353. არქიტექტურას თავისი მუსიკა აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ მოგვხიბლავდა ხისა და ქვის სიმფონიებით.

21354. რწმენასაც მასწავლებელი სჭირდება – ცნობიერების დამსახურება იქნება ეს თუ შთაგონებისა.

21355. შენითა და შენი ნაღვაწით თავის მოწონება თუ შენი იმქვეყნად გადაბარგების შემდგომაც გრძელდება, უკვდავებას ზიარებიხარ.

21356. სათნოება სიყვარულითა და სილაღით შეფუთული საზეიმო საჩუქარია.

21357. ცოდვების რეციდივს მონანიება უხდება, ხოლო მათზე ხელის აღება ანგელოზად გვაქცევს.

21358. გამარჯვებამ მომაგრება იცის, თუ გაჭირვებულს ერთხელ მაინც ხელს გაუმართავს.

21359. უმთავრესია, საკუთარ თავს გაუგო და მასთან ურთიერთობა კონფლიქტში არ გადაგეზარდოს. დანარჩენს ყველაფერს მოევლება.

21360. ანგელოზი ხარ, თუ სხვას საჭიროების შემთხვევაში უანგაროდ ეხმარები და თავს არ ამადლი.

21361. უნიათობა იმედის გაცრუებაა და სიდუხჭირე იწვევს ყოველ-

გვარ რევოლუციას, ბუნტსა და აშლილობას.

21362. ბევრის უფლება საკუთარ თავს მაშინ უნდა მივცეთ, თუ საქვეყნო საქმეს ვემსახურებით და სიახლის დანერგვას ვცდილობთ.

21363. წარსულისადმი უდიერი დამოკიდებულება, აწმყოს აბიაბრუებს და მომავალს ცისარტყელას ფერებს აცლის.

21364. სასწაული და უცნაურობა ფაქტობრივად სინონიმებია.

21365. ტარდიციული ღირებულებანი გონიერების გადასახედიდან უნდა შეფასდეს და დაფასდეს.

21366. მე მწამს იმ გმირობისა, რომელსაც შედეგი მოაქვს და არაა რაიმეს უაზრო მცდელობა.

21367. სიტყვიერ შერკინებას ისევ ოპონირება სჯობს, სადაც კეთილი სურვილი მეტია.

21368. დანაშაულებრივი ფუფუნების წამხედურობა სულიერად რყვნის არა მარტო დღევანდელ, არამედ მომავალ თაობებსაც.

21369. იმისთვის, რომ სნორად გაგიგონ, სწორად უნდა მეტყველებდე და შემოქმედებითი უანრით იყო დაჯილდოებული.

+21370. ეცადეთ, თქვენი მეობით წარმოჩინდეთ და არა თქვენი მეობა წარმოაჩინოთ.

21371. ბუნება გონისთვის მიუწვდომელი დრამატურგი და შემოქმედია.

21372. რჩევა-დარიგება უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავს უნდა ვაკადროთ, რადგან ის ყველაზე უკეთ დაგვიფასებს.

21373. „კი“ და „არა“ ძმები არიან, ოღონდ „კი“ უმცროსია, „არა“ – უფროსი.

21374. მეზობელთა ავკარგიანობას გონება განსჯის და სიახლოვე განსაზღვრავს.

21375. ჭეშმარიტებასაც კი პრაქტიკულად ხინჯი ახლავს, რომელსაც თეორია არა ცნობს. მაგ. თავისუფალი ცხოვრება, ფუფუნება თეორიულად კარგია, მაგრამ პარქტიკულად ადამიანს რყვნის და სახელმწიფოებრიობას ძირს უთხრის.

21376. მიზანს, ოცნებისაგან განსხვავებით, არ ივიწყებენ და მისთვის რისკავენ კიდეც.

21377. თუ საჭირბოროტო საკითხებს ყურად არ ვიღებთ და გულგრილად ავუვლით გვერდს, ჩვენი კაცობა საეჭვო გახდება.

21378. აშკარა ჭეშმარიტების მტკიცებას სიბრიყვემდე მივყავართ.

21379. საკუთარ თავს ყველა ვესიყვარულებით – ეს თვალთმაქცობით მოგვდის თუ გულის კარნახით.

21380. ბავშვი მშობლების შედეგებების საშუალებაა, რაკიღა ხდება მოვალეობათა გადანაწილება ერთ „სამშენებლო“ ობიექტზე.

21381. ყველა კეთილი საქმის კეთება სურვილით იწყება, შემარ-

თებით ხორციელდება, და ზეგარდამო მადლით გვირგვინდება.

21382. რეალურის აღქმასა და ცუდის შეცნობას გამოცდილება გვასწავლის.

21383. მთავარია ურთიერთთანადგომა, საქმის კეთება და არა დაპირისპირება, ერთმანეთისთვის რაღაცის მტკიცება.

21384. სიკეთე თავად ახდენს საკუთარი თავის შეცნობა-შემეცნებას.

21385. საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი მორცხვობასთან არ მეგობრობს.

21386. კატა რომ თაგვს ვერ იჭერს, ეს უფრო უზრუნველი აღზრდის ბრალია, ვიდრე საკვები „ვისკასისა“.

21387. ის, რაც ზღაპარივით ჟღერს, სასურველია ზღაპარივით დასრულდეს, თუ მას რეალობასთან მიახლოება არ შეუძლია.

21388. გამარჯვებისა და წარმატების გამოჭედვა თავხედურ წინსწრაფვას მოითხოვს.

21389. სიჯიუტე ზოგჯერ დამნაშავის თანადგომისკენ გვიბიძგებს.

21390. წარმატების ფორმულაა: საკუთარი თავის რწმენა, ცოტა იღბალი, დიდი შემართება, გამოცდილების რეალიზების უნარი.

21391. „ჰოს“ ყოველთვის მეტი ძალა აქვს, ვიდრე „არას“, რადგან ეს უკანასკნელი თავის დასაცავად მუდამ მზად უნდა იყოს.

21392. შინაურს ნაკლები შენდობა აქვს, იმისდა მიუხედავად, ქვეყნის სათავეშია თუ ფერმის გამგეა.

21393. სათნოებას, სათნოებისვე თვალსაზრისით, კონკურენტი არა ჰყავს.

21394. ალალად საუბარს, სასიკეთო აზრების „გადმონთხევას“ სასურველი შედეგი ყოველთვის როდი მოაქვს.

21395. ჭეშმარიტება და სიმართლე იმაზე ახლოა, ვიდრე გვინდა და გვგონია.

21396. ყველა საქმიანობაში შეიძლება კარგისა და ცუდის აღმოჩენა, გააჩნია, რა დროა, რისი დანახვა გვინდა, ვის ინტერესებს ვიცავთ და ვინაა ოპონენტი.

21397. მიწაზე თავდადებული შრომაც თავისებური ქურდობაა, გამოძალვაა, რადგან მარჩენალს ართმევ იმაზე მეტს, ვიდრე ნებით გაცემა ძალუძს.

21398. ხშირი ილუზიების არეულ-დარეული ხილვა ქმნის ხელოვნების შედეგს.

21399. ღირსების კოდექსია: ბრძანება არ განისჯება, შენიანები არ მიატოვო, სინდისი ფულზე არ იცვლება, ღალატი მიუღებელია.

21400. სახალისოდ არავის უნდა დავცინოთ, ამით რაც უნდა მაღლდებოდეს ჩვენი ავტორიტეტი.

21401. ელიტარულს, მათ შორის კონიაკსაც, მისაყოლებლად არაფერი არ უხდება, გარდა თავისი „ბუკეტისა“.

21402. ხელიდან წასულს თავიდან წასული „უჯოკრავს“. ხაკერი გვყავს მხედველობაში.

21403. სიტყვათმპყრობელი მსმენელს ეძებს და ამითაც კმაყოფილია.

21404. ტანწაღებულობა არ ნიშნავს იმას, რომ მოდის გავლის შემდგომ ისინი ტაშს დაიმსახურებენ.

21405. შიმშილთან მეგობრობა მაძღრებმა უნდა ისწავლონ – ეს მათ ჯანმრთელობას არგებს.

21406. შიმშილი და გაჭირვება თავის დაკრულზე ყველას აგვაცეკვებს.

21407. მეთავისე ყველას იქით ედავება, იქნება „ნაჩალიჩევი“ შემრჩესო.

21408. ჭეშმარიტებას ყოველდღიურობის თავისი გადასახედიდან აღქმა უჭირს.

21409. ნამუსი, რომელიც არასოდეს გვაწუხებს, უნამუსობაა.

21410. მადლის მოხმობა და მისი შეცნობა ჭეშმარიტებასთან გვაახლოებს.

21411. ინსტინქტი შიშს არ უნდა ეპუებოდეს და მასზე არ უნდა ფიქრობდეს, მაგრამ მხცოვანებასთან ჭიდილს სად გაექცევი.

21412. ნიჭიერი კაცი, რომელსაც „არ ვიცის“ თქმისა არა რცხვენია, ბუნებით დიდი პიროვნებაა.

21413. მეტისმეტად გადაჭარბებული, მათ შორის სიყვარული, თავისუფლება, ღრმა აზრების ფრქვევა, ცუდია, რადგან უმეტესობა მათ სათანადოდ ვერ იგებს.

21414. სისულელისგან ბრძენს პერსპექტიული დასკვნები გამოქვს, სულელი კი ამით თავის თავს აჩვენებს.

21415. ნაძალადევი, მოჩვენებითი „შემილიტინე“ არც გაცინებაა მოსაწონი და არც საქმიანობა – მცდელობა, რადგან ირგვლივ მყოფთ ჩვენი არ სჯერათ.

21416. აუცილებელი მტრობა მტაცებელსა და მსხვერპლს შორის ზომიერების ფარგლებში ხელს უწყობს მათ გამრავლებას, განვითარებასა და შენარჩუნებას.

21417. გვინდა – არ გვინდა, მომდევნო თაობებზე ზრუნვა, დაფიქრება, მათთვის ჭკუის სწავლება მაინც მოგვწონს, ცივილიზაციამ თავისი განვითარების რა დონეც უნდა შემოგვთავაზოს თავისი სუპერაღმზრდელი რობოტების სახით.

21418. ჭეშმარიტებასთან გასაუბრება ყოველთვის შეიძლება, თუ ჩვენი ცნობიერება ამას მოინდომებს.

21419. აუტისტებს შორის მოხვედრისას დუმილზე უკეთესი არაფე-

რია.

21420. წინდახედული დუმილი გონივრული საუბრისთვის გვამზადებს.

21421. შედეგის, მცდელობის გამართლება-არგამართლების მიუხედავად, მარად წინ უნდა ვიყუროთ და ვიაროთ.

21422. კვერცხის რაობის არსს ის გაიგებს, ვინც მას დებს და შთამომავლობას ელის, და არა ის, ვინც მისი გემო იცის.

21423. ჩალიჩის პირდაპირი განმარტებაა: „არც მწვადი დაწვა და არც შამფური“.

21424. კარგი მხედველობა ჩვენი შესაძლებლობებისა და მომავლის წინასწარ ჭვრეტას არ ნიშნავს.

21425. ჭეშმარიტება გვიკიჟინებს, თავი მოყვასს ვანაცვალოთ, მოყვასი – ხალხს, ხალხი – სამშობლოს, სამშობლო – კაცობრიობის ბედსა და მომავალს.

21426. საკუთარ თავთან შერკინებაც კი ღირსებას გვმატებს.

+21427. სირცხვილის მიფუჩეჩება მისი დაკარგვის ტოლფასია.

21428. ალღო და ინტუიცია შინაგანი ცნობიერების ნაოსტატარია და არა განგების და განათლებისა.

21429. გაკეთებული საქმე ყველა დანახარჯსა და ბეჭედდასმულ ქაღალდზე მაღლა დგას.

21430. მრავალჯერ ერთი და იგივე ნათქვამი გვაიძულებს, დრო ფიქრებში გავატაროთ ან ყურში არ შევუშვათ.

21431. უმთავრესია რაღაცის მიმართ რწმენა, შემდგომ მოდის ყოფის ჰიპნოზი, ჯადოქრობა, შელოცვა და სხვა ამგვარი ჭკუის საღრძობი. ყოველივე ამაში გვაჯერებენ, ვიჯერებთ და ზოგჯერ გვშველის კიდევაც.

21432. სჯობს სამართლიანი ქვეყანა ვაშენოთ, ვიდრე დემოკრატიული, იმისდა მიუხედავად, რომ ადამიანები სიმართლესა და დემოკრატიას სხვადასხვგვარად აღიქვამენ.

21433. შვილობილთა ინსტიტუტის შექმნა აუცილებელია. უპატრონო ბავშვები ცნობად პიროვნებებზე უნდა მივამაგროთ, რომლებიც თვეში ერთხელ მაინც შეხვდებიან თავიანთ შვილობილებს, რჩევა-დარიგებებს მისცემენ, საჩუქრებით წაახალისებენ. ასე და ამგვარად, ობლებს და უპატრონო ბავშვებს ერთი დამატებითი მზრუნველი გამოუჩნდება. ეს „ნებაყოფლობით-დაძალებითი“ ქმედება საზოგადოებას ძალზე წაადგება.

21434. სიკეთის მთესველებს კი ვხედავთ, მაგრამ მათ გამრავლებას არ ვცდილობთ, რაკიღა მათგან გამორჩენას არ მოველით.

21435. ტრაგედიაა, როდესაც ცუდი ვითარების გამო თავს დამნაშავედ არავინ გრძნობს და თავისი გადასახედიდან ყველა მართალია.

21436. ბუნება მარად ჭეშმარიტი და რაციონალური ქმედებისკენ მოგვიწოდებს, მაგრამ ადამიანები, თავიანთი სიმსუნაგისადან გამომდინარე, მას ხშირად ვერ ან არ უგებენ.

21437. რჩევა მრჩეველის ჰობად დარჩება, თუ ის არავის დააინტერესებს. დაინტერესებას კიდევ პატიოსნება და სამართლიანობა სჭირდება.

21438. ნერვიულობას თავის მოთოკვა სჯობს, მაგრამ ნერვებს ამას ვერ შეაგნებინებ.

21439. ყოველგვარი ზომიერება ჩვენი მეგობარია – ღვინო იქნება ეს, საქმიანობა თუ სიყვარული.

21440. კარგ საქმეს რეალურად სიძნელის გადალახვა უხდება და ეს კიდევაც ამშვენებს, როგორც ხევსურს – ჭრილობა.

21441. ცნობისმოყვარეობა კარგსაც და ცუდსაც ედავება, ე.ი. ოპონირება ყველგან და ყველაფერში აუცილებელია.

21442. სიმხდალე და სიფრთხილე ერთმანეთს გარეგნულად ჰგვანან, მაგრამ არა შინაარსით, ქმედებით, აზროვნებით.

21443. შენება ბუნებისათვის მიწის წართმევას ნიშნავს, რომელსაც ადრე თუ გვიან ის აუცილებლად დაიბრუნებს.

+21444. მართალია, ამქვეყნად ყოველივე წარმავალია, ოღონდ ეს არ ეხება სიბრძნეს, რომელიც ნებისმიერ ფასად უნდა შევინარჩუნოთ.

21445. უმოქმედობას უკუშედეგი მოაქვს, რა გამართლებაც არ უნდა მოუძებნოთ.

21446. სიფრთხილე თეორიების შექმნასაც სჭირდება და პრაქტიკასაც, რათა აუტკივარი თავი არ ავიტკივოთ.

21447. უარყოფითი შედეგი მხოლოდ გონების საწვრნელადაა გამოსადეგი.

21448. სურვილი კარგია, მაგრამ მასთან ახლო ყოფნა და აღსრულება უკეთესია.

21449. ბიზნესი გამართლებაა, ეკონომიკა ცოდნაა, პოლიტიკა სურვილია, მართვა უნარია, ცოლის მოყვანა ურთიერთგაგებაა, ნაშიერთა აღზრდა მოვალეობაა, მშობლების ყოლა ბედნიერებაა, მათი იმედის გამართლება ზეიმია.

21450. მზრუნველობამაც ხელიდან დასხლტომა იცის, თუ მის პატიოსნებას მადლიერების გრძნობას არ წავახმართ.

21451. გაჭირვების ტალ-კვესიც, ეტყობა, ჩვენი ჭკუით უნდა დავინახოთ და მას ისე ჩამოვკრათ.

+21452. სჯობდა, ევროკავშირში შესვლის მცდელობას ისევ კავკასიის კავშირი შეგვექმნა, რადგან ევროკავშირის თავყრილობაზე უფროსობის ნებას არავინ მოგვცემს. ჩვენ კი ჩვენი თამადობის გარეშე ევროკავშირში კი არა – ძმასთან, სუფრასთან ჯდომა არ გვინდა.

21453. შური, გაუტანლობა მარად თავის საკვებს ეძებს, მაგრამ ნიჭისა და შემართების წინააღმდეგ უძლურია და ხშირად მშიერი რჩება.

21454. გამარჯვების იმედის უქონლად ბრძოლა, დაპირისპირება რწმენასა და სიყვარულთან ერთად დიდ სულიერ ვაჟკაცობას მოითხოვს.

21455. დედამიწის ყოველი კუთხე ჩვენი სალოცავია, რათა რომელიმე მათგანმა კატაკლიზმი არ განიცადოს და სამყაროს მთლიანობას არ ავნოს.

21456. შურს სხვათა წარმატება არ ახარებს, თუ გნებავთ ეს ნიჭის დამსახურება იყოს და არა შემთხვევის.

21457. იმ ვაზის ღვინოა დასაგემოვნებლად ღვთაებრივი, რომელიც მზის საკოცნელად სამხრეთ ექსპოზიციაზე ხარობს და შაქრდება.

21458. ყბედობა ჩვენ ირგვლივ მყოფთა სივრცეს ანაგვიანებს. არადა ამაზე ფიქრით თავს არავინ იწუხებს.

21459. უგარანტიო ჰუმანიზმი არაფერია და ვერც ვერავის მოხიბლავს.

21460. უიმედობა თავისებური ფუღუროა, რომელშიც ხელების ფათური არ ღირს.

21461. თეორიულად აპოკალიფსი მოსალოდნელია, მაგრამ პრაქტიკულად როდის იქნება, არავინ უწყის.

21462. მიკერძოება ყველას გვახასიათებს, მაგრამ ის გონივრულ საზღვრებს არ უნდა გასცდეს.

21463. ყოველი გადაგვარებული თავის გვარს საფრთხეში აგდებს, იმისდა მიუხედავად, რომ ზოგჯერ ეს ქმედება მას ცნობილსა ხდის.

21464. შემთხვევითობა თეორიულად ყოველგავრი კანონზომიერების წინააღმდეგია, იმისდა მიუხედავად, რომ არსებობს შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონი და ამ კანონზომიერების დადგენის მარადიული მცდელობა.

21465. კომედია, სატირა, იუმორი დაგვცინის, მაგრამ ჩვენს განკურნებასაც ლამობს.

21466. ფესვების ხარისხს ხის ღეროზე დამყნილი ჯიშის ვარგისიანობა ადგენს.

21467. ჭეშმარიტება ჭეშმარიტებას ჭეშმარიტების შესაცნობად უხმობს.

+21468. დღეს სურვილი ჯიბის გასატეხი ტოტალიზატორია, ხოლო მცდელობა ენის გასატეხი – ბანკის ვალი.

21469. სიჭრელე სიწრფელის მეგობრად ვერ გამოდგება.

21470. ალალმართლობის თეორიას მისი შედეგი განსაზღვრავს.

21471. ყველა ჭირს ჯოხივით ორი ბოლო აქვს, გააჩნია, რომელ ბოლოს გამოიყენებ სახელურად და რომლით დაიწყებ უგუნურების მტ-

ვრის ჩამობერტყვას.

21472. ჩვენი იმპერატორია სამშობლო, მეფე-დედოფალი – მშობლები, ყოველ შემთხვევაში ამგვარად უნდა ვფიქრობდეთ, ვიღვწოდეთ და შესატყვის პატივს მივაგებდეთ ჩვენი ყოფის სამივე განზომილებას.

21473. მჭევრმეტყველება მოზომილი სიტყვა-პასუხია, რომელსაც ყველა თავის სასარგებლოდ და აღფრთოვანებით იგებს.

21474. საკუთარი თავის შეგონებაც გონიერებასა და ნიჭს მოითხოვს.

21475. ბელადის ყოლა ყველა მოუწესრიგებელ ქვეყანაში, გაუმხელელ წადილად რჩება.

21476. სუსტი და წაგებული ყოველთვის დამნაშავეა – უკეთ უნდა მომზადებულიყო.

21477. კრიტიკის წინაშე ყველა და ყოველივე ვალშია, რადგან ის თავისებური რეკლამაცაა და ცნობადობის მომნიჭებელიც.

21478. გემოვნება განგების საჩუქარია, თანაც საგანგებო, სპეციფიკური.

21479. გაუწვრთნელი, ჯარი ხორცის საკეპში გასატარებელი საფარშე მასალაა.

21480. ქვეყნის მიყრუებულ სიღრმეში საუკუნოვანი სიმყუდროვე სუფევს და სჯობს, ამ ნაკრძალს ხელი არ ვახლოთ, სიწმინდე მაინც შეგვრჩება.

21481. თავდავიწყებული სიყვარული, ფიცხი ხასიათი, გახელებული საშვილოსნო, შმაგი მეობა, სწრაფვა დიდი ფულისკენ – ყოველივე ეს თანდაყოლილი ნიჭია და მათ მინუსად ვერ მოვიხსენიებთ.

21482. სიდიადეს ხშირად ის წვრილმანი უშლის ხელს, რომელიც ადამიანის ყოფიერებისთვის აუცილებელია.

21483. აღელვებულ-ამღვრეული არც თავისუფლება უქნია ღმერთს, არც ყურით მოთრეული დემოკრატია და არც ყბადაღებული სიტყვის თავისუფლება. საჭიროა მათი დაღვინება და წესრიგში მოყვანა.

21484. განგების ნაჩუქარი საგზურების გამოყენებას ბედთან ერთად თავის განძრევა და ხელების დაკაპიწებაც უნდა.

21485. იშვიათია გამოსაყენებელი გონება და არა გაქექილი ტვინი.

21486. სიცილი შეიძლება იყოს სიკეთის, სიბრალულის, სიავის, ღვარძლის მთესველი, იმისდა მიუხედავად, რომ ის თითქოსდა სიკეთის სამსახურისთვის არის გაჩენილი.

21487. უახლესი ტექნოლოგიები იმდენ ახალ ნაწარმს გვთავაზობენ, ადრე რომ ოცნებითაც ვერ წარმოვიდგენდით.

21488. ლეგენდის მორგებაც შემოქმედებაა, თუ მას გერგილიანად გამოიყენებ.

21489. განათლების ძალის ჩვენება საჭირო არ არის, თუ სჭირდებ-

ით, თავადვე შეგამჩნევენ.

21490. იარაღის ხარისხს ბრძოლის დროს არ აკრიტიკებენ. მის უკეთ გამოყენებას ცდილობენ.

21491. ტყუილისაგან განსხვავებით, სიმართლეს არგუმენტით არ სჭირდება.

21492. კარგად მივიწყებულის გახსენება დავიწყებულ სიამოვნებას გვანიჭებს.

21493. მშვიდობას ბევრი მომხრე ჰყავს, მაგრამ ომის გამჩაღებლები მაინც ახერხებენ ომობანას თამაშს.

21494. ყველა ბედნიერება თუ უბედურება სიტყვების გაცვლით იწყება, მათ შორის შერიგებაც და საერთო ენის გამონახვაც.

21495. ძლიერ სულთან გულის კარნახიც კი ვერაფერსა ხდება.

21496. საქმე თავადვე უნდა მოიძიო და არა პირიქით.

21497. ყველაფერი ნაღდი, მათ შორის მეგობრობაც, ეჭვს არ იკარებს.

21498. ჭკუის მოხმობა ყველაზე მეტად ენას სჭირდება.

21499. ძველად ამბობდნენ: ხანჯლის კოცნა გულის წრთობას ხელს უწყობსო.

21500. ყველა თავს ხრის მარადიულობის წინაშე, ქედმოდრეკილს რაც უნდა დიდი ამბიციები აწუხებდეს.

21501. სამყაროს ხშირად უნდა გაუღიმოთ, ვინ იცის, რა ხასიათზე დავაყენებთ განგებას, რომელიც მოხარულია, ჩვენ გაგვიღიმოს.

21502. ენის გერგილიანობა გონიერების ნახევარძმაა.

21503. პრაგმატული რომ გახდეთ, საკუთარი თავი ხშირად და დაუზარებლად უნდა ავარჯიშოთ.

21504. ოპტიმიზმი, სიყვარული, ურთიერთთანადგომა წარმატების საწინდარია.

21505. ეცადეთ, სიცოცხლის ბოლომდე ის დარჩეთ, რაც იყავით, ვიდრე რაღაცას მიაღწევდით, რადგან ბუნება-გუნების ხელოვნურ ცვლას სიკეთე არ მოაქვს.

21506. უმადურისა და დაუნახავისთვის სიკეთის კეთება დანაშაულია, რადგან მისი შეცნობის მადლს სხვებსაც აკვარგვინებს.

21507. ჭეშმარიტი ბედნიერების დაგემოვნება ერთეულ ნიჭიერთა ხვედრია.

21508. სიმართლის, ჭეშმარიტების, კარგი კაცობისკენ ყველანი ვისწრაფვით, ოღონდ ჩვენი გადასახედიდან.

21509. სიბნელეში გამონათებას ჯერ ვერ ვხედავთ, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ.

21510. თანამედროვე ხელოვანთა ნაღვაწი უმთავრესად სისულელისკენ გვიბიძგებს, მაგრამ მათი უმეტესობა მალევე გვავიწყდება, თუმ-

ცა ვიღაცა უნიჭო მედროვეს ყოველივე ეს რეკლამად არგია და პურს აჭმევს.

21511. ზოგჯერ შიში იმდენად გვიმღვრევს გონებას, რომ იმას გვაკეთებინებს, რაც არ შეგვეფერება.

21512. ჭეშმარიტების შეცნობა რწმენის უქონლად ჭირს.

21513. სიფრთხილეს თავდაჯერება მოაქვს და არა სიამოვნება.

21514. ჩვეულების შეცვლა ძალზე ძნელია, თუ მას სტრესს არ დაუპირისპირებთ.

21515. ყოველივე – ცუდიცა და მოსაბეზრებელიც – შეჩვევას მოითხოვს, თუმცა გააჩნია პიროვნებას.

21516. ძლიერი ფეხებისა და ჭკვიანი თავის შერწყმა იშვიათობაა, მაგრამ არის გამონაკლისი, რომელიც შედეგს იძლევა.

21517. კრიტიკა ლანძღვა არ არის. ის უმთავრესად პიარისა და ცნობადად გახდომის საშუალებაა, ხოლო, ამასთანავე, თუ სამართლიან შენიშვნებს ყურად იღებთ, ამას რაღა სჯობს.

21518. სწავლა მაშინაა სახეირო, თუ მას სათანადო ნიჭიერებაც ახლავს და ჯეროვანი დაფინანსებაც.

21519. ნობელის პრემიის უდიდესი დამსახურება ისიცაა, რომ სამყაროს აცნობს თავის ქვეყანაში უსამართლოდ, უყურადღებოდ დატოვებულ ღირსეულ შემოქმედს.

21520. შთამომავლობისათვის ჭკუის სწავლებას გულის შეღონება-გამთლიანებით უნდა შევეცადოთ.

21521. ვინ უფრო საშიშია: მტერი თუ მოღალატე? ალბათ, ეს უკანასკნელი, რადგან ღალატს გამართლება არ აქვს.

21522. პლუსი-მინუსი, გაყოფა-გამრავლება, თავისი ალგორითმებით ყოფის საშუალო არითმეტიკულის გამოსაყვანად აუცილებელია.

21523. ცილისწამება უგუნურთა იარაღია.

21524. ჩვენი ოცნება, ფიქრები, მიზანი ყოფის ის ალგორითმებია, უმრავლესობის ამოხსნასაც რომ სიცოცხლეში ვერ ვახერხებთ.

21525. სიმართლე ფართო პროსპექტზე დაღვინებულ-დადინჯებული დადის, სიცრუე სკუპ-სკუპითა და მიხვეულ-მოხვეული გზებით.

21526. პროგრესის შედეგები ძირითადად იმათ ხელშია, რომლებიც მათ დროულად გამოიყენებენ და პატიოსნად მოემსახურებიან.

21527. ზოგჯერ გულგრილობის ზრდა ასაკის მატებისა და იმედის დევალვაციის შედეგია.

21528. ერთი გადაცდენა (არა შეცდომა) ყველას ეპატიება, ხოლო დანარჩენი უნდა აღირიცხოს და დაჯამდეს.

21529. განსხვავებული ღირებულებების მიმდევრობა, მეგობრობას ძირს უთხრის.

21530. სამართლიანია კანონი, თუ მას სინდისი არ დაუკარგავს.

21531. ჩვენი ჭირ-ვარამის მომშობიარება ისევ ჩვენივე საქმეა.

21532. რა არის ჭეშმარიტება? ამისი განსაზღვრა აზროვნების მეგაბაიტს არ ძალუძს.

21533. შეგნებასაც სათავისოდ გადახარშვა უნდა, რომ ის სხვებისთვისაც გასაგებ-გამოსადეგი გახდეს.

21534. სიკვდილი განაღდებული გვაქვს, ოღონდ მისგან თავის დახსნა და დროდადრო სიცოცხლის გახანგრძლივება ძნელია.

21535. გულგრილობა და ნეიტრალიტეტი ერთი და იგივე არ არის, მაგრამ ზოგჯერ ეს უკანასკნელიც დანაშაულია.

21536. წარსული მარად თან დაგდევს, მაგრამ მისი ზოგი უამური დეტალის მოშორება შეიძლება.

21537. ნერვების მოთოკვა ხშირად სასიკეთო საქმის დაგვირგვინებით მთავრდება.

21538. მოწოდებებს: „გიყვარდეს“ და „მისი გჯეროდეს“ საწყისი ერთი აქვს, ოღონდ ხშირად სხვადასხვა აქვთ დაბოლოება.

21539. ჭეშმარიტება გონის ამფსონია.

21540. სამყარო დიდი ლანგარია, რომელიც ყველას დამსახურებისამებრ კვებავს და აპურებს.

21541. პესიმისტს უჭირს სიძნეელებიდან გამოსავლის მოძიება, ხოლო ოპტიმისტი სიძნელეებთან შერკინებაში ხედავს თავისი შესაძლებლობების გამოვლენას.

21542. საჭიროებისას მიზანი უნდა შევცვალოთ, თუ გვინდა, საქმეს წაადგეს.

21543. საქმის კეთების დროს ეჭვი, ყოყმანი, შიში, გაუბედაობა ღალატის ტოლფასია.

21544. პრობლემების გამრავლება ადვილია, მიზეზების მოძიება და მასში ჩაწვდომა – ძნელი.

21545. უსამართლობის ჩადენას შეძლებისდაგვარად მოთმინება სჯობს.

21546. ბოროტებას ახლოს არ უნდა გავეკაროთ, სმენითაც კი არ უნდა მოვისმინოთ.

+21547. არაფერი ისე არ ამშვენებს ძალას, როგორც – კეთილშობილება. და მისკენ თვალიც კი არ უნდა გავაპაროთ.

21548. ეროვნული გმირები ანდერძს მომავლისთვის წერენ და თაობებს განსასჯელად უტოვებენ.

21549. სიმამაცესა და პატიოსნებას პასპორტი არა სჭირდება.

21550. სიტყვის ძალა სიტყვაში კი არაა, არამედ – შედეგში.

21551. მოქალაქეებს ვინც გონივრულად დაასაქმებს, ის ხალხის დიდი ამაგდარია.

21552. მეგობრობის კულტი უაზრო სიყვარულს ხშირად ფორას

აძლევს და უგებს კიდეც.

21553. შიშისა და გაუბედაობის დაძლევა, რა შედეგიც უნდა მოჰყვეს, სიმამაცეა.

21554. სიჯანსაღის მიღწევა და მისთვის ხელის შეწყობა შრომითი გმირობაა.

21555. სიტყვის ნაყვა უციდინარობის, უსაქმურობის, უნიათობის შედეგია.

21556. პატრიოტისთვის თანამდებობაზე ყოფნა უდიდესი პასუხისმგებლობა და განუსაზღვრელი პრივილეგიაა.

21557. წერის მესაძირკვლე ასოებია, რომელთა გამოხატვასაც გულის სითბო და თვალის სილამაზე სჭირდება.

21558. სიბრძნე ამშვიდებს გულს და მოთმინების უნარსაც სძენს.

21559. სიცრუე და ჭეშმარიტება დიპლომატიაში საერთო ენას ვერ ნახულობენ.

21560. სამწუხაროდ, სიტყვის ასაწონ-დასაწონი სასწორი ჯერ არ გამოუგონებიათ. არადა რამდენი სიტყვაა აუწონავად დარჩენილი.

21561. სიმართლის თქმა ზოგჯერ აუცილებელია, ოღონდ ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე.

21562. წესრიგი და მორჩილება იოლად მყარდება კანონის დიქტატურით.

21563. სიბრძნე გონიერ და დაუღალავ მსმენელს ეძებს.

21564. გადამეტებულსა და მოჭარბებულს ხშირად გონი ვერ აკონტროლებს.

21565. შემთხვევითობა ზოგჯერ კანონზომიერების ნაჩუქარია.

+21566. ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება უპირველესად ანბანის ცოდნას მოითხოვს.

21567. ყოველივეს ჭკუით მოვლა სა ჭეშმარიტებით შეცნობა სჭირდება, რათა გარკვეული შეცდომები არ დაუშვა და ხალხის ინტერესებს არ ავნო.

21568. ენას აზროვნება და განსჯა ამშვენებს და არა უაზრო ენის ტარტარი.

21569. მცირე პენსიის პატრონი თავდებით გამოშვებულ პატიმართან ასოცირდება.

21570. მოწოდებისა და ბუნებრივი ნიჭის მოთხოვნებისგან თავის დაღწევა შეუძლებელია.

21571. გადამეტებულ მოთხოვნათა შეკვეცა სიღარიბისაგან გვაშორებს.

21572. აწმყოსა და მომავალს წარსულის მძლავრი ფესვების მადლი განსაზღვრავს.

21573. ვეცადოთ, ჩვენი ყოფის პლუს-მინუსი ჩვენივე ჭკუით გან-

ვსაჯოთ, რადგან აქ სხვათა ჩარევა არ გამოდგება.

21574. ჩვენ ისეთი მდიდრები არა ვართ, რომ უსაქმურები მუქთად შევინახოთ, და არც ისე ღარიბი, რომ უსაქმური მდიდრები ასე „უპრაგონოდ“ ვამრავლოთ.

21575. ღირსება და სიკეთის კეთება მორალზე მაღლა დგას, მაგრამ ამ აქსიომას პრაქტიკულად ვერ ვატარებთ.

21576. სიბრძნეს უპირველეს ყოვლისა გაცნობიერებული ყური აღიქვამს და არა დილეტანტის სმენა.

21577. სხვათა ტკივილის განსჯა ადვილია საკუთარ ტკივილთან შედარებით, ხოლო, რაც შეეხება სიხარულს, ამას სხვა უკეთ განსჯის.

21578. ხშირად წყვილთა ურთიერთობა ზრდილობის გულისთვის ნათქვამი ქათინაურებით იწყება.

21579. კანონი ყველასათვის ერთია, მაგრამ ყველასათვის ერთნაირად არ ითარგმნება.

21580. თაობებმა რომ დაგიმახსოვრონ, მნიშვნელოვანია რა დროსა და გარემოში გიხდება ცხოვრება, მოღვაწეობა და ნიჭის დაბანდება.

21581. ნებისყოფის აღზრდა და საკუთარი თავის გამხნევება არავის აწყენს.

21582. სიბრძნე, დუმილია, მაგრამ ამისი დაჯერება უმრავლესობას უჭირს.

21583. უმუშევრობა ტანჯვაა, ხოლო უქმად ყოფნა-ბოროტება.

21584. დღეს წინწაგდებული ერთი საათი ხვალ ორმაგად აგვინაზღაურდება?! ვინ იცის.

21585. უიუმოროდ შეუძლებელია ჭეშმარიტებასთან მიახლოება.

21586. ცხოვრება – შემოქმედებას, სიცოცხლე – სილაღეს, ხოლო სული აღმაფრენას მოითხოვს.

21587. ის ოპტიმიზმია გამართლებული, რომელსაც მყარი საფუძველი ეძებნება.

21588. მეგობარს არ იძენენ, მას გადაეყრებიან ხოლმე და მასში სიყვარულსა და ურთიერთნდობას აბანდებენ.

21589. მეგობრობის ხანგრძლიობის ალგორითმია: ურთიერთის უნდა გვესმოდეს და ერთმანეთი სულიერად მაინც უნდა გვჭირდებოდეს.

21590. სიტყვის და საქმის შერწყმა ზოგჯერ თავგანწირვას მოითხოვს.

21591. მარადიულ ღირებულებათა დაცვამაც ზოგჯერ მობეზრება იცის, თუ ის სათანადო საზოგადოებრივ ყურადღებას არ იპყრობს.

21592. პიროვნებისა და ხალხს კარგი ურთიერთობის გარეშე ქვეყანა სასიკეთოდ არ იმართება, რაც უნდა განათლებული ხელისუფალი გვყავდეს.

21593. სინამდვილეში ყველა ჩვენგანი თავის წარმოსაჩენად და უკეთესი ცხოვრების დასამკვიდრებლად ვჩნდებით ამქვეყნად.

21594. შემართება, სურვილი, გარჯა ყველა ჩვენს უცოდინარობა-გამოუცდელობას ალიყურს აჭმევს.

21595. უზადო ეთიკური კვალიფიკაცია ყველა ჩვენგანს მოეთხოვება.

21596. ტექნიკური პროგრესის შემოტევა გარდაუვალია, გარკვეული მავნებლობაა, მიუხედავად ამის ცოდნისა, ადამიანს მოსალოდნელ ფუფუნებაზე უარის თქმა უჭირს.

21597. საკუთარ თავთან შეწინააღმდეგება ხშირად სწორ გზაზე გვაყენებს.

21598. ცოდნით დამოძღვრილი ჭეშმარიტება ნაკლებად ხმაურიანია.

21599. ჭეშმარიტი ჩვევების დაუფიქრებლად გატირაჟება, ზოგჯერ ბოროტებაში გადაიზრდება.

21600. ცოდვა უნდა აღიაროთ, ოღონდ ერთხელ, რადგან, თუ მეორედ აღიარე, მაშინ უკვე შესაცოდებელი კი არა, ცოდვილი ხარ.

21601. ჭეშმარიტებას პატიოსანი გზებით ძიება ამშვენებს.

21602. დაძლეულ სიძნელეთა გახსენება სიამაყეს გვმატებს.

21603. მოსახდენის მოუხდენლობა დანაშაულია სამყაროს კანონზომიერების წინაშე.

21604. ტრადიცია გათვლილი უნდა იყოს გონიერებაზე, რწმენაზე, გულზე, შთამომავლობაზე, რათა დიდხანს და ღირსეულად ემსახუროს მომდევნო თაობებს.

21605. ნამყოს აწმყოს იმედი აქვს, ხოლო აწმყოს ნამყოს წარსული აინტერესებს.

21606. ურთიერთობის განმტკიცების აქსიომაა ერთმანეთის ისე გადამოწმება, რომ ნაწყენი არავინ დარჩეს.

+21607. ჭეშმარიტება მარად ძიებაშია, მაგრამ სასურველს იშვიათად პოულობს.

21608. სიახლის ძველით შეცვლის მცდელობა ჭეშმარიტებასთან ვერ მიგვაახლოებს.

21609. ყოველი დღე საქმის მომცემია, თუ გარჯას არ დავიზარებთ.

21610. სხვის საქმეში ფეხი არ უნდა ჩადგათ, რადგან ცხვირის ჩაყოფას რაღაც ალიბს მაინც მოუძებნით.

21611. ღირსებას შეცნობასთან ერთად მორგებაც უნდა.

21612. უფლება და ძალა სინონიმებია, რადგან ერთმანეთის გარეშე ისინი ღმერთს არ უქნია.

21613. კამათს, პაექრობას და სიტყვის მიზანში სროლას გამოცდილება სჭირდება.

21614. გაბოროტება ჭეშმარიტებას გვაშორებს და უგვანობას გვაახლოებს.

21615. საკუთარ თავთან გულწრფელად გასაუბრების უნარი ერთეულებს აქვთ.

21616. ზოგის დუმილი და გამოხედვა გაცილებით მეტზე მიგვანიშნებს, ვიდრე მეტყველება და მუშტების ქნევა, და ესეც განგების მომადლებული უნიკალური ნიჭია.

21617. ქმედება შინაგანი რესურსების მობილიზებას მოითხოვს.

21618. ადვილ გზებზე სიარულისაგან განსხვავებით, ძნელ გზებზე სიარული ცხოვრების მოსალოდნელი კატაკლიზმებითვის გვაწრთობს.

21619. ჭეშმარიტებას არც ნაციონალობა სჭირდება და არც ეროვნულობა. ის ყველასათვის მისაღები უნდა იყოს.

21620. სიახლეს, მომავალ ღირსეულ თაობებს მცდელობა, შემართება შობს და არა მარტო ქალის ცარიელ-ტარიელი სიყვარული.

21621. რასაც მოწოდებით აკეთებთ, მოსაწყენი არ არის: მათ შორისაა შრომა, გართობა და უსაქმურობა.

21622. მთავარია, იმაზე მეტი არ დავიტოვოთ, რაც კანონით გვეკუთვნის; წინააღმდეგ შემთხვევაში, კორუფციისკენ მიდრეკილებას დაგვწამებენ.

+21623. „ხელი მოუხვდა“ და „ხელი მოხვდას“ შორის ფაქიზი ენობრივი ნიუანსია, ოღონდ დიდი აზრობრივი სხვაობაა.

21624. მოთმინებასა და შეუპოვრობას მოაქვს შედეგი და არა აჩქარებასა და თვითდამშვიდებას.

21625. მსოფლიოს კალმით დამპყრობელს ვერცერთი ხმლით დამპყრობელი კონკურენციას ვერ უწევს.

21626. შეცდომა, რომელმაც დადებითი შედეგი შემთხვევით მოგვცა, ნორმად არ უნდა ვაქციოთ.

21627. უცოდინარებს ყველაფრისა სჯერათ.

21628. ჩემი პირველი მტერია და მოყვარე საკუთარი თავია.

21629. დიდი ადამიანისთვის ცხოვრების ჩარჩო არ არსებობს და არც უნდა ვაიძულოთ, ამ ჩარჩოში ჩაეტიოს, თუ გვინდა, რომ უფრო მეტად გამოადგეს ქვეყანას.

21630. ჭეშმარიტება რომ ჭეშმარიტებად იქცეს, მან უპირველეს ყოვლის შეცდომების ქარტეხილი უნდა გამოიაროს.

21631. ფანატიზმი და ჭეშმარიტების ძიება ერთმანეთისგან შორს დგანან, რადგან ფანატიზმი განუსჯელი ბებერი, ხოლო სიახლე ჭეშმარიტებისა – ნორჩი.

21632. ყოველივე იმდაგვარად უნდა ავითვისოთ, რომ მეორედ მისი სწავლა აღარ დაგვჭირდეს.

21633. საკუთარი თავი დაუკმაყოფილებლობა პროგრესის საქმეს

ხელს კი არ უშლის, პირიქით, წაადგება კიდეც.

+21634. იდეოლოგიას პრაქტიკა ხშირად რქებს ამტვრევს.

21635. სამართლიანი და შემოქმედებითი სინდისი გონიერებას არასოდეს ღალატობს.

21636. ჭეშმარიტებაა ის, რაც ჯიგარს ამოგიტრიალებს, ტვინს გაგიხვრეტს და საკუთარ თავზე კონტროლის დაწესებას გაიძულებს.

21637. კარგია თუ ცუდი, საკუთარი ისტორიის, მეობის, სიყვარულის დაცვა ყველა ჩვენგანის ვალია.

21638. უნდა ვეცადოთ, უპირველეს ყოვლისა ჩვენ მიერ შეცნობილი სინდისის წინაშე ვიყოთ მართალნი და ალალნი.

21639. ორატორობას ნიჭთან ერთად მჭევრმეტყველების ცოდნაც უნდა.

21640. ძუნწისთვის „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა – დაკარგულია“ წარმოუდგენელი და მიუღებელია, ამ იდეას რაც უნდა ზურგი გაუმაგროთ, მაგალითებითა და განმარტებებით.

21641. ვეცადოთ, საკუთარი „მეს“ საზღვრები დავუდგინოთ და ამით პასუხისმგებლობა ვიკისროთ.

21642. მყარად შემდგარ ეროვნულობას სხვათა რჩევა-დარიგებები მაინცდამაინც არ ეჭაშნიკება.

21643. ჭეშმარიტი სიმდიდრე გაღების უნარსაც გულისხმობს.

21644. სტუმრის დაპატიჟება თუ მასპინძელს ეხალისება, სტუმარ-მასპინძლობის ალგორითმი ამოხსნილია, რადგან აქ ქვენა გრძნობები გამორიცხულია.

21645. ღირსება დაუნახავებს თავისი მეობით სჯის.

21646. სტერეოტიპების ნგრევა დიდ ნიჭსაც მოითხოვს და შემართებაც სჭირდება.

21647. სიმდიდრის შეძენა და დაგროვება შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონს ემორჩილება, და აქ ნიჭი გადამწყვეტი არაა.

21648. ხშირად ხასიათი და შთაგონება განსაზღვრავს და განსჯის ჩვენი ყოფიერების ავან-ჩავანს.

21649. საუკუნეობით გასაკვირველის შექმნას ზოგჯერ გონი ვერ აფასებს, იმის მიუხედავად, რომ მის კუთვნილს იღებს.

21650. თანამდებობას ცუდად და ეჭვით შეჰყურებს ჭეშმარიტების მოყვარული ადამიანები, რომელთა მცდელობა კულტურის აღქმა-შენარჩუნებაში გადამწყვეტია.

21651. ჭეშმარიტება მოსაზრებათა შეჯერების გზით დგინდება.

21652. პროგრესსაც აქვს თავისი სილამაზე, გარდაუვალობა, ურომლისოდაც ცხოვრება დამყაყდებოდა.

+21653. ჭეშმარიტების მოძიებას გონის მიერ მრავალი გვირაბის გამოთხრა მოჰყვება ხოლმე.

21654. სიბრძნე სიღრმისეულ საკითხთა გარკვევაში გვეხმარება.

21655. დიდი უბედურება სხვათა უბედურებასთან შეჯერებით იკურნება.

21656. ჭეშმარიტებასთან ზიარებას უპირველეს ყოვლისა შინაგანი თავისუფლება სჭირდება.

21657. მოვალეობის შეუცნობელი ძიება იგივე დილეტანტიზმია. ადამიანს ვერ დაუდგენია საკუთარი მოვალეობის სამანები.

21658. არის ჭეშმარიტებისთვის შეცდომები, რომელთა აცილება შეიძლებოდა, ჩვენ რომ ამის სურილი გვქონოდა.

21659. ხარისხი მარად წესრიგის და წესიერების შედეგია და ამადვე დარჩება.

21660. ყოფიერების კაპრიზები სხვადასხვაგვარად წარმოჩნდება შემოქმედი და მიზანდასახული ხალხის ცხოვრებაში.

21661. სხვათა ხელაღებით განსჯა ცუდი აღზრდის მაუწყებელია.

21662. კეთილისმნდომის ზომიერ კრიტიკას ჭეშმარიტებისთვისაც შეუმჩნეველი სიკეთე მოაქვს.

21663. ჭეშმარიტებისთვის ძალა, სიბრძნე და სიყვარული ყველა დროის ჰიტია და ამადაც დარჩება.

21664. ყველა ჩვენგანის სულიდან ამოხეთქილი ყვირილი უბედურების მომასწავებელია.

21665. ღირსეული, სასარგებლო, ერთეულია, მცირეა. მაგ. თუნდაც ქინაქინის ხე, რომლის აღმოჩენა სამხრეთ ამერიკაში, ტყით დაფარულ ჯუნგლებში, წარმოუდგენელ სიხარულს იწვევდა.

21666. მიზანდასახულობა მოძულეთა დასამარცხებლად სერიოზული იარაღია.

21667. წყენა იმისი საფუძველი როდია, ცრემლი ვღვაროთ და ყურები ჩამოვყაროთ; აქ უმთავრესია სიმტკიცის გამოჩენა.

21668. შეცდომა ზოგჯერ უყურადღებობის, მოუქნელობის, შინაგანი სისუსტის შედეგია.

21669. ჭეშმარიტების დადგენა გენიოსთა ხვედრია.

21670. ჭეშმარიტება განსჯას მოითხოვს, წარმატება – შედეგის წარმოჩენას.

21671. მოუვლელ-გამოუყენებელი ქონება დამარხულ სიმდიდრედაც არ ითვლება, რადგან დღითი დღე ფუჭდება.

21672. კეთიშობილად იბადებიან და წარმოჩნდებიან, მათი მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად.

21673. აუტისტი იგივე უთაფლო ფუტკარია: განათლება აქვს, შეძლება – არა.

21674. ჭეშმარიტება შეცდომებზე აღმოცენებული განსჯის ნაყოფია.

21675. ჭეშმარიტებას მეგობრები სჭირდება და არა დამცველები.

21676. სიამაყე თუ სიძულვილზე მეტად ამაღლდა, ის უკვე სიკეთის მომტანია.

21677. მუდმივსა და განაღდებულს, დაუფასებლობის მიუხედავად, სხვა პეწი აქვს, განსაკუთრებული სიამოვნება მოაქვს.

21678. ჭეშმარიტებას თავისი განზომილებები აქვს და მის „ოფისში“ თავდაჯერებული საუბარი არც ისე ადვილია.

21679. გულმოდგინება, შემართება, გარჯილობა ზოგჯერ სიამოვნების მომტანი არაა, თუ მას თავისი წილი სიამაყეც თან არ ახლავს.

21680. მრავალფეროვანი მცდელობა თავისებური სიამოვნებაა.

21681. თანდაყოლილი დაკვირვების უნარი ჭეშმარიტების განსჯის და შეცნობის მიზნით უდიდესი ბედნიერებაა, რადგან შენ უკვე პიროვნება ხარ.

21682. უპოვართა რაოდენობა მდიდრებთან შედარებით დიდია, მაგრამ მათ სასიკეთო საქმეში ჩაყენებას არავინ ცდილობს.

21683. ჭეშმარიტება ჟინიანობისგან შორსა დგას, თუმცა ჭეშმარიტების ძიებაც ჟინიანობაა, ოღონდ – ფილოსოფიური განხრით.

21684. შეცდომის ჩადენას უნდა ვერიდოთ, მაგრამ ჩადენის შემთხვევაში არ უნდა დავფაროთ.

21685. ზომიერი შური ჭკუას აწრთობს, მაგრამ მომეტებული „უსტვენს“ და, უწინარეს ყოვლისა, მეშურნეს გადაგვარებას.

21686. ნაღდს ყველა აფასებს – მისი რაობის მცოდნენიცა და უცოდინარენიც.

21687. ჭეშმარიტების არსია შეხლა-შემოხლისა და დაღვინების შედეგების შეცნობა.

21688. ფასების მატებასა და სიმართლის პირში მიხლას ხალხი ვერ იტანს მაშინაც კი, როდესაც ყოველივე აუცილებელი, ნათელი და გარდაუვალია.

21689. სიყვარული და სიძულვილი თანდაყოლილი ადამიანური თვისებებია, რომლებიც ადამიანს დასაბამიდან დღემდე მოაცილებენ.

21690. მოვალეობას პირობასაც უყენებენ, რადგან მას თავისი მოთხოვნებიც აქვს, რაკიღა მოვალეობა საქმის კეთებაცაა.

21691. ჭეშმარიტების ძიება-აღმოჩენა დროის ხარჯვას ეგუება, მაგრამ დროის გაყვანას – არა.

21692. მთავარი საქმის კეთებაა და არა თავის უაზრო მართლება. შედეგმა უნდა წარმოგვაჩინოს და არა ალიბის მოძიებამ.

21693. მძიმე სამუშაოც შემოქმედებაა, თუ ის სიამოვნებას მისი გაადვილების მცდელობის სახით გვანიჭებს.

21694. თვალი ჭამს, თვალი სვამს, თვალი უსმენს, თვალი გვხიბლავს, თვალი აღგვაფრთოვანებს. ასე რომ, ყოველივეს საწყისი და ბო-

ლოს წერტილის დამსმელი ჩვენ მიერ აღქმული ჯანსაღი მხედველობაა.

21695. დიდი ბედნიერებაა, როდესაც მეგობრებთან საერთო საქმე არ გაკავშირებს და, უბრალოდ, მოთხოვნილება გიჩნდება ურთიერთნახვისა, დასვენებისა.

21696. საქმე უპირველეს საქმის სიყვარულითა და ცოდნით კეთდება, მომდევნოა ანაზღაურება.

21697. თავმდაბლობა თანამეინახეთა შორის ზოგჯერ, დიდ ადამიანობად აღიქმება.

21698. გამართლებული პატიოსნება სიცოცხლის მშვენიერებას ადასტურებს.

21699. ბევრ „მინახავს“ ზოგჯერ ერთი დადგენილი და უტყუარი ჭეშმარიტება სჯობს.

21700. ჭკუას მოჭარბებული ინფორმაცია ავარჯიშებს, თუ მას გონიერების ფილტრში ნაფიქრალ-ნაღვაწის გატარების უნარი შესწევს.

21701. ყველა რევოლუცია სათუოა, სულის მოთხოვნით იყო განხორციელებული თუ გონისა.

21702. სიტყვის მადლი მისი განსჯის შედეგად გაიგება და შეიცნობა.

21703. ღირსება ცდილობს უღირსობას თავი არ გაუყადროს.

21704. გაურანდავი ჭეშმარიტება გაუგებრობაში ადვილად გადადის.

21705. ღირსება ტალანტს თავს არ უტოლებს.

21706. თუ მართლა „თავს დანატრით“ და თქვენი ქმედებებით კმაყოფილი ხართ, ვერასოდეს გაიზრდებით.

21707. რწმენა ჩვენს ქმედებებს უგუნურების ჩადენისაგან იცავს.

21708. გონიერება დროსა და გარემოს ალღოს იმდაგვარად უღებს, რომ ჭეშმარიტებამ დიდად არ იზრალოს.

21709. ჭეშმარიტების საჩვენოდ აღქმასაც ნიჭი სჭირდება.

21710. ჭეშმარიტების დადგენის მცდელობა დროის დაკარგვად არ მიიჩნევა.

21711. თანხმობა და ურთიერთგაგება ყველა საქმიანობის ავან-ჩავანია.

21712. დაფასებული პატიოსნებაა მადლი და არა დაუფასებელ-გადაფასებული.

21713. უნაყოფოდ დარჩენის ზნეობრივი უფლება არავის აქვს.

21714. საკუთარი მეობის, გონიერების და შესაძლებლობათა გაგება უპირველესია ყველა ჩვენგანისთვის.

21715. სიტყვა სიტყვაა, ჭეშმარიტების ძიების მძლავრი იარაღია, რომელსაც ვერ გავექცევით, რა ალიბიც უნდა „გამოვთხაროთ“.

21716. წესრიგის უხეში ძალის გამოუყენებლად დამყარება გო-

ნიერება-მოხერხებულობასთან შერწყმულ ნიჭს მოითხოვს.

21717. ნიძლავს თუ დებთ, უნდა ღირდეს კიდეც, რათა ორივე მხარეს არა მარტო მაცქერალნი, არამედ სპონსორებიც გამოუჩდნენ.

21718. კარიერის, წარმატების საწყისია ოცნება, შემართება და დაუდგრომლობა.

21719. ჩვენი მიზანია, ვაიძულოთ ოცნება, რომ კარგად აგვიხდეს.

21720. ნიჭი, სიყვარული, თავდადება გვაკეთებინებს იმას, რაც გვინდა და არ გვინდა კიდეც.

21721. არავითარი სახეირო არ იქმნება ტვინის მობილიზებისა და სულიერი შემართების გარეშე.

21722. ნივთი, რომელიც „შეიძლება რამეში გამოგადგეს“, ჩვენი ბინის მუდმივი მკვიდრია.

21723. განსჯა თავის წარმოჩენის საშუალებას იძლევა.

21724. საკუთარი ყოფის შესატყვისი მუსიკის მოძიება ყველა ჩვენგანის ვალია, თუ გვინდა ენერგიით აღვივსოთ და შემართება არ დავკარგოთ.

21725. ჭეშმარიტების წარმოჩენას მეტყველების ჟინი სჭირდება, ასევე აუცილებელია წინადადებათა დაწყობა-აწყობა და არანჟირება.

21726. წვრილმანები უძახე შენ და სწორედ ისინი იგებენ ომებს, დაპირისპირებებს, შერკინებებს და ჩვენს გულებს.

21727. ღირსეულია ორატორი, თუ იმას ბრძანებს, რაც საჭიროა, და თავს იკავებს იმ ინფორმაციის გავრცელებისაგან, რაც მოსაწონი არ არის და ამით ცდილობს, არავინ შეურაცხყოს.

21728. ორატორი ყბედად რომ არ აღიქვან, სათქმელის დროულად დამთავრება უნდა ისწავლოს. წერტილის დროზე დასმის ხელოვნება უნიკალური თვისებაა.

21729. ხშირად აუჩქარებლად უნდა ვაკეთოთ ისიც, რაც სასწრაფოა, რათა ნაღვაწის გადამოწმების დრო ბევრი დაგვრჩეს, რათა ის საიმედო გავხადოთ.

21730. მხედველობასა და სმენას ბევრის დანახვა და მოსმენა შეუძლია, მაგრამ რატომღაც მხედველობა უფრო გულღრძოა და წყენასაც გვიან ივიწყებს.

21731. პროფესიონალიზმის წინ წამოწევა ქვეყნის წინგადადგმული ნაბიჯია.

21732. ძლიერი ბუნება-გუნების ხალხს მამლაყინწობა არ ახასიათებს და გონივრულად უპრეტენზიოა.

21733. მოსმენის უნარი ძირითადად დაკარგული აქვთ აუტისტებსა და თანამდებობებზე შემთხვევით მოხვედრილებს, ხმას აყოლილი მასის წარმომადგენლებზე რომ არაფერი ვთქვათ.

21734. ყველა ჩვენგანი ვალდებულია, თავს დაჩმორების უფლება

არ მისცეს.

21735. მისტიკურ რეალიზმს ესთეტიკური რეალიზმი უნდა შეუთავსდეს, რათა საყოველთაო რეალიზმმა ხიბლი არ დაკარგოს.

21736. ზოგჯერ ისეთი დასაგულისყურებელი სიახლე შემოგეპარებათ თავში, რომ გაკვირვებული ხართ, ნუთუ ეს თავი ჩემია?!

21737. სიახლეს ლაღი სწავლებით უფრო ითვისებენ, ვიდრე მოჭარბებული ტრადიციული ჩიჩინით.

21738. ჭეშმარიტებას არ ემსახურება ის ხელისუფალი, ვისაც მომდევნო თაობები მადლიერებით არ ეხმიანებიან.

21739. ხელისუფლებამ ოლიგარქებს არაფერი უნდა დაუთმოს, მათ მხოლოდ კანონის შესატყვისად უნდა ელაპარაკოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მერყევი ბუნების ოლიგარქი გაცილებით მეტს მოინდომებს, რაც ქვეყნის ერთიანობას ძირს გამოუთხრის.

21740. არაფრის მაქნისია ყურით მოთრეული ის დემოკრატია, რომელიც ქვეყნის ძლიერებას, განვითარებასა და მოსახლეობის გამრავლება-დასაქმებას არ ემსახურება.

21741. უცოდინარი და დაუფიქრებელი არც მტერ-მოყვარე უქნია გამჩენს.

21742. პრინციპი „ახლა და მალე“ შემართებას გვმატებს და ჩვენი სულიერებისთვის არცთუ ისე მავნებელია.

21743. შემართებისთვის ზურგში დანის ჩამცემი უპასუხისმგებლობაა.

21744. მუსიკალური მეტყველება უფრო ადვილად აღსაქმელი და გასაგებია, რადგან მას „თარჯიმანი“ არ სჭირდება.

21745. ქვეყნის მომავალი შობადობის გაზრდაზეა დამოკიდებული და არა სისხლის დაღვრაზე, რადგან ამ უკანასკნელის საბოლოო შედეგი ნგრევაა.

21746. წარმატების საწინდარი გაბედვაა, ანუ ორჭოფობის დაძლევა.

21747. ინტერნეტიდან ამოღებული ინფორმაცია დილეტანტს ცოდნა ჰგონია, რადგან გამოცდილება, საკითხისთვის ალღოს აღება მისთვის სრულიად უცნობია.

21748. ენას ნიჭი, რწმენა, სიყვარული, დროის ქარტეხილების შემოტევისგან დაცვა სჭირდება.

21749. ყველაზე უკეთ გვეხერხება უნიათობის, გაუტანლობისა და სხვა გენეტიკური ნაკლის შეფუთვა და დაფარვა.

21750. რისი დაშვებაც შეიძლება, ის შეიძლება მოხდეს, განსაკუთრებით დღეს, როდესაც დაუშვებელიც კი დასაშვები ხდება.

21751. მტრები სიმართლის საძებნელად გვაქეზევებენ, მეგობრები – ჭეშმარიტების დასამუღამებლად.

21752. დიპლომატია ურთიერთგაგების სურვილია და არა ურთიერთწამლიქვნელებისა, სადაც დრო გაჰყავთ და შედეგზე არ ფიქრობენ.

21753. მზის ამოსვლა იმის გარანტიაა, რომ დღის რაღაც ნაწილი მაინც იქნება ნათელი.

21754. უზომო მრისხანება სირცხვილთან გვაახლოებს.

21755. აწმყო სულ წარსულს აკრიტიკებს, ალბათ, იმიტომ, რომ თავის შეცდომებს ალიბი მოუძებნოს.

21756. მოჩვენებითობა სიავის თანამშრომელია.

21757. სამართლიანობის მიღწევა თეორიულად აუცილებელია, მაგრამ საზოგადოების ნაწილი ამ ჭეშმარიტებას პრაქტიკული გამორჩენის თვალსაზრისით უყურებს.

21758. ჭეშმარიტების „შემნახველ სალაროში“ გონების დაბანდება ჭირს, მაგრამ, თუ დააბანდებ, ერთობ მომგებიანი და ეფექტიანია.

21759. გამოცდილების ნაძალადევი შეძენა ცოდნას ნიშნავს და არა ჭკუას, რადგან ჭკვიანი ინტუიციისა და ინტელექტის მოშველიებით შეცდომებს არ უშვებს და სასწავლიც არაფერი აქვს.

21760. სიმართლისა და სამართლიანობის ბოლომდის აღქმა გარკვეულ ზნეობრივ ჭუჭყს ტოვებს.

21761. საკუთარი იდეების ხორცშესხმა გვიღვიძებს ჭეშმარიტებასთან დაახლოების სურვილს.

21762. ურთიერთგაგება ურთიერთშენდობის წინამორბედია.

21763. საკუთარი თავის წარმოჩენისას ენის ჭარტალი უფრო გვიწყობს ხელს, ვიდრე ტვინის გახურება.

+21764. აწმყოსთვის ტყავის გაძრობა მომავლისთვის ქურქის შეკერვის გარანტიაა.

21765. მეტყველება, რომელიც ენის საიდუმლოებებს და გრძნობათა ნიუანსებს ფლობს, ურთიერთობის დიდებული იარაღია.

21766. ყოველგვარი რწმენა ფულს, პერსპექტივასა და ავტორიტეტის ნება-სურვილს ემორჩილება.

21767. ძველისკენ მიბრუნებას ისევ ახალში წავარჯიშება სჯობს, მით უფრო, თუ სასურველი გზების ძიებით ხარ დაკავებული და გონიერებას მოუხმობ.

21768. მართალია, ლოგიკას ქალის ბუნება არ ემორჩილება და არც მამაკაცები არიან მისით აღფრთოვანებულები, მაგრამ ჭეშმარიტება უიმისოდ ვერ ზეიმობს.

21769. სურვილი, შენს მსგავსს მოსწონდე, სურვილად დარჩება, თუ შენი რჯულის ხალხის წადილს არ ეხმიანება.

21770. დღევანდელი დემოკრატია რატომღაც ღირსებადაკარგულ საზოგადოებას აყალიბებს და ეს, ალბათ, ნაჩუქარი და არა მოპოვებული დემოკრატიის ბრალია.

21771. ხელისშემშლელი ბევრია, მაგრამ მათში ხელის შემწყობის გამონახვაც შეიძლება.

21772. ჭეშმარიტებასთან გონიერების შერკინებას ერთგვარი სიამოვნება მოაქვს.

21773. ბევრი და უაზრო საუბარი უსაქმურობის მაჩვენებელია.

21774. მიზნის მხარდამჭერი საკუთარი თავის რწმენაა, პასუხისმგებლობის გრძნობაა, რომელიც ყველა შემხვედრ წინააღმდეგობას გადალახავს და დაძლევს.

21775. ფიქრის მატერიალიზაციას მიზნის ქედუხრელობა და შეუპოვრობა სჭირდება.

21776. რეალური რისკი ნიშნავს გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნისას პასუხისმგებლობის შეცნობას.

21777. ცნობიერების დაკარგვა არარაობად ქცევის ტოლფასია.

21778. სიმართლისა და ჭეშმარიტების შეცნობა „დედაენის“ სწავლებიდან უნდა იწყებოდეს.

21779. იდეოლოგიური ჭეშმარიტებაც კი რეალობას წინააღმდეგობას ვერ უწევს.

21780. ზოგჯერ პესიმიზმი ოპტიმიზმსა ვნებს და პირიქით, რადგან მათი ურთიერთთანადგომის მიღწევლად საქმე არ გამოდის.

21781. განა ყველა ჩვენგანს თავისი ვალი და ვახში მოხდილი აქვს ქვეყნის და ხალხის წინაშე, რომ თავს პატრიოტიზმზე ვდებთ და პოლიტიკაში ოპოზიციონერად მივძვრებით?!

21782. ფასეულობათა შესახებ საუბარს მაშინ აქვს აზრი, თუ დაპირისპირებულ მხარეებს გააზრებული აქვთ ფასეულობათა წონა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იქნება თავის მოწონება, ყასიდად ვალის მოხდა.

21783. განსხვავებული კრიტერიუმის არსებობის პირობებში ჭეშმარიტების შეცნობა-დადგენა ჭირს.

21784. რელიგია ჭეშმარიტებასთან მიახლოების მცდელობაა, რომელსაც დროთა ქარავანთან მსვლელობა უხდება და მასთან დანათესავებას ცდილობს.

21785. ჭეშმარიტება, რომელიც ლოგიკის მეშვეობით და ორიგინალური აზროვნებით მტკიცდება, შეიძლება ყოველთვის სადავო იყოს, რადგან თვითნაბადია და შეუცვლელი.

21786. კვლევა-ძიებისკენ ჩვენი მიდრეკილება გამოწვეულია პირადი გაუცნობიერებელი შეზღუდულობის აღმოფხვრის წადილით, რომელსაც თვითნაბადი ნიჭი ახერხებს ჭეშმარიტების შეცნობით და აღებული მეცნიერული ზღუდეების დაძლევით.

21787. ყველა ლეგენდაში ჩვენი ნაცოდვილარი სიმართლის მარცვალი ხარობს.

21788. დუმილი, იმის გარდა, რომ თანხმობასაც ნიშნავს, ზოგჯერ ყველაზე ამბიციური უარყოფითი პასუხია, რომლის მაგვარიც შენთვის არაერთხელ უკადრებიათ.

21789. ჭეშმარიტებას, რომელსაც თანამეინახეებთან სჭირდება სიტყვა „მომისმინეთო“, ღმერთს არ უქნია.

21790. სამართლიანობას მაშინ ედება ფასი, თუ სარგებელი დროულად მოაქვს.

21791. ფიქრი და განსჯა მეტყველების ხარისხის სინონიმებია.

21792. ჭეშმარიტებაც გამოყენებადი უნდა იყოს, რათა ის სიცრუის შემოტევისგან ვიხსნათ.

21793. ქალი, რომლისთვისაც იღვწით და იდაგებით, თქვენი ცნობიერების ჭეშმარიტებაშია ჩამჯდარი.

21794. ჭეშმარიტება ის ღირებულებაა, რომელსაც მორალთან ჭიდილი არ სჭირდება.

21795. ყველა ჩვენგანის მიზანს მორალი უნდა აშალაშინებდეს.

21796. მიზეზების ძიება როდი ნიშნავს გამართლებას ან გამტყუნებას, უბრალოდ, ჭეშმარიტების დადგენა მოითხოვს ორივე მხარის აზრთა შეჯერებას.

+21797. მეგობარი მშობელივით უნდა იყოს: მისი საყვედური დედის ნანასავით უნდა გამშვიდებდეს.

21798. ყველა ჩვენგანი თავის თავში თავის თავს ეძებს და, სად გაუმართლებს, არავინ უწყის.

21799. ადრე ლამაზი ქალით მოხიბლული მამაკაცები ერთმანეთს დუელში იწვევდნენ, დღეს კი ერთმანეთს მოხვეჭაში ერკინებიან.

21800. ბრძოლა მასშტაბურ შერკინებას, გონის მოხმობას, ძალის ჩვენებასა და დროისთვის ანგარიშის გაწევას მოითხოვს.

21801. ძალზე ჭკვიანია ის, ვინც ოპონენტს არც კამათში, არც საქმიანობაში, არც ინტელექტში თავის წარმოჩენის საშუალებას არ აძლევს.

21802. ყველა ცდილობს, თავისი შრომა ძვირად გაყიდოს, იმის მიუხედავად, რა დონის პროფესიონალია.

21803. სურვილების დაკარგვა ცხოვრების დაკარგვისა და სიცოცხლის გაუპატიურების ტოლფასია.

21804. რწმენა, შემართება გაუგებარს გასაგებად აქცევს.

21805. ბოროტებას მუშტისა უნდა ეშინოდეს, რათა ზედმეტი და უკადრებელი არ გაკადროს.

21806. ჭეშმარიტების ანბანს ან უნდა ვფლობდეთ, ან უნდა ვსწავლობდეთ, სანამდის გვიან არაა.

21807. კრიტიკა სამართლიანი უნდა იყოს, ოღონდ დამცირება და ორაზროვნება არ უნდა ეტყობოდეს.

21808. ჭეშმარიტების პოსტულატებს საზეიმო ვარდებს არ უფენენ ფიანდაზად, მაგრამ აღიარებენ და პატივს უხმოდ მიაგებენ.

21809. ჭეშმარიტებაც თავის ადგილს აზრთა შეხლა-შემოხლის შედეგად იკავებს.

21810. თუ გიჯერებენ, ე.ი. პატივს მოგაგებენ და შენს სიტყვას წონა აქვს ყოველგვარი აიწონა-დაიწონას გარეშე.

21811. ბოროტებას მხოლოდ ძალა უპირისპირდება, რადგან მასთან სიკეთის ბრძოლა უშედეგოა.

21812. გამართული, თავისუფალი, შეუფერხებელი ყოველთვის დახვეწილად გამოიყურება, მათ შორის, გემოვნებაც.

21813. მოკრძალება, კრძალვით ქმედება ყველას გვამშვენებს, შედეგის მიუხედავად.

21814. ჭეშმარიტების შეცნობის სურვილი უნდა დაიბადოს, რადგან ჭეშმარიტების არსის სხვაგვარად დაუფლება ძნელია.

21815. ჭეშმარიტებას ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ შემცვლელი რომ არა ჰყავს?!

21816. სიმართლის წარმომჩენი კრიტიკა ყველას რგებს, შემდგომში თუ მისი იდეების გათვალისწინება მოხდება.

21817. ჭეშმარიტების ზედმიწევნით გაცნობიერების უნარი ერთეულ გენიოსთა ხვედრია.

21818. სიახლის ძიება უამრავი სისულელის გაფილტვრა-გატარებას მოითხოვს.

21819. ურისკოდ ვერცერთი პროგრესი წინ ვერ მიიწევს და ვერ ვითარდება.

21820. ისტორია მკაცრი სილამაზეა, თუ ის ჭეშმარიტებასთან შერკინებას არ უფრთხის.

21821. ურთიერთმოსმენის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთნდობის გარეშე წარმატება შეუძლებელია.

21822. ვეცადოთ, ვიღაცას ვჭირდებოდეთ, თუ გვინდა, პატივი მოგვაგონ და საკუთარი მეს მნიშვნელობა დავაფასოთ.

21823. სიყვარული მარად ჭეშმარიტებისკენ მიმავალი ბილიკების ძებნაშია და ისიც თავისი გადასახედიდან დაეძებს მას.

21824. ზოგიერთი საკითხის არცოდნა სხვა საკითხების ცოდნით გადაფარვას მოითხოვს.

21825. მეგობრობა პატივისცემისა და ღირსების სინონიმია.

21826. ჭეშმარიტების სიმართლით ხედვა ნაკლოვანებების აღმოფხრის საწინდარია.

21827. ის, რაც იდეალურია, ყოველთვის რეალობას არ შეესატყვისება, ხოლო მათ შორის საერთოს გამონახვა ხელოვნებაა.

21828. ზოგჯერ ჩუმად ყოფნა სირცხვილია, მიუხედავად აღიარე-

ბული „ენაზე კბილის დაჭერის“ აქსიომისა.

21829. ერთობლივად და თანხმობით თუ მოქმედებენ, სუსტებს მათზე ძლიერების დამარცხებაც ხელეწიფებათ.

21830. აჟიტირებულ ყოფიერებაში ჭეშმარიტების სლოგანისა და პოზიტივის მიგნება ჭირს, ამასთანავე, დღეს ბევრ რამეს დაფინანსებაც წყვეტს.

21831. ჭეშმარიტებასთან შემთხვევითი შეფეთებაც კი ხშირად ადამიანის მოყვასად გადაქცევას იწვევს.

21832. გონივრულ ქმედებათა კრებულად კინძვა ერთეულ რჩეულთა ხვედრია.

21833. ზოგჯერ შენ მიმართ ცუდი დამოკიდებულება და შენდამი უყურადღებობა უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე შენდობა და დავიწყება.

21834. აქტიურ გამარჯვებებზე მეტად პასიური წარმატებები უნდა გვიხაროდეს, რადგან ეს წარმატება უმტკივნეულოა, სტაბილურია, არ იწვევს გადამლაშებასა და დაპირისპირებას.

21835. ზედაპირული პრობლემები მარტომ უნდა შევამჩნიოთ და ევცადოთ, დროულად აღმოვფხვრათ, რათა თავი ამ დროის სანაქებო შვილად ვიგრძნოთ.

21836. ტექნიკურმა პროგრესმა, შეიძლება, სიკვდილის ტრაგიზმიც დაგვავიწყოს, თუ ავტომოპასუხიან მობილურ ტელეფონს მიცვალებულს საფლავში ჩავატანთ და იქიდან ავტომოპასუხე გაუწყებთ, რომ მიცვალებული დაკავებულია და მოგვიანებით დაგირეკავთ.

21837. სიხარბე რეალური მიზნის უქონლობის შედეგია.

21838. სიძულვილის საფუძვლებს არავითარი პრიორიტეტი არ აქვს.

21839. რწმენა გვაიძულებს, იმაზე უკეთესები ვიყოთ, ვიდრე ბუნებითა ვართ.

21840. პიროვნების ერთის შეხედვით მიუღებელ ნააზრევსაც კი ქვა და გუნდა არ უნდა ვესროლოთ, ვეცადოთ, მის სიახლეს ჩავწვდეთ, რადგან, ვინ იცის, მან შეიძლება ხვალინდელი დღე გაგვინათოს და ზეგის ყოფა გაგვიბრწყინოს.

21841. რისი კეთებაც შეგიძლია და გსიამოვნებს, თუ მის კეთებას გაძალებენ, ეს ძალადობად არ უნდა მიიჩნიო.

21842. მტრები ზოგჯერ უკეთ გვიცნობენ, წარმოგვაჩენენ და მსჯელობენ ჩვენზე, ვიდრე თავად განვსჯით და ვცნობთ საკუთარ თავს.

21843. ის, რაც გსიამოვნებთ, ეგოიზმია სხვისთვის ვნების მიყენების გარეშე.

21844. მხედარმთავრისთვის ჯარისკაცების სიცოცხლე ძალზე გაიაფებულია, რადგან ის ომის შედეგზე უნდა ფიქრობდეს და არა მოკლულთა პროცენტულ რაოდენობაზე, რადგან ამ უკანასკნელზე

ფიქრი გაცილებით ძვირი უჯდება ქვეყანას.

21845. ჭეშმარიტება ჩუმად და მუდმივად იმკვიდრებს თავს ამ სამყაროში.

21846. სიფრთხილე და გონიერი მორჩილება არასოდეს არის დასაძრახი და გასაკიცხი.

21847. იდეოლოგია ღირებულებათა გავრცელების შედეგით ფასობს და არა უშედეგო ქმედებით.

21848. რასაც მეტს მივაღწევთ სიჭარმაგეში, იმდენად მეტ ტკბობას განვიცდით სიბერეში, ხოლო იმქვეყნად გადასახლების მოლოდინს ფილოსოფიურად ვხვდებით.

21849. მორალის ანი და ბანი თავის ძალას განსჯას ატანს და ამიტომაც აღიქმევა ის მარადისობად.

21850. მგლისა და ცხვრების დაახლოების იგავი გავიხსენოთ: მგელი შეჰპირდა ცხვრებს, თუ ძაღლებს გამოეყოფით, ხელსაც არ გახლებთო. რუსეთს განვუდექით, რაკიღა შეგვპირდით თქვენი მეგობრებიც გავხდებით და „ნატოშიც“ მიგიღებთო. დავუჯერეთ და ისე დავჩმორდით, დავკარგეთ თავმოყვარეობა, რომ დღეს ქართველი ქალები მოხუცების მომვლელის ადგილს ეძებენ საზღვარგარეთ, ეს მაშინ, როდესაც სსრ კავშირში ყოფნისას „ტრაკზე ბუზს“ არ ისვამდნენ, ამასთანავე მოსახლეობაც საგრძნობლად შემცირდა.

21851. წესით, უნდა ვწეროთ მხოლოდ იმათვის, ვინც აზროვნებს, განსჯის, გამოსავალს ეძებს, და არა იმათთვის, ვინც მხოლოდ კითხვით კმაყოფილდება.

21852. საქმიანი წინადადება, მეგობრული რჩევა თითქმის სინონიმებია, მაგრამ სიტყვათა დატვირთვა სხვადასხვაა.

21853. საქმიანი საუბარი ინტუიციისა და ემოციების ჩართვას მოითხოვს, შედეგის მომტანი რომ იყოს.

21854. საკუთარი თავის პიროვნებად ჩამოყალიბება და მისი შენარჩუნება ბედნიერებაა, ნიჭია.

21855. ეგოიზმიც თავის წარმოჩენა-მოწონების ერთ-ერთი საშუალებაა.

21856. ჭეშმარიტებას დუმილი არ უხდება, მისდა უნებლიეთ შხამს გამოყოფს.

21857. ხელის გამართვაზე მეტად ხელის არგამართვას იმახსოვრებენ უსაქმურები და შურიანები.

21858. მშვიდობის ქონის სურვილი აქსიომაა, ხოლო მართვის საადავეებისთვის ბრძოლა – ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა.

21859. უმთავრესია რწმენა სულიერად გავითავისოთ, რათა ჩვენს ენაზე მისი მოსმენა-მოხმობა შევძლოთ.

21860. საკუთარ თავთან განმარტოება და კამათი თუ არ მოგწყე-

ნიათ, მაშინ თქვენ ჯერ კიდევ პიროვნება ხართ.

21861. სიმართლე და პატიოსნება თავის ხვედრს მუდამ სამართლიანი გზით ეძებს.

21862. საკუთარ გადაწყვეტილებათა სისწორის რწმენა სიამოვნებასთან ერთად ენერგიას გვმატებს.

21863. სჯობს, თქვენთვის განკუთვნილი შეცდომების ჩადენის უფლება სხვებს დაუტოვოთ, ხოლო თქვენ მათზე მეტი ისწავლოთ, შეიგნოთ და შედეგიც გამოიყენოთ.

21864. ძალაუფლების მადლის შეცნობა ადვილია, მისი უდროოდ დატოვებაა ძნელი.

21865. სხვათა მიერ აღიარებულ ჭეშმარიტებასთან შებმა სისულელეა, თუ ოპონენტებში გონიერი კაცის ავტორიტეტს არ მოიპოვებთ.

21866. გულახდილ საუბარს მსმენელთან ერთად დროისა და გარემოს შერჩევაც სჭირდება.

21867. უცნაურ საქციელს თუ ამოხსნას მოუძებნი, ის ახირებად აღარ გეჩვენება.

21868. ინტერნეტმა წიგნი გარიყა ხმარებიდან და მისი ცოდნის აუცილებლობაც, რადგან, რისი ცოდნაც საყველპუროდ გჭირდებათ, ის ინტერნეტში დევს.

21869. საუბრის მადლს პაუზის სიხშირე განსაზღვრავს და უფრო მეტად – ამ პაუზის შინაარსი.

21870. სიმართლე მარტივია და კონკრეტულობა ახასიათებს, ხოლო ტყუილი რთულია და მრავალსიტყვიანი.

21871. შინაურ საქმეთა მოგვარების უნარი არის იმის გარანტია, რომ გარედან მოსულ საშიშროებას გაუმკლავდებით და წარმატებას მიაღწევთ.

21872. ომს სიბრიყვე იწყებს, ხოლო ის იგებს ვინაც სხვაზე მეტად დაუნდობელია.

21873. ჭეშმარიტება ტყუილს ვერ იტანს, რადგან მას განსჯადი აზროვნებისკენ აქვს მიდრეკილება.

21874. სასოწარკვეთა ის ცოდვაა, რომლის გამოსწორება ძნელდება.

21875. უკუღმა წასული ცხოვრების წაღმად შემოტრიალების მცდელობა გარკვეულ შედეგს იძლევა.

21876. რწმენა ხშირად ფარისევლობის ნება-ვნებაა.

21877. განსჯა უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავს სჭირდება, ამის შემდგომ სხვათა განსჯაზე უნდა იფიქრო და გონს მოუხმო.

21878. ჭეშმარიტება უპირველესად გულმა უნდა იგრძნოს, შემდგომ მოდის გონიერების, ჭკუის ჯერი.

21879. რწმენა სასწაულებს ახდენს, თუ მას ღირსეული წინამძღო-

ლი და მოძღვარი ჰყავს.

21880. სიახლისკენ მიდრეკილების პროცესი მანამ გაგრძელდება, სანამდის ადამიანები იარსებებენ და ნებით თუ უნებლიეთ არ გადაშენდებიან.

21881. წესიერება მოხერხებულობასთან შეხამებული გონიერების დაბანდებას მოითხოვს, რათა ის დასაცინი არ გახდეს.

21882. წესიერებასა და პატიოსნებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველისთვის უპირველესი ცნებაა, ხოლო მეორისთვის – შედეგი.

21883. ჭეშმარიტება გონიერების საზღვრებს არ სცნობს და არც საზღვრის დარღვევას უკრძალავს ვისმე.

21884. ჭეშმარიტების შეცნობა და დამკვიდრება ხშირად მსხვერპლის გაღებას მოითხოვს.

21885. ყოველივე შრომა-გარჯით მიღებული სიამოვნებას გვანიჭებს და წარმატებისკენ მიგვაქანებს.

21886. მჭევრმეტყველება ალესილი ხანჯალივითაა და ზოგჯერ ურთიერთგაგებასაც ვნებს.

21887. რასაც ვაღმერთებთ, ზოგჯერ იმასაც ჭუჭყი აცხია და მისი შემჩნევის სურვილი დაკარგული გვაქვს.

21888. ჭეშმარიტების არჩევას და მის მხარში ამოყენებას რა სჯობს, მაგრამ ზოგჯერ ეს არჩევანიც ძალზე ძვირად გვიჯდება.

21889. შეძენილ გემოვნებასა და თანდაყოლილს შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელზე ზეგავლენის მოხდენა ძნელია.

21890. ჩვენი შეგნების მაჩვენებელია საღი კრიტიკა და არა ჩვენზე დამოკიდებული ტაშის დამკვრელები.

21891. მთას მთაში მცხოვრებნი იცავენ გადაშენებისგან და არა გარემოს დამცველნი და მათი მოწოდებანი.

21892. ჭეშმარიტებას საკუთარი თავის განსჯა-წამებისკენ მივყავართ, რათა ის უკეთ შევიცნოთ.

21893. სიამაყე თავაწეული დაეხეტება, თავმდაბლობა თავდაწეული, ხოლო ჭკუა მათ შორის გადაადგილდება და არცერთ უკიდურესობას არ ემხრობა.

21894. მარტივის გართულება და რთულის გამარტივების მცდელობას განსჯისთვის მიღებულ პარამეტრებში ეჭვი შეაქვს.

21895. ცნობადობა და ალბათობა მუდამ კრიჭაში უდგანან ჭეშმარიტებას, რადგან მათ სიახლეებთან დაპირისპირების მიდრეკილება აქვთ.

21896. ჭეშმარიტება ყოველთვის მომწიფებულია და პურის მძიმე თავთავივით თავი ჩაქინდრული აქვს, რათა თავისი ცოდნა-გამოცდილებიდან ჩამოცვენილი მარცვლები სხვებს უსასყიდლოდ უწილადოს.

21897. ერთის სიამაყე სხვათა სიამაყეს ალმაცერად უყურებს და

ვერ ეგუება.

21898. შეუცვლელი არავინაა, მაგრამ ესეც შედარებითია დროის და გარემოს გათვალისწინებით.

21899. ანბანის დანიშნულება წერა და არა ხატვა, რადგან აქ მთავარია ნაწერის შინაარსი და არა სილამაზე.

21900. ცოდვას და სიკეთეს დღესაც დროის მენტალიტეტი განსჯის, არსებული მორალის და საკუთარი მეობის შესატყვისად.

21901. ცოდნა – არცოდნა შედეგის შესატყვისად ფასდება და არა ჩვენი შეხედულებების მიხედვით.

21902. ჭეშმარიტებასაც ბევრი მოშურნე, უმადური ჰყავს, პირველ ყოვლისა, თავისივე გონიერება, რომელსაც არსებული ჭეშმარიტების დღევანდელი სახე არ მოსწონს და მასში ნაკლს ეძებს.

21903. ჭეშმარიტი რწმენა დევნილია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ხელისუფლების კაპრიზებს ემორჩილება ან თანაუგრძნობს.

21904. შედეგის მისაღებად ჭეშმარიტებას გარჯა სჭირდება.

21905. სამწუხაროდ, რეალობისაგან განსხვავებით, ოცნება მაინც ოცნებად დარჩება, გარკვეული ბედნიერი გამონაკლისის გარდა.

21906. განსხვავებული საწყისები სხვადასხვა შედეგს იძლევა.

21907. წიგნი იწერება ფართო მკითხველისთვის. წიგნი დასამახსოვრებელი სიახლის წარმომჩენი და ჭკუის მასწავლებელია.

21908. ჭეშმარიტებას ყველანი ვეტრფით, მაგრამ მას პირადად არავინ იცნობს.

21909. უპირველესია პრაქტიკა, და ის გაიძულებს, თეორიას დაეუფლო, რათა შენი ცოდნა ტექნიკური პროგრესის მიღწევებით უზრუნველყო.

21910. საკუთარი სინდისის მხილება ყველაზე სარწმუნო და დასაჯერებელია.

21911. ჭეშმარიტება საკუთარი თავის შეცნობაზე, განსჯაზე, ცოდნის გადამოწმების უნარზე მიუთითებს.

21912. მასობრივი ტრაგედია შეგრძნების უნარს აქვეითებს.

21913. საბოლოოდ კანიბალიზმს კაცობრიობამ ტექნიკური პროგრესის შედეგად დააღწია თავი და არა ადამიანთა კეთილგონიერების გამო, ალბათ, ასევე იქნება დღევანდელ შინაურ ცხოველებთან მიმართებითაც, როდესაც ადამიანი ხელოვნური ხორცის მომცემ მცენარეთა გამოყვანას ისწავლის.

21914. პოლიტიკოსები მიდიან და მოდიან, მაგრამ ისტორიული ჭეშმარიტება რჩება, რომლის წაკითხვასაც ყველა ვერც ახერხებს და არც ცდილობს.

21915. ჭეშმარიტების გათავისება ძნელია, რადგან მის მცნებებს ბევრი უარყოფითად აღიქვამს, სანამდის შეეჩვეოდეს.

21916. ადამიანის გონება მარად ჭეშმარიტების ძიებაშია, თუნდაც საკუთარი თავის საზიანოდ.

21917. ერთგულებას იმსახურებენ, იმახსოვრებენ, ზოგჯერ განსჯიან კიდეც.

21918. რისკს რისკიანი ხალხი უყვარს და რისკიანს სათანადო პატივს მიაგებენ, რადგან უამისოდ განვითარება არ იქნებოდა.

21919. პოლიტიზებულ აფექტში, მასის მიერ ატაცებულ ქაოსში წინდაუხედავად ჩადენილი გმირობა სათუოა, რადგან, ეს დამოკიდებულია დროზე, გარემოზე და მასის ინტელექტზე. მისი ერთსახად შეფასება კამათს იწვევს. მაგ. 1956 წლის 9 მარტი და 1989 წლის 9 აპრილი ქ. თბილისში. ორივე მიტინგი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის კბილის მოსინჯვა იყო, ერთიც ქაოსურად ჩატარდა ი. სტალინის სახელის შელახვის საწინააღმდეგოდ და მეორე არჩევანის გაკეთების უფლების მოსაპოვებლად, მაგრამ თუ პირველი დავივიწყეთ და არაპოპულარულია, მეორე ეროვნულ დღესასწაულად იქცა. ამ დაუფიქრებელ ქმედებებს რამდენი უდანაშაულო, მოუმწიფებელი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა, ეს დღევანდელ ვაიპოლიტიკოსებს დიდად არ ანაღვლებთ.

21920. ყოველი იდეოლოგია, რწმენა, ტრადიციები, ავად თუ კარგად, მატერიალიზებულია და ძირითადად კარიერის საფეხურების დაძლევას ემორჩილება და ემონება.

21921. ამბობენ, ქრთამი იმქვეყნადაც ჯოჯოხეთს ანათებსო. მართლაც დაუჯერებელია, ამ ქვეყნიდან გადასახლებულები ასე სწრაფად გამოსწორებულიყვნენ იმ სამუდამო სასუფეველში.

21922. მიუწვდომელი იდუმალებაა, ჩვენს ცნობიერებას რომ აღვივებს და აღვინებს.

21923. სიკეთე უფრო მოტყუებულია, ვიდრე ბოროტება. ჭეშმარიტების მოძიებისას ის ხშირად ბლეფზე ეგება.

21924. ჭეშმარიტება იშვიათად წარმოაჩენს კაცს პიროვნებად, ვიდრე თავისი დროის გმირად.

21925. ჭეშმარიტებას უზიარებელი ადამიანი ბოლომდის ბედნიერი ვერასოდეს იქნება.

21926. ჭეშმარიტების მიერ შეთქმულ და მოწონებულ ბედნიერებას ყველა ვერ იგებს. მის აღქმას დაღვინებული გონიერება სჭირდება.

21927. ჭეშმარიტების დაგემოვნებას სხვადასხვა დონის ნიჭი, განათლება და ამბიცია სჭირდება.

21928. ასაკოვნებს ნაკლები რადიკალიზმი ახასიათებთ, ახალგაზრდობას – სულიერების ჯანყი, ხოლო ამ მხარეთა შეჯერება, დაბალანსება ნიჭს, გამოცდილებას და გამართლებას მოითხოვს.

21929. მეგობრად თავის მოჩვენება-წარმოჩენა ადვილია, მეგობრობის კოდექსის შესრულებაა ძნელი.

21930. ძალა, შეიძლება, ბოროტებად ან სიკეთედ იქცეს, მაგრამ სიცარიელე და უძლურება ბოროტებისკენ მიისწრაფვის.

21931. ჭეშმარიტება მეგობრულ გახუმრებასაც ვერ იტანს, რადგან ის ამაყი და შეუცვლელია.

21932. ჭეშმარიტება იბადება ხალას, უცოდველ პიროვნებათა ხელში და არა იმათ წრეში, რომლებიც ოჯახის გამოსაკვებად ყველაფერზე წამსვლელი არიან.

21933. წესრიგი დროის შესატყვისი იდეოლოგიაა, გონიერების წარმომჩენია, ყოველგვარი სახელმწიფოებრიობას წინსვლის საფუძველია.

21934. სტატისტიკა ხშირად სიტუაციასთან ასოცირდება, რადგან საშუალო-შეწონილი არითმეტიკის დასკვნები ზუსტი არასოდეს იქნება.

21935. ჭეშმარიტება ბოროტებას არ ებრძვის, უბრალოდ, მის შესაძლებლობებს ადგენს და აზუსტებს.

21936. ჯანსაღი და სანდო კრიტიკა შემოქმედის წარმატების გარანტია.

21937. სიცილი ზოგჯერ მიუკერძოებელი მსაჯულია ჭეშმარიტებისა და სიცრუის პოლემიკაში.

21938. ჭეშმარიტების აღქმა, მასთან ჩახუტება და ამით სიამის მოძიება ყველა მოკვდავს არ შეუძლია.

21939. ჭეშმარიტების აღქმას და სიყალბის გარჩევას აღზრდა-გამოცდილებასთან ერთად ინტუიციაც სჭირდება.

21940. საქმის მკეთებელი კაცი გაუკეთებელი საქმისთვის არც ალიბს ეძებს, არც განტევების ვაცს და არც წინამორბედის უნიათო საქციელს იხსენებს, რადგან ის საკუთარ თავს სთხოვს პასუხს.

21941. ჭეშმარიტებისა და ქედმაღლობის შეთავსება ჭირს, რადგან ერთად ცუდად გამოიყურებიან.

21942. ნათქვამი სიტყვა თუ მიზანში არ ხვდება, მაშინ ის ფუჭი ტყვიის ტოლფასია.

21943. ჭეშმარიტების მოწოდებაა, ბუნების კანონების ამოხსნა.

21944. თბილი სიტყვები სიამოვნების მომტანია. მათ სამკურნალო ეფექტი და ჯადოსნური ძალა აქვთ.

21945. წარმატება სიხარულით უნდა შევიგრძნოთ, რათა წარმატებებისკენ ლტოლვის სურვილი ხელიდან არ გამოგვეცალოს.

21946. ჭეშმარიტება უპირველესად თავისი უბრალოებით უნდა გამოირჩეოდეს, რომელსაც კაცთა გულის მომნადირებელი სილამაზე და ხიბლი უნდა დაჰკრავდეს.

21947. ჭეშმარიტების უპირატესობა გონიერებასთან შედარებით იმით გამოიხატება, რომ უკომპრომისოა, დროის და გარემოს კარნახის მიუხედავად.

21948. კარგი წიგნის წაკითხვა მის გმირებთან დაახლოების სურვი-

ლს იწვევს და გაიძულებთ, რამდენიმეჯერ გადაიკითხოთ.

21949. გონიერებას ჭეშმარიტებისადმი დამოკიდებულება წარმოაჩენს, ხოლო შემოქმედს – მის მიერ დაწყებული საქმიანობის შედეგი.

21950. გონიერებისაგან განსხვავებით, ჭეშმარიტება მარად განაღდებულია.

21951. ჭეშმარიტება განსჯას არ ექვემდებარება, მისი რა საწინააღმდეგო და მტკიცე საბუთებიც უნდა გქონდეს მოპოვებული.

21952. ჭეშმარიტება გარკვეული დროით დუმილს არჩევს, რათა მოგვიანებით ოპონენტებს სათანადო პასუხი მუჯლუგუნის კვრით მიაგოს.

21953. ჭეშმარიტება ბევრ ჭკვიან აზრს აფრქვევს და ქადაგებს. მათი გაგება ყველას ხვედრი როდია.

21954. საკუთარ და სხვათა ცოდვებს თუ ყურად არ ვიღებთ, არც პატრიოტიზმია საჭირო, არც სინდისი და არც ამქვეყნიურ ამაოებაზე დაფიქრება, რადგან, თუ უცოდველად ცხოვრება არ შეგვიძლია, მაშინ საყოველთაო პოსტულატებით ცხოვრება გაგვიჭირდება.

21955. გონიერება ჩადენილ ცოდვებს ჭეშმარიტების საძიებლად იყენებს.

21956. ბრიყვს ჭკუას ვერც სიყვარული ასწავლის და ვერც გაჭირვება, რადგან მას ამქვეყნიური ყოფიერების გაუგებრობისკენ აქვს მიდრეკილება.

21957. თუ საკუთარი თავითა და ნაღვაწით აღტაცებული ხარ, სხვათა აღტაცება და შექება რაღად გჭირდება?!

21958. სხვადასხვა ენერგიათა შერწყმა თავისებური ჭკუის გიმნასტიკაა, ვარჯიშია.

21959. ჭეშმარიტმა მეგობრობამ არც მანძილი იცის, არც ეროვნება, არც განათლება.

21960. არითმეტიკით ყველაფრის დამტკიცება შეიძლება, თუ მას მათემატიკასთან კავშირი არ აქვს.

21961. ყველაზე დიდი ძალა საკუთარი თავის ფლობაა.

21962. ჭეშმარიტების შეცნობით ტკბობა ხშირად რწმენის დამსახურებაა.

21963. ჩვენი დროის გაუგებარ სამყაროში ყველაზე ძნელი შუალედური ჭეშმარიტების მორგება-გათავისებაა.

21964. თანამედროვე შეიარაღება ცოდნას უფრო მოითხოვს, ვიდრე – გამბედაობას.

21965. სამართლიანობა ჭეშმარიტებასთან შეურწყმელად ვერ იარსებებს.

21966. ხსოვნასთან არ უნდა ვივაჭროთ, რაკიღა გაგვახსენდა, ე.ი. ის დაფასების ღირსია.

21967. ჭეშმარიტების ტყუილით შელამაზების მცდელობა გონებრივი გართობის ერთ-ერთი სახეა.

21968. ფაქტია: თავის დროზე იტალიელი კომპოზიტორი და ფეხბედნიერი პედაგოგი ანტონიო სალიერი გაცილებით პოპულარული იყო, ვიდრე ბევრი მისი კოლეგა, მაგრამ მოგვიანებით საზოგადოების გემოვნება დაიხვეწა, ბევრი რამ გადაფასდა. მისი მოწაფის მოცარტის გენიოსად შეცნობა მოხერხდა და ყველამ თავისი ადგილი დაიკავა ცხოვრების საჭადრაკო დაფაზე.

21969. ჭეშმარიტება ვნებიანი ხედვით კი არ შეიცნობა, არამედ უსასრულო გრძნობებთან ჭიდილით.

21970. ჭეშმარიტების მოძიებას გონიერებასთან ერთად თანდაყოლილი ნიჭი და შემართება სჭირდება.

21971. ზრდილობის უქონლობას გამართლება არა აქვს.

21972. წმინდანის მსგავსი თვალების შემონათება სიცოცხლის მადლს გვაზიარებს, სიცოცხლეს აზრს აძლევს და გვახალისებს.

21973. მზა ჭეშმარიტების გაცნობიერება კარგია, მაგრამ აღმოჩენა-დადგენის პროცესს უფრო მეტი სიამოვნება მოაქვს.

21974. მუდმივია ჩასახვა, გაჩენა, აღზრდა, ცხოვრების დაწყება, აღზევება, დაბერება და სიკვდილი. ყველა დანარჩენი – ბედი, იღბალი, გამართლება ყურით მოთრეულია.

21975. სინდისი არც ქირავდება, არც იყიდება, არც გირავდება. იგი ან გაქვს, ან არა. რაც შეეხება სინდისის ქენჯნას, ის ერთგვარი ალიბია და შენდობას არ ექვემდებარება.

21976. ჭეშმარიტება შეცნობის უნარს მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიმართ უნდობლობა გარანტირებულია.

21977. ჭეშმარიტების წარმოჩენას მაკლერი არა სჭირდება. აქ დილერი კლასიკაა.

21978. ტალანტი ჭეშმარიტების სინონიმია, თუ ის გადაგვარებას არ იწვევს და თანამედროვეობას მხარს უბამს.

21979. ენერგია ჭეშმარიტებას იზიდავს და მისგან მიღებული შედეგის გასაჯაროება აუცილებელია.

21980. ჭეშმარიტება შედარებით განუსჯელია, ვიდრე ოცნებაზე ფიქრი.

21981. აზრთა დაპირისპირება ჭეშმარიტების შეცნობის მცდელობაა.

21982. ჭეშმარიტების ძიებით გადაღლა ფუჭი ვარიანტების მოძიებამ იცის.

21983. მეხსიერება მარად დროს ექიშპება, ხოლო ჭეშმარიტება დროთა განსჯაშია.

21984. სიმართლის თქმა ყოველთვის სასიამოვნო მოსასმენი რო-

დია, მაგრამ ჭეშმარიტების დასადგენად მისი მოსმენა აუცილებელია.

21985. ღარიბებს მდიდრები არ უყვართ მათდამი შურის გამო, ხოლო მდიდრებს ღარიბები – უმადურობისა და მათხოვრობის ამტანლობის გამო.

21986. კეთილი ზრახვები ჩვენს ცნობიერებას აჯანსაღებს და შემოქმედსა ხდის.

21987. გონიერების ზომიერებით მოვარაყება მშვიდი ყოფის გარანტიაა.

21988. ჭეშმარიტებასთან შერკინება ხელს უწყობს მეცნიერების, ხელოვნების, მსოფლმხედველობის განვითარების, მაგრამ აქ შედეგებზე პასუხს არავინ აგებს.

21989. მშრალ ფაქტებზე დაფუძნებული საქმე ჭეშმარიტების დასადგენად ყოველთვის არ გამოდგება.

21990. სიბრძნე ჭეშმარიტებას ხშირად ემთხვევა.

21991. ჭეშმარიტების გზას ადამიანი უპირველეს ყოვლისა გულით ადგება, მერმე – გონებით.

21992. ჭეშმარიტება უმრავლესობის აზრს ხშირად ეწინააღმდეგება, გენიოსებისას – იშვიათად.

21993. ჭეშმარიტების და სამართლიანობის ერთობლიობა ყოველთვის სიამოვნებით აღიქმება.

21994. ჭეშმარიტებისთვის თავგადადებულ ადამიანს არც სიმართლის ეშინია და არც სიცრუისა, რადგან მისი მოწოდებაა იყოს ადამიანი, პიროვნება.

21995. დემაგოგია ფსიქიკაზე ძალადობის ერთ-ერთი ხერხია, რომელიც ჭეშმარიტების შეცნობის წინააღმდეგ არის მიმართული.

21996. ჭეშმარიტებასთან მიახლოება გვათავისუფლებს უგვანო აზრებისაგან.

21997. მეგობრობა და ურთიერთგაგება ყველაზე მეტად ჭეშმარიტების შეცნობას სჭირდება.

21998. ერთგულებაზე „ტესტის“ ჩატარებაც არ არის სანდო, იმდენად სათუო, სადავო და შარიანია ეს გრძნობა.

21999. ჭეშმარიტება ვისთვის იმედის სანთელია, ვისთვის – ჩირაღდანი თავისივე სულიერების წარმოსაჩენად.

22000. ფილოსოფია გაჯიქებული წმინდა გონების სარწმუნოებაა.

22001. ჭეშმარიტებასაც დადგენა უნდა, რომ მისგან რაიმე სასარგებლო და გამოსაყენებელი გამოვიდეს.

22002. ჭეშმარიტება ნაკლის არსს ებრძვის და არა მის ფორმებს.

22003. რაც უნდა შორს იყოს ჭეშმარიტება, მისკენ მიისწრაფვის ყოველი ნაღვაწი და ნამოქმედარი.

22004. ჭეშმარიტება რიცხვთა თანაფარდობაა თავისი ოთხივე მო-

ქმედებითა და ტოლობით.

22005. ჭეშმარიტება ამაყია და დაუმსახურებლად შექება-აღიარებას არ ითხოვს.

22006. ლამაზი და სინამდვილესთან მიახლოებული ტყუილის თქმა ჭეშმარიტებასთან მიახლოებული ხელოვნებაა.

22007. ჭეშმარიტება აზრს კარგავს, თუ მას შემდგომ უგულებელყოფენ.

22008. ჭეშმარიტების დადგენას ხშირად გამოცდილების ალგორითმებით ლამობენ.

22009. ჭეშმარიტების გულით აღქმას ყველაზე მეტად სიმამაცე სჭირდება.

22010. ყოველგვარ მტკიცებას სჭირდება არგუმენტი – ჭეშმარიტების ლურსმანი.

22011. ჭეშმარიტება აზრთა დუღილში მწიფდება და მუდამ მზადაა თავის წარმოსაჩენად.

22012. არ შეიძლება, ჭეშმარიტება მარცხისთვის იყოს განწირული.

22013. არ შეიძლება, ჭეშმარიტება მხოლოდ მარცხს აღნუსხავდეს.

22014. ჭეშმარიტება რომ დავაფასოთ, განათლებაა საჭირო, გონიერება და განსჯა.

22015. როდესაც ჭეშმარიტება საკამათო და განსჯის საგანი ხდება, მაშინ იწყება გაუგებრობა, ტვინის არევა და ურთიერთდაპირისპირება.

22016. ყველა ჩვენგანი საუკეთესო ექიმი გახდება თავისი თავის თუ საკუთარი დაავადების მიზეზებს აქტიურად გამოიძიებს.

22017. ეჭვი ჭეშმარიტების შეცნობის პირველი საშუალებაა.

22018. ჭეშმარიტების ძიება უფრო მეტ სიამოვნებას გვანიჭებს, ვიდრე მისი დადგენა – უსაქმოდ ვრჩებით.

22019. ადამიანში, ერთი შეხედვით, ყველაზე ძნელია ჭეშმარიტების წარმოჩენა.

22020. ჭეშმარიტების ცნებები ზოგში სიძულვილსაც იმსახურებს, იმისდა მიუხედავად, რომ ის აღიარების და სიყვარულის ღირსია.

22021. ტყუილის მრავალსახეობა არსებობს, ისე როგორც ჭეშმარიტებისა, გააჩნია, ვინ რით არის დაინტერესებული.

22022. ჭეშმარიტებასთან შებმა უაზრობაა, მაგრამ დილეტანტები უკან არ იხევენ.

22023. ჭეშმარიტებასთან შერკინება თავისი წილი მწუხარებისა და უბედურების ატანას ითხოვს.

22024. ჭეშმარიტების დროულად აღქმა და დაფასება ისევ განათლებას უნდა ვანდოთ.

22025. გულით შეცნობილი ჭეშმარიტება უფრო მიზანდასახულია, ვიდრე – გონებით აღქმული.

22026. ყოველი სახის რწმენა ჭეშმარიტებისკენ ისწრაფვის ან ჭეშ-მარიტებაზე დებს თავს.

22027. ჭეშმარიტებას ფულთან შედარებით მანამ არ ეძლევა უპი-რატესობა, სანამდის უიმედოდ არ გახდება.

22028. ნერვული უჯრედების გაუმართლებელი კარგვა ბევრი სასიკეთო საქმის კეთებას უშლის ხელს.

22029. ჭეშმარიტების რაობას ყოველივეს ალმაცერად უყურებს, სანამდის მას გავიგებდეთ და გავითავისებდეთ.

22030. სიბრძნე ჭეშმარიტების უმცროსი ძმაა, რომლის აღქმას ბუნებასთან ახლოს მისვლით ცდილობს.

22031. ჭეშმარიტების პოვნის პერსპექტივა შენ მიერ უნებლიეთ დაშვებული შეცდომების დამსახურებაცაა ზოგჯერ.

22032. ჭეშმარიტება, გონიერება და შედეგი მარად აღმაფრენას იწვევს.

22033. ჭეშმარიტების გაზიარება ბრიყვებს არ სჭირდება და ნურც თავს გავიწვალებთ, რადგან მათ თავიანთი გულის ჭია აწუხებთ.

22034. ჭეშმარიტების მოძიება საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, სა-კუთარ თავში.

22035. აზრთა ჭიდილი პრობლემებს არ უნდა გვიქმნიდეს, რადგან მისი მოწოდება ჭეშმარიტების დადგენაა.

22036. სჯობს, სიმართლით დავიდაგოთ, ვიდრე ტყუილით განვი-კურნოთ – მაინც დროებითია.

22037. ყოველივე ნაღდსა და მათ შორის ჭეშმარიტებას უკან მოხედვა არ სჭირდება. მან წინ უპრობლემოდ უნდა იაროს.

22038. თვალთმაქცობის ჭეშმარიტებად შესაღება დანაშაულია, უპ-ირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის წინაშე.

22039. ჭეშმარიტებას თავიდან ცოტა მომხრე ჰყავს და ბევრი განუსჯელი, უნიათო მოწინააღმდეგე, რადგან მის დონემდე ჯერ ისინი ვერ ამაღლდნენ.

22040. ჭეშმარიტებას ებრძვიან, მაგრამ მისთვის ბიშტის ჩვენება უჭირთ.

22041. გულთან შერკინება ჭირს, მაგრამ გონიერება და განსჯის უნარი ჭეშმარიტების მიგნების იმედს გვიტოვებს.

ხალხი, ბრბო, მასა

22041. ხალხი უნდა გიყვარდეს, ეროვნულობას პატივს უნდა მიაგებდე, მაგრამ ყოველივე ეს დროსა და გარემოს უნდა შეუთავსო; წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ მცდელობიდან სახეირო არაფერი გამოვა.

22042. ხშირად უმეცარს მეტი მფარველი ჰყავს, ვიდრე გონიერს, რადგან განსჯის უნარი ცოტას აქვს მომადლებული და საამისოდ თავსაც არავინ აწუხებს.

22043. მხიარულების შემდგომ ხალხს პური ესაჭიროება და არა დაპირება.

22044. ხალხი გულით აზროვნებს, სულის შემწეობით იბრძვის, როდესაც ქვეყანაში არეულობაა და ისტორიის მწარე გამოცდილებაზე აღარავინ ფიქრობს.

22045. ვინც ქვეყანას კანონების გაურყვნელად მართავს, ჭეშმარიტი ხელისუფალიც ისაა.

22046. ხალხს, მასას ასაკის მატება არ შველით. ისინი რეალური პოლიტიკისათვის მარად ახალშობილები არიან, რადგან მათ ისტორიის გამოცდილება არაფერს აძლევს, ხოლო დროის უკუღმართობა ყველა გამოცდილებას უსაფუძვლოს ხდის.

22047. არის ხალხის კატეგორია, რომელსაც ბოლომდე კი არა, შიგადაშიგაც არ უნდა ენდო.

22048. ნიშნის მოგებით ხელისუფლებას მაშინ უნდა შევხედოთ, თუ ქვეყნის საქმე სახეიროდ ვერ მიდის და სახელმწიფოს მაგიერ ხელში ტერიტორია შემოგვრჩა.

22049. ხალხმა ხელისუფლად ის პიროვნება უნდა აირჩიოს, რომელიც არც თავად გაწითლდება სირცხვილით და არც ხალხს გააწითლებს.

+22050. დღეს, ღამისგან განსხვავებით, საქმიანად მოხმარა უნდა, რადგან ოცნება და უსაქმურობა ღამითაც გვეყოფა.

22051. ხალხის გაგება ხშირად დროის ყივილზე, არსებულ გარემოსა და მის იმწუთიერ განწყობილებაზეა დამოკიდებული.

22052. შემოქმედისათვის აზროვნებაში გარდატეხა აუცილებელი მომენტია და ის ადრე თუ გვიან ყველა გონიერის ხვედრია.

22053. ცხოვრება არსებული საერთო პრობლემების შემოქმედებითად გადალახვას მოითხოვს. ეს შესაძლებელია გულდაჯერებითა და ხალხის მხარში ამოდგომით.

22054. ხალხი კი არ არის ბრძენი, არამედ მასში შემთხვევით გამორეული ნიჭიერი, ბინებით ავანტიურისტი პირი, რომელიც განგებამ ანალიზის უნარითა და ჭკუით აღჭურვა.

22055. ხალხს ძალზე მოკლე მახსოვრობა აქვს, თანაც აბურდული და ისიც სათავისო.

22056. ხალხის სურვილია: ქვეყნის ხელისუფალმა იმ მიმტანის

როლი შეასრულოს, რომელიც რესტორანში ფეხის წვერებზე დამდგარი გემსახურებათ და ყოველგვარ „ფეშქაშზე“ უარს აცხადებს.

22057. სიკეთის დაძალება ყველა ხალხს სჭირდება, რათა მათში ის პიროვნება წარმოჩნდეს, რომელიც ქვეყანას სასიკეთოდ მოემსახურება.

+22058. შემთხვევითი ხელისუფალი ჰგავს გასასუქებელ ღორს, რომელსაც ყველაზე უკეთ აბსურდის თეატრის მართვა ძალუძს.

22059. სუსტი ეროვნული მენტალიტეტის ხალხს ან არც ჰოს, არც არას არ ეკითხებიან.

22060. ზოგჯერ ბრბო იმ შეცდომასაც კი ხედავს, რაც არ ჩაგვიდენია, რაზედაც არ გვიფიქრია. ამიტომაც უმთავრესია, საკუთარი ფასი ვიცოდეთ და მასასთან ურთიერთობისას ფხიზლად ვიყოთ.

22061. საქმიანი ხალხი უბადრუკ და ლიტონ სიტყვებს ვერ ეგუება.

+22062. ზოგჯერ ხალხი კერპად ისეთ ადამიანს აქცევს, სხვა დროსა და გარემოში ხელსაც რომ არ ჩამოართმევდა.

22063. ხალხს სულიერების გაფეტიშება და აღმაფრენის სურვილი არ უნდა ჩავუკლათ, თუ გვინდა ხალხად დარჩეს და არა ბრბოდ.

22064. ხალხის აზროვნებას გარკვეული დროით რომ თავი დაადგა, განგების რჩეული უნდა იყო.

22065. ხელისუფლება არის ის ძალა, რომელიც საშუალებას იძლევა კანონები შემოქმედებითად გამოიყენო.

22066. ხელისუფალთა უმრავლესობას მოქნილი ტვინი არ აქვს, რაც ინტელექტუალური უბედურების მომასწავებელია; მათთვის დროსა და გარემოს შესატყვისად ქვეყნის მართვის მექანიზმი ფაქტობრივად უცნობია.

22067. შეარჩიო შენი სინჯის სისხლის მქონე ხალხი და საქმეს შეეჭიდო, ეგ ერთეულ თავზეხელაღებულ შემოქმედთა ხვედრია.

22068. ცივილიზაცია სამყაროს მართვის საფუძვლების გაცნობიერებას მისი დაუფლებით ცდილობს, მაგრამ ხალხის დაბალი კულტურა და შეგნება წინააღმდეგობას უწევს.

22069. უნიათო, ზარმაც ხალხს ყოველთვის ქურდი და ხელგაწვდილი მთავრობა ჰყავს.

22070. კარგი და საჭირო ჭორის ლაბორატორია, ანუ იდეოლოგია, ხალხს იმედს უსახავს.

+22071. ხალხი აუწყობელ პიანინოს მოგვაგონებს, რომლის აჟღერება პოლიტიკოსმა უნდა შეძლოს, თანაც იმგვარად, რომ იგივე ხალხი გააოცოს – ეს რა შეგვძლებიაო.

22072. ბრბო არასოდეს აფასებს იმას, რაც აქვს, და დაუმსახურებლად ითხოვს კიდევ უფრო მეტს, ხოლო ფული არის ჭეშმარიტი მედიატორი – ის ყოველივეს თავის ადგილზე აყენებს.

22073. ამ ბოლო დროს ბრიყვებმა, აუტისტებმა არჩევნებში მონაწ-

ილეობის უფლებასთან ერთად ქვეყნის მართვის უფლებაც მოიპოვეს, რაც ხალხის გულგრილობის და უყურადღებობის ბრალია.

22074. გენიოსისთვის თანამედროვეები დროს ჩამორჩენილი ხალხია, ხოლო ხალხისთვის გენიოსი-შეშლილი პიროვნება.

22075. ყველა ხალხს, ერს აქვს თავისი გადარევის პერიოდი, როდესაც არსებული არ აკმაყოფილებს და კომპლექსების მოშორებას ამ ერთგვარი გადარევით ლამობს.

22076. ხალხი შეცდომის უფლებას იტოვებს, მაგრამ მის მიერვე არჩეულ ხელისუფალს ამის უფლებას არ აძლევს.

22077. თითქოსდა ხალხი ყოველთვის უდანაშაულოა, მაგრამ თავისი გულგრილობისა და უგერგილობის გამო შთამომავლობასთან ერთად ხან მდიდარია, ხან ღარიბია, ხანაც სასტიკად ისჯება.

22078. ხალხი დაპირებებით უნდა დააპურო და არწმუნო, რათა შეუპოვრობა შეიძინოს.

22079. არსებობს შემთხვევითი ხელისუფალი და არა პატარა ხალხები, რომლებსაც ამ უგუნური წინამძღოლის შედეგის ხილვა და ტარება უხდებათ.

22080. თანამედროვე ომი და კაპიტალი თანაბარი პროპორციით ნაწილდება მსოფლიოს ხალხებზე.

22081. ყველა ხელისუფლება ხალხის შიშს უნდა გრძნობდეს, რათა მან ქვეყანა შემოქმედებითად მართოს და ხალხზეც იზრუნოს.

22082. ყველა ამქვეყნურ უგუნურებაზე ხელი ჯერჯერობით ჩვენს პლანეტაზე მცხოვრებ ხალხს მიუწვდება.

22083. ხალხისთვის სიკეთე არასოდეს მოუტანია ტვინნაღრძობ, თავხედ, ახალგამომცხვარ ლიდერებს.

22084. აკრძალვებს ვერ დავგეგმავთ, მაგრამ არის ხალხი, რომელიც ამას გვაიძულებს.

22085. ჩვენი სურვილია, მდიდრებს გავუტოლდეთ და არა – ღარიბებს; თუმცა კი ღარიბებზე უფრო მეტი სიმპათიით ვსაუბრობთ, ვიდრე – მდიდრებზე.

22086. ლოთობას, ნარკომანიას უფრო მეტი ხალხი ჰყავს დაინვალიდებული და იმქვეყნად გასტუმრებული, ვიდრე აქამდე მომხდარა, ყველა ომს, რევოლუციასა და აჯანყებას.

22087. ყალბი ხალხი სიტყვით ეროვნულობას, თვითმყოფადობას, პატრიოტიზმს რომანსებს უმღერის, საქმით კი თავისი კეთილდღეობისთვის ირჯება.

22088. ხალხი თავისი დროის ხელისუფლის ღვაწლს არასოდეს სათანადოდ არ აფასებს. ამას შემდგომი თაობები აცნობიერებენ.

22089. რაგინდ კარგი ხელისუფალიც უნდა გვყავდეს, მაინც ახალს ვარჩევთ, მოხიბლულნი სათუო დაპირებებით.

22090. მოსახლეობის დევიზი უნდა იყოს: უარი კმაყოფილებასა და უგვანობას!

22091. ჩვენი ხალხის დამოკიდებულება მთავრობისადმი ხშირად ასეთია: „ამ მთავრობის დედაც ვატირე, კიდევ წვიმს“.

22092. ხალხი არაფერს სწავლობს, რადგან მისი მოწოდებაა ბრბოდ ყოფნა.

22093. ხალხი ხან მდიდარია, ხან ღარიბია, გააჩნია, ბედმა და დრომ ვინ არგუნა მოძღვრად და წინამძღოლად.

22094. რატომღაც პირფერები, მლიქვნელები, მოლაყბენი უფრო მოგვწონს, ვიდრე პირდაპირი, გულახდილი მცოდნენი, მიუხედავად იმის ცოდნის, რომ შედეგისთვის ესენი უფრო მეტის მომცემნი არიან, ვიდრე პირველნი, რომელნიც მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის იღვწიან.

22095. მეგობარს ხუმრობითაც არ უნდა დასცინო, ან ისე დასცინო, რომ უმტკივნეულოდ წარმოჩნდეს მისი ღირსებები.

22096. ხილული ძეგლი ხალხმა უნდა დაგვიდგას, უხილავი – საკუთარმა თავმა.

22097. ხალხი სხვის ომში სასტიკია, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით კეთილია.

22098. ხალხის მსჯელობა ხშირად სათუო და უკუღმართულია, მაგრამ ჭეშმარიტების დასადგენად მაინც გამოდგება.

22099. მასას თითლიბაზობა და ძალაუფლების სამსახური მოსწონს, ვიდრე შემართება და თავისი საქმის კეთება.

22100. ხალხის აზრი კი არა, პიროვნებათა აზრი უნდა გვაინტერესებდეს, რათა ქვეყანას ვარგოთ და არა მასის სახელით მოლაპარაკე ვიგინდარებს.

22101. პოლიტიკოსები მიდიან და მოდიან. ხალხი რჩება და უნდა დარჩეს ხალხად.

22102. ბრბოდ ქცეულ ხალხს როდესაც სისხლის დანახვის სურვილი უჩნდება, ვერავითარ სასიკეთოსა და ჭკვიანურს ვერ შეასმენ.

22103. ხალხის შეცდენა ძნელია, მაგრამ ბრბოს მოხიბვლა ადვილია, ხოლო: მასა შესაცდენად მარად მზადაა, რადგან მისთვის შედეგი არაა მნიშვნელოვანი.

22104. ღვთისკაცობაა ქვეყნის სიყვარულისაცაა და უმადური ხალხის სამსახურიც.

22105. ხალხის, მასის, ბრბოს ოპონირება სახელმწიფოს ძლიერებას ხელს ვერ უწყობს, რაკიღა ქვეყნის მართვის რეალურ ხელოვნებაში ის ვერ ერკვევა. ეგ კი იმად ხდება, რომ მასას შედეგი დღესვე უნდა და ქვეყნის რეალური მომავალი დიდად არ აინტერესებს.

22106. ქაოსმა რომ არ დაისადგუროს და ხალხი არ გადარიოს, „მკურნალია“ საჭირო – გონიერი და სასტიკი ხელი.

22107. ხშირად მასა საზოგადოებრივ აზრს აუხდენელ დანაპირებსა და ფულზე ყიდის, მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს ვერც ფულს იღებს და ვერც დანაპირის აღსრულებას.

22108. ბუნტსაც, გულიან ამბოსაც მოსმენა და დაყვავება უნდა, რათა ხალხი მასად არ იქცეს და მისთვის სისხლის გამოშვება საჭირო არ გახდეს.

22109. ხალხთან პატიოსანი ურთიერთობაა ბოლომდე არასოდეს დაგიფასდება, ოღონდ პატრიოტი ამას წინდაწინვე ეგუება.

22110. ხალხს სათავისო პიროვნება სჭირდება ქვეყნის სამართავად, თუნდაც იგი დიქტატორი იყოს.

22111. თეატრი თავისებური აღსარებაა, ოღონდ ხალხით გაჭედილ დარბაზში.

22112. საშინელებაა, როდესაც ქვეყანას, ხალხს შენთვის შესაფერისი კუთხე ვერ გამოუყვია, შენი საფერო საქმე ვერ მოუნდვია.

22113. ხალხის გარყვნაზე ადვილი არაფერია, თუ რწმენას დავაკარგვინებთ და ფუფუნებისკენ მისწრაფებას ვასწავლით.

22114. ხალხი დამნაშავეა, თუ მან ვერ შვა პიროვნება ან ვერ წარმოაჩინა შესაფერისი ხელისუფალი, რომელიც მას უხელმძღვანელებდა.

22115. ყველაზე დიდი დანაშაული საკუთარი ხალხის წინაშე ტერიტორიების დაკარგვაა და დროებით სხვათა ტერიტორიების ავტონომიებად შემოერთება, რადგან, შედეგის მიუხედავად, ეს ავტონომიური წარმონაქმნები საბოლოოდ უმადურნი არიან.

22116. ხალხს პრობლემები ყოველთვის ექნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თავის დანიშნულებას დაკარგავს. ეს არის: შრომა, ძიება, მიღწევა.

22117. სუპერმოსაწყენი ხალხიც არსებობს, თავისი უსაქმურობით რომ თავს გვაწონებს.

22118. შესაძლებლობა რომ იყოს, საყოველთაო არჩევნებში მოქალაქედ, პიროვნებად შერაცხულმა ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, რომელსაც განსჯის უნარი აქვს და არა მასამ, რომელიც ფეხის ხმასაა აყოლილი და სხვის დაკრულზე ცეკვავს.

22119. მხიარულების მოყვარული მასა არჩევნებზე გონის მოუხმობლად მიდის და შედეგს მალევე გრძნობს.

22120. ბრბოს შეკრება ადვილია, ოღონდ პიროვნების დაყოლიებაა ძნელი.

22121. ხალხი გაჭირვების ჟამს შეიძლება ხელისუფლებას გვერდში დაუდგეს, მაგრამ შეცდომას არ აპატიებს.

+22122. ხალხს ის უფრო აინტერესებს, რა ძევს ქალის თავზე, ვიდრე ის, თუ რა ძევს მის თავში.

22123. ხალხისთვის სამსახური და ხელისუფლების სათავეში ყოფნა

სასიამოვნო კატორღაა.

22124. გრძნობებით გატაცება, ამბიციური ხალხის საქმე არ არის – შედეგი აქვს სათუო.

22125. პიროვნებაა ის, ვინც წინ იყურება და ავისა და კარგის გარჩევის უნარი შესწევს; ხალხია ის – ვინც კანონს ემორჩილება და სახელმწიფოებრიობის პოსტულატებს პატივს მიაგებს; მასას უკეთესი ცხოვრება უნდა, მაგრამ როგორ, არ იცის, თუმცა ქვეყანაში არეულობის წინააღმდეგია; ბრბომ, რა უნდა, თავად არ უწყის, რადგან რეალობის ხედვის უნარი წართმეული აქვს და ამიტომაც მასზე არაფერი ითქმის.

22126. ფაქტობრივად ჩვენ სახელმწიფოს ინტერესებსა და თანამდებობებს უნდა ვემსახუროთ და არა ხალხს, რომელიც მუდამ დროის უმადურია.

22127. კარგი ხალხი ცოტას ცოცხლობს, ცუდისგან განსხვავებით, ყოველ შემთხვევაში – ასე გვეჩვენება.

22128. საქმიან შემოქმედებასა, კარგ ლაპარაკსა და ყბედობას შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ მასა მაინც ამ უკანასკნელს აფასებს და უსმენს, რადგან მისთვის ეს უფრო გასაგებია.

22129. ხალხის გატუტუცება იმდენად დიდ ნიჭს არ მოითხოვს, რამდენადაც შენი თავხედობა.

22130. გონიერს უჭირს უგუნურებთან შეხლა-შემოხლა. ამიტომ მათ არ ეკამათება.

22131. საშიშროების მოლოდინი ხშირად იმ ხალხთან გვამეგობრებს, რომელთან ურთიერთობაც ადრე ვერ წარმოგვედგინა.

22132. მიუხედავად მასის უმადურობისა, ჩვენს დროებას ვემსახურებით ჩვენი ნიჭისა და საკუთარი მეობის შესატყვისად.

22133. ხალხს ჩვენი მტერი ენდო, ხოლო ხალხის არჩეულს, მოგვწონს, თუ არ მოგვწონს, გარკვეული დროით ვემორჩილებით.

22134. ხალხისთვის მოსაწონ და სწრაფ აზროვნებას საზოგადოებრივი შედეგი მოაქვს.

22135. ამ ქვეყნას „ჭკუანაღრძობი“ ხალხი აშენებს და ამშვენებს, თორემ უიმათოდ დღესაც ქვის ხანაში ვიცხოვრებდით.

22136. იმისთვის, რომ ეგრეთ წოდებული „ვარსკვლავი“ გახდე, მთავარია, ურცხვად გატიტველება არ დაიზარო, და სხეულის რომელ ტიტლიკანა ნაწილს წარმოაჩენ, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს გამოთაყვანებული „მაცქერლისთვის“, ხალხი რომ ჰქვია და ბრბოდ გადაქცევის მიდრეკილება აქვს.

22137. სამწუხაროდ, ხალხზე უფრო კარგი წარმოდგენა გვაქვს, ვიდრე სინამდვილეშია.

22138. გაჭირვება გონებას გვიმახვილებს, სურვილს გვიძლიერებს,

მიზანს გვისახავს, ოღონდ მხოლოდ ბუნებით ჯიუტ ხალხს.

22139. ბოროტების ადგილი ჯოჯოხეთშია, მაგრამ იქაც ბევრი საინტერესო ხალხია გამოკეტილი.

22140. ხალხი არავის და არაფერს ბოლომდის არ ემორჩილება, გარდა ტრადიციებისა, ქცევისა და სარწმუნიებისა, ისიც თავისი გადასახედიდან და საკუთარი სიამოვნების მიხედვით.

22141. ხალხი გამოუსწორებელი „დებილია“, ოღონდ საკუთარი სურვილების სასარგებლოდ.

22142. სჯობს, ხალხს სიკეთის მოპოვება ასწავლო, ვიდრე გაუკეთო, რათა სხვათა იმედით ცხოვრებას არ დაეჩვიოს.

22143. იყავით მარტივი, ხელმისაწვდომი და მასაც თქვენ გვერდით დადგება, მაგრამ როგორ გაუმართლებთ იმედს მხარდამჭერთ, ეს სხვა საქმეა.

22144. მასა მწარე სიმართლის აღსაქმელად არასოდეს მზად არ არის.

22145. რეკლამითა და ფუფუნებით გატუტუცებული მასა „გავააწეული“ საზოგადოების სინონიმია.

22146. მშვიდობის დროს უპირატესობა უნდა მივცეთ ტექნოკრატიულ მთავრობას, ხოლო არეულობისას – პოლიტიზებულს, რადგან ხალხი აჭრილია და მას გონი დაკარგული აქვს.

22147. უმადური ხალხია და არა თაობები.

22148. სანამდის საარჩევნო სისტემაში ყოფიერებისა და წინდახედულების ალგორითმები ცხვირს არ ჩაყოფს, მანამდის ხალხის „გონივრული“ არჩევანი არ მოხდება.

22149. ხალხისთვის სიკეთის მთესველი უნდა ავირჩიოთ ქვეყნის მმართველად თუ ჭკვიანი და მოხერხებული პირი? ალბათ, ეს უკანასკნელი, მაგრამ მასა მაინც პირველს აძლევს უპირატესობას.

22150. ურწმუნო, უიდეო და დემოკრატიის ანაბანის უცოდნელ მებრძოლ ხალხს მტერი ენდო.

22151. ქვეყნის მართვა და ხალხის დამოძღვრა გადაქანცული და ძალაგამოცლილი ენთუზიაზმით შეუძლებელია.

22152. პასუხი ხალხისა და კანონის წინაშე ყველამ თავისი სიტყვების გამო უნდა აგოს, რათა ქვეყნის სათავეში მოსვლა შემთხვევით ხალხსა და ნაძირალა ყბედებს გაუჭირდეთ.

22153. ბრბოდ ქცეულ ხალხს მტერი ენდო – დასჭირდება და ვიღაცისა და რაღაცის ჯინზე მაინც გაგყიდის.

22154. ულიდერო ხალხი უსახურია, რომელსაც, რა სწყინს და რა უხარია, თავადვე ვერ გაურკვევია.

22155. ბრბოს განსჯას, სამწუხაროდ, ისევ ერთი კაცის განსჯა სჯობს, თუ გაგვიმართლა და ის ცოტათი მაინც წინდახედულია.

22156. „ხალხი საღად აზროვნებს“ – იძულებული ვარ, ყურით მოთრეული ეს „აქსიომა“ ვაღიარო, წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნების უგულებელყოფა ქვეყანას უფრო მეტად არევს და ავნებს.

22157. როგორც უმრავლესობა – ხალხი, მასა, ბრბო – მსჯელობს, ისე მტერმა იმსჯელა.

22158. უვიც, უპრინციპო და საკუთარ თავზე უაზროდ შეყვარებულ ხალხს უნდა ვერიდოთ და ახლოს არ გავიკაროთ – წამგებიანია.

22159. არის ხალხის კატეგორია, რომელიც ვერასოდეს იტყვის, „დამდეთ პატივიო“, იმდენად შელახული აქვს ღირსება და სახელი.

22160. ნაციონალიზმით სპეკულაცია ხალხის გამოფხიზლებას იწვევს, მაგრამ არ უნდა გადავამლაშოთ, რადგან მაშინ იგი გადადის აუტიზმში.

22161. საკუთარ ხალხზე გაბრაზება არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ ის ზოგჯერ „ფურთხის ღირსია“.

22162. მზრუნველი დიქტატორი სჯობს თუ გაუცნობიერებელ თავისუფლებას ამოფარებული ქვეყნის პრეზიდენტი, ამას გააზრებას ხალხის გონიერება და ხასიათის წრთობა სჭირდება.

22163. ხელოვან და შემოქმედებით ხალხთან ახლოს უნდა იყო, მაგრამ ყველაფერში არ უნდა ენდო, რადგან მათ თავში საკმარისზე მეტი „ოფოფები“ უზით.

+22164. სიტყვა რყვნის ხალხს, ხოლო ხალხი – სიტყვის დანიშნულებას, რადგან მას ყველა თავისებურად აღიქვამს.

22165. არის ჯიუტი და ამბიციური ხალხის კატეგორია, რომლებსაც ვერც სამარე ასწორებს, ვერც განგების ნება.

22166. არის ხალხის კატეგორია, რომელიც „ნიფხავს“ მაშინაც იხდის, როდესაც მასთან ურთიერთობა არავის უფიქრია.

22167. არის ხალხი, რომელსაც ტყუილის თქმა არ შეუძლია; არიან, სიმართლეს რომ ვერ დააცდენინებ პირიდან, ისეთებიც გვხვდებიან ტყუილ-მართლის გარჩევის უნარიც რომ დაკარგული აქვთ. რას იზამ, ასეთია განგების ნება და – „კაცია და გუნება“.

22168. უმცირესობის ყბედობას უმრავლესობის სიჩუმე ყოველთვის ფარავდა და გადაფარავს.

22169. სიღატაკისა და სიმდიდრის რეალობებს ხელისუფლის გონება განსაზღვრავს და არა ხალხის ნება.

22170. ხშირად ხალხს მოსმენის, სიახლის აღქმის, განსჯის უნარი დაკარგული აქვს, მით უფრო მაშინ, როდესაც სთხოვენ, მომავლისათვის ცოტა შეიჭირვოს.

22171. ხალხს მიზანი უნდა დაუსახო, წინ გაირეკო, ატარო უკანმოუხედავად, მისთვის სიკეთე თუ გინდა.

22172. გონიერთა შემართებას მოჰყავს ქვეყნის სათავეში სასურვე-

ლი ხელისუფლება და არა „ფეხებზე მკიდია“ ბრბოს, რომელსაც ზოგ-ჯერ ხალხს ვეძახით.

22173. ხალხს ზოგჯერ აზროვნებაზე მეტად ემოციები და გაუცნობიერებელი მომავალი სჭირდება.

22174. მასას, როგორც გინდა, ისე ააბუნტებ, ჭკუას აურევ, თუ რაიმე სასუსნავს მიუგდებ გაუცნობიერებელი ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

22175. სჯობს ხალხის „გამსულელებელ“ პიროვნებას ვენდოთ, ვიდრე ბრბოს მიერ სიყვარულით არჩეულ ხელისუფალს.

22176. ხელისუფლება კი არ უნდა მართავდეს ქვეყანას, არამედ წარმართავდეს, რათა ამ საქმიანობით ხალხიც კმაყოფილი დარჩეს და თავადაც ნაკლებად იდავიდარაბოს.

22177. ხალხის შესაცნობ პარამეტრებს მათი ენის ცოდნა და მასთან გატარებული დროის სიხანგრძლივე გვაძლევს.

22178. მასა ცუდია, ბრბო უვარგისია, ხალხი უგუნურია, ხოლო ჩვენ ჩვენი შეხედულებებით შეუცვლელნი ვართ.

22179. თუ ისეთ ხალხში გაქვთ საქმე, გაჭირვების ჟამსაც რომ ზურგს არ შეგაქცევენ, უკვე პიროვნება ხართ.

22180. ხალხს, თუ საჭიროა, მისთვის გამოსადეგი საქმე დაძალებითაც უნდა ვასწავლოთ და აქ დემოკრატია და თავისუფლება არაფერ შუაშია.

22181. სამწუხაროდ, კაცობაზე, პატრიოსნებაზე თავს აშკარად და უმთავრესად უწესო ხალხი დებს.

22182. ხალხში სიახლის დანერგვა ნიჭთან ერთად მოთმინებას, ნერვების წყვეტას საჭიროებს.

22183. ბევრ საორჭოფო საკითხში ხალხი გაუცნობიერებელია. ამიტომ მათი გადაჭრისას მთავრობამ მასას არაფერი უნდა ჰკითხოს.

22184. რაღაცის და ვიღაცის გაფეტიშების უნებლიე მოთხოვნაა, რომ ხალხს ქვეყნის სათავეში დიქტატორი მიჰყავს და დროებით მას ემონება.

22185. ხალხს, შეიძლება, დაფიქსირებისა და არჩევანის საშუალება მივცეთ, მაგრამ რა შედეგს მივიღებთ, არავინ უწყის.

22186. ხალხი ხელისუფლებას ირჩევს მისი საქმიანობის, შესაძლებლობებისა და იმ იმედის მიხედვით, რომ ის მას რაიმეს არგებს.

22187. მოდა, წამბაძველობა, იდეოლოგია მასების თავის ჭკუაზე ტარებასა და წარმართვას ცდილობს.

22188. ხალხს ყოველთვის იმაზე მეტი უნდა, რაც ეკუთვნის, რასაც იმსახურებს, რისი იმედიც ჰქონდა.

22189. ჯოჯოხეთში მოხვედრა, ეტყობა, ყოველთვის სულიერების დაღუპვას არ გულისხმობს, თუ იქაც საინტერესო ხალხია.

22190. მცოდნე ხალხი ცოდნის გამომზეურებას ცდილობს, ხოლო ნაკლებად მცოდნენი – ამბიციებისას.

22191. გმირები არაორდინალური ხალხია და მათ შემთხვევა და საკუთარი გენი წარმოაჩენთ.

22192. დამნაშავეს ის კი არ უნდა აინტერესებდეს, კანონი როგორ განსჯის, არამედ ხალხი როგორ შეხვდება დანაშაულის ჩადენის გამომწვევ გარემოებას და მისი ჩადენის პირობებს.

+22193. საქმიანი ადამიანები ერთმანეთს ბედის წყალობით ნახულობენ, ხოლო უსაქმურებს ერთმანეთის სანახავად ბედი არ სჭირდებათ.

22194. ხალხს არჩევნების გაკვეთილები უნდა ჩავუტაროთ, რათა შესაძლებლობა მიეცეს თავისუფლების დაფასებისა და ღირსეული არჩევანის გაკეთების. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიღებთ საარჩევნო პოლიტიკის იმ შედეგს, რაც დღეს არის ქვეყანაში.

22195. ხალხი თავის რჩეულს მანამდე ვერ აფასებს, სანამდე ის თავისი ავტორიტეტით დიქტატორად არ იქცევა.

22196. კონკურენტუნარიანი, ხარისხიანი ახალი პროდუქციის შექმნა-გასაღება უნდა იყოს და არის ეკონომიკისა და პოლიტიკის ნიადაგ საფიქრალ-საზრუნავი.

22197. ჩვენს რეფორმებს ხურო კი არა, ურო სჭირდება, რომ ხალხის სასიკეთოდ გამოვიყენოთ.

22198. კავკასიას თავისი სილამაზე აქვს და დიდი მომავალიც ექნება, თუ მასზე ყელსაბამივით ჩამოკიდებული ხალხები ურთიერთს შერწყმიან და საერთო ენას გამონახავენ.

22199. ამ სამყაროში უდროოდ და უფულოდ შემოჭრილი ხალხის წარმატების შანსი უმნიშვნელოა.

22200. თუ ხალხმა არ მოიმარჯვა გონის ძალა, იმ ქვეყნის საქმე წასულია.

22201. ხალხს ქვეყნის ბედი კი არა, ზოგჯერ საკუთარი თავის განსჯაც არ უნდა ვანდოთ, იმდენად გაუგებარი, გაუცნობიერებელია და რეალობის შეცნობა უჭირს.

22202. საოცარია, თითქოსდა ჩემი გამოცდილების ადამიანს ხალხის ცნობა არ უნდა ეშლებოდეს, მაგრამ ზოგჯერ ჩვენი ახლობლები ისეთ რასმე სჩადიან, გაოცებას ვერ ვმალავ.

22203. ხალხზე ნათქვამი ბევრი რამ სიმართლეა, მაგრამ იგი ამას ვერ აცნობიერებს და თავისი ნაოცნებარით ცხოვრობს.

22204. არ გამოამჟღავნო ის, რაც ხალხისთვის სასარგებლოა, ძალზე ძნელია და, ამასთანავე, დიდი უსინდისობაცაა, იმისდა მიუხედავად, იგი იმსახურებს ამას თუ არა.

22205. ფესვებიდან მოგლეჯილი ხალხი მისდა უნებლიეთ მაინც

თავისი ფესვებისკენ მიილტვის.

22206. ხალხზე უმადური და სასტიკი ბრბოა, მაგრამ გონიერება სიკეთისკენ მის შემოტრიალებას ცდილობს.

22207. სევდიანი და უნიათო ხალხი ხშირად, თავისი გაგებით, ბედნიერად ცხოვრობს და არსებობს.

22208. ხალხის ჭუჭყისაგან გაწმენდას საშველი არ ადგება, ტექნიკურმა პროგრესმა ცხოვრების დონე როგორც არ უნდა აამაღლოს და ხალხის შეგნებაში დამკვიდრდეს.

22209. საკმაოდ ბევრი ამბიციური შტერი ცხოვრობს ამქვეყნად, რომლებსაც მასად მოიხსენიებენ. ისინი მუდამ ამომრჩევლად გვევლინებიან.

22210. ბრბოს აინტერესებს, ვის ვისგან შეეძინა ნაბუშარი; ხალხს – თუ ვის რამდენი შვილი ჰყავს, ხოლო პიროვნებას – რას მისცემს ეს ნაშიერი ქვეყანას.

22211. ხალხს თუ გათენება-დაღამებისა ეშინია, ქვეყანაში ვერაა საქმე კარგად.

22212. ხალხს უნდა მოეფერო, შენი ჭკუა-გონება, შემოქმედი ბუნება აჩვენო, დაასაქმო, თუ გინდა შენს მხარეს დადგეს, დაგაფასოს და გიერთგულოს.

22213. მოსულელო ხალხი ყველგან ერთნაირია. ეს ჭკვიანი ადამიანები არიან, ერთმანეთისა რომ არ ესმით და მარად ერთმანეთს ექიშპებიან.

22214. გენიოსები გვევლინებიან, ჭკვიანები ჩნდებიან, ხოლო მასა, როგორც ყოველთვის, უამაგათოდაც არსებობს.

22215. ზოგ ქვეყანაში ისე აჭრილი მოსახლეობა ცხოვრობს, დიდ სოფელს ემსგავსება.

22216. ხალხი მანამდისაა უჯიგრო, სანამდის ვიღაცის ქმედება ჯიგარს არ აუწვავს და დროებით არ გააბრაზებს.

22217. ეშმაკი თავის ხალხს ლოცავს და აკვალიანებს, ოღონდ სხვათა სავნებლად.

22218. რაღაცით ქადილი, თავის მოწონება და „შენ რაღაცით გჯობნი“ – უნიათო ხალხის საქმეა.

22219. ხალხების თვითგამორკვევის უფლება ცივილიზებულმა სამყარომ ჩვეულებრივ მოვლენად შერაცხა, მაგრამ მისი განსჯით გაცნობიერებამდის, ეტყობა, ბევრი გვიკლია.

22220. ნიჭიერ ხალხს მდიდარი და შემძლე სახელმწიფო სჭირდება, რომ თავიც წარმოაჩინოს და დამფინანსებელიც ჰყავდეს.

22221. ხალხი ეროვნულობის გამოცდებს საუკუნის ყოველ დეკადაში აბარებს.

22222. ხალხსა და მასას შორის ის სხვაობაა, რაც კლასიკის მოყ-

ვარულთა და მასკულტურის მომხმარებელთა შორის, ე.ი. 2 როცენტი 98%-ის წინააღმდეგ.

22223. ხალხის მეგობარი მაშინ ხდები, თუ შენი ცხოვრების დონით და მოთხოვნებით მის მენტალიტეტს არ უსწრებ.

22224. ბრბოსთან შეგუება განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს.

22225. გვინდა – არ გვინდა, რწმენა, რელიგია, თავისებური გასამხნევებელი ოპიუმია ხალხის, მაგრამ არა პიროვნებისათვის.

22226. დაუნახავი ხალხი ვერც სიკეთის კეთებას ამჩნევს და ვერც ცხოვრების გაუკულმართებას.

+22227. ხალხსა ჰგონია: ის უკეთეს ხელისუფლებას იმსახურებს, მაგრამ ავიწყდება, რომ არჩევანი მანვე გააკეთა.

22228. ბრბოს თავისი გმირი სჭირდება, იმისდა მიუხედავად, მას საერთო საქმისთვის სიკეთის მოტანა შეუძლია თუ არა.

22229. არაეფექტური და მეთავისე ჩინოვნიკი ძალზე დიდ ზარალს აყენებს ქვეყანას. ამ ცოდვების ცოდნის მიუხედავად, ხალხი მის მიმართ რატომღაც გულგრილია.

22230. ხალხის, მასის გაუთვითცნობიერება ხელისუფლების მიერ გაუჭრელი კოზირია.

22231. ხალხი თავისი დროის საზოგადოების ხიმანკლობას ებრძვის, ცოდნისა და შედეგის მიუხედავად.

22232. ხალხის გულუბრყვილობას, ოღონდ საკუთარი თავის სასარგებლოდ, საზღვარი არ აქვს.

22233. ხალხი ცხვარია, მაგრამ მასში გამოერევა ერკემალი, რომელსაც განტევების ვაცის როლის შესრულება არ სწადია და იწყება მასის გაბოროტება.

22234. ბრბოში, მასაში გვხვდება პიროვნებად დაბადებულნი, რომლებმაც ამის შესახებ ჯერ არაფერი იციან.

22235. განწყობის ხალხი ლატარეასავითაა: შეიძლება, შემთხვევით გაგიმართლოს.

22236. ხალხის „მსახურნი“ თუ ხალხზე მაძღრად არ იქნებიან, ისინი მათ მომსახურებას არ მოინდომებენ.

22237. ხალხი თავის წარუმატებლობაზე, შიშსა და ეჭვზე საქმიანად არ მსჯელობს.

22238. უმადური არც ხალხი უქნია ღმერთს, არც მისი შემცოდე აუტისტი ანგელოზი.

22239. ვეცადოთ, ავი ბუნების ხალხი გაუნათლებლები დარჩნენ, რათა ცოდნა ცულის საკეთებლად არ გამოიყენონ.

22240. ხალხის გენეტიკური დაავადება უნიათობა უდიქტატურად არ იკურნება. დიქტატურა კურნავს მას, ოღონდ დროებით.

22241. ხალხის ხუშტურები, გემოვნებისგან განსხვავებით, ძირით-

ადად არ იცვლება.

22242. ხალხი თავის მეგობრად იმ ხელისუფალს მიიჩნევს, რომელიც მასავით მათხოვარივით ცხოვრობს.

22243. ხალხია ის, ვინც არჩეულ მთავრობას თავზე წამოჯდომის, გათავხედებისა და მოტყუების უფლებას არ აძლევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სახელია ბრბო.

22244. ხალხს უნარი უნდა შესწევდეს, ქვეყნის პირველ პირად წამოაყენოს რაფინირებული პოლიტიკოსი და არა პოლიტიკას მიტმასნებული ცნობადი ვაი-პიროვნება.

22245. უწინარეს ყოვლისა, იდეოლოგიით, რწმენით აღწურვილი ხალხი იცავს ქვეყანას და შემდგომ – სამხედრო ძალა.

22246. გიგანტური მშენებლობები კარგია, მაგრამ მათში წარმოსაჩენ-დასაფასებელი ხალხი იკარგება – შეუმჩნეველი რჩება.

22247. ხალხისთვის, პირველ ყოვლისა, ხეიბარ აზრებზე დაფიქრებაა საჭირო, რათა საბოლოოდ მათ არა ავნონ რა.

22248. ზოგჯერ ხალხის სიყვარულიც მოსაბეზრებელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თანამდებობის მორყეულ სკამს იკავებ.

22249. მარიონეტული ქვეყანა შემოქმედებითად ვერ ვითარდება, რადგან მას ჰყავს ფაქტობრივი ხელისუფალი. მარიონეტული მთავრობა მის ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებს, ვიდრე ხალხი არ აბუნტდება და მიკრორევოლუციას არ მოახდენს.

22250. ხალხსა და სამშობლოს განგების ნაჩუქარი გამოცდილი მწყემსი უნდა მწყემსავდეს.

22251. ხალხის აზრი დიდი ძალაა, თუ ის ღირსეული პიროვნების მიერაა ჩაგონებული.

22252. ხალხის აღზრდას, პირველ ყოვლისა, რწმენით დამოძღვრა სჭირდება, შემდგომ მოდის ცხოვრების პირობების თანდათანობით გაუმჯობესება.

22253. მცდელობის მიუხედავად, ეტყობა, ხალხს მაინც ცუდად ვიცნობთ, იმდენად ცვალებადია მისი ბუნება დროსა და გარემოს შესატყვისად.

22254. უშინაარსო ხალხის, მასის, ბრბოს მომრავლება ვაი დემოკრატიისა და ყოყლოჩინობის შედეგია.

22255. დღეს ჭკვიანი და განათლებული ხალხის მოძებნა კი არ არის ძნელი, არამედ გონიერი მსმენელისა და წიგნის წამკითხველის.

22256. შეიძლება, იქ აღმოჩნდე პირველი, სადაც უნიათო ხალხი ირევა, მაგრამ ამგვართა შორის პირველობა სახიფათოა.

22257. ხალხი თუ არ გცნობს, შენი ბრალია, რადგან არც შენ გაქვს სურვილი, მის ყოფიერებას ჩასწვდე.

22258. ხალხის მხარის აბმა, მორჩილება მატერიალურ მიზნებსა და

საქვეყნო იდეალებზეა დამოკიდებული.

22259. თეორიულად ხალხის აზრი დიდი ძალაა, მაგრამ ხშირად გამოუსადეგარია, რადგან კონკრეტულად დაინტერესებული ავტორი არა ჰყავს.

22260. მისაბაძი გმირი და სახელმწიფო მოწყობის ფორმა თავად ხალხმა უნდა აირჩიოს თავისი მეობის, გაგებისა და მენტალიტეტის შესატყვისად.

22261. ძველ ხელისუფალს მმართველობიდან მისი „გამობუნძულების“ შემდგომ ხალხის ბედი დიდად არ აინტერესებს.

22262. ხალხმა უნდა ისწავლოს ხელისუფლის სწორად არჩევა და მისი ქვეშქვეშაობის კონტროლი.

22263. ხალხი ხელისუფლებისთვის ყოველთვის თადარიგში მდგარი მასაა.

22264. ხალხის სამსახურს რა სჯობს, თუ გიფრთხილდებიან, გაფასებენ და შეიშნობენ.

22265. ხალხის გამრავლებაზე დროსთან ჭიდილი არ მოქმედებს. აქ მთავარია ზენაარის ნება.

22266. ხალხმა არასოდეს იცის, ქვეყნის ინტერესებს როგორ არგოს. ამის გაგებაში მას კანონები ეხმარება.

22267. თეორიულად ხალხი დიდი ძალაა, მაგრამ პრაქტიკულად მის ამოქმედებას სჭირდება ნიჭიერი პიროვნება, რომელსაც გარკვეული შეხედულებები, რწმენა და ენერგია აქვს.

22268. „სახელმწიფო – ეს მე ვარ“, – თქვა ლუი XIV და, სამწუხაროდ, ის მართალი იყო, ზოგჯერ იმდენად უმნიშვნელოა მასის როლი ქვეყნის მართვაში.

22269. ხალხების დასაახლოებლად მათი საერთო სიხარულის წყაროს გამოძებნაა აუცილებელი.

22270. ძნელია ელაპარაკო იმ ხალხს, წარსულის ღირებულებებში რომ ვერ ერკვევა და არც მომავლის ფასეულობათა მადლისა გაეგება რაიმე.

22271. იდეოლოგია ასეთი უნდა იყოს: ხალხს საკუთარი ღირსების გრძნობა არ უნდა დავაკარგვინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ღირსეულ სახელმწიფოს ვერ შექმნის.

22272. რევოლუციის მომხრე ხალხი ძირითადად უნიათო და ფეხისხმას აყოლილი მასაა, ხოლო ცხოვრების კანონზომიერებას ბუნტარები და მათი ბედი დიდად არ აინტერესებს.

22273. ხალხს უნდა მოუსმინოთ, მაგრამ საკითხის გადაუმოწმებლად არ უნდა დაუჯეროთ.

22274. სახელმწიფო იდეოლოგიის ხალხში ჩაუნერგავად მისი მობილიზება ჭირს.

22275. ხალხი საცხოვრებელი მინიმუმით უნდა დავაკმაყოფილოთ და მაქსიმუმზე ოცნება ვასწავლოთ, თუ გვინდა, ჩვენი ერთგული და მხარის ამბმელი იყოს.

22276. ხალხი დღეს გაგაღმერთებს, ხვალ დაგმარხავს, ზეგ გაგიხსენებს. დრო მას ყველაზე მეტად აღვინებს.

22277. თეორიულად ხალხი ყოველთვის მაღლა დგას ყეყეჩ ხელისუფლებაზე, მაგრამ პრაქტიკულად ამ ქეციანთა ხელქვეით „იღვწის“, იმდენად დიდია კარიერის და გამორჩენისკენ სწრაფვა.

22278. სხვა ხალხებს, ერებს სისულელის კეთებაში კი არ უნდა გავეჯიბროთ, არამედ იმ ერის გამოცდილებას უნდა ვეზიაროთ, რომლის გონივრულმა ქმედებამ ქვეყანას სიკეთე მოუტანა.

22279. ხალხი რომ უკადრებლის კადრებას დაიწყებს, ბუნტს ატეხს და უაზროდ აიჭრება, ის უკვე მასად, ბრბოდ გადაიქცევა.

22280. მისი უდიდებულესობა ხალხი ხშირად გამოუსწორებელ შეცდომებს უშვებს, რადგან ისიც ფეხის ხმასაა აყოლილი და თავის მოუთოკავ ამბიციებს ვერ ერევა.

22281. ბრბოს, მასის ცხოვრების ცოდნა გონიერს მასზე ბატონობის სურვილს უჩენს.

22282. სიკეთის საკეთებლად დაბადებული ხალხი, შეუძლებელია, სიკეთეს არ აკეთებდეს – გენეტიკა აქვს ასეთი.

22283. საქმეზე მოსაუბრე ხალხია ჩვენი მასწავლებელიც და ცხოვრების გზის მკვლევიც.

22284. ბრბო რეალობას თვალს ვერ ან არ უსწორებს და ხშირად იმის მიღწევა უნდა, რაც არც გონივრულია და პრაქტიკულადაც შეუძლებელია.

22285. იდიოტების აღლუმში მონაწილეობა და ცრუ იდეალებით გამოთაყვანება მოჩვენებითი ძალისხმევით და პროტესტის გამოთქმით მასას ხშირად უხდება.

22286. ხალხის ბრბოდ გადაქცევას არც დღეს სჭირდება დიდი გარჯა, როცა ქვეყანაში კრიზისია და მისი მმართველობის სურვილს ერთი ჭკვიანი ძლიერი ხელის მქონე და უამრავი დაპირებებით აღჭურვილი დემაგოგი აცხადებს.

22287. პოპულარული, ჭკვიანად მიჩნეული და გაფეტიშებული ადამიანის შეცდომები მასას თავისი მიმნდობლობის გამო ძვირად უჯდება.

22288. უმუხრუჭო ხალხთან საუბარიც კი, ხშირად გაუთვალისწინებელი შედეგით მთავრდება.

22289. სიბრიყვეთა გადაადგილებით ჭკუანაღრძობი ხალხის ოდენობა არ იცვლება.

22290. ხალხი, ბრბო პიროვნების ნებას ემორჩილება, ანგარიშს უწევს და არა პირიქით, რადგან მისი პირობითი ავტორიტეტიც კი აღ-

მატებულია მასის აზრთან შედარებით.

22291. მასის უპასუხისმგებლო პოპულისტური წუწუნი ვნებს არა მარტო ქვეყნის პოლიტიკას და ეკონომიკას, არამედ მის თავისუფლებასაც.

22292. ცხოვრება ზოგს დიდკაცობას არგუნებს, ზოგიც შეუმჩნეველი რჩება, მაგრამ აქ მთავარია ის მერყევი მასა, რომელიც ყოველთვის უკმაყოფილოა და, რა ჯურის ხელისუფალს წამოისვამს თავზე, თავადაც არ უწყის.

22293. ხშირად მასა მზად არაა სიახლის გასათავისებლად, ეს სიახლე რაც უნდა ტექნიკურ პროგრესს ეხმიანებოდეს.

22294. ხალხი ყოველთვის „გარნირია“ იმ ხელისუფლებისა, რომლის ხელმძღვანელობითაც მას უხდება ცხოვრება.

22295. ხალხი, რომელსაც მთავრობა უკადრებელს აკადრებს, თავადაა დამნაშავე, რადგან ის მუდამ სხვის იმედზეა და თვითონ რაიმე დასამახსოვრებლის კეთება არ სნადია.

22296. მასას ყოველთვის უჭირდა ნაღდი მტრისა და ფეხებზემკიდია მოყვრის გარჩევა, რადგან დროთა განმავლობაში გარანტირებულმა მშვიდობამ და კეთილდღეობამ მობეზრება იცის.

22297. სანამდის გაცხარდებოდეს და თავის უგუნურებას შეიგნებდეს, ხალხი ჯოგია და ხროვა, და გზას იქითკენ მიჰყვება, საითაც მიერეკებიან, რადგან ის მარად გამარჯვებულის კუდის აწევის ცდაშია და გარკვეულ დრომდე, ახალი კუდის გამოჩენამდე, მას ემორჩილება.

22298. არის ხალხი, რომელიც გვიყვარს და ვუყვარვართ, მაგრამ არიან ისეთებიც, ვისთვისაც სიყვარულის გრძნობა უცნობია და ის მოწონებაში ერევათ.

22299. ხალხის მაჯისცემას ხელისუფლება ანგარიშს უნდა უწევდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხს მისი საქმიანობა არ აინტერესებს და ვერც იგებს.

22300. ყოველთვის ხალხია დამნაშავე და არა ფეხის ხმას აყოლილი მასა, რომელსაც ღირსეული წინამძღოლი არ ჰყავს, რადგან მან ყურადღება მოადუნა სამართლიანობის ასპარეზზე და თავზე უნიათო ხელისუფალი წამოისვა.

22301. მასა ცუდს სწრაფად ითვისებს, კარგის სწავლას დიდხანს უნდება; ხალხს სათანადო დასკვნების გამოტანა უჭირს და ყოველივე ეს რევოლუციებითა და სახელმწიფო გადატრიალებებით მთავრდება.

22302. ბრბო წინამძღოლის წინდახედულ გადაწყვეტილებებს აწმყოში არასოდეს ჯეროვნად არ აფასებს.

22303. საცოდაობაა იმ უმადურ ბრბოსთან იქონიო ურთიერთობა, რომელსაც განსჯის უნარი და მადლიერების გრძნობა დაკარგული აქვს. თუ დასჭირდათ, საკუთარი თავის წარმოსაჩენად არავითარ სიკეთეს არ

დაინახავენ და აუგადაც მოიხსენიებენ.

22304. ხალხს ჰგონია, რომ მისი უზრუნველყოფის გასაღები მისი არჩეულის ხელშია და თავად ამ გასაღების გადატრიალებასაც არ ცდილობს.

22305. რატომღაც მასა გარკვეულ დრომდე იმ ძალაუფლების წინაშე განიცდის შიშსა და რიდს, რომელიც გუშინ არაფერს წარმოადგენდა.

22306. არაორგანიზებულ ბრბოზე საშიში არაფერია, რადგან ყველა ვიგინდარა-მომხვეჭელი ხალხში გამოსვლას თანამდებობის შოვნით ცდილობს.

22307. სამართლიანობაში გარკვევას მარტო სურვილი როდი შველის – ის ხალხის განუზომელი მოთხოვნაც უნდა იყოს.

22308. ხალხად წოდებულ ამბიციურ მასას კარგი ცხოვრება სურს, ოღონდ ხელისა და ტვინის გაუნძრევლად და პასუხისმგებლობის აუღებლად. იფ-იფ, რა კარგია ამგვარი სურვილებით ცხოვრება!

22309. რევოლუციონერების არაადეკვატურ ქმედებებს მასა პატრიოტიზმად მიიჩნევს. იგი კანონსა და კანონიერებას არად დაგიდევთ, რადგან ცხოვრებაზე განაწყენებულია და არა საკუთარ თავზე. ყოველივე ეს კი ხშირად უსაფუძვლო სისხლისღვრას იწვევს.

22310. ხალხი, რომელიც მოედანზე გამოსვლებით იმარჯვებს, ბოლოს მაინც პოლიტიკურ მარცხს განიცდის, რადგან ქუჩაში შერჩეულ წინამძღვრებსა და ბელადებს მხოლოდ ეგ ძალუძთ – მასის დამარცხების უზრუნველყოფა.

22311. ხალხი, რომელიც ტექნიკური პროგრესის გამოყენებას არ ცდილობს, მუდამ მაჩანჩალად დარჩება.

22312. მასას ხშირად ის მოჩვენებითი წარმატებები იზიდავს, რომლებიც იოლად მისაღწევი და, ასე ვთქვათ, მასობრივია.

+22313. ხალხის არჩეული უვარგისია, ხალხის რჩეული – ვარგისიანი.

22314. ხალხს იდეოლოგიური გარყვნის ნება არ უნდა მივცეთ, თუ გვინდა ქვეყანაში სიმშვიდე და ეკონომიკური წინსვლა შევინარჩუნოთ. მაგალითი: დენ-სიო პინის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

22315. სამწუხაროდ, ეგრეთ წოდებული ხალხი იმ ქათამს მოგვაგონებს, რომელიც უთავბოლოდ დარბის და ყველაზე განაწყენებულია, რადგან საბუდარში თავის გამგები მეწყვილე ვერ უნახია.

22316. ის ხალხი, რომელიც გამორჩენის გულისთვის ერთმანეთს ებრძვის და ხოცავს, საზოგადოებას ძნელად მიეკუთვნება.

22317. განსჯადაკარგულ ბრბოსთან ურთიერთობა ძნელია, მიუხედავად იმისა, რომ მას სტატუსი ხალხისა აქვს და არა მასისა.

22318. ხალხის გადაგვარებას ერთ ადგილზე ურწმუნო და უსაქმო

დგომა იწვევს და არა წინსვლისკენ სწრაფვა, რომელიც წინდაუხედავი პროგრესის თავწყაროა.

22319. ხალხს მოვლა-პატრონობასთან ერთად, ზოგჯერ ყურის აწევაც სჭირდება.

22320. ხალხს ზოგჯერ თავისი თავიც კი არ უნდა ანდო, იმდენად დიდი მიდრეკილება აქვს, რომ ბრბოდ იქცეს.

22321. ხალხი თავის მიერ არჩეული დეპუტატთა უმეტესობას რომ არ ენდობა, იმ სახელმწიფოში ცხოვრება ნამდვილად არ ღირს.

22322. ხალხი რატომღაც თანახმაა, პასუხი აგოს გადაცდენაზე და არა მის მიერ ჩადენილ სისულელე-სიბრიყვეზე.

22323. დილეტანტებს და შემთხვევით წარმოჩენილ ხალხს სერიოზული საქმის კეთება არ უნდა ვანდოთ, განსაკუთრებით ქვეყნის მართვა, მათს პატიოსნებასა და სამშობლოს სიყვარულში თუნდაც ეჭვი არ გვეპარებოდეს.

22324. ხალხის უმეტეს ნაწილს შეგნებული არ აქვს, რომ სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა, თავადვე უნდა დააფინანსოს გადასახადების პატიოსნად გადახდით, რათა მან შემდგომში მათზე სათანადოდ იფიქროს და იზრუნოს.

22325. უმრავლესობა შემთხვევითი ლიდერის ფეხსაყოლილი ხალხია; ამ ხალხის ლიდერის უნიათობის – არშემდგარობის დამტკიცების შედეგად რატომღაც ამ ხალხს მასად მოვიხსენიებთ.

22326. ხალხის არჩევანს რომ რეალურად რაიმე წონა ჰქონოდა, ის უკვე დიდი ხნის წინათ იცხოვრებდა თავისი წარმოსახვის კომუნიზმში.

22327. იმ ხალხთა შორის ყოფნა, რომლებიც თანამედროვე სიახლეებთან შებმისთვის მზად არ არიან, ჭირს.

22328. ხალხი ისაა, ვინც დღევანდელობას ალღოს უღებს, მოთმინების უნარი შესწევს და ანგარიშმიუცემელი უდღეური პატრიოტიზმის ანკესზე არ წამოეგება.

22329. გაუბედაობა, უნიათობა, ხელმოცარული ხალხის თანამგზავრია.

22330. ამბიციური ხალხი არცოდნის კმაყოფილებით გამოირჩევა. მათ ეს ქვეყანა თავიანთი სახრავ-საძოვარი ჰგონიათ.

22331. რაც არ უნდა სიკეთე გაუკეთოთ, ბრბოზე ყოველივე არამია, რადგან ბრბოს წევრები განსჯას მოკლებულნი და ყველაფრით უკმაყოფილონი არიან.

22332. ხალხის სამსახური უმადლო საქმეა, მაგრამ სახელის დაგდების შესაძლებლობას იძლევა.

22333. ხალხსაც არ უნდა დავეკითხოთ ზოგი რამ, რადგან ზოგჯერ არაპოპულარული რეფორმებია ჩასატარებელი გონიერი ხელისუფლების პასუხისმგებლობით, რათა ქვეყანა ფეხზე დროულად წამოდგეს.

22334. ზოგი იმდენად დიდი შემოქმედია, რომ თავად ხალხი იკვეხნის მის წარმატებას.

22335. ზოგჯერ ხალხის ხუშტურებსაც უნდა ემსახუროთ, თუ გინდათ წინამძღოლად აგირჩიონ და მხარი აგიბან.

22336. ხალხი პიანინოს კლავიშებს მოგვაგონებს. როგორი პიანისტი ხელისუფალიც მოევლინება ქვეყანას, იმდაგვარად აჟღერდება ქვეყნის ეკონომიკა და პოლიტიკა.

22337. ქვეყნის განსჯა-გარჯის გასაღები ხალხს უნდა დარჩეს, რათა პოლიტიკოსმა შულერებმა, აფერისტებმა არ მოინდომონ მისი დაუფლება და, თუ მოინდომებენ, მაშინ პასუხი უნდა აგონ თავიანთ დანაპირებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თაღლითობისთვის კანონით უნდა დაისაჯონ.

22338. სამწუხაროდ, ხალხმა არასოდეს არ იცის, თუ რა ხდება ქვეყანაში. ამიტომაცაა მისი მოტყუება ადვილი მისსავე ემოციებზე თამაშით.

22339. ადამიანები ხელის განძრევაზე მეტად ტვინის საქმიან დატვირთვას ცდილობენ, მაგრამ არ გამოსდით, რადგან ცოდნას განათლება-გამოცდილება უნდა, რომელიც ამ დრომ მათ არ არგუნა.

22340. ხალხის უმრავლესობა ინსტინქტებით, წამხედურობით ცხოვრობს და არა განსჯით და გარჯით.

22341. საზოგადოების კეთილდღეობისათვის ნაკეთები სასარგებლო საქმის მატერიალური წილი, წესით, თქვენც უნდა შეგხვდეთ.

22342. დედამიწას მშრომელი და შემოქმედი ხალხი ალამაზებს და შესამჩნევ ვარსკვლავად ამოაბრწყინებს ამ სამყაროში.

22343. ამქვეყნად ყველაზე საშიში განსჯის უნარს მოკლებული ადამიანები არიან, რომლებზეც უმთავრესად ემოციები ახდენენ გავლენას.

22344. ხალხი, რომელიც მარად ბუზღუნებს, მიჩვეულია წარსულის ქექვას და ყოველივე ცუდის სხვაზე გადაბრალებას, გამარჯვებას ვერ იზეიმებს.

+22345. ხალხის მოთხოვნებმა ხელისუფლება უნდა გამოაფხიზლოს, ბრბოს მოთხოვნები კი კანონის დიქტატურას უნდა დაუქვემდებაროს, ხოლო მასას მოთხოვნები უნდა დაავიწყებინოს და გააბეჯითოს.

22346. ისეთი ხელისუფალი რომ ჰყავდეთ, როგორიც ადამიანებს უნდათ, ქვეყანა არ შედგებოდა, იმდენად მრავალფეროვანი და შეუჯერებელია მათი ამბიციები და სურვილები.

22347. მასამ აზროვნება უნდა ისწავლოს და შემდგომ – არჩევანის გაკეთება, თუ გვინდა მისგან ნაღდი ამომრჩეველი მივიღოთ.

22348. თანასწორი არჩევანი ხშირად საწინდარია პროზაული შედეგის, თუ არჩევანი მასის მიერ არის გაკეთებული.

22349. ხალხს რაღაცის რიდი უნდა ჰქონდეს, რაღაცის უნდა სჯეროდეს, ვიღაცას პატივს უნდა მიაგებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის ნაცვლად ვიღებთ ინფორმირებულ ჰომოსაპიენსს მის საწყისი ფორმით.

22350. მასა იმით განსხვავდება საზოგადოებისგან, რომ მას არც თავის განძრევა ეხერხება, არც ხელის გამოღება, თუ გამორჩენის საატყუარს არ დაანახვებთ.

22351. ბრბო ვაგონია, საზოგადოება ორთქმავალია, ხოლო ამ შემადგენლობის გადაადგილების უფალი ხალხია.

22352. ბრბოს ჩაყრილი ნერგები ყოველთვის სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს.

22353. ზოგჯერ სიკეთის მკეთებელი ხალხის საქციელი გაკვირვებას იწვევს, იმისდა მიუხედავად, რომ მათი ქმედებების უმეტესი ნაწილი მისაღებია.

22354. მასას არსებულ სიტუაციაში გასარკვევად ხშირად იდეოლოგიასთან დაპირისპირება სჭირდება.

22355. სანამდის ხალხი არ გააცნობიერებს, რომ ქვეყნის მმართველნი დაქირავებულები არიან, ხოლო ხალხია მათი დამქირავებელი, მანამდის ქვეყანა წამგლეჯი პოლიტიკოსების ხელში იქნება.

22356. მასას იმაზე მეტი არ უნდა მისცეთ და უკიჟინოთ, რასაც მისი დღევანდელი ცნობიერება, მენტალიტეტი იმსახურებს, თორემ ვერ გაითავისებს და უმადურიც დაგრჩებათ.

22357. ხალხი ბრბოს განუსჯელი წარმომადგენელია, პიროვნება კი ამ დროის განმსჯელი მენტორია.

22358. ბრბო და მასა ერთი ნაგავია და მათი დახმარება არ ღირს, თუ მათ იდეოლოგიით დამამუშავებელი პიროვნება მათრახით არ მოევლინებათ.

22359. ხალხის რჩეული მასის მარიონეტად არ უნდა იქცეს, „რა ეწყინება და რა ესიამოვნებას“ სპეკულირებით. მან, პირველ ყოვლისა ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის კეთება უნდა ითავოს, რომელიც მომავალში ხალხს წაადგება და არა წამლიქვნელება და ალიბის ძიება.

22360. ბრბოს რეაქცია თითქმის ყოველთვის დრამატულია, აფექტურია, არაორგანიზებულია და დროებითია. ამიტომაცაა ის საფრთხის შემცველი და მიუღებელი.

22361. მასის აზროვნება ცვალებადია. ის სანდო არასოდეს არის, რადგან მუდამ დიქტატის მოლოდინშია.

22362. ხალხს ყოველთვის ისეთი ხელისუფლება ჰყავს, როგორსაც იმსახურებს და ამას ვერც დემოკრატიულ სისტემაზე გადაწყობა შველის და ვერც თავისუფლების დაუსაბუთებელი სიყვარული.

22363. მასა ბოროტია, ბრბო სასტიკია, ხოლო, თუ მათში პიროვნე-

ბა გამოერევა, მაშინ ბოროტებაც და სისასტიკეც უკან იხევს.

22364. უკანა რიცხვით „ჭკვიანი ხალხი“ მთლად სანდო და მართალი არ არის.

22365. თეორიულად ხალხს უდრტვინველი, უწვალებელი შედეგი უფრო მოსწონს, მაგრამ პრაქტიკულად კანონზომიერების ძალის, გარჯა-მოთმინების შედეგად მიღწეული კეთილდღეობა ეამაყება.

22366. ხალხი შედეგების შესატყვისად აზროვნებს და არა გამომწვევი მიზეზებით. ამიტომაცაა მისი უმეტესობა არასტაბილური მასა.

22367. როდესაც უახლოეს ხალხს შენი არ ესმის, ეს ყველაზე მეტად დამთრგუნველია.

22368. ეტყობა, ხალხს მაღლიდან უნდა უყურო, რომ მდაბლად დაგაფასოს.

22369. მასის, ბრბოს მსოფლმხედველობა არეულობის, ქვეყნის მართველობით უკმაყოფილების დროს ამბიციური პოლიტიკოსების ხელში გადადის და არა წინ მაცქერალი ლიდერებისა და ეს ქვეყანას ძვირად უჯდება.

22370. ხალხი, რომელიც სახელმწიფოებრიობის მიღწევა რევოლუციური გზით ცდილობს, თავის უნიათობას, მოუმწიფებლობას ამჟღავნებს და არშემდგარობის გადაფარვას ცდილობს.

22371. მასის მამოძრავებელი ძალაა რწმენა, შიში და გამორჩენა, ხოლო ხალხისა – იმედი და სახელის დატოვება.

22372. ტრადიციებით მდიდარი ხალხი სიღარიბეს არ იმჩნევს და არც ემჩნევა.

22373. რეალურ არჩევანს „ვაგონებად“ წოდებული ხალხი აკეთებს „ორთქმავლებად“ დაბადებულ პოლიტიკოსთა კარნახით.

22374. არის ქურდი და პოლიტიკოსი. ერთი ქურდობას ვერ იშლის, მეორე კი – პოლიტიკანობას, მაგრამ რატომღაც მასა ამ ადამიანებს, საზოგადოებისგან განსხვავებით, იტანს.

22375. ხალხი ყურს უგდებს მდიდარ კაცს, მაგრამ პატივს ჭკვიანს მიაგებს.

22376. ხალხს ბევრი რამის დავიწყება და შენდობა შეუძლია, თუ ის შენს დანახვაზე გრძნობათა ღელვას განიცდის და გრძნობს.

22377. ბრბო, შეიძლება, დადებითად აღვიქვათ, თუ მას კარგი წინამძღოლი ჰყავს, მაგრამ არა წარმატებულად, მისაბაძად და შესაშურად.

22378. ხალხი ყოველთვის თავისი ნაოცნებარის გვერდზე დგომას ცდილობს, სანამდის იმედი არ გააწბილებს.

22379. ხალხის ყბედობის სურვილის მოთოკვაა ძნელი და არა მისი გონიერების.

22380. თუ ბრბოს რაოდენობა ძალიან იზრდება ქვეყანაში, მაშინ

საზოგადოებას უფრო მეტი გმირი სჭირდება ეროვნულობის შესანარ-ჩუნებლად და თავის გადასარჩენად,

22381. ბრბოს ბუნება ცვალებადია. ხშირად მას თავის რჩეული არ მოსოწონს და ცდილობს, მას ხშირად ცხვირში მოსდოს.

22382. ბრბოსთვის ხელისუფალი გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე სახელმწიფო წყობა და ქვეყნის კონსტიტუცია.

22383. კუდის ყავარზე გამდები ხალხი გონიერების სახლის ხეი-რიან გადახურვაზე ნაკლებად ფიქრობს.

22384. ზოგჯერ ბრბოს განსჯაც არაფრად ღირს, რადგან მასზე გარეშე ძალები მოქმედებენ დროისა და გარემოს, აგრეთვე გაჭირვების შესატყვისად.

22385. მასა გართობის ფანია. ამიტომაცაა, რომ ყველა მასტის შოუს მაყურებელი არ აკლია.

22386. მასა ყოველი ფეხის გადადგმაზე თავს თავადვე იტყუებს, სულში ჩაფურთხებასაც ითმენს, როდესაც რამე გამორჩენის იმედი აქვს.

22387. ხალხის მოვალეობაა, თავისი რიგებიდან პიროვნებები აირ-ჩიოს, ხოლო ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან, თავიანთ რიგებში საუკეთესონი წარმოაჩინონ და ხალხს ყოველგვარი ქვენა გრძნობების გარეშე მოემსახურონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქაოსი და არშემდგარი ქვეყანა შეგვრჩება ხელში.

22388. საქმეს ხალხი აკეთებს, ხოლო ამ ხალხის სახელს ურთიერთ-თანადგომა წარმოაჩენს, თუ მათი არჩეული პირი პიროვნებაა და არა მამაძაღლობის ღობეზე გადამხტომი მძორი.

22389. უფრო ადვილია ხალხის ცხოვრებას თვალი შეავლო და დაუყვავო, ვიდრე მის საქმიანობაში ჩაერთო და რჩევა მისცე.

22390. რევოლუციებს, სახელმწიფო გადატრიალებებს, გამოსვ-ლებს ბრბო აწყობს და არა ხალხი, რადგან ეს უკანასკნელი სახელმწი-ფოს სათავეში პიროვნებებს ირჩევს და ქვეყნის კონსტიტუციას ემორ-ჩილება, ხოლო ბრბო მარად ბელადს ეძებს და მის ვარგისიანობაზე აღარ ფიქრდება.

22391. ხალხის ინტერესებზე წინ ქვეყნის ინტერესები უნდა დავაყ-ენოთ, რადგან კარგ ცხოვრებას ძლიერი სახელმწიფო უზრუნველყოფს.

22392. ხალხის ბრძოლა ხშირად ამაოა, რომელიც ფაქტობრივად რა შედეგით დამთავრდება, არავინ უწყის.

22393. ბრბო კარგი ხელისუფლების ხელში ხალხად იქცევა და გა-მოჩენილი პიროვნებებსაც წარმოაჩენს.

22394. ტექნიკურ პროგრესთან ჩამორჩენას უმთავრესად მოდას აყოლილი ხალხი არ გაპატიებს.

22395. მასას თავი ზოგჯერ ყეყეჩად უნდა მოაჩვენო, გამოუვალ

მდგომარეობაშიც რომ წარმატებული დარჩე.

22396. იმის ცოდნის მიუხედავად, რომ მასა არაფერს დაგიფასებს, გონიერი უნდა ეცადოს, ქვეყნის სათავეში პიროვნება მოვიდეს, რადგან მისი შეცდომები და გადაცდენები ავანტიურისტი პოლიტიკოსის ქმედებებთან შედარებით ასატანი იქნება.

22397. ხალხის ღირსების აღდგენის უპირველესი პირობა უნდა იყოს მის მიერ არჩეული ხელისუფალი.

22398. ხალხის ძალა დემოკრატიაა, თუმცა კი მასა მას სრულყოფილად ვერც აღიქვამს და ვერც იყენებს.

22399. ბრბოს თვისებაა უპატრონო ძაღლივით შეყეფვა, თუ მასზე წარმატებული განსჯის უფლების მითვისებას დააპირებს.

22400. რატომღაც „ჭკუის დამრიგებლად“ ის წარუმატებელი ხალხი გვევლინება, რომელსაც ცხოვრებამ დამსახურებული თუ დაუმსახურებელი ალიყური უთავაზა.

22401. ხალხის ხასიათის გამოვლენა ადვილია, მისი რაობის გაგება და შეცნობა – ძნელი.

22402. ხალხს სულიერი მოძღვარი, ჭკუაგახსნილი მხედარმთავარი და შემოქმედი ხელისუფალი სჭირდება და არა მასის უპერსპექტივო სურვილების აღმსრულებელი.

22403. ცხოვრების რამდენიმეჯერ თავიდან დაწყების სურვილი მეოცნებე ხალხს უჩნდება.

22404. თუ ხალხს რწმენა აქვს დაკარგული და უჭირს პატივის მიგება ხელისუფლებისადმი, მასზე დაყრდნობა „ხარაკირის“ გაკეთებამდე მიგვიყვანს.

22405. ხალხს თავისი კერპი უყვარს. ამიტომ მის უნიათობაზე, უგერგილობაზე თვალს განზრახ ხუჭავს.

22406. უნიათო მასისაგან მთლიანად გაქცევას ისევ მისთვის დროებით ზურგის შექცევა სჯობს, ნაკლები დანაშაულია.

22407. ამბობენ, ხალხი ბრძენიაო: მეტი არაა ჩემი მტერი! სანამდის მას გონიერების მათრახს არ მოუქნევთ, მანამდის საერთო საქმეს ხელს არ წაატანს.

22408. თუ საქმიანი კონსტიტუცია და გონივრული კანონები არ აქვს, მაშინ ხალხს თანდაყოლილი და შეძენილი ნაკლოვანებების გამოსწორება უჭირს.

22409. გაველურებულ სამყაროში უკადრებელი რომ არ გაკადრონ, თავი არ უნდა გამოიდო, რადგან მასას თავი იმდენად არეული აქვს, რომ საერთო საქმისთვის სასარგებლოს მაინც ვერ შეამჩნევს და დაინახავს.

22410. დროის რაციონალური გამომყენებელი და მისი სათანადოდ დამფასებელი ხალხი არასოდეს გადაგვარდება.

22411. ხალხს გულწრფელობა და სილამაზე იზიდავს, მიუხედავად იმისა, რომ ერთიც და მეორეც დროებითია, რადგან პირველის შენარჩუნებას მკაცრ და უხეშ რეალობასთან შებმა სჭირდება, ხოლო მეორეს – მიმზიდველობის შენარჩუნება.

22412. ხალხია ის, ვისაც ღირსეული ხელისუფლის არჩევის უნარი შესწევს. მასაა ის, ვინც არჩევანს ეიფორიის შედეგად აკეთებს, ხოლო ბრბო ისაა, რომელიც ცრუ დაპირებებით ტყუვდება და არჩევანზე პასუხისგების აღება არ უნდა.

22413. მასა ხელისუფლების უნიათობას საკუთარ უხერხემლობაზე მეტად განიცდის.

22414. კაცს – თავისი ბუნება, ქალს – თავისი გუნება, ხოლო ხალხს პატივმოყვარეობისკენ მიდრეკილება ვნებს.

22415. წინდახედული დიქტატორის ქვაბში მასის ხარშვა შედეგიანია და ქვეყანას აძლიერებს.

22416. უნიათო ხელისუფალთა მომრავლება ხალხის ცნობიერებას ვნებს და აჩმორებს.

22417. ძალაუფლებას ხალხის ნებით ვიღებთ ხელში, ოღონდ რამდენად გონივრული იყო არჩევანი, ეს კარგა ხანს არავინ უწყის.

22418. ხალხის უპირველესი დანიშნულებაა, ღირსეულ თანამემამულეს მის „თავზე წამოჯდომაში“ ხელი არ შეუშალოს.

22419. სამწუხაროდ, გონიერი ხალხის მართვა ძნელია, ვიდრე ღონიერის, რადგან პირველს მოფიქრებული პრეტენზიები აქვს, მეორეს – მოუფიქრებელი.

22420. ხელისუფლება ვალდებულია, პრაქტიკულად ხალხი იმაზე უკეთ აცხოვროს, რასაც თეორიულად დაჰპირდა, მაგრამ როდის ჰყოლია ხალხს ამგვარი ღირსეული პატრონი ან როდის ეყოლება?!

22421. ზოგჯერ ხალხს იმ სიმართლის თქმა ამხიარულებს, რომელიც სხვა დროს და აღონებს.

22422. ხალხის მართვა კი არ არის ძნელი, არამედ მისი დამოძღვრა სასიკეთო საქმეთა საკეთებლად და ქვეყნის წარმოსაჩენად.

22423. ხალხი კარგ ხელისუფლებას ირჩევს, მასა „ისე რას“, ხოლო ბრბოს ვინ წამოაჯდება თავზე, ამას არავინ ეკითხება.

22424. იმეგობრეთ გონიერ და მოხერხებულ ხალხთან, რადგან, შედეგის მიუხედავად, მაინც მოგებული დარჩებით.

22425. ზოგჯერ გონიერ ადამიანთა გარკვეული ნაწილი ჩვენთვის მიუღებელი, შეუცნობელი და ძნელად ასატანია, რადგან ასეთი ხალხის არსებობა დღევანდელ საზოგადოებაში ჩვენთვის გაუგებარია.

22426. სხვათა სულიერ სამყაროში ურცხვად შეჭრილი ხალხის ადამიანებად წარმოდგენა ჭირს.

22427. თუ სახელმწიფოს და პირადი ინტერესები ერთმანეთს არ ემთხ-

ვევა, მაშინ პირადი უნდა დავთმოთ, რაგინდ ეს ძნელიც არ უნდა იყოს.

22428. განუსჯელ ხალხთან ურთიერთობას ისევ განსჯადი მარტოობა სჯობს.

22429. ბრბოს მენტალიტეტის ხალხისთვის ყველა მთავრობა უვარგისია, რადგან მას ხორცი უყვარს და არა ყასაბი.

22430. მასებში სხვადასხვა იდეის ფრქვევა, ჩვენი, როგორც პოლიტიკოსის დაოსტატების საშუალებას იძლევა.

22431. პასუხისმგებელი პირი, მარად ვალშია ხალხის საჭირბოროტო საკითხების წინაშე.

22432. ზოგჯერ ხალხი იმ ხელისუფლებასაც არ იმსახურებს, რომელიც ჰყავს, იმდენად ზარმაცი და უაზრო პრეტენზიების მქონეა.

22433. ხალხის ბუნებაა, ყოველთვის რაღაცით უკმაყოფილო უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ცხოვრების მადლს ვერ შეიგრძნობს და საზოგადოებასაც განვითარება გაუჭირდება.

22434. წესრიგს ყველაზე უკეთ გონიერი აფასებს, ხოლო ბრბოსთვის ნაოცნებარი უწესრიგობაც მისაღებია.

22435. შემოქმედ ხალხს მისთვის გასაგები გონივრული მადლიერება ახასიათებს.

22436. ზოგჯერ ხალხს იდეოლოგიური დახმარება უფრო სჭირდება, ვიდრე მატერიალური. ამ უკანასკნელს ბოლოს არავინ დაგიფასებს, ხოლო პირველიდან რაღაც გასახსენებელი მაინც დარჩება.

22437. ხალხი პატივისცემა აუცილებელია, მაგრამ, თუ ეს ხალხი ვერ გიგებს და ზურგს გაქცევს?! უნდა მოითმინო და დროთა განმავლობაში ეცადო, შენკენ გადმოიბირო.

22438. ისიც დიდი ბედნიერებაა, თუ შენ ირგვლივ ისეთი ხალხია, რომელსაც პატივს მიაგებ და მისი რიდი გაქვს.

22439. ავადმყოფური შეგრძნება ზოგჯერ უხიაგ ხალხთან საუბარს გაიძულებს.

22440. დღესაც გრძელდება დაპირისპირება და დიქტატი, როცა უაზრო კაპრიზს მთელი ხალხი ემორჩილება.

22441. ხალხის ბედიც შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონზეა დამოკიდებული, რადგან არავინ უწყის, განგება როდის გამოუგზავნის სასურველ ხელისუფალს.

22442. ძალაუფლება ხალხს ზოგჯერ ისე ექცევა, როგორც მოეპრიანება და ეს თავად ხალხის უგერგილობაზე მიანიშნებს.

22443. ხალხი ყოველთვის იყო და დარჩება გარკვეული პოლიტიკანების საფარი, რადგან ქვეყნის და ხალხის ბედს, ფაქტობრივად პიროვნების იმდროინდელი გაბერილი ავტორიტეტი წყვეტს და არა უმრავლესობის საღი აზრი, მით უფრო, თუ იგი მას ამ მომენტისთვის დაკარგული აქვს.

ჯანმრთელობა

22444. გულისხმიერების გასაძლიერებლად გონიერებაც უნდა მოვიხმოთ, რათა რაციო და ემოციო ერთმანეთს კეთილად შეერწყას.

22445. ჭეშმარიტება დროის შესატყვისად ყოველთვის დასადგენია. ესე იგი, მარადიული შესწავლის საგანია.

22446. ჭეშმარიტების დასადგენად თავაზიანი კამათია საჭირო.

22447. ჯანმრთელობას ვერაფერი შეედრება: ვერცა – სილამაზე, ვერცა – რწმენა, ვერცა – ჭკუა.

22448. მოწყენილობა, უსაქმურობა, უხასიათობა, სპლინი და სანდრა ქრონიკული დაავადებაა. ისინი განკურნებას არ ექვემდებარება.

22449. განკურნების უმთავრესი მიზეზი ხშირად რწმენაა მკურნალის მიმართ და არა მის მიერ გამოწერილი წამლის უებრობა.

22450. წუხილი ნერვების თავისებური დამშვიდებაა.

22451. მთავარი მაინც იღბალია და არა ჯანმრთელობა, რადგან ზოგჯერ ამ უკანასკნელის ყიდვაც შესაძლებელია.

22452. ავადმყოფისთვის ყოველივე სათუო და საჭოჭმანოა.

22453. ჯანმრთელობა, ნიჭი, შემართება, სამწუხაროდ, ვირუსივით არ ვრცელდება და არც გადამდებია.

22454. გულს მოწყალება უხდება და აჯანსაღებს.

22455. დრო გვატყუებს, რადგან თავი მარად ახალგაზრდა გვგონია, სანამდე ოსტეოქონდროსი და სიბერისთვის დამახასიათებელი სხვა დაავადებანი ხელს არ დაგვრევს.

22456. ჯანმრთელობა ყველაფერია, რადგან, მისი ყველაფერი ხუნდება, დევალვირდება, პეწსა კარგავს, მაგრამ არა – აზრსა და მნიშვნელობას.

22457. მოწესრიგებული ადამიანი მარად ჯანმრთელი, საღი და გონივრული ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ მართლა კარგად ცხოვრობს თუ არა, შინაურთა დავის საგანია.

22458. უნდა ვეცადოთ, ყოველი მორიგი ზამთარი, ჯანმრთელობის შეურყვნელად გადავაგოროთ.

22459. ჯანმრთელობა პირობითი ცნებაა. მისი ორეული არ არსებობს.

22460. დიაგნოზის დასმა ყველა ადამიანისთვის შეიძლება, სანაცვლოდ ყველა როდია დიაგნოზისტი.

22461. ადრე თუ გვიან მედიცინის ყურადღებას ყველანი დავიმსახურებთ.

22462. ადამიანის ჭეშმარიტი ასაკი და მის ჯანმრთელობის კარდიოგრამა მისი სისხლძარღვების კედლებზე იწერება არტერიული წნევის სახით.

22463. თუ სხეულს ჰაეროვნება ამაღლებს და ოცნებით დაფრინავს – ეს მის კარგად ყოფნასა და ჯანმრთელობაზე მიუთითებს.

22464. სიცილ-ხუმრობა დროის უბრალო გაყვანად არ მიიჩნევა, რადგან ის ჯანმრთელობას რგებს.

22465. სიკვდილი ძუ მგელივით მოგიხტება და წინააღმდეგობის გაწევას, თუ თანამედროვე მედიცინითა და წამლებით არა ხარ შეიარაღებული, აზრი არ აქვს.

22466. ექიმს შემოქმედებითი ბედიც უნდა დაჰყვეს, თუ უნდა, კმაყოფილი და პატივცემული დარჩეს.

22467. რწმენით ლოცვა თავისებური ფსიქოთერაპიაა, და ადამიანთა დიდ ნაწილს აადამიანებს.

22468. ექიმები ავადმყოფს ზოგჯერ გამოჯანმრთელების შემდეგაც სწორ დიაგნოზს ვერ უსვამენ, მაგრამ მაინც მკურნალობენ – პროფესია აქვთ ასეთი.

22469. სიხარულის შეგრძნება ადამიანს გამოაჯანმრთელებს და ხშირად მისი მკურნალიცაა.

22470. შრომითი თერაპია ზოგჯერ ყველა წამალზე მაღლა დგას და ყოველგვარ სამკურნალო საშუალებაზე უკეთესია.

22471. ყოველგვარი სენისაგან განკურნება შესაძლებელია, თუ მას საჭირო წამალს მოარტყამთ.

22472. ჯანმრთელობა, სილაღე, თვითკონტროლი ადამიანის შინაგან მოწესრიგებულობაზე მიუთითებს.

22473. ჯანმრთელობის გაუარესება სულიერებას ხელს არ უშლის და ის მორალურ სისუსტეზე არ ხურდავდება.

22474. ჯანმრთელი უნდობლობა ერთობლივი უღალატო მუშაობის კარგი საშუალებაა.

22475. ჯანმრთელობისთვის სარგებელი ყველა სიამოვნებას როდი მოაქვს, მაგრამ ცდუნების დაძლევა ძნელია.

22476. სიხარულით შევხარით ნანატრი ნორჩის დაბადებას და დედის მშვიდობით მოლოგინებას.

22477. ზოგჯერ ტკივილსაც უნდა გავუღიმოთ, რათა ჩვენზე გამარჯვების ილუზია არ შეექმნეს და სამუდამოდ ჩვენთან არ დარჩეს.

22478. სიბერეს თუ ხშირად ვახსენებთ, მისთვის შესატყვისი ავადმყოფობა ნორმად გვექცევა.

22479. ომში ავადმყოფობით ზოგჯერ უფრო მეტი იხოცება, ვიდრე ტყვიით.

+22480. ჯანმრთელობას იძლევა ბუნება, ხოლო გვირემონტებს მედიცინა.

22481. ჯანმრთელობაზე, სიყვარულსა და ფულის ხარჯვაზე უარის თქმა ყველა ვითარებაში გვიჭირს.

22482. ფსიქიკურად ყველა დაავადდება, თუ გონს თავის ჭკუაზე გაჯირითების უფლებას მივცემთ.

22483. უამრავი სამედიცინო მცნება არსებობს, რომელთა სასიკეთოდ მოთარგმნა ჯანმრთელობისთვის დიდად სასარგებლოა.

22484. განგებას ამდენი ხეიბარი იმიტომ ჰყავს და ტანჯავს, რომ სხვებმა თავიანთი ჯანმრთელობა ღვთის წყალობად მიიღონ.

22485. ჩვენი ორგანიზმის უმთავრესი დანიშნულებაა ბიოქიმიური პროცესების რაციონალურად გამოყენება.

22486. ჩვენი ცხოვრების წესი დიეტა უნდა იყოს, რომელსაც რაციონალური კვება და ჰიგიენა ჰქვია.

22487. თუ აფექტში ვიმყოფებით, ახალგაზრდობასაც გავიხსენებთ და ჩვენი ასაკისათვის გაუკეთებელსაც გავაკეთებთ, იმდენად დიდია ზოგჯერ გონების დროებითი დაბინდვის ძალა.

22488. ჯანმრთელობის ღალატს ვერავითარი სხვა ღალატი ვერ შეედრება.

22489. ყველა დაავადებულს ოპტიმიზმი უნდა შთავაგონოთ, რათა განიკურნოს და აქ განკურნების დროს მნიშვნელობა არ აქვს.

22490. შიმშილიც ჩვენი სხეულის მკურნალია, ოღონდ შიმშილის იმედზე ყოფნა დროებითი და მომაბეზრებელია.

22491. რეალიზმი, რევმატიზმით დაავადებას ვერ იტანს გონიერების ვერც ერთ სფეროში.

22492. ვშიმშილობთ?! ე.ი. ჯანმრთელობაზე წონის დაკლებითა და მუცლის ქონის დაგდებით ვზრუნავთ.

22493. პროფილაქტიკისადმი უგუნურმა დამოკიდებულებამ, დღეს „შიდს“ სოფლადაც ააწევინა ფეხი.

22494. ეპიდემია სიკვდილის მკათათვეა და სიკვდილის ცელსაც მარჯვედ იყენებს.

+22495. გულიანი ცხოვრება გულის საუკეთესო მკურნალია, თანაც ჯანმრთელობის შეღავათებსაც იძლევა.

22496. როგორც ყველა კარგ ექიმს აქვს თავისი „სასაფლაო“, ისევე კარგ ოპერატიულ მუშაკს უნდა ჰყავდეს იმქვეყნად „ღირსეულად“ გაგზავნილთა გუნდი.

22497. ჯანმრთელი სული არ ავადდება და ამიტომ მას არაფრისა ეშინია.

22498. ხშირად ადამიანის „მკურნალად და მაჯაშისა შემტყვებარად“ მისი აუღელვებელი და გონივრული ცხოვრება გვევლინება.

22499. ჯანმრთელობას უპირველეს ყოვლისა ნერვების მოთოკვით უნდა მივხედოთ, თუ გვინდა ჯანმრთელად გამოვიყურებოდეთ და სხეულმა ჩვენთვის სასიკეთოდ იღვაწოს.

22500. ჯანმრთელობა შოუ არ არის. მას სერიოზული მიდგომა და

მოფრთხილება სჭირდება.

22501. გამორჩენაზე დამარქაფებული ექიმი თავის წარმოსაჩენად უამრავ არაფრისმაქნის წამალს დაგინიშნავს და შედეგზე პასუხს არ აგებს.

22502. ჯანმრთელი ორგანიზმი დაავადებულს, რჩევა-დარიგებებით ადვილად მოძღვრავს.

22503. უმიზეზო კაპრიზები ადამიანის ავადმყოფობის სიმპტომებია.

22504. ჩვენს ჯანმრთელობას ხშირად გაღვიძების ხარისხით გადავამოწმებთ.

22505. ჯანმრთელობის გადამდები ბაქტერიის ვირუსი ჯერჯერობით არც განგებას გამოჰყავს, არც მეცნიერებას.

22506. უცოდინარობაც თავისებური ავადმყოფობაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა უვიცი ამას ვერ გრძნობს.

22507. იყო ექიმი – ხელობა, გახდა დასტაქარი-ფილოსოფია.

22508. ექიმს პაციენტისა არ ეშინია, მაგრამ თანაუგრძნობს, ხოლო პაციენტს ექიმისა ეშინია, მის რჩევებსაც ემორჩილება, ოღონდ არ თანაუგრძნობს.

22509. ჯანმრთელობის მოპოვება-შენარჩუნება გონივრულ შრომას მოითხოვს.

22510. შურიან ადამიანს ზოგჯერ საკუთარი თავისაც კი შურს, მაშასადამე, შური ავადმყოფობა ყოფილა.

22511. ჯანმრთელობასაც თავისი მომნუსხველი ბაცილები აქვს, რომლის წინააღმდეგი არავინაა.

22512. სიკვდილზე ფიქრის მოძალება კრიტიკულმა ასაკმა და ჯანმრთელობის მკვეთრად გაუარესებამ იცის.

22513. ეჭვი და ეჭვიანობა ბუნებრივი გრძნობაა, მაგრამ, სათანადო ფაქტები თუ არ არსებობს, ავადმყოფობად აღიქმება.

22514. ჯანმრთელობა, სიახლის დანახვის უნარი და საკუთარი საქმის პოვნა უმთავრესია ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის.

22515. ჯანმრთელობის საუკეთესო წამალი არის საკუთარ თავზე კონტროლის დაწესება.

22516. ფსიქიატრიული საავადმყოფოს ავადმყოფებიც მოითხოვენ თავისუფლებას, გააჩნია – რისთვის. ასევეა სახელმწიფოც: ხალხი ითხოვს თავისუფლებას, მაგრამ გააჩნია, რა ხალხი, რა მენტალიტეტის და როგორია მისი ცნობიერება, როგორ და რისთვის გამოიყენებს ამ თავისუფლებას.

22517. ჯანმრთელობაა ის ერთადერთი ფაქტორი, რაც გადაწონის ყველა სხვა ცხოვრებისეულ სიკეთეს, მათ შორის ფულსაც და კარი-

ერასაც.

22518. მკურნალობა უნდა მოვარგოთ ავადმყოფს და არა პირიქით – ავადმყოფი მოვარგოთ მკურნალობას.

22519. მთლად ჯანმრთელი ადამიანი არ არსებობს, უბრალოდ, ასეთებს სამედიცინო შემოწმებაზე სერიოზულად არასოდეს უფიქრიათ.

22520. ყველა დაავადება გარკვეულ დრომდე ჩვენთვის შეუმჩნეველ გართულებას გვიტოვებს.

22521. ჯანმრთელ გარემოზე უკეთესი მკურნალი ჯერ არ გაჩენილა.

22522. ხშირად სნეულზე მეტად ექიმს სჯერა პაციენტის გამოჯანმრთელების, რადგან დასტაქარი ადამიანის ორგანიზმის შეუპოვრობასა და სასწაულმოქმედებაში უფრო დარწმუნებულია, ვიდრე მისი პაციენტი.

22523. როდესაც ადამიანს აზროვნება დაქვეითებული აქვს, ეს იმის სიმპტომია, რომ მკურნალობა სჭირდება.

22524. ჯანმრთელს შერცხვება იმისი კეთება, რასაც ზოგი ავადმყოფი აკეთებს.

22525. წლები ხშირად იმათ მკურნალობს და აჯანმრთელებს, ვინც მისით არ ვაჭრობს – თავს არ გვამადლის.

22526. ნერვების მუდმივად აღგზნება ავადმყოფური აღქმის სიმპტომია.

22527. ექიმის პროფესიონალიზმის ნაკლებობის ბრალია დაავადების გამო პაციენტის უიმედობა.

22528. შეძენილი დაავადებაა ის ავკაცობა, რომელსაც ადამიანი თავის შეგნებაში აღვიძებს და აღვივებს.

22529. ავადმყოფობა, შეიძლება, ექიმის ბრალი არ იყოს, მაგრამ მკურნალობის გაჭიანურებაში ბრალი სწორედ მას მიუძღვის.

22530. ჯანმრთელი ცხოვრების წესია სახეზე უკომპრომისო ღიმილის შენარჩუნება.

22531. ექიმი ვალდებულია, მტერსაც უმკურნალოს. ამ პროფესიის სიდიადეც ეს არის.

22532. ფსიქოთერაპია მეტ-ნაკლებად ყველას გვჭირდება, მკურნალობის ამ კურსს ბუნება ჩაგვიტარებს, ცოლი თუ ექიმი-ფსიქოთერაპევტი.

22533. ულმობლობა გულქვაობის სინონიმია და ის ყველაზე საშიში დაავადებაა.

22534. ჯანმრთელობა, მშვიდობიანობა და მომდევნო თაობების აღზრდა უპირველესია ადამიანისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სხვა ბედნიერებისმაგვარი არც ახარებს და არც სჭირდება.

22535. სიბერე განუკურნებული დაავადება და მისი მკურნალობა

– სიცოცხლის გახანგრძლივება – საკუთარ გენეტიკაზე დაყრდნობით ხდება.

22536. ექიმის დაკვირვება ავადმყოფს აჯანმრთელებს, ხოლო ავადმყოფის ექიმზე დაკვირვება მის პროფესიონალიზმს განსაზღვრავს და განსჯის.

22537. ბოროტების გენი მოურჩენელია. ის მკურნალობას არ ექვემდებარება.

22538. ჯანმრთელობა. ალბათ, ყველაზე სასურველი სილამაზეა, რომელსაც ყოველთვის სათანადოდ ვერ ვაფასებთ.

22539. ხანგრძლივი კოცნა, ხელიხელჩაკიდებული დგომა, ჩახუტება, მორგებული სექსი – ეს ის ქმედებებია, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობას ხელს უწყობს.

22540. პაციენტს ხშირად ის ექიმიც კი დიდხანს არ ამახსოვრდება, რომელმაც თავისი ცოდნა-გამოცდილებით სიცოცხლე აჩუქა, რადგან, ექიმობა პროფესიაა, ვალდებულებაა და არა კეთილშობილური ჟესტი.

22541. ნებისმიერი რეფორმა ქირურგიულ ჩარევას მოითხოვს, რადგან ის დემოკრატიის თერაპიით არ იკურნება.

22542. მხცოვანს წელში მოხრა უჭირს, იმდენად ვერაგულად ექცევა „ოსტეოხონდროზი“.

22543. ექიმების მიერ დაავადებების წინააღმდეგ მოგებულ ბრძოლებს ყველა თანაუგრძნობს, მისით ამაყობენ და მათ გათავისებას ცდილობენ, რადგან სარგებელი ყველამ ნახა.

22544. ჯანმრთელი საზოგადოების კოლექტივში ყოფნა და ცხოვრება უდიდესი გამართლებაა, რადგან თქვენ საკუთარი ადგილი მოიძიეთ დასამკვიდრებლად და დროს უხიაგად არ ხარჯავთ.

22545. შური მოურჩენელი, შენიღბული ქრონიკული დაავადებაა და მას მკურნალობა არ შველის.

22546. ექიმს ცოდნა-გამოცდილება არ შველის, რომ მან თუნდაც თავის პაციენტზე დიდხანს იცოცხლოს და ეს ამ სამყაროს პარადოქსია.

22547. საზოგადოება უნდა ინტერესდებოდეს, რომ ჯანმრთელი წესით იცხოვროს და არა მისთვის შეუცნობელი გაბაზრებული თავისუფლების ქარტიით, რომელიც ხალხს ვნებს და გადაგვარების გზაზე აყენებს.

22548. ზოგჯერ მზის სინათლე და მისგან განთავისუფლებაც ერთდროულად გინდათ, იმდენად დიდია შინაგანი სტრესიდან გამოსვლის წადილი.

22549. თუ დროული და გონივრული დასვენება არ იცით, „ცივილიზაციის დაავადებანი“ – მაღალი წნევა, ნერვოზი, თავის ტკივილი და მრავალი სხვა – არ აგცდებათ.

22550. ექიმისთვის უმთავრესია რწმენა, ცოდნა, პრაქტიკა, ავადმყ-

ოფისთვის კი ჯანმრთელობის შენარჩუნების უდრეკი სურვილი.

22551. აღიარებული ჭეშმარიტების ხალხია აღიარება მიმზიდველობის დიდ ნაწილს კარგავს.

22552. აზროვნებისთვის აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს და ის მას ხშირად კრიჭაში უდგას.

22553. ჭეშმარიტება გარკვეულ გარემოში საეჭვო ხდება, მაგრამ მას არ უარვყოფთ.

22554. ჯანმრთელობას ფულით ვერ ვიყიდით, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა.

22555. ჯანმრთელი უნდობლობა საქმის წარმატების საწინდარია.

22556. სამწუხაროდ სკლეროზი არ გვავიწყებს იმ დაავადებებს, რომელთა გახსენება საერთოდ არ გვინდა.

22557. ხშირად არჩევანის გაკეთება გვიწევს გემრიელსა და უგემურ საკვებს შორის, მაგრამ ეს უკანასკნელი ხშირად ჩვენს ჯანმრთელობას უფრთხილდება და შველის.

22558. ზოგი ბუნებით ისეთი ავადმყოფია, რომ პირადი მკურნალი გაკვირვებულია მისი სიცოცხლის უნარიანობით.

22559. ჯანმრთელად დაბერება და უმტკივნეულოდ იმქვეყნად გადასახლება „ძილში გაპარვით“ ბედნიერ ერთეულთა ხვედრია.

22560. მებრძოლი, მშველელი, დასამშვიდებელი წამლები არსებობს არა მარტო მედიცინაში, არამედ ხელოვნებასა და ჩვენს ცნობიერებაში.

22561. ჯანმრთელი და თავისუფალი ადამიანის ცნობიერების შეცნობა იმედსაც გვისახავს და სიცოცხლესაც გვიხანგრძლივებს.

22562. ადამიანის სულიერად განკურნება გულიდან იწყება, რადგან ეს უკანასკნელია პასუხისმგებელი ჩვენს ჯანმრთელობაზე, ცნობიერებაზე, ასევე ნერვების აშლაზეც, რაც წინაპირობაა ჯანმრთელობის მოშლისა.

22563. მედიცინის დანიშნულება გახლავთ ადამიანის ნაწილობრივ მაინც აღუდგინოს ჯანმრთელობის ის ნაწილი, რაც მას მანამდი ჰქონდა და ამაყობდა.

22564. ჯანმრთელობის ხიბლის შეცნობას ცხოვრებასთან შეხლა-შემოხლის გამოცდილება სჭირდება.

22565. სიხარული თავისი ემოციებით სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს, გვალაღებს და ჯანმრთელობას გვმატებს.

22566. სამართლიანობა და სურვილი მარად ღირებული ფენომენები იყო და ამად დარჩება.

22567. საღი და ჯანმრთელი სიცილი ადამიანს წარმოაჩენს და მისი სხეული ჯანზე მოჰყავს.

22568. ჩვენ, ყველანი, ეჭვიანები ვართ, მაგრამ არა საკუთარი ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობის ხარჯზე.

22569. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ქალს გინეკოლოგსა, მამოლოგსა, დერმატოლოგსა, სტომატოლოგსა და ყოფიერების წვრილმანთა მცოდნე დაქალებთან შიგადაშიგ კონსულტაციები სჭირდება, ხოლო უცილობო ბედნიერებისთვის – საყვარელი მამრი და დაქალებისთვის ნიშნის მოსაგებად – ქმარი.

22570. ჯანმრთელი ცხოვრებაც გადამდებია, თუ ამას ირგვლივ მყოფნი გვაიძულებენ და მაგალითსაც გვაძლევენ.

22571. ასაკის მუდმივი მოტყუება ყველაზე სასიამოვნო მტრობაა, თუ ჯანმრთელობაც ხელს გიწყობს.

22572. იმქვეყნად ყველაზე მეტი მტერი ექიმსა ჰყავს, იმისდა მიუხედავად, იყვნენ ამ დასტაქრის პაციენტები ის გარდაცვლილნი თუ არა.

22573. უსიყვარულო სექსი მკურნალობა-ჯანმრთელობად შეიძლება მივიჩნიოთ.

22574. ზოგჯერ ნერვიულობა გონის უფრო აავადებს, ვიდრე – სხეულს.

22575. ყველა ჩვენგანი ცდილობს, 100 წელზე მეტი იცხოვროს და ჯანმრთელი მოკვდეს. რას ვიზამთ: სურვილი გვაქვს, ბუნების კანონი არად ჩავაგდოთ თუ ჩავაგდოთ.

22576. პლასტიკური ოპერაციის ჩატარება საკუთარ თავზე ძალადობაა, მაგრამ სულს ამშვიდებს, გულს აამაყებს, გონებას ახალგაზრდობას ახსენებს.

22577. სკლეროზი უმთავრესად იმ მახსოვრობის საწინააღმდეგოდ გამოდის, რომელსაც თავისი დაავადება არ ავიწყდება.

22578. ბედნიერება ხანგრძლივი სიცოცხლეა, ოღონდ ჯანმრთელობის შეურყევლობის ვითარებაში.

22579. ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის ექიმი იბრძვის, ხოლო მისი ჯანზე მოსაყვანად – მზარეული. ყველას თავისებურად ესმის ეს მცდელობა და ზრუნვა, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის მცდელობა ზოგჯერ მავნებელია.

22580. სანუკვარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად ყველა ტკივილი ასატანია.

22581. ჯანმრთელი ინსტინქტების წარმოსაჩენად ცოდნა სჯობს და არა განათლება.

22582. მთავარია ჯანმრთელი და ლამაზი ფეხების ქონა და არა კოხტა ფეხსაცმლისა.

22583. დღეის გადასახედიდან, ტექნიკური პროგრესის მიღწევების გათვალისწინებით, ჯანმრთელად მიჩნეული ადამიანიც კი მკურნალობასა და პროფილაქტიკას საჭიროებს.

22584. წამლობა, მკურნალობა ყველა სახის დაავადებისთვის ერ-

თია – ცოდნა, მაგრამ აქ საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა და გამოცდილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასურველ შედეგის მიღება გამორიცხულია.

22585. მედიცინა ყველა მეცნიერებას ეტმასნება. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ მათ მიღწევას იყენებს, ის მაინც ჩამორჩენილი დარგია, რადგან ურთულეს საქმეს, ადამიანის ფიზიოლოგიასა და მისი სიცოცხლის გახანგრძლივება-შენარჩუნებას, ეხება.

22586. ჯანსაღი სიცილი მკურნალი და ჯანმრთელობის მეგობარია, ხოლო მოწყენილობა სხვადასხვა დავაადებას იწვევს და ადამიანის დაუღალავი მტერია.

22587. ყოველგვარი უსიამოვნების თერაპია გახლავთ სპორტი.

22588. სიძულვილი არ ისწავლება. ამ დაავადებით იბადებიან.

22589. სიგიჟე თავისი პარამეტრებით ოღვწის და შედეგიც გასაგებია: გიჟებს საგიჟეთში უყრის თავს ექიმთა გამოცდილების ასამაღლებად.

22590. სნეულებათა შეყრა ცნობიერების გზითაც შეიძლება, თუ ნერვები არამდგრადი გაქვს და ზედმეტად ემოციური ხარ.

22591. მოთხოვნილებათა შემცირება ჯანმრთელობას უხდება.

22592. ადამიანს ჯანმრთელობის შენარჩუნება მუდამ სჭირდება, ზოგჯერ ავადმყოფობის სიმულაციითაც.

22593. ადამიანის სხეულის ციხესიმაგრეა მისი ჯანმრთელობა.

22594. ჯანმრთელი ტკივილის ატანის ხელოვნებით უსუსურობას უარყოფს.

22595. სხეულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას მარტოოდენ გონიერება და ჯანსაღი ცხოვრების წესი არ შველის, თუ ბუნებამ არ დაიცვა ადამის ძე მოდაში შემოსული სხვადასხვა ვირუსისგან.

22596. ზოგჯერ ჩვენი სიცოცხლე ექიმის სინდისზეა დამოკიდებელი და არა მის პროფესიონალიზმზე.

22597. სიცილი ადვილად ამარცხებს სტრესულ მოვლენებს, ნერვების აშლილობას, სხვა ამგვარს და მისი სამკურნალო მადლი დღესაც შეუცნობელია.

22598. ამ ბოლო დროს კოსმეტიკა ხდება სიბერის საწინააღმდეგო საშუალება და მკურნალად ხშირად ნემსი და ლანცეტი გვევლინება.

22599. ადამიანის ორგანიზმთან შედარებით მისი ფსიქიკა უფრო ორგანიზებულია და უკეთ ეწინააღმდეგება სხვადასხვა დაავადებას.

22600. კამათი ზოგჯერ ჭეშმარიტებას ბადებს, ზოგჯერაც გინების სურვილს. ამას მოკამათათა დონე განსაზღვრავს.

22601. ჯანმრთელობას ან ჯანზე მოსვლას ვერანაირი სხვა სიხარული ვერ შეედრება.

22602. ზოგჯერ ავადმყოფმა საკუთარ თავს იმედიანად უნდა შეუ-

ძახოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი განკურნება ჭირს.

22603. ჯანმრთელად ყოფნასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვერცერთი ამქვეყნიური საცთური და ხიბლი ვერ სჯობს.

22604. ხანგრძლივ სიცოცხლეს დამსახურება უნდა, მარტო სურვილი და ექიმებში სიარული არ კმარა.

22605. საფულე და ჯანმრთელობა? რა თქმა უნდა, ყველა ამ უკანასკნელს ირჩევს, მაგრამ არჩევანის გაკეთებისას გული წყდებათ.

22606. ზოგჯერ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ე.წ. „კარგ ცხოვრებას“ უნდა შევეშვათ და ჯანსაღი ცხოვრებით ვიცხოვროთ. ეს კი სულიერების გამოცდა და სხეულის ვარჯიშია.

22607. ჭეშმარიტების გონივრული აღქმა-შეცნობა სულიერებას აღამაღლებს, როგორც ნაჩუქარი ნობათი.

22608. ჯანმრთელობის შენარჩუნებას ექიმებს ვავალებთ, ხოლო დავადებათა მკურნალობისას მათსავე რჩევებს ვივიწყებთ.

22609. ჯანმრთელობას არ ვაფასებთ, სანამდის ავად არ გავხდებით და მასთან შერკინება არ მოგვიხდება.

22610. სიცოცხლეს ხშირად, წლების მატების მიუხედავად, დაუდევრად ვექცევით, თუ ის თავს სხვადასხვა დაავადებით არ შეგვახსენებს.

22611. შრომა და დასვენება მუდმივ გრაფიკს მოითხოვს და მისი დარღვევა ჯანმრთელობასა ვნებს.

22612. სპორტი ხშირად სიზიფეს შრომაა, მაგრამ ერთს ეს ნაცნობებისა და ქომაგების მოპოვებაში ეხმარება, ხოლო მეორეს ჯანმრთელობის შენარჩუნებაში.

22613. სიცილის უნარი კარგი გრძნობაა, განსაკუთრებით, თუ ის ჯანმრთელია და არავის ვნებს.

22614. ჯანმრთელი ცხოვრების წესით სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ძალზე მცირედნი შემორჩებიან, ვინც ამ წესებს იცავენ.

22615. შური სხვათა ბედის გაღიმებაზე, აგორებული ჭუჭყია.

22616. უსაქმურობა უფრო მეტად ქრონიკული დაავადებაა, ვიდრე დასვენებისკენ ლტოლვა.

22617. სიხარული ზოგჯერ ბევრ განუკურნებელ სენს კურნავს, თუ მისი მადლის აღქმა-შეცნობას ვისწავლით.

22618. ჯანმრთელი ცხოვრების დანიშნულებაა შინაგანი ცხოვრების ხიბლის აღქმა და გალამაზება.

22619. დღეს „გაუნათლებელი“ საკვები პროდუქტების მიღება ძალზე სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

22620. მკურნალ ექიმს ყველა პატივს მიაგებს, მაგრამ მის საქმიანობასთან დაახლოება და მასთან ხშირი ურთიერთობა არავის სურს.

ჰე, ღმერთო ერთო

22621. ყველას გვაშოროს ღმვთის სამართალი და ზეციურ სასამართლოში ჩვენი საქმეების განხილვა, რადგან იმ სასამართლოს ჩვენი ცნობიერება ვერ ჩასწვდება.

22622. ექსტაზით ლოცვა მიუღებელია, მაგრამ ლოცვას დიახაც ამშვენებს.

22623. ამბობენ, ღმერთს მშობლებზე მეტად ვუყვარვართო და ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ თავისთან დროზე ადრე მივყავართ.

22624. ამბობენ: ჩვენი გამოჯანმრთელება ღვთის დამსახურებააო, მაგრამ რატომ ჩაატარა ექსპერიმენტი და რატომ გაგვხადა ავად, რჯულის მსახურთ ამის განმარტება არა სურთ.

22625. ვის მხარესაა ღმერთი, ამას დრო და შემთხვევა წყვეტს და არა თავად უფალი.

22626. რატომღაც წამებაგამოვლილ მორწმუნეს პატივს მივაგებთ, მაგრამ რად გვჭირდება მისი ტანჯვის სულიერ გმირობად აღქმა, ვერ გაგვიგია.

22627. განგება მონანიებისას ჩვენს ცოდვებს იწყნარებს, ოღონდ ხელთ არავითარ საბუთს არ გვაძლევს იმქვეყნად წარსადგენად.

22628. ცოდვილის ცოდვილად შერაცხვაც ცოდვაა და უგუნურების კუპრში გადაძახება.

+22629. საინტერესოა: იმქვეყნად ადამიანი არ სცოდავს? და, თუ სცოდავს, შემთხვევაში ვის უტოვებს ცოდვებს მოსანანიებლად?

22630. ზოგს ისეთი ცოდვა აქვს ჩადენილი, აღსარების თქმისაც კი ეშინია.

22631. ემოციებისაგან დაცლა ზოგჯერ მოჭარბებული იუმორის დამსახურებაცაა.

22632. მიწიერი ტანჯვა ზეციურ ტანჯვასთან შედარებით, ალბათ, არაფერია, მაგრამ ამაზე ფიქრი არ ღირს, რათა ამ ფიქრში რაიმე ახალი ცოდვა არ ჩავიდინოთ.

22633. ცოდვილისთვის ჯოჯოხეთში შესასვლელი საშვის მიცემა ბედნიერებაა – იგი თავისიანებს შეუერთდება.

22634. არის ზოგჯერ განგების საჩუქარი, რომელსაც, შენ გარდა, ყველა სასჯელად აღიქვამს, რადგან შენი ვალი ხდება უგვანო საზოგადოების თავდაუზოგავი სამსახური.

22635. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ყველა სარწმუნოება და პარტია გონების ბანგია, როდესაც მართლმადიდებლების, კათოლიკეების, პროტესტანტების ან სუნიტების, შიიტების სექტებისა და პარტიების ცრუ დაპირებებს ვისმენ და ვხედავ, რომ არცერთი მათგანი სინამდვილეში არაფრის გაკეთებას არ აპირებს.

22636. ქრისტე ებრაელი ერის უძღები შვილი იყო. ამიტომაც ერთს

განუდგა და მეორე შექმნა – ქრისტიანული სწავლება.

22637. ჭკუაც განგების საჩუქარია და ცოდნის მსგავსად შ მისი ეძენა შეუძლებელია.

22638. ყველაზე დიდი და სათუო რელიგია სიყვარულია, რომელზე სხვადასხვა სარწმუნოების დოგმები არ ზემოქმედებს.

22639. ცოდვების მონანიება ყოველდღე ხატის წინაშე დგომა და თაყვანისცემა კი არ არის, არამედ სულიერების პროფილაქტიკა.

22640. უთანასწორობის მფარველი ანგელოზი რელიგია, ქვეყანა და გაუცნობიერებელი სურვილებია.

22641. ჯანმრთელი ადამიანი, ავადმყოფისაგან განსხვავებით, ჯანმრთელ პირჯვარს გადაიწერს და ის განგებისათვისაც უფრო შესამჩნევი ხდება.

22642. მარხვის დროს ხორცის მირთმევაც შესაძლებელია. საქმე ისაა, თუ რა „ბლატი“ გაქვს საკუთარ მოძღვარსა და საკუთარ შეგნებასთან.

22643. შეუპოვრობას რწმენის ჩანერგვა განიჭებს.

22644. იდეებს განგება ეჭიდავება, რადგან მას გადასინჯვა-გამოცდა სჭირდება.

+22645. ღმერთი სიკეთესა და ნეტარებას ზევიდან გვაფრქვევს. აქ უმთავრესია, გონიერებამ ქოლგით არ იაროს.

22646. ჩვენს სურვილებს, გატაცებებს, მიზნებს განგება განაგებს. გაჩნია, რა შემართებით შევეხმიანებით.

22647. განგება ყველას თავისი გადასახედიდან დაგვყურებს, გვახარებს და გვმოძღვრავს.

22648. ყველა რწმენა, იდეოლოგია მათთვის განკუთვნილ მომსახურებას მოითხოვს.

22649. უფალთან ყოფნის სურვილი მარად მასზე ფიქრის სინონიმია.

22650. დიდად უნდა ვუმადლოდეთ ღმერთს, რომ ამდენი საცდუნებლის გვერდით არამზადად არ გვაქცია.

22651. ღმერთი ქრთამს არ იღებს, მაგრამ შეწირულობის წინააღმდეგი არ არის და ასე უფასოდ აგროვებს თავის მრევლს.

22652. ღმერთს, ეტყობა, ბევრის არ სჯერა. ამიტომაცაა ამდენი უპოვარი ამქვეყნად.

22653. ლოცვისთვის ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას გონებითი ჭვრეტა სჭირდება.

22654. ლოცვის შედეგად ტკბობის განცდა განგების რჩეულთა ხვედრია.

22655. მოწამეობა თავის როლს ასრულებს, თუ მას პატივს მიაგებენ და უფრთხილდებიან.

22656. რწმენით აღსავსე ოპტიმისტისთვის სახრჩობელაზე ასვლაც

არაფერია.

22657. განგება არ ტყუის, ჩვენ ვცდებით და ამიტომაც მუდამ „ეშმაკმა შემაცდინაოს“ ვიშველიებთ.

22658. განგებას ეშმაკის ყოლა იმიტომ დასჭირდა, რომ მორწმუნეთა მიმართ მისი გულმავიწყობა სატანისათვის გადაებრალებინა.

22659. ღვთისმოსავთ ორჯერ მეტი სიფრთხილე მართებთ, რადგან მათი გარყვნა ღვთის გმობაცაა და მორწმუნეთა გადაგვარების სიგნალიც.

22660. ლოცვა თავისებური ჰიპნოზია. ის სხეულს ძალას და სულს სიმშვიდეს მატებს.

22661. სულიწმინდა მომგებიანი ლატარეაა – მისი საჩუქრები თანაბარი არ არის, მაგრამ მეტ-ნაკლებად ყველა იღებს.

22662. განგების მადლის შეცნობა ბოლომდე არ ხერხდება, რადგან იგი უსასრულოა.

22663. ღმერთი სამართლიანი იყო, როდესაც ადამიანს ფრენის უნარი არ მისცა. აბა, მაშინ უნდა გენახათ, რამდენი მოისურვებდა პრომეთეობასა და ამირანობს.

22664. გადაწყვეტილება თუ სათანადო შედეგს არ გვაძლევს, ამას მაშინვე ღვთის ნებას მივაწერთ.

22665. მარხვაც თავისებური დიეტური მკურნალობაა ჩუმად შემოპარულ სნეულებათა მოსაშორებლად.

22666. ეკლესიის დანიშნულებაა ადამიანის სულიერად იმდაგვარად ჩამოყალიბება, რომ ის ფიზიკურადაც გამოიწვიოს.

22667. სამართლიანობის, ჭეშმარიტების, ღირებულების ძიებას ღვთის გამოგონებამდე მივყავართ.

22668. ღმერთს უმთავრესად ბრიყვები აწუხებენ და საკვირველია, რატომ აწუხებინებს მამაზეციერი მათ თავს? ეტყობა, თავადაც არ უწყის.

22669. რწმენა ის ხატია, რომელსაც ადამიანს უფალი სამყაროს შესაცნობ ალტერნატივად სთავაზობს.

22670. თუ ღმერთი ჩვენ მხარეზეა, ის ჩვენს მაცდუნებელ ბოროტებას, ეშმაკსა და სატანას უნდა ებრძოდეს.

22671. ყოველნი ცოდვილნი ვართ და, სანამ ღმერთი შეგვინდობდეს, სჯობს, ჩვენ დავასწროთ და ერთმანეთს დროულად შევუნდოთ.

22672. ლოცვის მოთხოვნილება ადამიანს სულს უმშვიდებს და ღმერთთან უფრო მტკიცედ აკავშირებს.

22673. ღვთის ბოძებას ნუ დაუცდით. უპრიანია, თუ მის კეთილგანწყობას ლოცვითა და თავის შეხსენებით მოვიპოვებთ.

22674. მიზნის დასახვაც განგების თანხმობით ხდება.

22675. განზრახ შემცოდებელი, წესით, უფალმა არ უნდა შეიწყნ-

აროს, მაგრამ ამით უფლის „მსახურთ“ სასუსნავი აკლდებათ.

22676. ჩვენთვის განკუთვნილ განგების დამოძღვრას თუ არ გამოვიყენებთ, მას სხვა გამოიყენებს ან ავად, ან კარგად.

22677. სარწმუნოება იმ ვნებას თრგუნავს და აუგად მოიხსენიებს, ურომლისოდაც რელიგიას არავინ იწამებდა. უბრალოდ, მოსახლეობა ვერ გამრავლდებოდა.

22678. ცოდვების მონანიების პრეისკურანტს მღვდელი უსასყიდლოდ გვთავაზობს, რათა შემდგომ მისი საფასური გავიღოთ.

22679. ადამიანებს მზაკვრობასა და შეცოდებას მავანი მამა მიუტევებს, ოღონდ ისტორია – არა.

22680. ღმერთის ცნებაც მატერიალურია, იმისდა მიუხედავად, გვეხმარება თუ არა.

22681. ლოცვას უფრო მეტი ხიბლი აქვს საკუთარი თავის შესაცნობად, ვიდრე მთელ სარწმუნოებას.

22682. ღმერთის ვალებით დატვირთულები იმქვეყნად მიწის გასანოყიერებლად მივდივართ.

22683. ამა სოფლის კარგი ცხოვრება იმქვეყნად კარგ ცხოვრებას ხელს ვერ შეუშლის, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია მრევლის დასაშინებლად საწინააღმდეგოს ქადაგებს.

+22684. ღვთის კი არ უნდა გვეშინოდეს, არამედ იმ რწმენისა, რომელსაც ღმერთამდის მიგვიყვანა.

22685. ღმერთსაც თავის მიერ შექმნილი პატარა ღმერთები სჭირდება საკუთარი თავის წარმოსაჩენად.

22686. ქრისტე რომ ჯვარზე არ გაეკრათ, ამ სარწმუნოების რეიტინგს ძალზე ბევრი დააკლდებოდა და ასე სწრაფად და ფართოდ ვერ გავრცელდებოდა.

22687. ცოდვების მონანიება თუ გარანტირებული გაქვს სარწმუნოების დახმარებით, მაშინ ვერ გამიგია, რატომ უნდა ვიყოთ უცოდველნი და ცხოვრება ჩვენს ჭკუაზე რატომ არ უნდა ვაჯახიროთ.

22688. ღმერთსაც მისთვის გასაგები იუმორის გრძნობა აქვს, რამლის შეცნობა გვიჭირს.

22689. თეორიულად ღმერთი სამართლიანი უნდა იყოს, მაგრამ პრაქტიკულად რომ მკაცრია, კარგად ვხედავთ.

22690. ღვთის სამსახურის სწავლა ძნელი არ არის, თუ მასთან სიახლოვეს მადლით შეიცნობთ.

22691. ღვთის ნების აღსრულებასაც ზოგჯერ ჯანმრთელი ოპონირება სჭირდება.

22692. განგება ყველა ჩვენგანს კუთვნილ სისულელეს აგვკიდებს გამოსაცდელად და ამქვეყნადვე აზრზე მოსასვლელად.

22693. ადამის მოდგმას რელიგიურ მოძღვრებათა დოგმების სისას-

ტიკე თრგუნავს და არა თავად ღმერთი ან მისი რწმენა.

22694. რელიგიამ უნდა დაგვარწმუნოს, რომ არსებობს ღმერთი, ხოლო მოძღვარმა შთაგვაგონოს რწმენა.

22695. ყველა სიბრძნე თავისებური რელიგიაა, რადგან მისი შესატყვისი ჭკუა-გონება განგების ნაბოძვარია.

22696. უღვთოს ფონს გასვლა უჭირს, რადგან სულიერად ვიღაცის ან რაღაცის რწმენა ძალას არ მატებს.

22697. რწმენა განგების მოგზავნილი ნათლიაა, იმისდა მიუხედავად, ჩვენ ნათლია ვართ თუ მონათლული.

22698. ყველა მოყვარე სიყვარულის ღირსია, მიუხედავად იმისა, რომ შენი ბუნების შეიძლება არ არის, მაგრამ ადამიანის ჩამოსაყალიბებლად განგებას სხვა უკეთესი ვარიანტი არ შემოუთავაზებია.

22699. ყველა ჩვენგანი ღმერთს უნდა შეჰყურებდეს და ისე იღვწოდეს, უპირველეს ყოვლისა ეს ხელისუფალს, ბანკირს და ბიზნესმენს ეხება.

22700. უფლის ნება შეუცნობელია, მაგრამ ნაწილობრივ მაინც ვცდილობთ, დავემორჩილოთ.

22701. რწმენის დაღვინება – დაჭაშნიკების სურვილი განგებასთან ურთიერთობას აუცილებელს ხდის.

22702. საინტერესო პოსტულატები აქვს სარწმუნოებას: თუ მოინანიებ, შეგინდობს, ცხონდები, მაშ, რა საჭიროა აკრძალვები?!

22703. განგებასთან ყველას თავისი ანგარიში აქვს, მასთან დამოკიდებულებით ბევრი გამოირჩევა და ბევრსაც მისი იმედი აქვს.

22704. ღვთიურ მადლსა და განგების გვერდით დგომის უფლებას გონიერ თავისი ქცევისა და ქმედების შედეგად იმკვიდრებს.

22705. ღმერთი მაშინაა შენი, როდესაც კარგ ხასიათზეა და ჩვენი გართობა სწადია.

22706. განგების მოწოდებას, „განაყოფიერდით და გამრავლდითო“ რატომღაც გულმხურვალედ, პირველ ყოვლისა, ჩინელები და ინდუსები ეხმიანებიან.

22707. რწმენას, მორალს შიში, ძალა, იდეოლოგია და სალაფავი ამკვიდრებს.

22708. ყველა რომ წმინდანი გახდეს, მაშინ ვინღა არჩინოს ამდენი მორწმუნე და სიწმინდის მქადაგებელი უსაქმური?

22709. მრწმენსა და მორწმუნესაც თვალი სიმდიდრისკენ გაურბით, ღვთის რიდისა და შიშის მიუხედავად.

22710. ღმერთი ერთია და ის რელიგიებს არ ქმნის. ამას განათლებული და თავზე შეყვარებული სწავლულები სჩადიან, რათა თავიანთი სახელი ისტორიაში ჩაწერონ.

22711. ღმერთი ჩვენ შევქმენით თუ ღმერთმა შეგვქმნა ჩვენ, დღემ-

დე უცნობია, მაგრამ მისი რწმენის შედეგად ურთიერთის მიმართ პა-ტივისცემითა ვართ განწყობილნი.

22712. განწმენდის საშუალებას რწმენა იძლევა და არა მოძღვრისთ-ვის შესაწირავის მიგდება.

22713. დღეს შეუცვლელი ღმერთიც აღარ დარჩა: ადამიანები სულ უფრო ხშირად იცვლიან რელიგიას.

22714. საწყალი ღმერთი: მათივე ნებით არეული ქვეყნის გადარჩე-ნას მასვე სთხოვენ, თანაც მოუნანიებლად და უტიფრად.

22715. დღეს ბევრი ისეთია მთავრობაში, განგებას რომ სამარ-თლიანობა დაეცვა, ისინი ციხეში უნდა ყოფილიყვნენ გამოკეტილნი და არა ხელისუფლის სავარძელში წამოსკუპებულები.

22716. რწმენა ჩვენი გადაცდენების გასაბათილებლად გვჭირდება.

22717. რწმენა რატომღაც გაჭირვებასთან შეგუებას გვინერგავს, უარყოფს სიმდიდრესა და გალაღებულ ცხოვრებას.

22718. რელიგია ყველა ცოდვისგან გვათავისუფლებს, თუ მოვ-ინანიებთ, დავუჯერებთ, შევეწევით და მისი დოგმებით ვიღვაწებთ.

22719. კაპიტალიზმი დღეს, რაც არ უნდა მოგვწონდეს, მაინც წარ-სულის გადმონაშთი და ამ ქვეყნიდან წამსვლელია.

22720. ეტყობა, სამყაროს მამაზეციერი თავისი გემოვნებისა და ხუშტურების შესატყვისად მართავს.

22721. ყველა ახალი სასარგებლო ჯიშის მოძიება, შემოტანა, გახ-არება, გამრავლება ღმერთკაცობის ტოლფასია.

22722. ბუნება ღმერთს ესაუბრება, ხოლო ჩვენ ჭკუას გვასწავლის.

22723. ღმერთის სიყვარული საკუთარი თავის სიყვარულია და პირიქით.

22724. განგების წინაშე ჩვენ მარად არასრულყოფილი ვართ.

22725. მოამაგე ღმერთი მარად ინკოგნიტო რჩება.

22726. ღმერთი მარად ჩვენთანაა, თუ გაჭირვების ჟამს უდროოდ არ მიგვატოვა და გვიპატრონა.

22727. გარკვეული აკრძალვების დაცვისა და რიტუალების ჩატარე-ბის შედეგად (მარხვა, ლოცვა, ზიარება, ნათლობა, მიცვალებულის გა-პატიოსნება და ა.შ.) რწმენა მტკიცდება, ხოლო ულამაზესი ტაძრების – სალოცავების – აგების შემდგომ ის დოგმა ხდება.

22728. მოვა დრო და სხვადასხვა რელიგია, კონფესია შეაჯერებენ თავიანთ მიმართულებებს და სამყარო ერთ რელიგიას იწამებს, რადგან, ღმერთი რომ ერთია, ცივილიზაციის შემოტევის შედეგად ყველა სარწ-მუნოებამ აღიარა.

22729. მამაზეციერს ყველა თავისას შესთხოვს, მაგრამ თხოვნის დასაბუთება უჭირს.

22730. ღმერთისადმი თხოვნა მაშინ ჭრის, თუ ის შენში ადამიანს

შეიცნობს და არა უსაქმურ ვიგინდარას.

+22731. ღმერთისკენ ვიყურებით, მაგრამ თვალი მაინც ეშმაკისკენ გაგვირბის.

22732. განგებას რომც ენება და ყველა დარგის სათავეში ღირსეული პიროვნება დაენიშნა, ქვეყნის ბედს მაშინ ძაღლი დაჰყეფდა თუ არ დაჰყეფდა, არავინ უწყის, რადგან ზევით, სულ ზევით, არაფერი ეშლებათ და, რა არ ეშლებათ, ჩვენ არ ვიცით.

22733. რწმენამ პირდაპირ ღმერთთან უნდა მოგვიყვანოს და არა ე.წ. ღვთის ხალხთან.

22734. „არარობას“ მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანი იმსახურებს, მაგრამ განგებას ვეცოდებით და ბოლომდე არ გვიმეტებს.

22735. ვეცადოთ, ჩვენს მოწონებულ მოძღვართან ვილოცოთ და ჩვენი სულიერებით ვიღვაწოთ, გავიხარჯოთ – ბოლოს დაგვიფასდება.

22736. რწმენის დეფიციტი, ტრადიციების დაკარგვა, მომავლის არცოდნის შიში საფრთხეს უქმნის ღმერთებს, სარწმუნოებას, სექტებს.

22737. აღმაფრენას, შთაგონებას განგება გვიძღვნის და ის არც ხურდავდება, არც იყიდება.

22738. რელიგია აუცილებელია არა რწმენათა დასაპირისპირებლად, არამედ ურთიერთშესაძლებლობათა შესაცნობად.

22739. ღვთისმოშიშნი სიკვდილზე კი ფიქრობენ, მაგრამ იმედი აქვთ, რომ შემოქმედი იმქვეყნად ასე უდროოდ არ გაისტუმრებს.

22740. ღმერთი ჩვენს ცოდვებს ითმენს, მაგრამ ჩვენ მისი მცირედი „გადაცდენის“ მიტევებაც კი გვიჭირს.

22741. გმირობიდან დანაშაულამდე ზოგჯერ ერთი ნაბიჯიც არაა, გააჩნია, ამ დროს რა ხასიათზეა ღმერთი.

22742. ნაჩუქრის წართმევა დიდი ცოდვაა, მაგრამ რატომღაც ეს ღმერთს არ ეხება, რომელიც სიცოცხლეს დაუკითხავად გვაძლევს და ასევე დაუკითხავად გვართმევს.

22743. ეკლესია ფულს არ ითხოვს, მაგრამ მისი შოვნისა და მომსახურების პრეისკურანტის გამოქვეყნების წინააღმდეგი არ არის.

22744. უფლისადმი ნდობა ყველას გვაქვს, იმისდა მიუხედავად, დავიმსახურეთ იგი თუ არა.

22745. ვალდებულებას ყოველი ადამიანი უპირველეს ყოვლისა ღმერთის წინაშე უნდა გრძნობდეს.

22746. სიკეთის პურის ცხობა და ირგვლივ მყოფთა დაპურება ყველა ჩვენგანის ღვთაებრივი ვალია.

22747. რწმენის უპირველესი დანიშნულებაა, სამშობლოს სიყვარულის ძუძუ გვაწოვოს.

22748. რელიგიას ყოველთვის იყენებდნენ დღევანდელობისთვის მისაღები დოგმების გასამტკიცებლად.

22749. ეტყობა, უფალსაც თავისი ჯალათები ჰყავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასაც გაუჭირდებოდა ხალხის სასიკეთოდ დამოძღვრა, გადაცდომებისათვის მისი დამუნათება.

22750. სარწმუნოებაც იდეოლოგიაა და ეროვნულ აზროვნებას ავითარებს.

22751. ღმერთსაც უნდა ესმოდეს ხალხისა, თუ უნდა, თავის მოწამეებს არგოს.

22752. ზარმაცი უაზრო ლოცვით აწამებს თავსაც და ღმერთსაც, რადგან მას მუქთაობა მოსწონს.

22753. მორწმუნეთა სახელის შელახვა სარწმუნოებასა და რწმენას საფრთხეს უქმნის.

+22754. ვისაც ღმერთი წესიერ ცხოვრებას აღირსებს, ყველა ანგელოზების ხელში დალევს სულს.

22755. რწმენა თავისებური კმაყოფილებაა და თავის დამშვიდების საშუალებაც.

22756. განგება გვმოძღვრავს, რომ ყოველივე მეგობრებს გავუზიაროთ, მაგრამ რა და რის ფასად, ამაზე გატრუნულ-გაყუჩებულია.

22757. ლოცვა პირადია, მონანიება-საზიარო, პირველს ეს არ ევალება, მეორე შემთხვევაში კი აუცილებელია.

22758. ცხოვრების წინააღმდეგობათა წინაშე დანებება არც გონიერებას ეპატიება და მას არც მამაღმერთი მოგვიწონებს, რადგან ამისათვის მას ჩვენ ამქვეყნად არ მოვუვლენივართ.

+22759. თუ მწარე ენა გარგუნა უფალმა, მიზანში მოსახვედრ სიტყვას დამიზნება არ სჭირდება.

+22760. ღმერთს, ეშმაკისაგან განსხვავებით, ვერ შეედავები, მაგრამ მათი ნების შედეგი მაინც ერთია.

22761. ღმერთთან ჩვენი საუბარი სულიერებას კურნავს და ამშვიდებს.

22762. თუ კაცმა არ იცის, რა აკეთოს, რჩება ერთი უმტკივნეულო გამოსავალი – ბერად აღიკვეცოს, რადგან ერისკაცად მისი ყოფნა, ეტყობა, განგებამ არ მოიწადინა.

22763. ეკლესიისთვის მსხვერპლის შეწირვა ღმერთს არ უნდა სჭირდებოდეს, რადგან ეს მისი მოსყიდვის ტოლფასია.

22764. დღეს ხალხი საიქიოს სააქაოს ამჯობინებს, რადგან რწმენაც უფრო მომხვეჭელური და პრაქტიკული გახდა.

22765. განგება ზოგჯერ თავისებურ მოძალადედ გვევლინება, როდესაც მიქელ-გაბრიელი გეგმის შესასრულებლად იმქვეყნად ვიღაცას ძალით მიათრევს.

22766. ადამიანის სულის ყველაზე დიდი მკურნალია რწმენა, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს სხეულის გაჯანსაღებაზე.

22767. ღმერთის არსებობა არაა მთავარი, მთავარია, რამდენად გვწამს მისი არსებობის აუცილებლობა.

+22768. ღმერთი მარად იმათ მხარესაა, ვისაც გონიერება უჭრის და უნარიც შესწევს წინ გაიხედოს.

22769. იმპროვიზებული ღმერთი ყველა ჩვენგანის ცნობიერებაში ზის, ათეისტი იქნება ის თუ რწმენის მონა.

22770. ლოცვაც წამლიქვნელების ნაწილია, იქნებ, მამაზეციერმა გაგვიხსენოსო.

22771. ყველაფრით უკამაყოფილო მორწმუნეებს არც სხვათა სიკეთის დანახვა შეუძლიათ და არც მათზე კარგის თქმა.

+22772. განგების სამართალი თუ გვწყალობს, ეშმაკის უსამართლობა ვერას დაგვაკლებს.

22773. ყოველი ჩვენგანის მსოფლმხედველობა გარდაუვალი და შეუცვლელია, რადგან ის განგების ნებითაა ნაკარნახევი.

22774. არის მოვალეობა, პასუხისმგებლობა, რომლის კისერზე დადება ბევრს არ შეუძლია, თუ განგებამაც ხელი არ შეუწყო.

22775. ლოცვა გულის ვედრებაა, სულიერების მხარდაჭერაა.

22776. ზოგს იმდენი უსარგებლო თვისება დაანათლა ღმერთმა, რომ ის სასამართლოს კარამდე მიჰყავს.

22777. შინაგანი სამყაროს აღქმისა და წარმოჩენის უნარი განგების რჩეულთა ხვედრია.

+22778. წმინდანთა ცხოვრება რედაქტირებას არ ექვემდებარება.

22779. ჩვენ გვერდით იმდენი უმადური, შურიანი და ბრიყვია, რომ განგებას მადლობა უნდა ვუთხრათ – ცხოვრების მაინც მაღალ დონეს მივაღწიეთ.

22780. სურვილი და შეძლება ერთმანეთს მაშინ ემთხვევა, როცა ამას ზენარი მოიწადინებს.

22781. განგების ნაჩუქარი ნაპერწკალი უნდა დაეცეს, განათდეს, რათა წარმოჩნდეს.

22782. არის რაღაც, რასაც არც ღმერთი გვაპატიებს და თაობებსაც ცუდი სიზმარივით მოსაგონებლად დარჩებათ.

22783. პიროვნებები ეპოქას განგების ნებით ქმნიან.

22784. კერპთაყვანისმცემლობა სარწმუნოებაა, რომელსაც მცირე, მასშტაბი და მრავალი ღმერთი გამოარჩევს.

22785. ღვთის წინაშე ყველანი ერთნაირად ბრიყვები ვართ, მათ შორის გენიოსებიც, რომლებიც სწორედ განგების ნებით გაჩნდნენ.

22786. ღმერთმაც უნდა დაინახოს შენი მცდელობა, რათა იმედი ჩაგისახოს და შენზე იზრუნოს.

22787. რელიგია მატერიალიზმზე ამაღლებას ქადაგებს, მაგრამ თავის სარჩენი ფულის შოვნაში გამოჯორკნილი მატერიალისტია.

22788. სიძულვილს რწმენა ხელს ვერ უშლის, რადგან ღმერთი ზოგს შეუცნობელი მდგომარეობის გასარკვევად სჭირდება და არა სულიერების განსაწმენდად.

22789. დუმილის ფასი ყველაზე უკეთ განგებამ იცის, მაგრამ ღმერთსა და სარწმუნოებას თავის წარმოსაჩენად, დასამკვიდრებლად ჩვენი ამეტყველება და აგიტაცია-პროპაგანდა სჭირდება.

22790. განგების ნება ერთმანეთს გვახვედრებს და გვაკავშირებს. იგივე ნება გაგვყრის და მტრებად გვაქცევს. ეტყობა, განგებას ეს თავის შესაქცევად და ჩვენზე ექსპერიმენტების ჩასატარებლად სჭირდება.

22791. ღვთის მხარეს ყოფნა ძნელი არ არის. მისი მომხრობაა ძნელი.

22792. შეულამაზებელი სიმართლე მხოლოდ ღმერთს უნდა ვუთხრათ, რადგან, შესაძლებელია, მანაც ვერ გაგვიგოს.

22793. დღევანდელი მორწმუნენი განგებას ცოლ-შვილის ჯანმრთელობას, საბანკო ანგარიშების ხელშეუხებლობასა და ხელისუფლების გამოფხიზლებას ევედრებიან.

22794. ზედმეტი თავმდაბლობა ღმერთს არ უქნია, რადგან ამით თავს ამადლით სხვას.

22795. ღმერთის გამხიარულებაც შეიძლება, თუ შენს ამბიციურ გეგმებს გაუზიარებ და დახმარებას არ შესთხოვ.

22796. ზოგი ბუნებით იმდენად გადაგვარებული იბადება, რომ მისი ღვთის წინაშეც ადამიანად მოხსენიება უხერხულია.

+22797. ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე ერთი ნაბიჯია გადასადგმელი, მაგრამ მის გადადგმაში განგება უნდა წაგეხმაროს.

22798. რელიგია ღვთის გაცნობიერებაა. მას არ აქვს შექმნის თარიღი და ის მარადიულია.

22799. ერთმანეთის პატიების უნარი ღვთის ნებაცაა და მიწი წყალობაც.

22800. ღმერთს რომ დაუახლოვდეთ, მამისა უნდა გწამდეთ, ხოლო დედა გიყვარდეთ.

22801. უფლის ნაბოძვრით ყოველთვის კმაყოფილნი უნდა ვიყოთ, ხოლო, თუ რამეზე გული გვწყდება, ისევ ჩვენი უნიათობა-გაურჯელობის ბრალია.

22802. აღსაზრდელისთვის კარგი მშობელი ღმერთზე მეტია, რაც უნდა ეკლესიურები ვიყოთ.

22803. თუ ღმერთმა გონიერების ძაფი გვარგუნა ბედის სახმობად, მას ფრთხილად უნდა მოვექცეთ, რათა აჩქარების შედეგად არ გაგვიწყდეს და ღვთის წყალობა ჩვენი გაუფრთხილებლობით არ დავკარგოთ.

22804. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მდედრის სხეულის ხიბლისმომგვრელი ნაწილები მამრის ქვენა გრძნობებსა და ქალის დაუფლების სურ-

ვილს არ იწვევდეს; მაშინ ხომ გადაგვარდება კაცობრიობა და გაქრება სიცოცხლე. ე.ი. გარყვნილებისკენ დღევანდელ მიდრეკილებას მომავალი გამოისყიდის.

22805. განგების შიში და რიდი ყველას უნდა გვქონდეს, იმისდა მიუხედავად, გვწამს ის თუ მის არსებობაში ეჭვი გვეპარება.

22806. ეჭვიანობა არც ღვთის მსახურს აწუხებს და არც ქვეყნის სამსახურში მყოფ ჯარისკაცს, რადგან მათ მაგივრად ზევით ფიქრობენ, ისინი კი ვალდებულნი არიან, მათი ნება უსიტყვოდ აღასრულონ.

22807. ნაძირალების ალიბია: „დამარხეთ ყველა“, მერე ღმერთი გაარკვევს, ვინ მტყუანი იყო და ვინ მართალი.

22808. რწმენა დიდი საქმეა, ხოლო ჩვენ მიერ არჩეული ღვთის რწმენა სიმშვიდეს გვმატებს.

22809. ზოგჯერ ნაძირალაც უნდა შევაქოთ, იქნებ, ღმერთს გული მოულბეს და მის გამოსწორებაზე იფიქროს.

22810. განგება ჩვენს სამართლიან კითხვებზე პასუხს რატომაც გვიგვიანებს, იმისდა მიუხედავად, რომ თავისუფალი დრო თავზესაყრელად აქვს.

22811. ღმერთი ცოტას გვაძლევს და ბევრი მიაქვს, მაგრამ უპირველესად უნდა დავუფასოთ ის, რომ სიცოცხლე გვაჩუქა.

22812. როდესაც მღვდელივით „ჭილოფში გცნობენ“, ესეც დიდი ბედნიერებაა.

22813. ყველა სარწმუნოება და იდეოლოგია გარკვეული აკრძალვების ხარჯზე ყალიბდება და აქ შეცდომის დაშვება დანაშაულია. ქრისტეს მოძღვრებას რომ მარხვის პერიოდში რძის ნაწარმის მიღება არ აეკრძალა, დღეს, შეიძლება, მუსლიმანური სარწმუნოება არ ყოფილიყო, რადგან მომთაბარე და უდაბნოში მცხოვრები ტომები ძირითადად რძის ნაწარმით იკვებებოდნენ, ხოლო მარხვის პერიოდში მათ ფაქტობრივად უნდა ეშიმშილათ.

22814. სიმართლესა და სამართლიანობას ხშირად განგებაც გვერდში ამოუდგება, თუ დროულად შევთხზავთ და ლოცვით მივაწვდით სათანადო ინფორმაციას.

22815. მუდმივი არის ღმერთის იმედი და არა არსებული მთავრობის დაპირებები.

22816. ჯარისკაცმა უნდა იომოს, მუშამ უნდა იშრომოს, დიაცმა უნდა შობოს, ხოლო განგებამ ყველა ჩვენს ქმედებას თვალი უნდა ადევნოს და სამართალი გაარიგოს.

22817. სიკეთის მომტანი თაღლითობა, როცა ის სასიკეთო საქმეს ემსახურება და ბიუროკრატიას ცხვირს ხოცავს, დანაშაულია თუ არა, ღმერთმა უწყის.

22818. განგებას ხშირად ვევედრებით იმის მოცემას, რაც თავად

შეგვიძლია მოვიპოვოთ საკუთარი შრომითა და მცდელობით.

22819. რატომ, რისთვის და ვისთვის ვცხოვრობთ – ეს განსჯას არ საჭიროებს, რადგან განგებამ ჩვენი ამქვეყნად მოსვლა ინება იმ კოდით, რომლის გამოცნობა-გათავისებასაც ჩვენ ვცდილობთ.

22820. იმ ქვეყანაში ზეიმობს სახელმწიფოებრიობა, სადაც კანონის დარღვევის უფლებას თვით მამაზეციერიც ვერ აძლევს საკუთარ თავს.

22821. ღმერთთან, ბედთან კამათი და შეჭიდება უნაყოფოა, რადგან ისინი თავიანთ ნებას მაინც თავზე მოგვახვევენ, ჩვენი სურვილისა და მცდელობის მიუხედავად.

22822. ღვთის რწმენა და სატანის რწმენა ერთი ვერ იქნება, ხოლო ყოველი ამდაგვარი მცდელობა საზოგადოებრივ აზრს აუპატიურებს.

22823. მკვლელს ღვთის შეწყალება არ ერგება.

22824. გულმხურვალე ლოცვა კეთილი საქმის თანამდგომად გვევლინება.

22825. განგება რასაც დაგვანათლის, ის ცუდი და გამოუყენებელი არ უნდა იყოს, თუ შესატყვისად დავასაქმებთ და მის მიმართ შემწყნარებლები ვიქნებით.

22826. არაპერსპექტიულ ასაკში ვახდენთ სასწაულებს, თუ ვახორციელებთ იმას, რაზეც ჯეელობაში გვიფიქრია. ამ შემთხვევაში, თუ ამასთანავე, განგების ღიმილსაც ვიმსახურებთ.

22827. ქალები ეკლესიაში შარვლით დადიან, ხოლო მამანი ჯიპებით დაგრიალებენ. ასე რომ, სასაყვედურო და ჭკუის დარიგების უფლება არცერთს არ აქვს, რადგან მოდის და შეძლების გავლენა წრეშეუწერელია.

22828. განგების სამართალი მაშინ გვაქცევს ზურგს, როდესაც არც სხვათა და არც საკუთარი თავის წინაშე მართლები არა ვართ.

22829. წიგნები ადამიანებისთვის იწერება და არა უფლისთვის, რადგან ამ უკანასკნელს სხვა, უფრო დიდი, ჩვენთვის შეუცნობელი პრობლემები აწევს კისერზე.

22830. უღალატო მეგობარი ღმერთის საჩუქარია და არა ჩვენი შეძენილი, რადგან ჩვენი არჩეული გამოცდას ყოველთვის ვერ უძლებს.

22831. ჩვენი სულიერების დაკნინების მიზეზია მისწრაფება, სიცოცხლეშივე ვნახოთ ღმერთი, რაც იდეოლოგიის და რწმენის არა სრულფასოვნად გათავისების შედეგია.

+22832. მხცოვანი ცდილობს გონს უხმოს და ზენაარი განჭვრიტოს, რაც ამაო ცდაა, რადგან საამისოდ დრო არ ეყოფა.

22833. სულის ცხონებას, ხორცის გაწმენდას გონიერებასთან ერთად განგების ნებაც სჭირდება.

22834. ღმერთის კი არ უნდა გვეშინოდეს, არამედ მისი სიდიადისა.

22835. ღმერთი ყოველთვის ჩვენთან არის, მაგრამ ამას როდის და

რა მცდელობით ვიგრძნობთ, ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული.

22836. ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა უფლის ნებაა, ხოლო მატერიალური კეთილდღეობა – შემთხვევის.

22837. ზოგიერთის გაჩენის გამო ბუნებასაც უნდა რცხვენოდეს და მამაზეციერსაც, დრო და გარემოსთვის იმდენად მიუღებელია მათი წარმოჩენა.

22838. განგების საჩუქარი იმ განათლების მეგაბაიტია, რომელიც გიგებს, უგებ და ერთმანეთი არ გავიწყდებათ.

22839. რა ადამიანებიც ვართ, ღმერთიც ისეთივე გვყავს და მისდამი რწმენაც შესაფერისი გვაქვს.

22840. რა კაცადაც ჩამოყალიბდები, ღვთის ისეთივე მოყვასი და ხალხის მოყვარული იქნები.

22841. განგების მოწონებული პოფესიებია: მასწავლებელი, ექიმი, მოსამართლე, ხოლო დანარჩენი სპეციალობები ამ უმთავრესი პროფესიების საზოგადოებაში ფესვის გადგმას ემსახურება.

22842. განგება თავისებურად, სამართლიანიც არის და კანონზომიერიც. ის ნიჭთან ერთად დაგვანათლავს შურს, სიზარმაცეს, გაუტანლობის, რათა ერთმა მეორეს არ აჯობოს და არ გააქროს.

+22843. ყველაზე მეტად რელიგიურობა მაშინ იღვიძებს, თუ თაღლითის ტკბილი ენით მოთაფლულნი ვიძინებთ.

22844. რაკიღა ცხოვრება თავისებური განსაცდელია, ვალდებულნი ვართ, ჩვენი სულიერების შესატყვისი ღმერთი ვიპოვოთ და ამით ბედნიერებისკენ გზა გავიკვლიოთ.

22845. დღეს სხეულიც ნივთია, ქონებაა, საქონელია, რომლის გაყიდვაც შეიძლება, გაქირავებაც და გამორჩენის მიღებაც. ასე რომ, ღმერთმა ვისაც რა უწყალობა, იმით უნდა იღვაწოს, ივაჭროს და სარგებელი ნახოს.

22846. განგება ყველა მიწიერს ვალის მოხდა-დაბრუნებას ავალდებულებს. ცოცხალ არსებებს – კვლავწარმოებას, ბუნებრივ მოვლენებს – მიწისძვრას, ვულკანის ამოფრქვევას, სამყაროში წონასწორობის აღდგენას.

22847. ცოდვის ჩაუდენლად ღმერთთან ურთიერთობა ჭირს, რადგან მანაც რაღაც უნდა გაგიკეთოთ, შეგინდოთ, რომ მისი მადლიერი დარჩეთ და იწამოთ, ე.ი რწმენაც გამორჩენაზე ჰკიდია.

22848. ყველა სარწმუნოებას იმდენი ცოდვა აქვს ჩადენილი, რომ მათი გამოძახილი დღესაც კი გზარავს – ესაა ინკვიზიცია, ჯიჰადი, ინდულგენცია და ა.შ.

22849. სარწმუნოებათა სხვადასხვა კომფესიაზე დაყრდნობა მაინც არასაიმედია, რადგან ისინი რწმენათა საერთო ჯალათს – ათეიზმს ურიგდებიან და აქ განგების და ბუნების ძალები არაფერ შუაშია,

რადგან რწმენასაც განვითარება-განათლება მოითხოვს და ეს კონ-ფესიებიც კერპთაყვანისმცემლობასავით დროებითია, სანამდის ტექნი-კური პროგრესი ამ კონფესიის შესაძლებლობებს არ გააცამტვერებს.

22850. ღვთის რწმენის მოთხოვნილება თავად ჩვენს ბუნებაში დევს, იმისდა მიუხედავად, ამას ვაცნობიერებთ თუ არა.

22851. სიტყვით ღვთის მსახურნი ვართ, საქმით კი – საკუთარი მისწრაფებებისა და კუჭისა.

22852. ზოგჯერ ათეისტიც ხვდება ისეთ მდგომარეობაში, რომ ღმერთი კი არა, ეშმაკიცა სწამს.

22853. ამ სამყაროს ბუნების ძალების, ჩვენთვის გაუცნობიერებელ საოცრებათა წინაშე ყველანი ქედს ვიხრით. ჩვენთვის გაუცნობიერებ-ელ ბევრ საიდუმლოებას ვერც ჩვენი გონი სწვდება და ვერც ყოვლის-შემძლე ღმერთი.

22854. ჯაშუშებიც საჭირონი არიან, მაგრამ ეს პროფესია სიმპათი-ებს ვერ იმსახურებს, რადგან ღმერთის მოძღვრებისგან შორს დგანან.

22855. ვეცადოთ განგებას მივუახლოვდეთ რწმენით, ჭკუა-გონების ხმობით, თავის მოუბეზრებლად.

22856. სიკეთის გამცემს აქვს უფლება, ღმერთს შემწეობა სთხო-ვოს, თუ ის ტაძარში ლოცულობს და თავის თხოვნებს ამხელს.

22857. შედევრი რომ ვიხსნათ „სპეკულაციისაგან“, მთავარია ვი-ცოდეთ, ხალხის განწყობა, ობივატელის სურვილი და განგების ნებაც თუ ის დღეს რა ხასიათზეა.

22858. მამაზეციერი არავის ივიწყებს, მაგრამ მათ ბედს ეტყობა ლატარეაში ათამაშებს, ზოგჯერ იმდენად გაუგებარია მისი გულმავი-წყობა და რისხვა.

22859. გონივრული სიკეთის ქმნა მისასალმებელია, იმისდა მიუხე-დავად, ამას უფალი ხედავს თუ არა.

22860. განგების და ადამიანის სიყვარული ურთიერთსაზიაროა, წი-ნააღმდეგ შემთხვევაში, მათ ერთმანეთი არ დასჭირდებოდათ.

22861. დიდი ბედნიერებაა ცხონდე როგორც ამ ქვეყნად, ისე იმქვეყნად.

22862. ყველა ჩვენგანის სურვილია: სჯობს განგება განადიდოს ხალხმა და არა ბრბომ, რადგან პირველი, მეორისგან განსხვავებით, მუდმივია და უცვლელი.

22863. ღვთის წყალობის მისაღებად დედის საშოდანვე უნდა ვიზ-რუნოთ.

22864. ღმერთი უხილავი, მაგრამ ყველაფრის შემძლეა. ყოველ შემთხვევაში, ასე სწამთ მის მოიმედე უნიათო თაყვანისმცემლებს.

22865. უფლისა და ახლობლების წინაშე ჩადენილი ცოდვებისთვის თავი უნდა დავიმდაბლოთ და მკაცრად ვაკონტროლოთ.

22866. ამქვეყნად გაჭორვას როგორმე გავუძლებთ, მთავარია, იმ-ქვეყნად გადასახლებისას განგებამაც არ მოინდომოს ამ ჭორების და-ჯერება.

22867. აუცილებლობისა და შემთხვევითობის კანონს მამაზეციერ-იც პატივს მიაგებს, რადგან ყოველივეს წინასწარ ჭვრეტა მასაც უჭირს.

22868. სამყარო განგების ნახელავია თუ პირიქით, კრიტიკული გო-ნისთვის დღესაც გასარკვევია და დაუდგენელია.

22869. არსებულთან შედარებით, უკეთეს ცხოვრებას ყველა ვიმ-სახურებთ, მაგრამ ამ თითქოსდა აქსიომას ჩვენი ბედის განმკარგი განგება არ ეთანხმება.

22870. განგებას ვთხოვოთ, ურთიერთში ისეთი ურთიერთობა და დამოკიდებულება გვქონდეს, რომ ჩვენი ნიჭი და შესაძლებლობა ჩვენს ერს მოხმარებოდეს და არა სხვას.

22871. არშემდგარ სახელმწიფოში ღვთისადმი თუნდაც მოჩვენები-თი სიყვარული იზრდება, რადგან ხალხს სახელმწიფოსა და მრავალჯერ შეცვლილ-გამოცვლილი ხელისუფლებისადმი ნდობა დაკარგული აქვს.

22872. უფალმა იეშმაკა, თავისი უყურადღებობის გასამართლებ-ლად ეშმაკი წარმოშვა და მთელი თავისი გულმავიწყობა ცოდვად მას აჰკიდა.

22873. რელიგიის კონტროლი – არა, მისდამი თანადგომა – კი, ისიც ჩვენი ცნობიერების და გონიერების ფარგლებში.

22874. ღმერთს არ უპირისპირდებიან, სარწმუნოებას არ გმობენ, სასწაულისა სჯერათ. უბრალოდ, ამ ქმედებებით პატივს მივაგებთ სა-კუთარ ცნობიერებას და ვცდილობთ, მიმტევებელნი ვიყოთ სხვათა შეცდომა-გადაცდენისას.

22875. არავის აქვს პრეტენზიები კაცობრიობის გასავლელი გზისა და მისი აზრის ცოდნის მიმართ, რადგან განგებას ხვალ რა მოეპრიანე-ბა, არავინ უწყის.

22876. წესით, ისტორია „ცხოვრების მასწავლებელია“, მაგრამ, ეტყობა, განგება ამის წინააღმდეგია, რადგან მაშინ იგი თავის ნებაზე ვერ გაერთობა.

22877. განგების სასჯელი ის, რომ იმის კეთებას გვაიძულებს, რისი ძალაც არ შეგვწევს.

22878. ღმერთი ხშირად იმათ სჯის, რომელიც თავიანთი ადგილი ვერ მიუგნიათ ამ სამყაროში.

22879. წარმატებისგან თავბრუდახვევა, გვაცდუნებს და ხშირად საწინააღმდეგო შედეგს იძლევა – ასეთია განგების ნება.

22880. იმქვეყნიურ ღვთაებრივ ტანჯვას ამქვეყნიური მიწიერი ტანჯვა ვერ შეედრება.

22881. შეცდომების დაშვება გამოცდილებას გვმატებს, მაგრამ

მომეტებული არაფერი უქნია ღმერთს.

22882. განგებასთანის მიმართ ბევრი შეკითხვებია გვაქვს, ოღონდ პასუხი და აღქმა-განმარტება გვეძლევა ცოტა.

22883. ვეცადოთ, საკუთარი თავის პოვნაში, განგების გარდა არავინ ჩავრიოთ.

22884. ღვთის მსახურება, ადამიანის სულიერების გასათვითცნობიერებელი საშუალებაა და მისი მოთხოვნები უნდა გაიზიაროს ერმაც და ბერმაც.

22885. განგების ნებას დრო და გარემო წინ ვერ დაუდგება.

22886. სიკვდილის გაცუცურაკება ხელოვნებაა, მაგრამ ეს ხელოვნება განგების კი არა, უფრო შემთხვევის წყალობაა.

22887. რწმენა წარმატების ფუძეცაა და ჭერიც.

22888. ღმერთს უნდა ვთხოვოთ, დაგვარწმუნოს მის არსებობაში, რათა უფრო იმედიანად ვიღვაწოთ და ვარსებობთ.

22889. ეტყობა, ღმერთს უნდა ისეთები ვიყოთ, როგორებიცა ვართ და მომავალშიც ვიქნებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ჩვენს ამქვეყნად მოვლინებზე თავს არ შეიწუხებდა.

22890. თუ ღმერთმა სამყარო შექმნა, მაშინ ვის უნდა შეექმნა თავად ღმერთი, ეს მარად საიდუმლოდ დარჩება.

22891. ჩვენ, ყველანი, განგების მონები ვართ და ამით ვამაყობთ კიდეც.

22892. ბუნებრივი კატაკლიზმებით შესაძლებელია ადამიანთა მოდგმის გაქრობა, მაგრამ განგება ამ შეცდომას არ დაუშვებს, რადგან ადამიანის მოდგმა სჭირდება თავისი თავის წარმოსაჩენად.

22893. არც განგებაა უცოდველი, თუ ის უდროო დროს გართობის ხასიათზეა დამდგარი.

22894. ბრიყვსა და სულელს ზოგჯერ უჭკვიანესი ნაშიერი გამოსდით, ეტყობა, განგებასაც უყვარს სიურპრიზების მოწყობა.

22895. საწოლში ნაოცნებარ-ნაფანტაზიარის ფურცელზე გადატანა განგების ნებააცაა და არა მარტო ჩვენი წადილი.

22896. მარხვა ჯანმრთელობის გაკაჟების საწყისად უნდა ვაქციოთ. წონის რეგულირება, განმაჯანსაღებელი ტრადიციული ვარჯიშები, სულიერების განწმენდა – აი, ღმერთთან დაახლოების უმეტესი გზა.

22897. უფლის ნების ცოდნა აუცილებელია, რათა ცხოვრების წინაშე სასაყვედურო არა დაგვრჩეს რა.

22898. საკუთარი ღირსების დაცვა ცოდნა-შემართებასთან ერთად განგების ნაჩუქარ ნიჭსაც მოითხოვს.

22899. მოწინააღმდეგის განადგურების შემდგომ მშვიდობის დამყარება განგების საქმეა.

22900. თუ დახმარებისა და ხელის გაწვდომის უნარი შეგწევთ,

ესეც განგების საჩუქარია.

22901. ყოველგვარი ნიჭი, შესაძლებლობა იმ საქმეს უნდა ემსახურებოდეს, რისი აღსრულების უფლებაც განგებამ გვარგუნა.

22902. ათეიზმიც თავისებური რწმენაა.

22903. განგებას შეუძლია, თანაბრად გადანაწილოს ყოველი ჩვენგანის შესაძლებლობანი, მაგრამ, ყველას რომ თანაბრად და ერთდროულად დაურიგოს ნიჭი და უნარი, არარენტაბელურია, რამე თუ მაშინ საზოგადოება არ შედგება.

22904. ვინ იცის, როდის გაითიშება ჩვენი სიცოცხლის წამმზომი?! მამაზეციერმაც რა ქნას, მასაც ხომ ამ სამყაროს განვითარებისა და კვლავწარმოების გეგმები აქვს შესასრულებელი.

22905. სატანა მიწიერ ძალას გვიჩვენებს, ანგელოზი – ღვთაებრივს.

22906. გენიალური ადამიანის ნიჭს უნდა მივაგოთ პატივი და არა მის ხასიათს, რადგან განგება ყოველივე, ჩვენთვის მოსაწონს ერთდროულად იშვიათად იძლევა.

22907. განგება, განსაკუთრებით სიბერეში, ყველა ჩვენგანთან გასაუბრებას ცდილობს, მაგრამ, რამდენად შედეგიანად გამოსდის, ეს უკვე სხვა საქმეა.

22908. სასოწარკვეთიდან თავის დაღწევა ლოცვის შედეგად და განგების ნებით უნდა მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ისე გვწამს.

22909. ღმერთი ყველაზე უკეთ ადამიანის სულს ესაუბრება და უგებს.

22910. ექიმის დამსახურებად მიაჩნიათ, ავადმყოფს თუ ეშველა რაიმე და ამ დროს განგების ნებას ნაკლებად ითვალისწინებენ.

22911. ღვთის ნების წინაშე ყველა ჩვენგანი თავისი შესაძლებლობების შესატყვისად იღვწის.

22912. ბედისწერის ქალღმერთის ნება-სურვილზეა, როდის გადაჭრის ძაფზე ჩამოკიდებულ ჩვენს ბედს და რა სახის დასაკარგავში გადაგვკარგავს.

22913. განგებას უპირველეს ყოვლისა რა უნდა ვთხოვოთ?! ალბათ, გულის სიკეთე, სულიერების ამაღლება, სიბეჯითე და გონიერება.

22914. იმისდა მიხედვით ვართ ჭკვიანები, თუ რა სახის ინფორმაციას შევუშვებთ თავში და რა სახისას – არა.

22915. მოჭარბებული და ზედმეტი ღმერთს არაფერი უქნია, მათ შორისაა ბედნიერება, დიდება და თვით უკვდავებაც.

22916. განგებამ ყველას ჩვენს დროსა და გარემოში ცხოვრება მოგვისაჯა და აქ მისთვის ყოველგვარი პრიორიტეტი და საყვედური მიუღებელია.

22917. ღმერთიც, ეტყობა, თავისი სამართლით იღვწის, რადგან ჩვენი რაობის განსჯის საშუალებას იძლევა.

22918. ალბათ, ღმერთსაც სჭირდება ცრუნი და მატყუარანი, რათა ადამიანთა მოდგმამ არ მოიწყინოს.

22919. რწმენის ფასი დიდია, მაგრამ მიმდევრებში წესის აღმსრულებლები ჰყავს ცოტა, რადგან ჰგონიათ: გარკვეულ სექტაში გაერთიანებამ ცოდვა ყველას შეუნდო და ჩამოაწერა.

22920. დანაშაულია, ღმერთი გწამდეს და სიღატაკესა და სიღარიბეში იცხოვრო.

22921. თუ ღმერთს შინაგანად ვერ აღვიქვამთ, ვერც მის შესაძლებლობებს ვირწმუნებთ.

22922. განგებასაც თავისი გეგმა აქვს მოსახლეობის რა ოდენობის დასაბალანსებლად და ამიტომაცაა, რომ სიცოცხლის გახანგრძლივების პარალელურად სხვადასხვა ვირუსს გვიგზავნის, თან საქმეს გვაძლევს, თანაც ჩვენი თავდაცვის უნარის ხილვით ერთობა.

22923. ღმერთს რომ ეშმაკთაგან მეზობლობა ხელს არ აძლევდეს, მისი ბუნდღაც არ იქნებოდა ამ სამყაროში, მაგრამ სხვაგვარად, ეტყობა, შეუძლებელია ხალხის აღზრდა, ცუდისა და კარგის გარჩევა.

22924. რელიგია, რწმენა გულით უნდა გაითავისო და არა ქადაგებით, ლოცვითა და სანთლების დანთებით, თუ გინდა ღმერთი იწამო და მანაც გიწამოს.

22925. თუ დავიმსახურებთ კეთილ სურვილს: ღმერთი მოგცემს წყალობას, მომდევნო თაობის აღზრდას მივხედოთ და ვალი მოვიხადოთ ქვეყნის, შთამომავლობისა და საკუთარი თავის წინაშე.

22926. ღმერთის წინაშე საიდუმლოს შინაგანად ყველა ჩვენგანი უნდა ინახავდეს.

22927. სიდიადე საიდან მოდის, არავინ უწყის, რადგან მასში განგების ნებაცაა გარეული.

22928. ღმერთი ყველას სულს ზეცაში არ იღებს და ამიტომაცაა: ბევრის უღირსი სული მიწაზე რჩება და ამქვეყნიური სულიერების მოსავალს აფუჭებს.

22929. განგებამ ადამიანი საკუთარი თავის გასართობად, გამოსახსნელად შექმნა და არა გასამაიმუნებლად, პირუტყვობამდე ჩამოსაქვეითებლად.

22930. განგება საზოგადოებას ზოგჯერ გენიოსებსაც მოუვლენს, მაგრამ მათი დროულად შემჩნევის უნარს უკარგავს, რათა ნაჩუქრისა და ღვთის წყალობის დაფასება ვისწავლოთ.

22931. განგება ჩვენი ცნობიერების ის რეჟისორია, რომელიც ჩვენს ქმედებებს ყოველთვის ვერ უწევს ოპონირებას.

22932. განგების შურისძიება, თუნდაც სამართლიანი, ყველას გვაშოროს ღმერთმა.

22933. რელიგია, რწმენის გაფეტიშება უფრო ადამიანთა ცნობი-

ერების უგვანობის მოსათოკავადაა შექმნილი, ვიდრე სულის დასაწმენ-დად, რადგან ის ყოფიერების ქაოსში მოხვედრილ სამყაროს მცხოვრებ-თა დალაგება-დამორჩილებას ცდილობს.

22934. უფალს უნდა შეევევედროთ, რომ მომავალში სისულელის ჩადენისგან გვიხსნას, რადგან ჩადენილს შემდგომ გულმხურვალე მონანიებაც აღარ შველის.

22935. ღვთის შიშით ჩატარებული აღაპი მიცვალებულისთვის თა-ვისებური პატივის მიგებაა და მისი წარმოჩენაც.

22936. მთავარია, გავითავისოთ უფლის მოძღვრება და მისი კანონე-ბი, რადგან იმას დიდი მნიშვნელობა როდი აქვს, ღმერთი არსებობს თუ არა ან როგორ წარმოგვიდგენია.

22937. ღმერთი „გაჭირვების ტალკვესია“ და არა დალხინების, რადგან ამ უკანასკნელს ოხვრა-ვედრება არა სჭირდება.

22938. ფხიზელი ცხოვრება თავისებური ფუფუნებაა, თუ მისი შეც-ნობის უნარს განგება არ დაგვამადლის.

22939. რაც უფრო მეტად გვემატება ასაკი, მით უფრო გაკვირვე-ბულები ვრჩებით: ამდენი სულელის გაჩენა რაღად დასჭირდა გამჩენს?!

22940. უფალმა დაბადების უფლება მოგცა და არა დაბერების – ამ უკანასკნელს დამსახურება უნდა.

22941. ინტუიცია განგების მიერ ნაჩუქარი თავისებური ცოდნაა, რომელიც ნდობასა და იმედს იმსახურებს.

22942. ღმერთი უპირველეს ყოვლისა ადამიანებს ემსახურება და შემდგომ – თავის მრჩევლებს სხვადასხვა სარწმუნოებიდან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვწამს.

22943. განგება ზოგჯერ ადამიანს სიავის ნიჭით „აჯილდოებს“ და ამით სიკეთე – სიავის წონასწორობას აღადგენს.

22944. ღმერთს ისე უნდა ვემსახუროთ, როგორც შეგვიძლია, და არა ისე, როგორც სარწმუნოების მამები გვთავაზობენ, რადგან ეს ყვე-ლასათვის ხელმისაწვდომი და მისაღები არ არის.

22945. სიამაყისა და საკუთარი მეს წარმოჩენა იქ არის შესაძლებე-ლი, სადაც განგება გვერდში გვიდგას.

22946. ინიციატივიან და შემოქმედებითი ბუნების ხალხს განგება მხარში ამოუდგება, იმისდა მიუხედავად, ისინი ამას გრძნობენ თუ არა.

22947. გონიერს ღმერთი უფრო ეცოდება, ვიდრე ის უგერგილო ადამიანები, რომლებსაც უფალი პატრონობს.

22948. ღმერთის რწმენა ბევრნაირი არსებობს, რადგან ყველა ჩვენ-განს თავისი ღმერთი ჰყავს თავისი მოთხოვნებითა და ჩასწორებებით.

22949. ვიღაცის სიბრიყვე ყველას აწუხებს, განსაკუთრებით განგე-ბას.

22950. ცოცხლობს, არსებობს, მრავლდება მცენარეც, ცხოველიც,

ადამიანიც, მაგრამ მათი განმსჯელი ხშირად, განგების გარდა, არავინაა.

22951. ლოცვა-ვედრება იმდენადაა საეკლესიო სტანდარტებში მოქცეული, რომ ტყუილის თქმას ვერ ახერხებს.

22952. რელიგია უმთავრესად ცუდსა და კარგს შორის არჩევანს აწესრიგებს.

22953. რწმენა უფრო მეტად ერთგულებას ითხოვს, ვიდრე ჭეშმარიტებასთან ჭიდილსა და განსჯას.

22954. რატომღაც ადამიანებმა რწმენასთან ერთად ღმერთებიც დაინაწილეს.

22955. ღმერთმა დაგვავალა გაყოფა, მაგრამ პროცენტების ოდენობა არ დაუდგენია.

22956. განგება ნიჭიერ და შემოქმედ ადამიანს სანამდის ბოლომდის არ დაიქვემდებარებს ბედის წისქვილისთვის განკუთვნილი გონიერების საფქვავის საღერღელად, მანამდის იმქვეყნად გადასასახლებლად არ იმეტებს.

22957. ვინ არის ჩვენზე ბედნიერი და უბედური ადამიანი – ეს განგების ნებაა და განსჯას არ ექვემდებარება.

22958. ამბობენ ღმერთი მოწყალეაო. გააჩნია, ვისთვის და რისთვის უნდა გაიღოს მან ეს წყალობა თუნდაც ერთხელ. ის უნდა დავიმსახუროთ.

22959. ღვთის რწმენა რელიგიის მეშვეობით არსებობს და თავს ამგვარად გვახსენებს.

22960. ღმერთის არსებობის იდეას ეწინააღმდეგება, მაგრამ ეს ჭკუას არ აძლევს საშუალებას, ის არ იწამოს, იმდენად უცნაურია სამყარო და ტექნიკური პროგრესის სავარაუდო სამომავლო მიღწევები.

22961. ყოველდღიურ სიახლეთა შეცნობა ზღაპრულ სასწაულებში თავის ამოყოფის შესაძლებლობას გვიქმნის.

22962. „ღმერთი ფრაერი არ არის“. ის ყველა ჩვენგანის ბატონკაცურ ჩვევებს ხვდება, მაგრამ ადამიანებიც არ იბნევიან და ღმერთს თავს ლოცვა-ვედრებით ახსენებენ, რათა მათზე ზედმეტად იფიქროს.

22963. შიშისა და გაუცნობიერებლობის დამალვის საუკეთესო საშუალებაა რწმენა, განსაკუთრებით მამაზეციერთან მიმართებით.

22964. „ღმერთი ჩვენთან არს“ და მარად იქნება, თუ მისი სურვილების შესატყვისად ვიმოქმედებთ.

22965. უკვდავებისთვის დაბადებიდანვე ღვთის შეწევნით ემზადებიან.

22966. განგებამ ადამიანი იმიტომ შექმნა, რომ თავისი არსებობა დაეფიქსირებინა და ავტორიტეტი წარმოეჩინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღვთის საჭიროებაზე ვინღა ისაუბრებდა?

22967. რელიგია ამქვეყნიური ძალით იმქვეყნიურ შესაძლებლობათა შეცნობის მცდელობაა.

22968. ჩვენთვის უცხო სხვადასხვა ღმერთისა და კერპის რაოდენობა მატულობს და ჩვენი ცნობიერების დაპყრობას ცდილობს.

22969. რელიგია ცდილობს გაგვარკვიოს ღვთის, ეშმაკისა და სასწაულების დაპირისპირებაში.

22970. სამწუხაროდ, რელიგიის წარმომადგენელნი ვაჭრობენ: თუ ეკლესიას რაიმე ღირშესანიშნავს შესწირავთ ან სათანადოდ დააფინანსებთ, ღვთის მსახურები ყველა სახის ცოდვას შეგინდობენ.

22971. რელიგიის ყველაზე დიდი მტერი თანამედროვე ტექნიკური პროგრესია, მაგრამ ღვთის მსახურები მასზე მორგებას ცდილობენ და ფუფუნების ელემენტებსაც არ ივიწყებენ.

22972. ადამიანმა ღმერთი და სარწმუნოება იმიტომ გამოთხარა, რომ სამუდამოდ მისი სახელის გაქრობა არ სწადია.

22973. სარწმუნოება იდეოლოგიის ნაწილია, რადგან ადამიანს რწმენისა და თუნდაც მცირე დიქტატის გარეშე ცხოვრება უჭირს.

22974. ტექნიკური პროგრესის მოიმედენი ღმერთთან მისასვლელ გზებსაც მალე გავჭრით, კოსმოსში სახეტიალოდ გავიჭრებით.

22975. სარწმუნოების ყველაზე მიმზიდველი სასუსნავია იმ იმედის კულტივირება, რომ ადამიანი სიკვდილის შემდგომ იმქვეყნად იღვწის.

22976. რელიგიას ბევრი მითური, საეჭვო მაგიური ტრადიციები აქვს, რომლის დანერგვასაც ღვთის სახლების მეშვეობით ცდილობენ.

22977. ფანტაზია და რელიგია სინონიმებია და, ვინ როგორღა აღიქვამს მათ, არავინ უწყის.

22978. რელიგიას ძველი ისტორიული შენობა-ნაგებობების მადლიც მხარს უმაგრებს და ამის გამოცაა, რომ თავს არ გვავიწყებს.

22979. აღმოჩენაში, სიახლის კეთებაში, დანერგვაში არ შეიძლება განგების ხელი არ ერიოს.

22980. რელიგია ის ოპიუმია, რომელიც მასის გარკვეულ ნაწილს ნერვების დასაწყნარებლად და იმედის აღსაძვრელად სჭირდება.

22981. განგებამ სულიერებითა და რწმენით ცხოვრების უფლება ამ სამყაროში მხოლოდ ადამიანს არგუნა და ამას ჯეროვანი დაფასება უნდა.

22982. განგებამ დაგვანათლა ოფლის დენა, რათა ჩვენი შრომით გვერჩინა თავი და ოჯახი.

22983. რწმენას დაინტერესება ამაგრებს და ამყარებს.

22984. ღმერთიც მოკვდავი გახდება, თუ მას არ გაიხსენებენ და არ იწამებენ.

წიგნის აწყობის შემდეგ დამატებული შეგონებანი

22985. თავშეკავებასაც თავისი მეობა ახასიათებს, რათა სხვის მიერ მიყენებულ წყენას გულგრილად შეხვდეს, ბიშტი უჩვენოს.

22986. მარტოხელა გულებს ცივილიზაცია და ტექნიკური პროგრესი კიდევ უფრო ამრავლებს და აბარტყებს.

22987. დაღვინებულ აზროვნებას გამოცდილება სჭირდება და არა მარტო წლების მატება.

22988. სწორედ ბოდვითი იდეების სიმრავლე აძლევს მეცნიერებას წინსვლის საშუალებას.

22989. გონიერება ბრიყვს არ უნდა გაეცნოს, თუ გვინდა უმეცარი ბრიყვისაგან საშიში ბრიყვი არ მივიღოთ.

22990. მართვა ნიშნავს პასუხისმგებლობას, პასუხისმგებლობა – ანგარიშვალდებულებას.

22991. ასაკი მარად თავის მოწონებას ცდილობს გარეშეთა თვალში, სჭირდება მას შელამაზებული ბიოგრაფია თუ არა.

22992. სიმდიდრე, სიღარიბისაგან განსხვავებით, „პერსპექტივის“ გათვალისწინებით ყოველ კაპიკს ითვლის და ნახევარ კაპიკს აბანდებს.

22993. უქნარებსაც ზოგჯერ ბედი სწყალობთ და დროებით სახარჯო ფულს გაუჩენს მათი გამოცდის მიზნით.

22994. ზოგჯერ ცოლის მოყვანაზე მეტი ბედნიერება გაყრა ხდება, ცოლმა და ქმარმა თუ ერთმანეთს ხასიათი ვერ შეუწყვეს.

22995. ისტორიას ნამყოს და აწმყოს აზრი არ აინტერესებს, რადგან შედეგს მომავალი თაობები განსჯიან.

22996. კიდევ კარგი, ჩვენი შორეული წინაპრების ყოფა-ცხოვრებაზე, გარეგნობაზე, ქვენა გრძნობებზე დღევანდელი გადასახედიდან რეალური წარმოდგენა არ გვაქვს, თორემ დღეს, შესაძლებელია, მათს შთამომავლობაზე უარი გვეთქვა და არ გვეკადრებინა.

22997. ერთგულების დამტკიცებას, შეცნობას საკმაო დრო სჭირდება, ხოლო ღალატი მყისიები და სწრაფია.

22998. ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია, მაგრამ აქეთკენ უნდა ვილტვოდეთ.

22999. პატივმოყვარეობა ხშირად კაცობას, გონიერებასა და რეალობის შეგრძნებას ძირს უთხრის.

23000. მამაკაცებმა იმდენი იჩალიჩეს და ტექნიკურ პროგრესს ისე აუბეს მხარი, რომ მომსახურების სფეროს მართვა ღილაკებზე გადაიყვანეს. ამას ქალები უკეთ ასრულებენ. შედეგად მატრიარქატი შემოიჭრა ჩვენს ყოფაში და მამაკაცების პარპაშს ასე დაესვა წერტილი.

23001. ერთი ეძებს, მეორე ეხმიანება, მესამე ნახულობს და ამით მეცნიერების საქმე კეთდება.

23002. დროსაც უნდა გაუმართლოს, რათა ყოფის ღირსეული მას-

წავლებელი შემოგვთავაზოს.

23003. სიბრძნის წარმოჩენა მუდმივი განსწავლის შედეგია.

23004. ტოლერანტობა და შემართება სინონიმებია, რადგან უერთმანეთოდ ყოფნა უჭირთ.

23005. ამ ბოლო დროს ადამიანად დარჩენის პერსპექტივა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

23006. დღეს გაკვირვებას ვერ ვმალავთ წარსულის იმ ტექნიკური მიღწევებით, რომელთაც მომავლის ტექნიკურ პროგრესამდე მიგვიყვანეს.

23007. იდეოლოგია, რწმენა, გართობა, პური და გაპიარებული იმედი – ეს აუცილებელი კომპონენტებია ხალხის გონიერების დასაპყრობად, დასამორჩილებლად, დასაჩმორებლად.

23008. ვარსკვლავთა ოლიმპზე შემდგომი პოპულარული მსახიობები ხშირად ერთმანეთს ფულის გულისთვის დაუნდობლად კბენენ და სწრაფად ივიწყებენ იმას, რაც კარგი და საამაყო ჰქონდათ ერთად მოღვაწეობისას.

23009. ბედნიერებას კი არ ელოდებიან, არამედ ჭკუის შესაძლებლობის შესატყვისად ეძებენ.

23010. ენერგიული ნაბიჯებით სიარული და ადგილის ტკეპნა მაინც წინწადგმული ნაბიჯია.

23011. თავს დატეხილ ბოროტებას, უბედურებას, უგვანობას გამოსწორება სჭირდება და არა თავშიცემა და თვითგვემა.

23012. ყოველი ქმედება, მცდელობა, შემართება, რასაც ცხოვრებაში ვიყენებთ, პოლიტიკაა, იმისდა მიუხედავად, ეს ქმედება მოგვწონს თუ არ მოგვწონს.

23013. ლექსების წერის სურვილი მცდელობას, ნიჭს არ ემორჩილება. აქ მთავარია, ამ დროს განგება რა ხასიათზეა.

23014. საკუთარ ბედთან შერკინებას, საქმის მოკვარახჭინებას ყველა თავისი გადასახედიდან ფიქრობს და ცდილობს.

23015. სიყვარული განუსჯელი ფენომენია და მისთვის კრიტიკა მიუღებელია.

23016. კარიერას ბედი გვიკარნახებს და არა ჩვენი მცდელობა.

23017. ბედნიერება ბედის გაღიმებაა, მაგრამ ის სულიერების სრულყოფისთვის საკმარისი მაინც არ არის.

23018. საუბარია ის, როდესაც შენს აზრს ითვალისწინებენ და განსჯიან, ხოლო ყბედობაა, როდესაც ყველა ლაპარაკობს, ერთმანეთს არ უსმენენ და ერთმანეთის აზრი ფეხებზე ჰკიდიათ.

23019. ბედნიერება მწუხარების და სიხარულის შერწყმის თანდაყოლილი ცოდნაა.

23020. ოჯახი თავისებური სამსახურია, რომელიც ყოველდღიურ

ზრუნვას, დაცვას, დიპლომატიასა და სხვა რაღაცას მოითხოვს. შედეგად რა სახის ბედნიერება შეგრჩება სიბერეში – ეს უკვე განგების ნებაა და არავინ უწყის.

23021. თავისუფლება უწინარეს ყოვლისა, გარკვეული თვალსაზრისია საკუთარი თავის შესახებ.

23022. ზოგს სხვათა სწავლა-განათლებაზე ზრუნვა იმად სჭირდება, რათა თავად უკეთ წარმოჩნდეს.

23023. პოლიტიკოსის უპირველესი ვალდებულებაა, დაარწმუნოს საზოგადოება თავისი გადაწყვეტილების სამართლიანობაში, და არა ავტოროტარიზმი, რომელიც ბოლოს, შედეგის მიუხედავად, მაინც კრახით მთავრდება.

23024. ალღოს უქონელი პოლიტიკოსი თვადაჯერებული ყბედია და მეტი – არაფერი.

+23025. მტერი ფეხებში გიყურებს, რომ არ გაექცე, ხოლო მეგობარი – თვალებში, რათა ერთმანეთს გადაეხვიოთ.

23026. ავადმყოფურ ამბიციებს, რომლებიც საზოგადოების დაყოფა-დაპირისპირების საფუძველი ხდება, უნდა ვუმკურნალოთ ფსიქოთერაპიული საშუალებით. მას ქართულად ალიყურის ჭმევა ჰქვია.

23027. სიყვარული სანატრელი ავადმყოფობაა, რომლითაც დაავადებას ყველა ჩვენგანი ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ მაინც ნატრულობს.

23028. ადამიანის უმთავრესი სურვილია, საზოგადოებაში წარმოჩნდეს და არა ის, რომ სხვას აჯობოს.

23029. ოცნების ხშირ-ხშირად გადასწორება ჩვენი მახსოვრობის უუნარობის მაჩვენებელია.

23030. პოლიტიკოსის უმთავრესი დანიშნულებაა, პიროვნებას ქვეყნისა და ხალხის რწმენა არ დაუკარგოს.

23031. ადამიანის მეობა გემივითაა – ზედმეტი ტვირთი დაძირავს.

23032. თუ თავს ვკიცხავთ, ხშირად იმად, რათა თავი სხვას მოვაწონოთ.

23033. დემოკრატიას აქვს ერთი დიდი ნაკლი: ის თავშესაფარი ხდება ხელმოცარულების, ნაძირლების, ავტოკრატების, აუტისტებისა და სხვა ათასი ვითომდა მოაზროვნე უსაქმურებისა, რომლებიც თითქოსდა ხალხის ინტერესების დასაცავად იბრძვიან, სინამდვილეში ამ სახის საქმიანი უსაქმურობით თავსაც ირჩენენ, ცნობადებიც ხდებიან და კარიერასაც იწყობენ.

23034. ქართველებს სიტყვიერად ისე მოჭარბებულად გვიყვარს სამშობლო და ერთმანეთი, რომ ხშირად მზადა ვართ, ამ „სიყვარულით“ ერთმანეთი გავგუდოთ.

23035. სიხარული, სიყვარული და კაცობის ნიჭი, სამწუხაროდ, აფ-

თიაქში არ იყიდება.

23036. ენის მიტანა ცოდვაა, მაგრამ დაზღვევა-დაზვერვის თანამშრომლებს ცოდვად არ ეთვლებათ.

23037. ისტორიას დრო ქმნის ადამიანთა უნებლიე და გაუაზრებელი მონაწილეობით.

23038. უღირსსა და ღირსეულს ადამიანი აფასებს და არა ბუნება.

23039. შვებულება და მივლინება თითქმის სინონიმებია, პირველი პასიურ დასვენებას გულისხმობს, მეორე – აქტიურს.

23040. გაუმაძღრობას საზღვარი არ აქვს და ეს უფრო „პროფესიის“ გათავისების შედეგია, ვიდრე შინაგანი ბუნებისა.

23041. ნობელის პრემიის ყველაზე დიდი ღირსება ისაა სამყაროს წინაშე, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ღირსეული შვილები დროულად გააცნოს სამყაროს და მის ღირსეულ შვილებს.

23042. სხვაზე სულიერად ზრუნვა საკუთარ თავზე ზრუნვის ტოლფასია.

23043. თუ ეჭვი გეპარებათ გემოვნებაში, მაშინ ფრთხილად იყავით შეფასებაში.

23044. ასაკის მატება იდეალური ქალის ძებნის ხასიათს გვიკარგავს და არსებულიც საუკეთესოდ გვეჩვენება.

23045. ნამდვილი ქალია ის, ვინც მამაკაცს აიძულებს, მისთვის ბოლომდის გაუცნობიერებელი საგმირო საქმე ჩაიდინოს.

23046. თავის განწირვას გვაიძულებს რწმენა, ქვეყნის უზადო სიყვარული და გარდაუვალობა.

23047. გმირს უპირველეს ყოვლისა თავისი ხალხი უნდა უყვარდეს, შემდგომ კი – მხარის ამბმელი.

23048. სამშობლოს გულით იცავენ და არა იდეოლოგიითა და გონებით.

23049. ქვეყნის ავ-კარგში ყველა ჩვენგანი ვმონაწილეობთ, სურვილის მიუხედავად.

23050. სიღარიბე დეპრესიისა და უცოდველობის გამო წყრომის დაწყების საფუძველია.

23051. ადამიანის ბოლომდე შეცნობა შეუძლებელია, რადგან ის მიკროკოსმოსია. მიკროკოსმოსი კიდევ მაკროკოსმოსზე რთულია.

23052. პოლიტიკოსს ოცნების უფლება აქვს, ოღონდ არა ვირტუალური გარემოს შემოთავაზებისა.

23053. წარსული სასიამოვნო წუთების გასახსენებლად და თავის წარმოსაჩენად გვჭირდება და არა სიმართლის დასადგენად.

23054. ვნებულ ხორცს მატლები ხრავენ მიწაში, ხოლო ნეტარი სული ზეცაში მოგზაურობს.

+23055. რწმენა პურს ხორცად აქცევს, ღვინოს – სისხლად,

უგუნურებს კი ვერაფერს უხერხებს.

23056. უანბანოდ არც სამყარო შედგებოდა დღევანდელი სახით და არც ადამიანი განვითარდებოდა.

23057. ადამიანის გონებაც ამინდივითაა: ხან წვიმს, ხანაც სიცხეა, და მისი ბოლომდე ნდობა არ შეიძლება.

23058. ადამიანის სულის გაბახებას ყველა საშუალებით უნდა ვებრძოლოთ.

23059. გული გონიერებას ებრძვის, მაგრამ ყოველთვის ვერ სჯობნის.

23060. ომის გარეშე გენიალობა ვერ წარმოჩინდება, ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველად გახდომა ვერ მოხდება.

23061. რწმენა იდეოლოგიის შედეგია, ხოლო იდეოლოგია რწმენას ყოველთვის ვერ ეგუება.

23062. არაყთან შეხებას ყველაზე მეტად მცირე ტვინის მქონენი ვერ იტანენ.

23063. ბოროტების ძმად უგუნური ხელისუფლება მოიაზრება და აუტისტი ამომრჩევლი.

23064. ექიმს გულგრილობის უფლებაც არ აქვს, არათუ შეცდომის დაშვებისა.

23065. საკუთარი თავის ოპონირებამ ბედის გაღიმება იცის.

23066. სამართლიანი და ადამიანური მოთხოვნები ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებას ხელს უწყობს.

23067. რწმენა ბევრ სულიერ და ხორციელ დაავადებას შველის.

23068. „ადამიანის ჩანგალი“ აირჩევს საქმეს საკეთებლად და, ტვინი რას უკარნახებს, უცნობია.

23069. რამდენიც უნდა აქონ შენი სამშობლო, შენთვის მაინც ცოტაა, რადგან პატრიოტიზმის განტოლება ყოველთვის როდი ექვემდებარება ამოხსნას.

23070. ბედი ხშირად იმასაც გვაკეთებინებს, რაზედაც ადრე არც გვიფიქრია და წარმოდგენაც არა გვქონია.

23071. ტყის სულს უპირველესად მისი ფლორა, ფაუნა და წყაროები ქმნიან.

23072. კეთილმოწყობილ უმდიდრეს ქვეყნებშიც რატომღაც უუფლებო იურისტებს აყეფებენ და ამით სამართლიანობის მითსა ქმნიან.

23073. აწმყო უმადურია.

23074. ბედნიერება მუდმივი არაა და ამას იმთავითვე უნდა შევეჩვიოთ, რათა ბედის „მოულოდნელმა“ სიმუხთლემ მიწასთან არ გაგვასწოროს.

23075. რაგბი იმ მამაკაცთა თამაშია, რომლებსაც თავი მარად ჯიუტი ბიჭები ჰგონიათ.

23076. სინდისს, რწმენას, პატიოსნებას წესიერ საზოგადოებაში პენსია არ ემუქრება.

23077. გენიოსი მეტ-ნაკლებად თავისი დროის გაუგებარი ბრიყვია.

23078. ადამიანი მარად უკეთეს ცხოვრებაზე ოცნებით იღვწის და იწვის.

23079. დროა „მომეცის“ ნაცვლად „მოგვეცი“ ვისწავლოთ, ურთიერთთანადგომით, ურთიერთგაგებით, ხელების დაკაპიწებით და გონის მოხმობით..

23080. მეგობრობის გაწევა უფრო ძნელია, ვიდრე მეგობრის ყოლა.

23081. უნიათობა, იმედის გაცრუება და სიდუხჭირე იწვევს ყოველგვარ რევოლუციას, ბუნტსა და აშლილობას.

23082. მლიქვნელობა ზემდგომისთვის იგივე კვანტის გამოკვრაა, ოღონდ უჩინარი.

23083. ბავშვზე ცუდად მოქმედებს, თუ დედა ვერ უგებს და მის ამბიციებსა და კაპრიზებს სიყვარულით არ ეკიდება.

23084. ზოგს სასჯელაღსრულების უგუნურება აყალიბებს, როგორც პოტენციურ რეციდივისტს და ეს დიდად არავის აწუხებს.

23085. სიბერეს ერთი უტყუარი თავის შესაქცევი აქვს – სასიამოვნო ოცნებით გამდიდრებული მოგონებები.

23086. გრძნობით მომღერალ გულს სიტყვები არ სჭირდება.

23087. პრობლემებს არ ეთამაშებიან. მათ ებრძვიან და უგვანო პოლიტიკოსებს ახლოსაც არ აკარებენ.

23088. საფუძვლიანი უარის თქმა უფრო ადვილია, ვიდრე უსაფუძვლო თანახმობა, თუმცა საბოლოოდ ერთიც ავიწყდებათ და მეორეც.

23089. ოცნება მოუთოკავია და მით უფრო მეტი თავხედობაა, რაც უფრო მეტ ისტორიულ პირს ეცნობი.

23090. ნდობის კრედიტი ადამიანს ზოგჯერ გაუკეთებელს აკეთებინებს.

23091. ადამიანებს ერთმანეთი ხშირად გარემოებათა გამო გვიყვარს და არა იმიტომ, რომ ასეთი კარგები ვართ და უჩევნოდ ცხოვრება წარმოუდგენელია.

23092. რაც იყიდება, მათშიც კი ზოგი რამ არ უნდა გაიყიდოს, თუ გვინდა ადამიანობა შევინარჩუნოთ, საზოგადოებად დავრჩეთ.

23093. ადამიანის დიდი ნაკლია, თუ ის ფართო მოხმარების ყბედია და პასუხისმგებლობას არაფერზე არ იღებს.

23094. ადამიანმა ღმერთი თავისი ღვაწლით უნდა ადიდოს და აქ მოჩვენებითობა საკუთარი თავის წინაშეც დანაშაულია.

23095. ადამიანი მთელი ცხოვრება ცდილობს, შეამჩნიონ, დაიმახსოვრონ, პიროვნებად აღიქვან და არა ჩვეულებრივ მოკვდავად.

23096. გაბრაზებული ადამიანი იმასაც ამოანთხევს, რაც არ უნდა

ეთქვა, და იმასაც, რაზედაც ადრე არ უფიქრია.

+23097. როდესაც თავისუფლებას მოვითხოვთ ადამიანის სახელით, რატომღაც არა ვკითხულობთ, რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ ადამიანის სახე შეინარჩუნოთ.

+23098. დედამიწა ჩვენი ცნობიერებისთვის თანდათან პატარავდება, მაგრამ ადამიანურ ღირებულებათა სიდიდე იგივე რჩება.

23099. ადამიანის უმეტესობა საკუთარი თავის კმაყოფილია. სინამდვილეში პირიქით უნდა ყოფილიყო.

23100. ადამიანს გაცილებით მეტის გაცნობიერება უნდა, რაც ამქვეყნად სჭირდება, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ იმქვეყნად ვერაფერს წაიღებს.

23101. ადამიანთა უმრავლესობა უფრო მეტად სიტყვისთვის ირჯება, ვიდრე საქმისთვის.

23102. საზოგადოება თავისი განვითარების ლოგიკით იღვწის.

23103. ჰომოსაპიენსსა და ადამიანს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ცხოველური ინსტინქტებით მოქმედებს, მეორე ამ ინსტინქტებს აზროვნებასა და გამოცდილებასაც ახმარს.

23104. გაავების ჟამს ადამიანის გაკიცხვა ადვილია, მაგრამ, ისიც რომ განგების შვილია, ამის შეცნობაა ძნელი.

23105. ყბედობა, ჭორაობა, უაზრო ლაპარაკი ადამიანთა უმეტესობას აახლოებს, ახალისებს და აზარმაცებს.

23106. მშობლისა და შვილის ურთიერთობას ასაკი არ აქვს.

23107. ადამიანი პასუხს აგებს არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ ირგვლივ მყოფებზეც, სადაც მას უხდება ცხოვრება, მოღვაწეობა, რათა არცერთი მხარე არ გაირყვნეს და გადაგვარდეს.

23108. ადამიანს ხშირად ის აინტერესებს, რაც მას ეხება, მით უფრო, თუ ეს მატერიალური დაინტერესებაა.

23109. ადამიანს თუ უნდა, ამ ყოფის მადლი შეიცნოს, რამდენიმე ადამიანის ცხოვრებით უნდა იცხოვროს.

23110. თუ ადამიანები ურთიერთს არ ამდიდრებენ ცხოვრების გამოცდილებით, მაშინ მათი ურთიერთობა ნაძალადევი და შემთხვევითია.

23111. ცხოვრებას ვერავითარი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება ვერ შეედრება, რადგან აქ სწავლებაც მიმდინარეობს და შრომაც.

23112. ამდენ გადამძღარ და ნასუქ ადამიანს რომ ვხედავ, ვრწმუნდები: ცხოვრების სწორი ორგანიზაციის ვითარებაში მშიერ-მწყურვალი ადამიანების დაპურებას თავისუფლად შევძლებდით.

23113. პიროვნების ღირსებას, წესიერებას ისეთი გარანტიები უნდა შევუქმნათ, რომ მის კეთილდღეობას არაფერი დაემუქროს.

23114. ადამიანს, უწინარეს ყოვლისა, თავისი ინტუიციისა უნდა

სჯეროდეს, შემდგომ – თავისი ცოდნა-გამოცდილებისა.

23115. გონიერი ადამიანი თავი წესიერებით, სამართლიანობით ზოგჯერ უხერხულობაში აგდებს ირგვლივ მყოფთ, მაგრამ სამართლიანი და მოწესრიგებული საზოგადოების აღსაზრდელად ესეც აუცილებელია.

23116. გულმკვდრობას ისევ იმქვეყნად გადაბარგება სჯობს. იქ ღმერთის იმედი მაინცა გვაქვს.

23117. უვარგისი მთავრობა იმ ფშუტე კაკალს მოგვაგონებს, რომლის ქიმიკატებით დამუშავება დროულად არ მოხდა. ასე რომ, ამომრჩეველმა ყოველივე საკუთარ თავს უნდა დააბრალოს.

23118. დედამიწა მშვიდობიანობისთვის იღვწის და ბუნება – თავისი რესურსების რაციონალურად გამოყენებისთვის, მაგრამ ადამიანი ჯიუტობს და ბოლოს ბუნების ძალებს მისი დასჯა უხდებათ.

23119. ადამიანი ბოსელში ცხოვრებას რომ მიეჩვევა, კომფორტული ყოფა ეხამუშება და მას ძნელად ეჩვევა.

23120. უნიათო ქვეყანა მოპირკეთებულ ავტობანებზეც, ძლივს დაბობღავს.

23121. ეშმაკი ადამიანში დასადგურებას ყოველთვის ცდილობს, თუ ამის უფლებას მას ადამიანი აძლევს.

23122. ფულიზმს ყველა ხალხი აღმერთებს, მაგრამ მისი შოვნიზმის ხრეხების გაღმერთებაც უნდა ვისწავლოთ.

23123. სამშობლო მარადიულია, იმისდა მიუხედავად, მასზე განაწყენებულნი მის გაქიაქებას კარგად ვახერხებთ თუ ცუდად.

23124. ადამიანებს სხვათა ცოდვების მონანიების ამბავი უფრო აინტერესებთ, ვიდრე საკუთარისა.

+23125. სათნოება უფრო სიკეთის კეთებას ამჩნევს, ვიდრე ბოროტების ჩადენას.

23126. ადამიანები უსახელო სივრცეთა დაპყრობაში გმირობას იჩენენ და არცთუ უანგაროდ. იმედი აქვთ, ამ უსახელო სივრცეებს მათ სახელებს მიანიჭებენ.

23127. არ შეიძლება, ამდენ გაუთხოვარ ქალს ერთი ჯანიანი მამაკაცი მაინც არ ვარგუნოთ შვილების გასაჩენად და ორცოლიანობა არ შემოვიღოთ, რადგან ეს დანაშაულია ქვეყნის ინტერესებისა და თავად მდედრის წინაშე, რადგან ის დედობისთვის არის გაჩენილი და ოჯახის შესაქმნელად.

23128. მიზანს არ აკონტროლებენ. მას აღწევენ და არ განსჯიან.

23129. პესიმისტსა და ოპტიმისტს ცხოვრების საწყის ეტაპზე იმედი, ოცნება და მცდელობა სხვადასხვა აქვთ.

23130. სიყვარულიც აზროვნებას მოითხოვს, ამ სივრცეში გულისა და სულის გაბატონების მიუხედავად.

23131. ლაპარაკი სხვებსაც უნდა ვაცადოთ, რათა დაფიქრების შედეგად მტყუან-მართალი გაირკვეს.

23132. ღვინოსაც ღვთის სადარი მოქცევა-მოწიწება შეჰფერის, მაგრამ მის მოყვარულთ ეს არ აღელვებთ.

23133. ყოველივე ამაღლებული შთაგონების გვერდით სულიერად შემართულ დგომას მოითხოვს.

23134. ეგოიზმსაც აქვს თავისი გამართლება და მიმზიდველობის ძალა. გააჩნია, რა მხრიდან შევხედავთ.

23135. სულელი არ აცხადებს სულელი ვარო, ხოლო, თუ აღიარა, მაშინ ის სულელი აღარაა.

23136. ტრიუმფი და იმედგაცრუება ყველა ნიჭიერის თანხვედრი მოვლენაა, ოღონდ იმედგაცრუება თავშეკავებით უნდა გადავიტანოთ.

23137. ანგელოზების ადგილი, მართალია, ხელისუფლებაში არ არის, მაგრამ მით უფრო არ არის ნაძირალების თავშესაფარში.

23138. საკუთარი ამბიციების, შესაძლო ღალატის, შურის მოთოკვა საკუთარი თავისა და სხვათა შეცნობის უმთავრესი ალგორითმია.

23139. მუსიკალურ პაემანს ყველა მსახიობი ვოკალისტი თავის ძველ და შესაძლო ახალ მაყურებელს,თაყვანისმცემელს უნიშნავს, ოღონდ კვლავ თავის წარმოსაჩენად და ფულის შოვნის იმედით.

23140. ყველაზე ცუდი და საშიში ამომრჩევლები არიან „ბოტანიკი“, „ბალოტა“, „აუტისტი“, რომლებიც თავიანთ უმწიფარ პრინციპებში ვერ გარკვეულან, სხვათა დაბნევას ცდილობენ და, ხმას რატომ აძლევენ ამა თუ იმ კანდიდატს, თავადაც არ უწყიან.

23141. ყოველივე დანგრეულია, აღდგენა შესაძლებელია, გარდა დანგრეული სიცოცხლისა, რომლის მნგრეველნი თავადვე ვართ.

23142. შენი ინტერესების შეზღუდვა საკუთარი უნიათობისა და უცოდინარობის მომასწავებელია.

23143. ესეც კომპრომისია: თუ შენ მასზე ტყუილს არ იტყვი, ის შენზე სიმართლეს არ ილაპარაკებს.

23144. სიბრძნე თავმდაბალია, მაგრამ თავი დამაჯერებლად უჭირავს.

23145. გულში ხშირ-ხშირად უნდა ჩავიხედოთ, რათა გონი არ გავაწბილოთ.

23146. ხშირად გამოცდილება მაშინ მოდის, როდესაც დაგვიანებულია და ასაკიც მხარს არ გვიბამს.

23147. სამწუხაროდ, ნიჭისა და ინტელიგენციის კოლექტორები არა გვყავს, ბანკებისაგან განსხვავებით, და ეს საქმიანობა ინტერნეტს უნდა დავავალოთ.

23148. სიცოცხლე მოსაბეზრებელია მაშინ, თუ ხელით სათრევია და თავის გაფხეკილ ტყავშია შესაფუთავი.

23149. მოყვასს მაშინ უნდა ენდო, თუ შენში უპირველეს ყოვლისა პიროვნებას ხედავს და გაფასებს, შენ კი მასში – თავმდაბლად ადამიანსა და საქმის ერთგულს.

23150. ჭკვიანების ზეიმზე უმთავრესად სულელები იკრიბებიან, იმის ცოდნის მიუხედავად, რომ აქ სათავისოს ვერაფერს გამოთხრიან.

23151. ბოროტების საწყისი ხშირად შინაურებშია საძებნი და არა გარეულებში.

23152. სულელისათვის პასუხის გაცემა და შელაპარაკება თავისებური სისულელეა.

23153. სულმდაბლობა და მედიდურობა ერთმანეთს თავს არ უყადრებენ, მაგრამ ურთიერთს ანგარიშს უწევენ.

23154. ზოგჯერ კაციჭამიებისაგან ქების დამსახურებაც გასახარია, რადგან თქვენ უკვე დიპლომატი ხართ.

23155. გლობალიზაციის გონიერება იქნება, თუ ქვეყნების ეროვნულობას არ შეეხება და მას ძველებურად წარმოაჩენს, რისი იმედიც არა გვაქვს.

23156. რევოლუციას ახასიათებს ძალადობის კულტი და არა კულტურა.

23157. ზოგჯერ ჩვენთვის ყოვლად მიუღებელმა იცის შემოღოღება და ხშირად ეს უგუნურებაა.

+23158. „წყალწაღებული“ ხავსს ეჭიდება, ხოლო აზრწაღებულს ხელის წავლება არაფერზე სურს.

23159. ცნობიერებას არაცნობიერი მარად კრიჭაში უდგას და, რატომ, თავადაც ვერ გარკვეულა.

23160. დაგვიანებული ყოველთვის კარგი არ არის, მაგრამ „არასოდესს“ მაინცა სჯობს.

23161. მეფობას თავის დროზე „მეფე ზარბაზანიც“ იბრალებდა, მაგრამ უსაქმურად ეგდო თავის ლაფეტზე.

23162. შარის აკიდებაც შესაძლებელია და არაკიდებაც, გააჩნია, რომელ ფეხზე ხარ ამდგარი და რა ხასიათზე დგახარ.

23163. იმის ნაცვლად, შინაურს მოვეფეროთ და სასიკეთოდ დავმოძღვროთ, გადამთიელთა მოფერება და მათთვის თავის მოწონება გვირჩევნია.

23164. გულის შიში და სულის გადაკეთების მცდელობა უმადურობამ, დაუფასებლობამ და შურმა იცის.

23165. სიბრიყვე ჩვეულებათა მოვარაყებული ხონჩაა.

23166. ზეციური ანგელოზების დრომ ჭირი მოგვჭამა, რადგან დღეს ანგელოზებიც მატერიალურ საფუძველს დაეძებენ.

23167. ხვალ პირადობის მოწმობის „ჩიპს“ შუბლზე დაგვიმონტაჟებენ და ისე დადგენენ, შუბლის ძარღვი გაწყვეტილი გვაქვს თუ არა.

23168. თეორიულად ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს, მაგრამ პრაქტიკულად ეს ძნელად ხდება.

23169. მტრების ყოლაც შეიძლება თავის შესაძახებლად და წარმოსაჩენად, თუ მათ გონივრულად წარმოვაჩენთ და გამოვიზოგებთ.

23170. შარი, შური, შუღლი ზოგი ადამიანის მუდმივი თანამგზავრია.

23171. ნდობა თუ დადებითი თეორემაა, მაშინ ღალატი ამოუხსნელი განტოლება იქნება.

23172. საკუთარ თავზე განგებ მოგონილი ტყუილი სიცოცხლეს გვმატებს, მოგვიანებით მისი გამჟღავნების მიუხედავად.

23173. გულმა რომ სიამით „იჭრიჭინოს“, ისიც თავის გულის ქარს უნდა გადაეყაროს.

23174. გულგრილობა ყოველი დანაშაულის და უგუნურების საწყისია, თუ ჩვენს ცნობიერებაში ფესვებს გაიდგამს.

23175. სიცრუის თანადგომის სურვილი ავადმყოფობაა და მას მკურნალობა, ზოგჯერ ხელის გამოღება სჭირდება.

23176. „შენი ჭირიმე“ სასიამოვნოდ ჟღერს, მაგრამ ყველამ თავის ჭირს უნდა მოხედოს.

23177. უნიათო ხშირად თავის კარგს სხვის საეჭვოსა და რეკლამირებულს ამჯობინებს.

23178. მარიონეტული მადლი კვადრატში, კუბში უნდა მოვიფიქროთ. იმდენად დიდია მათი შესაძლებლობათა მადლი.

23179. ზოგი, ქერის ორმოში ჩავარდნილი, გვირაბის გათხრასა და ქერის შევსებას ცდილობს, ხოლო იქიდან ამოსვლაზე არ ფიქრობს.

23180. არეული არც გრძნობები უქნია ღმერთს, არც ჩვენ მიერ უდროოდ მიტოვებული სუფრა.

23181. როცა მაწანწალა ძაღლები დაძრწიან და მაწანწალა ბავშვებიც გამოჩნდებიან, ეს ყველას სირცხვილი და თავის მოჭრაა.

23182. საკუთარი სულის „მეფისტოფელს“ ყველა ჩვენგანი ჩუმად ეთაყვანება.

23183. ცა ზოგჯერ უღრუბლოდაც ცრემლებს ყრის, როცა სულიერების გაფართოება სწადია.

23184. ყველა რევოლუცია არარენტაბელურია, დამღუპველია. მას მოთმინება სჯობს, თავის მოქაჩლება, წინჭვრეტა, ახალი პოლიტეკონომიკური ტექნოლოგიების დანერგვა.

23185. სიკეთის კეთებასაც ჟუჟუნა წვიმა სიამოვნებს და მაშინ სისველეს ვერ გრძნობს.

23186. სტრასბურგის სასამართლო დღეს განტევების ვაცის როლში გვევლინება, ნერვებს გვიშლის, მაგრამ ადგილობრივი სასამართლოს მიერ გამოტანილ შედეგზე დიდ გავლენას ვერ ახდენს.

23187. მარტოსულობა მარტოობის დღესასწაულის ეშხს ვერასოდეს ჩასწვდება, რადგან ის მძაფრი სულიერი ღელვით გადაღლილი არასოდეს ყოფილა.

23188. ადვოკატს თავისი ხელოვნება ვერაგობასთან აქვს შერწყმული, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მომსახურება არავის დასჭირდებოდა.

23189. ოპტიმიზმი სულიერების მამოძრავებელი ძალაა.

23190. ყველანი განგების მასხარები ვართ. აქ მთავარია, ბედი როლებს როგორ გაგვინაწილებს.

23191. სიკეთის კეთება არასოდეს არაა დაგვიანებული, იმისდა მიუხედავად, ამას გაგიგებენ თუ არა.

23192. ყველა სახის სინდისიერებამ ბიძაშვილებს პატივი უნდა მიაგოს.

23193. ჩვენი შემყურე დრო რას გვიმზადებს, არავინ უწყის.

23194. ის, რაც სულიერებას ახარებს, ხორციელებისთვის ყოველთვის სარგებლის მომტანი როდია.

23195. უცნაურობანი სამყაროში ჩვენს ყოფნას ზოგჯერ ალამაზებს კიდეც.

23196. სიკეთის აღება ყველგან შეიძლება, სადაც არ უნდა იდოს ის.

23197. ცხოვრების ინტერესის დაკარგვა უდიდესი დანაშაულია, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ.

23198. სულიერი სიახლოვე ყოველგვარი ნიღბის საჭიროებას გამორიცხავს.

23199. მიცვალებულთა სულებიც ჯანყდებიან და უკან ბრუნდებიან, თუ მათ წინაშე ცოდვები გაქვთ ჩადენილი.

23200. თემიდის სასწორი ვექილისა და პროკურორის შესაძლებლობებს წონის და განაჩენი ისე გამოაქვს.

23201. დღეს არც ფიზიკოსები არიან მოდაში და არც – ლირიკოსები, რადგან ყველაფერს ფული მიეკედლა და გააუფასურა.

23202. სიცოცხლის ხარისხს ყოფიერების ჯამი აჯამებს და განსჯის.

23203. სულიერად გაღარიბება კაცის ყველაზე დიდი უბედურებაა, რადგან იმედიც დაკარგული აქვს და ოცნების უნარიც აქვს წართმეული.

23204. საკუთრებასაც ნათლობა სჭირდება და აქ ნათლია ნოტარიუსია.

+23205. წესრიგის დამყარება ზომა-წონის დაცვასაც მოითხოვს.

+23206. სიკეთის კეთება ყავლგასული და დაგვიანებული არასოდესაა.

23207. მოძრავი თავი ტანსაც აიძულებს, სულიერების სასიკეთოდ იმოძრაოს.

23208. სული გარდაუვალობის წინაშეც კი უკან არ იხევს და არ ნებდება.

23209. გენერალური რეპეტიციით არც ქვეყანა იმართება, არც მორიგი სპექტაკლი იდგმება.

23210. სიმართალს იმდენი ძალა არ შესწევს, რამდენიც მოსამართლეს.

23211. ზოგჯერ სამართლის დაუფლების სურვილი მოჭარბებული ვნების მოთხოვნაა.

23212. სულიერებასაც თავისი არისტოკრატია ჰყავს, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

23213. სიზმარს ყველა ხედავს, მაგრამ მისი შეცნობა და სათავისოდ გადათარგმნა ჭირს.

23214. კანონი კანონიერების აღსრულებას უპირველეს ყოვლისა კანონმდებლობისაგან მოითხოვს ოპონენტების, ვექილის მონაწილეობით.

23215. კანონის პატივისცემა სამართლიანობის შეცნობაა, ჩვენი სინდის-ნამუსის მომასწავებელია.

23216. სამართლიანობის უმთავრესი ნებაა კანონის უარუთქმელი მორჩილება და აღსრულება, იმის მიუხედავად, მოგვწონს თუ არა დროის და გარემოს შესატყვისად.

23217. ზოგს „ქაქი“ ხასიათი ახრჩობს და ეგ სისხლის მჩქეფარება ჰგონია.

23218. ქალებს ყოველივეს წარმოება და შექმნა შეუძლიათ, მაგრამ კაცები არ ანებებენ და სამარცხვინოდ არ ხურდავდებიან.

23219. სიმშვიდის შეგრძნებაც სულიერების თანდაყოლილი ნიჭია.

23220. სიტყვით ყველაფერია შესაძლებელი, თუ ნამუსიც ზედ წააკალი.

23221. სიცოცხლე სასიამოვნო თავის ტკივილია, თუ ყოფიერების მადლს შეიცნობ.

23222. სინდისი ადრე თუ გვიან ხელიდან წასულ ნაძირალაშიც კი იღვიძებს. მისი ძალაც ესაა.

23223. ბედნიერია მაყურებელი, როდესაც ყველა ნაძირალა სცენაზე ყრია და კარგი ხალხი დგას. ესე იგი, სიკეთე იმარჯვებს, მაგრამ სინამდვილეში ხშირად პირიქითაა.

23224. სიცოცხლეს სიკვდილზე ფიქრი აფასებს, აფიქრებს და სულიერებასთან ერთად გონებას უხსნის.

23225. ორატორულ ნიჭთან ერთად სულიერებას გალაღებაც სჭირდება.

23226. კანონებთან უნიათო თამაშს იწვევს კანონიერების დიქტატურის გაუკუღმართება.

23227. ზოგჯერ ლიბერალიზმი რეალობის შეცნობის უნარმოკლებულ ადამიანთა სულის გამოძახილია.

23228. სიმართლის თქმას ყოველთვის სასურველი შედეგი არ მოაქვს – ვიღაც უკმაყოფილო რჩება როგორც ამქვეყნად, ისე იმქვეყნად.

23229. უგუნურად ქცევა სულიერების თავისებური გარყვნაა.

23230. ძლიერი გრძნობები სხვასაც აიძულებს, ჩვენს გრძნობებს პატივი მიაგოს და შენი მეობაც შეიცნოს.

23231. ქალმა, პირველ ყოვლისა, ქალური ბედნიერება უნდა აირჩიოს, რასაც დაოჯახება და შვილების გაჩენა ჰქვია.

23232. სინდისიც თავისი მატერიალური ღირებულებებით იკვებება, რომელსაც მშვენიერების დაგემოვნების უნარი ჰქვია.

23233. აზრიანი ცხოვრება და მოღვაწეობა ნანატრი სიცოცხლის ტოლფასია.

23234. სინდისს არ ასამართლებენ. ჩვეულებრივ მის განსჯა-შეხურებას ცდილობენ.

23235. ჩვენ იმ „ტრაკაწეულ“ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, სადაც სულიერების შენარჩუნება ჭირს.

23236. შემოქმედება უპირველეს ყოვლისა სიხარულის მომნიჭებელია, შემდგომ მოდის დაფასება და ფული.

23237. სიჭაბუკისა და სიბერის ბრძოლის ველი მათი სულიერებაა, შემდგომ მოდის გამოცდილებათა ჭიდილი და ურთიერთ ნიშნის მოგება.

23238. მისხალ-მისხალ აწონილი სიხარულის გაზიარება თავისებური ბედნიერებაა.

23239. სასაუბროდ გონიერების ისეთი კარი არ უნდა შეაღოთ, რომლის აზრობრივად გაგება გაგიჭირდებათ.

23240. მასა ბუნებით ალალი და მიმნდობია, ოღონდ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, ამბიციურია.

23241. რისკებისა და სარგებლის შესაძლებლობები დამოკიდებულია იმაზე, თუ გონიერებას დროისა და ბედის ყივილს რარიგად მოვარგებთ.

23242. იცხოვრო იმისთვის, რომ მხოლოს იარსებო, სიცოცხლის გაცდენაა.

23243. სამართლიანობის დასამყარებლად და ქვეყნის გასაძლიერებლად გადასახადი ყველამ უნდა გადაიხადოს და საკუთარ შესაძლებლობათა შესატყვისად იცხოვროს – დამსახურებით და არა მოთხოვნა-მათხოვრობით.

23244. სიმართლესაც თავისი ჯანსაღი ფესვები უნდა ჰქონდეს, რათა მისი ზორბა ტანი წარმოჩნდეს.

23245. ფილოსოფოსობა ყველა დარგში შესაძლებელია.

23246. ცინიზმიც კი თავისი მომხიბვლელობისა და უპირატესობის წარმოჩენას ყოველთვის ურიგოდ ცდილობს.

23247. საუკუნის ქარის ქროლვის ძალა თანამედროვეობამ დროულად უნდა იგრძნოს და სასიკეთოდ გამოიყენოს.

23248. სიმართლე თავხედია, მაგრამ ტყუილი მაინც არ ეპუება, ზოგჯერ იმდენად აუცილებელია მისი ზემოქმედება.

23249. ყველა დროს თავისი ზნე, ხასიათი აქვს და თავის ჭკუაზე გვატარებს.

23250. სულიერებამ თავისი ჰარმონიულობა ყოფის ალგორითმებთან შეჭიდებით უნდა გადაამოწმოს.

23251. ზოგიერთი აღმოჩენა, ერთი შეხედვით, დიდი სულიერებისა და მისთვის მისაღები აზრების „გაბლატავების“ შედეგია.

23252. ყოველგვარ სულიერებას არისტოკრატიზმი ახასიათებს და შინაგანად ის უჟანგავი ლითონივითაა.

23253. სულიერების გარეშე ცხოვრება უღმერთოდაც ჭირს და სარწმუნოებასთან ჩახუტებითაც.

23254. დრო-ჟამი, რომელსაც ჩვენთვის სასიკეთოდ უნდა ემუშავა, თუ წარსულს ჩაბარდა, მას ბიშტი დროულად უნდა უჩვენოთ.

23255. დროის უკულმართობით განწირულმა ადამიანმა თავს ჭკუის მოხმობით უნდა უპატრონოს.

23256. რომ იცხოვრო და სხვაც კარგად აცხოვრო, ამას გენთან, ნიჭთან ერთად დროის მიერ ხელის შეწყობა სჭირდება.

23257. ნამდვილი, ხალასი ნიჭი თითქოს ყველა შემოსავალზე მეტია, მაგრამ პრაქტიკულად მასაც ალალი სპონსორი სჭირდება, რათა წარმოუჩენლად არ დაიკარგოს, არ გაქრეს.

23258. ადამიანის შეცოდება მისი ავი ქმედების გამო შესაძლებელია, მაგრამ კანონის წინაშე პასუხისგება აუცილებელია, რათა შემცდარ ადამიანთა რაოდენობა არ გაიზარდოს.

23259. სევდა სულიერების სანელებელია, რომელიც გონიერებას თავისი გადასახედიდან უხმობს.

23260. ადამიანად ყოფნის დამტკიცებას შენი განვლილი ცხოვრების ანალიზი სჭირდება.

23261. სიყვარულისა და სიძულვილის ცეცხლი ყოველგვარ წინააღმდეგობას გაუძლებს.

23262. სიმართლისა და სამართლის მაძიებელ შემოქმედს პოლიტიკაზე ამოფარება არა სჭირდება.

23263. სიტყვაა ყველაზე მეტად ჩვენი თანამგრძნობი და ჩვენთვის მხარის ამბმელი.

23264. მეხსიერება ბევრ რასმე ივიწყებს, თუ არ სჭირდება.

23265. მოვა დრო, როდესაც ჩვენს უნებლიე გადაცდენებსაც კი სიამოვნებით გაიხსენებენ.

23266. მოგვწონს, არ მოგვწონს, ქვეყნის სიძლიერე ერთი პიროვნების ნიჭსა და დროჟამზეა დამოკიდებული და არა კოლექტიურ მმართველობაზე.

23267. იდეოლოგიის ალგორითმში მოთმინება, შემართება და დროის დროული შერჩევაა ჩადებული.

23268. ზნეობა-უზნეობას დროის განზომილება აკონტროლებს და მათ საზღვრებს ადგენს.

23269. ხასიათს მისი საოცნებო ამბიციები გამოავლენს.

23270. არც ისე იოლია ჭკვიანი გამომეტყველებით სიარული და საკუთარი თავის ჭკუით გამოტენილად მოჩვენება, როგორც ეს ზოგიერთსა ჰგონია.

23271. ყოველივეს დამახსოვრება უნდა, მათ შორის სულიერ განცდებსაც.

23272. გახუნებული ცნობიერების მქონე კაცის პოლიტიკაში მოსვლა დანაშაულია.

23273. დასახული მიზნის აღსრულებას ჩვენი მცდელობა და განგების მხარდაჭერა სჭირდება.

23274. ცუდის კეთების ჩაფიქრებაც კი გარეშეთა წყენას იწვევს.

23275. წარსული მაშინ მოსწონთ, თუ აწმყო უფერულია.

23276. საკუთარი თავის შეუცნობლობა ყველაზე დიდი ტრაგი-კომედიაა.

23277. მპატიებელი გიყვართ, ოღონდ მაშინ, თუ მას პიროვნებად აღიქვამთ.

23278. ფრიადოსნები და საყოველთაო არჩევნები, მათი რეიტინგის-და მიუხედავად, არც ხეირიან მეცნიერს იძლევა და არც – ქვეყნის მმართველს; მაგრამ, როგორ გინდა ამ საყოველთაო აქსიომის წინააღმ-დეგ წახვიდე; მაგალითად, რომ განაცხადო: მაინცდამაინც სწავლით თავს ნუ მოიკლავთ ან დემოკრატიულად და საყოველთაოდ არჩეულ ხელისუფალს ისევ „უხუცესთა საბჭოს“ მიერ შერჩეული ხელისუფალი სჯობსო.

23279. ისაა გმირი, ვის მცდელობასა და თავგანწირვას რეალური შედეგი მოაქვს და არა უაზრო ყარაჩოღელი და ლიტონი სიტყვებით მოლაყბე.

23280. სხვათა აზრსაც პატივი უნდა მივაგოთ, ოღონდ საკუთარი ინტერესებიც არ დავივიწყოთ.

23281. ჩვენს წილ საუკუნეს მეტ-ნაკლებად ყველა ვემსახურებით, თუ გაგვიმართლა და დრომ ღირსებით გვამსახურა.

23282. აწმყოს ბოლომდის ჩვენი მტერი ენდო.

23283. რეალური კატასტროფა და შიში ხალხს აიძულებს, თავდაუზოგავად იშრომოს და თავი შეინარჩუნოს. რას ვიზამთ, სიცოცხლისთვის ბრძოლის ყველა სიტუაცია ტკბილია.

23284. ბედნიერად გახდომა-ყოფნას ნიჭიც უნდა, მარტო ბედი არ შველის.

23285. ჩვენი წინაპრები ფიზიკურად გაცილებით მეტს მუშაობდნენ, ვიდრე ჩვენ, მაგრამ დღეს სამუშაო გაცილებით მეტი აქვს გონს.

23286. გამოსავალი ყოველთვის არის, გააჩნია მის მძებნელს.

23287. სათადარიგო აეროდრომის ქონის სურვილი ყველა მამაკაცს უნდა ჰქონდეს. ვინ იცის, დიდი ცხოვრება და საყვარელი ქალი რა ხიმანკლობებს შემოგთავაზებთ დროისა და გარემოს შესატყვისად.

23288. ოჯახის და შრომის წინაშე მოვალეობის მოხდა საზოგადოებრივი ვალის მოხდის ტოლფასია.

23289. თავმოყვარეობა ორივე სქესისთვის სავალდებულოა, გრძნობათა ცეცხლოვანების მიუხედავად.

23290. საოცარია, რომ ღარიბები ბავშვების გაჩენას, მრავალშვილიანობას არ უფრთხიან, მდიდრებისგან განსხვავებით, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ მათი გაზრდა გაუჭირდებათ.

23291. ღმერთის აღიარებას უპირველესად აღზრდა სჭირდება, შემდგომ მოდის რწმენის უვერტიურის ათვისება.

23292. აზროვნებას ხასიათი აყალიბებს და არა დროსთან შეჭიდების წადილი.

23293. ზოგჯერ ისეთი სურვილი გვისრულდება, რომელზედაც სერიოზულად არც გვიფიქრია – ესეც ბედია.

23294. გაუცნობიერებელი პოლიტიკა, თვალებდახუჭული დემოკრატია, აღვირახსნილი თავისუფლება, ფეხებზემკიდია მოყაყანე ხელისუფლება, უტრაკო ყარაჩოღელობა, უაზრო აზროვნება, მარად გადამთიელის იმედზე ყოფნა, მტრისა და მოყვრის განურჩევლობა, უმადურობა, მუქთად ფულის შოვნის სურვილი და კიდევ სხვა მრავალი ამგვარი „შემაფურთხე, ვერ მოვიწმინდავ?“ საზოგადოების ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანს, რასაც მომავალში სახელმწიფო გადატრიალებები და რევოლუციები „დააგვირგვინებენ“.

23295. მძლავრი სახელმწიფო სისტემა ყველაფერს დიქტატის ხორცსაკეპში ატარებს, მაგრამ სასურველი „კატლეტები“ ყველას როდი ერგება.

23296. ქართველებს ერთი დიდი ნაკლი გვახასიათებს: მოსმენის უნარი არ შეგვწევს, ხოლო, ვისაც ეს ნაკლი არ ახასიათებდა, ყველა მათგანმა ისტორიაში თავისი ადგილი დაიმკვიდრა, დაწყებული დავით აღმაშენებლიდან იოსებ სტალინით დამთავრებული.

23297. ვეცადოთ, მოყვარეს შევუნდოთ გადაცდენა, ოღონდ რე-

ციდივისტის შენდობა შეუძლებელია.

23298. მოყვარეს მისალმება არ უნდა დავამადლოთ, „სალამ-ქალამი“-მტერს. რა იცით, ამ უკანასკნელის წინაშე გამოჩენილი თავაზი როგორ და რა მხრივ გამოგადგებათ.

23299. ცივილიზაციების ბრძოლა, დაპირისპირება, კონკურენცია საზოგადოებრივი განვითარებისთვის აუცილებელია, ოღონდ ზომიერად, რადგან ყოველივე მოჭარბებული საზოგადოებას მასად გადააქცევს, ხოლო მასის ბრბოდ ჩამოქვეითებასა და დაჩიავებას დიდი დრო არ სჭირდება.

23300. მექსიკური სერიალები – ანუ, ვისი ვიოლინო ვის როიალშია, გაურკვეველია. სამწუხაროდ, ეს გამონათქვამი დღევანდელ პოლიტიკასაც ეხება.

23301. იდეებს, იდეალებსა და ოცნებებს თუ შენზე მზრუნველი თაყვანისმცემლები არ დააფრთხობენ, ესეც ბედნიერებაა.

23302. დანაშაული თუ გონივრულ შეწყალებას ექვემდებარება, ამ დამნაშავიდან, შესაძლებელია, პროვინება მივიღოთ.

23303. ლიდერის ზომაზე მეტად გაფეტიშება ქართული პოლიტიკის აქილევსის ქუსლია.

23304. მავანს ჭკუის მოხმობა თავისი შეცდომების გამოსასწორებლად არ შეუძლია, რადგან ამქვეყნად ის ამ შეცდომების ჩასადენად არის მოვლენილი.

23305. დრო ყველაზე დიდი შურის მაძიებელია ჩვენ მიერ უსაქმოდ გატარებული წლების გამო.

23306. მოთმინება და გონიერება ყოველგვარ საფრთხეს გვერდს აუვლის.

23307. საშინელებაა, როდესაც შენი დრო გასულია, შენი საქმიანობა არავის სჭირდება, იმქვეყნად გადაბარგება გეზარება და დროს აჭიანურებ.

23308. სიავის ჩადენა, ეტყობა, მაინც გენეტიკის პრეროგატივაა და არა აღზრდისა.

23309. ქვეყნის რეალურ განვითარებაზე ყველაზე ცუდი წარმოდგენა ამომრჩეველს აქვს. ამიტომაცაა, მოგვიანებით ხარკს რომ უხდის თავის ამ უნიათობას.

23310. მიუხედავად იმისა ცოდნისა, რომ ჭეშმარიტებაზე მაღლა ვერ დადგები, კრიტიკას თავს მაინც ვერ ვანებებთ.

23311. მოსალოდნელი საფრთხეც კი პოტენციურად საშიშია.

23312. ისტორიული პირები ერთმანეთს დროგამოშვებით ცვლიან, მაგრამ მათი ერთმანეთთან გაიგივება არ შეიძლება, რადგან ყველა მათგანი თავის დროს ემსახურება და იმ დროის შესატყვისად უნდა შეფასდეს და დაფასდეს.

+23313. ლაპარაკის სწავლაზე ძნელი დუმილის სწავლა და სწავ-ლებაა.

23314. თვალი ყველაფერს ხედავს, მაგრამ სმენადობის გარეშე მისი დანახული ბევრს დაკარგავდა.

23315. საკუთარი შეცდომების დაუნახაობა და მოუნანიელობა ქრონიკულ უგვანობაში გადადის.

23316. მუდმივი და განუსჯელი არაფერია, მათ შორის სიყვარუ-ლით აღიარებული საყოველთაო მშვენიერებაც.

23317. წესრიგს უმცროსის უფროსისადმი დამორჩილება აწესრი-გებს და არა ასაკი და გონიერება.

23318. ადამიანის სული უფრო სათუთოა, ვიდრე მისი გონი. ეს უკანასკნელი გამოსავალს გაცილებით სწრაფად პოულობს.

23319. ქალი არის პრანჭვა-გრეხა, ჭორაობა-ლაქლაქი და არნახუ-ლი სქესის ამაოდ მოიმედე არსება.

23320. ორმხრივად მისაღები და დაუვიწყარი ვნება დროს ამუხრუ-ჭებს და აჩერებს.

23321. ჭკვიანი, ლამაზი, კეთილი ქალები იმ გამოუცდელ მამაკ-აცებს ხვდებათ წილად, რომელთაც მათი დაფასების თავი არ აქვთ, ხოლო უსინდისო, შტერი და იდიოტი – იმას, ვინც მათთან ურთიერთო-ბის შეფასებასა ცდილობს.

23322. წვრილმანი გადაცდენის მსხვილმანად წარმოჩენა ქალის პრეროგატივაა, ხოლო მსხვილმანის წვრილმანამდე დაყვანა – კაცისა. აი, სხვაობა მამაკაცსა და ქალს შორის.

23323. მკაცრი სილამაზე ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევს, სა-დაც შიში და აღფრთოვანება ერთმანეთშია შერწყმული.

23324. ღირსეული ხალხი საქართველოში საკმარისზე მეტი იბადე-ბა, მაგრამ შურსა და გაუტანლობას მისი აღმოჩენა უჭირს.

23325. ზოგჯერ ადამიანისა და ცხოველის გარჩევა თვით ანგე-ლოზსაც არ შეუძლია მათი ზოგიერთი ქცევის გამო.

23326. დღეს მშვიდობიანობის მოსაპოვებელი დაპირისპირება ომში არ უნდა გადაიზარდოს, თორემ წაილეკება სამყარო.

23327. დაულაგებელი ქვეყანა და მისი არშემდგარი პოლიტიკა ჩვენს სიცოცხლეს უშინაარსოს ხდის.

23328. წესიერების აღქმა ჭირს და არა წესიერი კაცის შეცნობა.

23329. გონი ვალდებულია იცოდეს ცხოვრების კაპრიზები და ყოფ-იერების ჩიხიდან გამოსასვლელი გზები.

23330. კაცებს შეყვარებულები უფრო უყვართ, ვიდრე – ცოლები, მაგრამ იძულებულნი არიან, ამ უკანასკნელთ პატივი მიაგონ, როგორც ოჯახის დიასახლისებსა და შვილების დედებს.

23331. ყველაზე მეტად დროისა და გარემოს გაუცნობიერებელ

„გმირებს“, უნდა ვერიდოთ, რათა ცხოვრება უფრო მეტად არ გავირთულოთ.

23332. გასაჭირი და სიდიადე ყოველთვის ყურადღების ცენტრში ხვდება, პირველი – საჭორაოდ, მეორე – შურის მისაგებად.

23333. ერი, რომელიც მრავალჯერ დაშვებული ერთი და იმავე შეცდომიდან ვერაფერს სწავლობს, გენეტიკურად დაავადებულია და დიქტატურის გამოუყენებლად საქმეს თავს ვერ დაადგამს.

23334. ქალები არაპროგნოზირებადი არსებები არიან და ესაა, რომ მათ პეწს, სილამაზეს და შეუცნობადობის მშვენიერებას მატებს.

23335. მოჭარბებული პრინციპულობა ურთიერთობის დალაგებას ხელს უშლის და ეს კომპრომისების ხელოვნების ათვისებით უნდა დავარეგულიროთ.

23336. ქალს იმდენის გაცემა შეუძლია, რამდენის გაცემის უფლებასაც ფავორიტი მამაკაცი აძლევს.

23337. მეგობრისთვის განდობილი საიდუმლოც კი გარკვეულ ამოუხსნელ ცნობებს უნდა შეიცავდეს, რათა საჭიროების შემთხვევაში მისი გადამოწმების საშუალება გვქონდეს, თუ საიდუმლო გამჟღავნდება.

23338. ზნეობაზე საუბრის თემა ზნეობით აღჭურვილმა ადამიანებმა უნდა შეარჩიონ.

23339. კაცების შეცდენაში მაინც ქალები არიან დამნაშავენი, რადგან ისინი ასე მიმზიდველნი და მშვენიერნი ჩვენი ვნების და ნების დაკმაყოფილებისაკენ თავადვე ილტვიან.

23340. ბოროტება სიჯიუტეს ყოველთვის ვერ ჩაგრავს და ხშირად მის ნებას ემორჩილება.

23341. ყველგან მოჩალიჩე გონიერებას საქმის ბოლომდე მიყვანა უჭირს.

23342. ხუმრობა გონებას გვიხსნის, ანეკდოტი გვახალისებს, ორივე კი ყოფერების მადლს გვაგრძნობინებს.

23343. ფულის დაბანდებით გამოყენება უნდა ვიცოდეთ და არა მხოლოდ ხარჯვა.

23344. უყურადღებობა ჯანმრთელობის პირველი მტერია, ხოლო უმოქმედობა – მისი მამინაცვალი.

23345. სულელს უფრო მეტად აქვს განგების მორჩილებისკენ მიდრეკილება, ვიდრე ჭკვიანს.

23346. ყველა პროფესიას თავისი მე და უპირატესობა აქვს, თუ მას გონივრულად და ხარისხიანად წარმოვაჩენთ დროისა და გარემოს შესატყვისად.

23347. ცოლი ყველა კარგია, თუ მას ხეირიანი და გამგები მამაკაცი შეხვდა, რომელიც სულიერად ასაზრდოებს.

23348. სკოლის უმთავრესი დანიშნულებაა, აქედან წასული მოს-

წავლენი გულნაკლულნი არ დარჩნენ.

23349. ხალხს ცნობილი პირის ცხოვრების წვრილმანები უფრო აინტერესებს, ვიდრე მისი საქმიანობის შედეგები.

23350. მოკლედ და საღად გამოთქმული აზრები, ცნობიერების ფართო შესაძლებლობები – აი, ჭეშმარიტი ინტელექტუალი.

23351. ცივილიზაციის გარყვნილი სული მკურნალობას არ ექვემდებარება.

23352. ამქვეყნად ყოფნა, ეტყობა, არაფერია, რადგან ყველანი მაინც იმ ქვეყნის შვილები ვართ.

23353. ზოგჯერ საკუთარი აზრების დაუფარავად გამომზეურება კარგია და შვებას გაძლევს, მაგრამ ხშირად თავშეკავება სჯობს.

23354. წინათ სექსის ხელოვნების უცოდინარ ახალგაზრდობას უჭირდა მსუბუქი ყოფაქცევის ქალების პოვნა და იძულებული იყო, ადრეულ ასაკში დაოჯახებულიყო ბლომად შვილებიც ჰყოლოდა. ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც უციდინარობა კარგ შედეგს იძლევა.

23355. რევოლუციის გზით „მთა და ბარის“ გასწორების მცდელობა ყოველთვის და ყველასთვის დისკომფორტს იწვევს.

23356. უაზრო და არაფრისმთქმელი ლაპარაკი ზოგჯერ სისაძაგლის კეთებისკენ გვიბიძგებს.

23357. ხშირად შინაგანი სურვილებია, ჩვენს საქმიანობას კონტროლს რომ უწევენ.

23358. თავის ფასში დიდებული რამ არ იყიდება, თუ მას დალალად შური ჰყავს.

23359. რელიგია ადამიანური შემეცნების ჭეშმარიტებას თავისი გადასახედიდან აცნობიერებს და რწმენისეულ ღირებულებებს ანიჭებს.

23360. ჭეშმარიტება უპირველეს ყოვლისა მშვენიერების ჩანასახი და რწმენის საწყისია.

23361. ხშირად ადამიანის ფანტაზიით და ფანატიზმით შექმნილი დროისთვის მიუღებელი ნაგებობა სამყაროს სასწაულად წარმოჩნდება. მაგ. ავიღოთ მსოფლიოს ათი საოცრება. ესენია: 1. ჩინეთის დიდი კედელი; 2. ტაჯ-მაჰალი ინდოეთში; 3. კოლიზეუმი რომში – გლადიატორების ბრძოლის სანახაობის ამფითეატრი; 4. ქრისტეს ქანდაკება ბრაზილიაში; 5. იანკების ქალაქი „მაჩუ-პიკჩუ“ – პერუში; 6. ხეოფსის პირამიდა – ალექსანდრიის შუქურა ეგვიპტეში; 7. სემირამიდას დაკიდებული ბაღები – შუამდინარეთში, ევფრატის სანაპიროზე; 8. ჰალიკარნასის მავზოლეუმი – რომელიც მდებარეობს მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთში, ახლანდელი ბოდრუმი (თურქეთი); 9. ჩიჩენ-იცა – მაიას ტომის პოლიტიკური ცენტრი – მექსიკა; 10. პეტრა – უძველესი ქალაქი იორდანიაში.

23362. სამშობლოში ცხოვრებისას ბევრი გაუგებრობა და უსამართლობა გვხვდება, მაგრამ ეს უფლებას როდი გვაძლევს, სამუდამოდ სხვაგან გადავიხვეწოთ და სამშობლოს ფესვებს მოვწყდეთ, რადგან მამული „ერთია ქვეყანაზედა“.

23363. მიზანი ყოველთვის რჩება დროის, გარემოს და ასაკის შესატყვისი აქსიომა და სტაციონარი.

23364. არის სიცოცხლე, არის სიკვდილი, არის რაღაც სხვაც, რასაც გარდასახვა და გაქრობა ჰქვია,

23365. ყველა მიზანს შედეგი ამშვენებს და არა თავად პროცესი.

23366. სიძულვილისა და უხიაგობის სინონიმებია წარუმატებლობა და მარცხი.

23367. სიბერეში, თანამოაზრეთა და თანამზრახველთა ერთგულება ყველაზე მეტად დასაფასებელია.

23368. მრავალშვილიანობა და ნორჩთა ღირსეული აღზრდა, დასაქმება კიდევაც არის რეალური პატრიოტიზმი ერის სიყვარული და არა „უაზრო ყარაჩოხელობა“, რომლის უკანაც დგას მხოლოდ შემთხვევითი ხალხის აყოლიება და მცდელობა საორჭოფო სახელის დაგდებისა.

23369. ბუნების ქომაგად ყოფნა ჩვენი სიცოცხლის გახანგრძლივების მცდელობის ტოლფასია.

23370. თანამზრახველობას შენი გონება თუ გაგიწევს, თორემ გულით არჩეული მეგობარი, შეიძლება, დაგიპირისპირდეს.

23371. ყველა გამათავისუფლებელი ადრე თუ გვიან მწვალებელი ხდება, რადგან თავისუფლებას საზღვრები არ აქვს და მადლიერებამაც დავიწყება იცის.

23372. ჩვენს საწინააღმდეგოდ ბედის ქარის ქროლვა იძულებულს გვხდის, გონიერება, მოვიხმოთ და მაღლა ვიფრინოთ.

23373. თუ სანატრელი და სათაყვანებელი უჩნდება, ადამიანს სიცოცხლისადმი ლტოლვა უძლიერდება.

23374. ჭეშმარიტების დასადგენად ფაქტების შეფასება-შეჯერება უპირველეს ყოვლისა გონიერებასთან ჭიდილს მოითხოვს.

23375. ზოგი სხვის გაჭირვებასაც დაზეპირებულ ფონოგრამასავით „ეხმიანება, თანაუგრძნობს“.

23376. ზოგჯერ სიმართლესაც სიყვარულის მსგავსად მალვა სჭირდება.

23377. სულდაბინძურებულის გამოსწორება დიდ ძალისხმევას ითხოვს და, შეიძლება, არც კი ღირდეს, რათა მოკეთეთა სულიც არ დააბინძუროს.

23378. სულიერების სიმშვიდე გარანტიაა, რომ არ მიაყენებ სხვას შეურაცხყოფას და არც ის დაგირღვევს სიმშვიდეს.

23379. სიცოცხლის მადლის შეცნობის უფლებას რწმენა გვაძლევს

და არა შემართება.

23380. ყოფასთან შეურკინებლად, არც ყოფის მადლი შეიცნობა და არც სულიერება ცხონდება.

23381. ისტორიას რომ გადახედოთ, ჩვენი წინაპრები, ეტყობა, მაინც პოტენციური მებრძოლები იყვნენ, რადგან სხვაგვარად ისინი ვერც ეროვნულობას შეინარჩუნებდენ, ვერც საკუთარ ტერიტორიებზე ფეხს მოიდგამდენ და ვერც შთამომავლობას აღზრდიდნენ.

23382. საკუთარი თავისთვის ბორკილის დადება ადვილია, მისგან მოხერხებულად თავის დაძვრენაა ძნელი.

23383. სასიამოვნო დაღლასაც თავისი ლიმიტი აქვს. დროა, თავს შევუძახოთ და შეუძლებელი შევძლოთ.

23384. ქება და სიყვარული ერთნაირად უნდა გააცნობიეროთ და გაითავისოთ, რათა მომავალი ღირსეულად შეიცნოთ.

23385. ქვეყნის მართვისას გადაცდენას მეტ-ნაკლებად ყველა ხელისუფალი უშვებს, მაგრამ გამოუსწორებელი შეცდომა არ უნდა დაუშვას. მაგ. 1867 წელს რუსეთმა ალიასკა აშშ-ს მიყიდა.

23386. დაშვებულ შეცდომებს არ იცავენ, მას ინელებენ და ივიწყებენ.

23387. ცხოვრების მშვენიერების აღქმა ბედნიერების მაუწყებელია.

23388. ცუდი საქმის კეთება მარადისობაში გადაფურთხების ტოლფასია.

23389. შური ზიზღთან იგივდება, ხოლო ზიზღს შურისთვის ადგილი რჩება.

23390. სექსს, არც ეროვნება აქვს, არც – პრეტენზიები და არც განსჯადია.

23391. წარმოსახვით ღმერთებს დღესაც ბევრ რამეს სწირავენ, გარდა საკუთარი სიცოცხლისა და კეთილდღეობისა, იმის „ცოდნის“ მიუხედავად, რომ იმქვეყნად უკეთესი ცხოვრება და მარადიული სასუფეველია.

23392. ნაშიერისადმი პასუხისმგებლობაა, მისდამი სიყვარულს რომ გვიღვიძებს და გვაიძულებს, მათზე ვიზრუნოთ.

23393. დაბერებას ასაკის მომატებით ვგრძნობთ და არა სულის გადაღლით, რომელიც პრაქტიკულად არ ბერდება.

23394. აღმაფრენის შეუცნობლად ყველაფერს გემო ეკარგება, მათ შორის, საჭმელსაც.

23395. გაღიზიანებისაგან თავის დაღწევა საუბრის, კამათის არდაწყებიდან იწყება.

23396. არის გონით განსჯილი საკითხი, რომელსაც, პიროვნებისაგან განსხვავებით, დილეტანტი არ ეთანხმება და მიზეზად გაუაზრებელი პატრიოტიზმი და ბრბოს არაფრისმთქმელი მენტალიტეტი მოაქვს.

23397. მონობა აკნინებს ადამიანთა ღირსებას, მაგრამ გონივრული სუბორდინაცია, წინდახედული მორჩილება მონობასა და დაკნინებას როდი ნიშნავს.

23398. თუ შენს იმქვეყნად გადაბარგებას, შენი თანამეინახენი ვერ ესწრებიან ერთი მხრივ, ბედნიერებაა – დიდხანს გიცოცხლიათ, მეორე მხრივ, თავისებური უბედურებაა – არავის ენანები და შენი შურთ.

23399. მიზანი იძლევა სხვადასხვა ხერხის გამოყენების საშუალებას და ის ხშირად მართალი გამოდის მომდევნო თაობათა წინაშე თავისი ქმედებით.

23400. პლანეტის მოქალაქეთა ვალია, ამ სამყაროს სიმშვიდე შეუნარჩუნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღევანდელი ტექნიკური პროგრესის გადამკიდე, დედამიწა გაქრება.

23401. ყბედობაა საქმის კეთებაზე საუბარი, უგუნურებაა უსაქმურობა და არაფრის მომტანი ლაილაი.

23402. ახალგაზრდობას შექება უხდება, მაგრამ აიწონა-დაიწონას გონივრულ ფარგლებში.

23403. დაუძინებელი მტრისადმი მორჩილება უნდა წარიმართოს მოჩვენებითი ერთგულებით, რაც უდიდეს მოთმინებას საჭიროებს.

23404. ყველაზე საზიანოა ის, რაც სრულყოფილად არ ვიცით, და არა ის, რაც ვიცით.

23405. ვეცადოთ ისეთებად წარმოვჩნდეთ, რომ მოყვრებმა მტრად გახდომა ვერ გაგვიბედონ.

23406. რეალობას აღიარების გარეშე თავის წარმოჩენა უჭირს.

23407. მოძველებული ადათ-წესებს დროის გამოცდილებით, და ჭკუის ხმობით უნდა ვებრძოლოთ.

23408. პოლიტიკა ძირითადად ბოღმიანი და გამორჩენის მოყვარული ხალხის ასპარეზია, რადგან კარიერის საკეთებლად შური, გაუტანლობა და ჩასაფრებაა საჭირო.

23409. მამაკაცმა ქალს ტაქტიკურად ყოველთვის იმდაგვარად უნდა დაუთმოს, რომ ბოლოს მოგებული დარჩეს.

23410. ინფორმაციისგან განსხვავებით, რეკლამა ან უხეირობის ნიშანია ან მომხვეჭელობისკენ მისწრაფების.

23411. ქალის არა მარტო ღიმილი, არამედ მოხდენილი მკერდი და მიმზიდველი უკანალიც უნდა ესალმებოდეს და იპყრობდეს მამაკაცის გულს.

23412. კარიერისტობა არის ძალაუფლების მოპოვებისა და თავის წარმოჩენის აულაგმავი წყურვილი. მისი წადილი უჩნდებათ ნიჭიერ, მაგრამ წინსვლისთვის ხშირად შეუფერებელ, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ადამიანებს.

23413. ამბობენ, ცუდ მოცეკვავეს თავის წარმოჩენაში ყვერები უშ-

ლის ხელს, ხოლო ცუდ პოლიტიკოსს – ოპონენტები და თავდაჯერებაო.

23414. რწმენას ამყარებს რეალობისადმი დამოკიდებულება და არა სიმდიდრისაკენ მისწრაფება.

23415. აფექტში ჩავარდნის დროს უნდა ვეცადოთ, ჩვენში ჩადებულმა ცოდვის გენმა არ გაიღვიძოს და დაუნდობელ არსებად არ გადავიქცეთ.

23416. ფულს ვინც არ ამუშავებს და არ დებს ფინანსურ იპერაციებში – ის დებილია და ამას გარკვეული დროის შემდგომ შეიტყობს.

23417. შრომა მოთხოვნილებად უნდა იქცეს, ხოლო დემოკრატია – საქმის თამადად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას მეტიჩარა ვაი-პოლიტიკოსები ეპატრონებიან.

23418. ფულით გაჯერებული მეგობრობა ხშირად ყოფით გამოცდას ვერ უძლებს და ზოგჯერ ბოროტებად გვევლინება.

23419. საკუთარი ღირსების ცოდნა და გამოყენება მის პატრონს ძალზე რგებს.

23420. უნიათო და დროისთვის შეუფერებელი ადამიანის გამოყენებაც შესაძლებელია, თუ გარემო და ბედი მას გვერდში დაუდგება.

23421. საოცარი არსებანი არიან ქალები. ისინი, შეიძლება შეურაცხყო შენი ქმედებით ან უმოქმედობით. გააჩნია, რა ხასიათზე არიან იმ წუთში.

23422. არის განყენებული ნიჭი, რომელიც აღგვაფრთოვანებს; არის შედევრი, რომელიც ჩვენს ამბიციებს ეხმიანება, იმისდა მიუხედავად, რომ მას ჩვენი გონი ვერ სწვდება.

23423. გამოცდილება დაკარგვა-შეძენის აქსიომაზეა დამყარებული.

23424. აზრების შეჯერების შედეგად ვიგებთ საკუთარი თავის სიდიადესა და ფასს.

23425. მამაკაცის უნდა ეშინოდეთ, რიდი უნდა ჰქონდეთ, პატივს უნდა მიაგებდნენ. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს მას ფასი.

23426. ადამიანებს უამრავი პრობლემა აქვთ. ერთეული კარგი შედეგიცა და უამრავი ხელის მოცარვაც უსახო როდია მათთვის.

23427. ჩვენი უსაფრთხოების და წარმატების საწყისი უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავში გვაქვს დაპროგრამებული, რომლის გადახარშვა და მოხმარა თავადვე უნდა შევძლოთ.

23428. ცხოვრების თავიდან დაწყებას მარტო სურვილი არ შველის, თუ სახელმწიფო ინსტიტუციებმაც ხელი არ შეგიწყო და მხარში არ ამოგიდგა.

23429. ჭეშმარიტების აღმოჩენას თვითნაბადი ნიჭი სჭირდება, ხოლო მის გაქიაქებასა და რევიზიას – გათავხედებული ცოდნა.

23430. პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება იძლევა შედეგს

და არა მისი სხვაზე გადაბრალება.

23431. სახლში გამოკეტილი ნიჭიერება ვერც ამქვეყნად წარმოჩნდება, იმქვეყნიურზე რომ არაფერი ვთქვათ.

23432. ქალის მომნუსხველი თვალები თავისი შემონათების უნარით არის მნიშვნელოვანი, რადგან მას მამრის სხეულის ვერცერთი ნაწილი კონკურენციას ვერ გაუწევს.

23433. მართალია ზოგჯერ ბედი „დაჭერობანას“ გვთავაზობს, მაგრამ ამ თამაშსაც თავის პენი აქვს.

23434. ბედთან შეჯიბრება გამოიმუშავებს სხვადასხვა შეხედულებას, რაც საშუალებას გვაძლევს, პრობლემები წარმატებით გადავწყვიტოთ.

23435. რაც ქალს სურს, შეიძლება, სწორედ ის სურდეს ღმერთსაც.

23436. პარტნიორები ხშირად პოლიტიკური ოპონენტები და ერთმანეთის დაუძინებელი მტრები ხდებიან, რადგან კარიერას, ფულსა და პირად ინტერესებს ყოველგვარ სიწმინდეზე, ქვეყნის ინტერესებზე მაღლა აყენებენ.

23437. დემოკრატია გახლავთ საქვეყნო და სახალხო საქმის კეთება იმ შემთხვევაში, თუ ის „დემოტრაკიაში“ არ აგვერევა.

23438. რწმენა, ოცნება, იდეები ყოყმანსა და გაუბედაობას ვერ იტანენ.

23439. აზროვნება, ცოდნის შეძენა, საყვარელი საქმის კეთება კარიერული წარმატების მიღწევის გარანტიაა.

23440. იმქვეყნად ნაადრევად ანგელოზად გადაბარგებას ისევ ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში დარჩენა სჯობს, რაღაც ცოდნა-გამოცდილებას მაინც შეიძენ.

23441. შცდომების დაუშვებლად ცხოვრება წარმოუდგენელია, მაგრამ აქ მთავარია, ბედმა არ გაგწიროს, უგვანობის მორევში თავი არ ამოყო და სიკეთის კეთებაზე ხელი არ აიღო.

23442. თუ არ იეშმაკე ან არ იცრუე, ცხოვრება ჭირს, მაგრამ მათ შორის მორალური სხვაობა დიდია: ეშმაკობა-მოხერხებულობით კანონის გაუმართაობას აღმოფხვრი, ხოლო სიცრუითა და ტყუილის თქმით კანონის უზენაესობას ჩრდილს მიაყენებ.

23443. წარსულის ინერციით ცხოვრება ბოლოს წამგებიანია.

23444. განსჯა-ცოდნა, შეიძლება, მოსაწყენია, მაგრამ მას დადებითიც ბევრი აქვს: იშვიათად ცდება და უხერხულ მდგომარეობაში არასოდეს ექცევა.

23445. ზვიადობასა და განუსჯელობას შედეგი ყოველთვის უგერგილო და საეჭვო აქვს.

23446. კანონის დაურღვევლად ცხოვრება ჭირს, რადგან ყოფა იმდენ გაუთვალისწინებელ რაღაცას გვთავაზობს, რომლებზე ადრე წარ-

მოდგენაც არ გვქონდა. ამიტომაც აქ მთავარია კანონის უზადო აღსრულება და აღსრულების გარდაუვალობა უზრუნველვყოთ.

23447. კანონიერება თუ ნაცნობობა – „ბლატი“. ხშირად ეს უკანასკნელი მძლავრობს და პირველს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

23448. დიპლომატია ის სათუო პროფესიაა, რომელიც ბოლომდე ნდობას არ იმსახურებს, რადგან ის ხშირად ზემდგომის ნებასა და კაპრიზებზეა დამოკიდებული.

23449. უგვანობის წახალისება უგუნურების წისქვილზე წყლის მიშვების ტოლფასია.

23450. არაპროგნოზირებად ადამიანებთან ურთიერთობა სახალისოც არის და სარისკოც, რადგან, რის საკეთებლად არიან მოსულნი, თავადაც არ უწყიან.

23451. ადამიანს მისი ქმედებანი უკეთ წარმოაჩენს, ვიდრე სიტყვიერი გეგმები და დაპირებანი.

23452. ცხოვრებაში პარადოქსებსაც თავისი ადგილი აქვს და მათი ბუნების გაგება ჩვენი ვალია.

23453. ხელისუფალი, პირველ ყოვლისა, საქმიანი ადამიანი უნდა იყოს და შემდგომ – პატიოსანი, რადგან საქმის კეთება ბევრი ბიუროკრატიული კანონის დარღვევასა და შემოქმედებით შეტევას მოითხოვს.

23454. ერი თავისი ბუნების წარმოჩენას მაშინ იწყებს, თუ თავს დამცირებულად იგრძნობს.

23455. პროგრესს მოსახლეობის მატებაც ხელს უწყობს, რადგან იმისი შანსი იზრდება, უფრო მეტი ჭკვიანი გაჩნდეს.

23456. სოციალიზმი კომუნიზმის ან მშენებელი, ან – მნგრეველი და ეს ქვეყნის ხელისუფლებაში მოსულ „პრარაბის“ კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული.

23457. ცხოვრება მარტო მატერიალური სურვილების ასრულება არ არის, თუ მას აზროვნება არ ასაზრდოებს.

23458. ჭეშმარიტება ცვალებადობას არ განიცდის. ის ყოფიერების მუდმივი განზომილებაა.

23459. უხერხული წარსული მეტ-ნაკლებად ყველასა გვაქვს, მაგრამ მისი გამომზეურება თავის მოწონების მიზნით არ ღირს.

23460. ყველა ქალი თავის ახალგაზრდულ სილამაზესა და თაყვანისმცემლების რაოდენობას მინატრის, იმისდა მიუხედავად, მას ეს ნანინანატრი სიმდიდრე მართლა ჰქონდა თუ არა.

23461. მომდევნო ყველა იუბილესათვის კარის ფართოდ გაღება სიბრიყვეა. აქ პატივის მიგების მადლი უფასურდება.

23462. თუ მავანის სახალხოდ დამოძღვრა ჭირს, მაშინ მისგან ბევრ შეუცნობელ ცხოვრებისეულ კაპრიზს უნდა ველოდეთ.

23463. წარსულს თუ თვალს კრიტიკულად გადავავლებთ, გაოცე-

ბული დარჩებით: რამდენად ყოფის არამცოდნე და გამოუცდელი ყოფილხართ და როგორ გაგიმართლათ ცხოვრებაში, რომ ცხოვრების სწორ გზას არ ასცდით და წარსული სანანებლად არ გაგხდომიათ.

23464. ცხოვრებაში უმთავრესია, საკუთარი ნიჭის, მისწრაფებებისა და გემოვნების შესატყვის ადგილის პოვნა.

23465. ცხოვრების ფასი რომ შევიცნოთ, რაღაც სათავისო ღირებულება უნდა გვქონდეს დადგენილი, რათა მისკენ ვისწრაფოდეთ.

23466. აზრიანი ანეკდოტები, ანდაზები, აფორიზმები ჩვენი განათლებისა და ცხოვრების ცოდნის მაჩვენებელია.

23467. უპასუხისმგებლო უფლებებს ყველა სიამოვნებით იღებს, უპირველეს ყოვლისა – ბრბოს წარმომადგენლები.

23468. გარე-გარე ყურება და სხვათა მიმბაძველობა უნიჭოს პრეროგატივაა, ხოლო შინაგანი მობილიზება და საქმიანობის გაშლა გონიერის საქმეა.

23469. ზოგჯერ ინდივიდუალური თავისუფლების მოთოკვაც საჭიროა, რათა საზოგადოებრივი შეთანხმება მოხდეს.

23470. სიკვდილის მოჭარბებული შიში სიცოცხლის მადლის შეცნობას აფერხებს.

23471. მშობლიური სახლის სურნელი დიდ გავლენას ახდენს ჩვენი ცნობიერებისა და გემოვნების ჩამოყალიბებაზე.

23472. შევაჭრებაც თავისებური ხელოვნებაა და მას ცოდნა-გამოცდილებასთან ერთად განგების მიერ მონიჭებული ნიჭიც სჭირდება.

23473. არის განყენებული, ცალკე სიმართლე, რომლის ცოდნას აღფრთოვანება არ მოაქვს, მაგ., შენი წინაპრების მიერ დაშვებული შეცდომები, დღევანდელობის გადასახედიდან მათ განსჯას თავს არიდებ, რადგან მათი დეკლარირება გაღიზიანებას იწვევს როგორც შენში, ასევე თანამოაზრეებში.

23474. როდესაც ცოლ-ქმარი არ კამათობს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ სიყვარული განელდა და მხოლოდ მოვალეობაღა დარჩა.

23475. ბედნიერი ქორწინება ურთიერთშეხლა-შემოხლისა და სიყვარულის განცდა.

23476. პირადული სხვას არ უნდა გაუზიაროთ. ეს ძლიერი ხალხის მსოფლმხედველობაა და განუსჯელად მისაღებია. მაგ. სტალინი პირადულზე არ ლაპარაკობდა.

23477. პროგრესი შემთხვევითობისა და აუცილებლობის დაქორწინების შედეგია.

23478. ფული კი არაა ბოროტებაა, არამედ მისი უკუღმართი გამოყენება.

23479. ქალს სილამაზე ამკობს, კაცს – ჭკუის მარაგი, მაგრამ ხშირად მათი ერთმანეთზე მორგება არ ხერხდება მათი განუსჯელი ამ-

ბიციების გამო.

23480. მიზნები ცალკე გადავდოთ, ამოცანები – ცალკე, რათა მათი განუხორციელებლობის შემთხვევაში ღიმილი კი, ოღონდ დაცინვა არ გამოიწვიოს.

23481. კეთილი საქმის კეთება დროსა და ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვს, ცარიელი დაპირისპირება კი უცოდინარი და ხშირად უპასუხიმგებლოც კია.

23482. წესების დახურდავება ადვილია, კანონისა და სამართლიანობისაგან თავის დაძვრენაა ძნელი.

+23483. ბედნიერებას ნიჭიერი უკეთ აგნებს, ვიდრე უნიჭო.

23484. ჩვენზე ბატონობის მოპოვებას სამართლიანობის ლიცენზიის აღება სჭირდება.

+23485. ღირსება ღირსეულთ პატარა გადაცდენასაც არ აპატიებს, როდესაც ულირსთ ამისი უფლება თავზე საყრელად აქვთ.

+23486. ზოგი თავისი ავტორიტეტით სასიკეთოდ გვამუნათებს და გვწვრთნის.

23487. თავმდაბლობა მაშინ ამკობს ადამიანს, თუ მას კარიერა არ სჭირდება და თავისი ადგილი ცხოვრებაში მოსაძებნი არ აქვს.

23488. შეურყვნელ ამბავთა მოსმენა თავისთავად სიამოვნების მომგვრელია.

+23489. ხვნა-თესვის გამართვა გონივრულია იმ პირობით, თუ მოსავალს სხვა არ აიღებს.

23490. ხალხს უფლებებზე მეტად მატერიალური და ხელშესავლხები დაპირებების განაღდება აინტერესებს.

23491. მინდა – არ მინდას კაპრიზი დიდხანს არც გრძელდება.

23492. გონიერება საყვედურებს ვერ იტანს, განსაკუთრებით – უსაფუძვლოს.

23493. ზოგჯერ შენი ნაღვაწისა გიკვირს, თურმე, რა კარგად შეგძლებია, მაგრამ ზოგჯერ ისიც გაოცებს, ამდენი გამოცდილებისა და ცოდნის მიუხედავად, თუ მუზამ დროულად არ მოგაკითხა, სახეირო არაფერი გამოგდის.

23494. გონიერი მოაზროვნე ცხოვრებას უაზრობის დროსაც საქმიანად იყენებს.

23495. სიმდიდრე რატომ არის ბოროტება, თუ ის შენი ნიჭის, შრომის, ბედის წყალობისა და შემოსავლების შედეგადაა დაგროვილი?!

23496. ბოროტებას სხვათათვის ზიანის მიუყენებლად არსებობა უჭირს. ესაა მისი არსი.

23497. მიზნის განხორციელება ძნელია, თუ მისი მიმართულება წინასწარ განსჯილი და განსაზღვრული არ არის.

23498. კერძო, საერთო და ქვეყნის ინტერესები, ვეცადოთ, ურთ-

იერთს მოვარგოთ, თუ გვინდა, საქმის მკეთებელ პოლიტიკოსად ჩამოვ-ყალიბდეთ.

23499. გონიერება ყოველგვარი ყბედობის წინააღმდეგია.

+23500. დროსთან შერკინება ადვილია, მისი ჯობნაა ძნელი.

23501. პატიოსანი, კეთილი და მოწიწებით რეკლამირებული სახე-ლი ყოველგვარი საზოგადოების დიდი კაპიტალია.

23502. ის არ უნდა გავიშინაუროთ, ვინც უჩვენოდაც თავს კარგად გრძნობს.

23503. საკუთარი აზრებისთვის ხორცის შესხმა ყველაზე დიდი ბედნიერებაა, რომელსაც რატომღაც ბოლომდის ვერ ვაცნობიერებთ.

23504. მავანის მოჭარბებული ლანძღვა-გინება მოყვასთა შტატების შემცირებას იწვევს.

23505. ერთი შეხედვით, უაზრო ქმედებებით სიყვარულისა და პა-ტივისცემის გამოხატვა დიდი დაბნეულობისა და განცდის შედეგია.

23506. სიყვარულს ვერ გავექცევით, მაგრამ გარემოებათა გამო მისი გაწბილება შესაძლებელია.

23507. მშვენიერებასთან მიახლოება გონს ალაღებს და სულს რწ-მენას მატებს.

23508. ფიქრი, რომელიც ცნობიერების საწებელში იხარშება და წარმოჩნდება, მჭევრმეტყველებად ყალიბდება.

23509. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვენთვის გამოყოფილი დროის ვარგისიანობის ვადა განსაზღვრულია.

23510. ნიჭი განგების საჩუქარია თუ ეშმაკისა, არავინ უწყის, რადგან მისი მეშვეობით სიკეთის კეთებაც შეიძლება და სიავისაც.

23511. ქალი, რომელიც 10 შვილს შობს და აღზრდის, თუნდაც სხ-ვადასხვა მამაკაციგან, ჩემთვის უფრო დიდი პატრიოტი და ერის შვილ-ია, ვიდრე უშვილო, კარიერას გამოკიდებული გაუთხოვარი, რომელიც ე.წ. „ეროვნულ ინტერესებს“ განუსჯელად ეწირება. სამშობლოს სიყ-ვარულსა და მის ძლიერებას მოსახლეობის ოდენობა, ეკონომიკა, რე-ალიზებული რწმენა განსაზღვრავს და არა ამბიციური ბუნების მქონე ერთეული წინდაუხედავთა გამოხდომები.

23512. მიზანდასახული ადამიანი ერთი შეხედვით შეუძლებელსაც შეძლებს.

23513. შემოქმედება ტანჯვა-სიხარულის ნაჯვარია, რომელშიც სი-ყვარული მეტია.

23514. ნაკლისა და წინდაუხედაობის პატიება შეიძლება, მაგრამ არა ღალატისა და გაუტანლობისა.

23515. სამართლისა და სამართლიანობის პრობლემები მარად იდგა და იდგება საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მისი მოგვარება რევოლუციური გზებით ვცადოთ

და ისიც დიდი მსხვერპლის ფასად.

23516. ავადმყოფს ექიმის იმედიანი სიტყვები უფრო მკურნალობს, ვიდრე მის მიერ დანიშნული წამლები.

23517. საკუთარი სიამოვნებისთვის ცხოვრებაც ბედის წყალობაა, თუ ამას ირგვლივ მყოფნი შურით არ აღიქვამენ.

23518. პროფესიონალიზმი ცოდნას, შემართებას, კრიტიკულ მიდგომას გულისხმობს, რაც განათლებას მრავალჯერ სჯობს.

23519. ცხოვრების ანბანის ცოდნის ხარისხს დრო და ასაკი განსაზღვრავს.

23520. ქალები მამაკაცებზე უკეთ აცნობიერებენ ცხოვრების ყადრს, მაგრამ ამ შესაძლებლობას რატომღაც მამაკაცები უკეთ იყენებენ.

23521. პოპულარული გადაწყვეტილებები სახელმწიფოს ინტერესებს ყოველთვის როდი რგებს, რადგან მათში „ბლეფი“ ურევია.

23522. ავსიტყვაობა, გინება საკუთარი პატივმოყვარეობის გამოხატვის ერთი სახეა.

23523. კამათს სიჯიუტე არ უხდება, გამოსავლის ძიება – დიახაც.

23524. ნუგეშის, იმედისა და ოცნების უქონლად სიცოცხლე გაჭირდებოდა.

23525. მოევლინე ამ ქვეყნას? – ეს უკვე საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას მოასწავებს.

23526. გონის ყველაზე მეტი წვრთნა პოლიტიკოსს სჭირდება, რათა ეკონომიკას შეერკინოს და სოციალურ კანონზომიერებას მიეახლოს.

23527. აუცილებლის მოპოვება და გარდაუვალობის წინაშე ქედის მოდრეკა ყველა ჩვენგანის ვალია.

23528. დროში, გარემოსა და სამყაროს კაპრიზებში გარკვევა ყველა ჩვენგანის მოწოდება და ვალია.

23529. რწმენა საკუთარ გრძნობებთან შერკინებას არასოდეს ცდილობს.

23530. ახალგაზრდობის ხასიათი იოლად აღგზნებადია. უნდა ვეცადოთ, მას საკაცობრიო საქმენი ვაკეთებინოთ, სანამდის ამ აღმაფრენას არ გაუვლია.

23531. თაყვანისმცემლები ხარისხით უნდა გამოირჩეოდნენ და არა ოდენობით – ქალისთვის ასე სჯობს.

23532. ადამიანთა განვითარება მათსავე ბუნებრივ მონაცემებსა და გონებრივ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

23533. ყველა ჩვენგანი მარად თავისი ტიპაჟის ძიებაშია.

23534. სამწუხაროსაც მისი გამგები გაიგებს.

23535. ტექნიკური პროგრესი და ცივილიზაციის მიღწევები დიდძალი ფულით ირწყვება, მაგრამ ეს ნაღვაწი მუდამ განუსჯელად მისაღები

არ არის, რადგან ხელოვნური დაჩქარება და დროისთვის უაზრო გასწრება ადამიანის ცნობიერებაზე ავად მოქმედებს.

23536. ვნებამოჭარბებული მამაკაცები თავს გაცილებით ბედნიერად გრძნობენ, ვიდრე ამას სხვებიც შეიცნობენ.

23537. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, დროს, ეპოქასა და გარემოს ფეხი უნდა ავუწყოთ, რათა მომდევნო თაობების განსასჯელნი არ გავხდეთ და თეთრ ზვიგენებად არ გამოვიყურებოდეთ.

23538. შურისთვის ზიზღი უფრო ახლობელი და მისაღებია.

23539. სულიერებას თანადგომა სჭირდება, ასე უკეთ შევიცნობთ.

23540. სიკეთის კეთება და სამართლიანობისთვის შედეგიანი ბრძოლა თავისებური ბედნიერებაა.

23541. თანასწორობა იმიტომაც არის მიმზიდველი, რომ მას გასაყოფი არაფერი აქვს.

23542. სიყვარული თანადგომისთვის გაცილებით მეტ სივრცეს ფლობს, ვიდრე მეგობრობა და ამიტომაცაა, რომ ეს უკანასკნელი უღალატო ურთიერთობას მოითხოვს.

23543. საპირისპირო სულისკვეთების საქმეთა კეთებას უნდა შევეშვათ, რადგან დიდი შანსია ხელის მოცარვისა.

23544. განკურნება ყველა არსებული სენის და მათი მახასიათებლის ცოდნას მოითხოვს.

23545. საკუთარი პოლიტიკური მეობის ანალიზისას სხვისი რჩევა მიუღებელია.

23546. ჯანმრთელობას გამძლეობა უხდება და ძალისხმევა – უნარ-ჩვევებს.

23547. პოლიტიკაში უმთავრესად არაფრისმქონე შემთხვევითი ხალხი მოძვრება, რომლებსაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ.

23548. მკაცრი ხასიათი ქედუხრელობის მაჩვენებელია.

23549. კარგ მუსიკას ხასიათზე მოვყავართ და უხასიათობას შორს მიერეკება.

23550. ტრადიციებიც გაუმჯობესებას საჭიროებს, იმისდა მიუხედავად, ეს ცვლილებები მოსაწონია წინა თაობებისთვის თუ არა.

23551. ახალგაზრდა თაობის უცნაური, ხშირად მიუღებელი ქცევები ძველი თაობის აღზრდის თეორიის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება.

23552. მოულოდნელ შეტევას ჩვენს ცნობიერებაზე გაცილებით უკეთესი შედეგი მოაქვს, ვიდრე წინასწარ დაგეგმილ და მოფიქრებულს, რადგან, ნიჭი როდის წამოყოფს თავს, არავინ უწყის.

23553. წამლობას თავისი დანიშნულება აქვს, კურორტზე ყოფნას – თავისი, ხოლო, რომელი რომელს სჯობს, ამას მკურნალობის შედეგი გვიჩვენებს.

23554. ზოგჯერ დავის მიზეზი ორივე მხარის მიერ სისულელეთა ჩადენის სურვილია და ეს მათ გართობად მიაჩნიათ.

23555. ეჭვიანობით დაავადებულ მამაკაცს სიყვარული ეჭვის გასაფანტავად სჭირდება.

23556. საკუთარი თავისადმი სანახევროდ რწმენა უპირველეს ყოვლისა საერთო საქმეს ვნებს.

23557. ლოცვაც თავისებური თავის შეხსენებაა, ესეც მათხოვრობაა, ოღონდ არა ფიზიკური, არამედ – სულიერი.

23558. სამუდამო ამქვეყნად არაფერია, მათ შორის არც დაპროგრამებული და თავგამოდებული სიყვარული. ყოველივეს ყავლი გასდის და ობი ედება.

23559. მეგობრობაა, როდესაც ერთმანეთი მოგწონთ, ამხანაგობა – როდესაც ურთიერთს უგებთ, ნაცნობობა – როდესაც ერთ სივრცესა და დროში საქმიანობით.

23560. ყოველი იდეალური ჭეშმარიტებას თანაუგრძნობს და მის გვერდით ყოფას ცდილობს.

23561. წყურვილს ალკოჰოლით არ იკლავენ, ცივ წყალს ამჯობინებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ადამიანი პირუტყვს დაემსგავსება.

23562. სასურველი ინტელექტი, შეიძლება, ცუდ ოჯახში აღზრდილსაც ჰქონდეს, მაგრამ მისთვის წუნის შემჩნევა უფრო ადვილია.

23563. შეუზღუდავი თავისუფლება ადამიანის ცნობიერებას რყვნის, გონიერებას აჩმორებს და ძალადობის წადილს უღვივებს.

23564. ცხოვრებამ ალიყური თუ არ აჭამა, ბევრი ჭკუას ვერ ისწავლის, მაგრამ ზოგიერთს ესეც არ შველის.

23565. ღმერთი ზოგს ჭკუას ურიგებს, ზოგსაც – გარეგნობას, ხოლო ვინ როგორ, სად და როდის გამოიყენებს თავის ამა თუ იმ უპირატესობას, ამაზე პასუხისგება მისი საქმე არაა.

23566. სიცოცხლე საინტერესოა, თუ ის შინაარსიან ცხოვრებას, იმედსა და სასოებას არაა მოკლებული.

23567. დამარცხებასთან შერიგება ჭირს, მაგრამ დიპლომატისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია: დღეს იპოვის, ხვალ დაკარგავს, მისი ბედი ჭირს.

23568. სიყვარული, თუ მას გამრავლება არ მოჰყვა, ზურგზე აკიდებული მულაჟია, რომელსაც ასაკში ვაცნობიერებთ.

23569. სიცოცხლეში ყველა ვჩქარობთ, მაგრამ, რა გვეჩქარება, არავინ უწყის, მით უფრო, თუ ჩვენი ბედი „ზემოთ“ დაგეგმილი და გადაწყვეტილია.

23570. რწმენას წარმოუდგენელი რაღაცების კეთება შეუძლია, თუ მისი წინამძღოლი ავტორიტეტია.

23571. სიყვარულისთვის დრო და ასაკი არ არსებობს, მხოლოდ

გრძნონათა ჩოჩქოლი და მისი დალაგების მცდელობა.

23572. არიან ისეთი გარეგნობის მამაკაცები ე.წ. ძველი ბიჭები, რომლებიც ფოტო სურათიდანაც კი გვეჩხუბებიან.

23573. ცხოვრებაში უმთავრესი შერკინების უნარია და არა საყვედურები, ჩხუბი და გინება.

23574. ყველა თავისი მსოფლმხედველობით ცხოვრებას ცდილობს, სხვაგვარად ცხოვრებისათვის მხარის აბმა გაჭიანურდებოდა.

23575. სიყვარულის უამრავი ფორმა არსებობს, მაგრამ ჩვენ რომელს მოვირგებთ, არავინ უწყის.

23576. რჩევას არ ითხოვენ, მაგრამ, თუ მისცემ, მადლობას გეტყვიან, ხოლო, გამოიყენებენ თუ არა, ეს სულ სხვა საკითხია.

23577. ჩვენთვის დამახასიათებელი ჟესტით, მიმიკით და ინტონაციით გვცნობენ თანამეინახენი, იმისდა მიუხედავად, ვიმსახურებთ სიმპათიებს თუ არა.

23578. ზოგი თანდაყოლილ პატიოსნებას იმდაგვარად განიცდის, როგორც თანდაყოლილ მანკს, რადგან მასაც ცხოვრებისაგან მეტის მიღება უნდა და, თანაც, ურიგოდ.

23579. შურისა და სიამაყის მოთოკვა დროისა და გარემოს შესატყვისად ხერხდება.

23580. ადამიანს ბედმა როგორც არ უნდა გაუღიმოს, ცხოვრების ღირებულებას ვერავინ ჩასწვდება.

23581. „ერთხელ“, – ყოველთვის ამ სიტყვით იწყება ყველასთვის მომხიბვლელი და საინტერესოდ „გაბაზრებული“ საუბარი.

23582. ცხოვრება მოკლეა, მაგრამ უფრო მოკლეა მისი სასიკეთოდ და სათავისოდ გამოყენების შესაძლებლობა და უნარი.

23583. პოლიტიკაში ერთადერთი სიმართლე არ არსებობს, რადგან ერთ აზრს შეიძლება მრავალი ოპონენტი ჰყავდეს.

23584. ის კანონია მოსაწონი, რომელიც მოხელეს სახელმწიფოს ჯიბეში ხელის საფათუროდ არ განაწყობს.

23585. ჩვენ თუ წესიერ და პუნქტუალურ ადამიანს დავსჯით, შედეგად უწესობა მოიკიდებს ფეხს და ცხოვრება საჭირბოროტო გახდება.

23586. ეშმაკის სული ყველა ჩვენგანშია მიმალული და, როდის წამოყოფს თავს ჩვენი ცნობიერების დასაბინდად, არავინ უწყის.

23587. დროს კი არ უნდა დავეწიოთ, არამედ მასთან ერთად უნდა ვიაროთ, რათა გაგვიგოს და ჩვენი წარმატება დროულად წარმოჩნდეს.

23588. პირადი ცხოვრება მაშინ ყელყელაობს, თუკი საზოგადოებას მისი ამბავი აინტერესებს.

23589. ფანტაზიორობასაც მოთოკვა უნდა, რათა ისეთი სურვილი დაისახო, რომლის ახდენაც არ გაჭირდება.

23590. როცა სხვისი აღარაფერი გშურს და სხვათა ბედ-იღბალი

საყველპუროდ გაინტერესებს, უკვე სულიერად ბებერი ხარ.

23591. ყველაზე ძნელია ჩვენი სულიერებისთვის რწმენის მორგება და შემდგომ – მისი შენარჩუნება.

23592. ჯოჯოხეთი და სამოთხე ერთი საშოდან არიან ნაშობი, მაგრამ პიარი აქვთ სხვადასხვა.

23593. იქ, სადაც უგვანო გართობებს პატივს მიაგებენ, ჭკუის მოძიება წყლის ნაყვაა.

23594. ყველა ჩვენგანი ყოფის საკუთარ სულიერებაზე მორგებისთვის იღვწის, ფილოსოფოსია ის თუ მჭედელი მუშა.

23595. განგება იმათ უფრო ხშირად ესაუბრება, ვისაც ჩუმად ყოფნა და სხვებისგან თავის გარიდება უყვარს.

23596. ურთიერთდამოკიდებულებათა შეჯერებას გონიერება, ნიჭი, შემართება სჭირდება.

23597. სინდისის შეძენას უსინდისობა მუქთად ცდილობს, რადგან ის გამოსაყენებლად მაინც არ სჭირდება.

23598. აფექტი, რწმენა, წადილი ზოგჯერ კრიმინალისკენ გვიბიძგებს და აქ უმთავრესია, საკუთარ ხუშტურებს ვაჯობოთ.

23599. ამორალური დასვენება უფრო დაღლას უკავშირდება, ვიდრე განცხრომას.

23600. უზნეო განათლებას კარგი არ მოუტანია.

23601. გარემო პირობებთან შეუთავსებლობა სისულელეთა მოჭარბებას იწვევს.

23602. ასაკში შესულთ ახალგაზრდების ძრომიალა აზრების და ყოფერებისადმი მათი დამოკიდებულების გაგება უჭირთ.

23603. ადამიანმა ღმერთი იმიტომ იწამა, რომ წინაპრებმა შთაუნერგეს და მიაჩვიეს მისდამი მორიდებულ დამოკიდებულებას.

23604. სიყვარული ხშირად არ ამართლებს, მაგრამ განუმეორებელ გრძნობათა შეხლა-შემოხლის თანამონაწილეა.

23605. ვნების მართვის უნარი მამაკაცებზე უკეთ ქალებს შესწევთ, თუ სექსოლოგის გაკვეთილები ათვისებული აქვთ.

23606. ჩვენი გონიერების მეგაბაიტს არაორდინალური ხასიათი ხშირად კვანტს უდებს.

23607. უბედობისკენ მიდრეკილებაა, რომ რეალურ სათქმელს ხელს უშლის და აკნინებს.

23608. ვნების ხელოვნება ისევე შესწავლილია, როგორც სხვა დანარჩენი და, შესაძლოა უფრო მეტადაც კი.

23609. არის სურვილი, იმაზე უკეთესი წარმოჩნდე, ვიდრე ხარ, ოღონდ ამის უფლებას ზოგჯერ ხასიათი არ გვაძლევს.

23610. ყველა ქალი თავისებურად „უჭკუოა“, თუ ამის გამხელას თავად მოინდომებს.

23611. ეშმაკური ბუნების ადამიანი ვითომდა გულს გვიხსნის, მაგრამ სინამდვილეში წვრილმანებში იმალება, იბლანდება.

23612. ამ ცხოვრებაში თავის წარმოჩენის უფლებას მოპოვება უნდა.

23613. ახალს არაფერს ვწერთ და ვაკეთებთ, უბრალოდ, სხვათა ნაფიქრალს ჩვენი ნიჭის შესატყვისად ახლებურად ვეხმიანებით და ქაღალდზე გადაგვაქვს.

23614. გონიერება და მოდა ძალადობის წინააღმდეგ გამოდიან.

23615. ბრმა შემთხვევის წყალობით ზოგჯერ კაცი ბედნიერდება, თუ ამ შემთხვევას გონივრულად გამოიყენებს.

23616. სიამაყე თითქოს ფიზიკური ძალა არ არის, მაგრამ თავის წარმოჩენის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა.

23617. სულიერების ხმაა, რომ ადამიანს წარმატებისა და სიახლის ძიებისაკენ უბიძგებს.

23618. სიკეთის გაცემასაც ბედი უნდა, რადგან, როგორ და რაგვარად დაგვიფასებენ, არავინ უწყის.

23619. სული ხორცის გარეშე ღმერთს არ უქნია და, პირიქით. აქ მე, რასაკვირველია, კულინარია არ მაქვს მხედველობაში.

23620. ხასიათის დახვეწა ათასგვარ უგუნურებასა და უგვანობაზე გადახტომას მოითხოვს.

23621. მორჩილებაც გონიერთა ხელოვნებაა და თავისებურ ნიჭს მოითხოვს, რათა კაცმა ცხოვრება არ გაირთულოს.

23622. შფოთი და მოუსვენარი ბუნება ადამიანს ცხოვრების ავკარგიანობის მადლს შეაცნობინებს.

23623. გართობის უნარის დავიწყებამ, უყურადღებობამ მეგობრების დავიწყება და ყოფის თავის ნებაზე მიშვება იცის.

23624. ქორწინება მაინც ბედია. მას არც ცხოვრების გამოცდილება შველის და არც კეთილის მნდომთა ჩარევა, დარიგება.

23625. ჭეშმარიტებასთან შებმა არა ღირს, რადგან ის ადრე თუ გვიან თავის ალიყურს გაგვაწნავს.

23626. სიმპათიას ხშირად ანტიპათიასთან შეჭიდება უჭირს, რადგან, ამ უკანასკნელის ნაკლი როდის გამოაშკარავდება, არავინ უწყის.

23627. ჭეშმარიტების დანახვა ძნელია, მისი გააზრება და გათავისება – კიდევ უფრო რთული.

23628. სიცოცხლეს დიდი კომერციული გარიგება აქვს დადებული ყოფიერებასთან და აქ ბეჭდის როლს ადამიანი ასრულებს.

23629. უმცირესობა ყოველთვის უმეტესობის საქმეს აკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ ნებართვას მათგან ითხოვს და იღებ კიდეც არჩევნების გზით.

23630. პოპულარობის მომტანი ნაბიჯის გადადგმას მაშინ აქვს

ფასი, თუ სხვანი მას თავიანთი გადასახედიდან არ გაიმეორებენ.

23631. ასაკში შესულთ გვეჩვენება, რომ ურთიერთგულცივობა, სიწყნარე და ურთიერთგაუხსენებლობა სიმშვიდეს მოგვიტანს.

23632. ადამიანისთვის ოცნების უფლების წართმევა კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული იქნებოდაა, ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო.

23633. სიმართლეში ძალაა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მას დამცველიც გამოუჩნდება.

23634. ავადმყოფობას ისევ მოსაბეზრებელი პროფილაქტიკა სჯობს, თუ ამას მოვახერხებთ.

23635. არასოდეს ასესხო ფული იმას, ვისაც შენი შურს, რადგან თუ საქმე წაღმა წაუვიდა, ნიშნსაც მოგიგებს და ვალსაც არ დაგიბრუნებს.

23636. სიცოცხლე ბრძოლისა და შემართების უნარით ფასობს, რადგან უსაქმურობას იგი ვერ ეგუება.

23637. ძლიერი ბუნებისაა ის ადამიანი, ვინც თავის სისუსტეებს დროულად უღებს ალღოს და ასევე დროულად დაძლევს.

23638. დროულად მოსული ყველაფერი მისასალმებელი და მისაღებია, სიკვდილის გარდა.

23639. უკეთ ცხოვრების მოწყობა სხვაგან საცხოვრებლად გადასვლით არ გამოვა, თუ თქვენმა ბედმა ან ზნე არ შეიცვალა, ან ფერი.

23640. გემოვნების ქონა – არ ქონა ინდივიდის პრეტენზიებსა და დროსთან გემოვნების შეჯერებაზეა დამოკიდებული.

23641. უნიჭობა ყველა სიკეთის მტერია, ოღონდ პასიური მტერი.

23642. სიზარმაცე ყველაზე ზანტი მტერია კაცობრიობის წინსვლისა და განვითარებისა.

23643. პოლიტიკის და პოლიტიკოსთა პრობლემა ყოველთვის იყო ქვეყნის ეკონომიკა და ყოფაში ჩაყოფილი ყბა, რომელსაც ჭამა უნდა.

23644. ფაქტობრივად დემოკრატია და თავისუფლება ყოველივე იმას იღებს დიქტატურიდან, რაც მის აუტისტ გონიერებას მოსწონს და მის ჯიბეს ესალბუნება.

23645. წესით, ადამიანის გონიერება-ცნობიერებისთვის ზნეობაზე, იდეალების სიწმინდესა და მშვიდობიანობაზე ძვირფასი არაფერია.

23646. მადლიერების გრძნობის გამოხატვასა და წარმოჩენას თავისი რიგი, დრო და დიზაინი სჭირდება.

23647. ცისარტყელის დანახვას ღრუბლებთან საქმის ჩაწყობა სჭირდება, რათა მათ ხელი არ შეუშალონ ცისარტყელას და არ ჩამოვარდნენ.

23648. ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკის უქონლობისა და პოლიტიკური უტვინობის ერთადერთი სიკეთეა უიმედო იმედის ქონა.

23649. ყველა ქალში მამაკაცმა თავისი დადებითი ენერგია უნდა

ჩადოს, რათა ქალი მისდამი სიამის მისაგვრელად განაწყოს.

23650. კანონს ბიუროკრატიის გარეშე მუშაობა უჭირს, მაგრამ არც ბიუროკრატია უნდა გავაჯეჯილოთ, რათა თავი არ აიშვას.

23651. უპირველესად ადამიანის ნერვულ სისტემას სჭირდება მოვლა-პატრონობა, რადგან ადამიანური „მეს“ ბუნებას სწორეს ის განსაზღვრავს.

23652. უსიამოვნო საქმის კეთებამ, არ აქვს მნიშვნელობა შედეგს, მობეზრება იცის და ადამიანი მისგან თავის დაღწევას ცდილობს.

23653. ყოველივე სასარგებლოა, რაც თვალს სიამოვნებს, გულს უნდა და კუჭი უპრობლემოდ ინელებს.

23654. ზოგჯერ ტერორი არის უკიდურესი საშუალება უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისა, როდესაც ხშირად განუსჯელად ირღვევა უდანაშაულოთა უფლება.

23655. ასკეტიზმსაც თავის გასამართლებელი აზრები, არგუმენტები, შენიშვნები და ალიბი აქვს.

23656. ადამიანმა საკუთარი სიცოცხლის მშვენიერება, თავადვე უნდა შექმნას, შეთხზას და შეირგო.

23657. ვისაც დასაკარგავი არაფერი აქვს, მასთან ურთიერთობა სახიფათოა.

23658. სიბრძნის საფქვავი დოლაბი დროისა და გარემოს შესატყვისად უნდა ფქვავდეს.

23659. აზროვნება შეკითხვების გარეშე ვერ ვითარდება და ასეთი არც არავის სჭირდება.

23660. საკუთარი თავისათვის შეძახება მაშინაა ადვილი, როცა არავინ გედავება და ხელს არ გიშლის, შენს ჭკუაზე იდგე.

23661. ქალისთვის, ეტყობა, მთავარი მაინც გულია, რადგან დიაცი გულით საზრდოობს და აზროვნებს კიდეც.

23662. შვილების გაზრდა და მათთან ჭიდილი ერთგვარი სასიამოვნო გართობაა, თუ ამას შეგნებით მიუდგებით.

23663. ბრაზი თავს გაბაზრებული და გაბრაზებული სიტყვებით იმშვიდებს.

23664. ღმერთი, ალბათ, იმათთანაა, ვისაც ცხოვრებაში უმართლებს და ყოველივე ეს „ფორტუნას“ ბრალდება.

23665. პატარ-პატარა შიშებს დიდი შიში უწევს კონკურენციას მშიშრისათვის თავზე წამორტყმის გზით.

23666. ვისაც სიკვდილისთვის თვალებში ჩაუხედავს, მას აქვს უფლება თქვას, რომ ცხოვრების გარკვეული ეტაპი დროზე ადრე გაუვლია.

23667. ზოგჯერ ცხოვრების გზაზე სიარულს უამრავი ეკალი და ხიწვი გვიშლის, მაგრამ გვსიამოვნებს ამ სიძნელის დაძლევა.

23668. ზოგჯერ სიყვარულს საყვარელი ადამიანის ლოდინი ძალას მატებს, მით უფრო მოსულს თან მოჰყვება თავს გადახდენილი საინტერესო ამბები.

23669. ყველა ასაკი ყოფიერების ახალი საზღვრების დაპყრობას ცდილობს წარსულის განსჯის და გახსენების გზით.

23670. სანამ ცნობადი გახდებოდეს, პოლიტიკოსი ყველას უკანალში უძვრება; თავისას მიაღწევს და საკუთარი უკანალის ქონა და მისი საჭიროებაც ავიწყდება.

23671. პატრიოტი ბუნებით უნდა ვიყოთ და არა შეგნებით, რადგან ეს უკანასკნელი მაინც ყოფის პირობების ზეგავლენას განიცდის.

23672. როდესაც ფაქტი აშკარაა, აქ „წარმოუდგენელია“, „შეუძლებელია“ და „არ ჩაიდენდა“ აღარ ჭრის.

23673. უგულო ადამიანები ბევრ რამეს გვპატიობენ, თუ მათს ჯობნას არ შევეცდებით.

23674. შემოღებულ უნდა იქნეს ტერიტორია „თავისუფალი ოჯახის“ სახელწოდებით, სადაც ყველა დისიდენტს და სხვაგვარად მოაზროვნეს უნდა მივცეთ შანსი და უფლება, ამ ტერიტორიაზე თავიანთი სურვილების შესატყვისად იღვაწონ, თავი ირჩინო და კიდევაც გამოიჩინონ. ეს რომ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს თავის დროზე გაეკეთებინა, ამდენ უგვანო რევოლუციასა და ბუნტს თავიდან აიცილებდნენ.

23675. გონივრული დიქტატურა გაფეტიშებული არჩევნების ჩაუხუტებლადაც აგვარებს სახელმწიფოებრივ პრობლემებს, ხოლო დემოკრატია საყოველთაო არჩევნების მოსაწყობად კარგავს საქმის საკეთებელ დროს.

23676. ადამიანმა მოუსვენრად უნდა იცხოვროს, გაისარჟოს, რათა ამქვეყნად ყოფნის მადლი შეიგრძნოს.

23677. იუმორის გრძნობა სიძნელეთა დაძლევაში გვშველის და ყოფიერების კაპრიზებს შედარებით უმტკივნეულოდ გადაგვატანინებს.

23678. მიცვალებულზე უფრო მეტ სიმართლეს ამბობენ, ვიდრე ცოცხლად დარჩენილ ვიგინდარაზე.

23679. ცუდები უცბად არ ხდებიან, უბრალოდ, მათ თან მჭიდრო ურთიერთობა ადრე არა გვქონია.

23680. შენიშვნის მიცემის, განსჯის, გაკრიტიკების შედეგად ჩვენი ან სხვისი გამოსწორება ჩვენს ნიჭიერებაზე მიუთითებს.

23681. რაც უფრო უნიათოა თქვენი პროტეჟე, მით უფრო მეტი რეკლამა სჭირდება წარმოჩენისთვის – იაფიანი საქონელივით.

23682. იმედით საზრდოობენ, ოღონდ... არ იკვებებიან.

23683. ასაკის მატება უფრო და უფრო ცუდად ზემოქმედებს როგორც ჩვენს ცნობიერებაზე, ასევე ჩვენს ჯანმრთელობაზე.

23684. გაურკვევლობა ტანჯვა-წამების ერთ-ერთი ხერხია. გაურ-

კვევლობაც ცუდ შედეგს იძლევა და ეს შედეგი უპერსპექტივო და სათუოა.

23685. სიყვარული მარად სასურველი პარტნიორის ძიებაშია. ამ ძიებისას არენაზე გამოდიან მთავარი აქტიორები: დრო, ბედი, შემთხვევა.

23686. ქალის ამეტყველება ადვილია, მისი „ჩამეტყველება“ და გაჩუმება – ძნელი.

23687. სახელმწიფოს გონივრული პროპაგანდა-აგიტაცია დიახაც სჭირდება.

23688. მოგვწონს, არ მოგვწონს, შემოქმედის ნება თავისუფალი უნდა იყოს, რათა თავისი საქმიანობა ნიჭითა და შემართებით წარმართოს.

23689. გონიერება ყოველთვის იმაზე მეტს უნდა იღებდეს, რის გაცემასაც თავად აპირებს.

23690. ყველა ჩვენგანი ვალდებულია, ჩვენს გადამრჩენ თეორიებზე იფიქროს, მათ შინაგანად გაესაუბროს, ოღონდ რეალობას არ მოწყდეს და გონივრულად იმოქმედოს.

23691. გააზრებული ქმედებანი მომხიბვლელია, მით უფრო, თუ შედეგი დამაკმაყოფილებელია და სიბერეშიც კეთილად მოგვაგონდება.

23692. ყველაფრის სწავლა საჭიროა, თუნდაც როგორ უნდა იცხოვრო და როგორ მოკვდე.

23693. ჭეშმარიტებას ზოგჯერ თავისი გულკეთილობის დანახვაც კი უჭირს, იმდენად ახლოსაა იგი სულიერებასთან. დამაჯერებელია მისი ნაზრევის სულიერება.

23694. გონი, რომელსაც უნარი შესწევს, დაივიწყოს ყოველივე ის, რაც მას არ გამოადგება და ნერვებს უშლის, მეცნიერების ბიძაშვილია.

23695. ზოგჯერ გვეჩვენება, თითქოსდა ფილოსოფოსები თავზე ბევრ სისულელეს გვახვევენ, მაგრამ თუ კარგად ჩავფიქრდებით, აღმოვაჩენთ: მათს მსჯელობაში დიდი და ღრმა აზრია.

23696. შექებაც გადამოწმებას მოითხოვს, ხომ არ გემლიქვნელებიან?

23697. ჩვენ მიერ ახალგაზრდობაში ჩადენილ სისულელეებს გამართლება ისევ და ისევ ახალგაზრდობამ უნდა მოუძებნოს.

23698. აწმყოსათვის წარსულის თვალით ყურება კარგია, თუ წარსულის ცოდვები შეგრჩათ.

23699. ნათელი მომავლისკენ ოდინდელი სწრაფვა გვამახსოვრდება, იმისდა მიუხედავად, იმედები აგვისრულდა თუ გაგვიცრუვდა.

23700. სიყვარულს ბევრი რაღაც შეუძლია, მათ შორის უპირველესია ადამიანის ბუნება-გუნების შეცვლა.

23701. სიმართლე ოდესღაც იზეიმებს, მაგრამ ზოგჯერ ამას ჩვენთ-

ვის განკუთვნილი სიცოცხლე არ ჰყოფნის.

23702. ზარმაცს ქალის მოსახიბლავი სიტყვების მოძიებაც კი ეზარება, იმდენად არაადეკვატური და გაუგებარია მისი ბუნება-გუნება.

23703. უქნარობა უქონლობისა და სიღარიბის სინონიმია, რაც უნდა ბედი გვწყალობდეს. თუმცა ესეც კია: თუ ბედი გწყალობს, მაშინ უქნარა არ იქნები.

23704. ჭეშმარიტება ბევრი ან ცოტა არასოდეს არის. ის ან არის, ან არ არის და განსჯას არ ექვემდებარება.

23705. ლოგიკა და მჭევრმეტყველება ზოგჯერ გამოუვალი სიტუაციიდან წარმატებით გამოგვაძვრენს, სანამდის ჩვენი ოპონენტი აზრებს მოიკრეფდეს და გონზე მოვიდოდეს.

23706. ახალგაზრდობას რომ ყავლი გაუვა, მემუარების წერას დაიწყებს.

23707. გონივრული წიგნების, კლასიკის წაკითხვის სურვილი ყველას აქვს, მაგრამ ამ შესაძლებლობას იშვიათად იყენებენ და ამგვარ წიგნებს თაროზე, გამოსაჩენ ადგილზე, შემოდებენ თავის მოსაწონებლად.

23708. ასაკის მატება ზოგჯერ ყოველგვარ იმედებს გვიწურავს, ოცნებებსაც კი გვიზღუდავს.

23709. მამაკაცის საქმეა სახლის შენება, ქალისა – სახლის კომლად გადაქცევა და მასში ტრიალ-ბზრიალი. თუ ეს კანონზომიერება ირღვევა, მაშინ თავს წამოყოფს ოჯახური გაუგებრობანი, ემანსიპაციის მსახვრალი ხელი, შედუღაბებული კავშირის რღვევა.

23710. ამბობენ, მამაკაცის სიყვარული ხილულია, ქალისა კი – ბრმა, მაგრამ, თუ გრძნობათა ჩოჩქოლი ურთიერთს არ მოერგო, ყოველივე ჭირს მოგვჭამს.

23711. სიბერეში, ალბათ, ესეც თავისებური ბედნიერებაა: თუ არავის სჭირდები, არავინ გვჭირდება, რაკიღა ძველებურად ჯანმრთელი ხარ და არ ავადმყოფობ.

23712. ამჟამინდელი პოლიტიკა ცირკის არენად იქცა, ხოლო წარმოდგენაში მონაწილე ვაი-პოლიტიკოსები – ქვეყნის ტიკიმასხარებად.

23713. ყველა სახის მისია მსხვერპლს მოითხოვს, გონიერებით იქნება იგი ნაკარნახევი თუ უგნურებით.

23714. ეშმაკისათვის სულის მიყიდვა ძვირი ჯდება, რადგან გამოსასყიდი აქვს ათმაგი.

23715. ოცნების სახლი გულით უნდა ვაშენოთ, თუ ამის საშუალებას ჭკუა-გონება არ გვაძლევს, რადგან ოცნება ადამიანის არსის აუცილებელი ატრიბუტია.

23716. შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონის გაუცნობიერებლად ცხოვრების უცნაურ მალაყთა აღქმა და განსჯა ჭირს.

23717. პატრიოტიზმი უპირველესად სულიერების გამოძახილია და არა – გონიერებისა.

23718. ჭირს საყვარელი ადამიანის შეცნობა და არა გაცნობა, რადგან სიყვარულსაც მისთვის გასაგები ხუშტურები ახლავს.

23719. ენთუზიაზმი ნიჭის ფესვია, გონიერების ყლორტი და სულიერების ფოთოლი. მათი მოწოდებაა, სიცოცხლის მარადიული ყვავილობისთვის ხელის შეწყობა.

23720. დიდი ბედნიერებაა იმ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც სიტყვას ფასი ადევს.

23721. დრო ყველაზე მკაცრი და სამართლიანი მსაჯულია, მაგრამ მას ხელისშემშლელი ვექილებიც არ აკლია.

+23722. კოჭლობით მოსული სიკეთეც სიკეთეა, რადგან ჩვენთვის განკუთვნილი ნუგეში მარად თან ახლავს.

23723. როდესაც თავის წარმოჩენის მიზნით სისტემას ანგრევ, რომელიც ისედაც ინგრევა, გარანტია არაა, რომ მის ნანგრევებში არ მოხვდებით. შედეგს კი ვერავინ იწინასწარმეტყველებს.

23724. ხელისუფლებას ხალხის რიდიც უნდა ჰქონდეს და შიშიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ხალხი უქნია ღმერთს და არც – ხელისუფალი.

23725. თავის წარმოჩენა ჩვენი ხასიათის ხატია, ხოლო თავმოყვარეობა – ჩვენი გონიერების განუსჯელი ნაწილი.

23726. ჭკუა-გონებას ვერ იყიდი, მაგრამ შეძენა შესაძლებელია, თუ რა გზით – ეს უკვე თქვენს „მარიფათზეა“ დამოკიდებული.

23727. ყბედობა, ჭორაობა და ტელეფონით გაუთავებელი ლაპარაკი ცუდი გართობისა და დროის მოკვლის ერთ-ერთი უგვანო სახეა.

23728. მორჩილის სამსახური ურთიერთდაფასებასა და პატივის მიგებაზეა აგებული და არა დაპირისპირებასა და ერთმანეთის აუგის თქმაზე.

23729. ჭკვიან ადამიანს თავისი წილი მოშურნეც უნდა ჰყავდეს, მაქებარიცა და მაგინებელიც. გონიერი ამ უმაღლეს პატივს დიახაც იმსახურებს.

+23730. ზოგჯერ გული თვალებზე უკეთ ხედავს, ხოლო სული ენაზე უკეთ მეტყველებს.

23731. ყველა მწერალი თავის ნაღვაწს მოკრძალებითა და შიშით უყურებს, რადგან არავინ უწყის, მკითხველის რა გამოხმაურება მოჰყვება.

23732. ძველსა და დაღვინებულ ჭეშმარიტებას კაცმა ფეხი არ უნდა დაუდოს.

23733. სიბრძნესა და ნიჭს ანალოგი არ ჰყავს, რადგან წინ უსწრებს თავისი დროის პროცესებს.

23734. განათლებას ყოველთვის ჰყავდა თავისი დროის ოპონენტები, ცოდნისაგან განსხვავებით.

23735. ცოდნა მოჩვენებითსა და სათუოს არც აღიარებს, ვერც იტანს.

23736. ის თამამი აზრია მოსაწონი, რომელშიც წარმატების ვირუსი დევს.

23737. მამაკაცებს რწმენა ამრავლებს, დედაკაცებს კი გენეტიკური სურვილი.

23738. გონიერების წამახალისებელი და წარმომრჩენი ხშირად დროული დაფინანსება და კეთილი სიტყვაა.

23739. ცუდი სიფხიზლე გლახა სიმთვრალეს ვერა სჯობს, რადგან ჯერჯერობით ამ უკანასკნელს სანანებელი არაფერი აქვს.

23740. მაქსიმალიზმი ზოგჯერ, თავის სიმართლეში დასარწმუნებლად, მისთვის მიჩნეულ ჭეშმარიტებასთან გასაუბრებას ლამობს.

23741. ერის ისტორიული წარსული მსოფლიო გონის ნაჩალიჩარია და მისი შეცვლა შეუძლებელია.

23742. სიღარიბის მტერი შინ მიტანილი ყოველდღიური პური კი არ არის, არამედ განათლება, ცოდნა და კულტურა.

23743. კორუფციული პოლიტიკური „მატრიოშკა“ თუ ბოლომდის არ გაიხსნა, წარსული შეცდომებისაგან თავის დაღწევა შეუძლებელი იქნება.

23744. პოლიტიკაში მეგობრობისთვის ადგილი იშვიათად რჩება, იმდენად არასანდო და არამყარია ამ სფეროში ადამიანთა ურთიერთობა.

23745. ხელოვნებას თავის წარმოსაჩენად მისი დროის სულიერებასთან შეხება სჭირდება, რათა გონთშესავლები ნაღვაწი შექმნას.

23746. საქმიანი კრიტიკა ცარიელისაგან განსხვავებით სარგებლის მომტანია.

23747. გენიოსებს გულუბრყვილობა კიდევაც უხდებათ და კიდევაც წარმოაჩენთ, როგორც მათი ადამიანური სისუსტე.

23748. ზოგჯერ გარკვეული საკითხები პირადულზე მაღლა უნდა დავაყენოთ, თავი რომ ქვეყნის მოქალაქედ და პატრიოტად ვიგრძნოთ.

23749. ჯანსაღი სიცილი და არა დაცინვა ზოგჯერ უგვანობასა და გაუგებრობას უფრო წარმატებით ებრძვის, ვიდრე ადმინისტრაციული სასჯელი.

23750. ჭეშმარიტების წვდომა-გაცნობიერებაში ზოგჯერ იუმორიც გვეხმარება.

23751. იუმორის ნიჭი გამჭრიახებსა და ყოფის სრულყოფილებისთვის მებრძოლებს ახასიათებთ.

23752. იმედი არ უნდა გადავიწუროთ და გონივრულ ცხოვრებას დავეჩვიოთ, რათა ერთმანეთთან დაუდაპირისპირებლად და მშვიდობი-

ანად აღვასრულოთ დასახული მიზნების ნაწილი მაინც.

23753. ვეცადოთ, ჩვენ მიერ მოწყობილ დღესასწაულზე უკანასკ-ნელნი არ დავრჩეთ, რაკიღა ცხოვრება დღესასწაულების გარეშე ჭირს.

23754. ბოდიშს იხდიან ან არ იხდიან. აქ მთავარია, რა სარგებლობა მოაქვს ან ერთს, ან მეორეს.

23755. საყოფაცხოვრებო პირობები ან უნდა მოვაგვაროთ, ან არ-სებულს შევეჩვიოთ. სხვაგვარად საკითხის გადაჭრა არ ხდება.

23756. ამქვეყნად სასაცილო და სახუმარო ბევრია, მაგრამ მათში სადღეისოდ აქტუალური უნდა ამოვარჩიოთ.

23757. მტრისთვის პატივის მიგება მისმა სიძლიერემ იცის. როდე-საც ის გჭირდება, ემორჩილები და ანგარიშსაც უწევ.

23758. არარსებული გრძნობებით გაჯირითება გაცილებით ძნე-ლია, ვიდრე არსებულით, რადგან პირველს „ბლეფის“ ნიჭი სჭირდება.

23759. თუ ქალს ისე მოექცევით, როგორც მისი გაუგებარი ბუნება მოითხოვს, მასთან ურთიერთობა გაგიადვილდებათ და ეგ სიამის მომ-ტანიც იქნება.

+23760. ჯანმრთელობა უხილავი სულიერების ხილული სახეა.

23761. ბავშვობის წლებს თუ ხშირად იხსენებთ, ეს იმას მოასწავებს, რომ სიცოცხლის წყურვილი ჯერ კიდევ არ გაგნელებიათ.

23762. გონიერება უნიჭოდ ვერ განვითარდება, რადგან მარტოოდ-ენ დაკვირვება და მცდელობა სიახლის ძიებისას დიდ შედეგს ვერ მოგვცემს.

23763. ყოველი სახის დაუღვინებლობა ანგრევს საზოგადების მრ-წამსს და აფერხებს მის შესაძლო განვითარებას.

23764. სიამოვნების მინიჭება და ბედნიერების აღქმა სინონიმებია.

23765. ეცადეთ, ადამიანით განუსჯელად არ მოიხიბლოთ, რათა ბოლოს შემუშავებული წარმოდგენა არ გაგიწბილდეთ.

23766. ბედის გამართლება და შინაგანი შემართება სულიერებას სიამით ეტმასნება და ელაციცება.

23767. გონივრულად ფულის ხარჯვა და დაბანდება უფრო ძნელია, ვიდრე მისი შოვნა.

23768. სიყვარულისთვის იბრძოლებ თუ იშრომებ, მისთვის სულერ-თია, სანამდის მასში სულიერების ჰორმონები არ ჩაერევა.

23769. ისტორიული პიროვნებები თავიანთი ძალისხმევით დედამი-წას არა, მაგრამ დედამიწის მოსახლეობის წონასწორობას უნარჩუნებენ.

+23770. სიცოცხლის უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა ის, რაც ხშირად გახსენდება, და არა ის რაც დავიწყებას ეძლევა.

23771. ნიჭი ყოველთვის წარმოჩნდება, თუ მას დაფინანსება ექნება და ხელისუფლება მხარში ამოუდგება.

23772. „დაიკიდე“, „გაატარე“ – ეს არის დღევანდელი ცხოვრების

დევიზი და ნერვების აშლილობის პირობაა.

23773. გუშინდელი ხუმრობა დღევანდელ ხუმრობას ფეხს ვერ აუწყობს.

23774. მასმედიას და ინტერნეტ სივრცეს გონიერების ორმაგი ფილტრი სჭირდება, რათა მომავლისთვის საზიანო აზრებითა და იდეებით არ დაგვაავადმყოფოს.

23775. ზომიერება ყველგან და ყველაფერში გვჭირდება. ეს იდეა უნდა გავავრცელოთ, გავყიდოთ, გავაჩუქოთ, გავაპიაროთ, რადგან საუკეთესო საშუალებაა, რათა ბრბო საზოგადოებად იქცეს.

23776. ტკივილი, სულიერი იქნება ის თუ ფიზიკური, ცხოვრების აუცილებლობაა, რადგან განგება ხშირად გამოცდას გვიწყობს ჩვენივე მეობის შესაცნობად და გადასამოწმებლად.

23777. თუ რაიმე გვვნებს, ის გვაიძულებს კიდეც, გარკვეულ გარემოში გონიერებას ვუხმოთ.

23778. რაშიც ბედნიერების საწყისს ნახავთ, ის არის ჩვენი ცხოვრების რაობაც და ყოფის მადლიც.

23779. ჭეშმარიტმა ადამიანმა და ბუნებით პატრიოტმა ყოველთვის იცის, რა უნდა აკეთოს, რით ისულდგმულოს დროსა და გარემოს შესატყვისად.

23780. სიახლით უნდა დავინტერესდეთ, სხვაგვარად ჩვენზე მონდობილ საქმეს წარმატებით ვერ გავაკეთებთ.

23781. სიკეთის ბაცილა ყველა ჩვენგანშია, მაგრამ მთავარია, ხელი შევუწყოთ მის გამრავლებას, წარმოჩენას.

23782. რეალური წარმატებისკენ ლტოლვა კარგია, ოღონდ არა საკმარისი. ამ წადილს ზურგი უნდა გაუმაგროს კონკრეტულმა საქმიანობამ.

23783. სიცოცხლის ხალისი სიყვარულს გვინერგავს, გვაძლევს უფლებას, რათა გარეშეთა უგვანობას წიხლი დავაჭიროთ.

+23784. მორჩილება გამართლებულია გონიერების წინაშე, ოღონდ მიუღებელია ყოფიერების წინაშე.

23785. გონიერებას შედეგი უნდა აინტერესებდეს და არა პროცესი, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

23786. ნიჭს არ აქვს ეროვნება. ის ყველას საკუთრებაა, ვისაც მისი დაფასება და მასში წვდომის უნარი შესწევს.

23787. გულით ვინც ცხოვრობს, ის ცხოვრებაში მრავალ შეცდომას უშვებს, მაგრამ დანაკარგი ნაკლებია, თუ გონიერება შეცდომების გამოსწორებას ლამობს.

23788. ნამდვილი სიყვარული სხვაა, მოჩვენებითი – სხვა. პირველი გულიდან მოდის, მეორე – გონებიდან.

23789. უმთავრესად პიარი ჩვენს ქვენა გრძნობებს და ანგარიშებს

ემსახურება.

23790. ყველა კარგი საქმის კეთებაში შემოქმედებითი მარცვლები უნდა გაეროს, თუ გვინდა მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიოთ.

23791. უეცრად გამდიდრებულ-გაამაყებული ახლობელი სჯობს, თავიდან გაიცნოთ, რათა უკეთ დაინახოთ მისი ამბიციები, შური და ეჭვიანობა.

23792. სამწუხაროდ, გაუთლელი და დაუღვინებელი ვაი-პოლიტიკოსების რაოდენობა არ კლებულობს, რადგან პოლიტიკა სარფიანი საქმეა, ხოლო მათი ამომრჩეველი ემოციებით მოქმედი განუსჯელი მასაა.

23793. ტალანტი ბედის ერთი გაღიმება, ოღონდ ერთი ღიმილი არ კმარა. საჭიროა მეორეც – სახელმწიფო მხარდაჭერა და თანადგომა.

23794. პროგრესის აღქმას, გონიერების გარდა, ძალ-ღონეც სჭირდება.

23795. სიბერე ნაჯაფს უკეთ იმკის, ვიდრე თესავს და უვლის.

23796. სიცოცხლის შენარჩუნებას ყველა ვითარებაში უნდა ვეცადოთ, მაგრამ არა სხვათა უბედურების ხარჯზე.

23797. სიცოცხლეს ფასს ძირითადად გონიერება და დროის ყივილი ადებენ.

23798. სიყვარულს ზნეობა სილამაზესა და მომხიბვლელობას მატებს.

23799. ფრთებიანი ანგელოზები ვერ გავხდებით, მაგრამ ვეცადოთ, ოთხფეხა ცხოველებს არ დავემსგავსოთ.

23800. მეგობარს გული ნახულობს და სული უგებს, ხოლო გონიერების მოწოდებაა, ეს მცდელობა გადაამოწმოს.

23801. პროზაში თუ პოეზიის ელემენტები და ფილოსოფიური საწყისი არ გამოერია, ისე პროზაიკოსი წარმატებას ვერ მიაღწევს.

+23802. ღირსებით არ ტრაბახობენ, ღირსებით ცხოვრობენ.

23803. მლიქვნელობა დროისა და გარემოს შესატყვისი გამორჩენის მცდელობის უვერტიურაა.

23804. სიდიადე სჯობს წარმატებულობას, იმისდა მიუხედავად, რომ უკანასკნელი სარფიანია.

23805. ქართველს არ მოსწონს, სხვებისგან თუ დავალებულია, თუნდაც ეს იყოს ფულის სესხება. ის გამსესხებლის უპირატესობას აღიარებს სიტყვით „მასესხაო“, ხოლო ვალის ჩასესხების შემთხვევაში თავს იწონებს სიტყვით „მივაშავეო“. რას ვიზამთ, ასეთია ჩვენი ყოყლოჩინა გენი.

23806. სამოთხეში მიმავალ ცხვარს დუმა ამძიმებს, ხოლო სამოთხისმაგვარი ცხოვრებისკენ მიმსწრაფ ქალს – დიდი ტრაკი.

23807. ყველა დარგს თავისი მაესტრო – დამმოძღვრავი სჭირდება,

რათა ამა თუ იმ დარგმა ან სპეციალობამ არსებობა ჯეროვნად განაგრძოს.

23808. იმდენად ჭრელია ადამიანთა ბუნება და ხალხის გაგება, რომ ლიბერალიზაციასა და თავისუფლებას არცერთი ქვეყნის სახელმწიფო წყობისთვის საბოლოოდ სიკეთე არ მოუტანია.

23809. ის, რაც შეიძლება მამაკაცის ფალოსმა, დიპლომატიამ, გუთანმა აკეთოს, ხმალს, დაპირისპირებას, ყოყლოჩინობას არ უნდა აკეთებინო.

23810. ისტორიას ქმნიან მეამბოხე სულის ადამიანები, რომლებსაც ახლის ძიების წადილი და კარიერული სწრაფვა არ ასვენებთ.

23811. უფლება მოვალეობათა უქონლად ანარქიაა.

23812. ადამიანის საბაზო საწყისის მოთხოვნა სიყვარულია, თუ გინდა ის მოშორებით იყოს თავისი რჩეულისგან.

23813. მამაკაცი ქალთან ურთიერთობაში სასწაულებს სარეცელზე უნდა ახდენდეს, რათა მდედრმა მისი იწამოს და პარტნიორობა და ქვე-შევრდომობა სიამოვნებით აღიქვას.

23814. ყოველივე ის, რაც სინდისს შეურაცხყოფს და ხორცს ატკ-ბობს, ცოდვაა. ამას ქადაგებს ყველა რელიგია, იდეოლოგია, სამართა-ლი, მაგრამ თვალი მაინც ტკბობისკენ გაგვირბის, რადგან ადამიანი ბუნებით მაინც სუსტი არსებაა.

23815. სტაბილური ბუნების მქონე ქალის ფსიქიკა ერთ პარტნიორს სჯერდება და ეთაყვანება, არასტაბილურისა კი – მრავალს, რადგან მას არჩევანის გაკეთება უჭირს.

23816. უპირველესად საკუთარ თავს უნდა მოვუფრთხილდეთ და შემდგომ, გონიერების ფარგლებში, არც სხვა დავივიწყოთ.

23817. ყველა ღიმილისა და თვალის ცეცების დანიშნულებაა, პარტნიორის გული მოინადიროს.

23818. ქალისა და კაცის ურთიერთობა ნებაყოფლობითია და აქ უაზრო კომპრომისი ხშირად არ ამართლებს.

23819. მკვეთრად გამოხატული ხასიათი პარტნიორისთვის უფრო მისაღებია თუ ის მოსაწონი და გასაგებია.

23820. ქალი, შეიძლება, გაუთხოვარი დარჩეს, მაგრამ არ უნდა დარჩეს უსექსოდ და უშვილოდ.

23821. სიყვარულს უპირველესად ჯანმრთელი სული და მღელვარე გული სჭირდება, ასევე პარტნიორთა ურთიერთშეცნობა.

23822. გრძნობათა შეუთავსებლობა ქირურგიულ ჩარევას მოითხ-ოვს – სასწრაფოდ გაყრას, ხოლო ხასიათთა შეუთავსებლობა თერაპიას – შერიგებასა და კომპრომისს.

23823. ზოგჯერ გონივრული გაცემა ხელს უწყობს სიმდიდრის მი-ზანდასახულ მიღება-მოპოვებას.

23824. დაგეგმილი წარმატება თავისებური სიმშვიდის მომტანია

ადამიანისთვის და მის ყოფას ალამაზებს.

23825. მარტოოდენ ნიჭი და შემართება არ კმარა, თუ ჩვენს საკეთებელს ბოლომდის არ მივიყვანთ. მაშასადამე, საჭირო ყოფილა ენერგიულობა და სიბეჯითეც.

23826. ზოგჯერ საკუთარი არჩევანიც ინტუიციას, ბედის კაპრიზს უნდა ვანდოთ, რათა საბოლოოდ გაგვიმართლოს ცხოვრებაში.

23827. ავად თუ კარგად, თქვენთვის განკუთვნილი ცხოვრების გზა ენერგიის ხარჯვით უნდა გაიაროთ, რათა ბოლოს შედეგი მისაღები გამოდგეს.

23828. სიტყვა „რატომს“ კრიტიკული სიტყვა „იმიტომ“ თუ არ ამკობს, მაშინ სიჯიუტე და დაპირისპირება მეფობს.

23829. კრიტიკულ აზროვნება სხვათა შეცდომებზე გაცილებით მეტს სწავლობს, ვიდრე საკუთარზე, რადგან საკუთარ შეცდომებს თითქმის არ უშვებს.

23830. გონივრული და წინდახედული წინსვლა და საამისოდ ხელის გამოღება ცხოვრების აწყობის საფუძველია.

23831. ეცადეთ, ცხოვრებაში არავის დანებდეთ, მათ შორის საკუთარ უსუსურობასა და უძლურებასაც.

23832. ქალი უკეთ შეიცნობს თავის მეობას, თუ ის ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის.

23833. აფთიაქების ღმერთი გრიპის ვირუსია. უიმისოდ მათ მფლობელებს კარგად ცხოვრება გაუჭირდებოდათ.

23834. ცხოვრების ფუძე სიყვარულია, რომლის დევიზია: რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია.

23835. მდედრი კარგი გამოგონებაა, ხოლო შთამომავლობა, ამ გამოგონების შედეგი.

23836. სამწუხაროდ, ფული ორთქლდება, თუ მას განსჯით არ მოვექცევით.

23837. ადამიანის ყველაზე დიდი ნაკლი გასაკეთებელ საქმეზე ხანგრძლივად ყურებაა.

23838. ფულით ბევრი რამ იზომება, მაგრამ ამ მცდელობისგან ფაქტობრივად სულიერებისთვის ცოტა რამ რჩება.

23839. სწორედ „ჭკუანაღრძობები“ სწავლობენ და ქმნიან უმთავრესად ამ სამყაროს და არა „დალაგებული“ კონსერვატორები.

23840. ჭკვიანი დამრიგებელი იშვიათად თუ ვისმე უყვარს. მას უფრო ეთვისებიან მოსმენის უნარის მქონენი.

23841. სიცილი თავისებური თერაპიაა, იმათი მკურნალიცაა, ვინც მათი დანიშნულება და მადლი არ იცის.

23842. ცხოვრებაში დიდ რაიმეს რომ მიაღწიო, დროსაც უნდა გაუსწრო და ნაოცნებარ მომავალსაც.

23843. სუსტი რწმენა, იდეალების დაკნინება თავის გაკონტროლების სურვილს გვიკარგავს.

23844. მამაკაცის „კუჭით აზროვნებას“ თუ უგებს, მდედრს მისი გულის მოპოვება არ გაუჭირდება.

23845. რეალური პატრიოტიზმი სხვა ერებთან დაპირისპირება კი არ არის, არამედ საკუთარი ხალხის სიყვარული, გამრავლება და იმედით ცხოვრება.

23846. საცოდაობაა, როდესაც ამდენ ნიჭიერ ქართველს ამდენი ვიგინდარა და უნიათო ვაი პოლიტიკოსი ჰყავს, რომლებიც ვერც ხეირიან სახელმწიფოს ქმნიან და ერის სათანადოდ წარმოჩენასაც ხელს უშლიან.

23847. ყოველი საქვეყნო საკითხის მოგვარება ეკონომიკას შეუძლია და არა პოლიტიკას.

23848. წარმატებით შეიძლება ამოიხსნეს ყოფის ალგორითმები, ოღონდ საჭიროა მონდომება, ფანტაზია, გამბედაობა, მცდელობა.

23849. ზოგი ცხოვრების ანგელოზია, მაგრამ წარუმატებელი ანგელოზიც კი არავის სჭირდება.

23850. ვეცადოთ ოცნებით მაინც ვიყოთ უკეთესნი, ვიდრე დღეს ვართ და ხვალ ვიქნებით.

23851. ფილოსოფია და ისტორია ძმები თუ არა, ბიძაშვილები მაინც არიან, რადგან ისინი ურთიერთგაგებით გადაამოწმებენ თავიანთ აზრებს, ქმედებებს.

23852. თანამებოთლე თანამეინახე მეგობრად არ გამოდგება, მიუხედავად იმისა, რომ მეგობრობაზე ბევრს ლაპარაკობს და შენთან ყოფნის გულწრფელი სურვილი აქვს.

23853. ზნეობაც სასჯელის შიშს და ტრადიციებს ემორჩილება და ანგარიშს უწევს.

23854. სიყვარული ჰაეროვანი ხიბლის გარეშე თავს ვერ დაგვამახსოვრებს და ჩვეულებრივ მოკვდავად იქცევა.

23855. ქალს ჩვენი აშენებაც შეუძლია და დანგრევაც, თუმცა გააჩნია მამაკაცს, მის ნებისყოფასა და შემართებას.

23856. ყველას თავისი საიდუმლო აქვს, რომელიც გამჟღავნებას არ ექვემდებარება.

23857. ამბობენ, აკრძალული ხილი გემრიელიაო, მაგრამ გააჩნია ყოფის სომელიეს დეგუსტირების შესაძლებლობებსა და მის შეფასებებს.

23858. არის საკითხი, რომლის გადასაჭრელად რჩევის მიცემა შეუძლებელია.

23859. ენერგია და პოლიტიკა საქმიან გამომზეურებას ითხოვენ.

23860. მწირი საჩუქრებით ქალის გულის მოგება ძნელია, თუ მასში

თავბრუდამხვევი სიყვარულის კოცონი არ ბრიალებს.

23861. საქმიანი კაცის სიკვდილი ყველასთვის საზიანოა.

23862. შემოქმედებითი უნარი წუხილისა და განგაშის ვითარებაში არ კნინდება.

23863. ადამიანის ცნობიერების მხსნელი სიახლესთან წილნაყარი გონიერებაა.

23864. მეცნიერება ემსახურება ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანთა გონებრივ განვითარებასა და მათი საღი აზრების რეალიზაციას.

23865. ადამიანის ცნობისმოყვარეობის „განტევების ვაცი“ რელიგიაა.

23866. თუ ხელოვნების ნაღვაწი ადამიანს სულიერად არ ამდიდრებს, ის ნამუშევარი, ეტყობა, ღმერთს არ უქნია.

23867. გაქცევას დაწევა სჭირდება, რათა მართალმა სამართალმა „პური ჭამოს“.

23868. ეროვნული გეოპოლიტიკური კურსის გატარებას ყველაზე მეტად პოლიტიკური მარიაჟობით ცხოვრება ვნებს.

23869. სამოთხეში მოხვედრა სუფთა რწმენითა და ღრმა ცოდნით თუა შესაძლებელი, თორემ სხვა გზა არა ჩანს.

23870. კანონი ზიზღს არ უნდა იწვევდეს. ის, პირველ ყოვლისა, ადამიანურ გრძნობებს უნდა უფრთხილდებოდეს და იცავდეს.

23871. აზრთა სხვაობა ადამიანთა შორის განხეთქილებას იწვევს, რაც დაპირისპირების და რევოლუციების წინამორბედია.

23872. შემოქმედება კი არ უნდა გვაკვირვებდეს, არამედ გვაოცებდეს, რათა მისი მადლი ბოლომდის შევიცნოთ.

23873. ყოველთვის უარესს უნდა ველოდოთ, მაშინ ერთობ გავიხარებთ, თუ ხელთ უკეთესი შეგვრჩება.

23874. ბედნიერებაა, თუ ერთის ბედი მეორის ბედის გაუარესებას ან, კიდევ უარესი, გაცამტვერებას არ იწვევს.

23875. უმჯობესია, იარაღი, როგორც პროფილაკტიკური საშუალება, ისე იყოს გამოყენებული, ვიდრე მისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

23876. ქარის საწინააღმდეგოდ სიარული ადამიანის შემოქმედებითი ბუნების დასტურია.

23877. ვიღაცის მიმართ საერთო სიძულვილი ურთიერთმოძულე და მოწინააღმდეგეებს აახლოებს.

23878. ბუნებით სულიერად მდიდრები მცირედით კმაყოფილდებიან. „ავთარქია“ მათი დევიზია.

23879. ჰიგიენის წინდახედულად და მუდამ დაცვა მოსაბეზრებელია, მაგრამ აუცილებელია.

23880. ქართველობა, პირველ ყოვლისა, მოყვასის სიყვარულია,

ერის გამრავლებაა, სათნოების ძიებაა.

23881. ქართული სუფრა და მისი წარმართვის ტრადიციები უსათუოდ მიგახვედრებთ, რომ საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ სიბრძნეს გაეთამაშეთ.

23882. ზოგ ვაი-პატრიოტ სახელმწიფო მოღვაწეს მრავალშვილიანობის ეშინია, ვაითუ რომელიმე შვილი მისი სახელის შემრცხვენი გამოდგეს და მის რეპუტაციას ავნოს.

23883. რატომღაც მატერიალური ისტორიული ძეგლების ნგრევას, ხელყოფას უფრო განვიცდით, ვიდრე არამატერიალური ისტორიულ გამოცდილებათა უგულებელყოფას. არადა, ორივე ზიარი ჭურჭელივით ერთიანია.

23884. ადამიანმა სიკეთე რომ დაგვიფასოს, ამისთვის შინაგანად მომზადებული უნდა იყოს, ცხოვრების საკმაოდ ფრძელი გზა გამოვლილი უნდა ჰქონდეს.

23885. თამამი ქალი სარეცელში უფრო მომხიბვლელია. თუ სექსში მის „დაჩაგვრას“ მოიწადინებ, უსათუოდ დამარცხდები.

23886. გონივრული შეთანხმება ყველა პრობლემის მოგვარების საწინდარია.

23887. გონიერისთვის არაფრის მაქნისი კითხვების დასმა მისი დაცინვის ტოლფასია.

23888. ცხოვრების მადლის სიღრმისეული შეცნობა მის ბოლოს არის შესაძლებელი.

23889. ჭეშმარიტების სიბრძნე ზოგჯერ დუმილით გამოიხატება, გააჩნია, რა მასტის ხალხთან გვაქვს საქმე.

23890. მადლსაც თავისი განსჯა ახლავს. ჭეშმარიტი მადლი კი ასეთია: ზემოდან ვარსკვლავები დაგნათის, გვერდით სასურველი ქალი გიწევს, მდედრი ცოცრის გარჯითა და ღირსების შესატყვისად ირჯება და ორივენი კმაყოფილები ხართ.

23891. ნაკლოვანებათა გამოსწორების სურვილი მუდამ დროულია, თუ ამის პრაქტიკული შესაძლებლობა არსებობს.

23892. თუ კარგად დაუკვირდებით, სიყვარული დაუწერელი კანონებით იმართება და წარმოჩნდება, ოღონდ ახლავს გარკვეული ვალდებულებები.

23893. საქმეში ფეხის დაცდენა დიდ ცოდვად არ ჩაითვლება, თუკი ფეხზე წამოდგომის უნარი შეგრჩენიათ.

23894. კომპლიმენტი სასურველია, ოღონდ შენი ბედნიერების შკალაზე არაფერს აღნიშნავს, მაგრამ თუ საკომპლიმენტე არსება შენი ცოლი ან საყვარელია და კომპლიმენტი ლიტონი სიტყვა კი არა, რეალობაა, მაშინ ბედნიერი კაცი ყოფილხარ.

23895. არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი გონებით, გამ-

ჭრიახობითა და პიროვნული ხიბლით იღბალს იზიდავენ და მათ ცხოვრების მადლი მარად გვერდში უდგათ.

23896. ბოღმიან და შურიან ადამიანს არ უნდა დაეხმაროთ, რადგან მას ძალზე უჭირს თქვენი წარმატებისა და უპირატესობის აღიარება, რაც მთავარია, სწორად აღქმა.

23897. ადამიანს თავის გულში ყველა სახის სიყვარულისთვის ადგილი დაჯავშნული უნდა ჰქონდეს.

23898. ცხოვრებაში საინტერესო უნდა იყოთ და არა სკანდალური, რათა თქვენი მე განგების ნებამ წარმოაჩინოს და არა შემთხვევითობამ.

23899. ცხოვრება ზოგჯერ შეუფართხალებლად არ გამოდის და უინტერესოცაა.

23900. ბიზნესი რეალობაში ნდობასა და ურთიერთ პატივის მიგებაზეა დაყრდნობილი.

23901. სხვისი რომ არ შეგშურდეთ, შინაგანი მოწოდებით პიროვნება უნდა იყოთ.

23902. დანაშაულია ისიც, თუ იცით, რომ თქვენს დავალებას თქვენზე უკეთესი ბუნების ადამიანები ასრულებენ.

23903. ტყუილებით თავის გამტანი საზოგადოება განწირულია გადაგვარებისთვის.

23904. ყველა პრობლემის მოგვარების საუკეთესო საშუალება ცოდნაა და არა მხოლოდ განათლება.

23905. ბუნების სულიერების აღქმა ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.

23906. ადამიანურ ღირსებათა მოძიება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დადგენა – ყველაფერი ეს თვითნაბადი ნიჭის შედეგია.

23907. ნდობაზე დამოკიდებულ საქმიანობას, ანაზღაურებაზე დამოკიდებული სჯობს, უფრო რეალურია.

23908. მადლიერების გრძნობა გარეშეთათვის, ეს ობიექტური თვისებაა, ხოლო, ვინც მას განიცდის, იმისთვის – სუბიექტური.

23909. იყო რეფორმატორი, ეს უდიდესი მოვალეობა და პასუხისმგებლობაა ქვეყნის და ხალხის წინაშე. თუ ეს პასუხისმგებლობა ბოლომდის გააზრებული არა გაქვს, რეფორმებს ხელი არ უნდა მოჰკიდო.

23910. დღევანდელი დემოკრატიისა და თავისუფლების გადამკიდე ვაი-პოლიტიკოსები დაღლილ თაობათა მართვით ირთობენ თავს. ისინი გონიერთა ჯგუფს ახლოსაც არ იკარებენ.

23911. მამაკაცური ბუნების მოწოდებაა: ქალთან ვერტიკალური ურთიერთობა ჰორიზონტალურში გადაიყვანოს.

23912. ზნეობრივი პოსტულატები დაღვინებას მოითხოვს, შიგადაშიგ – გადამოწმებასაც.

23913. მოყირჭებულ ოცნებებს თავი უნდა მივანებოთ და დავივიწყოთ, რათა ყოფიერების რეალობას უკეთ ჩავწვდეთ და მოვერგოთ.

23914. ეროვნულობას ჯანსაღი და წინდახედული აზრები უნდა კვებავდეს და არა განუსჯელი სურვილები.

23915. ტვინი ზეგავლენას ახდენს მთელ ორგანიზმზე, მაგრამ ადამიანის სიბრიყვისკენ სწრაფვას ვერაფერს შველის.

23916. კარგი და მოსაწონი კი არ იმალება, უბრალოდ, ცუდად ეძებენ.

23917. გაუცნობიერებელი აღფრთოვანებაც კი ნიჭის შედეგია.

23918. სილამაზის შესანარჩუნებელ რეცეპტებს კულუარებში განსჯიან, თუმცა კი სახალხოდ აფინანსებენ.

23919. პოლიტიკოსის მოწოდებაა, კედელს თავი იმდაგვარად ურახუნოს, რომ შუბლი არ გაისისხლიანოს და ამით საკუთარ თავსა და მეობას არ ავნოს.

23920. ბუნებისგან მუქთა საჩუქარს არ უნდა ველოდეთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ მისი გამოყენება არ ვიცით.

23921. საკუთარ მეობაზე ამაღლება და მისთვის ზემოდან გადმოხედვის უნარი ფილოსოფიაა და გონიერებად მიჩნევა.

23922. მდედრის თავდაცვის უნარი თავდასხმით გამოიხატება და მას ეს თავისი მონაპოვარი ჰგონია.

23923. პოლიტიკაში მოსული მოკვდავი მარიონეტი ბევრია, მაგრამ მათი დროულად დამმარხავის მოძებნა ჭირს.

23924. სიმართლე მწირი სიტყვებითაც გასაგებად მეტყველებს.

23925. ხელისუფლების მოწოდებაა, ნიჭიერ ხალხს, ჯანსაღ წყვილს დააძალოს მრავალშვილიანობა, რათა მეტი ნიჭიერი ხალხი მოევლინოს ქვეყანას და ერის რაოდენობაც გაიზარდოს და ხარისხის დონეც.

23926. ჩვენ ვერ ვიქნებით დამნაშავენი, თუ თქვენი ბედი სხვაგვარად განსჯის და ფიქრობს.

23927. ტრადიციების ზეგავლენით აღზრდილნი ზოგჯერ პრობლემებს უქმნიან საკუთარ სიცოცხლეს და სულიერებას ჯოჯოხეთს უწყობენ.

23928. თუ ცხოვრებაში ჩვენთვის არ არის სამართალი, დაე, ეს სხვისთვისაც ნუ იქნება, თავს ასე უფრო დაუჩაგვრელად ვგრძნობთ.

23929. სიკვდილის სიამოვნებით მიმღებნი ჩვენს სიმპათიას არ იმსახურებენ.

23930. ქალი ილუზიებით ოჯახსა ქმნის, ხოლო მამაკაცის დაპირებები ამ ილუზიების ხარაჩოებია.

23931. ქალს მამაკაცმა არ უნდა უღალატოს, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, ხოლო ქალის ღალატი ყველა ვითარებაში მიუღებელია, რათა თავის ქმარს სხვისი შვილი არ გააზრდევინოს.

23932. ბიჭებს ბავშვობაშივე უნდა ჩავუნერგოთ რწმენა, რომ ქალზე ხელის აღმართვა უკადრებელი საქციელია, თუ გვინდა, მათგან

ღირსეული მამაკაცები დადგნენ.

23933. ხშირად ჩვენი ამბიციები ჩვენსავე ნიჭს აღემატება და რატომღაც ჩვენში განსჯის საგანად არ ხდება.

23934. ახალ იდეათა წამოჭრა და დაყენება დაფინანსების მიუღებლად არაფერია.

23935. თავშეუკავებლობა დასაგმობია, მიუხედავად იმისა, რომ თავაშვებული ცხოვრება სიბერეში ბევრ სასიამოვნოდ გასახსენებელს გვიტოვებს.

23936. ყოველგვარი ნადირობა მსხვერპლს მოითხოვს, მიუხედავად იმისა, დიდი ზომის ცხოველი იქნება თუ მომცრო ტანისა, გააჩნია, ვის გადაეყრები და რა მიზნები გაქვს დასახული.

23937. სიამაყე პატივის მიგებითაც კმაყოფილდება, თუ ეს გარეშეთათვის შესამჩნევია.

23938. ადამიანისთვის რწმენა უმთავრესია, რადგან ის მას აპატიოსნებს და ცოდვებისგან მის განწმენდას ცდილობს.

23939. ზოგჯერ გონივრულ აზრს უაზრობას უპირისპირებენ, იმდენად მაღლა აქვთ აწეული სიამაყის რქა ამბიციებით გაჯერებულ ადამიანებს.

23940. ზოგჯერ მარტოობას ვეძებთ მღელვარე სულის დასაშოშმინებლად და დასამშვიდებლად, მაგრამ ბოლოს ვხვდებით, რომ ღმერთს ჩვენთვის ეს შეღავათიც დანანებია.

23941. ეჭვიანობა ერთგვარად კრიტიკულ მოქმედებას მოითხოვს, რათა ფაქტები გადაამოწმოს და თავის ეჭვებს საბოლოო შეფასება მისცეს.

23942. აღზრდა ჩვენი ბიოგრაფიის, რაობისა და მეხსიერების ნაწილია.

23943. პროფესია სულმა უნდა აირჩიოს და არა გონებამ, თუმცა მუშაობის პროცესში ისინი ერთად მოქმედებენ.

23944. გულგრილობა ყველა სხვა სახის დანაშაულზე უარესია, რადგან ვერაგი და ჩუმჩუმელაა.

23945. ვინც თქვენი ბედის გულგრილობას გულით განიცდის, მისი ნდობაც შეიძლება და მასზე დანდობაც.

23946. ახალგაზრდულ სულისკვეთებას წინ ვერაფერი უდგას, რადგან ის გავარდნილი ტყვიასავითაა, უკან არ იხედება.

23947. სულიერად მტკიცედ შემართულ ახალგაზრდობას სიბერის მოახლოება ვერას აკლებს, რადგან ის მასზე არ ფიქრობს.

23948. სული თუ მღერის, გული მას სიამოვნებით უსმენს და ენდობა.

23949. ქალს სიცოცხლის მოცემაც შეუძლია და მისი უკან მოთხოვნაც, გააჩნია, რა ცოდვებში გაეხვევა მისი ნაღვაწი.

23950. თეორიასა და პრაქტიკას შორის ჭიდილი არასოდეს შეწყდება და მოისპობა, რადგან სხვაგვარად ყოველივე სახის განვითარებას წერტილი დაესმებოდა.

23951. პოლიტიკა სულის გამოფხიზლების საშუალებაც არის და იმედის გაცრუების შესაძლებლობაც.

23952. ზოგჯერ ისეთი უგუნურება, უგვანობა გაიჯირითებს ამ სამყაროში, რომ მხოლოდ სასწაულის იმედზეღა ვრჩებით.

23953. სახელმწიფოებრიობა ხშირად არ გვქონია, მაგრამ მომხვდურნი ანგარიშს გვიწევდნენ და გვაფასებდნენ. დღეს სახელმწიფოებრიობა თითქოსდა გვაქვს, მაგრამ არც არავის ვჭირდებით და სათანადოდ არც გვაფასებენ, რადგან წინდაუხედავად ვეტენებით იმათ, რომელთაც ჩვენი ფასი და რეალური შესაძლებლობა არ იცის.

23954. ფილოსოფია – ეს არის აზრთა ფაბრიკა, მნიშვნელოვანი ახალი აზრების გამოქვეყნება, წარმოჩენა და რეალიზება.

23955. ზოგ პოლიტიკოსს ქვეყნის სათავეში მოხვედრა გასტროლებზე ყოფნა ჰგონია.

23956. შემთხვევითი სიტყვების უნიათო ფრქვევას პოლიტიკაში კარგი არაფერი მოუტანია.

23957. ყველაზე დიდი უბედურება და ზარალი ომის დროს უცოდინარობას მოაქვს, რადგან უხეირო ხელმძღვანელობას ან ოპერაციის დაგეგმვას უამრავი სიცოცხლე ეწირება.

23958. ფაქტობრივად რა არის პატრიოტიზმი?! მოყვასის არ შეგშურდეთ და სხვისას ხელი არ ახლოთ.

23959. ევნუხი პოლიტიკოსების ქვეყნის მმართველობაში დაშვება სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ტოლფასია.

23960. რა არის ომი? უპირველესად მოწინააღმდეგისთვის ზურგში დანის ჩაცემა, წინასწარი განზრახვით და საიდუმლო ეშმაკობებით, მისი მოღორება, შეცდომაში შეყვანა და, ბოლოს, განადგურება.

23961. სამართლიანობის კაპიტალი ყოველგვარ ვირეშმაკობაზე მაღლა დგას, რადგან უპირველესად ის გონისთვის არის მისაღები.

23962. ზოგჯერ სხვათა სახეზე ღიმილის შემჩნევა უხასიათობას გიქარვებს.

23963. კარგს კარგი უნდა უყვარდეს და პატივს მიაგებდეს, შური გულს არ უნდა გააკარონ.

23964. თავს სიცარიელე აიძულებს, ავად თუ კარგად რაღაცით შეივსოს.

23965. სიბერეში ქალის ყველაზე კრიტიკული მეგობარი სარკეა, რომლის სათავისოდ მორჯულებას იგი ხშირად უშედეგოდ ცდილობს.

23966. სასიამოვნო დაღლილობა დაღლილი სიამოვნების ტოლფასია.

23967. არის საპასუხისმგებლო წინადადება, რომელიც გონიერე-

ბასთან ერთად გულმაც და სულმაც უნდა გაითავისონ და მიიღონ.

23968. ერთი შვილი – არაშვილი, ორი შვილი – ვითომ შვილი, სამი შვილი – მართლა შვილი, ოთხი შვილი – ნაღდი შვილი, ხუთი შვილი – სუპერშვილი.

23969. სამწუხაროდ, ე.წ. ხალხი, როგორც ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, არაფერს წყვეტს სასიკეთოდ, თუ ქვეყნის სათავეში გამჭრიახი და ძლიერი პიროვნება არ მოვიდა, რომლისთვისაც უპირველესია ქვეყნის ინტერესები, შემდგომ – ხალხისა.

23970. სოციალური სამართლიანობის კაპიტალი განაპირობებს ხალხის ნდობისა და კეთილდღეობის მოპოვებას.

23971. მაფია, უგერგილობა და უგვანობა მაშინ წამოყოფს თავს, როცა ხალხს თავისი ხელისუფლებისა არ სჯერა.

23972. ქალური ლოგიკა ასეთია: მის მიერ მოწონებულ მამაკაცზე მის მიერვე შეთხზული სიმართლის თქმას აპირებს.

23973. ქვეყანას ყველაზე მეტად ვნებს წინდაუხედავი, დიპლომატიისაგან შორს მდგომი და ყოველგვარი განსჯის უნარს მოკლებული პატრიოტიზმი.

23974. პატიოსნებაა, როდესაც საკუთარი თავის წინაშე მართალი ხარ და ზომიერი ცხოვრების წესს მისდევ.

23975. გულში ნიშნის მოგება და იქედნური ღიმილი არაფრით განსხვავდება გულწრფელი სიძულვილისგან, პრინციპში ესენი სინონიმებია.

23976. თვალების მეტყველება უფრო სანდოა, ვიდრე ფიცი-მტკიცისა. გამოცდილ ადამიანებს ეს არ ეშლებათ.

23977. იდეათა ფრქვევა ადვილია, თავში ნაღდი და სახალხოდ გამოსაყენებელი, საქმიანი იდეის მომწიფებაა ძნელი.

23978. საკუთარი გონის მარწუხები იმდაგვარად უნდა ამუშაოთ, რომ სხვათა დაშოშმინება და დამშვიდება შეძლოთ.

23979. ადამიანზე აზრის შეცვლა დროსა და ასაკს მოითხოვს, რადგან გამოცდილება, ეტყობა, ცხვირს უკეთ გვხოცავს.

23980. დეპრესიაში ყოფნას ზოგჯერ თავდაჯერებისა და სიჯიუტის სიმპტომები აქვს.

23981. მორალს ბევრი საჭირბოროტო რამ აკისრია, მაგრამ სიყვარულის საქმეში ის უძლურია.

23982. სიბერეში მარტოობას ეჩვევიან, ურთიერთთან ყოფნას ეგუებიან, პრობლემებს ხისტად აღარ განსჯიან.

23983. სიყვარულს სიამაყის მოთოკვაც შეუძლია, თუ ტრფიალი სიამაყის გრძნობის სიჭარბეს განიცდის და ამ ტვირთის ზიდვა უჭირს.

23984. გენსაც, ეტყობა, თავისი კაპრიზები ახლავს. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა განსაჯო ეს ამბავი: გუგულის მიერ სხვის ბუდეში ჩადებული კვერცხები ბუდის პატრონის კვერცხებზე ადრე იჩეკები-

ან და პაწია გუგულებს ბუდის პატრონი ისე კვებავს, როგორც თავის ბარტყებს. ეს ბარტყები ბუდის პატრონის ჯერ კიდევ გამოუჩეკავ კვერცხებს, როგორც მომავალ კონკურენტებს, ბუდიდან ყრიან. საოცარია, მათთვის ეს არავის უსწავლებია.

23985. ზოგიერთი ქვეყნის ისტორიას რომ გაეცნობი და გაანალიზებ, გაუგებარია, „ვისი ვიოლინო ვის როიალში დევს“.

23986. ფული ღირსებას ვერ უწევს კონკურენციას, მაგრამ ამის კომპენსაციას უფრო დიდი ფულის შოვნით ცდილობს.

23987. ვნება ფიზიკაა, სიყვარული – ქიმია, დაოჯახება – ბიოლოგია, ხოლო შთამომავლობის ყოლა და აღზრდა დღეს მათემატიკად იქცა.

23988. ნიჭს უნიათობა ვნებს, გულგრილობა ჩრდილში აქცევს, უფულობა აკნინებს.

23989. მაფიოზური აზროვნება მაფიაზე უკვდავია. ვინც ბუნებით შემოქმედია და უკეთესობისკენ მიისწრაფის, მისთვის ამ ტიპის აზროვნება ნაცნობი და გასაგებია.

23990. აღზრდას იმდენად დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენადაც გენის მოქმედებას, ნიჭის შეჩიჩხინებას, ბედის გაღიმებას დროისა და გარემოს შესატყვისად.

23991. ჩადრი ქალის თვალების მომხიბვლელობას წარმოაჩენს და არა მისი სახის ნაკვთების სილამაზეს. მაშ, ჩადროსანმა რომ კაცი გააგიჟოს, მთელი სილამაზე თვალებში უნდა ჰქონდეს.

23992. იდიოტობაში გადასული მიამიტობა ყველაზე მეტად ვნებს ადამის ძეს.

23993. სიყვარული უკვდავია და დასამახსოვრებელი, ხოლო სიძულვილი – დასავიწყებელი და ალიყურის ღირსი.

23994. არ უნდა ეცადოთ სხვისი კუთვნილი ადგილის დაკავებას. ეს ორივეს გავნებთ.

23995. სიყვარული ბედნიერებაა, ხოლო დაქორწინება – ამ ბედნიერების გადამონმება: ქალსა და ვაჟს ერთმანეთი სამუდამოდ სჭირდებათ თუ დროებით.

23996. ფული ადამიანის ბუნება-გუნებას მყისიერად ცვლის, ხოლო მის ცოდნასა და გონიერების ჰორიზონტს – ხანდაყოვნებით.

23997. უხასიათობა უპირველესად ჩვენვე გვაყენებს ზიანს, ხოლო ირგვლივ მყოფთ ჩვენს საწინააღმდეგოდ განაწყობს.

23998. წარსულის განსჯით და მიტევებით გადაგორება უკეთესი მომავლის იმედს გვისახავს

23999. რეალობაში ყოველთვის ძნელია იმის პოვნა, რაზედაც დიდი ამბით გიოცნებიათ.

24000. ცხოვრება ხანმოკლეა, მაგრამ მისი მეტისმეტი ფუფუნებით დაწყება არ ვარგა, რადგან უარყოფითი ფინიშით მთავრდება.

სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ 3

გონიერება და სიბრძნე..... 4

ადამიანი..... 5

აზრები 94

ასაკი, ახალგაზრდობა.....147

აღზრდა, ცოდნა.....165

ბედი, ფორტუნა, ილბალი, ყისმათი 180

გონიერება, გენი, განათლება, ნიჭი.....213

დრო, ჟამი 263

ეკონომიკა – ბიზნესი 289

ვექილი, კანონი, სამართალი 302

ზნეობა, გული 317

თავისუფლება, დემოკრატია.....337

იმედი, შიში 348

კულტურა, ხელოვნება, მწერლობა.....359

მამაკაცი, კაცი 375

მასმედია.....392

ნიჭი, ცოდნა, შემართება, მეცნიერება 400

ოჯახი, ქალი, კაცი, ურთიერთგაგება.....436

პოლიტიკა.....461

ჟინიანი, განსჯადი მცნებები.....523

რჩევები, სურვილები.....577

საქართველო, ქართველები 607

სამშობლო, ერი, პატრიოტიზმი 632

სახელმწიფო, საზოგადოება, ხელისუფლება.....659
სექსი და ლამაზმანი.....706
სიყვარული, სილამაზე.....715
სულიერება, სათნოება, სიცოცხლის მადლი.....766
უარყოფითი ქმედებანი.....797
ფული, სიმდიდრე.....836
ქალი.....852
შეგონებანი.....899
ცხოვრების ფილოსოფია.....972
ძრომიალა სიტყვები, აზრები, ქმედებანი.....1056
წუთისოფელი.....1183
ჭეშმარიტებასთან ახლოს.....1234
ხალხი, ბრბო, მასა.....1277
ჯანმრთელობა.....1302
ჰე, ღმერთო ერთო.....1312
წიგნის აწყობის შემდეგ დამატებული აზრები.....1333

მთავარი რედაქტორი: პროფ. **ლერი ჩანტლაძე**
პასუხისმგებელი რედაქტორი: პროფ. **მურმან თავდიშვილი**
ტექნიკური რედაქტორი: პროფ. **დავით თაქთაქიშვილი**

დიზაინი: **პაატა ყუფარაძე**
კორექტორები: **მერი შავლუხაშვილი**
ეთერ ყუფარაძე
კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **პაატა ქორქია**

ლიტერატურულ მხატვრული გამოცემა „აფმაქსენი“
გიორგი ვალერიანის ძე ყუფარაძე
სიტყვაქველობა
Ситквакволеба
Sitkvakveloba
დროის შესატყვისი თანამედროვე სიბრძნე და მახვილგონიერება
Современные мудрости и размышление соответствующие эпохе
Contemporary wisdom and Thinking corresponding to time

ხელმოწერილია დასაბეჭდად 04.04.2017

საბეჭდი ქაღალდის ფორმატი 60x90 1/16
ბეჭდვა ოფსეტური, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 86,8
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 57,8

გამომცემლობა „დანი“

გიორგი ვალერიანის ძე ყუფარაძე

ფაქტიურად დაიბადა 1942 წლის 3 ოქტომბერს, საბუთებით 1943 წლის 19 მარტს. მწერალი, მეცნიერი, გამომგონებელი, სპორტის ამაგდარი, სპეციალობით მეტყევე-ინჟინერი.

სპორტი: საქართველოს ჩემპიონი კრივში ახალგაზრდებს შორის. მის მიერ ჩამოყალიბებული და შექმნილი გუნდებია რაგბში: თბილისის „ლოკომოტივი", ქუთაისის „დინამო", ამიერკავკასიის სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდი, თბილისის „ევს", მანვე აღადგინა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი „გპი". გაერთიანა საქართველოს ლელო-რაგბის ფედერაცია, რომლის პირველ პრეზიდენტად თავადვე იქნა არჩეული. მისივე ინიციატივით თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში გაიხსნა რაგბის ფაკულტეტი, რომელიც დღესაც ამზადებს დიპლომიან რაგბის სპეციალისტებს. ასაკში ის გახდა საქართველოს უძლიერეს მონარდეთა შორის „ოქროს კამათლების" მფლობელი.

მეცნიერება: რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის უცხოელი წევრი, პროფესორი, აქვს მრავალი გამოგონება, საიდანაც გარკვეული ნაწილი დანერგილი იყო წარმოებაში. მისი სახელობითი მაგარი სასმელი „გეორგდევა" ქ. ტიუმენში, მჭლე თევზის ხელოვნურად გაცხიმოვნება და მისგან „სათალის" და „სათალის ფარშის" გამომშვება თუნუქის ქილებით ქ. ბათუმში. დაპატენტებულია „გ. ყუფარაძის სახელობის ელიფსის მაგვარი მთავარი სარგებლობის ჭრები" და სხვა მრავალი გამოგონება და რაციონალიზური წინადადება.

დამწერლობა: მის მიერ შექმნილი და დაპატენტებულია მისი სახელობის საერთაშორისო ანბანის შვიდი სხვადასხვა ვარიანტი, იმ მცირე ერებისათვის, რომლებსაც საკუთარი დამწერლობა არ გააჩნიათ, მისი ახლებური ქართული შრიფტით დაბეჭდილია ქართულ ენაზე „გაერთიანებული სამყაროს ასამბლეის (გასა) კონსტიტუცია დანახული 22 საუკუნის გადასახედიდან, დასაფიქრებლად, შესაჯერებლად და ანმყოში გამოსაყენებლად".

მწერლობა: ის ავტორია რომანების, პიესების, კომიქსების, აფორიზმების, ფილოსოფიური ნაღვაწის, კულინარიული წიგნის და ლექსების კრებულის, რომელიც ახალი მიმართულებაა პოეზიაში „ყუფარიზმების" სახით. მას გამოქვეყნებული აქვს 57000 საკუთარი აფორიზმები სამ წიგნად „მზესიტყვაობა", „სიტყვამზეობა", „მზემცონარეობა". რუსულ ენაზე გამოქვეყნებულია მისი „გრაუდანინ" და „ეიტამინ ლუბვი", მისი ზოგიერთი ნაღვაწი ნათარგმნია სხვა ენებზეც.

დაჯილდოებულია: ლირსების ორდენით, სამახსოვრო №1 დიდი ოქროს მედლით, რაგბის განვითარების საქმეში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

პიროვნება: თავისი ჭკუის ეაცია, იყურება მხოლოდ წინ. იმ ხალხის აზრი აინტერესებს, ვისაც თავადაც პატივს სცემს. მას მიაჩნია, ყველაზე უკეთ საკუთარი თავის ფასი თავადვე იცის.